საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

ენციკლოპედიური ლექსიკონი

ავტორ-შემდგენელნი:

ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი)
მაია მამაცაშვილი
ანა ღამბაშიძე

თბილისი
2007

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

ლოცვა-კურთხევით

რედაქტორები:

ენრიკო გაბიძაშვილი
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

დაიბეჭდა თემურ გაბიძაშვილის ფინანსური თანადგომით

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

ბასუხისმგებელი გამოცემისათვის: ისტ. მეცნ. დოქტ. ზაზა აბაშიძე

სსიპ მეგრულ სრ 20.07.2007 №194

© ე. გაბიძაშვილი

ISBN 978-99940-69-47-7

წინასიტყვაობა

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც პირველად იბეჭდება და წარმოდგენილია მკითხველთა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე, ავტორთა კოლექტივის ღრმა რწმენით, ერთი იმ მრავალ წინასწარ სამუშაოთაგანია, რომელიც წინ უძღვის საქართველოს ეკლესიის სრული ენციკლოპედიის შედგენას — უახლოესი მომავლის უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ საქმეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი მსგავსი ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა, ნათელი გახდება ის სიძნელეები, რომელთა დაძლევა მოუხდა ავტორთა ჯგუფს, და უფრო მისატევებელი იქნება ის ხარვეზები, რომელიც ამ ლექსიკონს უთუოდ აქვს. მთავარი სიძნელე სალექსიკონო მასალის შეკრება იყო, რადგანაც წერილობითი წყაროების ნაწილი (ხელნაწერები, საეკლესიო-ისტორიული საბუთები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა საეკლესიო სიძველენი) ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოქვეყნებული, ხოლო მათი დამუშავება და გამოყენება ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომასა და დიდ დროს მოითხოვდა, რომლის საშუალება ამჯერად არ იყო. ასევე, ჯერჯერობით მთლიანად არ არის გამოვლენილი, აღრიცხული და შესწავლილი ჩვენი კულტურის უძველესი ძეგლები — ეკლესია-მონასტრები და სხვა ქრისტიანული სიძველენი, რის გამოც შეუძლებელი იყო, შედარებით სრულად წარმოგვედგინა ქართული ეკლესიისა და ძველი ქართული კულტურის ეს უბანი. ხსენებულმა მიზეზებმა ლექსიკონის სისრულეს ბევრი რამ დააკლო.

ლექსიკონში შეტანილი სხვადასხვა შინაარსის მასალის ხვედრითი წონა ერთნაირი არ არის. ჩვენ შევეცადეთ, ლექსიკონში მთელი სისრულით წარმოგვედგინა ქართული ეკლესიისა და საეკლესიო მწერლობის ყველა საკითხი და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, კერძოდ: ღვთისმსახურება, სალვთო წერილი, საღვთისმსახურო წიგნები, საეკლესიო შესამოსელი და წმინდა ჭურჭელი, სასულიერო მწერლობის ყველა დარგი, საეკლესიო კანონმდებლობა, სამწერლო-სამონასტრო კერები, ხელნაწერი წიგნისა და საეკლესიო სიგელ-გუჯრების ძირითადი საკითხები, პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული პრობლემები, ცნობები ეკლესია-მონასტრების, მათი დაარსებისა და ისტორიის, ხუროთმოძღვრული თავისებურებებისა და მოხატულობის შესახებ.

ლექსიკონი, მართალია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხებს ეძღვნება, მაგრამ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, შეგვეტანა აგრეთვე ძირითადი მასალა საერთოდ მართლმადიდებლური ეკლესიისა (ეკლესიის გამოჩენილი მამები, საეკლესიო მწერლები და მათი თხზულებები, მწვალებლობები და სხვ.), მცირედები ცნობები ქრისტიანობის სხვა აღმსარებლობების (კათოლიციზმი, პროტესტანტობა და სხვ.) აგრეთვე იუდაური, მაჰმადიანური, ბუდისტური და წარმართული რელიგიების შესახებ. სხვა აღმსარებლობათაგან შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი კათოლიკური ეკლესია (ძირითადი ორდენები, სექტები, კრებები და სხვ.), უფრო ნაკლები მოცულობისაა არაქრისტიანული რელიგიების ამსახველი მასალა (რელიგიური მიმდინარეობანი, ძირითადი საღვთისმსახურო წიგნები და სხვ.). რაც შეეხება წარმართობას, რომელიც ძირითადი რელიგია იყო ქრისტიანობის გაერცელებამდე საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში, მისი გადმონაშთები ლექსიკონში ჩანს ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალასთან და ხალხურ-რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ ცნობებით, რომელიც ლექსიკონში წარმოდგენილია ქართული და ბერძნულ-რომაული კერპთაყვანისმცემლობის არც თუ მრავალრიცხოვანი მაგალითებით.

ლექსიკონში დიდი ადგილი ეთმობა ქრისტიანული ეკლესიისა და სარწმუნოების წინაშე გარკვეული დამსახურების მქონე პირებს, რომელთა სოციალურ-პროფესიული და იერარქიული კუთვნილება მრავალფეროვანია: მოციქულები და წინასწარმეტყველები, ქრისტიანული ეკლესიისათვის თავდადებული მოწამეები და გამოჩენილი ბერ-მონაზვნები, ყველა იერარქიის საეკლესიო პირები, საეკლესიო მწერლები და მთარგმნელები, აგრეთვე ხელნაწერთა გადამწერნი, მომგებელნი, დამკვეთნი, შემკაზმველნი და მოშხატველნი, ეკლესიის მაშენებელ-ქტიტორები, კალატოზნი და ხუროთმოძღვარნი,

რომელთა რიცხვში არიან როგორც სამღვდელო, ასევე საერო პირებიც. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედიან ის მეფეები და დიდებულები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქრისტიანული ეკლესიის წინაშე. აქვეა შეტანილი იმ სექტებისა და მწვალებლობათა დამარსებლები და ცნობილი მოღვაწეები, რომლებთან ბრძოლაში იწრთობოდა ქრისტიანული სარწმუნოება. ჩვენ შევეცადეთ, ლექსიკონში მოხვედრილიყო საისტორიო დოკუმენტებში მოხსენიებული ყველა ქართველი სასულიერო პირი, განურჩევლად მათი დამსახურებისა და იერარქიული მდგომარეობისა (XVIII ს. ჩათვლით). შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი წინამდებარე ნაშრომში ვერ მოხვდა იმ წყაროების გამოუცნელობის გამო, რომლებშიც ისინი იხსენიებიან.

ლექსიკონში ცალ-ცალკე აისახა ღაწლი იმ ქართველი მოწამეებისა, რომელთა კოლექტიური წამების ფაქტები ცნობილია წყაროებით, მაგრამ ის პირობითი სახელები, რომლებსაც ქართველ მოწამეთა მოსახსენებელ დღეებში მიუთითებენ საკლესიო კალენდრები და ისტორიული მონაცემებით კი არ დასტურდებიან, წინამდებარე ლექსიკონში არ შეგვიტანია (ცხრა ყრმა კოლაელთა, 11 დეკემბრის მოხსენიებული მოწამე მამათა და დედათა სახელები – 245 მამაკაცისა და 108 ქალისა).

ლექსიკონში შეტანილი ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირი ცნობილია მხოლოდ ერთი საისტორიო წყაროთი, რომელიც მათი ბიოგრაფიის შესახებ არაფერს გვაუწყებს, სახელდებით კი მოიხსენიებიან. ლექსიკონში მათი შეტანა, ვფიქრობთ, გამართლებული იყო: ჯერ ერთი, იმისათვის, რომ სათანადო საისტორიო პასუხები მოვეძინა ფაქტი დაფიქსირდეს, და მეორეც, დროთა განმავლობაში, ახალი მასალების გამოვლენის შემთხვევაში შეესოს აღნიშნულ პირთა ბიოგრაფიული მონაცემები (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა სოგელ-გუჯრებში მოხსენიებულ პირთა სახიბლების შედგენაზე).

სამღვდელო პირები ლექსიკონში, ჩვეულებისამებრ, სახელებზეა გატანილი, ხოლო თუ მათი გვარებიცაა ცნობილი, ფრჩხილებში მიეუთითებთ. საერო პირებს კი (გარდა მეფეებისა და მთავრებისა), რომლებიც ლექსიკონში მოხვედრ.ნ ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გვარების მიხედვით ვუთითებთ (ამათ რ.ცხვებია ეკლესიის მეცენატები, მისიონერი მოგზაურები, სასულიერო მწერლობისა და ხელოვნებათმცოდნეობის გამოჩენილი მკვლევარნი, საეკლესიო თემატიკით დაინტერესებული მწერლები და სხვ.). თუმცა ყოველთვის არ ხერხდება გარჩევა, ესა თუ ის პირი საეკლესიო წოდებისაა, თუ საეროსი (ზოგიერთი კალიგრაფ-გადამწერი, ხატებისა და ჯვრების და წიგნის ყდის მომჭედველი ოქრომჭედლები, მაშენებელ-კალატოზნი და სხვ.). ამიტომ ისინი ლექსიკონში ისევე წარმოვადგინეთ, როგორც წყაროში იხსენიებიან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე სახელის მქონე მრავალი პირი იყრის თავს, ისინი ერთი სათაურის ქვეშ ერთიანდებიან მათი მოღვაწეობის დარგის მიხედვით (მღვდელმთავრები, საეკლესიო მოღვაწენი, კალიგრაფ-გადამწერნი, მხატვრები და ა. შ.). განსაკუთრებული ღაწლის მქონე პირებს კი ცალკე სტატია ეძღვნება (ზოგჯერ იმათაც, ვის შესახებაც წყაროებში მეტი ცნობებია დაცული).

ლექსიკონში სრულად არაა წარმოდგენილი მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა წმინდანი, მათი ძალზე დიდი რაოდენობის გამო (მარტო იოან-ზოსიმეს კალენდარში და გიორგი მთაწმიდელის დიდ სინაქსარში მათი რაოდენობა ორი ათასს აღემატება), რაც უზომოდ გაზრდიდა ლექსიკონის მოცულობას, ამასთანავე, ბევრი მათგანის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება, სახელების გარდა; ამ სახით კი ისინი ისედაც არიან მოხსენებული საეკლესიო კალენდარში. ამიტომ არაქართველ წმინდათაგან ლექსიკონში შეეიტანეთ მხოლოდ ისინი, რომელთა „წამება" ან „ცხოვრება" მოგვეპოვება ქართულ ენაზე.

ამავე მიზეზით, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მხოლოდ მთავარი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტები და პირები შეეარჩიეთ ლექსიკონისათვის (სრულად ისინი დაფიქსირებულნი არიან სხვადასხვა ენებზე გამოსულ ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონებში).

არ შეეიტანეთ ცალ-ცალკე სახელებით მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქები (ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის, რუსეთის) და რომის პაპები, გარდა ზოგიერთი გამორჩეული პირისა და ვინც საქართველოს ეკლესიასთან რითიმე იყო დაკავშირებული. საკმარისად მიეიწინეთ მხოლოდ პატრიარქებისა და პაპების სიების დართვა შესაბამისი საპატრიარქოებისა და რომის ეკლესიის შესახებ წარმოდგენილი სტატიების შემდეგ.

ლექსიკონში შეტანილია საღვთო წერილის უმნიშვნელოვანესი სიმბოლურ-ალეგორიული სახვები, საღვთისმეტყველო ცნებები და ტერმინები, მაგრამ სრულად მათი ასახვა შეუძლებელი იყო დიდი სიმრავლის გამო. ლექსიკონში არაა წარმოდგენილი ფილოსოფიის საკითხებიც, თუკი ისინი თეოლოგიურ დოგმატიკას არ უკავშირდებიან.

ეკლესია-მონასტრები ლექსიკონში შეტანილია იმ გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის, ქალაქის) სახელწოდების მიხედვით, სადაც ისინი მდებარეობენ, ან რომლის მახლობლადაცაა აშენებული. გამონაკლისია დაშენებული განსაკუთრებით ცნობილი ძეგლების მიმართ (სეფტიცხოველი, ოშკი და სხვ.), რომლებიც ლექსიკონში საკუთარი სახელწოდებით არიან შესული.

ქართველი წმინდანები და მათ შესახებ დაწერილი „ცხოვრება-წამებანი" გაერთიანებულია ერთ სტატიაში, წმინდანის სახელზე, ე. ი. ცალ-ცალკე არაა წარმოდგენილი ორ დამოუკიდებელ სტატიად, რადგან ფაქტობრივად ერთისა და იმავეს გამეორება გამოვიდოდა. ის ნათარგმნი პაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე მონაკვეთს ეძღვნება (მაგ. აღაპი, ირინე, ქრონიკა, კასია, ფილიპა, ეტუქია, აღათონი) ლექსიკონში ასე აისახა: შედარებით ვრცელი ბიოგრაფიული მასალა მოცემულია თხზულების სათაურში პირველად მოხსენიებულ მონაკვეთზე, ხოლო სხვებთან — ეს ცნობები შედარებით მოკლედაა წარმოდგენილი.

ლექსიკონში ხანდახან შეგვხვდება ასეთი ხასიათის „ზედმეტობა": ერთ სავანეზე სხვადასხვა ადგილას ორი სტატიაა შეტანილი (მაგ. მრწამსი — სიმბოლო სარწმუნოებისა; ლიტურგია — ჟამისწირვა; დაბადება — შესაქმე; არქიდიაკონი — მთავარდიაკონი; ჟამი მეცხრე — მეცხრე ჟამი და სხვ.). ეს გამოიწვია ლექსიკონზე რამდენიმე ავტორის მუშაობამ, ხოლო რედაქტირების დროს ალარ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ასეთ წყვილთაგან ერთ-ერთის ამოღება და მხოლოდ „იხილეთი" დაკმაყოფილება, რადგან ისინი ზუსტად არასოდეს იმეორებენ ერთმანეთს, არამედ ავსებენ სხვადასხვა ცნობებით.

თავიდან განზრახული იყო, თითოეული სტატიის ბოლოს დაგვერთო წყაროებისა და ლიტერატურის სია, როგორც ეს მიღებულია ენციკლოპედიების შედგენის პრაქტიკაში, მაგრამ ლექსიკონის მოცულობის გაზრდის საშიშროებამ ამ განზრახვაზე ხელი აგვაღებინა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ შეავსებს წყაროებისა და ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის საერთო სია, რომელიც ლექსიკონს ერთვის (წყაროები და ლიტერატურა ზოგჯერ სტატიის ტექსტშიცაა მითითებული).

სტატიების გარკვეული ნაწილი წინამდებარე ლექსიკონში წყაროებიდან (სახელდობრ, საცნობარო ლიტერატურიდან, ქართული და რუსული ენციკლოპედიებიდან და სხვ.) მხოლოდ მცირეოდენი შემოკლებით თუ ცვლილებებით არის გადმოტანილი, იმ მოსაზრებით, რომ თითოეული მათგანი ამ საკითხის სპეციალისტის მიერ კვალიფიციურად იყო შედგენილი, ამასთანავე, შეესაბამებოდა ჩვენი ლექსიკონის მიზანდასახულებას. ეს ძირითადად ეხება ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ეთნოგრაფიას, ბიბლიოლოგიასა და რელიგიათა ისტორიის ზოგიერთ საკითხს. ამ რიგის ლიტერატურიდან აღსანიშნაია ის გამოცემები, რომლებიც წინამდებარე ლექსიკონისათვის განსაკუთრებით დიდძალ მასალას იძლევა: ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები (ტ. I — I და II ნაკვეთი, თბ., 1962 წ., ტ. II, თბ., 1980); ქართული სამართლის ძეგლები, I-VIII ტომები, გამოსცა ი. დოლიძემ (1963-1985წწ.); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I-VI წიგნები, გამოც. ილ. აბულაძის საერთო რედაქტორობით (1963-1971 წწ.); იერუსალიმის ჯვაროსნა (1962 წ.) და ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე (2003 წ.) წიგნები, გამოც. ე. მეტრეველის მიერ; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (I-XIV ტომები) და, საერთოდ, მისი ყველა ნაშრომი სასულიერო მწერლობის შესახებ; „დიდი სჯულისკანონი" (1975 წ.); „დიდნი კურთხევანი" (2005 წ.); ლიტურგიკული ლექსიკონი და ა. შ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ იმ მასალით სარგებლობის ფაქტი, რომელიც დამუშავებისა და გამოსაცემად მომზადების სტადიაშია. პირველ რიგში ჩვენი ლექსიკონისათვის მდიდარი მასალა მოგვცა „დიდი სვინაქრის" იმ ხელნაწერმა მასალებმა, რომლითაც სარგებლობის საშუალება მოგვცა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. დოლაქიძემ, რომელიც ამ ძეგლს გამოსაცემად ამზადებს, ნაწილობრივ ვისარგებლეთ სიგელ-გუჯრების იმ პირთა საბიბლიების მასალებითაც, რომლიც იმ დროისათვის იყო დამუშავებული ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილების თანამშრომელთა მიერ.

ზოგჯერ უზუსტობის მიზეზი ხდება სახელვარაურების მონასტრების წიგნთსაცავებში დაცული ხელნაწერების ნუმერაციისა და პაგინაციის მოუწესრიგებლობა. იერუსალიმის (Jer.), სინის მთისა (Sin.) და ათონის (Ath.) ქართული ხელნაწერები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერაა აღწერილი (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, იე. ჯაჯანიშვილი, რ. ბლეიკი, ჟ. გარიტი და სხვ.), რაც ძალზე ჭრელ სურათს იძლევა. თითოეული მკვლევარი ხელნაწერთა განსხვავებულ ნუმერაციასა და პაგინაციას გვიჩვენებს, რომელთა შეთანხმება ნაწილობრივ ხერხდება, ხოლო სრული აღწერილობა ამ ფონდებისა დღემდე არაა შედგენილი. რამდენიმე ათეული წლის წინათ ამოწერილი ეს ჭრელი მასალა ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ, მაგრამ ხელნაწერთა სიმრავლის გამო მათი სიჭრელე ბოლომდე ვერ დავძლიეთ. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში არსებული ზოგიერთი

ხელნაწერის პაგინაციის შესახებაც. რესტავრაციის საჭიროების გამო ფურცელთა ნუმერაცია ხშირად იცვლებოდა (ზოგიერთ ხელნაწერს ორ-სამჯერ გაუკეთეს რესტავრაცია, ხელახლა გადაბინძრა ადგილმეცვლელი ფურცლები, გვერდობლივი ალრიცხვა ფურცლობრივით შეიცვალა და ა. შ.), ამიტომაც ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, მოძველებული პაგინაცია გვქონდეს მითითებული.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ლექსიკონის შედგენის ინიციატორთა და ავტორთა კოლექტივის შესახებ.

უწმიდესისა და უწეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის უშუალო ინიციატივით და განკარგულებით 1982 წელს დაიწყო მუშაობა პირველი ქართული საეკლესიო ენციკლოპედიური ლექსიკონის შესადგენად. სამუშაოს შესრულება დაევალათ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს: ენრიკო გაბიძაშვილს (ხელმძღვანელი), მარა მამაცაშვილსა და ანა ღამბაშიძეს. აეტორთა მიხედვით სამუშაო ასე განაწილდა: ე. გაბიძაშვილმა შეასრულა ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ჟ, ს, ტ, უ, ფ ასოების ქვეშ წარმოდგენილი სტატიები (სულ დაახ. 42 ნაბეჭდი თაბახი), მ. მამაცაშვილმა — ზ, თ, ი, კ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ (დაახ. 27 ნაბ. თაბ.), ა. ღამბაშიძემ — ლ, მ, ნ, ო, პ, რ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ (დაახ. 34 ნაბ. თაბ.). წინამდებარე ლექსიკონი 1988 წელს უკვე დამთავრებული იყო.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომი მომზადებულია დაახლოებით 20 წლის წინათ. მართალია, გამოცემის წინ ჩვენ შეგვეცადეთ, შეძლებისდაგვარად შეგვეტანა მასში ამ წლებში დაგროვილი სეახლეები (ძირითადად წყაროების ახალი პუბლიკაციები და ლიტერატურა), მაგრამ ამ მხრივ სარეზერვო გამორიცხული არაა. აეტორ-შემდგენელთა ჯგუფს, რომელიც ამ ლექსიკონზე ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა, არა აქვს ილუზია იმისა, რომ ნაშრომი ამოწურავს უმნიშვნელოვანეს საეკლესიო თემატიკას. ამიტომაც ისინი თხოვნით მიმართავენ მკითხველებს, განსაკუთრებით კი იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ლექსიკონში შეტანილი მასალის სფეროში, — მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები და ლექსიკონში დამატებით შესატანი მასალა, რაც შეიძლის ბაზისს საეკლესიო ენციკლოპედიის შედგენისათვის, ან წინამდებარე ლექსიკონის მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემის მომზადებისთვის მაინც. ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით, თუ ლექსიკონი შეასრულებს გზამკვლევის ფუნქციას და მკითხველს დაეხმარება მისთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ სპეციალური ლიტერატურის მოძიებაში.

აეტორ-შემდგენელნი მადლობით აღნიშნავენ თსუ-ს ქრისტიანული კულტურის კათედრის გამგის, პროფ. რ. სირაძის და ამავე კათედრის თანამშრომელთა — ქ. ელაშვილის, ე. კალანდარიშვილის, მ. ქილფუთარის წვლილს ლექსიკონის სრულყოფისათვის შემოთავაზებული შენიშვნებისათვის. ცალკეულ საკითხებზე სასარგებლო შენიშვნები მოგვაწოდეს აგრეთვე პროფ. ე. ჭელიძემ და პროფ. ე. კოჭლამაზაშვილმა. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ლექსიკონის დამუშავებას ე. ბერუაშვილმა, რომელმაც შეასრულა როგორც კორექტურული, ასევე სტილისტური სამუშაო. კომპიუტერულ კორექტურაზე მუშაობდნენ აგრეთვე ე. გოგიჩაიშვილი და ა. მოშიაშვილი.

მადლობას მოვახსენებ პროფ. ბ. კუდავას გამომცემლობა „არტანუჯის" ფოტოტექნიკიდან მასალით სარგებლობის ნებართვისათვის და ნ. ჯანაშიას ფოტოების შერჩევაში დახმარებისათვის.

ენრიკო გაბიძაშვილი
2007 წ. 30. III.

P.S. წინამდებარე „ლექსიკონის" ტირაჟი უკვე დაბეჭდილი იყო (გარდა დასაწყისისა), როდესაც მიგიღეთ შენიშვნები სასტრატიკის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტიდან: არ არის შეტანილი ბოლო წლებში კანონიზებული რამდენიმე ქართველი წმინდანი — ეფთიმე გენათელი, დოროთეს წურეთელი, მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ეპისტატე III, აგრეთვე იოანეს სახელით ცნობილი რამდენიმე კათალიკოსი; ლაილაშის ბიბლია (ებრაულ ენაზე) და სხვ. არის კორექტურული შეცდომებიც.

ამ ხარვეზებს, იმედია, შეავსებს „საქართველოს ეკლესიის მოკლე ენციკლოპედია", რომელიც ამჟამად მზადდება გამოსაცემად.

ე. გ.

ა

აბადონი (ებრაულად – დაღუპვა, წარწყმედა) – „გამოცხადებაში" (9,3-12) ქვესკნელის კალიათა მეფე, წინამძღოლი: „...და აქუს მათ ზედა მეფედ ანგელოზი იგი უფსკრულისაჲ სახელი მისი ებრაელებრ აბადონ, ხოლო ბერძნულებრ აქუს სახელი აპოლიონ". ეს ბიბლიური ტერმინი გვხვდება იობის წიგნშიც (26,6; რუს. თარგმანში „Аваддон"), თუმცა ქართულად თარგმნილია შინაარსობლიურად, „წარწყმედა": „შიშველ არს ჯოჯოხეთი წინაშე მისსა და არა არს საფარველ წარსწყმედელისა" (შდრ. Преисподняя обнажена перед Ним и нет покрывала Аваддон). შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში და რელიგიურ პოეზიაში „აბადონი" იხმარება, როგორც სიკეთის, ქვესკნელის, ჯოჯოხეთისა და, საერთოდ, უბედურების მაუწყებლის ეპითეტი.

აბაზ ბაქურიანის ძე – XI ს. II ნახევრის მოღვაწე და ქართული ეკლესიის მეცნიატი. იგი იყო ბიზანტიის იმპერიის მაგისტროსი, ძმა გრიგოლ ბაკურიანის ძისა, პეტრიწონის ქართული მონასტრის დამაარსებლისა (1083 წ.) ბაჩკოვოში (ბულგარეთი). მსახურობდა ბიზანტიის სხვადასხვა პროვინციაში. მისი მამული, ანდერძის თანახმად, გადაეცა პეტრიწონის ქართველთა მონასტერს. ამის გამო აბაზ ბაკურიანის ძე მონასტრის ერთ-ერთ ქტიტორად ითვლება და ხშირად იხსენიება ამ მონასტრის ტიპიკონში, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეადგინა. აბაზ ბაკურიანის ძე დიდად ზრუნავდა ათონის იერთა მონასტრის ქონებრივ კეთილდღეობაზე (შეუწირავს 200 დრაკანი), რისთვისაც ამ მონასტრის ალაბში შეტანილია მისი მოსახსენებელი (ალაბი 38, ხსენება 25/I; ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაბე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 143-144.)

აბაზ კათოლიკოსი – VI ს. პერუთის კათოლიკოსი, კირიონ ქართლის კათოლიკოსის თანამედროვე. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 551-595 წწ. ახლო ხანებში. არსენ საფარელის თხზულებაში „ვანყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა" იხსენიება, როგორც პერთა კათოლიკოსი: „ესე რაჲ ცნეს ჭეშმარიტად კირიონ კათალიკოზმან, ამან პერთა კათალიკოზმან და იქმნა ცილობაჲ დიდი შორის სომხეთისა და ქართლისა" (გე. 71; გამოც.: ზ. ალექსიძე, თბ., 1980 წ.).

აბაკუმ (პეტროწინა) 1620-1684 – სტარობრიადული მწვალებლების მამამთავარი (იხ. „რასკოლი")

აბანო – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ლოკანისწყლის ნაპირზე, ქარელიდან 27 კმ. აქ არის შუა საუკუნეების მონატული ეკლესია. აბანო იხსენიება 1636 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნში (Ad 14652; გამოცემულია: ქართასარსული ისტ. საბუთები, 1955 წ., 356).

აბარმაძი – თანამდებობა მონასტერში; იხსენიება პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში იერონომოსთან ერთად: „კელისუფალთათჳს მონასტერთა, რომელ არიან იერონომოსნი და აბარმადნი" (სარჩევი, თაი 16). სარჩევში მითითებული მე-16 თავის დასათაურებაში ძირითად ტექსტში გვითხულობთ: მოურნეთათჳს და მღუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იერონომოსნი და ეპიტროპოსნი". აქედან ჩანს, რომ „აბარმადი" ეპიტროპოსის (ზედამხედველი, „დამხედვარი") ფარდი ტერმინია (ქართ. სამართ. ძეგლები, III, 1970 წ., გე. 39, 73, 83).

აბასთუმანი – სოფელი ადიგენის რაიონში, ისტორიულ სამცხეში, რაიონული ცენტრიდან 12 კმ. აბასთუმანში და მის მიდამოებში რამდენიმე ეკლესია და ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი: 1. განუთარებული შუა საუკუნეების ეკლესია. 2. ახალი ეკლესია, აგებული რუსეთის უკანასკნელი ტახტის მემკვიდრის, გიორგის სურვილით. ეკლესია თითქოს ზარზმის მიხაჭით არის ამენებული (მას „ახალ ზარზმასაც" უწოდებენ), ნამდვილად კი იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან და ზომითაც უფრო მცირეა. საინტერესოა კედლის მხატვრობა, რომელიც შესრულებულია ცნობილი რუსი მხატვრის, მ. ნესტეროვის მიერ 1899-1904 წწ. 3. მღინარეების – კურცხანისა და აბასთუმნის წყლის შესართავთან. ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ 1905 წელს აღმოჩნდა ნაცრისფერი ქვის სწორკუთხა-

ვანი ორი ფილა – ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტები 685-711 წლების წარწერით, რომელიც ქართველთა ერისთავე მამფალ არშუშა პატრიკოსის მიერ ჯვრის აღმართვის ამბებს ეხება. წარწერა ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

აბათი (არამ. abbas, იტ. abbate – მამა) – საეკლესიო ტიტული, რომელიც VI ს. დასაწყისში ენიჭებოდა რომის კათოლიკურ ეკლესიაში მამათა მონასტრის წინამძღვარს (დედათა მონასტრის წინამძღვარს – აბატისა, ლათ. abbatissa). თავდაპირველად აბატს ირჩევდნენ ბერმონაზვნები და მას ამტკიცებდა ეპისკოპოსი. VII ს-დან საბატო საქმეებში ეპისკოპოსები ერეოდნენ და ხშირად აბატად თავის სასურველ პირს ნიშნავდნენ. ზოგი აბატი თავს აღწევდა ეპისკოპოსის გაკლენას და უშუალოდ პაპს ემორჩილებოდა. VII-IX სს. საბატოს სათავეში ზოგჯერ საერო პირები ედგნენ. უფრო გვიან აბატს უწოდებდნენ იმას, ვინც საბატოს შემოსაელით სარგებლობდა. ზოგჯერ აბატად, საერთოდ, სასულიერო პირიც მოიხსენიებოდა. საფრანგეთში, მაგალითად, აბატს უწოდებენ კათოლიკე მღვდელსაც.

აბბა // ამბა (არამეულ-ქალდეურ-სირიულად – „მამა") – ქრისტიანულ ლიტერატურაში მიემართება, როგორც ღმერთს, ასევე სასულიერო პირის სახატიო ტიტულსაც აღნიშნავს ზოგ ქრისტიანულ ეკლესიაში. ახალი ალთქმის წიგნებში „აბბა" და „მამა" ყოველთვის ერთად იხმარება: „აბბა მამაო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ" (მარკ. 14,36); „არამედ მიგიღებიეს სული იგი შვილებისა, რომლითა ვღაღადებთ: აბბა მამაო" (რომ. 8,15); „გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისა გულთა შინა ჩუენთა, რომლითა ვღაღადებთ: აბბა მამაო" (გალატ. 4,6).

დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებში ამ სიტყვის ლათინური ფორმა abbas (აქედან ფრანგული abbé, ინგლისური abbot, იტალიური abbate, გერმანული abt) აღნიშნავს მონასტრის წინამძღვარს, ხოლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქრისტიანულ, სახელდობრ სირიულ და კოპტურ ეკლესიებში, ეპისკოპოსებისა და ეკლესიის მწყემსმთავრების ტიტულია. აბისინიაში ეთიოპიური ეკლესიის მეთაურს abuna, ე. ი. „მამა ჩუენი" ეწოდება.

ქართულ წყაროებში ეს სიტყვა სასულიერო პირთან მიმართებით „ამბას" ფორმითაც არის დამკვიდრებული. ასეთი ტიტულით ქართული ეკლესიის რამდენიმე მოღვაწე მოიხსენიება, სახელდობრ, ალავერდის ეპისკოპოსები და ზედაზნის მონასტრის წინამძღვრები. ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა ქრონოლოგიურ სიაში, რომელიც წარმოდგენილია XVIII ს. ხელნაწერებში (A 160, 434) და რომელიც იწყება იოვანე ზედაზნელით (550-580 წ.), მონასტრის რამდენიმე წინამძღვარი „ამბა"-ს ტიტულით არის მოხსენებული: ამბა ეაჰმან († 650 წ.), ამბა ბენი († 700), ამბა თუალ(თ˜ლ) († 731). თუ ეს ცნობა ჭეშმარიტია, გამოდის, რომ ეს ტიტული უძველესი დროიდან (VI ს.) იხმარება ქართულში და ამ სირიული ტერმინით იწოდებოდნენ ზედაზნის მონასტრის წინამძღვრები იოვანე ზედაზნელის მოწაფეები და მისგან მიღებული მემკვიდრეობის აღსანიშნავად, რადგან იოვანე სირიიდან იყო მოსული და მისი „ცხოვრების" მიხედვით იგი ჯერ კიდევ სირიაშივე იყო მონასტრის წინამძღვარი (თუმცა თვით იოვანე „ამბას" ტიტულით ქართულ წყაროებში არ იხსენიება). სხვა მონაცემები ზედაზნელ „ამბა"-თა შესახებ არ გვხვდება. „ამბას" ტიტულით მოიხსენიებიან ალავერდის ეპისკოპოსებიც დაახლ. XV ს-დან. მაგ.: „გაბრიელ ამბა ალავერდელი" (1466-1479; Ad 125): „პატრონი ამბა ალავერდელი იოანე" (1511 წ. მცხ. №472, ქრონიკ. II, 328); „ამბა ალავერდელი აბრაჰამ" (ამტკიცებს 1440 წ. საბუთს. მცხ. №137; ქრონ. II 249); „ამბა ალავერდელი ზაქარია (1552-1582 სინოდ. კანტ. №246 ქრონიკ. II,395), „ზებედე ამბა ალავერდელი" (1606-1648, Ad 600); „ამბა ალავერდელი ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ" (1685 წ. ალავერდის სიგ. №82, 83 ქრონიკ. II 503) და სხვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ალავერდის მონასტრის დამარსებელი იოსებ ალავერდელიც, იოვანე ზედაზნელის მოწაფე, სირიიდან იყო ჩამოსული. მართალია, ძველ წყაროებში იგი „ამბა" ტიტულით არ იხსენება, მაგრამ XVIII ს. დაწერილი მისი სვინაქსარული „ცხოვრება" მას „ამბა ალავერდელად" მოიხსენიებს. საფიქრებელია, რომ ეს ტიტული ალაერდელთათვის იოსების საპატივცემულოდ უნდა შემოელოთ და, ალბათ, თავდაპირველად ამ ტიტულით ალავერდის მონასტრის წინამძღვრები იწოდებოდნენ, ხოლო გვიან (დაახლ. XIV-XV სს-დან) – მხოლოდ ალავერდელი ეპისკოპოსები. უფრო გაურკვეველია ტიტულით ოპიზის მონასტრის VIII ს. წინამძღვრის, „ამბა გიორგის" მოხსენიება „გრიგოლ ხანცთელის" ცხოვრებაში: „მოვიდეს ამბა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა..." (ძეგლები I, 255); ასევე XVII ს-ში იშხნელი ეპისკოპო-

სის „ამბერკი ამბა იშხნელის" მოხსენიება (ქრონიკ. II, გვ. 111) და, მაინც, ყველაზე უძველესი მოხსენიება ქართველი სასულიერო პირისა ამ ტიტულით და ისიც „აბაჲ" ფორმით გვხვდება იერუსალიმის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ „ლაზთა მონასტრის" VI ს. მოზაიკურ ქართულ წარწერაში (არქეოლოგი ე. კირბო), რომელშიც იხსენიება მონასტრის წინამძღვარი „აბაჲ ანტონი". ეს გასაგებია, რადგან ამ რეგიონში წინამძღვრის ტიტული „აბბაჲ" ან „აბაჲ" ჩვეულებრივი მოვლენაა.

აბგირგიხი – ზემო ეშერის მიდამოები სოხუთის რ-ნში. აქ დგას ეკლესია XII-XIII სს.

აბდალმესია მწამე („მონა მესიისა") – ასეთი მოწამე ცნობილია მხოლოდ ქართულად თარგმნილი მისი „წამების" მიხედვით: „წამებაჲ წმიდისა მოწამისა აბდალმესიისი, რომელი გამოითარგმანების „მონაჲ ქრისტესი" (Jer. 20, XII ს., 261r-183v გამოც. ფ. გარიტოსი, Le Muséon, t. LXXIX, 1966, 197-237). მოწამის ხსენების დღედ ამ ძეგლის მიხედვით 25 თებერვალია აღნიშნული, რაც სხვა კალენდრებში არ გვხვდება.

აბდია ფინასწარმეტყველი (ებრ. ოვადია, ე. ი. „მსახური ღმრთისა") – ერთი 12 მცირე წინასწარმეტყველთაგანი, როგით მეთხე. აბდიას წინასწარმეტყველების წიგნი შედგება ერთი თავისაგან და ძირითადად იერემიას წინასწარმეტყველების XLIX (49) თავის 7-16 მუხლების განმეორებას წარმოადგენს. ზუსტი თარიღი აბდია წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და ადგილი მისი მოღვაწეობისა უცნობია, მაგრამ ის რომ იერემიას თანამედროვეა, ე. ი. ებრაელთა სამეფოს ბაბილონიაგან პირველი დარბევის მომსწრეა, ეს ჩანს მისი სიტყვიდან, რომელიც მიმართულია იდუმეანელთა მიმართ და რომელშიც განკიცხულნი არიან ისინი ისრაელთა ძმების ღალატის გამო.

აბელი – ადამის უმცროსი ვაჟი, მწყემსი. უფროსმა ძმამ კაენმა იგი მოშურნეობით მოკლა, რადგან ღმერთს ღვთისმოსაი აბელი უფრო უყვარდა (დაბ. IV). იესო ქრისტემ აბელს მართალი უწოდა, ეკლესიის მამებმა კი – სიმართლისათვის პირველწამებული. ოქტოიხტური და ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით, აბელი თვინიერი და უდანაშაულო მსხვერპლის სახეა. იგი პირველსახეა ყველა მოწამისა და განსაკუთრებით კი ქრისტესი, რომელიც ევრო მთელი კაცობრიობის ხსნისათვის.

აბელია – სოფელი ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონში (ახლანდელი აბელიანი). სოფელში დგას თლილი ქვით შენახილი დარბაზული ეკლესია. შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სამხრეთის ფასადზე დაცულია ვრცელი ასომთავრული წარწერა მანგლელ მთავარეპისკოპოსის არსენ მშვილდაას ძისა, რომელიც გეოგრაფიულ ცნობას, რომ ტაძარი აგებულია 1250-59 წლებში, მონღოლთა ბატონობის პერიოდში. წარწერაში იხსენიებიან ქართველი მეფეები დავით ულუ და დავით ნარინი.

აბერკი ამბა იშხნელი – XVIII ს. იშხანის ეპისკოპოსი, რომლის ბრძანებით ცნობილ კალიგრაფს სეხნან კარგარეთელს გადაუწერია და შეუვსია A 85 (XIII ს.) ხელნაწერის ბოლო ნაწილი (13 რვეული).

აბერკი პიერაპოლელი – II ს. ქ. პიერაპოლის (ფრიგიაში) ეპისკოპოსი, სასწაულმოქმედი. ანგელოზის გამოცხადებით მან დალეწა წარმართული კერპები მათ სამლოცველოში, რისთვისაც წარმართებმა მისი მოკვეთა გადაწყვიტეს. აბერკი მივიდა მათ საკრებულოში და საჯაროდ გამოაშკარაჯა მათი ცთომილება. მან მათ თვალწინ განკურნა სამი ეშმაკეული, რის შემდეგ წარმართებმა სთხოვეს მას, ეზიარებინა ისინი ქრისტეს სარწმუნოებისათვის. აბერკიმ ისინი მონათლა. მან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებით მოელო სირია, კილიკია, მესოპოტამია, ჩავიდა რომშიც, სადაც ბევრი სნეული განკურნა და ბევრი წარმართი მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ყველაფერი ეს აღწერილია მის „ცხოვრებაში". მას მოციქულთასწორი უწოდეს.

ქართულად თარგმნილია აბერკის „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის თხზულება, რომელიც რამდენიმე ხელნაწერით არის ცნობილი (Jer. 37, XII-XIII სს., 97-110; S 384, XI-XII სს., 433-461; S 1276, XI-XII., 199r-215r და სხვა). აბერკი პიერაპოლელის ხსენების დღედ დაწესებულია 22 ოქტომბერი.

აბიათარ დეკანოზი – X ს. ურბნისის ეკლესიის დეკანოზი. მოხსენებულია ურბნისის სიონის აღმოსავლეთის კედელზე ამოღრული X ს. ასომთავრული წარწერაში: „აბიათარ დეკანოზი, უფალო, შეწყალე". მისივე დაწერილია ურბნისის სიონის განმაახლებელის მოსახსენებელი წარწერა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე: „დიდებაჲ შენდა ქრისტე, რამეთუ მომმადლე თვეტერე ეპისკოპოსსა ამის სიონისა აღშენებაჲ, თანაშეწევნითა მისაჲთა კონსტანტინოსითა, ქრისტემან შეიწყალენ. ესე მე აბიათარ დავწერე".

აბიათარ მღვდელი – ნინო განმა-

ნათლებლის (IV ს. I ნახევარი) თანამედროვე. თავდაპირველად იყო მცხეთის ეპარალთა მღვდელი, შემდეგ კი მოინათლა ნინოს ხელით და ქრისტიანი გახდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მას მიეკუთვნება ნინოს „ცხოვრების“ ერთი თავი: „თავი იბ. (12) თქუა აბიათარ, რომელი იყო პირველ მღვდელი ბაგინის შინა ჯუარისა მცხეთას და ნათელ იღო ქელსა შინა ნინოჲსსა“. აბიათარი იყო მამა სიდნიასი, რომელსაც მიეწერება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, „ნინოს ცხოვრების“ დიდი ნაწილის ავტორობა (თავები VII-XI, ძეგლები, I).

აბიბოს მოწამე – ედესის ეკლესიის დიაკონი, რომელიც ედესში 322 წელს იმპერატორ ლიკინიოზის დროს (308-324) ქრისტიანობის ქადაგებისათვის ცეცხლში დაწვეს. საგიოგრაფიული თხზულება, რომელიც აღწერს აბიბოსის, გურიას და სამონას „წამებას“, თარგმნილია ქართულად დასახ. VIII-IX სს. და მოღწეულია X (Sin. 11) და XI (A 95; H 341) საუკ. ხელნაწერებით (გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები, VIII, 1955, გვ. 104-133). ქართულად თარგმნილია აგრეთვე მეტაფრასული რედაქციაც არსენ იყალთოელის მიერ XI ს. II ნახევარში (S 384, გვ. 658-679). აბიბოსის, გურასა და სამონას სვინაქსარული რედაქციის „წამება“ შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში“. ხსენების დღეა 15 ნოემბერი.

აბიბოს ნეკრესელი – VI ს. ნეკრესის ეკლესიის ეპისკოპოსი, მოწამე. ის იყო იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი იმ თანაშეტ მოწაფეთაგანი, რომლებიც თავიანთ მოძღვართან ერთად VI ს. შუა წლებში სირიიდან, ანტიოქიის მიდამოებიდან, მოვიდნენ აღმოსაველეთ საქართველოში და სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრები დააარსეს. აბიბოსი ქართლის კათოლიკოსმა ნეკრესის ეპისკოპოსად აკურთხა. იგი აერცელებდა ქრისტიანობას არაგვისპირის მთიანი კახეთის წარმართებში, ებრძოდა იმ დროს აღმოსაველეთ საქართველოში გაბატონებული მაზდეანი სპარსელების სარწმუნოებას – ცეცხლთაყვანისმცემლობას. ბ'ითი ღეაების – ცეცხლის შეუნარჩუნებელი ადგილის (ჩაქრობისათვის) სპარსელებმა აბიბოსი ქვებით „ჟამტრიენს“ (ჩაქოლეს). ისტორიკოს ჯუანშერის (XI ს.) ცნობით („ქართლის ცხოვრების“ რანაირი), ის თითქოს მცხეთაში დაასაფლავეს, საეპისკოპოსო ტაძარში: „ხოლო პატრონი გუამი მისი დადეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხსა ეპისკოპოსთასა“ (ქართ. ცხ., I, 229). ეახუშტი ბაგრატიონიც გვამცნობს: „და დაფლულ არს სამთაროს“ (ქართ. ცხ., IV, 545). აბიბოს ნეკრესელის შესახებ ორი თხზულება დაიწერა: მისი „წამების“ უძველესი რედაქცია, რომელსაც IX ს. ძეგლად მიიჩნევენ, მცირე მოცულობისაა, ხოლო მეორე რედაქცია, რომელიც პირველის ოდნავ გაურცობილი ვარიანტია, X ს. II ნახევარში უნდა შექმნილიყო არსენ ქართლის კათოლიკოსის (955-980 წწ.) მიერ. თხზულებები გამოცემულია (ძეგლები, I, 240-248). მისი ხსენება ძველად (X-XI ს.) 12 ნოემბერს აღინიშნებოდა, უფრო გვიან (XVII-XVIII სს. I ნახევარში) – 13 ნოემბერს, ხოლო ანტონ I-ის დროიდან – 29 ნოემბერს.

აბო ტფილელი – გაქრისტიანებული არაბი, ხელობით მენელსაცხებლე, რომელიც ბაღდადიდან ჩამოსულა ქართლის ერისთავს ნერსეს და ბაზარეთში მოინათლა, სადაც იგი ლტოლვილ ნერსეს ახლდა. არაბებმა ის 786 წ. აწამეს (თავი მოკვეთეს), რადგან მან, მოუხედავად მუქარისა და წამებისა, არ იხურა, მაჰმადიანობას დაბრუნებოდა. მისი გვამი დაწვეს და ნაშტი მტკვარში გადაყარეს (მეტეხის მახლობლად), რათა მისი ნეშტისათვის ქრისტიანებს თაყვანი არ ეცათ. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მას ქართველ წმინდანად მოიხსენიებს. ქართლის კათოლიკოსის სამოსლის დავალებით (დაახლ. 786-787 წწ.) აბოს „წამება“ აღწერა მოშდარი აბბის თანამედროვემ – იოანე საბანის ძემ: „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბიბოჲსი, რომელი იწამა ქართლსა შინა, ქალაქსა ტფილისს კელითა სარკინოზთაჲსა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 46-81; 2005 წელს ე. ჭელიძის მიერ გამოცემულ „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის“ I ტომში შეტანილია აბო ტფილელის „წამების“ შესწორებული და კომენტირებული ტექსტი, გვ. 1046-1150). აბო ტფილელი მიწერილია თბილისის მფარველად. მისი ხსენების დღედ თავიდანვე დაწესებული იყო 7 იანვარი, ხოლო ანტონ I-ის დროიდან – 8 იანვარი.

აბორაბაძი – მიტოვებული საღოცავების მცველი და სახატო წესების შემსრულებელი თუშეთში (წოვათაში). აბორაბადობა დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც წოვათუშები ალვანში გადასახლდნენ (XIX ს. 30-იანი წლები).

აბრაამი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარი დაახლ. 1749-1751

წწ. მისი სახელი პირველად იხსენიება 1749 წლის 12 აპრილის ერთ საბუთში (ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, 395), ხოლო უკანასკნელად – 1751 წლის საბუთში (Д. Пурцеладзе, Церковные гуджары, 1861, 82). აბრაამს 1749 წ. გადაუწერია 1712 წლის ერთი საბუთი: „ესე წიგნი ნათლისმცემლის წინამძღუარმა აბრაამ გადაწერე სამებელის იოანეს მაყაშვილის ბრძანებით... აგვისტოს გასულს კ"ას უ"ლტ (1749; ს. კაკაბაძე, ისტ. სჰ. V, გვ. 25) ნათლისმცემლის ეკლესიაში აბრაამმა შეეცალა სვიმონი, რომელიც ღვთის მონასტრის წინამძღვარი გახდა. მან მონასტერს შესძინა სოფ. ჭვირისი (იქვე, გვ. 25).

2. ალაერდის ეკლესიის დეკანოზი, 1748 წლის აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო კრების მონაწილე. ხელს აწერს ამ კრების დადგენილებებს: „აბრაამ ულორსმან დეკანოზმან ალაერდის ეკლესიისამან წარვაწერე" (სამართ. ძეგლ. III, 805).

3. დიღმელი ხუცესი. პაველ დიღმელ მღვდელთან ერთად მას 1788 წ. 28.VIII არზით მოუმართავს დიკასტერიისათის ერთი კონკრეტული ეკონომიური საკითხის შესახებ. არზა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთების ფონდში (Ad 599).

4. „ურიაყოფილი" – XVIII ს. II ნახევრის ქართული სტამბის მოღვაწე, რომელიც 1762-68 წწ. მოღვაწეობდა ათანასე თბილელის სტამბაში, სადაც მისი მონაწილეობით დაიბეჭდა 90 საეკლესიო წიგნი. შემდეგ თბილისში იყო ერეკლე II-ის „სასტამბო დაზგის მმართველი და სტამბის უხუცესი". 1789 წ. აქვე დაბეჭდა სახარება. აბრაამი ყოფილა კარის მღვდელი (ქრონ. III, 285, 390, 391).

5. „ახალი" – ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, აბრამ ახალი იყო ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროინდელი მთარგმნელი: „მთარგმნელნი ამა ჟამთა იყვნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრაამ, არსენი, ანტონი მწათე, ბასილი ბაგრატის ძე"... (ქართ. ცხ. IV, 144, 20). სხვა წყაროებით აბრაამი ცნობილი არ არის.

აბრაამი (ებრ. „მამა მრავალი ტომისა") – ძველი აღთქმის უდიდესი წმინდანი (დაბადება, XI-XXV), მეორე პატრიარქი წარღვნის შემდეგ, (დახ. 2000 წ. ახლო ხანებში ქრისტეს შობამდე), ორი დიდი ერის წინაპარი: ებრაელთა – ისაკისაგან, რომელიც აბრაამს სარასაგან ჰყავდა, და ისმაილტელთა – ისმაილისაგან, რომელიც მას მხევალი ქალის – აგარისაგან შეეძინა. ბიბლიური გადმოცემით, მისი სამშობლო იყო ქ. ური, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. შემდეგ კი გადასახლებულა ქ. ქარანში. აბრაამი ცხოვრობდა წარმართულ გარემოცვაში, მაგრამ მან შეიგნო კერპების თაყვანისცემის სიცრუე, შეიცნო ერთარსება ღმერთი, რომლის მსახურიც თვითონვე გახდა. ღვთის ბრძანებით 75 წლის ასაკში დატოვა სამშობლო და მეუღლე სარასა და ძმისწულ ლოთთან ერთად გადავიდა მდინარე ევფრატზე და ქანაანში (პალესტინაში) მივიდა იმ მიწაზე, რომელიც ღმერთმა მას და მის შთამომავლობას აღუთქვა, რისთვისაც მას ეწოდა „მა-ღალი", რაც ნიშნავს მდინარის იმ მხრიდან მოსულს (აქედან წარმოიქვა სიტყვა „ებრაელი"). აბრაამი და მისი ოჯახი ლიდხანს მოთაბარეობდნენ ქანაანის სამხრეთით, იყვნენ ისინი ეგვიპტეშიც, სადაც ბოლოს ფილისტიმელებთან მოხვდნენ. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ აბრაამი გამოეყო ლოთს მათ მწყემსებს შორის ჩამოვარდნილი შუღლის გამო. აბრაამი დასახლდა ქებრონში, ხოლო ლოთი – სოდომში, მაგრამ მათ შორის ნათესაური კავშირი და ურთიერთდახმარება არ დაკარგულა. აბრაამს სარასთან ლიდხანს შვილი არ ჰყავდა, ხოლო მხევალი ქალის – აგარისაგან ჰყავდა ისმაილი. ერთხელ ღმერთმა აბრაამს უბრძანა, რათა თავისი აღთქმის ნიშნად ხელქვეითები ერთ ერად, ერთ რელიგიურ სარწმუნოებად შეეერთებინა. ამისთან დაკავშირებით ღმერთმა ბრძანა, რომ ყველა მამაკაცი და ყველა მამრს ღმერთთან კავშირის აღსანიშნავად წინადაცვეთა უნდა შეესრულებინა, და დაწესა: ბავშვის დაბადებიდან მერვე დღეს წინადაცვეთის წესის შესრულება. ვინც უარს იტყოდა, ტომის წევრად არ ჩათვლებოდა.

აბრაამს სახელი „აბრამ" დაარქვეს (ებრ. „მამა მაღალი") ერთ-ერთი მესოპოტამიელი ღმერთის პატივსაცემად. ღვთის ბრძანებით კი მან წარმართული სახელი უარყო და დარქვა აბრაამი, რაც „ხალხთა მამას" ნიშნავს. მხოლოდ 100 წლის ასაკში შეეძინა მას ვაჟი ისაკი (სარა 90 წ. იყო), რომელიც იყო აბრაამის პირდაპირი მემკვიდრე. მას უნდა გაეგრძელებინა ებრაელთა მოდგმა, როგორც ღმერთმა თავიდანვე აღუთქვა აბრაამს. აბრაამის რწმენის შესამოწმებლად ღმერთმა მას საშინელი გამოცდა მოუწყო და მოსთხოვა, რომ თავისი შვილი ისაკი მსხვერპლად შეეწირა გორიის მთაზე. აბრაამი უყოყმანოდ შეეხება ბრძანების შესრულებას, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც აბრაამმა დანა აღმართა ისაკის დასაკლავად, ანგელოზმა ის შეაჩერა. ეს

გადმოცემა მრავალგზისი მოხსენიების საგანი გახდა ებრაელთა ლოცვებში, ხოლო შემდეგ ქრისტიანული მწერლობისა და სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად იქცა. სარას გარდაცვალების შემდეგ აბრაამმა შეირთო მეორე ცოლი და კიდევ 6 ვაჟი ეყოლა, რომლებიც, როგორც უფროსი ვაჟი ისმაილი, გახდნენ სხვადასხვა არაბული ტომების მამამთავრები (წინაპრები). აბრაამი გარდაიცვალა 175 წლისა ქრისტეს შობამდე 1865 წელს და შვილებმა დაჰკრძალეს ქებრონში, გამოქაბულში (მახპელე), რომელიც აბრაამმა იყიდა სარას სასაფლაოს შემდეგ, როგორც საოჯახო სამარხი. მამამდიანებმა მოგვიანებით ამ გამოქაბულის თავზე ააშენეს მეჩეთი, რომელიც დღესაც ითვლება მათ უდიდეს სიწმინდედ.

აბრაამ – ალექსანდრე I დიდის, კახთა მეფის (1412-1443) მონაზვნობის სახელი. 1443 წელს ალექსანდრე ბერად აღიკეცა მცხეთაში აბრაამის სახელით. მთაყარანგელოზის ეკლესიასთან მან ააშენა სახლი, რომელშიც დაემკვიდრა სიცოცხლის ბოლომდე. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით (II, 476), მას „ათანასე" უწოდეს (იხ. აქვე „ათანასე ბერი"), მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს ნიკორწმინდის სულთა მატიანეს ცნობა, რომლის მიხედვით მისი ბერობის სახელი „აბრაამი" იყო (იხ. ამ ძეგლის გამოცემა: ექვთიმე თაყაიშვილისა, პარიზი, 1939 წ. გვ. 8).

აბრაამ I – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIII-XIV სს-ში (1280-1310), დემეტრი II თავდადებულის თანამედროვე საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე. თავდაპირველად აბრაამი მეფის ჯვარისმტერთველი იყო. კათოლიკოსად იგი აკურთხა ნიკოლაოს კათოლიკოსმა, რომელიც გადადგა კათოლიკოსობიდან მეფე დიმიტრი II-სთან უთანხმოების გამო. აბრაამ I თან ახლდა დემეტრე მეფეს ოქროს ურდოში და მოკლული მეფის ცხედარი მალულად ჩამოასვენა საქართველოში. ცნობილია აბრაამის სიტყვა დემეტრესადმი: „თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათჳს, ჩუენ ყოველნი ეპისკოპოსნი ეიტურთაეთ ცოდეთა შენთა" (ეპისკოპოსები, ქართ. ცხოვრება, II, გვ. 288). აბრაამს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა მეფის მიდრეკილება მრავალცოლიანობისაკენ – მას სამი ცოლი ესვა, რაც ნიკოლაოს კათოლიკოსის მეფესთან დაპირისპირებისა და გადადგომის მიზეზიც გახდა.

აბრაამ II (აბალაძე) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1492-1497 წწ. იგი ამტკიცებს შეწირულობის წიგნს: „ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან აბრამ აბალაკმან ორი წისქილი აღვაშენე, საკსენებელად სულისა ჩემისა ვიღაწე და შემოგწირე შენ, ყოველად წმიდასა მცხეთისა მეტეხოა ღმრთისმშობელსა"... (ცენტრ. არქ., ფ. 1449, საბ. №1487). დოკუმენტი გამოცემულია: თ. ჟორდანია, ქრონიკ. II, 311; ი. დოლიძე, ქართ. სამ. ძეგლები, III, 211-213. პირველ გამოცემაში საბუთის თარიღად ამოკითხულია ქორონიკონი რაე (1497 წ.), ხოლო მეორეში – რნე (1467 წ.). როგორც საბუთიდან ჩანს, იგი იღუწოდა ეკლესია-მონასტრების ეკონომიური ბაზის განმტკიცებისათვის, რასაც ადასტურებს მისი შეწირული მეტეხის ღვთისმშობლის მონასტრისათვის.

აბრაამ ამბა ალავერდელი – XV ს. ალავერდის ეპისკოპოსი. ის ამტკიცებს მეფე გიორგი V (ბრწყინვალის) 1440 წ. სიგელს შიო ქართლის კათოლიკოსსა და იოანე მანგლელთან ერთად. „ამა მეფეთა ბრძანებასა ჩუენ ქრისტეს ღმრთის მორ ამბა ალავერდელი აბრამ კანონითა ვამტკიცებ..." (ქრონიკ. II, გვ. 249).

აბრაამ მოქველი – მოქვის მთავარეპისკოპოსი XII საუკუნის II ნახევარში. მოქვის 1300 წ. სახარების (Q 902) ტექსტის ხელით გაკეთებული მინაწერი გვამცნობს: „მოქვისა ღუთისმშობელო, შეიწყალე სული თჳენ წინ მდებელისა მოქველ მთავარეპისკოპოზისა აბრაამისაჲ, ამენ". თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ ხელნაწერის ბოლოს გამოხატული ღვთისმშობლის (ჩვილით) წინ დაჩოქილი ეპისკოპოსი წარწერით „დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსი" ხელნაწერის (1300 წ.) თანამედროვეა, ხოლო აბრაამი უნდა იყოს მისი წინამორბედი, ე. ი. XII ს. II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე.

აბრაამ საჯავი – კალიგრაფი. ცხოვრობდა XIV ან XV ს. დარჩენილია მის მიერ გადაწერილი გრაგნილი, რომელიც საკირაო ტექსტს შეიცავს (ხელნ. ინსტ. H 1328). ტექსტს ბოლოს ასეთი ანდერძი აქვს: „ესე წიგნი რომით მოვიდა, დაუკლებელად დაგუწერია. კრებულნო ღუთისანო მამანო, ესე საკირაოჲ მე აბრაამ საჯამნ გარდამოვიწერე. კარგი დედოჲ (ეი. დედანი) ამისი წიგნი ვნახე და მეკეთა. ვინც შენდობაჲ სთქუათ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ. ქორონიკონსა ოცდაათხსა, მეფობისა ღუთივ გურგენისნის კოსტანტინესსა". გრაგნილი სავნეთიდანაა ჩამოტანილი. იწერს „საჯამე" „ა"-მეტობის შეღება და აბრაამი სვანი იყო.

აბრაამ ნეტარი (დაახლ. 360 წ.) – მონაზონი, რომელიც მოღუწეობდა ქ. ეფესის ახლოს. იგი იყო ეფრემ ასურის თანამემამულე და თანამედროვე, რომელმაც შემდგომში დაწერა აბრაამისა და მისი დისწულის, მარიამის „ცხოვრება". აბრამი ხუცესად განაწესეს მესოპოტამიის ერთ-ერთ წარმართულ სოფელში, სადაც მას ძნელი გამოცდა ელოდა. სამი წელი იგი თავდადებული იღვწოდა წარმართების გასაქრისტიანებლად. მან დანგრია წარმართების ბომონი, აშენა ღვთის ტაძარი და ბერი წარმართი მონასტერი. აღასრულა რა თავისი ვალი, აბრაამს ისეე უდაბნოს მიაშურა. 50 წლის მონაზვნური მოღვაწეობის შემდეგ ის გარდაიცვალა დაახლ. 360 წ. აბრაამის „ცხოვრება" ქართულად რამდენიმე რედაქციით არის თარგმნილი. უძველესია კიმენური „ცხოვრება", რომელიც XI ს. A 95 (621r-628v) ხელნაწერშია შეტანილი. ეფრემ ასურის მიერ დაწერილ ამ ცხოვრებას „აბრაამის და მარიამის (მისი დისწულის) ცხოვრება" ეწოდება. მეტაფრასული რედაქციით „ცხოვრება აბრაამ ნეტარისა" რამდენიმე ხელნაწერითაა ცნობილი (S 384, XI ს., 433-461; Sin. 92, Ier. 37, S 1276, ქუთ. 4). სვინაქსარული „ცხოვრება" შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" „აბრაამ მონაზონის" სახელით. მისი ხსენების დღეს მართლმადიდებლური ეკლესია დღესასწაულობს 29 ოქტომბერს.

აბრაამის ეკლესია (იერუსალიმში) – იმ ადგილზეა აგებული, სადაც, გადმოცემის მიხედვით, აბრაამს ისაკი უნდა შეეწირა მსხვერპლად. ამაზე გადმოცემით, ეკლესიის ახლოს მდგარი ხე თითქოსდა ის ხე უნდა იყოს, რომელზედაც იხილა აბრაამმა ღვთისაგან ბოძებული კრავი, რომელიც მან ისაკის ნაცვლად შესწირა ღმერთს, როგორც ეს ნათქვამია გიორგი აკალიშვილის „მგზაურობაჲ"-ში (გვ. 210). როგორც ქართული წყაროები მოწმობენ, აბრაამის ეკლესიაში ქართველებსაც უმოღვაწიათ. ეკლესიის ბჭის თავზე დატანებულ ქვაზე ამოკვეთილი ქართული წარწერა 1599 წლისა გვამცნობს: „მე, მონამან ღმრთისა და მსახურმან ბატონისა ჩემისა თაყალისა იოანე აბაშიძისამან გიორგი ჩიკოიძე წარმოველინებულმან ქართლით მის მიერ საფასითა მისითა განსაზღებლად წმიდისა ამის მამამთაერისა აბრაამის ტაძრისა ხარკსა ზედა მისსა, აღვასრულე ბრძანებული... განმასაღებელმან სამწირულოჲსა ამის საუკუნოჲ საკსენებელად სულისა მისისა"... (გ. აკალიშვილი, „მგზაურობაჲ", გვ. 211). ამასვე გულისხმობს, ალბათ, XIX საუკ. დამდეგს იერუსალიმში ჩასული ქართველი მსეფლმონაზვნის, ლავრენტი გოგელაძის მინაწერი, რომელიც აქეს ფსალმუნის თარგმანების ქართულ ხელნაწერს. იგი ამჟამად პეტრბურგში (აღმოსაელეთმც. ინსტ.) არის დაცული (H 18): „წმ. ნიკოლოზის ეკლესია და წმ. თეოდორეს და მამამთაერის აბრაამის ეკლესია, ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩუენს ქეყანის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უნია. ჩაჭ" (1807 წ.).

აბრამიანი – ძველ საქართველოში საბალღწლო მისალოცი (შაქარი, გოზინაყი, ჩირი, თაფლი, ჩურჩხელა, ბოლიწო, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის საბალღწლო ბეღისკერი). ახალი წლის გათენებისას ოჯახის უფროსი მამაკაცი აბრამიანით ხელში სამჯერ შემოუვლიდა სახლს, შემდეგ შეეიდოდა შიგ, დაილოცებოდა, ტკბილეულს ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდა და ახალ წელს მიულოცავდა. ეს რიტუალი სიუჟეთია და დოკუმენტირებული სახით არ გვაქვს.

აბრამის ტაბლა – ასე უწოდებენ ქრისტიანი მიცვალებულის სულის მოსახსენებელ ტაბლას, რომელსაც აკურთხებენ წესის აგების დროს. აბრამის ტაბლაზე აწყობენ ყოველივე საუჭეთესოს. როგორც ჩანს, სახელწოდება მოდენარეობს ბიბლიური მამათმთაერის, აბრაამისაგან (იხ.), რომელმაც პატივით მიიღო და გაუმასპინძლდა უფლის ანგელოზებს (დან. XIX,3).

აბსიდი // აფსიდა (ბერძ. – თაღი, კამარა) – შენობის ნაწილი, გეგმით წრიული ან მრავალწახნაგოვანი ფორმის მოცულობა, რომელიც გადახურულია ნახევარგუმბათით. ჩრდილოდ გამოიყენეს ძე. რომის ბაზილიკებში. ქრისტიანულ ეკლესიებში აბსიდაში მოთავსებულია საკურთხეველი, რომელიც ჩვეულებრივ აღმოსაელეთისაკენაა მიმართული. დასაელეთის ტაძრებში აბსიდა უფრო ხშირად გამშვენებელია, ხოლო ქართულ ეკლესიებში აბსიდებს უმეტესად გარედან სწორი კედლები ფარავს, თუმცა გვხვდება შეერილი აბსიდები – ნახევარწრიული (როგორც გარე მოხაზულობა იმეორებს შიდას), მრავალწახნაგა, ზოგჯერ სწორკუთხედში მოქცეული.

აბუჯურა – ქრისტიანული მწერლობის ძეგლი. ამ სახელწოდების მქონე ნაწარმოების არსებობა მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდან", სადაც იხსენიება მშობლიდ ძეგლის სათაური – „აბუკუ-

რა" (ძეგლები II, გე. 41, 21), XIX ს. 80-იან წლებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ სახელში „ცხოვრების" ავტორი შეიძლება გულისხმობდეს რომელიმე ათონიტ „ბუკროფა-აბუკოროფას" ანალოგიით), ან ხარანის ეპისკოპოსის, თეოდორე აბუკურას რომელიმე თხზულებას. 1918 წ. კ. კეკელიძემ გამოსცა „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი..." (კიმენი, ტ. I). ამ ძეგლში აღწერილია საბაწმიდის მოღვაწის, მიქაელის ამბავი, რომელიც თავის მოწაფეთათვის თეოდორე აბუკურას უამბნია. მთხრობლის სახელი „აბუკურა" შემდეგ თხზულებას დარქმევია. თხზულება დაწერილია არაბულ ენაზე ეინმე ბასილის მიერ (IX ს.). „აბუკურა" X ს. დამდეგს ქართულად უთარგმნია უცნობ პირს. გიორგი მთაწმიდელის მოწმობით, ქართული ტექსტი ბერძნულად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს (ძეგლები, II, გე. 41). „აბუკურას" მეორე რედაქცია შეტანილია თეოდორე ედესელის „ცხოვრებაში", რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ (A 682, 209-245).

აბულასან ქუთათელი – XII ს. საეკლესიო მოღვაწე. როგორც ზედწოდებიდან ჩანს, ის იყო ქუთაისელი მთავარეპისკოპოსი. ქართულ წყაროებში იხსენიება მხოლოდ ერთხელ, ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში (A 508, 1074 წ. ხელნაწერი, გამოიცა მ. ჯანაშვილის მიერ, თბ. 1901 წ.). № 149 აღაპში აღნიშნულია: „თუესა დქკენბერსა კ"თ (29) დღესასწაულსა წმიდათა ჩჩულთა ყრმათა „აღაპი აბულასან ქუთათელისაჲ ამისთჳს, რამეთუ შემოსწირა, პერპერაჲ მ" (40) და აღსრულებოდის აღაპი მისთჳს, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ, რამეუ მოგუეცა ქელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა, და განუწესე მე მამამან პაელ ჲა ყოველთა ძმათა". აბულასან ქუთათელის მოღვაწეობის ხანის დასადგენად პაელს წინამძღურობის წლები გვეხმარება. პაელე ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარია 1170-1184 წწ. ა ასი ანაე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ Сიკოლოზ გულაბერისძე, რომლის ხელითაც გამოგაეზა მან შესაწირავი, საქართველოს პატრიარქია 1150-1178 წწ. და აბულასან ქუთაელის შეწირულება ნიკოლოზს, როგორც ჩანს, მაშინ ჩაუტანია ათონის მონასტრისათვის, როცა იგი „სიძლებისა ძლით იჯდმა ქართლისა კათალიკოსობისაგან", ე. ი. 1178-1184 წლებს შუა. ამ დროისათვის აბულასან ქუთაელი ქუთაისის მთავარეპისკოპოსი უნდა იყოს, თუმცა ზოგიერთი მკელევარი (ნ. ბერძენიშვილი) მის მამამთავრობას ეჰკუთ ქვეშ აყენებს მისი სახელის აღმოსაელური შინაარსის გამო (იხ. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ, 1998, გე. 258-259).

აბულაძე ილია (1901-1968) – ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი მკელევარი, პალეოგრაფი, ლექსიკოლოგი, ენათმეცნიერი, არქეოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი (1958 წ.) და მისი ხელმძღუანელი გარდაცალებამდე. ილ. აბულაძის მრავალმხრივი სამეცნიერო ნაშრომებიდან ამჯერად მხოლოდ სასულიერო მწერლობის სფეროში მის მიერ ჩატარებული კელევის შედეგებსა და პუბლიკაციებს წარმოვადგენთ: ორიგინალური მწერლობის ძეგლებისადმი მიძღვნილი კელევებიდან აღსანიშნაია ილ. აბულაძის პირველი მონოგრაფია: „იაკობ ცურტაველი, მარტყოლობაჲ შუშანკისი", გამოცემული 1938 წელს (ფოტოტიპიურად განმეორებულ იქნა 1978 წ.), რომელიც დღემდე რჩება ამ მოწამის შესახებ გამოქვეყნებული მრავალრიცხოვან შრომებიდან საუკეთესოდ. მასვე ეკუთვნის ასურელი მამების შესახებ გამოქვეყნებული პირველი სრული მონოგრაფია (ტექსტები და გამოკელევა) – „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები" (1955 წ.). ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით 1969-1971 წლებში გამოქვეყნდა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" სამი ტომი – პაგიოგრაფიულ თხზულებათა (კიმენურისა და მეტაფრასიული) პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. ილ. აბულაძემ არაერთი სტატია მიუძღვნა ორიგინალური სასულიერო მწერლობის ცალკეულ საკითხებს. მრავალფეროვანია ილ. აბულაძის გამოკელევები სასულიერო მწერლობის ცალკეული დარგების ნათარგმნი ძეგლების შესახებ და ამ ძეგლების ტექსტების პუბლიკაციები. პაგიოგრაფიული ნათარგმნი ძეგლების კელევათაგან აღსანიშნაია ილ. აბულაძის მიერ გამოცემული „პალავარიანის ქართული რედაქციები". ილ. აბულაძის მიერ მიკელეულმა და 1957 წელს გამოცემულმა „პალავარიანის" ერცელმა თხზულებამ ნათელი მოჰფინა საუკუნის განმავლობაში სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულ ბუნდოვანებას ამ „სულთა მარგებელი რომანის" ქართული თარგმანის შესახებ, რადგან მანამდე ცნობილი იყო ამ თხზულების მხოლოდ შემოკლებული ვარიანტი. სწორედ ილ. აბულაძემ დაადგინა, რომ „პალავარიანის" მოკლე რედაქცია ერცელის შემოკლებას წარმოადგენდა და ქართე-

ლი რედაქტორის ნაშელავი იყო. მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნა ილ. აბულაძემ ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს IX-X სს-ში, რომელშიც უდიდესი ნაწილი უჭირავს სომხური ჰაგიოგრაფიული ძეგლების ქართული თარგმანების განხილვა-შესწავლას (გამოც. 1944 წელს.). ვრცელი ნარკვევი უძღვნა ილ. აბულაძემ „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ქართული თარგმანის საკითხებს და მის გამოძახილს ძველ ქართულ მწერლობაში (შრომები, III, 16-36). ბიბლიოლოგიური წიგნებიდან აღსანიშნავია ილ. აბულაძის მიერ მონოგრაფიულად შესწავლილი და გამოცემული „საქმე მოციქულთას" ქართული თარგმანების ტექსტოლოგიური საკითხები („საქმე მოციქულთა", თბ., 1950 წ.), ასკეტიკური მწერლობიდან ილ. აბულაძემ გამოსცა იოანე მოსხის „ლიმონარის" ქართული თარგმანის ტექსტი და გააანალიზა ლიტერატურულ-ტექსტოლოგიურად („ლიმონარი", თბ., 1960 წ.).

ილ. აბულაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნათარგმნი ეგზეგეტიკური ძეგლების უძველესი თარგმანების ტექსტების გამოცემასა და ამ ძეგლებთან დაკავშირებული ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების კვლევაში — ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს" (თბ., 1964).42 პომილეტიკურ-ასკეტიკური თხზულების ქართული თარგმანის შესწავლას ეძღვნება ილ. აბულაძის წიგნი „მამათა სწაულანი" (თბ., 1955). პოლემიკური ლიტერატურიდან ილ. აბულაძემ გამოსცა „ელინთა ზღაპრობანი", რომელიც წარმართობის კრიტიკას წარმოადგენს (შრომები, III, 1982). მანვე მრავალი სამეცნიერო სტატია მიუძღვნა ნათარგმნი სასულიერო ლიტერატურის ცალკეული საკითხების შესწავლას.

აბული — სოფელი ახალქალაქის რაიონში, მდ. აბულის (მდ. ფარავანის შენაკადი) სათავეში, ახალქალაქიდან 12 კმ. მანძილზე. სოფელში დგას X ს. ეკლესია ლაპიდარული წარწერით.

აბულჰერითი — ეფთვიმე მთაწმიდელის მამის — იოანე ათონელის ერისკაცობის სახელი. იოანეს მოსახსენებელში, რომელიც გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" არის შეტანილი 14/VI, ნათქვამია: „მასვე დღესა (ე. ი. 14 ივნისს) მიცვალებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი, ეფთუმის მამისაჲ, ჭეშმარიტისა მონაზონისა და ქრისტეს ნების მყოფელისაჲ, რომელსა პირველ აბულჰერით ერქუა ერისკაცობასა".

აბუსერისძე ტბელი —XIII ს. ქართველი მწერალი, ისტორიოგრაფიული და ასტრონომიული ტრაქტატების აეტორი. იგი იყო ხიხანთა (აჭარის) ერისთავის ძე. მის მთავარ თხზულებად უნდა ჩაეთვალოთ „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი, და ანდერძი... მთქუმულისაჲ", რომლის პირველი ნაწილი აბუროს ძეთა საგვარეულო მატიანეა, ხოლო მეორე ნაწილი წმინდა გიორგის შესახებ მოთხრობილი ადგილობრივი თქმულებები და სასწაულებია. მნიშვნელოვანია აბუსერისძე ტბელის ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი წელთაღრიცხვის სისტემების შესახებ და საეკლესიო დღესასწაულთა ასტრონომიულ მონაცემებზე დამყარებული ცხრილები (A 85). „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანე მახარებლისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი" აბუსერისძე ტბელს წარმოაჩენს, როგორც დახელოვნებულ ჰიმნოგრაფს. აბუსერისძე ტბელის შრომების სრული კრებული, გამოკვლევები მისი ტრაქტატების შესახებ და სიმფონია-ლექსიკონი გამოიცა 1998 წელს (რედაქტორები: მ. ქაჯაია, დ. ხახუტაიშვილი,).

აბუჰარბი — ეფთვიმე მთაწმიდელის პაპა (დედის მამა), რომელიც ზრდიდა ეფთვიმეს. აბუჰარბმა თაეისი პატარა შვილიშვილი მძევლად ჩაიყვანა კონსტანტინოპოლში ნიკიფორე იმპერატორის ქარზე. ეს შეიტყო ულუმბოს მთაზე მყოფმა იოანე მონაზონმა — მამამ და ჩავიდა კონსტანტინოპოლში. სიძესა და სიმამრს შორის გამართული კამათის შემდეგ ეფთვიმე მამასთან ერთად ულუმბოს (ოლიმპოს) მთაზე წავიდა, ხოლო მცირე დროის შემდეგ კი ისინი ათონის მთაზე გადაეიდნენ. შესაძლებელია, იგივე აბუჰარბი იყოს მოხსენიებული ათონის ივერთა მონასტრის აღაში (N 16, 16 VII ს.) იოანე მონაზონთან და თორნიკესთან ერთად (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 200).

აგაბოს/აღაბოს — ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც იხსენიება „საქმე მოციქულთა"-ში (11, 28): „აღდგა ერთი მთაგანი, რომელსა სახელი ერქუა აგაბოს (აღაბოს), რომელი იგი აუწყებდა სულითა წმიდითა, ვითარმედ: სიკმილი სასტიკი ყოველსა ზედა სოფელსა, რომელი-იგი დღეთა კლაუდის კეისრისათა". გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვნაქსარში" მისი ხსენების დღე დადებულია 10 აპრილს: „ამასვე დღესა წმიდისა მოციქულისა და წინასწარმეტყუელისა აღაბოჲსი, რომლისათჳს წერილ არს საქმესა შინა მოციქულთასა".

აგათანგელე — მოწაფე, დამასკოს

ეპისკოპოსი. ეწამა 239 წ. გორდიანე იმპერატორის მეფობის დროს (238-244). ქართულად თარგმნილია მისი „ცხოვრების“ კომენური რედაქცია, რომელიც რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული (Sin - 62, 14-24; Sin -11; S-300). გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდ. VII, 233-247).

აგათონი – იერუსალიმის პატრიარქი X ს. შუა წლებში (951-964). მისი ზეობის დრო მითითებულია გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ ტექსტში თხზულების დაწერის თარიღთან დაკავშირებით: „ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა... ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა (780 + 81=861) არამედ გარდაცვალებიდან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა (861 + 90 = 951), იერუსალემს პატრიარქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა...“ (ძეგლები, I, 316).

აგათონი – ეპისკოპოსი, თეოფილე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის († 412 წ.) თანამედროვე და მისი კანონიკური ეპისტოლის ადრესატი: „...მისნივე, აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა“. ეპისტოლე თეოფილეს სხვა კანონიკურ ეპისტოლეებთან ერთად შეტანილია XIV ტიტულოვან ნომოკანონში, ხოლო ქართული თარგმანი – „დიდ სჯულისკანონში“ (დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975, გვ. 530). ამ კანონში ლაპარაკია ცოლ-ქმარს შორის შეთანხმებით განქორწინებაზე.

აგარა – სოფელი ხულოს რაიონში, მდ. საყეგარას მარცხ. ნაპირზე, ხულოდან 13 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნასყდრალს“ უწოდებს. ეკლესიას შემორჩენილი აქვს მოხატულობის კვალი.

აგარაჯი – საეპისკოპოსო კათედრა V ს-ში, ვახტანგ გორგასლის დროს. ვახტანგ გორგასლის ისტორიაში აღნიშნულია, რომ მან ცამეტი საეპისკოპოსო ეპარქია ჩამოაყალიბა და იქ ეპისკოპოსები დაადგინა. მათ შორის აღნიშნულია აგარაკი: „ხოლო მეფემან კათოლიკოსად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო ეკლესიისა ეპისკოპოსად, ხოლო სხუანი ეპისკოპოსნი დასხნა: ა˜ (1) კლარჯეთს, ბ˜ (2) ერუშეთს... ი˜ა (11) აგარაკს“.

აგარი – ბიბლიური პატრიარქის, აბრაამის ეგვიპტელი მხევალი ქალი, რომელსაც აბრაამისაგან ეყოლა ვაჟი ისმაილი. სარამ, აბრაამის კანონიერმა მეუღლემ ისაკის გაჩენის შემდეგ დაჟინებით მოითხოვა აგარისა და მისი ვაჟის გაძევება. დედა-შვილი უდაბნოში წყურვილისა სიკვდილისაგან ანგელოზმა იხსნა. აგარი და ისმაილი დამკვიდრდნენ ქვეყნის უკაცრიელ მხარეში. არსებულ ტომებს აგარიანებს უწოდებენ აგარის შთამომავლობის აღსანიშნავად.

მაპმადიანები თაყვანს სცემენ აგარს, როგორც თავიანთ წინაპარს და ჩადიან ხალოცაედ მის საფლავზე, რომელიც, მათი რწმენით, მექაშია (ისევე, როგორც ისმაილისა), ქააბის შაჟი ლოდის ქვეშ. ეს გადმოცემა ყურანის ტექსტში შეიდა. არაბულ ლიტერატურაში აგარის შესახებ ბევრი ლეგენდა არის შემონახული.

აგარის მონასტერი – მდებარეობს ახალციხის რაიონში, სოფ. ურაველის ზემოთ, მთის თხემზე, მდ. ურაველის ხეობაში, მარჯვენა ნაპირას. სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია: 1. აგარის მთავარი ეკლესია, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ბაზილიკაა საქართველოში. კედლებს შემორჩენილი აქვს მხატვრობის კვალი, ე. ი. იგი მოხატული ყოფილა X ან XI ს. დასაწყისში. ეკლესია შეკეთებულია არაუადრეს XII ს. 2. სამრეკლო, ალბათ, XIV-XVI სს. არის (დარჩენილია მხოლოდ I სართული). 3. ბერების „ტრაპეზი“, აგებული XI ს. ბოლოს, ან XII ს. დასაწყისში. 4. საცხოვრებელი სენაკები, საკულტო და სამეურნეო შენობები.

აგენდა – კათოლიკურ საეკლესიო წესდებათა კრებული, განგება, ტიპიკონი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სასულიერო პირებმა ღვთისმსახურების ჩატარების დროს. თავდაპირველად აღნიშნავდა კათოლიკურ ეკლესიაში წმინდა მსხვერპლშეწირვის მსახურებას (Agenda missarum), მაგრამ რადგან ღვთისმსახურების შესრულების განსხვავებული ფორმები მომრავლდა, საჭირო გახდა დაკანონება ერთიანი რიტუალისა. ასეთ სახელმძღვანელოს ღვთისმსახურების ჩასატარებლად წარმოადგენდა „აგენდა“. ლუთერიანულ ეკლესიაში ეს ტერმინი ათვისებული იქნა ლიტურგიის თანამიმდევრობის აღსანიშნავად.

აგიაპანტი – ქართული მონასტერი ბიზანტიაში, ქ. კონსტანტინეპოლში (ახლანდ. სტამბოული). ქართველები მას „ყოველთა წმიდათა მონასტერს“ უწოდებდნენ. XI ს. II მეოთხედში მონასტერი ბიზანტიის ხელისუფლებამ უბოძა ქართველ ეპისკოპოსს ზაქარია ბანელს. ამ მონასტერში 1030 წელს გადაუწერიათ მაქსიმე აღმსარებელისა და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებული Q 34 (თარგმნილი ეფთვიმე მთაწ-

მიდელის მიერ), რასაც გვამცნობს ხელნაწერის ანდერძი (ხელნ. აღწ., Q ფონდი, I, გვ. 37).

აგნოიტები ანუ თემისტიანელები – მონოფიზიტური მწვალებლობა, დაარსებული VI ს. ალექსანდრიელი დიაკონის, თემისტიოსის მიერ. აგნოიტები ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტე, ისე როგორც ყველა ადამიანი, შეზღუდული იყო ცოდნაში და სულიერ შესაძლებლობებში.

აგრიპა // ალრიპა (პეროდე) I – იუდეველთა მეფე (40-44 წ. ქრ. შემდეგ) პეროდე დიდის შვილიშვილი. იუდეველთა თაემოსაწინაბლად ასრულებდა ფარისეველთა წეს-ჩვეულებებს. აწამა იაკობ მოციქული და დილეში ჩააწყვედა პეტრე მოციქული, როგორც ამას „საქმე მოციქულთა“ გვაუწყებს (თავი 12). პეროდე აგრიპას უეცარ გარდაცვალებაში ქრისტიანები ხედავდნენ დამსახურებულ სასჯელს ღვთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

აგრიპა II (პეროდე II) – იუდეველთა უკანასკნელი მეფე (44-78 წწ.). იხსენიება „საქმე მოციქულთაში“ (თ. 25,31) თავის დასთან – ბერენიკესთან ერთად (მასთან იგი სისხლისაღრეჯით ცხოვრობდა). სარწმუნოებრივ საკითხებზე აგრიპას კამათ ჰქონია პავლე მოციქულთან (საქმე მოც., თ. 26). იერუსალიმის გარემოცვის დროს იბრძოდა რომაელებთან ერთად საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

აგუნა – მეეუნახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება. აგუნას პატივსაცემი რიტუალი საახალწლო და საშემოდგომო ღღესასწაულზე სრულდებოდა. აგუნას სახელზე საახალწლოდ ცხვებოდა ვაზის რქის, ან მტევნის ფორმის კვერები (გურიაში ამგვარ კვერს „აგუნას პურს“ უხსენებენ), მაღლარ ვაზთან და მარანში ლოცულობდნენ და ღვთაებას ვაზის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. შემდეგ იწყებოდა გადაძახება „აგუნა, აგუნა, გადმოიარე... ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ფურცელი“... კლარჯეთში რეველის დროს ვენახში ლხინს მართავდნენ. აკოლოები შემკული შიმელი ყმაწვილები ფერხულს ცეკვაედნენ. აგუნას რაჭასა და ლეჩხუმში „ანგურა“ ეწოდებოდა, სამეგრელოში – „ჯუკელია“. ნართების ადიღეურ ეპოსში „აგუნა“ საღეთო სამსელ ჭურჭელს აღნიშნავდა. აგუნას რიტუალის ზოგიერთი ელემენტი პარალელს პოვებს ფრიგიულ-ბერძნულ-რომაულ ღვთაება დიონისეს (ბაზუსი) კულტში, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ხანაში. აგუნას კულტი გადმონაშთის სახით საქართველოს ზოგიერთ კუთხეში XIX ს-მდე შემორჩა.

ადამი (ებრ. „წითური“) – იუდაისტური და ქრისტიანული ტრადიციით ადამიანთა მოდგმის წინაპარი, პირველი ადამიანი, ღვთიური შემოქმედების გვირგვინი. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა სამყაროს შექმნა მეექვსე დღეს დაასრულა ადამის შექმნით თიხისაგან „ხატისაებრ და მსგავსებისაებრ თუსისა“, სიცოცხლის სული შთაბერა და სჯობანებლად დაუქედრა დედამიწა, მაგრამ ადამის შეცოდებისა და დაცემის შედეგად (მან ღმერთისაგან აკრძალული ნაყოფი ჭამა) ადამიანთა მოდგმაში შემოვიდა ცოდვა და სიკვდილი და მხოლოდ იესო ქრისტეს ჯვარცმის გზით მიეცა ადამიანს ხსნა და საშუალება ცხოვრება. ადამმა, ბიბლიის თანახმად, იცოცხლა 930 წელი და გადმოცემით დასაფლავებულია გოლგოთაზე, სადაც შემდეგ აღმართეს ქრისტეს საფამებელი ჯვარი. ადამის ხსენების დღე დადებულია წმინდა მამათმოძღვრის ხსენების კვირაში, შობის დღესასწაულის წინ, ძველი აღთქმის სხვა მამათმთავრებთან ერთად (11 დეკემბერს). ადამი მაჰმადიანებისთვისაც ადამიანთა მოდგმის წინაპარია, რაც ასახულია ყურანშიც. ადამის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და თქმულება, რაც ახორციელ და ბიბლიის შემდგომ იუდაისტურ ლიტერატურაში გვხვდება. ადამისაგან წარმოდგება ქართული სიტყვა „ადამიანი“ – ადამის შთამომავალი (იხ. დაბ. თ. 2-5).

ადამიტები – ქრისტიანული სექტა, შექმნილი II ს-ში, რომელიც ქადაგებდა ადამიანის ბუნებრივი გრძნობების ღვთაებრიობას და გმობდა ასკეტიზმს. ადამიტების მოძღვრება განსაკუთრებით გავრცელდა XIV-XV სს-ში ჩეხოსლოვაკიაში, რადგანაც მათ შექმნეს პუსიტების უკიდურესი მემარცხენე ქილიასტური გლეხურ-პლებეისტური მიმდინარეობა. მათი ბელადები იყვნენ მარტინ პუსკა, პეტრე კანიში, იან ბიელინსკი და სხვ. ადამიტები მოუწოდებდნენ ქრისტიანებს, დაბრუნებოდნენ უცოდველ ცხოერებას, რომელსაც შეცოდებამდე ეწეოდა ადამი. ისინი უარყოფდნენ საეკლესიო ორგანიზაციას და წესებს, ზიარებასა და მღვდლობას, ამტკიცებდნენ, რომ ღმერთიცა და ეშმაკიც მხოლოდ ადამიანების გულებში არსებობს. იესო ქრისტეში მხოლოდ ადამიანურ ბუნებას ხედავდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ დადგება ჟამი „ღვთის ათასწლიანი მეუფებისა“, როცა ალარ იქნება კერძო საკუთრება და ადამიანები ძმურად იცხოვრებენ. 1421 წ. გაზაფხულზე წმ. საკურთხ-

ელის შეურაცხყოფის საბაბით და ზიარებაზე უარის თქმის გამო ადამიტები გააძევეს ტაბორიდან, შემდეგ ისინი გაანადგურა ტაბორიტთა მემარჯვენე ფრთამ იან ჟიჟკას მეთაურობით; მათი ბელადები მ. ჰუსაც და პ. კოში დაწვეს.

ადარნასე – ქართლის ერისმთავარი VII ს. I ნახევარში, უფლისწულობაში „ეიპატოსი". მისი საგარეო და სარწმუნოებრივი პოლიტიკა ბიზანტიური იყო. მის დროს მოხდა საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის (607-608 წ.). ადარნასეს ბიზანტიური ორიენტაცია ირანელთა ბატონობის დროსაც არ შეცვლილა, რისთვისაც მან ერისმთავრობა დაკარგა. ხერაკლე იმპერატორის ლაშქრობათა შემდეგ იგი ერისმთავრად აღადგინეს. ადარნასე „ძცხეთის ჯვარის" ერთ-ერთი აღმშენებელია. მისი რელიეფური გამოსახულება წარწერით დღემდეა შემონახული ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე.

ადარნასე I († დაახლ. 867-869 წწ.) – აშოტ დიდის ძე. აშოტთან – ბაგრატთან და გუარამთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა გრიგოლ ხანცთელს კლარჯეთში გაჩაღებულ სამონასტრო მშენებლობაში (ძეგლები, I).

ადარნასე II – ქართველთა მეფე 888-923 წწ., ტაო-კლარჯეთის სამთავროს გამგებელი, ძე დავით I კურაპალატისა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ტაოს შტოს შთამომავალი. ბაგრატიონთა შორის მან პირველმა მიიღო „ქართველთა მეფის" ტიტული (888 წ.). ადარნასე ეწეოდა კულტურულ-საალმშენებლო მოღვაწეობას. ააშენა და საეპისკოპოსო კათედრად აქცია ბანა.

ადარნასე ბერი – XVII ს. საეკლესიო მოღვაწე, რომელიც ახლდა თეიმურაზ ბატონიშვილს (შემდგომში თეიმურაზ I, კახეთის მეფე), როდესაც იგი კახელებისა და ქეთევან დედოფლის მოთხოვნით სპარსეთის შაჰის მძევლობიდან საქართველოში დაბრუნდა კახეთის სამეფოს ტახტზე, კახელების მიერ მოკლული კონსტანტინე ნაცვლად.

ადგილის დედა – ქართული წარმართული ღვთაება, ამა თუ იმ ადგილის, იქაური მკვიდრთა და მის სამფლობელოში მოსული უცხო კაცის მფარველი. ეარაუდობენ, რომ ადრე ნაყოფიერების ღვთაებადაც ითელებოდა. ადგილის დედის კულტი, რომელიც მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, დიდხანს შემოინახა აღმოსავლეთ საქართველოს მთამ. აქ იგი უმთავრესად ქალების, მონადირეების, ბავშვებისა და მსხვილი რქოსანი საქონლის მფარველად ითელებოდა. ქრისტიანული რელიგიის ზეგავლენით ადგილის დედა ღვთისმშობლის კულტს დაუკავშირდა. მთელები ადგილის დედას ღვთისმშობლის, ან „დედა ღვთისმშობლის" სახელით მოიხსენიებენ. ადგილის დედის სამლოცველო თუ ნიში თითქმის ყოველ სოფელში იყო.

ადგილობრივი საეკლესიო კრებები – გარკვეული პერიოდულობით მოწვეული საეკლესიო კრება (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ), რომელიმე ქრისტიანულ ქვეყანაში, ან ქვეყნის გარკვეულ საეკლესიო ოლქში, რომელიც განიხილავს საკუთარი ეკლესიის ორგანიზაციულ და დისციპლინარულ საკითხებს და რომელსაც ესწრებიან მხოლოდ ამ ეკლესიის (საპატრიარქოს, სამიტროპოლიტოს, საეპისკოპოსოს) წარმომადგენლები, საპირისპიროდ მსოფლიო საეკლესიო კრებისა (იხ.), რომელიც არ არის მუდმივად მოქმედი ორგანო, ე. ი. ზემოდასახელებული პერიოდულობით არ არის განპირობებული, რომელსაც ესწრებიან მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მღვდელმთავრები და რომლის დადგენილებებს ზოგადქრისტიანული მნიშვნელობა აქვს. ქრისტიანობის დასაწყისიდან დღემდე ქრისტიანულ სამყაროში უამრავი ადგილობრივი საეკლესიო კრება იქნა მოწვეული სხვადასხვა ქვეყანაში თუ მის გარკვეულ რაიონში. მათგან მხოლოდ ათი ადგილობრივი კრების მიერ გამოტანილმა კანონებმა დამკვიდრა ადგილი მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად კანონიკურ კოდექსში – 883 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ 14 ტიტულოვან ნომოკანონში (მის XI ტიტულოვან ნაწილში). ესენია: ანკირიის (314 წ.) ადგილობრივი კრება, რომელმაც 25 კანონი დაადგინა, ნეოკესარიის (314-325 წწ.) – 15 კანონი, ღანგრის (340 წ.) – 21 კანონი, კონსტანტინეპოლის (394 წ.) – I კანონი, კართაგენის (419 წ.) – 138 კანონი, კონსტანტინეპოლის (861 წ.) – 17 კანონი, და კონსტანტინეპოლის (879 წ.) – 3 კანონი (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 236-259; 279-365; 437-448); ბიზანტიის ადგილობრივი კრებების შესახებ იხ. C. I. Hefele, Conciliengeschichte, t. I-XII, Freiburg, 1873-1887; საქართველოში მოწვეულ საეკლესიო კრებათა შესახებ იხ. აქვე, „რუის-ურბნისის საეკლესიო კრება" და „საეკლესიო კრებები საქართველოში".

ადვენტისტები (ლათ. adventus –

მოსული) — ქრისტიანული პროტესტანტული სექტა, რომელიც დააარსა ამერიკელმა ბაპტისტმა მქადაგებელმა უ. მილერმა (1782-1849) XIX ს. 30-ან წლებში. ადვენტიზმს ბევრი წესჩვეულება გადმოღებული აქვს ბაპტისტებისაგან, საფუძვლად უდევს რწმენა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ადვენტისტებს სწამთ, რომ ღვთის ათასწლიანი მეუფების შემდეგ განკითხვის დღეს მიცვალებულნი მკვდრეთით აღდგებიან, მართალნი საუკუნო ცხოვრებას მიიღებენ, ცოდვილნი საბოლოოდ მოისპობიან (ადვენტისტებს არ სწამთ ჯოჯოხეთის მუდმივი სატანჯველი). ადვენტისტების მოძღვრება გავრცელდა უმთავრესად ამერიკის წვრილ ბურჟუაზიულ ფენებში, აგრეთვე გერმანიაში, რუსეთში, ეთიოპიასა და სხვა ქვეყნებში. ადვენტიზმის მიმდევართაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია „მეშვიდე დღის ადვენტის" სექტა, რომელიც 1863 წელს დააარსა ამერიკელმა ელენე უაიტმა (1827-1915). მისი მიმდევრები კვირა დღის ნაცვლად შაბათს უქმობენ, უარყოფენ ალკოჰოლიან სასმელებს, ფავას, ჩაის, პილპილს, ღორის ხორცს, თამბაქოს და ა. შ. ჰყავთ ამორჩეული პრესვიტერები და ხელდასხმული მქადაგებლები. მათი მთავარი ცენტრი — „მეშვიდე დღის ადვენტისტის გენერალური კონფერენცია" ვაშინგტონშია და ქრისტიანულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შედის.

რუსეთში ადვენტისტური მოძრაობა გავრცელდა XIX ს. დამლევს გერმანულ კოლონისტებში, სამხრეთ გუბერნიების გლეხობაში და წვრილბურჟუაზიულ ფენებში. ისინი მტრულად იქცნენ განწყობილნი ოქტომბრის რევოლუციისადმი, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს უარს აცხადებდნენ წვიდეს არმიაში სამსახურზე. 1966 წ. მსოფლიოში 16 მილიონზე მეტი „მეშვიდე დღის ადვენტისტი" იყო, სსრკ-ში — 21 ათასამდე. „მეშვიდე დღის ადვენტისტებს" გამოეყვნენ „ადვენტისტი-რეფორმატორები" და „მეშვიდე დღის ქრისტიანები".

„ადიდებდითსა" — პიმნოგრაფიული კანონის მე-9 ოდის (მე-9 გალობის) სახელწოდება, რომელიც აღებულია ბიბლიური, ანუ საღვთო წერილის მე-9 გალობის (რომელსაც ღმრთისმშობლის გალობა ეწოდება) დასაწყისი სიტყვიდან: „[და სთქუა მარიამ]: ადიდებს სული ჩემი უფალსა..." (ლუკა 1,46-55). კანონის მე-9 გალობა ყოველთვის ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

ადიში — სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის შენაკადის, ადიშისწყლის მარჯენა ნაპირზე (ზღვ. დონ. 2040 მ.), მესტიიდან 27 კმ. ადიშის მიდამოებში შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლია: ოთხი ეკლესია, კედლის მხატვრობით შემკული. ეკლესიები დარბაზული ტიპისაა და განვითარებული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება. მაცხოვრის ეკლესიის (X-XI სს.) მოხატულობა (XII ს.) მაღალი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა. წმ. გიორგის (სვანურად — ჯგრაგ) ეკლესიის მოხატულობა (XI ს. დასას. და XIII ს. დასაწყისი) ასახავს წმ. გიორგის ცხოვრების ეპიზოდებს. მთაეარანგელოზის ეკლესიის პრიმიტიული მხატვრობა (XIII ს.) ყურადღებას იპყრობს ნახატის გამომხატველობით. ხოფლის დასაწყისით 3 კმ-ზე წმ. გიორგის ეკლესიაა. მის კედლებზე ძველი მხატვრობის მხოლოდ ფრაგმენტებია არის შემორჩენილი. კედლის მხატვრობის ამ ძეგლებში მოჩანს შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის, ე. წ. სვანური სკოლის სპეციფიკური ნიშნები.

ადიშის ოთხთავი — ქართული ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, თარიღიან ოთხთავთა შორის უძველესი (897 წ.) ნუსხა. გადაწერილია შატბერდის ლავრაში. ხელნაწერი ეტრატზეა შესრულებული (ზომა 30 X 25 სმ.), ნაწერია მრგლოვანით, ორ სვეტად. 1-5 ფურცლები შემკულია მინიატურებით. დაცული იყო ზემო სვანეთში, სოფ. ადიშში (აქედან სახელწოდება), ამჟამად ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ადიშის ოთხთავი რედაქციულად განკერძოებით დგას სხვა ოთხთაებისაგან. ძეგლში დაცულია მდიდარი ლექსიკა და თავისებური გრამატიკული ფორმები. ადიშის ოთხთავს კარგად იცნობენ და ინტენსიურად იკვლევენ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში (ამერიკაში, ბელგიაში, გერმანიაში). გამოცემულია რამდენჯერმე: 1916 წელს ფოტოტიპიურად გამოსცა ე. თაყაიშვილმა (მან აღ. ხახანაშვილის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა; იხ. МАК, XIV, ჯ. უკაროვას, ა. ხახანაშვილისა და ე. თაყაიშვილის რეცენზიები, მოსკოვი, 1916), მეორედ — 1926-1955 წლებში პარიზში, ცალკე წიგნებად (გამოსცა ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა; გამოცემას ახლავს ვარიანტები ოქროპირისა და ტბეთის ოთხთავებიდან, აგრეთვე მთელი ტექსტის ლათინური თარგმანი; იოანეს სახარება — მ. ბრიერთან ერთად, ხოლო ლუკას სახარება — მ. ბრიერმა); ლათინური თარგმანი გამოაქვეყნა ი. მოლითორმა 1965 წ. მისამდე გამოქვეყნდა 1945 წლის

სერიაში „ძველი ქართული ენის ძეგლები“ აკ. შანიძის მიერ. ბოლო გამოცემაა ზ. სარკველაძის რედაქციით, 2003 წ.

ᲐᲚᲝᲜᲐᲓ (ძვ. ებრ. „უფალნი ჩემნი“) – ღვთის ზედსახელი, რომელიც წარმოუთქვიათ წმიდათაწმიდა სახელის „იეჰოას“ (ან „იაჰვეს“) ნაცვლად ითქმის. ებრაულ ბიბლიაში მისი გრაფიკული აღნიშვნა יהוה („იაჰვე“).

ᲐᲚᲝᲜᲘᲡᲘ (ებრ. „უფალი“) – მცენარეულობისა და ნაყოფიერების ფინიკიური ღვთაების ბერძნული სახელი (შეესატყვისება ბიბლიურ თამუზს). ალონისის კულტი ცნობილია ძვ. წელთაღრიცხვით II ათასწლეულიდან. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ბუნების მარადიულ კვდომასა და განახლებასთან. მითის თანახმად, ალონისი მონადირე იყო და გაზაფხულზე დაღუპა ტახთან ბრძოლაში, მაგრამ ქალღმერთმა ასტარტემ გააცოცხლა. ბერძნულ მითოლოგიაში ალონისი აფროდიტეს მოჯურია. ძველი ბერძნებისათვის სახელი „ალონისი“ ლამაზი მამაკაცის სინონიმად იქცა. ალონისი წამებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ერთ-ერთი პირველსახეა.

ᲐᲚᲠᲘᲐᲜᲔ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – აწამეს მაქსიმიანე იმპერატორის მეფობის დროს (235-238) ნიკომიდიაში, თაეის მეუღლე ნატალიასთან ერთად. მათი „წამება“ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნია ორი რედაქციით: ძველი, კომეწური თხზულება შეტანილია XI ს. ქართულ ხელნაწერში (H 341, ხსენება 21/VIII), ხოლო მეტაფრასული რედაქცია კი – XVI ს. ხელნაწერში (ქუთ. 1). ალრიანე მოწამის სვინაქსარული „ცხოვრება“ შესულია გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის“ ხელნაწერებში (A 193; A 97; H 2218 და სხვა). მისი ხსენება დადებულია 26 აგვისტოს.

ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (1769-1850) – XVIII-XIX სს. მოქმედი ცნობილი საზოგადო, პოლიტიკური და კულტურის მოღვაწე, მწერალი და შესანიშნავი კალიგრაფი. 1819-20 წწ-ში გიორგი აკალიშვილმა მოიარა აღმოსავლეთის წმინდა ადგილები და დაგვიტოვა ამ მოგზაურობის დაწერილებითი აღწერა: „მგზავრობაჲ თბილისიდან იერუსალიმამდე და უკუნქცევაჲ იერუსალიმით თბილისამდე“ (გამოსცა ელ. მეტრეველმა, 1967 წ.). თხზულებაში აღწერილია იერუსალიმის ჯვარის მონასტერი და სხვა სავანები (გოლგოთა, აბრაამის ტაძარი, იაკობის მონასტერი, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, ბეთლემი, საბაწმიდა, აღდგომის ეკლესია, გეთსამანია და სხვ.). გიორგი აკალიშვილმა რამდენიმე უძველესი და უნიკალური ხელნაწერი ჩამოიტანა იერუსალიმიდან. ცხოვრების ბოლო წლები მან რუსეთში გაატარა.

გიორგი აკალიშვილის საკუთარ და ნათარგმნ თხზულებათა აუტოგრაფები კალიგრაფიული მხვედრულის იშვიათი სილამაზის ნიმუშებია (იხ. ლ. კიკნაძე, გიორგი აკალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1999).

ᲐᲔᲒᲐᲠᲝ – პიქტოგრაფიული ტერმინი, ქართული საგალობლის ხმა, მელოდია, კილო, რომელსაც განასაზღვრავს ძლისპირი. ტერმინი დადასტურებულია ძველ ქართულ პიქტოგრაფიულ კრებულებში. ხოლო „თვითაეგო“, რომლის შესატყვისად XVIII ს. ხელნაწერებში გამოყენებულია ტერმინი „თუთქმოვანი“, არის ისეთი გალობა, რომელსაც საკუთარი მელოდია აქვს და არ არის დაწერილი ძლისპირის კილოზე.

ᲐᲔᲒᲐᲠᲘ – აუტორი თხზულებისა: „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა თეოდორე სტრატილატისა“, როგორც ეს აღნიშნულია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ 1013 წელს შესრულებულ ქართულ თარგმანში (A 1103, 243-255). აეგარი, რომელსაც ნამდვილად უარიერქვა, ყოფილა თეოდორეს († 316 წ.) მსახური.

ᲐᲔᲒᲐᲠᲝᲖᲘ – სახელი, ან შესაძლებელია, ტიტული მთელი რიგი მეფეებისა, რომლებიც მეფობდნენ ძვ. წ. 137 წლიდან ახ. წ. 216 წლამდე ოსროენში, მესოპოტამიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომლის დედაქალაქი იყო ედესი. მათგან ყველაზე ცნობილი გახდა მე-15 მეფე აეგაროზ უკამა, ანუ შავი, რომელიც ქრისტეს შემდეგ 13-50 წწ. მეფობდა. მისი სახელი განთქმა IV ს., როდესაც ედესის არქივში აღმოჩნდა სირიული დოკუმენტი (ასკორფი) მისი იესო ქრისტესთან მიმოწერის შესახებ, რომლის შინაარსი ასეთია: მძიმე სენით შეპყრობილმა აეგაროზმა ესპისტოლე გაუგზავნა იესო ქრისტეს, რომელმაც თხოვს განკურნებას და აღიარებს მას ღმერთად და ძედ ღვთისა. ამასთანავე სთავაზობს მას საღეთო სიტყვის დასამკვიდრებლად თავის რეზიდენციას, რაზედაც ქრისტე უარს ამბობს, რადგან თავისი ღვთიური მისიით ის დაკავშირებულია იერუსალიმთან, მაგრამ ჰპირდება, რომ მისი აღდგომის შემდეგ გაუგზავნის მას თაეის ერთ-ერთ მოწაფეს, რომელიც მას განკურნავს. ქრისტეს აღდგომის შემდგომი მოციქული თომა მართლაც აგზავნის ედესში თადეოზს, ერთ-ერთს ქრისტეს 70 მოწაფეთაგან, რომელმაც მეფე აეგაროზი განკურნა და მის სამეფოლეოში გაავრცელა ქრის-

ტიანობა. ეს თხრობა მჭიდროდ უკავშირდება გადმოცემას ქრისტეს მიერ ედესში თავისი ხელთუქმნელი ხატის გაგზავნის შესახებ. ამ ხატიდან IV საუკუნიდან აკეთებდნენ უამრავ პირებს, რომლებიც ერცელდებოდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. საქართველოში ედესის ხელთუქმნელი ხატის ხელთუქმნელი ასლის ჩამოტანა უკავშირდება ანტონ მარტყოფელის სახელს, რომელიც საქართველოში მარტყოფის ხატის სახელითაა ცნობილი. ქართულ ხელნაწერში „ეპისტოლე აგგაროზ მეფისა, რომელი მიუწერა უფალს ჩუენსა იესუ ქრისტესსა" მოიხსენება უფთვიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის თარგმანები [ტექსტი გამოცემულია რამდენჯერმე: ბოლო გამოცემა ნ. ჩხიკვაძისა, ჟურნ. „ჯვარ სამეუფო", №1 (4), 1996, გვ. 46-65].

ავგაროზი – თილისმის დანიშნულების მედალიონის მსგავსი გულზე დასაკიდებელი, რომელშიც ჩასმული იყო „ეპისტოლე აგგაროზ მეფისა, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა" (თუ მთლიანად არა, მისი ნაწილი მაინც), რომელსაც ატარებდნენ მორწმუნენები, როგორც დამცველს აუადმყოფობის, ბიჭითსა და აჟი თვალისაგან.

ავგაროზ ბანდაისძე – XIV ს. ქართველი მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი. იგი იყო ქსნის ერისთავების კარის მოძღვარი. მას 1348 წელს დაუწყია ლარგვისის მონასტრიდან ჩამოტანილი პარაკლიტონის გადაწერა, რომელიც 1365 წ. დაუმთავრებია (A 575). მასვე შეუსრულებია კამარები და მახარებელთა მინიატურები ქსნის ერისთავის ეირშელის სახარებისათვის (A 26). მისიეე შედგენილი უნდა იყოს ქსნის ერისთავთა მატიანე „ძეგლი ერისთავთა" (ქართ. სამართლის ძეგლები, II, 102-107).

ავგუსტინე ნეტარი – ავგუსტინე ავრელიუსი (354-430), ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, დასავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი. სწავლობდა კართაგენში, შემდეგ კი მასწავლებლობდა კართაგენში, რომსა და მილანში. თავიდან მანიქეიზმის, სკეპტიციზმის, უფრო გვიან კი – ნეოპლატონიზმის მიმდევარი იყო. 35 წელს მიღწეულმა სულიერი სიმშვიდე ქრისტიანობაში პოვა, დაბრუნდა აფრიკაში და დააარსა მრავალი მონასტერი. 391 წელს ეკურთხა მღვდლად, ხოლო 395 წელს – ჰიპონიის ეპისკოპოსად. ნეტარი ავგუსტინეს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოუხდენია დედას – მონიკას, განათლებულსა და ღრმად მორწმუნე ქრისტიანს. ავგუსტინეს მთავარი შრომებია: „აღსარება" (ავტობიოგრაფიული თხზულება, რომელშიც ღვთის წინაშე აღსარების სახითაა გადმოცემული ავგუსტინეს მთელი ცხოერება ბავშობიდან ქრისტიანობის მიღებამდე), „ღვთის ქალაქის შესახებ", „სამების შესახებ", „ჭეშმარიტი რელიგიის შესახებ" და სხვ.

ავგუსტინელები – „მათხოვარ კათოლიკე მონაზონთა ორდენი". დაარსდა XIII ს. 40-იან წლებში. ავგუსტინელების წესდების შედგენას მცდარად მიაწერენ ნეტარ ავგუსტინეს (აქედან – ორდენის სახელწოდება). ორდენი დაამტკიცა პაპმა ალექსანდრე IV-მ 1256 წელს. მალე ავგუსტინელებმა დას. და ცენტრ. ევროპის მრავალ ქვეყანაში მოიკიდეს ფეხი. განსაკუთრებით გაძლიერდნენ XVI ს. შუა ხანებში. ამ ორდენში გაერთიანებული იყო 30 ათასი მონაზონი (ჰქონდათ 2 ათასზე მეტი მამათა და დედათა მონასტერი); რეფორმაციის ხანიდან ორდენი თანდათანობით დაქნინდა. ამ ორდენიდან გამოვიდნენ მარტინ ლუთერი და რეფორმაციის რამდენიმე ცნობილი მოღვაწე. XVI ს-დან ავგუსტინელები მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, ირანში, ფილიპინებზე, ამერიკაში, ავსტრიაში. ავგუსტინელ მისიონერებს საქართველოშიც უქადაგიათ.

ავე მარია (ლათ. Ave Maria) – გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ წმინდა ქალწულის მოკითხვა (angelico salutatuo) – დასაწყისი სიტყვები ლათინური საგალობლისა, რომელსაც ქართულად შეესატყვისება: „ღმრთისმშობელო ქალწულო, გიხარებდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა". ამ საგალობლის პაპმა ურბან IV-მ დაუნიშნა დასკვნით სიტყვები: „იესუ ქრისტე, ამინ", XVI ს-დან კი დაემატა: „წმიდაო მარიამ, დედაო ღვთისაო, მეოხ გეყავ ჩუენ ცოდველთა, აწ და ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა, ამინ". პაპ იოანე XVII-ის დადგენილებით (1326 წ.), ყველა კათოლიკე ვალდებულია, იკითხოს ეს ლოცვა სამჯერ დღეში: დილით, შუადღისას და საღამოს, როდესაც მას ზარების რეკვა მოუწოდებს ლოცვისათვის.

ავესტა – ძველ ირანელთა რელიგიის – ზოროასტრიზმის უძველესი ლიტერატურული ძეგლი; ამჟამად ფარსებისა (ინდოეთში მცხოვრები ზოროასტრელებისა) და გებრების (ირანელი ზოროასტრელების) საღვთისმსახურო წიგნი. ავესტის უძველესი ნაწილები განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულს. იგი ირა-

ნის, შუა აზიის, აღმოსავლეთისა და აზერბაიჯანის ხალხების კულტურის, მითოლოგიისა და საგმირო ეპოსის შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. განძთაცქმით, ე. წ. დიდი ავესტა (რომელიც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე არსებული) შეიცავდა 21 წიგნს, ე. ი. ნასკს. ავესტა პირველად არშაკიდების დროს (ძვ. წ. 250 — ახ. წ. 224 წწ.) ჩაიწერა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა VI ს. სასანიდების დროს. ავესტა 5 ნაწილისაგან შედგება: 1. იასნა (ლოცვა, თაყვანისცემა) — ძირითადი ლიტურგიკული ნაწილი — შეიცავს 72 თავს. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გათები — სალექსო სახით დაწერილი საგალობლები, რომლებიც თით ლეგენდარულ ზარათუშტრას მიეწერება. 2. ვისპერდი (ყველა მსაჯული, ყველა უფალი) შეიცავს 24 თავს — სხვადასხვა ღვთაებისადმი მიძღვნილ ლოცვებსა და თაყვანისცემას. 3. იდევდატი, ანუ ვენდიდადი (დევთა საწინააღმდეგო კანონები) შეიცავს 22 თავს. აქ გაერცელებულია აპურამაზდას მიერ ქვეყნის შექმნის, ოქროს ხანის და მეფე იამის ლეგენდები. მასში უმთავრესად აღწერილია მარწმუნე ზოროასტრელთათვის საკალდებულო ქცევის ნორმები. 4. იაშტა (ქება) შინაარსით ავესტას უძველესი ნაწილია, შედგება ბუნების ძალებისა და ცოცხალ მანათობლებისადმი მიძღვნილი 22 ლოცვა-პიმნისაგან. მასში შემონახულია მითოლოგიური საზეები და სიუჟეტები (ანაჰიტა, მითრადა სხვ.) 5. ხორდა ავესტა (საშეალო სპარსული — მცირე ავესტა) არის კრებული და შედგენილია იმ მცირე მოცულობის ლოცვებისა და ფრაგმენტებისაგან, რომელთა ცოდნაც აუცილებელია საერო პირთათვის.

ავთანდილ ჭულაბრელი — XVII ს. ქართველი ხუროთმოძღვარი, რომელმაც აშენა ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარი სოფელ წესთან (ახმეტელაურის რ-ნი). ტაძრის ფასადის წარწერა გვამცნობს: „ამისი ოსტატი შეულავრელი ავთანდილ, ვინც ნახოთ შენდობა ბრძანეთ". მეორე წარწერის მიხედეით, ტაძარი აგებულია 1753 წელს. ბარაკონის ტაძარი ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უცანასკნელი ნიმუშია. ავთანდილი, როგორც მისი ზედწოდება მიუთითებს, ქვემო ქართლიდან უნდა ყოფილიყო.

ავინიონის ტყვეობა — გულისხმობს ავინიონში რომის პაპების იძულებით ყოფნას 1309-1377 წწ-ში 1367-70 წწ-ის გამოკლებით (მას ავრეთვე „ბაბილონის ტყვეობასაც" უწოდებენ). ეს „ტყვეობა" გამოწვია პაპის, ბონიფაციუს VIII-ის თეოკრატიულმა მისწრაფებათა მარცხმა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV-სთან ბრძოლაში. 1305 წ. პაპად არჩეულმა ფრანგმა კლიმენტი V-მ ფილიპე IV-ის ზეგავლენით 1309 წელს რეზიდენციად არჩია ავინიონი, რომელიც ნეაპოლის მეფეს ეკუთვნოდა, 1348 წელს კი პაპმა შეიძინა. ავინიონში პაპებად უმთავრესად ფრანგებს ირჩევდნენ. ავინიონის პაპები (კლიმენტი V, იოანე XXII, კლიმენტი VI, ინოკენტი VI) თავიანთ პოლიტიკას საფრანგეთის ნებასურვილს უმორჩილებდნენ. „ავინიონის ტყვეობაშ" დასცა პაპების ავტორიტეტი. საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია მათმა სახაზინო-ფინანსურმა პოლიტიკამ (საეკლესიო თანამდებობებთა და ინდულგენციებით ვაჭრობა, ჯუბილეული ალაფი, ანატები და სხვ.). პაპები ამ თანხას ფუფუნებას, კარდინალთა მოსყიდვასა და ნათესავების გამდიდრებას ახმარდნენ. 1377 წ. პაპის, გრიგოლ XI-ის რომში დაბრუნებამ „ავინიონის ტყვეობას" ბოლო მოუღო, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ რომში არჩეული ურბან VI დაუპირისპირდა ავინიონში არჩეულ კლემენტი VII-ს და დაიწყო „დიდი განხეთქილება კათოლიკური ეკლესიისა".

ავისის ორდენი (Avizorden) — პორტუგალიის რაინდული ორდენი, დააარსეს კალატრავის ორდენის კასტილიელმა რაინდებმა 1147 ან 1148 წ. მავრებთან საბრძოლველად. სახელი ეწოდა ციხე-სიმაგრე ავისის მიხედით, რომელიც 1166 წელს უწყალობა ორდენს მეფე ალფონსო I-მა. ორდენს ხელმძღვანელობდა დიდი მაგისტრი, ხოლო 1550 წლიდან ეს თანამდებობა პორტუგალიის მეფეებს ეკავათ. ორდენმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პორტუგალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. 1789 წ. ავისის ორდენმა არსებობა შეწყვიტა.

აჟრანლო — სოფელი წალკის რ-ნში, მდ. ქციის ნაპირებზე, წალკიდან 30 კმ. აჟრანლოში ნაციხარის (ძვ. წ. I ათას წ. ბოლო) ტერიტორიაზე შემორჩენილია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ეკლესია. აქვე ყოფილა ისტორიულ წყაროებში მოხსენებული კლდეში გამოკვეთილი აბიბოს მონასტერი. აკრანლოს ძველი სახელწოდება „თეში" მოხსენებულია 1718 წ. სტატისტიკურ აღწერაში, ასეა აღნიშნული ვახუშტის გეოგრაფიულ რუკაზეც. სოფელს აკრანლო უწოდეს 1828-29 წწ. ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა.

აჟრელიოს აძოლისი — ძველი მცხეთის ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი.

მოხსენებულია სამთაუროს სამრეკლოზე ნაპოვნ (1939 წ.) ბერძნულ ეპიტაფიაში (IV ს.) ტერმინ „მხატვართუხუცესის“ (ბერძნ. „არქიზოგრაფოს“) არსებობა იმდროინდელი საქართველოს მხატვრული და ხელოვნებათმცოდნეობრული კულტურის მაღალ დონეს მოწმობს.

ᲐᲤᲠᲔᲚᲘᲐᲜᲔ – რომის იმპერატორი (270-275). იყო უბრალო გლეხის შვილი. ადრე შეუდგა სამხედრო სამსახურში და თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა მხედართმთავარმა. იმპერატორ კლავდიუს II-ის გარდაცვალების შემდეგ (270 წ.) ჯარმა ავრელიანე იმპერატორად გამოაცხადა. მან დაიმკვიდრა „რომის იმპერიის აღმდგენელის“ სახელი. დაიღუპა 275 წ. სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ბიზანტიონის ახლოს, შეთქმულების შედეგად. თავდაპირველად ავრელიანე კეთილგანწყობილი იყო ქრისტიანების მიმართ, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში მისი ბრძანებით დაიწყო ქრისტიანთა მე-9 დევნა.

ᲐᲤᲠᲘᲚᲘ ᲨᲘᲚᲘᲐᲜᲘ – XVII-XVIII სს. ფრანგი იეზუიტი მისიონერი. იქნს წელიწადში მოიარა სირია, ქურთისტანი, საქართველო (1686), სომხეთი, ირანი და რუსეთი. 1692 წ. გამოსცა თავისი მოგზაურობის აღწერა, რომელშიც მოცემულია ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (ახალციხეში დატყვევებული არჩილ II-ის განთავისუფლების შესახებ და სხვ.).

ᲐᲕᲢᲝᲙᲔᲤᲐᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲙᲐᲗᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გადმოცემით, ქრისტიანობა უქადაგია ქრისტეს რამდენიმე მოციქულს: ანდრია პირველწოდებულს, სვიმეონ კანანელს, მატთათას და ბართლომეს. ქრისტიანობის სბოლოო დამკიდრება და საკლესიო იერარქიის დაფუძნება კი უკავშირდება მოციქულთასწორ წმინდა ნინოს სამქადაგებლო მოღვაწეობას (IV ს. I ნახევარში, მირიანის მეფობის დროს). პირველი საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა დედაქალაქ მცხეთაში. ქართლის ეკლესიის პირველ იერარქს მთავარეპისკოპოსის ტიტული ჰქონია. იმის შესახებ, თუ თავდაპირველად რომელ საპატრიარქოს ექვემდებარებოდა ქართლის ეკლესია და როდის მოიპოვა მან ავტოკეფალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთო აზრი არ არსებობს სანდო და ერთმნიშვნელოვანი საისტორიო დოკუმენტების უქონლობის გამო. ერთი, უფრო გავრცელებული აზრით, საქართველოს ეკლესია IV ს-ის დასაწყისში ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა, მეორე თვალსაზრისით – კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას (ქსენოს მიხედვით – „ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ექვემდებარებოდა ჯერ კონსტანტინეპოლის, ხოლო შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქოებს), ავტოკეფალია კი მოგვიანებით – V, VII თუ IX ს-ში უნდა მოეპოვებინა. მიტრ. ანანია ჯაფარიძის გამოკვლევით, საქართველოს ეკლესია დაარსებიდანვე ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო (იხ. მისი: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I, თბ., 1996 წ., გვ. 185-203). დაახლ. 466-468 წწ., ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლის მთავარეპისკოპოსმა კათოლიკოსის ტიტული მიიღო (კათედრა – სვეტიცხოველში), რაც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის (ავტოკეფალურობის) მოპოვების ნიშნად უნდა მიეჩნიოთ. VI ს. დასაწყისში ქართლში უკვე 24 საეპისკოპოსო იყო, ხოლო VII ს-ში – 35-ზე მეტი. X-XI სს-ში ბერძნულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ პრეტენზიები წამოაყენა საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულების შესახებ, რასაც სანგრძლივი პოლემიკა მოჰყვა, რომელსაც ეწეოდნენ: გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი და ეფრემ მცირე. მათ ქართული და, რაც მთავარია, ბერძნული წყაროების მოშველიებით დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის მონარქიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმა, მოსპო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობანი და საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდის საგზარკოსად აქცია. მხოლოდ 1917 წლის მარტში აღადგინა ქართულმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და აირჩია მისი ახალი მეთაური – კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. რუსეთის ეკლესია ერთხანს არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა შეარჩენა კიდეც ქართველი ავტოკეფალისტები. ურთიერთობა ორ ეკლესიას შორის აღდგა 1943 წლიდან. მოსკოვის საპატრიარქომ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი დიპტიხში.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მცდელობით 1990 წლის 4 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ.

ავტოკეფალური ეკლესია – დამოუკიდებელი ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც იერარქიულად ცალკე ერთეულია. ქრისტიანობის I საუკუნეებში რომის იმპერიაში ავტოკეფალურ ეკლესიებად ითვლებოდნენ პროვინციათა საეპისკოპოსოები, რომელთა მეთაურები უშუალოდ ემორჩილებოდნენ იმპერატორსა და მსოფლიო საეკლესიო კრებას. ავტოკეფალიის მქონე ეპისკოპოსები ისხდნენ პროვინციების (ხერძ. – ეპარქიების) მთავარ ქალაქებში – მეტროპოლიებში, ამიტომ ზოგი მათგანი მიტროპოლიტად იწოდებოდა. IV ს-დან ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები დაექვემდებარნენ დიოცეზების დედაქალაქთა ეპისკოპოსებს, რომელთაგან ზოგმა პატრიარქის ტიტული მიიღო. V ს-ში მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა 5 პატრიარქი: რომის პაპი, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქები. აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ეკლესიაში პირველი ადგილი დაიკავა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორთა მფარველობის წყალობით დაწინაურდა. VII ს-დან დაიწყო აღმოსავლეთის დანარჩენი საპატრიარქოების დაკნინება, რაც მუსლიმან დამპყრობელთა გამატონებამ და ამ საპატრიარქოებში შექმნილი ხალხების სოციალურ-სარწმუნოებრივმა ბრძოლამ გამოიწვია. არაბერძნული ავტოკეფალური ეკლესიების ჩამოყალიბება ადრეც დაიწყო. იგი თან სდევდა ხალხების პოლიტიკურ და კულტურულ ზრდისებას. ბიზანტიის იმპერატორები და პატრიარქები ეწინააღმდეგებოდნენ დამოუკიდებელი ხალხების მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნას, რადგან ამით ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია შეზღუდავდა და პოლიტიკურ გავლენას კარგავდა. არაბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიებიდან ყველაზე ადრე დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ V ს. და კვიპროსის ეკლესიამ VI-VII სს., რომლებიც ანტიოქიის ეკლესიას გამოეყვნენ. სინას მთის მონასტრის ეპისკოპოს-იღუმენი ავტოკეფალური გახდა XVI საუკუნეში, ხოლო რუსეთის ეკლესია – XV ს-დან (1448 წ.). სლავ ხალხთა შორის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ყველაზე ადრე ბულგარელებმა და სერბებმა დაიწყეს (X-XI სს.), მაგრამ ბიზანტიის იმპერატორები და კონსტანტინეპოლის პატრიარქები ზედიზედ აუქმებდნენ მათ ავტოკეფალურობას. მხოლოდ XIX ს. II ნახევარში შეიქმნა ბულგარეთის, სერბიის და რუმინეთის ავტოკეფალური ეკლესიები. ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიაა: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის და ამერიკის.

ავტონომოს მოწამე – იტალიელი ეპისკოპოსი, ცხოვრობდა დეკლიტიანე (284-305 წწ.) იმპერატორის დროს. ქრისტიანთა დევნის გამო იტალია დატოვა და ბითვინიაში წავიდა. აქ ქრისტიანობის ქადაგებისათვის ურწმუნოებმა საკურთხეველზე დაკლეს, ხოლო შემდეგ კი ქვებითა და ძელებით ჩაქოლეს.

ავტონომოს მოწამის მეტაფრასული რედაქციის „წამება" ქართულად ითარგმნა ორჯერ: ჯერ XI ს. II ნახევარში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (ეს თარგმანი შეტანილია ათონის ქართული ხელნაწერების კოლექციის № 20 ხელნაწერში, ფ. 164-166), მეორე – უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ. 1, ფ. 140-154). ავტონომოსის „წამების" სვინაქსარული რედაქცია შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში". ხსენების დღე – 12 სექტემბერი.

ავქსენტი მოწამე – არაელკესთა ეკლესიის ხუცესი. ეწამა დეკლიტიანე (284-305) იმპერატორის მეფობის დროს სხვა მოწამეებთან (ევსტრატი, ევგენი, ორესტი და მარდარი) ერთად სევასტიაში (სომხეთში). მათი „წამების" ერთობლივი თხზულება მეტაფრასული რედაქციისა ორი თარგმანითაა ქართულად მოღწეული: ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი ბევრ ხელნაწერშია შესული (A 95, XIV, ფ. 1117-1158; Ath. 2, XI ს. ფ. 114-126; Sin 11, X ს., 34-65 და სხვ.), ხოლო უცნობი მთარგმნელისა – მხოლოდ ერთი ხელნაწერით (A 128) არის ცნობილი (ამ თხზულების ერთი ნაწყვეტი გამოქვეყნებულია: ქ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 136-139). აქესენტისა და მასთან ერთად წამებულთა „წამების" სვინაქსარული რედაქცია შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში". ხსენების დღე – 13 დეკემბერი.

აზავრეთი – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქიდან 21 კმ. აქ დგას განეითარებული შუა საუკუნეების ეკლესია ლაპადარული წარწერებით.

აზარია – ბიბლიური წმინდანი (ანანიასთან და მისაელთან ერთად). ბიბლიური წინასწარმეტყველის – დანიელის წიგნში (I-III თავები) მოთხრობილია, რომ როდესაც ბაბილო-

ნის მეფე ნაბუქოდონოსორმა ტერუსალიმი დაიპყრო, შეარჩევინა ყმაწვილები, რომლებიც ქალდეურ მეცნიერებებში და სახელმწიფო საქმეებში უნდა გაეწვრთნათ. მათ შორის იყვნენ იუდეველთა ძენი: დანიელი, ანანია, მისაელი და აზარია, რომელთაც სახელები შეუცვალეს და დაარქვეს წარმართული ღმერთების სახელები: ბალტასარი, სედრაქი, მისახი და აბედნაგო. დანიელმა, რომელიც წინასწარმეტყველების ნიჭით იყო დაჯილდოებული ღმერთის მიერ, ნაბუქოდონოსორს აუხსნა მისი სიზმრის შინაარსი, რაც ვერც ერთმა ქალდეველმა სასწაულმოქმედმა და წინასწარმეტყველმა ვერ შეძლო და ამიტომ ბაბილონის მეფემ დანიელი და მისი მეგობრები დიდად დააწინაურა ბაბილონის სამეფო საქმეებში. მალე ნაბუქოდონოსორმა აღმართა ოქროს კერპი (რომელიც მან სიზმარში იხილა) და უბრძანა თავისი ქვეყნის ყველა მკვიდრს მისთვის თაყვანი ეცა. ანანიამ, მისაელმა და აზარიამ სასტიკი უარი განაცხადეს და აღიარეს, რომ ისინი თაყვანს სცემენ მხოლოდ თავიანთ ერთ ღმერთს, რომელსაც შეუძლია ისინი ყოველგვარი განსაცდელისაგან დაიხსნას და მათ შორის გავარვარებული ღუმელიდან, რომელში ჩაგდებითაც მათ მეფე დაემუქრა, უვნებლად გამოიყვანოს. მართლაც, როდესაც ისინი საგანგებოდ გაავარვარებულ ღუმელში შეკრულები შეყარეს, ცეცხლმა მათ თმები და ტანსაცმელიც კი ვერ შეუტრუსა და სრულიად უვნებელად გამოვიდნენ. ამის შემდეგ ნაბუქოდონოსორმა ირწმუნა მათი ღმერთის ყოვლისშემძლეობა. ამ სახი ეპიზოდი ყმაწვილის თაეგადასავალი ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული თემა გახდა. ქართულად ანანიას, მისაელისა და აზარიას შესახებ შექმნილი ერთობლივი ჰაგიოგრაფიული თხზულება თარგმნილია დაახლ. VIII-IX სს-ში სეითის მიერ და ორ ძველ ხელნაწერშია შემონახული: Sin. 11, X ს., 240-245 და H 341 XI ს., 561-571.ხსენების დღე – 17 დეკემბერი.

აზარია (სუმბატის ძე) – XVI ს. კალიგრაფი. აზარიას გადაუწერია ოთხთავის (H 86) შომცრო ფორმატის სქელი წიგნი (206 ფ.) ნუხსურით, ორ სვეტად, შავი მელნით. აზარიას მიერ შესრულებული საზედაო ასოები ამკვანძებს გადამწერის მხატვრულ გემოვნებას. გადამწერი მოხსენიებულია ანდერძში 146-ე ფურცელზე: „წმიდაო ღუკა, მეოხ მეყავ წინაშე ღუთისა, მე სუმბატის ძეს აზარიას და ჩემთა დედა-მამათა."

აზარეშტი – ბოლნისის სიონის ჩრდილოეთის ფასადის დასაველთით მდებარე კარის ბალაერის ქვედა შრის 494 წ. რელიეფურ წარწერაში მოხსენიებული არის აზარუხტი, რომელსაც (ფარნაეაზთან ერთად) დაუმზადებია და ჩამოუკიდია (შეუბამს) ეს კარი ტაძრისათვის.

ათანასე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ოპიზის მონასტრის ბერი, ერისკაცობაში არავანდი. მას 1093 წ. გადაუწერია ოპიზის ლაურაში გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი პარაკლიტონი (A 93), რომლის დედანი გიორგის ნუსხიდან ყოფილა გადაწერილი.

2. XI ს. II ნახევრის კალიგრაფი, გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „დიდი სვინაქსარი" (A 840), რომელიც ორიგინალიდან მეოთხე გადანაწერია.

3. ათონის იერუსა მონასტრის ბერი, რომლისათვისაც მონასტრის ძმობას აღაბი განუწესებია: „ჟამსწესით პანაშიდი ძმისა ჩუენისა ათანასესთუს", რომელსაც შეუწირავს „ღრაკანი ბერპერაჲ" (აღაპ. 57, ათონის კრებ. 231. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 150).

4. XIV ს. პეტრიწონის ქართული მონასტრის ბერი, რომელიც ათანასე მოძღვრის სახელითაა მოხსენიებული (კრები, III, 274).

5. სეიტიცხოველის დეკანოზი XVIII ს. დასწყისში. იგი ხელს აწერს სვეტიცხოვლის საჭმის მიერ დომენტი კათალიკოზისადმი მიწერილ თხოვნას (1706 წ. Ad 323).

6. XVIII ს. II ნახევრის ნიჭოზის ეპარქიის ეპისკოპოსი, რომელიც მანამდე არქიმანდრიტი იყო. 1788 წლის 8 ნოემბრის სიგელით ნიჭოზის ეპისკოპოსად ათანასე არქიმანდრიტს ამტკიცებს ანტონ I კათოლიკოსი (Sd 5513).

7. ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვარი იერუსალიმში 1800-იან წლებში. იგი ხშირად იხსენიება ქართულ წყაროებში (ამტკიცებს 1793 წელს ანტონ ჯვარის მამის 1887 წლის ერთერთ საბუთს – ცსსა, ფ. 1448, № 7; ხელს აწერს 1793 წლის 20/VIII საბუთს, რომელიც გელათისა და ჯვარის მონასტრის სადაო მამულებს ეხება ცსსა, ფ. 1448, №1240.) იგი იხსენიება 1807 წლის ჯვარის მამის, ეუნელიტეს სარგოს განწესების წიგნში – (Ad 546); მას ახსენებს 1805 წელს ჯვარის მონასტერში საქართველოდან ჩასული ოქრიბელი ბერი ლაურენტი გოგელაძე _ ლენინგრ. აღმოსაველთმცოდნ. ინსტიტუტის H 10 ხელნაწერის 1807 წ. მიწაწერში, სადაც ნათქვამია, რომ ათანასემ მას

დიდი დახმარება გაუწია.

8. ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი (თარხნიშვილი) XVIII ს-ში. ის „ბრძოდა ძლიერად ლეკისა ჯართა“ და მრავალჯერ „გაიმარჯვა მათ ზედა“, როგორც ნათქვამია იოანე ბატონიშვილის „ქალმასობა“-ში (ხუმარსწაული, თბილისი, გვ. 19).

ათანასე ათონელი (მთაწმიდელი; დაახლ. 920-1000 წ.) — ბერძენი მონაზონი, ათონის მთაზე, ე.წ. ათანასეს ლავრის დამაარსებელი. ზოგიერთი ცნობით, მას დედა ლაზი ჰყავდა. 8-10 წლისა ჩაიყვანეს კონსტანტინეპოლში, სადაც მიიღო განათლება. დაახლ. 953 მონაზონად აღიკეცა; რამდენიმე წლის შემდეგ გადაეხადა ათონის მთაზე და 963 წელს დააარსა ლავრა. ათანასეს ლავრაში დამკვიდრდნენ და 15 წელი ეწეოდნენ მოღვაწეობას ათონის მთაზე ჩასული იოანე მთაწმიდელი — ეფთვიმე მთაწმიდელის მამა და სხვა ქართველი ბერები. ათანასე ათონელმა თავისი სიცოცხლის ბოლოს ლავრის მეურვეობა მიანდო ეფთვიმე მთაწმიდელს და არა როშელიმე ბერძენს, როგორც ეს აღნიშნულია იოანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებაში“ (ძეგლები, II, 41). ათანასეს რჩეული შეაკეთა და განაახლა მონასტერი ვატოპედი სამმა ადრიანოპოლელმა ძმამ. მისივე თაოსნობით აშენდა კარეას ახალი მონასტერი. ათანასეს ლავრის მოშორებით „განზრახვითა მამისა ათანასესითა“ ქართველმა ბერებმა აიგეს იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები. შემდეგ აქ დიდი სამონასტრო კომპლექსი შეიქმნა (იხ. ათონის ივერთა მონასტერი). ათანასე ათონელი დაღუპულა ახლად აშენებული საკურთხევლის თაღის ჩამონგრევისას. ათანასეს „ცხოვრება“ აღწერა იღუმენმა იოანე ექსაპტერიგოსმა. ათანასეს დაუწერია „სამაღლობელი ივერიელთა მიმართ“. ხსენების დღე — 5 იულისი.

ათანასე არქიმანდრიტი (პეტრიაშვილი: 1774-1832) — დეკანოზი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პირველი დირექტორი (1803-1810 წწ.) ერისკაცობაში ერქვა ალექსი და იყო კახელი აზნაური. დიაბადა ყიზლარში. სწავლა დაამთავრა ასტრახანის სასულიერო სემინარიაში. 1796 წ. ეკურთხა ყიზლარის ტაძრის მღვდლად, ხოლო 1798 წ. გადაყვანილ იქნა მუშკეტერთა პოლკში სამხედრო მღვდლად. 1803 წ. დეკანოზის ხარისხით გადმოყვანილი იქნა თბილისში და დაინიშნა ახლადდაარსებული კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად. ბევრი იღვაწა თბილისში სტამბის მოწყობისათვის. საკმაო გაელვება ჰქონდა საქართველოს ეკლესიის საქმეებზე. ადრევე დაქვრივებულს ნება მიეცა 1803 წ. ბერად აღკეცისა, რისი სურვილი მას თავიდანვე ჰქონდა, მაგრამ ეს სურვილი ვერ შეისრულა 1810 წლამდე. ამ წელს თავისი თხოვნით ის გაანთავისუფლეს სასწავლებლის დირექტორის მოვალეობისაგან, რის შემდეგაც ბერად შეიმოსა ათანასეს სახელით და დაინიშნა ქართლში პირველი მონასტრის — ქვათახევის წინამძღვრად, არქიმანდრიტის პატივის მინიჭებით. თბილისში 1814 წელს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსებისთანავე დანიშნული იქნა მის წევრად. ქვეთახევის მონასტრის გაუქმების შემდეგ ათანასე ერთხანს იყო ახლად დაარსებული თბილისის ფერისცვალების (ე.წ. დარიის) მონასტრის არქიმანდრიტი, ხოლო შემდეგ მიდის რუსეთში და ჯერ მაკარის მონასტრის წინამძღვარია, ხოლო შემდეგ — მოსკოვში დონის მონასტრის არქიმანდრიტი. გარდაიცვალა 1832 წ. 17/X. იქვეა დასაფლავებული. ათანასე იყო ნათლია გრიგოლ ორბელიანისა.

ათანასე ბერი — ალექსანდრე I დიდის (1412-1543) ბერობის სახელი. ალექსანდრე I 1443 წ. აღიკეცება მონაზონად „და უწოდეს სახელად ათანასე“, როგორც ამას ახალი „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყობს (ქართ. ცხოვრ., II, გვ. 476) მისთვის აუშენებიათ სენაკები და „სახლნი დიდნი ქვითკირისანი“ მცხეთაში მის მიერ აშენებული მთავარანგელოზის ეგეტერთან და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა „სასოებითა და მოღვაწებითა“. ნიკორწმიდის სულთა მატიანეს ცნობით ალექსანდრე დიდის მონაზონობის სახელი იყო „აბრაამი“ (იხ.).

ათანასე დიდი (298-273) — ალექსანდრიის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი, პატრიარქი, მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, „მართლმადიდებლობის მამად“ წოდებული. ქრისტიან მშობელთაგან მიიღო იმ დროისათვის კარგი განათლება. ახალგაზრდობიდანვე მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწიარა. 319 წელს აკურთხეს დიაკნად. თავისი ენერგიული და მჭევრმეტყველური გამოსვლით ნიკეის 325 წ. მსოფლიო კრებაზე, სადაც იგი, როგორც დიაკონი, ახლდა ალექსანდრე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსს, დიდი გავლენა იქონია კრების დადგენილებებზე არიანელთა წინააღმდეგ. 328 წ., ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს ალექსანდრიის კათედრაზე. 335-366 წლების მანძილზე იგი ზეთკერ იყო გაძეე-

ბული ალექსანდრიის კათედრიდან არიანელთა ძალმომრეობის შედეგად. თაუისი ეპისკოპოსობის 45 წლიდან მან ექსორიობაში გაატარა 20 წელი. თავის მრავალრიცხოვან თხზულებებში, განსაკუთრებით დოგმატურ და პოლემიკურ შრომებში, რომლებშიც ის ილაშქრებდა არიანელთა წინააღმდეგ და იცავდა სამების დოგმატს, ჩანს მისი უდიდესი ნიჭი, რომლითაც იგი ალესტებდა თავის მოწინააღმდეგეებს. მისი „არიანელთა ისტორია მონაზონთათუს" ფასდაუდებელი ძეგლია იმდროინდელ რელიგიურ პარტიებს შორის ბრძოლების ისტორიის შესასწავლად. არანაკლები მნიშვნელობისაა მისი შრომები ეგზეგეტიკისა და მორალის საკითხებზე. მისი შრომების საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის მონფოკონს (სამი ტომი, პარიზი 1968).

ქართულ ენაზე ათანასე ალექსანდრიელის შრომების დიდი ნაწილია თარგმნილი. პაგიოგრაფიული თხზულებებიდან აღსანიშნავია: 1. ანტონ დიდის „ცხოვრების" კიმენური (A 19, X ს. 433-451; A 1109, IX ს. 10-25; ბრიტ. მუზ. 11281, XI ს., 1-55) და მეტაფრასული (A 79, 268-365; A 689,178-301; ქუთ. 13, 167-211) რედაქციები. 2. წამებაჲ წმ. მინაჲსი, ერმგენე და ევგრაფიაჲსი (A 70, 446-454, ბოლონაკ.) 3. ცხორებაჲ წმ. მამაჲ სტეფანესი და ნიკონისი (A 249, ბრიტ. მუზ. 11281). ეგზეგეტიკური თხზულებებიდან: 1. თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ, ექსცერპტები, რომელნიც ეფრემ მცირეს შეუტანია თავის თხზულებაში „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ" (Q 37, XI ს. ბოლო; ქუთ. 29; A 14. Ier. 1). 2. „გამოკლებაჲ ძალისა ფსალმუნთაჲსა" (A 38) და სხვ. დოგმატური: „აღსარებაჲ წმიდისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ", თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 584; A 627; Ier. 151) და სხვ.; აგრეთვე სიტყვა-ქადაგებანი (11 თხზულება); ეპისტოლეები და კითხვა-მიგებანი. მისი კანონიკური ეპისტოლე „რუფინიანეს მიმართ ეპისკოპოსისა" შეტანილია „დიდ სჯულისკანონში" (გვ. 540-542). ასევე, მისი კანონიკური ეპისტოლე ამონის მიმართ მონაზონისა (გვ. 466-469). იქვე შეტანილი ათანასეს „სადღესასწაულოჲთი" 39-ე ეპისტოლის კანონად ქცეული ნაწილი (წმინდა წერილის წიგნთა ჩამონათვალი, გვ. 470-471).

ათანასე თბილელი (ამილახვარი; †1774) – ქართველი მღვდელმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთთან კავშირის აქტიური მოშრეე. 1724 წელს ეახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. 1732 წ. დაბრუნდა საქართველოში და მიიღო მრეველობა (რუისის ეპისკოპოსობა), ხოლო 1740 წელს – თბილისის მიტროპოლიტობა. 1752 წ. თეიმურაზ II-მ და ერეკლე I-მა ათანასე სიმონ მაყაშვილთან ერთად გაგზავნეს მოსკოვში სამხედრო დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. ათანასე თბილელმა სიბერე და ავადმყოფობა მოიშიშვა და სამუდამოდ დარჩა რუსეთში. 1762 წ. მოსკოვში დააარსა ქართული სტამბა და ბეჭდავდა უმთავრესად საეკლესიო წიგნებს.

ათანასე კოლიზმელი – ქრისტიანული ეკლესიის მთავარმოწამე, წმინდა მოწამეების – სერგისა და ბაქოს (სხვებუ 7 ოქტომბერს) მეგობარი. მაქსიმიან იმპერატორმა (284-305) იგი ეპარქოზის თანამდებობაზე დანიშნა და ეგეოსტეში გაგზავნა. მალე იგი ქრისტიანული სარწმუნოების ალიარებაში დაადანაშაულეს. მეფის ნაცვალს ულრ კოდეე ჰქონდა იმდენი მისი წარმართობაზე მოქცევისა და ათანასე კოლიზმაში (წითელ ზღვაზე) გაგზავნა იქაური ქრისტიანული ეკლესიების გასაუქმებლად. ათანასე ჩაუდა თუ არა, დიდი ზეიმით იღღესასწაულა ეკლესიაში ქრისტეს შობა. მალე აქ ჩამოვიდა ნაცვალი და რადესაც გაიგო ათანასეს საქციელი და დარწმუნდა, რომ მას სარწმუნოებას ვერ შეაცვლევინებდა, ბრძანა, ათანასესათვის თავი მოეკვეთათ. ხსენების დღე – 18 იელისი.

ათანასე კოლიზმელის „წამების" კიმენური რედაქცია ქართულად აღრეე არის თარგმნილი და ძველი ხელნაწერებითაა მოღწეული (A 95, XI ს., 1477-482, A 382, XV ს., 61-64; Sin. 11, X ს., 224-231; Sin. 62, X ს., 94-100; ბოდლ. 1,XI ს., ფ. 267-273.).

ათანასე მალემღვრალი – ბერძენი საეკლესიო მწერალი, ავტორი პაგიოგრაფიული თხზულებისა „ცხორებაჲ წმიდისა ეკატერინეანაჲსი", რომლის ქართული თარგმანი შეინახულია უძველეს ქართულ ხელნაწერებში (A 95, XI ს. და Sin. 6, 982 წ., Ath. 28, 1003 წ. და სხვ.) ათანასეს მოღვაწეობის წლები დაუდგენელია.

ათანასე ათერითურელი – ათონის ქართველთა მონასტერში ეფთუმე მთაწმიდელის წინამძღვრობის დროს მოსული ბერძენი მონაზონი, რომელიც შეილთან ერთად დაემკვიდრა იქ და მონასტერს დიდი შესაწირავი მისცა, როგორც ეს აღნიშნულია „ეფუანესა და ეფთუმეს ცხორებაში": „კეალად მოვიდა ათანასე პეროთურელი ბითურთ, დიდად საკმარი ეკლესიისაჲ. და ჰქონდა კარეას მონასტერი, რომელი-იგი და სხუაჲ ფრიადი საფასე მოსცეს მამაჲ ჩუენთა.

ხოლო მათ გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორმეოც დრაკმად, და იგივე კანანახისა გაკუთილი მას ქონდა" (ძეგლები, II, 80).

ათანასეს ლაპრა – მონასტერი ათონის მთაზე (ქალკედონის ნახევარკუნძული, საბერძნეთში), რომელიც დაარსა ათანასე ათონელმა 963 წ. „იმპერატორ ნიკიფორე ფოკას (963-969) ხელშეწყობითა და სახსრებით. ათანასეს დროს ლავრაში 120-მდე მონაზონი ცხოვრობდა, მათ შორის ქართველებიც. X ს. 60-იან წლებში მოვიდნენ აქ ქართველები – იოანე ბერი, მისი ძე ეფთიმე (შემდეგ მთაწმიდელად წოდებული) და თორნიკე ერისთავი, რომლებმაც 15 წელზე მეტი დაყვეს ათანასეს ლავრაში და შემდეგ სხვა ქართველებთან ერთად ააშენეს ათონის ივერთა მონასტერი. ლავრის ეზოში არის ხარების ტაძარი, რომელსაც ასევე მისი დამაარსებლის, ათანასეს სახელი ჰქვია. თავად ათანასეს ნეშტი განისვენებს 40 წამებულის ტაძრის მარცხენა ეკლდერში. ათანასეს ლავრა ბიზანტიური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია.

ათანასია († 860) – დედათა მონასტრის წინამძღვარი (იღუმენია) კუნძულ ეგინაზე. დაიბადა ქრისტიანულ ოჯახში. თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მონაზვნად აღკეცია, მაგრამ შობლებმა გაათხოვეს 16 წლის ასაკში. ქმარი სულ მალე (16 დღის შემდეგ) დაეღუპა ომში. იმპერატორ მიხაილ ბლუს (820-829) ბრძანების მიხედვით, რომლის თანახმად ახალგაზრდა ქვრივი ქალები უნდა დაქორწინებულიყვნენ ახალგაზრდა მეომრებზე, იძულებული გახდა მეორედ გათხოვილიყო. მისი ზემოქმედებით ქმარი მონაზვნად შედგა და მეუღლესაც მისცა ნება მონაზვნობისა. მალე ათანასია დედათა მონასტრის წინამძღვარი გახდა. მან ეგინას კუნძულზე მცხოვრები განდეგილის – მათეს ლოცვა-კურთხევით კუნძულის უდაბნო ადგილას ახალი სავანე დაარსა სტეფანე პირველმოწამის ძველი ეკლესიის ახლოს. ღმერთმა იგი კურნების ნიჭით დაუკილდოვა. როცა მისი სახელი განითქვა, ათანასია ორ დასთან ერთად ფარულად კონსტანტინეპოლს წავიდა და როგორც უბრალო მონაზონი, 7 წელი ცხოვრობდა ერთერთ მონასტერში, მაგრამ თავისი მონასტრის დებმა იგი იპოვეს და დიდი თხოვნის შემდეგ დაბრუნეს ეგინას კუნძულზე. მან ბევრი სასწაული ჩაიდინა სიცოცხლეშივე და სიკვდილის შემდეგაც. ათანასიას „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად და მხოლოდ ერთი ნუსხით არის შემონახული (ქუთ. 7, 224-239). ათანასიას ხსენების დღე მისი „ცხოვრების" მიხედვით 14 აპრილია, ზოგიერთი კალენდრით კი – 12 აპრილი.

ათანასია მოწამე – V ს-ის მონაზონი ქალი ანტიოქიიდან, წმინდა ანდრონიკეს (იხ.) მეუღლე. შვილების გარდაცვალების შემდეგ ცოლ-ქმარი მონაზვნად შედგნენ: ანდრონიკე – ალექსანდრიის უდაბნოში, ხოლო ათანასია – ქალთა მონასტერში. 12 წლის სამონაზვნო ცხოვრების შემდეგ ანდრონიკე იერუსალიმის წმინდა ადგილების მოსალოცად წავიდა. მას დაემგზავრა მამკაცის სამონაზვნო სამოსელში ჩაცმული მწირი – ათანასია. მათ ვერ იცნეს ერთმანეთი. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ისინი ერთ სენაკში დამკვიდრდნენ და მრავალი წლის განმავლობაში „მდუმარეთა" ცხოვრებას ეწეოდნენ. წმ. ათანასიას გარდაცვალების შემდეგ ანდრონიკემ იპოვა წერილი, რომელიც ამჟღავნებდა საიდუმლოებას. მალე ანდრონიკეც გარდაიცვალა. ანდრონიკესა და ათანასიას „ცხოვრების" კომენტარი რედაქცია ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია X ს-მდე და რამდენიმე ხელნაწერშია დაცული (A 95 XI ს., 636v-637v; ბოდლ. XIV, 491-495). ხსენების დღე – 9 ოქტომბერი.

ათეიზმი (ბერძ. „უღმერთობა") – მატერიალისტური მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც მიმართულია ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგ, უარყოფს ღვთისა და ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების არსებობას. ათეიზმი ცდილობს დაასაბუთოს, რომ სინამდვილის არსებობას და განვითარებას განსაზღვრავს არა ღმერთი, არამედ თვით სინამდვილის შინაგანი კანონზომიერება, რომ ნამდვილი ყოფიერება მიეწერება არა ღმერთს, არამედ ადამიანს.

ათეიზმი შორეულ წარსულში წარმოიშვა. თავისუფალმა აზროვნებამ თავისი გამოხატულება ღეიზმსა და პანთეიზმში პოვა. ათეიზმს ეწოდება სკეპტიკური, რომელსაც უარყოფილია ღმერთის არსებობის მტკიცებების შესაძლებლობა გონების საფუძველზე; დოგმატიკური, რომელსაც ღმერთის არარსებობის დამტკიცებას ცდილობენ გარკვეული მტკიცებულებებით. განასხვავებენ აგრეთვე თეორიულ და პრაქტიკულ ათეიზმს. პირველი უარყოფს მხოლოდ ღმერთის არსებობის ობიექტურ რეალობას, მაგრამ აღიარებს ზნეობრივ კანონებს, რომლითაც ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს ცხოვრებაში. პრაქტიკული ათეიზმი ეწოდება ღმერთის უარყოფის იმ ფორმას, რომელიც მომდინარ-

ეობს აღზრდისა და საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან, რაღაც რწმენა ამტკიცებს ზნეობრივ კანონს, ზნეობრივი დაცემა კი ხელს უწყობს ურწმუნოების აღმოცენებას. რაღაც ღმერთის ცნება სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ერებში, ზოგჯერ ათეისტობაში ადანაშაულებდნენ პიროვნებებსა და ერებსაც კი, მაშინ, როდესაც ეს ბრალდება დაფუძნებული იყო მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებებზე. ასე მაგალითად, ბერძნები ბრალს სდებდნენ ზოგიერთ თავიანთ ფილოსოფოსს (ანაქსაგორას, სოკრატეს და ა. შ.), რომლებიც ღმერთის არსებობას კი არ უარყოფდნენ, არამედ – მრავალღმერთიანობას. ასევე, ქრისტიანულ ეკლესიაში სპების დოგმატის ჩამოყალიბების შემდეგ ათეიზმში ბრალი ედებოდა ყველას, ვინც ამ დოგმატს უარყოფდა. უფრო გვიან ათეიზმში ადანაშაულებდნენ იდეალისტებსა და პანთეისტებს (სპინოზა, ფიხტე, შელინგი, ჰეგელი), თუმცა ისინი არ უარყოფდნენ ღმერთის არსებობას, ოღონდ არ ეთანხმებოდნენ აზრს ღმერთის არსებობის შესახებ სამყაროსგან დამოუკიდებლად.

ათენაგენე//ათინოგენე ჭლედელმოწამე († დაახლ. 311) – ეპისკოპოსი პიდაქოს ეკლესიისა, ქ. სებასტიის ახლოს. იგი აწამეს ლიკინიოზის დროს (307-324) თავის ათ მოწაფესთან ერთად ქრისტიანობის ქადაგებისათვის, სებასტოს მმართველის, ფილომარქის ბრძანებით. ათენაგენეს 10 მოწაფე დაატყვევეს საკუთარ ეკლესიაში მაშინ, როცა ეპისკოპოსი და მათი მოძღვარი ათენაგენე იქ არ იყო. ათენაგენე გაემგზავრა სებასტიაში მათ გამოსახსნელად, მაგრამ თვითონაც შეიპყრეს. კერპებისადმი მსხვერპლშეწირვაზე უარისათვის და ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის ჯერ მოწაფეებს მოკლეთეს თავები, ხოლო ათენაგენემ სთხოვა ჯალათებს, საკუთარ ეკლესიაში წაეყვანათ და იქ დაესაჯათ. ეს თხოვნა შეუსრულეს და მანაც თავისი მოწაფეების ბედი გაიზიარა.

წმ. ათენაგენეს კულტი საქართველოში და სომხეთში ძალიან პოპულარული ყოფილა (იხ. ათენაგენობა). სომეხთა მოქცევის არაბულ ვერსიაში ნათქვამია, რომ გრიგოლ განმანათლებელმა მღვდელმთავრად დადგინების შემდეგ ქ. სებასტიიდან სომხეთში წამოიღო წმ. ათენაგენეს წმ. ნაწილები, რომლის სახელზე ქ. მატიანაში ეკლესია ააგო (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 129).

ათენაგენობა//ათინგენობა – ქრისტიანული სახლობი ლეგენდაული, რომელიც დაწერებულია III-IV სს. მიჯნაზე წამებული ბერძენი მღვდელმთავრის, ათენაგენე (ათინოგენე) სებასტიელის მოსახსენებლად. ათენაგენობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოსა და სომხეთში. იგი განეკუთვნებოდა მოძრავ დღესასწაულთა ციკლს. იმართებოდა იენის-იელისში, აღდგომიდან 98-ე დღეს („დღესა ვარდობასა"). „ათენაგენობის" დღესასწაულზე მითხრობა დაცულია უძველეს ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში. მაგალითად, ჭილ-ეტრატის იადგარში ნათქვამია: „გალობათა [დასაწყისი] ათენაგენასა ჰპრენე" (უძვ. იადგარი, გვ. 27) პარიზის ლექციონარში – „ჰპრო ათინაგენეჲ" (გვ. 302). ამჟამად შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ხევსურეთში მას „ათენგენობას" ეძახიან, თუშეთში „ათინგენობას", ზოგან კი იმ ხატის სახელს, სადაც დღეობა იმართება (ლაშარობა, თამარობა, სერობა და ა. შ.). მთიელთა ათენგენობას სახელწოდების გარდა ცოტა რამ აქვს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან. ათენგენობის დღესასწაულზე ხალხი შესაწირავითა და სათანადო რიტუალების შესრულებით ცდილობს, ხატის მფარველობა დაიმსახუროს. დიდი ლაშარის ხეობის ოსები დღესაც დიდი ზეიმით დღესასწაულობენ „ათენაგობას" აღდგომის შემდეგ 98-ე დღეს, ფშავ-ხევსურეთში „ათენგეობას" იელისის თვის პირველ კვირაში აღნიშნავენ, ხოლო მთიულეთში – იენისის II ნახევრის სხვადასხვა დღეს.

ათი მცნება – მოსესათვის ღვთის მიერ სინის მთაზე მიცემული ათი მცნება. ბიბლიის თანახმად, ამ მოვლენას თან ახლდა ბუნების მრისხანე მოვლენები: მთა სქელმა ღრუბელმა შემოსა, უწყვეტი, დამბრმავებელი ელვა მთას ალმოდებულ, გაყარკვნელ ღუმელს ამსგავსებდა, ხოლო მეხთატეხა შეესატყვისებოდა ამ მოვლენის დიდებულებას (გამოს. 20, 1-17).

ათი მცნება ძველი ალთქმის ღვთისმსახურების ძირითადი სარწმუნოებრივ-მორალური კოდექსია, რომელიც უცვლელად გადმოვიდა ქრისტიანულ რელიგიაშიც. ეს მცნებებია: 1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე. 2. არა აქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველადეე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანასა: არა თაყუანის-სცე მათ და არცა ჰმსახურებდე მათ. 3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა. 4. მოიკსენე შაბათი და წმიდა-ყო იგი: ექუს დღე იქმოდე და აქმნე მათ შინა ყოველივე საქმე

შენი; ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა. 5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რამთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა. 6. არა კაც კალ. 7. არა იმარო. 8. არა იმრუშო. 9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუებითა. 10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათუს მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათუს მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხეულისა მისისა, არცა ჯორისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა; არცა ყოვლისა მისთუს, რაჲცა იყუნეს მოყუასისა შენისაჲ".

ათონის აქტები – სიგელ-გუჯრების, სასამართლო დადგენილებებისა და სხვა სახეობის საერთო სახელწოდება, რომლებიც გაცემულია ათონის მთაზე არსებული მონასტრებისადმი. ბიზანტიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ისტორიის კვლევაში ამ აქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ათონის იერთა მონასტრის აქტები (ქართული თარგმანითა და გამოკვლევითურთ) გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა (გეორგიკა, VIII, 1970). ათონის აქტების სრული კორპუსი მზადდება გამოსაცემად საფრანგეთისა და ბელგიის ბიზანტინისტების მიერ (1985 წ. გამოვიდა 4 ტომი). ამ აქტების დიდი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს პ. უსპენსკის თავის კაპიტალურ შრომაში (История Афона – 3 ტომი).

ათონის ბიბლია – იხ. ოშკის ბიბლია.

ათონის იერიის მონასტერი – იხ. იერიის მონასტერი ათონზე.

ათონის იერიის ღვთისმშობლის ხატი – ათონის მთის ერთი უდიდესი სიწმინდეთაგანი, სასწაულმოქმედი ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც ინახება ათონის იერთა მონასტერში, ღვთისმშობლის ტაძარში. მისი სახელობის დღესასწაული ათონის მთაზე იმართება ბრწყინვალე შეიდეულის სამშაბათს. ამ ხატის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: ხატმბრძოლობის დროს (IX ს.) ნიკეის ახლოს ცხოვრობდა ერთი მორწმუნე ქერივი, რომელსაც ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა. როდესაც ხატმბრძოლი იმპერატორის მხატვრებმა შეიტყვეს ამის შესახებ და მოინდომეს ხატის ხელში ჩაგდება, ქერივი, ხატი რომ გადაერჩინა, ზღვის ნაპირას მივიდა და წყალს გაატანა იგი. ხატი წყლის ზედაპირზე დადგა და გაჰყვა ზღვის ტალღებს დასავლეთისაკენ. ორი საუკუნის განმავლობაში არაფერი იყო ცნობილი ამ ხატის შესახებ. ერთხელ ათონის იერთა მონასტრის ბერებმა დინჯახეს ზღვაში ცეცხლვანი სვეტი, რომელიც თავზე ადგა ღვთისმშობლის ხატს. მხცოვანი ქართველი ბერი გაბრიელი შეიდა ზღვაში, წყლის ზედაპირზე ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე და მიირქვა წმიდა ხატი. ეს მოხდა 999 წ. 27 აპრილს. ხატი მოათავსეს მონასტრის ეკლესიის საკურთხეველში, მაგრამ მეორე დღეს მონაზვნებმა იგი იხილეს მონასტრის კარიბჭის თაზე დაკიდებული (ამ სასწაულის გამო ხატს პორტაიტისის ღვთისმშობლის ხატსაც უწოდებენ). აქ მათ ტაძარი აუშენეს ღვთისმშობლის სახელზე და მასში დასვენეს ხატი, რომელიც დღესაც იქ იმყოფება. ათონის ღვთისმშობლის ხატის ზუსტი ასლი ათონიდან მოსკოვს ჩაუტანიათ 1648 წ. 13 ოქტომბერს, რომელსაც დიდი ზეიმით შეეგებნენ იმპერატორი და პატრიარქი. ხატი მოუთავსებიათ ახლადღეს ნიკოლსკის ეკლესიაში. 1812 წ. ლრობით ევლად მირში გადაუსვენებიათ. ხატის მოსკოვური ასლიდან კიდევ დაუმზადებიათ ასლები ნოვგოროდის გუბერნიის ვალდაის „იერიის მამათა მონასტრისათვის". ათონის ღვთისმშობლის ხატის ახალი ასლი ათონიდან 1989 წელს ჩამოასვენეს საქართველოში და დასვენეს თბილისის სიონის ტაძარში.

ათონის კრებული – ეტრატის ქართული ხელნაწერი, შედგენილი ათონის იერთა მონასტერში 1074 წელს მიქაელ დალალისონელის მიერ. კრებულის თავდაპირველ შედგენილობას, რომელიც მონასტრის დამაარსებელთა – იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების „ცხოვრებებს" შეიცავდა (I რედაქცია), შემდეგ დამატებია საბერძნეთში მოღვაწე სხვა მამათა ცხოვრებების ამსახველი მასალა (II რედაქცია), ხოლო ბოლოს ქცეულა მონასტრის საალაპე წიგნად (II რედაქცია). ხელნაწერი დღეს დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 558) და წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული ლიტერატურის საუცხოო წყაროს. ხელნაწერი გამოცემულია 1901 წელს მ. ჯანაშვილის მიერ – „ათონის იერთის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით". ამ კრებულის საალაპე ნაწილი 1998 წ. გამოსცა ე. მეტრეველმა.

ათონის მთის მონასტრები – ათონის მთა, რომელსაც მთაწმიდას უწოდებენ ქრისტიანები (ბერძნ. „აგიონ ოროს" – წმინდა მთა), მდებარეობს ქალკიდონის ნახევარკუნძუ-

ლის აღმოსავლეთ ნაწილში (სიგრძე 50 კმ. სიგანე 10 კმ.). ეს ადგილი, რომელიც მდიდარია მცენარეულობით, მსხმოიარე ხილის ბაღებით, წყაროებით და შესანიშნავი კლიმატით, გახდა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უწმინდესი ადგილი. ზუსტად ცნობილი არ არის, როდის დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე, მაგრამ ნათელია, რომ უფრო გვიან, ვიდრე სირიაში და ეგვიპტეში. გადმოცემებით, სამონაზონო ცხოვრება აქ კონსტანტინე დიდის დროს უნდა დაწყებულიყო. ეს გადმოცემები ძირითადად უკავშირდება კარეას მონასტრისა და ტაძრის მშენებლობას, რომელიც მდებარეობს ამაღლებულ ზეგანზე, დაბლობის შუაში, მთაგრეხილის ჩრდილოეთ მხარეს. ამჟამად ათონზე 20 დიდი მონასტერი (1961 წ. მონაცემებით), რამდენიმე სავანე და მრავალი ცალკეული სენაკია, რიცხვით 700-მდე (XV საუკუნეში ათონზე 30 მონასტერი და 30 ათასი მონაზონი იყო). ეს არის მონაზონთა მთელი სახელმწიფო. ათონის მთაზე არ არის საერო დასახლება, არც ერთი სოფელი და ქალაქი. აქ არ დაიშვებიან ქალები და მდედრობითი სქესის ცხოველებიც კი. მონაზვნები მოღვაწეობენ ეკლესიებში, შრომობენ ბაღებში, ბაღჩებში, სამჭედლოებში, სადურგლო და ქურქრის სახელოსნოებში, თაფიანთ საზღვაო ხალტნად გემებზე და ა.შ.

სამონასტრო წესდებითა და მონაზონთა ცხოვრების წესის მიხედვით, ათონის მონასტრები იყოფიან ზოგადსაცხოვრებელ, საშტატო მონასტრებად. ძირითადი ნიშნები პირველი რიგის მონასტრებისა ისაა, რომ აქ გამორიცხულია პირადი საკუთრება და პირადი ინიციატივა. აქ ყველაფერი საერთოა: შრომაც, ტრაპეზიც და ტანსაცმელიც. საშტატო მონასტრებში მონაზვნებს მეტი თავისუფლება აქვთ, სამონასტრო წესდება არ არის მკაცრი. თითოეული მონაზონი თავისთვის ამზადებს საჭმელს, ნებადართულია ხსნილის პერიოდებში ხორცის ჭამა. თითოეული მონაზონი აქ დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. ათონის სენაკური მონასტრები სხვა დიდი მონასტრის ტერიტორიაზე იმყოფება და მასზეა დამოკიდებული. აქ მცირე სენაკებიანი ცალკეული სახლებია, რომელიც მონასტრის ეკუთვნის, მონაზენები მცირე ჯგუფად ცხოვრობენ.

ათონის ცენტრია კარეა, უადრეს პერიოდში სავანე, XI ს-დან კი რეზიდენცია ათონის სამონაზონო მმართველობის – პროტატონისა. კარეას ღვთის წინამძღვარს პროტის, ე. ი. პირველის ტიტული აქონდა დანარჩენი მონასტრების წინამძღვრებთან შედარებით, მას ეკალებოდა ამ სამონასტრო რესპუბლიკის მართვა. პროტთან არსებულ საბჭოს, რომელშიც ათონის მონასტერთა წინამძღვრები შედიოდნენ და რომელიც მონასტრთა საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდა, ეწოდებოდა პროტატონი. კარეასის მთავარი ტაძარია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მონასტერს აქვს კიდევ 9 სხვა ეკლესია და 200 სენაკი, სამჭედლო და ცხვრის საკლაკი და სატუსალო კოშკი, სადაც პროტატონის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელს იხდიდნენ დანაშაულში შეპრწყილი მონაზვნები, რომელთა ულუფა პური და წყალი იყო. მონასტრის ტერიტორიაზე 120 სახლია, მონაზონთა და მომსახურე პერსონალის საერთო რიცხვი დაახლოებით 700-მდეა.

ამ მონასტრის დაარსებას მიაწერენ კონსტანტინე დიდს. გადმოცემით, 362 წ. ოლიანე განდგომილმა ტაძარი დაწვა, ხოლო განახლა ნიკიფორე ფოკამ. მონასტერი დაუნგრეიათ ლათინებს, რომელთა კონსტანტინეპოლიდან გაძევების შემდეგ ისევ განუახლებიათ. მთავარი ტაძარი აშენებულია უგუმბათო ბაზილიკის სტილში. ფრესკების მხატვრობა მიეწერება პანსელინს.

ქართული წყაროს ჩვენებით („ილიანესა და ეფთვიმეს ცხოვრება", ძეგლები, II, 80), X ს. მეორე ნახევარში კარეას მონასტერი ათონის ივერონის ქართველთა მონასტრისათვის გადაუცია ათანასე პერითერელს, რომელიც ივირონში დამკვიდრებულა. ეს მონასტერი შემდეგ ქართველებს გაუყიდიათ 340 დრაკანად.

კარეას მონასტრის შემდეგ ათონის მთაზე უძველესად ითვლება მონასტერი ქსიროპოტამუ. სახელწოდება ამ საშტატო მონასტერმა, რომელიც აშენებულია ათონის დასავლეთ ციცაბო ფერდობზე, მიიღო ადგილის გამო, სადაც არის ღრმა ხევი წყაროებით. გადმოცემით, მონასტერი დაარსა V ს. რომის აღმოსავლეთ იმპერიის მმართველმა, დედოფალმა პულქერიამ. მან გამოკადების შემდეგ ააშენებინა აქ 40 სევასტიელი მოწამის ეკლესია. VII-VIII სს. მონასტერი დაკარგულდა. პალე უფლისწულმა მონასტრის აღდგენის ნებართვა მიიღო იმპერატორ რომანოზისაგან. სამი საუკუნის შემდეგ მონასტერი დაანგრია მიწისძერამ. ანდრონიკე პალეოლოგმა მიხაილ პალეოლოგის მეუობაში ხელახლა ააშენა ნაგებობანი, რომლებიც ამჟამად არსებობს, თუმცა ისინი დაზიანდნენ XVI ს. ხანძრის შედეგად და მონასტერი თავისი ხარჯებით შეაკეთა სულთანმა სელიმმა. ამის შემ-

დეც ამ მონასტრის კეთილმოწყობაზე ზრუნავდნენ ელასეთის მფლობელები.

სიძველით ქსიროპოტამეს შემდგომია ესთიგმენის მონასტერი, რომელიც ათონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზეა აშენებული. მის ქტიტორებად იმპერატორ თეოდოსი მცირეს და დედოფალ პულქერიას თელიან. მონასტერი დაანგრია მთიდან მოწყვეტილმა ზვავებმა და აღდგენილ იქნა სერბიელი მეუფების მიერ. XIV ს-ში მონასტრის წინამძღვრად იყო წმ. გრიგოლი პალამა. აქ დაიწყო მოღვაწეობა წმ. ანტონიმ, კიევის მღვიმეთა („პეჩერის") ლავრის დამაარსებელმა. ესთიგმენის მონასტერი ზოგადსაცხოვრებლის ტიპისაა. მისი მთავარი ტაძარი აშენებულისაა.

ვატოპედის მონასტერი აშენებულია ათონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, კონტესის სრუტის ნაპირას. მონასტრის დაარსების შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: იმპერატორი არკადი ბაშვობისას, როდესაც იგი გემით მოგზაურობდა, ტალღებმა მოიტაცეს და გარიყეს ათონის ნაპირებთან, იმ ადგილას, სადაც ახლა ვატოპედის მონასტერია. მონასტერი თითქოს არკადის სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად დაუარსებიათ. ძნელია იმის დადგენა, არის თუ არა ამ ლეგენდაში რაიმე ისტორიულად სანდო, მაგრამ ცნობილია, რომ არაბების მიერ 862 წ. განადგურებული მონასტრები X ს. აღდგენილი იქნა სამი ძმის — ათანასე, ნიკოლოზ და ანტონი ანდრიანოპოლელების მიერ (ათანასე ათონელის რჩევით). აქ სხვადასხვა დროს რამდენიმე ტაძარი და ეკლესია აშენდა ელასეთის ფეოდალთა და ბიზანტიის იმპერატორთა მიერ შეწირული სარკმებით. ვატოპედის სარების ტაძარი ყველაზე დიდი ტაძარია ათონის მთაზე.

ქართველებს X ს. (982 წ.) ათონის მთაზე დაუარსებიათ მონასტერი, რომელსაც ქართველთა, ანუ იბერთა მონასტერი ეწოდებოდა და დღეს ივირონის სახელითაა ცნობილი (იხ. ივერთა მონასტერი ათონზე).

ხილანდარის მონასტერი მდებარეობს ათონის აღმოსავლეთ მხარეს კარეასის მონასტრიდან ერთი საათის, ხოლო ზღვიდან ნახევარი საათის სავალ გზაზე. მისი დაარსება უკავშირდება XII ს. სერბიის მეფის სიმეონისა, რომელიც აქ შედგა ბერად, და მისი შვილის, სერბიის არქიეპისკოპოსის, საბას სახელებს. სიმეონს, სანამ ხილანდარის მონასტრის აშენებას შეუდგებოდა, სადაც მანამდე ერთი ეკლესია იდგა და რომელიც ათონის პრატს მისთვის დაუთმია, ვატოპედის მონასტრისათვის, სადაც მან ნახა ბერად შემდგარი თავისი შვილი — საბა, 7 ეკლესია აუშენებია. ალექსი კომნენის სიგელით (ხრიზოვულით) სიმეონს სრულ მფლობელობაში მიუღია მიწის საკმაო ნაკვეთი და იქ ვრცელი საკანე აღმოუცენებულა. აქ დამკვიდრდნენ სლავები და ღვთისმსახურებას სლავურ ენაზე აწარმოებდნენ. აქ ინახება იმპერატორთა სიგელები, რომელთაგან უძველესია 1192 წლისა. 1571 წელს, ივანე მრისხანეს მეფობის დროს, ეს მონასტერი რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. XVII ს. ბოლოს მონასტერი გაუღახორების პირას მივიდა, მაგრამ 1740-იან წლებში ჟურეკულმა უაჭარმა, რომელიც აქ შედგა ბერად, დიდი თანხა გაიღო მონასტრის აღსადგენად.

პანტელეიმონის მონასტერი („როსიკონი") მდებარეობს ათონის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მთაწმიდის სრუტის მახლობლად. მისი დაარსების დრო და ისტორია ზუსტად არ არის გარკვეული, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს მოხდა იმპერატორ ალექსი კომნენის სიგელის (ხრიზოვულის) საფუძველზე 1080 წ. მონასტრის გადაცემა რუსებისათვის უნდა მომხდარიყო 1172 წელს პროტის გადაწყვეტილებით. მას სამეფო ლავრას უწოდებდნენ. დიდ შესწირავებს აძლევდა მონასტერს ივანე მრისხანე. მონასტერი დღესაც კეთილმოწყობილია და თავისი მკაცრი წესდებით პირველია ათონის მთაზე.

დიდი სამტატო მონასტერი პანტოკრატორი დაარსებულია 1361 წ. იმპერატორ ალექსის და მისი ძმის — იოვანეს მიერ, რომლებმაც აქ მონაზონობით დაამთავრეს სიცოცხლე. მონასტერი ოთხკუთხა ციხე-სიმაგრის ყაიდაზეა აშენებული. მთავარი ტაძარი ფერისცვალებისაა. მონასტრის ბიბლიოთეკა მდიდარია ძველი ბერძნული ხელნაწერებით.

ათონის მთაზე კარეასის შემდეგ პირველ მონასტრად ითვლება ათანასე ათონელის ლავრა (იხ. ათანასე ათონელის ლავრა).

მონასტერი დოქიარიუ მდებარეობს ათონის დასავლეთ სანაპირზე. სახელწოდება წარმოდგება მისი დამაარსებლის, ეფთვიმესაგან, რომელიც მანამდე ათანასე ათონელის ლავრის მეკუჭნავე იყო. მონასტრის მთავარი ტაძარი მთავარანგელოზისაა. აშენებულია ნიკიფორე ფოკას დროს ზემოხსენებული ეფთვიმესა და მისი ნათესავის, იმპერატორის კარის დიდი ჰეტრიკის — ნიკოლოზის მიერ. ეს ტაძარი ყველაზე მალალია ათონის ეკლესიებს შორის და მოპირკეთებულია მარმარილოთი.

მონასტერი კასტამონიტუ მდებარეობს

წყაროსთან, წაბლის ტყეში, რის გამოც მიიღო მან სახელწოდება (წაბლებს შორის). გადმოცემა მის აშენებას მიაწერს კონსტანტინე დიდის შვილს – კონსტანტინეს, რომელმაც თითქოს ააშენა სტეფანე პირველმოწამის ტაძარი, რომლის ირგვლივ ჩამოყალიბდა დასაყდებლები. დოკუმენტური ცნობებით, ეს მონასტერი აღადგინა მანუელ პალეოლოგმა. სწორედ ის უნდა იყოს სინამდვილეში ამ მონასტრის დამაარსებელი. მონასტრის მონაზვნები გამოირჩეოდნენ თავიანთი ასკეტიზმით.

ფილოთეოსის მონასტერი დაუარსებია წმ. ფილოთეოსს, რომელიც აქ დამკვიდრებულა XI საუკუნეში. მონასტერი XIV ს-ში აღუდგენია და შეუმკია კახეთის მეფეს ლეონს და მის ძეს ალექსანდრეს.

წმინდა პავლეს მონასტერი დაუარსებია პავლე უფლისწულს. თავდაპირველად ის ყოფილა ქსირეპოტამის მონასტრის წინამძღვარი. მას აუშენებია მიგებების ტაძარი, შემდეგ – 40 მოწამისა, ბოლოს კი დაუდებულა გამოქვაბულში. პავლეს მონასტერი გაუფართოებია სერბიელმა მთავარმა გიორგი ბრანკოვიჩმა. პავლეს მონასტერს ეკუთვნის „ახალი სტიქი", სადაც XIX ს. ცხოვრობდა ცნობილი მოღვაწე ილარიონი, იმერეთიდან.

პავლეს მონასტერთან ახლოს მდებარეობს დიონისიატის მონასტერი, რომელიც დაარსა XIV ს. მოღვაწემ დიონისემ, რომელსაც სახსრები მონასტრის ასაშენებლად 1375 წელს მისცა ტრაპიზუნტის იმპერატორმა ალექსი III კომნენმა. აქ დასრულა სიცოცხლე კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ნიფონტმა.

დიონისეს მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობს წმინდა გრიგორის მონასტერი, დაარსებული XIV ს-ში წმ. გრიგორის მიერ, ხოლო განახლებული 1497 წელს მოღვაწეთა მთავრის, ალექსანდრეს მიერ. გრიგორიატი პატარა მონასტერია ნიკოლოზ საკეთილთმოქმედის ტაძრით.

აქედან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სიმონ-პეტრეს მონასტერი, დაარსებული სიმონ განდეგილის მიერ სერბიელი მთავრის, იოანე უგლეშის დახმარებით და საფასით.

ათონის სხვა მონასტრებიდან აღსანიშნავია: მონასტერი კარაკალუ, პეტრე და პავლე მოციქულების მთავარი ეკლესიით. ტიმოთე გამაზვილის ცნობით, ათონის კარაკალეს მონასტრის ეკლესიის გუმბათი და პალატი დაქცეულა. იგი განუახლებიათ და ტყვეით გარდაუჭედნათ არჩილს, იმერეთის მეფეს (XVIII ს. 70-იანი წლები), გიორგის „ძმასა მისსა და ვახტანგს, ქართველთ ბატონს და აშოთანს და არს დღითი-დღე მათი მოკსენება" (მიმოსვლა, გვ. 204).

მონასტერი კუტლუმუსიუ მდებარეობს ათონის ჩრდილო-დასაელეთის ფერდობზე. მისი სახელწოდება (მტრებისაგან გადარჩენილი) მოგონარეობს სქელეწიდან: სქელმა ნისლმა დაფარა მონასტერი და ასაოხრებლად მოსული მტრებისაგან გადაარჩინა იგი. აშენებულია XII ს. ალექსი კომნენის მიერ. მთავარი ეკლესია ფერისცვალებისაა. მონასტერს აქვს საუკეთესო ნათესაურები ათონზე.

დაბოლოს, ზოგრაფის მონასტერი, დაარსებული ლეონ ფილოსოფოსის დროს სამი ბულგარელი ძმის მიერ. სახელწოდება მიიღო გიორგი მთაწმიდელის ხატის სასწაულებრივი შექმნის გამო (ბერძნულად „ზოგრაფი" მხატვარს ნიშნავს), მონასტერი დაარსდა მისეულ პალეოლოგის დროს, ხოლო აღადგინა მოლდაველმა მთავარმა სტეფანემ 1502 წ. დღეს არსებული შენობები გვიანდელია, არა უადრეს XVI-XVIII-სა. მონასტერი დღეს ბულგარელს ეკუთვნის.

ათონის მრავალთავი – ხელნაწერი კრებული (Ath.11), რომელიც გადაწერილა ათონის ივერთა ქართულ მონასტერში XI ს-ში. კრებულში შეტანილია გამოჩენილი საეკლესიო მამების – გრიგოლ ნაზიანზელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა მრავალთა საღვთისმეტყველო პრობლემატიკური საკითხავების, აგრეთვე რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულებაც. კრებული საინტერესოა იმითაც, რომ მასში შესულია ქართველი ეპისკოპოსის, იოანე ბოლნელის რამდენიმე სიტყვა: „სატყორებისათჳს წმიდათა ეკლესიათა, რომელნი იყვნეს იერუსალიმს" (178-182), „დღესა კრაცითა აღებასა თარგმანებაჲ წმიდათა მარხეთა სახარებისაჲ" (212-215) და სხვ. ათონის მრავალთავში რამდენიმე ათეული პრობლემატიკური, ეგზეგეტიკური, დოგმატიკური და ჰაგიოგრაფიული ნათარგმნი თხზულებაა შეტანილი.

ათონის ოთხთავი – X ს. დასწყისის მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი, სახარება-თოხთავის 913 წ. გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც დღეს ათონის ქართველთა მონასტრის წიგნსაცავში (Ath. 83) ინახება. ხელნაწერი, როგორც გადაწერის ანდერძიდან ჩანს, გადაიწერა ოპიზის ნათლისმცემლის ლავრაში გრიგოლის მიერ: „მე გლახაკი და ცოდვილი

გრიგოლ ლორს მყო უფალმან... მოგებად და დაწერად ქელთა ჩემითა წიგნი ესე ოთხთავი სახარება (248r)... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლაკრასა შინა წმიდისა ნათლისმცემლისასა ოპიზას დედისაგან უცთომელისა სიტყუთ... ქრონიკონი იყო რლგ" (= 913 წ. 249v); ამის გამო ათონის ოთხთავს ზოგჯერ „ოპიზის ოთხთავსაც" უწოდებენ.

ათონის ოთხთავი ნაწერია ეტრატზე და 260 ფურცლისაგან შედგება, თითოეული გვერდი 21 სტრიქონს შეიცავს (ფურცლის ზომები: 139 X 124 მმ., ხოლო ტექსტისა – 110 X 84).

ათონის სამოციქულო – ათონის ქართველთა მონასტრის მოციქულთა ეპისტოლეებისა და „საქმე მოციქულთა"-ს შემცველი ხელნაწერი (Ath. 42, 237 ფ., 22,3. X 17,2 სმ.), გადაწერილი მიქელის მიერ ბითვინიაში, ოლიმპოს მთის წმ. კოზმან და დამიანეს მონასტერში, ნიკიფორე ფოკას რეგნტობის დროს, ე. ი. 959-969 წლებში.

ათოს საპანე – ზოგიერთი ცნობით, VIII ს. ბოლოს ათონის მთაზე ქართველ მონაზონებს დაუარსებიათ მცირე სავანე „ათო". ცნობები ამ სავანის შესახებ თითქმის არ შემონახულა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ის არ ყოფილა საკუთრივ ქართული მონასტერი. სხვებთან ერთად აქ ქართველებიც მოღვაწეობდნენ X ს. 50 წლებში (ლ. მენაბდე, კერები, II, 186).

აიაზმა ||ალიაზმა (ბერძნ. „სიწმინდე") – ნაკურთხი, წმინდა წყალი. საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, წყალი კურთხევის შედეგად იძენს ძალას, რომელიც სხვების გზით კურნავს ადამიანის სულსა და სხეულს, განდევნის მისგან ხილული და უხილავი მტრის ბოროტ ზრახვებს, განწმენდს ეკლესიებს და სხვა შენობებს და დიდი სარგებლობა მოაქვს მორწმუნეთათვის. წყლის კურთხევა ორგვარია: დიდი აიაზმა და მცირე აიაზმა. დიდი აიაზმა სრულდება მხოლოდ ნათლისღების წინა მწუხრზე და თვით ნათლისღების დღეს, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ნათლისღებას. აიაზმა იწოდება „დიდად" განსაკუთრებული საღღესასწაულო რიტუალის გამო, რომელშიც ეკლესია ხედავს არა მარტო ცოდვათაგან განბანის საიდუმლო პირველსახეს, არამედ თვით წყლის განწმენდასა და კურთხევას მასში ნათლღებული უფლის წყალობით. მითითებანი, თუ როგორ სრულდება დიდი აიაზმა, კურთხევანის გარდა, მოცემულია ტიპიკონში (6 იანვრის განგება), ხოლო საგალობლები – თეენში. მცირე აიაზმა უნდა შესრულდეს I აგვისტოს წყაროებზე და წყალსაცავებზე, როდესაც სრულდება ჯვრის გამოსვენება. მცირე აიაზმა სრულდება ჩვეულებისამებრ, განზოგების ღღეს, იმის მოსასხენებლად, თუ როგორ მისცა იესო ქრისტემ ხალხს სამარადისო ცხოვრების წყალი ცხოველი (იოან. 4,534) სულთმოფენის ღღესასწაულის განზოგების ღღეს. ამის გარდა მცირე აიაზმა სრულდება ეკლესიებში ლიტურგიის წინ სატურების ღღესასწაულებზე, როდესაც ტაძარს განაახლებენ ლოცვებითა და ნაკურთხი წყლის სხურებით. ასევე, მცირე აიაზმა სრულდება მორწმუნეთა სურვილის მიხედვით, სახლებში ნებისმიერ დროს, საეკლესიო გალობასთან ერთად (იწყება საეკლესიო გალობით). წყლის კურთხევის დროს, თუ მცირე აიაზმა ეკლესიაში სრულდება, ეკლესიის შუაში იდგმება ტაბლა, დაფარული ოთხკუთხა გადასაფარებლით, ან სუფრით. ხოლო თუ წყლის კურთხევა სახლში სრულდება, ტაბლა იდგმება ხატის წინ. ტაბლაზე იდგმება წყლით სავსე ფიალა, ხოლო ფიალის წინ ჩვეულებისამებრ – სამი ან ერთი სანთელი. თუ წყალკურთხევა ხდება ჯვრის გამოსვენების დროს, როგორც I აგვისტოს, მაშინ მღვდელს გამოაქვს ჯვარი, უჭირავს თავს ზემოთ და მიეპარებვა კურთხევის აღგილისაკენ.

აიაზმა – VI-VII სს. დარბაზული ტიპის ეგვტერიანი ეკლესია წალკის რ-ნში, მდინარე ქციის ნაპირზე, სოფ. აიაზმაში. ეკლესია აშენებულია უხეშად დამუშავებული, ნაწილობრივ კი თლილი ქვით. აქეს რელიეფები და სვეტის მორთულობა. ეკლესია აღდგენილია 1045 წელს. შემორჩენილი წარწერებიც ამ დროისაა.

აითალა (სპარს. „ღვთის მიერ მოყვანილი") – IV ს. მოწამე სპარსეთიდან. დიაკონი აითალა ქრისტიანობის აღსარებისათვის დაპატიმრეს და სპარსეთის ქალაქ არბელუს დილეგში ჩააგდეს ხუცეს იოსებთან და ქალაქ ნაცხონის ეპისკოპოს აკეფსიმასთან ერთად, სადაც 3 წლის განმავლობაში იტანჯებოდა. როდესაც ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფის მოთხოვნა უნაყოფო გამოდგა, აითალა წაიყვანეს სოფ. პატრიასში და იქ ქვებით ჩაქოლეს. ქრისტიანებმა მოიპარეს მისი გვამი და დაფლეს. საფლავზე ამოვიდა ხე, რომლის ნაყოფსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა. აითალა მოწამის შესახებ, აკეფსიმა და იოსებთან ერთად, შექმნილი კიმენური და მეტაფრასული რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულებანი თარგმნილია ქართუ-

ლად. კიმენური რედაქციის „წამების“ ქართული თარგმანი შესაძლოა სირიულიდან მომდინარეობდეს (Sin. 71, XIII ს.), ხოლო მეტაფრასული რედაქციის „წამება“ ორჯერ არის ნათარგმნი ბერძნულიდან: ერთი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (Ath. 21, 1030 წ., ფ. 218-237), ხოლო მეორე შეიძლება ეფრემ მცირის თარგმნილი იყოს (S 384, ფ. 553-572; Jer. 37, ფ. 149-160; Sin. 91, ფ. 237- 252). ხსენების დღეა 3 ნოემბერი.

ᲐᲘᲜᲘᲜᲐ – წარმართული ღვთაება-კერპი ძველ საქართველოში. ქართული წყაროები აინინას თაყვანისცემის შემოღებას და მცხეთაში კერპის აღმართვას ქართლის მეორე მეფეს – საურმაგს მიაწერენ (ქართლის ცხოვრება, I, 27, 3; 82, 10).

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ – სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებისა და სასწავლებლის სახელწოდება. წარმოდგება მითიური გმირის – აკადემეს სახელიდან. აკადემია ერქვა ადგილს ათენთან, სადაც ძვ. წ. II ს. პლატონი ლექციებს უკითხავდა თავის მოწაფეებს. აკადემიის ტიპის სამეცნიერო დაწესებულებები იყო: ელინიზმის ეპოქაში – ალექსანდრიის მუსეონი (ძვ. წ. III ს.), საქართველოში – კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (IV ს.), შუა საუკ. აღმოსავლეთში – „სიბრძნის სახლი“ (ბაღდადი, IX ს.), „მამუნის აკადემია“ (ხვარაზმი, XI ს. დასაწყ.), სამეცნ. საზოგადოებები მარაღის (XIII ს.) და სამარყანდის (XV ს.) ობსერვატორიებთან. საქართველოში XII საუკუნეში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრები იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია. XVI ს-დან დღემდე შრომულიოს ყველა ქვეყანაში უმრავი სასულიერო, სამეცნიერო, საშხატვრო, მუსიკალური და ლიტერატურული აკადემიები დაარსდა. ამასთანავე ზოგიერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას აკადემია ეწოდება. 1988 წელს დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია.

ᲐᲙᲐᲗᲘᲡᲢᲝ – იხ. დაუჯდომელი.

ᲐᲙᲐᲙᲘ – XV ს. მეორე ნახევრისა და XVI ს. დასაწყისის ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა სამცხის ათაბაგთა კარზე. მას 1504 წ. ყურყურე დიდის ბრძანებით გადაუწერია ოთხთავი (Q 920). წიგნი პატარა მოცულობისაა (15,2 X 10,5; 264 ფურცელი), მდიდრულად მოკაზმულია (მხარებელთა მინიატურებით, თვალხზულობებით, ასოები – ოქროთი და ხაღებაევებით) და ახრეშუმის ქსოვილგადაკრულ ყდაში ჩასმული. აკაკის გადაწერილი ოთხთავი მოგვიანებით ერთხანს გელათში ინახებოდა.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡᲐ – ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი XVII ს. I ნახევარში. იგი 1628 წელს მოსკოვში ეწვია მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს (1613-1645) და წმ. ეგნატეს წვიდა ნაწილები მიართვა მას (П. Успенский, История Афона, III,1877, с. 365).

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲔᲚᲘᲢᲘᲜᲔᲚᲘ († 1435) – სომხეთის მელიტინის ეკლესიის ეპისკოპოსი, ნესტორიუსი და მისი მოძღვრების მთაყარი მოწინააღმდეგე, ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე. სომხურიდან ქართულად თარგმნილია მისი ერთი სიტყვა, რომელიც მას ეფესოს კრებაზე წარმოუთქვამს. სიტყვა ასე იწყება: „ძმანო საყუარელნო, ოდეს იგი სიხარულევანსა ამას და სულიერსა შემოკრებასა ჩუენსა კრებისასა ვსჭურეტდთ...“ (A 266, გვ. 145-147; Migne,t. 77, 1468-1472). ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია მის პატივსაცემად შეთხზული შესხმა (ქუთ. 7, ფ. 252-276), რომელიც შეტანილია 16 აპრილის დღის საკითხავებში, ე. ი. მისი ხსენების დღეს.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲝᲜᲐᲖᲠᲝᲜᲘ – XV ს. ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწე. მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტრის საახალე წიგნში. იგი ბაადურ ათაბაგის ყმა იყო („სიყრმითგან მათ თანა აღზრდილი და მონა“, ქრონიკ., II, 229), ხოლო ათონის მონასტერში თავისი ბატონის ალაპის შესრულების სამსახური ჰქონდა დავალებული.

ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲐ (ძვ. ებრ. „სისხლის ველი“) – სამარხო ნაგებობა, ზოგჯერ ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული. დახლოებით იგივეა, რაც ძველი ქართული სამარხი. ეს სიტყვა ქართულში შემოსული უნდა იყოს IV-V სს-ში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად. აკლდამის გახსნა შეიძლებოდა და შიგ შესვლა. მას ჰქონდა ეზო, ზოგჯერ კიბიანი შესასვლელი, ერთი ან რამდენიმე სენაკი, მიცვალებულის დასასვენებელი საცხებლე და სამკალე. აგებდნენ მშრალი წყობით, ან ქვითკირით, ქვათლილებით მოსავდნენ და კამარით ხურავდნენ. ზოგჯერ შიგნიდან შელესილი და მოხატული, ან წარწერებით შემკული იყო. აკლდამაში მარხავდნენ ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებს. აკლდამის ტიპის ნაგებობებია: მაზრლეული, ძველი ეგვიპტური სამარხები, მასტაბა, პირამიდა, ძველი ბერძნული სარკოფაგი, კათოლიკური ტაძრის საკურთხეველის ქვეშ მოწყობილი კრიპტი. საქართველოში აღმოჩენილია ქართველის სამეფოს მესვეურთა,

წარჩინებულთა და მათი ოჯახის წევრთა მავზოლეუმის ტიპის აკლდამები მცხეთაში (I ს.), ბაგინეთში (II ს.). გარდა ამისა, აკლდამები გათხრილ იერის სიონში (V-VIII ს.), ხორნაბუჯის მიდამოებში (VIII ს.) და სხვ. საინტერესოა ავრეთვე ხეს ურეთში მუცისა და ანათორის აკლდამები.

ხალხურ მეტყველებაში აკლდამა უმთავრესად ქვით, ან აგურით ნაგები სამარხია ერთი ან რამდენიმე მიცვალებულის დასაკრძალავად.

აკაურთა – სოფელი ბოლნისის რ-ნში, მდ. მაშაველის მარცხენა მხარეს, ბოლნისიდან 7 კმ. სოფელში დგას მსხვილი თლილი ქვადრებით ნაშენი V-VI სს. დარბაზული ეკლესია, რომელსაც აქეს აღმოსავლეთით შერილ-წახნაგოვანი აბსიდი. როგორც ჩანს, ეკლესიის ნაკი საყრდენი თაღებით იყო დანაწევრებული. შემორჩენილია რამდენიმე რელიეფური გამოსახულება. ხუროთმოძღვრული ნიშნებით ეკლესია ბოლნისის სიონის თანადროული უნდა იყოს, მაგრამ შემდეგ გადაუკეთებიათ. ეკლესიის ჩრდილო ფასადზე, ამოკოკლილი კარის თაღზე გამოქანდაკებულია ასომთავრული სააღშენებლო წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტი.

აკეთი (ქვემო) – სოფელი ლანჩხუთის რაიონში. აქ არის ადრეშუასაუკუნეების მონასტერი; მაცხოვრის გუმბათიანი, მოხატული ეკლესია, შუა საუკუნეების სამრეკლო და შუასაუკუნეებში აგებული გალავანი. აკეთის საყდარი იხსენიება ქართულ წყაროებში: 1616-1621 წწ. შედგენილ საკათალოს გამოსავალ-მოსაკრებლების დავთრის ერთ-ერთ მინაწერში (სამ. ძეგლ., III, 477) ნათქვამია, რომ აფხაზეთის კათოლიკოსს, ზაქარია ქ ქარიანს სვიმონ გურიელი დაუოლიებია აკეთის საყდარი ბიჭვინთის კათედრალისათვის შეეწირა, სამაგიეროდ მას ნებართვა მიუცია დიმიტრი ბერის „გაპარსვაზე", რომელიც სვიმონს უშვილებია.

აკეფსიმა//აკეპსიმა (სპარს. „მჭირდავი") – მოწამე, ქალაქ ნაესონეს ეპისკოპოსი. შეპყრეს სპარს მეფის (IV ს.) მიერ ქრისტიანთა დევნის დროს, როდესაც ის უკვე 80 წლისა იყო. ჩაიყვანეს ქ. არბელუში, სადაც ის წარსდგა მზის ღმერთის ქურუმის – არდახის წინაშე. მან უარი თქვა სპარსული ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე, რისთვისაც სასტიკად სცემეს და ღილეგში ჩააგდეს, სადაც ხუცეს იოსებთან და დიაკონ ათთალასთან ერთად სამი წელი დაპყო. მეფე საბურის ცოლ, დაეყოლიებინა აკეფსიმა, ეღარებინა სპარსული ღმერთები, უნაყოფო გამოდგა, იგი მტკიცედ იდგა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. მეფის ბრძანებით აკეფსიმას თავი მოჰკვეთეს.

აკეფსიმას, იოსებისა და ათთალას „წამება" ქართულად თარგმნილია ორი რედაქციით: კიმენური, რომელიც სრულიდან უნდა მომდინარეობდეს (Sin. 71, XIII ს.) და მეტაფრასული ორი თარგმანით: პირველი ბერძნულიდანაა თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (Ath. 21, 1030 წ. ფ. 218-237) და მეორე – ასევე ბერძნულიდან თარგმნილი, სავარაუდოა, ეფრემ მცირის მიერ (S 384, ფ. 557-572; Jer. 37, ფ. 149-160; Sin. 91, 237-252). ხსენების დღეა 3 ნოემბერი.

აკვანება – VI ს. დარბაზული ერთნავიანი ეკლესია ბოლნისის რ-ნში, ბოლნის-დმანისის გზის პირას, ბოლნისიდან დაახლ. 3ე-5 კილომეტრზე. აგებულია თლილი ქვების ზუსტი წყობით. ეკლესიას შიგნითაც და გარეთაც ჩუქურთმიანი მორთულობა აქვს: გარეთ – აღმოსავლეთ სარკმლის სათარო, შიგნით – აბსიდის იმპოსტები და ეკლესიიდან აბსიდიან ეგვტერში გასასვლელის თაღზე მოთავსებული საკმაოდ რთული კომპოზიცია, შედარებით ჩამარტივებული ჯვარი, სტილიზებული ფოთლები და მტევნები. მორთულობის სისტემაც და ხასიათიც აკვანებას VI ს. ძეგლებთან აკავშირებს და მისი აგების თარიღადაც ეს საუკუნეა მიჩნეული.

აკვილა – II ს. იუდეველი, რომელმაც მიიღო მართლმადიდებლური ნათლისღება, მაგრამ შემდეგ კვლავ დაუბრუნდა იუდეიზმს. ის წარმოშობით პონტოს სინოპიდან იყო და ცნობილია, როგორც მთარგმნელი ძველი აღთქმის წიგნებისა ებრაულიდან ბერძნულ ენაზე.

აკვილამ ძველი აღთქმა თარგმნა იმ მიზნით, რომ დაპირისპირებოდა 70 მთარგმნელის თარგმანს (სეპტუანტას) და საღვთო წერილში მოესპო ქრისტეს წინამოსწავების ქვალი.

აკვილა და პრისკილა – ებრაელი ცოლ-ქმარი, რომლებიც გაქრისტიანდნენ და პავლე მოციქულის თანამშრომელი იყვნენ სახარების მოძღვრების გავრცელებაში. აკვილა იუდეველი იყო, წარმოშობით პონტოდან. მოინათლა 52 წელს და სახარების მოძღვრებას ქადაგებდა კორინთოში, რომში და, ბოლოს, ეფესოში, სადაც ის მეუღლესთან – პრისკილასთან ერთად გაეცნო იტალიიდან ნერონის დროს ქრისტიანთა დევნის გამო. აკვილამ და პრისკილამ თავიანთი სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით დასრულეს. მათი ღვაწლი აღწერილია ახალი აღთქმის წიგნებ-

ში (საქმე მოციქულთა,18,2-26; 2 ტიმოთ., 4,19; I კორინთელთა, 16, 18; და სხვ.). მათი დიდი ღვაწლი ასე აქვს გადმოცემული პაულე მოციქულს რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (16,3): „კითხუა არქუთ პრისკილას და აკულს, თანაშემწეთა ჩემთა ქრისტეს იესუას მიერ, რომელთა-იგი სულისა ჩემისათჳს ქედნი მათნი წარუპარნეს, რომელთად არა მე ხოლო მადლიერ ვარ, არამედ ყოველნი ეკლესიანი...“

აპოლია მტბევარი – XI-XII სს. მოკნის კალიგრაფი. 1002-1003 წლებში გადაუწერია წმინდანთა ცხოვრება, რომელიც ახლა ათონის მთის ქართულ მონასტერში ინახება (Ath. 77). ხელნაწერი გადაწერილია შაორში „საყოველსა წმიდისა ღვთიშობლისასა კლდეთა გლახაკისა აკვილა მტბევარისაჲთა“. ტიტულის მიხედვით აკვილა ტბეთის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

აპოინდინოს (ბერძნ. „უშიშარი“) – მოწამე, სპარსეთის მეფე შაბურ II-ის (310-381) სამეფო კარის მსახური, რომელიც ფარულად ქრისტიანი იყო. ქრისტიანთა დევნის დროს იგი პილასთან და ანემოდისტოსთან ერთად (ასევე კარის მსახურნი) დაასმინეს მეფესთან. საშინაოროზე მათ აღიარეს ქრისტიანობა და ეერავითარმა ტანჯვამ ვერ გადაათქმევინა ქრისტეს რწმენა. წამების დროს მათ უამრავი ასწაული ჩაიდინეს, რის გამოც ბეერმა წარმართმა იწამა ქრისტე. მათ შორის მეფის დედამ, წარჩინებულმა ელპიდიფორემ და ერთ-ერთმა ჯალათმა – აფთონმა. ყველა მათგანს თავები მოჰკვეთეს, ხოლო 7000-მდე გაქრისტიანებული წარმართი მეფის მეომრებმა დახოცეს. ეს მოხდა დაახლ. 341-345 წწ-ში. აკეინდინოს, პილასის, ანემოდისტოს, აფთონისა და ელპიდიფორეს „წამების“ მეტაფრასული რედაქცია ბერძნულიდან თარგმნა თეოფილე ხუცესმონაზონმა (XI ს.) და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (S 384, 535-553; Jer. 37, 139-149; Ath. 37, 7-17; Sin.'91, 225-237). მათი ხსენების დღე 2 ნოემბერია.

აპოლოთია (ბერძნ.) – იხ. განგება.

აპრეშა (confisco) – საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის ტერმინი. ნიშნავს ქონების ჩამორთმევას, კონფისკაციას, (ლდლ სულხან-ნი, გე. 150, 10, 173,33). მისი ტოლფარდი ტერმინია „ავარ-ჟმა“, რომელიც შეიძლება იყოს ქვრძოობითი (amissio parte bonorum) – ქონების ნაწილობრივი კონფისკაცია (იქვე, 207,18) და სრული (omuium bonozum publicatio) – ქონების სრული კონფისკაცია (იქვე, 174,46).

აპროსტიჲი – (ბერძნ. „აკრის“ – თავკიდური, ზემო; „სტიქოს“ – რიგი, სტრიქონი) – ლექსი, რომლის თავკიდური ასოები შეადგენენ სიტყვას, ან წინადადებას. აკროსტიქი ჩაისახა ძველ ბერძნულ პოეზიაში. იშვიათად გვხვდება ლექსები, რომლებშიც აკროსტიქს ადგენენ სტრიქონთა ბოლო (ტელესტიქი), ან შუა (მეზოსტიქი) ასოები. ქართულ მწერლობაში აკროსტიქი ლიტურგიკულ პიმნოგრაფიასთან ერთად უნდა გაჩენილიყო. განსაკუთრებით გავრცელდა X ს.-დან და შემდეგ საერო პოეზიაში დამკვიდრდა. XII ს-მდე აკროსტიქის ქართული შესატყვისი იყო „თაჳ“, „თაჳნი სტიხოსთანი“, „თაჳნი იტყჳან“, „თაჳთა შეწყობაჲ“, „თაჳელნი“, „თაჳელთაჳანი“, და „ალბეჭდულნი“, ე. წ. ალორძინების პერიოდიდან კი – „კილურწერილობა“, „კილურწერა“, „კილურნი“ და „წინაწყობილნი“. XIX ს. 80-იანი წლებიდან იხმარება „ჯაკილური“. აკროსტიქის ზოგ სახეობას თავისი სახელწოდება ჰქონდა. მაგ.: „ანბანისანი“ (შეიცავს ქართული ანბანის ასოებს თანმიმდევრობით ა-დან ჰ-მდე), „საშუალწერილობა“, „თავით და ბოლოთი კილურძგმობა“, „იგურღიეწერილობა“ და სხვ. ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში აკროსტიქი იშვიათად გვხვდება.

აკრძალულ წიგნთა ინდექსი (index libiozum prohibitorum) – წიგნების სია, რომელთა კითხვა, გამოცემა და გაყიდვა იკრძალებოდა ქრისტიანული ეკლესიის მიერ ეკლესიიდან განკვეთის მუქარით. პირველად V ს. პაპმა გელასიმ რომის საეკლესიო კრების სახელით გამოაქვეყნა კანონიკურ თხზულებათა სია, რომელსაც დაურთო ავტორიტეტისა და იმ თხზულებათა სია (მათ შორის ტერტულიანეს, კლიმენტი ალექსანდრიელის, ლაკტანციუსის, ევსები პამფილეს საეკლესიო ისტორია, ორიგენეს თხზულებები და სხვ.), რომელსაც ეკლესია არ სცნობდა. ეს „ინდექსი“ წლებსა და საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა დღემდე. ამ „ინდექსს“ მიეძღვნა შრომა, გამოცემული ორ ტომად: „Reusch, Ker Index der verbotenen Bücher, Bonn, 1883-85. (ამ ნაშრომის შესახებ იხ.: Православное обозрение, 1885, №1 и 1886, №1)

აპულინა (ლათ. „ლეღვა არწივი“) – მოწამე ქალი, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისათვის ეწამა დაახლ. 293 წელს, იმპერატორ დეკლეტიანეს (284-305) დროს, ფონიკოს ქალაქ ბაბილონში. სასტიკი

ტანჯვის შემდეგ მას თავი მოკკეთეს. მისი „წამება-შესხმა" დაუწერია ანდრია კრიტელს (†720 წ.), რომელიც ბერძნულიდან ქართულად უთარგმნიათ. ქართული თარგმანი მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა შემონახული (ქუთ. 3 ფ. 134-140).

აკურა – სოფელი თელაეის რ-ნში, მდ. ეანთისხევზე, თელავიდან 19 კმ. სოფლის მიდამოებში (1,5 კმ. მანძილზე, ტყეში) არის სამნაუანი დიდი ბაზილიკა 855 წლისა, რომელშიც შემონახულია წარწერები, ფრესკები და კანკელი. აქ იყო დედათა მონასტერი „მამადაითი", რომელიც IX ს-დან ითვლებოდა დაეითგარეჯის მონასტრის მეტოქედ. დღესაც შემორჩენილია შუა საუკუნეების მარანი, გალავანი და სხვა დამხმარე ნაგებობანი. შემორჩენილია X-XI ს. ოთხი ასომთავრული წარწერა, რომელთაგან ერთი (X ს.) ლაპიდარულია. აკურას დედათა მონასტერი ილარიონ ქართველის მიერ არის დაარსებული (ძეგლები, III, 221). 1597 წ. მონასტრის წინამძღვრად ალექსანდრე კახთა მეფეს თავისი უფროსი და ქეთევანი დაუდგენია (Hd 1377; Ad 327).

„აჲურთხეველითსა" – პიმნოგრაფიული კანონის მე-8 გალობის სახელწოდება, რომელიც მომდინარეობს ბიბლიური გალობის (სამთა ყრმათა გალობა) დასაწყისი სიტყვიდან: „აკურთხეველით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა" (დან. 57-89).

„აჲურთხევსი" – 103-მ ფსალმუნი, რომლითაც იწყება მწუხრის ღვთისმსახურება. მწუხრის გარდა ამ ფსალმუნს გალობენ სიწმიდის განახლების (ლიტურგიის) დასაწყისში.

ალაბასტრი – ნაკურთხი მირონის შესანახი სპილენძის ჭურჭელი, რომელიც გარედან ქრცლოვანი სადაფით არის დაფარული. მისი ეიწრო ყელი იხურება ხრახნიანი სპილენძის საცობით, რომელსაც „მსჭვალი" ეწოდება. ალაბასტრში მირონი ყოველთვის გამოულეველად უნდა იყოს ნიშნად მღიქულთაგან სამღვდელო მადლის უწყვეტლად გადმოსვლისა ქრისტიანული ეკლესიის სულიერ მწყემსებზე. ამიტომ ალაბასტრიდან მირონის ნაწილი ისხმება ახლად დამზადებულ და ნაკურთხ მირონში, რომლითაც იესება ალაბასტრის ნაკლული ნაწილი.

ალაველდი – ალაველდის საეპისკოპოსო კათედრალი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნაო ძეგლი, მდებარეობს ალაზნის ველზე, სოფ. ალაველდთან (ახმეტის რაიონი), თელავიდან 20 კმ. მანძილზე. ალაველდის მონასტერი, ძველი წყაროების ჩვენებით, VI ს-ში დაუარსებია იოსებ ამბა ალაველდელს, იოანე ზედაზნელის მოწაფეს, რომელიც მოძღვართან და მის სხვა მოწაფეებთან ერთად სირიიდან მოსულა ქართლში. XI ს. დასაწყისში კეირიკე კახთა მეფეს ალაველდის წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას აუგია დიდი საკათედრო ტაძარი, რომელიც ალაველდის სახელწოდებითაა ცნობილი. ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში (41,7 X 26,4 სიმაღლე 50 მ-მდე). შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი, ერთმანეთის ტოლი მკლავი ნახევარწრიული აბსიდებით მთავრდება და ქმნის ე. წ. ტრიკონქს. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია, აქეს გვერდითი ნავები. საკურთხეველის აბსიდის ორსაეე მხარეს მოთავსებულია სამკეეთლო და სადიაკვნე. გარედან შენობას სწორკუთხა მოხაზულობა აქეს. ჯვრის მკლავების გადაკეეთაზე აღმართული გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. მონუმენტური ფასადები ბუნწად არის მორთული. ტაძარი უმთავრესად რიყის ქვით არის ნაგები. კედლების გარე და შიდა პირი მოპირკეთებულია შირიმის მოზრდილი კვადრებით. ტაძარი გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული ლღი ზომის კრამიტის ფილებით, რომელთა ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი. შემორჩენილია აგრეთვე წარწერები. ალაველდის ტაძარი მრავალჯერ დაზიანებულა მომხდურთაგან და მიწის ძვრებისაგან. მისი პირველი დიდი რესტავრაცია ჩაუტარებიათ ალექსანდრე კახთა მეფის დროს XV ს. 80-იან წწ. აღადგინეს გუმბათის ყელი მთლიანად და კედლების ცალკეული ნაწილები. 1742 წ. მიწისძვრის დროს დაზიანებული ალაველდის რესტავრაცია დაიწყო დედოფალმა თამარმა 1750 წ. და დაამთავრა ერეკლე მეორემ. XIX ს. ბოლოს ტაძარი მიგნით მთლიანად შეათეთრეს. კედლების გაწმენდის შემდეგ (1966) გამოვლინდა მხატვრობის რამდენიმე ფენა: პირველი და უმნიშენელოვანესია XI ს. მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთის მკლავის კედლებზე შემორჩენილია XV-XVI სს-ის, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე – XVI-XVII სს-ის ფრესკები.

ალაველდის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში, რომელსაც გარშემორტყმული აქეს გალავანი (XVII-XVIII სს.), გაერთიანებულია სხვადასხვა დროის ნაგებობები. პალატი, რომელიც საქართველოს ამ ტიპის ნაგებობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანია, სამსართულიანი შენობაა. მისი ქვედა სართული – დიდი ზომის

კამაროვანი დარბაზი XVI-XVII სს-ში სატრაპეზო ყოფილა. 1615 წ. ახლო ხანებშია აგებული ფეიქარ-ხანის აგურის სასახლე. არის აგრეთვე აბანო, მარანი, სამრეკლო და სხვ. თავდაპირველად ალაverდი მამათა მონასტერი იყო. XVII-XVIII სს. აქ დაარსდა დედათა მონასტერი, სადაც მონაზონად აღკეცილი სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. ალაverდი ლიტერატურული საქმიანობის მძლავრი კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მწერლები, კალიგრაფები, მწიგნობარნი, მათ შორის: ფილიპე ალაverდელი (XVI-XVII სს.), ზებედე მთაკარპისკოპოსი (XVII ს.), ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, XVII ს.), მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი (XVIII ს.) და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ კონსტანტინე აფხაზთა მეფის (906-921) ამბებთან დაკავშირებით ახსენებს ალაverდის წმ. გიორგის ხატს: „უკუმოქცეულმა კონსტანტინე მეფემან მოსჭედა ოქროთი ხატი ალაverდის მთავარმოწამისა წმიდის გიორგისა და შეამკო ფრიად და მოვიდა აფხაზეთს“ (ქართლის ცხოვრება, IV, 798, 20). ალაverდის ტაძრიდან რამდენიმე ჭედური ძეგლია ცნობილი: 1) XII ს. ოქროს ჭედური ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, დიდი ზომისა. სახეები, ხელები და ყრმის ფეხები ფერწერულია. ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ვინმე მურვან სანანოძისეს, მის შვილს – ბექასა და მეუღლეს – რუსუდანს ხელმეორედ შეუმკიათ ხატი ოქროთი. როგორც ჩანს, მანამდე ხატი მთლიანად ფერწერული ყოფილა. ღვთისმშობლის შარავანდედი შემკულია ძვირფასი ქვებით. 1930 წ. ხატი გაუძარცვიათ. დღეს მხოლოდ ფრაგმენტებია დაცული თბილისის ხელოვნების მუზეუმში. 2) XVI ს. ჭედური ხატი (58X41) მაცხოვრის წელსზევით გამოსახულებით დამზადებულია კახეთის მეფის, ლეონის (1520-1574) დაკვეთით. ხატის ფონი უხვადაა შემკული ძვირფასი ქვებით. 3) XVI ს. დიდი ზომის ოქროს ჭედური ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. ხატი ქორთუბნისათვის შეუკვეთია ალექსანდრე კახთა მეფის (1574-1604) მეუღლეს თინათინს დაახლ. 1604 წ. ხატი შემკულია დიდი ოდენობის ძვირფასი ქვებით, 1924 წ-დან ინახება თბილისის ხელოვნების მუზეუმში. 4) XVII ს. წმ. ნიკოლოზის ჭედური ხატი, რომელიც შეწირული იყო თოგის ციხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის, ხოლო თბილისის ხელოვნების მუზეუმში შემოსულია ალაverდიდან. წმინდანი გამოსახულია სახარებით ხელში, ტახტზე მჯდომი. ფონი და ჩარჩო შემკულია ძვირფასი ქვებით. 5) XVI ს. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ხატი. 6) წმ. გიორგის მთელი ტანით გამოსახული ჭედური ხატი, სხე ფერწერულია. წმინდანის ფერწერული ხატი დაკვეთით სამებისა და წმ. სერგის ლარის (მოსკოვთან, ზაგორსკში) ფერწერული სახლოსნოსთვის, ხოლო 1721 წ. ალაverდის ეპისკოპოსის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დაკვეთით მთლიანად შეუკვდავთ, წმინდანის სახისა და სახელოსნოს ემბლების გარდა. 7) ღვთისმშობლის პატარა ჭედური ხატი, დამზადებულია 1717 წ. იესე მეფისა და მისი მეუღლის – ელენეს დაკვეთით.

ალაverდის გუშლანი – 1714-1716 წლების ხელნაწერი, გაყოფილი სამ წიგნად (A 366, 218 ფ., A 379, 199 ფ., A 380, 198 ფ.), შესრულებული ალაverდის ეკლესიაში ნიკოლოზ ალაverდელის დაკვეთით. სათაურები ასომთავრულით შესრულებულია მეფე ერეკლე I-ის ასულის, მარიამ ბატონიშვილის (ქართულ მწერლობაში ცნობილი მარიამ-მაკრინეს) მიერ. თითოეული წიგნი შეიცავს ოთხი თვის „თვენს“: I – სექტემბერ-დეკემბერს; II – იანვარ-აპრილს და III – მაის-აგვისტოს.

ალაverდის ოთხთავი – XI ს. შუა წლების სახარება (A 484), გადაწერილი 1054 წ. შაი მთის (ანტიოქიის ახლოს) მონასტერში – კალიპოსში. სახარება გადაუწერია სამ პირს: სუმბეხს (100r, 152r), გიორგი (241v) და იოანე დეკანოზს (323 v). სახარება ეფუთიმე მთაწმიდელის რედაქციისაა, რომელსაც ატყვია გიორგი მთაწმიდელის მუშაობის კვალი (პირველი ეტაპი). სახარების ხელნაწერის ერთ-ერთი გადამწერის (სვიმეონის) ანდერძი (311v-314v) გვამცნობს ხელნაწერის გადაწერის ადგილსა და დროს („დაიწერა კალიპოსს, ლავრასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მეფობასა კოსტატი მონომახისასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატ აფხაზთა მეფისა ნოელისიმონისასა სამეუფოსა ჟოჟასა“ – ბაგრატმა ეს ტიტული 1054 წ. მიიღო). XI ს. ერთი მინაწერით ხელნაწერი მოუგია ვინმე გიორგის და ხანცთის მონასტრისათვის შეუწირავს, ხოლო XVII ს. ზებედე მონაზონს შეუსწორდია და ალაverდის მონასტრისათვის შეუწირავს. დღეს ეს სახარება ალაverდის ოთხთავის სახელითაა ცნობილი.

ხელნაწერი ეტრატისაა (04+324 ფ., 24 X 19); ჩასმულია ვერცხლით მოჭედილ ყდაში, რომლის ზედა მხარეს აქეს 70 ძვირფასი

ქვა. წინა ყდაზე არის ქრისტეს ჭედური გამოსახულება, ხოლო უკანა მხარეს ყოფილა ღვთისშობლის გამოსახულება ყრმით (უკვე კარგად ალარ ჩანს). ზედა ყდაზე მცირე ჩარჩოში (4, 5X2,5) მინანქარი – ჭაბუკი ჯვრით ხელში, ბერძნული წარწერით. ხელნაწერ ყოველი თავის დასაწყისში თავსართი და საზედაო ასოებით არის შემკული. ტექსტში 34 მოხატული ასოა, ჩართულია მინიატურები (4), შესრულებული ფურცლოვან ოქროზე.

ალავერდობა – სამკვირიანი სახალხო რელიგიური დღესასწაული, რომელიც XX ს-ის 50-იან წლებამდე იმართებოდა ალავერდის ეკლესიაში და მის შემოგარენში სექტემბერ-ოქტომბერში. დღესასწაული იწყებოდა 28 სექტემბერს (ალავერდის მონასტრის დამარსებლის, იოსებ ალავერდელის სახელზე) და გრძელდებოდა სამ კვირას. სამკვირიანი სადღესასწაულო ციკლი (თავი ალავერდობა, შუა ალავერდობა და ბოლო ალავერდობა), ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უკავშირდებოდა წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს, კერძოდ, მთავრის კულტს. ალავერდობაზე ღამის თევით მოდიოდნენ მლოცველები გარე კახეთიდან, ქიზიყიდან, ერწოთიანეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, აგრეთვე მეზობლად მოსახლე ჭისტები, დაღესტნელები და სხვ. ალავერდობასთან დაკავშირებული იყო ტრადიციული ბაზრობა, რომელმაც XIX ს. II ნახევრიდან ფართო ხასიათი მიიღო. გასაყიდად შემოჰქონდათ სამრეწველო საქონელი, შინამრეწველობის ნაწარმი, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტები.

ალანძა – VIII-IX სს. ერთნავიანი დარბაზული ეკლესია შესხეთში, ასპინძის რაიონში, სოფ. ტოლოშიდან 1,5 კმ-ზე, მდ. ტაშლაყაშის მარკუენა მხარეს. ეკლესია ნაშენებია ტლანქად გათლილი ბაზალტის ქვით, ხოლო ფასადებისა და კარ-სარკმლების კუთხეები ნაგებია სუფთად გათლილი ქვიშაქვით. ფასადები სადა, მხოლოდ სამხრეთ ფასადზე ცალკული შემკობილი ელემენტები. ეკლესიის ჩრდილო კედლთან შემორჩენილია მოკლე, სწორკუთხა მინაშენის ნაშთი. ნაპის ჩრდილო და სამხრეთ კედლებზე სეტყვისაგან დაგვირგვინებული თითო პილასტრია, რომლებსაც ნალისებრი მოხაზულობის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა.

ალასტანი – სოფელი ახალქალაქის რაიონში, მდ. ჭობარეთის ორიეე ნაპირზე, ახალქალაქიდან 22 კმ. სოფელში დგას X-XI სს. ეკლესია. XIII-XIV სს-ში ალასტანი საუფლისწულო მამული ყოფილა.

ალახაძი – სოფელი აფხაზეთში, გაგრის რაიონში, მდ. ბზიფის მარკუენა მხარეს, გაგრიდან 15 კმ. სოფელში დგას ადრეფეოდალური ხანის ეკლესია.

ალაჯორის//არაჯორის მარხვა (სომხ. „წინანდელი“, „წინა“, „წინამაცალი“) – სომხურ-ქართული ეკლესიების ერთიანობის დროინდელი (VII ს-მდე) მარხვა, რომელსაც დღესაც ასრულებენ სომხური და იაკობიტური ეკლესიები. სომხურ ეკლესიაში ალაჯორის მარხვა წარმოადგენს დიდმარხვის მოსამზადებელ, წინასწარ მარხვას (აქედანაა სახელწოდებაც). მარხვა იწყება 3 კვირით ადრე დიდმარხვამდე, ან 70 დღით ადრე აღდგომამდე, იწყება ორშაბათს და მთავრდება 5 დღის შემდეგ, პარასკევს, წმ. სარგისის დღესასწაულის წინადღეს და ამიტომ მას ხშირად უწოდებენ წმ. სარგისის, „სურბ-სარგისის მარხვას“. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მას მეზვერისა და ფარისეელის კვირა შეესატყვისება. ქართულ ეკლესიაში ამ მარხვის დაცვის დროინდელი წყაროები არ შემონახულა, ხოლო შედარებით გვიანდელ ძეგლებში მისი დაცვის აკრძალვა ფიგურირებს. მაგ.: ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან გადმოკეთებულ „მცირე სჯულისკანონში“ ეკითხულობთ: „არცა სხვისა მის შეიდეულისა ჯერ-არს მარხვა, რომელსა არაჯორ ეწოდების, რომელსა იმარხვენ იაკობიტი შუალებულნი“ (ეკ. 32; მე-16 პარაგრაფი). სახას ლაპრის ტიპიკონის ქართულ თარგმანში კი წერია: „კურიაკესა, რომელსა წარკითხვის წმ. სახარებაჲ მეზუერისა და ფარისეველისა. ამას შეიდეულსა იმარხვენ სამგზის დაწყეულნი სომეხნი საძაგელსა მას მარხვასა მათსა, რომელსა არაჯორი ეწოდების, ხოლო ჩუენ ეჭამთ დღითი-დღე ყუელსა და კუერცხსა და ყველსაცე“ (ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 2005 წ.). ქართული წყაროების ჩვენებით (არსენ კათოლიკოსი, „ცხოვრებაჲ თორნიკისი და სოშანდუხტისა“) ალაჯორის მარხვა დვინის კრებას დაუწესებია 527 წ.

ალაჰი (არაბ. ალ-ლაჰ) – ღმერთის სახელი ისლამურ რელიგიაში. ისლამამდელ არაბულ რელიგიაში მრავალი ღვთაების რწმენასთან ერთად არსებობდა წარმოდგენა უმაღლეს ღვთაებაზე, რომელსაც ალაჰს უწოდებდნენ. ისლამის გაბატონების შემდეგ ალაჰი ერთადერთ ღმერთად იქცა. ისლამის მთავარი ფორმულაა: „არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა“. ისლამის მიხედვით, ალაჰი სამყაროს შემოქმედია და მის-

გან მოდის ყველაფერი — აქიტა და კარგიც. ალაპს ახასიათებენ 99 ეპითეტით.

ალბანეთის (კავკასიონის) მართლმადიდებელური ეკლესია — ალბანეთში ქრისტიანობა გავრცელდა IV ს-ზე ადრე, ორი მხრიდან: ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი (გუგები) გაქრისტიანდნენ ლათინთა მიერ, სამხრეთელნი (ტოსკები) — ბერძენთაგან. თურქეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ (XV ს.) ალბანელთა უმეტესობა გამაჰმადიანდა. ქრისტიანები თურქთა მთელი ბატონობის განმავლობაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. ალბანეთში დამოუკიდებლობა მოიპოვა ბალკანეთის ომების შემდეგ 1912-1913 წლებში და მაშინვე დაიწყო მოძრაობა ალბანეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. 1918 წლიდან ამ მოძრაობას სათავეები ჩაუდგა აშშ-დან დაბრუნებული ალბანელი მღვდელი ფან ნოლი. 1922 წელს ბერატში შეკრებილმა მართლმადიდებელურმა კონგრესმა ცალმხრივად (კონსტანტინეპოლის დაუკითხავად) გამოაცხადა ავტოკეფალია ალბანეთის მართლმადიდებელური ეკლესიისა, რის შემდეგაც ბერძენმა ეპისკოპოსებმა დატოვეს ქვეყანა. 1926 წელს კონსტანტინეპოლმა შესთავაზა ალბანელებს შეთანხმება, რაც ალბანეთის ეკლესიას ავტოკეფალიამდე მიიყვანდა კანონიკური გზით. ეს წინადადება ალბანეთის მთავრობამ უარყო. 1929 წელს ეპისკოპოსმა იოანე ბესარიონმა სერბ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებთან ერთად აკურთხა კიდევ ორი ეპისკოპოსი ალბანეთის ეკლესიისა. ტირანაში დაარსდა ეპისკოპოსთა სინოდი და ეკლესიამ დამოკიდებულება თავისი ავტოკეფალია. ამის საპასუხოდ კონსტანტინეპოლმა გამოაცხადა ალბანელ ეპისკოპოსთათვის მღვდელმოქმედების შეჩერება, ალბანეთის ხელისუფლებამ კი, თავის მხრივ, ქვეყნიდან განდევნა კონსტანტინეპოლის წარმომადგენლობა. ფაქტიურად განხეთქილება ჩამოვარდა ორ ეკლესიას შორის, მაგრამ მალე, 1937 წლის 12 აპრილს კონსტანტინეპოლმა სცნო ალბანეთის ეკლესიის ავტოკეფალია. ღვთისმსახურებაში ფართოდ გამოიყენებოდა ბერძნული ენა, 1930 წლიდან კი დაიწყო პროცესი საღვთისმსახურო ტექსტების ალბანურად თარგმნის. 1937 წელს კორჩაში გაიხსნა მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია. 1945 წლის კომუნისტური რევოლუციის შემდეგ ალბანეთში დაიწყო სასტიკი დევნა ყოველგვარი რელიგიური დაჯგუფებებისა. ამ დროისათვის მოსახლეობის 22% მართლმადიდებელი იყო, 10% — კათოლიკე. დაიწყო სასტიკი რეპრესიები სამღვდელოებისა. 1949 წელს გადაყვნეს ტირანის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე. 1951 წლიდან ეპისკოპოსებად დაიდგინებოდნენ რეჟიმისათვის სასურველი პირები. მაგრამ ალბანეთის ხელისუფლება ამას არ დასჯერდა. 1967 წელს დახურულად გამოცხადა ყოველგვარი რელიგიური დაწესებულება, მათ შორის 2169 ეკლესია, მონასტრები, მეჩეთები და სხვ. აიკრძალა და კანონგარეშე გამოცხადდა ყოველგვარი რელიგიური პრაქტიკა. ტირანის მთავარეპისკოპოსი დამიანე სასჯელად ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა 1973 წელს.

1990 წელს დაიწყო კომუნისტური რეჟიმის რღვევა, შეწყდა რელიგიის დევნა. მაგრამ ამ დროისათვის ალბანეთში აღარც ერთი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი არ იყო დარჩენილი. ამიტომაც მსოფლიო საპატრიარქომ, რომელმაც ალბანეთის ეკლესიას კვლავ მიანიჭა ავტოკეფალია, 1991 წლის იანვარში საპატრიარქოს ეგზარქოსად ალბანეთში დანიშნა ანდრონული მიტროპოლიტი ანასტასი (ათენის უნივერსიტეტის პროფესორი). 1992 წლის 24 ივნისს მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდმა ანასტასი აორჩია ტირანისა და სრულად ალბანეთის მთავარეპისკოპოსად. აკურთხეს აგრეთვე სამი სხვა ეპისკოპოსი (ერთეულებით ბერძენი). 1998 წელს აკურთხეს ორი ეპისკოპოსი ალბანური წარმოშობისა.

ალბანეთის (კავკასიონის) ძრის-ტიანული ეკლესია — ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია კავკასიაში. ადგილობრივი ტრადიციით, ამ კუთხეში ქრისტიანობის ქადაგება დაუწყია ელისეს, მოციქულ თადეოზის მოწაფეს I-II სს-ის მოკლეზე. თადეოზის მოწამებრივი აღსრულების შემდეგ (სომხეთში) ელისეს ივერუსალიმში მოუღია ხელდასხმა იაკობ უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა ალბანეთში ქრისტიანობის საქადაგებლად. ამისათვის ადგილობრივ მოსახლეობას იგი წამებით მოუკლავს. ელისეს, როგორც მოციქულთანაწორის განდიდება, ალბანელებმა VI-VII სს-ში დაიწყეს. იგი გახდა ალბანური ეკლესიის სიმბოლო. მისი ხსენება შეტანილია სომხურ სვინაქსარში. სომხური სასხტორიო ტრადიციით, „მეორე ნათლობა" ალბანელებმა გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის ხელით მიიღეს IV ს-ის დასაწყისში. დვინის I საეკლესიო კრების (506 წ.) მასალებით ირკვევა, რომ ალბანეთის ეკლესიის ოფიციალური ენა ალბანური იყო (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 51). ალბანელებს ძველთაგანვე შეუქმნიათ დამწერლობა (XI ს-ის სომხური გადმოცემის თანახ-

მად, ალბანელებისათვის თითქოს სომეხ სწავლულს, მესროპ მაშტოცს შეუქმნია ანბანი), და თავის ენაზე უთარგმნიათ ქრისტიანული მწერლობის მრავალი ძეგლი. სამწუხაროდ, ისინი ჩვენამდე მოღწეული არაა. ალბანურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების არსებობა დაადასტურა სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში 2000 წელს აღმოჩენილმა პალიმფსესტურმა ხელნაწერმა (ამ ხელნაწერის ძველი ფენა სახარების საკითხავთა კრებულს წარმოადგენს ალბანურ ენაზე, ახალი ფენა ქართული ტექსტია). VII ს-დან იწყება ალბანეთის ეკლესიის გასომხურების პროცესი. თანდათანობით ალბანეთში ღვთისმსახურების ენად სომხური ხდება. „ეპისტოლეთა წიგნში" ფიგურირებს ალბანეთის ეკლესიის რეა ეპარქია. X საის II ნახევარში ალბანეთის მოსახლეობის ნაწილი (პერეთი) შეუერთდა ქართლის ეკლესიას. XII ს-ში დასრულდა ალბანეთის ისლამიზაცია (დაიწყო VII ს-დან). კასპიისპირეთში არაბთა ბატონობის პერიოდში კასპიისპირეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის არაბთა ისლამიზაციით დასრულდა. ხალიფებმა ალბანეთის კათალიკოსატი სომხური ეკლესიის დაქვემდებარებაში მოაქციეს (VIII ს. 20-იან წ.). IX-XII სს-ში პოლიტიკურ დანაწევრებასთან ერთად ალბანეთის ეკლესიის შინოფიზიტური კათოლიკოსატი დაცემის ხანაში შევიდა. ამ კათოლიკოსების სია VI საუკუნიდან მოდის და გრძელდება 1815 წლამდე (იხ. სომხური ენციკლოპედია, ტ. 1, გვ. 263).

ალეგორია (ბერძ. – ნართაული თქმა) – ამსტრაქტული იდეების პირობითი გამოხატვა მხატვრული სახეებით. კავშირი მხატვრულ სახესა და ალეგორიის შინაარსს შორის ანალოგიით მყარდება. სიმბოლოსაგან განსხვავებით, ალეგორიას ყოველთვის ერთი მნიშვნელობა აქვს. ძველი ქრისტიანული სასულიერო მწერლობა, მათ შორის ქართულიც, მდიდარია ალეგორიებით, რომელიც ბიბლიურ წიგნებში მოცემული მდიდარი ალეგორიული სახეებიდან იღებს სათავეს. ლიტერატურაში ბევრი ალეგორიული მხატვრული სახე შემოტანილია მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან. ალეგორიაზეა აგებული ოცვი, რომელმაც დიდი გამოყენება პოვა ახალი აღთქმის ლიტერატურაში.

ძველ ქართულ ლიტერატურაში ალეგორია გვხვდება როგორც სასულიერო (ჰაგიოგრაფია, პიმნოგრაფია), ასევე საერო ლიტერატურაში (სახოტბო პოეზია, ეეუხისტყაოსანი), განსაკუთრებით აღორძინების ეპოქის მწერლობაში.

ალევი – ძველი სოფელი ქსნის მარცხენა შენაკადის – ალეურის ქვემო წელზე, იყოფოდა ქვემო და შუა უბნებად, რომლებიც შემდეგ ცალ-ცალკე სოფლებად იქცნენ (ახლანდელი ქვემო ალევი და შუა ალევი, ახალგორის რ-ნი). სოფლის მიდამოში გვხვდება ანტიკური პერიოდის სამარხები. სოფელი, რომელიც ჯერ ქსნის ხევში შედიოდა, შემდეგ კი – ქსნის საერისთაოში, ეკუთვნოდა სამების ეკლესიას, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3-4 კილომეტრის დაშორებით უნაგირა მთის თხემზე დგას. ალევის ე. წ. ოქროსკარიანი ეკლესია VIII-IX სს. ძეგლია, რომელიც მდიდარი და განთქმული სალოცავი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ეკლესია დარბაზულია, სწორკუთხა საკურთხეველითა და ტრომპებზე დაყრდნობილი კონქით.

ალენი უილიამ დავიდ (1901-1973 წწ.) – ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოლოგი. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ქართველი ხალხის ისტორიის შესახებ მთელი თავი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის მიმოხილვას, განსაკუთრებით კი წმინდანთა ცხოვრების მიმოხილვას და ათონის მთის, პალესტინის და სირიის ქართული მონასტრების საქმიანობას.

ალექსანდრე I დიდი – საქართველოს მეფე 1412-1442 წლებში, ძე კონსტანტინე I-ისა. ალექსანდრე I-მა აღადგინა თემურ-ლენგისა და თურქმანთა შემოსევების შედეგად დანგრეული და განადგურებული ქვეყანა, მრავალი ეკლესია-ტაძარი (სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და სხვ.). ალექსანდრე I ცდილობდა ქართული ეკლესიების გაძლიერებას, აღადგინა შერყეული საეკლესიო მიწათმფლობელობა, განაახლა უცხოეთის ქართული მონასტრები. მემატიანე ასე ახასიათებს ალექსანდრე I-ს: „ამისთჳს წარუმართა მას ღმერთმან, რამეთუ იყო მშჳდი, მოწყალე, შემნდობელი, მიმტევებელი, ქურივთა და ობოლთა და დაჭრდომილთა შემწყნარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, ეკლესიათა მაშენებელი და შემამკობელი" (ქართ. ცხ., IV, 281). 1442 წ. ალექსანდრე ათანასეს სახელით ბერად შემდგარა მცხეთაში.

ალექსანდრე ბაქათმწიგნობარი – გორდიანე მეფის (238-244 წწ.) კარის მწიგნობარი, რომელსაც დაუწერია „წამებაჲ წმიდისა ფლეტტონისი", რომლის ქართული თარგმანი მოიპოვება X ს. ერთადერთ ქართულ ხელნაწერში (Ath. 8). გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I, ტფ., 1918 წ., გვ. 133-160).

ალექსანდრე ეპისკოპოსი (1824-

1907. ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე) – გამოჩენილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე. დიაკვნად ქართლში, სოფ. დისუბში. როგორც მღვდლის შვილმა, მიიღო სასულიერო განათლება. სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრებისთანავე 1845 წ. ალუქვას ბერად თბილისის ფერისცვალების (დარიის) მონასტერში. 1846 წ. იეროდიაკონის ხარისხით უმაღლესი განათლების მისაღებად შედის ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დამთავრა 1850 წელს უკვე მღვდელმონაზონმა, ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში (რომელიც გაუქმდა 1854 წ.) და პარალელურად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1855 წ. მიიღო იღუმენობა, ხოლო 1856 წ. 26. II აკურთხეს არქიმანდრიტად, 1862 წ. 4. III თბილისის სიონში ხელდასხმულ იქნა აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრის ეპისკოპოსად. 1869-82 წწ. ალექსანდრე იყო გორის ქორეპისკოპოსი, 1882-86 წწ. დროებით განაგებდა გურიის ეპარქიას. 1886-98 წწ. ისევ გორის ქორეპისკოპოსია, ხოლო 1898-1903 წწ. იგი გახდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის მეტნაკლებად დამოუკიდებელი (საქართველოს ეგზარხოსისაგან) მმართველი. აქ მან თავი გამოიჩინა ცნობილი რუსიფიკატორის, დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მიერ სამეგრელოს სამრევლო სკოლებში წარმოებული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით. ძირითადად ეს იყო მიზეზი (და არა იმდენად მისი მოხუცებულობა, რაც ოფიციალურ სახით იყო გამოცხადებული) იმისა, რომ ალექსანდრე 1903 წ. გაანთავისუფლეს ეპარქიის მართვა-გამგეობიდან. იგი დაბრუნდა თავის ნაშობარ შიომღვიმის უდაბნოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1907 წ. 9.XI და იქვე დაასაფლავეს.

განსაკუთრებით დიდია ალექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლი ქართული ეკლესია-მონასტრების განახლებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. მან განაახლა გაუქმებული შიომღვიმე, მატერიალურად უზრუნველყო მისი კრებული ჯამაგირით, შენობა-სადგომებით და მამულებით, თავისი ხარჯით შეაკეთა ზედაზნის მონასტერი, ჯვარის ეკლესია და სხვ. მწირუნელობით ეკიდებოდა ქართული მწერლობის ძეგლთა დაბეჭდვას. მისი სახსრებით დაიბეჭდა: ამბროსი ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ (1881), სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი,“ რუფილ ერისთავის რედაქციით (1884 წ.), ანტონ I-ის „ჯამაქცეველება“ (1892 წ.), „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა“ (1896 წ.), „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების საბუთები“ (ფოთი, 1903). მისი ფულადი შეწირულებით გამოიცა საეკლესიო მუზეუმის მიერ 1901 წ. „თორნის 1074 წ. ხელნაწერი ალაქებით“, მ. მ. იაღლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული წირვის საგალობლები და სხვ. პირად ცხოვრებაში მეტად ზომიერი და ასკეტი, ალექსანდრე უშურველად ეხმარებოდა ყოველსავე კეთილსა და საქვეყნო საქმეს. მისი ხარჯით და დახმარებით არაერთ ახალგაზრდას მოუვლია განათლება. იგი დიდი სიხარულით შეხვედა ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას (გაზ. კავკაზ 1869, №83, „დროება“, 1869, №32), იცავდა ქართულ ენას სასულიერო სასწავლებლებსა და სამრევლო სკოლებში, რითაც დიდი პატივისცემა და აღიარება ხვია ქართულ მოწინავე საზოგადოებაში. 2002 წელს საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შეარაცხა.

ალექსანდრე ჰაიპარელი (VI ს.) – მონაზონი ქალაქ ამაოონტიდან, რომელსაც დაუწერია „საკითხავი პოვნისათჳს ცხოველს – მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲ“, რომლის ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერით არის ცნობილი (A 518; Q 762, ფ. 86-126; ბოდლ. I, XI ს., 390-419). გამოცემულია თ. მგალობლიშვილის მიერ: ალექსანდრე ჰაიპარელის ქრონიკა, თბ., 1978 წ.

ალექსანდრე კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის რიგით მეორე პატრიარქი (325-340 წწ.). თაობიდან იყო მიტროფანე პატრიარქის (315-325 წწ.) ქორეპისკოპოსი და ცელიდა პატრიარქს (რომელიც ამ დროს ძალიან მოხუცებული იყო) ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე (325 წ.). ალექსანდრე პატრიარქის კათედრაზე ავიდა მიტროფანე პატრიარქის ანდერძით, რომელიც მან დატოვა გარდაცვალების წინ. მისი პატრიარქობის წლები არიანული შწუალებლობის წინააღმდეგ მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლის პერიოდზე მოდის. იგი ქებით მოიხსენია გრიგოლ ნაზიანზელმა თავის სიტყვაში, რომელშიაც მან მიმართა კონსტანტინეპოლის მცხოვრებთ. ალექსანდრე და მიტროფანე კონსტანტინეპოლის პატრიარქების ერთობლივი მეტაფრასული რედაქციის „ცხოვრება“ თარგმ-

ნილია ქართულად და შეტანილია ქუთ 3 (51-66) ხელნაწერში. ალექსანდრეს ხსენების დღეებია 30 აგვისტო და 2 ივნისი.

ალექსანდრე მოწამე – ეწამა დაახლ. 313 წ. ანტონინასთან ერთად. ისინი ცეცხლში დაწვეს ქრისტიანობის აღსარებისათვის. მათი ერთობლივი „წამების" მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ქართულად (ქუთ. 3, 90-98). ხსენების დღე ქართული თარგმანით 9 ივნისია, ხოლო სხვა წყაროებით – 10 ივნისი (დაწვრილებით იხ. ანტონინასთან).

ალექსანდრე ნეველის ლავრა – ყოფილი მონასტერი სანკტ-პეტერბურგში, რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი. საფუძველი ჩაეყარა 1710 წ. პეტრე I-ის ბრძანებით, ალექსანდრე ნეველის პატივსაცემად. 1797 წელს გახდა ლავრა. ლავრის კომპლექსში შედის: სარების ეკლესია (1717-22), სამების საკრებულო ტაძარი (1778-90) და სხვა ნაგებობანი. ამჟამად ლავრა სახელმწიფო ნაკრძალია, რომელშიც შედის ქალაქის ქანდაკებების მუზეუმი, XVIII ს. ნეკროპოლი (წმ. ლაზარეს სასაფლაო) და ხელოვნების მოღვაწეთა ნეკროპოლი (ტიხვინის სასაფლაო). ლავრაში დაკრძალული არიან: მ. ლომონოსოვი, ა. სუვოროვი, ნ. კარამზინი, ი. კრილოვი, მ. გლინკა, მ. მუსორგსკი, პ. ჩაიკოვსკი, თ. დოსტოევსკი, ი. თარხნიშვილი, დავით, იოანე, თეიმურაზ და ვახტანგ ბატონიშვილები.

ლავრის ტერიტორიაზე მოქმედებს პეტერბურგის სასულიერო სემინარია და აკადემია.

ალექსანდრე ნეველის ეკლესია – 1863-64 წწ. აგებული რუსული ეკლესია თბილისში (ახლანდელი მარკანიშვილის და ჯაჯანიშვილის ქუჩების კუთხეში). ეკლესიის კურთხევა მომხდარა 1864 წ. 30 აგვისტოს.

ალექსანდრე ხუცესი – მღვდელმოწამე ქ. სიდიდან, ავრელიანე იმპერატორის (270-275) დროს. იგი აწამა პროეინციის მმართველმა ანტონინემ. ალექსანდრეს თაყვანი მოაკვეთეს ქრისტიანობის აღსარებისათვის, ხოლო ანტონინე მთაყარი ეშმაკეულმა შეიპყრო და საშინელ წამებაში გარდაიცვალა. ალექსანდრე ხუცესის ხსენების დღედ დადებულია 15 მარტი. მისი „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (ქუთ. 2,205-215).

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა – ელინისტური ეპოქის უდიდესი წიგნთსაცავი, დარსებული ძვ. წ. III ს. დამდეგს ქ. ალექსანდრიაში, ალექსანდრიის მუსეონთან (ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი მთაყარი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი). ეგვიპტის მმართველი პტოლემეოსები ყოველგვარად ხელს უწყობდნენ მის გამდიდრებას. პტოლემეოს II-მ შეიძინა და ბიბლიოთეკას გადასცა არისტოტელეს უძვირფასესი ბიბლიოთეკა. III საუკ. შუა ხანებში ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში 500 ათასი გრაგნილი ინახებოდა, ხოლო ძვ. წ. I ს-ში – 700 ათასი. სხვადასხვა დროის ბიბლიოთეკას სათავეში ედგნენ და მის სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ: ზენოდოტე, კალიმაქე, ერატოსთონე, აპოლონიოს როდოსელი, არისტოფანე ბიზანტიელი, არისტარქე სამოთრაკელი და სხვ. კალიმაქემ შეადგინა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ერუდული კატალოგი (ზენოდოტეს მოკლე კატალოგის საფუძველზე), რომელიც 120 წიგნისაგან შედგებოდა. ეს კატალოგი შემდეგში რეგულარულად იესებოდა. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ნაწილი დაიწვა ძვ. წ. 47 წ. ალექსანდრიის ომების დროს. ანტონიოს მარკუსმა ბიბლიოთეკის ფონდი შეავსო პერგამონის ბიბლიოთეკის კოლექციიდან. 263 წ. ალექსანდრიის მუსეონის აოხრების დროს ბიბლიოთეკა მეორედ დაიწვა. ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილი ალექსანდრიელმა მეცნიერებმა გადიტანეს სერაპისის ტაძარში, მაგრამ ისიც გაანადგურეს ჯერ ქრისტიანებმა (391 წ.), საბოლოოდ კი არაბმა მუსლიმანებმა მოსპეს VII-VIII სს.

ალექსანდრიის საპატრიარქო – ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია (კათედრა ქ. ალექსანდრიაში, ეგვიპტე), რომელიც დარსდა IV ს. I ნახევარში. იხსენიება 325 წელს მოწვეული ნიკეის I მსოფლიო კრების მე-6 კანონში. ალექსანდრიის საპატრიარქო აერთიანებდა ეგვიპტის დიოცეზში შემავალ ეპარქიებს. მისი მეთაური იწოდებოდა „პაპად და პატრიარქად ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა". V საუკუნემდე ალექსანდრიის საპატრიარქო მეტოქეობას უწევდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. V ს-დან ხშირად მხარს უჭერდა მონოფიზიტობას. ამ დროს საპატრიარქოში შედიოდა 6 პროვინცია. არაბების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ VII ს. მისი მნიშვნელობა დაეცა. ამჟამად ალექსანდრიის საპატრიარქო აერთიანებს რამდენიმე ასეულ ათას მორწმუნეს, უმთაერესად ბერძნებს, ქრისტიან არაბებს და ეთიოპელ მართლმადიდებლებს აფრიკაში.

ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქთა სია:

წმ. მარკოზ მახარებელი დაახლ. 62-75 წწ.

წმ. ანიანე 75-84.
წმ. აბილიოსი 84-98.
წმ. კედრონი 98-107.
წმ. ეფრემი (ან ბრიმოსი) 107-119. წმ. იუსტი – 119-130.
წმ. ევმენიოსი 130-143.
წმ. მარკიანე (ან მარკოზი) II 143-153.
წმ. კელადიონი 153-167.
წმ. აგრიპინე 167-179.
წმ. იულიანე 179-189.
წმ. დემიტრე 189-231.
წმ. ჰერაკლე 231-246.
წმ. დიონისე 246-265.
წმ. მაქსიმე 265-282.
წმ. თეონა 282-300.
წმ. პეტრე I 300-311.
წმ. აქილა 311-312.
წმ. ალექსანდრე 312-326.
წმ. ათანასე დიდი 326-373 (მის დროს არიანელი მთავარეპისკოპოსები: გრიგოლი 341-349. გრიგოლი 355-361).
პეტრე II 373-380. [ლუკიოს (არიანელი) 373-378].
ტიმოთე I 380-385.
თეოფილე 385-412.
წმ. კირილე I 412-444.
დიოსკორე (მონოფიზიტი) 444-45.
წმ. პროტერიოსი 451-457.
ტიმოთე ელური (მონოფ.) 457-477.
პეტრე მონგი (მონოფ.) 477-490.
იოანე ტალაია 482.
483-539 წწ-ში მართლმადიდებლური ეკლესია დაქვრივებული იყო. ამ პერიოდის მონოფიზიტი ეპისკოპოსები: ათანასე II – 490-496. იოანე I მსლა – 497-507. იოანე II ნიკიოტი – 507-516. დიოსკორე II – 516-518. ტიმოთე II – 518-536. თეოდოსი – 536-538.
პაული (მართლ.) 539-542.
ზოილი (შემდეგ გახდა მონოფ.) 542-551.
პალადინარი 551-567.
იოანე I 568-577.
წმ. ეულოგი 579-607.
თეოდორე 607-609.
წმ. იოანე II მოწყალე 609-620.
გიორგი 621-650.
კიროს (მონოთელიტი) 630-640.
პეტრე (მონოთელიტი) 640-654.
654-727 წწ. მართლმად. ეკლესია დაქვრივებულია.
კოზმა 722-767 წ. შემდეგ.
პოლიციანე † 801.
ევსტათე 801-805.
ქრისტეფორე 805-856.
სოფრონ I 836-859.
მიქაელ I (ან ხაილი) 859-872.
მიქაელ II 872-903.
ქრისტოდულე – 903-933.
ევტიქი 933-940.
სოფრონ II – ?
ისაკი – ?
იობი – ?
ელია დაახლ. 964-976.
არსენი 1015 წლამდე.
თეოფილე (ან გრიგოლი) 1019 წ.
ლეონტი – ?
ალექსანდრე 1059 წ. ახლო.
იოანე III – ?
საბა XI ს. ბოლო.
თეოდოსი XI ს. ბოლოს.
კირილე II – ?
ევლოგი II 1118 წ.
სოფრონი III 1166 წ.
აფუტერი – ? .
ელია 1180 წ.
მარკოზ 1195 წ.
ნიკოლაოს I – 1210-1223.
გრიგოლ I დაახლ. 1230-1243.
ნიკოლოზ II 1243-1270.
ათანასი III 1270-1308.
გრიგოლი II 1308 წ. შემდეგ.
გრიგოლი III 1354 წ. ახლო.
ნიფონტი 1367.
მარკოზ III – ?
ნიკოლაოს III – ?
გრიგორი IV – ?
ფილოთეოსი 1439 და 1450.
ათანასი – ?
მარკოზ IV – ?
ფილოთეოს 1523.
გრიგოლი V – ?
იოაკიმე 1529-1566.
სილიმისტრა 1566-1590.
მელეტი პლასი 1590-1601.
კირილე ლუკარისი 1602-1621.
გერასიმე I სპარტალიოტი 1621-1636.
მიტროფანე კრიტოპული 1636-1638.
ნიკიფორე (ნიკოლოზ) კლიარონზანი 1638-1693.
იოანიკე 1643-1653 და შემდ.
პაისი 1663-1665.

იოაკიმე I 1665-1667.
პაისი (იგივე) 1668-1676.
პართენი 1676-1685 თვით გადადგა, † 1689წ.)
გერასიმე II პალიტა 1689-1710.
სამთელ 1710 წლიდან.
კოზმა II 1724 წლიდან.
კოზმა III 1737 წლიდან.
მათე 1746-წლიდან.
კირიონე 1766-წლიდან.
გერასიმე 1783-წლიდან.
პართენი 1791-წლიდან.
თეოფილე 1805-წლიდან.
იეროთეოსი I 1825-1846.
არტემი 1846-1847.
იეროთეოს II 1847-1856.
იაკობ – ?
ნიკანორი – ?
სოფრონი 1870-1899.
ფოტი 1899.

(ცნობები ამოღებულია წიგნიდან: Архиепископ Сергий, Полный месяцеслов Востока, III, с. 684-686)

ალექსანდრიის სალვთისმეტყველო სკოლა – II-IV სს-ში ალექსანდრიაში ჩამოყალიბებული ფილოსოფიურ-დოგმატური სკოლა, რომელიც გამოირჩეოდა მისტიკური მიდრეკილებით. მან შეითვისა ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრება და ცდილობდა, გამოეყენებინა იგი ქრისტიანული ჭეშმარიტების შესასწავლად. ალექსანდრიის სკოლამ სახელი გაითქვა თავის დიდ მოაზროვნეთა წყალობით, მაგრამ შემდეგში იგი დაკავდა მონოფიზიტური მწვალებლობით და შეწყვიტა არსებობა არაბთა შემოსევების დროიდან (VI-VII სს.). ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლაში გამოყოფენ უმცროს და უფროს სკოლებს. უფროსი სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: პანტენი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე და მათი მოწაფეები. უმცროსმა სკოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი დოგმატის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით IV ს-დან. ამ სკოლის მამამთავარი IV ს-ში ათანასე ალექსანდრიელი იყო, ხოლო V ს.-ში – კირილე ალექსანდრიელი, ნესტორიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური.

ალექსეევკა – სოფელი თერგი წყაროს რაიონში, მდ. ასლანკის მარჯენა ნაპირას, თერგი წყაროდან 13 კმ. სოფლიდან სამხრეთით, 500 მ. დაშორებით, ნასოფლარში დგას ერთნავიანი ეკლესია ორი მინაშენით. როგორც შიგნიდან, ასევე გარედან ეკლესია ორიგინალური ჩუქურთმებით არის შემკული. ეკლესია X ს. ბოლოს, ან XI ს. დასაწყისში უნდა იყოს აგებული. ნასოფლარი, ალბათ, „დრანეთი“ ან „დრიანეთია“.

ალექსი არქიმანდრიტი – XIX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, იხსენიება გრიგოლ ბატონიშვილის მიერ 1821 წ. დაწერილ „შარში“, რომელიც ერთვის გაიოზ არქიმანდრიტის მიერ 1789 წ. თარგმნილი აბბროსი მედიოლანელის თხზულებათა თარგმანის ხელს (S 378): „ალექსი დეკანოზისა, არქიმანდრიტობს რომელი...“ სხვა ცნობები ამ მოღვაწეებზე ქართულ წყაროებში არ ჩანს.

ალექსი დეკანოზი – XVIII ს. შუა ათეული წლების საეკლესიო მოღვაწე, ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი (გვარად მესხიშვილი). ალექსი არის ფუძემდებელი საქართველოს კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილი ალექსი-მესხიშვილების გვარისა, რომელმაც საქართველოს და ქართულ ეკლესიას ბევრი ცნობილი მოღვაწე მისცა. იოანე ბატონიშვილის „ყალამაობაში“ მის შესახებ ნათქვამია: „ეს იყო მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა-ამან მრავალნი საღმრთონი წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა“. ალექსი რუსული ორიენტაციის მოღვაწე ყოფილა. მის საკუთარ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „თუენი“, რომელიც გამართულია რუსული ტიპიკონის მიხედვით. ეს სამუშაო მას 1758 წელს დაუმთავრებია. მას გადაუწერია ბევრი სასულიერო შინაარსის წიგნი: ოთხთავები (S 2175, H 1114, Q 264, H 1666), ტიპიკონები (A 399, A 459), სჯულისკანონები (A 344, A 478), თეკნი (A 1093), ქრონოგრაფი (H 1671), ჟამნი (S 1096), ლოცვანი (Q 295), წმინდანთა ცხოვრებანი (H 2077). ალექსი მესხიშვილის მიერ დამზადებულ წიგნთაგან ბევრია მდიდრულად მორთული, რომლებიც გადაწერის კალიგრაფიულ ოსტატობასთან ერთად მის დიდ მხატვრულ გემოვნებასაც ამკლავებენ (H 1066 – ოთხთავი; S 1096 – ჟამნი და ა. შ.). პ. კარბელაშვილის ცნობით, ალექსი მესხიშვილი მიიცვალა 1766 წ. და დასაფლავებულია ანჩისხატის ტაძრის დასაფლეთის კარიბჭის წინ.

ალექსი მღვდელი – XIX ს. დასაწყისის საეკლესიო პირი, რომელიც მოხსენიებულია 1804 წ. 9/V ერთ საბუთში (Qd 99640). მისი გვარი ყოფილა ფრანგიშვილი.

ალექსი, კაცი ღმრთისა († 411) –

ღირსი მამა. დაიბადა რომში, მორწმუნე მშობლების ოჯახში. ბაეშობიდანვე დაეწაფა სწავლას და კარგად შეისწავლა ლიტერატურა, განსაკუთრებით კი — საღვთო წერილი. ყმაწვილობაში გადაწყეტა მონაზონობა, მაგრამ მშობლებმა მას საცოლე მოპგვარეს და მისი დაოჯახება განიზრახეს. ნიშნობის შემდეგ ალექსი შინიდან გაიპარა და მესოპოტამიაში მიმაეული გემით გაემგზავრა. ედესში რომ ჩავიდა, გაყიდა ყველაფერი, რაც ებადა და ფული ღატაკებს დაურიგა, თვითონ კი დაემკვიდრა ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭეში და მოწყალებით იკვებებოდა. მშობლები ყველგან ეძებნენ დაკარგულ შვილს, მაგრამ უიმედოდ. ედესში ჩასულმა მისმა მსახურებმა ვერ იცნეს თავიანთი ყოფილი ბატონი, იმდენად გამხდარი და დაუბეჭურებული იყო მარხვისაგან, ხოლო მან იცნო მსახურნი და ამბილობდა ღმერთს, რომ თავისსავე მსახურთაგან მიიღო მოწყალება. ალექსიმ 17 წელი იცხოვრა ედესში. მას შემდეგ, რაც ღვთისმშობლის გამოცხადებით გამოაშკარავდა ალექსის წმინდანობა და ღვთისკაცობა, იგი ფარულად გემით გაემგზავრა კილიკიისაკენ, რადგან გაურბოდა დიდებას და პატივს. კილიკიაში ის ვერ ჩაეღა, რადგან ღვთის ნებით გემი ქარიშხალმა გადატყა და იტალიის ნაპირებთან მიიყვანა. ალექსი რომში ჩავიდა. თავის მშობელთაგან, რომლებმაც შვილი ვერ იცნეს, ნებართვა ითხოვა, დასახლებულიყო მათი ეზოს რომელიმე კუთხეში. მამამ იგი სპეციალურად მოწყობილ შენობაში, სასახლეში შესასელელთან დაასახლა. 17 წელი იცხოვრა ალექსიმ მშობლების სახლში, მარხულობდა და ლოცულობდა, ითმენდა მსახურთა დაცინვასა და დამცირებას, უყურებდა მშობლებისა და ცოლის ტანჯვასაა და მოთქმას. როცა მან ღვთისაგან შეიტყო თავისი სიკვდილის მოახლოება, აიღო ქარტა, აღწერა თავისი ცხოვრება და პატიება ითხოვა მშობელთაგან და მეუღლისაგან. ალექსის აღსასრულის დღეს რომის პაპი ინოკენტი (402-417) იმპერატორ ონორის (395-423) თანდასწრებით ასრულებდა ლიტურგიას რომის კათედრალურ ტაძარში. საღვთო მამამ მათ მოუწოდა: „მონახეთ ღმრთის კაცი, რომელიც სამარადისო ცხოვრებაში გადადის, მან იღვაწოს ქალაქისათვის". პაპის ცდამ — მოენახა ღვთის კაცი, ნაყოფი ვერ გამოიღო. პაპის ეკდრებაზე, ეჩვენებინა, სად ეძებნათ იგი, საღვთო ხმამ ამცნო: „ეძიეთ ღვთის კაცი ეფრამიანეს სახლში". პაპი და იმპერატორი და მთელი კრებული გაეშურნენ, მაგრამ ალექსი უკვე გარდაცვლილი იყო. მას ხელში ქარტა ეჭირა, რომლის გამოღება ვერავინ შეძლო. პაპმა და იმპერატორმა მუხლი მოიდრიკეს და შეეცდნენ ალექსის ხელი გაეხსნა. წმინდანმა შეასრულა მათი თხოვნა. როცა წერილი წაიკითხეს, დედამამამ და საცოლემ ტირილით თავიანი სცეს მის წმინდა გვამს. წმინდანის გვამი, რომელმაც მრავალი კურნება აღასრულა, დასვენეს შუა მოედანზე, სადაც მთელი რომის მოსახლეობა შეიკრიბა. პაპმა და იმპერატორმა თავიანთი ხელით შეიტანეს მისი ცხედარი ეკლესიაში, სადაც იგი მთელი კვირის განმავლობაში იყო დასვენებული, ხოლო შემდეგ ჩასვენეს მარმარილოს აკლდამაში. მისი ხსენების დღედ განაწესეს 17 მარტი. „წმ. ალექსის ცხოვრება" ერთ-ერთი გავრცელებული თხზულებაა ქრისტიანული სამყაროს ყველა კუთხეში, მათ შორის ქართულშიც. თხზულების ქართული თარგმანი ერთი კომპილური და ორი მეტაფრასული რედაქციით არის მოწეული. კომპილური თხზულების (A 95, 549-557) ქართული თარგმანი სათაურით — „ცხოვრებაჲ ეფემიანესი და ძისა მისისა ალექსისი" — გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I, 161-165). პირველი რედაქციის მეტაფრასული თხზულება მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (ქუთ. 2,ფ. 219-230), ხოლო მეორე — ორი ხელნაწერით (Ath. 7, ფ. 109-114 და Jer. 140, ფ. 185-195). არც ერთი მათგანის მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არ არის.

ალეა // ალოეე (aloe) — სურნელოვანი მცენარე, რომელსაც სამოთხის ხესაც უწოდებენ. მისგან დამზადებული სურნელოვანი საკმეველი ეკლესიაში იხმარება.

ალვანი (დღ. ზემო და ქვემო ალვანი) — სოფელი ახმეტის რაიონში, ალაზნის ველზე, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, ახმეტიდან 8 კმ. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას VIII-IX სს. იოანე ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ბოძები და თაღები ამოყვანილია აგურით. ნავები გაყოფილია ბოძების ორი წყვილით. კამარით გადახურული შუა ნავი დასრულებულია საკურთხევლის აბსიდით, გვერდის ნავები კი — სწორკუთხა სათავსებით. ბაზილიკის კედლები მოხატულია. XVII ს.-ში ბაზილიკაზე საშრეთით აგურის ორსართულიანი სამრეკლო მოუგამთ. აქვეა ლეონ მეფის (1520-74) აგურით ნაშენი სასახლე „ცხრაკარა". ეკლესია შემოზღუდულია გალავნით, რომელიც გვიანდელი აშენებულია. განსაკუთრებით საინტერესოა ეკლესიის კანკელი, რომელიც ეკუთვ-

ნის იშვიათ მოხატულ კანკელთა რიცხვს; მოხატულია ლევან კახთა მეფის დაკვეთით.

ალვიანი მესხეთმე (ბერძნ. „უდარდელი“; † 640) — დაიბადა პაფლაღონიის ქ. ადრიანეპოლში. დედამისი, ქრისტიანი ქალი, ადრე დაქვრივდა, თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა, ეკლესიის მსახური გახდა და დედათდიაკონობის პატივსაც მიაღწია, ხოლო შვილი მანამდე ეპისკოპოსის თანდგომეს მიაბარა სასწავლებლად. ალვიანი ყმაწვილობიდანვე ისწრაფოდა მონაზვნობისაკენ, მაგრამ მოძღვარი არ თანაჰქა ნებას. ერთხელ, როდესაც ალვიანი თავის მოძღვარს ახლდა კონსტანტინეპოლში, მას გამოეცხადა წმინდა მოწამე ეფემია და ალვიანის უბრძანა დაბრუნებულიყო ადრიანეპოლში და მის სახელზე დაეარსებინა ეკლესია. ალვიანიმ ადრიანეპოლის მრწემუნე ქრისტიანების შეწირული ხარჯებით აშენა ეკლესია მიტოვებული წარმართული სასაფლაოს ადგილზე. ეკლესიის გვერდით მან სვეტი აგო, რომელზედაც 53 წელი დაჰყო. მას ცეროფერი დაჰკლა აქ მომრავლებულმა ეშმაკეულმა სულებმა და ისინიც იძულებული იყვნენ სამუდამოდ დაეტოვებინათ ეს ადგილები. მხოლოდ ბოლო 14 წელი სიკვდილამდე მან ცერ შეძლო ავადმყოფობის გამო დგომა და იძულებული იყო, გვერდზე წოლილიყო. სვეტთან ორი მონასტერი დაარსდა: ერთ მხარეს — მამათა, ხოლო მეორე მხარეს — დედათა. ალვიანიმ ორივე მონასტრისათვის მკაცრი წესდება შეიმუშავა და სიკვდილამდე უძღვებოდა მათ. გარდაიცვალა წმინდანი 640 წ. 118 წლისა. იგი დაკრძალეს მის მიერ დაარსებულ წმ. ეფემიას ეკლესიაში. ალვიანის წმ. ნაწილები კურნების თვისებებით იყვნენ აღჭურვილნი. მისი ხსენების დღედ 26 ნოემბერია დადებული. ალვიანის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ქართულად არის თარგმნილი და საკმაო რაოდენობის ხელნაწერებში მოიპოვება (A 90, ფ. 1-20; Jer. 37; ფ. 238-249; Sin. 91, ფ. 259-272; S 384, გვ. 873-888).

ალილო — ქართული საწესო სიმღერა, რომელიც სრულდებოდა შობის წინა ღამეს (სახელწოდება მომდინარეობს „ალილუიასაგან“). შეკრიბებოდა რამდენიმე კაცი (სულ მცირე 3, რადგან სიმღერა სამხმიანია), ჩამოუვლიდნენ ყველ ოჯახს და სიმღერა-გალობით მიულოცავდნენ ღლესასწაულს, მასპინძელი კი მოძღვრებით სანოვაგით დაასაჩუქრებდა. ალილოს ტექსტები („ოცდახუთსა დეკემბერსა“, „ჩიტი ღობეზე შემოკდა“, „წისქვილს ჰური დაუარგე“ და სხვ.) გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი. ალილო მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ყველა კუთხეში თავისებურად ასრულებდნენ. ეარაუდობენ, რომ საშობაო და საააღდგომო სიმღერების საერთო სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ჭონა“.

ალილუია (ებრ. „ჰალელუ-ჲაჰ“ — „აქებდით უფალსა“) — უფლის განადიდებელი გალობა, რომელიც ქრისტიანობამ ებრაული ღვთისმსახურებიდან შეითვისა. ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ეს ფრაზა ჩასართავად ითქმის ზოგიერთ ფსალმუნში („ალილუია“-თი წარწერილია ფსალმუნები: 104-106; 110-118; 134; 135; 145-150), ან ბოლოში დაერთვის სხვადასხვა საგალობლებსა და ლოცვებს სამ-სამჯერ, როგორც წმ. სამების დიდებისმეტყველება. სახელდობრ, ცისკრად ექვსფსალმუნის სამი ფსალმუნისა და „დიდებაჲ და აწდას“ შემდეგ სამჯერ ითქმის: „ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო“. მარხვათა დღეებში და აგრეთვე ეკლესიის მიერ გარდაცვლილთა მოსახსენებლად დაწესებულ დღეებში „ღმერთი უფალის“ ნაცვლად იგალობება „ალილუია“. „ალილუია“ იგალობება აგრეთვე დიდმარხვის მოსაშზადებელ კვირეებში (უძღები შვილის, ხორციელისა და ყველიერის) 136-ე ფსალმუნზე („მდინარეთა ზედა ბაბილონისათა“), „აუარებითის“ შემდეგ. „ალილუია“ ყოველთვის იგალობება სამოციქულოს საკითხაის შემდეგ (სახარების წინ) ლიტურგიაზე.

ალის მონასტერი — წმ. გიორგის მონასტერი სამცხეში, ფოცხოეის ხეობაში, სოფ. ალში, ვალეს მახლობლად. დ. ბაქრაძეს 1874 წ. მონასტერი კარგად დაცული უნახავს, ხოლო XIX ს. 90-იან წლებში, როდესაც იგი პ. უვაროვამ აღწერა, უკვე ძალზე დაზიანებული ყოფილა. ტაძარს მთლიანად შემორჩენილი აჰონია გარეთა და შიგნითა მოპირკეთება, მთლიანად ჩამოკაფული და შერყეული — სვეტები, რომლებსაც გუმბათი ეშყარებოდა. სოფ. ალში არა თუ მაშმდინათა სამლოცველო ჯამეს კედლები და სასაფლაოს ძეგლები, არამედ ყოველი შენობის საკვამლე მილები და ყოველი ეზოს გალავანიც კი ალის გაძარცული ეკლესიის სუფთად თლილი ქვებით ყოფილა აგებული. ამ დროს კიდევ შეიმჩნეოდა მოხატულობის ორი სხვადასხვა დროისა და სტილის ფენა. ტაძრის მახლობლად პ. უვაროვას სხვა სამონასტრო ნაგებობათა ნაშთიც შეუმჩნეია. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღდგენილი XI ს. წარწერის მიხედვით, რომელიც ფოცხოეის ხეობიდან 1907 წ. ჩამოტანილი სამი წარწერიანი ქვის ფრაგმენტე-

ბის შეერთების გზით მიიღო, ჩანს, რომ მონასტერი ჯაყელთა საგვარეულოს საძველე ყოფილა. მონასტერი დაახლ. ბაგრატ III-ის მეუობაში (985-1014) უნდა იყოს აშენებული და დაარსებული. ცნობილია ალის მონასტრის სეინაქსარი (S 1245, XIII ს.) და მეტაფრასი (H 1347, XI-XII ს.), რომლებიც უხვად შეიცავენ ისტორიული მნიშვნელობის მინაწერებს (ალაპებს, საბუთებს და სხვ.), რომლებშიც ასახულია სამონასტრო მეურნეობის მდგომარეობა და საშცხის სოციალური და ეკონომიური ურთიერთობანი (იხ. სამხრეთ საქართ. ისტორიის მასალები XIII-XIV სს., ქრ. შარაშიძის მიერ გამოცემული, თბ., 1982 წ., გვ. 8-63; დ. კლდიაშვილი, ჯაყელ ბიცოსძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის XI-XII სს. I.(ალის ეკლესიის) ეგეტერის წარწერა, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ისტორიის... სერია, 3, თბ., 1979, გვ. 83-96).

ალტერი შრანც კარლი – გერმანელი მეცნიერი, რომელმაც საფუძველი დაუდო გერმანიაში და მთელ ევროპაში ქართველოლოგიას თავისი 1798 წ. გამოქვეყნებული წიგნით „ქართული ლიტერატურის შესახებ", რომელმაც ხარეზების მიუხედავად ქართულისადმი

ინტერესი გააღვივა ევროპელთა შორის. წიგნში მრავალი ძველი ქართული ხელნაწერია მითითებული და აღწერილი, რამაც განსაკუთრებით ბიბლიის მკვლევართა ყურადღება მოიპყრო.

ალტრუიზმი – მორალური პრინციპი, რომელიც გულისხმობს საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებათა დაძლევას და მოყვასისათვის უანგარო ზრუნვას, სხვების კეთილდღეობისათვის საკუთარი ინტერესების მსხვერპლად შეწირვას. მორალის თეორიაში ალტრუიზმის ცნება შემოიტანა ოგიუსტ კონტმა. მისი აზრით, საზოგადოების მორალური სრულყოფა შესაძლებელია ალტრუისტული გრძნობების გაღვივებით. უფრო ადრე მსგავს იდეებს ანვითარებდნენ ა. შეფსტბური, ფ. ჭ. რუსო, ა. სმითი, ე. კანტი და სხვა. ალტრუიზმი არ შეიძლება აეურიოთ მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულში, თუმცა მათ შორის ბევრი რამ არის საერთო და არსებითად იგი ქრისტიანული მორალიდან არის აღმოცენებული, მაგრამ ალტრუიზმი მაინც ამქვეყნიური ინტერესებით ამოიწურება, ქრისტიანულ მორალს კი უფრო არამიწიერი ინტერესები განსაზღვრავს.

ალფა და ომეგა (ბერძნ. α და ω) – ბერძნული ალფაბეტის პირველი და უკანასკნელი ასოები. ალფა და ომეგას უწოდებს უფალი საკუთარ თავს, როგორც დასაწყისი და დასასრული ყველაფრისა. ქართული თარგმანი „გამოცხადებისა", სადაც ოთხჯერ არის ნახმარი ეს გამოთქმა (1,8-10, 21, 6; 22, 13), ყოველთვის ქართული ასოებით არის გადმოცემული და არა ბერძნული დედანის მონაცემებით (როგორც ეს რუსულ ტექსტშია): „მე ვარ ანი და ჲოჳ, პირველი და უკანასკნელი, იტყჳს უფალი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს ყოელისა მპყრობელი" (1, 8); „მე ვარ ანი და ჲოჳ, პირველი და უკანასკნელი, რომელსა-ესე ხედაჳ..." (1,10) „მე ვარ ანი და ჲოჳ, დასაბამი და აღსასრული..." (21,6) „მე ვარ ანი და ჲოჳ, პირველი და უკანასკნელი" (22,13). ეს სახელი გამოხატავს ქრისტეს ყოელისშემძლეობასა და სრულყოფილებას, მის ერთობას მამაღმერთთან და სულიწმინდასთან.

ალფეზი – სახარებაში მოხსენიებული რამდენიმე პირის სახელი: მათე მახარებლის მამა (იგივე ლევი), მოციქულ იაკობის მამა (იგივე კლეპა).

ალფეოს მოწამე – იტალიელი ქრისტიანი, კიტელეუსის შვილი. თავის ძმებთან – ფილადელფოს და კვირინესთან (კვირიანე) ერთად იგი მონათლა წმინდა ონისიმემ. რომის იმპერიაში გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის შედეგად ისინი შეიპყრეს და ონოსიმესთან და კიდევ 15 სხვა ქრისტიანთან ერთად რომში ჩაყვანეს. რომში ონისიმეს გულმკერდი ლენდით ჩაუმტვრიეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. დარჩენ 15 ქრისტიანს თავები მოჰკვეთეს, ხოლო ძმები ალფეს, ფილადელფოს და კვირინოსი სიცილიაში ჩაიყვანეს და ლენტინის ქ. მესპოლში აწამეს. ეს მოხდა 251 წ., იმპერატორ დეკიოსის დროს. ალფეოსს ენა ამოკვეთეს და იგი სისხლისაგან დაიცალა. ფილადელფოსი დაწვეს გაკარვარებულ რკინის ლობეზე, ხოლო კვირინოსი – ტაფაზე. მათი ხსენების დღეა 10 მაისი.

წმინდა მოწამეების შესახებ შექმნილი პაგიოგრაფიული თხზულება ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია და შეტანილია ხელნაწერებში – Ath. 7, ფ. 160-228 და A 129, ფ. 280-315.

ამამლო – სოფელი დმანისის რაიონში, მდ. შავწყაროსწყლის (მამავერას შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. სოფლის მიდამოებში არის XII ს. ეკლესია, რომლის საძმენებლო წარწერაში მოხსენიებულია თამარ მეფე (ანა ერისთავი). მეორე ეკლესია შუა საუკუნეებისაა. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ამასპო – ზანავის მონასტრის პირველ-მაშენებელი (ქურდიასთან ერთად), „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით: „აღგილსა ზანავისასა... მონასტერი შუენიერი შენ არს, რომლისა-ოგი იყუნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია (ძეგლ. I, 339, 22). ზანავში დაუსაფლაეებიათ გიორგი ჩორჩანელი, სამცხეში სამონასტრო მშენებლობის დიდი მეცენატი, სამცხის მთავარი. თარიღი ამასპოს მოღვაწეობისა დაუდგენელია, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მან ზანავის მონასტერი ააშენა სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის წინა პერიოდში, ე. ი. IX საუკუნემდე.

ამაღლება – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი 12 საუფლო დღესასწაულთაგანი, რომელზედაც მოიხსენიება ქრისტეს ზეცად ამაღლება მისი მკვდრეთით აღდგომიდან მეორმოცე დღეს. სახარების მიხედვით, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ქრისტე გამოეცხადა თავის მოწაფეებს (მოციქულებს) აღდგომიდან მეორმოცე დღეს და მათთან ერთად იერუსალიმიდან ბეთანიისკენ გაემართა. ელეონის მთაზე იგი ესაუბრა მათ ღვთის სასუფეველზე და მოუწოდა დარჩენილიყვნენ იერუსალიმში სულიწმინდის მოფენამდე, დამოძღვრა ისინი და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა. ღრუბელმა დაფარა იგი მოწაფეთა თვალთაგან და მათ მოესმათ ხმა ზეციური მაცნესი, რომელიც ამცნობდა: „ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად" (საქმ მოც., 1,11; მარკ. 16,19; ლუკა 24,50.

IV-V სს. ამაღლების დღესასწაული ქრისტიანული ეკლესიის საყოველთაო დღესასწაულად იქცა. ამ დღესასწაულისადმი ბევრი გამორჩენილი საეკლესიო მოღვაწის სიტყვა-ქადაგებაა მიძღვნილი (გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და სხვ.). დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ამაღლების დღის განსაკუთრებული ღვთისმსახურება, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს იოანე დამასკელის მიერ შეთხზულ საგალობელ კანონებს. ამაღლების დღესასწაული დამოკიდებულია აღდგომის დღესასწაულზე და ამიტომ მოძრავ დღესასწაულთა რიცხვს მიეკუთვნება.

ქართულ საეკლესიო მხატვრობაში ქრისტეს ამაღლების მხატვრული კომპოზიცია მრავალ ეკლესიაშია შემონახული, რომელთაგან აღსანიშნავია დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიისა (X ს.) და ზემო კრიხის (ამბრ. რ-ნი) ეკლესიის (XI ს.) ამაღლების კომპოზიციები. ამაღლების ეკლესიაც საქართველოში არაერთია. ერთ-ერთ მათგანს მოიხსენიებს ჯახუშტი ბატონიშვილი: „ხორნაბუჯის ჩრდილოეთით, მთაში არის ეკლესია ამაღლებისა, კეთილშვენიერ ნაგები, გუმბათიანი, შეუმუსრავი და დახატული" (ქარ. ცხ., IV, 541, შენ. 4.) იხ. ფანაიანი.

ამაღლება – სოფელი ვანის რაიონში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ვანიდან 8 კმ. სოფელში დგას მაცხოვრის ამაღლების სახელზე აგებული ეკლესია, რომლის საძმოშენებლო წარწერა 1619 წელს უჩვენებს. სოფ. ამაღლების მიდამოებში (სალომანო) არის შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია.

ამბაკომ – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. სამაწმიდის ლავრის X ს. მოღვაწე ამბაკომ თარმანაულელი, გადაწერა ჟამისწირვა და სახარება-სამოციქულოს საკითხავები (Sin. 53).

2. კახეთის სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარი, რომელიც 1743-1753 წლის რამდენიმე საბუთში იხსენიება (ცენტ. საარქ. სამ. ფ. 1448 № 5033; № 773; № 4594). ის დასწერებია 1748 წლის საეკლესიო კრებას: „ამბაკომ უღირსმან წინამძღვარმან კახთა მეფის კარისამან წარვწერენ" (სამ. ძეგლ. III, გვ. 842).

ამბაკუმ წინასწარმეტყველი (ებრ. ჰაბაკუკ) – ერთი 12 მცირე ბიბლიურ წინასწარმეტყველთაგანი. მისი წინასწარმეტყველება შედგება 3 თავისაგან და წარმოადგენს 12 მცირე წინასწარმეტყველთა კრებულის მე-8 წიგნს. ამბაკუმ წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ მისი სიტყვების შინაარსიდან, სადაც ის ჩვენს სუსტების წაგერაზე ძლიერთაგან და ლანძაკობს ქალდეველთა დამპყრობლურ ლაშქრობაზე (I ს.), შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ცხოვრობდა იერუსალიმზე ქალდეველთა პირველი თავდასხმის დროს, იოაკიმეს მეფობაში. მისი წინასწარმეტყველების წიგნის III თავში არის საზეიმო საგალობელი, რომელიც გამოსტაკეს უფლის მრისხანე მოსვლას მიწაზე, მის სამსჯაროს და უწმინდურთა დასჯას თავისი ხალხის ხსნისათვის, რომელიც საეკლესიო მამების თარგმანებში ახსნილია, როგორც წინასწარმეტყველება მესიისა და მაცხოვრის მოსვლის შესახებ და სიკეთეზე მისი გამარჯვება. ძველი ალთქმის ეკლესიაში ამ საგალობელს ღვთისმსახურების დროს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ფსალმუნს, ხოლო ახალი ალთქმის ღვთისმსახურებაში ის საფუძე-

ლად დაღო კანონის მე-4 გალობას და ზოგიერთ სხვა საგალობელს.

ამბარა – სოფელი გუდაუთის რაიონში, შავი ზღვის პირას, მოუსერას კონცხზე, გუდაუთიდან 13 კმ. სოფელში დგას აღრეფეოდალური ხანის შესანიშნავი არქიტექტურული კომპლექსი – VIII-IX საუკუნების ეკლესია, რომელიც კარგად არის შენახული, მოპირკეთებულია მცირედ დამუშავებული ქვის კვადრებით. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკის ტიპისაა დასავლეთის მხარეს ორსართულიანი ნართექსი და პატრონიკეები აქვს. გვიანფეოდალურ ხანაში აღუდგენიათ მთავარი ნავის კამარა. ეკლესიის ზღუდე შუა საუკუნეებში არის აშენებული. ეკლესიის ტერიტორიაზე შემონახულია სამოქალაქო შენობათა ნანგრეულები (დახ. X საუკუნისა).

ამბარი // ამბრი – ზღვის სურნელოვანი მცენარე. გამოიყენებოდა ეკლესიაში საკმეველად. სულხან-საბას განმარტებით „რომლისამე ფუტკართ ფიტს იტყვიან, სხვანი – თეფხთა შავსა...“

ამბარლო (ახლანდელი „ვანახლება“) – სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ისტორიულ ზურტაკეტის ხეობაში (ქვემო ქართლი), დმანისიდან 27 კმ. სოფელში არის VII-VIII სს. ამაღლების ეკლესია. აქვე, სოფლის ახლოს, გორაკზე დგას ეკლესია „ელიაობა“, რომელიც სამხრეთის კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით აგებულია 1032 წ. ეკლესია ერთნავიანია, მოპირკეთებულია თლილი ქვით. სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მიდგმული აქვს გვიანდელი მინაშენი, რომლის კედლის ტლანქ წყობაში გამოყენებულია საფლაოს ქვები და ძველი კანკელის ფრაგმენტები.

ამბერაკი იშხნელი – XVI ს. იშხნის ეპისკოპოსი. მისი დაკალებით ცნობილმა კალიგრაფმა სვიმონ კარგარეთელმა 1233 წ. განახლა ძველფასი ხელნაწერი A 85, რომელიც ახუსერიძე ტბელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა უაღრესად მნიშვნელოვან ორიგინალურ თხზულებებს შეიცავს (კერები, II, 446).

ამბერაკი (ავალიანი) – გელათის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. მეორე ნახევარში. ამბერკი იხსენიება 1784 წ-ით დათარიღებულ ორ წყაროში: 1784 წლის განჩინება ეფთვიმე გენათელისა და წინამძღვარ ამბერკის უთანხმოების საქმეზე (Ad 680, სამ. ძეგლ., V, 285) და გელათის სტამბის „დაბადების“ წიგნზე 1784 წ-ის მინაწერში, რომელიც გვამცნობს, რომ სოლომონ მეფის სულის სახსენებლად ეს წიგნი დეღოფალ გულქან წულუკიძეს გადაუცია ამბერკი წინამძღვრისათვის (ავალიანი), გელათის საწინამძღვრო საყდრის სოსპატრისათვის (ქრონიკ. III, 384).

ამბიონი (ბერძნ. „აღსავალი“) – ამაღლებული ადგილი საკურთხეველის წინ, სამეუფო კარის პირდაპირ, ამიტომ მას საკურთხევლის წინა ამბიონი ეწოდება. მას უწოდებენ აგრეთვე სადიაკვნეს, რადგან ამბიონიდან სახარებას კითხულობენ და კვერექსს წარმოთქვამენ დიაკვნები. ამბიონი არის სიმბოლო იმ ლოდისა, რომელიც ქრისტეს საფლავიდან ანგელოზმა გადააგორა და ამ ლოდიდან ამცნო მენელსაცხებელი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, აგრეთვე იმ მთისა, საიდანაც ქრისტე მოძღვრავდა ერს. ეკლესიაში მღვდელმთავრის ღვთისმსახურების დროს ტაძრის შუაში მღვდელმთავრისათვის ეწყობა ამბიონი, რომელსაც საკურთხევლისწინა ამბიონისაგან განსხვავებით „სამღვდელმთავრო ამბიონი“ ეწოდება. საღვთისმსახურო წიგნებში მას ეწოდება „ადგილი, სადაც იმოსება მღვდელმთავარი“, „შემოსვის ადგილი“, „შემზადებული, მოწყობილი ადგილი“. უმეტეს შემთხვევაში სამღვდელმთავრო ამბიონს აქვს ორი საფეხური, მაგრამ მღვდელმთავრის ხელდასხმის დროს იგი რამდენიმე საფეხურით მაღლდება ჩვეულებრივთან შედარებით და იწოდება „ტეტრონად“. იგი კეთდება იმისათვის, რომ მრეულმა უკეთ დაინახოს ხელდასხმის რიტუალი. სამღვდელმთავრო ამბიონზე მღვდელმთავარი არა მარტო იმოსება, არამედ ზოგჯერ ასრულებს ღვთისმსახურების ნაწილს, ზოგჯერ მთელ ღვთისმსახურებას და ლოცულობს მრევლის შორის, როგორც მაშ შეილებს შორის. სამღვდელმთავრო ამბიონზე იდგმება საჯარბელი მღვდელმთავრისათვის, რომელსაც ეწოდება „კათედრა“. კათედრა იდგმება მღვდელმთავრის დასაჯდომად ღვთისმსახურების გარკვეულ დროს, სახელდობრ, „ჟამნის“ კითხვისას.

ამბიონის ლოცვა – ლოცვა, რომელსაც ჟამისწირვის დასრულების ჟამს ხმამაღლა კითხულობს მღვდელი ამბიონს ქვემოთ („რომელი აკურთხე მაკურთხეველთა შენთა...“).

ამბორი // ამბორის-ყოფა – სიყვარულისა და შეუდრეკლობის სიმბოლო ქრისტიანულ ეკლესიაში. პაულე მოციქული ხშირად ლაპარაკობს წმინდა ამბორის შესახებ და ქადაგებს, რომ ქრისტიანები ერთმანეთს უნდა მიეალმონ „ამბორისყოფითა წმიდითა“. საეკლესიო

ღვთისმსახურებაში ამბორისყოფა სრულდება ნათლისღების, ლიტურგიის, ჭორწინების, დაკრძალვისა და სხვა საეკლესიო წესების შესრულების დროს. მართლმადიდებლურ ეკლესიაში დამკვიდრებულია ჩვეულება მღვდელმთავრისა და მღვდელმსახურის ხელზე ამბორისა მის მიერ დალოცვის, კურთხევის დროს, ასევე ურთიერთ ამბორისა მღვდელმსახურთა შორის ლიტურგიაზე. მართლმადიდებელთა შორის გავრცელებულია აღდგომის დღესასწაულის მილოცვა სამკერადი ამბორით და ა. შ.

ამბროსი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობარ-კალიგრაფის სახელი:

1. XV ს. მწიგნობარი, გადაუწერია 1494 წ. დაეითნი (A 351) „ბრძანებითა... პატრონის მზეჭაბუკისაჲთა“.

2. XVI ს. კალიგრაფი და მხატვარი სამცხიდან. მას იერუსალიმის ჯვარის ქართულ მონასტერში გადაუწერია ოთხთავი (Q 84). ამ ხელნაწერის მინიატურებიც მისივე დამზადებულია.

3. ათონის ქართველთა მონასტერში მისული სამცხიდან თაეისი გამზრდელის, ქაიხოსრო ათაბაგის (1545-1572 წ.წ) აღაპის განსაწესებლად. მას მონასტრისათვის 25.5000 „თომრული“ შეუწირავს, „ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად“. ასევე შესაწირავები ჩაუტანია მას იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის, სინის მთისა და სხვა ქართული მონასტრებისათვისაც (აღაპი 162). ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში დადებულია თვით ამბროსის აღაპიც იმ განსაკუთრებული ღვაწლისათვის, რაც მას მონასტრისათვის გაუწევია: მოუჭედავს ღვთისმშობლის პორტაიტისის ხატი, აუშენებია ღვთისმშობლის ეკლესია, „საეძლურე, მისით მოკაზმულობითა“ და სხვ. (აღაპი №163, ელ. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, თბ., 1998, 184-186).

4. ცნობილი კალიგრაფების – კარგარეთლების XVI ს. წარმომადგენელი. ამბროსი გაბრიელის ძე კარგარეთელი მონაწილეობდა გულანის (A 187) გადაწერაში. მას გადაუწერია ამ ხელნაწერის 130-194 და 562-610 ფურცლები.

5. არქიმანდრიტი შემოქმედის მონასტრისა (გურიაში) XIX ს. მიწურულს. იგი ორჯერ არის მოხსენიებული ხელნაწერთა 1890 წ. მინაწერებში (იხ. ქრონიკ. I, 303 და III, 204).

ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) – საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში. დაბადა 1861 წ. 7/IX მარტკოფლში. 1885 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887-96 წლებში მღვდლად იყო სოჭში, შემდეგ – სოხუმში. ამასთანავე იყო სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრეველო სკოლების ზედამხედველი და ქართული ენის მასწავლებელი. ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ და შოვინისტურ პოლიტიკას აფხაზეთში, გამოდიოდა პრესაში შეურაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოეი) წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდნენ და დევნიდნენ ქართულ ენას. 1897 წ. ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში შეიყვა, ხოლო 1900 წელს ბერად აღიკეცა. აკადემიის დამთავრების შემდეგ 1901 წელს დანიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. 1904 წ. გადაიყვანეს თბილისის სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ამბროსი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) აღდგენისათვის, რის გამოც 1905 წ. რუსეთში გადასახლეს. 1908 წელს მას წარუყენეს ბრალდება, თითქოს ეგზარხოს ნიკონის მკელელობაში მიეღოს მონაწილეობა. 1910 წელს გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. საქართველოში ის მხოლოდ 1917 წლის აგვისტოში ჩამოვიდა. იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი, 1921 წლის სექტემბრიდან კი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ამბროსი იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს. „პეტრებურგის უწყებებში“ და ქართულ პერიოდულ პრესაში „ამბრის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო წარსულის და მიმდინარე ვითარების შესახებ. საყურადღებოა მისი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც დაბეჭდა ჟურნალებში „ჯანიადი“ და „ცხოვრება“ (1912-17). მან აღმოაჩინა „მოქცეაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ 1907 წ. მოხსენება წაიკითხა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. ამბროსი გარდაიცვალა 1927 წელს. დასაფლავებულია თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში.

ამბროსი მედიოლანელი (340-397) – მედიოლანის (მილანის) ეპისკოპოსი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მქადაგებელი. ამბროსი დაიბადა რომის მეფისნაცვლის, გალიუსის ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ ამბროსი ოჯახთან ერთად

გადასახლდა რომში, სადაც მან ბრწყინვალე იურიდიული განათლება მიიღო. დაახლ. 370 წელს, სწავლის დამთავრების შემდეგ, ამბროსი დაინიშნა პრეფექტად ლიგურიასა და ემილიაში, ხოლო ცხოვრობდა მედიოლანში. 374 წელს, როდესაც გარდაიცვალა მედიოლანის ეპისკოპოსი აქსენტი, დაიწყო შუღლი და ბრძოლა მართლმადიდებლებსა და არიანელთა შორის, რადგან თითოეულ მხარეს უნდოდა ეპისკოპოსად თავისი კანდიდატი დაესვა. ამბროსი, როგორც ქალაქისთავი, გაემგზავრა ეკლესიაში წესრიგის დასამყარებლად და როდესაც მან სიტყვით მიმართა ხალხს, რომელიღაც ბავშვმა მოულოდნელად დაიძახა „ამბროსი არის ეპისკოპოსი". ეს სიტყვები აიტაცა ხალხმა. ამბროსი ამ დროს კათაკმეველთა რიცხვში იყო მხოლოდ და ამიტომ თავს ულირსად თვლიდა ამ საპატიო ხარისხისათვის. მან თავს გაქცევით უშველა, მაგრამ საჭმეში ჩაერია იმპერატორი ვალენტიან უფროსი (364-375) და მის ბრძანებას მან წინააღმდეგობა ვერარ გაუწია. ამბროსიმ მიიღო წმინდა ნათლისღება მართლმადიდებელი მღვდლისაგან, 7 დღეში გაიარა საეკლესიო იერარქიის ყველა საფეხური და 374 წელს ხელდასხმულ იქნა მედიოლანის ეპისკოპოსად. მან თავისი ქონება, ფული და მამული მოახმარა ეკლესიებს, ობლებსა და დარიბებს, ხოლო თვითონ ეწეოდა მკაცრ მონაზვნურ ცხოვრებას. ამბროსი მტკიცედ იცავდა თავის სამწყსოს ერესისაგან. 379 წელს მან მიაღწია მართლმადიდებელი ეპისკოპოსის დანიშვნას სირმიაში, ხოლო 385-386 წწ. აღუკვეთა არიანელთა ცდა, მედიოლანის ბაზილიკას დაბატრონებოდნენ. ამბროსი მედიოლანელის ქადაგებებმა უდიდესი როლი შეასრულა მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში. ამის შესახებ აღნიშნავს დასავლეთ ეკლესიის მეორე უდიდესი წარმომადგენელი ავგუსტინე, რომელმაც 387 წელს ნათლისღება სწორედ ამბროსი მედიოლანელის ქადაგებათა ზეგავლენით მიიღო. ამბროსი მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებშიც. მაგალითად, იმპერატორმა გრატიანმა (375-383) ამბროსის დაჟინებული მოთხოვნით აღიარა ქრისტიანობა და აიღო რომის სენატის შენობიდან ვიქტორიას სასწუთროსი, რომელზედაც ფიცს დებდნენ. მან მკაცრი ეპიტიმია დაადო თეოდოსი I-ს (379-395) თესალონიკის უდანაშაულო მკვიდრების ხოცვა-ჟლეტის გამო. ამბროსი თეოდოსის ექსკომუნიკაციის განაცხადსუფლების შემდეგ მას არ უშვებდა საკურთხეველში ხალხისათვის და მხოლოდ მაშინ, იხსნა იმპერატორი ეს ეპიტიმია, როდესაც მან ამბროსის თანდასწრებით ცრემლიანი მონანიება გამოთქვა. ამბროსი ეწეოდა დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ნაწერები ეხება ეკლესიის ისტორიას, ეთიკას, ასკეტიკას, ეგზეგეტიკას, ლიტურგიკას, ჰომილეტიკას, ჰიმნოგრაფიას. ამბროსის ლიტერატურული მოღვაწეობა ძალიან დიდი იყო. მასთან მოდიოდნენ შორეული ქვეყნებიდან და იღებდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. მან მრავალი ასწავლი მოახდინა. გარდაიცვალა ამბროსი 397 წელს, აღდგომის დღესასწაულის ღამეს. დასაფლავეს მედიოლანში, ამბროსის ბაზილიკაში, საკურთხეველის ქვეშ. ამბროსი მედიოლანელი ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი საეკლესიო მწერალი. თავის დოგმატურ შრომებში ის იცავდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას წმინდა სამების, საიდუმლოთა და სინანულის შესახებ (5 წიგნი სარწმუნოების შესახებ, განმარტება რწმენის სიმბოლოსი, განხორციელების შესახებ; 3 წიგნი სულიწმიდის შესახებ; საიდუმლოთა შესახებ; 2 წიგნი სინანულის შესახებ). თავის შრომებში ის წარმოაჩენდა ქრისტიანული მორალის უპირატესობას წარმართულად შეღარებით. მისი ცნობილი შრომა „ღმრთისმსახურების მოვალეობათა შესახებ" მოწმობს მწყემსმთავრის მოვალეობის ღრმა ცოდნას. მასში მოცემულია მითითებანი არა მარტო საეკლესიო მსახურების განგებაზე, არამედ ზნეობრივი მოძღვრებანიც ეკლესიის მსახურთათვის. ამბროსი მედიოლანელი ამასთანავე საეკლესიო გალობის რეფორმატორი იყო. მან შეიტანა დასავლეთის ეკლესიაში ანტიფონური გალობა (აღმოსავლური, სირიული ეკლესიის მიხაძვით), რომელიც ცნობილია „ამბროსიული გალობის" სახელით. მან შეადგინა 12 ჰიმნი, რომლებიც მის სიცოცხლეშივე სრულდებოდა. მის მიერ 386 წელს შედგენილი ჰიმნი „შენ, ღმერთსა, გაქებთ" შეედო მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებაში. ამბროსი მედიოლანელის შრომებიდან ქართულად, ისიც რუსულიდან, თარგმნილია მხოლოდ სიტყვა: „ნოეტანთა მიმართ" (A 796, S 378), ხოლო მეორე სიტყვა – „თქუმული შემდგომად გარდაცვალებისა მეორმოცესა დღესა იმპერატორ თეოდოსისა" – თარგმნილი უნდა ყოფილიყო ბერძნულიდან, როგორც ამის შესახებ იოანე ბატონიშვილი გვამცნობს (ეს თხზულება დღეს არ ჩანს).

ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრება" ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: პირველი – მეტაფრასული რედაქცია XI ს. II ნახევრის ცნობილ ქართველ მთარგმნელს თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია და რამდენიმე ხელნაწერითაა ცნობილი (ქუთ. 5, ფ. 107-118; Ath. 2, 62-68; A 217, 31-63), ხოლო მეორე, ასევე მეტაფრასული – ეურემ მცირეს, რაც მხოლოდ

ერთი ხელნაწერით არსებობს (A 90, ფ. 111-196). ხსენების დღე 7 დეკემბერია.

ამბროსი ფილაქელი // მანგლელი // ნეკრესელი (1728-1815) – მიტროპოლიტი, ცნობილი მქადაგებელი, მისიონერი და მოღვაწე, გვარად მიქაძე. გადმოცემით მისი წინაპარი ამბროსი მიქაძე XIII ს. დადიანს უწუქებია ქართლის მეფისათვის, დედოფალს ის სამღვდელოდ აღუზრდია და უკურთხებია სიონის დეკანოზად (აქტები, II, 507). ამბროსი ნეკრესელის მამა – იოსებ მღვდელი სიონის დეკანოზი იყო, სიონის წინამძღვარი იყო იოსების მამაც, ასევე ამბროსი (დოკუმ. თბილისის ისტორიისათვის, 1962, გვ. 327). ამბროსიმ მიიღო საღვთისმეტყველო განათლება, ერთხანს იყო მღვდლად, ხოლო დაქვრივების შემდეგ აღიკეცა მონაზვნად. იყო იკორთის წინამძღვარი, არქიმანდრიტი, ხოლო 1778 წლიდან – წილკნის მღვდელმთავარი (საქ. ცენტრ. არქ. ხელნაწ. №169, აღწ. I,116), 1778-1789 წწ. მანგლელის კათედრას განაგებდა (A 813), 1799 წ. 2/XII-დან კი ნეკრესის ეკლესიის მღვდელმთავარია. (Q 845, აღწ. I,256). მისი რეზიდენცია იყო სოფ. შილდაში. ამ კათედრაზე ამბროსი მოღვაწეობდა 1793-1815 წწ., ერთხანს მიტროპოლიტის სარისხით. ამავე დროს მოღვაწეობდა განათლების ხაზითაც. ზრუნავდა და იღვწოდა მისი წინამორბედის – დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ გახსნილ სასწავლებლში. 1801 წელს, როცა საქართველოში მეფობა გაუქმდა და ამან გამოიწვია კახეთის თავად-აზნაურთა ამბოხება, ამბროსიც ერთ-ერთი იმთგანი იყო, ვინც მოითხოვდა ერეკლე მეფის ანდერძის დამტკიცებას და ამ ანდერძის თანახმად მეფობის დატოვებას (ე. ი. იულონ ბატონიშვილის გამეფებას) და სათანადო პეტიციასაც მოაწერა ხელი (აქტები, I, 387). ამბროსი ერთხანს დაეთხოვა ნეკრესელობას, მაგრამ 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როცა რუსეთის მეფის ჯარმა კახეთი აიელო და ნეკრესელის რეზიდენცია – შილდა გადაწვა და დაქცია, ის დაუბრუნდა კათედრას და მიუხედავად სნეულებისა და მოხუცებულობისა, კელავინდებური ენერგიით შეუდგა მის განახლება-მოწყობას. ამბროსი გარდაიცვალა 1815 წ. 11 მარტს (Hd 11, 200), დასაფლაებულია სიონის ტაძარში.

ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი, მარტივი ენით ნაწერი, თავისი შინაარსით ორგვარი იყო: საკუთრივ რელიგიურ-დოგმატიკური და ისტორიულ-პუბლიცისტური. უკანასკნელი შინაარსის ქადაგებებში ამბროსი ებრძვის იმდროინდელი ქართველების ცრუმორწმუნეობას (მკითხაო ბეჭი, სიზმარი, ჯადოქრები და სხვ.) და აგრეთვე საკმაოდ კარგად გვაცნობს იმ დროის ქართველთა პოლიტიკურ სულისკვეთებას. აქ ის ამჟღავნებს რუსულ ორიენტაციას.

ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა ნაწილი, რიცხვით 41, გამოიცა 1881 წ. სათაურით: „სიტყუანი და მოძღერებანი თქუმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსისა მიერ“, დიმიტრი ჯანაშვილის წინასიტყვაობით და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. აქ არაა შესული ამათზე ადრე დაბეჭდილი ამბროსისაგე „სწაელა მღვდელმთავრისაგან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ“ (ჟურნ. „საქართ. სასულიერო მახარებელი“ 1864, ივლ.) და „წიგნი აღსარებისა“ (იქვე, 1865, მარტი).

ამბროჯო დელი ანჯოლი – ავგუსტინელი მონაზონი, მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ირანში. 1628 წ. I ივნისს ავგუსტინელ მონაზონ პეტრე ავიტაბილესთან ერთად ჩაიცა გორში, სადაც ზოგიერთი წყაროს მოწმობით, თეიმურაზ I-ს გადასცა სპარსეთში წამებული ქეთევან დედოფლის ნეშტი. დედოფალს იგი შორაზში დახლებია, წამების წინ ნუგეში უცია, ქეთევანის წამების შემდეგ სხვა ავგუსტინელებთან ერთად უზრუნია მისი ნეშტის დაცხოვნებისათვის. თეიმურაზ მეფემ ავგუსტინელებს საცხოვრებლად და ეკლესიის ასაგებად რამდენიმე სოფელი და ყმა უბოძა. ამბროჯო დელი ანჯოლიმ გორში აიგო კათოლიკური ეკლესია და სახლი. საქართველოში 12 წელი ცხოვრობდა. შეშნახულია საქართველოს შესახებ მისი გამოუქვეყნებელი მოხსენება პაპი ურბან VIII-სადმი (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, 102-109).

ამენ // ამინ (ებრ. „ნამდვილად“, „ჭეშმარიტად“) – დამამტკიცებელი, დამადასტურებელი, დასკვნითი ფორმულა ქრისტიანულ ლოცვის-მსახურებაში. წარმოთქმამენ ლოცვის, საგალობლის, ქადაგების ბოლოს, ანდა საზეიმო ფიცის, ან აღთქმის დადების დროს.

ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესია – ჩრდილოეთ ამერიკაში მართლმადიდებლობას საფუძველი ჩაუყარა ბალაამის მონასტრის რუს მისიონერთა ჯგუფის მიერ, რომელიც ალასკაში ჩავიდა 1794 წელს, როდესაც იგი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა. პირველი ეკლესია ააშენეს კუნძულ კადიაკზე და იქ მონათლეს მრავალი ადგილობრივი

მცხოვრები. 1840 წელს კამჩატკაზე, კურილისა და ალეუტის კუნძულებზე დაარსდა ეპარქია, ცენტრით ქ. სიტკაში. მისი პირველი ეპისკოპოსი იყო ინოკენტი ვენიამინოვი (შემდეგში – მოსკოელი მიტროპოლიტი). 1867 წელს, როცა ალიასკა მიყიდეს აშშ-ს, რუსული მისია იქ უფრო გაფართოვდა. ბიბლია და მართლმადიდებლური ლიტურგია ითარგმნა რამდენიმე ადგილობრივ ენაზე. 1872 წელს ეპარქიის რეზიდენცია სიტკიდან სან-ფრანცისკოში გადაადგილდა. 1898 წელს, როცა ამერიკაში ჩავიდა ეპისკოპოსი ტიხონი (ბელავინი), აღმოსავლეთ სანაპიროზე მართლმადიდებლურმა მოსახლეობამ საგრძნობლად იმატა რუს ემიგრანტთა რიცხვის ზრდის გამო. ამიტომაც 1905 წელს კათედრა გადატანილ იქნა ნიუ-იორკში. 1903 წელს ტიხონმა აკურთხა ვიკარიუსი ალიასკაზე, 1904 წელს – მეორე ვიკარიუსი (არაბული მრეწველობის), რეზიდენციით ბრუკლინში (ნიუ-იორკი). 1905 წელს ტიხონი მთავარეპისკოპოსი გახდა. 1907 წელს მან დატოვა ამერიკა, იმსახურა რამდენიმე ეპარქიაში და 1917 წელს არჩეულ იქნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად.

XIX ს-ის ბოლოს ამერიკის აღმოსავლური წესის კათოლიკეთა დიდი რიცხვი შეუერთდა მართლმადიდებლობას. 1921 წელს ამერიკაში დაარსდა მართლმადიდებლური საეპისკოპოსო, რომელიც ექვემდებარებოდა საპერძნეთის ეკლესიას, შემდეგ კი იგი გადაეცა მსოფლიო საპატრიარქოს. გარდა ამისა, დაარსდა სხვა ადგილობრივ ეკლესიათა იურისდიქციაში მყოფი სამრევლოები. 1917 წელს ამერიკაში უამრავი რუსი ემიგრანტი ჩავიდა. კომუნისტთა მიერ რუსეთის ეკლესიის დევნის გამო 1924 წელს ჩრდ. ამერიკის ეპარქიამ თავი გამოაცხადა დროებით თვითმართველ ეკლესიად, ისე, რომ შეინარჩუნა სულიერი ერთობა რუსეთის ეკლესიასთან. 1970 წელს მოსკოვის საპატრიარქომ ამერიკის მიტროპოლიას ავტოკეფალურობა მიანიჭა და ამერიდან ოგი ახე იწოდებოდა: „მართლმადიდებლური ეკლესია ამერიკაში“. ეს აქტი არაკანონიკურად სცნო კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ. ამერიკის ეკლესიის ავტოკეფალურ სტატუსს მხარი დაუჭირეს ბულგარეთის, საქართველოს, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიებმა. ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, თუმცა მსოფლიო საპატრიარქოს ამერიკის ეკლესიასთან მნიშვნელოვანი კონტაქტები აქონდა. „მართლმადიდებლურ ეკლესიას ამერიკაში“ ლიტურგიკული ერთობა აქვს ამერიკაში მოღვაწე სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, მაგრამ ყველა საპატრიარქო დღემდე არ სცნობს მის ავტოკეფალურობას.

ამიდასტური – სამეკლესიანი ბაზილიკა VI-VII საუკუნეებისა გურჯაანის რაიონის სოფ. შრომაში (ძე. ჯარნაძიანი)..

ამილახვარი გივი (იოთამის ძე †1700) – XVII ს. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე (გორის მოურავი და ქართლის სადროშოს სარდალი). 1678 წელს გივი ამალახვარმა და მისმა მეუღლემ თამარმა განაახლეს დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ეკლესია (გუშბათი, კარიბჭე, სამრეკლო).

ამილახვარი გივი (ანდუყაფარის ძე, 1689-1754) – XVII-XVIII სს. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე (გორის მოურავი და ქართლის სადროშოს სარდალი). ცნობილია თავისი აღმშენებლობითი საქმიანობით. მან ქართლში მრავალი ეკლესია და ციხე აღადგინა. თაეის მეუღლესთან, ბანგუასთან ერთად, განაახლა შიომღვიმის, ნათლისმცემლის, ღვთისმშობლისა და შიოს სახელაეის ეკლესიები.

ამირანაშეილი შალვა (1899-1975) – ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ პირველ მკვლევარი საქართველოში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის საქმეში.

მისი მთავარი ნაშრომები საეკლესიო ხელოვნების საკითხებს ეძღვნება: ხახულის კარედი, თბ., 1972; ბქა ოპიზარი, თბ., 1956; ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; Грузинская монументальная живопись, 1957 და სხვა.

ამირანი – ქართული ხალხური წარმართული ეპოსის გმირი, „ამირანიანის“ მთავარი პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთის – დალისა და უცნობი მონადირის შვილი. მას ოქროს კბილი აქვს და საცრისოდენა თვალები, მგლის მუხლი, 12 უღელი ხარ-კამეჩის ღონე და ზვაეის სისწრაფე. ხალხისათეის თაედადებული გმირი ღმერთმა კავკასიონზე მიაკაჭვა. მიკაჭული ამირანის სახე შემდეგ ეროვნული ჩაგრისაგან ხსნის იდეას დაუკავშირდა და თაეისებური გამოხატულება პოეა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად, ამირანი საკაობრიო მნიშვნელობის მხატერული სახეა, რომელიც დაახლ. 3500 წლის წინათ უნდა შექმნილიყო.

ამირინდო ამირახორი – XV ს.

შუა წლების ქართველი მოღვაწე. მას თაყა ამირახორთან ერთად აუშენებია ბასილის მონასტერი იერუსალიმში. როგორც წყაროებიდან ჩანს, აქ ქართველ ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ და მწიგნობრობას ეწეოდნენ. ამ მონასტრის წიგნსაცავიდან ცნობილია სექტემბერ-იანვრის თვენი (Jer. 40; 6. მარი, იერ. ხელნაწ. აღწ. გვ. 38-40; რ. ბლეკა, Catalogue... გვ. 45-48). იხ. ბასილის მონასტერი.

ამიტლი – სოფელი დაღესტანში, ხუნძახის პლატოზე. სოფლის მიდამოებში არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაელინა XI-XIII სს-ის ქრისტიანული (ქართული) ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია ნაგები ყოფილა ოდნავ დაშეშავებული ქვით და აგურით. ეკლესიის შუაგულში მონოლითური ტრაპეზის ქვაა აღმართული. ეკლესია დახურულია ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

ამლევი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე, თეთრი წყაროდან 16 კმ-ზე. ამლევიდან 2 კმ. დაშორებით, სადაც ძველად მონასტერი „სამლისი" არსებობდა (დღეს მხოლოდ ადგილმა შემოინახა ეს სახელწოდება), დგას მაცხოვრის ეკლესია, რომელიც XVII ს-ში უნდა იყოს აგებული.

ამონა – ქართული კულტურისა და ეკლესიის რამდენიმე მოღვაწის სახელი:

1. ოპიზის ტაძრის ერთ-ერთი აღაშენებელი (ვანმახლებელი) მონაზონი (VIII ს-ში), რომელიც მოხსენიებულია სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში": „აღეშენა ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი" (ძეგლ. I, 322).

2. ხანცთის ეკლესიის მაშენებელი X ს. I ნახევარში, მოხსენიებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში". მისი ხელმძღვანელობით აუგიათ ხანცთის მერე ეკლესია, რომელიც „ჯურგენ კურაპალატის ძემან ამოტ ერისთავთა ერისთავმან" (896-918 წ.) დაიწყო. ამ დროს ხანძთის წინამძღვარი იყო არსენი. „ამისთა განზრახვითა იქმნა დაწყება ახლისა მის შუენიერისა ეკლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქუთა-ქირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაიკაცა". შემდეგ ნათქვამია, რომ „აკურთხენ ქრისტემან ამონა სიბრძნით სრულიად მაშენებელი და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განმარკუებულა შენებაჲ ეკლესიისაჲ მის". ეკლესიის შენება დაუმთავრებიათ გურგენ ერისთავთ-ერისთავის (918-941) დროს (ძეგლები, I, 277).

3. კალიგრაფი IX საუკუნისა (ერისკაცობაში ვახტანგ მოძარღულის ძე), უძველესი დათარიღებული ქართული ხელნაწერის – სინის მთის მონასტერში გადაწერილი 864 წლის მრავალთავის (Sin. 32; ფ. 57) ერთ-ერთი გადამწერთაგანი. ამ წიგნის შექმნის ინიციატორი მაკარი ლეთეული – ამონის მამიდაშვილი – მას ახახელებს, როგორც შემწეს „ქელისწერითა": „ქელისწერითა დედის ძმისწულისაჲ ჩემისა ამონა ვახტანგ მოძარღულისა ძისაჲთა... დაიწერა ესე წიგნი იერუსალიმს, ლავრასა საბაჲსა... დასაბამთგან წელსა ჳჟმ (6468 – 5604 = 864), ქრონიკონი იყო პ̃ლო (84 + 780 = 864). სხვაგან იგი თვითონ უწოდებს თავის თავს „მზრდეკალს", მაგრამ არა აქვს მითითებული, რომელი ნაწილია მისი გადაწერილი.

ამონა მონაზონი – IV ს. საეკლესიო მწერალი, ეკლესიტელი მონაზონი († 357). ქართულად თარგმნილია მისი 16 სიტყვა, რომლებიც თაემაურილია ქართულ ხელნაწერებში: Sin. 35, 43-47 და Ath. 32.

ამონი – ძველ ეგვიპტელთა ღვთაება, იგივე ოზირისი (ესაა მისი ბიბლიური სახელი), ქ. თებეს მფარველი. ძვ. წ. XXI ს. ამონი და მისი ღვთაება – რა (რე) გააიგივეს და უწოდეს ამონ-რა. XVII ს. დინასტიის ფარაონების დროს ამონი ეგვიპტურ პანთეონში უზენაეს ღვთაებად და ფარაონთა მამად არის აღიარებული: მის გამოსახულებაში გვირგვინოსანი მეომარი ღვთაება გამარჯვების მახვილს და დაპყრობილი ქვეყნების სიმბოლოებს გადასცემს ფარაონს. ამონის კულტის მთავარი ადგილები – კარნაკისა და ლუქსორის ტაძრები ქ. თებეში ძველი ეგვიპტური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლებია.

ამონიოსი – IV ს. საეკლესიო მწერალი. იგი ავტორია ცნობილი თხზულებისა „ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა წმიდასა სინასა და რაითს". თხზულება თარგმნილია ქართულად და გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: კიმენი, I, თბ., 1918, 28-47.

ამოს ფინასწარმეტყველი (ძვ. წ. VIII ს.) – მესამე 12 მცირე წინასწარმეტყველთაგან, დაბადებული სოფ. ტეკოაში (იუდეელთა სამეფო). ერიხას მწყემსი ყოფილა, შემდეგ ქ. ბეთელში (ისრაელთა სამეფო) გადასულა საცხოვრებლად. ამოსის ქადაგებანი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. განსაკუთრებით გმობდა მეცხვეობას, დაწაგრულთ მოუწოდებდა ღვთაებრივ სამართლიანობაზე დაე-

მყარებინათ იმედი და ერთადერთ მხსნელად იაქეც ეცნოთ. ისრაელის კერპთაყვანისმცემელ მფლობელთა წინააღმდეგ გაბედული გამოსვლების და წინასწარმეტყველების გამო, ბეთელის მღვდელმთავარ ამაციას მოთხოვნით ისრაელთა მეფემ იერობოა II- ამოსი განდევნა. ის მძიმედ დაჭრა ამაციას შვილმა და გარდაიცვალა დახლ. 83 წ. (ძვ. წ.). ამოსის ქადაგებანი შესულია ძველ აღთქმაში – „წიგნი ამოსისი", რომელიც შეიცავს 9 თავს. ქართულად თარგმნილია ამოსის შესახებ დაწერილი საკითხავი (ქუთ. 313, ფ. 157-175). ხსენების დღე – 15 იენისი.

ᲐᲛᲘᲐᲠᲢᲐᲕᲔᲜᲔᲑᲐ – ერთ-ერთი შვიდ მოაყენებელ ცოდვათაგანი, ცრუ გრძნობა საკუთარი თავის უპირატესობისა; ქედმაღლობა, გოროზობა, ზეამა, რაც უპირისპირდება სიმდაბლეს (თავმდაბლობას) და შეიცავს სიცრუის ელემენტებს, არამართებული დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და გარემომცველთა მიმართ.

ამპარტავნების განსაჭიქებლად არაერთი ქადაგება წარმოუთქვამთ ქრისტიანობის გამოჩენილ მამებს, მაგ.: ეფრემ ასური – „დასამხობელად ამპარტავნებისა" (A 154, სტ.6), იოანე ოქროპირს – „სიმდაბლისათჳს და ამპარტავნებისა" (A 143, ასკეტიკონი, თავი 16), „ამპარტავნებისათჳს და ზუაობისა" (Sin. 85, 51-55) და სხვა.

ᲐᲛᲤᲚᲘᲐ – ერთ-ერთი სამოციდაათ მოციქულთაგანი, რომელიც ოდესეს ეპისკოპოსი გახდა. მოხსენიებულია პაულე მოციქულის ეპისტოლეში ქრომელთა მიმართ: „ჴოთხუა არქუფ, ამპლიას საყუარელსა ჩემსა უფლისა მიერ" (16,8).

ᲐᲛᲨᲐᲮᲘ – სოფ. ისტორიულ ლორეში, თავისი ეკლესიით მოხსენიებულია 1392 წ. I/XII ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (Hd 8712, გამოც. ი. დოლიძის მიერ; ქართული სამართლის ძეგლები, III, 178).

ᲐᲛᲨᲘᲚᲝᲫᲔ ᲘᲙᲝᲜᲘᲔᲚᲘ – († 394) – IV საუკ. ცნობილი საკლესიო მწერალი, იკონიის ეპისკოპოსი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ბიძაშვილი და ბასილი დიდის ახლო მეგობარი, მისი მოწაფე და თანამოაზრე. ამფილოქე დაიბადა კაბადუკიის კესარიაში. იგი 40 წელი უდაბნოში მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. 372 წ. იგი დაადგინეს იკონიის ეპისკოპოსად. ის ესწრებოდა 381 წლის კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრებას და ერთ-ერთი მეთაური იყო მაკედონიანელთა მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ამფილოქე იკონიელი ავტორია მრავალი სიტყვისა და ეპისტოლესი, რომლებშიც თხრობის სრულყოფილი ფორმა შერწყმულია ღრმა დოგმატიკურ და პოლოგეტიკურ შინაარსთან. ბასილი დიდის ცნობილი ოთხი კანონიკური შინაარსის ეპისტოლე, რომელიც ნომოკანონშია შეტანილი, სწორედ ამფილოქეს მიერ გაგზავნილ შეკითხვებზე პასუხებს წარმოადგენს (დიდი სჯულისკანონი, გვ. 472-498). ამფილოქე ავტორია „ბასილი დიდის ცხოვრებისა", რომლის ქართული თარგმანი სამი რედაქციით არის მოღწეული (1. A 19,266-306; A 90,369-378. 2. A 95,185-212; 3. A 1103; ეფთჳმე მთაწმიდელის თარგმანი). გარდა დასახელებულისა, ამფილოქეს შრომებიდან ქართულად თარგმნილია „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი" (ეფრემ მცირის მიერ; A 162, ფ. 74-78; A 182, 244-251, ქუთ. 1,30-36), ამაჟე სიტყვის მეორე თარგმანი, პირველზე ძველი (Ath. 5, 2-20) და „ადბიკო სელევკეს მიმართ" (ქუთ. 22, 224-225; S 379, 1-2). ამფილოქე იკონიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბერძნულად შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება თარგმნილია ქართულად და რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული (S 384, 763-771; Jer. 37, 231-238; Sin. 91, 252-259; S 382, 2-11; A 511). მისი ხსენების დღედ დადებულია 23 ნოემბერი.

ᲐᲛᲤᲘᲚᲝᲥᲔ ᲓᲘᲓᲘ – II ს. მოწამე აღრიანე იმპერატორის დროს (117-138). წარმართობაში იყო ერთ-ერთი მთავარი და მშვიდარ-თმთავარი ილირიაში. მასთან იმპერატორმა გაგზავნა ქრისტიანი წმ. ფლიტე, მისი მეუღლე ლუდია და შვილები – მაკედონიო და თეოპრეპოს, რათა მას ისინი ეწამებინა და მოეკლა. ქრისტიანები დილეგში ჩაყარეს. ციხის უფროსმა კრონდონიმა ამფილოქეს ბრძანებით ისინი ზეზე ჩამოკიდა და აწამა. ღვთიური სასწაულის შედეგად ამფილოქემ ქრისტე იწამა და ქრისტიანებთან ერთად მიიღო მოწამებრივი აღსასრული. მათი ერთობლივი „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად და შეტანილია ქუთ. 2 (366-374) ხელნაწერში. მათი ხსენების დღედ დადებულია 23 მარტი.

ᲐᲜᲐ (ებრ. ḥannā – კეთილსახიანი, ეშხიანი) – სამოელ წინასწარმეტყველის დედა. თავადაც წინასწარმეტყველად ითვლება. დიდხანს უშვილო იყო, ევედრებოდა ღმერთს, მისთვის მემკვიდრე ეხოხბინა და აღუთქვა, რომ შვილს ღვთისმსახურად გაზრდიდა. ანას შეეძინა ეჟი, რომელსაც სამოელი დაარქვეს, რაც ებრაულად „ღმრთისაგან შესმენილს" ნიშნავს. ანაქმის თანახმად, როდესაც სამოელმა ყმაწვილობის

ასაკს მიაღწია, დედამ ელია მღვდელს მიუყვანა, რომელმაც ის კარების მსახურად განაწესა (I მეფეთა, II,2-21).

ანა განასახიერებს ღვთისმოშიში, ამასთანავე ნაზი და კეთილგონიერი ქალის სახეს, რომლისთვისაც დედობრივი მოვალეობა წმინდათაწმინდაა. მას მიაწერენ ერთ-ერთ ფსალმუნს (I მეფ. II, 1-10), რომელიც ნათელყოფს მის პოეტურ სულს. ეს ფსალმუნი შემდგომში საფუძვლად დაედო პიმნოგრაფიული კანონის მესამე გალობას – „განძლიერდა“ (იხ.).

ანა – მარიამ ღვთისმშობლის დედა, წმინდა იოაკიმის მეუღლე, უმცროსი ქალიშვილი ბეთლემელი მღვდლისა – მატთანესი, ლევიტელთა ტომიდან. ანამ მარიამი შვა 20-წლიანი უშვილობის შემდეგ. ქრისტიანულ მწერლობაში მისი აღიარება IV ს-დან იწყება. ეპიფანე კვიპრელმა († 403 წ.) დაწერა საკითხავი „მუცლადღებისათჳს ანნაჲსა, რაჟამს ეზარა შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ“ (ქუთ. 5, 123-130; S 1217, ფ. 111-127), რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს (XI ს.) უთარგმნია ქართულად. VIII ს-დან ანას აღიარება ქრისტიანულ ეკლესიაში საყოველთაო გახდა. ქართულად თარგმნილა აგრეთვე ერთი თხზულება, რომელიც ანას ნათესაურ გენეალოგიას და მიცვალებას აღწერს (ქუთ. 3, ფ. 688-689), რომლის არც ავტორია ცნობილი და არც ქართულად მთარგმნელი.

ფოქრობენ, რომ ანას წმინდა ნაწილები 710 წელს იქნავადმოსვენებულ კონსტანტინოპოლში. მისი ხსენების დღედ მართლმადიდებელ ეკლესიაში დადებულია 9 დეკემბერი.

კათოლიკურ ეკლესიაში XIII ს-ში ჩამოყალიბდა წმინდა ანას ძმობის ორდენი, რომელმაც XIX ს-ის დასაწყისამდე იარსება.

ანაბაპტისტები („ხელმეორედ მონათლულნი“) – კათოლიკურ ეკლესიაში წარმოშობილი სექტა, რომელიც 1579 წელს ჩამოყალიბდა ციურიხში, საიდანაც გავრცელდა გერმანიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარია, დანიაში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ინგლისში, უკრაინაში, ჩრდ. ამერიკაში და სხვ. სექტა დაუპირისპირდა კათოლიციზმს, ლუთერანობას, ცვინგლიანობას და კალვინიზმს.

ანაბაპტისტები უარყოფდნენ საეკლესიო ორგანიზაციას, ხატებს და კულტის სხვა გარეგან გამოხატულებას, საეკლესიო საიდუმლოებებს, სალეთო წერილს (ბიბლიას) და ავტორიტეტებზე მაღლა აყენებდნენ შინაგან გამოცდილებას (ხილვას). ისინი უარყოფდნენ საეკლესიო და საერო ხელისუფლებას, გმობდნენ სიმდიდრეს და სოციალურ უთანასწორობას, ოცნებობდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და „ღვთის ათასწლოვანი მეუფების“, ე. ი. სამართლიანი სოციალური წყობილების დამყარებაზე. მათ შეშოიღეს მოზრდილთა ნათლისღება და ჯრმობაში მონათლულს ხელმეორედ ნათლავდნენ (აქედან მომდინარეობს სექტის სახელწოდებაც).

ანაბაპტისტებმა წარმოშვეს 40-მდე მიმდინარეობა. თავდაპირველად მათში ჭარბობდნენ ზომიერი მიმდინარეობის მომხრენი, რომლებიც კმაყოფილდებოდნენ „ღვთის ათასწლოვანი მეუფების“ დადგომის პასიური ლოდინით. ამავე პერიოდში საქსონიაში ჩაისახა რევოლუციური მიმდინარეობა, რომლის მიზანი იყო „ღვთის მეუფების“ რევოლუციური გზით დამყარება. ეს მიმდინარეობა ოფიციალური წრეების მიერ იდევნებოდა.

ანაბაპტისტების მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია ბაპტისტების (იხ.), დენომინაციებისა (იხ.) და კვაკერების (იხ.) მოძღვრების ჩამოყალიბებაზე.

ანაბერდი – ციხე-სიმაგრე სომხეთში, აქ აღმართულია ქვა-ჯვარი ქართული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ 1200 წელს ციხე გათავისუფლა ქართველმა ჯარმა.

ანაგა – სოფელი ბოდბის ეპარქიაში, სიღნაღის რ-ნში, ალაზნის ველზე, სიღნაღიდან 6 კმ. მანძილზე. სოფლის მიდამოებში არის შუა საუკუნეების წმ. ელიას ეკლესია, აგრეთვე გეიან-ფეოდალური ხანის მთავარანგელოზის ეკლესია.

ანა დედოფალი – კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის (1476-1511) მეუღლე, ძველი ქართული მწერლობის მეცნიერი. მისი ბრძანებით 1479-1495 წწ. გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხა (Q 795), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ანასეული ქართლის ცხოვრების“ სახელით არის ცნობილი.

ანათემა (ბერძნ. „შეჩვენება“) – საეკლესიო სასჯელი საერო და სასულიერო პირთათვის, ეკლესიისაგან სრული ჩამოშორება. მძიმე დანაშაულისთვის დასჯილი ეკლესიის წევრი მთლიანად კარგავს ეკლესიასთან ერთობის, მორწმუნეებთან საერთო ლოცვის, ყოველგვარ საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობის, საიდუმლოთა ზიარებისა და მართლმორწმუნეთა სასაფლაოზე დაკრძალვის უფლებას. შეჩვენებულ პირთან არც ერთ მორწმუნეს არ უნდა ჰქონდა რელიგიური ერთობა, ხოლო სასულიერო პირს მასთან კერძო ურთიერთობაც ეკრძალებოდა. ანათემა მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცხადდება დიდმარხვის პირველ კვირა დღეს, მართლ-

მაღდელობის კერიაკეს.

ანაკოფია – ციხე-ქალაქი VII-VIII სს. აფხაზეთში, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე, აფხაზეთის სამეფოს მთავარი ქალაქი VIII ს. ბოლოდან. ანაკოფიის ტერიტორიაზე 1957-58 წწ. ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაკლინა VII-VIII სს. ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები.

ანალოგია | ანალოღია (ბერძ.) – დიდი ან მცირე მაგიდა დახრილი ზედაპირით, რომელსაც სხვადასხვაგვარი სადგამი შეიძლება ჰქონდეს. ეკლესიაში რამდენიმე ასეთი მაგიდა იდგმება, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ: სახარების საკითხაი დიაკონთათვის და მღვდელთათვის ამბიონზე, ფსალმუნის საკითხაი მედავითნისათვის, წმ. ხატების დასასვენებელი თაყვანის საცემად და სამთხეევად ტაძრის შუაში, არტოსის დასასვენებელი კანკელის წინ ბრწყინვალე შეიდეულის განმავლობაში და ა. შ. ანალოგიაზე გადაფარებულია ამრეშუმის, ან სხვა ძვირფასი ქსოვილის გადასაფარებელი.

ანა მღვდელი – ებრაელთა მღვდელმთავარი, რომლის წინაშე წარადგინეს იესო ქრისტე გასამართლებისა და ჯვარცმის წინ: „მიიყვანეს იგი (იესო) პირველად ანნასა, რომელი იყო სიმამრი კაიაფასი, რომელი იყო მღვდელთმთავარი მის წელიწდისაჲ“ (იოანე 18,13). „ხოლო მაცილინა იგი ანნა კრული კაიაფასა“ (იოანე 18,23). ანა მღვდელი მოხსენიებულია „წინის ცხოვრებაში“: „მოწერა ანნა მღვდელმან იერუსალემით მამის მამისა ჩემისა ოზიაჲსა მცხეთას“ (მოქცეაჲ ქართლისაჲ, I, გე. 127, 16).

ანანია – ებრაელი ღვთისმსახური ყრმა, რომელიც აზარიასა და მისაელთან ერთად მოხსენებულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში (I-III თავები). ანანიას, აზარიას და მისაელის შესახებ ბაგიოგრაფიული თხზულება თარგმნილია ქართულად IX ს-ში სეითის მიერ და შემონახულია ხელნაწერებში: Sin. 11 (X ს.), 240-245 და H 341 (XI ს.), 561-571. მათი ხსენების დღედ დადებულია 17 დეკემბერი. იხ. აზარია.

ანანია – XV ს. ქართველი მხატვარი, მინიატურისტი. ცხოვრობდა სამცხის ათაბაგის კარზე. ერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა მისი ორი მინიატურა: მათე და მარკოზ მახარებლების მჯდომარე გამოსახულებანი ჩაწერულია შაე მთაზე XI ს-ში გადაწერილ ე. წ. რუისის ოთხთაში (A 845). მინიატურებისათვის დამახასიათებელია რამდენადმე წაგრძელებული პროპორციები.

ანანია ებრაელი – ქართულად ნათარგმნი ამოკრიფი „დიდსა პარასკევსა ენებათოვს და სიკუდილისა მოსასენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“ ავტორად ასახელებს ანანია ებრაელს: „თქმული ანანია ებრაელისა, დასისაგან მჯულისა მეცნიერთაჲსა“, რომელსაც, თითქოს, ებრაულად ნიკოდიმეს მიერ შეთხზული ეს საკითხაი ბერძნულად გადმოუღია „საცნობლად ყოველთათჳს“ (H 1145 ^{b}).

ანანია მოციქული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელმაც ნათელ-სცა პაელე მოციქულს, რომელსაც მანამდე ერქვა საელე (საქმე მოციქულთა 9,10-19). ანანია დამასკოს ეპისკოპოსი გახდა და ქრისტიანობას ქადაგებდა იუდეველთა და წარმართთა შორის. ქალაქის მმართველმა ლუკიანემ ვერ დაიყოლია ანანია, მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. საშინელი წამების შემდეგ ანანია ქალაქგარეთ გაიყვანეს და ჩაქოლეს. მისი ხსენების დღედ დაწესებულია 1 ოქტომბერი. ანანია მოციქულის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ბერძნული ენიდან ქართულად და რამდენიმე ხელნაწერით არის მოწეული (S 384, XII ს. 258-262; Jer. 37, XIII-XIV სს; 37-39 და სხვ.) მთარგმნელი არ არის ცნობილი.

ანანია მღვდელმონაზონი – 1411 წლის ერთ სიგელში (ცენტრ. არქივის ფ. №1449. № 1512), რომელიც ნასყიდობის წიგნია, მოწმედ დასახელებულია მღვდელმონაზონი კათელი ანანია (თ. ჟორდანია, ქრონიკ. II, გე. 219.

ანანია სინელი – XVII ს. სინის მთაწმინდის ეპისკოპოსი, რომელიც 1665 წ. ჩამოვიდა ქართლში და ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის დახმარებით დაბრუნა დაკარგული მიწა-წყალი, რომელიც ადრე სინის მთის მონასტრებს ეკუთვნოდა ქართლში (სინის მონასტერს მრავალ ქეცანაში ჰქონდა მეტოქები და სოფლები. მეტოქი ჰქონდა მას თბილისშიც – ეკატერინეს ეკლესია, ხოლო მამულები – ქარაღში, სოფ. მელვრეკისში – გორის რაიონი).

ანანური – სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირზე, საქ. სამხედრო გზაზე, დუშეთიდან 23 კმ. ცნობილია თაეისი ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრით (XVI-XVII სს.), რომელიც ერისთავთა რეზიდენცია იყო. ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე დგას მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია (XVI-XVII სს.), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლი „მკურნალს“ უძახიან. დაახლ. XVII ს. შუა ხანას ეკუთვნის მცირე გუმბათიანი ტაძარი „ღვთაება“. ანანურის

ანაბალის უმთავრესი ძეგლია დიდი გუმბათიანი ტაძარი. სამხრეთის კედლის წარწერებიდან ჩანს, რომ ტაძარი 1689 წელს აუგიათ (სარქარ ქაიხოსრო ბაღსარაშვილს არაგვის ერისთაეის მდივანბეგ ბარძიმის ბრძანებით). XVII საუკუნეში არის აგებული დიდი ეკლესიის აღმოსაელეთით აღმართული სამრეკლოც.

ანასტასი („აღდგომა") – ქართულად ბერძნული ენიდან თარგმნილია ერთი თხზულება „თქუმული კაცისათუს ცოდეილისა უწყებით და უფროას ხოლო ცოდეისათუს" (A 116), რომელიც სინის მთის წმინდა მამების შესახებ თხრობას შეიცავს და რომლის აუტორად დასახელებულია წმ. ანასტასი. შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს ანასტასი სინელი († 687 წ.).

ანასტასი ანტიოქელი – VI ს. ანტიოქიის პატრიარქი, საეკლესიო მწერალი. თავისი მოღვაწეობა დაიწყო მონაზვნობით სინის მთაზე, ამიტომ მას ხშირად ანასტასი სინელსაც უწოდებენ. ანტიოქიის პატრიარქი გახდა 561 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565). ამ დროს გავრცელდა მონოფიზიტური მწვალებლობა და იმპერატორმაც მწვალებელთა მხარე დაიჭირა. ანასტასი თავისი ცნობილი ეპისტოლეებით მიმართავდა ყველა ქრისტიანულ ეკლესიას და მოუწოდებდა დაეცვათ მოძღვრება ქრისტეს ორი ბუნების შესახებ, ხოლო ეკლესიაში ყოველდღიური ქადაგებებით ცდილობდა განემტკიცებინა მართლმადიდებლური დოგმატი. განრისხებულმა იუსტინიანემ გადაწყვიტა მისი გადაყენება და დასჯა, მაგრამ ამად გახდა. საკვდილის წინ მან მოინანია მართლმადიდებლობის წინაშე თავისი შეცოდებანი და დაწერა ლოცვა „მხოლოდშობილი ძისა და საღმრთო სიტყვის" შესახებ, რომელიც საღმრთო ლიტურგიის განწესებაში შევიდა. იუსტინიანეს შემდეგ ტახტზე იუსტინიან უმცროსი ავიდა (565-578), რომელმაც განაახლა მართლმადიდებელთა დევნა და ანასტასი 572 წ. გადაასახლა. გადასახლებიდან ანასტასი 593 წელს დაუბრუნდა საპატრიარქო ტახტს და გარდაცვალებამდე (599 წ. 12 აპრილი) კიდევ 6 წელი მწყსიდა თაეის მრევლს. მისი ხსენების დღე 20 აპრილია. გადასახლებაში ანასტასი მღვდელმთავარმა რამდენიმე დოგმატური და ზნებრივი ხასიათის თხზულება დაწერა, ამასთანავე ბერძნულად თარგმნა გრიგოლ დიალოღოსის თხზულება „სამწყსოს მსახურების შესახებ". ანასტასი ანტიოქელის თხზულებათაგან ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია: 1. „კითხვა-მიგებაჲ ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა მიმართ, რომელთა ჰკითხეს ქუეყნ წერილთა სიტყუათათუს" (სულ 16 კითხვა-მიგება; A 128, 828-850; A 89, 329-344). 2. „სიტყუაჲ კითხვა-მიგებითი საღმრთოჲსა გულისხმისყოფისათუს", რომელიც, შესაძლებელია, ეფრემ მცირის თარგმნილი იყოს (S 2406, 121-171).

ანასტასი აპოკრისიარი († 666) – მოწამე, მაქსიმე აღმსარებლის მოწაფე. მაქსიმესთან ერთად მანაც განიცადა მონოთელიტთა დევნა. მას ჯერ ექსორია უყვეს პერსეეროსში, ხოლო შემდეგ, თაეისი მოძღვრის მსგავსად, მოკეეთეს მარკეენა ხელი და ენა. მაქსიმე და ანასტასი ხუცესი საქართველოში, ეგრისში გადასახლეს. ანასტასი გარდაიცვალა 666 წელს აფხაზეთში, ციხეში, რომელსაც „ეწოდებოდა თუსუმნ". ანასტასი ხუცესისა და აპოკრისიარის უსისტოლე თავისი მოწაფის, თეოდორე ღანგრელისადმი, რომელშიც აღწერილი იყო მაქსიმე აღმსარებლის ცხოერების ეპიზოდები და დეტალები, საფუძვლად დაედო თეოდორე ღანგრელის თხზულებას „მოთხრობაჲ ღუაწლისა და ენებულებათა ღირისისა და აღმსარებელისა მაქსიმესთაჲ და ანასტასი მოწაფის მისისათაჲ", რომლის ქართული თარგმანის ერთადერთი ნუსხა ქუთ. 4 ხელნაწერშია შესული (გამოსცა კ. კეკელიძემ, ეტიუდ. III, 289-310). მისი ხსენების დღედ დადებულია 21 იანვარი.

ანასტასი სინელი († 666) – სინის მთის იღუმენი, ცნობილი საეკლესიო მწერალი. ახალგაზრდობაში მიიღო კარგი საშოკალაკო განათლება, რომელიც დაასრულა ღვთისმეტყველების შესწავლით. ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა მონაზვნად, გაემგზავრა იერუსალიმში და დამკვიდრა მთაზე გამოჩენილი საეკლესიო მწერლის, იოანე სინელის (კლიმაქსის) წინამძღვრობის დროს. იოანეს შემდეგ წინამძღვრად იყო მისი ძმა გრიგოლი, ხოლო გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვარი გახდა ანასტასი და ამიტომ იგი ცნობილია ანასტასი სინელის სახელით. ანასტასი სასტიკად ებრძოდა „უთავოთა" (აკეფალიტა) მწვალებლობას, რომლებიც არ სცნობდნენ ქალკედონის IV მსოფლიო კრების (451 წ.) დადგენილებებს ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების მიზნით ანასტასიმ იმოგზაურა ეგეიპტეში, არაბეთში და სირიაში. მონოფიზიტებთან ბრძოლის სახელმძღვანელოდ მან თაეის მოწაფეებს დაუტოეა სახელმძღვანელო თხზულება „წინამძღუარი", რომელიც კითხვა-მიგების ფორმით დაწერილ 24 თავს შეიცავს.

ასევე ცნობილია მისი თხზულება (12 წიგნად) „თარგმანება ექუსთა დღეთათჳს“ და მრავალი სიტყვა-ქადაგება, ზოგიერთ წმინდანთა „ცხოვრებანი“ და საღვთო წერილის ბევრი ადგილის თარგმანება-განმარტება. ანასტასი სინელი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული. მისი ხსენების დღედ დადებულია 20 ათრილი.

ანასტასი სინელის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1. „წინამძღუარი“, არსენ იყალთოელის მიერ (A 64, A 65, A 205, S 1463). 2. „შემოსლვისათჳს მარხჳათსა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა“, თეოფილე ბუცესმონაზონის მიერ (A 5, 98-120; A 182, 650-685; A 129, 152-161; ქუთ. 8,29-40). 3. „შაბათსა ქორცითა აღებისასა, თქმული ქრისტეს მიერ შესუენებულთათჳს და სარწმუნოებით დაძინებულთა“, ეფრემ მცირის მიერ (A 182, 549-567; A 162, 87-92; A 129, 140-177; ქუთ. 8, 940-943). 4. „შრავალთა და საჭიროთა ძიებათათჳს საღმრთოთა წერილთა შინა“ (A 67, 32-37; A 691, 306-325). 5. „ლიცეაჲ თხოესაჲ ნებსითა სიტყუთა“ (A 249, 26-45).

ანასტასი სპარსი – ქრისტიანი მოწამე († 628 წ.), შეილი სპარსელი მოგვისა. წარმართობაში ერქვა მაგურდატი და სპარსეთის მეფის, ხოსრო II ჯარის მეომარი იყო, რომელმაც 614 წ. დაიკცია იერუსალიმი და რომელმაც სპარსეთში წაიღო ჯვარი, რომელზედაც დამშჯვალული იყო იესო ქრისტე. ჯვრის მიერ მოხდენილმა სასწაულებმა ინტერესი აღუძრა სპარსელ ყმაწვილს, გასცნობოდა ქრისტიანულ მოძღვრებას და ქალაქიდანში, სადაც ჯარი დროებით შეჩერდა, მაგუნდატმა ქრისტიანობა მიიღო და მოინათლა ანასტასის სახელით, ხოლო შემდეგ მონაზონად აღიკეცა და შეიდი წელი გაატარა იერუსალიმის ერთ-ერთ მონასტერში. მან გამოცხადებით იგრძნო მოწამებრივი აღსასრულის მოახლოება და ფარულად წაეიდა პალესტინის კესარიაში, სადაც იგი შეიპყრეს და გასამართლეს, როგორც ქრისტიანი. სასტიკი წამების შემდეგ, რადგან მან არ უარყო ქრისტიანობა, ხოსრო მეფის ბრძანებით იგი დაახრჩეს 628 წელს. მისი წმინდა ნაწილები გადასვენეს პალესტინაში და დაკრძალეს ანასტასის სავანეში. ანასტასი სპარსის ხსენების დღედ დადებულია 22 იანვარი.

ანასტასი სპარსის „წამება“ ქართულად თარგმნილია ბერძნულიდან და ერთი ხელნაწერით არის მოღწეული (A 79, XII-XIII სს., 638-677).

ანასტასია, დიდი მოწამე († დაახლ. 304 წ.) – რომაელი ქალი, რომელიც ეწამა დეკლეტიანე იმპერატორის (284-305) მიერ ქრისტიანთა დევნის დროს. მისი მამა იყო წარმართი, ხოლო დედა ფარულად აღიარებდა ქრისტეს. ანასტასიას მასწავლებელი ბაქშობაში იყო ქრისტიანი ქრისოგონი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მამამ ანასტასია წარმართ პომპლის მიათხოვა, მაგრამ ავადმყოფობის მომიზეზებით ანასტასია ქალწული დარჩა.

მათხოვრის ტანსაცმელში გადაცმული ანასტასია მსახური ქალის თანხლებით ფარულად შედიოდა საპყრობილეებში და ყოველგვარ დახმარებას უწევდა ქრისტიანობისათვის ეზღუდა პატიმრებს, ზოგჯერ მათ გამოსყიდვასაც ახერხებდა. როდესაც მოახლე ქალმა იგი ქმართან დაასმინა, ქმარმა ანასტასია საშინლად სცემა და სახლში დაამწყვდია. ანასტასიამ ფარული მიმოწერა დაიწყო თავის მასწავლებელთან – ქრისოგენთან, რომელმაც უწინასწარმეტყველა ქმრის მალე დალუპა ზღვაში. ამის შემდეგ ანასტასია გულუხვად უყოფდა თავის ქონებას ღარიბებსა და ღატაკებს. დეკლეტიანესთან დასმენის შემდეგ ქრისოგენს თავი მოაკვეთეს და ზღვაში გადაავდეს. ტალღებმა მოკვეთილი თავი ნაპირზე გამორიყა. ის საღვთო გამოცხადებით იპოვა ვინმე მონაზონმა ზოილმა, ყუეში ჩადო და სახლში შეინახა. ზოილს ქრისოგენი გამოეცხადა და აუწყა მას სამი ყმაწვილი ქრისტიანი ქალის – აღაპიას, ქიონიას და ირინას მოწამებრივი აღსასრულის მოახლოება, და უბრძანა მას ანასტასიას მათთან გაგზავნა. ანასტასიამ გაამხნევა გოგონები და მათი წამების შემდეგ ისინი თავისი ხელით დაასაფლავა. ანასტასიამ თავისი ღვაწლით მალე მოიპოვა „მწყალობადმქსნელის“ სახელი, რადგან იგი ქრისტეს აღმსარებლებს უმსუბუქებდა მძიმე ტკივილებსა და ტანჯვას. ერთხელ ანასტასია გაეცნო ღვთისმოშიშ ახალგაზრდა ქერიც თეოდოტიას და მისი სახით ერთგული თანამშემწე შეიძინა. მალე ანასტასია შეიპყრეს ილირიაში. მისი სილამაზით მოხიბლულმა ჭარუმმა გადაწყვიტა მისი წაბილწვა, მაგრამ ღვთის განგებით მას გონება აერია და მოკვდა, ხოლო ანასტასიამ კი თავისუფლება ჰპოვა და თეოდოტიასთან ერთად განაგრძობდა ქრისტიანების დახმარებით. მალე თეოდოტია და მისი სამი ვაჟი ქრისტიანობის აღსარებისათვის აწამეს და გაუარეარებულ ღუმელში ჩააგრეს. წმინდა ანასტასია ხელმეორედ შეიპყრეს. მას გამოეცხადა წმინდა თეოდოტია და განამტკიცებდა მას. ანასტასიას

ზღვაში დახრჩობა მიუსაჯეს, მაგრამ ღვთიური სასწაულით გემი, რომელიც საგანგებოდ იყო დაცხრილული, რათა ჩაძირულიყო, გადარჩა და ნაპირს მიადგა. 120 გადარჩენილი კაცი, რომელთა შორის იყო ევტიქიანე, ანასტასიასა და ევტიქიანეს მიერ ქრისტიანად მოინათლა. მალე ყველა მათგანი შეპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ანასტასია ჯუარს აცვეს და ცეცხლი შეუნთეს. ვინმე ღვთისმოსავმა ქალმა, ათოლინარიამ ანასტასია თაეის ბაღში დაასაფლავა. V ს-ში ანასტასიას წმ. ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, სადაც ანასტასიას ტაძარი აუშენეს. მოგვიანებით ანასტასია დიდმოწამის თაეი და მარკუკუა ხელი გადაიტანეს ათონის წმინდა მთის მახლობლად დაარსებულ წმინდა ანასტასია „მწამებლებათდამქნელის" მონასტერში. მისი ხსენების დღედ დაწესებულია 22 დეკემბერი.

ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი კომენტარი რედაქციის პაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ანასტასიას და თეოდორიტას წამებას აღწერს, ორი თარგმანით არის ცნობილი: I რედაქცია თარგმნილია სეითის მიერ (დაახლ. VIII ს. II ნახ. – IX ს. I ნახ; Sin. II, X ს. 94-109 და სხ. გამოც. ივ. იმნაიშვილისა, საკითხავი წიგნი, II, 1963, 20-31.), ხოლო მეორე რედაქცია, რომლის მთარგმნელი არ არის ცნობილი, შეტანილია პარხლის მრავალთავში (A 95, X ს. 300r-305v). თარგმნილია ქართულად ანასტასიას „წამების" მეტაფრასული რედაქციაც (ქუთ. 5, XVI ს. 355-373; Ath. 2, XI ს. 177-180) და იოანე დამასკელის ანასტასიასადმი მიძღვნილი შესხმა (ქუთ. 5, 373-382), თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ.

ანასტასია ჯრომაელი – მოწამე ქალი, რომელიც აღსრულა დეკიოს იმპერატორის მიერ გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის დროს (249-251). ანასტასიას ბავშვობაში გარდაეცვალა მშობლები და აღსაზრდელად წაიყვანა ალთა მონასტრის წინამძღვარმა სოფიამ, რომელმაც იგი აღზარდა ქრისტიანული ღვთისმოშიშებით და რწმენით. იმპერატორის ბრძანებით ანასტასია რომის ქალაქის თაეთან – პროეთან წარადგინეს. ქრისტიანობის მტკიცედ დამცველი ყმაწვილი ქალი საშინლად აწამეს და ცა ამოკვეთეს, შემდეგ კი თაეი მოკვეთეს. სოფიამ მისი გეაში ფარულად მიაბარა მიწას. ანასტასიას წამება თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად და რამდენიმე ქართულ ხელნაწერშია შეტანილი (A 1053, XII ს. 211r-220v; S 1276, XI-XII სს; 262r-270v. ქუთ. 4, XVI, 621r-629v) ანასტასია პრომაელის ხსენების დღე დასახელებული თარგმანის მიხედვით არის 28 ოქტომბერი, ხოლო ქართული და რუსული საკალენდრების მიხედვით – 29 ოქტომბერი.

ანასტასიო მოწამე – სომხური ეკლესიის წმინდანი, რომელიც დაახლ. 100 წ.(ქმ.) ეწამა თაეის მოძღვარ სუქიოსთან და მის კიდევ სხვა 17 მოწაეესთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებისათეის. სომხურიდან ქართულად თარგმნილია „წამება წმიდათა მოწამეთა მესუკაელთაჲ", რომელიც შესულია X ს. ათონურ ხელნაწერში (Ath. 8), ხოლო ანტონ I კათალიკოსს „მარტირიაში" მათ მოუძღვნა „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ენებათა წმიდათა მოწამეთა სუქიოს და მის თანა ვნებულთა სულაეტელთა" (იხ.: „სუქიოსთან).

ანატოლე – მერეს დედათა მონასტრის მოღვაწე IX ს-ში, გრიგოლ ხანცთელის თანამედროეე, რომელმაც ჩვენებით წინასწარ იხილა მატო ბერის (იხ.) გარდაცვალება, რაც აღწერილია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების" 39-ე თავში. მისი მეორე სახელი ყოფილა ანტონიოსი: „ჩუენებით იხილეს მერეს შინა სანატრელთა დედათა თემისტია დედათდიაკონმან და ანატოლე, რომელსა უწოდეს ანტონიოს" (ძეგლები, I, 285).

ანატოლე კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის ეკლესიის პატრიარქი 449-458 წწ. მან აკურთხა სამეფო ტახტზე ბიზანტიის იმპერატორი ლეონ დიდი. ანატოლე თავმჯდომარეობდა ქალკედონის V მსოფლიო კრებას, რომელიც მონოფიზიტური მწვალებლობის წინააღმდეგ იყო მოწეეული. 458 წ. ახლო ხანებში ანატოლე პატრიარქმა იმპერატორ ლეონ დიდის ნებართვით და ეპისტატ გორგასლის თხოვნით მცხეთაში დაადგინა ქართლის პირეელი კათოლიკოსი პეტრე (მანამდე მღვდელმთავრები მთავარეპისკოპოსებად იწოდებოდნენ). ამის შესახებ „მოქცეაჲ ქართლისაჲ" გეამცნობს: „ხოლო მეფემან (ე. ი. ეპისტატმა) წარავლინნა მოციქულები სპარძედოდან და ითხოვა მეფისაგან (ე. ი. ლეონ დიდისაგან) და პატრიარქისაგან (ე. ი. ანატოლესაგან) კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი... და აღაშენა ქუეყოჲ ეკლესიაჲ ეპისტატმა მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი... ხოლო პირეელი კათალიკოზი იყო პეტრე" (ძეგლ., I, 93). ანატოლეს სახელს ატარებს დასდებლების ერთი სახეობა, რომელსაც კვირაღლის მწუხრის და ზოგიერთ საუფლო დღესასწაულის (შობა, ნათლისღება) და მოწამეთა დღეების (ან-

ტელეიმონ მკურნალის, გიორგი კაპადოკიელის, დიმიტრი თესალონიკელის) ღვთისმსახურების დროს გალობენ (ფიქრობენ, რომ სტიქარონების ავტორობა ანატოლეს მოგვიანებით მიაწერეს). ანატოლეს ხსენების დღე 3 ივლისია.

ანატორის ჯვარი – „წმინდა ნადირის" (ჯიხვის, არჩვის, შველისა და სხვ. გარეული ცხოველის) მფარველი წარმართული ღვთაება ხევსურეთში. ანატორის ჯვარის სამლოცველო ჰქონდათ სოფ. შატილში. იგი „შატილიონთა" საერთო სალოცავად ითვლებოდა. შატილის უძველესი მცხოვრებნი – ანატორელნი ანატორის ჯვარის ყმები იყვნენ. მათი თაყვანება შედგენდნენ ამ სალოცავის ჯვარიონს. ანატორის ჯვარი ქისტების სალოცავიც იყო. მისი ნიში ქისტების სოფელ ჯარგეშიც იდგა. ანატორი წერილფეხა საქონლის მფარველი მეგრული ღვთაება „ჟინი ანთარის" და აფხაზური „ითხარის" მონათესავე ღვთაებაა.

ანაშორა (ბერძნ. „აღელვნა") – I. სამღვდელო ფართო სამოსელი, სინანულისა და მორჩილების გამომხატველი. სამოსლის სახელწოდება მიუთითებს, რომ მისი მატარებელი ასრულებს უსისხლო მსხვერპლის აღვლენას.

2. ეკლარისტიული მსხვერპლის (ე. ი. პურისა და ღვინის) მომზადება ჟამისწირვისათვის.

3. „ანაფორა" ეწოდება ზოგჯერ „დიდ ცას" (დიდ დაფარნას), რომლითაც იბურება ბარძიმი და ფეშხუში სამსხვერპლოდან საკურთხეველში საუხმო ძღვენის გადატანისას.

4. საიდუმლო ლოცვა, რომელიც იკითხება ჟამისწირვის დროს. შაგ.: ბასილი დიდის ანაფორა (ე. ი. ლოცვა, რომლის ავტორიცაა ბასილი დიდი), იოანე ოქროპირის ანაფორა და სხვ.

5. ეკლარისტიული კანონი, რომელიც ლიტურგიის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და „მრწამსის" გალობის შემდეგ იწყება. ანაფორის ცენტრალური მოძღვნა წმინდა ძღვენის ამაღლება ტრაპეზიდან.

ანაქორეტი (ბერძნ. „განშორებული", „განდეგილი", „მეუდაბნოე") – ასკეტი მოღვაწე, რომელიც ზნეობრივი სრულყოფის მიზნით საზოგადოებისაგან განშორებით ცხოვრობს უდაბნო და უკაცურ ადგილებში. განშორებულთა მოღვაწეობა ქრისტიანთა შორის III ს. ბოლოს და IV ს. დამდეგს დაიწყო. განდეგილების ირგვლივ თანდათან შემოიკრიბნენ მათი მიმდევრები, დაემოწაფნენ გამორჩენილ მეუდაბნოეებს და მათი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პირველი სამონაზვნო გაერთიანებანი. 356 წელს, როდესაც ათანასე ალექსანდრიელი ლიბიის უდაბნოში დაემკვიდრა, აქ მან ნახა მეუდაბნოეთა მთელი დასახლებანი. იდეალური სახე ასეთი განდეგილისა დაგვიხატეს წმ. იერონიმემ „პაულე თებაიდელის ცხოვრებაში" და ათანასემ „წმ. ანტონის ცხოვრებაში". სწორედ ანტონ ეგვიპტელი ითვლება მონაზვნობის ფუძემდებლად. ზოგიერთი ანაქორეტი მიმართავდა სასტიკ თვითგვემას: იდებდა ბორკილებსა და ხუნდებს, უარს ამბობდა საჭმელ-სასმელსა და ტანსაცმელზე; წლობით ცხოვრობდნენ ღია გამოქაბულებში, კლდის ნაპრალებში, მღვიმეებში, ხერელებსა და ორმოებში, სვეტებზე, თორნეში და სხვ.

ანა წინასწარმეტყველი – „ასული ფანოელისა, ტომისაგან ასერისა" (ლუკ. 2, 37). 84 წლის ქვრივი „არა განშორებულა ტაძრსა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე" (იქვე, 38). ამან იხილა ტაძარში მიყვანილი ჩვილი იესო და სვიმეონთან ერთად, რომელმაც მიირქვა (ხელში აიყვანა) ჩვილი, იწინასწარმეტყველა, რომ ეს ჩვილი არის კაცობრიობის მხსნელი მესია. მეთოდი პატარელმა († 311 წ.) ქრისტეს მიგებების დღესასწაულზე (2 თებ.) ქადაგება უძღვნა ანა წინასწარმეტყველსა და სვიმეონს: „სიტყუაჲ სუმეონისთჳს და ანნაჲს და ყოველდღეშიდისა ღრმთისმშობელისა" (A 162, 64-74; ჭეთ. I, 13-30), რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს.

ანაწმიდა – შავი მთის პრომპანაწმიდის მონასტრის (სადაც ბევრი გამორჩენილი საეკლესიო პირი მოღაწეობდა) სოხასტერი, სადაც რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერია გადაწერილი. შაგ., ანაწმიდაში სვიმეონ დვალს 1066 წელს გადაუწერია იოანე სინელის „კლებაკში" და სხვა თხზულებები (A 134): „დაიწერა კელითა სიმეონ დვალისაჲთა სოხასტესსა შინა ანაწმანაასსა ანაწმიდას... ქრონიკონსა ს"ჳზ (1066 წ.). იხ. ხელნ. აღწ. (A ფონდი) I, გვ. 153.

„ანბანდიდი" – ეტრატზე ნაწერი X ს. ოთხთაეის ხელნაწერი (ცენტრ. არქ. №107; 192 ფ.; 32,7 X 24). ნაწერია მრგლოვანი ასომთავრულით; ალბათ, სახელწოდება „ანბანდიდი" ოთხთაეს აქედან მიეღო. ოთხთაეის ტექსტს ერთვის XVI ს-ისა და უფრო გვიანდელი დროის სულთა მოსახსენებელი მინაწერები. ხელნაწერი თბილისში ჩამოიტანეს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკიდან 1925 წელს.

ანგარება – სიხარბე, მომხვეჭელობა; ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით – ერთერთი შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგანი; რომელ-

საც სათნოების ერთი სახე – მოწყალება უპირისპირდება. ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში ანგარება ბოროტებადაა მიჩნეული: „რომელი ანგარობდეს ანგარებასა ბოროტსა...“ (ამბაკ. 2,9). „მოსწრიე გული ჩემი წამებათა შენთა და ნუ ანგარებასა“ (ფს. 118,35). ახალი აღთქმის წიგნებშიც ანგარება უმძიმეს ბოროტებათა შორის არის დასახელებული (მარკ. 7,22). იესო ქრისტე თავის მოძღვრებაში ერს მოუწოდებდა: „ეკრძალენით და დაიცევენით თავნი თქუენნი ყოველისაგან ანგარებისა“ (ლუკ. 12,15). ანგარების განმარქმებელ ქადაგებებს ეხებიან გამოჩენილ საეკლესიო მამათა თხზულებებში: მაგ., ბასილი დიდისა: „ანგაჰრთა მიმართ“ (კრებ. „სუფევაჲ“, A 232, თ. 7), „თქუმული სიტყუსა მისთჳს ლუკაჲსა სახარებისაჲ... და ანგაჰრთათჳს“ („კითაჲ“, A 100, თ. 41), იოანე ოქროპირისა „ანგარებისათჳს“ („ასკეტიკონი,“ A 143, თ. 19), „ნაყროვანთა მიმართ და ანგაჰართა“ („კლიტე“, A 227. თ. 13) და სხვ.

ანგელიტნი (ბერძ.) – მწვალებლური სექტა, რომელიც გაჩენილდა მეორე საუკუნის ბოლოს. სახელწოდება წარმოდგა „ანგელოზთაგან“, რომლებსაც მწვალებლობის მიმდევარნი ღმერთად მიიჩნევდნენ. იოანე ოქროპირი წერს, რომ ანგელიტები ადამიანების ერთობას ღმერთთან მიაწერდნენ არა ქრისტეს, არამედ ანგელოზებს. დიდი სჯულისკანონის მე-11 ტიტულის (ნაწილის) მე-8 თავში მითითებულია საეკლესიო კანონი (ლაოდ. 35), რომელშიც ლაპარაკია ამ მწვალებლობის შესახებ (გვ. 199), ხოლო თვით კანონის ტექსტი გვამცნობს: „ვითარმედ არა უკმს ქრისტიანეთა დატეუებაჲ ღმრთისა ეკლესიისაჲ და წარსლვაჲ და ანგელოზთა სახელისდებაჲ და შესაკრებელისა ქმნაჲ, რომელი ესე განგებულ არს. ვინაჲცა ეინ უკუე იპოოს დაფარულისა მის კერპთმსახურებისა მოქმედად, შერჩენებულ იყავნ, რამეთუ დაუტეუა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ძე ღმრთისაჲ და კერპთმსახურებასა მოუკლა“ (გვ. 257).

ანგელოზთა ბალობა – 1. ესაია წინასწარმეტყველის ხილვის მიხედვით, „სერაფიმნი დგეს გარემოს მისსა და ექუსნი ფრთენი ერთსა და ექუსნი ფრთენი ერთსა და ორითა უკუე დაიბურვიდეს პირსა, ხოლო ორითა დაიბურვიდეს ფერჴთა და ორითა ფრინვიდეს და ეაღაღებდეს მოყუასი მოყუსსა მიმართ და იტყოდეს: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა!“ (ეს. 6,2-3).

2. გალობა, რომელიც წარმოთქვეს ანგელოზებმა, როდესაც მათ გამოუცხადეს მწყემსებს იესო ქრისტეს შობა: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშუდბაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკა, 2,13). ჰიმნოგრაფიაში მისი აღმნიშნელია „დიდებაჲ მაღალთაჲ“.

ანგელოზი (ბერძ. „მაცნე“) – სულიერი, უსხეულო არსება, რომელიც ღმერთმა შექმნა ხილული სამყაროს შექმნამდე. ხანდახან ანგელოზები ხილულ სახესაც იღებენ, ამცნობენ ადამიანებს ღვთის ნებას და ქეყანაზე ახორციელებენ უფლის ბრძანებას. ისინი უფრო სრულყოფილნი არიან, ვიდრე პირველქმნილნი ადამიანები, მაგრამ სრულყოფილებაში შეზღუდულნი არიან. მოუხედავად განსჯის სიღრმისა და სწრაფსაზრიანობისა, ყოველისმცოდნენი არ არიან; მიუხედავად სიწმინდისა და უმწიკვლოებისა, შეიძლება ცდუნებულ იქნენ. შექმნილნი არიან თავისუფალი ნებით, ამიტომ შეუძლიათ თავისუფალნი იყვნენ სიკეთეში, როგორც ნათელ ანგელოზები, მაგრამ შეიძლება დაეცნენ, როგორც ბოროტი სულები.

ანგელოზები იმყოფებიან ღმერთთან, ასრულებენ მის ნებას და განუწყვეტლივ ადიდებენ მას. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში მრავალი შემთხვევაა აღწერილი, თუ როგორ ეცხადებიან ხოლმე ანგელოზები აბრაამს, იაკობს, მოსეს, წინასწარმეტყველებსა (ესაიამ იხილა და მოისმინა ანგელოზთა გალობა. იხ. „წმიდა არსნი“) და მსაჯულებს, როგორ ეშახურებიან ისინი იესო ქრისტეს და მის ეკლესიას, იუწყებიან ქრისტეს შობას (ანგელოზთა გალობა შობის ღამეს, რომელიც მოისმინეს ბეთლემელმა მწყემსებმა – იხ. დიდებაჲ მაღალთაჲ), აღდგომას და ამაღლებას და სხვა. ბიბლიური გადმოცემით, ანგელოზთა აუთვალწინებელი სიმრავლე არსებობს. მაგრამ ამ სიმრავლეში არის ანგელოზთა სხვადასხვა ღირსებისა და სრულყოფის ხარისხები. ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით, ანგელოზთა სამი იერარქიული საფეხური გამოიყოფა, ხოლო თითოეული მათგანი იყოფა სამ დასად ანუ „მეუღრობად“. უმაღლესი იერარქიაა: სერაფიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი. საშუალო იერარქია: უფლებანი, ძალნი და ქვეშწოებანი. დაბალი იერარქია: მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. ანგელოზთა იერარქია მოცემულია დიონისე არეოპაგელის თხზულებაში „ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს“ (ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ. გამოსცა სამსონ ენუქაშვილმა.

იხ.: პეტრე იბერიელი, შრომები, თბ., 1961, 101-151. იხ. აგრეთვე „ანგელოზთათუს": წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", თბ., 2000, 75-79). ცნობილი არ არის თითოეული მათგანის ზუსტი მნიშვნელობა, მაგრამ კონსტანტინოპოლის 653 წ. ადგილობრივმა კრებამ დაგმო ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ ანგელოზები თავისი ბუნებით და ძალით ყველანი თანაბრად არიან შექმნილნი. ბიბლიური წიგნებით ნაწილობრივ ცნობილია ანგელოზთა სახელები: მიქაელი (ებრ. „ვინაა, როგორც ღმერთი?"), გაბრიელ („ადამიანი ღმერთისა"), რაფაელი („ღვთის მიერი კურნება"), სურიელ („ღვთის ცეცხლი და ნათელი"), სალათიელ („ლოცვა ღმრთისადმი"), იერემიელ („სიმაღლე ღმრთისა"), იეგუდიელ („დიდება ღმრთისა") და ბარაქტელ („კურთხევა ღმრთისა").

ქრისტიანულ ეკლესიაში ანგელოზთა თაყვანისცემა, რომელიც უძველესი დროიდან ჩანს, საბოლოოდ განსაზღვრა ნიკეის VII მსოფლიო კრებამ (787 წ.). ანგელოზები გამოისახებიან ხატებსა და ფრესკებზე.

„ანგელოზი" არის ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტი (იხ. „ადის წამება", აგრეთვე ეპიფანე კვიპრელის „აღესებისათუს"; ილ. ბასილის, შრომები, III) მონაზვნობის უმაღლეს საფეხურს – დიდ სქემას „ანგელოზებრივი სქემა" ეწოდება, სამღვდელო პირთა და მონაზონთა წმინდა ცხოვრებას – ანგელოზებრივი მღვაწეობა და ა. შ.

ანგია წინასწარმეტყველი – ერთი12 მცირე წინასწარმეტყველთაგანი, ლეევიტელთა ტომიდან. ცხოვრობდა სპარსთა მეფის, დარიოს პისტასპის მეფობამდე (500 წ. ქრისტეს შობამდე). ბაბილონის ტყვეობის შემდეგ დაბრუნდა იუდეაში და თავის წინასწარმეტყველებაში არწმუნებდა იუდეველებს იერუსალიმის მეორე ტაძრის მშენებლობის დასრულების აუცილებლობაში და აუწყებდა მათ, რომ ამ ტაძარში მოგვიანებით გამოცხადდებოდა „დაუსაბამო სიტყვა ღმრთისა". ანგიას წინასწარმეტყველების წიგნი (2 თავი) შესულია ძველი აღთქმის შემადგენლობაში.

ანგლიკანური ეკლესია, ეპისკოპალური ეკლესია – ინგლისის სახელმწიფო ეკლესია XVI ს. რეფორმაციის პერიოდიდან. ეს არის ერთ-ერთი პროტესტანტული ეკლესია, კულტითა და ორგანიზაციული პრინციპებით ახლოს დგას კათოლიკურთან. ინგლისის მეფემ ჰენრი VIII-მ მხარი დაუჭირა რეფორმაციას, ინგლისის ეკლესია ჩამოაშორა რომის ეკლესიას და სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. „სუპრემაციის აქტით" (1534 წ.) მონასტრები დახურეს. შეიძინეს ნაწილობრივი ეკლესიების კათოლიკური ღვთისმსახურებაში (1536-1543). ედუარდ VI-ის მეფობაში სამეფო სახჭიმ და კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ტ. კრანმერმა გაატარეს საეკლესიო რეფორმა. ანგლიკანური ეკლესიის საფუძვლად იქცა „საზოგადო ღვთისმსახურებათა წიგნი" (1549), „ერთგვაროვნობის აქტი" (1549), რწმენის 42 მუხლი (1552) და ანგლიკანური „კატეხიზისი" (1553). ნაწილობრივ გარდაქმნა ღვთისმსახურება (ორი სახის ზიარება ერისკაცთათვის, ხატების, წმ. ნაწილების, ცელიბატისა და მონაზონობის მოსპობა, ღვთისმსახურება ინგლისურ ენაზე და სხვ.) მერი ტიუდორის მეფობაში კათოლიციზმი აღადგინეს. ელისაბედ I-ის დროს „რწმენის 39 მუხლით" (1571) ანგლიკანური ეკლესია დაუახლოვდა კალვინიზმს. 1567 წლიდან ანგლიკანურ ეკლესიას გამოეყვნენ პურიტანები. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ანგლიკანური ეკლესია გაუქმეს (1643), ოფიციალურ რელიგიად იქცა პრესვიტერიანობა (1648 წლამდე), შემდეგ – ინდეპენდენტობა. რესტავრაციის ხანაში პარლამენტის „ერთგვაროვნობის აქტით" (1662) ანგლიკანური ეკლესია აღადგინეს. 1791 წლიდან დაწესდა რწმენის თავისუფლება კათოლიკებისათვის. 1829 წელს მოხდა „კათოლიკეთა ემანსიპაცია". 1850 წლიდან ინგლისის კათოლიკეთა სამღვდელოებას სათავეში უდგას უესტმინსტერის არქიეპისკოპოსი ინგლისის ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია მეფე. საეკლესიო იერარქიას სათავეში უდგას პრიმასი – კენტერბერის არქიეპისკოპოსი. მას მოსდევენ იორკის არქიეპისკოპოსი, ორმოცამდე ეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები. ეპისკოპოსთა დიდი ნაწილი ლორდთა პალატის წევრია. საეკლესიო გადაწყვეტილებას ამტკიცებს პარლამენტი. გარდა ინგლისისა, ანგლიკანური ეკლესია დამოუკიდებლად არსებობს ირლანდიაში, უელსში, შოტლანდიაში, კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, აშშ-ში და სხვ. ანგლიკანელთა საერთო რიცხვი 80 მილიონამდეა. ისინი ქმნიან ანგლიკანური ეკლესიის კავშირს. 1867 წლიდან ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსები პერიოდულად იკრიბებიან ლონდონში, ე. წ. ლამბეთის (კენტერბერის არქიეპისკოპოსის სასახლე ლონდონში) კონფერენციებზე. ანგლიკანურ ეკლესიაში სამი მიმდინარეობა არსებობს: მაღალი ეკლესია (კონსერვატორულ-არისტოკრატული, ახლოს დგას კათო-

ლიკურ ეკლესიასთან), დაბალი ეკლესია (იხრება პურიტანობისა და პიეტიზმისკენ), ფართო ეკლესია (ცდილობს გააერთიანოს ყველა ქრისტიანული მიმდინარეობა და შეუგუოს თანამედროვე ანგლიკანურ ეკლესიას). ანგლიკანური ეკლესია მონაწილეობს ეკუმენურ მოძრაობაში.

ანდრეძი – I. ვნების კვირის I საკითხავი სახარებიდან (იოან. XIII, 31-XVIII,1), რომელიც შეიცავს იესო ქრისტეს გამოსამშვიდობებელ საუბარს თავის მოწაფეებთან. საკითხავის აღსანიშნავი ქართული ტერმინია „ანდერძი" (იერუს. განჩინება, გე. 202, 323), რაც შინაარსობრივად ზუსტად შეესატყვისება სახარების საკითხაულის ხასიათსა და შინაარსს. 2. მთარგმნელის, ან გადამწერის მინაწერი ამა თუ იმ საეკლესიო თხზულების ტექსტზე; ანდერძი გვაწვდის ცნობებს მისი დაწერისა და თხზულების შესახებ. 3. ოურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ამა თუ იმ პირის განკარგულებით, მისი სიკვდილის შემთხვევაში მემკვიდრის დანიშვნის შესახებ.

ანდრეა მოწამე – IX ს. აფრიკელი მოწამე. ეწამა ქრისტეს აღსარებისათვის აფრიკის სასტიკი მმართველის – იბრაჰიმის მიერ. მოხუცი ანდრეა მან შუბით განგმირა, ხოლო ბოლოს თავი მოჰკვეთა. მასთან ერთად აწამეს იოანე და მისი ორი ვაჟი პეტრე და ანტონინე. მათი ერთობლივი მეტაფრასული „წამება" ბერძნულიდან თარგმნილია ქართულად და ერთი ხელნაწერით არის შემონახული (ქუთ. 7, XIII ს., 239-252). ხსენების დღეა 23 სექტემბერი, მაგრამ დასახელებული ქართული თარგმანი 15 ქრილს უჭვენებს.

ანდრეა ალმსარებელი – VIII ს. მოწამე. აღსრულა ხატმბრძოლი იმპერატორის, ლეონ ისავრიელის (717-741) დროს. ყმაწვილობაში სწავლობდა ერთ მონასტერში ვიპატისთან (შემდეგში ეფესოს ეპისკოპოსი) ერთად. ანდრეა გახდა ხუცესი და თავის სამწყსოს მოუწოდებდა დაეცვათ ხატთაყვანისცემის მართლმადიდებლური სწავლა იმ დროს, როდესაც იმპერატორის ბრძანებით ფეხით ითელებოდა და ნადგურდებოდა ხატები. იმპერატორთან ხატთაყვანისმცემლობის საკითხებზე კამათის შემდეგ ანდრეა და ვიპატი დილეგში ჩაყარეს. იმპერატორის იმედი, რომ ისინი უარყოფდნენ თავიანთ რწმენას ხატების მიმართ, არ გამართლდა. ამიტომ ისინი სასტიკი წამებით მოკლეს. ანდრეა და ვიპატი აღმსარებლების „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად და შემონახულია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 7, XIII ს., 298-308).

მათი ხსენების დღედ დადებულია 21 სექტემბერი, თუმცა დასახელებული ქართული თარგმანი 21 აპრილს მიუთითებს.

ანდრეა კესარიელი († 565) – კესარია-კაპადუკიის მთავარეპისკოპოსი, საეკლესიო მწერალი. ქართულად თარგმნილია მისი ორი თხზულება: 1. „თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმ. იოანე მახარებელისაჲ" (Sin. 85, 43-168; A 397, 83-212; A 158, 1-174; A 532, 1-58, S 113; S 1129, S 1358), თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. გამოსცა ივ. იმნაიშვილმა („იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება", ძე. ქართ. ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961). 2. სწავლა: „რაათა უშფოთველად და მაღლობით მოვითმენდეთ განსაცდელსა" (Sin. 85).

ანდრეა კრისელი – ხატთმბრძოლობის ეპოქის მოწამე, ცხოვრობდა იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741-775) მეფობაში. ანდრეა ჩავიდა კონსტანტინეპოლში და წმ. მოწამე მამასტის ტაძარში სახალხოდ გაკიცხა ერეტიკოსი იმპერატორი კონსტანტინე. იმპერატორის ბრძანებით ანდრეა შეიპყრეს და საწამებელ ადგილას მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა 767 წელს. ასი წლის შემდეგ ანდრეას კანონი მიუძღვნა იოსებ მგალობელმა. წყაროებში, კერძოდ, ძველ კომენურ „წამებაში", ანდრეას კრიტელი ეწოდა, რადგან მას კუნძულ კრეტიდან წარმოშობილად მიიჩნევენ, ხოლო მეტაფრასულში კი – კრისელი, რადგან გარდაცვალების შემდეგ მორწმუნეებმა მისი გვამი ჩადეს ე. წ. κρίσις – ჭურჭელში. ქართულად თარგმნილია ანდრეას სწორედ მეტაფრასული რედაქციის „წამება", ამიტომ თარგმანში მას ეწოდება კრისელი და არა კრიტელი (ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია). Настольная книга, 1978; Архим. Сергий, Полный Месяцеслов Востока, II, с. 429-430 – ყველგან ანდრეა კრიტელად მოხსენიება) იხ. საქ. საეკლ. კალენდარი. ანდრეა კრისელის „წამების" ქართული თარგმანი შესულია რამდენიმე ხელნაწერში (S 384, XII ს. 419-433; S 1276, XI-XII სს. 260-277 და სხვ.).ხსენების დღედ განწესებულია 17ოქტომბერი.

ანდრეა ქრიტელი – VII-VIII სს. გამორჩენილი მღვდელმთავარი და საეკლესიო მწერალი. დაიბადა დამასკოში, ქრისტიანულ ოჯახში. შვიდი წლის ასაკამდე მუნჯი იყო და ერთხელ ზიარების დროს მიეცა მეტყველების უნარი. 14 წლის ასაკში წავიდა იერუსალიმში

და მონაზვნად აღიკეცება საბა განწმედილის ლავრაში (ამიტომ წყაროებში მას ზოგჯერ იერუსალიმელიც ეწოდება). დროთა განმავლობაში ის იერუსალიმის პატრიარქის ნოტარიუს-მდივანი გახდა. 680 წელს იერუსალიმის პატრიარქმა თეოდორემ ანდრეა VI მსოფლიო კრების დელეგატთა სიაში ჩართო. კრების შემდეგ მალე ის კონსტანტინეპოლში იხმეს და წმ. სოფიის ტაძრის არქიდიაკონად განაწესეს. იუსტინიანე II-ის (685-695) მეუობის დროს ანდრეა კუნძულ კრეტაზე ქალაქ მარტონის არქიეპისკოპოსად აკურთხეს. ანდრეა კრიტელმა მრავალი საღვთისმეტყველო თხზულება დაწერა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება პიმნოგრაფიაში. ანდრიამ საფუძველი დაუდო ახალ საეკლესიო ლიტერატურულ ფორმას – კანონს. მის მიერ შედგენილ კანონთაგან განსაკუთრებით ცნობილია ლიდი კანონი სინანულისა, რომელიც 9 გალობისა და 250 ტროპარისგან შედგება და იკითხება დიდმარხვაში – პირველი კვირაკეს შწუხრზე, იკითხება ნაწილ-ნაწილ დიდი სერობის ლიტვაზე ე. წ. „მეთიმნზე" (ბერძნ. – „ჩვენ თანა". ესაა დიდი სერობის დასაწყისი სიტყვა), ხოლო მთლიანად – დიდმარხვის ბუნუთე კვირაკის ხუთშაბათს ცისკრად. ანდრეა კრიტელის გარდაცვალების თარიღზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მონაცემებით, ის 712 წელს გარდაიცვალა კუნძულ მელეტინზე, როდესაც ის კონსტანტინეპოლიდან კრეტაზე ბრუნდებოდა. ზოგიერთ მკვლევრის აზრით, ეს მოხდა 726 წ. მისი წმ. ნაწილები გადაუსვენებიათ კონსტანტინეპოლში, სადაც დაარსებულა ანდრეა კრიტელის მონასტერი. ხსენების დღე – 4 ივლისი. ქართულად თარგმნილია ანდრეა კრიტელის „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 3,XVI ს. 366-374). მის თხზულებათაგან კი ქართულად თარგმნილია: 1. „დიდი კანონი", თარგმნილია სამჯერ: ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა შემოკლებული ტექსტი (Sin. 5; Ath. 59), გიორგი მთაწმიდელმა (Jer. 61, Par. 5) და არსენ იყალთოელმა (A 248) – სრულად (ეს უკანასკნელი გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ: ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III, 1973, 284-297 – ბერძნული და ქართული პარალელური ტექსტებით). 2. სამი სიტყვა „შობისათჳს ყოველადწმიდისა ღმრთისმშობლისა": პირველი – ქუთ. 4,36-95; მეორე – A 70, 398-406; მესამე – ქუთ. 4, 104-113, A 182, 43-66. 3. ორი სიტყვა „ყოველად მსოფლიოსათჳს ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა „ჯუარისა": პირველი – Jer. 23, 32-36; ქუთ. 4; 177-183; A 182, 122-137; Ath. 20, 184-187; მეორე Jer. 23, 36-39; ქუთ. 4, 185-188; A 182, 138-152. 4. „თავისკუეთისათჳს წმ. და დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოვანესი" (A 272, 304-305). 5. „შესხმაჲ წმ. და დიდისა მოწამისა გეორგისი" (ქუთ. 7, 340-360; Ath. 22, 265-280). 6. „სიტყუაჲ ფერისცვალებისათჳს" (ქუთ. 1, 309-313). 7. „სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოველდწმიდისა" (ქუთ. 2, 321-333; ქუთ. 8, 179-189; Jer. 4,30-42). 8. „სიტყუაჲ ლაზარესთჳს ოთხდღე მომკუდარისაჲ, რომელი აღადგინა უფალმან" (A 5, 293-317; A 162, 163-170; ქუთ. 8, 189-202; Jer. 4, 30-42; A 129; A 189). 9. „სიტყუაჲ ბზობისათჳს და იერუსალიმად შესლჳისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა" (A 162, 170-177; ქუთ. 8, 202-214; Jer. 4, 42-55). თარგმანი ეფრემ მცირისა. 10. „შესხმაჲ ნიკოლოზ მირონ-ლუკიისაჲ" (A 140, 245-303; A 134, 593-664; A 161, 187-209; A 1103, 206-218). თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა. 11. „თქუმული ამაობისათჳს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათჳს" (A 1101, 154-167; Jer. 2, 229-237; Ath. 7, 294-305). თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა.

ანდრია მოციქული, პირველწოდებული – იესო ქრისტეს პირველი მოწაფე, რის გამოც ეწოდა პირველწოდებული. მანვე დაუმოწაფა ქრისტეს თაყისი ძმა პეტრე, შემდეგში – მოციქულთა თავი. ანდრეა და პეტრე წარმოშობით ბეთსაიდიდან იყვნენ, ხელობით მებადურნი. თავდაპირველად ანდრეა იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად. სწორედ მათ უწვევა იოანემ იესო ქრისტე და ამცნო, რომ ესაა ძე ღმრთისა. ანდრეა უმალვე შეუდგა ქრისტეს. მოციქულებზე სულიწმიდის მოფენის შემდეგ ანდრეა გაემგზავრა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად. ორიგენე (II-III სს.) მას სკვითების განმანათლებლად მიიჩნევს. VIII-IX სს. ბიზანტიურ მწერლობაში კი იგი პონტოს მქადაგებლადაა გამოყვანილი. მიმოსვლიდან დაბრუნების შემდეგ, პაკრიფული გადმოცემებით, ანდრეამ ჯერ ქ. ბიზანტიონში (შემდგომში – დიდი ქალაქი კონსტანტინეპოლი) დაარსა ქრისტიანული ეკლესია, ხოლო შემდეგ ქალაქ პატრაში ჩაიდა, სადაც მოწამეობრივი აღსასრული მიიღო ჯვარცმით (62 წელს). კონსტანტინე დიდის (IV ს.) დროს ანდრეას წმინდა ნაწილები საზეიმოდ გადაუსვენებიათ კონსტანტინე-

ოლში და დაუარძალაეთ წმ. მოციქულთა ტაძარში წმ. ლუკა მახარებლისა და მოციქულ ტიმოთეს (პავლე მოციქულის მოწაფის) გვერდით. მისი ხსენების დღეა 30 ნოემბერი.

ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ პირველ ცნობას იძლევა ნიკიტა პაფლაგონელი († 890), ანდრეას „მიმოსლვის“ ავტორი (ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა). მის ნაშრომში ანდრეას წილხვედრად ჩრდილოეთია აღნიშნული; იგი იბერთა და საკრომატების, ტაურებისა და სკვითების განმანათლებლად იწოდება. ამ წყაროზე დაყრდნობით გიორგი მთაწმიდელი (XI ს.) საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრეა მოციქულს მიიჩნევს და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობის საფუძველზე ამტკიცებს. შემდეგში ეს ცნობა ეფრემ მცირემ შეუთანხმა წმ. ნინოს მოღვაწეობის ფაქტს და საქართველოში ქრისტიანობის მეორეგზის ქადაგების აუცილებლობას განმარტება მოუძებნა, რაც დაკანონა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1105).

ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ ქართულად რამდენიმე თხზულებაა თარგმნილი: 1. „უსირატეს ათორმეტთა მოციქულთა წოდებულსა მას ყოველადქებულისა ანდრეას შესხმად მეგალეების და წადიერ ვარ“ (A 1103, 118-142, H 1347, 453-417; გამოც. მ. სახინინის „საქართველოს სამოთხეში“. გვ. 24-45, თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ.). 2. „ოდეს აღმღლდა უფალი ჩუენი... ზეცად, მაშინ აღთქუმაჲ იგი სულისა წმიდისა აღსრულდეს წმიდათა მოციქულთა“ (A 395, 71-96). 3. „მოსაკსენებელი მიმოსლვისათჳს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეაჲსი“ (A 1103, 118-142, H 1347, 453-417; გამოც. მ. სახინინის მიერ: „საქართველოს სამოთხე“, გვ. 24-27) — აპოკრიფი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია შეიწყნარებს. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. 4. „მიმოსლეაჲ მოციქულთა, ოდეს იგი წარაელინა უფალმან მოციქული ანდრეა სოფელსა მას კაცის მჭამელთასა გამოყვანებად მათეს საჰერობილით“ (A 67, 7-28; გამოც. ც. ქურციკიძის მიერ: ახალი ალთქმის აპოკრიფები, თბ., 1959 წ.). ამ აპოკრიფს მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიწყნარებს.

ანდრია სალოსი (X ს.) — სულიწმიდით განბრძნობილი და წინასწარმეტყველების ნიჭის მქონე მოღვაწე; ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში. მან ქრისტეს გამოცხადებით პირველმა სალოსის (ეიროთ სულელი) გზა და მთელი ცხოვრების მანძილზე მოთმინებით იტანდა შეურაცხყოფას, დამცირებას და გვემას. ელაქრნის ტაძარში ღირსი გახდა ღვთისმშობლის გამოცხადებისა (იხ. 1 ოქტომბრის დღესასწაული „საფარველი ყოველადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა მარიამისა“). ანდრეა გარდაიცვალა 963 წელს (ხსენების დღე — 2 ოქტომბერი). ანდრეა სალოსის თანამედროვეებმა, ნიკიფორე ხუცესმა აღწერა ანდრეას ცხოვრება და ღვაწლი, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. ქართულად ამ თხზულების თარგმნას ეფთვიმე მთაწმიდელს მიაწერენ. ანდრეა სალოსის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული: A 199 (XII-XIII სს.), 78-98; A 832; H 1345 (XI-XII სს.), 1-201; ქუთ. 341 (XII-XIII სს), 12-91; Jer. 26, XII-XIII, 325-420; Jer. 33 (XIII-XIV სს.), 325-420 და სხვ.

ანდრია სტრატილატი — მოწამე, იმპერატორ მაქსიმიანეს (284-305) დროს. ანდრეა იყო რომაული ჯარის მხედართმთავარი. სპარსელების ჯარების სირიაში შემოჭრის დროს სირიის მმართველმა ანტიოქიის ჯარის მეთაურობა ანდრეას დაავალა და მისცა მას ტიტული „სტრატილატისა“. მისი რაზმი, რომელიც მის მიერ შერჩეული მამაცი მეომრებისაგან შედგებოდა, წარმართები იყვნენ, ხოლო თვითონ ჯერ კიდევ არ იყო მონათლული, მაგრამ აღიარებდა იესო ქრისტეს. ბრძოლის წინ მან დაარწმუნა მეომრები, რომ წარმართი ღმერთები მათ შემწეობას ვერ გაუწევდნენ და ქრისტეს სარწმუნოება უქადაგა. მეომრების მცირერიცხოვანმა რაზმმა მტრის ურიცხვი ლაშქარი დაამარცხა და უკუაქცია. გამარჯვებით დაბრუნებული ანდრეა და მისი რაზმი ანტიოქიამ დაასმინეს. სასამართლოზე ანდრეამ აღიარა ქრისტიანობა. ანდრეა და მისი რაზმის მეომრები აწამეს და ჯვარზე გააკრეს, ხოლო შემდეგ ღილეგში ჩაყარეს. ანტიოქმა ვერ გაბედა მათი სიკვდილით დასჯა და იმპერატორს შეატყობინა. იმპერატორმა იცოდა, თუ როგორ უყვარდა ანდრეა ჯარს, შეეშინდა ამბოხებისა და ანტიოქს მათი განთავისუფლება უბრძანა, ხოლო ფარულად დაეპატიმრებინა, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მოეკლა. ანდრეა და მისი ქრისტიანი მეომრები ქალაქ ტარსში ჩაეყვანენ და ეპისკოპოს პეტრეს ხელით მოინათლნენ. ანტიოქმა წერილი გაუგზავნა კილიკიის ოლქის მმართველს სელევკოსს, რომ ის დადევნებოდა ანდრეას და გამოგონილი საბაბით მისი რაზმი გაეწყვიტა. ანდრეამ და მისმა რაზმმა

არაეითარი წინააღმდეგობა არ გაუწია მღვდართ და ყველა მათგანი მახვილებით აკუწეს. ეს მოხდა დაახლ. 302 წელს. ანდრეასთან ერთად 2593 ქრისტიანი მოწამე დაიღუპა. ხსენების დღე – 19 აგვისტო. „ანდრეა სტრატილატის წამება“ ქართულად თარგმნილია ორი რედაქციით. ორიეე მათგანი თითო ხელნაწერითაა მოღწეული: კიმენური – A 90, XIII ს., 623-30; მეტაფრასული – ქუთ. 1, XVI ს., 489-497.

ანდრია – რამდენიმე საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ოპიზის მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელთაგანი, როგორც ეს ნათქვამია სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“: „ღმერთმან წყალობა და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ, მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“ (ძეგლები, I, 322).

2. ოპიზის მონასტრის რიგით მეორე წინამძღვარი, რომელიც „ერგროლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოიხსენიება: „ხოლო იყუნეს ოპიზას ძმანი მცირენი... ეინაჲთგან პოენილ იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესიაჲ წმიდისა ნათლისმცემელისაჲ და იყო წინამძღურისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რათგან სამღელ (პირველი წინამძღვარი) და ანდრია (მეორე წინამძღვარი) გარდაცვალებულ იყუნეს“ (ძეგლები, I, 253). ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, არის თუ არა ეს ანდრია ოპიზის მონასტრის პირველმაშენებელთაგანი, რომელიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია“ დასახელებული.

3. დეკანოზი, იხსენიება 1413 წლის სიგელში (ქრონიკ. II, გვ. 222), ნასყიდობის წიგნში: „ესე დაწერილი დაგიწერე მე დეკანოზმან ანდრია...“

4. მოქმის მონასტრის წინამძღვარი (საყვარელიძე) XVI ს-ში როგორც ეს ჩანს ხობის მონასტრის ერთი წარწერიდან (ქრონიკ. II, 174).

5. დეკანოზი, იხსენიება 1787 წლის ერთ საბუთში (ცსსა, ფ. 1448, IVᲜ 5031): „ფუტკრის წიგნი ანდრია დეკანოზთან არისო“ (ქართ. სამ. ძეგლები, V, გვ. 361).

6. მღვდელი, ხელს აწერს და ამტკიცებს (სხვებთან ერთად) 1791 წ. 9/XI საბუთს (ხელნ. ინსტ. Ad 861), რომელიც შეიცავს დოსითეოზ ნეკრესელის განჩინებას პეტრე მღვდლის სასისხლო საქმეზე (ქართ. სამ. ძეგლ. V, 550).

ანდრიანოზ მოწაბე – სომხური ეკლესიის წმინდანი, რომელიც დაახლ. 100 წელს ქ.შ. ეწამა თაეის მოძღვარ სუქიოსთან და მის კიდევ სხეა 17 მოწაეესთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებისათეის. სომხურიდან ქართულად თარგმნილია „წამება წმიდათა მოწამეთა მესაკელთაჲ“ და შეტანილია X ს. ათონურ ხელნაწერში – Ath. 8, ხოლო ანტონ I კათოლიკოსმა „მარტირიკაში“ მათ მიუძღენა „შესხმა და მოთხრობა ღეაწლთა და უნებათა წმ. მოწამეთა სუქიოსისა და მის თანა ენებულთა სუკაეტელთა“. ძეგლები VI, 340-359; (იხ. სუქიოსთან).

ანდრიაწმინდა – სოფელი ახალციხის რაიონში, მდ. ურაველის მარცხ. მხარეს, ახალციხიდან 17 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრეეები. სოფლის სახელი უკავშირდება ამაეე სოფლის ანდრია მოციქულის ეკლესიას. ეკლესია ერთნაეიანი ყოფილა. კედლები მთლიანად დგას, გადარჩენილია კამარის დიდი ნაწილი.

სოფლის ახლოს გზაზე წმ. თეოდორეს ერთნაეიანი მცირე სამლოცველოა. მას თლილი ქვის პერანგი და ქვის ფილებიანი სახურაეი აქეს. აღმოსაელეთის კარზე ქვის გამოქანდაკებული ცხერის თაეია, რომელიც ფასადს აგვირგვინებს, ხოლო დასაელეთით – ეკლესიის მოძეელი.

ანდრონიკე – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელსაც მოციქული პაეელ მოიხსენიებს რომაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში: „კითხა არქეთ ანდრონიკესა და ლეონიას – ნათესაეთა ჩემთა და თანატყეეთა ჩუენთა, რომელნი არიან შესწაეებულ მოციქულთა შორის, რომელნი ჩემსა წინათცაცა იყუნეს ქრისტეს მიერ“ (16, 17). ანდრონიკე გახდა პანონიის ეპისკოპოსი.

ანდრონიკე – V ს. ბერძენი მონაზონი. ერისკაცობაში ხელოსანი იყო და თაეის შემოსაელის ერთ ნაწილს ეკლესიის სწირაედა, მეორე ნაწილს ღარიბებს ურიგებდა, ხოლო ერთ შესამედს თაეის ოჯახს ახმარდა. როდესაც მას ქალაეი გარდაეცვალა, ანდრონიკე და მისი მეუღლე ათანასია ალექსანდრიას წაეიდნენ და მონაზვნად აღიკეცნენ – ანდრონიკე განშორებულთა კელიაში დაეყუდა, ხოლო ათანასია ღედათა მონასტერში შედგა მონაზვნად. 12 წლის შემდეგ ანდრონიკე იერუსალიმს გაემგზაერა წმინდა ადგილების მოსალოცად. მას შეხედა მგზაერი მონაზონი ათანასე, რომელიც სინამდეილეში მამაკაცის სამონაზვნო ტანსაცმელში გადაცმული მისი მეუღლე ათანასია იყო. მაო ვერ იცნეს ერთმანეთი, რადგან ხანგრძლეიმა დრომ და მოღეაწეობამ მათ იერი შეუცეალა. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ორიეე ერთ სენაკში ცხოერობდა და მრაეალი წელი გაატარეს მღუ-

მარებაში. ათანასიამ გარდაცვალების შემდეგ დატოვა წერილი, რომელიც იუწყებოდა მის საიდუმლოს. მალე ანდრონიკეც გარდაიცვალა. მათი ხსენების დღედ 9 ოქტომბერია დადებული.

ქართულად თარგმნილია ანდრონიკესა და ათანასიას „ცხოვრების" ძველი, კომენური რედაქცია (A 95, XV ს., 1314-1316, ბოდლ. I, XI ს., 491-495).

ანდრონიკე (გაბისულავა) — მონაზონი. სამეგრელოს მთავრის, ვამეყ დადიანის (1384-1396) დაჟალებით მახარებელ ქუბლიასთან ერთად ანდრონიკე გაბისულავას წალენჯიხის ტაძრის მოსახატაოდ კონსტანტინეპოლიდან ჩამოუყვანია მხატვარი კირ-მანუელ ეუგენიკოსი, რაც აღნიშნულია ტაძრის ერთ-ერთი ბოძის წარწერაში. გამოთქმულია აზრი, რომ ანდრონიკე და მხარობელი მხატვარს ეხმარებოდნენ ტაძრის მოხატვაში.

ანდრონიკე მოწამე — ეწამა ქრისტესთვის 304 წ. კილიკიის ქალაქ ტარსუსში ტარქოს და პორობოს მოწამეებთან ერთად, კერპებისადმი მსხვერპლის შესაწირავზე უარის თქმისათვის.

ამ სამი მოწამის შესახებ დაწერილი ერთობლივი „წამების" კომენური რედაქციის ბერძნულიდან შესრულებული ქართული თარგმანი შეგვეკრიბა X ს. ხელნაწერშა (Ath. 8, 368-383), ხოლო მეტაფრასული რედაქცია ქართულად თარგმნილია აგრეთვე ბერძნულიდან და რამდენიმე ხელნაწერით არის შემონახული (ქუთ. 4, XVI ს., 420-427, S 384, XII ს., 349-360; Ier. 37, XIII-XIV სს., 64-70). მოწამეთა ხსენების დღე კომენური თხზულების მიხედვით 27 იანვარია, ხოლო მეტაფრასულით — 12 ოქტომბერი.

ანეკდოტოს მოწამე (ბერძნ. „დაუბრკოლებელი") — სპარსეთის მეფის, შაბურ II-ის (310-381) სამეფო კარის მსახური, რომელიც აკეთილშობილის და პიღასთან ერთად ეწამა ქრისტიანობის აღიარებისათვის დაახლ. 341-345 წწ-ში. მათი ერთობლივი „წამება" თარგმნილია ქართულად თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (S 384, XII ს., 335-353; Jer. 37, XIII-XIV სს., 139-149 და სხვ.) მათი ხსენების დღეა 2 ნოემბერი. იხ. აკეთილშობილი.

ანეშის მრენასტერი — მცხეთის საკელესიო მამულების სიაში, რომელიც 1398 წლის საბუთში (ალექსანდრე მეფის ქართლ-კახეთ-შესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი — ხელნ. ინსტ. Hd 8712) არის წარმოდგენილი, პირველად არის ნახსენები ანეშის მონასტერი: „მონასტერი ანეშისა და სოფ. ანეში" (ქრონიკ. II, 1970, სამ. ძეგლ. III, 180-181), ხოლო უფრო გვიან, 1447 წ. 20 მარტს გიორგი მეფე ანახლებს ამ საბუთს, რომელშიც ნათქვამია: „მონასტერი ანეში მისითა შესაელითა" (ცსს ფ. № 1448 № 5016, სამ. ძეგლ. III, გე. 190). სხვა ცნობები ამ მონასტრის შესახებ არ შემონახულა.

ანთიმოზ ივერიელი — (დაახლ. 1650-1716) საქართველოს და რუმენეთის მართლმადიდებლურ ეკლესიათა წმინდანი, ერისკაცობაში ანდრია, რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი, ეკლესიის მიტროპოლიტი (1708), წარმოშობით ქართველი. იგი ოსმალებმა გაიტაცეს საქართველოდან, სტამბოლში ტყვეობიდან გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა. ანთიმოზმა მის კარზე მიიღო განათლება. XVII ს. 80-იანი წლების ბოლოს ანთიმოზი მიიწვია ეკლესიის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ. ანთიმოზ იერიელის დაარსებულ სტამბებში (ბუქარესტში, სანაგოვის მონასტერში, რიმნიკში, ტირგოვიშტეში) მისივე ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა წიგნები რუმინულ (პირველი რუმინული წიგნი აქ დაიბეჭდა 1691 წ.), ბერძნულ, ძველ სლავურ და არაბულ ენებზე. მის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის ღვთისმსახურებაში რუმინული ენის დამკვიდრება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუმინული სასულიერო და საერო მწერლობის განვითარებისათვის. ანთიმოზ იერიელის სახელს უკავშირდება თბილისის პირველი სტამბის დაარსება 1709 წ. და იმავე წელს ქართულად სახარების დაბეჭდვა. ამ სტამბას საფუძველი ჩაუყარა ანთიმოზის მოწაფემ მიხაილ იშტვანოვიჩმა, რომელსაც საქართველოში „უნგროვლახელს" უწოდებდნენ.

ანთიმოზ იერიელი იბრძოდა რუმინული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის, სათავეში ედგა ანტიოსმალურ პატრიოტულ საგანმანათლებლო მოძრაობას. თაყვანს ქადაგებებში გაბედულად ამხელდა ბოიარების უზნეობას და ანტიპატრიოტიზმს, მოუწოდებდა ხალხს ოსმალეთის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ. ანთიმოზი ასეთი მოღვაწეობისათვის დაასატიმრეს, ასყარეს სამღვდელო პატივი (დაებრუნეს ერისკაცობის სახელი ანდრია) და მიუსაჯეს სამუდამო ექსორია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში. თანმხლებმა ანაჩარებმა, როგორც ფიქრობენ, ხელისუფალთა დაკვალებით, ანთიმოზი გზაში მოკლეს და

მისი გვამი მდინარეში გადააგდეს. ანთიმოზ იქვრიელი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 1996 წელს. ხსენების დღე 13 იენისია.

ანთიმოს კონსტანტინეპოლელი – VI ს. მონოფიზიტური მწვალებლობის მიმდევარი. 533-535 წწ. ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი. 535-536 წწ. პატრიარქობიდან გადაყენა კონსტანტინეპოლის 536 წ. საეკლესიო კრებამ. ქართული წყაროებიდან მოხსენებულია ნათარგმნი ძეგლის – „დიდი სჯულისკანონის" შესავალ ნაწილში, მე-9 ნაწილის მე-10 თავის სამოქალაქო კანონმდებლობაში „და მეხუთე განწესებაჲ მისვე პირველისა ნაწილისა ნეარონთაჲსაჲ განქელის პეტროსს, ანთიმოს; სეეირონს და ზოარას" (გვ. 169,25).

ანთიმოს ნიკომიდიელი (ბერძ. „ყვავებული") – ნიკომიდიის ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც ეწამა დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს, რისი მიზეზიც გახდა ნიკომიდიის იმპერატორის სასახლის დაწვა. წარმართობამ ეს აქტი ქრისტიანებს დააბრალეს. ანთიმოსი, სამწყსოს თხოვნით, ნიკომიდიასთან ახლო მდებარე ერთ-ერთ სოფელში იმალებოდა და ეპისტოლეებით მოუწოდებდა ქრისტიანებს გამოეჩინათ სიმტკიცე და ქრისტესადმი ერთგულება. ერთ-ერთი წერილი, რომელიც დიაკონ თეოფილეს ხელით გაგზავნა მან, წარმართებმა ჩაიგდეს ხელში და მაქსიმიანეს გადასცეს. თეოფილე წამებით მოკლეს, მაგრამ ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი მაინც ვერ ათქმევინეს. ბოლოს ანთიმოს ეპისკოპოსს მიაგნეს და მის დასაპატიმრებლად მეომრები გაგზავნეს, რომელნიც მოიხიბლნენ ანთიმოსის სათნოებით, გაქრისტიანდნენ და არ მოისურვეს იმპერატორთან მისი წაყვანა, მაგრამ ანთიმოსმა დაჟინებით მოსთხოვა მათ, ბრძანება შეესრულებინათ და სიცრუე არ ეთქვათ. ანთიმოსს თავი მოკვეთეს 302 წ. მისი ხსენების დღედ დადებულია 31 სექტემბერი.

ქართულ წყაროებში ანთიმოს ნიკომიდიელის „წამების" სამი თარგმანი არის შემონახული: ძველი, კიმწური (Jer. 2, XI ს., 22-30), რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია და მეტაფრასული რედაქციის „წამების" ორი თარგმანი: ერთი – თეოფილე ხუცეს-მონაზონისა (Ath. 20, XI ს. 25-29) და მეორე – უცნობი მთარგმნელისა (ქუთ. 4, XVI ს., 33-38; ცენტრ. არქ. №302. აქ მას „ანთოს მონაშე" ეწოდება). ეს უკანასკნელი გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 69-74.

ანთიმოს ჯაბახი – ათონის მთის „ზევიძარეთა დასაყუდებელის" – კაფსოკალივა"-ს XVIII ს. ქართველი ბერი, რომელიც სხვა ქართველ ბერებთან ერთად უნახავს იქ ტიხონე გაბაშვილს, რომელმაც ათონის მთაზე სამყერი იმოგზაურა: 1755-1756 წწ. 1756 (იულისიდან – შემოდგომამდე) და 1758 წლის გაზაფხულზე. (მიმოსლვა, 28, 40-42, 109; 0149-0150).

ანიკიტოს მოწამე (ბერძ. „უძლეველი") – ნიკომიდიელი მოწამე დიოკლიტიანე იმპერატორის (284-305) დროს. ანიკიტოსი იყო წარჩინებული სამხედრო პირი და ამხილა იმპერატორი, რომელმაც ქალაქის მოედანზე ქრისტიანთა დასაშინებლად წამების იარაღები გამოფინა. იმპერატორმა ბრძანა ანიკიტოსის ტანჯვა და შემდეგ მხეცთათვის შესაჭმელად მიგდება. მაგრამ ღმერთი იფარავდა თაეის რჩეულს და ყოველგვარი ცდა უნაყოფო გამოდგა. ბოლოს ანიკიტოსი და მისი ძმისწული ფოტი, რომელიც ამხვევებდა ბიძას და ამხელდა იმპერატორს, უზრამზარ ღუმელში დაწვეს. ეს მოხდა 305 წ. მათი ხსენების დღეა 12 აგვისტო.

ქართულად თარგმნილია „ფოტისა და ანიკიტოსის წამების" მეტაფრასული რედაქცია, რომელიც მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის შემონახული (ქუთ. I, XVI ს., ფ. 59-312).

ანიმიზმი (ლათ. anima, animus – სული, გონება) – სულების არსებობის უძველესი რწმენა. სულები, რელიგიური ცნობიერების თანახმად, განაგებენ მატერიალური სამყაროს ყველა საგანსა და მოვლენას, ადამიანის ჩათვლით. ანიმიზმის მიხედვით სულები გეელნენებიან ხან ამორფულ, ფიტომორფულ, ზოომორფულ და ხან ანთრომორფულ არსებებად, რომელთაც აქვთ ცნობიერება, ნებისყოფა და სხვა ადამიანური თვისებები. ტერმინი „ანიმიზმი" პირველად შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა გ. შტალმა 1708 წ. მან ეს სახელი უწოდა თავის მოძღვრებას იმ უპირველეს სასიცოცხლო საწყისის – სულის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა სასიცოცხლო პროცესს და არის „ხვეულის მძერწაე".

ანისი – ციხე-სიმაგრე და ქალაქი შუა საუკ. სომხეთში, მდ. ახურიანის მარჯვენა ნაპირზე (ამჟ. თურქეთის ტერიტორია, ყარსის ვილაეთი). ანისი XI ს. შუა წლებიდან პერიოდულად, ხოლო XII ს. შუა წლებიდან მუდმივად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ანისში იყო ღვთისმშობლის ქართული ეკლესია, რომლის 1218 წლის ასომთაერული წარწე-

რა 1910 წ. ანისის გათხრების დროს იპოვა 6. მარმა. წარწერა წარმოადგენს საქართველოს კათოლიკოსის – ეტეოფანეს განაჩენს ანისის მართლმადიდებლური მოსახლეობისა და ანისელ ხუცესთა შორის ატეხილი დავის შესახებ. ეტეოფანეს განაჩენს ხელს აწერს ანისის სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ეპარამი. ანელის (ანისის ეპისკოპოსის) სამწყსო იერარქიულად ქართლის კათოლიკოსს ემორჩილებოდა.

ანჯვირიის საეპისკოპო კრება – ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა 314 წელს ანკვირიაში (გალატელთა პრომვინცია) და რომელსაც ესწრებოდა მცირე აზიისა და სირიის 18 ეპისკოპოსი. კრებას თავმჯდომარეობდა ანტიოქიის პატრიარქი ვიტალი. კრების ძირითადი მიზანი იყო გაერკვია, შეიძლებოდა თუ არა ქრისტიანულ ეკლესიას თავის რიგებში მიეღო ის პირები, რომლებიც მაქსიმიანე იმპერატორის მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის პერიოდში შიშისა და ძალდატანების გამო განუდგნენ ქრისტიანობას და კერპებს მსხვერპლი შესწირეს, ხოლო როცა დევნა შეწყდა და შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დადგა, ისევ ქრისტიანობას მოუბრუნდნენ და ითხოვეს ეკლესიაში მიღება. ანკვირიის კრებამ დაადგინა 25 კანონი, რომელთაგან 1-9 და მე-12 ეხება იმ მთავარ საკითხს, რომელმაც დასახელებული კრების მოწვევა განაპირობა, ხოლო დანარჩენი – საეკლესიო დისციპლინის ზოგად საკითხებს. ანკვირიის კრების მე-10 კანონი გაუქმა VI მსოფლიო (ტრულის) კრებამ თავისი მე-6 კანონით. ანკვირიის კრება იმ მცირერიცხოვან ადგილობრივ კრებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის კანონები შევიდა მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად კანონიკურ კოდექსში – 14-ტიტულიან ნომოკანონში (ქართული თარგმანის სახელწოდებაა „დიდი სჯულისკანონი").

ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109) – ინგლისელი ფილოსოფოს- სქოლასტიკოსი. დედის სურვილით 1060 წელს ანსელმი მონაზვნად შედგა, 1073 წელს გახდა მონასტრის წინამძღვარი და სქოლასტიკოსი, ხოლო 1078 წელს – ნორმანდიის მონასტრის ბეკის აბატი. 1093 წელს ანსელმი ინგლისში კენტერბერის ეპისკოპოსად აკურთხეს. იგი ითვლება პირველ სქოლასტიკოსად. მოუხედავად იმისა, რომ მისთვის ამოსავალი იყო ბიბლია და ნეტარი აგუსტინეს მოძღვრება, რომ იგი „ქალაქის ნიადაგზე იდგა და სწამდა, რომ რწმენა წინ უნდა უსწრებდეს შემეცნებას და თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს, იგი მოითხოვდა რწმენიდან შემეცნებაზე გადასვლას. ამაშია მისი, როგორც ლოგმატიკოსის, მთავარი მნიშვნელობა. ღვთის, პირველსაწყისის ე. წ. ონტოლოგიური დასაბუთება ანსელმს გამოპყავს თვით ღვთაების ცნებისაგან და გადმოცემული აქვს თხზულებაში – „პროსლოგიუმ" (მიმართვა თავისი სულისადმი). „მონოლოგიუმში" მას ღვთის ყოფიერება გამოპყავს „სასრულის შემთხვევითობისაგან", ხოლო სამება – გონების მარტივი საფუძვლებიდან. თხზულებაში „Cuz Keus hamo" გადმოცემულია ქრისტოლოგიური მოძღვრება მონანიების შესახებ, ხოლო თხზულებაში „Ke concozdia praescientiae et pzedestinationis" – დოგმატიკური საფუძვლები მოძღვრებისა ბედისწერის შესახებ.

ანსელმ კენტერბერიელის ხსოვნას კათოლიკური ეკლესია აღნიშნავს 21 აპრილს. 1720 წ. პაპმა კლიმენტი XI-მ იგი კათოლიკური ეკლესიის მამათა შორის შეიტანა.

ანტაგონიზმი (ბერძ.) – შეურიგებელი წინააღმდეგობა ერთმანეთის საპირისპირო ძალებსა და ტენდენციებს შორის. ამ მნიშვნელობით იხმარება ანტაგონიზმი რელიგიურ სისტემებშიც – წინააღმდეგობა სიკეთესა და ბოროტებას შორის – კანტის, შოპენჰაუერისა და სხვათა იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემებში.

ანტიგონე – თეოდოსი დიდის (379-395) დროინდელი კონსტანტინეპოლელი დიდებული, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, ქრისტიანული ეკლესიის წმინდანის – ეპარაქია ქალწულის († 413 წ.) მამა. ანტიგონეს, მისი მეუღლის ეპარაქიასა და მათი ქალიშვილის – ასევე ეპარაქიასა ერთობლივი კომენტარი რედაქციის „ცხოვრება" თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად და შეტანილია XI ს. ქართულ ხელნაწერში (A 95, 433-451), ხოლო იოანე ქსიფილინოსის მიერ კომენტარი თხზულების საფუძველზე შედგენილი მეტაფრასული თხზულება ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 689-714). მათი ხსენების დღედ დადებულია 25 იელისი. იხ. ეპარაქია.

ანტიდორი – იხ. ანაფორა (II მნიშვ.)

ანტილეგომენა (ბერძ.) – ასე ეწოდებოდა IV ს-ში ეუსევი კესარიელის დროიდან ახალი აღთქმის ისეთ ტექსტებს, რომელთა ნამდვილობაში ზოგიერთებს ეჭვი შეჰქონდათ (არაკანონიკური აპოკრიფები), „პომოლოგუმენა"-ს, ე. ი. უეჭველად ნამდვილი ტექსტების საწინააღმდეგოდ.

ანტიოქე (ანტიოხოს) მოწამე – IV ს. კაპადოკიის სეპასტიაში მცხოვრები ქრისტიანი, პროფესიით მკურნალი, მოწამე პლატონის (ხს. 18 ნოემბერს) ხორციელი მამა. წარმართებმა მას თავი მოკვეთეს, რადგანაც მან არ ისურვა ქრისტეს უარყოფა, წარმართული კერპებისადმი თაყვანისცემა და მხსვერპლის შეწირვა. ანტიოქეს (ანტიოხოს) „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (ქსძ. 3, XVI ს., 573-590). მისი ხსენების ღღედ დადებულია 16 იელისი.

ანტიოქე სტრატიგი – იერუსალიმის საბა განწმედილის ლაერის VI-VII სს. მონაზონი, ავტორი თხზულებისა – „წარტყუენაჲ იერუსალიმისაჲ". ეს თხზულება აღწერს იერუსალიმის დაპყრობას სპარსთაგან 614 წელს, რომლის მომსწრე და მხილველი თავად ავტორი ყოფილა. ანტიოქე სხვებთან ერთად დატყვევებიას სპარსელებს, მაგრამ ტყვეობისათვის თავი დაუღწევია გაქცევით. „წარტყუენაჲ"-ს არაბული ენიდან შესრულებული ქართული თარგმანის უძველესი ნუსხა შემონახულია იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ერთ ქართულ ხელნაწერში (Jer. 33, XII-XIII, 325-32; აგრ. A 70, XIII ს.), რომელიც გამოსცა ნ. მარმა სერიაში „Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии", т. 9, 1909 – Антиох Стратиг, „Пленение Иерусалима персами в 614 г.", რომელსაც დაურთო გამოკვლევა, ქართული ტექსტის რუსული თარგმანი და არაბული ტექსტის ნაწყვეტები.

„ანტიოქია" – VII ს. მცირე ზომის ბაზილიკური ეკლესია მცხეთაში, არაგვის პირას (ამჟამად რესტაურირებული; მოქმედებს დედათა მონასტერი). თ. ჟორდანიას მითითებით ანტიოქია ჰქვია მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში „რომ მცირე ეკლესიაა, კუთხეში" (ქრონიკ. II, 506). „ანტიოქია" იხსენიება სვეტიცხოველისადმი ნიკოლოზ კათოლიკოსის შეწირულობის წიგნში: „ანტიოქიასთან დიდი ჩარდახი დადგი" (ცსსა, ფ. 1449, ს.ბ. 2681 – სამ. ძეგლ. III, გვ. 5901; ქრონ. II, 505 და სხვ.).

ანტიოქიის საეკლესიო კრება – ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელიც მოწვეული იქნა 341 წ. ანტიოქიაში. კრების ძირითადი მიზანი იყო ახლადაშენებული ეკლესიის კურთხევა, რომელიც კონსტანტინე დიდმა დააარსა, ხოლო დამთავრა მისმა მემკვიდრემ კონსტანტიმ. კრებას, წყაროთა არცთუ ზუსტი მონაცემებით, 100 ეპისკოპოსი დასწრებია. თავმჯდომარეობდა ანტიოქიის პატრიარქი პლაკეტი. კრების ისტორიული მნიშვნელობა მაინც იმ 25 დისციპლინარულმა კანონმა განსაზღვრა, რომლებიც კრებამ დაადგინა ძირითადი მისიის შესრულების შემდეგ და რომლებიც შემდეგ შეტანილ იქნა ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად კანონიკურ კოდექსში – 14 ტიტულოვან ნომოკანონში (რომლის ქართულ თარგმანს „დიდი სჯულისკანონი" ეწოდება). ანტიოქიის კრების საქმიანობას, განსაკუთრებით დოგმატურ ნაწილში, ჩრდილოვანი მხარეც ჰქონდა: ამ კრებაზე ეპისკოპოსის ხარისხიდან განკვეთეს ათანასე ალექსანდრიელი. იოანე ოქროპირს მიაკუთვნებენ სიტყვებს საეკლესიო კრებაზე მისი გასამართლების დროს, როდესაც მისი დანაშაულის დასადასტურებლად მას მიუთითეს ანტიოქიის კრების მე-4 კანონზე: „ეს კანონი ეკუთვნის არა ჩვენს ეკლესიას, არამედ არიანულს, რადგან ისინი შეიკრიბნენ ანტიოქიაში, რათა მოესპოთ რწმენა ერთარსებისა. არიანელებმა გამოსცეს ასეთი კანონი ათანასეს სიძულვილის გამო" (Сократ, Церковная история VI, 18). ანტიოქიის კრების კანონებს ქალკედონის მსოფლიო კრებამ (541 წ.) „წმ. მამათა კანონები" უწოდა. ანტიოქიის კრების ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათის მიზეზების ახსნა მეცნიერ-კანონისტთა გაუთავებელი კამათის საგნად იქცა (იხ. Н. Заозерский, Историческое обозрение источников права православной церкви, Москва, 1891).

ანტიოქიის საპატრიარქო – ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური ეკლესია, დაარსებული I ს-ში. ანტიოქიის საპატრიარქოს ცენტრი იყო ქ. ანტიოქია (ესიდფონში, თანამედროვე ანთაქია), ძველ სირიაში, მდ. ორონტესზე, ხმელთაშუა ზღვიდან 22 კმ. ქალაქი დაარსა სელევკე I ნიკატორმა ძვ. წელთაღრ. 300 წელს და მამის – ანტიოქეს პატივისცემად ანტიოქია უწოდა. ანტიოქიის ეკლესია იხსენიება უკვე I მსოფლიო კრების (325 წ.) VI კანონში. იგი აერთიანებდა აღმოსავლეთის დიოცეზში შემავალ ეკლესიებს, V ს-ში მოიცავდა 15 ეპარქიას. ანტიოქიის საპატრიარქოს შეთაური იწოდებოდა „ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქად". VII ს-დან ანტიოქიის ეკლესიის გავლენა თანდათან შემცირდა, რაც ამ მხარეში მუსლიმანთა ხშირი ლაშქრობისა და ბატონობის შედეგი იყო. ანტიოქიასთან საქართველოს ძველთაგანვე კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა. ჯერ კიდევ წმ.

ნინო განმანათლებლის შესახებ შექმნილ „ცხოვრებებში" აღნიშნულია, რომ ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი დიდი თვითონ ჩამოვიდა საქართველოში და აკურთხა ახლად გაქრისტიანებული ქართული ეკლესიის ეპისკოპოსი. აღსანიშნავია VI ს-ში ანტიოქიიდან საქართველოში იოანე ზედაზნელის მეთაურობით ასურელ მამათა მოსვლა და სამონასტრო ცხოვრების დაფუძნება. ძველი წყაროების მიხედვით, V ს-ში ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული. უფრო გვიან საქართველოში ჩამოსულან ანტიოქიის პატრიარქები: XV ს-ში – მიქაელი, 1664 და 1666 წწ. – მაკარი.

ანტიოქიის საპატრიარქოს კათედრა ამჟამად ქ. დამასკოშია (სირია) და აერთიანებს ლიბანულ და სირიელ მართლმადიდებლებს. აქვს 6 ეპარქია სირიაში, 6-ლიბანში, 3 – თურქეთში, თითო – აშშ-ში, ბრაზილიაში და არგენტინაში.

ანტიოქიის ეკლესიის პატრიარქების სია:

წმ. პეტრე მოციქული 44-57
წმ. ევოდოკოსი 57-68
წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი 68-107 (ან 116)
ირონი 107 (ან 116)-136
კორნილიოსი 137-149
ეროსი 150-175
წმ. თეოფილე 176-188
მაქსიმიანე 189-201
წმ. სერაპიონ 202-226 (190-211)
წმ. ასკლიპიადი 227-233
ფილიპე 234-235
ზევინა (ზევენი) 263-237
წმ. მოწამე ბაბილა 238-250
ფაბიოსი 251-259
წმ. დიმიტრი 260-263
პაული I სამოსატელი 264-271
წმ. დომნოს I 272-273
ტიმეოსი 274-283
კირილე I 284-298
ტისანიოსი 299-311
ვიტალი 312-317
წმ. ფილოგონიოს 318-322
პაულინე I 322
წმ. ევსტათი 323-331 († 337)
331-358 ეკლესია დაქვრეებულია. არიანელი ანტიპატრიარქები:
ევლალე 331
ევფრონი 332
პლაკენტი 333-344
სტეფანე I 346-348
ლეონტი 349-356
ევდოქსი 357-358
მელეტი (მართლმადიდებელი) 358-381
მის დროს არიანელი ანტიპატრიარქები:
ანანია 359-364
ევზოიოსი † 376
დოროთეოზ (თეოდორე) 376-383
ვიტალი პოლინარელი 376 წლიდან
წმ. ფლავიანე 381-404
ანტიპატრიარქი მართლმადიდებლები:
პაულინე 362-388 და ევაგრე 388-392
პორფირე 404-413
ალექსანდრე I 413-418
თეოდოტი I 419-422
იოანე I 423-440
დომნე II 441-448
მაქსიმე 449-452
ბასილი 453-554
აკაკი 455
მარტყირი 456-468
ილიანე 469-483
იოანე II თეე
სტეფანე II 484-486
სტეფანე III 487
კალანდიონი 489-492
(პეტრე მკაწრვალი, მონოფიზიტი ანტიპატრიარქი)
წმ. პეტრე მკაწრვალი 492-496
პალადი 496-505
ფლაბიანე 506-512
სევეროზ (მწვალებ.) 512-518
პაული 520-522
ევფრასიოს 523-527
წმ. ევფრემი 527-545
დომნოს II 546-560
წმ. ანასტასი I სინელი 561-572
გრიგოლ I 573-596 (ან 593)
წმ. ანასტასი I სინელი (მეორედ) 596-601 (ან 559)
წმ. ანასტასი II 602-610
611-639 წ. ეკლესია დაქვრეებულია
637 წ. ანტიოქია არაბებმა დაიპყრეს
ორი პატრიარქი: ერთი კონსტანტინეპოლში (690-668 წ.), მეორე ანტიოქიაში (660 წლიდან);
კონსტანტინეპოლში:
მაკედონიოს (მონოფ.) 640-645
გრიგოლი (მონოთელიტი) 645-650
მაკარი (მონოთელიტი) 653-680

თეოფანე 681-685
ალექსანდრე 686-688
ანტიოქიაში:
სტეფანე 660-661
თომა 662-681
გიორგი 684-707
სტეფანე, ჯერ მმართველი (708-742) შემდეგ პატრიარქი (743-744)
თეოფილაქტე 745-751
თეოდორე 751-773
თეოდორიტე 777-794
795-812 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
იობი 813-843
844-846 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
ნიკოლოზი 847-869
სტეფანე I დღე
თეოდოსი (თადეოზი) 870-889
ევსტათი 889-892
წმ. სვიმეონი 892-903
ელია 904-931
932-933 წ. დაქვრივებულია
თეოდოსი 934-940
მაკარი 941-944
945-952 დაქვრივებულია
აღაპი 953-959
ქრისტეფორე 960-969
თეოდორე 970-975
აღაპი 975-986
იოანე III 987-1010
მაკარი 1011-1012
ელეფთერი 1013-1024
ნიკოლოზი 1024-1029
1029-1033 დაქვრივებულია
ილია 1033-1034
თეოდორე 1034-1042
ბასილი 1043-1052
პეტრე 1053-1057
თეოდორე (თეოდოსი) 1057-1076
ემელიანე 1078
ნიკიფორე მაროსი 1080-1092
იოანე IV 1092-1098
თეოდოსი
არისტარქე
იოანე V +1140
სოტირარქე 1155-1156
ათანასი 1156-1170
სიმეონი 1178
თეოდორე ბალზამონი 1186-1203
იაკობი I
იეროთეოსი
სიმეონი
უცნობი 1232
ექვთიმე I 1254-1260
თეოდოსი პრინკეპსი 1261-1283
არსენი 1283-1286
კირილე II
დიონისე I
კირილე III
დიონისე II
სოფრონი II
იოანე VI
მარკოზ I
ევგენატე II 1344-1351
1352-1359 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
პახუმი I 1359-1366
1367-1368 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
მიქელ I 1369-1374
1374-1376 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
მარკოზ II († 1378)
1379-1385 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
პახუმი II (ან I მეორედ) 1386-1387
ნილო 1387-1395
მიქელ II 1395-1400
1400-1412 წწ. – ეკლესია დაქვრივებულია
პახუმი II 1413-1414
იოაკიმე II † 1425
მარკოზ III 1427-1430
დოროთეოს I 1435-1452
მიქელ III 1452
მარკოზ
იოაკიმე III
გრიგოლი
დოროთეოს II საბინისი 1484
მიქაელ IV მაურდისი 1523; † 1540
დოროთეოს III 1541
იოაკიმ IV ჯუმა 1543-1576. მაკარი II ჭილაღი – მისი ანტიპატრიარქი
მიქაელ V 1576-1582
იოაკიმე V დღი 1582-1592
მიქაელ VI 1582-1585
იოაკიმე VI 1586-1587 (1592-1618
იოაკიმე VII 1593
დოროთეოსი IV 1608 (1613-1615)
ათანასე 1618
ევგენატე III 1618-1633
კირილე IV (ანტიპატრიარქი)
ექვთიმე II 1634-1635
ევტიქი 1635-1648
მაკარი 1648-1672
კირილე V 1672-1720

ნეოფიტე
კირილე (მეორედ)
ათანასე 1686 წ. კირილეს დროს
ათანასე მარტო † 1724 წ.
სილიბისტრო 1724-1766. კირილე VI – მისი ანტიპატრიარქი
ფილიმონ 1766
დანიელი 1767-1791
ანთემიოსი 1791-1813
სერაფიმე 1813-1823
მეთოდი 1823-1850
იეროთეოსი 1851-1885
გერასიმე 1885-1891
სპირიდონი 1891-1897
გერმანე (ადგილის მცველი)
მელეტი 1899-
(სია მოტანილია არქიმანდრიტ სერგის `Полный месяцеслов Востока[-ს მიხედვით)

ანტიოქიის სკოლა – თეოლოგიურ-ფილოსოფიური სკოლა, შექმნილი III ს. მიწურულს მცირე აზიის ქ. ანტიოქიაში, რომელიც ალექსანდრიასთან, კაპადოკიასთან და სხვა ქალაქებთან ერთად აღმოსავლეთში ბერძნული კულტურის გაერცელების ერთ-ერთი ცენტრი იყო. ანტიოქიის სკოლაში ქრისტიანული ფილოსოფიის გასამართლებლად პლატონის მოძღვრების ნაცვლად იყენებდნენ არისტოტელეს მოძღვრებას. ამ სკოლას ეკუთვნოდნენ: ევსტათი ანტიოქელი, იოანე ოქროპირი, ნესტორი (ნესტორიანელთა ერესიარქი).

ანტიპა პერგამელი – იოანე ღვთისმეტყველისა და მოციქულის მოწაფე, პერგამოს ეკლესიის ეპისკოპოსი და მღვდელმოწამე იმპერატორ ნერონის დროს (54-68). მას იხსენიებს იოანე „გამოცხადებაში“: „და არა უარჰყავ სარწმუნოებაჲ ჩემი ღელთა მათ ანტიპაჲსა მოწამისა ჩემისა სარწმუნოჲსათჳს, რომელი-იგი მოკლა თქუენ შორის, სადა-იგი ეშმაკი მკუდრ არს“ (2;13). ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებისა და წარმართული კერპების განქიქებისათვის პერგამოს წარმართმა ქურუმებმა ანტიპა წაათრიეს არტემიდას ტაძარში და ჩააგდეს გაუვარვარებულ სპილენძის ხარის ქურაში, როგორც შესწირაჲი მსხვერპლი. აღესრულა იგი 68 წ. და მისი ცეცხლისაგან შეუხებელი გვამი ქრისტიანებმა პერგამოში დაასაფლაეს. ანტიპას „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი მოიპოვება ერთ (ქუთ. 7, XVI ს., 199-200) ხელნაწერში. ხსენების დღე – 11 აპრილი.

ანტიპაპი – რომის კანონიერი პაპის დასაპირისპირებლად მოწინააღმდეგე ჯგუფის მიერ არჩეული პაპი, რომელსაც არ ცნობდა კანონიერად კათოლიკური ეკლესია. შუა საუკუნეების გარკვეულ პერიოდებში პაპის ტახტზე ერთდროულად რამდენიმე ერთმანეთის მოქიშპე პაპი იჯდა, რომელთაგან შემდეგში მხოლოდ ერთს ცნობდა ეკლესია, ხოლო დანარჩენები ანტიპაპებად ცხადდებოდნენ. მაგ.: დიდი განხეთქილების პერიოდში ერთდროულად სამი პაპი იჯდა ტახტზე: გრიგორი XII (1406-1415), ბენედიქტე XIII (1394-1423), იოანე XXIII (1410-1415), რომელთაგან კათოლიკურმა ეკლესიამ კანონიერად ცნო გრიგორი XII, ხოლო დანარჩენი ორი – ანტიპაპებად. კათოლიკური ეკლესიის მიერ შეღგენილ პაპების სიაში 30 ანტიპაპი ირიცხება.

ანტიპატროს ბოსტრელი – V ს. ქ. ბოსტრიის ეპისკოპოსი, საეკლესიო მწერალი. ქართულად თარგმნილია მისი ორი ქადაგება: „ზაქარიას დადუმებაჲ“ (A 144, X ს. 212r-217v და სხვ.). გამოც. თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, თბ. 1981, გვ. 433-438 და სხვ. და „სიტყუაჲ შობისათჳს წმ. წინაჲსწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი“ (ქუთ. 3, XVI ს., 241-245). ანტიპატრის ბოსტრელის ხსენებას ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს ყველიერის შაბათს (იხ. Арх. Сергий, Полный месяцеслов Востока II, 584).

ანტიტრინიტარიზმი (ანტი + ლათ. trinitas – სამება) – ერეტიკული მოძღვრება, რომელიც უარყოფს ქრისტიანული ეკლესიის მთავარ დოგმატს – წმ. სამების დოგმატს. აღმოსავლეთის ეკლესიაში იგი აღმოცენდა II ს-ის II ნახევარში და იარსება V ს-მდე. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან: ნოეტოს სმირნელი, საბელიოს პტოლემაიდელი, პავლე სამოსატელი, თეოდოტე და სხვ. ანტიტრინიტართა სხვა სახელწოდებაა „მონარქიანები“ და „უნიტარები“.

ანტიტრინიტარიზმი დასავლეთში აღორძინდა გეონეშუასაუკუნეებში. ანტიტრინიტარები ინკვიზიციამ გააძევა იტალიიდან, ხოლო ჟენევაში მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მიგელ სერვეტის დაწვის შემდეგ (1553 წ.) დევნილმა ანტიტრინიტარებმა თავშესაფარი პოლონეთსა და ტრანსილვანიაში პოვეს. აქ მათ მოძღვრებას „სოციანიანობა“ ეწოდა. XVII-XVIII სს-ში იგი გავრცელდა ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაშიც. ბოსტონში (აშშ) არსებობს „უნიტარისტთა ასოციაცია“ (იხ.).

ანტიფონი (ბერძნ.) – ფსალმუნური გა-

ლობის შესრულების ისეთი სახე, როდესაც მგალობელთა ორი დასი მონაცვლეობით გალობს ფსალმუნის მუხლებს (გალობებს): ერთ მუხლს გალობს ერთი დასი, ხოლო მისი დასრულების შემდეგ მეორე დასი იწყებს მომდევნო მუხლის გალობას და ა. შ. ანტიფონები სრულდება ეფისწირვის დასწყისში და სამი ნაწილისაგან შედგება (სამი ანტიფონი ანუ ალსაალი). ანტიფონის პირველი ნაწილის შემდეგ, რომლის განმავლობაში მღვდელი საიდუმლო ლოცვას კითხულობს, არის მცირე კერექსი და ასამაღლებელი. მეორე ნაწილისა და მღვდლის საიდუმლო ლოცვის შემდეგ – ისევ მცირე კერექსი და ასამაღლებელი. III ანტიფონის შემდეგ იწყება მცირე შესვლა.

ლიტურგიაზე იგალობება სამი სახის ანტიფონი: ყოველდღიური, „მოძიხსენიენი“ და საღდესასწაულო:

1. ყოველდღიური ანტიფონები შედგება ფსალმუნთა გალობებისაგან: I ანტიფონია 91-ე ფსალმუნის მე-2 და მე-3 მუხლები, რომელთაც ჩაერთოს: „შეხებითა ღმრთისშობელისაჲთა, მაცხოვარ, გუაცხოვნენ ჩუენ“. მეორე ანტიფონის (ფს. 92) ჩასართავია: „შეხებითა წმიდათა შენთაჲთა, მაცხოვარ, გუაცხოვნენ ჩუენ“. მესამე ანტიფონისა (ფს. 94) – „გუაცხოვენ ჩუენ, ძეო ღმრთისაო, აღდგომილო მკუდრეთით, მგალობელნი შენნი: ალილუია“. ყოველდღიური ანტიფონები იგალობება შეიდეულის ყველა დღეს, თუ არ დაემთხვა რაიმე დღესასწაულს.

2. „მომიკსენენის“ ანტიფონები იგალობება იმ დღესასწაულებზე, რომლებზედაც სრულდება დიდებისმეტყველება და „აუარებლითა“. ეს ანტიფონები შედგება ფსალმუნებისაგან: I ანტიფონი – ფს. 103, II ანტიფონი – ფს. 145 (ერთგან „დიდებაჲ“, „აწდაჲ“ და „მხოლოდშობილო ძეო და ღმრთისა სიტყუაო...“. მესამე ანტიფონია „ნეტარ იყვნენ“ (მათე 5,3-12; ლუკა 23,42), რომელსაც ანტიფონები არც ეწოდება, მაგრამ იგალობებიან ისევე, როგორც ანტიფონები (მგალობელთა ორი დასის მიერ).

3. საღდესასწაულო ანტიფონები შედგება ფსალმუნის წინასწარმეტყველური მუხლებისაგან და იგალობება შემდეგ დღესასწაულებზე: ქრისტეს შობა, განცხადება, ბზობა, აღდგომა, ბრწყინვალე შეიდეული, ამაღლება, სულიწმიდის მოფენა, ფერისცვალება, ჯვრის ამაღლება.

მართლმადიდებელურ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ანტიფონური გალობის შემოტანას ერთნი მიაწერენ ეგნატე ღმერთშემოსილს (ანტიოქელს † 115). მეორენი – ანტიოქელ ხუცესებს – ფლაბიანეს და დიოდორეს. დასავლეთის ეკლესიაში კი მიეწერება ამბროსი მედიოლანელს († 397), დამუშავდა კლესტინე I-ის (422-432) დროს.

ანტიქრისტე – ქრისტიანული მოძღვრებით – სატანის (ეშმაკის) მოციქული, რომელიც უნდა გამოჩნდეს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, შეარიბოს ამქვეყნად არსებული ყოველგვარი ბოროტი ძალები ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად და გამეფდეს, ხოლო 42 თვის შემდეგ სატანის მოციქულს სახლოხედ დამარცხებს ამქვეყნად მეორედ მოსული ქრისტე. წარმოდგება ანტიქრისტეზე არის ძველ აღთქმაშიც (დან. IX, 27; XI, 31; შეად. მათე XXIV, 15 და ეზეკ. XXXVIII, 2; XXXIX,1; შდრ. გამოცხ. XX,8). მოციქული პავლე ასე გვიხატავს ანტიქრისტეს: „და გამოჩნდეს კაცი იგი უსჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ, მკლომი იგი და განლაღებული ყოველსა ზედა, რომელნი სახელებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებლად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თაჳსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი“ (2 თ. 2,3-4). ამიტომ აფრთხილებს იესო ქრისტე თავის მოწაფეებს: „რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდნენ“ (მათე 24,5). იოანე მახარებელის „გამოცხადებაში“, ზოგიერთი თეოლოგის აზრით, ანტიქრისტედ ნერონ იმპერატორი იგულისხმება. მომდევნო პერიოდებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე ისტორიულ პირს ანტიქრისტედ მიიჩნევდნენ (მაგ.: მუსამედს, ინოკენტი III რომის პაპს, ნაპოლეონ I და ნაპოლეონ III-ს, 1848-1849 წლების რევოლუციის ლიდერებს და ა. შ.)

ანტონი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთაწრის სახელი:

1. მრეველი, IX ს. მიწურულისა და X ს. დასაწყისის რუისის ეპისკოპოსი. მას ეპისტოლით მიმართავს დარი (რომელსაც სომხურიდან ქართულად უთარგმნია ეპიფანე კვირელის „თარგმანებაჲ დაეთის ფსალმუნებისაჲ“, რამდენიმე ფსალმუნის კომენტარი და სტეფანე მბტევარისათვის – „წმ. გობრონის წამების“ აუტორისათვის მიწერილია განსაკუთრებულად), რომელიც შეტანილია მატბერდის კრებულში (S 1141, X ს., იხ. მატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 424).

2. მანგლელი (თულაჲს ძე), XI ს. შუა წლების მანგლისის ეპისკოპოსი, რომლის მღვ-

დელმთაერობის დროს მანგლისში გადაუწერიათ იოანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანების“ ორი ხელნაწერი. „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მანგლისს მღდელთმოძღვრობას ანტონ ეპისკოპოსისა თოლაის ძისა...“ (ქუთ. 19, 1047 წ., 551r) ასეთივე ანდერძი აქვს 1048 წელს გადაწერილ ქუთ. 20 ხელნაწერსაც (524v).

3. იშხნელი, XI ს. იშხნის ეპისკოპოსი. მას განუახლებია იშხნის ტაძარი 1032 წ., როგორც ეს აღნიშნულია ტაძრის წარწერებში (Е. Такайшвили, Археол. экспедиция в южные провинции Грузии, Тб., 1852, 28-29). ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, იგივე ანტონი უნდა იყოს მოხსენიებული სვანეთში დაცულ სვიმონ მესვეტის ერთი ხატის წარწერაში. წარწერის მიხედვით, ანტონ ცაგარელს იშხანში ყოფნის დროს იშხნის მახლობლად აუშენებია ეკლესია სვიმონ მესვეტის სახელზე და ამ ეკლესიისათვის სვიმონ მესვეტის ხატიც მოუჭედვინებია (იქვე, გვ. 29).

4. ჭუთათელი (საღირას ძე) – XII ს. ცნობილი მღვდელმთავარი, ჭუთათელი მთავარეპისკოპოსი, თამარ მეფის თანამედროვე (მან 1184 წ. მეფედ კურთხევისას თამარს გვირგვინი მიართვა (ქართლის ცხოვრება, II, 26-27). 1161 წ. ახლო ხანებში ანტონი ოპიზის წინამძღვარი ყოფილა (Q 929).

5. XIII ს. საკლესიო მოღვაწე, ჯერ, როგორც ზედწოდებიდან „იშხნელყოფილი“ ჩანს, იშხანის ეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ საწოლისა და საჯურჭლის მწიგნობარი, როგორც ის ხელს აწერს 1241-1242 წ. დოკუმენტს: „წყალობის დაწერილი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა მგელა ახულახტარისძისადმი“. ანტონი იშხნელის ტიტულით მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ორ (№ 165 და 173), XIII ს. ხელით დაწერილ აღაპში. ელ. მეტრეველის აზრით, ეს იგივე ანტონი უნდა იყოს, რომელიც „დაწერილშია“ მოხსენიებული (მასალები იერუს. ქართ. კოლონ. ისტორიისათვის, თბ., 1963, გვ. 158-159; 160).

6. ალაverდელი, XIII ს. I ნახევრის ალაverდის ეპისკოპოსი, რომლისათვისაც აღაპია განწესებული იერუსალიმის ჯვარის მონასტერში „თუესა ნოემბერსა 0 (ზ)... აღაპი ანტონი ალაverდელისაჲ... (ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 84).

7. თბილელი, XVI ს. I ნახევრის თბილისის მიტროპოლიტი. იგი მოხსენიებულია 1523 წლის ერთ საბუთში, რომელიც ბარათაშვილთა მამულის გაყოფის თაობაზეა შედგენილი და რომელსაც ამტკიცებს ანტონ ტფილელი (ქრონიკ., II, 349-352).

8. ჭერემელი, XVI ს. II ნახევრის ჭერემის ეპისკოპოსი. იგი სხვებთან ერთად ხელს აწერს 1556-1560 წწ. კახეთის ეპისკოპოსთა ერთგულების წიგნს დომენტი კათოლიკოსისადმი (Ad 1892, სამ. ძეგლ. III, გვ. 268-269).

9. ბედიელი (ჟუანიძე) – XVI ს. II ნახევრის ბედიის მთავარეპისკოპოსი, ბიბლიოფილი, იხსენიება ვარძიის ოთხთავის (XII-XIII სს. – XIV ს. მინაწერებში (Q აღწ. II, 308)).

10. ანჩელი, XVI ს. ანჩის ეპისკოპოსი, იხსენიება A 182 ხელნაწერის XVI ს. მხედრულით დაწერილ მინაწერებში (ფ. 652).

11. იმერეთის მთავარეპისკოპოსი, იხსენიება დასაღეთ საქართველოს რამდენიმე საბუთში.

ანტონი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. VI ს. პალესტინაში მოღვაწე ბერი, ქართველთა მონასტრის წინამძღვარი „ანტონი აბაჲ“ (დაახლ. 532-552 წწ.) მან მოზაიკით შეამკო V ს. პეტრე იბერიელის მიერ იერუსალიმიდან სამხრეთით რამდენიმე კილომეტრზე უდაბნოში დაარსებული მონასტერი, რომელსაც ბერძნულ წყაროებში „ლაზთა მონასტერი“ ან „იბერთა მონასტერი“ ეწოდება (ეკლესია და ეგვტერი გამოვლინდა იტალიელი არქეოლოგის, ვ. კორბოს გათხრების შედეგად). ანტონის საქმიანობაზე ლაპარაკობს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა (გ. წერეთელი, უძვ. ქართ. წარწერები პალესტინაში, გვ. 15-17), შესაძლოა, ამავე ანტონის შესახებ იყოს მოთხრობილი სვიმეონ მესვეტის დედის, მართას „ცხოვრებაში“: „იხილნა მან გამოცხადებით ჩუენებისა მიერ სამნი მონაზონნი ქართველნი, რომელნი იერუსალიმით მოვიდეს... რომელთაგან ერთი სახელით ანტონი... იყო მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისა“, რომელიც შემდეგ სელევკიის ეპისკოპოსად უცურთხებიათ (კერები II, 150).

2. ეფთვიმე მთაწმიდელის მოწაფე, ათონის მთის ქართველთა მონასტრის კრატერობის XI ს. დასაწყისის მოღვაწე. ის ცნობილი ყოფილა, როგორც საბუთების მწერალი. მას დაუწერია 1016 წ. წინამძღვრების შეთანხმება (გეორგიკა, VIII, 202,20).

3. მნათე, XI ს. I ნახევრის ხახულის დიდი ლავრის ბერი. მას სხვებთან ერთად უცურთხებია გიორგი მთაწმიდელი, როდესაც იგი ჯერ კიდევ ბავშვი მიუყვანიათ იქ (ძეგლ. II, 116).

ეახუშტი ბაგრატიონი ანტონ მწათეს მთარგმნელთა რიცხვში ასახელებს (ქართლ. ცხ. IV, 144, 21).

4. იერუსალიმის წმ. სამაელის მონასტრის მონაზონი, ზედწოდებით „ლახტარა“, რომელსაც მოუგია და მონასტრისათვის შეუწირავს ბაგოგრაფიული კრებული (Jer. 149, XI ს.), რასაც გვამცნობს ხელნაწერის ანდერძი: „ღირს ვიქმენ მე გლახაკი ანტონი ლახტარა მოგებად წმ. ამას წიგნსა... და დავდევ წმ. საყდარსა სამაელისსა (147v-178r; იხ. კერები, II, 146).

5. დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც ამტკიცებს 1259 წ. „რკონის დაწერილს“ (ბ. ლომინაძე, ქართ. ფეოდ. ურთიერთობის ისტორიიდან, 1966, I, 156).

6. მოძღვართმოძღვარი, XIII ს. გელათის მონასტრის მღვდელი, რომელიც მოხსენიებულია დავით ნარინის 1267-1288 წწ. დაწერილ სიგელში: „დადევ დიდა მონასტერსა შინა კოხტითა, მაქსენებითა და მოწამეობითა დიდისა მოძღუართმოძღუარისა დავითის მწირველისა ანტონისითა“ (ქრონ., II, 161). როგორც ჩანს, ანტონი ყოფილა დავით აღმაშენებლის სულის მწირველი, როგორც გელათის მაშენებლისა.

7. მოძღვარი, XIII-XIV სს. მღვდელი. მოხსენებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის გრიგოლ ფანასკერტელისათვის განწესებულ ორ ალაშში (№ 123 და 123-ა. მასალები, გე. 90-91). ანტონ მოძღვრის ხელით გრიგოლს ორჯერ გამოუგზავნია ჯვარის მონასტრისათვის დიდი შესაწირავი.

8. XVI ს. I მეოთხედის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მღვდელი ბენია ჩოლოყაშვილის წინამძღვრობის დროს. ჯვარის მონასტრის ერთ ხელნაწერს (Jer. 21) საინტერესო მინაწერები შემოუნახავს: „ესე წიგნი თარგმანი სახარებისა კაპპადური წარტყუენილი სპარსთაგან მე ანტონი ფრიად ცოდვილმან ვიპოვენ საფასოთა და შესწირე მუნვე კაპპათას“ (კაპპადოკიათა ქართული მონასტერი იყო სირიის მთაზე). მეორე მინაწერი გვამცნობს ბენეს ჩოლოყაშვილისა და მისი თანამღვდელების (მათ შორის ანტონის) ღვაწლს იერუსალიმის ქართული მონასტრების ჯვაროსნებისა და სპარსთაგან გამოხსნისათვის ბრძოლაში: „აჰა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა და დიდი ჭირი და სარკული გადამხდა ცოდვილსა ბენესა, ძმანო. ნებითა ღმრთისაჲთა აჰა ფრანგთა გოლგოთა დაეგდებინე და მათი ყუელა გარე გამოუყარე კანდელი და რაცა მათი იყო“ (კერები, II, 113, 146).

9. XVIII ს. ნახუცრის საეკლესიო მღვდელ-მსვებთან ერთად ადასტურებს 1613 წ. საბუთს: „მოწამე... მთაყარანგელოზის წინამძღვარი ანტონი“ (ცსსა, ფ. 1449, № 2640 – ქრონიკ. II, 440).

10. არქიდიაკონი დომენტი კათოლიკოსისა, ამოწმებს ბუქით 1739 წ. დომენტი კათოლიკოსის სამწყსოს განწესების წიგნს ნიკოლოზ ხერხეულიძისადმი (Ad 502, გამოც. სამ. ძეგლ. II, 745).

11. არქიდიაკონი (ღლონტერიძე), რომელიც წერს და ამოწმებს 1816 წ. ლოსითის ქუთათელის წყალობის წიგნს პაპუნია ჯანდიერისადმი (ცსსა, ფ. 1448, სამ. № 6832, სამ. ძეგლ. III, 1126).

12. ქვათახევის არქიმანდრიტი, რომელიც იხსენიება 1783-1799 წწ. ოთხ განწირებაში (1783 წ. ცსსა, ფ. 1449, სამ. 1952, 1790 წ. ცსსა ფ. 1449, სამ. 1950; 1794 წ. – ცსსა, ფ. 1449, სამ. 1959; 1799 წ. ცსსა, ფ. 1450, სამ. 225; საბუთების გამოცემები: სამართ. ძეგლ. V, 214; 491, 642, VI, 105).

13. დავითგარეჯის უდაბნოს არქიმანდრიტი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი 1827-1834 წწ. და ეგზარხოსის სახლის ზაზინდარი (ცსსა 488/139, სამ. 209, 1833 წ.). ანტონი ჯერ დეკანოზი ალექსანდრე ყოფილა (გვარად ფეოდოსოძე), ხოლო შემდეგ მონაზნად აღკვეცილა ანტონის სახელით. ის თითქოს ყოფილა თბილისის სემინარიის პირველი რექტორი (იერია, 1893, № 118), მაგრამ საეჭვოა (იხ. მ. ბერძენიშვილი, მასალები... გე. 44).

14. XIII ს. ქართველი (საეარაულია, სასულიერო) მღვდელი „ნაკრებელისძე“, რომელიც, როგორც „ტომაასმწერელი“ გვამცნობს, ცნობილი პირი უნდა ყოფილიყო ლიმიტრი თაყვადებულის მეფობის პერიოდში, ამასთანავე თაეისი მღვდელწოდებით პირეე სალოსთან, ლეკთა წარმართობიდან ქრისტიანობაზე მომაქცეელთან, დაკავშირებული: „ამას თანა (ე. ი. პირეელთან) ბრწყინვიდა დიდიცა იგი მღვდელი ანტონი ნაკრებელის ძე, ნათესაით მესხი (ქართლ. ცხოვ., II, გე. 283, 22).

ანტონ დიდი, მეგვიპტელი (დაახლ. 251-356) – ასკეტური ცხოვრების ფუძემდებელი, „მონაზონობის მამად“ წოდებული. დაბადა ეგვიპტეში, თებაიდის უდაბნოს ახლოს, სოფ. კომაში, ქრისტიანი კოპტის ოჯახში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ 20 წლის

ყმაწვილმა მშობლების დატოვებული დიდძალი ქონება გაყიდა და ფული ღარიბებს დაურიგა, ხოლო თვითონ სოფლის ახლოს ღარიბულ ქოხში დადგა და დაიწყო მონაზვნური ცხოვრება. 35 წლის ასაკში ის წავიდა თებაიდის უდაბნოში, ამბობენ მას ზოგჯერ ანტონ თებაიდელსაც უწოდებენ, და სრულიად განმარტოებულ ცხოვრებაში გაატარა 20 წელი. როდესაც მისი საკირველი ცხოვრების ამბავი გავრცელდა, მასთან უამრავმა ხალხმა იწყო მოსვლა, რომლებმაც ანტონის მეთაურობით პირველი მონასტერი დააარსეს, ხოლო შემდეგ მონასტრებისა და მონაზვნების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. თავისი ცხოვრების 105 წლიდან ანტონმა 85 წელი მონაზვნურ ღვაწლში გაატარა. ანტონ მეგვიპტელის ცხოვრება აღწერა გამოჩენილმა საეკლესიო მწერალმა ათანასე ალექსანდრიელმა. ეს შესანიშნავი თხზულება, რომლის წაკითხვას იოანე ოქროპირი საჭიროდ და საეალღებულოდ თვლიდა ყველა ქრისტიანისათვის, ჰაგიოგრაფიული მწერლობის „ცხოვრების“ ჟანრის პირველი ძეგლია.

ანტონ მეგვიპტელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია ოცამდე ქადაგება-სიტყვამ, შვიდმა ეპისტოლემ სხვადასხვა მონასტრებისადმი და სამონასტრო ცხოვრების წესდებამ. ანტონის ქადაგებები თავდაპირველად კოპტურ ენაზე ჩაიწერეს, ხოლო შემდეგ თარგმნეს ბერძნულად.

544 წ. ანტონის წმ. ნაწილები თებაიდის უდაბნოდან ალექსანდრიაში გადმოასვენეს, ხოლო VII ს-ში სარკინოზთა მიერ ალექსანდრიის დაპყრობის შემდეგ – კონსტანტინეპოლში. X-XI სს-ში მისი წმინდა ნაწილები გადაასვენეს ვიენის ეპარქიალურ ოლქში, ხოლო იქიდან – XV ს. არისში (საფრანგეთი), წმ. იულიანეს ტაძარში. ანტონის სსენების დღე 17 იანვარია.

ანტონ მეგვიპტელი ძალიან პოპულარულია ძველი ქართული საეკლესიო ძეგლების მიხედვით. ქართულად თარგმნილია: ანტონ მეგვიპტელის „ცხოვრება“ ათანასე ალექსანდრიელისა, ორი რედაქციით: 1. კიმენური უძველესი (A 19, 218r–124r, A 1109, 19r-36r), ეს ბოკლე რედაქციის ტექსტი გამოიცა „უდაბნოს მრავალთაგნი“, თბ., 1994, გვ. 75-101. ანტონის „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია ბრიტანეთის მუზ. № 11281-ის მიხედვით პირველად გამოსცა ე. იმნაიშვილმა: ცხოვრება წმიდისა ანტონისი, თბ., 1970. ტექსტი მეორედ გამოიცა (ე. იმნაიშვილის მიერ) ხელნაწერის გამოცემასთან ერთად: „მამათა ცხოვრებანი“, თბ., 1975, გვ. 1-55). 2. გეიანდელი, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 79, 26r-180r, A 689, 178-301; ქუთ. 13, 167-211).

თვით ანტონის თხზულებათაგან ნათარგმნია: 1. შვიდივე ეპისტოლე. ექვსი ეპისტოლე შესულია Sin. 35-ში (907 წ.), ხოლო ერთი (მეშვიდე) – Sin. 25-ში (X). შვიდივე ეპისტოლე გამოსცა ჟ. გარიტმა, Les Lettres de Saint Antoine, CSCκ, V, 1955, 1-7; 7-11; 11-17; 17-31; 31-37; 37-42; 42-46 (ქართული ტექსტი ლათინური თარგმანით). მეშვიდე ეპისტოლე გამოსცა ავრეთვე ივ. ჯავახიშვილმა: სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 236-237). 2. ასკეტური თხზულებანი (A 1109, IX ს., A 35, X ს., A 1105, XI ს.), რომელნიც ჯერ ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია (გამოც. მ. დეალის მიერ: შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1966), ხოლო შემდეგ – თეოფილე ხუცესმონაზონს. ამ თხრობათა საფუძველზე შეუდგენიათ კრებული „თხრობანი წმ. მამათანი“ (Sin. 76; Sin. 2 35 და Ath. 51).

ანტონ I კათოლიკოსი (1720-1788) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1744-1755 წწ. 1763-1788 წწ.), მწერალი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ძე ვახტანგ VI-ის ძმის – მეფე იესესა და ერეკლე I-ის ასულის – ელისაბედისა. 1727 წლიდან იზრდებოდა თეღლავის სასახლეში თავის ბიძაშვილთან – ერეკლე II-სთან ერთად. მიიღო ფართო განათლება. მას დიდი სერო კარიერისათვის ამზადებდნენ, მაგრამ მან სასულიერო ცხოვრება ირჩია. ჯერ დავითგარეჯის უდაბნოში დამკვიდრდა, შემდეგ იმერეთს გადავიდა. 1738 წელს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონის სახელით. 1739 წ. გელათის წინამძღვრობა მიიღო, 1740 წ. ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა. 1743 წ. ანტონი დავითგარეჯის უდაბნოში დაბრუნდა, ხოლო 1744 წ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩეს. ანტონი შეუდგა ნიადაგშერყეული და შეცვლილი ქართული ეკლესიის გაძლიერებისათვის ზრუნვას, აღადგენდა გაპარტახებულ ეკლესია-მონასტრებს, ებრძოდა სომეხ მონოფიზიტთა იმხანად გააქტიურებულ პროპაგანდისტულ შემოტევებს („შუა-მეტყველება“, 1750-52 წწ.), წამოიწყო სწავლა-განათლებისა და სახტამბო საქმის მოწესრიგება. ამ საქმეების განსახორციელებლად მან გარს შემოიკრიბა საქმიანი და განათლებული ადამიანები მეცნიერებისა

და ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან.

ანტონი ეროპული ორიენტაციის მომხრე იყო და ამიტომ დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა, ანტონი მცხეთის საგანგებო საკლესიო კრებამ „მწვალებლად“ გამოაცხადა, რადგან გაკათოლიკება დასწამეს და 1755 წ. კათოლიკოსობიდან გადააყენეს. 1756 წ. ანტონი რუსეთს გაემგზავრა და თავი იმართლა სინოდის წინაშე. 1757-62 წ. იგი ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იყო. 1763 წ. ერეკლე II-მ ანტონი რუსეთიდან დაბრუნა, ხოლო საკლესიო კრებამ კვლავ კირჩია კათოლიკოსად. ანტონ I-მა განაგრძო ინტენსიური საკლესიო და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა. 1772 წ. ერეკლე II-მ საგანგებო მისიით გაგზავნა რუსეთში, სადაც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1783 წლის ტრაქტატის ნიადაგის მომზადებაში. მისი მეცადინეობით 1762-63 წ. განახლდა ეახტანგ VI-ისეული სტამბა, ხოლო 1782 წ. რეორგანიზებულ იქნა „ახალ სტამბად“. ანტონ I ყოველნაირად უწყობდა ხელს კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას. მან მკვიდრ ნიადაგზე დააყენა განათლების საქმე. ერეკლე II-ის დახმარებით თანდათან გარდაქმნა ნახევრად კერძო ეპარქიალური სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად. დიდი მონაწილეობა მიიღო ჯერ თბილისის (1755 წ.), ხოლო შემდეგ თელავის (1782 წ.) სემინარიების დაარსებაში. მან ერეკლე II-სთან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი (თბილისში, გორში და თელავში). ანტონმა თვითონ მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს. ამ მიზნით გამოიყენა თავისი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები: „ქართული ლრამატიკა“ (1753; მეორე მოკლე რედაქცია — 1767), სხვადასხვა ავტორების შრომები ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკის და სხვ. დარგებში (მაგ. ქ. ვოლფის ნაშრომის მისეული თარგმანი „ფისიკა თეორიტიკური ჯენერისა“, რომლითაც თვითონ ასწავლიდა ფიზიკას თბილისის სემინარიაში. მის ლექციებს ერეკლე II-ც ესწრებოდა). ანტონ I-მა მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებაში „მზამეტყველება“ საკლესიო საკითხებთან ერთად განხილულია ფილოსოფიური პრობლემები (გამოც.: პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ., 1892), „წყობილსიტყვაობაში“ (50-60-იანი წწ.) მიმოხილულია ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგის აქტუალური საკითხები (გამოც. 1. პლ. იოსელიანისა, 1853 წ.; 2. ივ. ლოლაშვილისა 1980 წ.) ანტონ I-ის, შეიძლება ითქვას, ენციკლოპედიურ ნაშრომში „სპეკალი“ თავისებურად არის მორიგებული ეკლესია და „გარეშეთა“, ე. ი. ფილოსოფოსთა მოძღვრება, განხილულია გამორჩენილ ფილოსოფოსთა მოძღვრებები (გამოც. დედაბრიშვილის მიერ, თბ., 1993 წ.). „კატეღორია-სიმეტნე“, რომელიც ანტონმა ლოგიკის სახელმძღვანელოდ გამოიყენა, დაწერილია არისტოტელესა და პორფირიოსის შეხედულებათა ახსნა-განმარტების მიზნით. ანტონ I-მა ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო პორფირიოსის, ბაუმგარტნის, ვოლფის, ლაიბნიცის, აგრეთვე მხითარ სებასტიელის, სეიმონ ჯულფელისა და სხვათა ნაწარმოებებს.

ანტონ I-ის „ლეთისმეტყველება“ (4 ტომად, დამთავრებულია 1779 წ.) გადმოკეთებული უნდა იყოს ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიიდან. აეტორს გვერდი აუქცია ყველა იმ საკითხისათვის, რომლითაც კათოლიკობა მართლმადიდებლობისაგან განსხვავდება. ანტონ I-ის ორიგინალური პაგოგრაფიული კრებული „მარტირიკა“ (გამოც. ე. გაბიძაშვილის და მ. ქავთარიას მიერ, ძეგლები, VI, 1980) მოიცავს თითქმის ყველა ქართველ წმინდანთა „წამებას“. პიმნოგრაფიიდან აღსანიშნავია ანტონის უზარმაზარი ნაშრომი „ადღესასწაულო“, ანუ „თვენი“. ანტონ I-ს ისტორიული თხზულებებიც დაუწერია: „მოკლე ისტორია საქართველოსი“, „ქართველ მეფეთა შთამომაელობა“. მანვე თარგმნა კურციუსის „ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა“.

ანტონი შეეცადა საქართველოში დაენერგა სამი სტილის თეორია, რომლის თანახმად ფილოსოფიური და რიტორიკული თხზულებები „მაღალი სტილით“ უნდა დაეწერათ, ისტორიული თხრობა „საშუალო სტილს“ მოითხოვდა, ხოლო საყოფაცხოვრებო მოვლენები — „დაბალ სტილს“. თვით ანტონი I მეტწილად „მაღალი სტილით“ წერდა. მის ენას იოანე პეტრიწის გავლენა ეტყობა.

ანტონ I-მა მრავალი მოწაფე-მიმდეგარი აღზარდა და შექმნა მთელი სკოლა, რომელმაც დრმა კვალი დაამჩნია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: იონა გედეონიშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, გაიოზ და დავით რექტორები, ტიმოთე გაბაშვილი, ანტონ ჭყონდიდელი და სხვ.

ანტონ II კათოლიკოსი (1764-1827) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1788-1810 წწ., ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (პაპის – თეიმურაზ II-ის პატივსაცემად). 1783 წ. რუსეთის დედოფლის – ეკატერინე II-ის კარზე რუსეთსა და საქართველოს შორის ნოვა-გიორგიევსკში დადებული ტრაქტატის გამო გაგზავნილ დელეგაციაში, რომელსაც გარსევან ჭავჭავაძე მეთაურობდა, ახალგაზრდა იეროდიაკონი ანტონიც მონაწილეობდა. 1784 წ. ერეკლე მეფის თხოვნით ანტონი პეტერბურგში სინოდმა წინოწმინდის ეპისკოპოსად აკურთხა (კარსკელ სელოს კარის ეკლესიაში. იმავე წელს, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი ანტონი დაუსწრებლად აყვანილი იქნა ალაგერდელი მიტროპოლიტის კათედრაზე. 1788 წ. 29 ოქტომბერს, ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ანტონი აკურთხეს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რუსეთის ტახტის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებისათვის ანტონმა მიიღო თეთრი ბარტყული სერაბიონის და ბრილიანტის ჯვრით შემკული, აგრეთვე ალექსანდრე ნეველის ორდენი. ქართულ ეკლესიაში წარმოშობილი ზოგიერთი სიტუაცია რუსეთის მთავრობამ საბაბად გამოიყენა, ანტონი იმპერატორ ალექსანდრე I-ის კარზე გაიწვიეს და მის არყოფნაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოსობა გააუქმეს. ეს მოხდა 1810 წელს. ამიერიდან საქართველოს ეკლესიას განაგებდა ეგზარქოსი, რომელიც სინოდს ემორჩილებოდა. ანტონი ერთხანს პეტერბურგში ცხოვრობდა, ბოლოს კი სამუდამო საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდი (ეხლანდელი გორკი) ირჩია, რომლის ახლოს (ლისკოვოში და სხვაგან) ცხოვრობდნენ ეპისტატე VI-ისა და ბაქარ ბატონიშვილის შთამომავალნი, კერძოდ, გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, 20 წლის განმავლობაში ადგილობრივი თავადაზნაურობის გუბერნიის მარშალი, ანტონის დიდი ხელისშემწყობი და პატივისმცემელი. ანტონი გარდაიცვალა 1827 წ. 21 დეკემბერს და დასაფლავებულია იქვე, ხარების ტაძარში. (იხ. ე. ბუბულაშვილი, ანტონ II, თბ., 2001 წ.).

ანტონ თმებაიდელი – იხ. ანტონ დიდი მეგობრები.

ანტონ ლიპარიტყოფილი – ერისკაცობაში ლიპარიტ ლიპარიტის ძე ორბელი, საშხრეთ საქართველოს ერისთავი XI ს. I ნახევარში, საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტერი და ძალაუფლების მოცილე. ამ ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხების შემდეგ (1059 წ.) ბერად აღიკეცება ანტონის სახელით და პილიგრიმობა დაიწყო. ანტონმა მოილოცა წმინდა ადგილები და ქართულ მონასტრებს დიდი შესაწირავები უბოძა. ამ დამსახურებისათვის ათონის ქართული მონასტრის ძმობას 17/I მისთვის აღაპი დაუწესებია (იხ. ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 142-143; 211-212). ანტონს, როგორც ეს გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების" მიხედვით ჩანს, შავ მთაზე ბარლაამწმიდის მონასტერი დაუარსებია და იქ დამკვიდრებულა. გიორგი მცირე – გიორგი მთაწმიდელის მოიგრაფი საგანგებოდ აღნიშნავს ანტონ ლიპარიტყოფილის ბიბლიოფილობას და მეცენატობას. მას დიდი როლი შეუსრულებია გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ თხზულებათა გამრავლება-გავრცელებაში: „ყოველსა მონასტერსა გარდაწერნეს და უფრო[ა]ს ყოველთა[ს] დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან და თუსისა მონასტრისა ბარლაამწმიდისათჳს დაწერინა წმიდასა ამას ბერსა (ე. ი. გიორგი მთაწმიდელს) დიდად პატივ უპყრა და ნუგეშინის-სცა და თუსისა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თუსითა კელითა დაუწერია და შუენიერი ქებაჲ და მადლობით დაწერა მას შინა ღუანლთა და შრომათა მისთათჳს" (ძეგლ. II, 155-156). ანტონის დაკვეთით არის გადაწერილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური თხზულებები: „მათეს თავის თარგმანება" (ქუთ. 19 და 20) და „იოანეს თავის თარგმანება" (ქუთ. № 21).

ანტონ ლიპარიტყოფილს, როგორც ფიქრობენ, ორიგინალური თხზულებაც დაუწერია: „მართლმადიდებლობისა და მწუალებლობისათჳს" (ქუთ. 21; გამოსცა მ. კახაძემ, ენიმკის მოამბე, XIV, 1944, 88-91).

ანტონ ლიპარიტყოფილი გარდაიცვალა 1064 წ. კონსტანტინეპოლში და „წარმოიყუანეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისითა. მოიყუანეს და დამარხეს კაცხს, სამარხოსა მამათა მათთასა" (ქართლ. ცხოვრ., IV, 149).

ანტონ მარტყოფელი – სირიიდან აღმოსავლეთ საქართველოში VI ს. შუა წლებში ჩამოსული ერთი ცამეტ მამათაგანი, რომელსაც დაუარსებია მარტყოფის მონასტერი. ანტონის ზედწოდება „მარტყოფელი" მიუთითებს, რომ იგი განმარტოებულ ცხოვრებას შეუდგა

(აქედან უნდა მომდინარეობდეს „მარტყოფის" სახელწოდებაც). გადმოცემით, ანტონ მარტყოფელს ედესიდან საქართველოში ჩამოუტანია უფლის ხელთუქმნელი ხატის ხელთუქმნელი ანაბეჭდი (ასლი). ამ გადმოცემის საფუძველზე XIII ს. I ნახევრის ცნობილმა კათოლიკოსმა და პიმნოგრაფმა არსენ ბულმისიშის ძემ შეთხზა საგალობელი მარტყოფის ხატის შესახებ, სადაც პირველად არის გადმოცემული შედარებით დაწვრილებითი ცნობები ანტონ მარტყოფელის შესახებ, ხოლო უფრო ადრე იგი ნახსენებია (ანტონის მარტყოფში დამკვიდრების ფაქტი) სირიელ მოღვაწეთა „ცხოვრებებში" (X ს.). ანტონის შესახებ დამოუკიდებელი ბაგოგრაფიული თხზულება – სვინაქსარული „ცხოვრება" გვიან – XVII ს. II ნახევარში შეიქმნა (A 1582, გამოც. ძეგლები IV, 393-399) და შემდეგ იქნა ჩართული „ქართლის ცხოვრების" ზოგიერთ გვიანდელ ნუსხებში. ანტონის ხსენების დღედ თავიდან 17 იანვარი ყოფილა დადებული, მაგრამ XVII ს. II ნახევარში გადაუტანიათ 19 იანვარს (რათა ანტონ დიდის დღესასწაულს არ დაჩრდილა მისი ხსენება). ზოგიერთ ხელნაწერში ანტონის ხსენება დადებულია მარტყოფის ხატის დღესასწაულის დღეს – 16 აგვისტოს, რადგან ეს ორი დღესასწაული მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

ანტონ მაწყვერელი // მცნათელი – გელათის მთავარეპისკოპოსი XVI ს. II ნახ.-ში, მანამდე ის აწყვრის ეპისკოპოსი, მაწყვრელი იყო. სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მომძლავრების გამო იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. ანტონი მონაწილეობდა იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1495-1565; მეფე 1510-1565 წწ.) მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაში (იხ. „კათოლიკოსთა სამართალი"). იმერეთის მეფის, გიორგი II-ის დროს (1565-1586 წწ.) ანტონმა შეაკეთა და მოახატვინა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭე, რომელიც დღესაც კარგად არის შემონახული, სამხრეთის კედლის ასომთაერულ წარწერაში მოხსენიებულია ანტონ გენათელი.

ანტონ რაჭაჲი – IX ს. დასაწყისის მოწაფე. ანტონი ცხოვრობდა დმასკოში წმ. თეოდორეს მონასტრის ახლოს და რადგან ისმაილტელი იყო, სასტიკად ავიწროებდა ქრისტიანებს. მაგრამ ეკლესიაში ნანახმა სასწაულებმა და ძლიერ წმ. თეოდორეს რამდენიმეჯერ გამოცხადებამ იგი ქრისტიანი გახადა და იერუსალიმში მოინათლა ანტონის სახელით. დამასკოში დაბრუნებისას იგი დააპატიმრეს და გასამართლების შემდეგ თავი მოჰკვეთეს 805 წ. ანტონ რაჭაჲის „წამების" ქართული თარგმანი შესულია Ath. 8 და Sin. 62 X ს. ხელნაწერში, ხოლო ტექსტი გამოაქვეყნა ი. ყიფშიძემ 1913 წ. (Христ. Восток, II вып, 1913, 80-97. ქართული წყაროებით ანტონ რაჭაჲის ხსენება 18 და 19 იანვარს.

ანტონ ბებელი – XI ს. II ნახევრის შავთმოსა ქართული მონასტრის მონაზონი, ეფრემ მცირის თანამოღვაწე და მისი ლიტერატურული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. ეფრემ მცირე თავის ნათარგმნ თხზულებათა ანდერძებში ხშირად ასახელებს მას, როგორც ეფრემის თარგმანთა დამკვეთს. მაგ., ბასილი დიდის „ასკეტიკონი" ეფრემს უთარგმნია „პრძანებითა წმიდისა მამისა ანტონი ტბელისაჲთა" (კერები, II, 167). მისივე დავალებით გადმოღო ეფრემმა თეოდორიტე კვირელის თხზულება (ქრონიკ. II, 41-43) „...ითარგმნა ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს და ანტონისთა".. (S 1276, XI-XII სს., 56) და სხვ. ანტონი წარმოშობით სამცხიდან უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიუთითებს მისი ზედწოდება „ტბელი". ანტონ ტბელს რომ დიდი დამსახურება ჰქონია ქართული ეკლესიისა და კულტურის წინაშე, კარგად ჩანს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1105 წ.) „ძეგლისწერის" სინოდიკონიდან, სადაც ის მოხსენიებულია (გარდაცვლილთა შორის) ძველი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეების გვერდით: „დაუსრულებელისა ნეტარებისა მკუდრთა ბერთა ჩუენთა... ანტონ ტბელისა და ეფრემ მცირისაჲ საუკუნოჲა არს ქსენებაჲ და კურთხევაჲ მათი" (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა", თბ., 1978, 196).

ანტონ ცაბარელ // ჟყონდიდელი (დაღმან, † 1815 წ.) – XVIII ს. II ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, ძე სამეგრელოს მთავრის – ოტია დადიანისა (1720-1744). მამის გარდაცვალების შემდეგ იზრდებოდა თავისი ძმის – კაცია დადიანის (1744-1788) კარზე. ღვთისმსახეო დვლის, გულქანის ხელმძღვანელობით. ანტონი ახალგაზრდობაშივე შედგა ბერად და მარტვილის ბერების ხელმძღვანელობით კარგად შეითვისა წმ. მამათა თხზულებები, ხოლო სკოლასტიკურ ფილოსოფიას ფრანგი მისიონერების შეშწეობით გაეცნო, თუმცა ისინი მალე დაითხოვა, ვინაიდან მან შეუძლებლად დაინახა მათი მოძღვრებისა და მართლმადიდებლობის შერიგება-შეთანხმება. 1757 წლის ახლო ხანებში ანტონი თბილისს გაემგ-

ზარა ერეკლე II-ის კარზე (რომლის მეუღლე, დედოფალი დარეჯანი მისი მამიდა იყო) და სწავლა დაიწყო ერეკლეს მიერ დაარსებულ თელავის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ სკოლაში. 1761 წელს ანტონმა ცაგერლობა მიიღო, ხოლო 1777 წელს აყვანილი იქნა ჭყონდიდის კათედრაზე. 1788 წ. მან კათედრა დატოვა და უბრალო ბერად შედგა მის მიერ გაშენებულ ნახარებოუს მონასტერში, თუმცა საეკლესიო საქმეებს არ ჩამოშორებია. მაგ., მისი ინიციატივით მოწვეული იქნა 1792 და 1794 წწ. საეკლესიო კრებები, რომლებზედაც ანტონის თავმჯდომარეობით სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი ირჩეოდა. გარდაიცვალა ანტონი 1815 წ. და დაიმარხა ნახარებოუს მონასტერში. ანტონი მეტად ღვთისნიერი, ნამდვილი ასკეტური სულის მატარებელი ადამიანი ყოფილა. მას დიდად შესტკივდა გული თავისი სამწყსოსათვის, ცდილობდა აღმოეფხვრა მასში სხვადასხვა მანკი, განსაკუთრებით ტყეცია ყოდა-გაყიდვის ჩვეულება, იღწოდა მშვიდობის დასამკვიდრებლად მგრეკლებსა და გურულებს შორის. უსიძველეს ყოვლისა, ანტონი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მქადაგებელი. მჭევრმეტყველობის სახელი მან ჯერ კიდევ ცაგერის კათედრაზე მოიპოვა. 1765 წ. მის მიერ თბილისში, კაცია დადიანის ქორწილზე, სულიწმიდის დღეს წარმოთქმულმა სიტყვამ აღაფრთოვანა თვით ანტონ I კათოლიკოსი. მისი ქადაგებების კრებული გამოიცა 1898 წ. (ქ. ფოთში, თ. ჯორდანიას რედაქტორობით). აქ მხოლოდ 34 ქადაგებაა შესული, რაც ანტონის ჰომილეტიკური მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია. ყველა ქადაგება ზნეობრივ თემაზეა წარმოთქმული. ანტონი ცნობილია აგრეთვე, როგორც გადმომცემების სხვადასხვა შრომების სომხური ენიდან (მაგ.: „წიგნი ჭეშმარიტებითსა ღმრთისმეტყველებისა – ქუთ. 95), „ლოღიკა დიდი, დიალექტიკა დიდი, ნაცვალმეთქუობა დიდი“ – S 250, ფ. 174-410). ცნობილია ანტონის ანდერძი, რომელიც მას მოუცია ნახარებოუს მონასტრისათვის (გამოსცა თ. ხუსკივაძემ, გაზ. „კოლხიდა“ № 39, 40, 1912 წ.). აქ აღნიშნულია, თუ როგორ გადაკეთა ანტონმა სამრეკლო ეკლესია ნახარებოუს მონასტრად და ჩამოთვლილია რა ადგილ-მამული, ეკლესიები და წიგნები დაუტოვა მონასტერს.

ანტონ ჭყონდიდელი-მგრიგნობართუხუცესი (გნოლისთაყის ძე) – XII-XIII სს. ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი თამარის მეფობის დროს. თამარის მეფობის პირველ წლებში მიჰქონდ კათოლიკოსმა მას ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის პატივი ჩამოართვა და ანტონი დაეთგარეჯის მონასტერში მონაზვნად აღიკეცა. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ თამარმა ანტონი კვლავ მოიწვია ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე და, გარდა ამისა, სამთავრობაც უბოძა. ანტონი მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში (1195 წ.), ზრუნავდა სამეფო მონასტრებზე (შიო მღვიმე, დავითგარეჯა, ვარძია, გელათი). ანტონს სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში წყალსადენი გაუყვანია (თამარის 1201 წ. სიგელი). ვაჩანის მონასტრის წარწერა გვამცნობს, რომ ანტონს ამ მონასტრისათვის ზღუდე აუგია. მას უთარგმნებია ვინმე ხოჯაყოფილისათვის კარაბადინი, რომელიც ქართველებს ნადაელად ჩავარდნიან ბასიანის ომის დროს, როგორც ამას S 1275 ხელნაწერის მთარგმნელის ანდერძი გვამცნობს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ანტონ გნოლისთავის ძე არის ავტორი საისტორიო თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

იოანე ბატონიშვილი თავის „ქალმასობაში“ გიორგი-ლაშას მეუობის ამბებთან დაკავშირებით სხვა წყაროებთან ერთად ასახელებს „ანტონ ჭყონდიდელ გარეჯელის ცხოერებას“, რომელიც ქართული საეკლესიო მწერლობისათვის უცნობი ძეგლია (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 288). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იგივე ანტონ გნოლისთავის ძე უნდა იყოს, რომელიც, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელიც იყო და გარკვეულ პერიოდში გარეკის მონასტრის მონაზონიც. ანტონი საკმაოდ დახელოვნებული პიმნოგრაფიც ყოფილა. მისი თხზულებები გამოცემულია (იხ. მ. ქავთარია, ლიტ. მცოდნეობის აკადემიის შრომები, თბ., 1999, გვ. 281-313).

ანტონი ჯვარის მამა (დიასამიძე) – XVIII ს. II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, იერუსალიმის არქიმანდრიტი, ჯვარის (იერუსალიმში) მონასტრის წინამძღვარი. 1780-იან წლებში ქართველმა საზოგადოებრიობამ მისი ხელით გაგზავნა შეწირულებანი ქრისტეს საფლავის ტაძრისათვის. ანტონი ჩამოსულა იერუსალიმის პატრიარქის დაკალებით საქართველოში ჯვარის მონასტრის კუთვნილი მამულების შემოსამტკიცებლად (სამ. ძეგლ., V, 293, 319 და სხვ.).

ანტონი ყოფილა თეიმურაზ ბატონიშვილის ნათლია (ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, გვ. 108). მან 1798 წ. წირვა გადაუხადა ერეკლე II-ს (მასალები ეკლესიის ისტორიისათვის, III, 125). H 2510 ხელნაწერში ინახე-

ბა ანტონ I კათოლიკოსის წერილი, მიწერილი „ჯავარის მამის“ არქიმანდრიტ ანტონისადმი (ხელნაწ. აღწ. H, VI, გვ. 5).

ანტონინა მოწამე (დაბ. †313 წ.) — ცხოვრობდა სოფ. კროდამწოში. ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებისათვის ოცი შეიპყრეს და, რადგან არ უარყო ქრისტიანობა და კერპებს თაყვანი არა სცა, სამძიმო სახლში შეაყენეს. სამი დღის შიმშილის შემდეგ მას უფალი გამოეცხადა, გაამხნევა და საზრდელი მისცა. გამხნევებულმა ანტონინამ მთავრის წინაშე ისე უშიშრად აღიარა ქრისტე და გვემული ისე სამებაო სახლში შეაყენეს. საღმრთო უწყებით სამებაო სახლში შეეძლო ახალგაზრდა, 23 წლის ალექსანდრე, გაჰპარა ანტონინა, ხოლო თვით იქვე დარჩა მის მაგივრად. როდესაც ყოველივე გამოაშკარავდა, მთავარმა ისე შეიპყრო ანტონინა და ალექსანდრესთან ერთად ბევრი წამების შემდეგ ცეცხლში დაწვა. „ალექსანდრეს და ანტონინას წამების“ მეტაფრასული რედაქციის თხზულება თარგმნილია ქართულად და ერთი ხელნაწერით (ქუთ. 3, XVI ს., ფ. 90-98) არის შემონახული. ანტონინას ხსენების დღე (ალექსანდრესთან ერთად) ქართული წყაროთი 9 ივნისია, სხვა წყაროებით — 10 ივნისი.

ანტონინე მოწამე — IX ს. აფრიკელი მოწამე, იოანე მოწამის ჯაჭი, რომელიც ქრისტიანობისათვის აწამეს მამასთან, ძმა პეტრესთან და ანდრიასთან ერთად. მათი ერთობლივი „წამება“ თარგმნილია ქართულად (ქუთ. 7, XVI ს., 239-252), ხსენების დღეა 23 სექტემბერი (ქართული თარგმანით — 15 აპრილი, დაწერ. იხ. ანდრიასთან).

ანტონიოს — იხ. ანატოლე.

ანუსია — იხ. დროსი.

ანუხვა — სოფელი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში. სოფელში ეკლესიის ნანგრევების ახლოს აღმოჩენილ (1930 წ.) სეტზე (ინახება ამჟამად აფხაზ. სახელმწიფო მუზეუმში) არის ასომთავრული წარწერა XI ს., რომელიც გვამცნობს, რომ ეს ჯვარი აღუმართავს გიორგი ბასილის ძეს. როგორც ჩანს, ეს სეტი, რომელიც მოწყურთმებულია მდიდრულად, ჯვარის ჩასადგმელ სტელას წარმოადგენდა.

ანჩის ოთხთავი — XII-XIII სს. ეტრატზე ნუსხურით ნაწერი ოთხთავის ხელნაწერი (ც. არქ. № 323; 269 ფ. 22, 5 X 15, 5). დასაწყისი ასოები გამოსახულია მთაურულით, სათაურები და საყურადღებო ადგილები — სინგურით, ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში, რომლის წინა ნაწილი მოჭედილია ვერცხლით და შემკულია უბრალო თელებით. ჭედურობა ბექა ოპიზარის ნახელავი უნდა იყოს. ოთხთავი წყაროსთავის უდაბნოს საკუთრება ყოფილა. იგი შეუძენია სოფორომ მწიგნობარს, მოუჭედინებია ბექა ოპიზარისათვის, როგორც ეს ანდერძშია ნათქვამი, და ანჩის ხატის ეკლესიისათვის შეუწირავს (ამიტომ უწოდებენ მას „ანჩის ოთხთავს“). ეს ხელნაწერი, რომელიც დღეს ცენტრ. არქივში ინახება, ჩამოტანილია წალკიდან 1923 წ., ამიტომ მას ზოგჯერ „წალკის ოთხთავსაც“ უწოდებენ.

ანჩის საეპისკოპოსო — დაარსდა ისტორიულ კლარჯეთში VI-VII სს-ში. IX-X სს-ში ანჩის საეპისკოპოსო სამწყსო მოიცავდა: არტანუჯის მხარეს, კლარჯეთის უდაბნოს მონასტრებს, ლიგნის ხევის გაღმა-გამოღმა ტერიტორიას გონიოშედე. ამსხის ზავის (1555 წ.) მიხედვით, ეს მხარე სახლოდდ გადავიდა თურქების ხელში. ოსმალოთა ბატონობის დროს საეპისკოპოსო გაუქმდა. 1664 წლისათვის ანჩის საეპისკოპოსო უკვე დაცარიელებული იყო. ამავე წელს თბილისში ჩამოიტანეს ანჩის კათედრალური ტაძრის მთავარი სალოცავი — მაცხოვრის ხატი, რომელიც კათოლიკოსმა დომენტიმ თბილისის საკათოლიკოსო ეკლესიაში დასვენა. აქედან წარმოდგა ამ ეკლესიის ახალი სახელწოდება „ანჩისხატი“. ანჩის მაცხოვრის ტაძარი მთლიანად დაცული იყო XIX ს-შიც, 1879 წ. კი, როცა იქ ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ იმოგზაურა, უკვე დანგრეული იყო. ანჩის საეპისკოპოსოში შემავალ კლარჯეთის მონასტრებს საუკუნეთა მანძილზე უშუალოდ არქიმანდრიტი განაგებდა, გვიან პერიოდში კი არქიმანდრიტობა უშუალოდ თვით ანჩელს მიუთვისებია. იგი იწოდებოდა „ანჩელ მთაურეპისკოპოსად და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტად“. ანჩელი ეპისკოპოსები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქვეყნის შინაფეოდალურ პოლიტიკურ ბრძოლებში. მაგ., IX ს-ში ცქირი ანჩელ კათედრა თბილისის ამირის დახმარებით დაუკავებია და როგორც მისი პოლიტიკის გამტარებელს, მრევლის უკმაყოფილება დაუმსახურებია. XI ს. ეზრა ანჩელი ბაგრატ IV-ის პოლიტიკური მიმდევარი იყო. XV ს. II ნახევრიდან ანჩელი ეპისკოპოსები სამცხის მთაურების — ათაბაგების მხარეზე იყვნენ და ცდილობდნენ სამცხის პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და ცენტრალურ საეკლესიო ხელისუფლებისაგან განთავისუფლებულიყვნენ, ხოლო ათაბაგთა პოლიტიკური მარცხის

შემდეგ ისეე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და კათოლიკოს-პატრიარქის მხარეზე გადაიდნენ.

ანჩი ძველი საქართველოს კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქაური მოღვაწეებიდან ცნობილნი არიან: IX ს-ში მაკარი ანჩელი, გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე (ძეგლ., I, 317, 1); X ს-ში ეზრა ანჩელი, ჰიმნოგრაფი, ექვთიმე პალესტინელის საგალობლის ავტორი; XII-XIII სს. მიჯნაზე ჰიმნოგრაფი იოანე ანჩელი, ანჩის მაცხოვრის ხატის დამკვეთი და სხვ.

ანჩის ხატი – მაცხოვრის ფერწერული ჭედური კარედი ხატი, რომელიც საეკლესიო გადმოცემების თანახმად, ანდრია მოციქულს მოუტანია იერუსალიმიდან საქართველოში, კერძოდ, კლარჯეთში, როგორც ანჩის ხატის „პარაკლისშია“ ნათქვამი, თვით ანჩის ხატის ერთერთ გეიანელ (XVIII ს.) წარწერაში. მეორე თხრობაში გადმოცემულია: „ხატი ესე ქალთუქმნელი პირველად ედესიდგან კონსტანტინეპოლად წარმოუსვენებიათ და ოდეს ლეო ისაური და სხუანი ხატთმებრძოლნი გამოჩნდნენ, მას ჟამსა მუნით წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთს, საეპისკოპოსოსა საყდარსა ანჩისასა“, ე.ი. ანჩის მაცხოვრის ხატი ედესის ცნობილ მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატთანაა გაიგივებული. თუ კი ამ ლეგენდებს კრიტიკულად შეეხედავთ, ძნელი სათქმელია, როდის არის ხატი საქართველოში ჩამოტანილი და რა დროისაა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას ერთი: XII ს-ში მაცხოვრის ხატი ნამდვილად ანჩის საეპისკოპოსო ტაძარშია — ამ საუკუნის ბოლოს ხატი თამარ მეფის ბრძანებითა და „ნიეთისა ბოძებითა“ იოანე რკინაელს, ანჩელ ეპისკოპოსს ეერცხლით შეჭედილი ჩარჩოში ჩაუსვამს, ხოლო სამუშაო შეუსრულებია ცნობილ ოქრომჭედელს ბექა ოპიზარს, როგორც ეს აღნიშნულია მოჩარჩოების ქვედა არშიაზე რელიეფურად მოყვანილ ასომთავრულ წარწერაში. ხსენებულ იოანე რკინაელს საგალობელიც მიუძღვნია ანჩის ხატისათვის: „გალობანი ანჩისხატისანი, რომელთა თაენი იტყჳან: საშინელსა ანჩისხატსა უგალობ უნცოდ იოანე ანჩელი (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. I, 381-383). 1902 წ. პ. კარბელაშვილმა გამოსცა „პარაკლისი ხელთ-უქმნელისა ანჩისხატისა, შედგენილი ძველთა ხელნაწერ საგალობელთაგან“, რომელშიც ნათქვამია „ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და აღიპყარენით ხელნი და მადლობაჲ შესწირეთ ხატსა ამას ყოველად უხრწნელსა ქელთუქმნელსა, რამეთუ ესე არს სამეფოჲსა ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ და ეკმობდეთ: მოანიჭე მეუღსა ჩუენსა ძლეჳაჲ, ქრისტეს ღმრთის ხატო საშინელო“. ამ სიტყვებში კარგად ჩანს, რომ ანჩის ხატი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ყოველი ქართველისათვის სრულიად განსაკუთრებული და უძველესი სალოცავი და სიწმინდე იყო.

ანჩის ხატის ცენტრალური ფიგურაა ცალოცვანი, ანუ ენკაუსტიკური ფერწერით შესრულებული მაცხოვრის სახე. ეს გამოსახულება არის ყველაზე ადრინდელი ფენა ანჩის ხატისა, რომელთანაც არის დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი გადმოცემები ამ ხატის წარმოშობის შესახებ. ხატის ჭედური ნაწილი გეიანელი წარმოშობისაა და რამდენიმე ფენას შეიცავს. როგორც აღვნიშნეთ, ხატის ჩარჩო XII ს-ში მოიჭედა ბექა ოპიზარის ხელით, დახლ. 1193 წლამდე. XIV ს-ში დახლ. 1308-1334 წწ. შეუსრულებიათ ხატის კარედის შიდა მოჭედილობა და მისი ზედა თაღოვანი ნაწილი (ამაღლების კომპოზიციით), რაც ნათელია ამ საშუალოსთან დაკავშირებული ასომთავრული წარწერით. ამ დროს ხატი ისევ ანჩის საეპისკოპოსი ტაძარშია. 1312 წ. ერთ წარწერაში (ქრონიკ., II) ანჩის კათედრალი ხატის საყდრადაა გამოცხადებული: „ანჩის ხატსა და საყდარსა მისსა“.

ანჩის ხატის შემდეგი პერიოდი XVII ს. უკავშირდება, როდესაც სამხრეთ საქართველოში მაჰმადიანური გარემოცვა გაძლიერდა. დომენტი III კათოლიკოსის XVII ს. წარწერაში, რომელიც ქვედა არეზეა ამოღარული, აღნიშნულია: „ოდეს გათხრდა სამცხე, მაშინ აღსრულ იყო ტფილისის ვაჭარი და ეყიდა ფასითა და მოესვენებინა ბიძის ჩუენის კათალიკოზ-პატრიარქის დომენტისათჳს (ე. ი. დომენტი II) და მას ძვირფასად ეყიდა“. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ წერს ერთი საბუთი (ქრონიკ., II, 482). ამრიგად, დომენტი II-ს (რომელმაც თბილისში ანჩისხატის ტაძარი განაახლა და იქვე 1675 წ. საშრეკლო ააგო) 1664 წ. შეუძენია ანჩის ხატი და, ცხადია, შემდეგ ანჩისხატის ეკლესიად წოდებულ ტაძარში დაუსვენა, მაგრამ სრულებით გაუგებარია, როგორ მოხვედა ანჩის ხატი ამილახვართა სახლში, როგორც ამას გვაუწყებს ხატის 1686 წ. წარწერა, რომლის მიხედვით გიეი ამილახორის თაოსნობით ანჩის ხატის კარედი გარედანაც მოუჭედიათ. XVIII ს. დასაწყისში, 1715 წ. დომენტი III კათოლიკოსს განუახლებია ხატის ზედა ნაწილი — ანგელოზთა თითო ფიგურა კუთხეებში. ხატი შეუმკიათ

ძვირფასი ქვებით (... შეკმატე თვალი და მარგალიტი") და გამოუცვლიათ კარედის ხე და კარედის მთელი მოჭედილობა ახალ ხეზე გადაუტანიათ (საკმაოდ დაუდევრად). სულ ბოლოს, 1825 წ. არის დამატებული ვერცხლის ფირფიტა მაცხოვრის ბიუსტით, შარავანდედით და ორნამენტული ფონით. დღეს ანჩის ხატი (148X158) საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის სეროში იმახება (იხ. თ. საყვარელიძე, ანჩის კარედის ხატი, „საბჭოთა ხელოვნება", № 5, 1976 წ.).

„ანჩისხატი" – VI ს. ეკლესია თბილისში. იგი უნდა იყოს „მოქცეაჲ ქართლისაჲ„-ს ქრონიკაში მოხსენიებული „მარიამ წმიდის ეკლესიაჲ", აგებული დარი უფალრმელის მეფობაში. ანჩისხატის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. ნაშენია თლილი ქვით (თავდაპირველი ფენა), ხოლო კედლების ზედა ნაწილები და კვეთა შეგვითა ბოძი აგურისაა (XVIII ს. რესტავრაციის შემდეგ). ეკლესია ნავებად იყოფა თაღების საშუალებით. თავდაპირველად აქ სამი წყვილი ბოძი ყოფილა (ნაცვლად ახლანდელი ორისა). ეკლესიის ძველი სახელი ცნობილი არ არის. „ანჩისხატი" მას XVII ს, ეწოდა, როდესაც აქ ანჩის (სამხრეთ საქართველოში) მონასტრიდან ბექა ოპიზარის (XII ს.) მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხატი გადმოასვენეს (აქამდე დაცულია საქ. ხელოვნ. მუზეუმში). „ანჩისხატის" ისტორია აგებიდან XVII ს-მდე უცნობია. 1675 წ. დომენტი კათოლიკოსმა აღადგინა ის და ააგო აგურის ორსართულიანი სამრეკლო. 1683 წელს ეკლესია მოხატეს ნიკოლოზ კათოლიკოსის თანხობით. ერეკლე II-ის მეფობაში „ანჩისხატთან" დაარსდა აკადემია. ეკლესია დაზიანდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. XIX ს. დასაწყისში აღადგინეს და 1814 წ. ხელმეორედ მოხატეს. იმავე საუკუნის 70-იან წლებში დაადგეს ყალბი გუმბათი და მიადგეს მრავალსართულიანი სამრეკლო. 1958-64 წწ. სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ნაგებობების უძველესი შრეები. ძველი ნაწილობრივ განთავისუფლდა გვიანდელი დანამატისაგან: მოანგრიეს გუმბათი და სამრეკლო, მოხსნა XIX ს. მხატვრობის ნაწილი (შიდა კედლებზე) და შენობას დაახლოებით ისეთი სახე დაუბრუნდა, როგორიც მას XVIII ს. ჰქონდა.

ანჯელო ჟილინელი – იტალიელი მონაზონი, კაპუცინების ორდენის წევრი, მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში. 1687 წ. მაისში მეფე გიორგი XI-ს და არქიეპისკოპოსმა ექვთიმე რატიშვილმა წარგზავნეს სიგელებით პაპ ინოკენტი XI-სთან. მეფე და არქიეპისკოპოსი პაპს მშვიდობას სთხოვდნენ და ერთგულებას უფიცებოდნენ (ზოგიერთი ცნობით, პირდებოდნენ კათოლიკობის მიღებას). 1688 წ. მაისში პაპმა ანჯელო ფილინელი საპასუხო სიგელით გამოისტუმრა საქართველოში და გამოატანა სარკვრები: მეფისათვის – ღვთისმშობლის ხარების ხატი და არქიეპისკოპოსისათვის – ბარძიმი.

აპელე – ერთი სამოციდაათ მოციქულთაგანი „რომელი ეპისკოპოს იქმნა ზმირნას უწინარეს წმიდისა პოლიკარპოჲსა" (დიდი სინაქსარი, H 2211, 444). აპელე მოციქულს იხსენიებს პაპელ მოციქული ეპისტოლეში „რომაელთა მიმართ": „კითხვა არქუთ აპელეს, რჩეულსა ქრისტეს მიერ" (პრომ. 16,10). აპელე მოციქულის ხსენების დღედ დადებულია 10 სექტემბერი და 31 ოქტომბერი.

აპინისი – წარმართული დროის ქართული სახელწოდება თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით იწყებოდა 4 დეკემბერს და მთავრდებოდა 2 იანვარს (იხ. საეკლესიო წელი).

აპოკალიფსისი (ბერძ.) – იხ. გამოცხადება.

აპოკალიფსური მხედარი – სიმბოლური მხედარი იოანეს „გამოცხადებაში", ამხედრებული თეთრ ცხენზე, რომელიც განასხიერებს „ღმრთის სიტყვას", იესო ქრისტეს: „და ვიხილე აპა ცხენი სპეტაკი და მჯდომარეჲსა მას ზედა აქუნდა მშვილდი და მიეცა მას გვირგუნი და განვიდა ძლევითა და რაჲთა სძლოს" (6,2). „და ვიხილენ ცანი განხსნულნი და აპა ცხენი სპეტაკი და მჯდომარეჲსა მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნო და ჭეშმარიტი და სიმართლით სჯის და ებრძვს... წოდებულ არს სახელი მისი სიტყჳჯა ღმრთისაჲ... და აქუს წერილი სამოსელსა ზედა და თჳსსა მისსა სახელი, ვითარცა: მეფე მეფეჲთა და უფალი უფლებათა" (19, 11-16).

აპოკალიფსური რიცხვი – ასე ეწოდება სიმბოლურ რიცხვს „666" იოანეს „გამოცხადებაში", რაც არის საიდუმლო რიცხვი მხეცის სახელის, რომელიც ადამიანს ხალხს თაყვანი ეცა მისი გამოსახულებისათვის (13,1-18). მიღებული აზრით, ეს რიცხვი იშიფრება ასე: „ნერონ კეისარი", ე. ი. ამ სამნიშნა მხეცის სახით იოანე ღვთისმეტყველმა შეურაცხი დაგეიხატა ქრისტიანობის დაუნინებელი მტერი – რომის იმპერატორი ნერონი.

აპოკრისარი – ასე იწოდებოდა აღმოსაელეთის ქრისტიანულ ეკლესიაში შუამავა-

ლი პატრიარქსა და იმპერატორს შორის. აპოკრისარები თან ახლდნენ პატრიარქებსა და ეპისკოპოსებს, როდესაც ისინი სამეფო კარს ეწვეოდნენ. მაგ., აპოკრისარის თანამდებობაში პქონდა მაქსიმე აღმსარებელის მოწაფესა და მასთან ერთად ნაშებულ ანასტასი აპოკრისარს († 666).

ᲐᲞᲝᲙᲠᲘᲤᲘ (ბერძნ. „დაფარული“) — ამ სახელწოდებით იწოდება წიგნები, რომლებიც ეხება საღვთო წერილის ძველი და ახალი აღთქმის თემატიკას, მაგრამ ეკლესია არ იწყნარებს მათ და კრძალავს. ტერმინი „აპოკრიფი“ პირველად ნახმარია IV ს-ში რომის პაპის დეკრეტში. ამავე საუკუნეში შეიქმნა აპოკრიფული წიგნების პირველი სიაც. აპოკრიფული ლიტერატურა ძირითადად იყოფა ძველი და ახალი აღთქმის აპოკრიფებად. ძველი აღთქმის აპოკრიფები თავდაპირველად 70 უნდა ყოფილიყო, ამჟამად 30-მდე ითვლიან. პირველი რიგისაა ძველი აღთქმის წიგნები: I ეზრა (წიგნი ეზრა ზორაბაბელისა), ტობი, იუდითი, სოლომონის სიბრძნე, ისუ ზირაქის სიბრძნე, ბარუქი, იერემიას ეპისტოლე, III ეზრა (ეზრას აპოკალიფსისი), I მაკაბელთა, II მაკაბელთა, III მაკაბელთა და ძველი აღთქმის კანონიკური წიგნების — II ნეშტთა, ესთერის, ფსალმუნთა, იობის და დანიელის წიგნთა ზოგიერთი ნაწილი. მეორე რიგის აპოკრიფებია: „ადამ და ევას ცხოვრება“, ენოქის წიგნი, იუბილეთა წიგნი, თორმეტი პატრიარქი და სხვ. პირველი რიგის აპოკრიფები, რომელთაც აღმოსავლური ეკლესია დასაწყისიდანვე განსხვავებით და მეორე რიგის აპოკრიფებისაგან გამოსარჩევად არაკანონიკურ წიგნებს უწოდებს, შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის VI-I სს-ში იუდაისტური კანონის ჩამოყალიბების შემდეგ. ამიტომ ებრაელებმა ამ გეიანდელი ძეგლების კანონიკურობა საეჭვოდ მიიჩნიეს და არ შეიტანეს ებრაულ ბიბლიაში. ეს წიგნები სეპტუაგინტის მთარგმნელებმა თარგმნეს კანონიკურ წიგნებთან ერთად. შემდეგ სეპტუაგინტას დაემატა ბერძნულად დაწერილი სხვა არაკანონიკური წიგნებიც. ქრისტიანული ეკლესიის კანონს საფუძვლად დაედო ბიბლიის სეპტუაგინტისეული თარგმანი. ქრისტიანობამ ძველი აღთქმა სრულად (როგორც კანონიკური, ისე არაკანონიკური წიგნებით) მიიღო. ასე ითარგმნა იგი შემდეგ სხვა ენებზეც. ბიბლიის ძველი თარგმანები (ლათინური, სირიული, ეთიოპური, ქართული, სომხური, სლაავური) კანონიკურთან ერთად შეიცავს არაკანონიკურ წიგნებსაც. ძველი აღთქმის აპოკრიფებიდან ზოგი დაწერილია ძველ ებრაულზე (ისუ ზირაქის სიბრძნე, ბარუქი, იერემიას ეპისტოლე, ენოქის წიგნი და სხვ.), ზოგი არამეულზე (ტობი), ზოგიც ბერძნულზე (სოლომონის სიბრძნე, III მაკაბელთა და სხვ.). ძველი აღთქმის ბევრი (მათ შორის მანამდე უცნობიც) აპოკრიფი აღმოჩნდა მკვდარი ზღვის მიდამოებში 1947-1965 წწ. ისუ ზირაქის სიბრძნის ებრაული ფრაგმენტები, შესაქმის აპოკრიფი ებრაულად და სხვ. ახალი აღთქმის აპოკრიფებიდან ცნობილია აპოკრიფული სახარებები (იაკობის, თომასი, ნიკოდიმოსისა, პეტრესი და სხვ.), საქმენი მოციქულთანი (იოანესი, ანდრიასი და სხვ.) ეპისტოლენი (ბარნაბასი, კლიმენტისა, პოლიკარპესი), გამოცხადებანი (იოანესი, პეტრესი, პავლესი). ახალი აღთქმის აპოკრიფებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აპოკრიფულ პაგიოგრაფიას (თომა, ფილიპე, პეტრე და პავლე მოციქულების „წამებები“, წმ. გიორგის დაღიანესეული „წამება“, იოანე ურპალის ფილექტიმონის, ბასილი კესარიელისა და სხვათა „ცხოვრებანი“).

აპოკრიფული ლიტერატურა უძველესი დროიდან ითარგმნებოდა ქართულად. წვენამდე მოაღწია ბერძნული, სირიული, სომხური, სლავური და სხვა ენებიდან თარგმნილმა ძველი და ახალი აღთქმის მდიდარმა აპოკრიფულმა ლიტერატურამ. ქართული ბიბლიის ხელნაწერებში დაცულია ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების უძველესი, X ს-მდე შესრულებული თარგმანები (ეზრას I წიგნის ხანმეტი ფრაგმენტები VII ს. განკუთვნება). ძველი აღთქმის სხვა აპოკრიფებიდან X ს-მდეა თარგმნილი „ადამ და ევას ცხოვრება“. ასევე ახალი აღთქმის მრავალი აპოკრიფია თარგმნილი ქართულად: მოციქულთა აქტები, აპოკრიფული „წამება-ცხოვრებანი“ და სხვ. „მიმოსლვა მოციქულთა“-ს და „საქმენი მოციქულთანი“-ს ფრაგმენტები წარმოდგენილია V-VI სს. ხანმეტ პალიმფსესტებში. ქართულ ენაზე არსებობს აპოკრიფების საგანგებო კრებული „მარგალიტი“. ზოგიერთი აპოკრიფი მხოლოდ ქართული თარგმანითაა მოღწეული (მაგ., „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმთიელმან...“ და „თხრობაჲ აღშენებისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლიდიას შინა“). მხოლოდ ქართულმა თარგმანმა შემოგვინახა სრული სახით ტობის წიგნის ერთერთი რედაქციაც. აპოკრიფული თხზულებები სხვებთან ერთად უთარგმნიათ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებს. ვარაუდობენ, რომ ლეონტი მროველს ეკუთვნის ძველი აღთქმის ერთ-ერთი აპოკრიფის თარგმანი. აპოკრიფები გარკვეულ როლს ასრულებდნენ ორიგინალური მწერლობის გან-

ვითარებაში. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად ჩნდება თაეს აპოკრიფული სიუჟეტების ანარეკლი (ნებროთისა და სხვა ამბები). აპოკრიფული ნაწარმოებები ლეონტი მროველის თხზულებათა დიდმნიშვნელოვანი წყარო იყო. ქართველი მოღვაწეები ერთმანეთისაგან მოკვანენდნ არაკანონიკური წიგნებისა და საკუთრივ აპოკრიფებს. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გვხვდება ტერმინები: „ბეჭდული", „განკანონებული" – კანონიკური წიგნებისათვის; „დაუბეჭდველი", „განუკანონებელი", „არაგანკანონებული" – არაკანონიკური წიგნებისათვის; „დაფარული", „აპუკრიფა" – საკუთრივ აპოკრიფებისათვის. ეფთვიმე მთაწმიდელის ესისტოლეში, რომელიც მან გამოგზავნა საქართველოში გიორგი ბერის შეკითხვის პასუხად (სამ. ძეგლ. III, გვ. 5-18), ჩამოთვლილია ახალი აღთქმის აპოკრიფული თხზულებანი, რომლებსაც არ შეწყნარებდა მართლმადიდებლური ეკლესია.

აპოლინარიზმი – მწვალებლობა, რომლის ფუძემდებელი იყო ალოლინარი უმცროსი († დაახლ. 390), ლაოდიკიის (სირია) ეპისკოპოსი, საეკლესიო მწერალი და ღვთისმეტყველი. ალოლინარი დაუპირისპირდა არიანელებს და განავითარა მოძღვრება, რომლის თანახმად, იესო ქრისტეს განკაცებისას არ მიუღია კაცობრივი გონიერი სული. ალოლინარიზმი გავრცელდა ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლში, სირიასა და მეზობელ ქვეყნებში. ალოლინარელებმა შექმნეს თეზები და ჰყავდათ საკუთარი ეპისკოპოსები. 362 წ. ალექსანდრიის ადგილობრივმა კრებამ დაგმო ეს მოძღვრება. 375 წ., როდესაც ალოლინარელნი ეკლესიას გამოეყვნენ და დამოუკიდებელი სექტა შექმნეს, რომის საეკლესიო კრებამ ხელმეორედ შეარჩუნა ისინი, ხოლო კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ 381 წ. საბოლოოდ ეს მოძღვრება მწვალებლობად გამოაცხადა და მათი ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შემოერთების ასეთი მოთხოვნა ჩამოაყალიბა: „ალოლინარელთა შეეწყნარებთ ესრეთ: მოესთხოვთ ლიეელლინსა, რომელ არს ქარტაჲ სიმტკიცისაჲ და შეჩუენებად უბრძანებთ ყოველსა წუალებასა არა აღმსარებელსა ესრეთ, ვითარ ალაარებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ ღმრთისაჲ და ესრეთ დაეპბეჭდავთ, ესე იგი არს, ესცხებთ წმიდასა მიპრონსა შუბლსა და თუალთა და ცხერთა და პირსა და ყურთა და დაეპბეჭდიდეთ რაჲ მათ, ვიტყუთ: საბეჭდავი ნიჭთა სულისაჲ წმიდისაჲთა" (დიდი სჯულისკანონი, 263). ამ მწვალებლობის მიმდევართა წინააღმდეგ 388-428 წწ-ში იმპერატორთა რამდენიმე დეკრეტი გამოქვეყნდა.

აპოლო – ერთი სამოციდათ მოციქულთაგანი. „საქმე მოციქულთა" გვამცნობს, რომ იგი ალექსანდრიელი ებრაელი ყოფილა, მჭევრმეტყველი და განსწავლული („სიტყუა-მჳენური", „ძლიერ წიგნთაგან"), და მეზობლად ქადაგებდა იესოზე (18,22-26). ახალი დიდ დახმარებას უწევდა პავლე მოციქულს, რომელმაც მისი ღვაწლი კორინთოში ქრისტიანობის გასაჩენლებლად ასე შეაქო: „მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა" (I კორ. 3,6). ერთი ცნობით (დიდი სენაქარი), ახალი ეკსარის ეპისკოპოსი გამხდარა, ხოლო მეორე ცნობით – სმირნის (მცირე აზია) ეპისკოპოსი. ხსენების დღეები – 30 მარტს და 8 დეკემბერს.

აპოლოგეტები – ადრინდელი ქრისტიანი მწერლები (II-III სს.), უმთავრესად რომის იმპერიის მოქალაქენი, რომლებიც თავიანთ „აპოლოგიებში" იცავდნენ ქრისტიანობას წარმართობისა და იუდაიზმისგან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანები იმპერიის ერთგული მოქალაქენი არიან და მათი სარწმუნოება წარმართობასა და იუდაიზმზე მაღლა დგას, ხოლო იესო ქრისტე მოელენილი შესიაა, რომელსაც კაცობრიობა ელოდა. აპოლოგეტების თხზულებებმა საფუძველი ჩაუყარეს აპოლოგეტიკას – ქრისტიანული ღვთისმეტყველების დარგს, რომლის მიზანია ქრისტიანობის დაცვა. უმნიშვნელოვანესი ადრინდელი აპოლოგეტები იყვნენ: არისტიდე, იუსტინე, ტატიანე, ათენაგორა, თეოფილე, ტერტულიანე და სხვ.

აპოლონ მოწამე – ეწამა ეგვიპტეში, ქ. ალექსანდრიაში, იმპერატორ დეკლეტიანეს დროს (284-305) თეორსო, ლუკი და ფილიმონთან ერთად ქრისტეს აღმსარებლობისათვის 286 წ. მათი „წამების" მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ქართულად (ქუთ. 5,256-286; A 90, 175-206,) ხსენების დღე – 14 დეკემბერი (იხ. თეორსოსთან).

აპოსტატი (ბერძნ. „განდგომილი") – ძველი რწმენის უარმყოფელი. აქედან „აპოსტასია" – რწმენისაგან განდგომა. აპოსტატი იხსენიება ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ლიტერატურაში. ტერტულიანე ქრისტეს განდგომილ შვილებს უწოდებს. აპოსტატებად ითელებოდნენ ქრისტიანობიდან წარმართობაზე დაბრუნებულნი. იმპერატორ კონსტანტის დროს (337-361) იულიანეს ხელისუფლებაში გადასვლისათვის სასჯელად ქონების კონფისკაცია დაწესდა. აპოსტატების

წინააღმდეგ სასჯელს ითვალისწინებდა იუსტინიანეს (527-565) კოდექსი. ქრისტიანულმა ეკლესიამ აპოსტატად გამოაცხადა იმპერატორი იულიანე (361-363), რომელმაც 361 წ. 3 ნოემბერს კანონით აღდგინა წარმართობა. აპოსტატებს დევნიდა შუა საუკ. კანონიკური სამართალი, მათ არმიენდნენ სამოქალაქო უფლებებს და სულდნენ. XVI ს-დან განდგომისათვის სასჯელი თანდათან შერბილდა და XIX ს. შუა ხანებში მოისპო.

ᲐᲞᲝᲡᲢᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘ – „ძმები მოციქულები", ქრისტიანულ-გვეხური მწვალებლობა იტალიაში. დააარსა გლეხმა გ. სეგარელიმ დაახლ. 1260 წ. აპოსტოლიკები სახარებაში მოხსენიებულ მოციქულთა (აპოსტოლთა) მიმდევრებად აცხადებდნენ თავს და მოითხოვდნენ ალრინდელ ქრისტიანულ „მოციქულთა დროისაკენ" დაბრუნებას, როდესაც, მათი აზრით, სუფევდა მოქალაქეობრივი და ქონებრივი თანასწორობა. ისინი გამოდიოდნენ ფეოდალური ჩაგვრისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, სურდათ ქონების გაერთიანება და სოციალური თანასწორობის დამყარება. აპოსტოლიკები ცხოვრობდნენ ღარიბულად, ქადაგებდნენ მორწილებას და ასკეტიზმს. ეს მოძღვრება გავრცელდა ჩრდილოეთ იტალიელ გლეხებსა და ნაწილობრივ ქალაქების პლებეურ ფენებში. ლიონის საეკლესიო კრებამ 1274 წ. დაგმო აპოსტოლიკები. პაპების ბულებით (1268 წ. -პონორიუს IV-ისა და 1290 წ. ნიკოლოზ IV-ის) დაიწყო მათი დევნა. სეგარელი დააპატიმრეს (1294 წ.) და დაწვეს (1300 წ.). აპოსტოლიკების ახალი მეთაურის, დოლჩინოს (აქედან მათი მეორე სახელწოდება „დოლჩინისტები") ხელმძღვანელობით პიემონტში დაიწყო აჯანყება (1304), რომელიც დამარცხდა. დოლჩინი დაწვეს (1307 წ.). ინკვიზიციის დევნის მიუხედავად, აპოსტოლიკები თავიანთი მოძღვრების ქადაგებას XV ს. დამდეგამდე განაგრძობდნენ ჩრდ. იტალიაში, ლანგედოკში (საშხრ. საფრანგეთი), გერმანიასა და ესპანეთში.

ᲐᲡᲝᲗᲔᲑᲐ – იხ. ასკეტიკა.

ᲐᲠᲐᲐᲙᲡᲘ (ბერძნ.) – ასე იწოდება განსაკუთრებული რიგით შედგენილი სახარება და სამოციქულო, რომლებშიც ტექსტი ჩვეულებრივი თანმიმდევრობით, ავტორების მიხედვით კი არ არის დალაგებული, როგორც თხზულებებსა და მოციქულთა ეპისტოლეებშია, არამედ კვირებისა და დღეების მიხედვით, როგორც ისინი იკითხებიან საზოგადო ღვთისმსახურების დროს, დაწყებული აღთქმის პირველი დღით (იოვანეს სახარება, I თავი) მთელი წლის მანძილზე. ძველი ქართული ტერმინოლოგიით აპრაკოსს „საკითხავი" შეესატყვისება.

ᲐᲠᲐᲛᲘ // ᲐᲠᲐᲛᲐ (balsamum) – ერთგვარი სასაკმეველე ზეთი („არომა საკმეველია ერთგვარი" – საბა). „აკმეველ საკმეველსა სტურაგსა და საკმეველსა აპრამსა" (თეკლას წამება 117,12 – ილ. ბაღთაძის გამოცემა, ენიმკის მოამბე, VIII).

ᲐᲡᲤᲘᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ, ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲗᲐ-ᲡᲬᲠᲘᲠᲘ – ფილიპონ მოციქულის (70-თაგანის) მეუღლე და მისი ერთგული თანაშემწე ქრისტიანობის ქადაგებაში. ნერონის (54-68) მეფობაში ქრისტიანთა დევნის დროს ასფია მეუღლესთან და მოციქულ არქიპოსთან ერთად გაასამართლეს ქ. ღაზში და ქრისტიანობის ქადაგებისათვის სიკვდილით დასაჯეს: მოციქული არქიპო დაჩეხეს დანებით, ხოლო ასფია და ფილიპონი, მიწაში წელამდე ჩამარხულნი, ჩაქოლეს. სამივე მოწამის ერთობლივი „წამება" (მეტაფრასული რედაქცია) თარგმნილია ქართულად და შემონახულია ერთადერთი ხელნაწერით – ქუთ. 1, XVI ს., 85-86. აქ მათი ხსენების დღეა 20 თებერვალი, ხოლო უმეტეს წყაროებში – 19 თებერვალი. ასფიას მეორე ხსენების დღეც აქვს – 22 ნოემბერი.

ᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. აღმ. ფრონის მარჯვ. ნაპირზე, ქარელიდან 7 კმ. სოფლის თავში ძველი, დაახლ. X ს. ეკლესიის ნანგრევები არის, რომელსაც „სარკის წმ. გიორგის ხატს" უწოდებენ. ეკლესიასთან ნაპოვნია (1920 წ.) ვერის კერამლებეკი X-XI სს. ასომთავრული წარწერით: „წმ. გიორგი ადიდენ მარადელნი მამასახლისნი" (ლას. წარწ., I, 113).

სოფელში არის პატარა დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერიდან ჩანს, რომ იგი 1666 წ. აუგია როსტომ მეფის მეუღლეს – მარიამ დედოფალს. „ჩუენ დადიანის ასულმან დედოფალმან პატრონმან მარიამ აღვაშენე ეკლესია ესე და შევსწირე წმიდასა... მამასა საბას... ქსნტნდ (1666 წ. ქრონიკ. II, 483).

ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲬᲔᲑᲘ – ძველი აღთქმის აპოკრიფული (იხ.) წიგნები, რომელთაც ძველ ქართულში „დაუბეჭდველნი" (იხ.) ეწოდებოდა.

ᲐᲠᲐᲚᲘ – სოფელი ადიგენის რაიონში, მდ. ქვაბლიანის მარჯვ. ნაპირზე, ადიგენიდან 19 კმ. სოფელში არის შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. არალი იხსენიება „ტურკისტანის ვილაეთის დიდ დაეთარში" (XVI ს. მიწურულს).

არაბიტები – ქრისტიანი სექტანტები არაბეთში III საუკ. დასაწყისში, რომლებიც აღიარებდნენ სულის სიკვდილს სხეულის სიკვდილთან ერთად და მათ ერთდროულად გაცოცხლებას. 246 წ. ორიგენემ დაგმო ეს მწვალებლობა არაბეთის ერთ-ერთ საეკლესიო კრებაზე.

არარატი – სირიულ ენაზე ნიშნავს წმინდა, ანუ ამაღლებულ მიწას. არარატი არის მცირე კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე. მას ორი პიკი აქვს – მცირე (3960 მ.) და დიდი (5211მ.). ბიბლიური თქმულებით, ნოეს კიდობანი გაჩერდა არარატის დიდ მწვერვალზე (დაბ. 8,4).

არბო – სოფელი გორის რაიონში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, გორიდან 29 კმ. აქ დგას წმ. გიორგის X ს. ეკლესია. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „არბოწმიდის“ ეკლესია აშენებული უნდა იყოს ამ თემელის სახელზე, რომლის წმ. ნაწილები ამ ადგილზე დაუკრძალავთ (ქართლ. ცხ. IV, 369, შენიშვნა 1).

არბოობა – წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაული, რომელიც რამდენიმე სოფელში ერთდროულად იმართებოდა: მთაყარ დღეობას იხლიდნენ სოფ. არბოში (გორის რ-ნი), აგრეთვე სოფ. გერში (ცხინვალის რ-ნი). არბოობა იწყებოდა აგვისტოს ბოლო კვირას და სამ კირას (შაბათ-კვირაობით) გრძელდებოდა (თავი არბობა ანუ თაეგვრისთობა, შუა გერისთობა და ბოლოგერისთობა). პარასკევს მლოცველები ჯერ გერის წმ. გიორგის ეკლესიაში მიდიოდნენ, ღამეს ათევდნენ, შაბათს კი მთავარი სალოცავის – არბოს წმ. გიორგის ეკლესიის კარზე გადაღიოდნენ. შესწირავად მიჰყავდათ მოზვერი, ცხვარი ან ქათამი. არბოს წმ. გიორგის ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ შიდა და ზემო ქართლის მლოცველები.

არგვეთი – სოფელი საჩხერის რაიონში, მდ. ლაშურის (ყვირილას შესართავი) მარცხ. ნაპირზე, საჩხერიდან 7 კმ. სოფელში, რომელიც ცნობილია უძველესი პერიოდის არქეოლოგიური მონაპოვრებით, არის განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია „ოქონია“. სახელწოდება წარმოდგება „ოქონის ხატიდან“ (იგი მზითევში მოჰყვა ბაგრატ IV-ის მეუღლეს მარიამს), რომელიც გარკვეულ პერიოდში დასაელეთ საქართველოში ინახებოდა, ალბათ, არგვეთში. არგვეთი ისტორიული არგვეთის საერისთავოს ცენტრი იყო. ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობების მიხედვით, არგვეთის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან რიონამდე და რაჭის მთებიდან ფერსათის მთამდე, ე. ი. ახლანდელი ხარაგაულის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათისა და ტყიბულის რაიონებსა და ქალაქ ჭიათურის ტერიტორიას. არგვეთში ჯერ კიდევ ქართველთა პირველ მეფეს ფარნავაზს დაუხვამს ერისთავი. ვახტანგ გორგასლის დროს არგვეთი თაკვერაც (ლეჩხუმი) მოიცავდა. VIII ს. 30-იან წლებში არგვეთის მთავრები იყვნენ დავით და კოსტანტინე (მოწამეები). დავით აღმაშენებლმა 1103 წ. უკანასკნელი ბატონიშის, რატის გაძევებულების შემდეგ მისი მამულები გელათის მონასტრის შესწირა. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში არგვეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სათაყალოები: საწერეთლო, საბაშიძეო, საჩხეიძეო და საშუკოო. ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა შესანიშნაო ეკლესია-მონასტრები: უბისა (IX-X სს.), ჯრუჭი (X-XI სს.), ტბაკანი (VI-VII სს.), კაცხის ტაძარი (1010-1014 წწ.) და სხვ.

არდაგი – ტილოს ქსოვილი, სუდარა. ებრაელი ჩვეულებით, მიცვალებულს თეთრი ტილოს ქსოვილში, არდაგში ახვევდნენ და ისე ასაფლავებდნენ. სახარებათა მიხედვით, ჯვარცმული იესო ქრისტე ჯვრიდან ჩამოხსნის შემდეგ იოსებ არიმათიელმა „შეჰგრაგნა არდაგსა წმიდასა“ (მათე 27,59). არდაგის შესატყვისად ხშირად „არმენაკი“ და „სინდონი“ იხმარება.

არდაშა დეკანოზი – მოიხსენიება 1706 წ. საბუთში (Ad 323), რომელიც ეხება სვეტიცხოველის ყმათა პირობას ლომეტი კათოლიკოსისადმი, რომ მრევლს შორის აღარ ეცნება აღვილი შუღლსა და მტრობას. მათ რიცხვშია მოხსენიებული სვეტიცხოველის ტაძრის დეკანოზი არდაშაც (ქრონიკ., III, 21-22).

არე მოწამე – ეგვიპტელი მოწამე. პრაშო და ელიასთან ერთად არეც ალიარებულად ემსახურებოდა და მკურნალობდა ღილეგში დამწყვდეულ ქრისტიან პატიმრებს მაქსიმიან იმპერატორის (305-313) მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს. სამივენი შეიპყრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს († 308).

დასახელებულ მოწამეთა ერთობლივი „წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანი შემონახულია ერთ უძველეს ქართულ ხელნაწერში (A 95, XI ს. ფ. 1158-1164). გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: კიმენი, II, 51-58.

ქართულ წყაროებში ამ მოწამეთა ხსენების დღედ 14 დეკემბერია დასახელებული, ხოლო

არაქართულ წყაროებში – 19 დეკემბერი.

არეთა მოწამე – VI ს. მოწამე. არეთა იყო მმართველი ქალაქ ნეგრანისა (ნიგრა) არაბეთში, რომლის მცხოვრებნიც ქრისტიანნი იყვნენ. არაბეთის მეფემ დუნაანმა გადაწყვიტა თავის ქვეყანაში ქრისტიანების გაჟლეტა და გამოსცა შესაბამისი ბრძანება. რადგან ნეგრანის მაცხოვრებელნი მტკიცედ იდგნენ ქრისტიანობაზე, მეფემ გადაწყვიტა დიდი ჯარით დაერბია ქალაქი და შეეწყნარებინა მხოლოდ ის, ვინც ქრისტიანობას უარყოფდა. მოტყუებით ქალაქის აღების შემდეგ დენაანმა გაჩაღა დიდი კოცონი და ქალაქის ქრისტიანული ეკლესიების 427 მსახური დაწვა. არეთა და ქალაქის სხვა წარჩინებულნი დილეგში ჩააშყუდეს, ხოლო შემდეგ ქალაქის სხვა ურჩ ქრისტიანებთან ერთად აწამეს და მოკლეს. ამ ქალაქში სულ 4299 ქრისტიანი დახოცეს. არეთას და მასთან ერთად წამებულთა შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება ბერძნულად კომენური და მეტაფრასული რედაქციებით არის ცნობილი. ორივე რედაქცია ქართულად არის თარგმნილი და საკმაოდ მრავალი ხელნაწერებითაა მოღწეული (კომენური: H 341, XI ს., 719-766 H 535, XI ს., 92-112; Sin. 11, X ს., 361-399; მეტაფრასული: ქუთ. 4,564-585; S 1276, 455-498; Jer. 18, 153-167; Jer. 37, 116-124; Sin. 91, 54-72). არეთა მოწამის ხსენების დღე კომენური „ცხოვრების" მიხედვით რამდენიმეა: 1,4,24 ოქტომბერი, 7 სექტემბერი, მეტაფრასულით კი – მხოლოდ 24 ოქტომბერი, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" – 24. X.

არმოპაზი (ბერძ.) – ათენის უმაღლესი საბჭო და სისხლის საქმეთა სასამართლო, რომელმაც სახელი მიიღო იმ ბორცვის სახელის (არესის) მიხედვით, სადაც იმართებოდა მისი სხდომები, აკროპოლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სასამართლოს დაარსებას უკავშირებენ ათენის ისტორიის მითიურ პერიოდს, ხოლო ისტორიული მნიშვნელობა მან მიიღო სოლონის (ძვ. წ. 635/540-559) დროიდან, რომელმაც დააგინა მისი წევრების არჩევის ახალი წესები და მისცა მას დიდი უფლებები. არეოპაგის წევრებს ირჩევდნენ სამუდამოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იმ ყოფილი არქონტებიდან, რომლებიც თაყვანით უმწიკვლო მოღვაწეობით იმსახურებდნენ ამ პატივს. სოლონმა არეოპაგს გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, დააკისრა აგრეთვე მოქალაქეთა განათლების, ზნეობის, სარწმუნეობისა და მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების კანონთა დაცვის შესრულებაზე მთავარი ზედამხედველობა. არეოპაგი თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას ათენის დაქვეითების (დახლ. 431-404) პერიოდში და საბოლოოდ დაკარგა იგი V ს. I ნახევარში, ქრისტეს შემდეგ. „საქმე მოციქულთა" მოგვითხრობს, როგორ მიიწვიეს ფილოსოფოსებმა პაული მოციქული არეოპაგში, სადაც მან იქადაგა ქრისტეს მოძღვრება და ამ ქადაგებით რამდენიმე კაცი მოაქცია, რომელთა შორის იყო დიონისე არეოპაგელი (17, 19-34).

არეოპაგიტიკა – დიონისე არეოპაგელის სახელით წარწერილ თხზულებათა კორპუსი. შედგება ოთხი ტრაქტატისა („საღმრთოთა სახელთათუს", „ზეცათა მღდელთმთავრობისათუს" (ზეციური იერარქიის შესახებ), „საეკლესიოჲსა მღდელთმთავრობისათუს" (საეკლესიო იერარქიის შესახებ), „საიდუმლოჲ ღმრთისმეტყველებისათუს" (მისტიკური თეოლოგია)) და ათი ეპისტოლისაგან. არეოპაგიტული კორპუსი აეთენტურად არაა მიჩნეული. არსებობს მოსაზრება (შ. ნუცუბიძე, ე. პონიგმანი), რომ მისი ნამდვილი ავტორი პეტრე იბერი (411-491 წწ.) უნდა იყოს. არეოპაგიტულ თხზულებათა კორპუსი ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ (XI ს.). გამოც. ს. ენუქაშვილის მიერ: პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961.

არეშე – ნასოფლარი ჯავახეთში, სოფ. კუმურდოსა და დანკალს შორის, ჩანკალიდან ჩრდ. – აღმოსავ. ორი კმ. მანძილზე. ნასოფლარის ახლოს 1942 წ. აგვისტოში იპოვეს ქვის სტელა (ინახება კუმურდოს ტაძრის ეზოში), რომელსაც აქეს სამი ძველი ასომთავრული წარწერა: 881/896 წწ. შენირვის აქტი გურგენ კურაპალატის ძისა კუმურდოს ტაძრისადმი: „ძემან გურგენ კურაპალატისამან შესწირა არეშატი საყდარსა კუმურდოჲსა სალიდებლად (ლაპ. წარ., I, 111). X ს. მოსახსენებელი მლოცველებისა (ქრისტე, შეიწყალე გიორგი... ნათანელ და გიორგი და სხვ. იქვე, 11-12).

არიანელობა – ქრისტიანულ ეკლესიაში წარმოშობილი მწვალებლობა IV ს. I ნახევარში, რომლის ფუძემდებელი იყო ალექსანდრიელი ხუცესი არიოზი (აქედან მწვალებლობის სახელწოდება). მან დაახლ. 318 წელს, წინააღმდეგ ქრისტიანული დოგმისა, რომლის მიხედვით ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის თანაარსია, განაცთარა მოძღვრება, რომ ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად და იგი შემდეგ არის შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში, რომელიც ერთ-

სა და იმავე დროს ღმერთიც არის და კაციც, არიოზის მოძღვრების თანახმად, ჭარბობს ადამიანურობა (ე. ი. ნახევარღმერთია). არიანულმა მოძღვრებამ დიდი განხეთქილება შეიტანა როგორც ქრისტიანულ წრეებში, ისე მაშინდელ ბიზანტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული სოციალურ მოძრაობასა და რომის იმპერიის ორბიტაში მოქცეული პროვინციების პოლიტიკურ ბრძოლასთან. 320 წ. ალექსანდრიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ დაგმო არიანელობა, მაგრამ მას მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა ნაწილმა. კონსტანტინე დიდის ინიციატივით მოწვეულმა ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წ. არიანელობა მწვალებლობად გამოაცხადა და სპეციალურად ჩამოაყალიბა რწმენის სიმბოლო, რომელიც აღიარებს იე ღმერთისას მამა ღმერთთან ერთარსობას. მიუხედავად ნიკეის კრების დადგენილებისა არიოზისა და მისი მოშრეების წინააღმდეგ და მათი ეკლესიიდან განკვეთისა, არიანელობა ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა: იარსება VI ს-მდე. კონსტანტინე დიდის მემკვიდრე – კონსტანტინ არიანელთა მხარე დაიჭირა და გაჩაღდა არიოზის მოძღვრების მოწინააღმდეგეთა დევნა. განსაკუთრებული რისხვისები განიცადა არიანელობის დაუნდობელმა მოწინააღმდეგემ ათანასე ალექსანდრიელმა, რომელიც 5-ჯერ იყო განდევნილი საეპისკოპოსო კათედრიდან არიანელთა მიერ. ბოლოს არიოზი ქონსტანტინოპოლიდან (ალირიიდან) დაბრუნეს, მაგრამ ეკლესიაში მიღების წინ, 336 წ. იგი გარდაიცვალა. არიანელები ეკლესიას გამოეცნენ და დამოუკიდებელი კრებები მოიწვიეს (344 წ. ანტიოქიაში, 345 წ. მედიოლანში, 351 წ. სირმიაში). 353 წ. არიანელობამ დიდი გავრცელება ჰპოვა კონსტანტი იმპერატორის მფარველობის წყალობით. კონსტანტის გარდაცვალების (361 წ.) შემდეგ არიანელობამ თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა და ძალაუფლება. კონსტანტინოპოლის 381 წ. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაგმო არიანელობა. იგი VI საუკუნისათვის თითქმის არაგითარ ძალას აღარ წარმოადგენდა (ყველაზე დიდხანს არიანელობა შეინარჩუნა ლონგობარდებში – VII ს-მდე. არიანელობის სახესხვაობაა XVIII ს. პოლონეთში გავრცელებული სოცინიანობა).

არიელი // არიილი // არიილი (ებრ.) – ბიბლიური სიტყვა, რომელიც ნახმარია სხვადასხვა მნიშვნელობით. ეზეკიელის წინასწარმეტყველების წიგნში ის იხმარება იმ ტაძრის სამსხვერპლოს მნიშვნელობით, რომელიც ღმერთმა თავის გამოცხადებით აღუწერა ეზეკიელს და აუწყა მისი ზომები: „არიელი წყრთათა ოთხთა და არიელთაგან ზედა კერძო რქათა წყრთაჲ და არიელისა წყრთათა ათორმეტთაჲ... (ეზეკ. 43, 15-16). ბიბლიის ამ ადგილის მიხედვით, სახას ლექსიკონში ეკითხულობთ: „არილი დასასვენებელი სწირდეთანი" და მოტანილია ციტატა ეზეკიელის წიგნიდან. ესაია წინასწარმეტყველების წიგნში სამჯერ იხსენიება ეს სიტყვა, მაგრამ იგი აქ იერუსალიმის სინონიმის მნიშვნელობით იხმარება (ან მისი პოეტური სახელია) (იხ. Websters new International Kictionary, 1945, s. 147) : „ეაჲ ქალაქსა არიელსა, რომელსა დავით ებრძოდა (29,1); „რამეთუ ეაჭირვო არიელსა..." (29,2); „რაჟდენთა იერუსალიმსა ზედა" (29,7; აქ ბერძნულ ბიბლიაში [და რუსულშიც] ისევ Αρ(η)λ, Ариил იხმარება. ამ ორი მონაცემის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არიელი არის ებრაული სახელწოდება სწირდეთა შესანახი კოლოფისა, რომელსაც ქრისტიანულ ეკლესიაში „ციბორიონი" ეწოდება და რომელიც წმ. ზიარების ნაწილები ინახება. კიდობანს ზოგჯერ „სიონი" ან „იერუსალიმიც" ეწოდება, რადგანაც მას ჩვენებრივ კუბოს (ქრისტეს კუბოს) ფორმა კი არა აქვს, არამედ ტაძრისა.

არისტარხოს – ერთი სამოციდათ მოციქულთაგანი, რომელიც ასურეთის პამიის ეპისკოპოსი გახდა. ქადაგება მაკედონიაში ერთად. მასთან ერთად აღესრულა მოწამებრივად 67 წელს რომში, ნერონის (54-68) მეფობის დროს. მოხსენებულია კოლას. 4,10-ში.

ქართულად თარგმნილია ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც არისტარხოს და მასთან ერთად პოლი და ტროფიმე მოციქულების „წამებას" შეიცავს (ბრიტ. მუზ. Addit., 1890,4. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, თბ., 1957, 121). ხსენების დღე – 15 აპრილი.

არისტოტელიზმი – არისტოტელეს (ძვ. წელთაღრ. 384-322) ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების აღიარება ამა თუ იმ სახით. აღმოსაელურ სქოლასტიკაში არისტოტელიზმი ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკასთან ერთად გავრცელდა, დასავლეთში კი ერთპიროვნულად გაბატონდა XIII ს-დან, რასაც დიდად შეუწყვეს ხელი ალბერტ დიდმა და თომა აკვინელმა. საქართველოში არისტოტელიზმის გავლენა III ს-დან (კლისთის სკოლა) დასტურდება და აპოგეას აღწევს XI-XII სს-ში. ითარგმნება არ-

ისტორიკოსი და მისი განმარტებლების (პორფირი, ამონიოს ერმისი) თხზულებები, კრიტიკულად განიხილავენ და სწავლობენ არისტოტელეს მოძღვრებას (იოანე პეტრიწი), არისტოტელიზმი აისახა ლიტერატურაშიც (ჩახრუხაძე).

არკადი (ბერძნ. „მწყემსი") — V ს. მონაზონი. არკადი და მისი ძმა იოანე იყვნენ წარჩინებული კონსტანტინეპოლელი მოქალაქენი — ქსენოფონტესა და მარიამის შვილები. მშობლებმა გადაწყვიტეს შვილებისათვის კარგი განათლება მიეცათ და ისინი სასწაულებლად გაგზავნეს ფინიკიის ქალაქ ბეირუთში. ხომალდმა კატასტროფა განიცადა და ძმები ტალღებმა ნაპირზე სხვადასხვა ადგილას გამორიყა. არკადიმ და იოანემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (ღვთის განგებით) მონაზვნობა გადაწყვიტეს. მშობლები დიდხანს ელოდნენ ცნობას შვილების შესახებ და ბოლოს იმედი გადაეწურათ, რომ მათ ცოცხლებს იხილავდნენ. მოხუცებული მშობლები ქსენოფონტე და მარიამი წმინდა ადგილების მოსალოცად წავიდნენ და იერუსალიმში თავიანთ შვილებს შეხვდნენ, რომლებიც სხვადასხვა მონასტრებში იყვნენ აღკეცილნი მონაზვნებად. გახარებულმა მშობლებმა ცხოვრების დარჩენილი დრო ღმერთს შესწირეს და მონაზვნობა მიიღეს, ხოლო არკადი და იოანე გამოემშვიდობნენ მშობლებს და უდაბნოში გაეშურნენ, სადაც ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ გაითქვეს სახელი სასწაულმოქმედებისა მაღლით. ასევე ქსენოფონტე და მარიამიც მდუმარებით და ჯაკრი მარხვით დაეუფლნენ და სასწაულმოქმედის ნიჭი მოიპოვეს. ქსენოფონტეს, არკადისა და იოანეს მეტაფრასული რედაქციის „ცხოვრება" ქართულად თარგმნილია ბერძნულიდან და ერთი ხელნაწერით (A 79, 827-857) არის შემონახული. მათი ხსენების დღე 26 იანვარია.

არკადი კვიპარელი — VII ს. I ნახ კვიპრის მთავარეპისკოპოსი (630-638) და საეკლესიო მწერალი. მისი თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სჳმეონ მესუეტისაჲ" († 596), რომელიც გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ: კიმენი I, 1918, 215-340. რამდენიმე ქართული ხელნაწერის (A 105; A 177; Jer. 26, XII-XIII; Sin. 73) (978 წ.) მიხედვით. თხზულება, როგორც ფიქრობენ, დაახლ. VIII ს. უნდა იყოს თარგმნილი ქართულად. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის შაჰ მთაზე მოღვაწე ქართველ მონაზონთა შესახებ.

არმაზი — ქართლის უმთავრესი წარმართული ღვთაება. არმაზის კულტი ქართლში ძვ. წელთაღრიცხვის IV ს-დან გარცელდა მას შემდეგ, რაც პირველმა ქართლოსიანთა მეფემ ფარნავაზმა თავისი სახელობის კერპი („რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა") გამოაცხადა სამეფოს უზენაეს ღმერთად და „აღმართა კერპი იგი არმაზი თაყს ზედა ქართლისასა და მიერითგან ეწოდა არმაზ კერპისა მისთჳს" („ქართ. ცხ., I, გე. 25). ისტ. წყაროთა ჩვენებით, არმაზის კერპი მცხეთაში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მთაზე იდგა. ტრადიცია არმაზს ცეცხლთაყვანისმცემელთა ღმერთს „ითრუშან" — „ითრუჯან" (ფალ. „ატრუშანს") უპირისპირებს. „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოველადე მტერ არიან" (იქვე, გე. 191-92). გაერცელებული თვალსაზრისით, არმაზი ხეთურ-ნესიტური წარმოშობისაა. იგი მთვარის ღვთაების უძველესი სახელიდან (არმა) მომდინარეობს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს"-ს თხრობით, რაც შემდეგ განმეორებულია ნინოს „ცხოვრების" სხვა რედაქციებშიც, ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად არმაზის კერპი სხვა კერპებთან ერთად წმინდა ნინომ დალეწა იესო ქრისტეს სახელით.

არმაზი (მცხეთისა) — სამონასტრო კომპლექსი მცხეთიდან 1,5 კმ-ზე, არმაზისხევში. მთავარი ნაგებობა არის დარბაზული ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახითღა მოაღწია. ეგვტერის კარისთავის ასომთავრული წარწერის მიხედვით, ეკლესია აშენებულია 1150-78 წწ. შორის. დასაელეთიდან მას ეკვრის შეისრულთაღიანი კარიბჭე, ჩრდილოეთის მხარეს ეგვტერი და მცირე ზომის საძვალის მსგავსი სადგომია. კომპლექსი ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. ეკლესიასა და კარიბჭეში შემორჩენილია XII ს. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ეკლესიის დასაელეთით მდებარე სამრეკლო XVII-XVIII სს. განეკუთვნება. აქვეა შუა საუკ. გალავნისა და სენაკების ნანგრევები. არმაზის ხეში, რომელიც ძველი მცხეთის ერთ-ერთი უბანი იყო და ქართლის მეფე — ერისთავების (პიტიახშების) რეზიდენციას წარმოადგენდა, სხვა უძველეს და უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად 1940 წ. აღმოჩნდა ორენოვანი ეპიტაფია, რომლის ერთი ტექსტი ბერძნულადაა ნაწერი, მეორე არამეულად. ტექსტი გაშიფრა გ. წერეთელმა (1941 წ.). ეპიტაფია, რომელიც „არმაზის ბილინგვის" სახელითაა ცნობილი, ნათელს ჰფენს პირველი საუკუნეების საქართვე-

ლოს პოლიტიკური და კულტურული ისტორიის ბევრ საკითხს.

არმაზი (ძველისა) – სოფელი ახალგორის რაიონში, ს.ს.ო. ლეხურის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 14 კმ. სოფლის მახლობლად, ქნის ხეობაში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, აგებული 864 წ. ძირითადი სიერცე გადახურულია ოთხ თაისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. გუმბათს ყელი არა აქვს და გარედან მოკეცულია ორფერდა სახურავის ქვეშ. ეკლესიის კედლები და კამარები ქვაყორცხია, კონქის თაღი, გუმბათი, ბურჯები და დეტალები – შირიმისა. შემორჩენილია IX ს. მოხატულობა, კანკელი და ლაპიდარული წარწერა.

„არმათიონი“ – წმ. გიორგის ეკლესია სოფ. ზემო მაჩხაანში იხ. მაჩხაანი.

არმენაკი – ტილოს ქსოვილი, იგივე „არდაგი“ (იხ.), ან „სინდონი“, რომელიც მიცვალებულთა სუდარად გამოიყენება: „და მიიღო გუამი იგი მისი (ქრისტესი) იოსებ და წარპკრაგნა იგი არმენაკსა წმიდასა და დასდვა იგი ახალსა საფლავსა“ (მათე 27,59).

არნონის უდაბნო – ასკეტთა სამოღვაწეო ადგილი იერუსალიმის ახლოს. არნონის უდაბნოში დასხდ. 1061 წ. წაყვა სამოღვაწეოდ პროხორე ქართველი მას შემდეგ, რაც მან ჯვარის ქართველთა მონასტრის მშენებლობა და კეთილმოწყობა დაამთავრა, და იქვე გარდაიცვალა 5 წლის მოღვაწეობის შემდეგ (1066 წ.), როგორც ამას მის სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ ეკითხულობთ: „...და ამისა შემდგომად წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს... და შემდგომად მცირედისა ჟამისა... ცხორებისა ამისგან განვიდა“ (ძეგლები, IV, 346) XI ს. შუა წლებში არნონის უდაბნოში შეასწა მთაზე (ტრანსიორდანია) გაბრიელ თბილელს დაუარსებია ქართული სავანე, სადაც იოანეს დაუმზადებია ნათარგმნი პაგიოგრაფიული ძეგლების კრებული (Jer. 50).

არონ // პაარონ დეკანოზი (ალ-ძსი-ვესხოშვილი) – XVIII-XIX სს. საეკლესიო მოღვაწე და გადამწერი. არონ დეკანოზი ახლდა ანტონ II კათოლიკოს-პატრიარქს მისი რუსეთში მოღვაწეობის პერიოდში. მას 1825 წ. ლისკოვში (ტრაკის ოლქი) გადაუწერია სამოელ რუბინ იუდიანის „ოქროს ალბაქსი“ (S 326-ა), სხილო 1817 წ. იქვე გადაუწერია „ანტიქრისტეს“ მოსვლისა და ამა სოფლის აღსრულებისა“ (A 1581) და სხვ. მას იხსენიებს იოანე ბატონიშვილი „ცალმსახურში“ (ტ. I, 268, კ. კეკელიძის გამოცემა).

არსენიას – ადგილი სინის მთის ახლოს, სადაც ზოგიერთი წყაროს ჩვენებით, VI ს. ცხოვრობდნენ და ასკეტურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი ბერი მიქაელი და მისი მოწაფე ევსტათი (П. Успенский, Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году.1856, 116-117).

არსენი († 448) – ბიზანტიის ეკლესიის მოღვაწე, მწერალი, აღმზრდელი იმპერატორ თეოდოსი მცირის შვილებისა, შემდეგ სკიტის უდაბნოს მოღვაწე. ქართულად თარგმნილია მისი ერთი ეპისტოლე: „სანატრელთა მაგათ და საყუარელთა ძმათა, რომელთა ეგე აღირჩიეთ ანგელოზებრივი ცხორება“ (Sin. 25, X ს; Sin. 35, 907 წ.). გამოსცა ჟ. გარიტმა: Le Muséon, LXVIII, 3-4, 1955, 259-278.

არსენი – IX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც (მიქაელთან ერთად) ოლიმპოს მთაზე (ბითვინიაში) პირველი ქართული მონასტერი დაუარსებია, როგორც ეს დადასტურებულია იერუსალიმში გადაწერილ ერთ XI ს. ქართულ ხელნაწერში (Jer. 24-25): „ამასვე დღესა (3 მაისს) კსენებაჲ წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენისი, რომელთა აღაშენეს ულუბოლია“. ეს ფაქტი წინ უსწრებს ილარიონ ქართველის მოღვაწეობას (864-69) ულუბოს მთაზე. არსენს (ასევე მიქაელთან ერთად) იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოუტანია სერგი იერუსალიმის პატრიარქისა (843-859) და საეკლესიო კრების გადაწყვეტილება მირონის მცხეთაში დამზადების ნებართვის შესახებ (მანამდე გამზადებული მირონი ჩამოასხამდათ იერუსალიმიდან): „იერუსალიმით მოიღეს მცხეთას მიპრონის კურთხეჲსა ბრძანებითა კრებისაჲთა და სერგი იერუსალიმის პატრიარქისაჲთა“ – (Jer. 24-25) ეს ცნობა განმეორებულია Jer. 80 (XIII-XIII სს.) სვინაქსარის ერთ-ერთ მინაწერში 3 მაისის დღეზე. ზოგიერთი მკვლევარი (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 350) ფიქრობს, რომ ეს არსენი არის გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, რომელიც ხანცთიდან ეწვია პალესტინას, სადაც მაკარი ლეთეულთან ერთად მოღვაწეობდა და იქიდან წერილიც გამოუგზავნა თავის მოძღვარს. (იხ. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ძეგლები, I, 302-303), შემდეგ მცირე ანაზომი გადაეცა და ოლიმპის მთაზე დასახლდა.

არსენი – XIV ს. ქართველი მხატვარი. 1381 წ. მოხატა ჭულის ეკლესია (ადიგენთან), რასაც ადასტურებს ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთის ბოძზე საღებავებით შესრულებული წარ-

წერა: „შეწევნითა ღმრთისაჲთა და წმიდისა გიორგი ჭელისაჲთა სრულ იქმნა ეკლესიაჲ ესე ჭელისაჲ ხატებითა კელითა მხატურისა არსენისით“. მხატვრობა დაზიანებულია და მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ფრესკები ასახავენ ძველი და ახალი აღთქმის ძირითად სიუჟეტებს, წმ. გიორგის ცხოვრების ეპიზოდებს (რადგან ეკლესია წმ. გიორგისია). სამხრეთის კედელზე გამოხატულია სამცხის ათაბაგთა პორტრეტები.

არსენი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. მანგლისის მთავარეპისკოპოსი, იხსენიება XIII ს. II ნახევრის რამდენიმე საბუთში, როგორც მოწმე. (ქრონიკ. II, 102, 143, 149).

2. აფხაზეთის კათოლიკოსი, რომელიც 1390 წელს დასვეს ამ კათედრაზე (ქართ. ცხ. IV, 803, 26, ქრონიკ. II, 181).

3. ალავერდის ეპისკოპოსი (გვარად ავალიშვილი), ეპისკოპოსობამდე (1630 წ.) საფარის მონასტრის წინამძღვარი. თურქთა მომძლავრების შედეგად დაუტოვებია საფარა და კახეთს გადმოსულა. მალე იგი ალავერდის ეპისკოპოსი გამხდარა (საქ. სიძე. III, 538, 547).

4. ნინოწმიდის ეპისკოპოსი, რომელიც ამტკიცებს და ხელს აწერს დაეითგარეჯის მონასტრის რიგის 1690 წ. განწესებას (სამ. ძეგლ. III, 597, საბ. Ad 349).

5. მანგლისის ეპისკოპოსი XVIII ს. II ნახევარში. იგი იხსენიება მანგლისის ტაძრის გალავანში ჩატანებულ წარწერაში: „ღმერთო, შეიწყალე ამისი აშენებელი მანგლელი ეფისკოპოზი არსენი ოსტატი“ (1667 წ.). არსენი გალავნის კარიბჭის აშენებელი უნდა იყოს (Е. Такаишвили, Арх. экскурсии, разыскания и заметки, IV, 1913, с. 140).

6. მანგლისის ეპისკოპოსი (დოლენჯისშვილი), იხსენიება მის მიერ 1713 წ. 29/III გაცემულ სითარხნის წიგნში და 1721 წ. წყალობის წიგნში (სამ. ძეგლ. III, 693-94; 701 საბ. Ad 696; Ad 1578). არსენი უნდა იყოს 1732 წ. გადაწერილი კრებულის (ლიტ. მუზ. აღწერ. I, „ლიტერატ. მატიანე“, წგ. 5, ნაკვ. II, 1949, 20) დამკვეთი, რომელიც მანგლელ-წილკნელ-თბილელად მოიხსენიება, ე. ი. იგი ამ დროს სამივე კათედრას განაგებდა.

7. მთავარეპისკოპოსი სამთავროსი და მიტროპოლიტი გორისა, ამტკიცებს 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებებს (Q 418), ხოლო მანამდე 1742 წ. 20/VI მოწმეა პირობის წიგნისა ანტონ I კათოლიკოსისადმი (სამართლის ძეგლ. V, 805, გვ. 70).

არსენი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ხანცთის მონასტრის წინამძღვარი X ს. I ნახევარში. მისი წინამძღვრობის დროს აშოტ ერისთავთ-ერისთავის (896-918) შემწეობით დაიწყო ხანცთის ახალი ეკლესიის მშენებლობა „ფიცხელსა კლდესა მას ზედა“ (ძეგლები, I, 277, 5), რომელსაც ხელმძღვანელობდა ამონა.

2. გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, რომელიც იერუსალიმიდან ეპისტოლეს უგზავნის თავის მოძღვარს (ძეგლები, I, 302-303), ე. ი. IX ს. მოღვაწე.

3. ათონის ივერთა მონასტრის ბერი XI ს. I ნახევარში, რომელიც ეროვნებით სომეხი ყოფილა, მოსულა ათონს და მონათლულა არსენის სახელით. ერისკაცობაში კვიპრელად იწოდებოდა და ყოფილა ჯოჯიკის (სამცხის დიდი მთავრის) მეგობარ-თანამეუღლეც. მას დიდი შესაწირავი მიუძღვნია მონასტრისათვის (ძეგლ. II, 80).

4. კლარჯეთის წყაროსთავის მონასტრის X ს. ბოლოს და XI ს. დასაწყისის საეკლესიო მოღვაწე, სულიერი მამა პროხორესი (გიორგი პროხორე), ჯვარის მონასტრის აღმშენებლისა და პირველი წინამძღვრისა, როდესაც იგი წყაროსთავის მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად: „დაეშოწაჲა მოძღუარსა სულიერსა, რომელსა ეწოდა არსენ და მის მიერ შეიმოსა სახე მონაზონობისა“ (ძეგლ. 345,15).

5. ჯვარის ქართული მონასტრის XI ს. შუა წლების მონაზონი, მონასტრის მაშენებლის, პროხორეს სულიერი შვილი (ქრონ. I, 178,11).

6. XI ს. შუა წლების აწყურის ეპისკოპოსი, ძე ბოცო ჯაყელისა, მაწყვერელად მოხსენიებული 1043 წ.: „დაიწერა... აწყურისასა... მოძღურებასა არსენი ეპისკოპოსისა ბოცოჲს მარზპანისა ჯაყელისა ძისა. ქრონიკონი იყო საგ (263) (ქრონიკ. I, გვ. 183).

7. ათონის ქართველთა წინამძღვარი გრიგოლ ათონელის შემდეგ, XI ს. I ნახევარში (1034 წ. ახლოს). მას დიდი აქტიურობა გამოუჩენია ბერძენთა მიერ მონასტრის დასაკუთრების მცდელობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გრიგოლის წინამძღვრობაში: „კაცი მარჯუე და სავსე გონიერებითა“, რომელმაც „არა შეიწყალა თავი თჳსი... მრავალი შრომით დაითმინა, საპყრობილედ შეწყუდეაჲ და კიცხეაჲ და ბასრობაჲ“, ხოლო თავისი მამობის პერიოდში მიაღწია იმას, რომ მიხეილ IV-მ, ბიზანტიის იმპერატორმა,

„ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიაჲ და მონასტერი ყოლითურთ მონაგებით და სიდიდრით" ქართველებს დაუმკვიდრა (ძეგლები, II, 93-94).

8. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახ., გიორგი ოლთისარის შემდეგ. არსენი, ერისკაცობაში ფარსმან ჩორჩანელი, იყო ძმა სამცხის დიდებულისა – გიორგი ჩორჩანელისა. ჯერ კიდევ ერისკაცობაში იგი დიდ დახმარებას უწევდა ათონის ქართველთა მონასტერს მაშინ, როცა ამ უკანასკნელს დიდი გაჭირვების ჟამი ედგა გრიგოლისა და არსენის წინამძღვრობის დროს (1034-1040-იანი წწ.) ბერძნების შემოტევებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ქართველებისათვის მონასტერი წაერთმიათ. შემდეგ იგი ბერად შემდგარა არსენის სახელით და 1054 წ. გიორგი ათონელის მოწაფედ ჩანს. თავი გამოუჩენია წინამძღვრობის დროს – დიდი განძი შეუწირავს ეკლესიისათვის (ე. მეტრეველი, ათონის ქართვ. მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 163, აღაპი 110).

9. ათონის იერარის მონასტრის XI ს. მონაზონი. მისთვის დადებულია აღაპი ნოემბრის 25-ს (გარდაცვალების შემდეგ ეკლესიისათვის დაუტოვებია 32 დუკატი).

10. მღდელმონაზონი, ქაიხოსრო სახლთუხუცესის შვილი (ბარათაშვილი). 1664 წელს იგი სწერს დიმენტი კათოლიკოსს: „ეშმაკმან მაცთუნა და მღდელ-მონაზონისაგან ერისკაცად შევიქენ... გაგუწყვრით. იმ ქელად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობრძანდა და მისის შუამდგომლობით... შეგვრიგეთ და შენდობა გუბოძეთ... ქრნკ. ტწბ (= 1664 წ.) აგვისტოსა გ(3).

11. არქიმანდრიტი (ბარათაშვილი), ანტონ I-ის თანამედროვე. ანტონი მას ახსენებს „შუამეტყველების" ანდერძში, 1752 წ. (ქრონ. III, 223).

12. ჯუარის ქართული მონასტრის წინამძღვარი არსენიოსი XVIII ს. შუა წლებში, იხსენიება 1786 წ. საბუთში (სამართ. ძეგლ. V, 319-320), რომელშიც იგი წინა პერიოდის წინამძღვრადაა დასახელებული (ანტონი, განჩინების აუტორი, ხოლო უფრო ადრე კი – არსენიოსი). იგივე არსენიოსი ჯუარის მამა უნდა იყოს დასახელებულ ერთ საბუთში, რომელიც გამოცემაში (სამ. ძეგლ. VI, 270) XVIII-XIX სს-ით არის დათარიღებული.

13. შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი არსენიოსი. 1814 წ. 1/VIII მაშია გურიელს მისი დედის სულის „მწირველად და მომკსენებლად" დაუდგენია „მისი მაღალი ღირსება უფალი წინამძღვარი არსენიოსი (შეწირულების წიგნი მაშია გურიელისა შემოქმედის ეკლესიისადმი, სამართ. ძეგლ. VI, 735-378).

არსენი – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის სახელი.

1. ათონის იერთა მონასტრის ბერი, არსენი გოლგოფა, კალიგრაფ-გადამწერი. გიორგი მთაწმიდელის წინამძღვრობის დროს 1047 წ. გადაუწერია (იაკობ და იოანე ხარტულარებთან ერთად) ისაკ განმორებულის თხზულებათა ერთიანი სეული თარგმანის კრებული (A 1101, XI ს.).

2. იერუსალიმის საბას ლავრის IX-X სს. ქართველი მოღვაწე, რომელსაც 907 წ. დაუშვადებია ჩვენთვის დღეს უცნობი ხელნაწერი, რომლის ერთი ფურცელი ნ. მარმა იპოვა სხვა ხელნაწერში (კრებები II, 35).

3. კალიგრაფი XII ს., რომელსაც გადაუწერია ოთხთავი (H 1707), რომლის ანდერძში ნათქვამია: „ადიდე და დაიცევ ყოველთაგან ენებათა სულიერთა და კორციელთა ვარდან აღლეველი... რომელმან... აღმაწერია წმიდაჲ ესე ოთხთავი მღიცელსა მათსა უნდოსა არსენის" (აღწ. H IV, გვ. 136).

4. კალიგრაფი XI ს. I ნახევრისა, რომელსაც ზაქარია მირდატის ძესა და ბასილთან ერთად გადაუწერია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (A 92): „დაწერა კელითა ზაქარიაჲსითა, არსენისითა და ბასილისითა (გვ. 361).

5. ჯუარის ქართული მონასტრის კანდელაკი, მღვიმის ყოფილი მოძღვარი, რომელსაც კაპათას მონასტრის წიგნსაცავის ერთი ხელნაწერი შეუკაზმავს „კელითა მესხისა მონაზონისა მღვიმის მოძღურისა და ჯუარისა კანდელაკისა არსენისითა" (ნ. მარი, Христ. Восток, I, 1, 1922, გვ. 120, შენ. 2).

არსენ I, დიდი, საფარელი – IX ს. (დახლ. 820/830-877/877 წწ.) ქართლის კათოლიკოსი და საეკლესიო მწერალი; ძე სამცხის დიდი ფეოდალის – მირიანისა. 6 წლის ასაკში იგი ბანქთის მონასტერში მიიყვანეს გრიგოლ ხანცთელის მოწაფეებმა თეოდორემ და ქრისტეფორემ, სადაც მან კარგი განათლება მიიღო. სრულიად ახალგაზრდა არსენი ქართლის კათოლიკოსად აკურთხეს (მამამისის დაჟინებული მცდელობით), რამაც საეკლესიო წრეებში უკმაყოფილება გამოწვია. ქართლის ეპისკოპოსებმა, რომელთა მხარე გუარამ მამფალმაც დაიჭირა, საეკლესიო კრება მოიწვიეს და „მძლავრობით" დადგენილი კათოლიკოსის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მხოლოდ გრიგოლ ხანცთელის მხარდაჭ-

ერის გამო გამხდარა იძულებული საეკლესიო კრება, არსენი კათოლიკოსად დაემტკიცებინა. არსენმა თავისი გამორჩეული მწყემსმთავრობითა და საეკლესიო-სამწერლო მოღვაწეობით „დიდის“ ზედწოდება დაიმსახურა. მას, ზოგი მკვლევარის აზრით, მიეწერება სარწმუნოებრივ-პოლემიკური თხზულება: „განყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა“ (გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1980 წ.), რომელიც მიზნად ისახავს ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი განხეთქილების (VII ს.) ისტორიულ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-დოგმატიკური მიზეზების გარკვევას (ზოგი მკვლევარი ამ თხზულების ავტორად არსენ II კათოლიკოსს მიიჩნევს, სხვანი – არსენ იყალთოელს). არსენ დიდსვე მიეწერება ახობის ნეკრესელის „წამების“ მოკლე (უძველესი) რედაქცია.

არსენ II კათოლიკოსი – X ს. ქართლის კათოლიკოსი (დაახლ. 955-980 წწ.) და საეკლესიო მწერალი. მას აღუწერია ასურელ მამათა – იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და დაით გარეჯელის „ცხოვრებათა“ უძველესი, მოკლე რედაქციები, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „არქეტიპი“ ეწოდებათ. არის მოსაზრება, რომ მას დაუწერია იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრების“ ერთი მთლიანი თხზულება, რომელიც აერთიანებდა ქსენსათაურებით გამოყოფილ იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დაით გარეჯელის „ცხოვრებების“ მოკლე რედაქციებს და ახობი ნეკრესელის „წამების“ ვრცელ რედაქციას (ე. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, მაცნე ენისა და ლიტ. სერია, 1982, № 4).

არსენ III კათოლიკოსი (1218-1227 წწ.) – კათოლიკოსობიდან გადამდგარა და უბრალო ბერად შემდგარა შიომღვიმის მონასტერში. მას განუსაზღვრა დაჳით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (ქრონიკ. II, 94-96), ხოლო 1227-1230 წწ. დაწერილ სიგელში ის უკვე შიომღვიმის ბერია (ქრონიკ. II, 97).

არსენ კათოლიკოსი (ბულმაისიმის ძე) – XIII ს. I ნახევრის საქართველოს კათოლიკოსი, მწერალი-ჰიმნოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე. მწერლობის ისტორიაში ცნობილია ბულმაისიმის ძის გვარით. ჯალალედინისა და მონღოლების შემოსევების დროს სხვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად იღვწოდა საქართველოს სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისათვის. არსენი უმთავრესად ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს ქმნიდა. ცნობილია მისი საგალობელი, რომელიც ეძღვნება ანტონ მარტომყოფელის მიერ საქართველოში მცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ასლის ჩამოტანას და აღითხებოდა ეკლესიაში 16 აგვისტოს. ეს საგალობელი შეიცავს პირველ, შედარებით დაწერილებით ცნობებს ანტონ მარტომყოფელის შესახებ (A 85, 287-302). არსენს გაუგრძელებია იოანე პეტრიწის მიერ დაწყებული ქრისტეფორე მიტქველების გალექსილი სინანქარის მიბაძვით დაწერილი იამბიკური სვინაქსარი და გალექსილა ოთხი თქე – თებერვალი – მაისი (სექტემბერ-ნაკარი პეტრიწმა გალექსა; A 85; 233-245). არსენს გელათიდან ახასიათო ეპისტოლე მიუწერია აბუსერძისათვის, რომელსაც უთხოვია მისთვის ხატის საგალობლის დაწერა (A 85, 302-303). არსენ ბულმაისიმისძის დაწერილი უნდა იყოს შიო მღვიმელის (H 1349, A 385) და წმ. ნინოს საგალობლები (H 1349, გამოც.: ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია I, 388-390). შესაძლებელია, მას ეკუთვნოდეს შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრებაც“ (H 1349, გამოც.: ძეგლ. IV, გვ. 366-368).

არსენ V – ქართლის კათოლიკოსი (1245-1250 წწ.). მას განუსაზღვრა წყალობის წიგნი, დაწერილი მიქელ კათოლიკოსის მიერ 1241 წ. ასევე 1241-42 წ. დაწერილი წყალობის წიგნი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა; დოკუმენტაციით აგრეთვე საეკლესიო კრების განჩინება შიომღვიმის შეუვალობის შესახებ (იხ. სამართ. ძეგლ. III,160).

არსენ ბერი – ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კ. კეკელიძის მიერ დამკვიდრებული ტრადიციით, XI ს. II ნახევრისა და XII ს. I ნახევრის საქართველოს საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, დაჳით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი. მოღვაწეობდა შიომღვიმის ლავრაში. ლავრის აშენება-განახლება არსენ ბერის ზედამხედველობით მოშხდარა. მასვე დაუდგენია ლავრისათვის სამონასტრო წესი და განგება იერუსალიმის საბას ლავრის ტიპიკონის მიხედვით, რომელიც თვითონ უთარგმნია. არსენ ბერის კალამს რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი თხზულება ეკუთვნის: დაჳით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ხოტბა „მეფესა დაჳითს მონაზონი არსენი“, რომელიც შესულია მის მიერ შედგენილ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1105 წ.) „ძეგლისწერაში“. მას შეუდგენია დაჳით აღმაშენებლის ორი ანდერძი (1123 და 1125 წ.), დაუწერია წმ. ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, უთარგმნია (მესამედ) ანდრია

კრიტელის „დიდი კანონი“. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, მას უნდა დაეწერა დავით აღმაშენებლის ისტორიაც: „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“. ბოლო ხანების სამეცნიერო ლიტერატურაში არსენ ბერი არსენ იყალთოელთან არის გაიგივებული (იხ. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, თბ., 1978; ივ. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978).

არსენ თბილელი (1757-1813 წწ.) – თბილისის მიტროპოლიტი ბაგრატიონთა გვარიდან, უკანასკნელი თბილელი მიტროპოლიტი, ბაღდულა-ბეგის, იგივე არჩილის (იესე ქართლის მეფის უკანონო შვილი) ძე. წყაროებში იხსენიება ნაიბაძის გვარითაც, რადგან მამამისი ერთ დროს ქართლის ნაიბი (გამგე) იყო. არსენი ახალგაზრდობაშივე დაქვრივდა და მონაზვნად აღიკვეცა. პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იძულებული გახდა იმერეთში გადახვეწილიყო. დიდხანს მოღვაწეობდა კაცხის მონასტერში წინამძღვრად, შემდეგ ნიკოზის საეპისკოპოსო კათედრაზე აიყვანეს. მოუხედავად ერეკლე II-ის უკმაყოფილებისა, ანტონ II-ის წარდგინებით თბილელ მიტროპოლიტად აკურთხეს. 1810 წელს რუსეთის მმართველობასთან კონფლიქტის გამო გადაასვენეს ეპისკოპოსობიდან. გარდაიცვალა 1813 წ. 30. XI., დაასაფლავეს სიონში, მიტროპოლიტის შესაფერისი პატივით.

არსენ იყალთოელი – XI ს. II ნახევარსა და XIII ს. I ნახევრის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ჰიმნოგრაფი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი. არსენი წარმოშობით იყალთოდან ყოფილა, როგორც ამას მისი ზედწოდება „იყალთოელი“ გვიჩვენებს. ამ ზედწოდებით მოიხსენიებს მას თავის ერთ-ერთ თხზულებაში მისი მოძღვარი, გამოჩენილი მწერალი ეფრემ მცირე (A 24, 138). არსენის მამის სახელი უნდა ყოფილიყო ვაჩე, როგორც ეს ჩანს არსენის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ“-ს ანდერძიდან: „ხოლო ითარგმნა არსენისაგან ვაჩეს ძისა“ (S 1463, 102).

არსენ იყალთოელის მოღვაწეობის პირველი ნახევარი დაკავშირებულია საზღვარგარეთის ქართულ კერებთან. მას განათლება უნდა მიეღო ბიზანტიაში, კერძოდ კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ აკადემიაში – მანგანის წმ. გიორგის მონასტერში და მთარგმნელობითი მოღვაწეობაც იქ უნდა დაეწყო. მისი მასწავლებლები უნდა ყოფილიყვნენ მიქაელ ფილოსოფოსი და იოანე ნომოფილაქსი. დაახლოებით 80-იან წლებიდან არსენ იყალთოელი შავი მთის კალაპოსის ქართული მონასტრის აქტიური მოღვაწეა. აქ იგი ეწევა ნაყოფიერ მთარგმნელობით-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. საფიქრებელია, რომ არსენი თავისი მოძღვრის – ეფრემ მცირის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა მანგანის მონასტერში, სადაც იგი ერთხანს მოღვაწეობდა, ხოლო XI ს. მიწურულში თუ XII ს. პირველ წლებში საქართველოში ჩამოვიდა და ცოტა მოგვიანებით გელათის აკადემიის მოღვაწე გახდა (გელათის მშენებლობა 1106 წ. დაიწყო). ტრადიციული ცნობის თანახმად, დავით აღმაშენებლის დახმარებით არსენ იყალთოელს იყალთოს მონასტერთან აკადემია დაუარსებია. ცხოვრების ბოლო წლებში არსენი შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა. არსენ იყალთოელმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც მოიცავს ძველი ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა დარგს: პაგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიას, ბიბლიოლოგიას, დოგმატიკას, ფილოსოფიას, კანონიკას და ლიტურგიკას. არსენმა შეადგინა კრებული „დოგმატიკონი“, რომელშიც გაერთიანა მის მიერ თარგმნილი ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-დოგმატიკური თხზულებანი: ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ (I და III ნაწილები) და მისივე რამდენიმე პოლემიკური ნაშრომი, თეოდორე ხარკოპოლელის პოლემიკური ეპისტოლენი, მიქაელ ფსელოსის „პირშობაჲსათჳს“, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტითატის, ლეონ ჰასის დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებები (სულ 52, იხ. S 1463, XII-XIII) მან თარგმნა უმნიშვნელოვანესი კანონიკური ძეგლი „დიდი სჯულისკანონი“, მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი სამართლებრივი კოდექსი (A 76, XII ს. გამოც. 1976 წ. თბილისი), გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“ (გამოც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1920), რამდენიმე პაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური თხზულება: „ცხორებაჲ ევგენიასი“ (ქუთ. 6,10-31); „წამებაჲ სამთა ალმასრებელთა: გურია, სამონა და ახბიმაი“ (S 384, 658-678); იოანე დამასკელის „სიტყუაჲ დიდისა შაბათისათჳს“ (ქუთ. 8, 313-328); საკუთარი იამბიკო (აკროსტიქული) დაურთო ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ სამოციქულოს (A 137, 482). მას აკუთვნებენ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას („კონ ნაჭარმაგევს მეფენი...“); მისი თარგმნილი უნდა იყოს „მცნება ბასილი დიდისა მღუდელთა მიმართ“ (A 1426, 72-75), რომლის ერთი რედაქცია გიორგი მთაწმიდელს უთარგმ-

ნია მანამდე. თუკი სარწმუნოდ მივიღებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამთქმულ აზრს, რომლის მიხედვით არსენ იყალთოელი და არსენ ბერი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაშინ არსენ იყალთოელის ლიტერატურული მემკვიდრეობა კიდევ უფრო გაიზრდება. იხ. არსენ ბერი.

არსენ კალიპოსელი – XI ს. II ნახევ. და XIII ს. I ნახ. შაქი მთის კალიპოსის მონასტრის ქართველ საეკლესიო მოღვაწე, ეფრემ მცირის უმცროსი თანამედროვე. მის შესახებ ცნობა დაცულია რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის" სინოდიკონში, რომლის მიხედვით ჩანს, რომ კრება მას მრავალი წლის სიცოცხლეს უსურვებს: „სჯულიერისა მღვდელისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა მრავალმაც არიან წელნი" (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა", 1978 წ., გვ. 195). მკვლევართა ერთი ნაწილი არსენ კალიპოსელს არსენ იყალთოელთან აიგივებს, რაც გასაგებს ხდის მის დიდ ავტორიტეტს დასახელებულ კრებაზე.

არსენ ნინოწმიდელი – X ს. II ნახევრისა და XI ს. დასაწყისის საეკლესიო მოღვაწე, იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების თანამედროვე და თანამოღვაწე ათონის ქართულ მონასტერში, მთარგმნელი და კალიგრაფი. მის შესახებ ცნობები დაუცავს გიორგი მთაწმიდელის თხზულებას „ცხორებაჲ იოანესი და ეფთუმესი" და გიორგი მცირის თხზულებას „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდლისაჲ" (ძეგლები, II).

არსენი ნინოწმიდის ეპისკოპოსი ყოფილა, „მაგრამ ღმრთისათჳს დაუტეხა ეპისკოპოსობაჲ და დაჯდა კურაპალატის წინაშე მოვიდა", რომელმაც „ლირსად სიწმიდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიასა (ჭოროხის ხეობაში) წარმოგზავნა". აქ შეხვდა და მთელი ცხოვრების მანძილზე დაუმეგობრდა იგი იოანე გრძელისძეს, რადგან ისინი „მყუდროებით ცხორებაჲ ერი იყოფებოდეს", „ჟამიზრახვა რათა წამოვიდენ უცხოსა ქუეყანასა", „წარვიდეს კერძოთა პონტოჲსათა" და იქ როელიღაც მონასტერში დაემკვიდრნენ. მათი იქ ყოფნა შეუტყვიათ იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელებს და ისინი ახლად დაარსებული ათონის ქართველთა მონასტერში მოუწვევიათ. არსენი და იოანე ჩასულან ათონზე და მხარში ამოსდგომიან ეფთვიმეს, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღვრობის მთელი სიმძიმე დაწვა. ისინი „დიდად თანაშეწე ექმნენს წმიდასა მამასა ეფთუმეს თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა... და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჟამსა სიბერისასა თჳსითა კელითა აღწერნეს". არსენ ნინოწმიდელი გარდაიცვალა 1018 წ. და დაუკრძალავთ „გარეგან მონასტრისა.. ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სუმეონ მესვეტისასა", მაგრამ გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც იგი ივერიის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს (1044 წ.), არსენის ნეშტი ეფთვიმე მთაწმიდელის გვერდით გადაასვენა, დიდი ეკლესიის საგანგებო სამარხვეში. არსენის თარგმნილ თხზულებებს არ მოუღწევიათ. მის მიერაა გადაწერილი სასულიერო თხზულებების კრებული (A 1103, 1011-1118) და იოანე ოქროპირის „თარგმანება სახარებისა", ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი (Ath. 66, Ath. 67, Ath. 70 აქედან Ath. 70 ხელნაწერს აქვს ანდერძი 1008 წლისა, სადაც აღნიშნულია, რომ ხელნაწერის გადაწერაში არსენთან ერთად მონაწილეობდნენ იოანე გრძელისძე და იოანე ოქროპირი – ქართველი მოღვაწე).

არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი – XIII ს. შუა წლების საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსუდან დედოფლის დროინდელი საქართველოს სამეფოს ეპარქიის ეპისკოპოსი. რუსუდანს არსენი დიპლომატიური მისიით ბათო ყაენთან გაუგზავნია, რაც, ალბათ, ქართველ-მონღოლთა ურთიერთობის მოგვარებას ისახავდა მიზნად. 1241-1242 წწ. არსენს შეუდგენია წყალობის წიგნი მგელა აბულახტარისძისადმი, რომელიც მას თან ხლებია ბათო ყაენთან მგზავრობის დროს, და ერთგულად მსახურებისათვის მისთვის და მისი შთამომავლობისათვის სოფელი (ღუდრკი) უწყნებია. ამ სიგელს არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ ამტკიცებენ: რუსუდან მეფე, დავით მეფე, არსენი ქართლის კათოლიკოსი (ცსსა, ფ. 1448, № 9291, ქართ. სამ. ძეგლები III, 158-159). არსენი პომნერგაფიც ყოფილა. ბოლო დროს გამოელინდა მისი „გალობანი ღამისთევად ამაღლებისა", „გალობანი ამაღლებისანი", „სამშაბათსა ზ ცისკრად", „ღამისთევად გალობანი", „ორშაბათსა მ", „პარასკევსა მ" (სანქტ-პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის ა. გრენის კოლექციის № 5 (18) ქართული ხელნაწერი, XVII ს., 91r-92r; 139v-158v; S 4923,146v-152r. გამოც. მ. ქაჟთარიასი, საქ. ლიტმცოდნ. აკადემია, შრომები II, 1999, გვ. 266-315).

არსუკის ძე († 1029) – ქართველი ხუროთმოძღვარი, მცხეთის სვეტიცხოვლის მაშენებელი. მისი სახელი ამოკვეთილია ორგან: ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, შუა თაღის ქვემოთ, მედალიონებში და ჩრდილოეთის ფასადის

მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულებით და წარწერით: „ქელი მონისა არსუკისძისაჲ, შეუნდეთ". (რაც გახდა საფუძველი მცდარი ლეგენდისა, თითქოს არსუკისძეს მკლავი მოჰკეთეს – „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, კარგი რატომ აგიგია"). ტაძარი აგებულია 1010-1029 წწ. უეჭველია, არსუკისძემ გამოიყენა ძველი (V-VI სს.) სვეტიცხოველის ცალკეული ნაწილები და ფრაგმენტები, მაგრამ არსებითად სრულიად ახალი, დამთუკიდებელი ძეგლი შექმნა.

არტაპაზ – ეპისკოპოსი გორგასლის (V ს.) ჟამთმეტე, კლარჯეთის ერისთავი. მან ააშენა ოპიზის მონასტერი და არტანუჯის ციხე (ქართლის ცხოვრება, I, 177, 21,22; 181 23).

არტანა – ეკლესია შუა საუკუნეებისა ქ. თელავის მიდამოებში, მოხატული.

არტანუჯი – ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, გადმოცემის თანახმად, აშენებული ეპისკოპოს გორგასლის დროს, არტაპაზ კლარჯეთის ერისთავის მიერ. IX ს. განაახლა აშოტ. I კურაპალატმა და აქ ეკლესია ააშენა.

არტემან ოციძული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელიც ლაკაონის ქალაქ ლოსტრის ეპისკოპოსი გახდა. მას ახსენებს პავლე მოციქული ეპისტოლეში ტიტეს მიმართ: „ოდეს მოვალენიმე შენდა არტემან ანუ ტუქიკოს, ისწრაფე მოსლვად ჩემდა ნიკოპოლოს, რამეთუ მუნ ზირჩიე დაზამთრებაჲ" (3,13).

მისი ხსენების დღეა 30 ოქტომბერი.

არტემი მოწამე († 662) – კონსტანტინე დიდის (306-337), კონსტანცი (337-361) და იულიანე (361-363) იმპერატორების დროის მხედართმთავარი. დამსახურების გამო დადგენილ იქნა ეგვიპტის მმართველად. ბეერი რამ გააკეთა ეგვიპტეში ქრისტიანობის გაერცელებისა და გაძლიერებისათვის. კონსტანცი იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე იულიანე განდგომილი ავიდა. იგი წარმართობის აღდგენას შეუდგა და ქრისტიანებს დევნიდა. არტემმა საჯაროდ გაკიცხა იმპერატორი უწმინდურობისათვის. ბეერი ტანჯვა-წვალების შემდეგ არტემს თავი მოჰკვეთეს. იულიანეს დალუპვის შემდეგ არტემის წმ. ნაწილები ანტიოქიიდან კონსტანტინეპოლში გადმოასვენეს. მისი ხსენების დღედ 20 ოქტომბერია დადებული. არტემის „წამების" მეტაფრასული რედაქცია, რომელიც იოანე ხუცესის (ზოგიერთის აზრით იოანე დამასკელის) ძველი „წამების" გადამეტაფრასებას წარმოადგენს, თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად და საკმაო რაოდენობის ხელნაწერებშია შემონახული: (Jer. 18, 186-215; Sin. 91, 33-54; S 1276, 296-348, კუთ. 4, 485-510, ოლონდ ხსენების დღე განსხვავებულია: ერთში (Jer. 18) – 20/XI, დანარჩენში – 27/X).

არტემონ მოწამე († 303) – სირიის ქ. ლაოდიკიის მკვიდრი, შვილი ქრისტიანი მშობლებისა. 16 წლის ასაკიდან წიგნისმკითხველად აკურთხეს და ამ ხარისხში დაყო 12 წელი. მომდევნო 28 წელი დიაკონი იყო, ხოლო კიდევ მოგვიანო 33 წელი – ხუცესი. დეკლეტიანეს (284-305) დროს ქრისტიანთა დევნის პერიოდში უკვე მოხუცებული არტემონი (სისინისთან ერთად) არტემიდას ტაძარში შეიპარა და დაამტვრია და დაწვა კერპები. მან მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტიანობაზე, მაგრამ ბოლოს წარმართებმა თავი მოჰკვეთეს. მისი ხსენების დღედ 13 აპრილი დაწესდა. არტემონის „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ბერძნულიდან და მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა შემორჩენილი (ქუთ. 7, XVI ს., ფ. 276-280).

არტოსი (ბერძნ. „პური") – აღდგომის დღესასწაულისათვის დამზადებული წმინდა პური, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, ზოგჯერ კი – იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, და რომელიც გამოხატავს ზეციდან მოელვენილ საუკუნო ცხოვრების პურს – უფალ იესო ქრისტეს.

არტოსის კურთხევა სრულდება აღდგომის დღეს. მთელი ბრწყინვალე შეიდეულის განმავლობაში იგი იდება საკურთხეველში ან ამბიონზე, სპეციალურად მოწყობილ ანალოგიზე, ქრისტეს აღდგომის სატყთან ერთად. შაბათს ლიტურგიის შემდეგ კი განიტეხება და განაწილდება.

არუხლო – სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ქცია-ხრამის მარჯვენა ნაპირზე, ბოლნისიდან 15 კმ. სოფელში და მის მიდამოებში რამდენიმე ეკლესიაა შემორჩენილი: 1. XVII-XVIII სს. გუმბათიანი „ყვითელი ეკლესია" (სარკინელისა), ლაპიდარული წარწერებით ქვის ჯვარზე. 2. IX-X სს. ეკლესია სოფლის მიდამოებში – ზემოუბანში. 3. იმავე საუკუნეებში სხვა ეკლესია სოფლის მიდამოებში. არუხლო // არახლო ძველი ცურტავის ადგილადაა მიჩნეული.

არძიდიაკონი (ბერძნ.) – მთავარდიაკონის შესაბამისი თანამდებობა მონასტერში (განსაკუთრებით ლავრაში და დიდ მონასტერში), რაც დიაკონთა მეთაურს, უფროსს ნიშნავს. სამ-

რეული ეკლესიაში მას შეესაბამება პროტოდიაკონი, ე. ი. უპირველესი დიაკონთა შორის. ორიენ სახელწოდების შესატყვისად ქართულში ხშირად გვხვდება „მთავარდიაკონი". არქიდიაკონი (ისევე, როგორც პროტოდიაკონი), გამოირჩეული განსაკუთრებული, გრძელი ოლარის (სადიაკვნო გინგილა) ტარების უფლებით (იხ. „მთავარდიაკონთან").

არქიელი (ბერძნ. „მღვდელმთავარი") — მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლეს იერარქიულ პირთა ზოგადი სახელწოდება. „არქიელი" ბერძნული „არქიერეუსიდან" მომდინარეობს. „არხიერეის" ფონეტიკურ მოდიფიკაციას წარმოადგენს ქართულში. ბერძნული „არქიერეუსი" აღნიშნავდა ძველი ალთქმის მღვდელთმოძღვარს ანუ მღვდელმთავარს (ლევიტ. IV,3). ამავე სახელწოდებით მოიხსენიებს პავლე მოციქული იესო ქრისტეს: „მიეის ჩუენ მღვდელთმთავარი დიდი, რომელმან განველნა ცანი, იესუ, ძე ღმრთისაჲ" (ებრ. 4,14). საქართველოში ტერმინი „არქიელი" XIX-XX სს-ში იხმარებოდა, რუსობის ხანაში.

არქიეპისკოპოსი (ბერძნ. „მთავარეპისკოპოსი") — ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი იერარქის ტიტული ბიზანტიაში. ამ ტიტულს ატარებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ეპარქიის ეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ დიოცეზიის ეპისკოპოსები. არქიეპისკოპოსის ტიტულს დღესაც ატარებს ზოგიერთი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური. არქიეპისკოპოსი ეწოდება აგრეთვე ზოგიერთი პროტესტანტული ეპისკოპალური ეკლესიის მეთაურს (მაგ., კენტერბერის არქიეპისკოპოსი ინგლისში). საქართველოს ეკლესიის მეთაური ქრისტიანობის დასაწყისის პერიოდში მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა (ისევე, როგორც ბიზანტიაში — ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებში). მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის მეთაურს კათოლიკოსი ეწოდა, მთავარეპისკოპოსის ტიტული განსაკუთრებული ეპარქიის ეპისკოპოსებმა დაიკავეს (ტფილელი, გენათელი და სხვ.). ე. ი. მოხდა იგივე, რაც ბიზანტიაში, როდესაც ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურებმა პატრიარქის ტიტული მიიღეს. მთავარეპისკოპოსის ტიტულს კი ატარებდნენ მათი დაქვემდებარების დიდი ეპარქიების ეპისკოპოსები (მაგ., კესარია-კაპადოკიისა და ნიკომიდიის ეპისკოპოსები კონსტანტინეპოლის სამპატრიარქოში და სხვ.). ხშირად საქართველოს ეკლესიის მეთაური თავის თავს არქიეპისკოპოსის ტიტულით წარმოადგენდა. მაგ., ანტონ I კათოლიკოს-პატრიარქი „მარტრარეის" თითოეული თავის ზედწერილში თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ქმნილი ანტონის მიერ, არქიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსაჲ" (ძეგლები, VI).

არქიერატიკონი (ბერძნ. „სამღვდელმთაერო") — „სამღვდელმთაერო კონდაკი", მღვდელმსახურების (ლიტურგიის) სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც განკუთვნილია მღვდელმთავართათვის. სამღვდელო კონდაკის მსგავსად, სამღვდელმთაერო კონდაკიც შეიცავს იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და პირველშეწირულის ლიტურგიებს (ჟამისწირვებს), მაგრამ აქ ჩართულია ის ლოცვები და სხვა რიტუალი, რომელსაც მხოლოდ მღვდელმთავარი ასრულებს. სამღვდელო კონდაკისაგან განსხვავებით, იგი დამატებით შეიცავს ხელდასხმის (ქიროტონიის) წესებსაც. სამღვდელმთაერო კონდაკში შეტანილია ოდიკის კურთხევის წესი. უძველესი ქართული არქიერატიკონის ხელნაწერი (A 86) განეკუთვნება X-XI სს. იგი თარგმნილია რუსულად (ქ. კეკელიძე) და ინგლისურად (ფ. კონიბერი, ე. უორდროპი).

არქიმანდრიტი (ბერძნ. „ფარეხის", ე. ი. ქრისტეს სამწყსოს გამგებელი) — საეპისკოპოსოს ფარგლებში არსებული მონასტრების გამგებელი მონაზონი, ხოლო უფრო გვიან — დიდი მონასტრის წინამძღვრის ტიტული. ბიზანტიაში, სადაც ეს ტიტული შემოიღეს V ს-ში, არქიმანდრიტი თავდაპირველად ეწოდებოდა ეპისკოპოსის მიერ მისი ეპარქიის იღუმენთაგან არჩეულ მონაზონს, რომელსაც ეკალებოდა ეპარქიის მონასტრების ზედამხედველობა. მოგვიანებით, როდესაც მონასტრებზე ზედამხედველობა სპეციალურ მოხელეს — დიდ საეკლესიოს დაკანონდა, არქიმანდრიტობა სამატიო ტიტულად იქცა და იგი ენიჭებოდა ეპარქიის დიდმნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვრებს (იღუმენებს).

საქართველოში არქიმანდრიტის ტიტული VIII-IX სს-ის მიჯნაზე არის დადასტურებული. არქიმანდრიტს ეკალებოდა საეპისკოპოსოში შემავალი მონასტრების ზედამხედველობა-გამგებლობა: ხანცთის მონასტრის წინამძღვარი გრიგოლ ხანცთელი (759-861) იყო ანჩის საეპისკოპოსოში შემავალი „კლარჯეთის უდაბნოების" (მონასტრების) არქიმანდრიტი. უფრო გვიან არქიმანდრიტად იწოდებოდა არა მარტო დიდი სამონასტრო კომპლექსის წინამძღვარი (დავითგარეჯა და სხვ.), არამედ რომელიმე ჩვეულებრივი მონასტრის წინამძღვარიც (მაგ., ქვათახ-

ეუისა). არქიმანდრიტის XV საუკუნიდან საპატიო ტიტულად იქცა. მიკუთვნებული აქონდა ზოგ ეპისკოპოსსაც, რომლის ეპარქიაშიც რამდენიმე მონასტერი შედიოდა და რომელთა ზედამხედველობა-გამგებლობა ამ ეპისკოპოსს ევალებოდა. XVIII ს. არქიმანდრიტის ტიტული აქონდათ ნეკრესისა და წინწყნეტის ეპისკოპოსებს, რომლებიც თითო მონასტერს განაგებდნენ.

არძიპო მოციძული – ერთი სამოცდათ მოციქულთაგანი, პაულე მოციქულის მოწაფე და თანამოღვაწე (იხ. ფილიმ. 1,2). არქიპო იყო ფრიგიის ქ. კოლასის ეპისკოპოსი. იგი აწამეს იმპერატორ ნერონის (54-68) დროს ქრისტიანთა დევნის პერიოდში მოციქულ ფილიმონთან და მის მეუღლესთან, მოციქულთასწორ აპფიასთან ერთად. არქიპო მახვილებით აკუწეს. ხსენების დღეებია 19 თებერვალი (ქართული წყაროებით – 20 თებერვალი) და 22 ნოემბერი. არქიპოს, ფილიმონისა და აპფიას ერთობლიეი „წამების" მეტაფრასული რედაქციის პაგიოგრაფიული თხზულება ქართულად თარგმნილია ბერძნულიდან. მისი ერთადერთი ნუსხაა ქუთ. I, XVI ს., 85-86.

არძიპოსი – X ს. II ნახევრის კალიგრაფი, ტბეთის (შაეშეთი) ეკლესიის მოღვაწე. 995 წ. არქიპოსმა (დაეითთან ერთად) გადაწერა ტბეთის ცნობილი ოთხთაეი (პეტერბურგის საჯ. ბიბლ. №212): „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ საყდარსა შინა ტბეთისასა, საყოველსა წმიდათა მოციქულთასა, დასაბამითგან გარდასულთა წელთა, ქრონიკონსა სიე (215+780 = 995 წ.), კელითა ორთა მწერალთა: დაეით გლახაკისა და გლახაკისა არქიპოსისთა". სახარება ასომთაერულითაა ნაწერი ორ სვეტად. ხელნაწერის ლამაზი კალიგრაფია გადამწერთა დიდ ოსტატობას ამეღავნებს.

არჩილ I – ქართლის მეფე V ს. 20-30-იან წლებში. ჯუანშერის ცნობით (ქართლის ცხოვრება, I, 140-142), ენერგიულად იბრძოდა ირანის მორჩილებისაგან თავისი ქვეყნის გამოხსნისათვის. მას აუშენებია სტეფანწმიდის ეკლესია მცხეთაში (140) და სხვა ეკლესიები ქართლში: „ხოლო მან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამრაველნა მღდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი" (142, 23-25).

არჩილ მეფე მოწამე – VIII საუკუნის ქართველი მოწამე, სტეფანოზის ძე, ქართლის ერისმთავარი. ჯუანშერის და ლეონტი მროველის მატიანეში (ქართლის ცხ. I, 241-248) მოხსენიებულია მეფედ. იმავე მატიანის ცნობით, მის საბრძანებელში შედიოდა ეგრისი, ხოლო აფხაზეთის ერისთავი ლეონ I მისი ყმადნაფიცი იყო. არჩილს ეკლესიებიც აუშენებია („აღაშენა ეკლესია სამჭორს... 245,17) და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოუნათლავს ნუხატელები. არაბთა ბატონობის დროს არჩილმა არ უარყო ქრისტეს სარწმუნოება და არ მიიღო არაბების მიერ შემოთავაზებული პატივი და დიდება, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს. მისი ხსენების დღეა 20 მარტი.

არჩილის „წამების" პირველი მოკლე თხზულება ლეონტი მროველს დაუწერია (ქართ. ცხ. I, 245-248). ბესარიონ კათოლიკოსს (ორბელიშვილს) XVIII ს. I ნახევარში ლეონტის თხზულების საფუძველზე არჩილის ერცელი, მეტაფრასული რედაქციის „წამება" შეუქმნია (ძეგლები, V, 1984 წ.). ამ უკანასკნელის საფუძველზე ანტონ I შეუთხზავს არჩილის წამების ვრცელი მეტაფრასული თხზულება, რომელიც „მარტირიკაში" შეუტანია (ძეგლები, VI).

არშა – სოფელი ყაზბეგის რაიონში, სადაც დგას წმ. გიორგის განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

არხოტის ჯვარი – არხოტის ხეობის (პირიქითა ხევსურეთის) მთავარი სათემო-სალხინო ღეობა („ჯვარი"), რომელსაც მიჰყავს მთავარანგელოზსაც უწოდებენ. არხოტის ჯვარი თემის მფარველ მოლაშქრე ღეოებად ითელებოდა. მორწმუნეთა წარმოდგენით, ღეოების დამხმარე ზებუნებრივ არსებებთან – ლაშქარმწევრებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლებში და თავის საყმოს ამარჯვებინებდა. მის ძირითად (უნჯ) ყმებად სოფ. ახილელი მცხოვრები ჯაბუშანურები ითელებოდნენ. ამავე გვარისა იყო ჯვარის ხელოსანიც (ხევსბერი). არხოტის ჯვარის მოძმე ღეოებად მიანდობდ „ანატორის ჯვარი" და „ხონეს მთაყარანგელოზი".

ასათ მოქმედი – X ს. ქართველი ოქრომჭედლა-კეთილი, აეტორი სოფ. ბრილში 1898 წ. აღმოჩენილი ჯვარისა (27, 2 X 16, 2 სმ. საქ. სახელმწ. მუზეუმი), რომელიც დღით კურაპალატის (ტაოს ბძლოსელის) დაკვეთით პარის შესრულებული (წარწერა წინა პირის ქვედა მკლავზე: „ქრისტე ადიდე დღეგრძელობით დაეით კურაპალატი, ამინ"). ჯვარი წარმოადგენს მძლიან მასიურ ფირფიტას, რომლის წინა მხარეს მირჩილულია ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა

ჯერითურთ, სხვა წმინდანთა ფიგურები (მარიამი და იოანე – ჯვარცმული ორსავ მხარეს, ღვთისმშობელი ყრმით – ქვეშო მკლავზე. მამა ღმერთი – ზემო მკლავზე) და მედალიონები ნახევარფიგურებით. დანარჩენი არე, როგორც წინიდან, ისე ზურგიდან, დფარულია გრავირებული ორნამენტით და შემკეთის წარწერით. ზურგზე, ქეშმთ, აწერია ავტორის სახელი: „ასათ მოქმედი". ბრილის ჯვარი X ს. ოქრომჭედლობის შესანიშნაკი ნიმუშია, ხოლო ავტორი – ასათ მოქმედი – დიდი ნიჭის შემოქმედი.

ასან გვაზავაისძე – XI ს. I ნახევრის ოქრომჭედელი. მოღვაწეობდა ზემო სვანეთში. მას მოუჭედავს წმ. გიორგის ორი ხატი, რომლებიც სოფ. ნაკიფარში ინახება. ორიეე მოოქროვილი ვერცხლისაა. ერთ მათგანს ასეთი წარწერა აქვს: „მოიჭედა კელითა ასან გვაზავაძისაგთა", ხოლო მეორეს: „მოიჭედა კელითა ასან ოქრომჭედლისაგთა".

ასერი//ასირი – ბიბლიური იაკობისა და ზილფის მერვე შვილი, დამწყები ისრაელთა ამაკე სახელოწოდების ტომისა. „იყო ანა წინაწარმეტყველი ტომისაგან ასერისა" (ლუკ. 2,36).

ასფალგი იულიუს (1919-19...) – გერმანელი ქართველოლოგი, ადმოსავლეთ მცოდნე. მან მეცნიერულად აღწერა და გამოსცა ის 15 ქართული ხელნაწერი, რომლებიც გერმანიის წიგნთსაცავებში არის დაცული. ი. ასფალგმა მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გერმანულ ენაზე თარგმნა და გადაამუშავა კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის" I ტომი (1956 წ.). მას გამოქვეყნებული აქვს: ქართული სასულიერო მწერლობა" (1957 წ.), „ქართული ხელნაწერები" (1963 წ.) და სხვ.

ასვინქრიტე მოციქული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, ურუანოსის ეპისკოპოსი, პაელე მოციქულის თანამედროვე და თანაშემწე, რომელიც მოხსენიებულია რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (16, 14).

ასკანა – სოფელი ოზურგეთის რაიონში. სოფელთან, ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე დგას ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე, რომლის სხვა ნაგებობათაგან აღსანიშნავია წითელი მარმარილოთი ნაშენი სამლოცველო. ასკანაში ჯერ კიდე XIX ს. II ნახევარში ყოფილა ორი ეკლესია: ერთი – ხისა, გუმბათიანი, ხოლო მეორე – ქვის მცირე ეკლესია, რომელიც მოხატული ყოფილა და ლაპიდარული წარწერებიც ჰქონია. (Бакрадзе Д.,Археол. путешествие по Гурии и Аджаре, 1878, 208).

ასკეტიკონი – ბასილი დიდის († 379) თხზულებათა კრებული, რომელიც სამონაზენო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს მოიცავს (ბერძნული ტექსტი გამოცემულია: Migne, PG., t. 31,618-653; 870-1428). ბასილი დიდის ეს შრომა ქართულად თარგმნილია ორჯერ: ერთი თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს (A 132, A 689), შედგება 7 სტატიისაგან (იხ. ეტიუდები, V, 20) ბოლო სტატია („სიტყუანი მათდა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხორებისა მოღუაწე იყუნენ") შედგება 30 თავისაგან. მეორე თარგმანი პროკოპი მღვდელს შეუსრულებია (A 63). იხ. ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელს „სამღუაწეო წიგნის" ქართული რედაქციები, თბ., 1968.

ასკეტიკონი – იოანე ოქროპირის († 407) სიტყვათა და ქადაგებათა ასკეტიკური კრებული ძირითადად საეკლესიო მორალის საკითხებზე. თხზულება უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს (XI ს. II ნახევარი) და შეიცავს 19 სიტყვას (A 143), რომელთაგან პირველი დაკარგულია (შედგენილობა იხ.: ეტიუდები, V, 69-70).

ასკეტიზმი (ბერძნ. „წვრთნა, ვარჯიში") – ამ ტერმინით ძველი ბერძენი მწერლები აღნიშნავდნენ ბრძოლისათვის მომზადებას, სხეულის წვრთნას, შუა საუკუნეებში კი ახალი მნიშვნელობა მიიღო – სულისა და სხეულის წვრთნა, როგორც ხსნისა და ზეციური ნეტარების მიღწევის გზა მომავალ ცხოვრებაში. ძველ აღთქმაში ასკეტიზმის მაგალითია იუდეველთა ნაზირეველობა, ე. ი. ქალწულობის აღთქმა კარვის მსახურთა მიერ, ელია წინასწარმეტყველისა და იოანე ნათლისმცემელის განდეგილობა და სხვ.; ახალ აღთქმაში ასკეტიზმის იდეალია ქრისტეს მაცხოვარებით მსხვერპლი, აგრეთვე მისი მოძღვრება მარხვის, განკრძალვის, მოთმინების, მკაცრი ცხოვრებისა და სიგლახაკის შესახებ. ასკეტიკური მორალის მაგალითია ქრისტეს მოციქულთა ცხოვრებაც. პირველი საუკუნეების ქრისტიანთა ასკეტიზმი გამოიხატებოდა მარხულობითა და განდეგილობით. ქრისტიანული ასკეტიზმის პირველი ნამდვილი გამოვლინება იყო ეგვიპტის უდაბნოში ჩამოყალიბებული განდეგილ-მონაზონთა დასახლებანი, რომლებიც III-IV სს-ში ჩამოყალიბდა. ქრისტიანული სარწმუნოების ნებადართულ რელიგიად გამოცხადების შემდეგ (311 წ.) ასკეტიზმი საფუძვლად დაედო სამონაზვნო ცხოვრების წესს, რომელიც შედარებით უფრო რბილი იყო, ვიდრე ასკეტ-განდეგილთა

ცხოვრების წესი. საბოლოოდ დამკვიდრდა ასკეტიზმის ზოგადი პრინციპები: ზომიერების დაცვა ყოფა-ცხოვრებაში, მკაცრი კონტროლი ადამიანურ ენებებზე, მოყვასის სიყვარული და უანგარო მსახურება, ანგარიშის გაწევა საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

ასკეტიკა – საეკლესიო მწერლობის დარგი, სამონასტრო ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი ლიტერატურა: ქრისტიანული ზნეთსწაელების სახელმძღვანელოები, სულის მარგებელი თხრობანი, პატოეპგმატური კრებულები, რომლებშიც ასახულია ასკეტ-მონაზონთა იდეალები და მისწრაფებანი, მათი მოღვაწეობისა და ცხოვრების წესები.

ქართულ საეკლესიო მწერლობაში პირველად ასკეტიკური მწერლობის ნიმუშები გადმოცემულია ასურელ მამათა და გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებებში“ (X ს.). უძველესი დროიდან იყო თარგმნილი ანტონ დიდის, მაკარი მეგვიპტელის, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, ნილო სინელის, პიმენის, სჰკ მონაზონის, ეფრემ ასურის, მარტვირი სებაწმიდელისა და სხვათა ასკეტიკურ-მისტიკური „სწაელანი“. განსაკუთრებით პოპულარული გახდა იოანე მოსხის „სათნოება“ (გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1962 წ.), პატოეპგმათა და ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის ნოველათა კრებულები, „წიგნი მამათა წიგნი“ (პატერიკი; გამოც. მ. დვალის მიერ: შუა საუკუნეების ნოველების ქართ. თარგმანები, წიგნი I, 1966 წ., წიგნი II, 1974), „წიგნი მამათა შეგონებანი“ და სხვ. იოანე სინელის „კლემაკი“ ანუ „სათნოებათა კიბე“ ქართულად სამჯერ არის ნათარგმნი: X ს. (შემოკლებით), X ს. (სრული, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ), XII ს. (სრული, პეტრე გელათელის მიერ). „კლემაკის“ ორიგინალური, იამბიკური ვარიანტები შეუქმნიათ იოანე პეტრიწსა (გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1968 წ.) და ანტონ I-ს. XVIII ს-ში გაბრიელ მცირემ ნათარგმნ თხზულებათაგან გამოკრიბა შვიდი ასკეტიკურ-მისტიკური კრებული („ჯვრგუნი“, „სამოთხის ყვაელი“, „სუფეა“, „ოქროგას წყარო“, „კლიტე“, „სამასეული“, „მანანა“).

ასკალიპიოლოტი მოწამე – IV ს. დასაწყისის მოწამე ქალი, რომელიც ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს ქ. ანდრიანოპოლში ქრისტეს აღსარებისათვის, წვნიერად მოწამეებთან თეოდოტისა და მაქსიმესთან ერთად. სასტიკი წამების შემდეგ მათ თაეები მოჰკვეთეს.

ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც მაქსიმეს, თეოდოტისა და ასკლიპიოდოტის მეტაფრასული რედაქციის „წამებას“ შეიცავს, თარგმნილია ქართულად ბერძნულიდან და შემორჩა ერთი სელნაწერით – ქუთ. 1, XVI ს., 77-80. მათი ხსენების დღეა 19 თებერვალია დადებული.

ასმოდეოსი (ებრ. აშმედაი) – ებრაულ ლიტერატურაში (თალმუდში) ითელება დემონთა მთავრად. იხსენიება ბიბლიურ აპოკრიფებშიც – ტობიას წიგნში, რომელშიც მოთხრობილია, რომ ასმოდეოსმა მოაკედინა სარას (რაგუილის ქალიშვილის) შვილი ქმარი, რადგან თვით იყო შეყვარებული მასზე: „...რამეთუ მიცემულ იყო იგი (სარა) შვიდთა ქმართა და ასმოდეოსი, ბოროტი ეშმაკი მოსრვიდა მათ ვიდრე შესლვამდე მათთა ამის თანა“ (ტობია, 3,8). მაგრამ ტობიამ შეირთო სარა და განდევნა დემონი. ასმოდეოსზე მოგვითხრობს აპოკრიფი სოლომონის შესახებ, რომ სოლომონმა ბორკილები დაადო მას, მაგრამ უნდოდა რა, გაეგო, თუ რას მოიმოქმედებდა იგი, გაანთავისუფლა და მისცა მას თავისი მაგიური ბეჭედი. ასმოდეოსმა წაართვა სოლომონს მეფობა და ქვეყანას მისი სახელით და მისი ნიშნით მართავდა მანამ, სანამ სოლომონმა ისევ არ განდევნა იგი. ასმოდეოსი ითელება ქორწინების დამრღვეველად.

ასომთავრული – დამწერლობის საერთოდ და, მათ შორის, ქართული დამწერლობის უძველესი სახე, რომელიც X ს-მდე დამწერლობის ერთადერთი ფორმა იყო საქართველოში. ამ სახის დამწერლობითაა ნაწერი უძველესი ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლები. ასომთავრულისათვის დამახასიათებელია გრაფემების თანაბარი ზომა, იწერება ორ ხაზს შორის, ასოები მრგვალი მოხაზულობისაა, ამიტომ მას „მრგვლოვანსაც“ უწოდებენ. მას შემდეგ, რაც მრგვლოვანდან ნუსხური დამწერლობა განვითარდა (X ს-დან), ასომთავრული ასოები ახალი კარის, მუხლის ან წინადადების თავში იწერებოდა, ამ დროს უნდა მიეღო მას სახელწოდება „ასომთავრული“.

ასპინძა – რაიონული ცენტრი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდ. ოთის შესართავთან. ასპინძის მიდამოებში რამდენიმე ძველი ეკლესია არის შემორჩენილი: 1. ხვილიშა (VIII-IX სს., ლაპიდარული წარწერებით). 2. „ჯიმილდერესი“ (X-XI ს.). 3. ახაშენი (XI ს., ლაპიდარული წარწერებით). 4. ღობითი, სამეკლესიანი ბაზილიკა (ნანგრევები) ადრეშუასაუკუნეებისა. 5. ჩიხირისი (X ს.). 6. ვარნეთი (შუა საუკუნეებისა. შემორჩენილია მოხატულობის ნაშთები). 7.

„ბეთლემი“ (XIV ს.).

ასტერი მოწამე – ეწამა ქრისტესთვის ნუმერიანე იმპერატორის (283-284) მეფობის დროს ქ. ეგეაში, თალალე და ფილაგრიოს მოწამეებთან ერთად. ასტერი იყო ქ. ეგეას მსაჯულის, თეოდორეს მოხელე, ფარული ქრისტიანი. როდესაც მსაჯულმა მას უბრძანა წმ. თალალესათვის წყლები დაებერტყა, გაეყარა თოკი და დაეკიდებინა თაედაღმა, ასტერმა მოწამის ნაცვლად ხის მორი ჩამოკიდა. შეურაცხყოფილმა მსაჯულმა ბრძანა ასტერის წამება და შემდეგ თაეის მოკვეთა.

ბერძნულიდან ქართულად IX-X სს. თარგმნილი კომენტარი რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულება აღწერს თოტიმოს, ასტერის, ფილაგრიოსის და თალალეს „წამებას“ (Ath. 8, 308-312; Sin. 52, ბოდლ. I, XI ს., 118-124). მოწამეთა ხსენება 20 მაისსაა დადებული.

ასტერი ამასიელი († 404) – IV-V სს. საეკლესიო მწერალი, ამასიის ეპისკოპოსი, იოანე ოქროპირის თანამედროვე. ჩვენამდე მოაღწია მისმა 22 ქადაგებამ და შესხმამ. ქართულად თარგმნილია მის მიერ შეთხზული 2 „შესხმა“: „მოწამისა ფოკაისი“ († 320, 22, IX), ქუთ. 4, 248-253; S 384, XII ს., 192-199; „მღვდელმოწამისა... ფოკაისი“ (19, IX, ქართ. თარგმანში – 23/VII). ქუთ. 3, XVI ს., 649-655. ასტერიოსის თხზულება – დაითნის თარგმანება (განმარტება) ქართულად თარგმნილი არ არის, მაგრამ მისი ექსცერპტები გამოუყენებია ეფრემ მცირეს თავის ბიბლიოლოგიურ შრომებში.

ასტიოს მღვდელმოწამე – მაკედონიის ქ. დირაქიის ეპისკოპოსი ტრაიანე იმპერატორის (98-117) დროს, ეწამა ქრისტიანთა დევნისას. რადგანაც ასტიოსმა არ უარყო ქრისტე და არ დაუბრუნდა წარმართობას, ის გააკრეს ჯვარზე, სცხეს თაფლი, რომ ბუზებსა და ბზიკებს დაეკბინათ და ეწამებინათ სულის ამოსვლამდე. მისი გვამი ქრისტიანებმა პატივით დაკრძალეს. მისი ხსენების დღედ დადებულია 4 ივნისი, ხოლო მისი „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის შემორჩენილი (ქუთ. 7, XVI ს., 187-199), 9 აპრილს უწვენებს.

ასურეთი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, მდ. ასურეთისხეევის (ალგეთის შენაკადი) მარჯვ. მხარეს, თეთრი წყაროდან 20 კმ. სოფლის მიდამოებში, ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე არის ნასოფლარი და გორაკზე გვიანფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები. ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე დგას ერთნავიანი ეკლესია, საფუძვლიანად რესტავრირებული XVIII ს-ში. საყურადღებოა მისი კონქის აგურით გამოყვანილი კამარა. ეკლესიას უწინ კაბენის ეკლესია ეწოდებოდა.

ასურელი მამები – საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებიც ძველ საქართველოში არსებული გადმოცემის მიხედვით, VI ს. შუა წლებში სირიიდან, ანტიოქიის შაეი მთის სანახებიდან აღმ. საქართველოში ჩამოსულან და აქ სამონასტრო ცხოვრებისათვის ჩაუყრიათ საფუძველი. ამაეე გადმოცემის მიხედვით, მათი რიცხეი „ათაემეტი“ ყოფილა: მათი მოძღეარი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაეე (ქრისტეს და მისი მოწაეეების ანალოგიით). პირეელი ცნობა ასურელ მამათა შესახებ „მოქცეეაჲ ქართლისაჲ“-შია“ მოცემული: „მეფობდა ფარსმან... და მასეე მეფისა ზე კათოლიკოსი იყო ეელალე. მაშინ მოვიდა ნენტარი იოანე ზედაზნელი შეუა მდინარით ასურეთისაჲ. იგი და ათორმეტნი მოწაენი მის თანა მოვიდეს... ქართლის მოქცეეითგან მეორასეს წელსა“ (ბოლო ცნობა მხოლოდ ჭელიშურ ვარიანტშია – ძეგლ. I, 94). ასურელ მოღვაწეთა ნამღვილი რიცხეის დადგენა ჭირს, რადგან გვიანდელ წყაროებში მათი დასახელება სხეადასხეაგეარია (ძეელ წყაროებში საერთოდ არ არის). იოანე ზედაზნელის მოწაეეებად დასახელებულნი არიან: შიო მღეიმელი, დაეით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, ისე წილკნელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ქიზიყელი (ანუ ხირსელი), ისიდორე სამთაენელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, პიმენი და ნათანე (ე. ი. სულ. 15). თითოეულ მათგანს აღმ. საქართველოში არსებული ამა თუ იმ მონასტრისა და ეკლესიის დაარსება მიეწერება: იოანე ზედაზნელს – ზედაზნისა, შიო მღეიმელს – შიომღეიმისა, დაეით გარეჯელს – დაეითგარეჯისა და ა. შ. ზოგი მათგანი ეპისკოპოსი გახდა – ისე წილკნელი – წილკნისა, აბიბოს ნეკრესელი – ნეკრესისა. ასურელ მოღვაწეთაგან პირეელი ჰაგიოგრაფიული ძეგლი აბიბოს ნეკრესელის შესახებ უნდა დაწერილიყო (IX ს.) იმ მიზეზით, რომ ასურელ მამათაგან ის გახდა ერთადერთი მოწამე (აწამეს სპარსელმა ცეცხლთაყუანისმცემლებმა). არსენ ქართლის კათოლიკოსმა X ს. (955-980 წწ.) დაწერა თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმ. მ. ჩ. იოანე ზედაძნელისაჲ და მოწაეეთა მისთა“,

რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით მოცემულია იოანესა და მისი მოწაფეების საქმიანობა და ღვაწლი. მოგვიანებით დაიწერა ზოგიერთი მათგანის შესახებ დამოუკიდებელი მეტაფრასული და სინაქსარული „ცხოვრებები".

ასურელ მამათა მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები მოგვიანებით ქართული მწიგნობრობისა და განათლების კერებად იქცნენ (დაითვარეჯა, შიომღვიმე, ნეკრესი და სხვ.).

ატენი – ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, ატენის ხეობაში, მდ. ტანის ორიე ნაპირზე (ახლანდელი სოფელი გორის რაიონში), რომელიც აშენდა ბაგრატ IV-ის ბრძანებით XI ს. შუაწლებში. თვით ატენში და მის მიდამოებში გარდა ცნობილი უძველესი ტაძრის „ატენის სიონისა" (VII ს. I ნახ.), შუა საუკუნეების რამდენიმე ეკლესიაა: 1. მცირე გუმბათიანი ეკლესია X ს., ატენის სიონში მიმავალი გზის მარცხნივ, სიონიდან 1 კმ-ის მანძილზე. ეკლესიის დასავლეთის კართან ტიმპანზე ამოღარულია ძეგლის თანადროული საშენებლო ასომთავრული წარწერა, დახლ. 982-989 წლებისა: „ქრისტე ადიდე... რატი ერისთაჲ, ძე იგი ლიპარიტ ერისთაჲისაჲ რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისა და ბჭეჲ ცათაჲ, წმიდაჲ ეკლესიაჲ, სალოცველად სულისა მათისა". 2. ღვთისშობლის ეკლესიად, გვიანი შუა საუკუნეებისა. 3. წმ. ბარბარეს ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეებისა. 4. ნათლისმცემლის ეკლესია, განეთარებული შუა საუკუნეებისა, მოხატული XII-XIII სს. ეახუშტი წერს: „სიონის პირისპირ დანახვისის მთის ძირში, არის მონასტერი ნათლისმცემლისა" (ქართლ. ცხ. IV, 343). 5. კვირაცხოველის ეკლესია, შუა საუკუნეებისა (ატენის მიდამოები). 6. დანაბეჭდის წმ. გიორგის ეკლესია (მაღალ მთაზე), XI ს-ისა. მოხსენებულია ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობაში (ქართლ. ცხ., IV, 373). 7. წმ. გიორგის ეკლესია „ახალუქარი". მის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ციხის (კუკანთ-ბერი) დასავლით, მთასა შინა, არს ეკლესია წმიდისა გიორგისა „ახალუქარი", სასწაულმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუშეულნი და მცველნი არაოდეს. ვერ შეველს მპარავნი და ვერცა ნადირნი" (ქართლის ცხოვრება, IV, 343 23).

ატენის სიონი – VII ს. I ნახ. ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი ატენის ხეობაში, გორიდან 10 კმ-ზე. „სიონი" იმეორებს მცხეთის „ჯვარის" არქიტექტურულ გეგმასა და ფორმებს, თუმცა პროპორციები რამდენადმე შეცვლილი აქვს. ტაძრის გეგმის საფუძველია ჯვარი, რომლის ბრტყელებს შორის მთავსებულია ოთხი საკანი. ტაძრის ფასადებს ამკობს რელიეფები, სარკმელთა ჩუქურთმიანი თაქსარდები. ნაწილი ტაძრის აშენების თანადროულია, უმეტესობა კი – X ს. II ნახ.-შია რესტავრირებული. ტაძრის კედლის მოხატულობა (რელიგიური სიუჟეტები, ქართველ მეფეთა და ადგილობრივე ფეოდალთა ფრესკები) შკაფიოდ ეროვნული ხასიათისაა. ტაძრის მხატვრობა სპეციალისტთა მიერ სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული (შ. ამირანაშვილი – 904-906 წწ.; რ. შერვლიძე, თ. ბარნაველი – 1072-1080 წწ.). ტაძარში IX-XI სს. მრავალი ლაპიდარული და ფრესკული წარწერაა შემონახული, რომლებიც ძნიშნელოვან ისტორიულ ცნობებს შეიცავენ.

ატმენაობა – ქრისტეს შობის ღამე: „ქრისტეს შობის ღამეს უწოდენ მსოფლიონი" (სულხან-საბა, ლექსიკონი, I, 1966, გვ. 69).

ატოცი – სოფელი ქარელის რაიონში, სადაც დგას წმ. გიორგის ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეებისა. განახლებულია XVII-XIX სს-ში. ამ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული რელიგიურ-სახალხო დღესასწაული „ატოცობა". ატოცში არის X ს. მთაწარანგელოზის ეკლესიაც, ატოცის ციხის ტერიტორიაზე.

ატოციობა – გიორგობა-ქვაშვეთობა, წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული სახალხო დღესასწაული, რომელიც იმართებოდა სოფ. ატოცში (ქარელის რაიონი). დღესასწაული იწყებოდა ოქტომბრის I ნახევარში და რამდენიმე კვირა გრძელდებოდა (შაბათ-კვირაობით). ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლს შეადგენენ ქართლის, დასავლ. რაიონებისა და ზემო იმერეთის მცხოვრებნი.

„აუარებლითი" – 135-ე ფსალმუნის გალობათა ქართული სახელწოდება, რომელიც წარმოდგება პირველი გალობის დასაწყისი სიტყვიდან: „აუარებლით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი". ხოლო ბერძნული სახელწოდება კი ემყარება იმ ფაქტს, რომ 135-ე ფსალმუნის 26-ვე გალობა მთავრდება სიტყვებით: „უკუნისამდე არს წყალობა მისი", ე. ი. „წყალობა" მრავალჯერ არის განმეორებული. აქედან – „აუარებლითის" ბერძნული სახელწოდება – πολυέλαιος („მრავალშოწყალე"). ღვთისმსახურებაზე ამ საგალობლების შესრულების დროს ეკლესიის ყველა კანდელი ანთებული უნდა იყოს და მთელი ტაძარი უნდა იკმიოს.

„აუარებლითი" იგალობება სახარების საკითხვების წინ, რათა მორწმუნეთა სულები მოამზა-

დოს სახარებისეული თხრობის მოსასმენად.

აუგსბურგის აღსარება (გერ. Augsburger Konfession) — ლუთერანობის საფუძვლები (28 მუხლად გერმანულ და ლათინურ ენებზე). მ. ლუთერის თანხმობით შეადგინა მისმა თანამებრძოლმა ფ. მელანქთონმა და 1530 წ. აუგსბურგის რაიხსტაგზე იმპერატორ კარლოს IV-ს წარუდგინეს. მასში ჩამოყალიბებულია ლუთერანული ეკლესიის ძირითადი დოგმები და საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დამორჩილების პრინციპი. იმპერატორის მიერ „აღსარების“ უარყოფას მოჰყვა გერმანელ კათოლიკე და პროტესტანტ მთავრებს შორის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც დამთავრდა აუგსბურგის რელიგიური ზავით 1555 წ.

აუტოდაფე (ესპ. Auto de fe — რწმენის აქტი) — ინკვიზიციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადება, აგრეთვე მისი შესრულება — უმთავრესად მსჯავრდებულის კოცონზე დაწვა. შემოიღეს XIII ს-ში, ინკვიზიციის დაარსების დროიდან, მწვალებლების დასასჯელად. განსაკუთრებით გავრცელდა XV ს. დამლევიდან ჯერ ესპანეთსა და პორტუგალიაში, ხოლო შემდეგ მათ კოლონიებშიც. „აუტოდაფე“ იმართებოდა საჯაროდ, ქალაქის მთავარ მოედანზე, სამეფო კარის თანდასწრებით. უკანასკნელი „აუტოდაფე“ გაიმართა ქ. ვალენსიაში 1826 წ.

აშენი — სოფელი ლაგოდეხის რაიონში, მდ. აფენისხევის (არეშის შენაკადი) ნაპირზე, ალაზნის ვაკეზე, ლაგოდეხიდან 28 კმ. სოფელში დგას გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია.

აფთონი მოწამე (ბერძ. „უხვი“; † 341-345 წწ.) — სპარსეთის მეფის, საფარ II-ის (310-381) ერთ-ერთი ჯალათი, რომელმაც წმ. მოწამეების — აკვინდინოსის, პიღასის და ანემპოდისტოს ქრისტეს სარწმუნეობისათვის დასჯის დროს თვით ირწმუნა ქრისტე, სასალხოდ აღიარა თავისი დანაშაული მოწამეთა მიმართ ჩადენილი სისასტიკის გამო და თვითონ ეწამა ქრისტესთვის. თეოფილე ხუცესმონაზონის (XI ს. II ნახევარი) მიერ თარგმნილია მეტაფრასული რედაქციის ერთობლივი „წამება“ აკვინდინოსის, პიღასის ანემპოდისტოს, აფთონისა და ელპიდიფორესი, რომელიც რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული (S 384, XI ს., 535-553; Jer. 37, 139-149; Ath. 91, 225-277). მათი ხსენების დღეა 2 ნოემბერი.

ათინოგენე ეპისკოპოსი — თეოფილე ალექსანდრიელის (384-412) თანამედროვე და მისი ეპისტოლის („აფინოგენის მიმართ განწმედილად წოდებულთა მათთჳს — დიდი სჯულისკანონი, გვ. 529) ადრესატი. თეოფილეს ეპისტოლე წარმოადგენს პასუხს ათინოგენეს შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა მიიღოს ეკლესიამ „განწმედილად წოდებულნი“, ე. ი. კათარები ანუ ნოვატიანელები და სხვ. სახელმძღვანელოდ მიუთითებს ნიკეის მე-8 კანონს.

აშრაატ სარკისი — IV ს. საეკლესიო მწერალი, რომლის ერთი თხზულება — „სახე ალთქუმისაჲ“ თარგმნილია ქართულად (S 1141, XII ს., 410-433; Ath. 80., 275-288; Jer. 40, 235-245).

აშრიკანოს მოწამე — აფრიკელი მოწამე დეკიოს იმპერატორის (249-251) დროს. როდესაც იმპერატორის ბრძანებით და სიკვდილის მუქარით აფრიკეთის მმართველმა ფორტუნატიანემ მოედანზე შეკრებილ ხალხს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანა, შეშინებულებმა აღასრულეს ბრძანებული, ხოლო 40 ქრისტიანმა, რომლის მეთაური ტერენტიოსი იყო, სასტიკი უარი თქვა. ტერენტიოსი თავის სამ უახლოეს მეგობართან — აფრიკანოს, მაქსიმესა და პომპეოსთან ერთად დილეგში ჩაამწყვდიეს, ხოლო დანარჩენი 33 ქრისტიანს, რომელთაც უარი თქვეს ქრისტიანობის უარყოფაზე, თავები მოჰკვეთეს. ვერც ამ ხერხით აიძულეთნეს უარი ტერენტიოსსა და მის მეგობრებს. სასტიკი წამების შემდეგ მათაც თავები მოჰკვეთეს. მათი ხსენების დღედ დადებულია 10 აპრილი და 13 მარტი, ხოლო მათი ერთობლივი „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანის ერთადერთი ხელნაწერი (ქუთ. 2, XVI ს., 253-260) 21 მარტს უჭვენებს.

აშოც ეპისკოპოსი — V ს. II ნახ. ქარლოს პიტიახშის (ვარსქენის) კარის ეპისკოპოსი, წმ. შუშანიკის თანამედროვე (ძეგლ. I, 13,11).

აფხაზეთის საკათოლიკოსო — დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო, რომლის დაარსებას X ს. II ნახ. ვარაუდობენ. აფხაზთის საკათოლიკოსოს შეკვეთა კონსტანტინეპოლის სამპატრიარქოზე დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათოლიკოსის საკათედრო ტაძარი ანდრია მოციქულისა ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათოლიკოსს „ბიჭვინთის კათოლიკოსსაც“ უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათოლიკოსს ექვემდებარებოდა. XV ს.-დან, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად, აფხაზეთის საკათოლიკოსო დამოუკიდებელი გახდა და მისი მე-

თაური „აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქად“ იწოდებოდა. მისი ეპარქია მოიცავდა იმერეთის სამეფოს, გურიის, ოდიშის და აფხაზეთის სამთავროებს. XVI ს. II ნახევარში, კათოლიკოს ეფემონ ჩხეტიძის (1558-1578) დროს, აფხაზეთის საეპისკოპოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებით (სამეფო-სამთავროებს შორის შინაომები და ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება აფხაზეთში). ბიჭვინთას ამის შემდეგაც არ დაუკარგავს საკათოლიკოსო საყდრის სახელი და ძნიშნელობა. 1814 წ. 17 ოქტომბრის ბრძანებულებით დასაელეთ საქართველოს საკათოლიკოსო უშუალოდ შეუერთდა რუსეთის ეკლესიას, ხოლო ადგილობრივ მმართველად დანიშნა საქართველოს ეგზარხოსი, რომელსაც „საქართველოსა და იმერეთის ეგზარხოსი“ ეწოდა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი, ბიჭვინთის იადგარი – დასაელეთ საქართველოს საკათოლიკოსო (ბიჭვინთის) საყდრისათვის სხვადასხვა პირთა მიერ გაწეული ღვაწლისა და შეწირულებათა აღმნუსხველი ძეგლი, რომელიც ამასთან ერთად შეიცავს საკათოლიკოსოს უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის სამართლებრივ ნორმებს, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობათა დამამტკიცებელ საბუთებს: „იადგარში შესული მრავალი იურიდიული დოკუმენტი, შემონახულია რედაქტირებული ან პირუანდელი სახით. პირველი, ანუ საკუთრივ „იადგარი“ შედგენილა XVI-XVII სს. მოკლედ და საფუძვლად უდევს იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთისათვის 1537-65 წწ. დაწერილი „იადგარი“, რომელსაც დამოუკიდებელი და პირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. მეორე ნაწილი შედგება XVII-XVIII სს. მეფეების, კათოლიკოსებისა და მთავრების შეწირულებათა საბუთებისაგან, რომლებიც შემონახულია სრულად, ან ნაწყვეტის სახით. „იადგარში“ დაცული ცნობები საუკეთესო მასალაა საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ეკლესიის ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად.

აფხაზეთის საკათოლიკოსოს გლეხების დიდი დავთარი – აფხაზეთის საკათოლიკოსო „გამოსაელის მოსაკრებლე ბის დავთარი“ – დასაელეთ საქართველოს საკათოლიკოსო ყმებისა და მისი გადასახადების წიგნი („ნუსხა“), შედგენილია 1622 წ. აფხაზეთის კათოლიკოსის, მალაქიას დაკვეთით. დავთარში სრულად არის აღწერილი იმერეთის, გურიისა და ოდიშის ტერიტორიაზე კათოლიკოსის კუთვნილი ყმა მეკომურები და მათი ბეგარა-საშსახურიც; შედგენილია ცალ-ცალკე ცაიშის, ხონისა და ჯუმათის საეპისკოპოსოების საყმო დავთრებიც, რადგან 1622 წ. მალაქია კათოლიკოსი ცაიშელ-ჯუმათელი და ხონელი ეპისკოპოსიც იყო. დღევანდელ წყაროა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და დემოგრაფიული საკითხების შესასწავლად.

„აძებდითსა“ – სტიქარონის ერთ-ერთი სახე, ცისკრის ღვთისმშობურების მცირე ფორმის საგალობები. სახელწოდება აღებულია 148-ე ფსალმუნის პირველი, მე-2, 3, 4, 5, 7, 13 მუხლების დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა“. „აქებდითსა“ იგალობება 148-ე ფსალმუნის გალობათა შემდეგ (იხ. სტიქარონი).

აძსიონს (ბერძ. „ღირს არს“) – ასამღლებელი, მღვდელობის სხვადასხვა ხარისხში (დიაკონის, ხუცესის, ეპისკოპოსის) ხელთდასხმის დროს ხელთდამსხმელის მიერ ხმამაღლა წარმოთქმული შესახსენი ხელთდასხმის თხოვნელი სამღვდელო სამოსით შემოსვისას, რასაც იმერებს მგალობელთა ორიენ დასი, რომელიც აღნიშნავს, რომ ხელთდასხმული „ღირს არს“ შეიმოსოს თავისი ხარისხისა და მსახურების შესაბამისი სამოსლით, რომ ღირსი გახდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მღვდელმსახურება, რომელიც მან მიიღო სულიწმიდის მადლით.

„ალაპსა“ – დასაწყისი სიტყვა ფს. 70,8-ისა, რომელიც იგალობებოდა ჟამისწირვისას, ზიარების დასასრულს. ამ სახელითაა ცნობილი ზიარების დამამთავრებელი საგალობელი.

აღათოდოროს მღდელმოწამე – († 311) – ერთ-ერთი ქერსონეს (ყირიმში) წამებულ 7 ეპისკოპოსთაგანი, რომელიც ჩამოვიდა ქერსონეს პელესპონტოს ქვეყნიდან წარმართების მიერ მოკლული ბასილი ეპისკოპოსის ადგილის დასაკავებლად და მისი საქმიანობის გასაგრძელებლად ეპიპოს და ეგეონის ეპისკოპოსებთან ერთად. ქერსონეთის წარმართებმა სამივე ქვებით ჩაქოლეს 311 წ.

აღათოდოროსის და ქერსონეთში მოღვაწე კიდევ 6 ეპისკოპოსის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად ბერძნული ენიდან და შემონახულია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 2, XVI ს., 105-111). ხსენების დღეა 7 მარტი.

აღათონ გარეჯელი – XVIII ს. მიწურულის დავითგარეჯის მონასტრის ბერი,

რომელსაც 1799 წ. გადაუწერია კრებული H 1751, რომელიც შეიცავს პეტრე მოგილასა და სვიმეონ ჯულფელის თხზულებათა ქართულ თარგმანებს.

ალათონიკოს მოწამე („კეთილმძლეველი") – III ს. დასაწყისის მოწამე. ის იყო წარჩინებული გვარიდან, ცხოვრობდა ნიკომიდიაში, ეწამა ქრისტიანობის ქადაგებისათვის მაქსიმიანე იმპერატორის (284-305) დროს, სილიბრიაში, სადაც ის ნიკომიდიიდან მიიყვანეს იმპერატორის ბრძანებით. მისი წმ. ნაწილები დასვენებულია მისივე სახელზე აგებულ ეკლესიაში, კონსტანტინეპოლში. XIV ს. სილიბრიის არქიეპისკოპოსმა ფილოთეოსმა მას „მესხმა" უძღვნა. მისი ხსენების დღეა 22/VIII. ქართულად თარგმნილია ალათონიკოსის „წამების" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 1, XVI ს., 515-526).

ალათოპოდოს მოწამე („ფეხბედნიერი") – თესალონიკელი დიაკონი, ეწამა წიგნისმკითხველ თეოდულესთან ერთად იმპერატორების – დეკლიტიანესა და მაქსიმიანეს (284-305) მიერ ქრისტიანთა დევნის დროს, დაახლ. 303 წ. მათ ქვეი მოაბეს და ზღვაში გადაყარეს.

მათი ერთობლივი „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად და ერთი ხელნაწერითაა შემონახული (ქუთ. 7, XII ს., 43-60). მათი ხსენების დღეა 5 აპრილი, ქართული ხელნაწერის მიხედვით – 4 აპრილი.

ალაპი (ბერძ. „სიყვარული") – 1. „სიყვარულის სერობა", რომელიც დაწესებულ იქნა ბიზანტიაში ქრისტიანობის პირველივე წლებში. ასეთი სახელწოდება ამ რიტუალმა მიიღო იმის გამო, რომ ეს დღე ითელებოდა ქრისტეს საიდუმლო სერობის მოსახსენებლად და მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და სიყვარულის განმტკიცებას. შეკრებები დღესასწაულის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. თაუღაპირველად ასეთი სერობა ლიტურგიასთან ერთად ტარდებოდა, ოღონდ ზიარების დაწყებამდე, იმის აღსანიშნავად, რომ სახარების მიხედვით ქრისტემ თაეის მოწაფეებთან ერთად ჯერ სერობა ჩაატარა და შემდეგ კი მონაფეები აზიარა. მოგვიანებით, როდესაც დადგინდა ზიარების უზმოზე მიღების წესი, აღაპი, ანუ „სიყვარულის სერობა" ზიარების შემდეგ იწყებოდა. ზოგიერთი უხერხულობის თაეიდან ასაცილებლად II ს-დან აღაპებს ლიტურგიისაგან განცალკევებით მართაედნენ ეკლესიის შიგნით, ან მის ეზოში, საღამო ხანს. ასეთ შეკრებებზე თაეიდანეე ხშირი იყო არეულობა, ლოთობა, მდიდართა მიერ ღარიბების აბუჩად აგდება და დაცინეა, რაც ცუდი შედეგით მთაერდებოდა. ყოველივე ამან გამოიწეია ამ ჩეეულებისადმი ეკლესიის არცთუ კეთილი დამოკიდებულება. თუკი ღანგრის საეკლესიო კრების (340 წ.) მე-11 კანონში ლაპარაკია ასეთ შეკრებებზე დასწრების აუცილებლობის შესახებ, ლაოდიკიის კრების (343 წ.) 28-ე კანონი უკვე კრძალავს არამარტო აღაპების მოწყობას ეკლესია-მონასტრებში, არამედ ყოველგვარი ჭამა-სმისათვის შეკრებებს ეკლესიის შენობაში. საქმე ისაა, რომ როდესაც აღაპების რიტუალს ჩამოსცილდა „უსისხლო მსხეერპლის", ე. ი. ზიარების მიღების ელემენტი, მათ დაკარგეს სიმბოლური შინაარსი. მეექვსე მსოფლიო კრებამ (691 წ.) ლაოდიკიის კრების დადგენილების მსგავსი კანონით აკრძალა აღაპების ეკლესიაში გამართეა: „ეითარმედ არა ჯერ არს საუფლოთა ტაძართა დაგებაჲ" (74-ე კანონი) და დაუმატა, რომ „არა ჯერ არს შინაგან წმიდათა ეზოთა ეკლესიათაჲსა კაპილონისა ანუ სხუა რაჲსმე ჭამადისა სახლებისა დაგებაჲ..." (76-ე კანონი). საფიქრებელია, რომ ამაეე საკითხზე უნდა იყოს ლაპარაკი რუის-ურბნისის კრების (1105 წ.) „ძეგლისწერაში": „წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხდომად უწერენ, ნუღარამც კადრებულ არს ქმნად ამიერითგან..." (მე-13 კანონი).

2. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად დაწესებული წირეა, პანაშვიდი და „სიყეარულის" ტრაპეზი, განკუთენილი სამონასტრო კრებულისათეის. აღაპი წესდებოდა პირისათეის (როგორც სასულიერო, ისე საერო), რომელსაც განსაკუთრებული, ან გარკეეული დამსახურება მიუძღოდა მონასტრისადმი (უპირეელეს ყოელისა, მონასტრის დამაარსებელთა, აღმაშენებელთა და შეწირველთათეის). მონასტრისადმი დამსახურების შესაბამისად განსხეაეებოდა სულის მოსახსენებლის ფორმაც: წესდებოდა აღაპი, კარგადღეებული აღაპი, პანაშვიდი, მოსახსენიებელი თუ შემომწირეელის სახელის სულთა მატიანეში ჩაწერა. შემოწირულებათა აღრიცხეისათეის ეკლესია-მონასტრებს ჰქონდათ თაეისებური საღრიცხეო დავთრები, სადაც ამა თუ იმ სახით აღიბეჭდებოდა შემომწირეელის ღაეწილი და ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულის ეალდებულება შემომწირეელთა მიმართ. ქართულ ეკლესია-მონასტრებში ამგეარი დავთრების ორი სახე არსე-

ბობდა: 1. „მოსასენიებლები“ და „სულთა მატიანები“. 2. ალაპები.

ალაის განწესება ხდებოდა წლის ყოველ დღეზე, ამიტომ ალაის ჩასაწერად, ჩვეულებრივ, იყენებდნენ ისეთ ხელნაწერს, სადაც ლიტურგიკული მასალა დალაგებული იქნებოდა წლის მთელ მანძილზე, ე. ი. მოცემული იქნებოდა მთელი წლის კალენდარი. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოსახერხებელი იყო სვინაქსარი, რომელიც შეიცავს მღვდელმსახურების განგებას, როგორც წლის ყოველ დღეზე, ასევე მოძრავ დღესასწაულებზეც. ამიტომ არის, რომ ალაი იწერებოდა სწორედ სვინაქსრის გვერდებზე და იმ დღის გასწერად, როდესაც ის უნდა შესრულებულიყო. ჩვენამდე მოღწეულთაგან ასეთია იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის სვინაქსარი (Jer. 24-25), „ჟოლეოთას სვინაქსარი (H 1661, 1155 წ.), სამხრეთ საქართველოში გადაწერილი დიდი სვინაქსარის „ნუსხები (A 193, XI ს. და A 97, XI ს.) სააღაპედ განკუთვნილ სვინაქსარებში ალაები იწერებოდა წლების და საუკუნეების მანძილზე. ხელნაწერი ამასობაში ძველდებოდა, იხეთდა, სააღაპე მინაწერების გადალეული ტექსტები ძნელად საკითხაი ხდებოდა. ამიტომ მათი განახლებისა და თაემოყრის მიზნით ზოგიერთ ალაების ტექსტებს ცალკე იწერდნენ მათთვის განკუთვნილ დღეებზე მითითებით. ამ გზით იქმნებოდა წიგნები, რომლებიც ალათა ტექსტებს მოიცავდნენ. ამგვარი სააღაპე წიგნის ნიმუშია „ათონის იქვრის მონასტრის ალაები“ (A 558, გამოც.: მ. ჯანაშვილის მიერ, ტფ. 1901 წ., და ე. მეტრეველის მიერ გამოცემული „ათონის ქართ. მონასტრის სააღაპე წიგნი“, თბ., 1998 წ., ჯვარის მონასტრის ალაები: მასალები იერუსალიმის ქართ. კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962 წ.).

ᲐᲚᲐᲘᲘ – ათონის მთის ქართველთა მონასტრის მღვდაწე, კალიგრაფი, ექვთიმე მთაწმიდელის თანამედროვე. ალაის 1014 წ. გადაუწერია ბასილი კესარიელის „ფსალმუნთა თარგმანების“ ეფთვიმესეული თარგმანი (Ath. 33).

ᲐᲚᲐᲘᲘ – მართლმადიდებლური ეკლესიის რამდენიმე მოწამის სახელი:

1. მოწამე ქალი II-III საუკუნეებისა, რომელიც იტალიის ქ. აკვილეაში ეწამა ქრისტიანობის აღსარებისათვის თაის დებთან – ირინასა და ქრონიასთან ერთად. მათი ერთობლივი „წამების“ შეუტყობრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (კუთ. 7,60-66). ხსენების დღედ დადებულია 16 აპრილი, ხოლო ქართული თარგმანი უთითებს 5 აპრილს.

2. II ს. დასაწყისის მოწამე, ეწამა ტრაიანე იმპერატორის (98-117) დროს. იყო ტიტეს და შემდეგ ტრაიანეს მხედართმთავარის – ეუსტატის (ერისკაცობაში – პლაკიდა) შვილი. ეწამა ქრისტიანობის აღსარებისათვის თაის მშობლებთან – ეუსტათისა და თეოპისტიასა და ძმასთან – თეოპისტესთან ერთად. მათი ერთობლივი „წამების“ კომენური რედაქციის ორი ქართული თარგმანია მოღწეული. პირველი თარგმნილია უცნობი მთარგმნელის მიერ (Sin. 25, X ს., 206-213; Ath. 53, 65-87), მეორე – ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (Ath. 17), ხოლო მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ (Ath. 20, XI ს., 138-152). ხსენების დღედ დადებულია 20 სექტემბერი.

3. IV ს. მოწამე, შვილი ქრისტიანი დედის – ბასია და წარმართი ქურუმი მამისა. დედამ შეილები – ალაი და პისტი ქრისტიანებად აღზარდა. მამის მიერ დასმენის შემდეგ ისინი სასტიკად აწამეს მაქსიმიანე გალერიუსის დროს (305-311). ბასა მოწამისა და მისი შვილების „წამების“ კომენური და მეტაფრასული რედაქციები თარგმნილია ქართულად (კომენური: Jer. 2, XI ს., 244-268; Ath. 71, 325r-338v; მეტაფრასული: ქუთ. 1, XVII ს. ფ. 502-215). ხსენების დღედ დადებულია 21 აგვისტო.

4. იტალიელი მოწამე ქალი, რომელიც თაეის დებთან – ელპიდისა და პისტასთან ერთად ეწამა ქრისტესთვის რომში იმპერატორ ადრიანეს (117-138) მეფობის დროს (დაწერ. იხ.: ელპიდი).

ᲐᲚᲐᲘᲘᲡᲗᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲝᲞᲝᲚᲔᲔᲚᲘ – VI ს. კონსტანტინეპოლის პატრიარქი, საეკლესიო მწერალი, რომლის თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია „სამეფო ქარტია; ანუ ტომარი“ (თარგმანი შესრულებულია რუსუდან გაიოზ რეტორის მიერ 1776 წ. H 39; 11-70; H 125; და სხვ.).

ᲐᲚᲐᲘᲐᲗᲝ ᲡᲘᲜᲐᲘᲓᲔᲚᲘ – IV ს. სინაიდის ეპისკოპოსი, თაეისი სასწაულმოქმედებისა და სიწმინდის გამო ქრისტიანული ეკლესიის წმინდანად აღიარებული. ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა მონაზვნად, მაგრამ ლიკინიოზ იმპერატორმა (307-324) მისი ფიზიკური ძალით მოხიბლულმა, აიძულა ჯარისკაცი გამხდარიყო. მხლოდ კონსტანტინე დიდმა გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან და იგი ისევ თაეის მონასტერს დაუბრუნდა. სინაიდის ეპისკოპოსმა ალაიტო ხუცესად აკურთხა, ხოლო ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ერთსულოვნად ირჩიეს სინაიდის ეპისკოპოსად.

ანაპიტო სინაიდელის (ქართ. წყაროში მას „სუნაელი“ ეწოდება) მეტაფრასული რედაქციის „ცხოვრება“ თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად (ქუთ. I, XVI ს., 67-77). ხსენების დღეა 18 თებერვალი.

„აღგიარო“ – I ფსალმუნის მე-11 კანონის დასაწყისი გალობა (74-ე ფსალმუნის პირველი გალობა): „აღგიაროთ შენ, ღმერთსა, აღგიაროთ შენ და ვჰკაღოთ სახელსა შენსა. მიუთხრობდე ყოველთა საკურველებათა შენთა“.

2. ფსალმუნის მე-2 კანონის დასაწყისი გალობა (მე-9 ფსალმუნის პირველი გალობა): „აღგიარო შენ უფალო, ყოველითა გულითა ჩემითა და მიუთხრა მე ყოველი საკურველებაჲ შენი“.

აღდგომა – ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი საუფლო დღესასწაული, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად. სახარების მიხედვით, შაბათ ღამეს, გამთენიისას ღვთის მიერ მოვლენილმა ანგელოზმა სამი დღის დაფლული იესო ქრისტეს საფლავიდან დიდი ლოდი გადაადგორა და ამ ლოდზე დაჯდა. ამ სანახაობით შეძრწუნებულმა საფლავის მცველებმა გონება დაკარგეს და მკვდრებივით დაეცვივნენ საფლავთან. ანგელოზმა ამცნო ამ დროს ქრისტეს საფლავზე მოსულ მარიამ მაგდალინელსა და მარიამ იაკობისას, რომ ქრისტე „არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა სთქუა“ (მათე 28,6). აღდგომის სასწაული, საეკლესიო მოძღვრების თანახმად, არის დაგვირგვინება იმ საგანგებო მოვლენებისა, რომლებიც მოწმობენ ქრისტეს ღვთაებობას და ამასთან ერთად ქრისტიანული რელიგიის ღვთაებრივ წარმოშობას.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, პირველი საესე მთვარის მომდევნო კვირა დღეს (ყველაზე ადრე აღდგომა ძვ. სტილით 21 მარტსაა, ხოლო ყველაზე გვიან – 26 აპრილს). მას წინ უსწრებს დიდმარხვა, რომელიც მორწმუნეებს აღდგომასთან შესახვედრად ამზადებს. აღდგომის დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას (ბრწყინვალე კვირა), „ახალკვირიაკემდე“ (კვირაცხოველი). აღდგომის დღესასწაულზე კვერცხის წითლად შეღებვა სიმბოლურად გამოხატავს ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დანთხეულ სისხლს, კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა. აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავი საკალენდარო დღის დადგენა ყველა ქრისტიანისათვის ნიკიის პირველ მსოფლიო კრებას მიეწერება (325 წ.), რადგან ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ხშირი იყო სხვადასხვა კუთხის ქრისტიანების მიერ აღდგომის დღესასწაულების განსხვავებულ დღეებში აღნიშვნის შემთხვევები და ზოგჯერ ქრისტიანები აღდგომას ებრაული პასექის დღეს დღესასწაულობდნენ.

საკალენდარო საგალობლის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იოანე დამასკელს. ეს საგალობლები შესულია ოქტოიხოსში, ანუ პარაკლიტონში; ქართულად თარგმნილია IX-XI სს-ში.

ეკლესიის მამებმა მრავალი ქადაგება (ჰომილია) მიუძღვნეს აღდგომის დღესასწაულს, რომელთაგან ქართულად თარგმნილია: 1. ათანასი ალექსანდრიელის „აღდგომისათჳს უფლისა (A 691, 229-238 (მიაწერიათ იოანე ოქროპირისად – Migne, PG. t. 61, 733-739). 2. გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) ორი ჰომილია: 1) „თქუმული აღსებისათჳს“ (1) A 1, 11-36; A 16,15-16; A 87, 195-197; A 92, 61-66; A 178, 30-32; Sin. 88, 116-181, თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. ამავე ჰომილიის მეორე – ეფრემ მცირისეული თარგმანი – A 109, 373-375; A 292, 282-283; ქუთ. 9, 234-237; A 129, 268-270). 2. „თქუმული აღსებისათჳს“ (A 1, 30-75; A 16, 16-29; A 87, 128-218; A 92, 36-110; Sin. 88, 22-65) – ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი. ამავე ჰომილიის ეფრემ მცირისეული თარგმანი – A 109, 377-404; A 292, 83-93; ქუთ. 8, 220-310; ქუთ. 9,237-257). 3. ეპიფანე კვიპრელის († 403) „თქუმული აღსებისათჳს და აღდგომისათჳს უფლისა“ (A 1102, ფ. 139). 4. იოანე ოქროპირი, აღდგომისადმი მიძღვნილი 8 ჰომილია: 1) Ath. 11, 123-125; A 1109, 128-131; A 144, 92-97; A 70, 141-148. 2) A 144, 97-101; A 1109, 132-137. 3) A 144, 101-103; A 1109, 137-138; A 70, 140-141. 4) A 144, 103-105; A 1109, 138-139; A 70, 143-144. 5) A 613, Ath. 7, 305-310. 6) A 5, 413-145; A 50, 56-58; A 71, 1-2; A 674, 217-218; Ath. 7, ფ. 239. 7) 144, 150-153; 1109, 144-145; Ath. 80, 125-126; Sin. 83, 108-110. 8) A 144, 217-221; A 1109, 140-143; Ath. 80, 136-129; Sin. 83, 102-108.

ამათგან გამოცემულია A 144 (X) და A 1109 (IX) ხელნაწერებში შესული საკითხები („ალარაჯული მრავალთავი“, თბ., 1991 წ. და „უდაბნოს მრავალთავი“, თბ., 1094).

აღდგომა მიცვალებულთა – ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებით, მიცვალებულთა აღდგომა მოხდება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს: „რამეთუ მოვალს ჟამი და

აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინონ ხიტყუანი ძისა ღმრთისანი და რომელთა ისმინონ, ცხოვნდენ“ (იოანე, 5,25).

პაელე მოციქულის მოძღვრებით, მიცვალებულთა აღდგომა მოხდება თვალის დახამხამებაში. ღმერთი თავისი ძალით აღადგენს მიცვალებულებს განუხრწნელად და აღდგენილთა სხეულები იქნებიან იგივე, მაგრამ არა იმგვარნი, როგორც წინათ, არამედ განუხრწნელნი, სულიერნი, ნათელმოსილნი და უკუდავნი, მსგავსად მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს სხეულისა (I კორ. 15). მოუნანიებელნი ასევე იქნებიან სულიერნი და უკუდავნი, მაგრამ ბნელნი და უმსგავსნი, განწირულნი ცეცხლით მუდმივი წამებისათვის.

„ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ ᲕᲘᲜᲘᲚᲔᲗ“ – საზეიმო გალობა კვირა დღის საცისკრო ღვთისმსახურების დროს, რომელიც სრულდება სახარების საკითხვის შემდეგ, და რომელშიც მოთხრობილია ქრისტეს აღდგომის შესახებ. გალობა, გარდა კვირა დღისა, სრულდება ზოგიერთ სხვა დღესასწაულებზეც: I. ჯვარის ამაღლების დღესასწაულზე (14 სექტემბერს), როდესაც იკითხება სახარება ჯვრის შესახებ, რომლისადმი თაყვანისცემას მოუწოდებს ეს გალობა. 2. ამაღლების დღესასწაულზე, როდესაც იკითხება სახარება ქრისტეს აღდგომის შესახებ (მარკ. 16). 3. ლაზარეს შაბათს, რადგან ამ დღესასწაულზე საუბარია საყოველთაო აღდგომაზე; „ალდგომაჲ ქრისტესი“ იგალობება იმ კვირა დღეებში, რომლებზეც მოდის ღვთისმშობლის დღესასწაულები, თუმცა ცისკრად არ იკითხება აღდგომის საცისკრო სახარება. ამ დღეებში სახარების საკითხვების წინ და შემდეგ იგალობება გალობა აღდგომის შესახებ. შვიდეული დღეებში „ალდგომაჲ ქრისტესი“ იგალობება აღდგომის დღით დაწყებული ამაღლებამდე. აღდგომა დღეს, აღდგომის შვიდეულისა და ყველა კვირა დღეს აღდგომიდან ამაღლებამდე „ალდგომაჲ ქრისტესი“ იგალობება სამჯერ, სხვა დღეებში – თითოჯერ. საუღელო დღესასწაულებზე ბაიობის კვირას სულთმოფენის, ქრისტეს შობის, ნათლისღების, ფერისცვალების დღესასწაულები კვირა დღესაც რომ დაემთხვეს, „ალდგომაჲ ქრისტესი“ არ იგალობება.

ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲐᲜᲔ (ᲒᲝᲚᲒᲝᲗᲐ) – ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდეთაგანი იერუსალიმში. IV ს-ში კონსტანტინე დიდმა იქ ადგილზე, სადაც სახარების მიხედვით, ჯვარს აცვეს და დაფლეს ქრისტე, ააშენა ბაზილიკა (მარტვირიონი). შემდეგში აქვე ააგეს მრგვალი ეკლესია (როტონდა) და სხვა შენობები. ამის შემდეგ ეს ადგილი ცნობილია „წმინდა აღდგომის“, „წმინდა გოლგოთის“ და „ქრისტეს საფლაოს“ სახელწოდებით და ითვლება მთელი საქრისტიანოს წმიდათაწმიდა ადგილად. მის პატრონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ როგორც სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანი ბერები, ისე მაჰმადიანები (არაბები, სპარსელები, სელჯუკები, მამლუკები, ოსმალები). საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ აღდგომის სავანეში ქართველებს. ეს გავლენა გაიზარდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებისა და, განსაკუთრებით, საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ხანაში. ზოგჯერ აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო; ისინი თითქმის მუდამ ითვლებოდნენ მფარველად და ქტიტორად „გოლგოთისა“ და „აღდგომისა“. XI ს-ში ქართველებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც სისტორიო ძეგლებში ცნობილია „გოლგოთელის“ სახელით. აღდგომის სავანეში, როგორც პალესტინის სხვა წმინდა ადგილებში, ქართველი მოღვაწეები მწიგნობრობასაც ეწეოდნენ. ბევრი ძველი ქართული წიგნი დაიწერა, ან გადაიწერა „სანახებსა წმიდისა აღდგომისასა“ XI ს. I ნახევარში, სანამ ქართველები იერუსალიმის ჯვარის მონასტერს ააშენებდნენ. აღდგომის სავანეში ხელნაწერთა გადაწერასა და შემზადებაზე იღვწოდა ქართველ მწიგნობართა ჯგუფი, რომელსაც გოლგოთელი ეპისკოპოსი ხელმძღვანელობდა. XIII-XIV სს. ქართულ წყაროებში მოხსენიება აგრეთვე გოლგოთის დეკანოზი, ქრისტეს საფლაოს მოძეართმოძღვარი და აღდგომელი, რომლებსაც აღდგომის სავანეში ქართველთა კუთვნილი წმინდა ადგილების მოვლა და დაცვა ევალებოდათ. აღდგომის სავანეში მოღვაწე ქართველებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა თავიანთი უფლებების დასაცავად. ამის დამადასტურებელი ცნობები შემოგვინახა ქართულმა და არაბულმა წყაროებმა, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებმა. ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება იყო ქართველთა უფლებების წერილობითი ფიქსაცია. ასეთ დოკუმენტად XII ს. ხელნაწერის – „გოლგოთის სვინაქსარის“ (H 1661) მინაწერი, რომელიც დაახლ. 1400 წ. განუკუთვნება. „ძველი ერისთავთა“ გვაუწყებს ცნობას, რომელსაც ადასტურებს უცხო ავტორთა და მოგზაურთა ჩანაწერებიც, რომ ქართველებმა XIV ს. 20-იან წლებში მოიპოვეს ქრისტეს საფლავის კლიტე და ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ მას. აღდგომის სავანეს, ანუ ქრისტეს საფლავის ეკლესიას

საქართველოში საყმო სოფლები პქონდა XX ს. დასწყისშიც კი. 1807 წ. ორ საბუთში კი (Ad 672 და Ad 546), რომელიც გაცემულია ქრისტეს საფლავის არქიმანდრიტისა და ჯვარის მამის ბენედიქტეს მიერ, დადგენილია სოფ. ალდგომის გლეხთა საგადასახადო ვალდებულებანი დასახელებულ სავანისადმი.

ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘ – იხ. ბრწყინვალე კვირა.

ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲜᲘ – იხ. დასდებელნი (ალდგომისანი).

„ᲐᲚᲓᲔᲑ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲔ ᲫᲔᲫᲣᲚᲐᲡᲐ“ – ფს. 81, 8, რომელიც სრულდება ლიტურგიაზე დიდ შაბათს (მე-7 ხმაზე), „ალილუიას“ ნაცვლად. მისი გალობის დროს მღვდელმსახურნი იცვლიან სამოსელს, შავის ნაცვლად იცვამენ ნათელი ფერისას.

ᲐᲚᲔᲑᲐ//ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ – მარხვის დაწყების წინ სახსნილო ციკლის დღეების დამთავრების აღმნიშვნელი ტერმინი („ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ“ – „ალილუიას“ ნაცვლად. მისი გალობის დროს მღვდელმსახურნი იცვლიან სამოსელს, შავის ნაცვლად იცვამენ ნათელი ფერისას.

ᲐᲚᲔᲑᲐ//ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ – მარხვის დაწყების წინ სახსნილო ციკლის დღეების დამთავრების აღმნიშვნელი ტერმინი („ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ“ – „ალილუიას“ ნაცვლად. მისი გალობის დროს მღვდელმსახურნი იცვლიან სამოსელს, შავის ნაცვლად იცვამენ ნათელი ფერისას.

ᲐᲚᲔᲑᲐ//ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ – მარხვის დაწყების წინ სახსნილო ციკლის დღეების დამთავრების აღმნიშვნელი ტერმინი („ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ“ – „ალილუიას“ ნაცვლად. მისი გალობის დროს მღვდელმსახურნი იცვლიან სამოსელს, შავის ნაცვლად იცვამენ ნათელი ფერისას.

ᲐᲚᲔᲑᲐ//ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ – მარხვის დაწყების წინ სახსნილო ციკლის დღეების დამთავრების აღმნიშვნელი ტერმინი („ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲙᲠᲔᲑᲐ“ – „ალილუიას“ ნაცვლად. მისი გალობის დროს მღვდელმსახურნი იცვლიან სამოსელს, შავის ნაცვლად იცვამენ ნათელი ფერისას.

„ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ“ – სტიქარონის ერთერთი სახე, ცისკრის ღვთისმსახურების მცირე ფორმის საგალობელი, რომელიც იგალობება 89-ე ფსალმუნის გალობებთან ერთად. სახელწოდება აღებულია ფს. 89, 14-ის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „აღვიესენით ჩუენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო“ (იხ. სტიქარონი).

ᲐᲚᲔᲡᲔᲑᲐ – ამ ტერმინით ძველი ქართული ღვთისმსახურების წიგნებში იწოდება ალდგომის დღესასწაული, სათანადო ასტრონომიული მოელენის – მთვარის აღსების აღსანიშნავად. აღსებად მოიხსენიებენ ალდგომას დღესაც ფშაველებსურეთში (იხ. ალდგომა).

ᲐᲚᲗᲔᲥᲛᲐ (ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ) – შეთანხმება, კავშირი, პირობა ღმერთსა და ადამიანს შორის. ეს კავშირი ჯერ კიდევ სამოთხეში დაიდო (შესაქ. II-15-18), შემდგომ ის უფრო ნათლად ჩამოყალიბდა პირველ მამათა და პატრიარქთა, განსაკუთრებით კი მოსეს დროს, სინის სჯულდებაში (ლევ. XXI, 42; გამ. II, 24; გალ. IV, 24). ძველი აღთქმა (2 კორ. III, 14) იყო ახალ აღთქმაში მოცემული ღვთის განცხადების წინასწარ მოსწავება. შესაბამისად, ძველი საღვთო წიგნები იწოდება ძველ აღთქმად, ხოლო ქრისტიანული ეკლესიის წიგნებმა, რომელნიც გვამცნობენ ღვთის გამოცხადებას ქრისტესა და მისი მოძღვრების სახით, მიიღო ახალი აღთქმის სახელწოდება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები გაერთიანებული ერთი სათაურის ქვეშ და ეწოდება ბიბლია (იხ.).

ძველი აღთქმა (ანუ ძველი აღთქმის წიგნები) გამოხატავს ძველ კავშირს ადამიანსა და ღმერთს შორის, რომლის თანახმად ღმერთმა აღუთქვა ადამიანებს ღვთაებრივი მხსნელის მოვლინება და ამზადებდა მათ მის მისაღებად. ახალი აღთქმა ახარებს კაცობრიობას იმ პირობის, იმ აღთქმის შესრულებას, რომელიც იყო აღთქმული ღვთის მიერ – ქვეყნად უფლის, მხსნელის მოვლინებას, მის ამქვეყნიურ ცხოვრებას, მის მოძღვრებას, სასწაულებს, მის ტანჯვასა და ვნებას და ბოლოს ცად ამაღლებას (იხ. ახალი აღთქმის წიგნები, ძველი აღთქმის წიგნები).

ᲐᲚᲙᲔᲪᲐ – თმის მოკვეცა ჯვრისებურად, რომელიც აღნიშნავს, რომ პიროვნება, რომელზედაც ეს რიტუალი ტარდება, ეძლევა ღვთის მორჩილებას, რადგან თმის მოკვეცა უძველესი დროიდან მონობის, მორჩილების ნიშანი იყო. თმის მოკვეცა სრულდება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველად მოკვეცენ თმას კეფაზე, შემდეგ თაეის წინა მხარეს, ხოლო ბოლოს – მარჯვენა და მარცხენა მხარეს. თმის აღკვეცის რიტუალი სრულდება: 1. ნათლისღების დროს. 2. წიგნის მკითხველად და მგალობელად კურთხევისას. 3. მონაზვნად კურთხევის, ანუ მცირე სქემის კურთხევის დროს. აღკვეცის მომენტში წარმოითქმება მონაზონის ახალი სახელი, რომელიც მან მონაზონობაში უნდა ატაროს. ახალი სახელი ეძლევა მონაზონს იმის აღსანიშნავად, რომ ის უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრებას და მთლიანად უძღვნის თავს ღვთისმსახურებას.

„ᲐᲚᲛᲝᲗᲥᲣᲜᲘ“ – შვიდი ფსალმუნისაგან (44-50) შემდგარი ჯგუფის სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს ფსალმუნის მეშვიდე კანონს (იცათაგან). სახელწოდება აღებულია ამ ჯგუფის პირველი (ე. ი. 44-ე) ფსალმუნის დასწყისი სიტყვისაგან: „აღმოთქუნ გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი...“. სახელწოდება ადასტურებს, რომ უძველეს ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში ფსალმუნთა კანონები უმეტეს შემთხვევაში აღინიშნებოდნენ მათი დასაწყისი ფსალმუნის პირველი სიტყვით: „ნეტარარსი“ (I კანონი), „ნეტარარიანი“ (მე-17 კანონი), „ჭირსა ჩემსა“// „ჭირის კანონი“ (მე-18 კანონი) და სხვ. IX-X სს-ის მოღაწეს – დაჩის სომხურიდან უთარგმნია „ფსალმუნთა თარგმანება“ ეპიფანე კვიპრელისა, არა მთლიანად, არამედ ნაწილი – „მე ასერ-

გასისხა მთგან საკთხეთა შორის შვიდნი, ხოლო გამომიხუმან, რომელ არს „აღმოთქუნი“ ოდენ სრულიად (შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 365, 21). მართლაც, ფსალმუნის მეშვიდე კანონი, რომელიც შვიდ ფსალმუნს შეიცავს (44-50), იწყება სიტყვებით: „აღმოთქუენ გულმან ჩემმან...“ (44-ე ფსალმუნი).

აღმსარებელი – ასე ეწოდებოდათ მოწამეებს, რომლებიც დაუფარავად აღიარებდნენ ქრისტეს მოძღვრებას (მათე 10,32) და არ უშინდებოდნენ ტანჯვა-წამებით სიკვდილს. ამ ზედწოდებით მოხსენიებულთა შორისაა წმ. მაქსიმე აღმსარებელი.

აღმძუმელი – ნათლია, რომელიც ამოიყვანს ემბაზიდან ახლად მონათლულ ჩვილს. აღმქუმელი პასუხისმგებელი და თავმდებია ჩვილის ქრისტიანული აღზრდაზე.

აღნადგინები – ვახშის ყველაზე მძიმე სახეობა „მიღება ერთისა და ნახევრისა“, როდესაც გასესხებული თანხის სარგებელი შეადგენდა მის ნახევარს წელიწადში. ვახშის ამ სახეობის შესატყვისად ქართულ ტექსტებში ზოგჯერ იხმარება „აღნადგინები“. ძველი რომაული კანონებით ფულის სარგებლიანი გასესხება ნებადართული იყო. სარგებელი, ჩვეულებრივ, უდრიდა მთელი გასესხებული თანხის მეასედ ნაწილს ყოველთვიურად, ანუ წელიწადში 12%. ეს იყო usura centesima. ვახშის უფრო იოლი სახე იყო ნახევრიანი სარგებელი, როდესაც გასესხებულ თანხას 12%-ის ნაცვლად ებარებოდა 6%. საეკლესიო კანონმდებლობით სასულიერო პირებს აკრძალული აქვთ ფულის ყოველგვარი სახის სარგებლით გასესხება: „ითარემედ არა უქმს სამღდელოთა ვასხებაჲ და ვახშისა და აღნადგინების მიღებაჲ“ (ლაოდ. კრ. მე-4 კან.) იგივეა ნათქვამი 1204-1230 წწ. ქართულ ორიგინალურ ძეგლში „განგებაჲ ვაჭანის ქუაბთა“: „არავის ძმათაგანსა ქალეწოფების მონასტერსა ამას შინა... ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საქმართაჲ მსოფლიოთაჲ, გინა დაჭირვებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ, რომელ ესე დიდისა უწესოებისა არს საზღუარ და დასასრულ ანგაჩრებითისა სიბოროტისა და ეაჭრობისა უძურეს არს“ (სამ. ძეგლ. III,141).

აღსავალი – ამბიონის შუა ნაწილში ასასვლელი კიბე.

„აღსავალთაჲ“ („გალობაჲ აღსავალთა“) – ანტიფონური საგალობლის ერთ-ერთი სახეობა. „გალობა აღსავალთა“ ეწოდება იმიტომ, რომ ის შედგენილია იმ 15 ფსალმუნის (119-133) მიხედვით, რომლებიც ატარებენ ამ სახელწოდებას. დასახელებულ ფსალმუნთა ეს სახელწოდება კი მომდინარეობს იქიდან, რომ ებრაულ ღვთისმსახურებაში ეს ფსალმუნები იგალობებოდა იერუსალიმის ტაძარში საფეხურებზე იუდეველთა ორი გუნდის მონაცვლეობით.

აღსავალთა გალობას თითქოსდა მიაყავს მორწმუნენი კიბის საფეხურებზე ამქვეყნიდან ზეცისაკენ, მწუხარებიდან სიხარულისაკენ, უბედურებიდან სანეტარო განცხრომისაკენ.

აღსავლის ჯარი – სამეუფო კარი, კანკელის შუა კარი აღსავლის პირდაპირ.

აღსამაღლებელი//ასამაღლებელი – მღვდლის საიდუმლო ლოცვის დამამთავრებელი სიტყვები, რომელთაც ის ამბობს ზეაწეული ხმით. ყველა ასამაღლებელი, წარმოთქმული ღვთისმსახურების განმავლობაში, შეადგენს ერთ „დიდებისმეტყველებას“, რომელიც დანაწილებულია მათ შორის ჩართული სხვადასხვა საგალობლებით, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ან საეკლესიო კალენდართან, ან ლოცვებთან, რომლებსაც საიდუმლოდ კითხულობს ხუცესი, ან საგალობლებთან, რომლებსაც მგალობელნი გალობენ. მწუხარე ხუცესი ასამაღლებელში დიდი კურცხლის შემდეგ ადიდებს ღმერთს, როგორც ერთადერთ სრულყოფილ არსს: „რამეთუ შუენის შენდა ყოველი დიდებაჲ, პატიჲ და თაყუანისცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე“. შემდეგ ასამაღლებელში მცირე კურთხევის შემდეგ უფალი განდიდებულია, როგორც სამყაროს შემოქმედი და შემქმნელი: „რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის უკუნითი-უკუნისამდე“. შემდეგი ასამაღლებელი შეიცავს ღვთის დიდებისმეტყველებას, როგორც სამყაროს მხსნელისა: „რამეთუ სასიერი და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვაკენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე“. მეოთხე კურცხლის შემდეგ კი ასამაღლებელი: „რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი და შენდა დიდებასა აღვაკენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე“. საღვთო წერილის კითხვას წინ უძღვის ასამაღლებელთა რიგი. მწუხარი იწყება ასამაღლებელით: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი“, ხოლო ცისკარი – „დიდება წმიდასა ერთარსსა, ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა

სამებასა", ლიტურგია – „ყურთხეულ არს მეუფებაჲ..." და ა. შ. ასამაღლებელის შემდეგ მგალობელთა გუნდი გალობს: „ამინ".

ალსარება – I. სარწმუნოების აღიარება. ქრისტიანული ნათლისღების დროს სხვა რელიგიიდან ქრისტიანად გახდომის მსურველი ჯერ აღიარებს თავისი სარწმუნოების ცთომილებას, გმობს მას და გამოთქვამს სურვილს გახდეს ქრისტიანი. შემდეგ პუნქტობრივად აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა დოგმას და კითხულობს სარწმუნოების აღსარებას.

2. ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოს, სინანულის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მორწმუნის მიერ ცოდვების აღიარებასა და მონანიებაში გამოიხატება. იგი მღვდლის წინაშე დაუფარავად აღიარებს ჩადენილ ცოდვებს და ცოდვების მისატევებლად მას ღმერთთან შუამდგომლობას სთხოვს. მღვდელი იესო ქრისტეს სახელით მოუტევებს მას ცოდვებს. ამის შემდეგ მორწმუნე ცოდვათაგან განწმენდილად ითვლება.

„ალსარებაჲ სარწმუნოებისაჲ" – იხ. მრწამსი.

„ალსარებაჲ ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ" – ათანასე ალექსანდრიელის დოგმატიკური ხასიათის თხზულება. ბერძნული ტექსტი მოღწეულია 4 რედაქციის სახით (გამოც.: Migne, PG, t. 28, 1587-92). ქართულად თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 584, 244-246). ქართული თარგმანი გამოსცეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ა. ღამბაშიძემ (კრებ. „მრავალთავი", XVIII, 1999, 153-162).

ალუსებისა ზატიკი – იხ. ზატიკი.

აშჯალა (ძვ. ფარსა) – სოფელი წალკის რაიონში (ეწოდა 1828-29 წწ. ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების მიერ), მდ. გუმბათის მარცხენა ნაპირზე, წალკიდან 30 კმ., რომელშიც დგას შუა საუკუნეების ეკლესია ღასხდარული წარწერებით.

აშოტ კუსი (†918) – ერისთავთერისთაჲი, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, გურგენ I კურაპალატის ძე. მან ააშენა ტბეთის ტაძარი (ქართლ. ცხ. I, 380) და დაარსა ტბეთის საეპისკოპოსო. მისი შეკვეთით არის დაწერილი სტეფანე მტბევარის მიერ ქართული ჰაგიოგრაფიული შრომების თვალსაჩინო ძეგლი – „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი" (ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 172-183).

აშტაკის მთა (სოხუმის მიდამოები) – აქა XII-XIII სს. ეკლესიის ნანგრევები.

აშურიანი – ღვთისმშობლის მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია კასპის ჩრდ. აღმოსავლეთით 10 კმ.-ზე, თეთრაწყაროში, აგებულია 1032 წ. ნაშენებია აგურით და ქვით. ფასადები მარტივია, კამარა და სახურავი დაზიანებულია. ეკლესიის ორი წარწერიდან ერთი (დაცულია გორის მუზეუმში) გვამცნობს, რომ აშურიანი აუგია ეპისკოპოს ილარიონ სამთაწყლის, სამთავისის ცნობილი კათედრალის ხუროთმძღვარს.

აცანა – სოფელი ლანჩხუთის რაიონში, გურიის ქედის სამხრეთ ფერდობის ძირას, ლანჩხუთიდან 8 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების მონასტერი „ოქონა" (იხ.), ეკლესიითა და გალავნით.

აციკჟი – XI ს. ერთნავიანი ეკლესია მანგლისის (თეთრი წყაროს რაიონი) სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ. მანძილზე, ისტორიული ალგეთის ხეობაში. ეკლესია შემოსილია თლილი ქვის მოზრდილი ფილებით და აქვს ორი მინაშენი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარელიეფი, რომელიც დატანებულია აძიკეის ეკლესიაზე მიშენებული ეკატერის კედელში (I, 85 მ X 0.85 მ. პირი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). მასზე გამოსახულია ოთხი მამაკაცის ფიგურა (მკლევართა აზრით – დიდებულები). ბარელიეფს ოთხიე მხრიე შემოუყვება ასომთავრული წარწერა (პალეოგრაფიული, X-XIII სს.) ბარელიეფზე გამოსახულ პირთა სახელებს მკლევარები სხვადასხვანაირად კითხულობენ: „ელქატმონ შოთაჲ, გამრეკელი აჲაგ" (პ. ინგოროყვა, თხზ. კრ. I, 1963); „შოთაჲ, გამრეკელი, ბეშქენ, ვარაზბაკურ" (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, I, 1964). პ. ინგოროყვას მიაჩნია, რომ ერთი მათგანი შოთა რუსთველის გამოსახულებაა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ბარელიეფი და წარწერა ორიდიული აქტის (მიწის შეწირვის) დამტკიცება-მოწმობას უნდა გამოხატავდეს.

აფიანი // აფიანური – ათონის მთის ქართველთა მონასტრის საკაპე წიგნში გიორგი ციხისკუარელის ალაში (139) აღნიშნულია: „ამისე გიორგი ციხისკუარელისა წიგნნი პარაკლიტონი, მარხვანი და სადღესასწაულოჲ აწ – [ი] ანს დაედევით სალოცველად სულისა მისისათჳს". აფიანში, როგორც ჩანს, ყოფილა ეკლესია, რომელშიც ინახებოდა ჩამოთვლილი წიგნები და მოიხსენიებოდა გიორგი ციხისკუარელის სახელი. აღგილმდებარეობა ამ აღგილის უცნობია (შესაძლოა იგი ათონის ქართველთა მონასტრის მეტოქი იყო). № 135 ალაში აღნიშნულია, რომ გიორგი ციხისკუარელს

უყოდია აწიანური იერარიის მონასტრისთვის. როგორც ჩანს, ორიოე აღაპი ერთდროულად აღგილის შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი (ე. მეტრეველი, საღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 171).

აწყური – სოფელი ახალციხის რაიონში, მტკვრის ორიეე ნაპირას, მდ. ამამოსელის შესართავთან, ახალციხიდან 22 კმ. აწყური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო. ქართულ წყაროებში „აწყელის" სახელითაც გეხვდება. ქართული წყაროების თანახმად, პერაკლეს ლაშქრობის დროს (VII ს.) აქ საყდარი აუგიათ, რომელიც XII-XIII სს. სამცხის საეპისკოპოსო ცენტრი გახდა. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების თანახმად, უკვე გრიგოლის დროს, VIII-IX სს-ში არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო და საკათედრო ტაძარი, რომლის მთავარი იყო გრიგოლის მოწაფე ეფრემ დიდი მწყემსელი. დღეისათვის აწყურის ტერიტორიაზე შემორჩენილია ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძრის ნანგრევები (გაირჩევა ორი ფენა, X-XI და XIII-XIV სს.). ფართობით იგი ყველაზე დიდი ეკლესია ყოფილა საქართველოში. გუმბათი და ყველა კამარა ჩამოქცეულია, დანგრეულია კედლის ზედა ნაწილებიც. შიგნით გადარჩენილია მორთულობის ფრაგმენტები – კედლის სვეტები ბერთულებიანი თავსამკაულებით, საკურთხევლის კედლის გარეპირის მორთულობა და სხვა. აწყურის ტაძარი ბევრჯერ დაზიანებულა მიწისძრებით (განსაკუთრებით XIII ს.) და კვლავ აღუდგენიათ. როგორც ჩანს, ძველი ოსმალთა ბატონობის (XVI ს. II ნახევრიდან – 1829 წლამდე) ბოლო წლებში საბოლოოდ დანგრეულა.

შემორჩენილია აგრეთვე X-XIII სს. ეკლესიის ნანგრევები და ცნობილი აწყურის ციხე. აწყურში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები, კალიგრაფები, წიგნის მკაზმავნი: გიორგი მაწყვერელი (IX-X სს.), გაბრიელ კოტაძე (XI ს.), ოთაკიძე მაწყვერელი (XVI ს.), იერემია მაწყვერელი (XVI ს.) და სხვ. (ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970).

მთელ საქართველოში ცნობილი იყო აწყურის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ხშირად წაუღიათ საქართველოდან დამპყრობლებს (XV ს-დან დაწყებული), მაგრამ სასწაულების გაღებით ისევ საქართველოში პბრუნებდნენ, ბოლოს ინახებოდა იმერეთში.

აწყურის ღვთისმშობლის ხატი – მთელ საქართველოში განთქმული ხატი, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრების" ჩანართში და „ახალი ქართლის ცხოვრებაში" რამდენიმე თქმულებაა გადმოცემული. „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ჩანართის ლეგენდა აწყურის ღვთისმშობლის ხატის სამცხეში ჩამოტანას ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირებს, ხოლო აწყურის დიდი ტაძრის შენებლობის დაწყებას ამ ხატის დასასვენებლად – ირაკლი ბიზანტიის იმპერატორის (VIII ს.) სახელს: ირაკლი კეისარი „მოვიდა სამცხეს და ესმა სასწაულმოქმედებაჲ ხატისა მის, რომელი წმიდასა ღმრთისმშობელსა გამოესახა და მიეცა პირველწოდებულისა ანდრიასთჳს და მას მიესვენა და დაესვენებინა მცირესა ეკუდერსა შინა აწყურს. მოვიდა კეისარი ერეკლე ხილვად და თაყუანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერეკლე აწყურისა დიდისა საყდრისა სახიერებისა ჩაგებად და შენებად, ეიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ და მიერ შეკრბეს საეპისკოპოსო" (ქართლ. ცხ. I, 224).

აწყურის ღვთისმშობლის ხატის მოგვიანო თაგვდასაცავი (XV ს.) მოთხრობილია „ახალი ქართლის ცხოვრებაში": ჯერ 1478-80 წლებში მონღოლთა ყაენმა უზუნ-ასანს დაარბია აწყური და ხატი თავის ქვეყანაში წაიღო, მაგრამ ხატის სასწაულმოქმედების შედეგად მონღოლთა ქვეყანაში ბევრი უბედურება დატრიალდა, ამიტომ მათ გადაწყვიტეს მისი საქართველოში დაბრუნება და დაარქეს ხატი ცხენს, რომელმაც იგი აწყურში ჩამოიტანა. 1486 წელს ყაენმა იალუმ დაარბია აწყური და ღვთისმშობლის ხატი ისევ მონღოლეთში წაიღო. ვისაც ხატის პატრონობა დაავალეს, ის არამართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილა, რომელსაც გამოეცხადა ღვთისმშობელი და მუქარით უბრძანა ხატის სამცხეშივე დაბრუნება. ქრისტიანი ჩამოსულა ყვარყვარე და მანუჩარ ათაბაგებთან და ყოველივე უცნობებია მათთვის. მათ სასწრაფოდ გაუგზავნიათ კაცი ყაენის კარზე, დაუხსნიათ ხატი და ისევ აწყურის ტაძარში დაუსვენებიათ.

1546 წელს აწყურის ღვთისმშობლის ხატი დატყვევებია და ციხისუკარს წაუსვენებია იმერეთის მეფეს ბაგრატს, ხოლო 1553 წ. იმერეთს გადაუსვენებიათ. ამის შემდეგ მისი ბედი უცნობია (ქართლ. ცხ. IV, 480-84, 500-523).

აჭი – სოფელი მახარაძის რაიონში, შესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აჭისწყალზე, მახარაძიდან 9 კმ. აჭარაში არის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XIII ს. დასარ. – XIV ს. დასწყისი), აგებული თლილი ქვის სწორი კაღრებით. სამხრ. კარის თაღზე ასომთავრულით

შესრულებული ვრცელი საშენებლო წარწერაა. ეკლესია მოხატულია ოქროსფერი, მწვანე და სალაფისფერი ტონებით.

ახალი ათონი (ძვ. ფსირცხა) – დაბა (1938 წლიდან) აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში, შაჟი ზღვის ნაპირას, გუდაუთიდან 7 კმ. ახალ ათონში (ისტორ. ანაკოფიაში) რამდენიმე ეკლესია დგას: 1. ივერიის მთაზე გამაგრებათა მთელი სისტემის – კოშკებიანი ციტადელის ცენტრში დგას ერთაბსიდიანი ბაზილიკა VIII-IX სს. 2. სიმონ კანანელის გუმბათიანი ეკლესია IX-X სს., რომელიც შეცვლებულია XIX ს-ში. 3. ახალი ათონის მონასტერი, რომლისგანაც წარმოდგება დაბის თანამედროვე სახელი, დაარსებულია ძველი ანაკოფიის ადგილას, როგორც ათონის (საბერძნეთში) რუსული მონასტრის (პანტელეიმონის) ფილიალი (მეტოქი). მონასტრის პირველი რიგის მშენებლობა 1876 წ. ბოლოს დასრულდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომის დროს მონასტერი დაიწვა. ომის შემდგომ წლებში აღადგინეს და შაჟიზღვისპირეთის უდიდეს საეკლესიო ცენტრად იქცა.

ახალი ალთქმის წიგნები – საღვთო წიგნების კრებული, ბიბლიის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია იესო ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება. ახალი ალთქმის წიგნების (სულ 27) პირველი ნაწილია ოთხთაეი, ანუ ოთხი სახარება – მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი. მას მოსდევს „საქმე მოციქულთა“, „კათოლიკე ეპისტოლენი“ (7), „ეპისტოლენი წმ. მოციქულისა პაველისნი“ (14) და „გამოცხადება იოანესი“, ანუ „აპოკალიპსი“. ახალი ალთქმა ბერძნულ ენაზე შეიქმნა. მისი შედგენა ახ. წელთაღრიცხვის I ს. II ნახევარში განხორციელდა. ჯერ მოციქულთა 85-ე კანონით, ხოლო შემდეგ ლაოდიკიის საეკლესიო კრებაზე (343 წ.) დაკანონდა დღევანდელი ახალი ალთქმის წიგნთა შედგენილობა, ხოლო იმავე თემებზე დაწერილი სხვა წიგნები აპოკრიფებად გამოცხადდა. ამით ეკლესიამ აღკვეთა ერეტიკოსთა მწვალებლური აზრების გავრცელება და ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცების მიზნით ბრძოლა გამოუცხადა მათ. ახალი ალთქმის კანონიკური წიგნების ჩამონათვალი, ზემოაღნიშნულის გარდა, მოცემულია „დიდ სჯულისკანონში“ შეტანილ შემდეგ კანონებში: ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე (39-ე), გრიგოლ ნაზიანზელის იამბიკო, ამფილექი იკონიელის იამბიკო, კართაგენის კრების 24-ე კანონი.

ვარაუდობენ, რომ ქართულ ენაზე ახალი ალთქმის ზოგი წიგნი, პირველ რიგში სახარება, – IV ს. II ნახევრიდან ითარგმნა, დანარჩენი – V-VI სს-დან, გარდა იოანეს „გამოცხადებისა“, რომელიც ითარგმნა X ს-ში. V-VI სს. ხანძელი ძეგლები სახარებისა და ახალი ალთქმის ზოგი სხვა წიგნის ტექსტებსაც შეიცავენ. სახარება („ევანგელე“) მოიხსენიება იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობაში“ (V ს. 70-იანი წლები). საქართველოში მეცნიერულად გამოცემული ახალი ალთქმის ყველა წიგნი. შედგენილია აგრეთვე ქართული სახარების სიმფონია-ლექსიკონი.

ახალი ზარზმა – იხ. აბასთუმანი.

„ახალი ძართლის ცხოვრება“ – „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია. ვახტანგ VI-ის თაოსნობით და ხელმძღვანელობით მოშუშავე სწავლულ კაცთა („მეცნიერ კაცთა“) კომისიამ „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალი რედაქციული ხასიათის ცვლილება შეიტანა, გადაწერთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში დამხინჯებული ტექსტი გამართა და გაასწორა; საძიებელი ადგილის ადვილად მიგნების მიზნით ტექსტი ნაკვეთებად დაყო და მუხლა ზეობის მიხედვით დაასათაურა; შემოიღო კოლონტიტულებისა და კუსტოსების სისტემა და ისტორიულ მოღვაწეთა სახელების სინგურით აღბეჭდვა; შეიტანა მთელი წყება სპეციალური ჩანართებისა (უმთავრესად ეკლესიის ისტორიიდან), აგრეთვე ქრონოლოგიური მითითებანი და მრავალი ახალი ცნობით გაამდიდრა. რაც მთავარია, კომისიამ დაამუშავა XIV-XVII სს. საქართველოს ისტორია და შეიტანა „ქართლის ცხოვრებაში“. ამიტომ XVIII ს. ავტორებმა ვახტანგისეულ რედაქციას, ანუ ე. წ. შეესებულ „ქართლის ცხოვრებას“ „ახალი ქართლის ცხოვრება“ უწოდეს, საპირისპიროდ იმ „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც ვახტანგ VI-ის წინა ხანებში არსებობდა.

ახალიკი (ძვ. აბანო) – სოფელი წალკის რაიონში, მდ. ქციის მარცხ. ნაპირზე, წალკიდან 5 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნების ეკლესია.

ა ხ ა ლ ქ ა ი რ ი ა ქ ე – თომას კეირიაქე, აღდგომის მომდევნო კვირაღე, ე. ი. აღდგომიდან მერვე დღე (სვანეთში ეწოდება „უფლიშ“, სამგრელოში – „დიდი თანაფა“). დღესასწაული დაწესებულია იმ მოვლენის აღსანიშნავად, რომ აღდგომიდან მერვე დღეს იესო ქრისტე გამოეცხადა თავის 11 მოწაფეს (მოციქულებს). თომა მოციქულს, რომელიც ვერ დაესწრო მაცხოვრის გამოცხადებას, არ სჯეროდა უფლის მკვდრეთით აღდგომა, რადგან სხვა მოწაფეთაგან განსხვავებით, საკუთარი თვალით არ ენახა აღდგომილი იესო. მერვე დღეს უფალი ისევ მოვიდა

მოციქულებთან და მის იარებზე ხელის შეხებით თომა მოციქულმაც ირწმუნა უფლის მკვდრეთით აღდგომა (იოანე 20,26). ახალქვირიაქეს „ახსენის განახლებაც“ ჰქია, რადგან ეს ქვირა განაახლებს, იმეორებს აღდგომის დღესასწაულს. აღდგომის სწორზე იესო ქრისტემ გაიმეორა, განაახლა თავისი გამოცხადება მოციქულთა წინაშე. ამიტომაც ახალქვირიაქეს ბერძნულად „აღდგომის ნაცვალი ქვირა“ („ანტიპასქა“) ეწოდება. ახალქვირიაქის თემაზეა გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგება „ახალქვირიაქისათუს და სატფურებისა“, პირველად თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 1, 75-95 და სხვ.), ხოლო მეორედ – ეფრემ მცირის მიერ (A 109, 407-417).

ახალძალაძი (ყოფ. წითელქალაქი) – სოფელი კასპის რაიონში, მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. თეძმის მარჯვენა ნაპირას, კასპიდან 8 კმ. ახალქალაქი გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ქალაქად იხსენიება. ათაშენ XVII ს. ქართლის მეფემ როსტომმა და მეფის ქალაქი უწოდა. სოფელში დგას გვიანდელი შუა საუკუნეების ღვთისშობლის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით და სამრეკლო. ახალქალაქის დღევანდელ ტერიტორიაზე მდებარეობდა ისტორიული ფაენისი. დღევანდელი ახალქალაქის მიდამოებში შემორჩენილია X ს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელსაც ფაენისის ეკლესიასაც უწოდებენ (იხ. ფაენისი).

ახალძალაძი (თრიალეთისა, დღეს – ტაშ-ბაში) – ისტორიულ წყაროებში, XVIII ს. საბუთებში იწოდება ახალქალაქად და, განსხვავებით საქართველოს ამავე სახელწოდების სხვა ქალაქებისაგან, მას „თრიალეთისას“ უწოდებდნენ. დღეს აქ შემორჩენილია ორი ეკლესია, ორივე აგებულია ერთ პერიოდში, კერძოდ X-XI სს. მოჭანზე თრიალეთის სანახების იმდროინდელ მფლობელთა – ბაღუაშთა გვარის კლდეკარის ერისთავთა მიერ. პირველი მათგანი სოფელში დგას. ეკლესია უგუმბათოა, მოპირკეთებულია თლილი ქვით, რომელზედაც ასომთავრული ლაპიდარული წარწერების მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, რომლებშიც იხსენიება მშენებლობის ინიციატორი რატი ერისთავი. წერაქვით ამომტვრეულ მეორე წარწერაში მხოლოდ „სახელითა ღმრთისათა... ჩუენ ახალქალაქელთა“ იკითხება, ე. ი. ამ სოფლის სახელწოდება „ახალქალაქი“ X-XI სს. არის დადასტურებული.

მეორე – წმ. გიორგის ეკლესია, სოფლის თაეში დგას. ის გუმბათიანი ნაგებობა იყო (ამჟამად გუმბათი ჩამონგრეულია). ნაგებია თლილი ქვისაგან, გადახურულია უზარმაზარი თლილი ქვის ბალავრით, რომელზედაც ასომთავრულით ამოკვეთილია ქტიტორის სადიდებელი წარწერა: „მაღლითა ღმრთისაჲთა, ქრისტე, აღიდე რატი ერისთავეთრისთაჲი“. იგივეა გამმეორებული აღმოსავლეთის ფასადის მდიდრულად მორთული სარკმლის საპირის ჩუქურთმაში. ეკლესია მდიდრულადაა შემკული ორნამენტებით.

ახალძალაძური მონასტერი – დედათა მონასტერი მცხეთაში მტკვრის მარჯვენა მხარეს, მთის კალთაზე. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა აწინდელისა ქართლისა“-ში მითითებულია: „მცხეთის კოლის სამხრით არს მონასტერი (ამიაზე: „დედათ მონასტერი“) ახალქალაქური, კოლალწმიდისა, უგუმბათო, კეთილს ადგილს, იდგნენ მოწესენი“ (ქართლ. ცხ. IV, 339). დღეს შემორჩენილია მიძინების ეკლესია XI ს., გადაკეთებული XVIII ს-ში. ბოლო ხანებში აქ დამკვიდრდნენ რუსეთიდან ჩამოსული მოწესეები და მონასტერსაც ოლღა მოციქულთასწორის სახელი უწოდეს.

ახალციხე – ქალაქი (რაიონული ცენტრი) ისტორიულ სამცხეში (ძე. ლომსია), ახალციხის ქვაბულში, მდ. ფოცხოვის ორივე ნაპირზე. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმადგენს ე. წ. რაბათი ციხითურთ. ციხის შიგნით შემორჩენილ ნაგებობათაგან შედარებით საინტერესოა წმ. მარინეს ეკლესია, რომელიც 1865 წ. ხელმეორედ აშენდა (1985 წლიდან მოქმედია). ძველი შენობის მოჩუქურთმებული ქვები ახალი შენობის კედლებშია ჩატანებული. სხვა ეკლესიები XIX საუკუნისაა და ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებებს მოკლებულნი არიან. რაბათის ტერიტორიაზე მოქმედებს სამცხის ისტორიული მუზეუმი.

ახალციხე – სოფელი ყაზბეგის რაიონში, მდ. სნოსწყლის (თერგის შენაკადი) მარცხენა ნაპირას, ყაზბეგიდან 12 კმ. სოფელში დგას ღვთისშობლის სამნაოსანი ბაზილიკა IX-X სს. მოჯვნია. ეკლესიის შიდა სივრცეს სამ ნაწილად ყოფს კაპიტელებიანი ბურკვეის ორი მწკრივი. შუა ფართო ნაოს კამარა ამჟამად შეცვლილია ხის კამაროვანი გადახურვით. სამსხვერპლოს მცირე გუმბათი ტრომპებს ეყრდნობა, ხოლო სადაკნე ჯვრებზე დამყარებულ წრიულ ფუძეზეა აგებული. გარედან ბაზილიკის სადა ფასადები ტლანქად გათლილი, სხვადასხვა ფერის მოზრდილი ქვებითაა ნაგები. აღმოსავლეთ ფასადის ერთადერთი მორთულობაა გრეხილი ლილ-

ვით შესრულებული საკურთხეველის სწორკუთხა სარკმლის ჩარჩო.

ახალწლისაჯ – წარმართული დროის ქართული სახელი თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით იწყებოდა 6 აგვისტოს და მთავრდებოდა 4 სექტემბერს (იხ. საეკლესიო წელი).

ახალჯვარი – წმ. გიორგის ეკლესია ატენის მიდამოებში. იხ. ატენი.

ახატანი – სოფელი დუშეთის რაიონში, ახატანისწყლის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, დუშეთიდან 24 კმ. აქ დგას შუა საუკუნეების ეკლესია „ნათლისმცემელი“.

ახაშენი (ასპინძის მიდამოები) – ეკლესია XI ს. ლაპიდარული წარწერებით.

ახიზის // ახიზის ეკლესია – ისტორიულ კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე (ამჟ. თურქეთშია). ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით არტანუჯის ერისთავს ატავაზს აუშენებია X ს. „სამნი ეკლესიანი დაბა მერისა, შენდობისა და ახიზისა“ (ქართლ. ცხ. I, 178). ახიზის (აღიზის) ეკლესია ვახტანგ გორგასალს კათედრალურ ტაძრად უქცევია და იქ კლარჯეთის ეპისკოპოსი დაუსვამს (იქვე, 198,15).

ახპატის მონასტერი – X-XIII სს. სამონასტრო კომპლექსი სოფ. ახპატში (სომხეთში, ალავერდის რაიონში). შემოზღუდულია გალავნით. ჩვენამდე მიღწეულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია: „ნშანის“ (ჯვრის) მთავარი ეკლესია (976-991წწ.), რომელიც გარედან შემკულია ქტიტორების სკულპტურული გამოსახულებით, კედლები მოხატულია (XIII-XIV სს.); გრიგორის ეკლესია (1005 წ., გადაკეთებულია 1211 წ.) და პატარა გუმბათიანი ეკლესია ასტვაწვინი (XII-XIII); გავიტები დიდი (გადაკეთებულია 1209 წ.), გადახურული ჯვარედინი კამარებით და ამბასპანის (1257 წ.) – უდიდესი ოთხსვეტიანი გავიტი; სატრაპეზო (XIII ს.); წიგნთსაცავი (XIII ს. III მეოთხედი); სამრეკლო (1245 წ.). გალავნის გარეთ დგას რამდენიმე სამლოცველო და ხაჩკარი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო არს ახპატი (და სანაინი) მეფეთა ქართველთა აღშენებულნი, ეკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზონი, გარნა აწ სახედან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დაუსუამს ეპისკოპოსსა მიწერილთა ოქროვარტერისათა („სულიერი მამა“), ვინაჲთგან რაჲდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან“ (ქართლ. ცხ. IV, 308). ახპატის ეკლესია იხსენიება 1779 წ. (ცსსა, ფ. 1450 საბ. № 11), რომელიც გაცემულია ახპატის ეკლესიის საქმეზე ერეკლე II-ისა და კათოლიკოს-პატრიარქის – ანტონ II-ის მიერ.

ახტალა – სამიტროპოლიტო კათედრა ისტორიულ ლორეში, საქართველოს ამრისასალართა სამფლობელო (ამჟამად დაბა ახტალა, სომხეთში, მდ. დებედის ხეობაში). XVIII ს-ში ახტალა დაცარიელებული ყოფილა, როგორც ეს აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ: „ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი და აწ სჩენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვინაჲთგან იგი (ე. ი. ახტალა) უქმ არს და აწ არს ნიში მისი“ (ქართლ. ცხ. IV, 343, 9). ამასვე აღნიშნავს XVIII ს. 70-იანი წლების ერთი საბუთი, რომელშიც იმ ეპისკოპოსების სიაში, რომლებიც არიან „დაცლილნი აოხრებისაგან“, იხსენიება „სამიტროპოლიტო ახტალისა“ (სამართ. ძეგლ. III, 929). ახტალაში არსებულა წმ. გიორგის მონასტერი, საიდანაც წამოღებული უნდა იყოს ეტრატზე ნაწერი XII-XIII სს. სახარება (თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 380,40). დაბა ახტალის მახლობლად დღემდეა შემორჩენილი სამონასტრო კომპლექსი (XIII ს. დასწყ.) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი. აგებულია ათაბაგ ივანე მხარგრძელის მიერ. მთავარი ტაძარი, რომელმაც დღემდე მოაღწია, ჯვაროვან-გუმბათოანი ტიპის ნაგებობაა, აქეს მინაშენები და კარიბჭეები, გუმბათი ჩამოქცეულია. ტაძრის ფასადები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით, შიგნითა კედლები მთლიანად მოხატულია, მხატვრობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს, უძველესი ფენა XIII ს. I ნახევრისაა.

ახშანი – სოფელი ახმეტის რ-ში, სადაც დგას გუმბათიანი ეკლესია განეითარებული შუა საუკუნეებისა – „დიდეკლესია“ და ასევე გუმბათიანი ეკლესია შუა საუკუნეებისა ლაპიდარული წარწერებით – „საჩინო“.

აპრონი (დაახ. 1578-1455 წ.) – პირველი ბიბლიური მღვდელმთავარი, მოსე წინასწარმეტყველის უფროსი ძმა და მისი თანამდგომი ეგვიპტელთა ტყვეობიდან ებრაელთა გამოყვანაში. აპრონის დროიდან მღვდელმთავრობა მისი ტომის (ლევიტელთა) მემკვიდრეობითი თანამდებობა გახდა (აპრონის მემკვიდრე იყო მისი მესამე შვილი ელიაზარი). მოსეს სინის მთაზე ყოფნის დროს ხალხის თხოვნით აპრონმა გააკეთა ოქროს ხბოს ქანდაკება, რომელსაც ებრაელმა ხალხმა თაყვანი სცა, როგორც ღმერთს.

ბ

ბაბილა ანტიოქელი – მღვდელ-მოწამე, ანტიოქიის ეპისკოპოსი III ს. შუა წლებში. იმპერატორმა დეკიოზმა ანტიოქიაში ჯოჯოხეთის დროს დიდი დღესასწაული მოაქცო წარმართული ღმერთების პატივისაცემად. ამავე დროს ანტიოქიის ეპისკოპოსი ბაბილა ქრისტიანულ ტაძარში ატარებდა ღვთისმსახურებას. იმპერატორმა მოინდომა დასწრებოდა ღვთისმსახურებას, მაგრამ ეპისკოპოსმა ის ტაძარში არ შეუშვა. იმპერატორმა მეორე დღესვე ბრძანა ტაძრისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ, ხოლო ეპისკოპოსი მასთან მიეყვანათ. დეკიოზმა მოსთხოვა მას, კერპებისათვის თაყვანი ეცა, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. ამიტომაც ბრძანა, ბაბილასთვის მძიმე ჯაჭვები დაედოთ და ისე ეტარებინათ ქალაქში. სასტიკი წამების შემდეგ ბაბილას, მის 3 სულიერ შვილსა და მათ დედას თავები მოჰკვეთეს (დაახლ. 251 წ.).

ბაბილა ანტიოქელის „წამება" ქართულად ორი რედაქციით არის თარგმნილი. კომენური რედაქცია გვაქვს მხოლოდ ერთ, X ს. ხელნაწერში (Ath. 8, 103-107); გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი I, 44-47). აქ მისი ხსენება 15 იანვარსაა დადებული. მეტაფრასული „წამების" ორი თარგმანი არსებობს, რომელთაგან ერთი თეოფილე ხუცესმონაზონს შეუსრულებია (Ath. 20, XI ს. 29-33), ხოლო მეორე – უცნობ მთარგმნელს (ქუთ. 4, XVI ს., 38-45; Jer. 18, XIII-XIV სს. 83-91; გამოც. ნ. გოგუაძის მიერ: ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 75-83.). ორივე მეტაფრასული „წამება" ხსენების დღედ 4 სექტემბერს ასახელებს. გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" ბაბილას ხსენება 4-5 სექტემბერსაა შეტანილი. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროები ბაბილას წამებას ნუმერიანოს იმპერატორის დროს დებენ.

ბაბილა – ქართლის კათოლიკოსი 619-629 წლებში. მოხსენებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"ში: „და შემდგომად ერისთუობდა ადარნესე და მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცუალნეს: იოვანე, ბაბილა და თაბორ" (ძეგლები, I, 96,36).

ბაგინეთი – იხ. არმაზი (მცხეთისა).

ბაგინი – ფალაური წარმოშობის სიტყვა, რომელიც ისესხეს სომხურმა და ქართულმა ენებმა და რომელიც გახდა არაქრისტიანული სამლოცველოს, კერძოდ, ებრაული და წარმართული სამსხვერპლოს აღმნიშნველი ტერმინი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" წმ. ნინოს პირით მოგვითხრობს: „...და მოვედ ბაგინსა პურიათასა ენიათუს ებრაელებრიესა და დაეყვე მუნ ერთ თთუ" (ძეგლ. I, 117). აქედან არის წარმომდგარი მცხეთის უძველესი ადგილის „ბაგინეთის" სახელწოდება, სადაც მცხეთელი ებრაელების ბაგინი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ბიბლიური წყნარების ქართული თარგმანებით ბაგინი წარმართების სამლოცველოს, ანუ სამსხვერპლოს სახელიც უნდა იყოს (II სჯ. 12,2-3); წარმართულ ტაძარს უნდა გულისხმობდეს პავლე მოციქულიც: „არა უწყითა, რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა ჰმსახურებენ, ბაგინისაგან სჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე ჰსდგანენ, საკურთხეველისაგან ნაწილი განიღიან?" (I კორ. 9,13).

ბაგრატი – XI ს. ოსტატი, მოხსენებულია XI ს. ლაშეს (ხარაგაულის რაიონი) ღვთისმშობლის ეკლესიის ხის კარის XI ს. წარწერაში, რომელიც ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ლაპიდ. წარწერები, II, გვ. 94).

ბაგრატ I კურაპალატი – ტაო-კლარჯეთის მთავარი (826-876), ძე აშოტ I კურაპალატისა. 830 წ. ბიზანტიის კეისრისაგან „ქართველთა კურაპალატის" ტიტული მიიღო. იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატ I-ის დროს ტაო-კლარჯეთში გრძელდებოდა აშოტ I-ის მიერ დაწყებული დიდი სამონასტრო მშენებლობა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი გრიგოლ ხანცთელი იყო. „ქართლის ცხოვრების" მოწმობით მან „განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს" (I,255,3).

ბაგრატ III – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე X ს. ბოლო წლებში და XI ს. დასაწყისში († 1014 წ.). მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. ბაგრატ III-ის მეფობის

წლებში მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა: ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), ნიკორწმინდა, ბედიის მონასტერი, სადაც იგი დაასაფლავეს, და სხვ.

ბაგრატ IV (1018(20)-1072) – საქართველოს მეფე 1027 წლიდან. მან ძნელი ბრძოლებით შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგობათა დაძლევა. მისი მეფობის ბოლო წლებში მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბაგრატ IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს, მისი მოწვეული 1060-65 წწ. საქართველოში იმყოფებოდა გიორგი მთაწმიდელი, რომელიც მეფეს საეკლესიო რეფორმების ჩატარებაში დაეხმარა. ბაგრატი და დედამისი მარიამი დიდად ზრუნავდნენ სანღვარგარეთის ქართულ ეკლესია-მონასტერთათვის. საკუთარი ანდერძის თანახმად ბაგრატი დასაფლავებულია ჭყონდიდში.

ბაგრატი // პანკრატი ტაპრომენელი – სიცილიის ქალაქ ტაპრომენიის ეპისკოპოსი I საუკუნეში. მისი შობლები ანტიოქიიდან იყვნენ. მამამ ბაგრატი იერუსალიმში ჩაიყვანა ქრისტეს სანახავად. იესოს სასწაულებმა და მოძღვრებამ დაარწმუნა იგი ქრისტეს ღვთაებრიობაში. დაუახლოვდა ქრისტეს მოწაფეებს, განსაკუთრებით პეტრე მოციქულს. უფლის ამაღლების შემდეგ ერთ-ერთი მოციქული მოვიდა ანტიოქიაში და მონათლა ბაგრატის შობლები და მთელი ოჯახი. როდესაც შობლები გარდაიცვალნენ, ბაგრატმა დატოვა სახლი, წავიდა პონტოს მთებში და გამოქაბულში დამკვიდრდა. ერთხელ პეტრე მოციქული ამ ადგილებს ეწვია და ბაგრატი წაიყვანა ჯერ ანტიოქიაში, შემდეგ კი – კილიკიაში, სადაც პაველ მოციქული იმყოფებოდა. აქ პეტრე და პაველ მოციქულებმა იგი სიცილიის ქ. ტაერომენიის ეპისკოპოსად აკურთხეს. ბაგრატმა ერთ თვეში ააშენა ეკლესია, სადაც ასრულებდა ღვთისმსახურებას. მალე ტაერომენიის თითქმის მთელმა მოსახლეობამ მიიღო ქრისტიანობა. მრავალი წლის განმავლობაში უძღებოდა იგი თაეის სამწყსოს. ბოლოს წარმართები აუმხედრდნენ წმინდანს და ქვებით ჩაქოლეს. მისი წმინდა ნაწილები დასვენებულია რომში, მისივე სახელზე აგებულ ეკლესიაში.

ბაგრატ ტაერომენიელის „წამება" ქართულად ვარიანტია თარგმნილი. კიმენური რედაქციის „წამება" უთარგმნია უფთიმე მთაწმიდელს (X ს.). დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (Ath. 17-XII,1-102, Ath. 21,1030წ., 238-349; A 134, 1066 წ., და სხვ. გამოც. ა. ხახანაშვილისა, Труды по востоковедению Лазаревского Института, вып. XIX), მეტაფრასული რედაქციის „წამება", რომელიც უცნობ მთარგმნელს გადმოუღია, დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში (ქუთ. 3, XVI ს., 420-487), აქ მას „პანკრატი" ეწოდება. მისი ხსენების დღედ დადებულია 9 იელისი. ამ დღესაა შეტანილი მისი ხსენება გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქარში" (მოხსენიებულია „ბაგრატ მოციქულად").

ბაგრატის ტაძარი – ძველი ქართული ბუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ქუთაისში, „უქიმერიონის გორაზე". აგებულია X-XI სს. მიჯნაზე, ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მეფობაში. ტაძრის ჩრდილოეთის კედლის წარწერის თანახმად, „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო სბგ" (1003 წ.). ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში. XVII ს. დასასრულამდე ტაძარი უვნებლად იდგა. 1692 წელს, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „შეშუარეს ოსმალთა". XIX ს. 30-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები, რასაც მოწმობს იმდროინდელი ჩანახატები (ნ. ჩერნეცოვი). ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა. ჯვრის შეერილი მკლავები გარედან სწორკუთხა, შიგნით კი (აღმოსავლეთ, სამხრ. და ჩრდ. მხარეს) ნახევარწრიული აბსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე-გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკურთხეველის ორსაფეხურს შორეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდ.-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI ს. I ნახევარში სამხრ.-დან და დას.-დან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს. ტაძარი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. კედელკამარებსა და იატაკს მოზაიკა ამკობდა. სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ღვთისმშობლის ფრესკის კვალი. რელიეფებითა და ორნამენტით შემკული მოსაპირკეთებელი ქვები, რომლებიც ამჟამად ტაძრის ეზოში და ინტერიერში აწყვია, ალრე ტაძრის შიდა კედლებსა და ფასადებს ამშვენებდა. 1952 წ. დაიწყო ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის დიდი სამუშაოები.

2003 წელს ზეიმით აღინიშნა ბაგრატის ტაძრის აგების 1000 წლისთავი.

ბაგრა – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ახულის (ფარავანის შენაკადი) შესართავთან, ახალქალაქიდან 4 კმ. სოფლის მახლობლად მდ. ფარავანის მარჯვენა ნაპირზე დგას X-XI სს. დარბაზული ეკლესია. მის დასაელეთის კედელზე არის ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ეკლესიის მაშენებელი სოფრონ ქონქოლას ძე.

ბაგრევანი – XI ს. ოსტატი, სოფ. ფოკას ეკლესიის (ჯავახეთში, ნინოწმიდის რაიონში) მაშენებელი. სახელის მიხედვით ჯავახელი უნდა ყოფილიყო (სოფ. ბავრიდან). ეკლესიის სამხრეთის კედელზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს: „მე, ბავრელი, ღირს ვიქმენ შენებისა წმიდისა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდვა, მე თანა დავშვერ, კელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა". წარწერის მიხედვით, მას ეკლესია 1031-1053 წწ. შეა უნდა აეშენებინა. ეს ერთნავიანი, მდიდრულად მორთული ეკლესია ჯავახეთის საუკეთესო ძეგლია კუმურდოს ტაძრის შემდეგ. იხ. ფოკა.

ბაზილიკა (ბერძნ. „სამეფო სახლი") – სწორკუთხედის ფორმის უგუმბათო შენობა, რომელსაც შიგნით, სიგრძივი მიმართულებით, სვეტების, ან ბურჯების რიგი სამ, ან ხუთ ნავად ჰყოფს. აბსიდით დაბოლოებული შუა ნავი ცალფერდა სახურავით გადახურულ გვერდითა ნავებზე განიერი და მაღალია. სინათლე შემოდის მისი კედლების ზედა ნაწილში დაყოლებული სარკმლებიდან. აღრინდელ ქრისტიანულ ბაზილიკას დასაელეთის მხრიდან ზოგჯერ ეკრნა და დიდი, გეგმით სწორკუთხოვანი ატრიუმი. ატრიუმსა და ძირითად ეკლესიას შორის, შესასვლელის წინ, მოთავსებული იყო სტოა, ხოლო საკურთხეველის აბსიდსა და ნავებს შორის – განივი ნავი ტრანსეპტი. რომაულ და აღრექრისტიანულ ბაზილიკებში გამოყენებული იყო ხის ნიჩნიგებიანი ღია გადახურვა, რომელიც მოგვიანებით კამაროვანი გადახურვით შეიცვალა. ბაზილიკას ძველ საბერძნეთში უწოდებდნენ ქარიბჭეს, სადაც სხდომებს მართავდა ათენის არქონტი-ბასილევსი, ძველ რომში – სასამართლოსა და საეჭვრო გარიგებათა შენობას. შემდეგში ბაზილიკა გახდა აღრინდელი ქრისტიანული ტაძრის ძირითადი ტიპი. იგი განვითარებული სახით გვხვდება ბიზანტიურ, რომაულ, გოთურ, აგრეთვე აღორძინების ხანის და ბაროკოს ხუროთმოძღვრებაში. საქართველოში ბაზილიკა გახდა აღრინდელი ქრისტიანული ტაძრის ძირითადი ტიპი. იგი გაერცელებული იყო უმეტესად აღრე ფეოდალურ ხანაში. ქართულ ბაზილიკას არა აქვს ატრიუმი, ნართექსი და ტრანსეპტი. კონსტრუქციულად დამახასიათებელია კამაროვანი გადახურვა, მასიური ბოძები, ან თაღები; საშენ მასალად გამოყენებულია ქვა. საქართველოში შემუშავდა აგრეთვე ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველი მეცნიერები სამეკლესიიან ბაზილიკას უწოდებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ბაზილიკები – ბოლნისის სიონი, ურბნისი, ხაშმი, აწყისხატი, წყაროსთავი და სხვა – V-VI სს. განეკუთვნება.

ბაზმაკი – ქრისტიანულ ეკლესიაში ყოველგვარი სანათის, ლამპრის საერთო სახელწოდება, რომლის საწვავად ზეთი იხმარება (ცვილისა და სანთლის სანათს კანდელი ეწოდება). უფრო კერძო მნიშვნელობით ბაზმაკი არის ზეთის მცირე ლამპადა, რომელიც მუდმივად ანთია ხატების წინ. ბაზმაკი იხსენიება ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის ტექსტებში, ალბათ, ამავე მნიშვნელობით: „ამა საბაზმაკე ოქტომაჲ სრულიად და ლამპარი ზედაჲთ მისა და შუდნი ბაზმაკნი ზედაჲთა მისა და შუდნი მისაესებელნი მათნი ზედაჲთა მისთა ბაზმაკთანი" (ზაქ. 4,2) – და წარვწყმდო მათგან ნათელი. ბაზმაკისა" (იერ. 25,10) მართალია, ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში უფრო ხშირად „სანთელი" და „სასანთლე" იხმარება იქ, სადაც „ბაზმაკი" იყო მოსალოდნელი, მაგრამ ჩანს, რომ ყველა შემთხვევაში ზეთის სანათი (ე. ი. „ლამპადა") იგულისხმება, როგორც ეს დადასტურებულია „გამოსლვათა" წიგნში: „და მოიღე ზეთი ზეთთაგან უთხლეჳ, წმიდა, წურვილი სანთებელად, რაჲთა მარადის ენთებოდის სასანთლე" (27,20). პირველ ქრისტიანულ ეკლესიებში ბაზმაკს („ლამპადას") აკეთებდნენ თიხისაგან, უმეტესად წითელი თიხისაგან ან გამომწვარი თიხისაგან (ტერაკოტისაგან), უფრო გვიან – ბრინჯაოსაგან. თავდაპირველად ბაზმაკს ხომალდის ფორმა ჰქონდა, რადგან ხომალდი იყო სიმბოლო ეკლესიისა წარმართობის ეპოქაში. დროთა განმავლობაში ქრისტიანობის აღიარების შემდეგ ბაზმაკს მდიდრულად აფორმებდნენ. ზოგიერთ ბაზმაკს ეკლესიის სხვა სიმბოლოს ფორმა ჰქონდა: პალმის, მტრედის, კრაჟის, გვირგვინის, ქრისტეს მონოგრამის და ა. შ. ბაზმაკს ხშირად ჯვრის ფორმაც ჰქონდა, ზოგჯერ „ქეთილი მწყემსისა", რომელიც ცხვრებით იყო გარშემორტყმული, ან

წრის ფორმა 12 მოციქულის გამოსახულებით და სხვ.

ბაიმები — ახალციხის რაიონში, სოფ. წყარიძის დასაყოლთით, მდ. ურაველის (მტკვრის შენაკადი) ხეობაში, შეუღლ კლდესთან შემორჩენილია გალავნის ნანგრევები. გალავნის შიგნით კლდეზე ისევ მიბყენილი, ორი ერთნავიანი ეკლესია ერთმანეთის მიყოლებით, თითქმის კლდეშია შედგმული. ერთი უფრო დაბალია, მეორე — უფრო მაღალი და ვრცელი. გარედან ჩანს ეკლესიების მხოლოდ სამხრეთის კედლები. მცირე ეკლესია თლილი ქვითაა ნაშენები. დიდი ეკლესიის მხოლოდ სამხრეთი და ჩრდილო კედლები და კამარაა ქვით ნაშენი, ხოლო დასავლეთის კედლის დიდი ნაწილი და საკურთხეველი კლდეშია გამოკვეთილი. ეკლესიებს გარედან კარგად მოჩუქურთმებული კარნიზი აქვთ. დიდი ეკლესიის შიგნით ძველი მხატვრობის უმნიშვნელო კვალიღა დარჩენილი. ორივე ეკლესია და სხვა ნაგებობანი XII-XIII სს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ბაილეთი — სოფელი ოზურგეთის რაიონში, მდ. სუფსის მხარეს, ოზურგეთიდან 9 კმ. სოფელში შემორჩენილია 1609 წ. აგებული ეკლესია, რომელსაც 1827 წ. გუმბათი დაადგეს და მოხატეს. მხატვრობა შეიცავს გურიელთა ჯვარის წარმომადგენელთა პორტრეტებს.

ბაიაობა, ბაიაობის ქვირა — იხ. ბზობა. ბზობის კვირა.

ბაიწო (ოჟიო) — სამების VI ს. სამეკლესიიანი ბაზილიკა სოფ. ოჟოიდან (ახმეტის რაიონი) 2,5 კმ.-ზე. ნაგები რიყის ქვით, აქა-იქ გამოყენებულია შირიმის ქვაც. შეკეთებულია აგურით. მთავარი ნავი, რომლის კამარა საბჯენ თაღებს ეყრდნობა, ჩრდილოეთ ნაეს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება. ჩრდილოეთი ნავისაგან გამოყოფილია სამკეთილო, ხოლო საკურთხეველი მნიშვნელოვნადაა ამაღლებული. ბაიწოს ეკლესია გარედან სადაა. ერთადერთი მორთულობა საკურთხევლის სარკმლის დეკორატიული თაღია.

„ბალაბავარიანი" — თხზულების „სიბრძნე ბალავარისა"-ს სახელწოდება გიორგი მთაწმიდელის თხზულების („ცხორებაჲ იოვანესი და ეფთუმესი") მიხედვით (იხ. „სიბრძნე ბალაბავარისი").

ბალასინის ზღვი — ზეთი, რომელსაც მირონცხებისათვის იყენებენ ეგეპტელი ქრისტიანები. კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებში ბალასინის ზეთი მირონცხებისათვის არ გამოიყენება.

ბალაბავარი — სასულიერო რომანის „სიბრძნე ბალავარისი"-ს პერსონაჟი, ინდოელი მეუღაბნო ქრისტიანი, რომელმაც, თხზულების მიხედვით, მოაქცია ინდოეთის მეფის შვილი იოდასაფი, ხოლო იოდასაფმა — თავისი მამა, წინათ ქრისტიანობის მდევნელი აბენესი და მისი ქვეშევრდომნი. ბალაბავარმა თავისი სიცოცხლის 100 წლიდან 70 წელი უდაბნოში გაატარა. ბერძნულ წყაროებში მას ბარლაამ // ვარლაამი ეწოდება. ხსენების დღე — 19 ნოემბერი.

ბალარჯობა — ებრაული პასექის დღესასწაული. იხმარება ტერმინ „უცომოების" პარალელურად: „და მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისა, რომელსა პრქუან პასქა" (ლუკ. 22,1; იხ. აგრეთვე III ეზრა 1,19). დღესასწაულის სახელწოდება მოდინარეობს ებრაული რიტუალისაგან, რომლის თანახმად პასექის შეიდეულში ებრაელები ჭამენ მხოლოდ და მხოლოდ უფუარ პურს, ბალარჯს (IV მეფ. 23,9). „ბალარჯის" ანუ „უცომოჲს" (ე. ი. უფუარი პურის) ჭამას ის სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გამოხატაეს ებრაელთა ხალხის მოწოდებას, იყოს სუფთა, წმინდა და თავისუფალი ეგეპტურ ზნეობრივ ხრწნილებათაგან (პასექი ებრაელების ეგეპტელთა მონობისაგან გაშოხსნის დღესასწაულია). საიდუმლო აზრით „ბალარჯი" ანუ „უცომოჲ" გამოხატაეს ქრისტესმიერი, სულიერი ცხოვრების უბოროტობას; ე. ი. ქრისტიანები აღდგომის (პასექის) გზით განწმიდებიან ძველი ცოდვებისაგან და უნდა იდღესასწაულონ ახალი პასექი: „რაჲთა ეზატიკობდეთ არა ცომითა მით ძუელითა, არცა ცომითა მით სიბოროტისა და უკეთურებისა, არამედ უცომობით მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისათა" (I კორ. 5,8). იხ. უცომოება.

ბალზამონი თეოდორე — XII ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი მანუელ კომნენოსი (1142-1181) და ისაკ II ანგელის (1185-1194) მეფობის დროს. ბალზამონი 1193 წ. ანტიოქიის პატრიარქი გახდა, თუმცა კონსტანტინეპოლში ცხოვრობდა და ფორმალურად ითვლებოდა ანტიოქიის პატრიარქად, რადგან ანტიოქია ამ დროს ჯვაროსნებს ეჭირათ. ბალზამონის მთავარ თხზულებად ითვლება კომენტარები, ანუ განმარტებანი ფოტი პატრიარქის ნომოკანონისა, რომელიც მან დაიწყო კონსტანტინეპოლის პატრიარქ მიხეილ III-ის (1169-1198) დროს, რომელსაც მიუძღვნა კიდეც ეს ნაშრომი. ბალზამონი ავითარებს აზრს საეკლესიო კანონ-

ების უპირატესობაზე იმ სამოქალაქო კანონებთან შედარებით, რომლებიც საერო ხელისუფალთა მიერ ეკლესიის საკითხებზეა დადგენილი. ნომოკანონის სამოქალაქო კანონების კომენტირებაში ბალზამონს წინამორბედი არ ჰყოლია, ხოლო საეკლესიო კანონების კომენტირებისას იგი ეყრდნობა ზონარას. ბალზამონის მიერ კომენტირებული ნომოკანონის ტექსტის საუკეთესო გამოცემაა ათენის სინტაგმა 6 ტომად, გამოცემული ათენში 1852-1859 წწ. რალესა და პოტლეს მიერ. ქართულად ბალზამონის კომენტარები თარგმნილი არ არის, რუსულად თარგმნილია რამდენჯერმე, პირველად – 1975 წ. (Правила святых апостолов, святых соборов, вселенских и поместных и святых Отец с толкованиями, I, II, III, Москва, 1975).

ბალიჭი – სოფელი ბოლნისის რაიონში, დმანისის ნაქალაქარიდან 5 კმ. დაშორებით. სოფლის განაპირას აღმოჩნდა (1971 წ.) VI ს. სარკოფაგი წარწერით: „იესოს სული, ქრისტე, მოიკსენე“ (დღეს დაცულია თბილისის ხალხური ხელოთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ლია ცის ქვეშ). სოფლის მიდამოებში დგას X ს. ეკლესია, რომელიც შეკეთებულია XVIII ს. ეკლესიაში არის ლაპიდარული წარწერა.

ბანა – საეკლესიო და საბჭოთაშუა ცენტრი ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანის მარჯ. ნაპირას. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია „ფანაკის“ სახელწოდებით. VIII ს. შუა წლებში აქ ამშენებს დიდი ტაძარი. აღარნასე II-ის (881-933) დროს დაარსდა ბანის საეპისკოპოსო, ბანის ტაძარი გადაკეთდა და ბაღელის რეზიდენცია გახდა. ზოგჯერ ბანა მეფეთა სამყოფი იყო. X-XI სს. ბანაში მოღუაწე ზაქარია ბაღელის თაოსნობით ბეური ძეროფასი ხელნაწერი შეიქმნა. ბანის ტაძარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. დიდი ზომის მაღალ ტეტრაკონქს გარს ეკვრის თითქმის 40 მ. დიამეტრის მრავალწახნაგა გარეშემოსაველი. შუაში აღმართულია ცილინდრული გუმბათის ყელი. ტეტრაკონქის მკლავებს შორის განლაგებულია გუმბათქუშა ბურჯები – პილონები, სადაც სამ იარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკები), ხოლო ოთხიე აბსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამჭოლი თაღების გარშემოსაველისაკენ იხსნება. შენობის მთელი სიმაღლე 30 მ. აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აბსიდების და პატრონიკების მალებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია კოლუტებიანი სვეტისთავებით. ფასადის მთელ პერიმეტრს მისდევს დეკორატიული თაღედი, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია.

ბანელი – ბანის საეპისკოპოსოს მწყემსმთავართა ტიტული. ბანის საეპისკოპოსო დაარსა ადარნასე II-ე (881-923). პირველი ბანელი გახდა კვირიკე. შემდეგი დროის ეპისკოპოსთაგან ცნობილნი არიან: იოანე ბანელი, იოანე ბანელი ხარტულარი, ზაქარია ბანელი და სხვ. ბანელის სამწყსოში XVI ს. I ნახევრის ერთი დოკუმენტის მიხედვით შედიოდა: „სულ ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულად ოლთისი, ნამარაკანი“ (სამ. ძეგლები III, გვ. 245).

ბაპტისტები (ბერძნ. „ნათლღებულნი“) – ბაპტიზმის (ქრისტიანული პროტესტანტიზმის ერთ-ერთი სახის) მიმდევარნი. წარმოიშვა 1609 წელს პოლანდიაში ემიგრანტ ინგლისელ ინდეპენდენტებს (იხ.) შორის. პირველ თემები 1611-1612 წწ. გაჩნდა ინგლისში, ხოლო 1639 წელს – ჩრდილოეთ ამერიკაში, ინგლისის კოლონიებში. ბაპტისტების სწავლებით ადამიანის სულის ხსნა შეიძლება ქრისტეს პირადი რწმენით და ეკლესიის შუამდგომლობა საჭირო არაა. რწმენის ერთადერთ წყაროდ მათ საღვთო წერილი მიაჩნიათ. უარყოფენ ხატებს, საეკლესიო საიდუმლოს, ზოგიერთ ქრისტიანულ დღესასწაულს, მოითხოვენ, რომ ადამიანი მოწიფულობისას მოინათლოს. თავდაპირველად უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიასაც, ამჟამად კი ბაპტისტების შორის ეკლესიისა და სამღვდელოების როლი იზრდება. XIX ს-ში ბაპტიზმი გავრცელდა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში. 1905 წ. ლონდონში შეიქმნა ბაპტისტების I მსოფლიო კონგრესი, რომელზედაც შეიქმნა ბაპტისტების მსოფლიო კავშირი (ცენტრი ქ. ვაშინგტონში). 1966 წ. ეს ორგანიზაცია აერთიანებდა 116 ქვეყნის 27 მილიონ ბაპტისტს. 1950 წ. პარიზში დაარსდა ევროპის ბაპტისტთა ფედერაცია, რომელიც 1966 წ. 21 ქვეყნის 1,5 მილიონ კაცს აერთიანებდა. საქართველოში ბაპტისტების პირველი თემი ჩამოყალიბდა 1867 წ. (პირველი თემი რუსეთის იმპერიაში). 1921 წლამდე თბილისში მოქმედ ბაპტისტთა თემებში ქართველები არ ყოფილან. პირველი ქართული ჯგუფი 1921 წ. ჩამოყალიბდა.

ბარაბა (ებრ. აბბას ძე) – ავაზაკი, რომელიც სახარებაშია მოხსენიებული იესო ქრისტეს ჯვარცმის ეპიზოდთან დაკავშირებით.

როდესაც პილატემ განიზრახა უდანაშაულო იესოს გადარჩენა ებრაელთა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ იმ ჩვეულების საფუძველზე, რომლის მიხედვით ხალხს უფლება ჰქონდა მოეთხოვა რომელიმე პატიმრის გათავისუფლება, ხალხმა ქრისტეს ავაზაკი ბარაბა ამჯობინა. ბოროტმოქმედი და მკვლელი გაათავისუფლეს, ხოლო იესო ქრისტე ჯვარს აცვეს (ლუკ 23,19).

ბარაკონი – ღვთისმშობლის ტაძარი, ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლი რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, სოფელ წესთან. აგებულია 1753 წ. რაჭის ერისთავის, როსტომის ბრძანებით ოსტატ ავთანდილ შულაერელის მიერ. შენობა სწორკუთხაა, მინაშენთა გარეშე. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და ორ ბოძს. ნაშენია თლილი ქვით და გარედან უხვადაა შემკული ჩუქურთმებით. ფასადებზე ეხვევიან ზოგიერთ ძეგლებურ ელემენტებს. უმეტესად ტრადიციულია ჩუქურთმების სახეებიც, მაგრამ მორთულობა მოკლებულია მთლიანობას და ორგანულად ვერ უკავშირდება არქიტექტურას.

ცნობილია ბარაკონის საკურთხევლის ჯვარი (XV ს. II ნახევ.), რომელიც დაუშზადებია ოსტატ მაშეს. ჯვრის სიმაღლე 2,13 მეტრია, შემკულია წმ. გიორგის ცხოვრების სცენებით. ეს ჯვარი ბარაკონში გელათის მონასტრიდან მოუტანიათ (დღეს ქუთაისის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ინახება).

ბარალეთი – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ბარალეთის ნაპირებზე, ახალქალაქიდან 16 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების ქართული ეკლესია – სამნაოიანი ბაზილიკა, რომლის აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „აღეშენა ეკლესიაჲ ესე მათ ჟამთა შინა, ოღეს ლაშა მეფედ დაჯდა“ (ე. ი. 1213 წ.), რადგან იმ დროისათვის საქართველოში ბაზილიკები აღარ შენდებოდა, ეს ცნობა უფრო ადრინდელი ეკლესიის აღდგენას, ან შეკეთებას უნდა გულისხმობდეს.

ბარაქიოს მოწამე – თავის ძმასთან, იონასთან ერთად ეწამა სპარსეთში საფარ მეფის (310-331 წწ.) დროს, რომელიც სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. ძმებმა შეიტყვეს, რომ ქ. ბარაბოხში ქრისტიანებს აწამებენ და იქ გაეშართნენ მათ გასამხნევებლად, რომ ქრისტე არ უარეყოთ. ქრისტიანი ძმები დაატყვევეს და სპარსეთის მთავრების წინაშე წარადგინეს. რადგან ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინეს, ისინი აწამეს: პირველად იონა – სასტიკი წამების შემდეგ ჩააგდეს გაყინულ ტბაში, ხოლო ბარაქიოსს პირში ადუღებული კუპრი ჩაასხეს. იონას და ბარაქიოს ერთობლივი „წამება“ ქართულად თარგმნილია მეტაფრასული რედაქციით და მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (ქუთ. 2, XVIV ს. 374-383). ხსენების დღედ ქართული თარგმანის მიხედვით დადებულია 29 მარტი. 29 მარტს არის შეტანილი მათი სინაქსარული „წამება“ სვინაქსარშიც. სხვა წყაროებში გვხვდება 28 მარტიც (Сергий, Полный месяцеслов Востока I, 100).

ბარბარა მთავარმოწამე – ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს. მამამისი, წარმართი დიოსკორე, იყო მდიდარი და ცნობილი მოქალაქე ფინიკიის ქ. ილიოპოლში. ადრე დაქვრივებულმა მამამ მთელი ყურადღება ერთადერთი ქალიშვილის აღზრდას მიაქცია. ხედავდა რა თავისი ქალიშვილის არაჩვეულებრივ სილამაზეს, დიოსკორემ გადაწყვიტა იგი უცხო თვალთაგან დაფარულად აღეზარდა და ამისათვის ააგო კოშკი, რომელშიც ბარბარასთან ერთად მხოლოდ მისი წარმართი მასწავლებლები ცხოვრობდნენ. მისი სილამაზის ამბავი მოედო მთელ ქალაქს და ბარბარას ბევრი წარჩინებული მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ მან მამამისს გათხოვებაზე სასტიკი უარი განუცხადა და ძალდატანების შემთხვევაში თვითმკვლელობით დაემუქრა. მამამ ქალიშვილის ასეთი საქციელი გარკვეტილი ცხოვრებით ახსნა ამიტომ ნება დართო გამოსულიყო კოშკიდან და სრული თავისუფლება მიანიჭა. ბარბარა ქალაქში გაეცნო ახალგაზრდა ქრისტიან ქალიშვილებს, ირწმუნა ქრისტე და ჩუმად მოინათლა ალექსანდრიიდან ფარულად ჩამოსული მღვდლის მიერ. ამ დროს დიოსკორეს სახლში დიდებული ამპარო შენდებოდა. მამამისის იქ არ ყოფნის დროს ბარბარამ ამპაროს პროექტში ქრისტიანული სამების გამოსახატავად ორ ფანჯარას მესამე დაამატებინა, ხოლო შესასვლელის თაღზე ჯვარი გამოასახვინა. დაბრუნებული დიოსკორე ბარბარას მოქმედებამ განარისხა და, რადგან ქალიშვილის ქრისტიანობა გაშჟღავნდა, მამამ იგი ქალაქის მმართველს – მარტიანეს გადასცა. სასტიკი წამების შემდეგ მას თავი მოჰკვეთა საკუთარმა მამამ. საღეთო შურისძიებამ არ დააყოვნა და დიოსკორე და მარტიანე ელვამ დასწვა. VI ს. ბარბარას წმ. ნაწილები კონსტანტინეპოლში გადმოასვენეს. XII ს. ბიზანტიის იმპერატორის ალექ-

სი კომნენის (1081-1118) ქალიშვილმა ბარბარამ იქორწინა რუს მთავართან, მისული იზიასლავის ძესთან და ბარბარას წმ. ნაწილები კიევში გადმოასვენეს და დღესაც ინახება წმ. ელადიძირის ტაძარში. ბარბარას „წამება" ქართულად რამდენიმე რედაქციით არის თარგმნილი. უძველესი კომპური ტექსტი X ს.-მდეა თარგმნილი და მოღწეულია მრავალი ხელნაწერით (A 95, XI ს.,260-263; H 341, XI ს., 417-167; Sin. 91, XIV ს., 115-123; Ier. 17, XII ს., 55-63; Ath. 28 10003 წ. 150-165 და სხვ.). ბარბარას მეტაფრასული „წამება", რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს ეკუთვნის, ქართულად თარგმნილია ორჯერ: პირველი (H 1347, XI-XII ს., ქუთ. 5, XVI ს. 6-11 და სხვ.) შეიძლება იოანე პეტრიწის თარგმანი იყოს, ხოლო მეორე უცნობ მთარგმნელს ეკუთვნის (A 128, XII-XIII სს., 483-500, და სხვ.).

ბარბარას ხსენების დღედ 4 დეკემბერია დადებული. ამ დღესაა შეტანილი მისი სვინაქსარული „ცხოვრებაც" გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში".

ბარბარა მონაზონი – იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვრის – ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (1643-1648) დედა. სწორედ ნიკიფორეს განუწესებია ალაპ მშობლებისათვის – ომან და ბარბარა ჩოლოყაშვილებისათვის თაყვის მამობის წლებში (ე. მეტრეველი, მასალები... გვ. 87).

ბარბარობა – I. წმინდა ბარბარეს დღესასწაული, რომელიც იმართება 5-6 დეკემბერს. 2. ქართველების ერთ-ერთი უძველესი საახალწლო-რელიგიური დღესასწაული, რომელიც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში აღინიშნებოდა (სვანეთში, ლეჩხუმში და სხვ.). ე. ბარდაველიძის გამოკვლევით, ქართული ხალხური ბარბარობა, წმ. მოწამე ბარბარეს ქრისტიანული მოსახსენებლის გარდა, წინაქრისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენებსაც აერთიანებდა. ქართველები ბარბოლს, ბარბლაშის (სვანეთი) და ბარბალეს სახით თაყვანს სცემდნენ იმავე სახელწოდების წინაქრისტიანული მზის ადგილობრივ ღვთაებას. ბარბალობასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა რიტუალური ლოცვა-ვედრება, შესაწირავები: რძის ფაფა, ხაჭაპურები (სვანეთში), ლობიოს და ნიგვზისგულიანი ჯვარდასმული ტაბლები, ე. წ. ბაბარბალო ტაბლები (ლეჩხუმში) და სხვ. ბარბალობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო მეკვლეობა.

ბარეთელთა – მონასტერი ისტორიული საქართველოს კლარჯეთის პროვინციაში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე). დაარსებულია IX ს. I ნახევარში ბაქარია ბარეთელთელის მიერ, რაც „ვრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაშია" დადასტურებული: „მოიწია მამაჲ ზაქარია მაშენებელი ბარეთელთისაჲ" (ძეგლები I, 275,31). თურქთა მფლობელობის დამყარების შემდეგ (XVI ს. II ნახ.) მონასტერი დაუნგრევიათ. დღეს მხოლოდ მცირეოდენი ნაშთია დარჩენილი.

ბართლომე – მანგლელ-თბილელი იოანეს ჯვარისმტვირთველი, გვარად აბაზასძე, რომელმაც შეადგინა და დაამოწმა 1440 წ. წყალობის წიგნი მანგლელ-თბილელ იოანესი, მიცემული ქორეპისკოპოს დანიელისადმი (ცსსა ფ. 1448, ფ. 5240; სამართლ. ძეგლ., III,187).

ბართლომე – მოციქული, ერთ-ერთი ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან, წარმოშობით – გალილეის ქალაქ კანადან. სულიწმიდის მოფენის შემდეგ ბართლომე და ფილიპე მოციქულებს წილად ხვდათ სახარების ქადაგება სირიასა და მცირე აზიაში. ერთ-ერთ სოფელში ისინი შეხვდნენ იოანე ღვთისმეტყველს და ერთად გაემგზავრნენ ფრიგიაში. აქ, ქ. იერაპოლში მათ ბევრი სასწაული მოახდინეს და დიდძალი ხალხი მოაქციეს ქრისტიანობაზე. ქალაქის მმართველმა ბრძანა მათი დიღეგში ჩაშენებულ სასამართლოში მათ ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა. მოციქულთა ჯვარცმისთანავე დაიწყო საშინელი მიწისძვრა, რომელმაც ქალაქის მმართველი ქურუმები და დიდძალი ხალხი შთანთქა. სხვები შეშინდნენ და ჩამოხსნეს მოციქულები, მაგრამ ფილიპე მოციქული უკვე მკვდარი იყო. ბართლომემ იერაპოლის ეპისკოპოსად სტაქიოსი (რომლის სახლში ცხოვრობდნენ მოციქულები შეყრობამდე) დადგინა და ერთხანს იერაპოლში დარჩა. მოგვიანებით ის გაემგზავრა ინდოეთში, სადაც ადგილობრივ ენაზე თარგმნა სახარება მათეი და ბევრი წარმართი გააქრისტიანა. იგი ეწეკა დიდ ქადაგებას, იქ მრავალი სასწაული აღასრულა და განკურნა ეშმაკეულისაგან პოლიმე მეფის ასული, რის შემდეგაც მეფე მთელი ოჯახით მოინათლა. მათ მაგალითს მიბაძეს სომხეთის 10 ქალაქის მცხოვრებლებმაც. წარმართმა მეფის ძმამ ასტიაგმა შეიპყრო მოციქული ბართლომე ქ. ალბანში (ახლანდელი ბაქო) და ჯვარზე თავდაყირა მიაკრა. რადგან მოციქული მაინც განაგრძობდა ხალხის დაშოძღვრას, მას თავი მოკვეთეს. 508 წ. ახლოს მისი წმ. ნაწილები გადაასვენეს მესოპოტამიაში, ქ. დარში. როდესაც ქალაქი 574 წ. სპარსელებმა დაიპყრეს, ქრისტიანებმა წმ. ნაწილები განარიდეს და შავი

ზღვისაკენ წაიღეს, მაგრამ მდევრის მოახლოების გამო იძულებულნი გახდნენ კიდობანი ბართლომეს წმ. ნაწილებითურთ ზღვაში ჩაეშვათ. ღვთიური განგებით კიდობანმა კუნძულ ლიპარს მიაღწია. IX ს. კუნძულის არაბთა მიერ დაპყრობის გამო, წმ. ნაწილები გადაიტანეს ნეაპოლიტანურ ქ. ბენევენტში, ხოლო X ს. მათი ნაწილი რომში ჩაიტანეს.

ბართლომე მოციქულის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული იოსებ მგალობელის († 883) ცხოვრებაში: იოსებმა მოიპოვა ბართლომე მოციქულის წმ. ნაწილების ერთი ნაწილი, მოიტანა იგი თავის ეკლესიაში კონსტანტინეპოლის მახლობლად, ბართლომე მოციქულის სახელზე ეკლესია აგო და იქ დაასვენა წმ. ნაწილები. ბართლომე მოციქულის ხსენების დღეს (11.IV) იოსებს ეკლესიის საკურთხეველში გამოეცხადა მოციქული, მოიხმო იოსები, აიღო წმ. სახარება, დაადო მკერდზე და უთხრა: „გაკურთხებს უფალი, რომ შენმა გალობებმა დაატკბოს სამყარო“. ამის შემდეგ დაიწყო იოსებმა გალობების (კანონების) წერა და დაწერა მოციქულთა და წმინდანთა სადიდებელი 300-მდე კანონი.

იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ეპიფანე კვიპრელი და ზოგიერთი სხვა საეკლესიო მამა მოციქულ ბართლომეს სახარების ნათანალთან (იოვ. I,45-51; 21,2) აიგივებენ.

ბართლომე (ბართლომეონ) მოციქულის მოსახსენებელი ქართულად თარგმნილია მეტაფრასული რედაქციით და მოიპოვება ერთი ნუსხით (ქუთ. 3, XVI ს., 102-106). ხსენების დღედ დადებულია 11 იენისი.

ბართლომე – საქართველოს კათოლიკოსი VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში, ქართლის ერისმთავართა – გვარამისა და მისი ძის, სტეფანოზის დროს. ბართლომეს მწყემსმთავრობის დროს დაიწყო და გრძელდებოდა მცხეთის ჯვარის ტაძრის მშენებლობა, როგორც ეს აღნიშნულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში: „და განაჩინეს ერისთავად გუარამ... ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ... და კათალიკოზი იყო ბართლომე. და შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ ძე მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა... და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოზი იყო ბართლომე, მეორედ“ (ძეგლები, I, 96, 16-24; 96,31).

ბართლომეს ღამე – კათოლიკეების მიერ პუგენოტების (იხ.) მასობრივი ჟლეტა პარიზში 1572 წ. 24 აგვისტოს, წმ. ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს. მოთავეები იყვნენ საფრანგეთის მეფის, შარლ IX-ის დედა ეკატერინე მედიჩი და კათოლიკეთა ბელადი ჰერცოგი გიზი, რომელთაც აშინებდათ პუგენოტებისა და მათი ბელადის გასპარ დე კოლინის გაელვების ზრდა შარლ IX-ზე. მათ ისარგებლეს პუგენოტების ერთ-ერთი ბელადის, ანრი ნავარელის (შემდეგში ანრი IV) და შარლ IX-ის დის – მარგარიტ ვალუას ქორწილზე (18 აგვისტოს) მრავალი პუგენოტის ჩამოსვლით. 24 აგვისტოს ღამის 2 საათზე დაიწყო ჟლეტა. დახოცეს 3 ათასზე მეტი პუგენოტი, მათ შორის კოლინიც. ანრი ნავარელს და პრინცს კონდეს სასწრაფოდ მიიღეს კათოლიკობა და ამით უშველეს თავს. ხოცა-ჟლეტა ოქტომბრის დამდეგამდე გრძელდებოდა და მოედო ავრეთვე ლიონს, ორლეანს, რუანს, მოს, ბორდოსა და სხვ. ქალაქებს. ბართლომეს ღამემ ვერ გატეხა პუგენოტები – განახლდა რელიგიური ომები. გამოჭქმა „ბართლომეს ღამე“ მასობრივი ჟლეტის სინონიმად იქცა.

ბარი – სოფელი ონის რაიონში, რომელიც პირველად იხსენიება XVI ს. ბიჭვინთის იადგარში. XVIII ს. სოფ. ბარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ზემო ბარი და ქვემო ბარი. ზემო ბარში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია „ჯბოს მთაწარგნელში“, ქვემო ბარში – ასევე განვითარებული შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია, მოხატული. სოფელ ბარის მიდამოებში არის „ბრავალძალის წმ. გიორგის“ ეკლესია XI ს., რომელიც XIX ს-ში განუახლებიათ. შემორჩენილია XI ს. რელიეფები, აგრეთვე მოხატულობის კეალი. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ეკლესიის ტიმპანის სამი ფილა XI საუკუნის წარწერებით. ორი მათგანი ბარის „ბრავალძალის“ წმ. გიორგის ეკლესიიდან უნდა იყოს მოტანილი, ხოლო ერთი – ქვემო ბარის ღვთისმშობლის ეკლესიიდან. სამივე წარწერა წარმოადგენს ვედრებას ამა თუ იმ პირის შეწყალებაზე (ლაპიდ. წარწ., II, გვ. 67-69).

ბარლაამი – შაჲი მთის მოღვაწე. დაყუდებული იყო, „მთასა კაკასსა“, რომელშიც იგულისხმება ანტიოქიის მახლობლად მდებარე მთა კასია შავი მთის მთიანეთში (ახლა ალ-ჯაბალ-ალ-აკრა). შემდეგ ამ ადგილას მის სახელზე დარსდა მონასტერი „ბარლაამწმიდა“, რომელშიც XI ს. ნახევრიდან ქართველებიც მოღვაწეობდნენ (იხ. ბარლაამწმიდა). ბარლაამის „ცხოვრება“ მხოლოდ ქართული თარგმანით (Ath. 7, XIII ს., 242v-253r; ბრიტ. მუზ. Addit. 11281 XI ს.)

არის შემონახული. იგი უთარგმნია X ს. ცნობილ მთარგმნელს დავით ტბელს. (გამოცემულია ნ. მარის მიერ Агиографические материалы II, 109-138). ბარლაამის ხსენება დადებულია 19 იელისს. ამ დღეზეა შეტანილი ბარლაამის საგალობელი ხელნაწერში (Sin. 56), რომელიც შეიცავს საგალობლის ქართულ თარგმანს.

ბარლაამწმიდა – ქართველთა საუანე შაე მთაზე (ანტიოქიაში), რომელიც დარსებული უნდა იყოს XI ს. შუა წლებში ანტონის სახელით ბერად შემდგარ ლიპარიტ ლიპარიტის ძე ორბელის მიერ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მოღუწეობდა ბარლაამი, „მოღუწე მთასა კაეკასსა" (იხ. ბარლაამ). ამის შესახებ ცნობას გვაწვდის გიორგი ხუცესმონაზონის (მცირის) მიერ დაწერილი „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება": „...მოირწყნეს ეკლესიანი შეისა მთისანი წიგნთა მისითა მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროჲს ყოველთაჲსა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტყოფილმან და თუსსა მონასტრისა ბარლაამწმიდისათჳს დაწერინა" (ძეგლები II,155). საინტერესო ცნობაა დაცული სინის მთის ერთ ხელნაწერში (Sin. 56), რომელიც ბარლაამის საგალობელს ერთვის „თუესა იელისსა ით (19) წმიდისა მამისა ბარლაამისი, რომელ არს მთასა კაეკასსა, დღესასწაული ბარლაამწმიდას, ქართველთა მონასტერსა" (H. Марр. Описание... с. 91) ცნობილია ქართველი მწიგნობარი იოანე ბარლაამწმიდელი, რომელსაც „დუჩჩრეულა" პარაკლიტონი (Sin. 96). მოტანილი ცნობები სარწმუნოდ ხდის აზრს ამ მონასტრის ქართველთა მიერ დარსების შესახებ (ლ. მენაბდე, ძვ. ქართ. მწერლობის კერები, II, თბ., 188, გვ. 160-166).

ბარნაბა – კალიგრაფი XIV ან XV ს-ში. მას გადაუწერია კარგვისის ხატიკი (A 25) ქსნის ერისთავ შალვასათვის. ბარნაბა მოხსენიება ამ ხელნაწერის 239-ე გვერდზე. ეტრატის ხელნაწერი (338 გვ., 25,8 X 20 სმ.) ნაწერია შშველიერი ნუხსურით ერთ სვეტად. წიგნს 7 მინიატურა ამკობს, რომლებიც სახარების სხვადასხვა სიუჟეტებზეა აგებული. მინიატურების ავტორიც შეიძლება ბარნაბა იყოს.

ბარნაბა თბილელი – თბილისის მთავარეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში, გვარად ფავლენიშვილი. პირველად თბილელის ტიტულით ბარნაბა მოხსენიებულია 1567 წ. მისიეე ხელით დაწერილ სვიმონ მეფის (1558-1600 წწ.) ერთ სიგელში: „დაიწერა ქსა სნე (1567 წ.)... კელითა სამეუფოჲსა ქალაქისა მთავარეპისკოპოზისა ტფილელისა ბარნაბასითა" (ქრონიკ. II, 4090. 1570 წ. ბარნაბა ელასე ურბნელ მთავარეპისკოპოსთან ერთად იერუსალიმში, ჯვარის ქართველთა მონასტერში წასულა სამღვდაწეოდ, როგორც ეს ჩანს მარხვანის (Ier. 67) მინაწერში: „შეიკაზმა... მარხეანი კელითა ურბნელისა მთავარეპისკოპოზისა ელასისითა და კელითა ჩემ ცოდელისა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბასითა ქორონიკონსა სნმ (258+312 1570 წ.) ამასვე ქორონიკონსა მოვედით ჩუენცა საქართველოჲთ" (А Цагарели, Памятники... 168-169). ბარნაბა ჯვარის მონასტერში, როგორც ჩანს, საკმაო ხანს მოღუწეობდა და ჯვარის მამაც გამხდარა, როგორც ეს ერთი ხელნაწერის (Ier. 38, ნ. მარის აღწერილობით) მინაწერიდან ჩანს: „შეიკაზმა კელითა ურბნელ მთავარეპისკოპოზისა ელასისითა და ბრძანებითა, ჯერჩინებითა და თანაშეწევნითა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა და ჯუარის მამისა ბარნაბასითა" (ნ. მარი, იერუს. ხელნაწ. აღწერილობა, გვ. 80). ასევე ჯვარის მამად არის მოხსენიებული ბარნაბა ერთ საღღესასწაულოში (Ier. 26), რომელიც შეიკაზმა „კელითა ურბნელ მთავარეპისკოპოზისა ელასისითა, ბრძანებითა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა და ჯუარის მამის ბარნაბასითა" (А. Цагарели, Памятники... 166). ბარნაბას ელასისთან ერთად იერუსალიმის ქართული მონასტრების ბევრი ხელნაწერი განუახლებია, შეუკაზმაჲს და გადაურჩენია დაღუპვისაგან (იხ. ლ. მენაბდე, კერები, II, 118-120). ბარნაბა თბილელი იერუსალიმიდან ისევე საქართველოში დაბრუნებულა და ისევე თბილელის კათედრა დაუჭერია. 1580 წელს ერთ სიგელში, რომელიც ბარნაბას თავისი ხელით დაუწერია, იგი ისევე თბილელად არის მოხსენიებული: დაიწერა ქ(სა) სნი (1580)... კელითა სამეუფოჲსა ქალაქისა მთავარეპისკოპოზისა ტფილელისა ბარნაბასითა" (ქრონიკ. III, 419). 1592 წ. ბარნაბა თბილელს სიონის ტაძრისათვის უყიდია ვენახი და ყმანი სოფ. დუბისში (ქრონიკ. II,427).

ბარნაბა მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, ქ. მედიოლანის (მილანის) პირველი ეპისკოპოსი. დაიბადა კუნძულ კვიპროსზე მდიდარი ებრაელის ოჯახში. თავდაპირველად იოსები ერქვა. სწავლობდა იერუსალიმში თავის მეგობარ საულესთან (შემდგომში პავლე მოციქული) ერთად საღვთო სჯულის განთქმულ მასწავლებელთან – გამალიელთან. ქრისტეს მოძღვრების გაცნობის შემდეგ იგი ქრისტიანი გახდა დ

სახელად ბარნაბა ეწოდა, რაც ებრაულად „ნუგეშის ძეს“ ნიშნავს. ქრისტეს ამაღლების შემდეგ ბარნაბამ გაყიდა იერუსალიმის ახლოს მდებარე საკუთარი მიწა და ფული მთლიანად მოციქულებს გადასცა (საქმე მოც. 4,36-37). როდესაც საღვთო მიიღო ქრისტიანობა და გადწყვიტა ქრისტეს მოწაფეებს შეერთებოდა, ყველას ეჭვი ეპარებოდა, რომ ქრისტიანების ყოფილი მდევნელი გულწრფელი იყო, მაგრამ ბარნაბას მონათხრობმა, თუ როგორ გამოეცხადა საღვთო უფალი დამასკოს გზაზე (საქმე 9,26-28), ეჭვები გაფანტა. ამის შემდეგ ბარნაბამ პავლე მოციქულთან ერთად იქადაგა ანტიოქიაში, იერუსალიმში, სელევკიაში, კვიპროსზე ქ. სალამინში, პაფოში, პერგეში (პამფილიისა), პისიდიის ანტიოქიაში, იკონიაში, ლისტრაში და დერბეში. პავლესთან დაცილების შემდეგ ბარნაბა მარკოზთან ერთად კვლავ კვიპროსზე ქადაგებდა (საქმე მოც. 15,36-46). აქედან რომში გაემგზავრა და პირველმა იქადაგა იქ ქრისტეს მოძღვრება. ქ. მედიოლანში დაარსა საეპისკოპოსო კათედრა და შემდეგ დაბრუნდა კვიპროსზე. აქ ოცდეველებმა წარმართები წაქეზეს ბარნაბას წინააღმდეგ, მათ კი იგი ქალაქიდან გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. შემდეგ გააჩაღეს ცეცხლი გვამის დასაწვავად. გვიან, როდესაც ამ ადგილას მარკოზი მოვიდა, ნახა ცეცხლისაგან უვნებელი გვამი ბარნაბა მოციქულისა, გამოქვაბულში დაასაფლავა და მოციქულის ანდერძის თანახმად გულზე თაეისიე გადაწერილი მათეს სახარება დაადო.

ბარნაბა მოციქულის მოსახსენებელი მეტაფრასული რედაქციით თარგმნილია ქართულად და მოიპოვება ერთ ხელნაწერში (ქუთ. 3, XVI ს., 106-120). ხსენების დღედ 11 ივნისია დადგენული.

ბარნაბე – ქართლის მეფის – კონსტანტინე II-ის (1479-1505) უმცროსი ეაჟის – ბაგრატ მუხრანბატონის ბერობის სახელი: „და ბაგრატიცა, ძმა მეფისა დავითისა (1505-1525) და გიორგისა (1525-1537), რომელი უფლებად მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე“ (ქართ. ცხ. II, 355). ბარნაბეს სახელით ბაგრატი იხსენიება ნიკორწმიდის სულთა მატიანეშიც.

ბარსაბა იერუსალიმელი – აეტორი ჰომილიისა, რომლის სათაურია „თქუმული მცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს და ეკლესიათათჳს და მღდელთმოძღუართათჳს“, რომლის ქართული თარგმანი შემოუნახავს ერთადერთ ხელნაწერს (Ath. 80, 233-239). ბარსაბა იერუსალიმელი სხვა წყაროებით უცნობია.

ბარსანოფე არქიმანდრიტი (ავაღიშვილი) – საეკლესიო მოღვაწე XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში. პლატონ იოსელიანის თხზულებაში „ცხოვრება გიორგი XIII-ისა“ ნათქვამია: „მასეე დროსა შეპყრეს და მისცეს პყრობილებასა არქიმანდრიტი ბარსანოფე ავაღიშვილი ნათლისმცემლის უდაბნოსა შინა მყოფი“ (გვ. 222). დავით ბატონიშვილი 1801 წ. 30 მაისს წერს მის შესახებ: „არქიმანდრიტი ბარსანოფე, ახლა რომ ექვთიმე ხაშმის არქიმანდრიტთან იმყოფება, აღელვებდა კახელებს და ლალატისკენ უბიძგებდა“ (აქტები, I №406; ჱ. ბერძენიშვილი, მასალები I, ნაწ. თბ., 1980 წ.).

ბარსანოფე (და იოანე) – უცნობი აეტორი, რომელსაც (იოანესთან ერთად) მიეწერება 79 კითხვა-მიგება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნ. Sin. 35, გვ. 174-215.

ბარტყულა – კუნკულა (ბერძნ. „საბურველი“), თავსაბურველი, ქუდი, რომელსაც ატარებენ ბერ-მონაზვნები დიდი სქემის შემოსვის შემდეგ. დიდი სქემის კურთხევის დროს მონაზონს ახურავენ ბარტყულას შემდეგი სიტყვებით: „იმოსება უბოროტობის ბარტყულით, მხსნელი სასოების ჩაფხუტით“ ბარტყულას ატარებენ: მღდელმონაზონი, არქიმანდრიტი, ეპისკოპოსი, პატრიარქი, რადგან ყველა მათგანს აქვს შემოსილი დიდი სქემა. ბარტყულა არის სიმბოლო სასოების ჩაფხუტისა.

ბარძიმი – საეკლესიო წმინდა ჭურჭელი, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მაღალფუხიანი (ძველად უფეხო იყო) თასი, სასმისი, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავს იესო ქრისტეს ენებას, ენების თასს, რომელიც მან შესვა: „ძალგიძსთა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესუმად?“ (მათე 20,22). „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმქედინ ჩემგან სასუმელი ესე“ (მათე 26,39). ბარძიმი გამოხატაეს იმ თასს, რომელიც იესუ ქრისტემ მიაწოდა თაეის მოწაფეებს საიდუმლო სერობაზე. ამის შესახებ ნათქვამია ლიტანიაში, რომელიც წარმოითქმის ახალი ბარძიმის კურთხეეის დროს. სეფისკეერის კვეთის დროს ბარძიმში თაესდება პური და წყალშერეული ღვინო, რომელიც ლიტურგიაზე სულიწმიდის მოხმობით გადაქცეეს ქრისტეს სისხლად და ხორცად, რომლითაც ეზიარება მთელი კრებული (სამღვდელოება და მრეელი).

ბარცანა – იხ. შილდა.

ბასა მოწამე – ეწამა იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) დროს თაეის

შვილებთან — თეოგონია, აღაპისა და პისტისთან ერთად. ბასა იყო მაკედონიის ქ. ედესიდან, წარმართი ქურუმის მეუღლე. ბავშვობიდან აღზრდილი იყო ქრისტიანული რწმენით, რაც მან თავის შვილებსაც გადასცა. ქმარმა დაარბეზლა ცოლ-შვილი ქალაქის მმართველთან. ბასამ და მისმა შვილებმა მიუხედავად სასტიკი სასჯელით მუქარისა, უარი თქვეს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე. დღის თვალწინ სამივე ვაჟი საშინლად აწამეს, ხოლო შემდეგ თავები მოჰკვეთეს. ბასა ღილეგში ჩააგდეს და შიმშილით უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ ანგელოზი ზეციური საზრდელით აცოცხლებდა. ღმერთმა იგი დაიფარა ცეცხლით, წყლით და მძვინვარე მხეცებით წამების დროსაც. მან დაამტვრია ზეესის კერპი. მაშინ იგი გადააგდეს ზღვაში, მაგრამ უეცრად მოულენილი ხომალდიდან გადმოსულმა სამმა ნათლითმოსილმა მამაკაცმა ის ხომალდზე აიყვანა. 8 დღის შემდეგ ის თავისი ნებით ჩამოვიდა კუნძულ ალონზე, კიზიკიდან ახლოს და კუნძულის მმართველს წარუდგა. გაჯობების შემდეგ მას თავი მოჰკვეთეს. ცნობილია, რომ 450 წ. ახლო ხანებში ქალკედონში უკვე არსებობდა ეკლესია ბასა მოწამის სახელზე. მისი სახელის ეკლესია უნდა იყოს იერუსალიმშიც (იერ. განჩ. 249). ქართულად თარგმნილია „ბასა დედაკაცისა და ძეთა მისთა: თეოგონია, აღაპი და პონტოს" (ბერძნულში — პისტი) წამების კიმენური ვერსია (Ier.-2,244-268). მოწამეთა მეტაფრასული თხზულება XI ს. ბოლოს შეუდგენია იოანე ქსიფილინოსს, რომელიც ქართულად უთარგმნიათ XII ს. I ნახევარში, დემეტრე მეფის (1125-1154) დროს. (ქუთ. 1,502-512). მეტაფრასული თხზულების ქართულ თარგმანში მოწაფეებს ეწოდებათ: ვასსა და ძენი მისნი: თეოფინი, აღაპი და პისტოს. მათი ხსენების დღედ დადებულია 21 აგვისტო.

ბასილა — კაცის სახის საბალწლო კერი, რომელსაც ძველად საქართველოში წმ. ბასილი დიდის პატივსაცემად აცხობდნენ (ხსენების დღე — 1 იანვარი). ქართლში ასეთ კერს გულზე ჯვარს გამოსახავდნენ და ფქვილის გოდორში ჩააგდებდნენ — „ბარაქა ამ გოდორსო". მას ახალწელიწადს წყალსაც ასხურებდნენ, ან წყალკურთხევა დღეს მდინარეში ასელებდნენ. ასეთსავე კერს აცხობდნენ კახეთსა და ჯავახეთში. ზოგჯერ ბასილა გამოსახული იყო მრგვალი კერის ზედაპირზე, ამიტომ ამ კერსაც ბასილა ეწოდებოდა. რაჭის ზოგიერთ სოფელში საბალწლოდ „კაც-ბასილად" წოდებული მრგვალი პურები ცხვებოდა, რომელთაგან ყველაზე დიდი მზის სიმბოლური ნიშნით, რკალებით იყო დაჭრელებული და მას „კრიამპერია" ერქვა. კერს, რომელიც „ბოსლობა საღამოს" ცხვებოდა, მთის რაჭაში „ბასილი ჭიჭყია" ეწოდებოდა. სამეგრელოში ბასილა ეწოდებოდა გრძელსა და ვიწრო კერს, რომელსაც წმ. ბასილის სახელზე საახალწლოდ აცხობდნენ ლორის ქონით შეზავებული ხორბლის, ან ჭვავის ფქვილისაგან.

ბასილეთი — სოფელი ჩოხატაურის რაიონში, მდ. გუბაზოულის (სუფსის შენაკადი) მარცხენა მხარეს, ჩოხატაურიდან 9 კმ. ბასილეთში XIX ს. II ნახევარში იდგა ბასილი დიდის ხის ეკლესია, რომელშიც დ. ბაქრაძეს რამდენიმე მოჭედილი ხატი უნახავს (ბასილი დიდისა და წმ. გიორგისა; იხ.: Археол. Путеш. По Гурии и Адчаре, Спб, 1878,209-210).

ბასილეოს/ვასილეოს — ქერსონეთის (დღეს ხერსონი –ყირიმში) ეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში, მღვდელმოწამე. ბასილი ეფრემთან ერთად ქერსონეთს ჩამოვიდა სახარების საქადაგებლად იერუსალიმის პატრიარქის — ერმონის (303-313) დავალებით. მალე ეფრემი დუნაის სანაპიროებისაკენ წავიდა ქრისტიანობის გასავრცელებლად, ხოლო ბასილი ქერსონეთში განაგრძობდა წარმართების გაქრისტიანებას. ფანატიკოსმა წარმართებმა ბასილი სასტიკად სცემეს და ქალაქიდან გაძევეს. იგი მთებში, გამოქაბულში დამკვიდრდა. ბასილის მიერ ღვთის შეწევნით ჩაღენილი სასწაულის (მიცვალებულის აღდგენა) შემდეგ იგი დიდი პატივით დაბრუნეს და ბევრმა წარმართმა იწამა ქრისტე. მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) მიერ გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის დროს ბასილი ეპისკოპოსი 309 წ. 7 მარტს წარმართებმა სახლიდან გამოათრიეს და ჩაქოლეს. ქრისტიანებმა ბასილის გვამი მღვიმეში დაასაფლავეს. ბასილის ხსენება სხვა ქერსონელ მოწამე ეპისკოპოსებთან ერთად დადებულია 7 მარტს. ქართულად XII ს. თარგმნილია ქერსონეთს წამებული 7 ეპისკოპოსის, და მათ შორის ბასილის, „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც დაცულია ერთ ხელნაწერში (ქუთ. 2, 105-111), ხოლო გამოცემულია ბერძნულიდან ქართული თარგმანის რუსული თარგმანი კ. კეკელიძის მიერ; ეტიუდები, VII, თბილისი 1961, გვ. 248-252.

ბასილი († 458) — სელევკიის (ისავრიაში) მთავარეპისკოპოსი და მწერალი. ქართლად თარგმნილია მისი ორი „სიტყვა" და ერ-

„შესხმა": 1. სიტყუაჲ ჩრ̃ულთათუს ბეთლემს მოწყუედილთა (A–182, 373-385; Ier. 23, 107-115), საკითხაჲი 29 დეკემბერს. 2. სიტყუაჲ ჳერისცქალებისათუს ღმრთისა და მაცხოურისა ჩუენისა იესუ ქრისტესა" (ქუთ. 1, XVI ს., 313-325), საკითხაჲ 6 აგვისტოს. 3. შესხმაჲ წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელისესი და სამრიტელისა მიმართ (ქუთ. 3, XVI ს., 140-143).

ბასილი – რამდენიმე ქართველი მღვდელ-მთავრის სახელი:

1. კათოლიკოსი, მოიხსენიება „მოქცეაჲ ქართლისაჲ"ში" იმ ცხრამეტ კათოლიკოსთა შორის, რომლებიც უცოლონი იყვნენ. ბასილი მე-16-ედ არის დასახელებული (ძეგლები, I, 97, 36).

2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. 40-60-იან წლებში, (ბასილი IV), გიორგი V ბრწყინვალისა 1314-46) და დაჳით IX-ის (1346-60) დროს.

3. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1517-28 და 1529-31 წწ. ბასილი იბრძოდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათჳს. 1518 წ. ბასილიმ ისარგებლა ქართლსა და სამცხეს შორის მშვიდობიანი ურთიერთობით და ყვარყვარე IV ათაბაგს სათანადო სიმტკიცის წიგნით აღადგენინა სამცხის სამთაუროს ეკლესიური დამოკიდებულება ქართლის სპატრიარქოზე, რაც სამცხის მთავრობის სეპარატისტულ მისწრაფებათა გამო დარღვეული იყო. ძველი საეკლესიო წყობილების აღდგენის მიზნით მან აღაწერინა სამცხის სამთაუროში მდებარე ქართლის სპატრიარქო ეკლესიის ყოფილი საყმო მამულები და დაამტკიცებინა სამცხის მთავრებს.

4. ალავერდის მთავარეპისკოპოსი XIII ს-ში. მანამდე ბასილი შიომღვიმის მონასტრის ბერი ყოფილა, როგორც ეს ნათქუამია XIII ს. ერთ სხუთში (დაწერილი შიომღვიმის კრებულის მერე ბასილი ალავერდელისადმი სამწერლოს გაჩენის შესახებ – Hd 1586, გამოც. ქართ. სამართლის ძეგლები III, გვ. 174-176): „მას ჟამსა, ოდეს დასდეყ სასუბაი წმიდისა ამის უდაბნოისასა მღუიმისა მიმართ და წმიდათა მამათა ჩუენთა შიო და ეფაგრესათუს, პირეელ თჳით აქან ნაზარდი იყავ, ჩუენ ყოველთა გუერდით და ყოველთაეე საკუთრებით ერთსულობდი და იწალნიერე, რადთამცა საკუნოჲ სამლოცველოჲ თქუენი ამას უდაბნოსა შინა უკუნისამდე გებულიყო". ბასილი ალავერდელის სურვილით და შიომღვიმის კრებულის თანხმობით მონასტერში ბასილის სამლოცველო გაუჩენიათ.

5. XIII ს. აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი. მას შეუმოსავს და მოუჭედინებია 1290-1300 წწ-ში გადაწერილი ყანჩაეთის ეტრატის სახარება, როგორც ეს ნათქუამია XIII ს. ხელით გაკეთებულ მხედრულ მინაწერში: „ითხთაჳი ესე წმიდაჲ განმანათლებელი ადამის ტომთა მე, ბასილი აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა შეუმოსე და მოეჭედე..." (ქრონიკ., II,172). ბასილი აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი სხუა წყაროებით ცნობილი არ არის.

6. XIII ს. თბილელი მთავარეპისკოპოსი.. მის შესახებ ცნობა ქართული წყაროებიდან მხოლოდ იერუსალიმის ჯუარის ქართულ მონასტრის ერთ აღაპს შემოუნახავს: „ამასუე დღესა აღაპი ბასილი თბილელისა. მოგუცა ათასი დრამაჲ. შეუნდეენ ღმერთმან" (მასალები, 83). აღაპი პალეოგრაფიული ნიშნებით XIII ს-ით თარიღდება.

7. ცნობილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღუაწე, უკარმელ-ჭყონდიდელი, საქართველოს სამეფოს მწიგნობართუხუცესი 1248-1265 წწ. მეფე დაჳით-ულუს საქართველოში არყოფნის დროს ბასილის სახელმწიფოს მართჳა ჰქონდა მინდობილი. ხელმძღუანელობდა საქართველოს მთავრობის იმ ღონისძიებათა შემუშაებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო XIII ს. შუა წლების დიდი ეკონომიური კრიზისის შენელება. ბასილის წინადადებით, გაღარიბებულ მოსახლეობას დაურიგდა ეკლესიის კუთვნილი მიწების ნაწილი. ამ ნაბიჯზე ბასილის გადაემტერნენ ეკლესიის მაღალი იერარქიის პირები, რომელთაც მეფე დაარწმუნეს ბასილის ორგულობაში. ცრუ ბრალდების საფუძველზე ბასილი დაასტიმრეს და გაუსამართლებლად ჩამოახრჩვეს.

8. ქუთაისელი მთავარეპისკოპოსი (ჩხეიძე). მოხსენიებულია ხონის საყდრის გამოსაელის დაჳთრის (XVI ს. ბოლო) მინაწერებში: „მე მთავარეპისკოპოზს ჩხეიძეს ბასილს ამომიკეთია ბეგარა ხოჟონა კეთილაძისათჳს და მისის შვილისა და მომავლისათჳს" (ცსსა, ფ. 1448, საბ. №5034-ქართ. სამართ. ძეგლები, III, 372).

9. XVI ს. შუა წლების ქუთაისის მთავარეპისკოპოსი (ჩხეიძე). 1562 წ. ათონის ქართველთა მონასტრის სიგელში №125 აღნიშნულია, რომ ბასილი ქუთაელს ათონის ქართველთა მონასტრისათჳს რამდენიმე გლეხი შეუწირავს თავისი მამულებით; ... „ქუთათელ მთავარეპისკოპოზმან ბასილიოს... შემოგწირეთ... თქუენ პორტაიტისა ღმრთისმშობელისა... (ქრონიკ., II. 404). ივიეე ბასილი უნდა იყოს მოხსენიებული ხობის

საყდრის გამოსაელის დაეთრის (XVI ს. II ნახ.) მინაწერში: „მე მთავარეპისკოპოზს ჩხეიძეს ბასილის ამოძიკეთია ბეგარა (ფ. 1448, სახ. №503 – ქართ. სამართლის ძეგლები, III, 372).

10. XVI ს. შუაწლების ნეკრესის ეკლესიის ეპისკოპოსი. ბასილი ხელს აწერს 1556-1560 წ. კახეთის ეპისკოპოსების ერთგულების წიგნს დომენტი კათოლიკოსისადმი (Ad – 1892, ქართ. სამართლის ძეგლები, III, 269).

ბასილი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. IX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე და ჰიმნოგრაფი, ხანცთის მონასტრის წინამძღვარი. მოხსენიებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში". ის ყოფილა გრიგოლის დედის მსახურის შვილი. აღიზარდა ხანცთაში, სადაც ერთხანს გრიგოლს მეცნიერებას უწვდება („კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა"), შემდეგ კი ხანცთის მონასტრის წინამძღვარი გახდა. ბასილი ხანცთელის აკროსტიქული საგალობლები შესულია მიქაელ მოდრეკილის X ს. ჰიმნოგრაფიულ კრებულში (S 425).

2. IX ს. შუა წლების მონაზონი, სამცხის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის – მიქელ პარეხელის (რომლის „ცხოვრებას", აღწერილს X ს. დასაწყისში, ჩვენამდე არ მოუღწევია) მოწაფე, როგორც ეს აღნიშნულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში": „ხოლო ნეტარსა მას (მიქაელს) სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ" (ძეგლები, I, 322,15). ბასილი თავისი მოძღვრის – მიქაელის გარდაცვალების შემდეგ დაყუდებულა იმ პარეხში (კლდის გამოქვაბულ ნაპრალში), სადაც მიქაელი ცხოვრობდა, და გარდაცვალების შემდეგ მოძღვრის გვერდით დაუსაფლავებიათ იმავე პარეხში, როგორც ეს დადასტურებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში": „ხოლო ესე ნეტარი მიქელ... პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაჲ-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიც შემდგომად მისსა პარეხთა მკუდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მოამადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მიეკინან მათდა" (ძეგლები, I, 281,29-34).

3. X ს. მონაზონი, ერისკაცობაში აბარნასე, ძე ბაგრატ მამფალ არტანუჯელისა (+909). სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში აღნიშნულია: „მასვე წელსა ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალებასა (945 წ.) ბასილი მონაზონი კლარჯი გარდაიცვალა, ძე ბაგრატ მამფალის" (ქართლის ცხოვრება, I, 381).

4. შავი მთის კალიპოსის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. შუა წლებში. 1060 წ. მას გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სახარება, სადაც ბასილი თორელყოფილად იხსენიებს თავს, ე. ი. წარმოშობით იგი სამცხიდან ყოფილა: „დაიწერა ქელითა ცოდოილისა ბასილისა თორელ ყოფილისაჲთა სანაბუსა ასურეთისასა, დიდებულსა ქალაქისასა მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კალიპოსისასა, სამკუდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა... ხოლო ოდეს აღიწერა წიდჲაჲ ესე სახარებაჲ, ქრონიკონი იყო მაშინ სჰ (280 ე. ი. 280 + 780 = 1060 წ.; ქრონიკები, I, გვ. 207). მასვე გადაუწერია „წიდიათა ცხორებანი" (Sin. 71 – ნ. მარის აღწერ.): „მეოხ გუეყავ ბასილსა კალიპოსელსა წინაშე წიდიისა სამებისა, ამინ" (107 გვ.). ბასილი კალიპოსელის დავალებით ეურემ მცირეს უთარგმნია ბერძნულიდან პაგიოგრაფიული თხზულებები. მაგ.: 10 ნოემბერს შეტანილი მინა მეგვიპტელის წამების ბოლოს ნათქვამია: „ხოლო აწ ესე ითარგმნა ახლად მეტაფრასისაგან ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურისა ბასილისითა (S 384, XI-XII ს., გვ. 643).

5. ათონის მთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი დავით აღმაშენებლის დროს, ე. ი. XII ს. I ნახევარში. ის აწესებს ერთ აღაპს (იოანე კოჯიხისძისა): „მე მამასა ბასილის (ეპისკოპოსის) და ყოველთა ძმათა დაგუწერია, ეკლესიასა შინა: არიშიანის ძმაჲ და თჳსი იყო. აწ ვინცა არიშიანის თანა კისენებაჲ იოანე კოჯიხის ძისაჲ დაჰკლას, იგიცაჰა დაჰკლებულის საკუნეთა კეთილთა" (აღაპ. №143, თუესა დეკემბერსა კე 26, „ათონის კრებული" 1074 წლისა, გამოც. მ. ჯანაშვილის მიერ 1901 წ. და ე. მეტრეველის მიერ, ათონის ქართველთა მონასტრის საღაჯე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 179). არიშიანი მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ისტორიაში 1104 წლის ამბებთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328). რადგან იოანე კოჯიხის ძე არიშიანის თანამედროვეა და მას აღაპს უწესებს ბასილი ათონის მთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, აქედან დგინდება ბასილის მოღვაწეობის დახლოებითი დროც – XII ს. I ნახევარი.

6. შიომღვიმის მონასტრის XII-XIII საუკუნეების მოჯღნის მოღვაწე. მოხსენიებულია 1190-1204 წწ-ების საბუთში (Ad 3): დაწერილი ში-

ომლეთის კრებულისა ტოხაისძეებისადმი: „ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგასენეთ ჩუენ მღუდის ლაერისა კრებულმან... მეშლეთმეხან ბასილი... მწათემან ნიკოლოზ და ყოველმან კრებულმან მაშათა... მოწამენი და დამამტკიცებელნი ვართ ამას დაწერილსა ზედა ბასილი მეშლეთმე, ლუკა წილკნელი, ნიკოლოზ მწათე და ერთობით ყოველი კრებული“ (ქართ. სამ. ძეგლები, III, 129-130).

7. ჭყონდიდის ეკლესიის დეკანოზი XIII ს. მიწურულსა თუ XIV ს. დასწყისში. ერთადერთი ცნობა მის შესახებ შემოუნახავს იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის ლაპას: „ამასვე დღესა (დეკემბერსა ი(10)) აღაპი ჭყონდიდისა დეკანოზისა ბასილისა და მშობელთა მისთა“ (ე. მეტრეველი, მასალები... 89). აღაპი პალეოგრაფიული ნიშნებითაა დათარიღებული.

8. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის მონაზონი დასხლ. XIII ს-ში. მონასტრის ძმობის მისთვის ანაშვიდი დაუწესებია 1 იანვარს: „ამასვე დღესა, მწუხრსა ანაშვიდი ძმისა ჩუენისა ბასილისი, შეუნდეს ღმერთმან, მოგუცა ხუთასი თეთრი“ (ე. მეტრეველი, მასალები... 93). აღაპი პალეოგრაფიული ნიშნებით თარიღდება.

9. ჯოჯნის მთის ქართველთა მონასტრის XIII ს, II ნახევრის მონაზონი ბასილი დიმიტრი II თაქადადებულის მეფობის დროს ათონიდან საქართველოში ჩამოსულა, როგორც ეს აღნიშნულია ჯამთააღმწერლის მატიანეში: „მათ ჟამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი, ბიძა ეუფემიოს კათალიკოსისა, საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მადლითა განბრწყინებული: მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა“ (ქართლის ცხოვრება, II, 282, 5). ბასილიმ ამხილა მეფე ქრისტიანისათვის შეუფერებელი საქციელისათვის (დიმიტრი II-ს სამი ცოლი ესვა): „ძლიერად ამხილებდა და წინააღუდგებოდა მეფესა უწესოსა მისთჳს ქორწინებისა და ასწავებდა სიწმიდესა“, მაგრამ „ვითარ ვერა რაჲ არწმუნა მეფესა, უწინასწარმეტყველა: ბოროტად და უსატიოდ მოიკლა ძმლავრთა მიერ და ოჳერ იქმნე სამეფოსაგან შენისა“. მართლაც, „სრულ იქმნა წინასწართქუმული ბასილი მთაწმიდელისა“ (გე. 292,2).

10. XIII ს. II ნახევრის შიომღვიმის მონასტრის მოძღვარი. მოხსენიებულია შიომღვიმის სახარების (H 1344) ანდერძში (გიორგი ხუცესმონაზონისა) „და შემწყალეს წინამძღუარმან ზოსიმე და ბასილმან თჳარმან, მოძღურად წოდებულმან“. ბასილი სხვებთან ერთად ამოწმებს 1260-1270 წწ. შიომღვიმის კრებულის „დაწერილს“ ზოსიმე ტოხაისძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ (Ad 4): „აწ ამას დაწერილსა ჩუენსა მოწმენი ვართ ამას უდაბნოს შინა მყოფნი ძმანი და მოწაფენი და შვილნი წმიდისა მამისა შიოჲსნი: პირველად წმიდაჲ მამაჲ მეშლეუმე თეედორე და მოძღუარი იოანე, ბასილი მწათე, ბასილი თჳარი...“ (ქართ. სამ. ძეგლ., III, 167). მოტანილ მინაწერში ბასილი ჯერ კიდევ არ არის მოძღვარი. ეს თანამდებობა მას უფრო გვიან მიუღია, როგორც ეს ზემოთმოტანილი შიომღვიმის სახარების ანდერძშია დადასტურებული.

11. XIII ს. II ნახევრის შიომღვიმის მონასტრის მწათე. იგი მოხსენიებულია 1260-1270 წწ-ის ერთ სბუთში (Ad 4): დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ზოსიმე ტოხაისძისადმი სამწირველოს ბრძანების შესახებ (ქართ. სამ. ძეგლ., III, 167), რომელსაც სხვებთან ერთად ამოწმებს ბასილი მწათე.

12. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი და მოძღვარი XIII ს., რომელსაც კრებულთან ერთად ბასილი ალაველდელისათვის სამლოცველო გაუწერია: „დაგიწერეთ დაწერილი ესე თქუენ, ბასილი ალაველდელ მთავარეპისკოპოზსა ჩუენ, მღუმეს დამკუდრებულთა ყოველთა კრებულთა ერთსულობითა... ბასილი მოძღუარმან, მეშლეუმემან ელია და ყოველთაჳე ამის უდაბნოჲს ძმათა“ (Hd 1586, სამ. ძეგლ., III, გე. 175).

13. კაბენის მონასტრის (ახალგორის რაიონი, ქსნის ხეობაში, ყანჩაეთის მახლობლად; ძველად გეთსამანია ეწოდებოდა) ბერი XIX ს. დასაწყისში (რატიშვილი). დასაფლაყებულია კაბენის ეკლესიის ეგვტერში (მისი ნახევრად გაუხრწნელი გვამი ჭილოფში გახვეული უნახავს თ. ჟორდანია, ქრონიკ., II, 171). ქართულ საეკლესიო კალენდარში მისი ხსენების ღღე დადებულია 18 აპრილი.

ბასილი – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. XI ს. II ნახევრის მწიგნობარი, იოანე-ზოსიმეს თანამედროვე და დამხმარე წიგნების გადაწერა-შემოსეაში. იხსენიება იოანე-ზოსიმეს ორ (974 და 986 წ.) ანდერძში (იე. ჯაჯანიშვილი, სინის მთის ხელნაწ. აღწერილობა, გე.106).

2. X ს. I ნახევრის ცნობილი კალიგრაფი, ზედწოდებით ეტრატა (ალუშის ძე), კონსტანტინეპოლში ხორას ქართველთა მონასტრის მონაზონი, რომელმაც გადაწერა 1031 წ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარმნილი „მცირე სჯულის-

კანონი“ (A 96) გრიგოლ მთაწმიდელის დაკვეთით. ეს უნდა იყოს იგივე ბასილი, რომელმაც დაახლოებით ამ დროს ხორას ქართული მონასტრის დამაარსებლის ხაქარია სვინგელოზის, ბანელი მამათმთავრის დავალებით გადაწერა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (A 1).

3. იერუსალიმის აღდგომის (გოლგოთაზე) ეკლესიის XI ს. შუა წლების მწიგნობარი, 1043 წ. მას შეუმოსავს იელის-აგვისტოს თვენი (H 2337).

4. XI ს. ათონის მთის ივერთა ქართული მონასტრის მონაზონი, კალიგრაფი. მას ხაქარია მირდატის ძესა და არსენთან ერთად გადაუწერია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (A 92). მისივე გადაწერილი უნდა იყოს ივერთა მონასტრის Ath. – 17 XI ს. 50 წლებში ეგნატეს წინამძღვრობის დროს დამზადებული ხელნაწერი.

5. XIII ს. იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერი (საითური), რომელსაც დერტაეის ქართული მონასტრის დედათა დაკვეთით გადაუწერია ერთი შესანიშნავი კრებული (Ier. 33), როშლის ანდერძ-მინაწერებში იხსენიება გადამწერი: „დანო პატიოსანნო, გეცედრები ბასილი საჲთური, უცბად ჩხრეკისათუს შემინდეგით“... „მომიკსენეთ ცოდველი ბასილი მრხრეკელი“.

6. XIII ს. მონაზონი, რომელსაც დიმიტრი მონაზონთან ერთად დაუმზადებია ეტრატზე ნაწერი სახარება-ოთხთაეის ხელნაწერი და გაუგზავნია იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრისათვის (მოწაფის – სვიმეონ ხუცესის ხელით). XIX ს-ში ეს ხელნაწერი იერუსალიმში აღარ ჩანს (ა. ცაგარელის აღწერილობაში). დღეს იგი ინახება პარიზის ნაც. ბიბლიოთეკაში, ქართულ ხელნაწერთა ფონდში, 28 ნომრით (ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართ. ხელნაწერის აღწერილობა, პარიზი, 1922).

7. XIV ს. გადამწერი. მას გადაუწერია „მოქცეაჲ ქართლისაჲს“ XIV ს. ჭელიშური ნუსხა (H 600).

8. XV-XVI სს. წილკნის ეკლესიის მოღვაწე, გადამწერი. მას გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის თვენი (H 76) კონსტანტინე II-ის ძის ბაგრატ მუხრანბატონის (1479-1505) დაკვეთით, როგორც ეს აღნიშნულია ბასილი წილკნელის ანდერძში (105v).

ბასილი ათონელი – XI ს. ათონის ქართველთა მონასტრის მონაზონი და ჰიმნოგრაფი. მას დაუწერია ეფთიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი აკროსტიქული საგალობელი (A 558; 353-364). აკროსტიქში იკითხება: „ღმერთშემოსილსა ეფთუმეს გლახაკი ბასილი შეასხამს“. საგალობელი გამოცემულია (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, 357-360).

ბასილი//ვასილი ამასიელი – ამასიის ეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში, მღვდელმოწამე. ეწამა ლიკინიოზ იმპერატორის მეფობის (312-324) დროს. ბასილიმ შეიყვარა ლიკინიოზისაგან დევნილი ქრისტიანი ქალი გლაფირა, რომელიც ლიკინიოზის მეუღლის კონსტანცას მოახლე იყო და რომელსაც ეტრფოდა იმპერატორი, რისთვისაც იმპერატორის რისხვა დაიმსახურა. დატყვევებულ ბასილის იმპერატორმა უმაღლესი ჭურუმის პატივი შესთავაზა, მაგრამ ქრისტიანი ეპისკოპოსის სასტიკი უარი მიიღო, რისთვისაც მისი სიკვდილით დასჯა გადაწყდა. ბასილის თავი მოკვეთეს და ზღუაში გადააგდეს. ბასილის ერთგულმა თანამოაზრეებმა მისი თავი და გვამი სინოპის მახლობლად მეთევზეებს ამოაღებინეს ზღვიდან და დამარხეს ამასიაში, მისსავე აშენებულ ეკლესიაში.

ბასილი ამასიელის „წამების“ მეტაფრასული თხზულება ქართულად XII ს, არის თარგმნილი (მას აქ „ვასილი“ ეწოდება) და ერთი ხელნაწერითაა შემონახული (ქუთ. 7, 372-386). ხსენების დღედ 26 ამრილია დადებული, ხოლო 30 ამრილს დადებულია დღესასწაული ბასილის წმინდა ნაწილების მოპოვების აღსანიშნავად.

ბასილი ანკჟირიელი – ანკჟირიელი (გალატელთა) ხუცესი, მღვდელმოწამე. აწამეს არიანელებმა დაახლ. 362-363 წწ. 29 ივნისს. არიანელთა ფართოდ გავრცელების პერიოდში იგი მოუწოდებდა თაყის სამწყსოს მართლმადიდებლობის დასაცავად. ამიტომ ის ხუცესობიდან განკვეთა ადგილობრივმა არიანულმა საეკლესიო კრებამ, მაგრამ პალესტინის 230 წლის ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებამ აღადგინა ხუცესის ხარისხში. ბასილი დაუფარავად განაგრძობდა ქადაგებას არიანელთა განსაკიცხებლად, რისთვისაც განიცდიდა სასტიკ დევნას და წამებას, როგორც თითქოსდა სახელმწიფოსათვის საშიში პიროვნება. როდესაც ანკჟირიაში ჩამოვიდა იმპერატორი იულიანე განდგომილი (361-363), წმინდა ბასილიმ სასამართლოზე იმპერატორის წინაშე გაბედულად იქადაგა ქრისტე, ხოლო იმპერატორი განაქიქა განდგომილებისათვის. იმპერატორმა ბრძანა, ბასილი გაავარვარებული შანთებით ეწამებინათ და მისი ტყავიდან ქამრები ამოეჭრათ. ბასილიმ ქრისტესადმი ლოცვაში დალია სული. მისი ხსენების

დღე გადაიტანეს 22 მარტს, რადგან მისი გარდაცვალების დღე ემთხვეოდა პეტრე და პაველ მოციქულების ხსენების დღეს – 29 ივნისს. ქართულად თარგმნილია ბასილი ანკვირიელის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია, თარგმანი მოღწეულია ერთადერთი (ქუთ. 3 XVI ს.ა, 299-305) ხელნაწერით. ქართულ თარგმანში ბასილის ხსენების დღედ 28 ივნისია მითითებული.

ბასილი ახალი († 944) – მეუდაბნოე, ნათელმხილველი. როდესაც იმპერატორის მსახურებმა ბასილი იხილეს თმაგაბურძგნილი და ჩამოხეული, საეჭვო პირად მიიჩნიეს და ქალაქის მთაყარა – სამონს წაუყენეს. მან ბასილის დაკითხვა დაუწყო მისი ვინაობის დასადგენად, მაგრამ მეუდაბნოს პასუხმა იგი გააცოფა და სასტიკად აწამა. ათასგვარმა წამების საშუალებებმა მასზე ვერ იმოქმედა და ბოლოს ზღვაში გადააგდეს, მაგრამ ორმა დელფინმა იგი კონსტანტინეპოლის ახლოს ნაპირზე გაიყვანა. კონსტანტინეპოლში მან მრავალი სასწაული ჩაიდინა. აქ მას დაემოწაფა ვინმე გრიგოლი, რომელმაც ბასილის გარდაცვალების შემდეგ მისი „ცხოვრება“ დაწერა. ბასილი, რომელსაც „ახალი“ უწოდეს უფრო ადრეული წლების ამავე სახელის მქონე მოღვაწეთაგან გამოსარჩევად, გარდაიცვალა 944 წელს, ასი წლის ასაკში. ქართულად თარგმნილია ბასილი ახალის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია (A 647). ხსენების დღედ 26 მარტია დადებული.

ბასილი ბაგრატის ძე – XI ს. I ნახ. მონაზონი და ჰიმნოგრაფი, ბაგრატ III-ის ძე. მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში. ის იყო ერთ-ერთი მასწავლებელი და მოძღვარი მცირეწლოვანი გიორგი მთაწმიდელისა, როდესაც იგი ხახულის ლავრაში მიიყვანეს. გიორგი ხუცესმონაზონი, ავტორი გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებისა“, ბასილი ბაგრატის ძის შესახებ წერს, რომ იგი იყო „მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“, ხოლო ანტონ I მას უწოდებს „რიტორ-მთხრობელსა და მღალი ფრასისა ზედან დამთხზველს“. ბასილი ბაგრატის ძეს ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელის სახელზე დაწერილი პირველი ჰიმნოგრაფული კანონი, რომელიც შეტანილია გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ თუენში (13 მაისს). ეს შესანიშნავი საგალობელი, საფიქრებელია, ბასილი ბაგრატის ძემ დაწერა ათონის მთაზე, სადაც ის 1028-29 წწ. ახლო ხანებში უნდა გადასულიყო ხახულიდან ათონის ქართველთა მონასტერში. შესაძლებელია, რომ მას დაეწეროს ეფთვიმე მთაწმიდელს სვინაქსარული „ცხოვრებაც“, რომელიც რამდენიმე ათეული წლით უსწრებს გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილ იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების ერცელი „ცხოვრების“ შექმნას (იხ. ე. გაბიძაშვილი, ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების სვინაქს. რედ., ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 56-57).

ბასილი დიდი (კესარიელი) – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, თეოლოგი, მწერალი და მქადაგებელი, დაიბადა 330 წელს კესარიაში, კაპადოკიის ადმინისტრაციულ ცენტრში, გაელენიან ქრისტიანულ ოჯახში. დედამისი, ემილია ქრისტესათვის წამებულის ქალიშვილი იყო, ხოლო მამა, ბასილი – ადეოკატი და რიტორიკის ცნობილი მასწაელებელი. ოჯახში 10 ბავშვი იზრდებოდა, 5 ვაჟი და 5 ქალი. 5 მათგანი შემდგომში ეკლესიის წმინდანთა რიგებში ჩაირიცხა: თვით ბასილი, (ხსენება 1 და 30,I), მაკრინა (ხსენება 19, VII), რომელმაც თავისი სამაგალითო ასკეტური მოღვაწეობით დიდი გავლენა მოახდინა ბასილის ცხოვრებაზე და მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე; გრიგოლი, შემდგომში ნოსელი ეპისკოპოსი, ქრისტიანობის გამოჩენილი მამა და მწერალი (ხსენება 10. I), პეტრე, სებასტიის ეპისკოპოსი (ხსენება 9.I) და თეოზვა (თეოსებია) დედათფიკონი (ხსენება 10.I). პირველდაწყებითი განათლება ბასილიმ მამის ხელმძღვანელობით მიიღო, შემდეგ კი ასწაელიდნენ კესარიის საუკეთესო მასწავლებლები. აქ მან გაიცნო გრიგოლი, შემდეგ ღვთისმეტყველად წოდებული. ბასილი შემდეგ კონსტანტინეპოლში სწავლობდა, სადაც ის უსმენდა გამოჩენილ ორატორებსა და ფილოსოფოსებს. სწავლის დასრულების შემდეგ ბასილი გაემგზავრა ათენში, კლასიკური განათლების ცენტრში, სადაც მან 4-5 წლის მანძილზე მიიღო დიდი ცოდნა ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ორატორული ხელოვნების, ბუნებისმეცნიერების, ურისპრუდენციის, ასტრონომიის, მათემატიკისა და მედიცინის დარგებში. „ეს იყო ხომალდი, იმდენად დამძიმებული მეცნიერებით, რამდენადაც ძალუძს ადამიანის ბუნებას“. მისი მეგობრობა გრიგორ ნაზიანზელთან (ღვთისმეტყველთან) ათენში გალრმაედა და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. 357 წ. ახლოს ბასილი დაბრუნდა კესარიაში და ცოტა ხანს რიტორიკას ასწაელიდა, შემდეგ კი ასკეტური ცხოვრება აირჩია. ის ხელდასხმული იქნა წიგნისმკითხველად. მან იმოგზაურა ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინა-

ში სახელგანთქმულ მონაზონთა ცხოვრების გასაცნობად. კაპადოკიაში დაბრუნებულმა მათი მოღვაწეობა ცხოვრების მაგალითად გაიხადა. დაურიგა რა მთელი თავისი ქონება ღარიბებს, ბასილი დაემკვიდრა თავისი დედის — ემილიასა და უფროსი ძის — მაკრინეს ახლოს, რომლებმაც უფრო ადრე მდინარე ირისის ნაპირზე, თავიანთ საგვარეულო მამულში დედათა მონასტერი დააარსეს და იქ ალიკვეცნენ მონაზვნებად. ბასილი აქვე, მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე დაემკვიდრა, თავის გარშემო შემოიკრიბა მონაზვნები და დააარსა მონასტერი. მან აქვე მოიწვია თავისი მეგობარი გრიგოლ ღვთისმეტყველი და ორივე მკაცრ მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა. კონსტანც იმპერატორის (337-361) დროს ფართოდ გაჩრილდება არიანული მწვალებლობა, რის გამოც ბასილს და გრიგოლს მოუხდათ მონაზვნური ცხოვრების მიტოვება და არიანელთა წინააღმდეგ აქტიური მოქმედება. ბასილი დაბრუნდა კესარიაში და 362 წელს ხელდასხმული იქნა დიაკვნად, ხოლო 364 წელს — ხუცესად. ეპისკოპოსთან უმცროსების გამო ბასილი ისევ თავის მონასტერს დაუბრუნდა, მაგრამ არიანელთა მძლავრობამ ვალენტი იმპერატორის (364-378) დროს, რომელიც მათი თაყვანმცემელი იყო, ეპისკოპოსი აიძულა ბასილი საჩქაროდ კესარიაში დაებრუნებინა. ბასილიმ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მწვალებლებს. ამ პერიოდში შექმნა მან ლიტურგიული განჩინება, დაწერა ქადაგებები შესაქმის „ექვსთა დღეთა“ შესახებ, განმარტებანი ესაიას 16 თავისა, ფსალმუნისა, სამონაზვნო ცხოვრების წესის მეორე კრებული, სამი წიგნი არიანელთა მოძღვრის — ეუნომიანეს წინააღმდეგ.

370 წელს ბასილი კესარია-კაპადოკის მთავარეპისკოპოსი გახდა, რომელსაც თერთმეტი პროვინციის 50 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა.

ამფილოქე იკონიელის თხოვნით ბასილიმ არიანელთა დოგმატიკის განსაქიქებლად დაწერა წიგნი „სულიწმიდის შესახებ“. ბასილის ეკუთვნის უამრავი ეპისტოლე, მიწერილი ცალკეული ეკლესიებისადმი, ეპისკოპოსებისადმი, მრევლისა და კერძო პირებისადმი, რომლებშიც იგი ამხობდა ერეტიკოსებს „ბაგეთა იარალით და წერილის ისრებით“. იმპერატორი ვალენტი, რომელმაც არიანელთათვის არასასურველი ბევრი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი ექსორიებაში გაგზავნა, კაპადოკიაში ჩავიდა და აღგილობრივი პრეფექტის — მოდესტის პირით ბასილის გაძევებით, წამებით და სიკვდილითაც კი დაემუქრა. ბასილის შეურყეველმა ხასიათმა და სიმტკიცემ ვალენტინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მან თავის განზრახვაზე ხელი აიღო.

სასტიკმა ასკეტურმა ცხოვრებამ, თავის სამწყსოზე ყოველდღიურმა ზრუნვამ და განცდამ გამოიტია ახალგაზრდობიდანვე ისედაც სუსტი და ავადმყოფი ბასილის ჯანმრთელობა და 379 წ. 1 იანვარს ბასილი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბასილი დიდი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოღვაწედ ითვლება ქართული ეკლესიის ისტორიაში და ძველ ქართულ მწერლობაში. არსებობს აზრი, რომ ბასილი კაპადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო. ბასილის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე თარგმნილია დიდ ნაწილი. ჩამოვთვლით უმთავრეს მათგანს: 1. ექუსთა დღეთათჳს, თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა (A 6; A 55; A 73; S 120; S 172; S 2666; Ath. 84, 246-316; Ath. 32; Jer. 125 და სხვ.) ამ თხზულების უფრო ადრინდელი (X ს-მდე) თარგმანი შეინახულია Iet. 44 (XII–XII სს.) და Jer. 74 (XV–XVI) გამოც. ი. აბულაძის მიერ. 2. თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ, თარგმანი ეფთჳმე მთაწმიდელისა (A 100, A 134, A 1054, A 135, A 227; Ath. 33). 3. ითიკი (შედგება 53 თავისაგან) თარგმანი ეფთჳმე მთაწმიდელისა (A 100, A 181, A 394, S 376, Ier. 14, Ath. 44). 4. ასკეტიკონი, ორი თარგმანით: I. ეფრემ მცირისა (A 132, A 689), 2. პროკოპი მღვდელისა („სამოღვაწეო წიგნის“ სახელწოდებით; A 63). იხ. ელ. ხინთიბიძის გამოცემა, თბ., 1968. 5. ეპისტოლენი: ამფილოქეს მიმართ იკონიელ ეპისკოპოსისა კანონთათჳს — სამი ეპისტოლე, რომლებიც აერთიანებენ 84 კანონს, ამფილოქესადმი და სხვადასხვა პირთათჳს მიწერილ კიდევ 7 ეპისტოლესთან ერთად შეტანილია „დიდ სჯულისკანონში“ (თარგმანი არსენ იყალთოელისა; გამოცემულია: „დიდი სჯულისკანონი“, თბ., 1975, გვ. 472–509). სხვა ეპისტოლენი სხვადასხვა პირთა მიმართ რიცხვით 27 (A 292, 346-358), ქადაგებანი და მცნებანი, სწაელანი და მოძღვრებანი, წამებანი და სხვ. ქართულად თარგმნილია ბასილი დიდისადმი მიძღვნილი შესხმა-ცხოვრებანი: 1. ამფილოქე იკონიელისა (A 19, 266-306; A 95 1103, 117-130; Jer. 36, 108-219), თარგმნილი ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ. 2. გრიგოლ ნაზიანზელისა (A 1, 258-373; A 16, 79-194 და სხვა მრავალი, თარგმნილი ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ. 3. გრიგოლ ნოსელის (A 364, 38-37, A 128). 4. ეფრემ ასურისა (A 91

375-384, ქუთ. 8, 907-922). 5. ნიკიტა-დავით ჰაფლაღონელისა, თარგმანი ეფრემ მცირისა (A 292, 54-56, A 109, 139-140). იხ. ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელი, თბ., 1992.

ბასილი ეზოსმოძღვარი – XII-XIII სს. ქართველი ისტორიოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე, თამარ მეფის ეზოსმოძღვარი. მას ეკუთვნის თამარ მეფის შესახებ დაწერილი მატიანე „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი“ („ქართლის ცხოვრება“, II, 115-150).

ბასილი ემესელი, საბაწმიდელი – IX ს. საბა განწმედილის ლავრის მონაზონი და მწერალი. ქართულად თარგმნილია მისი თხზულებები: 1. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორესი, რომელი პირველად მოღუაწებითა განბრწყინდა დიდსა შინა ლაურასა წმიდისა საბაჲსსა და მერმე მთაყარებისკოპოზ იქმნა ქალაქსა ედესელთასა“, თარგმანი ეფრემ მცირისა (A 682 XII ს., 209-245; რუსული თარგმანი გამოსცა პომიალოვსკიმ, 1892 წ.).

2. წამებაჲ წმიდისა მიქაელისა, რომელი იყო ლაურასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა (გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. I, ტფილისი, 1918, გვ. 165-171).

ბასილი ზარზმელი – IX ს. მიწურულისა და X ს. დასაწყისის საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, დაახლ. 916-26 წწ. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი. მის კალამს ეკუთვნის IX ს. სამცხეში ეკლესია-მონასტრების დამაარსებლის, ზარზმის მონასტრის აღმაშენებლის სერაპიონ ზარზმელის (იხ.) „ცხოვრების“ აღწერა. ბასილი სერაპიონის უფროსი ძმის შვილი იყო და თაყისი ბიძის საქმიანობის ბოლო წლების მომსწრე. ამიტომ მის თხზულებას, რომელშიც სერაპიონის ღვაწლის გარდა გადმოცემულია იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სურათები, სამხრეთ საქართველოს მონასტერთა (ზარზმა, ოპიზა, პარეხი, ზანავი და სხვ.) მშენებლობა-აღორძინების ამბები, პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს ღირებულება აქვს. ბასილი ზარზმელის თხზულება, რომელიც ერთადერთი, XVII ს. ხელნაწერით (A 69) არის ცნობილი, ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ არის მოღწეული. მას გვიანდელი ინტერპოლატორის ხელი ატყვია (იხ. სერაპიონ ზარზმელი).

ბასილე ვაჩეს ძე – XI ს. ქართველი მწერალი და საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსი (დაახლ. 1090-1100), „ძე დიდისა ვატრიკისა ვაჩესი“. ფიქრობენ, რომ ბასილი ეფრემ მცირის ძმა იყო, გვარად კარიჭისძე. განათლება კონსტანტინეპოლში მიუღია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა. მას მიაწერენ შიო მღვიმელის სასწაულების შესახებ დაწერილი თხზულების — „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ“ – აეტორობას (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955 წ.), აგრეთვე ჰიმნოგრაფიული ძეგლისა – „დასდებელი შიოჲსი“.

ბასილი იმპერატორი (867-886) – ბასილი I, მაკედონელად წოდებული, მაკედონელთა დინასტიის დამაარსებელი. წარმოშობით თრაკიელი გლეხი, რომელიც ახალგაზრდობაში კონსტანტინეპოლის საიმპერატორო საჯინიბოებში მუშაობდა. იმპერატორ მიქაელ III-ის განსაკუთრებული ყურადღების წყალობით დაწინაურდა და 866 წ. იმპერატორის თანამოსაყდრედ გამოაცხადეს. 867 წ. ბასილიმ იმპერატორი მოკლა და ხელში ჩაიგდო ტახტი. ატარებდა ცენტრალიზებული მმართველობის პოლიტიკას. 872 წ. ბასილი I-მა საბოლოოდ გაანადგურა პაელიკიანელთა მოძრაობა. მის დროს გამოიცა კანონთა მცირე კრებული „პროქირონი“, რომელიც ბიზანტიური სამართლის ძირითად პრინციპებს მოიცავდა. მის დროსვე დაიწყო ახალი საკანონმდებლო კრებულის „ეპანაგოგის“ გამოსაცემად მომზადება. წარმატებით იბრძოდა არაბების წინააღმდეგ. ბასილი I დაილუპა ნადირობის დროს.

ბასილი I-ს დაუწერია ორიგინალური შრომა: „თაჳნი სამხილებელნი, რომელსა აქუს ზემოწერილი ესე: ბასილიოს, მეფე ბერძენთა, ლეონს, საყუარელსა ძესა და თანამოსაყდრესა, სწავლა სათნოებათათჳს“. თხზულება ქართულად თარგმნილია რუსულიდან არჩილ მეფის ძის, ალექსანდრეს მიერ († 1710 წ.; A 617). ბასილი მაკედონელი ერთ-ერთი აქტიური მოქმედი პირია ილარიონ ქართველის „ცხოვრებისა“ (ძეგლები, II, 29-37). ბასილის ბრძანებით იქნა აგებული ქართველი ბერებისათვის — ილარიონის მოწაფეებისათვის და თვით ილარიონის სასტიკუმეულოდ ქართველთა მონასტერი პრომანა კონსტანტინეპოლის ახლოს, სადაც, ბასილი იმპერატორის სურვილის თანახმად, თესალონიკიდან გადმოასვენეს და დაკრძალეს ილარიონ ქართველის წმ. ნაწილები. ბასილი იმპერატორმა სთხოვა ილარიონის სამ მოწაფეს, რომ მის ძეთათვის — მემკვიდრე ლეონისა და ალექსანდრესათვის ქართული ენა ესწავლებინათ.

ბასილი მრონაზონი – ბიზანტიის სამეფო კარის პროტოსიკრიტი, ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო. მას დაუწერია შესხმა (ენკომია) ილარიონ ქართველისა, რომლის საფუძველზე შემდეგ ეფთვიმე მთაწმიდელმა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ პირველი რედაქცია შექმნა (ლიტერატურაში ეწოდება ერცელი ათონური რედაქცია). ეფთვიმესეული „ცხორების“ ბოლოს ეკითხულობთ: „ხოლო ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხორებაჲ წმიდისა ამის (ილარიონის), ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან წმიდისათა კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა“ (ძეგლები, II, 37,6).

ბასილი საბაწმიდელი – VIII-IX სს. ქართველი მონაზონი და პიმნოგრაფი, მოღვაწეობდა პალესტინაში, საბა განწმედილის ლავრაში. მისი პიმნოგრაფიული თხზულება „დასდებელნი მამისა საბაჲსნი“ შეტანილია X ს. სინის მთის ქართულ ხელნაწერში (Sin. 65). დასდებლის კიდურწერილობაში იკითხება „ბასილი“. ავტორს საგალობლისათვის გამოუყენებია საბა განწმედილის „ცხოერება“, რომელიც ქართულად VII ს. უნდა ეთარგმნათ.

ბასილი ჰამელი – მღვდელმოწამე, ჰამა ქალაქის ეპისკოპოსი, ბაბილა ანტიოქიის პატრიარქის (III ს. შუა წლ.) თანამედროვე. ეწამა ნომერიანოს იმპერატორის მიერ ქრისტიანთა დევნის გამოცხადების შედეგად (სასტიკი წამების შემდეგ იგი მხეცებს დაუგლეჯინეს). ბასილი ჰამელის „წამება“ მხოლოდ ქართულ თარგმანში არსებობს (მისი ბერძნული დედანი დაკარგულია) და სამი ხელნაწერით არის ცნობილი (Ath. 8 X ს. 65-70; A 511, 329-332, Ier. 3, XI ს.). მისი ხსენების დღედ ქართული თარგმანი 3 იანვარს უჩვენებს, სხვა კალენდრებში მისი ხსენება შეტანილი არ ჩანს. ქართული ტექსტი გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კომენი, I, ტფილისი, 1918, 5-10).

ბასილის მონასტერი – იერუსალიმის ახლოს XV ს. შუა წლებში თაყა და ამირინდო ამირახორების მიერ აშენებული მონასტერი. პირველ ცნობას ამის შესახებ გვაწვდის ტიმოთე გაბაშვილი: „წმიდისა ბასილის მონასტერი აუშენებია ამირიდოს და თაყას, დედათ მონასტერი არს“ („მიმოსლვა“, გამოსცა ე. მეტრეველმა, თბ., 1957, გვ. 81) ეს ცნობა დასტურდება ჯვარის მონასტრის აღაპთა ტიპშენდორფისეული ნუსხის ერთ-ერთი აღაპით (T 85), რომელშიც ნათქვამია: „განუწინეთ ამილახორსა იმარინდოსთუს „მესამასა ზედა“ საუკუნოდ დალოცვა და წმიდასა ბასილის დღესასწაულსა მწუხრსა აღაპი მისთუსვე და მეორესა დღესა– მისისა მეუღლისა თამარისათუს წირვა და აღაპი საუკუნო და გესამნიას ერთი კანდელი ენთებოდეს ამილახორისთუსე და წმიდისა ბასილის მონასტერი მოვაკსენე მას და მისთა ნათესაეთა“ (ე. მეტრეველი, მასალები, გე. 76). იმარინდოს დამშაურება იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისთვის აღაპი სიცოცხლეშივე დაუწესებიათ და თანაც წმ. ბასილის ეკლესიის დღესასწაულის დღეს. ამასთანავე მას სიცოცხლეშივე დაუმკვიდრა ჯვარის მონასტრის კრებულმა ბასილის მონასტერი და ამით მას და მის საგვარეულოს დაკისრა მონასტრის პატრონობა. ჯერჯერ ეს გასაგები ხდება ტიმოთეს ცნობის საფუძველზე: „წმიდა ბასილის მონასტერი აუშენებია ამირიდოსა და თაყას“ (იმარინდო და ამირინდო რომ ერთიდაიგივე პირია, ეს ცხადია). ცნობილია ამ მონასტრის წიგნთსაცავის ერთი ხელნაწერი (Jer. 40) სექტემბერ-იანვრის თვენი (XIII ს.), რომელიც მონასტრისათვის შეუწირავთ (ალბათ, მონასტრის აშენებასთან დაკავშირებით).

ბაუმშტარკი ანტონ (1872-1948) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. ქრისტიანული აღმოსავლეთის მწერლობისა და ხელოვნების მკვლევარი. მის ორტომთან ნაწორმში „აღმოსავლეთის ქრისტიანული მწერლობა“ (1911 წ.), მიმოხილულია ქართული მწერლობაც. საინტერესოა მისი ნაშრომები ქართული ოთხთაეების ძველი ქართული ტექსტისა და მინიატურების შესახებ. მას აქვს ვრცელი ნაშრომი „აღმოსაელური წირვა“ (1906 წ.). ა. ბაუმშტარკი თვლის, რომ ძველ ქართულ მწერლობას განსაკუთრებული ადგილი აქვს აღმოსავლეთის ქრისტიანულ მწერლობათა შორის, რადგან მას გაცილებით ადრე გააჩნია სპეციფიკური საეკლესიო ხასიათი.

ბაქარი – იბერიის მეფე IV ს. II ნახევარში, ძე პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანისა. „ამან მოაქცივნა უმრავლესი კაჟასიანი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“ (ქართლის ცხოერება, I, 130). ბაქარს აუშენებია წილკნის ეკლესია ღვთისშობლის სახელზე (ქართლის ცხოერება, IV, 351).

ბაქარი (1699-1750) – ქართლის მეფის – ვახტანგ VI-ის ძე, ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გრუზინსკების გვარის ფუძემდებელი, ქართლის ფაქტიური მეფე (შაჰნავაზ III-ის სახელით) 1716-1719 წწ-ში

ვახტანგ VI-ის ირანში ყოფნის დროს. 1724 წ. მამასთან ერთად გადასახლდა რუსეთში. 1729 წ. გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაჯილდოვდა მოსკოვის ოლქში საარტილერიო კანტორის უფროსად. ბაქარი აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის ქართული სტამბის აღდგენაში. 1743 წ. მისი თაოსნობით დაიბეჭდა ბიბლია, რომელიც ცნობილია „ბაქარის ბიბლიის" სახელწოდებით.

ბაქოს მოწამე — ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (284-305) დროს. მაქსიმიანე იმპერატორმა ბაქოსი და სერგი დანიშნა მაღალ თანამდებობაზე ჯარში, არ იცოდა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. როდესაც ისინი დაასმინეს იმპერატორთან, მან უბრძანა სერგის და ბაქოსს, რომ კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირათ, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და ქრისტიანობა აღიარეს. იმპერატორმა, როდესაც მისმა არც დაპირებებმა გაჭრეს და არც მუქარამ, ბაქოსი და სერგი აღმოსავლეთ სირიის მმართველ ანტიოქეს გაუგზავნა საწამებლად. ანტიოქე სერგისა და ბაქოსის ხელშეწყობით იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე და მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი იყო, არ უნდოდა სიმკაცრე გამოეჩინა და ბევრი ეცადა წარმართობაზე დაებრუნებინა ისინი. როდესაც მმართველი დარწმუნდა, რომ ყოველივე ცდა ფუჭი იყო, ბრძანა ბაქოსი შოლტებით ეცემათ შეუბრალებლად. წმინდანმა სასტიკ ცემაში დალია სული. ბაქოსისა და სერგის „წამების" კიმენური რედაქციის ქართული თარგმანი ორი ხელნაწერით არის ცნობილი (A 95, XI, 502-512, Sin. 11,X ს., 254-269); გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები, ტ. VIII); მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი კი სამი ხელნაწერით არის შემონახული (კუთ. 4, XVI ს., 397-509; Jer. 37, XII-XIII სს. 51-60; Sin. 91, XIV,17-28). მათი ხსენების დღე დადგენილია 7 ოქტომბერს.

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890) — ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1879). დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემია (1850). 1851 წ. საქართველოში დაბრუნდა. 1852-1860 წწ. მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, ხელმძღვანელობდა კავკასიის მეცნიერულ არქეოლოგიურ მუშაობას. დ. ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873), რომლის ბაზაზე მისივე თაოსნობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (1881-1886). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო მოგზაურობის შედეგად დაწერა შრომები: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (1878), „ფარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი" და სხვ. 1879 წ. მან დ. ყიფიანთან და ი. ჭავჭავაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებაში. 1889 წ. მისი ინიციატივით შეიქმნა თბილისის საეკლესიო მუზეუმი — ქართულ სიძველეთა თავმოყრის და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა. დ. ბაქრაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა: იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" (ნაწ. I, 1862), ვახუშტის „საქართველოს ისტორია" (1885), ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი (1887) და სხვ. 1889 წ. გამოქვეყნდა მისი „ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასრულამდე). 1875 წ. ლექსიკონის სახით შეადგინა „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში" (რუსულ ენაზე). დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამზმარე მეცნიერების დარგებს (პალეოგრაფია და სხვა).

ბალმარანი — სოფელი გულრიფშის რაიონში, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე, გულრიფშიდან 10 კმ. სოფელში არის შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი: ორი ეკლესია, გალავანი და სხვა დაშმარე ნაგებობანი.

ბაშკოი — სოფელი წალკის რაიონში, ბარეთის ტბის ჩრდილო დასაელეთით, წალკიდან 15 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია, რომელიც 1846 წ. განუახლებიათ.

ბაჩკოვო — იხ. პეტრიწონი.

ბახალათი — საეპისკოპოსო ცენტრი ადრინდელი ფეოდალური ხანის პერეთში. იხსენიება სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში" VII ს. დასწყისიდან. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულებით ბახალათი უნდა იყოს თანამედროვე აზერბაიჯანის ბაქათალის რაიონის პუნქტი ბართხალო, რომელიც მდებარეობს გვიანდელი ფეოდალური ხანის კახეთის ქალაქ ბაზარის ტერიტორიაზე. ბახთალოში შემორჩენილია XVI ს. ღვთისმშობლის ეკლესია.

ბახტრიონის ბრძოლა — 659 წ. ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების ერთი ეპიზოდი. საერთოდ, კახეთის აჯან-

ყებისა და, კერძოდ, ბახტრიონის ბრძოლის მოთავეები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთაველი (იხ.), რომლებიც აჯანყების წარმატებით დამთავრების შემდეგ წარუღგნენ ირანის შაჰს, რათა ქართლ-კახეთისათვის მისი დამსჯელი ზომები აეცილებინათ თავიანთი სიცოცხლის ფასად. კახეთის აჯანყების გმირი მოწამეები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა (იხ. ბიძინა ჩოლოყაშვილი).

ბახჩალარი — სოფელი დმანისის რაიონში, მდ. გეტის (მდ. მაშავერას შენაკადი) სათავეში, დმანისიდან 17 კმ. სოფელში დგას XI ს. ეკლესიათა ლამაზდარული წარწერით.

ბაჭიონი — სოფელი საჩხერის რაიონში, მდ. ჯრუჭულის (მდ. ყვირილას შენაკადი) მარცხ. მხარეს, საჩხერიდან 5 კმ. სოფელში დგას XI ს-ის სამების ეკლესია. ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებული ლამაზდარული წარწერები საშრეთისა და დასაკლეთის კედლებზეა მოთავსებული. პალეოგრაფიულად ყველა წარწერა XI ს-ით თარიღდება. ერთი წარწერა ეკლესიის საფუძვლის ჩაყრაზე მოგვითხრობს („ამას ეკლესიასა პირველი საფუძველი მე შალვამან დავდევ" — ლაპ. წარწ. II, 70), მეორე — მასალის შეძენაზე („შეიწყალე გიორგი: ესე ქვაჲ... იყიდა" (იქვე, გვ. 71), მესამე — მასალის შეწირვაზე („შეიწყალე მიქაელ, ესე ქვაჲ მან შეწირა" (იქვე, გვ. 71) და ა. შ.

ბედიის გუღანი — XVII-XVIII სს. წერილობითი ძეგლი, ბედიის მონასტრის ღვთისმსახურების წიგნთა კრებული, აკინძული ორ წიგნად (A 187 ა და ბ). 960 ფ. (45, 5X33,5), ქაღალდი, თავ-ბოლონაკნული, ნაწერია ნუსხა-ხუცურით. ხელნაწერი ბედიელი მიტროპოლიტის, გერმანე ჩხეტიძის დაკეთით სამ გადამწერს გადაუწერია: ამბროსი კარგარეთელს (194v), სვიმეონ ეფრატელს (385v) და გაბრიელ ლომსანიძეს (401v). კრებულის შედგენილობა: 1. რიგის სახარება და სამოციქულო (1-94); 2. საღდესასწაულო (94-129); 3. დასდებელნი აღდგომისანი (130-255); 4. თვენი (256-644); 5. სვინაქსარი (645-748); 6. მარხვანი (749-904); 7. განგებაჲ საკლესიოჲ ბერძულსა წესსა ზედა (906-907); 8. ტუბიკონი... საბაჲს ლავრისაჲ (908-915) 9. ზატიკი (916-959 წყვეა). ხელნაწერი შეიცავს ხელნაწერის გადაწერის დროისა და უფრო გვიანდელ ბეჭრ შნიშვნელოვან მინაწერს (იხ. ქართ. ხელნ. აღწერ. A II ნაკ., 318-321).

ბედიის მონასტერი — სამონასტრო კომპლექსი ოჩამჩირის რაიონში, ოჩამჩირიდან 25 კმ. ქართული ისტორიული წყაროებისა და გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების მიხედვით მონასტერი X-XI სს. მიჯნაზე უნდა იყოს აგებული, თუმცა დღეს არსებული ნაგებობა XIII-XIV სს. განეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „ბედიას აღაშენა მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ-შენიერი გუმბათიანი და შეამკო სიძლიერითა დიდითა ფრიად. ამისთჳს წერილ არს: ვისაცა გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიისა ეკლესია და მით სცნობ" (ქართლის ცხოვრება, IV, 780). ბაგრატ III დასაფლავების ადგილად წყაროები ბედიას მიუთითებენ. მ. ბროსეს გამოქვეყნებული აქვს ბედიის ეკლესიის ერთი წარწერა, რომელიც დღეს დაკარგულია: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ექმენ წმიდასა ამას საყდრის აღმშენებელს, გალატოზაუხუცესს სუმბონაჲ". წარწერას X ს. ათარიღებენ (ლაპიდ. წარწ. II, 38). ჩვენამდე მოღწეული კომპლექსის ცენტრში აგებული ტაძარი გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია სამი შესასვლელითა და ეიწრო გვერდის ნაგებით. გუმბათი ეყრდნობა ორ ბურჯს და საკურთხევის კედლების კუთხეებს. ფასადები კარგად გათლილი ქვითაა მოპირკეთებული. შიგნით წყობა უხეშია. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთის კედლის აღმ. ნაწილში გამოსახულია ქტიტორი — ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში და დადიანთა გვარის წარმომადგენლები. მოხატულობა სხვადასხვა დროისაა: XIII-XIV სს. და უფრო გვიანდელი ხანისა (ზოგი მკვლევარის აზრით XI ს. ფენაც შეინიშნება). მონასტრის დასავლეთის მხარეს საკმაოდ დიდი სასახლეა, ხოლო ჩრდ. შესასვლელი კარის თავზე XIV ს. სამრეკლოა.

ბედია საეპისკოპოსო კათედრა იყო, რომელსაც შეუცვლია გუდავყის ძველი საეპისკოპოსო.

ბედიის ბარძიმი — X-XI სს. ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი. მასიური მრგვალი ფორმის ბაკალღო ჭედური ოქროს თასი (სიმაღ. 12,5 სმ., დიამეტრი 14 სმ., ფეხი არ შემორჩა). ბარძიმის გარე ზედაპირი სეეტებზე დაყრდნობილი თაღედით 12 არედაა დაყოფილი, თითოეული თაღის ქვეშ თითო ფიგურაა გამოსახული: ერთ მხარეს-ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორე მხარეს-ღვთისმშობელი ყრმით ხელში, აქეთ-იქით კი — ფეხზე მდგომი წმინდანები. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: ჰოზაზეთის მეფე ბაგ

რატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე ახლად აშენებულ ბეღიის ეკლესიას. ბეღიის ბარძიმი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ბეღისწერა – ადამიანთა ბედის (ხვედრის) წინასწარგანსაზღვრულობა, რასაც აღიარებს ზოგიერთი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება. ქრისტიანული ღვთისმეტყველება კი ამ იდეას უარყოფს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ძველ საქართველოში არსებულა ხალხური წარმოდგენა, თითქოს ადამიანის დაბადებისთანავე ცაზე ჩნდებოდა მისი ბედის ვარსკვლავი. ახალშობილს „ბედისმწერლის" ხელით შუბლზე ეწერებოდა მომავალი ცხოვრება, ცხოვრების ყველა მომენტი, რომელთა შეცვლა მოკვდავს არ შეეძლო. იმავე შეხედულებით, ამქვეყნიური საქმეებს ხშირად „სულეთის ღმერთიც" განაგებდა. ქართველ მთიელებში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით „სამზეოში" ისეთი არაფერი მოხდებოდა, წინასწარ „სულეთში" რომ არ ყოფილიყო გადაწყვეტილი. სულეთის ღმერთს ემსახურებოდნენ „მწერალნი", „ბედის მწერლები" ან „წერა-მწერალნი", რომლებიც ბედის წიგნის მონაცემების მიხედვით „იბარებენ სულეთში" ადამიანებს. ანალოგური წარმოდგენები გავრცელებული იყო აღმოსავლეთისა და ევროპის ბალხებშიც. ძველი ქართული წარმოდგენები ბედისწერაზე განსაკუთრებით ახლო დგას შუამდინარეთსა და ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ რწმენებთან (იხ. აგრეთვე ფატალიზმი).

ბეენა ირუბაძის ძე ჩოლოყაშვილი – იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XVI ს. I ნახევარში. ბეენა იერუსალიმში გაიგზავნა ჯვარის წინამძღვრად 1512 წ. მანამდე იგი კახეთის მეფის ავ-გიორგის (1511-1513) კარზე მოღვაწეობდა (ცნობილია 1511 წლის საბუთი, დაწერილი „ქალითა ირუბაქისძის სახლის უხუცესისა ბეენასითა" – ქრონიკ. II, 328). ბეენა ჩოლოყაშვილის თაყვანმდებით დაუწყია ბრძოლა უცხოელთაგან მიტაცებული ქართული სიძველეების დაბრუნებისა და რესტავრაციისათვის. ერთი ხელნაწერის (Ier. 21) მინაწერს საინტერესო ცნობა შემოუნახავს: „აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდის საყდარზედა და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბეენასა, ძმანო. ნუბითა ღმრთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყველა გარეთ გამოუყარე – კანდელი და რაცა მათი იყო" (ნ. მარი, იერუს. ხელნაწ. აღწ. გვ. 26; ქრონიკ. II, 362). ამ ცნობიდან ჩანს, თუ როგორ დაატოვებინა კათოლიკეებს ქართველების ძველი კუთვნილება – გოლგოთის ქრისტეს საფლავის ეკლესია. გარდა ჯვარის მონასტრის მოვლა-პატრონობისა და იერუსალიმის ყველა სავანის ქართველთა მფარველობისა, ბეენა ჩოლოყაშვილმა დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული ხელნაწერების მოვლა-პატრონობას და გამრავლებას. ამის შესახებ ბევრი ცნობაა დაცული ხელნაწერთა მინაწერებში (Ier. 117; Ier. 114; Ier. 16; 20; 21; 133 და სხვ.).

ბეთანია – დაბა იერუსალიმის ახლოს, იერუსალიმ-იერიქონის გზაზე, ელეონის მთის გადაღმა. სახარების მიხედვით, ბეთანიაში იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე (იოან. 11,18). ბეთანიაში სიმონ კეთროვანის სახლში დედაკაცმა ნელსაცხებელი დაასხა თავზე იესო ქრისტეს (მათე 26,6), რაც სიმბოლურად ქრისტეს ხორცის დასაფლავებას მოასწავებდა. ბეთანიიდან დაიწყო იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი დიდებული შესვლა იერუსალიმში. დღეს ბეთანიას ეწოდება ელ-ლაზარი (არაბ. ლაზარე). სალოცავად ჩამოსულ მორწმუნეებს დღესაც უჩვენებენ ლაზარეს სახლს და იმ გამოქვაბულს, რომელშიც დასაფლავებული იყო ლაზარე. გამოქვაბულში ოდესღაც იყო ეკლესია, რომლის საკურთხეველს წარმოადგენდა ის ლოდი, რომლითაც იუდეველთა ჩვეულების მიხედვით ამოქოლილი იქნა გამოქვაბულში შესასვლელი ლაზარეს დასაფლავების შემდეგ (იოან. XI,39). „ბეთანია" ქრისტიანული ქვეყნების მრავალ ეკლესიას ეწოდა. საქართველოში რამდენიმე ეკლესიაა ამ სახელით ცნობილი.

ბეთანია – XII-XIII სს. მიჯნაზე აგებული ქართული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით (16 კმ. მდ. ვერეს მარჯვენა მხარეს, ტყიან ხეობაში). რესტავრირებულია XIX ს. ბოლოს. გეგმით სწორკუთხედია. გუმბათი ოდნავაა გადანაცვლებული აღმოსავლეთისაკენ და მწირშენელოვნადაა ზემოთ აზიდული. შესასვლელის წინ ვარსკვლავისებური კამარით გადახურული კარიბჭეა. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა და გუმბათის ყელის აგურის წყობა გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. აღმოსავლეთით ფასადზე შემორჩენილი ტრაღიცული ნიშნები მორუქურთმებული თავსართით უკავშირდება შუა სარკმელს. მოჩუქურთმებულია სარკმლის საპირეებიც. ტაძარში დაცულია კედ-

ლის მხატერობა, რომლის დიდი ნაწილი სახარების მოტივებს ეთმობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი III-ის, თამარ მეფისა და გიორგი-ლაშას პორტრეტები. მორთულობა შესრულებულია თამარის სიცოცხლეში, გიორგი ლაშას თანამოსაყდრედ გამოცხადების ხანაში, 1207 წ. ახლო ხანებში. ბეთანიის ტაძრის დასაწყისით დღის დარბაზული ეკლესია 1196 წლისა. შესასვლელის თავზე ვრცელი ლაპიდარული წარწერაა.

ბეთლეემი – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. ცელეულის მარჯ. ნაპირზე. ამბროლაურიდან 17 კმ. სოფელში დგას XV ს. ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესია. აგებულია ქვიტკირით, გარედან თეთრადაა შელესილი. შიგნითა კედლები, კამარა და კონქი მთლიანად მოხატული ყოფილა. ტრადიციული საეკლესიო სიუჟეტების გარდა გამოხატული იყვნენ სარო პირებიც, მათ შორის – ეკლესიის აღმშენებელი იაშვილი. ასომთავრულ წარწერებში ეკლესიის აგებისა და მოხატვის თარიღიც (1493 წ.) ყოფილა აღნიშნული.

ბეთლეემი (ებრ. ბეით-ლეხემ – „სახლი პურისა") – ქალაქი იორდანიაში, იერუსალიმის სამხრეთით, დაარსებული დაახლ. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუახანებში. პირველად მოხსენებულია თელ-ამარნის მიმოწერაში (ძვ. წ. XIV ს.) „ბეთილუ-ლაპშას („ქალღმერთ ლაპშას სახლი") სახელით. განსხვავებით ჩრდილო პალესტინის ამავე სახელწოდების ქალაქისაგან, მას ზოგჯერ იუდეველთა ბეთლეჰმს უწოდებდნენ. ბიბლიის მიხედვით ბეთლეჰმი (ქართული ტრადიციით ბეთლემი) მეფე დავითის სამშობლოა [ბეთლემში დღესაც უწევნებენ ბიბლიაში მოხსენიებულ „დავითის ჭას" – მთაში ნაკეთ გამოქვაბულს (ლაკკას) წყობის წყალს შესაგროვებლად. სახარების მიხედვით, იესო ქრისტე ბეთლემში დაიბადა: „აღმოვიდა იოსებცა გალილეათ ქალაქით ნაზარეთით ურაისტანად ქალაქად დავითისა, რომელსა პრქუან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა, აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოველ იყო მისდა და იყო იგი მიდგომილ. და იყო ვიდრე იყვნესცა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და ჰშვა ძე იგი მისი პირმშოჲ... რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისსა" (ლუკა, 2,4-11).

ბეთლემი ქრისტიანულ სამყაროში და, მათ შორის, საქართველოშიც მრავალი დასახლებული ადგილისა და ეკლესია-მონასტრის სახელწოდება გახდა (სოფ. სენაკის რაიონში, სოფელი ქუემო ქართლში, ეკლესიები მცხეთაში, მესხეთში, თბილისში, ასპინძის მიდამოებში, მონასტერი-გამოქვაბული ხევში, მყინვარწვერის მასივზე და სხვ. იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, 301).

ბეთლეემი – გამოქვაბული სამონასტრო კომპლექსი ხევში, ყაზბეგის რაიონში, მყინვარწვერის მასივზე. მწვრილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე (ცერგეტისა და აბანის მყინვარების აუზთა გამყოფი), ზღვის დონიდან დაახლ. 4100 მ. გამოკვეთილია ციცაბო მოზვინალო ანდეზიტის კლდეში, კლდის ძირიდან 300 მ. სიმაღლეზე.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" წერს: „მყინვარსა კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასაკაცი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარმოკიდებული ქუაბიდან და მით აღვლენ. იტყჳან უფლის აკუანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ და სხჳათაცა საკიერველთა... არამედ მე ჳდუმებ. კუალად ძირსა მისსა არს მონასტერი კლდესა შინა გამოკუეთილი უდაბნოდ და აწ ცარიელი" (ქართლის ცხოვრება, IV, 357-358). ვახუშტის მიერ ნახსენები მონასტერი დაახლ. ათი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსი უნდა ყოფილიყო. დღეს მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი ორსართულიანი ეკლესიისა, რომლის პირველი სართული დაახლ. 4 მეტრის სიმაღლის კლდეშია ნაკვეთი, სხვა ნაგებობები უბრალოდ კლდის ირგვლივაა ნაშენი და არა კლდეში. კომპლექსის ყველაზე დიდი ზომის შენობა 4X4 მ. კვადრატული გეგმის აბსიდიანი ეკლესიაა. კლდის აღმოსავლეთ მხარეზე გრანიტის საგანგებოდ გასწორებულ რამდენიმე დაფაზე შეინშნება წარწერები, პალეოგრაფიული ნიშნებით XI-XII სს-ისა, რომლებიც ჯერ-ჯერობით ამოუკითხავია. აბსიდიან ნაგებობაში არის დიდი ზომის გატეხილი ჯვარი, რომელიც კლდის მონოლითის თავზე იყო აღმართული.

ბეთლემის გამოქვაბულში ასასვლელად გადმოკიდებული 5,5 მეტრის სიგრძის რკინის ჯაჭვი დღეს ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. აქვე ინახება სამონასტრო კომპლექსში და, კერძოდ, გამოქვაბულში მიკვლეული სხვა მონაპოვარი: რკინის ფრჩხილებით შეკვეთილი კარი X-XI სს. ცერცხლის ხატი, სპილენძის შარ

ლი, საეკლესიო ინვენტარი, მონეტები. სახელწოდება „ბეთლემი“ იერუსალიმთან მდებარე გამოქვაბულის (სადაც იესო ქრისტე იშვა) ანალოგიით დარქვა. ბეთლემის შესახებ არსებული თქმულება საფუძვლად დაედო ი. ჭავჭავაძის „განდეგილს“.

ბეთლემი – რამდენიმე ეკლესიის სახელწოდება საქართველოში: 1. ეკლესია-გამოქვაბული მცხეთაში, მტკვრის ნაპირას, სადაც ქართველებმა ნათლისღება მიიღეს წმ. ნინოს მიერ, დღემდე შემორჩენილია გამოქვაბული ეკლესიის ნანგრევებით, რომელიც ბეთლემად იწოდებოდა (კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 362). 2. ეკლესია მესხეთში, ასპინძის მიდამოებში, XIV ს. (Е. Такаишвили, МАК, XII, 1209).

ბეთლემის ბაზილიკა – ქრისტეს შობის ტაძარი, აშენებული IV ს. I ნახ. იმ გამოქვაბულზე, რომელშიც იესო ქრისტე იშვა. გამოქვაბული მდებარეობს ტაძრის საკურთხევლის ქვეშ და წარმოდგენს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ ოთხკუთხედს (სიგრძე დაახლ. 12 მ., სიგანე 3,5 მ.; სიმაღლე 3,5 მ.). ეუსები კესარიელის მოწმობით (დაახლ. 333), ბეთლემის ბაზილიკა ადრე კონსტანტინე დიდმა, ხოლო წმ. ელენეს (კონსტანტინე დიდის დედის) „ცხოვრების“ მიხედვით – თვით ელენე დედოფალმა. ეს ტაძარი აღწერილი აქვს ტიმოთე გაბაშველს, რომელმაც იერუსალიმში იმოგზაურა 1745 წელს: „შეგვიყვანეს ეკლესიასა ბეთლემისასა, ისტვინანე კეისრის მიერ აღშენებულსა, რამეთუ ორმეოცდა ათექსმეტი სვეტნი მარმარისნი იდგნეს და ზედ ეკლესია სოფიას კენჭითა აღშენებული, დიდი და საკურველი ეკლესია და ატაკანი მარმარითა დაფენილნი და ტრაპეზის ქვეშეთ შთასწერიე ქვაბი და ეიხილეთ ქვაბი იგი სადა-იგი ბაგა პირუტყვთა იყო მუნ და მაცხენეს უფალი“ (ტ. გაბაშველი, მიმოსვლაჲ, ე. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1957, გვ. 86.)

ბეთლემის ტაძარი XVI ს. შუა წლებში იერუსალიმის სხვა სიწმინდეებთან ერთად ქართველთა ლაშქარს გაუთავისუფლებია და თაეის მფლობელობაში ჰქონიათ, როგორც ამას მოგვითხრობს ბერი ეგნატაშველი: „და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავსან ქრისტესმან და გაეშარჯუათ... და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი... და მოსცა ქრისტეს საფლაეი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონქარმან მათ სიგლითა მტკიცითა“ (ქართლის ცხოვრება, II, 3,54).

ბელჩებელი//ბელჩებული – ბიბლიურ წიგნებში ეს სიტყვა გვხვდება ორი განსხვავებული მნიშვნელობით. ძველ აღთქმაში ის აღნიშნავს ფილისტიმელთა აკარონის ადგილობრივ ღვთაებას, რომელიც ცნობილი იყო ფილისტიმელთა მეზობელ ხალხებში და, მათ შორის, ებრაელებშიც იმ პერიოდში, როდესაც ისინი ჭეშმარიტ ღმერთს განუდგნენ, როგორც ორაკული. მაგ.: როდესაც ისრაელის მეფე ოქოზია დაავადდა, აკარონში ელჩები გაგზავნა და დაავალა, გაეგოთ ბელზებელისაგან, გამოჯამრთელდებოდა იგი თუ არა (მეფეთა I,2). ძველი აღთქმის წიგნებში ბელზებელი სირიულ-ფინიკიური ღმერთის ბაალზებუბის სახელწოდებაცაა, რომელიც ითელებოდა დამცველად და მფარველად ბუზებისაგან, რომელთა სიმრავლე სასჯელი იყო ხალხისათვის და ცხოველებისათვის აღმოსავლეთის პანანქების დროს. ეს სახელწოდება უნდა იყოს ერთი კერძო გამოვლენა ბაალისა (ბაალ – უფალი, ბატონი – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საერთო ღვთაება პალესტინის, ფინიკიის და სირიის წარმართ სეხეტებში, რომელიც შეეხატყვისება ებრაელთა „ღმერთის“ სახელწოდებას).

ახალი აღთქმის წიგნებში ბელზებელი სატანის, ბოროტი სულების ან დემონების მთავრის სახელწოდებაა. ძნელი დასადგენია, თუ როგორ გაიგივდა იუდეურ დემონილოგიაში ბელზებელი სატანასთან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამით გამოიხატა სურვილი სატანის ისე დამდაბლებისა, რომ იგი გამოეცხადებინათ უბადრუკ „ბუზაკანათა ღმერთად“. ეს ტენდენცია უფრო ნათლად გამოჩნდება ამ სიტყვის მეორეგვარ ფილოლოგიურ განმარტებაში: „ნებუის ღმერთი“, ანუ ყოველგვარი უწმინდურობისა და სიბინძურის ღმერთი. ბელზებელი ითელებოდა ეშმაკეულთა საშინელი ავადმყოფობის მთავარ მიზეზად. ამიტომ იყო, რომ ფარისეველები, როდესაც მათ ესმათ ქრისტეს მიერ ეშმაკეულთა განკურნება, თაეხედრად ამტიცებდნენ, რომ „ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა, მთავარითა მით ეშმაკთაჲთა“ (მათე, 12,24), ან „ბელზებული მის თანა არს და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა“ (მარკ. 3,22).

ბელიარი (ებრ.) – სატანა, ეშმაკი, ანტიქრისტე: „ანუ რაჲ შეტყუებაჲ არს ქრისტესი ბელიარისთანა?“ (II კორ. 6,15).

ბელოთი – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, ცხინვალიდან 15 კმ.-ზე. ბელოთი 1777 წლამდე ქსნის ერისთავეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო,

ხოლო აღნიშნულ წელს იგი იულონ ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) საკუთრებაში გადაეცა. სოფელში არის შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე, რომლის ტერიტორიაზე დგას X ს. ერთნავიანი ეკლესია.

ბემი//ბემონი – ამაღლებული ადგილი საკურთხეველში, სამღვდელო პირთა, მათ შორის, ეპისკოპოსთა დასაჯდომად და დასასვენებლად ლიტურგიის დროს. ბემა ამფითეატრისეი შეკიდული ბაქანია აღმოსავლეთის კედელთან, ზოგიერთ ეკლესიაში კი მთელი საკურთხევლის გარშემო (ბემის სინონიმებია: ტეჯიი, ტოგუნი). მას ზოგჯერ უბრალოდ „დასაჯდომელსაც" უწოდებენ.

ბენარა – სოფელი ადიგენის რაიონში, მდ. ოცხის (ძვ. ოძრხის, აბასთუმნისწყლის) მარცხენა ნაპირზე, ადიგენიდან 13 კმ. სოფლის მიდამოებში არის შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე „ოქროს ციხე" და მის ტერიტორიაზე – პატარა ეკლესია.

ბენედიქტე – X-XI სს. კალიგრაფი, რომელსაც გადაუწერია მაქსიმე აღმსარებლის „ღვთისმშობლის ცხოვრება" (A 40, X-XI სს., 1-282), რომლის ანდერძი გვამცნობს: „მომიხსენეთ... უღირსი ფრიად ცოდვილი ბენედიქტე".

ბენედიქტე (ვენედიქტე) – ერისკაცობაში ბესარიონ ქიტიაშვილი. ათონის მთის იერთა ქართული მონასტრის თავდადებული მოღვაწე XIX ს. I ნახევარში. როდესაც XIX ს. დასაწყისში იერთა ქართული მონასტერი ბერძნებმა დაისაკუთრეს, მიუხედავად შეეწროებისა, რამდენიმე ქართველ ბერს, და მათ შორის ბესარიონსაც, მონასტერი არ დაუტოვებიათ. 1821-1830 წლებში ათონის მთას თურქები დაეპატრონენ, ბერძენი მონაზვნები დაფრთხნენ და მონასტერი მიატოვეს. ქართველი ბერები ბესარიონის თაჯაკობით არ შეუშინდნენ განსაცდელს და მონასტერში დარჩნენ, ერთგვარი გაელენაც კი მოახდინეს თურქთა ჯარის უფროსზე ლაბუტ-ფაშაზე, რომელიც წარმოშობით ქართველი, გვარად ჭყონია იყო. მათ იხსნეს იერთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც. ბესარიონ ქიტიაშვილის მინაწერები მრავალ ათონურ ხელნაწერში გვხვდება (Ath. №№ 5, 8, 9, 20, 21, 39, 60, 84: A №№ 1103, 1105, 1144, 1705 და სხვ.). ცნობილია მისი ინიციატივით დამზადებული ხელნაწერიც – ისაკ ასურის „სწავლანი" (A 1705). ერთ ხელნაწერს დაუცავს საინტერესო მინაწერი, რომელიც გვამცნობს ბესარიონის (ვენედიქტეს) საქმიანობას თურქთა მოძალების შედეგად ბერძენთაგან მიტოვებულ სავანეში: „დროსა ჭყონია ფაშის შესვლისასა ლაშქრით იერიის მონასტერში, ვინაიდგან მისისა შიშისა გამო სხვა არავინ მოწევე მღვდელ-მონაზონი ბერძენთაგანი აღარ იპოვებოდა, მაშა ვენედიქტე ამით ასრულებდა ლოცვას ბერძნულ ენაზედ, ხოლო საიდუმლოს და ყოველს წესს ღვთისმსახურებისას ეკლესიაში ქართულს ენაზედ" – აწერია ქართული ასოებით შესრულებულ ბერძნულ ლოცვანს, რომელიც დღეს თბილისშია დაცული (ცენტრ. არქ. 194). თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ ათონს კვლავ ბერძნები დაეპატრონენ (1830 წ.) და თანდათან შეავიწროვეს ქართველთა მცირერიცხოვანი კრებული: ჯერ დიდი ტაძარი იგდეს ხელთ, ხოლო შემდეგ ქართველები სულ გააძევეს მონასტრიდან და საცხოვრებლად ილიას სკიტი მიუჩინეს. ბესარიონ ქიტიაშვილი და მისი მოწაფეები იქ გადასახლდნენ. 1861 წ. ბესარიონ (ბენედიქტე) გარდაიცვალა.

ბენედიქტე (ვენედიქტე) – იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტრის არქიმანდრიტი და ჯვარის მონასტრის წინამძღვარი XIX ს. დასაწყისში. ცნობილია მისი 1807 წ. ორი ისტორიული საბუთი, რომელთაგან ერთი-გამოსაღების განწესების წიგნი – ეხება კახეთის სოფელ აღდგომის გლეხებს, რომლებიც ჯვარის მონასტრის ყმები იყვნენ (Ad–672, საბუთი ქართულადაა შედგენილი, ხოლო ბენედიქტეს ბეჭედი და ხელრთვა – ბერძნულად), მეორე-სარგის განწესების წიგნი აღდგომის მოურაჯის დაჟით მაცხვილისადმი (Ad–546; არქიმანდრიტის ხელრთვა ბერძნულად. ეს საბუთი ხელმეორედ არის დამტკიცებული 1819 წ. „იერუსალიმის არქიერის მათეს" ხელრთვით).

ბენედიქტე არქიმანდრიტს 1817 წელს უნგროელახურ ენიდან ქართულად უთარგმნია „საპოლიტიკო თეატრი", „ხოლო ქართულ ენაზედ გარდმოღებულ იქმნა ტფილისს, იერუსალიმის მონასტერსა შინა ქსენესაისა პატიოსნისა ჯუარისასა არხიმანდრიტისა ვენედიქტესაგან და შეწყობილ იქმნა ქართულსა ენასა ზედა იესეს ჩუბინოვისაგან, რადგან ვენედიკტემ ქართული არ იცოდა (ჩამატებ. განსხვავებული ხელით), წელსა (1817) ჩყიზ" (S 3694, 2v; იხ. აგრეთვე S 365).

ბენედიქტე ბერი (1834-1911) – ერისკაცობაში ვახტანგ ბარკალაია. 1860-იან წლებში წასულა ათონის მთაზე და ქართველთა მონასტერში ბერად შედგომა განუზრახავს, მაგრ

რადგანაც ამ დროს მონასტრებზე ბერძნები უფლებას იმტკიცებდნენ (ამ დროს იქ მხოლოდ 4 ქართველი ბერი იმყოფებოდა), იგი უარით გამოისტუმრეს საქართველოში. სამშობლოში დაბრუნებულმა მონაზონობა მიიღო ბენედიქტეს სახელით, შეკრიბა შეწირულობანი და მალე 12 ქართველი ბერის თანხლებით ჩავიდა ათონზე. იქ. შეიძინა დანგრეული სავანე 1870 წ. და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა, მაგრამ ბერძენთა წინააღმდეგობას წააწყდა. ბერძნებმა უარი უთხრეს სამშენებლო მასალის მიყიდვაზე და სანახევროდ რესტავრირებული ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს. ბენედიქტემ მიზანს მაინც მიაღწია — იერთა მონასტრის ახლოს ქართველთა ახალი სავანე — იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსა და იქ შემოკრება ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველობა (А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, 351-374).

ახალი სავანის წინამძღვარი ბენედიქტე აქტიურად მოქმედებდა ათონის ქართველთა სიწმიდეების შესანარჩუნებლად — დახმარებისათვის მინმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც წარმოაჩენდა ქართველთა დამსახურებას იერთა სავანის დაარსება-განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამღვდელო პირთა ძალმომრეობას და მიმტაცებლობას, ითხოვდა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას („წერილი რედაქტორთან", დროება, 18. VI, 1880; № 127; 19. VI, 1880; № 128; 21. XII, 1882; № 267; 22. XII, 1882, № 268; „ათონის მთიდამ", დროება, 30.X.1882, №226. „წერილები ათონის მთიდან", მწყემსი, 1884, № 1; გე. 6-7; №4, გვ. 3-4, № 5 გე. 4-5. „წერილი რედაქციის მიმართ". ივერია, 2. IV, 1889, № 71 და სხვ. იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართ. მწერლობის კერები, II, 1980, გვ. 239).

ბენედიქტე ზარზმელი — ზარზმის მოანსტრის ბერი, რომელსაც გადაუკაზმავს და აუგიზავს XV ს. გადაწერილი კრებული (А 487).

ბენედიქტე სამთაველი — XVIII ს. შუაწლების სამთავისის ეპისკოპოსი, ერეკლე II-ის ინიციატივით მოწვეული 1748 წლის საეკლესიო კრების მონაწილე. ხელს აწერს და ამტკიცებს ამ კრების დადგენილებებს (მე-14 ხელმოწერა). „ბენედიქტე უღირსმან ეპისკოპოსმან სამთაველისამან წარვწერენ. ბენედიქტე" (ქართ. სამ. ძეგლ. III, 804). ბენედიქტე ამტკიცებს 1749 წ. 15/III ერთი საბუთის (მასალები საქ. და კაკ. ისტ., ნაკე. 23, 1960 წ.) სამთავისის სახარების ვერცხლის ყდაზე 1753 წ. ასეთი მინაწერია: „მე სამთაველ მიტროპოლიტმან ბენედიქტემ შემოგწირე მცირე ესე შესაწირაი თქუენ სამთაველისა მონასტრის ღვთაებას" (ქრონიკ. III, 228).

ბენედიქტიანელები — კათოლიკე მონაზონთა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ორდენი VI ს-ში, დაარსებული ბენედიქტე ნურსიელის (480-543) მიერ. ბენედიქტეს მიერ 529 წელს თავისი მონასტრისათვის შემუშავებული წესდება გაერცელდა და საფუძვლად დაედო დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა კათოლიკური მონასტრის ცხოვრებას (მის „ცხოვრებას" რომის პაპის „დიალოგოში" მთელი თავი ეძღვნება). ამ წესდების მიმდევარ მონაზვნებს ბენედიქტიანელები ეწოდათ. ამ წესდებაში დასავლეთ ევროპის ქვეყნების მკაცრი კლიმატის შესაბამისად მოცემულია მონაზონთა ლოცვისა და ფიზიკური შრომის დროის განაწილების გონივრული პრინციპი.

ბენედიქტიანელთა ორდენი დღემდე არსებობს, უმეტესად პოლონეთში, თუმცა მისი წევრების რიცხვი გაცილებით მცირეა VI ს-თან შედარებით. ჯერ კიდევ XV ს-ში ბენედიქტიანელებს 15000 მონასტერი ჰქონდათ; მათი რიცხვი რეფორმაციის პერიოდში 5000-ით შემცირდა. შემდეგში კი თანდათან კლებულობდა და დღეს მათი რიცხვი 500-ზე ნაკლებია.

ბენი აბბა ზედაზნელი — ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი VII ს. II ნახევარში (560-700 წწ.). მოხსენიებულია ზედაზნის მონასტრის XVII სს. წინამძღვართა სიაში, რომელიც ერთვის რამდენიმე ხელნაწერს (А 160, გე. 434; А 170, А 176, გე. 23): „აბბა ბენი 6(50) წელ". გამოანგარიშებით გარდაცვლილა 700 წ. (ქრონიკ. I, 74).

ბერძების სერი — VI-VIII სს. გამაქებული კომპლექსი, ბერ-მონაზონთა დასაყუდებელი ადგილი იფრის ნაპირას, საგარეჯოს რაიონში, 12 კმ-ზე სოფელ მაღაროს (სიღნაღის რაიონი) სამხრეთ-დასავლეთით. „ბერების სერის" საკანეში არის გუმბათიანი ბაზილიკური და დარბაზული ეკლესიები. ბერთა განცალკევებული ქვაბები განლაგებულია ერთ და მრავალსართულიან კომპლექსებად. ქვაბებს აქვს შეისრული თაღები, შემკულია ჯვრის გამოსახულებითა და ჩუქურთმით. შემორჩენილია ქართული წარწერები ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებზე.

ბერთა — მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში (ახლ. თურქეთის ტერიტორიაზე, მდინარე კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ მთაზე).

ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. მონასტერი დაარსდა VIII-IX სს-ში, გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის დროს. აქ შემორჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთი საკარაუდოს ხდის, რომ ბერთაში სასწავლებელი არსებობდა. ცნობილია ბერთის ორი ოთხთაები: ერთი – X ს-ისა, დაცული იყო აშშ-ში, ქ. ნიუტონში, ხოლო ამჟამად ინახება აშშ, ქ. კემბრიჯში, პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მეორე, XII ს-ისა, რომელიც ბეშქენ ოპიზარს ოქროჭედურ ყდაში ჩაუსვამს, დაცულია თბილისში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q 906). ბერთის მოღვაწეებიდან ცნობილია ზეკეპე ბერთელი, X. ს. მოღვაწე, რომელსაც ოლიმპის (ულუმბოს) მთაზე გადაუწერია სამოციქულო: „... ზეკეპე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაჲ პაული მოუგიე“. კლარჯეთის დაკრძალვის შემდეგ ოსმალებმა ბერთის მონასტერი გაძარცვეს და მერეულად გადაპკეთეს. 1904 წ. ბერთის მონასტერი აღწერა ნ. მარმა (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, 168).

ბერთის I ოთხთავი – X ს. II ნახევრის ეტრატის, ასომთავრულით ნაწერი ოთხთავი, რომელიც აშშ-ის ქ. ნიუტონში ინახებოდა (ქ. ბოსტონის ახლოს), ხოლო დღეს – აშშ ქ. კემბრიჯში, პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია. ოთხთაეის მინაწერებში ცოცხლად იხსენიება სუმბატ არტანუჯელი (↑ 988 წ.), ე. ი. ხელნაწერი 988 წლამდეა გადაწერილი. 1830 წ. ბერთის I ოთხთავი ყარსიდან გაუტანიათ ამერიკელ მისიონერებს (ხელნაწერის მიკროფილმი ინახება საქ. მეცნ. აკადემიის ცენტრ. სამეცნ. ბიბლიოთეკაში). ხელნაწერის სხვა ღირსებებთან ერთად აღსანიშნავია, რომ სახარების ერთ-ერთი გვერდის აშიაზე მე-XV ს. ნუსხური მწერლით „ქუხისტყაოსნის“ ერთი ტაეპი („ვეფხისტყაოსნის“ სიმღერა, გვ. 17).

ბერთის II ოთხთავი – ეტრატის XII ს. ოთხიგზე სახარების შემცველი ხელნაწერი (Q 906; 342 ფ., 22,5 X 17), ჩასმულია ბეშქენ ოპიზარის ხელით მოჭედილ, მოოქრილი ვერცხლის ყდაში, ყდის ზემო ნაწილზე რელიეფურად გამოხატულია ჯვარცმა, ხოლო ფირფიტის ორივე მხარეს ანგელოზების რელიეფური გამოსახულებაა. ჯვრის მარცხენა მხარეს ხელაპყრობით მდგომი ღვთისმშობლის, ხოლო მარჯვენა მხარეს იოანე მახარებლისა რელიეფური გამოსახულებებია. ყდის ეს ნაწილი შემკულია რვა ძვირფასი თვლითა და სამი მარგალიტის მძივით (37 ასეთივე მძივი დაკარგულია). ყდის მეორე მხარეს გამოხატულია იესო ქრისტეს რელიეფური ფიგურა, მის მარჯვნივ – ღვთისმშობელი, ხოლო მარცხნივ – იოანე მახარებელი. ყდის ოთხ კუთხეს აშვენებს მცენარეული რელიეფები. ხელნაწერის ტექსტი ნაწერია კლასიკური ნუსხურით, ორ სვეტად, სათაურები და დასაწყისი ასოები – სინგურით, მთავრულით. ტექსტში ჩართულია მახარებლების მინიატურული პორტრეტები. ბერთის II ოთხთაეი გატანილი იყო პარიზში 1921 წ. და დაბრუნებულია 1945 წ. მინაწერებიდან ირკვევა, რომ ოთხთაეი ბერთის ტაძრისთვის უბოძებია იოანე ოპიზელს, იოანე მთავარანისძის აღზრდილს (ხელნ. აღწ. Q, II, გვ. 319).

ბერთაუჯა ლოლაძე – ოქრომჭედელი, „სარქარი“, რომლის ხელმძღვანელობითაც მოჭედა ცნობილი ანჩისხატის კარედის გარე ჯარი 1686 წ., რაც ნათქვამია ერეკლე წარწერაში. ბერთაუჯას შეუსრულებია სახარების სიუეტები: ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმში შესვლა, ღვთისმშობლის მიძინება, თომას ურწმუნოება, საიდუმლო სერობა, ხულიწმიდის მოფენა. ყველი სიუეტი და მხლიანად კარედი ფართო ორნამენტულ არშიებშია ჩასმული.

ბერთაყანა/ვერთაყანა – კლდეში გამოკვეთილი ბერების სახიზარი, გამოქვაბული ჯავახეთში, სოფელ თმოგვის (ახალციხის რაიონში) მახლობლად, კლდოვან ფერდობზე. სამსართულიანი კომპლექსი შეიცავს ერთმანეთთან გვირაბით დაკავშირებულ სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებულ გამოქვაბულთა ჯგუფებს. თითოეულ ჯგუფში ოკალური მოქვაბილობის ერთიდან სამამდე სენაკია. ერთ-ერთ მათგანში ამოკვეთილია წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ზოსიმე კუმურდოელი, რომელიც ჯავახეთის საეპისკოპოსოს განაგებდა XI ს-ში.

ბერთუბანი – დაკითგარეკის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტერი, რომელიც დაარსებულია XII ს-ში. ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესიისა და სატრაპეზოს კედლები შემკულია XIII ს. დასაწყისის მხატვრობით: გამოსახული არიან თამარ მეფე და ლაშა-გიორგი. აქვეა ეპიზოდი დაკით გარეკელის „ცხოვრებიდან“ (ლუკიან წელის ირშებს). ეს მოხატულობა გარეკის სკოლის მხატვრობის განეითარების მწვერვალია.

ბერი – საეკლესიო ან სამონასტრო კრებულის სულიერი მოძღვრის ტიტული ძველ საქართველოში (ბერძნულად მას შეესატყვის

„ჯერონ“, „ჯერონტოს“; სლაუურად – Старец). სხვა მღვდელმსახურთაგან განსხვავებით, ბერს ანუ მოძღვარს ჩვეულებრივი მღვდელმოქმედების გარდა (წირვა, ლოცვა, საეკლესიო წეს-განგებანი) ევალებოდა აგრეთვე მოძღვრობა (ქადაგება, აღსარების მიღება, სულიერი რეკომენდაციების მიცემა ძმათათვის და ა. შ.), რაც რიგით მღვდელმსახურს ეკრძალებოდა (იხ. მოძღვარი). ბერი, ჩვეულებრივ, განსწავლულ და სულიერ მონაზონთაგან შეირჩეოდა და იკურთხებოდა მოძღვრობისათვის. თითოეულ მონასტერს და სამრევლო ეკლესიას თითო მოძღვარი (ბერი) ჰყავდა, მღვდელმონაზონნი კი, შესაძლოა, ათეულობითაც ყოფილიყვნენ. მოგვიანებით (XVIII-XIX სს-დან) მოძღვრობის უფლება თითოეულ მღვდელმსახურს მიეცა. „ბერის“ ტიტულმა ფუნქცია დაკარგა და „მონაზვნის“ სინონიმური მნიშვნელობა შეიძინა. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით მკვლევარმა ჟ. ერაძემ დაასკვნა, რომ „ბერი“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება ეთნონიმ „ბერ“-ს, „ბერი“, „ბერები“ – ტოპის სახელია, „ბერია“ – ბერების კუთვნილი ქვეყანა; მკლევარის ვარაუდით, „ბერი“ – სრულწლოვანი (სრულუფლებიანი) წევრის წოდება იყო გვარიანეულ საზოგადოებაში. „ბერის“ სახეცვლილება უნდა იყოს „ფარგი“ (ვარ-ი) – პრივილეგირებული ფენის სახელწოდება სვანეთში და „მარგ-ალ-ი“ (მარ-ი) – მეგრელთა სატომო სახელწოდება (იხ. ჟ. ერაძვილი, ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში, მაცნე, ისტორიის.. სერია №1, 1987, 118-134).

ბერი ეგნატაშვილი – XVIII ს. ქართველი ისტორიოგრაფი, ვახტანგ VI-ის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების დასაწერად შედგენილი კომისიის ერთ-ერთი მონაწილე, შესაძლოა ხელმძღვანელიც. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის ანაზე გაკეთებული ორი მინაწერი (1779 წ.) მოწმობს, რომ ბერი ეგნატაშვილი ამ თხზულების ავტორი იყო. გარდა ამისა, მისი ავტორობის კვალი თხზულების ტექსტიდანაც ჩანს. ვარაუდობენ, რომ იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე პირებთან, რამეთუ შემდეგში 1765 წ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ. ბერი ეგნატაშვილი გარდაიცვალა დახლოებით XVIII ს. 60-იან წლებში.

ბერის საყდარი – X ს. შუა წლების სამეკლესიანი ბაზილიკა სოფელ ერედვის (ცხინვალის რაიონი) მახლობლად, ძეგლის თაესებურება ისაა, რომ მის გარეშემოსაველეში არ არის გამოყოფილი აღმოსავლეთის ოთახები: სამხვეპარაკლო და სადიაკვნე. იგი ერთიანი დაუნაწერებელი გალერეაა. ბერების საყდარი ამჟამად ძალზე დაზიანებულია, ჩამონგრეულია კამარა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლები.

ბერისხევი – XIII ს. კლდეში ნაკეთი საკანე ასპინძის რაიონში, ეარძიის მონასტრიდან 1,5 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, დაახლ. 20 მ. სიმაღლეზე. ასასვლელად იყენებდნენ დახრილ გვირაბს. ბერისხევის სამონასტრო კომპლექსში შედის ქარაფის პირას მდებარე დარბაზული ეკლესია, სენაკი, საკუჭნაო, ე. წ. თახჩებიანი სათავსი და გვირაბული თავდაცვითი სადგომი.

ბერნარდე ნეაპოლელი – XVIII ს. იტალიელი კათოლიკე მისიონერი, საქართველოში პირველად 1661 წ. ჩამოვიდა მცირე ხნით, რომის ეკლესიის დავალებით. 1670-1680 წწ. საქართველოში ცხოვრობდა, შეისწავლა ქართული ენა და რამდენიმე წიგნიც თარგმნა, კერძოდ, 1681 წ. რომში დაბეჭდა მის მიერ თარგმნილი ქართული კატეხიზმო. მ. თამარაშვილის მოწმობით, ბერნარდე ნეაპოლელს ეკუთვნის აგრეთვე ქართულ ენაზე შედგენილი წიგნი „ბჭობა კათოლიკობის შესახებ“. იგი იწერდა ქართულ ხალხურ ზღაპრებს. იტალიაში (ნეაპოლის ეროვნ. ბიბლიოთეკაში) დაცულია თორმეტი ქართული ხალხური ზღაპარი. ბერნარდე ნეაპოლელის არქივი იტალიაში ტორე-დელ-გრეკოს კაპუცინთა მონასტერში ინახებოდა. ამონაწერები ამ არქივიდან და მისი მოკლე აღწერა დაცულია თბილისში (H 661).

ბერნარდინელები – კათოლიკე მონაზონთა ორდენი, რომელმაც სახელწოდება მიიღო ბერნარდ კლერვოტელის (1091-1153), საფრანგეთში კლერვოს მონასტრის წინამძღვრის პატივსაცემად, ხოლო დაამტკიცა პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1216). ორდენის წევრებს ჰქონდათ უფრო მკაცრი წესდება, ვიდრე ბენედიქტინელებს. თავდაპირველად ბერნარდინელი მონაზვნები ძირითადად საფრანგეთსა და იტალიაში მოღვაწეობდნენ, ხოლო შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაუჩნდნენ მიმდევრები, განსაკუთრებით პოლონეთში, ოღონდ უფრო გვიანდელი სახეცვლილებით. 1506 წ. ბერნარდინელებს მთელ ევროპაში 1252 მონასტერი ჰქონდათ. 1788 წლისათვის მამათა მონასტრების რიცხვმა 5580-ს მიაღწია, დედათა მონასტრებისა – 848-ს, რომლებშიც 69000 მონაზონი მოღვაწეობდა.

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (1894-

1965) – ისტორიკოსი, ძველი ქართული ისტორიის, კულტურისა და წერილობითი ძეგლების მკვლევარი. მისი თანაავტორობით დაიწერა საქართველოს ისტორიის პირველი სასკოლო სახელმძღვანელო (1943 წ.). 1959 წ. მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა „საქართველოს ისტორია". მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის პრობლემათა მეცნიერულ შესწავლაში, დაამუშავა XIII-XVIII სს-ის საქართველოს ისტორია. მას დიდი წელილი მიუძღვის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, შემდგომ განვითარებაში. ბერძენიშვილის შრომებს – „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში" (1937), „ნარკვევები XIII-XVI სს. საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან" (1938, რუს. ენაზე), „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე" (1944), „XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან" (1944) და სხვ. აგრეთვე ისტორიული დოკუმენტების მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა განსაზღვრა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის მიმართულება ამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, რომლის პირველი თავმჯდომარე თვითონ იყო. მან არა ერთი ნარკვევი და წერილი უძღვნა ქართული სასულიერო მწერლობის საკითხების კვლევას.

ბესარიონი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. შემოქმედის მთავარეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში. იგი მოწმეა ვახტანგ გურიელის მიერ 1572 წ. შემოქმედის ხატისათვის მიცემული ყმების შესაწირავის წიგნისა (Д. Бакрадзе, Археол. путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 130-131). საბუთში ნათქვამია, რომ თათართაგან ზარზმის მონასტრის აოხრების გამო ზარზმის ხატი შემოქმედში ჩამოუსვენებიათ და გურიელთა საძველე ეკლესიაში დაუსვენებიათ. სწორედ ამ ხატს სწირავს ვახტანგ გურიელი, გურიის მთავრის, მამია გურიელის ძმა, ყმებს.

2. დასაწყეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1742-1769 წწ., ოდიშის სამთავროს კათოლიკოს-პატრიარქი 1769-1773 წწ. ბესარიონი იყო რაჭის ერისთავის, შიომიტა III-ის ძე, სოლომონ I-ისადმი მტრულად განწყობილი სათაყვანო სახლის წევრი. თავდაპირველად იგი მეფისადმი ლოიალობას იჩენდა, შემდეგ ფარულად შეუკავშირდა თავის ძმას-როსტომ რაჭის ერისთავს და დისწულს – ოდიშის მთავარს კაცია დადიანს და მათთან ერთად გაილაშქრა სოლომონ I-ის ცენტრალური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1768 წ. ბესარიონი ახალციხის ფაშას ეწია და მეფის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ფაშამ დაასატიმრა იგი, მაგრამ იგი პატიმრობიდან გამოიქცა. მეფესთან კონფლიქტის გამო კათოლიკოსობიდან გადააყენეს. კაცია დადიანმა ბესარიონი ოდიშის კათოლიკოსად დასვა და სამთაეროში შემავალი საეპისკოპოსოები დაუმორჩილა. ახალი კათოლიკოს-პატრიარქი ისიც არ უცნობდა ბესარიონის საეკლესიო უფლებებს ოდიშზე და ამის გამო მათ მუდმივი დავა აქონდათ. ბესარიონ კათოლიკოსი ხშირად ფიგურირებს 1742-1769 წლების საეკლესიო დოკუმენტებში, როგორც სახუთის გამცემი ან დამამტკიცებელი (იხ. ქართ. სამ. ძეგლები, III, გვ. 813; 842; 845-846; 877; 880-81 და სხვ.):

3. სამთაეროსა და გორის მთავარეპისკოპოსი, რომელიც ანტონ I კათოლიკოსს 1771 წ. საბუთით (Ad 185) სხვა სამღვდელო პირებთან ერთად განუწესებია საქართველოს სამწყსოს საქმეთა ზედამხედველად: „ჩუენ მაგიერად ზედამხედველად განგეწესებია: ყოველად სამღვდელო მიტროპოლიტი სამთაეროსა და გორისა ბესარიონ..." (ქართ. სამ. ძეგლ. III, 892). იგივე ბესარიონ მიტროპოლიტი უნდა იგულისხმებოდეს ანტონ I-ის დაკალებით 1779 წ. ახაშტის ეკლესიის საქმეების გამოსარკვევად გაგზავნილი დელეგაციის შემადგენლობაში მოხსენიებული „მთავარეპისკოპოსი ბესარიონ" (ცსსა ფ. 1450, სან. № 11; ქართ. სამ. ძეგლ. V, 72), რადგან 1781 წლის საეკლესიო კრებისა და ანტონ I-ის განჩინების ოესტინე ურბნელის შესწენათა საქმეზე ხელს აწერს ბესარიონი: „მდაბალი მთავარეპისკოპოზი ბესარიონ სამთაეროსა და გორისა ქუე მოვაწერ" (Ad 1552, ქართ. სამ. ძეგლ. V, 147), ასევე, 1782 წ. ერთ საბუთს (ცსსა 1448, სან. №5524) ამტკიცებს „ყოველად სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ბესარიონ", 1784 წ. (Ad 827) და 1785 წ. (Ad 839) დიპლომატიის ორ უწყებას დისთვის ნუგრესელსადმი ხელს აწერს „მდაბალი მთავარეპისკოპოზი ბესარიონ".

4. ჭყონდიდის მიტროპოლიტი, ოდიშის მთავრის, კაცია დადიანის ძე. მის მიერ 1788 წ. გაცემული საბუთი, რომელსაც ხელს აწერს დადიანი კაცია და ბესარიონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, ასე იწყება: „ესე წყალობის წიგნი

გიბოძე მე, დიდად სახელოვნისა ხელმწიფისა დადიანისა კაციას ძემან, ყოველად სამღდელოებამან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან უფალმან ბესარიონ"... (Ad-1547 – ქართ. სამ. ძეგლ. III, 973). ბესარიონ ჭყონდიდელის დაკალებით ეგნატე კანდელაკს გადაუწერია მეტაფრასი (კერები I, 554). ბესარიონ ჭყონდიდელის ხელრთვა აქვს 1806 წლისა (ცსსა 1448, საბ. 1301) და 1803-1811 წწ. (ცსსა 1448, საბ. 382) საბუთებს. ცნობა ბესარიონის გარდაცვალების თარიღზე დაცულია Q–918 ხელნაწერის მინაწერში: „ჩუკმ (1828) ბესარიონ ჭყონდიდელი მიიცვალა".

5. ალავერდის ეკლესიის ეპისკოპოსი XIX ს. მიწერულს, მოხსენიებულია თ. ჟორდანიას მიერ თავისი ქრონიკების I წიგნის წინასიტყვაობაში (1892 წ.) იმ პირთა შორის, რომლებმაც „ქრონიკების" წიგნი დაუკვეთეს შესაძენად („მისმა ყოველად უსამღვდელოესობამან ალავერდის ეპისკოპოსმან ბესარიონმან").

ბესარიონი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. არაბაზის (მცხეთაში) მონასტრის წინამძღვარი XVI ს. II ნახევარში. 1560 წ. მას დაუწერია კონსტანტინე მეფის მიერ დომენტი კათოლიკოსისათვის საკანონოდ მიცემული მამულის შეწირულობის წიგნი (ცსსა, ფ. 1449, № 1501).

2. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი XVII ს. II ნახევარში. მოხსენიებულია 1692 წ. 3 მარტის ერთ საბუთში (ცსსა 1449, № 1838).

3. გარეჯის ნათლისმცემლის ეკლესიის მონაზონი. იხსენიება 1695-1700 წწ. საბუთში (ცსსა 1449, № 1835).

4. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. I ნახევარში. 1726-1744 წლებში შედგენილი პირობის წიგნი მამია გურიელისა ბესარიონისადმი (ცსსა 1448, საბ. №1289) გვამცნობს, რომ ბესარიონი გურიაში ჩასულა, ტყვეების გაყიდვის წინააღმდეგ უქადაგა და გურიის მთავრისათვის პირობის წიგნი ჩამოურთმევია, რომ მის სამთავროში ტყვეების გაყიდვას ადგილი აღარ ექნებოდა (ქართ. სამ. ძეგლ. VI, გვ. 695).

5. ერკეთის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში. მოხსენიებულია აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოს მაქსიმეს 1777 წლის მცნებანში, რომელიც მას მიუწერია უდაბნოს მამის იოანესა და ერკეთის წინამძღვრის ბესარიონისადმი (ცსსა ფ. 1448, საბ. № 1476-ქართ. სამ. ძეგლები, III, 914-916).

6. ხობის მონასტრის არქიმანდრიტი XIX ს. I ნახევარში, მოხსენიებულია მარტვილის მონასტრის ერთ ხელნაწერში (ფსალმ. განმარტება, Q 38), რომელიც 1834 წ. გადაუწერიათ. ხელნაწერს აქვს 1842 წ. მხედრულით მინაწერი: „ეს დავითნის თარგმანი განსვენებულის გიორგის ეპისკოპოზის იყო და მე არხიმანდრიტმან ბესარიონმან დავსდევი მარტვილის მონასტერში, სულისა მისისა საოხად და მოსახსენებლად... ხობის მოანასტრის არხიმანდრიტი და დროებით მენლრელიის საეპარხიოს მმართველი ბესარიონ" (ფ. 217; ქრონიკ. III, 535-536).

7. მღვდელმონაზონი, იოანე ცაგარელი მიტროპოლიტის ჯვარისმტვირთველი. იგი არის მოწმე იოანე მიტროპოლიტის მიერ 1814 წ. გაცემული საბუთისა (Qd 9879; ქართ. სამ. ძეგლ. III, 1122).

8. გარეჯის მონასტრის ბერი, რომელიც 1851 წ. უწამებიათ ლეკებს, როგორც ეს აღნიშნულია ერთი ხელნაწერის მინაწერში (H 40, გვ. 277, იხ. აგრ. პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-ისა", გვ. 133).

ბესარიონ კათოლიკოსი (ორბელიშვილ-ბარათაშვილი, † 1737) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1723 და 1725-37 წლებში, ცნობილი საეკლესიო მწერალი. 1680-1723 წლებში იყო გარეჯის იოანე ნათლისმცემელის მონასტრის მონაზონი. თბილისში ოსმალების შემოსელის შედეგად, როცა დომენტი კათოლიკოსი ლორის ციხეში გაიხიზნა, 1723 წ. ქართლის განმგებელმა იესემ ბესარიონი კათოლიკოსად დასვა. ოსმალებმა მალე დააბრუნეს დომენტი, მაგრამ 1725 წ. ის ოსმალეთში გაემგზავრა და კათოლიკოსად ისევ ბესარიონი დადგა. ბესარიონი აქტიურად ეძებდა ოსმალთა უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების გზას, სთხოვდა ასტრახანში მყოფ ვახტანგ VI-ს ჩამოსულიყო და სათავეში ჩასდგომოდა ქვეყანას. ბესარიონი გარეჯის ლიტერატურული კერის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო. მის კალამს ეკუთვნის ლუარსაბ მეფის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების, რაჟდენ პირველმოწამის, არჩილ მეფის „წამებანი" და ისე წილკნელის „ცხოვრება". ბესარიონს წელილი მიუძღვის ქართული ლიტურგიკული და პოლემიკური მწერლობის განვითარებაშიც. სლავიურ-რუსულ პროლოგ-სვინაქსარების მიხედვით მან შეადგინა „სალესასწაულოს" ახალი რედაქცია. საქართველოში მართლმადიდებლური რწმენის დასაცავად, კათოლიკობისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმ-

დეგ დაწერა პოლემიკურ-დოგმატიკური თხზულება „გრდემლი“ (დაწერ. იხ. მ. ქაჯაია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959.).

ბესლახუბა – სოფელი ოზაჩირის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალაძგის მარჯვ. მხარეს, ოზამჩირიდან 7 კმ. აქ დგას შუა საუკუნეების ქართული ეკლესია, რომელიც განუახლებიათ XIX ს-ში. ეკლესიას აქვს ლაპიდარული წარწერები.

ბესლეთი – სოფელი სოხუმის რაიონში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე, სოხუმის გეგრდით. აქ დგას განეთიარებული შუა საუკუნეების ეკლესია. მდინარეზე გადებულია XI-XII სს. ერთმალიანი თაღოვანი ხიდი (35 მ.), რომლის თაღის ყოველ საპირე ქვაზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ასოები.

ბეჭა ოპიზარი – XII ს. II ნახევარსა და XIII ს. დასაწყისის ქართველი ოქრომჭედებელი. წარმოშობით, ან მოღვაწეობით ოპიზასთან (ქლარჯეთი) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამ სახელგანთქმული ხელოვანის მხოლოდ ორმა ნაშუშეკრამა მოაღწია ჩვენამდე: ანჩის ხატის ჩარჩომ და წყაროსთავის სახარების მოღეღილმა ყდამ. სახელგანთქმული ანჩის ხატის მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოს მოჭედილობა თამარ მეფის ბრძანებით და ანჩის ეპისკოპოსის, პიმნოგრაფ იოანე ანჩელის შეკვეთით შესრულებულა, რაც ნათქვამია ხატის წარწერაში. ამავე წარწერაშია დადასტურებული ბეჭას ავტორობაც: „მოიჭედა კელითა ბეჭასითა, ქრისტე შეიწყალე“. ხატის ჩარჩო (145 სმ. X 71 სმ.) შემკულია „ეკლერების“ კომპოზიციით. მარჯვნივ და მარცხნივ შეეული არშიების შუაში მოთავსებულია მაღალი რელიეფით შესრულებული ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მთლიანი ფიგურები, ორი ზემოთა კუთხე მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ფიგურებს უჭირავთ, ხოლო მათ შორის ცენტრში ე.წ. „საყდრის“ ალეგორიული გამოსახულებაა – სამეფო ტახტი ზედ აღმართული ჯვრით. ქვემო არშიის შესაბამის ადგილებზე პეტრე და პავლე მოციქულებისა (კუთხეებში) და იოანე მახარებელის გამოსახულებები. წყაროსთავის სახარების ყდის ერთ მხარეს, ვერცხლის მოჭედილობაზე (20 სმ. X 17 სმ.) „ეკლერების“ კომპოზიცია გამოსახული, მეორეზე – „ჯვარცმისა“. წარწერებიდან ირკვევა, რომ სახარების დამკვეთია იოანე მტბევარი, ხოლო ოქრომჭედლობის შემსრულებელი – „ოქრომჭედელი ბეჭა ოპიზარი“. ხელნაწერის ერთი მინაწერის, თანახმად სახარება გადაიწერა 1195 წელს, ყდის მოჭედილობაც ამ წელს, ან მომდევნო წელს უნდა შესრულებულიყო.

ბეჭა ოპიზარს შესრულებული აქვს აგრეთვე ანჩის სახარების ყდის მოჭედილობაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწეია. 1895 წ., როდესაც ეს სახარება ექ. თაყაიშვილმა პირველად ნახა წალკის რაიონის სოფელ წინწყაროში, მას მხოლოდ ხის ყდა ჰქონდა. ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში კი ნათქვამია, რომ სოფრომ მწიგნობარმა წიგნის ყდა მოაჭედვინა „.... ღმრთისა მიერ კურთხეულსა ღირსსა ოქრომჭედებელსა ბეჭას“. ამ ანდერძში მოხსენიებული პირების მიხედვით ბეჭას ეს ნაწარმოები 1193-1270 წწ. შუა უნდა შეესრულებინა.

ბეშქენ დიაკონი – იხსენიება, როგორც მოწმე 1344 წ. შიომღვიმის ერთ საბუთში, რომელიც მონასტრის „მთაყარ-შამა მემღუმემან იოანე“ და მონასტრის კრებულმა გასცა: „ამისი მოწამენი არიან... გორისის ძე დიაკონი ბეშქენ“ (ქრონიკ. II, 181).

ბეშთაშენი (ისტორიული ბეშქენაშენი) – სოფელი წალკის რაიონში, აგრი-ჩაის ნაპირას, წალკიდან 5 კმ. სოფელში დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, დაახლ. X-XIII სს. ეკლესიას სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს ეგეტერი, რომლის სამხრეთის კედელზე არის ასომთაერული წარწერა: „სახელითა ღმრთისაჲთა ესე ეკლესიაჲ ჩუენ გურგენისძეთ ავაგეთ ერისთავისა ეახტანგის ბრძანებით“. წარწერა გურგენ მღუდელს გაუკეთებია, როგორც ამას წარწერის ბოლო ნაწილი გვამცნობს: „გურგენ მღდელმან დაეწერე ცოდვილმან, უცბად ეჩხრეკე...“ ეახტანგ ერისთავი სხვა წყაროებით ცნობილი არ არის, ამიტომ წარწერის დათარიღება არ ხერხდება.

სოფლის მახლობლად არის VII ს. ეკლესია. სოფლიდან 2 კმ.-ზე ციკლოპური ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის გორასამარხები (იხ. წ. III-II ათასწ.).

ბეშქენ ოპიზარი – XII ს. ქართველი ოქრომჭედებელი, ბეჭა ოპიზარის უფროსი თანამედროვე. სახელწოდება გვიჩვენებს მის კავშირს ოპიზასთან. ბიოგრაფიული ცნობები ბეშქენ ოპიზარის შესახებ არ მოიპოვება. ჩვენამდე მოაღწია მისმა ერთადერთმა ნამუშევარმა – ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობამ (ხელნაწერთა ინსტიტუტში – Q 906). ყდის წარწერაში ნათქვამია: მოიჭედა კელითა

ბეშქენ ოპიზარისაგან." ყდის ერთ მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა", ხოლო მეორე მხარეს – „ყვერება". კუთხეები მოჩუქურთმებულია არშიებით, რომელთა ინტერვალები „ჯვარცმის" მხარეს ძვირფასი ქვებისათვის იყო განკუთვნილი, „ყვერების" მხარეს კი შეესებულია წარწერებით. საუცხოოდ არის შესრულებული ტახტზე მჯდომი ქრისტეს მძლავრი ფიგურა, ქრისტეს სამოსლის ნაოჭები, ტახტის ჩუქურთმები.

ბეჩო – ისტორიული თემი ზემო სვანეთში, რომელიც აერთიანებდა 11 სოფელს. ბეჩოდან რამდენიმე ჭედური ძეგლია ცნობილი: 1. XI ს. წმ. გიორგის ჭედური ხატი, რომელზედაც წმინდანი გამოსახულია მთელი ტანით, სართავი ჯაჭვის პერანგით, შუბითა და ფარით. 2. XII ს. საკურთხევლის წინამდებარე ჭედური ჯვარი (70,3 X 53), რომელიც ინახება სოფელ დოლში, კომკში. ჯვრის ცენტრალურ ღეროზე ზემო ნაწილში გამოსახულია მოკვეთილი მთავარანგელოზი, ხოლო ქვემო ნაწილში – წმ. გიორგი მთელი ტანით, მაცხოვარი და ღვთისმშობელი წელზემოთ. ჰორიზონტალურ ღეროზე მხედარი წმ. გიორგის გამოსახულება, წმ. პეტრეს მოციქულობანი და ა. შ. ფონი მთლიანად მცენარეული ორნამენტითაა დაფარული. 3. XII ს. საკურთხევლის წინამდებარე ჭედური ჯვარი (102 X 46,5). ფონი მთლიანად გრავირებული მცენარეული ორნამენტით არის დაფარული. ჯვრის ცენტრალურ ღეროზე მოთავსებულია სამი წმ. მხედრის ქვეთი გამოსახულება: წმ. თეოდორე, წმ. დიმიტრი და წმ. გიორგი. ჯვარი ძალზე დაზიანებულია.

4. საკურთხევლის წინამდებარე ჯვარი (84 X 49). 5. ღვთისმშობლის მოხატულობით ხატი სოფელ დოლიდან. 6. ტახტზე მჯდომი მაცხოვრის ხატი (30 X 23) სოფელ დოლიდან.

ბზიანი – VII-VIII სს. წმ. გიორგის ეკლესია ორნავიანი, რომელიც დგას მცხეთის რაიონში, სოფელ ახალსოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი მოხატულებულია ქვის კაკლებით. შემორჩენილია ზღუდის ნაშთიც.

ბზიფი (ფოთისი ახგაბორთა) – სოფელი გაგრის რაიონში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირას, გაგრიდან 16 კმ. სოფელში არის გალავნით შემოზღუდული IX-X სს. ტაძარი და სასახლე. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია, აღმოსავლეთ მხარეს გამოწეული წახნაგოვანი აბსიდები აქვს, ფასადებს დეკორი ამკობს. გალავანს დატანებული აქვს კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე.

ბზობა – ბაიათა, ქრისტიანული ეკლესიის ერთი „ხორმეტ" საუფლო დღესასწაულთაგანი, რომელიც მოდის აღდგომის წინა კვირა დღეს. დაწესებულია (დაახლ. IV ს.) ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე მიმავალ ქრისტეს, მის ჯვარცმამდე ხუთი დღით ადრე, იუდეველი ხალხი ზეიმით შეხვდა და ფეხქვეშ პალმის რტოებს – ბაიას უფენდა (იოანე XII,14). აქედანაა დღესასწაულის სახელი „ბაიობა". სადღესასწაულო ცისკარზე იკურთხება ბაიის რტოები და ურიგდება მლოცველებს. მრავალ ქრისტიანულ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში, სადაც ფინიკური პალმა არ ხარობს, ბაიის რტოების ნაცვლად ბზის რტოებს ვიყენებთ; დღესასწაულსაც „ბზობა" („ბზობის კვირა") ეწოდა, რაც „ბაიაობის" შესატყვისია (რუსეთში ამის ნაცვლად ტირიფის რტოებს აკურთხევენ, და, შესაბამისად, დღესასწაულს „ტირიფის კვირიაკეს" – „вербное воскресение" უწოდებენ).

ბიბლია (ბერძნ. „წიგნები") – იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების საღვთო წიგნთა კრებული, სართო სახელწოდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისა. ქრისტიანობაში ორიენტ. ნაწილი მიიჩნევა უმთავრეს სახელმძღვანელო წყაროდ, იუდაიზმი კი მხოლოდ პირველ მათგანს – ძველი აღთქმის წიგნებს ცნობს.

ძველი აღთქმის 39 წიგნიდან უმრავლესობა დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე, მხოლოდ ზოგიერთი, შედარებით გვიანდელ წიგნში – ეზრასი და დანიელისა – გვხვდება მცირე ჩანართები არამეულ ენაზე.

ბიბლიის რედაქტირება და კანონიზება დაიწყო ბაბილონის ტყვეობის შემდეგ – ძვ. წ. V ს. და დამთავრდა დაახლ. ახ. წ. II- ს-ში.

ებრაული ბიბლია („თანახი") სამ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილს ეწოდება „შჯული" ანუ „კანონი" (ებრაულად – „თორა"), რომლის შედგენას ტრადიცია მოსეს მიაწერს (შედგება ხუთი წიგნისაგან – „დაბადება", „გამოსვლათა", „ლევიტელთა", „რიცხვთა" და „მეორე სჯული"). ბიბლიის მეორე ნაწილია „წინასწარმეტყველნი" (ებრაულად – „ნეიიმ"), რომელიც შეიცავს წიგნებს – ისუ ნავესი, მსაჯულთა, სამოელის პირველი და მეორე წიგნი (ქართულად: მეფეთა პირველი და მეორე), მეფეთა პირველი და მეორე (ქართულად: მეფეთა მესამე და მეოთხე) წიგნები, ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა, დანიელისა და 12 მცირე წინასწარმეტყველისა – ოსესი, იოელისა, ამოსისა, აბდიასი, იონასი, მიქესი, ნაუმისი, ამბაკუმისი, სოფონიასი,

ანგიასი, ზაქარიასი და მალაქიასი. ბიბლიის მესამე ნაწილში, რომელსაც „დაწერილები“ ეწოდება (ებრაულად – „ქთუვიმ“), შედის ფსალმუნნი, სოლომონის იგავები, იობის წიგნი, ქებათა ქება, იერემიას გოდება, ეკლესიასტე და წიგნები ესთერისა, დანიელისა, ეზრასი, ნეემიასი და ნეშტთა (პირველი და მეორე).

მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისით, ძველი აღთქმის ნაწილებისა და ცალკეული წიგნების შექმნის ქრონოლოგია დიდ შუალედებს მოიცავს. ზოგი ფრაგმენტი, მაგ. დებორას საგალობელი მსაჯულთა წიგნში დაწერილია ძვ. წ. XIII ს-ში, ხოლო დანიელის წიგნის დაწერის თარიღია დაახლ. ძვ. წ. 168-165 წლები. ძველი აღთქმის წიგნების თემატიკა და მხატვრული ფორმა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს როგორც საკუთრივ სემიტურ, ისე, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან. ამიტომ მისი ლიტერატურულ-ლინგვისტური კვლევა მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინებით შეიძლება.

უკანასკნელ დრომდე ებრაული ძველი აღთქმა ცნობილი იყო მხოლოდ გვიანდელი, ე. წ. მასორული (ძვ. ებრ. „მასორა“ – გადმოცემა, ტრადიცია) რედაქციის ხელნაწერებით. VII-IX სს-ში ღვთისმეტყველებმა დამუშავეს და სამოღლო რედაქცია გაუკეთეს მთელ ძველ აღთქმას (ტექსტების უნიფიკაცია, სემიტური ტრადიციის მიხედვით მარტო თანხმოვნებით დაწერილი ტექსტისათვის ხმოვანი ნიშნების დასმა). მასორული რედაქციის ძველი აღთქმის ყველაზე ძველი სრული ხელნაწერები IX-X სს-ისაა. მეგდარი ზღვის (ყუმრანის) ხელნაწერთა აღმოჩენამ (1947-1965) ებრაულ ტექსტებთან ერთად გამოაქვეყნა სხვა, მანამდე სრულიად უცნობი, ძველი აღთქმის ზოგი წიგნის მასორულზე უფრო ადრინდელი რედაქცია. ამავე ხელნაწერებში აღმოჩნდა ძველი აღთქმის ზოგი ისეთი ნაწილი, რომლის ებრაული ორიგინალი მანამდე უცნობი იყო.

ძველი აღთქმის თარგმანებიდან უძველესია ბერძნული „სეპტუაგინტის“ ან „სეპტანტის“ სახელწოდებით ცნობილი თარგმანი. იგი შესრულებულია მასორულისაგან საკმაოდ განსხვავებული რედაქციის ტექსტიდან დაახლ. ძვ. წ. II ს., ეგვიპტეში ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთათვის. „სეპტუაგინტა“ ლათინური სახელწოდებაა და ნიშნავს 70-ს (გადმოცემის მიხედვით თარგმანი შეუსრულებია 70 თუ 72 მთარგმნელს). იგი, თავის მხრივ, რამდენჯერმე იყო შესწორებული და რედაქტირებული და საფუძვლად დაედო მრავალ თარგმანს სხვადასხვა ენებზე. ბიბლიის ადრეული თარგმანები, როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმისა, არსებობს სირიულ, ლათინურ, ეთიოპურ, ქართულ, სომხურ და არაბულ ენებზე.

ძველი აღთქმის იმ წიგნებს, რომლებიც კანონიკურად არ ითვლება, არაკანონიკურებს უწოდებენ (სულ 11 წიგნი). სხვადასხვა ენაზე ნათარგმნ წიგნებში არაკანონიკურ წიგნთა რაოდენობა სხვადასხვაგვარადაა მითითებული.

ძველი აღთქმის ლათინური თარგმანი, რომელიც ძველი ებრაული ტექსტიდან შეუსრულებია ღვთისმეტყველ იერონიმეს (386-406 წწ. შემორჩენილია VI ს. ხელნაწერებში), საფუძვლად დაედო კათოლიკურ ბიბლიას, ე. წ. ვულგატას.

ბიბლიის მეორე ნაწილი – ახალი აღთქმა დაწერილია ბერძნულ ენაზე, თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ მისი ზოგიერთი ნაწილი არამეულ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი. ახალი აღთქმის წიგნები გადმოგვეცემენ იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მოძღვრებას. კრებული 27 წიგნს შეიცავს: ოთხთავი, ანუ ოთხი სახარება – მათეში, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი; საქმე მოციქულთა; კათოლიკე ეპისტოლენი, რიცხვით 7; ეპისტოლენი წმ. მოციქულისა პავლესნი, რიცხვით 14 და „გამოცხადება“ იოანესი ანუ „აპოკალიფსი“ (დაწერ. იხ. „ახალი აღთქმა“ და თითოეული წიგნი).

ბიბლია მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. განუსაზღვრელია მისი გავლენა ქრისტიანული სამყაროს კულტურის ისტორიაზე. ბიბლიური ციტატები ხატოვან გამოთქმადაა ქცეული მრავალ ენაში. ბიბლიური სიუჟეტები არაერთი შესანიშნავი ქმნილების წყარო გახდა ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში. ბიბლიის უცენ შესანწავლად გამოცემულია ბიბლიაში არსებული ყველა სიტყვისა და საკუთარ სახელთა ანბანური საძიებლები, ე. წ. სიმფონიები.

ბიბლია ქართულად საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებასთანავე უნდა თარგმნილიყო. ბიბლიის ფრაგმენტები გვხვდება V-VII სს ჯვრის ტექსტებში. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერია ოშკის ბიბლია (978 წ., Ath. 1). XI ს. ქართული ბიბლია სრულად პირველად 1743 წ. დაიბეჭდა მოსკოვში, ბაქარ ბატონიშვილის ინიციატივით. ეს გამოცემა განმეორდა 1884 წელს, თბილისში დაბეჭდილ ბიბლიის ორტომეულში. ბიბლიის ქართული თარგმანის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურულ ურთიერ-

თარგმანთა შესასწავლად. ბიბლიის ქართული თარგმანის ცალკეული წიგნები გამოცემულია ა. შანიძის, ი. აბულაძის, რ. ბლეიკის, ჟ. გარიტის და სხვ. მიერ. 1981 წ. დაიწყო და 1986 წ. დამთავრდა ძველი ალთქმის სრული ტექსტის (აკლია მხოლოდ მაკაბელთა წიგნები) გამოცემა ერთი (მცხეთური, A 51) ხელნაწერის მიხედვით ხუთ წიგნად (ულ. დოჩანაშვილი). კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ (ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით) მოშზადებულია ძველი ალთქმის წიგნების კრიტიკული ტექსტი ყველა ქართული ხელნაწერის გამოყენებით. მათი ცალკეული წიგნების გამოცემა დაიწყო 1989 წლიდან. გამოიცა: მოსეს ხუთწიგნეული, 1989 წ., ორ წიგნად; იერემიას წინასწარმეტყველების წიგნი, 1992 წ.; ეზეკიელის წინასწარმეტყველების წიგნი, 1995 წ., და სხვ.

ბიბლიოთეკა (ბერძნ. „წიგნთსაცავი") — კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულება, ბეჭდვითი ნაწარმოებებით საზოგადოებრივი სარგებლობის ორგანიზატორი.

საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია უშუალოდ მონასტრების საქმიანობას უკავშირდება. ეკლესია-მონასტრები დაარსებისთანავე წიგნსაცავის შექმნაზე ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა, რომელიც ძირითადად შემოწირული ხელნაწერი წიგნების ბაზაზე იქმნებოდა. X ს-ში უკვე მოწესრიგებული ჩანს წიგნების დაცვის, სარგებლობისა და აღნუსხვა-აღწერის საქმე. წიგნით სარგებლობა მხოლოდ საცავში შეიძლებოდა. დიდ კულტურულ-საშვილნიშრო ცენტრებს, რომლებიც გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით VIII-IX სს. ტაო-კლარჯეთში შეიქმნა, თავისი ბიბლიოთეკები (წიგნსაცავები) ჰქონდა. მოიპოვება ცნობები ხანცთის, ოპიზის, შატბერდის, იშხნის, ოშკის, პარხლის, ხახულის, ტბეთის, ანრისა და სხვა მონასტრების წიგნსაცავთა შესახებ. მხოლოდ დიდი წიგნსაცავის ბაზაზე იყო შესაძლებელი ის დიდი სასწაულო-სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც გელათისა და იყალთოს აკადემიებში მიმდინარეობდა. XI სს. I ნახ. შედგენილი მელქისედეკ ქართლის კათოლიკოსის ანდერძი გვაცნობს, რომ მას 25 წიგნი შეუწირავს სვეტიცხოველის საპატრიარქოს ბიბლიოთეკისათვის. XVII ს. გარეჯის სამიე მონასტრის წიგნსაცავები აღმოსავლეთ საქართველოს უდიდეს ბიბლიოთეკად გაერთიანებულა. შიომღვიმის მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა XIX ს. დამლევამდე, რომელიც შემდეგ არქიმანდრიტ კესარიოსს თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადმოუტანია. დიდი წიგნსაცავები არსებობდა უცხოეთის ქართულ სამონასტრო კერებში: სინის მთის, ათონის ივერთა, იერუსალიმის ჯვარის, საბაწმიდის, პეტრიწონის, შაჟი მთის ქართულ მონასტრებში.

ძველ წყაროებში მოიპოვება ცნობები, რომ საქართველოში სამონასტრო წიგნსაცავების გჩერდით არსებობდა წიგნების პირადი კოლექციები და ბიბლიოთეკები. „შუშანიკის წამებაში" (V ს.) ნათქვამია, რომ დედოფალს საკუთარი წიგნები ჰქონდა. ასევე, წიგნების დიდი რაოდენობა ჰქონია დავით აღმაშენებელს. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა ერეკლე II-ს. დიდი და მოწესრიგებული ბიბლიოთეკა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილსაც. მდიდარი საგვარეულო ბიბლიოთეკები ჰქონდათ სხვადასხვა დროის დადიანებს, გურიელებს, აბაშიძეებს, წერეთლებს, ჭავჭავაძეებს, ყიფიანებს, ეარნაძეებს. აღსანიშნავია, რომ თელავის სემინარიის რექტორ დავით ალექსი-მესხიშვილის საშინაო ბიბლიოთეკით მაშინდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილი სარგებლობდა. საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ქართული სტამბის დაარსებამ თბილისში. ნიკო დადიანმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას" უსასყიდლოდ გადასცა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა (ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები) და სხვ. 1842 წ. დ. ყიფიანის თაოსნობით თბილისში ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო ამხანაგობა, რომლის მთავარი ამოცანა იყო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება. 1871 წ. თბილისის „კერძო ბიბლიოთეკამ", როგორც მას უწოდებდნენ, დაიწყო მუშაობა დ. ყიფიანის ბინაზე. მარი ბროსემ მას დიდი რაოდენობის წიგნები შესწირა. იარსება 1848 წლამდე. 1846 წ. გაიხსნა „მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული ბიბლიოთეკა" (მის ბაზაზე შეიქმნა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა; ამჟამად — ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა). შემდგომში საბიბლიოთეკო საქმიანობა თანდათანობით ვითარდებოდა, ვიდრე არ მაღწია დღევანდელ დონეს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის წიგნსაცავები, რომლებშიც დღეს დაცულია ძველი ქართული ხელნაწერების დიდი კოლექციები. თაეიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში არსებულ მუზეუმებში დაცულია ქართული ხელნაწერების მეტ-ნაკლები რაოდენობა. ძვე-

ლი ქართული ხელნაწერების უდიდესი რაოდენობა დაცულია თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (10 000-ზე მეტი), თბილისის ცენტრალურ არქივში, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ათონის მთის ივერთა ქართულ მონასტერში, სინის მთის და იერუსალიმის ქართულ მონასტრებში. მცირე რაოდენობით არსებობს ქართული ხელნაწერები ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა წიგნსაცავებში, მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში, თბილისის ლიტერატურულ მუზეუმში და საჯარო ბიბლიოთეკაში, მატენადარანში (სომხეთი) და ა. შ.

ბიბლიური არქეოლოგია – მეცნიერება ბიბლიურ სიძველეთა შესახებ, რომლის კვლევის საგანია ბიბლიაში მოხსენიებული ხალხების, უმთავრესად ებრაელი ხალხის, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის გამოკვლინება, როგორიცაა ძველებრაული რელიგიის, მონოთეიზმისა და მისი გარემომცველი წარმართული სარწმუნოების ურთიერთმიმართება, ოჯახურ ფორმებზე რელიგიის გავლენა, მართლმსაჯულების ფორმები, ურთიერთობანი ებრაელებისა მეზობელ ხალხებთან, მატერიალური კულტურის ფორმები, ლიტერატურული მემკვიდრეობა და სხვ.

ბიბლიური პატრიარქები (ბერძნ. „მამათმთავარი", „წინაპარი") – საღვთო წერილში (საქმე მოც. VII, 8,9; ებრ. VII, 4) ასე იწოდებიან ებრაელი ხალხის ღვთისმოშიშები მამამთავრები (გვარის ფუძემდებელნი), რომლებიც ცხოვრობდნენ მოსეს მიერ სინის მთაზე ღვთისაგან სჯულის (კანონის) მიღებამდე. ისინი იყვნენ ჭეშმარიტი სარწმუნეთის მატარებლნი და მასთან დაკავშირებული აღთქმისა მესიის (მხსნელის) შესახებ. პირველი ათი პატრიარქი (ადამი, სეთი, ენოსი, კაინანი, მალელეილი, იარედი, ენოქი, მათუსალა, ლამექი და ნოე), რომლებიც ცხოვრობდნენ წარღვნამდე, იწოდებიან წარღვნამდელ პატრიარქებად. ყველა მაგანს მიეწერება არაჩვეულებრივი ხანგრძლივობა სიცოცხლისა. წარღვნის შემდეგდროინდელ მამამთავრებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აბრაამს, როგორც მორწმუნეთა ახალი მოდგმის ფუძემდებელსა და მამას, შემდეგ – ისააკს, იაკობსა და იოსებს. ამ ორი უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მთავრდება ბიბლიური ისტორიის პატრიარქალური ეპოქა. ბიბლიურ პატრიარქებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ ღმერთთან და მისი სახელით წინამძღვრობდნენ ღვთის ერს ჯერ კიდევ სჯულმდებლობის ჩამოყალიბებამდე. პატრიარქთა ცხოვრებაში წინასწარაა მოსწავებული მომავალი მოვლენები. მაგ.: იესო ქრისტეში აკატობრივი და ღვთაებრივი ბუნების შერწყმა გამოხატულია იაკობის მიერ ხილულ კიბეში, ქრისტეს მიერ განცდილი ვნება – იოსების თაეგადასავალში; ჯვარცმა და აღდგომა – ისაკის მსხვერპლშეწირვაში და ა. შ.

ბიბლიური საზოგადოება – რელიგიურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია რუსეთში, რომელიც დაარსდა 1812 წ. დეკემბერში ალექსანდრე I-ის ბრძანებით, „პეტერბურგის ბიბლიური საზოგადოების" სახელით, ხოლო 1814 წ. გაფართოდა „რუსეთის ბიბლიურ საზოგადოებად". მისი მიზანი იყო ბიბლიის გავრცელება. საზოგადოების სათავეში იდგნენ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები და უმაღლესი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლები. საზოგადოების პრეზიდენტად ამირრიე თაყაი ა. ნ. გოლიცინი. რუსეთის სხვადასხვა კუთხეში „საზოგადოების" 289 განყოფილება ჩამოყალიბდა. 1824 წელს „საზოგადოებამ" ფაქტიურად შეწყვიტა მოქმედება, ხოლო ფორმალურად დაიხურა 1826 წელს.

ბიეთი – XIV ს. II ნახევრის ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია ახალციხის რაიონში, სოფელ გურკელის მიდამოებში. ტაძრის გუმბათი, კამარები და კედლის დიდი ნაწილი დღეს ჩამონგრეულია. გადარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი, რომლის სარკმლის ზემოთ გამოსახულია მაღალ მოჩუქურთმებული ჯვარი. გუმბათი დასავლეთის ორ ბურჯსა და აბსიდის კედლებს ეყრდნობოდა. თლილი ქვით მოპირკეთებული ფასადების სარკმლები და შესასვლელი მოჩუქურთმებული ყოფილა, ხოლო ინტერიერი – მოხატული. ეკლესიას ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სამლოცველო, რომელიც, წარწერის თანახმად, 1493 წ. აუგია ზაალ თოხასძეს.

ბიეთი – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდ. შეკუღის მარჯვენა ნაპირზე. ცხინვალიდან 30 კმ. სოფლიდან I კმ.-ზე დგას IX ს. სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის საკულტო, სამეურნეო და საცხოვრებლის დანიშნულების ნაგებობანი. მათი დიდი ნაწილი ნანგრევებადაა ქცეული. ერთნავიან სანახევროდ გაბრქობულ დარბაზულ ეკლესიას, რომელიც ძველად სამების ყოფილა, უფრო გვიან კი – წმ. თევდორესი, ჩრდილოეთიდან ეკვრის კლდეში ორ იარუსად ნაკეთი მღვიმე-სადგომები. საშენ მასალად

გამოყენებულია რიყის ქვა, შირიმი, ნატეხი ქვა და აგური. ფასადები ძირითადად შირიმის თლილი ქვითაა ნაგები. ინტერიერში დაცულია კანკელის ფრაგმენტები. თაღები მორთული ყოფილა ორნამენტიანი სათაურებით. ეკლესიის აღმ. ფასადში ჩასმულ ქვაში მოთავსებულია X ს. სამშენებლო წარწერა: „ქრისტე მეუფეო ყოველთაო, აღიდე ერისთაეთ-ერისთავი იოანე, ძე ბაკურ ყანჩელისაჲ, უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა, დაიცევ წმიდაჲ მრევლი სამებისაჲ ყოველი“ (ლაპ. წარწ. I, გვ. 193). X ს. ლაპიდარული წარწერები აქეს აგრეთვე ქვის ფრაგმენტებს, რომლებიც მოსახსენებლებს წარმოადგენს („წმიდა სამებაო, ეაჩე და ბეშქენ დაიცევნ“ (იქვე, 194). ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, კარის თაღის მარცხნივ ამოღარულია X ს. ხელოსნის სახელი „გაბელაჲ“ (იქვე, 195).

ბიზანტია — სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, შეიქმნა IV ს. რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ და იარსება 1453 წ.-მდე. ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი დაარსა კონსტანტინე დიდმა 324-330 წწ-ში პატარა ქალაქ ბიზანტიონის ადგილას, აქედან მოდის სახელმწიფოს სახელწოდებაც, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ დაამკვიდრეს რენესანსის მოღვაწეებმა, თავდაპირველად მას რომანია ეწოდებოდა ქართველები კი საბერძნეთს უწოდებდნენ.

ბიზანტიას, ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად კერას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და ქრისტიანული მწერლობის განვითარების საქმეში. ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ლიტერატურული წყაროები ბიზანტიას უკავშირებენ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „და იყო რაჟამს მოიქცა ყოველი ქართლი, ზრახვა-ყვეს მღდელთა მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს საბერძნეთით, აღმართებად ნიში ჯუარისაჲ (ძეგლები, I, 153,3). წმ. ნინოს მიერ ახლადმოქცეული ქართველების ნათლისცემა, პირველი ეკლესიის სატფურება და ქართლის სხვადასხვა კუთხეში პირველი ეკლესიების აღშენება ბიზანტიიდან იმპერატორის მიერ მოვლინებულ სამღვდელო პირებს მიეწერებათ: „მოიწია იოანე ეპისკოპოსი და მის თანა მღდელნი და დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად... აკურთხეს მღინარე მტკუარი და ეპისკოპოსმან შეშზადა ადგილი ერთი... და მუნ ნათლეს-ცემდა წარჩინებულთა თჳთოსა. და ეწოდა ადგილსა მას მთაჳართა სანათლო. ხოლო ქუეშით მისსა მდინარისაჲ პირსა ორგან ორნი იგი მღდელნი და დიაკონნი ნათლს-სცემდეს ერსა“ (ლეონტი მროველი, ნინოს ცხოვრება, ქართლ. ცხ. I,116). ხოლო შემდეგ იოანე ეპისკოპოსმა მირიან მეუის თხოვნით საბერძნეთიდან ჩამოიტანა კონსტანტინე მეფისა და ელენე დედოფლის მიერ გამოგზავნილი „ნაწილი ძელისა ცხორებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერქნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი, და სამსჭუალნი კელთანი“ და ჩამოიყვანა „მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი“ (იქვე, 117). იოანემ ჩამოსვლისთანავე იწყო ეკლესიის შენება ერუშეთში, სადაც დაასვენა „სამსჭუალნი უფლისანი“, წუნდაში და მანგლისში, სადაც დიდო „ფიცარნი იგი უფლისანი“ (იქვე, 118).

ბიზანტიური საეკლესიო მწერლობა იყო ის ძირითადი წყარო, რომელიც ასაზრდოებდა ქართულ სასულიერო კულტურას მრავალი საუკუნეების მანძილზე, ქრისტიანობის აღმოცენების პირველივე დღეებიდან ბიზანტიური სახელმწიფოს ოსმანთა მიერ დაპყრობამდე. ბიზანტიური მწერლობისა და, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს უღიღესი მოღვაწეების: ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებელის, იოანე დამასკელისა და უამრავ სხვა ავტორთა თხზულებების ქართული თარგმანები ქართული ეკლესიისა და კულტურის უმეირფასეს საგანძურს შეადგენს.

ბიისი — სოფელი გორის რაიონში, მდ. ტანის მარჯვენა ნაპირზე, გორიდან 24 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნების ეკლესიის ნანგრევები. როგორც ჩანს, ეკლესია მოხატული ყოფილა.

ბიკტორ მოწამე — ეწამა დეოკლეტიანე იმპერატორის (281-305) დროს, დაახლ. 303 წ. ნიკომიდიაში, ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებისთვის.

ბიკტორის (სტეფანიასთან ერთად) „წამების“ კიმენური ჰაგიოგრაფიული თხზულება ქართულად ორი თარგმანით არის შემონახული. პირველი კიმენური რედაქცია, რომელიც სეთის (VIII ს. II ნახ. ან. IX ს. I ნახ.) უთარგმნია, მოღწეულია Sin. 11 (ფ. 245-254, X ს.) და Sin. 62 (X ს.) ხელნაწერებით., გამოცემულია ივ. ჯავახიშვილის მიერ (სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 166-171). მეორე, კიმენური რედაქცია — H 341 ხელნაწერითაა შემორჩენილი (XI ს. გვ. 343-356), მისი მთარგმნელი უცნობია. ბიკტორის ხსენების დღე ორიეე თარგმანში

განსხვავებულია. I თარგმანით 10 ნოემბერი, II – 17 ნოემბერი, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სეინაქსარში“ ბიკტორის ხსენება 18 აპრილს არის შეტანილი.

ბიკტორი – XVIII ს. II ნახევრის შუამთის მონასტრის მოღვაწე. 1787 წ-ისა (Hd 8951) და 1795 წ. (ქრონიკ. III,24) საბუთებში მოხსენიებულია ბიკტორ სარჭაშნელი მოძღვართმოძღვრის ტიტულით.

ბინაძორი – XII-XIII სს-ის ეკლესია მცირეულის რაიონის სოფელ შუშანის მიდამოებში. აქ, როგორც ჩანს, მონასტერი ყოფილა, რადგან ეკლესიის გარდა შუა საუკუნეთა სხვა ნაგებობათა ნაშთებიც არის შემორჩენილი.

ბინქარანი – მოგვთა ეპისკოპოსი მცხეთაში VI ს. II ნახევარში. იგი ირანის ხელისუფალთა მიერ იყო გამგზავნილი ქართლში ადგილობრივ მოსახლეობაში ცეცხლთაყვანისმცემლობის გასავრცელებლად (ქართლ. ცხ. I, 145). ირანელთა წინააღმდეგ ქართლში V ს. 80-იან წლებში მოშხდარი აჯანყების დროს ვახტანგ გორგასალმა ბინქარანი დაატყვევა და საყრობილეში ჩააგდო, ხოლო „მსრანა და განაძა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“ (იქვე, 178 ფ.). მართალია, ბანქარანი დასჯას გადაურჩა, რადგანაც საყრობილიდან გაიპარა, მაგრამ ხელმეორედ ცდისას, სპარსეთს ჯარის თანხლებით ისე შემოსულიყო ქართლში და ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები დამკვიდრებინა, ქართლის საზღვართან მოსული უეცრად გარდაიცვალა (იქვე, გე. 170).

ბისონი – სამღვდელმთავრო ზედა ტანსაცმელი, წამოსასხამი, რომელიც ცელის ფილონს და აქვს იგივე სასულიერო მნიშვნელობა. ბისონს ძველი ისტორია აქვს. ძველ ებრაელთა შორის და ეგვიპტეში ეცვათ მდიდრებს, ხმარობდნენ მუშაების შესახვევად. არსებობს მოსაზრება, რომ ძველად რომის იმპერიაში სამეფო ტანსაცმელი იყო, ხოლო ქრისტიანმა იმპერატორებმა უბოძეს კონსტანტინეპოლის პატრიარქებს და ბისონი გახდა მათი განმასხვავებელი ნიშანი სხვა პრეინციის მღვდელმთავრებისაგან. ბისონი ისეთი პატივისცემით სარგებლობდა, რომ პატრიარქები მას მხოლოდ სამჯერ იცვამდნენ წელიწადში: აღდგომის, ქრისტეს შობისა და სულიწმიდის მოფენის დღეებში. მეორე თვალსაზრისით, ბისონი აღნიშნავს ფლასს, ძაძას, უხეშ ტანსაცმელს (Saccus – ძაძა, ტომარა). ძველი ქრისტიანებისათვის ეს სამოსი მორჩილებისა და სინანულის სიმბოლოს წარმოადგენდა. მას იცვამდნენ ქრისტიანი მეფეები მეფეთა მეფის, ქრისტეს წინაშე თავიანთი მორჩილების გამოსახატავად. ამ თვალსაზრისით ითელებოდა ბისონი წმინდა სამოსთა რიცხვში. ბისონის შესახებ ბალზამონის დრომდე (XII ს.) ცოტა რამ არის ცნობილი. ბალზამონის მოწმობით ბისონი მხოლოდ პატრიარქის სამოსია. სიმეონ თესალონიკელის (XIV ს.) მოწმობით, ბისონი უმაღლესი იერარქიის სამღვდელო პირთა განმასხვავებელი სამოსია არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსებისაგან. რუსეთში ბისონი შემოვიდა XV ს-ში, როდესაც კიევის მიტროპოლიტმა ფოტიმ (1409-31) ჩამოიტანა იგი საბერძნეთიდან. 1705 წლიდან ბისონი ხდება ყველა ეპისკოპოსის სამოსი. გვიანი ხანის ბიზანტიაში სამღვდელმთავრო ბისონს მისი უფორმობის გამო „საკოსსაც“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემოინახა რუსულმა ეკლესიამ. ბისონი საქართველოშიც სამეფო სამოსის შემადგენელი ნაწილი იყო. იგი ადრიდანვე ეცვათ ეკლესიის უმაღლეს საჭეთმპყრობელებს – კათოლიკოს-პატრიარქებს. ეპისკოპოსებს ბისონით შემოსვის უფლება მხოლოდ XVIII ს. ებოძათ. კათოლიკოსი ან ეპისკოპოსი ბისონით იმოსებოდა მხოლოდ ღვთისმსახურების დროს, მაგრამ მხარზე უთუოდ შემოხვეული ან გადაფენილი უნდა ჰქონოდა ომოფორი. ქართული საერო და სასულიერო ბისონების შესახებ ცნობები დაცულია XI-XVIII სს. წერილობით წყაროებში. მისი გამოსახულება შემორჩენილია კედლის მხატვრობაში. ბისონის ქსოვილად ქართულ წყაროებში მოიხსენიება: სპარამანგი, ზეზი, ოქსინო, ოქროქსოვილი, სტაერა, დიბა და სხვ. ბისონის შემოსვისას მისი ფერი და შემკულობა დამოკიდებულია წირვა-ლოცვის ხასიათზე: აღდგომას იცვამენ თეთრ ბრწყინვალე ბისონს, ენების შვიდეულში – შაეს და ა. შ.

სასულიერო აზრით, ბისონი აღნიშნავს სამგლოვიარო ძაძას და მოგვაგონებს იმ მეწამულ სამოსელს ანუ სამეფო მანტიას, რომლითაც დაცინვით შემოსეს მაცხოვარი და ეკლის გვირგვინი დაადგეს ჯვარცმის წინ (იოანე XIX, 2). მღვდელმთავარი, ბისონით შემოსვილიას იხსენებს იესო ქრისტეს დამცირებას და მორჩილებას და თრგუნავს ქედმაღლობას, რომელიც შეიძლება მისმა მაღალმა მდგომარეობამ წარმოშვას. მცირე ზარები (ეგვენი), რომლებიც ბისონს აქვს მიმაგრებული ძველი ალთქმის მღვდელმთავრების მსგავსად, გაუწყებენ ღვთიური სიტყვის ხარებას მღვდელმთავრის პირით.

ბიძინა ჩოლოყაშვილი – წმინდა

მოწამე, საქართველოს ეკლესიის წმინდანი, სპარსელებისაგან აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების მიზნით 1659 წლის კახეთის აჯანყების მეთაური. ბიძინა ჩოლოყაშვილმა, კახეთის სუფრაჯმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან ერთად, დარაზმა ქართლ-კახეთის ჰატრიოტული ძალები და სასტიკად გაუსწორდა სპარსელებს, მაგრამ შაჰის ულტიმატუმის გამო, რომლითაც იგი ან აჯანყების მეთაურთა მისთვის მიცემას მოითხოვდა, ანდა აღმოსავლეთ საქართველოს სრული ამოჟლეტით იმუქრებოდა, თავის თანამებრძოლებთან — შალვასთან და ელიზბართან ერთად ნებაყოფლობით ეახლა შაჰს. ყველა მათგანი სასტიკად აწამეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს. მათი წმინდა ნაწილები ფარულად წამოიღეს სპარსეთიდან და იყორთის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაკრძალეს ერთ სამარხში, რადგან მათი სხეულის ნაწილების გარჩევა შეუძლებელი იყო (მათი მოკვეთილი თავები კი დასჯის უმალვე კათოლიკე ბერებმა მოიპარეს, როგორც რელიკვია).

მათ ხსენებას საქართველოს ეკლესია 18 სექტემბერს აღნიშნავს, თუმცა ერთი ხელნაწერი (A 380) 29 ივლისს ასახელებს. ბესარიონ კათოლიკოსმა (ორბელიშვილმა) მოწამეებს შესანიშნავი თხზულება უძღვნა: „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვა და ელიზბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა“ (S 3269, A 170 გამოც. ძე. ქართ. აგიოგრაფიული ძეგლები, V, გე. 49-63). უფრო ადრინდელი უნდა იყოს ამ მოწამეების შესახებ შექმნილი სვინაქსარული რედაქცია: „წამებაჲ წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა ელისბარ ქსნის ერისთავისაჲ და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა მოწამისა ბიძინა დაჭრილისა კახისაჲ“ (S 3269, H 2077, ლენინგრ. 222 და სხვ. გამოც. ძეგლები, IV, 437-439). ეს სვინაქსარული „წამება“ უფრო გვიან კიდევ შეუმოკლებიათ „თუესა სეკდენბერსა ი8 (18), წმიდისა ბიძინა დაჭრილისა (ცენტრ. არქ. 459, ცენტრ. არქ. 448, ქუთ. 111. გამოც. ძეგლები, IV, 439-440). მოწამე შალვა ქსნის ერისთავის შვილიშვილს იესე ერისთავს ბიძინა, შალვა და ელიზბარისათვის მიუძღვნია ორი საგალობელი (გამოც. მ. ქავთარია, ძვ. ქართ. პოეზიის ისტორიიდან, გე. 255-268). ამ მოწამეებისათვის იამბიკოები მიუძღვნიათ ნიკოლოზ თბილელსა და ანტონ I კათოლიკოსსაც (ანტონ I, წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოც., 1851 წ.).

ბიჭვინთა — უძველესი კულტურის ცენტრი შავი ზღვის სანაპიროზე, დღევანდელი განთქმული კურორტი ბიჭვინთის ჯიხვზზე, გაგრიდან 22 კმ. სახელწოდება მომდინარეობს „ფიჭვიდან“, რომლის განსაკუთრებული ჯიში (რელიქტური) დღესაც ხარობს აქ (ძველი ბერძნები მას „პიტიუნტის“ სახელით იხსენიებენ). ბიჭვინთაში აღმოჩენილია ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის და I ათასწლეულის პირველი საუკუნეების კოლხური დასახლების ნაშთები, ძვ. წ. XV-XIV ს. ბრინჯაოს კოლხური ცულები და უფრო გვიანდელი ელინისტური ხანის სხვა არქეოლოგიური სიძველენი.

IV ს. I მეოთხედში ბიჭვინთა ქრისტიანობის ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო. აქ ამ დროს უკვე საეპისკოპოსო კათედრა არსებულა, რადგან ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკიის I მსოფლიო საეკლესიო კრების (325 წ.) მონაწილე ყოფილა. ბიჭვინთა დიდ საეკლესიო ცენტრად დარჩა შუა საუკუნეებშიც.

აფხაზეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ბიჭვინთა იყო აფხაზეთის კათოლიკოსის რეზიდენცია, ხოლო საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია XVI ს. II ნახევრამდე.

ბიჭვინთის ტერიტორიაზე გამოვლინდა ქრისტიანული საეკლესიო უბანი. აქ არის V ს. სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, რომელსაც შერჩილი ხუთწახნაგოვანი აფსიდი ჰქონია. შუა ფართო ნავი გვერდის ნავებისაგან ხუთი წყვილი ბურჯით იყო გამოყოფილი. დასავლეთის მხრიდან ტაძარს ნართექსი ეკვროდა, რომელიც ნავებს სამი შესასვლელით უკავშირდებოდა. როგორც ჩანს, იგი აუგიათ უფრო ძველი, IV ს. ბაზილიკის ნანგრევებზე, რომელიც რამდენადმე უფრო დიდი ზომისა ყოფილა და უფრო მდიდრულად მორთულიც. ამას მოწმობს არქიტექტურული ფრაგმენტები და მოზაიკით შემკული იატაკი (იხ. ბიჭვინთის მოზაიკა). ძველი ტაძრის დასავლეთით აღმოჩნდა კიდევ ერთი, უფრო მცირე ზომის ტაძრის ნანგრევები, რომელიც VI-VII სს. უნდა აგებოთ.

ბიჭვინთის ცენტრში ნაქალაქარიდან 300 მ-ზე კარგად შემონახული X ს. ბოლოს ან XI ს. დასაწყისის ღვთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი დიდი ტაძარი დგას. ტაძარს აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს, დასავლეთით-ნართექსი. ფართო მრგვალი გუმბათი თაისუფლად მდგარ ორ ბურჯსა და საკურთხეველის აფსიდის კედლის შვერილებს ეყრდნობა. XIX ს. 60-ან წლებში ტაძრის შიდა კედლები შეუღესავთ და შეუ-

თეთრებიათ. შემორჩენილია XVI ს. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ტაძრის ტერიტორიაზე შემონახულია პატარა სამლოცველოები და ეკლესიები. ტყეში, ზღვის პირას, გათხრების შედეგად აღმოჩნდა VI ს. ორაბსიდიანი ტაძრის ნანგრევები. ბიჭვინთის მიდამოებში (ელალე) დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

ბიჭვინთის მოზაიკა – V ს. მოზაიკური მხატვრობა, რომლითაც შემკული იყო ბიჭვინთის IV ს. სამნაოიანი ბაზილიკის იატაკი, რომლის ფრაგმენტები შედარებით უკეთ იყო შემონახული საკურთხეველის აბსიდსა და სტოაში (ამჟამად – საქ. ხელოვნ. მუზეუმში). ბიჭვინთის მოზაიკა შესრულებულია ადგილობრივი ფერადი ქვის (თეთრი, შინდისფერი, ყვითელი და შავი) ოთხუთხა ნატეხებით, სუფთად დაფქული აგურისა და კირის ხსნარზე ფონი აგურისფერია. მოზაიკა ადგილობრივ ოსტატებს შეუსრულებიათ. საკურთხეველის აბსიდის ცენტრში დიდი მონოგრამაა, ე. წ. „ქრიზმა", შეძკული „ალფა" და „ომეგას" ნიშნებით. მოზაიკა დეკორატიული ხასიათისაა. გამოსახულია ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მცენარეებისა და გეომეტრიული ორნამენტების მოზაიკური ფიგურები.

ბლასი სებასტიელი – IV ს. მღვდელმოწამე, სებასტიის ეპისკოპოსი. მოღვაწეობდა დეკლიტიანეს (284-305) და ლიკინიოს (307-324) იმპერატორთა მიერ ქრისტიანთა დევნის დროს. იგი ამხნევებდა და განამტკიცებდა მორწმუნეებს თავის სამწყსოში, განსაკუთრებით მონამეობისათვის გამზადებულ დატყვევებულ ქრისტიანებს. ბლასი სხვა დევნილ ქრისტიანებს მსგავსად იხეტიალებდა შეუნა, გახიზნულიყო არგეოსის მთებში და გამოქვაბულში დაჩეხილებულიყო. ის გახდა მფარველი მხეცებისა, რომლებიც მასთან თავშესაფარს ეძებდნენ საშიშროებისა და ავადმყოფობის ჟამს. ბლასის აღგილსამყოფელი შემთხვევით აღმოაჩინეს აღგილობრივი მმართველის, აგრიკოლას მსახურებმა, რომლებიც მთებში იყვნენ ამოსულნი, რათა დაეჭირათ მხეცები მოწამე ქრისტიანთა დასაგლეჯად. ბლასი აგრიკოლას წინაშე წარადგინეს და მან წარმართულ კერპებს ბორტი სულები უწოდა, რისთვისაც იგი საშინლად აწამეს. ბოლოს წვ. ბლასის თავი მოჰკვეთეს. ეს მოხდა 316 წ. ბლასიმ მრავალი სასწაული ჩაიდინა, რის შედეგადაც ბევრმა წარმართმა ირწმუნა ქრისტე. მისი ხსენების დღეს ეკლესია II თებერვალს დღესასწაულობს. ქართულად თარგმნილია ბლასი სებასტიელის „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ერთი ხელნაწერით არის მოღწეული (Ath. 7, XIII ს., ფ. 20-26).

ბლასტარი (ვლასტარი) მათე – XIV ს. ბიზანტიელი მწერალი, კანონიკური სამართლის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორიტეტი, თესალონიკელი მღვდელმონაზონი. მისი მთავარი ნაშრომი „ალფაბეტური სინტაგმა" დაიწერა 1335 წ. იგი საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა და საერო კანონების კრებულია, რომელშიც სამართლებრივი დებულებები ბერძნული ანბანის რიგზეა დალაგებული. ბლასტარის „ალფაბეტური სინტაგმა" ეხება VI-ის კანონთა კრებულის ერთ-ერთი ძირითადი წყარო და შეტანილია მასში „სამართალი ბერძნული"-ს სახელწოდებით (გამოც. თ. ბრეგაძის მიერ, თბ., 1964 წ.). ბლასტარს სხვა შრომებიც დაუწერია, რომელთაგან აღსანიშნავია იოანე მმარხველის 50 ტიტლოვანი ნომოკანონის შეკვეცა და დალაგება (ე. ი. მეორე რედაქციის შედგენა).

ბლაღოჩინი (Благочинный – კეთილმოწესე) – ადმინისტრაციულ და იურისდიქციულ საქმეებში ზედამხედველობის უფლებებით აღჭურვილი თანამდებობის პირი რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მღვდელი ან მონაზონი, რომელსაც ამა თუ იმ ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების გარკვეული ნაწილის მეთვალყურეობა ევალებოდა. ბლაღოჩინის თანამდებობა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში XVIII ს. I ნახევარში გაჩნდა IV ს. ბიზანტიაში არსებული პერიოდევტების (ქართული ტერმინოლოგიით „მიმომხლეელი" – ლაოდიკიის საკლ. კრების 57-ე კანონი) ანალოგით. ბლაღოჩინი ორგვარი სახისაა: მონასტრებზე ზედამხედველი ბლაღოჩინი და ეპარქიალურ ეკლესიებზე ზედამხედველი, რომელსაც წარმოადგენდა კონსისტორია. მონასტრის ზედამხედველი ბლაღოჩინი შეირჩეოდა მონასტრის წინამძღვრებიდან, რომელსაც ევალებოდა როგორც მამათა, ასევე დედათა მონასტრების ზედამხედველობა. თუმცა დედათა მონასტრის ზედამხედველობა შეიძლებოდა დაევალებინათ დედათა მონასტრის ლუმენიისათვისაც, ან დედათა მონასტრის რომელიმე უფროსი დისათვის. ზოგიერთი გამორჩეული მონასტრის ზედამხედველობა ევალებოდა მხოლოდ იმ წინამძღვარს, რომელიც სინოდის მოსკოვის კანტორის წევრი იყო. ეპარქიალური ეკლესიების ზედამხედველი ბლაღოჩინი ირჩეოდა ადგილობრივი ეკლესიის მღვდლებიდან ან დეკანოზებიდან.

ბლაღოჩინის საშუალებით ეპარქიული ხელმძღვანელობა აწარმოებდა ეკლესიებზე და

საშღვდელოებაზე ზედამხედველობას წესრიგის დასაცავად, განკარგულებით შესრულების კონტროლს, საეკლესიო სამართლის საქმეები და ა. შ. საქართველოს ეკლესიაში ბლაღოჩინის თანამდებობა გაჩნდა საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბების შემდეგ, ე.ი. 1811 წ-დან და არსებობდა 1917 წ-მდე. 1985 წ-დან შეშლებულია მთავარხუცესის თანამდებობა, რომელიც ზოგიერთი ნიშნით ბლაღოჩინის (კეთილმოწესის) თანამდებობას ენათესავება.

ბლეიკი რობერტ (1886-1950) – ამერიკელი ქართველოლოგი, აღმოსავლეთ მცოდნე. 1918-1920 წწ. თბილისის უნივერსიტეტში ასწავლიდა ბერძნულ ენასა და ბიზანტიის ისტორიას. მან გამოაქვეინა და მეცნიერულად აღწერა იერუსალიმში და ათონის მთაზე დაცული ქართული ხელნაწერები, მათ შორის „ბალავარიანის“ ერცელი რედაქციის ხელნაწერი, რამაც ნათელი მოჰფინა მრავალ ბუნდოვან საკითხს (ილ.აბულაძის გამოკვლევით). რ. ბლეიკმა გამოსცა ბიბლიური და პაგიოგრაფიული ტექსტები ლათინური თარგმანითურთ, რომლებიც დაბეჭდილია ცალკე წიგნებად.

ბნელეთი – ადგილი გორის რაიონის სოფელ სკრის მიდამოებში, სადაც დგას ღვთისმშობლის სახელზე აგებული ადრე შუა საუკუნების ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

ბოა მოწამე – ასეთი წმინდანი მხოლოდ ქართული წყაროებით არის ცნობილი. იოანე-ზოსიმეს კალენდარში 31 დეკემბერს დადებულია ხსენება „წმიდისა ბოაჲსი“ (ეტიუდ. V, 278), ხოლო ათონის ერთ X ს. ქართულ ხელნაწერს (Ath. 8) დაუცავს ბოას საკმაოდ ერცელი „მარტყოლობის“ კომენური რედაქცია, თარგმნილი ბერძნულიდან. თხზულების შინაარსიდან ჩანს, რომ იგი უწამებიათ რომის იმპერატორ ავრელიანოზის (270-275) დროს გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის პერიოდში, დაახლ. 271-274 წწ. ფრიგიის ქალაქ ილოპოლში („წამების“ ქართული თარგმანი გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, კომენი II, 38-50).

ბობანეში – სოფელი გორის რაიონში, მდ. ტანის ნაპირას, გორიდან 20 კმ. ისტორიულ წყაროებში იხსენიება „ბობანავდ“. სოფლის მიდამოებში დგას დარბაზული ტიპის ე. წ. „ეოშკების ეკლესია“. ეკლესიის წარწერა გვაცნობს, რომ იგი აუშენებია იოსებ თბილელს XVII ს. 60-80-იან წლებში და 1683 წ. მოუხატვინებია. ეკლესია ერთნავიანია, ნატეხი ქვით ნაშენები. მხატვრობამ, გარდა ბიბლიური სიუჟეტებისა და მოტივებისა (მაცხოვარი, ღვთისმშობელი, თორმეტი საუფლო დღესასწაული, ორმოცი სებასტიელი მოწამე, იოანე ნათლისმცემლის თაეის კეეთა, სამი ყრმა ცეცხლის სახმილში, დანიელი ლომთა ხაროში და სხე.), შემოგეინახა იოსებ თბილელის პორტრეტული გამოსახულება.

ბობეში – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ბოგუისხევის (ალგეთის მარცხ. შენაკადი) შესართავთან, თეთრი წყაროდან 17 კმ. სოფელში დგას XVIII-XIX ს. ეკლესია.

ბოდავე – სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. ბოდაეისხევის მარჯეენა მხარეს, დუშეთიდან 20 კმ. სოფლიდან 2-3 კმ. ტყეში დგას ღვთისმშობლის ეკლესია „ფუენმწარი“, რომელიც XIII ს. I ნახეარში უნდა იყოს აგებული. ნაშენებია ნატეხი ქვითა და შირიმის კეადრატებით. აღმოსავლეთ აბსიდა ნახეარწრიულია. მის გეერდებზე მოთავსებულ სამსხეერპლოსა და სადაკნის შესასეელი ტაძრის მკლავებიდან აქეს. სარკმლები და კარნიზები შირიმის ქვითაა მოპირკეთებული. თაღები შეისრულია. კეადრატიდან გუმბათის ყელზე გადასელა აერებით ხორციელდება. გუმბათის ყელს 12 სარკმელი აქეს. სახურავი კარეისებურია. XV და XVI სს-ში ეკლესია შეუკეთებიათ.

ბოდბე – სიღნაღის რაიონის სოფ. ზემო ბოდბის ისტორიული სახელწოდება. მდებარეობს გომბორის ქედის დაბოლოებაზე, სიღნაღიდან 2 კმ. ძეელ ქართულ წყაროებში მოიხსენიება ბოდი // ბოდე სახელწოდებით (ქართლ. ცხოე. I, 121-11,14) და მიჩნეულია ეწმ. ნინოს დასაფლაეების ადგილად (იქეე, 128). ბოლო ხანებში გამოითქეა მოსაზრება, რომ „ბოდი“ თავდაპირეელად ერქეა თანამდროეე ნინოწმიდას. ეწმ. ნინოს ნაწილების ქიზიყში გადასეენების შემდეგ მოხდა ტოპონიმის მიგრაცია (ბ. მჭედლიშეილი, ზ. კიკნაძე). ბოდბში არის საეპისკოპოსო კათედრა (ეწმ. გიორგის ეკლესია, საშაეიანი ბაზილიკა) და ეწმ. ნინოს მონასტერი.

ბოდბიდან 20-25 კმ-ზე საეკლესიო დანიშნულების ორი გამოქეაბულია, ნაწილი დაეით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისა: 1. „ბერების სერი“, ანუ „სახრეები“ XII-XIII სს., რომელსაც მოხატულობის კეალი ატყია. როგორც სახელწოდება გეიჩენებს, გამოქეაბულები ბერების საცხოერებელ სენაკებს წარმოადგენდნენ ან საშიშროების ეამს თაეშესაფრად იყენებდნენ. 2. „ქოლაგირი“, ასეეე XII-XIII სს. შემორჩენილია მოხატულობის კეალი და ფრესკული წარწერების ფრაგმენტები, რაც ამ გამოქეაბულთა

საეკლესიო დანიშნულებაზე მიუთითებს.

ბოდბის მონასტერი — წმ. ნინოს სამონასტრო კომპლექსი და ბოდბის საეპისკოპოსოს ცენტრი სოფელ ბოდბეში, სიღნაღიდან 2 კმ-ზე. გადმოცემის თანახმად, აქ ეკლესია აგეს წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილას. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია წმ. გიორგის სამნაიანი ბაზილიკა, რომელიც აღრინდელ ფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული. ამჟამად საგრძნობლად არის შეცვლილი, შეკლესილია შიგნითაც და გარეთაც, ეტყობა XVII და XIX სს. რესტავრაციის კვალი. წარწერის მიხედვით, XIX ს. 20-იან წლებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ სიღნაღის და ქიზიყის მიტროპოლიტის, იოანე მაყაშვილის თაოსნობით. აქვეა განვითარებული შუა საუკუნეების ამაღლების ეკლესია და განვითარებული შუა საუკუნეების გალავანი. XVII-XVIII სს. ბოდბის მონასტერი მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ზაქარია ბოდბელი (XVII ს.), ონოფრე ბოდბელი, იოანე ჯორჯაძე, დავით ბოდბელი (ყველა — XVIII ს.), იოანე მაყაშვილი (1743-1837) და სხვა. 1837 წ. ბოდბის მონასტერი გაუქმდა და სამრევლო ეკლესიად იქცა. 1889 წ. გაიხსნა ბოდბის დედათა მონასტერი, სადაც არსებობდა სამასწავლებლო სკოლა ხელსაქმისა და სამხატვრო განყოფილებებით. სკოლა და მონასტერი 1917 წელს გააუქმეს და მონასტრის შენობა საავადმყოფოდ გადაკეთეს, შემდეგ იქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განთავსდა. ამჟამად მონასტერი კვლავ მოქმედია.

ბოდბისხევი — სოფელი სიღნაღის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდ-აღმ. კალთაზე, სიღნაღიდან 8 კმ. სოფელში განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიაა ლაპიდარული წარწერებით.

ბოდორნა — სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. დუშეთისხევის მარჯვენა მხარეს, საქართველოს სამხ. გზაზე, დუშეთიდან 8 კმ.

ბოდორნაში დგას ღვთისმშობლის ერთნაოიანი გუმბათიანი ეკლესია. XV ს-დან ეკლესია არაგვის ერისთავთა (მაბუღრის ძეთა) სამარხი ყოფილა. ეკლესია რამდენიმეკერ ყოფილა გადაკეთებული და განახლებული. წარწერების მიხედვით დანგრეული შენობა 1717 წ. აღუდგენიათ, თითქმის ხელახლა აუშენებიათ ნინოწმიდელ მიტროფანეს და სახლთუხუცეს ქაიყუბათ კობაშვილს. XVIII საის მიწურულში ამ უკანასკნელის ძეს ზაალიას ეკლესიაზე ეკვტერი მიუშენებია, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. სოფლის მახლობლად არის „ბოდორნის ეკლესიის ქვაბები", რომლებიც სასტორიო წყაროებში მოხსენიებულია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისა და სამღვდელოთა თავშესაფარი თემურლენგის ლაშქრობის დროს.

ცნობილია ბოდორნის XIV-XV სს. ჭედური გამოსასვენებელი ჯვარი, ცენტრში ამბჟღრებული წმ. გიორგის გამოსახულებით და ბოდორნის მაცხოვრის ფერწერული ხატი, რომელიც დამზადებულია ბაგრატ მუხრანბატონის (1512-1539) დაკვეთით.

ბოლაბური — სოფელი ალგეთის რწყილში, მდ. ქვაბლიანის მარცხ. მხარეს, ალგეთიდან 8 კმ. სოფელთან შემორჩენილია ერთნაოიანი ეკლესიის ნანგრევები. ჩუქურთმის ნამტვრევების მიხედვით ეკლესია შეიძლება XIII ს. იყოს აგებული.

ბოლბოლი — ათონის მთის იერთა მონასტრის მეტოქი, რომელიც იერთა მონასტრის წინამძღვარს პაულს (1170-იანი წლები) აუშენებია, როგორც ეს დამოწმებულია ათონის ქართველთა მონასტრის ანაბეჭდით: „ანაშენა ბოლბოლისა მეტოქი სრულებით და სოფელს ეკლესიაჲ წმ. თეოდორესი მოხატვით..." (ანაკი 165, იერთის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ანაბეჭდით, მ. ჯანაშვილის გამოც., თბ., 1901, გვ. 270; ე. მეტრეველი, საალაე წიგნი, თბ., 1998, გვ. 188).

ბოლნისი — ქალაქი (1967 წლიდან), ქვემო ქართლში მდ. მაშავერის შუა დინებაში. ბოლნისის ტერიტორიაზე შემონახულია XIII-XIV სს. მოჯნის „ყორანთის" ეკლესია, რომელიც გორაზე დგას.

ბოლნისი — სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ბოლნისისწყლის მარცხ. ნაპირზე, ქ. ბოლნისიდან 9 კმ. სოფელში დგას ბოლნისის სიონის (V ს.) ეკლესია. სოფლის მიდამოებში რამდენიმე ძველი ეკლესიაა შემონახული:

1. წულორეულშენის 1213-1222 წწ. გუმბათოვანი ეკლესია, მოხატული, ლაპიდარული წარწერებით. ეკლესიას გვიანდელი შუა საუკუნეების გალავანი არტყია. 2. ეკლესია თეოდორეწმინდა, განვითარებული შუა საუკუნეებისა, ლაპიდარული წარწერებით. 3. ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასაელეთით ე. წ. „ლამაზ გორაზე" არის V-XIII სს. სამონასტრო ანსამბლი (ეკლესია, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი, გალავანი, სამარხები).

ბოლნისის სიონი — ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი და უშნიშვნელოვანესი ძეგლი, V ს. საშვაუთო ბაზილიკა. სახელწოდება „სიონი" პალესტინიდან შემოვიდა საქართველოში. იგი რამდენიმე ტაძ-

არს ქქუა: თბილისის, ატენის, სამშვილდის. ისინი ყველა ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, სოფელ ბოლნისში (ბოლნისის რაიონი), მდ. ბოლნისისწყლის მარცხენა ნაპირზე. ჩრდილოეთის შესასვლელი კარის თავზე მოთავსებული წარწერის თანახმად, აგებულია 478-493 წწ-ში (იხ. ბოლნისის წარწერები). მოპირკეთებულია ფირუზისფერ-მომწვანო ტუფის სუფთად გათლილი კვადრებით. ნავები ჯვრისებრი გეგმის ბოძების სუთი წყვილითაა გამოყოფილი. საკურთხეველს სადიაკვნე და სამკვეთლო არა აქვს, ნახევარწრიული აბსიდა აშენებულია. ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე ღია თაღოვანი გალერეაა, სამხრეთით — თაღოვანი სტოა და ორაბსიდიანი სანათლაო, რომელსაც შესასვლელი მხოლოდ ეკლესიიდან აქვს (ეს ცალკე გამოყოფილი სანათლაოს ერთ-ერთი ნიმუშია საქართველოში). ტაძრის შიგნითა თაღები ნალისებრია. შუა ნავი ნახევრადცილინდრული კამარით იყო გადახურული (ახლანდელი გადახურვა XVII ს-ისაა), გვერდითი ნავები — ნახევარკამერებით, სამივე ნაეს გარედან საერთო ორკალთიანი სახურავი აქვს. ტაძარს დასავლეთის კარი თავის დროზე არ ჰქონდა (გაჭრილია XVII ს.). ბაზისები და სვეტისთავები საინტერესო სკულპტურული მორთულობით არის შემკული ჩრდილო გალერეასა და ტაძრის ინტერიერში. მცენარეულ და გეომეტრიულ დეკორებთან ერთად გვხვდება ქრისტიანული სიმბოლოს — ჯვრის სხვადასხვაგვარი გამოსახულებანი. ერთ-ერთი მათგანი — ბოლოებგაფართოებული ჯვარი წრიულ ჩარჩოში — „ბოლნური ჯვარის" სახელითაა ცნობილი. ბოლნისის სიონში, პირველად ქართულ არქიტექტურაში, გვხვდება რელიეფური სკულპტურული გამოსახულებანი (ხარის თავი, სხვადასხვა ფრინველი და ცხოველი), რომლებიც წინაქრისტიანულ ხანასთანაა დაკავშირებული, მაგრამ შეთვისებულია ქრისტიანული სარწმუნოების მიერ.

ეკლესიის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთით დგას XVII ს. სამრეკლო. XVII ს. აღდგინეს ტაძრის გადახურვის კამარები საბჯენი თაღებით, გაჭრეს დასავლეთის შესასვლელი. 1936-1939 წწ.-ში ტაძარი გადახურეს, შეაკეთეს და გაამაგრეს. ასეთივე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 1967-69 წწ-ში. გადახურეს ჩრდილოეთი გალერეა და აღადგინეს მისი დასავლეთი კედელი, უძველესი წარწერის ხარი ჩადგეს თავის ადგილას, დაიგეს ქვის ახალი იატაკი.

ბოლნისის სიონში გაჩაღებული იყო მშენებრული საქმიანობა. ცნობილია ბოლნელი ეპისკოპოსების ინიციატივით დამზადებული ხელნაწერები. X-XI სს-ში (ზოგიერთი მკვლევარის აზრით — VII ს-ში) აქ მოღვაწეობდა ცნობილი მწიგნობარი, „ოქროპირად" წოდებული იოანე ბოლნელი.

ბოლნისის ეკლესიის აშენების ისტორია ქართულ წყაროებში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი. „მოქცეაჲ ქართლისაის" მიხედვით ეკლესიის აშენება მეზუთე ქრისტიან მეფეს, ბაკურს მიეწერება: „მეფობდა ბაკურ, ძმე თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო ელია და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნისს (ძეგლ. I, 92). ლეონტი მროველის მატიანის თანახმად კი ბოლნისის ეკლესია ბაკურის მომდევნო მეფეს — ფარსმანს აუშენებია: „ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე... და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა (ქართლ. ცხ. I, 138). შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო ბაკურის დროს და დამთავრდა ფარსმანის მეფობაში. ტაძრის სამშენებლო წარწერით, ტაძრის აგება იგულისხმება დაახლ. 478-493 წწ-ში.

ბოლნისის სიონის წარწერები — სამი წარწერა, რომლებიც ბოლნისის სიონის აშენების ისტორიას გადმოსცემს, ქართული ლაპიდარული დამწერლობის უძველესი ნიმუშებია. ერთი მათგანი მოთავსებულია აღმოსაელეთ კედელზე, საკურთხევლის სარკმლის თაზე, გარედან, მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვრის გარშემო: „ქრისტე დაჳით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაყუანისმცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხებენე, იყავნ, იყავნ". ეს წარწერა ივ. ჯავახიშვილმა მასში მოხსენიებული დაჳით ეპისკოპოსის მიხედვით V ს. დამლევითა და VI ს. დასაწყისით დაათარიღა. ეს ვარაუდი დააზუსტა 1937 წ. გათხრების დროს აღმოჩენილმა ოთხსტრიქონიანმა წარწერამაც. იგი მოთავსებული ყოფილა ჩრდილოეთის მარცხენა კარის თაზე გადებულ ქვაზე. ქვა ჩამომტყდარა და ტაძრის კედელს მისი თავი და ბოლო ჰქონდა შემორჩენილი. წარწერის ოთხივე სტრიქონის დასაწყისი და დასასრული, რომლებიც კედელზე შემორჩენილი, ამჟამად თითქმის ალარ იკითხება. უკეთაა შენახული წარწერის ჩამომტყდარი და ძირს ჩამოვარდნილი შუა ნაწილი. წარწერა ასეა აღდგენილი და ამოკითხული: „შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზეობასა დახიდვა საფუძველი

ამის ეკლესიასაცა და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა. ვინ აქა შინა თავყანისცეს ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიასაცა მაშინებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცო, ოგიცა ღმერთმან შეიწყალენ" (წარწერა დაკარგულია, საქ. სახელმწ. მუზეუმში). ტექსტში ნახსენები პეროზის მიხედვით ბოლნისის ტაძრის შენებლობა 479 წელს დაწყებულა და 493 წელს დამთავრებულა.

მესამე წარწერა მოთავსებულია ჩრდილოეთის მარკუჭებ კარის თაღზე და ეხება კარის შებმის ამბავს: „შენწუნითა ქრისტესითა მე ფარნაზა და აზარუხტ შეხუამთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩუენთათჳს".

წარწერები შესრულებულია მხედრული რელიეფური მთაწრული (მრგლოვანი) ასოებით. წარწერა დაწერილია იმდროინდელი ენის ნორმებით, როდესაც ქართულ ენას პირის ნიშნად (მეორე სუბიექტ. და მესამე ობიექტ.) ახასიათებდა „ს". დღეისათვის ნორმებით ს-ზედმეტია და ამიტომ ასეთ ბეჭდებს შემდეგში „ხანმეტი" უწოდეს.

ბოლნისის სამეთაუსკოპოსო – ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო ეპარქია საქართველოში. ისტორიოგრაფიე ჯუანშერის ცნობით („ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა") ბოლნისის საეპისკოპოსო დააარსა ვახტანგ გორგასალმა (V ს.): „და დასუა ერთი ეპისკოპოსად... ბოლნისს" (ქართლ. ცხ. I, 198). ბოლნელი (ბოენელი) ეპისკოპოსები ქართულ საეკლესიო წყაროებში იხსენიებიან XVIII ს. II ნახევრამდე. ბოლნისის ეპარქია დაცილილია აორბების შედეგად. XVIII ს. 70-იან წლებში (ქართ. სამართლის ძეგლ. III, 929). ბოლნისის საეპისკოპოსო საბოლოოდ, ალბათ, რუს ხელისუფალთა მიერ 1811 წ. ჩატარებული ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა. დღეს ბოლნისის ყოფილი ეპარქია მანგლისის საეპისკოპოსოში შედის. ქართულ საეკლესიო წყაროებში რამდენიმე ბოლნელი ეპისკოპოსია ცნობილი მწიგნობრული საქმიანობით, რომელთაგან პირველად იოანე ბოლნელი, X-XI სს. ცნობილი მწიგნობარი და მქადაგებელი, „ოქროპირად" წოდებული უნდა მოვიხსენიოთ. მისი პომილიები ძველ ქართულ მრავალთაეებს (Ath. 11; A 95; A 144) დაუცავთ (გამოსცა თ. მგალობლიშვილმა, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 203-218) ცნობილია აგრეთვე ბოლნელი ეპისკოპოსები: ილარიონ (რეუთელი – 1645-1677 წ. – ცსსა, ფ. 1450, საბ. №27; №38; №22; №30; Hd 5242; Hd 10249); ნიკოლოზი (მუხრან ბატონ ბაგრატის ძე – 1683-1687 წწ. – ცსსა, ფ. 1449 № 1205; Hd 14178; ცსსა ფ. 1450, საბ. 6, № 13); იოანე (რეუთელი – 1689-1996; 1699-1702 წწ. ცსსა, ფ. 1450 საბ. 12, №98,Ad 150 და სხვ.), მაქსიმე (მაჭუტაძე – 1696-1699 – ქრონ. II, 515, ცსსა, 1450, ს. 20, №28; Sd 764; Hd 10257. ბოლნელი მაქსიმე გახდება აგრეთვე 1712 წ. Ad–1028 საბუთში – ქართ. სამ. ძეგლ. III, გვ. 692); ტიმოთე (1749 წ. Ad 653) (დაწერ. იხ. ლ. მენაბდე, ბეული ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. 1, თბილისი, 1962 წ. ბოლნისი).

ბოლოქ-ბასილი – მშენებელი ოსტატი, „ქვით ხურო, რომელსა ეწოდების გალატოზი, რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოქ-ბასილობით უწოდდეს". მას აუშენებია შუარტყალში (სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში) ეკლესია დახლ. 1155-1160 წწ. (დღეს ცნობილი არ არის. თ. ჟორდანიას აზრით, ის უნდა მდგარიყო ოპიზის მონასტრის პირდაპირ, ღელეს გაღმა დახლ. 500 ნაბიჯზე, ქრონიკ. II, 115, სქ.). ამ ეკლესიის აშენების ამბებთან დაკავშირებით XIII ს. ავტორს ტბელ აბუსერისძეს მოთხრობილი აქვს შემდეგი: ბოლოქ-ბასილი, ღარიბი გლეხი, ალბათ, აბუსერისძეთა ყმა საშოვარზე წასულა „ქუეყანასა სომხეთისასა". აქ მას გამოეცხადა წმ. გიორგი და უბრძანა: „აღშენენე ტაძარი ქელითა მიერ ოდენ შენითა" წმ. გიორგის გამოცხადების თანახმად იგი უნდა წასულიყო კლარჯეთს, ოპიზას და იქაური მონაზონ სტეფანესათვის გამოერთმია ჯორი და რკინა საშენი იარაღის მოსამზადებლად და დაეწყო მშენებლობა იმ ერთი უღელი ხარით, რომელიც მას ჰყავდა. ბასილი დაბრუნებულა სახლში და „იწყო მუშაობად საკურველისა ამის ტაძრისა". ტბელი აბუსერისძის თხრობის თანახმად ბასილიმ „ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა სახელსაჲ ზედა წმიდისა მთაწარმოწამისა გიორგისა, გამოცხადებითეჳ მისითა", ოღონდ ამ მშენებლობაში მას სხვებიც ეხმარებოდნენ. აბუსერიძე ტბელს თავისი თხზულება 1233 წ. დაუწერია (A 85), დაბეჭდილია რამდენჯერმე:

1) თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბილისი, 1897. 2) ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, თბილისი 1941. 3) ე. გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი ძვ. ქართ. მწერლობაში, თბილისი, 1991, გვ. 255-208. 4) აბუსერიძე ტბელი, თხზულებათა სრული კრებული, გ. ქავთარაძა და დ. ხახუტაიშვილის რედაქტორობით.

ბოლხოვიტინოვი ევფიმ ალე-

ქსის ძე (ბერობაში ეფგენი; 1767-1873 წწ.) რუსი საეკლესიო მოღვაწე, ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ბიბლიოგრაფი. 1822-37 წწ. კიევის მიტროპოლიტი. მისი ნაშრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“ (802 წ.), რომელიც 1804 წ. ითარგმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამ ნაშრომისათვის ბოლხოვიტინოვს მასალები მიაწოდეს იმპერატორის პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მოღვაწეებმა: მირიან, ბაგრატ, დავით და მიხეილ ბატონიშვილებმა, გარსევან ჭავჭავაძემ, ვარლამ ერისთავმა და სხვ. ამ ნაშრომში, სხვათა შორის, ჩართულია ბოლხოვიტინოვის მიერ ქართულიდან რუსულად პროზაულად თარგმნილი „ეეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი.

ბომონი – წარმართული სამსხვერპლო, სვეტი, რომელზედაც რომელიმე კერპის გამოსახულება არის აღმართული.

ბონეჩი ბ. ნ. – გერმანელი ბიზანტინოლოგი. მან გამოაქვეყნა სამი სტატია იპოლიტე რომაელის ქრონოლოგიური ნაშრომების ქართული თარგმანების შესახებ (1902, 1904 და 1907 წწ.). ამ ნაშრომების დაწერის ინიციატორი ა. ჰარნაკი იყო.

ბორბალო – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თელეთ-საყარაულოს ქედის სამხრეთ მთის ძირას, თეთრი წყაროდან 28 კმ. სოფელში დგას XVIII ს. მცირე ზომის ეკლესია.

ბორეწა – XI ს. ქართველი პოეტი ქალი, ღეთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნების ავტორი. რითმებით გაწყობილი ჰიმნები წარწერილია მარიამ ღეთისმშობლის ხატის ზურგზე (დაცულია სვანეთში, ლენტეხრის ეკლესიაში). ჰიმნების ბოლო მეხუთე ტაეპში ავტორი ახსენებს თავის თავს: „ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირშრავალი.“ გამოც. ქ. ქეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 543. ჰიმნიკოს ავტორ ბორენას ათვისებენ ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა დედოფალთან (XI ს.), ოსთა მეფის ასულთან, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე. ბორენა დედოფალმა მართა დედოფალთან ერთად (ბაგრატ IV-ის ასული) XI ს. ბოლო მეოთხედში ხელახლა აშენა კაჩკათას ქართველ დედათა მონასტერი სიონის მთაზე, სიონის ცნობილი ბაზილიკის გვერდით (150 ნაბიჯზე), რომელიც XI ს. დასაწყისში დაუნგრეიათ ეგვიპტის სულთან ჰაქიმს. კაჩკათას მონასტერი შემდეგ ხელახლა დაუნგრეიათ 1244 წ.

ბორზო//ბურზო – გაქრისტიანებული სპარსელი, რომელიც მცხეთაში ცხოვრობდა VI ს. მოხსენიებულია უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „მარტვილობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“. ბორზო ევსტათი მცხეთელთან და კიდევ 6 სხვა გაქრისტიანებულ სპარსელთან ერთად დაუპატიმრეს და მცხეთის სპარსელ ციხისთავთან წარადგინეს, მან კი ისინი თბილისს მარზპანთან გაგზავნა. ვერც დაპირებებმა და ვერც სიკვდილით მუქარამ ვერ გასჭრა: ბორზომ ქრისტიანობა არ უარყო (მხოლოდ ორი გაქრისტიანებული სპარსელი დაუბრუნდა მაზდეანობას სიკვდილის შიშით) ისევე, როგორც ევსტათიმ და კიდევ ხუთმა პატიმარმა. მარზპანმა ისინი დილეგში ჩაგდო და მათი დასჯა მომაყვლისათვის გადადო. ამ დროს მარზპანი (არეანდ გუშნასპი) სპარსეთს გაიწვიეს და წასელის წინ ქართლის კათოლიკოსისა და ერისმთავართა თხოვნით მან პატიმრები გაათავისუფლა. ბორზო ქრისტიანი დარჩა სიკვდილამდე.

ბორითი – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ძირულას მარჯვ. ნაპირას, ხარაგაულიდან 28 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია.

„ბორცვის ჯვარი“ – იხ. ქვედა ტბეთი.

ბოსლების სამება – XIII ს. I ნახევრის დარბაზული ტიპის ერთნავიანი ეკლესია სოფელ ბოსლების (დმანისის რაიონი, მდ. კაკლიანის მარჯ. ნაპირას, დმანისიდან 12 კმ.) მიდამოებში. ეკლესია ორსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული, მას ჩრდილოეთით ეგებერი აქვს. ეკლესია დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთის კედლები, რომლებიც შიგნით და გარედანაც მომწვანო ფერის კარგად გათლილი ქვის პერანგით იყო შემოსილი. ჰქონდა 5 სარკმელი, რომელთა საპირები მოჩუქურთმებული ყოფილა. მოგვიანებით ეკლესია შეუღებავთ და მოუხატავთ.

ბოსლობა – ნაყოფიერების და გამრავლების უძველესი ქართული ღვთაება, ბოსელის კულტთან დაკავშირებული სალხური დღესასწაული დასავლეთ საქართველოში (სვანეთში „ბოსლობ“, „ბემბლუ“, „ლიღმუსარი“). უძველეს პერიოდში საქართველოს ყველა კუთხეში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. დღესასწაული მოძრავი იყო და აღნიშნავდნენ იანვარში ან თებერვალში. საბოსლო წეს-ჩვეულებათა შესრულების მიზანი იყო საქონლის და შინაური ფრინველის გამრავლება-სისალე, მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის გადიდება, ყანა-ენებების

დაცვა უამინდობისა და სოფლის მეურნეობის მავნებელთაგან. ბოსლობის მთავარი აქტი სრულდებოდა ბოსელში. ქვემო რაჭაში სადღესასწაულოდ სამ ღობიოსგულიან სარიტუალო ჯურს, „გასატეხს" აცხობდნენ: ერთს – ძროხებისათვის მეორეს – ხარებისათვის და მესამეს – „ვენახის მოსალოცავად". გამოცხობის წინ „ძროხის განატეხზე" დააწყობდნენ ცომისაგან გაკეთებულ „ჯიქანს", ხოლო ხარისაზე – სახვნელისა და უღლის გამოსახულებებს. ვენახის მოსალოცავ „გასატეხს" მტევნებიანი ვაზის ფორმა ჰქონდა. შეღამებისას „ძროხის" და „ხარის" განატეხები, ერთი ხელადა ღვინო და ანთებული სანთელი ბოსელში შეჰქონდათ, სადაც ოჯახის უფროსი ხარსა და ძროხას შუბლზე სანთლით თმას შეუტრუსავდა, ტანზე კერცხს გადაუვამდა, ბოსელში მყოფთაგან ყველა თითო ჭიქა ღვინოს შესვამდა და საქონელს დალოცავდა.

ეს დღესასწაული, როგორც მოქმედი, მოხსენიებულია XI ს. მიწურულს. ნათარგმნი „დიდი სჯულისკანონი" ყველა ხელნაწერის აშიაზე, და მთარგმნელისეულ (არსენ იყალთოელი) კომენტარს წარმოადგენს „ალანდა" სიტყვასთან დაკავშირებით: „რომელთაგანად ერთად ეხებოდეს კულესასა ჩუენისა წელიწდისა თაებისასა და ზმნობასა მარგუელთა ბოსლობისასა (დიდი სჯულისკანონი, 393, 11). ამ მინაწერით ბევრი საინტერესო რამ დგინდება: 1. დღესასწაული წარმართულია, რადგან იგი ბერძნულ წარმართულ დღესასწაულებთან – „კალანდას" და „ჯოტასთან" ერთად არის მოხსენიებული. 2. დღესასწაული წლის დასაწყისში იმართებოდა. 3. წარმოადგენდა მარგუელთა (= არგვეთელთა), ე. ი. დასავლეთ საქართველოში მოქმედ დღესასწაულს.

ბოშური (ზემო და ქვემო ბოშური) – სოფელი გორის რაიონში, რომლის მდებარეობში, ხევში, რომელსაც „შატყეს" უწოდებენ, დგას IX-X სს. ეკლესია, რომელიც XII-XIII სს-ში მოუხატავთ. შემორჩენილია წარწერები XV ს. ხის კანკელზე.

ბოჩი//ოჩი – ძველი წარმართული ქართული ღვთაება, კერპი. მისი ერთადერთი მოხსენიება გვაქვს ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სჯულისკანონში" (წესი და განგებაჲ და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ... თავი ნდ (54): „...სახელისდებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რომელნი მათ ღმრთად შერაცხნეს... სრულიად მოისანენ: დიოს, ანუ აპოლონს, ანუ არტემს, ანუ ბოჩი და გაცი და არმაზ..."

იე. ჯავახიშვილის აზრით, ბოჩი ოჩს და ეოჩს (ვაცს) უკავშირდება და ნაღირთა მფარველის ან მისი მსგავსი ღვთაების სახელია. ვ. ბარდაველიძე ოჩი//ბოჩი მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად მიიჩნია. ახალი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ბოჩი მოსაელიანობის მფარველი ღვთაებაც უნდა ყოფილიყო.

ბოყმა – სოფელი ონის რაიონში, მდ. ხეორისწყლის მარჯვ. ნაპირას, ონიდან 13 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

ბოჭორმა – ისტორიული ციხე-ქალაქი, კახეთის სამთაროს პოლიტიკური ცენტრი X ს-ში, მდ. იორის მარცხენა მხარეს, გომბორის ქედზე, თანამედროვე სოფელ ბოჭორმიდან (თიანეთის რაიონი) 2 კმ-ზე. დღემდე შემორჩენილია გრანდიოზული ციხე-ქალაქის ნანგრევები, ციხის შუაში დგას X ს. ექვსაბრტყიანი, ცენტრალურ-გუმბათოვანი წმ. გიორგის ეკლესია. აფსიდები და მათ შორის მოთავსებული ნიშები თაღებით არის გაერთიანებული. გადახურვა ქვლეგისებრია. ფასადის ყველა თალი მოქცეულია ორფერდა სახურავის ქვეშ. მრგვალი გუმბათის ყელს ექვსი სარკმელი აქვს და ეყრდნობა აბსიდების თაღებს და მათ შორის მოთავსებულ ალრებს. შემორჩენილია XII ს. ფრესკების ფრაგმენტები. კანკელი XVIII ს-ისაა. ციხე ქალაქის ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალი სამწერო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა თუ მისი ნაშთი. ბოჭორმის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ერეკლე II-ის დროს ჩატარებით.

1392 წ. ერთ სახუთში (Hd–8712) საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ქართ. სამართლის ძეგლ. III, 176-181) დასახელებულია „მონასტერი ბოჭორმა", ე. ი. ბოჭორმის ციხის ტერიტორიაზე გარკვეულ პერიოდში მონასტერი არსებობდა.

ბოჭორმის წმინდა გიორგი – XI ს. წმ. გიორგის ჭედური ხატი (ზომ. 133 X 104 სმ.). წმ. გიორგი მთელი ტანით არის გამოსახული, ზედა კუთხეში იესო ქრისტეს ხატარა გამოსახულებაა, რომლის ქვეშაც არის მობრუნებული ხელაპყრობილი წმ. გიორგი, ხოლო გიორგის ზურგისკენ ფარი და მახვილით ქვეით მიმართული შუბია გამოსახული. წმინდანის თავის ორივე მხარეს დიდი ზომის (15,2 სმ.) ორი მედალიონია, რომელზედაც ტიხრული მინანქრით შესრულებულია ბერძნული და ქართული წარწერები: „წმიდაჲ გეორგი ძლევაშემოსილი". ხატს რამდენიმე ეპოქის რესტავრაციის კვალი ატყვია. გ. ჩუბინიშვილის გამოკვლევით, ხატი XIV-XV

სს-ში უნდა გაუმარცვათ და დაემტვრიათ. ხატის რეკონსტრუქცია XVII ს. უნდა ჩატარებინათ. 1801 წ. დავით ბატონიშვილს, გიორგი XIII ძეს, ხელახლა განუახლებია ხატი და წარწერებიც გაუკეთებია: „შენ მოწამეთა მხედართა მთავარსა წმიდას გიორგის შეგიმკობინე ხატი ესე შენი ბოჭორმისა ეკლესიისა“. წმ. გიორგის ხატი ბოლო ხანებში ალაგერდის ტაძარში ინახებოდა და 10 ნოემბერს, წმ. გიორგის ხსენების დღეს გადაჰქონდათ ბოჭორმის ციხეში, რადგან ბოჭორმაში მისი მუდმივად დატოვება საშიში იყო. როგორც ჩანს, წმ. გიორგის ხატი სპეციალურად იყო დამზადებული ბოჭორმის ციხის ტერიტორიაზე არსებული X ს. წმ. გიორგის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრისათვის.

ბჟინეთი — სოფელი ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილას მარცხენა მხარეს, ჭიათურიდან 18 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

ბრაჰმანიზმი — ძველი ინდური რელიგია, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ღვთაება ბრაჰმა ითელება სამყაროს შემოქმედად, მის განსახიერებად და სულად. ბრაჰმანიზმი აღმოცენდა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში ვედური რელიგიის განვითარების შედეგად. სახელწოდება მიღო რიტუალური ტექსტების კრებულიდან. მისი წარმოშობა დაკავშირებულია კლასობრივი საზოგადოების გაჩენასა და ქურუმთა პრივილეგირებული კასტის — ბრაჰმანების გაბატონებასთან. ბრაჰმანიზმის მოძღვრებით, ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი სული გადასახლდება სხვა მატერიალურ სხეულში, რომელიც უნდა დაიბადოს. სულის გადასახლება გრძელდება მანამდე, სანამ იგი არ გათავისუფლდება ყველა ნაკლისაგან და არ შეუერთდება მსოფლიო სულს. ბრაჰმანებმა წამოაყენეს მოძღვრება ღვთაებრივ სამებაზე: ბრაჰმა, ვიშნუ, შივა. I ათასწლეულის შუა წლებში წარმოიშვა ახალი რელიგიური მოძღვრებები — ბუდიზმი და ჯაინიზმი, რომელთაც დროთა ვითარებაში შეავიწროეს ბრაჰმანიზმი. დროთა განმავლობაში ბრაჰმანიზმის ტრანსფორმაციის გზით განვითარდა ინდუიზმი. ბრაჰმანიზმის პერიოდის ინდოეთში შეიქმნა რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა და მრავალრიცხოვანი რელიგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატები, ე. წ. უპანიშადები. განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ინდურმა ეპოსმა („მაჰაბჰარატა“, „რამაიანა“).

ბრეგაძე თამარ (1921-1995) — ფილოლოგი, ბიზანტინოლოგი, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის მკვლევარი. აქტიური მონაწილეობა მიიღო ფართო პრეტერგრაფიულ სამუშაოში — ძველი ქართული ხელნაწერების აღწერილობის შედგენაში, რომელიც დაიწყო 40-იანი წლებიდან. ის თანამონაწილეა აღწერილობათა რამდენიმე ათეული ტომის გამოცემისა, რომელიც ბირითადად საეკლესიო მუზეუმის (A), სასიტორიო-სათნოგრაფიო საზოგადოების (H) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) ფონდებს მოიცავს. ცალკე წიგნად გამოსცა „ჯრეგოლ ნაზიანზელის თხზულებათა აღწერილობა“ (თბ., 1988), რომელიც ფრანგულ ენაზედაც გამოიცა პარიზში. მონოგრაფია მიუძღვნა და გამოსცა ეფრემ მცირის ორიგინალური თხზულება „უწყებაჲ ქართველთა მოქცევისაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების“, თბ., 1959, 61 გვ.; გამოსცა აგრეთვე ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულის ერთი ნაწილი — „სამართალი ბერძნული“, თბ., 1964.

ბრეთი — სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ფრონის მარცხენა ნაპირას, ქარელიდან 9 კმ. სოფელში დგას VI-VII სს. წმ. გიორგის ბაზილიკური ეკლესია და გვიანდელი შუა საუკუნეების სამრეკლო. ქართული წყაროებით, ბრეთი სამონასტრო ცხოვრების დამწყებია პიროს ბრეთელი, იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე, მასთან ერთად სირიიდან აღმ. საქართველოში მოსული მონაზონი, ამიტომ ამ ეკლესიას „პიროსის ეკლესიასაც“ უწოდებენ. ვახუშტის ცნობითაც „არს ბრეთს მონასტერი უგუმბათო, რომელი ჰქმნა პიროს, იგ (13) მამათაგანმან, და დაფლულ არს იგიცა მუნე (ქართლ. ცხ. IV, 374, 12). X-XI სს-ისაა ცნობილი ბრეთის გამოსასვენებელი ჯუარი (იხ.) და ბრეთის იოანე ნათლისმცემლის ჭედური ხატი ამავე დროისა. ხატი დღეს ხელოვნების მუზეუმში ინახება და ჩამოტანილია სოფელ სალოლაშენიდან. ხატიდან გადარჩენილია ჭედურობის ნაწილი, ხოლო ხახის ფერწერული ნაწილი განადგურებულია. იოანე ნათლისმცემელი გამოხატულია ნახევარფიგურით (77 X 44 სმ.). ხატი მთლიანად, ჩარჩოს ჩათვლით, ღილი ყოფილა (95,9 X 69, როგორც ამას აღწერს ჯ. უკაროვა). იოანე ნათლისმცემლის შარავანდედის ორივე მხარეს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა გამოსახულებებია. როგორც წარწერა გვამცნობს, ხატი დაუმზადებიათ მიქაელის დაკვეთით, ისევე როგორც ბრეთის ჯუარი.

ბრეთის ჯვარი — X-XI სს. მიჯნის ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში, გამოსას-

ვენებელი ჯვარი (52,5 X 44,5. სახელურის სიმაღლე 32,5 სმ.), რომელიც 1000 წ. ახლოს დაუმზადებია გაბრიელ საფარელს. ჯვრის პირის მხარეს, ცენტრში ჯვარცმა გამოსტული, ხოლო ჯვრისა და სახელურის შემაერთებელ სფეროზე ერთ მხარეს ლუკა მახარებლის, ხოლო მეორე მხარეს იოანე მახარებლის გამოსახულებებია.

ჯვარზე გაკეთებულ მრავალრიცხოვან წარწერებს შორის ისტორიული ხასიათის წარწერებიცაა: „ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, ძეი მეფეთა მეფისა გურგენისი"; „ქრისტე შეიწყალე მართა დედოფალი"; „ქრისტე შეიწყალე მამაჲ მიქაელ". მიქაელი ბრეთის მონასტრის წინამძღვარი და ამ ჯვრის დამკვეთი უნდა იყოს.„შეიქმნა ქელითა გაბრიელ საფარელისაჲთა".

ბრაძა – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ფრონის მარცხენა ნაპირას, ქარელიდან 26 კმ. სოფლის ცენტრში დგას X ს. დარბაზული ეკლესია „ზღუდერი". ეკლესია საფუძვლამდე არის გადაკეთებული. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. დასავლეთის ფასადის ცენტრში ქვაზე ორნამენტული შემკულობის ჯვარია ამოკვეთილი. ინტერიერი დაყოფილია პილასტრებით, რომელთა შორის ღრმა უბეებია. აქვე, სოფლის ცენტრში დგას „ზღუდერთან" შედარებით უფრო მცირე ზომის VIII-IX სს. წმ. მარინეს ეკლესია, ნაშენები უხეშად დამუშავებული ქვით. საკურთხეველში შემორჩენილია გვიანდელი მოხატულობის ფრაგმენტები.

ბრეთის აღმოსავლეთით მთაზე დგას მცირე ზომის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია „კეთრაცხოველი". გარედან კედლები მოპირკეთებულია ბაზალტის კარგად დამუშავებული კვადრებით. შიგნიდან ეკლესია შეღებილი ყოფილა. შემორჩენილი წარწერის მიხედვით (ქართ. ხელოვ. მუზეუმში ინახება) ეკლესია X ს. II ნახევარში უნდა იყოს აგებული.

ბრიერი მორის (1881-1960) – ფრანგი ფილოლოგი, რომელმაც 1957 წელს დაწერა ერთ-ერთი ნარკვევი „ქართული ქრისტიანული მწერლობა", რომელიც წარმოადგენს კ.კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის" I ტომის გამოკრებით თარგმანს. მ. ბრიერმა დაასრულა რ.ბლეიკის მიერ იოანეს სახარების გამოცემით დაწყებული საქმე. გამოცა ლუკას სახარება ადიშის ოთხთავიდან და ლუკას ვარიანტები ოპიზისა და ტბეთის სახარებათა ხელნაწერებიდან. იგი ეხება აგრეთვე ჯუანშერის ისტორიასა და დაენთ და კონსტანტინეს „მარტვილობის" ავტორის თვალსაზრისებს საქართველოში არაბების ლაშქრობასთან დაკავშირებით. მას აქვს გამოცემული „ქართული ენის გრამატიკა", რამდენიმე ქართული ძეგლის ტექსტის გამოცემა და ფრანგული თარგმანი „შატბერდის კრებულებიდან".

ბრილი – ნასოფლარი ონის რაიონში, რიონის ხეობაში, სოფელ ღების ჩრდილოეთით 11 კმ. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია და ციხე-კოშკი. ნასოფლარი ცნობილია 1939-61 წწ. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი უძველესი არქეოლოგიური ძეგლებით (ძვ. წ. XVIII-ახ. წ. IV სს.).

ბრილის ჯვარი – X ს. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში, რომელიც 1898 წ. იპოვეს სოფელ ბრილში (ხაშურის რაიონი) და დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ჯვარი დაეით კურაპალატისათვის დაუმზადებია ოქრომჭედებელ ასათ მოქმედს (იხ.). ჯვარი (27,2 X 16,2) წარმოადგენს მთლიან მასიურ ფირფიტას, რომლის წინა მხარეს მირჩილულია ჯვარედული ქრისტეს ფიგურა, ხოლო მის ორსავე მხარეს – მარიამ ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ქვემო მკლავზე – ღვთისმშობელი ჩვილით, ხოლო ზემო მკლავზე – მამაღმერთი. დანარჩენი არე, როგორც წინიდან, ისე ზურგიდან, დაფარულია გრავირებული ორნამენტებით და შემკვეთის წარწერით (ქვედა მკლავზე). წინა პირზე წარწერილია: „ქრისტე ადიდე დღეგრძელობით დაეით კურაპალატი, ამინ", ზურგზე, ქვემოთ – „ასათ მოქმედ".

ბროსე მარი (1802-1880) – ფრანგი ქართველოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, ძველი ქართული შწერლობისა და ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილი მკვლევარი, მუნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი ევროპაში. მან ფრანგულად თარგმნა და შეიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის" გეოგრაფიული ნაწილი და სხვა ავტორთა ისტორიოგრაფიული შრომები კომენტარებით (1849-1858 წწ.). 1847-1848 წწ. საქართველოში მოგზაურობის დროს შეკრიბა ეპიგრაფიკული, ლაპიდარული და ნუმიზმატიკური მასალა და 3 წიგნი გამოსცა პეტერბურგში. მას მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული ქართული ენისა და ლიტერატურის (ძირითადად საერო) საკითხებზე. მისი ერთ-ერთი წერილი ეხება მცირე სჯულისკანონის პეტერბურგულ ხელნაწერს (1874 წ.)

ბროსპორი//ბროსპორაჲ (ბერძნ.) – იხ. სუფისკვერი.

ბრწკალი – ვარსკვლავი, საკულტო ჭურჭელი. შედგება ორი რკალისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია ჯანჭიკით ისე, რომ შეიძლება მათი დაკეცვა და გაშლა ჯვრისებურად. ბრწკალი იდგმება ფეშხუმზე იმისათვის, რომ ფეშხუმის პერელჩით ანუ დაფარნით დაბურვის დროს ის არ შეეხოს ტარიგს, რომელიც ფეშხუმზეა დალაგებული, და არ აურიოს ერთმანეთში მისი ნაწილები. ბრწკალზე გამოსახულია მაცხოვარი ან ჯვარი. ბრწკალს ვარსკვლავსაც უწოდებენ და სიმბოლურად გამოხატავს იმ ვარსკვლავს, რომელმაც მოგვები მოიყვანა იესო ქრისტეს შობის ადგილას (მათე 2,9-11).

ბრწყინვალე შვიდეული – აღდგომის შვიდეული. მისი ყოველი დღეც „ბრწყინვალედ" იწოდება: ბრწყინვალე ორშაბათი, ბრწყინვალე სამშაბათი... ბრწყინვალე შაბათი.

ბუბაქარი – დაჟით გარეჯელის „ცხოვრებაში" მოხსენიებული დიდებული, რუსთაველის მკვიდრი „ბარბაროზი", რომელმაც დაჟით გარეჯელის მოსაკლავად აღმართა მახვილი, მაგრამ ხელი გაუშეშდა, ხოლო დავითის ლოცვით ისევ განიკურნა. ამის შემდეგ ირწმუნა ბუბაქარმა დავითის ღმინდანობა, მისი სასწაულთმოქმედება და თავისი ოჯახის წევრებითურთ მიიღო ქრისტიანობა (VI ს.). ბუბაქარმა საკუთარი ხარჯითა და მუშახელით „შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა", რომელიც შემდეგში ილარიონ ქართველს გაუფართოება (IX ს.) და „რომელსა შინა სამრითი კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ შუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი" (ძეგლ. I, 236).

ბუგეული – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ამბროლაურიდან 12 კმ. სოფელში დგას ღვთისმშობლის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია დაახლ. XV-XVI სს. სამხრეთიდან ეკლესიას მინაშენი აქვთა, რომელიც დღეს დანგრეულია. ეკლესია მოპირკეთებულია რუხი ფერის უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით. მორკულურთმებულია სამხრეთისა და დასავლეთის კარები, აგრეთვე სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადის სარკმლების საპირები. შიგნით ეკლესიის კედლები, კამარა და კონქი მთლიანად მოხატულია. მხატვრობა ეკლესიის აგების დროინდელი უნდა იყოს.

ბუდიზმი – აზიის უმეტეს ქვეყნებში გავრცელებული რელიგიური მოძღვრება. წარმოიშვა ძვ. წ. VI-V სს-ში ჩრდილოეთ ინდოეთში. მის შემქმნელად ითვლება ჩრდილო ინდოეთში მცხოვრები შაკიების ტომის ბელადის ძე სიდჰართა გაუტამა, რომელმაც შემდეგში მიიღო ბუდას (სანსკრ. ბუდჰა – „განათლებული") სახელი. თქმულების მიხედვით, იგი ცხოვრობდა ძვ. წ. 623-544 წწ-ში. 29 წლისამ მიატოვა ოჯახი და ასკეტური ცხოვრება დაიწყო, რათა შეეცნო ადამიანის ცხოვრების არსი და კატაბრიობისათვის ხსნა და ბედნიერება მოეტანა. 7 წლის განდეგილობის შემდეგ მას შეიცნო ჭეშმარიტება და ახალი რწმენის ქადაგება დაიწყო. ქ. ბენარესის გარეუბანში მან თავის სარწმენობაზე მოაქცია პირველი ხუთი მიმდევარი, რითაც საფუძველი დაუდო მონახენურ თემს – სანგჰის. კასტური წყობილების დამცველი ბრაჰმანიზმის საპირისპიროდ ბუდიზმი პიროვნების თანასწორობას ქადაგებდა, განურჩევლად კასტობრივი და წოდებრივი კუთვნილებისა, რამაც მისი პოპულარობა განაპირობა. ბუდიზმის ძირითადი დებულებაა მოძღვრება „ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტების" შესახებ, რომელთა თანახმად ცხოვრება ბოროტება და ტანჯვაა. დაბადებისა და ცხოვრების მიზეზია მოქმედება, მოქმედების მიზეზია სურვილები. ბორკილებისაგან (ე. ი. სიცოცხლისაგან) გათავისუფლებას შეიძლება მიაღწიო სურვილზე უარის თქმით, და ბოლოს, სურვილებისაგან თავის დახსნის გზაა ბუდიზმის მოძღვრების აღიარება, რომელიც მორწმუნეებს სთავაზობს „ხსნის კეთილშობილურ რვაძგ გზას". ბუდიზმის საბოლოო მიზნად ადამიანის ხსნის გზაზე ითვლება ნირვანა – ამქვეყნიურისაგან სრული განდგომა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ახალ სხეულში სულის გადასელათა (სანსარა) შეწყვეტა. ბუდიზმი ხსნის ძირითად საშუალებად თვლის მონაზვნად აღკვეცას. მონაზვნები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ 10 ძირითადი მცნება: დაენდოთ ცოცხალი არსებები, დაეცვათ უბოროტა, თაეი შეეკავებინათ სიცრუისაგან, ქურდობისაგან, სპირტიანი სასმელებისა და ზედმეტი ჭამისაგან, საერო გართობისაგან, ნელსაცხებელთა და სამკაულების ხმარებისაგან, მდიდრულ სარეცელზე ძილისაგან და საჩუქრად ოქრო-ვერცხლის მიღებისაგან. მონაზვნებს საკვები მხოლოდ მოწყალებით უნდა მოეპოვებინათ. მონაზვნების განმასხვავებელი ოთხი ხარისხი არსებობდა, უმაღლესი იყო „არჰატი" – უმწიკვლო ნირვანასთან მიახლოებული.

ბულა (bulla – ბუთნუკა) – ბეჭედი, რომლითაც შუა საუკუნეების რომში მოწმედ-

ბოდა სახელმწიფო და საეკლესიო ხასიათის სიგელები, აქტები და სხვა საბუთები. შემდეგ ეს სახელი გადაეიღა თვით ამ საბუთებზეც. ბულა, ჩეულებრივ, ეწოდებოდა რომის პაპის განსაკუთრებული მნიშვნელობის ეპისტოლეებს. იგი დაბეჭდილი იყო ლითონის, ან სხვა მასალის (მაგ. ცვილის) მრგვალი ფირფიტით, რომლის ორივე მხარეს საგანგებო გამოსახულებები იყო დაჭდეული. რომის პაპის ბულის შუბლზე გამოსახული იყო პეტრე და პალე მოციქულთა თავები, ზურგზე კი — პაპის სახელი, ზედწოდებით: „უფლის მონათა მონა" (Servus servorum Kei). განსაკუთრებით მნიშვნელოვან საბუთებს ოქროს ბულით ამკობდნენ და ბიზანტიაში მათ „ხრისობულოსი" (ოქრობეჭედი) ეწოდებოდა. საქართველოში ბულის აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია. 1954 წ. ბიჭვინთაში აღმოჩნდა VIII ს. ტყვიის ბულა, რომელიც ეკუთვნის აფხაზეთის მფლობელ კონსტანტინე I ან კონსტანტინე II-ს. მის შუბლზე ბერძნული ზედწერილია „კონსტანტინოს", ხოლო ზურგზე — „აბასგაის" (ე. ი. კონსტანტინე აბაზგი). 1960 წ. ბიჭვინთაშივე აღმოჩნდა ადრინდელი ფეოდალური ხანის მეორე ბულა, რომლის შუბლზე წვ. სოფიოს გამოსახულებაა, ხოლო ზურგზე — ბერძნული ზედწერილი „თეოდორე ეპისკოპე" (ე. ი. თეოდორე ეპისკოპოსისა).

ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესია — რომის იმპერიის იმ პროვინციაში, სადაც მოგვიანებით ბულგარეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ქრისტიანობა უძველეს ხანაში გავრცელდა. აქ, ქალაქ სარდიკაში (ახლანდელი სოფია) 343 წელს გაიმართა ეპისკოპოსთა კრება, რომლის დადგენილებანი მოგვიანებით „დიდ სჯულისკანონში" იქნა შეტანილი. მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიას წარმართი ბულგარელები დაეუფლნენ, ქრისტიანმა მისიონერებმა მათ შორისაც დაიწყეს ქადაგება. ერის გაქრისტიანებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიელი ეპისკოპოსის მიერ მეფე ბორის I-ის მონათლას (865 წ.). მეფის მაგალითით მალე მთელი ბულგარეთი გაქრისტიანდა. ბულგარეთის ეკლესია დიდხანს იყო რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიათა ცილობის საგანი. ბულგარელები ერთხანს მერყეობდნენ, მაგრამ საბოლოოდ აირჩიეს კონსტანტინეპოლი და ბიზანტიური ცივილიზაცია. X ს-ში ბულგარეთის სახელმწიფო გაძლიერდა. 927 წელს კონსტანტინეპოლი იძულებული გახდა, ელიარებინა ბულგართა მეფისათვის იმპერატორის ტიტული მიეკუთვნებინა, მათი მთავარეპისკოპოსი კი ბულგარეთის ეკლესიის პატრიარქად იქნა აღიარებული. მაგრამ ბიზანტიელები ბულგარეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის აღზევებას დიდხანს ვერ შეეგუვენ. 971 წელს, როდესაც მათ კვლავ მოიკრიბეს ძალა, შეიჭრნენ ბულგარეთში. ბულგართა პატრიარქი იძულებული შეიქნა, პრესლაიდან გაქცეულიყო და კათედრა ოხრიდში (მაკედონიაში) გადაეტანა. 1018 წელს ბიზანტიელებმა მაკედონიაც დაიპყრეს და პატრიარქის სტატუსიც დამდაბლეს ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსამდე. 1186 წელს ბულგარეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და თავისი იმპერია აღადგინა (დედაქალაქი — ტირნოვო). ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 1204 წელს ბულგარეთის ეკლესიამ სცნო რომის პაპის უპირატესობა. ეს შეთანხმება დაირღვა 1235 წელს, როდესაც ბულგარეთის იმპერატორმა კონსტანტინეპოლში კაეშარი შეკრა ბერძნებთან ლათინთა წინააღმდეგ. ბიზანტიის საპატრიარქომ კვლავ სცნო ბულგარეთის ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ღირსება. თურქთა ბატონობის დამყარებისას (1393 წ.) ბულგარეთის ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია და ინტეგრირებულ იქნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში. 1870 წელს ოსმანთა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ბულგარეთის ეროვნულ ეკლესიას ავტონომიურ საეგზარქოსოდ ჩამოყალიბებაში. კონსტანტინეპოლი ამ მოვლენას მკვეთრად უარყოფითად შეხვდა და ბულგარეთის ეკლესია განხეთქილებაში მყოფად გამოაცხადა (1872). განხეთქილება გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ბულგარეთი ჯერ სამთავროდ (1878 წ.), შემდეგ კი დამოუკიდებელ სამეფოდ გადაიქცა (1908 წ.). მსოფლიო საპატრიარქომ მხოლოდ 1945 წელს სცნო ბულგარეთის ეკლესია ავტოკეფალურად და ზღვარი დაუდო განხეთქილებას. 1953 წელს სოფიის მიტროპოლიტი პატრიარქად გამოცხადდა. კონსტანტინეპოლმა იგი 1961 წელს სცნო. კომუნისტური რეჟიმის დროს (1944-1991 წწ.) ბულგარეთის ეკლესია პასიურ როლს ასრულებდა საზოგადოებაში. 1991 წელს ახალმა ხელისუფლებამ დანიშნა კომისია რელიგიურ გაერთიანებათა საკითხების გადასაწყვეტად. საეკლესიო რეფორმა მტკივნეულად წარიმართა. საქმე განხეთქილებიდე მივიდა (1996 წ. ეპისკოპოსთა ერთმა დაჯგუფებამ პატრიარქ მაქსიმეს ნაცვლად ალტერნატიული პატრიარქი, პიმენი აირჩია). კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომესა და სხვა მართლმადიდებელი პატრიარქების

ძალისხმევით 1998 წელს განხეთქილება შერიგებით დამთავრდა. პატრიარქად დამტკიცდა მაქსიმე, პიმენი და მისი მომხრენი აღდგენილ იქნენ იმავე ხარისხში, რაც განხეთქილებამდე ჰქონდათ. ამჟამად ბულგარეთის ეკლესია 11 ეპარქიას მოიცავს, 2600-ზე მეტი მრევლით და 1500 მღვდელმსახურით (1997 წლის მონაცემი). მოქმედებს 120 მონასტერი, სადაც 200 მონაზონი მოღვაწეობს. ეკლესიის უმაღლეს სასულიერო, იერიდიულ და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ახორციელებს წმიდა სინოდი, რომელიც შედგება პატრიარქისა და ეპარქიათა მღვდელთმთავრებისაგან.

ბუნებითი შვილი (liber naturales) — ტერმინი საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის ისტორიაში, ხარჭოსნობის შედეგად შობილი შვილი „სჯულიერი შვილის" საპირისპიროდ: „მრავლად აღწერს სამოქალაქო სჯული კოდიკთა და ნეარათა შინა ხარჭთაგან შობილთა, ესე იგი არს განრყუნილთა და ბუნებითთა შვილთათჳს მასწავლელი" (დიდი სჯულისკანონი, 205,44). „ხარჭოსნებულისა... შობილთა აქუს სამკურებელი სჯულიერთა შვილთა თანა (იქვე, 205,42). ასეთივე მნიშვნელობა აქვთ ამ ტერმინს თანამედროვე ევროპულ ენებშიც (მაგ. ფრანგ. enfant naturel). ქართულ ორიგინალურ ძეგლში „შუშანიკის წამება" (V ს.) ამ ტერმინს საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს და „სჯულიერ", კანონიერ შვილს ნიშნავს: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგიცა ესრეთვე მოეაქცინე შენსა შჯულსა" (ძეგლ. I, 12, 5). მიზეზი ამისა, ალბათ, ისაა, რომ ამჟამინდელ ქართულში ეურიდიული ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

ბუნიობა — დღისა და ღამის ხანგრძლივობის ტოლობა, რომელიც წლის განმავლობაში ორჯერ ხდება: გაზაფხულზე (20-21 მარტი) და შემოდგომაზე (23 სექტემბერი). გაზაფხულის ბუნიობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო კალენდრის შედგენისათვის, კერძოდ, აღდგომის დღის გამოსაანგარიშებლად. ებრაული პასექი აღინიშნებოდა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო სავსემთვარეობის (ე. ი. 14 ნისანს), აღდგომის დღესასწაული კი — გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსემთვარეობის მომდევნო უახლოეს კვირა დღეს.

ბურნაშეთი — სოფელი ახალქალაქის რაიონში, მდ. ჯირულის მარცხენა ნაპირზე, ახალქალაქიდან 22 კმ. სოფელში შემორჩენილია X ს. დარბაზული ეკლესია. ეკლესიას შეწყვილებულთაღებიანი კარიბჭე აქვს. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არის X ს. წარწერა, ხოლო ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე — XIII ს-ისა. ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი რელიეფური დეკორით არის შემკული. აქვეა აგრეთვე მოზრდილი ქვაჯვარი.

ბუჩაანი — სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირას, დუშეთიდან 51 კმ. სოფელში არის შუა საუკუნეების „ახალციხის ეკლესია" და ეკლესია „მურჭნისი" (პირიმზე).

ბუჩურიანის ეკლესია — ეკლესია დაბა კაზრეთში, ბოლნისის რაიონში, (დაახლ. VII-VIII სს.); დაზიანდა მიწის სამუშაოების შედეგად (1970 წ.). ეკლესიის ერთ-ერთ კედელში ჩაშენებულ ქვის ბერძნული წარწერაა VII-IX სს-ით. ათარიღებენ. ეკლესიის კედელში და მის გარშემო აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის მრავალი მოჩუქურთმებული ქვა. ეკლესიის დარჩენილი კედლის გაწმენდისას მის ქვემოთ აღმოჩნდა ადრეული კედელი, რომელიც თლილი კვადრებით არის ნაშენები. ეკლესიის ტერიტორიაზე მაღალი ოსტატობით შესრულებული ბაზები, სტელები და ქვის ჯვრების ფრაგმენტები აღმოჩნდა, რომლებზედაც ადრექრისტიანული სიუჟეტებია გამოსახული. როგორც ირკვევა, ეკლესია შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ, დაახლ. XI-XIII სს-ში.

ბჟე — ძველ ქართულ სამართალში აღნიშნავს მოსამართლეს, სადაო საქმეების გამრჩევს. ჩვეულებრივად ბჟენს მოდაე მხარეები ირჩევდნენ, მაგრამ ისინი მეფეს ან ადგილობრივ მოხელესაც შეიძლებოდა დაენიშნა. ბჟენები უმეტესად სამოქალაქო საქმეებს არჩევდნენ, მთაში კი — მძიმე სასისხლო საქმეებსაც, რომლებიც ჩვეულებითი სამართლით ხელმძღვანელობდნენ. სასამართლო პროცესი, რომელსაც „ბჭობა" ეწოდებოდა, საჯაროდ მიმდინარეობდა და განაჩენი წერილობით არ ფორმდებოდა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. VIII-XVIII სს-ში ტერმინები „მსაჯული", და „მოსამართლე" ერთნაირი შინაარსით იხმარებოდა.

ბჟენი დიდნი — ეკლესიაში (ტაძარში) შესასვლელი ცენტრალური კარი, რომელიც მოთავსებულია სტოასა (შიდა ნართექსი, притвор) და კარიბჭეს (გარე ნართექსი, паперть) შორის.

გ

გაბაშვილი ოსე – XVII-XVIII სს. კალიგრაფი, მხედრული წერის საუკეთესო ოსტატი, გამოჩენილი პოეტის – ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) ძმა. სიცოცხლის ბოლო წლები რუსეთში გაატარა. მას გადაუწერია: სადღესასწაულოები 1792 წ. Q 624; 1793 წ., Q 638; 1794 წ. Q 639; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (Q 233), საეკლესიო კრებული 1822 წ. A 301 და სხვ.

გაბარა – XII ს. ხეროთმოძღვარი, ქუთაისის „მწვანეკვაკილას მთაყარაგელოზის" ეკლესიის მაშენებელი. ფილა ფრაგმენტული სამშენებლო წარწერით 1833 წ. აღმოაჩინა ფრ. დიუბუა დე მონპერემ „მწვანეკვაკილას" ეკლესიის ნანგრევებში. ამჟამად ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ინვ. №70-93). წარწერა 1113 წ. უნდა ეკუთვნოდეს. აღმშენებლის მხოლოდ სახელის აღდგენა ხერხდება.

გაბელა – მაშენებელი X საუკუნისა, მოხსენიებულია სოფ. ბიეთის (ცხინვალის რაიონი) X ს. სამების ეკლესიის სამხრეთის ფასადზე, კარის თაღის მარცხენა მხარეს ამოღარულია ხელოსნის სახელი – „გაბელაჲ" (ე. ბერძე, ქართველი ოსტატები, 1967).

გაბრიელი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ალავერდელი ეპისკოპოსი (ამბა ალავერდელი) XV ს. II ნახევარში, დაიით ქართლის კათოლიკოსის დროს (კათოლიკოსი ჩანს 1443-1459 წწ.). მას მიუცია ერთგულების წიგნი დაიით კათოლიკოსისათვის: „ესე წიგნი და პირი მოგახსენეთ თქუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზსა დაითს ჩუენ, ამბა ალავერდელმან გაბრიელ: ვიყუნეთ დღეს და დღესითგან წალმა თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული". (Ad 125, გამოც.: სამართ. ძეგლ. III, 237-238).

2. ალავერდის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში, ნიკოლოზ ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის (1562-1588) დროს, რომელსაც ერთგულების წიგნი მოუწერია ნიკოლოზ კათოლიკოსისათვის: „ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ამბა ალავერდელმა პატრონმან გაბრიელ ესე წიგნი მოგახსენეთ თქუენ, ჩუენსა მაკურთხეველსა ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქსა პატრონსა ნიკოლაოსსა" (Ad 1717, გამოც.: სამართ. ძეგლ. III, 351-352).

3. მანგლისის ეპისკოპოსი (ჯაჯახოშვილი), XVII ს. II ნახევარში. გაბრიელი მოხსენიებულია 1662-1699 წწ. მრავალ ისტორიულ სახუთში, რაგორიცაა მაგ., ერთგულების წიგნები ქართლის კათოლიკოსის: დომენტიანში (სამ. ძეგლ. III, 620) ნიკოლოზისადმი (თ. ჟორდანია ქართლ-კახეთის მონასტრების ისტ. საბუთები № 2922) იოანესადმი (Ad 647) და სხვა საბუთები: (Hd 1880; Hd 2629; Hd 598; Hd 9404; Ad 967, ცსსა 1449-1187 და სხვ.).

4. წილკნის ეკლესიის ეპისკოპოსი XVIII ს. I ნახევარში. 1725 წ. იგი უკურთხებია დომენტი კათოლიკოსს (H 1452, 337v).

5. XVII ს. II ნახევარში: ცაგერის ეპისკოპოსი ცაგერელი (ჩიქოვანი) (1656 წ., Qd 9085), ჭყონდიდის მთაყარეპისკოპოსი (1665 წ. Hd 9546). ჭყონდიდელ-ცაგერელად იწოდება 1673-1675 წწ. ისტორიულ საბუთებში (ცსსა 1448, 2225), ჭყონდიდელ ცაგერელ-გენათელად 1678-1709 წწ. საბუთებში (ცსსა 1450, 24-154), ჭყონდიდელ-ცაგარელ-ბედიელად 1680 წ. დოკუმენტში (H 84,2 ქართული სამართ. ძეგლები, გვ. 581-582).

6. XVIII ს. II ნახევრის ჭყონდიდის მთაყარეპისკოპოსი, ძე გიორგი ლიპარიტანისა, სალიპარიტანის მთაყარისა, მამამისმა დაახლ. 1703 წ. გაბრიელი, რომელიც ამ დროს მონაზონი იყო, დასვა ჭყონდიდის კათედრაზე. გაბრიელი 1721 წ. ჭყონდიდელობიდან გაადგო ძმამ, ბეჟან დადიანმა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „ისტორიაში" გაბრიელ ჭყონდიდელს ასე ახასიათებს: „იყო უღეთო, მეძავ-მეძრუშე, სოდომია და ტყუსმყოფელი და სავსე ბოროტითა" (ქართ-

ლის ცხოვრება, IV, 883,2).

7. ჭყონდიდის მიტროპოლიტი 1726 წლიდან. სადადიანის მთავრის, ბეჟან დადიანის ძე. მისი ინიციატივით XVIII ს. 60-იან წლებში მრავალი ხელნაწერი გადაუწერიათ. ცნობილია გაბრიელის 1753 წ. შეწირულების წიგნი მარტვილის ტაძრისადმი, რომელშიც ის თავს წარმოგვიგენს: „მარტვირის ღმრთისმშობელო, მე, სიყრმითგან მონამან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამან, დადიანის ბეჟანის ძემან, ბატონმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ მწყალობელად ეგე შესწირავი ძლევად მოგიძღვენ...“ (ქართ. სამართ. ძეგლები, III, 836-836). მარტვილის ნათლისმცემლის ხატზე 1728 წ. ასეთი წარწერაა: „ჩვენ დადიანის ბეჟანის ძემან ჭყონდიდელმიტროპოლიტმან გაბრიელ წმ. ამ ოთხი ჯვარისა შემკობა ვინებეთ“ (ქრონიკ. III, 123).

გაბრიელი — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი IX ს. I ნახევარში. გარდაიცვალა 830 წ. იხსენიება ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა XVII ს. ნუსხით მოღწეულ სიაში (A 160): „გაბრიელ, რომელმან სტოვა აღაშენა, იე წელ“, ე. ი. გაბრიელი წინამძღვრად ყოფილა 15 წლის განმავლობაში (815-830 წწ.).

2. X ს. ათონის იერთა მონასტრის მღვდელ-მონაზონი, იოანე ათონელისა და თორნიკე-ყოფილ იოანეს თანამოღვაწე. იხსენიება „იოანესა და ეფთვიმის ცხოვრებაში“: იოანე ათონელმა უსაყვედურა თორნიკეს, რომელიც მხედრობაში და ბრძოლებში გამოცდილი კაცი იყო და უფერად სალაშქრო და საერო ამბების თხრობა: „ჲწ დაცადე სოფლითა მაგათ საქმეთა უბნობაჲ და ამირეთგან სხუასა ნუ ვინ ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა. ხოლო ხუცესი იგი ესეითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოეხდოდა, არამედ ყოველივე სალმრთოჲ და სულიერი“ (ძეგლ. II, 51), „ცხოვრების“ მეორე ადგილას, სადაც გაბრიელს „მღვდელი“ ეწოდება, აღწერილია მისი მეგობრობა რომიდან ათონზე მოსულ და ბერად აღკვეცილ ლეონ დიდთან (ძეგლ. II,66). შესაძლებელია, ეს გაბრიელ ხუცესი — იგივე გაბრიელ ათონელი იყოს, რომლის სახელსაც უკავშირებენ ათონის იერთა მონასტრის კარის ღვთისმშობლის ხატის („პორტაიტისას“) ზღვიდან ხმელეთზე გამობრძანებას (იხ. გაბრიელ მთაწმიდელი).

3. XI ს. I ნახევრის დოლისყანის მონასტრის მონაზონი, მოძღვარი. მოხსენიებულია მონასტრის ეგვეტერში ამოღარულ წარწერაში: „შეიწყალე მოძღუარი გაბრიელ“ (ლაპიდ. წარწ. I, 293).

4. XI ს. შუა წლებში (1061 წლამდე) გაბრიელ თბილელს არნონის ხეობაში, შეპმანის მთაზე (იორდანიაში) დაუარსებია ქართული სავანე, სადაც არის დამზადებული აგიოგრაფიული კრებული (Jer. 50). ზედწოდებიდან ჩანს, რომ გაბრიელი იორდანაში წასვლამდე თბილისის მიტროპოლიტი უნდა ყოფილიყო.

5. სინის მთის ქართველთა მონასტრის XI ს. II ნახევრის მოძღვარი. იოანე-ზოსიმეს 978 წ. გადაუწერია სახარება (Sin. 15) „თანაშეწევნითა ძმათა გიორგისითა და კურიკესითა და მოძღურისა გაბრიელისითა“, 979 წელს კი — კრებული (Sin. 38). გაბრიელ მოძღვარი უნდა იყოს ის გაბრიელი, რომელმაც სინის ქართველთა მონასტერს 978 წ. შესწირა მიქელ ღრდულელთან ერთად სვიმეონ მესვეტის „ცხორება“ (Sin. 46).

6. XI ს. შაჯი მთის ქართველი მღვდელ-მონაზონი, ეფრემ მცირის თანამოღვაწე. ეფრემ მცირე გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკრველთმოქმედის ცხორების“ ანდერძში აღნიშნავს: „დაწერა ბერძულისაგან ქართულად მოსწრაფებითა მღვდელის გაბრიელისითა“ (S 384,728). გაბრიელს დაუკვეთია უთარგმნია ეფრემს იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ“ (A 24, 137).

7. წყაროსთავის მონასტრის XI ს. მოღვაწე, მონაზონი (რკინაელი). იგი იხსენიება ეფთვიმე გრძელის მოწაფის — ეგნატე ხუცესმონაზონის (1089-1091 წწ.) ანდერძში, რომელიც ერთვის მის მიერ გადაწერილ იოანე ოქროპირის მაცეს სახარების თარგმანებას (A 136). გაბრიელს ეგნატესათვის დიდი დახმარება გაუწევია ამ საბუთის შესრულებაში: „მოგჳსენეთ... ყოველნი და მოძღუარი გაბრიელ რკინაელი, კეთილისა მასწავლელი ჩემი და სულიერი ძმაჲ ჩემი იგი, რომელმან ამა შრომასსა შინა მმსახურა“ (392r-v).

8. ლაბეჭინის მონასტრის (ამბროლაურის რაიონი) წინამძღვარი XII საუკუნეში. მას მონასტერში დიდი აღშენებლობითი საქმიანობა ჩაუტარებია და მრავალი წიგნი შეუწირავს (მეტაფრასი, სვინაქსარი, მარხვანი, საწინასწარმეტყველი და სხვ.), რომლებიც მის მიერ შექმნილი გადამწერთა ჯგუფის დამზადებული იყო. ამის შესახებ გაბრიელი ვრცლად წერს XIII ს. ლაბეჭინის ოთხთავზე მიწერილ ანდერძში (A 1563, 272-275).

9. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარი XIV ს-ში (სინას მთის სულთა მატიანე Sin. 77).

10. XV ს. კარის მწიგნობარი (გიორგი მეფისა) და ჯუარის მტკვრისეული (ჯორაშვილი). მას 1460 წ. გადაუწერია გიორგი მეფის წყალობის სიგელი ჟურულისადმი: „დაიწერა ბრძანება ესე ჩვენი და სიგელი ინდიკტიონისა მეფობისა ჩუენისაა მეათოთხმეტესა, ქრონიკონსა რმც (140) კელითა კარის მწიგნობრისაა ჩუენისა და ჯუარისმტკრთველისა ჯორაშვილისა გაბრიელისათა, იენისსა ათორმეტსა“ (ქრონიკები, II, 279).

11. ხუცესი, იხსენიება ციცისშვილების გაყრის (1701-1703 წწ.) განჩინებაში (სამართ. ძეგლ. VI, 620).

12. გაბრიელ ათონელი – ათონის ივერთა მონასტრის ბერძენი წინამძღვარი XVII ს. დასწყისში. წარმოშობით გაბრიელი საქართველოდან ყოფილა. ერთი ბერძნული დოკუმენტის ქართულ თარგმანში ნათქვამია: „და შუდათას ას თორმეტსა წელსა[ადამით] (1604 წ.), ჩქდ [ქრისტესით] (1604) წინამძღურობასა გაბრიელ ხუცისა ათონელისა[სა], რომელი მოვიდა იერიით, ავაშენეთ სენაკები წმიდის გიორგის სასნეულოჲს სახლითგან ვიდრე წმიდათა უეცხლოთა სახაროდათამდე და ყოველთა წმიდათა წარსაგებელითა უფლისა კოზმა, თესალონიკისა მიტროპოლისაჲთა და სხუაჲ საქართველოჲსგან...“ „ესე უკუე წყალი შეასრულა უფალმან გაბრიელ ხუცესსან ათინელთან მეორესა წინამძღურობასა შინა თჳსსა წელსა შუდათას ას ოცდაშუდსა; ქრისტესით ჩქით (1619) და გააკეთა ორი წყაროჲცა გარე, რომელნიცა მუშაობდნენ ორსა წელსა“ („მოთხრობაჲ... მონასტრისა იერთაჲსა“; კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 84-85), როგორც აქედან ჩანს, გაბრიელი დახლოებული ყოფილა ქართველებთან და ქართველ დიდებულთა და სასულიერო პირთა დახმარებით აღდგენით-აღშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია იერთა მონასტერში.

13. თბილისის სიონის ეკლესიის დეკანოზი XVIII ს. I ნახევარში. მოხსენიებულია 1732 წ. ისტორიულ საბუთში (ქრონიკ. III, 141).

15. 1680 წ. განჩინებაში გიორგი საააძის მამულის საქმეებზე (ქართ. სამ. ძეგლ. VI, 598) მოხსენიებულია გაბრიელ ბერი.

16. ძიმითის (გურიაში) წმ. კვირიკეს ეკლესიის დეკანოზი XVII ს. II ნახევარში. იხსენიება ბიჭვინთის 1660-1686 წწ.-ის სიგელში (Sd 2935).

17. დირბის მონასტრის დეკანოზი XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში. ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ 1712 წ. დიდორქის მონასტერს ეჭმი დირბის დეკანოზის, გაბრიელის ვაჟი (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ.19).

18. გელათის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი XVIII ს. I ნახევარში. იხსენიება 1731 წ. შეწირულების საბუთში (ქრონიკ. III, 133).

19. XVIII ს. საეკლესიო მოღვაწე, კარის ეკლესიის დეკანოზი, კახეთის მეფეთა მოძღვარი. ის ხელს აწერს 1748 წ. საეკლესიო კრების დადგენილებებს: „გაბრიელ უღირსმან კახთა მეფისა დეკანოზმან, მეფეთა მოძღვარმან წარვწერე“ (ბოლოდან მეორე ხელრთვა. სამართ. ძეგლ. III, 805). ის გადამწერიც ყოფილა. გაბრიელს 1764 წ. ანტონ I-ის „გრამატიკა“ გადაუწერია (ქრონიკები, III, 293).

20. ათონის მთაზე 1262 წ. ქართველთა მიერ აშენებული წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XVIII ს. II ნახევრის წინამძღვარი (ღვანკოთელი). ათონის ივერთა მონასტრის ახლოს, სოფ. იერისოში დასახლდნენ ქართული ოჯახები, რომელთაც მონასტრის მომსახურება დაეკალთა. სწორედ ამ ეკლესიის წინამძღვრად აურჩევიათ 1768 წ. გაბრიელ ღვანკოთელი, რომელიც გარდაცვალებამდე (†1778 წ.) განაგებდა იქაურ სამწყსოს. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ნანგრევები მოუნახულებია 1849 წ. პ. უსპენსკის. აქ ყოფილა ხატი 1336 წ.-ის დაენთ წილკნელის ქართული წარწერით, რომელიც გადმოიღო პ. უსპენსკიმ (კერები, II, 396).

21. თირის მონასტრის დეკანოზი XVIII ს. II ნახ. მოხსენიებულია ოუსტინე ურბნელის 1777 წ. განჩინების წიგნში (სამ. ძეგლ. V, 24).

22. დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის წინამძღვარი XIX ს. 40-იან წლებში (ტუსია // ტუსკა).

გაბრიელი – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. X ს. ერთ-ერთ საუკეთესო კალიგრაფთაგანი. გადაუწერია პაულე მოციქულის ეპისტოლეთა კრებული (S 1138). არსებობს აზრი, რომ გაბრიელი ის გაბრიელ ათონელი უნდა იყოს, რომელმაც ზღვიდან გამოაბრძანა ათონის ქართველთა მონასტრის ღვთისმშობლის პორტატისის ხატი (იხ. S 1138, მინაწერები).

2. X ს. კალიგრაფი. მას გადაუწერია ოთხთავი (S 405), როგორც ამას ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „წმიდაო მახარებელო მარკოზ, მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა, ღირსა ყავთ მონანი ქრისტესნო, გაბრიელისთჳს“. ხელნაწერი გადაწერილია ასომთავრულით, შეკრული

და გაფერადებულია საზედაო ასოებით.

3. X ს. შატბერდის მონასტრის მოღვაწე, კალიგრაფი. 936 წ. მას გრიგოლ მირდატის ძის შეკვეთით გადაუწერია სახარება, რომელიც ჯრუჭის I ოთხთავის (იხ.) სახელით არის ცნობილი (H 1660).

4. გეთსიმანიის (იერუსალიმი) ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ქართველი მონაზონი, კალიგრაფი. მას გადაუწერია 1044 წ. პარაკლიტონი (Sin. 13).

5. XI ს. საეკლესიო მოღვაწე და კალიგრაფი (კოტაჲ). 1047-1048 წწ. მას ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის დაკვეთით მანგლისში გადაუწერია იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება (ქუთ. 19, ქუთ. 20), ხოლო 1053 წელს აწყურის ტაძარში გადაუწერია იოანეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა (ქუთ. 21).

6. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის XI ს. მონაზონი და კალიგრაფი (საფარელიძე). 1061 წ. მას იერუსალიმში გადაუწერია და შეუმოსავს პარაკლიტონი (Sin. 17), ხოლო 1062 წ. გადაუწერია ოთხთავი (Sin. 16).

7. კერძო დიაკონი, XVI ს. კალიგრაფი (ლოშხიანისძე). მონაწილეობდა ბედიელ მიტროპოლიტის, გერმანე ჩხეტიძის გულანის (A 187) გადაწერაში სამ სხვა კალიგრაფთან ერთად. ის შავშეთიდან, სოფელ დიობნიდან ყოფილა და ბედიაში გერმანე მიტროპოლიტის მიწვევით სხვა კალიგრაფთან ერთად ჩასულა. ხელნაწერში მისი ანდერძი 529-ე ფურცელზეა მოთავსებული.

8. XVI-XVII სს. მთავარდიაკონი და გადამწერი, გადაუწერია ჟამნი (H 856).

9. XVII ს. II ნახ. მღვდელი და კალიგრაფი (ბოკუჩავა). 1667 წ. მას გადაუწერია კურთხევანი (H 1719).

10. XVII ს. კალიგრაფი. ლევან დადიანის კარზე მას ლაზარე და მანასესთან ერთად გადაუწერია მეტაფრასი (S 1513), დიდი ფორმატის წიგნი (238 ფ., 35,8 X 24,8 სმ.).

11. სიონის დეკანოზის ძე, კერძო დიაკონი, შემდეგ მთავარდიაკონი, XVIII ს. დასაწყისის კალიგრაფი (მიქაძე). გადაუწერია კრებული (A 910) და სამოციქულო (A 909). ორივე ხელნაწერი გადაწერილია 1712 წლამდე, რადგან მათში ეახტანგ VI ქართლის გამგებლად არის მოხსენიებული. მას 1713 წ. გადაუწერია რუისის ეკლესიის მოხატული კონდაკი, სადაც იგი მთავარდიაკნად მოიხსენიება (ქრონიკ. III,51).

12. ანჩისხატის XVIII ს. ნახელარის კანდელაკი და გადამწერი. 1798 წ. გადაუწერია ანტონ I-ის „მზამეტყველება" (A 279), ხოლო 1802 წ. – მანუელ ქსანთინოსის "ქორწინების თავთავუს" (Q 228), I ნაწილი.

13. XVII ს. კალიგრაფი (საბლუა). გაბრიელი მუშაობდა გიორგი გურიელის კარზე, რომლის შეკვეთით მას გადაუწერია 626 ფურცლიანი თვენი (A 1488).

14. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ხუცესმონაზონი და კალიგრაფი XVII ს. ბოლოს და XVII ს. I ნახევარში (საგინაშვილი). გაბრიელი იყო თბილელი მიტროპოლიტის – ელიასეს ძმისწული. თაეისი ბიოგრაფიული ცნობები მას დაურთავს მის მიერ გადაწერილი ხელნაწერების ანდერძებში (Q 85, 1719 წ.; A 624, 1707 წ.). მას გადაუწერია დომენტი კათოლიკოსის მიერ შედგენილი ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებული (A 130) კონდაკი (A 624), საქმე მოციქულთა (Q 86). როგორც კარგ კალიგრაფს, ეტყობა ეახტანგ VI-ც იცნობდა, რომლის დაკალებითაც მას რამდენიმე ხელნაწერი აქვს გადაწერილი (ვ. ბერიძე, ქართველი ოსტატები, თბ., 1967).

გაბრიელი – რამდენიმე ქართველი ოქრომჭედლისა და ოსტატის სახელი:

1. ოქრომჭედელი, მოღვაწეობდა ქვემო სვანეთში. მისი შესრულებულია სოფ. ჩიხარეშის (ლაშხეთის თემი) ეკლესიის კარედის ხატის შუა ნაწილი (ზომ. 45 X 41 სმ.), რომელზედაც გამოსახულნი არიან ტახტზე ფრონტალურად მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით, მის მარჯვნივ და მარცხნივ კი – პაულე და პეტრე მოციქულები. გ. ჩუბინაშვილის აზრით, გაბრიელის შესრულებული უნდა იყოს წუკულის (ქვემო სვანეთი) ეკლესიის ანალოგიური კარედის ხატის ფრთები, რომელზეც გამოსახულნი არიან ფეხზე მდგომნი, ფარითა და შუბით შეიარაღებული წმ. გიორგი და წმ. თევდორე.

2. X ს. I ნახ. ოსტატი. დოლისყანის ეკლესიის სამხრეთის სარკმელთან მას გამოუქანდაკებია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ფიგურები. გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურის გვერდით, მედალიონში მოთავსებულია მამაკაცის რელიეფური ბიუსტი, ხოლო მის ქვეშ კი ასომთაერული წარწერაა: „შეიქმნეს ქელითა გაბრიელ დიაკვნისაჲთა".

3. საფარის მონასტრის X-XI სს. მოღვაწე, ოქრომჭედელი. მისი ნამუშევრებიდან შემონახულია საფარის მონასტრის საწინამძღვრო ჯვარი. როგორც ჩანს, ჯვარი მოგეყანებით ბერეთის ეკლესიაში გადმოუტანიათ და ამიტომ იგი ბე-

თის ჯვრის (იხ.) სახელწოდებით არის ცნობილი, ჯვრის წარწერების ანალიზის მიხედვით ჯვარი 994-1001 წწ. უნდა იყოს დამზადებული. გაბრიელ საფარელი, როგორც ჩანს, შავ მთაზე წასულა და იქ კალიპოსის ქართველთა მონასტერში დამკვიდრებულა. აქ მას იოანე საფარელთან ერთად 1040 წ. გადაუწერია გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველი კრებული და იერუსალიმის ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს. ხელნაწერი ამჟამად პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება (P 3). (ვ. ბერძე, ქართველი ოსტატები, თბ., 1967).

4. შემოქმედის მონასტრის ეკრცხლის ფორფიტის (სანაწილეს მოჭედილობის ფრაგმენტი) ავტორი. მხედრულ წარწერაში ნათქვამია: „...იესენით სატანჯველთაგან ცოდვილი გაბრიელ ოქრომჭედელი და მეულლე მისი სათუთა"..

5. XVIII-XIX სს. მიჯნის ოქრომჭედელი. 1797 წ. მან მოჭედა ზურგი ალავერდის წმ. გიორგის დიდი ხატისა, რომელიც „სამებისა და სერგის ლაურაში" დაიხატა, ხოლო 1721 წ. კი ალავერდელი ეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ბრძანებით მოიჭედა მისი წინა პირი. 1801 წ. დავით ბატონიშვილის ბრძანებით გაბრიელმა შეასრულა ბოჭორძის წმ. გიორგის ხატის ჩარჩო.

გაბრიელ დაფანჩული – VIII ს. მიწურულის კლარჯული ფეოდალი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა გრიგოლ ხანძთელს სამონასტრო მშენებლობაში, კერძოდ, ხანძთის მონასტრის აშენებაში: „განძრულდა ძუელი იგი ეკლესიაჲ ხანძთისაჲ შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლაკტიანა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ყორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა" („ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ", ძეგლები, I, 262, 24).

გაბრიელ მთაპარანგელოზი – ერთი შვიდ მთაპარანგელოზთაგანი, რომელმაც ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის სიზმარი (დან. 8,16-27), ახარა ზაქარიას იოანე ნათლისმცემლის შობა (ლუკა 1,5-25), ხოლო მარიამ ღვთისმშობელს – იესო ქრისტეს შობა (ლუკა 1,2638). გაბრიელ მთაპარანგელოზს დიდი ადგილი ეთმობა სახარების წიგნებში. ასევე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თალმუდში. მაჰმადიანური თქმულებებით გაბრიელი ოთხთაგან ერთი ანგელოზია, რომელიც სარგებლობს ღვთის განსაკუთრებული წყალობით. მან აუწყა მაჰმადს მთელი ყურანი.

გაბრიელ მთაწმიდელი (ათონელი) – ათონის ქართველთა მონასტრის X ს. ბერი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ათონის იერთა მონასტრის კარის (პორტიატისის) ღვთისმშობლის ხატის მოპოვების ისტორია: ხატთბრძოლობის დროს ერთმა მორწმუნე ქურუმმა, რომელიც ცხოვრობდა ნიკეის ახლოს და ქონდა ღვთისმშობლის ხატი, დაღუპვისაგან მისი გადარჩენის მიზნით იგი ზღვას გაატანა. ერთხელ, 2 საუკუნის შემდეგ, ათონის იერთა მონასტრის ბერებმა დაინახეს ზღვაში ნათლის კაშკაშა სვეტი, რომელიც თაზე ადგა ღვთისმშობლის ხატს. მხეოვანი ქართველი ბერი გაბრიელი შეეშვა ზღვაში, წყლის ზედაპირი ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე და მიიტანა წმიდა ხატი. გადმოცემით ეს მოხდარა 999 წ. 27 აპრილს (იხ. ათონის იერთა მონასტრის ღვთისმშობლის ხატი).

გაბრიელ მოწამე – დავითგარეჯის მონასტრის XVII ს. I ნახევრის მონაზონი, მოწამე გაბრიელი მოკლეს ლეკებმა დაახლ. 1697-1700 წლებში, მათ მიერ დავითგარეჯის მონასტრის დარბევის დროს. ნიკოლოზ მაღალაშვილს ამავე პერიოდში დაუწერია სვინაქსარული ცხოვრება და მთელი დღის განმავლობაში „მღდელთმოწამისა შიოსი და მოყუასთა მისთა", რომელშიც მოთხრობილია შიოს და მასთან ერთად კიდევ ოთხი მონაზვნის ლეკების მიერ დახოცვის ამბავი: „მოკლეს ძმა შიო მღდელ-მონაზონი, დაჭრა მწირი, გაბრიელ და პაულე. გაბრიელ წარიტყოდა და აღმოსაელით ღელეში შეპარეს და მახულითა აღსარული მოითულა. ხუთნი მახულითა დაკლნეს" (ძეგლები, IV, 440-442).

გაბრიელ მცირე († 1802 წ.) – საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და კალიგრაფი, დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მონაზონი. ამ მონასტერში მან 30 წელი იღვაწა. მოკლულ იქნა მონასტერზე ლეკების თავდასხმის დროს. დასაფლავებულია ამავე მონასტერში. გაბრიელ მცირის ორიგინალური თხზულებები თავმყრილია ხელნაწერ კრებულში, რომელსაც „ჯვარშემოსილი" ეწოდება და დაცულია ბოდლეს ბიბლიოთეკაში, მარკორი უორდროპის ფონდში (ფოტოპირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში). მათგან მნიშვნელოვანია პაგიოგრაფიული ძეგლი „ონისიფორეს ცხოვრება" (გამოცემულია: „ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", V, თბილისი, 1988 წ. გვ. 109-122), „მღვდელმთავრისა ლიტურღიისა განმარტება", მეშვიდური თხრო-

ბანი და სხვ. გაბრიელმა შეადგინა მრავალი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, იოანე მოსხის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვა გამოჩენილ საეკლესიო მამათა სხვადასხვა დროს ქართულად თარგმნილი თხზულებების საფუძველზე: „გურგვინი“, „სამოთხის ყვავილი“, (გამოც. 1895 წ.), „ოქროს წყარო“ (1905 წ.), „სუფეკა“, „ალიტე“, „სამასეული“, „მანანა“. გაბრიელ მცირის მიერ კრებულების დასათაურებას და შემადგენელი თავების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს (იხ. თითოეული მათგანი; აგრ. ზ. სხირტლაძე, გაბრიელ მცირე, თბ. 2003 წ.)

ბაბრიელ პატარაჲ – X ს. პარხლის მონასტრის მონაზონი, კალიგრაფი. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გადაწერილმა რამდენიმე წიგნმა: 1. პარხლის მრავალთავი (A 95, XI ს.), რომელშიც შეტანილია ძველი ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები – „შუშანიკის წამება“ და „ბრ თბილელის წამება“. 2. პარხლის ოთხთავი (S 4927). 3. წყაროსთავის ოთხთავი (A 98). გაბრიელ პატარაჲ კალიგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია (ე. ბერიძე, ძველი ქართვ. ოსტატები, თბ. 1967).

ბაბრიელ I – ქართლის კათოლიკოსი და მცხეთის ეპისკოპოსი VI ს. დასაწყისში (ქართ. საეკლესიო კალენდარი 502-510). ახრამ სომეხთა კათოლიკოსის მიერ კირიონ ქართლის კათოლიკოსიადმი მიწერილი მესამე ეპისტოლის (VII ს. დასაწყისში) თანახმად, გაბრიელი მონაწილეობდა დვინის საკლესიო კრებაში (506 წ.) და იყო კრების მონაწილე ქართული სამღვდელოების დელეგატთა მეთაური (ეპისტოლეთა წიგნი, გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968 წ.)

ბაბრიელ II – ქართლის კათოლიკოსი IX ს. 30-50-იან წლებში.

ბაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე 1825-1896) – იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წწ. გამოჩენილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე. 1839 წ. დაამთავრა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1842 წ-დან სწავლობდა ქ. ფსკოვის, ხოლო 1844 წ-დან – პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1845 წ. დაამთავრა. 1849 წ. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. 1849-53 წ. მსახურობდა თბილისის სასულ. სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას, პარალელურად კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1851 წ. მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1856 წ. ეკურთხა მღვდელ-მონაზვნად. 1858 წ. დაინიშნა დაღითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტად. იმავე წელს აკურთხეს გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1960 წ. 2 იელისს – იმერეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. გაბრიელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი და საპატიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით რამდენიმე სახალხო სკოლა გახსნა. მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. 1858 წ. პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი კაპიტალური ნაშრომი „ქადაგებითი ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც დიდხანს რუსეთის სემინარიებში სასწავლო სახელმძღვანელოდ იხმარებოდა. გაბრიელი შესანიშნავი მქადაგებელი იყო. მისი ქადაგებები გამოცემულია ქართულ (1865 და 1913 წწ. ტ. 1-2), რუსული (1893) და ინგლისურ (1867 წ.) ენებზე. გაბრიელი იყო ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე. ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების დარგში. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში [იხ. ა. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), თბ., 1990].

ბაბრიელ საფარელი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი II-ის მეფობის (1072-1089) დროს. მანამდე გაბრიელი საფარის მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო და ამიტომ უწოდებდნენ მას „საფარელს“.

ბაბარა – რუსი პილიგრიმი ყაზანიდან, რომელმაც 1634-1637წწ. მოიარა იერუსალიმი, ეგვიპტე და დატოვა ცნობები იქ მოღვაწე ქართველ მონაზვნების შესახებ (Жизнь и хождение в Иерусалем и Египет казанца В.Гагары, ППС, 1891, с. 12-13).

ბაბრა – საკურორტო ქალაქი აფხაზეთში, სოხუმიდან 80 კმ. აქ, ძველი ციხის ტერიტორიაზე დგას ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით ნაგები VI-VII სს. სამკლესიანი ბაზილიკა (აღდგენილია XIX ს.).

ბადიდი – სოფელი ეანის რაიონში, მდ. ღელესყურის შუა დინებაში. ეანიდან 9 კმ. სოფლის ახლოს შემორჩენილია XI ს. ეკლესი-

ის სახირკელი და სამშენებლო წარწერიანი ქვა (ინახება ვანის მხარეთმცოდნ. მუზეუმში).

გაენათი – იხ. გელათი.

გაფაზი – სოფელი ახალგორის რაიონში, მდ. ჭურთისწყლის მარცხ. მხარეზე, ახალგორიდან 26 კმ. პირველად იხსენიება „ძეგლი ერისთავთა“-ში (XIV ს.). სოფელში შემორჩენილია IX-X სს. წმ. ბარბარეს ეკლესია.

გაფაზი (ძველი გაეზი) – ისტორიული სოფელი კახეთში, მდებარეობს დღევანდელი ახალსოფლის (ყვარლის რაიონი) ტერიტორიაზე, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადის – ავანისხევის (გაეზისწყლის) ორიეე ნაპირზე. VI ს. გაეზში აიგო „ძველი გაეზის“ სახელით ცნობილი ეკლესია. ქართულ წერილობით წყაროებში გაეზი პირველად IX ს-ში იხსენიება, როდესაც აქ კახეთის ქორეპისკოპოსმა სამოელმა დაამარცხა არაბები. გაეზაში აღმოჩენილი 1025 წ.-ის ასოშენებული წარწერა გვამცნობს, რომ აქ მნიშვნელოვანი შენებლობა მიმდინარეობდა. შაჰ-აბაზის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ გაეზის მნიშვნელობა დაკნინდა. ლეკიანობამ იგი გააპარტახა. XVIII ს-ში გაეზის მოსახლეობა გადასახლდა ალაზნის ველზე, სადაც ამავე სახელწოდების სოფელი გაშენდა.

ძველი გაეზის ეკლესია (VI ს.) ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. ეკლესია დამახინჯებულია XIX და XX სს. შეკეთების შედეგად. გარეშემოსაველი და გუმბათის ყელი თავდაპირველი არ არის. ეკლესია ნაგები რიყის ქვებით (ზომ. 13 X 13 სმ., გარეშემოსაველის გარეშე).

სოფლის მახლობლად, ტყეში არის გაეზის წმ. გიორგის ეკლესია. დარბაზულ ნაგებობას აქვს სამხრეთის მინაშენი. გაეზაზის წმ. გიორგობა (ნოემბრის 10 ძვ. სტ.) ხალხმრავალი დღესასწაულია. ამ დროს აქ თაეს იყრიან მლოცველები მთელი კახეთიდან.

გაეთი – თმოგვის მიდამოები (ასპინძის რაიონი). აქ დგას წმ. გიორგის ერთაეიანი დარბაზული ეკლესია, აგებული XIII-XIV სს. მოზაზე. ფასადების ხასიათით, კარ-სარკმელთა დეკორითა და ცალკეული მოტივებით საფარა-ზარზმის ხუროთმოძღვრულ წრეს მიეკუთვნება. გაეთის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე უცნობი ფორმის – მუზარადისებრი მოპაზულობის თაღებია (ისლამური ელემენტი).

გაიანე – ქრისტიანული ეკლესიის მოწამე და წმინდანი. გაიანე წმ. რიფსიმესთან და წმ. ნინოსთან ერთად სომხეთში მოვიდა ნიკეის კრების მოწეეების (325 წ.) მეორე წელს, ე. ი. 326 წელს, როგორც ეს მოთხრობილია „მოქცეაჲ ქართლისაჲ“ (ძეგლ., I, 114). რიფსიმესთან ერთად გაიანე აწამა თრდატ სომეხთა მეფემ იმავე 326 წ., ანტონ I-მა დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „შესხმა და მოთხრობა ღაწლთა და ენებათა წმ. მღუდელმოწამისა გრიგოლი დიდისა სომხითისა ეპისკოპოსისა და წმიდისა ღირსთა მოწამეთა ქალწულთა რიფსიმესი და გაიანესი და სხუათა მისთანათა“, და „მარტირიკაში“ შეიტანა (ძეგლები, VI, 370-418).

გაიმ // გა – უძველესი ქართული წარმართული ღვთაება, რომლის კერპი მცხეთაში იდგა. მისი ხსენება პირველად უკავშირდება აზოს მეფობის პერიოდს, რომელიც იყო „პირველი მეფე მცხეთასა შინა“ (მოქცეაჲ ქართლისაჲ; ძეგლები, I, 82,3). კერპი აზოს მცხეთაში მამამისის – „არიან ქართველთა მეფის“ (824) სამკვდრებლიდან ჩამოუტანია გაცის კერპთან ერთად. წმ. ნინოს „ცხოვრებაში“ აღწერილია, თუ როგორ დაარღვია ნინომ ღვთიური სასწაულით წარმართული კერპები და, მათ შორის, გაიმის კერპი (ძეგლები, I, გვ. 120-121 იხ. გაცი).

გაიოზ დიაკონი – დავითგარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის მონაზონი XVIII ს. II ნახევარში. მას რამდენიმე წიგნი გადაუწერია (H 1012, 145v და სხვ.).

გაიოზ რექტორი (1745-1821) – XVIII-XIX სს. ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი და პედაგოგი. დაიბადა სოფ. მაღაროში (ახლანდელი სიღნაღ. რაიონი). როგორც ფიქრობენ, გვარად ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო. 1765 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1778 წ. – მოსკოვის სასულიერო აკადემია, დაბრუნდა თბილისში და ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას. მონაწილეობდა 1772 და 1780-82 წწ. დიპლომატიურ მისიებში მოსკოვში. 1782 წლიდან იყო მისიე ინიციატივით გახსნილი თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი. მონაწილეობდა 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაში. 1783 წ. გაემგზავრა რუსეთს. იქ სამეფო კარზე ერეკლე II-ის პოლიტიკას ახორციელებდა და იცავდა საქართველოს ინტერესებს 1783-1793 წწ. გაიოზი „ოსეთის სასულიერო კომისიის“ წევრია და საფუძველს უყრის ოსური ანბანის შექმნას. 1793-99 წწ. გაიოზი იყო მის მიერეე დაარსებული მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსი, 1799-1808 წწ-ში – სარატოვისა და პენზის ეპარქიების ეპისკოპოსი, ხოლო 1808 წ-დან გარდაცვალებამდე –

ასტრახანის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. გაიოზ რექტორს ბევრი ორიგინალური თხზულება დაუწერია და კიდევ უფრო მეტი უთარგმნია ქართულად. ორიგინალური შრომებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს ისტორია“, „გრამატიკა“ (1789 წ.), რომელიც ანტონ I ის „გრამატიკის“ საფუძველზე შეადგინა და რომელიც წარმოადგენს პირველ ქართულ ნაბეჭდ გრამატიკის სახელმძღვანელოს, „ქრისტიანობრივი სწავლა ანუ ჭეშმარიტი სიტყვა ღმრთისა“, ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ და „მარტირიის“ წინათქმები (ამბიკოდ), ანტონ I-ის „ლეთისმეტყველების“ სატიბელი და სხვ. 1796 წ. გაიოზმა მოზდოკში დაარსა ქართული სტამბა, სადაც სხვა წიგნებთან ერთად გაიოზის ნაშრომებიც იბეჭდებოდა. გაიოზ რექტორს დიდი წვლილი მიუძღვის ჰედაგოგიკისა და აღმზრდელობითი საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში. გაიოზმა საკლასიო და საზოგადოებრივი ხასიათის მრავალი ნაშრომი თარგმნა (ძირითადად რუსულიდან). მისი გამოსვლები და ქადაგებები ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად არის მიჩნეული.

გაიოს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა ტიმოთე მოციქულის-პაულე მოციქულის მოწაფის შემდეგ. გაიოს იხსენიებს პაულე მოციქული (რომ. 16.22).

გაკუეთილი – საკლასიო ტერმინი, დაწესებული ნორმა (უმეტესად მონასტრის მოწესეთა საჭმელ-სასმელისა) დღიურად ან თვიურად. „გაკუეთილი შეუქმნეს თავისა კრასოეულისაგან კიდე, კოკაჲ ერთი ღვინო თუესა შინა და ერთი და სამი ლიტრაჲ ზეთი და ღვინ ერთი პური“; „და ესე იყო გაკუეთილი მისი (ძეგლ. II, 80). ეს ტერმინი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ალაპებში.

გალილეა (ებრ. გალილ) – პალესტინის ერთი სამ ოლქთაგანი, რომელთა ბატონობის პერიოდში, პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილში, იორდანედან დასავლეთით. მასში შედიოდა ისრაელის ოთხი ტომის (ასერის, ნეფთალის, ზაბულონისა და ისახარის) მიწები. აღმოსავლეთიდან დასავლეთით ოლქის ტერიტორია 120 ვერსზე გრძელდებოდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 40 ვერსზე. გალილეა და მისი ქალაქები (ბეთსაიდა, კესარია ფილიპესი, კანა, ნაზარეთი და სხვ.) ხშირად იხსენიება ძველსა და ახალი აღთქმის წიგნებში: გალილეადან იყვნენ გამოსულნი ძველი აღთქმის მცირე წინასწარმეტყველები: ოსია, იონა და ნაუმი, ხოლო ახალ აღთქმაში გალილეასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები.

გალობა – 1. სიმღერა, „ქმა-ავაჯიანი შეწყობით აღტეებული თუნიერ ორღანჲსა“ (სამა). გალობა შეიძლება იყოს საერო და საეკლესიო. 2. საეკლესიო პიმნოგრაფიული ტერმინი. გალობა ეწოდება „გალობანის“ ანუ კანონის თითოეულ ოდას. „გალობანი“ ცხრაოდენია. მათი სახელწოდებებია: უგალობლითა, მოიხილესა, განძლიერდასა, უფალო მესმასა, ღამითგანსა, ღაღადყავსა, კურთხეულ არსსა, აკურთხეულითა, ადიდებლითსა. სახელწოდებები აღებულია იმ ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვებიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო გალობანის გალობებს. თითოეული გალობა, ანუ ოდა შეიცავს ძლისპირსა და რამდენიმე დასდებელს, ანუ ტროპარს. დასდებლის რაოდენობა გალობაში შეიძლება სხვადასხვა იყოს (2, 3, 4, 5; ყოველი გალობა მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დასდებლით. იხ. გალობანი.).

გალობაჲ ალსაჲალთაჲ – იხ. ალსაალნი.

გალობანი (ებრძ. კანონი) – სასულიერო შინაარსის დიდი ზომის საგალობელი, რომელიც 9 გალობისაგან, ანუ ოდისაგან შედგება. გალობანის ანუ პიმნოგრაფიული კანონის შედგენილობა განსაზღვრულია ბიბლიური გალობებით. კანონში ბიბლიის 12 გალობიდან 9 შეიდა. თითოეული ოდის, ანუ გალობის ქართული სახელწოდება დაკავშირებულია იმ ბიბლიური გალობის დასაწყის სიტყვასთან, რომელიც საფუძვლად უდევს ოდას:

I. „უგალობლითსა“ – მოსეს გალობა: „უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს...“ (გამოსლ. XVI, 19).

II. „მოიხილესა“ – მოსეს გალობა: „მოიხილე, ცაო და ვიტყოდი, და ისმენდინ ქუეყანაჲ...“ (II სჯ. XXII, 1-48).

III. „განძლიერდასა“ – ანა წინასწარმეტყველის გალობა: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ...“ (I მეფ. II, 1-10).

IV. „უფალო მესმასა“ – ამბაკუმის გალობა: „მესმა, უფალო, სასმენელი შენი და შეშინა...“ (ამბაკ. III, 1-19).

V. „ღამითგანსა“ – ისაიას გალობა: „ღამითგან აღიმსთობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო...“ (ეს. XXVI,9-20).

VI. „ღაღადყავსა“ – იონას გალობა: „ღაღადეყავ ჭირსა შინა...“ (იონა, II, 3-10).

VII. „კურთხეულ არსსა“ – სამთა ყრმათა გალობა: „კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერთო ძმათა ჩუენთაო...“ (დან. III, 25-26).

VIII. „აკურთხეველითსა“ – დანიელის გალობა: „აკურთხეთდა ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა...“ (დან. III, 57-90).

IX – „ადიდებდითსა“ – ღვთისმშობლის გალობა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა..“ (ლუკა I, 46-55).

გალობანი (კანონი) აგებულია ძლისპირთა და დასდებელთა (ტროპართა) თანმიმდევრობაზე, სადაც ძლისპირი არის რიტმულ-მელოდიური მოდელი მომდევნო დასდებელისათვის.

პიმნოგრაფიულ კანონში ანუ გალობაში მეორე გალობა ხშირად გამოტოვებულია თავისი მშვენვარე ხასიათის გამო; მაგრამ ყოველთვის დიდმარხვის დღეების გალობაში (სამშაბათს) არის აგრეთვე ორი (ბერძნ. დიოდიონი), სამი (ტრიოდიონი) და ოთხი (ტეტრადიონი) გალობისაგან შედგენილი კანონებიც. სამსაგალობელი უფრო ხშირად არის ტრიოდიონებში (მარხვანი და ზატიკი). ისინი აქ სრულდება კვირის ყოველ დღეს, შაბათ-კვირა დღეების გარდა:

ორშაბათის სამსაგალობელი შედგება 1, 8, 9 გალობებისაგან სამშაბათისა – 2, 8, 9; ოთხშაბათისა – 3, 8, 9; ხუთშაბათისა – 4, 8, 9; პარასკევისა – 5, 8, 9.

შაბათის ტრიოდიონში დადებულია ოთხსაგალობელი: 6, 7, 8, 9 საგალობელი. ორსაგალობელი შედგება მე-8 და მე-9 გალობებისაგან და იგალობება მხოლოდ დიდ სამშაბათს ცისკრად.

„გალობანის“ ყოველი გალობა შედგება ძლისპირისა (ბერძნ. ირმოსი) და რამდენიმე დასდებელისაგან (ტროპარისაგან), რაოდენობა თითოეულ გალობაში სხვადასხვაა (2,3,4,5). ძლისპირთა და დასდებელთა შინაარსი და ტონალობა ერთნაირია. „გალობანის“ ყოველი გალობა (ოდა) მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დასდებლით.

„გალობანი სინანულისანი“ – დაჭით ალმაშენებლის ორიგინალური, სასულიერო შინაარსის პიმნი, პიმნოგრაფიული კანონი. თხზულება დაწერილი უნდა იყოს ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მიბაძვით (კრიტელის თხზულება მისი დავალებით მესამედ თარგმნა არსენ მონაზონმა, იყალთოელმა). „გალობანი სინანულისანი“ გამოხატავს ავტორის ღრმა სინანულს და ვედრებას ღვთისადმი საკუთარ და, ზოგადად, ადამიანთა მოდგმის მიერ ჩადენილ ცოდვათა მიტევებისათვის. თხზულება მოღწეულია ხელნაწერებით: A 85, 187v-190r; A 290, 245v-247v, გამოცემულია: მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, 513-518; თ. ტორდანია, ქრონიკები, II, 104-107, 1889; ბოლო გამოცემა: ზ. ჭავჭავაძე, მაცნე, № 4, 1985 წ.).

გამალიელ – იკორთის მონასტრის არქიმანდრიტი XVIII ს. I ნახევარში. იხსენიება 1678-1696 წწ. ნიკოლოზ კათალიკოსის სამოთხის ძველ შეწირულებათა წიგნის გვიანდელ მიწაწერში: „ამისი ახლი ჭეშმარიტი პირი უნახე თვით კათალიკოზის ნიკოლოზისაგან დაწერილი, შეუამოწმე... ჭეშმარიტი არის. იკორთის არხიმანდრიტი გამალიელ“ (ცსსა, ფ. 1449. საბ. № 826. სამ. ძეგლ. III, 617).

„გამოავლინე“ (ბერძნ. „ექსაპოსტეილარიონ“) – დასდებელი (ტროპარი), რომელიც იგალობება კანონის მე-9 გალობის (ოდის) შემდეგ და „დიდებაჲ მაღალთაჲს“ წინ ცისკრად. სახელწოდება აღებულია ფსალმუნიდან „გამოავლინე ნათელი შენი“ (42,3). ეს ტროპარი შეიცავს ვედრებას ღვთისადმი, გარდმოავლინოს ჩვენს გონებაზე ნათელი, რომ ქება შეეძლოს უფალს. თვით შესხმას კი შეიცავენ ამ ტროპარის მომდევნო ფსალმუნები („აქებდითი“) და „დიდებაჲ მაღალთაჲ“ (იხ. „განმანათებელი“).

„გამოჩინებული“ – მონასტერი სოფ. საკაეთხოს (ჩოხატაურის რაიონში) მიდამოებში. მონასტრის კომპლექსში შედის წმ. გიორგის 1519 წ. ეკლესია და შუა საუკუნეების სხვა დამხმარე ნაგებობანი.

გამოცხადება (ბერძნ. „აპოკალიფსის“) – „გამოცხადებაჲ ღმრთისმეტყველისა იოანესი“ – ასე ეწოდება ახალი აღთქმის კანონის უკანასკნელ წიგნს, რომელიც დაწერილია იოანე მოციქულისა და მახარებლის მიერ კუნძულ პატმოსზე I საუკუნეში. თხზულება წარმოადგენს მსოფლიო და საეკლესიო ისტორიის წინასწარმეტყველურ კომპენდიუმს, დაწყებულს ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნიდან სამყაროს აღსასრულამდე. წიგნის მიზანია, ჩაუნერგოს ქრისტიანებს სარწმუნოების სიმტკიცე და მოამზადოს ისინი მომავალი მოწამეობისათვის, მაგრამ ამავე დროს ის აძლევს მას რწმენას, რომ მესიის სასუფეველი გამარჯვებას ყოველგარ მტერზე. აპოკალიფსი შედგება 4 ნაწილისაგან: I ნაწილში მოციქულს გამოეცხადება ქრისტე. მის ხელშია ეკლესიის ხვედრი და ყველა ეკლესიაზე განსაკუთრებული წინასწარმეტყველება. II ნაწილში აღწერილია, თუ როგორ იქნა ალტაცებული იოანე მოციქული ზეცაში, როგორ წარდგა

საღმრთო ტახტის წინაშე და ნახა განცხადებული 7 საღვთო საიდუმლო, რომელთაგან უკანასკნელია — საღვთო სახუფეველის დასაწყისი მიწაზე, მეორე და საშინელი გამოცხადება ღვთისა მიწაზე. III ნაწილში აღწერილია ბრძოლა ქრისტეს ჭეშმარიტი მიძღვრებისა დრაკონის თანამგზომელებთან მიწაზე და ზეცაში. IV ნაწილში აღწერილია თვალთმაქცობით შეცდენილთა თაყვანისცემა დრაკონისა და მისი ცრუმოციქულებისა, რისთვისაც ყველა, ჭეშმარიტებისგან განდგომილს დაატყდება ღმრთის რისხვა, რისგანაც ისინი დაიღუპებიან.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲐ (examinatio) — სასულიერო პირთა წრეში ასარჩევი კანდიდატის გამოცდა. კანდიდატის საქციელისა და თვისებების შესახებ მისი მოძღვრის მიერ გაცემული მოწმობა წარედგინება ეპისკოპოსს. ხელდასხმამდე ხუცესთა საბჭო განიხილავს ამ მოწმობას, ამოწმებს კანდიდატის თეოლოგიურ განათლებას და იძიებს, არსებობს თუ არა მისი არჩევის დამაბრკოლებელი მიზეზები. შემდეგ კანდიდატს მოეთხოვება შეასრულოს აღსარების წესი. აღსარების მიძღები მღვდელი კანდიდატს აძლევს ეპისტოლე-მოწმობას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კანდიდატი სასულიერო ხარისხის ღირსია. მოწმობა საჯაროდ იკითხება ეკლესიაში ხელდასხმის წინ (ნიკიის I მე-9 კანონი. დიდი სჯულის კანონი, გვ. 233-585).

„ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲐᲓ ᲯᲣᲐᲠᲘᲡᲐᲓ“ — იხ. ჯუარის გამოჩენება

ᲒᲐᲜᲐᲢᲔᲮᲘ (ბერძ. „ანტიდორონ“) — ნაკურთხი პურის — სეფისკვერის ის ნაწილი, რომელიც მისგან ეკარისტული კრაეის — ოთხკუთხედ საუფლო ნაწილის ამოღების შემდეგ დარჩება. ტერმინი „განატეხი“ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში (ქართულ თარგმანებში) არის დადასტურებული: „შეიწირის იგი... მსხუერპლი განატეხთაჲ შესაწირავი სულად სულნელად ღმრთისა“ (ლევიტ. 6,21).

„განატეხი“ ხშირად იხმარება ჟამისწირვის შესრულების რიტუალში: „ძმათა მიიღონ განატეხი და ირღუნან ეკლესიასაე და მეტი არარაჲ“ (დიდი სვინაქსარი — H 221l, 125). „და მიეცეს განატეხი ერსა (იქვე, 147r), „შემდგომად ჟამისწირვისა განატეხისა ხოლო და სარღუნელისა ჯერ არს მიღებაჲ ეკლესიასა და უმეტეს არარაჲ“ (იქვე, 147v).

განატეხი ურიგდებათ მორწმუნეებს ჟამისწირვის დამთავრებისას, რომელიც მათ უნდა მიიღონ მხოლოდ უხმოზე. ვისაც მღებული აქვს საჭმელი ან სასმელი, განატეხის მიღება ეკრძალებათ განატეხი აუცილებლად ეკლესიაშიუ უნდა ჭამოს მორწმუნემ, სახლში მისი წაღება აკრძალულია. განატეხი არ შეიძლება მიეცეს ურწმუნოებს და ეპიტიმიადადებულ მორწმუნეს. ტერმინი „განატეხი“ საღვთო შესაწირაის მნიშვნელობით შემორჩენილია ეთნოგრაფიულ ყოფაშიც (მაგ. რაჭაში).

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ — ეკლესიის კურთხევა, სატფურება. ეკლესია-ტაძარი ხდება ღვთისმსახურების (ლიტურგიის) შესრულების ადგილი მხოლოდ მღვდელმთაერის მიერ მისი კურთხევის შემდეგ. ეს ტრადიცია მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (ლევიტ. 9). ღვთისმსახურება იერუსალიმის ტაძარში (III მეფ. 8) დაიწყო მისი კურთხევის შემდეგ. ეკლესიის კურთხევა იწოდება „განახლებად“ იმიტომ, რომ კურთხევის შედეგად ეკლესია, ტაძარი ჩვეულებრივი შენობიდან იქცევა წმინდა სახლად, ე. ი. სრულიად განსხვავებულად, ახლად.

ეკლესიის კურთხევის უფლება, მართლმადიდებლური ეკლესიის წესებით, აქვს მხოლოდ მწყემსმთავარს. სხვადასხვა გარემოებათა გამო თუ ეს არ ხერხდება, ეკლესიას აკურთხებს არქიმანდრიტი, უპირველესი ხუცესმონაზონი, ან მღვდელი, რომელმაც მიიღო მწყემსმთავრისაგან გამოგზავნილი და მის მიერ ნაკურთხი ოდიკი (იხ.) ეკლესიაში დასასვენებლად.

ოდიკის კურთხევა შეადგენს მნიშვნელოვან და არსებით ნაწილს ეკლესიის განახლების დროს. ოდიკს მხოლოდ მწყემსმთავარი აკურთხებს. ახლად აშენებული ეკლესიის კურთხევას დიდი განახლება (დიდი სატფურება) ეწოდება, შედარებით იმ განახლებასთან, რომელიც სრულდება იმ შემთხვევებში, თუ ეკლესია მორწყულია სისხლით, ან შებილწულია რაიმე სიბინძურით. მაშინ განახლება ხდება წმინდა წყლის სხურებით და საგანგებო ლოცვების კითხვით.

ტაძარი, მისი კურთხევის დროს წასაკითხი ლოცვის მიხედვით, რომელიც ტაძრის ბჭის წინ ლიტანიობის დროს წარმოითქმის, შენდება სხეულის მსგავსად. გარეგანი სახე ტაძრისა არის სხეულის სახე თავითურთ და განასახიერებს ეკლესიის სულიერ სხეულს, რომლის თავი არის ქრისტე, ხოლო სხეულის ნაწილები — მორწმუნეები. ტაძრის კურთხევის დროს სრულდება იგივე, რაც თითოეული მორწმუნის კურთხევის დროს. ტაძრის კურთხევა მსგავსია ნათლისღებისა და მირონცხებისა. ტაძრის კურთხევის დროს ასევე იხმარება წყალი, წმ. მირონი, სანთლები,

თეთრი ტანსაცმელი, სრულდება ლიტანია.

განბანვა (ბერძნ. „აპოლუსის") — ნათლისცემის დროს წასმული წმ. მირონის ჩამობანვა. ძველად ახალმონათლული 7 დღის განმავლობაში ატარებდა თეთრ ტანსაცმელს, მარხულობდა, ლოცულობდა და არ იცილებდა წმ. მირონს. მხოლოდ მერე დღეს ჩამობანავდა მღვდელი ლოცვის შემდეგ სხეულის იმ ადგილებს, რომლებსაც ნათლისღების დროს წმ. მირონი წაეცხო. ამგვარად განბანვა ხდება თითქმის მირონის წასმისთანავე, სახელდობრ, სახარების წაკითხვისა და კერძების შემდეგ. მღვდელი განბანვას ასრულებს თბილი წყლით.

განგება — განწესება, წესი, რიგი, თანმიმდევრობა (ბერძნ. აკოლუთია). განგება ეწოდება ყოველგვარი საკლესიო რიტუალის შესრულების წესსა და თანმიმდევრობას. მაგ.: „განგებაჲ ეკლესიისა კურთხეულისა", „განგებაჲ მათ ზედა, რომელთა მოაქუნდეს დიდი სქემაჲ", „განგებაჲ აიაზმისა", განგებაჲ გურგუნთა კურთხეულისა", „განგებაჲ წმ. ვნებისა".

„განგება დარბაზობისა" — ქართული სამართლებრივი ძეგლი, რომლის სრული სათაურია: „წესი და განგებაჲ დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა შეუეთასა" (სამ. ძეგ. II), ძეგლის უძველესი ნუსხა XVI ს — ისაა (Ad 560). ძეგლში დაცული ცნობების მიხედვით იგი ადრე არ უნდა იყოს შედგენილი (იხსენიება ათაბაგი). დარბაზობის წესი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის უნდა იყოს განკუთნილი (მასში აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებია მოხსენიებული, დასავლეთ საქართველოდან — მხოლოდ ჭყონდიდელი). ძეგლში განსაზღვრულია მღვდელმთავართა ადგილი და პატივი მეფის კურთხევის დროს გამართულ დარბაზობაზე. „განგება დარბაზობისა" დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა. უკანასკნელად დარბაზობის წესი ახალ ვითარებასთან შეხამებით დაამტკიცეს ერეკლე II-მ და ანტონ I-მა (იხ. „გარიგება კლიმწიფის კარისა").

განდეგილობა — იხ. ასკეტიზმი.

განზოგება — საეკლესიო დღესასწაული, რომელიც უკავშირდება რომელიმე პეორტოლოგიური ციკლის გასაშუალებას, განპყრობას. საერგომო საღღესასწაულო ციკლის გასაშუალებას ერგასის განზოგება (ბერძნ. „მესაპენტეკოსტეს") ეწოდება; იდღესასწაულება 8 დღე: განრღვეულის ოთხშაბათიდან (აღდგომის მე-4 შვიდეული) შემდეგი შვიდეულის ოთხშაბათამდე. დიდმარხვის განზოგება, ანუ გასაშუალება ყოველთვის ემთხვევა ჯვრის თაყვანისცემის კვირაკის შვიდეულის, ე. ი. დიდმარხვის მე-4 შვიდეულის ოთხშაბათ დღეს.

განზოგების დღესასწაულს საგალობლები მიუძღვნეს: იოანე ოქროპირმა († 407), ანატოლი კონსტანტინოპოლელმა (V ს.), ანდრია კრიტელმა († 720), იოანე დამასკელმა († 749), თეოფილე ალმსარებელმა (IX ს.).

განთიადი (ყოფ. ცანდრიფში, პილენკოეო) — დაბა აჭარაზეთში გაგრის რაიონში. გაგრიდან 1,5 კმ. განთიადში შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის (მკლეევარა აზრით, VI ს. I ნახ.) ქვის ბლოკებით მოპირკეთებული სამნავიანი ბაზილიკა, შეკეთებულა დაახლ. IX-X სს.

განთიადი — სოფელი დმანისის რაიონში, მდ. მაშაერის ორიეე ნაპირზე. დმანისიდან 5 კმ. სოფელში შემორჩენილია X-XI სსის ჯვრის ამაღლების ეკლესია, რომელიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. კედლებში ჩაყოლებულია წარწერიანი ქვები. ერთი მათგანი ეკლესიის აგების თანადროულია, ე. ი. X-XI სს., ორი კი — XIII-XIV სს.

განთიადი (ყოფ. ჭანეთური) — სოფელი მახარაძის რაიონში, მდ. სუფსის მარცხენა მხარეს. მახარაძიდან 20 კმ. სოფელში შემორჩენილია განეითარებული ფეოდალური ხანის ეკლესია.

„განიცადე" (ბერძნ. „კოინონიკონ") — გალობა, რომელიც სრულდება ღვთისმსახურთა ზიარების დროს და წარმოადგენს ჟამისწირვის ბოლო ელემენტს. ქართული სახელწოდება მოდის ფსალმუნიდან, რომელიც უძველესი ლრონდან იგალობებოდა იერუსალიმის ტაძარში ზიარების დროს: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი" (33,8). „განიცადნის" სიტყვები ჩვეულებრივ მოთავსებულია სამღვდელმსახურო სამოციქულოს სარჩევში.

განკანონება (poenitentia) — საეკლესიო ან სამონასტრო წესების დამრღვევი სასულიერო თუ საერო პირის დასჯა სასულიერო ხელისუფლების მიერ. განკანონება სასჯელის ზოგადი სახელია და უდრის ეპიტიმიას (იხ.), ხოლო კონკრეტულად გულისხმობს სასჯელის სახეებს, როგორიცაა: შეგონება, მონანიება, უზიარებლობა, ზარისხის აყრა, ეკლესიიდან განკეთება-გაძევება, აგრეთვე სხეულებრივი და ქონებრივი სასჯელი და სხვ.

განკითხვა (judico, condemno) — კანონიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს გასა-

მართლება: „უკეთუ ვინმე ბრალისა რაჲსათჳს შესმენილი ეპისკოპოსი განკითხოს ყოველთაე სამთაერთაჲსა მის ეპისკოპოსთაგან და ყოველთა ერთკრბითი ერთი განჩინებით განსცენ მისთჳს, ესე ნუღარა მერმეცა განიკითხვის სხუათა მიერ“ (ანტიოქ. კრების 25 კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 250-251).

განკითხვის დღე – სახარების მიხედვით, ღვთის სამსჯაერო ქმეენის აღსასრულის ჟამს, როცა ღმერთი განსჯის ყველას – ცოცხალსა თუ მიცვალებულს, და ამის შემდეგ ცოდვილნი ჯოჯოხეთში მოხვდებიან მუდმივ სატანჯველად, უცოდველნი კი – სამოთხეში მუდმივი ნეტარებისათვის.

განჯუმა (ბერძნ. „კათაირესის“) – კანონიკური ტერმინი, საეკლესიო სასჯელი სასულიერო პირთათვის განსაკუთრებული მძიმე დანაშაულის გამო. სასჯელი გულისხმობს მღვდელმსახურებისა და დამოღვრის უფლებების ჩამორთმევას, მღვდელმსახურის სახელისა და პატივის აყრას, მისი სახელის ამოშლას სასულიერო დასის სიიდან, სადაც ის შეტანილი იყო მისი ხელდასხმის დროს, და ერისკაცად ჩარიცხვას. განკვეთით ისჯება მღვდელი, რომელიც ცალკე აღმართავს საკურთხეველს და არ დამორჩილება თავის ეპისკოპოსს; ეპისკოპოსი, რომელიც დაისაჭურისებს თავს და სხვ. მოწინაღმდეგეების შემთხვევაში განკვეთილ მღვდელმსახურს შეუძლია გარეგნულად შეინარჩუნოს მღვდელმსახურის სახე, ატაროს სამღვდელმსახურო ტანისამოსი და თმა მოჭრილი, მაგრამ შეიკრიჭოს. თუ განკვეთილი ღვთისმსახური გაბედავს ღვთისმსახურების ჩატარებას, ის განკვეთასთან ერთად ისჯება უზიარებლობით, ე. ი. სრულიად მოკვეთება ეკლესიისაგან. განკვეთა და უზიარებლობა ორმაგი სასჯელია საეკლესიო პირთათვის, რომელიც მდგომარეობს ჯერ განკვეთასა და შემდეგ ზიარებისაგან განყენებაში (ბერძნ. „ფორმისის“). ასეთი სასჯელი ედება სიმონიის (ქრთამის აღება და მიცემა ხელდასხმის დროს) ჩამდენს, ეპისკოპოსის ხარისხის მისაღებად საერო ხელისუფალთა გამომყენებელი, განკვეთილ სასულიერო პირის, რომელიც განაგრძობს მღვდელმსახურებას და ა. შ.

„განმანათლებელი“ – საგალობელი, რომელიც იგალობება ცისკრად კანონის შემდეგ, რომელშიც ლაპარაკია სულის განათლებაზე ზეგარდმო და მათი გალობა ცისკრად წინ უძღვის განთიადს, დღის ნათელს. გალობის ბერძნული სახელი (რომელიც „გაგზავნას“ ნიშნავს), წარმოდგება ძველი ტრადიციიდან, როდესაც მგალობელნი იგზავნებოდნენ ტაძრის შუა ადგილას (იხ. გამოაყენონე).

განსატევებელი წიგნი (ბერძ. „აპოლიტიკე ეპისტოლე“) – სასულიერო პირის ერთი ეპარქიიდან მეორეში გადასელის ნებართვა, მოწმობა, საშუალო. ყოველი მოყვასი ხელდასხმის იღებდა განსაზღვრულ ეკლესიაში და ჩაწერილი იყო ამ ეკლესიის მოყვასთა წერილში. მოყვასს არ შეეძლო ეკლესიასთან კავშირის თვითნებურად გაწყვეტა, თავისი ეპარქიის დატოვება და სხვა ეპარქიაში გადასვლა ეპისკოპოსის ნებართვისა და განსატევებელი წიგნის გარეშე. ეპისკოპოსი ასეთ ნებართვას მიტროპოლიტისაგან იღებდა.

განტევება (ბერძნ. „აპოლუსის“) – ხუცესის მიერ ღვთისმსახურების დამთავრების ლოცვის წარმოთქმა, რომელიც მორწმუნეებს აუწყებს, რომ მათ შეუძლიათ ეკლესიიდან გასვლა. ლოცვას ეწოდება „ლოცვაჲ ერის განტევებისაჲ“. ღვთისმსახურების შესრულების დროს მორწმუნეთაგან არავის არა აქვს უფლება გავიდეს ეკლესიიდან თვითნებურად. განტევება ხდება არა მარტო მთლიანი მსახურების დამთავრებისას, არამედ ღვთისმსახურების ნაწილის დამთავრების დროსაც. მაგ.: პროსკომიდიის განტევება და სხვ.

განულება (ბერძნ. „დიაძეუქსის“, repudium) – განქორწინება. მართლმადიდებლური ეკლესია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უშვებს ერისკაცთა და სამღვდელოთა განქორწინებას. მათეს სახარების მიხედვით (5,31-32), განქორწინების ერთადერთი მიზეზი ცოლის მრუშობა არის, რაც ძველი აღთქმის კანონმდებლობიდან მომდინარეობს: „რომელსა ესუას მემრუშე ცოლი, უგუნურ არს და უღმრთოჲ“ (იგავ. 18, 23). განქორწინების ეს კანონიკური საბაბი დადასტურებულია საეკლესიო კრებების დადგენილებებით და საეკლესიო მამათა განწესებებითაც (ბასილი დიდის მე-9, 35-ე, 48-ე კანონები). მართლმადიდებლური ეკლესიის კანონმდებლობაში თანდათანობით ჩნდება სხვა საფუძლებიც კანონიკური განქორწინებისათვის. მაგ.: განგებ მუცლის მოშლა, თუ ცოლს ქმრის მოკვლის მცდელობა აქვს, ან მან იცის და არ აცნობებს ქმარს მისი მოკვლის სხვათაგან მცდელობის შესახებ, ქმრის მამაკაცური უძლურება, მეუღლეთაგან რომელიმეს კეთრით დაავადება, ქმრის სოდომური ცოდვა, მეუღლეთაგან ერთ-ერთის გაგიჟება ან ბნედით (ეპილეფსიით) დაავადება,

თუ ცოლმა უცხო მამაკაცთან იბანაცა, ან ქმარს თუ მონაზენური ცხოერების სურვილი აქუს.

სხუა შემთხუეებში ქორწინების დამრღუეი ისჯება საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის სხუადასხუა ზომის სასჯელით.

ბანყენება, დაცადება – საეკლესიო სასჯელის ზოგადი სახე, რომელიც ითვალისწინებს სასულიერო პირის დროებით ჩამოცილებას თავისი საქმიანობიდან ანუ გადაყენებას თანამდებობიდან (ხარისხიდან), ხოლო ერისკაცთათვის - ზიარების უფლების დროებით ჩამორთმეუას. სასჯელის კონკრეტული სახეებია:

1. განყენება ზიარებისაგან (ბერძნ. „ჟორისმოს მიკროს") – საეკლესიო სასჯელი ერისკაცთათვის, რომლის თანახმად საეკლესიო სამსჯაერო განსაზღერული დროით ართმეუს დამნაშაეს ზიარების უფლებას. ამ სასჯელის უმაღლესი ზომით დამნაშაეს ზიარების გარდა აკრძალული აქუს მორწმუნეებთან ერთად ღუთისმსახურებაში მონაწილეობა. მათ მხოლოდ კათაკმეველებთან (იხ.) ერთად შეუძლიათ იღოცონ მორწმუნეთა ლიტურგიის დაწყებამდე. ზიარებისაგან განყენების ხანგრძლეობა ჩეულებისამებრ არ აღემატება 3 წელს. ამ სასჯელით ისჯება დაუდეერობა, გულგრილობა და არა განზრახუითი ბრალი. მაგ., ერისკაცი, რომელიც სამი კერის განმაელობაში იქნება ქალაქში და არ ეზიარება; თუ ერისკაცს ჰყაე ხარჭა-მხეცალი, უნდა ჩამოსცილდეს, თუ ხარჭა თაეისუფალია, სკულიერად უნდა იქორწინოს, წინააღმდეგ შემთხუეებში დაისჯება განყენებით ზიარებისაგან.

2. განყენება ჟამისწირვისაგან – იერარქიული ხარისხის მქონე სასულიერო პირის სასჯელი, როდესაც მას გარკეეული დროით ეკრძალება ჟამისწირვის ჩატარება. მაგ., ასეთი სასჯელი ედება ხელდასხმულს, რომელსაც მას რაიმე ბრალი ედება და საქმე ჯერ კიდეე არ არის გამოძიებული და სხუ.

3. განყენება (დაცადება) ხარისხისაგან – სასჯელი სასულიერო პირთათვის, რომელთაც დროებით ეკრძალებათ ღუთისმსახურების აღსრულება. გარდა ამისა, მას ეკრძალება დამოძღურსა და საეკლესიო მმართველობაში მონაწილეობის უფლება. ამ სასჯელით ისჯება სასულიერო პირი, რომელიც ზიარებაზე უარს ამბობს მიზეზის დაუსახელებლად, ეპისკოპოსი, რომელიც შეიწყნარებს სხუა ეპარქიიდან უნებართეოდ გადმოსულ მოყუასს; დუკანში შესუული მოყუასი და სხუ.

ბანყენებულნი (ბერძნ.) – მწუალებლური სექტის წეერები, რომლებიც ქადაგებდნენ ამქეენიერობიდან სრულიად მოწყეტას, განდგომას. ისინი მთლიანად უარყოფდნენ სამყაროს, რადგან მატერია, მათი მოძღერებით, ბოროტებაა. სექტის წეერები თაეს იკაებდნენ ქორწინებისაგან და კრძალაებდნენ ხორცისა და ღენის მიღებას.

ამ მწუალებლურ სექტას ბასილი დიდი მოიხსენიებს ამფილოქესადმი გაგზაენილ მეორე ეპისტოლეში (47-ე კანონი) და აღნიშნაეს, რომ ისინი ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადმოსელის დროს უნდა მონათლონ თაეიდან (დიდი სჯულისკანონი, გე. 490).

„ბანყოფისათუს ქართლისა და სომხეთისა"– ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, რომელიც მიზნად ისახაეს ქართეელთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობისა და განხეთქილების ისტორიის გადმოცემას და მისი ისტორიულ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-დოგმატიკური მიზეზების გარკეეას. თხზულება მიმართულია სომეხ მონოფიზიტთა სარწმუნოების წინააღმდეგ. აეტორად მიჩნეულია არსენ დიდი საფარელი, საქართეელოს კათოლიკოსი IX ს. II ნახეარში (გამოც. ზ. ალექსიძის მიერ, 1980 წ.); იხ. აგრეთეე სტატია: ქართლისა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილება.

ბანჩინება (ბერძნ. „აპოფასის"; sententia) – დადგენილება, განაჩენი, სამართალი. საეკლესიო სამართალში „განჩინება" უძეელესი დროიდან ნიშნაედა საეკლესიო კრების ან ეპისკოპოსთა საბჭოს დადგენილებას რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკაეშირებით: „განაჩინებს დიდი კრებაჲ, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაჲთა ეპისკოპოს იყოს იგი (ნიკ. I მსოფ. კრების მე-6 კან.): „...იგი განჩინებაჲ დაემტკიცენინ" (იქეე), „უკეთუ ვინმე ბრალისა რაჲსათუმე შესმენილი ეპისკოპოსი განიკითხოს ყოველთაეე სამთაროჲსა მის ეპისკოპოსთაგან და ყოველთა ერთქმობით ერთი განჩინებაჲ განსცენ მისთუს... ცეენ მისთუს ერთქმობით იგი განჩინებაჲ..." (ანტიოქიის კრების მე-15 კანონი) და სხვ. XVII ს. ბოლოდან „განჩინება", „განაჩენთან" ერთად, სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყეეტილებებსაც აღნიშნაედა.

ბანჩინებულნი იბაკონი – იხ. იბაკოჲ.

ბანცხადება (ბერძნ. „ეპიფანია", „თეოფანია") – აღრექრისტიანეენ დღესასწაული (IV ს-მდე), როდესაც ქრისტეს შობას ქრისტეს

ნათლისღებასთან ერთად დღესასწაულობდნენ იმ გადმოცემის თანახმად, რომ მაცხოვარმა ნათელ-იღო თავისი შობის დღეს. დღესასწაულს „განცხადება" ეწოდა იმიტომ, რომ ნათლისღების დროს განცხადდა ყოველადწმინდა სამება. შემდგომში „განცხადება" ნათლისღების დღესასწაულის (6. I) მნიშვნელობით იხმარება: „ვიდრე განცხადებისა მსგეფსამდე თითო კანონსა იტყოდიან" (დიდი სვინაქარი, H 221I, 128 v).

ბანძანი – სოფელი ნინოწმინდის რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, ფარავნის ტბის სამხრეთით, მდ. ფარავნის ორიეე ნაპირზე. ნინოწმინდიდან 22 კმ. სოფელში ორი XIII-XIV სს. პატარა ერთნაეიანი ეკლესია დგას: ერთი სოფლის ზედა უბანში, მეორე – ქვედაში. ეკლესიები ნაშენია თლილი ქვით და გადახურულია ორფერდა სახურავით. თითოეულ მათგანში ორ-ორი ასომთავრული საკმშენებლო წარწერა არის შემორჩენილი. ეკლესიები ნიკოლასძეთა მიერ არის აშენებული. სოფლის მიდამოებში არის X-XI სს. ეკლესია „საღამო", რომელსაც ლაპიდარული წარწერაც შემოუნახავს.

„ბანძლიერდასა" – გალობანის (კანონის) მე-3 გალობა (ოდა). ქართული სახელწოდება აღებულია ბიბლიური გალობის (ანას გალობა) დასაწყისის მიხედვით: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ" (I მეუეთა II, 1-10). ეს გალობა სამსაგალობლის შემადგენლობაში (მე-8 და მე-9 გალობებთან ერთად) იგალობება დიდმარხეის ოთხშაბათის დღეებში (იხ. გალობანი). „განძლიერდასა" გალობა (ოდა) შედგება სამი-ოთხი დასდებლისაგან (ტროპარი).

„ბანწმედილნი" (ბერძნ. „კათაროი") – მწუალებლური სექტა, იხ. ნავატიანნი//ნავატიანობანი.

ბანწმესება – საეკლესიო და საერო ხელისუფლების ნორმატიული აქტი ძველ ქართულ სამართალში, წესდება, დებულება.

ბანწმედა – I. საეკლესიო სამართლის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს რიგ ღონისძიებებს, რომელთა მეშეეობით საეკლესიო პირი განიწმინდება, ე. ი. განთავისუფლდება სიშიში და მისთვის შეუფერებელი ნაკლისაგან, ე. ი. ისჯება უმაღლესი საეკლესიო სასჯელით (disciplina purgatoria), როგორიცაა განკეეთა, მოკეეთა, განყენება და სხე.

II. იუდეველთა საკულტო მსხეერპლშეწირეა, რომლის მიზანი იყო სხეულის განთავისუფლება სხვადასხვაგვარი მორალური და ფიზიკური შებილწეისაგან. იუდეველთა შორის შებილწეულად ითვლებოდა: უწმინდურება ადამიანის სიკვდილისა, აგრეთე ცხოველისა. მიცვალებულის ან მოკლულის გეამი უწმინდურად აქეედა 7 დღის განმავლობაში შენობას, სადაც იგი მიიცვალა და ჭურჭელს, რომელიც თაეღია იყო ადამიანის გარდაცვალების მომენტში, აგრეთე იმ მომენტში იქ მყოფ ხალხსა და ცხოველებს. განწმედა სრულდება განსაკუთრებული წყლის სხურებით ადამიანებზე და საგნებზე და შებილწულთა სხეულისა და ტანსაცმლის განბანით; უწმინდურება კეთროვნისა. სქესობრივი უწმინდურება შეგინებულად ჰყოფდა ადამიანს საღამოს განბანვამდე. ქალი მენსტრუაციის დროს ითვლებოდა უწმინდურად 7 დღის განმავლობაში. მერეე დღეს სრულდებოდა მისი განწმედა მის მიერ მსხეერპლის შეწირვით. მას მსხეერპლად უნდა მოეტანა 2 ახალგაზრდა მტრედი ან გერტი. მშობიარე 7 დღე ითვლებოდა უწმინდურად, თუ იგი ეაჟს შობდა, ხოლო თუ ქალს – 14 დღე. პირეელ შემთხეევაში მას არ შეეძლო მისულიყო კარაეში 33 დღე, ხოლო მეორე შემთხეევაში – 66 დღე. ამ დღეების გასელის შემდეგ მას მსხეერპლად უნდა შეეწირა ერთი წლის კრაეი და მტრედი და სხე. განწმედის შესახებ კანონები მოცემულია ლეეიტელთა წიგნში და ნაწილობრივ „მეორე სჯულთაში".

განწმედის დღედ ანუ დღესასწაულად მოსეს დროიდან დაწესებული იყო მთეარის მე-7 თეის (ტიშრის) მეათე დღე, რომელიც ემთხეეოდა სექტემბრის II ნახეარს და ოქტომბრის I ნახეარს. ეს დღე მარხეის დღეა. ამ დღეს მღვდელმსახეური შედიოდა „წმიდათა წმიდაში" და ლოცულობდა თავისი და ხალხის მიერ მთელი წლის განმავლობაში ჩადენილ ცოდეებზე. მსხეერპლად იკლებოდა ეაცი, ხოლო მეორე ეაცს, რომელიც სიმბოლურად კისრულობდა ისრაელი ხალხის ცოდეათა მთელ სიმძიმეს, უშეებდნენ უდაბნოში. (აქედან „ეაზანტეების ეაცი"). შემდეგ სრულდებოდა „მრგულად დაწეა" ორი ეერძისა, რაც განწმედის რიტუალის ბოლო აქტს წარმოადგენდა.

„ბანწართა" // „წართა" (ბერძნ. „სოფრონისმოს") – დასეა დამნაშეის გამოსწორების მიზნით (წართა არის დამნაშეის მიწაზე განთხმა და ცეცა ღეეით). გამოსასწორებელი ანუ სამკურნალო სასჯელის მთაეარი მიზანია დამნაშეის გამოსწორება. თუ ვინდიკატური სასჯელის მიზანია საეკლესიო კანონის აეტორიტეტის დაცეა და იურიდიული წესრიგის დარეეეისათეის სამაგიეროს მიზღეა (განკეეთა,

„განქდა“ და სხვ.) და ეს სასჯელი დამნაშავემ მთლიანად უნდა განიცადოს, გამოსასწორებელი სასჯელის დროს დასჯა წყდება დამნაშავის გამოსწორებისთანავე. ეფთვიმე მთაწმიდელი სხვის „წურთის“ მნიშვნელობას: „უკუეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეი, ეითა მას საუკუნესა შწარედ გაირკვებით. უკუეთუ კელა მე აქა მცირედ გწუართნე... მის საუკუნოჲსა განკითხვისაგან განერებით“ (ძეგლები, II, 73), ხოლო თვით „წუართის“ პროცესი ასე აღწერილი: „სამჰობს მიიყვანნის და უბრძანის განრთხმაჲ. და ძმამან მან თაყუანის-სცის და განირთხის თავი თუსი. და ერთი ძმაჲ თაჲსა უმჭიროვენ და ერთი ფერკთა და ერთა ჩოხათა ზედა მიამთხუან ღუედითა: რომელსამე ლ (30) და რომელსამე ძ (40) და რომელსამე სამოცი“ (ძეგლები II, 73).

ბანხეთძილება (ბერძნ. „სხისმა“. რუს. „რასკოლ“) – დაპირისპირება, უთანხმოება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არა სარწმუნოებისა და დოგმატიკის, არამედ ზოგიერთი რიტუალის ან სხვა საკითხებზე. ბასილი დიდი განხეთქილებას უწოდებს „კურნებად შესაძლებელთა რათამე მიზეზთა და ძიებათათუს საეკლესიოთა ურთიერთას განყოფილთა“ (ეპისტოლე პირველი ამფილოქე იკონიელისადმი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 472-27) და უპირისპირებს „წვალებას“, რომელსაც „ყოველად ყოველითურთ განჭრილთა და თუთ მით სარწმუნოებითა უცხოქმნილთა უწოდეს“ (იქვე). ამიტომ მწვალებელი, რომელიც უბრუნდება მართლმადიდებლობას, უნდა მოინათლოს ხელახლა, როგორც წარმართი, ხოლო განხეთქილების მონაწილე შეიძლება დაუბრუნდეს ეკლესიას შეცოდების დაგმობისა და მონანიების შემდეგ.

„ბანკდა“ – ჩამოშორება, განდევნა ეკლესიისაგან. სასჯელი დაწესებული იყო როგორც ერისკაცთათვის, ასევე სასულიერო პირთათვის. მაგ: „დედაკაცმან უკუეთუ ორნი ძმანი შეირთნეს, განიკადენ ვიდრე სიკუდილამდე“ (ნეოკეს. კრ. მე-2 კანონი); „ხუცესმან თუ იქორწინოს, დაკლებულ იქმნენ წესისაგან თუსისა, ხოლო უკუეთუ ისიძეოს ანუ იძრუშოს, სრულიად განიკადენ იგი და მოყუანებულ იქმნენ სინანულად“ (ნეოკ. კრ. I კან..).

ასეთი სასჯელით ისჯება: კათაკმეველი, თუ ის მუხლთმოდრეკის ჟამს ჩადენილი შეცოდების გამო გადაყვანილი იყო მსმენელთა შორის და კიდევ ჩაიდინა დანაშაული; ყველა სასულიერო პირი, რომელიც მიტროპოლიტის ნებართვისა და ეპისტოლის გარეშე წავა მეუღესთან, ან დათანხმდება საერო თანამდებობის მიღებას; ეპისკოპოსი, რომელიც ძალმომრეობით დაუფლება საეპისკოპოსო ეკლესიას და სხვ.

ბარბანი – სოფელი ყაზბეგის რაიონში, მდ. თერგის მარჯვენა მხარეს, სამხედრო გზაზე, ყაზბეგიდან 8 კმ. სოფლის ახლოს ნამოსახლარში, სადაც ძველად სოფ. გარბანა მდებარეობდა, შემორჩენილია IX-X სს. ერთნავიანი ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ოქროს წმ. გიორგის“ უწოდებს. ეკლესიას ჩრდილოეთის მხარეს აქვს სამკუთხედი, ხოლო სამხრეთის ფასადის მხარ სიგრძეზე გაყოლებული აქვს სტოა. დეკორატიული ელემენტებით ეკლესია ღარიბია. არის ლაპიდარული წარწერები. აქვე შემორჩენილია შუა საუკუნეების გალავანი, სამარხები და სხვა ნაგებობანი.

ბარბანელი – IX ს. ხუროთმოძღვარი, ზარზმის პირველი ეკლესიის მაშენებელი (სერაპიონ ზარზმელის თანამედროვე), მოხსენიებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „იყვნეს ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა ამის გარბანელ და ორნი იგი ძმანი...“ (ძეგლები I, 335, 1). გარბანელი პირველად მაშინ შეხვდა სერაპიონს, როდესაც იგი სხვა ბერების თანხლებით მონასტრის ასაშენებლად ადგილს არჩევდა მდ. ძინძის ხეობის მიდამოებში. გარბანელი, რომელსაც მეუღლე და ორი ვაჟი ჰყავდა, დაეხმარა დაქანცულ ბერებს და მათი მეგზურობა იკისრა. სერაპიონის მიერ ჩადენილი სასწაულების ზეგავლენით გარბანელი სერაპიონის ხელით მონაზონად ეკურთხა (ძეგლები I, 334,31) და მას დაემოწაფა. გარბანელი და მისი დამხმარენი ზარზმის ეკლესიის მშენებლობას 3 წელი მოუნდნენ. ეკლესიის ასაშენებლად მათ გამოუყენებიათ სოფელ უმწის დანგრეული ეკლესიის ქვები, რომლებიც „იცნობიან ზოგნი რაიმე კუთხა მიერ და კამარათა“. გარბანელის მიერ აშენებულ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბარდავოთქმა – პოეტური სტროფი, რომელიც სრულდება სახარების საკითხავების შემდეგ აღდგომის კერიაკის ცისკრის ღვთისმსახურებაში. უტიმოლოგიურად ეს ცნება უნდა მიუთითებდეს სასაუბრო (სალაპარაკო) საგალობლის სახეობას.

„ბარდავოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ – იოანე დამასკელის († 749) განთქმული შრომის „წყარო ცოდნისა“ მესამე ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი თხზულებ-

ის სახით ორჯერ ითარგმნა ქართულად – ეფრემ მცირისა (A24; S1358) და არსენ იყალთოელის მიერ (S1463,54-102), ხოლო უფრო ადრე ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა"-ს მესამე ნაწილი „წინამძღვარი"-ს (იხ.) სახელწოდებით (A 200; Jer. 151 და სხვ.) და მოგვცა თხზულების თავისებური რედაქცია, რომელიც ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის შესაბამისად უფრო კომპილაციური ნაშრომი და თავისუფალი გადმოკეთებაა მისეული „შემატება-დაკლებით", ვიდრე ზემოხსენებული თხზულების ზუსტი თარგმანი. „გარდამოცემაჲ..." შეიცავს მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატიკურ მოძღვრებას, ქრისტიანული კოსმოლოგიისა და ანთროპოლოგიის ძირითად საკითხებს და სხვ.

გარდამოხსნა – იოსებ არიმათიელის მიერ ჯვარცმული ქრისტეს ჯვრიდან ჩამოხსნის (მე. „გარდამოკსნის") მომენტი, რომელიც ოთხივე სახარებაშია აღწერილი (იოანეს სახარების მიხედვით ამ საქმეში ნიკოდიმოსიც მონაწილეობდა). „გარდამოხსნა" ეწოდება ავრეთვე ამ მოვლენის ფერწერულ გამოსახულებას, ჭედურობას, ნაქარგობას და ა. შ. წმინდა ტოლოზე დასტულ (ან ამოქარგულ) „გარდამოხსნას" ღვთისმშობელი ზეიმით გამოასვენებენ ხოლმე დიდ პარასკევს საკურთხეველიდან შუა ეკლესიაში მორწმუნეთა მიერ თაყვანისსაცემად და საამბორებლად. „გარდამოხსნა" ეკლესიაში დასვენებულია დიდი შაბათის შუაღამის ჟამამდე, ხოლო შემდეგ ისევ საკურთხეველში გადაჰქონთ და მომდევნო დიდ ხუთშაბათამდე კიდობანში ინახება.

წმინდა არდაგს, რომელშიც ქრისტეს ცხედარი იყო გახვეული, სიმბოლურად უძველეს ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ილიტონად (ბერძნ. „ეილეტონ") წოდებული ტილო შეესატკვისებოდა, ოღონდ ყოველგვარი გამოსახულების გარეშე, რომლითაც ფარაჯიდნენ ტრაპეზს ევქარისტიის შესასრულებლად. არდაგზე „გარდამოხსნის" ეპიზოდის გამოსახვა გვიანდელი მოვლენაა. „გარდამოხსნის" გამოსვენების ცერემონიალი, როგორც ჩანს, XVI ს-დან ჩნდება კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძარში და იქიდან ვრცელდება სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, რუსეთში (плащаница-ს სახელწოდებით) და საქართველოში. „გარდამოკსნის" სუეტია გამოსახული ოდიკჰვეს, რომელიც მღვდელმთავრის მიერ არის ნაკურთხი და რომელიც იშლება ტრაპეზზე.

გარდატენი – სოფელი გორის რაიონში, მდ. ვერის (ტანის შენაკადი) შესართავთან, გორიდან 6 კმ. მანძილზე. გარდატნის მიდამოებში შემორჩენილია: VII-VIII სს. ეკლესია „ვერე", რომელიც XI ს. არის გადაკეთებული და მოხატული. ამავე დროის არის ქვაღლებზე შემორჩენილი ლაპიდარული წარწერები; X ს. „მწუანე ეკლესია".

გარეგნობა – საეკლესიო რიტუალი, რომელიც, გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით („დიდი სუნაქსარი"), სრულდებოდა აღდგომის შვიდეულის ორშაბათს. ღვთისმსახურების დასასრულს სამღვდელო დასი და მთელი მრევლი გამოეთხოვა ეკლესიიდან და ჯვრებთა, ხატებითა და საეკლესიო დროშებით მოიელიდნენ ყველა ნიშსა და ჯვარს, რომელიც ეკლესიის მიდამოებში იყო აღმართული. ამ დროს იგალობებოდა საალდგომო საგალობლები. დღესასწაულის სახელწოდება („გარეგნობა") მიგუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ლიტანიობა სრულდებოდა „გარეგან ეკლესიისა". ტერმინი „გარეგნობა" და შესაბამისი რიტუალი დიდხანს დაიწყებული იყო ოფიციალურ ღვთისმსახურებაში (საეკლესიო კალენდრებში მისი მოხსენიება აღდგა 2004 წლიდან), მაგრამ ჩვენს დრომდე შემორჩენილი იყო ხალხური ღღესასწაულის სახით (ქუთაისის რაიონის ზოგიერთ ადგილას).

გარეუბნის ეკლესია – მეორე ეკლესია, რომელიც აშენდა მცხეთაში მირიან მეფის მიერ IV ს. I ნახევარში, როგორც ეს მოხსენიებულია „მოქცეაჲ ქართლისაჲ"-ში: „და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა" (ძეგლ., I, 87, 5).

გარეშემოსაველი (გარსშემოსაველი) – ხუროთმოძღვრული ტერმინი. ზოგიერთ ეკლესიას გარს ერტყმის ღია ტერასა ან გალერეა, რომელსაც გარეშემოსაველს ან გარსშემოსაველს უწოდებენ.

გარეჯელი მოწამენი – დაეითგარეჯის მონასტრების მოწესენი, რომლებიც სპარსელებმა ამოხოცეს XVI ს. ბოლოს ალექსანდრე II-ის (1574-1605) მეფობის დროს. ეს ჩანდინეს აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლებულმა სპარსელებმა მონასტრის გაძარცვის მიზნით. ცნობები მოხდარი ამბების შესახებ არ არის ქართულ საისტორიო წყაროებში. მხოლოდ ანტონ I კათოლიკოსს შეუტანია თავის მარტირაკაში „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთაა და ვნებათა წმიდისა ღირსთა მოწამეთა გარეჯელთა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა, დაეითან-ბაგრა-

ტოვანისა" (ძეგლები VI, 189-208), რომელიც ანტონის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია, თუმცა არ ვიცით, რა წყაროები გამოიყენა მან თხზულების შესაქმნელად.

გარეჯის მონასტერი – იხ. დავით-გარეჯა.

გარეჯის გულანი – იხ. გელათის გულანი.

„გარიგება ქელმფიფის ჯარისა" – ქართული სამართლის ძეგლი, მეფის ხელისუფლებისა და სამეფო კარის წესდებულება, რომელიც XIV ს. უნდა იყოს შედგენილი. ეკლესიის თვალსაზრისით სანტერესოა მასში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პატივისა და მისი უფლება-მოვალეობათა შესახებ დაცული ცნობები, ასევე მოძღვართმოძღვრის ინსტიტუტის დადასტურება, რომელიც მხოლოდ სასულიერო იერარქიას წარმოადგენს და მის შესახებ ცნობები მხოლოდ ამ ძეგლში არის მოცემული. ძეგლი გამოცემულია მრავალჯერ (უკანასკნელი გამოცემა რუსული თარგმანითურთ შეასრულა ივ. სურგულაძემ 1970 წ.)

გარიტი ედუარ (1914-19) – ბელგიელი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ცნობილი მკვლევარი. ჟ. გარიტმა აღწერა და ცალკე წიგნად გამოაქვეყნა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (1956 წ.). მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგების საკითხებს: მისი უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციებია: „საქმე მოციქულთა"-ს ქართული ვერსიები (1955), იოანე ზოსიმეს X ს. კალენდარი (1958 წ.), სეიმეონ მესვეტისა და უფრემ ასურის „ცხოვრებათა" ქართული თარგმანი და სხვ. გარიტის ფრანგულენოვან გამოცემებში მოცემულია ქართული ტექსტის ლათინური თარგმანები.

გაცი – უძველესი ქართული წარმართული ღვთაება, რომლის კერპი მცხეთაში იდგა. გაცის პირველი მოხსენიება დაკავშირებულია აზოს მეფობის პერიოდთან, რომელიც იყო „პირველი მეფემ მცხეთას შინა" (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, 82, 3). აზოს გაცის კერპი (გაიმის კერპთან ერთად) მცხეთაში – მამამისის „არიან ქართველთა მეფის" (82,4) სამკვიდრებელიდან ჩამოუტანია. წმ. ნინოს ცხოვრებაში აღწერილია ნინოს მიერ წარმართული კერპების და, მათ შორის, გაცის კერპის დარღვევა ღვთიური სასწაულით (ძეგლები, I, გვ. 120-121 იხ. გაიმ).

გეგუთი – სოფელი წყალტუბოს რაიონში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, წყალტუბოდან 17 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია მეფეთა სასახლის ნანგრევები. ცნობები მის შესახებ XII ს-დან გვხვდება. ყველაზე ძველი ფენა VIII-IX სს. ეკუთვნის. XIII-XIV სს. განეკუთვნება სასახლის ეკლესია, რომელსაც ატყვია მოხატულობის კვალი. აქვეა იაშვილების მოხატული ეკლესია XVI ს. ლაპიდარული წარწერებით.

გედეონ I გენათელი (ლორთქიფანიძე, †1682 წ.) – გელათის მიტროპოლიტი 1660-1682 წწ. იყო ნიკორწმიდის ეპისკოპოსიც. გედეონ I-მა ნაწილობრივ აღადგინა ოსმალთა ბატონობის შედეგად დაქვეითებული გელათის საეპისკოპოსოს მეურნეობა, შესძინა ეკლესიას თავისუფალი მიწები და იქ გლეხები დასახლა. ეწოდა საარშუნებლო საქმიანობას (ხიდები მდ. ჭიშურზე და წყალწითელზე). 1669 წ. გედეონი ბაგრატ IV-ს (იმერეთის მეფეს) ელჩად გაგზავნა რუსეთში მეფე ალექსისთან. რუსეთის სამეფო კარზე მომხდარი კონფლიქტის შედეგად (მას დაუპირისპირდა ბატონიშვილი ნიკოლოზი, შემდგომში – ერეკლე I) გედეონი 1672 წ. კირილე მონასტერში გასახლეს, სადაც 1676 წ. დაბრუნდა გელათში. ცნობილია გედეონის შეკვეთით გადაწერილი სახარება-სამოციქულო (H 895). გედეონ I დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის მინაშენში.

გედეონ II გენათელი – გელათის მიტროპოლიტი 1713-33 წწ., რაჭის ერისთავის, პაპუნა II-ის ძე. გედეონი იბრძოდა იმერეთის მეფის – ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა თაეის ძმას – შიოშიტა III-ს, რაჭის ერისთავს. 1733 წ. ალექსანდრე V-მ იგი გადაბირა და ბარში საერისთაო მამული უბოძა. გედეონ II-მ თავი დანება მღვდელმთავრობას და ამის შემდეგ ბარის ერისთავად იწოდებოდა.

გედეონ მროველი – XVI ს. რუისის ეპისკოპოსი. გედეონი ქართლის მეფეს ლუარსაბ I (1527-1556) მროველად დაუსვამს 1535 წწ. ახლო ხანებში: „და დასუა მეფემან კათალიკოზად გერმანე და მროველად გედეონ" (ქართლ. ცხ. IV, 40).

გედეონ მტბევარი (საფარის ძე) – ტბეთის ეპისკოპოსი 1637 წლიდან, იშხანისა და აწყურის ეპისკოპოსი 1650 წლიდან. ცნობები მის შესახებ დაუცავს ერთ, XVIII ს. II ნახ. ქრონიკას: ტკი (1637 წ.): აქა საფარიძე გედეონ მტბევარს დაჯდა ტლე (1650 წ.): აქა საფარიძეს მტბევარს იშხნელობა და მაწყვერლო

მოუვიდა ხვანთქარისაგან" (S 252).

ბედენ სიონელი – თბილისის სიონის ეკლესიის კალიგრაფი XVII-XVIII სს. მას გადაუწერია ხელნაწერი A 154.

ბენია // ბეჰენია – სახარებისეული სახელწოდება ველისა, რომელიც სიონის მთიდან კედრონის დაბლობამდე ვრცელდება. ბიბლიური გადმოცემით, ისრაელთა შორის კერპთაყვანისმცემლობის გაძლიერების პერიოდში ებრაელები აქ თაყვანთ შვილებს მსხვერპლად სწირავდნენ მოლოქს. მართლმორწმუნე მეფე ოსიმ. კერპთაყვანისმცემლობის მოსპობის მიზნით შებილწა ეს ველი ხალხის თვალში და აქცია იგი სიბინძურისა და ნაგვის დასაყრელ ადგილად. მყრალმა სუნმა, რომელიც აქედან ამოდიოდა, ეს ადგილი შემდგომში ჯოჯოხეთის სიმბოლოდ აქცია. ძველ ქრისტიანულ წყაროებში გენია ჯოჯოხეთის სინონიმად იქცა.

გეთსამანია // გესამანია – დაბა ან ადგილი იერუსალიმის მახლობლად, ელეონის მთის სამხრეთის ფერდობის ძირას, სადაც სახარების მოწმობით, იესო ქრისტეს უყვარდა განმარტოება სალოცავად (მთე XXVI, 36; მარკოზ XIV, 32), და სადაც მან საიდუმლო სერობის შემდეგ მიიღო იუდას მუხანათური ამბორი (მთე XXVI, 38-40). ამ წმინდა ადგილას დღესაც არის ზეთისხილის ბაღი, ქვის ღობით შემოზღუდული (1848 წ.), ხოლო ბაღში – გამოქვაბული, რომელსაც ადგენენ იმ ადგილთან, სადაც ქრისტე ლოცულობდა, ცოტა მოშორებით კი – მღვიმე, რომელშიც ღვთისმშობელი მარიამი იყო დასაფლავებული. მღვიმე წარმადგენს მრავალდონიანს, ღრმისა და სიმეხთა საერთო საკუთრებას. უძველესი დროიდან არის აქ აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ბაზილიკა. გეთსამანიაში ქართველი მოღვაწენი ჩანან IX ს-დან. მათ საკუთარი საკურთხეველი ჰქონიათ და გარკვეული პატივით სარგებლობდნენ, როგორც ეს დადასტურებულია უცხოელი ავტორების (ადამნანია – 1370 წ.; იგნატი – 1393-1395; ა. სუხანოვი – 1652 და სხვ.) ცნობებით. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, „გეთსამანიას სამწირველო არს საქართველოთი" („მიმოსვლა გვ. 82; 123). შემდეგნო დროის ქართველმა მოგზაურებმა და მეცნიერებმა (ი. გედევანიშვილი, გ. ავალიშვილი, ა. ცაგარელი, პ. კენჭოშვილი) გეთსამანიაში ქართველთა ნაკვალევი ვერარ ნახეს (ქართულ წყაროებში, გარდა აღნიშნულისა, ეს სახელწოდება გვხვდება „გეთსამანიის" და „გესამანიის" სახელითაც). ცნობილია გეთსამანიაში დამზადებული ხელნაწერები: 1. პარაკლიტონი (Sin. 13), გადაწერილი 1044 წ. გაბრიელის მიერ. 2. ოთხთავი (H 1741), რომელიც 1048 წ. სტეფანე პალაკრელმა დაუკვეთა გადასაწერად. 3. ჟამისწირვა (Sin. 89), გადაწერილი XI ს-ში სტეფანე დეკელის მიერ.

გეთსამანია // გესამანია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოფლის ან ეკლესია-მონასტრის სახელია: 1. გეთსამანია – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. უბადის (მდ. ძირულას შენაკადი) ორივე ნაპირას, ორჯონოკიძიდან 45 კმ. როგორც ჩანს, სოფელმა სახელწოდება, მიიღო გეთსამანიის მონასტრიდან, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „ცერტყვილის ქვეს ზეით ერთის ძირულას ბეინევის-ქედი. აქა არს სამკრთ. მონასტერი გეთსამანია, გუმბათიანი, კეთილნაშენი, საწინამძღვრო (ქართლ. ცხ. IV, 379, 22).. ეკლესია XIX ს. გადაუკეთებიათ. ეს ეკლესია აღნიშნულია 1737 წ. შედგენილ დას. საქართველოს რუკაზე – „გესამანიის საყდარი". 2. გეთსამანია ეწოდებოდა ლეჩხუმის საირმის მონასტერს (H 786, 236; Q 412; ქუთ. № 17, 486). 3. გეთსამანია ეწოდებოდა კაბენის მონასტერს, ქსნის ხეობაში, ყანჩაეთის ახლოს. ყანჩაეთის ეტრატის სახარებას ასეთი მინაწერი აქვს: „იხარებდინ ტაძარო ღმრთისმშობელისაო გეთსამანიაო". თ. ჟორდანას მოწმობით „გეთსამანიის ტაძარი არის აწ თითქმის დარღვეული. დიდის ხელოვნებით ნაგები კაბენის ეკლესია ქსნის ხეობაში, რატიშვილთა (ქრონიკ. II, 171) სასაფლაო. ყანჩაეთის გულანის 1698 წ. მინაწერში ქართლის მთავარეპისკოპოსი ეფემონი წერს: „ესე გულანი დამეკარგა. არაგვის ერისთავის შვილმან გრიგოლ იშოვნა. კაბენს გეთსამანიის ღმრთისმშობელს შეწირული იყო... ისევე გეთსამანიის ღმრთისმშობელს შეეწირე... მე მთავარეპისკოპოზმან ეფემონ შევსწირე სამკალესა ჩემსა კაბენს, მონასტერსა გესამანიასა ღმრთისმშობელსა ქსნა ტბე" (1698 წ. ქრონიკ. II, 517). 4. გეთსამანია ეწოდებოდა ადგილს მცხეთაში, არაგვის მარცხენა ნაპირას, მაღალი მთის (გოლგოთის) ფერდობის ძირას, რომელიც მცხეთის პირდაპირ არის. გეთსამანიის ცენტრში არის წყარო. აქ ყოფილა ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელიც მინიატურული სახით განუახლებიათ სულ ბოლო ხანებში (კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 362).

გელათის აკადემია – XII ს. ქართული საეკლესიო სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. დაარსდა

1106 გელათის მონასტერთან დაკით აღმაშენებლის ინიციატივით. დაკითმა აკადემიაში სამღვდელოდ მიიწვია იმდროინდელი სწავლული პირები, რომელთაგან ზოგიერთი საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ.). საისტორიო წყაროები გელათის აკადემიას „სხუად ათინად, აღმოსაელეთის მეორე იერუსალიმად" იხსენიებენ. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართმოძღვარი. სასწაული პროგრამა, როგორც ფიქრობენ, ძირითადად ტრიეუმისა (გრამეტრია, არითმეტიკა, მუსიკა) და კვადრიუმის (ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა და ასტრონომია) ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა. გელათის აკადემიამ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გეგმით სწორკუთხა შენობის (ფართობი დაახ. 300 მ²) აღმოსაელეთით სამი შესასველელი პქონდა. მოგვიანებით შუა შესასველელი-სათვის მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობას დიდი სარკმლები ანათებდა, კედლები მოხატული პქონდა.

გელათის გუნდანი – XVII-XVIII სს. წერილობითი ძეგლი, გელათის მონასტრის ღვთისმსახურების წიგნთა კრებული, აკინძული 3 წიგნად (A 186, ა, ბ და გ). უზარმაზარი, ქაღალდზე ნუსხურით ნაწერი ხელნაწერი შეიცავს 2322 გვერდს (44,5X27). გელათის გუნდანი დაშნადებულია გენათელი (გელათის) ეპისკოპოსის – ზაქარიას დაკვეთით. იგი გადაუწერიათ იესე ბაღდიაშვილს, ფარემუზას (გე. 1467), მგალობელ თამაზს (გე. 1938), აბრაამს (გე. 1610), საბა მღვდელს (გვ. 1715). ხელნაწერი გიორგი აბაშიძეს შეუწირავს დაკითგარეჯის უდაბნოსათვის, ამიტომ მას ხან გელათის გუნდანს უწოდებენ, ხან გარეჯისას.

გელათის გუნდანის შემადგენლობაში შედის: 1. ჟამნი (გვ. 5-154), 2. ტიპიკონი (155-300), 3. პარაკლიტონი (331-542). 4. კინკლოსი (543-553) 5. კურთხევანი (555-564), 6. თუენი (564-45000). 7. მარხვანი (1501-1716), 8. ზატიკი (1717-1859), 9. საწელიწდო საკითხავები, რომელშიც შესულია ცნობილი საეკლესიო მამების 32 სიტყვა. 10. კურთხევანის ერთი ნაწილი („ერის განტევებაჲ ღესსწაულთა" (2021-2029), რომელსაც მოსდევს „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმ. მამათა კოსტანტინეპოლის შკრებილთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათუს" (2029-2032). ტექსტის მოსახსენებლებში ჩართულია ქართველ მოღვაწეთა ხსენებები. 11. „მოთხრობაჲ შჯულთა უღთოთა თათრისათა... თქუმული ბატონიშვილის ბაგრატისა" (2315-2332).

გელათის მონასტერი – შუა საუკუნეების ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა, სამონასტრო ანსამბლი, დაარსებული დაკით აღმაშენებლის თაოსნობით 1106 წ., მღებარეობს ქუთაისის რჩდილო აღმოსაელეთით 11 კმ-ზე. სამონასტრო კომპლექსში შედის სხვადასხვა დროინდელი, ძირითადად XII-XIII სს. ნაგებობანი, რომელთაგან თაჯაპირველი და ძირითადია ღვთისმშობლის მიძინების ცენტრალურ-გუმბათოანი ტაძარი. ეკლესიაზე სხვადასხვა დროს მიუშენებიათ: დასავ. მხარეს სტოა, სამხრეთიდან და ჩრთილოეთიდან – ეგვტერები. ტაძარს შინაშენების ჩათვლით 35X36 მ. ფართობი უჭირავს. მისი სიმაღლე 34 მ-ია. გარედან ტაძარი მოპირკეთებულია ეკლარის თლილი ქვით. ფასადები დამუშავებულია რიგი დეკორატიული თაღედებით თითქმის ჩუქურთმების გარეშე. კანკელ-კამარები დაჟარულია სხვადასხვა დროის მხატერობით. მთავარი ტაძრის კონქში დაცულია ცნობილი გელათის მოზაიკა (1125-1130 წ.), დაზიანებულია მხოლოდ კომპოზიციის ქვედა ნაწილი. ჩამოცვენილი კენჭების ადგილი მოხატულია XIV ს-ში. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ფეზზე მდგომი ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი ხელში. აქეთ-იქით უდგანან მთაეარანგელოზები – გაბრიელი და მიქაელი. მოზაიკისა და ტაძრის ფრესკების ამგვარი შერწყმა საქართველოში სხვაგან არსად არ გეზვდება. ტაძრის დასაელეთის სტოა მოხატულია XII ს. ფრესკებით, რომელებზედაც გამოსახულია საეკლესიო კრება, ხოლო სამხრეთ ეგვტერში – დაკით ნარინის ორი, XIII ს-ში შესრულებული პორტრეტი. საყურადღებოა XVI ს. შესრულებული ისტორიულ პირთა პორტრეტები ჩრდილოეთის კედელზე. აქ წარმოდგენილი დაკით აღმაშენებლის ფრესკული გამოსახულება, შესრულებული XVI ს-ში, ძველი, XII ს. შესრულებული ფრესკის აღდგენის შედეგი უნდა იყოს.

მთაეარი ტაძრის აღმოსაელეთით XII ს. წმ. გიორგის ეკლესია დგას. იგი გეგმით და ფორმით მთაეარ ტაძარს იმეორებს, მაგრამ უფრო მცირე ფორმისაა. ეკლესიის ინტერიერი დაფარულია XVI ს. მოხატულობით. მთაეარი ტაძრის გეერდით დგას XIII-XIV ს. წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ქედა სართული ოთხიეე შბარეს

თაღებითაა გახსნილი, ხოლო მეორე სართული ჯვრისებრი მოხაზულობის პატარა ეკლესიაა. მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით XIII ს. სამრეკლოა, რომლის ქვედა ნაწილი – თაღებით გახსნილი ქვის ფანჩატური – წყაროზეა დაშენებული. მის თავზე პატარა სათავსია, ხოლო სულ ზემოთ – სამრეკლო. მონასტრის ანსამბლში შედის აგრეთვე აკადემია (იხ.), რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია.

გელათის მონასტერს XII-XIV სს-ში მინჭებული ჰქონდა სრული ავტონომია და მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც კი არ ჰქონდა არავითარი სახელისუფლებო ძალა (გარდა სასულიერო პირთა კურთხევისა). XIII ს. II ნახ. – XIVს-ში ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური დაკნინების გამო მონასტრის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეფერხდა, ნანგრევებრე ალდა მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს დროს.

გელათის მონასტერი საქართველოს პოლიტიკური დაშლის (XVI ს. II ნახ.) შემდეგ, დასაწყის საქართველოს მეფეების ხელში გადადა. 1510 წ. მონასტერი გადაწვეს იმერეთში შემოჭრილმა ოსმალებმა. იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ გელათში დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაატარეს. ბაგრატ III-მ, რომელსაც თანამედროვენი გელათის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ, XVI ს. 20-იან წლებში გელათში საპისკოპოსო კათედრა დაარსა, რომელიც არსებობდა XIX ს. 20-იან წლებამდე, შემდეგ იგი იმერეთის საეპისკოპოსოში შევიდა. XVI ს. II ნახევარში დასაწყის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. კათოლიკოსს საკუთრებად გადაეცა წმ. გიორგის ეკლესია. XVIII ს. დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარეს გელათში იმერეთის მეფეებმა: გიორგი VI-მ, ალექსანდრე I მა, სოლომონ I-მა და სოლომონ II-მ. XVIII ს. დამლევს მონასტერი 42 სოფელს ფლობდა. იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1810 წ.) გელათის მონასტერი სახელმწიფო დაწესებულებად – შტატის მონასტრად იქცა. 1923 წ. მონასტერი დაბურეს. ბოლო ხანებამდე იგი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი იყო. 1988 წ. მონასტერი კვლავ აბოქმედდა.

გელათის მონასტერში დაარსებიდანვე დიდი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა გაშალდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: არსენ იყალთოელი (XII ს.), იოანე პეტრიწი (XII ს.), არსენ ბულმაისიძის ძე (XIII ს.), პეტრე გელათელი (XIII ს.), ეფთვიმე ჩხეტისძე (1557-780, ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი და სხვ.

გელათის მონასტერს ჰქონდა ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მრავალ მდიდრულად მორთულ და მინიატურებით შემკულ ხელნაწერ წიგნს ითვლიდა (დღეს ეს ფონდი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში). აქ ინახებოდა ქართული ჭედური ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნიმუში, რომელთა შორის აღსანიშნავია: 1. ხახულის ღვთისმშობლის ხატი (დაც. საქ. ხელოვნების მუზეუმში), 2. X ს. ჯვარი, რომელსაც მიმატებული აქვს დავით ალმაშენებლის წარწერა (XII ს.); 3. X ს. ღვთისმშობლის ხატი. 4. გელათის სახარების XII-XIII სს. მოჭედილი ყდა, აგრეთვე XIV-XVII სს. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი, გამოსასვენებელი ჯვრები და სხვ.

გელათის მონასტერი დაარსებიდანვე გახდა ქართველ მეფეთა და მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა სამარხი. აქ დასაფლავებულია: დავით ალმაშენებელი (ეპიტაფია ასომთავრულით), დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე (თამარის ისტორიკოსის ცნობით), ავრეთვე იმერეთის თითქმის ყველა მეფე.

გელათის მონასტრის ზღუდის გარეთ დაახლ. 150 მ-ზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემორჩენილია სოხასტერის (დაყუდებულ ბერთა სამყოფელი) ნანგრევები, ეკლესიების, კოშკის ტიპის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობების ნაშთები. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით მაღალ კონცხზე წმ. საბას დარბაზული ეკლესიის (X-XI სს.) ნანგრევებია მის მახლობლად, გზის გაღმა – წმ. ილიას ეკლესია.

გელათის ოთხთავი – XII ს. ოთხიოე სახარების შემცველი ეტრატის ხელნაწერი (Q 908; 293 ფ. 26X18,8). ხელნაწერი ჩასმულია მოგვიანებით ნაკეთებ სქელ ტყავგადაკრულ ვერცლით მოჭედილ ყდაში (27 X 19,5). ყდის ზემო ნაწილზე გამოსატული ჯვარცმის კომპოზიცია შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით და ძვირფასი თელებით, ხოლო ყდის ქვემო ფიცრის მოჭედილობაზე აღდგომის კომპოზიცია გამოსახული და შემკულია ვერცხლის ბუდეში ჩასმული 43 თელით (ორი დაკარგულია: ამათგან 24 – ლალი, 7 – ზურმუხტი, 1 დიდი

და რამდენიმე პატარა მარგალიტი და სხვ.). ოთხთავის ტექსტი ნაწერია იშვიათი სილამაზის კლასიკური ნუსხურით ერთ სვეტად. დასაწყისი ასოებისა და ზოგიერთი გამოსაყოფი სტრიქონებისათვის უხვად არის ნახმარი ფერუცელი ოქრომელანი და სინგური. ხელნაწერი შეკრულია მრავალი ფერებით მოხატული ასოებით (ამზადების დასაწყისში) და ოქროს ფონზე ფერებით შესრულებული 347 მორთულობით. ოთხთავის ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

გელათის ოთხთავი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, გელათის ტაძრის წიგნსაცავში ინახებოდა. 1921 წ. გატანილი იქნა პარიზში, საიდანაც დაბრუნეს 1945 წ. და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში (Q 908).

გელასი – შავი მთის რომანას ქართული მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახევარში. მისი დაჟალებით სვიმეონ დვალს 1066 წ. გადაუწერია იოანე სინელის „კლემაქსი" (A 134), რომელსაც ასეთი ანდერძი აქვს: „მე, უღირსი გლახაკი პრომანაელი მამაჲ გელასი ჩემსა წინამძღოლებასა ღირს ვიქმენ აღწერებად წმიდისა ამის... კლემაქსსა და ცხორებისა წმიდისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისა ადიდებლად და სალოცველად ღმრთივდაცულისა... მეფისა ბაგრატისთჳს და ძისა მათისა გიორგი კურაპალატისათჳს... დაჲდეთ ეკლესიასა პრომანაწმიდისასა საყდარსა წმიდათა მოციქულთასა. დაიწერა ჳამსა, ოდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოს იყო ქჳსა სჲე (1066 წ.) (ქრონკ. I, 210).

გელასი კესარიელი († 395) – კესარიის (პალესტინაში) ეპისკოპოსი 367 წ-დან. ის კირილე იერუსალიმელის დისშვილი იყო, მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველი, რის გამოც იმპერატორ ვალენტის დროს განდევნეს სამწყსოდან, რომელსაც მოუბრუნდა თეოდოსი დიდის დროს. 379 წ. მას დაუწერია: 1. გაგრძელება ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიისა". 2. ეენომიანელთა (უკიდურეს არიანელთა) წინააღმდეგ. 3. რწმენის სიმბოლოს განმარტება.

გელასი კესარიელის საისტორიო შრომაში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოფილა ცნობები ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ, რაც ცნობილი გახდა გელასის გეიანდელ კომპილატორთა ნაშრომებიდან.

გელასი ფინამძღვარი – სამცხის „ოთხთა ეკლესიის" ლაიკი X ს. I ნახევრის წინამძღვარი, რომელსაც მონაზვნად უკურთხებია იოანე ათონელი, ეფუთიმე მთაწმიდელის მამა, როგორც ეს აღწერილია გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში „ცხორებაჲ... იოანესი და ეფუთჳმესი": „იოქმნა [იოანე] ყოველთაგან და მზოლოჲ ლაჳრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შეჳდა. და რომელნი მას შინა ბრწყინვიდეს სათნოებითა მათ ჳამთა... და მამაჲ გელასი – ამათ გამოუცხადა თავი თჳსი და მათგან ფარულად კურთხეჳაჲ მონაზონებისაჲ მიიღო" (ძეგლები, II, 43, 4).

გენადი // ღენადი კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (458-471) ლეონ დიდის მეფობის დროს, მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი. გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით და მახვილი გონებით. მისი შრომებიდან ქართულად თარგმნილია „მრგუელიმოსაელელი ეპისტოლე" და შეტანილია 14 ტიტულოან ნომოკანონში, მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად, კანონიკურ კოდექსში, რომელიც XI ს. მიწურულს „დიდ სჳეულსკანონს" სახელით თარგმა არსენ იყალთოელმა. გენადი კონსტანტინეპოლელის თხზულება „კანონი ქრისტიანობრივისა სარწმუნოებისა და ცხოვრებისათჳს" შეიცავს დოგმატიკურ-ზნეობრივი და დისციპლინარული ხასიათის ას მოკლე თავს (დებულებას), რომელიც რუსულიდან უთარგმნია ტარასი არქიმანდრიტს (XIX ს.) გენადი პატრიარქის ხსენება დადებულია 31 აგვისტოს.

გენადი მრონაზონი – XVII ს. კალიგრაფი სვანეთის კვირაქესა და იელიტეს ეკლესიიდან. აქ გადაწერილი დაეითნის (A 1468) ანდერძი გვაცნობს: „ამისა მწერალსა მონაზონსა გენადის შეუნდეს ღმერთმან მისნი ცოდვანი, ამინ" (129r).

გერასიმე – XIV ს. მხატვარი. იგი ხელმძღვანელობდა უბისის ეკლესიის მოხატვას. მისი სახელი „საიდუმლო სერობის" წარწერაშია მოხსენიებული. გერასიმეს ფრესკები (სახარების სცენების ციკლი, ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი და სხვ.). XIV ს-ის ქართული ფრესკული მხატვრობის ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანია. საიდუმლო სერობის კომპოზიცია გვიჩვენებს, რომ გერასიმეს ბევრი რამ ქართული რეალური ცხოვრებიდან აუღია (გაშლილ სუფრაზე გამოხატული შუაღამე, ქართული პური და სხვ.). გერასიმეს ხელით შესრულებული მხატვრობა შეცდომით მიეწერებოდა დამიანეს, რომელიც მხატვრობის დამკვეთი ყოფილა (ლიტ. საქართველო, 1984 წ.).

გერასიმე – ქართლის მეფის – გიორ-

გი IX-ის (1525-1534) მონაზენობის სახელი: „ჟამსა ამას (1542 წ.) მონაზონ იქმნა მუეე ქართლისა გიორგი და უწოდეს სახელად გერასიმე" (ქართ. ცხ. II, 493-494).

გერასიმე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. აწყურის ეპისკოპოსი XV ს. I ნახევარში. მოხსენიებულია ერთგულების წიგნში, რომელსაც აძლევს გერასიმე მაწყველი ქართლის კათოლიკოს მიქაელს (Ad 522). დოკუმენტი 1414-1426 წწ. თარიღდება (სამ. ძეგლ. III, გვ. 182-184).

2. კუმურდოელი ეპისკოპოსი XVI ს. დასაწყისში. ერთგულების წიგნი გერასიმე კუმურდოელისა ეგვარე კათოლიკოსისადმი, (Hd 2130), რომელიც 1500-1500 წწ-ით თარიღდება, გვამცნობს, რომ გერასიმე კუმურდოელად მზეჭაბუკ ათაბაგმა დასვა, ხოლო შემდეგ ეგვარე კათოლიკოსს უკურთხებია (სამ. ძეგლ. III, გვ. 238-240).

3. ქუთაისის მთავარეპისკოპოსი XVI ს. I ნახევარში. წყაროებში გვხვდება მხოლოდ მისი გარდაცვალების ცნობა: „ქსა სიზ (1529 წ.), მიცვალა ქუთაელი გერასიმე, ნავარსა ი. ამაე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სიმეონ" (ქრონიკ. II, 372, პარიზის ქრონიკა, გვ. 41).

გერასიმე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის XIII ს. II ნახევრის ჯვარისმტვირთველი, მისთვის განწესებულია აღაპი (№ 56) და წირეა. აღაპის ტექსტი XIII ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება. (მასალები იერუს... გვ. 84; 133).

2. საფარის მონასტრის მოძღვარი, დაახ. XIII-XIV სს-ში მოხსენიებულია სინის მთის სულთა მატიანეში (Sin. 77). „სულსა საფარის მოძღურისა გერასიმეს შეუნდის ღმერთმან" (199).

3. ალის მონასტრის მოძღვარი დაახლ. XIII-XIV სს. მოჯანაზე. იხსენიება ალის მონასტრის ხელნაწერის (H 1347, გვ. 755) მხედრულ მინაწერში (XIII-XIV სს.), რომელშიც აღწერილია ერისთავ შალვა ჯაყელის მიერ ალის მონასტრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზისათვის მითვლილი სამონასტრო ქონების ნუსხა.

4. მცხეთის კანდელაკი XVII ს. II ნახევარში და XVIII ს. დასაწყისში. იგი ხელს აწერს მცხეთის კრებულის მიერ პატრიარქისადმი მიწერილ 1706 წ. დოკუმენტს (Ad. 323; ქრონიკ. III, გვ. 21-22), ხოლო მოწმეა ერთ-ერთი XVIII ს. II ნახ. ხელით წიგნისა (Ad. 1871).

5. XVIII ს. ათონელი ბერი (ფუცელი), რომელიც ათონზე მოგზაურობის დროს ნახა ტიმოთე გაბაშელმა „მღვიძარეთა დასაყუდებელთა ადგილში, რომელსა უწოდიან კაფსოკალივა" („მიმოსლვაჲ", გვ. 0149-0150).

6. XVIII ს. მონაზონი (ატოცელი), რომელიც დაყუდებული ყოფილა ათონის მთაზე, „მღუდარეთა დაყუდებულთა ადგილში, რომელსა უწოდიან კაფსოკალივა", როგორც ამას ტიმოთე გაბაშელი გადმოგვცემს თავის „მიმოსლვაში" (გვ. 0149).

7. აღაიანის მონასტრის არქიმანდრიტი. მოხსენიებულია 1797 წ. (20. IV) ერეკლე II-ისა და ანტონ II-ის წყალობის წიგნში (ცსსა ფ. 1448, № 8884), მიცემული ოთარ მგალობელისადმი: „შენმა ძმამ არქიმანდრიტმა გერასიმემ და შენ ოთარ მგალობელმან, რადესაც საქართველოში მოხვედით, მრავალი კეთილი და ღვაწლი დახდეით და ჩვენი წმიდანი ეკლესიანი გალამბით განანათლეთ" (სამ. ძეგლ. III, 1037). სახუთის შინაარსის მიხედვით, გერასიმე აღაიანის მონასტრის არქიმანდრიტი უნდა ყოფილიყო.

8. მოწამეთის მონასტრის არქიმანდრიტი XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში, დოსითეოს ქუთაელის მოძღვარი, როგორც ეს აღნიშნულია დოსითეოს ქუთაელის წყალობის წიგნში (1813 წ. 14 XIX): „ჩვენს მოძღვარს მოწამეთის არქიმანდრიტს უფალს გერასიმეს... მოგეცი" (სამ. ძეგლ. III, 1121).

9. მღვდელმონაზონი, ხელმძღვანელობდა სოფ. ხამისკურის (ხობის რ-ნი) პატარა ერთნავიანი ეკლესიის „კეალადე" აშენებას 1814 წ. ეკლესია აშენებულია ცაიშელი მიტროპოლიტის - გრიგოლის (ჩიქოვანი) ბრძანებით და ხარჯით.

10. ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტი XIX ს. II ნახევარში (დოკრაშვილი; 1868 წ.).

გერგეტის სამება – XIV ს. 30-იანი წლების წმ. სამების გუმბათოვანი ტაძარი სტეფანწმინდის მახლობლად. ნაგებია კარგად გათლილი ანდეზიტის კეადრებით. ფასადები და გუმბათის ყელი მოჩუქურთმებულია. კომპლექსში შედის აგრეთვე XIV ს. II ნახევრის ორსართულიანი სამრეკლო, რომლის ფასადები მოჩუქურთმებულია, და XV ს. გალავანი. სამება ხევის მთავარი სალოცავი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით გერგეტის სამების ეკლესია იყო მცხეთის საკათოლიკოსოს ძვირფასეულობათა და წმ. ნინოს ჯვარის სახუნაგი ადგილი.

გერგასი სამთაველი (მაჭავარიანი) – სამთაველის ეპისკოპოსი XVIII ს. II

ნახეუარში. იგი ხელს აწერს ფიცის წიგნს, რომელიც 1796 წ. 8/IX არის დაწერილი (ცსსა ფ. 1448, № 4473. სამ. ძეგლ. III, 1030).

გერი – ასე ეწოდება მიხაძეთა გალობებს, სტიქარონებს, რომლებიც სრულდება „თეითავაჯი" მოდელის (ან ორიგინალური სტიქარონის) მიხედვით. ირმოსი ანუ ძლისპირი და გერი ერთმანეთისაგან განირჩეუან იმით, რომ ირმოსი იგალობება ტროპარის წინ, ხოლო გერი არ იგალობება, არამედ მხოლოდ მიუთითებს მათთვის კილოს. გარკეუულია, რომ შობის (და განცხადების) ტროპარები წარმოადგენენ ენების ტროპარების გერს, მიხაძას, ხელნაწერში ხშირად გვხვდება გამოთქმები: „მარხვათა გერი", „სტიქარონად გერნი დღესასწაულისანი", „დიდებასა ზედა გერი რამე კარგი", „საცისკრო გერი" და სხვ.

გერისათობა – ხალხური დღესასწაული ქართლში. დღესასწაულის სახელწოდება წარმოადგება სოფ. არბოსთან არსებული X ს. წმ. გიორგის ეკლესიიდან, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გერის წმ. გიორგის უწოდებს, გერისთობა ერთ-ერთი დიდი დღესასწაულია წმ. გიორგის დღესასწაულებს შორის ქართლში (სარკოს, ატოცის წმ. გიორგისთან და გორიჯვართან ერთად).

გერმანე // გერმანოს – რამდენიმე ქართველი მღვდელმთაურის სახელი:

1. ქართლის კათოლიკოსი XVI ს. I ნახევარში ლუარსაბ I († 1556 წ.) მეფობის დროს: „მოკუდა კათალიკოსი მელქისედეკ და დასუა მეფემან კათალიკოსად გერმანე... (ქართლ. ცხოურ. IV, 402); „ხოლო მომკუდარ იყო კათალიკოსი გერმანე და მეფესავე ლუარსაბს დაეუსუა ნიკოლაოზ" (იქვე, 406) 1546 წ. ერთი საბუთის (Ad 501) მიხედვით, მას ლუარსაბ მეფესთან ერთად ალუწერია სვეტიცხოვლის განძი და ქონება. გერმანე კათოლიკოსი ხელს აწერს ამავე წლის მეორე საბუთსაც (Ad. 623). გერმანეს კათოლიკოსობის წლებად 1541-1547 წლებია საუარაუდო.

2. ქუთაისის მიტროპოლიტი XVI ს. I ნახ., ერთი ხელნაწერის (A 49) ქრონიკის ჩვენებით, 1529 წ. „მიიცუალა ქუთაელი გერმანოზ და დადგა სუმენ".

3. ბედიის მიტროპოლიტი (ჩხეტიძე) XVII-XVIII სს. მისი დაკვეთით არის გადაწერილი ბედიის გულანი (A 187). გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით არის შესრულებული აგრეთვე ბედიის X ს. ბარძიმის ფეხი. ბაგრატ III-ის მიერ ბედიის მონასტრისათვის შეწირული ოქროს ბარძიმი, რომელიც X ს. ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია, როგორც ჩანს, აღრევე დაზიანებულა. გერმანე მიტროპოლიტის ინიციატივით XVII-XVIII ს. აღუდგენიათ მისი ფეხი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ყოელადწმიდაო დედოფალო, ელაქერნის ღმრთისმშობელო, შემიწყალე მე, ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად ფეხსა წმიდისა ამის ბარძიმისა".

4. თბილისის მიტროპოლიტი XVIII ს. II ნახევარში. მანამდე 1769-1781 წწ. წყაროებში იგი იხსენიება დაეით გარეჯის არქიმანდრიტად. 1781-1788 წწ. საბუთებში გერმანე თბილელად იხსენიება (ისტ. სამ. V. 101 გვ.). იგი დაახლოებული იყო ქართლის სამეფო კართან, იყო დიპლომატიის წევრი.

5. დასაელეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი XVIII ს. 40-იან წლებში (წულუკიძე). გერმანე იყო იმერეთის სამეფო კართან დაახლოებული და გაელენიანი მსხვილი ფეოდალური სახლის წევრი. გერმანე კათოლიკოსი გამხდარა 1742 წ.: „მოკუდა კათალიკოზი აფხაზთა (იმერთა) გრიგოლ, დაჯდა გერმანე (ქართლ. ცხოურ. IV, გე. 913, ულ ქრონიკონის ქვეშ – 1742 წ.). იგი კათოლიკოსად იხსენიება 1745 წ. მის მიერ გაცემული პირობის წიგნში (Hd 13823; სამ. ძეგლ. III, 790).

6. XVIII ს. იშხანის მიტროპოლიტი. მოხსენიებულია გელათი-გარეჯის XVII-XVIII სს. გულანის (A 186) მინაწერში: „ღმერთო, შეიწყალე მონაჲ შენი იშხნელი მიტროპოლიტი გერმანოს" (გე. 2341).

7. რუისის ეპისკოპოსი XVIII ს. II ნახევარში. იგი იხსენიება ქართლის XVIII ს. 70-იანი წლების მღვდელმთაურთა სიაში (სამ. ძეგლ. III, 929).

გერმანე // გერმანოსი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი XI ს. I ნახევარში. როგორც ჩანს, გერმანე 1034-1042 წწ. ჯუარის ქართველთა მონასტრის მოღვაწეა, რადგან იქ დამზადებულ ხელნაწერს (ბრიტ. მუზ. Add. 11281) ასეთი მინაწერი აქვს: „ადიდე მონასტერი ზარზმისა, სადაცა ამის დამწერს გერმანოზს მაჭუნდა".

2. ჯუარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XIV ს. I ნახევარში. მოხსენიებულია სინის მთის სულთა მატიანეში: „მოკლენებისათუს და განსუენებისათუს ჯუარის მამათათუს... გერ-

მანოზისათჳს" (Sin. 77, 197v).

3. მეფის პალატის მოძღვარი XIV ს. შუა წლებში. იგი ხელს აწერს, როგორც მოწმე, შიომღვიმის საკრებულოს მიერ 1344 წ. გაცემულ წყალობის წიგნს (ქრონიკ. II, 181).

4. ლარგვისის მონასტრის წინამძღვარი. XV ს-ში მას განუახლებია XIV ს. სახარება (A26) „ესე სახარება... ფუჭდებოდა და განვაახლე მე წინამძღუარმან გერმანე" (ქრონიკ. II, 19).

5. შიომღვიმის მონასტრის მოძღვარი XV ს. II ნახევარში. 1498 წ. ერთ გუჯარში ლაპარაკია გერმანე მოძღვრის აღაპის განწესებაზე (ქრონიკ. II, 312-313).

6. „თეთრისნის" წინამძღვარი და კალიგრაფი XVI ს-ში. გადაუწერია და შეუმკია დავითნი (H 75) „დედოფალ ათაბაგის ქალის ბატონი თამარისა" და მისი ძის, ქაიხოსრო გურიელის დავალებით: „შეიწყალე ცოდვილი ამისი შჳერალი თეთრისნის წინამძღუარი გერმანოჲ". საფიქრებელია, რომ გერმანოზი იყო ჭანეთში, კირნიშის ხეობის სოფ. ღვარაში არსებული თეთრისნის ეკლესიის წინამძღვარი. გერმანოზის მიერ გადაწერილი წიგნი შეიცავს 55 მინიატურას, მაგრამ მათი ავტორი გერმანოზი არ არის: მინიატურები სხვა წიგნიდანაა ამოჭრილი და ამ ხელნაწერშია ჩაკერული.

7. გელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონი XVI ს. II ნახევარში. იგი იხსენიება მონაზვნად 1573 წ. ერთ თავნაკლულ სიგელში, როგორც რომელიღაც მიცვალებულის სულის მწირველი (ქრონიკები, II. 414). 1586 წლის მეორე სიგელში გერმანე ხუცესმონაზონი სულის მწირველია გელათში დასაფლავებული ვინმე ქქაოზ ლორთქიფანიძის მეუღლისა (ქრონიკები, II, 425).

8. კაცხის მონასტრის დეკანოზი XVII ს. I ნახევარში. მას 1627 წ. დაუწერია და ამოწებებს ნასყიდობის წიგნს (საისტ. კრბ. III, 61).

9. მთაწმიდის (თბილისში) ხარების მონასტრის წინამძღვარი XVII ს. II ნახევარში. იგი მონაწილეობს 1654 წ. ერთ-ერთი დავის გარიგებაში (Hd 8389).

10. თბილისის სიონის არქიმანდრიტი XVII ს. დასაწყისში. გერმანე რუსეთში გაჰყოლია ვახტანგ VI-ს, მოსკოვში დარჩენილა და მოღვაწეობდა იოსებ სამებელის სტამბაში. მოსკოვში 1738 წ. გამოცემული ზატიკის წინასიტყვაობაში წერია: „არქიმანდრიტი გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა". მას ხელნაწერებიც გადაუწერია და გაუმრავლებია (A 169).

11. დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. შუა წლებში, მწიგნობარი და კალიგრაფი, ვახტანგ VI-თან დახლოებული პირი. რამდენიმე ხელნაწერის (A 140; A 174; A 191) მინაწერებში იგი მოხსენიებულია როგორც გადამწერი. მისივე ცნობით, იგი 1755 წ. მძიმედ დაუჭრიათ ლეკებს (A 140, 245 კგ.). ანტონ კათოლიკოსის ცნობით, გერმანე გამოჩენილ მქადაგებელი და შესანიშნაი მგალობელი ყოფილა („წყობილსიტყვაობა, გე. 279).

12. ხონის ეკლესიის წინამძღვარი XVI ს. II ნახევარში. იხსენიება სოლომონ I და საეკლესიო კრების 1761 წ. 23. IV გაწესებაში ხონის ტაძრის გამოსაელის თაობაზე (ცსსა ფ. 1448. № 4444).

13. დავითგარეჯის მონასტრის მონაზონი, მოწამე. იგი ლეკებმა მოკლეს 1851 წ. მონასტრის დარბევის დროს (H 40, 227), ისაკ მღვდელმონაზონს დაუწერია: „წამება წმ. მამათა" (H 649), რომელშიც სხვებთან ერთად გერმანე ბერის აღსასრულიც არის აღწერილი.

გერმანე კონსტანტინეპოლელი (634-733) — კონსტანტინეპოლის პატრიარქი (715-722 წწ.) ხატთმბრძოლობის დაწყების პერიოდში. გერმანე იყო ხატთაყვანისმცემლობის პირველი დამცველთაგანი. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში. VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ იგი წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 12 მაისი დაუწესა. დასაველური გადმოცემებით, მისი წმ. ნაწილები საფრანგეთშია გადასვენებული. ქართულად თარგმნილია რამდენიმე თხზულება — ქადაგება, რომელიც გერმანეს მიეწერება: 1. „საკითხავი მთაყარანგელოზთაჲ". 2. „სიტყუაჲ ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა კელთქმულთა და კელთუქმნელთათჳს მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანის-სცემენ და ხატსა არა" (A 162, 124-138). 3. „სატფურებისათჳს ღუთისმშობლის ტაძრისა ხალკოპრატიას" (Jer. 21, 328-372). 4. „განგებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისათა და სახისმეტყველებაჲ წესთა მისთა" (A 450, 423r-432v; A 691, 280-306; ზოგიერთ ხელნაწერში მიეწერება ბასილი დიდს; ეტიუდები... V, გე. 23). არსებობს ამ თხზულების ორი ძველქართული თარგმანი. ორიე მათგანი გამოიცა 2004 წლის საეკლესიო კალენდარში (ე. ლოჭლამაზაშვილის მიერ).

გერონტი ჭყონდიდელი — ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი XIX ს. II ნახევარში. ერთი ქრონიკის ცნობით, გერონტი ჭყონდიდელი

გამხდარა 1860 წ. მარტში. მას შეუცვლია 1859 წ. გარდაცვლილი თეოფანე ჭყონდიდელი. იგი 1862 წ. უნდა გარდაცვლილიყო, რადგან 1863 წ. იანვარში ეპისკოპოსად ბესარიონ უკურთხებიათ (ქრონიკ. III. 555).

გვარამაძე ივანე (1831-1912) – ეთნოგრაფი და ისტორიკოსი, სწავლობდა კონსტანტინეპოლის სასულიერო სასწავლებელში. XIX ს. 70-იანი წლებიდან ქართულ პრესაში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს. დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების შეგროვების საქმეს. მის მიერ შეკრებილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი წერდა „ეინმე მესხის" ფსევდონიმით. (შ. ლომსაძე).

გველეთი – სოფელი ყაზბეგის რაიონში, მდ. დეკდარაკის (თერგის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ყაზბეგიდან 9 კმ. სოფელში დგას პატარა ეკლესია, რომელიც მოხატული იყო XIII-XIV სს. ფრესკებით (ამჟამად ფრესკები მოხსნილია და ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

გვირგვინი – რკალისებრი საქორწინო თავსადგამი ჯვრიანი ფორმებით, რომლითაც დასაქორწინებელ ქალ-ვაჟს ამკობენ ეკლესიაში საქორწინო რიტუალის – „გვრგვნის კურთხევის" შესრულების დროს.

„გვირგვინი" – კრებული, რომელშიც შეტანილია გაბრიელ მცირის (იხ.) – XVI ს. II ნახევრის ცნობილი მწერლის მიერ შედგენილი ძველად ნათარგმნი მეუდაბნოეთა ცხოვრება-სიტყვებიდან ამოკრებული „თხრობანი". „გვრგვნი" შედგება ხუთი თავისაგან: 1. მღდელმოქმედებისათუს და სადღესლოთა გამოცხადებისა (თხრობა 1-20); 2. სასწაულთმოქმედებათათუს და საკურველებათა (თხრობა 21-40) 3. ქველმოქმედებათათუს და მოწყალებისა (თხრ. 41-60); 4. სინანულით განთლებულთათუს და ღმობიერებისა (თხრ. 61-80); 5. სულთა, საზომით სრულთა, მიცვალებულისათუს (თხრ. 81-100). კრებულს ბოლოში დართული აქვს „ბეჭედი", რომელშიც ახსნილია კრებულის სახელწოდება, თავთა და „თხრობათა" რაოდენობის სიმბოლური მნიშვნელობა... „ღმრთისუსილერსა ამას წერილსა ეწოდება გურგვნი ამათ ესეითართა მიზეზთათუს, რამეთუ, ვითარცა გურგვნი პატიოსანი შემკობილ არს მრავალჯერად პატიოსანთა ნივთთა და თუალთა მარგალიტთა მიერ– რომელსა აქნან თუს შორის თავნი ხუთნი, მსგავსად ხუთსაგრძნობელთა ჩუენთა, რომელნი იპოვებან თავსა შორის ჩუენსა, ხოლო სულიერთა თხრობათა რიცხუ არს ასი, მეძრ იგუეისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი, და მოსურნეთა ნაყოფიერ გეიყოფუს ოც და ათეულად, სამეოცეულად და ასეულად".

კრებული, რომელიც მრავალი ხელნაწერით არის მოღწეული (A 228; A 341; A 427; A 537; A 723; S 1380; S 2331), გამოცემულია 1892-1895 წწ. ვასილი კარბელაშვილის მიერ.

„გვირგვინის კურთხევა" – უძველესი საკლესიო პრაქტიკის მიხედვით საქორწინო რიტუალის შესრულება ეკლესიაში, ქალის ან მამაკაცის პირველი ქორწინების დროს. მეორედ ქორწინების დროს. საეკლესიო კანონმდებლობით, დაქორწინებულთ თავზე გვირგვინი არ დაედგმებათ („ძველისწერა", მე-9 კანონი) და „გვირგვინის კურთხევის" რიტუალი არ ჩატარდება. XII ს. შემდეგ კონსტანტინეპოლის ეკლესიაში დამკვიდრებული პრაქტიკის ზეგავლენით, აღმოსავლეთ ეკლესიაში პირველი და მეორე ქორწინების რიტუალი ერთნაირად სრულდებოდა. „გვირგვინის კურთხევის" შესრულების წესი და თანამიმდევრობა მოცემულია კურთხევანში (იხ. ქორწინება).

გიგინეიშვილი ბაძარი (1933-1998) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. მან გამოსცა რამდენიმე მნიშნელოვანი ძეგლი: 1. შატბერდის კრებული (S 1149, X ს.) ე. გიუნაშვილთან ერთად, 1978 წ, რომელშიც თავმოყრილია მრავალი ნათარგმნი ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური და სხვ. ხასიათის თხზულება და ორიგინალური თხზულება „მოქცეაჲ ქართლისაჲ" – შატბერდული ვარიანტი. იგი აგრეთვე თანაავტორია ბიბლიოლოგიური ტექსტების კრიტიკული გამოცემისა: „წიგნნი ძველისა აღთქუმისანი", ნაკე. I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, 1989 (ც. კიკნაძესთან ერთად); ნაკე. II, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ (გამომცემელთა ჯგუფთან ერთად). მან გამოაქვეყნა ნაშრომი: „სალომონის იგავთა ქართული რედაქციები" („მრავალთაეი", II, 1973) და სხვ. ბ. გიგინეიშვილის შრომების ძირითადი ნაწილი ეხება ქართული ენის ცალკეულ საკითხებს და ზუნებური ენის კვლევას.

გზა – იესო ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტი: „მე ვარ გზაჲ და ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ" (იოან. 14,6), „რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ გზა" (აბო თბილელის წამება, ძეგლ. I, 52).

გინგილა – დიაკონის სამოსლის ნაწილი, საღიაკვნე ოლარი, ბრტყელი სარტყელის ფორმის სამკაული, რომელიც წინ და უკან აქვს ჩამოშვებული დიაკონს მთელი ტანის სიგრძეზე. ღვთისმსახურების დროს დიაკონი გინგილას იკიდებს მარცხენა მხარზე.

გიორგი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ქართლის კათოლიკოსი დაახ. VII ს. II ნახევარში. გიორგი იმ ცხრა კათოლიკოსთა შორის, რომლებიც ცოლოსანნი იყვნენ, მეხუთედ არის დასახელებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში წარმოდგენილ სიაში: „ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თაფუაჩაგა, ეულალე ბ, იოველ გ, სამოველ დ, გეორგი ე... ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს“ (ძეგლები, I, 97).

2. ქართლის მთავარეპისკოპოსი XII-XIII სს. მიჯნაზე. იგი, სხვებთან ერთად, ამტკიცებს, შეიომღვიმის კრებულის დაწერილს ტოხაისძეებისადმი (Ad 3) „რომელიც 1190-1200 წწ-ში უნდა იყოს შედგენილი: „ესე დაწერილი ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსსა გიორგის ჩუენითა კელითა დაგუმტკიცებია“ (ქართული ისტ. საბუთების კორპუსი, თბილისი 1984 წ., გვ. 85).

3. რუისის ეპისკოპოსი XII-XIII სს. მისი ბრძანებით შატბერდში გადაუწერიათ ხელნაწერი (S 4339), რომელიც სვანეთიდან არის ჩამოტანილი: „ადიდენ ღმერთმან სული გიორგი მამამთავრისა მროელისა, პარეხთა, ბრძანებასა მათსა აღწერეს ესე ლარასა დიდსა მატბერდს“ (15r).

4. ქართლის კათოლიკოსი XIII ს. I ნახევარში. გიორგი ამტკიცებს „ჯანის ქუაბთა განგებას“, რომელიც იოანე და სარგის მზარგრძელებს შეუდგენიათ ვანის მონასტრისათვის (1204-1234 წწ.) „დაესწერ სიმტკიცესა წმიდისა ამის მონასტრისასა ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი გიორგი“. გიორგი კათოლიკოსი 1239 წელს უნდა გარდაცვლილიყო.

5. ტბეთის ეპისკოპოსი XIII ს-ში. მისთვის მიუძღვნია წყაროსთაყში მოღვაწე ბერს საბას თაფლი გადაწერილი სახარება, რომელზეც გიორგი მტბეთარისათვის მიძღვნილი იამბიკოც დურთავს.

6. ქართლის მთავარეპისკოპოსი XIII ს. მეორე ნახევარში. იგი რამდენიმე საბუთშია მოხსენიებული: 1. დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვდისადმი (Ad 1), რომელიც დაახლ. 1247-1250 წწ. უნდა იყოს შედგენილი, დამტკიცებულია ქართლის მთავარეპისკოპოსის გიორგის ხელთვით (ქართ. ისტ. საბუთების კორპ. კგ. 126). 2. დაწერილი მღვიმის კრებულისა გრიგოლ სურამელისადმი (იქვე. გვ. 129), დაახლ. 1249-1260 წწ. საბუთი, დამტკიცებულია ქართლის მთავარეპისკოპოსის გიორგის მიერ. 3. დაწერილი ძაგან აბულეთისძისა მღვიმისადმი, 1259 წ. საბუთი (Ad 5), სადაც გრიგოლი ძაგან აბულეთის ძის სულიერ მოძღვრად არის დასახელებული: „დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე თქუენ... მღუიმესა შინა დამკუიდრებულთა წმ. მამათა მე, აბულეთისძემან ძაგანმან... ბრძანებითა და გამოზრახვითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა, ქართლისა მთავარეპისკოპოზისა გიორგისითა“ (იქვე, გვ. 139-140); 4. დაწერილი კაბა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი (Sd 2859), 1260 წლისა, რომელსაც სხვებთან ერთად ამტკიცებს ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი“ (იქვე. გვ. 156, 30).

7. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის XIV ს. 80-90-იანი წლების მოღვაწე. გიორგი ჭყონდელი ჯვარის მონასტრის წინამძღვარ იოსებთან და გიორგი მოძღვართან ერთად აწესებს ორ აღაპს: „აღაპი გაუჩინეთ... მე მამამან ამა პატიოსანისა ჯუარისა, არქიმანდრიტმან იოსებ, მოძღუარმან გიორგი, ჭყონდიდელმან გიორგი“ (აღაპ. 96, იხ. ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წ.) იგივე პირები აწესებენ № 110 აღაპს (იხ. იქვე) ერთ-ერთი აღაპი (№ 299). დადებულია გიორგი ჭყონდიდელისათვის: „ამასვე დღესა (აგვისტოსა იზ 17), აღაპი საუკუნოჲ აფხაზეთისა კათალიკოზისა დანიელისი და მისია შვილისა ჭყონდიდელისა გიორგისი“. როგორც ტიტულიდან ჩანს, გიორგი ჯვარის მონასტერში დამკვიდრებამდე, სადაც მას საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც ამას აღაპთა ტექსტები გვიჩვენებენ, ჭყონდიდის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

8. ქართლის კათოლიკოსი XIV ს. 90-იან წლებში (დაახლ. 1390-97 წწ.). გიორგი კათოლიკოსად დაუსვამს ბაგრატ V-ს (1360-1395) დღრითეის კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ (ქართლ. ცხ. IV, 268, 4).

9. XVIII ს. I ნახევრის ეპისკოპოსი (ნათელისძე). იხსენიებს იოანე ჯამბაკურ ორბელიანი პროკლე დიადოხოსის სომხურიდან 1757 წ. ფილიპე მღვდლის (ყაითმაზაშვილის) მიერ თარგმნილი „ქაქშირნის“ (S 192) წინასიტყვაობაში:

„მოწაფე ეპისკოპოსისა გიორგი ნათელისძისა იყო ნიკოლაოს მღდელი კახთა მეფისა“ (ქრონიკ. III, 254).

10. ჭყონდიდის ეპისკოპოსი XIX ს. შუა წლებში, სამეგრელოს მთავრის - ლევან დადიანის ძე. მისი დაკეთილი არის გადაწერილი „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (Q 48). 1839 წ. და სახას ლექსიკონი (Q 82) 1838 წ. ერთი ქრონიკის მოწმობით, გარდაიცვალა 1842 წ.

გიორგი – რამდენიმე ქართველი საკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ოლიმპოს (ულუმბოს) მთის X ს. შუა წლების ქართველი მონაზონი. მიქაელ ხუცესს 963-969 წწ. ოლიმპოს მთაზე შეუძენია ძველი ხელნაწერი „სამოციქულო“, „განზრახვითა მოძღურისა ჩემისა გიორგისითა“, როგორც ამას მიქაელი ხელნაწერის ანდერძში აღნიშნავს. ხელნაწერი დღეს ათონის მთაზეა დაცული (Ath. 42).

2. სინის მთის X ს. ქართველი მღვდელი. 982 წელს სინის მთაზე იოანე-ზოსიმეს (იხ.) გადაუწერია „განგებანი და განწესებანი მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ყოფენ იერუსალიმს“ (Sin. 370, „თანაშეწევნითა გიორგი პატიოსნისა მღუდელისაჲთა“, ხოლო 978 წ. კი სახარება (Sin. 15), თანაშეწევნითა ძმათა გიორგისითა“.

3. ათონის ივერთა მონასტრის მონაზონი XI ს. დასაწყისში. მისთვის აღაპი განუწესებიათ 3 ნოემბერს: „აღაპი არს ძმისა ჩუენისა გიორგისი. შემოსწირა ეკლესიასა სტავრანი ას დრაკნად პროტოხარაგად ფასებულნი“ (აღ. № 125, ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 168).

4. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახევარში. გიორგის მონასტრის წინამძღვრობა მოულია ჯვარის მონასტრის აღმშენებლისა და პირველი წინამძღვრის, პროხორეს შემდეგ 1061 წ., როდესაც პროხორემ გადაწყვიტა უდაბნოში განმარტოებით ცხოვრება: „მაშინ გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმაჲ ერთი, სახელით გიორგი, და დადგინა იგი მამასახლისად“ (ძეგლები, IV,346).

5. ათონის ივერთა მონასტრის ბერი (ჯუბილეი) დაახლ. XII ს. I ნახევარში. გიორგისათვის აღაპი დაუწესებიათ დაახლ. XII ს. 50-იან წლებში 11 იანვარს: „ამისთჳს აღესრულებოდნენ აღაპი მისი, წესისაებრ, ლოცვითა, პაწაშუტდითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა კრასოულითა მწუხრი და სამკრად-საკსენებლად მათდა საუკუნოდ“ (აღ. № 44; ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 146).

6. ნიკორწმიდის ეკლესიის მოძღვარი, იხსენიება ნიკორწმიდის ტაძრის XI ს. წარწერაში: „წმიდაო ნიკოლოზ, შეიწყალე გიორგი მოძღუარი ამის წმიდისა ეკლესიისა“. ფილა წარწერით ჩასმულია ტაძრის დასავლეთ კედელში, სარკმლიდან მარჯვნივ (ლაპ. წარწ. II, 97).

7. XI ს. შუა წლების კაცხის მონასტრის მონაზონი. გიორგის ხელით არის დაწერილი ანტონ ლიპარიტ-ყოფილის ანდერძი, რომელიც ერთის ანტონ ლიპარიტ-ყოფილის დაკეთილი და გაბრიელ კატაჲს მიერ მანგლისს გადაწერილ იოანე ოქროპირის მათეს თავის განმარტების 1047 წ. ხელნაწერს (ქუთ. 19), რომელიც დაკეთებულ კაცხის მონასტრისათვის შეუწირავს: „დაწერა ქელითა გიორგი მწირველისაჲთა, ოდეს იერუსალიმს წარვიდოდეთ“ (551). როგორც ჩანს, გიორგი ლიპარიტთა ოჯახის გარდაცვლილ წევრთა სულის მწირველი იყო კაცხის მონასტერში, რომელიც ლიპარიტთა საძვალედ ითვლებოდა.

8. სინის მთის ქართველი მღვდელი (მანაველი). იგი დაახლ. XI ს. II ნახევარში ჩასულა სინის მთაზე და მონასტრისათვის შეუწირავს „ეფთჳმე დიდის ცხოვრება“ (Sin. 43).

9. იერუსალიმის საბაწმიდის მონასტრის XI ს. II ნახევრის ქართველი მონაზონი (მორკვეველი), რომელსაც ამ მონასტრისათვის შეუწირავს იოანე მღვდლის მიერ 1052 წ. საბას ლავრაში გადაწერილი მარხვანი (Sin. 5), რომელშიც იოანე მინჩხის მარხვის ციკლის საგალობლებიც არის შეტანილი. ხელნაწერი სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში მოხვედრილა და დღესაც იქაური ქართული ხელნაწერების კოლექციაში ინახება.

10. კონსტანტინეპოლის წმ. გიორგის მონასტრის ქართველი მღვდელ XI ს. II ნახევარში. მისი და იოანე რატეულის „ლოცვით“ არსენ იყალთოელს უთარგმნია ანასტასი სინელის (VII ს.) „წინამძღუარი“: „დაესრულა კონსტანტინეპოლის, მონასტერსა შინა წმ. გიორგისა მანგანას ლოცვითა ბერთა ჩემთა იოანე რატეულისა და გიორგი ქართველისაჲთა“ (დოგმატიკონი, S 1463, 39).

11. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახევარში. მას აღაპი განუწესებია (30 იენისს) გიორგი მთაწმიდელისათვის: „აღაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი თარგმანისაჲ... ესე მე, მამამან გიორგი განვეწესე... (აღაპ. № 87; ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 158). შესაძლებელია მამა გიორგი – გიორგი ოლთისარი იყოს (იხ.).

12. ათონის იერთა მონასტრის მონაზონი (ფოჩოლიკა) XI-XII სს. მიუწაზე. მისთვის აღაპი განუწესებიათ 24 ნოემბერს მიქელ ლაკლაკასთან ერთად: „დიდთათუს მსახურებათა ეკლესიისათა, რომელ სიცოცხლესა ყოველი მსახურებასა შინა დაეყო და შემდგომად მრავალებისა მოსცეს ეკლესიასა რკ (120) დრაჯანი ბუელი, ამისთუს აღსრულებოდენ აღაპი მათი პანაშუდითა, ანაფორათა... (აღაპი № 134, ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 170-171).

13. მღვდელი (ჭოჩოლავა), იხსენიება ილორის ეკლესიის XI-XII ს. ნუსხურით ამოკრებილ წარწერაში: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქოჩოლავაჲ, მღველი". ფილა წარწერით ჩასმულია ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, ზემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან. გიორგი, შეიძლება ეკლესიის ხურთმოძღვარი ყოფილიყო (ლაპიდ. წარწ. II, 190).

14. ათონის იერთა მონასტრის XII ს. მონაზონი (ციხისჯვარელი): „განუწესეთ პანაშუდი ძმასა ჩუენსა გიორგის ციხისჯუარელსა, ამისთუს, რამეთუ იყოდა აღროჲ აწიანური (საყანე მიწის სახელია)... აღროჲ აოკრებული და აღშენებული მოუთუალა მონასტერსა... და უფროჲსლა ესე, რამეთუ დადუა სული და თჳი მონასტრისა სამსახურად, ვიდრე ცოცხალ იყუს... (აღაპი № 135, ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 171).

15. ათონის იერთა მონასტრის XII ს. მონაზონი (მჭედელა). მისთვის აღაპი დაუწესებიათ 3 ნოემბერს: „აღაპი განუწესეთ გიორგი მჭედელასა ქართველსა. დიდად ემსახურა ეკლესიასადა მისა სიცოცხლესა და შემდგომად სიკუდილისა მოსცა ეკლესიასა ჱ (40) პრატიჩარგი" (№ 123. ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 167-168).

16. ათონის იერთა მონასტრის წინამძღვარი თამარ მუფის (1184-1213 წწ.) დროს, პალე წინამძღვრის მემკვიდრე. გიორგი მანამდე მონასტრის იკონომოსი ყოფილა. მონასტრის სააღაპე წიგნის ერთ-ერთ მინაწერში ეკითხულობთ: „თუესა აპრილსა კთ (29), ინდიკტიონსა ჲ დაუტეცა მამამან პალე მამობაჲ, შეპეერა პირველად ღმერთსა და მერმე... თანადგომითა მამისა პალესითა გამოარჩიეს დიდ კონომოს გიორგი და დაადგინეს მამად" (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 183).

17. XIII ს. II ნახევრის ქობერის მონასტრის ბერი, ძე შანშე მანდატურთუხუცეს-მხარგძელისა. ქობერის ეკლესიის 1292 წ. წარწერა გვამცნობს: „მე შაპანძა (შანშე) მანდატურთუხუცესისა ძემან, ბერმან გიორგი შეწევნითა ამუჭის ყოლადწმიდისაჲთა" (ქრონიკ. II, 168).

18. მოქვის მონასტრის XIII-XIV სს. დეკანოზი. გიორგი მოხსენიებულია 1300 წ. მოქვის სახარების მინაწერში ტექსტის ხელით: „ყოველად წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო, დაიცევ და შეიწყალე ორთაჲვე ცხორებასა შინა მოქვისა მეტრაპეზე გიორგი დეკანოსი" (Q 902).

19. ალის მონასტრის დეკანოზი დაახლ. XIII-XIV სს. იგი მოხსენიებულია ამ მონასტრის ერთი ხელნაწერის (H 1347, XI-XII სს.) მხედრულ მინაწერში, რომელშიც მოცემულია შალვა ერისთაეის (ჯაყელის) მიერ მონასტრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზისათვის მითელილი საეკლესიო ქონების ნუსხა.

20. თბილელი. იერუსალიმის ჯუარის მონასტრის სააღაპე წიგნში (Jer. 24) XIII ს. ბოლოს და XIV ს. დასაწყისში 19 იანვარს დადებულია აღაპი გიორგი ტფილელისაჲ ერთითა ხუცითა" (აღ. № 170; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართ. კოლონის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 94; 159).

21. თბილელი (სულემანის შვილი) იერუსალიმის ჯუარის მონასტრის სააღაპე წიგნში (Jer. 24) 2 ნოემბერს დადებულია აღაპი (№ 47), „გიორგი სულემანის შვილისაჲ თფილელისაჲ". აღაპის ტექსტი XIII ს. მიწ. და XIV ს. დასაწყისით თარიღდება (მასალები, გვ. 83, 132).

22. იერუსალიმის ჯუარის ქართველთა მონასტრის XIV ს. ბოლოსა და XV ს. დასაწყისის მოძღვარი. გიორგი მოძღვარი მონასტრის წინამძღვარ იოსებთან და გიორგი ჭყონდიდელთან ერთად მონაწილეობს ორი აღაპის განჩინებაში (№ 96 და 110), „განუჩინეთ აღაპი მე მამამან ამა პატრიოსნისა ჯუარისა არქიმანდრიტმან იოსებ, მოძღუარმან გიორგი, ჭყონდიდელმან გიორგი და..." (ე. მეტრეველი, მასალები... გვ. 87, 89).

23. XIX ს. I ნახევრის სამგორელოს მონასტრების არქიმანდრიტი (კუხალაშვილი). ნიკოლოზ დადიანი, რომელსაც შეუდგენია და გადაუწერია კრებული (H 1008) 1826 წ., წინასიტყვაობაში მიმართავს გიორგი არქიმანდრიტს, რომლის წინადადებით ნიკოლოზს დაუწერია წინამდღვარ კრებულში მოთავსებული 5 ქადაგება და დაურთავს ანტონ ჭყონდიდელის 2 ქადაგება: „მაღალღირსო არხიმანდრიტო და მოძღუართ-მოძღუარო გიორგი კუხალაშვილო და წმიდათა უდაბნოებათა წინამძღუარო და მამაე (1r-4r).

გიორგი – რამდენიმე ქართველი ოსტატ-მაშენებლისა და კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. არმაზის (სამჩაბლოში) წმ. გიორგის ეკლესიის აღმშენებელი 864 წ. ახლო ხანებში. ეკლესია მდებარეობს მდ. რეხულას ზემო წელზე, სოფ. ზაზორის ზემოთ. ეკლესიის სამხრეთის ფასადზე, ცენტრში არის საალმშენებლო წარწერა: „მე, გიორგი არმაზელმა მამასახლისმა დავიწყე წმ. ეკლესია ქ(ვა)ს ად (864 წ.) კელმწიფებასა გიორგისა"...

2. კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის 964 წ. საალმშენებლო წარწერაში: „გლახაკი გიორგი ლიცესა მომიკსენეთ" – შეიძლება ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელი იყოს წარმოდგენილი.

3. ყოფილი თბილისის მიტროპოლიტი, იერუსალიმის საბაწმიდის ლავრის IX-X სს. ქართველი მოღვაწე და კალიგრაფი. ამ ლავრაში მას გადაუწერია ეფრემ ასურის „სწავლანი" (Sin. 97). ზედწოდებიდან ჩანს, რომ გიორგი იერუსალიმში წასვლამდე თბილისის მიტროპოლიტი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ დღეს ამ ხელნაწერს გიორგი თბილელის ანდერძი აკლია. ანდერძის შემცველი ფურცელი აღმოჩნდა ინგლისში, ქ. ბრმინჰემში (სელი ოუქის კოლეჯის ბიბლიოთეკის ა. მინგანას კოლექციაში).

4. XI ს. I მეოთხედის ოქრომჭედელი (გეზაზა). ავტორი ლანჩვანის (ზემო სვანეთი) მაცხოვრის ვერცხლის ხატისა (51 x 40 სმ.). „კელითა მოჭედა გიორგი გეზავასითა". ის უნდა იყოს ძმა ან ახლო ნათესავი XI ს. ოქრომჭედლებისა - ასან და თეოდორე გეზავაძისეთა (იხ.).

5. XI ს. ოსტატი, რომელიც იხსენიება წალკის რაიონის სოფ. იმერას ეკლესიის წარწერაში: „...ალავშენეთ საყდარი ესე ზეობასა, ადდენ ღმრთმან, ლიპარიტ ერისთავ-ერისთავისა, კელითა გიორგი ხუცისა... შენწყალე... სული გიორგი ხუცისა". გიორგის მიერ აშენებულ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი ქვები ჩატანებულია XIX ს. ბოლოს აგებულ ეკლესიის კედლებში.

6. XI ს. ოშკის მონასტრის მოღვაწე და კალიგრაფი (გელასის ძე). მას მიქაელ ეარაზეაჩესთან და სტეფანესთან ერთად ოშკის მონასტერში 978 წ. გადაუწერია ბიბლია, რომელიც „ოშკის ბიბლიის" სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც დღეს ათონის მთაზე იერთა მონასტრის წიგნსაცავში ინახება (Ath. 1). გიორგი გელასის ძეს გადაუწერია ამ უზარმაზარი ხელნაწერის (ორ ტომად აკინძული) მეორე ტომის ყველა წიგნი მეფეთა წიგნების გამოკლებით. ბიბლია გადაწერილია ნუსხურით ორ სვეტად, თითოეულში 26 სტრიქონია, დახრილი, სქელხაზოვანი ასოებით.

7. ტბეთის ეკლესიის XII ს. მოღვაწე და კალიგრაფი (სეთაის ძე). 1195 წ. გიორგი სეთაის ძეს იოანე ფუკარალის ძესთან ერთად გადაუწერია წყაროსთავის ცნობილი სახარება (Q 907): „...დაიწერა და განსრულდა კელითა ორითა მწერალთაგან: იოანეს ფუკარალის ძისა, მზათისაგან და გიორგი სეთაძისისაგან... ქორონიკონი იყო უიე (415 + 780=1195 წ. 275r). მათი ხელის გარჩევა შეუძლებელია, ამიტომ ვერ დგინდება, რომელს რა ნაწილი გადაუწერია. წყაროსთავის სახარების ყდა მოჭედილია (ვერცხლის რელიეფური სცენებით) ბექა ოპიზარის (იხ.) მიერ.

8. XII ს. იერუსალიმის ჯუკარის ქართული მონასტრის ხუცესმონაზონი და კალიგრაფი (დიდისი). 1555 წ. მას ჯუკარის მონასტერში გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსარი" (H 1661), რომელიც დღეს „ჯრუჭის სვინაქსრის" სახელით არის ცნობილი, რადგან ეს ხელნაწერი ჯუკარის მონასტრიდან საქართველოში, ჯრუჭის მონასტერში ჩამოუტანიათ და 1914 წლამდე იქ ინახებოდა. ხელნაწერის ანდერძი ზუსტად აღნიშნავს ხელნაწერის გადაწერის დროს, ადგილსა და გადამწერის ვინაობას: „დაიწერა წიგნი ესე წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა, მონასტერსა შინა ჯუარისასა, კელითა უცნაურად მჭირეკლისა ფრიად უღირსისა ხუცესმონაზონისა გიორგი დიდისითა. სრულ იქმნა... დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხლნთ (6759 – 5604 = 1155) და ქორონიკონი ტოე" (375 + 780 = 1155) (338v). ხელნაწერი დაწერილია ლამაზი ნუსხურით ერთ სვეტად, წერილი თანაბარი ასოებით. უხვადაა გამოყენებული სინგური არა მარტო საზედაო ასოებში, არამედ სტრიქონებშიც. ხელნაწერი უხვადაა ორნამენტირებული.

9. XII-XIII სს. მიჯნის შიომღვიმის მონასტრის ხუცესმონაზონი და კალიგრაფი. მას გადაუწერია შიომღვიმის ოთხთაეი (H 1344) და შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი (H 1349). ორივე ხელნაწერის ხელი იდენტურია. პირველი ხელნაწერის ანდერძში, რომელიც 1200 წ. უნდა იყოს დაწერილი, გადამწერი თავს „უცოდველსა... გიორგიას, ამის წმიდისა სახარებისა მწერალსა" (185v) უწოდებს, ხოლო შეორე ხელნაწერის ანდერძში კი: „მე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონ ხუცესი... ღირს ვიქმენ აღწერად ამის წიგნისა და... დავდევ ეკლესიასა მღუმისასა..." (129r).

ტიპიკონი ოთხთავზე ცოტა გვიან უნდა იყოს გადაწერილი. ნაწერის მიხედვით ჩანს, რომ გიორგი გაწაფული კალიგრაფი ყოფილა. ძნელი სათქმელია, ოთხთავის მახარებელთა ოთხი მინიატურა გიორგის დახატულია, თუ არა.

10. შავი მთის სვიმეონ მესვეტის მონასტრის XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის მონაზონი და კალიგრაფი, რომელსაც გადაუწერია ოთხთავი (H 1791): „ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათჳს, დაიწერა მთასა საკურველსა, თორნეს წმიდისა სუჳმონისსა... მას ჟამსა დაიწერა ესე ოთხთავი ოდეს ანტიოქი სომეხთა აიღეს“ (ფ. 151). კილიკიელმა სომხებმა ანტიოქია ორჯერ — 1213 და 1216 წლებში აიღეს. ხელნაწერიც ამ დროს უნდა გადაწერილიყო.

11. XIIIს. ხუცესი და კალიგრაფი. მას გადაუწერია სახარება (A 18), რომელსაც ხელის მიხედვით XIII ს. ათარიღებენ. არც ის ვიცით, რომელ ეკლესიაში მოღაწეობდა გიორგი, მაგრამ იგი რომ ხუცესი იყო, ჩანს ხელნაწერის ანდერძიდან: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ... კელითა გიორგი ხუცისაჲთა“. ნაწერის მიხედვით, რომელიც შესრულებულია ყავისფერი მელნით ორ სვეტად, გიორგი ხუცესი ძალიან დახელოვნებული კალიგრაფი ჩანს. ხელნაწერს ერთვის არაარქეოლოგიური მხატვრის მიერ დახატული მათე, მარკოზ და ლუკა მახარებლების სურათები, რომლებიც ხალხური ხელოვნების ნიმუშში უნდა იყოს. შესაძლებელია, მათი ავტორიც გიორგი ხუცი იყოს.

12. XIII ს. კალიგრაფი (დვალი). მას გადაუწერია XIII ს. ლაბეჭინის ოთხთავი (A 1563): „დაიწერნეს დვალ გიორგისითა“ (243). ამ ოთხთავის მომგებელია გიორგი ლაბეჭინელი, რომელსაც ერცელი ანდერძი დაურთავს ხელნაწერისათვის.

13. XIV ს. კალიგრაფი (თაბაური), რომელსაც ერისთავ ეირშელისათვის გადაუწერია სახარება (H 2125): „ამისსა მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდვნეს ღმერთმან“ (ფ. 81).

14. გადამწერი ოთხთავისა (A 1691), რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნებით XV-XVI სს. ათარიღებენ: „გიორგის მწერალსა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ“ (ფ. 51). ხელნაწერი გადაწერილია ფრიად ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით; საზედაო ასოები შესრულებულია უფრო დაბალი დონით, ასევე მდარეა მახარებელთა ოთხი მინიატურის ფერწერის დონეც.

15. XVI ს. გადამწერი, რომელსაც ზებედე დიაკონთან ერთად გადაუწერია მოქვის გულანი (A 743, A 747).

16. კალიგრაფი (ქავჭარაძე). გადაუწერია კონდაკი (H 159), რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნებით XVII ს. მიაკუთვნებენ.

17. XVII ს. დიაკონი და გადამწერი. მას 1626 წ. გადაუწერია ჟამნი (S 1163): „ამის მწერალსა დიაკონსა გიორგის შეუნდვნეს ღმერთმან“.

18. XVII ს. მღვდელი (კუნინიძე) და კალიგრაფი. გადაუწერია ჟამნი (A 1741): „მოიკსენე და შეუნდვენ ჟამნისა მწერალი გიორგი კუნიძე და მეუღლე მისი მანიაჲ“ (166v).

19. XVII-XVIII სს. მოჯნის დავითგარეჯის დიდორქის მონასტრის დეკანოზი და მხატვარი. მან მოხატა დიდორქის მონასტრის კლდეში ნაკეთი გუმბათიანი ეკლესიის კანკელი და, შესაძლებელია, თვით ეკლესიაც. კანკელის ზედაპირი რელიეფური გრეხილებით დაფარულია სახატებებად. ავტორი მოხსენიებულია ამ მხატვრობის ასომთავრულ მინაწერში: „ღმერთო შეიწყალე ამის მშრომელი დეკანოზი გიორგი, ამინ“.

20. ეახტანგ VI-ის სტამბის მბეჭდავი და სიონის ეკლესიის მხატვარი. იხსენიება XVIII ს. დასაწყისის საბუთებში. 1712 წ. მას და მის შვილებს ვახტანგ VI-მ უბოძა სითარხნის სოფელი. 1716 წ. დავითნის თაეფურცელს აწერია: „განსრულდა დავითი ესე ქრწყსა უდ (404 + 1312 = 1716) სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვრისასა“, ხოლო 1720 წ. დაბეჭდილ პარაკლიტონის თაეფურცელს: „მბეჭდავი წმიდისა ამის პარაკლიტონისა, დაბალი მონა და მოსამსახურე თქუენი ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი“.

21. ანჩისხატის დეკანოზი ალექსისძე-მესხიშვილი XVIII ს. II ნახევარში, კალიგრაფი. მას გადაუწერია: 1763 წ. შემოკლებული ახსნა პერიამენიანი, ბერძნულიდან თარგმნილი დოსითეოს ნეკრესელის მიერ (S 278), 1780 წ. ანტონ I-ის სოშხურიდან ნათარგმნი მხთაბრის რიტორიკა (S 49). გიორგი დეკანოზს რამდენიმე ქადაგებაც დაუწერია.

22. XVIII-XIX სს. კალიგრაფი (გიორგის ძე), დადიანთა კარის მღვიმარი. მას გადაუწერია პარაკლიტონი (Q 63) და 1807 წლის კრებულის (Q 62) შუა ნაწილი (70-287 ფ.). ორივე წიგნი ნაწერია ნუსხურით, თავისებური ხელით, ძალიან წვრილად, შეეულად, თანაბარი სისქის ხაზით.

23. XVIII-XIX სს. მღვდელი და კალიგრაფი (მესხიშვილი), ძე ცნობილი საეკლესიო და სა-

ზოგადო მოღვაწისა ალექსი მესხიშვილისა. გიორგის მრავალი ხელნაწერი გადაუწერია (A 114; 155, 239; 334; S 295, 2563; 3047; H 158; 1354; 2110; Q 70; 747).

24. ოსტატი (ჯუბინაძე), რომელმაც 1825 წ. ბესარიონ ჭყონდიდელის ბრძანებით ააშენა მარტვილის ტაძრის სამხარულიანი სამრეკლო: „ქრისტე, შეიწყალე ამისი გალატოზი გიორგი ქართველი ჯუბინაძე".

გიორგი I – საქართველოს მეფე (1014-1027 წწ.), ბაგრატ III-ის ძე. მისი მეფობის დროს მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი საალმშენებლო საქმიანობა: აიგო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი.

გიორგი II – დასაელეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფე 922-957 წწ. მისი აქტიური ხელმწყობით X ს. II ნახევარში, ალანთა (ოსეთი) ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქართული წყარო მას ეკლესიათა აშენებელს უწოდებს. გიორგი II-მ დაადასა ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსო კათედრა.

გიორგი ალექსანდრიელი (616-630) – ალექსანდრიის პატრიარქი და საეკლესიო მწერალი VII ს. I ნახევარში. მისი მთავარი თხზულებებია „იოანე ოქროპირის ცხორება" და „ალექსანდრიული ქრონიკები". პირველი მათგანი ქართულად არის ნათარგმნი და ჩვენამდე მოღწეულია X ს. ხელნაწერებით: H 2124 (968 წ.) და Ath. 3 (979-980 წწ.). თხზულება გამოცემულია 1986 წ. რ. გვარამიას მიერ („იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი").

გიორგი ამარტოლი მონაზონი – IX ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი, მონაზონი. მას დაუწერია „ქრონოგრაფი", რომელშიც აღწერილია მსოფლიო ისტორია ადამიდან 842 წლამდე. შრომის დაწერისას მან წყაროდ გამოიყენა ანტიკური და ბიზანტიური საისტორიო თხზულებები, აგრეთვე ზეპირი გადმოცემები. საკითხები ორთოდოქს. ეკლესიის პოზიციებიდან არის განხილული. მის თხრობაში დიდი ადგილი უჭირავს სარწმუნოებრივ საკითხებს, მსჯელობას ანტიკურ ფილოსოფიაზე, ბერძნულ მითოლოგიაზე. გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფი" ქართულად თარგმნა XII ს-ში არსენ იყალთოელმა (გამოც: ს. ყაუხჩიშვილისა: „ქრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ", თბ., 1920 წ.).

გიორგი ბერი – X-XI სს. უცნობი ქართველი საეკლესიო მოღვაწე. ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიწერილ წიგნში, რომელშიც გიორგი ბერი ეკითხება ეფთვიმეს, თუ რომელ წიგნებს არ შეიწყნარებს ეკლესია, იხსენიება „დიდი ბერის" სახელით. ამასთანავე, ეფთვიმეს პასუხი, გამხჭვალული დიდი მოწიწებით („სულიერო მამაო გიორგი"), ადასტურებს, რომ გიორგი ბერი ქართული ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწეა. ქ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „გიორგი ბერი" გიორგი ჭყონდიდელი უნდა იყოს (იხ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 212, 232). ეფთვიმე მთაწმიდელის პასუხი, რომელიც 1005-1019 წწ. უნდა იყოს დაწერილი, ჩვენამდე მოღწეულია XIII ს. ხელნაწერ კრებულში (A 737, გე. 293-306). შესაძლებელია, იგივე გიორგი ბერი იყოს მოხსენიებული 1105 წლის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის" სინოდიკონში (დიდი სჯულისკანონი, გე. 559).

გიორგი დიდი, მაშენებელი – ათონის მთის იერთა მონასტრის მესამე წინამძღვარი, XI ს. I ნახევრის მოღვაწე. გიორგიმ მონასტრის წინამძღვრობა ჯერ კიდევ ეფთვიმე მთაწმიდელის სიცოცხლეში მიიღო (დაახლ. 1019 წ.). როდესაც ეფთვიმემ გადაწყვიტა, წინამძღვრობიდან გადამდგარიყო და მხოლოდ მთავრებლობითი საქმიანობისათვის მოეცალა, წინამძღვრად თავისივე ნათესაი გიორგი განაწესა, როგორც ეს იოანე ათონელის ანდერძითაც იყო ნაგულისხმევი (ძეგლები, II, 57). გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი ხუცესმონაზონი გიორგი წინამძღვარს „მაშენებელად" მოიხსენიებს. მას აუგია იერთა მონასტრის მთავარი ტაძარი (კათოლიკონი), ღვთისმშობლის მიძინებისა. ამას მოწმობს წარწერაც: „მე დაეამტკიცენ სუეტნი მისნი და უკუნისამდე არა შეიძრნენ, გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი". „იოანესა და ეფთვიმეს ცხორებაში" გიორგი მთაწმიდელი გიორგი წინამძღვარს მიაწერს იერთა მონასტერში ბერძენთა მოშრაელებას და ქართველ ბერთა შეეწიწებას, რაც შემდეგ ქართველ-ბერძენთა შორის მონასტერზე თაეანთი უფლებებისათეის ხანგრძლივი ბრძოლის საბაბი გახდა. გიორგისათეის ბერძნებს რომანოზ იშხანტორორის ორგულება და ტაბტის მაძიებელ დიოგენის თანადგომა დაუწამებიათ და ექსორია-უქმნიათ მონოეატს, სადაც გარდაცვლილა (დაახლ. 1030 წ.). იგი მთაწმიდაზე გადმოუსენებიათ და მის მიერეე აშენებულ ღეთისმშობლის მიძინების ტაძარში დაუკრძალავეთ.

გიორგი მაშენებლის „ცხოვრება" ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების „ცხოვრებასთან" ერთად ბერძნულ ენაზე შეუქმნიათ XVIII ს. I

ნახევარში (გამოსცა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982 წ.). გიორგისათვის განწესებულ აღაპში (№ 13, 7 დეკემბერს) მას ისეთივე პატივი აქვს მიგებული, როგორც მონასტრის დამაარსებლებს – იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელებს და თანაც „გიორგი დიდად" არის მოხსენიებული (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 137).

გიორგი ზარზმელი – ზარზმის მონასტრის მეორე წინამძღვარი სერაპიონ ზარზმელის (მონასტრის დამაარსებლის) შემდეგ, IX ს. საუკუნისო მოღვაწე. გიორგიმ წინამძღვრობა თვით სერაპიონის დაყენებული ბრძანებით მიიღო: „და იყო ენობე მდღელთაგანი კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყუთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მიუწოდა წმიდამან (სერაპიონ) და პრქუა: „საყუარელო შვილო, გიორგი... შემდგომად ჩემსა საშწყსოდ ესე ქრისტესი, ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან კეთილად დაშწყსო". ...გიორგი „აღსებული ცრემლითა ეტყოდა: მძიმე არს, წმიდაო დაღებად ბეჭდა ჩემთა ტურთი ძნიად სატკურთავი და გეეღრები, რადთა შენდობა პყო და არღარა მიხრძანო კუალადცა". მაგრამ სერაპიონის მტკიცე განცხადების შემდეგ („არა მე, არამედ ქრისტე გუბრძანებს ჩემ მიერ") გიორგი იძულებული იყო წინამძღვრობა მიეღო (ძეგლები, I, 341-342).

გიორგი კაპადოკიელი – წმინდა გიორგი, ქრისტიანული ეკლესიის მთავარმოწამე, ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული წმინდანი მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

ქართული ტრადიციული წყაროების მიხედვით, რაც ადრეულ ქრისტიანულ გადმოცემებს ემყარება, წმინდა გიორგი ქართლის განმანათლებლის, წმ. ნინო კაპადოკიელის ახლო ნათესავი იყო. სხვა გარემოებებთან ერთად, დამატებით ესეც მიზეზი უნდა გამხდარიყო წმინდა გიორგის განსაკუთრებული თაყვანისცემისა საქართველოში. მის სახელზე აგებული ეკლესია-შინასტრებით მოფენილია მთელი საქართველო. ეახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა არიან ბორცუნი და მაღლნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი (ე. ი. აშენებულნი) ეკლესიანი წმიდისა გიორგისნიო" (ქართლის ცხორება, IV, გვ. 40). ხალხში განმტკიცებული ტრადიციით, საქართველოში 265 ეკლესიაა აშენებული, წლის დღეთა რაოდენობის შესაბამისად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით წმინდა გიორგის 25-მდე სახალხო ქრისტიანული დღესასწაულია დაწესებული. ქართველებმა ოქტომბერს გიორგობისთვე უწოდეს, რადგან ამ თვის 10 რიცხვში იდღესასწაულებოდა ერთ-ერთი უმთავრესი სასწაული წმინდა გიორგის ცხოვრებიდან – „ურმისთოულსა ზედა შესლვაჲ".

გიორგი კაპადოკიელი, დეკლიტიანე იმპერატორის ჯარის ერთ-ერთი რჩეული რაზმის მეთაური, ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აღიარებული ქრისტიანი იყო. იგი წარუდგა დეკლიტიანეს და თქვა: „მე ქრისტიანე ვარ, ჰ მეფე, და ამისთჳს ვესაე ქრისტესა", და კერპთმსახურების სიცრუე და სიყალბე დაწვრილებით მოახსენა მას. იმპერატორი განრისხდა და ბრძანა „დამოკიდებაჲ მისი და ლახურითა გუმერაჲ, ვიდრემდის დასცუენ ნაწლეენი მისნი ქუეყანასა ზედა", მაგრამ ქრისტეს შეწევნით ლახვარმა გიორგის ვერაფერი ავნო. შემდეგ მას დაადეს ხუნდები, მკერდზე დიდი ლოდი დაკრეს და ასე ჩააგდეს დილეგში. მეორე დღეს მის საწამებლად და ასაკუნად გააკეთეს საეციალური ბორბალი (ურმისთვალი), მასზე დამაგრეს უამრავი მახვილი, დაკრეს მასზე წმინდა გიორგი და ღერძზე დაბრუნეს. მბრუნავ ურმისთვალზე წმინდანის ხორცი ნაჭერ-ნაჭერ დაიჭრა. მასზე დატოვეს იგი მეფემ და მისმა ამალამ, თვითონ კი სადილად წავიდნენ. ზეციდან მოისმა ხმა, რომელიც ამხნევებდა გიორგის, მცველები დაფრთხნენ და გაიქცნენ, ხოლო ანგელოზმა გამოიყვანა გიორგი სატანჯველისაგან, განკურნა და უთხრა, რომ მომზადებულიყო მოწამის გვირგვინისათვის. გიორგი მივიდა აპოლონის კერპთან, სადაც მეფე და მრავალი ხალხი მსხვერპლს სწირავდნენ და ამხილა ისინი ცრუ სარწმუნოებაში. მეფის მხედართმთავრებმა და მრავალრიცხოვანმა ხალხმა ირწმუნა ქრისტე, რომელმაც გიორგი ურმისთვალზე ტანჯვისაგან გადაარჩინა. მხედართმთავრები თაეის მოკეეთით დასაჯეს, ხოლო გიორგის ახალი სატანჯველი განუჩინეს: ჯერ გაუვარვარებულ ფისის ორმოში ჩააგდეს, მაგრამ იქაც ქრისტემ დაიცვა იგი და უვნებელი გამოვიდა, ხოლო შემდეგ გააკეთეს რკინის ფეხსაცმლები გახურებული ლურსმნებით, ჩააცვეს გიორგის და არბენინეს, მაგრამ მას ქრისტემ შეუმსუბუქა ტკივილები. ამის შემდეგ იგი საპყრობილეში ჩააგდეს და მეორე დღისათვის ახალ სატანჯველებს იგონებდნენ მისთვის. მასთან მრავალი ადამიანი მიდიოდა და სთხოვდა გაჭირვებაში დახმარება. გიორგიმ უამრაეი სასწაული შეასრულა და მრავალს დაეხმარა, წარმართთა კერპები დაანგრია და მრავა-

ლი წარმართი გააქრისტიანა, ხოლო როდესაც მას შეუქმ მოსთხოვა სასწაულის ჩადენა და ქრისტეს ყოველშემძლეობაში მისი დარწმუნება, გიორგიმ სასიცოცხლოზე ქრისტეს ამ ქვეყნად მოსულამდე გარდაცვლილი ერთი წარმართი აღადგინა და გააცოხლა, რომელმაც გიორგის ქრისტეს ბეჭდით მონათლა სთხოვა, რადგან წარმართობის გამო იგი ჯოჯოხეთში სასტიკად იტანჯებოდა.

გიორგის სასწაულებმა დედოფალ ალექსანდრიასაც ქრისტიანობა მიაღებინა, რამაც დეკოლიტიანე სასტიკად გააცოფა და გიორგიისა და დედოფლის თავის მოკვეთით დასჯა ბრძანა, რაც მეორე დღესვე აღასრულეს: ისინი ქალაქგარეთ წაიყვანეს და როდესაც დასჯის ადგილზე მიიყვანეს, დედოფალმა დასჯის წინ სული განუტევა, ხოლო გიორგის თავი მოჰკვეთეს.

წმ. გიორგის „წამება", როგორც ეს ნათქვამია თხზულებაში, აღწერა მისმა მონამ და განუყრელმა თანამგზავრმა ბასიქარტოსმა: „და მე ბასიქარტოს, მონაჲ წმიდისაჲ გიორგისი, შეუდეგ უფალსა ჩემსა და აღვწერე წამებაჲ ესე მისი ჭეშმარიტად და უქმეულად" (Ath. 8, X, 259r-267; Sin. 62, X, ფ. 29-38; H 535, XI, ფ. 126-139; გამოც. ე. გაბიძაშვილის მიერ, წმინდა გიორგი, თბილისი, 1991, გვ. 42-73). ეს თხზულება გახდა საფუძველი წმ. გიორგის შესახებ მრავალრიცხოვან თხზულებათა შექმნისა, რომელთაგან რამდენიმე თარგმნილია ქართულად: 1) „უწყებაჲ საკრებულებათაჲს წმიდისაჲ და დიდებულისაჲ ქრისტეს მოწამისაჲ გიორგისთა" (Jer. 2, XI, ფ. 238-244; ბოდლ. 1, XI, 99-112; Q 762, XIII-XIV, ფ. 294-526; გამოც. იხ. ზემოთ: გვ. 73-140, შუიდი სასწაული). 2) „წამებაჲ წმიდისაჲ და დიდებულისაჲ გიორგისაჲ" (ბოდლ. 1,XI, ფ. 87-99; Q 762, XIII-XIV, ფ. 274-294; გამოც. იგივე, გვ. 140-159). 3) „წამებაჲ და შესხმაჲ წმიდისაჲ გიორგისი, აღწერილი სიმეონ ლოგოთეტის მიერ..." (Ath. 79, 990წ., ფ. 128; A. 50, XII, ფ. 15-28; გამოც. იგივე, გვ. 160-177). 4) „წამებაჲ წმიდისაჲ და დიდისა მოწამისაჲ გიორგისი" (ქუთ. 7, XIII, ფ. 323-343; ქუთ. 92, XVIII, 142-155. გამოც. იგივე, გვ. 178-199). ქართულად თარგმნილია აგრეთვე: ცალკეული სასწაულები (A 674, XV, ფ.151-153; S 1513, XVIII, ფ.110-111; Q 757,1720წ., ფ. 15-19; A 308, 1803წ., ფ. 76-79; ყველა მათგანი გამოც. იგივე, გვ. 199-214; 214-220), შესაქმები (Ath. 32, 977წ., ფ. 261-276); სვინაქსარული საკითხავი (H 2211, XI და სხვ.); ჰიმნოგრაფიული კანონი (H 2336, XI, ფ. 169; 185-189; Jer. 124, XI, ფ. 253-254; A 85, XIII, ფ. 289-301; A 1520, XVI, ფ. 77-78; გამოც. იგივე, გვ. 220-254).

წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ორიგინალური თხზულებებიც: წმ. გიორგის სასწაულები, აღწერილი აბუსერიძე ტბელის მიერ (A 85, 1233წ. ფ. 242-353); ქადაგება ამბროსი ნეკრესელისა (S. 4970, 1816წ. ფ. 1-8). შესხმა ანონიმისა (H 1748, XVIII, ფ. 93-95); გალობანი იოანე მინწისა (Sin. 5, XI-XII, ფ. 3-4; 24-25; Ath. 52, XI, ფ. 47-49); ქებაჲ სადგერის წმინდა გიორგისა, სეიმურ დეკანოზისა (ლექსად – 1572, XVI, ფ. 131-137); წმ. გიორგის წამება, გალექსილი დათუნა ქვარიანის მიერ. (Q 296, XVIII, ფ. 1-38; S 1285, XVIII, ფ. 1-78; წმინდა გიორგი, ე. გაბიძაშვილის გამოცემა, თბ., 1991, გვ. 255-375). წმინდა გიორგის ხსენებას საქართველოს ეკლესია აღნიშნავს 23 აპრილს და 10 ოქტომბერს.

გიორგი ჯათოლიკოსი (ტაოელი) – საქართველოს კათოლიკოსი დაახლ. 1040-1060 წლებში, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს. როგორც ჩანს, წარმოშობით იგი ტაოდან უნდა ყოფილიყო, რადგან ზოგჯერ წყაროებში გიორგი ტაოელად იხსენიება. გიორგი კათოლიკოსი მოხსენიებულია 1058 წ. ბაგრატ IV-ის შიომღვიმისათვის მიცემულ გუჯარში (Ad. 14): „და თქუენ, ქრისტეს მიერ გიორგი ქართლისა კათალიკოზმან და წმიდათა მღდელ-მოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დამტკიცეთ..." „მე, გიორგი ქართლისა კათალიკოზი მოწამე ვარ დაწერილისა მათისა" (ისტ. საბუთ. კორპუსი, თბ., 1984, გვ. 35-38).

გიორგი მაწყვერელი – IX-X სს. საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, აწყურის ეპისკოპოსი. ცნობები მის შესახებ დაუცავს ეკრიგოლ ხანცთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებებს". ბასილ ზარზმელის, რომელმაც X ს. დასაწყისში დაწერა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება", გიორგი მაწყვერელი მოხსენიებული ჰყავს იმ პირთა შორის, რომლებმაც მას ცნობები მიაწოდეს სერაპიონის შესახებ: „ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა კუთხე მიერ კაცთა, არამედ ფრიად საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყუ უკუე გიორგის, ეპისკოპოსსა მაწყურელსა, რომელი იგი აღმოსცენდა ქუეყანისგან შუარ-ტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოს ოპიზას" (ძეგლები, I, 335). გიორგი აწყურის ეპისკოპოსი გაშხდარა სამცხეში დიდი ფეოდალის, გიორგი ჩორ-

ჩანელის მემკვიდრეობის გამო მის ნათესაეთა შორის ატეხილი შფოთის დაწყებიდან მეოთხე წელს, დაახლ. IX ს. 60-იან წლებში. გიორგი იყო თანამდროვე ცნობილი მამებისა – სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანცთელისა. როგორც ჩანს, გიორგი მაწყვერელი ცნობილი მწერალი ყოფილა, რადგან, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ ავტორი, მას ასახელებს იმ მწერალთა რიცხვში, რომელთაგან მოსალოდნელი იყო გრიგოლის ღვაწლისა და ცხოვრების აღწერა: „რამეთუ ვჱონებდ ცხორებისა ამის დაწერად ბერძნთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა: „ქრისტჱს მღდელმოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი და...“ (ძეგლ., I, 294). სამწუხაროდ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

გიორგი მერჩულე – X ს. ცნობილი საეკლესიო მწერალი, ავტორი შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ“ (ძეგლები, I, 248-319). გიორგის თხზულება დაუწერია 951 წელს, გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ. მართალია, ავტორი გრიგოლის მოღუაწეობას არ მოსწრებია, მაგრამ მის მიერ დაარსებული მონასტრები, ამ მონასტრებში დამკვიდრებული საეკლესიო და საგანმანათლებლო საქმიანობა და გრიგოლის მომსწრე მღვდელ-მონაზონთა მონათხრობი მდიდარ მასალას აძლევდა ავტორს, შექმნა ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი ქართული მწერლობისა. ამ თხზულების შექმნაში მისი დამხმარენი ყოფილან ხანცთის მაშინდელი წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა ილარიონ. გიორგის ზედსახელი „მერჩულე“ მიუთითებს, რომ იგი სკულის მეცნიერი, კანონიკური სამართლის მცოდნე ყოფილა. საფიქრებელია, რომ გიორგი პიმნოგრაფიც იყო. მიქაელ მოდრეკილის იადგარში ერთ ტექსტს აწერია „მერჩულიულნი“, მეორეს – „უცნობი მერჩულიულნი“, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პიმნები ან გიორგი მერჩულეს ეკუთვნის, ან იმ ფორმით არის დაწერილი, რომელიც პიმნოგრაფიაში მან დანერგა.

გიორგი მერჩულის მიერ დაწერილი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ VIII-IX სს. საქართველოს მთელი მატიანეა, რომელშიც აისახა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სახე. თხზულებაში გრანდიოზული სურათია დახატული ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობისა და ქართული ეკლესია-ს მთლიან ეროვნულ ორგანიზმად არის წარმოდგენილი: „...ქართლად ფრიადი ჭეუანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლიტეაჲ ყოველი აღესრულების“ (ძეგლ., I, 290). გიორგი მერჩულის ენა ხიბლავს მკითხველს თავისი მხატვრული სახეებით და სტილის ვირტუოზულობით, სიუჟეტების რეალისტური და დრამატული განვითარებით (ვ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; იხ. გრიგოლ ხანცთელი).

გიორგი მთაწმიდელი (ათონელი, 1009-1065) – ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერ-ფილოლოგი. გიორგის ბიოგრაფია და ღვაწლი აღწერა მისმა მოწაფემ, ათონის იერთა ქართული მონასტრის მოღვაწემ გიორგი მცირემ (ხუცესმონაზონმა): „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“ (ძეგლები, II, 101-207). გიორგი დაიბადა თრიალეთში, იგი მშობლების – იაკობისა და მარიამის შესამე შვილი იყო. შვიდი წლის ასაკიდან ის ტაძრის დედათა მონასტერში იზრდებოდა, სადაც მოღვაწეობდა მისი უფროსი და – თეკლა. აქ გიორგიმ სამი წელი დაჰყო და ათი წლისა ხახულის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც მოღვაწეობდნენ მისი ბიძები (მამის ძმები) გიორგი მწერალი, „რომელი ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისაჲ“ და საბა, „კაცი წრფელი და უმანკო“ (გვ. 115). მონასტრის წინამძღვრის, მაკარისა და ბასილი ბაგრატის ძის ლიტეა-კურთხევის მოღების შემდეგ ბიძებმა გიორგი მიაბარეს ილარიონ თუალელს. გიორგიმ დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოამჟღავნა საეკლესიო წიგნების შესწავლაში. მალე გიორგი ბიძასთან – გიორგი მწერალთან ერთად გაღასულა სამცხის დიდებულის, ფერსის ჯოჯიკისძის კარზე, სადაც წიგნისმკითხველისა და კანანახის მოვალეობას ასრულებდა. მალე ფერსის ჯოჯიკისძე ბასილი ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი ქვრივი „ერითურთ თუხი“, რომელთა შორის იყვნენ გიორგი და მისი ბიძა, იმპერატორის ბრძანებით კონსტანტინეპოლში ჩაუყვანიათ. აქ გიორგი „მისცეს სასწავლოდ ქალთა ფილოსოფოსთა და რიტორთა... მონაზონთა (გვ. 118). კონსტანტინეპოლში გიორგიმ 12 წლის განმავლობაში შეისწავლა ბერძნული და კარგი განათლებაც მიიღო. შემდეგ კი ისევ

ხახულის მონასტერში დაბრუნდა და ილარიონ თუალელის მიერ ბერად აღიკვეცა 25 წლის ასაკში. მალე გიორგიმ იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვა განიზრახა და მონასტრიდან გაიპარა. გზად მან შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში შეიარა, სადაც ქართველ ბერს, გიორგი შუენებულს შეხვდა, რომელიც დაჟეჟებული იყო „ნაპრალსა შინა კლდისასა" და მას დაეშრომა. მოძღვარმა მას იერუსალიმში გამგზავრებაზე ლოცვით უარი ათქმევინა, რომანწმიდის მონასტერში დამკვიდრა და მის სამწერლო საქმიანობისათვის მომზადებას შეუდგა. მონასტერში გიორგიმ სამი წელი დაჰყო. 30 წლის ასაკში სქემა შეიმოსა და მოძღვრისაგან იერუსალიმში გამგზავრების უფლება მიიღო. იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ ისევ მოძღვართან დაბრუნდა, რომელმაც მას ქართული ეკლესიისათვის საჭირო საეკლესიო წიგნების თარგმნა დაავალა, ამ მიზნით ათონის ივერთა მონასტერში წასვლა და იქ დამკვიდრება უბრძანა. მთაწმიდის ქართველმა ბერებმა გიორგი დიდი სიხარულით და პატივით მიიღეს, მაგრამ მან ყოველგვარ პატივზე უარი თქვა და შეიდი წლის განმავლობაში მონასტერში უკანასკნელი მოსამსახურისა და მორჩილის საქმეს ასრულებდა. გიორგი შუენებულის არავითარზის დაჟინებული მოთხოვნით მან მღვდლის ხარისხი მიიღო, ხოლო შემდეგ „მთაერად ეკლესიისა განაწესა, უხუცესად მღდელთა და მგალობელთა დაადგინა" (გვ. 127), ე. ი. დეკანოზად იქნა არჩეული. დეკანოზობის პერიოდში მან 8 წიგნი თარგმნა. მალე გიორგი, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. მონასტერზე ზრუნვამ, მრავალმა სამეურნეო და სააღშენებლო საქმიანობამ გიორგის ხალიტერატურო მოღვაწეობაზე უარყოფითად იმოქმედა. მან მტკიცე უარი თქვა ბაგრატ IV-ის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე – დაეჭირა ჭყონდიდის კათედრა. მთარგმნელობითი მუშაობისათვის რომ მეტი დრო ჰქონოდა, გიორგი „იჯნა წინამძღვრობისაგან", რადგან „ღმრთივმონიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინებოდა, რომელ არს ღმრთისულიერთა წიგნთა თარგმანა" (გვ. 142). მან ათონის მონასტრის ძმობას დაუტოვა დეკანოზობაში და წინამძღვრობაში ნათარგმნი ყველა წიგნი, კონსტანტინეპოლში წაიღო, იმპერატორისაგან შავ მთაზე წასვლის უფლება მიიღო და საეკლესიო წიგნების თარგმნას მიჰყო ხელი. მალე მარიამ დედოფლის (ბაგრატ IV-ის დედის) დაკვალებით და დიდი შესაწირავებით გიორგიმ იერუსალიმში ქართული მონასტრები მონახულა და დაბრუნებისთანავე მთარგმნელობით საქმიანობას უფრო ბეჯითად შეუდგა. ბაგრატ მეფის მოწვევით გიორგი საქართველოში ჩამოსულა საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად და იქ 5 წელი დარჩენილა, ხოლო შემდეგ დაბრუნებულა ათონის მთაზე და წამოუყვანია 80 უსტრონო ბაშვი აღსაზრდელად და მონასტერში ქართველ ბერთა და მოღვაწეთა რიცხვის გასამრავლებლად. კონსტანტინოპოლში მოსული გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1065 წ., პეტრე-პავლობის დღეს – 29 ივნისს. აქედან იგი მთაწმიდაზე, ათონის იერთის მონასტერში გადაუსვენებიათ.

მდიდარი და მრავალფეროვანია გიორგი მთაწმიდელის ლიტერატურული მოღვაწეობა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება: „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთუმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ" (ძეგლ., II, 38-100). ათონის მთის იერთა ქართული მონასტრის აღმაშენებელთა ბიოგრაფიისა და მათი დიდი ღვაწლის აღწერას ის მიზანი ჰქონდა, რომ შემდეგ თაობებს მათი დიდი ეროვნული და ქრისტიანული ნაღვაწი მისაბაძ მაგალითად ჰქონოდათ, მათი ცხოერება „ბატად ცხოველად და ძგელად ჰირმეტყუელად მოსცალათ აღგუპართა, რომელსა იგი მკითხველ-მსმენელნი სულით და კორცით განათლდებიან" (გვ. 130). ამასთანავე გიორგიმ შექმნა წერილობითი დოკუმენტი ქართველთა უფლებებისა ათონზე, რათა ბერძენთა ბოროტი ზრახვები ქართველთა მონასტრის დაუფლების მიზნით „არა დაჯნუებულ იქმნას და კუალად შემდგომად მათსა მომავალნი ესეეთარსა ჭირსა შთაცეუენ" (გვ. 94).

გიორგი მთაწმიდელის ლიტერატურულ საქმიანობაში მთაყარი ადგილი მაინც ბერძნული ენიდან ნათარგმნ ლიტერატურულ მემკვიდრეობას უჭირავს. მან თარგმნა: 1. ისეთი საეკლესიო წიგნები, რომლებიც მანამდე ქართულად თარგმნილი არ ყოფილა; 2. უკვე ნათარგმნი და ხმარებისაგან „განრყვნილი განუწმედია" და გაუსუფთაუებია; 3. ეფთიმე მთაწმიდელის მიერ დაწყებული და დაუსრულებელი, ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ურყლად და სრულად უთარგმია; 4. ადრე ნათარგმნი წიგნები ბერძნულისათვის შეუდარებია და ყოველივე ნაკლისაგან გაუწმენდია. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის

სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოსაგონებლადცა დიდ არს, ვითარმცა ესოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხორებასა შინა თუსსა აღწერა, არა რაჲთამცა ბერძნულისაგან სრულად თარგმა“ (გვ. 147), ხოლო გიორგის მიერ თარგმნილ თხზულებათა ოსტატობის შესახებ იგი ალერთოვანებით წერს: „ეგეთითარი თარგმანი თუნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესა სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ეპგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს“ (გვ. 147).

საეკლესიო მწერლობის არცერთი დარგი არ დარჩენილა გიორგი მთაწმიდელის ყურადღების გარეშე. ბიბლიის წიგნებიდან მას უთარგმნია: 1. დაჳითნი. 2. სახარება-ოთხთაჳი. 3. სამოციქულო სრული. ეგზეგეტიკური წიგნებიდან მან თარგმნა: 1. ბასილი დიდის „ეკლესია დღეთაჳს“ (არსებობს ძველი თარგმანიც); 2. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“ (არსებობს ძველი თარგმანიც). 3. გრიგოლ ნოსელის „თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲსა“ (A 55). 4. „განმარტებაჲ მოძიქსენისაჲ“, რომელიც შეიცავს მათეს სახარების V-VII თავების ახსნას. 5. იოანე ოქროპირის „დაბადების თარგმანი, რომელ არს ცხორებაჲ აბრაჰამისი“ (ხელნაწერები არ შენახულა). ყველაზე დიდი სამუშაო გიორგის ლიტურგიკული თხზულებების თარგმნაზე ჩაუტარებია: 1. „დიდი სვინაქსარი“, რომელიც, როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს, არის „საჭუჭელი ეკლესიათაჲ, რომლისა თუნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ“ (გვ. 123); 2. „სახარებაჲ გამოკრებული საწელიწდოჲ“ (H 1299), 3. „პაექე გამოკრებული საწელიწდოჲ“; 4. „თთუენი ათორმეტნივე სრულად“. ეფრემ მცირის მოწმობით, „სათუეო საგალობელი არა ერთისაჲ, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებილ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძნულად არა რომელსაც იპოების ეგოდენი საგალობელი“ (ძვ. საქართველო, ტ. III, განყ. I. გვ. 448). თვენში ჩართულია აგრეთვე თვით გიორგის ორიგინალური საგალობლებიც ეფთჳმე ათონელისა (H 1710 ფ. 64-66) და იოდასაფ ინდოელისა (იქვე, ფ. 109-212). 5. „სტიქარონი საწელიწდო დღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიანან“. ეს არის „თთუენისაგან“ გამოკრებილი ისეთი ჰიმნები, რომელთაც სტიქარონი ეწოდებათ. 6. „სტიქარონი თჳთაჳგნი უძლისპირონი, ვითარცა არიან ბერძნულად“, ე. ი. ისეთი ჰიმნების კრებული, რომლებსაც საკუთარი კილო აქვთ, ე. ი. ძლისპირი, ანუ ბერძნულად ირმოლოგიონი. 7. „დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათაჲ“ (Sin. 60) 8. „დიდნი მარხჳანი“, რომელთა შორის არის ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“. 9. „ზატიკი მრავალ-ეროვნითა კეთილითა აღსავსე“, 10. საწინასწარმეტყველო საწელიწდო“. 11. „დიდნი კურთხეუანი“. როგორც ეხედავთ, გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია თითქმის მთელი კომპლექტი საღთოსშასხური წიგნებისა და ამ მხრივ ქართული ეკლესია სავსებით უზრუნველუყოფია. პოპილეტიკური ლიტერატურის ძეგლებიდან გიორგის უთარგმნია: 1. თეოდორე სტუდიელის „სწაელანი დიდთა მარხჳთა საკითხაჳნი“ (A 500), რომელიც 57 სიტყუას შეიცავს „ყველიერის კურიაკითგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე“. 2. სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუაჲ ხარებისათჳს (ქუთ. 8, ფ. 217-238). 3. გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმ. და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი“ (იქვე, ფ. 73-94).

ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ლიტერატურიდან გიორგის უთარგმნია მეტაფრასული რედაქციის თხზულებები: 1. ნეკტარი კონსტანტინოპოლეს პატრიარქის სასწაულისა მისთჳს წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა... (ქუთ. 8, 2. იოანე დამასკელის „საკითხაჲი ყოველად ქებულისა შობისათჳს უფლისა“ (A 162). 3. დორთეოს ტყირელის „მოწაფეთა მათთჳს უფლისათა“ (A 144), 4. საკითხაჲი კონსტანტინოპოლის „მიცვალის“ სკეთისა და ავ. იების მიერ 626 წ. (A 500). 5. წამებაჲ დიდი ა მოწამისა გიორგისი“ (ქუთ. 7) 6. ნიკიფორე ურანოსის მეტაფრასული „წამებაჲ თეოდორე ტყრონისაჲ“ (A 276) და თეოდორე სტუდიელის „სასწაული თეოდორესი“ (A 500). კანონიკური ლიტერატურიდან: „მცნებაჲ მოციქულთა მიმართ [illegible] ეპისკოპოზთა მიმართ“ (A 584). 3. „ეპისტოლენი წმ. კორნელისანი და სხუათა წმ. მამათანი განკუეთისათჳს ნესტორ უსჯულოჲსა“ (თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა). 4. „წიგნი მეექუსისა კრებისა“ (არ შენახულა). დოგმატიკური ხასიათისაა გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი შემდეგი თხზულებები: 1. სიმბოლო ნიკია-კონსტანტინოპოლის კრებისა. 2. გრიგოლ ნეოკესარიელის „სიმბოლო“, 3. ათანასე ალექსანდრიელის „კითხჳა-მიგებანი“ მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა შესახებ. 4. ათანასისაჲ „ქალწულებისათჳს“. 5. სიმბოლო პატრიარქი ფოტი[illegible] (A 584), 7. იოანე დამასკელის „სიტყუაჲ [illegible] ერთისმეტყველებისათჳს და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (ქუთ. 5). 8. ეპისტოლენი ეგნატე ღმერთშემოსილისა (12 ეპ. A 55),

9. ეპისტოლე ბასილი დიდისა სიმოლიკაჲს მიმართ სუეჳალისა (A 581), 10. წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ (კითხვა-მიგების ფორმით, H 215; ფრ. 132-135). გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია ორი ასკორიფული ძეგლიც: 1. „აეგაროზი, ანუ მიწერა-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მეფე აეგაროზს შორის" (ქუთ. 39, ფ. 286-291). 2. „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა_ და უწყებაჲ აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა..." (Ath. 7).

გიორგი მწერალი – XI ს. დასაწყისის ხახულის მონასტრის მონაზონი, გიორგი მთაწმიდელის ბიძა (მამის ძმა), რომელიც მონაზვნად შედგომამდე იყო ბაგრატ კურაპალატის კარის მწერალთა მთავარი (ძეგლები, II, 115). გიორგიმ გარკვეული როლი შეასრულა გიორგი მთაწმიდელის აღზრდის საქმეში. გიორგი სამცხის დიდებულის – ფურის ჯოჯიკის ძის კარზე მიიწვიეს სულიერ მოძღვრად, სადაც მან პატარა გიორგიც წაიყვანა. ფურის ჯოჯიკის ძის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი მეუღლე თავისი ამალით, რომელშიც გიორგი მწერალი და პატარა გიორგიც შედიოდნენ, კონსტანტინეპოლს წაიყვანეს. ბიძა-ძმისწულმა იქ 12 წელი დაჰყვეს, სადაც გიორგი თავისი ძმისშვილის სწავლა-განათლებაზე ზრუნავდა. 12 წლის შემდეგ ფურის ჯოჯიკის ძის მეუღლე დაბრუნდა სამცხეში. თან წამოიყვანა ორივე გიორგი და ტყარნაჯასში დაემკვიდრა. გიორგი მწერლის ცხოვრების ბოლო პერიოდის შესახებ არაფერია ცნობილი.

[illegible] და სახელმწიფო მოღვაწე, გიორგი II-ის თანამედროვე და დაჳით აღმაშენებლის გამზრდელი. თავდაპირველად გიორგი მონაზონი სამეფო კარის მწიგნობართუხუცესი, ე. ი. მეფის პირველი ვაზირი იყო. რუის-ურბნისის კრების (1105 წ.) ძეგლისწერის სინოდიკონში მას კრების „თუალს" უწოდებენ: „ლირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმცა [არიან წელნი]". ამ კრების შემდეგ ახლო ხანებში დაჳით აღმაშენებლის მისთჳს ჭყონდიდელობა უბოძებია. პირველად ჭყონდიდელის ტიტულით გიორგი 1110 წ. არის მოხსენიებული: „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თეფსირე, აბუღეთი და იეანე ორბელი და სიმარჯუით მოიპარეს სამშჳლდე... ქორონიკონი იყო სამას ოცდაათი" (330 + 780 = 1110 წ.). როგორც „ქართლის ცხოვრების" ამ ცნობიდან ჩანს (I, 331-333), გიორგი სამხედრო საქმეშიც ყოფილა დახელოვნებული (იქცა ნათქჳამი, რომ ჭყონდიდელმან გიორგი ძილი რუსთაჳ, რომლისაგან ზარცუმულ იქმნენ თურქნი). გიორგი ჭყონდიდელი გარდაცვალა 1118 წელს ოსეთში, სადაც იგი დაჭრაუებული ლაშქრის ჩამოსაყვანად ჩასულ დაჳით აღმაშენებელს ახლდა. გიორგი ჩამოუსვენებიათ და დიდი პატივით დაუსაფლაჳებიათ გელათის მონასტერში (ქართლის ცხ., I, 337).

გიორგი ნიკოწმიდელი – IX ს. ნიკომიდიის მთავარეპისკოპოსი, „რიტორი და წიგნისმცცელი წმიდისა ღმრთისა ეკლესიისა", ცნობილი საეკლესიო მწერალი. ქართულად თარგმნილა გიორგი ნიკომიდელის შემდეგი ტრაქტატები:

1. „სიტყუაჲ ყოელადწმიდისა ღმრთისმშობლისათჳს, რაჟამს მიყუანებულ იქმნა სამისა წლისაჲ ტაძრად უფლისა მშობელთა მიერ მისთა" (A 182, ფ. 184-210; A 128, A 382, S 1276, 63-82). თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ.

2. „საკითხავი ტაძრად მიყუანებისათჳს ყოელადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისა" (A 182, 211-234).

3. „თქუმული ცხოველს-მყოფელისა ჯუარცუმისათჳს და დაფლჳსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელი იკითხვების დიდსა პარასკეჳსა" (A 5, A 70, 348-364, A 71, A 129; A 140; A 186, A 272; კუთ. 8, 298-310; Ath. 71, 348-364; Jer. 4, 77-90 და სხვ.) თარგმნილია ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ.

4. სიტყუაჲ ყოელადწმიდისა ღმრთისმშობლისათჳს (S 384, 750-763; A 128).

გიორგი ოლთისარი – ათონის მთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი 1066 წლიდან, თავდაპირველად საეკლესიო მოღვაწე. მას წინამძღვრობა მოუღია გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ. „პრძანებაჲ მოვიღეთ... წინამძღვრისა და მამასახლისისა ჩუენისა გიორგი ოლთისარისა, რამეთუ მეუღემ ოგიე (ე. ი. გიორგი ოლთისარი) დამტკიცა შემდგომად მიცვალებისა წმიდისა მის (ე. ი. გიორგი მთაწმიდელისა) და მასვე შეუნდოა სიწრფოებისათჳს და უმანკოებისა დაჳწერებაჲ დიდისა ამის ლავრისაჲ" (ძეგლები, II, 200). გიორგი ოლთისარი მრავალი სამეურნეო და ლიტერატურული საქმიანობის მოთაეე იყო. მისი ინიციატივით გიორგი

მთაწმიდელის გვამი დასვენეს „ლუსკუმასა შინა მარმარილოჲსასა გიორგის თანა მაშენებლისა, ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათაჲ“ (ძეგლ. II, 200). გიორგი ოლთისარმა „მონასტერთა ზედა მრავალთა კეთილთა ქმნა, მრავალნი მონასტერნი და პრასტინნი დაჰყარნა, მრავლით ქამოვან წახმულნი და ზღუდენი მოავლნა მონასტერსა და ოქრობეჭედი აღო, მრავალთა ზრუნვაჲთა და ჭირთა გარეწარმკჳდელი“, როგორც ეს მისთვის განწესებულ აღაპშია ნათქვამი (აღაპი 61; ე. მეტრეველი, საღაპე, წიგნი, გვ. 151-152). ამ საქმიანობაში გიორგის ხელს უწყობდნენ ბაგრატ IV-ის ასული — ბიზანტიის დედოფალი მარიამი და მისი ვაჟი კონსტანტინე. გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის დროს ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა. მრავალი ხელნაწერის ანდერძში აღნიშნულია, რომ ესა თუ ის ხელნაწერი დამზადდა გიორგი ოლთისარის ბრძანებით (Ath. 30; A 500, Ath. 54, Ath. 24; A 558 და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია მის წინამძღვრობის დროს 1074 წ. შედგენილი უაღრესად მნიშვნელოვანი კრებული, რომელიც ლიტერატურაში „ათონის კრებულის“ სახელით არის ცნობილი (A 558) და რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის საღაპე წიგნად ქცეულა (გამოსცა მ. ჯანაშვილმა: „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპები“, თბ., 1902), ხოლო ამ ხელთნაწერიდან მხოლოდ აღაპი გამოც. ე. მეტრეველმა: „ათონის ქართველთა მონასტრის საღაპე წიგნი“, თბ., 1998.

გიორგი ოპიზელი – IX ს. დასაწყისის საეკლესიო მოღვაწე, ოპიზის მონასტრის რიგით მესამე წინამძღვარი. გიორგის წინამძღვრობის დროს ქართლიდან ოპიზას მივიდა და იქ დაიწყო თავისი სამონაზვნო ცხოვრება გრიგოლ ხანცთელმა და მისმა სამმა თანამშრახველმა: „და იყო წინამძღურისა მათისა (ოპიზელთა) სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისა, რაჲთგან სამოელ და ანტონი გარდაცვალებულ იყუნეს“ (ძეგლები, I, 253). სწორედ გიორგის ლიცეა-ყურთხეთი გამოემგზავრნენ ოპიზიდან გრიგოლი და მისი თანამოაზრენი და ხანცთას დაუკეცნიათ: „მივიდეს ამბა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა, და მოიღეს ლიცაჲ წმიდაჲ მისი და ძმათა ყოველთაჲ და სიხარულით მოიწინეს ხანცთად“ (ძეგლ., I, 255).

გიორგი ჭურული – ლარგვისის მონასტრის წინამძღვარი XV ს. II ნახევარში. გიორგი ჭურული მღვდლის ხარისხით იხსენიება 1460 წ. გიორგი შეფის წყალობის წიგნში: „პატივცემულსა ჭურულსა მღვდელსა გიორგის“ (ქრონიკ. II 278), ხოლო 1468 წ. კი - წინამძღვრად: „ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქუენ, წინამძღუარს გიორგის, ძმასა თქუენსა ქუენიფხუცესსა ერისთაჲს შალვას და“... (ქრონიკ. II, 280), 1474 წ. გუჯარში ის უკვე გარდაცვლილად არის მოხსენიებული: „სულსა ჭურულისასა წინამძღურისა გიორგისსა შეუნდენენ ღმერთმან, მეფეთა წინა მოსაძღე იყო და სიგელიცა მან დაგვიწერა“ (ქრონიკ. II, 293). გიორგი წინამძღვარს ლარგვისის მონასტერში, რომელიც ქსნის ერისთაჲთა „საძვალე“ იყო, თავის ძმასთან, ერისთავ შალვა ქუენიფხუცესთან ერთად დიდი საქმიანობა ჩაუტარებია: მათ განუახლებიათ „საძვალე“ მონასტერი, შემოუელიათ ზღუდე, ზღუდის კარზე აუშენებიათ სარეკელო, აუგიათ ტრაპეზი, მოუხატვინებიათ კამარა, გადაუწერინებიათ ხელნაწერები, შეუკერვინებიათ მეტაფორასები, უბოძებიათ დიდძალი შეწირულება და სხვ., როგორც ამას გეგმანობს 1470 წლის ერთი საბუთი (საქ. სიძე., III, 555-561).

გიორგი შეყენებული – შავი მთის სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტრის ქართველი ბერი XI ს. შუა წლებში, გიორგი მთაწმიდელის მოძღვარი. გიორგის ზედწოდება „შეყენებული“ მიიღო იმიტომ, რომ იგი განცალკევებით, იყო დაყუდებული „ნაპარალსა შინა კლდისასა“. ხახულის მონასტრიდან გაპარულმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც განიზრახა იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვა, შაე მთაზე, სვიმეონ მესვეტმდგომის ძეგლთან [illegible] შეხვდა გიორგ[illegible] [illegible]-ის ამბას დაემოწაფა. გიორგი შეყენებულმა მოამზადა თავისი მოწაფე სამწერლო საქმიანობისათვის და ათონის ივერთა მონასტერში გაგზავნა. გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი წიგნების ანდერძებში ხშირად შევხვდებით ცნობას, რომ ესა თუ ის თხზულება მან გიორგი შეყენებულის ბრძანებით თარგმნა. გიორგი შეყენებულის დავალებით აღწერა გიორგი ხუცესმონაზონმა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც ეს თხზულების სათაურშივე არის აღნიშნული: „ესმისტოლე, მწერალი გიორგის მიმართ, დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკუდრ იყო მთასა საკურველსა მონასტერსა წმიდისა სუმეონისსა, ბერისაჲ მის, რომელისაგა ეთხოვა, რაჲთა აღუწეროს ცხორებაჲ და მიცვალებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“

(ძეგლები, II, 101). გიორგი შეყენებული, როგორც ფიქრობენ, 1068 წელს უნდა გარდაცვლილიყო, ე. ი. თაეისი მოწაფის, გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებიდან (1066 წ.) ორი წლის შემდეგ.

გიორგი ჩორჩანელი – IX ს. სამცხის ერთ-ერთი დიდებული. გიორგი ჩორჩანელმა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა სერაპიონ ზარზმელს მის სამფლობელოში სამონასტრო ადგილის შერჩევაში, მონასტრის აშენებასა და მონასტრის მატერიალური ბაზის შექმნაში, როგორც ეს აღნიშნულია სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში" (ძეგლ., I, 324-328).

გიორგი ჩორჩანელი – ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის არსენი ფარსმან-ყოფილის ძმა, სამცხის დიდებული. ათონის „ივერთა" მონასტრისადმი დიდი დამსახურებისათვის XI ს. I ნახევარში გიორგი ჩორჩანელისათვის მონასტრის წინამძღვარს არსენის (დაახლ. 1034-1039) და მონასტრის ძმობას ალაპი დაუწესებიათ ისეთივე პატივით, როგორც მონასტრის მაშენებელსა – იოანე და ეუთვიმე მთაწმიდელებისათვის (აღ. № 50, ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 148).

გიორგი = არისთრე – იხ. პროხორე.

გიორგიწმინდა – სოფელი ახალციხის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ახალციხიდან 12 კმ. სოფლის მახლობლად შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

გიორგიწმინდა – სოფელი საგარეჯოს რაიონში, მდ. წიფლისწყლის (იორის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. სოფელში დგას ერთნავიანი ეკლესია გიორგიწმინდა, რომელიც შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, 1810 წელს აუგია მღვდელ იოანე კელენჯელს.

გიორგიწმინდა – თმოგვის მიდამოებში (ასპინძის რაიონი) აღრე შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია.

გიორგიწმინდა – სოხასტერი (სადაყუდებული) სოფელი სტეფანწმინდაში (ბულგარეთში), რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს შეუწირავს მის მიერ დაარსებული პეტრიწონის ქართული მონასტრისათვის, როგორც ეს აღნიშნულია ამ მონასტრის ტიპიკონში: „ცერეულ მიეც დამოკიდებით მისსა ჩემი დიდი სოფელი სტეფანწმიხი... სოხასტრებით მისით ნიკოლწმიდით, ელიაწმიდით, ზემოთ გიორგიწმიდითურთ და ჭუშთათ, რომელი სოფელსა ახლავს მითვე სახითა სრულებით" (სამართ. ძეგლ., III, 45).

გიორგობა – წმ. გიორგი კაპადოკიელის ხსენებასთან დაკავშირებული საეკლესიო-სახალხო დღესასწაული საქართველოში 23 აპრილსა და 10 ნოემბერს. გიორგობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხალხწოდებით იმართებოდა: ქართლში-გურისთობა, უსანეთობა, ატოცობა; კახეთში – ალაერდობა, თეთრი გიორგობა; სამეგრელოში – ილორობა და სხვ. გადმოცემით, საქართველოში არსებობდა წმ. გიორგის 363 ტაძარი და სამლოცველო. წმ. გიორგი (სხვადასხვა სახელით) ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის მფარველად ითვლებოდა. აღმ. საქართველოს მთაში დღემდე შემორჩა ადგილობრივი წარმართული სალოცავები, რომელთაც გარდა თავისი სახელისა, წმ. გიორგისაც უწოდებენ (ლაშარი, ლომისა, სახმტი და სხვ.), ბარში კი ძველი წარმართული ღვთაება მთლიანად შეცვალა ქრისტიანულმა წმ. გიორგიმ. ამ დღეს ღვთისმსახურების შესრულებასა მიღებულია მსხვერპლის შეწირვა: კლავენ მამალს, ცხვარს, ხარს. მაგ., კახეთში 14 აგვისტოს იმართებოდა აწყურის თეთრი გიორგის ღღეობა. ხალხი სამგზის ან შვიდგზის შემოუვლიდა გალავანს, გუნდი გალობდა დიდებას, ეკლესიის ეზოში ცეკვავდნენ თეთრად მოსილი „ხატის მონები". ზოგი ხატის ულიებითა და მძიმე ჯაჭვით დატვირთული ჩექით შემოუვლიდა ტაძარს და კედლებზე ანთებულ სანთლის აკრავდა. კარის ზღურბლზე წვებოდა „ხატის მონა", რომელსაც კელა შეშსვლელი ფეხს ადგამდა. წირვის შემდეგ იკლებოდა შეწირული საქონელი, ფრინველი, იმართებოდა პურობა, რომელიც ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა. სამეგრელოში, სუფსუნის ტაძარში, 23 აპრილის ღამეს ათეინებდნენ საპატიო კაცს, რომელიც მეორე დილით წმინდანის ნებას აცნობდა ტაძართან შეკრებილ მორწმუნეებს.

გიში – ისტორიული წუქეთის საერისთაოს ცენტრი, გიშელთა, იგივე გრიგოლის ძეთა საგვარეულოს რეზიდენცია, მდებარეობდა გიშის წყალზე (ახლ. მდინარე ქიშ-ჩაი, აზერბ. სსრ), ახლანდელ შექის (რაიონული ცენტრი) მახლობლად. აქვე იყო საეპისკოპოსო კათედრალი. გიში პირველად XII ს-ში იხსენიება, თუმცა გიშის საეპისკოპოსო ჯერ კიდევ VI ს. უნდა ჩამოყალიბებულიყო. „განგებაჲ დარბაზობისა"-ს მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის გიშელი რიგით 35-ე იყო.

გიშში შემორჩენილია X-XI სს. შირიმის

ქვით ნაშენი მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია (გუმბათიანი დარბაზის ანუ „კუპოლალეს" ტიპისა). შესასვლელი XIX ს-ში უნდა იყოს გაბნსლებული. XVII ს. 70-იანი წლების ერთი დოკუმენტის მოწმობით, გიშის საეპისკოპოსო მოხსენიებულია, როგორც „დაცლილი ჯოხრებისაგან" (სამ. ძეგლ. III, 922).

„ბიხაროდენი" — გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ მარიამ ღვთისმშობლისადმი ხარების დროს წარმოთქმული მიმართვის დასაწყისი სიტყვა; „გიხაროდენ მომადლებულო, უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის" (ლუკა I, 28), რაც საფუძველი გახდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლების იმ სტიქარონებისა, რომლებიც „გიხაროდენ"-ით იწყება და გადმოსცემს ხარების განყოფილებას. ღვთისმშობლის დაუჯდომელში (აკათისტოში) თითოეული იკოსი (იხ.), რომელიც კონდაკს მოსდევს, შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში განვითარებულია თემა, ხოლო მეორე ნაწილი შედგება 12 სტიქარონისაგან და ყოველი მათგანი იწყება სიტყვით „გიხაროდენ". ხშირია „გიხაროდენის" ტიპის სტიქარონები საგალობლებში, რომელთაც „ღვთისმშობლისანი" ეწოდებათ.

გლდანი — სოფელი მცხეთის რაიონში, მდ. გლდანისხევის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. მცხეთიდან 15 კმ. სოფელში მთის კალთაზე არის IX-X სს. ნატეხი ქვით ნაგები გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია, ორნავიანი ბაზილიკა. სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე იყო სტოა. მოგვიანებით სამკვეთლოსათვის მიუშენებიათ დამატებითი სადგომი. ფასადები სადა და მოურთველი. საკურთხევლის თავზე ამოკეთებილია წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვარი. კამარის საფუძვლებთან გაყოლებულია ბრტყელი თაღების მწკრივი. გლდანის მიდამოებში, ვეჯინის ხევში, მთაზე შემორჩენილია წმ. გიორგის VIII-IXსს. ეკლესიის ნაშთი, აგრეთვე „ღვთისმშობლის" VIII-IX სს. ეკლესიის ნანგრევები.

გლოლა — სოფელი ონის რაიონში, მდ. ჭანჯახის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე. ონიდან 25 კმ. გორაზე, რომელსაც ზედა ქალაქს უწოდებენ, შემორჩენილია ციხის ორი ეკლესია და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. უფრო მოზრდილი ეკლესია — წმ. გიორგისი განვითარებული შუა საუკუნეების განეკუთვნება. მოპირკეთებული ყოფილა კარგად გათლილი ოქროსფერი შირიმის ქვით, ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის კვალი. მოხატული ყოფილა აგრეთვე მეორე, უფრო მცირე ზომის ნახევრად დაუმუშავებელი ქვით ნაგები ეკლესიაც. გლოლის ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ეახუშტი ბატონიშვილი: „არს გლოლა დაბა მზგაესი ციხისა კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღესილი ოქრო-ვეცხლის ხატითა და ჯუარითა და წივნებითა ძუელადვე ხიზნული" (ქართლ. ცხ., IV, 768, 16).

გლონოქორი — ქართლის მთავარეპისკოპოსი V ს. I ნახევარში მირდატ მეფის დროს. ირანის ხელისუფლებას გლონოქორი ქართლისა და პერეთის ერისთავად დაუნიშნავს (ძეგლები, I, 92, 36); მის შესახებ იხ. კ. კეკელიძის ეტიუდები... III, 1955, 37-39).

გობრონი — ქართული ეკლესიის წმინდანი, მოწამე. გობრონი იყო ქართველი აზნაური, რომელიც მეთაურობდა ყველისციხის (სამცხეში) დაცვას არაბთა მხედართმთაურის, აბულკასიმის 914 წ. შემოსევის დროს. გობრონი და მისი რაზმის 133 წევრი 28-დღიანი მეღვარი წინააღმდეგობის მიუხედავად მტრებს ხელში ჩაუვარდნენ. ყველა მათგანს გობრონის თვალწინ თავები დაყრევინეს, რათა გობრონს სიკვდილის შიშით მასმენინა. გობრონმა უარყო არაბთა წინადადება, რისთვისაც მასაც თავი წარკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ გობრონი (რომელსაც თავდაპირველად მიქაელი ერქვა) წმინდანად შერაცხა. 914-918 წწ. გობრონის „წამება" აღწერა ტბეთის ეპისკოპოსმა სტეფანე მტბევარმა ტაო-კლარჯეთის ერისთავთა-ერისთავის, აშოტ კურაპალატის († 918 წ.) დავალებით: „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელიც გაიყვანეს ყველის ციხით" (ძეგლები, I, გვ. 172-183).

გოგი და მაგოგი — იუდეურ და ქრისტიანულ ლიტერატურაში ორი ეელური ხალხის სახელწოდება. ეზეკიელის წინასწარმეტყველებით, ისინი შორეულ მომავალში ჩრდილოეთიდან მოელენ ისრაელთა შესამუსრავად. იოანეს „გამოცხადებაში" ნაწინასწარმეტყველია მათი შემოსევა განკითხვის დღის წინ. ბიბლიაში მაგოგი ევრაზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ტომების სახელია. გოგი, როგორც მაგოგის ხალხის ბელადის სახელი, პირველად ძველი აღთქმის უფრო გვიანდელ ტექსტებში ჩნდება. გოგი და მაგოგი ყურანში იხსენიება, როგორც ორი ეელური ტომი, რომლებიც დედამიწის უკიდურეს ნაწილში ცხოვრობენ.

გოგიუბა — X ს. ექსპანსიდიანი ეკლესია ისტორიულ ერუშეთში (დღეს თურქეთის

ტერიტორიაზე). ეკლესია მშვენიერად გათლილი ქვის კედლებით ყოფილა მოპირკეთებული გარედან და შიგნიდან, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში იგი სრულიად პერანგშემოძარცული იყო (ნახ. იქ: თაყაიშვილმა). გუმბათის ყელი ექსწახნაგა, ისევე, როგორც გუმბათქვეშა სივრცე. გარედან ეკლესიის ქვედა კორპუსს თორმეტი წახნაგი ჰქონდა. შენობის გარეთა დიამეტრი დახლ. 12 მეტრია, სიმაღლე შიგნით – დახლ. 19 მ.

გოგიჩა ჯალაბოზი – გეგუთის XVIII ს. წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებელი (ნასწავლ. იოანე და ბეჟანთან ერთად), როგორც ეს ამ ხის სარკმლის თავზე მოთავსებულ წარწერაშია აღნიშნული. ეკლესია მცირეა, ერთნავიანი, აგებულია თლილი ქვით.

გოგნი – სოფელი თერჯოლის რაიონში, მდ. ქვირწის (ძეურული მარცხ. შენაკადი) ზეგნ ნელში, თერჯოლიდან 15 კმ. თაძარის სიგელში (1188 წწ.) იხსენიება გოგნის ციხისთავი. სოფელში არის წმ. გიორგის გეგაძდელი შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. 1778 წ. სოლომონ I-ის მეუღლემ – მარიამ დედოფალმა აქ ააგო ღვთისმშობლის მიძინების ქვითკირის ეკლესია და დაარსა მონასტერი.

გოგოლესუბანი – სოფელი ჩოხატაურის რაიონში, მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას. ჩოხატაურიდან 2,5 კმ. სოფლის მიდამოებში არის მონასტერი „უდაბნო", რომლის კომპლექსში შედის: ამაღლების ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების, გამოქვაბულები და სხვა ნაგებობანი.

„გოდება იერემიასი" – ბიბლიური წიგნის სახელწოდება, რომელშიც შესულია წინასწარმეტყველის გოდებითი საგალობლები (პიშნები), იერუსალიმის დანგრევის გამო. თუმცა ავტორი დასახელებული არ არის, მაგრამ თხზულებათა სტილი და ტონი მიუთითებს იერემია წინასწარმეტყველზე, რაც გადმოცემებშიც დასტურდება. წიგნი შედგება ხუთი თავისაგან, თითოეული შეიცავს თითო პიშნს. პირველ ოთხ პიშნთაგან თითოეული შეიცავს 22 სტროფს და თითოეული სტროფი იწყება ებრაული ალფავიტის ახალი ასოთი, ე. ი. წარმოდგენილია სრულად. მეხუთე პიშნიც 22 სტროფს შეიცავს, მაგრამ ალფავიტის თანმიმდევრობა არ არის დაცული. ებრაულ სინაგოგებში „გოდება იერემიასი" იკითხება აბას თვის მე-9 დღეს იერუსალიმის ტაძრის დანგრევის დღის მოსახსენებლად.

გოდოგანი – სოფელი თერჯოლის რაიონში, მდ. ჭიშურას (ცერილას მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს. თერჯოლიდან 24 კმ. სოფელში დგას X ს. ეკლესია, აგრეთვე ერთნავიანი დარბაზული ტიპის შერილაბსილიანი ეკლესია, აგებული 1873 წ.

გოლგოთა (ძვ. ებრ. „თავის ქალა") – ბორცვი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც უძველესი დროიდან სიკვდილით სჯიდნენ დანაშაულებს. ამ ბორცვზე ჯვარს აცვეს იესო ქრისტე (მათ. 27,33; მარკ. 15,22; იოან. 19,17). გოლგოთაზე IV ს. ტაძარი აუგია ელენე დედოფალს, კონსტანტინე დიდის დედას. ამჟამად ამ ადგილზე, რომელიც დღეს ქალაქის ფარგლებშია მოქცეული, არის ქრისტეს საფლავის ეკლესია. გადმოცემით, გოლგოთაზე დასაფლავებულია ადამი.

გოლგოთის თავზე, წერილობითი წყაროების მოწმობით, 333 წ. 7 მაისს მოშხდარა ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინება. ამ სასწაულის თვითმხილველმა, იერუსალიმის პატრიარქმა კირილემ ეპისტოლე მისწერა კონსტანტინე დიდის ძესა და შემკვიდრე კოსტანტი იმპერატორს, რომელშიც ეს სასწაულია აღწერილი და ეს ფაქტი მან გამოიყენა არიანელი იმპერატორის მართლმადიდებლობაზე დასაბრუნებლად (კირილე იერუსალიმელის ამ ეპისტოლის ქართული თარგმანი ბევრი ხელნაწერით არის მოღწეული – A 381; Sin. 83; Sin. 92 და სხვ. გამოც. თ. მგალობლიშვილის მიერ, კირილე იერუსალიმელის პომილიათა ძვ. ქართ. თარგმანები, თბ., 1472).

გოლგოთა – მთა მცხეთის პირდაპირ, მტკვრისა და არაგვის შესაყართან და ეკლესია, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ამ მთაზე, ჯვარის ტაძრის ჩრდილოეთით. მთამ და მასზე აგებულმა ეკლესიამ სახელწოდება მიიღო იერუსალიმის „გოლგოთის" მიხედვით (ისევე, როგორც მცხეთისა და მისი მიდამოების სხვა ტოპონიმებმა: ბეთლეემი, გეთსამანია, ბეთანია, თაბორი და სხვ.). მცხეთის „გოლგოთა" პირველად მოხსენიებულია „მოქცეაჲ ქართლისაჲ"-ს ჭელიშურ ვარიანტში: „ეუნდინ ანგელოზთანი გარდამოქცდიან ადგილსა მას ზედა გოლგოთას, რომელსა ზედა აღემართე ჯუარი მკსნელისა ჩემისაჲ" (ძეგლები, I, 159, 34).

გოლგოთის მონასტერი ყოფილა აგრეთვე ქართლშიც, სამთავნელის სამწყსოში, XV ს. I ნახევრის სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესაელის წიგნში (Ad 559) აღნიშნულია: „გოლგოთას – მოვიდეს სამთავნელნი, მოეგებნე წინა ძმანი, კრებულნი, წინამძღუანი, მონაზონნი, დედაბერნი ერთობით ჩუეულებისაებრ, დახუედ

საყურლად, ჭამი აწირვინონ, გამოუსუენონ, დალოცნეს და წარმოვიდეს" (სამ. ძეგლ. III, 2040. როგორც სახუთის მინაწერი ადასტურებს, იგი გაცილებით ძველ დედნიდან არის გადმოწერილი: „ძველის გუჯრისაგან ესე ოდენ შეეძლეთ გარდამოწერა" (იქვე).

გოლიათი – ბიბლიის მიხედვით, ფილისტიმელი დეწეშარი, რომელიც ორთაბრძოლაში დაამარცხა ყრმა იუდეველმა მწყემსმა, შემდგომში იუდეველთა მეფემ დავითმა.

გომარეთი – იხ. დიდი გომარეთი.

გომართას ეკლესია – ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, „ატანის ზეით (ფცის წყლის აუზში) არის ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი" (ქართლ. ცხ. IV, 376, 17).

გომისჯვარი – (იგივე ნადირიანი) – სოფელი კასპის რაიონში, მდ. ნინიბისის წყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, კასპიდან 18 კმ. სოფელში, მ. ბროსეს ცნობით, ოთხი ეკლესია და ერთი კოშკი ყოფილა. დღეს მხოლოდ ორი მცირე ზომის ეკლესია და კოშკი (შეიძლებათ ერთიანი) დგას. ეკლესიები ერთმანეთისაგან რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზეა დაშორებული. ორიენე ეკლესია ერთნავიანია, ქვაყორითა და აგურით ნაშენები, ფრიად მარტივი და ლარიბი. ქუაშო ეკლესია ორანე მახარებლის სახელზეა აგებული. აღმოსავლეთის ფასადზე, ფანჯრის ზემოთ „გოლგოთის" ჯვარი და ორი მცირე ნიში აქეს. ჯვარი კედლის სიღრმეში აგურების გამოლებით არის გამოყვანილი, ნიშები კი ისრული თაღებითაა აღჭურელი. წარწერიანი ქვა სოფლის მცხოვრებს თავისი მარნის კედელში ჩაუტანებია. 1684 წ. წარწერა რუხი ფერის გათლილ ქვაზე კარგად არის შენახული. მოხსენიებულია ეახტანგ V, შაპნავაზი და ძე მისი ლეონი, ეახტანგ VI-ის მამა.

გომორი – ქალაქი ძველ პალესტინაში, მკვდარი ზღვის ახლოს. ოთხ სხვა ქალაქთან (რომელთაგან ყველაზე ცნობილია სოდომი) ერთად შეადგენდა ხუთი ქალაქის კავშირს. ქალაქის აყვავებას თანდათანობით მოყვა ბიწიერებისა და გარყვნილების ზრდა. ამ ცოდვათა გამო განრისხებულმა ღმერთმა, ბიბლიური გადმოცემით (დაბად. XIX, 24), დაწვა და გაანადგურა ეს ქალაქები. სტრაბონს ჩაწერილი აქვს გადმოცემა, რომლის მიხედვით მკვდარი ზღვა გაჩენილა რაღაც უჩვეულოდ დიდი კატასტროფის შედეგად, რომელსაც დაუბრეპია აქ მდებარე ქალაქები. ბოლო გამოკვლევებით, კატასტროფა უნდა მომხდარიყო საწვეე ნივთიერებათა აფეთქებით, რომლის მიზეზი შეიძლება ელვა ყოფილიყო. ქრისტიანულ ლიტერატურაში სოდომ-გომორის განადგურების მაგალითი სინონიმი გახდა ღვთიური სასჯელისა, რომელიც მოელის ადამიანთა მოდგმას გარყვნილებისა და წრეგადასული ბიწიერებისათვის.

გორა – სოფელი დმანისის რაიონში, მდ. მოშევეანის (მაშაქერის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, დმანისიდან 25 კმ. გორაში დგას ძველი, შემდეგში განახლებული ღვთისმშობლის ეკლესია. იქვეა XIX ს. არზრუმის მხრიდან გადმოსახლებული ბერძნების მიერ აშენებული წმ. ილიას ეკლესია.

გორა – სოფელი ვანის რაიონში (ზედა და ქვედა გორას ძვ. სახელწოდება). აქ დგას ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკური ეკლესია.

გორგაძე სერგი (1876-1929) – საეკლესიო მწერლობის ძეგლების ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი. მისი მთავარი ნაშრომებია: „ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში (1901)", იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება" (1917), ნეშესოს ემესელის „ბუნებისათვს კაცისა" (1914), ქრესტომათია: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პროზა (1915 წ.) და სხვ.

გორგიჯანიძე ვთავაპარეპისკოპოსი – XVI ს. შუა წლების ქართლის მთავარეპისკოპოსი. იხსენიება ლუარსაბ I ქართლის მეფის განჩინების ნუსხაში „კათალიკოზისა და წილნაღლის მამულის საქმეებზე" (ცსსა ფ. 1449, № 1591), როგორც საბჭოს წევრი: „დავსხედით ბრჭენი: ჩვენ, მეფე ლუარსაბ, პატრონი მთავარეპისკოპოსი გორგიჯ, პატრონი ტფილელი დომენტი" და ა. შ.

გორგიჯანიძე შარასადან (1626-დაახლ. 1696) – ქართველი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. აღიზარდა ქართლის მეფის; როსტომის კარზე. შარასადანი გამამადიანების შემდეგ ასრულებდა ისპაჰანის მოურავის მოვალეობას. 40 წლის განმავლობაში იგი იმყოფებოდა ირანის შაპების – აბას II-ისა და სულეიმანის კარის სამსახურში. გორგიჯანიძეს დაუწერია „საქართველოს ისტორია", რომელიც მას 1696 წ. დაუმთავრებია. თხზულებაში აღწერილია საქართველოს ისტორია გაქრისტიანების დროიდან XVII ს. მიწურულამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVI-XVII სს. ისტორიის მომცველი ნაწილი, როგორც პირველხარისხოვანი წყარო. ნაშრომი უფრო ადრინდელი პერიოდის ამბების გადმოცემაში ბევრგან აზუსტებს

და ავსებს ქართულ წყაროებს („ისტორიანი და აზმანი“, „ჟამთააღმწერელი“ და სხვ.) გარდა ქართულისა, გორგიჯანიძე სარგებლობდა სომხური და სპარსული წყაროებით, განსაკუთრებით სპარსელი ისტორიკოსის – ისქანდერ მუნშის ნაშრომით. გორგიჯანიძე წერდა ხალხური კილოთი. მას ეკუთვნის აგრეთვე „ჯაბაბასის“ (მუსლიმანთა სიმართლის წიგნი) ქართული თარგმანი. მის მიერ შედგენილი ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი ერთ-ერთი უძველესი ქართულ-უცხოენოვანი ლექსიკონთაგანია.

გორი – ქალაქი შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, მდ. ლიახვისა და მტკვრის შესართავთან, თბილისიდან 76 კმ. გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. სახელწოდება წარმოდგება ქალაქში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან, რომელზედაც გაშენებულია ძველი ციხე-სიმაგრე. ციხის სამხ.-აღმ. მონაკვეთში პატარა ეკლესიის ნანგრევებია.

გორთან ახლოს, გორიჯვარში არის შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია, რომელშიც იმართება წმ. გიორგის დღესასწაული „გოროჯლობა“. ცნობილია გორიჯვრის წმ. გიორგის XII-XIII სს. მოჭედილი ხატი და კახთა მეფის, ალექსანდრეს (1584-1605) შეკეთით დამზადებული საკურთხეველის წინ აღსამართავი ჯვარი.

გორი – ადგილი ამბროლაურის მიდამოებში. ქვიშაქვის ფილაზე ამოკვეთილი XI ს. წარწერა ალრე ეკუთვნოდა წმ. გიორგის ეკლესიას და სამენ მასალად ხელმეორედ გამოუყენებიათ XVIII ს. ეკლესიის აშენებისას. ფილა მოთავსებულია ეკლესიის აღმ. ფასადში, სამხ.-დასავ. კუთხის ქვების წყობაში. დაზიანებული წარწერა იკითხება ასე: „წმ. გიორგი შეიწყალე ა..და სოფელი ესე“ (37 X; 30 X 13. ლაპ. წარწ. II).

გორისუბანი – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარცხ. მხარეს, ამბროლაურიდან 17 კმ. სოფელში დგას წმ. ბარბაღეს დარბაზული ეკლესია, რომელიც წარწერებისა და ორნამენტების მიხედვით მიეკუთვნება XI ს. I ნახ. ეკლესია მოპირკეთებული ფოფოლა შირიმის ქვით. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია კანკელისა და მოხატულობის ფრაგმენტები.

გორიჯვარი – სამღვიანი ბაზილიკა VI ს. II ნახ.-ისა, აღმართული ალაზნის ეკაზე, მდ. ღურულას (ალაზნის შენაკადი) ნაპირას სოფ. ახმაანიდან (ახმეტის რაიონი) 1 კმ. მანძილზე. კომპლექსში შედის სამრეკლო და გალავანი. ბაზილიკას აქვს ნალისებრი ფორმის აბსიდი. VI ს-შიეკა აგებული გარეშემოსაველე. ბაზილიკა რიფის ქვითაა ნაგები. სამრეკლო, დასავლ. კედლის მხატვრობა და მოხატულობის ფრაგმენტები გარეშემოსაველში, შესაძლოა, მიეკუთვნოს XV-XVII სს-ებს.

გორისჭრობა – წმ. გიორგის სხენების დღესთან დაკავშირებული დღესასწაული, რომელიც იმართებოდა გორის მახლობლად გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიასთან გაზაფხულსა და შემოდგომაზე. მლოცველები მოდიოდნენ გორიდან, ატენის, დიდი და მცირე ლიახვის ხეობებიდან, კახეთიდან და სხვ. გორიჯვარს აკადმყოფთა განკურნების სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. ეისაც გორიჯვრის წყეროზე, ეკლესიასთან არ შეეძლო ასვლა, ის გორის ძირში მდგომ გორიჯვრის ნიშთან ლოცულობდა. 1920 წ. გორიჯვრის ეკლესია მიწისძერებმა დააზიანა, მაგრამ დღესასწაული კიდევ დიდხანს იმართებოდა.

გორიჯიანი – სოფელი მცხეთის რაიონში, მცხეთიდან 9 კმ-ზე. სოფელში შემორჩენილია XII-XIII სს. ბაზილიკური ეკლესია.

გოსტიბე – სოფელი კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდის მიდამოებში, მდ. თეძმის მარჯვენა შენაკადის – გოსტიბესწყლის ხეობაში. აქ არის X-XI სს. ეკლესია ლაპიდარული წარწერებით. ეს ადგილი ცნობილია გოსტიბეს სამაროვნის სახელით.

გოხნარი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ბზისწყლის (ალგეთის მარჯ. შენაკადი) ხეობაში, თეთრიწყაროდან 60 კმ. სოფლის მიდამოებში, ლაკის ხეობაში დგას ნახევარწრიული აბსიდით დასრულებული ერთნავიანი ეკლესია. სამხრეთის კარის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერის მიხედვით, აშენებულია XI ს-ში. ეკლესია მოპირკეთებულია ბაზალტის თლილი ფილებით. შიგნით ყოფილა მოხატულობა, სარქმელთა სასრეველზე შემორჩენილია ჩუქურთმები.

„გრდემლი“ – ბესარიონ კათოლიკოსის (ორბელიშვილის) პოლიტიკურ-პოლემიკური თხზულება კათოლიკობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ. თხზულება ბესარიონს ბერძნაზენობისას დაუწერია, როდესაც იგი დავითგარეჯის უდაბნოში მოღაწეობდა, ე.ი. 1729 წლამდე, იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის, კაპუცინის ფრანცისკო ბოლონიელის დახმარებით. თხზულება შეიცავს კათოლიკობის დოგმატთა და საეკლესიო წესთა განქიქებას. „გრდემლის“ დაწერის ძირითადი მიზანი ის იყო

რომ ამ პერიოდში კათოლიკობის პროპაგანდა საქართველოში ძალზე გაძლიერებულა. თხზულებაში წარმოდგენილია ისტორიული სურათი რომის ეკლესიის თანდათანობით განდგომისა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიისაგან, ვიდრე ფლორენციის კრებამდე (ხელნაწერები: S 3269; A 119).

გრემი – სოფელი ყვარლის რაიონში, ალაზნის ველზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ყვარლიდან 16 კმ. გრემი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია კახეთში. 1466 წ. იგი კახეთის დედაქალაქი გახდა. გამოირჩეოდა ქალაქის აღმოსავლეთით, მაღალ გორაზე ციტადელში აღმართული გრემის მთავარანგელოზთა ჯვარ-გუმბათიანი ტაძარი, რომელიც 1565 წ. ააგო კახთა მეფე ლევანმა. მოხატვა დაუმთავრებიათ 1577 წ. გეგმით სწორკუთხა შენობა აგებულია აგურით, აქა-იქ რიყის ქვაც გამოუყენებიათ. ფასადები დაფილია სამ-სამ თალავან მონაკვეთად. ასეთივე შეისრული თაღები აშენებს რვასარკმლიან გუმბათს ყელსაც. ინტერიერში დასავ. კედელზე დახატულია მაშენებლის ფრესკა ეკლესიის მოდელით ხელში. გრემის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა (1939-49 და 1963-67 წწ.) ბევრი საინტერესო საერო და საეკლესიო ნაგებობა გამოაჩინა. გრემში იყო ეპისკოპოსის რეზიდენციაც. ძვ. ქალაქის დასავ. ნაწილში იყო გალავანშემორტყმული აგურის ეკლესია, ე. წ. „თარსა გალავანი“, აგებული XVI ს-ში.

გრემის ახლოს, 6-7 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ბოლნისის ხევის (ინწობას შენაკადი) ხეობაში დგას ადრე შუა საუკუნეების წმ. ევსტათეს სამნავიანი ბაზილიკა. შუა ეკლესია დანგრეულია (15,85 X 7,40) ჩრდილო ეკლესიიდან გადარჩა ჰსიდი და ერთი, თითქმის კედლატული საკრძენი, ეკლესიის გარე სამხრეთ კედლიდან თითქმის აღარაფერია დარჩენილი.

გრიგოლი – X ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, მოწაფე ბასილი ახლისა († 946 წ.). გრიგოლს დაუწერია თაყვის მოძღვრის „ცხოვრება“, რომლის ქართული თარგმანი შეინახულია ხელნაწერში A 617.

გრიგოლი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ქართლის მთავარეპისკოპოსი დაახლ. V ს. I ნახევარში, არჩილის მეფობის დროს.

2. თბილისის მიტროპოლიტი XIII ს. II ნახევარში. გრიგოლი ამტკიცებს 1260 წ. კახთ თორელის შეწირულების „დაწერილს“ რკონის მონასტრისადმი (Sd 2859).

3. დრანდის ეპისკოპოსი XIII ს. მიწურულისა და XIV ს. დასაწყისში. გრიგოლისათვის აღაპი განუწესებია იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის ძმობას, როგორც ეს ჩაწერილია საადაპე სვინაქსარში (Jer. 24-25, XI ს.), XIII ს. მიწურულისა და XIV ს. დასაწყისის ხელით: „კორციელისა კურიაკესა საუკუნოჲ აღაპი და წირვაჲ პანაშჳდისა... გრიგოლ დრანდელ ეპისკოპოსისაჲ“ (აღ. № 306, ე. მეტრეველი, მასალები... გვ. 107).

4. სამთავისის ეპისკოპოსი XV ს. შუა წლებში. 1459 წ. გრიგოლ სამთაველ ეპისკოპოსისათვის სამთაისის სამწყსოს, ცხრაზმის ხევის კრებულსა და მამასახლისებს მიერთმეული საყანონო წიგნი (Ad 559 და Ad 604).

5. თბილისის მიტროპოლიტი და მანგლისის ეპისკოპოსი XV ს. შუა წლებში. იგი მოხსენიებულია 1442 წ. სიონის ერთ სიგელში (ქრონიკ. II, 253).

6. ალავერდის ეპისკოპოსი XVII ს. II ნახევარში (ჩოლოყაშვილი). ცნობილია გრიგოლის წყალობის წიგნი კრილე ბოდბელისადმი, რომელიც 1670 წ. არის დაწერილი: „ძემან სახლისუხუცესის რევაზისამან ანბა ალავერდელმან პატრონმან გრიგოლ... გიბოძეთ თქუენ ბოდბელსა კოზმანაშვილსა ბატონსა კრილეს... (ცსსა ფ. 1448, საბ. № 123). 1667წ. არჩილ კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ქეთევანი შეურთავს გრიგოლის ჩარევით: „ქორონიკონსა ტნი (1667 წ.) კახთ ბატონს მეფეს არჩილს კახნი და ალავერდელი გრიგოლ შეადგა და ბატონის თეიმურაზის შვილიშვილი ქეთევან შერთო“ („ცხოვრება საქართველოჲსა“, პარიზის ქრონიკა, გამოც. ალასანიასი, თბ., 1980, გვ. 117).

7. გელათის მიტროპოლიტი XVII ს. II ნახევარში. იგი არის მოწმე დეისმა ჯაიანის მიერ კათოლიკოს დავითისადმი მიცემული ფიცის წიგნისა (Hd 11208).

8. თბილისის მიტროპოლიტი XVII ს. II ნახევარში. გრიგოლს გაურიგებია დაეა წინარეხელებისა სარწყავი წყლის თაობაზე (ცსსა, 1449, 4821; 1661-1688 წწ.).

9. ხარჭაშოს ეპისკოპოსი XVII ს. ბოლო მეოთხედში (ერისთავი). მოიხსენიება 1690-1693 წწ. ერთ საბუთში (Sd 759).

10. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1629-1639 წწ.

11. ცაიშის ეპისკოპოსი XVII ს. მისი ბრძანებით დამზადდა სახარება (ე. თაყაიშვილი, არქ.

მოგზაურობანი და შენიშვნები, II, გვ. 187-189).

12. ჭყონდიდის მიტროპოლიტი XVIII ს. I ნახევარში, სამეგრელოს მთავარის, ბეჟან დადიანის ძე. გრიგოლი ხელს აწერს სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრების 1761 წლის განწესებას ხონის ტაძრის გამოსაულის თაობაზე (ცსსა ფ. 1488, № 4444), მაქსიმე კათოლიკოსის 1776 წ. შეწევნების წიგნს კაცია ჩიჩუას მიმართ (ცსსა, ფ. 1448, № 344) და სააზატო წიგნს (ცსსა, 1448, № 8798). გრიგოლი გარდაიცვალა 1777 წ., როგორც ეს ერთ ქრონოლოგიურ ცნობაშია ნათქვამი: „ჩლოზ" (1777 წ.) მიიცვალა დედოფალი მარიამ. ამავე წელს მიიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლ (A 1194, მინაწ.)

13. ჭერემის ეპისკოპოსი, ჭერემელი, XVIII ს. I ნახევარში. გრიგოლი კახეთის სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერს ვახტანგ VI-ისათვის 1720 წ. მიცემულ ფიცისა და პირობის წიგნს (Hd 1433).

14. ცაგერის ეპისკოპოსი, XVIII ს. შუა წლებში. მისი ბრძანებით ნიკოლოზ ჩხატარაძეს დაახლ. 1728-1758 წწ. შორის გადაუწერია თველი A 1470.

15. ცაიშის მიტროპოლიტი, (ჩიქოვანი), XVIII ს. ბოლოს და XIX ს. I ნახევარში. გრიგოლი მოხსენიებულია მის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში (Hd 20549, XVIII ს. II ნახ.), რომელსაც აქვს მისი ხელრთვა: „ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ". გრიგოლმა გაანახლებინა და შეაკერებინა ცაიშის XVI ს. ცნობილი გულანი (დაცულია ზუგდიდის მხარეთმცოდნ. მუზეუმში, № 13), ზუგდიდის წმ. გიორგის ეკლესიისათვის დაუმზადებია და შეუწირავს ბარძიმი 1821 წ. „გრიგოლ ცაიშელი, ძე კაკაჩი ჩიქოვანისა მიიცვალა 15 ნოემბერს, 1823 წ. შეშვიდმად 47 წ" (ქრონიკ. III, 519).

ბრიგოლი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი VIII ს. მეორე ნახევარში, დაახლ. 776-800 წწ., როგორც ეს აღნიშნულია ამ მონასტრის წინამძღვართა XVII ს. ხელნაწერით შემონახულ სიაში: „გრიგოლ კდ წელ" (ქრონიკ. I, 74).

2. მოხსენიებულია წრომის ეკლესიის სტეფანწმინდელის IX ს. წარწერაში: „ესე ჯვარი... მე მამასახლისმან გრიგოლ ზედა აღვმართე" (ლაპიდ. წარწ. I, 132).

3. შატბერდის მონასტრის X ს. I ნახევრის მოღვაწე (შირდატის ძე). გრიგოლის დაკვეთით გაბრიელ შატბერდელს 936 წ. გადაუწერია ცნობილი ჯრუჭის სახარება (H 1660). ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ქალითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევნაჲთა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს ქალითა უცხად შრხრეალისა გაბრიელისითა".

4. სინის მთის X ს. ქართველი მოღვაწე. გრიგოლს მოუპოვებია (იოანე კუმურდოელის დახმარებით) თეოდორე პალავრელის თაოსნობით საბაწმიდაში დამზადებული კრებული, რომელიც სინის მთაზე მოხვედრილა (Sin. 40, X ს.). ხელნაწერის მინაწერებში გრიგოლი აღნიშნავს: „მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ-ღირს მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსულად... მუნ მოვიგე წმიდანი ესე... იადგარნი გამოკრებულნი სასწაულებად ჩემდა უცბისა, რომელმან ამათი შრომაჲ თაჳს იდვა და მოიგნა... იოანე კუმურდოელი ქრისტემან შეიწყალენ (253r-254r).

5. ოლიმპოს (ქართული წყაროებით „ულუმბოს") მთის ქართველი მონაზონი. მისი დავალებით მის მოწაფეს საბა კუტს 978 წ. გადაუწერია „ვამოცხადებაჲ წმიდაჲსა მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა იოანესი" და ანდრია კესარიაკაპადუკიელის ამავე თხზულების „თარგმანებაჲ", რომლის შემცველი ხელნაწერი H 1346 ნუსხურით შესრულებულ თარგიან ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესია: „ღირს ვიქმენ მე... საბა კუტი დაწერად ქალითა ჩემითა... ბრძანებითა სულიერისა მოძღვრისა ჩემისა გრიგოლისითა... დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმბოს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ლავრასა შინა, სახელით კრანაჲს... დასაბამითგანი წელნი იყვნეს სეაჲ" (658-5604 978), ქრონიკონი იყო რჟთ" (198 + 780 = 978).

6. ოლიზელი მონაზონი. IX-X სს. მას გადაუწერია ოლიზის (ათონის) 913 წლის სახარება (Ath. 83), რომელიც დღესაც ინახება ათონის მთის ქართველთა მონასტრის წიგნსაცავში. ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლისმცემლისასა ოლიზას და ქრონიკონი იყო რლგ (133 + 780 = 913 წ.).

7. XI ს. ჰალაერის (იერუსალიმის მახლობლად), ანუ ხარიტონის ლავრის (ხარიტონწმიდის) ქართველი მონაზონი. ერთ-ერთი ხელნაწერის (H 1662) ანდერძი გვამცნობს: „მე, გლახაკმან და ჭირად ცოდვილმან გრიგოლ ხარიტონწმინდელმან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყოფელსა შინა

წმიდისა მამისა ხარიტონისსა, პალაურას, ძუელსა მონასტერსა, კელითა ფრიად ცოდვილისაჲთა, ქრონიკონსა სჲ“ (260 + 780 = 1040). ეს ხელნაწერი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა ცხოვრებებს, გრიგოლს შეუწირავს იერუსალიმის ქალთა საკანე დერტაუისათვის: „მე, ბერმან გრიგოლ, შეწირე წმიდაჲ ესე წიგნი... მონასტერსა დედათასა დერტავს“ (H კოლექც. ხელნაწ. აღწერ. IV, 86-89).

8. სინის მთის XI ს. II ნახევრის ქართველი მონაზონი. იგი სხვა ქართულ ცოდვილებთან ერთად მოხსენიებულია 1074 წ. მიქაელის მიერ გადაწერილი სახარების (Sin.19) ანდერძში.

9. პეტრწმინის ქართული მონასტრის პირველი წინამძღვარი (ვანელი), დაღგენილი მონასტრის დამაარსებლის, გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1083 წელს.

10. მოხსენიებულია ხონის ეკლესიის სამრეკლოს XI-XII სს. წარწერაში: „ჯუარი ქრისტესი. ქრისტე შეუნდე გრიგოლ მოძღუარსა“ (შეიძლება „გაბრიელი“ იყოს. ლაპ. წარწ. II, 160).

11. წმ. კვირიკეს მონასტრის (არაგვის ხეობაში) ბერი. იგი მოწმე და დამწერია წმ. კვირიკეს მონასტრისათვის მიცემული, XII-XIII სს. მოჯვნაზე დაწერილი შეწირულების წიგნისა (A 281, 4r-5r).

12. მოხსენიებულია სინის მთის ქართული მონასტრის XIV ს. სულთა მატიანეში (Sin. 77): „ჯუარისწსა გრიგოლს სახოსტრისა დეკანოზსა შეუნდოს ღმერთმან“ (204r). როგორც ჩანს, გრიგოლი ჯარძის მონასტრის მოღვაწე ყოფილა.

13. მოხსენიებულია სინის მთის XIV ს. სულთა მატიანეში (Sin. 77): „სულსა ბერისა გრიგოლისა შეუნდოს ღმერთმან (202 r).

14. ვანის მონასტრის მწაოე XIV ს. მიწურულში. ის არის შწირველი 12 საუფლო დღეებში ჩაისარ თმოგველის ასულის, გულშარისა, რომელმაც სამნათოდ შესწირა თაესი ეგვტერი ვანის მონასტერში და მამულები (Ad 933).

15. ათონის ქართველთა მონასტრის ბერი (დრელის ძე) დაახლ. XV-XVI სს. პარაკლიტონის (Ath. 26) ანდერძში გრიგოლი ამბობს, რომ ეს ხელნაწერი გაადაწერინა „ბერმან ცოდვილმან გრიგოლ დრელის ძემან... ალალითა ქონებითა და მოჭირვებითა“.

16. XVI ს. დასაწყისის მღვდელი. მოხსენიებულია 1509 წ. ერთ საბუთში (Sd 136).

17. თბილისის „ქალაქის ცხოვრების“ მღვდელმონაზონი, დეკანოზი XVI ს. დასაწყისში. მოხსენიებულია 1607-1609 წწ. ფარსადან და შურმაზან ჯაჯანიშვილების მიერ გიორგი საკაძისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (Hd 1490).

18. იერუსალიმის ჯუარის ქართველთა მონასტრის დიაკონი XVII ს. შუა წლებში. 1649 წ. გრიგოლ მონასტრის წინამძღვრის, ნიკოლოზის (ჩოლოყაშვილის) ბრძანებით შეუკაზმავს XI ს. თუენი (H 2339). გრიგოლ დიაკვნის ანდერძში, რომელიც ამ ხელნაწერს ერთვის, აღწერილია ჯუარის მონასტრის მძიმე მდგომარეობა ამ დროს.

19. მცხეთის კანდელაკი XVII ს. II ნახევარში. გრიგოლი მოწმეა 1696-1698 წწ. გაცემული რამდენიმე საბუთისა: (Qd 7025, 1697 წ., ცსსა, ფ. 1448, №5060, 1696-1698 წ.; Sd 407 და სხვ.).

20. სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის მგალობელი XVII ს. მიწურულში. ის მოხსენიებულია 1698 წ. ერთ საბუთში (სახლის ნასყიდობის წიგნში – ცსსა, ფ. 1450; № 2690, 1698 წ.).

21. სიონის კანდელაკი XVII ს. მიწურულში. გრიგოლს 1692 წ. გადაუწერია ნიკოლოზ და გიორგი მახარობლიშვილების მიერ იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსათვის მიცემული თაეშწირულობის წიგნი (ცსსა ფ. 1449, № 1838).

22. ათონის მთის „მღვიძარეთა დაყუდებულთა ადგილის“, კაფსოკალივის ქართული ბერი (კახი) XVIII ს. შუა წლებში. მის შესახებ ცნობა დაუცავს ტიმოთე მთაწმიდელ-პაპოსს (გაბაშვილს) ათონის მთაზე მისი 1755-1758 წწ. მოგზაურობის აღწერაში („მიმოსელა“, გვ. 0149-0150).

23. კახეთის სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში. ცნობილია გრიგოლ წინამძღვრის 1790 წ. წყალობის წიგნი პეტრე მღვდლისადმი, რომელიც მას იყალთოს ეკლესიის მღვდლად განუწესებია (Ad 540). გრიგოლი წინამძღვრად ყოფილა 1800 წლამდე, რადგან ამავე საბუთს 1800 წ. ამტკიცებს ახლადგანწესებული კარის ეკლესიის წინამძღვარი ევლევთერი.

24. XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასწყისის დეკანოზი (ცამციშვილი). მას რუსულიდან ქართულად უთარგმნია „საღმრთო ლიტურგია... იოანე ოქროპირისა“, რომელიც რუსულად შეუდგენია იოანე დმიტრიევსკის. მას წირვის წესიდან ამოუღია მღვდლის მიერ საიდუმლოდ წასაკითხავი ლოცვები, სამგვეროდ დაუმატებია ცნობები, თუ როგორ უნდა მოიქცეს მრევ-

ლი და რა დროს რა ლოცვა უნდა თქვან საიდუმლო ლიტურგიაზე და სხვ. გრიგოლის თარგმანი შესულია H 1416 ხელნაწერში (6r).

ბრიგოლი – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის, ოსტატთა: მშენებლის, მხატვრისა და ოქრომჭედლის სახელი:

1. ოშკის ტაძრის მშენებელი, X ს. მოღვაწე. ტაძრის სამშენებლო წარწერის მიხედვით, რომელშიც მშენებლობის ინიციატორად ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსია დასახელებული, გრიგოლი მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელი ყოფილა: „მე, გრიგოლ ღრს მყო ღმრთისთვს შსაწერებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი“. ეს წარწერა 958-961 წწ. თარიღდება. მუხლმოდრეკილი, ხელებაპყრობილი გრიგოლი გამოსახულია ტაძრის სამხრეთის გალერეაში, რელიეფებიან ბოძზე. ედრების კომპოზიციის ქვეშ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გრიგოლი შეიძლება ლიტერატურაში ცნობილი გრიგოლ ოშკელი (იხ.) იყოს.

2. სინის მთის XI ს. მოღვაწე და კალიგრაფი. გრიგოლს გადაუწერია XI ს. პატერიკი (Sin. 8).

3. XI ს. შატბერდის მონასტერში მოღვაწე კალიგრაფი (ეაჩეძორელი). მას გადაუწერია ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“ და გრიგოლ ნოსელის „დამადებისათჳს კაცისა“ (A 73): „დაწერა დიდსა ლავრასა შატბერდს, საფოველსა წმიდისა ღმრთისმშობელისა, კელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლ ჯარეძორელისაჲთა“.

4. XI ს. II ნახევრის ხუცესი და კალიგრაფი. მას 1066 წ. შაჲი მთის ეზოს მონასტერში გადაუწერია დიდი სვინაქსარი (Jer. 75), რომლის ანდერძი გვამცნობს, რომ ის გადაწერილია „მონასტერსა სანატრელისა მამისა ეზოჲასა კელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისაჲთა“.

5. XII-XIII სს. კალიგრაფი (ჩახრენაძის ძე). მას გადაუწერია „დიდი სჯულისკანონის“ XII-XIII სს. (ქუთ. 25) ხელნაწერი. გრიგოლ ჩახრუხაისძის ანდერძი, რომელიც მას ამ ხელნაწერისათვის დაურთავს, შნიშნელოვანი წყაროა ამ დროის ქართული საზოგადოებრივი ისტორიისათვის. თუნდაც ის ფაქტი, რომ მხოლოდ ამ ანდერძით არის ცნობილი, რომ „დიდი სჯულისკანონი“ ბერძნულიდან ქართულად არსენ იყალთოელმა თარგმნა (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 541, სქ.).

6. XIII ს. კალიგრაფი, რომელსაც იერუსალიმში, აღდგომის ეკლესიაში გადაუწერია სახარება და თაჟის სამშობლოში – სვანეთში გამოუგზავნია. დღეს ეს ხელნაწერი სოფ. ლაპილში ინახება. გრიგოლი სვანი ყოფილა, იოანე ქცხიანის შვილი.

7. XIV ს. I ნახევრის კალიგრაფი. მას პეტრიწონის ქართველთა მონასტერში დაახლ. 1300-1340 წწ. მონაკვეთში გადაუწერია პაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებული (H 1760): „დაწერნეს ესე დღესასწაულთა საკითხაჲნი მონასტრსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა პეტრიწონს– კელთა მდაბლისა გრიგოლისთა“ (248).

8. XVI ს. კალიგრაფი. გრიგოლის მიერ 1538 წ. გადაწერილი მარხვანის (H 1698) ანდერძის მიხედვით, იგი სამცხიდან, აწყურიდან იყო, აღზრდილი აწყურისაჲე მონასტერში. იგი დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა. ხელნაწერი ფრიად წერილი, ლამაზი ნუსხურითაა ნაწერი, სინგურის საზედაო ასოებით შემკული.

9. XVIII ს. მხატვარი და ოქრომჭედელი. მას განუახლებია შემოქმედის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ქაიხოსრო გურიელს საათაბაგოდან შემოუქმედში ჩაუბუსენებია. ხატის ზურგის წარწერაში, რომელშიც ხატის თაყვანისავალია მოთხრობილი, ნათქვამია: „...მოიხსენე უსტა ამის მხატვარი და ოქრომჭედელი გრიგოლი, ამინ“.

10. ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი და მხატვარი (მესხიშვილი) XVIII ს. I ნახევარში; XVIII ს. II ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ალექსი მესხიშვილის მამა.

ბრიგოლ I დიდი (დიალოღონი) – რომის პაპი 590-604 წლებში (დაიბ. დაახლ. 540 წ.). გრიგოლი ძველი რომაული პატრიციების (ანციუსების) გვარიდან ყოფილა, რომელი სენატორის ძე. მიიღო იურიდიული განათლება. 572-574 წწ. იყო რომის პრეფექტი. მან საფუძველი ჩაუყარა პაპების საერო ხელისუფლებას და განამტკიცა პაპობის პრიმატი დასაწყებ ქვეყნებზე. მან ქრისტიანობის გასავრცელებლად 594 წ. მისიონერები გაგზავნა ბრიტანეთში – ანგლოსაქსებთან.

გრიგოლი ცნობილი საეკლესიო მწერალიცაა. მის კალამს მრავალი თხზულება ეკუთვნის.

გრიგოლისათვის ეპისტოლე მიუწერია ქართლის კათოლიკოსს კირიონს. შემონახულია პაპის საპასუხო ეპისტოლე დაახლ. 598 წლისა. მიმოწერა ეხება ნესტორიანელ მწყალებლობას.

გრიგოლ პაპის ცნობილი თხზულება „დიალოღონი“, რომელიც გრიგოლის ზედწოდება გახდა („დიალოღონი“) ბერძნულიდან უთარგმ-

ნია ეფთვიმე მთაწმიდელს 1011 წ (ხელნაწერები A 67; A 167; A 238; A 800; A 1103).

ბრიგოლ აპრაპანტელი (დაახლ. 638 წ.) – სიცილიის ქ. აკრაკანტის (აგრიგენტუში) ეპისკოპოსი. იერუსალიმში პალეგრიმობის დროს დიაკვნად ეკურთხა იერუსალიმის პატრიარქის მიერ. რომში ყოფნის დროს აკურთხეს ეპისკოპოსად. მოღწეულია მისი თხზულება ბერძნულად „ეკლესიასტეს კომენტარები", რომელიც XIIს-ში ქართულადაც ითარგმნა. მისი ცხოვრება და საკრებულებანი აღუწერია ლეონ ხუცესს (VII ს.), რომის პაპას ლავრის მონაზონს. ამ თხზულების ქართული თარგმანი ეკუთვნის X ს. მთარგმნელს – დავით ტბელს X ს.; (Jer. 3, XI ს. 139-211; S 384, XI-XII სს.) გრიგოლი საკმაოდ ცნობილი ყოფილა ქართულ საეკლესიო წრეებში. მაგ., ბასილი ზარზმელი თავის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ახსენებს მას: „აკრაკანტელთა ნათელი გრიგოლ" (ძეგლები, I, 338,18).

ბრიგოლ ანტიოქელი – ანტიოქიის პატრიარქი და საეკლესიო მწერალი. გრიგოლს დაუწერია: 1. სტეფანე პირველმოწამის „წამება" (A 95, XI ს. 108-115, Ath. 8, X ს. 17-210. 2. ამაღე მოწამის „შესხმა" (Ath. 8, 21-25). ორივე თხზულება ქართულად თარგმნილია X ს-მდე.

ბრიგოლ ბაკურიანის ძე – XI ს. ქართველი დიდებული, ბიზანტიის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, ყურ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ დასავლეთის დიდ დომესტიკოსი, პეტრწონის (იხ.) ქართული მონასტრის დამაარსებელი. 1083 წ. ათონის იერთა საკანის „სახედ და ხატად" აშენა მონასტერი თავის მამულში, სოფ. ბაჩკოვოსთან (ბულგარეთში). პეტრწონის მონასტერი შეხლად ქართველ ბერთათვის იყო განკუთვნილი. ათონისა და სირია-პალესტინის ქართულ საკანთა მწარე გამოცდილებამ გრიგოლს უკარნახა, რომ პეტრწონში ბერძენთა დაშვება აეკრძალა. მან თავის მონასტერს კტიტორული ტიპიკონი განუწესა, რომლის ტექსტი თვითონ გრიგოლის შედგენილი ჩანს და გამოირჩევა ისტორიულ-კულტურული ფაქტების სიმრავლითაც, იურიდიული ძეგლისათვის მოულოდნელი არაოფიციალური ენით (იხ. ქართ. სამართლ. ძეგლები, III, 35-105). ათონის ქართული მონასტრისათვის გრიგოლს დიდძალი ქონება შეუწირავს, რისთვისაც მას აღაჰი აქვს დადებული 25/I (ე. მეტრეველი,... საღაპე წიგნი, გვ. 143-144).

გრიგოლი 1086 წ. დაღუპულა პაჭანაკებთან შეტაკების დროს. მისი ფრესკული გამოსახულება (ძმასთან – აბაზ ბაკურიანის ძესთან ერთად) მოთავსებულია მონასტრის სამკვალეში.

ბრიგოლ განძანათლებელი (პართველი) – სომხური ეკლესიის დამაარსებელი და მისი პირველი (IV ს. I ნახ.) ეპისკოპოსი. სომხურ ეკლესიას ზოგჯერ „ქრიგორიანულს" უწოდებენ გრიგოლის სახელის მიხედვით.

სპარსეთის მეფემ შაისყოდა გრიგოლის მამა ანაკი, რომელმაც მოკლა სომხეთის მეფე ხოსრო, რისთვისაც თვითონაც მოკლეს, ხოლო მისი ოჯახი ამოწყვიტეს. გადარჩა მხოლოდ მისი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც ქრისტიანმა ბიძამ თავის სამშობლოში – კაპადოკიის კესარიაში გაასარა. აქ ბაეში ქრისტიანად მონათლეს გრიგოლის სახელით. გრიგოლმა ქრისტიანული აღზრდა მიიღო და დაქორწინდა, მაგრამ მალე გასცილდა მეუღლეს, რომელიც მონასტერში აღიკეცა, და რომში ჩაეიდა, სადაც მამამისის დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით ეშახურებოდა ხოსროს ძეს თრდატს. რომაელთა დახმარებით თრდატი მალე სომხეთის მეფე გახდა. თრდატმა ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებისათვის ბევრი აწამა გრიგოლი, ხოლო ბოლოს ხაროი დაამწყვდია, სადაც 13 წლის განმავლობაში იტანჯებოდა. თრდატ მეფე ცოდმა შეიპყრო და მხოლოდ გრიგოლის ლოცვამ მოარჩინა, რის შემდეგაც თრდატმა ქრისტიანობა აღიარა და სომხეთის გაქრისტიანების შეუდგა. გრიგოლი სომხეთის ეპისკოპოსად აკურთხეს. 331 წ. მან თავის კათედრაზე შეიღი დასვა, თვითონ კი განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა. მალე გარდაიცვალა.

გრიგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აშსახველი ცნობები შემონახულია აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიაში", რომელმაც ჩვენამდე ინტერპოლირებული ვერსიით მოაღწია. მის საფუძველზე შეიქმნა გრიგოლის „ცხოვრების" ბერძნული და არაბული ვერსიები. სვიმეონ ლოგოთეტის მიერ შექმნილი მეტაფრასული თხზულება ქართულად თარგმნილია ორჯერ: პირველი მთარგმნელი უცნობია (S 384, XI-XI სს.), მეორე კი თეოფილე ხუცესმონაზონი (Ath. 20, XI ს.). ანტონ I-მა თავის „მარტრიკაში" შეიტანა მისივე შედგენილი (ძველ ქართული თარგმანისა და დიდ სეინაქსარში შეტანილი წამების მიხედვით) „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუდელმოწამისა გრიგოლ დიდისა სომხითისა ეპისკოპოსისა" (ძეგლები VI, 370-428). გრიგოლ პართველი უძველეს ქართულ მწერლობაშიც მეტად

პოპულარული წმინდანია VII-X სს. წყაროების მიხედვით. გრიგოლის სხვება ჯერ კიდევ „იერუსალიმის განჩინებაში" გვხვდება, ხოლო მისადმი მიძღვნილი საგალობლები – X ს. იადგარებში ჩეულებრივი მოვლენაა.

გრიგოლ დიაკონი – დახლ. VIII ს. I ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც დაუწერია მოკლე თხზულება „წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ", როგორც ეს დადასტურებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ჭელიშურ ვერსიაში, სადაც ლაპარაკია მცხეთაში ნინოს და მირიანის დროს ჯვრის აღმართვის შესახებ: „ეითარცა სწერია გრიგოლ დიაკონს მცირესა მას, მოკლედ აღწერილსა წიგნსა ქართლისა მოქცევისასა" (ძეგლ. I, 86). ფიქრობენ, რომ გრიგოლის თხზულება, თუ მთლიანად არა, ფრაგმენტული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი წმ. ნინოს „ცხოვრების" შატბერდული ვერსიის მე-14 თავში, რომელსაც ეწოდება „აღმართებაჲ პატიოსანისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ" (გვ. 153). რადგან „იერუსალიმის განჩინებაში" ანუ „ანარში", რომელიც IX ს-ის დამდეგს ქართულად ითარგმნა, შეტანილია მცხეთის ჯვრის დღესწაული, საფიქრებელია, რომ ამ დროს არსებობდა ამ დღესწაულის „საკითხაული" და იგი გრიგორ დიაკონის თხზულება უნდა ყოფილიყო.

გრიგოლ კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი დახლ. VIII ს. II ნახევარში. მოიხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს კათოლიკოსების სიაში, ცოლოსანი კათოლიკოსების ჩამოთვლის შემდეგ, მეორე უცოლო კათოლიკოსი (ძეგლები, I, 97, 31).

გრიგოლ კათოლიკოსი (ლორთქიფანიძე) – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დახლ. 1696-1742 წწ., ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. გრიგოლმა აღადგინა საკათოლიკოსოს დაცემული მეურნეობა, დაიბრუნა ოღოშის, გურიის სამთავროებისა და რაჭის სერისთაოში ყეოდალებისაგან მიტაცებული ზოგიერთი საკათოლიკოსო მამული.

1740 წ. გრიგოლს გელათის მიტროპოლიტად უკურთხებია შემდეგში ანტონ I კათოლიკოსი (A 123, გვ. 122, მინაწერი). ცნობილია გრიგოლ კათოლიკოსის მრავალი შეწირულების წიგნი ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისადმი (ცსსა ფ. 1448, საბ. № 2229; Hd 4150, 1721 წ.; ცსსა 1448, № 1510; Hd 4150 (1731 წ.) Ad 2251 გ; ცსსა, ფ. 1448, № 5038, რომლებიდანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1793 წ. 16/X შეწირულების სიგელი (Ad 2251 გ). საინტერესოა აგრეთვე გრიგოლ კათოლიკოსისადმი იერუსალიმის გოლგოთის მონასტრიდან მონაზონ მართას მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იგი აღწერს რა ჯვარის და გოლგოთის ქართული მონასტრების საეალაო მდგომარეობას და საფრთხეს მათ სიმეხთაგან და კათოლიკეთაგან მიტაცებისა, სთხოვს გრიგოლ კათოლიკოსს, მოუწყოდეს საქართველოს მეფე-მთავრებს, ქართული წმინდა ადგილების დასაცავად მეტი აქტიურობა გამოიჩინონ, გაგზავნონ იქ ბერები, აგრეთვე ელჩები ხონთკრის კარზე (Hd 11207).

გრიგოლიში – სოფელი ზუგდიდის რაიონში. ზუგდიდიდან 10 კმ.-ზე სოფლის მიდამოებში დგას XIX ს. გუმბათოვანი მოხატული ეკლესია ფრესკული წარწერებით.

გრიგოლ მთაწმიდელი – ათონის ქართველთა მონასტრის მეოთხე წინამძღვარი დახლ. 1029-1039 წწ., „ნაუთესეფდელი ქართველთა ნათესავისა და ნუგეშინის მცემელ". გრიგოლის წინამძღვრობის წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ბერძენთა შემოტევები ქართველთა მონასტრის ხელში ჩასაგდებად: „ეითარცა ცეცხლნი აღეგზნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოეხუხრაჲ ჩუენი ენება და დაჰყრობაჲ სამკუდრებელისა ჩუენისაჲ" (ძეგლები, II, 95). გრიგოლის ენერგიულმა ბრძოლამ მონასტერი დაღუპვას გადაარჩინა. მიხეილ IV პაფლაღონელის (1034-1041) დახმარებით მან ბერძენთა ძალმომრეობა მოიგერია და 1034 წ. ქართველთა მონასტერს დაუბრუნა წართმეული მამულები (ლერწმიანი, იერუსო, მელნა და სხვ.). გრიგოლი წარმატებით მოღვაწეობდა კულტურის სფეროშიც. ზაქარია მირდატის ძესთან (იხ.) ერთად მან დაამზადა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (A 92, XI ს.), 284v. არაერთი ხელნაწერი გადაიწერა „ბრძანებითა გრიგოლ მთაწმიდელისაჲთა" (მაგ., 1031 წ. „მცირე სჯულისკანონი A 96 და სხვ.) გრიგოლ მთაწმიდელი გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილ „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი"-ში მოხსენიებულია აგრეთვე „მაჲი გრიგოლის" სახელწოდებითაც (ძეგლები, II, 93, 9). მისთვის განუწესებიათ აღსაი: თუესა ნოენბერსა იზ (17) აღსაი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი. და ეითარცა სუნგელოზისათჳს საწერია, ყოველივე დაუკლებლად აღესრულებოდნენ წესი ლიტიისა და ყამისწირვისაჲ..." (ე. მეტრეველი, საალაქე წიგნი, 169-170).

გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი) – IV ს-ის გამოჩენილი მამა, ღვთისმეტყველი, მწერალი, პოეტი და მოაზროვნე. გრიგოლმა ბრწყინვალე რიტორიკული და ფილოსოფიური განათლება მიიღო ჯერ ალექსანდრიაში, შემდეგ ათენის წარმართულ აკადემიაში, სადაც დაუმეგობრდა ბასილი დიდს. აქვე გაიცნო მომავალი იმპერატორი იულიანე განდგომილი. 379 წლიდან მან კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კათედრა დაიჭირა. 381 წ. თავმჯდომარეობდა კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრებას, მაგრამ კრების მსვლელობაშივე გადადგა პატრიარქობიდან, რადგან მისი საჭეთმპყრობელობის კანონიერება ზოგიერთმა საეკლესიო მოღვაწემ უმართებულოდ მიიჩნია და გრიგოლმა აღარ ისურვა ეს საკითხი კრების მსჯელობის საგანი გამხდარიყო. ცნობილია მისი სიტყვა, რომლითაც მან გადადგომის წინ მიმართა კრებას. „ასრგასიასთა მიმართ ეპისკოპოსთა სიტყუაჲ“ (ეფრემ მცირის თარგმანი, A 16, 311 -320) გრიგოლი ნაზიანზის ეპისკოპოსობას დაუბრუნდა.

გრიგოლ ნაზიანზელი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის ავტორია.

გრიგოლ ნაზიანზელი დიდად არის ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში. მისი თხზულებები ქართულად უთარგმნიათ უადრეს პერიოდში (V-VIIსს.), შემდეგ კი, X ს-ში გრიგოლ ოშკელს (სოშზურიდან X ს. დასაწყ.), ეფთიმე მთაწმიდელს (X ს. II ნახ.), დაეით ტბელს (X-XI სს. მიჯნა) და ეფრემ მცირეს (XI ს.) და აგრეთვე სხვა უცნობ მთარგმნელებს. დაახლ. რვა ათეულზე მეტი მცირე და დიდი ზომის თხზულება, რომლებიც ქართულ თარგმანებშია შემონახული, ძირითადად არის საუფლო დღეებზე და დღესასწაულებზე წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა წმინდანთა შესხმები, წერილებთა წინაარმდეგ მიმართული პოლემიკური თხზულებები, მორალურ თემებზე დაწერილი პოემილიები და სულიერნი სწაელანი, ეპისტოლეები და სხვა, რომელთა ნაწილი იამბიკური პოეზიის ნიმუშებია. გრიგოლს ავტობიოგრაფიული პოეტური თხზულებებიც დაუწერია: „საკუთარი ცხოვრების გარშემო“, „საკუთარ თაგვადასაელზე“, „ცრემლები საკუთარი სულის ტანჯვათა შესახებ“ და სხვ. (გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების სია მთარგმნელთა და თხზულებათა შემცველი ხელნაწერების ჩვენებით იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, V, 1957, გვ. 25-39).

გრიგოლ ნაზიანზელისათვის „შესხმა“ მიუძღვნია სოფრომ იერუსალიმელს, რომლის ქართული თარგმანი გვაქვს ხელნაწერებში: S1276, XI-XII სს. 107r-115v, Jer.13, XIII-XIV სს. 249v-277r, თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. ეფთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი გრიგოლის „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია დაცულია ხელნაწერებში: A1, XI ს., 1r-12v; A1103, XI ს., 132r-137v; ხოლო ეფრემ მცირის თარგმნილი მეტაფრასული რედაქცია – ხელნაწერებში: H 1379, XI-XII სს., 246r-258v; A79, XII-XII სს., 382r-410v (ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართ. თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004, 794 გვ.); გრიგოლის „ცხოვრება“ და 16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფთიმე მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის თარგმანები გამოსცა ხელნ. ინსტიტუტის მეცნ. ერთმა ჯგუფმა და 4 წიგნად დაიბეჭდა ბრიუსელში 1994-2006 წლებში).

გრიგოლ ნეოკესარიელი, სასჯირველმოქმედი (270 წ.) – ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, ნეოკესარიის ეპისკოპოსი, მწერალი, წარმოშობით პონტოს ნეოკესარიიდან, წარჩინებული წარმართის შვილი. 5 წლის განმავლობაში იგი ორიგენეს მოწაფე იყო პალესტინის კესარიაში, რომელმაც იგი ქრისტიანობაზე მოაქცია. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ეპისკოპოსის კათედრა მიიღო და ხელი შეუწყო პონტოში ქრისტიანობის გავრცელებას. მისი თხზულებებიდან აღსანიშნავია: „რწმენის სიმბოლო,“ „ვამოსათხოვარი სიტყვა“, „კანონიკური წესი“ და სხვ. გრიგოლის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1. დიდებისმეტყველებაჲ სამებისაჲ ყოველადწმიდისაჲ, თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 65, 331-332; A 584, 240-241; A 691, 272-273). 2. სიტყუა ხარებისათუს ყოველადწმიდისა ღმრთისშობელისა (A 162, 159-161, ქუთ. 2, 172-176; Jer. 4,17-20). ამაგე ჰომილიის უფრო ძველი თარგმანი – Sin. 83,1-6. 3. მეორე თქუმული ხარებისათუს (Sin. 83,6-15). 4. მესამე თქუმული ხარებისათუს (Sin. 83,15-23). 5. მეტაფრასი ეკლესიასტესი, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (A 292, 323-331). 6. ეპისტოლე კანონიანი მათთუს, რომელთა ეჭაშნაწორეი კერპთაჲ მარბევლობასა შინა ბარბაროზთასა, ანუ სხჳთა რაჲთმე შეცთომილ იყვნეს, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ (შეტანილია „დიდი სჯულის-

კანონში", გვ. 462-466).

გრიგორ ნეოკესარიელის „ცხოვრების" კიმენური რედაქცია ქართულად XI ს. ადრე უნდა იყოს თარგმნილი (A 382 XV ს., 218-223 Jer. 16, XIII-XIV სს., 51r-60v). გრიგოლისადმი ვრცელი „შესხმა და ცხოვრება" მოუძღვნია გრიგოლ ნოსელს, რომელიც ქართულად ორჯერ უთარგმნიათ: ჯერ გიორგი მთაწმიდელს (A 55, XI ს., 58-73) და მეორედ - ეფრემ მცირეს S 384, XI-XIII სს., 682-723; Jer. 37, XIII-XIV სს., 198-223. გრიგოლ ნეოკესარიელს სხვების ღვწე დადებულია 27 ოქტომბერი.

ბრიგოლ ნოსელი († 394) – გამორჩეული მამა, მწერალი, ღვთისმეტყველი, ქრისტიანული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი, თეოლოგიური მისტიკის ფუძემდებელი, ბასილი დიდის უმცროსი ძმა, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) მეგობარი, 371 წლიდან ქ. ნუსის ეპისკოპოსი. მან შესანიშნავი ფილოსოფიური და რიტორიკული განათლება მიიღო. 376 წელს არიანელთა გავლენით ეპისკოპოსობიდან გადაყენეს, მაგრამ განაგრძო ბრძოლა მათ წინააღმდეგ და 378 წ. კელავ დაიკავა კათედრა. 381 წელს მონაწილეობდა კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებაში. გრიგოლს დიდი ღვაწლი მიუძღვის საშების დოგმატის ჩამოყალიბებასა და ორთოდოქსული მოძღვრების განმტკიცებაში.

გრიგოლ ნოსელის მეხდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ბევრი თხზულება ითარგმნა ქართულად, ძველი პერიოდიდან დაწყებული, ეფთვიმე მთაწმიდელის, გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის ჩათვლით. განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1. „კაცისა შესაქმისათჳს", რომელიც პირველად X ს-ზე ადრე უთარგმნიათ (S 1141, 1-121; A 53-82; A 165, 349-354), ხოლო მეორედ გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა (A 55, XI ს. 209-258; A 73, 247-419; A 108, 695-754; S 120; S 272; S 1358; S 1799; S 2666; Ath. 84/14). პირველი თარგმანი გამოცემულია (ილ. აბულაძის მიერ 1966 წ.), ხოლო მეორე გამოუცემელია. 2. „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსა", თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 55, XI ს. 73-165; A 108, 412-694; Ath. 49, 148-207). გარდა ამისა, ქართულად თარგმნილია გრიგოლ ნოსელის 30-მდე თხზულება – სწავლანი და მოძღერებანი, პოპილიები საუფლო დღესასწაულებზე, მოწამეთა და საეკლესიო მოღვაწეთა „შესხმები" და „ცხოვრებები", ეპისტოლეები, საკითხავები დოგმატიკის სხვადასხვა საკითხებზე და ა. შ. (გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია იხ.: ქ. კეკელიძე, ეტიუდები V,25-29).

ბრიგოლ ოშკელი – X ს. ოშკის ლავრის მონაზონი, მთარგმნელი. გრიგოლის შესახებ ცნობებს მხოლოდ ეფრემ მცირე გვაწვდის, რომელსაც მეორედ უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათჳს" ბერძნული ენიდან და მისთვის ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „...რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი ესოდენ ვპოვე" (A 292, ფ. 134). გრიგოლ ოშკელის მიერ სომხური ენიდან თარგმნილი ეს თხზულება დაცულია ხელნაწ. ინსტიტუტის ფონდში A 87, 771-784, რომელსაც ამიაზე მიწერილი აქვს, რომ თარგმანი ეკუთვნის გრიგოლ ოშკელს, ოღონდ ასეთი სათაურით: „საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტად უწესებისაჲ, რომელნი-იგი მოსწრაფე იყვნეს წეალებისაებრ თჳსისა ცთომილად ღმრთისმეტყველებად... რომელთაცა ამხილა წმიდამან გრიგოლ". გრიგოლ ოშკელის თარგმნილ მიანიათ აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის „ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თჳსისა" (A 87, 785-824).

ბრიგოლ ხანძთელი (759-861) – გამორჩეული ქართველი სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის მონასტრების მაშენებელი და პირველი არქიმანდრიტი. გრიგოლი დაიბადა ქართლში, დიდებულის ოჯახში, ალიზარდა ქართლის ერისთაჳის, ნერსეს ქარზე (იგი ნერსეს მეუღლის ძმისწული და შვილობილი იყო), სადაც ბრწყინვალე სკერო და სასულიერო განათლება მიიღო. მალე იგი მღვდლად აკურთხეს, ხოლო როცა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა გადაწყვიტეს, ფარულად მიატოვა ქართლი, სამ თანამზრახველთან ერთად ტაო-კლარჯეთში გაიპარა და მონაზვნური ცხოვრება დაიწყო ჯერ ოპიზაში, ხოლო შემდეგ ხანცთაში დაემკვიდრა სამუდამოდ. იქაურ სკერო ხელისუფალთა და დიდებულთა დახმარებით გრიგოლი დიდ სამონასტრო შრჳნებლობას შეუდგა და მალე ხანცთისა და შატბერდის მამათა მონასტრები დაარსა, ხოლო ცოტა მოგვიანებით - გუნათლეს და მერეს დედათა მონასტრები. მოძღვრის მსგავსად მისმა მოწაფეებმაც გრიგოლის ხელმძღვანელობით იწყეს მონასტრების შრჳნებლობა იშხანში, ბარჯოლთაში, წყაროსთავში, ნეძებში, კეთილკეთში და სხვ. გრიგოლი იყო მის მიერ დაარსებულ მონასტრებში გაჩაღებუ-

ლი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სულისჩამდგმელი და მათი სამწიგნობრო კერებად ქცევის ორგანიზატორი. გრიგოლს თავის დაარსებულ მონასტრებისათვის შეუდგენია ტიპიკონი, იერუსალიმის საბა განწმედილის ლავრის ტიპიკონის მიხედვით, რომლის ერთი ნუსხა საგანგებოდ ჩამოატანინა თავის ერთ მოწაფეს. ანნიშნული ტიპიკონი საქართველოში საეკლესიო შახურების ზოგად განაწესად დამკვიდრებულა და იწოდებოდა, როგორც „განგებაჲ ეკლესიისაჲ“. გრიგოლი ცნობილი პიმნოგრაფიც ყოფილა. ბიოგრაფი მას მიაწერს „საწელიწდო იადგარის“ შედგენას. გრიგოლ ხანცთელს დიდი როლი მიუძღვის საზღვარგარეთის ქართული საგანმანათლებლო კერების დაარსების საქმეში, რადგან სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ორგანიზაციამ და აქ აღზრდილმა საეკლესიო მოღვაწეებმა ჩაუყარეს საფუძველი საზღვარგარეთის ბევრ ქართულ მონასტერს, განსაკუთრებით შავ მთაზე და ათონზე.

გრიგოლ ხანცთელის ვრცელი და საინტერესო ცხოვრება აღწერა გიორგი მერჩულემ (იხ.) X ს. შუა წლებში, გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს (გამოც. ძეგლები, I, 316, 35), იხ. აგრ. ნ. მარის გამოც. რუსული თარგმანითურთ, Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, КН. VII, СПБ, 1911.; ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954 და სხვ.). ე.ჭელიძე, ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურა, ტ.I, თბ.,2005, გვ. 480-690; 692-959; ტექსტები ახალქართული თარგმანებით, ვრცელი კომენტარებით და შესწორებებით გამოსცა ე.ჭელიძემ. თხზულების ტექსტის ლათინური თარგმანი შეასრულა პ. პეეტერსმა, Anal. Bollandiana, t. 36-37, p. 216-309.

ბრიგოლ ხარჭაშნელი (სეფაშვილი – 1735-1797) – ხარჭაშნის ეპისკოპოსი დაახ. 1783-1799 წწ-ში. გრიგოლი ბერად შემდგარა 1750 წ. 24/XII და 9 წელი ნიკოლოზ ალაევრდელს (ჩოლოყაშვილის) მთაყარდიაკონად ახლდა. 1759 წელს გრიგოლი რუსეთს გაჰყვა ნიკოლოზ ალაევრდელს. გზაში, რაჭაში ყოფნის დროს, ნიკოლოზს იგი ჯერ მღვდლად უკურთხებია, შემდეგ კი - იღუმენად. ყიზლარისა და ასტრახანის გავლით ისინი მოსკოვს ჩასულან 1760 წ. გრიგოლი საქართველოში მხოლოდ 1783 წ. ჩამოსულა და იმავე წელს მღვდელმთავრად უკურთხებიათ ხარჭაშნის კათედრაზე. 1784 წელს ერეკლეს იგი მოსკოვს გაუგზავნია სალდუმლო პოლიტიკური მისიით და საქართველოში დროდადრო ჩამოდიოდა. გრიგოლ ხარჭაშნელი იხსენიება 1793-1795 წწ. რამდენიმე საბუთში (Hd 9591; Sd 3865/35 და სხვ.).

გრიგოლ ხარჭაშნელი მწიგნობრობით დაიტერესებული ყოფილა. მას რამდენიმი ხელნაწერი გადაუწერია (A 1504 და სხვ.), შეუძენია (H 2176), შეუკაზმავს („ყანჩაეთის გულანი“), ტყეეობიდან გამოუხსნია (A 637). გრიგოლს ქრონოლოგიურ-ისტორიული და ავტობიოგრაფიული ცნობები დაურთავს იესე ოსეს ძის „ქორონიკონზე“ (A 637), რომელიც, როგორც ვთქვით, მას დაუხსნია ასტრახანს. მას გაუგონიერებია იესე ოსეს ძის „ქორონიკონი“ და ბევრი იმ პერიოდის საინტერესო ცნობაც მოუცია. მისი სახელი უკავშირდება ავრეთვე საინტერესო ძეგლს, რომელიც რუსეთის იმდროინდელი ისტორიის საკითხებს ეხება (ეკატერინე II-ისა და პეტრე III-ის შესახებ). გრიგოლ ხარჭაშნელს ასტრახანის ეკლესიის წიგნსაცავში 1798 წ. დაუსვენებია ურბნისის ცნობილი, X ს. ოთხთავი, რომელიც საქ-ში, ურბნისში XIX ს-ში იქნა დაბრუნებული.

ბრიგოლ ხუცესი – IV ს. კესარიაკაპადოკიის ეპარქიის ხუცესი, რომელსაც ეპისტოლით მოუმართავს თავის მღვდელმთავრისათვის – ბასილი კესარია-კაპადოკიელისადმი კითხვით ერთ-ერთი კანონიკური საკითხის შესახებ. ეს ეპისტოლე ცნობილი არ არის. ბასილი დიდის პასუხი „გრიგოლის მიმართ ხუცისა, რაჲთა განეშოროს იგი თანასახლეულისაგან დედაკაცისა“ შეტანილია ნომოკანონში და მის ქართულ თარგმანში, დიდი სჯულისკანონში“ (გვ. 502-503).

ბრიგოლ ხუცესი – VI-VII სს. საეკლესიო მწერალი, აეტორი გრიგოლ ნაზიანზელის „ცხოვრებისა“, რომელიც ქართულად ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია (A I, XI ს., 1r-19v; A 1103, XI ს., 131-137 და სხვ.).

ბრიგორეთის-ბარსკი ვასილი (1701-1747) – რუსი მოგზაური და პილიგრიმი. 1725 და 1744 წლებში იმოგზაურა ათონის მთაზე, აღწერა იქაური მონასტრები და განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ივერთა მონასტრის აღწერას. მან წყაროებზე დაყრდნობით ვრცლად მიმოიხილა ქართველთა მონასტრის ისტორია, აღმშენებლობითი საქმიანობა, განსაკუთრებით ღვთისმშობლის მთაყარი ტაძრისა, ბიბლიოგრაფია, ძველი საბუთები და ა. შ. მისი მოგზაურობა სათაურით: „Пешехода Василия Григоривича Барского..., уроженца Ки-

евского, монаха антиохского, путешествие по св. Местам в Европе, Азии и Африке находящихся... им самим писаное" (გამოიცა პეტერბურგში 1788 წ. ე. გ. რუბანის მერე). ასევე, „Первое посещение св. Афонской горы", СПБ, 1886, „Второе посещение св. Афонской горы", СПБ, 1887.

გუარამი – ქართლის პირველი ერისმთავარი მეფობის გაუქმების (523) შემდეგ. ჯუანშერის ცნობით, გუარამი იყო ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი, რომელსაც ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობა მიანიჭა და ქართლის მეფედ დანიშნა: „მოქცეულ ქართლისაჲს" ცნობით, გუარამი ქართლის ერისთავებმა აირჩიეს ერის მთავრად. სუმბატი დავითის ძე გუარამს თელის ქართველ ბაგრატიონთა მამამთავრად. წყაროების მოწმობით გუარამმა საფუძველი ჩაუყარა მცხეთის ჯვარის ტაძარს (ქართლის ცხოვრ. I, 226). „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია, რომ გუარამმა „განაახლა საფუძველი თბილისის სიონისა" (I, 222).

გუარამ მამფალი – IX ს. I ნახევრის ტაო-კლარჯეთის მთავარი, აშოტ I დიდი კურაპალატის ძე. გუარამს აღუდგენია ოპიზის ტაძარი, სადაც იგი დაუსაფლავებიათ: „დაიმარხა ოპიზას, მეორედ მისგან აშენებულსა" (ქართლ. ცხ. I, 260).

გუდალეთი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. გავაზურის წყლის (კავთურის მარცხ. შენაკ.) ორივე ნაპირას, კასპიდან 19 კმ. გუდალეთი წყაროებში პირველად XIV ს. ბოლოს იხსენიება. სოფელში არის რამდენიმე ეკლესია: ღვთისმშობლისა, წმ. ევსტატესი, კეთრალხოველისა და წმ. მარინესი. ღვთისმშობლის ეკლესია XIII-XIV სს. მოჯანაზე უნდა იყოს აგებული, ძირითადად თლილი ქვით. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა. ტაძარს გარს უვლის XVIII ს. II ნახევრის კოშკებიანი ციხე-გალავანი, სადაც ლეკიანობის დროს თავს აფარებდა ადგილობრივი მოსახლეობა. გუდალეთის მიდამოებში მდებარეობს ე. წ. „კაციანთ ეკლესია". მისი IX ს. კანკელის ფრაგმენტების ნაწილი ადგილზეა, ხოლო დანარჩენი დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და წინარეხის მაღალანთ ეკლესიაში.

გუდანის ჯვარი – წარმართული ღვთაების ადგილას აღმოცენებული ქრისტიანული სალოცავი ხევსურეთში, სოფ. გუდანში. ძველი თქმულებების მიხედვით, ღვთაება პირველად სანეს მთაზე დამკვიდრებულა, შემდეგ სოფ. გუდანში. ხევსურულ სადიდებელ ტექსტებში მოიხსენიება სალვთო ბერი ბაადურის სახელით. გუდანის ჯვარი თელებოდა ხევსურეთის 3 ძირითადი საგარეულო-სათემო გაერთიანების-საარხეულოს, საჭინჭარაულოს და საგოგჭუროს მთავარ სალოცავად და მთელი ხევსურეთის საკულტო ცენტრად. გუდანის ჯვარში ხდებოდა საერთო საქმეების განხილვა. გუდანის ჯვარი მიარწევდა მოლაშქრეთა შემწედ და დამცველად. მისი კულტი გავრცელებული იყო შეზობელ მთიელებშიც (თუშეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი).

გუდარეხი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, მდ. გუდარეხისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. შხარეს, თეთრი წყაროდან 8 კმ. სოფელს ადრე ერქვა ღორისთავი. გუდარეხი ეწოდება მის მახლობლად მდებარე სამონასტრო ანსამბლის მიხედვით. სოფლის მდგამობში ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად (1938-39) აღმოჩნდა თლილი ქვით ნაგები ბურჯებიანი მაღალი ზღუდით შემოფარგლული სამონასტრო კომპლექსი, ერთნავიანი ეკლესია და სამრეკლო. ეკლესია აუგია ხუროთმოძღვარ ჯიკუაფორისძეს რუსუდანის მეფობის დროს (1222-1245 წწ.). ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით, მოპირკეთებული ფასადები მდიდრულად არის მოჩუქურთმებული. შემორჩენილია კედლის შხატვრობის ფრაგმენტები. სარკმლის თავზე დიდი მოჩუქურთმებული ჯვარია, ქვემოთ კი - მოჩუქურთმებული კვადრატები. გარედან ეკლესიას ორი შინაშენი აჭირნა: სამხრეთით – კარიბჭე, ჩრდილოეთით – ეკვტერი (ამჟამად ორივე დანგრეულია). ორსართულიანი სამრეკლო აგებულია 1278 წ. დიმიტრი თავდადებულის მეფობის ხანაში. ეს არის ყველაზე ადრინდელი დათარიღებული სამრეკლო საქართველოში. სამრეკლოს ქვედა სართული ღია, ზემოთ რვამალიანი ფანჩატურია, ხოლო მათ შუა – სადგომი. გუდარეხის ეკლესიის მოჩუქურთმებული კანკელის ფრაგმენტები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

გუდაყვის საეპისკოპოსო – საეპისკოპოსო დასაელეთ საქართველოში ბაგრატ III (985-1014) მეფობამდე. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, რომელშიც გუდაყვის საეპისკოპოსოს ერთადერთი მოხსენიება გვაქვს, ბაგრატმა გააუქმა გუდაყვის საეპისკოპოსო და მის ნაცვლად ბედიის საეპისკოპოსო დააარსა: „ამანვე მეფემან (ე. ი. ბაგრატ III-მ) აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცალა მუნ გუდაყუსა საეპისკოპოსო" (I, 281).

ბუერდი – პიმნოგრაფიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პლაგალურ (ბერძ. – გეერდითი, ირიბი), დამატებით ხმებს (მე-5, მე-6, მე-7, მე-8) ძირითადი ხმებისაგან (პირველ, მე-2, მე-3, მე-4) განსხვავებით. მაგ., როდესაც ხელნაწერში მითითებულია „კმაჲ ა გეერდი'' ეს ნიშნავს მე-5 პლაგალურ ხმას, „კმაჲ ბ გეერდი – მე-6 პლაგალურ ხმას და ა. შ.

ბუერდნი – პარაკლიტონის მეორე წიგნი, რომელიც შეიცავს პლაგალური (დამატებითი) ჰანგის ლიტურგიკულ პიმნებს. ბერძნულად „ოქტოიხოსი'' ეწოდება საკუთრივ მხოლოდ ცქირა დღის პიმნებს, სხვა დღეების (ორშაბათ-შაბათი) პიმნების კრებულს კი – „პარაკლიტონი''. ქართულშიც შეიქმნების დღეების ლიტურგიკული პიმნები ორ წიგნად ყოფილა ძველად დაყოფილი, მაგრამ სხვა პრინციპით: პირველში მოთავსებული ყოფილა პირველი ოთხი ხმის პიმნები (ცქირა დღისაც და სხვა დღეებისაც), ხოლო მეორეში – დანარჩენი ოთხი პლაგალური ხმებისა. ორსავე წიგნს ქართულად ერთი საზოგადო სახელი შერჩენია – პარაკლიტონი, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური სახელწოდებაც აქვს. პირველ წიგნს ეწოდება „კმანი''; ხოლო მეორეს – „გეერდნი''.

ბულანდუხტ სპარსი – ქრისტიანი მოწამე ქალი, ეროვნებით სპარსელი. ცხორებობა სპარსეთის მეფეების - ხუასრო I (531-579), ჰორმიზდას (579-590) და ხუასრო II (590-628) მეფობის დროს. იგი იყო მეუღლე სპარსეთის სამეფოს მოგვთა მთავრისა და ჯარების მთავარსარდლისა. სიზმარში ანგელოზის გამოცხადების შემდეგ მან ირწმუნა ქრისტე, ქრისტიანი მღვდლის მიერ მოინათლა და უწოდეს მარიამი. ამის შემდეგ მან ალარ ისურვა მოგე ქმართან ცხორება, რისთვისაც მეფესთან დასმინეს. რადგან არაეთარამს თხოვნამ არ გაჭრა, გულანდუხტი ქმარს დაბრუნებოდა, მას სამუდამო პატიმრობა მოუსაჯეს. ციხეში მან 18 წელი გაატარა. გულანდუხტის წამება ციხეში გრძელდებოდა ჰორმიზდას დროსაც. ხოსრულ II-ის დროს შეწყდა ქრისტიანთა დევნა, რადგან მან ტახტი ბიზანტიის იმპერატორის, მაურიკიოსის დახმარებით დაიჭირა. გულანდუხტმა ამჯარად დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება. სიკვდილის წინ გულანდუხტ-მარიამმა მოილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები და უკან დაბრუნებული გზაში გარდაიცვალა 591 წელს წმ. მოწამე სერგის ეკლესიაში, ნისიბინს. ქართულად თარგმნილია გულანდუხტ სპარსის „წამების'' სამი რედაქცია. უძველესი კიმენური რედაქციის თხზულება, რომელიც ევსტრატი კონსტანტინეპოლის ხუცესს დაუწერია არაგვიანეს VII ს., არის ქართულად თარგმნილი და წარმოდგენილია Ath. 8, X ს. და A 95, XI ს. ხელნაწერებში. მეტაფრასული რედაქცია, იოანე ქსიფილინოსის თხზულება, ერთადერთი XVI ს. ხელნაწერით არის მოღწეული (ქუთ. 3, 537-550). ხსენება – 13 იელისს, სვინაქსარული კი გიორგი მთაწმიდელის თარგმნილ „დიდ სვინაქსარშია'' შეტანილია 12 იელისს (იხ. საელ. კალენდარი, 2003 წ. 12/VII). კიმენურ და მეტაფრასული თხზულებათა ქართული თარგმანები ჯერ არ არის გამოცემული.

გულანი – საღვთისმსახურო წიგნთა კრებული, რომელიც მხოლოდ ქართულ ეკლესიას აქონდა. მასში შედის სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თვენი (12 თვის საგალობლენი), მარხვანი და ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი და სხვ. გულანები, საერთოდ, უზარმაზარი მოცულობისანი არიან. ზოგი მათგანი რამდენიმე ათეულ კილოგრამს იწონიდა. მისი შეძენა მხოლოდ მდიდარ ეკლესიებსა და მონასტრებს შეეძლოთ. ჩვენამდე მოღწეულია გელათის, დავითგარეჯის, მცხეთის, ალავერდის, კაცხის, მარტყოფის, შემოქმედის, გურიანთის და სხვ. ეკლესია-მონასტრთა გულანები. გულანის შემოკლებულ სახეობას ჟამ-გულანს (იხ.) უწოდებენ. გულანები შედარებით გვიანდელი წარმოშობის კრებულებია, არა უადრეს XVI ს. დასწყობისა.

გულბანდიანი – XVI ს. მცირე გუმბათიანი ეკლესია სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი). ოლიღ ქვით მოპირკეთებული ეკლესიის გეგმა „თაისუფალი ჯვრის'' ტიპისაა, რომელიც ჩვენში მხოლოდ X ს-მდე იყო გავრცელებული, შემდეგ კი თითო-ოროლა გამონაკლისის სახით ჩნდებოდა. ეკლესიის შიგნით შემორჩენილია მოხატულობის ნაშთი.

გულგული – სოფელი თელავის რაიონში, ალაზნის ველზე, მდ. თურდოს (ალაზნის მარჯ. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, თელავიდან 6 კმ. სოფელ გულგულსა და ახტალის გზის გასაყარზე ნასოფლარ ნადკორის ტერიტორიაზე შემორჩენილია VI ს. დიდი სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები. ეკლესია ნაშენები ყოფილა რიყისა და შირიმის ქვით. ერცელი და ფართო შუა ნაი ნალისებრი ამბიდით ყოფილა დაბოლოებული. გვერდით ნაკები ეიწრო ჰქონია.

სვეტების 3 წყვილის იმპოსტებს კარგად გათლილი შირიმის კვადრებით ამოყვანილი ნალისებრი თაღები ეყრდნობოდა.

გულეიკარი – სოფელი ახაშის რაიონში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, ახაშიდან 42 კმ. სოფელში დგას ფეოდალური ხანის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც აგებული უნდა იყოს უფრო ძველი ეკლესიის ადგილზე. სოფელს, რომელიც წყაროებში 1628 წლიდან მოიხსენიება, თავიდან „გულეველი“ ერქვა, წმ. გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ – „გულელისკარი“. სოფელში XIX ს. კიდევ მდგარა იოანე ოქროპირის ხის ეკლესია, რომელსაც ჩვენამდე აღარ მოუღწევია. ცნობილია გულეკარის წმ. გიორგის XV-XVI სს. კარედი ხატი.

გულჯაპარაშვილი გრიგოლ – XVII ს. II ნახევრის მხატვარი. მისი ხელმძღვანელობით 1678-88 წლებში მოიხატა მცხეთის სვეტიცხოველის შიგნით მდებარე „სვეტის“ კვლები, როგორც ეს მხატვრობის წარწერაშია ნათქვამი: „...ბრძანებითა კათალიკოზის ნიკოლოზისითა დავხატე მე, ფრიად ცოდვილმა მოქალაქემან გულჯაპარაშვილმან გრიგოლ, სვეტი ესე“. მოხატულობა სახარების სცენებს შეიცავს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის სცენების ციკლი, რომელსაც მხატვრობის უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი.

გუმბათი – ხუროთმოძღვრული ტერმინი. კამარა, კვადრატული, მრგვალი, მრავალკუთხედი ან ელიფსური ნაგებობების სივრცული გადახურვა. ძველი რომის არქიტექტურაში გუმბათის მეშვეობით საყრდენის გარეშე ხურავდნენ ცენტრალური ნაგებობის დიდ სივრცეს (რომის პანთეონი). ბიზანტიურ არქიტექტურაში გუმბათი ტრომპებსა და აფრებზე ამოსყვედათ (სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში). შუა საუკუნეებში ევროპისა და კავკასიის არქიტექტურაში გუმბათის ძირითადად ჯვარულ-გუმბათიანი ნაგებობების გადასახურავად იყენებდნენ. გარე გადახურვა გუმბათს შეიძლება სხვადასხვა ფორმისა ჰქონდეს: სფერული, კონუსური, ქოლგისებრი, ბოლქვისებრი, პირამიდული.

ქართულ არქიტექტურაში გაჩენილებულია პირამიდული და კონუსური გუმბათი. რუსულში – ბოლქვისებრი. გუმბათი, ჩვეულებრივ, ეკლესიების და საზოგადო ნაგებობათა არქიტექტურული კომპოზიციის მთავარი ელემენტია. ქართულ ეკლესიებში გუმბათი ყოველთვის ეყრდნობა გუმბათის ყელს. მართლმადიდებლური ეკლესია შეიძლება იყოს ერთი, ორი, სამი, ხუთი, შვიდი, ცხრა და 13 გუმბათიანი. თითოეულ მათგანს თავისი სიმბოლიკა აქვს (იხ. ეკლესიასთან).

გუმბათი – სოფელი წალკის რაიონში, მდ. გუმბათის (ქციის მარცხ. შენაკადი) ორიეე ნაპირზე. წილკნიდან 22 კმ. სოფ. გუმბათში შემორჩენილია მშრალი წყობით ნაგები, ბურკულებით გამაგრებული სწორკუთხა ციხე-გალავანი და განვითარებული ფეოდალური ხანის ეკლესია.

გუმბათიანი საყდარი – IX ს. II ნახევრის ჯვარ-გუმბათიანი ეკლესია სოფელ მატანის (ახმეტის რაიონი, ახმეტიდან 5 კმ-ზე) მახლობლად კურტანაძეულების სენში, რომელსაც ადგილობრივ „გუმბათის საყდარს“ უწოდებენ. ეკლესია ნატესი ქვითაა ნაგები შირიმის გამოყენებით (გუმბათქვეშა თაღები, გუმბათქვეშა კონსტრუქცია, ბურკულის აღმოსაველეთ წიბოების ზედა ნახევარი, სარკმლითა ზედაენი, გუმბათის ყელის სამკაული). ეკლესიას მრგვალი, ოთხი სარკმლით განათებული გუმბათის ყელი აღგას. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს ჩრდილოეთისა და სამხრეთი მკლავების დასავლეთ ნახევარში. მკლავებსაც და სამკუთხედ სადაკვნესაც თითო-თითო სარკმელი აქვს. ეკლესია დეკორით მწირია: მხოლოდ გარედან რეაწახნაგა ყელია შემკული. ღღეს მიწის პირთან გასწორებული ეგეტერები ეკლესიასთან შედარებით გვიანდელი მინაშენები უნდა იყოს.

გუმბათის ყელი – ცილინდრული ან მრავალწახნაგა მოცულობა, რომელსაც გუმბათი აგერგუნებს. ჩვეულებრივ, გუმბათის ყელში შიგა სივრცის გასანათებლად სარკმლებია გაჭრილი. გუმბათის ყელი დამახასიათებელია უმეტესად ეკლესიებისათვის, იგი ძველი ქართული გუმბათოვანი ტაძრების აუცილებელი ელემენტია. იმ შემთხვევაში, როდესაც გუმბათის ყელი კვადრატული შენობის თავზეა ამოყვანილი, კვადრატული საფუძვლისა და გუმბათის ყელის დასაკავშირებლად იყენებენ ტრომპს ან აფრას (პანდატივს). ძველ ქართულ არქიტექტურაში პირველის მაგალითია მცხეთის ჯვრის ტაძარი, ხოლო მეორისა – მცხეთის სვეტიცხოველის კათედრალი. გუმბათის ყელის სიმაღლე ქართული ეკლესიების მიხედვით განსხვავებულია.

გუნათლეს ვანი – პირველი დედათა მონასტერი საქართველოში, მოხსენიებულია გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში“ გრიგოლმა პირველი დედათა მონასტერი „გუნათლეს ვანი“ დაარსა კლარჯელი დიდებულის, გაბრიელ

დაფანჩულის რჩევით და მატერიალური შეწევნით: „წმიდაო მამაო, საკმე კეთილი ადგილი დედათაჲს სამკუდრებელად გამონახეთ, რამთა ესე მცნებაჲ იყოს ჩუენ შორის ნათესავისა ჩემისა: უკუეთუ მოწესე მამაკაცი იყოს, სამკუდრებელად მის ხანეთაჲ იყოს, და უკუეთუ ერისა ჩემისა მოწესე დედაკაცი იყოს, მუნ დაემკუდროს, რომელიცა შენ გამოიჩინო ქუეყანასა ამას, ადგილი შენ მიერ კურთხეული და ვითარცა მიცვალებულთა მამათათუს ხანძთა განბიწეებია. ეგრეთე იყოს სამრხაი მიცვალებულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას. ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად, ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრქუან გუნათლეს ეანი“ (ძეგლ., I, 260).

გუნდრუკი – სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც ეკლესიაში საკმეელად იხმარება ღვთისმსახურების დროს. მიიღება დაბალტანიანი ხის styrax benuin-ის ქერქის დასერვის შემდეგ გამოყოფილი სქელი თეთრი წვენის გამკვრივების შედეგად (6-8 კვირაში). აქეს სასიამოვნო ვანილის სუნი, განსაკუთრებით, გაცხელების შემდეგ.

გურამიშვილი დავით (1705-1792) – დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე. მისი პოეტური მემკვიდრეობა თავმოყრილია კრებულში „დავითიანი“, რომელიც შექმნილია მირგოროდში (უკრაინა), სადაც პოეტმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი და უკანასკნელი წლები გაატარა. გურამიშვილის ლირიკული ლექსები ღრმა ფილოსოფიური და ზოგადსაკაცობრიო შინაარსისაა. დიდი ადგილი ეთმობა რელიგიურ განწყობილებებს. პოეტი ესხა ქრისტიანული მწერლობისათვის, კერძოდ, ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელ სასულიერო მოტივებს („ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმა“, „ჯვარცმის ამბავი“, „ხარების დღის შესახებ“ და სხვ.) და ღმერთისა და ადამიანის დამოკიდებულების საკითხებს ქრისტიანული რელიგიის პოზიციებიდან აშუქებს. მისტიკური განწყობილებით არის განმსჭვალული პოეტის სასულიერო თუ სატრფიალო თემატიკაზე დაწერილი ლექსები, მაგრამ გურამიშვილის პოეზიაში ქრისტიანული მისტიკა ცხოვრებისეული სულით არის დამუხტული. დაეთ გურამიშვილის პოემა „ქაცია მწყემსი“ (ანუ „მხიარული ზაფხული“) საყოფაცხოვრებო ხასიათის თხზულებაა, რომელიც ქრისტიანულ მორალზეა დაფუძნებული. ამ პოემის მრავალი ადგილი ძველი აღთქმის წიგნების მოტივებზეა დაწერილი („წარღვნის ამბავი“, ნოეს კიდობნად შესლვა“, „ენის შერევნისა და გოდლის ამბავი“, „ადამის საჩივარი“).

გურია მოწამე – ეწამა ქრისტეს ქადაგებისათვის ედესში დეოკლიტიანე იმპერატორის (284-305) დროს გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის შედეგად, თავის მეგობარ სამონასთან ერთად. მათ სიკვდილის მუქარის მიუხედავად უარი თქვეს კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე, რისთვისაც ისინი აწამეს, შემდეგ ღამით ქალაქგარეთ გაიყვანეს და თავები მოჰკვეთეს (დაახლ. 299-306 წწ. შუა). რამდენიმე წლის შემდეგ, ლიკინიოზის მეფობის (311-324) დროს მოწამებრივი აღსასრული მიიღო ედესის ეკლესიის დიაკონმა აბიბოსმა. სამივე მოწამის ერთობლივი „წამების“ კომენური თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნა IX ს-ში სეითმა, თარგმანი შემონახულია რამდენიმე უძველეს ქართულ ხელნაწერში (A 95 XI ს., 1068-1102; H 341, XI ს. 481-524; Sin. 11, X ს. 8-34 გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები... VIII, 1962, გვ. 104-131). კომენური თხზულების საფუძველზე სეიმონ ლოღოთეტის მიერ X ს. ბოლოს შედგენილი მეტაფრასული თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნა XI ს. II ნახევარში არსენ იყალთოელმა შავ მთაზე, კალიპოსის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობის დროს (S 384, XI-XII სს. 658-679). სვიმეონ მეტაფრასტის თხზულება ქართულად მეორედაც უთარგმნიათ, მაგრამ მთარგმნელი უცნობია (A 128). სამივე მოწამის ხსენება დადებულია – 15 ნოემბერს.

გურგენ მღვდელი – მოხსენიებულია ბეშთაშენის (წილკნის რაიონი) წმ. გიორგის დაახლ. XII-XIII სს. ეკლესიის ეგვტერის წარწერაში, როგორც წარწერის შემსრულებელი: „გურგენ მღდელმან დავწერე ცოდვილმან, უცებად ეჩხრიკე“.

გურიანთის გულანი – ორ დიდტანიან წიგნად აკინძული XVIII ს. ხელნაწერი Q 104 ა. (641 ფ. 41, 5 X 27) და Q 104 ბ (470 ფ., 39 X 28,5), რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. ჩამონათლილია ხელნაწერის გადაწერის ადგილიდან – გურიანთიდან. ხელნაწერის მომგებელნი არიან ბეჟან და გიორგი ნაკაშიძეები, გადაწერი - დიაკონი სხა. გურიანთის გულანში ათამდე მინიატურაა. გულანში შესულია: საღღესასწაულო (I წიგნ. 5-602), ტიპიკონი (I წიგნი, 603-630), მარხვანი (I, 630 –

ბოლონაკლ.), დავითნი (II, 9-9), ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (II, 10r-28v), სახარება და გამოაელინენი, პარაკლიტონი (დასდებელნი აღდგომისანი), მარხვანი და ზატიკნი, „ათორმეტი“ საუფლო მეტაფრასი (წმ. მამათა თორმეტი პომილია).

გურჯაანის „ყველაწმინდა“ – VIII-IX სს. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ე. წ. „ყველაწმინდა“, გურჯაანიდან 2 კმ-ზე, ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში. აგებულია რიყის ქვის სწორი რიგებით. კუთხეები და დეკორის ნაწილები – შირიმის თლილი კვადრებით. თაღები, კამარები და საყრდენი ბოძები ამოყვანილია კვადრატული აგურით. ნავები გაყოფილია ბოძების ორი წყვილით. ორფერდა სახურავით გადახურული შუა მაღალი ნავი, რომელიც აღმოსავლეთით ნალისებრი აბსიდით ბოლოვდება, დაყოფილია სამ კვადრატად. განპირა კვადრატებზე შეკრული კამარებით დაგვირგვინებული დაბალი, რვაწახნაგა გუმბათის ყელებია აღმართული. მთავარ ნავს საშხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკერის კამარებით გადახურული გვერდის ნავები. მათ თავზე მოთავსებული ფართო გარეშემოსავლელი სამი მხრიდან ერტყმის ცენტრალურ ნავს.

ტაძრის დღესასწაულია აღდგომის II დღე – ბრწყინვალე ორშაბათი (ყველაწმინდობა).

გუსენი ჰ.(GoussenH.) – გერმანელი მეცნიერი, ქართველოლოგი. მან სამი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სასულიერო მწერლობას: „ბიბლიის ქართული თარგმანები“ (1906 წ.); „ქართული გამოცემებისა და ხელნაწერების შესახებ“ (1923 წ.); „პეტრეს ჟამისწირვის ქართული ვერსია“ (1943 წ.).

გუშნაჯი – VI ს-ში სპარსეთიდან მცხეთაში ჩამოსული და გაქრისტიანებული სპარსი, რომელიც მოიხსენიება „ევსტათი მცხეთელის მარტყოლობაში“. გუშნაჯი ევსტათისთან და კიდევ ექვს სხვა გაქრისტიანებულ სპარსელთან ერთად დატყვევეს და უსტამ მცხეთის ციხისთავთან წარადგინეს, რომელმაც ისინი თბილისს გაგზავნა ქართლის მარზპანის არვან გუშნასპის წინაშე. ისინი საყორბილეში ჩაყარეს (გარდა ორისა, რომლებიც დაუბრუნდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას) და ექვსი თვის განმავლობაში ტანჯავდნენ. ქართლის დიდებულთა თხოვნით, მარზპანმა ქართლიდან წასვლის წინ ხუთივე გაათავისუფლა. სამი წლის შემდეგ ქართლში ახალი მარზპანი, ვეფან ბუზმარი დაინიშნა, რომელმაც აწამა ევსტათი მცხეთელი. როგორც ჩანს ამ დროისათვის გუშნაკი უკვე გარდაცვლილი იყო („რომელნიმე მათგანმა ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა ჟამად-ჟამად“, ძეგლ., I, 43, 13), რადგან ევსტათი მცხეთელის მეორედ შეპყრობისას მასთან ერთად მხოლოდ სტეფანე მოიხსენიება – პირველად შეპყრობილ შვიდთაგან ერთი.

დაბა – სოფელი ბორჯომის რაიონში, მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ბორჯომიდან 11 კმ. სოფელში დგას XIV ს. I ნახევრის ერთნავიანი ეკლესია, რომელსაც „ჩრდილოეთის წმ. გიორგის“ ეძახიან. ეკლესიის საძირკვლებლო წარწერაში იხსენიება გიორგი ბრწყინვალის (1314-46 წწ.) მოლარეთუხუცესი. საყურადღებოა, რომ ძეგლის ძირითადი სიერცე დანაწევრებულია ორი საბრჯენი თაღით. შიგნით და გარედან ეკლესია მოპირკეთებულია თანაბრად ნაწყობი კვადრებით. ფასადი უხვადაა მოჩუქურთმებული, განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთის ფასადი.

დაბადება – 1. მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნი, რომელსაც ძველი ქართული წყაროები „შესაქმესაც“ უწოდებენ; მოგვითხრობს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის ბიბლიურ ისტორიას. „დაბადება“ ძველი ალთქმის ერთ-ერთი წიგნის სახელწოდებად დადასტურებულია ძველ ქართულ წყაროებში. მაგ., ათანასე ალექსანდრიელის „ოცდამეთხრამეტესაგან საღმრთოსწაულობითისა ეპისტოლისა“-ს ქართულ თარგმანში, რომელიც „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენლობაშია შეტანილი, ძველი ალთქმის წიგნების ჩამონათვალში პირველ წიგნს „დაბადება“ ეწოდება: „პირველად დაბადებაჲ, მერმე გა-

მოსლვათაჲ, მერმე ლეიტულთაჲ“ (გე. 470) და ა. შ. „დაბადება“ ეწოდება მას ამფილოქე იკონიელის „სელევკოსის მიმართთა იამბიკონთაგან“-ის ქართულ თარგმანში: „პირველ ძუელისა აღთქუმისათა ვაკესენებთ ხუთწიგნობასა: დაბადებაჲ, გამოსლვაჲ და ლეიტულთაჲ... (გე. 522). გრიგოლ ნაზიანზელის „განზომილთაგან სიტყუათა“-ს ქართულ თარგმანში კი – ძველი აღთქმის პირველ წიგნს „ქმნისაჲ“ ეწოდება: „პირველად ქმნისაჲ, გამოსლვაჲ, ლეიტულთაჲ (გე. 521).

2. „დაბადება“ ზოგჯერ ეწოდება მოსეს ხუთწიგნეულს (შდრ. ეპიფანე კვიპრელის „პოიმანტთა თუალთაჲს“ ძველ ქართულ თარგმანი „შტაბერის კრებულში“). „დაბადება“ მოგვიანებით მთელ ძველ აღთქმასაც ეწოდებოდა.

„დაბეჭდული წიგნი“ – მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ კანონიკურად, ღვთისსულიერად აღიარებული საეკლესიო წიგნები, საპირისპიროდ დაუბეჭდველი (იხ.) არაკანონიკური (იხ.), აპოკრიფული (იხ.) წიგნებისა. „დაბეჭდულ“ წიგნებს ათანასე ალექსანდრიელი „კანონისებულ“ ე. ი. დაკანონებულ წიგნებს უწოდებს: „რომელნი არიან განკანონებულნი და საღმრთოდ სარწმუნო ქმნილნი წიგნნი“ (დიდი სჯულისკანონი, 470).

დაგმობა – შერიგება (მტრებისა), ურთიერთშენდობა, პატრება. „ურთხუანში“ შეტანილია საგანგებო ლოცვა მტერთა შერიგებისათვის – „ლოცჳაჲ ურთიერთას დაგებისაჲ“ (იხ. „დიდნი კურთხეუანი“, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ., 2002, გვ. 405).

დაძგმა // დაძდებაჲ – საეკლესიო ტერმინი, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში, კერძოდ იოანე-ზოსიმეს ცნობილ კალენდარში (ქ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 258-281) ხშირად იხმარება წმინდანთა წმინდა ნაწილების ამა თუ იმ ეკლესიაში დასვენების ან გადმოსვენების მნიშვნელობით ან სიწმინდეთა დადების აღსანიშნავად, თითოეულ ამ ფაქტთან დაკავშირებით ეკლესიაში დაწესებული იყო დღესასწაული. იოანე-ზოსიმეს კალენდარში 15 ასეთი დღესასწაულია აღნიშნული (20,I; 29,IV; 9.25,V; 22,VI; 18,VII; 28,VIII; 11.22.23.24.28,IX; 18.20.27,X; 14,XI) მაგ.: „მთასა ზედა მოციქულთა ეკლესიასა დადგმაჲ პეტრესი და პაულესი, ფილიპესი და თომაჲსი მოციქულთაჲ და იოანე ნათლისმცემლისაჲ...“ (9,V), „პაულეს შენებულსა იაკობწმიდას დადგმაჲ იაკობ მოციქულისაჲ, ძმისა უფლისა“ (25,V), „ბეთლემსა გზასა რაქელს ეკლესიასა– დადგმაჲ წმიდისა სტეფანწმისი“ (18,VI) და სხვ. „დადგმის“ სინონიმური უნდა იყოს ტერმინი „დადებაჲ“. იმავე იოანე-ზოსიმეს კალენდარში 18 იელისს ზემომოტანილ ხსენებას – „დადგმაჲ წმიდისა სტეფანესი“ – უშუალოდ მოსდევს „იოანეს ნათლისმცემლისა გუამისა დადებაჲ“. ღვთისშობლის დღესასწაულებთან დაკავშირებით ხშირად იხმარება ტერმინი „დადება“: „დადებაჲ და თაყუანისცემაჲ პატიოსნისა სარტყლისა წმიდისა ღმრთისმშობელისა ხალაპრატას (3,VIII), „დადებაჲ პატიოსნისა სამოსლისა წმ. ღმრთისმშობლისაჲ ვლაქერნას“ (2,VII) და სხვ.

დაღეში – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მურუხახეთისწყლის მარცხენა მხარეს, ახალქალაქიდან 23 კმ. დაღეში წყაროებში პირველად XIV ს. იხსენიება. სოფელში და მის მიდამოებში შემორჩენილია ადრინდელი და შუა ფეოდალური ხანის ეკლესიები, რომლებიც შემდეგ გადაუკეთებიათ. ამჟამად სოფელში სომხები ცხოვრობენ, ისინი აქ XIX ს. დასახლდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი 1745 წელს დამთავრებულ თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაღეშის შესახებ წერს: „ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკურის კოლის დასაწყებთ არს მცირე ქალაქი კოლა და ზის აწ ფაშა კოლას და უწოდებენ კოლის ფაშას. ამ კოლას ზეით, მტკურის კიდეზედ დადეშს არს ეკლესია დიდ-შუენიერ გუმბათიან-შენი და აწ უქმობენ დრონ-ჟოლისას. ოდეს ესპისკოპოზი სრულიად კოლისა და აწ უქმ არს“ (ქართლ. ცხ. IV, 674). უფრო ადრინდელ, XVI ს-ის დასაწყისის ერთ დოკუმენტში, რომელიც სამცხე-საათაბაგოში შემაჲალ საეპისკოპოსოებსა და მის საზღვრებს აღწერს, ნათქუამია: „დადეშნელის სამწყსო (რიგით მე-13, სულ ბოლო) სულა კოლა და ხორტეკანი, ყარსალიზედ მიდგამდის (ქართ. სამ. ძეგლ. III, 246) ე. ი. ამ დროს დადეშნელის საეპისკოპოსო უკვე კიდევ მოქმედია.

დაჭათი – სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. აბაღოსუბნის (არაგვის მარცხ. შენაკად.) სათაესთან, ერწოსკენ მიმავალ გზაზე. სოფელში დგას ღვთისშობლის ორნაოსანი ბაზილიკური ეკლესია დახლ. IX-X სს-ისა. ეკლესიის კედლებში ჩაშენებული იყო VI-VII სს. სტელა, რომელზედაც IX-X სს-ში ამოუკაწრავთ ქართული ანბანი სრულად და თანმიმდევრობით ა-დან ჰ-მდე. დავთის ანბანი უძველესია ჩვენამდე მოღწეულ ანბანებს შორის (იხ. ვ. სილოგავას წერილი „ლიტ. საქართველოში“, 15.IV, 1988).

დავითი (ძვ. წ. 1055-1015 წწ.) – ოუდეელთა და ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და მისი პირველი მეფე ბიბლიის მიხედვით. დავითი მწყემსი იყო, მან ფილისტიმელთა გოლიათი დაამარცხა და მეფე საულმა ჯარისკაცობაშივე მხედართმთავრად დანიშნა, თანაც თავისი ქალიც მოათხოვა. დავითის პოპულარობას მეფე შეუშინებია და მისი მოკვლა განუზრახავს. საულის დაღუპვის შემდეგ დავითი მეფედ აირჩიეს. დავითმა გააერთიანა იუდეა და ისრაელი. სამეფო ქალაქად იერუსალიმი აირჩია და იგი რელიგიურ ცენტრად გამოაცხადა. აქ გადმოასვენეს „კიდობანი ხჳცისა“ (იხ.). დავითის მიერ დაარსებულმა დინასტიამ ძვ. წ. 585 წლამდე იმეფა. თავის ძეს სოლომონს მან დაუტოვა სახელმწიფო, რომელიც დამასკოდან ეგვიპტემდე და ხმელთაშუა ზღვიდან მდ. იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე მიწებამდე იყო გაფაშოებული. დავითს მიეწერება ფსალმუნის შექმნა, რომელსაც ქართული ტრადიციით „დავითი“, „დავითნი“ (იხ.) ეწოდება. აღსანიშნავია, რომ ქართული სამეფო ბაგრატიონთა გვარი თავის წინაპრად დავითს მიიჩნეულდა და დავითიან-ბაგრატოვანებად იწოდებოდნენ (დავითის შესახებ იხ. ძვ. აღთქმის „I მეფეთა“ XVI და „II მეფეთა“ XII თავები, აგრეთვე „ნეშტთა წიგნის“ XI-XIII თავები).

დავითი – რამდენიმე ქართველი კათოლიკოსისა და კათოლიკოს-პატრიარქის სახელი:

1. საქართველოს კათოლიკოსი დაახლ. 944-955 წწ. იგი მოხსენიებულია „მოქცეაჲ ქართლისაჲ“-ში ცოლოსან კათოლიკოსთა შორის მე-18-დ (ძეგლები, I, 97, 37).

2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV-XV სს. მოკლედაც. დავითი კათოლიკოსად დაუსვამს გიორგი VII-ს (ალექსანდრე I დიდის მამას): „მოვიდა კათალიკოზი მიქელ, ამანვე მეფეჲმან (გიორგი VII) დასუა კათალიკოსად დაჳით“ (ქართლ. ცხ. IV, 276,8).

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XV ს. I ნახევარში, ალექსანდრე I დიდის ძე. ბერად შემდგარა 1417-1419 წლებს შორის. 1419 წლის ალექსანდრე I-ის ერთ სიგელში (მცხ. № 21) აღნიშნულია: „განშორებულმან აღსლად ხარისხსა წმიდათა მღდელთმთავრებულთასა, ღჳს მონაზონმან დავით და ძმათა ეახტანგ, დიმიტრი და გიორგი“... მონაზვნად იხსენიება დავითი 1420-1425 წლის სიგელ-გუჯრებში (მცხ. 57 და 70). დავითის პირველი მოხსენიება კათოლიკოსად 1426 წელს ეკუთვნის, ხოლო უკანასკნელად გვხვდება 1430 წლის (მცხ. № 103) საბუთში, რადგან 1431 წ. კათოლიკოსად უკვე თეოდორეა მოხსენიებული (მცხ. გუჯარი 23). 1435 წ. ერთ სიგელში (მცხ. 34) ალექსანდრე დიდი აღარს უწესებს დავითს.

4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ჭაჭაუაძე) XV ს. შუა წლებში. წყაროების მიხედვით, დავითი კათოლიკოსად ჩანს 1439-1459 წლებში. დავითი აქტიურად მონაწილეობდა მცხეთის საკათოლიკოსო მეურნეობის აღდგენაში. იგი ამტკიცებს 1447 წ. გიორგი VIII-ის მცხეთის სასტრატარქო მამულების სითარხნის დიდ სიგელს (ცხსა 5016; სამ. ძეგ. III, 187). დავითის კათოლიკოსობის დროს სამცხის ეკლესიამ, ცხადყოფ ათაბაგის ინიციატივით მთელ მცხეთისაგან დამოუკიდებლობა, რისთვისაც დავით III-მ სამცხის ეკლესია დაწყევლა (ქრონიკები, III, გვ. 287).

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1466-1479 წწ. დავით ცდილობდა აღედგინა მცხეთის სასტრატარქო მფლობელობა კახეთში. 1479 წ. კახეთის მეფეს ალექსანდრე I-ს მცხეთათვის შეუწირვინა სოფ. ახალშენი (კახეთში).

დავით V (დევდარიანი) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1972-1977 წწ-ში. 1928 წელს დავითი იყო ხარაგაულის ოლქის მთავარი ხუცესი. 1930 წლიდან მსახურობდა თბილისის სიონის სასტრატარქო ტაძარში, 1932-1945 წწ. – თბილისის ქაშვეთის ეკლესიაში, 1945-47 წწ. – წმ. ნინოს ეკლესიაში. 1956 წ-დან ჯერ არქიმანდრიტი იყო, შემდეგ არგვეთისა და ურბნისის ეპარქიების ეპისკოპოსი. 1959 წ. – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ამავე დროს განაგებდა მანგლისის ეპარქიასაც. 1972-1977 წლებში დავითი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. იგი იყო სსრკ და საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტების წევრი.

დავითი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ბოლნისის ეპისკოპოსი V ს. ბოლოს და VI ს. დასწყისში. ბოლნისში საეპისკოპოსო კათედრალი ეახტანგ გორგასალს დაუარსებია. დავით ბოლნელი ეპისკოპოსი მოხსენიებულია ბოლნისის ცნობილი სიონის 494 წწ. ორ საკლშენებლო წარწერაში: „... და ვით [ამის მაშენებელსა დავით] ეპისკოპოსსა ხულოცს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ“.; „ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მომართ თაყუანისმცემელნი შეიწყალენ და

შრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხვეწიე" (ლაპიდ. წარწერ. I, 66; 68). დავით ეპისკოპოსი დასწერებია 506 წლის დეკინის კრებას. დავით ბოლნელი დაკრძალული უნდა იყოს ბოლნისის სიონზე (ბაზილიკაზე) აღმოსავლეთის მხრივ მიშენებულ ეგვტერში (ექე. თაყაიშვილის აზრით — „მნათობი", 1948, № 8, გე. 96-97, შენ.).

2. წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსი XIV ს. I ნახევარში. დავითის ჯერ-ჯერობით ერთადერთი მოხსენიება გვაქვს ათონის მთის სოფ. იერისოში მოსახლე ქართველთა ნიკოლოზის ტაძრის (აგებული 1262 წ.) ქართული ხატის 1336 წლის წარწერაში, რომელიც, ალბათ, საქართველოდან უნდა იყოს ჩატანილი.

3. ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსი (საყვარელიძე) XVI ს. შუა წლებში. ცნობილია დავითის 1559 წ. 24/X შეწირულების წიგნი ნიკორწმინდისადმი (ცსსა ფ. 1448, № 3320), რომელშიც იგი წარმოდგენილია „მღდელთმთავარეპისკოპოსი ნიკორწმიდელი დავით საყვარელისძის" სახელით და ტიტულით (ქართ. სამ. ძეგლ. III, 262-63).

4. დასაელეთ საქართველოს კათოლიკოსი (ნემსაძე) 1673-1696 წწ. ერთ-ერთი ხელნაწერის (Q 56, გულანი) მინაწერში ზუსტად მითითებულია დავითის კათოლიკოსად კურთხევის წელი — 1673 წელი: „ქსა ტჲა (361 + 1312 = 1673) ქრისტიანი და ღეთისმოყვარე კათალიკოზი დავით ნემსაძე კათალიკოზად დაჯდა". დავითმა ადგილა ოლიშის სამთავროში დასაელეთ საქართველოს კათოლიკოსის უმაღლესი საეკლესიო უფლებები, რომლის ხელყოფა ოლიშის მთავარმა ლევან III დადიანმა სცადა და მას 1675 წ. კათოლიკოსის საკმეებში ჩაურეველობის პირობა დააღებინა. მისგანვე მიიღო საკათოლიკოსო მამულად ხოფი (ახლ. ხობი), სადგომად — ორი სასახლე, ხოლო სასაფლაოდ — ხოფის ღეთისმშობლის ეკლესია. დავითი 1696 წ. უნდა გარდაცვლილიყო, რადგან ამ წლით თარიღდება მოძღვრო კათოლიკოსის — გრიგოლის ბეჭედი.

5. დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი (ვარშამე) 1751-1762 წწ. მონაზვნად აღკვეცილა გარეჯაში 1729 წ. 1740-1751 წწ-ში იოანესთან ერთად იყო მონასტრის „მამა". 1764 წ. დავითი ბოდბელად უკურთხებიათ იოანე ბოდბელის გარდაცვალების შემდეგ. დავითის დაკვეთით 1778 წ. იოანე გაბაშვილს (პოეტ ბესიკის ძმას) დავითგარეჯში მისი მოღვაწეობის დროს გადაუწერია დოგმატიკური შინაარსის კრებული (A 267). ცნობილია აგრეთვე დავით ბოდბელის ერთი განწირება 1789 წლის 1 მარტისა (ცსსა 1449, № 2573; სამ. ძეგლ. V).

6. ჭერემის (კახეთში) ეპარქიის ეპისკოპოსი XVIII ს. შუა წლებში. ცნობილია 1741-1744 წწ. ერთი განწესება ნიკოლოზ კათოლიკოსისა ათანასე თბილელისა და დავით ჭერემელის საქმეზე (Ad 92), სადაც დავითი „ჭერემელ ეფისკოპოსად" არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, დავით ჭერემის ერთ-ერთი უკანასკნელი ეპისკოპოსი იყო, რადგანაც XVIII ს. 70-იან წლებში ჭერემის საეპისკოპოსო მოხსენიებულია იმ ეპარქიათა რიცხვში, რომლებიც უკვე დაცლილნი არიან აოხრებისაგან (სამ. ძეგლ. III, 929).

7. ქიზიყის მიტროპოლიტი XVIII ს. 70-იანი წლების ახლოს. დავითი მიტროპოლიტის ხარისხით მოხსენიებულია ამ დროის დოკუმენტში: „ყოელადსამღუდელნი მღუდელთმთავარნი ქართლისა და კახეთისანი", კახეთის ეპისკოპოსთა სიაში: „დავით მიტროპოლიტი ქიზიყისა" (სამ. ძეგ. III, 929).

8. ნიქოზის ეპისკოპოსი XVIII ს. 70-იანი წლების ახლოს. დავითი მოხსენიებულია ამ დროის დოკუმენტში: „ყოელად სამღუდელნი მღუდელთმთავარნი ქართლისა და კახეთისანი", ქართლის ეპისკოპოსთა სიაში: „დავით ეპისკოპოსი ნიქოზელი" (ქარ. სამ. ძეგლ. III, 929).

9. ჭყონდიდის მიტროპოლიტი (წერეთელი) XIX ს. I ნახევარში, ძე ზურაბ წერეთლისა. დავითის დაეალებით დაუშაბადებიათ რამდენიმე ქართული ხელნაწერი (H 1009, A 1523, Q 75).

10. იმერეთის მიტროპოლიტი (XIX ს. I ნახ.). ერთი ქრონიკალური ცნობით 1830 წელს ჩასწარდა დავით მიტროპოლიტს „სრულიად მეგრელთა სამთავროსა სულიერი მწყემსმთავრობა, საჭყონდიდლო, საკაგერლო და საცაიშოცა ამას მიეცა" (ქრონიკ. III, 526). მეორე ქრონიკალურ ცნობაში კი აღნიშნულია, რომ „ჩვენ (1853 წ.) გარდაიცვალა ქუთაელი მიტროპოლიტი დავით (Q 918, 75r მინაწ.). ათონის მთიდან 1849 წ. პლ. იოსელიანის მიერ ჩამოტანილი ბიბლია (Ath. 1) ჩვენში სამ ცალად გადაუწერიათ, ერთი მათგანი — იმერეთის მიტროპოლიტი დავითისათეის (ივერია 25/IX 1888, № 201).

11. ალავერდის მიტროპოლიტი XX ს. I ნახევარში. მონაწილეობდა 1928 წ. 28/II მოწვეულ საქართველოს საეკლესიო კრებაში (კალისტრატე ცინცაძის პირ. არქ. 64, 61).

დავითი — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. მიძნაძორის (კლარჯეთში) მონასტრის მა-

შენებელი და მისი პირველი წინამძღვარი IX ს. I ნახ.. გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ დავით მიწამძორელი მოხსენიებული ასპაზე, როგორც „დიდი მამაჲ“ და „მაშენებელი მონასტერთაჲ“. დავითის აქტიური მშრომელური მის მოწაფეებსაც დიდი საამშენებლო საქმიანობა ჩაუტარებიათ: ილარიონს, რომელიც შემდეგში „კათალიკოზ იქმნა მცხეთას“, აუშენებია წყაროსთავის მონასტერი, ხოლო ზაქარიას – ბარეთელთა მონასტერი (ძეგლ. I, 275).

2. დავით მამფალი, ძე სუმბატ მამფალ არტანუჯელისა, რომელიც მონაზვნად აღკვეცილა X ს. I ნახევარში. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ჩანართში მოთავსება ცნობა დავითის გარდაცვალების თარიღის შესახებ: „გარდაიცვალა ძე ამის სუმბატისა დავით მამფალი მონაზონ-ქმნილი ქორონიკონსა რაგ“ (943 წ.).

3. ხახულის მონასტრის XI ს. მონაზონი. როგორც ჩანს, დავით მანამდე თბილისის მთავარეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო და შემდეგ შემდგარა ბერად. მას ხახულის მონასტერში გადაუწერია იოანე ოქროპირის „თარგმანება სახარებისა“ (მათეს თავისა) (Jer. 32) პალესტინის პალაურის მონასტრისათვის, სადაც წასული სურვილი ჰქონია მას: „შეუწირე პალაურას, რომელ არს ხარტონწმიდაჲ, უკეთუ ენებოს ღმერთსა, თუთ მე, ანუ მიქაელ, ძმამან ჩემმან, მიაღწიოს და უკუეთუ ჩუენ არა ღირს ვიქმნეთ ამას საწადელსა, ვისცა მიხუდეს და მას წმიდა ადგილსა გამოაკუაას ესე მცირეი ნაშრომი ჩუენი და ესე ანდერძი ჩუენი შეკეთაღოს... კრულ არს“. ეს ხელნაწერი შემდეგ იერუსალიმის ჯვარის ქართულ მონასტერში მოხვედრილა.

4. სინის მთის მონასტრის XI ს. II ნახევრის ქართველი მონაზონი. დავითი იხსენიება სინაზე 1074 წ. გადაწერილი სახარების (Sin. 19) ანდერძში.

5. ბაგრატ IV-ის დროის მონაზონი, მეფის ბიძაშვილი. მოიხსენიება თხზულებაში „სიტყუსგებაჲ ბერისა ეფთუმე გრძელისა სოსთანას მიმართ, სომეხთ მოძღვრისა“ (საქ. სამოთხე, 615-621). თხზულების მიხედვით, როდესაც ბაგრატ მეფის წინაშე ლრტილას გამოცხადდა სოსთანა და მოითხოვა სომეხ-ქართველთა სარწმუნოების ირგვლივ კამათი, ეკრძალ ვერ შეძლო პოლემიკური წინააღდეგობა გაეწია მისთვის. „მაშინ ნეტარმან დავით, ბიძის ძემან, პრქუა მეფესა...“ და ურჩია, სასაქრად ბერი ეფთვიმე გრძელი მიეწვია, რომელიც იერუსალიმიდან ახლად ჩამოსული იყო და ანჩელ მთაწმიდელ პატრიარქთან იმყოფებოდა (გვ. 615). დავითი, ჩანს, მონაზონი იყო, რადგან იგი „ნეტარად“ მოიხსენიება.

6. ათონის ივერთა ქართული მონასტრის ხუცეს-მონაზონი დაახლ. XI ს. მიწ. და XII ს. დასაწყისში. მისთვის მონასტრის ძმობას გარკვეული დამსახურებისათვის ალაპი განუწესებიათ 25 მარტს (აღ. № 59): „ალაპი განუწესეთ სულიერსა ძმასა ჩუენსა დავით ხუცესსა. მოსცა ეკლესიასა დრაკანი დიმიტრატი ორასი“ (ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაქო წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 151).

7. დავითგარეჯის მონასტრის მოძღვარი XV ს. I ნახევარში. დავითს 1443 წ. დაუწერია დიდორძის წინამძღვრისა და კრებულის მაღლობის წიგნი შიო ქართლის კათოლიკოსობაში, რომელსაც თოლეჯის მამული დიდორძის მონასტრისათვის დაუმტკიცებია (ქრონიკ. II, 255).

8. ანჩისხატის კანდელაკი XVI ს. I ნახევარში. „დიდი სჯულისკანონის“ ერთი ხელნაწერის (A 76, XIII ს.) გვარდნილ ბინაწერში დავით წერს: „ესე სჯულისკანონი მე, ანჩისხატის კანდელაკს დავითს, თამაზ-ხან რომ ქალაქში შემოეყარა (1536 წ.) მესამე დღეს დაუხსენ თათრისაგან, სეეტიცხოველისა იყო და ისევ სეეტიცხოველს შევწირე...“ (311v).

9. მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის ჯვარისმშენებელი (ულიანეს ძე) XVII ს. I ნახევარში. დავითისთვის კათოლიკოს ზებედეს 1610 წ. წყალობის წიგნი უბოძებია (ქართ. სამ. ძეგ. III, 389-390), ხოლო 1616 წელს კი ასევე წყალობის წიგნი უბოძა მას იოანე კათოლიკოსმა (Sd 543, ქართ. სამ. ძეგლ. III, 392).

10. XVII ს. II ნახევრის მონაზონი და პოლიტიკური მოღვაწე (თურქესტანიშვილი). დავით მონაზონი გაუგზავნია რუსეთს გიორგი ქართლის მეფეს თაეისი ძმის – არჩილ იმერთა მეფის ჩამოსაყვანად, რომელიც გახიზნული იყო. როცა დავითს დაღესტნისთვის მიულტვევია, შაშხალს დაუტყვევებია, მაგრამ მალე თავის მეგობრად გაუხდია, რადგან დავითს იგი გაუვალობის სწორად განუკურნავს. დავით დაღესტანში დარჩენილა ერთხანს, ხოლო მის ნაცვლად რუსეთს გიორგი მეფეს სხვა ბერი გაუგზავნია. რუსეთიდან წამოსულ არჩილს დავითი ჩერქეზეთს შეხვდა და მაშინვე დიპლომატიური მისია დაევალა ყირიმის ხანის წინაშე, რათა მას ეშუამდგომლა ხონთქართან, რომ არჩილს დახმარებოდა იმერეთის ტახტის დაბრუნებაში. ამ საქმეებთან დაკავშირებით დავითმა სტამბოლიც მოიარა და ხონთქრის დადებითი პასუხიც ჩამოიტანა. (ცხ-

ოერ. ქართლისაჲ, IV, 460; 850-852).

11. ქართველი კათოლიკე (ტულუკაშვილი), გორის მკვიდრი. დავითმა განათლება სამშობლოში მიიღო და მისი მოღვაწეობაც იქ წარიმართა. დავითს შეუდგენია კატეხიზმები: „ქრისტიანო მოძღვრება", რომელიც რამდენიმეჯერ დაიბეჭდა (ქართ. წიგნი I, გვ. 42-43, 74) და „ქრისტიანო მოძღვრება მოკლედ დარიგებული მარტყოფთათჳს" (იხ. А. Абрамишвили, Из истории грузинского книгопечатия за пределами Грузии, кн. III, Москва, 1960, с. 268-269). დავით ტულუკაშვილს უთარგმნია აგრეთვე თომა კემპელის „ქრისტეს თანდგომა" (H 434 და სხვ.). მას ქართველთა შორის პირველს დაუცავს დისერტაცია (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343-346).

12. XVIII ს. შუა წლების მღვდელი (ბაკურაძე). დავითი სხვებთან ერთად ხლებია თეიმურაზ II კახთა მეფეს 1747 წლის მოგზაურობაში თეირანს ნადირშაჰის კარზე, როგორც ეს აღნიშნულია თეიმურაზის წყალობის წიგნში დავით თუმშალისადმი აზატობის შესახებ („...თან გეახლდა... მღვდელი დავით ბაკურაძე; ქართ. ცხ. II, 398; 414).

13. გელათის წმ. გიორგის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში (როგორც ფიქრობს თ. ჟორდანია, ქრონიკ. III, 167). დავითი მოხსენიებულია A 256 ხელნაწერის მინაწერში „ჰა უაბ (1774 წ.) დავით". მოტანილი თარიღი დავითის გარდაცვალების წელი უნდა იყოს.

14. დავითგარეჯის მონასტრის მონაზონი, მოწამე XVIII ს. II ნახევარში. დავითი ლეკებს მოუკლავთ მონასტრის დარბევის დროს. ცნობები დავით მწირის შესახებ დაუცავს ნიკოლოზ მაღალაშვილის მიერ XVIII ს. მიწურულში დაწერილ შიო გარეჯელის „წამების" სვინაქსარულ თხზულებას, რომელშიც ალწერილია ლეკების მიერ შიოსა და კიდევ სამი გარეჯელი მონაზვნის დახოცვის ამბავი (A 1367, 1440-442): „მოვიდეს დაწყევლენი ლეკნი– და მოკლეს ძმა შიო მღვდელ-მონაზონი, დავით მწირი, გაბრიელ და პაველ... დამარხნა სამარხოსა სამხრით კერძო, წმიდისა დავითის საფლავის დასწორებით, აღმოსაელის გზისკენ" (ძეგლები, IV, 441-442).

15. ალის ეკლესიის მღვდელი XVIII ს. ბოლოს. დავითი, როგორც „მღვდელი ალელი დავით", მოხსენიებულია 1786 წ. 17 ნოემბრის ერთ განჩინებაში (ცსსა, ფ. 1450, № 21, ქართ. სამ. ძგ. V, 22).

16. ანანურის ეკლესიის დეკანოზი XVIII ს. ბოლო მეოთხედში. დავითი მოხსენიებულია 1780 წ. ერთ განჩინებაში (Qd 2200, ქართ. სამ. ძეგ. V, 127), როგორც სარწმუნო მოწმე.

17. XX ს. დასწყისის დეკანოზი (ღამბაშიძე) 1907 წ. 30/XI ჟურ. „მწყემსში" დაბეჭდა დავით დეკანოზის ნეკროლოგი ალექსანდრე ეპისკოპოსის შესახებ (H 45, 15).

დავითი – რამდენიმე ქართველი გადამწერ-კალიგრაფის სახელი:

1. იერუსალიმის პალაერის (ანუ ხარიტონის ლავრის) X ს. ქართველი მოღვაწე, კალიგრაფი. დავითს მონაწილეობა მიუღია X ს. პალეოგრაფიული კრებულის გადაწერაში, რომელიც დღეს სინის მთაზე ინახება (Sin. 11).

2. X ს. საეკლესიო მოღვაწე და კალიგრაფი. 995 წ. დავითს არქიმოსთან ერთად ტბეთში გადაუწერია ე. წ. ტბეთის I ოთხთაეი (პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 212). „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყდარსა შინა ტბეთისასა... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა, ქრონიკონსა სიე (215 + 780 = 995), კელთა ორთა მწერალთაჲთა დავით ოშკელისაჲთა და გლახაკისა არქიპოსისითა..." (305ვ) სახარება ასომთაერულით არის ნაწერი, ორ სვეტად, სათაურები და საძიებლები – ნუსხურით, წიოელი მელნით.

3. XI ს. I ნახევრის შატბერდის მონასტრისა და XI ს. II ნახევრის შაჰი მთის რომანწმიდის მონასტრის მონაზონი (ჯიბისძე). დავითის ინიციატივით 1035 წ. შატბერდის მონასტერში დაუმზადებიათ ეუთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის „დავითნის განმარტება" და სხვა თხზულებები (A 135), რომელსაც ერთვის დავით ჯიბისძის ანდერძი: „ბრძანებითა ეზრა მამათმთაერისა... დაეწერე კელითა სულერთა ძმათა ჩემთაჲთა სამასითა, მიქელისითა და გაბრიელისითა და განუსრულე კელთა შვილისა ჩემისა იოანესითა... და დავდევ შატბერდს... ქრონიკონსა სხე (1035 წ.). „დავით ჯიბისძე მოშგებულია შაჰ მთაზე, რომანწმიდის მონასტერში მისი ძმიშვილის" იოანე ჯიბისძის მიერ დაახლ. 1065 წელს გადაწერილი გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის" ნუსხისა (H 2211).

4. ხახულის მონასტრის XI ს. მონაზონი და კალიგრაფი. მას გადაუწერია იოანე ოქროპირის „თარგმანებანი". ხელნაწერი დღეს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წიგნსაცავშია დაცული (Jer. 32). დავითს ეს სამუშაო შეუსრულებია „მეფობასა რომანოზისა (1028-31 წწ.), ქართველ-

თა ზედა ბაგრატ მცირისა" (ბაგრატ IV – 1027-1073, რომელიც ამ დროს მართლაც მცირეწლოვანი იყო), ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია 1028-1031 წწ. შორის.

5. XVI ს. მიწურულისა და XVII ს. დასაწყისის საეკლესიო მოღვაწე, კალიგრაფი. დავითს აფხაზეთის კათოლიკოსის, ეფთვიმე საყვარელიძისათვის ჭყონდიდში გადაუწერია მარტვილის მონასტრის გულანის (Q 87) ორ ტომად აკინძული 1006-ფურცლიანი წიგნის ნაწილი: „შეიწყალეთ მე ცოდვილი დავით, თუთ ღმერთმან უწყის, ბევრი ვეცადე სიკეთესა და სიმართლესა" (1004r).

6. ანჩისხატის დეკანოზი (ალექსიძე) XVIII ს. ბოლოს. მას 1789 წელს დაუწერია ანტონ II კათოლიკოსის წყალობის წიგნი იოანე გელეანიშვილისადმი (ქართ. სამ. ძეგლ. III, 981).

დავით აღმაშენებელი (1073-1125) – საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს გამჩენილი მეფე 1089-1125 წ., გიორგი II-ის ძე, საქართველოს ეკლესიის წმინდანი. გამეფდა 16 წლისა 1089 წელს, მამის სიცოცხლეშივე. დავითის მემკვიდრეობით თურქ-სელჯუკთაგან დარბეული და დაკარნეჯებული ქვეყანა ერგო. დავითის ენერგიული საქმიანობის შედეგად დაიწყო საქართველოს გახიზნული მოსახლეობის თავიანთ მიწაზე დაბრუნება. თურქ-სელჯუკებისათვის ხარკის შეწყვეტას (1099 წ.) და მათი თარეშის ალაგმვას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. დავითის მიერ მოპოვებულმა სამხედრო წარმატებებმა (ზედაზნის შემოტკრცება 1102 წ., ერწუხის 1104 წ. ბრძოლა და კახეთ-ჰერეთის შემორთება და სხვ.) სახელმწიფო პოლიტიკურადაც გააძლიერა. დავითის მიერ სელჯუკთაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლები, ქვეყნის გაერთიანება და უძლიერესი სახელმწიფოს შექმნა საქართველოს ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელია. ერთ-ერთი უდიდესი ღვაწლი დავით აღმაშენებლის საქმიანობაში ქართული ეკლესიის გაძლიერებისათვის ბრძოლა იყო. 1105 წელს მოწვეულმა რუის-ურბნისის საგანგებო საეკლესიო კრებამ (იხ.), რომლის მოწვევის ინიციატორი დავით აღმაშენებელი იყო, ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინებას და განმტკიცებას მყარი საფუძველი დაუდო და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს იდეური დასაყრდენი მისცა. დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული ქართული რელიგიის და კულტურის უდიდესი ცენტრის – გელათის მონასტრისა და მასთან არსებული გელათის აკადემიის (იხ.) დაარსება (1106 წ.), შიომღვიმის ღვთისმშობლის ტაძრის აშენება და სხვა საარქიტექტურო საქმიანობა, რამაც მას ქართული კულტურის ისტორიაში „აღმაშენებელის" ზედწოდება მოუპოვა. ეკლესია-მონასტრებისადმი დავითის ზრუნვა მის ისტორიაში ასეა შეჯამებული: „...ლაერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თუსთა ოდენ საშეფოთა, არამედ საბერძნეთისანიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავი მთისა, პალესტინისანი ალუსა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მყოფნი იერუსალემისანი თუთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა" (ქართლ. ცხ. I, 352-353).

დავით აღმაშენებელი მწიგნობრობის დიდი ენთუზიასტი და ხელშემწყობი იყო. ქართულად ნათარგმნ მრავალ ძეგლს ახლავს მთარგმნელისეული ანდერძი, რომლის მიხედვით თხზულება დავით მეფის ბრძანებით არის ნათარგმნი. დავითი თვითონაც ჩინებული პოეტი ყოფილა. მისი ორიგინალური პიწი (კანონი) „ქალაბანი სინანულისანი" (იხ.) სასულიერო პოეზიის შესანიშნავი ძეგლია, რომელშიც პოეტის პირადული რელიგიური განცდა ზოგადქრისტიანულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ რეზონანსს იძენს. დავით აღმაშენებელი 1125 წ. გარდაიცვალა და დასაფლავებულია გელათის მონასტერში. მისი საფლავისათვის შერჩეული ადგილი (რომელზედაც უნდა გაეელო ტაძარში შემსვლელ ყველა მორწმუნეს) და საფლავის ქვის ეპიტაფია თითქოსდა გაგრძელებაა იმ სინანულისა, რომელიც დავითმა სინანულის „ქალაბანში" გამოთქვა. დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მდიდარი ეპიზოდები შესანიშნავად არის აღწერილი მისი თანამებრძოლე და თანამებრძოლი უცნობი ისტორიკოსის მიერ: „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი" (ქართლ. ცხ. I, 318-363).

დავით აღმაშენებლის ისტორია – იხ. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი".

დავით გარეჯელი – დავითგარეჯის მონასტრის დამაარსებელი VI ს., მონაზონი, რომელიც, წყაროების ჩვენებით, ერთ-ერთი იმ ცამეტ ასურელ მამათაგანი ყოფილა, რომლებიც იოანე ზედაზნელის მეთაურობით სირიის მაკი მთის სანახებიდან ქართლს მოსულან VI ს. შუა წლებში. დავითის მიერ დაარსებული მონასტერი ერთ-ერთი პირველი მონასტერი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. დავით გარეჯელის ღვაწლი აღწერილია X ს. შექმნილ თხზუ-

ლებაში, რომელიც იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრებას მიეძღვნა (ძეგლები, I, 229-240). დასძენ. XII-XIII ს. ამაღე თხზულების საფუძველზე შეიქმნა დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრება“ (ძეგლები, III, 170-207). ამ ორი ძირითადი წყაროს გარდა XVIII საუკუნეში დაიწერა სვინაქსარული (ძეგლ. IV, გვ. 407-415) და ერცელი „ცხოვრებებიც“ (ძეგლები III, 291-311), რაც დავით გარეჯელის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. დავითის „ცხოვრებათა“ საფუძველზე ჩანს, რომ დავითმა და მისმა მოწაფეებმა ლეკიანემ და დიდომ საფუძველი ჩაუყარეს დავითგარეჯის (იხ.) უზარმაზარ სამონასტრო კომპლექსში შემდგომ მონასტერთა ჩამოყალიბებას, რამაც მომდევნო საუკუნეებში არნახულ ხალხმრავლობას მიაღწია და შესანიშნავ სამწიგნობრო კერად ჩამოყალიბდა.

დავითგარეჯის მონასტრები – ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო ანსამბლი საქართველოში. მდებარეობს კახეთში, საგარეჯოს რაიონში, საგარეჯოდან 30 კმ-ზე, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ზე. დავითგარეჯის პირველი მონასტრის დარსება დაკავშირებულია სირიიდან საქართველოში VI ს. შუა წლებში ჩამოსული იოანე ზედაზნელის 12 მოწაფეთაგან ერთ-ერთის – დავით გარეჯელის სახელთან (აქედან – სახელწოდებაც). ცნობები მონასტრის აღმოცენებისა და განვითარების პირველ პერიოდის შესახებ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ძველ რედაქციას შეუნახავს (ძეგლები I, 229-240). თხზულების მიხედვით, დავითი თავის მოწაფე ლეკიანესთან ერთად მოსულა აქ. „პოვეს ჰარები რამეთ კლდისაჲ, რომელსაც ქუაშე დაიპანეს“ (გვ. 230). სწორედ ეს გამოქვაბული გახდა მომავალი ვრცელი მონასტრის საძირკველი. დავითისა და მისი მოწაფის საკერელმა მოღვაწეობამ და სასწაულებმა მრავალ მორწმუნეს ალუბრა სამონაზვნო მოღვაწეობის სურვილი. მონაზონთა მომრავლებამ დავითი აიძულა, ეზრუნა მონასტრის გაზრდა-გაფართოებასა და კეთილმწყობაზე. ახლადმოსულებმა დავითის ბრძანებით „აღმოკუეთნეს ლაკუანი შემწყნარებელად წყალთა, ქუაბნი საფოფელად მათდა, რომელთა შინა დაემკუდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი, უდაბნოებითაც ცხოვრებასა შეშტკბობელნი“ (ძეგლები III, 189). მონასტრის („დავითის ლავრის“) ძმობა ყოველდღიურად იზრდებოდა და მონასტერიც ფართოვდებოდა. მოვიდა დიდო, რომელიც შემდგომში დავითის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე და თანამოღვაწე გახდა. რადგან დავითის მონასტერში ტეუა აღარ იყო, დავითმა გადაწყვიტა, დიდოსათვის ახალი მონასტრის დაარსება დაეკალებინა: „წარეკედ, ძმაო, რჟასა ამის კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩუენსა, და წარიტანენ თანა სხუანიცა ძმანი...“ და „ერჩდა ბრძანებასა მისსა წმიდაჲ დიდო და წარვიდა და აღაშენა უდაბნოჲ იგი სახელსა ზედა ყოველადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისასა“ (ძეგლები I, 254). ასე აღმოცენდა დავითის სიცოცხლეშივე ლავრის გარდა, მეორე მონასტერიც – „დიდორჭა“. დავითის სიკვდილის შემდეგ, მისი მოწაფის, ლეკიანეს მიერ დაარსებულად მიაჩნიათ (VI საუკუნეშიე) გარეჯის კიდე ერთი განშტოება – იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (იხ.), ლავრიდან 12 კმ. მანძილზე. დავითგარეჯის მონასტრების ზრდა შემდეგ საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა. მართალია, VII-IX სს. წყაროები დავითგარეჯის სამონასტრო ცხოვრების შესახებ ჩვენამდე არ შემონახულა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მას გამრავალება-გაფართოება არ შეუწყვეტია. მის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დავითის ლავრაში ილარიონ ქართველის (827-875) მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც აქ 15-16 წლის ასაკში დამკვიდრებულა (ძეგლები II, 11). წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ, რაც მრავალ წელს გაგრძელებულა, ილარიონი ხელმეორედ სწვევია გარეჯას (დაახლ. 855 წ.) და ფართო აღშენებლობითი საქმიანობა ჩაუტარებია: „წმიდისა მამისა დავითის სამარტყლოსა შინა ეკლესიად შექმნა, განაგო და შეწირა საკმარი“ (ძეგლები III, 222). ამჯერად ილარიონს გარეჯაში 9 წელი დაუყოვნია. ილარიონს გაუფართოებია, განუვრცია და უკურთხებია ეკლესია, რომელშიც დავითი და ლეკიანე არიან დაკრძალულნი (ეს ეკლესია დღემდე შემონახულია). როგორც ჩანს, ილარიონის მიერ გადაკეთებული და გაფართოებული ეკლესია გამხდარა ნიმუში, რომლის მიხედვით შენდებოდა მთავარი ეკლესიები გარეჯის ცალკეულ მონასტრებში.

დავითგარეჯის მონასტრების მოღვაწეთა სიმრავლეს ახალი მონასტრების დარსება მოუთხოვია. VIII-IX ს. უნდა შექმნილიყო „უდაბნოს“ მონასტერი, ხოლო XII ს. მიწურულს – კიდევ ერთი ახალი სამონასტრო კერა – ბერთუბანი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია თავისი შესანიშნავი მხატერული სკოლით. მომდევნო პერიოდში გარეჯაში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მონასტერი – ჩიჩხიტური. ტრადიციულად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში 12 მონ-

ასტერს ითელიან ქრისტეს 12 მოწაფის ანალოგით. ასეთივეა მონასტრები: აღდგომისა, წამებული, თეთრსენაკები, მაღაზანა (ანუ საბარეები), ქოლაგირი, მოხატული, ცერანგარეჯა, პირუკუღმართი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები. ისინი მეტნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში (პ. იოსელიანი, მ. ჯაბაშვილი, ტ. მუსხიშვილი, პ. ცხვედიანი, მ. საბინინი, თ. თოდუა, დ. მინაშვილი, ზ. სხირტლაძე და სხვ.). რეალურად გარეჯში მონასტერთა რიცხვი 15-მდეა. დავითგარეჯის მონასტრების საქმიანობა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საქართველოს როგორც რელიგიურ, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებლმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას და გაათავისუფლა ისინი სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 წ. მონღოლთა ლაშქარმა დაარბია დავითგარეჯა და მისი მიდამოები. XIV ს. I ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს დავითგარეჯა აღორძინდა და მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალად იქცა. მონასტერთა მესვეურნი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის საქმიანობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. XIV ს. ბოლოს თემურლენგის მრავალგზისი ლაშქრობების შედეგად სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1421 წ. ალექსანდრე I-მა (დიდმა) დავითგარეჯა მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1616-1617 წწ. შაჰ-აბაზის შემოსევის დროს იგი სპარსელებმა დაარბიეს და მონასტრები ისევ გაუქმდა. 1639 წ. თეიმურაზ I-მა აქ ისევ აღადგინა სამონასტრო ცხოვრება. XVIII ს. დავითგარეჯა კვლავ მეფის საკუთრება გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები, იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავითგარეჯის მონასტრებმა XIX ს. დასასრულამდე იარსებეს. სამონასტრო ცხოვრების ხელახლა აღორძინება აქ XX ს-ის მიწურულში დაიწყო.

დავითგარეჯის სამონასტრო ორგანიზაციამ თავისი განვითარების მწვერვალს საქართველოს ძლიერების ეპოქაში – XII-XIII სს. მიღწიაზე მიაღწია. აქ გამოშუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა. მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში აღრინდელი უბრალოების ნაცვლად თავი იჩინა გრანდიოზულობამ, დიდებულებამ, ინტერესმა ფართო, თავისუფალი სივრცისადმი. მთავარი ეკლესიებისა და სატრაპეზოების კედლების მოხატულობაში დიდი ადგილი ეჭირა ქტიტორთა მრავალრიცხოვან გამოსახულებებს, მათ შორის – მეუფეთა პორტრეტებს (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის ეკლესიაში, მეფე დიმიტრი II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში და სხვ.). ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად სჭარბობს წმინდანთა გამოსახულებებს. ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა გამორჩეულ საზეიმო ხასიათით. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახულია მოელენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. დავითგარეჯა განათლებისა და კულტურის მძლავრი კერა იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ქართული ეკლესიისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი: ონოფრე გარეჯელი (XII ს.), დემეტრე I, დავით აღმაშენებლის ძე (XII ს.), ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIII სს. მიჯნაზე), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ კათოლიკოსი (ორბელიშვილი), ნიკოლოზ რუსთველი (ჩარქვიშვილი), ნიკოლოზ თბილელი (ორბელიანი), გაბრიელ საგინაშვილი, გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I კათოლიკოსი, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვა მრავალი. დავითგარეჯის მწიგნობრული კერა XVII-XVIII სს-ში უმდიდრეს ხელნაწერთა ფონდს ფლობდა. ხელნაწერთა უმეტესობა აქ მოღვაწე მწიგნობართა მიერ იყო გადაწერილი; მეტიც – ხელნაწერი წიგნებით დავითგარეჯის ბერმონაზვნობა ამარაგებდა საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს.

დავით და კოსტანტინე – ქართული ეკლესიის მოწამე-წმინდანები, არგვეთის ერისთავები, რომლებიც მეფაურობდნენ ქართველთა ლაშქარს მურვან ყრუს 736-738 წწ. შემოსევის დროს. უთანასწორო ბრძოლაში დავით და კოსტანტინე არაბებმა ტყვედ ჩაიგდეს და რადგან მათ სასტიკი უარი განაცხადეს გამაჰმადიანებაზე, ჯერ აწამეს და შემდეგ კი მდ. რიონში ლოდებმობილი ჩაყარეს და დახრჩეს. საღმრთო განგებით გვამები განთავისუფლდნენ ლოდებისაგან და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდნენ. ზეციდან დაშვებულმა სინათლის სვეტებმა გაანათეს მათი გვამები. ღვთისმოსავმა ადამიანებმა ისინი ნაპირზე გამოიტანეს და საღვთო მოსწავებით დაკრძალეს მურვან ყრუს მიერ აოხრებული ციხე-ქალაქის – წყალწითელის დანგრეული ეკლესიის ქვეშ, ცარიელ აკლდამაში. ამ ადგილას ბაგრატ IV-მ ააშენა მონასტერი წმ. დავით და კოსტანტინეს სასახელოდ. „ტაძარი შუენიერი და ცხადად საანჯღნო ყუნა გუამნი

წმიდათა მოწამეთანი და დაასუნა მის მიერ აღშენებულსა მას ტაძარსა შინა კუბათათა შეუნიერითა და არიან მას შინა მღებარე გუამნი წმიდათა მოწამეთანი დავით და კოსტანტინესნი" (ძეგლები, III, 263). ღღეს ამ ეკლესიას „მოწამეთა" ეწოდება, რომლის ლუსკუმაში ინახება დავით და კოსტანტინე წმიდა ნაწილები – საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდეთაგანი. დავით და კოსტანტინეს „წამება" დაიწერა მათი სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ, დაახლოებით XI-XII სს. მოუკიდე. სასტორიო წყაროებში შემონახული ცნობებისა და ზეპირი გადმოცემების საფუძველზე („ვითარცა გუსწაიეს ესე ძუელთა უწყებათაგან", როგორც ამბობს „წამების" ავტორი, ძეგლები, III, 248-263). დავით და კოსტანტინეს შესახებ შექმნილი სრულყოფილი „წამების" 5 განსხვავებული ტექსტიდან უძველესია XIII-XIV სს. სვინაქსარული „წამება", რომელიც თოსლის მონასტრის (აწყურის მახლობლად) სვინაქსარს დაუკავშირდა. ხელნაწერი ღღეს ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (№ 4 – გამოცემულია: ძეგლები IV, 359-361). დასარწერი ტექსტები XVI (A 508), XVII (ცენტრ. არქ. № 302) და XVIII (A 111, A 425) საუკუნეებისაა (გამოცემულია: ძეგლები IV, 361-366). მათი ხსენების ღღეც ქართულმა ეკლესიამ 31 ოქტომბერი დაწესა, თუმცა ზოგ ხელნაწერებში 2 ოქტომბერიც გვხვდება (A 111, ცენტრ. არქ. № 448, ქუთ. 111).

დავით და ტირიფანი – მცირეწლოვანი ქრისტიანი სომეხი ეროვნების მოწამეები, ძმები, რომლებიც დაახლ. IV ს. უწამებია საკუთარ წარმართ ბიძას. ეს ფაქტი ტაოში მომხდარა, საქართველოს ტერიტორიაზე. მათი „წამება" შემონახულია ერთადერთ, X ს. ქართულ ხელნაწერში (Ath. 8) სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ დავით და ტირიფანის „წამება" ქართულად დაწერა სომეხმა ქალკედონიტმა ავტორმა დაახლ. IX ს-ში. მათი მოსახსენებლები ხშირად გვხვდება ქართულ ლიტურგიკულ წიგნებში, ზოგიერთი მათგანი მოწამეებს ქართველებად მოიხსენიებს: „თუესა მაისსა ი8 (18) წმიდათა მოწამეთა ორთა ძმათა ქართველთა დავით და ტირიფანესი, რომელნი იყვნეს სომხითით და ეწამნეს ტაოს" (A 515, 1733 წ. 191 r). თუმცა უფრო ძველი მოსახსენებლები მათ ქართველობაზე არაფერს ამბობენ: „ამასვე ღღესა (18 მაისი) წმიდათა მოწამეთა ორთა ძმათა დავით და ტირიფანესი, რომელნი იყვნეს სომხითით და ეწამნეს ტაოს" (A 97, XI ს. ხელით მინაწერი ანიაზე, 221v). დავით და ტირიფანის „წამება" გამოქვეყნებულია (ძეგლები I, 186-198).

დავით III დიდი, კურაპალატი († 1001) – ქართველ ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე, ადარნასე III-ის ძე. დავით კურაპალატის მეთაურობით განხორციელდა მისი შეილობილისა და გაზრდილის, ბაგრატ III-ის გამეფებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გეგმა. დავითის მეფობის დროს აიგო ოშკის, ხახულისა და პარხლის ტაძრები, სადაც ფართო კულტურულ-სამწიგნობრო საქმიანობა გაჩაღდა. დავით კურაპალატი ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ მამებს და პირველ რიგში ეფთიმე მთაწმიდელს საგანგებოდ უცქერდა ქართულ წიგნებს. დავითი 979 წ. დაეხმარა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. ქართველთა ჯარის მეთაურობა მან დაიკავა ცნობილ ქართველ მხედართმთავარს თორნიკეს, რომელიც იმ დროს იოანეს სახელით უკვე ათონის მთის მონაზონი იყო.

„დავითიანი" – VI-VII სს. გუმბათიანი ეკლესია გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში (იხ.), ძველ ურიათუბანში.

დავით თესალონიკელი († 540 წ.) – VI ს. I ნახევრის მონაზონი და სასწაულთმოქმედი. დავითი მონაზვნად შედგა წმინდა მოწამეების – თეოდორესა და მერკურის მონასტერში. შემდეგ დამკვიდრდა ქ. თესალონიკეს მახლობლად, ნუშის ხის ქვეშ მოწყობილ ფაცხაში და იქ 70 წელი განმარტოებით ცხოვრობდა მკაცრ მარხულობაში და განუწყვეტელ ლოცვებში. დავითმა სასწაულთმოქმედების შედეგად მრავალი ავადმყოფი განკურნა და მრავალს მისცა სულთმრგებელი რჩევა-დარიგება. დავით თესალონიკელის მეტაფრასული „ცხოვრება" (რომელიც ბერძნულად ითარგმნილნის უნდა დაეწერა XI ს. II ნახევარში), თარგმნილია ქართულად XII ს-ში (ქუთ. 3; XVI ს., ფ. 282-292). მისი ხსენება დადებულია 26 იანვარს.

დავითის ლაშქრა – დავით გარეჯელის მიერ VI ს. I ნახევარში დაარსებული პირველი მონასტერი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. მონასტრის არქიტექტურული ანსამბლი სხვადასხვა პერიოდის (VI-XVIII ს.) ნაგებობათაგან შედგება. მონასტრის ტერიტორია შემოზღუდულია გალავნით და საგუშაგო კოშკებით. ეკლესიები, მონაზონთა სენაკები და საერთო საცხოვრებელი სამლოცველოები, სატრაპეზონი და სხვა სამეურნეო ნაგებობები ძირი-

თადად მღვიმეებშია მოთავსებული. მთის მასივში ხელოვნურად გამოკვეთილია წყობის წყლის შესაგროვებელი წყალმიმღები ღარები. ერთ-ერთ მღვიმეში წყეთ-წყეთობით გროვდება წყალი, რომელსაც „დავითის ცრემლს" უწოდებენ. მონასტრის ყველაზე დიდი და ფართო ნაგებობა იყო იოანე ღვთისმეტყველის კლდეში ნაკეთი XII ს. ეკლესია, რომელიც ამჟამად დანგრეულია. ჩრდილოეთ კედელზე XVIII ს-ში გამოუსახავთ სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან: „ლეკიანე წველის ირმებს" და „ყველეშაპის დაწვა". მეორე კლდეში ნაკეთი ფერისცვალების ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებისაა. სხვა ნაგებობათაგან აღსანიშნავია სატრაპეზო (გამოქაბულში), კოშკი ალექსანდრე მუფიას (XVIII ს.) და სხვ. (იხ. დავითგარეჯის მონასტრები).

დავითნი||დავითი – ფსალმუნთა წიგნის ქართული სახელწოდება, მისი ავტორის, დავით წინასწარმეტყველის სახელის მიხედვით.

დავით პეტრიწონელი – პეტრიწონის (ბულგარეთში) ქართული მონასტრის XI ს. ბოლო მეოთხედის ხუცესმონაზონი. დავითი ქართულ წყაროებში მხოლოდ ერთხელ იხსენიება, „ლეგმატიკონში", ნიკიტა სტითატის თხზულების თარგმანზე დართულ ანდერძში: „ლაცა ყავთ, მამანო, არსენისთჳს თარგმანისა და დავითისთჳს, პეტრიწონელისა ხუცეს-მონაზონისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გადმოუქართულებიან ხუთნი ესე სიტყუანი სოფლითა განმაქიქებელნი" (Q 50, 115). ამ ანდერძიდან არკვევა, რომ ეს თხზულება (და კიდევ ოთხი სხვა სიტყვა) ბერძნული ენიდან უთარგმნია არსენ იყალთოელს დავით პეტრიწონელის „იძულებით". შესაძლებელია, ისინი მანგანის (კონსტანტინეპოლში) აკადემიაში სწავლობდნენ ერთად. სხვაგვარად არსენ იყალთოელის კავშირი პეტრიწონის მონასტერთან ცნობილი არ არის.

დავით რექტორი (დავით ალექსის ძე ბესსიშვილი) – ცნობილი ქართველი შეღებავი, მეცნიერი და პედაგოგი. 1764-65 წწ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 70-80-იან წწ. ერეკლე II-ის კარზე მდივან-შეღებავი იყო და გაიხსნა რექტორთან ერთად ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს. 1783 წ. გაიხნა რექტორის რუსეთში გამგზავრების შემდეგ დავით ასრულებდა თელავის სემინარიის რექტორის მოვალეობას, ხოლო 1790 წლიდან სემინარიის გაუქმებამდე (1801) კი მისი რექტორი იყო. დავითი ავტორია მრავალი სახელმძღვანელოსი („არითმეტიკა", „სწავლანი ოთხნაწილედნი", „ქართული წერის დედნები" და სხვ.). მან შეადგინა ქართულ ხელნაწერთა სია, რომელიც ცნობილია 1810 წ. კატალოგის სახელწოდებით. მის მეორე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათჳს" თავმოყრილია ცნობები ძველი ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების შესახებ. დავით ლექსიკოგრაფიულ მუშაობასაც ეწოდა (ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის კომენტარები). ამასთანავე დავითი დაბეჭდილი და ნაწერები კალიგრაფიულ იყო. მის მიერ გადაწერილ მრავალრიცხოვან ხელნაწერთაგან აღსანიშნავია ქართული სიტყვა-პასების მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია (S 1511; S 1512). დავითი გარდაიცვალა 1824 წ.

„დავით საბარეჯო" – XIII-XIV სს-ის მონასტერი ბოლნისის რ-ნის სოფ. კიკეთის მიდამოებში. დღეს შემორჩენილია XIII-XIV სს. ეკლესია და მეორე ეკლესია XIX ს-ისა.

დავით ტბელი (მტბევარი) – ტბეთის ეპისკოპოსი X ს. II ნახევარში, ცნობილი ქართველი მთარგმნელი. დავით ტბელს ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია პავოგრაფიული თხზულებები, როგორც კომპილური, ასევე მეტაფრასული რედაქციისა. პირველი რიგის თხზულებებია: 1. „ცხორებაჲ მართალისი, წმ. სუმბონის დებისაჲ" (Ath. 84, 2-91), 2. „ცხორებაჲ... ბარლაამ მღუდლისაჲ" (Ath.55, 95-124). 3. „ცხორებაჲ გრიგორი ეპისკოპოსისაჲ, არაკაბტელთა ქალაქისაჲ" (S 384, 771-856). მეტაფრასული რედაქციის თხზულებები: 1. „წამებაჲ არტემისი" (ქუთ. 4, 485-510); 2. „წამებაჲ ათთა ქრისტჱს მოწამეთა, რომელნი კრიტეს იწამნეს" (A 90, 239-242); 3. „წამებაჲ ექუეთერისი" (A 90, 207-222). დათ ტბელს უთარგმნია აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) ცამეტი თხზულება: 1. „შესხმაჲ და წამებაჲ კუსრიანესი" (A 1,845-873); 2. „შესხმაჲ მოწამისა დიმიტრისი" (A 16, 115-199); 3. შესხმაჲ და ქებაჲ თაჳსა დისაჲ ღორღონაჲსი" (A 16, 119-126); 4. „განდგომილისა იელიანესთჳს ძეგლისწერაჲ და განქიქებაჲ უმჯულებათა მისთაჲ" (A 16, 343-364). 5. „მიზეზი პონტოჲ სიელტოლისა მისისაჲ და მოქცევისათჳს მის, კეისარ სიტყუსებაჲ ბუკად კურთხეუისა მისისაჲ" (A 87, 187-213). 6. სწავლაჲ „მოეგებით ძჱსი ჩემნი" (S 1696,233-243); 7. „თქუმული ღმრთისმეტყველებისათჳს, თაჳი მეორე (A 87, 138-154); 8. თქმული თაჳსა მამისა გრიგორის და ერისა მის ანდრძოისა მიმართ" (A 87,235-238). 9. „თქუმული ეპისკოპოსთა მათ მიმართ ეგჳიპტით მოსაულთა და ერისა" (A 87,

312-319). 10. „ებისტოლე კლიდონის ხუცისა მიმართ“ (S 383, 147-154). 11. „თქუმული თავისა მამის გრიგოლის და დიდისა ბასილის მიმართ, ოდეს ებისკოპოსად აკურთხეს იგი სასიმოსა საყდარსა“ (A 87, 228-230); 12. „თქუმული მათდა მიმართვე მასვე ჟამსა“ (A 87, 230-232). 13. „თავისა თჳსისა მიმართ და მათა მიმართ, რომელნი იგი ეტყოდეს: ენებავს და ესურის მას კოსტანტინეპოლის საყდარი“ (S 383, 269-276). დაჩით ტბელის დიდ დამსახურებას ეკლესიისა და ქართული მწერლობის წინაშე აღასტურებს ის, რომ მისი მოსახსენებელი ეკლესიის სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად შეტანილია 1105 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძველისწერაის“ სინოდიკონში: „კირსთა მამათა ჩუენთა დაჳით ტბელისა... საუკუნოჲცა არს კსენებაჲ და კურთხეუაჲ“ (დიდი სჯულისკანონი, 559). დაჩით ტბელს თავისი მოღვაწეობა, როგორც წყაროებით დასტურდება, შაჳი მთის (ანტიოქია) მონასტერში დაუმთავრებია, ამიტომ მას ზოგჯერ დაჩით შავმთელის სახელითაც მოიხსენიებენ.

დაჩით შავმთელი – იხ. დაჩით ტბელი.

დათუნა – სოფელი დაღესტანში, ხუნძახში. სოფლიდან 3 კმ. დასავლეთით კლდეკარი ქვაბულის შუაგულში დგას დარბაზული ტიპის X-XI სს-ის მიჯნის ქართული ეკლესია. ეკლესიის სამხრეთის კარის ტიმპანში კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია.

დაკრძალვა // დამარხვა – მიცვალებულის დასაფლავების წეს-ჩვეულება, რომელიც ასახავს ადამიანთა დამოკიდებულებას გარდაცვალებისა და სიკვდილისადმი. დასაფლავების წეს-ჩვეულების მრავალფეროვნება სხვადასხვა ხალხებში განპირობებული იყო ყოფით, ტრადიციებით, რწმენა-წარმოდგენებით. საიქიოს რწმენის საფუძველზე უძველეს ხანაში წარმოიშვა მიცვალებულისადმი ორგვარი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, მიცვალებულებისათვის ზრუნვა (საფლავში საჭაკუნების, ტანსაცმლის და სხვა ნივთების ჩატანება. საქართველოში ამის გამოხატულება იყო ცხენის სიმბოლური შეწირვის წეს-ჩვეულება, აგრეთვე ქალების, ლოლის და სხვა რიტუალის შესრულება), მეორე მხრივ, მიცვალებულის გაუნებლობა – ზრუნვა იმაზე, რომ მიცვალებული უკან არ დაბრუნებულიყო. ამ რიგის წარმართობის გადმონაშთებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოადგენდა სახლის კედლის და ღობის გარღვევა და შემდეგ ამოშენება, ხის მოჭრა და სხვ. მიწაში დასაფლავების გარდა ბრინჯაოს ხანიდან ერცელდება მიცვალებულის კრემაცია. ეწროელები კრემაციის შემდეგ ურნებს მიწაში ფლავდნენ. შუა აზიის ზოგიერთი ხალხი კი მინიატურულ კუბოებში – ოსრუარიუმებში ათავსებდა. აესტრალიელები, ჩრდ. ამერიკის ინდიელები და სხვანი მიცვალებულებს ხეზე ჰკიდებდნენ. ძველთაგანვე არსებობდა გვამის კონსერვაციის წესიც (ეგვიპტური მუმიები და სხვ.). საქართველოში არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს მიწაში დამარხვის სხვადასხვა წესი: ორმოსამარხებში, ქვაყუთებში, კრამიტსამარხებში. განსაკუთრებით საყურადღებოა მიცვალებულის ეტლზე, კევრზე და ქვევრში დამარხვის წესები. საქართველოს მთიანეთში ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა მიწაში ჩადგმული სამარხის ერთ-ერთი უძველესი სახეობა – ქვაყუთი. ანტიკური ხანიდან გვხვდება მთლიანქვითკირი სარკოფაგები, მაუზოლეუმის ტიპის აკლდამები (ბაგინეთი, არმაზის ხევი და სხვ.), რომელშიც სამეფო გვარის აღმიანებს და მათი ოჯახის წევრებს მარხავდნენ. აკლდამებში დაკრძალვის წესი ამძ. საქართველოს მთამ გვიანბრინჯაომდე შემოინახა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ხევი). კოლხეთში გავრცელებული ყოფილა ჰარზე დაკრძალვა (ხეზე, ფიცარგაზე). გვხვდება აგრეთვე მეორადი დაკრძალვის წესიც (დაკრძალულის გადასვენება სხვა ადგილას). თანამედროვე ხალხებში გაერცელებულია დაკრძალვის ორი წესი – მიცვალებულის მიწაში დამარხვა და კრემაცია.

ქრისტიანული სარწმუნოების გაერცელების პირველი საში საუკუნის განმავლობაში ქრისტიანებს არ ჰქონდათ შემუშავებული დაკრძალვის განსხვავებული წესი, რაც ქრისტიანობის დღვნით იყო გამოწვეული. ქრისტიანის გარდაცვალებისთანავე იგი დაუყოვნებლივ მიჰყავდათ დასაფლავების ადგილზე, უმეტესად ღამით, და სასწრაფოდ ასაფლავებდნენ შიშისობის გამო. მხოლოდ ქრისტიანთა დღვნიდან ახალ დღემდე დროებით ჩამოყარდნილი შეკრებიანობის დროს გარდაცვლილ ქრისტიანებს ასაფლავებდნენ კუბოთი, უმეტესად მოწამეებს. მოწამეების დასაფლავება სრულდებოდა განსაკუთრებული საზეიმო განწყობით, როგორც ეს ჩანს წმ. კვიპრიანეს (II ს.) დასაფლავების შესახებ შემორჩენილი ცნობებიდან. ძველ ქრისტიანებს უკეე ჰქონდათ მიცვალებულის განბანვისა და შემდეგ შესხსის წესი. უცხო არ იყო მათთვის ბალზამირებაც – იყენებდნენ არომატულ ნივთიერებებს.

მიცვალებულის ანთებული სანთლებით შემკულ კუბოსთან გალობდნენ ფსალმუნს. კონსტანტინე დიდის დროიდან ყალიბდება მიცვალებულის (ქრისტიანის) დაკრძალვის განსაკუთრებული წესი. ამ დროს იქმნება მესაფლავეთა სპეციალური კლასი (fossor), რომლებიც ეპისკოპოსთა და მღვდელთა ხელქვეითებად ითვლებოდნენ. IV საუკუნიდან არც ერთი დასაფლავება არ შეიძლებოდა შემდგარიყო სასულიერო პირთა მონაწილეობის გარეშე. პროცესიის თავში მიჰქონდათ ჯვარი, ხოლო ხალხს მიჰქონდა ანთებული სანთლები და ჩირაღდნები. შეიქმნა სპეციალური ლოცვები, რომელსაც კითხულობდნენ დასაფლავების დროს ღვთიმსახურებაზე. დასაფლავებას წინ უსწრებდა სამი დღის განმავლობაში საეკლესიო ლოცვების წარმოთქმა გარდაცვალებულთათვის, ხოლო მესამე დღეს სრულდებოდა მოსახსენებელი, შესანდობელი, ლიტურგია.. იგივე მეორდებოდა ქრისტიანის გარდაცვალებიდან მე-9 მე-40 დღეებში. გარდაცვლილი ერისკაცის გვამი უნდა განიბანოს წყლით, მონაზონისა – მხოლოდ განიწმინდოს წყლით, ხოლო მღვდლისა – განიწმინდოს ღვინით, რომელიც გაჟღენთილია ზეთით. შემდეგ მიცვალებულს მოსავენ სუფთა ტანსაცმლით, იმის მიხედვით, თუ რა იერარქიისა იყო მიცვალებული. მიცვალებულ ერისკაცს ტანსაცმელთან ერთად აცმევენ სუდარას. მღვდელთმთავარსა და მღვდელს გულზე სახარება უდება და ხელში ჯვარი, დიაკონს – საცეცხლური, ერისკაცს – ხატი. კუბოს ჩასვენებამდე ესხურება წმ. წყალი. კუბო ფიცრისაგან უნდა გაკეთდეს (არ შეიძლება მთლიანად ხისგან ნაკეთი). წესის აგების დროს მიცვალებულს შუბლზე ადებენ ქაღალდის ლენტს, რომელზედაც ლითოგრაფიული წესით დაბეჭდილია ლოცვები, ხოლო ხელში უდებენ მიტევების ეპისტოლეს. მიცვალებულის წესის აგებამდე, იმ ხნის განმავლობაში, როდესაც მიცვალებული სახლში ასვენია, ერისკაცისათვის კითხულობენ ფსალმუნს, ხოლო მღვდლისათვის – სახარებას. დაკრძალვამდე სრულდება პანაშვიდები და ლიტია. დასაფლავების წინ მიცვალებულს „წმიდაო ღმერთოს" გალობით გადმოასვენებენ სახლიდან ეკლესიაში წესის ასაგებად. პროცესიაში სამღვდელოება მიდის კუბოს წინ. მიცვალებულის წინ მიაქვთ ჯვარი ან ხატი, ხოლო თუ სამღვდელო პირია – დროშა, ჯვარი და სახარება, ზარების რეკვით. კუბო ეკლესიაში იდგმება თავით კარებისაკენ, ფეხებით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულის წესის აგება განსხვავებულია ერისკაცისათვის, სამღვდელოთათვის, მღვდელმთავართათვის და ჩვილთათვის. წესის აგების ეს რიტუალები „კურთხევანში" წარმოდგენილი (იხ. „დიდი კურთხევანი", გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ., 2002, გვ. 197-223).

დალმატი – დალმატის მონასტრის წინამძღვარი IV საუკუნის ბოლოს და V ს. I ნახევარში. თავდად დალმატი თეოდოსი დიდის (379-395) ჯარში მსახურობდა. საერო ცხოვრება მატოვა 381-383 წლებში, შვილთან ფაქტოსთან ერთად მონასტერში შედგა ბერად და სქემა შეიმოსა მონასტრის წინამძღვრის ისაკის ხელით. გასაოცარი მოთმინებითა და მარხულობით დალმატი ღვთიური ხილვების ღირსი გახდა. 383 წ. ისაკმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, მონასტრის წინამძღვრად დალმატი დანიშნა, რომლის სახელის მიხედვითაც მონასტერს დალმატის მონასტერი ეწოდა. დალმატი მონაწილეობდა ეფესოს III მსოფლიო კრებაში 431 წ., რომელმაც შეაჩერა ნესტორიანელთა მწვალებლობა. კრების შემდეგ დალმატი არქიმანდრიტი გახდა. გარდაიცვალა დაახლ. 446 წლის ახლოს, 90 წელს მიღწეული. ისაკისა და დალმატის ერთობლივი მეტაფრასული რედაქციის ცხოვრება, რომელიც ბერძნულად XI ს. ბოლოს იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და დაცულია ქუთ. 1, XVI ს., (ფ. 271-289) ხელნაწერში.

დალმატიკი – გრძელსახელოებიანი სტიქარი, ბიზანტიელ იმპერატორთა ერთ-ერთი სამოსი, რომელიც ზუსტად ჰგავს სამღვდელმთაერო საკოსს ანუ ბისონს. მზადდებოდა მდიდრული ქსოელისაგან და იმკობოდა ოქროთი და ძვირფასი თვლებით. ხატების ფერწერაში ამ სამოსით ხშირად გამოსახულია: იესო ქრისტე, როგორც მეფე და უდიდესი მღვდელმთავარი, ღვთისმშობელი – დედოფლის სახით, ბიზანტიელი იმპერატორები მსოფლიო საეკლესიო კრებების კომპოზიციებში და სხვ.

რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებში დალმატიკი ეწოდება მოკლე სტიქარს, რომელსაც დიაკონი და კერძოდიაკონი იცვამენ სტიქარს ზემოდან ღვთისმსახურების დროს.

დამალა // ტამალა – სოფელი ასპინძის რაიონში, ასპინძიდან 3 კმ-ზე. სოფლის მიდამოებში შემონახულია ადრეშუასაუკუნეების ეკლესია, რომლის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

დამიანე – ქართველი მონაზონი, ერისკაცობაში დოღარსნელ ზედგინიძე. მოხსენიებუ-

ლია სინის მთის მონასტრის სულთა მატიანეში (Sin. 77, XIV ს.).

დამიანე – ქართლის მეფის, დავით X-ის (1505-1525) – კოსტანტინე II-ის (1479-1505) ძის – ბერობის სახელი. მოხსენიებულია ნიკორწმიდის სულთა მატიანეში (იხ. ქრონიკები, II, 368).

დამიანე (მხატვარი) – იხ. გერასიმე.

დამიანე სასწაულთმოქმედი – იხ. კოზმან და დამიანე.

„დამყარებაჲ საკურთხეველისაჲ" – იხ. საკურთხეველი.

დამხედარი – ზედამხედველი. მონასტერში დამხედარი ანუ ეპიტირიტისი ეწოდებოდა მონაზონს, რომელსაც ევალებოდა თავლური ეღვენებინა მონაზონთა შორის წესრიგისათვის სატრაპეზოში პურობის დროს. „ეპიტირიტოსი, რომელ არს დამხედარი, იარებოდის ტაბლათა ზედა და ამცნებდეს ძმათა დუშილსა" (დიდი სვინაქსარი, H 2211).

„დამკრობაჲ" (abjicio) – იხ. განკუეთა.

დანახვისი – წმინდა გიორგის XI ს. ეკლესია დანახვისის მთაზე, გორის რაიონის სოფ. ატენის მიდამოებში, ატენის ხეობაში. ეახუშეში ბატონიშვილის მოწმობით, „დანახვისი დგას მაღალს მთა ზედა, ეკლესია წმიდისა გიორგისა, მჭურეტი ქართლისა" (ქართლ. ცხ. IV, 343).

დანიელია კორნელი – სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი,. მისი ინტერესების სფეროში იყო ძირითადად ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, ლიტურგიკა. დიდი წვლილი მიუძღვის ძველი და ახალი ალთქმის ცალკეული ძეგლების გამოქვეყნების საქმეში. იკვლევდა ძველი და ახალი ქართული ენის პრობლემებს. მთავარი ნაშრომებია: „პაულენი" (პაულე მოციქულის ეპისტოლეთა კრიტიკული გამოცემა ქ. დოწენიძესთან ერთად, თბ., 1974); მონოგრაფია: „ქართული ენის ისტორიის საკითხები" (თბ., 1983), რომელშიც ძირითადად პაულე მოციქულის ეპისტოლეთა რედაქციებია განხილულები; „ურეშის წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები" (თბ., 1992), „ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი" (ძველი და ახალი ალთქმის საკითხავები, ტ. I, ნაწ. I-II, თბ., 1987), „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" (ტექსტი და გამოკვლევა; კრებულში: იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება; გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, თბ., 1986).

დანიელი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ცაიშის მთავარეპისკოპოსი XII ს. II ნახევარში. დანიელ ცაიშელს დახლ. 1271-1289 წწ. შორის შეუდგენია „საპატიჯოს დაწერილი ლაბსყალდაშის მთავარანგელოზის ეკლესიისადმი: „მე ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელ დახსყლდასა მეყსი, ეკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყლდაშისა, დემეტრე მეფისა მეუობასა შიგა, ერისთაეთ-ერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მოწმებითა" (სამ. ძეგლ. III, 172-173).

2. მოქვის მთავარეპისკოპოსი XIII-XIV სს. მიუხედ. დანიელის თაოსნობით 1300 წ. გადაიწერა მოქვის მოხატული ოთხთავი (Q 902). ხელნაწერის ბოლოს დახატულია ღვთისმშობელი ჩვილით და მის წინ დაჩოქილია ეპისკოპოსი მეყღრეველის პოზაში წარწერით: „დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსი".

3. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსი XIV ს. II ნახევარში. დანიელ კათოლიკოსისა და მისი შვილის, გიორგი ჭყონდიდელისათვის (XIV ს. 80-90-იან წლებში ჯუარის მონასტრის ძმობის წერაი) ალაპი განუწესებია მონასტრის ძმობას: „ამასვე დღეს (თუმც აგუსტოსა იზ (17) ალაპი საუკუნოჲ აფხაზეთისა კათალიკოზისა დანიელისი და მისისა შვილისა ჭყონდიდელისა გიორგისი" (მასალები, გე. 106). სხვა წყაროებით დანიელ კათოლიკოსი ცნობილი არ არის.

4. ხონის მიტროპოლიტი XVIII ს. II ნახ. ისტორიულ საბუთში, რომელიც წარმოადგენს 1761 წლის 28 აპრილს სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრების განწესებას ხონის ტაძრის გამოსავლის თაობაზე, მონაწილეობა შორის დასახელებულია „მიტროპოლიტი დანიელ", სამწყსოზე მითითების გარეშე (ცსსა, ფ. 1448, საბ. № 4444, ქართ. სამართ. ძეგლები, III, 845).

დანიელი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. შავი მთის ქართველი მონაზონი XI ს. შუა წლებში. ამ დროს გადაწერილი ოთხთავის (შემდეგ რუისის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერი – A 845) გადამწერი შავ-ზაჭარია მადლობით მოიხსენიებს თავის თანამოღვაწეებს და მათ შორის დანიელს.

2. სამთავრო წინასწარმეტყველის მონასტრის (იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით) XI ს. ქართველი მოღვაწე. დანიელს აქ გადაუწერია ერთი კრებული, რომელიც შეიცავს საგიორგრაფიულ თხზულებებს და იოანე ოქროპირის „მარგალიტს". „ღირს მყო ღმერთმან გლახაკი...

დანიელ და დაუწერე წმიდაჲ ესე წიგნი უცხოებასა და მწირობის სიგლახაკესა შინა ჩემსა პალესტინისა სანახებთა წმიდისა აღდგომისათა, მონასტერსა წმიდისა სამოელ წინასწარმეტყველისასა... და შევსწირე წმიდასა წინასწარმეტყველსა სამოელს მამობასა იოანე უხამერისასა (ქერები, II, 198).

3. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის დეკანოზი XI ს. II ნახ. გაბრიელ საყვარელიძის მიერ გადაწერილი ოთხთავი (Sin. 16) „სალოცავად სულისა მოძღურისა გიორგი პრეპორესისა და მამისა გიორგისა" მოუგია (შეუძენია) ჯვარის დეკანოზს დანიელს... ცხადია, 1066 წ. შემდეგ, რადგან ამ ანდერძის მიხედვით, ჯვარის მონასტრის აღმშენებელი პრეპორე (ანუ გიორგი-პრეპორე; † 1066 წ.) და პრეპორეს მიერ თავისაებე სიცოცხლეში წინამძღვრად დადგენილი მოწაფე გიორგი უკვე გარდაცვლილნი ჩანან, ე.ი. დაახლ. XI ს. 80-იან წლებში.

4. დემეტრე I-ის (1125-1156) ბერობის ხანელი. დემეტრე მეფე (დაეით აღმაშენებლის ძე) სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად შემდგარა და სიცოცხლის ბოლო ერთი წელი გელათის მონასტერში გაუტარებია. ერთ ხელნაწერზე (A 186, გულანი XVII-XVIII სს.) დართულ მოსახსენებლებში ეკითხულობთ: „და მეფისა აღმაშენებელისა დიდისა მის მონასტრისა და ძისა მათისა მეფისა დანიელ მონაზონისა საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხეუა მათი" (გვ. 2029-2032). ლაშა-გიორგის დროინდელი XIII ს. მემატიანის ცნობით, დემეტრე მეფემ „წარულო ცხოერება და მიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოქა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი (1156 წ.) და მოკედა (ქართლ. ცხ. I, 366). პლ. იოსელიანის ცნობა, თითქოს დემეტრე მეფის ბერობის სახელი დანიელ უნდა იყოს, სწორი არ არის (იხ. დემეტრე I).

5. შიომღვიმის მონასტრის მონაზონი XIII ს. II ნახევარში. დანიელი მოხსენიებულია 1260-1270 წწ. შუა შედგენილ „დაწერილში შიომღვიმის კრებულისა ზოსიმე ტოხაძისძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ", როგორც მოწმე: „ესე ამას დაწერილსა ჩუენსა მოწამენი ვართ ამას უდაბნოსა შინა მყოფნი ძმანი და მოწაფენი და შეილნი წმიდისა მამისა შიოჲანნი... გიორგი და მისი შეილი მანგლელი დანიელ (Ad 4). ზედწოდების მიხედვით დანიელი შიომღვიმის მონასტერში მონაზენად შედგომამდე მანგლისის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.

6. ქორეპისკოპოსი (ნექის ძე). მოხსენიებულია 1440 წ. წყალობის წიგნში, რომელიც დანიელ ქორეპისკოპოსისათვის მიუცია იოანე მანგლელ-თბილელს: „სიგელი მოგეცით ჩუენ, ქრისტეს მერ მანგლელ-თბილელმან იოანე თქუენ, ნექისძეთა საჯდრის შეილთა ქორებისკოპოზსა დანიელს და შენსა შეილთა... (ცსსა ფ. 7748, № 5240, სამართ. ძეგლ. III, 186-187).

7. იმერეთ-ქართლის მეფის ბაგრატ II-ის ჯვარისმტვირთველი (ელიოზისშვილი) XV ს. II ნახევარში. დანიელისათვის 1467 წ. მეფეს უბოძებია სოფ. სასხორი: „... გებოძეთ ელიოზისშვილებს... ჯუარისმტვირთველს დანიელს... ჩუენგან ნასყიდი სოფ. სასხორი" (ქრონიკ. II. 288).

8. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვარი XV ს. II ნახევარში. დანიელი ჯვარის მონასტრის მამად მოხსენიებულია ამ მონასტრის საკლაე წიგნში: იგი აღაპს უწესებს ვინმე ელემია გოხსძეს. აღაპის ტექსტი პალეოგრაფიულად XV ს. II ნახევრით თარიღდება (მასალები... გვ. 27). დანიელს ზედწოდება „ნიქოზელი" უნდა მიუთითებდეს, რომ ალბ. იგი ნიქოზის ეპისკოპოსი ყოფილა: „გაუჩინეთ ჩუენ, ჯუარისა მამამან ნიქოზელმან დანიელ..." (გვ. 77).

9. სამთავისის ტაძრის მოღვაწე (ბეშქენას ძე) XVI ს. დასაწყისში. 1513 წ. თაყა ამილახვარის შეუწირავს სამთავისისათვის სოფ. ნადარბაზევი და საგვარეულო საძვალის ეგვტერში მწირველებად დაუდგენია ეკლესიის მოძღვარი მარკოზი და მისი ძე დანიელი: „... და დაუდგინეთ მწირველად და მეკუდრედ ბეშქენას ძე მოძღვარი მარკოზ და მისი შვილი დანიელ" (ქრონიკ. II, 332).

10. მცხეთის ჯვარის მონასტრის დეკანოზი XVII ს. II ნახევარში. დანიელ მონაზონს დაუწერა დომენტი კათოლიკოსის 1660 წ. წყალობის წიგნი (Sd 2913): „ჩუენ დეკანოზსა ჯუარისასა დანიელს დამიწერია" (სამ. ძეგლ. III, 531).

11. არქიმანდრიტი (საკაძე). ერთი ქართული ხელნაწერის (H 2334, სახარება-სამოციქულო – XVIII ს.) მინაწერი გვამცნობს, რომ დანიელ [ზღუა]რის არქიმანდრიტს საკაძეს ხელნაწერი დაუხსნია ლეკთაგან, ალბათ, XVII-XVIII სს-ში.

12. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მოურნე (იკონომოსი) XVIII ს. II ნახევარში. დანიელი იხსენიება ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტის, ნიკოლოზის 1774 წ. 25 IV წყალობის წიგნში, როგორც მოწმე: „შინათ მონასტრისა და ეკლესიის სამკაულისა

და თუთ ეკლესიის მოურნე მამა დანიელ" (ცსსა, ფ. 1449, № 2756, სამ. ძეგლ. III, 899).

13. დაითგარეულის ნათლისმცემლის მონასტრის მღვდელმონაზონი XVIII ს. II ნახ. დანიელი იხსენიება 1778 წ. 1 მაისის ერთ განჩინებაში (ცსსა, 1449, სამ. № 2763, სამ. ძეგლ. V, 56).

14. ქართლის სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში. დანიელს დაუწერია ეახტანგ V-ის (შაპნაჯაზის) 1673 წ. მიერ გაცემული სიგელი, რომელიც წარმოადგენს 1459 წ. სამთავნელთა სარგოს და საკანონოს ხელმეორედ განახლებას და დამტკიცებას (სამ. ძეგლ. III, 200).

15. ფილოთეოსის ბერმანელი მონასტრის (ხიდაშენში) ბერძენი არქიმანდრიტი XIX ს. I ნახ. დანიელი იხსენიება 1810 წ. ორ ქართულ საბუთში: ანტონ II-ის წიგნში არქიეპისკოპოს ეარლაამისადმი (Ad 752, სამ. ძეგლ. III, გვ. 1001), რომელშიც აღნიშნულია, რომ ფილოთეოსის მონასტრისადმი შეწირული ზემო ხიდაშენის ყმა-მამული და ზვარი მობარებული ქონდა გარეკის ნათლისმცემლის არქიმანდრიტს მუნე ირაკლის წერილობითი ბრძანებით და რომელიღაც მიზეზით მიებარა „ბერძენს არქიმანდრიტს დანიელს და რადგან მან „არა დასწდა ღაწლდებულება, ვითა ეალდებული იყო", ვარჩიეთ ისევ ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტ დომენტის მიებაროსო. მეორე საბუთი (Ad 1024, სამ. ძეგლ. III, 1110) ანტონ II-ის წიგნია ნაცვალ ელისბარისათვის სარგოს მიცემის შესახებ, რომელიც მიმართულია გარეკის მონასტრის არქიმანდრიტ ბესარიონისადმი და ალნიშნულია; „და მაგ დანიელს არქიმანდრიტსაც გამოუცხადეთ, რომ ყოველს წელიწადს უნაკლულოდ მისცემდეს, რაც განწესებული აქვს". ორივე საბუთში ერთსა და იმავე დანიელ არქიმანდრიტზე უნდა იყოს საუბარი.

16. დაჭით გარეკის მონასტრის XIX ს. I ნახევრის მონაზონი, გადამწერი. დანიელს 1824 წ. გადაუწერია „მცირე სჯულისკანონი" (A 1392).

დანიელი – ქალკედონის მოვარეებისკოპოსი, საეკლესიო მწერალი. დანიელს დაუწერია ქრისტეფორე მოწამის საგალობელნი, რომელიც ქართულად უთარგმნიათ (H 1710, ფ. 42-44).

დანიელ მესვეტე († 489-490) – V ს. განთქმული მონაზონი. დანიელი დაიბადა მესოპოტამიის ქალაქ სამოსატის მახლობელ სოფ. მითარიაში. დედამისმა დანიელი შვა დიდხნის უშვილობისა და ღმერთისადმი მიცემული აღთქმის შემდეგ, რომ თუ ეყოლებოდა შვილი, იგი მას ღმერთს უძღვნიდა. 5 წლამდე ბავშვს სახელი არ ჰქონდა, რადგან მშობლები ფიქრობდნენ, რომ ღვთისაგან ნაბოძებ შვილს სახელიც ღვთის ნებით დაარქმევდა. 5 წლის დანიელი მონასტრის წინამძღვართან მიიყვანეს. მან მოითხოვა ერთ-ერთი საღვთისმსახურო წიგნი, გაშალა და რადგან დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვები ამოიკითხა, ბავშვს დანიელი დაარქვა. 12 წლის დანიელი მშობლების უკითხავად მონასტერში წავიდა და მალე სქემა შეიმოსა. ერთხელ მან მონასტრის წინამძღვართან ერთად მოინახულა წმ. სვიმეონ მესვეტე, რომელმაც მას უწინასწარმეტყველა მესვეტეობის ღვაწლი. დანიელი განაგრძობდა განდეგილ-მონაზვნურ ცხოვრებას. შემდეგ ღვთიური ხილვით მას ეჩვენა მოღვაწეობის ახალი ადგილი და იგი ორ მოწაფესთან ერთად თრაკიის უდაბნოში წაიყვანა, ათორმეტი და მასზე 33 წელი გაატარა. დანიელმა მრავალი დაავადებული განკურნა, მას ლოცვა-კურთხევას სთხოვდნენ ბიზანტიის იმპერატორები. მან იწინასწარმეტყველა დიდი ხანძარი კონსტანტინეპოლში. გარდაიცვალა დანიელი 80 წლის ასაკში. ხსენების დღედ 11 დეკემბერია დადებული. დანიელ მესვეტის „ცხოვრება" ბერძნულად ორი რედაქციით არსებობს: ძველი, კიმენური, რომლის ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერით არის შემონახული (A 397, X-XI ს., 349-350; Ier. 151, XI ს., 88-179; გამოიცა ც. რიკაიძის მიერ, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 25, 1984, გვ. 235-273). და მეტაფრასული, სვიმეონ მეტაფრასის (ლოღოთეტის) დაწერილი, რომლის ქართული თარგმანი მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (ქუთ. 5, XVI ს., 169-206).

დანიელ წინამძღვარი (1106-1108) – რუსი პილიგრიმი, რომელიც გვაწვდის ცნობებს ახლო აღმოსავლეთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნების შესახებ (Житие и хождение Даниила, Прав. Палест. сборник (ППС), 3 (I,3), 1883, с. 65-66; Б. Дацит, Русские путешественники на ближ. Востоке, М. 1965).

დანიელ წინასწარმეტყველი – ერთი ბიბლიური დიდ წინასწარმეტყველთაგანი ჩვ. წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში. ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დანიელი ბაბილონში გადასახლებულ ტყვეთა შორის ყოფილა. დანიელი მეფის ბრძანებით იქ სხვა წარჩინებულ და ნიჭიერ ებრაელ ჭაბუკებთან ერთად იზრდებოდა. სამეფო კარზე

დანიელს თაყი გამოუჩენია, როგორც სიზმრების ამხსნელს და ბრძენ წინასწარმეტყველს, რის გამოც სამეფო კარზე დაუწინაურებიათ. მოგვიანებით, მოშურნეების დაბეზღებით, სპარსეთის მეფეს იგი ლომებით სავსე ხაროში ჩაუგდია, მაგრამ სასწაულით გადარჩენილა.

ბიბლიაში შესული დანიელის წინასწარმეტყველების წიგნი „წინასწარმეტყველებაჲ დანიელისი“ სამი ნაწილისაგან შედგება.

ქართულად თარგმნილია დანიელ წინასწარმეტყველისა და მასთან ერთად სამი ჭაბუკის ანანია, აზარია და მისაელის საკითხაი, რომელიც ბერძნულად შეუდგენია სვიმეონ მეტაფრასტს X ს. ბოლოს, ხოლო მისი ქართული თარგმანი, შესრულებული XI ს. II ნახევარში, რამდენიმე ქართულ ხელნაწერშია დაცული (Ath. 2, XII-III სს., 146-156; A 128, XIII ს. 324-337, ქუთ. 5, XIIIV, 296-313).

დანინა – წარმართული ციხე მცხეთაში, რომელიც აღუმართავს ქართლის მეოთხე მეფეს მარიანს, „მოქცეულ ქართლისა“-ს თანახმად (ძეგლ. I, 82, 13).

დანჯალი – ნასოფლარი ახალქალაქის რ-ნში, სოფ. კუშურდოდან დასავლეთით 3 კმ. აქ დგას X-XI სს-ის დარბაზული ეკლესია, რომელიც შემოსილია თლილი ქვის კვადრებით.

დარბაზული ეკლესია – საკლესიო ნაგებობის ერთ-ერთი სახეობა. XI ს-დან გავრცელდა ცენტრალურ ქვეყნებში. ჩვეულებრივ, შედგება საკურთხევლისა და ერთი ნავისაგან, რომელიც გადაბურულია ორკალთიანი სახურავით და ზოგჯერ ეგეტერები და გარეშემოსაველიც აქვს. საქართველოში დარბაზული ეკლესია უგუმბათო ეკლესიის ერთადერთი ტიპია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. სოფლის მცირე, მხატვრულად უმნიშვნელო სამლოცველოებთან ერთად დარბაზული ეკლესიების ტიპს მიეკუთვნება ბევრი საყურადღებო ძეგლიც: აკვანება, ოლთისი, ეხვევი, ხცისი, სავანე, მაღალაანთ ეკლესია, ქარზაშეთი და სხვ.

დარია მოწამე († 283) – ქრისტიანი მოწამე ქალი. თავდაპირველად დარია იყო ათენა პალადას ქურუმი. იგი მოათხოვეს ახალგაზრდა გაქრისტიანებულ ხრვისანთს და ისიც ქრისტიანი გახდა. ცოლ-ქმარი შეთანხმდნენ, რომ გაგრძელებდნენ ქალწულებრივ ცხოვრებას. მამამთილის სიკვდილის შემდეგ ქმრის თანხმობით დარია ცალე ცხოვრობდა და ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. მოქალაქეებმა ისინი დაასმინეს ეპარქოსთან, რომ ქორწინების წინააღმდეგ განაწყობდნენ ხალხს. ხრვისანთო საწამებლად გადასცეს ტრიბუნ კლავდიოს (რომელიც შემდეგ თავისი სახლეულით გაქრისტიანდა ხრვისანთოს გავლენით და ცოლ-შვილთან ერთად მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა), ხოლო დარია განამწესეს სამებაოში, მაგრამ მას იქ იცავდა ღვთით მოვლენილი ლომი. ბოლოს, იმპერატორ ნუმერიანოსის (283-284) ბრძანებით წამების შემდეგ ისინი ცოცხლად დამარხეს გამოქაბულში, რომელიც მათი წამების ადგილის ახლოს იყო. აქ იკრიბებოდნენ ქრისტიანები და აღნიშნავდნენ მათი წამების დღეს, ატარებდნენ ღვთისშსახურებას და ეზიარებოდნენ წმიდა საიდუმლოს. წარმართებმა ამოქოლეს გამოქაბულის შესასვლელი მაშინ, როცა იგი სავსე იყო მლოცველებით. ასე წამებით აღესრულა მრავალი ქრისტიანი, მათ შორის ხუცესი დიოდორე და დიაკონი მარიანი.

ხრვისანთოსა და დარიას „წამების“ მეტაფრასული რედაქცია, რომელიც ქართულად არის თარგმნილი XII ს. შუა წლებში (ჭუთ. 2, XVI ს., 234-252), ბერძნულად უნდა დაეწერა იოანე ქსიფილინოსს (XI ს. ბოლოს). მოწამეთა ხსენების დღედ 12 მარტია დადგენილი.

დარიას მონასტერი („საჩინო“) – არქიტექტურული ანსამბლი თბილისში (ურბნისის ქ. № 7), რომელიც მოიცავს: XVIII ს. ეკლესიას, სასახლეს და ციხის გალავანს. სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს დარეჯან დედოფლის სახელს. მონასტერი უნდა დაარსებულიყო წმ. დარიას სახელზე დარეჯან დედოფლის პატივსაცემად.

დარკეთი – სოფელი ჭიათურის რაიონში, ჭიათურის პლატოზე, მდ. ჯრუჭულის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, ჭიათურიდან 8 კმ. სოფელში დგას X-XI სს. მოჯვრის წმ. გიორგის ეკლესია. თავიდან ეკლესია ერთნავიანი ყოფილა, შემდეგ მოუშენებიათ გარეშემოსაველი. ინტერიერი სადა. სარკმლები და შესასვლელები შემკულია ჩუქურთმებით, რელიეფური ასომთავრული წარწერები მოისხენიებს ეკლესიის მაშენებელთა სახელებს – ეიმნე გოლიათის შვილებს: გოდალაბრს, ლიპარიტს და კვირიკეს. ეკლესიაში მრავალი ლაპიდარული წარწერაა, მათგან ცხრა – XI ს-ისა, და ორიც უფრო გვიანდელი, დაახლ. XII-XIII სს-ისა (იხ. ლაპიდ. წარწ. II, 60-68 და 183-184).

დასაბია – საქართველოს კათოლიკოსი VI ს. დასაწყისში, ფარსმან II-ის მეფობის დროს, მცხეთის მკვიდრი პირველი კათოლიკოსი. „მო-

ქცევაჲ ქართლისაჲ“ (შატბერდული რედაქცია) გვამცნობს: „და მისა (ფარსმან I-ის) შემდგომად შეფობდა ფარსმან სხუაჲ და კათალიკოზი იყო დასაბია, მკუდრი მცხეთელი და აქაჲთგან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკუდრთა“ (ძეგლები, I, 94). „ქართლის მოქცევის“ ჭელიშურ ვარიანტში კათოლიკოსს ეწოდება საბა.

„დასაკლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ – იხ. საეკლესიო საბუთები.

დასამტკიცებელი ეპისტოლე (litera commendatitia) – სარეკომენდაციო მოწმობა, რომელსაც ეპისკოპოსი აძლევდა მის მიერ ხელდასხმულ სასულიერო პირს სხვა ეპარქიაში წასვლის დროს. ეპისტოლეში დამოწმებულია მოყვასის პირადობა, მითითებულია მისი იერარქიული ხარისხი, მის მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარება, ან აღნიშნულია, რომ მოყვასზე შეშოსული იყო საჩივარი, მაგრამ ის უდანაშაულო აღმოჩნდა. ქალკედონის IV მსოფლიო კრების მე-11 კანონში აღნიშნულია, რომ დასამტკიცებელი ეპისტოლე ეძლევა მხოლოდ ეჭვის ქვეშ მყოფ პირს (დიდი სჯულისკანონი, გვ. 271).

დასამშვიდებელი ეპისტოლე (litera pacifica) – საეკლესიო ხელისუფალთა მიერ გაცემული წერილობითი მოწმობა, რომელიც ეძლეოდა ეჭვმიუტანელ პიროვნებას სხვა ეპარქიაში გამგზავრების შემთხვევაში. მოწმობაში აღნიშნული იყო, რომ პიროვნება მიემგზავრება ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის ნებართვით. დასამშვიდებელი ეპისტოლე გაიცემოდა მაშინაც, როდესაც ეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი უნდა წარდგენოდა მეფეს.

დასაჯდომელი – იხ. ბეშონი.

დასდებელი // დასადებელი – საეკლესიო საგალობელი. ტერმინი პირველად დასტურდება X ს-მდე ნათარგმნ ძეგლში „იერუსალიმის განჩინება“, სადაც განსხვავებული ლიტურგიკული დანიშნულებისა და ფორმის საგალობელს ანიშნავს. „დასდებელი“ წარმოდგება სიტყვისაგან „დადებაჲ“ (ე. ი. დასამატებელი). ვარაუდობენ, რომ „დასდებელი“ თავდაპირველად ეწოდებოდა ფსალმუნის მისამღერად, რეფრენად შემოღებულ ფსალმუნურ მუხლს ან პოეტურ სტროფს. შემდგ „დასდებლის“ მნიშვნელობა განზოგადდა. IX-XII სს. ჰიმნოგრაფიულ კრებულებში „დასდებელი“ (მრავლობითის ფორმით) ეწოდება ამა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულის განგებათა მთელ საგალობელ მასალას.

დასდებელი (ანუ ტროპარი) ეწოდება კანონის იმ საგალობლებს, რომლებიც ძლისპირებს მოსდევენ და იმეორებენ მის სალექსო ზომას, ხმას, ანუ ვალობის კილოს და შინაარსობრიედ ეხმაურებიან იმ დღესასწაულის თემას, რომლისადმიცაა მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი.

დასი – იხ. სამღვდელო დასი.

„დასხდომაჲ პატრიარქთა მოციქულთაჲ“ – საეკლესიო დღესასწაული იოანე-ზოსიმეს (X ს.) კალენდრის (Sin. 34) მიხედვით, რომელიც დაღებული ყოფილა 6 ოქტომბერს. შესაძლებელია, აქ მოციქულთა კრება იგულისხმებოდეს. სხვა კალენდრებში, მათ შორის ქართულად თარგმნილებშიც, ამ დღეს (6 ოქტომბერს) ასეთი დღესასწაული აღარ გვხვდება.

„დაუბეჭდველნი წიგნნი“ – მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ არაკანონიკურ, აკრძალულ წიგნებად მიჩნეული თხზულებები, ე. ი. აპოკრიფული და მწვალებელთა მიერ შეთხზული წიგნები. თუკი აპოკრიფულ წიგნებში ჩვენ ვიგულისხმებთ მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის თემატიკაზე შექმნილ თხზულებებს, რომლებიც შედიან „არაკანონიკურ“ წიგნთა რიცხვში, „დაუბეჭდავნი“ უფრო ერცელ შინაარსს მოიცავს და აპოკრიფებთან ერთად, ალბათ, გულისხმობს წმინდანთა შესახებ შექმნილ მწვალებლურ თხზულებებსაც და, საერთოდ, საეკლესიო მწერლობის ყველა დარგში დაწერილ ისეთ ძეგლებს, რომლებიც არაა მისაღები ორთოდოქსული ეკლესიისათვის.

დაუსაბამო – მარადიული, დასაბამის (დასაწყისის) უქონელი; ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტი.

დაუჯდომელი (ბერძ. აკათისტო) – ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების საეკლესიო საგალობელი, რომელიც ფეხზე დგომით სრულდება. თავდაპირველად დაუჯდომელი მხოლოდ ღვთისმშობლის საგალობელს ერქვა (მის შექმნას VI-VIII სს-ში ეარაუდობენ), შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ქრისტეს, წმინდანთა და დღესასწაულთა საგალობლებსაც ეწოდა. ქართულ ორიგინალურ საგალობელთაგან ასეთია, მაგალითად, სეეტიცხოველის დაუჯდომელი. ღვთისმშობლის აკათისტოს ადრეული ქართული თარგმანი ეკუთვნის XI ს. უცნობ მთარგმნელს, რომელიც საგალობელს VI ს. ცნობილ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფს–რომანოზ მგალობელს მიაწერს. ღვთისმშობლის დაუჯდომელი, რომელიც იგალობება ცისკრად დიდმარხვის მეხუთე შაბათს, შედგება 25 სტრო-

ფისაგან. 13 მათგანს კონდაკი ეწოდება, 12-ს – იკოსი. ყოველ კონდაკს მოსდევს იკოსი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში განვითარებულია თემა, ხოლო მეორე შედგება 12 „გიხაროდენისაგან“. იკოსები მთავრდება ისევე, როგორც პირველი კონდაკი, სიტყვებით: „გიხაროდენ, სძალო უძლეო“. დანარჩენი კონდაკები მთავრდება სიტყვით: „ალილუია“.

დაშარანა – ბარძიმ-ფეშხუმის გადასაფარებელი ქსოვილი, უმეტესად ნაქარგი. ბარძიმ-ფეშხუმის გადასაფარებლად სამი დაფარნა იხმარება ერთდროულად: ორ მათგანს, რომლითაც ცალ-ცალკე იფარება ბარძიმი და ფეშხუმი, მცირე დაფარნა ეწოდება, ხოლო მესამეს, რომელიც ზემოთ უფრო დიდია და ეფარება ბარძიმს და ფეშხუმს ერთდროულად – დიდი დაფარნა, ანუ პერეკეული (რუსულად პირველ ორს ეწოდება покровцы, ხოლო მესამეს – покров). დიდი დაფარნის ბერძნული სახელწოდებაა „აერი“, რუს. воздух. ქართ. „ჰა“ („საერის“ მნიშვნელობით), რადგან მღვდელი სარწმუნოების სიმბოლოს გალობის დროს უწოდებს რა წმინდა უსისხლო მსხვერპლს დაფარნით, არხევს აერს და ამით გამოხატავს იმ ძერას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქრისტეს აღდგომის დროს. დაფარნას ბევრი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. უსისხლო მსხვერპლის კეთილის ქრისტეშობის მგონების დროს დაფარნა აღნიშნავს წვრილი იესოს სახვევებს, ბარძიმისა და ფეშხუმის საკურთხეველის ტრაპეზზე დადგმა გამოხატავს ქრისტეს ჩამოხსნას ჯვრიდან და კუბოში ჩასვენებას, ფეშხუმზე გადასაფარებელი დაფარნა აღნიშნავს სუდარას, რომელიც მაცხოვარს კუბოში თავზე დაუფარეს; დაფარნა, რომლითაც იფარება ბარძიმი – არდაგს ანუ სინდონს, რომელშიც გაახვიეს იესოს გვამი ჯვრიდან ჩამოხსნის შემდეგ, ხოლო დიდი დაფარნა ანუ პერეკეული (გვიანდელ წყაროებში „ცაჰ“), რომელსაც მღვდელი აფარებს ბარძიმსა და ფეშხუმს ერთდროულად, აღნიშნავს იმ ლოდს, რომელიც მიაგორეს ქრისტეს საფლავზე, გამოქებულის შესასვლელის ამოსაქლად.

აღრექრისტიანობის პერიოდში ორ პატარა დაფარნას თავდაპირველად მარტივი დანიშნულება უნდა ჰქონოდა: დაეცვა ზიარებისათვის მომზადებული წმ. მსხვერპლის ნაწილები ბუზებისა და მწერებისაგან. დიდი დაფარნის საკულტო ხმარებაში შემოღებას კი უკავშირებენ სპა განწმედილის (V-VI სს.) სახელს.

დაფარული – იხ. აპოკრიფი.

დაღეთი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თეთრიწყაროს პლატოზე, თეთრიწყაროდან 9 კმ. სოფელში და მის მიდამოებში არის რამდენიმე ეკლესია: 1. სოფლიდან დასავლეთით 1 კმ. ღვას მცირე ზეთის დარბაზული ეკლესია, რომელიც შემდეგ გადაკეთებიათ. საყურადღებოა ეკლესიის ბალავრის ქვის ორიგინალური რელიეფები და IX-X სს-ის წარწერა. ეკლესიის სახურავის კრამიტი და მეორე წარწერა თამარ მეფის სახელით XII-XIII სს-ის მოჯღას ეკუთვნის. 2. სოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე არის პატარა ნასოფლარი და მთრდღილი თეთრი ქვით ნაგები ეკლესია. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია XI ს. აუგიათ, მაგრამ ეტყობა შემდგომდროინდელი შეკეთების კვალი. 3. სოფლიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე ნასოფლარის შუაგულში არის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია აშენებული ყოფილა ბასიანის 1204 წ. გამარჯვების აღსანიშნავად, როგორც ეს წარწერებიდან ჩანს. ეკლესიას სამივე მხრიდან მინაშენები ჰქონია. ივი შესანიშნავად ყოფილა მოპირკეთებული და მორთული მეტად ორიგინალური რელიეფებით. 4. სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ-ზე არის მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები. 5. სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ-ზე, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირას დგას ორი ერთნაირი ეკლესია და მრავალი ქვა-ჯვარი. 6. სოფელში, სამხრეთის უბანში არის ერთნაირი ეკლესიის ნანგრევები.

დაყენება ზიარებისაგან – იხ. განყენება ზიარებისაგან, უზიარებლობა.

დაყენება მწირველობისაგან – იხ. დაცილება მწირველობისაგან.

დაყენებული ქორწინება (prohibitum matrimonum) – აკრძალული ქორწინება (იხ. დიდი სჯულისკანონი, გე. 177). აკრძალული ქორწინება სამი სახისა იყო: 1. უსიმტკიცო ქორწინება (netarius), ქორწინება, რომელიც კანონის თანახმად არ შეიძლება შედგეს. მაგ. მეურვისა და მეურვეობაში მყოფი ქალის ქორწინება, სენატორისა და მსახიობი ქალისა; 2. უცერო ქორწინება (damnatus) – ქორწინება მონაზონ ქალთან ან ღვთისადმი შეწირულ რომელიმე ქალთან. 3. უწესო ქორწინება (incestus) – სისხლის აღრეული ქორწინება ნათესაობა შორის.

დაყუდება – მონაზვნობის ერთ-ერთი სახე, განმარტოებული მონაზვნური ცხოვრება, განდეგილობა, პესიქაზმი. განდეგილობის მიზანი იყო მონაზვნის მიერ მთელი ყურადღების მხოლოდ ღვთისადმი ლტოლვა-ვედრებისათვის დათ-

მობა და ამ გზით ღვრთთან მიახლოების საუკეთესო საშუალება. დაჯუდების უფლება მონაზონს შეიძლება მოეპოვებინა მონასტერში, გარკვეული დროის მონაზვნური ცხოვრების შემდეგ და მხოლოდ მონასტრის წინამძღვრისა და სულიერი მოძღვრის ნებართვით.

დაშბაში (ისტ. თრიალეთის ახალქალაქი) — სოფელი წალკის რ-ნში, ჭოჭიანის პლატოზე, მდ. ხრამის კლდოვან ნაპირზე, წალკიდან 2,5 კმ. სოფელში ორი ეკლესიაა: 1. წმ. გიორგის ეკლესია „თავისუფალი ჯვარის" ტიპის გუმბათოვანი ნაგებობაა. ჯარწერის მიხედვით, აგებულია X-XI სს. მოკლნაზე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავის, რატის დაკვეთით. ნაგებობა დღეს დაზიანებულია. გუმბათის ყელიდან მხოლოდ კარნიზის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ეკლესიის დეკორატიულ სამკაულში გაერცელებულ სახეებთან ერთად გვხვდება ორიგინალურ-სკულპტურული კომპოზიციები. 2. ღვთისმშობლის უგუმბათო ერთნავიანი ეკლესია ნაგებია თლილი ქვით. სამრე ქვებზე ასომთავრულით ამოკვეთილი ლაპიდარული ტექსტების ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ ეს ეკლესიაც რატი ერისთავთ-ერისთავის მმართველობის დროს აუგიათ.

დაჩი — X ს. ქართველი მთარგმნელი. დაჩის სომხურიდან ქართულად თარგმნა თეოდორიტე კირელის ფსალმუნთა თარგმანების ანუ კომენტარის ნაწილი (ქართული თარგმანი მას ეპიფანე კვიპრელს მიაწერს); შეტანილია 973-976 წწ-ში გადაწერილ შატბერდის კრებულში (S 1141). დაჩის მიერ შესრულებულ თარგმანს წინ უძღვის სტეფანე მტბევარისადმი მიწერილი ეპისტოლე, რომლისგანაც ირკვევა, რომ დაჩის ბერძნული ენა არ სცოდნია და ეპიფანე კვიპრელის შრომა სომხურიდან გადმოუღია. წერილის მიხედვით, დაჩის უთარგმნია მეშვიდე კანონის (44-50) შვიდივე ფსალმუნისა და კიდევ დამატებით 8 ფსალმუნის (1-6, 9 და 7) კომენტარი. შატბერდის კრებულში 15-ვე ფსალმუნის თარგმანების ტექსტია წარმოდგენილი (შატბერდის კრებული, თბილისი, 1979, გვ. 364-423).

დაჩი // დარჩილი — ქართლის მეფე VI ს. დამდეგს, ვახტანგ I, გორგასლის ძე. იგი უჯარმაში იზრდებოდა და ცნობილია უჯარმელის ზედწოდებით. ჯუანშერის ცნობით, დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და მაშის ანდრეძის თანახმად სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ცენტრად. დაჩის დროს აშენდა თბილისში მარიამწმიდის ეკლესია (შემდეგში „ანჩისხატი"). „ქართლის ცხოვრების" მიხედვით (I, 205) დაჩის ქრისტიანობა გაუურცელებია მთიულეთში.

დაჩი ჟორეპისკოპოსი (827-839) — კახეთის საერო და საეკლესიო იერარქი IX ს. I ნახევარში, კახეთის ქორეპისკოპოსი, ძე იოანე ქობულის ძისა (ქართლ. ცხ. I, 254).

„დაცადება მღდელობისაგან" (excommunicatio) — საეკლესიო სასჯელი სასულიერო პირთათვის, რომელთაც გარკვეული დროით ეკრძალებათ ღვთისმსახურების აღსრულება. გარდა ამისა, იგი ვერ ისარგებლებს დამოძღვრისა და საეკლესიო მმართველობაში მონწილეობის უფლებით. დაცადებით ისჯება: სასულიერო პირი, რომელიც ზიარებაზე უარს ამბობს მიზეზის დაუსახელებლად; ეპისკოპოსი, რომელიც შეიწყნარებს სხვა ეპარქიაში უნებართოდ გადასულ მოქცასს; დუქანში შესული მოყვასი; გაჭირვებაში მყოფი მოყვასისათვის დახმარებაზე უარისმთქმელი სასულიერო პირი (დიდი სჯულისკანონი, გვ. 217, 30) და სხვ.

„დაცადება მწირველობისაგან" (aministerio prohibeo) — საეკლესიო სასჯელი ღვთისმსახურთათვის, რომელსაც დროებით ჩამოერთმევა მწირველობის უფლება, მაგრამ სიწმიდეთა ზიარების უფლება დიაკვნებთან ერთად. რჩება დაცადებით ისჯება სასულიერო პირი ტყუილისა და ცრუფიცისათვის (დიდი სჯულისკანონი, გვ. 494, 29) და სხვ.

„დაცხრომა მღდელობისაგან" (cesso ab ordine) — საეკლესიო სასჯელი, რომელიც ნიშნავს ღვთისმსახურებისაგან ჩამოშორებას. ამ სასჯელის დროს სასულიერო პირს რჩება „ხატიჟი სჯდომელისაჲ" და საკურთხეველში ზიარების უფლება. დაცხრომით ისჯება: ხორცის გაუსინჯავად ხორცის ჭამაზე უარის მთქმელი სასულიერო პირი, მზორველი (კერპისათვის მსხვერპლის შემწირველი) დიაკონი; ხუცესის მაზიარებელი დიაკონი; ეპისკოპოსზე ადრე ზიარების მიმღები (დიდი სჯულისკანონი, გვ. 231, 10; 239,8) და სხვ.

„დაძინებაჲ — წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იხე წილკანელ ეპისკოპოსისა საკურველთშეძლებისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარეთით მოიწინეს" (ძეგლები, V, გვ. 79-95). იხ. ისე წილკნელი.

„დაფერილი" — იხ. სიგელი.

„დაწესებულნი“ – ექვსფსალმუნის (იხ.) ქართული სახელწოდება ძველი ქართული წყაროების მიხედვით. შიომღვიმის მონასტრის 1270 წ. ტიპიკონში (S 1349) „დაწესებულნი“ ასეა განმარტებული: „ექვსფსალმუნ ცისკარსა დაწესებულთა უწოდენ ბერძენნი, ვითარცა იგი არიან ჭეშმარიტებით“ (ფ. 15). ექვსფსალმუნმა ქართულში სახელწოდება „დაწესებულნი“ იმიტომ მიიღო, რომ იგი იგალობება დასაწყისში ცისკრად, რომელსაც ძველად „კანონი“ ეწოდებოდა (იერუს. განჩინება, გვ. 322-323). „უწყებაჲ ჯერ არს, რამეთუ დაწესებულნი ამას შუდეულსა არა ითქუმიან და არცა მწუხრსა აკურთხეესი“ (დიდი სუხანარი, H 2211, 418).

დაწინდვა // ნიშნობა – ქორწინების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა, ვაჟის მიერ ქალის საცოლედ დაბეჭება. წინდობის შესრულების საკლესიო რიტუალი აღწერილია დიდ კურთხევანში – „განგებაჲ წინდობისაჲ“ (დიდნი კურთხევანი, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ., 2002, გვ. 145-147). რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მიხედვითაც დაწინდეა ქორწინების წინაპირობაა: „კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რაჲთა ამიერითგან არღარა ეკურთხებოდიან გურგური ჩჩულთა, ქალ-ყრმათა, არამედ უკუეთუ საჭიროდ რაძეს იყოს შშობელთა მათდჲ, დაუწინდნენ იგინი ურთიერთას და რაჟამს პასაკად მოვიდენ ორნიე შაშინ იქორწინენ“ (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ. 1978, გვ. 122).

დებორა – ბიბლიის მიხედვით, წინასწარმეტყველი, პოეტი და მსაჯული ქალი. დებორას პატრიოტული მოწოდებით და წინამძღოლებით ისრაელის ტომები საერთო მტრის – ქანაანელთა წინააღმდეგ აღდგნენ და დიდი გამარჯვებაც მოიპოვეს. ამის შემდეგ ისინი 40 წელი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ამ გამარჯვებას დებორამ ჰიმნი მიუძღვნა, რომელიც ძველი აღთქმის პოეზიის საუკეთესო ნიმუშია. დებორას გმირობა მოთხრობილია ძველი აღთქმის წიგნში „მსაჯულთა“ (4-5).

დებორა მონაზონი († 1491 წ.) – სამცხის ათაბაგის ყვარყვარე მეუღლის – დედისიმედის მონაზვნობის სახელი. იგი მონაზვნად შემდგარა ქჩრის გარდაცვალების შემდეგ. სამცხის დიდებულთა ცნობილი ამბოხების დროს (1576-1578) დებორა (დედისიმედყოფილი) პირადად აწარმოებდა სამხედრო ბრძოლებს თავის 12 წლის შვილთან, ბექასთან ერთად. დებორა მონაზონი არის ერთ-ერთი ავტორი „მესხური მატიანესი“ (ქრ. შარაშიძე, სამხრ. საქ. ისტ. მასალები, XV-XVI სს. გვ. 123-132).

დედათდიაკონი – სასულიერო დასის წევრი დედაკაცი უძველეს ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც დანიშნული იყო ეკლესიის მრევლში შემავალი მორწმუნე ქალების ზედამხედველად. დედათდიაკონის თანამდებობის შემოღება მოციქულთა პერიოდს უკავშირდება. პაველე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ახსენებს დედათდიაკონ ფიბას. მოციქულთა დადგენილებების მიხედვით ამ თანამდებობაზე უნდა აირჩიონ უმანკო ქალწულები ან, უკიდურეს შემთხვევაში, კეთილშობილი ქვრივები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ იყვნენ გათხოვილნი. ქალკედონის კრების დადგენილებით დედათდიაკონად ხელდასხმული 40 წელზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს და უნდა გაიაროს ზედმიწევნითი გამოცდა. ზოგიერთ ეკლესიაში დედათდიაკონთა რიცხვი დიდი იყო. მაგ. კონსტანტინეპოლის ეკლესიაში მათი რიცხვი 40-ით იყო განსაზღვრული. დედათდიაკონებს უნდა მოეშაბებინათ ქალები მოსანათლავად. ისინი ასწავლიდნენ, როგორ უნდა ესახუნათ მათ ნათლისღების დროს მღვდლის შეკითხვებზე და როგორ მოქცეულიყვნენ მონათლის შემდეგ; ეხმარებოდნენ მღვდლებს ქალების მონათლის დროს და მარონს სცხებდნენ მათ მღვდლების ნაცვლად, გარდა შუბლისა; თვალყურს ადევნებდნენ მათ ქცევას ეკლესიაში; ესწრებოდნენ ეპისკოპოსთა, სუცესთა და დიაკონთა საუბრებს ქალებთან; ზრუნავდნენ ქალებისათვის საქველმოქმედო საქმეებზე და სხვ. ქრისტიანობის პირველ პერიოდში დედათდიაკონი სასულიერო დასის წევრად თვლებოდა და ამიტომ იგი იკურთხებოდა განსაკუთრებული ხელისდადების წესის შესრულებით. ლიტეა, რომელიც იკითხებოდა მისი ხელისდადების დროს, შემონახულია მოციქულთა დადგენილებებში. ლაოდიკიის კრებამ (343 წ.) დაადგინა: „არა უკმს მოხუცებულთა დედათა, რომელ არიან წინამძღომარედ წოდებულნი, დასხდომაჲ ეკლესიასა შინა“ (კან. 11). დედათდიაკონთა მსახურება აღმოსაელეთის ქრისტიანულ ეკლესიებში შეწყდა XIII ს-ში, ხოლო დასავლეთში – IX ს-ში.

დეპუტაცია – საეკლესიო ჭურჭელი, ღვინის სასმელი დიდი ფიალა. 1532 წ. ახლოს მალაქია კათოლიკოსს სვეტიცხოველისათვის სხვა შესაწირავებთან ერთად შეუწირავს „ერთი დიდი ვეცხლის დეპუტაჲ“, (სამართლის ძეგლ. III, 255), „კიდე ერთი დეპუტაჲ“ (იქვე).

დეკანოზი (ბერძნ. პროტოპრესვიტერი)

1. მთავარი მღვდელი ეკლესიაში, ეკლესიარქი. დიდ ეკლესიებში დეკანოზს ზოგჯერ ცალკე სამრველო – „სადეკანოზო“ ებარა. ქართულ მონასტრებში – მღდელმონაზონთა და მგალობელთა უფროსი, მეორე პირი მონასტრის წინამძღვრის შემდეგ და მისი თანაშემწე ღვთისმსახურების დროს. სახელწოდება გვირვინებს, რომ უძველეს მონასტრებში დეკანოზი 10 მონაზვნის მეთაური უნდა ყოფილიყო. 2. ალმოსაველთ საქართველოს მთაში „დეკანოზი“ ეწოდება ხატის მსახურს, რომელიც სახატო რიტუალს (დროშებისა და ხატების გამოსვენების, დალოცვასა და მსხვერპლის შეწირვის წესს) ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა.

„დეკანოზური“ – წმინდა გიორგის VI-VII სს. ეკლესია თელავის რაიონის სოფ. ეარდისუბანთან, გომარეთ-თელავის გზიდან 3 კმ-ზე, ტყეში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დეკანოზურს“ უწოდებს. იგი წარმოადგენს სამეკლესიიან ბაზილიკას (სიგრძე – 20,2 მ., სიგანე – 12,20 მ., სიმაღლე – 12, 50 მ.) ამჟამად ეკლესია დაზიანებულია, ჩამოქცეულია ცენტრალური ეკლესიის კამარა და აბსიდის სამხრეთი მხარე. კედლები დიდი ზომის რიყის ქვით არის ნაშენები, კუთხეები გამოყვანილია შირიმის ქვით.

დეკრეტალიები (decretum, decretgli) – რომის პაპების დადგენილებები, რომლებსაც მიმართვის ფორმა ჰქონდა. პირველი დეკრეტალიები IV ს. ბოლოს მიეკუთვნება. სისტემატიზირებული დეკრეტალიები შეიდა XII ს. შედგენილ კრებულში „გრაციანეს დეკრეტი“, რომელიც საფუძვლად დაედო XVI ს. კანონიკური სამართლის კრებულს (Corpus iuris canonici); XIII-XIV სს-ში დამატებით გამოქვეყნდა რომის პაპების დეკრეტალიების მომდევნო კრებულები. დეკრეტალიების საშუალებით რომის პაპებს სურდათ იურიდიულად დაესაბუთებინათ ეკლესიისა და საზოგადოებაზე მბრძანებლობის თავიანთი პრეტენზიები. V ს-დან ჩნდება ყალბი დეკრეტალიები, რომელთაც პაპები იყენებდნენ თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად და საერო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად (მაგ. „ცრუ ისიდორეს დეკრეტალები“).

დელიტეს ტაძარი – ინგუშეთში, ცეოლამის ქედის ძირში, ნასოფლარ ქართის ნანგრევებთან გამავალი ისტორიული გზის მახლობლად (იხ. „ძეგლის მეგობარი“ №№ 60, 1982 წ.).

დელტავი // დერტავი – დედათა მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, რომელშიც ქართველი მონაზონი ქალებიც მოღვაწეობდნენ. ერთი იერუსალიმური წარმოშობის XI ს. ქართული ხელნაწერის (Ier. 33) ანდერძ-მინაწერი გვამცნობს, რომ ხელნაწერი გადაუწერიათ დელტავის მონაზონ ქალთა დაკვეთით: „დელტაველთა დათა ყოველთაჲ შეუნდვენ, უფალო დაიწერა საფასოჲთა მათითა“ (ნ. მარი, იერუს. ხელნაწ. აღწ. გვ. 64). ამავე ხელნაწერის ერთი ძეგლის ბოლოს ეკითხულობთ: „მე, ცოდვილი და ულირსი ეკატერინე, შტროჲსა ასული, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის... სუმეონის ცხორებისა. აწ წმიდათა მენელსაცხებელთა სწორნო დანო დელტაველნო, თქუთ წმიდათა პირითა თქუენითა მოტეუებაჲ ცოდვათა ჩემთაჲ“ (იქვე). ცნობილი, აგრეთვე გრიგოლ ხარტონწმიდელის მიერ 1040 წ. მოგებული კრებული (H 1662), რომელიც მანვე შესწირა „მონასტერსა დედათასა დერტავს“ (კეკელიძე, II, გვ. 146-147).

დემასი – თაედაპირველად პაელე მოციქულის მოწაფეთაგანი, რომელიც მოხსენებულია ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეში: „რამეთუ დემას დამიტეა მე და შეიყუარა სოფელი ესე და წარვიდა თესალონიკედ“ (4,9), ე. ი. შემდეგ დემასს უარუყია ქრისტიანობა და განშორებია მოძღვარს – პაელე მოციქულს, თესალონიკეში წასულა და იქ კერპთა მსეედლი გამხდარა. იოანე მოციქულის სიტყვებით „ჩუენთაგან განვიდეს, არამედ არა იყუნეს ჩუენთაგანი“ (I იოანე 2,13).

დემეტრე I – საქართველოს მეფე 1125-1156 წწ-ში, დავით აღმაშენებლის ძე. 1154 წ. დემეტრე ბერად შემდგარა დავითგარეჯის უდაბნოში დანიელის (იხ.) სახელით. 6 თვის შემდეგ დემეტრე ისევ დაუბრუნდა სამეფო ტახტს (მისი ძის – დავითის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც მამას სამეფო ტახტი წაართვა). ქართულ საეკლესიო მწერლობაში დემეტრე მეფეს რამდენიმე იამბიკო დაუწერია. განსაკუთრებით გამორჩეულ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. დემეტრე მეფის მიერ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი „შენ ხარ ვენახი“ დღესაც ცოცხალი პოეტური საგალობელია.

დემეტრე II თავდადებული (დაახლ. 1259-1289) – საქართველოს მეფე 1271-1289 წწ., დავით ულუსა და გუანცა დედოფლის ძე. დემეტრე მეფეს მონაწილეობა მიუღია მონღოლთა სახელმწიფოში ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში, რისთვისაც შეთქმულების წევრები სიკვდილით დასჯეს, ხოლო დემეტრე მონღოლთა

სამეფო კარზე დაიბარეს. ქართველთა სამეფო დარბაზმა მეფეს ურჩია, ურდოში არ წასულიყო და მთებში გახიზნულიყო, მაგრამ დემეტრე დარბაზის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, რადგან მან იცოდა, რომ მონღოლთა ჯართან მის გამოუცხადებლობას ქვეყნის აოხრება და უდანაშაულო ხალხის გაჟლეტა მოჰყვებოდა. დემეტრე გამოცხადდა ჯარით და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო. ქართველმა ხალხმა მას თაყვანებული უწოდა.

დემეტრე ვიპატოსი (ὑπατος) — ქართლის ერისთავარ გურამ კურაპალატის უმცროსი ძე. ვიპატოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მინიჭებული უნდა ჰქონდეს მაგრაკოს კერისის მიერ VI ს. 90-იან წლებში. დემეტრე ვიპატოსი არის მცხეთის ჯვარის ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელი. ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე სამი ქტიტორის კომპოზიციაში შემონახულია მისი რელიეფური გამოსახულება. „ცხოვრება ქართლისა"-ს მიხედვით დემეტრე „აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსანისასა" (ძეგლები, I, 223).

დემეტრე // დიმიტრი თესალონიკელი († 305 წ. ახლო) — მთავარმოწამე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანი მართლმადიდებლურ სამყაროში, მათ შორის ქართულ ეკლესიაშიც. იგი წარმოშობით თესალონიკედან იყო, თესალონიკის პროკონსულის შვილი. დედამამა ფარულად ქრისტიანები იყვნენ და დემეტრეც ბაპტისტაში ფარულად ქრისტიანად მონათლეს თაკილი სასახლის ეკლესიაში. მამის სიკვდილის შემდეგ, როდესაც იგი სრულწლოვანი გახდა, იმპერატორმა მაქსიმიანემ დემეტრე მამის ადგილზე, თესალონიკის პროკონსულად დანიშნა და ბარბაროსებისაგან ქალაქის დაცვა და ქრისტიანების განადგურება დაავალა. დემეტრემ თესალონიკეში ჩასვლისთანავე ქრისტეს მოძღვრების ამკარად ქადაგება დაიწყო და ეპრძოდა წარმართობას. მას „მეორე პაველ მოციქულს" უწოდებდნენ (პირველი ქრისტიანული თემი თესალონიკეში პაველ მოციქულმა ჩამოაყალიბა). როდესაც მაქსიმიანემ გაიგო დემეტრეს ქრისტიანობისა და მისი საქმიანობის ამბავი (იგი ამ დროს შავიზღვისპირა ლაშქრობიდან ბრუნდებოდა), გამძვინვარებული იმპერატორი თავისი ჯარით თესალონიკეში შევიდა იქაური ქრისტიანების დასასჯელად. დემეტრე იმპერატორის წინაშე ქრისტიანობის დაუფარავად აღსარებათვის დილეგში დაამწყვდიეს, ხოლო ქრისტიანებს სასტიკად გაუსწორდნენ. ხოლო დემეტრე დილეგშიეე შეხებით განგმირეს. დემეტრეს გვამი მხეცთა შესაჭმელად დააგდეს, მაგრამ თესალონიკელმა ქრისტიანებმა ფარულად დამარხეს. კონსტანტინე დიდის დროს მის საფლავზე ეკლესია ააშენეს. 100 წლის შემდეგ ძველი ეკლესიის ადგილზე დემეტრეს დიდებული ტაძარი ააგეს და მისი წმ. ნაწილები იქ დაკრძალეს. VII ს.-ში წმ. დემეტრეს ლუსკუმიდან სასწაულებრივად იწყო დენა მირონმა, რისთვისაც მას „მირონმდინარე" უწოდეს. დემეტრე თესალონიკელის „წამების" კომენური რედაქცია, რომელიც ადრეც შეიქმნა ბერძნულ ენაზე, თარგმნილია ქართულად ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ და მრავალი ხელნაწერით არის შემონახული (H 341, XI ს. 49-59; Ath. 17, XI ს., 126-139; Sin. 80, XI ს., 122-148 და სხვ.), ხოლო რამდენიმე ხელნაწერში დემეტრეს „წამებას" ერთვის „სასწაულნი დემეტრესნი", აღწერილი იოანე თესალონიკელის მიერ, რომელიც ქართულად ეფთვიმესვე უთარგმნია (Ath. 17, XI ს., 137v-139v; Sin. 80, XI ს., 127v-147v ჭუნ. 4, XVI ს., 602v-621v, Ath. 28, 100 წ., 88r-118v და სხვ.). სვიმეონ მეტაფრასტს XI ს. მიწურულს ძველი „წამების" საფუძველზე ბერძნულად დაუწერია დემეტრე თესალონიკელის „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ქართულად ეფრემ მცირეს უთარგმნია (A 1170, XI-XII სს., 49-58; S 384, XI-XII სს., 477-488; S 1276, XI-XII სს., 262-270; H 1347, XI-XII სს., და სხვ.). ხსენების დღე — 26 ოქტომბერი.

დემიურგი (ბერძ. — შემოქმედი) — ტერმინი, რომლითაც თეოლოგიაში აღინიშნება ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, ფილოსოფიაში შემოქმედი საწყისი საერთოდ. ძველ ბერძნულში უმთავრესად სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა.

დემონი (ბერძ.) — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ღვთაებრივი არსება, რომელსაც ღმერთებისაგან განსხვავებით ადამიანთა მსგავსი გარეგნობა არ ჰქონდა და მტროობდა ადამიანს. მოგვიანებით განასხვავებდნენ კეთილსა და ბოროტ დემონებს. ბერძენი იდეალისტი ფილოსოფოსების მოძღვრების თანახმად ყოველ ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე ახლავს საკუთარი დემონი, რომელიც განაგებს მის ცხოვრებას. ქრისტიანულ რელიგიაში დემონი — ბოროტი სული, ეშმა, სატანაა.

დემურბულახის ოთხთავი — სახარება-ოთხთაეის XIII-XIV სს. ეტრატის ხელნაწერი (Q 241), რომელიც ჩამოტანილია 1932 წელს სოფ. დემურბულახიდან (ზურტაკეტის

ხეობა, დმანისის რაიონში, სოფ. გომარეთთან).ხელნაწერი 254 ფურცელს შეიცავს (21x17; თაქა და ბოლოში ძლიერ დაზიანებული), ხის ყდით. ხელნაწერში შეტანილია ოთხივე სახარების ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. ხელნაწერს აქვს სხვადასხვა დროის მრავალი მინაწერი, რომელთაგან ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულებისაა.

ᲓᲔᲠᲓᲣᲨᲐ – ქალთა მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, რომელშიც სხვებთან ერთად ქართველი მონაზონი ქალებიც მოღვაწეობდნენ. ცნობებს ამ მონასტრის შესახებ მხოლოდ ერთი, XI ს. შუა წლების ქართული ხელნაწერი გვაწვდის: „მე, გლახაკი გრიგოლ ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა მაკარის ეპისტოლეთა და სარწმუნოებით შეცსწირენ წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა დარას დერდუფას, ნიადორობასა თუხრონიადასა, ასულისა ეარე მხეულისასა... სალოცველად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან ქრისტეს მსხურნი მას დარას შინა“ (ქუთ. 181; ქუთ. ხელნ. აღწ. I, 1953 გვ. 335, კერები, II გვ. 147).

ᲓᲔᲠᲩᲘ – სოფელი წყალტუბოს რაიონში, მდ. რიონის მარცხენა მხარეს, წყალტუბოდან 55 კმ. სოფლში დგას განეითარებული შუა საუკუნეების რუხი ქვით მოპირკეთებული სამნავიანი, ნართექსიანი ბაზილიკა. შუა კედელზე შემონახულია XVI ს. ფრესკული მხატვრობა. სოფ. დერჩი გელათის მონასტრის მფლობელობაში ირიცხებოდა.

ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ – სომხეთის საკათოლიკოსო რეზიდენციაში, ქალაქ დვინში ბიზანტიის ინიციატივით მოწვეული ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება 506 წელს. ქართული ეკლესიის დელეგაცია შედგებოდა 24 ეპისკოპოსისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართლის კათოლიკოსი გაბრიელი. დვინის კრებამ დაგმო ნესტორიანელობა და მიიღო ზენონ კეისრის დიოფიზიტ-მონოფიზიტობა შემარიგებელი „ენოტიკონი“ („ერთობა“). კრების აქტები შედგა ქართულ, სომხურ, ალბანურ და ბერძნულ ენებზე. კრების მონაწილე ეკლესიებმა ირანში მცხოვრებ ქრისტიანთა მიერ კრებაზე წარმოგზავნილ დელეგაციას გაატანეს ეპისტოლეები ირანელი ნესტორიანელებისაგან თავის დასაცავად. ეპისტოლეებში გადმოცემული იყო ამიერკავკასიის ეკლესიების ბრძოლა და მათი რელიგიური პოლიტიკა. ჩვენამდე მოაღწია სომხეთის დელეგაციის ეპისტოლემ (ეპისტოლეთა წიგნი). დვინის საეკლესიო კრებას სხვებთან ერთად ესწრებოდა იაკობ ცურტაველი. ფიქრობენ, რომ ეს იგივე „შუშანიკის წამების“ ავტორი იაკობ ხუცესია, ე. ი. იაკობ ხუცესი შემდგომში ცურტაველ ეპისკოპოსი გამხდარა.

ᲓᲕᲘᲠᲘ – სოფელი ბორჯომის რაიონში, ბორჯომის ხეობაში, მტკვრისა და დვირულის შესართავთან, ბორჯომიდან 18 კმ. სოფლის მიდამოებში (საკერიკე) შემორჩენილია IX ს. ეკლესიის ნანგრევები და ეკლესიის XIV-XV სს. მოხატულობის კვალი.

ᲓᲘᲐᲓᲝᲮᲝᲡ ᲨᲝᲗᲐᲙᲔᲚᲘ – V ს. საეკლესიო მწერალი, ფოტიკის (ძველი ეპირის) ეპისკოპოსი. მოღვაწეობდა 451 წ. შემდეგ. მისი ბიოგრაფიიდან თითქმის არაფერია ცნობილი. ქართულად თარგმნილია დიადოხოსის თხზულებები; 1. „განსაზღვრებათაჳს“ (სულ 10 საზღვარი – A 60, გვ. 86); 2. „თავნი ასკეტიკანი ასნი“ (A 60, გვ. 87-137), რომელსაც ერთვის იამბიკო იოანე ანტიოქელ ეპისკოპოსისა, მიძღვნილი დიადოხოსისადმი (იქვე; გამოსცა ე. ჭელიძემ: შეერთებული კალენდარი, თბ., 2001, გვ. 394-435.)

ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ (ბერძ.) – მართლმადიდებლურ ეკლესიაში სასულიერო იერარქიის პირველ, ყველაზე დაბალ საშვილიშვილო ხარისხში ხელადასმული პირი, მღვდლის თანაშემწე. დიაკონის თანამდებობა წარმოიშვა იერუსალიმში თვით მოციქულთა ინიციატივით. იერუსალიმის ტაძარში თავდაპირველად შედი დიაკონი იყო, რომელთაც ევალებოდათ მორწმუნეთა და ეკლესიას შორის სამეურნეო საქმეების მოგვარება. შემდეგ მათ მოვალეობაში შედიოდა ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს მორწმუნეთა დგომა-ქცევის თვალყურის დევნება და ეპისკოპოსისათვის მოხსენება. დიაკვნები ამასთანავე განაგებდნენ საეკლესიო ქონებას, ანაწილებდნენ მოწყალებას, ზრუნავდნენ ობლებზე, ქვრივებზე და სხვ., ასრულებდნენ შუამავლის როლს სამწყსოსა და ეპისკოპოსს შორის, ამცნობდნენ სამწყსოს ეპისკოპოსის ბრძანებას და თვალყურს ადევნებდნენ მის შესრულებას, ამიტომ დიაკვნებს ეპისკოპოსთა ანგელოზებს ან მოციქულებს ეძახდნენ. იერუსალიმის ტაძრის მიხედვით ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში დიაკონთა რიცხვი 7-ს არ აღემატებოდა, მაგრამ მოგვიანებით მათი რიცხვი გაიზარდა. დიაკონთა სიახლოვეემ ეპისკოპოსებთან და მათმა მრავალმხრივმა საქმიანობამ გამოიწვია მათი მედიდურობა იმდენად, რომ ისინი ხანგრძლივად უყურებდნენ ზუცესებს, რომლებიც საეკლესიო იერარქიით

დიაკვნებზე მაღლა იყვნენ. ამან გამოიწვია საეკლესიო კრებების დადგენილებების გამოტანა, რომ დიაკონი ხუცესზე დაბალი იერარქიული ხარისხია და ამიტომ ხუცესს უნდა ემორჩილებოდეს. დღეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში დიაკონი მღვდლის (ხუცესის) თანაშემწეა ღვთისმსახურების ჩატარების დროს. თვით დიაკონს არა აქვს ამ რიტუალის შესრულების უფლება. მღვდელს კი დიაკვნის გარეშეც შეუძლია ღვთისმსახურების ჩატარება. ამ გარემოებამ გამოიწვია დიაკონთა რიცხვის შემცირება. დიაკონთა შორის უპირატესს მთავარდიაკონი ეწოდება. სამრეველო ეკლესიაში მთავარდიაკონის შესატყვისია პროტოდიაკონი (ბერძ.), ხოლო მონასტერში – არქიდიაკონი და იეროდიაკონი (ბერძნ.). ხშირად ორივეს შესატყვისად ქართულში მთავარდიაკონი იხმარება. დიაკონზე უფრო დაბალი ხარისხია კერძო-დიაკონი (ბერძნ. პიპოდიაკონი), რომლის ძველი სახელწოდება იყო კანანაში (კანონარქი – საგალობელი კანონის დამწყები). იგი ეკლესიაში მკითხველი იყო და საგალობლის პირველი მუხლის დაწყებით მგალობლებს საგალობლის ხმას მიანიშნებდა (ა. შანიძის დაკვირვებით „კანანაისგან“ წარმოდგა სიტყვა „კარნაჩი“).

„დიალოღონი“ – რომის პაპის, გრიგოლ დიდის (590-604) უმნიშვნელოვანესი თხზულების ქართული სახელწოდება. თხზულება ეხება დასავლეთის ეკლესიის, კერძოდ იტალიელი მამების ცხოვრებასა და სასწაულთმოქმედებას. „დიალოღონი“ ლათინურიდან მალე ითარგმნა ბერძნულად. „დიალოღონი“ ქართულად თარგმნა 1011 წ. ეფთვიმე მთაწმიდელმა ბერძნული ენიდან. თვით ქართულ სინამდვილეში მოხდა „დიალოღონის“ მოკლე და ვრცელი რედაქციების ჩამოყალიბება, ალბათ, ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანის გეიანდელი გადამწერ-რედაქტორის მიერ. „დიალოღონის“ ქართული ხელნაწერები საკმაო ოდენობითაა: A 67; A 167; A 238; A 800; A 1103 და სხვ.

დიაფსალმა (ებრ. შელა – „მარადის“; „მოელინება“) – „განსვენება“, შესვენება ფსალმუნთა გალობისაგან ან კითხვისაგან. ფსალმუნის ქართულ თარგმანს ასეთი განმარტება ახლავს: „ხოლო დიაფსალმაჲსა ძალი ესე არს: არა თუ ყოველსა ჟამსა და არცაღა მუნ ყოველსათჳს მისცემს სული წმიდაჲ წინაჲსწარმეტყუელთა სიტყუად, არამედ ოდესცა, გინა რაღაცნიცა ღმერთსა ჰნებავნ მომცემელსა... აწ ვიდრემე დიაფსალმაჲ დადგინებაჲ წინასწარმეტყველისაჲ არს გან-რაჲ-ისუენებნ, წინასწარმეტყუელი დუმნ და მერმე კუალად აღიძრის, ოდეს არნ შეწევნაჲ სულისა წმიდისაჲ და დუმილისა მის შემდგომად პირველთა მათ თქუმულთა შემდგომსა იტყჳნ“ (A 38, 249; ფსალმუნნი, 1960 წ. გვ. 470).

„დიდებაჲ“ – ხატის, ღვთისმშობლის საღიდებელი გუნდური მღერა-გალობა (ხშირად ფერხულთან ერთად). საეკლესიო დღესასწაულებზე, სახალხო დღეობებში (ალაverdობა, კვირიკობა, მარიამობა, თეთრგიორგობა, იახსარობა, ლამარობა, კოპალობა, პირქუშობა). გალობას ასრულებდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ორსამხმიანი გუნდი. განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის. „დიდება“ ერქვა აგრეთვე თეთრი გიორგის სადიდებელ ძველთა-ძველ, პანტომიმური ხასიათის ქალთა ფერხულს, რომელიც ხშირად ერთვოდა გუნდურ მღერა-გალობას. „დიდებაზე“ სარული გაერცელებული რიტუალი იყო. გამუდმებული გვალვის ან ავდრის დროს ფუზმიშელა ქალები კარდაკარ დაიაროდნენ „დიდების“ გალობით და „ამინდის ღუთაებას“ ლაზარეს გვალვაში წვიმას შესთხოვდნენ, ხოლო ავდარში – გამოდარებას. შეგრძნება თანხით ნაყოფ სალეთოს ელას სწირავდნენ თხოვნის შესრულების იმედით.

„დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა“ – „დიდი დიდებისმეტყველება“ (გალობა), რომელსაც ანგელოზთა გალობასაც (იხ.) უწოდებენ, რადგან გალობას, რომელიც მწყემსებს მოესმათ, გალობდა ანგელოზთა დასი იესო ქრისტეს შობის დროს: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკ. 2,13). დიდი დიდებისმეტყველება სრულდება კვირა დღეებში, თუ ისინი არ თანხვდება დიდმარხვის დღეებს, „ათორეტ“ დღესასწაულთა წარგზნის დღეებში, ყველირის, დიდმარხვის მე-5 შუადღეების დღეებში, ლაზარეს და ვნების შაბათის ცისკრის ღვთისმსახურების დროს. იგი საცისკრო ღვთისმსახურების აუცილებელი და ბოლო ელემენტია. სრულდება „ქებადითის“ ფსალმუნთა შემდეგ, აგრეთვე ჟამისწირვაზე, ოღონდ საიდუმლოდ, ჩუმი ხმით. „დიდებაჲ მაღალთა“-ს ხან გალობენ, ხან კითხულობენ. გალობენ (გრძლად) დღესასწაულთა ცისკარზე (სტუდიელთა მონასტერში იგი ცისკარზე ყოველთვის იკითხებოდა), ხოლო გალობდნენ მას მხოლოდ 2-ჯერ წელიწადში: დიდ შაბათს და აღდგომის ცისკარზე.

„დიდებაზე ჩამოვლა“ – კალმასობა (იხ.), სოფელ-სოფელ ჩამოვლა ხორბლის,

სურათ-სანოეაგის და მისთანათა შესაგროვებლად ეკლესია-მონასტრებისათვის და ღვთის საქმებული საქმისათვის მოსახმარებლად.

დიდი გალობა – იხ. დიდი კანონი.

დიდი განხეთქილება კათოლიკურ ეკლესიაში (1378-1417) – პერიოდი, როდესაც პაპის ტახტისათვის რამდენიმე პაპი იბრძოდა ერთდროულად: დიდი განხეთქილება მოჰყვა პაპების „ავინიონის“ ტყვეობას: რომში დაბრუნებული გრიგოლ XI-ის (1370-78 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში გერმანულ-სკანდინაეური სახელმწიფოების და ინგლისის მხარდაჭერით პაპად აირჩიეს ურბან VI (1378-89), ხოლო სიფრანგეთისა და მისი მოკავშირეების (ესპანეთი, შოტლანდია) მხარდაჭერით ნეაპოლის სამღვდელოებამ პაპად აირჩია კლემენტი VII (1378-94). შეიქმნა ორი პაპის კურია. პაპებმა ერთმანეთი შეაჩვენეს. პიზის საეკლესიო კრებამ 1409 წ. გადაყენა ორგორც ავინიონის პაპი ბენედიქტე XIII (1394 წლიდან), ისე რომის პაპი გრიგოლ XII (1406 წლიდან) და პაპად აირჩია ალექსანდრე V (1409-1410). გადაყენებულმა პაპებმა არ ცნეს კრების გადაწყვეტილება. პაპის ტახტზე სამი პაპი აღმოჩნდა. კონსტანცის საეკლესიო კრებამ (1414-1418) ბოლო მოუღო დიდ განხეთქილებას, გადააყენა სამივე პაპი – იოანე XIII (ალექსანდრე V-ის მემკვიდრე), გრიგოლ XII და ბენედიქტე XIII და პაპად აირჩია მარტინ V. დიდმა განხეთქილებამ საგრძნობლად შეარყია პაპობისა და კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი.

დიდი გომარეთი – სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე. დმანისიდან 25 კმ. სოფელში და მის მიდამოებში შემონახულია ბევრი ძნიშნელოვანი ეკლესია და მონასტერი: 1. ღვთისშობლის დარბაზული ეკლესია 1014-1022 წწ., რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პეტრიანთ საყდარს“ უწოდებს. იგი ნაშენებია მოყვითალო ქვიშაქვის თლილი ქვადრებით. კამრები და კონქის დიდი ნაწილი ჩამოქცეულია. აღმოსავლეთის სარკმლები შემკობილი ყოფილა მოჩუქურთმებული ჩარჩოთი. სამხრეთის კარის ბალავრის ქვაზე, რომელიც შემკულია ჯვრის გამოსახულებით, რელიეფებითა და ჩუქურთმებით, არის სამშენებლო წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან მიქელ ხუცესი – კალატოზი და გიორგი ამხახთა მეუე, სხვა წარწერებში – ლიპარიტ ერისთავი და „შვილნი მისნი“. 2. დარბაზული ეკლესია სამებისა („სამება“) ამჟამად დანგრეულია. სამხრ. კარის თავზე შემორჩენილია რამდენიმე წარწერა, რომელთაგან ერთში მოცემულია ეკლესიის აგების თარიღი – 1034 წელი. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა უხეშად გათლილი ქვით. კამარა ორ საბჯენ თაეს ეყრდნობოდა. იატაკი ქვისაა. 3. დარბაზული ეკლესია XII-XIII სს-ისა, რომელსაც „ჟიუანთ საყდარს“ უწოდებენ. ნაგებია კარგად გათლილი ქვით და გადახურულია ქვისაჯე ფილებით. სამხრ. კარის თავზე ამოკვეთილია ჯვარი. 4. წმ. გიორგის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დაახლ. XIII- XIV სს-ისა, ლაპიდარული წარწერებით.

დიდი გომარეთის მიდამოებში რამდენიმე ძნიშნელოვანი ტაძარია შემონახული: 1. რეეაზაშენში VIII-IX სს. ბრტყელაბსიდიანი ეკლესია „კვირაკე“. 2. ჭოჭინანში – შუასაუკუნეების ეკლესია „თამარის სამწირველო“, რომლის აღმოსაელეთ ფასადზე ფერად ქვაზე ასომთაერული წარწერაა: „თამარ ღმრთისა სწორის სამწირველო“. 3. შიშილეთში – განეითარებული შუა საუკუნეების ეკლესია და უფრო გვიანდელი სამრეკლო. 4. მონასტერი „ლამაზი საყდარი“, რომლის კომპლექსში შედის: XIII ს. ეკლესია მოხატულობის ნაშთებით და ლაპიდარული წარწერებით, შუა საუკუნეების კოშკი, XIII ს. სატრაპეზო და სხვა ნაგებობანი. 5. მონასტერი „ეგრისი“ (1. XVIII ს. ეკლესია „ნათლისმცემელი“, ლაპიდარული წარწერებით; 2. განეითარებული შუა საუკუნეების დანგრეული ეკლესია; 3. ღვთისშობლის ეკლესია განეთარებული შუა საუკუნეებისა მოხატულობის კვალით, რომელსაც „შავ საყდარს“ უწოდებენ). 6. XI ს. ეკლესია „წმიდა ნიკოლოზი“. 7. XVIII ს. ეკლესია „თეთრი საყდარი“, ლაპიდარული წარწერებით. სოფ. დიდი გომარეთის ტერიტორიაზე ნაპოვნია ანტიკური ხანის (ძვ. წ. IV-III სს-ის) სამაროები – 26 ქვაყუთი. მიცვალებულები ესვენებ მარჯვენა გვერდზე და ჩატანებული პქონდათ სხვადასხვა ფერისა და სახის თიხის ჭურჭელი, აგრეთვე ეერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამკაულები და იარაღი (შუბისპირები, დანის ნატეხები და სხვ.).

დიდი თონეთი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თბილის-მანგლისის საავტგზაზე, თეთრი წყაროდან 47 კმ. დიდი თონეთი ეწოდება XIX ს.-დან, მას შემდეგ, რაც მის მეზობელ სოფ. დეალეთს ეწოდა პატარა თონეთი. ისტორიულ წყაროებში XVII ს-დან მოხსენებულია როგორც სათანეთი, სთონეთი, სთორნეთი, თორნეთი და თონეთი. სოფ-დან 2 კმ-ზე

მდ. ალგეთის ნაპირას აღმოსავლეთით დგას თონეთის სოფლი, ერთნავიანი ეკლესია. სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქეს მინაშენები. ინტერიერში საბრჯენი თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა, მინაშენები — პილასტრებს. ეკლესიაში XI ს. რამდენიმე წარწერაა შემონახული, შეიმჩნევა გადაკეთების კვალიც. სოფ.-დან 500 მ. არის ნასოფლარი და კერაცხოვლის XI ს. ეკლესიის ნანგრევები, სოფლიდან სამხრეთით 1 კმ-ზე — ღვთისმშობლის ეკლესიის ფრაგმენტები დაახლ. XI-XIII სს.-ისა. თუთ დიდ თონეთში დგას XVIII ს. წმ. გიორგის ეკლესია.

„დიდი კანონი" — ასე ეწოდება ანდრია კრიტელის (VII ს. II ნახ. — VIII ს. დასწყისი) პიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც შედგება 250 ტროპარისაგან. საგალობელი გადმოგვცემს ძველი და ახალი აღთქმის მთელ ისტორიას ზნეობრივ შეგონებათა მიზნით. „დიდი კანონი" იგალობება ნაწილ-ნაწილ დიდმარხვის პირველი კვირიაკის პირველ ოთხ დღეს, დიდ მწუხრზე და მთლიანად დიდმარხვის მეხუთე კვირიაკის ხუთშაბათს ცისკარზე. „დიდ კანონს" ზოგჯერ „დიდ გალობასაც" უწოდებენ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი", არსენ იყალთოელის მოწმობით, პირველად ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია შემოკლებით (Sin. 5). გიორგი მთაწმიდელს „დიდი კანონი" ერცლად გადმოუღია და შეუტანია აგრეთვე ეფთვიმე მთაწმიდელის დამატებანიც და ზედმეტი ადგილებიც. მესამე თარგმანი შეუსრულებია არსენ იყალთოელს (სამეცნიერო ლიტერატურაში მიეწერება არსენ ბერს) დავით აღმაშენებლის დაკვეთით, ხოლო კათოლიკოს იოანეს დავითისვე ბრძანებით შეუქმნია მისთვის კილო, ვინაიდან ძველი კილო ჩვენი ერისათვის უცხო იყო (ხელნ. Sin. 70; Jer. 67); გამოცემულია ბერძნული ტექსტის პარალელური ქართული თარგმანი ს. ყაუხჩიშვილის მიერ: ბიზანტიური ლიტ. ისტ., III, 285-297, 1973 წ.)

დიდი კვირიაკე — იხ. აღდგომა.

დიდი კლდეთი (ყოფ. კლდესის კარი) — სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, მდ. კლდეისის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, თეთრი წყაროდან 32 კმ. სოფლის შუაგულში შემორჩენილია X-XI სს. ღვთისმშობლის მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიისათვის, როგორც, ჩანს, ჯერ სამხრეთიდან, შემდეგ კი ჩრდილოეთიდან სამლოცველოები მიუშენებიათ. ნანგრევებში აღმოჩენილია კარსარკმლთა მრთულობისა და კარნიზის ფრაგმენტები და ასომთავრული წარწერების ნაწყვეტები.

დიდნი ჯურთხევანი — იხ. კურთხევანი.

დიდი ლამარა — იხ. სამწმიდა.

დიდიმოსი († 398) — IV ს. მწვალებელი და ორიგენიზმის მიმდევარი, რომელიც იზიარებდა სულთა გადასახლების ორიგენისეულ თეორიას. ორიგენე და დიდიმოსი კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრებამ (553 წ.) მწვალებლებად გამოაცხადა, რაც განმეორებით დაამტკიცა VI მსოფლიო კრებამ. დიდიმოსი დაიბადა 313 წ., დაბრმავდა 4 წლის ასაკში, ითვლებოდა ალექსანდრიული კატეხიზმური სკოლის ლიდერად. დაწერილი აქვს ორიგენეს აპოლოგია და სხვა მრავალი შრომა. იგი იყო მასწავლებელი ნეტარი იერონიმესი და რუფინუსისა. ნეტარი იერონიმე მას მოძღვარს უწოდებდა. „ქართლის ცხოვრების" XVIII ს. ჩანართში დაცულია ცნობა ორიგენესა და დიდიმოსის შეჩენებისა V მსოფლიო კრებაზე: „ხოლო შემოკრბეს ორიგენიანთა და მის-თანაჲთა მიმდგომთათჳს, დიდჳმოს და ევაგრესთჳს, რომელიც შეჩენეს და დამჴშენეს" (ქართ. ცხოვრ. I, 215, 6 ჩანართი მეხუთე მსოფლიო კრების შესახებ).

დიდიმოს მოწამე († 304) — ეწამა დიოკლიტიანეს (284-305) მეფობის დროს ქრისტიანთა დევნის შედეგად, თეოდორა ქალწულთან ერთად ალექსანდრიაში. დიდიმოსი იმპერატორის ჯარის ქრისტიანი მეომარი იყო. მან იხსნა შებილწვისაგან სამეძავო სახლში ძალით მიყვანილი თეოდორა ქალწული, რომელიც თავს იცავ ქრისტეს სასძლოდ თვლიდა და უარს ამბობდა ქორწინებაზე. დიდიმოსმა თაფლი ტანსაცმელი მისცა თეოდორას და სამეძაოდან გააპარა. ამისთვის დიდიმოსი აწამეს თეოდორასთან ერთად, რომელიც მივიდა დიდიმოსის სიკვდილით დასჯის ადგილას და განუცხადა მას, რომ სურდა მასთან ერთად მიეღო სიკვდილი. წამებულთა გვამები დაწვეს. თეოდორა ქალწულისა და დიდიმოსის ერთობლიური „წამება", რომლის მეტაფრასული რედაქცია ბერძნულად XI ს. ბოლო მეოთხედში საეკლესიო მწერალს იოანე ქსიფილინოს უნდა შეექმნა, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში და დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში (ქუთ. 7, XIII ს. 68-79). ამ ხელნაწერის მიხედვით მათი ხსენების დღე 6 აპრილია, თუმცა არაქართული წყაროების უმეტესობაში 27 მაისია მითითებული (გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 217-225).

დიდი ოთხშაბათი — ეწოდა ლენტის კვირის (იხ.) ოთხშაბათი. ამ დღეს ეკლესია უკავ-

შირებს იესო ქრისტეს ყოფნას ბეთანიაში, სიმონ კეთროვნის სახლში (მათე XXVI, 6-16, იოანე XII, 3).

დიდი ორშაბათი – ენების კვირის ორშაბათი. ამ დღეს ეკლესია მოიხსენიებს იესო ქრისტეს სასწაულს ლეღვის ხის გახმობასთან დაკავშირებით (მათე XXI, 18-22).

დიდი პარასკევი – ენების კვირის პარასკევი. ცისკრად იკითხება „ხორმტი სახრეა" (მაცხოვრის ენება). თუ ამ დღეს არ ეშთხვევა ხარება, მაშინ ჟამისწირვა არ არის და გალობენ მხოლოდ ჟამნს, კითხულობენ საწინასწარმეტყველოს და ადგილებს მოციქულთა ეპისტოლეებიდან. მწუხრზე იხსენიებენ მაცხოვრის დასაფლავებას: შემოასვენებენ გარდამოხსნას. უძველესი იერუსალიმური ტრადიციით დიდ პარასკევს ხდებოდა ჯვრის განბანა, რაც შემდეგდროინდელ სხვა ეკლესიების ღვთისმსახურებას არ შემოუნახავს.

„დიდისა ზრახვის ანგელოზი" – ფსალმუნის (9,6) სიტყვები მესიის შესახებ, რაც ქრისტიანულ ლიტერატურაში იესო ქრისტეს ეპითეტი გახდა: „ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერჩქმის მას წინასწარმეტყველისა მიერ „დიდისა ზრახვისა ანგელოზი, საკურველი", რომელი მამისა მიერ ჩუენდა მკსნელად მოვიდა" (აბო ტფილელის „წამება", ძეცლ. I, 54).

დიდი სამშაბათი – ენების კვირის სამშაბათი. ღვთისმსახურებაზე იკითხება იესო ქრისტეს უკანასკნელი საუბრები მოწაფეებთან და მისი უკანასკნელი იგავი (მათე XXV, 1-13).

დიდი სერობა – იხ. საიდუმლო სერობა.

დიდი სვინაქსარი – იხ. სვინაქსარი.

დიდი სძემის კურთხევა – იხ. სქემის კურთხევა.

დიდი სჯულისკანონი – იხ. სჯულისკანონი.

დიდი შაბათი – ენების კვირის (იხ.) შაბათი, აღდგომის წინა დღე. ცისკრად სრულდება „გარდამოხსნის" თაყვანისცემა. ჟამნობას მოსდევს მწუხრი და მას მოჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვა.

დიდი ხუთშაბათი – ენების კვირის (იხ.) ხუთშაბათი. ამ დღეს ეკლესია მოიხსენიებს საიდუმლო სერობას. საკათედრო ეკლესიებში ბასილი დიდის ლიტურგიის შემდეგ სრულდება „ფერხთაბანის" წესი, სპატრიარქო ტაძრებში კი – მირონის კურთხევა.

დიდმარხვა – იხ. მარხვა.

დიდუბე – თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი ძველად, ქალაქის ტერიტორიის ნაწილი XIX ს. 70-იანი წლებიდან, ახლანდელ დიდუბის რაიონის ნაწილი, მდებარეობს მდ. მტკვრის ნაპირის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე. სახელწოდება წარმოდგება „დიდი უბისაგან" (დიდი ეკე) ამ მიდამოების უძველესი სახელწოდებაა „ცხენის ტერფი" (V ს.). სახელწოდება „დიდუბე" პირველად XII ს. გვხვდება. XII ს. დიდუბე სამეფო დომენი იყო. აქ იდგა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია, რომელებიც არ შემონახულა. დიდუბის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაელინეს ენეოლითის დასახლების და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისის (ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო) ნამოსახლარი და ნივთიერი კულტურის ძეგლები. დიდუბეში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ღვთისშობლის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც XIX ს-ში გადაუკეთებიათ. ეკლესია ხელახლა მოიხატა 1970-იან წლებში (მხატვარი – ალექსანდრე ბანძელაძე). ეკლესიის ეზოში გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონია.

„დიდუხვირი" – შუა საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესია ახმეტის რაიონის სოფ. ახშაანში (იხ.).

დიკასტერია (ბერძ.) – 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძველ ათენში, იგივე პელეა. 2. ქართლ-კახეთის სამეფოში საკათოლიკოსოსთან არსებული უმაღლესი აღმინისტრაციულ-სასამართლო ორგანო. დიკასტერია დააარსა ანტონ I-მა XVIII ს. 70-იან წლებში. იგი განაგებდა საეკლესიო სასიათის ყველა საქმეს. დიკასტერია კოლეგიური ორგანო იყო და ზოგჯერ „დიკასტერიის შეკრებულობადაც" იწოდებოდა. მის შემადგენლობაში თითქმის ყველა იერარქიული მდგომარეობის სასულიერო პირი შედიოდა. წევრთა რაოდენობა არ აღემატებოდა 11 კაცს. ისინი პერიოდულად მონაწილეობდნენ დიკასტერიის საქმიანობაში. სადაო საქმეებს დიკასტერია ძირითადად სამი, ზოგჯერ ხუთი წევრის შემადგენლობით არჩევდა. დიკასტერიას ჰყავდა მდივანი – „მწერობარ-წინამძღვარი". დიკასტერიის მთავარი საზრუნაო იყო სარწმუნოების შეურყვნელად დაცვა. იგი აელენდა და ებრძოდა „სჯულგარდამავალ" დარღვევებს და მათ გამოშწვევ მიზეზებს, განიხილავდა განქარწინების, ჯვარდაუწერელი მეუღლეებისა და შეილად აყვანის საქმეებს, ეკლესია-მონასტრების ქონებაზე დაეას და სხე. საკითხთა განხილვისას ხელმძღ-

ეანელობდა საეკლესიო კანონ-წესებითა და უახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულებით. დიკასტერიის სამოქმედო ტერიტორია კათოლიკოსის სამწყსოთი შემოიფარგლებოდა.

ᲓᲘᲯᲘᲠᲘ (ბერძნ.) — ორსანთლიანი შანდალი, რომელიც იხმარება ეკლესიაში სამღვდელმთავრო ღვთისმსახურების დროს.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ // ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. IX ს. ხანცთის მონასტრის მონაზონი (დიმიტრიოს) გრიგოლ ხანცთელის მოწაფე. იგი გაუზრდია მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარს ფვბრონიას, გრიგოლ ხანცთელის სულიერ. მეგობარს, ხოლო შემდეგ გრიგოლს დამოწაფებია (ძეგლ. I, 286, 18).

2. XI ს. შუა წლების იერუსალიმის საბას ლავრის ქართველი მონაზონი. 1052 წ. აქ იოანე მღვდელს დიმიტრის თანამოღვაწეობით გადაუწერია „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვათაჲ“ (Sin. 5).

3. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი XIII ს. I ნახევარში. მოხსენიებულია დაახლ. 1227-1230 წწ. ერთ გუჯარში: „მთავარმამამან დემეტრე მემღუმემან და ყოველთა კრებულთა მეუღაბნოეთა მოგუმდლეს და ნიშანი დამიდეს“ (ქრონიკები, II, 98).

4. შიომღვიმის მონასტრის მოძღვარი XIII ს. II ნახევარში. მოხსენიებულია შიომღვიმის მონასტრის 1250-1260 წწ. ერთი სიგელის (№ 8) XIII ს. მინაწერში. დემეტრე მოძღვარი მოწმეა 1236-1257 წწ. შორის დაწერილი ერთი სიგელისა (სინოდ. კანტ. № 34), რომელიც მიცემულია შიომღვიმის მონასტრისათვის (ქრონიკ., II, 153, 128).

5. დაახლ. XIII ს. მონაზონი. დიმიტრი ბერს ბასილთან ერთად დაუმზადებია სახარების ერთი XIII ს. ნუსხა, რომელიც შემდეგ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წაუღია სვიმეონ ხუცესს. დღეს ხელნაწერი ინახება პარიზის ნაც. ბიბლიოთეკაში (№ 28. აღწერ. ექ. თაყაიშვილისა, გვ. 61-64).

6. დავითგარეჯის მოძღვარი დაახლ. XIV ს-ში. მისი მოსახსენებელი დადებულია სინის მთის მონასტრის სააღაპე წიგნში (Sin. 77, გვ. 247) ძირითადი ტექსტის ხელით (XIV ს.).

7. ათონის მთის იერთა მონასტრის წინამძღვარი XIV ს. II ნახ. დიმიტრი ხელს აწერს 1363 წ. ერთ ათონურ სბუთს: „მამაჲ ქართველთა მონასტრისა დიმიტრი“ (А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, стр. 256-257).

8. მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის ქადაგი (მაღალაძე) XV ს. შუა წლებში. მას დაუწერია გიორგი მეფის სვეტიცხოველისადმი მიცემული 1449 წ. სიგელი, დეკემბერსა კგ (23) (ქრონიკ. II, 261).

9. XVI ს. შუა წლების კალიგრაფ-გადამწერი. 1546 წ. დიმიტრის იერუსალიმში გოლგოთაზე გადაუწერია სახარება და სამოციქულო გამოკრებილი (H 1348).

10. XVIII ს. I ნახევრის ალავერდის ეკლესიის მგალობელი და გადამწერი. დემეტრე მგალობელს 1714-1716 წ. ზაქარია ჭალაისშვილთან ერთად გადაუწერია ნიკოლოზ ალავერდელის (ჩოლოყაშვილის) ბრძანებით ალავერდის გულანი (A 366; A 379, A 380).

11. გელათის მონასტრის XVIII ს. მღვდელი და გადამწერი. მას მონაწილეობა მიუღია გელათის გულანის (A 186) გადაწერაში, რომელიც დამზადებულია ზაქარია გელათის ეპისკოპოსის დაკვეთით 1653-1655 წლებში: „აღიწერა პირველი ოთხ ჴმა პარაკლიტონი კელთა ფრიად ცოდვილისა მღვდელისა დემეტრესითა“.

12. ბოლნელი მღვდელი და გადამწერი XVIII ს. ბოლოს. მას დაუწერია დავით ბოლნელის ერთი განჩინება (ცსსა, ფ. 1449, № 2573) 1789 წ. I მარტს (სამ. ძეგლ. V. 451).

13. მღვდელმონაზონი და გადამწერი. 1801 წ. გადაუწერია იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადების“ თარგმანება ანდრია კესარიელისა... „მიბრძანა მღუდელმონაზონს დიმიტრის... აღწერა წიგნისა ამის“ (აგრეთვე, გაბრიელ მცირის „ოქროს წყარო“ (H 1074).)

14. თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი (ალექსიძე) XIX ს. დასაწყისში. ანჩისხატის ეკლესია „აწ განახლა და განაშენა, განლესვით, კრამიტის დახურვით და კანკელით დეკანოზმან დიმიტრიმ ანჩისხატისამან ალექსიძემ წელსა 1813“ — ნათქვამია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს იმ ნუსხაში (S 4990), რომელიც 1816 წ. გადაუწერია და უახლესი ცნობებით შეუვსია მღვდელ დავით ინანიშვილს (ქართლ. ცხ. IV, 335, სქ. 5). დიმიტრი დეკანოზი გადამწერიც ყოფილა. მას 1801 წ. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში გადაუწერია ანტონ I-ის მიერ თარგმნილი ბაუმასტერის ლოღიკის ერთი ნუსხა (S 1156), რომლის ანდერძში თავს „დისკატერიის მწერალ-მწიგნობარს დიმიტრის“ უწოდებს (გვ. 272).

15. თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დე-

კანონზი (ალექსი-მესხიშვილი) XVIII-XIX სს., ძე ანჩისხატის დეკანოზის სოლომონისა და ძმა ცნობილი საეკლესიო მწერლის, ტარასი არქიმანდრიტისა (მესხიშვილისა). მისი გარდაცვალების თარიღი (1862 წ.) მოცემული აქვს ტარასის თაეის კრებულში (A 1448, 29): „ჩემი ძმა ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი გარდაიცვალა დეკემბერსა 9, წელსა 1862 და დამარხულ არს ანჩისხატის სობოროში, მარჯვენით ამბიონისა“.

დიმიტრი კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი დაახლ. XI ს. შუა წლებში. მოხსენიებულია 1270 წ. გადაწერილი შიომღვიმის ტიპიკონის სინოდიკონში ჩამოთვლილ კათოლიკოსთა სიაში. იგი კათოლიკოსად უნდა მოკდარიყო დაახლ. XI ს. შუა წლებში, რადგან მის შემდეგ დასახელებულია ბასილი, ისიც უცნობი, და შემდეგ იოანე საფარელი, რუის-ურბნისის კრების (1105 წ.) თამჯდომარე.

დიმიტრი როსტოველი (ტუპეო, 1651-1709) – რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი, გამოჩენილი საეკლესიო მწერალი და როსტოვის მიტროპოლიტი. 1668 წ. ალიკეცა მონაზვნად კირილეს მონასტერში (კიევიდან 3 კმ.), ხოლო შემდეგ რამდენიმე მონასტერი მოიარა, იყო სხვადასხვა მონასტრების წინამძღვარად. 1684 წ. კიევის ლავრაში მოღვაწეობის დროს დაიწყო თაეისი მთავარი შრომის „Чети минеи“-ს („წმინდანთა ცხოვრებანი“) შედგენა, რომლის დამთავრებას 20 წელი მოანდომა. 1702 წ. დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტად დაინიშნა. გარდაიცვალა იქვე 1709 წ. 1757 წელს იგი წმინდანად შერაცხეს. დიმიტრი როსტოველი განთქმული მქადაგებელიც იყო. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალრიცხოვან თხზულებებს შეიცავს, რომელთა შორის არის სასულიერო ხასიათის მისტერიები, პოემილები, წმინდანთა ცხოვრებანი და სხე. 1707 წელს გრიგოლ ჩხეიძეს უთარგმნია დიმიტრი როსტოველის „წერის პარსვა ან განსაზღვრება ხატებისათვის ღმრთისა და მსგავსად კაცისა“.

დინარ დედოფალი – გურგენ ერისთავთა-ერისთავის და, მეუღლე პერეთის მთავრის, ადარნასეს ძისა, დედა იშხანიკისი, პერეთის მეფისა. როგორც მემატიანე გვამცნობს, დინარ დედოფლის პერეთში ჩასვლამდე (X ს. დასწყისი) იქ სომეხთა წეალება, ე. ი. მონოფიზიტობა იყო გაურცელებული: „ და პერეთსაცე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყუნენ მწუალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა და დედამან მისმან მოაქცინა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955 წ., 266,1-3).

დიოდორე – ტარსელი ეპისკოპოსი IV ს. II ნახევარში, ნესტორიანობის ერთ-ერთი წინამორბედი, ანათემირებული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, ბასილი დიდის ერთი კანონიკური ეპისტოლის ადრესატი: „დიოდორეს მიმართ ტარსელისა მათთეს, რომელთა ორნი დანი შეირთნეს ანუ რომელნი ორთა ძმათა ცოლ ეყვნეს“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 498). დიოდორეს, როგორც ბასილის ეპისტოლიდან ჩანს, კითხვით მიუმართავს ბასილისათვის, რამდენად შეიწყნარებს მართლმადიდებლური ეკლესია, თუ მამაკაცმა სხეადასხეა დროს დები შეირთოო, ან ქალმა ძმებთან იქორწინა. ბასილი ისე ალუშფოთებია ამგვარ შეკითხვას, რომ იგი დიოდორეს სწერს, რომ, ალბათ, შენი სახელით სხვამ ეილაც უმეცარმა გამომიგზავნა ასეთი შეკითხეა, თორემ შენგან არ იყო მოსალოდნელიო, იმდენად ნათელია ქრისტიანული ეკლესიის უარყოფითი დამოკიდებულება ასეთი ქორწინებისადმი.

დიომიდე მოწამე – მკურნალი, პროფესიით ექიმი, რომელმაც აღიარა ქრისტე და კურნაედა როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ აეადმყოფებსაც. დიომიდემ ბევრი წარმართი გააქრისტიანა და მოწაფეა. ქრისტიანული ეკლესია ახსენებს მის სახელს ზეთის კურთხევის საიდუმლოს დროს. დიომიდე კილიკიის ტარსიდან იყო. ბევრს მოგზაურობდა და ქადაგებდა ქრისტიანობას. როდესაც იგი ნიკეაში იყო, დეკლიტიან იმპერატორმა (284-305) მეომრები გაგზავნა მის დასაპატიმრებლად, მაგრამ დიომიდე, ნიკეიდან ნიკომიდიაში მიმავალი, გზაში გარაიცვალა. მეომრებმა მიცვალებულს მოკეეთს თაეი და იმპერატორს მიართეეს.

დიომიდეს „წამების“ მეტაფრასული რედაქცია ბერძნულად დაიწერა XI ს. ბოლოს იოანე ქსიფილინოსის მიერ, ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში და მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის შემონახული (ქუთ. I, XVI ს., 452-467). ხსენების დღედ 16 აგვისტოა დადებული.

დიონისე – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მცენარეულობის, ღვინისა და მევენახეობის ღვთაება, ზევსისა და სამელეს ეაჟი, მხიარულებისა და განცხრომის მომნიჭებელი ღვთაება, მუზების მეგობარი და მფარველი (მისი კულტის განეითარებასთან არის დაკავშირებული დრამისა და დითირამბების წარმოშობა). თავდაპირველად დიონისეს კულტი პრაეულარუ-

ლი იყო მხოლოდ დაბალ ფენებში, ხოლო ძვ. წელთ. VIII-VI სს-დან გაერცელდა მთელ საბერძნეთში. დიონისეს გამოსახულებებს (ნილები) ეხვედებით საქართველოს ტერიტორიაზეც, უანისა და სარკინეს ნაქალაქარების არქეოლოგიურ მონაპოვრებში. დიონისესადმი მიძღვნილ დღესასწაულებს „დიონისეები" ეწოდებოდა.

დიონისე არეოპაგელი (ათენელი) – I საუკუნის მოღვაწე, ათენის არეოპაგის (უმაღლესი სასამართლო) წევრი. ჰპყრა მოციქულის ქადაგებით მოიქცა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და მალე ათენის ეპისკოპოსი გახდა. ზოგიერთი ცნობით, დიონისემ მოწამებრივი აღსასრული მიიღო. V ს. II ნახევარში. ის მიაჩნიათ „არეოპაგიტული კორპუსის" სახელწოდებით ცნობილი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებების ავტორად. ამ თხზულებების ქართული თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს, რომელმაც მას საკუთარი კომენტარებიც დაურთო. დიონისეს სახელით ცნობილი თხზულებების გაცნობა საგრძნობი იყო ქართულ საერო და სასულიერო შინაარსის თხზულებებზეც. ზოგიერთი მეცნიერის კვლევით (პონინგმანი, ნუცუბიძე) დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების ნამდვილი ავტორი არის პეტრე ქართველი (იხ.), V ს. ღაზის ეპისკოპოსი. საერთოდ, მეცნიერთა ნაწილს ამ თხზულებათა ავტორად V ს-ის უცნობი პირი მიაჩნია და მას პირობითად ფსევდო-დიონისე უწოდეს. თუმცა ბოლო გამოკვლევებით არის მცდელობა, რომ დიონისე ნამდვილ ავტორად გამოაცხადონ. დიონისე არეოპაგელის „წამება", რომელსაც ხშირად დიონისე ათონელის სახელითაც მოიხსენიებენ, ბერძნულად X ს. მიწურულს სეიმონ მეტაფრასტს დაუწერია, ხოლო ქართულად უთარგმნიათ XI ს. (ქუთ. 4, 366-383; S 384, XI-XII სს. 295-309; Ier. 37, XIII-XIV სს., 40-46, XVI ს.,). უფრო ადრე არის შექმნილი ბერძნულად დიონისე ათონელის „წამების" კომენტარი რედაქცია, რომელიც უთარგმნია IX ს. მოღვაწეს სეითს (A 19, X ს., 177; A 128, XII-XIII ს. Ath. 8, X ს., 51r-57v და სხვ. 413-419). ძველადვე თარგმნილი ქართულად „საკითხავი ეპისტოლე წმიდისა დიონისიოსი, რომელი მიუწერა ტიმოთეს, მოწაფესა მოძღურისა თჳსისა პავლესსა" (A 19, X ს. 184-186; A 95, XI ს., 557-568; Ath. 8, X ს., 57-64 და სხვ.).

დიონისე დიდი ალექსანდრიელი († 264) – მართლმადიდებლური ეკლესიის მამა, ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქი. იგი მდიდარი წარმართების შვილი იყო. მიიღო კარგი რიტორიკული განათლება, მაგრამ მალე ორიგენეს მოწაფე გახდა და ბუცსად ეყრთხა. შემდეგ იგი ალექსანდრიის კატეხიზმურ სკოლას ჩაუდგა სათავეში. 247 წ. ალექსანდრიის ეპისკოპოსად აირჩიეს. ორიგენესაგან დიონისემ მემკვიდრეობით მიიღო ყოველგვარი ცოდნის შეძენის დიდი წყურვილი, რომლის ქრისტიანულ რწმენასთან შეთანხმება შეიძლებოდა. ჯერ კიდევ IV ს-ში მას ეკლესიამ დიდი უწოდა, ხოლო ათანასე ალექსანდრიელი მას „სამყაროს მოძღვარს" უწოდებდა. მისმა შრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქრისტიანული აზროვნების განვითარებასა და ღვთისმეტყველების ჩამოყალიბებაში. მისი შრომებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტმა მოაღწია, ისიც სხვადასხვა საეკლესიო მამების და მწერლების თხზულებებში ციტაციის სახით. დიონისე ალექსანდრიელის ერთი ეპისტოლე შეტანილია ბერძნულ ნომოკანონში და მის ქართულ თარგმანში „დიდ სჯულისკანონში": „ნეტარისა დიონჳსი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ: დიონჳსი ეპისკოპოსი ალექსანდრიელისაჲ: დიონჳსი ეპისკოპოსი ალექსანდრიელისა", რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს შეიცავს (დიდი სჯულისკანონი, გვ. 448-452).

დიონისე კათოლიკოსი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1510-11 წლებში. 1151 წელს დიონისემ ახალი სიგელით დაამტკიცებინა კახეთის მეფე გიორგი II-ს („აგვიორგის") გადასახადებისაგან მცხეთის სასპტრიარქოს მამულების გათავისუფლება და კახეთში სვეტიცხოველისათვის ახალი სოფლები შეაწირვინა (ქრონ. II, 328).

დიონისე მოძღვარი (ჩიდანიძე) – დაახლ. XIII-XIV ს. საეკლესიო მოღვაწე. მისი სულის მოსახსენებელი ჩაწერილია სინის მთის მონასტრის სულთა მატიანეში (XIV ს.). „სულსა მოძღუარისა ჩიდანიძეს დიონისიოს შეუნდოს ღმერთმან" (Sin. 77, 244).

დიონისე მროველი (ლარაძე) – რუისის ეპისკოპოსი XVI ს. შუა წლებში. დიონისეს მეორედ აუშენებია რუისის ორსართულიანი სამრეკლო (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზ. I; 108, 126). იგი ზრუნავდა წიგნსაცავის გამდიდრებაზე. ცნობილია მის მიერ მოგებული საწელიწდო საკითხავების კრებული (A 1341).

დიოსკორე – ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქი V ს. შუა წლებში, კირილე ალექსანდრიელის (იხ.) მემკვიდრე ალექსანდრიის კათედრაზე, ეუტიქიანელთა მონოფიზიტური

მწვალებლობის თაეგამოდებული დამცველი. ეტიქიანელებმა თეოდოსი მცირისა და დიოსკორე ალექსანდრიელის მხარდაჭერით აღიარებას მიაღწიეს. ამასთანავე დიოსკორეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში კონსტანტინეპოლის ეკლესიაზე ალექსანდრიის ეკლესიის უპირატესობის პრეტენზიები ჰქონდა (როგორც უფრო ძველისა) და თვალწინ ჰქონდა მაგალითები, რომ ალექსანდრიის პატრიარქმა თეოფილემ გაასამართლა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი, ხოლო კირილე ალექსანდრიელმა — კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი. მასაც უნდოდა ფლაბიანე კონსტანტინეპოლელს დაპირისპირებოდა. ეფესოს 449 წ. კრებამ, რომელსაც დიოსკორე თავმჯდომარეობდა, გაამართლა ეტიქი და მისი მწვალებლობის მიმდევრები, ხოლო ქალკედონის 451 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეფესოს 449 წლის კრებას „ავაზაკთა კრება“ უწოდა და ეეტიქიანური მწვალებლობა შეაჩვენა, მისი მიმდევრები კი განკვეთა. მათ შორის იყო დიოსკორე ალექსანდრიელიც, რომელიც პაფლაღონის ღანგრაში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 454 წ.

დიოს სასწაულთმოქმედი — V ს. მონაზონი და სასწაულთმოქმედი. დაიბადა IV ს. ბოლოს სირიის ანტიოქიაში, ქრისტიანთა ოჯახში. ღვთის შთაგონებით ჩავიდა კონსტანტინეპოლში და დაემკვიდრა ქალაქგარეთ უკაცრიელ ადგილას. მალე სახელი გაითქვა სასწაულთმოქმედებით და დავრდომილთა განკურნების ნიჭით. მასთან კურთხევისათვის მივიდა ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსი მცირე კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ატიკოსის (406-425) თანხლებით. იმპერატორის ბრძანებით დიოსი მოღვაწეობის ადგილას სამღვდელო ხარისხში თვით პატრიარქმა ატიკოსმა აკურთხა. წმინდანმა უამრავი სასწაული აჩვენა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა თავის მონასტერში 430 წ. ახლოს. დიოსის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია ბერძნულად დაწერა XI ს. მიწურულში იოანე ქსიფილინოსმა, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში და მოღწეულია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 3, XVI ს. 613-633); გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები, VI, თბილისი, 1960, გვ. 170-186. დიოსის ხსენების ღღე დადებულია 19 იელისი.

დიოფიზიტობა (ბერძნ. „ორბუნებიანობა) — მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი დოგმატი, რომელიც აღიარებს ქრისტეს საღვთო და ადამიანურ ბუნებათა შეურწყმელ ერთიანობას. დიოფიზიტობა, როგორც დოგმატი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე 451 წ. (ამიტომ მისი მეორე სახელწოდება არის ქალკედონელობა), როდესაც ნიკიის I (325 წ.) და კონსტანტინეპოლის II (381 წ.) მსოფლიო კრებაზე შემუშავებულმა რწმენის სიმბოლომ ზედმიწევნითი ქრისტოლოგიური განსაზღვრა მიიღო. ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული, შეურეველი და განუყოფელი ორი ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური. ამ უკანასკნელით ქრისტე ადამიანთა თანაარსია, ცოდვათა გარეშე. დიოფიზიტობა ძირითადად გამოიკვეთა ეეტიქიანელებასთან ბრძოლაში, რომლის მიმდევრებს ქალკედონელებმა ანუ დიოფიზიტებმა მონოფიზიტები („ერთბუნებიანები“) უწოდეს.

დიპტიქონი (ბერძნ.) — ხისგან, ძვლისაგან ან ლითონისაგან დამზადებული ორი დასაკეცი დაფა, შეერთებული თასმით ან ზონარით, წიგნის მსგავსად აკინძული, გარედან გლუვი ან ჩუქურთმებით შემკობილი, შიგნიდან კი სანთლის ფენით დაფარული და ირგვლივ ნაპირებზე წერილი ამობურცული კანტით შემოვლებული, რომელზედაც შეიძლებოდა წერა, უფრო სწორად, ამოკაწერა ფოლადის წვეტიანი ჩხირით. ძველი ბერძნები და რომაელები იყენებდნენ ჩასაწერ წიგნაკებად. კონსტანტინე დიდის დროიდან მათ „დიპტიქონი“ ეწოდათ. თუ მას ორზე მეტი დაფა ჰქონდა, ეწოდებოდა ტრიპტიქი, ტეტრაპტიქი და ა. შ. ძველ რომში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ე. წ. „კონსულთა დიპტიქონები“. ისინი ჩვეულებრივზე დიდები იყო (დაახლ. 40 სმ. სიგრძისა), ამზადებდნენ მხოლოდ სპილოს ძვლისაგან, მხატვრულად აფორმებდნენ და წარმოადგენდნენ ძვირფას სარკმარს. რიდესაც რომის იმპერიაში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, დიპტიქები გამოყენებულ იქნა საეკლესიო მოხმარებისათვის. ხმარობდნენ მათ სახარების გარეკანისათვის, ამკობდნენ ოქროჭედულობით, ძვირფასი თვლებით და მინანქრით, სხვა ეგზემპლარებს იყენებდნენ საკურთხეველის მოსართავად: მთავარი დანიშნულება დიპტიქებისა მაინც ის იყო, რომ მათ ამაყე დროს იყენებდნენ საღვთისმსახურო ლოცვების, აგრეთვე მიცვალებულთა და ცოცხლების მოსახსენებლების ჩასაწერად და საკითხავად. IV ს.. ჩნდება სპეციალურად დამზადებული დიპტიქები ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე გამოსაყენებლად, რომლებიც გაფორმებული იყო ბიბლიური სიუჟეტებით. მათზე იწერებოდა გარდაცვლილთა და ეპ-

ლესიის წინაშე დამსახურების მჭონე ცოცხალი პირების სიები, ე. ი. სინოდიკონები. ამიტომ გაჩნდა სამგვარი დიპტიქი: 1. საეპისკოპოსო დიპტიქები, ადგილობრივ იერარქთა მოსახსენებლად; 2. დიპტიქები ცოცხალ პირთა (მეფეებისა, იერარქთა, შეშოწირველთა); 3. დიპტიქები მიცვალებულ საეკლესიო მოღვაწეთა და ქველმოქმედთათვის. დიპტიქები ხშირად ხსრულებდნენ ხატების მგვირაბას მღვდელმსახურთა და მორწმუნეთა მგზავრობის დროს საღოცავად. ასეთი დიპტიქები მოგრაელდა IX ს-დან, ხატმბრძოლობის შემდეგ. ფიქრობენ, რომ დიპტიქების ასეთ დანიშნულებას ხელ შეუწყო ხატების დევნამ. დიპტიქების ხმარება გაგრძელდა XVII ს-მდე და უფრო გვიანაც კი. ქართული წყაროებიდან „დიპტიქაჲ“ მოხსენებულია „იერუსალიმური განწესების“ ქართულ თარგმანში (IX ს.). იხ. კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 327.

დირბი – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ფრონის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. სოფელში შემორჩენილია X ს. ღვთისმშობლის ეკლესია, დიდი ზომის დარბაზული ტაძარი. აქეს გვიანდელი მინაშენი. აღმოსალეთ კედელზე ორი რელიეფური წარწერაა მოთავსებული. ეკლესიის სამრეთით დგას მოგვიანო ხანებში აგებული სამრეკლო. სოფ. დირბი როსტომ მეფემ (1632-1658) იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიას შესწირა.

დისევი – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდ. ჭარებულის (ახერის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს, ცხინვალიდან 15 კმ. სოფლის გორაკზე აღმართულია „ძელიცხოველის“ X ს. დარბაზული ეკლესია, ნაშენები ნატები და რიყის ქვებით. მაღალი და ვიწრო ეკლესიის კამარა ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. თავდაპირველად ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან ჰქონია კარიბჭეებიანი შესასვლელები. შემდეგ ისინი მოუშლიათ და კარი ჩრდილოეთის მინაშენში გაუჭრიათ. კედლები XIX ს. შეუღებავთ. აღმოსავლეთის სარკმლის ზედა ქვაზე გამოკვეთილია „ჯანელებული ჯვარი“, მედლიონები და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი. სარკმლის ქვის მარჯვენა კიდეზე ასომთაერული წარწერაა. 1559 წ. ერთი დოკუმენტის მოწმეობით, აქ მონასტერი არსებულა (ქართლის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი Ad 1572): „სოფელი დისევი და მონასტერი მისითა შესავლითა და მზღურითა“ (სამ. ძეგლ. III, 265).

დილომი – სოფელი თბილისთან, დიღმისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, თბილისიდან 8 კმ. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება „დიღუმის“ და „დიღუმის“ სახელწოდებით. XVI ს. დიღომი ქართველ მეფეთა ერთ-ერთი სადგომი იყო. სოფელში და მის მიდამოებში რამდენიმე ძველი და მოგვიანო ხანის ეკლესია დგას. სოფლის შესასვლელში აღმართულია წმ. გიორგის XI ს. ერთნავიანი ეკლესია. დარბაზის კამარა ჩამოქცეულა და აღდგენის შემდეგ ისრული ფორმა მოუცია, აღუდგენიათ ფასადებიც. მორთულობისა და წარწერების ნაწილი თავდაპირველი სახით შემონახულა, ნაწილი კი დაზიანებულა. სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე გამოსახულია ჯვრები, ლომბი, ფრინველები და ასომთაერული წარწერები. ძველი ეკლესიის რესტავრაცია XVI-XVII სს. უნდა ჩატარებინათ. ამავე დროს უნდა იყოს მიშენებული მცირე ზომის სადგომი დასავლეთ მხარეს, რომელზედაც XIX ს. ბოლოს სამრეკლოს ფანჩატური დაუდგამთ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ეკლესია „სამება“, რომელიც გაახლებულია XVI ს., აქეს ლაპიდარული წარწერაც. სოფლის მიდამოებში (ონადირნი) არის წმ. გიორგის VIII-IX სს. ეკლესიის ნაშთი, აგრეთვე მაჩხანის IX ს. ეკლესიის ნანგრევები XI-XII სს. მოხატულობის ნაშთებით და ლაპიდარული წარწერებით, აგრეთვე ეკლესია „თეძრი გიორგი“, რომელიც 1863 წელს აღუდგენიათ.

დიხაშხო – სოფელი ვანის რაიონში, მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკ.) ნაპირზე, ვანიდან 6 კმ. სოფელი წყაროებში პირველად XVIII ს. არის მოხსენიებული. სოფელში შემორჩენილია XVIII ს. I ნახევრის „სამების“ ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

დმანისი – ნაქალაქარი საქართველოს სამხრეთ მოსაზღვრეში, დმანისის პლატოზე, მდ. მაშაველრასა (ხრამის მარჯვ. შენაკადი) და ფინეზაურის (მაშაველრის მარჯვ. შენაკადი) შუამდინარეთში, ახლანდელი დმანისის რაიონის სოფელ პატარა დმანისის მიდამოებში, თბილისიდან 93 კმ. დმანისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან. VI-VIII სს. აქ მცირე დასახლება იყო, დმანისის საეპისკოპოსო კათედრალით. დმანისი, როგორც ქალაქი, პირველად იხსენიება IX ს. წყაროებში. განსაკუთრებით დაწინაურდა XII-XIII სს-ში, ხოლო საბოლოოდ გაპრტახდა და გაუკაცრიელდა XVIII ს-ში. დმანისის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა გათხრებმა უძველესი ხა-

ნის ბეური საინტერესო ძეგლი გამოაელინა.

დმანისის ნაქალაქარში კოშკებიანი გალავნით გამაგრებული შიდა ციხის ქვემოთ დგას VI ს. სამეკლესიანი ბაზილიკა „დმანისის სიონი". რომლისათვისაც დასაელეთის მხრიდან XIII ს. I მეოთხედში მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე მიუშენებიათ. საშენი მასალისა და მორთულობის ხასიათით უახლოვდება ბოლნისის სიონს და ქვემო ბოლნისის სამეკლესიიან ბაზილიკას. თავდაპირველი სახით მხოლოდ შუა ნაწილია შეაწყო, გვერდითი ნაწილები მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული. ეკლესია ნაგებია მცირე ზომის რუხი ფერის მჭიდედ დამუშავებული ქვით. გამოყენებიათ აგური და რიყის ქვაც. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები ამოყვანილია სუფთად გათლილი კვადრებით. გადახურულია ბრტყელი ქვის ფილებით. სამხრეთიდან ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭე და სანათლაო. ჩრდილოეთიდან – სამკვეთლო. ტაძარი მოხატული ყოფილა – საკურთხეველში შეშორებულია წმინდანთა ფრესკები და წარწერები. აღმოსავლეთ მხარეს აღმართულია გეგმით ოთხკუთხა სამრეკლო, რომელიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. ჩრდილო-აღმოსავლეთით არის წმ. მარინეს მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. რომელიც, წარწერის თანახმად, განახლდა 1702 წ.

დმანისის მიდამოებში არის კიდევ რამდენიმე ეკლესია: 1. შუა საუკუნეების ე. წ. „წითელი ეკლესია". 2. განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია „თეკნები" (ტყეში), 3. განვითარებული შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია ლაპიდარული წარწერებით (ტყემლიანში). 4. XVIII ს. „შვილის ეკლესია".

წყაროებში გვხვდება ცნობა დმანისის ღვთისმშობლის ხატის მიერ დაჟით ულუს ძის – გიორგის (XIII ს. I ნახ.) ასწაულებრივი განკურნების შესახებ. (ქართლ. ცხოვრ. IV, 224).

დმენისი – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდ. პატარა ლიხვის მარცხ. ნაპირზე, ცხინვალიდან 14 კმ. სოფელში დგას X ს. მთავარანგელოზის ეკლესია.

დოგმა, დოგმატი (ბერძ.) – მოძღვრება, დადგენილება – რელიგიური რწმენის საფუძველზე მიღებული დებულება, დოქტრინა, რომელიც ურყევ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ყველა დროისათვის, ანუ უმაღლესი საეკლესიო ინსტანციების მიერ დამტკიცებული, უდავო ჭეშმარიტებად მიჩნეული სარწმუნოების დებულება, რომელიც არ ექვემდებარება კრიტიკას.

ქრისტიანობის ძირითადი მართლმადიდებლური დოგმატებია: ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა, წმ. სამებისა, ღმერთკაც იესო ქრისტესი, საიქიოს ცხოვრებისა და ცოდვათა მისაგებელისა. ჩამოყალიბდა მსოფლიო კრებებზე (IV-VIII სს.) და დამთავრდა ნიკეის VII მსოფლიო კრებაზე 787 წ.

დოგმატიკა – მეცნიერება დოგმების შესახებ, მთავარი და ძირითადი მეცნიერება ღვთისმეტყველებისა. ღვთისმეტყველების დოგმატიკა მასალას კრებს საღვთო წერილიდან (ძველი და ახალი აღთქმა) და საეკლესიო ტრადიციებიდან, რომელსაც ეკუთვნის „რწმენის სიმბოლოები" საეკლესიო კრებებისა და ქრისტიანული სარწმუნოების აღსარება ცალკეული, განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტის მქონე საეკლესიო მამებისა. თავის თანმიმდევრულ განვითარებაში დოგმატიკა სამ პერიოდს ითვლის: 1. პირველდაწყებითს, მსოფლიო საეკლესიო კრებებამდე. 2. მსოფლიო კრებებისა. 3. მსოფლიო კრებებიდან XV საუკუნემდე. დოგმატების ირგვლივ შექმნილი საეკლესიო ხასიათის თხზულებები ქმნიან სასულიერო მწერლობის დარგს – დოგმატიკას, რომელიც მოიცავს მოძღვრებას ღვთისმეტყველო დოგმებისა და მისი ისტორიის შესახებ. დოგმატიკაში გადმოცემულია ქრისტიანობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური არსი. დოგმატიკა წარმოიშვა წარმართობის, იუდაიზმისა და განსაკუთრებით, მწვალებლობათა წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

დოგმატიკის საფუძვლების მეცნიერული შესწავლა, ე. ი. ლოგიკური დასაბუთება და სისტემატიზაცია დაიწყო მაშინ, როცა ქრისტიანულ ეკლესიაში განათლებულმა მორწმუნეებმა იწყეს მოსვლა, როგორიც იყო, მაგალითად, ქრისტიანობის ცნობილი ახოლოგეტი იუსტინე ფილოსოფოსი (II ს.) და სხვა ახოლოგეტები ქრისტიანობისა. მათ პირველად გამოსცეს შეხების წერტილები სარწმუნოებასა და გონებას შორის. კლემენტი ალექსანდრიელი († 217 წ.) შეეცადა ჭეშმარიტი სარწმუნოება წარმოედგინა მეცნიერული ცოდნის ფორმით. ის ასწავლიდა, რომ არ არის სარწმუნოება ცოდნის გარეშე, ისევე, როგორც ცოდნა სარწმუნოების გარეშე. ორიგენეს თხზულებამ „დასაბამის შესახებ" ხელი შეუწყო დოგმატიკის მეცნიერულ განვითარებას. იგი შეიცავდა დოგმატების სრული სისტემატიზაციის ცდას. მსოფლიო საეკლესიო კრებების პერიოდში ეკლესია უკვე უშუალოდ თვლის ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატების გადმოც-

მაში მეცნიერული მეთოდის აუცილებლობას. ცოდნისა და სარწმუნოების ურთიერთდამოკიდებულების ფორმულა ამ დროს ასეა განსაზღვრული: სარწმუნოება წინ უსწრებს ცოდნას. ცოდნა მოდის რწმენის შემდეგ („კრილე ალექსანდრიელის ეპისტოლე დიდიმოსის მიმართ). ბასილი დიდი დიალექტიკას უწოდებს დოგმატების ზღუდეს, ნეტარი აგუსტინე რწმენას თელის აუცილებელ პირობად საღვთო წერილის ბუნდოვანი ადგილების კომენტირების დროს. დოგმათა სისტემატიზაციის ცდად ამ პერიოდში შეიძლება ჩაითვალოს კირილე იერუსალიმელის „სწავლანი", გრიგოლ ნოსელის დიდი კატექეტიკური ქადაგება (გიორგი მთაწმიდელის თარგმანით, A 55), ერესების წინააღმდეგ თეოდორიტე კვირელის წიგნი, იოანე დამასკელის „ჯარდამცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ" და სხვ.

მსოფლიო კრებების შემდეგდროინდელი პერიოდიდან აღსანიშნავია ექვთიმე ზიგაბენის (XII ს.) „დოგმატიკური აღმურალობა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა", „საეკლესიო საუბრები სარწმუნოების შესახებ" — სეიმენ თესალონიკელისა (XV ს.). XV ს-დან ბიზანტიაში დოგმატიკის განვითარება შეწყდა, ხოლო გაგრძელდა დასავლეთში, რუსეთში და ა. შ.

დოგმატიკა ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. დოგმატიკური თხზულებების ქართულად თარგმნა დაიწყო ადრეფეოდალურ ხანაში. დიდია ამ სფეროში ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების დამსახურება, რომლებმაც X-XI სს-ში თავისთი თარგმანებით გამდიდრეს ქართული დოგმატური მწერლობა. მათი ღირსეული გამგრძელებლები იყვნენ თეოფილე ხუცესმონაზონი. ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვ. არსენს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბიზანტიური დოგმატიკური ძეგლების საუკეთესო ნიმუშების თარგმნის საქმეში. მან შეადგინა ორიგინალური დოგმატიკური კრებული „დოგმატიკონი", რომელშიც თავი მოუყარა მის მიერეე ბერძნულიდან თარგმნილ დოგმატიკურ თხზულებებს.

დოდო გარეჯელი — დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დოდორქის მონასტრის დამაარსებელი VI ს. II ნახევარში, დავით გარეჯელის ქართველი მოწაფე. ძუნწი ცნობები მის შესახებ დაუცავს დავით გარეჯელის მოკლე, უძველესი (X ს.) „ცხოვრების" რედაქციას, რაც გაურკვევლია ამ „ცხოვრების" საფუძველზე შედგენილ დავით გარეჯელის მეტაფრასულ „ცხოვრებაში" (XII ს.). ამ ცნობებით დიდი ყოფილა კახეთის მკვიდრი და დავით გარეჯელის ღვაწლის გახმაურების შემდეგ გადაუწყვეტია თავისი ბედი დავითის მიერ საფუძველჩაყრილი მონასტრისათვის დაეკავშირებინა: „და ვითარცა განმრავლდეს ძმანი და ესმა პაპაჲი მისი წმიდასა და ღირსსა მამასა დოდოს, მოვიდა იგიცა წინაშე მამისა დავითისსა" (ძეგლები, I, 234). დავითის მონასტერში შემოკრებილმა მონაზონთა სიმრავლემ დავითს გადაწყვეტინა ახალი მონასტრის აშენება.

ამავე ცნობების გაურკვევლობისა და ფრაზეოლოგიური დამატებების საფუძველზე XVIII ს. შეუქმნიათ დოდო გარეჯელის სინაქსარული „ცხოვრება" (A 220), რომლის კითხვა დაწესებულია „აღვსებიდან ზ (7) კვრიაკესა ოთხშაბათს" (ძეგლები, IV, 415-418). ე. გაბიძაშვილის აზრით, სინაქსარული „ცხოვრების" ავტორი რომანოზ მიტროპოლიტი უნდა იყოს.

დოდოთი — სოფელ ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 8 კმ., მდ. ფრონის ხეობაში სოფლიდან I კმ. მანძილზე დასაფლეთით შემორჩენილია X ს. დასაწყისის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ცხრაკარას" უწოდებს, სამკლესიანი ბაზილიკაა. ნაშენია საუკეთესოდ გათლილი ღია ნისფერი ქვის სწორი რიგებით, ურევია უხეშად დამუშავებული ქვაც. შემორჩენილია 914 წლის საღმშენებლო წარწერა, რომლის მიხედვითაც ეკლესია აუგია ტბელ ერისთავს. XI ს. დასაწყისში ქავთარ ტბელს გარშემოსაველი მოუშენებია. შესასვლელი შიგნიდანაც და გარედანაც უხვადაა შემკული გეომეტრული და სტილიზებული მცენარეული ორნამენტებით.

დოდორქა — მონასტერი დაითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. დაარსებულია VI ს. შუა წლებში დავით გარეჯელის ქართველი მოწაფის — დოდოს მიერ. მონასტრის დაარსების ამბავი დავით გარეჯელის უძველეს (მოკლე, X ს.) „ცხოვრებაში" ასე გადმოცემული: დავითმა უბრძანა დოდოს: „წარველ, ძმო რასა ამის კლდისასა, რომელ წადიერ არიან, რაჲთა გარე ირკუნებიდან ქორცითა სულთა მათთა ცხოვრებისათჳს". ერჩდა ბრძანებასა მისსა წმიდაჲ დოდო და წარვიდა და აღაშენა უდაბნოჲ იგი სახლსა ზედა ყოლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისასა_ და დღითადღე შეეძინებოდა სიმრავლე ძმათა" (ძეგლები, I, 234). ხოლო დოდო გარეჯელის გაუნდელი (XVIII ს.) სინაქსარული „ცხოვრება" უმატებს: „...ვი-

მელსა ეწოდა ვიდრე დღეინდელამდე დოდორქა" (ძეგლები, IV, 417). დოდორქის მონასტერი შედგება სხვადასხვა დროის (VI-XVIII ს.) გამოქაბულთა კომპლექსებიდან. მთავარი, დარბაზული ეკლესია და სატრაპეზო გარეკის საერთო ალმაღლობის პერიოდს – XI-XIII სს. განეკუთვნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლდეში გამოკვეთილი წმ. დოდოს მცირე ზომის ეკლესია, რომლისაგან შემორჩენილია საკურთხევლის აბსიდი, კლდეში გამოკვეთილი უკანა გუმბათი, ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთის ნართექსის კედლის ნაწილი. კონქში შემორჩენილია მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი (VIII-IX სს.) ნიმუში საქართველოში. მოხატულობის მთავარი ფიგურაა ტახტზე მჯდომი ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით. მარცხენა ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი, რომელზედაც ქართული წარწერის კვალია შემორჩენილი. გამოსახულია მთავარანგელოზები, მახარებლები, ანგელოზები (ქერუბინი), მზისა (ჯახუკი ჩარაღდნით) და მთვარის (ქალის ფიგურა მკერდამდე) სიმბოლური გამოსახულებანი.

XII-XV სს. დოდორქა სამეფო მონასტერი იყო. 1424 წ. ალექსანდრე I-მა დავითგარეჯასთან ერთად შესწირა მცხეთის საკათოლიკოსო სვეტიცხოველის ეკლესიას. XIII-XVIII სს-ის შემოსევების შედეგად მონასტერი დაქვეითდა და ბეერჯერ დაკარიელებულა. ეპარქიულად მონასტერი რუსთავის საეპისკოპოსოში შედიოდა. XV-XVII ს. კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა, შემდეგ – 1760 წლამდე ნინოწმინდელ ეპისკოპოსს. 1760 წ. დავთმარეულს შეუერთეს. XIX ს. მიწურულს გაუკაცრიელდა.

დოვრენიჯა – ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი სამფლობელო, რომელიც მას დაუმტკიცა მიხეილ VIII პალეოლოგმა (1258-1282). მასვე დაუმტკიცებია მონასტრისათვის სხვა ძველი სამფლობელოები: რადღინი, მელნიძიანე, იერისი და სხვა (კერები, II, 222).

დოლისყანა – მონასტერი შავშეთში (ამჟამად თურქეთის ფარგლებში), მდ. იმერხევის ნაპირზე, ართვინ-ბათუმის გზის ახლოს. მონასტერი დაარსდა X ს. I ნახევარში, რამდენჯერმე იხსენიება „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში". მთავარი ტაძარი ჯვრისებრი გეგმით აგებული გუმბათიანი ეკლესიაა, ერთი ნახევარწრიული აბსიდით (საკურთხეველში), დამატებითი კუთხის ოთახებით ჯვრის მკლავებს შორის. კედლები უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები, სარკმლები და მთელი გუმბათის ყელი – თლილი ქვით. გუმბათის ყელ შემკულია დეკორატიული თაღებით, ხოლო ქვემო სარკმლების თაღები გამოყვანილია სოლებად დალაგებული მუქი და ღია ფერის ქვებით, სამხრეთ სარკმლის სათაური ჩუქურთმითაა შემკული. გუმბათის ყელზე ქტიტორის რელიეფია ხელში ეკლესიის მოდელით, მის ქვეშ კი ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე ადიდენ მეუე ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით". სუმბატი უნდა იყოს ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, მამა ბაგრატ რეგენისა (სუმბატი 958 წ. გარდაიცვალა). სამხრეთის სარკმელთან მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა რელიეფია და მედალიონი მამაკაცის ბოესტით. წარწერა გვამცნობს: „შეიქმნეს ქლესია გაბრიელ დიაკონისაჲთა". გაბრიელი, შესაძლებელია, ქანდაკების ავტორი იყოს, მაგრამ შესაძლებელია – შენობის ხუროთმოძღვარიც.

დომენტი I კათოლიკოსი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1556-1560 წწ-ში. იგი კათოლიკოსად დაუსვამს სვიმონ მეუეს (ქ.ც. IV, 406). დომენტი ენერგიულად ზრუნავდა მცხეთის საპატრიარქოს ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. მან გააფართოვა საპატრიარქოს მამულები. დომენტი რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტში იხსენიება: 1556 წ. მას ერთგულების წიგნს აძლევენ საბა მტბევარი (Ad 720; სამართლ. ძეგლ. III, 262); იგი იხსენიება 1559 წ. ქართლის საკათოლიკოსო მამულების გუჯარში (Ad 1572. სამ. ძეგლ. III, 267): აგრეთვე მისადმი 1556-1560 წწ. შუა მიცემულ ერთგულების წიგნში (Ad 660, სამ. ძეგლ. III, 269).

დომენტი II კათოლიკოსი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XVI ს. მიწურულსა და XVII ს. დასაწყისში. დომენტის ინიციატივით 1595 წ. მცხეთის საპატრიარქოს დაბრუნდა მსხვილი მამულები, რომლებიც ადრე საერო ფეოდალებს ჰქონდათ მიტაცებული. ცნობილია დომენტი კათოლიკოსის 1595 წ. წიგნი ვახტანგ ბატონიშვილისადმი სვეტიცხოველისათვის სოფ. ქორდის დაბრუნების შესახებ (ცსსა ფ. 1449, საბ. № 1558, სამ. ძეგლ. III, 348) და მისივე წყალობის წიგნი, 1610 წელს დაწერილი (ცსსა ფ. 1448, საბ. № 5572, სამ. ძეგლ. III, 367).

დომენტი III კათოლიკოსი († 1679 წ.) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1660-1676 წწ-ში, ქიხოსარი მუხრანბატონის ძე. დომენტი მხარს უჭერდა ვახტანგ VI-ის ცენტრალისტურ პოლიტიკას, ენერგიუ-

ლად ებრძოდა ტყვეებით მოეჯერე თავადებს. 1664 წ. თბილისელი ეჯერისაგან შეიძინა სამცხიდან ჩამოტანილი ანჩის ხატი და თბილისის ანჩისხატის ეკლესიაში დაასვენა. დომენტიმ შეაკეთა და განაახლა ანჩისხატის ეკლესია. 1675 წ. ააგო ახალი სამრეკლო. დომენტიმ საკუთარი სახსრებით შეიძინა და სვეტიცხოველის ეკლესიას შესწირა სანთაკ-სათესი მიწები და რამდენიმე კომლი გლეხი. დომენტი კათოლიკოსი ბევრ ისტორიულ საბუთებშია მოხსენიებული (Sd 2913, 1660 წლისა, Sd 540-1668 წ; ცისა, ფ. 1448, №2 5013-1669 წ. და ა. შ. იხ. სამ. ძეგლ. III, გვ. 527; 540 და სხვ.).

დომენტი IV კათოლიკოსი (ერისკაცობაში დამიანე ლეკიანის ძე ბაგრატიონი, † 1741) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1705-1741 წწ-ში, ვახტანგ VI-ის ძმა, ცნობილი საეკლესიო მწერალი და მწიგნობარი. დომენტი 1705-1708 წწ. ვახტანგ მეფესთან თანამშრომლობდა სამართლის წიგნის შედგენაში. 1707 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით ირანის შაჰს და დაამტკიცებინა საკათოლიკოსო მამულები, მათ შორის კახეთის ხელისუფალთა მიერ იმჟამად მისაკუთრებული საკათოლიკოსო სამეურნეოები კახეთში. 1710 წელს კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული-ხანს) დაწერინა საკათოლიკოსო მამულების მფლობელობის სიმტკიცის სიგელი, იქიდან კი ქსნის საერისთავოში (1723 წელს კათოლიკოსად ბესარიონ ორბელიშვილი დასვეს), მაგრამ იმავე წელს ოსმალებმა დომენტი კათოლიკოსად დაბრუნეს. 1725 წ. დომენტი სულთანმა სტამბოლს გაიწვია და სამშობლოში აღარ გამოუშვა (ამ პერიოდში 1725-37 წწ. კათოლიკოსი იყო ბესარიონ ორბელიშვილი). 1727 წელს დაასტიმრეს, როგორც ოსმალთა ბატონობის მოწინააღმდეგე და სტამბოლის მახლობლად კუნძულზე გადაასახლეს. აქ მან 1736 წლის ბოლომდე დაჰყო, ხოლო 1739 წ. ქართლში დაბრუნდა და კათედრა დაიბრუნა. გარდაიცვალა 1741 წელს. დომენტი კათოლიკოსი დიდ ლიტერატურულ-მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. მან შეკრიბა ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა „ცხოვრება-წამებათა“ თხზულებები (A 130, 1713 წ.). საეკლესიო პრაქტიკისათვის გადაწერინა პარაკლიტონი, ასკეტიკონი და სხვ. ბერძნულიდან ათარგმნინა კურთხევანი და 1719 წ. საკუთარი ხარჯით დააბეჭდვინა თბილისში, შეადგინა სადღესასწაულოს ახალი რედაქცია (A 425, 1718 წ.) და მასში შეიტანა ქართველ მოღვაწეთა სეინაქსარული „ცხოვრება-წამებანი“ და სხვ. დომენტი კათოლიკოსმა საკუთარი ხარჯით ჩაატარა მცხეთის სვეტიცხოველის, თბილისის ანჩისხატის, მეტეხისა და სხვა ეკლესიების სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები.

დომენტი – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. რუისის ეპისკოპოსი (ავალიშვილი) XVII ს. I ნახ. დომენტი გიორგი საააკაძეს მოუწაფია ლუარსაბ მეფესთან თაუის გასამართლებლად. იოსებ თბილელის ცნობით („დიდმოურავიანი“), დომენტი მროველს მონაწილეობა მიუღია მარაბდის ბრძოლაში. იოსების თქმით: „ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი, მროველი“. სპარსეთში ყოფნის დროს დომენტი მროველის ტყვეობიდან დაუხსნია XVI ს-ის ერთი პარაკლიტონი (A 49). ცნობილია დომენტი მროველის 1625-1626 წწ. ერთგულების წიგნი მოურავ გიორგისადმი (საააკაძე: Hd 1851, სამ. ძეგ. III, 485).

2. თბილისის მთავარეპისკოპოსი-მიტროპოლიტი XVI ს. შუა წლებში. დომენტი „ტფილელ მთავარეპისკოპოსად“ (ტფილელი დომენტის სახელით) იხსენიება 1540 წლის ერთ და 1552 წლის ორ საბუთში (ქრონიკები, II, 384, 393).

3. თბილისის მიტროპოლიტი (ორბელიშვილ-ყაფლანიშვილი) XVII ს. ბოლოსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში. დომენტი თბილელად დაუდგენია ერეკლე I (ნაზარალი-ხანს) 1688 წლის შემდეგ ახლო ხანებში (ამ წელს შაჰმა ერეკლე დასვა ქართლის მეფედ): „... დასხნა... ტფილელად ყაფლანიშვილი დომენტი...“ (ქართლ. ცხოვ. IV, 464). 1690 წ. „ტფილელი მთავარეპისკოპოსი დომენტი“ სხვებთან ერთად ამტკიცებს დავითგარეჯის მონასტრის რიგის განწესებას (Ad 349; სამ. ძეგლ. III, 590). 1701 წლისაა ეკლეზიო დასაბეძის სამწყსოს განწესების წიგნი დომენტი თბილელისადმი (Ad 326, სამ. ძეგ. III, 627). დომენტი თბილელი სხვებთან ერთად მოწმეა და ამტკიცებს 1702 წ. საეკლესიო კრების განწინებებს სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე (Ad 340, სამ. ძეგ. III, 633).

1727 წლის ერთ საბუთში (ჟამისწირვის განწესების წიგნი დომენტი ტფილელისა გიეი ამილახორისადმი) დომენტი „ტფილელ-ბოლნელი მიტროპოლიტის“ ტიტულით წარმოგვიდგენს თაუის თაუს (Ad 733, სამ. ძეგლ. III, 711). ასეევე 1726 წ. საბუთშიც (Hd 2058; სამ. ძეგ. III, 711). აქედან ჩანს, რომ დაახლ. XVII ს. 20-იან წლებიდან დომენტი თბილელობასთან ერთად ბოლნისის ეპისკოპოსობასაც ითავსებს.

4. ხარჭაშოს ეპისკოპოსი XVIII ს. II ნახ.

დომენტი ხარჭაშნელი სხვებთან ერთად ხელს აწერს, როგორც მოწმე, 1759 წ. 16/1 ნიკოლოზ ალაერდელის ერთ საბუთს (Hd 2703; სამ. ძეგ. III, 842).

დომენტიანოს – იხ. სუქოისი.

დომენტი არქიმანდრიტი – დაავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი 1804-1815 წლებში. დომენტი იყო შანშე დავითაშვილ-ბაგრატიონის ძე. გიორგი XII-ის მეუობაში იგი კათოლიკოსის არქიდიაკონია. ნათლისმცემლის არქიმანდრიტობა მიიღო ექვთიმე არქიმანდრიტის გარდაცვალების (1804 წ.) შემდეგ. 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს დომენტიმ ჯერითა და საბარებით სთხოვა რუსეთის პოლკოვნიკს, რომელმაც იერიში მიიტანა სოფ. საშმზე, დაეზოგა სოფელი და მონასტერი. მისმა თხოვნამ არ გაჭრა, მხოლოდ ხუთმა სიკვდილისგადარჩენილმა მეამბოხემ მიიღო პატიება (მ. ბერძენიშვილი, მასალ. XIX ს. გე. 216-27). დომენტი არქიმანდრიტის 1815 წ. გარდაცვალების შესახებ ცნობა დაცულია ერთ ისტორიულ საბუთში (Hd 11220). ცნობილია 1804 წ. წყალობის წიგნი ანტონ II არქიმანდრიტ დომენტისადმი (Ad 251 სამ. ძეგლ. III, 1090). არქიმანდრიტ დომენტის იხსენიებს აგრეთვე 1810 წ. ანტონ II-ის წიგნი არქიეპისკოპოს ვარლამისადმი (Ad 752, სამ. ძეგლ. III, 1111). ორივე საბუთში საუბარია ხოდაშენის ფილოთეოსის ბერძნული მონასტრის ნათლისმცემლის მონასტრისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დომენტი მოწამე – ეროვნებით სპარსელი, ქრისტიანობისათვის წამებული 361-363 წწ. ახალგაზრდობაში ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას, მალე დატოვა სპარსეთი ნიზიბინის (მესოპოტამია) ერთ-ერთ მონასტერში მოინათლა და იქვე შედგა მონაზვნად. აქედან დომენტი თესალონიკეში, სერგისა და ბაქოს მონასტერში წავიდა, სადაც მალე დიაკვნად ეკურთხა. როცა არქიმანდრიტმა მისი ხუცესად კურთხევა გადაწყვიტა, დომენტიმ თავი უღირსად ცნო და განმარტოვდა სირიის უკაცრიელ მთაზე. შემდეგ ცხოვრობდა ერთ გამოქვაბულში ორ მოწაფესთან ერთად. დომენტის სახელი მალე გაერცელდა ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობაში. სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისას ამ ადგილებში გაიარა იელიანე განდგომილმა (361-363). მისი ბრძანებით დომენტი და მისი ორი მოწაფე ქვებით ჩაქოლეს († 360). დომენტი მოწამისა და მისი მოწაფეების შესახებ მეტაფრასული თხზულება იოანე ქსოფილინოსმა დაწერა XI ს. მიწურულში, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, XVI ს. 325-338). ხსენების დღედ 7 აგვისტოა დადებული.

დომენტი ფინამძღვარი (გერმანოზიშვილი) – XVIII ს. I ნახევრის საეკლესიო მოღვაწე. იგი თურქეთში ხლებია დომენტი ქართლის კათოლიკოს-პატრიარქს ხონჭრის კარზე სტუმრობის დროს 1725 წელს. დომენტი კათოლიკოსის მიერ კონსტანტინეპოლში 1727 წ. გაცემული წყალობის წიგნში იესე შვილადაა მოხსენიებული (ტლაშაძე), რომელიც აგრეთვე მის ამალაში იყო, საბუთის მოწმედ სხვებთან ერთად დასახელა „გერმანოზიშვილი ფინამძღვარი დომენტი“ (Hd 107775; სამ. ძეგლ. III, 713).

დომნა მოწამე – წარმართი ქურუში ქალი, ცხოვრობდა იმპერატორ მაქსიმიანეს (284-305) სამეფო კარზე, ქრისტიანობა აღიარა და მოინათლა ნიკომიდიის ეპისკოპოსის კირილეს მიერ თავის ერთგულ მსახურ ინდიასთან ერთად. დომნა ეხმარებოდა ავადმყოფებს, ღარიბებს დაურიგა თავისი სიმდიდრე, აძლევდა მათ საზრდოს სამეფო სუფრიდან. როდესაც დომნასა და მისი მსახურის უცნაური საქციელი შეამჩნიეს, ორივე დაამწყვდიეს. დომნამ, წარმართებთან რომ აღარ ეცხოვრა, სიგრეე მოიგონა, რისთვისაც ის და მისი მსახური სასახლიდან გააძევეს. დომნა დედათა მონასტერში დასახლდა. მალე მან მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა, თმები შეიჭრა და მონასტრიდან წავიდა. ამის შემდეგ სამეფო კარზე მისი ბებნა დაიწყეს. მეომრებმა დაარბიეს მონასტერი, აწამეს მონაზონი ქალები, ზოგიც საროსკოში წაიყვანეს. ქრისტეს შობის დღესასწაულზე 302 წ. ნიკომიდიის კათედრალურ ეკლესიაში 2000 ქრისტიანი შეიკრიბა. იმპერატორმა ყველას ეკლესიიდან გამოსვლა და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეკლესიაში დაწვით დაემუქრა. ქრისტიანებმა მსხვერპლის შეწირვაზე უარი თქვეს და იმპერატორმა ეკლესიის დაწვა ბრძანა მლოცველებითურთ. 20 000 ქრისტიანი ეკლესიასთან ერთად დაიწვა. ამის შემდეგ დანარჩენი ქრისტიანების შეპყრობას და სიკვდილით დასჯას შეუდგნენ. მათთან ერთად დაიღუპა დომნას მსახური ინდი. ამ დროს დომნა გამოქვაბულში იმალებოდა. როდესაც დომნა ქალაქში დაბრუნდა, მან დაიტირა ცეცხლში დამწვარი სულიერი თანამოძმეები და დები. ზღვის ნაპირას ის შეესწრო, როდესაც მებადურებს წყლიდან ქრისტიანთა გვამები ამოიღეს, მათ შორის იყო მისი

მსახური ინდიც. მან ისინი დამარხა. როდესაც იმპერატორმა გაიგო ეს ამბავი, ბრძანა თავი მოეკვეთათ იმ უცნობი ყმაწვილისათვის (დიმნა მამაკაცის ტანსაცმელს ატარებდა), რომელმაც დასჯილ ქრისტიანებს პატივი მიაგო. წმ. მოწამეების ინდის, დიმნას და ნიკომიდიაში 20 000 დამწვარი ქრისტიანის შესახებ მეტაფრასული თხზულება სვიმეონ მეტაფრასტ დაუწერია X ს. ბოლოს, ხოლო ეს თხზულება ქართულად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს. ქართული თარგმანი საკმაო რაოდენობის ხელნაწერით არის მოღწეული (A 90, XIII ს. 242-276; Ath. 2, XII-XIII სს., 214-228 და სხვ.) წმ. მოწამეთა ხსენების დღედ 28 დეკემბერია დადებული.

ᲓᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ – მოხსენიებულია სოფ. საშუვრისის (ქარელის რაიონი, გორიდან 20 კმ.) ბატარა ტაძრის (მდ. ძამისა და მტკვრის შესართავთან, მთის ფერდობზე) 912-913 წ. საარშენებლო წარწერაში: „ზედა წელსა კ-სა კონსტანტინე მეფისა მე, დიმნისის, სამწუვრისის ჯუარისა მამასახლისმან და გიორგი თუალოჲს ძემან მოვიღეთ რუეი ესე ჯუარად“ (ლაპ. წარ. I, 223).

ᲓᲛᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ – ანტიოქიის პატრიარქი VI ს. შუა წლებში, კონსტანტინეპოლის მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების (553 წ.) ერთ-ერთი თავკაცთაგანი (ქართლ. ცხ. I, 215 ჩანართი).

ᲓᲝᲜᲐᲢᲔᲚᲜᲘ (დონატისტები) – მწვალებლები ჩრდილოეთ აფრიკის ქრისტიანთა შორის IV-VII სს-ში. ასე ეწოდათ ერესიარქ დონატის (კართაგენის ეპისკოპოსი) სახელის მიხედვით. დონატელთა აზრით, ჭეშმარიტი ეკლესიის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სიწმინდე, რაც გამოიხატება ეკლესიის მსახურთა პირად სრულყოფაში. საიდუმლონი კარგავენ თაყვანთ ძალას, თუ მათ ცოდველი ღვთისმსახურნი ასრულებენ, ან მათ კავშირი აქვთ ცოდველებთან. ამიტომ ისინი ხელახლა ნათლავდნენ მათთან გადასულ მართლმადიდებლებსაც კი, აგინებდნენ მართლმადიდებლობას და მათ მსახურთ. უთანხმოების დასაცხრობად კონსტანტინე იმპერატორმა სამი კრება მოიწვია: რომში, კართაგენსა და არილში, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დონატი ექსორიაქმნილ იქნა და გადასახლებაში გარდაიცვალა. დონატისტთა შორის ბევრი ახალი მწვალებლობა წარმოიშვა. მათ წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ასაბუთებდა ქრისტიანულ ეკლესიაში მადლის მოქმედებას ღვრთისმსახურთა სიწმინდისაგან დამოუკიდებლად. 411 წ. კართაგენის კრებაზე, რომელიც პონორიუსის ინიციატივით იქნა მოწვეული, ავგუსტინემ სრული გამარჯვება მოიპოვა დონატისტებზე. ამ დროიდან დონატიზმი თანდათან დასუსტდა, თუმცა ზოგან VII ს-მდე (არაბთა მიერ აფრიკის დაპყრობამდე) შეშორრა.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ – დაარსებული მოსკოვში 1591 წელს ყირიმის ხანის ლაშქრზე რუსეთის ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად, დონის ღვთისმშობლის ხატის სახელზე. მონასტერი დაარსდა იმ ადგილზე, სადაც რუსეთის ჯარი იყო დახანაკებული ყირიმის თათრებთან შერძოლების წინ. XVI ს-ის დასასრულისა და XVII ს. შუა ხანებში ჩამოყალიბდა შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი. გეგმით კვადრატულ მონასტრის ტერიტორიაზე განლაგებულია ერთგუმბათიანი მცირე უსვეტო ტაძარი (1591-93) სატრაპეზოთი (1678) და სამრეკლოთი (1679), ხუთგუმბათიანი დიდი ტაძარი გარეშემოსაველით (1684-93), კანკელი (1693-99). კომპლექსში შედის აგრეთვე ეკლესიები, სამრეკლოები, სასაფლაო (XVII ს. დასასრული). დონის მონასტერში დასაფლავებულნი არიან რუსეთის კულტურის ზოგიერთი მოღვაწე და 1812 წლის სამამულო ომის გმირები. XVII ს. 90-იანი წლებიდან დონის მონასტერთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსკოვის ქართული ახალშენის საქმიანობა. 1705 წ. არჩილ II-ის მხარდაჭერით დონის მონასტრის არქიმანდრიტად დაინიშნა ქართული კულტურის მოღვაწე, დიპლომატი ლავრენტი, რომელმაც დიდი შუშაობა ჩაატარა მონასტრის მეურნეობის მოსაწესრიგებლად. 1712 წ-ის ხელტმებრში აკურთხეს არჩილის ინიციატივით ახლად აშენებული მირქმის ეკლესია აკურთხეს. არქიმანდრიტმა ლავრენტიმ მონასტრის ბიბლიოთეკა გაამდიდრა ქართული ხელნაწერებით და ნაბეჭდი წიგნებით, ხოლო ტაძრები ქართული ხატებით, ნიშებით და პორტრეტებით მორთო. არჩილ მეფის ასულმა დარეჯან დედოფალმა დონის მონასტერს უხვად შესწირა ოქროსა და ვერცხლის ნივთები. მანვე გაფართოება მირქმის ეკლესია. უხვი შეწირულობანი გაიღეს ბაქარ ბატონიშვილმა, გენერალმა გრიგოლ დადიანმა და სხვ. 1812 წ. სამამული ომის დროს დაზიანებული მონასტერი აღადგინეს 1815 წ. დონის მონასტერში დასაფლავებულნი არიან არჩილ II, მისი მეუღლე ქეთევანი, ბაქარი და ვახუშტი, ალექსანდრე და გიორგი ბატონიშვილები. 1983 წელს ქართველი არქეოლოგების ინიციატივით დონის მონასტრის ტერიტორიაზე

და მარქმის ეკლესიაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც დამატებით ახალი მასალები გამოავლინა.

დორიმენდო მოწამე – ეწამა რომის იმპერატორ პრობუსის (276-282) მეფობის დროს, ფრიგიის ქალაქ სინდში. იგი ამ ქალაქის სენატორი ყოფილა და ფარულად აღიარებდა ქრისტეს. როდესაც ანტიოქიიდან აქ ჩამოიყვანეს წმ. მოწამე ტროფიმე, იგი ფარულად შედიოდა ციხეში, ბანდა და უხვევდა მას იარებს. როდესაც მისი საქციელი და ქრისტიანობა გამოაშკარავდა, რომლის დამხობაზე მან უარი თქვა, დორიმენდო ტროფიმესთან ერთად აწამეს.

დორიმენდოს, ტროფიმესა და სავატის ერთობლივი წამების შესახებ მეტაფრასული თხზულება დაუწერია სვიმეონ ლოღოთეტს X ს. მიწურულს, ხოლო ქართულად ორჯერ უთარგმნიათ: XI ს. II ნახევარში თეოფილე ხუცეს-მონაზონს (Ath. 20, XI ს. 132-138), ხოლო მეორე მთარგმნელი უცნობია (S 384, XI-XII სს. 146-159; ქუთ. 4, XVI ს. 216-225). მათი ხსენების დღედ 19 სექტემბერია დადგენილი.

დოროთეოს აბბა, მონაზონი – პალესტინის აბბა სერიდის მონასტრის ბერი, შემდეგ წინამძღვარი. დოროთეოსი ყმაწვილობიდანვე ხარბად დაეწაფა სხვადასხვა მუკნიერებათა შესწავლას. ბერობის დროს თავის მონასტერში ააგო საავადმყოფო, რომელსაც თვითონ ემსახურებოდა. დოროთეოსი ცნობილი საეკლესიო მწერალი იყო. მას ეკუთვნის 21 სწავლა, რამდენიმე ეპისტოლე, 87 კითხვა-მიგება. მასვე ჩაუწერია აბბა ზოსიმეს მიერ მონაზვნებისათვის წარმოთქმული 30 სიტყვა და მოძღვრება.

ქართულად ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია დოროთეოს მონაზვნის „სწავლანი სამონაზვნონი“, რომელიც 15 თავისაგან შედგება. 1. სუნდისისათჳს, 2. რათა არა მიეჯდენეთ განზრახვასა და გულისხმისყოფასა ჩუენსა. 3. თავისა თჳსისა განმარტებისათჳს. 4. ტყუეცილისათჳს. 5. გამოსულებისათჳს სოფლად. 6. რაჲთა ეისწრაფოთ მოწყუედაჲ ენებათაჲ. 7. შიშისათჳს საუკუნჱსა საშჯელსა. 8. რაჲთა მჴდლობით და უშფოთველად მოვითმინდეთ განსაცდელსა. 9. აღშენებისათჳს სულისა სათნოებით. 10. რომელსა აქ უნდეს მსახურებაჲ ოსტიგობისაჲ. 11. მოსენაკეთა მიმართ. 12. უხუცესთა მიმართ მონასტრისათა. 13. წმიდათა მარხეთათჳს. 14. კითხვა-მიგებაჲ მაბისა ჩუენისა იოანეს მიმართ, რომელსა ეწოდა წინასწარმეტყუელ. 15. სწავლანი შუენიერნი (A 146, XIV ს. 6-64; Ath. 40, XI-XII სს.; Ath. 41, XI, და სხვ.). ხსენების დღე – 5 იენისი.

დოროთეოს კათოლიკოსი – საქართველოს კათოლიკოსი XIV ს-ის II ნახევარში დაეით მეფის (1346-1360), გიორგი V ბრწყინვალის (1313-1346) ძის, მეფობის დროს: „ამის ჟამს მოკუდა კათალიკოსი ბასილი და ამან დასუა კათალიკოზად დოროთეოს...“ (ქართლ. ცხ. IV, 260, 16). დოროთეოსი გარდაცვლილა ბაგრატ V-ის მეფობაში (1360-1395). „ხოლო მოკუდა კათოლიკოსი დოროთეოს და ამან მეფემან დასუა გიორგი“ (იქვე, 263,4). სხვა ცნობები დოროთეოსის შესახებ არ შემონახულა.

დოროთეოს კათოლიკოს-პატრიარქი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1503-1516 წწ-ში. დოროთეოსის ინიციატივით მცხეთის საპატრიარქოს დაუბრუნდა ფეოდალების მიერ მითვისებული სოფლები. მან ახალი მამულებიც შესძინა სვეტიცხოველს. კახეთისა და ქართლის მეფეებს 1503-1505 წწ. ახალი სიგელები დამატკიცებინა და გადასახადებისაგან გაანთავისუფლებინა მცხეთის საპატრიარქოს მამულები.

დოროთეოს კათოლიკოს-პატრიარქი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სიმონ I-ის (1556-1600 წწ.) მეფობის პერიოდში. დოროთეოსმა სოფ. ნიტრიაში (სურამთან ახლოს; ამჟამად – იტრია) ააშენა სამკალე მონასტერი და შესწირა „წიგნები, რაც ერთს მონასტერს ჰოუნდებოდა, ყველა კარგი და პატიოსანი“ (სამ. ძეგლ. III, 354). მონასტრის მშენებლობაში მას მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართლის მეფეები: გიორგი IX, სიმონ I, გიორგი ბატონიშვილი (სიმონის ძე) და კახეთის მეფე ლევანი. ცნობილია დოროთეოს კათოლიკოსის შეწირულების სიგელი ნიტრიის ეკლესიისადმი (ცსსა, ფ. 1448, № 5008, ეტრატი), რომელშიც აღწერილია ნიტრიის მონასტრის მშენებლობის ამბავი და ჩამოთვლილია დოროთეოსის შეწირულებათა სია (სამ. ძეგლ. III, 352-357).

დოროთეოს მარკიანეპოლელი – V ს. ეპისკოპოსი, III მსოფლიო კრების მონაწილე. ქართულად თარგმნილია (სიმეონისგან) დოროთეოსის ერთი ეპისტოლე „ერისა მიმართ კონსტანტინეპოლისა“ (A 266, XVIII ს. 391-3963).

დოროთეოს პატრიარქი – ანტიოქიის პატრიარქი 1484-1523 წწ-ში. დოროთეოსი მხარს უჭერდა მზეჭაბუკ ათაბაგის მცდელობას, რომ საათაბაგოს ეკლესია გამოეყოფოლა

მცხეთის საპატრიარქოს და ანტიოქიის პატრიარქს დამორჩილებოდა. დოროთეოსი დიდად აქებს მზეჭაბუკს, რომელსაც უწოდებს „ღვთის მოშიშს", „მართლმადიდებელს", „დიდ მეუფეს ჩვენსა და ყოველისა აღმოსავლეთის კელმწიფეს". ხოლო ქართველ მეუფეებს და მის ერს „უსჯულოს". ეს ყოველივე გადმოცემულია დოროთეოსის სიგელში მზეჭაბუკისადმი, რომლის ქართული თარგმანი 1500-1516 წწ-ში უნდა იყოს შესრულებული (ქრონიკები, II, 294).

ცნობილია აგრეთვე დოროთეოს პატრიარქის XVI ს. დასაწყისის წიგნი მაწყვერელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ (სამ. ძეგ. III, 240, სამ. Ad 503).

დოროთეოს ტვირელი († 362) – ქალაქ ტვიროსის (ფინიკიაში) ეპისკოპოსი III ს. ბოლოს და IV ს. დასაწყისში. დეკლეტიანე იმპერატორის (284-305 წწ.) მეფობაში გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს დატოვა საეპისკოპოსო და დაემალა მტანჯველებს. კონსტანტინე დიდის (306-337) გამეფების შემდეგ დაბრუნდა ტვიროსში და 50 წლის განმავლობაში განაგებდა საეპისკოპოსო კათედრას. ბევრი წარმართი მოაქცია მან ქრისტეს მცნებაზე. იელიანე განდგომილის (361-363) მეფობაში დაწყებულ ქრისტიანთა დევნის დროს დოროთეოსი დააპატიმრეს და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე უარის თქმის გამო სასტიკად აწამეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა 107 წლის ასაკში.

დოროთეოს ტვირელს მიეწერება რამდენიმე თხზულება, რომელთაგან ქართულად თარგმნილია „მოციქულთათჳს, ერთობით აღწერილი საკლესიო სამოციქულოთათა მათჳს მოწაფეთა უფლისათა, დოროთეოს ეპისკოპოზი ტჳრელისაგ დაბეჭდებულისა კაცისა სულითა შემოსილისაგ და მოწამე ყოფილისაგ ჟამთა იელიანოს მეფისათა. ამან პირველ მოკრებულმან და დიდ განძჳმულმან კაცმან ერთად აღწერილი დაუტეა პრომაგელბრი და ბერძნული" (A 95, XI ს. 156-161; A 144, X ს. 320-333). ამავე თხზულების მეორე თარგმანი შეუსრულებია გიორგი მთაწმიდელს, დიდი სვინაქსარის" დანართში (A 193, XI ს. 359-362). დოროთეოს ტვირელი ეპისკოპოსის „წამების" მეტაფრასული რედაქცია ბერძნულიდან დაუწერიათ XI ს. მიწურულს იოანე ქსიფილინოსს, ხოლო ქართულად უთარგმნიათ XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 67-70). ხსენების დღედ დადებულია 6 ივნისი, ზოგიერთი წყაროს მიხედვით – 5 ივნისი.

დოსითე – პალესტინის აბბა სერიდის (ქართულში „სერიდო") მონასტრის ბერი, ცხოვრობდა VI ს. ბოლოს და VII ს. დასაწყისში. დოსითე იზრდებოდა წარჩინებულთა ოჯახში. ყმწვილობაში, მოისმინა რა იერუსალიმის შესახებ, გადაწყვიტა მოენახულებინა წმინდა ადგილები. გეთსამანიაში გამოეცხადა ღვთისმშობელი, რომელმაც მთაგორა მონაზვნური ცხოვრება. დოსითე ბერად შედგა აბბა სერიდის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ განთქმული ბერები: ბარსანოფი (ხსენება 6 თებერვალს), იოანე, წინასწარმეტყველად წოდებული (ხსენება 19 ივნისს) და დოროთეოსი (ხსენება 5 ივნისს). დოსითე დოროთეოსის მოწაფე გახდა და 5 წელი მორჩილად გაატარა მონასტრის საავადმყოფოს მსახურებაში. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არც დიდი ხანი უმოღვაწნია მონასტერში, არც რაიმე განსაკუთრებული გაუკეთებია, გარდაცვალების შემდეგ დოსითე ღირსი გახდა დიდებისა ზეცაურ სასუფეველში, როგორც ეს გამოცხადებაში იხილა ერთ-ერთმა ძმათაგანმა. დოსითეს „ცხოვრების" კიმენური რედაქცია ბერძნულიდან ქართულად ადრევე ითარგმნა და რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული (Ath. 40, X-XI სს., 3-30; Ath. 41, XI ს., 102-110 და სხვ.) დოსითეს ხსენება 19 თებერვალსაა დადებული.

დოსითე – ათონის მთის ივერთა მონასტრის ქართველი მონაზონი, ეფთვიმე მთაწმიდელის (955-1028) თანამედროვე. დოსითეს ეფთვიმეს სიცოცხლეშივე გადაუწერია მოზრდილი ტრებული (A 397).

დოსითეოს არქიმანდრიტი – ხოფის მონასტრის არქიმანდრიტი XVIII ს. II ნახევარში. ცნობილია ანტონ II კათოლიკოსის 1787 წ. ბრძანება დოსითეს არქიმანდრიტად ხოფის ეკლესიის განახლების შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ დოსითეოსი ანტონ II-ს უკურთხებია არქიმანდრიტად: „ხოფის საარხიმანდრიტო ხომ ჩვენი საშჳყსო არს, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩვენ გაკურთხეთ შენ და დაგადგინეთ... ხოფის ეკლესია უნდა განახლო... და რაც ეკლესიას ეჭირვება წიგნით თუ შესამოსელით, ყოველივე უნდა სისრულით მისცე..." – სამართლ. ძეგლ. III, 1035).

დოსითეოს თბილელი († 1795 წ.) – საქართველოს ეკლესიის წმინდანი, თბილისის მიტროპოლიტი XVIII ს. II ნახევარში. დოსითეოსი იყო ერეკლე II-ის მეუღლის, დედოფალ დარეჯანის სულიერი მოძღვარი.

დოსითეოსი შეუწირა ალა-შამშად ხანის 1795

წ. შემოსევას. სპარსელმა შაპმა ეკლესიის შესახურნი დაადანაშაულა, რომ ისინი აქეზებდნენ მეფეს არ ეცნო შაის ზემდგომობა მასზე და ამბოხ დასაწყა ისინი: ხელებშეკრულნი მაღალი ნაპირიდან გადაყარა მტკვარში, სადაც მათ სული შეაფრქვა ღმერთს. დოსითეოსი კი შეიპყრეს თავის სახლში, სადაც იგი ერთი წუთითაც არ ტოვებდა სიონის ტაძარს. იგი იპოვეს დაჩოქილი და მლოცველი ღვთისმშობლის ხატის წინაშე. სპარსელებმა იგი სახლიდან გაიყვანეს შეკრული, არ დაინდეს მისი მოხუცებულობა და ვენახის ტერასიდან მტკვარში გადააგდეს. ცნობები დოსითეოსის შესახებ დაცული აქვს პლ. იოსელიანს (1843, Краткая история грузинской церкви, СПБ,1843,с.139-140. 139-140) და კირიონ კათოლიკოსს (1899, Двенадцативековая борьба православной Грузии с исламом, Тифлис,1899, с. 91).

დოსითეოს ნეკრესელი (ჩერქეზიშვილი) – ნეკრესის მიტროპოლიტი XVIII ს. II ნახევარში (1740 წ. დიმენტი კათოლიკოსმა ნეკრესის საეპისკოპოსო სამიტროპოლიტოდ გადაიკეთა). იგი იყო „კაცი მეცნიერი და ღვთისმეტყველებისაც მცოდნე" – გადმოგვცემს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" (II, 198). 1758 წ. დოსითეოსმა აკურთხა თელავის საფუძლოსფორო-სალვთისმეტყველო სკოლა და თვითონ ჩაიარა პირველ მსმენელთა შორის. ნეკრესის ეპარქიაში მან დაარსა პირველდაწყებითი სკოლა სამწყსოსათვის (Ad 215). დოსითეოს ნეკრესელი ხშირად იხსენიება 1758-1797 წლების საბუთებში. მისი უკანასკნელი მოხსენიება გვაქვს 1797 წ. დიპლომატიის ბრძანებაში (Ad 839; სამ. ძეგლ. III, 1036).

დოსითეოს პატრიარქი (1641-1707) – იერუსალიმის პატრიარქი 1669-1707 წწ-ში, თავისი დროის ერთ-ერთი დიდად განათლებული პიროვნება. 1665 წელს დოსითეოსი საქართველოში ჩამოპყოლია იერუსალიმის პატრიარქს პაისიოსს და ერთი ზამთარი უცხოურა გელათის მონასტერში. 1688 წელს დოსითეოსი კვლავ ჩამოსულა საქართველოში და 40000 მარჩილი შეუგროვებია ქრისტეს საფლავის ეკლესიის სომეხთაგან გამოსასყიდად (ქრონიკები, II, 482). ამ ამბებთან დაკავშირებით საინტერესოა გიორგი XI-ის, გიორგოზ კათოლიკოსისა და „ქართლის ეპისკოპოს-დარბაისელთა პირობის წიგნი" ანტიოქიის პატრიარქ დოსითეოსისადმი ქართული მონასტრების გამოხსნის თაობაზე, რომელიც დაახლ. 1678-1688 წლებს შორის უნდა იყოს შედგენილი (სამართლ. ძეგლ. III, 592; შეცდომით „ანტიოქელი").

შემონახულია აგრეთვე დოსითეოს პატრიარქის მიერ 1689 წელს ეკლაც იოანე ბერძენისათვის მიცემული ერთი სიგელი (დაწერილი მხედრულით) მისი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ (ქრონიკ. II, 483) და 1681 წლის საბუთი მთაწმიდის მამულების მოელის შესახებ (სამ. ძეგლ. III, 582).

დოსითეოს ჟუთათელი (წერეთელი, 1820 წ.) – ჭუთაისის მიტროპოლიტი 1781-1820 წ. და დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გამგებელი 1792-1815 წ. დოსითეოსს კათოლიკოსობა უბოძა სოლომონ II-ე, მაგრამ კურთხევა არ მომხდარა, ამიტომ მას ბოლომდე მიტროპოლიტის ხარისხი ჰქონდა. დოსითეოს ჭუთათელი დიდ ზრუნვას იჩენდა ჭუთაისის საეპისკოპოსო და საკათოლიკოსო ეკლესიების სამეურნეო საქმეებისადმი. იგი განსაკუთრებული აქტივობით ზრუნავდა ცენტრალური სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. დოსითეოსი შედიოდა იმერეთის სარო და საეკლესიო თავკაცთა იმ ჯგუფში, რომელმაც 1789 წელს წინადადებით მიმართა ერეკლე II-ს, გაეერთიანებინა და თავის ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. 1819 წ. იმერეთის აჯანყების დროს დოსითეოსი რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც ერთ-ერთი მთავე. დოსითეოსი რუსეთში გადახსნების დროს გზაში მოკლეს. დასაფლავებულია ანანურში.

დოსითეოსი ცნობილია, როგორც ბიბლიოფილი. მისი დაკალიგრებით ოხე გაბაშვილს კაცის მონასტრისათვის გადაუწერია 1797 წ. გუკრების კრებული (H 1781).

დოსითეოს ფინაძმღვარი (ფიცხელაური) – ქუთაისის მონასტრის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში. მან „გაანახლა ხელახლა მონასტერი (რომელიც დაკარგულებული იყო თემურ ლენგის შემოსევების შედეგად) და დაადგინა ბერები", აგრეთვე „განუახლა შემოსავალი", როგორც ამას აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი (კალმასობა II, თბილისი, 1948, გვ. 207) დოსითეოსის მოწაფეები იყვნენ ქუთაისეის ცნობილი მოღვაწეები: იპოდიაკონი (ნახევარ დიაკონი) იოანე) ხელაშვილი და არქიმანდრიტი ტარასი ალექსიშვილი.

დოსითის მონასტერი – მცირე მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, რომელსაც ქართველი ბერები განაგებდნენ XVI ს. I ნახე-

ვარში (1527 წლიდან). ეს ცნობა ამოღებულია იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის სტამბაში 1881 წ. ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი წიგნიდან – „აღწერილობა კატამონის მონასტრისა", რომელიც იერუსალიმის პატრიარქს იეროთეოსს გამოუცია და რომელშიც მოთხრობილია 1527 წ. ქართველ შეუვა – დაკითისა და ლეონისაგან სელიმ ხონთქრის დახმარებით პალესტინის წმინდა ადგილების ეგვიპტის სულთნისაგან განთავისუფლების შესახებ (ქრონიკ. II, 359).

ᲓᲠᲐᲜᲓᲐ – სოფელი გულრიფშის რაიონში, მდ. პატარა კოდორის ნაპირზე, გულრიფშიდან 9 კმ. სოფელში დგას VIII ს. აგურისა და რიყის ქვით ნაგები გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც უახლოვდება ჯვრის ტიპს. გეგმაში ჯვრის მკლავები სამივე მხრიდან სწორკუთხედის ფორმისაა. გარედან ჯვარი სწორკუთხედშია ჩასმული. კუთხის სათავსებში შესასვლელი სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავიდანაა. აღმოსაველეთის მხარეს შვერილი წახნაგოვანი აბსიდი აქვს. ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებული. დრანდაში საეპისკოპოსო კათედრა იყო, რომლის სამწყსო კოდორსა და ანაკოფიას შორის ტერიტორიას მოიცავდა. XVIII ს-ში, ეპისუტი ბატონიშვილის ცნობით, საეპისკოპოსო დაცარიელებულია (ქართლ. ცხ. IV, 781, 845, 22).

„ᲓᲠᲘᲐᲜᲔᲗᲘ" – X-XI სს-ის ეკლესია სოფ. ალექსეევკის (თეთრი წყაროს რაიონი, მდ. ასლანჯის მარჯვენა ნაპირზე, თეთრი წყაროდან 13 კმ.) მიდამოებში. იხ. ალექსეევკა.

ᲓᲠᲝᲑᲡᲔᲜᲐ – ადგილი ათონის მთაზე, რომლის მცირე მონასტერი XIV ს. შუა წლებში ათონის ქართული მონასტრის საკუთრება იყო (კერები, II, 223).

ᲓᲠᲝᲡᲘ // ᲐᲜᲔᲘᲡ – II ს. დასაწყისის მოწმე ქრისტიანი ქალი, ტრაიანე იმპერატორის (98-117) ასული. 104 წ. იმპერატორმა გამოსცა სპეციალური ედიქტი ქრისტიანების წინააღმდეგ. ქრისტიანთა დევნა ამ წლიდან მისი მეუფობის ბოლომდე გრძელდებოდა. ნაწამებ და დახოცილ ქრისტიანებს შეგნებულად არ მარხავდნენ სხვა ქრისტიანების დასაბანად. რამდენიმე ქრისტიანმა ქალმა (აგლაიდა, ასლინარია, დარია, მამფუსა და თაისია) გამოიჩინეს მამაცობა და ფარულად ასაფლავებდნენ დახოცილ ქრისტიანებს. გაიგო რა მათ შესახებ დროსიმ, რომელიც ფარულად ქრისტიანი იყო, მაგრამ ნათლისღება ჯერ არ პქონდა მიღებული, სთხოვა ქრისტიან ქალებს, რომ მასაც მონაწილეობა მიეღო ამ კეთილ საქმეში. პირველსავე ღამეს დროსი სხვებთან ერთად დაასაფლავეს. იცნო რა იმპერატორმა თავისი ქალიშვილი, იგი საყვარისებლეში ცალკე მოათავსა იმედით, რომ დროსი წარმართობას დაუბრუნდებოდა, ხოლო დანარჩენი ასულები დაწვა. დროსი საყვარისებლიდან გაპარა, თავის თავს თეთრად სცხო ნათლისღების მირონი და გადაწყვეტა მოწამეობა მიეღო. 7 დღე იმარხულა და ილოცა, ხოლო მე-8 დღეს დროსი თეთრ ჩავარდა ტრაიანეს აბანოს გაუვარვარებულ ღუმელში. დროსის „წამების" ქართული თარგმანი კომენტარი თხზულებაა და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (Ier. 2, XI ს. 124-134; A 511, XVII ს., 327-329 და სხვ.). უმეტეს ხელნაწერებში დროსის ანუსია ეწოდება, სხვაგვარად ორივე თხზულების ტექსტი აბსოლუტურად ერთნაირია. დროსის ხსენების დღედ ეკლესიის მიერ დადებულია 12 სექტემბერი, 22 მარტი, 28 ივლისი და სხვ. (ერთ ხელნაწერში – გორი 24, XVII ს. – მოწამ. „დროსიდა" ეწოდება).

ᲓᲣᲑᲔ – ადგილის სახელწოდება ყვარლის მიდამოებში, სადაც დგას VI ს. ეკლესია „ყველაწმინდა" (იხ. ყვარელი).

ᲓᲣᲚᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ – IV ს. დასაწყისის მოწამე კილიკიიდან. დულა შეიპყრეს მაქსიმიანეს (305-313) დროს ქრისტეს ალსარებისათვის. სასამართლოზე მან აღიარა ქრისტიანობა და განაცხა წარმართობის სიცრუე. დულა ურმის თვალზე მიაბეს და სასტიკად აწამეს. წამებაში იგი გარდაიცვალა. მისი გვამი მდინარეში გადაგდეს, რომლის დინებამაც იგი შვობლიურ ქალაქში ჩაიტანა და ნაპირზე გარიყა. ქრისტიანებმა იგი დამარხეს. დულას „წამების" მეტაფრასული რედაქცია დაწერა XI ს. მიწერულს იოანე ქსიფილინოსმა, ხოლო ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 152-157). ხსენების დღე – 15 ივნისი.

ᲓᲣᲜᲗᲐ – სოფელი საჩხერის რაიონში, საჩხერიდან 3 კმ. სოფელში დგას ეკლესია „გოროყვარი".

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ – ქალაქი აღმ. საქართველოში, დუშეთის რაიონული ცენტრი, მდ. დუშეთისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ორივე ნაპირზე, თბილისიდან 50 კმ., მცხეთიდან 33 კმ. დუშეთი წყაროებში პირველად 1215 წელს იხსენიება. XVII ს. დასაწყისში დუშეთი არაგვის ერისთაეის რეზიდენცია იყო. დუშეთში მრავალი ძნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია. ნაპოვნი. დუშეთში შემორჩენილია წმინდა გიორგის IX-XI ს. ეკლესია ფრესკული მოხატულობით.

ᲓᲣᲮᲝᲑᲝᲠᲔᲑᲘ (რუს. „სულისათვის მე-

ბრძოლნი") – უკიდურესად პროტესტანტული სექტა. ჩამოყალიბდა XVIII ს. II ნახევარში ეორონეჟის, ტამბოვისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში. დუხობორების აზრით, კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა სულიერსა (პბელის მიმდევრები) და ხორციელს (კაენის მიმდევრები) შორის. უკანასკნელს განეკუთვნებიან ხელისუფალნი, უსამართლო მსაჯულნი, მდიდრები. დუხობორებს თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით განმსჭვალული ძმობა. ისინი არ იცავენ არავითარ წეს-ჩვეულებას, გარდა ქორწინებისა, და აქვთ სეციალური ფსალმუნები, რომელთაც ასრულებენ საგანგებო კრებებზე. 1804 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დუხობორებს მელიტოპოლის მაზრაში დასახლების უფლება მისცა, ხოლო 1841 წ. ისინი საქართველოში, ახალქალაქის მაზრაში გადაასახლეს. 1898-1900 წწ. დუხობორების ნაწილი გადაასახლეს კანადაში, სადაც დღემდე არსებობს მათი თემები. საქართველოში ჩასახლებულმა დუხობორებმა შექმნეს კომუნები, მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, მეფუტკრეობას. ისინი აქ ცალკე ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბდნენ, განსხვავებული წეს-ჩვეულებებითა და ყოფით. კლასობრივი დიფერენციაციის თანდათანობით გაღრმავებას სექტის დაშლა მოჰყვა. XIX ს. დასასრულს მისი ერთი ნაწილი (უმეტესად ღარიბები) ემიგრაციაში წავიდნენ.

დღესასწაული – რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული ზეიმი, რაც ყოველწლის წლის ერთსა და იმავე დროს იმართება: დღე. დრო, როდესაც ეს ზეიმი მოდის – საზეიმო დღეა. საეკლესიო დღესასწაულები ის დღეებია, რომლებიც დადგენილია ეკლესიის მიერ და რომელიც აღინიშნება ზეიმით ღმერთისა და წმინდანების პატივსაცემად: 1. იესო ქრისტეს მაცხოვარების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღნიშვნა, უფლის ჯვრის განდიდება, მისი ხელთუქმნელი ხატისა და კვართისადმი პატივისცემა. 2. ღვთისმშობლის პატივსაცემად მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღნიშვნა (შობისა, ტაძრად მიყვანებისა, ხარებისა, მიძინებისა და სხვ.), მისი სასწაულთმოქმედი ხატებისა და სამოსლის (სარტყლის, მანდილის) პატივისცემა. 3. უსხეულო ძალების, ე. ი. ანგელოზთა დღესასწაულები (განსაკუთრებით მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისა). 4. წმინდანთა პატივსაცემად (მოციქულთა, მღვდელმთავართა, დიდმოწამეთა და მოწამეთა, ღირს მამათა და დედათა, უცქცხლო მკურნალთა და მართალთა). ყველა ასეთ დღეს ღვთისმსახურება ეკლესიაში განსაკუთრებული ზეიმით, საგანგებო წესითა და რიგით სრულდება, რაც ასახულია ტიპიკონში. დღესასწაულები ხარისხის მიხედვით იყოფიან – მცირე, საშუალო და დიდ დღესასწაულებად. საღვთისმსახურო კრებულებში ისინი საგანგებო ნიშნებითაა აღნიშნული. ქრისტიანული ეკლესიის უდიდეს დღესასწაულად ითვლება აღდგომა ქრისტესი („დღესასწაულთა დღესასწაული") და „ათორმეტი საუფლო დღესასწაული".



სახარება – ოთხთავი (S – 405), გადაწერილია X ს-ში გაბრიელის მიერ

სახარება – ოთხთავი (S – 405),
გადაწერილია X ს-ში
გაბრიელის მიერ



ალავერდის ოთხთავი, ხელნაწერი A– 484, გადაწერილია 1054 წ. შავ მთაზე (სირია), კალიპოსის ქართველთა ლავრაში

მინიატურა მარტვილის (S – 391-1050 წ.) სახარებიდან

მარტვილის სახარება ხელნაწერი
S – 391
გადაწერილია 1050წ. მარტვილში

მიქაელ მოდრეკილის იადგარი
(საგალობლების კრებული)
ხელნაწერი S – 425,
შედგენილია 978-988 წწ.
შატბერდის მონასტერში

მცირე სვინაქსარი (წმინდათა კალენდარული ხსენების კრებული), ხელნაწერი A – 648, გადაწერილი 1030 წ. კონსტანტინოპოლში, ხორას ქართველთა მონასტერში



მამათა ცხოვრება, ხელნაწერი A – 1135, გადაწერილია XI ს-ში

გრიგოლ ღვთისმეტყველის
ჰომილიათა (ქადაგებათა) კრებული,
ხელნაწერი A – 1,
გადაწერილი XI ს-ში

სვეტიცხოველის გულანი
(ღვთისმსახურების წიგნთა
კრებული), ხელნაწერი A – 30,
გადაწერილია 1690 წ. ინახებოდა
სვეტიცხოველში (წმიდნა დიმიტრის
მინიატურა)

სვეტიცხოველის გულანი (ღვთისმსახურების წიგნთა კრებული), ხელნაწერი A – 30, გადაწერილია 1681 წ. (ნათლისმცემლის თავის პოვნის მინიატურით)



მიქაელ მოდრეკილის იადგარი (საგალობლების კრებული), ხელნაწერი S – 425, შედგენილია 978-988 წწ. შატბერდის მონასტერში

ალავერდის ოთხთავი, ხელნაწერი A – 484, გადაწერილია შავ მთაზე (სირია), კალიპოსის ქართველთა ლავრაში 1054 წ. ბოლოს ინახებოდა ალავერდის ტაძარში

ჭილ-ეტრატის იადგარი (საგალობლების კრებული), ხელნაწერი H – 2123, გადაწერილია X ს-ში, იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში

ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამებათა კრებული (ე.წ. ბესარიონ კათალიკოსის კრებული) ხელნაწერი S – 3269, გადაწერილია XVIII ს-ში



დიდი სვინაქსარი, ხელნაწერი H – 2211, გადაწერილია XI –ს-ში შავ მთაზე (სირია), რომანაწმიდის მონასტერში



გელათის სახარება – ოთხთავი, ხელნაწერი Q – 908, გადაწერილია შავ მთაზე (სირია) XII ს-ში

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ხელნაწერი S – 353, გადაწერილია XI ს-ში

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, ხელნაწერი A – 109,
გადაწერილი XII ს-ში (მოწამე მამაო)

იოანე ოქროპირის ცხოვრება, ხელნაწერი H – 2124, გადაწერილია 968 წ.
იერუსალიმში, ხარიტონის ლავრაში

იოანე ოქროპირი ჟამისწირვა, ხელნაწერი A– 922,
გადაწერილია XIII ს-ში

ჯრუჭის (II) სახარება – ოთხთავი, ხელნაწერი H – 1667,
გადაწერილი XII ს-ში ჯრუჭის მონასტერში



ბიბლია (გელათის), ხელნაწერი A – 1108,
გადაწერილია XII ს-ში, გელათის მონასტერში

მცირე სჯულისკანონი (საეკლესიო კანონმდებლობის კრებული), ხელნაწერი A – 96, გადაწერილი 1031 წ. კონსტანტინოპოლში, ხორას ქართველთა მონასტერში

მცირე სვინაქსარი (წმინდათა კალენდარული ხსენების კრებული), ხელნაწერი A – 648, გადაწერილია 1030 წ. კონსტანტინოპოლში ხორას ქართველთა მონასტერში

მიქელ მოდრეკილის იადგარი ხელნაწერი S– 425, შედგენილია 978-988 წწ.
შატბერდის მონასტერში

მოქვის სახარება – ოთხთავი, ხელნაწერი Q– 902, გადაწერილია 1300 წ.
მოქვის მონასტერში

პალიმფსესტის ქვედა ფენა V-VIII სს. (ახალი აღთქმა) (A – 844, XII ს.)

პარხლის მრავალთავი (ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული) ხელნაწერი A – 95, გადაწერილია XI ს-ში პარხლის მონასტერში

შატბერდის კრებული, ხელნაწერი S – 1141,
გადაწერილია 973-976 წწ-ში შატბერდის მონასტერში

ვანის სახარება-ოთხთავი, ხელნაწერი A – 1335, გადაწერილია XII-XIII სს.
კონსტანტინოპოლში, რომანას ქართველთა მონასტერში.

ე

ებიონიტები (ებრ. „ებიონიმ“ – ღატაკნი) – უძველესი ქრისტიანული სექტა, წარმოშობილი I საუკუნეში. ებიონიტები ცხოვრობდნენ პალესტინაში. იუდეველთა ომის (66-73) დროს, გადმოცემის მიხედვით, გადასახლდნენ მდ. იორდანის გადაღმა. ისინი იცავდნენ იუდეურ ჩვეულებებს, იესო ქრისტეს თელიდნენ მხოლოდ ადამიანად, იოსებისა და მარიამის შვილად, რომელზედაც სათნოებითი გამორჩეულობის გამო შემდეგ გადმოვიდა სულიწმიდის მადლი. ებიონიტების მოძღვრებით, სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა კეთილი და ბოროტი ძალებისა, რაც დამთავრდება სიკეთის მეუფების დამკვიდრებით. ებიონიტების ცალკეული ჯგუფები ახლო აღმოსავლეთში შუა საუკუნეებამდე არსებობდენ .

ეგვტერი || ეგუტერი || ექვდერი (ბერძ.) – 1. ხატებით შემკული მცირე სამლოცველო სახლი. აგებენ იქ, სადაც ეკლესია არ არის, იმ მიზნით, რომ საუფლო დღეებში და მარხვებში მღვდელს საშუალება ჰქონდეს მწუხრის ლოცვის ჟამნობის პარაკლისისა და ზოგიერთი სხვა სახის ღვთისმსახურების შესრულებისა, ლიტურგიის (ჟამისწირვის) შესრულება კი არაა ნებადართული.

2. ეკლესიაზე მიშენებული და ცალკე მდგარი მცირე სამლოცველო, ეკლესია. შუა საუკუნეებში საქართველოში ეკლესიებზე მიშენებული ეგვტერები უმთავრესად დიდ ფეოდალთა კერძო სამლოცველო და ამავე დროს მათი საგვარეულო სასაფლაო იყო. მართლმადიდებლური ეკლესია კრძალავდა ეგვტერში ლიტურგიის შესრულებას, თუ ამაზე ეპისკოპოსის ნებართვა არ იყო: „რომელნიცა ეგუტერთა შინა სახლებისათა ჟამისმწირველობენ მოყუასნი, განეწონებით მათ, რაჲთა კითხვითა თითოეულისა ეპისკოპოსთაჲთა ჰყოფდენ ამას, რომლისათჳს ვინცა მოყუასმან არა ესრეთ ქმნას ესე, განიკუეთენ“ (VI მს. კრ. 31-ე კანონი). IX-X სს-ში ქართულ წყაროებშიც ჩანს ასეთი აკრძალვა; გრიგოლ ხანცთელმა მონაზონთ წესად დაუდო, ეგვტერები აეგოთ სენაკებთან მხოლოდ სამლოცველოდ და არა საწირავად, მაგრამ XI ს-დან საქართველოში ეგვტერები, როგორც სამწირველო ეკლესიები, ფართოდ ვრცელდება, რასაც უკავშირდება ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი საეგვტერო-სანწამძღვრო ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისებური ფორმის წარმოშობა. XV ს-დან დიდ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში – მცხეთაში, ალავერდში, შიომღვიმეში, გელათში, ბიჭვინთაში და სხვ. შეიქმნა რამდენიმე საეგვტერო ფეოდალური ორგანიზაცია მცირე სენიორიების სახით. თითოეულ ეგვტერს მთავარი ეკლესიისაგან დამოუკიდებლად ჰყავდა საკუთარი წინამძღვარი და სხვა მსახურნი. ეგვტერში პატრონის, დიდი ფეოდალის (შემწირველის) სახელზე სრულდებოდა ღვთისმსახურება. ეგვტერს დამოუკიდებლად ჰქონდა შეწირულობა ეკლესიებისა და მამულების სახით, რომლის შემოსაყალი მხოლოდ ეგვტერის საჭიროებას ხმარდებოდა. XV ს-დან ეგვტერს ეწოდება აგრეთვე „სანწამძღვრო“.

ეგზარქოსი (ბერძ. „ექსარხოს“) – 1. მაღალი წოდების იერარქი, რომელიც მართავს ადმინისტრაციულ-ეკონომიურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას სახელმწიფოში. საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს დაარსდა საქართველოს საეგზარქოსო და მის მმართველად დაინიშნა ეგზარქოსი. საქართველოს ეგზარქოსს ჰქონდა წოდება ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტისა, შემდეგში – არქიეპისკოპოსისა (მთავარეპისკოპოსი). საქართველოს ეგზარქოსი იყო სინოდის წევრი და დიკასტერიის უფროსი, შემდეგში დიკასტერიის მაგიერ 1815 წელს დაარსებული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის უფროსი და იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“, ან მოკლედ – „საქართველოს ეგზარქოსად“. 1814 წელს თბილისში დაარსდა ეგზარქოსის კანცელარია. საქართველოს პირველ ეგზარქოსად რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა

სინოდმა დანიშნა ეროვნებით ქართველი ვარლამი (ერისთავი; 1811-1817 წწ.), შემდეგში კი რუსი ეროვნების მღვდელთმთავარნი ინიშნებოდნენ. საქართველოს საეგზარქოსოს ტერიტორია თანდათან ფართოვდებოდა და XIX ს-ის დასასრულს მასში შედიოდა მთელი ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარეც. საქართველოს ეგზარქოსის კათედრაზე სულ 18 მღვდელთმთავარი მოღვაწეობდა (1811-1917 წწ.) [იხ. ეგზარქოსები რუსეთის უწმიდესი სინოდისა საქართველოში]. ეგზარქოსის თანამდებობა საქართველოში გაუქმდა 1917 წელს, როცა საქართველოს ეკლესიამ ისევ მოიპოვა ავტოკეფალია.

2. ძველ საბერძნეთში ეგზარქოსობა იყო თანამდებობა ქურუმთა წოდებაში.

3. ბიზანტიაში ეგზარქოსი ეწოდებოდა: ა) იმპერატორის მოადგილეს იტალიის სამფლობელოში (რეზიდენცია ქ. რაევნაში); ბ) დიოცეზის მმართველ ეპისკოპოსს (რეზიდენცია – დიოცეზის მთავარ ქალაქში). შემდეგში ეგზარქოსი პატრიარქად იწოდებოდა. XI ს-დან ეგზარქოსი ეწოდებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოხელეს, რომელიც მართავდა და მეთვალყურეობდა კონსტანტინეპოლის ეპარქიის გარეთ, იმპერიის სხვა ადგილებში მდებარე საპატრიარქოსა და სხვათა კუთვნილ მონასტრებს. ეგზარქოსი ეწოდებოდა პატრიარქის მოადგილედ წარგზავნილ მაღალი წოდების იერარქს, რომელსაც ევალებოდა პატრიარქის სახელით საეკლესიო საქმეების მოგვარება.

ეგზარქოსები რუსეთის უწმიდესი სინოდისა საქართველოში

1. მიტროპოლიტი ვარლამი (ერისთავი)
   1811-1817 წწ.
2. მიტროპოლიტი თეოფილაქტე (რუსანოვი)
   1817-1821 წწ.
3. მიტროპოლიტი იონა (ვასილიევსკი) •
   1821-1834 წწ.
4. მთავარეპისკოპოსი ევგენი (ბაჟანოვი)
   1834-1844 წწ.
5. მიტროპოლიტი ისიდორე (ნიკოლსკი)
   1844-1858 წწ.
6. მთავარეპისკოპოსი ევსევი (ილინსკი)
   1858-1877 წწ.
7. მთავარეპისკოპოსი იოანიკე (რუდნევი)
   1877-1882 წწ.
8. მთავარეპისკოპოსი პავლე (ლებედევი)
   1882-1887 წწ.
9. მთავარეპისკოპოსი პალადი (რაევი)
   1887-1892 წწ.
10. მთავარეპისკოპოსი ელადიერ (ბოგოიაველენსკი) 1892-1898 წწ.
11. მთავარეპისკოპოსი ფლავიანე (გოროდეცკი)
    1898-1901 წწ.
12. მთავარეპისკოპოსი ალექსი I (ოპოცკი)
    1901-1905 წწ.
13. მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი)
    1905-1906 წწ.
14. მთავარეპისკოპოსი ნიკონი (სოფიისკი)
    1906-1908 წწ.
15. მთავარეპისკოპოსი ინოკენტი (ბელიაევი)
    1909-1913 წწ.
16. მთავარეპისკოპოსი ალექსი II (მოლჩანოვი)
    1913-1914 წწ.
17. მთავარეპისკოპოსი პიტირიმი (ოკნოვი)
    1914-1915 წწ.
18. მთავარეპისკოპოსი პლატონი (როჟდესტვენსკი)
    1915-1917 წწ.

ეგზეგეტიკა (ბერძნ. „განმარტება") – ქრისტიანული მწერლობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ბიბლიურ ტექსტთა საღვთისმეტყველო ახსნა-განმარტებას. ეგზეგეტიკა, როგორც ლიტერატურული ტექსტების ფილოლოგიური განმარტება, ანტიკურ ხანაშიც არსებობდა. სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა საღვთისმეტყველო სკოლაში ეგზეგეტიკა შესაბამის სპეციფიკურ ნიშნებს იძენს. მაგალითად, ალექსანდრიულმა სკოლამ ბიბლიური ტექსტების განმარტების ალეგორიული მეთოდი დაწერგა, ანტიოქიურ სკოლაში კი გაბატონებული იყო ბიბლიის ტექსტთა სიტყვასიტყვითი განმარტება, მორალისტური წიაღსვლებით. ზოგ ეგზეგეტიკოსთა შრომებში ამ ორი მეთოდის შერწყმა ხდებოდა. ბიზანტიურმა ეგზეგეტიკამ განვითარების სამი პერიოდი განვლო: დასაწყისი (I-III სს.), აყვავების ხანა (IV-V სს.) და დაქვეითება (VI-XV სს.). ქართულ საეკლესიო მწერლობაში ეგზეგეტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი განვითარება განაპირობებდა ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლიან შეძენებას. ქართული ეგზეგეტიკის უძველეს ნიმუშს ეხედებით ესტატი მცხეთელის „მარტვილობაში" (VI ს.), რომელშიც მოცემულია ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ცალკეულ ადგილთა განმარტება. ეგზეგეტიკური წიაღსვლა გვაქვს აგრეთვე იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებაში" (იესო ქრისტეს ეპითეტთა განმარტებანი) და ა. შ. ეგზეგეტიკური მწერლობის ძეგლთა ადრეული ქართული თარგმანები დაცულია შატბერდის კრე-

ბულში (S 1141, X ს.). ძველი ქართული მწერლობის I პერიოდში ბერძნული და სომხური ენებიდან ითარგმნებოდა იპოლიტე რომაელის, ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, ეპიფანე კვიპრელისა და სხვა აუტორთა ეგზეგეტიკური თხზულებები. ქართული ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებული წელილი მიუძღვით ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებს. მათ თარგმნეს ანდრია კრიტელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებელისა და სხვ. ეგზეგეტიკური თხზულებები. ეფრემ მცირემ თარგმა იოანე ოქროპირის შრომის მიხედვით შედგენილი პალეს ეპისტოლეთა განმარტება. მანვე თარგმნა და შეადგინა დავითნის კატენების ორიგინალური რედაქცია, რისთვისაც გამოუნებია ცნობილი ეგზეგეტიკოსთა მიერ დაწერილი „ფსალმუნთა განმარტებანი".

XI-XII სს-ში ითარგმნა კირილე ალექსანდრიელის, თეოდორიტე კვრელის, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის, მიტროფანე სმირნელის, მაქსიმე აღმსარებელის, თეოფილაქტე ბულგარელის, მიქაელ ფსელოსისა და სხვათა ეგზეგეტიკური შრომები. XII ს-დან მწერლობის ამ დარგის განვითარება საქართველოში შეფერხდა. XVIII ს-ში ანტონ I-მა დაწერა 50-ე ფსალმუნის თარგმანება. XIX ს-ის I მეოთხედში ილია ხელაშვილს რუსულიდან უთარგმნია ძველი აღთქმის განმარტება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწეია.

ეგზორცისტი (ბერძ. „გარეგანი") – რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი, რომლითაც აღინიშნება იდეა, რელიგიური რწმენა, მისაწვდომი ყველასათვის. ტერმინი იხმარება აგრეთვე მოვლენათა გარეგანი კავშირების აღსანიშნავად.

ეგნატე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. კაფარეთის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში. ეგნატე იხსენიება კახეთის ეპისკოპოსთა ერთგულების წიგნში დიმენტი კათოლიკოსისადმი (1556-1560 წწ.). ეგნატე კაფარელი ეპისკოპოსების სიაში მეექვსეა (Ad 1892, სამ. ძეგ. III, გვ. 269).

2. ჭერემის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში. ეგნატე ჭერემელს დას. 1562-1588 წწ. კახეთის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მიუცია ერთგულების წიგნი ნიკოლოზ კათოლიკოსისათვის (Ad 64, სამ. ძეგ. III, გვ. 343).

ეგნატე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. კალიპოსის (შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად) ქართველთა მონასტრის მოღვაწე (XI ს. შუა წლები). ეგნატე მოხსენიებულია 1051 წ. ალავერდის სახარების (A 484) გადაწერის ანდერძში: „ღმერთო ყოვ... სულიერნი მოძღუარნი ჩემნი ეგნატი და ანტონი... დაიწერა კალიპოს, ლავრასა წმიდისა ღმრთისშობლისასა" (ქრონ. I, 203).

2. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. 50-იან წლებში. ეგნატე მოხსენიებულია მონასტრის სააღაპე წიგნის ერთ-ერთ ადგილას (№ 18). ბასილი გადაწერს დაუმადებია მოზრდილი კრებული (Ath. 17) ეგნატეს წინამძღვრობის ჟამს: „ქრისტე, აღიდე სულითა მამაჲ ეგნატი" (სააღაპე წიგნი, გვ. 202).

3. მატბერდის მონასტრის ხუცესმონაზონი XI ს. II ნახევარში. ეგნატეს დაუალებით მოსე ხანძთელს 1085 წელს მატბერდის ლავრისათვის გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „საწელიწდო საწინასწარმეტყველო" (H 1250), რომელიც შემდეგში დაუთგარეულის მონასტრის საკუთრება გამხდარა.

4. წყაროსთაყის მონასტრის მოღვაწე XI ს. II ნახევარში, ეფთვიმე გრძელის მოწაფე. ეგნატეს გადაუწერია იოანე ოქროპირის მთეს თაყის თარგმანება (A 136): „ულირსი ეგნატი, სახელით ოდენ ხუცესმონაზონი... უდაბნოსა შინა წყაროსთაჲს ხენაკსა შინა ნეტარისა ეფთჳმესა, რომლისაცა ფერკუთა თანა აღზრდილ ვიყავ–"

5. ხოპის მონასტრის წინამძღვარი დასახლ. XIV ს. მიწურულს. ეგნატესათვის აღაპი გაუწესებია იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის ძმობას (აღ. № 120; 20 დეკემბერს; მასალები... გვ. 90; 151).

6. ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე XVI ს. II ნახევარში. ეგნატე მონაზონი მოხსენებულია 1562 წლის ათონის მონასტრის ერთ სიგელში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბასილი ქუთაელ მთავარეპისკოპოსს ათონის „პრატატისის" ღვთისმშობლის მონასტრისათვის (იერონათვის) შეუწირავს სოფ. ქვიტირის მამულები (ქუთაისის მახლობლად): „მობრძანდნენ მამა თეონე და გაბრიელ და ეგნატი და სხუანი ძმანი და მონაზონთა მათის პირითა გარდაგუწყეტია" (ქრონ. II, 404).

ეგნატე ანტიოქელი, ღმერთშემოსილი († 107 წ.) – ანტიოქიის რიგით მეორე ეპისკოპოსი, ეპისკოპოს ეუოდის (ერთერთი 70-მოციქულთაგანი) მემკვიდრე ანტიოქიის კათედრაზე, წარმოშობით სირიიდან, იოანე

მახარებლის მოწაფე და პოლიკარპე სმირნელის მეგობარი. 107 წელს ტრაიანე იმპერატორმა (98-117) ლაშქრობის დროს ანტიოქია გაიარა. აქ მან შეიპყრო ეგნატე ანტიოქელი, რომელმაც უარი თქვა კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე. ეგნატე რომში ჩაიყვანეს და აწამეს. მისი წმიდა ნაწილები რომიდან ანტიოქიაში გადაიტანეს, ხოლო მოგვიანებით ისევ რომში გადაასვენეს დიდი ზეიმით და 1 თებერვალს დაკეს მღვდელმოწამე კლიმენტი რომის პაპის (91-100) ეკლესიაში. ეგნატე ღმერთშემოსილის მიეწერება ქრისტიანულ ეკლესიაში ანტიფონური გალობის (იხ.) დაკანონება. ეგნატე ანტიოქელს დაუწერია მრავალი ეპისტოლე, რომელთაგან 12 ქართულად XI ს. შუა წლებში უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს: 1. მარიამ კოსოელელის მიმართ, საპასუხო მისი ეპისტოლისა. 2. ტრალისელთა მიმართ. 3. მაღნისიელთა მიმართ. 4. ტარსელთა მიმართ. 5. ფილიპელთა მიმართ, განსაქიქებელად მტერისა. 6. ფილადელფიელთა მიმართ. 7. ზმირნელთა მიმართ. 8. პოლიკარპეს მიმართ, ზმირნელ ეპისკოპოსისა. 9. ანტიოქელთა მიმართ. 10. ირონის მიმართ ანტიოქელ დიაკონისა. 11. ეფესელთა მიმართ. 12. პრომაელთა მიმართ (A 55, 405-431; A 60,285-357 და სხვ.; გამოცემულია: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988 წ., გვ. 518-624). ქართულად თარგმნილია ეგნატე ღმერთშემოსილის „წამება", ორი რედაქციით: კიმენური (A 95,561v-570v; Sin. 11,103v-178v; Ath. 28,6r-19v და სხვ.; გამოცემულია იე. ჯაჯანიშვილის მიერ: სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 171-183) და მეტაფრასული, რომელიც X ს-ის მიწურულს ბერძნულად დაუწერია სვიმეონ მეტაფრასტს (Ath. 2,168-174; ქუთ. 5,336-346); აგრეთვე იოანე ოქროპირის „შესხმა" ეგნატეს წმიდა ნაწილების გადმოსვენებაზე (A 79,902-928). ხსენების დღე — 20 დეკემბერი.

ეგნატე დიაკონი — კონსტანტინეპოლის სამტრიარქო ეკლესიის დიაკონი, IX ს-ის I ნახევრის ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. ეგნატეს წარმოუთქვამს „სიტყვაჲ ექსორიობით აღმოყვანებისათჳს სხეულისა წმიდისა ნიკიფორესა, რომელი მამათმთავარ იქმნა კოსტანტინეპოლისს, ახალსა პრომსა" (806-819). ამ თხზულების ქართული თარგმანი დაცულია XIII საუკუნის ერთ ხელნაწერში (ქუთ. 2, 172-205), რომელიც თხზულების ავტორად შეცდომით კონსტანტინეს ასახელებს.

ეგნატე პატრიარქი — კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბასილი იმპერატორის (867-886 წწ.) მეფობის დროს. იხსენიება ილარიონ ქართველის „ცხოვრების" ეპილოგში. ბასილი იმპერატორს, „ეითარცა-რაჲ ნიჭნი სამეუფონი", ეგნატე კონსტანტინეპოლელთან გაუგზავნია ილარიონ ქართველის სამი მხცოვანი მოწაფე და შეუთვლია: „იხილენ კაცნი ანგელოზთა სწორნი და მიიღე ლოცვაჲ მათი, რამეთუ მე ვიხილენ და დიდად განვიხარენ ხილვისაგან მებრ მათისა" (ძეგ. II, 31).

ედემი — ბიბლიის მიხედვით — ადამიანის პირველსამყოფელი, სადაც ცხოვრობდნენ ადამ და ევა (გაძევებამდე). „ედემის" ქართული სინონიმია „სამოთხე". „ედემი" ებრაული „ედენისაგან" („ველი") მომდინარეობს, ოღონდ ბერძნულის გზით, და გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს „მაღლობილ ადგილს დედამიწაზე". ბიბლიის მიხედვით, ედემში იღებდა სათავეს ოთხი მდინარე: გეონი, ფისონი, ტიგროსი და ევფრატი (დაბ. II).

ედგენი ეგზარქოსი იხ. ეგზარქოსები რუსეთის უწმიდესი სინოდისა საქართველოში.

ედესის მაცხოვრის ხატი — ხელთუქმნელი ხატი, სასწაულებრივად გამოსახული იესო ქრისტეს მიერ; ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე.

ედესის სამეფო, რომელსაც ოსროენსაც უწოდებდნენ, დარსდა ძვ. წელთაღრიცხვით 137 წელს (ან 132 წელს). დამაარსებლის (ურგოი ბარ ხეევ) შთამომავლობა ატარებდა აბგარის („უძლიერესის") საპატიო ტიტულს. გადმოცემით, ერთ-ერთი მათგანი — აბგარ უხომო (შავი), ქართული წყაროებით — აგბაროზ შავი, მიმოწერას აწარმოებდა იესო ქრისტესთან. აგბაროზის თხოვნით იესო ქრისტემ გამოუგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ედესის მფარველი გახდა. მარტყოფის მაცხოვრის ხატი, რომელიც, გადმოცემით, საქართველოში ანტონ მარტყოფელმა ჩამოიტანა, სწორედ ედესის ხელთუქმნელი ხატის ხელთუქმნელ ასლადაა აღიარებული (ძეგლები, IV, 393-398).

ედიქილისა (თურქ. „შვიდი ეკლესია") — სოფელი წალკის რაიონში, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირას, წალკიდან 15 კმ-ზე. სოფელი XIX ს-ში დაარსეს თურქეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა და დაარქვეს „ედიქილისა", რაც „შვიდ ეკლესიას" ნიშნავს. მართლაც, დღესაც დგას სოფელში და მის ახლომახლო 7 ეკლესია და სასახლე. ზოგიერთი ეკლესიისაგან მხოლოდ

ნანგრევები შემორჩენილი.

ᲔᲕᲐ (ძვ. ებრ. „ხვა“ – „სიცოცხლე“) – იუდაისტური, ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიების მიხედვით, ადამიანის მოდგმის წინაპრის, ადამის ცოლი, პირველი დედაკაცი და „ყველა სულიერის დედა“. ძველი აღთქმის („დაბადების“) მიხედვით, ღმერთმა ევა შექმნა ადამის ნეკნისაგან და ადამთან ერთად ედემში დაასახლა. აქ ევა გველმა შეაცდინა და აკრძალული ხის („კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის“) ნაყოფი იგემა და ადამსაც შეაჭამა. ამის შემდეგ ისინი თვალხილულნი შეიქნენ და იგრძნეს, რომ შიშველნი იყვნენ. განრისხებულმა ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან განდევნა და დაწყევლა მათი მოდგმა. ადამის ცოდვის გამოსასყიდად და კაცთა მოდგმის გამოსახსნელად ღმერთმა მოაკლინა ძე თვისი – უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

ადამისა და ევას შესახებ შემორჩენილია ძველი დროის ლეგენდები და თქმულებები, რაც აპოკრიფული ლიტერატურიდანაა ცნობილი.

ᲔᲕᲐᲒᲠᲔ – შიომღვიმის მონასტრის რიგით მეორე წინამძღვარი, მონასტრის დამაარსებლის, შიო მღვიმელის ქართველი მოწაფე, ერისკაცობაში ქართლის სპასპეტი, ციხელდის მთავარი. ევაგრეს მონაზვნობა მას შემდეგ გადაუწყვეტია, რაც შიოს სასწაულები იხილა. ევაგრემ თავის სახსრებით მონასტერს შესძინა მამულები – სოფ. სხალტბა და მისი შემოგარენი. შიოსა და ევაგრეს „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია X ს-ში არსენ კათოლიკოსს (955-980) უნდა დაეწერა. მისი სათაურია: „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ევაგრესი“ (ძეგლები, I, გვ. 217-299). ბევრი ეპიზოდია მოთხრობილი ევაგრეს შესახებ შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრების“ რედაქციაშიც (XII ს., ძეგლები, III, 107-170). ევაგრეს შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე ბასილ კათოლიკოსის (ვარეს ძის) მიერ დაწერილ თხზულებაში – „სასწაულნი მამისა ჩუენისა შიოჲსნი“ (ასურელ მღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955). ევაგრე შიოსთან ერთად გამოსახულია შიომღვიმის მონასტრის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (VI ს-ის II ნახევარი) ქვის კანკელის რელიეფზე (XI ს.).

ᲔᲕᲐᲒᲠᲔ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, აეტორი თხზულებისა – „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისი, მღდელთმთავრისა ტაარომენიელთა ქალაქისა ჭალაკისა მის სიკილითისა“, რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს (Ath. 17, XI,1-102; Ath. 21, 1030 წ., 238r-329v; A 134, 1066 წ., 112-296 და სხვ.). გამოცემულია ალ. ხახანაშვილის მიერ (Труды по востоковедению, вып. XIX).

ᲔᲕᲐᲒᲠᲔ ᲘᲑᲔᲠᲘᲔᲚᲘ – იხ. ევაგრე მონაზონი (პონტოელი) – ქართლის კათოლიკოსი XV ს. ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში. ევაგრე მოხსენებულია კონსტანტინე მეფის 1488 წლის სიგელში (ქრონიკ. II,306) და 1500-1503 წწ. გერასიმე კუშურდოელის ერთგულების წიგნში ევაგრე კათოლიკოსისადმი (Hd 2130, სამ. ძეგლ. III,238).

ᲔᲕᲐᲒᲠᲔ ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲘ (ᲞᲝᲜᲢᲝᲔᲚᲘ) – ქრისტიანული ასკეტურ-მისტიკური მწერლობის ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენელი, IV ს. II ნახევრის საეკლესიო მწერალი და გამოჩენილი მოაზროვნე. ცნობები ევაგრეს შესახებ დაუცავთ ეკლესიის ისტორიკოსებს: სოკრატეს, სოზომენსა და ნიკიფორე კალისტეს, აგრეთვე პალადი პელენოპოლელს თავის „ლავსაიკონში“. იგი 346 წელს დაბადებულა. ევაგრე, სოკრატეს ცნობით (საეკლ. ისტორია, VI,3), იყო მოწაფე ცნობილი სოფისტების – ლიბანიოსისა და ანდრაგათიასი, რომლებთანაც სწავლობდა გაქრისტიანებამდე იოანე ოქროპირი. ევაგრეს ახალგაზრდობაში ურთიერთობა ჰქონდა ბასილი დიდთან და გრიგოლ ნაზიანზელთან. ბასილს ევაგრე დაუდგენია წიგნისმკითხველად, ხოლო გრიგოლს დაკვეთა უკვეთებია. გრიგოლის კონსტანტინეპოლის პატრიარქად კურთხევასთან დაკავშირებით 379 წელს ევაგრე მას გაჰყოლია კონსტანტინეპოლში, სადაც დარჩენილა გრიგოლის პატრიარქობიდან გადადგომის შემდეგაც. 382 წელს ევაგრე იერუსალიმში წავიდა და იქ მონაზვნად აღიკვეცა. იმავე წელს გადავიდა ეგვიპტეში და მოღვაწეობდა ნიტრიის უდაბნოში. 384 წლიდან 16 წლის განმავლობაში ეწეოდა დაწყებულ ცხოვრებას. სოკრატეს ცნობით (საეკლ. ისტ., IV,23), ევაგრე დამოწაფებია მაკარი მეგვიპტელს, თავად კი „ლავსაიკონის“ აეტორის, პალადი პელენოპოლელის მოძღვარი ყოფილა. ევაგრე გარდაცვალებია 399 წელს, 54 წლის ასაკში. ევაგრე მონაზონი ეკუთვნოდა იმ ასკეტთა რიცხვს, რომლებიც ცდილობდნენ, ფილოსოფიურად გაეგოთ ქრისტიანული ასკეტიზმი. ის იყო მიმდევარი ცნობილი ფილოსოფოსისა – ორიგენესი, რომელიც ამტკიცებდა ადამიანის სულის წინაარსებობას

და ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამების დასასრულს. მეხუთე მსოფლიო კრებაზე ევაგრე ორიგენესთან ერთად ერეტიკოსად იქნა გამოცხადებული. ქ. კეკელიძის დაკვირვებით, რომელიც ეყრდნობა „ლავსაიკონის“ ერთი ადგილის ცნობას, ევაგრე მონაზონი წარმოშობით იბერიელი (ქართველი) უნდა ყოფილიყო (ეტიუდები, VI, 9-15).

ქართულად თარგმნილია ევაგრე პონტოელის შვიდი პომილია და ერთი ეპისტოლე, რომლებიც დაცულია Sin. 35 (907 წ.) ხელნაწერში: 1. თქუმული მონაზონთა მიმართ კრებულთა (ფ. 26). 2. წესი ახლად მონაზონ-ქმნულთათჳს (ფრაგმენტულად, ფ. 26-29); 3. რჳთა გულისსიტყუათა, რომელნი მოვლენან კაცსა ზედა (ფ. 29); 4. მათე რჳთა გულისსიტყუათა. 5. მათე რჳთა გულისსიტყუათათჳს (ფ. 29-32); 6. შეუღლელთათჳს (ფ. 32-37); 7. „ჰირი დედაკაცისა არს ისარი წამლეული“ (ფ. 37-38); 8. „სასურველსა და საყუარელსა ეკლოგის ევაგრე უფლისა მიერ გიკითხავ“ (ფ. 32).

ევაგრე სქოლასტიკოსი – VI ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიოგრაფი, ღვთისმეტყველი, იურისტი და მწერალი. მუშაობდა ეკლესიად ანტიოქიაში და იყო პატრიარქთან დაახლოებული პირი. მისი ძირითადი ნაშრომია „საეკლესიო ისტორია“ ექვს წიგნად, რომელიც მოიცავს 431-490 წლების პერიოდს. იგი აგრძელებს გამოჩენილ საეკლესიო ისტორიოგრაფთა (სოკრატე, ევსები პამფილელი, სოზომენი, თეოდორიტე კირელი) ტრადიციებს და გამოირჩევა წყაროების ობიექტური გამოყენებით და მათ კრიტიკული თვალით განსჯის უნარით. ევაგრე სქოლასტიკოსი ორთოდოქსალური მიმართულების საეკლესიო მოღვაწეა. თავის „საეკლესიო ისტორიაში“ ევაგრე დიდ ადგილს უთმობს საერო ისტორიისა და სახალხო მოძრაობის ეპიზოდების აღწერას. ევაგრეს აქვს ცნობები აფსაზეთის ქრისტიანობის შესახებ, რასაც იცნობს და იყენებს ეფრემ მცირე თავის თხზულებაში – „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცეულისაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკისენების“ (გამოსცა თ. ბრეგაძემ, 1959 წ.; იხ. ავრეთვე „ქრონიკები“, I, 53).

ევანგელე – „სახარების“ შესატყვისი ბერძნული ტერმინი, რომელიც „სახარების“ პარალელურად გვხვდება ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში, სახელდობრ, „შუამდინარის წამებაში“ („და თანა-წარიტანა ევანგელე თჳსი“ – ძეგლები, I, 16), „ეროსტატი კახის წამებაში“ („ალწერნეს ოთხნი ესე ევანგელენი, რომელთაგან ეხარების... მოსლვაჲ ოი უფლისაჲ“ – ძეგლები I, 165) და სხვ. (დაწერილებით ამის შესახებ იხ. **სახარება**).

ევანგელიური ეკლესია – მთელი რიგი პროტესტანტული ეკლესიების სახელწოდება; მაგ.: აუგსბურგული და ჰელვეციური სარწმუნოების ეკლესია ავსტრიაში, ლუთერან-ევანგელიკური ეკლესია დანიაში, ევანგელიკური ეკლესია გერმანიაში, ჩეხი ძმების ევანგელიკური ეკლესია და ევანგელიკურ-მეთოდისტური ეკლესია ჩეხეთსა და სლოვაკეთში და სხვ. ევანგელიკური ეკლესიის საფუძვლად ითვლება სალვთო წერილი, უპირველე ყოვლისა – სახარება (ევანგელე). აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც.

ევანგელისტი ქრისტიანები – დასავლეთ-ევროპული ქრისტიან-პროტესტანტული სექტა, რომელიც ახლოს დგას ბაპტიზმთან. სექტა დაფუძნებულია სახარების მცნებებზე, მაგრამ, ბაპტისტებისაგან განსხვავებით, ევანგელისტებს მიაჩნიათ, რომ ხსნა ხედღისა, ვინც ირწმუნებს სახარებას. რუსეთში ევანგელისტთა სექტა ჩამოყალიბდა XIX ს-დან. სხვადასხვა დროს გამოსცემდნენ ჟურნალებს: „რუსსკი რაბოჩი“, „ბესედა“ და სხვ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოაყალიბეს პარტია „აღდგომა“. ოქტომბრის რევოლუციას დაუპირისპირეს რელიგიური „სულის რევოლუცია“. 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალური გახდნენ. 1944 წელს გაერთიანდნენ პროტესტანტებთან და შექმნეს ევანგელისტური ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესია.

ევბოლოს მოწამე – ეწამა დეკლტიანე იმპერატორის (284-305) მეფობის დროს. ევბოლოსის და მასთან ერთად მოწამე მაკლამოსის „წამების“ კომენური თხზულების ქართული თარგმანი შესრულებულია X-XI სს-ში და შემონახულია XI ს-ის ხელნაწერში H 341, 468-480. ქართული ტექსტი პარალელური ლათინური თარგმანით გამოცემულია პ. პეეტერსის მიერ (Analecta Bollandiana, t. 44).

ევგენია ღირსმოწამე – რომაელი მონაზონი და მოწამე ქალი. ცხოვრობდა ალექსანდრიაში, სადაც მამამისი, ფილიპე გაგზავნილი იყო ეგვიპტის მეფისნაცვლად. ევგენიამ მიიღო შესანიშნავი განათლება იმპერატორ კომოდის (180-192) მიერ. გაეცნო რა პავლე მოციქულის ეპისტოლეებს, მთელი სულით ქრისტიანი გახდა, გადაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი და ორი მსახურის – პროტისა და იაკინთეს თანხლებით

სახლიდან გაიპარა და მამათა მონასტერში დამკვიდრდა, სადაც მიიღო ნათლისღება ელია ეპისკოპოსის მიერ. მონასტერში ყოფნისას, სადაც ევგენია მამაკაცის ტანსაცმელს ატარებდა, იგი შეუყვარდა ახალგაზრდა მღვდარ ქერიქს, და როდესაც ევგენიას თანაგრძნობა ვერ მოიპოვა, ცილი დასწამა გაუპატიურების მცდელობაში. ევგენია ეგვიპტის მმართველის, ე. ი. მამამისის წინაშე წარადგინეს სასამართლოზე. მამამ შეილი იცნო და ყველაფერი გამჟღავნდა. გახარებულმა მშობლებმა, რომელთაც შვილი დაღუპული ეგონათ, ქრისტიანობა მიიღეს. ამის გამო ფილიპე გადააყენეს მმართველობიდან, ხოლო ალექსანდრიის ქრისტიანებმა თავიანთ ეპისკოპოსად აირჩიეს. მალე იგი წარმართების მიერ მიგზავნილმა მკელელებმა მოკლეს. ფილიპეს ქვრივი კლაუდია ქალიშვილთან ერთად თავის მამულში, რომის მახლობლად დასახლდა. ევგენია აგრძელებდა მონაზვნურ ცხოვრებას. იმპერატორ გალიენის (260-268) დროს დაწყებულ ქრისტიანთა დევნისას ევგენია და მისი ორი მსახური – პროტი და იაკინთე აწამეს ქრისტეს შობის დღეს – 25 დეკემბერს.

ბერძნულად დაწერა ევგენიას „წამების" ორი რედაქცია: ჯერ კომენური, და მის საფუძველზე სვიმეონ მეტაფრასტმა X ს. ბოლოს შექმნა მეტაფრასული თხზულება. კომენური თხზულება ქართულად თარგმნა სვიმომ, IX ს-ში (A 95, XI ს., 319-329; Sin. 11, X ს., 186-199), ხოლო მეტაფრასული – არსენ იყალთოელმა (ქუთ. 5, XVI ს., 395-412; Ath. 2, XII-XIII სს., 192-206; ქუთ. 6, XIII ს., 10-31).

ევგენი მოწამე – ეწამა სომხეთში დიოკლეტიანეს მეფობის (284-305) დროს, ევსტრატის, ავქსენტის, ორესტისა და მარდარისთან ერთად. ევგენის ამოაგლიჯეს ენა, შეუკრეს ხელ-ფეხი და ბოლოს თავი მოკვეთეს. ამ მოწამეთა შესახებ ბერძნულად ერთობლივი მეტაფრასული რედაქციის „წამება" დაწერა სვიმეონ ლოღოთეტმა (XI ს. ბოლო), ხოლო ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (A 95, XI ს., 538-558; Sin. 11, X ს., Ath. 17, XI ს. და სხვ.). არსებობს ამ თხზულების მეორე თარგმანიც, ალბათ, უფრო გვიანდელი (A 128,XII ს., 306-323). ხსენების დღე 13 დეკემბერია.

ევგენი მოწამე – თაერიდის (დღევანდელი ყირიმის) ქალაქ ქერსონეთის (ახლანდელი ხერსონი) ეპისკოპოსი IV ს-ის დასაწყისში, მოწამე. იერუსალიმის პატრიარქის, ერმინიოსის (303-313) მიერ სახარების ქადაგებისათვის სხვადასხვა ქეყანაში გაიგზავნა რამდენიმე ეპისკოპოსი. თაერიდის ქალაქ ქერსონეთში ჩაიდნენ ეფრემი და ბასილი, რომლებიც დაახლ. 309 წელს აწამეს ქრისტიანთა დევნის დროს. ბასილის საქმიანობის გასაგრძელებლად ქერსონეთში 310 წელს ჩაიდნენ ბასილის თანამღებნე ეპისკოპოსები: ევგენი, ელპიდი და ალათოდორე. სამივე ეპისკოპოსს მოწამებრივი ხვედრი ერგოთ: ადგილობრივმა წარმართებმა ისინი ქუხით ჩაქოლეს 311 წლის 7 მარტს. ქერსონეს წამებულ ეპისკოპოსთა ერთობლივი მეტაფრასული „წამება", რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსის (XI ს. ბოლო) დაწერილი უნდა იყოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 2, XVI ს., 105-111). ქართული თარგმანის ტექსტი რუსულად თარგმნა კ. კეკელიძემ (ეტიუდები... VII, თბ., 1961, გვ. 248-252). ხსენების დღე – 7 მარტი.

ევგენი მღვდელმოწამე – ანტიოქიის ეკლესიის ხუცესი, მოწამე. ევგენი იმავე ეკლესიის ხუცეს მაკარისთან ერთად აწამეს ივლიანე განდგომილის (361-363) უღმერთობის საჯაროდ მხილებისათვის. მათი მეტაფრასული რედაქციის „წამება", რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსის (XI ს. ბოლო) დაწერილი უნდა იყოს, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., ფ. 743-744). მათი ხსენების დღე ქართული თარგმანის მიხედვით 28 ივლისია.

ევგენი სამთავნელი – სამთავისის ეპისკოპოსი V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში. „ევგენი სამთავის ეპისკოპოსი" იხსენიება აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის მესამე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, გე. 139). იგი ქართლის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით დასწრებია დვინის 506 წ. სომხეთ-ქართველ-ალბანელთა საეკლესიო კრებას, რომელიც ქალკედონის მსოფლიო კრების (450 წ.) დადგენილებების წინააღმდეგ იყო მოწვეული.

ევგენი წინამძღვარი – ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახევარში. ევგენის წინამძღვრობა მოუღია არსენი ფარსმან-ყოფილის შემდეგ. ევგენის წინამძღვრობის პერიოდში შეინიშნება ათონ-პეტრიწონის ქართული მონასტრების ურთიერთობის გაცხოველება. ევგენი მოიხსენიება ათონის მონასტრის აღაბებში (№ 84 ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაე წიგნი, 1998, გვ. 157; 230; 411.).

ევგრაფოს მოწამე (დაახ. † 311) – ეწამა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მაქსიმიანე იმპერატორის (305-313) დროს, მენა და ერმოგენე მოწამეებთან ერთად. ევგრაფოსი იყო მდიდარი მენსი, რომელიც მაქსიმიანე იმპერატორმა ათენიდან ალექსანდრიაში გაგზავნა ქრისტიანებსა და წარმართებს შორის წარმოშობილი შუღლის აღსაკვეთად. მენამ აშკარად ქრისტიანების მხარე დაიჭირა და იწყო ქრისტიანობის ქადაგება. იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ეპარქიოსი ერმოგენეც ქრისტიანი გახდა მას შემდეგ, რაც ნახა მენას მოთმინება წამების დროს. იმპერატორმა, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ალექსანდრიაში, საკუთარი ხელით დაჭრა ევგრაფოსი, ხოლო მენას და ერმოგენეს თავის მოკვეთით დასჯა ბრძანა. მოწამეთა წმინდა ნაწილები, რომლებიც მტანჯველებმა რკინის ყუთში ჩადეს და ზღვაში გადაგდეს, მოგვიანებით (867-886 წწ.) მოპოვებული და კონსტანტინეპოლში გადატანილი იქნა. (მენა მოწამის წმ. ნაწილების მოპოვების დღესასწაული დადებულია 17 თებერვალი). იოსებ მგალობლმა დაწერა კანონი წმ. მოწამეთა პატივსაცემად. თავდაპირველად ბერძნულად დაიწერა წმ. მენას, ერმოგენესა და ევგრაფოს ერთობლიები „წამების“ კომენური თხზულება, ხოლო X ს. მიწურულს ამ თხზულების საფუძველზე სემეონ მეტაფრასტმა შეადგინა „წამების“ მეტაფრასული რედაქცია, ქართულად თარგმნილია ორივე რედაქციის ტექსტი: კომენური თხზულება თარგმნა ეფთიმე მთაწმიდელმა (A 70, XIII ს., 446-457; H 341, XI ს., 1-28,), ხოლო მეტაფრასული თხზულება ორჯერ ითარგმნა: პირველი მთარგმნელი უცნობია (ქუთ. 5, XVI ს., 41-169; Ath. 2, XIII-XIV სს., 71-86), ხოლო მეორედ თხზულება თარგმნა ეფრემ მცირემ (A 90, XIII ს. ფ. 135-175). მოწამეთა ხსენების დღედ დადებულია 10 დეკემბერი.

ევდემონ I (დიასამიძე, † 1643) – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1630-1638 წწ.-ში მანამდე (1619 წ.) იგი ბოდბელად იხსენიება: „ჩვენ დიასამიძე ბოდბელმან ევდემონ მოვაჭედინე ნეკი წმ. სტეფანესი“ (ქრონიკები, II, 442). ევდემონ I მონაწილეობდა ქართლის მეფის – როსტომის (1632-580) წინააღმდეგ შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო ქართლ-კახეთის ტახტზე თეიმურაზ I-ის მიწევა. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ევდემონი შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. 1643 წ. ცნობა დაუცავს ერთი ხელნაწერის მინაწერს: „ქკს ტლა (1643 წ.) აქა კათალიკოზი ევდემოს მოკლეს“ (ქრონიკები, II, 456).

ევდემონ II (დისამიძე) – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1701-1705 წწ. ევდემონი კათალიკოსის კათედრაზე ერეკლე I-მა აიყვანა, როგორც მისი პოლიტიკის მომხრე. 1705 წ. ვახტანგ VI-ის ინიციატივით საეკლესიო კრებამ ევდემონ II კათალიკოსობიდან გადაყენება და მის ნაცვლად აირჩია ვახტანგის ძმა დომენტი IV (დამიანე ბაგრატიონი). ევდემონ II კათალიკოსის ინიციატივით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ 1702 წ. გამოიტანა განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე, რომელიც ძირითადად დაეთვგარეჯის მონასტრებს ეხება და ექვსი მუხლისაგან შედგება. დოკუმენტს ამტკიცებს ევდემონისა და ეპისკოპოსების ხელრთვა (Ad 340, სამ. ძეგლ. III, 633). ცნობილია ევდემონის მიერ გაცემული სხვა საბუთებიც (Ad 326, სამ. ძეგ. III, გვ. 627; Ad 36 ა, სამ. ძეგ. III, 635; Ad 744, სამ. ძეგ. III, 636 და სხვ.).

ევდემონ ბოდბელი – ბოდბის ეპისკოპოსი XVII ს. მიწურულს. ევდემონ ბოდბელი ხელს აწერს დავითგარეჯის მონასტრის რიგის 1690 წ. 12 მარტის განწესებას, რომელიც 5 მუხლად არის ჩამოყალიბებული, მთავარეპისკოპოს იოანესა და ნიკოლოზ ალაევრდელის შემდეგ მესამე ხელმოწერა ევდემონ ბოდბელისაა (Ad 349, სამ. ძეგ. III, 598).

ევდემონ – რამდენიმე ქართველი მღვდელთმთავრის სახელი:

1. წალენჯიხის ეპისკოპოსი (ჯაიანი) XVII ს. I ნახ-ში. მანამდე ევდემონი დრანდის ეპისკოპოსი ყოფილა. მისთვის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (1643-1649) მიერ განწესებულ ანაში (ან. № 93) ნათქვამია: „მე ეპისკოპოსმან წალენჯიხელმა ევდემონ ჯაიანმა დავახატინე ეკლესიის კარი ჩუენის კელმწიფის დადიანის ლევანის სადღეგრძელოდ... ქკ"სა სამას ოცდაათექვსმეტსა (1648 წ.)" (ე. მეტრეველი, მასალები... გვ. 143-144). ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომელიც ერთხანს ლევან II დადიანის კარზე მოღვაწეობდა, ალბათ, პირადად იცნობდა ევდემონ წალენჯიხელს. ევდემონი, როგორც ჩანს, გარდაცვლილა 1648 ან 1649 წელს.

2. ჭყონდიდის მიტროპოლიტი (ჟაჟიძე) XVII ს. შუა წლებში. 1644 წ. ევდემონს მოუჭდინებია და შეუმკია მარტვილის დაუჯდომლის

ხატი, როგორც ამას გვამცნობს ხატის თარიღიანი წარწერა. ევდემონ ჭყონდიდელის ფრესკა მოთავსებულია მარტვილის ეკლესიის სამხრეთის კარზე (ქრონიკ. II, 456).

3. სამთავისის ეპისკოპოსი XVII ს. II ნახევარში. ევდემონს გადაუწერია საგალობელთა კრებული (A 520).

4. ქუთაისის მიტროპოლიტი XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში. ცნობილია ევდემონ ქუთათელის ერთი წყალობის წიგნი (სამ. ძეგლ. III, 715).

5. ჭყონდიდის მიტროპოლიტი (ლოლობერიძე) XVIII ს. I ნახევარში. ევდემონი ჭყონდიდის მიტროპოლიტად უკურთხებია გრიგოლ აფხაზეთის კათოლიკოსს სამეგრელოს მთავრის, ბეჟან დადიანის ბრძანებით. ევდემონი ენერგიული საეკლესიო მოღვაწე იყო და ხშირად იხსენიება ამ პერიოდის წყაროებში. (მაგ. ერთგულების წიგნი ევდემონ ჭყონდიდელისა კათოლიკოს გრიგოლისადმი 1696-1742 წწ., ცსსა, ფ. 1448, № 1524, სამ. ძეგლ. III, 763).

ევდემონ I (ჩხეტიძე) – დასაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1557-1578 წწ. ევდემონი აქტიურად უჭერდა მხარს იმერეთის მეფეების, ბაგრატ III-ისა (1510-1565) და გიორგი II-ის (1565-1583) მისწრაფებას დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და კულტურულ-ეკონომიური მშენებლობის საქმეში. ევდემონ I-ის აქტიური მცდელობით აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოვიდა. ევდემონ I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ საეკლესიო კრებების საქმიანობაში, რომელმაც „კათალიკოზთა სამართალი“ დაადგინა და რომელმაც მოაწესრიგა საეკლესიო მმართველობის დარღვეული წესები. კრების კანონმდებლობით ტყვეთა გამყიდველებს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ.

ევდემონ I-მა მოახატვინა გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ნაწილი, შეაკეთა და მოახატვინა მოქვისა და ბიჭვინთის ეკლესიების ნაწილები, რომელთა კედლის წარწერებში მოხსენიებულია ევდემონი. 1568 წ. ევდემონმა მოაჭედვინა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ოქროს ხატი, როგორც ეს ამ ხატის წარწერაშია დადასტურებული: „ჯუ ლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოსმან ევდემონ ჩხეტიძემ მოუჭედინე და შეკამკე ხატი ესე... და დაესვენე ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა ბიჭვინტრისასა... ქკ'სა ტნ'ა“ (1568 წ.). ცნობილია ევდემონ ჩხეტიძის ბრძანებით გადაწერილი გელათის მონასტრის სვიმონ ლოღოთეტისა და იოანე ქსანელოსის მეტაფრასულ კრებულთა ქართული თარგმანები (ქუთ. I, 2, 3, 4, 5, და ა.შ.). ევდემონს საკუთარი სახსრებით შეუძენია და ბიჭვინთისათვის შეუწირავს მამულები და ძვირფასი საეკლესიო ნივთები. გარდაიცვალა ევდემონ I 1578 წ. (პარიზის ქრონიკის ცნობა) და დასაფლაებულია გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ევდემონ მანგლელი – იხ. ევდემონ მთავარეპისკოპოსი (რატიშვილი).

ევდემონ მთავარეპისკოპოსი (რატიშვილი) – აღმოსავლეთ საქართველოს მთავარეპისკოპოსი 1674-1698 წწ. ევდემონი იყო ქსნის ერისთავთა ოჯახიდან და ხშირად იწოდებოდა ქსნის ერისთავის შვილად. 1669 წელს ევდემონი ურბნისის ეპისკოპოსია, შემდეგ მანგლისის კათედრაზეა. ყანჩაეთის ჟამნ-გულანის (H 1452), ერთ, 1674 წლის აუტობიოგრაფიულ მინაწერში ევდემონი წერს: „ქყრ ტნიბ (1674) ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მთავარეპისკოპოსი ევდემონ პირველ ეფუაე ურბნელი, შერმე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოზი ქართლისა“. იმავე ხელნაწერის 1693 წ. მინაწერი გვამცნობს, რომ ყანჩაეთის ჟამნ-გულანი დაუმზადებიათ 1674 წ. ევდემონის ბრძანებით: „მოვიჭირვე კარგად გაკეთება ბრძანებითა მთავარეპისკოპოსისა რატიშვილისა ევდემონითა“. ცნობილია 1695 წ. მთავარეპისკოპოს ევდემონისაგან ოქროთი დამზადებული დაფარნა, გარშემო წარწერით (ქრონიკები, II, 515). 1698 წ. ევდემონს მოუპოვებია დაკარგული ყანჩაეთის ჟამნ-გულანი, „რომელიც კბენის გეთსამანიაი ღუთისმშობელს შეწირული იყო ადრე... და ისევ გეთსამანიაი ღუთისმშობელს შეუწირე, სახელსა ჩემსა“ (H აღწერ. III, გვ. 381-391). დაახ. 1678-1683 წწ. ერთ საბუთში (Ad 261, სამ. ძეგ. III, გვ. 584) ევდემონი თავს ასე წარმოგვიდგენს: „ქსნის ერისთავის სახლისა ძემან მანგლელ მთავარეპისკოპოსმან ევდემონ“, ხოლო ყანჩაეთის ჟამნ-გულანის 1693 წ. ერთ მინაწერში მოხსენიებულია „ქსნის ერისთაეთა ერისთავის სახლის ძე ურბანელი მთავარეპისკოპოზი ევდემონ“. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ევდემონი მანგლისის მთავარეპისკოპოსობას და ურბნისის მთავარეპისკოპოსობას ითავსებს მას შემდეგაც, რაც იგი ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა (1674 წ.).

ევდემონ ურბნელი – იხ. ევდემონ მთავარეპისკოპოსი (რატიშვილი).

ევდოკია სამარიტელი ღირს-

მოწამე (დახ. 160-170) — წარმოშობით ლიბიის ფინიკიის ქალაქ პელიოპოლიდან, წარმართობაში იყო მეფეთა. ერთხელ სახლში, რომელშიც ეკლოგია ცხოვრობდა, მეზობლად ღამის გასათევად გაჩერდა მოხუცი მონაზონი გერმანე. ღამით ეკლოგიამ შეშთხვევით მოისმინა მონაზონის ლოცვა, მის გულს შეეხო საღვთო მადლი და გადაწყვიტა გამოსაუბრებოდა მონაზონს. მონაზონის ხანგრძლივმა შეგონებებმა დაარწმუნეს ეკლოგია თავისი ცხოვრების უწმინდურებაში და მან გადაწყვიტა ქრისტიანი გამხდარიყო. გერმანე მონაზონმა მოიწვია ხუცესი და გამოცდისა და კათაკმეველობის შემდეგ ეკლოგიამ ნათლელი პელიოპოლის ეპისკოპოსის თეოდოტის მიერ. მთელი თავისი ქონება, რომელიც მას შეძახობით ჰქონდა შეძენილი, ღარიბებს დაურიგა და თვითონ მონასტერში დამკვიდრდა. ეკლოგია თავისი ცოდვების მთელი სიმკაცრით მონანიებისათვის ღმერთმა სასწაულმოქმედების ნიჭით დაჯილდოვა. მალე ეკლოგია დედათა მონასტრის წინამძღვარი გახდა. თავისი სასწაულმოქმედებით (მკურნალობით) მან მრავალი ქრისტიანი შესძინა ეკლესიას, მათ შორის რამდენიმე წარჩინებული და პროვინციათა გამგებელი. ქრისტიანთა დევნის დროს, დახ. 160-170 წწ. ეკლოგიას თავი მოკვეთეს I მარტს, ამიტომაც მისი ხსენება ამ დღეს არის დადებული. ბერძნულად XI ს. ბოლოს იოანე ქსიფილინოსმა შეადგინა ეკლოგია სამარიტელის „წამების“ მეტაფრასული ვერსია, რომელიც XII ს-ის შუა წლებში ითარგმნა ქართულად (ქუთ. 2, XVI ს. ფ. 1-32).

ეკლოგიმე მართალი — ცხოვრობდა IX ს-ში, იმპერატორ თეოფილეს (829-842) დროს. ეკლოგიმე იყო შვილი ღრმადმორწმუნე ქრისტიანი მშობლებისა. ეკლოგიმემ თავადვანე უცოლობის აღთქმა დადო და მთელი თავისი სიცოცხლე ღვთისადმი ლოცვა-ვედრებაში გაატარა. იმპერატორმა ეკლოგიმე ზარსანის ოლქის მმართველად დანიშნა, სადაც, როგორც ღვთის მონა, ზრუნავდა ღარიბებზე, ობლებზე, ქვრივებზე და იცავდა დაჩაგრულთ. ეკლოგიმე გარდაიცვალა 33 წლის ასაკში და სიკვდილის შემდეგ მრავალი სასწაული მოახდინა: მისი საფლავი კურნავდა დაერდილთ და ავადმყოფთ. მისი წმიდა ნაწილების კონსტანტინეპოლში გადასვენება მოხდომა დედამისმა, რომელმაც შვილი საფლავში სრულიად განუხრწნელი ნახა, მაგრამ ხარანის მცხოვრებლებმა არ დაანებეს. მხოლოდ მოგვიანებით გადასვენეს ეკლოგიმეს წმ. ნაწილები კონსტანტინეპოლში და დასასვენებ ეკლესლის ლუსკუმაში, ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც მისმა მშობლებმა ააშენეს. ეკლოგიმეს ხსენების დღედ დადებულია 31 ივლისი. ეკლოგიმეს „ცხოვრება“, რომლის მეტაფრასული რედაქცია დაწერილი უნდა იყოს ბერძნულად იოანე ქსიფილინოსის მიერ XI ს. მიწურულს, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 754-760).

ეკლუძსიანნი (ბერძ.) — არიანული მწვალებლობის ერთ-ერთი განშტოება, რომელმაც სახელწოდება მიიღო ეკლუქსისაგან (300-370), ამ მოძღვრების მამამთავრისაგან. ეკლუქსის შრომის „სიტყვა განკაცების შესახებ“ ნაწყვეტები მხოლოდ XIX ს. აღმოაჩინა კარდინალმა მაიმ და დაბეჭდილია „Scriptorum veterum nov collecti“-ის VII ტომში (რომი, 1828-38).

ეკლუქსიოს მოწამე — ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს დროს დახ. 311-312 წწ. ეკლუქსიოსის მაღალი თანამდებობა ეჭირა იმპერატორის არმიაში. ის ქრისტიანი იყო ისევე, როგორც მისი მეგობარი ზინონი და ეზოსმოძღვარი მაკარი. დიოკლეტიანეს მიერ გამოცემული ედიქტის გამო, რომელიც იმ ქრისტიანთა სიკვდილით დასჯით იმუქრებოდა, რომლებიც მსხვერპლს არ შესწირავდნენ კერპებს, ეკლუქსიოსი თავისი ოჯახით სომხეთის მილიტინში გადასახლდა. მალე მას იქაც დაუწყეს ძებნა. ეკლუქსიოსი თავის სურვილით გამოცხადდა მილიტინის მმართველთან და საკუთარ აღიარა ქრისტიანობა. მას მიბაძა ზინონმაც. ორივე სიკვდილით დასაჯეს. ეკლუქსიოსი სიზმარში გამოეცხადა მეუღლეს და აუწყა, რომ ის და ზინონი ელოდებიან მაკარის მათთან მისვლას. მაკარი გამოცხადდა მმართველთან და აღიარა ქრისტიანობა, რისთვისაც მას თავი მოკვეთეს. ამ სამი მონაზონის მაგალითით ბევრმა ქრისტიანმა მიიღო ის ხანებში მოწამებრივი სიკვდილი. ეკლუქსიოსის, ზინონისა და მაკარის „წამების“ მეტაფრასული თხზულება დაწერა ბერძნულად სვიმეონ ლოღოთეტმა X ს. მიწურულს, ხოლო ქართულად ითარგმნა ორჯერ: თეოფილე ხუცესმონაზონისა (X ს. II ნახ. Ath. 20, XI ს., 34-38) და უცნობი მთარგმნელის მიერ (XI ს; ქუთ. 4, 1565 წ. 50-57; ეს უკანასკნელი გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986, გვ. 90-98). ხსენების დღე — 6 სექტემბერი.

ეთეიმე დიდი პალესტინელი (376-473) — მართლმადიდებლური სამონაზვნო ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩენილი წარმომადგენელი, წარმოშობით ეთეიმე სომხეთის ქ. მელ-

იტინიდან, იყო მდ. ეფრატის ახლოს, ქრისტიანი შშობლების შვილი. ბავშვობიდან მას ზრდიდა დედის ძმა, ხუცესი ედვესიოსი. ბიძამ იგი წარუდგინა მელიტინის ეპისკოპოსს, რომელიც ზრუნავდა მასზე და წიგნისმკითხველად დაადგინა. მალე ეფთვიმემ მონაზონობა მიიღო და ხუცესად ეკურთხა. მას დაეკისრა განმგებლობა ქალაქის ყველა მონასტრისა. 30 წლის ასაკში იგი ფარულად გაემგზავრა იერუსალიმში, მოილოცა წმინდა ადგილები და დაემკვიდრა ფარანის ლავრაში, გამონახა იქ განცალკევებული ქოხი, დაეწყნა და კალათების დაწნეხით. თავს ირჩენდა. მონაზონ თეოქტისთოსთან ერთად ეფთვიმე წაიყვა კუტილიის უდაბნოში, იერიქონის ახლოს და ისინი დამკვიდრნენ მღვიმეში. ღვთის განგებით მათი სამყოფელი მალე გახდა ცნობილი და ხალხმა იწყო მოსვლა და მათთან დამკვიდრება. თანდათანობით აღმოცენდა და გაიზარდა მონასტერი, რომლის წინამძღვრობა ეფთვიმემ თეოქტისტეს დაუტოვა, თვით კი ძმობის სულიერი მოძღვარი გახდა. სასწაულთმოქმედმა ეფთვიმეს სახელი გაუთქვა და მოზღვაებული ხალხის გამო ფარულად დატოვა მონასტერი თავის უახლოეს მოწაფე ლონტენტიანოსთან ერთად და რუვას მაღალ მთაზე – მარდაზე, მკვდარი ზღვის ახლოს, დასახლდა. განდეგილობის მოსურნე ეფთვიმე ზიფის უდაბნოს იმ გამოქაბულში დაემკვიდრა, სადაც ბიბლიური დავითი სულ მეფეს ემალებოდა. ეფთვიმემ აქ მონასტერი დაარსა, ხოლო გამოქაბულში ეკლესია მოაწყო. თაყვანისმცემლებისაგან შეწუხებულმა ისევ თეოქტისტესთან მონასტერში დაბრუნება გადაწყიტა, მაგრამ გზად მიმავალი განცალკევებულ ადგილზე – მთაზე დაემკვიდრა (სადაც იგი დასაფლაეულ გარდაცვალების შემდეგ). მიუხედავად თეოქტისტესა და ძმობის თხოვნისა, ეფთვიმე მონასტერში არ დარჩა და ალუთქვა, რომ მოეიდოდა კვირა დღეების ღვთისშესახურებაზე. ღვთიური გამოცხადების შემდეგ ეფთვიმე, რომელიც ყოველთვის განმარტოებულ მონაზვნურ ცხოვრებაზე ოცნებობდა, იძულებული იყო დაეარსებინა ლავრა, ფარანის ლავრის მსგავსი. 429 წელს, როდესაც ეფთვიმე 52 წლისა იყო, ლავრა აკურთხა იერუსალიმის პატრიარქმა იუვენალმა და დადგინა ხუცესნი და დიაკონნი. ეფთვიმეს მოხუცებულობაში, როდესაც იგი 82 წლის იყო, მასთან მოვიდა ახალგაზრდა საბა, შემდეგში განთქმული „საბა განწმედილის ლავრის“ დამაარსებული. ეფთვიმემ იგი თეოქტისტეს მონასტერში გაგზავნა. გარდაიცვალა ეფთვიმე 97 წლის ასაკში 473 წ. 20 იანვარს. ეფთვიმე დიდის „ცხოვრება“ აღწერა კირილე სკვითოპოლელმა, ანუ ბესპალმა († 557), რომლის ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერითაა შემონახული (Sin. 43, X ს., 1-99, ბრიტ. მუზ. Add 11281, XI ს., 162-210) და გამოცემულია ე. იმნაიშვილის მიერ: „მამათა ცხოვრებანი“, თბ., 1975, 143-183. არსებობს ამ თხზულების განსხვავებული ტექსტიც: A 188, XIII, 173-207. კირილე სკვითოპოლელის თხზულება X ს. ბოლოს გადაუმუტაფრასებია სვიმეონ ლოღოთეტს, რომლის ქართული თარგმანი, რომელიც შეიძლება ეფრემ მცირეს ეკუთვნოდეს, ერთ ხელნაწერში (A 79, XII-XIII სს. 507-627) არის დაცული. ეფთვიმე დიდის ხსენება 20 იანვარსაა დადებული.

ეპიკარაიონოს მოწამე – ეწამა ქრისტესთვის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს წმ. ტროფიმესთან ერთად. ეპიკარაიონოსი და მისი მეგობარი ტროფიმე წარმართი მეომრები იყვნენ ნიკომიდიიდან და ქრისტიანთა დევნის დროს სასტიკად უსწორდებოდნენ მათ. ერთხელ მათ ესმათ ღვთიური მოწოდება, რის შემდეგაც ქრისტე ირწმუნეს და საკრობილედან გამოუშვეს ქრისტიანები, რისთვისაც ისინი სასტიკად აწამეს და ბოლოს ცეცხლში დაწვეს. ტროფიმე და ეპიკარაიონოს მოწამეთა შესახებ ერთობლივი „წამების“ მეტაფრასული თხზულება ბერძნულად ითარგმნა ქსოფილინოსს უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში და შემონახულია XVI ს. ერთი ხელნაწერით (ქუთ. 2, 271-274). მოწამეთა ხსენების დღედ ჩვეულებრივ 18 მარტია დადგენილი, მაგრამ „წამების“ ქართული თარგმანი 24 მარტს მიუთითებს.

ეპლალე// ეპლაეიოსი – ქართლის კათოლიკოსი VI ს. II ნახევარში. მოხსენიებულია შიო მღვიმელის „ცხოვრების“ კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციებში (ძველ. III, 117-118). თხზულებათა მიხედვით, იგი დიდ დახმარებას უწევდა სირიიდან მოსულ იოანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების დაარსებასა და სამისიონერო მოღვაწეობაში.

ეპლამაია მოწამე – იხ. ეპლამაი და ეპლამაია მოწამეები.

ეპლამაი და ეპლამაია მოწამეები – დაძმა, რომლებიც ეწამნენ დაახ. 303-311 წწ-ში ქ. ნიკომიდიაში ქრისტიანობის საჯარიო აღიარებისა და კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე უარისათვის. ეპლამაისა და

ეულამპის წამების ბერძნული მეტაფრასული თხზულება ეკუთვნის სიმეონ ლოღოთეტს (XI ს. ბოლოს), ხოლო მისი ქართული თარგმანი – ეფრემ მცირეს (კუთ. 4, 1565 წ., 414-420; S 384, XI-XII სს. 339-349). მოწამეთა ხსენების დღედ დადებულია 10 ოქტომბერი.

ევლოგია (ბერძ. – კურთხევა, დალოცვა) – ეკლესიაში ნაკურთხი სეფისკვერი, წყალი და სხვ., რომლის ნაწილს ამღვდელ მორწმუნეებს სახლში წასაღებად. ევლოგია პირველად ახალ აღთქმაში, პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში გვხვდება: „...და დაამტკიცონ პირველ აღთქმული იგი ევლოგიად, რაჲთა ესე განმზადებულ იყოს, ეითარცა ევლოგია და არა ვითარცა ანგარებაჲ“ (9,5). ხშირად იხმარება იგი ქართულ ორიგინალურ მწერლობაში, მაგ.: „ოღეს მიჰყვანდა წმიდაჲ ახობს, დაემთხვა მას მოციქული ნეტარისა სჳმონ მესუეტისაჲ... და მისცა წიგნი, ევლოგიაჲ და კუერთხი... სჳმონ საკრველთა-მოქმედისაჲ და ვითარცა მიიღო ეპისკოპოსმან ევლოგიაჲ იგი... განიხარა“ (ძეგლ. I, 243).

ევლოგი სალოსი – თამარ მეფის (1184-1213) მწირველი. „წინასწარმეცნიერებასა ღირსქმნილი“ (ქართლ. ცხ. II, 95,7). ევლოგიმ წინასწარ ჩვენებით იხილა ქართველთა გამარჯება ბასიანის ბრძოლაში (იქვე, 99,1).

ევლოგი ხარჭაშნელი – ხარჭაშოს ეპისკოპოსი XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში, ცნობილი საეკლესიო მწერალის – გიორგი აჟალიშვილის ძე. ევლოგი ხარჭაშნელის შესახებ თ. ჟორდანია ასეთ ცნობას გვაწვდის: „1790-1800 წწ. ევლოგი ხარჭაშნელი, გიორგი აჟალიშვილის ძე, მოსკოვში ყოფილა. ამისი მიტრა საეკლესიო მუზეუმშია დაცული“ (ქრონიკ. III, 418).

ევნომიანიზმი – უკიდურესი არიანული მწვალებლური მოძღვრება. სახელწოდება მიიღო მისი დამარსებლის ევნომიოსის († 398) სახელისაგან. აღიარებდა რა (არიოზისაგან განსხვავებით და თანახმად ატეოსისა), რომ ჩვენს გონებას შეუძლია აჰყრდნეს საკუთარ სწორი წარმოდგენა ღმერთის ბუნებაზე, ევნომიოსი ამ ბუნების უმთავრეს თვისებად მიიჩნევდა უცილობელ პრეელსაწყისობას, წარმოუქმნელობას, უშობელობაში. აქედან ის ასკვნიდა, რომ სამების მეორე პირი, ე. ი. ძე, როგორც შობილი, არ შეიძლება, თანაზიარი იყოს ღვთაებრივი არსისა. ძის ბუნება არა მარტო არ არის იგივე მამის ბუნებისა, არამედ მისი შეგანისც კი (ἀνόμοιος; აქედანაა ევნომიანელთა მეორე სახელწოდება – ანომიანელები). ევნომიოსი გაურბოდა ტერმინების „მამისა“ და „ძის“ ხმარებას, როგორც ერთი ბუნების მაჩვენებელ ტერმინებს, და მიუთითებდა, რომ ნათლისცემა უნდა მოხდეს „დაუბადებელის“ სახელით. ადამიანისა და ღმერთის ერთადერთ კავშირად ევნომიოსი თელიდა განსჯაზე დამყარებულ გონებას, ან რწმენას. ამაზე არის დამყარებული ევნომიანელთა მიერ ნათლისცემის შესრულების რიტუალი: ისინი წყალში უშვებდნენ მოსანათლავის მხოლოდ ზედატანს, რადგანაც, მათი აზრით, ქვედატანი არ ექვემდებარება ხსნას და ეშმაკის კერძია. ამ მხრივ ევნომიანელებს საერთო აქვთ მანიქეველურ დუალიზმთან. ევნომიანელები განსაკუთრებით მრავალად იყვნენ ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის მოსახლეობის მაღალ ფენებში. სექტა განსაკუთრებით მომძლავრდა ვალენტი იმპერატორის მეფობის დროს, მაგრამ მალე, ევნომიოსის სიცოცხლეშივე პრაქტიკულად დაუქმდა.

ევნომიოსი (398) – უკიდურესი არიანული მწვალებლობის – ევნომიანიზმის მამამთავარი IV ს-ში. ევნომიოსი წარმოშობით კაპადოკიიდან იყო, სოფლის მასწავლებლის შვილი. რიტორიკული განათლება კონსტანტინეპოლში მიიღო. გადასახლდა ანტიოქიაში, გახდა ატეოსის მოწაფე და სახელი გაითქვა მჭევრმეტყველებით. ჯერ დიაკვნად აკურთხეს, ხოლო შემდეგ – ქ. კიზიკოსის ეპისკოპოსად. თავისი არიანობა გამოაცხადა იმპერატორ ვალენტის მეფობის დროს და მისმა მოძღვრებამ დაიმსხურა ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის დასაბუთებული უარყოფა. მართლმადიდებლობის აღდგენის შემდეგ ევნომიოსი განკეთეს, ექსორია უყვეს სამშობლოში, სადაც გარდაიცვალა. მან დაწერა წიგნი ბერძნულ ენაზე: „აპოლოგეტიკური სიტყვა“ (იხ. ევნომიანიზმი).

ევონ // ევონ კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი VII ს. I ნახევარში სამოცელ კათოლიკოსის შემდეგ, სტეფანოზ ერისთავის (რომლის დროსაც დამთავრდა ჯვარის მონასტრის მშენებლობა) დროს (იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძეგლები, I, 97).

ევოდის – ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც მოხსენიებული ჰყავს პავლე მოციქულს თავის ეპისტოლეებში. ეწოდა ანტიოქიის ეპისკოპოსი გახდა პეტრე მოციქულის შემდეგ.

ევპლოს მოწამე († 304) – არქიდიაკონი, ეწამა სახარების ქადაგებისათვის დიოკლეტიანე (284-305) და მაქსიმიანე (284-3050

იმპერატორების დროს სიცილიის ქალაქ კატანიაში. ეპარქოს ჰარმონიკონის „წამების“ მეტაფრასული თხზულება ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა (XI ს. ბოლოს), ხოლო ქართულად თარგმნილია უცნობი პირის მიერ XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, XVI ს., 353-359). ხსენების დღე – 11 აგვისტო.

ეპარქსია – IV ს. თებაიდელი საეკლესიო მოღვაწე ქალი. ეპარქსია იყო კონსტანტინეპოლელი დიდებულისა და იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395) ახლო ნათესავის, ღრმად მორწმუნე ანტიგონეს ქალიშვილი. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამისმა ეპარქსიამ მიატოვა სამეფო კარი და ქალიშვილი ეგვიპტეში წაიყვანა. თებაიდის მახლობლად მდებარეობდა დედათა მონასტერი, რომელსაც ღრმად მორწმუნე ქერივი მატერიალურ დახმარებას უწევდა. პატარა ეპარქსიას, რომელიც ამ დროს 7 წლის იყო, ძალიან მოეწონა მონაზვნური ცხოვრება და გადაწყვიტა მონასტერში დარჩენა, რაზედაც დედამ ნება დართო, მალე დედა-ეპარქსია გარდაიცვალა. თეოდოსი დიდმა წერილი მისწერა ეპარქსიას, რომ იგი 5 წლის ასაკიდან დაწინდული იყო ერთ-ერთი სენატორის ეაჯზე, და თხოვდა, შეესრულებინა მშობლებისათვის მიცემული პირობა. ეპარქსიამ უარი განუცხადა, რადგან იგი ქრისტეს სასძლო გახდა. ხანგრძლივი მარხულობითა და ლოცვებით, თავმდაბლობითა და მძიმე შრომით ეპარქსიამ ღვთისაგან ასწვალთმოქმედების ნიჭი მოიპოვა: ჰკურნავდა აეადმყოფებს, ყრუ-მუნჯებს და ეშმაკეულთ. მონასტრის იღუმენიას ღვთიური გამოცხადებით ეჩვენა ზეციური სასუეველი, რომელიც ღმერთმა წმ. ეპარქსიას განუმზადა. გარდაიცვალა წმ. ეპარქსია 413 წ. ეპარქსიას და მისი დედ-მამის – ეპარქსიას და ანტიგონეს ერთობლიეი „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია ქართულად თარგმნილია X საუკუნემდე (A 95, XI ს., 1224-1238; ბოდლ. 1, XI ს., 664-482), ხოლო კიმენურის საფუძველზე იოანე ქსიფილინოსის მიერ XI ს. ბოლოს შედგენილი მეტაფრასული „ცხოვრება“ ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში და მიძღვნილია წმ. ეპარქსიასადმი (ასული): „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა ქალწულისა ეპარქსიაჲსაჲ“ (ქუთ. 3, XVI ს., 689-714). ხსენების დღე – 25 იელისი.

ეპარქსია (დედა) – იხ. ეპარქსია. (ასული).

ევსები ალექსანდრიელი – ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი 444-451 წლებში, კირილე ალექსანდრიელის მემკვიდრე. ევსების ქადაგებებიდან ქართულად თარგმნილია ექვსი პომილია: 1. შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (A 19, X ს. 93-100; A 95, XI ს., 72-75); 2. „ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (A 19, 393-402; A 95, 372-281; Ath. 80, 209-212); 3. „განკაცებისათჳს უფლისა“ (A 95, 411-415), ამავე ქადაგების მეორე ქართული თარგმანიც არსებობს (A 70, XIII ს., 137-140); 5. „ჴსენებასა ყოველთა წმიდათა მოწამეთა“ (A 19, 474-482; A 95, 355-359; A 126, 1586 წ. 178-185); 6. „შობისათჳს იოანესა ძისა ელისაბედისი“ (A 144, X ს., 153v-156v). გამოცემულია: „კლარჯული მრავალთავი“, თბ., 1991, გვ. 362-365.

ევსები ალექსანდრიელის პიროვნების რეალურობა, ე. ი. მისი ავტორობა სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ნაშრომები, რომლებიც ევსების მიეწერება, სინამდვილეში ეიღაც იოანეს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც თავს ევსები ნოტარიუსს უწოდებს (იხ. დარუზე, სპირიტუალიზმის ლექსიკონი (ფრანგ. ენაზე), ტ. 4, ნაწ. II, პარიზი 1961 წ.).

ევსები კესარიელი (პამფილიელი, 260//263-340) – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ისტორიოგრაფი, პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი 311 წ-დან. მისი შრომებიდან ყველაზე ცნობილია „საეკლესიო ისტორია“ ანუ „ქრონიკები“. იგი წარმოაჩენს ქრისტიანული ეკლესიის წარმოშობისა და განვითარების საეეურებს. თხზულება თარგმნილი ყოფილა ქართულად, როგორც ეს მოხსენიებულია ეფთიმე მთაწმიდელის ერთ წერილში, მაგრამ ჩეენამდე ალარ მოულწეეია. ევსების „ქრონიკები“ მსოფლიო ისტორიული პროცესის ბიბლიურ-ქრისტიანული სულისკეეთებითაა დაწერილი და მოიცავს პერიოდს ქეენის გაჩენიდან 325 წლამდე. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ხასიათის საკეთისმეტყველო თხზულებები, რომელთა ქართული თარგმანები ნაწილი მთლიანად, ნაწილიც ფრაგმენტულად არის შემონახული ძველ ქართულ მწერლობაში. ცალკე აღნიშნის ღირსია ევსები კესარიელის „ცხოვრება კონსტანტინე დიდისა“, რომელშიც ტენდენციურად არის წარმოჩენილი იმპერატორ კონსტანტინეს როლი ქრისტიანული სარწმუნოების ლეგალიზაციისა და ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საქმეში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ევსები კონსტანტინეს კარის ისტორიკოსი იყო (შდრ. ლატენციუსის ლათ. ენაზე დაწერილ „ეკლესი-

ის ისტორიას". А.П. Кикдан, кт Христа до Константина, М. 1957). ქართულ თარგმანში მოღწეულია ევსები კესარიელის ბაგოგრაფიული თხზულებები: 1. „საკრებულსა წმიდისა სერგისასა", რომელიც წარმოადგენს „საეკლესიო უწყებიდან" ამოღებულ ფრაგმენტს (A 95, XI, 588r-590v; გამოცემულია: კიმენი II, 105-107). 2. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა სილიბისტრისნი, პრომთა პასისანი, რომელნი აღწერა ევსებიოს პამფილემან (Ier. 5, 1-17; Ier. 120,1-52). 3. წამებაჲ პროკოპისი (A 95, 455r-456r; H 535, 175-177; Sin. 62, 64-66; გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ; კიმენი II, 112-114).

ევსევი სამოსატელი († 380) – მღვდელმოწამე, სამოსატის ეპისკოპოსი IV ს. II ნახევარში. ევსები იყო ნიკიის I მსოფლიო კრების (325 წ.) დადგენილებების მტკიცე დამცველი და დიდი შემართებით ებრძოდა არიანობას, რისთვისაც არიანობის დამცველი კონსტანტი იმპერატორისაგან (337-361) დიდი შევიწროება განიცადა: რამდენჯერმე წაართვეს კათედრა და ექსორია უყვეს. კონსტანტი იმპერატორმა შეიტყო, რომ ევსები სამოსატელი ინახავდა საეკლესიო კრების აქტს ანტიოქიის მთავარეპისკოპოსად მელეტის არჩევის შესახებ და მოსთხოვა იგი. წმინდანმა სასტიკი უარი განაცხადა მიუხედავად ხელის მოჭრის მუქარისა. იმპერატორმა ვერ გაბედა მუქარის შესრულება. იულიან განდგომილის (361-363) გამეფებისა და მის მიერ წარმართობის აღდგენის შემდეგ ევსებისათვის უმძიმესი დღეები დადგა. იულიანეს დალუპვის შემდეგ ქრისტიანთა დევნა შეწყდა. ექსორიიდან დაბრუნდა მელეტი ანტიოქელი და ევსების რჩევით 379 წ. ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც 27 ეპისკოპოსის ხელმოწერით ნიკეის I მსოფლიო კრების მართლმადიდებლური სარწმუნოება დაადასტურა. არიანელთა დამცველი ვალენტი იმპერატორის (364-378) გამეფებისთანავე მართლმადიდებლობა ისევ იდევნებოდა არიანელთაგან და მელეტი ანტიოქელი სომხეთში გადაასახლეს, ხოლო ევსები სამოსატელი საპყრობილეში ჩასვეს თრაკიაში. იმპერატორმა გრაციანმა (378-383) დაბრუნა არიანელთაგან განდევნილი ყველა მართლმადიდებელი და, მათ შორის, ევსებიც. 380 წ. ახლოს ევსები ჩავიდა არიანელთა ქ. დოლიხინში, რათა იქ მართლმადიდებელი ეპისკოპოსი ეკურთხებინა. არიანელი ქალის მიერ სახურავიდან გადმოგდებულმა კრამიტმა ევსების თაეი გაუტეხა და მოკლა. სიკვდილის წინ მან ასატია მას დანაშაული და ითხოვა, ქალი არ დაესაჯათ. ევსები გადაასვენეს სამოსატში და იქ დასაფლავეს. ევსები სამოსატელის „ცხოერების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად ითარგმნა ქსიფილინოსის უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთ, XVI ს. ხელნაწერში (ქუთ. 3, XVI ს., 212-217). ევსების ხსენების დღედ 22 ივნისია დადებული, თუმცა „ცხოერების" ქართული თარგმანი 20 ივნისს უთარგმნის.

ევსევი (ილინსკი) – იხ. ეგზარქოსები რუსეთის უწმიდესი სინოდისა საქართველოში.

ევსევნი მოწამე († 362) – ანტიოქიელი მოწამე. 60 წლის განმალობაში მსახურობდა რომაელთა ჯარში (დაწყო დიოკლეტიანეს დროს და მოხუცებულობის გამო დატოვა სამსახური კონსტანტის – კონსტანტინე დიდის ძის დროს). დამკვიდრდა იულიან განდგომილის (361-362) გამეფებამდე: იმპერატორთან ევსევნის დამშვიდების შემდეგ, რომლის წინაშე ევსევნიმ ამხილა იულიანეს წარმართობა და ულვთოობა, იგი სიკვდილით დასჯეს 110 წლის ასაკში. ევსევნის „წამების" კიმენური რედაქცია დაიწერა ბერძნულად, ხოლო ქართულად ითარგმნა დაახ. IX-X საუკ. (Ath. 8, X ს., 145-152), ოღონდ ქართულ თარგმანში მოწამეს ეწოდება. გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში" 5 აგვისტოს შეტანილია სვინაქსარული ტექსტი „წმიდისა მოწამისა ევსევნისი". ევსევნის „წამების" მეტაფრასული ვარიანტი ბერძნულად კიმენური „წამების" საფუძველზე შეადგინა იოანე ქსიფილინოსმა XI ს. ბოლოს, ხოლო ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 1, XVI ს., 297-307).

ევსტათი – მწყალებელი, სევასტიის ეპისკოპოსი 355 წ. ახლოს, წარმოშობით კაპადოკიიდან. გულმოდგინედ აერცელებდა მონაზვნობას პონტოსა და სომხეთში. ევსტათის მიერ ჩამოყალიბებული სექტა მონაზონ-ევსტათიანელებისა გამოირჩეოდა მკაცრი ასკეტიზმით: ისინი უარყოფდნენ ქორწინებას, ხორცისა ჭამელს, ზიარებას არ იღებდნენ ცოლოსანი მღვდლებისაგან და ა. შ. ღანგრის ადგილობრივ კრებაზე (365 წ.) ევსტათიანელების შეჩვენების შემდეგ სექტა მალე დაიშალა. მათი მამამთავარი ევსტათი გარდაიცვალა 380 წ. ახლოს.

ევსტათი – სინის მთის ქართველი მღ-

ვაწე VI ს. სინის მთის ახლოს ყოფილა ადგილი, რომელსაც არსენალი ეწოდებოდა. იქ VI ს-ში მოღვაწეობდნენ ქართველი ბერი მიქაელი და მისი მოწაფე ევსტათი (П. Успенский, Первое путешествие в Синайский Монастырь в 1845 г.,1857, стр. 116-117).

ევსტათი ანკვირიელი (დაახ. 1316) – მოწამე. ევსტათი იყო მხედარი. ქრისტეს აღსარებისათვის აწამა ანკვირიის ქალაქისთავმა. ევსტათი ანკვირიელის „წამების" მეტაფრასული რედაქცია ბერძნულად იოანე ქსენოფონთის მიერ უნდა იყოს დაწერილი XI ს. ბოლოს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 744-746). ხსენების დღეა 28 ივლისი.

ევსტათი ანტიოქელი († 337) – ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში, დაახ. 323-331 წწ-ში. დაიბადა პამფილიის ქ. სიდში. 320 წ. გახდა ქ. ბერიის ეპისკოპოსი, ხოლო 323 წ. სამწყსოს თხოვნით აიყვანეს ანტიოქიის კათედრაზე. ევსტათი იყო ფრიად განათლებული ღვთისმეტყველი. თავი გამოიჩინა არიანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იყო ნიკაიის I მსოფლიო კრების მონაწილე და თაყვანდომარე. არიანელთა მცდელობით ევსტათი გადაასახლეს თრაკიაში. გარდაიცვალა ქ. ფილიპიაში (ზოგიერთი ცნობით ქ. ტრაიანპოლში) 337 წელს. 482 წ. წმ. ევსტათის წმ. ნაწილები გადასვენეს ანტიოქიაში. მისი ხსენების დღედ ეკლესიამ 21 თებერვალი დაადგინა. ევსტათი ანტიოქელის მოკლე „ცხოვრება" ბერძნულად უნდა შეედგინათ XI ს. მიწურულს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, XVI ს., 86-89). ქართულად თარგმნილია აგრეთვე იოანე ოქროპირის „შესხმა ევსტათი ანტიოქელისა" (A 188, XIII ს., 205-220). უნდა შევნიშნოთ, რომ ევსტათი ანტიოქელი ძალიან ცნობილი და მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ საეკლესიო სამყაროში. ზოგიერთი ქართული წყაროს მოწმობით (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი), ევსტათი კონსტანტინე დიდმა მოაწვინა ქართლში ახლადმოქცეული ქართველების საეკლესიო ცხოვრების ორგანიზაციისათვის (ეფრემ მცირე, „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცეულისასა", 1959, გვ. 8; ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა, 1978, გვ. 180). ევსტათი ანტიოქელის თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია მხოლოდ ერთი ქადაგება: „თქუმული ოდეს იგი ჯდა იესუ სერსა მას და ლაზარე იყო თანამეინაკედ, რომელი იგი აღადგინა დათა მისთა მარიამის და მართაჲსთჳს" (Ath. 80, 51-56).

ევსტათი მთაწმიდელი – ნათლისღებამდე ერქვა პლაკიდა. იგი იყო რომაელთა ჯარის მხედართმთავარი ტიტე (79-81) და ტრაიანე (98-117) იმპერატორების მეფობაში. ნადირობის დროს მას გამოეცხადა იესო ქრისტე და იგი მოინათლა ევსტათის სახელით. მეორედ გამოცხადების დროს იესომ მას უწინასწარმეტყველა იობის ბედი. მართლაც, ევსტათიმ მრავალი ჭირი ნახა და მას ბევრი უბედურება დატყდა თავს. დაკარგა ცოლი და ორი ძე, მაგრამ მოთმინებით გადაიტანა ყოველივე. დიდი ხნის შემდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მან იპოვა ისინი. ტრაიანეს მემკვიდრემ – ადრიანე იმპერატორმა (117-118) კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე უარისათვის და ქრისტიანობის საყაროდ აღიარებისათვის აწამა ევსტათი და მისი ოჯახის ყველა წევრი: ცოლი თეოპისტია, შვილები აღაპი და თეოპისტე.

ევსტათისა და მისი ცოლ-შვილის წამების შესახებ პაგიოგრაფიული თხზულება ბერძნულად ადრე დაიწერა, ხოლო ძველი კომენური „წამების" საფუძველზე სიმეონ ლოღოთეტმა XI ს. ბოლოს შეადგინა „წამების" მეტაფრასული რედაქცია. ქართულად ძველი კომენური ტექსტი თარგმნილია ორჯერ: ჯერ უცნობი მთარგმნელის მიერ (დაახ. X ს-ში, Sin. 25, 206-231 (ბოლონაკლული); Ath. 28, 1003 წ., ფ. 65-87), ხოლო მეორედ ეფთიმე მთაწმიდელის მიერ (Ath. 17, XI ს., 103-115), როგორც ეს აღნიშნულია ეფთიმეს „ცხოვრებაში" (ძეგლები II, 64, 13). მეტაფრასული რედაქციის „წამებაც" ქართულად ორჯერ არის ნათარგმნი: პირველად უცნობი მთარგმნელის მიერ (დაახ. XI ს. I ნახევარში, ქუთ. 4, 1565 წ., 225-248; S–384, XI-XII სს., 159-192; Ier. 18, XIII-XIV სს., 96-119; და სხვ. გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: „ძველი მეტაფრასული კრებულები", 1986, გვ. 364-387), ხოლო მეორედ – თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ XII ს. II ნახევარში (Ath. 20, XI ს., 138-151). ხსენების დღე – 20 სექტემბერი. ევსტათი მთავარმოწამის სახელზეა აშენებული სოფ. ერთაწმიდის (ყასპის რაიონი) ეკლესია. თვით სოფლის სახელიც მიღებულა „ესტატ-წმიდისაგან" (ა. შანძე).

ევსტათი მცხეთელი – ქართული ეკლესიის წმინდანი, მოწამე, ერთეულებით სპარსელი, რომელიც მცხეთაში ჩამოვიდა 544 წ. და მონათლა სამეფო ქართლის კათოლიკოსის მიერ. ევსტათი, რომელსაც გაქრისტიანებამდე გეორგან-

დაკი ერქვა და სპარსელი მოგვის შვილი იყო, ჯერ კიდევ სპარსეთის ქ. განძაკში ცხოვრების დროს გაეცნო ქრისტიანული სარწმუნოების შინაარსს და გადაწყვიტა ქრისტიანი გამხდარიყო. 30 წლის ევსტათი მცხეთაში ჩამოვიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ქრისტიანი გახდა და ქრისტიანი ცოლი შეირთო. რამდენიმე წლის მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ ევსტათი მცხეთაში მცხოვრებმა სპარსელმა მაზდეანებმა მცხეთის სპარსელ ციხისთავთან დაასმინეს, რომ ევსტათიმ მამა-პაპისეულ სარწმუნოებას ულალატა. ციხისთავმა ევსტათი და კიდევ 7 გაქრისტიანებული სპარსელი თბილისში მარზპანის არვანდ გუშნასპის წინაშე წარადგინა. ისინი დილეგში ჩაყარეს. როდესაც მარზპანი სპარსეთში გაიწვიეს, ქართლის კათოლიკოსისა და დიდებულების თხოვნით მარზპანმა წაყელის წინ პატიმრები გაანთავისუფლა. სამი წლის შემდეგ ქართლში შემოსული ახალი მარზპანის, ვეჟან ბუზმირის წინაშე ევსტათი ისევ დასმინეს და დაუპატიმრეს. მარზპანის ყოველგვარი ცდა, ევსტათი ისევ მაზდეანობაზე გადმოებრძანა, უნაყოფო გამოდგა. მისი ბრძანებით ევსტათის თავი მოკვეთეს დაახ. 550 წ. ევსტათის მოწამეობას მისმა თანამედროვე უცნობმა საეკლესიო მწერალმა მიუძღვნა ჰაგიოგრაფიული თხზულება „მარტყოლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“, რომელშიც კარგად არის აღწერილი VI ს. ქართლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. თხზულება სანდო პირველწყაროა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. თხზულებაში კარგად არის წარმოდგენილი ანტი-მაზდეანური პოლემიკა და ბიბლიური წიგნების ეგზეგეტიკური პერიფრაზი. ევსტათის „წამების“ უძველესი ხელნაწერი (H 341) XI ს-ისა. გამოცემულია რამდენჯერმე: პირველად გამოცემულია (1882 წ.) მ. საბინინის: „საქართველოს სამოთხეში“ (გვ. 313-322), ხოლო შემდეგ (1962 წ.) „ჰაგიოგრაფიული ძეგლების“ I წიგნში (გვ. 30-45). უკანასკნელი გამოცემაა ე. ჭელიძის „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა“ (თანამედროვე ქართული პარალელური თარგმანითა და კომენტარებით), I, თბ., 2005, გვ. 310-345, 346-462. თხზულება გერმანულად თარგმნა ივ. ჯავახიშვილმა (ურ. Sitrungsberichte der k nig. preussischen Akademie der Wissensehaften u Berlin, 1901), ხოლო რუსულად – მ. საბინინმა (Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, 1872, с. 79-91). საქართველოს ეკლესია ევსტათის 29 ივლისს მოიხსენიებს.

ევსტათი სვინქლიტიკოსი – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. ევსტათის ერთი მოკლე ჰაგიოგრაფიული თხზულება „ღუაწლი წმიდისა ალექსანდრე ხუცისა, სიძჱ შინა წამებულისა“, თარგმნილია ქართულად (ქუთ. 2, XVI ს., 205-215).

ევსტოქიოს მოწამე – ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (286-310) მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს. თავდაპირველად ევსტოქიოსი იყო წარმართების ქურუმი, შემდეგ იწამა ქრისტე, მოინათლა ანტიოქიის ეპისკოპოსის – ედოქსის მიერ და ხუცესმონაზვნად ეკურთხა. მან მოაქცია თაყისი დისშვილი გაიანოსი და ყრმები: პროეოსი, ლული და ურბანოსი. იმპერატორის მეომრებმა ისინი შეიპყრეს და გალატელთა ქ. ანკვირიაში ჩაიყვანეს, სადაც ყველა მათგანს თავი მოჰკვეთეს.

ევსტოქიოსისა და მასთან ერთად წამებულთა „წამების“ მეტაფრასული თხზულება, შედგენილი იოანე ქსიფილინოსის მიერ XI ს. მიწურულში, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში ბერძნულიდან (ქუთ. 3, XVI ს., 223-227). ხსენების დღედ ქართული თარგმანის მიხედვით 22 ივნისია დასახელებული, თუმცა სხვა წყაროებში 23 ივნისი გვხვდება, მათ შორის, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქარშიც“.

ევსტრატი მონაზონი – რუის-ურბნისის 1105 წ. საეკლესიო კრების მონაწილე, ქართული წყაროებით უცნობი პირი. როგორც ჩანს, ევსტრატი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე ყოფილა, რადგანაც მისი მოსახსენებელი კრების სინოდიკონში ჩაწერილია ქართლის კათოლიკოსის – იოანეს მოსახსენებლის შემდეგ და გიორგი მწიგნობართუხუცესის მოსახსენებლის წინ: „წმიდისა ბერისა და სულიერისა მამისა ჩუენისა ევსტრატი მონაზონისა მრავალმცა არიან წელნი“ (ძეგლისწერა, გვ. 195). შესაძლებელია, ევსტრატი იყოს ამ პერიოდში ჩამოყალიბებული საეკლესიო თანამდებობის „მოძღვართ-მოძღვარის“ პირველი წარმომადგენელი.

ევსტრატი მოწამე – ეწამა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს სომხეთის სებასტიაში. ევსტრატი იყო ქ. სატალიონის მმართველი და მხედართუფროსი და ფარულად აღიარებდა ქრისტეს. როდესაც მან იხილა არაბეთის ეკლესიის ხუცესმონაზონის, აქვსენტის წამება და სიმტკიცე, მან აშკარად აღიარა ქრისტიანობა. ევსტრატი აწამეს და შემდეგ დაწვეს. მისი წამების მხილველებმა ეგეგინიმ, მარდარიმ

და ორესტიმ მიბაძეს ევსტრატის და მათაც მილის მოწამებრივი სიკვდილი. ევსტრატის მიერ წამების წინ წარმოთქმული ლოცვა: „დიდებით გაგიდე შენ, უფალო", მართლმადიდებლურ ეკლესიაში იკითხება შაბათის, შუაღამის „ჟამზე".

ევსტრატისა და მის თანამოღვაწეთა შესახებ სვიმეონ ლოღოთეტის მიერ ბერძნულად შექმნილი მეტაფრასული „წამება" (X ს. ბოლოს) ქართულად თარგმნილია ორჯერ: პირველად ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 95, XI ს., 1117-1158; Sin. 11, X ს., 34-65; H 1347, XI-XII სს., 159-173 და სხვ.), ხოლო მეორედ — უცნობი მთარგმნელის მიერ (A 128, XII ს., 306-323). მოწამეთა ხსენების დღე — 13 დეკემბერი.

ევსტრატი ნიკიელი (†1117 წ.) — ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ნიკიის მიტროპოლიტი XI ს. ბოლოსა და XII ს. დასაწყისში. ქართულად თარგმნილია ევსტრატის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან შედგენილი მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების განხეთქილების ისტორია — „მოსაკუნებელი გამოკრებული, თუ ოდეს პრომნი და ეკლესიაჲ მათ და რაჲსათჳს სალმრთოთა აღმოსალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს" (A 64, 374-380; ქუთ. 23, 436-445; S 2951; A 267 და სხვ.).

ევსტრატი ხუცესი — ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი VI ს. II ნახევარში, კონსტანტინეპოლის აია სოფიის ხუცესი, მოწაფე ეუტიქი კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა (552-582). იგი წარმოშობით ყოფილა მელიტინელი. ევსტრატის ნაშრომებიდან ქართულად თარგმნილია ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება: 1. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ დიდისა და სამგზის სანატრელისა ეუტჳი კონსტანტინეპოლელ მამამთავრისა" (ქუთ. 7, XIII ს. 77-158); 2. „ცხორებაჲ და მოღუაწებაჲ ნეტარისა გულანდუხტისაჲ სპარსეთს (A 95, XI ს. 323-333; Ath. 8, X ს., 358-368; გამოც. კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 197-259).

ევსტრატი ხუცესმონაზონი — ათონის მთის იერთა მონასტრის დეკანოზი XI ს. II ნახევარში. ევსტრატის გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი სინაქსარის" ერთი Ath. 130 ნუსხა 1068-1071 წლებში, როგორც ეს დადასტურებულია ხელნაწერის ანდერძში: „ჟამსრულდა სუნაქსარი ესე-ქლითა... ევსტრატი დეკანოზისაჲთა, ბრძანებითა გიორგი ოლთისარისათა, რომელმან დამწერინა მამასახლისობასა მისსა... დაწერა ესე წიგნი მთას წმიდასა ათონს, საყოველსა ღუთისმშობლისასა და შესაფერებელსა ნაუსაყუდელსა ჩუენ ყოველთა ქართველთასა, მეფობასა დეგენისასა და აღმოსავლეთს ბაგრატისასა და ძისა მათისა გიორგისა... ქლითა ჩემ გლახაკისა ევსტრატი ხუცეს-მონაზონისაჲთა".

ევსუქი — ქართლის კათოლიკოსი IX ს. ბოლოს (საქრ. კალენ. მიხედვით 887-901) „მოქცეაჲ ქართლისა"-ში ევსუქი უკანასკნელი კათოლიკოსების სიაში დასახელებულია რიგით მეოთხმეტედ (ძეგლები I, 97, 36).

ევსუქი იერუსალიმელი — V ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. ევსუქი იერუსალიმელის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია ოთხი პომილია: 1. „თქუმული ვითარ... ყოფელ არს გამოკულეად ძალისა ფსალმუნთაჲსა" — თხზულება დამოუკიდებლად თარგმნილი არ არის, მაგრამ მისი ნაწყვეტები მოიპოვება ეფრემ მცირის შრომებში; 2. „შესხმა ხარებისათჳს... ღმრთისმშობელისა", თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (ქუთ. 2, XVI ს., 282-285, ქუთ. 8, XIII ს., 147-149 და სხვ.). 3. „თუესა თებერჳალსა ბ. დღესა, რომელსა მიიქუა სუმეონ მკლაჲთა თჳსთა ზედა უფალი" (A 95, XI ს., 401-405; Ath. 80, 39-41). ამ პომილიის მცირედ განსხვავებული თარგმანი — A 1109, 36-38. 4. „მკუდართა აღდგომისათჳს"— (A 1109, 70-76; Jer. 4, 57-65).

ევტვიქი (ეტუკი) — მონოფიზიტური მწვალებლური მოძღვრების მამამთავარი, კონსტანტინეპოლის ეკლესიის არქიმანდრიტი V ს. I ნახევარში. ევტვიქი სარგებლობდა ალექსანდრიის პატრიარქის დიოსკორეს და ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი II-ის მხარდაჭერით. ეფესოში მოწვეულმა ეგრეთწოდებულმა „ავაზაკურმა" კრებამ 449 წ. განკვეთა მართლმადიდებლობის დამცველი ფლაბიანე კონსტანტინეპოლელი, ხოლო ევტვიქი გაამართლა. რომის პაპმა ლეონ დიდმა გაუმეპებლად გამოაცხადა ეფესოს 449წ. კრების დადგენილებები, ხოლო დიოსკორე ალექსანდრიელ ეკლესიისაგან განკვეთა. თეოდოსის გარდაცვალებამ (450 წ.) საქმე მართლმადიდებლური ეკლესიის სასარგებლოდ შემობრუნა. დედოფალმა პულქერიამ და თანამმართველმა მარკიანემ სასტიკად გაილაშქრეს ევტვიქის მოძღვრების — მონოფიზიტობის წინააღმდეგ. 451 წ. ქალკედონის IV მსოფლიო კრებამ შეაჩვენა მონოფიზიტობა და ეკლესიიდან განკვეთა ევტვიქი და მისი მფარველი დიოსკორე ალექსანდრიელი.

ევტვიქი კონსტანტინეპოლელი — კონსტანტინეპოლის პატრიარქი 552-565 და

577-582 წწ. დაიბადა ფრიგიაში. პირველდაწყებითი ქრისტიანული განათლება მიიღო პაპისაგან, რომელიც მღვდელი იყო. 12 წლისამ სწავლა გაგრძელა კონსტანტინეპოლში. ყმაწვილობაშივე აღიკვეცა მონაზვნად ამასიის ერთ მონასტერში. მალე იგი ამასიის მონასტრების არქიმანდრიტი გახდა, ხოლო 552წ. პატრიარქის კათედრაზე აიყვანეს. იგი კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრების სამწადიოს ესწრებოდა ავად გამხდარი ამასიის მიტროპოლიტის ნაცვლად. მას კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მინამ (536-552) უწინასწარმეტყველა პატრიარქობა. ეუტეჭის პატრიარქობის დასაწყისში, 553 წ. მისივე თაოსნობით მოწვეულ იქნა V მსოფლიო საეკლესიო კრება. ეუტეჭი თავგამოდებით იბრძოდა მწვალებლობა წინააღმდეგ, რისთვისაც ოსტინიანე იმპერატორის რისხვა დატყდა თავს. მისი ბრძანებით იგი ტაძარში დაატყვევეს, სპატრიარქო სამოსელი ჩამოახდეს და ექსორიობაში გაგზავნეს ამასიის მონასტერში (656 წ.), სადაც მან მრავალი სასწაული მოახდინა და წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოვდა. 577 წ. იოანე სქოლასტიკოსის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინეპოლის კათედრაზე დაბრუნდა 12 წლიანი გადასახლების შემდეგ და კიდევ 5 წელი მწყსიდა სამწყსოს. ეუტეჭი კონსტანტინეპოლელის „ცხოვრება“ აღწერა მისმა მოწაფემ, ანა-სოფიის ხუცესმა ევსტრატიმ (იხ.) ეუტეჭის გარდაცვალებიდან ახლო ხანებში, ხოლო ქართულად თარგმნილია დაახ. X II ს. შუა წლებში (ქუთ. 7, XIII ს., 77-158). ხსენების დღე – 6 აპრილი.

ეპტეიძიანელები – იხ. მონოფიზიტობა.

ეპტროპი მოწამე – ეწამა ქრისტესთვის დაახ. 308 წელს პონტოს ქ. ამასიაში, ძმასთან – კლეონიკესთან და თავის მეგობარ ევასილისკოსთან (თეოდორე ტირონის ძმისწული) ერთად. როდესაც თეოდორე ტირონი აწამეს, მაშინ ეუტროპი, კლეონიკე და ევასილისკოსი ქრისტიანობის აღიარებისათვის ციხეში იმყოფებოდნენ. ეუტროპი და კლეონიკე ამასიის მმართველის, ასკლეპიოდოტის ბრძანებით ჯერ ცეცხლზე გაატარეს 3 მარტს, ხოლო ევასილისკოს თავი მოკვეთეს ქ. კომანაში 22 მაისს. ქართულად XII ს. შუა წლებში თარგმნილია ამ მოწამეთა ერთობლივი „წამება“ (ქუთ. 2, XVI ს., 40-57) იოანე ქრისტეწინოსის მიერ XI ს. ბოლოს ბერძნულად დაწერილი მეტაფრასული თხზულებიდან. მათი ხსენების დღე 8 მარტს არის დადებული (ევასილისკოსისა – დამატებით 22 მაისსაც).

ეუფემიანე – რომელი წარჩინებული და ქრისტიანი IV ს. შუა წლებში, მაშა წმ. ალექსისა (იხ.), „ძედ ღმრთისად“ წოდებულისა († 411). კიმენური რედაქციის ერთი საგოგრაფიული თხზულება, რომელიც ქართულად თარგმნილია X ს-მდე (A 95, XI ს., 549-557), ეძღვნება წმ. ალექსის და მისი მამის – ეუფიმიანეს „ცხოვრებას“: „ცხორებაჲ ეუფემიანესი და ძისა მისისა ალექსისი“. მათი ხსენების დღე 18 მარტია.

ეუფემია მთავარმოწამე – ეწამა ქრისტესთვის ქ. ქალკედონში 304 წ. ახლო ხანებში. ეუფემია იყო ქრისტიანი მშობლების შვილი (მამამისი სენატორი იყო). ქალკედონის მმართველის, პრისკის მიერ ქრისტიანთა დევნის დროს ეუფემია შეიპყრეს სხვა 48 ქრისტიანთან ერთად, რომლებიც ფარულად იყვნენ შეკრებილნი ერთ სახლში და თავს არიდებდნენ წარმართთა ღმერთსაწყალზე კრებებისადმი იძულებით მსხვერპლის შეწირვას. ქალკედონის მმართველმა, დაინახა რა ქრისტიანთა სიმტკიცე, ყველანი დიოკლეტიან იმპერატორის სამსჯაროზე გაგზავნა, ხოლო ეუფემია დაიტოვა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, რომლის წარმართობაზე მოქცევის იმედი აჭონდა. ეუფემიამ ღვთის წყალობით ყოველგვარ ტანჯვას გაუძლო და ბოლოს თვით შესთხოვა ღმერთს სიკვდილი. ბოლოს, ცირკის არენაზე დათვის უბრალო ნაკაწრის გამო სისხლისაგან დაიცალა და სული განუტევა. მისი გვამი დაასაფლავეს ქალკედონის მახლობლად, სადაც შემდეგ აგებული იქნა მთავარმოწამე ეუფემიას ტაძარი, რომელშიც იმართებოდა 451 წ. ქალკედონის მსოფლიო IV კრების სხდომები. სპარსელების მიერ 617 წ. ქალკედონის დაპყრობის შემდეგ, 620 წ. ეუფემიას წმ. ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. ხატმებრძოლობის მწვალებლობის დროს მისი ლუსკუმა ზღვაში გადაგდეს, მაგრამ ღვთისმოსავმა მეზღვაურებმა ამოიღეს. შემდეგ ეუფემიას წმიდა ნაწილები კუნძულ ლემნოსზე აღმოჩნდა, ხოლო 796 წ. კონსტანტინეპოლში დაბრუნეს.

ეუფემიას შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულება ბერძნულად ადრეე შეიქმნა. დაიწერა ადრეეე ეუფემიას წმ. ნაწილების პოვნისადმი მიძღვნილი ჰომილია (კონსტანტინე ტიროელ ეპისკოპოსისა). ორიეე თხზულება ქართულად ადრეეე ითარგმნა (A 382, XV ს., 337-340; Ier. 2, XI ს., 37-45 და სხვ. ჰომილია Ath. 7, XIII ს.), 233-242. სვიმეონ ლოღოთეტმა, ზედწოდებით მეტაფრასტმა, XI ს. ბოლოს შეადგი-

ნა ეფემიას მეტაფრასული „წამება“, რომელიც ქართულად ორჯერ ითარგმნა: თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ XI ს. II ნახევარში (Ath. 20, XI ს., 175-184) და უცნობი მთარგმნელის მიერ (კუთ. 4, 1565 წ. 197-207; A 70, XIII ს., 406-416 — გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: „ძველი მეტაფრასული კრებულები“, გვ. 333-343). ეფემიას ხსენების დღად დადებულია 16 სექტემბერი, ხოლო მისი წმ. ნაწილების პოვნისა — 11 ივლისი.

ეფთვეიოს // ეფთიმიოს კათოლიკოსი — ქართლის კათოლიკოსი დაახ. 1298-1310 წწ. ეფემიოსის აღსა ჩაწერილია სინის მთის ქართველთა მონასტრის ალაბებში (Sin. 77, XIV ს., 244).

ეფროსინე ალექსანდრიელი — ალექსანდრიელი მონაზონი ქალი V საუკუნეში. დაიბადა ცნობილი გვარის ღრმად მორწმუნე ქრისტიანთა ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა და აღზარდა მამამ — პაფნუტიმ. მამამისი ხშირად დადიოდა მონასტერში, რომლის წინამძღვარი იყო მისი სულიერი მოძღვარი. როდესაც ეფროსინე 18 წლის შეიქნა, მამამ გადაწყვიტა მისი გათხოვება, მაგრამ ეფროსინემ მონაზვნური ცხოვრება აირჩია, სახლიდან გაიპარა და მონაზვნის ჩოხა შეიმოსა. მამას რომ იგი ქალთა მონასტერში არ ეპოვა, მამკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა და საჭურის იზმარაგდის სახელით მივიდა იმ მამკაცთა მონასტერში, რომელშიც მამასთან ერთად ხშირად დადიოდა. მონაზვნებმა იგი ვერ იცნეს და მიიღეს მონასტერში. ეფროსინემ განმარტოებულ სენაკში 38 წელი გაატარა და მარხვა-ლოცვებით დიდ სულიერ სრულყოფილებას მიაღწია. მამამისი დიდ მწუხარებაში იყო ერთადერთი შვილის დაკარგვის გამო და მონასტრის წინამძღვრის რჩევით ხშირად საუბრობდა ნუგეშის მისაღებად მონაზონ იზმარაგდთან. გარდაცვალების წინ ეფროსინე გამოუტყდა მამას, სთხოვა საიდუმლოება დაეცვა და მისი გვამი მხოლოდ მას მოეშზადებინა დასაფლაებისათვის. პაფნუტიმ დასაფლავა ქალიშვილი, თავისი სიმდიდრე დარიბებსა და მონასტერს დაუნაწილა, მონაზვნად აღიკვეცა და სიკვდილამდე 10 წელის განმავლობაში დაეყუდა იმ სენაკში, სადაც მისი ქალიშვილი ცხოვრობდა. ეფროსინეს და მამამისის — პაფნუტის „ცხოვრების“ კიმენური თხზულება, რომელიც ბერძნულად არის შექმნილი, თარგმნილა ქართულად X ს-მდე, რადგან მოიპოვება X ს. და XI სს. ხელნაწერებში (A 95, XI ს., 1239-1246 და Ath. 3, X ს., 166-173). ეფროსინე ალექსანდრიელის „ცხოვრების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც XI ს. ბოლოს სიმეონ მეტაფრასტმა დაწერა, ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: პირველად XI ს. II ნახევარში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, XI ს., 83-90), ხოლო მეორედ — დაახლ. ამავე ხანებში უცნობი მთარგმნელის მიერ (კუთ. 4, 1565 წ. 273-288; გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: „ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები)“, თბ., 1986, 418-426).

ეფესელიძე ქესარია-ქაჯაძუკიელი — ენამა იელიანე განდგომილის (361-363) მეფობის დროს, 362 წ. ეფესელი იყო წარჩინებული ქრისტიანული ოჯახიდან. იგი დაქორწინდა ქრისტიანული ქორწინებით. საქორწინო ცერემონიალის დროს წარმართებმა დიდი ზეიმი გამართეს ფორტუნას ტაძარში, რომლის თაყვანმოდებული თაყვანისმცემელი იყო იელიანე იმპერატორი. ეფესელიძემ შეკრიბა ქრისტიანები და წარმართების ტაძარი დანგრია. იცოდა რა, რომ იმპერატორის რისხვას ვერ გადაურჩებოდა, მან მთელი თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა და მონამებრივი აღსასრულისათვის მოემზადა. იმპერატორმა დარბია ქალაქი, აწიოკა ქრისტიანები, ხოლო ეფესელიძის თავი მოკვეთა. იელიანე განდგომილის სიკვდილის შემდეგ კესარიელმა ქრისტიანებმა ეფესელიძის საფლავზე შესანიშნავი ტაძარი ააგეს. ეფესელიძის „წამების“ მეტაფრასული თხზულება ბერძნულიდან თარგმნილია ქართულად (კუთ. 7, XIII ს., 185-187). მოწამის ხსენების დღედ 6 აპრილია დადებული.

ექვარისტია (ბერძ. „მადლობა“) — ქრისტიანული ეკლესიის ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, ქართული „ზიარების“ ბერძნული შესატყვისი (იხ. ზიარება და ჟამისწირვა).

ეზდერიოს (ისიდორე) სამთავნელი — იოანე ზედაზნელის მოწაფე, VI ს. შუა წლებში სირიიდან (ანტიოქია) ქართლს ჩამოსული ერთი ცამეტ მონაზონთაგანი. იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეებში გაგზავნა: „წარვედით და განამტკიცებდით ქრისტეს სჯწყსოსა“ (ძეგლ. I, 207). ეზდერიოსი დაემკვიდრა „ჭალაკას სამთავისისასა“ (იქვე) და იქ სამონასტრო ცხოვრება გააჩაღა (გეიანდელ წყაროებში ეზდერიოს ისიდორედ მოიხსენიებენ).

ეზეკიელი — ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი ძვ. წ. VI ს-ში. იერუსალიმის დაცემის შემდეგ (587 წ.) გაღა-

უსახლებიათ ბაბილონში. ეზეკიელის წინასწარმეტყველება ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნია. მასში ნაწინასწარმეტყველებია იუდეველთა მტრების დამარცხება, ნაწყვეტებია აღდგენილი იერუსალიმი და მხითხებულია მესიის მოელინებაზე. „წინასწარმეტყველება ეზეკიელისი" ბიბლიის ძველი ალთქმის შემადგენლობაში თარგმნილია ქართულად. უძველესი ხელნაწერია „ოშკის ბიბლია" (Ath. I, 978 წ.; გამოც. თ. ცქიტიშვილის მიერ: „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები", თბ., 1976 წ.).

ეზეკიელი — მაცი მთის სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრის XI ს. II ნახევრის ქართველი მონაზონი. ეზეკიელი მოხსენიებულია ამ მონასტერში გადაწერილი სვიმეონის დღის — მართას „ცხოვრების" ქართული თარგმანის ანდერძში: „წმიდაო დედაო მართა, მეოხ გუყოფ წინაშე ღმრთისა თეოდორეს ცოდვილსა (გადაშწერი) და ძმათა ჩუენთა ეზეკიელს და ეფრემს (მცირე; A–142, 53).

ეზო ექლესიისა — იხ. სტოა/სტოა.

ეზოტერული (ბერძნ. „უფრო შინაგანი") — რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი, რომლითაც აღინიშნება საიდუმლო რელიგიური მოძღვრება; საიდუმლო, რომელიც დაფარულია უმრავლესობისათვის და მისაწვდომია მხოლოდ რჩეულთათვის, სულიერთათვის.

ეზრა// ეზდრა — ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნში (ნეშტთა, ეზრასა და ნეემიასი) მოხსენიებული ბაბილონელი ებრაელი მღვდელი, რომელიც არტაქსერქსე I-ის ნებართვით ძვ. წ. 458 წ. ბაბილონიდან იუდეაში დაბრუნებულა. ეზრამ იუდეის მმართველ ნეემიასთან ერთად მრავალი რელიგიური და ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. ეზრას ძველი ალთქმის წიგნების ებრაული ტექსტის დადგენა-კანონიზაცია განუხორციელებია. ეზრას მიერ გამოცემული ერთ-ერთი დეკრეტი კრძალავდა იუდეველთა ქორწინებას სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. იგი ცდილობდა იუდეაში თეოკრატიული რეჟიმი დაემყარებინა. არსებობს ეზრას აპოკრიფული წიგნები („წიგნი ეზრა ზორაბაბელისა", ანუ „წიგნი შეორე ეზდრასი" და „წიგნი ეზრა სუთიელისა", ანუ „წიგნი მესამე ეზდრასი"; გამოც. ც. ქურციკიძის მიერ: ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ., 1970, გვ. 13-109, 320-414).

ეზრა — X ს. ქართველი პიმნოგრაფი. მიქაელ მოდრეკილის საგალობლთა კრებულში (S 425, X.) დაცულია ეფთვიმე პალესტინელისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომლის აკროსტიქი (კიდურწერილობა) ასე იკითხება: „ეზრა, ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეკ მისი მარად, ამენ". საფიქრებელია, რომ საგალობლის ავტორი ეზრა იგივე პირია, რომელიც გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაშია" მოხსენიებული: „ეზრა, ღირსი ანჩელი მამამთაური, ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაჟანჩელთა შვილი".

ეზრა ანჩელი — ანჩის ეპისკოპოსი XI ს. I ნახევარში, ბაგრატ IV-ის ცენტრალისტური პოლიტიკის აქტიური მომხრე. ბიზანტიის აგრესიის დროს ეზრა ანჩელი და სხა მტბევარი მეთაურობდნენ შავშეთ-ქლარჯეთის დაცვის ორგანიზაციას, გაამაგრეს ეს მხარე და მტერს არ მისცეს ქვეყნის დაპყრობის საშუალება. ეზრას ბრძანებით უნდა იყოს დამზადებული 1035 წ. დაეით და იოანე ჯიბისძეების მიერ შატბერდის მონასტერში ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის დაეითნის განმარტება (Ath. 135): „ბრძანებითა ეზრა მამამთავრისა... დაეწერე ქ(ს)ა სნე-ს" (1035 წ.).

ეზრა დაყუდებული (ქობულიანის ძე) — X ს. II ნახევრის სინის მთის ქართველი მონაზონი. მას 979 წ. კვირილე მიძნაძორელის დავალებით გადაუწერია სახარების ნაწილი — მათესა და მარკოზის თავები (Sin. 30). აქ ეზრა ქობულიანის ძედ იხსენიება. იოანე-ზოსიმეს ანდერძებში ხშირად იხსენიება ეზრა, რომელიც იგივე „პატიოსანი მღდელი ეზრა დაყუდებული" უნდა იყოს, როგორც იგი ზემოდასახელებული ხელნაწერის ანდერძშია მოხსენიებული.

არსებობს აზრი, რომ „ეზრა დაყუდებული" უნდა იყოს მიქაელ მოდრეკილის ადგარში (S 425) და Jer. 42 შეტანილი ეფთვიმე დიდის საგალობლის ავტორი.

ეზრა მთაწმიდელი — XI ს. ქართველი პიმნოგრაფი, ათონის მთის იერთა მონასტრის მოღვაწე. ეზრას 1044–1074 წწ. შეუთხზავს საგალობელი იოანე მთაწმიდელის სახელზე, რომელშიც ეფთვიმე მთაწმიდელიცაა შექებული. საგალობლის შინაარსობრივი ფაქტურა და მხატვრული სახეები გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილ „იოვანეს და ეფთვიმეს ცხორებიდან" არის აღებული (A 558, 325-340, ძეგლები... II, თბ. 1967).

ეზრას მონასტერი — მონასტერი შავ მთაზე, ანტიოქიის (სირია) მახლობლად, რომელშიც ქართველები მოღვაწეობდნენ XI ს. II ნახევარში. ერთი ხელნაწერის (Q 37) ანდერძი ასე იკითხება: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი შავსა

მთასა, სანახებსა წმიდისა სუმეონისა, მონასტერსა მამისა ეზრაასსა... ქრონიკონი იყო ტ“ (300 + 780 = 1080, 316v). 1066 წელსაა გადაწერილი Ier. 75 „მონასტერსა სანატრელისა მამისა ეზრაასსა...“ (კერები, II, გვ. 159-160).

ეთერიოს ეპისკოპოსი – ქერსონეთის ეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში. კონსტანტინე დიდის მეფობაში იერუსალიმიდან ჩავიდა ქერსონეთში (ყირიმი, დღევანდელი ხერსონი) ქრისტიანობის განსამტკიცებლად. მისი წინამორბედი ეპისკოპოსები: ბასილი, ეფრემი, ევგენი, ელპიდი და ალათოდორე რომის იმპერატორთა მიერ გამოცემული ქრისტიანთა დევნის ბრძანების საფუძველზე სხვადასხვა დროს აწამეს ადგილობრივმა წარმართებმა. ეთერიოსის დროს ქრისტიანობა ქერსონეთში უკვე ნებადართული რელიგია იყო. ამიტომ იგი მშვიდობიანად მართავდა სამწყსოს და მან იქ ააშენა ეკლესია. ეთერიოსმა იმოგზაურა კონსტანტინეპოლში, რათა მადლობა ეთქვა კონსტანტინე იმპერატორისათვის ქერსონეთის ქრისტიანთა მფარველობისათვის. უკან დაბრუნებული გარდაიცვალა კუნძულ ამოსზე (სამრძნეთში) 7 მარტს. ეთერიოს ქერსონელის შესახებ პაგოგრაფიული თხზულება ცალკე არ დღერილა. მისი ღვაწლი ჩართულია ქერსონეს წამებული ზეშთაწამოთელილი ეპისკოპოსების „წამებაში“, რომლის ქართული თარგმანი შესრულებულია დაახ. XII ს. შუა წლებში (ქუთ. 2, XVII ს., 105-111; თხზულების რუსული თარგმანი შეასრულა კ. კეკელიძემ, ეტიუდები... IX, 1961, გვ. 248-252). ხსენების დღე – 7 მარტი.

ეთროპანი – იხ. ითრუკანი.

ეკატერინე („შტროისა ასული“) – იერუსალიმის დედათა მონასტრის დედაუკის (ან დერტაეის) წინამძღვარი XI ს.-ში. ეკატერინეს გადაუწერია სეიმეონის ცხოვრება, რომელიც Jer. 33-ში არის შეტანილი.

ეკატირინე – მონაზონობამდე ელენე. მოხსენებულია გელათის სოხასტრის ღვთისმშობლის ხატის 1523-1524 წწ. წარწერაში, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ხატი მოაჯენინა „ელენე-ყოფილ ეკატრინეს“ მეუღლემ მოლარეთუხუცესმა სარგის მხეიძემ თავისი და მეუღლის ცოდვების შენდობისათვის. ეკატირინე ყოფილა იმერეთის მეფის. ბაგრატ III-ის დისშვილი, ამილახორის ამირიდო ზედგინიძის ასული. ასეთივე შინაარსის წარწერა აქეს იმავე მონასტრის ღვთისმშობლის მეორე ხატსაც, რომელზეც გამოსახულნი არიან დაჩოქილ-მეედრებული ეკატირინე ელენე-ყოფილი და მისი მეუღლე სარგისი.

ეკატერინე მთავარმოწამე – ალექსანდრიის მმართველის ქალიშვილი, ეწამა მაქსიმიანე იმპერატორის (305-313) მეფობის დროს. ეკატერინემ ბავშვობიდანვე მიიღო შესანიშნაი განათლება. დედამისი ფარულად ქრისტიანი იყო. მან ქალიშვილი მიიყვანა თავის სულიერ მოძღვართან, რომელიც ქალაქის ახლოს მღვიმეში იყო დაყუდებული. მან ეკატერინეს გააცნო ქრისტიანობის არსი და ისიც მალე ქრისტიანი გახდა და მოინათლა. ამ დროს წარმართთა ერთ-ერთ დღესასწაულზე ალექსანდრიაში ჩამოვიდა იმპერატორი. ეკატერინემ იმპერატორის წინაშე ამხილა წარმართული რელიგიის სიცრუე. ქალიშვილის სილამაზითა და სიბრძნით მოხიბლულმა იმპერატორმა 50 უგანათლებულესი წარმართის შეგონებებით მოინდომა ეკატერინეს წარმართობაზე დაბრუნება, მაგრამ ეკატერინემ ყველა განსწავლული დაამარცხა პაექრობაში, დაარწმუნა ქრისტიანობის უპირატესობაში და მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. რადგან ფუჭი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ეკატერინე არ დაუბრუნდა წარმართობას, იმპერატორმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. ეკატერინეს თავი მოჰკვეთეს. მისი წმ. ნაწილები ანგელოზებმა სინის მთაზე გადაიტანეს. VI ს. გამოცხადებით მოპოვებული იქნა წმინდანის თავი და მარცხენა ხელი, რომლებიც დასვენეს იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) მიერ წმინდანის სახელობაზე აშენებულ წმ. ეკატერინეს ეკლესიაში სინის მთაზე. წმ. ეკატერინეს „წამების“ უძველესი კომპური რედაქცია ბერძნულად აღრე დაიწერა, რომელიც ქართულად ორჯერ არის თარგმნილი X საუკუნემდე (1. Sin. 76, 982 წ., 211-219; H 1374, XI-XII ს., 433-439 და სხვ., 2. A 95, XI ს., 277-289; Sin. 71 (XIII), 201-215); Ath. 28, 1003 წ., 133-155 და სხვ.). ბერძნული კომპური თხზულების საფუძველზე სეიმეონ ლოლოეტმა X ს. ბოლოს შეადგინა ეკატერინეს „წამების“ მეტაფრასული რედაქცია, რომელიც თარგმნილია ქართულად არაუგვიანეს XI ს. დასწყისისა: A 128, XII-XIII, 220-235; S 382, XII-XIII, 11-29; S 384, XI-XII, 856-873 და სხვ.. წმინდანის ხსენების დღედ 24 ნოემბერია დაღებული (ქართულ ხელნაწერში S 384 – 25 ნოემბერი). წმ. ეკატერინეს მონასტერში სინის მთაზე VI საუკუნიდან დაწყებული მრავალი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები. მონასტერში დღესაც დაცულია ასეულობით უნიკალური ქართული ხელნაწერი.

ეკატერინეს მონასტერი — იხ. სინის მთა.

ეკდიკი (ბერძნ.) — იხ. ეკლესიის ბჭე.

ეკი — სოფელი სენაკის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცივის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს, სენაკიდან 12 კმ.

ეკლესია — I. ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებულ-მორწმუნეთა საზოგადება, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ეროვნების ქრისტიანს. მოციქულთა ეპისტოლეებში მორწმუნეთა მთელი საესება (ეკლესია) ქრისტეს სხეულადაა მოხსენიებული (კოლას. I, 24). მოძღვრება ეკლესიის, როგორც ორგანიზაციის შესახებ, ჩამოყალიბდა ადრეულ ქრისტიანულ წერილობით წყაროებში: კათოლიკე (მსოფლიო) ქრისტიანული ეკლესია არის „ერთიანი, განუყოფელი და განუწკვალებელი“ (კვრიანე კართაგენელი, III ს.). ეს აზრი აისახა კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების რწმენის სიმბოლოშიც. მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და ხალხებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შედეგად ჩამოყალიბდა ადგილობრივი ეკლესიები, რომლებიც დამოუკიდებელნი, ე. ი. ავტოკეფალურნი არიან საეკლესიო მართვის საკითხებში, მაგრამ ამავე დროს მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენენ.

2. საეკლესიო ნაგებობა, ტაძარი ღვთისა, „სახლი უფლისა“, რომელშიც იკრიბებიან მორწმუნენი საღვთო მადლის მისაღებად, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა აღსასრულებლად, უფლისადმი ლოცვების აღსავლენად. ყოველი ეკლესია ერთარსება სამპიროვანი ღმერთის სახელებლადაა აგებული, მაგრამ თითოეულ მათგანში განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება ერთი რომელიმე საუფლო დღესასწაული ან წმინდანთა მოსახსენებელი დღე (ე. წ. „ეკლესიის დღესასწაული“), რომლის მიხედვითაც ეკლესიები იწოდებიან ქრისტესშობის, ღვთისგანცხადების, მარტვილის (ე. ი. სულიწმიდის მოფენის), ღვთისმშობლის დღესასწაულების (მიძინების, ხარების, ტაძრად შეყვანების) ან ცალკეულ წმინდანთა სახელებით (მთაყარაგელოზის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. ნინოს, წმ. გიორგის და სხვ.).

საეკლესიო ნაგებობები ფორმის მიხედვით ძირითადად ორგვარია: ბაზილიკა და ჯვარგუმბათოვანი. ბაზილიკა წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის გეგმის მქონე ნაგებობაა. იგი შეიძლება იყოს ერთნავიანი, ორნავიანი, სამნავიანი და ზოგჯერ ხუთნავიანიც. ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ბოძების ან სვეტების რიგით; ცენტრალური ნავი გვერდით ნავებზე მაღალი და განიერია. ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის კომპოზიციის ცენტრალური ნაწილია ჯვრისებური გეგმის მქონე მოცულობა, გადახურული ოთხი ცილინდრული კამარით, ხოლო ეკლესიის ზედა ნაწილი გვირგვინდება ერთი ან რამდენიმე გუმბათით, რომლებზედაც აღმართულია ჯვარი, როგორც ძლევის ნიშანი. ეკლესიის ინტერიერი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: საკურთხეველი, საკუთრივ ეკლესია და სტოა (ნართექსი) კარიბჭითურთ.

ეკლესიათა გაყოფა (ბერძნ. „სქიზმა“) — ქრისტიანული ეკლესიის გაყოფა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებად. ეკლესიათა გაყოფის ძირითადი მიზეზი იყო რომის პაპებსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს შორის საუკუნეების განმავლობაში გაჩაღებული ბრძოლა პირველობისათვის, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შორის არსებული განსხვავება ორგანიზაციის, დოგმატიკისა და ლიტურგიკის საკითხებში. ეკლესიათა გაყოფის, გათიშეის თარიღად მიღებულია 1054 წ. 16 ივლისი, რომლის საბაბად იქცა კონფლიქტი კონსტანტინოპოლის პატრიარქ მიხეილ კერულარიუსსა და რომის კურიას შორის, იმასთან დაკავშირებით, რომ რომის ეკლესიას სურდა სამხრეთ იტალიის სამღვდელოების დამორჩილება. ეკლესიათა გაყოფას საფუძველი ჩაეყარა რომის იმპერიის გაყოფისთანავე, რაც IV ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში შეიქმნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, ხოლო უთანხმოებამ თავი იჩინა 867 წ. პაპ ნიკოლოზ I-ისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტიუსის დროს, ძირითადად ბულგარეთის ეკლესიაზე ზემდგომობის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ უთანხმოება ლიკვიდირებულ იქნა X ს. დასაწყისში.

მიუხედავად 1054 წ. ეკლესიების ოფიციალური გაყოფისა, ეკლესიათა გაყოფა საბოლოოდ მოხდა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, 1204 წ.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო — ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის მოძრაობის (ეკუმენიზმი) ხელმძღვანელი ორგანო. შეიქმნა 1948 წ. ამსტერდამში. საბჭო აერთიანებს მსოფლიოს მართლმადიდებლური და პროტესტანტული ეკლესიების მნიშვნელოვან ნაწილს (1975 წლისათვის — 90 ქვეყნის 280

ეკლესია). მასში შედის: მართლმადიდებლური, ლუთერანული, რეფორმისტული, პრესვიტერიანული, კონგრეგაციონალისტური, ანგლიკანური, ბაპტისტური მეთოდისტური ეკლესიები, ძველკათოლიკური ეკლესია, კვაკერები. 1961 წლიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი გახდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ცოტა მოგვიანებით — ქართული მართლმადიდებლური და სომხეთის გრიგორიანული ეკლესიები, სირკ ეუანგელიკურ-ქრისტიან-ბაპტისტების სრულიად საკავშირო საბჭო, ესტონეთისა და ლატვიის ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიები. საბჭოს რეზიდენცია ჟენევაში აქვს. რომის კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში თავისი მეთვალყურენი ჰყავს. ხარჯების დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების ეკლესიების სახსრებით იფარება. საბჭოს პირველი დამფუძნებელი ასამბლეა (ამსტერდამი, 1948) მიმდინარეობდა კომუნისტური მოძრაობისა და ათეიზმის დაძლეუის გზების ძიების ნიშნით, აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმის ზოგიერთ მხარეს (კერძო საკუთრების პრინციპის ხელშეუხებლად). მომდევნო ასამბლეები შედგა — ევანსტონში (აშშ) 1954 წ., დელში (ინდოეთი) 1961 წ., უფრასაში (შვეიცია) 1968; ნაირობში (კენია) 1975 წ. 1979-1983 წწ-ში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. აშკარად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გამოსულია ამ მოძრაობიდან.

ეკლესიასტე — ძველი ალთქმის ერთ-ერთი წიგნი. ბერძნული სახელი წარმოადგენს ებრაული „კოჰელეტის" თარგმანს და უნდა ნიშნავდეს „შესკრებელში მქადაგებელს". ეკლესიასტეს ავტორად ტრადიციულად სოლომონ შეუეს (დაახ. ძვ. წელ. 1020-980) ასახელებენ, მაგრამ წიგნი ბეურად უფრო გეიან უნდა იყოს დაწერილი, დაახ. ძვ. წ. VIII ს-ში. ეკლესიასტე შეიცავს შინაარსობრივად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სენტენციებისა და აფორიზმების 12 თავს. კრებული „სიბრძნის ლიტერატურის" ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს. ავტორის აზრით, ცხოვრება ამაო და წარმავალია, ფუჭია სიმდიდრე, შვება და შრომა, ბრძენსა და უგუნურსაც ერთი ბოლო აქვთ. ავტორი სენტენციებში მოუწოდებს ამქეყნიური ცხოვრებით ტკბობისაკენ. გეიანდელ იუდეისტურ ლიტერატურაში ამ ძველში გამოელენილი თვალსაზრისი უარყოფითად იყო შეფასებული. ძველი ალთქმის სხვა წიგნებთან ერთად,, ეკლესიასტე" ქართულად ადრევე იყო თარგმნილი. უძველესი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, X ს. ოშკის ბიბლიაა, (Ath. 1, 978 წ.), რომელიც „ეკლესიასტესაც" შეიცავს.

ეკლესიის ბჭე — დამცველი, ეკლეკოსი, ეკლესიის ნაფიცი ექვსი, რომლის მოვალეობა იყო საეკლესიო საქმეების დაცვა და შუამდგომლობა ამ საქმეთა გამო. 419 წ. კართაგენის ადგილობრივმა კრებამ (75-ე და 97-ე კანონები) შუამდგომლობა აღძრა მეფეთა წინაშე ბრძენ მსაჯულთა დადგინების შესახებ. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს თეოდოსი და პონორიუს იმპერატორებმა. ყოველ საეპისკოპოსო კათედრასთან დადგენილ იქნა განსაკუთრებული დამცველი ეკლესიანი, რომელსაც ირჩევდნენ: ეპისკოპოსები, სამღვდელოება და გამორჩენილი მოქალაქენი. პატრიარქს ჰყავდა რამდენიმე ეკლეკოსი, რომელთა შორის უპირველესს პროტეკდიკოსი ეწოდებოდა. ეკლეკოსის შესაკუთრად ქართულ თარგმანებში, გარდა „ეკლესიის ბჭე"-სი, შეიძლება შეგეხვდეს „ეკლესიის განმგებელი", „ეკლესიის თანამფლობელი".

ეკლესიის კურთხევა — იხ. ატურება.

ეკლესიის მამები — ქრისტიანული ეკლესიის დოგმატიკისა და ორგანიზაციის შემქმნელი ცნობილი მოღვაწეების (II-VIII სს.) ტრადიციული სახელწოდება. მართლმადიდებლური ეკლესიის მამებად იწოდებიან: ათანასე ალექსანდრიელი, ბასილი დიდი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, იოანე დამასკელი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვ.; კათოლიკურ ეკლესიაში — ამბროსი მედიოლანელი, აგუსტინე ნეტარი, იერონიმე. გრიგოლ I დიდი და სხვ.

ეკლესიის მსახურნი — ეწოდებათ მართლმადიდებლური ეკლესიის დაბალი იერარქიის მსახურთ (კლერიკოსებს): კერძოდ:კანონს, წიგნისმკითხველს, მგალობელს და კანდელაკს, რომელთაც არა აქვთ სამღვდელო მადლი და ხელდასხმულნი არიან ქიროტესიის წესით.

ელადეს მანგლელი — მანგლისის ეპისკოპოსი V-VII სს. „ელადეს მანგლელი ეპისკოპოსი" მოიხსენიება აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის შესამე ეპისტოლეში კირონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, გე. 139), რომელიც ქართლის სხვა კათოლიკოსებთან ერთად, გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით, დასწერებია დვინის 506 წლის სომეხ-ქართველ-ალბანელთა საეკლესიო კრებას,

მოწეულს ქალკედონის მსოფლიო კრების (450 წ.) დადგენილებების წინააღმდეგ.

ელადიოს კესარია-კაპადოკიელი – IV ს. II ნახ. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი და კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი ბასილი დიდის შემდეგ, ე. ი. 379 წ.-დან. ელადიოსის თხზულებებიდან ქართულად ძველადვე ყოფილა თარგმნილი 6 თხზულება, რომელიც ერთი თხზულების 6 თავად შეიძლება მივიჩნიოთ. ყველა მათგანი ბასილი დიდის მიერ ჩადენილ საკირველებებს აგვიწერს (გარდა მეორე თხზულებისა): 1. „საკურველებათათუს წმ. ბასილის მიერ აეტერესათუს ძმისა მისისა“ (A 95, XI ს., 189-192), 2. გამოჩინებისათუს ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემისი (A 95, 192-195). 3. საკურველებისათუს, რომელი იქმნა წმ. ბასილის მიერ მღდელსა ზედა სოფერინოსს და გონჯას (A 95, 195-198). 4. ყრმისათუს, რომელმან უარყო უფალი ჩუენი... და მსწრაფელ ლოცვითა ბასილისითა მოიქცა (A 95, 198-206). 5. საკურველებისათუს, რომელ იქმნა... ბასილის მიერ იოსებისათუს მკურნალისა პურიადსა (A 95, 206-209), 6. დედაკაცისათუს ცოდვილისა, რომელსა მიეტევნეს ცოდვანი ლოცვითა წმ. ბასილისითა (A 95, 209-212).

ელადის (საბერძნეთის) მართლმადიდებელი ეკლესია – საბერძნეთში აეტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია შედარებით გვიან, XIX ს-ში ჩამოყალიბდა. მანამდე საბერძნეთის მართლმადიდებელი სამწყსო კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო. XIX ს-ის 20-იან წლებში დაიწყო მოძრაობა თურქეთის მიერ დაპყრობილი საბერძნეთის განთავისუფლებისთვის. ბერძენთა აჯანყება წარმატებით დამთავრდა 1832 წელს, როდესაც ევროპის სახელმწიფოების აქტიური ჩარევის შედეგად თურქეთმა ცნო საბერძნეთის დამოუკიდებლობა. მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ბერძენთა განთავისუფლებელ მოძრაობაში. ამ ბრძოლას შეეწირა კონსტანტინეპოლის პატრიარქი გრიგოლ V და რამდენიმე მიტროპოლიტი, რომლებიც თურქებმა ღალატის ბრალდებით ჩამოახრჩვეს. საბერძნეთის ხელისუფლებამ არ ისურვა, საბერძნეთის ეკლესია სახელმწიფოებრიობის ალდგენის შემდეგაც დარჩენილიყო კონსტანტინეპოლის სპატრიარქის დაქვემდებარებაში, რადგანაც ეს ქალაქი კვლავ თურქეთის ფარგლებში რჩებოდა. 1833 წელს ელადის (საბერძნეთის) ეკლესია გამოცხადდა აეტოკეფალურად, სინოდალური მმართველობით (სინოდის შემადგენლობაში შედიდა 5 ეპისკოპოსი და მუე, რომელიც ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა). 1850 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ცნო ელადის ეკლესიის აეტოკეფალია, და მისი სინოდის მუდმივ თავმჯდომარედ დამტკიცა ათენის მთავარეპისკოპოსი. თურქეთს ბატონობისაგან განთავისუფლებული ახალი მიწებით საბერძნეთის ტერიტორიის გაზრდის შედეგად ელადის ეკლესიას შეემატა ახალი ეპარქიები. თურქეთის მიერ 1912 წელს მიტაცებული ჩრდ. საბერძნეთის მართლმადიდებელი სამწყსო 1928 წლამდე კონსტანტინეპოლის სპატრიარქის იურისდიქციაში დარჩა, შემდეგ კი „დროებით“ გადაეცა ელადის ეკლესიას. 1975 წლის კონსტიტუციით მართლმადიდებლობა გამოცხადდა „გაბატონებულ რელიგიად საბერძნეთში“. ეკლესიის მმართველ სინოდში შედის ყველა მოქმედი ეპისკოპოსი; მათგან ირჩევენ „მუდმივი სინოდის“ წევრებს. ამჟამად „მუდმივი სინოდის“ შემადგენლობაში 13 ეპისკოპოსია, მისი მეთაურის, ათენის მთავარეპისკოპოსის ჩათვლით. ოფიციალური სტატისტიკით ამჟამად საბერძნეთის მოსახლეობის 96% მართლმადიდებელია (დაახლ. 9 მილიონი), 1% — კათოლიკეები და პროტესტანტები, 2% — მუსლიმანები. ელადის ეკლესია 80 ეპარქიისაგან შედგება. კრეტის 8 და დოდეკანისუს კუნძულების 4 ეპარქია, აგრეთვე ათონის მთის სამონაზონო რესპუბლიკა და ბერძენ მართლმადიდებელთა დიასპორა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში შედის. მონაზვნობა, რომელიც XIX ს-დან საბერძნეთში თანდათან მცირდებოდა, უკანასკნელ ხანებში კვლავ ადორძინდა. 1986 წელს საბერძნეთის ეკლესიაში 4000 მონაზონი ითვლებოდა. საბერძნეთის ეკლესია ეწევა ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობას (უპატრონო ბავშვთა და მოხუცებულთა თავშესაფარი, საავადმყოფოები და სხვ.), აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ახალგაზდა მთაავარესკოპოსის, ქრისტოდულეს ალსაყდრების შემდეგ (1998 წ.). უმაღლეს საღვთისმეტყველო განათლებას ეშსახურება საბერძნეთის ორი უნივერსიტეტის (ათენისა და თესალონიკის) ღვთისმეტყველების ფაკულტეტები. არსებობს აგრეთვე რამდენიმე სემინარია სამრევლო სამღვდელოების მოსამზადებლად. გამორჩენილ ბერძენ ღვთისმეტყველთა შორის მრავალი საერო პირიცაა.

ელასამონი (ბერძნ.) – „განგებაა ელასამონისაჲ“, ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძე-

გლებში დადასტურებული საგანგებო წეს-განგება, რომელიც ეკლესიასთან სხვადასხვა სახის ცოდვილთა შეერთებას ითვალისწინებს (იხ. კ. კეკელიძის ნაშრომები: იერუსალიმის განწირება, Литургические памятники, 328; 108-113; 433-437. ტექსტი გამოქვეყნებულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ. იხ. „მცირე კურთხევანი", თბ., 1999 წ.).

ელასპონე მოწამე – ყრმა ქრისტიანი კაპადოკიიდან, რომელიც ეწამა ქრისტიანობისათვის, კერპების შეურაცხყოფისათვის თაყის ტყუპ ძმებთან – სპესიპე და მელასიპესთან ერთად.. ისინი გააქრისტიანა ბებიამ – ნონნილამ. ბავშვები ცეცხლში დაწვეს, ხოლო ბებია თავი მოკვეთეს. მოწამეთა – სპესიპეს, ელასიპეს და მელასიპეს შესახებ დაწერილი თხზულება მოიპოვება X-XI სს. ქართულ ხელნაწერებში (A 95, XI ს., 576-582; Ath. 8, X ს., 115-121; ბოდლ. 1, XI ს., 59-64) და თარგმნილი უნდა იყოს ბერძნულიდან. თხზულების ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ნ. მარის მიერ (ზუცური შრიფტით: Записки Восточ. отделения императорского русского Археол. Общества, т. XVI, вып. II-III, 1906 г.). მათი სვინაქარული „წამება" შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქარში" 17 იანვარს, ხოლო ერცელი „წამების" ქართული თარგმანი 23 აპრილს მიუთითებს.

ელევთერ მღვდელმოწამე – ეწამა იმპერატორ ადრიანეს (II ს.) დროს. ელევთერი იყო წარჩინებული რომაელი მოქალაქის შვილი. დედამ აღზარდა ქრისტიანული ღვთისმოშიშებით და მარლთმორწმუნეობით. 20 წლის ასაკში ელევთერი ილირიის ეპისკოპოსად აკურთხეს. მას ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისათვის თაყი მოკვეთეს თაყის დედასთან – წმ. ანფისა და ეპარხოზ კორიფეთან ერთად; ეპარხოზი ჯერ აწამებდა ელევთერს, შემდეგ კი თვითონაც ქრისტიანი გახდა. ბერძნულად ელევთერის „წამების" მეტაფრასული თხზულება X ს. ბოლოს შედგინა სვიმეონ ლოღოთეტმა, ხოლო XI ს. II ნახევარში ქართულად თარგმნა თეოფილე ხუცესმონაზონმა (ქუთ. 5, XVI ს., 285-295, Ath. 2, XIII-XIV სს., 141-146). ელევთერის ხსენების დღედ 15 დეკემბერია დადებული.

ელეფთერი – თელავის სამეფო კარის წინამძღვარი XVIII ს. ბოლოს. 1790 წლის ერთ ისტორიულ საბუთს (Ad 540) ასეთი მინაწერი აქვს: „როდესაც კურთხეულმა მეფე გიორგიმ კარის წინამძღვრობა მიბოძა, მაშინ ეს წერილი ამ პაკლე მღვდელმა წარმომიყენა, გრიგოლ წინამძღვარს მოეცა... ჩვენც... ის ბრძანება აღგვისრულებია იელისის კ (20), ქორ-ნს უპ (1800). კარის წინამძღვარი ელეფთერი" (სამ. ძეგ. III, 1002).

ელენე დედოფალი (244-327) – მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი, ბიზანტის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დედა. ელენეს დიდი გავლენა პქონდა შვილზე და რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელება და კანონიზაცია მისი დიდი დამსახურებაც არის. 325 წელს ელენემ დაიწყო თავისი განთქმული მოგზაურობა პალესტინაში, სადაც გზადაგზა აარსებდა ეკლესიებს. გადმოცემით, მან იპოვა იესო ქრისტეს საფლავი, სადაც მისი ბრძანებით აშენდა ქრისტეს საფლავის ეკლესია. მანვე იპოვა ჯვარი, რომელზედაც აცვეს ქრისტე, რამაც საფუძველი დაუდო ერთ-ერთ დიდ საეკლესიო დღესასწაულს, ჯვარის ამაღლებას. წმ. ელენე დედოფალი გარდაიცვალა 327 წ., გადმოცემის მიხედვით უკვე მონაზონ-ქმნილი. კათოლიკეები წმ. ელენეს დღეს აღნიშნავენ 18 აგვისტოს, მართლმადიდებლები – 21 მაისს.

ელეონის (ზეთისხილის) მთა – მთა იერუსალიმის მახლობლად, რომლის ძირში მდებარეობს გეთსამანია, სადაც უყვარდა განმარტოება სალოცავად იესო ქრისტეს (მათე XXV,316).

ელეფთერ არქიმანდრიტი (ზუკაკიშვილი, 1763-1826) – მღვდელი ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობაში. „იყო საყვარელი მეფისა ირაკლისაცა სიტყვანჭერებისა გამო" (პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XII-ისა, გვ. 78). 1812 წელს, კახეთის აჯანყების დროს, ურჩებდა ხალხს „რუსის ურჩობას ნუ იქმნენო" (ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 142), რისთვისაც იგი შეიპყრეს. დასაფლავებულია ალავერდში, სამხრეთ დასავლეთ მხარეს კარიბჭის შესავალთან: „1826, 8/9 აქა ქუეშე ლოდსა ამას შთაიბნა შესაწყალი მტუერი არხიმანდრიტის ელეფთერისა".

ელია – თბილისის უბანი მახათას მთის ფერდობზე. სახელი ეწოდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესიის მიხედვით, რომელიც მახათას მთაზე დგას (წყაროებში პირველად 1654 წ. არის მოხსენიებული). აქ იმართებოდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული ელიობა. 2003 წ. აქ დასრულდა სამების კათედრალური ტაძრის მშენებლობა.

ელია – ქართულ ეთნოლოგიაში მიჩნე-

ულია წარმართულ ღვთაებად, წეიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის განმგებლად. ძველებური ხალხური წარმოდგენით, იგი ცაზე ეტლით დაგრიალებს, ბრმა არის და ზოგჯერ უადგილო ადგილას დაუშენს სეტყვას. ამიტომ, სეტყვის ღრუბელი რომ გამოჩნდებოდა, თოფის სროლას და ზარების რეკვას ატეხდნენ, ელია გაიგონებს, მიხვდება, აქ სოფელია და გაგვეცლებაო. ელიას სამსხვერპლო ცხოველია თხა (ციკანი), რაც ამ კულტის წინაქრისტიანულ წარმომავლობას მოწმობს. ქრისტიანობის გაელენით ელიას კულტმა ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი შეიძინა. ხალხმა წარმართული ღვთაება დაუკავშირა ცად ამაღლებული ბიბლიურ წინასწარმეტყველ ელიას (წმ. ელია), აგრეთვე წეიმისა და ჭექა-ქუხილის განმგებელს, რომლის ხალენი (ტყავის მოსასხამი), გადმოცემის მიხედვით, უფლის კვართთან ერთად საქართველოში ჩამოუტანიათ. ზოგი წარმოდგენის თანახმად, ელია ეშმაკეულია და, როგორც ბრმა და სასტიკი ძალა, სეტყვით ანადგურებს ყანებს, ებრძის ხატებსა და ანგელოზებს, მეხს უშენს მათ „დასაბრძანებელ" მაღალ ხეებს. ოდესღაც ძლიერი ღვთაების დღესასწაული — ელიაობა (იხ.) იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ელია — რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა და საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ქართლის მთავარეპისკოპოსი V ს. I ნახევარში, ბაკურ მეფის დროს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მოწმობით ბოლნისის სიონი აუშენებია ელია მთავარეპისკოპოსს: „... მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს და იშვერ განჴედა და განაპნძა არშაზნი სასრსთა შიშინათაჲს" (ძეგლები I, 92).

2. ბოლნისის ეპისკოპოსი X ს. II ნახევარში. ელია მოხსენიებულია ბოლნისის საშრეთი კარის ბალავრის ქუაზე ამოღრეულ რვასტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ღამისთევის დაწესების შესახებ: „მე, ელასაკი ელია ბოლნელი მღდელთმოძღუარად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისასა. და ამას საყდარსა ღამისთეაჲ არა დებულ იყო... და მე დაუდეე (ლას. წარწ. I, 250).

3. ალავერდის ეპისკოპოსი. მისი აღაპი ჩაწერილია სინის მთის ქართული მონასტრის სულთა მატიანეში" XIV ს. ხელით (Sin. 77, 245).

4. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის იკონომოს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის წინამძღვრობაში (1643-1649). ელია წინამძღვართან ერთად მონაწილეობს ორი აღაპის (№ 51 და 93) განწესებაში. (მასალები..., გე. 83; 87).

5. ელია დიაკონი, იოანე ზედაზნელის (VI ს.) მოწაფე, რომელიც სხვებთან ერთად იოანეს სირიიდან ჩამოჰყვა და სიკვდილამდე თაუის მოძღვართან ერთად დამკვიდრებული იყო ზედაზნის მონასტერში. ელია დიაკონი იოანეს გარდაცვალების შემდეგ ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი გახდა. მისი ცხოვრების ეპიზოდები მოთხრობილია იოანე ზედაზნელის „ცხოვრების" კიმენურ (ძეგლები I, გე. 227) და მეტაფრასულ I (ძეგლები I, გე. 212, 214) და მეტაფრასულ II (ძეგლ. III, 102) თხზულებებში. ქართულ წყაროებში ელია მოხსენიებულია, როგორც „განმანათლებელი და აღმაშენებელი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათა" (ქართლის ცხოვრება IV, 117, 21).

ელია თმოგბიტელი — იხ. ელია წინასწარმეტყველი.

ელია მოწამე — ეწამა ქრისტესთვის IV ს. ეგვიპტეში მაქსიმიან იმპერატორის (305-313) მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს, არე და პრომო მოწამეებთან ერთად. სამივე ემსახურებოდნენ და მკურნალობდნენ ღილეგში დამწყვდეულ ქრისტიან პატიმრებს, რისთვისაც სამივენი შეიპყრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. ელია, არე და პრომო მოწამეების ერთობლივი „წამების" კიმენური რედაქცია ქართულად თარგმნილი უნდა იყოს X ს-მდე (A 95, XI ს., 558-561) და გამოცემულია (კ. კეკელიძე, კიმენი II, 51-58). ქართულ წყაროებში ამ მოწამეთა ხსენების ღღედ 14 დეკემბერია დასახელებული, ხოლო არაქართულ წყაროებში — 19 დეკემბერი.

ელიანოს // ელია მოწამე — ეწამა ქრისტესთვის არაბეთის ქ. ამანში დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) მეფობის დროს, დაახ. 304 წ. ამანში დიოკლეტიანეს ბრძანებით ჩასულ მაქსიმოს მთავარს ამბოხებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ ქვები დაუშინა. მაქსიმოს მთავარმა ამბოხება ჩაახშო და ქალაქის „მთავარი და წარჩინებულნი" დაატუსაღა. სატუსაღოში თაუისი ნებით შეეიდა ქრისტიანი ჭაბუკი ელიანოსი და ტუსაღებს ქრისტიანობას უქადაგებდა მათი მოქცევის მიზნით. მაქსიმოსის ბრძანებით ქალაქის შუა ნაწილში, კრონისის ძეგლთან შეკრიბეს მოსახლეობა კერპისათვის მსხვერპლის შესაწირავად. აქ მოიყვანეს პატიმრებიც და მათგან წარმართები გაანთაეისუფლეს, ხოლო ელიანოსს სამსჯავრო მოუწყეს და ქრის-

ტიანობაზე უარის თქმა მოსთხოვეს. ტანჯვა-წამების მიუხედავად ვერ აიძულეს უარი ელიანოსს ქრისტეს სარწმუნოებაზე, ბოლოს, ელიანოსი ქალაქგარეთ კოცონში დაწვეს. მისი გვამი ქრისტიანებმა ჩუმად დამარხეს ერთ მთაზე, გამოქვაბულში. წმ. მოწამე აღესრულა 28 ნოემბერს. ქართულად შემონახულია კიმენური პაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმ. მოწამისა ელიანოსისი, რომელი იწამა არაბიას, ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა“ (A 95, XI ს., 491-496); გამოსცა კ. კეკელიძემ (კიმენი II, 32-37). თხზულება თარგმნილი უნდა იყოს ბერძნულიდან დაახ. IX ს-ის I ნახევარში, თუმცა ელიანოსის „მარტყოლობას“ სხვა ქრისტიან ერთა მწერლობაში დღეს ველარ ვხვდებით. უფრო მეტიც, ამ მოწამის სახელიც კი არ შენახულა არსად, გარდა ქართული წყაროებისა. 10 აგვისტოს მისი ხსენების დღე დადებულია A 95 ხელნაწერსა, 11 აგვისტოს – Bodleian кхопіens-ის ქართულ ხელნაწერში (ბოდლ. 1 363-368 გვ.) და გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქარში“. იოანე-ზოსიმეს 956 წ. კალენდარში და „იერუსალიმის განწინაში“ 8 აგვისტოს ელია მოწამის სახელით ელიანოს მოწამე უნდა იგულისხმებოდეს.

ელიობა – ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღე (20 იელისი, ძვ. სტ.). გარდა ოფიციალური საეკლესიო დღესასწაულისა, ძველად საქართველოში არსებობდა ელიაობის ხალხური დღესასწაულიც, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად იმართებოდა: იმერეთში ეკლესიის გარშემო კაცები ორსართულიან ფერხულს მართავდნენ, ქალები კი ერთრიგიანს და „ოკრიალე“-ს გაიძახოდნენ; კახეთში ელიაობას მართავდნენ ელიას მთაზე, დედოფლისწყაროს მახლობლად; სამეგრელოში წირვიდან დაბრუნებული ოჯახის უფროსი მარანში საჭმელ-სასმელით დატვირთულ ტაბლას შეიტანდა, სანთლებს აანთებდა და ქარისა და აელრის არიდებას შესთხოვდა ელიას; ელიას სახელზე უნდა ყოფილიყო ტაროსის (ამინდის) დღეობა – კოხინჯრობაც (მეგრ. „კოხობაში ოხვამერი“), რომელსაც 7-9 მაისს იხდიდნენ. ელიას თაყვანისცემა ხშირად ემთხვეოდა ლაზარობის – გველგესლა და დელგმის რიტუალებს, რომელიც სრულდებოდა არა კონკრეტულად დანიშნულ დღეს, არამედ ყოველთვის, როცა გველა ან დელგმა შეაწუხებდა ხალხს. ამ რიტუალებში ელია და ლაზარე ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ელია წინასწარმეტყველი (IX ს. ქრ. შობამდე) – ძველი ალთქმის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი, წარმოშობით ღვთიტლათა ტომიდან. ბიბლიური გადმოცემით ყმაწვილობიდანვე დასახლდა უდაბნოში და ცხოვრება მკაცრ მარხვაში გაატარა. მოწოდებულ იქნა წინასწარმეტყველურ ასპარეზზე ისრაელის მეფე აქაბის დროს. ამ დროს ისრაიტელმა ხალხმა უღალატა ღმერთს და კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდა. ელია ამხილებდა მეფე აქაბს, რის გამოც მისგან დევნას განიცდიდა. დევნილობისას ელიას ყორანი ასაზრდოებდა. სასწაულების ჩაღენით ელიამ ისრაელის ხალხი ჭეშმარიტ ღმერთს დაუბრუნა. ელია გაეცა აქაბის შეულის, წარმართი იზაბელის რისხვას და იუდეაში გადაიხვეწა, სადაც გამოქვაბულში დაემკვიდრა, ქორების მთებში. ღმერთის ბრძანებით ელიამ წინასწარმეტყველების ასპარეზზე აკურთხა ელისე, ხოლო თვითონ აყვანილ იქნა ზეცაში ცოცხლად, ცეცხლოვანი ეტლით. ქრისტიანული ეკლესიის რწმენით, ელია იქნება ნათლისმცემელი ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს და მიიღებს ქადაგების დროს მოწამებრივ სიკვდილს. ელია წინასწარმეტყველის ცხოვრება აღწერილია ძველი ალთქმის წიგნებში (3 მეფეთა; 4 მეფეთა; ისო ზირაქი 1-15; მაკაბელთა 2, 58). ხშირია მისი მოხსენება ახალი ალთქმის წიგნებში (მათ. 17, 3; მარკოზ 9, 4; ლუკა 9, 30), რომლის მიხედვითაც ფერისცვალების დროს თაბორის მთაზე იესო ქრისტეს ესაუბრა ელია წინასწარმეტყველი. ელია წინასწარმეტყველის ბევრი ეკლესია არსებობს საქართველოშიც. მართლმადიდებლური ეკლესია მას ახსენებს 20 იელისს, ელია წინასწარმეტყველს ზეპირად ელია თეზბიტელის (ან თეზბელის) სახელითაც იხსენიებენ, რადგან იგი იყო „თეზბიტით გალაადიამთ“ (III მეფეთა, 17,1).

ელიაწმიდა – ეგეტერი ათონის მთის ქართველთა მონასტერში, სადაც უფროვნებ მთაწმიდელმა ძლიერი გეელეანობის დროს იღოცა და სასწაულებრივად მოიყვანა წვიმა (ძეგლ. II, გვ. 68; IV, 335-336).

ელიაწმიდა – სოფელი ახალციხის რაიონში, ახალციხიდან 10 კმ. სოფლის მახლობლად დგას ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთით პატარა, აბსიდიანი ეგეტერი აკრავს. ეკლესია მოპირკეთებული იყო გათლილი ქვებით, რომელიც დღეს შემორჩენილია: მცირე ფრაგმენტებია არის შემორჩენილი სამხრეთის კარიბჭიდან. არქიტექტურული

ფორმებით, ლეონორის მოტივებითა და შესრულების ხარისხით ეკლესია XIII-XIV სს. უგუმბათო ტაძრების რიცხვს მიეკუთვნება.

ელიზბარ ერისთავი – ქართული ეკლესიის წმინდანი, მოწამე, სპარსელებისაგან ქართლ-კახეთის გასანთავისუფლებლად მოწყობილი 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. ელიზბარი ქსნის ერისთავი, თაეის ძმისწულთან, შალვა ერისთავთან (იხ.) და კახეთის სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილთან (იხ.) ერთად, აჯანყების დროებით გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ნებაყოფლობით ჩაბარდა შაჰს, რათა სპარსელების დამსჯელი შემოსევები აეცილებინა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. სპარსეთის შაჰის ბრძანებით მისმა ხელქვეითებმა სამიეენი აწამებე და თაეები მოაკვეთეს. მათი წმინდა ნაწილები ფარულად იკორთაში ჩამოასვენეს და ერისთავების საგვარეულო მონასტერში ერთად დაკრძალეს (რადგან თავმოკვეთილი მათი სხეულების ნაწილების ამოცნობა შეუძლებელი იყო). მათი ხსენების დღეს ქართული ეკლესია 18 სექტემბერს დღესასწაულობს (მხოლოდ ერთი ხელნაწერი – A 380, 1714-1716 წწ. 24 ივლისს უმღვნის). ელიზბარის, შალვასა და ბიძინასათვის ბესარიონ კათოლიკოსს მიუძღვნია ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება „შესხმა ბიძინა, შალვა და ელისბარისა და თხრობაჲ წამებისა მათისაჲ“ (ძეგლები... V, თბილისი, 1980, გვ. 49-63), ხოლო იესე ერისთაეს († 1739), შალვა ერისთაეის შვილიშვილს, ნიკოლოზ რუსთველს (1672-1732) და ანტონ I კათოლიკოსს (1720-1788) – პიძნოგრაფიული თხზულებები (მ. ქავთარია, ძველი ქართ. პოეზიის ისტორიიდან, გვ. 255-268).

ელინნი – ბერძნული ტომების საერთო სახელწოდება ძვ. წ. VII ს-დან. მითოლოგიური ტრადიციით, წარმოშენენ ერთი საერთო წინაპრისაგან – ელენისაგან. ქართულ ქრისტიანულ წყაროებში ელინნი ბერძნული წარმართობის, წარმართული კულტურისა და მწერლობის აღსანიშნავად იხმარება.

ელიოზი – ალექსანდრე I დიდის (1412-1444) ეგვიპტური მწირველი, იხსენიება ალექსანდრე I-ის 1441 წ. ანდერძში: „მცხეთას... ცალკე ეკუდერი აჳამენე (ჩრდილოთ კერძო) და საკუნიდ საყოფლად განვიმზადე... ჩუენთა საფლავთა ზედან ოთხი მეკუდრენი მწირველნი განვაჩინენ: ელიოზის ძე დიმიტრი... ზაქარია და ელიოზ“ (ქრონიკ. II, 248).

ელიოზ კათოლიკოსი (გობირახის ძე) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახ. 1399-1419 წწ-ში.

ელიოზ მცხეთელი – მცხეთელი ებრაელი, ნინოს ხელით მონათლული ებრაელთა მღვდლის, აბიათარის პაპა, რომელიც დაესწრო ქრისტეს ჯვარცმას და წილად ხვდა იესოს კვართი, რომელიც ელიოზმა მცხეთაში ჩამოიტანა. ელიოზის დამ გული ჩაიკრა უფლის კვართი და იმ წამსვე გარდაიცვალა. რადგან კვართი გამოღება ვერ მოახერხეს, ელიოზის და კვართთან ერთად დასაფლავეს. შემდეგში ამ ადგილას აღიმართა სვეტიცხოელის ეკლესია (ძეგლები I, 128-130).

ელისაბედი – იოანე ნათლისმცემლის დედა, რომელმაც თავისი ძე ღვთიური გამოცხადებით შეა (ლუკა, 1-26).

ელისაბედი – ერეკლე I-ის (1688-1703) დედის – ელენეს მონაზონობის სახელი. XVII ს. მეორე ნახევარში „ყაბთა დედოფალმა ელენეჳამ ელისაბედმა“ განაახლა ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში (კერები, II, 148).

ელისე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. დმანისისა და ტბეთის მიტროპოლიტი XVI ს. II ნახევარში. ელისე მოხსენიებულია 1586 წ. ე. წ. ორბელიანთა სიგელში: „...ღეთისმშობელო, მეოხ ექმენ დმანელს მტბევარ მიტროპოლიტს ელისეს, რომელმან კუალად გაახლებინა სიგელი ესე და დაუტეეა ეკლესიასა თჳსსა“ (ქრონიკები, II, 424).

2. თბილისის მიტროპოლიტი (საგინაშეილი, დაახლ. 1628-59 წწ.), ცნობილი მწიგნობარის, გაბრიელ საგინაშეილის ბიძა. ელისე 1640 წ. ათონის ქართველთა მონასტერში ჩასულა პილიგრიმად. მისი მინაწერები შემოუნახავს ათონის რამდენიმე ხელნაწერს (Ath. 40; Ath. 72; Ath. 84), მაგ.: ათონის კრებულის (H 558) ცნობილი ხელნაწერის, ეფთიმე მთაწმიდელის „ცხორებაზე“ მისი ხელით გაკეთებული მინაწერი გვამცნობს, რომ ელისე ტფილელი ეპისკოპოსი მისულა აქ მთაწმიდას ქსნა ტკ (=1640 წ.). ელისე თბილელს 1634 წ. თბილისის სიონისათვის შეუწირაეს: საეკლესიო სამოსელი, ოთხთაეი და ყმა. შეწირულების წიგნში ნათქუამია: „ოდეს მე ცოდეილი იერუსალიმს წარსვლას ღირს ვიქმენ, მას ჟამსა შემოგწირე მცირე ესე შემოსწირაეი. დაიწერა სოფელი ესე ქორონიკონსა ტკბ (=1634), თუესა ნოემბერსა ხუთსა“ (ცსსა ფ. 1449, № 2674; სამ. ძეგლ. III, 491). როგორც ჩანს, ელისე თბილელმა ათონის მთის ქართული მონასტრიც იერუსალიმში მოგზაუ-

რობის დროს მოინახულა. ამავე ხანებისა უნდა იყოს (დაახ. 1638 წ.) ქრისტეფორე კათოლიკოსის წოვნი თხლელ ელისესადმი სამწყსოს მიბარების შესახებ (Ad 47; სამ. ძეგლ. III, 526).

3. ხარჭაშოს ეპისკოპოსი XVII ს. II ნახევარში. ელისე ხელს აწერს დაახ. 1562-1588 წწ. შუა კახეთის ეპისკოპოსების მიერ ნიკოლოზ კათოლიკოსისადმი მიცემულ ერთგულების წოვნს (Ad. 64; სამ. ძეგ. III, 343).

4. დმანისის ეპისკოპოსი XVII-XVIII სს. მიუნაზე. ელისე დმანელი მოწმეა და ამტკიცებს სხვებთან ერთად 1702 წ. საეკლესიო კრების განჩინებას სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე (Ad. 340, სამ. ძეგ. III, 635).

5. დმანისის ეპისკოპოსი XVIII ს. I ნახევარში. ელისე მოწმეა და ხელს აწერს 1730 წ. ერთ გუჯარს (Sd 709, ქრონიკები III, 126).

6. იშხანისა და ურბნისის ეკლესიების ეპისკოპოსი XVIII ს. დასაწყისში. ელისე მოხსენიებულია ვახტანგ მეფის 1712 წ. ერთ გუჯარში (Ad 150; ქრონიკ. III, 44): „მოგეადგა კართა დარბაზისა ჩვენისათა ჩვენგან დადგინებული იშხნელი ურბნელ ეპისკოპოზი ელისე და გუჯრის განახლებას გეეკა“.

ელისე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. XIII-XIV სს. სინის მთის მონასტრის ქართველი მონაზონი და მწიგნობარი (ელიაყოფილი ჩიდარისძე). ელისეს გადაუწერია ერთი კრებულის (Sin. 76) ნაწილი. მასვე გადაუწერია „მოსაკსენებელი და მატიანე პატრონისია წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამფარებულისა სინაჲსა“, მისი უძველესი ფუნა. ანდერძში ნათქვამია: „...მწერალსა ჩიდანის ძესა ელიაყოფილსა ელისეს შეუნდოს ღმერთმან“ (Sin. 77, 244).

2. XVII ს. I ნახევრის საეკლესიო მოღვაწე (მგალობლიშვილი). ელისე ახლდა დომენტი კათოლიკოსს კონსტანტინეპოლში მისი ექსორიობის დროს (1724-1738). კონსტანტინეპოლში 1727 წ. დაწერილი ერთი წყალობის წიგნი (Hd 10775), მიცემული დომენტი კათოლიკოსის მიერ იასე ტლაშაძისადმი, მოწმედ სხვებთან ერთად ასახელებს „მგალობლიშვილს წინამძღვარს ელისეს“ (სამ. ძეგლ. III, 613).

3. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მონაზონი XVIII ს. I ნახევარში (საგინაშვილი), ცნობილი მწიგნობრის, გაბრიელ საგინაშვილის ძმისწული. ელისე 1713 წ. ექვსი წლისა მიუყვანიათ მონასტერში. იგი ახლდა დომენტი კათოლიკოსს (1705-1741 წწ.) ექსორიობაში (1724-1738 წწ.) კონსტანტინეპოლსა და კუნძულ ტენედოზე. „დიაკონ ელისეს“ დომენტის დავალებით გადაუწერია კონსტანტინეპოლში საეკლესიო შინაარსის მოზრდილი კრებული (A 56). კუნძულ ტენედოზე, სადაც ის დომენტისთან ერთად 9 წელიწადს იყო ექსორიობაში (1727-1738 წწ.), მას გადაუწერია ასეთივე შინაარსის კრებულის ერთი ნაწილი (A 66, 152-380). აქედან ელისე დომენტი კათოლიკოსის ათონის მთაზე ქართველთა მონასტერში ჩასვლისა და იქ დაუმზადებია ქართველ მოღვაწეთა საგალობლების ხელნაწერი (კერები II, 251). 1742 წლიდან ელისე საქართველოში ჩანს.

ელისე წინასწარმეტყველი – ბიბლიური წინასწარმეტყველი, ელია წინასწარმეტყველის მოწაფე და მემკვიდრე. ცხოვრობდა ქრისტეს შობამდე, IX ს-ში. წარმოშობით იყო იორდანეს მახლობელ სოფელ აბელმაულიდან. უფლის ბრძანებით მოწოდებულ იქნა წინასწარმეტყველის მსახურებაზე ელია წინასწარმეტყველის მიერ. ელისე წინასწარმეტყველის წიგნები არ დაუტოვებია, ისევე, როგორც მის მასწავლებელს ელიას. მათი წინასწარმეტყველება მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა. ისო ზირაქმა დაწერა ორიე წინასწარმეტყველის შესახმა (ისო ზირაქი, 48, 1-15). იოანე დმასკელმა ელისე წინასწარმეტყველის პატივსაცემად დაწერა კანონი, ხოლო კონსტანტინეპოლში აიგო მისი ტაძარი. იულიანე განდგომილმა (351-363) ბრძანა წინასწარმეტყველების – ელისეს, აბდიასა და იონაე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილების დაწვა, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანებმა შეინახეს წმინდა ნაწილები და მათი ნაწილი გადაიტანეს ალექსანდრიაში. ქართულად თარგმნილია ბასილი სელევკიელის († 458) „შესხმა ელისე წინასწარმეტყველისა“ (ქეთ. 3, XVI ს., 140-143). ხსენების დღედ დადგენილია 14 ივნისი.

ელიფას ასურიელი – ეპისკოპოსი ასურეთისა V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში. „ელიფას ასურიელი ეპისკოპოსი“ აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო დელეგაციასთან ერთად, რომელსაც ქართლის კათოლიკოსი გაბრიელი მეთაურობდა, დასწრებია 506 წ. დვინის საეკლესიო კრებას, რომელიც ქალკედონის კრების (450 წ.) მიერ გამოტანილი დადგენილებების წინააღმდეგ ყოფილა მოწვეული. იგი მოხსენიებულია აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის მეოთხე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 139, გამოც. ზ. ალექსიძის მიერ).

ელპიდი მოწამე († 137) — იტალიელი მოწამე ქალი, რომელიც თავის დებთან — პისტისა და აღაპისთან ერთად ეწამა ქრისტესთვის რომში იმპერატორ ადრიანეს (117-138) დროს. ქალიშვილების დედა სოფია ღრმად მორწმუნე ქრისტიანი ქრიჟი იყო. თავისი ქალიშვილებიც მან ქრისტეს სიყვარულით აღზარდა. დედა და ქალიშვილები დაუფარავად ქადაგებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, რისთვისაც მეფისნაცვალმა ანტიოქმა ისინი იმპერატორის წინაშე წარადგინა რომში. მათ კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვა მოსთხოვეს, მაგრამ წმინდანებმა უშიშრად განაცხადეს უარი. პისტიმ, ელპიდემ და აღაპიმ მიუხედავად სინორჩისა (პირველი 12 წლისა იყო, მეორე — 10, მესამე—9) შეუდრეკლად გადაიტანეს არაადამიანური წამება და ბოლოს მათ თავები მოჰკვეთეს. ყველაფერი ეს მათი დედის — სოფიას თვალწინ ხდებოდა, რომ გაეხარდებინა დედის ტანჯვა. იმპერატორმა მას ნება მისცა შვილების გვამები წაელო და დაესაფლავებინა. სამი დღე არ მოშორებია სოფია შვილების საფლავს და იქვე გარდაიცვალა. მოწამეთა წმ. ნაწილები 777 წლიდან ასვენია ელზასში, ეშოს ეკლესიაში. წმ. სოფიას და მისი ქალიშვილების — პისტი, ელპიდი და აღაპი მოწამეების „წამების“ ერთობლივი მეტაფრასული თხზულება ბერძნულად X ს. ბოლოს შექმნა სიმეონ მეტაფრასტმა, ხოლო ქართულად ითარგმნა ორჯერ: XI ს. II ნახევარში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, XI ს., 126-132) და დაახლ. ამავე დროის უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ. 4, 1565 წ., 207-216; S 384, XI-XII სს., 133-146; გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: „ძველი მეტაფრასული კრებულები“, გვ. 344-353). მოწამეთა ხსენების დღე 17 სექტემბერსაა დადებული.

ელპიდიოს ეპისკოპოსი — მღვდელ-მოწამე, ქერსონეთის (ხერსონის, ყირიმში) ეპისკოპოსი IV ს. დასაწყისში. ქერსონეთის საეპისკოპოსო დაარსეს იერუსალიმის პატრიარქის, ერმინიოსის (303-313) მიერ აქ მოქცეულმა ბასილიმ და ეფრემმა. წარმართების მიერ მათი წამებიდან ერთი წლის შემდეგ მათი ღვაწლის გასაგრძელებლად ბელესპონტიდან ქერსონეთს ჩაუდნენ მათი თანამოაზრე ეპისკოპოსები: ევგენი, ელპიდიოსი და აღათოდორე. მათ იქ ბევრი წარმართი გაქრისტიანეს, მაგრამ 311 წ. 7 მარტს გამხეცებულმა წარმართებმა სამიენი ჩაქოლეს. ელპიდიოსის წამების აღწერა ჩართულია ქერსონეთს წამებული 7 ეპისკოპოსის ერთობლივ „წამებაში“, რომლის ქართული თარგმანი ბერძნულიდან შესრულებულია დაახ. XII ს. შუა წლებში [ქუთ. 2, XVII ს., 105-111; გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: ეტიუდები... VII, თბ., 1961 გვ. 248-252 (რუსული თარგმანი)]. ხსენების დღე — 7 მარტი.

ელპიდიფორე მოწამე — ეწამა ქრისტესათვის II ს. შუა წლებში სპარსეთს მეფე საბურის (310-381) დროს. ელპიდიფორე იყო დიდებული, რომელიც ფარულად აღიარებდა ქრისტეს. როდესაც აწამეს საბურ მეფის კარისმსახურნი — აკვინდინე, პიღასი და ანემპოდისტოსი, ელპიდიფორემ, მათი ღვაწლით გაძლიერებულმა, აშკარად აღიარა ქრისტიანობა და მანაც მოწამებრივი სიკვდილი მიიღო. ელპიდიფორესა და ზემოჩამოთვლილი მოწამეების „წამების“ მეტაფრასული თხზულება დაწერა სვიმეონ ლოღოთეტმა X ს. ბოლოს, ხოლო ქართულად თარგმნა თეოფილე ხუცესმონაზონმა XI ს. II ნახევარში (S 384, XI-XII სს., 535-553; Jer. 37, XIII-XIV სს., 139-145; და სხვ.). ხსენების დღე — 2 ნოემბერი.

ემბაზი (ბერძ.) — ნათლისღების რიტუალისათვის განკუთვნილი ქვის, ლითონის, ან ხის ჭურჭელი მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში. მღვდელი მოსანათლავად ბაშვს სამჯერ ჩაუშვებს ემბაზში ისე, რომ წყალმა დაუფაროს ტანი. „ემბაზით აღმოშობილი“, ან „ემბაზის შვილი“ ნიშნავს მონათლულს, ქრისტიანს, „ემბაზით შშობელი“ — ნათლიას.

ემელიანე მოწამე — ეწამა ქრისტესათვის 362 წ. იელიანე განდგომილის (361-363) დროს. ეროვნებით სლავი, ცხოვრობდა ქ. დორტისტოლში, დუნაის პირას. ემელიანე იყო ქალაქისთავის მონა და ფარულად აღიარებდა ქრისტეს. ის შეიპარა წარმართების ბომონში და ჩაქუჩით დაამსხვრია კერპები. წმ. ემელიანე დაწვეს. შემდეგში კონსტანტინეპოლში ააშენეს წმ. ემელიანეს ეკლესია, სადაც გადაიტანეს მისი წმ. ნაწილები. იოანე ქრისოსტომოსმა XI ს. ბოლოს შეადგინა წმ. ემელიანეს „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 607-613). ხსენების დღე — 18 იელისი.

ემანუილ — წინასწარმეტყველური სახელწოდება მესიისა, ანუ იესო ქრისტესი, ბიბლიაში. ებრაულად „იმანუელ“ ნიშნავს: „ჩვენთან [არს] ღმერთი“ და მოხსენიებულია ისაიას წინასწარმეტყველებაში: „აჰა, ქალწულმან მუ-

ცლად-იღოს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (VII, 14). მახარებელი მათე პირდაპირ უსადავებს ამ წინასწარმეტყველებას ქრისტეს დაბადებას (I, 23).

ენაგეთი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ენაგეთის (ალგეთის მარცხ. შენაკადი) ნაპირას, თეთრი წყაროდან 21 კმ. სოფლის გვერდით, ჩრდილოეთით, ძველი ენაგეთის ნასოფლარში, რომელიც XV ს-დან იხსენიება, მაღლობზე დგას ორი ერთნავიანი გვიანფეოდალური ხანის ეკლესია – ერთი კეირაცხოველისა და მეორე – ღვთისმშობლისა. სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში დგას ძველი ეკლესია გადაკეთებული 1903 წ. ყორღანოვების საძვალედ.

ენეს მრეველი – რუისის ეპისკოპოსი V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში. „ენეს მარუელი“ ეპისკოპოსი მოხსენიებულია აბრამ სომეხთა კათოლიკოსის მესამე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, გამოც. ზ. ალექსიძის მიერ, გვ. 139), რომელიც ქართლის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით დასწერებია დვინის 506 წლის სომეხ-ქართველ-ალბანელთა საეკლესიო კრებას (450 წ.) დადგენილებების წინააღმდეგ.

ენისელი – სოფელი ყვარლის რაიონში, მდინარეების – ჩელეთისა და ინწობის შუამდინარეთში. ყვარლიდან 24 კმ. სოფლის დასავლეთ ნაწილში დგას რიყის ქვით ნაგები, გარდან სწორკუთხა პატარა დარბაზული ეკლესია, რომელსაც შიგნით აბსიდიანი საკურთხეველი აქვს. სოფლის სამხრეთით, ორიოდე კმ-ზე მდებარეობს ნასოფლარი შიხიანი, რომლის შუაგულში დგას აღდგომის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი. ფასადის წარწერის მიხედვით ტაძარი კახთა მეფის მეუღლეს, დედოფალ თინათინს (1574-1605) აუგია. აქეა მცირე ზომის დარბაზული ეკლესია და სამრეკლო, რომლებიც XV ს. უნდა იყოს აგებული. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ენკაუსტიკა (ბერძ.) – 1. ცვილის საღებავებით ფერწერის ტექნიკა. 2. ამ ტექნიკით შესრულებული სურათი (მაგ.: ანჩის ხატი, VI-VII სს; წილკნის ღვთისმშობლის ხატი, IX ს. და სხვ.).

ენკენია (ბერძნ. „განახლება“) – ეკლესიის კურთხევა, სატფურება. იხ. განახლება-სატფურება.

ენკომია – იხ. პანეგირიკი.

ენკრატისი (ბერძნ.) – მონაზონი ქალი.

ენკერი (ბერძნ.) – ქსოველისაგან შეკერილი და ძირფასად მოქარგული ოთხკუთხედი სამკაული, რომელსაც მაღალი სამღვდელო პირები იკიდებენ მარჯვენა მხარეს ღვთისმსახურების დროს.

ენციკლიკა (ლათ. encyclica; „მრგულიმსაელელი ეპისტოლე“) – რომის პაპების საყოველთაო მიმართვა კათოლიკური სამღვდელოებისა და ყველა მორწმუნისადმი რელიგიურ, პოლიტიკურ, მორალურ და სხვა საკითხებზე.

ეორტალოგიური // ჰეორტოლოგიური წელი – იხ. საეკლესიო ეორტოლოგიური წელი.

ეპარქია (ბერძნ.) – ქრისტიანულ ეკლესიებში საეკლესიო-ტერიტორიული ერთეული, რომლის სათავეში დგას ეპისკოპოსი. საქართველოში პირველი ეპარქიები ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ჩნდება. ეახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში (V ს.) ისტორიული წყაროებით 13 საეპისკოპოსო კათედრა და, ბუნებრივია, ამდენივე ეპარქია არის მოხსენიებული. ამასთანავე, რამდენიმე მათგანის არსებობა მხოლოდ ისტორიული წყაროებითღა არის ცნობილი, ნაწილი ეპარქიების დღესაც არსებობს. 1819 წელს, როდესაც გაუქმდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, რუსეთის მთავრობამ შექმნა საქართველოს საგუბერნიო და იგი ეპარქიებად დაყო. 1885-1900 წწ-ში საქართველოს საგუბერნიო ადმინისტრაციას 5 ეპარქია (საქართველოს, ვლადიკავკაზის, იმერეთის, გურია-სამეგრელო-აბხაზეთისა და სოხუმის). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) საქართველოში ტრადიციისამებრ აღდგა ძველი ეპარქიები. დღეს მათი რიცხვი ოცდათხუთმეტია.

ეპარქიები საქართველოს ეკლესიისა – იხ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ეპარქიული სასწავლებლები – ქალთა საშუალო სასწავლებლები რუსეთში. შეიქმნა 1843 წ. წესდებით, ძირითადად მღვდლების ქალიშვილებისათვის. სასწავლებლები შედიოდა სინოდის გამგებლობაში და არსებობდნენ ეკლესიის სახსრებით. მღვდლების შვილები უფასოდ სწავლობდნენ, სხვების სწავლება ფასიანი იყო. სწავლის კურსი – 6 კლასი – ქალთა გიმნაზიის კურსს უახლოვდებოდა. დამატებით ენების, მუსიკისა და ხატვის სწავლა შეიძლებოდა კლასგარეშე ფასიანი სწავლებით. კურს-

დამთავრებული შინამსწავლებლობის უფლებას იღებდნენ იმ საგნებში, რომლებსაც წარმატებით სწავლობდნენ, აგრეთვე შეეძლოთ წასულიყვნენ დაწყებით სკოლებში მასწავლებლად, ძირითადად სოფლად (1884 წლიდან – საეკლესიო სამრევლო სკოლებში). 1900 წ. ეპარქიულ სასწავლებლებში გაიხსნა მე-7 პედაგოგიური კლასი. ზოგიერთ ეპარქიულ სასწავლებელთან არსებობდა დაწყებითი სკოლები, სადაც უფროსკლასელები პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ. საქართველოში XX ს. დასაწყისში იყო ორი ეპარქიული სასწავლებელი – თბილისისა და ქუთაისის. ეპარქიული სასწავლებლები გაუქმდა 1917 წ. 24 დეკ. სახკომსაბჭოს დეკრეტით.

ეპაფროდიტე მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც მოხსენიებული ჰყავს პაული მოციქულს ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში: „უმჯობესად მე შეპრაცხე ეპაფროდიტესი, ძმისა ჩუენისაჲ, თანა-შემწისა და თანამოსაგრისა ჩემისაჲ, თქუენის მოციქულისაჲ და მსახურისა მის საქმართა ჩემთაჲსა, მივლინებად თქუენდა“ (1,25). ეპაფროდიტე ანდრიაკეს ეპისკოპოსი გამხდარა.

ეპენეტოს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი. მას მოხსენიებს პაული მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში „კეთხუაჲ არიქო ეპენეტოს საყუარელსა, რომელი იგი არს პირველი ნაყოფი აქაიაჲსა ქრისტეს მიმართ“ (16,5). ეპენეტოსი გახდა პირველი ეპისკოპოსი კართაგენის გალილეაში.

ეპიგრაფიკა – მეცნიერება, რომელიც სწავლობს მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, კერამიკა და სხვ.) შესრულებულ ძველ წარწერებს. ამგვარი წარწერები შეიძლება იყოს მონუმენტური (ქვაზე, კედელზე, შენობის კედლებზე, მეჩორიალურ დაფებზე, სვეტზე) და პრაქტიკული დანიშნულების ნივთებზე. ეპიგრაფიკა შეისწავლის წარწერათა როგორც გარეგნულ მხარეს (პალეოგრაფია), ისე მათ შინაარსს: წარწერებში მოხსენიებულ პირებს, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ნომენკლატურას, ქრონოლოგიას, სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინოლოგიას, ენას. ქართულ ეპიგრაფიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართულ ეკლესია-ტაძრებზე, ფრესკებზე, სტელებზე, საფლავის ქვებზე, ჯვრებზე, ხატებზე და სხვა რელიგიურ თუ საერო დანიშნულების ნივთებზე სხვადასხვა დროს გამოვლენილი უამრავი წარწერა ქართული ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ისტორიის შესწავლის უძვირფასესი საგანძურია. მონოგრაფიების, კრებულებისა თუ ცალკეული წარწერის გამოცემის სახით თითქმის ყველა გამოვლენილი ქართული წარწერის პუბლიკაცია არსებობს და, იმედია, კიდევ მრავალი გამოვლინდება.

ეპიმაქოს მოწამე († 250) – ეგვიპტელი ქრისტიანი განდეგილი, რომელიც ცხოვრობდა პელუსიის მთაზე. ალექსანდრიაში დაწყებულ ქრისტიანთა დევნის დროს (დაახ. 250 წ.) ეპიმაქოსი ჩამოვიდა ქალაქში, დაამხვრია წარმართული კერპები და საჯაროდ ქადაგებდა სახარებას. ეპიმაქოსს თავი მოჰკვეთეს. ეპიმაქოსის „წამების“ მეტაფრასული თხზულება დაწერა ბერძნულად X ს. ბოლოს სვიმეონ ლოღოთეტმა, ხოლო ქართულად ითარგმნა არაუგვიანეს XI ს. (ქუთ. 4, 1565 წ., 657-660; Ier. 37, XIII-XIV და სხვ. 134-137). ეპიმაქოსის ხსენების დღედ დადებულია 31 ოქტომბერი.

ეპისკოპალური ეკლესია – იხ. ანგლიკანური ეკლესია.

ეპისკოპოსი (ბერძნ. – ზედამხედველი, მეთვალყურე) – ღვთისმსახურთა უმაღლესი წოდება, საეკლესიო იერარქიის უმაღლესი საფეხური მართლმადიდებლურ, კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში. ეპისკოპოსი იწოდება მღვდელმთავარად ანუ არქიერად (ქართული არქიელი) და ატარებს მღვდლობის უმაღლეს ხარისხს, რომელსაც უფლება აქვს შეასრულოს ქრისტიანობის შვიდიე საიდუმლო და აკურთხოს მირონი. ეპისკოპოსი არის მეთაური საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის – ეპარქიისა (ანუ საეპისკოპოსოსი). მის მოვალეობას შეადგენს თავის ეპარქიაში ქრისტიანული დოგმატიკის სწავლება-ქადაგება, მის მმართველობაში შემავალი ეკლესია-მონასტრების განმგებლობა, იერარქიკია, მის ეპარქიაში შემავალ სამღვდელო პირთა ხელდასხმა (ქირტონია და ქიროტესია), საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნა და ა. შ. IV ს-დან ბიზანტიაში დაიწყო ეპისკოპოსების იერარქიული დიფერენცირება. ეპისკოპოსზე მაღალ საფეხურს წარმოადგენდა მიტროპოლიტი (ე. ი. რომელიმე პროვინციის, დედაქალაქისა თუ დიდი ქალაქის ეპისკოპოსი). უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე იდგა მთავარეპისკოპოსი, რომელიც ბიზანტიის როშელიმე პროვინციას განაგებდა და მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ ეპისკოპოსები. ყველაზე მაღალ იერარქიულ საფეხურზე იდგა პატრიარქი, რომელიც რამდენიმე ქრისტიანული ქვეყნის დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაური იყო, ქვეყნისა, რომელშიც ქრისტიანობა რომელიმე მო-

ციქულს ჰქონდა ნაქადაგები (ეს ტიტული თავდაც ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსებმა მიიღეს).

საქართველოში ეპისკოპოსის ხარისხი IV ს. ჩანს, ე. ი. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე. წყაროებში პირველ ეპისკოპოსად იოანე არის დასახელებული, რომელიც მოელინებული იყო სპარსეთიდან ქრისტიანობის განსამტკიცებლად და იყოდა მცხეთაში. თანდათანობით ეპისკოპოსთა რიცხვი იზრდებოდა და საქართველოს ტერიტორია შესაბამის ეპარქიებად იყოფოდა. ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც ქართული ეკლესია ავტოკეფალურად აღიარეს, მას კათოლიკოსი განაგებდა, რომელსაც ემორჩილებოდნენ ახლად დაარსებული 13 ეპარქიის ეპისკოპოსები. XI ს. შემდეგ ეპისკოპოსებს კათოლიკოს-პატრიარქები მეთაურობდნენ. VIII ს-დან საკალდებულო იყო, რომ ეპისკოპოსი უცოლო ყოფილიყო, ამიტომ მათ მონაზონთაგან ირჩევდნენ.

ეპისტიმია მოწამე – III ს. მოწამე ქრისტიანი ქალი, მოწამე ღალატონის მეუღლე. ეპისტიმიას მეუღლე ღალატონი დიდი ხნის უშვილობის შემდეგ შეეძინა ფინიკიის ებესის ცნობილსა და მდიდარ მშობლებს ქრისტიანი ონოფრეს დამოძღვრის შედეგად. მშობლებმა იგი ქრისტიანული რწმენით აღზარდეს. 24 წლის ღალატონი მშობლებს უნდოდათ დაექორწინებინათ ლამაზ და ღირსეულ ქალიშვილზე, ეპისტიმიაზე, მაგრამ ეს ქორწინება რაღაც მიზეზით გადაიდო. ღალატონმა ეპისტიმიას უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება და გააქრისტიანა. გაქრისტიანდა ეპისტიმიას მონა ეეტოლმია. ქალიშვილმა თავის მონასთან ერთად გადაწყვიტა მონაზვნური ცხოვრება დაეწყო და პუბლიანის მთას მიაშურა, სადაც ორი ფარული მონასტერი იყო – მამთა და დედათა. მამათა მონასტერში მოღვაწეობდა ღალატონი, დედათა მონასტერში – ეპისტიმია. წარმართებმა გაიგეს მონასტერთა არსებობა. გაგზავნილმა რაზმმა დაარბია მონასტრები, მაგრამ მონაზვნებმა მოასწრეს მთას შეფარებოდნენ. მხოლოდ ღალატონმა არ ინება დამალვა და საკანში დარჩა. როდესაც ეპისტიმიამ იხილა დატყვევებული მეუღლე, მან გადაწყვიტა დანიშნულთან და მოძღვართან ერთად მიეღო მოწამებრივი სიკვდილი. წამების შემდეგ მათ ხელ-ფეხი და თავი მოკვეთეს. ეპისტიმიას ყოფილმა მონამ და ერთმორწმუნემ ფარულად დაასაფლავა ისინი. მანვე დაწერა და შეამომავლობას დაუტოვა მათი „წამების“ ამბავი.

ეპისტიმიას და ღალატონის „წამების“ მეტაფრასული თხზულება ბერძნულად დაწერა X ს. ბოლოს სიმეონ ლოღოთეტმა, ხოლო ქართულად ითარგმნა ორჯერ: ჯერ თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ XI ს. II ნახევარში (Ath. 37, 1080 წ., 17-21), ხოლო მეორედ – უცნობი მთარგმნელის მიერ (S 358, XI-XII სს., 572-582; Ier. 37, XIII-XIV სს., 161-167). მათი ხსენების დღედ 5 ნოემბერია დადებული.

ეპისტოლე (ბერძნ. – წერილი) – წერილი, მიმართვა, წერილის ფორმით დაწერილი თხზულება. ეპისტოლარული ლიტერატურა: მოციქულთა ეპისტოლეები, წმ მამათა ეპისტოლეები და სხვა საეკლესიო მწერლობის ძნიშნელოვან ნაწილს შეადგენს. წმინდა წერილში (სამოციქულოში) შედის მოციქულთა შემდეგი ეპისტოლეები ამ რიგით: 1) იაკობ მოციქულისა კათოლიკე ეპისტოლე (V თავი), 2) პეტრე მოციქულის პირველი (V თავი) და 3) მეორე (3 თავი) კათოლიკე ეპისტოლეები, 4) იოანე მოციქულის პირველი (5 თავი), 5) მეორე (1 თავი) და 6) მესამე (1 თავი) კათოლიკე ეპისტოლეები, 7) იუდა მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე (1 თავი).

პაულე მოციქულის ეპისტოლეები: 8) ჰრომაელთა მიმართ (16 თავი), 9) კორინთელთა მიმართ პირველი (16 თავი) და 10) მეორე (13 თავი), 11) გალატელთა მიმართ (6 თავი), 12) ეფესელთა მიმართ (6 თავი), 13) ფილიპელთა მიმართ (4 თავი), 14) კოლასელთა მიმართ (4 თავი), 15) თესალონიკელთა მიმართ პირველი (5 თავი) და 16) მეორე (3 თავი), 17) ტიმოთეს მიმართ პირველი (6 თავი), და 18) მეორე (4 თავი), 19) ტიტეს მიმართ (3 თავი), 20) ფილიმონის მიმართ (1 თავი), 21) ებრაელთა მიმართ (33 თავი). ეპისტოლე ეწოდება აგრეთვე საეკლესიო იერარქიის მიერ მის ხელქვეით სასულიერო პირებისათვის მიცემულ სხვადასხვა შინაარსის მოწმობას: განსატეხელი ეპისტოლე, დასამტკიცებელი ეპისტოლე, დასამშვიდებელი ეპისტოლე, კანონიანი ეპისტოლე, მრგუელივ მოსაველი – საყოველთაო ეპისტოლე და სხვ. (იხ. თითოეული მათგანი).

ეპისტოლეთა წიგნი – სომხური საეკლესიო კრებული, რომელშიც დაცულია ქრისტიანული დოგმატიკისა და საეკლესიო პრაქტიკის შესახებ სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფო მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნების ეკლესიების იერარქებთან V-XIII სს-ში. კრებულმა მთლიანი სახით მოაღწია ერთადერთი, 1298 წლით დათარიღებული ხელნაწერით, რომლის მიხედვითაც ტექსტი 1901 წელს დაიბეჭ-

და თბილისში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კრებულის I ნაწილი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს VII ს. I ნახევარში ან VIII ს. დამდეგს. ეს ნაწილი სამი ჯგუფისაგან შედგება: 1. მიმოწერა ბერძნებთან. 2. მიმოწერა ირანის ქვეშევრდომ ქრისტიან ხალხებთან. 3. მიმოწერა ამერაკაკასიის ქვეყნების ეკლესიათა მეთაურებთან. უკანასკნელის ძირითადი მასალა ასახავს VII ს. დასაწყისში ქართველთა და სომეხთა შორის მოშხდარ საეკლესიო განხეთქილებას. ეს მიმოწერა შეიცავს 25 ეპისტოლეს, დაწერილს 605-612 წწ-ში. ავტორები და ადრესატები არიან: აბრაამ X სომეხთა კათოლიკოსი, კირიონ ქართლის კათოლიკოსი, ერთანეს ქერდელი, მოსე ცურტაველი, სუმბატ ბაგრატუნი და ცურტავის სომხურენოვანი მრევლი. მიმოწერაში ასახულია ქართლიდან სომხეთში გაქცეული ცურტავის სომხური მრევლის ეპისკოპოსის, მოსეს წერილობითი საჩივარი სომხური ეკლესიის იერარქებთან, რომ ქართულმა ეკლესიამ უღალატა მართლმადიდებლურ (იგულისხმება მონოფიზიტური) სარწმუნოებას და ქალკედონის მსოფლიო კრების სიმბოლო აღიარა. სომეხ საეკლესიო იერარქთა ეპისტოლეები კირიონ ქართლის კათოლიკოსისა და ქართლის ერისთავებისადმი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქართული ეკლესიის მონოფიზიტობისაკენ მობრუნებას, უპასუხოდ დარჩნენ. ბოლოს, აბრაამ სომეხთა კათოლიკოსმა ენციკლიკური ეპისტოლით მოუწოდა თაოს სამწყსოს, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ ქართულ და მის მომხრე ალბანურ ეკლესიასთან. „ეპისტოლეთა წიგნის" სომხური ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ზ. ალექსიძემ 1968 წ.

ეპიტაფია (ბერძ.) — ძველ საბერძნეთში საფლავზე წარმოთქმული სიტყვა, ხოლო მოგვიანებით — წარწერა საფლავის ქვაზე. ეპიტაფია ეწოდება აგრეთვე საფლავის ქვაზე წარწერილ მიცვალებულის მოსაგონარ ლექსსაც. საეკლესიო მწერლობაში არაერთი თხზულება არის ცნობილი „ეპიტაფიის" სახელწოდებით. დავასახელებთ რამდენიმეს: გრიგოლ ნაზიანზელის „ეპიტაფია მამისა თუსისა გრიგორი ანძიანძრელ ეპისკოპოსისაჲ, რომელ აღმოთქუა საფლავსა ზედა მისსა" (A 292, 367-387), მისივე „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს" (A 16, 280-309); აგრეთვე ამ ბოლო თხზულების მეტაფრასული გადაშუშავება ნიკიტა-დავით პაფლაღონელის († 890) მიერ: „ეპიტაფიად ბასილისსა სტიხონი იროიკონი პარაფრასნი" (A 292, 54-56) და სხვ. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია დაეით ალმაშენებლის ეპიტაფია, რომელსაც არსენ იყალთოელს მიაწერენ (S 2385, გე. 188).

ეპიტროპოსი — მზრუნველი, ეს ტერმინი რამდენჯერმე იხმარება პეტრწონის მონასტრის ტიპიკონში: „მოურნეთათჳს და მოღუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი" (სამ. ძეგ. III, 13). გრიგოლი ბაკურიანის ძე აფრთხილებს ძმობას, რომ „რომელნი უდაბნოს ჩუენსა მკჳდრ არიან, რაჲთა არა ოდეს დუტჳნ პატიოსანი ესე სამწყსო ჩუენი, თუნიერ ეპისკოპოსთა და იკონომოსთა, რომელ არიან გამგენი და ბარძაღნი", ანდა, „ეგრეთვე შიშითა ღმრთისაჲთა ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსაელსა საკრძალ ეკლესიისა და მონასტრისა" (სამ. ძეგ. III, 87).

ეპიფანე — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი 1567-1593 წწ., „ქართველ მეფეთაგან წარგზავნილი". ეპიფანეს მამობის დროს შესამჩნევია ქართველთა ზრუნვა ჯვარის მონასტრის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ეპიფანე მწიგნობრობის მოყვარულიც ყოფილა. ცნობილია მის მიერ შეკაზმული წიგნები (Jer. 51, Jer. 120). 1582 წ. იერუსალიმში უმოგზაურია ნიკოლა რაძივილას, რომელსაც აქვს ცნობები ჯვარის მონასტრის შესახებ ეპიფანეს წინამძღვრობის პერიოდში. ეს ცნობები ამოუკრებია და უთარგმნია გაითჯ რექტორს (S 29).

2. ჭერემის ეპისკოპოსი (რუსიშვილი) XVII ს. შუა წლებში. ეპიფანეს ხელით არის დაწერილი 1654 წ. ერთი ფიცის წიგნი (ქრონიკ. II, 467). „დაიწერა ქსა ტჰმ" (=1654) იანვარს ბ. ქელითა ჭერემელ ეპისკოპოზის (რუსიშვილი) ეპიფანესითა".

3. მღვდელმონაზონი XIX ს. I ნახევარში, მოღვაწეობდა პეტერბურგში, ალექსანდრეს ლავრაში. 1814 წ. გადაუწერია გამოკრებილი სახარება (A 370). მეფის ძის ბაგრატისათვის და თეიმურაზ ბატონიშვილისათვის — „ქილილა და დამანა" (H 2119, 1813 წ.). შემდეგში ეპიფანე საქართველოში დაბრუნებულა და ხირსის მონასტრის არქიმანდრიტი გამხდარა.

ეპიტიმია (ბერძ.) — საეკლესიო სასჯელის ზოგადი სახელწოდება, ქართული „განკანონების" (იხ.) ბერძნული შესატყვისი, რომე-

საც ეპიტიმია მღვდლისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებათა საეკლესიო შესრულების დაკისრებაში. ამ აზრით ეპიტიმია – განკანონება. არის დამოუკიდებელი სასჯელი.

ეპიტირიტიტისი (ბერძ.) – იხ. დამხედვარი.

ეპიფანე // ეტიფანე – IX ს. ხანცთის მონასტრის მონაზონი, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, სასწაულთმოქმედი (გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში" აღწერილია ეპიფანეს მიერ შესრულებული რამდენიმე სასწაული). ეპიფანე ქართლიდან ჩასულა ხანცთის მონასტერში და ამ მონასტრის მთავარი ეკლესიის წინამძღვარი გამხდარა (ძეგლები I, 291-293). არსებობს აზრი, რომ ეპიფანე პიმნოგრაფიც ყოფილა (ვ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 550, 692-697).

ეპიფანე // ეტიფანე კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი XIII ს. I ნახევარში. ეპიფანეს მცხეთის კათედრალის ბიბლიოთეკისათვის შეუნირავს ძირფასი ხელნაწერი წიგნები (ე. თაყაიშვილი, არქეოლ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. 1910 წ., გვ. 347). ცნობილია აგრეთვე ეპიფანე კათოლიკოსის 1218 წ. დაწერილი ანდერძი ხუცესთა სარგოს განწესების შესახებ (სამ. ძეგ. III, 154). ეპიფანე კათოლიკოსი მოხსენიებულია შიომღვიმის XIII ს. ტიპიკონის (H 1349) სინოდიკონში, ქართლის მამამთავართა სიაში.

ეპიფანე კვიპრელი – IV ს. გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, კვიპროსის ეპისკოპოსი. დაიბადა 310 (ან 322 წელს), ეროვნებით ფინიკიელი, განათლება მიიღო ებრაელის ოჯახში და ამიტომ თავდაპირველად ებრაულ სარწმუნოებას აღიარებდა. აღზრდილის სიკვდილის შემდეგ მიიღო ქრისტიანობა, ღარიბებს დაუნაწილა მემკვიდრეობით მიღებული ქონება და ეგვიპტეში წავიდა. შემდეგ დაბრუნდა პალესტინაში და გახდა მოწაფე განთქმული ილარიონ დიდისა და ეწეოდა განდეგილის ასკეტურ ცხოვრებას, ქადაგებდა სახარებას ცეცხლთაყვანისმცემელ ფარსებთან, ბოლოს გადასახლდა კვიპროსის კუნძულზე, სადაც 367 წ. გახდა სალამანის ეპისკოპოსი და კვიპროსის ეკლესიას მართავდა 36 წლის განმავლობაში. ეპიფანეს სარწმუნოებრივი მრწამსი ყალიბდებოდა ეგვიპტის და პალესტინის ასკეტების ზეგავლენით, იბრძოდა არიანელთა წინააღმდეგ. მისი ორი თხზულება მთარგმნელია არიანელთა და იმდროინდელ სხვა მწვალებლობათა წინააღმდეგ („ალუზა," „ფოთიაქი"). სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია „საზომთათუს და საწყაულთა" (ბიბლიაში), „ჟამთაღმოცემა" (ბიბლიური ცხოველები), „ათორმეტთა თუალთათუს" (ბიბლიური პირველშაკულის 12 ძვირფასი ქვის შესახებ), „ძველი აღთქმის 22 წინასწარმეტყველი და 3 ახალი აღთქმისა, 12 მოციქული და 70 მოწაფე ქრისტესი", „12 ქადაგება", რომელთა ეპიფანესადმი კუთვნილება ეჭვის ქვეშაა".

ეპიფანე კვიპრელის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1. „პასუხი ეპისტოლისაჲ... ოთხმეოცთა მათ წუალეხთაჲსა", თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის (XI ს. II ნახ.) მიერ (A 64, 81-98), რომელსაც დედანში „ფოთიაქი ანუ ყუთი წამლებისათჳს" ეწოდება. 2. „ათორმეტთა თუალთათუს" (S 1141, 122-214, A 6). 3. „საზომთათუს და საწყაულთა" (S 1141, 239-255). 4. „თარგმანებაჲ დაჳითის ფსალმუნისაჲ (განმარტ. 1-6, 9, 44-50 და 67 ფსალმუნები – 1141, 515-576). 5. „საქმენი წმიდათა წინასწარმეტყუელთანი" (A 691, 92-112). 6. „წმიდისა... მარიამისთუს" (A 19, 22 (ნაკლ.) A 835, 18-43, 2, 110-115; Ier. 83, 45-54 და სხვ.). 7. „თქუმული აღესებისათუს და აღდგომისათუს უელისა" (A 1102, 139 [ნაკლ.]). 8. „სალმრთოჲსა ჯორჯაჲ ოსუ ქრისტესთა დაფლეთათუს და იოსიფ და ნიკოდიმოსისათუს" (A 5, 394-413, A 129, 259-268 და სხვ. მრ.). 9. „შეცსალდებისათუს ანნაჲსა", თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზონისა (A 162, 15-18; ჯუა. 5, 123-130; S 1217, 111-127; ამ ხელნაწერში მთარგმნელად ექვთიმე მთაწმიდელია დასახელებული). 10. „განკაცებისათუს უფლისა ქალწულისა მარიამისაგან" (Ath. 80, 23-25; ესაა მე-6 პუნქტში დასახელებული თხზულების განსხვავებული თარგმანი).

ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების" ბერძნული დედნის შექმნას საინტერესო ისტორია აქვს: მისი წერა დაიწყო ეპიფანეს მოწაფემ იოანე ხუცესმა მობერის სიცოცხლეშივე და მისგან ფარულად, მაგრამ ვერ დაამთავრა, რადგან დაეკადა და გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილამდე მთასწრო და ამ „ცხოვრების" გაგრძელება სთხოვა ეპიფანეს მეორე მოწაფეს, პოლიბიოსს. ეპიფანე 401 წ. 102 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო მისი „ცხოვრება" უკვე დაწერილი იყო ეპიფანეს გარეშე, რადგან ეპიფანეს გაჭიანურებული დაკრძალვის გამო იგი ვერ აღწერა პოლიბიოსმა, ვინაიდან კვიპრედან ეგვიპტეში მოუწია სასწრაფოდ წასვლა, სადაც იგი ერთერთი ეპარ-

ქიის ეპისკოპოსად აკურთხეს. მან ეპისტოლით სთხოვა ეპიფანეს მონაცვლეს, საბინეს, მიეწერა მისთვის ეპიფანეს დასულეაებასთან დაკავშირებული ამბები. ასე რომ, ეპიფანეს „ცხოვრება" სამი ავტორის ნახელავია. „ცხოვრების" ქართული თარგმანი IX საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული, ხოლო მისი შემცველი უძველესი ხელნაწერი 982 წლისაა (Sin. 6). გამოც. იე. იმნაიშვილის მიერ, საითხავი წიგნი ძვ. ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966, გვ. 92-142.

ეპიფანე კვიპარელის სახელს ატარებდა, როგორც ჩანს, საკთოლიკოსო ტაძარი კვიპროსზე, როგორც ეს აღნიშნულია ეფთვიმე მთაწმიდელის „ცხოვრებაში", რომელსაც ეფთვიმეს შესათაზეს კვიპროსის მთავარეპისკოპოსობა: „საჯდართა შორის საკათალიკოზოთა სჩინო არს და წარჩინებული საჯდარი წმიდისა ეპიფანე კვიპრელისაჲ" (ძეგლები II, 69).

ერასტოს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი. მას ახსენებს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: „გიკითხავს თქუენ ერასტოს მნე ქალაქისა" (16, 23). ერასტოსი „ვამწეცა იერუსალიმის ეკლესიისა იქმნა და მერმე ეპისკოპოს პანელისა" (დიდი სვინაქსარი).

ერგასინი – 1. იულეელთა ერთ-ერთი უხუცესი ღელასწაულთაგანი, ღვთის მიერ ხალხისათვის სინის მთაზე სჯულის მიცემის აღსანიშნავად. 2. სულიწმიდის მოფენის დღესასწაული. იხ. მარტვილია..

ერედვი – სოფელი სამჩაბლოში, ცხინვალის რაიონში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს, ცხინვალიდან 7 კმ, სოფელში დგას წმ. გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც, წარწერის მიხედვით, 906 წ. არის აშენებული. უნიკალური გეგმით აგებული ეკლესიის მთავარ ნავს გარეშემოსაველი ერტყმის არა მხოლოდ სამი მხრიდან, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიღებული, არამედ ოთხივე მხრიდან. ეკლესიამ ძირითადად თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე (შეკეთებულია და აღდგენილი მხოლოდ ცალკეული ადგილები). ინტერიერი დეკორით არის შემკული. ეკლესიას გარს არტყია მაღალი ბურჯებით გამაგრებული ციხე-გალავანი, რომელშიც ჩანს მშენებლობის სხვადასხვა დროის ფენები, დაწყებული ადრეული ეპოქიდან XVIII ს. ჩათვლით. გალავანში შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთი. წმ. გიორგის ეკლესიამ შეშონახა 906-914 წლების რამდენიმე სააღმშენებლო და მოსახსენებელი ასომთაერული წარწერა (იხ. ლაპ. წარწ. I, 170-174).

ერეკლე II-ის სტამბა – დაარსდა თბილისში 1749 წ. და იარსება 1802 წლამდე. თავდაპირველად მთაწმიდაზე იყო ანრისხატის ეზოში, საპატრიარქო პალატის შენობაში, 1763 წლიდან კი – ქალაქის ცენტრში, მეფის სასახლეში. 1781-82 წლებში სტამბას საფუძვლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთეს: დადგა ახალი დასაბეჭდი დაზგა, ჩამოასხეს შრიფტი და სხვ. პირველ ხანებში სტამბას მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა მისი თაყაკაცის – ანტონ I-ის საქართველოდან განდევნისა და რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო. 1763 წლიდან სტამბის მუშაობა გამოცოცხლდა, რასაც ხელი შეუწყო ანტონ I-ის თბილისში დაბრუნებამ. 1781 წლიდან სტამბის საქმიანობას სათაეში ჩაუდგა ერეკლე II-ის კარის ეკლესიის მოძღვარი, მარტყოფელი მღვდელი ქრისტეფორე კეკელაშვილი, რომელმაც იოკარით ახლო სტამბა. ქრისტეფორემ არსებითი ცვლილებები შეიტანა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში, გაზარდა ტირაჟი. წიგნებს კალენდრის სახით დაურთო ცნობები საეკლესიო დღესასწაულებზე და სხვ. სტამბამ დაბეჭდა 28 დასახელების წიგნი: „დავითნი", ანტონ I-ის „ქადაგებანი", „შესხმა პირველი ახლისა ამის წიგნთ-საბეჭდისა" და სხვ.

ერელაანთ ეკლესია – V-VI სს. ჯვრის ფორმის გუმბათიანი ეკლესია, აბმეტიდან 4 კმ-ზე, თიანეთის გზატკეცილის მარჯ. მხარეს. ეკლესია ძირითადად ნაგებია რიყის ქვით, შირიმით, ხოლო ფასადები – კირქვის ფილებით. ეკლესიას სამხრეთ და ჩრდილო მკლავების აღმოსაელეთის კედლებში 2 დამატებითი აბსიდი აქვს. გუმბათქვეშა კუთხური გუმბათის წრეზე ტრომპების სამაულებით გადადის. გუმბათის ყელი რვა წახნაგაა და აქვს 4 სარკმელი. ეკლესიას ერთი შესასელელი აქვს სამხრეთიდან. ეკლესიის დეკორი მარტივია. შიგნიდან ეკლესია შელესილი და მოხატული ყოფილა. ჩამოქცეული გუმბათი და დასაელეთის მკლავის კამარა ამჟამად აღდგენილია.

ერენუშიოს – რომაელი ხუცესი, საეკლესიო მწერალი. მისი თხზულება ბერძნულიდან თარგმნილია ქართულად „ხხრამაჲ ამბაჲი, რომელი დაწერა ეკლესიისა შეილთა მიერ მოწამებისათჳს წმ. ბასილისა და დამტკიცებაჲ სარწმუნოებისაჲ ქრისტეს მიერ და ვითარ იგი გაჩნაცხა და აკურთხა ეკლესიაჲ წმ. გიორგისი ლუდიას" (გამოც. კ. კეკელიძე, კიმენი I, 1-5).

ერესი – იხ. მწვალებლობა.

ერეტიკოსი – იხ. მწვალებელი.

ერთარსება – იხ. სამება.

ერთაწმინდა – სოფელი კასპის რაიონში, მდ. თეძმის ხეობაში, კასპიდან 20 კმ-ზე. სოფელში დგას XIII ს. შუა წლების წმ. ესტატეს ეკლესია. გუმბათიანი დიდი ეკლესია ნაგებია თლილი ქვით. გუმბათი ორ თავისუფლად მდგარ ბურჯსა და ბემის კუთხეებს ეყრდნობა. საკურთხეველის ორიენ მხარეს ორ სართულად განლაგებულია კუთხის ოთახები, ფასადები, უმეტესად კარ-სარკმლების საპირეები და ქუაში ნაკეთი ჯვრები, მორთულია მდიდრული ჩუქურთმებით. ეკლესიას ეტყობა გვიანდელი შეკეთება-გადაკეთების კვალი. XVII ს-ის დასაწყისიდან იგი თარხნიშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა. ეკლესიაში დაკრძალულია გიორგი საკაძის ვაჟის, პაატას თაკი. ერთაწმინდის მიდამოებში (გოსტიბე) არის X-XI სს-ის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით. ასევე, სოფლის მიდამოებში (კაბერი) დგას X-XI სს. ეკლესია, რომელშიც შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ერის განტევება – იხ. განტევება ერისა.

ერკეთის მონასტერი – მოხსენიებულია 1777 წ. აფხაზეთის კათოლიკოსის, მაქსიმეს ინსტრუქციაში უდაბნოსა და ერკეთის წინამძღვრებისადმი. ამ დროს ერკეთის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა ბესარიონი (დ. ბაქრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Спб, 1878, 338-340). დღეს ძველი სოფ. ერკეთის ტერიტორიაზე არსებობს ზემო და ქვემო ერკეთი (ჩოხოტაურის რაიონში). ერკეთის მონასტერი დღევანდელი ზემო ერკეთის ახლოს უნდა ყოფილიყო. სოფლის მიდამოებში დგას შუა საუკუნეების ეკლესია, ალბათ, ერკეთის მონასტრის ნაშთი.

ერმას // ერმას მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი. მას ახსენებს პაული მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: „კითხვაჲ არქუთ... ერმას და მათ თანათა მათ ძმათა (16, 14). ერმას მოციქული შემდგომში ფილიპოპოლის ეპისკოპოსი გახდა.

ერმეს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი. მას ახსენებს პაული მოციქული ეპისტოლეში პრომაელთა მიმართ: „კითხვაჲ არქუთ... ერმეს" (16, 14). იგი დალმატიის ეპისკოპოსი გახდა.

ერმილე მოწამე (დაახ. 315) – ეწამა ლიკინიოზის (307-324) მეუობის დროს. წმ. სტრატონიკესთან ერთად. ერმილე იყო ქ. სინგდონში (ამჟ. ბელგრადი) დიაკვნად. ერმილე დიდხანს სტანჯეს ციხეში. მასთან ერთად აწამეს მისი მეგობარი და ციხის ზედამხედველი სტრატონიკე, რომელმაც აშკარად აღიარა ქრისტიანობა. მოწამეები ბადეში გამოკრეს და დუნაიში ჩაყარეს. მათი გვამები ქრისტიანებმა იპოვეს მესამე დღეს და ქალაქის ახლოს დამარხეს. მათი წმ. ნაწილები (წმ. თავები) გადატანილი იქნა კონსტანტინეპოლის სოფიის ტაძარში, სადაც ისინი უხსოვარ 1200 წ. რუს პილიგრიმს, ანტონს. ერმილე და სტრატონიკე მოწამეთა შესახებ X ს. ბოლოს სვიმეონ მეტაფრასტს ძველი წყაროების საფუძველზე დაუწერია მეტაფრასული თხზულება, რომელიც უთარგმნიათ ქართულად და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (A 79, XII-XIII სს., 106-119; A 90, XIII ს., 256r-261v; ქუთ. 13, XIII ს., 90-96). მოწამეთა ხსენების დღედ 13 იანვარია დადებული.

ერმიო მოწამე – ათენელი ქრისტიანი, ეწამა ქრისტესთვის მაკედონიის ქ. ახლონიაში ნუმერიანე იმპერატორის (283-284) მეუობის დროს თავის თანამოქალაქეებთან – ისავრე, ასკოს, ინოკენტიოს, ფილკაოს და პერფლიოს მოწამეებთან ერთად. ერმიოს და მასთან ერთად წამებულთა „წამების" მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში და შემონახულია XIII ს. ერთ ხელნაწერში (ქუთ. 7, 404-418). ხსენების დღედ დადებულია 6 იელისი, თუმცა „წამების" ქართული თარგმანი 29 აპრილს უთითებს.

ერმოგენე მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის მაქსიმიანე იმპერატორის (305-313) დროს მენა და ევგრაფოს მოწამეებთან ერთად. ერმოგენე წარმართი და მაქსიმიანეს ეპარქოზი იყო. მაქსიმიანემ ერმოგენე გაგზავნა ალექსანდრიაში ქალაქის ქრისტიანებისაგან გასაწვრთნად და მინას გასასმართლებლად, რომელიც მანამდე იმპერატორის დავალებით გაგზავნილი იყო ათენიდან ალექსანდრიაში წარმართებსა და ქრისტიანებს შორის შუღლის მოსაგვარებლად, სადაც მინამ აშკარად გამოამჟღავნა ქრისტიანობა და დაიწყო სახარების საჯაროდ ქადაგება. ერმოგენე მოიხიბლა მინას მოთმინებით წამების დროს და თვითონაც ქრისტიანი გახდა. მაქსიმიანე თვითონ ჩავიდა ალექსანდრიაში და მენას, მის მდივანს ევგრაფოსს და ერმოგენეს თავები მოკვეთა. მოწამეთა წმ. ნაწილები, რომლებიც რკინის კუთით ზღვაში ჩაგდეს, მოიყვებული (17 თებერვალს) და გადატანილი იქნა კონსტანტინეპოლში. იმპერატორმა იუსტინიანემ

წმ. მოწამე მენას სახელზე ააგო ტაძარი, ხოლო იოსებ მგალობელმა მათ სადიდებლად შეთხზა კანონი (საგალობელი). სამიე მოწამის ერთობლივი წამების კომპლექსი თხზულება, რომელიც ათანასი ალექსანდრიელს მიეწერება, ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნა ეფთვიშე მთაწმიდელმა (როგორც იოანე და ეფთვიშეს „ცხოვრებაში“ ნათქვამი: „თარგმნა... წამებაჲ წმიდათა მინერმოგენეთი“, ძეგლ. II, 63, 4; A 70, XIII ს., 446-457; H 341, XI ს., 1-28 და სხვ.), ხოლო მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად შეადგინა სეიმეონ ლოლოთეტმა X ს. ბოლოს, ქართულად ითარგმნა XI ს. II ნახევარში (A 90, XIII ს., 135-175; A 128, XII-XIII სს., ქუთ. 5, XVI ს., 141-169.). მათი ხსენების დღეა 10 დეკემბერი.

ერმოგენოს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც შემდეგ „მეგრელთა ეპისკოპოს იქმნა“, როგორც ეს „დიდ სვინაქსარზე“ დართული 70 მოციქულთა მოსახსენებელში წერია.

ერნი ანგელოზთაგანნი – იხ. ანგელოზი.

ეროდე // იროდი – იხ. პეროდე.

ეროდია // იროდია – იხ. პეროდია.

ეროდიონ მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც მოხსენიებული პაულს პავლე მოციქულს ეპისტოლეში რომაელთა მიმართ: „კითხუა არქუთ ეროდიონს, ნათესაუსა ჩემსა“ (16, 11). შემდეგში იგი პატრას ეპისკოპოსი გახდა.

ეროსი (ეროსტოს) მოწამე – ეწამა მაქსიმიანეს (284-305) მეფობის დროს, თავის ექვს ძმასთან (ორენტოს, ფარნაკოს, ფირმოს, ფირმინოს, კვირიკოს, ლონგინოს) ერთად ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ძმები რომის არმიის მეომრები იყვნენ და ფარულად აღიარებდნენ ქრისტეს. ბერძნებს თავს დაესხნენ სკვითები. სკვითების ბელადის, მაროიას წინააღმდეგ შესაბრძოლებლად გამოიყვანეს ძლიერი და მამაცი მეომარი ორენტოსი, რომელმაც ქრისტეს შემწეობით დაამარცხა სკვითი, რაც საკმარისი გახდა, რომ ბერძნებს უკუექციათ სკვითები. ამ გამარჯვების აღსანიშნავად იმპერატორმა გადაწყვიტა, მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. ორენტოსმა და მისმა ძმებმა მსხვერპლის შეწირვაზე უარი თქვეს და აშკარად აღიარეს ქრისტიანობა, რისთვისაც იპერატორმა ისინი კაეკასიაში გადაასახლა. გზაში ყველანი დაიხოცნენ: პირველად გარდაიცვალა ეროსი – 22 იენისს პარემეოლში, ორესტი ზღვაში გადააგდეს ქვამობმული და ა. შ. მოწამე ძმების „წამების“ მეტაფრასული თხზულება დაწერა იოანე ქსიფილინოსმა XI ს. ბოლოს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII-ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 227-241; გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები... IX ს., თბ., 1957, გვ. 310-328). მოწამეთა ხსენების დღე ქართული წყაროს მიხედვით 23 იენისია, ხოლო სხვა წყაროებით – 24 იენისი.

ერუშეთის საეპისკოპოსო – ერთერთი უძველესი საეპისკოპოსო ეპარქია საქართველოში. V ს. II ნახევარში იგი დაუარსებია ეახტანგ გორგასალს, თვით ტაძარი კი, რომელიც ერუშეთის ეპისკოპოსის კათედრა გახდა, კიდევ უფრო ძველია. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, ერუშეთის ეკლესია პირველი ქრისტიანული ტაძარი ყოფილა, რომელიც საქართველოში აუშენებიათ (IV ს.) და რომელშიც ინახებოდა ქრისტიანული ეკლესიის ერთერთი უდიდესი სიწმინდე, იესო ქრისტეს „ფერკთა ფიცარნი“, რომლითაც იგი ჯვარზე იყო მილურსმული. ახლადმოქცეულმა მირიან მეფემ „ითხოვნა საბერძნეთით ქუის მთლელნი და კირითხურონი და მისცა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადვეს სარძკუელი ეკლესიისაჲ და დაუტეეს ფერკთა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და წარმოვიდეს მანგლისს...“ (მოქცეუაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, 86-87). ერუშეთი ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში, არტაანის ჩრდილოეთით (ახლანდ. თურქეთის საზღვრებში). მხარეს ეს სახელი ეწოდა ცენტრალური პუნქტის მიხედვით. ქართლის სამეფოს უძველესი ადმინისტრაციული დანაწილებით ერუშეთი არტაანთან ერთად წუნდის საერისთოში შედიოდა. XVI ს. დასაწყისში ერუშეთი ეპისკოპოსის ეპარქიაში ერუშეთი და არტაანის მხრის მტკვრის მარცხენა სანაპიროც შედიოდა. XVI ს-დან ერუშეთი სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად ოსმალების მფლობელობაში გადავიდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით (1878) და ბერლინის კონგრესის (1787) თანახმად, ერუშეთი რუსეთს გადაეცა, ხოლო შემდეგ ისევ ოსმალები დაეპატრონენ. 1917 წ. ერუშეთში იმოგზაურა და იქაური ძეგლები შეისწავლა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან მიაკვლია ადრეფეოდალური ხანის სამკაუთხა ბაზილიკის ნანგრევებს, რომლებსაც შემორჩენილა მომდევნო პერიოდებში შესრულებული ფრესკების ნაშთი.

ერწოს მონასტერი – მოხსენებული 1569 წ. ერთ სიგელში (ქრონ. II, 413), ე. ი. მონასტერი სოფ. ერწოში (ჯავის რაიონში) ან მის ახლომახლო მდებარეობდა.

ესაია წინასწარმეტყველი (ძვ. წ. 770//760-687//642) – ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი, ძველ ებრაელთა პოლიტიკური მოღვაწე და რელიგიის რეფორმატორი. მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ არის ცნობილი. ესაია ყოფილა შვილი ვინმე ამოსისა (არა წინასწარმეტყველისა), ცხოვრობდა იერუსალიმში, ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. წინასწარმეტყველობის სარბიელზე მოწოდებულ იქნა გამოცხადებით, როგორც ამას თვით ესაია მოგვითხრობს თავისი წიგნის V თავში. იგი წინასწარმეტყველებდა 60 წლის მანძილზე იუდეველთა 4 მეფის – ოზიას, იოზამის, ჩაქაზისა და ეზეკიას დროს. ესაიას მოღვაწეობის შემდეგ მოხდა იუდეაში რელიგიურ-მორალური აღორძინება, განსაკუთრებით იუდეველთა მეფის – ეზეკიას (758 წლიდან ქრისტეს შობამდე) მეფობაში. გადმოცემით, ესაიამ სიცოცხლე მოწამებრივი აღსასრულით დაასრულა: იგი გაჭრიხეს ხის ხერხით. ესაიას სახელს ატარებს ძველი აღთქმის წიგნი „წინასწარმეტყველება ესაიასი", რომელიც პირველ ადგილზეა შეტანილი ძველ აღთქმაში ოთხი დიდი წინასწარმეტყველის წიგნებს შორის. წიგნი შედგება 66 თავისაგან. ამ წიგნის მიხედვით ჩვენ წარმოდგენა გვაქვს არა მარტო იმდროინდელ ებრაელთა, არამედ სხვა ხალხების შესახებაც. მის შინაარსს შეადგენს წინასწარმეტყველება როგორც ებრაელთა, ასევე სხვა ხალხების ბედზე. ქრისტიანულ ეკლესიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის წინასწარმეტყველებას მესიის (ემმანუელ) შესახებ (VII და IX თავები). ესაიას ისე ზუსტად და თვალნათლივ აქვს დახატული იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება, რომ მან მეხუთე მახარებლის (ევანგელისტის) სახელი მიიღო („წინასწარმეტყველება ესაიასი", გამოც. ელ. დოჩნაშვილის მიერ, მცხეთური ხელნაწერი, თბილისი, 1985, გვ. 69-155). იხ. ისაია.

ესპროკი, მიშელ (1934-2006 წწ.) – ბელგიელი ქართველოლოგი, ორიენტალისტი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მას თითქმის სასულიერო მწერლობის ყველა დაგში აქვს გამოქვეყნებული ნაშრომი (დაახ. 70-მდე). მონოგრაფია მიუძღვნა პომილეტიკურ-პაგიოგრაფიულ კრებულს - „მრავალთავებს". მის მიერ შესწავლილ და გამოცემულ ლიტურგიკულ, პაგიოგრაფიულ, პომილეტიკურ და აპოკრიფულ ტექსტებს ერთვის მათი ფრანგული და ლათინური თარგმანებიც.

ესტატე (კუჭაძე) – გადამწერი XVIII ს. დასაწყისში. 1710 წ. ესტატეს გადაუწერია ქებანი (H 890, 235 ფ.; აღწ. H II, გვ. 263).

„ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" – აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ნაშრომთა სერია (14 ტომად), რომლებშიც შესულია ავტორის ყველა მნიშვნელოვანი სტატია ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე და ნათარგმნი პაგიოგრაფიული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციები (ბევრი მათგანი რუსული თარგმანით). ეტიუდების I ტომი დაიბეჭდა 1956 წელს, ბოლო, XIV ტომი – 1987 წ.

ეტრატი – სპეციალურად დამუშავებული ცხვრის, თხის და ხბოს ტყავი საწერ მასალად. ბერძენი ისტორიოგრაფოს, პლინიუსის ცნობით, პირველად ეტრატი ჩვენ წელთაღრიცხვამდე II ს. გამოუგონებიათ ქალაქ პერგამონში (მცირე აზია, დღევანდელი ბერგამო), რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე XII ს. დაუარსებიათ სპარძნეთიდან გამოსულ ბერძნებს. ამიტომ, ეტრატს სხვა ენებზე პერგამენტს უწოდებენ. ისტორიული მონაცემებით, ძველ აღმოსავლეთში ეტრატი უფრო ადრეც ყოფილა ცნობილი. ეტრატის შექმნამ ხელი შეუწყო მწიგნობრობის სწრაფ განვითარებას. მასზე შესაძლებელი იყო უფრო სწრაფად და ლამაზად წერა. გამოსადეგი იყო ფურცლის ორივე მხარე, შეიძლებოდა ნაწერის მხატვრულად გაფორმებაც. ძველ საქართველოში ეტრატი ადრე ყოფილა ცნობილი. ეტრატზეა ნაწერი უძველესი ქართული ხელნაწერები: VI-VII სს. პალიმფსესტები, ხანმეტი ლექციონარები (VII ს.) და თითქმის ყველა ხელნაწერი X-XI სს-მდე, ე. ი. ქაღალდის შემოღებამდე. ქაღალდის გაჩენის შემდეგაც ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იწერებოდა, რადგან ეტრატი ქაღალდზე გაცილებით გამძლე მასალაა. ეტრატზე დაწერილი ცალკეული ფურცლები იკინძებოდა ხელნაწერ წიგნებად.

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრება – მოწვეულ იქნა 431 წ., რიგით მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც შეარყია კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ნესტორის მწვალებლური მოძღვრება. კრება გაიხსნა 22 ივნისს ღვთისმშობლის ტაძარში. კრებას თავმჯდომარეობდა ალექსანდრიის პატრიარქი კირილე († 444). ნესტორის განკეე-

თიდან 5 დღის შემდეგ ეფესოში ჩამოვიდა იოანე ანტიოქიის პატრიარქი მიტროპოლიტთა დიდი ამალით და ნესტორის მხარე დაიჭირა. მან შეკრიბა 43 ეპისკოპოსი და სახლში გახსნა კრება (რადგან ეფესოს ეპისკოპოსმა მემნონმა ეკლესია არ დაუთმო), რომელმაც უარყო ეფესოს III მსოფლიო კრებაზე დამსწრე 200 ეპისკოპოსის დადგენილება და კირილე ალექსანდრიელი განკვეთა. იოანე ანტიოქელი გრძნობდა იმპერატორ თეოდოსის მხარდაჭერას, ხოლო რომის პაპი ნესტორის მომხრეთა სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ რომის პაპის ლეგატები, ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსი და ეკლესიათა მამამთავრები, მართლმადიდებლობამ გაიმარჯვა და ნესტორიანობას ანათემა გამოეცხადა. პირველად ეფესოს III მსოფლიო კრებაზე მოხდა კრების მსვლელობის თხთქმის სტენოგრაფიული ჩაწერა, რადგან მათ გულდასმით უნდა გასცნობოდა იმპერატორი. მომდევნო მსოფლიო კრებაზე აქტების შედგენა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ეფთვიმე – რამდენიმე ქართველი მღვდელთმთავრის სახელი:

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. I ნახევარში. გიორგი ბრწყინვალესთან ერთად ენერგიულად შეუდგა მონღოლთა ბატონობის შემდეგ დარღვეული სახელმწიფო წესრიგის აღდგენას, მონაწილეობდა საკანონმდებლო დარბაზის მუშაობაში, რომელმაც მთის მოსახლეობისათვის კანონები შეიმუშავა (იხ. „ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ“). ეფთვიმე იღწვოდა მთის ხალხებში შერეული ქრისტიანულ-ზნეობრივი ნორმების მოსაწესრიგებლად (კერები, I, 56). იგი ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართული მონასტრების მატერიალურ-სულიერი დონის ამაღლებისათვის. 1334 წ. ეფთვიმემ პალესტინის საბაწმიდის მონასტერს შეწირულობა გაუგზავნა, დაეხმარა იერუსალიმის ჯვარის მონასტერს, რისთვისაც მას საუკუნო ალაპი დაუწესეს (იხ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 160).

2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1578-1605 წწ.

3. დას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (საყვარელიძე) 1578-1616 წწ., მანამდე მოქალე ეპისკოპოსი. ეფთვიმემ ბიჭვინთის საკათოლიკოსო ტაძარს შესძინა დიდძალი მოძრავი ქონება: ძვირფასი სამკაულები, საეკლესიო ჭურჭელი, წიგნები, თავისივე გადაწერილი გულანი და სხვ. მან ეკლესიას შესწირა თავისი პირადი ქონებაც (იხ. ცსსა ფ. 1448, № 5033, 1600 წ. სამ. ძეგ. III, 387).

4. ალავერდის მთავარეპისკოპოსი XVI ს. I ნახევარში. 1522 წ-ის ერთი საბუთი ალავერდის ეკლესიისა (№ 2) გვამცნობს: „ქსა სი (=1522) მეფე ალექსანდრესაგან ჟამთა სიგრძისა გამო დარღვეული მურულ ალუშენებია (მეფე ლეონ?) ალავერდის ეკლესიის სამრხის თავი მარცხენა მხრით და დაუდგენია საჭეთმპყრობელად მთავარეპისკოპოსი ეფთვიმი“ (ქრონიკები, II, 348). სხვა ცნობები ეფთვიმეს შესახებ არ მოგვეპოვება.

5. ურბნისის ეპისკოპოსი XVII ს. II ნახევარში. მოხსენიებულია 1667 წ. ფიცის წიგნში, როგორც მოწმე (ქრონიკ., II, 484).

6. დასაელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (საყვარელიძე) 1669-1673 წლებში. მოხსენიებულია იმერეთის სამეფოს დიდგვაროვანთა შორის 1669 წ. ბაგრატ IV იმერთა მეფის მიერ რუსეთის მეფის, ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილ წერილში. (იხ. ბ. ლომინაძე, მასალები დას. საქართველოს XVII-XVIII სს. ისტ. ქრონოლოგიისათვის, 1954).

7. თბილისის მიტროპოლიტი XVIII ს. I ნახევარში. ეფთვიმე მოწმეა 1727 წ. დომენტი კათოლიკოსის მიერ გაცემული წყალობის წიგნისა (Hd 10775, სამ. ძეგ. III, 713). იგი ხელს აწერს 1739 წ. დომენტი კათოლიკოსის სამწყსოს განწესების წიგნს (Ad 502, სამ. ძეგლ. III, 746). ეფთვიმესადმია მიმართული დომენტი კათოლიკოსის მიერ დაწერილი (დას. 1740-41 წწ.) „წიგნი მროველისა და ურბნელის სამწყსოს საქმეებზე განჩინებით“ (Ad 1503 გ, სამ. ძეგლ. III,762).

8. იმერეთის ეპისკოპოსი XIX ს. I ნახევარში. ერთი ქრონიკის მიხედვით „მიიცვალა იმერეთის ეპისკოპოზი ეფთუში აპრილს დ (=4, 1853 წ.) (ქრონიკები, III, 554).

ეფთვიმე – სტეფანწმიდის მონასტრის აღმაშენებელი, ეახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ამას ზედა არს სტეფანწმიდა მონასტერი (კახეთში), მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღშენებული (ქართლ. ცხ. IV, 544-545).

ეფთვიმე გრძელი – წყაროსთაელი მონასტრის XI ს. I ნახევრის მოღვაწე. ეფთვიმე გრძელს ღრტილის საეკლესიო კრებაზე 1046 წ. სომხეთ-საქართველოს სარწმუნოებრივ საკითხებზე პაექრობაში დაუმარცხებია სომეხთა მოძღვარი სოსთენა. როგორც ჩანს, ამ დაშსახურებისათვის და სხვა მრავალრიცხოვანი ღვაწლისათვის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1105

წ.) მას იხსენიებს სინოდიკონში ცნობილ ქართულ საეკლესიო მოღვაწეთა შორის და საუკუნო ხსენებას უთვლის მას: „ღირსებით მოკსენებულთა მამათა: ეფთჳმი გრძელისა... საუკუნომცა არს კსენებაჲ და კურთხეჳაჲ მათი“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 559). ეფთვიმეს მოღვაწეობა წყაროსთაყენი დაიწყო, სადაც იგი დიდხანს უნდა დარჩენილიყო. წყაროსთაყენ მის მოწაფეთაგან უნდა დავასახელოთ პროხორე (ანუ გიორგი-პროხორე), შემდეგში ჯვარის ქართული მონასტრის მაშენებელი, და ეგნატე ხუცესმონაზონი, იოანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანების“ გადამწერი (A 136), რომელსაც ეს სამუშაო შეუსრულებია „უდაბნოსა შინა წყაროსთაჳს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთუმესსა“. წყაროებში ზოგჯერ ეფთვიმე გრძელს იერუსალიმელსაც უწოდებენ, რითაც დასტურდება, რომ იგი ერთხანს იერუსალიმში მოღვაწეობდა. სწორედ აქ უნდა შეხვედროდა ეფთვიმე თავის წყაროსთაყენ მოწაფეს, პროხორეს და მისთვის ჯვარის მონასტრის აშენება შეაგონებინა, რაც დადასტურებულია ერთი ხელნაწერის მინაწერით (Jer. 7), რომელიც გვამცნობს, რომ ჯვარის მონასტერი აშენა გიორგი-პროხორემ „ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთუმესთა“. იერუსალიმიდან ეფთვიმე საქართველოში ჩამოსულა, მონაწილეობა მიუღია ღირტილის კრებაში 1046 წ. და ისევ წყაროსთაყის უდაბნოს დაბრუნებია.

ეფთვიმე იერუსალიმელი – იერუსალიმის პატრიარქი XI ს. II ნახევარში. მას დაუმტკიცებია ხელმოწერით გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ეგზემპლარი 1084 წელს: „დაიწერა... წერილითა ბერძნულითა და ქართულითა თ(9) დეკემბერსა, მეშვიდესა ინდიკტიონსა, დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდა მეათორმეტესა (6592-5508=1084 წ.) და ქუემოჲთ წარიწერენ კელითა ჩემითა ზემოჩსენებულისა გრიგოლისითა ყოველნიე ესე ტიპიკონი. ხოლო ბერძნული ორნივე წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა წმიდისა პატრიარქისა იერუსალიმელისა ღირსისა ეფთუმესითა დასამტკიცებლად და სარწმუნო ყოფად ყოველისაჲ... რამეთუ სამეფოთა ბრძანებითა თესალონიკედ მოსრულ იყო... და მოქცეულსა მისსა, ჩუენ თანა წარმოვიდა ფილიპოპოლისა პრასტინთა ჩუენთა“ (სამ. ძეგ. III, 101-102).

ეფთვიმე მთაწმიდელი (955-1028) – ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, საეკლესიო მწერალი და მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო-საგანმანათლებლო სკოლის მამამთავარი, ათონის ქართველთა მონასტრის – („იერია“) ერთ-ერთი დამაარსებელი და წინამძღვარი (მამა) 1005-1019 წლებში.

ეფთვიმეს ბიოგრაფიული ცნობები დაცულია გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილ პაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხორებაჲ... იოანესი და ეფთუმესი“ (ძეგლები, II, 38-100), საიდანაც ვგებულობთ, რომ ეფთვიმე დაბადებულა სამცხეში, დიდგვაროვანთა ოჯახში. იგი შვობლების უმცროსი შვილი ყოფილა. მამამისი იოანე ბერად შემდგარა „დიდებულსა ლაერასა ოთხთა ეკლესიასთა“, როცა ეფთვიმე მცირეწლოვანი ყოფილა. ეფთვიმე მოხვედრილა იმ მძევალი ბავშვების რიცხვში, რომლებიც ბიზანტიის კეისარს მოუთხოვია დავით კურაპალატისათვის დათმობილი „ზემონი ქუეყანანი“-ს სანაცვლოდ. კონსტანტინოპოლში პატარა ეფთვიმეს ბაბუა ჩასჯილა. ეფთვიმეს მამას, იოანეს, რომელიც ამ დროს ოლიმპის (ულუმბოს) მთაზე (მცირე აზიაში) მოღვაწეობდა, გაუგია შვილის ჩამოყვანის ამბაკი, ჩასულა კონსტანტინოპოლში, იმპერატორისაგან გამოუთხოვია ეფთვიმე და ოლიმპის მთაზე წაუყვანია. მალე აქედან მამა-შვილი (დაახ. 965 წ.) ათონის მთაზე გადასულან და ათანასეს ლაერაში დამკვიდრებულან. ათანასეს ლაერაში ქართველი ბერები თანდათან მოშრაველდნენ, რამაც საჭირო გახადა ზრუნვა დამოუკიდებელი მონასტრის აშენებისათვის. იოანე ათონელის მეთაურობით, იოანე-თორნიკეეფთვილის საფასით (რომელიც მან ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო ბარაქა სკლაროსის დარბევებისათვის) და ეფთვიმეს აქტიური მონაწილეობით 980-983 წწ-ში საფუძველი ჩაეყარა იველთა მონასტერს ათონზე, რომლის პირველი წინამძღვარი იოანე ათონელი გახდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ 1005 წლიდან 14 წ. განმავლობაში – ეფთვიმე მთაწმიდელი.

ლიტერატურული მოღვაწეობა ეფთვიმეს დაახ. 975-977 წწ-ში უნდა დაეწყო. იოანეს ზრუნვამ, თავისი შვილისათვის ისეთი აღზრდა-განათლება მიეცა, რომ მას შესძლებოდა თავისი ქვეყნის საგანმანათლებლო საქმეები ეთავა, ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. „ქართლის ქუეყანაჲ“, რომელიც „დიდად ნაკლულეყან“ იყო „წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“, მალე აივსო ეფთვიმეს შესანიშნავი თარგმანებით ბერძნულიდან. ბერძნული ენის ბრწყინვალე ცოდნამ

ეფთვიმეს საშუალება მისცა ქართული ეკლესია მოემარაგებინა უძვირფასესი საჭიროების ქართული ნათარგმნი წიგნებით საეკლესიო მწერლობის ყველა დარგში. ეფთვიმეს ბიოგრაფის სიტყვით, ეფთვიმეს ბაუშობაში ავადმყოფობის დროს ღვთისმშობელი გამოეცხადა და „აუხსნა" ენა ქართულად მეტყველი, რადგან მანამდე „ბნიად უბნობდა ქართულად" და ამის შემდეგ „დაუყენებელად, ვითარცა წყარო, აღმოდინ პირისაგან მისისა უწმიდეს ყოველთა ქართველთასაო". მართალაც, მხოლოდ საღვთო ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო ეთარგმნა ამდენი და ასე სანიმუშოდ, თანაც არამარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ – ქართულიდან ბერძნულადაც („ხიხრძნე ბალავარისი" და „იბუკურა"). ეფთვიმეს ბერძნულადაც დაუწერია თხზულება სამონაზვნო ცხოვრების წესების შესახებ თაეის ერთ-ერთი ბერძენი მოწაფისათვის. არ დარჩენილა სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომელშიც ეფთვიმე მთაწმიდელს თავისი წელილი არ შეეტანოს. ძველი და ახალი ალთქმის წიგნებიდან მან თარგმნა სახარება-ოთხთავი, იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება" (აპოკალიფსი), დავითნი (ფსალმუნი). მარტო თარგმნა კი არა, ეფთვიმეს ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოებებიც აქვს. ესენია: „ცხოვრება ეფთვიმესი", „სწავლანი ეფთვიმესნი", „ქება და დიდება ეფთვიმეს", „ცხოვრება ეფთვიმესი", „ქება და დიდება ეფთვიმეს", „სწავლანი ეფთვიმესნი

მარიამისი და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ მათი შობითგან მიცვალებადმდე". ამათ გარდა ეფთვიმემ თარგმნა მოციქულთა პაოკრიფული აქტები, სახელდობრ: იოანე მახარებელისა, აღწერილი პრორ ორეს მიერ, პეტრე მოციქულისა, აღწერილი „მღვდელმოწამისა კლიმენტოს პრომთა პაპისა და წმიდისა მოციქულისა პეტრეს მოწაფისაჲ"; ანდრია მოციქულისა — „მოსაკსენებელი მიმოსლვისათჳს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი", აღწერილი ნიკიტა-დავით პაფლაღონელის მიერ; „ცხორებაჲ... მოციქულთასწორისა ბაგრატისი, მღვდელმოძღვრისა ტაოპომელთა ქალაქისა", აღწერილი ეფგრე ეპისკოპოსის მიერ, რომელშიც ლაპარაკია პეტრე მოციქულის მიმოსელის შესახებ და სხვ.

ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შესრულებული თარგმანები გამოირჩევა დახვეწილი სტილით, ენის სისადავით და თარგმნის ორიგინალური მეთოდით. ეფთვიმესთვის უცხოა დედნის სიტყვა-სიტყვით გადმოღება. ის ავრცობდა ან ამოკლებდა სათარგმნელ თხზულებას საკუთარი მიზნებისა და ქართველი მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით, სათარგმნ თხზულებაში შეპრნდა სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრებილი ცნობები და ხშირად — საკუთარი დამატებები და კომენტარები. ეფთვიმეს თარგმანები, შეიძლება ითქვას, ახალი დამოუკიდებელი რედაქციებია. მისი თარგმანების ძირითადი მიზანი იყო ქართველი მკითხველისათვის გაეადვილებინა ბიზანტიური საეკლესიო თხზულებების გაგება და ათვისება, ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის შეექმნა სახელმძღვანელოები პრაქტიკული საჭიროებისათვის.

ეფთვიმე მთაწმიდელი ბრძა შემთხვევამ იმსხვერპლა 1028 წლის 13 მაისს. ქართველთა მონასტრისა და თავისი ძმობის საქმეებზე კონსტანტინეპოლში ჩასული ეფთვიმე დამფრთხალმა ჯორმა გადმოაგდო და გარდაიცვალა. გულწრფელად დატირებული ეფთვიმე თაეისავე აშენებული მონასტრის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში დაასაფლაეეს, ხოლო როდესაც მონასტრის მამობა გიორგი მთაწმიდელმა, ეფთვიმეს ბიოგრაფმა, მიიღო (1044 წ.), მან ეფთვიმეს გვამი ღვთისმშობლის ტაძარში გადაასვენა. მისი ხსენების დღედ 13 მაისია დადებული.

ეფროსინე მონაზონი — IX ს. ქართველი მონაზონი ქალი, გრიგოლ ხანცთელის თანამედროვე, რომელიც მოხსენიებულია იერუსალიმიდან გრიგოლ ხანცთელის მოწაფეების — არსენისა და მაკარის მიერ მოძღვრისადმი გამოგზავნილ ეპისტოლეში: „მამაო, გველა ეურჩისნე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყუარულისათჳს იკითხეთ და ლოცეაჲ და კურთხეეაჲ შენი მასცა მიპყინეთ, ამენ" (ძეგლები, I, 303, 27).

ეფრემი — რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა და საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. წილკნის ეპისკოპოსი XI ს. ბოლოს და XII ს. დასაწყისში. ეურემი მოხსენიებულია XII ს. დამდეგის იაკობის ჟამისწირვის ხელნაწერის (A 86) მინაწერში: „უფალო, ადიდე მომგებელი ამა ჟამისწირვისა სვიმონ ქართლის კათალიკოზი და შეიწყალენ და აღიდენ იოანე აწყურელი ეპისკოპოზი და ეურემ წილკნელი" (30v).

2. საფარის მონასტრის წინამძღვარი დაახ. XII-XIII სს. მოღწაზე. ეურემი ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლებით და მათი საზღვარგარეთის ქართული მონასტრების მომარაგებით ყოფილა დაინტერესებული. ჯუარის მონასტრის ერთი ხელნაწერის ანდერძის მიხედვით (Jer. 43) გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების შემცველი კრებული ეურემს საგანგებოდ გადაუწერია ჯუარის მონასტერში გასაგზავნად: „აღწერა წიგნი ესე... საფარის წინამძღუარმან ეურემმან მანდა წარმოსაგზაენელად და იგი ვერღარა ესწრა და მიიცალა. აწ წარმოვგზანე სალოცველად მისდა".

3. მოქვის მონასტრის მონაზონი, კალიგრაფი და მხატვარ-მინიატურისტი XIII-XIV სს. მოღწაზე. 1300 წ. ეურემს გადაუწერია და მოუხატავს მოქვის ოთხთაეი (Q 902) მოქვის მთავარეპისკოპოს დანიელის შეკვეთით. მოქვის ოთხთაეი (იხ.) ერთ-ერთი უმდიდრესი ხელნაწერია მინიატურებითა და საზედაო ასოებით მორთული (152 მინიატურა და 531 საზედაო ასო). მინიატურები გამოსახავენ სახარების სიუეტებს, მახარებლებს და სხვ. საგანგებო ალნიშვნის ღირსია იშვიათი გამოსახულება — ქრისტეს გენეალოგიური ხე და ღვთისმშობელი ყრმით, რომლის წინაშე მუხლმოყრილია დანიელ მოქველი.

4. XIX ს. ჯუარის ეკლესიის მღვდელი, მწიგნობარი და ცენზორი (ალექსი-მესხიშვილი). ეურემი სწაელობდა ანწისხატის სასწაელებელში, შემდეგ მცირე ხანს — თბილისის კეთილშობილთა სასწაველებელში. 1816 წლამდე იყო ვარლამ ეგზარქოსთან პროტოდიაკნად. 1816 წ. 6/I აკურთხეს მღვდლად იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. მალე დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწაველებელში ქართული ენისა და

საღვთო სჯულის მასწაულებლად, სადაც 1830 წ-მდე დაჰყო. 1830 წლიდან იყო იერუსალიმის ჯვარის ეკლესიის მღვდელი. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაასატიმრეს 1833 წ. 8 იანვარს. გათავისუფლეს იმავე წლის 9 ივლისს, იყო პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ. ცენზორად მუშაობდა სიკედილამდე.

ეფრემ I – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახ. XV-XVI სს-ში.

ეფრემ II (ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე ხიდაშნიძე 1896-1972) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1960-1972 წწ-ში. 1918 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1923 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1922 წ. აღიკვეცა ბერად. 1932 წ-დან ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად. 1944 წ-დან ეფრემი განაგებდა ქუთაისის-გელათის კათედრას. 1946 წ. აკურთხეს მიტროპოლიტად. 1952 წ-დან განაგებდა ბათუმ-შუამოქმედისა და ჭყონდიდის ეპარქიებს. 1959 წ-დან ეფრემი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი იყო, მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

ეფრემ ასური – მართლმადიდებლური ეკლესიის მამა, გამოჩენილი საეკლესიო მწერალი, ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებების ავტორი. ეფრემ ასურის თხზულებები განსაკუთრებით პოპულარული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთში და, მათ შორის, საქართველოში. ეფრემი დაიბადა ქ. ნისიბინში, წარმართთა ოჯახში. ქრისტიანობა მიიღო ჯაბუკობაში. 363 წ. დატოვა მშობლიური ქალაქი (სპარსელების დაპყრობის შემდეგ) და 365 წ. ედესში დასახლდა. ეფრემ ასურის ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს მრავალ პროზაულ და პოეტურ თხზულებას: ბიბლიური ტექსტების კომენტარები, თეოლოგიური პოლემიკა, დიდაქტიკური ხასიათის პომილიები, აპოკრიფები, ჰიმნები საღვთისმეტყველო და ისტორიულ თემებზე. ეფრემ ასურის სირიულენოვან თხზულებათა დიდი ნაწილი ადრიდანვე თარგმნილია ბერძნულ, სომხურ, კოპტურ და ეთიოპურ ენებზე. ქართული თარგმანები დადასტურებულია ჯერ კიდევ VIII-IX სს-ში. გრიგოლ ხანცთელი, როგორც ეს ნათქვამია მის „ცხოვრებაში", ხანცთიდან შატბერდს მიმავალი, ეფრემის ლიტანიებს ზეპირად გალობდა. IX-X სს. ხელნაწერებით მოღწეულია ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანები: Sin. 97-ში 25 პომილიაა: 1. პირველი სწავლაჲ მონაზონთა მიმართ; 2. სინანულისათჳს; 3. სინანულისათჳს; 4. სინანულისათჳს; 5. სინანულისათჳს; 6. სწავლაჲ მონაზონთა მიმართ; 7. ზარეგისათჳს; 8. სწაელაჲ მონაზონთა მიმართ; 9. გულისთქუმისათჳს; 10. მეორედ მოსლვისათჳს... იესუ ქრისტესა; 11. ფერისცვალებისათჳს; 12. ცრემლთათჳს; 13. ენებისათჳს მაცხოვრისა; 14. მაცხოვრისა სიკუდილისათჳს და ეშმაკთა; 14. სინანულისათჳს; 16. ქალწულებისათჳს; 17. ადამისათჳს; 18. მამათათჳს მძოვართა; 19. მარხვისათჳს და სინანულისა; 20. სწავლაჲ; 21. შესუენებულთათჳს; 22. იოანესთჳს; 23. იოსებისათჳს; 24. გამოთარგმანებაჲ ადამისათჳს; 25. ანტონისათჳს. Ath. 9, ოშკის ლავრაში 977 წ. გადაწერილ „სამოთხეში" ეფრემის 16 თხზულებაა: 1. სინანული ეფრემისი, ოდეს იგი სინანულით ამხილებდა თჳის თავს; 2. სწავლაჲ მონაზონთა მიმართ; 3. თარგმანებაჲ მეექუსისა ფსალმუნისა მარხვისა და სინანულისა; 4. სიყუარულისათჳს და სინანულისა; 5. სინანულისათჳს და პარასკევსათჳს და კრიაკისათჳს; 6. სიკუდილისათჳს და გამოსლვასა სულისა კორციისაგან; 7. სიცოცხლისათჳს და უჯეროდ განცხრომისა; 8. თქუმული ეფრემისი მოძღვრისა მის კურთხეულისა (შედგება 22 სტატიისაგან); 9. სინანულისათჳს; 10. სინანულისათჳს; 11. მხილებისათჳს თჳისა თჳსისა; 12. დიდებისმოყუარეთათჳს მხილებაჲ; 13. მხილებაჲ მონაზონთა უდებთა, თაქლედთა და დაკსნილთაჲ; 14. სწაელაჲ მონაზონთათჳს და სინანულისა; 15. სწავლაჲ სინანულისათჳს და სიმდაბლისა; 16. თქუმული სასე ცხორებითა. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანები თაემოყრილია ხელნაწერში A 1704: 1. სწავლანი მიწერილნი იოანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა; 2. სწავლანი ნეოფიტეს მიმართ მონაზონისა; 3. ნეტარება მოღუაწეთაჲ; 4. ლოცვაჲ პარასკევისა; 5. მხილებაჲ თაეისა თჳისაჲ და აღსარებაჲ.

ეფრემ ასურის „სწავლანი" ყველაზე დიდი რაოდენობით თარგმნა ეფრემ მცირემ XI ს. I ნახევარში და უწოდა მათ „ასკეტიკონი", რომელიც ორ წიგნად იყოფა: ერთს ეწოდება „ეფრემ პირველი, მეორეს – „ეფრემ მეორე". „ეფრემ პირველი" მოიცავს სხვადასხვა ხასიათის 18 თხზულებას (A 62, A 154, A 166; A 196; A 673; ქეთ. 8; Ath. 83). „ეფრემ მეორე" – 32 თხზულებას (A 154; A 166; A 196; A 391; A 673, ქეთ. 8). ამათ გარდა კიდევ 16 სხვადასხვა

ხასიათის თხზულება თარგმნილია სხვადასხვა მთარგმნელისა და სხვადასხვა დროს (იხ. კ. კეკელიძე, ეტ. V, გვ. 52-53). ეფრემ ასურის „ცხოვრების" კომპლური რედაქცია თარგმნილია ქართულად X საუკუნეშიე, რადგან შეტანილია X-XI ს. ხელნაწერში (A 249, 1-38). მეორე ნუსხა კი XI ს-სა (ბრიტ. მუზ. Add. 11281). თარგმანის ტექსტი გამოცემულია ე. იმნაიშვილის მიერ: „მამათა ცხორებანი", თბ., 1975, გვ. 211-213. ეფრემ ასურის „ცხოვრების" მეტაფრასული თხზულება დაწერილი უნდა იყოს სვიმეონ ლოღოთეტის მიერ X ს. ბოლოს, რომელიც ქართულად უთარგმნიათ დაახლ. XI ს. II ნახევარში (შესაძლოა, ეფრემ მცირეს; A 90, XIII ს. 603-607). ეფრემ ასურის ხსენების დღედ 28 იანვარია დადებული.

ეფრემ დიდი მაფყველელი – აწყურის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი IX ს. II ნახევარში, დაახლ. 855-895 წწ-ში, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, ქართული ეკლესიის გამჩენილი მოღვაწე. ეფრემი ქართლის დიდებულის შვილი იყო. პატარა ეფრემი შემთხვევით ნახა გრიგოლ ხანცთელმა და თავის მონასტერში წაიყვანა. იგი იზრდებოდა ხანცთის მონასტერში არსენთან (შემდეგში „არსენი დიდი", ქართლის კათოლიკოსი) ერთად, გრიგოლ ხანცთელის მეთაოსყურეობის ქვეშ. მალე ეფრემი გრიგოლ ხანცთელის მოწაფეს – თეოდორეს გაჰყვა ნეძვის მონასტერში, რომლის აშენების ნებართვა თეოდორემ გრიგოლისაგან მიიღო. ჯონგრეც ჩანს, ეფრემი ნეძვის მონასტრის მონაზონი გახდა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ „იქმნა ეპისკოპოს აწყურისა, საყდრისა სამცხეს" (ძეგლები, I, 280). ეფრემი წყაროებში „დიდი ეფრემის" ზედწოდებით მოიხსენიება. თავისი ავტორიტეტის წყალობით და გრიგოლ ხანცთელის რჩევით ეფრემმა ხელი შეუწყო თავისი სიყრმის მეგობარს, არსენს ქართლის კათოლიკოსის ტახტის დაკავებაში. ეფრემ მაწყვერელის დამსახურებაა, რომ აფხაზეთის ეკლესიამ იერუსალიმის პატრიარქის, ხერგის (843-859) თანხმობით მირონის მცხეთაში კურთხევის უფლება მიიღო (მანამდე აფხაზეთის საკათალიკოსოში ნაკურთხი მირონი იერუსალიმიდან იგზავნებოდა), რითაც დიდი როლი შეასრულა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნების საქმეში. ეს ეპიზოდი ასე აქვს გადმოცემული გიორგი მერჩულეს: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსაველისა კათოლიკოსთა მიჰრონთ იერუსალემით მოქყანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითსა და წამებითა სიხარულით" (ძეგლები, I, 290). ეფრემი „ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა შემკული სულითა წმიდითა... და კეთილსა შინა სიბერესა მაღლითა სავსე გარდაიცვალა" (იქვე), და დაუსაფლავებიათ აწყურის ტაძარში.

ეფრემ დიდი ოშკელი – შაჰი მთის (სირია) ქართველი ბერი და მწიგნობარი XI ს. II ნახევარში, ეფრემ მცირის თანამდროვე და მისი ხელშემწყობი ლიტერატურულ საქმიანობაში. ეფრემ მცირის სიტყვებით „როჟლი იგი მეცნიერ იყო კითხუასა და გაგონებასა ბერძნულისასა და კეთილად სწაელულ ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა" (A 90, XIII ს., 310-314). ეფრემი სპა თუხარელის მოწაფე ყოფილა (იქვე). ეფრემ ოშკელის ზედწოდებიდან ჩანს, რომ იგი შაჰ მთაზე ოშკის მონასტრიდან გადასულა. საფიქრებელია, რომ ეფრემ მცირემ თავისი ზედწოდება „მცირე" ეფრემ დიდი ოშკელის ზედწოდებასთან მიმართებით დაირქვა.

ეფრემ მოწამე – თავრიდის (ქერსონის-ყირიმში) ეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში, მოწამე. ეფრემი და ბასილი პირველი ეპისკოპოსები იყვნენ, რომლებიც იერუსალიმის პატრიარქმა ერშონმა (303-313) გაგზავნა ყირიმში, კერძოდ, ქერსონეთში სახარების საქადაგებლად და წარმართთა მოსაქცევად. შემდეგ ეფრემი მოძღვრად ხალხს, რომელიც დუნაის ნაპირების გაყოლებაზე ცხოვრობდნენ. ქრისტიანთა დევნის დაწყების დროს ეფრემს თავი მოკვეთეს. ქერსონეთს წამებული ეპისკოპოსების „წამების" მეტაფრასული რედაქცია უნდა ეკუთვნოდეს XI ს. II ნახევრის საეკლესიო მწერალს იოანე ქსიფილინოსს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქეთ. 2, XIII ს., 105-111; გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები... VII, თბილისი, 1961, გვ. 248-252 [რუს. თარგმანი]). მოწამეთა ხსენების დღედ 7 მარტია დადებული.

ეფრემ მცირე – XI ს. II ნახევრის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი. განათლება მიუღია კონსტანტინოპოლში. 1091 წ. კასტანის მონასტრის წინამძღვრად აურჩევიათ შაჰი მთის ქართველთა კოლონიაში. იქაური ქართველი ბერ-მონაზვნების ინიციატივით ეფრემს მთარგმნელობითი მოღვაწეობა დაუწყია. ეფრემს შეუქმნია მთარგმნელობის საკუთარი სტილი,

რომელიც სამ ძირითად პრინციპს ემყარება: 1. თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს. 2. თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს. ამასთან მთარგმნელმა არ უნდა დაიშუროს მშობლიური ენის ბუნება. 3. დედნის ტექსტის სწორად გაგებისათვის თარგმანს უნდა დართოს კომენტარები. ეფრემ მცირემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგის განვითარებაში. მან იოანე ოქროპირის შრომების მიხედვით დაწერა პაულეს ეპისტოლეთა თარგმანება, შექმნა დამოუკიდებელი რედაქცია ფსალმუნთა თარგმანების, თარგმნა გრიგოლ ნეოკესარიელის „ეკლესიასტეს“ კომენტარები, გრიგოლ ნაზიანზელის „ეზეკიელის მეტაფრასი“, გრიგოლ ნაზიანზელის პოლემიკური „სიტყვები“, ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ (ითკის გარეშე), ეფრემ ასურის „ასკეტიკონი“, კასიანე პრომალის, პალადიოს პელენეპოლელის, თეოდორიტე კირელისა და სხვათა ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებები. ეფრემ მცირემ დიდი ღვაწლი დასდო პაგიოგრაფიულ მწერლობას, თარგმნა ბევრი გამორჩეული მოღვაწის „ცხოვრება“, სვიმეონ მეტაფრასტის ნოემბრის თვის თხზულებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გამორჩეული საეკლესიო მოღვაწეთა და ეკლესიის მამათა პოლემიკური თხზულებების სიმრავლე და სხვ. დიდია ეფრემის დამსახურება ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარებაში; ფაქტიურად მან დაუდო საფუძველი ქართულ თეოლოგიურ ფილოსოფიურ მწერლობას. მის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელისა და ფსევდო-დიონისეს თხზულებები ქართული დოგმატიკურ-ფილოსოფიური მწერლობის განვითარების დასაწყისია. დიდია ეფრემის დამსახურება ქართული ფილოლოგიის წინაშე, რაც ტერმინოლოგიისა და სასვენი ნიშნების დამუშავებაში მდგომარეობს. ეფრემის ორიგინალური ნაშრომი „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ ერთ-ერთი საყურადღებო თხზულებაა, რომელიც ქართლის გაქრისტიანების ისტორიას მოგვითხრობს ბიზანტიურ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით (გამოცემულია თ. ბრეგაძის მიერ, თბ., 1959 წ.).

ეძვითიმე (ეფთიმე, ეფთიმე) — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ქართულ წყაროებში მოხსენიებული პირველი მწიგნობართუხუცესი ბაგრატ IV მეფობის დროს. ეძვითიმეს სახელი ღრტილის კრების (1046 წ.) წარწერებში გვხვდება: „მწიგნობართუხუცესი მეფისა, სახელით ეძვითიმე“ (საქ. სამოთხე, გვ. 615).

2. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მონაზონი და მწიგნობარი XVIII ს. I ნახევარში (ერისკაცობაში ზაზა ბაგრატიშვილი). ეძვითიმე ყოფილა ძე სიონის დეკანოზის, იესესი. ის ჯერ თბილისის სიონში მოღვაწეობდა, მაგრამ ოჯახური უბედურების გამო მონაზვნად აღკვეცილა გარეჯაში (იხ. A 515, 463 ანდერძი) და კარგი ავტორიტეტი დაუმსახურებია (A 100, 301). ეფთიმეს XVIII ს. დასაწყისში დაუწყია ვეებერთელა, 5 წიგნისაგან შემდგარი გულანის (A 111) გადაწერა. გვიან ეფთიმეს ქსნის საერისთაოში გადაუციდა. მასვე ქსნის ერისთავის შეწევნით გადაუწერია სადღესასწაულო (A 515).

3. დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი (მჭედლაშვილი) დაახ. 1775-1805 წწ., მეფე გიორგი XII-ის მოძღვარი. ეფთიმე გარსევან ჭავჭავაძის მამის, სულხანის, ნაყმევი ყოფილა წინანდლიდან. მონაზვნად აღკვეცია ერეკლე II-ის დროს. 1777 წ. ეფთიმე ამტკიცებს 1774 წ. წყალობის წიგნს, რომელიც გაუცია მის წინამორბედს, ნიკოლოზ არქიმანდრიტს (ცსსა, ფ. 1449, № 2756, სამ. ძეგ. III, 899): „მე, ნათლისმცემლის მონასტრის მოურნე წინამძღვარი უღირსი არხიმანდრიტი ეფთიმი... ქრკსა 1777, ქართულსა უგე“ (1777 წ.). ეფთიმემ ბევრი რამ გაკეთა მონასტრისათვის: „აღუშენებია სოფელი ხაშში, ლეკთაგან დაწუვარი; აღუშენა უცხო ვენახი და წისქვილი... მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნივთნი, აგრეთვე მამულნიც“. ეფთიმე იყო „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე“ (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 197). ეფთიმე ხშირად იხსენიება 1776-1798 წ. საბუთებში (იხ. ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 129-132; 135; 148; 160-161; 170). ეფთიმე მოსწრებია გიორგი XII-ის გარდაცვალებას და რუსთა დამკვიდრებას (ალ. ოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, გვ. 120; 132, 155-156; 181-182, 209; 213; 245, 158). ხაშში მიმაყალი ეფთიმე ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა. გარდაცვალა ღრმად მოხუცებული, 1084 წ. (აქტები II, 269).

4. გელათის უკანასკნელი მიტროპოლიტი XVIII ს. ბოლო მეოთხედსა და XIX ს. I მეოთხედში, დაახლ. 1787-1822 წწ., რაჭის ერისთავის, როსტომის ძე. მან დიდი მონაწილეობა მიიღო გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღდგენაში და სხვა მრავალი სამუშაოებიც ჩაატარა. ეძვითიმე ხშირად ფიგურირებს 1787-1820

წწ. დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში. ექვთიმე ღვთისმეტყველთან ერთად დაუსატიჩრებიათ 1820 წ., როგორც იმერეთის აჯანყების მოთაყე, ჩაუყვანიათ ნოეგოროდში, იქიდან პეტერბურგში და წარუდგენიათ იმპერატორისათვის, სადაც მათ საუბარს თარგმნიდა იონა ხელაშვილი. ექვთიმე ექსორიობაში გაუგზავნიათ ნოეგოროდის გუბერნიაში, სვირის მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1822 წ. 21 აპრილს (A 1278, 3). მის სიკვდილს დასწერებია ქართველი არქიმანდრიტი გრიგოლი (S 1532, 139). დაუსაფლავებიათ ექვთიმე იქვე, საკურთხეველის ქვეშ.

5. მღვდელი სოფელ მატანში, 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე, ექვთიმე სამღდამდე გადაასახლეს ტობოლსკში, სადაც გარდაიცვალა.

ექვთიმე ჩიღაბენი – XII ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. მისი პოლემიკური ხასიათის ერთი თხზულება „პაელიკიანელთა წინააღმდეგ" თარგმნილია ქართულად (S 51).

ეძქეი – ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესია X ს-ისა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, თორთომის ხეობაში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე). ეკლესია კარგად გათლილი ქვით არის ნაგები. აღმოსავლეთის მხარეს სამი აბსიდი აქვს, რომლებშიც საკურთხეველი, სამკვეთლო და სადიაკვნე არის მოთავსებული. გუმბათის ყელი და ზოგიერთი სარკმლის თაღი მორთულია ფერად-ფერადი ქვებით, კარ-სარკმლები შემკულია მსუბუქი სათაურებით. ტაძარს ემრნეა გეიანდელი გადაკეთების კვალი.

ეძვსფსალმუნი – ცისკრის ლოცვის დასაწყისში საგალობლად დაწესებული ექვსი ფსალმუნი – მე-3, 37-ე, 62-ე, 87-ე, 102-ე და 142-ე, რომელთაც ქართული ტერმინოლოგიით „დაწესებულნი" (იხ.) ეწოდება. ექვსფსალმუნი იწყება ანგელოზთა გალობით: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ" (ლუკა 2,14).

„ეძუსთა დღეთაჲს" – მართლმადიდებლური ეკლესიის მამის, ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი) განქმული ეგზეგეტიკური თხზულება. თხზულება განმარტავს ძველი აღთქმის „შესაქმის" წიგნს, რომელშიც ღვთის მიერ სამყაროს ექვს დღეში შექმნა არის აღწერილი. თხზულება ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: პირველად IX საუკუნეში უცნობი მთარგმნელის მიერ (Jer. 44; Ier. 74), ხოლო მეორედ – XI ს. II ნახევარში გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 55, XI-XII ს., A 73, XI ს. S 120 და სხვ.). თხზულების გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი გამოცემულია მ. კახაძის მიერ, 1947 წ., ხოლო უძველესი თარგმანი – ილ. აბულაძის მიერ, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს"-თან ერთად, 1966 წ.

„ეძუსნი ჭამნი სეროპისანი" – დიდ სერობაზე წარმოსათქმელი 6 ფსალმუნი: მე-4, მე-6, მე-12, 24-ე, 30-ე და 90-ე, რის შემდეგაც იგალობება „ჯუენ თანა არს ღმერთი."

ეშმაკი (ძვ. ირან. „აიშმა" – ბოროტი სული) – ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანში ბოროტი სულის აღმნიშვნელი სახელწოდება, დედნისეული სატანის ფარდი (მთ. 7,22; 17,18; ფსალმ. 95,5). ქართული ფოლკლორული თხზულებების მიხედვით, ეშმაკი უსახურია, ბანჯგვლიანი და თეალსისხლიანი, აქვს პატარა რქები, კუდი, გრძელი ყურები და წვეტიანი ფრჩხილები. ეშმაკს შეუძლია მიიღოს პატარა ბავშვის, შაი კატის, ღორის და სხვ. სახე.

ეჩმიაძინი // ეჯმიაწინი (1945 წლამდე – ვაღარშაპატი) – სომხური გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი და სომეხ კათოლიკოსთა რეზიდენცია ქრისტიანობის მიღების დღიდან.

ეჩმიაძინი მდებარეობს ერევნიდან 20 კმ-ზე. ქალაქი გაშენდა II ს. I ნახევარში. II ს. II ნახევარში იყო სომხეთის დედაქალაქი. ეჩმიაძინშია სამონასტრო კომპლექსი. მთავარი ნაგებობაა ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი IV ს-ისა, საფუძვლიანად გადაკეთებული V ს. დასასრულსა და VI ს. დასაწყისში. გუმბათი ეყრდნობა ოთხ ბურჯს. 1653-1558 წწ. მიაშენეს სამრეკლო. მონატულია XVII ს. დასასრულსა და XVIII სს. დასაწყისში. სამონასტრო კომპლექსში შედის სატრაპეზო (XVII ს. I ნახ.), სასტუმრო (XVIII ს.), კათოლიკოსის სასახლე (1738-1741) და სხვ. ეჩმიაძინში არის აგრეთვე წმ. რიფსიმეს (618 წ.) და გაიანეს (630 წ., რესტ. 1625 წ.) გუმბათოვანი ეკლესიები, მახლობლად კი – ზვარტნოცის ტაძრის ნანგრევები.

ეჩმიაძინის ოთხთაჲი – ეჩმიაძინის საეკლესიო მუზეუმში დაცული ოთხთაჲის XII-XIII სს-ის ქართული ხელნაწერი (მისი ფოტო Rt XIX № I დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში), რომელიც, როგორც ტექსტიდან და მონატულობიდან ჩანს, გადაწერილა ვანის (A-1335) ოთხთაჲდან. ხელნაწერი (275 ფ., 29X23 სმ.) ნაწერია ორ სვეტად, ნუსხურით. ოთხთაჲი მდიდრულადაა შემკული კამარებით, თავსამკაულებით, მახარებლთა მინიატურებით და სხვ. და თითქმის იმეორებს ვანის ოთხთაჲის მოხატ-

ულობას. ეჩმიაძინის ოთხთავი ღარიბია მინაწერებით. არაა ცნობილი გადამწერი და გადაწერის ადგილი, მაგრამ მთაიარეპისკოპოს მაკარ იშხნელის მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ ოთხთავი სამხრეთ საქართველოში შეიძლება იყოს გადაწერილი და დიდხანს ამ რაიონის რომელიმე ეკლესიის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

ეხვევი – XI ს. ერთნავიანი ეკლესია „დედა ღვთისა“, მდ. ყცირილას ხეობაში, საჩხერიდან 10 კმ-ზე. საყურადღებოა ეკლესიის დეკორი, მოჩუქურთმებულია ჩრდილოეთისა და დასავლეთის შუასვეტელების ტიმპანები, დასავლეთის და აღმოსავლეთის სარკმლის საპირეები, სათაურები და შეწყვილებული გრეხილი „სვეტები“. თავდაპირველად ეკლესიას ეგუტერები ჰქონდა მიშენებული, რომლებიც XX ს. დასაწყისში შენობის შეკეთების დროს ძველი სენაკების ნაშთებთან ერთად დაუნგრეიათ.

3

ვადიმოს არქიმანდრიტი (†376) – წმ. მოწამე; წარმოშობით სპარსეთის ქალაქ ბოლაბიდან, წარჩინებული ოჯახიდან. ყმაწვილობაშივე გაეცნო ქრისტიანულ მოძღვრებას, თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა და უდაბნოში თაისი სახსრებით დაარსა მონასტერი. სპარს მეფის (310-381) მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს ვადიმოსი თაეის 7 მოწაფესთან ერთად დააპატიმრეს. ოთხი თეის განმავლობაში მათ აწამებდნენ, მაგრამ ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინეს. მეფესთან დაახლოებულმა პირმა, ნარსანმა, რომელიც თავიდან ქრისტიანი იყო, ვერ გაუძლო ცილები წამებას და უარყო ქრისტე. მან აღუთქვა მეფეს ყოველგვარი დაეალების შესრულება და პატიება სთხოვა. სპურმა მას ვადიმოსისათეის თაეის მოკვეთა უბრძანა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ნირსანმა წმინდანს თავი მოჰკვეთა. ჯალათი სენდისის ქნჭნამ შეიპყრო და თავი მოიკლა. სპურ მეფის სიკვდილის შემდე ვადიმოსის 7 მოწაფე ციხიდან გაანთავისუფლეს. ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილია ვადიმოს არქიმანდრიტის „წამების“ მეტაფრასული თხზულება. იგი დაუცავს მხოლოდ ერთ ხელნაწერს (ქუთ. 7, XIII ს., 182-185), რომელშიც წმინდანის ხსენების დღედ 7 აპრილია დასახელებული, თუმცა არაქრთული წყაროები 9 აპრილს გვიჩვენებენ.

ვაზისუბანი (1945 წლამდე – დამპალო) – სოფელი მცხეთის რაიონში, მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, მცხეთიდან 29 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია გეიანდ. შუა საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია „სუმბიანი“.

ვაზისუბანი (1951 წლამდე – ურიათუბანი) – სოფელი გურჯაანის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირას, თელავ-გაკურაცხის საავტ. გზაზე, გურჯაანიდან 14 კმ. სოფელში დგას VI ს. II ნახევრის ღვთისმშობლის მიძინების ბაზილიკური ეკლესია, რომელიც ნაგებია მსხვილი რიყის ქვის სწორი რიგებით. ეკლესიას წაგრძელებული, ვიწრო და მაღალი ნავები აქვს. შიგნით ბოძების ორი წყვილია, შუა ნავი საკურთხევლის აბსიდით სრულდება. ბაზილიკას სამი მხრიდან არტყია გარეშემოსაელი, აქეს სამი შესასვლელი – სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესია XIX ს. შეუკეთებიათ და კრამიტით გადაუხურავთ. ვაზისუბნიდან 2-3 კმ-ზე დგას X-XI სს. დიდი სამნაოიანი ბაზილიკა „სანაგირე“. აქ მონასტერი უნდა ყოფილიყო. ეკლესია რიყის ქვით, აგურით და, ნაწილობრივ, შირიმის ქვით არის ნაგები. სარკმლების საპირეები დეკორით არის შემკული. შემორჩენილია მოხატულობის კეალი. ვაზისუბნის მიდამოებში არის აგრეთვე VII ს. გუმბათოვანი ეკლესია „დაეითიანი“, ორმოც მოწამეთა სახელზე აგებული.

ვაზისუბანი (ყოფ. ქორეისუბანი) – სოფელი სამტრედიის რაიონში, მდ. ხეივსწყლის ნაპირას, სამტრედიიდან 14 კმ., საკავახოდან 4 კმ. სოფელში დგას განეითარებული შუა საუკუნების ღვთისშობლის ეკლესია.

ვაკე – სოფელი დმანისის რაიონში, (1949 წლამდე – ყარაქლისი) დმანისის პლატოზე, დმანისიდან 5 კმ. სოფლის მიდამოებში რამდენიმე ეკლესია და ეკლესიის ნანგრევებია შემორ-

ჩენილი: 1. სოფლიდან ჩრდილოეთით 600 მ-ზე მცირე ერთნაიანი ეკლესია დგას. ეკლესია კარგი პროპორციებით არის აშენებული ტუფის თლილი ქვის კეადრებით. 2. სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე ნასოფლარში ერთნავიანი ეკლესია დგას (აქ უნდა ყოფილიყო სოფ. წირანთა). 3. სოფლიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე ძველი ერთნაიანი ეკლესიის ნანგრევებია. 4. სოფლიდან დასავლეთით 5 კმ-ზე, ხშირ ტყეში, ნასოფლარში დგას ეკლესია მრავალშრივ საყურადღებო დეტალებით. იგი შემოსილია მაყელისფერი ტუფის თლილი კეადრებით. არქიტექტურული ფორმების მიხედვით XI-XII სს. ფარგლებში უნდა იყოს აგებული.

ვალაშქერტის სამწყსო – საეპისკოპოსო ეპარქია სამცხე-საათაბაგოში. XVI ს. დასაწყისის საბუთში „სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთაეარნი და მწყემსნი არიან", განსაზღვრულია ვალაშკერტის სამწყსოს საზღვრები: ყაღზეკან, ვალაშკერტს აქათ ხინუსი და დეკბოინს აქეთ" (სამ. ძეგ. III, 245-246).

ვალე – დაბა ახალციხის რაიონში, ახალციხიდან 12 კმ. მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით. ვალეში, დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია X ს-ის ეკლესია, რომელიც თავდაპირველად გუმბათიანი ყოფილა. 1561-1564 წწ. ეკლესია უგუმბათოდ აღადგინეს, ამიტომ იგი სამნავიან ბაზილიკად გადაიქცა. ეკლესიას შემორჩა აგების თანადროული ასომთავრული წარწერა-მოსახსენებლები (5): 1. სადიაკვნეში შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილი რელიეფური ფოთლოვანი ჯვრის ზემო მკლავის ორივე მხარეზე: „ძელი ცხორებისაჲ, მე ცოდვილი დანგათ სეიმენ ამის პატიოსნისა ჯუარისა გამომხატველი". 2. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე, შუა სარკმლის ზემოთ, კომპოზიციაში (ღვთისმშობელი ყრმით შუაში, მარჯვნივ მთავარანგელოზი, მარცხნივ ქალის ფიგურა) ქალის ფიგურასთან: „წმიდაო ღმრთისმშობელო კრაეაჲ შეიწყალე". 3. სამხრეთის კარზე პეტრე და პავლე მოციქულების პატარა ფიგურებთან მათი სახელები. დანარჩენი წარწერები ფრაგმენტულია და არ იკითხება. ეკლესიაში შემორჩენილია ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლის, დედისიმედის ერცელი ასომთავრული წარწერაც (XVI ს.). ვალეში არის ახალი კათოლიკური ეკლესიაც. ცნობილია ვალეს 1514 წ. გადაწერილი ოთხთავი (A 401, 295 ფ.).

„ვანათი" – V-VI სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა ბოლნისის რაიონში, სოფ. ქვემო ბოლნისსა და წითელსოფელს შორის. ეკლესია ძლიერ დანგრეულია. სამი მარტივი წაგრძელებული დარბაზის გარდა, აღმოსავლეთით გამოყოფილი აბსიდებით, სხვა არაფითარი დანაწერების ან დამატებითი სათაესის კვალი აღარ ჩანს. შუა ეკლესიას აქვს შვერილი აბსიდით და ორი შესასვლელი სამხრეთდან. გეგმით, ზომით, პროპორციებით და საშენი მასალით „ვანათი" ქვემო ბოლნისის სამეკლესიიანი ბაზილიკის მსგავსია (სახელწოდება „ვანათი", ალბათ, ოდესღაც არსებული სოფლის სახელი იყო).

ვანათი – სოფელი ცხინვალის რ-ნში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირას. სოფელში არის XIX ს. დარბაზული ეკლესია, რომლის სამხრეთ კარის არქიტრავის წარწერაში მოხსენიებული არიან ერმე ქიმე შიო დეკანოზი და მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე. ვანათის მიდამოებში დგას X-XI სს. ეკლესია „მაცხოვარი", მოხატულობის მცირე ფრაგმენტებით.

ვანთა – სოფელი თელავის რაიონში, მდ. ენთისხევის ნაპირზე, თელავიდან 13 კმ. რომელიც წყაროებში პირველად XVI ს. იხსენიება, თუმცა სოფლის მახლობლად მაღალ გორაზე უკვე VIII-IX სს. ციხე-ქალაქის კომპლექსი უნდა არსებულიყო, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. ციხის ტერიტორიაზე ყოფილა ფეოდალის დიდი სასახლე, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია და სხვა ნაგებობანი. 1569 წ. ერთ საბუთში მოხსენიებულია „ვანთა მონასტერი", რომლის სეტიცსოველის საკათოლიკოსო ეკლესიისათვის დაბრუნება მოუთხოვია ნიკოლოზ კათალიკოსს (ქრონიკ. II, 413). ალექსანდრე კახთა მეფემ დაუმტკიცა მცხეთის საკათოლიკოსოს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო ვანთა მონასტერი (Sd 464, 1579 წლისა). 1798 წ. ერთი განწირვა ეხება ვანთის მონასტრის მამულების საქმეებს (სამ. ძეგლ. V, 75).

ვანი – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ჯინჯოლურის ხეობაში ხარაგაულიდან 6 კმ. ვანში დგას ორნავიანი ეკლესია IX-X სს., რომელიც უხეშად გათლილი ქვით არის ნაგები. ეკლესია, რომელიც, როგორც ჩანს, ძალზე დაზიანებულა ადრევე. აღდგენილი და შეკეთებულია XVI ს. დასაწყისში. ამავე დროისაა ეკლესიის ფრესკული მხატვრობაც და ისტორიულ პირთა პორტრეტები (1505-10 წწ.). შენობას XIX ს. რესტავრაციის კვალი ატყვია. დასავლეთის მინაშენი, რომელიც ამჟამად თითქმის დანგრეულია, სულ გვიანდელი დამატებია. ვანის ეკლესიის ჭედური ჯვარი (XVI ს.) დაცუ-

ლია საქ. ხელოვნ. მუზეუმში.

ვანი – რაიონული ცენტრი, ცნობილი ანტიკური დროის კომპლექსით და არქეოლოგიური მონაპოვარით. ვანში არის განვითარებული შუა საუკუნეების, X-XI სს. წმ. გიორგის ეკლესია.

მარმარილოს ფილაზე, რომელიც ეკლესიის უნდა იყოს, მთელი ტანით გამოსახულია წმ. გიორგის რელიეფი, ქუდა არშიაზე აქვს XII-XIII სს. ასეთი წარწერა: „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, გუთიხე წინაშე ღმრთისა ღღეადღისეთა, ერისთავთაერისთაჲსა ზჳადსა და უღირსსა გიორგის“ (ინახება ქუთ. სახ. მუზეუმის გულათის ფილიალში). ცნობილია ვანის ღვთისმშობლის ხატი 1646 წლისა, რომელიც დამზადებულია ლევან II დადიანის დაკვეთით და XVI ს. ღვთისმშობლის ჭედური ხატი 12 საუფლო დღესასწაულის გამოსახულებით.

ვანი – სოფელი ჩოხატაურის რაიონში. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია.

ვანის სახარება (ოთხთავი) – XII-XIII სს. სახარების ქართული ხელნაწერი (A 1335; 29X21), შესრულებული ეტრატზე ორ სვეტად, ნუსხა-ხუცურით (274 ფ.), გადაწერილია იოანეს მიერ კონსტანტინეპოლში, პრომანას ქართველთა მონასტერში, თამარ მეფის დაკვეთით. ვანის სახარება შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ტექსტს. ხელნაწერის ისტორიიდან ცნობილია, რომ ერთხანს, XIV-XV სს-ში ინახებოდა შორათას მონასტერში (მესხეთში), XVIII ს. უკვე ვანში ჩანს, ხოლო XIX ს-ში – გელათში. დღეს ხელნაწერი (A 1335) ინახება თბილისში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ვანის სახარება გამოირჩევა მდიდრული მოხატულობით, შემკულია კამარებით, მახარებელთა საინტერესო გამოსახულებებით, თავსამკაულებითა და დიდებული მინიატურებით ახალი აღთქმის სიუჟეტებზე.

ვანის (ვაჯანის) ძეგბები – VIII-IX სს. გამოქვაბული მონასტერი ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ასპინძიდან 27 კმ., ვარძიიდან 1,5 კმ-ზე. გამოქვაბულთა თავდაპირველ კომპლექსში, რომლებიც ბერ-მონაზონთა სენაკებს წარმოადგენდნენ, დაცულია VIII ს. ეკლესია. IX-XI სს-ში ვანის ქვაბების მონასტერი გაუუართებიათ, გამოუკვეთიათ ქვაბ-სენაკების ახალი ჯგუფი და ცენტრში წმ. გიორგის ტაძარი. 1089 წ. ძლიერმა მიწისძვრამ მონასტრის ცენტრალური ნაწილი ტაძრიანად დაანგრია. XII ს-ში, 1191 წ-მდე, მონასტერი გურგენის ძეთა ფეოდალურ სახლის საგვარეულო მონასტერია. 1186-1191 წწ. მონასტრის მფლობელმა იჩქით გურგენის ძემ განაახლა მონასტერი, აღადგინა და ძვირფასი ხატებით შეამკო წმ. გიორგის ტაძარი, მის გვერდით ააგო საგვარეულო ეგვტერი და ორივე შესასვლელში თაეისი ღვაწლის ამსახველი წარწერა ამოაკვეთინა. 1191-1204 წწ-ში თამარ მეფის დროს დაიწყო მონასტრის რეკონსტრუქცია. მწიგნობართუხუცესმა ანტონ ჭყონდიდელმა 1204 წ. ვანის ქვაბების ძველი ქვითკირის ზღუდე აღადგინა. ვანის ქვაბების მონასტერი 1204-1283 წწ-ში თმოგველთა ფეოდალური საგვარეულოს საკუთრებაშია. მათ მონასტრისათვის განუწესებიათ ახალი ტიპიკონი – „ვაჯანის ქვაბთა განგება“ (Ad 933; 1204-1234 წწ.). 1265-1283 წლებს შორის თმოგველებს აუშენებიათ წმ. გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. 1283 წ. მიწისძვრამ მონასტერი კვლავ დაანგრია. XIV-XVI სს-ში ვანის ქვაბები ღარიბასძეთა სამკვიდრებელია, ხოლო XVI ს. – რჩეულიშვილებისა. XIV-XV სს. ვანის ქვაბებში კვლავ გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრება და აქ ამ დროს დედათა მონასტერი უნდა ყოფილიყო. 1551 წ. სპარსელებმა, ხოლო 1576 წ. ოსმალებმა დაარბიეს და გაძარცვეს მონასტერი, რის შემდეგაც ოგი დაცარიელდა. კლდეში ნაკეთი 200-მდე გამოქვაბული 16 იარუსადაა განლაგებული. გამოქვაბული მონასტრის კომპლექსში შედის კლდეში ნაკეთი სენაკები, 6 ეკლესია, სამეურნეო სათავსოები, ეგვტერ-სამარხები, საგვარეულო საძვალე, თაეშესაფარი, სამიმოსელო გვირაბები, წყალსადენი, წყალსაცავი და ა. შ. შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები, ისტორიული ხასიათის წარწერები და კანკელის მოჩუქურთმებული დეტალები. ვანის ქვაბების ბოლო სართულზე კლდეში ჩაშენებულია პატარა ეკლესია, რომლის კედლებმა შემოგვინახეს XV ს. II ნახევრის მელნით ნაწერი პროზაული და პოეტური ლიტერატურის ნიმუშები, როგორც ორიგინალური, ასევე ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურიდან, რომლებიც აქ დამკვიდრებულ დედებს უწერიათ. მათ შორის არის „ეეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი (1300, 1301).

ვარამანდი // ჯარამანდი (ბერძნ. – მანტიის ზემოთ) – „ეერამანდი, რომელ არს ხაოდი (ე. ი. ხაერდის) საბეჭური“ (დიდი სინაქსარი, H 2211; 44). მონაზონს მცირე სქემის კურთხევის დროს მანტიის ზემოდან აცმე-

ვენ ვარამანდს (პარამანდს) ჯვრის გამოსახულებით. ვარამანდი (პარამანდი) წარმოადგენს ოთხკუთხა ქსოვილს ჯვრის გამოსახულებით, რომელსაც მონაზონი ატარებს მხრებზე. ვარამანდი მის კუთხეებში მიკერებული ზონრებით ეკვრის მონაზონის მხრებს და კრავს ტანსაცმელს. ვარამანდს მონაზონი ატარებს იმის მოსაგონებლად, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს ქრისტეს უღლის სიმძიმე და სიეთე, რომ უნდა შეკრას და დათრგუნოს ყოველგვარი ხორცილი გულისთქმა და სურვილი. ვარამანდზე ჯვარი გამოისახება ქრისტეს ჯვარცმის მოსახსენებლად და ნიშნად იმისა, რომ მონაზონი მზად არის, მიბაძოს უფალს საკუთარი ჯვრის ზიდვაში, ე. ი. მოითმინოს ყოველგვარი ტანჯვა და მწუხარება.

ვარდისუბანი — სოფელი თელავის რაიონში, მდ. თურდოს მარჯვ. ნაპირზე, თელავიდან 3 კმ. ვარდისუბნის მიდამოებში არის V-VII სს. ძველი შუათის მონასტერი (იხ.) და XVI ს. ახალი შუათის მონასტერი (იხ.).

ვარდისუბანი — სოფელი დმანისის რაიონში, დმანისის პლატოზე, მდ. მაშაქერის მარცხ. ნაპირას, დმანისიდან 15 კმ. სოფლის მიდამოებში (კაკლიანი) არის სამონასტრო კომპლექსი — გეიანი შუა საუკუნეების ეკლესია „მაღლიანი", ლაპიდარული წარწერებით, შუა საუკუნეების სატრაპეზო და სხე. ნაგებობანი. ამ მონასტრის შესახებ უნდა წერდეს ვახუშტი ბატონიშვილი: „მოდი მზახე"-ს (ციხის) ქუეით არს ვარდისუბანს მონასტერი უგუმპათო შუენიერ ადგილას" (ქართ. ცხოვრება, IV, 321, 20).

ვარდობისა — წარმართული დროის ქართული სახელწოდება თვისა, რომელიც თანამედროვე აღრიცხვით იწყებოდა 3 აპრილს და მთავრდებოდა 2 მაისს (იხ. საეკლესიო წელი).

ვარევანი — სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ჯობარეთის (ფარავნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, ახალქალაქიდან 19 კმ. სოფელში დგას 1893 წ. ეკლესია ლაპიდ. წარწერებით.

ვარიანი — სოფელი გორის რაიონში, მდ. ლიახვის მარჯ. ნაპირას, გორიდან 12 კმ. სოფელში შემორჩენილია XII ს. ღვთისმშობლის ეკლესია. ვარიანში დაიბადა იაკობ გოგებაშვილი.

„ვარლაამი და იოდასაფი" — შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი, ბერძნულ ენაზე მოღწეული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომლის სუფეტი ბუდას ცხოვრების სანსკრიტული რედაქციდან უნდა მომდინარეობდეს. დღეს სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისით, რომელიც ემყარება ქართული წყაროების ჩვენებას, დასახელებული ბერძნული თხზულების წყაროს წარმოადგენს ეფთემე მთაწმიდელის მიერ ქართულიდან ბერძნულად შესრულებული თარგმანი იმ თხზულებისა, რომელსაც ქართულად „სიბრძნე ბალაჰარისა" ეწოდება.

ვარლაამის მონასტერი — იხ. ბარლაამწმიდა.

ვარლამი — რუსი პილიგრიმი, რომელმაც 1712 წ. მოინახულა იერუსალიმი და ცნობებს გვაწვდის ჯვარის ქართველთა მონასტრის შესახებ (იხ. Паломники писатели петровского и послопетровского времени, или путники во св. гроб Иерусалим, чоидр , III, 1873).

ვარლამ ეგზარქოსი (1763-1830) — საქართველოს ეგზარქოსი 1811-1814, ქსნის ერისთავის, დავითის ძე. ადრე განაგებდა ახტალის ეპარქიას. 1801-1808 წწ. იყო რუსეთის სინოდის წევრი. 1811 წ. ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ დაინიშნა აღმ. საქ. ეკლესიის მმართველად. ვარლამმა რუსეთის ხელისუფლების დაკვალებით შეადგინა აღმ. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც გულისხმობდა სასულიერო დიკასტერიის დაარსებას, საქართველოს საეგზარქოსოს შექმნას და მის დაქვემდებარებას რუსეთის სინოდისადმი. პროექტი მცირე ცვლილებებით დაამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. ვარლამი გახდა საქართველოს ეგზარქოსი, მიტროპოლიტი. 1814 წ. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის დაარსებასთან დაკავშირებით ვარლამი საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსად დანიშნეს, მაგრამ მან ვერ მოახერხა დასავლეთ საქართველოს მაღალი სამღვდელო წრეების წინააღმდეგობის დაძლევა ახალი საეკლესიო კანონების გატარების დროს, რისთვისაც სინოდმა იგი შეცვალა თეოფილაქტეთი. 1817 წელს ვარლამი პეტერბურგში, სინოდში გაიწვიეს, სადაც 1825 წლამდე დარჩა. 1825-1830. წწ. ვარლამი მოსკოვის დანიელის მონასტერს განაგებდა. იგი ცნობილი იყო მჭევრმეტყველებით. მისი ქადაგებები გამოქვეყნებულია რუსულ და ქართულ ენებზე. ვარლამმა რუსულად გამოაქვეყნა ქართული ენის მოკლე გრამატიკა. მან 1805 წელს მოსკოვში ქართული სტამბა გამართა, სადაც დაიბეჭდა „სადღესასწაულო", 1825 წ. — „კანმარტება სახარებისა". ვარლამი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მისი ლექსები დაცულია ხელნაწერების სახით (S 1512, S 3723, S 1164).

ვარნეთი – ნასოფლარი ასპინძის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას. მაღალ მთაზე ამჟამად ნანგრევებით შემორჩენილი ციხის ტერიტორიაზე ყოფილა ორსართულიანი დარბაზული ეკლესია, რომელიც დანგრეულა. ეკლესია გაუთლელი ქვით იყო ნაშენები, ხოლო ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი – უხეშად ნათალი ქვით. ეკლესიის პირველი სართული მთლიანად მიწითაა დაფარული, მეორე სართულისაგან შემორჩენილია ახლიდ კედლის მხატვრობის ფრაგმენტით და სამხრეთ კედლის ნაწილი. 1970წ. ვარნეთის მახლობლად, მდ. მტკვრის ნაპირას შემთხვევით აღმოაჩინეს მიწაში ჩამარხული ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესიის ქვები – ეოლუტებიანი სვეტისთავები და შესასვლელის 2 საპირე ქვა, რომელიც დღესაც ადგილზე ინახება.

ვაროზ მოწამე – ეწამა მაქსიმიანე იმპერატორის (305-311) დროს ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისათვის. ვაროზის „წამების" კიმენური თხზულების ქართული თარგმანი შესულია XI ს. H 341 ხელნაწერში (გვ. 802-824). ვაროზის „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად სვიმეონ ლოღოთელმა დაწერა, თარგმნილია ქართულად XI ს. II ნახ. და შემონახულია 3 ხელნაწერით (A 1053, XII ს., 69-79; ქუთ.4, 1565 წ., 475-484; S 1276, XI-XII სს., 139-148). მოწამის ხსენების დღედ, ქართული თარგმანის მიხედვით, დადებულია 19ოქტომბერი (სხვა წყაროებში ამ დღეს მისი ხსენება არ არის, ქართულ საეკლესიო კალენდარში მისი ხსენება შეტანილია 19 ოქტომბერს, ოღონდ „უვაროს" სახელით).

ვარსანფი – XV ს. შუა წლების რუსი პილიგრიმი, რომელმაც ორჯერ მონახულა იერუსალიმი (1456 და 1461-62 წწ.), მისი ახლომდებარე წმ. ადგილები და მათი აღწერილობა დატოვა. მას აქეს ცნობები იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებაც (იხ. Хождение священноинока Варсанофия во св. граду Иерусалима в 1456 и 1461-62 гг., ППС, 45 (XV,3,1896,с.10-13).

ვარძია – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ბორიმელის მარცხ. მხარეს, რაიონის ცენტრიდან 18კმ. სოფლის ტერიტორიაზე ყოფილა მონასტერი, რომლისაგანაც 1790 წლისათვის დარჩენილა ეკლესია და სამრეკლო. ამ წელს ლეკებს გადაუწვავთ სოფელი და ეკლესია დაუნგრევიათ. ძველი ეკლესიის ადგილზე ააგეს თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებული დიდი გუმბათოანი ეკლესია. დასავლეთის მხარეს მინაშენისა და სარკმლების კედლებში ჩატანებულია ძველი ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები, რის მიხედვითაც ჩანს, რომ მონასტრის ეკლესია დაახლ. XI-XIII სს. განეკუთვნებოდა. საშრეკლო, წარწერის თანახმად, 1777 წ. აღუდგენია ნიკოლოზ ყოფილს, ნათლისმცემლის უდაბნოს ყოფილ წინამძღვარს, რომელიც შემდეგ ვარძიის მონასტრის (იმერეთში) წინამძღვარი გამხდარა.

ვარძიის მონასტერი – XII-XIII სს. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასპინძიდან 30 კმ., გამოკვეთილი ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩიების შვეულ 500 მ-ის სიგრძის კლდეში 13 სართულად. მონასტერი იქმნებოდა 1156-1203 წწ. განმაულობაში, აკურთხეს 1185 წ. 15 აგვისტოს თამარის მეფობის დროს. მონასტერი შენდებოდა რამდენიმე ეტაპად. თავდაპირველად გიორგი III-ის (1156-84) მეფობის დროს გამოიკვეთა პირველი სენაკები და ეკლესია. თამარის მეფობის დროს 1184-85 წწ. თავდაპირველი გეგმა რამდენადმე შეიცვალა. ჩატარდა მონასტრის ცენტრის რეკონსტრუქცია. კლდეში გამოკვეთეს ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ეკლესია სტოა-პორტიკით. ტაძარი მოიხატა ქართლის ერისთავის, რატი სურამელის თაოსნობით და ხარჯებით, ხოლო ფრესკები შეუსრულებია მხატვართა ჯგუფს ვინმე გიორგის ხელმძღვანელობით (1184-1186 წწ-ში). 1185-1203 წწ. დამთავრდა მონაზონთა სენაკებისა და სათავსოების, აგრეთვე თავდაცვითი და საირიგაციო ნაგებობათა გამოკვეთა. 1283 წ. მიწისძერის შემდეგ აქ, ბექა ჯაყელი-ციხისუკუარელის ათაბაგობის ხანაში (1285-1306), ააგეს ორთაღიანი ნაგებობა სტოა-პორტიკის გასამაგრებლად და ორსართულიანი მოჩუქურთმებული სამრეკლო. იქვე ათაბაგის დროს შეიქმნა დიდი სატრაპეზო. მონაზონთა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების პალატები 2-3 და 4 ნაკვეთი ოთახისაგან შედგება და ერთმანეთთან დაკავშირებულია კარისბჭეებთან შექმნილი საგანგებო გასასვლელებით. მონასტერში 120 საცხოვრებელი კომპლექსი და 420 სათავსოა. მათ შორის – 25 მარანი 185 ქვევრით. ზოგიერთი საცხოვრებელ კომპლექსს აერაეს მცირე სამ-

ლოცველები (სულ – 12). ვარძიის მონასტერი არ გამოირჩეოდა მდიდრული მორთულობით, მაგრამ მოხატულობით მთავარი ტაძარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ტაძრის მხატვრობა, სახარების სიუჟეტების გარდა, შეიცავს გიორგი III-ის, თამარ მეფისა და რატი სურამელის პორტრეტებს. ვარძიის მონასტრის თამარის ფრესკა ყველაზე ადრინდელია თამარის იმ ოთხ ფრესკას შორის, რომლებიც შეუსრულებიათ მის სიცოცხლეში სხვადასხვა ეკლესიებში (ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი). მოხატულია აგრეთვე სამლოცველოები. ანანაურის ეკლესიის (მონასტრის დასავლეთ ნაწილში) მხატვრობა XVI ს.-ისაა. ვარძიის მონასტერი იმითაეთვე ცნობილი კულტურულ-საგანმანათლებლო და მწიგნობრული კერა იყო. აქ უმოღვაწია იოანე შავთელს, რომელმაც აქვე შეთხზა „ჯალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. მონასტრის წიგნთსაცავიდან შემორჩენილია XII-XIII სს. ვარძიის ოთხთავის მოხატული ხელნაწერი (Q 899) (იხ.). ვარძიის მონასტრის წინამძღვარი ტრადიციულად მეფის საწოლის მწიგნობარი იყო და თავისაჩინო როლს თამაშობდა ეკლესია-მონასტრების საქმიანობაში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონღოლთა შემოსვლების დროს (XIII ს. I ნახ.) ვარძიელი ბერ-მონაზვნები იბრძოდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული კულტურის გადასარჩენად. 1551 წ. მონასტერი სპარსელებმა დაარბიეს და დაწვეს, სიმდიდრე – ვარძიის ღვთისმშობლის ცნობილი ხატი და სხვა მრავალი განძი გაიტაცეს. 1578 წ., როდესაც ეს მხარე ოსმალებმა დაიპყრეს, მონასტერი გაუკაცრიელდა. ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს, რომ გელათის მონასტერში დაცული იყო „ვარძიის ჯვარი, შეშკული დიდ ფრიად“ (ქართ. ცხ. IV 753, 21).

ვარძიის ოთხთავი – XII-XIII სს. სახარება-ოთხთაეის ძვირფასი ეტრატის ხელნაწერი (Q 899, 289 ფურც, 23X18); ნუსხური, ნაწერი ორ სვეტად, სათაურები მრგლოვანი სინგურით, ტექსტის მცირე ნაწილი და დასაწყისი ასოები ნაწერია ოქრომელნით და ფერადებით, ხელნაწერის კიდეები მოტეხურულმოოქროვილია. ვარძიის ოთხთავი ჩასმულია დიდი ზომის (31X25) მოჭედილ, მასიურ, ვერცხლის მოოქროვილ ყდაში, რომელსაც ორი ვერცხლისავე ზარნიშანი შესაკრავი აქვს. ყდის ზემო ნაწილზე შუაში იესო ქრისტეს რელიეფური გამოსახულება არის (ტახტზე მჯდომი, ლრუბელბზე ფეხ-დაყრდნობილი), კუთხეებში ოთხი მახარებლის გამოხატული რელიეფური მედალიონები. ყდის მეორე მხარეს, შუაში დაკრული აქვს ჯვარი. როგორც ცნობილა მოწმობს, ყდა გაკეთებული რუსეთში 1871 წ. (სიზიკოვის მიერ). ოთხთავის ტექსტი შემკობილია ძვირფასი მინიატურებით. ხელნაწერი გატანილი იყო პარიზში და იქ ინახებოდა 1921-1945 წლებში. 1845 წ. თბილისში დაბრუნეს და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ვარძიის ოთხთავი გიორგი მთაწმიდელის თარგმანს წარმოადგენს. ტექსტს ერთვის: 1. სახარების საკითხავთა საწელიწდო სადგელი (257-270 ფ.); 2. თვენი სექტემბერ-აგვისტო (270-285 ფ.); 3. სახარებანი სატფურებისანი (285-286). ოთხთავის შინაწერებიდან ცნობილი ხდება, რომ ხელნაწერი გაუტაციათ „თათრებს“ შაჰ-თამაზის მიერ ვარძიის მონასტრის აოხრების დროს, ე. ი. 1551 წელს, იგი დაუხსნია კახეთის მეფის, ლევანის (1520-1574) ვაჟს იესეს და ვარძიისათვის შეუწირავს. XIX ს. II ნახევარში ვარძიის ოთხთავი, რომელიც გელათის მონასტერში ინახებოდა, გაუტანია ქუთაისის გუბერნატორს ლეჟაევს, შემოუსრაცვია ოთხთაეის შესანიშნაეი ძველი ეერცხლის ყდა, ღვთისმშობლის მინაქრიანი ხატი და შეუცვლია იგი, როგორც აღვნიშნეთ, 1871 წ. ნაკეთები ყდით.

ვარცანის მონასტერი – მოიხსენიება 1398 წ. ერთ საბუთში (Hd 8712), რომლითაც ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს შეწირულებანი გაუახლა, საბუთში აღნიშნულია: „შილდას მონასტერი – ვარცნისა ღმრთისმშობელი“ (საძართლის ძეგლ. III, 180). ვარცანის მონასტერი იხსენიება XVI ს. ორ საბუთში 1504 და 1552 წწ-ისა. (ქრონიკ. II, 323 და 392; მეორე პირველის ასლია).

ვარხუნო – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თეთრი წყაროდან 0,5 კმ-ზე. სოფლიდან ჩრდილო-დასაელეთით 2 კმ-ზე მდებარეობს ნასოფლარი ეცო. ნასოფლარში და მის ახლო-მახლო რამდენიმე ეკლესია და ეკლესიის ნანგრეეებია: 1. ნასოფლარის ცენტრალურ ნაწილში ეკლესიის ნანგრეებია. კედლები ნაგებია თლილი ქვითა და უხვად ყოფილა მოჩუქურთმებული. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით იგი XI-XII სს. უნდა ყოფილიყო აგებული. 2. ნასოფლარის დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ჭივჭავას მარჯვენა ნაპირას დგას ჰატარა, გვიანფეოდალური ხანის ეკლესია. 3. ნასოფლარის ჩრდილოეთით 1 კმ-ზე, მაღალ ბორცეზე ნასოფლარის ცენტრში არის ეკლესიის ნანგრეე-

ბი. ეკლესია მოქვითალო ტუფის თლილი კვადრებითაა ნაგები, საფიქრებელია, XII-XIII სს-ში.

ვასილი ამასიელი – იხ. ბასილი ამასიელი.

ვასილეოს – ის. ბასილეოს.

ვასილი – რუსი საეკლესიო მოღვაწე და პილიგრიმი XV ს. შუა წლებში. ვასილიმ 1446 წ. მოილოცა იერუსალიმი და დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის აღწერა, რომელშიც დაცულია ცნობები იერუსალიმის ქართული მონასტრებისა და იქ მოღვაწე ქართველი ბერების საქმიანობის შესახებ (იხ. Хождение гостья, ППС, 6 (II,3)1884 г.)

ვასილოს მოწამე – ეწამა ქრისტესთვის მაკედონიის ქალაქ ათონიაში იმპერატორ ნუმერიანეს (283-284) დროს ისაერე, ინოკენტიოს, ფილიკოს, ერმიო და პერეგრინოს მოწამეებთან ერთად, ყველა მათგანი ქ. ათენის მკვიდრი იყო. ვასილოს მოწამისა და მასთან ერთად წამებულთა ერთობლიები „წამების“ მეტაფრასული თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია XIII ს. ერთ ხელნაწერში (ქუთ. 7, 404-418). მოწამეთა ხსენების დღედ 6 იელისია დადგენილი, თუმცა „წამების“ ქართული თარგმანი 29 აპრილს მიუთითებს.

ვასსა მოწამე – იხ. ბასა მოწამე.

ვასხება (leneratio) – ფულის ჩვეულებრივი გასესხება. საეკლესიო პირთათვის ვასხება საეკლესიო კანონმდებლობით აკრძალული იყო. ასეთი პირი უნდა „განიკუეთოს მღდელობისაგან და უცხო იქმნას კანონისაგან“ (ნიკეის I კრების მე-17 კანონი) „არა უკმს სამღდელოთა ვასხებაჲ და ვახშისა და აღნადგინებისა მიღებაჲ“ (ლაოდიკიის კრების მე-4 კანონი).

ვაქირი – სოფელი სიღნაღის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდ. აღმოსავლეთ მთისწინეთში, სიღნაღიდან 9 კმ. (წნორიდან 5 კმ.). სოფელში დგას VI-VII სს. ნათლისმცემლის დიდი სამეკლესიოანი ბაზილიკა, რომელიც ნაგებია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით. გვერდის ეკლესიებში მოწყობილია შუა ეკლესიასთან დაკავშირებული პასტოფორიები (სადიაკვნე და სამკვეთლო). ეკლესიას ორგზისი საფუძვლიანი რესტავრაციის კვალი ატყვია. ეაქირში არის აგრეთვე განვითარებული შუა საუკუნეების მეორე ეკლესიაც – „კვირაცხოველი“.

ვაყა – სოფელი ხაშურის რაიონში, შიდა ქართლის ეაკვზე, მდ. ჭერათხევის (სურამულას მარცხ. შენაკადი) ნაპირას, ხაშურიდან 16 კმ. (გომიდან 4 კმ.). სოფლის განაპირას დგას XVI-XVII სს-ის ეკლესია „დედაღვთისა“. სოფელში აღმოჩენილია გვიანდელი ბრინჯაოს და ანტიკური ხანის არქეოლოგიური.

ვაჩნაძიანი – ყოელაღწმიდის სამონასტრო კომპლექსი გურჯაანის რაიონის სოფ. შრომასთან (ყოფ. ეაჩნაძიანი), გურჯაან-თელაეის საავტომობილო გზაზე, გურჯაანიდან 18 კმ. სოფლიდან 8 კმ-ზე მდგარა VI-VII სს. სამეკლესიანი ბაზილიკა (შემორჩენილია ნანგრევები). შემდეგ, VIII ს. დასასრულს ან IX ს. დასაწყისში, აუგიათ „ყოელაღწმიდის“ გუმბათოვანი ეკლესია. ეკლესიის გარკვეული ნაწილები (კედლები, ზოგი კამარა, კონქები) ნაგებია რიყის ქვით, ხოლო ნაწილი (ზოგიერთი თაღი და კამარა, გუმბათის ყელი, ტრომპები და სხვ.) – აგურით. ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ნავს, რომლის ცენტრში აღმართულია გრძივი კედლის შეერილებზე დაყრდნობილი გუმბათი. შუა ნაოს გარშემო გარეშემოსაველი, სადიაკვნე და სამკვეთლო სიერცე დაეიწროებული და ამაღლებულია. ამ ეკლესიაში პირველად ჩანს ახალი კონსტრუქციული ელემენტი – პანდატივები. ეაჩნაძიანის ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების გარდამაეალი ხანის (VIII-X ს. I ნახ.) ყველაზე ძნიშნელოვან და მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. სამონასტრო ნაგებობათაგან შემორჩენილია აგრეთვე სატრაპეზოსა და სხეა შენობათა ნანგრევები. ეკლესიის სამხრეთით რამდენიმე ოთახია. მათგან ერთ-ერთი კვადრატული, ყრუკედლებიანი სათაეო, რომელიც ზემოდან ნათდებოდა, მონასტრის ბიბლიოთეკა უნდა ყოფილიყო. მონასტრის მაღალ გალავანს დასაელეთის მხარეს ჰქონდა ჭიშკარი.

ვახანი – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ვახანისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ხარაგაულიდან 18 კმ. სოფლის ზემოთ მთის წვერზე შემორჩენილია მძლავრი ციხის ნანგრევები (XV-XVI სს-ზე აღრინდელი). ციხის გალავნის შიგნით ჩრდ. – აღმოსავლეთის კუთხეში არის მცირე უზომო ქვით ნაშენი ერთნავიანი ეკლესია-სამლოცველო.

ვახტანგ გორგასალი – ქართლის მეფე (V ს. 40-იანი წლებიდან 502 წ.) სპარსელთაგან ქართლის განთაეისუფლებისათვის და ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის თაეგამოდებული მებრძოლი. ვახტანგმა თაეისი მეფობის პირველსაე პერიოდში საეკლესიო რეფორმები ჩაატარა. მის დროს პირველად ქართული ეკლესიის მწყემსმთავარს მთა-

ეარეპისკოპოსის ტიტულის ნაცვლად კათოლიკოსობა ებოძა. მან გადააყენა მიქაელ მთაწმინდელი ეპისკოპოსი ქართლისა და საკათოლიკოსო ტახტზე პეტრე დასვა. ვახტანგ გორგასალმა ახალი საეპისკოპოსო ეპარქიები დააწესა და ზოგიერთი ძველი ეპისკოპოსი შეუცვალა. საეპისკოპოსო ეპარქიების რიცხვი მის დროს 13-მდე გაიზარდა, რომელთაგან ხუთი კახეთ-კუხეთ-ჰერეთში იყო. ამით ვახტანგმა ყველა ეკლესიიდან განდევნა თავისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები და ეკლესია სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავის დიდ დამხმარე ორგანიზაციად აქცია. ვახტანგ გორგასალი დასაფლაებულია მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება" აღწერილი აქვს XI ს. ისტორიკოსს ჯუანშერს (ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 139-244). ვახტანგის სპარსელი მეუღლის გამზრდელი (მამამძუძე) იყო ქართული ეკლესიის პირველმოწამე, გაქრისტიანებული სპარსელი – რაჟდენი.

ვახტანგ VI (1675-1737) – ქართლის მეფე (1716-14 წწ.), ცნობილი პოეტი, მთარგმნელი, მწიგნობარი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ VI-ის მწიგნობრული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ვახტანგის თაოსნობით შეიქმნა კანონთა კრებული (1705-1705 წწ.), რომელშიც თავმოყრილია სამოქალაქო და საეკლესიო სამართლის ძეგლები, რომელთა შორის თვით ვახტანგის მიერ შედგენილი კანონებიც იყო – „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა" (იხ.). საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის მას „სჯულმდებელი" უწოდეს. ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „სწავლულ კაცთა კომისიასთან" დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაა დაკავშირებული, პირველ ყოვლისა, „ქართლის ცხოვრების" რედაქტირება, შევსება და გაგრძელება. ვახტანგ VI-მ დაარსა პირველი ქართული სტამბა (1708-1709 წწ.) თბილისში. პირველი წიგნი, რომელიც სტამბამ დაბეჭდა, „სახარება" იყო. აქ დაიბეჭდა პირველად „ჯუჯისტყაოსანი" (1712 წ.) და სხვ. ვახტანგმა თარგმნა და გადმოაკეთა მსოფლიო დიდაქტიკური ლიტერატურის ნიმუშები („ქილილა და დამანა", „ამირნასარიანი", გალექსა რუსულიდან თარგმნილი „აპოფთეგმატა" და სხვ.). 1724 წ. ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთს გაშუაურებულიყო სპარსელთა წინააღმდეგ რუსეთის დახმარების საძიებლად, მაგრამ ამაოდ. უკან გამობრუნებული გარდაიცვალა ასტრახანში. დასაფლაებულია იქვე, მიძინების ტაძარში (იხ. „სამართალი ბერძნული", „სამართალი სომხური").

ვახტანგ VI-ის სტამბა – პირველი ქართული სტამბა. დაარსა ვახტანგ VI-მ 1708-1709 წწ-ში თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირას, სვეტიცხოველის მახლობლად. სტამბის გასამართავად ვახტანგმა რუშნიეთიდან მოიწვია ანთიმოზ ივერიელის მოწაფე მ. იშტვანოვიჩი. პირველი წიგნი, რომელიც სტამბაში დაიბეჭდა, „სახარება" იყო. 1709-1712 წწ-ში აქ II დასახელების წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის იყო „სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი „ჯუჯისტყაოსნისა", ვახტანგ VI-ის რედაქციით და კომენტარებით (1712 წ.). 1713-1720 წ. წიგნების ბეჭდვა შეწყდა (დაიბეჭდა სულ 5 წიგნი) ვახტანგ VI-ის სპარსეთში გადასახლების გამო. სტამბამ აღორძინება დაიწყო 1721-22 წწ-დან. ამ დროს დაბეჭდილი წიგნებიდან აღსანიშნავია „ჯამნი" (1722 წ.). 1722 წ-დან სტამბამ არსებობა შეწყვიტა. ვახტანგ VI-ის სტამბაში მოღვაწეობდნენ ცნობილი საეკლესიო მოღვაწენი: ნიკოლოზ თბილელი (სულხან-საბას ძმა), გერმანე მღვდელ-მონაზონი, კვიპრიანე სამთაწმინელი და სხვ.

ვახტანგ (ორბელ) ორბელიანი – ქართლის მეფის მდივანბეგი და ბიბლიოფილი XVII ს. II ნახევარში. ვახტანგმა ტანჯიაში დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების ოჯახი შექმნა, სადაც ალიზარდნენ მისი სახელოვანი შვილები: სულხან-საბა, ნიკოლოზ თბილელი, დიმიტრი და ზაალ-ზოსიმე, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ისტორიაში. ვახტანგმა 1683 წ. ტანჯიაში აგო კარის ეკლესია, შეამკო იგი და მრავალი ხელნაწერი შესწირა. ვახტანგ ორბელიანი ძველი ქართული ხელნაწერების გადაწერა-გამრავლების ინიციატორი ყოფილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ბიბლიის ქართული ხელნაწერების შეკრების, შესწავლის და გამოსაცემად მომზადების საქმეში. მისი ბრძანებით 1669 წ. იესე ბედიანელ წერილშეილს გადაუწერია ძველი ალთქმის წიგნები (A 179), XVII ს. II ნახევარში ნათანაელ ბედიანელწერილშეილს გადაუწერია ძველი ალთქმის რამდენიმე წიგნი (H 1207) და ასეთივე ხასიათის სხვა კრებული (H 885). ვახტანგის დავალებით დამზადებულია სხვა ხელნაწერებიც: ჟამნი (1755), ოთხთაეი (S 1247) და სხვ. ვახტანგს და მის მეუღლეს 1682 წ. უყიდიათ და ტანძის ეკლესიისათვის შეუწირავთ ხანცთის უდაბნოში

XII-XIII ს. გადაწერილი დეკემბრის თვენი (S 4999).

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757) – გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი, ქარლის მეფის, ვახტანგ VI-ის შვილი. 1724 წ. ვახუშტი ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, დაბინავდა მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე. აქ დაასრულა მან 1745 წ. თავისი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც აღწერილია საქართველოს ისტორია „დასაბამიდან“ XVIII ს. I ნახევრამდე. თხზულების I ნაწილის წყარო „ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. საქართველოს აღწერაში ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერა და ატლასები. 1752 წ. მან რუსულად თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“, 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სასულიერო სემინარიაში. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობისაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

ვახუშტი ბატონიშვილი დასაფლავებულია მოსკოვის დონის მონასტერში.

ვახშო – ფულის ნებადართული სარგებლიანი გასესხება. სარგებელი ჩვეულებრივად უდრიდა გასესხებული თანხის მეასედ ნაწილს ყოველთვიურად, ანუ წელიწადში 12%-ს (usura centesima). ვახშის უფრო იოლი სახე იყო ნახევრიანი ანუ 6% სარგებელი, ხოლო ყველაზე ძნიმე – „მილება ერთისა და ნახევრისა“ (sescuplus), როდესაც სარგებელი წელიწადში გასესხებული თანხის ნახევარს შეადგენდა. ვახშის ამ სახეობის შესატყვისად ქართულ ტექსტებში ხშირად „აღნადგინები“ იხმარებოდა. ქრისტიანული ეკლესიის კანონმდებლობით სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ ვახში ანუ ფულის სარგებლიანი გასესხების ყოველგვარი სახეობა. (იხ. ნიკეის I კრების მე-17 კანონი, ლაოდიკიის კრების მე-4 კანონი და სხვ.).

„ვაკანის ქებათა განგებაჲ“ – იხ. ვანის (ვაკანის) ქებები.

ვაჩმან ამბა ზედაზნელი († 650) – ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი VII ს. II ნახევარში. ვაჩმან ზედაზნელის ერთადერთი მოხსენიება გვაქვს XVIII ს. ერთ ხელნაწერში, ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა ქრონოლოგიურ სიაში (A 160, გვ. 434; იხ. ქრონიკ. I,73).

ვედრება (obsecratio) – სასულიერო პირისათვის მოვალეობის შეხსენება, გაფრთხილება მის მიერ დაშვებული შეცდომის გამო. ვედრების ორ-სამჯერ განმეორების შემდეგ, თუ მას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, ურჩი სასულიერო პირი ისჯება საეკლესიო სასჯელით.

მოციქულთა 31-ე კანონი განკეთით სჯის ეპისკოპოსის ურჩ ხუცესს და მის თანამდგომ მოყვასთ, რომელნიც დამოუკიდებლად აღმართავენ საკურთხეველს, ხოლო მათ მრევლს – უზიარებლობით. მაგრამ ეს სასჯელი მათ დადებათ სამი გაფრთხილების, „ვედრების“ შემდეგ: „ხოლო ესე შემდგომად ერთისა და ორისა და სამისა ვედრებისა ეპისკოპოსის მიერ მისდა მიმართ ქმნილსა იქმენინ“ (დიდი სჯულ. კან., გვ.219,5).

ველევი – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. ველეულის მარჯ. ნაპირას, ამბროლაურიდან 9 კმ. წყაროებში იხსენიება XVII ს-დან. სოფელში დგას XV ს. ეკლესია, რომელიც ამაე საუკუნეშია მოხატული.

ველისპირი – სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე. დმანისიდან 20 კმ-ზე. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნების ეკლესია.

ველისციხე – სოფელი გურჯაანის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ჭერემისხევის ნაპირას, გურჯაანიდან 11 კმ. წყაროებში პირველად იხსენიება V ს-ში, როგორც პერეთის პოლიტიკური ცენტრი და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. სოფლის შუაში შემორჩენილია VI ს. სამეკლესიანი ბაზილიკის – „ველეაწმინდის“ ნანგრევები. ბაზილიკას სამი მხრიდან ჰქონდა გარშემოსავლელი (შემორჩენილია ფრაგმენტები). XVIII ს-ში ბაზილიკა საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ჩანს XIX ს. გადაკეთების კვალიც. აქვეა რიყის ქვით ნაგები ციხე-დარბაზი IX-X სს-ისა.

ვენედიქტე არქიმანდრიტი – იხ. ბენედიქტე არქიმანდრიტი.

ვეშანი – ატენის მამასახლისი, რომელსაც ატენის ხეობაში იოანე ნათლისმცემლის VIII ს. ეკლესიაში აღუმართავს კვარცხლბეკზე ჯვარი, როგორც ამას კვარცხლბეკის წარწერა გვაუწყებს: „ესე ჯუარი... მე, ვეშან ატენელ მამასახლისმან აღვმართე“ (ლაპ. წარწ. I, 107).

„ვერე“ – VII ს. სამნაციანი ბაზილიკა და მონასტერი მდ. ვერეს ხეობაში, გორის რაიონის სოფ. გარდატენის მიდამოებში. შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობათა, გალაქტიონის და გვიან-

დელი ხანის სამრეკლოს ნანგრევები. ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. ნაგები ინტერიერში გამოყოფილია სვეტების ორი წყვილით. ეკლესია XI ს-ში შეუკეთებიათ, განსაკუთრებით ფასადები (მონასტრის ქვემოთ კლდოვან ქედზე IX-X სს. ციხის ნანგრევებია).

ᲕᲔᲠᲫᲘ — იხ. ზოდიაქო.

ᲕᲔᲫᲮᲘᲜᲘ — სოფელი გურჯაანის რაიონში, თელავ-ბაკურციხის საავტომობილო გზაზე, გურჯაანიდან 7 კმ. წყაროებში ვეჯინი პირველად იხსენიება X ს. დასაწყისში. ვეჯინი ჰერეთის, შემდეგ კი კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. სოფლის გარეთ, მაღალ გორაკზე დგას X-XI სს. ციხე-სიმაგრე. ციხის შიგნით რამდენიმე ეკლესიაა. აღსანიშნავია ამაღლების, აღდგომისა და წმ. მარიამის ეკლესიები. ყველა მათგანი რამდენჯერმე გადაკეთებული. ხელუხლებლად დგას მხოლოდ XV-XVI სს-ის ორსართულიანი სამრეკლო, ციხის ქვემოთ, გზის პირას, აღმართულია ყველაწმიდის ცენტრალურგუმბათოვანი XVIII ს. აგურით ნაშენი ეკლესია. როგორც ჩანს, აქ ყოფილა გაცილებით ძველი რიყის ქვით ნაშენი მცირე ზომის ეკლესია, რომელიც შემდეგ გადაუკეთებიათ ზემოხსენებულ გუმბათოვან ეკლესიად.

ᲕᲔᲫᲮᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲔᲘ — ხევი სოფელ გლდანის მიდამოებში, გარეუბნის რაიონში. ხეობის დასაწყისში არის VIII-IX სს. სასახლის ნანგრევები. სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ასიოდე ნაბიჯზე აგებულია ამავე ხანის პატარა ეკლესია, ხოლო უფრო მოშორებით, ტყეში — კიდევ ორი პატარა ეკლესია, სამივე მათგანი სასახლის კომპლექსის შემადგენლობაში შედის.

ᲕᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔ (ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔ) ᲛᲝᲬᲐᲛᲔ († 108) — ეწამა რომში ტრაიანე იმპერატორის (98-117) მეფობის დროს. ვიაკინთე იყო ტრაიანე იმპერატორის კბკუნარი (მესაწოლე), წარმოშობით კაპადოკიის კესარიიდან, ფარულად ქრისტიანი. წარმართული დღესასწაულის დროს, როდესაც ვიაკინთე ოთახში ჩაკეტილი ქრისტესადმი ლოცვებს აღავლენდა, ერთ-ერთმა მსახურმა იგი იმპერატორთან დაასმინა. ვიაკინთე შეიპყრეს და იმპერატორის წინაშე წარადგინეს. მან უარი თქვა ნაკრძალის ჭამაზე და ქრისტიანობა აღიარა. იგი საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც 38 დღე უჭმელმა დაპყო, რადგან არ ჭამა კერპებისათვის შეწირული ხორცი და შიმშილით გარდაიცვალა. მისი წმინდა ნაწილები შემდეგ კესარიაში გადასვენეს. ვიაკინთეს „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსის შედგენილი უნდა იყოს, ქართულად თარგმნილია XII ს-ში და შემონახულია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 3, XVI ს., 356-366). ხსენების დღე — 3 იელისი.

ᲕᲘᲖᲘᲠᲝᲕᲐ — სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. თორნისწყლის (მდ. ხრამის აუზი) ნაპირას, თეთრიწყაროდან 18 კმ. სოფლიდან ჩრდილოეთით 4 კმ-ზე, ბედენის პლატოზე, ნასოფლარის განაპირას დგას გალავნით შემოფარგლული თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, საკარადოდ IX ს-ისა.

ᲕᲘᲙᲐᲠᲘ//ᲕᲘᲙᲐᲠᲘᲣᲡᲘ (ლათინ. „მოადგილე) 1. გვიანდელ რომის იმპერიაში ადმინისტრაციული ოლქის — დიოცეზის მმართველი. 2. მართლმადიდებლურ ეკლესიაში (თანამდებობა შემოილეს 1865 წ.) ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის თანაშემწე. 3. რომის კათოლიკურ ეკლესიაში — გენერალური ვიკარი — ეპისკოპოსის თანაშემწე და საეკლესიო დიოცეზის მმართველი; სამრეკლო ვიკარი — მღვდლის (კიურეს) თანაშემწე; ახალტოლიკური ვიკარი — პაპის ნაცვალი, უმთავრესად შორეულ (სამისიონერო) რაიონებში (1969 წ. იყო 83 ეპისტოლიკური ვიკარი).

ᲕᲘᲙᲐᲢᲘ (ᲘᲐᲙᲐᲢᲘ) ᲛᲝᲬᲐᲛᲔ — ეწამა რომში, ვესპასიანე იმპერატორის (70-79 წწ.) დროს. ვიკტი იყო იმპერატორის ჯარის ტრიბუნი. იმპერატორმა იგი გაგზავნა ფინიკიის ქ. ტრიპოლში ქრისტიანი მეომრის, ლეონტის შესაპყრობად. გზაში ვიკტი ავად გახდა. სიკვდილის პირას მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „თუ გინდა გადარჩე, სამყურ თქვი: „ლეონტის ღმერთო, შეიწყალე". ვიკტი განაკურნა და თავის მეგობარ თეოდულესთან ერთად ჯარისკაცად ფარულად წაიყვანა ქალაქში ლეონტისთან შესახვედრად. უცნობი, რომელიც მათ შეხვდა, ლეონტი აღმოჩნდა, რომელმაც მონათლა კიდეც ისინი ქრისტიანებად. როდესაც ამის შესახებ შეიტყვეს ფინიკიის მმართველმა ადრიანემ და ვიკტის კარმა, ისინი დააპატიმრეს და მმართველს წარუდგინეს. რადგან არაფითარმა თხოვნამ არ გასჭრა, რომ ისინი წარმართობას დაბრუნებოდნენ, ვიკტისა და თეოდულეს თაყვები მოკვეთეს, ხოლო ლეონტი მეორე დღეს ცემით მოკლეს. მოწამეთა ერთობლივი „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთ ხელნაწერში (ქუთ. 3, XVI ს., 90-207). მოწამეთა ხსენების

დღედ 18 ივნისია განწესებული.

ვიკატი (უკატი) ღანგრელი – მღვდელმოწამე, პაფლაღონიის ქ. ღანგრის ეპისკოპოსი IV ს. დასაწყისში, ნიკეის I მსოფლიო კრების (325 წ.) მონაწილე.

ვიკატი ეპისკოპოსი თაყვანმოღებით ებრძოდა არიანელებს, რისთვისაც მათ შური იძიეს და 326 წ., როდესაც ვიკატი კონსტანტინეპოლიდან ღანგრაში ბრუნდებოდა, უკაცრიელ ადგილას მას თავს დაესხნენ მწვალებლები, დაჭრეს მახვილებით და მაღალი ნაპირიდან ჭაობში გადააგდეს, ხოლო არიანელმა ქალმა თაქში ქვა ჩაარტყა და მოკლა († 326). მისი გვამი მკვლელებმა მღვიმეში დამალეს, სადაც შემთხვევით აღმოაჩინა გლეხმა. ქალაქის მცხოვრებლებმა ვიკენთეს გვამი დიდი პატივით დაკრძალეს ღანგრაში. ვიკატი ღანგრელის „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად ოთან ქსიფილინოს უნდა შეედგინა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 2, XVI ს., 387-400). მოწამის ხსენების დღედ 31 მარტია დადებული.

ვირშის მონასტერი – მოიხსენიება 1398 წ. ალექსანდრე მეფის სვეტიცხოველისათვის შეწირულების განახლების სიგელში (Hd–8714), „ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა თუსითა შესაულითა“ (სამართლის ძეგლ. III 179). ვირშა (მონასტერი იგულისხმება) კიდევ ორჯერ იხსენიება: 1447 წლისა (ცხსა ფ. 1448 № 5616 სამ. ძეგლ. III, 191) და 1559 წლის (Ad 1572) საბუთებში (სამ. ძეგლ. III, 265). 1474 წ. ნიკოლოზ კათოლიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა ყურისუბნის „მონასტერი და სოფელი მისითა შესაულითა, რარიგადცა ვირშა სვეტიცხოველს შემოსწირეა“ (Ad 1654, Sd 2870; სამ. ძეგლ. III, 277). მეფემ ვირშის მონასტერი მთაულად ჩაბარა მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს (Ad 712, XVII ს.).

ვიშნესკი ი. – რუსი პილიგრიმი, რომელმაც 1708-1709 წწ. იმოგზაურა იერუსალიმში, სინის მთაზე. იგი გვაწვდის ცნობებს ქართული მონასტრებისა და იქ მოღვაწე ქართველი ბერმონაზვნების შესახებ (იხ. Путешествие в Иерусалим, на Синай и Афон, ППС, 61, 1914).

ვინაცვი – სოფელი მესტიის რაიონში.. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმ. ბარბარეს ეკლესია. შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ვლადიმირი – რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, სოლქო ცენტრი. ვლადიმირში ბევრი შესანიშნავი ძველი ტაძარი დგას. საკრებულო ტაძარი, მიძინებისა (1158-1160 წწ.; გადაკეთებულია 1185-89 წწ-ში. ინტერიერში XII-XIII სს. ფრესკების ფრაგმენტებით და რუბლიოვისა და დანიელ ჩორნის მიერ 1408 წ. შესრულებული ფრესკებით), დიმიტრისა (1194-97) და სხვ. მრავალი ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებისა: მიძინების (1679), ნიკოტასი (1762-65) და სხვ. აღსანიშნაია აგრეთვე ციხე-სიმაგრის ოჯრის ჭიშკარი (1158-64; გადაკეთებულია XVII-XVIII სს-ში), რაზედაც დაშენებულია ეკლესია (განახლებულია 1469 წ. გადაკეთებულია 1810 წ.). ვლადიმირში 1756-1762 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოდან გაძევებული ანტონ I კათოლიკოსი. იგი ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი იყო.

ვლასი ურბნელი – ურბნისის მთავარეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში, შემდეგ, 1570 წლიდან იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის მონაზონი. მანამდე ვლასი წყაროეთში ნიკოზელად, ე. ი. ნიკოზის ეპისკოპოსად მოიხსენიება. ჯვარის მონასტრის ერთი ხელნაწერის (Ier. 67) მინაწერი გვამცნობს: „შეიკაზმა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი მარხვანი კელითა ურბნელისა მთავარეპისკოპოსისა ვლასისთა და კელთა.. ტფილელ მთავარეპისკოპოსისა ბარნაბასითა.. „ქრონიკონსა სპმ (-1570). ამასვე ქრონიკონსა მოვედით ჩუენცა საქართველოჲთ“ (კურები II, 119). ჯვარის მონასტრის მრავალი ხელნაწერის მინაწერები გვამცნობენ ვლასი ურბნელის (და ბარნაბა ტფილელის) უდიდეს მამულიშვილურ საქმიანობას, რაც ხელნაწერთა მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში გამოიხატებოდა (H 2336; H 1661, M № 13; Jer. 26 და სხვ.).

ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი – მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი სიწმინდეთაგანი, ღვთისმშობლის ხატი ვლაქერნის (კონსტანტინეპოლში) ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც ლეონ დიდმა (457-474) ააგო და რომელშიც გადმოასვენეს 474 წ. პალესტინიდან ღვთისმშობლის წმინდა სამოსელი. ღვთისმშობლის ხატი გამოსახულია იმ სახით, როგორც იგი გამოცხადა ამ ტაძარში ანდრია სალოსს (XI ს. ხატი ამ ეკლესიაში ნახა XIV ს-ში რუსმა დიაკონმა ალექსანდრემ). როგორც ჩანს, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლი საქართველოშიც იყო, რადგან ვახ-

უშტი ბაგრატიონის „ისტორიაში“ ჯვითხულობთ „გურიელმან ბრძოლად წარმოსულმან განძარცუა ხატი ელანქერნისა ღვთისმშობელი და პყო სამკაულად თჳსად“ (ქ. ც. IV, 84). არსებობს ღვთისმშობლის მეორე ხატიც ელაქერნიდან, ოღონდ ღვთისმშობლის მეორე ეკლესიიდან, რომელიც თან ჰქონდა ირაკლი იმერატორს (610-641 წწ.) სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. ეს ხატი შემდეგ ათონის მთაზე გადაუსვენებიათ, ხოლო 1653 ან 1654 წ. ჩამოასვენეს მოსკოვში და იმპერატორ ალექსი მიხეილის ძეს მოართვეს. დღეს ეს ხატი მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ინახება.

ᲘᲜᲔᲑᲐ – ქრისტეს ჯვარცმა. „სუეტსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, წელიწადსა ენებოთგან და მკუდრეთით აღდგომითგან.“ (წამებაჲ აბოჲსი, ძეგლები I, 46).

ᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲐᲙᲔ – აღდგომის შეიდეული, აღდგომიდან ბრწყინვალე შაბათის ჩათვლით (იხ. ბრწყინვალე შეიდეული).

ᲘᲝᲜᲘᲤᲐᲜᲔ ᲮᲠᲝᲛᲘ († 290) – მოწამე. ეონიფანტე იყო მონა ახალგაზრდა რომაელი მდიდარი ქალის – აგლაიდასი, რომელთანაც უკანონო კავშირში იყო. ისინისინდისის ქენჯნას გრძნობდნენ და ცდილობდნენ როგორმე გამოეყოთ ცოდვა. აგლაიდამ შეიტყო, რომ თუკი თავის სახლში შეინახავდა რომელიმე მოწამის წმ. ნაწილებს, მათი შეწევნობით იპოვიდა ხსნას. მან გაგზავნა აღმოსავლეთში ეონიფანტე, სადაც იმ დროს ქრისტიანები სასტიკ დევნას განიცდიდნენ და რომელიმე მოწამის წმ. ნაწილების ჩამოტანა დაავალა. ეონიფანტე მივიდა კილიკიის ქალაქ ტარსში და ქალაქის მოედანზე ნახა ქრისტიანების სამნელი წამება. ეონიფანტეზე ამან ისე იმოქმედა, რომ საჯაროდ გამოაცხადა თავი ქრისტიანად. იგი სასტიკად აწამეს და ბოლოს თავი მოკვეთეს. ეონიფანტეს მსხვერპლებმა გამოისყიდეს მისი გვამი და რომში ჩამოიტანეს. აგლაიდამ დიდი პატივით მიიღო ეონიფანტეს წმ. ნაწილები, ააშენა მის საფლავზე წმიდა მოწამეთა ეკლესია, თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა და მონასტერში შედგა, რომელშიც 18 წელი გაატარა. სიკვდილის შემდეგ აგლაიდა ეონიფანტეს მახლობლად დასაფლავეს.

ეონიფანტეს „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად სვიმეონ ლოღოთეტმა დაწერა X ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XI ს. II ნახევარში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ და რამდენიმე ხელნაწერით არის შემონახული (ქუთ. 5, XVI ს., 327-336; Ath. 2, XIII-XIV სს., 156-162 და სხვ.). ეონიფანტეს ხსენება დადებულია 19 დეკემბერს.

„ᲘᲡᲔ ᲡᲔᲘᲐᲗᲡᲐᲪᲘ“ – იხ. „სვეტიცხოვლის“.

ზ

ᲖᲐᲑᲣᲚᲝᲜᲘ – იაკობის (ბიბლიური პატრიარქის) მეათე შვილი პირველი ცოლისაგან (ლიასაგან). მისგან წარმოშვა ზაბულონის ტომი, რომლის რიცხვი ეგვიპტიდან გამოსვლის დროს 57-ს აღწევდა (რიცხვთა 1,31).

ᲖᲐᲑᲣᲚᲝᲜᲘ (III-IV სს.) – კაპადოკიელი სარდალი, წმ. ნინოს მამა. მისი ცოლი, სუსანა იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და იყო. მისგან ეყოლა ასული ნინო, შემდგომში ქართველთ განმანათლებელი. ზაბულონი თავადაც ილწოდა ქრისტიანობის გაერცელებისათვის. სახელდობრ, მას მოუქცევია ფარანგები (ძეგლები, I, გვ. 107-109).

ᲖᲐᲒᲐᲜᲘ – სოფელი ონჩამირის რ-ნში, აჯაზეთის მთისწინეთში, ონჩამირიდან 13 კმ-ზე, რომელიც წყაროებში პირველად XVII საუკუნიდან იხსენიება ზეგანის სახელით. სოფელში შემონახულია ეკლესია შუა საუკუნეების ლაპიდარული წარწერებით.

ᲖᲐᲓᲔᲜᲘ – ძველი იბერიის წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება. მისი წარმოშობა ხეთურ-მცირეაზიული ჩანს და ღუეიელთა ღვთაება სანთას (სანდონის) (იხ.) სახელს უნდა უკავშირდებოდეს. ფიქრობენ, რომ მისი თაყვანისცემა ქართლში მცირე აზიიდან მოსულმა მესხებმა დაამკვიდრეს. აღსანიშნავია, რომ იბერიის სამეფო დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი ციხე-სიმაგრე სწორედ ამ ღვთაების

სახელს ატარებდა: ზადენ-ციხე (წიწამურთან). უძველესი დროიდანვე მიაჩნდათ, რომ ზადენ ღვთაების კერაი დღევანდელი ზედაზნის მთაზე იდგა. ამგვარივე ცნობებია დაცული ძველი ქართული ლიტერატურის მრავალრიცხოვან ძეგლებში, როშლებიც იოანე ზედაზნელისა და სხვა „სირიელ მამათა" მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ. ზედაზენი ამ წყაროებში „ზედა ზადენად" ან, უბრალოდ, „ზადენად" იხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მთაზე მიუთითებს, როგორც ზადენის კერპს, ასევე თვით ციხე-სიმაგრე ზადენსაც. სოფ. წიწამურის მახლობლად 1953 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია ზადენ-ციხის (ძვ. სეფსამორას) ადგილსამყოფელს. ანტიკური წყაროები სეფსამორას ასახელებენ სწორედ იქ, სადაც საკარაუდებელი ჩანს ძველი ზადენი. სტრაბონის ცნობითაც, მტკვრისა და არაგვის შესართავის ზემოთ იმყოფებოდა იბერიის დედაქალაქის ორი ციხე – არმაზ-ციხე მტკვარზე და სეფსამორა – არაგვზე. ეჭვი არაა, ქართულ წყაროებში ნახსენები ზადენ-ციხე უნდა იყოს ანტიკური წყაროების სეფსამორა. ეს სახელი შემოინახა ღვთაებრივმა წიწამურმა. ექსპედიციამ ამ მიდამოებში აღმოაჩინა თლილი ქვისაგან ნაგები წრიული ნაგებობის ნაშთი. ფიქრობენ, რომ ეს ნაგებობა უნდა იყოს სწორედ ის საკულტო ნაგებობა (ზედან ღვთაების კერპის ტაძარი), რომელიც „ქართლის ცხოვრების" თანახმად ააგო აქ ფარნაჯომ მეფემ. გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი, რომ ზადენის კერპი, არმაზის მსგავსად, აღმართული უნდა ყოფილიყო მწვერვალზე, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ციხეს. ზადენის კერპი, შეიძლება, იდგა იქ, სადაც ზედაზნის მონასტერია. იგი მართლაც ზემოდან დაჰყურებს სეფსამორას ნაგებობებს, ანუ ქვემო ზადენს და საეჭვებით ამართლებს თაეის სახელწოდებას „ზედა ზადენს" (ზედაზენს). იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ იოანე „აღვიდა მთასა მაღალსა, რომელსა პრქვია ზედაზადენ" (ძეგლები, I, გე. 201). აქედან უნდა იყოს მიღებული ზედაზენი.

ზაზა ზანასკერტელი-ციციშვილი – XV საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. ზაზას სახელთან არის დაკავშირებული მთელი რიგი სამშენებლო და კულტურული ღონისძიებანი, რომელიც მან ჩაატარა საციციანოს კულტურული დაწინაურებისათვის. ზაზა ფანასკერტელმა განაახლა ყინწვისის ტაძარი და მიაშენებინა ეკვტერი. ზაზას დიდი შეწევრა აღმოუჩენია აგრეთვე იერუსალიმისათვის, მონასტრისათვის გაუგზავნია „დიდი საქონელი", რისთვისაც დაუდევთ მის სახელზე ალაპი (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართულ კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, ალაპი № 118). პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ის კარგად ათავსებდა კულტურულ და მეცნიერულ მოღვაწეობას. არსებობს ცნობა, რომ ზაზამ გადააწერინა იოანე ოქრომჭირის „სწავლანი", მაგრამ ხელნაწერი არაა შემორჩენილი. მის მთაეარ დამსახურებას, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, შეადგენს მისი „სამკურნალო წიგნი" – კარაბადინი (ხელნ. Q 877, გამოცემულია ზ. შენგელაის მიერ 1978 წელს).

ზანავი – სოფელი ადიგენის რაიონში, მესხეთის ქედის სამხ. კალთაზე, ახალციხიდან 35 კმ. მანძილზე. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით ადგილობრივი მთაერის, გიორგი ჩორჩანელის ბრძანებით ჩორჩანაა და ზანავში აუშენებიათ ეკლესიები: „რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა" (ძეგლები, I, გე. 324). ამ ნაგებობათა კვალი დღეს აღარა ჩანს (ზანავში შემორჩენილია მხოლოდ შუა საუკუნეების ციხე).

ზანდუკი – წიგნის სარჩეკი. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან (წითელი) და ნიშნავს წითელ მელანს და წიგნის სარჩეკს. წითელი მელნით სათაურებს გარდა იწერებოდა სარჩეკი და თავთა დასაწყისი ასოები, ამიტომ მომეტებულად ჩანდა წითელი ფერი. † აქედან, ქართულში სარჩეკს წითელი, ანუ „ზანდუკი" დარქვა. ზანდუკის ადგილი ქართულ (და არა მარტო ქართულ) ხელნაწერებში მტკიცედ განსაზღვრული არაა. იგი ხელნაწერს ან თავში დაერთვოდა, ან ბოლოში, უფრო ხშირად – დასაწყისში. ზანდუკი ქქონდა ყოველგვარი შედგენილობის წიგნს. მასში შეტანილი იყო თანმიმდევრობით დალაგებული თავთა სათაურები.

ზარათი – სოფელი წყალტუბოს რაიონში, მდინ. რიონის მარცხენა მხარეს, ქუთაისიდან 20 კმ. სოფლის სასაფლაოზე დგას XIII საუკუნის წმ. კვირიკეს მცირე ზომის ეკლესია. მას აქეს აბსიდი და ორი შესასვლელი. შიგნით ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები სამ ნაწილად არის დაყოფილი ვრც დეკორატიული თაღებით. კედლის მხატვრობა VIII საუკუნეს ეკუთვნის და გვიანფეოდალური მხატვრობის საინტერესო

ნიშუშს წარმოადგენს. არის ფრესკული წარწერა.

ზარათუშტრა (ირან. ზარდუშა; ბერძნ. ზოროასტრი) – წინასწარმეტყველი, ძველი სპარსული რელიგიის რეფორმატორი, ზოროასტრიზმის დამაარსებელი. ცნობები ზარათუშტრას შესახებ ძალზე მწირი და ბუნდოვანია. დაუდგენელია მისი დაბადების დრო და ადგილი. ბერძენი მწერლები მას მოიხსენიებენ, როგორც ბერძენსა და ქურუმს. მას მიეწერება წინასწარმეტყველური წიგნების ავტორობა. ბევრ მეცნიერს დღესაც მიაჩნია იგი მითიური, ოფიციალური რელიგიის კულტის წარმოსახვით მეთაურად, რომელიც თავის სახელს ახალი მოძღვრების გასავრცელებლად იყენებდა (მეიერი, დარმსტეტერი). მეცნიერებამ დაადგინა, რომ ზარათუშტრა ისტორიული პირი იყო და ცხოვრობდა X ს. და VI საუკუნის I ნახევარს შორის ქრისტეს დაბადებამდე. ავესტაში დაცულია ცნობები ზარათუშტრას, მისი ახლო ნათესავებისა და მეგობრების შესახებ. ტრადიციით, მისი სამშობლო აზერბაიჯანია. გადმოცემის თანახმად, ის უნდა დაბადებულიყო მიდიაში, თუმცა მისი მოღვაწეობა უფრო ბაქტრიას (უძვ. ოლქი ამუდარიის შუა დინებაში) უკავშირდება. გათები მოგვითხრობენ, რომ ზარათუშტრას მოძღვრებას სამშობლოში მტრულად შეხვდნენ და იგი იძულებული იყო თავი შეეფარებინა ვიშტასპას კარზე. მისი სასწაულების ზეგავლენით ვიშტასპას და მის. ქვეშევრდომებს მოუღიათ მისი ახალი მოძღვრება და ხელიც შეუწყვიათ ამ რელიგიის გავრცელებისათვის. ფიქრობენ, რომ მოძღვრება აღმოსავლეთ ირანიდან უნდა გავრცელებულიყო. „მცირე ავესტაში" ზარათუშტრა უკვე მითიური პიროვნებად, ღმერთკაცად მოიხსენიება.

ზარეშის რქაქა – სამრეკლო ზარების შეწყობილი ხმა; ქრისტიანული სატაძრო ღვთისმსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოშენტი. ზარების რეკვა გამოიყენება: ა) ქრისტიანული ღვთისმსახურების დაწყების მაუწყებელ მოწოდებად; ბ) ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი მოშენტების საუწყებლად მათთვის, ვინც არ ესწრება ტაძარში წირვა-ლოცვას; გ)საუწყებლად საზეიმო დღესასწაულებისა; ღვთისმსახურების გარდა, დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს, როგორც სულიერი სიხარულის გამოხატვის ფორმა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჩვეულებრივ გამოიყენება სხვადასხვა ზომის ზარები, რომელთა სახელები შერჩეულია მათ დანიშნულებისა თუ წარმოშობის მიხედვით. ზარების რეკვა ღვთისმსახურების დროს ოთხგვარია:

ა) რეკვა ეკლესიის ზარისა წირვასა და ლიტეაზე მოწოდებისას (ზომიერი რეკვა ორმეტრიან ერთი ზარისა). ბ) ზარების აყოლება დიდი ზარიდან სულ მცირეზე და შემდეგ მცირედან – დიდამდე, მერე ყველანი ერთად. ასეთი რეკვა ზარებისა სრულდება ცხელებმყოფელი ჯვარის აღმართვისას ჯვრის თაყვანისცემის კვირას (დიდმარხვის მეოთხე კვირიაკე) და სხვა სამგლოვიარო მსახურების შესრულების დროს. გ) საკუთრივ რეკვა სრულდება ერთდროულად ორი ან მეტი ზარის ჩამოკვრით. დ) რეკვა ერთიანად წირვის დაწყებამდე, წირვის და ლიტეის რეკვის შემდეგ. ზარების რეკვას მიმართავენ ავრცელებენ რაიმე მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინების მიზნით: ხანძრის დროს და სტიქიური უბედურებების შემთხვევებში (სეტყვა, ქარიშხალი, მიწისძვრა) და მისთ.

ზარზმის მონასტერი – X ს-ში სერაპიონ ზარზმელის მიერ დაარსებული მონასტერი. ღღეს არსებული მთავარი ეკლესია და სხვა ნაგებობანი XIV საუკუნეზე ადრინდელი არაა. მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ქვაბლიანის ხეობაში, ადიგენის რაიონში. ძველ ნაგებობათაგან აღსანიშნავია დიდი ტაძარი, სამრეკლო და ჩრდილეთის კედელს მიბჯენილი სამლოცველო, მცირე ერთნავიანი სამლოცველო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან, სამხრეთით ორი მცირე ეკლესიის ნანგრევები. მთავან ოდნავ მოშორებით, ტაძრის აღმოსავლეთით ძველი წყარო. სხვა სამონასტრო ნაგებობები არ შემორჩენილა. ზარზმის მონასტერს საეკუთვნო ჩაუყარა აღრინდელი ფეოდალური ხანის ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ სერაპიონ ზარზმელმა. სერაპიონის მოღვაწეობის პერიოდის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა უმეტესობა მის მოღვაწეობას IX საუკუნეს უკავშირებს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაც. მონასტრის მშენებლობისა და სამონასტრო ორგანიზაციის ისტორიას გვაცნობს ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოურების" (ძეგლები, I, 319-347) ავტორი. ამ შესანიშნავი წყაროდან ვიგებთ, რომ ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონი, წარმოშობით კლარჯი, თაეის ძმასთან ერთად დაემოწაფა მიქელ პარეხელს და დაიწყო ზრუნვა სამცხის ახალი მონასტრის დაარსებაზე. აღგილმრივემა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა დიდი დახმარება აღმოუჩინა სერაპიონს, მონასტერს შესწირა სოფლები და მამულები. სერაპ-

იონის დროინდელი ეკლესია აუშენებია ხუროთმოძღვარ გარბანელს. მშენებლობის დროს გამოუყენებიათ ძველი ეკლესიის ნანგრევები და საძ წელიწადში აუშენებიათ ახალი. მონასტერში აღმართულია „ცხოველმყოფელი ხატი ფერისცვალებისაჲ“. ზარზმის ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის პირველ წლებში, სამცხის მთაერის ბექა მანდატურთუხუცესის დროს. ახალ ზარზმაში ყველაზე ძველი ისტორიული ძეგლია დიდი წარწერა, სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თაღში ჩასმული, უფრო ადრინდელი შენობიდან გადმოტანილი. იოანე სულას ძის წარწერა, შესრულებული X საუკუნის დასასრულს, ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავთაგანია ძველ ქართულ წარწერათა შორის. იგი მოგვითხრობს დაჟინ III დიდი კურაპალატის ლაშქრობის ამბავს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. წარწერა მოწმობს, რომ X-XI საუკუნეებში ზარზმა მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც გაცხოველებული სამონასტრო მშენებლობა წარმოებდა. ზარზმის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელშიც კარგად ჩანს იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები (პროპორციები, ფასადის მორთულობის სისტემის საახლენი, მრავალრიცხოვანი ჩუქურთმები, კედლის მხატვრობა და სხვა). მონასტრის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში და ამსთანავე ერთ-ერთი საუკეთესო ამ ტიპის ნაგებობათა შორის.. XIVსაუკუნეში ზარზმას მფარველობდნენ ჯაყელები, შემდეგ ის ეხმაბა აწყურის ეკლესიას. XVI საუკუნეში ზარზმის მონასტერი დაუმტკიცა აწყურის კათედრალს. მომდევნო მაწყვერელები ზარზმის მფლობელებიც გახდნენ. XVI საუკუნეში (1577 წელს) ზარზმის ახალმა მფლობელებმა – ხურციძეებმა, როგორც ეს წარწერიდან ჩანს, ჩაატარეს აღმშენებლობითი საქმიანობა (კერძოდ, სერაპიონ ხურციძემ). ეკლესიის ძველი მხატვრობის ნაწილი განაახლეს, სამრეკლოს I სართულს თაღები ამოუშენეს და იოანე მახარებელის ეკლესიად გადაქციეს. 1595 წლისათვის მონასტერი კლავე მოქმედი ჩანს, შემდეგ უკვე მის ხსენებას ეელარ ვხვდებით. „ზარზმა“ დაცარიელდა თურქთა მომძლავრების გამო. ქართველ მღვაწეებს იქ ალარ დაეგემბერდათ. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მონასტრის ნივთები (ჯვრები, ხატები) გურიაში, შემოქმედში გადატანეს და იქ დაასვენეს ახლად აგებულ ეკლესიაში, რომელსაც ზარზმა უწოდეს. ძველ ზარზმაში ჩაკვდა კულტურულ-ლიტერატურული და საეკლესიო საქმიანობა, მონასტერიც მთლიანად გაუაკრილდა, უპატრონოდ დაგდებული ძველი ნაგებობა დაზიანდა და დროთა ვითარებაში დაინგრა. XX საუკუნის დასაწყისში ზარზმა კაპიტალურად შეკეთდა. რესტავრაციამ შეალახა მხატვრობის კოლორიტი და, ნაწილობრივ, სტილისტური თავისებურებაც. ზარზმის მონასტერი დიდი მნიშვნელობის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ზარზმელი მწიგნობრები: გერმანე, ბენედიქტე და სხვები.

ზარზმის ფერისცვალების ხატი

– IX ს. ქართული ჰედური ხელოვნების ძეგლი. ბასილი ზარზმელის თხზულებაში ლაპარაკია ფერისცვალების ხატზე, რომელიც ზარზმის ახლადაგებულ ეკლესიაში აღუმართავთ. ფერისცვალების დღესასწაული, როგორც ჰეორტოლოგიის ისტორიიდან არის ცნობილი, აღმოსავლეთში საყოველთაოდ იყიდებს ფეხს VIII საუკუნიდან, ხოლო კონსტანტინეპოლში – IX საუკუნიდან, იმპერატორ ლეონ ბრძენის (886-912) დროიდან. ხატის წარწერაში აღნიშნულია, რომ იგი 886 წელს შეუმკიათ. მასში მოხსენიებულია პაელე წინამძღვარი, რომელიც მესამე მამასახლისი იყო სერაპიონ ზარზმელის შემდეგ. ზარზმის ფერისცვალების ხატის კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ფეხზე მდგომი ქრისტე მთლიანი ფიგურით, ვედრების პოზიციაში. ხატის შესრულების სტილი გრაფიკულია, დეტალები დამუშავებულია დეკორატიულად. ხატი დაზიანებულია და ახნია ადრეული რესტავრაციის კვალი. იგი დასვენებული იყო შემოქმედის ეკლესიაში, შემდეგ გადაიტანეს საქ. ხელოვნების მუზეუმში.

ზარი (ზარის გიორგი) – გიორგი დიდმოწამის ეკლესია კახეთში; იგი მოხსენიებულია იასე ცქიტიშვილის მიერ გადაწერილ ოთხთავის ანდერძში. ანდერძში ნათქვამია, რომ პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა თავისი სამწყსოს ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც სხვა პუნქტთა შორის არის ეს „ზარის“ ეკლესიაც. ამას ყველაფერს გვაუწყებს კირილე დონაური (იხ.). ხატრარქ ექვთიმეს ჟურნალება მიუკლია თავისი სამწყსოს ამ ნაწილში წოვნების სიმცირისათვის და საგანგებოდ დაუვალებია კირილესათვის სახარების გამრავლება და გაურცელება. ეს ხდებოდა XIII-XIV საუკუნეთა მოკნაზე. (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, 1895 წ.).

ზარმიწ – გაქრისტიანებული სპარსი, რომელიც მოხსენიებულია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“. ქართლში VI საუკუნეში პროზელიტიზმი იმდენად ძლიერი ყოფილა და ქართულ ეკლესიას ისეთი ძალა ჰქონია, რომ ქრისტიანობას ხშირად ღებულობდნენ სხვა სარწმუნოების მიმდევარნი როგორც ინდივიდუალურად, ასევე – ჯგუფურადაც. ამის ნიშანია სწორედ „ევსტათის მარტვილობაში“ აღწერილი შვიდი სპარსელის გაქრისტიანების ეპიზოდი, რომელთა შორის იხსენიება ზარმიწ. ისინი აწამეს, რადგან მათ დაუტევეს „მაშული, რაჲული“ და მიიღეს ქრისტიანობა (ძეგლები, I, 30-45).

ზატიკი – I. ზოგადად დღესასწაულის სახელწოდება, რომელიც უკავშირდება ეგვიპტისაგან ებრაელთა განთავისუფლების მოგონებას. 2. აღდგომის დღესასწაული; აღნიშნავს აგრეთვე ისეთ წიგნს, რომელიც შეიცავს უდიდესი დღესასწაულების აღდგომა-ამაღლება-მარტვილის საგალობლებს. 3. 50-დღიანი პერიოდი აღდგომის ორშაბათიდან მარტვილის ორშაბათამდე (ზატიკობა) და ამ პერიოდის მასალის შემცველი წიგნი. 4. მარტვილის კვირაღდე, შაბათი. 5. აღნიშნავს შვიდეულსაც. 6. სააღდგომო საგალობელთა კრებული, გაგრძელება დიდი მარხვის საგალობლებისა – მარხვანისა. როგორც საკუთარი მნიშვნელობის ტერმინი, ღვთისმსახურებაში XI საუკუნიდან დამკვიდრდა, მანამდე კი მარხვანი და ზატიკი გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რომელსაც „ხუცურნი“ ეწოდებოდა. ზატიკის ცალკე გამოყოფის შემდეგ „ხუცურნი“ დარჩა, როგორც ტერმინი საგალობელთა ერთი ჯგუფის აღსანიშნავად.

ზატიკის სახელწოდება, კ. კეკელიძის აზრით, წარმოდგება სპარსული „აზატ“ სიტყვისაგან („თავისუფალი“), რაც ლიტურგიკის ენაზე ნიშნავს თავისუფალ, უქმე დღეს, დღესასწაულს.

ზაქარია – ერთ-ერთი 12 მცირე წინასწარმეტყველთაგანი; დაიბადა ბაბილონის ტყვეობაში. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ იღვწოდა თავისი ხალხის ზნეობრივი აღორძინებისათვის. მისი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ ვიცით. თუ წინასწარმეტყველი ზაქარია და მათეს სახარებაში მოხსენიებული ზაქარია „ძე ბარაქისა“ ერთი და იგივე პირია, იგი მოუკლავთ ტაძრის საკურთხეველთან (მათე 23,35). მას ეკუთვნის ძველი აღთქმის ერთი წიგნი, რომელიც მის სახელს ატარებს. წიგნის დაწერის დრო ზუსტად არის მითითებული დასაწყისში: „დარიოსის მეფობის მე-8 თვეს იყო სიტყვა ღვთისა ზაქარიასდმი“ – მაშასადამე, 520 წელს ძვ. წელთაღრიცხვით. წიგნი შედგება 14 თავისაგან და ატარებს თავისი დროის ბეჭედს. ეს ის დროა, როდესაც იუდეველებში ღვივის მესიის მოსვლის იმედი. ზაქარია ხაზს უსვამს მესიის მიწიერ ვნებებს. კრიტიკოსთა ერთ წყებას ეჭვი შეჰქონდა წიგნის ბოლო, მე-5 თავის ზაქარიას ავტორობაში და ამ თავებს მიაკუთვნებდნენ იერემიას, მაგრამ სამისო საფუძველი მათ არ გააჩნდათ. ხსენების დღე – 8 თებერვალი.

ზაქარია – იოანე ნათლისმცემელის მამა, ებრაელი მღვდელი, რომელსაც ანგელოზმა უწინასწარმეტყველა, რომ შეეძინებოდა ვაჟი (წმინდა იოანე ნათლისმცემელი). ხსენების დღე – 5 ნოემბერი.

„ზაქარიას დაღუმება“ – გიორგი მთაწმიდელის „დიდ სეინაქარში“ 23. I X შესულია: „დაღუმებაჲ ზაქარიაჲსი და მუცლადღებაჲ წმიდისა იოანე ნათლის მღებელისაჲ“, რომელიც ლუკას სახარებაში მოთხრობილ შემდეგ სიუჟეტს ეცნობა: ზაქარიას მოეცლინა გაბრიელ მთავარანგელოზი და ახარა, რომ ვაჟი შეეძინებოდა, ხოლო ზაქარიამ ეჭვი გამოთქვა, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა, რადგან იგი და მისი მეუღლე ელისაბედი მოხუცებულები იყვნენ. ეჭვისათვის გაბრიელმა ზაქარია დადუმებით დასაჯა იმ დრომდე, სანამ წინასწარმეტყველება არ ასრულდებოდა (ლუკა 1,18-25). „ზაქარიას დადუმების“ მიუძღვნეს თავისი ქადაგებები: ანთიპატროს ბოსტრელმა (5 ს.): „სექტემბერსა კზ (27) „ზაქარიას დადუმებაჲ სიტყუაჲ“ (A 144, Xს., 212v-217v) და კირილე იერუსალიმელმა († 386წ.): „საკითხავი ზაქარიას დადუმებისათჳს“ (A 144, X ს., 217v-ბოლონაკლ.) ორივე ტექსტი გამოქვეყნებულია (ლარგული მრავალთავი, გამოსცა თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991, გვ. 433-438; 438-439).

ზაქარია – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ნიკოზის ეპისკოპოსი V ს-ში, ნიკოზის ეკლესიის აღმშენებელი და ნიკოზის ეპარქიის პირველი ეპისკოპოსი.

2. ანჩის ეპისკოპოსი, მოხსენიებულია „ჟრუჟოლ ხანცთელის ცხოვრებაში“. ზაქარია დაახლოებული იყო გრიგოლ ხანცთელთან, ეპისკოპოსობაშიც არ წყვეტდა კავშირს ლარგულის ქართულ სავანეებთან. გიორგი მერჩულეს თხრობით ის აღიზარდა ტბეთში („ღირსთა კაცთა ტბას შინა, აღზარდეს ნეტარი იგი ეპისკოპოსი ზაქარია“). ზაქარიას ტბეთში რამდენიმე სასწაული მოუხდე-

ნია (ძეგლები, I, გვ. 304).

3. XI საუკუნის ეპისკოპოსი. მისი ბრძანებით დამზადდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილი კრებული – A 92: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთაწმიდას, საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობელისა, მონასტერსა ქართველთა ბრძანებითა ზაქარია მამათმთავარისაჲთა“ (284v).

4. ხონის ეპისკოპოსი XVI საუკუნის შუა წლებში. ზაქარია დასწრებია 1543-1549 წლებში იმერეთში მოწვეულ საეკლესიო კრებას. იგი მოხსენიებულია აგრეთვე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ხელნაწერის დანართში, საიდანაც ჩანს, რომ მას სხვა სამღვდელო პირებთან (კათოლიკოსთან და ეპისკოპოსებთან) ერთად მიუღია მონაწილეობა „სჯულის კანონიდამ სამართლის გადმოღებაში“ (იხ. ხელნაწ. აღწერ. H, VI, 3046, შენიშვნა 2ა).

5. ნინოწმიდის ეპისკოპოსი და დავითგარეჯის არქიმანდრიტი XVI საუკუნის შუა წლებში. კახეთის მეფე ლევანი (1520-1574) იხსენიებს „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველს არქიმანდრიტ ნინოწმინდელ ზაქარიას“. ლევან მეფის 1553 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ნინოწმინდის კათედრა აღდგენილია და უდაბნოებიც მის განკარგულებაში იმყოფება. საგულისხმოა, რომ ნინოწმინდელი არა მხოლოდ მაკურთხეველი ეპისკოპოსი იყო, არამედ – არქიმანდრიტიც (რამდენიმე მონასტრის წინამძღვარი).

6. ბოდბის ეპისკოპოსი XVI საუკუნეში, კახთა მეფის, დავითის დაახლოებული პირი. დავითის ანდერძიდან ჩანს, რომ ის წიგნის მოყვარული ყოფილა. მისი ხელრთვა არის კახთ ეპისკოპოსების ერთგულების წიგნში, რომელიც მათ გაუგზავნეს დომენტი კათოლიკოსს (სამართლის ძეგლები, III, გვ. 269).

7. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ჯორჯაძე; 1623-1630; საეკლესიო კალენდრით 1613-1630 წწ.), ნეკრესის ეპისკოპოსი (ნეკრესელი) დაახლოებით 1613-1623წწ., სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარი. 1614 წ. კახეთში შაჰ-აბას I-ის შეშოსვის დროს თეიმურაზ მეფეს გაჰყვა იმერეთში. 1624 წელს ზაქარიას თაოსნობით განახლდა მცხეთის საკათოლიკოსო მფლობელობა. მას მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ ურბან VIII-თან, რომელსაც სთხოვდა გამოეგზავნა საქართველოში მკურნალები, მხატვრები, გაძარცული და მტრისაგან განადგურებული ეკლესიებისათვის საჭირო შესამოსელი და ინვენტარი. ზაქარია მფარველობდა იტალიელ კათოლიკე-მისიონერებს და ცდილობდა მათ გამოყენებას ქვეყნის ინტერესებისათვის.

8. ზაქარია ურბნელი – XVII საუკუნის ურბნისის ეპისკოპოსი. 1655 წელს როსტომ მუხრანბატონმა და დედოფალმა მარიამმა შემწეობა აღმოურინეს ზაქარია ურბნელს, ხოლო 1668 წელს მარიამმა მთლიანად განაახლებინა ურბნისის ტაძარი (ქრონიკები, II, გვ. 485; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 48).

9. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ქავრიანი 1657-1660 წწ.), გელათის ეპისკოპოსი (გენათელი) მიტროპოლიტის წოდებით 1637-1660 წწ. ზაქარიას საგვარეულო მამულები და სასახლე ჰქონდა ქუთაისში „მწვანეყვავილაზე“. იგი იმერთა მეფის, ალექსანდრე III-ის დაახლოებული პირი და მისი პირადი მოძღვარი იყო. ზაქარია დიდად ზრუნავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიური და კულტურული მთლიანობის განმტკიცებისათვის. 1659 წელს მან ფიცი დაადებინა ოღიშის მთავარს ეამეყ III დადიანს ოღიშში საკათოლიკოსო მამულების მმართველობაში ჩაურევლობის შესახებ. ეამეყ დადიანისაგან მიიღო საკათოლიკოსო სადგომად სენაკის საწინამძღვრო ეკლესია სასახლითა და მამულებით; ასევე გურიის მთავართაგან მიიღო საკათოლიკოსო სადგომად აკეთის საწინამძღვრო ეკლესია მამულებით. მისი შეკვეთით გადაიწერა 1652-1655 წლებში დიდი გულანი, რომელიც 1705 წელს შესწირეს დავითგარეჯის მონასტერს. ზაქარიას ფრესკა სიცოცხლეშივე დასატეს გელათის ეკლესიის სამხრეთ სვეტზე. გარდაიცვალა 1660 წელს, დაკრძალულია გელათში.

10. ზაქარია რუსთველი – XVII საუკუნის რუსთავის ეპისკოპოსი. მისი შუამდგომლობით დავითგარეჯის ლავრა განთავისუფლებულა გადასახადისაგან (Груз.церк.гуджари, с.70-77.П.Иоселиани, Путевые заметки, с.12).

11. ბოდბის მიტროპოლიტი (ანდრონიკაშვილი) XVIII ს-ის დასაწყისიდან 1732 წლამდე. 1732 წელს ალავერდელად აკურთხეს. 1738 წელს გარდაიცვალა. ზაქარია ზრუნავდა არა მარტო თავის ეპარქიაზე, არამედ სხვა ქართულ საყანეებზეც. 1709 წელს მან სარგო გაუჩინა დღის მონასტერს. მისი ხელრთვაა სამართლის ძეგლებში (სამართლის ძეგლები, III, გვ. 663, 696, 735).

ზაქარია – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ბარეთელთას მონასტრის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი IX საუკუნეში,

დავით მიძნაძორელის მოწაფე. ცნობები ზაქარიას შესახებ დაცულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“ (ძეგლები, I, 249-310).

2. სვეტიცხოვლის დეკანოზი (ზუმბულიძე) 1675-1698 წწ. მოხსენიებულია ისტორიულ საბუთებში, როგორც მოწმე დიმენტი კათოლიკოსის მიერ ზაქარია ჭარმაულისათვის მიცემული გაყრის წიგნისა; აგრეთვე კათოლიკოს ნიკოლოზის მიერ მამულის წყალობის წიგნებში (სამართლის ძეგლები, III, 137).

3. გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დოდორქის მონასტრის წინამძღვარი, ზრუნავდა მისი ეკონომიური განმტკიცებისათვის. მატერიალურ დახმარებას უწევდა მას ნინოწმინდის ეპისკოპოსი იოსებ ჯაჩნაძე (იხ.), კახეთის სამეფო კარი და სხვა. არ ზოგავდა საკუთარ სახსრებსაც, ასე, მაგალითად, მას მონასტრისათვის შეუძენია ეკვანი საგარეჯოში.

4. XVIII ს-ის დიაკონი (მადნაშვილი), საქართველოში მცხოვრები გაქართველებული სომეხი, ღვთისმეტყველი, მკურნალი, გადამწერი. მისი ლიტერატურული საქმიანობა იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ იოანე ბატონიშვილს კალმასობაში საგანგებო პარაგრაფიც კი აქვს შეტანილი („კალმასობა“, II, 204). ზაქარია საკმაოდ დაახლოებული პირი ჩანს ანტონ კათოლიკოსთან, არსებობს მის მიერ ანტონისადმი მიწერილი 4 წერილი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი (H 1553 და Ad 1334). ზაქარია ცნობილია აგრეთვე, როგორც კალიფიცური გადამწერი (გადაუწერია A 329, A 1162 და სხვა...)

5. პატრიარქის მოძღვარი, როგორც თავის თავს უწოდებს — „ულირსი ხუცესი“. 1748 წლის საეკლესიო კრების კანონებში მისი ხელრთვაც არის (სამართლის ძეგლები, III, გვ. 804).

6. XVIII საუკუნის ხუცესი (თაზიშვილი). მოხსენიებულია ანტონის წერილში თეიმურაზის ასულის, ანასადმი (H 18, 17v-18v)

7. XVIII საუკ. ერეკლე მეფის კარის ხუცესი, მწიგნობარი და მგალობელი, იესეს ძე, მეტეხის დეკანოზის შვილი. კირილე II-ძ 1793 წ. ზაქარიას დროებით ჩააბარა აღსაზრდელად დაობლებული იონა ხელაშვილი (იხ.).

8. არქიმანდრიტი (კუტიშვილი) — გელათის მონასტრის XVIII ს. წინამძღვარი და გადამწერი. მის მიერ არის აღწერილი ლოცვები, პარაკლისი და დაუძლომელი: „ლოცვები, დაბ მცირისა ხანისა, მაგრამ აკაფისტი თაეისის გრძელის ლოცვებით სრულად სწერია, და პარაკლისი წმიდის ღმრთისა მშობლისა, აღწერილი გელათის მონასტერს წმიდის გიორგის არხიმანდრიტისა ზაქარია კუტის შვილისაგან“ (A.Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკ. III, СПБ,1894, გვ. 169).

9. ცაიშის მონასტრის წინამძღვარი XIX ს-ში. შემორჩენილია მისი წერილი დავით ლეონის ძე დადიანისადმი, მიწერილი 1849 წელს სახასო ყმების ეკლესიისათვის შეწირვის შესახებ (რ. ერისთავის არქივი, № 222).

ზაქარია — რამდენიმე ქართველი მწიგნობრისა და კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. X საუკუნის გადამწერი, გადაწერა კრებული (H 1712), რომელშიც შესულია გრიგოლ რომის პაპის „დიალოგნი, რომელ არს თხრობანი სულიერნი“, „ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება“ და სხვ.

2. X საუკუნის კალიგრაფი პალავრაში, იოანე საფარელის (იხ.) თანამოღვაწე. ზაქარიამ იოანესთან ერთად 968 წელს გადაწერა გიორგი ალექსანდრიელის (619-630) „ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა... მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ... “ (H 2124). ხელნაწერის გადამწერი ერთგან წერს, რომ მისი სულიერი ძმანი არიან იოანე და ზაქარია.

3. XI საუკუნის ათონელი კალიგრაფი (მირდატის ძე), ღირსი მამა, ეფთვიმე მთაწმიდელის მეგობარი და თანამოღვაწე, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის გადამწერი (A 92), ეს კრებული ზაქარიამ გადაწერა ეფთვიმეს სიცოცხლეშივე (1028 წლამდე) არსენი და ბასილისთან ერთად. რომელი ნაწილი გადაწერა თითოეულმა მათგანმა, ამის დადგენა დღეს შეუძლებელია. კრებული დამზადდა ზაქარია მამამთავრის (იხ.) ბრძანებით, შეუმოსავს იგი გრიგოლს.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ზაქარია მირდატის ძე დასახელებულია „ზეპირი სიტყვის“ (ე. ი. მქადაგებელთა) ღირსეულ ოსტატთა გვერდით.

4. ათონის ქართველთა მონასტრის XI ს. მონაზონი, ეფთვიმეს თანამოღვაწე, წიგნების ამკინძავი, ე.ი. მბრუნველი.

5. ათონის ქართველთა მონასტრის XII ს. მონაზონი და გადამწერი. მოუხერხებია გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი სახარების ავტოგრაფის ხელში ჩაგდება და მისი გადმოწერა. გიორგის ავტოგრაფის შესახებ სანტერესო ცნობას გვაწვდის ეანის სახარების მინაწერი (A 1335): გიორგის მიერ თარგმნილი სახარების

აეტოგრაფი დაუდეთ იერთა მონასტრის დიდ წიგნსაცავში და მას აღარ ხმარობდნენ. სახმარად განკუთვნილი იყო მისგან გადაღებული პირი, რომლითაც სარგებლობდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს და, საერთოდ, საკითხავად. ამის გამო მას ეწოდა „საეკლესიო სახარება". ყველა მთაწმინდური სახარება მომდინარეობდა არა გიორგის აეტოგრაფიდან, არამედ სწორედ ამ „საეკლესიო სახარებიდან", რომელშიც აეტოგრაფთან შედარებით ბევრი ცვლილება იყო შეტანილი. ამას კარგად გრძნობდნენ ქართველები და სწორედ ამიტომ გადმოიღო ზაქარიამ სახარების პირი გიორგის აეტოგრაფიდან. მის მიერ გადმონუსხული პირიდან შატბერდელ ბერს სტეფანეს გაუკეთებია თავის მხრივ მისი პირი XII საუკუნეში.

6. გადამწერი, სიონის დეკანოზის, გაბრიელის ძე, მას გადაუწერია „ქართლის ცხოვრების" ფალავანდიშვილისეული ნუსხა (H 988), გადაწერილი 1761 წელს. მანვე გადაწერა 1769 წელს ანტონ I-ის კატეხიზმო (S 69). კ. გრიგოლიას აზრით, ეს ზაქარია არის შემდეგში ცნობილი ამბროსი ნეკრესელი (იხ.).

7. XVII საუკუნის გადამწერი. 1674 წელს ზაქარიას სამა მღვდელთან ერთად დაუმზადებია ურბნელი მთავარეპისკოპოსის, ქრისტიანეს შვილის, ეკლემოზ გლონისთავის ძის რატიშვილის დაკვეთით ცნობილი ხელნაწერი — ყანჩაეთის ჟამნ-გულანი (H 1452). ხელნაწერი მოხატულია მდიდრულად. ეკლემოზის პორტრეტი შესრულებულია ფერადებით. ამ უკანასკნელს ხელნაწერი შეუწირავს კაბენის (იხ.) მონასტრისათვის.

8. XVI საუკუნის ქართველი მწერალი, „მესხური მატიანის" ავტორი, უშუალო მოწმე და მონაწილე ათაბაგთა შინაური აშლილობისა. იგი გვამცნობს, თუ რა ამბები დატრიალებულა 1576 წელს საათაბაგოში (S 947, XVI).

9. დაითმგარეულის ნათლისმცემლის მონასტრის მონაზონი, კალიგრაფი, 1696 წელს გადაწერა ოთხთაგი (H 1030), აგრეთვე პატარა ნუსხური წიგნი (H 1270). ეს ზაქარია უნდა იყოს იგივე ზაქარია დოდორქელი (იხ.), დოდორქის წინამძღვარი (1708 და 1711-12 წლებში).

10. დაითმგარეულის მონასტრის დიაკონი და გადამწერი XVIII ს-ში. ზაქარიას გადაუწერია ფსალმუნი (Q 1).

11. XVIII ს. გადამწერი; მის მიერაა გადაწერილი 1792 წლით დათარიღებული ხელნაწერი (S 266), ფილოსოფიურ თხზულებათა კრებული. მისივე გადაწერილი უნდა იყოს XVIII-XIX საუკუნის კრებული (S 348).

12. XVIII საუკუნის ქართველი გადამწერი. ზაქარიამ გადაწერა „პარაკლიტონი" (A 1231).

13. გელათის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი. გადამწერი და მთარგმნელი. ოსე გაბაშვილს, ზაქარია გაბაშვილის ეჯის, ცნობილი კალიგრაფის უახლოესი თანამშრომელი, ნაყოფიერი მწიგნობარი († 1823 წ.), ზაქარია ამზადებდა ახალ ნუსხებს (Q 895), თარგმნილ რუსულ ძეგლებს (A 301) და სხვა. მისი მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი მოდის ბელგოროდზე. არსებობს ზაქარიას და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილი დედოფლის, ანას მიმართ (1814-1824 წწ.), ისინი გამოცემულია ს. კაკაბაძის რედაქციით (თბ., 1959 წ.).

14. XX საუკუნის ქართველი მღვდელი (გულისმშვილი). სისტემატურად თანამშრომლობდა გაზეთ „ეკრანში" და აქვეყნებდა წერილებს ქართული ენისა და მწერლობის შესახებ (მაგ. „პეტრე ლარაძე და მისი თანამედროვე მწერლობა" და სხვ).

ზაქარია ბანელი — XI ს. I ნახევრის ბანის ეპისკოპოსი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით — ეალაშკერტელი) და მწიგნობარი, შემდგომში კონსტანტინეპოლის ქართული კოლონიის თავკაცობინო მოღვაწე. სომეხი მემატიანის, არისტაკეს ლასტივერტელის ცნობით, ზაქარიამ მონაწილეობა მიიღო იმპერატორ ბასილისა (976-1025) და საქართველოს მეფის, გიორგი I-ის (1014-1027) მოლაპარაკებაში 1021-1022 წლებში; შემდეგ იგი იმპერატორმა სამუდამოდ საცხოვრებლად დატოვა კონსტანტინეპოლში. ქართველმა მღვდელმთავარმა უცხოეთშიც არ დაიეწყვა ქართული მწიგნობრობა და არაერთი ხელნაწერი შესძინა საქართველოს. მისი დაკვეთით იქნა გადაწერილი კონსტანტინეპოლში 1030 წელს გრიგოლ ღვთისმეტყველის „ცხოვრებისა" და მისი „სიტყვების" შემკული ხელნაწერი (A 1), მცირე რჯულისკანონი (S 143), მცირე სვინაქსარი (A 648). იგია A 92-ის დამკვეთიც. ზაქარია ბანელის სახელით მოღწეული, კონსტანტინეპოლში დამზადებული ხელნაწერები ყურადღებას იქცევენ თავისი შინაარსითა და შედგენილობით, ზოგიც — მხატვრული გაფორმებით.

ზაქარია მოძღვარი (გაბაშვილი; 1707-1783) — მწიგნობარი და ორატორი, XVI-XVII სს. ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე. თეიმურაზ II-ის ქარის მოძღვარი, ანტონ კათოლიკოსის მოწინააღმდეგე.

ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია ანტონ I კათოლიკოსის და ზაქარია გაბაშვილის მტრული ურთიერთობა, რომელიც აღმოცენდა რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე. ზაქარია წინ აღუდგა ანტონ I-ის კათოლიკურ ტენდენციებს და სათავეში ჩაუდგა მძლავრ ოპოზიციას, რასაც კათოლიკოსის დამხობა მოჰყვა. თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მეფე ერეკლემ შერისხა ზაქარია გაბაშვილი და რუსეთიდან დაბრუნება გაძევებული კათოლიკოსი. 1764 წელს ზაქარია გაასამართლეს, შეაჩვენეს და საქართველოდან გააძევეს. 1767 წელს იგი პატივაყრილი მიეგზავნება რუსეთში. ერთხანს იგი შეკედლებული იყო ეკატერინე VI-ის შთამომავალთა წრეს, შემდეგ კი — იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის კარს. ამ პერიოდს ეკუთვნის სოლომონისადმი მიძღვნილი მისი ორატორული თხზულება — ესაა რატორიკული შესხმა ჩხარის ომში (1774 წ.) სოლომონის გამარჯვების გამო.

ზაქარია გაბაშვილი თავის პრაქტიკულ საქმიანობას კარგად ათავსებდა ლიტერატურულ მუშაობასთან, წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს, ამრავლებდა ხელნაწერებს. იგი ენერგიულად თანამშრომლობდა იოსებ კათოლიკოსთან (იხ.). ცნობილია მის მიერ გადაწერილი ნუსხები: H 3; H 46; H 409. 1768 წელს თბილისში გადაწერა იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების თარგმანება," ბატონიშვილი გიორგის დაკვეთით. ჩვენამდე მოაღწია ზაქარიას მიერ 1772 წ. დაწერილმა ხელნაწერმა Q 331 სინტერესო ანდერძით. ფიქრობენ, რომ გელათში ყოფნისას მან დაწერა ლოცვა სინანულისა „თხოვნა ღვთისა მიმართ". ამ ხელნაწერში არის მთავასებული მისი ხელით დაწერილი სოლომონ I-ის „დამტკიცების წიგნი" იოსებ კათოლიკოსის შეწირულებისა გელათის დიდი ეკლესიისათვის. 1777 წ. თბილისში გადაწერა „დაუჯდომელი წმ. ნინოსი", აგრეთვე „ჯუარგანი" და სხვა. გარდა იმისა, რომ იგი ამზადებდა ნუსხებს, ამასთანავე უდარებდა ქართულ თარგმანებს ბერძნულ და რუსულ დედნებს, აზუსტებდა და ასწორებდა მათ.

ზაქარია რიტორი (დაახლ. 482-560) — ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსი. დაიბადა ქ. მაიუმში, სწავლა-განათლება მიიღო ალექსანდრიასა და ბეირუთში. ზაქარიას ცნობილი „საეკლესიო ისტორიის" გარდა დაუწერია აგრეთვე ბერძნულად პეტრე მაიუმელის „ცხოვრებაც". პეტრე ქართველის „ცხოვრება" ბერძნულ ენაზე არ შემონახულა, შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები ასურული თარგმანისა, რომელიც საკუთრად უდევს ქართულ ვერსიას. ზაქარია რიტორი იყო მონოფიზიტური იდეოლოგიის დამცველი. ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია" ბიზანტიის ისტორიის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. მასში დაცულია დიდი მნიშვნელობის მქონე ცნობები პეტრე იბერის, მაიუმის ეპისკოპოსის შესახებ, რომელიც ზაქარიას აზრით, იმ დროის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი პიროვნება იყო. თხზულება საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ქართველთა წარსული ისტორიის შესახებაც. საინტერესოა, მაგალითად, ცნობა ქართულ ენაზე V საუკუნეში „საღმრთო წერილის" არსებობის შესახებ, იმ კავშირის ალნიშვნა, რომელიც, არსებობდა თურმე ქართლისა და სპარსეთის ეკლესიათა შორის. საყურადღებოა ცნობა, რომ პეტრეს აუშენებია იერუსალიმში და იორდანის უდაბნოში ქართული მონასტრები.

ზაქარი — XIX საუკუნის 20-იანი წლების მოღვაწე, იეროდიაკონი და მხატვარი, გიორგი ავალიშვილის „მგზავრობაჲ თბილისით იერუსალიმდის" ხელნაწერში ჩართული რუკის დამზადებელი (მან „დათხზა" იერუსალიმის ტაძრის — ჯვრის ამაღლების ეკლესიის, გოლგოთის მთის, აკრაბის სამლოცველოს, სამარტიარქო სადგომის რუკები).

ზაქე მეზენერე — მებაჟეთა უფროსი იერიქონიდან, რომლის სახლს ეწვია იესო ქრისტე (ლ. 19,10). ზაქემ დაიმახსოვრა ქრისტეს განსაკუთრებული ყურადღება, როდესაც იგი იერიქონისაკენ გამოემართა. ქრისტე მაცხოვრის უკეთ დანახვის მიზნით ზაქე ამჯერ ლეღვის ხეზე. ქრისტემ შენიშნა იგი და სახლში ეწვია მას. ქრისტეს ყურადღებით და პატივით გაოგნებულმა ზაქემ პირობა დადო, რომ ოთხმაგად გადაუხდიდა ყველას, ვინც კი ოდესმე გაუნაწყენებია ხარკისა და ბეგარის აკრეფის ჟამს. ზაქე შემდეგ გახდა პალესტინის კესარიის ქრისტიანული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი.

ზებედე — იაკობ და იოანე მოციქულების მამა, ცხოვრობდა გენისარეთის ტბის ნაპირას და მისდევდა მეთევზეობას (მათე 4,21; 10,2).

ზებედე — რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი.

1. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ზებედე I, (1552-56; საეკლესიო კალენდრით 1550-56). ზებედემ „აიაზმით განწმინდა" და ხელმეორედ აკურთხა თბილისის

ყველა ეკლესია და, მათ შორის, სიონის ღვთისმშობლის საპისკოპოსო ეკლესია, რომელიც 1548 წელს შახ-თამაზ I-ის ლაშქრობის დროს შებღალა და გაუქმდა. ზებედე I-მა ხელი მოაწერა ლუარსაბ I-ის სიგელს სიონის ეკლესიაში მღვდელმსახურების აღდგენისა და მამულების შეწირვის შესახებ (1552 წ. სცსა 1449-1498, გამოცემა. ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები II, გვ. 40-42).

2. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ზებედე II (1610-11, საეკლესიო კალენდრით 1603-1610) გიორგი X - ის (1600-1605) მეფობის დროს იყო მეფის მოძღვარი და ქართლის მთავარეპისკოპოსი, შემდეგში კი – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ქართლის მეფის, ლუარსაბ II-ის „ნებადართულობით" ზებედე II-მ საეკლესიო მსახურ აზნაურთა გასაძლიერებლად 1610 წელს ადგილ-მამულები უბოძა მათ. (სამართლის ძეგლები, III, „წყალობის წიგნი", გვ. 388-90).

3. ალავერდელი ეპისკოპოსი XVI ს. I ნახევარში. თავდაპირველად, XVII ს. დასაწყისში ზებედე მღვდელმონაზონი წალენჯიხაში დადიანების საფლავის ეკლესიის წინამძღვარი იყო. სამეგრელოდან ის მალე გადავიდა სამღვდელოდ ქართლში და თან წაიღო ზოგიერთი ხელნაწერი (მაგ. ცაიშის გულანი). წამოღებული ხელნაწერები მას უკან დაბრუნებინეს. ქართლში ზებედე ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართლიდან იგი გაემგზავრა და ალავერდს შეაფარა თავი. აქ იგი მთავარეპისკოპოსი გახდა. 1615 - 16 წლებში გეგუთში იყიდა შუა მთაზე დაწერილი XIII საუკუნის ალავერდის ოთხთავი (A 1459) და დაასვენა ალავერდის ტაძარში. თეიმურაზ I ზებედეს მოიხსენიებს, როგორც „მამა ალავერდელსა მთავარეპისკოპოსსა, სულიერსა მოძღვარსა ზებედეს" (ქართლ-კახეთის მონასტრის სახუთარი). ზებედე ალავერდელი ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია, როგორც დიდი ბიბლიოფილი, ძველი ქართული ხელნაწერების მოყვარული და დამცველი. ალავერდის ოთხთავის შემონახვას, სწორედ ზებედე ალავერდელს უნდა ეუმადლოდეთ.

ზებედე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ჯვარის მონასტრის წინამძღვარი XVI ს. ბოლოს. ზებედეს ხელთუა არის სიონის ტაძრის XVI ს. მიწურულის შემოსაველის დაეთარში: „ჯვარის მამა ზებედე" (სამართლის ძეგლები, III, გვ. 370).

2. ქვათახევის წინამძღვარი XVII საუკუნის II მეოთხედში, მოწმე ნადირას მიერ გიორგი თეკლორაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (სცსა, 1450-38/129).

ზებედე – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. XV-XVI სს. მოღვაწე, ამილახორთა სახლის საკრებულოს XIII ს. მოსახსენებლის გადამწერი (S 1245): „წმიდაო ნიკოლოზ! შეიწყივე ზებედე, ამის მწერალსა", „შეიწყალე ზებედე და ჩემი მამა ბასილი, ამინ". ამილახორთა კრებულის მოსახსენებლებში წარმოდგენილი საქართველოს მეფეთა ნუსხა უცილოდ გადმოწერილი უნდა იყოს XIII საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის „ქეგლისწერიდან". სია ქრონოლოგიურად იფარგლება 1027-1293 წლებით, იწყება ეფთვიმე მთაწმიდელის სახელით და თავდება გრიგოლ ბაკურიანის ძის სახელით. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ნუსხაში შეტანილია წმინდანთა და მართლმადიდებელ დედოფალთა – მარიამისა და მართას, აგრეთვე პეტრიწონის ქართველთა მონასტრის დამარსებლის-ის (1083 წ.), გრიგოლ ბაკურიანის ძის დახასიათებისა და ტიტულატურის დასაწყისი: „ყოველთა ნათესავთა ჩ(უე)ნთა მასპინძლისა" (S 1246); სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI სს. თბ., 1961).

2. სიონის მთავარდიაკონი XVI ს. შუა წლებში, „თბილისის სიონის სიგელის" გადამწერი, რომელსაც ხელს აწერს ზებედე I კათოლიკოსი (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 393).

3. სამეფო კარის მწიგნობარი და მთავარდიაკონი XVI ს. შუა წლებში. 1552 წ. მას დაუწერია ლუარსაბ მეფის მიერ სიონის ეკლესიისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი (სცსა, 1449-1498, ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, გვ. 40-42).

4. მთავარდიაკონი, მოწმე ზაქარია აფხაზეთის კათოლიკოსის მიერ ვინმე იოვანესათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1657-1658; ქართ. სამართ. ძეგლები, III, გვ. 532).

5. XVI საუკუნის მწერალი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ზებედე ხუცესს 1670 წელს დაუწერია პოლემიკური ხასიათის ნაშრომი „დარღვეუ სოშეხთა ეკლესიის წინააღმდეგ". ამ ცნობაში, რომელიც დაცულია ზ. ჭიჭინაძის წიგნში „ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე", ქ. კეკელიძეს ეჭვი შეაქვს და წერს: „დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის მიერ ჩამოთვლილი თხზულებანი ჩვენამდე არ შემონახულა და მათ შესახებ ბიბლიოგრაფი-

ული ცნობები პირადად ჩვენ არ შეგვხვედრია". ამიტომ არ შეიტანა ისინი მეცნიერმა პალეოგრაფიული მწერლობის მიმოხილვაში.

6. XVI ს. დიაკონი და კალიგრაფი. მან გიორგი მწერალთან (იხ.) ერთად გადაწერა გულანი მოქის მონასტრისათვის (A 743) გიორგი დადიანისა და მისი მეუღლის — თამარის დაკვეთით.

7. XVIII საუკუნის გადამწერი, დეკანოზ-ყოფილი. მან გადაწერა 1699 წელს „დავით გარეჯელის ცხოვრების" ძველი რედაქციის სრული ტექსტი (H 1336).

8. XVIII საუკუნის გადამწერი (ზებედეს ძე). მან 1730-1740 წწ. მოსკოვში გადაწერა სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი" (H 1686).

ზემაანის მონასტერი — ქართული ხუროთმოძღვრების VI-VII საუკუნეების ძეგლი, გურჯაანის რაიონში, სოფ. ზეგაანის მახლობლად. სამნასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ღვთისშობლის სამეკლესიანი ბაზილიკა „ყოვლადწმინდა". ეკლესია ნაგები რიყის ქვით, სარკმლის ნაპირები გარედან ამოყვანილია შირიმის კვადრებით. თაღი ნალისებრი ფორმისაა. ჩრდილოეთის ეკლესია უახლესია, აქეს ორთაღიანი, მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი შესასვლელი. მონასტერი შემოზღუდულია გალავნით, რომლის შიგნით შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია და სხვა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევები. იქვე, შორიახლოს, ტყეში არის რიყის ქვით ნაგები წმინდა მარინეს V საუკუნის ეკლესია, რომელშიც შემონახულია გვიანდელი ხანის მოხატულობა. ჯვრის სახის ეკლესიის გეგმა მარტივია, ორფერდა სახურავიანი, შიგნით ნალისებრი კამარებით.

ზემაანი — სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირზე, მესტიიდან 19 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას ღვთისშობლის გვიანი შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია („ლამარია"). ზედნის ერთნავიანი ეკლესია ნაგებია ქვით და შირიმის თლილი კვადრებით, ფიცრის იატაკით და ჯვრის სახურავით.

ზემარდა — XIII-XIV სს. წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. დიღმის მიდამოებში. ეკლესია სწორკუთხაგეგმიანია, მცირე ზომის ნაგებობას შესასვლელი აქეს სამხრეთიდან, აღმოსავლეთით არის საკურთხეველის აბსიდი. ეკლესია ნათდება საკურთხევლისა და სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების სარკმლებიდან. სარკმლის დაყოლება ჩრდილო კედელში იმედით მოელენია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში. თავისებურადაა გადაწყვეტილი საკურთხეველის აბსიდის პილასტრებიც, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, აბსიდის ნახევარწრეს კი არ ერწყმის, არამედ გამოწეულია მის ფარგლებს გარეთ. ეკლესიის ფასადი ყვითელი თლილი ქვითაა მოპირკეთებული, საკურთხეველის სარკმლის საპირე დეკორატიულადაა შემკული.

ზემგარდამო ძსოვილი — ქრისტეს სამოსელი, კვართი (კ. კეკელიძე, იერუსალიმური განძინება, 1912 წ.).

„ზემგარდამოჲ" — კვერექსის ერთ-ერთი სახე — მრიხლი კვერექსი. იხ. კვერექსი.

ზედა ბზვანი — სოფელი მდ. ხულეს-ურის ნაპირზე, ვანიდან 9 კმ-ის დაშორებით, ვანის რაიონში. წყაროებში მოხსენიებულია XVIII საუკუნიდან. სოფელში მიკვლეულია გვიანბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანის განძი, შემორჩენილია XIX საუკუნის ეკლესია და ფეოდალური ხანის 2 ციხის ნანგრევები.

ზედა ვანი — სოფელი ვანის რაიონში, მდ. ჭეშურის ორივე ნაპირზე, ვანიდან 2 კმ-ზე. სოფელში დგას XII-XIII საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც ნაშენია კარგად თლილი ქვით. ეკლესიას ჩრდილო და სამხრეთ მხარეს აქვს ნართექსები, დასაელეთით — ეზოტერი. კარისა და სარკმლის ნაპირები მოჩუქურთმებულია. ეკლესიაში შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები. პირველი ფენა XII-XIII სს-ს ეკუთვნის, ხოლო მეორე — XVI საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს.

ზედა ვარძია — XI საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია ისტორიულ სამცხეში, ვარძიის ჩრდილო-დასაელეთით 3 კმ. დაშორებით, მთის ფერდობზე. ზედა ვარძია მიეკუთვნება ორნავიან ეკლესიათა ტიპს; აგებულია კარგად თლილი მოზომილი ფანელიტის კვადრებით, შიგნიდან მოპირკეთებულია დიდრონი თლილი ქვებით. მაღალი და ფართო მთავარი ნაი ჩრდილოეთისას უკავშირდება ორბურჯიანი თაღებით. ორივე ნაი გადახურულია ორფერდა სახურავით. გარედან ეკლესია უხვადაა მორთული ჩუქურთმებით. შიგნიდან იგი შელესილი ყოფილა, შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. შესასვლელის თავზე მთავასებულია სტილიზებული ასომთავრული წარწერა.

ზედაზნის მონასტერი — დაარსებული VI საუკუნის 40-იან წლებში ერთ-ერთი ასურელი მამის — იოანე ზედაზნელის (იხ.) მიერ, საგურამოს ქედზე. იოანემ მონასტერი

დაარსა ძველი ქართული წარმართული კერპის – ზადენის (იხ.). VIII საუკუნეში იოანე ზედაზნელის სადგომის ახლოს, მის აღმოსავლეთით კათოლიკოსმა კლიმენტოსმა (იხ.) ააგო ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც დღემდეა დაცული. იგი სამწაიად ბაზილიკას წარმოადგენს. ჩრდილო ნაკის აღმოსაელეთ ნაწილში მოქცეულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესია. დაბარჩენი ნაწილები VIII-IX სს. და გვიანდელი დროისაა. იოანეს ქვის კუბო (სტატიანი ლუსკუმა) XVII საუკუნეში ჩანს გაკეთებული. ძეგლი ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ნაწილობრივ – აგურით. ფასადზე მოთავსებულია ჯვრის მარტივი გამოსახულება. ეკლესიას ეკრის ცილინდრულ-კამარიანი კედლატული კარიბჭე, რომლის სახურავზე დგას რვაწახნაგოანი სამრეკლო. სამრეკლოს დასაელეთით გამოყოფილია მცირე სენაკი – ორიეე XVIII საუკუნისაა. ეკლესია რამდენჯერმეა შეკეთებული, უკანასკნელად ის რესტავრირებულია 1970-1971 წლებში. აქ ძველად კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა უნდა ყოფილიყო გაჩაღებული; ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1922 წელს მონასტერში ა. შანიძემ მიაკელა დროთეს „სწავლანი სამონაზონი-ს" (A 1386) ხელნაწერს. XI-XII სს. ზედაზნის მონასტრის წინამძღვრის, მიქაელის (იხ.) ინიციატივით დაიწერა „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია.

ზედა ზემაანი – სოფელი ბაღდათის რაიონში, მდ. საკრაულას ხეობაში, ბაღდათიდან 12 კმ-ის დაშორებით, წყაროებში მოიხსენიება XVIII საუკუნის I ნახევარში. ზედა ზეგანში დგას შუა საუკუნეების ჯვარცმის ეკლესია.

ზედა თლული – სოფელი ამბროლაურის რაიონში (დღევანდელი ზედა და ქვედა თლული ცნობილი იყო თლულის სახელით), ამბროლაურიდან 15 კმ-ის დაშორებით. წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება (1544 წ.). სოფელში შემორჩენილია ფეოდალური ხანის წმ. გიორგის ეკლესია და ციხის ნანგრევები. ერთნავიანი ეკლესია ნაგებია ქვისა და კირისაგან. ეკლესია გადაკეთებულია XIX ს-ში. 1924-25 წწ-ში- იგი დაზიანებულა. ეკლესია მოხატული ყოფილა. XIX ს-ში ეკლესიის შენობის გადიდების დროს შენობის ნაწილი კირით შეულესავთ და მხატვრობა დაუზიანებიათ. მხოლოდ საკურთხეველსა და ჩრდილო კედლის მხატვრობაა შემორჩენილი.

ზედა თიმოგეი – XI საუკუნის ეკლესია ჯავახეთში, არტაანის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აგებულია ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის ინიციატივით. ეკლესია წარმოადგენს თლილი ნაკრისფერი ბაზალტის კვადრებით ნაშენ სამნავიან ბაზილიკას. მთავარი ნაკი ორ დანარჩენზე უფრო მაღალი და განიერია. აღმოსაელეთ ფასადს აქვს ორი დიდი სადა ნიში და სამი სხვადასხვაგვარად მორთული სარკმელი, სამხრეთის შესასველელში წარწერებით და ჩუქურთმებით შემკული პორტალია. ფასადის სარკმელს ამშვენებს იმ დროისათვის დამახასიათებელი ფოთლოვანი ორნამენტი. ბაზილიკის ჩრდ. კედელში ჩართულია VIII-IX სს-ის მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის სამხრეთ კედელი შესასველითურთ. ეკლესია კარგადაა დაცული. იგი ბევრჯერ არის გადაკეთებული და შეკეთებული. აქვს 9 წარწერა და მზის საათი. ძეგლის წარწერები ეკუთვნის XI-XVIII საუკუნეებს. ბაზილიკის ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, რომ იგი აუგია იოანე ჭიმჭიმელის ძეს, ერისთავერისთავს ფარსმანს, ბაგრატ IV-ის (1627-1672) დროს.

ზედა მახუნცეთი – სოფელი ქედის რაიონში, მდ. აჭარისწყლის ხეობაში, ქედიდან 12 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

ზედამწირელი – უპირატესი, პირველი მწირველი (ქ. ქეკელიძე, იერუსალიმური განჩინება, გე. 328).

ზედა ნაძაძაევი – სოფელი სენაკის რაიონში, მდ. ტეხურის მარცხ. ნაპირზე, სენაკიდან 180 კმ-ზე. სოფელში დგას VI საუკუნის გუმბათიანი ეკლესია XVI-XVII სს.-ის მოხატულობით; ამავე სოფელში არის შუა საუკუნეების ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები, სამრეკლო და სხვა ნაგებობები. სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ ამ ადგილზე უძველეს დროში ქალაქი (ციხე-სიმაგრე) ყოფილა.

ზედა საძარა – სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ყვირილას ხეობაში, ზესტაფონიდან 4 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XII ს-ის გუმბათიანი ეკლესია, რომლის მოხატულობის ნაშთებიცაა შემონახული. აქვეა შუა საუკუნეების საეკლესიო დანიშნულების გამოქვაბულები და სხვა ნაგებობები.

ზედა შაორა – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. შარეულას მარჯ. მხარეს, ამბროლაურიდან 30 კმ-ზე. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმ. მარიამის დარბაზული ეკლესია. კამარა და კონქი ამჟამად

ჩამონგრეულია. თავდაპირველად იგი უნდა ყოფილიყო მცირე ზომის ნაგებობა. XIX საუკუნეში ეკლესია გაუღიდებიათ კვერთის ეკლესიის ნანგრევებიდან წამოღებული მოზაიკურთხელული ქვებით. კვერთის წმ. გიორგის ეკლესია სოფლის განაპირა მხარეს მდებარეობდა. იგი აგებული იყო XI საუკუნის დასაწყისში გათლილი ტუფის კვადრებით. ეკლესიას აშკარად მდიდრული ჩუქურთმები, ქვაზე ნაკვეთი წარწერები.

სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა ლეწარის წმ. გიორგის მონასტერი. მონასტრიდან შემორჩენილია მხოლოდ დიდი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. კანკელის ფრაგმენტების, ფრესკული მხატვრობისა და წარწერების მიხედვით ძეგლი თარიღდება IX-X სს-ით.

ზედაშე – ზიარებისათვის განკუთვნილი წმინდა ღვინო (ქვევრის ზედა ნაწილიდან მოხდილი), ეკლესიასტული ღვინო, იხ. ეკლესიასტია.

ზედა წედა – სოფელი ზესტაფონის რაიონში, ზესტაფონიდან 15 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XI საუკუნის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნეშია გადაკეთებული. ეკლესია XVI-XVII საუკუნეებში მოუხატავთ. ეკლესიის აბსიდის მარცხენა ნახევარსვეტზე ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა. ლაპიდარული წარწერა რიგი ნიშნების მიხედვით ეკუთვნის გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს.

ზედგენიძე ნინო – XIX საუკუნის ქართველი მოღვაწე ქალი, გადამწერი. მას გადაუწერია ორი კრებული (S 101 და H 831). პირველი კრებული (S 101) სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „დიდმოურავიანს“, ხოლო მეორე – „წამების წმიდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი“, „წმიდა ნინოს მოქმედების წიგნს“ და სხვა. ხელნაწერებს ერთიც გადამწერის ანდერძი. H 831 კრებულის დამკვეთია იოანე ამილახვარი.

ზედგინიძე თაყა – XIV საუკუნის დასასრულის ქართველი მოღვაწე, ქართლის მეფის – გიორგი VII-ის (ბრწყინვალის) თანამებრძოლი. წყაროების მიხედვით, თაყამ გიორგი მეფე სიკვდილისაგან იხსნა და მის ნაცვლად თვით დაჭრეულა თავი მეფის მოკვლის შსურველებს. გიორგიმ ამ ერთგულებისა და თავგანწირვისათვის თაყა ზედგინიძე-ამილახორს საკუთრებად (ნასისხლად) უბოძა შიომღვიმის მონასტერი და სოფლები. XIX საუკუნემდე მონასტერი ამილახორთა საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა. თაყა ზედგინიძეს 1433 წელს შიომღვიმეში თავისთვის და თავისი მეუღლის – მამჭანისათვის საძვალე ეგვტერი აუგია (ამჟამად ნათლისმცემელის ეკლესიის ჩრდილოეთის ეგვტერი) და მონასტრისათვის შეუწირავს სოფელი კოდის წყარო (ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა). 6. ბერძენიშვილის გამოკვლევით, თაყა ზედგინიძე-ამილახორი ყოფილა ქსნისა გასტანგ მეფისა და სიძე ფანასკერტელ-ციციშვილისა. თაყა და მისი მეუღლე მამჭანი უშვილონი ყოფილან, მათ უშვილებიათ ამირინდო (იხ.). ზედგინიძე-ამილახორი. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ამირინდოს და თაყას იერუსალიმში აუშენებიათ „წმიდის ბასილის ღვთათა მონასტერი“. მათი, როგორც აღშენებელთა, მოსასხენებელი იქნე მონასტერში დადგ. ამ მოსასხენებლებით უსარგებლია ტიმოთე გაბაშვილს და ეს ცნობა შეუტანია თავის „მიმოსლვაში“, ხოლო ჯუარის მონასტრის მამამ, რომელიც ამ დროს განაგებდა იერუსალიმის ყველა ქართული მონასტრის საქმეებს, თავის მხრივ აღაპი განუწესა ამირინდო ამილახორსა და მის მეუღლეს და ამირინდოსა და მის ნათესავთ (აქ ცხადია, თაყაც იგულისხმება) „მოაკსენა“ მონასტერი, ე.ი. დაუმტკიცა საპატრონოდ. თაყა და ამირინდო ზედგინიძეებმა სამუდამოდ შეაკეთეს მონასტერი, ანუ მისი „მეორედ მაშენებელნი“ არიან.

ზედნადები – იხ. პასქალია.

ზეთის კურთხევა – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი. ძველად დაკვადებულ ან მომაკვდავ მორწმუნეს შეიდზის სცხებენ ნაკურთხ ზეთს, კურნებისა და ცოდვათაგან განწმენდისათვის. ზეთის კურთხევისას იხმარება წითელი ღვინო, გარეული ზეთუნის ზეთი, იკითხება განსაკუთრებული ლოცვები, რომლებშიც მღვდელი გამოსთხოვს ღმერთს სნეულის გამოჯანმრთელებას. ამ საიდუმლოს, ჩვეულებრივ, ასრულებს 7 მღვდელი, აუცილებლობის შემთხვევაში კი ერთმა მღვდელმაც შეიძლება შეასრულოს.

ზეკეკე ბერთელი – X საუკუნის ბერთის (იხ.) სამწერლო კერის წარმომადგენელი. შემდეგში მოღვაწეობდა ოლიმპზე, (იგივე მიქელ მღვდელი), სადაც მან გადაწერა სამოციქულო (Ath. 42, 963-969 წწ.). სამოციქულო ანდერძში ეკითხულობთ: „მე მიქელ მღვდელმან, ზეკეპე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაჲ პატიჟ მოვიგე“ (23,6r). აქედან ჩანს, რომ ბერთის საკანის მოღვაწენი დასაღლეთის ქრისტიანულ ცენტრებთანაც ყოფილან

დაკავშირებულნი. ზეკეე ბერთელის ანდერძი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი ბოლო გალექსილია (5 მარცვლიან ლექსს წარმოადგენს). აქ (როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს) საქმე გვაქვს უკვე არა საკლესიო რამჩიკოსთან, არამედ შემდეგი დროის საერო პოეზიის საზომთან.

ზემო აბაშა — სოფელი სამტრედიის რაიონში, იმერეთის სამხრეთ მთისწინეთში, სამტრედიიდან 20 კმ-ზე. სოფელში არის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

ზემო ალვანი — სოფელი ახმეტის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს, ახმეტიდან 8 კმ-ზე. სოფელში დგას VIII-IX სს. გალავნით შემოზღუდული ოთხე ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, ნაგები რიყის და ნატეხი ქვით, ნაწილობრივ — აგურით. ნაგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი წყვილი სვეტით. ბაზილიკის კედლები მოხატულია. XVII საუკუნეში ბაზილიკის სამხრეთ მხარეს აგურის ორსართულიანი სამრეკლო მოუშენებიათ. XVI ს. ლეონ მეფეს აუგია აქ აგურის სასახლე „ცხრაკარა". ზემო ალვანის მიდამოებშია ხარჭაშენელის ეკლესიაც (იხ.).

ზემო ბარი — სოფელი ონის რაიონში, მდ. ბარულას ნაპირებზე, ონიდან 20 კმ-ზე. სოფელში დგას გვიანფეოდალური ხანის ერთნავიანი მთაყარანგელოზთა ეკლესია ფრესკული მოხატულობით (იხ. ბარი).

ზემო ბია — სოფელი ხობის რაიონში, მდ. ხობის მარცხ. მხარეს, ხობიდან 7 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია.

ზემო ერკეთი — სოფელი ჩოხატაურის რაიონში, ჩოხატაურიდან 8 კმ-ზე, მდ. სუფსის ხეობაში. აქ დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

ზემო თელეთი — სოფელი გარდაბნის რაიონში, მაღნაძდას მთის სამხ. კალთაზე, გარდაბნიდან 45 კმ-ზე. სოფელში დგას მცირე ზომის დარბაზული ტიპის წმინდა გიორგის ეკლესია (გვიანდელი შუა საუკუნეები). კოშკი და სამრეკლო საფუძვლიანად შეკეთებულა 1832 წელს. როგორც ჩანს, ეკლესია სოშნებს შეუსყიდნიათ და საკურთხეველიც საკუთარი კონფესიური შესედულებისამებრ გადაუკეთებიათ. არის ერთი ქართული და რამდენიმე სომხური წარწერა.

ზემო ქრიხი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. ქრიხულის მარცხენა მხარეს, ამბროლაურიდან 5 კმ-ზე. სოფლის განაპირას დგას X საუკუნის დამლეყის მთავარანგელოზთა ეკლესია. ძეგლი ნაშენებია ყვითელი კირქვის სუფთად ნათალი კვადრებით. ეკლესია უჩვეულო კომპოზიციით იქცევს ყურადღებას: მოკლე, ფართო და მაღალი სწორკუთხედის ფორმის დარბაზი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვრის შედარებით დაბალი და მეტად გამოწეული მოგრგვალებული საკურთხეველი. ნართექსი ტაძრისათვის XI საუკუნეში მოუშენებიათ. ტაძარი და კარიბჭე უხვადაა მორთული ჩუქურთმებით. შიგ ტაძარში შემორჩენილია ფრესკული მოხატულობის ნაშთი. მოხატულობის მეორე ფენა XI საუკუნის მეორე ნახევრისა უნდა იყოს. მისი ავტორი მაღალი დონის პროფესიონალი ჩანს. ეს მფლანგველა კომპოზიციის მონუმენტურობაში და ორნამენტული მოტივების კოლორიტულობასა და სიმდიდრეში. წარწერები ეკუთვნის X-XI საუკუნეებს. ეკლესია განუახლებიათ 1884 წ.

ზემო მლეთა — სოფელი დუშეთის რაიონში, ალეკის ქედის აღმ. კალთაზე, დუშეთიდან 7 კმ-ზე. აქ არის შემორჩენილი ფეოდალური ხანის „ქვირაცხოვლის" ეკლესია და კოშკი.

ზემო ნიქოზი — სოფელი გორის რაიონში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს, გორიდან 8 კმ-ის დაშორებით. სოფელში დაცულია ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის:

1. ღვთაების გუმბათოვანი ეკლესია XIV-XV საუკუნეებისა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მანამდე აქ მდგარა ამავე სახელწოდების ბაზილიკა V-VI საუკუნეებისა, აშენებული ვახტანგ გორგასლის მიერ. ვახტანგს აქ დაუარსებია „კავკასიანთა, დეკალთა და გლოლა-ღებელთა" საეპისკოპოსო კათედრალი.

2. X-XI საუკუნეების მთავარანგელოზთა მცირე გუმბათოვანი ეკლესია.

3. IX-X საუკუნების ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევები და გალავანში ჩაშენებული, მოპარკეტებული XVI-XVII სს. ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლო სწორკუთხა კოშკის ფორმისაა. უჩვეულოა სამრეკლოს სახურავი. აქეს წარწერები, რომლებშიც მოხსენიებული არიან „კალატოზები": მარკოზ და მახარობელი მეშენიშვილები და გიორგი გურიტაშვილი.

ზემო ოროზმანი — სოფელი დმანისის რაიონში, დმანისის პლატოზე, დმანისიდან 5 კმ-ზე. სოფელში არის XII-XIII სს-ის ეკლესია, რომელიც ნაგები ყოფილა თლილი ქვით. ეკლესია დგას სასაფლაოს შუაში, საფლავის ქვებზე არის ქართული წარწერები.

ზემო შაბანი — სოფელი ბოლნისის რაიონ-

ში. აქ დგას IX-X საუკუნეების ეკლესია.

ზემო ყარაბულახი – სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე, დმანისიდან 16 კმ-ის დაშორებით. ყარაბულახისა და ალბულახის შესართავთან დგას XI საუკუნის ერთნავიანი ეკლესია. ეკლესიას აქვს ნახევარწრიული აბსიდი. კედლის სვეტები სამ ნაწილად ჰყოფენ მას. სვეტებს შორის ისრისებრი თაღები ქმნიან ღრმა უბეებს. ფასადები მოპირკეთებულია ბაზალტის ქვით. ჩუქურთმები ცოტაა. სამხრეთ კარის თავზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებული არიან დაით და კვირიკე მეფეები. ეკლესიის ზედა ნაწილს ემწვავა შეკეთების კვალი. მის ირგვლივ აღრე სასაფლაო ყოფილა, რომლის ქვები ქანდაკების სახისაა (ვერძის ფიგურებიანი ქვები).

ზემო ძალინა – სოფელი ისტორიულ შიდა ქართლში, მდ. შუა ფრონის ხეობაში, ზნაურიდან 5,5 კმ-ზე. სოფლის ახლოს დგას გუთნეულდლური ხანის ციხე-სიმაგრე, რომელიც შედგება გალავნის, კოშკისა და სხვა ნაგებობისაგან. ცოტა მოშორებით არის აღგილობრივი ფეოდალების, ფალავანდიშვილების XVII საუკუნის სასახლის კომპლექსის ნანგრევები. კომპლექსში შედიოდა ორსართულიანი სასახლე 5 სართულიანი კოშკით, დარბაზული ტიპის ეკლესია და სხვა.

ზემო ჩველიერი – სოფელი ლენტეხის რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ლენტეხიდან 10 კმ-ის მანძილზე. სოფელში დგას გვიანდელი ხანის ოთხკუთხედ ფორმის მთავარანგელოზის ქვის ეკლესია.

ზემო ხანდაკი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. თეძის ხეობაში, კასპიდან 18 კმ-ზე. აქ დგას XIV-XV საუკუნეების წმინდა თეკლორის დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები შახამბის ფერი თლილი ტუფისა და ქვიშაქვის დიდი კვადრებით. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით და მთლიანად შელესილია და მოხატული (შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების მხატვრობის ფრაგმენტები). ფასადის სარკმელზე ჯვრის რელიეფია. ეკლესიასთან მოგვანებით მიუშენებიათ კარიბჭე, სამხრეთით – ეკვტერი და პატარა სათავსო. ასეთივე სათავსოა მიშენებული აღმოსავლეთ მხარესაც. სოფლის მახლობლად დგას ერთნავიანი ეკლესია, რომლის აგების თარიღი არაა ცნობილი.

ზემო ხოდაშენი – სოფელი ახმეტის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, ახმეტიდან 15 კმ-ზე. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია „ხარება", ბაზილიკური ტიპისა სამრეკლოთი. აქვე არის რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი (ღვთისმშობლის, წმ. გიორგის და სხვა). ხარების ეკლესიას აქვს შედრეკული წარწერა დასავლეთ კარების გარეთა მხარეს თავზე ჩასმული ქვის ფირფიტაზე. ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს არის ბერების სახლი, რომელსაც აქვს ორენოვანი წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ხოდაშნის ეკლესიის გალავანი ეკუთვნის წმ. ათონის მთის მონასტერს, ხოლო აქ მდებარე სახლი აშენებულია საკუთარი საფასით მონასტრის არქიმანდრიტის, კვლარიონის მიერ.

ზენდ აევესტა – იხ. აევესტა.

ზენონ ისაურიელი – ბიზანტიის იმპერატორი (474-491), ზენონი წარჩინებულთა ოჯახიდან იყო. 468 წელს მან ცოლად შეირთო იმპერატორ ლეონ I-ის ასული არიადნა. ლეონ I-ის გარდაცვალების შემდეგ მხოლო რეგენტობა და მცირეწლოვანი მეფისწულის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორი გახდა. მას ტახტს ელავებოდა ბასილისკი და 475 წელს ზენონი იძულებული იყო გაქცევით ეშველა თავისთვის. კონსტანტინოპოლიდან ის ისაურიაში გადავიდა. ბასილისკი გამეფდა, მაგრამ ზენონმა ინტრიგების საშუალებით 477 წელს კვლავ მოახერხა ტახტის ხელში ჩაგდება. ბასილისკი გადაასახლეს ფრიგიაში, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც. საეკლესიო ისტორიაში ზენონ ისაურიელი ცნობილია თავისი „ჰენოტიკონით", რომელიც მან გამოსცა 482 წელს. ბრძოლამ მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გამუდმებული ხასათი მიიღო ქალკედონის IV საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ. ამან ზენონი აიძულა მიეღო გარკვეული ზომები და გამოსცა „ჰენოტიკონი", რომელიც მოწოდებული იყო მოდაეე მხარეების მოსარიგებლად. „ჰენოტიკონი" ავალებდა მათ დაეცვათ სამი წინა საეკლესიო დადგენილებები, ცრძალაედა ყოველგვარ დავას ისე, რომ არ აგვარებდა თავის მხრივ არც ერთ არსებით საკითხს. ამიტომ ბრძოლა და უთანხმოება არათუ შეწყდა, არამედ უფრო გამწვავდა, იქამდე, რომ მოხდა განყოფა რომისა და ბიზანტიის ეკლესიებისა. პაპმა ფელიქს III-მ დაგმო ზენონის „ჰენოტიკონი" და განკვეთა კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკი.

ზენონი – მოხსენიებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში", როგორც „დიდი ზენონ" გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, წარმოშობით სამცხელი: „ხოლო ზენონ შვილი იყო სჩინოჲსა

ვისთვე კაცისაჲ სამცხეს და ღეთისმსახურებითა აღზრდილ იყო“ (ძეგლები I, გვ. 263-4).

ზენონ ალავერდელი – XVIII ს. 60-70-იანი წლების კახეთის მთავარეპისკოპოსი, ალავერდელი. 1776 წლიდან ის ჩანს ალავერდისა და თელავის მღვდელმთავრად. იგი მოხსენიებულია და მისი ხელრთვაც არის ერეკლე II შეფობის დროს 1751 წელს გაცემულ „წყალობის წიგნში“: (სამართლის ძეგლები, III, გვ. 820). არსებობს აგრეთვე წყალობის წიგნი, გაცემული ზენონ ალავერდელის მიერ ბერ რჩეულიშვილისადმი 1764 წელს 9 დეკემბერს და 1770 წელს მისივე გაცემული წყალობის წიგნი ბოქაულ ხუცეს ფარემუზისადმი (სამართლის ძეგლები, III, 854; 885 და სხვა).

ზენონ დაბაისძე – შაორის მონასტრის (კლარჯეთში) მამასახლისი (წინამძღვარი). იგი მოხსენიებულია „წმინდანთა ცხოვრების“ ანდერძში. ხელნაწერი (Ath..28) გადაწერილია 1002 წელს, ამჟამად დაცულია ათონზე, ქართველთა მონასტერში. ანდერძში ნათქვამია: „ხოლო დაწერა და შემოსა წმიდაჲ ესე წიგნი შაორს საყოველსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მამასახლისობასა ზენონ დაგაბაძისასა კელითა გლახაკისა აკუსა მტბევარისაჲთა“ (იხ. 27lr-v).

ზენონ იყალთოელი – იოანე ზედაზნელის მოწაფე და თანამოღვაწე, ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, რომელიც VI საუკუნის შუა წლებში ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა იოანესთან ერთად. თავდაპირველად ზენონი ზედაზნის მონასტერში ცხოვრობდა, შემდეგ კი გადავიდა თავისსაე დარსებულ იყალთოს მონასტერში, რომელიც ზენონმა დაარსა VI საუკუნის II ნახევრის დამდეგს. დასაფლაებულია იქვე. ზენონ იყალთოელის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი კახეთში ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას.

ზენონ მოწამე – ეწამა ქრისტესათის IV ს-ში ეგეუსიოს, რომიელიასა და მაკართან ერთად (იხ.) იმპერატორ მაქსიმიან გალერის (305-311) დროს. ოთხივე მოწამემ მაღალი თანამდებობა ეკავა იმპერატორის ლაშქარში. ოთხივე ქრისტიანი იყო, არ მალავდნენ თავიანთი დამოკიდებულებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ამისთვის ისინი შეიპყრეს და აწამეს. „წამების“ მეტაფრასული თხზულების ქართული თარგმანი ორი რედაქციით არის წარმოდგენილი: ერთი უცნობი მთარგმნელის მიერაა შესრულებული (ქუთ. 4. 1565 წ. 50v-57r), გამოც. ნ. გოგუაძის მიერ, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბილისი, 1986 წ. გვ. 90-97, ხოლო მეორე თეოფილე ხუცესმონაზონს (XI ს.) უთარგმნია (Ath. 20, 1081 წ., 34r-38r). მათი ხსენების დღეა 6 სექტემბერი.

ზენონ მოწამე – ეწამა ზინასთან ერთად მაქსიმიანეს იმპერატორობის დროს (305-311). მათი „წამების“ მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ქართულად (S 417, XII ს., 150v-154r, [თავნაკლ.], ქუთ. 3, XVI, 217r-223v). მათი ხსენების დღეა 21 ივნისი.

ზეპური – 1. ზეცის პურისმტე, ღვთის მიერ გამორჩეული; 2. დიდგაროვანნი, ქართლის (იბერიის) სამეფოს უმაღლესი სოციალური ფენა. „ზეპური დედანი“ დამოწმებული არიან იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“.

ზეწარი, ძეწარი (ბერძნ. „პაპილომა“, სლავ. паполама) – საკურთხეველის ტრაპეზის შესამოსელი, რომელსაც აფარებდნენ ტრაპეზს ზემოდან და რომელიც უფრო „ინდიტის“ სახელით იყო ცნობილი (ს. კეკელიძე, „ეროვნალიერი განძინება“, ლექსიკონი, გვ. 328).

ზვარაკი – მსხვერპლად შესაწირავი პირუტყვი, საქონელი.

ზიარება – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, საღვთო წერილის მიხედვით, თვით იესო ქრისტეს მიერ დაწესებული (ვნების წინ, საიდუმლო სერობის დროს; იოანე 6, 31; მათე: 26, 16-20; მარკოზი 14, 22-24; ლუკა 22, 19-20, კორინთელთა, 11, 23, 25). ზიარება გულისხმობს ქრისტეს სისხლსა და ხორცის მიღებას. ეკმსწირვის (ევქარისტიის) დროს პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქმნება, რომლის მიღებით მორწმუნე ქრისტეს სიწმინდეს ეზიარება და თავისუფლდება ცოდვათაგან, რათა ცხონდეს საიქიოში. ზიარება ეხმარება მორწმუნეს ზნეობრივი სრულყოფის გზაზე, აცილებს და წმენდს მის სულს. მართლმადიდებლურ ევქარისტიაში იხმარება აფუებული პური, კათოლიკურ ეკლესიაში – უფუარი. მართლმადიდებლური ეკლესია აზიარებს მორწმუნეს პურით და ღვინით, კათოლიკური – მხოლოდ პურით. ევქარისტული საიდუმლო უნდა შესრულდეს მხოლოდ ეკლესიაში ლიტურგიის დროს, აუცილებლობის შემთხვევაში მისი შესრულება შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ უსათუოდ ღობეზე (ოთხკუთხა სელის ან აბრეშუმის ტილოზე, რომელზეც გამოხატულია ქრისტეს გარდამოხსნა).

ზილოტები (ბერძნ. მოშურნენი) – ებრაელთა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი, რომლებიც ებრძოდნენ რომაელ დამპყრობლებს. ზილოტები ჩამოყალიბდნენ I ს. 60-იან წლებში. ისინი ცდილობდნენ ებრაელი ხალხის გაერთიანებას რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ზილოტების ლიდერი იყო გალილეველი იუდა, რომელიც 6 წელს აჯანყდა რომაელთა წინააღმდეგ. ზილოტები ებრძოდნენ ებრაელ მდიდრებსაც, რომლებიც ეხმარებოდნენ რომაელ დამპყრობლებს. ზილოტების ბრძოლა ებრაელი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის გაგრძელდა 70 წლამდე.

ელთა რელიგიურ-პოლიტიკური პარტია, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ზილოტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იუდეველთა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სახელწოდება „ზილოტი“ ბერძნულად თანამოსაგრეს, ქომაგს აღნიშნავს. პარტიამ ეს სახელწოდება მიიღო იმ თავდადების გამო, რომელსაც იგი იჩენდა ხალხის ინტერესების დასაცავად. ეს იყო ჭეშმარიტად შეურეგებელთა პარტია, განსწავლული თეოკრატიული იდეებით. მან კარგად უწყოდა, რა შეუსაბამობაც სუფევდა სინამდვილესა და მათ იდეალებს შორის. სახელწოდება „ზილოტი“ თვით ღმერთს ეკუთვნოდა (გამოსელათა 20,5). რომაელების მიერ იუდეის დაპყრობის შემდეგ „ზილოტები“ ეწოდა იუდეველთა პოლიტიკური პარტიის წევრებს, რომლებიც, გარდა სარწმუნოების დაცვისა, ხალხს მოუწოდებდნენ რომაელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ზილოტთა პარტიის დევიზი იყო: „არა არს უფალი თუნიერ იეჰოასი, არაა ხარკი თუნიერ ტაძრისა, არა არს მოყვასი თუნიერ ზილოტისა“. იუდეველთა აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ ზილოტების ქადაგების უშუალო შედეგი იყო. „მოშურნე“ (ე. ი. ზილოტი) ეწოდება სიმონ მაციელის ლუკას სახარებაში (6,15), ხოლო მათე (10,4) და მარკოზი (3,18) უწოდებენ მას კანანელს, რაც ებრაულად ფაქტიურად იმასვე ნიშნავს, რასაც ბერძნული „ზილოტი“. XVI ს-ში „ზილოტებად“ იწოდება პოლიტიკური დაჯგუფება თესალონიკეში. ეს დაჯგუფება (ოთხე კანტაკუზენის მოთხრობით) შეიქმნა იოანე V-ის მეუობაში კონსტანტინეპოლის მთავრობასა და ფეოდალ-დიდებულთა შორის ატეხილი ბრძოლის დროს. ზილოტები იყვნენ შეძლებულ ვაჭართა და ხელოსანთა ზედა ფენის წარმომადგენლები. მათ მთავარ საშხელრო ძალას შეზღუდრები შეადგენდნენ. ზილოტებს ბელადობდნენ პალეოლოგოსთა არისტოკრატული გვარის წარმომადგენლები — მიქაელი და ანდრია. მათ მხარს უჭერდა კონსტანტინეპოლის მთავრობა, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალიზაციისათვის იღვწოდა. 1342 წ. ზილოტებმა ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება. ზილოტების მოძრაობის მიზანი იყო ბიზანტიის ქალაქის საზოგადოებრივი წყობის შეცვლა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მაღალი ფენის მნიშვნელობის გაზრდა.

ზინა — ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე, მოხსენიებულია ეპისკოპოს დერთონელის „აღწერილი საეკლესიო“-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს (H221; Ath.30).

ზინა მოწამე — იხ. ზენონ მოწამე (2).

ზინობა და ზინობია მოწამენი — ზინობი იყო ეგეას ეპისკოპოსი, ხოლო ზინობია — მისი და. ეწამნენ ქრისტესათვის კილიკიაში 285 წელს. ბაქშობიდანვე ქრისტიანული სულისკვეთებით იზრდებოდნენ. რომ წამოიზარდნენ, მთელი ქონება ღარიბებს დაურიგეს, ზინობი კილიკიის ქრისტიანული თემის ეპისკოპოსი გახდა. ქრისტიანთა დევნის დროს ზინობი შეიპყრეს და მიიგეარეს მთავარ ლიბიუსს, რომელმაც მას წარმართული ღმერთების თაყვანისცემა მოსთხოვა. ზინობი მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე და წამებით სიკვდილი ირჩია. ზინობიამ ძმის ხვედრი გაიზიარა. ორივე სასტიკად აწამეს, მაგრამ ღვთის ძალით ცოცხალნი გადარჩნენ, მაშინ მათ თაეები მოჰკვეთეს. მათი ხსენების დღე 30 ოქტომბერია.

„ზინობისა და ზინობიას წამების“ მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად XI საუკუნეში და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (A1059, XII ს. გე. 244-250; S 384, XI-XII სს., 521-528 (ბოლონაკლული); Jer. 37, XIII-XIV სს., 131v-134v).

ზირაქი — იხ. ისო ზირაქი.

ზოგრაფოსი (ზოგრაფი) — ბულგარული მონასტერი ათონის მთაზე. არსებობს 1513 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ზოგრაფისა და კასტამონიტის (იხ). მონასტრების ურთიერთობას შეეხება. დოკუმენტზე ყოფილა ქართველთა წინამძღვრის ხელმოწერა. წინამძღვრის სახელი გაურკვეველია (იხ. ათონის მთის მონასტრები).

ზოდიაქო (ბერძნ. „ცხოველი“) — ზოდიაკის სარტყელი, ციური სფეროს დიდ წრეზე (ეკლიპტიკა) განლაგებულ თანავარსკვლავედთა წყება, რომლებზედაც გადის მზის, მთვარის და მზის სისტემის პლანეტების ხილული წლიური გზები. ზოდიაკის 12 თანავარსკვლავედი (ვერძი, კურო, მარჩხიები, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული) უძველესი დროიდან ატარებდა ცხოველების სახელს, აქედან მოდის სახელწოდება ზოდიაკოც. მზე თითოეულ ზოდიაკოში ერთ თვეს ჩერდება, ამიტომ თითოეულ თვეს თავისი ზოდიაკური ნიშანი აქვს. ზოდიაკოს თანავარსკვლავედების ნიშნები აქვს აგრეთვე მათში მდებარე ბუნიობისა და მზებუდობის წერტილებს

(ვერძი და სასწორი — გაზაფხულის და შემოდგომის ბუნიობის, ხოლო კირჩხიბი და თხის რქა — ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილებია). ეს ნიშნები ღღემდეა შემორჩენილი, თუმცა პრეცესიის (ასტრონომიული მოვლენა) გამო ზოდიაქოს ნიშნები უკვე აღარ შეესაბამება ძველს. მაგალითად, მზე ამჟამად თევზის ზოდიაქოშია მარტის თვეში, მაგრამ ინერციით ის მაინც ვერძის ზოდიაქოს ნიშნით აღინიშნება.

ზორავა — მსხვერპლშეწირვა კერპებისათვის, კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა, „მსხვერპლი" (საბა). კულტმსახურების ფორმა, შესაწირავთა მირთმევა ღვთაებებისადმი, სულებისა და გარდაცვლილთა სულებისადმი მათი გულის მოგების, ან ჩაღვნილ ცოდვათა მიტევების მიზნით. ზორავა შეიძლება იყოს სისხლიანიც და უსისხლოც. იხ. მსხვერპლშეწირვა.

ზონარა — XII ს-ის მოღვაწე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, სამართლის მკვლევარი. ზონარას კონსტანტინეპოლში მაღალი თანამდებობა ეკავა იოანე კომნენის (1118-1143) მეფობის დროს. შემდგომ ის განეშორა სამეფო კარს და თავისი დარჩენილი ცხოვრების წლები გაატარა პატარა განცალკევებულ კუნძულზე (ნიანდრაზე). მისი მთავარი ნაშრომია „უნივერსალური ისტორია" 18 წიგნად, რომელიც შეიცავს დიდ მასალას, მასში ჩართულია ის ამბებიც, რომლის მოშსწრე და თვითმხილველი თავად იყო. მასვე ეკუთვნის კომენტარი ბერძნული ნომოკანონისა. ფიქრობენ, რომ ის ნაწილი, რომელიც ბალსამონს მიეწერება, ზონარას უნდა ეკუთვნოდეს.

ზონკარი — ცხინვალის რაიონის სოფლების — ზემო და ქვემო ზონკარის ძველი სახელწოდება. სოფლის დასავლეთით 300 მეტრის მანძილზე დგას კლდის ფლეთილი და რიყის ქვებით ნაგები წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესია ერთნავიანია, სწორკუთხა. გრძივ კედლებში სამსაფეხურიანი ორი წყვილი პილასტრია. სტილიზებული ნიშნებით იგი ადრეფეოდალურ ხანას, უფრო ზუსტად კი VIII-X საუკუნეებს უნდა ეკუთნოდეს. ზონკარის წმინდა გიორგის ეკლესიიდან აღმოსავლეთით მთის ფერდობზე დგას კოშკი, რომელიც ასევე ადრეფეოდალური ხანისა ჩანს.

ზორასტრი — იხ. ზარათუშტრა.

ზორასტრიზმი — ძველი სპარსული რელიგიური დოქტრინა, რომელიც მოგვიანებით ძირითად რელიგიად იქცა ირანში და გავრცელდა შუა აზიაში, ავღანეთში, აზერბაიჯანსა და ახლო და შუა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში. სასანელთა დინასტიის დროს ზოროასტრიზმი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად იქცა (211-640 წწ.). იგი ამჟამად ინდოეთში ფარსების რელიგიაა, ირანში — ღებრების. ზოროასტრიზმის საღვთო წიგნს აევესტა ეწოდება. ამ რელიგიის დამარსებელი იყო ზარათუშტრა. ზოროასტრიზმის უზენაესი ღვთაება ახურამაზდა, რის გამო მას ხშირად მაზდეანობასაც უწოდებენ. იგი დუალისტური რელიგიაა, მასში ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი — სიკეთე და ბოროტება, სინათლე და წყვდიადი. ზარათუშტრა ასწაელიდა, რომ ქვეყნიერება შექმნილია უზენაესი ღვთაების, ახურამაზდას (ორმუზდის) მიერ წმიდა სულის — სპენტა მანიუსა და 6 ამეშასპენტის დახმარებით. ეს კეთილი სულები გამუდმებით ებრძვიან ბოროტ სულებს ანგრა-მანიუს (არიმანს), რომელსაც 6 დევონი ეხმარება. ამ ძალების განუწყვეტელი ჭიდილი განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პროცესის შინაარსს. ქალწულის მიერ შობილი სიკოცხლის ქვეყნიური ცხოვრების შემდეგ ახურამაზდა საბოლოოდ გაიმარჯვებს და ყოველი ადამიანი (მისი სული) გაიელის ბეჭვის ხიდზე; ცოდვიელნი ცეცხლის ალში ჩაინთქმებიან, ხოლო მართალნი უვნებლად გაიელიან და სამუდამო სასუფეველს ჰპოვებენ. ზოროასტრიზმის წმინდა გამოვლინებაა ცეცხლი — ღვთაებიური სამართლიანობის განსახიერება. ამ რელიგიის თანახმად ადამიანის დანიშნულებაა არიქვანის გაკეთება ამ ორ საწყისს შორის. ზოროასტრიზმმა საქართველოში ფართო გავრცელება პოვა. მისი გავრცელების ისტორია 3 პერიოდს მოიცავს:

I. აქამენიდური პერიოდი — სასანელთა დინასტიის გამეფებამდე (ძვ.წ. VI — ახ. III ს.). ზოროასტრიზმი ამ პერიოდში საქართველოში მშვიდობიანი გზით, ვრცელდებოდა. მისი მბლავრი გავლენის კვალი ქართულ ენაში დღემდე შემორჩენილი (ტერმინები: ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვ.). ზოროასტრიზმი განსაკუთრებით ფეხმოკიდებული ჩანს ქართლის სამეფოს მმართველ წრეში ფენაში. ამას მოწმობს ამ ხანის ონომასტიკონი და ირანულ-ზოროასტრული თეოფორული სახელები (ფარნავაზ, ფარნაჯომ, არტავაზი, არშაკი, ბაგრატი, ბარტომი, ბაკური, მიპრდად, მიპრ, მირანდუხთ, აზრკი და სხვა). ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის არსებობას მოწმობს „დედოფლის მინდორზე" აღმოჩენილი სატაძრო კომპლექსი (ძვ. წ. II ს.). (იხ. „დედოფლის მინდვრის" არქეოლოგიური ძეგლები).

2. სასანიდთა დინასტიის მეფობის პერიოდი (III-VII სს.) ის ხანაა, როცა ირანმა გადაუხედა რელიგიური ტოლერანტობის პოზიციებს და უკვე ძალით ცდილობდა ზოროასტრიზმის გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოში და მის სახელმწიფო რელიგიად ქცევას. ზოროასტრიზმს საქართველოში ამ დროს დაუპირისპირდა ქრისტიანობა, რომელიც განუწყვეტლივ იბრძოდა მის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს იმდროინდელ ქართულ წერილობით წყაროებში და მხატვრულ ლიტერატურაში (შუშანიკის წამება, ევსტათი მცხეთელის მარტყოლობა, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ისტორია და სხვ.). მიუხედავად ამ ბრძოლისა, ჯუანშერის ცნობით, საქართველოში ყოფილა „საგზებული ცეცხლი-სა“ ლოპოტის ხევსა (კახეთში) და ნიქოზში.

3. სასანიდთა იმპერიის დაცემის შემდგომი ხანა, როცა ზოროასტრიზმი ირანში დევნილ რელიგიად იქცა. ეს პერიოდი მოიცავს VIII-IX საუკუნეებს. საქართველოში ამ დროს ზოროასტრული კულტების გამოცოცხლება იწყება. ეს შეიმჩნევა ნივთიერი კულტურის ძეგლებში. შემდეგ საუკუნეებში ზოროასტრული კულტები მხოლოდ გადმონაშთების სახით განაგრძობენ არსებობას საქართველოში (თბილისში ფეთხაინზე დღემდე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის „ათეშგას“, „ათეშგაის“ ნაშთები).

ზორობაბელი – იუდეველთა ცნობილი ბელადი (მათე 1,8), რომლის ხელმძღვანელობით იუდეველთა პირველი წყება დაბრუნდა სამშობლოში ბაბილონის ტყვეობიდან. ზორობაბელი სამეფო წარმოშობის კაცი იყო. სპარსეთის მთავრობამ იგი ხალხის მმართველად დანიშნა და დაავალა ტყვეობიდან განთავისუფლებულებზე ზრუნვა. ზორობაბელი ენერგიულად იღვწოდა ტაძრების ასაგებად, საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრების მოსაწყობად, ხალხის მტერთაგან დასაცავად და სხვ. მისი სახელი სახარებაში მოიხსენიება, როგორც მესიის ერთერთი წინაპარისა (დავითის შვილი).

ზოსიმე – ბიზანტიელი ისტორიკოსი (491-518), ცხოვრობდა ანასტასი I-ის დროს. მას ეკუთვნის „მოკლე ისტორია“ რომის იმპერიისა აგვუსტიანედან მოყოლებული 410 წლამდე, 6 წიგნად (ბოლო წიგნი დაკარგულია). შრომის მიზანია, გაარკვიოს რომის იმპერიის დაცემის მიზეზები. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად მას მიაჩნია ქრისტიანობის გავრცელება რომში. ზოსიმე ქრისტიანობის მიმართ მტრულადაა განწყობილი. აქედანაა მისი უარყოფითი დამოკიდებულება კონსტანტინე დიდისა და თეოდოსი I მოღვაწეობისადმი. თხზულება ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა და საყურადღებო სარდალ ბაკურის ხსენება. უკანასკნელი წლების აღმოჩენამ იერუსალიმის ტერიტორიაზე (ყორბო, თარხნიშვილი) ბეთლემის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოაელინა Vსაუკუნის ე. წ. „ლაზთა“ ტაძრის ნანგრევები მოზაიკითა და ქართული წარწერებით. აქ იხსენიება ბაკური და მეცნიერნი ფიქრობენ, რომ ის უნდა იყოს ზოსიმესთან მოხსენებული სარდალი ბაკური.

ზოსიმე მოწამე – ეწამა ტრაიანეს (89-117) მეფობაში. ზოსიმე სამხედრო პირი იყო. იგი დიდად თანაუგრძნობდა ქრისტიანებს და როცა მათი დევნა დაიწყო, დატოვა სამხედრო სამსახური და მოინათლა. ზოსიმე დაბეზღეს ანტიოქიის მთავარ დღმიტიანთან. მან იგი შეიპყრო და მოსთხოვა უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და მსხვერპლი შეეწირა წარმართული ღმერთებისათვის. ზოსიმე მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე, რისთვისაც იგი სასტიკად აწამეს. ღვთის ძალით იგი უვნებელი დარჩა. წამებით რომ ეერაფერს გახდნენ, თავი მოჰკვეთეს. ზოსიმეს „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსს მიეწერება, ქარგულად თარგმნილი უნდა იყოს XII ს-ში და დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (S 417, XII, 150r-154r; ქუთ. 3, XVI, 207r-211v). ხსენების დღე – 19 ივნისი.

ზოსიმე მოწამე – ეწამა ქრისტესათვის დიოკლეტიანეს (284-305) დროს, ზოსიმე პირველყოფილი ასკეტიზმის წარმომადგენელია, შეუდგხონე. ქრისტიანთა დევნის დროს წმინდა ზოსიმე შეიპყრო ქრისტიანული რელიგიის მიმდევრობისათვის და სასტიკად აწამა ვინმე დომენტიანე კომიტმა (მთავარმა). ღვთიური ძალით ის უვნებლად გადარჩა. ამ ხსნაულის მოწმე ციხის ზედამხედველი ათანასე გაქრისტიანდა და მოინათლა. შემდეგ ზოსიმე და ათანასე ერთად წაიდნენ უდაბნოში და იქ ცხოვრობენ აღსასრულამდე. ხსენების დღეა 4 იანვარი, 28 სექტემბერი და 18 აპრილი, ქართული პრაქტიკით - 18 აპრილი. ზოსიმეს „წამების“ მეტაფრასული თხზულება დაუწერია იოანე ქსიფილინოსს, ხოლო ქართულად უნდა ეთარგმნა (როგორც ამას კ. კეკელიძე ფიქრობს) იოანე პეტრიწს (იხ.). ქართული თარგმანი შესულია პაგოგრაფიულ კრებულში ქუთ. 7, XIII, 282v-288v. (ვამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები, III, 166-177).

ზოსიმე – XI საუკუნის ქართველი პიმნოგრაფი, ათონის ლიტერატურული სკოლის მოღვაწე, იგივე ზოსიმე მონაზონი, ანუ „ზოსიმე უღირსი", კალიგრაფი, რომელმაც 1042 წელს „დაწერია" გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „სტოდიერი", გადაწერა გიორგის მიერ თარგმნილი სხვადასხვა სასულიერო თხზულებების კრებული (მათ შორის სწავლანი). ანდერძში ზოსიმე აღნიშნავს, რომ გიორგიმ ეს თხზულება თარგმნა 1042 წელს. ზოსიმეს ეკუთვნის აგრეთვე ილარიონ ქართველისა და ეფთვიმე მთაწმიდელის საგალობლები, რომელიც ზოსიმემ იაკობ მღვდლის (იხ.) ბრძანებით დაწერა. ორიგე საგალობელი ერთ კრებულშია მოთავსებული. იაკობს დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ათონის კრებულის (A 558-ის) დაწყებაში. ზოსიმეს გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის ოქტომბრის თვენი (Jer. 75).

ზოსიმე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. XI საუკუნის კუმურდოს ეპისკოპოსი, ბაგრატ IV-ის და მისი დედის - მარიამ დედოფლის დროის მოღვაწე. მას მღვდელმთავრობაში ჩატარდა კუმურდოს ტაძარში გარკვეული აღმშენებლობითი სამუშაოები.

2. სამთაწმინდის ეპისკოპოსი XVII საუკუნეში. მას იხსენიებს „წიგნი ნიკოლოზ კათალიკოსისა სამთაწმინდის ძველ შეწირულებათა შესახებ" (1678-1695 წლებში). მეფე ალექსანდრეს, გიორგის ძეს მისთვის უბოძებია წელიწადში 500 კრომანაული (სამართლის ძეგლები, III, გვ. 165).

3. ჭყონდიდის ეპისკოპოსი XVII ს-ში. მან ახლად მოახატვინა ბაზილიკის ტრანს სეფიეთის მთაყარანგელოზის სახელობის ეკლესია. ე. თაყაიშვილის ცნობით, ზოსიმე ჭყონდიდელი დახატული ყოფილა მარტვილის ტაძრის დასავლეთ გეგეტერში.

4. ხარჭაშის ეპისკოპოსი XVIII ს. შუა წლებში. მოხსენიებულია 1746 წ. ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში, როგორც მოწმე საბუთის დაწერისა: „შეწირულების წიგნი ელენე მონაზონისა ნიკოლოზ ალაყერდელისადმი" (ცსსა 1448, საბ. № 1508; სამართლის ძეგლები, III, 791).

5. რუსთავის ეპისკოპოსი XVIII საუკუნის 70-იან წლებში. მოხსენებულია სიაში „ყოვლად სამღუდელონი მღუდელთმთავარნი ქართლისანი და კახეთისანი" (სამართლის ძეგლები, III, 929).

6. ხარგისთავლის ეპისკოპოსი და მოძღვართმოძღვარი XVIII ს. შუა წლებში. ზოსიმე ხელს აწერს 1748 წლის საეკლესიო კრების კანონებს: „ულირსმან ეპისკოპოსმან ქარგისთავლისამან და მოძღვართ-მოძღვარმან ზოსიმე წარვსწერენ" (სამართლის ძეგლები, III, 804).

ზოსიმე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. კახთა მეფის, კვირიკეს სულის მწირველი შიომღვიმის მონასტერში. მას გამზრდელ იოანესთან ერთად დიდი შრომა გაუწევია სამწირველოს მოვლა-პატრონობაზე, გაუზრდია სამწირველოს ქონება და ეს შეძენები მთლიანად კვირიკე მეფის სამწირველოსათვის მიუმატებია და თავისთვისაც გაურჩენია სამწირველო 1200 წ. (ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. თბილისი, 1984, გვ. 88).

2. XIII საუკუნის უცნობი ქართველი მწიგნობარი, „ზოსიმე თარგმანის" სახელით მოხსენიებული, რომელსაც დახმარება აღმოუჩენია ჯვარის მონასტრისათვის. მისი ზედწოდება „თარგმანი" იმაზე მიუთითებს, რომ ზოსიმე თავის დროზე მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. (ლ. მეტრეველი, № 155 და 183).მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962;

3. შიომღვიმის წინამძღვარი XIII-XIV საუკუნეებში. მისი მოღვაწეობის ხანა ზუსტად დადგენილი არაა. შიომღვიმის ოთხთავის სახელით ცნობილი სახარების (H 1344) ანდერძის მიხედვით, რომელიც გადაწერილია გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ, გიორგისათვის ამ საქმეში დახმარება აღმოუჩენია ზოსიმე წინამძღვარს და ბასილი თვარჩს (იხ.).

4. XV საუკუნის კალიგრაფი (კოპწამაძე). გიორგი VIII-ის ასულის – ქეთევან ბატონიშვილის ბრძანებით გადაუწერია პარაკლიტონი (A 1552). წიგნის მინაწერები და ანდერძები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ხელნაწერის დამზადების შესახებ.

5. მონაზონი, გადამწერი (კარგარეთელი). 1562 წელს ზოსიმემ იმერეთის მეფის, გიორგის დაკვეთით გადაწერა ნიაორწმინდის ხელნაწერიდან „ალავერი" (ქუთ. 165).

6. მიძნაძორის მონასტრის წინამძღვარი, იხსენიება ჯვარის მონასტრისეულ XVI საუკუნის თვენში (H 2338).

ზოსიმე – მოსკოვის „ტროიცკის" ლავრის წინამძღვარი. 1420 წ. უმოგზაურია ათონის მთაზე. მას აქვს ცნობები ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ.

ზოსიმე კუმურდოელი – კუმურდოს მთავარეპისკოპოსი. ზოსიმე მოხსენიებუ-

ლია XVI საუკუნის დამდეგის საბუთებში „ნუასძელ“ (ქრონიკები, II, გვ. 345). ზოსიმეს ერთგულების წიგნი შიურთმეული ქართლის კათოლიკოს ბასილისათვის დაახლ. 1519-29 წლებში (ზოსიმე მთაწმიდელი). კუმურდოს ტაძარი „შორად აშენებული“ ზოსიმეს მღვდელმთავრობის დროს. დაახლოებით 1515 წელს იგი იერუსალიმში ჩაიდა იმ დროს, როდესაც ფრანგებმა ქართველებს წაართვეს გოლგოთა. ზოსიმემ იქ ჩაიტანა მისი გამზრდელისა და პატრონის, ქეთევნ-ყოფილი-ქრისტინეს და მისი ასულის — გულქანის შესაწირაები 400 ფლური და დაიხსნა გოლგოთა ფრანგთაგან. ქართველებს გოლგოთაზე ადრევე აქონდათ მოპოვებული უფლებები. აღდგომისა და გოლგოთის ეკლესიაში ქართველ მღვდელთა ერთი ჯგუფი სამწერლო საქმიანობას მისდევდა. ზოსიმეს გადაუწერია კრებული (A 1737), რომელშიც ქეთევნ-ქრისტინეცაა მოხსენიებული. ზოსიმე კუმურდოელი და ხელნაწერ A 1737-ის დამამზადებელი ზებედე ნაუას ძე (იხ.) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსელა, გვ. 018). ზოსიმე კუმურდოელის სახელი შემოუნახავს ჯვარის მონასტრის ერთ წიგნს (Jer. 73). იგი ჯვარის მონასტრის გარდა სხვა ქართულ სავანეებზეც ზრუნავდა.

ზოსიმე მონაზონი — VI საუკუნის ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, კესარიის პალესტინის ერთ-ერთი მონასტრის მამასახლისი. ზოსიმე მონაზონის „სწავლანი“ ქართულად თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელისა (A 1104, XI ს. 91r-154v,Ath. 72, XI, 68v-86v) და თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (A 1105, XI). ზოსიმეს „სწავლანის“ ორიეე თარგმანი გამოც. გ. ბარამიძის მიერ, ბათუმი, 1999.

ზოსიმოს — იხ. სუქიოსი.

ზოჰარი — კაბალისტიკის ფუძემდებლური ძეგლი, „საღეთო წიგნი“, მისტიკური კომენტარი მოსეს ხუთწიგნეულზე. დაწერა ესპანელმა (კასტილიელმა) ებრაელმა მოშე დე ლეონელმა († 1300 წ.) არამეულ ენაზე, და თავისი შრომის ავტორად II საუკუნის თანამუშაკისტი რაბი შიმონ ბენ იოხაი გამოაცხადა, რათა ამით კაბალისტური საიდუმლო მოძღვრების სიძველისათვის გაესვა ხაზი. კაბალისტთა წარმოდგენით ზოჰარი ყველაზე ბრძნული წიგნია ამქვეყნად, რამდენადაც ივი მთელი ძველი მითოლოგიის საიდუმლოს, მის შინაგან არსს გეიხსნის.

ზრბითი — სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, ზრბითის ხეობაში, აქ დგას სამი ცალნაკიანი ეკლესია: პირველი — ხევის მარცხენა ნაპირას, XIX საუკუნის ეკლესიაა და თუსაშვილთა გვარის საძვალეს წარმოადგენს. სოფლის შუაგულში არის მეორე; მცირე ზომის ეკლესია. მასში შემორჩენილია ორიგინალური კანკელი და სხვა რუქურთმებიანი ფრაგმენტები. ეკლესია VIII-IX საუკუნეებისა უნდა იყოს. სოფლის სამხრეთით კი დგას მესამე ეკლესია, ალგეთის ქვითა და ბაზალტის კვადრებით ნაგები XI-XII საუკუნეებში.

ზუბაშვილი რომანოზ — ქუთაისის სტამბის ერთ-ერთი ენერგიული მუშაკი, XIX საუკუნის მოღვაწე. ამ სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“ (1880), „კურთხევანი“ (1803), „ჯამნი“ (1808) და სხვა.

ზუბი — სოფელი ცაგერის რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შტოზე. სოფელში დგას ხის ეკლესია, ხისავე კანკელით, აგებული 1806 წელს. სოფ. ზუბი წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება.

ზუგდიდი — ქალაქი დას. საქართველოში, რაიონული ცენტრი; აქ დგას მაცხოვრის გუმბათიანი ეკლესია XV-XVI სს., XX ს. საძრეკლოთი.-აქ იყო აგრეთვე „სასახლე დადიანთა, დიდმენი და პალატები, ზღუდე-გოდლიანი“. სამეგრელოს მთავრები დიდ ინტერესს იჩენდნენ ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი. ლეონ I დადიანმა (1532-1582) და მისმა მეუღლემ ელენე დედოფალმა ქართველ მწიგნობრებს გადაწერინეს ის ოთხთავი, რომელიც ე. თაყაიშვილმა (იხ.) აღმოაჩინა წალენჯიხაში. ლიტერატურული ტრადიციები გაგრძელდა ლეონის შემკვიდრეთა კარზეც. გიორგი დადიანისა და მისი მეუღლის — თამარის დაკვეთით გადაწერა მოქცის გულანი, შესრულებული ზუგდე და გიორგი (იხ.) კალიგრაფების მიერ. განსაკუთრებით გაცხოველდა ლიტერატურული საქმიანობა ლეონ II დადიანის (1611-1657) კარზე. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები მამუკა თაყაიშვილი და ბარძიმ ეაჩნაძე. ეს ტრადიციები დიდხანს გრძელდებოდა სამეგრელოს სამთავროში, კერძოდ, მის ცენტრში — ზუგდიდში. ინტენსიურად წარმოებდა ხელნაწერი წიგნების გამრავლება, რომლის ინიციატორებად და მოთაეეებად უნარატესად დადიანები ჩანან. ასე მაგალითად, ოტია დადიანის (1728-1744) და მისი მეუღლის — გულქან დედოფლის დაკვეთით გადაიწერა ტაბიკონი (Q 76), გულქანისავე ბრძანებითაა დამზადებული თვენი (Q 88-89) და მრავალი სხვა. ზუგდიდისა და

მისი შემოგარენის ლიტერატურული ცხოვრებისა და იქ მოღვაწეთა ფართო გონებრივ ჰორიზონტსა და ინტერესებზე მეტყველებს ხელნაწერთა ის მდიდარი კოლექცია, რომელიც დადიანთა წიგნსაცავიდანაა მოღწეული.

ზღუდერი (ფოთელი ზორეთი) — სოფელი ქართლის რაიონში, ქარელიდან 12 კმ-ის დაშორებით. სოფლის ცენტრში გვერდიგვერდ დგას ძალზე დაზიანებული ორი ეკლესია. ერთი არის VI საუკუნის ერთნავიანი ეკლესია, აგებული დიდი თლილი კვადრებით, ამჟე პერიოდისაა მეორე ეკლესიის (სამეკლესიანი ბაზილიკის) თავდაპირველი სამშენებლო ფენა. ეკლესია ორჯერაა შეკეთებული: X-XI და XIII-XIV საუკუნეებში. ორივე ეკლესიას თავისი დახვეწილი პროპორციებით და ბრწყინვალე ორნამენტული მორთულობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

ზღუდრობა — რელიგიური სახალხო დღესასწაული. „ზღუდრობის" გიორგობის დღესასწაული ტარდებოდა სოფ. ზღუდერში განრღვეულის (აღდგომიდან მე-5) კვირის ორშაბათს, ხოლო კახეთში, გურჯაანის მახლობლად სოფ. კოტეხში — აღდგომიდან მე-4 კვირის ორშაბათს. ცხინვალის ზღუდრის წმინდა გიორგის კარზე ძველად მსხვერპლშეწირვის და ღამისთევასაც ასრულებდნენ.

თ

თაბორი — მთა იერუსალიმის ახლოს, ნაზარეთიდან 9 კმ. ამ სახელწოდების მთები ხშირად გვხვდება არაბეთში, ინდოეთსა და სხვა ადგილებშიც. საკუთრივ თაბორი ნიშნავს ცენტრალურ ამაღლებულ ადგილს, ჭიპს. ვარაუდობენ, რომ გალილეაში დღეანდელი თაბორის გარდა იყო ამ სახელის მატარებელი სხვა მთებიც და ერთ-ერთი მათგანი იწოდებოდა ფერისცვალების მთად. უფლის ფერისცვალების მთასთან ბევრი საინტერესო ეპიზოდია დაკავშირებული, როგორც ახალი, ისე ძველი აღთქმისა (ნავ. 14,22; ფს. 38,13 და სხვ.). აქ უფლის ფერისცვალების მოწმეთა იოანე, პეტრე და იაკობ მოციქულთა სახელზე მოციქულთა სწორმა ელენემ (IV ს.) ააშენა ტაძარი, რომლის ნაშთი დღესაც არსებობს. 1088-1112 წწ. შორის აშენდა აგრეთვე ეკლესია და მონასტერი, რომელიც შემდგომ სარკინოზებმა დაანგრიეს 1269 წ. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით (იხ. მისი „მიმოსვლა"), თაბორზე მონასტერი ქართველებსაც აუშენებიათ. ამჟამად თაბორს ამშვენებს ორი მონასტერი — ბერძნული და ლათინური და ორივე თელის, რომ დგას უფლის ფერისცვალების ადგილას.

თაბორი — სოფელი ცაგერის რაიონში, მდ. ლაჯანურის მარცხ. მხარეს, ცაგერიდან 18 კმ. სოფელში დგას ფეოდალური ხანის მოხატული ეკლესია, მის ნანგრევებ[illegible] ლი კალიპოსის მონასტერ[illegible], (იხ.) გადაწერილი (1060 წ.) ძირფასი სახარება, რომელიც ამჟამად ქუთაისშია დაცული, (ქუთ. 76; ლ. მენაბდე, კერები, II, 1980).

თაბორი — ქ. თბილისის ძველ უბანში, თაბორის ქედის ბოლოს ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე, რომლის შიგნით იდგა ეკლესია და სხვა ნაგებობები. ხსარსთა ლაშქარმა ჯერ შაჰ-აბას I-ის დროს, ხოლო შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობისას დაანგრია იგი (თბილისის ისტორია, შ. მესხიას რედაქტორობით, თბ., 1958).

თაბორი — ქართლის კათოლიკოსი, მთავარეპისკოპოსი (629-634 წწ.); ადარნასეს ერისმთავრობაში ბაბილას შემდეგ კათოლიკოსად თაბორი დაჯდა. მისი კათოლიკოსობის დროს ქართლში მოეფინა მურვან ყრუ. წროპის ტაძრის ქეის წარწერაში (იპოვა თ. ჟორდანიამ) მოხსენიებული „მამაჲ თაბორი", თ. ჟორდანას აზრით, სწორედ კათოლიკოსი თაბორი უნდა იყოს, რომელიც სტეფანოზის დროს ცხოვრობდა (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 68-70).

თადეოზ მნათე — მოიხსენიება მე-13 საუკუნის გრიგოლ სურამელის მსახურთუხუცესის მიერ გაცემულ სიგელში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 127).

თადეოზ მოციქული — ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, ეროვნებით ებრაელი, დაი[illegible]ოანეში იოანე ნათლისმცემელის [illegible] ძაცხოვრის ხილვის

შემდგომ გახდა მისი მოწაფე. ქრისტეს აღდგომის მერე დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება სირიასა და მესოპოტამიაში. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა ედესაში და იქ დაარსა ეკლესია. თადეოზ მოციქული ქრისტიანობას სხვა ქალაქებშიც ქადაგებდა. მაღწია ფინიკიამდე, ბეირუთში დაარსა ეკლესია და იქვე გარდაიცვალა 44 წლის ასაკში. მისი „ცხოვრება“ თარგმნილია ქართულად XIII საუკუნის შუა წლებში, შეტანილია კუთ. 1, XVI ს., 496-502. ხსენების დღეა 21 აგვისტო.

თაჰასა – სოფელი თერჯოლის რაიონში მდ. ბუსის ნაპირას, თერჯოლიდან 18 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია – „სამება“.

თაჯდგმა (თაჯდგმულობა) – იხ. თაჟი.

თაჯდილის ძე – XII-XIII საუკ. ოქრომჭედელი. მას ეკუთვნის გაბრიელ მთაწმანგელოზის ხატის ჭედურობა. ხატი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თაჰედნი – (იხ.) აკროსტიქი.

თაჟი – ასე ეწოდება წიგნის დასაწყის ნაწილს, აგრეთვე თხზულების დასაწყისსაც. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დასტურდება X ს. ხელნაწერში (S 407). „თაჟი“ ეწოდება აგრეთვე ერთი თხზულების სხვადასხვა ნაწილს, რომლებიც ერთმანეთისაგან აზრობრივად დაცილებულნი არიან. ხელნაწერის შედგენას თაჟების მიხედვით ეწოდებოდა „თაჟდგმა“. ეს ტერმინი გვხვდება XII-XIII სს-ში გადაწერილ ხელნაწერში (Jer. 44). ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელშიც მოცემული იყო მასში შემავალ თაჟთა თანმიმდევრობის სია, ეწოდებოდა „თაჟდგმულობა“. ტერმინი გვხვდება 1799 წლის ხელნაწერში, „სამოხის ყავილი“ A 244. „თაჟდგმულობის“ ტოლფასი და უფრო გავრცელებული ტერმინი იყო ბერძნული „ზანდუკი“ (იხ.).

თავისკვეთა იოანე ნათლისმცემელისა – დიდი საეკლესიო დღესწაული. იოანე ნათლისმცემელის მოწაფეებრივ სიკვდილზე ქრისტეს დაბადებიდან 32-ე წელს მოგვითხრობს მათეს (14,1-12) და მარკოზის (6,14-29) სახარება. ქრისტეს მონათლის შემდგომ იოანე ნათლისმცემელი პერიდემ საპყრობილეში გამოამწყვდია, რადგან მოციქული საჯაროდ კიცხავდა მას პეროდიასთან (თაჟის ძმის ცოლთან) კავშირისათვის (ლუკა 3, 19, 20). თაჟის დაბადების დღეს პეროდემ დიდი ლიტონი გამართა, რომელზედაც [illegible] მეა აცეკვადა. პეროდეს მოეწონა იგი და ყველა სურვილის აღსრულება აღუთქვა. პეროდიას რჩევით სალომემ პეროდეს იოანე ნათლისმცემელის მოკვეთილი თაჟის ლანგრით მორთმევა სთხოვა. პეროდე შეწუხდა, რადგან, ჯერ ერთი, ღვთის რისხვისა ეშინოდა და მეორეც – უყვარდა სალხს, რომელიც ეთაყვანებოდა მოციქულს, მაგრამ აღთქმული სიტყვა უკან ვეღარ წაიღო და ბრძანა ლანგრით მოეტანათ მისთვის იოანეს მოკვეთილი თაჟი. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მოკვეთილმა თაჟმა პეროდეს კვლავ ის სიტყვები გაუმეორა, რომ უნდა მიენებებია ძმის ცოლთან კავშირისა. სალომემ იოანე ნათლისმცემელის მოკვეთილი თაჟი დედას მიართვა, გამძვინვარებულმა პეროდიამ ნემსით დაჩხვლიტა იოანეს ენა, მისი წმინდა თაჟი კი უწმინდურ ადგილას დაყარა. პეროდეს სახლის მმართველის ცოლმა, კეთილშობილმა იოანამ წმინდა თაჟი თიხის ჭურჭელში მოათავსა და ელეონის მთაზე დასაფლა, სადაც პეროდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა. იოანეს წმინდა სხეული კი მისმა მოწაფეებმა იმ ადგილას დაფლეს, სადაც მოხდა ეს ბოროტმოქმედება. იოანე ნათლისმცემელის თაჟის კვეთასთან დაკავშირებით ეკლესიამ დაადგინა ღვესასწაული 29 აგვისტოს და მკაცრი მარხვა. თაჟის კვეთასთან დაკავშირებით დიწერა მრავალი „სიტყვა“ და მოსახსენებელი, რომელთაგან ქართულად არის თარგმნილი: 1. ანდრია კრიტელის (A 272, 1817 წ., 304-305). 2. იოანე ოქროპირის (Jer. 17, XII-XIII სს. 148-152); 3. თეოდორე სტუდიელის (Q 1347, 402-408); 4. მოსახსენებელი (კუთ. 1, XVI ს. 558-578).

„თავის პოვნა იოანე ნათლისმცემელისა“ – იოანე ნათლისმცემელის თაჟის კვეთის შემდეგ მისი სხეული იოანეს მოწაფეებმა დამარხეს სამარიის ქალაქ სებასტიაში, სადაც მოხდა ეს ბოროტმოქმედება, ხოლო წმინდა თაჟი პეროდეს სახლის მმართველის ცოლმა, კეთილშობილმა იოანამ (ლუკა 8,3) ფარულად დაფლა ელეონის მთაზე თიხის ჭურჭელით. ამ ადგილას პეროდეს ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ნაკვეთი გადაეცა ერთი დიდებულის, სახელად ინოკენტის ხელში, რომელმაც აქ გადაწყვიტა ეკლესიის აშენება. საძირკვლის გათხრისას გამოჩნდა თიხის ჭურჭელი წმინდა თაჟით. ინოკენტიმ იცნო წმინდა თაჟი. ასეთი იყო თაჟის პოვნა პირველად. ინოკენტი ამ სიწმინდეს თავისთან [illegible] სიკვდილის წინ მას ეუბნება, რომ [illegible] ეს სიწმინდე და იგი [illegible] იმ ადგილას დაფლა.

ინოკენტის სიკვდილის შემდეგ ეკლესია გაპარტახდა და დაინგრა. კონსტანტინე დიდის მეფობაში, როდესაც ქრისტიანობა ყვაოდა, იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა ორ მონაზონს და აუწყა ადგილი, სადაც დაფლული იყო მისი თავი. მონაზვნებმა იპოვეს თავი, ჩადეს იგი აქლემის ბეწვის ტომარაში და გაუდგნენ გზას სახლისაკენ. გზაზე ბერებს შემოხვდათ უცნობი მექოთნე და ეს ტომარა მას მისცეს წამოსაღებად. მექოთნემ არ იცოდა რა იყო ტომარაში. მას გამოეცხადა იოანე ნათლისმცემელი და უბრძანა თავის ტკივილად გაქცეულიყო ბერებისაგან. მექოთნე ასეც მოიქცა, წმინდა თავი სახლში წაიღო და დიდი პატივით ინახავდა. სიკვდილის წინ მან იოანე ნათლისმცემელის თავი წყლის ჭურჭელში მოათავსა და თავის დას გადასცა შესანახად. ამის შემდეგ ეს სიწმინდე სულ ქრისტიანთა ხელში იყო, ვიდრე ხელთ არ ჩაუვარდა ერეტიკოს მღვდელს ევსტათის, რომელიც არიანული წვალების მიმდევარი აღმოჩნდა. ამ სიწმინდის წყალობით იგი ბევრ სასწაულს ახდენდა და ყველაფერს არიანული ერესის ძლევამოსილებას მიაწერდა. როცა მისი მცრუხელობა გაცხადდა, იგი იძულებული იყო გაქცეულიყო ამ ადგილიდან. სიწმინდე ევსტათიმ ეშესის ახლო მდებარე გამოქვაბულში დაფლა იმ ვარაუდით, რომ შემდეგ კვლავ გამოიყენებდა ერესის გასავრცელებლად, მაგრამ ღმერთის შეწევობით ეს აღარ მოხდა. გამოქვაბულში დასახლდნენ ქრისტიანი მონაზვნები, შემდეგ კი ამ ადგილას აშენდა მონასტერი. 452 წელს ამ მონასტრის არქიმანდრიტს მარკელიოსს იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და აუწყა ის ადგილი, სადაც დაფლული იყო მისი თავი. ეკლესია ამას თაეის მეორედ პოვნას უწოდებს. სიწმინდე გადაიტანეს ემესაში, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში. იოანე ნათლისმცემელის თაეის პოვნას მიეძღვნა არაერთი „შესხმა“, რომელთაგან ქართულად თარგმნილია თეოდორე სტუდიელის „შესხმა“ (ქუთ. I, XVI ს.) და უცნობი ავტორის „ყოვლადსამღვდელოჲ და საკრველი წინამორბედი ქრისტესი მოვიდა ჩუენდა იოანნე“ (ქუთ. I, 174-178).

„თაქვი და დასასრულნი“ – „საკითხავ-სახარებანი მარტეელიის შემდგომით შაბათითგან, რომელ არს წმიდათა კვირიაკის შემდგომად“, 33 კვირის განმავლობაში წასაკითხავი სახარება და სამოციქულო შაბათ-კვირადღეებზე. მითითებულია ეპისტოლე და დასაწყისი, სახარება და დასაწყისი.

თაეფეჩაგ კათოლიკოსი – საქართველოს კათოლიკოსი VI ს. I ნახევარში, რომელიც ფარსმან მეფის დროს სამოელის შემდეგ დაჯდა საკათოლიკოსო ტახტზე. „და მოკუდა კათალიკოსი სამოელ და დაჯდა კათალიკოსად თაეფეჩაგ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 206) „და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან და კათალიკოზი იყო თაეფეჩაგ“ (ძეგლები, I, გე. 94).

თათა (თადეოზ) სტეფანწმიდელი – ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე. ქართლში იგი იოანე ზედაზნელთან ერთად მოვიდა ანტიოქიიდან VI საუკუნის შუა წლებში. თათა // თადეოზი ერთხანს ცხოვრობდა თაეისსაეე აშენებულ მონასტერში (ზედაზნის მთის ძირას): „ერთმან მოწაფეთაგანმან, სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი“ (ძეგლები, I, გე. 217). შემდეგ წლეეის მთაში, ახლანდელი კასპის მახლობლად, დააარსა სტეფანწმიდის მონასტერი, დასაფლაეებულია იქვე. თადეოზ სტეფანწმიდელს მიაწერენ აგრეთვე ურბნისის წმ. სტეფანეს ეკლესიის აშენებას.

თალალე მოწამე – ეწამა კილიკიაში ნუმერიანოსის მმართველობის წლებში (283-284 წწ.) დაწყებული ქრისტიანთა დევნის დროს. 18 წლის თალალე მტკიცედ იცავდა ქრისტიანულ რწმენას, რისთვისაც იგი აწამეს. მისი „წამების“ ქართული თარგმანი ძველ ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავს (Ath. 8, X, 307r-312r; Sin. 11, X, 232r-239r (თავნაკლ.); ბოდე. I, XI, 118v-124r. ხელნაწერები თზულების ავტორად ვინმე მანიგოსს ასახელებენ. თალალეს ხსენების დღედ 20 მაისია დასახელებული.

თალალე (თალელე) კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი (720-731). „ხოლო კათოლიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართი იყვნეს: თაეფეჩაგ, ეკლალე, თალელე“ (ძეგლები, I, 97).

თალასე მონაზონი – ლიბიის სავანის მამასახლისი († 660), მაქსიმე აღმსარებელის თანამედროვე და მისი თანამოღვაწე; დიდხანს პჰონდა მასთან მიმოწერა. თაეისი თეოლოგიური და ასკეტიკური შეხედულებები მან ჩამოაყალიბა ნაშრომში: „თქუმული სიუარულისა და სულიერი ცხოვრებისათჳს“, რომელიც 400 მცირე სტატიისაგან შედგება. თხზულება ბერძნულ დედანში აკროსტიქისია, რაც ქართველ მთარგმნელს მხოლოდ შინაარსობრივად გადმოუცია. ამ თხზულებაში დამუშავებულია დოგმატური საკითხებიც. იოანე დამასკელი თაეისი თეოლოგიური შრომების დაწერის დროს თალასე მონაზონის თხზულებებს ეყრდნობოდა. თა-

ლასე მონაზონი ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. თალასეს თხზულების ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერს შემოუნახავს (A 55, XI-XII, 394v-403v; A 66 (1710 წ., 175r-194v, Ath. 49, XI, 74r-80v. თხზულების მთარგმნელი შეიძლება გიორგი მთაწმიდელი იყოს.

თალმუდი – ებრაული კომპილაცია ზეპირი მოძღვრებისა, რომელიც ბიბლიაზეა დართული და შედგენს იუდეისტური რელიგიის საფუძველს. ძეგლი შეიქმნა ძ. წ. IV ს. იგი წარმოადგენს იუდაიზმის დოგმატურ-რელიგიური, ეთიკური და სამართლებრივი კანონმდებლობის კრებულს. საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად, თალმუდი წარმოადგენს ებრაელთა შორის ყველაზე გავრცელებულ და მნიშვნელოვან მოძღვრებას სულიერი ცხოვრების შესახებ. თალმუდი ხაზს უსვამს იუდაიზმის მიერ მონოთეიზმის აღიარებას და ღმერთის ტრანსცენდენტურ (შემეცნებისათვის მიუწვდომელ) ხასიათს. მასში დაწერილებით არის განხილული მესიანიზმი, ესქატოლოგია, კოსმოგონია და კოსმოლოგია. თალმუდის შესწავლას, გარდა საკურიო რელიგიათმცოდნეობისა, მნიშვნელობა აქვს კერძოდ ქრისტიანობისა და ისლამის გენეზისისა და ისტორიისათვის. არსებობს თალმუდის ორი რედაქცია: ე. წ. „იერუსალიმური“ და „ბაბილონური“. თანამედროვე ისრაელში უპირატესობა თალმუდის პალესტინურ, ანუ იერუსალიმურ რედაქციას ენიჭება.

თამარ მეფე (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან, მეფე გიორგი III-ის ასული. თამარის გამეფებისთანავე დაიწყო ფეოდალურმა არისტოკრატიამ ბრძოლა დაკარგული პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. მეფეს მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა. მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით შეიქმნა ყუელუ-არსლანის (მეჭურჭლეთუხუცესის) დასი. 1185 წელს თამარ მეფეს ფეოდალთა ერთი ჯგუფის მოთხოვნით, მისი სურვილის წინააღმდეგ, შერთეს ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური. მალე თამარი განქორწინდა და იური საქართველოდან განდევნეს. თამარმა თანდათანობით განმიტკიცა პოზიციები და მალე თანამდებობებზე თავისი მომხრეები დანიშნა. თამარმა 1189 წელს იქორწინა დავით სოსლანზე, რომლისგანაც შეეძინა ლაშა და რუსუდანი. თამარის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალებმა 1191 წელს აჯანყება მოაწყეს და ბიზანტიაში მყოფი იური ბოგოლიუბსი საქართველოში დააბრუნეს. მოლაპარაკებამ შედეგი რომ არ გამოიღო, თამარმა მათ წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა და დაამარცხა აჯანყებულები. მეფემ ჩაახშო მთიელთა აჯანყებაც. თამარის მეფობის პირველ ათწლიოდში დაძაბული შინაპოლიტიკური ბრძოლა წარმოებდა. XII საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველომ შეუტია სელჩუკებს. 1195 წელს შამქორთან ქართველთა ლაშქარმა გაიმარჯვა აზერბაიჯანის სპასპაქარსა და მის მომხრეებზე. 1203 წელს ქართველებმა დაამარცხეს რუმის სულთნის, რუქნადინის ლაშქარი ბასიანთან. 1202-1203 წწ. აიღეს ანისი, დვინი, 1204 წ. – კარი (ყარსი), 1204 წ. შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელიც შემდეგ საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1208-09 წ. ქართველებმა გაილაშქრეს ხლათზე, არჭეშზე, არდებილზე. 1210 წელს დაალაშქრეს ირანის ჩრდილოეთი. თამარის ემდანფიცი ქვეყნები იყო: აღმოსაელეთით – შირვანი და რანი, ჩრდილოეთით – ქაშანთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ლუნდეთი, ლეკეთი და დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები კი: ხლათის სასულთნო, ერზინკის სასულთნო, კარნუკალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევანის საამირო. XII ს. დასასრულსა და XIIIს. დასაწყისში საქართველომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული ძლიერების ზენიტს მიაღწია. ამ დროს საქართველოში ჩატარდა დიდი მნიშვნელობის სამშენებლო სამუშაოები (აშენდა გზები, ხიდები, სასახლეები, ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები). თამარის დროს აიგო: ბერთუბნის და ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკეთები სამონასტრო კომპლექსი და სხვ. თამარი მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებსა და ცენტრებს. ამ მოღვაწეობისათვის ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, ქართველი მეფეებიდან და მოღვაწეებიდან ყველაზე მეტი ლეგენდა და თქმულება თამარისადმია მიძღვნილი. ხსენების დღეა 1 მაისი.

თამარ მეფის I ისტორიკოსი – იხ. „ისტორიანი და აზმანი“.

თამარ მეფის II ისტორიკოსი – იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი.

თამუზი (დუმუზი – „ძე ჭეშმარიტი“) – ბაბილონური ღვთაება, ბერძნული ადონისის შესატყვისი. წარმოშობით იგი უკავშირდება მზის თაყვანისცემას; თამუზი იქცა ბუნების ყოველწლიური კვდომისა და განახლების (შემოდგომასა და გაზაფხულზე) ღვთაებრივ პერსონიფიკა-

ციად. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი საკულტო გოდებაა.

თანაარსი — 1. ერთი არსების მქონე; ეპითეტი წმ. სამებისა, რომლის თითოეული პირი (შამა, ძე, სულიწმიდა) განირჩევა „გვამებით“ (პირებით), მაგრამ ერთარსი ღმერთია.

2. საალდგომო სამღვდელო შაბდალი სამი სანთლითა და ჯვრით. იხმარება საალდგომო ღვთისმსახურებისას, აგრეთვე მთელ ბრწყინვალე შვიდეულში და პასექის წარგზავნის დღეს.

თანადაუსაბამო — წმ. სამების პირთა (შამა, ძე, სულიწმიდა) ერთიანობისა და დაუსაბამობის გამომხატველი ტერმინი. იხ. თანაარსი.

თანადაწესება — სასჯელის გარკვეული სახე: „შემწელთა თანა დაწესებაჲ ესე არს, ოდეს მონანული ოგი დგეს ეზოსა შინა ეკლესიის წინაშე სამეუფოთა ბჭეთა და ისმენდეს საკითხაჲთა და სახარებასა“ (მცირე სჯ.კანონი, 81,3, 143, 117v). „ჟამი სინანულისა“, საერთოდ, 4 ნაწილად იყოფა: 1. „შეტრებაჲ“; 2. „შემწელთა თანა დაწესებაჲ“; 3. „ქუედაგრღომით ედრებაჲ“; 4. „მორწყუნეთა თანა დგომაჲ“.

თანა დგომა — „მორწყუნეთა თანა დგომაჲ არს ვიდრე აღსრულებამდე ჟამისწირვისა დგომაჲ ეკლესიასა წინაშე“ (S 43, 118r) (იხ. თანადაწესება).

თანამოსაყდრე — მეფის ან კათალიკოსის ტახტზე (საყდარზე) სხვასთან ერთად მჯდომი, თანამმართველი.

თარგამოსი — ლეონტი მროველის მიხედვით, კაკასიის ხალხთა ეთნარქი, მამამთავარი, ძე თარშისა, ნოეს შვილიშვილი (იხ. ქართველთა ეთნარქები).

თარგუმი — განმარტების მნიშვნელობით იხმარებოდა არამეული თარგმანების, ან ძველი აღთქმის პერიფრაზირების დროს, როდესაც ებრაული ენა იუდეველთათვის უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი სამეტყველო ენა. თარგუმი არის შედეგი იმ ზეპირი განმარტებითი მასალის საჭიროებისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა, როგორც არაოფიციალური დამატება ბიბლიური საკითხავებისათვის სინაგოგაში ლიტურგიის დროს. თარგუმი ოფიციალურად იყო სანქცირებული ბაბილონსა და უფრო გვიან პალესტინაში. ყველაზე ცნობილი იყო ონქელოსის თარგუმი, დარული მოსეს ხუთწიგნეულზე და იონათანისა — ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებზე. ორივე იხმარებოდა ძვ. წ. III ს-ში. ძველი აღთქმის ყველა წიგნი ამგვარად იყო დამუშავებული, გარდა ეზრას, ნეემიას და დანიელის წიგნებისა.

თარხნიშვილი მიხეილ (1897-1958) — საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ქართველოლოგი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. იგი ძირითადად იკვლევდა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიურ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხებს. დაიბადა ახალციხეში. თავდაპირველად სწავლობდა ქ. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სკოლაში, 1917 წლიდან — გერმანიაში, შემდეგ — ავსტრიასა და იტალიაში. 1931 წ. ეკურთხა მღვდლად. 1935 წლიდან ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ — ბელგიასა და გერმანიაში. 1943 წ. საბოლოოდ დამკვიდრდა ქ. რომში. მან გამოაქვეყნა იტალიის წიგნსაცავებში დაცული ქართული მასალა. 1950 წ. გამოაქვეყნა ძველი ქართული ჟამისწირვები, 1954 წ. — „ქართველთა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი“, 1959 წ. — „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექციონარი“ და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლები, ერცელი გამოკვლევებითა და ლათინური თარგმანებით. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ავტოკეფალიის საკითხებს ეძღვნება მისი ნაშრომები: „ქრისტიანობა საქართველოში“, „წმინდა ნინოს ლეგენდა და ქართული ეროვნული შეგნების ისტორია“, „წმინდა ნინო ქართლის მომაქცეარი“, „საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის შექმნა და განვითარება“ და სხვ. 1955 წ. მან ი. ასფალეთან ერთად გადაამუშავა და გერმანულ ენაზე გამოსცა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი.

თაყაიშვილი ეძვითმე (1863-1953) — საქართველოს ეკლესიის წმინდანი, მეცნიერი-ფილოლოგი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918-21, 1945). 1883 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში წავიდა, სადაც 1887 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1887-1894 წწ-ში თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლობდა (ასწავლიდა ბერძნულ, ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას). 1894-1904 წლებში ის არის სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე. 90-იანი წლებიდან ენერგიულად ჩაება ბელს დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად ქართული სიძველეების შეგროვებისა და მოვლა-პატრონობის საქმეს; დააარსა საქართველოს საისტორიო

და საეთნოგრაფიო საზოგადოება (1907), აქტიური მონაწილე იყო აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა, იყო ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პირველი პროფესორი. 1921-1945 წლები გაატარა ემიგრაციაში (საფრანგეთი), სადაც მეშვეიცარი მთავრობის მიერ საქართველოდან 1921 წელს გატანილ განძეულობას პატრონობდა ძალზე მძიმე პირობებში. ე. თაყაიშვილი იყო პარიზის ნუმიზმატთა საზ.-ის (1922) და პარიზის საააზიო საზ-ის წევრი (1925). არც ემიგრაციაში ყოფნისას შეუწყვეტია მას ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, აქვეყნებდა გამოკვლევებს საქ. ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში, მონაწილეობდა სამეცნიერო ჟურნალებში („ბიზანტიონი", „გეორგიკა"). ისტორიულ და ფილოლოგიურ კვლევასთან ერთად ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით გათხარა ქრისტიანობის წინა ხანის სასაფლაო დებედის ხეობაში, სოფ. ეორნაჯში; დიდია მისი ღვაწლი ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში, ქართულ განძეულობას თავი მოუყარა და დაბაინაეა კავკასიის მუზეუმში, ჩაატარა არქეოლოგიური გაიხრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში; განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრ. საქართველოში, რომლის დროს გამოიკვლია ახალციხის, ახალქალაქის, არტანისა და ოლთისის ოლქების ძეგლები; შეისწავლა ხახულის, იშხანის, ოშკის, ექვქის და სხვა ტაძრები (1917 წ.). ე. თაყაიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურასა და მეცნიერებას თავისი ნაყოფიერი და თაედადებული მოღვაწეობით. დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას და მათ გამოცემას.

ე. თაყაიშვილის ინიციატივით საისტორიოსაეთნოგრაფიო საზოგადოება რეგულარულად აწყობდა ექსპედიციებს და ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც აგროვებდა ჩვენი წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, ისტორიულ დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, ხელნაწერებს და ეთნოგრაფიულ მასალას. ეს მასალები ქვეყნდებოდა საზოგადოების კრებულებში: „ძველი საქართველო" და „საქართველოს სიძველენი". ხელნაწერთა შეგროვება-კატალოგიზაციასთან ერთად ე. თაყაიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაციას. მის მიერ გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია: „სამი ისტორიული წიგნი", „ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ნუსხა", „ხელმწიფის კარის გარიგება" და სხვ. 1987 წელს საქართველოს ეკლესიამ ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა (ექვთიმე ღვთისკაცის სახელწოდებით).

„თაყუანისცემაჲ პატიოსნისაჲ ჯუარისაჲ" – დღესწაული 10, 11, 12 13 სექტემბერს – ჯვართამაღლების დღესწაულის (14.IX) მოსამზადებელ პერიოდში იხ

თბილისი (ძვ. ტფილისი) – საქართველოს დედაქალაქი, საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით, ძვ. წ. IV ათასწლეულში უკვე ყოფილა დაარსებული. ყველაზე ძველ დასახლება ადრეული ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, იგი მიკვლეულია დიდუბემი, ძველი ნასახლარები და სამაროვნები მტკვრის მარცხენ მხარესაც აღმოჩნდა. IV ს-ის დასასრულს მეფ ვარაზ-ბაკურის დროს აიგო ციხე. თბილისი ა დროისათვის სპარსეთის პიტიახშის რეზიდენ ცია წარმოადგენდა. V საუკუნის შუა წლებშ ის კლავ ქართლის მეფეთა ხელშია. ვახტან გორგასალმა ააშენა და აღადგინა ქალაქი, ამ ტომ ითიწინეს იგი თბილისის ამშენებლად დ დამაარსებლად. ლეგენდის თანახმად, თბილისი მიდამოები ტყით ყოფილა დაფარული, რომელ შიც ქართველთა მეფეს ვახტანგ გორგასალ შველი დაუჭრია, რომელიც ცხელ წყალში გა ბანილა და განკურნებული მონადირებს გაც ეია. არის ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტი, მ გრამ ყველგან ფიგურირებს ცხელი წყალი დ მისი სამკურნალო თვისებები. ვახტანგს წყლი ამ თვისებების გამო ტყე გაუკაფავს ამ ადგილ ას და ქალაქი გაუშენებია, სახელად კი მინერ ალური თბილი წყლების გამო ტფილისი (ან თბილი) უწოდებიათ. ვახტანგ გორგასლის მემკვ დრემ დაჩი I-მა უკარმაში (VI ს. დასაწყისი დაამთავრა ქალაქის ზღუდე-გალავნის აგება დ მამის ანდერძის თანახმად სატახტო ქალაქ მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. ქალაქ უძველესი მოსახლეობა გაჩნდა გოგირდოვან წყაროების უბანში (ახლ. გორგასლის მოედნ მომიჯნავე ტერიტორია). სამხრ.-აღმოსაელეთი ქალაქი იფარგლებოდა ყოფილი ორთაჭალ ბაღით (ახლ. სამასი არაგველის სახელობ პარკი), ჩრდ.-აღმ-ით – მტკვრით, სამხრ.-დას ით – თაბორის ქედით, ჩრდ.-დას.-ით კი – წავკის წყლით. IV საუკუნეში წარმოიშვა მეორე უბან

და თბილისისა და კალას ფარგლებს გარეთ, მტკვრის დინების აღმ. VI საუკუნეში თბილისი უკვე სახელმწიფო ცენტრია. საუკუნის ბოლოს იწყება თბილისისათვის განწყვეტელი ბრძოლა. იგი ხან სპარსეთის ხელშია, ხან — არაბი ხალიფასი; ბეჟრჯერ დაარბიეს (IX ს-ში — ბუღა თურქმა); 1054 წელს თბილისის ხელისუფლება ქალაქის წარჩინებულთა — უხუცესთა საბჭოს „თბილელი ბერების“ ხელში გადავიდა. ამას მოაყოლა თურქ-სელჩუკთა, ალფარსლანის ლაშქრობა. შემდეგ ისევ უხუცესთა საბჭო მართავდა ქალაქს, ვიდრე ბოლოს, 1122 წელს თბილისი უცხოელთა ბატონობისაგან არ გაათავისუფლა დავით IV აღმაშენებელმა. XII-XIII სს-ში თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქია, გაიზარდა მოსახლეობა და თვით ქალაქი. მასში შედიოდა ქაშვეთის ეკლესია და ლურჯი მონასტერი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარეუბანი იყო დიდუბე. სამეფო სასახლე იყო ისნის ციხეში. თბილისი 1226 წელს ჯალალედინის სარდლობით დალაშქრეს ხვარაზმელებმა და აოხრეს ქალაქი, მაგრამ სახელმწიფოებრიობა არ მოშლილა. თემურლენგის სახით ახალი უბედურება გამოჩნდა; მან საქართველოში რვაჯერ ილაშქრა და ორჯერ დაარბია თბილისი. XV საუკუნეში საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად დაიშალა (1490 წ.). თბილისი ამ დროს მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრია. XVI საუ.-ში იგი სპარსელების ხელშია. XVII ს-ში როსტომ მეფის დროს კვლავ აღორძინდა: გამოცოცხლდა ეკონომიკა და კულტურული ცხოვრება, 1700 წ. დაარსდა სტამბა, რომელშიც პირველად დაიბეჭდა „სახარება“ და „ვეფხისტყაოსანი“. შემდეგ მოხდა კრწანისის ბრძოლა (1795 წ.). რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი საქართველოს გუბერნიის ცენტრი გახდა. ფეოდალურ ეპოქაში გაერთიანებული საქართველოს სამეფო დედაქალაქი თბილისი დიდი და მაღალი ციხე-კოშკებით იყო დაცული. ქალაქი 4 ნაწილისაგან შედგებოდა: 1. სეღღახადი, ანუ „საკურთხე ტფილისი“ — ქალაქის მინერალური წყლების რაიონი. 2. კალა — ქალაქის უმთავრესი ნაწილი, 6 კარიანი ციხე, გალავნით შემოფარგლული. 3. ისანი (აქლაბარი) — მეტეხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასახლება. 4. გარეუბანი — სოლოლაკი. მთავარი ეკლესიები მდინარის პირას იყო აშენებული. გარეუბნების ხუროთმოძღვრული ძეგლებია მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები, ხოლო XIX ს-ში მათ ემატება რუსული მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები. გარეუბნის ქართული ეკლესიები შემდეგია: კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, სამების, მთაწმინდის ეკლესიები. ამ უბნის სომხური ეკლესიებია: ეკაჭის, ქაშათანი, თეფენების, ზარკანი. კალოუბნის ეკლესია ახლანდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილზე იდგა. პირველწყაროებში იგი გვხვდება 1560 წ. შედგენილ სიგელში, რომლის თანახმად ეკლესია ყოფილა მთავარმოწამე გიორგისი, უგმბათო, პატარა გუმბათიანი სამრეკლო ზარებით. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია შეტანილია ვახუშტის გეგმაში. წერილობით წყაროებში პირველად 1440 წლის სიგელში გვხდება: „მოგეცით ქაშოეთსა მკუდრო საყდრის მიწა საეკლესიო და აშენე ასრე და ამა პირსა“. ქაშვეთის ამენების ლეგენდა უკავშირდება ერთ-ერთ 13 სირიელ მამათა სახელს; პლატონ იოსელიანი XIX ს-მდე მოღწეული ეკლესიის აგებას გიეი ამილახვარს მიაწერს და თარიღად 1754 წელს დებს. კარიჭაშვილის კატალოგით კი 1754 წლით თარიღდება. ახლანდელი ძეგლი ალბ ამილახვრების თაოსნობით 1910 წელს. გარეუბანში მთაწმინდაზე დგას წმ. დავითის ეკლესია. ლეგენდის თანახმად დავით გარეჯელი სირიიდან მოსულისას აქედან ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. XIX ს-მდე მოღწეული ეკლესიის აგებას XVI საუკუნეს მიაწერენ (ის აუგიათ 1542 წელს მონაზვნად აღკეცილ დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებს). ეკლესიას თავდაპირველი სახით ალარ მოუღწევია. ახლანდელი ეკლესია XIX ს. ეკუთვნის. სამების ეკლესია (საჯარო ბიბლიოთეკასთან) 1790 წელს აუგია პეტრე ალნიაშვილს, „ყარაულად“ წოდებულს. 1853 წ. მას მიაშენეს სამრეკლო.

მტკვრის მარჯვენა დაბალ ნაპირზე დგას სიონის ღვთისმშობელის მიძინების ჯვარ-გუმბათიანი სააბტრიარქო ტაძარი. ისტორიული ცნობების თანახმად, ქართლის ერისმთავრებს VII საუკ. I ნახევარში დაუწყიათ საეპისკოპოსო კათედრის მშენებლობა. ტაძარი ბევრჯერ დაანგრიეს. თბილელ ეპისკოპოსს ელიზე საგინაშვილს 1657 წელს ხელმეორედ აუშენებია იგი. სიონის ტაძარი ძალზე დაზიანდა 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს. XIX ს-ის დამდეგს ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს; იგი ხელახლა მოიხატა რუსი მხატვრის, გ. გაგარინის ესკიზების მიხედვით. 1982-85 წწ. ტაძრის ნაწილი მოხატა ლ. ცუცქირიძემ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზეეე, ოდნავ დაბალა

დგას ანჩისხატის VI საუკუნის ეკლესია. ეკლესიის ძველი სახელი არ შემონახულა. ანჩისხატი მას ეწოდა XVII საუკუნეში, როდესაც აქ ანჩის მონასტრიდან ბეჭა ოპიზარის (XIII ს.) მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხატი გადმოასვენეს (ამჟამად ხატი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). ეკლესიის შენების ისტორია უცნობია XVII საუ-მდე. 1675 წელს დომენტი კათოლიკოსმა აღადგინა ის და ააგო აგურის ორსართულიანი სამრეკლო. მოხატეს 1683 წელს ნიკოლოზ კათოლიკოსის თაოსნობით. ერეკლე II-ის მეუობაში ანჩისხატთან დარსდა აკადემია. ალა-მაშმად ხანის შემოსევის დროს ეკლესია დაზიანდა. XIX ს-ის დამდეგს აღადგინეს და 1814 წელს ხელმეორედ მოხატეს.

ვანქის ეკლესიის (ხშირად ფაშა-ვანქსაც – ფაშას მონასტერს უწოდებენ) აგების ზუსტი თარიღი უცნობია. ზოგი მეცნიერი მას XIV-XV სს-ისად მიიჩნევს, ზოგი – XVI ს-ისად. ამჟამად ეკლესიიდან შემორჩენილია გეიანი ხანის – XIX ს-ის სამრეკლო.

თბილისის ეერის უბნის ხუროთმოძღვრული ძეგლია „ლურჯი მონასტერი". იგი აუგიათ წმ. ანდრია მოციქულის სახელზე; რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და გუმბათის ლურჯად მოპირკეთების გამო „ლურჯი მონასტერი" შეურქმევიათ. 1872 წელს არქიტექტორ ჩიჟოვის პროექტით ეკლესიას გუმბათი დაადგეს. აქვე მდგარა ერთი ეკლესია, რომლის ნანგრევებს მოუღწევია XIX ს-ის 70-იან წლებამდე. 1877 წ. ჟურნ. „დროებაში" ამ ეკლესიის შესახებ ასეთი ცნობა იყო: „აშენდა ესე წმ. ესტატის ეკლესია საქართველოს დედოფლის – თამარის ბრძანებით" (წარწერა დღეს დაკარგულია). პლატონ იოსელიანი ფიქრობდა, რომ იგი აგებული იყო „ლურჯი მონასტრის მრეველისათვის". სეიდ-ბაბის უბანში (ხარფუხი) მდებარეობს წმ. ნიკოლოზის ეკლესია 1853 წლისა. აღმ. კედლის ფასადზე არის რუსული და ქართული წარწერები.

მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მასათას (მეზობა) მთაზე იდგა წმინდა ილიას (ელიას) საყდარი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე: მთაწმინდა, უძოს მთა, სადაც წმ. გიორგის ეკლესიაა. სამხრეთით მდებარეობს თაბორის მთა, სოლოლაკის ქედის პარალელურად. წმინდა მთის, თაბორის სახელი ქართულ მიკროტოპონიმიკაში ისევე, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სახელები – ბეთლემი, სიონი – ქრისტიანობამ შემოიტანა.

ნაეთლუღში არის წმ. ბარბარეს ორი ეკლესია: ახალი და ძველი. 1774 წლის ძველი ეკლესია ქვითკირითაა ნაგები, ახლანდელი სახე XIX საუკუნეში მიეცა. მეორე ეკლესია – XIX ს-ის მეორე ნახევარშია აგებული აგურით.

ჩუღურეთში არის სამი ეკლესია: კვირაცხოველის, წმ. ნიკოლოზისა და წმ. ნინოსი. ამათგან ყველაზე ადრეულია „კვირაცხოველის" ეკლესია, რომელიც მდებარეობს ჩუღურეთის ჩრდ.-აღმ.-ით, დიდხევის მარცხენა ნაპირზე. წმ. ნიკოლოზის ეკლესია XVII-XVIII სს-ის სამნავიანი გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი აშენა მამა პეტრე ინაძემ, იგი არის ფაქტობრივად მისი განმასხლებელი. 1856 წელს მანვე ააგო ახალი ეკლესია. კუკიაზე 6 ეკლესიაა; უმეტესობა XIX საუკუნისაა. ისინი ეკუთვნოდნენ როგორც მართლმადიდებლებს, ისე კათოლიკეებს და სომეხ-გრიგორიანებს. ქალაქის რეკონსტრუქციის დროს ზოგი მათგანი აიღეს. ვახუშტის რუკაზე დატანილია კუკიის უგუმბათო ეკლესია. ვის ეკუთვნოდა იგი, არაა ცნობილი, ფიქრობენ, რომ ის ქართველებისა უნდა ყოფილიყო. საქართველოში ჩამოსულ სომხებს თან მოჰქონდათ თაეიანთი სარწმუნოება და სადაც დასახლდებოდნენ, იქ აგებდნენ საკუთარ ეკლესიებს. ზოგჯერ ქართველების მიერ მიტოვებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს ესახლდნენ და აქცევდნენ გრიგორიანულად. ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1856 წელს.

კუკიაზე იდგა და ახლაც დგას ორი ეკლესია. 1856 წელს ეგზარხოსმა ისიდორემ ააგო ახალი ეკლესია. მეორე ეკლესია უფრო გვიანდელია. იგი მდებარეობს კუკიის სასაფლაოზე. 1855 წელს კათოლიკეებმა ნიკოლოზის ჭუჩაზე (ახლანდელი ივ. ჯავახიშვილის ჭუჩა) ააშენეს კათოლიკური ეკლესია. ახლანდელი მარჯანიშვილის მოედნის მახლობლად იდგა ლუთერან-გერმანელთა ეკლესია (გერმანულად „კირხე" აქედან მიიღო უბანმა სახელწოდება. „კიროჩნი", რომელიც ქალაქის რუსულ მოსახლეობაში იყო გაურცელებული). იგი აიღეს 1946-47 წწ. მოედნის რეკონსტრუქციისას.

დიდუბის ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის სახელზე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გვაწვდის ცნობას ეკლესიის შესახებ თამარისა და დავით სოსლანის ქორწინებასთან დაკავშირებით (სასახლე იხსენიება, იქნებოდა ალბათ კარის ეკლესიაც, სადაც დაქორწინდნენ ისინი, რადგან მეფის სასახლე არ არსებობდა კარის ეკლესიის გარეშე). ისე რომ, დიდუბის ეკლესია უნდა იყოს აშენებული XII ს-მდე (იმ ეკლესიის ნაშთები გამოვლენილი იქნა ახლანდელი ეკ-

ლესიის საძირკველში, ტაძრის რესტავრაციის დროს, 70-იან წლებში). ახლანდელი ეკლესია 1884 წლით თარიღდება.

2004 წელს ელიას მთაზე დამთავრდა სამების გრანდიოზული საეკლესიო კომპლექსის შენებლობა. საერთოდ, თბილისში ბოლო წლებში მრავალი ეკლესია აშენდა.

„თბილელი ბერები“ – თბილისის უხუცესნი, შუა საუკუნეებში საქალაქო მმართველობის წარმომადგენლნი. „ტფილელნი ბერნი“ და „ქალაქის ბერნი“ იხსენიებიან „მატიანე ქართლისაში“ XI ს. 40-იანი წწ. მოელენებთან დაკავშირებით. სავარაუდოა, რომ თბილელი ბერების ინსტიტუტი თბილისის საამიროში გაჩნდა არაბთა ბატონობის დროს. მის წევრებს ირჩევდნენ ზედაფენიდან. მათი ფუნქცია ამირას კარზე სწორედ მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესების დაცვა იყო. ამდენად, მათი ხელისუფლება ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენდა. ამირათა ხელისუფლების დასუსტების პერიოდში თბილელი ბერები თბილისის სრულუფლებიანი გამგებლები გახდნენ. თბილისში არსებობდა ე. წ. კომუნა – „ქალაქის სამჭო“ (შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა სს. თბილისში, თბ., 1968; ე. გაბაშველი, თბილისის მმართველობა X-XI ს-ში, 1964; პ. რატიანი, „თბილელი ბერები“, 1989წ.).

თბილისის საეკლესიო მუზეუმი – დაარსდა 1888 წელს სიონის ტაძართან დიმიტრი ბაქრაძისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. მუზეუმის შექმნის მიზანი იყო ეკლესია-მონასტრებში შემონახულ ქართულ სიძველეთა და წერილობითი ძეგლების შეგროვება და დაცვა. აქ თავი მოიყარა მრავალმა უნიკალურმა ძეგლმა. 1921 წელს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, ხოლო 1930 წელს სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად საბოლოოდ თავი მოიყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. საეკლესიო მუზეუმის გამგე 1898 წლიდან იყო მოსე ჯანაშვილი. საეკლესიო მუზეუმების ქართულ ხელნაწერთა ფონდი დღეს ხელნ. ინსტიტუტში ინახება (A ფონდი).

თბილისის სემინარია – საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სასწავლებელი. გახსნა ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში „საეპისკოპოსოს სახლსა შინა“. მის პირველ რექტორად დაინიშნა ფილიპე ყაითმაზაშვილი. სემინარიაში ასწავლიდნენ „ჰაზაურთა და თავისუფალთა ცნობათა“. კერძოდ, აქ ისწავლებოდა გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოღიკა (ბაუმაისტერის), არისტოტელეს კატეგორიები, ბაუმაისტერის მეტაფიზიკა, ფიზიკა. სემინარიის მასწავლებელთა შორის იყო თვით ანტონ კათოლიკოსი. თბილისის სემინარიამ იარსება აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე (1795). ამ სასწავლებლის მიბაძვით ერეკლემ თელავში გახსნა სკოლა. ამ სკოლას წარმართავდა ნეკრესის ეპისკოპოსი დოსითეოზი. პირველი რექტორი აქაც, დოსითეოსის მოწმობით, ფ. ყაითმაზაშვილი იყო, რომელიც ერეკლე II-მ თბილისიდან თელავში გადაიყვანა.

თბილისის სასულიერო სემინარია – დაარსდა 1817 წელს; მდებარეობდა დღევანდელი ხელოვნების მუზეუმის შენობაში. შედგებოდა რიტორიკის ორი კლასისაგან, რომელსაც მერე დაემატა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასები. სემინარიაში ასწავლიდნენ: რუსულ ენასა და ლიტერატურას, მსოფლიო ისტორიას, ფილოსოფიას, რიტორიკას, მათემატიკას, ეკლესიის ისტორიას და სხვა. სწავლების ვადა 6 წელი იყო. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ მასწავლებლობა სამრევლო და საერო სკოლებში, თუ არ გააგრძელებდნენ სწავლას სასულიერო აკადემიასა და უნივერსიტეტში. აქ სწავლობდნენ თავის დროზე ისეთი ცნობილი და დამსახურებული მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, გაბრიელ ქიქოძე, თ. ფორდანია, ი. გოგებაშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვა. თბილისის სასულიერო სემინარიაში სუფევდა სასტიკი და აუტანელი რეჟიმი, რის გამოც საუკუნის დასასრულს იგი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ცენტრად იქცა; სემინარიელები აწყობდნენ საპროტესტო დემონსტრაციებს, მოითხოვდნენ გამეფებული რეჟიმის აღკვეთას, ქართული ენის სწავლების აღდგენას, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებას, მოუნისმენლი და დესპოტი მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლებას და სხვა. სემინარია დროებით დაიხურა და 67 სემინარისტი გაირიცხა. ბევრჯერ დაისვა საკითხი თბილისის სასულიერო სემინარიის ჩრდ. კავკასიაში გადატანის შესახებ, მაგრამ 1917 წლამდე (დახურვამდე) იგი თბილისში დარჩა.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია – დაარსდა 1988 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხეით, მცხეთის სასულიერო სემინარიის ბაზაზე.

თეატინელები – სამონაზონო ორდენი, რომის კათოლიკური ეკლესიის სამონაზონო კონგრეგაცია, დაარსდა რომში 1524 წ. მისი დაარსებლები იყვნენ კიეტის ეპისკოპოსი ჯამბატრო კარაფფა (პაპი პაველ IV) და წმ. კაეტან თიენელი. ორდენმა მიიღო აგუსტინური წესის მონაზონთა წესდება. მისი მიზანი იყო სამღვდელოების ზნეობრივი ამაღლება და ასკეტური აღზრდა. თეატინელები ქრძალავდნენ საკუთრებას, მისდევდნენ ცხოვრების მკაცრ, ასკეტურ წესს. გარეგნულად კი თეთრი სამღვდელოების პირთაგან მხოლოდ თაიანთი თეთრი წინდებით განსხვავდებოდნენ. თეატინელთა ორდენმა განსაკუთრებით მკვიდრად იტალიაში მოიკლა ფეხი, აქედან შეიჭრა ესპანეთსა და ცენტრალურ ევროპაში. 1583 წელს თეატინელთა ორდენის დედათა შტო დაარსდა, მაგრამ მას არასოდეს არ მიუღია ფართო გავრცელება. პაპი ურბან VIII-ის და სკულის პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით თეატინელები 1628 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში; ეს მისიონერები მოღვაწეობდნენ ქართლში (გორი), სამეგრელოსა და გურიაში და დიდად გათქვეს სახელი, როგორც მკურნალებმა. თეატინელთა ორდენის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ: პ. აციტბილე, ქ. კასტელი, ა. ლამბერტი, ა. ბარამეო, კ. გალანო და სხვ.

თეოდორე მღვდელი – საქართველოს ეკლესიის წმინდანი, იგივე თეოდორე კეკლუცელი, ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გმირი. 1609 წ. ოსმალთა და ყირიმელ თათართა ჯარი ქართლში შეიჭრა და მუფის ბანაკისკენ გზის გაკაფვას ცდილობდა. ოსმალებმა სოფ. კეკლუთის მღვდელი, თეოდორე შეიპყრეს და უბრძანეს მეგზურობა. თეოდორემ ოსმალები გზას აცდინა და შორს გაიტყუა ცხრეთის ციხიდან, სადაც მუფის ბანაკი იდგა. ოსმალები მღვდელს გეიან მიუხვდნენ განზრახვას და წამებით მოკლეს იგი. თეოდორეს თაყვანწირვამ იხსნა მრავალის სიცოცხლე და ლუარსაბ II-საც მისცა საშუალება, მომზადებული დახვედროდა მტერს („ლუარსაბ მუფის წამებაში" ეს პიროვნება სეიმონ ხუცესის სახელით იხსენიება – ძეგლები, V, გვ. 36). 1989 წელს საქართველოს ეკლესიამ თეოდორე წმინდანად შერაცხა.

თეოდორობა – წმ. თეოდორე ტირონის მოსახსენებელი დღესასწაული (დიდმარხვის პირველი კვირის შაბათზე).

თეოდოსი დიდი – ბიზანტიის იმპერატორი, წმინდანად შერაცხული (379-395). მან საბოლოოდ აღმოფხვრა წარმართობა; გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით წარმართი ღმერთების მსახურება ითვლებოდა ბორტმოქმედებად და ისჯებოდა კანონით; თეოდოსი დიდს ეკუთვნის მართლმადიდებლობის დასაცავი კანონები, წარმართობის წინააღმდეგ მიმართული. მის მიერ იქნა მოწვეული II მსოფ. საეკლ. კრება (381წ.).

თეოდოსი ურიაყოფილი – ქართველად უთარგმნიათ „ალარებაჲ თეოდოსისი, პურიათა მთავრისაჲ, რომელი აღწერა ფილიპე განცაცებისათჳს ღმრთისა ჩუენისა და ვითარ იქმნა იგი მღდელ". თხზულება შემონახულია X ს. ხელნაწერში – A 19, 161r-166v.

თეოდოტიოს – იხ. სუქიოსი.

თეთაი – XI ს. ოქრომჭედელი. მის მიერაა შესრულებული შემოქმედის მონასტრის ჯვრცხლის სამწერობლები. წარწერაში იკითხება: „ქელითა თეთაისაჲთა ოქრომჭედელისაჲთა შეიქმნეს". სამწერობლები. დაილუპა შემოქმედის მონასტრის გაძარცვის დროს. მათზე გამოსატული იყო ეკსპრომტიანი სერობინები, არცები შეესებული იყო ორნამენტებით და წარწერებით.

თეთიგოს (თეოტიმოს) – III-IV სს. საეკლესიო მწერალი, ავტორი „წამებაჲ წმიდისა მარინესი", რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 95, XI ს. 289r-300r; Sin. 62, XI ს., 83-94.

თეთრი გიორგობა – დიდი საეკლესიო სახალხო დღესასწაული აწყურწა და სხვა ადგილებში აგვისტოს (მარიამობის) 15 რიცხვში. (იხ. გერისთობა).

თეთრი სამღვდელოება – სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც სამრეველო ეკლესიაში მოღვაწეობს და რომელიც ქორწინებაში იმყოფება (შდრ. შავი სამღვდელოება).

თეთრი წყარო – რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში. ასევე ეწოდება ნასოფლარს რაიონული ცენტრიდან დასავლეთ მხარეს, ნადარბაზეის სამხრეთით 1,5 კილომეტრზე. სასახლის მახლობლად დგას კარგად დაცული ერთნავიანი XIV საუკუნის ეკლესია.

თეთრი წყლები – სოფელი თელავის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, თელავიდან 18 კმ. სოფელში დგას გუმბათიანი ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების ლაპიდარული წარწერებით.

თეკალი – სოფელი ქვემო სვანეთში (ლენტეხის რაიონში), მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ლენტეხიდან 15 კმ. სოფელში დგას X-XI საუკუნეების ეკლესია „ლეთაებისა". ეკ-

ლესია ნაშენია ქვისაგან და აგებულია მაცხოვრის სახელზე. არის მოხატულობა და ლაპიდარული წარწერა. იგი გამოირჩევა სვანეთის სხვა ეკლესიებისაგან, როგორც სიმაღლით, ისე მოხაზულობით.

თეკლა — გიორგი მთაწმიდელის და, რომელიც 7 წლის ასაკში წაიყვანეს სამცხის დედათა მონასტერში, „რომელსა ეწოდება ტაძრისა". ის მიაბარეს მონასტრის წინამძღვარს საბაას: „ხოლო მიეცა პირველად ნაყოფად ასული, რომელსაცა უწოდეს სახელი თეკლა და პატივსცეს სახელითა პირველმოწამისაჲთა, და ვითარცა იქმნა იგი შვიდის წლის, შეწირეს იგი ღმრთისა, ვითარცა აღეთქუა, და წარაყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების. და მისცეს იგი ქალთა წინამძღურასა მის მონასტრისასა, რომელსა საბაჲ ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თჳსი და კეთილად აღზარდა" (ძეგლები, II, გვ. 111). თეკლა ზრუნავდა თავისი პატარა ძმის — გიორგის აღზრდაზე, რომელიც თავიდან ტაძრისში მიიყვანეს.

თეკლა მონაზონი — დარეჯან იმერთა მეფის ასული, მოხსენებულია 1597 წლის ისტორიულ საბუთში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 433).

თეკლა პირველმოწამე — პაულე მცირეპულის სახელთან დაკავშირებულ ოთხ აპოკრიფში ერთ-ერთ მოქმედ პირად ჩანს თეკლა პირველმოწამე. ტრადიცია მის წარმოშობას უკავშირებს იმ ფაქტს, რომ „აქტებში" პაულე იკონიელი და თეკლა ერთადაა მოხსენიებული. ფიქრობენ, რომ ეს აქტები შეიცავენ ჭეშმარიტი ისტორიის ბირთვს, მაუხეშად იმისა, რომ მათში ძნელდება ლეგენდებისა და ფაქტების ერთმანეთისაგან გამოყოფა. თეკლას სახელზე დიდი ეკლესია აშენდა მარიამლიკში, სელევკიის ახლოს, თეკლას სავარაუდო საფლავის ადგილას. იგი დიდი თაყვანისცემის ობიექტი გახდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანობისათვის, თუმცა რომში თეკლა არასოდეს ყოფილა. ხსენების დღედ დასავლეთში მიღებულია 23 სექტემბერი, ხოლო აღმოსავლეთში — 24 სექტემბერი. „წამებაჲ წმიდისა თეკლაჲსი" ქართულ ენაზე სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი (H 341, XI ს. 167-197), Ath.17, XI, 115r-128r და სხვ.), (გამოც. ილ. აბულაძის მიერ, შრომები, I, გვ. 45-124. სომხურ ტექსტთან ერთად). ქართულად არსებობს აგრეთვე თეკლას წამების მეტაფრასული რედაქციის ორი თარგმანიც: 1. შესრულებული თეოფილეს მიერ (Ath. 20, 1081 წ., 74-83) და 2. უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ. 4,1565 წ., 261-273; Jer. 37, XIII-XIV სს., 1623; A 70, XIII ს., 396r-409r და სხვ.); გამოც. ნ. გოგუაძისა, „ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 404-417). თეკლას ხსენების დღე 24 სექტემბერია.

თეკლას მონასტერი — იერუსალიმის ქართული მონასტერი, რომელიც ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვარის წინამძღვარს — ქრისტეფორე ჴუცარის მამად ყოფნის ზუსტი წლების დადგენა, ვინაიდან სხვა ცნობა მის შესახებ არ გაგაჩნია. ე. მეტრეველი პირობითად მას XV საუკუნის მოღაწედ მიიჩნევს. მონასტერი დგას ქრისტეს საფლავის მახლობლად. წერილობით წყაროებში თეკლას მონასტრის დამოწმება XV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. იგი მოხსენიებულია იერუსალიმის ხელნაწერის (Jer. 161) მინაწერში, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნისა ჩანს. იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის ცნობით, XVII ს. დასაწყისში მონასტერი ქართველებმა იერუსალიმის პატრიარქს, თეოფანეს († 1646) დაუთმეს, ხოლო მონასტრის მეორე ნახევარი (სამხრეთი) კოპტებისგან შეიძინა პატრიარქმა კალისტემ, რომელმაც აღადგინა ეკლესია, ეზო და ბაღი. 1965 წ. მიკელეულ იქნა ასომთაერულით შესრულებული მონასტრის სამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვით ჩანს, რომ აქ სამშენებლო სამუშაოები უწარმოებია ქაიხოსრო ზედგინიძეს. მას აუშენებია ზღუდე და სენაკი მონასტრისა (ე. მეტრეველი, მასალები იერუს. ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962; გ. მიქაძე, იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, ქართული წყაროთმცოდნ., 1971, ტ.3).

თელავი — ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, გომბორის ქედის ჩრდ.-ალ. კალთის ძირას, ალაზნის ეკვე, თბილისიდან 158 კმ-ის დაშორებით. პირველდელი დასახლება თელავის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. პირველად თელავი მოიხსენიება კლავდიოს პტოლემეოს (II ს.) გეოგრაფიაში. ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. XII საუკუნეში თელავი

კახეთ-ჰერეთის სამთავროს ცენტრი გახდა. ქალაქზე საეკლესიო-საქარავნო გზები გადიოდა. XVII საუკუნეში კახეთის მეფის, არჩილ II-ის რეზიდენციად იქცა. ამაეე პერიოდში გაჩაღდა თელავში ლიტერატურული ცხოვრება და თელაელი მწიგნობრულ კერად იქცა, რომელშიც ქართველ ბატონიშვილთა მთელი თაობა აღიზარდა. 1758 წელს თელავში დაარსდა საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლა, რომელიც 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა (აქ მოღვაწეობდნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი, დაუით და გაიოზ რექტორები და სხვა). თელავის არქეოლოგიურმა შესწავლამ ბევრი სინტერესო ძეგლი გამოაელინა. ძველ გალავანში, ჯვრის ბორცვზე აღმოჩნდა რამდენიმე არქიტექტურული კომპლექსი (XI ს. კახეთის ქორეპისკოპოსთა სამეფო სახლის ნაშთი), სამონასტრო ანსამბლი. თელავის ბუროთმოძღვრულ ძეგლთაგან უძველესია ღვთაების ეკლესია (V-VII სს.), შემორჩენილია XI ს-ის ციხის ზღუდის ნანგრევები, ე. წ. ძველი გალავანი; 1758 წლის კარის ეკლესია (იხ.); ქალაქის ცენტრში შემორჩენილია კომპოსებური შენობა (XVIII-XIXსს.), რომლის ქვედა სართული ეკლესია-სამლოცველოდ არის გამოყენებული. თელავის მიდამოებში მდებარეობს მრავალი მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა: ალაეერდის კათედრალი, ძველი და ახალი შუამთის მონასტრები და სხვ.

თელავის სემინარია – გაიხსნა 1782 წელს, რომელიც 1758 წელს დარსებული საფილოსოფოსო-საღეთისმეტყველო სკოლის ბაზაზე აღმოცენდა. სემინარიას ხელმძღვანელობდა ანტონ კათოლიკოსი, რომელსაც მზარში ედგნენ დოსითეოზ ჩერქეზიშვილი-ნეკრესელი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ და დავით რექტორები. თელავის სემინარია სახელმწიფო კმაყოფაზე იყო და სწავლება საღვთისმეტყველო სქოლასტიკურ პრინციპს ემყარებოდა. მოსწავლეთა მიღება წარმოებდა წოდებრივი განსხვავების მიუხედავად. ასწავლიდნენ: გრამატიკას, რიტორიკას, მათემატიკას, ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას. თელავის სემინარიამ იარსება 1801 წლამდე.

თელაღოს – იხ. სუქიოსი.

თელეთობა – სახალხო ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც იმართება სოფ. თელეთში, თბილისის მახლობლად, წმ. გიორგის ეკლესიის კარზე, ამაღლების დღეს.

თელოვანი – ნასოფლარი მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის მიდამოებში. აქ დგას ეკლესია „ჯვარამტიოსანი" VIII-IX სს-ისა. შემორჩენილია მოხატულობა და წარწერა.

თემისტიოსი (317-388) – ბიზანტიელი ფილოსოფოსი, გამოჩენილი რიტორი. დაიბადა პაფლაგონიაში წარმართთა ოჯახში. განათლება მიიღო კოლხეთის რიტორიკულ სკოლასა და შემდეგ კონსტანტინეპოლში. გრამატიკას სწავლობდა პიერიკლესთან, ხოლო რიტორიკას, როგორც თვითონ ამბობს – „უახლოეს მახლობლად". გაიკეთა სახელმწიფო კარიერა (სენატორი 355 წ., პროკონსული 350/59 წწ., რომის ელჩი, კონსტანტინეპოლის პრეფექტი 384 წ. და სხვა). იყო იულიან კეისრის (განდერმილის) მეგობარი და თანამოაზრე, ეპიკურეს მიმდევარი. ცნობილია მისი პარაფრაზები არისტოტელეს შრომებზე, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია ბერძენ, არაბ და ლათინ აეტორთა შეხედულებებზე. აქეს ცნობები კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ ფოთის მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, რომელშიც თვითონ თემისტიოსს მიულია განათლება. კოლხეთს თემისტიოსი „მუზების ტაძარს" უწოდებს.

თეოგონია – ძველ ბერძენთა მითიური წარმოდგენა ღმერთების წარმოშობის შესახებ. თეოგონიის პირველი სისტემატიზატორი იყო პესიოდე, რომლის ეპიკურ პოემაში „თეოგონია" აისახა მატრიარქატის პერიოდის უძველესი შეხედულებანი.

თეოდორა – ალექსანდრიელი წმინდანი ქალი; ცოდვის მოსანანიებლად მონაზვნად აღკეცა მამათა მონასტერში, ქმარს რომ არ მიეგნო. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ (გარდ. 474-491 წლებს შუა) გაარკვა, რომ იგი ქალი იყო. არსებობს თეოდორას კიმენური „ცხოვრების" ქართული თარგმანი „ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა თეოდორაჲსი" (A 382, XV ს., 334v-337v; ბოდლ. I, XI ს. 426v-434v და სხვ. გამოც. ს. ყუბანეიშვილის მიერ, კრებულში „ძველი ქართული ენის ძეგლები", I, გვ. 305-312) და ორი მეტაფრასული: 1. თარგმნილი თეოფილეს მიერ Ath. 20, 1081 წ., 155-161 და 2. უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ. 4, 1565 წ., 127-140); გამოც. ნ. გოგუაძის მიერ, ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986 წ., გვ. 171-182).

თეოდორა – წმ. მოწამე ქალწული. თეოდორა მხედარ დიდეიმოსთან ერთად ეწამა ქრისტესთვის დიოკლეტიანეს მეფობაში ქრისტიანთა დევნის დროს ქალაქ ალექსანდრიაში 303-304 წელს. თეოდორა იყო წარჩინებულთა

გვარიდან. ეუსტრატი მთავარმა თეოდორა ქრისტიანობისათვის საპყრობილეში ჩაამწყვდია და მერე სჯულის დატოვება მოსთხოვა. თეოდორა მტკიცედ იდგა თავის სჯულზე. მაშინ ის ეუსტათიმ მეძავთა სახლში მოათავსა და დაემუქრა ძალდატანებით ნამუსის ახდით. თეოდორას ნათესავმა დიდვიმოსმა შეაღწია ამ სახლში და მხედრის ტანსაცმელში გადაცმული თეოდორა ციხიდან გაიპარა, თვითონ კი დარჩა იქ თეოდორას ტანსაცმელში გამოწყობილი. როდესაც ყველაფერი გაირკვა, მთავარმა დიდვიმოსს თავი მოჰკვეთა. თეოდორა თავისი ნებით გამოცხადდა და ისიც სიკვდილით დასაჯეს. ხსენების დღეა 6 აპრილი. ქართული თარგმანი ამ მოწამეთა მეტაფრასული „წამებისა" დაცულია იოანე ქსიფილინოსის აპრილის თვის თხზულებათა შემცველ კრებულში (ქუთ. 7, XIII ს., 68v-79v; გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები.. VI, 1960, გვ. 217-225).

თეოდორა ქალწულმოწამე – ეწამა ქრისტესთვის მაქსიმიანეს (305-311) დროს ქრისტიანთა დევნის დროს; ხსენების დღეა 3 აპრილი. ქართულად არსებობს „წამების" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 7, XIII ს. 1v-6v).

თეოდორე (თეოდორე) – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. აფხაზეთის ეპისკოპოსი VII-VIII სს. მისი რეზიდენცია სავარაუდოდ ალაპაძის ეკლესია უნდა ყოფილიყო (ბზიფის ხეობის ქვემო ნაწილში); (გ. დუნდუა, ვინ იყო თეოდორე ეპისკოპოსი, „ძეგლის მეგობარი", 1973, № 33).

2. X ს. ურბნელი ეპისკოპოსი (ლუკას ძე). ურბნისის სიონის ეკლესიის აშენებას მიაწერენ თათას, ერთ-ერთ 13 ასურელ მამათაგანს (VI ს.), X ს. სამშენებლო (აღდგენის) წარწერა მოთავსებულია ტაძრის სამხრ. ფასადის კარის თაღზე ორად გაყოფილ ქვაზე. ამ წარწერის თანახმად, თეოდორემ განაახლა ურბნისის სიონის ეკლესია. თეოდორე ურბნელი იყო აგრეთვე ხელნაწერთა აღმდგენელი და მკაზმველი.

3. X ს. ბოლნელი ეპისკოპოსი, ბოლნისის სიონის ტაძრის ტერიტორიაზე დაცულია 6 სტრიქონიანი წარწერიანი ფილა (მთავრულით შესრულებული), რომელიც აღმოჩნდა 1937 წ. სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს ჩრდილო კარის ძირში. სამშენებლო წარწერა აღდგენილი სახით იკითხება ასე: „სახელითა ღმრთისაჲთა, მაღლითა წმიდისა გრიგოლისაჲთა თეოდორე ბოლნელ ეპისკოპოსისა გურგენ ერისთავთ-ერისთაისა შეწევნითა, აღეაშენე ესე წმიდაჲ საყოფელი სალოცავად სულისა ჩემისათჳს, ღმერთმან შემიწყალე".

4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თამარ მეფის დროს. იბრძოდა თამარ მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგ. ბასიანის ომის დროს ქართველთ ლაშქარს გაჰყვა თამართან ერთად ბრძოლის ველამდე. თეოდორემ გააფართოვა გელათისა და შიომღვიმის სამეფო მონასტრების სამფლობელოები. თეოდორეს მიერ არის ხელმოწერილი სიგელი, რომელსაც მის გარდა ხელს აწერენ თამარის დროინდელი სხვა ისტორიული პირები – ჭიაბერი და შოთა: შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი, გაცემული 1188 წელს, „შეწირულების სიგელი". დაწერილი ჭიაბერის მიერ შიომღვიმისადმი – 1189-1192 წწ. ამ სიგელსაც ქართლის კათოლიკოსი თეოდორე ამტკიცებს (სამართლის ძეგლები, III, 27, 30).

5. ანჩელი მთავარეპისკოპოსი და „კათოლიკეთა უდაბნოთა არქიმანდრიტი" 1193-1203 წლებში. 1204-1207 წწ. უნდა იყოს დაწერილი ანჩის სახარების წარწერა, რომელშიც არის მოხსენიებული თეოდორე ანჩელი (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 293).

6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1430-1435 წლებში, ალექსანდრე დიდის (1412-1443) პირადი მოძღვარი. 1427 წლის მცხეთის გუჯარში ის კათოლიკოსადაა მოხსენებული, ასევე - მცხეთის სიგელში (1433 წ.), რომელსაც ხელს აწერს ალექსანდრე დიდი I. დოკუმენტში აღწერილია ლორეს ციხის აღებისა და მისი საქართველოსთან შემოერთების ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1432 წელს. საბუთში ნათქვამია, რომ კათოლიკოსმა თეოდორემ სიტყვით მიმართა ქართველთა მხედრიონს (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II 230). თეოდორე აქტიურად მონაწილეობდა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად განადგურებული ქვეყნის ეკონომიურ აღდგენაში. მცხეთის სამაჭრიარქოს მან შეუძინა ვირშის მონასტერი სოფლებიანად, არმაზის ციხე ეკლესიით, ნასოფლარი ქვეში, ჯვრის მონასტერი სოფლებიანად და სხვ. 1437 წელს ენერგიულად ჩაება მტრისაგან მიტაცებული ლორეს დაბრუნების და იქ ქართული მიწისმფლობელობის აღდგენაში.

თეეთორე (თეოდორე) – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ნეძვის მონასტრის დამაარსებელი IX საუკუნეში, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე; ქრისტეფორესთან ერთად მან გადაწყვიტა მონასტრებ-

ის დაარსება და ამ მიზნით გაიპარა აფხაზეთში. გზად სამცხეში გაუვლიათ. როგორც გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, აქ ისინი მიუსტიქებია ადგილობრივ დიდებულს – მირიანს. თეოდორესა და ქრისტეფორეს დაუმოწაფებიათ მისი ვაჟი არსენი, რომელიც შემდეგ მცხეთის კათოლიკოსი გახდა. თეოდორემ დაარსა ნეძვის მონასტერი, ხოლო ქრისტეფორემ – კვირიკეწმიდა (ბორჯომის ხეობა).

2. IX საუკუნის ხანცთის მონასტრის წინამძღვარი, რომლის ინიციატივით დაწერა გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება". (ძეგლები, I, გვ. 317).

3. საბას ლავრის XI ს-ის ქართველი მღვდელი, თეოდორე ხუცესად წოდებული. შემორჩენილია „კითხვა-მიგებაჲ, რომელი მოსცა თეოდორე საბაწმიდელსა ეფთუმი მთაწმიდელმან" 1005-1019 წწ.

4. იერთა მონასტერის წინამძღვარი 1061-64 წწ. თეოდორეს მამასახლისობის დროს იყო დადებული აღაპი 1059 წელს ათონზე მისული ლიპარიტისათვის (ბაგრატ I-ის მეტოქე ფეოდალის), რომელსაც ბერობაში ანტონი ეწოდა (ე. მეტრეველი, საალაე წიგნი, თბ., 1998, გვ. 64).

5. შიომღვიმის მონასტრის მონაზონი, მოიხსენიება მე-13 საუკუნის შიომღვიმის სიგელში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 152); აგრეთვე შიომღვიმის კრებულის მიერ დაწერილ სამწიგნეველო ბოძების წიგნში, რომელიც გაცემულია 1260-70-იან წლებში ზოსიმე-ტოხაისძისადმი (იხ.) თეოდორე მეშღვიმის სახელით, როგორც ამ „დაწერილის" მოწმე: "წმიდაჲ მამაჲ მეშღვიმე თეოდორე" (სამართლის ძეგლები, III, 167).

6. გელათის მონასტრის მღვდელმონაზონი, რაჭის ერისთავის, გიორგი ბარძიმის ძის ვაჟი; 1867 წელს იმოგზაურა იერუსალიმში და ჯვარის მონასტერში (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980).

თეოდორე (თევდორე) – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის, ხუროთმოძღვრისა და მხატვრის სახელი:

1. თაფლაჲსძე, X ს. ხუროთმოძღვარი. მან X საუკუნის დასაწყისში ააშენა ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. სამშენებლო წარწერაში ნათქვამია: „მე, თეოდორე თაფლაჲსძემან დაველ საძირკველი, წელნი იყვნეს ხფი" (906 წ.) მის მიერ აგებული ეკლესია სამკლესიიანი ბაზილიკა და წარმოადგენს ნაგებობათა ტიპს, რომელიც დამახასიათებელი იყო ადრინდელი ფეოდალური საქართველოსათვის. ეკლესიამ ჩვენამდე მოაღწია თავდაპირველი სახით. თეოდორე თაფლაძის მიერ აგებული ეკლესიის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ ესაა X ს. პირველი ნახევრის ერთადერთი ზუსტად დათარიღებული ძეგლი.

2. X საუკუნის ხარტონის ლავრის, ე. წ. ძველი ლავრის, ანუ სხვანაირად – პალაურის ქართველი მოღვაწე. პალესტინის პალაურაშია გადაწერილი სინის მთაზე დაცული X საუკუნის პაგიოგრაფიული კრებული (Sin. 11). თეოდორე პალაურელის თაოსნობით და მისი დაეალებით სვიმეონ მგალობელმა დაამზადა საგალობელთა კრებული ანუ იადგარი (Sin. 40). ეს კრებული შემდეგ სინის მთაზე მოხვედრილა და ეინმე გრიგოლს მოუგია (შეუძენია). ამ საქმეში მას იოანე კუმურდოელი დახმარებია.

3. X ს. ხელოსანი, მოხსენიებულია სოფ. სოხთას (ჯავის რაიონი) ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის ასომთავრულ წარწერაში: „საყდარი დაბისაო, შემწყალე თეოდორე გალატოზი". ამავე წარწერაში არიან მოხსენებულნი გიორგი და იეანე გალატოზები.

4. „კამარათ მწერალი", X ს. ქართველი მხატვარი-მინიატურისტი. 940 წელს მან შეასრულა ჯვრუჭის პირველი ოთხთაეის კამარები და მინიატურები (H 1660). ოთხთაეი შეიცავს სახარების ერთ-ერთ ძველ რედაქციას, გადაწერილს შატბერდში 936 წელს (1945 წელს სახარების ტექსტი და ხელნაწერის აღწერილობა გამოაქვეყნა ა. შანიძემ, ხოლო სურათების აღწერილობა – რ. შმერლინგმა). ხელნაწერის პირველ ფურცლებზე თეოდორეს სახელი ორჯერაა მოხსენიებული. კამარებთან ერთად თეოდორემ დახატა 8 მინიატურა: 4 მახარებელი (მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე), აგრეთვე ღვთისმშობელი ყრმით, ბრძის განკურნება, ეშმაკეულის და განრღეეულის განკურნება. თეოდორე ამ ადრინდელი ხანის ერთადერთ ქართველ მხატვარი მინიატურისტია, რომლის სახელსაც ჩვენ ვიცნობთ.

5. სინის მთის X ს. ქართველი მონაზონი (წყუდელელი). აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხელნაწერთა გამრავლებაში. „სუმენ სალოსის ცხოერების" იმ ხელნაწერში, რომელიც გრაცში ინახება, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ თეოდორე წყუდელელმა განასრულა ეს ხელნაწერი „წმიდისა მთისა სინისათჳს", თან დასძენს, რომ „შექმნაჲ კელ-ჰყო" იოანე კუმურდოელმა. გამოდის, რომ იოანე იყო მომგებელი, ხოლო გადამწერი კი – თეოდორე წყუდელელი.

6. სინის მთის XI საუკუნის ქართველი მონ-

აზონი, რომელმაც იოანესთან ერთად გადაწერა სვინაქსარი Sin. 4 (XI ს.).

7. სინის მთის ქართველი მონაზონი, XI-XII ს. კალიგრაფი. გადაწერა ანდრია კრიტელის, იოანე მინჩხისა და სხვათა თხზულებანი (Sin. 75) მათესთან ერთად.

8. „მეფის მხატვარი", დაკით აღმაშენებლის კარის მხატვარი, XI-XII სს-ის მიჯნის შესანიშნაი ხელოვანი. წოდება „მეფის მხატვარი" იმაზე მიგვანიშნებს, რომ თეოდორე მეფის დავალებებს ასრულებდა. მაშასადამე, ის იყო დაკითის და, შესაძლოა, დიმიტრი I-ის მხატვარი. წარმოშობით თეოდორე სვანეთთანაა დაკავშირებული. ამის დასტურია მის მიერ შესრულებულ მოხატულობათა მხატვრული თავისებურება, რომელიც ძალზე დამახასიათებელი და ტიპიურია სვანური ფრესკებისათვის. თეოდორე მეფის მხატვარმა შეასრულა 4 ეკლესიის მოხატულობა (იფარის, კვირიკესა და იველიტესი, ნაკიფარის, წეირმის). ყველაზე ადრეულია იფარის მთავარანგელოზთა ეკლესიის მხატვრობა. ამ ოთხთაგან თეოდორეს მიერ ხელმოწერილია იფარისა და ნაკიფარისა, დანარჩენი ორი მხატვრულ თავისებურებათა მიხედვით მის მოწაფეებს მიეკუთვნება.

9. შავი მთის (სვიმონწმიდის მონასტრის) ქართველი მონაზონი, XI ს-ის მწიგნობარი. „სამყოფლსა წმიდისა სამეონისსა" გადაწერა ერთი საკურადღებო კრებული (A 142), რომელშიც შესულია „მართას ცხოვრება" და სხვ.

10. XIII-XIV სს. კალიგრაფი, მისი გადაწერილია სხვადასხვა სასულიერო თხზულებათა კრებული (Q 762, XIII-XIV).

თეოდორე – იკონიის VI საუკ. I ნახევრის ეპისკოპოსი, საეკლესიო მწერალი. მას დაუწერია თხზულება „წამებაჲ წმიდის კვირიკესი და დედისა მისისა იულიტაჲსა", რომლის ქართული თარგმანი საკმაო რაოდენობის ხელნაწერებს დაუცავს (Sin. 62, X ს., 79v-83v; Jer. 33, XII-XIII სს. 190v-197v; Jer. 149, XI-XII სს., 136-147; და სხვ.; გამოც. გ. ჩუბინაშვილი, წმინდა კვირიკეს გამოსახულება ქართ. ჭედურ ხელოვნებაში, ლიტ. ძიებანი, II, 1945, გვ. 100-104 (კვირიკეს და იულიტას „წამების" ტექსტი მომზადებულია ილ. აბულაძის მიერ).

თეოდორე – ქალაქ პატრას VI ს. ეპისკოპოსი, საეკლესიო მწერალი. მას დაუწერია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდოსი კრებულთმთავრისაჲ", კომენური რედაქციის თხზულება, რომელიც ქართულად უთარგმნიათ (Addit.11281, XI ს., გვ. 210-246; A 188, XIII ს., 163r-174r; გამოც. ე. იმნაიშვილის მიერ, მამათა ცხორებანი, თბ., 1975, გვ. 184-197). ქართულად უთარგმნიათ აგრეთვე ამ თხზულების მეტაფრასული რედაქციაც სიმეონ მეტაფრასტისა (A 79, XII-XIII სს., 13v-35r, კუთ. 3, XVI, 566r-90v).

თეოდორე – კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის („აია-სოფიას") VII საუკ. ხუცესი. მას დაუწერია „სიტყუაჲ ცხადმყოფელი ჯამსა, რომელსა თუ ვითარ წმიდისა ღრთისმშობელისა სამოსელი სამეუფოდ ქალაქად მოიწია და დაიდეა ვლაქერნათა შინა". არსებობს ამ თხზულების ქართული თარგმანი (კუთ. 3, XVI ს., 342-356).

თეოდორე აბუქურა (740-820) – ხარანელი ეპისკოპოსი, იოანე დამასკელის მოწაფე, ავტორი არაბულ ენაზე დაწერილი მრავალრიცხოვანი თხზულებებისა (მათი ნაწილი თარგმნილია ქართულადაც; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, უცხო ავტორები, 55-57). თეოდორე აბუქურა ჯერ სპას ლავრაში ცხოვრობდა, პალესტინაში, სადაც მას სპაწმინდელი ბერებისათვის 790-795 წლებში უამბნია მიქაელის წამების „სულთამარგებელი ამბავი", რომელსაც ადგილი აქონია ხალიფა აბდალ-მალიქის დროს. IX საუკუნეში ეს ჩაუწერია სპაწმინდის ლავრის მამასახლისს ბასილის. თხზულება ამავე საუკუნის 70-იანი წლებისათვის ბასილი ემესელს შეუტანია მის მიერ დაწერილ თეოდორე ედესელის „ცხოვრებაში". ქართული თარგმანი „აბუქურასი", ანონიმის მიერ შესრულებული არაბულიდან, X ს. დამდეგისათვის ჩაჯარდნია ხელთ ეფთვიმე მთაწმიდელს, რომელმაც იგი თარგმნა ბერძნულ ენაზე ბიზანტიური პაგიოგრაფიისა და ლიტურგიკულ-კალენდარული სარევიზიო შესავსებად. მეორე რედაქცია ამავე თხზულებისა, რომელიც, შეტანილია თეოდორე ედესელის „ცხოვრებაში", ბერძნულიდან უთარგმნია ეფრემ მცირეს. თეოდორე აბუკურა იყო არაბი მწერალი. მან შესამჩნევი კვალი დატოვა IX საუკუნის საეკლესიო ცხოვრებაში. მისი თხზულებები მიმართული იყო მონოფიზიტთა, ნესტორიანთა, იაკობინელთა, თეოპასქიტთა, სარკინოზთა და იუდეველთა წინააღმდეგ. მას გარკვეული როლი შეუსრულებია აგრეთვე სომეხთა მონოფიზიტობის ისტორიაშიც. როგორც ცნობილია, IX საუკუნეში სომხეთში ქალკედონიტები და ანტიქალკედონიტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს, ვერც ერთმა პარტიამ ვერ დაუპირ-

ისპირა ერთმანეთს ლირსული ადგილობრივი ბერადი და ორივე მშარე იღუმენებული იყო საზღვარგარეთიდან მოეწვია ისინი. ქალკედონიტებმა მოიწვიეს სარანელი ეპისკოპოსი თეოდორე აბუკურა, რომელიც სომეხთა ისტორიკოსის ცნობით, 821 წელს მისულა სომხეთში და უცდია სომხეთის მთავრის, აშოტ ბაგრატიდის მოქცევა ქალკედონიტობაზე. მოწინააღმდეგე პარტიას იაკობიტთა ეკლესიის წარმომადგენელი არქიდიაკონი ნონი მოუწვევია ასურეთიდან. გაიმართა მწვავე პაექრობა, რომელშიც თითოეული მხარე თავის ბელადს მიაწერს გამარჯვებას. თეოდორე აბუკურას თხზულებათაგან ქართულად უთარგმნიათ ტრაქტატი „საკითხავი მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს“ (A 144). თხზულება თარგმნილია X ს-ში. ქართულ ენაზე თარგმნილია თეოდორე აბუკურას სხვა თხზულებებიც: „სარკინოზთა მიმართ“, რომელშიც რვა სტატიაა (A 65), „სიტყუსგებაჲ ნესტორიანთა მიმართ“ (A 312), „სომეხთა მიმართ“ (S 312), „იაკობიტთა მიმართ“ (A 691), „სიტყუსგებაჲ პურიათა მიმართ“ (S 312), „სიტყუსგებაჲ ორიგენეს მიმართ“ (A 64) და სხვ.

თეოდორე ამასიელი – იგივე თეოდორე ევხაიტელი, ანუ ტირონი (იხ.).

თეოდორე ბალსამონი – ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე; XII საუკუნეში (1185-1191 წწ.) იყო ანტიოქიის პატრიარქი. მისი მთავარი ნაშრომია 14 ტიტულოვანი ნომოკანონის – მართლმადიდებლური ძირითადი კანონიკური კოდექსის კომენტარი. კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების (381 წ.) მეორე კანონის განმარტებისას იგი ებება იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს.

თეოდორე ედესელი – ედესის ეპისკოპოსი, IX საუკუნის მოღვაწე; დაიბადა ედესაში (სირია). 20 წლისა იგი იერუსალიმში ჩავიდა და საბას ლავრაში მონაზვნად აღიკვეცა. იმპერატორ მიხეილის და მისი დედის – თეოდორას მმართველობის დროს (842-855) თეოდორე ედესის ეპისკოპოსად იკურთხა. იმოგზაურა ბაღდადის ხალიფატში მოაეას ხალიფობის დროს. გარდაიცვალა საბას ლავრაში. ხსენების დღეა 9 ივლისი. თეოდორე ედესელის „ცხოვრება“ თარგმნილია ქართულ ენაზე ეფრემ მცირის მიერ (A 682, XIII-XIV სს. 209-245); გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები... VI, 1960, გვ. 31-40 (გამოცემულია მხოლოდ მიქაელ საბაწმიდელის წამების ეპიზოდი).

თეოდორე პერგელი – ეწამა იმპერატორ ანტონინეს დროს (138-161) ფრიგიაში, ქ. პერგესში. თეოდორეს წამება თარგმნილია ქართულ ენაზე ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 128, XII-XIII ს., 447r-450v; A 1103, XI ს., 278v-285v; H 1347, XI-XII სს. 447v-453r). არსებობს „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანიც (ქუთ. 7, XIII ს., 286-292). ხსენების დღე – 21 აპრილი.

თეოდორე პირდაფერილი და თეოფანე (მისი ძმა) – XI ს-ის I ნახ. მოღვაწეები. თეოდორე აღმსარებელი და მისი ძმა თეოფანე დაიბადნენ იერუსალიმში, ქრისტიანთა ოჯახში. უფროსი იყო თეოდორე. ძმები სიყრმიდანვე ქრისტესმოყვარენი იყვნენ, ორივე მონაზონი გახდა. იმპერატორ ლეონ V-ის (813-820) რომ ტახტი დაიპყრო და დაიწყო ხატთმებრძოლთა ერესის მფარველობა, იერუსალიმის პატრიარქმა ძმები კონსტანტინეპოლში გაგზავნა მართლმადიდებლობის დასაცავად. დედაქალაქში თეოდორემ და თეოფანემ გაბედულად დაიცვეს ხატთაყვანისმცემლობა. ლეონ V-ის ბრძანა მათი საპყრობილეში ჩაგდება. თეოფილე იმპერატორის დროს (829-842) ძმები გაათავისუფლეს და კვლავ მოსთხოვეს ერესის მოშორება. მათ უარი განაცხადეს და თავგამოდებით იცავდნენ საკუთარ პოზიციებს, რისთვისაც ისინი კვლავ განდევნეს. მალე უკან გამოიწვიეს და აწამეს. წამების მერე კვლავ საპყრობილეში მოათავსეს, სადაც წმ. თეოდორე აღესრულა 840 წ. წმ. თეოფანემ იცხოვრა ერესის დაგმობამდე და გარდაიცვალა ნიკეის ეპისკოპოსის ხარისხში. თეოფანეს ეკუთვნის მრავალი თხზულება, რომელიც ეძღვნება მართლმადიდებლობის დაცვას. ქართულად არსებობს მათი „ცხორებაჲ“-ს მეტაფრასული რედაქცია (Ath. 2, XII-XIII სს., 206v-214v). ხსენების დღე – 27 დეკემბერი.

თეოდორე სერაბი – წმინდა მამა, სალოსი, წარმოშობით ბულგარელი, ქალაქ სარასიდან. როგორც S 3346 (1895 წ.) ხელნაწერიდან ირკვევა, თეოდორე სალოსის მეტაფრასული „ცხოვრება“ – „წიგნი წმინდა თეოდორე სალოსად საგონებელისა“ პათრის მონასტერში აღმოუჩენია არქიმანდრიტს ილარიონ მთაწმიდელს და უთარგმნია იგი ბერძნულიდან ქართულ ენაზე – XVIII ს. (S 3346, S 1582, H 186, H 436 და სხვ. ყველა XVIII ან XIX სს. ხელნაწერია). ხსენების დღე 25 თებერვალია.

თეოდორე სიკიოტელი – ანასტასიოპოლის ეპისკოპოსი († 613 წ.). დაიბადა VI

საუკუნის შუა წლებში ანასტასიოპოლის (მცირე აზია) ახლოს მდებარე სოფელ სიკეაში. მან ბავშვობიდანვე გამოიჩინა ცოდნისაკენ სწრაფვა. მთელი ცხოვრება ღმერთის სამსახურში გაატარა; სიცოცხლეშივე წმინდანად იყო შერაცხული. ხსენების დღე 22 აპრილია. მისი „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 7, XIII ს., 310r-323r).

თეოდორე სტრატილატი – მოწამე. ეწამა ქრისტესათვის პერაკლიაში 319 წ. 8 თებერვალს. წარმოშობით იგი ეკვიტიდან იყო. ჰაგიოგრაფიაში თეოდორე ცნობილია, როგორც წმინდა მხედარი. მხედრული მამაცობისათვის იგი დანიშნეს მხედართმთავრად (სტრატილატად) ქ. პერაკლიაში. თეოდორე სამხედრო სამსახურს შესანიშნავად უთავსებდა სახარების ქადაგებას წარმართთა შორის. მალე მთელი პერაკლია გაქრისტიანდა. იმპერატორ ლიკინიუსის (307-324) დროს დაიწყო ქრისტიანთა სასტიკი დევნა. თეოდორეც მათ რიცხვში აღმოჩნდა. მან თვითონ მოიწვია იმპერატორი ჰერაკლიაში და აღუთქვა, რომ მსხვერპლს შესწირავდა წარმართულ ღმერთებს, მაგრამ მოატყუა. მსხვერპლის შეწირვის ნაცვლად მან დაამსხვრია კერპები და მათი ნაწილები ღატაკებს დაურიგა. იგი შეიპყრეს და სასტიკად აწამეს, მაგრამ ღვთის შემწეობით ცოცხალი გადარჩა. მაშინ იმპერატორის ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე 8 თებერვალია. თეოდორე სტრატილატს ხშირად აიგივებენ თეოდორე ტირონთან. თეოდორე სტრატილატის „წამება" თარგმნილია ქართულ ენაზე კომენური და მეტაფრასული რედაქციებით. კომენური რედაქციის ქართული თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს (A 1103; XI ს. 244r-255v; A 199, XII-XIII, 70v-72v; A 388, XII-XIII, 97v-108v და სხვ.); მეტაფრასული „წამების" მთარგმნელი უცნობია (S 417, XII, 32r-36v; ქუთ. 3 (XVI, 78r-84v).

თეოდორეს მონასტერი – იერუსალიმის ქართული მონასტერი. ის უნდა აეშენებინათ არა უგვიანეს XV საუკუნის მიწურულისა. თეოდორეს მონასტერი მეორედ შეუკეთებიათ 1635 წელს ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილებს (იხ. ტიმოთე გაბაშვილს „მიმოსვლაში" აქვს ცნობა თეოდორეს მონასტრის აშენების შესახებ). ამ მონასტრიდანაა კრებული Jer. 17, XIII-XIV სს. (ელ. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა. მოამბე, IV, თბ., 1962; მისივე, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI-XVII სს., თბ., 1962).

თეოდორე სტუდიელი (სტოდიელი) (759-826) – ბიზანტიელი მონაზონი და საეკლესიო მწერალი. დაიბადა კონსტანტინეპოლში, ღვთისმოსაყვა ოჯახში, მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის სტუდიონის მონასტერში, რომელიც მან ენერგიული მოღვაწეობისა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით მნიშვნელოვან რელიგიურ და კულტურულ კერად აქცია. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება. 808-815 წლებში თეოდორე სტუდიელი ხატმბრძოლებმა განდევნეს კონსტანტინეპოლიდან. ორთოდოქსიის გამარჯვების შემდეგ იგი წმინდანად შერაცხეს. თეოდორე სტუდიელს დარჩა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელთაგან აღსანიშნავია სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის შესახებ დაწერილი თხზულებები, დოგმატური და ასკეტური „მოკლე და გრძელი საუბრები", იამბიკოები და სხვა. ქართულად თარგმნილია თეოდორე სტუდიელის მრავალი თხზულება: 1. „სწავლანი სულიერნი თუსთა მოწაფეთა მიმართ ყველიერისა კურიაკითგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვიან შემდგომად სერობისა ლოცვისა". თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა (1042 წ.) და ეწოდება „სტოდიერი" (A 500, XI ს. 323 ფურც.). ამ კრებულის I ნაწ. გამოსცა ზ. მაჩიტაძემ, წმიდა თეოდორეს ქადაგებანი დიდ მარხვაში, ზუგდიდი, 2002. 2. „სიტყუაჲ შესხმისაჲ პოვნისა პატიოსნისა თავისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი" (A 162, 78-80; A 182, 505-516), თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. 3. „სიტყუაჲ შობისათჳს ყოველდღეწმიდის დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისა" (A 182, 1-20). 4. „თავისკუეთისათჳს იოანე ნათლისმცემელისა" (H 1377, 402-408).

თეოდორე ტირონი – მთავარმოწამე, დაიბადა პონტოს ოლქის ქ. ამასიაში (მცირე აზიის ჩრდ.-აღმ. ოლქი, შავი ზღვის სანაპიროზე). თეოდორე ტირონს მოსთხოვეს მსხვერპლშეწირვა კერპებისათვის, რაზეც მან უარი განაცხადა. ამისთვის იგი აწამეს 306 წელს იმპერატორ გალერის (305-311) მეფობის დროს. დაფლეს ქ. ევქაიტში, ამასიის ახლოს, ხსენების დღეა 17 თებერვალი და დიდ მარხვის პირველი შაბათი. თეოდორე ტირონის წამებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა კონსტანტინეპოლის ქალაქისათვის (ეპარქოზს) უბრძანა დიდმარხვის დროს მთელი სანოვაგე და

სურსათი შეეზავებინათ კერპებისადმი შეწირული საკლაკის სისხლით. წმინდა თეოდორე სიზმარში მოეცლინა ეჭდოსი არქიეპისკოპოსს და დაავალა გაეფრთხილებინა ქრისტიანები, რომ არ უყიდათ იმ დღეს ბაზარში არაფერი და ეჭამათ მხოლოდ კოლიო (მოხარშული ხორბალი თაფლით). მართლმადიდებლური ეკლესია ამ დღის მოსახსენებლად ყოველწლიურად აღნიშნავს დიდმარხვის პირველ შაბათს, აქედან იწყება კოლიოს კურთხევა და მორწმუნეთათვის დარიგება. თეოდორე ტირონის ცხოვრება თარგმნილია ქართულად (H 341, XI ს. გვ. 551-559. Ath. 58, X, 159v-166r; Sin. 62,X, 24v-29r. გამოც. ა. ხახანაშვილისა, Материалы по грузинской агиологии, Москва,1910, с.1-9 (I ნაწილი). ზოგიერთ ხელნაწერში მისი მხოლოდ სასწაულებია, 12 სასწაული (Q 762, XIII ს., 235-248 და სხვა. არსებობს აგრეთვე წმ. თეოდორეს „წამების" მეტაფრასული რედაქცია, რომელიც ქართული წყაროებით უცნობ ნიკიფორე ურაანოსს დაუწერია და გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია (A 129, XII-XIII ს., 174r-179r, Je. 2, XI ს., 64-69, ქუთ. 1, XVI ს., 48-56 დ. სხვა მრავალი. გამოც. ე. გაბიძაშვილისა, საქ. ლიტმცოდნ. აკადემიის შრომები, II, 1997, გვ. 73-88). უცნობი მთარგმნელის მიერ არის გადმოღებული თეოდორეს მოკლე „წამება" (ეპისტომა; ქუთ. 1, XVI ს. 59r-63v). აგრეთვე „სასწაული თეოდორესი" (A 500, XI ს., 253-256), თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ. გიორგის მიერვეა თარგმნილი „სასწაულისათჳს ნექტარიოს კონსტანტინეპოლელისა" (Jer. 23, XII-XIII სს., 284-240 და სხვ.) და „შესხმაჲ გრიგოლ ნოსელისაჲ" (A 55, XI-XII, 322-326 და სხვ. მრ.). ორივე თხზულება თეოდორეს ეძღვნება. თეოდორე ტირონს ზოგიერთი მკვლევარი თეოდორე სტრატილატთან აიგივებს.

თეოდორე ტრიქინია – მონაზონი; მისი ცხოვრების პერიოდს ვარაუდობენ IV-V საუკუნეების შორის. დაბადებული უნდა იყოს კონსტანტინეპოლში, მდიდარი მშობლების ოჯახში, იყო მკაცრი მმარხველი და ატარებდა უხეშ სამოსელს, რისთვისაც შეარქვეს „სამოსელბალნიანი". მონასტერი, სადაც ის მოღვაწეობდა, ატარებდა ამავე სახელს. იყო სასწაულმოქმედი. ქართულად არსებობს მისი „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია: „მამათა შორის დიდისა და ცხორება-განთქმულისა და საკურველებათა მიერ მიმოგანმენილისა თეოდორე ტრიქინაჲსი, ესე იგი არს სამოსელთბალნიანისაჲ" (ქუთ. 7, XIII ს., 292-294). ხსენების დღე – 20 აპრილი.

თეოდორიტე კვირელი (393-457-58 წწ.) – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი და ისტორიკი, იოანე ოქროპირის მოწაფე და მეგობარი. დაიბადა ანტიოქიაში. 423 წელს იგი კიროსის ეპისკოპოსად დაინიშნა. საეკლესიო შემოსაელით აშენებდა ხიდებს, წყალსადენებს, აბანოებს. იზიარებდა ნესტორის რელიგიურ შეხედულებებს, რის გამოც ეფესოს კრების (449) დადგენილებით გადააყენეს და გაძევეს კიდეც. თეოდოსი II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი ბრუნდება უკან, მონაწილეობას იღებს ქალკედონის კრებაში და აბრალებდა მხარს უჭერს ნესტორის წინააღმდეგ გამოტანილ ანათემას. ამ საქცელით ის იძრუნებს საეპისკოპოსო კათედრას, რომელიც გარდაცვალებამდე ეკავა. გარდაიცვალა 457-58 წწ. თეოდორიტე კვირელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია მისმა ეგზეგეტიკურმა, ასკეტიკურმა და დოგმატურმა შრომებმა, აგრეთვე ჰომილიებმა, წერილებმა და „საეკლესიო ისტორიამ". ქართულ ენაზე თარგმნილია „სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს" (A 689) და „ღმრთისმოყუარეთა თხრობაჲ გინა თუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ" (A 682, XII ს. A 689, XIII-XIV), თარგმნილი უცრემ მცირის მიერ და „აღსარებაჲ მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთაჲსა სარწმუნოებისაჲ" (A 66, XVIII ს. 140), თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. ამას გარდა არსებობს ქართულად შემდეგი თარგმანები: „მიზეზი დღისა ამისის წინაასწარმეტყველებისაჲ" ქუთ. 3, 157-175; ეპისტოლენი: 1. იოანე ანტიოქელის მიმართ (ორი) – A 266; 2. ალექსანდრეს მიმართ იერუსალელისა – A 266; 3. ერისა მიმართ კონსტანტინოპოლელისა – A 266; „სიტყუაჲ თქუმული ქალკედონს" – A 266. A 266-ში შესული ყველა ეპისტოლე თარგმნილი უნდა იყოს სომხურიდან XVIII ს-ში. „მიზეზი სანატრელისა მიქაჲს წინაასწარმეტყველებისაჲ" – ქუთ. 1, 189-410.

თეოდორიტოს – იხ. სუქიოსი.

თეოდოსი – ქართლის კათოლიკოს-პატრიარქი (XVI ს.) მისი ხელრთვა არის კათოლიკოს თეოდოსის მიერ რომანოზ მაღალაძისადმი გაცემული წყალობის წიგნში (1542 წ.; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 258-260).

თეოდოსი – რამდენიმე ქართველი სასულიერო მოღვაწის სახელი:

1. დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი XVIII ს-ის II ნახევარში; მოხ-

სენიებულია 1785; 1786 და 1797 წლებში შედგენილ საბუთებში: „წიგნი ანტონისა და დავით გარეჯის წინამძღვართათვის შეწირულების მიბარების შესახებ (1796წ.), „აღთქმის წიგნი არქიმანდრიტებისა, სამღვდელოთა და საეროთა უქმე დღის გაუტეხაობის შესახებ“ (1785წ.), „განჩინება დავითგარეჯის მამულის საქმეზე“ (1797წ.) და სხვა (სამართლის ძეგლები, III, 960, 964; VI 22, 249).

2. შიომღვიმის მონასტრის მღვდელმონაზონი XIX საუკუნეში. მან 1878-1881 წლებში გადაწერა რამდენიმე ხელნაწერი (H 1768; A 769; H 1770; H 1773).

3. დავითგარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონი, რომელსაც გადაუწერია H 1370 ხელნაწერი.

თეოდოსი განგრელი (სპუდეოსი) — VII ს. ბიზანტიელი მწერალი, იერუსალიმელი ხუცესმონაზონი, დიდხანს ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში, სადაც 648 წელს დაემოწაფა ანასტასი პაპკრისიარს. თავის ძმასთან — თეოდორესთან ერთად ის ემხრობოდა მაქსიმე აღმსარებელს მონოთელიტებთან ბრძოლაში. 662 წელს იგი გადადის ლაზიკაში მაქსიმესა და ანასტასთან ერთად. მას დაუწერია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ მაქსიმე აღმსარებელისაჲ“, რომელიც ქართულად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს. არსებობს თეოდორე განგრელის „მოსახსენებლის“ ქართული ვერსია, თარგმნილი XII საუკუნეში, მეფე დიმიტრის დროს; მოსახსენებელი შემონახულია ერთადერთი ხელნაწერით (ქუთ. 1, XVI ს. 372-389). ამ მეტაფრასული თხზულების შემცველი კრებული გადაწერილი ყოფილა აფხაზეთის კათოლიკოსის, ეკვთიმე I ჩხეტიძის (1543-1571) ბრძანებითაა და შეკვეთით. შრომაში დაცულია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემები ლაზიკის შესახებ, სადაც „ცხოვრების“ თანახმად, მაქსიმე და მისი მოწაფე ანასტასი ექსორიაქმნილ იყვნენ „ლაზიკანად წოდებულსა სოფელს, ესე იგი არს საეგროს“.

თეოდოსი დიდი — პალესტინის განქმული მონაზონი (224-529); დაიბადა კაპადოკიაში, ღვთისმოსაკთა ოჯახში. ყრმობისას მოიხიბლა წმინდა ადგილები, ინახულა სვიმეონ მესვეტე († 452), დაესახლა პალესტინაში და მღვიმეში ცხოვრობდა 30 წელი. ბასილი დიდის დადგენილი წესების მიხედვით დაარსა ლავრა („თეოდორეს ლავრა“), რომელმაც მალე გაითქვა სახელი. კონსტანტინეპოლის იმპერატორის — ანასტასის (491-518) წლებში აღმოცენდა ეგვიპტის და სეეროსის ერესები, რომელთაც იმპერატორიც მიემხრო. თეოდოსი დიდმა მართლმადიდებლობის დაცვის მიზნით იმპერატორს ესისტოლე გაუგზავნა მეუდაბნოეთა სახელით, სადაც მსჯავრი დასდო ამ ერესებს. დროებით დაცხრა იმპერატორი, მაგრამ შემდეგ დაიწყო მართლმადიდებელთა დევნა. თეოდოსი გაეშურა იერუსალიმში და დიდ ეკლესიაში ხმამაღლა მოუწოდა ხალხს: ვინც პატივს არ სცემს მსოფლიო ოთხი კრების დადგენილებებს, ანათემას გადაეცემაო. ამ გაბედული გამოსვლის გამო თეოდოსი საპყრობილეში ჩასვეს. იმპერატორის სიკვდილის შემდეგ იგი კვლავ თავის ლაერაში ბრუნდება. გარდაიცვალა 105 წლის ასაკში. მისი სხეული იმ მღვიმეში დაასაფლავეს, სადაც იგი დასაწყისში ცხოვრობდა. 530 წელს დაიწერა თეოდორე დიდის „ცხოვრება“, რომელიც თარგმნილია ქართულად (Addit. 11281, XI ს., გვ. 210-246; A188, XIII ს., 163r-174r; გამოც. ე. იმნაიშვილისა, მამათა ცხორებანი, თბილისი, 1975, გვ. 184-197); არსებობს აგრეთვე თეოდოსი დიდის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ქართულ ენაზე (A 79, XII-XIII სს., 13v-54r; ქუთ. 2, XVI ს., 56-90 და სხვ.). თეოდოსის ხსენების დღე 11 იანვარია.

„თეოდოსი იბერიელის ძრონიკა“ — მოთავსებულია ბერძენი ისტორიკოსის, გედეონის თხზულებაში „ათოს“, რომელშიც არის ცნობა იმის შესახებ, რომ 1592 წელს ალექსანდრე მეფეს ფულადი სახსრები შეუწირავს ათონისათვის.

თეოდოსი მღვდელმონაზონი — თეოდოსი იბერიელი, ათონური ქრონიკის ერთერთი ავტორთაგანი, XVI საუკუნის ქართველი მოღვაწე. მის სახელს უკავშირდება ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. როგორც თეოდოსი წერს თავის ქრონიკაში, იგი ათონის მთაზე მოვიდა პალესტინიდან. ქართველთა მონასტრისათვის შეუწირავს მთელი რიგი საღვთისმსახურო წიგნები, რომლებიც აკლდა მონასტერს. ბერძენი ისტორიკოსის, გედეონის ცნობით, ეს თეოდოსი იბერიელი იყო. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ მღვდელმონაზონი თეოდოსი იყო ქართველი ბერი, რომელიც თაედაჩირველად მოღვაწეობდა პალესტინაში და 1511 წლისათვის გადავიდა ათონზე საცხოვრებლად. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქრონიკას, რომელშიც ქრონოლოგიურად არის გაწყობილი ცნობები იერთა მონასტრის მნიშ-

ენელოვან მოღვაწეთა და წინამძღვართა შესახებ, განსაკუთრებით კი სამონასტრო-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ. ქრონიკის ერთი ნაწილი ეკუთვნის თეოდოსი იბერიელს (1259-1514 წლამდე).

თეოდოსი პალესტინელი – თეოდოსი დიდი (იხ.).

თეოდოსის ლავრა – იერუსალიმის ახლოს, მის სამხრ.-აღმოსავლეთით, 10 კმ-ის დაშორებით თეოდოსი დიდმა (იხ.) დააარსა საკუთარი ლავრა, რომელიც ადრევე იქცა პალესტინის ერთ-ერთ საყურადღებო სავანედ. თეოდოსის ლავრაში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. თეოდოსის ბიოგრაფის ცნობით, ლავრაში ერთი ეკლესია სპეციალურად ქართველებისათვის იყო განკუთვნილი. თეოდოსიმ იქ ააგო რამდენიმე ეკლესია. 530 წელს დაიწერა „თეოდოსის ცხოვრება", რომლის თანახმად ამ დროისათვის ქართველები პალესტინის საკანის მთლიაწეებად ჩანან, კერძოდ, მათ საკუთარი ეკლესიაც კი აქვთ, რომელშიც ღვთისმსახურება ქართულად წარმოებდა.

თეოდოტე კვირინელი ეპისკოპოსი – მოწამე; თეოდოტე წარმოშობით მცირე აზიის გალატიიდან იყო; ლიკინოზის მეუობაში (307-329) ქრისტიანთა დევნის დროს იგი ქრისტიანობას ქადაგებდა, რისთვისაც ის გაასამართლეს, აწამეს და საპყრობილეში მოათავსეს. კონსტანტინე დიდმა სხვა ქრისტიანებთან ერთად ისიც გაათავისუფლა საპყრობილედან. 2 წელი იყო კვირინოს ეპისკოპოსად.. აღესრულა დაახ. 326 წ. ხსენების დღე 2 მარტია. ქართულად თარგმნილია თეოდოტეს „წამების" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 2, XVI ს., 33-40).

თეოდოტი ანკვირელი – ანკვირის ეპისკოპოსი († 445 წელს). თავდაპირველად იგი ნესტორის მიმდევარი იყო, შემდეგ მის აშკარა მოწინააღმდეგედ იქცა. თეოდოტი ანკვირელი კირილე ალექსანდრიელისა და მისი მიმდევრების მხარეს იჭერს ეფესოს მსოფლიო კრებაზე (431 წ.). 432 წელს შემდგარ ნესტორიანელთა კრებაზე იგი ანათემას გადასცეს. მისი შრომები ეძღვნება ნესტორიანელთა გმობას. თეოდოტემ დაწერა 6 წიგნი ნესტორის წინააღმდეგ. ეს ავტორი არ უნდა აურიოთ წმ. თეოდოტი ანკვირიელში, რომელიც 304 წელს აწამეს დიოკლეტიანეს მეფობაში ქრისტიანთა დევნის დროს. ქართულად თარგმნილია თეოდოტი ანკვირიელის რამდენიმე ნაშრომი: 1. „შობისათჳს მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა", ორი ჰომილია: ა) „ბრწყინვალე არს კრებაჲ ესე დღეინდელისა ამის დღესასწაულისაჲ" (A 162, 35-40; ქუთ.5, 446-472; და სხვ.). ბ) „ბრწყინვალე არს ჩუენდა და დიდებულ კრებაჲ ესე დღეინდელისა ამის დღესასწაულისაჲ" A 162, 40-44; ქუთ. 5, 472-480.

2. „სიტყუაჲ თქუმული ეფესოს შინა, წინააღმდგომად ნესტორიოსისა დღესა ოთხე მახარებელისასა" (A 266, XVIII ს., 325-26).

თეოდულა ხუცესი – მოხსენებულია ერთი ჰომილეტიკური თხზულების ავტორად: „საკითხავი თქუმული ნეტარისა თეოდულა ხუცისა, ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა გიორგისი", რომელიც შემონახულია მხოლოდ XI. ათონის მრავალთაში (Ath. 8, 267-271); გამოც. ე. გაბიძაშვილისა, წმინდა გიორგი მჭ. ქართულ მწერლობაში, თბ., 1991, გვ. 214-220.

თეოდულე – მოწამე; ეწამა ალათოპოდოსთან ერთად ქრისტესათვის, მაქსიმიანეს მეფობაში (307-311 წწ.), ქრისტიანთა დევნის დროს. ხსენების დღეა 4 აპრილი. მათი „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 7, XIII ს., 43-60).

თეოდულოს – იხ. ლეონტი.

თეოკრატია – სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, რომლის დროს საზოგადოებას მართავს უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება. მმართველობის თეოკრატული ფორმა ყველა ძველი ხალხისათვის იყო ცნობილი (ეგვიპტე, ტიბეტი), სადაც მეფეები ღვთის ინკარნაციად იყვნენ მიჩნეულნი. ქრისტიანობის ისტორიაშიც იყო ცდები თეოკრატიული იდეალის განხორციელებისა. შუა საუკუნეების დას. ევროპაში რომის პაპი თეოკრატიულ მმართველობას ახორციელებდა პაპის ოლქში და ცდილობდა პაპის თეოკრატიის განკრცობას მთელ ქრისტიანულ სამყაროზე (გრიგოლ VII-ისა და ინოკენტი III-ის თეოკრატიული პროგრამა). თეოკრატიის სახესხვაობას წარმოადგენდა კალვინის მმართველობა ჟენევაში (XVI ს.), თეოკრატი იყო დალაი-ლამა ტიბეტში. თეოკრატიული იდეა ედო საფუძვლად მუსლიმანთა სახელმწიფო სამართალს, რომლის თანახმად ხალიფას ხელში იყო თავმოყრილი სასულიერო იმამატი და პოლიტიკური ძალაუფლება – ემირატი.

დღეს თეოკრატიული სახელმწიფოა ეატიკანი, რომლის შეუზღუდავი განმგებელია კათოლიკური ეკლესიის მეთაური – რომის პაპი.

თეოლოგია (ბერძნ. „ღვთისმეტყველება") – საეკლესიო მოძღვრება, მეცნიერება ღმ

ერთის შესახებ. არსებობს თეოლოგიის ორი ძირითადი სახე: გამოცხადებითი (დამყარებული ღვთიურ გამოცხადებაზე) და ბუნებრიული (რომელიც საეკლესიო დოგმატები გადმოცემულია ლოგიკურ-რაციონალისტური ხერხებით). დროთა განმავლობაში თეოლოგია რამდენიმე განშტოებად ჩამოყალიბდა: დოგმატური, ისტორიული და პრაქტიკული. თითეული განშტოება იყოფა მთელ რიგ მიმართულებებად. ქრისტიანული თეოლოგიის ფუძემდებლები იყვნენ II-III სს. აპოლოგეტები (იუსტინიანე, ტერტულიანე, კლიმენტი, ორიგენე და სხვ.) და შემდეგდროინდელი ეკლესიის მამები. ქრისტიანული თეოლოგიის ძირითად დებულებათა სისტემატიზაცია დასავლეთში ნეტარმა აგუსტინემ (354-430) მოახდინა, აღმოსაელეთში — იოანე დამასკელმა (VIII ს.). პროტესტანტული თეოლოგია კათოლიკურისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი იზღუდება მხოლოდ ბიბლიური გამოცხადებით, კათოლიკური თეოლოგია კი საეკლესიო ტრადიციასაც ცნობს.

თეოსოფია — მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმად მისტიკურ-ინტუიტიური ჭვრეტის გზით შესაძლებელია ღმერთის შემეცნება და მიღმა სამყაროსთან ურთიერთობა. იგი ახლოსაა ისეთ მოძღვრებებთან, როგორიცაა ოკულტიზმი, სპირიტიზმი, ანთროპოსოფია.

თეოფანე — იხ. თეოდორე პირდაპირელი.

თეოფანე ანჩელი — ანჩის მღვდელთმთავარი XIV საუკუნის შუა წლებში.

თეოფანე — მთავარეპისკოპოსი კესარიაკაპადოკიისა. მისი თხზულებები ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა: 1. „სწავლაჲ სულისა მიმართ თუისა“; 2. „თაყისა თუისა მიმართ“; 3. „ლოცვაჲ სინანულისაჲ“; 4. „შობისათუს ღმრთისა“; 5. „მცნებათა ღმრთისათა დაცვისათუს“. ყველა ეს თხზულება დაცულია A 1101 (XI ს.) ხელნაწერში.

თეოფანე ბიზანტიელი — VI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიის ისტორიკოსი. ფოტიოსის ბიბლიოთეკაში შემორჩენილია მისი საისტორიო თხზულებების ფრაგმენტები, რომლებიც მოიცავენ 560-581 წლების ამბებს. თეოფანე ბიზანტიელი თავის შრომაში ახსენიებს სომხებსა და იბერებს, მათ აჯანყებას სპარსელთა წინააღმდეგ 572 წელს. ის პირველად ასახელებს თბილისს, როგორც იბერიის დედაქალაქს.

თეოფანე სიღრიანელი — აღმსარებელი და ჟამთააღმწერელი (752-818), დაობადა კონსტანტინეპოლში, კეთილშობილთა ოჯახში. თეოფანეს მამა ბიზანტიის იმპერატორის, ლეონ ისავრიელის (717-741) ნათესაკი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ თეოფანე იზრდებოდა იმპერატორ ლეონ ხაზარის კარზე. სიყრმიდანვე ღვთისმოსაკმა თეოფანემ კალონიმის კუნძულზე, მარმარილოს ზღვაში, დააარსა მონასტერი და იქ განმარტოვდა. მან ხელი მიჰყო წიგნების გადაწერას, რაშიც დიდი ოსტატობა გამოიჩინა. თეოფანემ კიდევ ერთი მონასტერი დააარსა „დიდი სოფლის“ სახელწოდებით სიღრიანის ოლქში ცნობილ ადგილას და მისი იღუმენი გახდა. იგი პირადად იღებდა მონაწილეობას სამონასტრო სამუშაოებში. 787 წელს ნიკეის მსოფლიო კრებაზე, რომელზეც დაგმეს ხატთმებრძოლთა ერესი, თეოფანე აღმსარებელიც იღებდა მონაწილეობას, როგორც ხატთაყვანისმცემელი. მან დაწერა მატიანე (285-813 წწ.) ქრისტიანული ეკლესიის შესახებ დაახლოებით 810-814 წლებში. წყაროდ იის იყენებდა ე. წ. დიდ მატიანეს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწეკია. VIII ს-ის მიწურულისა და IXს-ის დასაწყისის ამბების აღწერისას იგი ეყრდნობოდა პირადად ნახულსა და მოსმენილს. თეოფანე სიღრიანელს აქვს მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოზე, რომელთაგან ზოგიერთი არ გვხვდება სხვა წყაროებში (მაგ.: ირანელთა ლაშქრობა ლაზიკის მეფის წათეს წინააღმდეგ, იბერიის მეფე ძამანარძეს შესახებ). მისი მატიანე უმთაკრეს წყაროს წარმოადგენს ჰერაკლე კეისრის სპარსეთთან ომების დროს ქართველთა პოზიციის გასარკვევად. მასში არის ცნობები საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ VII-VIII საუკ. და სხვა.

ლეონ სომეხის (813-820) მეფობაში კვლავ იფეთქა ხატთმბრძოლთა ერესმა. ამ დროს თეოფანეს უკვე ღრმა მოხუცებულს, დააძალეს ერესის მიღება, მაგრამ მან მტკიცედ უარყო იგი, რისთვისაც საპყრობილეში ჩააგდეს და სავანე „დიდი სოფელი“ გადაუვეს. თეოფანე სიღრიანელი საპყრობილეში აღესრულა. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ „დიდი სოფელი“ აღადგინეს და თეოფანეს წმინდა ნაწილებიც იქ გადაასვენეს. ხსენების დღე — 12 მარტი. ქართულ ენაზე თარგმნილია თეოფანეს „ცხოვრების“ მეტაფრ. რედაქცია (ქუთ. 2, XVI ს., 161-172).

თეოფანე ხუცესი — ათონის მთის ქართველი მოღვაწე, ეფთვიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე მწიგნობარი, ფრიად განსწავლული და ხელოვანი გადამწერი. მას მიაწერენ მრავა-

ლი ბერძნული ხელნაწერის დამზადებას. გამორჩეულად დიდი ნაყოფიერებით: „უფრო მას ათას ხუთასსა დრაკნის უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარეთ“ („ცხორებაჲ იოვანესი და ეფთუმესი“, ძეგლები, II, გვ. 90). მან უწინასწარმეტყველა ეფთუმეს დაღუპვა კონსტანტინეპოლში მგზავრობის დროს.

თეოფილაქტე – VII-VIII სს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, აეტორი თხზულებისა: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარი პრომაელისაჲ“; თარგმნილია ქართულად (A 199, XII-XIII სს., A 128, XIII-XIV სს., 459r-471r და სხვა) ტექსტი გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები II.

თეოფილაქტე (რუსანოვი) – იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში 1945, გვ. 50-63.

თეოფილაქტე ალმსარებელი – ნიკომიდიის ეპისკოპოსი, IX ს. I ნახევარში, ხატთმებრძოლეობის ერესის დროს. VIII საუკუნეში ხატთმებრძოლი იმპერატორის, ლეონ ხაზარის (775-780) გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა კონსტანტინე VI (780-797). 787 წელს შედგა მსოფლიო კრება, რომელმაც დაგმო ხატთმებრძოლთა ერესი. თეოფილაქტე ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში აშენებდა ტაძრებს, ხატავდა, ქსოვდა, პირადად უღებდა ეკლოგებს. ლეონ სომეხის გამეფების შემდეგ კვლავ განახლდა ხატთმებრძოლთა ერესი. პატრიარქი ეცადა იმპერატორის გადაყვანებას. ამ საუბარს თეოფილაქტეც ესწრებოდა. მან იმპერატორს მოახლოებული სიკვდილის შესახებ უწინასწარმეტყველა, რითაც განარისხა იგი. ასეთი წინასწარმეტყველებისათვის იმპერატორმა თეოფილაქტე გადაასახლა მცირე აზიაში. აქ მან გაატარა 30 წელი და აქვე აღესრულა დაახლ. 842-845 წწ. ერესის საბოლოო დამარცხების შემდეგ თეოფილაქტეს წმინდა ნაწილები ნიკომიდიაში გადაიტანეს. ხსენების დღეა 8 მარტი. ქართულად თარგმნილია მისი „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 2, XVI ს. 111-128).

თეოფილაქტე ბულგარელი – XI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი და იერარქი; დაიბადა საბერძნეთში, კუნძულ ევბეაზე; სწავლა-განათლება მიიღო კონსტანტინეპოლში, სადაც შემდეგ პატრიარქის დიაკონი გახდა. გამოიწვია შესანიშნავი ორატორული ნიჭი და ერუდიცია, რის გამოც მან „რიტორთა მოძღვრის“ სახელწოდება დაიმსახურა. იმპერატორმა მიქაელ დუკამ (1071-1078) მას ტახტის მემკვიდრის – კონსტანტინეს აღზრდა მიანდო. 1075-1081 წლებში თეოფილაქტე დაინიშნა ოხრიდის მთავარეპისკოპოსად ბულგარეთში. მის თხზულებათა შორის საყურადღებოა ახალი აღთქმის განმარტება. იოანე ჭიმჭიმელს ქართულად უთარგმნია ამ თხზულების ნაწილი: „თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ“ (A 102, S 404), „განმარტებაჲ ლუკას სახარებისაჲ“ (A 113; A 284; S 3625), „განმარტებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ (A 52).

თეოფილე – IV ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, აეტორი თხზულებისა: „წამებაჲ წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამხა, აბიბოსეთი, რომელნი იწამეს ქალაქსა ედესას“, დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს მეფობაში ქრისტიანთა დევნის დროს.

ქართულად არსებობს ამ თხზულების კიმენური რედაქციის თარგმანი (A 95, XI ს. 513r-530v). გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები... VIII, 1955, გვ. 104-131). თეოფილეს თხზულების საფუძველზე სვიმეონ ლოღოთეტს შეუდგენია მეტაფრასული რედაქციის თხზულება, რომელიც ორჯერ უთარგმნიათ ქართულად: პირველად – არსენ იყალთოელს (S 384, XI-XII სს., გვ. 658-679), მეორედ – უცნობ მთარგმნელს (A 128, XIII, 111r-130r).

„თეოფილე იკონომოსის ცხოვრებაჲ“ – თეოფილეს თავგადასავალი აღწერა ვინმე ეტტიქიანოსმა. თხზულების სახელწოდებაა „წმიდისა და ზესთა დიდებულისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის შუამდგომლობისა მიერ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიმართ აღწოდებაჲ და სინანული ქმნილი აღმოსაელურისა სოფლისა, სახელით დანოსა ეკლესიისა ჯონომოსისა თეოფილეს მიერ“. თეოფილესა და მის ბიოგრაფის, ეტიკეტის შესახებ წყაროებში ცნობები არ არსებობს. თხზულება გადმოთარგმნილია ქართულად XII საუკ-ის I ნახევარში. თარგმანი შემონახულია ერთადერთი ნუსხით (ქუთ. 9, XVI ს. 334-347). გადაწერილია XVI ს-ში მოქცევი დასაღუთ საქართველოს კათალიკოსის, ექვთიმეს დაკვეთით. თარგმანი გამოსულია ე. წ. პეტრიწონული სკოლიდან. გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები....VI, თბ., 1960, გვ. 264-275.

თეოფილე ხუცესმონაზონი – XI საუკუნის II ნახევრის და XII ს. დამდეგის ცნობილი ქართველი საეკლესიო მწერალი და მთარგმნელი, გიორგი II-ის თანამედროვე, გიორგი მთაწმიდელის მოწაფე. მან თარგმნა პაგოგრაფი-

ული, ჰომილეტიკური, დოგმატიკური, ასკეტიკური და ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებები. მასვე დაუწერია „ილარიონ ქართველის (იხ.) ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია. თეოფილე კალიგრაფიც იყო. ერთ-ერთ პაგიოგრაფიულ კრებულში მითითებულია, რომ თარგმანთან ერთად იგი ხელნაწერებსაც ამზადებდა. ასე მაგალითად, მას გადაუწერია A 436 ხელნაწერი. თეოფილე ხუცესმონაზონს ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია გიორგი მერჩულის ბრძანებით, ე. ი. არა უადრეს 1073 წლისა, როგორც ეს აღნიშნულია ათონის ქართ. მონასტრის Ath. 20 ხელნაწერის „შესავალში". თეოფილეს ბერძნული ენიდან უთარგმნია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებათა სექტემბრის თვის კრებული (Ath. 20, 1081 ფ.), რომლის „შესავალი" და ბოლოსიტყვაობა სანტერესო ცნობებს შეიცავს ბერძნული მეტაფრასტიკის წარმოშობის და მისი მამამთავრის — სვიმეონის და მისი მეტაფრასული შრომების ქართულ ენაზე გადმოღების შესახებ (გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები, V, გვ. 143-246). როგორც ჩანს, თეოფილეს უთარგმნია ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეთა მეტაფრასული თხზულებების გარკვეული ნაწილებიც (ეტიუდები, V, გვ. 152-153).

თეოქტისტე ლეზველი — IX საუკ. მონაზონი ქალი, დაბადა კუნძულ ლეზვზე (ლესბოსი) მცირე აზიის ქალაქ მიფიმნაში, ადრე დაობლდა და ნათესავებმა ქალწული მონასტერში გააძწევსეს. თეოქტისტეს მოეწონა მყუდრო, განმარტოებული ცხოვრება და მთელ დღეებს ლოცვასა და ფსალმუნთა კითხვაში ატარებდა. 846 წელს 18 წლისა იგი იღუმენიას ნებართვით მეზობელ სოფელში გაემზადა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე დასასწრებად. ღამით სოფელს თაეს დაესხნენ არაბები და თეოქტისტე ტყვედ ჩაიარდა. არაბებმა ტყვეები ხომალდში ჩასვეს და ზღვაში გაიყვანეს. მეკობრეებმა კუნძულ პიროსზე შეისვენეს და ღვთის დახმარებით თეოქთისტემ მოახერხა გაქცევა. ამ კუნძულზე მან 35 წელი გაატარა ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც 881 წელს გარდაიცვალა. ხსენების დღეა 9 ნოემბერი. ქართულ ენაზე არსებობს თეოქტისტე ლეზველის „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის ორი თარგმანი, შესრულებული: 1) თეოფილეს მიერ (Ath. 36, XIს., 3-13) და 2) სტეფანე სანანოძის მიერ (S 384, XI-XII სს. 597-612).

თერაპევტთა სექტა — ესეელთა რელიგიური მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა I საუკუნეში ჩვ. წ.-მდე ეგვიპტის იუდეველთა შორის. შემონახულია ფილონ ალექსანდრიელის თხზულება, რომელიც ერთადერთი წყაროა ამ სექტის შესახებ. ესაა ტრაქტატი მჭვრეტელობითი ცხოვრების შესახებ. ფილონის ეს თხზულება დიდხანს იყო დისკუსიის საგანი. თერაპევტთა სექტას უკავშირებენ ეგვიპტის აღრეულ ქრისტიანობას. ამ სექტისადმი ინტერესი ოდნავ შეწელდა XX საუკუნის დასაწყისში ცნობების სიმცირის გამო, მაგრამ ინტერესი კვლავ გაღვივდა მკვდარი ზღვის ხელნაწერების აღმოჩენის შემდეგ. მეცნიერებმა ამ მონაპოვრის შედეგად თერაპევტთა სექტა უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს პალესტინის ესეელთა მოძრაობას.

თეურგია (ბერძნ.) — მაგიის სახეობა, წარმართული რიტუალები, რომელიც აღმოცენდა უძველეს ხანაში აღმოსავლეთის ქვეყნებში. თეურგიას აკუთნებენ „თეთრ მაგიას", განსხვავებით „შავი მაგიისაგან". აღამიანი იმედოვნებდა, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იყო ღმერთთან უშუალო კავშირის დამყარება და შემდეგ ბუნების მოელენებზე ზემოქმედება. თეურგიას ხშირად მიმართაედა მისტიური ფილოსოფია (მაგ. ნეოპლატონიზმი). ფართოდ იყენებდა მას ავრეთვე სხვადასხვა ჯგუფის ცრურწმენა. თეურგიაში შედის ელეუსინის მისტერიები და სხვა საიდუმლოებანი.

თეძისი — სოფელი წალკის რაიონში, თრიალეთის ქედის სამხრ. კალთის ძირას, წალკიდან 23 კმ-ზე; სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

„თეალთაძე" — ეპიფანე კეპრელის (იხ.) თხზულება, „რომელ ითქუა ათორმეტთა მათ თუალთათუს". თხზულება თარგმნილია ქართულად (S 1141, 973-976 წწ. 122-214 და სხვ. გამოც. ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ, შატბერდის კრებული, თბ., 1979).

თევნი (თუენი) — ქართული პიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანმიმდევრობით არის დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები. ტერმინი ჩნდება X საუკუნის მიწურულიდან. იადგარისაგან (იხ.) განსხვავებით თევნში ერთ დღეს 1 ან 2 წმინდანი მოიხსენიება, მას არა აქვს აგრეთვე სამარხვო ნაწილი. ტრადიციის თანახმად, თევნის პირველ შემდგენელად ითვლება გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც თავისი თორმეტი თვის კრებულის შესადგენად ქართულ-ბერძნული წყაროები გამოიყენა. გიორგი მთაწმიდელმა თევნის კალენდარი მის მიერ თარგმნილ კონსტანტინეპოლური

სვინაქარის კალენდარს შეუფარდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, მსოფლიო ეკლესიის წმინდანებად აღიარებული იოანე და ეფთვიმე ათონელების და ილარიონ ქართველის გვერდით შეიტანა ნინოსა და იოანა ალექსანდრიის სხვენებანი. გიორგისეულ „თუენს“ ანალოგი არ მოეპოვება ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში, რადგან თითოეული წმინდანის სხვენის დღეზე შეტანილია არა ერთი, არამედ ყველა ის პიმნოგრაფიული კანონი, რომელიც კი არსებობს ბიზანტიურ სხვადასხვა კრებულებში ამ წმინდანის შესახებ. ასე რომ, ზოგიერთ დღეზე წარმოდგენილია კონკრეტული წმინდანის ოთხი და ხუთი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პიმნოგრაფიული კანონი, ამოკრეფილი სხვადასხვა დედნებიდან. თუენის ხელნაწერები: S 4999 (დეკემბერი); H 2338 (იანვარი); Jer. 100 (თებერვალი); H 1710 (მაისი); H 2337 (იელისი-აგვისტო); H 2336(აპრილი); H 2339 (ივნისი) და სხვ. XVIII საუკუნემდე გიორგის თუენი კანონიკურ ხასიათს ატარებდა. შემდეგ ალექსი-მესხიშვილმა და ანტონ I-მა ქართული თუენი რუსულ ლიტურგიკულ პრაქტიკას შეუფარდეს და შესაწორეს იგი რუსული ტიპიკონის მიხედვით.

თ ე თ ი თ ა პ ა ჯ ი – საკუთარ მელოდიაზე (კილოზე), ძლისპირის გარეშე შექმნილი საგალობელი.

თ ე ი რ ს ო მ ო წ ა მ ე – აწამეს ლეკეი და კალინიკე მოწამეებთან ერთად ქრისტესათვის იმპერატორ დეკეოსის (249-251) დროს, ბითვინიის კესარიაში; ფილიმონ და აპოლონი ეწამნენ იმპერატორ დიოკლეტიანეს მეფობაში, (284-305) ეგვიპტეში 286 წელს, 16 მარტს. მათი ერთობლივი „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (A 90, XIII ს., 87-108; Ath. 2, XI-XIII სს., 126v-141r; Sin. 91, XIV ს., 297r-322r და სხვ.).

თ ი ლ ი ს ი ს ა – იხ. ავგაროზი.

თ ი რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი – მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქ. ცხინვალის მახლობლად, ცხინვალიდან 8კმ-ზე (ამჟამად სოფელს ეწოდება „მონასტერი“). სამონასტრო კომპლექსში, რომელშიც სხვადასხვა დროის საკულტო და საცხოვრებელ-სამეურნეო ხასიათის რამდენიმე ნაგებობაა გაერთიანებული, ყველაზე ადრეულია ღვთისმშობლის ეკლესია, სატრაპეზო, კლდეში ნაკეთი საკნები, საიკონომოსო (წედლეულის საწყობი), კოშკი და გალავნის ერთი მონაკვეთი. ეს ნაგებობები XIII საუკ. დასასრულით თარიღდება. სამრეკლო და მონაშენი კარიბჭით ეკუთვნის XIV-XV სს. ეკლესიის ჩრდილო მონაშენი წარწერის მიხედვით თარიღდება XVII საუკუნის 80-იანი წლებით. ჟამთა სიავემ თავისი კვალი დაამჩნია ამ ნაგებობებს.

თ ი ს ლ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი – XIII-XIX სს. მონასტერი ახალციხის რაიონში, აწყურის სამხრეთით 7 კმ-ის დაშორებით. შემორჩენილია გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები. თისლის ეკლესია, როგორც გადარჩენილი ნაწილებით ჩანს, რამდენჯერმე უნდა შეკეთებულიყო სხვადასხვა დროს. ამჟამად მთლიანად დანგრეული და გაძარცული. თისლის მეორე უგუმბათო ეკლესია, რომელიც სილრმეში დგას, XIV-XV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ესაა დარბაზული ტიპის საშუალო ზომის და პირველთან შედარებით უკეთესად დაცული ნაგებობა. დგას კამარიანად, საგანგებოდ ამოშენებულ ფერდობზე (ბაქანზე). ეკლესიის კედლები თლილი ქვისაა. შიგნიდან ეკლესია მოხატულია, გარედან კი – სადა. ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ მონასტერი უნდა ყოფილიყო. ეკლესიის მახლობლად კლდის ქიმზე დგას კოშკი, ციხის ნანგრევები.

ცნობილია თისლის მონასტრის XIII-XIV სს-ის დიდი სვინაქარი, რომელიც დღეს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არის დაცული (№ 4; იხ. ძეგლები, IV, გვ. 155). დ. კლდიაშვილი, თისლისა და სახელის ხელნაწერთა მინაწერები. მასალ. სამზ. საქართველოს XIII-XVI სს. ისტორიისათვის, თბ., 1986).

თ ი ხ ს ი ა – სოფელი შიდა ქართლში, ზნაურის რაიონში, მდ. ფრონეს ხეობაში. სოფელში დგას XII საუკუნის ღვთისმშობლის მიძინების გუმბათიანი ეკლესია, აგებული 1152 წელს. თიხეის ეკლესიაში შემორჩენილია კედლის თარიღიანი წარწერები. ქართველი მემატიანეები თიხეის ეკლესიის ქტიტორად ლაშა-გიორგის ასულს, შირვანის დედოფალს – თამარს ასახელებენ. მათიე ცნობით, თამარს თიხეის მონასტერი 1152 წელს დაუმთავრებია და იქვე აღკეცილა მონაზვნად. ამ ცნობის დამადასტურებელი სახეთი თეთ ტაძრის ჩრდილო ფასადის ქტიტორულ წარწერაშია მოცემული, სადაც თამარი „ღმრთისმსახურად“ არის მოხსენებული. თიხეის სამონასტრო კომპლექსიდან ამჟამად სამონასტრო შენობების გარდა ტაძრის ირგვლივ შემორტყმული ქვითკირის მტკიცე ზღუდეც კარგად არის შემონახული. ტაძარი რამდენჯერმე შეუკეთებიათ. საგრძნობი ნაწილი წარსული საუკუნის 90-იან წლებში განადგურებულა ტაძრის რესტავრაციის დროს. თიხეის მთაკარი ტაძრის დღევანდელი

კონტური შემოფარგლულია სწორკუთხედით, რომელშიც ჩაწერილია ჯვარი სამი სწორი კუთხით და ერთი მომრგვალებული მკლავით. ეს დამახასიათებელი იყო XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. თილეის ძეგლი არის ასიმეტრიულად განლაგებული, ნაწილობრივ ორსართულიანი ნაგებობაა. პირველი სართული ორადაა გაყოფილი: საკურთხეველი და სტოა, ანუ ნართექსი. ზედა სართულის დასავლეთ მკლავის ირგვლივ შემორტყმულია პატრონიკე. მასში შემავალი კარი ჩრდ. კედელშია დატანებული. ტაძრის თაისებურება განპირობებულია დაკეთის სპეციფიკურობით. არქიტექტურაში დამკვეთის სულიერი განწყობის გარდა აღბეჭდილია თვით ოსტატის შემოქმედებითი ბუნების თავისებურება, რაც გამოიხატება უმთავრესად პლასტიკური ამოცანის მხოლოდ ხუროთმოძღვრული ფორმებით გადმოცემაში (დეკორის დაუბმარებლად). ეს ანსხვავებს თილეას სხვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისაგან.

თილეი — იხ. ზედა თილეი.

თმოგვის ციხე — ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრ. საქართველოში, ჯაჯახეთში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასპინძის რ-ნის სოფ. თმოგვში. თმოგვის ციხე აგებულია მაღალკლდოვან მთაზე. ციხის კედლებს გარეთ, დასავლეთით, კლდის მასივში გამოკვეთილია წმ. ეფრემის ეკლესია, კლდეშივე გამოკვეთილი კანკელით, მეორე ეკლესიის ნანგრევებში შემორჩენილია XIII საუკუნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტი.

თოდოსაკი — ხუროთმოძღვარი, მოქანდაკე; მოხსენიებულია ატენის სიონის (VII ს.) სამხრ. ფასადის აღმ. ნიშში სომხური მთავრულით შესრულებულ წარწერაში. თოდოსაკი მიჩნეულია ტაძრის რესტაურატორად (X ს.). ეროვნებით იგი ბერძენი უნდა ყოფილიყო (თ. მესხის გამოკვლევის მიხედვით).

თომა — XVIII საუკუნის კალიგრაფი, გადამწერი; თბილისის სიონის ტაძარში გადაწერა „ჟამნი" 1738 წელს (H 15), 1765 წელს კი — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (H 3132).

თომა — დავითგარეჯის მონასტრის XVIII ს. არქიმანდრიტი. 1786 წელს იგი მოხსენიებულია ქართულ ისტორიულ საბუთებში: „ბრძანება ანტონ I იოსებ ქურხულისადმი ოქმის დაწერების შესახებ" (სამართლის ძეგლები, VII, გვ. 751, 797, 817).

თომა აქვინელი (1225-1274) — დომინიკელი ფილოსოფოსი და თეოლოგი, კათოლიკური სქოლასტიკის სისტემატიზატორი. 1323 წელს რომის ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. რომის პაპმა იოანე XXII-მ თომა აკვინელის მოძღვრება საეკლესიო კანონად დაამტკიცა (1363 წ.), პაპმა პიუს V-მ კი „ეკლესიის დოქტრინად" გამოაცხადა (1567 წ.). 1567 წელს თომა აკვინელი კათოლიკური ეკლესიის მე-5 მამად იქნა აღიარებული. 1879 წელს პაპმა ლეო XIII-მ თომა აქვინელის მოძღვრება კათოლიციზმის ოფიციალურ მოძღვრებად დასახა. ამიერიდან იგი გაბატონდა ყველა კათოლიკურ უნივერსიტეტში და 1923 წლიდან მისი სწავლება საყოველთაოდ დაკანონდა. თომა აკვინელის ფილოსოფიური მოძღვრების საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა არისტოტელეს მეტაფიზიკურმა თხზულებებმა, ალბერტ დიდის, პლატონის, ნეტარი ავგუსტინესა და დიონისე არეოპაგელის მოძღვრებებმა. მის თხზულებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „თეოლოგიური სუმა" და „სუმა წარმართთა წინააღმდეგ".

თომა არწრუნი — X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, სომხეთის ცნობილ ნახარართა (მთავართა) — არწრუნის გვარიდან; იგი სასულიერო პირი იყო და როგორც ვართაპეტს (მთქმელს), სპასტიო ადგილი ეკავა თავის წრეში. მისი მთავარი ნაშრომია „არწრუნიანთა სახლის ისტორია", რომელიც დაწერილია მოუსეს ხორენაცის (მოსე ხორენელის) ისტორიის მიბაძვით და შეიცავს ცნობებს უძველესი დროიდან X საუკუნემდე. ნაშრომი მოგვითხრობს საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის შესახებ. თხზულება ფრანგულ ენაზე თარგმნა მარი ბროსემ.

თომაიდა — აეტორი წმიდა ფებრონიას წამებისა, რომელიც ეწამა დიოკლეტიანეს დროს (284-305) ქრისტიანთა დევნის დროს. თხზულება თარგმნილია ქართულად (Sin. 6, 981-83 ფფ., 184r-200v; A 95, XIს., 305v-319v; ბოდლ. 1, XI ს., 181r-193v; „წამების" ტექსტის მოწმობით თხზულება აღწერა იერემიამ (V ს.). იხ. ეტიუდები, V, გე. 62.

თომა კემპენელი (კემფელი) (1380-1471) — გერმანელი მისტიკოსი, ავგუსტინელი მონაზონი, რელიგიური ტრაქტატების ავტორი. დაიბადა კემპენში, ღარიბი მშობლების ოჯახში; დიდი პოპულარობით სარგებლობდა მის მიერ დაწერილი თხზულება „მიბაძავა ქრისტესი", რომელიც 1734 წელს რომში „პროპაგანდის კოლეგიაში" სწავლის დროს ქართულად უთარგმნია გორელ დავით ტულუკაშვილს — 4 წიგ-

ნად (ქუთ. 572), ხოლო XIX საუკ-ის ბოლოს — ა. მღებრიშვილს.

თომა მოციქული — წმ. მოციქული, მაცხოვრის ერთ-ერთი ათორმეტ მოწაფეთაგანი. წარმოშობით იგი გალილეიდან იყო, ქ. ფანადიდან, მისდევდა მეთევზეობას. მას არ სჯეროდა უფლის მოწაფეების მტკიცება ქრისტეს აღდგომის შესახებ. ქრისტეს აღდგომის მე-8 დღეს მას მოეულინა მაცხოვარი და აჩვენა თავისი ჭრილობები. ამის შემდეგ ურწმუნო თომა სხვა მოწაფეებზე მეტად მორწმუნე გახდა. საეკლესიო გადმოცემათა თანახმად, თომა მოციქულმა დააარსა ქრისტიანული ეკლესიები პალესტინაში, მესოპოტამიაში, პართიაში, ეთიოპიაში და ინდოეთში. სახარების ქადაგება თომა მოციქულმა აღბეჭდა თავისი მოწამებრივი აღსასრულით. ქრისტეს რჯულზე ინდოეთის მმართველისა და მისი მეულის მოქცევისათვის იგი საპრობილეში გამოამწყვდიეს და აწამეს. მისი წმინდა ნაწილები დაცულია ინდოეთში, უნგრეთსა და ათონზე. ხსენების დღე — 6 ოქტომბერი. ქართულად არსებობს თომა მოციქულის „ცხოვრების" თარგმანი (H 341, XI ს. 240-260), აგრეთვე „საკირველებანი" (A 649, 26-30) და „მოსაკსენებლის" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 5, XVI ს. 256-286; A 90, XIII ს., 175-208).

თომას კვირა — ახალი კვირა, აღდგომის მეორე კვირიაკე; ბრწყინვალე შეიდეული თომას კვირის მერვე დღეს სრულდება, რომელიც ამის გამო ძველთაგანვე დიდ დღესასწაულად ითელებოდა, როგორც პასქალური დღის ერთგვარი შეცვლა, განმეორება. ამის გამო ეს დღე იწოდებოდა ანტიპასქად. ამ დღიდან იწყება მთელი წლის კვირათა და შვიდეულთა წრე. ამასთან დაკავშირებით ანტიპასქაში ახალ კვირად, პასქის განახლებად იწოდება. ეს განახლებები იმითაა გამართლებული, რომ მერვე დღეს თვით უფალმა ინება განეახლებინა თავისი აღდგომის სიხარული მოციქულთა წინაშე ახალი მოვლინებით, განსაკუთრებით კი თომას წინაშე, რომელმაც მხოლოდ უფლის ჭრილობების ხილვის შემდეგ ირწმუნა მისი აღდგომის ჭეშმარიტება. ამის გამო ეწოდა ამ დღეს თომას კვირა.

თომას მონასტერი — ქართველთა საკანე შაქ მთაზე. ამ მონასტერში ქართველთა მწიგნობრულ-შემოქმედებაზე საქმიანობაზე ჩვენამდე არაეითარ ხელშესახებ ცნობას არ მოუღწევია. მის არსებობაზე მეუთითებდა მ. თარხნიშვილი (ბედი ქართლისა, 9, 1951 წ., გვ. 17).

თომიზმი — თომა აკვინელის ფილოსოფიური და თეოლოგიური დოქტრინის და მის მიერ დაფუძნებული მიმდინარეობის სისტემატიზებული გადმოცემა. (იხ. თომა აკვინელი).

თორა — ძველი ებრაული მოძღვრება, კანონი; ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის (დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულთა) ძველებრაული სახელწოდება. ტრადიცია თორას შედგენას მოსეს მიაწერს.

თორია — სოფელი ნინოწმინდის რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდიდან 15 კმ-ზე, სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია ლამიდარული წარწერით.

თორნე (თოდი) — შაკი მთის ქართველთა ეკლესია სვიმეონ საკირველმოქმედის მონასტერში. აქ გადაიწერა სახარება (H 1791), რომელიც დამზადდა შაკ მთაზე XIII საუკუნის დამდეგს. H 1791 ხელნაწერი ერთ-ერთი უგეიანესია შაკი მთიდან მოღწეულ ხელნაწერთა შორის. ელ. მეტრეველის აზრით ის გადაწერილია სირიაში, ანტიოქიის სანახებში. სვიმეონის ან სვიმეონწმიდის თორნეს ეფრემ მცირეც იხსენიებს, როგორც ქართველთა სავანეს, წმიდა მოდად სახელდებულს და ასე განმარტავდა: „შეისწავე, რამეთუ ბერძენნი არა თორნედ, არამედ წმიდად მოდად უწოდენ წმიდა ეკლესიასა ქართველთასა" (A 24, XI, 147v). ზოგჯერ ცალკე სავანედ მიიჩნევენ სვიმეონწმინდაში არსებული ქ ეკლესიად. ეს უკანასკნელი უფრო სა ად (კერები, II, გვ. 156-157).

თორნიკე — ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლის, იოანე ათონელის (იხ.) ერისკაცობის სახელი. ხშირად იხსენიება იოანე-თორნიკეს სახელით.

თრიხვი — სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ხელეურეთის მარჯვენა ნაპირზე. ქარელიდან 12 კმ. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით გამოქვაბულში ნაპოვნი 1066 წლით დათარიღებული წარწერის თანახმად, ქვაბი ლეონტი მროველს აუშენებია დიდი თურქობის დროს (XI ს.) მოსახლეობის თავდასაცავად (ეს ლეონტი მიჩნეულია ცნობილ ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველად (გ. გოგორიშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. საღმრთებელო წარწერა თრიხვის ქვაბებიდან, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", 1, 1961 წ.).

თუალთა (თუალის მონასტერი) — XI ს-ის შაკი მთის ქართული სავანე. თუალთას მონასტერში არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც ხშირად სარგებლობდა ეფრემ მცირე.

აქ მოღვაწეობდა ილარიონ დიდი თუალელი (იხ. კერები, II, გვ. 160).

თუზი — სოფელი თერჯოლის რაიონში, მდ. ძუსისა და ბუჯის წყალგამყოფზე, თერჯოლიდან 21 კმ-ზე. სოფელში დგას გვიანდელი ფეოდალური ხანის ფრესკებით მოხატული ეკლესია. თუზის მიდამოებში შემორჩენილია აგრეთვე XI-XII სს-ის ეკლესიის ნანგრეულები.

თურქისტანიშვილი ერასტი († 1735) — ქართველი მწიგნობარი, ვახტანგ I-ს გაპყრა რუსეთში 1724 წელს. მეფის დავალებით მან რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა „აპოვფთეგმატა" (ვრცელი და მოკლე; A 1702, 1753 წ.). მის მიერ თარგმნილი მოკლე რედაქცია ვახტანგ VI-ჲ გალექსა და უწოდა მას „სიბრძნე მალალობელი" (S 171, 35-107).

ი

იადგარი — (სპარს. „ხსოვნა", „სახსოვარი") — 1. ძველი ქართული ლიტურგიკული კრებულის სახელწოდება. კრებულში თავმოყრილია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დაწესებულ საეკლესიო დღესასწაულთა და ხსენებათა საგალობლები; იწყება ხარებით და შეიცავს მთელი წლის დღესასწაულთა საგალობლებს. კალენდარული თანმიმდევრობა იადგარში დარღვეულია მარტსა და აპრილს შორის მათში დიდმარხვისა და ზატიკის მოძრაჲი დღესასწაულების საგალობლების ჩართვის გამო. იადგარი შექმნილი ჩანს ადრე შუა საუკუნეებში. იადგარის ჩამოყალიბებას საფუძვლად „ქართული (იერუსალიმური) ლექციონარი" (V-VII სს.) დაედო. უძველესი ტიპის ქართული იადგარის თარგმნილი ტექსტები (VII-VIII სს.) დაწერილია ე. წ. „წნობილი სიტყვით". საგალობლების რიტმიკა შინაარსობრივად შეკრულ ტაეპთა „რიცხვადობაზე" დამყარებული და არა ტროპარების სილაბურ-თანაფარდობაზე. იადგარის ახალი ტიპი, რომლის საგალობლები „საგალობელი მარცვლედის" საზომით გაიმართა, შეიქმნა IX-X სს. მიჯნაზე. ყოველ საგალობელს ახლავს თაკისი ჰუსიქალურ-რიტმული მოდელი — ძლისპირი. ქართულმა იადგარმა მოკლე რედაქციიდან მდიდარი რეპერტუარით წარმოდგენილ „საწელიწდო იადგარამდე" (XI ს.) განვითარების დიდი გზა განელო. ჩვენამდე მოღწეული იადგარის ითხემის ყველა ნუსხა თარიღდება X საუკუნით. ამ ნუსხებმა შემოგვინახეს თარგმნილი და ორიგინალური საგალობლების უმდიდრესი რეპერტუარი და უძველესი სანოტო სისტემით ჩაწერილ გალობათა შელოდიები. ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება ყველაზე სრულყოფილად მიჰაყალ მოდრეკილის მიერ შედგენილ „იადგარშია" (978-988) წარმოდგენილი. იადგარების ბერძნული პირველსახე ჩვენამდე მოღწეული არ არის, ამიტომ ქართულ იადგარებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისით. ქართული იადგარები „ქართულ (იერუსალიმურ) ლექციონარებთან" ერთად ჰიმნოგრაფიის განვითარების თვალსაჩინო სურათს წარმოგვიდგენენ XI საუკ. დამდეგამდე.

2. იადგარი დიპლომატიკური ტერმინია და ზოგჯერ შეწირულების სიგელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა ძველად.

„იაზონი ქილისა" — ეკლესია ქვემო ბოლნისის მიდამოებში, XII-XIII საუკუნისა; არის ლაპიდარული წარწერა.

იაკობი — ისრაელიანთა ერთ-ერთი პატრიარქი, ბიბლიის მიხედვით, ისაკის ძე. ისაკისა და რებეკას ძენი — ესაუ და იაკობი ტყუპები იყვნენ (ჯერ დაიბადა ესაუ, შემდეგ — იაკობი). რებეკას ცბიერების წყალობით იაკობმა მოიპოვა პირმშოობა, მაგრამ ისაკის რისხვისაგან თავის დაღწევის მიზნით გაიქცა ქანაანში და თაკი შეაფარა ნათესავის ოჯახს (ლაბანთან). ლაბანს ჰყავდა ორი ასული: ლია და რაქილი. იაკობმა ორივე და ცოლად შეირთო. ცოლებისა და ხარჭებისაგან 12 ძე შეეძინა. იაკობის მეორე სახელია ისრაელი, რომელიც მან ღმერთთან შეჭიდების გამო მიიღო. „ისრაელი" სიტყვასიტყვით ღმერთთან მებრძოლს ნიშნავს. მის შვილებს „ისრაელის ძენი" ეწოდათ, რომლებიც შემდეგ ისრაელიტელთა 12 ტომის მამამთავარნი გახდნენ. პატრიარქისადმი ღვთის აღთქმის თეოლოგია იაკობის თაყვადასაკაკლ გულისხმობს და ღრმა სულიერ შინაარსს ანიჭებს მას. იაკობი აღემა-

ტა თაეის ძმას ესავს და მიიღო მამის კურთხევა, რომლის ძალითაც იგი აღთქმის მემკვიდრედ იქცა. იაკობ არის პირველი, რომლის საშუალებითაც ებრაელი ხალხი ღვთის აღთქმის მემკვიდრე ხდება (ტერტულიანეს ინტერპრეტაციით). იაკობის გზა ქრისტეს გზის წინასწარმეტყველებაა. იოანე ოქროპირის მიხედვით, იაკობის სიბრძნე იმარჯვებს ბუნებაზე (ბუნებით ის იყო მეორე, და კურთხევის წესით გახდა პირველი).

იაკობი – ქართლის მთავარეპისკოპოსი IV ს-ის II ნახ., ქართლის პირველი მთავარეპისკოპოსის, იოანეს შემდგომად, ბაკურ მეფის (მირიანის შვილიშვილის) დროს. იაკობ მღვდელი (შემდეგ მთავარეპისკოპოსი) იოანე მთავარეპისკოპოსს ჩამოჰყვა საბერძნეთიდან. ნინომ სიკვდილის წინ ანდერძად დაუბარა იოვანეს, რომ მის შემდგომ იაკობი დაესვა ქართლის მთავარეპისკოპოსად (ძეგლები, I, 89,33-37; 91,5-18).

იაკობი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. მიძნაძორელი მონაზონი, „დიდ იაკობად" წოდებული; მოხსენიებულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში": „ესმა ჩუენთა ბერწყინვიდა კვეშა მას მიძნაძორასსა დიდი იაკობ. ეითარცა მთიები შორის ეარსკულაეთა, ზეოთა სიტყუსა ჩუენისა შემკობილი მრაველფერითა მადლითა მოყუასთა თანა სალმრთოთა" (ძეგლები, I, გვ. 293).

2. ათონის ქართველთა მონასტრის დეკანოზი, XI ს-ის II ნახევრის მოღვაწე, გიორგი ოლთისარის მამასახლისობის დროს.

3. XI საუკუნის ქართველი ათონელი მოღვაწე, კალიგრაფი. გადაწერა ისააკ განშორებულის (იხ.) თხზულებათა ერთთომეულსეული თარგმანების კრებული, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ (A -1101)

4. გელათის მონასტრის ჯვარისმტვირთველი, გვარად ფანჩულიძე, XVI საუკუნის მოღვაწე. 1513 წელს მისი ხელით დაიწერა მოძღვართმოძღვარ, ილარიონის შეწირულების წიგნი გელათისადმი (იხ. სამართლის ძეგლები, III, 47).

იაკობ ბატნანელი († 521) – სირიელი საეკლესიო მწერალი, ბატნანის ეპისკოპოსი. განათლება მიიღო ედესაში, შემდეგ – სასულიერო წოდება. 519 წ. დატოვა ბატნანი და სამოვაწეოდ გადაეხვა საროჯში, ოსროენის დედაქალაქში. მალევე გარდაიცვალა. მისი შემოქმედების ძირითადი საგანი იყო პოემილეტიკური მწერლობა (უმეტესად ბიბლიურ თემებზე). მას ეკუთვნის აგრეთვე საგალობლები და 8 ეპისტოლე. თანამედროვეები იაკობს თვლიდნენ ორთოდოქს მწერლად, მაგრამ მისი ეპისტოლეები, რომლებიც მას მარბარსუს მონასტრის ბერებისათვის მიუწერია, ნათელაყოფენ, რომ ის მონოფიზიტი იყო (სუეროანელი). იაკობ ქალკედონის კრების მოწინააღმდეგე იყო; სამებისა და ქრისტეს განკაცების შესახებ მოძღვრება მისი თეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. ქართულ ენაზე თარგმნილია იაკობ ეპისკოპოსის „ცხორებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტჱს წმიდისა ქალწულისაგან"; გამოც. კ. კეკელიძისა, კიმენი, I, ტფ., 1918, გვ. 174-188.

იაკობ დიაკონი – V საუკუნის ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი; მას დაუწერია თხზულება „სინანული პელაგიადსა მეძაუსაჲ, რომელსა ეწოდა მარგალიტ". ამ ძეგლის ქართული თარგმანი მოღწეულია XI საუკუნის ხელნაწერით (A 95, 604-612). არსებობს ამ თხზულების სხვა თარგმანიც (A 382, XV ს., 10-14, ბოდლ. I, XI ს. 456-464).

იაკობ ზებედეს ძე – მოციქული, ქრისტეს ერთ-ერთი 12 მოციქულთაგანი, იოანე ღვთისმეტყველის ძმა. წმინდა იაკობი სულიწმიდის გარდამოსელის შემდეგ ქადაგებდა ესპანეთში და სხვა ქვეყნებში; შემდეგ დაბრუნდა იერუსალიმში; საჯაროდ და დაუფარავად ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას. ურწმუნოებმა მის წინააღმდეგ აამხედრეს პეროდე აგრიპა (40-44), რომელმაც იგი შეიპყრო და დახოცა. იაკობ მოციქულმა მშვიდად მოისმინა სასიკვდილო განაჩენი. ერთერთი დამსმენთაგანი, იოსია, გაოცებული დარჩა იაკობ მოციქულის სიმტკიცითა და სიმამაცით. მან მოინანია თავისი ცოდვები და ირწმუნა იაკობისა, პატივს სთხოვა მას, რის შემდეგ საჯაროდ აღიარა ქრისტე და ამის გამო 44 წელს მასაც მოკვეთეს თავი იაკობთან ერთად. ხსენების დღეა 30 აპრილი. ქართულად არსებობს იაკობ მოციქულის „მოსაკსენებლის" მეტაფრასული რედაქცია (კუთ. 7, XIII ს. 416-420).

იაკობ მიტროპოლიტი – შემოქმედელი (დუმბაძე) – შემოქმედის მიტროპოლიტი, XVII-XVIII საუკუნეების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი. შემოქმედის მიტროპოლიტად იხსენიება 1647 წლიდან. ქართლის მეფის, გიორგი XI-ის დაკვეთით გადაეწყო ბაგრატ მუხრანბატონის (იხ.) ანტიმამადიანური თხზულება და უწოდა „უსჯულოჲს მუსაჰელის და ქრისტიანეთა გაბაასება". მასვე ეკუთვნის არჩილ II-ის ხოტბა, პასუხი იოსებ თბილელის

შეკითხვა-გამოცანებზე, რომლებიც ბიბლიურ თემას ეხება. ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით, მიეწერება აგრეთვე გადაკეთებული „ადღულმესიანი", რომელშიც ქების ობიექტი არის არჩილ III, ნაცვლად თამარისა და დავითისა.

იაკობ მოციქული – უფლის ძმა, იოსების უფროსი ვაჟი. იაკობი და იოსები ერთად მოიხსენიებიან ქრისტეშობას, რადგან გადმოცემის მიხედვით წმინდა ოჯახის ეგვიპტეში გაქცევის დროს იაკობი თან ახლდა მათ და მათთან ერთად დაბრუნდა იუდეაში. ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ იაკობი იყო იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი და დიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო ქრისტიანთა, არამედ იუდეველთა შორისაც. იაკობმა მოწამებრივი სიკვდილი მიიღო ქრისტესათვის. ის იერუსალიმის ერთ-ერთი ტაძრიდან გადმაგდეს იმის გამო, რომ საჯაროდ ქადაგებდა ქრისტეს ღმერთკაცობას. მისი ხსენების დღეა 26 დეკემბერი.

ქართულად თარგმნილია იაკობ მოციქულის „წმობის" ორი კომენური თხზულება: I – X საუკუნის ერთი ხელნაწერით (Ath. 8, 64-65) და II – ორი ხელნაწერით (A 19, X ს. 100-109; A 95, XI ს. 94-98); გამოცემულია, კ. კეკელიძის მიერ, კომენი II, 93-100. ქართულად არსებობს აგრეთვე იაკობ მოციქულის „მოსაკსენებლის" მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 4, 1565 წ. 555-564; A 382, XV ს., 240-243; Jer. 37, XII-XIII სს., 110-116 და სხვ.

იაკობ მოციქულის ჭამისწირვა – იხ. ჭამისწირვა.

იაკობ ნისიბელი//ნისიბინელი – ეკლესიის წმინდა მამა, ნისიბის ეპისკოპოსი IVს-ში სირიული ქრისტიანობის გამოჩენილი მოღვაწე და სწავლული; იაკობი ეწეოდა მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას, იყო სასწაულთმოქმედი, ამტკიცებდა ხალხში ქრისტიანულ სარწმუნოებას. როგორც ნისიბის ეპისკოპოსმა, იაკობმა მონაწილეობა მიიღო ნიკეის კრებაში (315 წ.) და სხვებთან ერთად იბრძოდა არიანული ერეზის წინააღმდეგ; იაკობ ნისიბელმა დიდი როლი ითამაშა ნისიბის გადარჩენაში სპარსთა მეფის, შაბურ III ალყის დროს.

სირიასა და სომხეთში ის აღიარებული იყო, როგორც თეოლოგიის „დოქტორი" და თარგმნიდნენ მის მრავალრიცხოვან თხზულებებს.

მისი წმინდა ნაწილები, რომლებიც გადარჩა სპარსელთა მიერ ნისიბის დაპყრობის შემდეგ (313 წ.), საბოლოოდ კონსტანტინეპოლში დასვენეს (970 წ.). მისი „ცხოვრება" შეტანილია შატბერდის კრებულში (S1141, X, 973-976 წწ. 248-256); გამოც. ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ, შატბერდის კრებული, თბილისი, 1979, გვ. 356-364. ხსენების დღეა 15 იელისი (ზოგიერთი წყაროებით – 13 იენისი).

იაკობ სპარსი – IV საუკ. მოწამე, დაიბადა კეთილშობილ და დიდგვაროვან ქრისტიანთა ოჯახში. იეზდეგერდის (399-420) კარზე მას ეჭირა დიდი თანამდებობა და ფარულად აღიარებდა ქრისტიანობას. ერთ-ერთი ბრძოლის დროს თაეისი ქრისტიანული რწმენის დაფარვას მიზნით იაკობმა მეფესთან ერთად მსხვერპლი შესწირა კერპებს. ცოლმა და დედამ იაკობს საყელურის წერილი გაუგზავნეს. მან მოინანია თავისი ცოდვა და საჯაროდ ხმამაღლა შესთხოვა ღმერთს ამ ცოდვის მიტევება. იგი დაასმინეს მეფესთან. დაკითხვაზე იაკობი მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე. მეფის შეგონებამ არ გასჭრა და იგი წამებით მოკლეს. ხსენების დღეა 27 ნოემბერი.

იაკობ სპარსის „წამება" თარგმნილია ქართულად (A 95, XI ს., 570-576 და სხვ.); ქართულად არსებობს აგრეთვე თხზულების მეტაფრასული რედაქციაც. (A 382, XII ს., 173-192, A 128, XII-XIII სს., 244-251)

იაკობ ცურტავის („სრტავის") ეპისკოპოსი – VI საუკ. I ნახევრის სომხური ცნობით, რომელიც დაცულია „ეპისტოლეთა წიგნში", 506 წელს ქ. დვინში მოწვეულ იქნა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებას დასწრებია ქართლის კათოლიკოსი გაბრიელი (იხ.). გაბრიელ ქართველთა და მცხეთის ეპისკოპოსმა, რომელიც კათოლიკოსი იყო კრიონმაზე, შეჩერება ქალკედონის დადგენილებები. ამ კრებას სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან ერთად დასწრებია იაკობ ცურტაველი (სრტავის) ეპისკოპოსიც.

უხტანესის ისტორიაში „განყოფისათჳს ქართველთა სომეხთაგან" აბრაამის მესამე ეპისტოლეში კირიონისადმი ეკითხულობთ: „ესე ნეტარნი ეპისკოპოსები... ალბანელებთან და სირენელებთან ერთად სომხეთში შეკრებნენ ბაბგენ სომეხთა კათოლიკოსის დროს, იმ კრებაზე, რომელზედაც დაწყევლა მან ქალკედონის კრება, ლეონის ტომარი და კანონი". ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს იაკობი „შუშანიკის წამების" ავტორი – იაკობ ხუცესი უნდა იყოს, რომელიც 478-506 წწ. შუა ცურტავის ეპისკოპოსი გამხდარა (იხ. ილ. აბულაძე, იაკობ ცურტაველი, შუშანიკის მარტვილობა, 1938 წ.).

იაკობ ხუცესი (ცურტაველი) – V საუკუნის II ნახევრის ქართველი ჰაგიოგრაფი, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“-ს ავტორი. ესაა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ორიგინალური ძეგლი, რომელშიც აღწერილია, როგორ დაგმო ვარსქენ პიტიახშმა თავისი სარწმუნოება სპარსელთა სამებელად, როგორ მიიღო მაზდეანობა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის აწამა მეუღლე. იაკობ ცურტაველის შესახებ ცნობებს გვაწვდის მისივე თხზულება, საიდანაც ვიგებთ, რომ ის ყოფილა ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელი, შუშანიკის მოძღვარი, ვარსქენის ოჯახში მომხდარი ტრაგედიის თანამედროვე, თვითმხილველი და მონაწილე. თხზულება დაწერილია 476-482 წლებში, შუშანიკის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ, ეახტანგ გორგასლის მიერ ვარსქენ პიტიახშის სიკვდილით დასჯამდე. ვარაუდობენ, რომ იაკობი მოგვიანებით გახდა ცურტაველი ეპისკოპოსი და რომ სწორედ ის უნდა იყოს 506 წელს დვინის საეკლესიო კრების მონაწილე იაკობი – ცურტაველი ეპისკოპოსი. „შუშანიკის მარტვილობა“ უძველეს ხელნაწერში (95, XI) ბოლონაკლულია, ხოლო სრული ტექსტი მხოლოდ XVIII ს. ნუსხებშია წარმოდგენილი. ოფიციალურად ამ თხზულებით იწყება ქართული მწერლობის ისტორია, მაგრამ ქართული სიტყვისა და ჟანრის ასეთი მაღალმხატვრული დამუშავება და ავტორის ოსტატობა უთუოდ განვითარების ერცელ გზას უნდა გულისხმობდეს. ძეგლის მთავარი გმირი – შუშანიკი განასახიერებს ქრისტიანობისათვის თაედადებულ და ქართლის ეროვნული ინტერესების დამცველ პიროვნებას, რომელიც წინ აღუდგა ვარსქენ პიტიახშის სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ზრახვებს და დაიცვა არა მარტო ჭეშმარიტი სარწმუნოება, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც. შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლის აღწერასთან ერთად იაკობ ხუცესი გვიხატავს V ს. ქართლის საეკლესიო ორგანიზაციას, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ სურათს, ჯოჯოხეთსა და ზნე-ჩვეულებებს, ქვეყნის კულტურულ ვითარებას. ცხადია, ამის გამო თხზულება ამავე დროს შესანიშნავი ისტორიული წყაროცაა.

„შუშანიკის მარტვილობა“ ადრევე თარგმნილა სომხურ ენაზე, ამ თარგმანის გადაშუაეების საფუძველზე შეიქმნა სომხური მოკლე რედაქცია. არსებობს მოკლე ქართული რედაქციაც, რომელიც თარგმნილია სომხური მოკლე რედაქციიდან არა უგვიანეს 940 წლისა.

1978 წელს ფართოდ აღინიშნა იაკობ ხუცესის თხზულების დაწერის 1500 წლისთაეი. ტექსტი პირველად გამოსცა მ. საბინინმა (1882); 1917 წელს – გორგაძემ; 1938 წელს – ილ. აბულაძემ; 1979 წელს – ც. ქურციკიძემ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ-ის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ.248-319. 1986 და 1999 წწ. – ე. გუნაშეილმა და ზ. სარკველაძემ (კრ. „იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმ. შუშანიკისი, გიორგი მერჩულე ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანცთელისა“) ; ლათინური თარგმანი – პ. პეტერსმა (1935); რუსულად თარგმნა კ. კეკელიძემ (1956); ვ. დონდუამ, რომელიც მხოლოდ 1978 წელს გამოქვეყნდა; ფრანგულად – ს. წულაძემ; ინგლისურად – დ. ლანგმა 1956 წ.).

იაკობიტები – სირიელ მონოფიზიტთა სახელწოდება; იაკობიტები აღიარებდნენ ქრისტეს მხოლოდ ღვთიურ ბუნებას და ამ თვალსაზრისს იცავდნენ ქალკედონის კრებაზე (451 წ.). სახელწოდება მათ მიიღეს იაკობ ბარადეუსისაგან. იგი იყო მღვდლის შვილი, დაიბადა ნისიბინის ახლოს (500-578), განათლება მიიღო ოჯახში, შემდეგ სწაელა გაიგრძელა პესილტის მონასტერში. აქედან ის გაგზავნეს კონსტანტინეპოლში. თეოდოსი იმპერატორმა იაკობი კარგად მიიღო. 15 წლის შემდეგ იგი გახდა ედესის ეპისკოპოსი (542 წ.). მონოფიზიტების დასარწმუნებლად, გასაერთიანებლად და გასამხნევებლად მან 40 წელზე მეტ ხანს იმოგზაურა ფეხით მცირე აზიასა, სირიასა და ეგვიპტეში, სადაც გარდაიცვალა 578 წელს.

იაკობიტთა ღვთისმსახურებისათვის დამახასიათებელია: ერთი თითით პირჯვრის გადაწერა (ქრისტეს ერთი ბუნების – ღვთაებრივი ბუნების რწმენის გამო), პური ლიტურგიისათვის სხვაგვარია (მარილიანი და ხაშხაშიანი), ხატების და წმინდანების თაყვანისცემა, ღვთისმშობლის განსაკუთრებული თაყვანისცემა და სხვ.

იაკობოს – იხ. სუქიოსი.

იალღუზიძე – ოსი პოეტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე (ნამდვილი გვარია გახარათი); დაიბადა ცხინვალის რაიონის სოფ. ზალდაში 1775 წელს; სწაელა დაიწყო ერეკლე II-ის შუამდგომლობით გარეჯის მონასტერში, ხოლო გაგრძელეა იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში. ორჯერ აქეს გადაწერილი ევუხისტყაოსანი, ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნილა სასულიერო წიგნეის („საცისკრონი ლოცეანი“, „გამოკრებულნი კურთხეეანი“), უთარგმნია ოთხთაეი. მისი პოეტური შემოქმედებიდან

დარჩა პატრიოტული პოემა „ალღუზიანი“.

იამბიკო – ძველი ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა (იამბთა) გარკვეულ რაოდენობას, ურითმო ლექსი, რომელიც სტროფულ სისტემაზეა აგებული. თითოეული სტროფი შეიცავს 12 მარცვალს. სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში გრძელ მარცვალს მახვილიანი შეენაცვლა. ბერძნულის გავლენით აღმოცენებული ქართული ქორეული (იხ. ქორე) იამბიკო სამმარცვლიანია, შედგება ხუთი თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან. ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში იამბიკო X საუკუნიდან გეხვდება იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვათა შემოქმედებაში. ქართული იამბიკოსათვის დამახასიათებელია კიდურწერილობა. XI საუკუნიდან ქართულ იამბიკოში ჩნდება რითმა (ბორენას, დემეტრე I-ის საგალობლები). იამბიკური თორმეტმარცვლიანი ტაეპი გატეხილია ორ არათანაბარ (5 და 7 მარცვლიან) ნაწილად. იამბიკოს ნიმუშია მეფე დემეტრეს ცნობილი საგალობლის ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი: „შენ ხარ ენახი, ახლად აღყუაებული“. იამბიკო, როგორც ლიტურგიკული კანონი, რვა საგალობლად არის გაყოფილი, თითოეულ გალობაში არის ოთხი სტროფი, ხოლო სტროფი ზოგჯერ ხუთზე მეტ ტაეპს შეიცავს (იმის მიხედვით, თუ რამდენი ასოა იამბიკოს აკროსტიქში).

იამბლიქე – IV ს. ბერძენი მწერალი, ნეოპლატონიზმის სირიული სკოლის მამამთავარი და დამაარსებელი. მოღვაწეობდა სირიის ქ. აპამეაში. რომში დაემოწაფა პორფირეს და თეითონაც ბევრი მოწაფე ჰყავდა. მის მიმდევართაგან აღსანიშნავია თეოდორე ასინელი, დექსიპე და იმპერატორი იულიანე განდგომილი.

იამბლიქეს მედიტაციის თეორია პლატონის დოქტრინის მოდიფიცირებას წარმოადგენს. მისი ბევრი ნაშრომი პითაგორას ფილოსოფიური ნააზრევის გადამუშავების შედეგია. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პლატონის დიალოგების კომენტირების იამბლიქესეულ მეთოდს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ნეოპლატონიზმის ისტორიასა და ოკულტისტურ მსოფლიო ლიტერატურაზე. იამბლიქემ დაამუშავა თავის სისტემაში ბერძნული და აღმოსავლური წარმართული მითოლოგია, რომელიც მან შეაზავა თავის ჰიპოთეზებთან. იგი ცდილობდა გვიანდელი ნეოპლატონიზმის მომავალი განვითარებისათვის მომზადებას ასპარეზის, პროკლე დიადოხოსი მას მიაწერს „მისტერიათა წიგნის“ შექმნას, რომელიც როგორც ფიქრობენ, არ უნდა იყოს იამბლიქეს ნაშრომი, თუმცა არ გამორიცხავენ ვარაუდს, რომ ეს იყოს იმავე სკოლის პროდუქტი. იამბლიქეს თემატიკა ძირითადად ეხებოდა ეთიკურ მოძღვრებას რიცხვთა შესახებ, მუსიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას. იგი ავტორია აგრეთვე სამიჯნურო-სათავგადასაველო რომანისა „ბაბილონური მოთხრობა“.

იანუარი – ვენეციის ეპისკოპოსი, მოწამეული ქრისტესთვის 305 წელს, დიოკლეტიანეს მეფობის დროს. ქრისტიანობის დევნის ხანაში იანუარი შეიპყრეს და მტკიცე რწმენისათვის აწამეს. ყველა განსაცდელიდან უვნებელი გამოვიდა, რისთვისაც იგი სასწაულთმოქმედად შერაცხეს. ქართულად არსებობს იანუარის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია (ქეთ. 7, XIII ს., 294-298. მისი ხსენების დღეა 20 აპრილი.

იანუსი – დროის, კარისა და კარიბჭეების, გასასვლელ-შესასვლელის, დასაწყის-დასასრულის, ყველა საქმის წამოწყების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. იანუსი თავდაპირველად ცისა და მზის, წელიწადის, დროის, თვისა და დღის ღვთაებად იყო მიჩნეული. მისი თვეა წლის პირველი თვე – იანვარი. მისდამი მიძღვნილი მთავარი დღესასწაული წლის პირველი დღეა (კალანდა იანუარიუსი). იანუსს ორსახოვან მამაკაცად გამოსახავდნენ: ერთი სახე იყო ჭაბუკისა, რომელიც წინ ჰქონდა მოქცეული, ხოლო მეორე – მოხუცებულისა, უკან. გადატანითი მნიშვნელობით იანუსს ორპირა, გაიძეერა ადამიანს უწოდებენ.

იაპონიის ავტონომიური მართლმადიდებლური ეკლესია – დაარსდა 1861 წელს ახალგაზრდა რუსი მისიონერის, მღვდელმონაზონ ნიკოლოზ კასატკინის მოღვაწეობის შედეგად. თავის გარდაცვალებამდე (1912 წ.) მან ქრისტიანად მონათლა დაახლ. 20 000 იაპონელი; იაპონურ ენაზე თარგმნა ახალი აღთქმა და მრავალი საღვთისმსახურო წიგნი. იაპონიის ეკლესიის დაფუძნებაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის 1970 წელს იგი წმინდანთა შორის შეირაცხა. იაპონიაში მალე მოიკიდა ფეხი ქრისტიანობამ. თავდაპირველად იქ რუსი სამღვდელოება მოღვაწეობდა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციით გამოწვეული კანონიერი უთანხმოების გამო 1945-70 წლებში იაპონიის მართლმადიდებლური ეკლესია ამერიკის მიტროპოლიტის იურისდიქციაში მოხვდა.

რაკი 1970 წელს მოსკოვის საპატრიარქომ

ამერიკის ეკლესიას ავტოკეფალია შესთავაზა, ამ უკანასკნელმა მოსკოვის იურისდიქციას დაუბრუნა იაპონიის მართლმადიდებლური ეკლესია. მოსკოვმა, თავის მხრივ, იაპონიის ეკლესია ავტონომიურად გამოაცხადა.

1972 წელს იკურთხა იაპონიის პირველი მიტროპოლიტი თეოდოსი, ეროვნებით იაპონელი. იაპონიის ეკლესიის ავტონომია იმკვიდრებს არ სცნო მსოფლიო სამპატრიარქომ და მრავალმა აღგილობრივმა ეკლესიამ. ამჟამად ეკლესია აერთიანებს სამ ეპარქიას, სადაც 150 სამრევლოში მოღვაწეობს 30 მღვდელი და 5 დიაკონი. სამრევლოთა უმეტესობა განლაგებულია ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოზე. სამღვდელოება მთლიანად იაპონელები არიან. ტოკიოში მოქმედებს სასულიერო სემინარია.

იასე მღვდელი (ძიტიაშვილი) — XIV საუკუნის დამდეგის საეკლესიო მოღვაწე, ბარბარეს ტაძრის მღვდელი, ცნობილი კალიგრაფი. იასე ქიტიაშვილს შეუკეთია კირილე დინაურის სახარების გადაწერა, რომელმაც ამ საქმეში ჩართო თავისი 12 მოწაფე. ქ. კეცელიძის აზრით, იასე იყო გადამწერთა სამქროს კორპორაციის მეთაური. გამოდის, რომ ამგვარი კორპორაცია საქართველოში უკვე XIII-XIV სს. უნდა არსებულიყო.

იასონ და სოსიპატრე — ქრისტეს მოციქულები და მოწამეები. იასონ მოციქული წარმოშობით მცირე აზიელი, ქ. ტარსუნიდან იყო. იგი ტარსუნ ქალაქის პირველი ქრისტიანი და პირველი ეპისკოპოსი გახდა. იასონ და სოსიპატრე სახარების საქადაგებლად დასაელთისაკენ გაეშურნენ, 63 წელს მაღწიეს იონიის ერთ-ერთ კუნძულს, სადაც ააშენეს ეკლესია სტეფანე პირველმოწამის სახელზე და იქ ბევრი წარმართი მონათლეს. კუნძულის მმართველმა შეიტყო ეს და საპყრობილეში ჩასვა ისინი 7 ავაზაკთან ერთად. მათ შვილეც მოაკვეს ქრისტეს სჯულზე — ისინი ეწამნენ ქრისტესათვის. ამის მხილველმა ციხის მცველმა ქრისტიანად გამოაცხადა თავი, რისთვისაც მას ჯერ კიდურები მოაკვეთეს ცალ-ცალკე, ხოლო ბოლოს — თავი. იასონ და სოსიპატრემ კუნძულზე ააშენეს ეკლესიები და ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწიეს. ქართულად არსებობს მათი „მოსახსენებლის“ მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. 7, XIII ს., 396-402). ხსენების დღეა 28 აპრილი.

იაფეტი — ძველი აღთქმის მიხედვით, ნოეს ერთ-ერთი ძე, რომელიც მამასთან და ძმებთან ერთად გადაურჩა წარღვნას. იაფეტი და მისი ძმები — სემი და ქამი მსოფლიოს ხალხთა მამამთავრებად ითვლებიან. ძველი აღთქმის გენეალოგიური ტაბულა ბაბილონის ტყეების შემდგომ პერიოდს ასახავს — როგორც ძველ ებრაელთა გეოგრაფიულ ცოდნას, ისე მათ პოლიტიკურ და ეთნიკურ თვალსაზრისსაც: ებრაელები თავს სემის ჩამომავლებად თვლიდნენ, ხოლო ქანაანელებსა და სემიტებს კი — ქამის ნაშიერებად. სახელი იაფეტი სემიტური არაა, ის დაკავშირებული ჩანს ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილ პრომეთეს მამის, იაფეტის სახელთან. ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში ქართველთა წინაპრად მიჩნეულია იაფეტის შვილის, თარშის ძე — თარგამოსი, რომლის მეორე შვილი იყო ქართლოსი (ლეონტი მროველის მიხედვით). იაფეტის სახელი გამოიყენა ნ. მარმა ე. წ. იაფეტური ენების აღსანიშნავად.

იახსარი — წარმართული ღვთაების სახელი ფშავ-ხევსურეთში. მისი კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში და ერწო-თიანეთში. იახსარის ხატი ქისტაურთა თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. საკულტო ცენტრი ფშავში იყო (შუაფხო). იახსარი ხშირად იხსენიება სასულიერო, საკულტო ტექსტებში, მითებსა და თქმულებებში. ხალხური წარმოდგენით, იახსარი ზეციდან იყო მოვლენილი ჯვრის ან სეტის სახით („სვეტად ჩამოსული“). იახსარს მიჰწერებოდა ავ სულებთან (დევები, ქაჯები) ბრძოლა, მისი მაჯდრებელი უცხო მლოცველების მფარველობა და სხვა. იახსარის დროებით ხელისბერები სულით ავადმყოფთა განკურნებას, მათგან ავი სულების განდევნას ცდილობდნენ და სხვა მისთ.

იაკჳე, იჱკოა (ებრ. „მყოფი, არსება“) — ღვთის სახელი, რომელიც „გამოსვლათა“ წიგნშია მოხსენიებული (3,14).

იაკინა ანტიოქელი (980-1066) — ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი და ექიმი. მისი ნაშრომი „თარიხ ალ ხაილი“ წარმოადგენს ალექსანდრიის პატრიარქ ევტიხიის „მსოფლიო ისტორიის“ გაგრძელებას. ნაშრომში საინტერესო ცნობებია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ კეისარ ბასილი II-ის დროს (976-1025), კერძოდ, დავითისათვის კურაპალატის ტიტულის მიღების შესახებ, ტაოს ბიზანტიის ხელში გადასვლის თაობაზე, მის დაბრუნებაზე გიორგი I-ის მიერ და ა.შ.

იბაკო (ბერძნ. „მორჩილება“) — საეკლესიო საგალობელი, რომელიც სრულდება ღვთისმსახურების გარკვეულ შემთხვევებში: 1. სწორაზე

კვირის წინასალამოს, კანონისა და „მამაო ჩვენოს“ შემდეგ. 2. ცისკარზე ანტიფონებისა და სახარების კითხვის წინ. 3. ზოგჯერ საცისკრო კანონის მესამე გალობის შემდეგ.

„იბაკონი ათორმეტნი“ – სრულდება დიდმარხვაში, შე-5 შვიდეულის შაბათის ცისკარზე; ნაწილია ღვთისმშობლის დაუჯდომელის განგებისა.

იგავი – ქრისტეს მოძღვრების სიმბოლური გადმოცემის ფორმა. აღმოსავლური აზროვნებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია შედარების ფორმის გამოყენება მსჯელობისა თუ სწავლების პროცესში. ბიბლიური წიგნები ამ ტენდენციის მდიდარსა და უხვ მაგალითებს გვაწვდიან (იგავი 10,26; 12,4). იგავი გაგებული უნდა იქნეს, როგორც სიმბოლოთა გარკვეული სისტემა, ანუ საღვთო ისტორიის გამოხატვა სახე-სიმბოლოთა მეშვეობით. რელიგიური დანიშნულების იგავი აღებული იყო კონკრეტული სინამდვილიდან და გარკვეული თემების მიხედვით ჯგუფდებოდა (მწყემსი, ქორწინება, ვენახი და მისთ.). როდესაც სიმბოლური მონათხრობი მხოლოდ ზოგადი ხასიათის დამოძღვრას შეიცავს და ყველ დეტალს აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც საგანგებო კომენტარს მოითხოვს, იგავი ალეგორიად იქცევა. ამის მაგალითებიც მრავლად მოიპოვება ძველ აღთქმაში. იგავი ხშირად რამდენიმე ალეგორიულ ნიშანს შეიცავს. მაგ.: როდესაც ქრისტე ღმერთსა და ისრაელზეა მსჯელობა, როგორც ვენახის მფლობელსა და მპატრონზე (მათე 21,33), ცხადია, აქ იგულისხმება ქრისტე. იესო ქრისტეს ჯინაობის საიდუმლო სახარებებში იმგვარად არის დაფარული და დაცული, რომ ის უნდა გამჟღავნდეს თანდათანობით და იმის მიხედვით, თუ როგორია მსმენელისა და მორწმუნის აღქმის უნარი. ამიტომ მოუწოდებდა ქრისტე მოწაფეებს, დაეკვათ საიდუმლო (მარკოზ I.34.44.3.24, 5.43) და საგანგებოდ არჩევდა იგავებით საუბრის ფორმას, რაც, ბუნებრივია, საჭიროებდა კომენტარს. იგავის ფორმა საკალდებულო და აუცილებელი შუამავალი აღმოჩნდა, რათა რწმენისათვის გახსნილიყო გონება. რაც უფრო ღრმად სწვდება მორწმუნე საიდუმლოს, მით უკეთ ესმის მას იგავის აზრი და პირიქით. რთული იგავის გვერდით არის უფრო იოლად გასაგებიც, რომელშიც გახსნილია საყოველთაო ზნეობრივი მოძღვრება (ლუკა 8,16; 10, 30-37, 11, 518).

იგნატი ლოიოლა – იხ. ლოიოლა.

იგოეთი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. ლეხურის ნაპირზე, კასპიდან 9 კმ. ! ფლის ახლოს გვიანი ფეოდალური ხანის ეკლე ! ა. ე. წ. „წითელი საყდარი“ არის შემორჩენილი.

იდეალიზმი – 1. ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს სულის ბატონობას მატერიაზე და სამყაროს პირველსაწყისად მიიჩნევს აზრს, იდეას, ცნობიერებას. იდეალიზმის ძირითადი ფორმებია: ობიექტური (მეტაფიზიკური) და სუბიექტური იდეალიზმი. ობიექტური იდეალიზმის თანახმად, იდეა, როგორც სამყაროს პირველსაწყისი, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, სუბიექტური იდეალიზმი კი ამტკიცებს, რომ ნივთებს შეუძლია შეიმეცნოს მხოლოდ ფსიქიკური ან მისგან გამომდინარე. ობიექტური იდეალიზმი ძველ ფილოსოფიაში ყველაზე სრულყოფილად გამოხატულია პლატონის ფილოსოფიურ სისტემაში, კერძოდ, მის მოძღვრებაში იდეების შესახებ. ბოლო საუკუნეებში მისი კლასიკური წარმომადგენლები იყვნენ ლაიბნიცი, შელინგი, ჰეგელი. ამ უკანასკნელმა ობიექტური იდეალიზმის ყველაზე სრულყოფილი სისტემა შექმნა. სუბიექტური იდეალიზმის უდიდესი წარმომადგენლები არიან: ჯორჯ ბერკლი, დაეით იუმი, ისაუელ კანტი. იდეალიზმი თავისი განვითარების ყველ ეტაპზე რელიგიის დამცველად გვევლინება, ფაქტობრივად იგი არის რელიგიის ფილოსოფიური დასაბუთება.

2. პრაქტიკული თვალსაზრისით იდეალიზმი არის მაღალი ინტერესებისათვის, საერთო სიკეთისათვის უპირატესობის მინიჭება.

იდლეთი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. კაეთურის მარჯვენა შტარეს, კასპიდან 10 კმ. იდლეთი წყაროებში პირველად XVIII ს-ში მოიხსენიება. სოფლის განაპირას დგას VI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. გეგმით თავისუფალი ჯვრის ტიპის შენობის კედლები სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით არის ნაგები. ძეგლის ძირითადი თავისებურებაა ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათი, რომელიც შიგნიდან რვაწახნაგაა, ხოლო გარედან კუბის ფორმისაა. გუმბათის ყელზე სამკაულად აქვს სხვადასხვა ზომის სამი ჯვარი. არის მოხატულობა და ლაპიდარული წარწერა. ეკლესია არქაულ სახეს ატარებს. იგი ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია ქართული გუმბათოვანი არქიტექტურისა.

იეზეკიელი – XII ს. ქართველი პიმნოგრაფი, ფიქრობენ, რომ მონაზონი უნდა ყოფილიყო. ანტონ I „წყობილსიტყვაობაში“ მას

„საკურ[illegible] პიტიკოსს", „ღმრთისმეტყველ" რიტორ[illegible] ჭემარიტ ფილოსოფოსს უწოდებს და იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის „თანასწორად" მიიჩნევს. იეზეკიელი იოანე პეტრიწის ლიტერატურული სკოლიდან უნდა იყოს გამოსული. ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა იამბიკომ (იხ. ი. ლილაშვილი, იოანე-პეტრიწი ჭიმჭიმელი, თბ., 1960; მისივე, იოანე-პეტრიწი, საითხოებათა კიბე, თბ., 1968).

იეზუიტები – კათოლიკური სამონაზვნო ორდენის – „იესოს საზოგადოების" წევრები. ეს საზოგადოება (ორდენი) დაარსა წმ. იგნატი ლოიოლამ 1534 წელს პარიზში. ორდენი ფორმალურად შეწყნარებული იყო რომის პაპის, პავლე III-ის მიერ და დამტკიცებული 1450 წელს საგანგებო ბულით. ორდენის მიზანი იყო: პაპის ხელისუფლების განმტკიცება, მისადმი სრული მორჩილება, ბრძოლა კათოლიკური რწმენის დასაცავად ნებისმიერი ერესისაგან და კათოლიციზმის გაერცელება მისიონერული მოღვაწეობით. პაპისადმი უსტყვო მორჩილება ორდენის უმთავრესი მოთხოვნა იყო. იგი თავისი კონსტიტუციით უფრო სამხედრო გაერთიანება იყო; ს.თავეში ედგა გენერალი („შავი პაპი"), რომელსაც ურჩევდნენ მუდმივად (რეზიდენცია – რომში). გენერლის ძალაუფლებას ზღუდავდა გენერალური კონგრეგაცია. მის მოღვაწეობასა და საქმიანობას თვალს ადევნებდა ორდენის მიერ საგანგებოდ მიჩენილი 5 ასისტენტი. ორდენი მოწყობილი იყო მკაცრი დისციპლინისა და ცენტრალიზაციის პრინციპებზე. საზოგადოების წევრები უსათუოდ ფართოდ განათლებული და მრავალმხრივ გათვითცნობიერებული პირები უნდა ყოფილიყვნენ. ბელგიაში ჩამოყალიბდა საგანგებო საზოგადოება „ბოლანდისტების", რომელიც დაარსა იეზუიტმა მეცნიერმა ბოლანდიუსმა. ამ საზოგადოებამ გამოაქვეყნა „აქტა სანქტორუმ" (წმინდანთა ცხოვრებანი). აქვთ პერიოდული გამოცემა – „ანალექტა ბოლანდიანა" (ოცი დღესაც გამოდის) და სხვა. იეზუიტები აქტიურად ერეოდნენ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამის გამო იყო, რომ ვერსად ვერ იკიდებდნენ მკვიდრად ფეხს და მათ ყველა ქვეყნიდან სდევნიდნენ. სხვა კათოლიკური ორდენებისაგან განსხვავებით, იეზუიტთათვის არაა სავალდებულო სამონაზვნო ტანსაცმლის ტარება, ღვთისმსახურებაზე დასწრება და ა. შ.

იელი – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, მესტიიდან 15 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას X-XI სს-ის ეკლესია „მაცხვარ". არის მოხატულობა და კანკელი. აქვე დგას აგრეთვე წმინდა გიორგის ეკლესია VIII-IX საუ. მოხატულობით და კანკელით.

იენაში – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. მულხრის ნაპირზე, მესტიიდან 9 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XIII-XIV სს. ეკლესია იონა წინასწარმეტყველისა. ეკლესია მორუქურთმებულია, ფრესკები დაზიანებულია, კედლებზე გამოხატულია ეკლესიის მამები, რომელთა სახელები ქართულადაა დაწერილი. არის ბერძნული წარწერებიც. იენაშში დაცულია XI-XIII სს.-ის ჭედური ხელოვნების ნიმუშები: ხატები, ოთხთავის ყდა და სხვ. მესტიის მუზეუმში ინახება (M 27) იენაშის ეკლესიაში გადაწერილი XIII ს. „იენაშის ოთხთავი" (სახარება; 252ფ.).

იერარქი (ბერძნ.) – იხ. მღვდელმთავარი.

იერარქია (ბერძნ. „წმინდა საწყისი", „მღვდელმთავრობა") – ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურა. განასხვავებენ იერარქიის ორ სახეს: სამღვდელოსა და ორისდიქციულს. პირველი მთგანი მოიცავს სამ საღვთო ინსტიტუციას (ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი) – ერთი მხრივ, და პიპოდიაკონი და სხვა მოშსახურენი – მეორე მხრივ. იერისდიქციულ იერარქიაში მთავარია ეკლესიის მეთაურის (პაპის, პატრიარქის, მიტროპოლიტის) ინსტიტუცია და ეპისკოპატი. ყველა სხვა ხარისხი და საფეხური საეკლესიო წარმოშობისაა. იერისდიქციული იერარქია იყოფა ორ კლასად: ერთნი – ეკლესიის მეთაურის ხაზით (არმოსავლეთის ეკლესიაში – ქორეპისკოპოსი, ეგზარქოსი; დასავლეთში – კარდინალი, ლეგატი და ვიკარიუსი), მეორენი – ეპისკოპოსის ხაზით.

იერატიკული დამწერლობა – ძველი ეგვიპტური დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა, იეროგლიფური დამწერლობის კურსიული ფორმა. პირველ ხანებში იხმარებდა საყოველთაოდ, როგორც საღვთო შინაარსის ტექსტების, ისე საქმიანი ქაღალდების შესადგენად. VII საუკუნიდან (ძვ. წ.) იერატიკული დამწერლობა მხოლოდ რელიგიური ტექსტების ფიქსაციისათვის გამოიყენებოდა. ამ დამწერლობამ იარსება დაახლოებით 3 ათას წელს.

იერემია (ებრ. ირმეაჰუ) – ერთ-ერთი ბიბლიური დიდ წინასწარმეტყველთაგანი. მისი საწინასწარმეტყველო მოღვაწეობა დაიწყო იუდეის სამეფოს დამოუკიდებლობის ბოლო პერიოდში, იოსიას მეფობაში, დაახლოებით 626 წელს ძვ. წ.-ით. იოსიას გარდაცვალების შემდეგ თავი იჩინა რელიგიურ-მორალურმა უთანხმოებამ და

პოლიტიკურმა შეუთმა. სწორედ ამ დროს დაიწყო წინასწარმეტყველება იერემიამ. ხალხს არ სწამდა მისი წინასწარმეტყველებისა, რომელშიც ის იერუსალიმის დაცემას ქადაგებდა და, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, იგი საპყრობილეში ჩაგდეს. ბაბილონელთა შემოსევამ თვალი აუხილა მათ, მაგრამ უკვე გვიან იყო: მეფე სედეკიას დროს იერუსალიმი დაეცა და განადგურდა, ხოლო იუდეველნი ტყვედ წაასხეს ბაბილონელებმა. იერემია დარჩა იერუსალიმში და ხალხს მოუწოდებდა, დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს, რადგან ბრძოლა მათ წინააღმდეგ ამაოდ მიაჩნდა. იერუსალიმის დაცემის შემდეგ, დაახლოებით 586 წელს, ამბოხებულთა ერთმა ჯგუფმა იერემია ეგვიპტეში წაიყვანა, სადაც იგი ქეციან ჩაქოლეს იუდეველებმა, რომელთა მხილებას წინასწარმეტყველი ეგვიპტეშიც განაგრძობდა. იერემია იესო ქრისტეს ერთ-ერთ წინამორბედად არის მიჩნეული (მათე 16,14). მისი თაგვადასავალი და მოღვაწეობა გადმოცემულია წინასწარმეტყველის სახელით ცნობილ წიგნში, რომელიც მთლიანად მას არ ეკუთვნის; ტექსტის მოცულობა და თავების თანმიმდევრობა განსხვავდება ებრაულ ორიგინალში და სეპტუაგინტაში (უძველეს ბერძნულ თარგმანში). ქართული ტექსტი მისდევს ბერძნულს. არსებობს იერემიას წიგნის რამდენიმე ქართული თარგმანი. შემორჩენილია ფრაგმენტები V-VII სს-ის ხანმეტ ტექსტებში. იერემიას წიგნი მთლიანად არის შესული ოშკის ბიბლიაში (978 წ.), გელათის ბიბლია შეიცავს უფრო გვიანდელ ტექსტს (XII ს.). იერემიას ეკუთვნის აგრეთვე წიგნი, რომელიც ცნობილია „იერემიას გოდების" სახელით, რომელიც შეიცავს წინასწარმეტყველის გოდებას იერუსალიმის დაცემის გამო.

იერემიას მიეწერება აგრეთვე საგანგებო ეპისტოლე ბაბილონის ტყვეთა მიმართ, მაგრამ იგი არაა დამოწმებული ებრაულ ბიბლიაში. იერემიას წინასწარმეტყველების ბიბლიური წიგნი გამოცემულია: 1. კ. დანელიას მიერ, თბ., 1992, (217 გვ.); 2. ელ. დოჩანაშვილის მიერ (მცხეთური ხელნაწერი), თბ., 1985, გვ. 156-271.

ИЕРЕМИЯ ИВЕРИЕЛИ — V საუკუნის ქართველი მღვდელმთავარი, ანტინესტორიანული მოღვაწე. ეფესოს კრების უშუალო მონაწილეა. სიაში იერემიას სახელი არა ჩანს. იგი არ ყოფილა წარგზავნილი საქართველოდან ეფესოს კრებაზე დასასწრებად. იგი იყო ერთი იმ ეპისკოპოსთაგანი, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ კონსტანტინეპოლში კრების მოწვევის წინ. კრებამ, როგორც ცნობილია, დაამხო ნესტორი. იერემია იყო მთელი იბერიის ეკლესიის ეპისკოპოსი. ეს ის დროა, როცა იბერია ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი ცალკე ეპარქიებად. ვახტანგ გორგასლამდე საქართველოში არსებობდა ერთი ეპარქია და მას განაგებდა ერთი მწყემსმთავარი. იერემია იბერიელის სახელი არ ჩანს მწყემსმთავართა შორის, მაგრამ, კეკელიძის აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია სრულ სიას ქართველთა მწყემსმთავრებისა. როგორ მოხვდა იერემია კონსტანტინეპოლში? ცნობილია, რომ V საუკუნეში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე. იეზდიგერდ I-ის დროს სპარსეთში დაიწყო დევნა ქრისტიანებისა, რომლებიც ისე შეაკრწიალეს, რომ თეოდოსი მცირე იძულებული გახდა მათთვის მფარველობა გაეწია. V საუკუნეში იბერიაში გაჩნდა მაზდეანური სამღვდელოება — მოგვნი და მათი უფროსი მობიდანი, რომელსაც მემატიანე ხან ეპისკოპოსს უწოდებს და ხან მთავარეპისკოპოსს. მაზდეანებს მცხეთაში საკუთარი სამლოცველო და უბანი ჰქონდათ, რომელიც „მოგუთას" სახელითაა ცნობილი. იეზდიგერდ II-ძ გააძლიერა ქრისტიანების დევნა. იერემია მოწმე და თანამედროვე იყო ამ ამბებისა. ის დახმარებას ითხოვს თეოდოსი იმპერატორს და ამ მისით მიდის ბიზანტიაში, როგორც ეკლესიის მეთაური. კ. კეკელიძის აზრით, იერემია იბერიელის კონსტანტინეპოლში გამგზავრება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა იბერიაში სპარსთაგან ეფესოს კრების წინა წლებში.

ИЕРИА — IV საუკუნის მონაზონი ქალი, წმ. მოწამის, ფეპრონიას მოწაფე, რომელმაც აღწერა „წამებაჲ წმიდისა ფებრონიასი", რომლის ქართული თარგმანი შეინახულია A 95-ში (XI ს.), 305-319. თხზულების ბოლოს ნათქვამია: „და შემდგომად აღსრულებისა ბრენისა მიითუალა ადგილი იერია... და მან აღწერა ცხორებაჲ და წამებაჲ იგი მისი (ე. ი. ფებრონიაჲსი) სარგებლად მორწმუნეთა..."

ИЕРИЖОНИ (ძვ. ებრ. იერიქო) — პალესტინის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, დღესანდელი იორდანიის ტერიტორიაზე (იერუსალიმის ჩრდ. აღმით 22 კმ-ზე, შემორჩენილია ნანგრევები). გათხრების შედეგად აღმოჩენილია VII-VI ათასწლეულების ძვ. დასახლება (ალიზის სახლები,

საკურთხეველები და ქვის თაღდაცითი ნაგებობანი). იერიქონმა განსაკურებულ აყვავებას მიაღწია ძვ. წ. XVIII-XVI ს-ში, როდესაც მას ორმაგი კედლები შემოაკლეს. იერიქონი დაინგრა პალესტინაში ებრაული ტომების შემოჭრის დროს. ძვ.წ. IX საუკუნის შუა წლებში ქალაქი ნაწილობრივ აღდგა. რომაულ ხანაში გაშენდა ახალი ქალაქი ელინისტური გეგმით, ძველ ნაქალაქარზე კი ამ დროს ნეკროპოლი იყო.

იეროდიაკონი — იხ. მთავარდიაკონი.

იეროთეოზი — იხ. იოანე ლაზი

იეროკირიქსი (პიეროკირიქსი) — მისიონერი, ღვთის სიტყვის მქადაგებელი საკლესიო კათედრიდან. ბიზანტიურ ეპოქაში იეროკირიქსის რამდენიმე ხარისხი არსებობდა. იეროკირიქსთა ერთი ნაწილი ქადაგებდა ერთ ეკლესიაში, მეორე — მოგზაურობდა საქადაგებლად ერთ გარკვეულ რაიონში, სხვანი — სოფლებში და ა. შ. საკუთარი იეროკირიქსი პყავდა თითქმის ყველა ტაძარს.

იერომნიმონი — დაეიწყებული სამღვდელო-საეკლესიო საქმის გაშხსენებელი.

იერონი — III-IV სს-ის მოწამე. დაიბადა ქ. ტიანაში, კაპადოკიაში. ქრისტიანთა დევნის დროს იმპერატორებმა — დიოკლეტიანემ და მაქსიმიანემ (284-305) დიდი რაზმი გაგზავნეს ტიანაში ქრისტიანთა შესამუსრავად და იქ სამხედრო სამსახურისათვის გამოსაცდელი ჭაბუკების შესაგროვებლად. აქ მათ აღმოაჩინეს იერონი, რომელმაც უარი განუცხადა მათ სამხედრო სამსახურზე და სხვებთან ერთად ქვაბში დაიმალა. იერონი შეიპყრეს და ურჩობისათვის თავი მოკვეთეს. ერთმა იქაურმა მდიდარმა გამოისყიდა მისი თავი და წამების ადგილას ააგო ტაძარი, რომელშიც დასვენა წამებულის თავი. იერონის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (S 384, XI-XII სს. 590-597, Jer. 37, XII-XIII სს. 167-171). ხსენების დღეა 7 ნოემბერი.

იერუსალიმი (ებრ. იერუშალაიმი — „მშვიდობის ქალაქი“, არაბ. ალ-კუდსი — „წმინდა“) — ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმთა წმიდა ქალაქი. მდებარეობს პალესტინაში, მკვდარი ზღვის დასავლეთით, პლატოზე. არქეოლოგიური მონაცემებით, იერუსალიმი დაარსებული ჩანს ჩ.წ.-მდე 3000 წელს. წინარეისრაელიტურ ხანაში მისი მოსახლეობა ნარევი რასისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. პირველად ქალაქი ელ-ულ-ამარანის არქივში იხსენიება (ძვ.წ. 1400). ბიბლიური ტრადიციის თანახმად, ისრაელიტთა მიერ ქანაანის (პალესტინის) დაპყრობის შემდეგ იერუსალიმი იუდას და ბენიამენის ტომებს ერგოთ წილად. დავითმა ძვ.წ. 1000 წელს იერუსალიმი ისრაელის სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. სოლომონის მეფობის დროს იერუსალიმი უკვე საკმაოდ დიდი ქალაქი იყო. პირველი ტაძარი სწორედ მის დროს აშენდა. 701 წლამდე ქალაქი ასირიელ სენ აქერიბს ეპყრა, ხოლო 586 წელს დაპყრო ნაბუქოდონოსორმა, დაანგრია იგი და მოსახლეობა ტყვედ წაასხა („ბაბილონის ტყვეობა“). 538 წელს, კიროსის დროს, ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელები კვლავ იერუსალიმში ბრუნდებიან. მოგვიანებით იერუსალიმი ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოში შედიოდა. ძვ.წ. III ს-ში სელევკიდების ხელში აღმოჩნდა. ამ დროს აშენდა მეორე ტაძარი. ამას მოჰყვა ებრაელთა ნაციონალური აღორძინების პერიოდი, რომელიც ჰასმონეუსის დაპყრობით ომებით დასრულდა. იერუსალიმში გაბატონდა რომი. მეორე ტაძარი პეროდე დიდის (ძვ. წ. 73) ნამოღვაწარი იყო. იგი მართავდა იერუსალიმს, როგორც რომის ვასალი. იუდეველთა ომის დროს ქალაქი რომაელმა სარდალმა ტიტუსმა მთლიანად დაანგრია. მის ადგილას II საუკუნეში რომაელებმა დაარსეს კოლონია, რომელსაც იმპერატორმა ადრიანემ "Aelia Capitolium" უწოდა. კონსტანტინე იმპერატორმა ქალაქს ძველი სახელი დაუბრუნა. იერუსალიმის ქრისტიანული ისტორია იწყება ქრისტეს მოვლინების შემდეგ, მისი ჯვარცმითა და აღდგომით. იერუსალიმში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იესოს მოციქულები. 326 წელს ქალაქი მოინახულა კონსტანტინე დიდის დედამ. თავად კონსტანტინემ იგი IV ს-ში წმინდა ქალაქად გამოაცხადა. V საუკუნემდე იერუსალიმის საეპისკოპოსო ტახტზე იჯდა კესარიის ეპისკოპოსი. იერუსალიმის პატრიარქს კონსტანტინეპოლში ჰქონდა რეზიდენცია (XII ს.). 638 წელს არაბთა სახალიფომ დაიპყრო იერუსალიმი და მუსლიმანთა მეორე წმინდა ქალაქად გამოაცხადა (მექის შემდეგ). 1099 წელს იერუსალიმი დაიკავეს ჯვაროსნებმა. ჯვაროსნების ლაშქრობის შემდეგ პატრიარქები დაბრუნდნენ იერუსალიმში და იქ ისხდნენ 1845 წლამდე. რომის კათოლიკური პატრიარქატი იერუსალიმში 1099 წელს გაჩნდა და იარსება იქ 1291 წლამდე, ნომინალურად — 1734 წლამდე, ხოლო შემდეგ კვლავ დაფუძნდა 1847 წელს. იერუსალიმში იყო აგრეთვე სომხურ-გრიგორიანული და ანტიოქიის მელქიტური პატრიარქატი.

ქალაქი თაღდაპირველად განლაგებული იყო სიონის ბორცვზე, ამიტომაც იწოდებოდა „სიონად“. ეს სახელი მას შერჩა ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ სხვა ბორცვებზეც გაიშალა (აკრის, მორიას და ზეზოფის).

იერუსალიმის ქრისტიანული ცენტრი არის საყოველთაოდ ცნობილი იერუსალიმის აღდგომის ეკლესია (ააგეს მეფე კონსტანტინემ და მისმა დედამ ელენემ; თანამედროვე სახე მიიღო 1808 წელს). იერუსალიმის გარეუბანთა შორის აღსანიშნავია: ელეონის (ზეთისხილის) მთა, რომელზეც ბევრი მონასტერია აშენებული; გეთსიმანია – ზეთისხილის ბაღი, სადაც ქრების წინ ლოცულობდა მაცხოვარი; იქ, სადაც ქრისტე დასტიროდა იერუსალიმს, დგას წმ. მარია მაგდალინელის მართლმადიდებლური ტაძარი, ხოლო შორიახლო მდებარეობს ამაღლების მთა. ამას გარდა, ელეონის მთაზე მდებარეობს მოციქულთა ეკლესია და ეკლესია „მამაო ჩვენო“.

იერუსალიმიდან 9 კმ-ზე არის ბეთლემი, მის გზაზეა კაჟაიმის ველი, „ბენიამინის კოშკი“, ილია წინასწარმეტყველის მონასტერი, რაქილის საფლავი-აკლდამა. აკლდამთა რიცხვი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით საყურადღებოა იუდეველ მეფეთა აკლდამები.

იერუსალიმს დიდი ადგილი ეთმობა წმ. სახარებაში: ეს ის ქალაქია, სადაც ადგილი ჰქონდა ქრისტეს მაცხოვრებითი მსოფლიო ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. იესო ჯერ კიდევ ყრმა მიჰყავთ იერუსალიმში. ახალი აღთქმით, მეორედ მას ვხედებით ამ ქალაქში 12 წლის ასაკში. იერუსალიმთან არის დაკავშირებული იესოს ცხოვრების დასასრულიც. აქედანვე იწყება მოციქულთა ქადაგება.

იერუსალიმი უძველესი დროიდან ქართველ ქრისტიანთა თაყვანისცემის ადგილი იყო. არსებობს გადმოცემა, რომ ჯერ კიდევ მირიან მეფემ (IVს.) შეიძინა იერუსალიმში მიწის ის ნაკვეთი, სადაც მოგვიანებით ჯვარის ქართველთა მონასტერი აშენდა (XI ს.). იერუსალიმთან არის დაკავშირებული პეტრე ქართველის (V ს.) მიერ რამდენიმე მონასტრის დარსება (ერთ-ერთი უნდა იყოს ე. წ. „ლაზთა მონასტერი“, რომლის ნანგრევებში იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ აღმოაჩინა მოზაიკური წარწერები – უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები). ქართველები მოღვაწეობდნენ თითქმის ყველა უძველეს მართლმადიდებლურ მონასტერში (პალაურა, საბას ლავრა და სხვა). მრავალი ახალი ეკლესია-მონასტრებიც აუშენებიათ (ჯვარის მონასტერი, გოლგოთა, ბასილის მონასტერი (XV ს.), თეოდორეს მონასტერი (XVI ს.), ნიკოლოზის მონასტერი (XVI ს.), სამოელის მონასტერი, გეთსიმანია, შეკანი) (იხ. ლ. მენაბდე, კერები, III). დედათა მონასტრებში (კაპპათა, დერტავი, დერთუფა) ქართველ დედებსაც უმოღვაწეიათ. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის მნიშვნელობა ქრისტიანული სამყაროსათვის კარგად აისახა საქართველოს ტერიტორიაზეც: მცხეთაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადმოღებულ იქნა იერუსალიმური ტოპოგრაფიული სახელწოდებები: ბეთლემი, თაბორი, გეთსამანია, ბეთანია,სხა განწმენდილის მონასტერი და ა. შ. სვეტიცხოველიც 12 მოციქულის სახელობისა იყო, და იგი სიონის მთაზე აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესიის ანალოგიით უნდა იყოს დაარსებული. ასევე, სიონის სახელწოდება საქართველოში ძალზე გავრცელებული იყო (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV , 358-363).

იერუსალიმის პატრიარქების სია:

(არქიეპ. სერგის „Месяцеслов Востока“-ს მიხედვით; ფრჩხილებში მოთავსებულია გრუმელის მონაცემები:, Chronologue,Paris, 1958):

წმ. იაკობ I 33-61 (62)
წმ. სვიმეონი I 62-107
იუსტი // იუდა 107-111
ზაქე // ზაქარია 9 წელი
ტობე 2 წელი
იოანე I 21 წელი
ბენიამინ II ფილიპე 124 წელი
სენეკა I წელი
თუსტი II 5 წელი
ლევი 2 წელი
იოსებ I წელი (სხვა წყაროებით 5 წელი)
იუდა-კვირიაკი 135 წ.
მარკოზ I 135-143 (156)
კასიანე 5 წელი
პუპლი 5 წელი
მაქსიმე I 8 წელი
ივლიანე I 4 წელი
გაი//კაი I 3 წელი
სიმპხოსი 2 წელი
კაი // კაი I წელი
ივლიანე II 4 წელი
კაპიტონი-აპიონი 3 ნახევარი წელი
ილია I (ლე ქიენთან არაა)
მაქსიმე II 4 წელი
ანტონინი 5 წელი
ვალენტი 3 წელი

დომიციანე 4 წელი
წმ. ნარკისი 196 წ.
დიი // ელეი 2 წელი
გერმინი // გერმანე 4 წელი
გორდი 5 წელი
წმ. ნარკისი მეორედ 212 წ.
წმ. ალექსანდრე 212-250
მაზაბანი 250-266
იმენოსი 267-298 (260-298)
ზაბდა // ზავდა 298-303 (298-300)
წმ. ერმონი 303-313 (300-314)
წმ. მაკარი I 313-333 (314-333)
წმ. მაკსიმე III 333-350 (351)
წმ. კირილე I 350-387 (ევტიქი, ირინე, პილარიუსი; წლები არაა მითითებული).
ირაკლი
ევტიხი
ირინეოსი
ილარი
იოანე II 387-417 (386-417)
პრაილი 417/420 (417-422)
წმ. იუვენალი 420-458 (422-458)
თეოდოსი მონოფიზიტი, იუვენალის თანამედროვე (451-457)
ანასტასი I 458-478
გერონტი მონოფიზიტი
მარტირი 478-486 (პალამის მიხედვით 473-482)
სალუსტი 486-494
ილია II (ლე-კენიო I) 494-517 (494-516)
იოანე III. 517-524 (516-524)
პეტრე 524-544
მაკარი II, მალევე გადაყენებული (552)
ევსტოქი II 544-563 (552-563/64)
ევტიხი
მაკარი II მეორედ 563-574 (563/64-575)
იოანე IV 574-594
ამოსი 594-601
ისიქი/ისაკი 601-609
წმ. ზაქარია 609-633 (609-631) (614-628 წლებში ტყვედ ჰყავდათ სპარსელებს)
წმ. მოდესტი 633-634 (614-628 იკავებდა ადგილს წმ. ზაქარიას ნაცვლად)
წმ. სოფრონ I 634-644 (634-638).
ეკლესიის ქვრივობის წლები 644-705 (პალამას მიხედვით 644-673) ამ პერიოდში ეკლესიას მართავდნენ სტეფანე, დორის ეპისკოპოსი; იოანე, ფილადელფიის ეპისკოპოსი თეოდორე პრესვიტერი, გეორგ I.
ანასტასი II 692-705
იოანე V 707-745 (705-735)
გეორგ II 4 წელი
ილია III (II) ნიკეს მეორე კრების დროს 787 (787-797)
თეოდორე I. მისი ანტიპატრიარხი 752/54-767 ელი II
გეორგი (პალამასთან არაა) 807
თომა I 807 წ.
ბასილი 836 = 847 (821-839)
იოანე VI 847-851 (839-843)
სერგი I 843-859 (851-867 – პალამით)
სალომონი 859-864 (871-881) (გრუმელით 860-865)
(გრუმელით – თეოდოსე (867-878)
ილია IV (III) 879-907 (881-910) (... 878-907)
სერგი II 907-911 (910-915 – პალამით)
ლეონტი I 911-928 (915-930) (გრუმელით – 912-929)
ათანასე // ანასტასი 931 (929-937)
ნიკოლოზ I (932-947)
ქრისტეფორე // ქრისტოდულე // ქრისტოდორი I 936 (947-967) (გრ. 937-951)
აგათონი 969-983 (პალამით) (გრუმელით – 951-964)
იოანე VI (VII) (967-969) (964-966 – გრუმელით)
ქრისტეფორე // ქრისტოდულე II (983-986 – პალამით; გრუმელით – 966-969)
თომა II (986-995) (გრუმელით – 969-979)
იოსებ II (995-1000) (980-984 – გრუმელით)
ალექსანდრე (თეოფილე) I 1000-1008 – შემდეგ მოდის ეკლესიის ქვრივობის წლები 1019 წლამდე (პალამით)
აღაპი (ნიკიფორე I 1019-1024) (გრუმელით – 983/4-985)
იერემია // ორესტი 980 (1024-1045) (986-1006 – გრუმელით)
თეოფილე I (გრუმელით – 1012-1020)
არსენი XI ს. დასაწყისი
ირონდი
ნიკიფორე 1048 (1020-1048); იოანიკე
მინა 1044 (1045)
სოფრონ II 1059 (1046-1079) (1059-1064 – გრუმელით)
მარკოზ II 1065 (1079-1093)
ეფთვიმე 1005-1112 (პალამით სვიმეონის შემდეგ; გრუმელით 1083-ის შემდეგ)
სვიმეონ II 1099 (1093-1105) (გრუმელით –

1092-1099)
იოანე VIII – გრუმელით 1098-1106/7
ალაპი I (1112-1117 – პალამით)
საბა I XI ს. დასასრული და XII ს. დასაწყისი (1117-1130) გრუმელით (1117-1118)
ეკქერი (1130-1136) – პალამით
ნიკოლოზ – გრუმელით 1122-1156
მაკარი III (პალამით)
იაკობ II (1136-1150)
არსენი II 1146 (პალამით I 1151-1154)
იოანე VII (VIII, ან ნიკოლოზ) 1156 (1155-1178)
ნიკიფორე II 1166 (1178-1187 პალამით) – გრუმელით 1166-1171
ათანასე II 1187
ლეონტი 1188 წლიდან (გრუმელით 1184-1185)
დოსითეოსი VI (1190 წლიდან იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქია)
თეოფანე XIII ს-ის დასაწყისი (პალამით ნიკიფორე II-ის შემდეგ მოდის დოსითეოსი 1167-1190, შემდეგ ათანასე IV, 1123 წლამდე და ლეონტი 1223-1261. თეოფანე არ ჩანს).
გრიგოლ I 1261-1288 (გრუმელით 1237-1285)
ათანასე III (პალამთან არაა) (გრუმელით 1303-1308)
თეოდოსი 1298
სოფრონ III (1288-1334)
ათანასე IV XIV ს-ის დასაწყისი
გაბრიელ ბრულა (გრუმელით 1309)
ათანასე IV მეორედ (პალამთან წინა სამი პატრიარქი არაა)
ლაზარე 1330
გერასიმე ანტიპატრიარქი (გრუმელით 1341)
სოფრონ IV (III) (პალამთან არაა)
დოროთე I XIV ს-ის ბოლო (1347-1395) (პალამთან არაა) (გრუმ. 1378-1412)
თეოფილე II (1395-1427) (გრუმელით 1419-1424)
თეოფანე II (პალამით I 1427-1442)
იოაკიმე 1438 (1442-1453) – იოახიმი (გრუმ. 1437-1464)
თეოფანე III (ათანასე III 1453-1457) (გრუმ. 1430)
აბრაამი 1468
იაკობ III (გრუმელით – 1482)
მარკოზ III (პალამთან არცერთი არაა)
გრიგოლ II (1457-1493)
დოროთე II XVI ს-ის შუა წლები (1493-1534)
გერმანე II 1534-1579
სოფრონ V (IV) 1579-1607
თეოფანე IV (II პალამით) 1608-1644
პაისი 1645-1661
ნექტარი 1661-1669
დოსითეოს II – მან დაწერა პატრიარქების ისტორია 1669-1707 (1709)
ქრისთანი 1707-1731
მელეტი 1732-1737
პართენი – 1737-1766
ეფრემ II 1766-1771
სოფრონ VI (VII) 1771-1774
აბრამიოსი 1775-1787
პროკოპი I 1787-1788
ანთიმი 1788-1808
პოლიკარპე 1808-1827
ათანასე V (IV) 1827-1845
კირილე II 1845-1872
პროკოპი 1873-1875
იეროთეოსი 1875-1882
ნიკოლიმ I 1883-1890
გერასიმე II 1891-1897
დამიანე I 1897

„იერუსალიმის განჩინება“ – ლიტურგიკული ძეგლი „კანონი“, რომლის შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტურგიკის ისტორიისათვის. ტიპიკონის ჩამოყალიბება დაიწყო იერუსალიმში, ე. წ. აგიოტაფიტების წრეში, მაგრამ მისი არავითარი კვალი, გარდა VI საუკუნის პილიგრიმის, სილვია აკვიტანელის ფრაგმენტული ცნობებისა, არ არსებობს პირველი ათი საუკუნის მანძილზე. ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა ამ წიგნის მთლიანი და სრული სახე VII საუკუნის რედაქციით. ის გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე არა უგვიანეს VIII საუკუნის მეორე ნახევრისა. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (Иерусалимский канонарь VII в. (груз. вариант), Тбилиси, 1912). ამ თხზულების აღმოჩენამ და მისმა პუბლიკაციამ დიდი გამოხმაურება პოვა, როგორც რუსეთში, ასევე დას. ევროპაში, რადგან იგი აუსებს თითქმის 10 საუკუნის ხარვეზს ლიტურგიკის ისტორიაში.

იერუსალიმური ლექციონარი – იგივე „იერუსალიმის კანონარი“ ანუ „იერუსალიმის განჩინება“, ძეგლი, რომელსაც 1910 წელს მიაკვლია თ. ჟორდანიამ სვანეთში და დაათარიღა VII-VIII სს. 1911 წელს კ. კეკელიძე გაემგზავრა სვანეთში, ადგილზე შეისწავლა ხელნაწერი, აღწერა იგი და გადმოიწერა ტექსტის ძირითადი ნაწილი. კალას ეკლესიაში კ. კეკელიძემ მიაკვლია იმავე ლექციონარის მეორე ნუსხას,

ძალზე დაზიანებულს. ორიენ ხელნაწერის გამოყენებით მან გამოაქვეყნა „იერუსალიმის კანონარი". მეცნიერმა თარგმანი დათარიღა VIII საუკუნით. თავისი თვალსაზრისი იერუსალიმის ლექციონარის ბერძნული რედაქციისა და მისი ქართული თარგმანის დათარიღებაზე კ. კეკელიძეს ბოლომდე არ შეუცვლია. ქართული პალიმფსესტების გაშიფრვამ, ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების გამოცემამ სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის შესწავლისათვის. კერძოდ, იერუსალიმის ლექციონარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხანმეტი მრავალთავის და ხანმეტი და ჰაემეტი ლექციონარების ფრაგმენტების გამოვლენას და მათ პუბლიკაციას (ა. შანიძე, 1944 წ.). მიხეილ თარხნიშვილი ხელნაწერის თარიღად დებს IX საუკუნეს, ხოლო თეით ძეგლი ასახავს იერუსალიმის ღვთისმსახურების წესის V საუკუნის I ნახევრის პრაქტიკას. ხანმეტ ლექციონარს იგი მიიჩნევს სომხურზე ადრეულად და მისი ჩამოყალიბების დრო გადაატანს VI საუკ-ის I ნახევარში, სომხურს კი VI საუკუნის ძეგლად თვლის. მისი აზრით, V საუკ-ის ლექციონარი VII საუკუნეში ხელახლა გადაიწერა და შეიტანა ახალი ტექსტებით (ბიბლიური საკითხავების ძველი ტექსტები შეცვალა ახალი რედაქციის ტექსტებმა). VII საუკუნისათვის ხანმეტი ლექციონარი აღარ შეესაბამებოდა იერუსალიმის საღვთისმსახურო პრაქტიკას, ამიტომ იგი VII საუკუნეში შეცვალა ბერძნულიდან შესრულებულმა ახალმა თარგმანმა. ა. რენუ არ იზიარებს მ. თარხნიშვილის აზრს ძეგლის დათარიღების თაობაზე. მისი დაკვირვებით, ხანმეტი ლექციონარი ეყრდნობა პალესტინურ ტრადიციას; ის უნდა ასახავდეს პალესტინის რომელიმე ქართული კოლონიის საღვთისმსახურო პრაქტიკას. რენუ ეთანხმება კ. კეკელიძეს ძეგლის დათარიღებისა და შეფასების საკითხში. მასაც მიაჩნია, რომ ამ ძეგლში აისახა V-VII საუკუნეების ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი, რომ ძეგლმა განიცადა ეეოლუცია. იერუსალიმის ლექციონარი მრავალმხრივი ძეგლია. იგი ასახავს იერუსალიმის ღვთისმსახურების წესის განვითარებას სამი საუკუნის მანძილზე.

ძველი ლიტურგიკული ძეგლების გადახალისება და ახალ მოთხოვნილებებთან მათი შეფარდება ფართოდ გაერცელებული პრაქტიკა იყო ქართულ სინამდვილეში.

ქართული ლექციონარი წარმოადგენს სამრეკლო, ანუ ე. წ. კათედრალური ღვთისმსახურების წიგნს. კათედრალური ღვთისმსახურება მსახურების ის სახეა, რომელიც ტაძარში მიმდინარეობდა და მრევლის მონაწილეობით სრულდებოდა. ის გამოირჩეოდა გალობის ისეთი ფორმებით, რომლებშიც შესაძლებელი იყო ხალხის მონაწილეობა. V საუკუნის დასასრულს იერუსალიმის სამრეკლო ღვთისმსახურებაში გამოყენებულმა სიახლემ თავისი კვალი ქართულ ლექციონარშიც დატოვა მდიდარი ლიტურგიკული პოეზიის სახით. რაკი კრებული საკუთრივ ლექციონარის (საკითხავი, ლათ.) გარდა პიშოგრაფიას (ლიტურგ. პოეზია) და ტიპიკონიც მოიცავდა, იგი არის უნიკალური კრებული და არ შეიძლება ეწოდოს მისი ერთი ნაწილის სახელი, ე.ი. უნდა ადდგეს ისტორიული ტერმინი — „ვანჩინება". ქართული ლექციონარი ღვთისმსახურების ხუთ სახეს იცნობს: სამხრის, ცისკრის, მწუხრის, ღამისთევის და ე. წ. ანამწეტური, ანუ საუფლო დღესასწაულების განსაკუთრებული რიგის მსახურებას. ქართული ლექციონარი აღმოსაელური ღვთისმსახურების საგალობელი ფორმების განვითარების შესწავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იერუსალიმის ლექციონარი იყო საღვთისმსახურო უნიკალური წიგნი V-X საუკუნეების მანძილზე, რომელიც წარმართავდა ყოველდღიურ ღვთისმსახურებას, ამიტომ ის სწრაფად იფესვებდა ყოველგვარ სიახლესა და ცვლილებებს, რითაც არ უნდა ყოფილიყო ის ნაკარნახევი — დოქტრინალური თუ პრაქტიკული მოტივებით. იერუსალიმური ღვთისმსახურება ივსებოდა ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური მასალით მრავალთავისა და უძველესი იადგარების მიხედვით.

იშხე — რამდენიმე ქართველი სასულიერო მოღვაწის სახელი:

1. მცხეთის დეკანოზი (ზუმბულიძე) (1628-1644 წწ.), მოხსენებულია გვიანდელ ისტორიულ ხასუთებში. რიღესაც შაჰ-აბასს საქართველოდან მიჰყავდა ტყვეები, მათ რიცხვში მოხვედრილა სვეტიცხოველის ყმა, ობოლი. იესეს შაჰისათვის ხონჩით მიურთმევია ბალი და უთხოვია ყმის განთავისუფლება, რაზედაც შაჰი დათანხმებულა (1644-1675 წწ.).

2. მროველი მთავარეპისკოპოსი ალექსანდრე იმერთა მეფის დროს (1637-1660).

3. მღვდელი, კალიგრაფი, XVIII საუკუნის I ნახევარში. 1702 წელს ეიმე მღვდელმონაზონ ქრისტეფორე ლიპარიტის შვილის დაკვალებით გადაუწერია კონდაკი.

4. სიონის დეკანოზი (ოსე), გვარად მიქაძე (1998-1758), სიონის დეკანოზის, იოანეს მამა. იესე იყო სიონის მღვდელი, „სატფილელოს სახლთუხუცესი“, რომელმაც თეიმურაზ II-ის დავალებით შეადგინა სამართლის წიგნების კრებულის ანბანური სძიებელი (H 176, Q 880). ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ გადაწერილი სახუთეხე.

5. მეტბეის დეკანოზი, იონა ხელაშვილის მასწაელებელი, ცნობილია მის მიერ დამზადებული არაერთი ხელნაწერი (A589, A597, A 873 და სხვა).

6. მღვდელი, კალიგრაფი. ცნობილი ლექსიკოგრაფის და მეცნიერის — დავით ჩუბინაშვილის მამა. 1810 წ. ბოდბელი მიტროპოლიტის, იოანეს მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო ამავე წლის 19 მარტს ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ აკურთხა მღვდლად. გადაწერა იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს სახარებისა (S 154).

იესო ძრისტე — მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ჭეშმარიტი ღმერთი და კაცი, მაცხოვარი სოფლისა, ცხებული ღვთისა (მესია), რომელიც, ქრისტიანული მრწამსის მიხედვით, მამაღმერთისაგანაა უღედოდ შობილი „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, და განხორციელებული „სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა“ კაცთა ცოდვების გამოსასყიდად. მაშასადამე, ქრისტე სრული ღმერთიცაა და სრული კაციც. საღვთო და კაცობრივი ბუნება ქრისტეში შეერთებულია შეურეველად. სახელი იესო (ებრ. „იეშოშუა“) „მაცხოვარს“, „ცოხერების მომცემელს“ ნიშნავს, „ქრისტე“ ზედწოდება კი — „ცხებულს“, „მირონცხებულს“ (ებრაულად „მაშიახ“ ანუ მესია, ბერძნულად — „ქრისტე“).

ამქვეყნად ქრისტეს მაცხოვრებითი მსახურება, მისი ძოძღრება და საქმენი აღწერილია ოთხი მახარებლის მიერ დაწერილ ოთხ სახარებაში (წმიდა ოთხთაევნი), ხოლო მისი კომენტარი და განხილვა — ახალი აღთქმის დანარჩენ წიგნებში: „საქმე მოციქულთა“, კათოლიკე ეპისტოლენი, პავლეს ეპისტოლენი და გამოცხადება იოანესი. საღვთისმეტყველო მოძღვრებას იესო ქრისტეს ბუნების, განხორციელების, მაცხოვრებითი ენების, ჯვარცმის, დაფლეის, მკვდრეთით აღდგომის, ზეცად ამაღლების, სულიწმიდის მოფენისა და დიდებით მეორედ მოსვლის შესახებ ქრისტოლოგია ეწოდება.

იეა ედესელი — V ს. სასულიერო მოღვაწე († 451), ედესის ეპისკოპოსი, ანტინესტორიანელი, რის გამოც დეენა განიცადა. ცნობილია მისი წერილი მარინ სპარსის მიმართ, რომელშიც იგი უარყოფს ნესტორიანობას. ეპისტოლე თარგმნილია ქართულად — „ეპისტოლე მარინ სპარსის მიმართ“ (A 266, 404-07).

იოანე | იოვანე — რამდენიმე ქართველი ოქრომჭედლის, კალიგრაფისა და მაშენებლის სახელი:

1. X საუკუნის კალიგრაფი საფარიდან, წარმოშობით მესხი მოღვაწეობდა სინის მთაზე, სადაც 968 წელს გადაწერა „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ H 2124. ამ ხელნაწერის დამკვეთი იყო მიქელ ხუცესი ფანასკერტელი.

2. ავტორი ზარზმის ტაძრის უძველესი და უმნიშვნელოვანესი წარწერისა (სულის ძე), რომელიც მოთავსებულია სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თავზე. წარწერა X ს-ის დასასრულისაა და ყველაზე ძველი ისტორიული ნაშთია ღღევანდელ ზარზმაში. იგი მოგვითხრობს დაეით კურაპალატის დროინდელ ამბებზე, ქართველთა ბრძოლაზე ბიზანტიის მეფის დასხმარებლად ბარდა სკლიროსის წინააღმდეგ.

3. X საუკუნის ქართველი კალატოზი, ეკლესიის (ჯაეის რაიონში) მაშენებელი. მოხსენებულია ეკლესიის წარწერაში.

4. XI საუკუნის ქართველი დიაკონი და ოქრომჭედელი, ავტორი მარტვილის საწინამძღვრო ჯვარისა, რომელიც მას შეუსრულებია XI საუკ. II მეოთხედში. იოანე დიაკვნის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული ჯვარი ამ პერიოდის სკულპტურული ჭედურობის თვალსაჩინო ნიმუშია. დ. ჩუბინაშვილის აზრით, ჯვრის მხატვრული შესრულების გააზრებაში სრულ შეხმჩედებით თავისუფლებას ამყღავნებს, მიუხედავად იმისა, რომ დოგმატური რელიგიური სქემა ბიზანტიურიდან აქვს აღებული. ჯვრის ზომაა 55X31 სმ.; მის შუაგულში გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე.

5. XI ს-ის ქართველი ოქრომჭედელი (მონის ძე) ჩვენამდე მოაღწია მისმა ნამუშევარმა, მის მიერ ხელმოწერილმა და ზუსტად დათარიღებულმა ჭედურმა ფირფიტებმა (1040 წ.) წმ. ბასილისა და წმ. ნიკოლოზის გამოსახულებებით. ფირფიტები დაკრული იყო შემოქმედის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის ართშაზე, სხვა ფირფიტებთან ერთად (ფირფიტები ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). ფირფიტები შესრულებულია მაღალი ოსტატობით. მათი სახით საქმე გვაქვს ქართული ოქრომ-

ქანდაკებლობის იმ საფეხურთან, როცა ქართველი ოსტატები სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანებს უსაზღვრო თავის ხელოვნებას.

6. XI საუკუნის ქართველი ხუროთმოძღვარი (მორჩაձს ძე). 1032 წელს მან საფუძველისადე გადაკეთა იშხნის ტაძარი. ამას გვაუწყებს წარწერა ტაძრის სამხრეთ სარკმელზე. ტაძარმა ბევრჯერ განიცადა გადაკეთება, მაგრამ ჩანს, მისი საბოლოო, მხატვრულად დასრულებული სახე იოანე მორჩაის-ძის დამსახურებაა. ჩუქურთმათა სიუხვე და მრავალფეროვნება, მათი შესრულების მაღალი დონე, დახვეწილი ფორმები იოანე მორჩაის-ძეს აყენებს შუა საუკუნეთა ბრწყინვალე ქართველი ოსტატების გვერდით.

იქდითი (ებრ. დებუდით) — ებრაელი ქალი, ძველი აღთქმის ერთ-ერთი ამაყრიფული წიგნის გმირი. წიგნი ისტორიული ხასიათისაა, თუმცა სავსეა ანაქრონიზმებით. მისი სიუჟეტი ასეთია: ასურეთის მბრძანებელმა ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა ებრაელთა დასჯა. მისი ბრძანებით მხედართმთავარმა ოლოფერნემ ალყა შემოარტყა ქ. ბეთილუას. მშვენიერმა ქვრივმა იქდითმა იხსნა ქალაქის მკვიდრნი: მოხიბლა მხედართმთავარი და შემდეგ მძინარეს კარაქში თავი მოჰკვეთა. „იქდითის წიგნი“ დაწერილია დაახლოებით ძვ. წ. II ს-ში. მისი ებრაული დედანი დაკარგულია; არსებობს მხოლოდ ბერძნული თარგმანი, რომლისაგანაც არის თარგმნილი სხვა ვერსიები. „იქდითის წიგნი“ 10 თავს შეიცავს. მისი რამდენიმე ქართული ვერსია არსებობს, მათ შორის უძველესია ოშკის ბიბლიაში (Ath. 1, 978 ჭ.). ტექსტი გამოცემულია A 51 (XVII-XVIII ს. „მცხეთური ბიბლია“) მიხედვით ე. დოჩანაშვილის მიერ (მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1984, გვ. 53-78).

იერთა მონასტერი ათონზე — ძველი ქართული სულიერი კულტურისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი კერა საბერძნეთში, ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე, მთაწმინდაზე (ბერძნ. „აიონ-ოროს“). მისი დაარსება დაკავშირებულია იოანე მთაწმიდელისა და თორნიკე ერისთავის (X ს.) სახელებთან. თორნიკეს უშუალო ხელმძღვანელობით ბიზანტიის მცირეწლოვანი უფლისწულების (ბასილისა და კონსტანტინეს) წინაამდგე აკანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებამ და ამის შედეგად მოპოვებულმა დიდმა ალაგმა და საიმპერატორო წყალობამ ქართველებს შესაძლებლობა მისცა, აეშენებინათ ათონზე ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი და მძლავრი საუნე. 980-983 წლებში დაიწყო და დასრულდა იერთა მონასტრის მშენებლობა. იერთა მონასტრის პირველი წინამძღვარი იყო იოანე. ის ენერგიულად შეუდგა ქართული საეკლესიო-საბოლოო ცხოვრების ორგანიზაციას: შეიძინა მამულები, უზრუნველყო მონასტერი შემოსავლით, საეკლესიო-სამონასტრო და სამეურნეო საქმიანობაში ჩააბა თავისი თანამემამულენი და მოწაფეები. იოანესა და თორნიკეს დიდი მეცადინეობით, ბიზანტიელი იმპერატორების დახმარებით და თვით ქართველების თავდაუზოგავი შრომით მონასტერი 985 წლისათვის უკვე სავსებით ჩამოყალიბებული კულტურის ცენტრი იყო. ათონზე მოღვაწე ქართველებმა საფლავთაო პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვეს. საუკუნის დაარსებიდან ერთი საუკუნის მანძილზე მონასტერი თავისი ძლიერი საბერწერლობო კერით და შესანიშნავი მწიგნობარ-მეცნიერებით წარმართავდა ქართულ მწერლობას, მეცნიერებასა და კულტურას, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ცენტრებში. მისმა საბერწერლობო საქმიანობამ უღრმესი კვალი დაჰჩნია მთელი შუა საუკუნეების ქართულ კულტურას, მის მეცნიერულ, ფილოსოფიურ და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. მონასტრის დამარსებლებმა თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურისადმი და დაიწყეს ზრუნვა ეროვნული წერილობითი კულტურის ბერძნულიდან ახალი თარგმანებით გამდიდრებაზე. იოანემ ამ საშუალოში თავისი ვაჟი ეფთვიმეც ჩააბა, რომელიც განსაკუთრებული მთარგმნელობითი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ფართოდ გაიშალა მუშაობა აგრეთვე ხელნაწერთა გამრავლებისა და ძეირფასი ნუსხების დამზადების მიზნით. მათი დაკვეთით მუშაობდა აქ ქართველ მწიგნობართა მთელი ჯგუფი, არაერთი ძეირფასი ხელნაწერი დამზადდა და გადაიწერა.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ მონასტერს 14 წლის განმავლობაში (1005-1009) წინამძღვრობდა ეფთვიმე მთაწმიდელი. ეფთვიმეს მრავალმხრივი და ძნიძე მუშაობის შესრულება უხდებოდა მონასტერში. მან ირგვლივ შემოიკრიბა კვალიფიციურ მწიგნობარ-გადამწერთა ჯგუფი, რომელთა ძირითადი მოვალეობა იყო ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ძეგლების გადანუსხვა და მათი საქართველოში და საზღვარგარეთ სამწერლობო კერებში დაგზავნა-გავრცელება. ეფთვიმე ძირითადად თარგმნიდა ისეთ ძეგლებს, რომლებსაც ქართული მწერლობა არ იცნობდა, ან მოითხ-

ოდა გარკვეულ გადამუშავებას თანამედროვე კონსტანტინეპოლური პრაქტიკის მიხედვით. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მისი განვითარება-გამდიდრების საქმეში ეფთვიმეს არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა. თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. ბერძნულ ენაზე ქართულიდან უთარგმნია, სახელდობრ, „სიბრძნე ბალაჰარისა“. მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარდა იგი ორიგინალურ თხზულებებსაც წერდა ქართულ და ბერძნულ ენებზე.

ივერთა მონასტერი იოანესა და ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგაც გამოირჩეოდა, როგორც მძლავრი კულტურული კერა. აქ გრძელდებოდა ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი მთაწმიდელი (1009-1065). გიორგის წინამძღვრობის დროს (1044-1055) გაღრმავდა და გაფართოვდა მისი წინაპრების მიერ წამოწყებული საქმე.

გიორგი მთაწმიდელმა აღწერა „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ (ძეგლები, II, 1967, გვ. 38-100), რომელშიც მათი ისტორიის გარდა გეცნობის მონასტრის ცხოვრებასაც, მოგვითხრობს საკანის ისტორიას, ბერძენ და ქართველ ბერ-მონაზონთა ურთიერთობას, ქართველთა მდგომარეობას; მონასტერზე ქართველთა უფლებების დაცვის აუცილებლობამ დააწერინა ძირითადად ეს წიგნი გიორგის.

მისი მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე ყველაზე მეტად და ღრმად იცნობდა მასწავლებლის ლიტერატურულ მოღვაწეობას და მის სამონასტრო საქმიანობას. გიორგის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მან აღწერა დაწერილებით გიორგი მთაწმიდელის თავგადასავალი: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“ (ძეგლები, II, გე. 101-212), რომელშიც მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა გიორგი მთაწმიდელის დამსახურება ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე. გიორგის წინამძღვრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა მონასტერში ლიტერატურული საქმიანობა, კერძოდ, თეოდორესა და განსაკუთრებით კი გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის დროს. ამ პერიოდში მოღვაწეობდა აქ მწიგნობართა მოზრდილი ჯგუფი: ეფსტრატი დეკანოზი, ზოსიმე, კვირიკე დიაკონი და სხვ.

მონასტერში მდგომარეობა შეირყა და ამან გამოიწვია ლიტერატურული საქმიანობის შენელება-შესუსტება. ამჯერად საეანეში ძირითადად ხელნაწერები მზადდებოდა და ათონის წიგნსაცავი ახალი ნუსხებით მდიდრდებოდა. ლიტერატურული საქმიანობის შესუსტება და ბოლოს სრული შეწყვეტა ბუნებრივად მოპყვა იმ დევნა-შეიწროებას, რომელსაც ივერთა მონასტერი განიცდიდა თაეისი არსებობის II პერიოდში. ჯერ კიდევ გიორგი ათონელის დროს დაიწყეს ბერძნებმა მონასტრის შეეიწროება. გიორგიმ მოახერხა მათი შემოტეეის შეჩერება და წინ აღუდგა მათ მტაცებლურ სურვილებს. ათონის ქართველებს დასაბუთება დასჭირდათ იმისა, რომ ავანე მათი კუთვნილება იყო. ამისათეის შედგა საეანგებო „მოსახსენებელი“, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მონასტერი ქართველების კუთვნილება იყო. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ბერძენთა შემოტევები მომდევნო ხანებში. იერიშები უფრო მძლავრი და საშიში შეიქნა და ნელ-ნელა ივერთა მონასტერი ბერძენთა ხელში გადადიოდა. 1259 წელს ათონის მონასტრები დაარბიეს ჯვაროსნებმა, 1304 წელს მონასტრებს თურქები შემოეესივნენ, 1306 წელს — კატალონელები, 1308 წელს — არაბები. ამ გაუთაეებელმა თარეშმა დაასუსტა მონასტერი და მისი კრებული. უფრო მეტად გამწეეალა ურთიერთობა ბერძნებსა და ქართველებს შორის. XIII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურმა დაუძლურებამ დიდად იმოქმედა მონასტერი მდგომარეობაზეც — ქართველთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, მომრავლდნენ ბერძენი მონაზენები. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა კალისტე პირველმა (1350-1363) დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და უგულებელყო ქართველთა კანონიერი უფლებები მონასტერზე. ქართველებს ჩამოართვეს მთაეარი საკრებულო ტაძარი; ავკრძალეთ მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკაეება და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიეჩინეს, მაგრამ ნომინალურად მონასტერი მაინც ქართველთა ხელში რჩებოდა. ქართველები კალისტეს აკრძალეის შემდეგაც ჩანან წინამძღერებად მომდევნო საუკუნეებში. 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ ათონის სავანეები დაარბიეს თურქებმა. ქართველთა მდგომარეობა გაუარესდა, ისინი საქართველოს მეფეებს სთხოედნენ შემწეობას. XV-XVI საუკუნეებში, მართლაც დაეხმარნენ მათ სამცხის ათაბაგები ყვარყვარე II (1451-1498) და მზეჭაბუკი (1500-1575). ივერთა მონასტერმა ერთხანს ამოისუნთქა. ისევ გაჩაღდა აქ აღმშენებლობითი სამუშაოები, დანგრეულ და დარბეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლება. ამას მოჰყვა მოღვაწეთა რიცხვის გაზრდა. XVI საუკ-

ნის დასასრულიდან ათონის მონასტრებს მზრუნველობს რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება. მას შემდეგ, რაც სულთან სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები, მონაზონთა ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობა დამძიმდა. XVII-XVIII საუკუნეებში და შემდეგაც იერთა მონასტერს დახმარებას (მართალია, ეპიზოდურად) უწევდნენ ქართველი მეფეები (თეიმურაზ I, გიორგი XI, თეიმურაზ II, სოლომონ I, ერეკლე II და სხვ.). ამავე საუკუნეებში ბევრი ქართველი და რუსი პილიგრიმი და მოგზაური ეწვია მონასტერს (მათ შორის ტიმოთე გაბაშვილი და იონა გედევანიშვილი). XIX საუკუნეში ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა ათონზე. მას შემდეგ, რაც იერთა მონასტერმა ქართველ მეფეთა სახით დაკარგა მფარველები, ხოლო ქართლმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ათონის ქართველთა მონასტერი და ქართველი მონაზონები ძალზე შეაუფრთხეს ბერძნებმა: ქართველები განდევნეს და მთლიანად დაეპატრონენ მონასტერს. ქართველები ერთხანს კიდევ არ ტოვებდნენ მონასტერს. ენერგიულ მოღვაწეთა წყალობით (ბესარიონ ქიტიშვილი, ილარიონ ყანჩაველი და სხვ.). არ შეუშინდნენ მაქმაღიანებს და თურქეთ-საბერძნეთის ომის დროს მონასტერში დარჩნენ. ომის დამთავრების შემდეგ ათონს ისევ ბერძნები დაეპატრონენ და კელე იწყეს ქართველების დევნა-შეიწროება, გამოაძევეს მონასტრიდან და საცხოვრებელ ადგილად მიუჩინეს ილიას სავანე. ბ. ქიტიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბერძნები უფრო გათამამდნენ. ქართველ პილიგრიმთა მიღებაზე უკვე უარს ამბობდნენ და ძმობაში ჩარიცხვა საბოლოოდ აკრძალეს. ამ პერიოდში იერთა მონასტრის ეწვია ეახტანგ ბარკალაია, რომელმაც მონასტრის ახლოს აშენა ოთხ ღვთისმშობელის ქართველთა ახალი სავანე. აქ შემოიკრიბა მან ათონზე გაბნეული თითო-ოროლა ქართველი. ახალი სავანის წინამძღვარი ენერგიულად იღვწოდა მონასტრის დასაბრუნებლად, მაგრამ რუსეთის მთავრობამ არაკეთილი დახმარება არ გაუწია მას ამ საქმეში. ბერძნებმა მონასტრის მისაკუთრება არ იკმარეს. დაიწყეს მონასტერში ქართული კელის განადგურება, წარხოცეს ქართული წარწერები. XIX საუკ. 80-იან წლებში დიდი ინტერესი გაჩნდა იერთა მონასტრის წიგნსაცავის მიმართ (ალ. ცაგარელი, დიმ. ბაქრაძე, ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი და სხვ.). 1931 წელს ათონის ხელნაწერთა კოლექცია გაიცნო ამერიკელმა ქართველოლოგმა რობერტ ბლეკმა და გამოაქვეყნა მისი აღწერილობა. 1977 წელს ათონზე იყვნენ ქართველი რეჟისორი გურამ პატარაია და პროფ. ალ. ალექსიძე. ათონის მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმების პირები, გადაღებული 1977 წლის ექსპედიციის დროს, დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაცხოველდა ქართველ მომლოცველთა მიმოსვლა ათონზე.

იერიანე ბოწამე — ენო ქრისტეს სარწმუნოებისათვის 249-257 წლებში ალექსანდრიაში. ღრმა მოხუცი და სნეული ენამა ქრისტესთვის: ოგი დაწვეს კოცონზე. მისი „წამება" თარგმნილია ქართულ ენაზე (H 34, XI ს., გვ. 824; Ath 8, X ს., 178-180). ხსენების დღეა 27 თებერვალი.

იერიანე მაურნალი, ეპესელი — მოწამე, წარმოშობით იერიანე ფინიკიიდან იყო, ქ. ეპესიდან. ქრისტეს რჯულისათვის ენო 312 წელს იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. იერიანე იყო დახელოვნებული მკურნალი. არსებობს მისი „წამების" ქართული თარგმანი (Ath 8, X ს. 152-159; A 95, XI ს., 403-408 გამოც. ქ. კეკელიძისა, კომენი I, ტფილისი, 1918, გვ. 118-124). ხსენების დღეა 6 თებერვალი.

იერიანე — V ს. ეპისკოპოსი ტაბია ქალაქისა; მას შეუთხზავს „ქალწულებისათვს ქრისტეს ძისა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი იოვანეს მიერ" (S 3902), რომლის ქართული თარგმანი გამოსცა კ. კეკელიძემ (კომენი I, ტფ., 1918, გვ. 10-15). ამ ჰომილიის ნაწყვეტი შენახულია ხანმეტ მრავალთავში (ა. შანიძე, უნივ. მოამბე, VII).

იეჩსიონ — იხ. სუქიოსი.

იზიდ-ბოზიდი — სპარსელი მოწამე, რომელიც ენო ქრისტეს სარწმუნოებისათვის; მისი „წამება" თარგმნილია ქართულ ენაზე (Ath. 8, 250-257 გამოც. ა. ხახანაშვილისა, Материалы по груз. агиологии, Москва, 1909, გვ. 57-60). 2. ილ. აბულაძისა, ქართული და სომხური ლიტ. ურთიერთობა IX-X სს., თბილისი, 1944; 3. ჯ. ჯეტერისა, Analecta Bollandiana, t.49, fasc. 1-2, 1931, 5-29. ხსენების დღეა 28 იანვარი.

იკიე — XI ს-ის ქართველი ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია მდ. შაბწყალას ხეობაში, კასპის რაიონში. სოფელი იკიე დღეს აღარ არსებობს, მოსახლეობა გადა-

სახლდა სამგორში. იკვის ეკლესია ნაგებია სუფთად გათლილი კვადრებით. ეკლესიის ოთხიე ფასადი შემკულია ორმაგლილვანი თაღედის სისტემით; აქვს ფართო მოჩუქურთმებული საპირებითა და ტიმპანებით შემკული ორი შესასელელი. ინტერიერში შემორჩენილია XI საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები.

იკვნევი — სოფელი გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, გორიდან 15 კმ. წყაროებში პირველად 1658 იხსენიება. სოფლის მახლობლად არის ეკლესიის ნანგრევები, ვარაუდით — ადრე ფეოდალური ხანისა.

იკოთი — სოფელი ისტორიულ შიდა ქართლში, ახალგორის რაიონში, მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 3 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVII საუკუნეში. სოფელში დგას შუა ფეოდალური ხანის წმ. გიორგის ეკლესია, ე. წ. „აშხადურა“, წმ. მარინეს ეკლესია და გუიანდელი ფეოდალური ხანის კოშკი. აღდგენილია 1797 წელს, აქვს მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები.

იკონომოსი — მონასტრის სამეურნეო საქმეთა გამგე, მხე.

იკონოსტასი — ხატთა დასასვენებელი; კედელი მორთული ხატებით, რომელიც ბიზანტიურ ეკლესიებში საკურთხეველს გამოყოფს ტაძრიდან. ძველ ტაძრებში კანკელები არ იყო., მათ ნაცვლად გამოიყენებოდა კრეტსაბმელები. კანკელთა პირველი ხსენება XIV საუკუნიდან ჩანს. კანკელები შენდებოდა ერთი, ან მრავალიარუსიანი და განსხვავებული ფორმებისა იყო. იხ. კანკელი.

იკორთა — სოფელი ცხინვალის რაიონში, ორბოძალის მთის სამხრეთ კალთაზე, ცხინვალიდან 35 კმ. ადრე იკორთა ქსნის ერისთაველების მფლობელობაში იყო, ჰქონდათ საგვარეულო სამარხიც. სოფლის განაპირას მთის კალთაზე აღმართულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელიც შემორჩენილი წარწერის თანახმად 1172 წელს არის აგებული. იკორთის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ოთხკუთხა ნაგებობაა; ხასიათდება დახვეწილი პროპორციებით და შიდა მხების ჰარმონიული შერწყმით. ტაძარი გამოირჩევა თაეინი დეკორით; ტაძრის ფასადების ორნამენტული გაფორმება შესრულების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. იკორთის ტაძარი ქრონოლოგიურად და თაეისი მხატერულ-სტილისტური თაეისებურებებით XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ქართლის გუმბათოვანი ტაძრების ადრეული ნიმუშია, რომლებშიც საბოლოოდ შეშუშავებულია ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე. იკორთის ტაძარი ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც ერთ-ერთი დიდი მწიგნობრული კერა. იკორთის საეანდან ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი. მაგ: წინამძღვარი იაკობე თითას მანელიძე, გამალიელ გამრეკელი, დიმიტრი ოქროიძე და სხვანი. იკორთის ტაძარში დაკრძალულია ქართველი მოწამეები — ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარ და შალვა ერისთაველების წმინდა ნაწილები.

იკოსი — საეკლესიო საგალობელი, გრძელი მუხლი, რომელიც სრულდება კონდაკის (იხ.) შემდეგ და წარმოადგენს მის დამატებას. იკოსი კონდაკზე გრძელია და შეიცავს კონდაკის თემის განეითარებას და შეუსხმას. იკოსები სრულდება კანონში VI გალობის შემდეგ, აგრეთვე აკათისტოში (თითოეული მათგანი შეიცავს 12 „გიხარიდენს“). იხ. იპაკო.

იკონოგრაფია — სახეით ხელოვნებაში სიუეტური სცენების და პერსონაჟების გამოსახეის ტრადიციულად დადგენილი სისტემა. ქრისტიანული იკონოგრაფიის თემა საღვთო ისტორიის მოვლენების, ქრისტიანული იდეების, წმინდანებისა და ქრისტიანობის ისტორიის მხატერული ან სიმბოლური წარმოდგენა. ადრექრისტიანული ხელოვნება ძირითადად სიმბოლური ხასიათისა იყო. ქრისტეს გამოსახავდნენ თეეზისა ან მწყემსის სახით, ხომალდს — ეკლესიის სიმბოლოდ, ღუზას — ხსნის იმედად, ფარშეეანგს — უკედაეების სიმბოლოდ და ა.შ. სიმბოლიზებული იყო სცენები ბიბლიიდან. დროთა განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა იკონოგრაფიული სქემები, მათი ხასიათი.

დასაელეთის ხელოვნებაში რეალიზმის განეითარებამ (განსაკუთრებით აღორძინების ეპოქაში) და მხატერათა შემოქმედებითმა ინდივიდეალობამ განაპირობა იკონოგრაფიული სქემების თაეისეფალი გადაწყეეტა. იხ. ხატწერა.

ილარიონი — რამდენიმე ქართველი მღვდელმთაერის სახელი:

1. სამთავისის ეპისკოპოსი და ხუროთმოძღვარი (ყანჩაელის ძე) IX ს-ში. მის სახელთანაა დაკავშირებული სამთავისის კათედრალისა და აშურიანის ეკლესიის აგება. ილარიონ სამთაეეელის ღეაწლს გვამცნობს აშურიანის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა, რომლის მიხედვით ჩანს, რომ მას პირადად უშენებია (მშენებელი ოსტატი ყოფილა) ეკლესია. ილარიონი მოხსენიებულია აგრეთვე სამთავისის ტაძრის ერთ-ერთ ფასადის წარწერაშიც. მის მიერ შემოტანილი

დეკორატიული სისტემა ფართოდ გაჩენილდა და იარსება XIII საუკუნის I ნახევრამდე.

2. X-XI სს. იშხნის ეპისკოპოსი; X საუკუნის II ნახევარში მისი დაკვეთით გადაიწერა იშხანში ისააკ ასურის ასკეტიკური თხზულებათა კრებული (A 35), რომელიც ნიქოზის ეკლესიის ეზოში იპოვეს. მასვე მოუგია 1033 წელს მესტიის სახარების (M 1) სახელით ცნობილი ხელნაწერი, რომელიც ოშკის სავანეში გადაწერა გაბრიელ ოშკელმა. ილარიონ იშხნელის სახელი იკითხება ცაგერის ეკლესიაში დაცულ ჯვარზე, რომლის მიხედვით ის „იშხნისათუს ილარიონ შექმნა".

3. გელათის მონასტრის XV-XVI სს. წინამძღვარი († 1519 წ.) გელათელი ეპისკოპოსის, მელქისედეკ საყვარელიძის შემდგომ, მოძღვართმოძღვრად წოდებული. ილარიონი ხელმძღვანელობდა მონასტრის ადმინისტრაციულ-ეკონომიკურსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეებს.

4. XVII საუკუნის წალენჯიხის მონასტრის ეპისკოპოსი. ილარიონის დავალებით ვინმე გაბრიელ ბოკუჩავა 1667 წელს „ქუეყანასა ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა" გადაუწერია კურთხევანი (H 1719).

ილარიონი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. IX საუკუნის მიწურულისა და X ს. დამდეგის ქართველი განმანათლებელი (პარეხელი). გიორგი მერჩულე მას იხსენიებს, როგორც კარგ მწერალს, რომელსაც გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერაც კი შეეფერებოდა: „ეპგონებთ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ტომთა ჩუენთა: ... ღმერთ-შემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი..." თუმცა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე არაფერს არ მოუღწეია.

2. უბისის მონასტრის მაშენებელი და მისი წინამძღვარი, IX ს. გრიგოლ ხანცთელის ერთ-ერთი მოწაფე. იგი მანამდე მოღვაწეობდა იერუსალიმის ერთ-ერთ (ალბათ, საბაწმიდის) მონასტერში. ცნობები მის შესახებ დაცულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში" (ძეგლები, I, გე. 268)

3. XI საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე თუალის მონასტრისა (ანტიოქიის მახლობლად). თავდაპირველად (1019 წ.) ხახულში მოღვაწეობდა და ერთხანს „სწერთიდა" გიორგი მთაწმიდელს, იგი „ეითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა". გიორგი მცირეს ცნობით, იგი იყო გიორგი მთაწმიდელის „პირველი მოძღვარი და მიზეზი ყოფისა კეთილისაჲ" (ძეგლები II,. გე. 119).

4. XIII საუკუნის მონაზონი (ოპიზარი), დავით ნარინის მოძღვარი. იგი ეწვია იერუსალიმს მაშინ, როდესაც ჯვარის მონასტერი ეგვიპტელ მამლუქთა მფლობელობაში იყო (1273 წლის შემდგომ). ილარიონ ოპიზარი იხსენიება ერთ ხელნაწერში (სახარება), რომელიც 1860 წელს სვანეთში, ლახსაღლის ეკლესიაში აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ. ანდერძში იკითხება: „დაეწერე ანდერძი ესე, ამა წმიდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღუარმან ბერმან ილარიონ სოფრომისძემან, მას ჟამსა, ოდეს პატრონმან დავით მეფემან, ძემ რუსუდანისამან ოპიზით წამიყვანეს და გელათს ქედსა წმიდათა მთაჳარანგელოზთა წინაშე მამყოფეს, ესე წმიდაჲ სახარებაჲ მიბოძეს და ეითარ მპრთებდა მათად სადიდებელ და სალოცავად ქედსა წმიდათა მთაჳარანგელოზთა შეესწირე და მათსა ეკლესიასა დავდე"; მას თეითვე შეუკაზმავს სახარება და მოუჭედინებია აგრეთვე „წიგნი საწინასწარმეტყველოჲ". ილარიონი დიდად ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა შეგროვებაზე. ცნობილია მის მიერ ტყვეობიდან დახსნილი რამდენიმე ხელნაწერი: 1049 წ. გადაწერილი თვენი (H 2337) ; მასვე შეუძენია XI საუკ. გადაწერილი თვენი (H 2336). ვარაუდობენ, რომ ილარიონ სოფრომისძე იყო სვანი და ზემოხსენებული სახარება უანდერძა ლახსაღლის ეკლესიას.

5. აღდგომის ტაძრის დიაკონი და კანაკანი, მოსული აქ მონასტრის პირველშენებისთანავე. მისი იკონომოსობის დროს აშენდა აღდგომის მონასტერი.

6. დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი (ვაჩნაძე) 1801-1820 წლებში. 1808-1810 წწ. ილარიონი ხელმძღვანელობდა ამ მონასტრის აღდგენით სამუშაოებს, რომელიც საკუთარი სახსრებით ჩატარა ილიე ბატონიშვილმა (იხ.). 1811 წელს განახლდა ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთი კედელი. ილარიონის მოღვაწეობის დროს დავითგარეჯის მონასტრის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ილარიონ დიდი, პალესტინელი (291-371 წწ.). IV ს. განმქმელი მონაზონი. დაბადა ღაზის მიდამოებში, პალესტინის ერთ-ერთ სოფელში, წარმართთა ოჯახში. განათლების მისაღებად მშობლებმა ის ალექსანდრიაში გაგზავნეს. აქ ილარიონი გაეცნო ქრისტეს მოძღვრებას და ქრისტიანი გახდა. წმ. ანტონის გაელენით იგი ერთხანს ეგვიპტელ მეუდაბნოებთან

(ასკეტებთან) დამკვიდრა. 306 წელს ილარიონი დაბრუნდა სამშობლოში, მთელი თავისი ქონება დაურიგა ღარიბ-უპოვართ და თავად სამხრეთ მაიუმის მახლობელ უდაბნოში დასახლდა. იგი მკაცრი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. მალე მან შორს გაითქვა სახელი. პალესტინური ბერმონაზვნობა მის სახელთანაა დაკავშირებული. ილარიონი დაჯილდოებული იყო სასწაულთმოქმედი ძალით (კურნავდა სნეულთ, განაშორებდა აე სულებს და მისთ.). მისი თაოსნობით პალესტინაში ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა და აღმოცენდა ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსის, საბას ლავრა და სხვა. ილარიონი ყველგან ასკეტური ცხოვრების წესს ამკვიდრებდა. 353 წელს იგი ბრუნდება ეგვიპტეში, ხოლო მოგვიანებით სამოღაწეოდ ლიბიაში გადადის, შემდეგ — სიცილიასა და კვიპროსზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ხსენების დღეა 27 ოქტომბერი. ილარიონის „ცხოვრების" ქართული თარგმანი შეასრულა სეითმა (Sin 11, X ს. 321-326). ქართულად არსებობს აგრეთვე ილარიონის „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის თარგმანიც (A 1053, XII ს. 109-137, S1276, XI-XII სს., 174-199 და სხვ.).

ილარიონ ქართველი — IX ს. განქარმული ქართველი მონაზონი; დაიბადა კახეთში, დიდგვაროვან ოჯახში, დაახ. 822 წ. ილარიონის დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარებაში. მისი ქტიტორული მოღვაწეობა დაკავშირებულია კახეთის სამ ძეგლთან: ფერისცვალების ეკლესია დავითგარეჯის ლავრაში, ე.წ. ილარიონ ქართველის ფილიალი იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერი. ილარიონი იყო მონასტერთა მაშენებელი, წინამძღვარი, კახეთში დედათა და მამათა მონასტრების წესისა და კანონის დამდები. ილარიონმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. ცხოვრობდა ბითვინიაში (ოლიმპზე) იმ დროს, როდესაც ეგნატე პატრიარქის დამხობამ (858 წ.) და ფოტის აღზევებამ შეარყია იმპერია. მან მოიარა პალესტინა (იერუსალიმი, თაბორი, გოლგოთა, ბეთლემი, იორდანიის უდაბნო, საბაწმიდის ლავრა), რომი, ბიზანტია (კონსტანტინეპოლი, თესალონიკე) და ყველგან ეცნობოდა ქრისტიანული სამყაროს კულტურის უდიდეს კერებს, ლიტერატურულ და სამონასტრო ცხოვრებას, ამ ცხოვრების წესსა და რიგს; ილარიონი IX ს-ის II ნახევარში საბოლოოდ დამკვიდრდა ბიზანტიის იმპერიაში. ილარიონი პირველია ჩვენთვის ცნობილ ქართველი ბერთაგან, რომელიც დასახლდა ბიზანტიაში. იგი ბიზანტია-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის დამწყებია. ილარიონ ქართველის სახელზე თხზულებების მთელი ციკლია შექმნილი — „ცხოვრებები" და საგალობლები. არც იკონოგრაფიაშია უცნობი. ანტონი ნოვგოროდელის მიერ დამოწმებულია მისი ნაწილების არსებობა 1200 წლისათვის კონსტანტინეპოლის მახლობლად, პრომანის (რომანის) ქართველთა მონასტერში, სადაც ის არის დაკრძალული.

ჩვენამდე მოღწეულია ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემცველ „ცხოვრებათა" ხუთი რედაქცია: ერცელი ათონური (X ს.), მეტაფრასული (XI ს.), მოკლე (XIII ს.), ძველი სინაქსარული (XII ს.) და გვიანდელი სინაქსარული (XVII ს.). ამ რედაქციების ურთიერთმიმართების და წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია ორი ვარაუდი: 1. ერცელი ათონური რედაქცია წარმოადგენს ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი „შესხმა-ენკომიის" თავისებურ გადმოკეთებას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია, რომლის აეტორად თეოფილე ხუცესმონაზონს მიიჩნევენ, უნდა წარმოადგენდეს ათონური ერცელი რედაქციის გადამუშავებას (კ. კეკელიძე). ილარიონ ქართველის „ცხოვრების" მოკლე რედაქცია კ. კეკელიძის მიერ ამ ვარაუდის გამოთქმის დროს არ იყო ცნობილი (ხელნაწერი აღმოჩნდა მხოლოდ 1946 წელს). მეორე ვარაუდით „ილარიონ ქართველის ცხოვრება" დაიწერა ქართულ ენაზე (ბ. კილანავა, მ. დოლაქიძე). მისი ერცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, თუმცაღა წყარო — „ცხოვრების" მოკლე რედაქცია — ორივესათვის ერთია. იგივე რედაქცია უდევს საფუძვლად სვინაქსარულსაც (ე. გაბიძაშვილი). ამ ვარაუდის მიხედვით, ეფთვიმე მთაწმიდელის და თეოფილე ხუცესმონაზონის აეტორობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში" გადმოცემულია ილარიონ ქართველის სამონასტრო მოღვაწეობა კახეთში და საზღვარგარეთის კულტურულ ცენტრებში (იერუსალიმში, რომში, კონსტანტინეპოლში, ოლიმპზე და სხვა) პილიგრიმობა. თხზულება საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართული სამონასტრო კოლონიზაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ძეგლი ერთადერთი წყაროა, რომელიც ასახავს IX საუკუნეში ბითვინიის ოლიმპზე ქართველთა მოღ-

ვაწეობას, კონსტანტინეპოლის მახლობლად პრომანის (რომანის) ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიას. 1882 წელს მ. საბინინმა გამოსცა თხზულების მეტაფრასული რედაქცია, მ. ჯანაშვილმა – ვრცელი პოეტური (1901), კ. კეკელიძემ – ძველი სვინაქსარული (1919). ბოლო გამოცემები შეტანილია: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (კიმენური), თბ., 1967 წ. გვ. 9-37; ძეგლები – III (მეტაფრასული), თბ., 1971, გვ. 208-248 სვინაქსარული - ძეგლები, IV, თბილისი, 1968, გვ. 356-358. არსებობს რუსული თარგმანები ა. მურავიოვისა (1860) და მ. საბინინისა (1872), ლათინურად იგი თარგმნა პეეტერსმა (1913). (იხ. მ. დოლაქიძე, „ილარიონ ქართველის ცხოვრების" ძველი რედაქციები, თბ., 1974).

ილარიონ წყაროსთაველი – წყაროსთაველის მონასტრის დამაარსებელი და წინამძღვარი IX ს. I ნახ., შემდეგ – ქართლის კათოლიკოსი. თავდაპირველად მოღვაწეობდა მიწნაძორის მონასტერში, იყო დაკით მიწნაძორელის მოწაფე. გიორგი მერჩულე ილარიონს წყაროსთაველის მონასტრის მაშენებლად ასახელებს: „ილარიონ მამაჲ და მაშენებელი წყაროსთაესაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას" (ძეგლები, I, 275, 29). გიორგი მერჩულეს ცნობით, წყაროსთაველის მონასტერი აგებულია გრიგოლ ხანცთელის დროს. ილარიონი ქართლის კათოლიკოსი გახდა დაახლოებით IX ს. I ნახ.

ილარიონს – წმიდა მოწამე, ანკვირიის ახლოს მდებარე სოფ. კალიატის მცხოვრები; ეწამა პროკლესთან ერთად იმპერატორ ტრაიანეს (98-117) მიერ ქრისტიანთა დევნის დროს. პირველად შეიპყრეს პროკლე, რომელმაც უშიშრად აღიარა ქრისტიანობა. ილარიონი იყო წმ. პროკლეს ძმისწული. როდესაც პროკლე აწამეს, ილარიონმა თავისი ბიძის მსგავსად თვითონაც აღიარა ქრისტიანობა. მხედრებმა შეიპყრეს და ჩაგდეს ციხეში. სასამართლოზე იგი მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე, აწამეს და შემდეგ მოუსაჯეს სიკვდილით დასჯა. ილარიონს თავი მოკვეთეს პროკლეს წამებიდან 3 დღის შემდეგ. ქრისტიანებმა ისინი ერთ საფლავში დამარხეს. ხსენების დღეა 12 იელისი (იხ. პროკლე).

ილია მართალი (ჭავჭავაძე) (1837-1907) – საქართველოს ეკლესიის წმინდანი, მოწამე, დიდი ქართველი მოაზროვნე და მწერალი. ილია ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული სასულიერო მწერლობის კვლევასაც. მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნაი იყო ძველი ქართული ხელნაწერების გამოვლენა, შეკრება და დაცვა. ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ საზოგადოებამ ძველი ქართული ხელნაწერების დიდ რაოდენობას მოუყარა თავი და ჩამოაყალიბა ფონდი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის სახელითაა ცნობილი. მან დაბეჭდა „წერილები ქართულ ლიტერატურაზე" (1892), რომელშიც სასულიერო მწერლობის საკითხებსაც ეხება. მის მიერ დაარსებულ ჟურნალგაზეთებში დიდ ადგილს უთმობდა სასულიერო მწერლობის მიმოხილვასაც. თავის თხზულებებში ის ხშირად იყენებს ბიბლიურ და აგიოგრაფიული მწერლობის სიუჟეტებს.

ილია მინიატი (†1714წ.) – ეპისკოპოსი კურნგრის და კალარიტის. XVIII საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ორი მისი თხზულება და ორივე რუსულიდან:

1. „თქუმული მაცხოვრებითსა ენებასა ზედა, რომელიც წარკითხვის დიდსა ხუთშაბათსა ენებისა კვირიაკესა შემდგომად სერობისა ლოცვისა", სამ ნაწილად (A381,347-479; A 544,1-66).

2. „წმიდასა და დიდსა პარასკევსა მაცხოვარებითსა ენებასა ზედა", ესეც სამ ნაწილად (A 693, 1-54).

ილია II (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ლღუშაური-შილაშვილი) – უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1977 წლიდან. დაიბადა 1933 წ. 4. XII, ქ. ორჯონიკიძეში. 1956 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია, ხოლო 1960 წელს – სასულიერო აკადემია. 1960 წელს დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია". 1959 წელს აღიკვეცა ბერად ქ. თბილისში, ზაგორსკის მონასტერში იკურთხა მღვდელ-მონაზვნად, ხოლო 1960 წელს – იღუმენად. 1963 წელს – შეხელმძღის ეპისკოპოსი და სრულიად-საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსია, 1967 წელს – ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, ხოლო 1969 წლიდან – მიტროპოლიტი, 1963-1972 წლებში – მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, 1977 წლიდან – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია.

ილორი – სოფელი ოჩამჩირის რაიონში, შავი ზღვის ნაპირზე, ოჩამჩირიდან 3 კმ. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში. სოფლის

შეაგულში აღმართულია XI ს-ის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ილორის წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესია დას. საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. ილორის ეკლესია აბსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა. აღმ. ფასადზე შემორჩენილია ძვ. ქართული წარწერებიანი ქვები (5 ქვა), რომლებიც ასევე XI საუკ. თარიღდება. XVIII საუკუნეში ილორის ეკლესია შეუკეთებია ლეკან II დადიანს. 1736 წელს იგი გადაწვეს თურქებმა და ოდიშის მთავრებმა აღადგინეს. ძეგლი საფუძვლიანად შეკეთდა XIX საუკუნის 40-იან წლებში.

ილორობა — წმინდა გიორგის მოსახსენებელი დღესასწაული, რომელიც იმართება სოფ. ილორში (20 ნოემბერს), წმ. გიორგის ეკლესიაში. XVII-XVIII საუკუნეების განმავლობით, დღესასწაულის წინა საღამოს სამეგრელოს მთავარი სამღვდელოებისა და დიდებულთა თანხლებით გარს შემოუვლიდა ეკლესიის გალავანს, მის შემოგარენს და შესასვლელს საკუთარი ბეჭდით დაბეჭდავდა. მეორე დღეს თეით მთავარი ხსნიდა იმავე ამალით ამ საბეჭდავს. ეზოში მლოცველებს ხვდებოდა წმინდა პირუტყვი — ხარი, რომელიც ხალხური რწმენით ღამით სასწაულებრივად შეჰყვდა წმინდა გიორგის. ხარს კლავდნენ და მის ხორცს მლოცველებს უნაწილებდნენ. გადმოცემით, ხარის ნაცვლად, ძველად ტაძრის ეზოში შეშდგომდა ირემი. ილორის წმ. გიორგისა და მისი დღეობის ძალა მთელს დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე რიგ მეზობელ ხალხებში ყოფილა აღიარებული.

ილტოზა — სოფელი ლეშეთის რაიონში, ქსნიდან 20 კმ-ის მანძილზე. XVII საუკუნის წყაროებში მოიხსენიება, როგორც ირტოზა. ილტოზაში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესიისა და კოშკის ნანგრევები.

იმამი (არაბ. „წინ მდგომი") — მუსლიმური თემის მეთაური, მუსლიმური თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი, ხალიფა. რელიგიურ-იურიდიული მიმართულებების (მაზჰაბები) ფუძემდებელი სუნიტებში; შიიტების (იხ.) უმაღლესი მეთაური; სასულიერო პირი, რომელიც ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობს მეჩეთში. იმამი დგას მლოცველთა წინაშე, რომლებიც იმეორებენ მის ყოველ სიტყვასა თუ სხეულის მოძრაობას.

იმერა — სოფელი წალკის რაიონში, წალკიდან 11 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XI საუკუნის ეკლესია, რომელიც გადაკეთებულია XIX საუკუნეში. არის ლაპიდარული წარწერები.

იმერხევი (ყოფილი ხევა) — სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ღვანანის ხეობაში, ქარელიდან 18 კმ. სოფლის მახლობლად შემორჩენილია დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია, აღრინდელი ფეოდალური ხანისა, აგრეთვე — მეორე ეკლესიის ნანგრევები და კოშკის საძირკვლის ნაშთები.

ინანიშვილი იასონ (1906-1988) — ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მისი მთავარი ნაშრომებია: „სინური მრავალთავი" (გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975); „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი", თბ., 1986,48-49; „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია", თბ., 1979; „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია", ტ. 1-2, 1963-1970 (სასულიერო ტექსტების პუბლიკაცია).

ინდისი მოწამე — აწამეს 302 წ. თაეის ქალბატონ დომნასთან და სხვა 2.000 ქრისტიანთან ერთად ნიკომიდიაში. იმპერატორ მაქსიმიანეს (284-205) დროს დაიწყეს ქრისტიანული ტაძრების ნგრევა და საღვთისმსახურო წიგნების დაწვა, ყველა ქრისტიანის სამოქალაქო უფლებების აყრა. იმპერატორის კარზე ცხოვრობდა ქურუში ქალი, სახელად დომნა. მისი საჭურისის, ინდისის თანხლებით დომნა წავიდა ეპისკოპოს კირილესთან და ორივე მოინათლა. მათ დაიწყეს ღარიბთათეის მოწყალების გაცემა იმპერატორის სუფრიდან. საჭურისთა უფროსმა შეიტყო ეს, შეიპყრო ორივე და მათი შიშველით დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ ანგელოზთა შემწეობით გადარჩნენ. დომნამ დედათა მონასტერში შეაფარა თაეი, შემდეგ კაცის ტანსაცმელში გადაცმული გამოედა მონასტრიდან და მღვიმეს მიაშურა. იმპერატორმა ბრძანა მისი პოენა. ქრისტიანთა დევნა გრძელდებოდა. ინდისი აწამეს ქრისტეს სჯულის აღიარებისათეის. დომნას წამებულთა სხეულებზე ზრუნვისათეის თაეი მოჰკეეთეს, კაცის ტანსაცმელში გადაცმული ის ვერაეინ იცნო. მოწამეთა ხსენება დადებულია 28 დეკემბერს.

წამების მეტაფრასული რედაქცია ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (A 90, XIII ს., 126-142; Ath 2, XII-XIII სს., 214-228; ჯუთ. 6, XIII, 32-56; A 188, XIII ს. 139-144 და სხვ.) იხ. დომნა.

ინდიძტიონი — წელთაღრიცხვის ერთგვარი სათვალაეი ქრისტიანულ ქვეყნებში. ცნობილია დიდი და მცირე ინდიქტიონი. მცირე ინდიქტიონი 15 წელიწადიანი ციკლია, რომელიც

აღირიცხება 7 სექტემბრიდან, ხოლო დიდი ინდიქტიონი (იგივე **მოქცევა**) 532 წლიანი ციკლია. ინდიქტიონით წელთაღრიცხვა თავდაპირველად ეგვიპტეში შემოულიათ, ბიზანტიაში ის კონსტანტინე დიდმა შემოიღო. XVIII ს-ში ინდიქტიონით წელთაღრიცხვა შეწყდა ყველა ქვეყანაში, შემორჩა მხოლოდ საეკლესიო აქტებში.

ინდრა – ვედური რელიგიის ერთ-ერთი უზენაესი მეომარი ღვთაება, მეხისმტყორცნელი, ღვთაებათა მეფე.

ინგოროყვა პაპელე (1893-1983) – ქართველი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარი, საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. დაიბადა ფოთში, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1924-25 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „კავკასიონს". 1928 წელს დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი". 1929-39 წლებში ჭანაგებდა საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. 1936-38 წლებში იყო „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" რედაქციის გ.-ნყოფილების გამგე და სხვა. პ. ინგოროყვამ 1913 წელს გამოსცა ნაშრომი „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია VIII-X სს.". ეს იყო პირველი ცდა ქართული სასულიერო პოეზიის შესწავლისა და გამოკვლისა. ქართული მწერლობის, კულტურის და ისტორიის საკითხებზე პ. ინგოროყვას მრავალი გამოკვლევა დაუწერია, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს ქართულ პერიოდულ ორგანოებში და ცალკე წიგნებად: „ძველი ქართული მწერლობის მიმოხილვა", „ძველი ქართული წარმართული კალენდარი", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვა. მისი ფუნდამენტური ნაშრომია „გიორგი მერჩულე" (1954), რომელშიც განხილულია V-X სს-ის ქართული სასულიერო პოეზია, გამოკვლეული და გამოქვეყნებულია მრავალი მანამდე უცნობი პოეტი-ჰიმნოგრაფი და მათი თხზულებანი. პ. ინგოროყვას სახელთან არის დაკავშირებული ე. წ. რიტმული პოეზიის ნიმუშების აღმოჩენა, ძველი ქართული სანატო სისტემის გაშიფრვის ცდა. ნაყოფიერად მუშაობდა პ. ინგოროყვა ძველი ქართული მწერლობის ტექსტების პუბლიკაციაზეც. ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი" (1959 და 1971); მასვე ეკუთვნის მონოგრაფია რუსთაველზე „რუსთველიანა" (1926) და „რუსთველიანას ეპილოგი" (1963); მონოგრაფიები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (1938), „აკაკი წერეთელი" (1940), „ილია ჭავჭავაძე" (1951); გამოსცა ილიას, აკაკის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის და სხვა მწერლების თხზულებათა სრული კრებულები. მისი რედაქტორობით გამოიცა მრავალი ძეგლი ძველი და ახალი ქართული მწერლობიდან.

ინდეპენდენტები (ლათ. „დამოუკიდებლები") – პროტესტანტიზმის ერთ-ერთი რელიგიურ-საეკლესიო მიმდინარეობის მომხრენი, სხვაგვარად – კონგრეგაციონალისტები, ქრისტიანული სექტის წარმომადგენლები, რომლებიც პრესვიტერიანებისაგან განსხვავებით გადაჭრით უარყოფენ ყოველგვარ ეკლესიას, რომელიც დასაბამს სახელმწიფოსგან იღებს და აღიარებენ ერთადერთ ჭეშმარიტ ფორმას, რომელიც სრულ თანხმობასა და ჰარმონიაშია ახალ აღთქმასთან – თავისუფალ ძმობას, შედგენილს ჭეშმარიტ მორწმუნეთა ერთობისა და კავშირის საფუძველზე. თითოეულ საფუძველზემობას სრული დამოუკიდებლობა აქვთ, იგი შეუზღუდავი უნდა ყოფილიყო როგორც რწმენის, ისე სამღვდელოების არჩევისა თუ წესების დაცვის საკითხებში და სხვ. ძმობის წევრებს ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდათ. თითოეულ ძმობას აყავდა თავისი მღვდანი; საერო პირნი ირჩევდნენ სამღვდელოებას, ხოლო სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისათვის იწვევდნენ კონფერენციას, ხან საერო პირთაგან, ხან სამღვდელოთაგან, ხან ერთისა და მეორისაგან ერთად. ინდეპენდენტთა სექტის სამშობლოა ინგლისი, მისი დამაარსებელი კი – რობერტ ბროუნი (1549-1630). პირველად მათ სდევნიდნენ, დღეს კი ოფიციალურად მოიპოვეს არსებობის უფლება. ინდეპენდენტთა რიცხვი დიდია ამერიკასა და ინგლისში.

ინდულგენცია – ცოდვების მიტევების დამადასტურებელი მოწმობა, რომელსაც იძლეოდა კათოლიკური ეკლესია. იგი მიეცემოდა ყველას, ვინც სისტემატურად მონაწილეობდა საეკლესიო ღვთისმსახურებაში, ლოცულობდა და გამოირჩეოდა განსაკუთრებული ღვთისმოსაობით. ამგვარი მოწმობით ყოველგვარი ცოდვის გამოსყიდვა შეიძლებოდა. XII-XIII საუკუნეებში კათოლიკურმა ეკლესიამ შემოსავლის გაზრდის მიზნით დაიწყო ინდულგენციებით ვაჭრობა, რაშაც საზოგადოების პროტესტი გამოიწვია. ინდულგენციებით ვაჭრობის შეწყვეტა რეფორმაციის ძირითადი მოთხოვნა იყო.

ინიციაცია (ლათ. „დაწყება", „მიძღვნა") – რელიგიურ საიდუმლოთა განდობა, ახალ-

მოქცეულთა მიღება ქრისტიანულ ეკლესიაში.

ინკვიზიცია – მწვალებლობის წინააღმდეგ მიმართული საგანგებო საეკლესიო სასამართლო დასაწყისი საეკლესიო სასამართლო დასაწყისი დაიწყო XII საუკუნეში. თავდაპირველად მწვალებლებს ჩვეულებრივ ეკლესიისაგან განკვეთით სჯიდნენ. ფიზიკურ დასჯას ეკლესიის მამები არა სცნობდნენ, მას შემდეგ კი, რაც ქრისტიანობა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად იქცა, საერო ხელისუფალთ ჰქონდათ ტენდენცია, განეხილათ ერესი, როგორც დანაშაული, რასაც მოსდევდა ერეტიკოსის ქონების კონფისკაცია და ზოგჯერ სიკვდილით დასჯაც კი. ასე გაუსწორდნენ, მაგ., დონატისტებს IV-V სს-ში. ეკლესია XII საუკუნემდე იცავდა თავის თავდაპირველ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის წარმოიშვა კათარების (იხ.) მწვალებლური მოძღვრება, რომელიც წარმოადგენდა მანიქეისტურ-დუალისტურ მოძღვრებას; იგი ქადაგებდა ორსწყისიანობას, ჰგმობდა ჯვარცმეს მიწიერსა და ხორციელს და მიისწრაფოდა უკიდურესი ასკეტიზმისაკენ. კათარები უარყოფდნენ საეკლესიო საიდუმლოს, წმინდანთა პატივისცემას, ინდულგენციებს, არ ჰპატნენ ხორცს, ამხელდნენ კათოლიკური სამღვდელოების მანკიერებას, მოითხოვდნენ საეკლესიო მიწათმფლობელობის გაუქმებას და მისთ. ამან განაპირობა ეკლესიის დამოკიდებულების შეცვლა მწვალებლობისადმი და მისი დასჯის ფორმებისადმი. ეკლესიამ საერო ხელისუფლების ძალთა დახმარებით მიმართა დასჯის უკიდურეს ფორმებს. რომის კათოლიკურ ეკლესიაში შეიქმნა საგანგებო საეკლესიო სასამართლო, რომელსაც ეკისრებოდა მწვალებელთა პოვნა და მათი დასჯა. კათარებთან და ვალდენსებთან ბრძოლის დროს პაპმა ლუციუს III იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსასთან შეთანხმებით 1184 წელს შემოიღო საეპისკოპოსო ინკვიზიცია. პრაქტიკულად ინკვიზიციამ თავისი საქმიანობა პაპი ინოკენტი III დროს დაიწყო. ლატერანის IV საეკლესიო კრებამ (1215) მწვალებელთა ძებნა და დასჯა ეპისკოპოსთა მთავარ ამოცანად გამოაცხადა. 1231-35 წლებში პაპი გრიგოლ IX-ის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მწვალებელთა დევნა დაეკისრათ საგანგებო რწმუნებულებს, ანუ ინკვიზიტორებს. ამ თანამდებობაზე თავდაპირველად ინიშნებოდნენ დომინიკანელი ბერები, შემდეგ – ფრანცისკელებიც. საინკვიზიციო ტრიბუნალის წევრები პირადი ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობდნენ და უშუალოდ რომის პაპს ექვემდებარებოდნენ. ინკვიზიცია მოქმედებდა ფარულად, ბრალდებულთ არ უმხელდნენ სასამართლოზე დამბზებლის სახელს.. XIII საუკუნეში ბრალდებულთა გამოსატეხად დაკითხვისას შემოიღეს წამება. ინკვიზიციის მსხვერპლთ სჯიდნენ განკვეთით, მკაცრი მარხვით, გვემით, სიკვდილით. სიკვდილმისჯილებს ართმევდნენ ქონებას და საჯაროდ ჰყიდდნენ. XVI საუკუნეში ინკვიზიცია გადაიქცა კონტრრეფორმაციის ერთ-ერთ მთავარ იარაღად. 1542 წ. პაპმა პაული III-მ რომში დაარსა უზენაესი საინკვიზიციო ტრიბუნალი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კარდინალი კარაფა (შემდეგ პაპი პაული IV). ინკვიზიციას დაექვემდებარა ცენზურა; 1559 წელს გამოიცა „ინდექსი აკრძალული წიგნებისა". ესპანური ინკვიზიცია XV საუკუნის დამლევს დაარსდა. ესპანეთის მეფის, ფერდინანდ V-ის და დედოფალ იზაბელას მოთხოვნით პაპმა სიქსტუს IV-მ დიდ ინკვიზიტორად დანიშნა დომინიკელი ტორკვემადა, რომლის 18-წლიანი მოღვაწეობის დროს ესპანეთში ცოცხლად დაწვეს 2000-ზე მეტი ადამიანი. ინკვიზიცია სწრაფად გავრცელდა ევროპის ქვეყნებში (ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, ნიდერლანდები, ამერიკა). საფრანგეთში ანრი II-მ პროტესტანტთა წინააღმდეგ დაწესა ე. წ. „ცეცხლის პალატა". გერმანიაში ინკვიზიცია მოისპო რეფორმაციის შედეგად. ინგლისში იგი გაუქმდა 1558 წ. XVIII საუკუნეში კი დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც მოისპო; ესპანეთში ნაწილობრივ აღმოიფხვრა 1808 წელს, ხოლო 1810 წელს საესპანეთი მოისპო. როგორც უმაღლესი ინსტანცია, რწმენის საკითხებთან დაკავშირებით ინკვიზიცია იტალიაში განაგრძობს არსებობას „რწმენის კონგრეგაციის" სახით (1965).

ინოკენტი VI – აკინიონის პაპი (1352-63), ერისკაცობაში ეტიენ ობერი (1362), პროფესიით იურისტი, სამოქალაქო სამართლის პროფესორი და მთავარი მოსამართლე ქ. ტულუზაში, კარდინალი 1342 წლიდან, 1352 წლიდან - პაპი. 1355 წელს რომში შეუდგ აკურთხა კარლ IV. მისი შუამდგომლობით 1360 წ. ზაეი დაიდო საფრანგეთსა და ინგლისს შორის; დაქირავებული ჯარით აღადგინა პაპის ხელისუფლება. 1356 წ. ინოკენტი VI-მ თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა ბერტრამო და წერილით სთხოვა თბილისის კაპიტულს, ერსა და სამღვდელობას, ასევე სულთანიეს ეპისკოპოსს, (რომელსაც ექვემდებარებოდა თბილისის ეპისკოპოსი), პატივით მიეღო ბერტრამო.

ინოკენტი XI – რომის პაპი 1676-89 წწ., ერისკაცობაში ბენედიტო ოდესკალკი (1611-1689); ურბანისტი, პაპის პროტონოტარიუსი, 1654-დან კარდინალი, 1654-დან ნავარიის ეპისკოპოსი, შემდეგ პაპი. იბრძოდა ნეპოტიზმისა და კურიის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, მხარს უჭერდა იანსენისტებს და ებრძოდა იეზუიტებს. ინოკენტი XI-თან ურთიერთობა ქონდათ ქართლის სამეფოს მესვეურებს. პატრი ანჯელო ფილინელს ინოკენტი XI-სათვის რომში ჩაუტანია ქართლის მეფე გიორგი XI-ისა და არქიეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილის წერილები.

ინსპირაციონისტები – ქრისტიანული სექტა, რომელიც თავს თვლის სულიწმიდის მიერ შთაგონებულად (მონტანისტები, კვაკერები და სხვანი). ინსპირაციონისტები გამოჩნდნენ გერმანიაში XVII საუკუნის დასაწყისში. ისინი უარყოფდნენ სამღვდელოებას, საეკლესიო საიდუმლოს; მათი მოძღვრების თანახმად, ადამიანს შეუძლია უშუალო კავშირის დამყარება ღმერთთან. გერმანიიდან დევნილი ინსპირაციონისტები გადაეიდნენ ინგლისსა და შოტლანდიაში და იქ გაავრცელეს თავიანთი მოძღვრება. შემდეგ თავი შეაფარეს ამერიკას, სადაც მათ მოძღვრება ლეგალიზებულ იქნა „შემწყნარებლობის აქტით". ინსპირაციონიზმის მიმდევრები დღესაც არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინტერდიქტი (ლათ. „აკრძალვა") – მრევლის საერთო განკანონება (სასჯელის ერთ-ერთი ფორმა) რომის კათოლიკურ ეკლესიაში – ღვთისმსახურების აკრძალვა. ინტერდიქტი არის ადგილობრივი, ლოკალური, თუ აკრძალვა ეხება გარკვეულ ადგილს, ტერიტორიას, რომელზეც გარკვეულ პერიოდში იკრძალება რელიგიური რიტუალი ან ლიტურგია. არსებობს პერსონალური ინტერდიქტიც, როცა ის მიმართულია გარკვეული პირის, ან პირთა მიმართ. ინტერდიქტი აღმოცენდა XI საუკუნეში და მას ფართოდ იყენებდნენ XI-XII სს-ში. თუ ქვეყანა იმყოფებოდა ინტერდიქტის ქვეშ, მაშინ იქ წყდებოდა მთელი საეკლესიო-რიტუალური ცხოვრება, არ ტარდებოდა ღვთისმსახურება, არც ზარების რეკვა ისმოდა, მორწმუნენი რჩებოდნენ ეკლესიის ნუგეშის გარეშე. თავდაპირველად ინტერდიქტი დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა და ითვალისწინებდა ეკლესიისადმი ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულსაც კი, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი უფრო მსუბუქ სახეს იღებს. ინტერდიქტს დაკარგული აქვს ძალა და პირვანდელი მნიშვნელობა, კანონიკურ სამართალს კი მაინც შემორჩა.

ინწობა – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო ანსამბლი, სოფ. საბუდან 7 კმ. ინწობას სამონასტრო კომპლექსში შედის: VI ს-ის ნათლისმცემლის ეკლესიისა და ქვის ზღუდის ნანგრევები, საბრძოლო კოშკი და სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია აგებულია უხეშად დამუშავებული ქვითა და აგურით. დასაელეთ კედელზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი, რამდენიმე ფრაგმენტი. ეკლესია ბერჯერჯერ დანგრეულა და ასეევ ბერჯერჯერ შეუკეთებიათ.

იოაკიმე – XVI ს. დასაელეთ საქართველოს („აფხაზეთის") კათოლიკოსი, ცაიშელ-ბედიელი (მთავარეპისკოპოსი). იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ისა და დადიან-გურიელის შამადავლეს სურვილით კათოლიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (მიხაილმა), რითაც დაარღვია ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლება. მიქაელის სახელით შედგა კანონიკური ძეგლი „მცნება სასჯულით" (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 221-233) 1470-1474 წწ. იგი აწესრიგებდა და განსაზღვრავდა აფხაზეთის კათოლიკოსის იურისდიქციას, საეკლესიო და სარწმუნოებრივ ნორმებს, სასჯელის ფორმებს და მისთ. იოაკიმე კათოლიკოსი ითვლებოდა ეკლესიის ენერგიულ განმგებლად, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. დიდი ამაგი მიუძღვის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინაშეც, რისთვისაც იქ საუკუნო ალაპი დაუდვიათ მისთვის (ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის..., თბ.1968, გვ.88; 145)

იოაკიმე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის, მწიგნობრისა და კალიგრაფის სახელი:

1. აწყურის ეპისკოპოსი XVI ს-ში. მან ცნობილ კალიგრაფს, სვიმონ კარგარეთელს დაავალა პოლემიკურ-დოგმატიკური კრებულის (S 312) გადაწერა.

2. ნიკორწმიდის ეპისკოპოსი XVI ს-ში, რომელიც დასწრებია იმერეთში მოწვეულ საეკლესიო კრებას (იხ. „კათალიკოზთა სამართალი").

3. XV ს. იკორთის საეანის მწიგნობარი და წინამძღვარი (მანელის ძე). შალვა ქვენოფენეველის ძე ერისთავის დაკვეთით 1446 წ. გადაწერა „ზატიკი".

4. XV-XVI სს. მიკნის კალიგრაფი, რომელმაც 1502 წელს იერუსალიმის გოლგოთის მონასტერში გადაწერა სექტემბრის თვენი და შესწირა იგი ამაეე მონასტერს (Jer. 125).

5. XVII-XVIII სს. ათონის ქართველთა მონასტრის არქიმანდრიტი, რომელმაც ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო თეოდორე სალოსის (სერბელის) „ცხოვრება" (S 418, 109-124; A360 და სხვ.). თარგმანი შესრულებულია ათონზე. ფიქრობენ, რომ ძირითადად ამით დამთავრდა ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ისტორია.

იოანე — სერგის მონასტრის წინამძღვარი, ბიზანტიის საეკლესიო მოღვაწე. იოანეს მშობლები უბრალო სოფლის მცხოვრებნი იყვნენ. იოანე ბავშვობიდანვე ამკლავნებდა მიდრეკილებას ასკეტური ცხოვრებისაკენ. ადრე მიატოვა სახლკარი და ცხოვრობდა განმარტოებით. შემდეგ იგი ბერად აღიკეცა. იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა (367-386 წწ.) აიძულა იოანე კონსტანტინეპოლში გადასულიყო საცხოვრებლად და აქ სერგის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. გარდაიცვალა იოანე ღრმა მოხუცებული. ხსენების დღეა 26 მარტი. იოანეს „ცხოვრება" შემონახულია მხოლოდ ქართული თარგმანით. იგი მოთავსებულია იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ კრებულში (ქუთ. 2, 347-356). თარგმანი შესრულებულია XII ს-ში. იგი გამოსულია პეტრიწონის ლიტერატურული სკოლიდან (გამოც. კეკელიძისა, ეტიუდები III, გვ. 251-270).

იოანე — რამდენიმე ქართველი კათოლიკოს-პატრიარქის სახელი:

1. საქართველოს (ქართლის) კათოლიკოსი VIII საუკუნის შუა წლებში. იოანე კათოლიკოსად ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (იხ.) უკურთხებია. ცნობები იოანეს შესახებ დაცულია ბერძნულ, ანტიოქურ ქრონოგრაფში. აქედან შეიიდა იგი ეფრემ მცირის საისტორიო თხზულებაში „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცეულისსა..." სწორედ ამ იოანეს უკურთხებია იოანე გუთელი ეპისკოპოსად მცხეთაში.

2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XII საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებლის დროს, გაბრიელ საფარელის შემდეგ. დავითის სახელმწიფო ღონისძიებების ენერგიული გამტკიცები, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების თავმჯდომარე (1105 წელს). ამ კრებამ იოანეს აქტიური მონაწილეობით ეპისკოპოსობიდან გადააყენა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები და მათ ადგილზე მეფის ერთგულნი დაადგინა, მანვე მოაწესრიგა და შეიმუშავა ახალი საეკლესიო ორგანიზაციის ნორმები, შეიმუშავა ახალი საეკლესიო კანონები და „ძეგლისწერის" სახით დაამტკიცა ისინი. იოანემ 1123 წელს შეიმღვიძის სამეფო მონასტერს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მის საყმო მამულში მიანიჭა სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა; ხელს უწყობდა და ზრუნავდა ლიტერატურული მუშაობის გაცხოველებისათვის, საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო კულტურის ცენტრების გაძლიერებისათვის.

3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIII საუკუნის ათიან წლებში (1208-1210). იბრძოდა ქართული დიოფიზიტური ეკლესიის პრივილეგიური მდგომარეობისათვის. მონაწილე იყო თამარის დროს გამართულ სომეხ-ქართველთა პაექრობისა და გამარჯვებით დაგვირგვინა გამართული კამათი.

4. აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ავალიშვილი) (1612-16), მწიგნობარი, კალიგრაფი, მხატვარი. იოანე ჯარ საფარის მონასტრის წინამძღვარი იყო, შემდეგ — ქვათახევის მონასტრისა (აქ გადაუწერია 1609 წ. „იბაკონი ღვთისმშობლისანი". 284), შემდეგ — ქართლის მთავარეპისკოპოსი. იოანე და მისი ძმა ზაქარია (იხ.) კახეთის სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირები იყვნენ. გარდაიცვალა იმერეთში, სადაც გაიხიზნა 1614 წელს შაჰ-აბასის აღმ. საქართველოში შემოსევის დროს. თეიმურაზ I-ის დედის — ქეთევან წამებულის დაკვეთით იოანემ 1609 წელს გადაწუსხა და შეამკო ლოცვან-დაუჯდომელი. ერისკაცობაში მან გადაწერა და მხატერულად გააფორმა „ვეფხისტყაოსანი".

5. აღმოსაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (დიასამიძე) 1688-92, 1695-1700 წლებში. იგი ბევრს ზრუნავდა მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის გაძლიერებისათვის. 1692 წელს იოანემ მცხეთის შემოსავლიდან დავით-გარეჯის მონასტრის დაუწესა ყოველწლიური ულუფა-ჯამაგირი სურსათის სახით.

იოანე — რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. X ს. II ნახევრის კუმურდოს ეპისკოპოსი, რომლის თაოსნობით 964 წელს აშენდა კუმურდოს სახელგანთქმული ტაძარი. იოანე კუმურდოელის სახელი მოხსენიებულია ტაძრის სამშენებლო წარწერაში. შემდეგ ის მონაზვნად ეკურთხა სინის მთაზე და მონაწილეობდა იქაურ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში. მისი

ინიციატივით, მისივე ხარჯითა და თაოსნობით, გადაიწერა არაერთი ხელნაწერი. გრაცში (ავსტრია) დაცულ სინის მთის ერთ-ერთ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ თეოდორე ნუაველმა დაასრულა მისი გადაწერა, ხოლო იოანე კუმურდოელი კი უნდა იყოს ამ ხელნაწერის მოშგებელი.

2. აწყურის ეპისკოპოსი, მოხსენიებულია იაკობის ჟამისწირვის Xს. ცნობილ ხელნაწერში (A 86, 30v) ძირითადი ტექსტის ხელით შესრულებულ მინაწერში: „შეიწყალენ და ადიდენ იოვანე აწყურელი ეპისკოპოსი...“

3. ბანელი ეპისკოპოსი XI საუკუნეში. ბაგრატ მეოთხის ტახტზე ასვლის პირველსავე წელს, 1027 წელს იქერიის თემის გამგის, ნიკიტას მეცადინეობით „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი სპერძნეთს: ვარე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოზი იოანე. მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1855, გვ. 291,12).

4. ნეკრესის და გრემის ეპისკოპოსი, ჯარუკის დიდი ლავრის არქიმანდრიტი, ენილელი მოურავის შვილი. მისი ხელრთვა არის 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებებზე (იხ. ს.ამართლის ძეგლები, III, გვ.804).

5. ბოენელი ეპისკოპოსი (რეეიშვილი), მოხსენიებულია, როგორც გამრიგებელი და მოწმე, კათოლიკოს ეფემოზ დიასამიძის მიერ დომენტი თბილელისადმი 1701 წ. გაცემულ სამწყსოს განწესების წიგნში (სამართლის ძეგლები, III, გვ. 628).

6. კაწარეთის ეპისკოპოსი; მისი ხელრთვა არის 1748 წლის საეკლესიო კრების კანონებში (იხ. სამართლის ძეგლები, III, გვ.804).

7. წილკნის მიტროპოლიტი, მოხსენებულია 1788-1811 წლების ქართლისა და კახეთის მღვდელმთავართა სიაში (იხ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 1114).

8. ბოდბის მიტროპოლიტი, დასახელებულია 1788-1811 წლების ქართლისა და კახეთის მღვდელმთავართა სიაში (სამართ. ძეგლები, III, გვ. 1113)

იოანე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ხანცთის მონასტრის X ს. ბერი, ხანცთის წინამძღვრის, თეოდორეს ძმა; ისინი ერთად დახმარებიან გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ დაწერის დროს.

2. ოლიმპოს ქართული კოლონიის X ს. მოღვაწე, იოანე კახი, მიქაელ-შეკეპე ბერთელის მიერ მოგებულ სამოციქულოს ანდერძში მოხსენიებულია (Ath. 42, 977წ.), როგორც ამ ხელნაწერის დამზადების მონაწილე.

3. X ს. მონაზონი, სერაპიონ ზარზმელის ძმა. იოანე და სერაპიონი სამცხეში ერთად დაემწაფნენ მიქელ პარეხელს: იოანეს და სერაპიონს „თანა-ეტურთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა“. მათ დიდი ძიების შემდეგ ერთად შეარჩიეს სამცხეში სამონასტრო ადგილი და ადგილობრივი მთაერის, გიორგი ჩორჩანელის დიდი შემწეობითა და დახმარებით დაარსეს მონასტერი, რომელიც ცნობილია ზარზმის მონასტრის სახელით.

4. შაი მთის ქართველთა XI ს. II ნახევრის მღვდელი იოანე-კეკრიკე. ეფრემ მცირე თავის „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“-ში მოგვითხრობს, რომ „სულიერსა მამასა და პატრიასსა ეკლესიარხსა ქართველთასა, მღდელსა უფლისასა იოანეს – კურიკესა“ მისთვის დაუვალებია ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის მოგვარება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაცვა-დაჯასტურება. ეფრემს ეს დავალება შეუსრულებია, შეუსწავლია ბერძნული წყაროები და დაუსაბუთებია ქართული ეკლესიის თვითმყოფობა. ეფრემი იმასაც გვაცნობს, რომ იოანე-კეკრიკეს „იწროებასა შინა ჟამთასა უხუმრით განვრცობითა გონებისათა“ მოუგია სადღესასწაულო, რომელსაც მისი „უწყებაც“ დაერთო (A 24, XII ს. 145-147). ეფრემ მცირის „უწყებაჲ მიზეზსა...“, გამოსცა თ. ბრეგაძემ, თბილისი, 1959).

5. XI საუკუნის შუაწლების კალიპოსის მღვდელი, დეკანოზი (იქანწმიდელი-საფარელი). მან და გაბრიელ საფარელმა 1040 წელს ანტიოქიაში, სვიმეონ საკვირველმოქმედის სანახებში, ქართველთა კალიპოსის მონასტერში გადაწერეს და შესწირეს „ჯუარს, რომელი ალაშენ“ პრონორემ, გრიგოლ ნაზიანზელისა (ღვთისმეტყველი) და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემკვეთელი კრებული, რომელიც ამჟამად ინახება სსრ კავშირის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (P 3).

6. XI საუკუნის ქართველი მღვდელმონაზონი, საბას ლავრიდან. მან 1052 წელს (დიმიტრის თანამოღვაწეობით) გადაწერა „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვათა“ (Sin 5), რომელშიც შეტანილია იოანე მინჩხის (იხ.) საგალობელიც. ხელნაწერი დამზადებული იყო იოანე გოლგოთელის (იხ.) ინიციატივით.

7. XI საუკ. იერუსალიმის გოლგოთის მონას-

ტრის ქართველი მონაზონი, ხელნაწერთა მომგებელი. მისი ინიციატივით არის დამზადებული 1052 წელს სპას ლაურაში Sin. 5, რომელიც შეიცავს იოანე მინჩხის (იხ.) საგალობლებსაც. მანვე მოიგო და დადო გოლგოთის ეკლესიაში მოზრდილი კრებული. Sin.78. იოანე არა მარტო გოლგოთელ, არამედ საბაწმინდელ მოღვაწეებსაც ამამდა მწიგნობრულ საქმიანობაში. იგი იხსენიება პალესტინის მწიგნობართა წრეში შექმნილ პიმნოგრაფიული თვენის (H 2337, XI ს. 285) ანდერძში, როგორც მომგებელი. მას მიიჩნევდნენ აგრეთვე კრებულის შედგენის ინიციატორად და ორგანიზატორად.

8. მოხსენებულია რუის-ურბნისის 1105 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერაში იოანე რეხუეს ძის სახელით (იხ. ე. გაბიძაშვილის „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა", თბ., 1978, გვ. 196).

9. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი — მამასახლისი (ბუქაის ძე) 1112-1118 წლებში; გამოირჩეოდა ენერგიული საქმიანობით. მისთვის დადებული ალაიდან ჩანს, რომ იოანემ „მოსცა ეკლესიასა საკმარი დრაკანი". გარდა ფულადი სახსრებით დახმარებისა, იოანემ მონასტერში მრავალმხრივ იღვაწა: აღმართა კოშკი და სხვა მრავალი „სულიერნი და კორციელნი ქმნა, მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენა" (ალაი 43. ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 145-146). იოანე ხშირად მარტო თვითონ კი არ ეხმარებოდა მონასტერს, არამედ ზოგჯერ ბიზანტიის ხელისუფალთაც მიმართავდა თხოვნით, აღმოეჩინათ დახმარება ქართველ მოწესეთათვის. როდესაც ათონელ ქართველებს უსამართლოდ ჩამოართვეს მამულები, მან საიმპერატორო კარს მიმართა, დაიბრუნა მამულები და უფლებები აღადგინა მათზე. მის დროს მონასტერში კვლავ გრძელდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ, ხელნაწერთა დამზადება და საუანისათვის შეწირვა. მისი წინამძღვრობის დროს გადაიწერა ათონის „ზატიკი" (Ath. 26), როშლის დამზადებაში იოანეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის.

10. XIV ს. I ნახევრის ქართველი მონაზონი (ბინდაჲს ძე), რომელიც გიორგი ბრწყინვალეს (1331-1346) დროს პატა ერისთავთან ერთად გაიგზავნა იერუსალიმში ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღების დასაბრუნებლად, როგორც ამას გვაცნობს „ძეგლი ერისთავთა". პატამ შეასრულა მეფის ბრძანება, დაიბრუნა გასაღები და იოანე წინამძღვრად აკურთხეს. ქართველებმა დაიბრუნეს ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღები. ეს ფაქტი აღნიშნულია ქართულ საისტორიო წყაროში, ეს უცხოური წყაროებითაც დასტურდება. გასაღებს ქართველები ფლობდნენ XV საუკუნის შუა წლებამდე.

11. XIV საუკუნის ქართველი ბიბლიოფილი, იერუსალიმის ალდგომის ტაძრის დეკანოზი (ვარძიელი). მისი თაოსნობით დამზადდა საბოციქულო (ეჟერ. 76). იოანეს მიერ მოგებული ხელნაწერის ანდერძიდან ვიგებთ, რომ თურქებმა მიიტაცეს ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღები, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს ზეობისას ქართველებმა კვლავ მოიპოვეს.

12. XIV საუკუნის ქართველი მღვდელმონაზონი, პანტელეიმონის მონასტრის წინამძღვარი, „ცოდვილი იოანე მღვდელმონაზონი", რაც ჩანს ამავე მონასტრის 1348 წლის ერთი საბუთიდან. იოანე მღვდელმონაზონი ათონის სხვა საკანთა საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას.

13. ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XV საუკუნის I მეოთხედში.

14. ნინოწმიდელი არქიმანდრიტი; მისი ხელთვა არის ნიკოლოზ ალაევრდელისადმი მის მიერ 1743 წელს ბოძებულ პირობის წიგნში.

15. დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი (ჯოხაძე; 1736-63 წწ.), ერთდროულად ნეკრესის მიტროპოლიტი (1740-1751) და ბოდბის ეპისკოპოსი (1751-1763), ენისელი მოურავის, გიეის ძე. მღვდელმთავრობის დროს ჯერ დავითგარეჯის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო 1751 წლიდან ბოდბის ეპარქიას განაგებდა. იოანე ჯორჯაძეს აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში 1748 წელს ერეკლე II-ის დროს გამართულ საეკლესიო კრებაში. ამ კრებაზე შეამუშავდა კანონები მღვდელმსახურებისა და სარწმუნოების ნორმების დაცვის შესახებ. მოხსენიებულია 1739, 1740 და 1736 წლების ქართულ ისტორიულ საბუთებში (სამართ. ძეგლები, III). ერეკლე II-ისა და ანტონ I კათოლიკოსის მიერ მისადმი 1753 წელს გაცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია, რომ „თხოვნისაებრ თქუენისა გებოძა ჩუენ მიერ ბოდბელობა ზედ მრავალმთის გარესკის წმიდის დავითის მონასტერი საწინამძღვრო" (სამართ. ძეგლები, III, გვ. 835).

16. „იკონობოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა", თბილისის სეინარიის რექტორი (მიქაძე; 1750-1801). იოანე მიქაძე განსწავლული მწიგნობარი იყო. მისდევდა მთარგმნელობით მოღვაწეობას; თარგმნილსა თუ გადაწერილ ძეგლებს ამკობდა ილმინეციებით; უთარგმნია „განმარტებაჲ მამაო ჩუენოჲსა" (S 3656); ფილიპე ყაითმა-

ზაშეილსა და იოანე ქსიფილინოს-პატუწიშვილთან ერთად აშზადება ახალ ნუსხებს (A 122, A 292; S 5049, ქუთ. 90 და სხვა), წერდა საბუთებს და ა. შ. იოანე ოსეს ძე ერეკლეს სტამბის აქტიური მუშაკი იყო. მისი მონაწილეობით ამ სტამბაში დაიბეჭდა კონდაკი (1783 წელს), ლოცვანი (1784 წ.), სახარება (1786), ზატიკი (1788), სამოციქულო (1791) და სხვ. (იხ. ქართ. წიგნი, I).

17. ბეთანიის მონასტრის XIX საუკუნის გასულისა და XX საუკუნის დამდეგის მღვდელ-მონაზონი. მანამდე იგი მოღვაწეობდა ათონის მთაზე. იქ მას XX საუკუნის პირველ წლებში ხელთ ჩაეარდნა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გადაწერილი ყოფილა ორ პარალელურ სვეტად ქაღალდზე ბერძნულ და ქართულ ენებზე. მას გადმოუწერია დოკუმენტის ქართული ტექსტი და ჩამოუტანია საქართველოში, სადაც 1927 წელს მისგან გადმოულია პირი ბეთანიის მონასტრის მღვდელმონაზონ გიორგი მხეიძეს. კ. კეკელიძის აზრით, ეს უნდა იყოს ძველი ათონური ხელნაწერის პირი, რომლის ტექსტი თეოდორე იბერიელის სახელთანაა დაკავშირებული.

18. გელათის დეკანოზი, მოიხსენიება გელათის მიტროპოლიტის, ეფთვიმეს წყალობის წიგნში (1812 წ.), როგორც მოწმე (სამ. ძეგლ. III, 1116-1117).

19. ქვათახევის მონასტრის კანდელაკი (კერები, I).

20. ქვათახევის მონასტრის ხუცესი (კანდელაკი): მას მოუგია ხელნაწერი – ცენტრ. არქ. 442).

21. ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი და გადამწერი (ავალიშვილი; კერები II).

იოანე – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერის სახელი:

1. იოანე საფარელი – იერუსალიმის „პალატრის" ანუ ხარიტონის ლავრის ქართველი მონაზონი, მწიგნობარი და კალიგრაფი (X ს.). 968 წ. მან გადაწერა გიორგი ალექსანდრიელის (619-630) „ცხორებაჲ იოანე ოქროპირისაჲ" (H 2124). ხელნაწერი სინის მთიდან წამოიღო უსუნკიმ. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში იგი ნახა და აღწერა ალ. ცაგარელმა. ამჟამად ინახება თბილისში, ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ანდერძიდან ირკვევა, რომ პალატრაში არსებობდა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი და, რომ იოანე საფარელს ახლო ურთიერთობა ჰქონია მიქაელთან, რომელიც ყოფილა ფანასკერტელი ხუცესი.

2. ოშკის ლავრის მონაზონი, ზედწოდებით ჩარაჲ (X ს.), რომელსაც 979-980 წლებში გადაუწერია „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ერთი ნუსხა, რომელიც დღეს ათონის მთაზე ინახება (Ath. 3), ცნობილი 977 წ. ხელნაწერი „სამოთხე", იოანე მოსხის ასკეტიკური კრებული და წმინდა მამათა „სწაელანის" კრებული, რომელიც დღეს ასევე ათონის მთის ქართული მონასტრის წიგნსაცავშია დაცული (Ath. 9).

3. X საუკუნის ხარიტონის ლავრის (პალატრის) ქართველი კალიგრაფი, პაულესთან და დავითთან ერთად იღებდა მონაწილეობას ვრცელი პაგიოგრ. კრებულის Sin. 11 (X ს.) გადაწერაში. მოიხსენიება ზედწოდებით „მწარედ ცოდვილი" და „გლახაკი" (Sin. 11, გ 59). მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში გადაიტანეს.

4. სინის მთის მონაზონი (გოდორაელი), რომელმაც გადაწერა ხელნაწერი: Sin. 82, (6. მარით), X ს. (ფსალმუნი და საგალობელთა კრებული).

5. X საუკუნის ულუმბოს (ოლიმპის) მთის ქართველი მონაზონი, ხელნაწერთა შემმოსველი. 978 წელს მას ოლიმპზე შეუმოსავს იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება", რომელიც სხა კუტს (იხ.) გადაუწერია (H 1346).

6. გიორგი მთაწმიდელის თანამედროვე, იოანე ხარტულარი, გადამწერი. გიორგის წინამძღვრობის დროს იოანემ იაკობთან (იხ.) ერთად გადაწერა ხელნაწერი A1101, 1047 წ.

7. XI საუკუნის შეპანის (პალესტინა, არაანის ხეობაში) ქართული მონასტრის მონაზონი, გადამწერი; გაბრიელ ტფილელის მამობის დროს მან გადაწერა და დაამშვენა შეპანის სკრიპტორიუმში კომენური პაგიოგრაფიული ძეგლების თარგმანების კრებული (Jer. 50). „იოანე ცოდველი" მისი ხანდაზმულობის მიუხედავად კვალიფიციური გადამწერი ჩანს, ხელნაწერის დამშვენების დროს შეპანის უდაბნო იყო „ახალშენი და გლახაკი წიგნითა" და იოანეს მიზანი იყო „ახალშენის" გამდიდრება წიგნებით. XII საუკუნის II ნახევარში შეპანის ეს ხელნაწერი (Jer. 50) უკვე ჯვარის მონასტერშია გადატანილი.

8. XI საუკ. საბაწმიდელი მოღვაწე, კალიგრაფი, ზედწოდებით „ჟა". მან გადაწერა მაქსიმე აღმსარებელის „ცხოვრება ღვთისმშობლისა" (H 1664), რომელიც 1919 წლამდე ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში.

9. XI საუკუნის ჯვარის მონასტრის მონაზონი (დეალი) და გადამწერი, პროხორეს (ჯვარის მონასტრის დამაარსებლის) თანამოღვაწე. პროხო-

ორეს დაეალებით იოანე დვალმა დაამზადა დეკემბერ-თებერვლის თვენი (Jer. 36). როგორც ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, იოანე დვალი იყო გადამწერი, ხოლო შემმოსველი — ნისთერეონი (იხ.), მომგებელი კი — გიორგი-პეროხორე. იოანემ გადაწერა აგრეთვე ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი, ქართული კულტურისათვის დიდად მნიშვნელოვანი ალავერდის ოთხთავი (A 484), გადაწერილი 1054 წელს კალიპოსში. იოანე დვალი მისი ერთ-ერთი გადამწერია მიქაელსა და გიორგისთან ერთად.

10. XI ს. ქართველი განდეგილი-მესეეტე, კალიგრაფი. მოღვაწეობდა ჭყონდიდში (მართვილი). აქ ყოფილა მისი სამყოფი სეტი (კოშკი), სადაც მიიღო ეს ზედწოდება. 1031 წელს გადაწერა პაგიოგრაფიული კრებული (Q 240), რომელიც შეიცავს თხზულებებს: წმინდა წმ. გიორგისი, წამება წმ. თეოდორესი და სასწაულნი წმ. თეოდორესი. მან მონაწილეობა მიიღო მარტვილის ოთხთავის გადაწერაში არსენთან ერთად (S 391). იოანე მესეეტეს გადაუწერია მეორე ნაწილი.

11. შაკი მთის კასტანას ქართული საკანის XI საუკ. მონაზონი (მთაკარაჭას ძე), კალიგრაფი. აქ მან 1091 წ. გადაწერა ფსალმუნთა თარგმანება, ქართულ ენაზე თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (Q 37). მისი დედანიც იოანეს 1080 წელს ეზრას მონასტერში გადაუწერია.

12. XI ს. ქართველი კალიგრაფი (ზედწოდებით „მელი"), ეფთვიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე. გადაწერა კრებული A 1104, რომელიც შეიცავს ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებს. ეს კრებული შესრულების თვალსაზრისით კალიგრაფიის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს.

13. XI ს. ხახულის წინამძღვარი და მწიგნობარი, კ. კეკელიძის აზრით, იგივე იოანე ბოლნელი. მის სახელთან არის დაკავშირებული ორი ხელნაწერი: თებერვლის თვენი, რომელიც ადრე ჯვარის მონასტერში ინახებოდა, ახლა კი ვენის ბიბლიოთეკაშია დაცული; გადაწერილია იგი იოანე ხახულელის ინიციატივით. მისივე თაოსნობით გადაინუსხა კირილე ალექსანდრიელის „სწავლანი" და სხვა თხზულებანი (Jer. 151). სხვებთან ერთად იოანე ხახულელი ყოფილა გადამწერი, ან ხელნაწერის დამზადების მონაწილე (Ath.4; Ath 13; A1103). ანდერძში იგი მოიხსენიება იოანე გრძელისძის სულიერ შვილად. იოანე ხახულელისა და იოანე ოქროპირის გაიგივება იოანე ბოლნელთან არ დასტურდება.

14. XI ს. I ნახევრის რომანაწმინდის ცნობილი მონაზონი (ჯიბის ძე), მწიგნობარი და გადამწერი. იოანე და დავით ჯიბისძეს 1035 წლისათვის ეხლდათ შატბერდში, სადაც ორივე გადასულა შავ მთაზე სამოღვაწეოდ. იოანე ჯიბისძეს 1068 წლის ახლო ხანებში გადაუწერია გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი სვინაქსარის ერთ-ერთი შესანიშნავი ხელნაწერი (H 2211), მომგებელი ხელნაწერისა კი ყოფილა დავით ჯიბისძე.

15. XI ს. სინის მთის ქართველი მონაზონი, რომელმაც გადაწერა ისააკ ასურის „სწავლანი" და სხვა თხზულებები (Sin. 80), მასვე მიაწერენ Sin. 81 სახარების გადაწერასაც.

16. XI ს. კალიგრაფი, იოანე ტატბელი. მას გადაუწერია ურბნისის ცნობილი ოთხთავი (A28).

17. XI ს. შაკი მთის ქართული კოლონიის მონაზონი (ფარაკელი), ეფრემ მცირის თანამოღვაწე. ერთ-ერთი ხელნაწერის ცნობით, იოანემ ეფრემს ასწავლა პუნქტუაციის წესები, განკვეთილობის ნიშანთა გამოყენება. მას თელიან შაკი მთის ლიტერატურული გრამატიკული სკოლის იდეოლოგად.

18. XII ს. II ნახევრის მონაზონი (ფუკარელის ძე), კალიგრაფი. მოღვაწეობდა სამხრეთ საქართველოს საკანეებში. მან გადაწერა ტბეთის ოთხთავი (Q 929) და წყაროსთავის სახარება (Q 907); ე. წ. ტბეთის მეორე ოთხთავი (Q 929) 1161 წელს გადაწერილია პაკლე მტბევარის (ტბეთის ეპისკოპოსის) დაკვეთით, გიორგი III-ის მეფობაში, ხოლო წყაროსთავის სახარება — 1195 წ. იოანე საფარელი-მტბევრის ბრძანებით. გადაწერაში მას ეხმარებოდა გიორგი სეთაის ძე (იხ.). ყდა შესრულებულია ბექა ოპიზარის მიერ.

19. კონსტანტინეპოლის პრომანას მონასტრის XII საუკუნის II ნახევრის კალიგრაფი. თამარ მეფის დაკვეთით გადაწერა ცნობილი ვანის სახარება (A 1335), რომელიც საგანგებოდ შეიმკო და დასურათდა ბიზანტიელი ოსტატის, მიქაელ კორესელის მიერ. ხელნაწერი გადაწერილია ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით, კამარები, თავსამკაულები და მინიატურები თამამყოფილია თავების დასაწყისში, შემკულობის შესრულების ხასიათით და სიმდიდრით ვანის სახარება ერთი უპირველესთაგანია ე. წ. „არისტოკრატიულ" ქართულ ხელნაწერთა შორის.

20. XII-XIII სს. ქართველი კალიგრაფი (ზედწოდებით „მელაითა"), რომელმაც გადაწერა ოთხთავი (H 1782).

21. XVIII საუკუნის I ნახევრის მთაკარდია-

კონი, გადამწერი. მას გადაუწერია 1733 წელს ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი (A170).

22. XVIII საუკუნის თბილისის ჯვრის საყდრის დეკანოზი, გადამწერი; მას 1743 წელს გადაუწერია ანტონ I-ის „სპეკალი“ (H 1743), სვინქსარი (1754 წ.), ე. წ. ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრება 1760-61 წწ. (S 25).

23. XVII ს. მიწურულის მთავარდიაკონი, გადამწერი, კარის დეკანოზის, იოვაკიმ მღვდლის ძე. 1691 წელს მას გადაუწერია ხელნაწერი A 850.

24. XVII ს. მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგის დეკანოზი, „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის (ლენინგ. № 13) გადამწერი, ან შემკვეთი.

იოანე XXII (1245-1334) – ავინიონის პაპი (1316-34), წარმოშობით ფრანგი, მან დაამკვიდრა პაპის ტახტი ავინიონში. მის დროს გაიგზავნა საქართველოში ფრანცისკელი და დომინიკელი მონაზვნები. მან გადაიტანა თბილისში 1328 წ. სმირნის საეპისკოპოსო კათედრა და იქ ეპისკოპოსად დომინიკელი იოანე ფლორენციელი დანიშნა 1329 წელს.

იოანე ათონელი – იხ. იოანე მთაწმიდელი.

იოანე ანტიოქელი – V საუკ. მწერალი, ავტორი მრავალ ნაშრომთა, რომელთაგან ქართულად თარგმნილია:

1. ეპისტოლე ფირმოსის მიმართ კესარია კაპადოკელისა (A 266,69-71). 2. ეპისტოლე მოთხრობითი მეფისა მიმართ კელითა პალადიოს მთავრისაჲთა (A 266,213-239). 3. ეპისტოლე თეოდოსის მიმართ კესარისა კელითა კომისისაჲთა (A 266,315-317). 4. ეპისტოლე ალექსანდრეს მიმართ იეროპოლელისა მოსელისათჳს არისტოტელოს მთავრისა (A 266, 396-7). 5. ეპისტოლისაგან მართლმადიდებლობისა აღსარებისა კირილეს მიმართ ალექსანდრელისა... (A 266, 397-8). 6. ეპისტოლე აღმოსავლელთა მიმართ ეპისკოპოსთა უწყებისათჳს მათისა მშუდობისათჳს კათოლიკე ეკლესიისა მიმართ ქრისტესისა (A 266, 402). 7. სიტყუა თქუმული ქალკედონს შინა შემდგომად სიტყუათა თეოდორიტოს ეპისკოპოსისათა და აფთიონის ხუცისათა (A 266, 352-53). ეს თხზულებანი, რომლებიც მეორედებიან მეორე, XVIII ს. ხელნაწერშიც (A 618), გადმოღებულია სომხურიდან ანტონ კათოლიკოსისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ 1776 წელს და მოთავსებულია მესამე მსოფლიო კრების აქტებში (იხ. ეფესოს მსოფლიო კრება).

იოანე ანჩელი („რკინაელი“) – XII საუკუნის გასულისა და XIII საუკუნის დამდეგის ცნობილი ანჩის მთავარეპისკოპოსი, პიმნოგრაფი, თამარ მეფის თანამედროვე, მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამაა ცნობილი. 1161 წ. შესრულებულ სახარების ანდერძში პაულე მტბევარი მას იხსენიებს დისწულად ანტონ ოპიზარქუთათვლთან ერთად. იოანე ანჩელის მოღვაწეობის დასათარიღებლად გარკვეულ სამსახურს გაიწევს ანჩის ხატის წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ იოანე ანჩელმა, „რკინაელმა“ მოაჭედვინა ბექას ხატი თამარ მეფის ბრძანებით, ხოლო თეთონ საგანგებო საგალობლით შეამკო იგი – „გალობანი ანჩისხატისანი“, რომლის კიდურწერილობაა: „საშინელსა ანჩის ხატს ეუგალობ უნდო იოანე ანჩელი“ (A1040. 1903 წელს გამოსცა მ. ჯანაშვილმა). იოანე ანჩელის მიერ შესხმული და ბექას მოჭედილი ხატი 1664 წ. კლარჯეთიდან თბილისში ჩამოიტანეს და დასაენეს სასტრიარქოს საკათედრო ეკლესიაში, რომელსაც შემდეგ ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

იოანე აღდგომელი – ალბათ, „აღდგომის ეკლესიის“ მონაზონი, მოხსენებულია სინის მთის სულთა მატიანეში (Sin. 77, XIV ს.).

იოანე ბატონიშვილი (1768-1830) – იოანე ბაგრატიონი, გიორგი XII-ის ვაჟი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი და ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია, როგორც მეტად ნაყოფიერი მოღვაწე და მწერალი, ღრმა და ფართო განათლების მჭირნე პიროვნება. გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ იოანე ბატონიშვილი გადასახლდა რუსეთში და მთლიანად მიეცა სამეცნიერო – საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მის თხზულებათაგან გამოირჩევა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „კალმასობა“ ანუ „ხუმრთსწავლა“, რომელიც დიდი მოცულობის ორიგინალური ჟანრის ლიტერატურულ-სამეცნიერო ნაწარმოებია (გამოც. ც. კასპარიშვილისა და ც. კიკნაძის მიერ: ხუმრსწავლა, I, 1980 (639 გვ.), II, 1991 (573 გვ.). ეს თხზულება დაიწერა XIX საუკუნის I მესამედში (1813-28). „კალმასობის“ იდეური სიღრმე და მხატვრული სრულყოფილება ნათლად გვიჩვენებს მისი ავტორის ფართო ერუდიციასა და ღრმა განსწავლულობასთან ერთად მაღალნიჭიერებას. იგი ამავე დროს ორატორული ხელოვნების იშვიათი ნიმუშიცაა. თხზულება სრულად ასახავს საქართველოში

XVIII-XIX სს. მიჯნაზე მეცნიერული ცოდნის დონეს. ამ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ვრცელ ნაწარმოებში მხატვრულად არის გადმოცემული მეცნიერების ყველა დარგის არსებითი შინაარსი; მასში წარმოდგენილია ცნობები სპუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან. დიდი მნიშვნელობისაა ცნობები საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათჳს“ (გამოც. ი. ლოლაშვილისა, თბ, 1982).

იოანე ბერაი – X საუკუნის ქართველი კალიგრაფი, დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის, მიქაელ მოდრეკილის დისწული. აღიზარდა და მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. 973 წელს მან გადაწერა და პარხლის ახლად აშენებულ ეკლესიას შესწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით (A 1453). მისივე ხელითა და ინიციატივით არის გადაწერილი შატბერდის კრებული (S 1141) 973-976 წლებში. კრებული მარტივად და უპრეტენზიოდ არის გაფორმებული.

იოანე ბოლნელი – X-XI სს. ქართველი მწერალი და მქადაგებელი, ბოლნისის ეპისკოპოსი. მისი სამქადაგებლო შემოქმედება სახარების ტექსტის განმარტებას წარმოადგენს. ეგზეგეტიკური ხასიათის მასალა აქ მოცემულია ორატორული ფორმით. მისი მეტყველება ძირითადად აგებულია ახალი აღთქმის თემებზე, რომელთა რელიგიურ-მისტიკური არსი შეფერილია მორალური იერით და გამოხატულია ალეგორიული ხერხებით. იოანე ბოლნელის ქადაგებანი განკუთვნილია სხვადასხვა კერიაკისათვის; განსაზღვრულია თითოეული ქადაგების საგანი, ადგილი და მიზანი. იოანე ბოლნელის ორატორული მემკვიდრეობა დიდი არაა. მოღწეულია სულ 13 ქადაგება. შეშდეგი დროის მქადაგებლები უხვად სარგებლობდნენ მისი მხატერული სახეებით. იოანე ბოლნელი ქართული ჰომილეტიკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მისი ჰომილიები ორატორული ხელოვნებისა და მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშია. ცნობილმა ქადაგებამ „ღვინის შმელთა და მომთვრალეთათჳს“ დიდი გაელენა იქონია სულხან-საბა ორბელიანის ამავე შინაარსის ქადაგებაზე (იხ. კლარჯული მრავალთავი, გამოც. თ. მგალობლიშვილის მიერ, თბ., 1991, გვ. 277-279; ათონის მრავალთავი, იოვანე ბოლნელის ქადაგებანი, თბ., 1999, 195-257. გამოც. მ. მაისურაძისა და სხვ. მიერ).

იოანე გლახაკი – იგივე იოანე მეტაღარე, მოწამე. იგი ყოფილა მდიდარ მშობელთა შვილი, რომლებიც ცხოვრობდნენ V საუკუნეში კონსტანტინეპოლში; მან მიიღო შესაფერი აღზრდა, განსაკუთრებით ინტერესსა და სწრაფვას ავლენდა სასულიერო ხასიათის წიგნებისადმი. მშობლებს სთხოვა სახარება და განმარტოდა ბითვინიაში. აქ ის ბერად აღიკვეცა. 6 წლის შემდეგ მოენატრა თავისი მშობლები და დაბრუნდა კონსტანტინეპოლში გლახაკის ტანსაცმელში გადაცმული; იქეე შორიახლოს დასახლდა და, როგორც გლახაკს, ისე აძლევდნენ მას მშობლები საჭმელად საჭმელს. იოანეს თან ჰქონდა დედ-მამისეული სახარება. ერთხელ, როდესაც მას გამოეცადა ანგელოზი და აუწყა, რომ მის სულს მალე მიიღებს უფალი, იოანემ აჩვენა მშობლებს მათი ნაწუქარი სახარება და იმათაც იცნეს საკუთარი შვილი. იოანემ ანდერძად დაუტოვა მშობლებს, დაემარხათ იქ, სადაც ცხოვრობდა. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა – 25 წლისა. ამ ადგილას მშობლებმა ააგეს ღვთის ტაძარი და მწირთა სახლი. წმინდა ნაწილები არის რომში, ხოლო მისი თავი მოიტაცეს ჯვაროსნებმა და წაიღეს ბეზანსონში (საფრანგეთი). ხსენების დღეა 15 იანვარი.

„იოანე გლახაკის ცხოვრება“ არსებობს ქართულ ენაზეც, როგორც მეტაფრასული რედაქციის (A 70, XIII ს., 114-125; A 79, XII-XIII სს., 105-117; ჯუთ. 13, XVI ს., 137-148), ისე კიმენური რედაქციის (Jer. 18, XIII-XIV სს., 227-235 და სხვ.) თარგმანები.

იოანე გრძელის ძე – X ს. ათონის ქართველთა მონასტრის ცნობილი მონაზონი, ეფთიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე. იგი „ჭოხთა ეკლესიათა ლაკრასა შინა“ მოღვაწეობდა არსენ ნინოწმიდელთან ერთად. მალე ისინი პონტოს ერთ-ერთ მონასტერში დამკვიდრდნენ, ხოლო შემდეგ ქართველთა თხოვნით ისინი მივიდნენ ათონის მთაზე ჯერ კიდევ იოანე მთაწმიდელის სიცოცხლეში და იქ განაგრძეს თავიანთი ღვაწლი. ისინი მხარში ამოუდგნენ ეფთვიმეს, ეხმარებოდნენ მას ლიტერატურულ საქმიანობაში, გადაწერეს მრავალი ხელნაწერი. მათი თხოვნით დაანება ეფთვიმემ თავი წინამძღვრობას და ხელი მოჰკიდა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას. იოანე გრძელის ძემ და არსენმა გადაწერეს ეფთვიმეს თარგმანები (Ath 13, A4, A 1103 და სხვ).

იოანე გუთელი – VIII ს. გუთელის

(ყირიმი) ეპისკოპოსი. გუთეთის ეკლესია ბიზანტიის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და ამის გამო იოანე საკურთხეველად ბიზანტიაში გაემგზავრა, მაგრამ რადგან აქ ამ დროს გაჩაღებული იყო ხატმებრძოლობა, ხოლო იოანე არ უჭერდა მას მხარს, უკან გამობრუნეს, ქართლის კათოლიკოსთან. იოანე ეპისკოპოსად იოანე ქართლის კათოლიკოსმა აკურთხა მცხეთაში. ცნობა ამის შესახებ დაცულია გიორგი ათონელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში" (A 97). მასში შეტანილია იოანე გუთელის სახსენებელი დღე – 26 ივნისი, მოკლე ბიოგრაფიით. იოანე გუთელის მცხეთაში კურთხევის ფაქტი გიორგი მთაწმიდელმა მოიშველია ანტიოქიის პატრიარქთან – თეოდოსისთან პაექრობის დროს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დასამტკიცებლად.

იოანე დამასკელი – (დაახლ. 675-753) ცნობილი ბიზანტიელი თეოლოგი, მართლმადიდებლური ეკლესიის გამოჩენილი მამა და მწერალი. დაიბადა დამასკოში, შეძლებული არაბი ქრისტიანის ოჯახში. მის მამა-პაპას ოფიციალური თანამდებობები ეკავა ბიზანტიის იმპერიაში. იოანე დამასკელმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. აბიმელიქის ანტიქრისტიანული პოლიტიკის გამო იოანე ტოვებს სამშობლოს და მიდის წმინდა საბას ლავრაში, სადაც ის მღვდლად ეკურთხა. ეს მოხდა ხატმებრძოლობის დაწყებამდე. როგორც თაყვანისმცემელი, იოანე სათაყვანისმცემლო ხატთ

ხატების, ეკლესიის საიდუმლოთა და სხვ. შესახებ. იოანე დამასკელის ტრინიტარული თეოლოგია აჯამებს წმინდა კაპადოკიელი მამების დოქტრინას; ანგელოლოგია კი გამოხატავს წმ. გრიგოლ ნაზიანზელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიას.

იოანე დამასკელმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის თეოლოგიის განვითარებაზე. მისი თხზულებებით საზრდოობდნენ შუა საუკუნეების ღვთისმეტყველნი. მისმა მოძღვრებამ, კერძოდ, თეზისმა თეოლოგიისადმი ფილოსოფიის დაქვემდებარებულობის შესახებ, დიდი გავლენა იქონია დასავლური სქოლასტიკის განვითარებაზე. იოანე დამასკელი ცნობილია აგრეთვე, როგორც გამოჩენილი პოეტი-ჰიმნოგრაფი. იგი მთელი რიგი საეკლესიო საგალობლების ავტორია, შემქმნელი მრავალრიცხოვანი ჰიმნოგრაფიული კანონებისა, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში.

იოანე დამასკელის ცხოვრების პირველი საფუძვლიანი აღწერა ეკუთვნის XII ს. აუტორს იოანე ბერკოროპელისს (1156-1166). არსებობს აგრეთვე მანამდე დაწერილი ცხოვრება არაბულ ენაზე (კ. კეკელიძე ეტიუდები, ტ. VII გვ. 153-176), რომელიც ეკუთვნის ანტიოქელ ბერს მიხეილს (XI ს.). იოანე დამასკელის ბიოგრაფია 1096-1100 წლებში უთარგმნიათ ბერძნულ და ქართულ ენებზე. მიხაილის ბერძნული თარგმანი დაკარგა და შემორჩა მხოლოდ ქართული თარგმანი. ქართულად დაცულია ასევე არაბული „ცხოვრების" უძველესი ცერსიაც. არსებობს აგრეთვე იოანე დამასკელის ცხოერების სამეულ ადანელის მეტაფრასული რედაქციის თარგმანი, შესრულებული ეფრემ მცირის მიერ (A 24, XI ს., 138-145; S 1276, XI-XII სს., 42-56 და სხვ.).

იოანე დამასკელის თხზულებები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში. ზოგიერთი მათგანი ორჯერ არის ნათარგმნი. ასე მაგ. „დიალექტიკა" თარგმნილია ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ, ასევე „გარდამოცემა", „ორთა ბუნებისათუს" და სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იოანე დამასკელის „დიალექტიკა" ერთი საუკუნით ადრე გახდა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის, დასავლეთ ევროპა მას მხოლოდ საუკუნის შემდეგ გაეცნო (გამოც. მ. რაფავას მიერ, თბ., 1976). იოანე დამასკელის ზოგიერთი შრომა ქართულად ითარგმნა X ს-მდე, ზოგიც — შემდეგ. მათი მთარგმნელები იყვნენ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, თეოფილე ხუცესმონაზონი, არსენ იყალთოელი.

იოანე დამასკელის ძირითადი თხზულებების ქართული თარგმანებია: „გარდამოცემა" (A 24; S 1468 და სხვ. გამოც. რ. მიმინოშვილის, მ. რაფავას და ე. ჭელიძის მიერ. თბ., 2002 წ.); „წინამძღუარი" (A 200, A 240, A 253, Jer. 151) თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, მისივე თარგმნილი „ორთა ბუნებათათუს" (ათონის კრებული A 558, გვ. 28); იმავე თხზულების თარგმანი არსენ იყალთოელისა (A 205, A 267, S 1433, ქუთ. 23). მრავალად არის თარგმნილი ქართულ ენაზე იოანე დამასკელის სხვადასხვა ჰომილიები (შობისათუს უფლისა, წმინდა ღმრთისმშობლისათუს, ხატთათუს, შესუენებულთათუს, ლელუსათუს, სატფურებისათუს, ქრისტეს აღდგომისათუს, ფერისცვალებისათუს, შაბათისათუს და მრავალი სხვა, თარგმნილი გიორგი ათონელის, ეფრემის, თეოფილე ხუცესმონაზონის და არსენ იყალთოელის მიერ). ქართულად თარგმნილია აგრეთვე მის მიერ შეთხზული „შესხმები". დაწერილებითი ბიბლიოგრაფია იხ.: ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V ტომი, გვ. 66-68).

იოანე ვარაზვაჩე — იხ. იოანე მთაწმიდელი.

იოანე ზედაზნელი — ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, VI საუკუნის მონაზონი და ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი; საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან თავის სხვა მოწაფეებთან ერთად. იოანე ზედაზნელი ერთხანს სირიის ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა, 543 წელს მონოფიზიტთა დევნის დროს იგი საქართველოში ჩამოვიდა, კერძოდ, ქართლში, მცხეთაში შეჩერდა და სამოღვაწეოდ შეარჩია ზედაზნის მთა, სადაც დააარსა მონასტერი. იოანემ თავისი მოწაფეები ქართლისა და კახეთის სხვადასხვა მხარეში დაგზავნა ქრისტიანობის გასავრცელებლად და ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად. ქართლის კათოლიკოსი ევლავიოს დიდ დახმარებას უწევდა მას საქართველოში მოსელის დროიდანვე.

იოანეს მიერ დაარსებულ მონასტერში ღღემდე დაცული ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც სამნაოიან ბაზილიკას წარმოადგენს. ეკლესიის ჩრდილო ნაკი ადრეულ ხანას განეკუთვნება, დანარჩენი ნაწილები VIII-IX საუკუნებისაა. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანეს მიერ დაარსებულ მონასტერში უთუოდ წარმოებდა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ საამისო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია. შესაძლოა ეს მემკვიდრეობა გაჩანაგდა მონასტრის არაერთგ-

ზის დარბევის დროს.

იოანე ზედაზნელის ცხოვრება აღიწერა VI-VII საუკუნეში, მაგრამ ამ „ცხოვრებას" არ მოუღწევია ჩვენამდე. მოგვეპოვებით, X საუ-ში მისი ცხოვრება აღწერა კათოლიკოსმა არსენ II-მ (ძეგლები I, გვ. 191-207), რომელსაც თავისი თხზულების შედგენისას ძველი ტექსტი გამოუყენებია. იოანე ზედაზნელის შესახებ ცნობებს შეიცავს აგრეთვე შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრება" (ძეგლები, III, გვ. 83-107).

იოანემ თავისი სიცოცხლე დაასრულა ზედაზენზე. აღსასრულის წინ მან მოუწოდა თავის მოწაფეებს, თათასა და ელიას და სთხოვა, იგი იქვე დაეკრძალათ. მისი ცხედარი მოწაფეებმა ჯერ თათას მონასტერში, ზედაზნის მთის ძირში დაკრძალეს, ხოლო შემდეგ ზედაზნის მთაზე გადმოასვენეს.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების სამი რედაქცია არსებობს: კიმენური მოკლე (X ს.) და ორი მეტაფრასული (XII ს.) (ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I და III). 1955 წ. გამოსცა ილ. აბულაძემ (სამიე რედაქცია, ბიბლიოგრაფია იხ.: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები V, თბ., 1989, გვ. 216-217).

იოანე ზონარა – XII ს. ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ისტორიკოსი. მისი თხზულება „შემოკლებული ისტორია" (ქრონიკა) მოიცავს მსოფლიო ისტორიას დასაბამიდან, ვიდრე 1118 წლამდე. ნაშრომი საინტერესო და ორიგინალურ ცნობებს გვაწვდის XI-XII სს ისტორიისათვის. ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული „ქრონიკაში" საქართველოს შესახებ, კერძოდ, პომპეუსის ლაშქრობის, ბიჭვინთაში იოანე ოქროპირის გადასახლების, ლაზიკის მეფის, წათეს შესახებ და სხვა. იოანე ზონარა სხვა ავტორთა ცნობებს დამატებით მონაცემებითაც ავსებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა იოანე ზონარას „ისტორია" შუასაუკუნეებში, მას თარგმნიდნენ სლაკურ (სერბულ) ენებზე. აღორძინების პერიოდში იგი ითარგმნა ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე. „ქრონიკის" გარდა ჩვენამდე მოაღწია მისმა წერილებმა, კომენტარებმა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაზე, საგალობლებმა და სხვადასხვა ხასიათის ტრაქტატებმა. იოანე ზონარა ერთ-ერთი კომენტატორია კანონიკური სამართლისა. მისმა კომენტარებმა კანონიკის შესახებ ისეთი ავტორიტეტი მოიპოვეს საკლესიო პრაქტიკაში, რომ თვით გაბდნენ სამართლის წყარო. ზონარას კომენტარები ძირითადად იმ ნაწილს ეხება, რომელიც შეიცავს კანონიკურ დადგენილებებს. კომენტარებში განხილულია ჯერ მსოფლიო კრებების კანონები, შემდეგ – ადგილობრივი კრებების დადგენილებები და, ბოლოს – წმინდა მამათა მიერ შემუშავებული წესები. მასალის ასეთი განლაგება მიღებული იყო პატრიარქ ფოტის (IX ს.) დრომდე. თავის კომენტარებში იოანე ზონარა საკმაოდ დაწვრილებით ისტორიულ ცნობებს გვაწვდის საეკლესიო კრებებისა და საეკლესიო ცხოვრების წესების შესახებ. 1888 წ. გამოიცა მისი კომენტარები ბერძნულ და რუსულ ენებზე (ბალსამონის კომენტარებთან ერთად).

იოანე-ზოსიმე – X საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწერალი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი, კალიგრაფი, სინის მთის ქართული საგანმანათლებლო კერის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც სათაეში ედგა ქართველ მოღვაწეთა საზღვარგარეთულ სამონასტრო კოლონიას X საუკუნეში. როგორც სინის მთის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, იოანე-ზოსიმე ჯერ საბა განწმენდილის ლავრაში (პალესტინა) მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ გადასულა სინის მთაზე და იქ გაუგრძელებია თავისი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა. იოანე-ზოსიმე იყო ერთდროულად ტექსტის გადამწერი, მისი გამცხოველებელიც (აღმდგენელი), შემმოსველი, შემკინძველი, შემკეთელი და მომგებელი, მჩხრეკელი და რედაქტორიც. მან შეადგინა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი: „საგალობელნი იადგარნი" (Sin. 34), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ლიტურგიკული ძეგლებისაგან შემდგარ კრებულს. იოანე ზოსიმეს მიერ შედგენილი კალენდარი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს პალესტინის ბერ-მონაზვნური ცხოვრებისა და საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ. მასე მიაკუთვნებენ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"-ს (Sin. 6, X ს.; ს. ინგოროყვას პუბლიკაცია). იოანე-ზოსიმეს ღვაწლის შესახებ ხელნაწერთა გადაწერის, დამშვიდების და მათ გაურცელების საქმეში, გვამცნობს სინის ქართული ხელნაწერების კოლექცია. მას მრავალი ხელნაწერი გადაუწერია საბას ლავრასა და სინის მთაზე. მათ ყოველთვის ახლავს ანდერძი, რომელშიც იგი აღნიშნავს გადაწერის თარიღს, ასახელებს თავის თანამოღვაწეებ და იძლევა ცნობებს სინის მთის მოღვაწეობის შესახებ. გარდაიცვალა იოანე-ზოსიმე დაახლ. 987 წ.

იოანე თესალონიკელი – VII ს.

მთავარეპისკოპოსი და საეკლესიო მწერალი. მის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1. „სიტყუაჲ განკაცებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და ხარებისათჳს ყოელად წმიდისა ღმრთისმშობლისა“, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი (A 272,256-257; A 276; A 674; ქუთ. 2, 285-288; ქუთ. 8,149-151). 2. „სასწაულნი წმიდისა და ღაწლმოსილისა მოწამისა დიმიტრისნი“, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი (ქუთ. 4, 602-621; Sin. 71, 21-46; Ath. 17, 137-139)

იოანე იერუსალელი — XII საუკუნის პეტრიწონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე (ზოგიერთი მკვლევარის აზრით — ქართველი), მხატვარი. გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დარსებული პეტრიწონის სამონასტრო ანსამბლის ახლოს, კლდის პირას აგებული ერთნავიანი ორსართულიანი შენობა-სამკვალე, რომელშიც დაკრძალულნი არიან პეტრიწონის მონასტრის ქტიტორები, ძმები გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი, XII საუკუნისაა და შესრულებულია იოანეს მიერ. სამკვალის კედელზე არის ქტიტორთა ფრესკებიც. იგი ალიარებულია ფერწერის ჩინებულ ოსტატად. საყურადღებოა მხატვრის იდეური ჩანაფიქრი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია — მასალის საგანგებო შერჩევა და კედლებზე მისი გეგმაზომიერი განაწილება, ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილ წარმომადგენელთა გვერდით ქართველ მოღვაწეთა (ილარიონ ქართველი, ეფთვიმე და გიორგი ათონელები) პორტრეტების მოთავსება. იოანეს უნდოდა იმის ხაზგასმა, რომ ქართველი მოღვაწეები უშუალო მემკვიდრეები არიან აღმოსავლეთის ბერმონაზონობის მოთაეებისა.

იოანე კანტაკუზენი (1293-1383) — ბიზანტიის იმპერატორი, მწერალი, მოღვაწე. იგი 1347 წ. იკავებს იმპერატორის ტახტს იოანე V პალეოლოგის ჩამოგდების შემდეგ. იოანე კანტაკუზენი ატარებდა ფეოდალური არისტოკრატიის სამებელ პოლიტიკას. მისი პოლიტიკის წყალობით თურქ-ოსმალებმა, რომელთაც ეყრდნობოდა ის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, მოახერხეს ფეხის მოკიდება დარდანელის ეკროპულ სანაპიროზე. საერთო უკმაყოფილების გამო იგი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ტახტზე და ბერად აღკვეცილიყო. მონასტერში მან დაწერა „ისტორია“, რომელიც ეხება 1320-1356 წლების მოვლენებს. მიუხედავად ტენდენციურობისა, მისი თხზულება ბევრ საინტერესო ფაქტს შეიცავს. იოანე კანტაკუზენის დროს იყვრთა მონასტერი ჯერ კიდევ მდიდარი იყო. იმპერატორმა 1351 წ. ქართულ სავანეს ხრისობულებით დაუმტკიცა: სახნავი მამულები პროაელაკასი, იერისოს მეტეხში კოშკი მისი მიდამოთი და იქ არსებული საბეგრო და თავისუფალი გლეხებით და ნავსადგურით, იოანე წინამორბედის მცირე მონასტერი ღემატოში, მცირე მონასტერი სერეში მისი კუთვნილი წისქვილებით, ვენახებით და გლეხებით, მცირე მონასტერი დრობესენაში, მცირე მონასტერი „წმიდა იერუსალიმი“ ერმელიაში, მამული კალამარიაში და სხვა. ჩანს, ათონზე მოღვაწე ქართველებმა იოანეს მიმართეს დახმარებისათვის და მანაც ძველი საბუთების საფუძველზე გასცა საგანგებო ხრისობულები, რომლითაც დაუმტკიცა მათ ყოველივე ზემოალნიშნული (ლ. მენაბდე, კერები II, გვ. 223-224; П. Успенский, История Афона, III, გვ. 160).

იოანე ლაზი — ერისკაცობაში მითრიდატე, იოანე ქართველი, იეროთეოსი (გარდ. დაახლ. 464-65 წწ.), ქართველი მონაზონი, თეოლოგი, პეტრე იბერის აღმზრდელი და თანამოაზრე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ითვლება იოანე ლაზი პეტრესთან ერთად ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებათა აეტორად. პეტრესთან ერთად მან იერუსალიმის ახლოს ააშენა მონასტერი (ძეგლები, II, 213-263), საფიქრებელია, რომ ამ მონასტერმა უკანასკნელი წლების განმავლობაში ჯვართა გამოვლენილი ე. წ. „ლაზთა მონასტრის“ ნაშთების სახით მოაღწია დღემდე.

იოანე მახარებელი — ღვთისმეტყველად წოდებული, ქრისტეს საყვარელი მოწაფე და მოციქული, მეოთხე სახარების ავტორი, ზებედეს და სალომეს ვაჟი. იოანე მახარებელი იოანე ნათლისმცემელის გამორჩენისთანავე დაემოწაფა მას, შემდეგ კი იესო ქრისტეს მიმდევარი გახდა. მაცხოვრის უკანასკნელ დღეებში იოანე ხშირად იხსენიება პეტრესთან ერთად. იოანე იყო ერთადერთი მოციქული, რომელიც იდგა გოლგოთაზე ჯვართან. აღდგომის შემდეგ იოანე სხვა მოციქულებთან ერთად დარჩა იერუსალიმში. ტრადიციის მიხედვით, იოანე მახარებელი ღვთისმშობლის მიძინებამდე პალესტინაშია, ხოლო შემდეგ გადადის მცირე აზიაში და მკვიდრდება ეფესოში. დომიციანემ იგი პატმოსზე გადაასახლა, სადაც მან თავის მოწაფეს, პროხორეს უკარნახა „გამოცხადება“. ეფესოში დაბრუნებული იოანე მოციქული წერს სახარებას. იოანეს სახარება, რომელიც შედგენილობითა და ხასიათით განსხვავდება სინოპტიკური სახარებები-

საგან, ბადებს პრობლემათა მთელ წრეს, რომელიც ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია „იოანეს საკითხის" სახელით.

მე-4 სახარება დაწერილია სამი სინოპტიკური სახარების შემდეგ. ამ სახარებებში გადმოცემულია იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრება და ცოტა რამაა თქმული მის ღვთაებრივ მხარეზე, რამაც ბიძგი მისცა იმ ერესების წარმოქმნას, რომლებშიც იესო გამოცხადებულია მხოლოდ ადამიანად. იოანე მახარებელმა ეს ხარვეზი შეავსო მე-4 სახარებით. აქ იესოს ღვთიური წარმოშობა არაერთგზის არის გახაზული. ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა მე-4 სახარებაშია აღწერილი და არა ჩანს წინა სახარებებში. ეს და მსგავსი არსებითი ხასიათის განსხვავებები დიდხანს იყო მსჯელობის საგანი. ფიქრობენ, რომ იოანეს სახარება იმგვარად იყო დაწერილი, რომ მკითხველისგან სინოპტიკურ სახარებათა ცოდნას გულისხმობდა. ამის გამო მახარებელმა მე-4 სახარებაში ალარ შეიტანა ქრისტეს პოპულარული მოძღვრება. იოანეს სახარებას განსხლავენ, როგორც დიდი კვლევის შედეგს, ეპოქის მოვლენათა სინთეზს. მის სახარებაში მიკვლეულია ძველი ტრადიციის ზეპირი ფენა, რომელსაც ატყვია არამეული ტრადიციასთან კონტაქტის კვალი. იგი ირეკლავს პირველი პალესტინური ქრისტიანობის დამოუკიდებელ ატმოსფეროს.

იოანე მთაწმიდელი (X ს.) – ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი. თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეწეოდა სამონაზვნო მოღვაწეობას („ლაკრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა"), შემდეგ კი „მიიწია მთასა ულუმბოჲასსა" საბერძნეთში და იქ ერთხანს ათანასე ათონელთან ერთად მოღვაწეობდა. იოანემ თავისი ვაჟი ეფთვიმეც აქ მიიყვანა. X ს. 60-იან წლების დამდეგს იოანე ათანასეს კვალს გაჰყვა და გადაიცა ათონზე, სადაც ათანასემ საკუთარი ლავრა ააშენა. იოანე აქ მოღვაწეობდა თავის თანამშმსულებთან ერთად, რომლებიც მან ოლიმპოდან ჩამოიყვანა, შემდეგ მათ შეურთდა „დიდი თორნიკე". როდესაც ქართველები საკმარისად მომრავლდნენ, იოანემ ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნია; მათ დაიწყეს ზრუნვა სხვა ადგილას ეკლესიის აშენებისათვის. მართლაც, ააშენეს ეკლესია, სენაკები, და იქ იყვნენ მრავალ წელს (დაახლ. 969 წლის შემდეგ). სწორედ ამ პერიოდში აუკანყდა ბიზანტიის უფლისწულებს (ბასილისა და კონსტანტინეს) მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლაროსი. საიმპერატორო კარმა დავით კურაპალატთან შეუკაცოსა დახმარებისათვის ათონელ ქართველებს სთხოვა. ათანასემ და იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდეს. დავით კურაპალატმა გამოაჯო რჩეული მხედრობა და სარდლად თორნიკე ერისთავი დანიშნა. ამ ბრძოლაში ბარდა სკლიაროსი დამარცხდა. მის მარცხში დიდი ღვაწლი მიუძღოდა თორნიკეს, რომელიც დიდი ალაფით დაბრუნდა ათონზე. მაშინ ათონელმა ქართველებმა განიზრახეს ახალი სავანის დაარსება და შეუდგნენ მის მშენებლობას. გიორგი მთაწმიდელის ცნობით, იოანემ და თორნიკემ იპოვეს ათონზე მშვენიერი ადგილი და ააშენეს მონასტერი და ეკლესიები ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე, საკუთარი საფასით შეიძინეს დიდი ადგილი და სოფლები, დამტკიცებული ბიზანტიის იმპერატორების მიერ. 983 წელს დასრულდა ათონის ქართული სავანის მშენებლობა და მონასტერიც დამოუკიდებელ ერთეულად გაფორმდა. მისი პირველი წინამძღვარი იყო იოანე. თორნიკემ და იოანემ მალე მოიპოვეს დიდი ავტორიტეტი იმ ურთიერთობის წყალობით, რომელიც დამყარდა ათონის უდიდესი ლავრის წინამძღვარ ათანასესა და იოანე მთაწმიდელს შორის. იოანე ენერგიულად ზრუნავდა იერთა მონასტრის შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებაზე: შეიძინა მამულები, სამონასტრო-საეკლესიო ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაში ჩაჰა თანამშმსულები. 985 წელს გარდაიცვალა იოანე-თორნიკე (თორნიკე ერისთავი). იოანემ თავისი ვაჟის ეფთვიმეს და რამდენიმე მოწაფის თანხლებით განიზრახა ესპანეთში გამგზავრება იქაური მოსახლეობის გასაცნობად: მას გაგონილი ჰქონდა, რომ „ესპანიაში" ქართველები ცხოვრობენ. განზრახვა მან ვერ განახორციელა. იოანე ენერგიულად იღვწოდა ქართული მწერლობის განვითარებისათვის. მან გაუღვივა ეფთვიმეს სიყვარული ქართული კულტურისადმი და ჩააბა იგი შემოქმედებით საქმიანობაში. ამას მოწმობს მისი ანდერძი, სადაც ნათლად ჩანს მისი მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესები, კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. იოანესა და თორნიკეს თაოსნობით დაწყებდა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია „სამოთხე" (იოანე ოჭროპირის), ეფრემ ასურისა და სხვათა „სწავლანი") და იოანე მოსხის „სამოთხე", გადაწერილი ოშკის საკანში 977 წელს (Ath. 9) სტეფანოზ დეკანოზის მიერ. ასევე მათი დაკვეთით გადაიწერა იოანე ჩრაჟას ხელით ოშკის ლავრაში „იოანე

ოქროპირის ცხოვრება" და კოზმანის „აღმოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდათასა იოანე ოქროპირისაჲ" (Ath. 3). მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობაში მათ ჩაბეს სხვა ქართული საეკლესიო მოღვაწენიც. მათი დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა დიდი ჯგუფი (საბა მწერალი, სტეფანოზ დეკანოზი, იოანე ჩრა, მიქაელ ვარაზვაჩე, გიორგი გელესიის ძე და სხვა).

იოანეს ავადმყოფობის დროს სამონასტრო საქმეებს მისი ძე, ეფთვიმე უძღვებოდა. იოანე გარდაიცვალა 1005 წელს.

იოანე მინჩხი – X ს. ქართველი პიმნოგრაფი, პოეტი, მთარგმნელი. აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის თანამედროვე. მისი პიმნების უმრავლესობა სინის მთის ხელნაწერებმა შემოინახეს, რის საფუძველზეც ვარაუდობენ, რომ მას უნდა ემოღვაწა სინის მთაზე. მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი ალექსო ფორმის, „მინჩხურის" შემოღება. მიქაელ მოდრეკილის საგალობელში, რომელიც შექმნილია 978-988 წლებში, შეტანილია მისი 4 საგალობელი, უმეტესი ნაწილი მინჩხის პიმნებისა დაცულია სინის მთის ქართულ ხელნაწერებში (Sin. 5, 75-77), ზოგიერთს ავერია: „მინჩხნი, მინჩხიანი" და ა. შ. მისი პიმნები გამოსცეს ივ. ჯავახიშვილმა (სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ.). ლ. ხარიძემ (იოანე მინჩხი, 1987წ.).

იოანე მმარხველი – იოანე IV, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 582-595 წწ. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცნობილია, როგორც „ქანონნი შეცოდებულთანის" შემდგენელი. თხზულებამდე ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. მისი ნომოკანონი მიიღო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში. იოანეს თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია შემდეგი: 1. „თქუმული ტაძრად მიყუანებისათჳს ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა" (A148,184-209, H 1347,125-135), თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. 2. „ქანონი შეცოდებულთანი", რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ა) კანონარი იოანე ბერისა და დიაკონისა, რომელსაც შეიღი მორჩილისა ეწოდა და ბ) კანონნი იოანე მმარხველისა – გადმოთარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. (იხ. Н. Заозерский и А. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902; მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972 წ. მცირე სჯულის კანონი (შეცოდებულთა კანონები), ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2003წ.).

იოანე, „მონა უხმარი" – ასე მოიხსენიებს თავის თავს ავტორი საკითხავისა – „გამოცხადებაჲ წმიდათა ზაქარიაჲსი, სუმფონისი, იაკობისა ძმისა უფლისაჲ და პირველ ეპისკოპოსთაჲ", რომლის მხოლოდ ქართული თარგმანია შემონახული ქართულ ხელნაწერებში (A 19, X ს., 103-109; A 95, XI ს. 98-102; გამოც. კ. კეკელიძისა, კომენ, II, 1946, გვ. 73-78). ბერძნული დედანი არ ჩანს. არც ავტორის ვინაობაა ცნობილი. თხზულებაში განვითარებულია აზრი, რომ „მოწამე" არის „მოწმე" და ქრისტიანული ეკლესიის პირველმოწამე არის არა სტეფანე დიაკონი, არამედ სეიმეონ მიმქმელი, რომელმაც იწამა 40 დღის ახალშობილი ქრისტეს ღვთაებრიებაა, როდესაც მან იგი „მიიქუა".

იოანე მოსხი (დაახ. 550-634) – ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე, იერუსალიმის პატრიარქის, სოფრონ პალესტინელის მოძღვარი. მისი ვინაობა და დაწერილებითი ბიოგრაფია არაა ცნობილი. იციან მხოლოდ, რომ მას უმოღვაწია VI-VII სს. მიჯნაზე, სხვადასხვა დროს უმოღვაწნია საბას ლაერასა და სინის მთაზე, ბევრი უმოგზაურია აღმოსავლეთ ქვეყნებში (პალესტინა, ეგვიპტე, მცირე აზია, კვიპროსი, რომი) უმეტესად სოფრონ პალესტინელთან ერთად. ადრევე წარმოიშვა აზრი, რომ იოანე მოსხი წარმოშობით მესხი უნდა ყოფილიყო, რაც შემდგომ გაალრმავეს და განავითარეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. მათი აზრით, იოანე მოსხი ორენოვანი მწერალი იყო (წერდა როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ენაზე). იოანე არის ავტორი „ლიმონარის", რომელსაც ქართულად „სამოთხე" ეწოდება. ეს არის კრებული, რომელიც შედგება სამონასტრო ცხოვრების რჩეული სულისმარგებელი ნოველებისაგან. წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაშიც, როგორც ღვთისმსახურების სახელმძღვანელომ. იოანე მოსხს აკუთვნებენ აგრეთვე „სიბრძნე ბალაყარისას" მოკლე ქართულ რედაქციას. „ლიმონარი" ანუ „სამოთხე" თარგმნილია ქართულად (Ath. 9, 977 წ., Sin. 91, XIV,691). ტექსტი გამოსცა ალ. ახულაძემ 1960 წ., ხოლო ამ თხზულების არაბული ვერსიის ქართული თარგმანი შეასრულა რ. გვარამიამ: ალ ბუსთანი, 1965 წ.

იოანე მოწამე – აწამეს 311 წელს. იოანე ცხოვრობდა ედესაში, იყო მხედარი, ქრისტიანი. ქრისტიანთა დევნის დროს მან მიაშურა იერუსალიმს, სადაც გაიცნო წმ. კვიროსი და

მისი მიძღვარი გახდა. იგი ეწამა კეისართან ერთად (იხ. კეისარი).

იოანე მოწამე – მოხსენიებულია „გრიგოლ ხანთელის ცხოვრებაში“: „ახალი იგი ქრისტეს მოწამე იოანე სანატრელი, ხანცთით იერუსალემდე მიწევნული და სარკინოზთა კელითა ბაღდადს ქრისტესთჳს მოკლული“ (ძეგლები, I, გვ. 316). იოანე მოწამე, რომელსაც მოტანილ ციტატაში „ახალი“ ეწოდება, როგორც ჩანს, თხზულების დაწერის (951 წ.) დროისდელი მოწამეა, რომელიც გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ (861 წ.) წასულა ხანცთიდან იერუსალიმში, სადაც იგი არაბებს შეუპყრიათ და ქ. ბაღდადში მოუკლავთ, რადგან, ალბათ, ქრისტეს სჯული ვერ შეაცვლევინეს. სხვა ცნობები იოანე მოწამის შესახებ არ ჩანს. მისი ხსენება გრიგოლ ხანთელთან და ხანცთის სხვა მოღვაწეებთან ერთად დადებულია 5 მაისს.

იოანე მოწყალე – ალექსანდრიელი პატრიარქი († 617), დაიბადა კვიპროსზე, მოხელის ოჯახში. მშობლებთა სურვილით ადრე დაქორწინდა. ცოლშვილი რომ გარდაცვალა, ბერად აღიკეცა. მისმა ღვთისმოსაოსობამ და მდიდარმა სულიერმა ცხოვრებამ დიდი პოპულარობა მოუტანა მას. როცა სპატრიარქო კათედრა დაჭირდა, იმპერატორმა ირაკლიმ და მასთან ერთად მთელმა სამღვდელოებამ ითხოვა იოანე მოწყალეს, დაეკავებინა საპატრიარქო ტახტი. იოანეს პატრიარქობის წლები აღინიშნა მონოთელიტ ფულონის ერესის აღმოფხვრით. მთაყარი მის მოღვაწეობაში მაინც ღატაკთა გაკითხვა და ხალხისადმი გულმოწყალება იყო. ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 12 ნოემბერი. ქართულად არსებობს მისი „ცხოვრების“ მეტაფრასული თხზულების ორი თარგმანი: პირველი შესრულებულია თეოფილეს მიერ (Ath. 36, XI ს., 21-78), მეორე კი უცნობი მთარგმნელის მიერ – 128. იოანე მოწყალე აეტორია პაგიოგრაფიული თხზულებისა – „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა ტიხონ ამათუნტელ ეპისკოპოსისაჲ“, რომლის მეტაფრასული თარგმანი ქართულ ენაზეც არსებობს (ქუთ. 3, 175-181).

იოანე მტბევარი (მწყემსელი) – X საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი-ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი, ტბეთის ეპისკოპოსი (978 წ.), აწყურის ეპისკოპოსი (995 წ.). მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ მოიპოვება იოანე მტბევრისეული თარგმანები VII-IX სს. ბერძნული ჰიმნოგრაფის ნიმუშებისა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში მისი ღვაწლი აღსანიშნავია ავრეთვე იმითაც, რომ მის სახელს უკავშირდება ჰიმნოგრაფიული ტერმინის – „მოკაზმულის“ შემოღება.

იოანე მცხეთის მთავარეპისკოპოსი – ქართლის პირველი ეპისკოპოსი დაახლ. IV ს. 30-40-იან წლებში. ქართული წყაროების თანახმად, იგი მირიან მეფემ მოიწვია ბიზანტიიდან. მას თან მოჰყვა ორი მღვდელი და ერთი დიაკონი. მათ მოუნათლავეთ ახლად გაქრისტიანებული მეფე და მისი სახლობა, წარჩინებულთა და მოსახლეობის ნაწილი. იოანე მთავარეპისკოპოსს დიდი მონაწილეობა მიუღია მცხეთის საეპისკოპოსოს დაარსებაში, სალოცავი ჯვრების აღმართვაში, ეკლესიების აგებაში და, საერთოდ, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში (იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 115, 116, 117, 119, 125 და ა. შ.).

იოანე მხეძარი – IV ს. მოწამე; მსახურობდა ბიზანტიის წარმართი იმპერატორის, იულიანე განდგომილის ჯარში. ქრისტიანების დევნის მიზნით, მხედრიონთან ერთად გაგზავნილი იყო მათ დასარბევად. იოანე თავად იყო ქრისტიანი და ენების მოტანის ნაცვლად, დევნილ ქრისტიანებს ეხმარებოდა. როცა ეს შეატყვეს, საპყრობილეში ჩაგდეს. იელიან განდგომილის მოკვლის შემდეგ იოანე გაათავისუფლეს. მთელი სიცოცხლე მან ღვთისმსახობაში გაატარა და გარდაცვალა ღრმა მოხუცებულობაში. მისი „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 3, XVI ს., 742r-744r). ხსენების დღე – 30 ივლისი.

იოანე ნათლისმცემელი – წინასწარმეტყველი, იესო ქრისტეს წინამორბედი; ძე ზაქარიასი, ებრაელთა ეკლესიის მღვდლისა და ელისაბედისა. იოანე ნათლისმცემელი მოღვაწეობდა უდაბნოში, იორდანეს ნაპირზე. მან დაიწყო ქადაგება ქრისტეს მოსვლის შესახებ, რასაც სინანულითა და განწმედით (წყალში ნათლისღებით) უნდა შეხვედროდნენ. იოანეს ცხოვრების წესი და გარეგნული იერი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისას ჰგავდა. იოანე აცხადებდა, რომ ნათლისღებით იგი ხალხს ამზადებდა ქრისტეს სულიერი ნათლისღებისათვის. იოანემ ბევრი ებრაელი მონათლა, მათ შორის თვით იესო ქრისტეც. იოანე ნათლისმცემელმა ამხილა პეროდე I ანტიპა ბიწიერებისათვის. განრისხებულმა პეროდიამ შური იძია მასზე და თავისი ასულის, სალომეას მეშვეობით პეროდეს მოაკლევინა იგი – პეროდემ ბრძანა თავი მოეკვეთათ იოანესათვის. ქრისტე ყველაზე დიდ

წინასწარმეტყველად იოანეს მიიჩნევდა, ხოლო მისი მოწაფეები მასში ახალ ელიას ჭვრეტდნენ.

იოანე ნათლისმცემელის ხსენებას ეძღვნება რამდენიმე დღესასწაული: შობა (24 ივნისი), თავის კვეთა (29 აგვისტო), პირველად (IV ს.) და მეორედ (452 წ.) პოვნა თავისა (24 თებერვალი), მესამე პოვნა თავისა (25 მაისი), ბუცლად ღება (23 სექტ.), კრება (7 ივნისი).

ქართულ ენაზე თარგმნილია ორი თხზულება, რომელიც ნათლისმცემელის სასწაულებს ეხება: 1. „უწყებაჲ და ცნობა და ვითარ იგი თავი მისი ემწეს ქალაქსა მიიწია“ (Ath. 35, 907 წ., 181-188) 2. „მეორედ გამოცხადებაჲ იოანესი“ (Ath. 35, 188-190). ქართულად არსებობს აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის სახელთან დაკავშირებული სხვა თხზულებების თარგმანებიც: მუცლადღებისათჳს: სიტყჳა იოანე ოქროპირისა (ქუთ. 4, 253-256; იქვე, 256-261; Jer. 37, 11-14); შობისათჳს, სიტყვები: 1. ანტიპატრო ბოსტრელისა (ქუთ. 3, 241-245); 2. ათანასე ალექსანდრიელისა (ქუთ. 3, 245-249); 3. იოანე ოქროპირისა: A 272, 270-276; A 674, 163-173; 4. მისივე (ქუთ. 3, 249-256). თავისკუეთისათჳს. 1. ანდრია კრიტელისა (A 272, 304-305); 2. იოანე ოქროპირისა (Jer. 17, 148-152). მოსახსენებელი იოანე ნათლისმცემელისა (ქუთ. 1, 558-578); 3. თეოდორე სტუდელისა (H 1347, 402-408). თავის პოვნისათჳს: შესხმა თეოდორე სტოდიელისა (ქუთ. 1, 170-174; S 382, 204-210; იქვე, ქუთ. 1, 174-178; H 382, 198-204).

იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნა – გაღმოცემით იოანე ნათლისმცემელის სხეული მისმა მოწაფეებმა სამარიის სებასტიაში დაკრძალეს, ხოლო თავი პეროდიამ შეურაცხმყოფელ ადგილას ჩაყარა. მეფის სასახლის მმართველის – ხუზის ცოლმა, ღვთისმოყვარე იოანამ (ლუკა 8,3) საიდუმლოდ ამოიღო წმიდა თავი და დაკრძალა იგი ელეონის მთაზე. დიდი ხნის შემდეგ დიდებულმა ინოკენტიმ ამ ადგილას დაიწყო ეკლესიის შენება, სადაც შემთხვევით აღმოაჩინეს ნათლისმცემელის თავი, რომელიც სასწაულებს ახდენდა. ეს ითქვება თავის პირველ პოვნად. სიკდილის წინ ინოკენტიმ იოანე ნათლისმცემელის თავი ისევ იმ ადგილას დაფარა. დროთა ვითარებაში ეკლესია დაინგრა. კონსტანტინე დიდის მეფობაში († 337), ორ მონაზონს იერუსალიმიდან გამოეცხადა იოანე ნათლისმცემელი და აუწყა მათ ის ადგილი, სადაც თავი იყო დაფლული. მონაზვნებმა თავი მოათავსეს ტომარაში და გაუდგნენ გზას სახლისაკენ. გზაზე ისინი გადაეყარნენ უცნობ მექონეს და მას წაალებინეს ტომარა. იოანე ნათლისმცემელი ამჯერად გამოეცხადა მექონეს და ურჩია, გაქცეოდა უწესო მონაზვნებს. მექონე ამ წმიდა თავს ინახავდა სახლში, თავისთან. სიკვდილის წინ მან იგი წყლის ჭურჭელში მოათავსა და გადასცა დას. საბოლოოდ თავის მფლობელი არიანელი სუეცესი ევსტათი გახდა. იოანე ნათლისმცემელის თავის მეშვეობით ხუცესი კურნავდა სნეულთ და მრავალ სასწაულს აწერდა არიანელი ერესის ძალმოსილებას. მალე მისი სიცრუე გამოაშკარავდა და იგი იძულებული შეიქნა გადაკარგულიყო. თავი მან ემესის ერთ-ერთ გამოქებულში დამალა. ამ ადგილას დასახლდნენ ღვთისმსახუი ბერები და აქვე რამდენიმე ხნის შემდეგ ააშენეს მონასტერი. 452 წელს ამ მონასტრის არქიმანდრიტს, მარკელს გამოეცხადა იოანე და მიუთითა თავის ადგილსამყოფელზე. ეს იყო ნათლისმცემელის თავის მეორედ პოვნა. სიწმინდე ემესში გადაასვენეს, ხოლო შემდეგ– კონსტანტინეპოლში. რილესაც ხატთაყვანისცემა აღადგინეს, იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა ეგნატე პატრიარქს და მიუთითა ადგილი, სადაც თავი იყო დამალული. მან ეს იმპერატორს ამცნო, გამოიგზავნა ელჩობა და ნათლისმცემელის თავი მესამედ იქნა ნაპოვნი 850 წელს, თავი გადასვენეს კონსტანტინეპოლში და მოათავსეს სასახლის ეკლესიაში. ნაწილი თავისა ინახება ათონზე.

იოანე ოქროპირი († 407 წ.) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ეკლესიის მამა, მწერალი, ბრწყინვალე ორატორი. დაიბადა ანტიოქიაში (344-356 წლებს შორის), შეძლებული ქრისტიანის ოჯახში. დედამ მისცა პირველდაწყებითი განათლება, მანვე აღზარდა იგი ქრისტიანული სათნოებითა და სულის სიწმინდით, რომელიც შემდეგ მეგობრებისადმი ერთგულებასა და ღარიბ-ღატაკთა სიყვარულსა და შემწეობაში გამოიხატა. იოანეს მასწავლებლები იყვნენ წარმართი ფილოსოფოსი ლიბანიოსი და თეოლოგი თეოდორე ტარსელი. 398 წ. იოანე ოქროპირი კონსტანტინეპოლის პატრიარქია. კონსტანტინეპოლში იგი დიდ რეფორმატორად იქცა. მან საყოველთაო ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ მისმა უკომპრომისობამ ბევრი უსიამოვნება შეახვედრა ცხოვრებაში. იგი აქტიურად ერეოდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის ბრძოლაში, ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამის გამო ის ორჯერ გადააყენეს პატრიარქობიდან. ერთხ-

ელ დედოფალ ეუდოქსისთან უთანხმოების გამო (403 წ.) ეპისკოპოსთა კრებამ კანონგარეშე გამოაცხადა იგი. მალე მიუტეევს, მაგრამ 404 წ. არაკეი იმპერატორმა შეიმუშავა იოანე ოქროპირის განდევნის ახალი დეკრეტი. ამჯერად ის გადაასახლეს ჯერ სომხეთში, შემდეგ ბიჭვინთაში, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია და გზაში გარდაიცვალა. წარმართულ ანტიოქიას მჭიდრო კონტაქტი პქონდა ქრისტიანულ სამყაროსთან, რითაც აიხსნება იოანე ოქროპირის სურვილი – გაქცეოდა ახალ სიდოფს. დედის სურვილის თანახმად იგი იწყებს მოღვაწეობას ქალაქში, შემდეგ მიდის მღვიმეში და იწყება მისი ასკეტური ცხოერება. შესანიშნავად შეისწავლა საღვთო წერილი და გახდა მისი საუკეთესო კომენტატორი. იოანე ოქროპირის თხზულებათა მორალური და სულიერი არსი ყოველთვის საღვთო სიტყვას ემყარება. საღვთო წერილმა აჩვენა მას ქრისტიანული მოძღვრების უპირატესობა წარმართულ მითოლოგიასთან შედარებით. შემდგომ იოანე ტოვებს ასკეტურ ცხოერებას და სამოღვაწეო ასპარეზად ირჩევს ყოველდღიურ ცხოერებას. იოანესათვის მხოლოდ სიწმინდე არ განსაზღერავდა და არ ამოწურავდა სიკეთის ქმედებას; სიკეთე მისი გაგებით არის ის, რაც ეშსახურება ეკლესიის საქმეებს და არა ინდივიდუალურ სრულქმნას. მისი აზრით, უმჯობესია ეშსახური ამრთას, იყო მღვდელი ან ეპისკოპოსი, ვიდრე დაუდებული ბერი, რომელიც ზრუნავს ინდივიდუალური სულის სრულყოფაზე.

იოანე ოქროპირის მიხედვით, ადამიანის სულიერი გზა არის სურვილი და ღვთის წყალობა. სრულყოფა, მისი სიტყვით, არის ადამიანის ცდა შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს ღმერთს. ეს კი მხოლოდ სიკეთით მიიღწევა. ადამიანის სიცოცხლე არის გზა ღვთისაკენ სიკეთის ქმედებით. რელიგიის ისტორიკოსები და ღვთისმეტყველნი ხშირად სეამდნენ კითხვას: ამის მიღწევის გზაზე ბევრს ხომ არ აწერს იგი ადამიანის ნებასურვილსო? იოანე ოქროპირი, როგორც წინასწარმეტყველი და მორალისტი, ქადაგებს ადამიანის სურვილის შესახებ და უპირატესობას აძლევს მას წყალობასთან შედარებით. თუ გვსურს – შეგვიძლია. აი, მისი ფორმულა, რომელიც ლეიტმოტივად გასდევს მის ზნეობრივ წინასწარმეტყველებას. ეს გაკეთილი მან სალვთო წერილში ამოკითხა და იმარკვევს კიდეც იქიდან ესაია ციტატას (I. 19): „თუ გინდათ, მისმენთ მე, თუ არ გინდათ, არ მისმენთ“. წყალობის ძირითადი იარაღი მისთვის ლოცვაა: „არაფერი არ შეედრება ლოცვას, იგი შესაძლებელს ხდის შეუძლებელს, აადვილებს ძნელს“. მისი აზრით, შეუძლებელია, რომ მლოცველმა შესცოდოს.

იოანე ოქროპირის მიხედვით, სიკეთის იერარქია ამგვარად გამოიყურება: მოწყალება, სიკეთე და სიწმინდე. ღვთისა და მოყვასის სიყვარული ოქროპირისათვის ერთი და იგივე ცნებაა. ამაში იგი ეყრდნობა იოანე მახარებელს (13.35; 15, 13). მოყვასის სიყვარული ქრისტიანის გამორჩეული ნიშანია. თვით იოანე განუდგა მხოლოდ საკუთარ საქმიანობაზე ზრუნვას, როცა მიხვდა, რომ სხვისი სულის გამოსნისათვის უნდა იღვწოდეს.

იოანე ოქროპირის შემოქმედებას კარგად იცნობს ძველი ქართული მწერლობა. ქართულად თარგმნილია კომენური პაგიოგრაფიული თხზულება იოანე ოქროპირის ცხოერების შესახებ. (H 2124, 968 წ., 1-258; Ath. 3, 979-980 წწ., 1-131; Jer. 50, XI ს., 193-256; Jer. 142, XI ს. 1-139; და სხე. გამოც. რ. გეარამიასი, იოანე ოქროპირის ცხოერება, თბ., 1986). ქართულად თარგმნილია აგრეთე ოქროპირის „ცხოერების“ მეტაფრასული რედაქციის თხზულება ორჯერ: თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 36, XI, 75-199; A 140, XII-XIII სს. 45-121) და ეფრემ მცირის მიერ (S 384, XI-XII სს., 12-121; H 1347, XI-XII სს. 473-526 და სხე. გამოც. ნ. გოგუაძის მიერ, ძე. მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, 221-308). ქართულად თარგმნილია აგრეთე ორჯერ თხზულება, რომელიც იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილების კონსტანტინეპოლში გადმოსვენებას ეძღვნება (I – Ath. 3. 980 წ. 131-141; A 188, XIII ს. 94-100 და II – A 128, XII-XIII სს., 471-475. A 79, XIII ს., 426-434; Sin. 91, XIV ს., 195-203 და სხე.).

ქართულად თარგმნილია იოანე ოქროპირის მთლიანი თხზულებანი: 1. თარგმანება მათეს სახარებისა (A20; A 36; A 54; ქუთ. 19; ქუთ. 20; Jer. 115; Ath. 66; Ath. 67; Ath. 70; S 4928). 2. თარგმანება იოანეს სახარებისა, A 8; A 56; A101; A106; A481; A 631; A 699; Ath. 65; Ath.66; Jer. 145; ქუთ. 21; S 4928. ორიე თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს (ორიეე გამოც.: I სამ წიგნად, მეორე – ორ წიგნად, თბ., 1993 წ.). 3. თარგმანება დაბადებისა (Ath. 81). 4. ლიტურგია და ეამისწირვა, თარგმნილი მე-10 საუკუნემდე. 5. „მღდელობისათჳს“, A 26; A 375; A 663; 1842 წელს თარგმნილი რუსულიდან. კრებულები: „ასკეტიკონი“,

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი, რომელიც 19 თავისაგან შედგება (A 143). „კლიტე“ – შედგენილი გაბრიელ მცირის მიერ ოქროპირის ადრე ნათარგმნ თხზულებათაგან, 30 თავი (A227, S 127); „მრგვალტი, რომელ არს შეკრებული მრავალთაგან თქუმულთა იოანე ოქროპირისათა“ Ath.. 77; Sin. 85; A50, A 733; A 901; S 94, S345, S1582, S 3529; ინახება სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში-ძველი № 150 (XI ს.); თარგმნილი უნდა იყოს ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ; „ოქრო“ ან „ოქროს წყარო“ – ღმრთივშეუნიერნი სწავლანი“ S 2436; S 2600; S 3650 – შედგენილი გაბრიელ მცირის მიერ (გამოცემული პ. კარბელაშვილის მიერ 1905 წელს); „ეკუსთა დღეთათუს სოფლისა დაბადებისა“ - Jer. 44. ქართულად თარგმნილია იოანე ოქროპირის სხვადასხვა ეპისტოლეები, ჰომილია-ქადაგებანი (საუფლო დღესასწაულებზე – შობისათვის, ნათლისღებისათვის, ბზობისათვის, ვნებისათვის, აღდგომისათვის, ამაღლებისათვის; ღვთისმშობლისა და ანგელოზთა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა, მარტყოლთა, წმიდათა დღესასწაულებზე, მარხვისათვის, სწავლანი და მოძღვრებანი ზნეობრივ თემებზე და სხვ.) დაწერილებითი ბიბლიოგრაფია იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V). იოანე ოქროპირის თხზულებათა თარგმნა ქართულად შედარებით ადრე დაუწყიათ, მისი „სწავლანი“ გვხვდება ჯერ კიდევ „ხანმეტ ტექსტებში“ და სხვა უძველეს ხელნაწერებში. იოანე ოქროპირის ხსენების დღე – 13 ნოემბერი.

იოანე პეტრიწი – XI-XII სს-ის ქართველი თეოლოგი-ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი, მწერალი და მთარგმნელი. ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. წარმოშობით იგი იყო სამცხის დიდგვაროვანი ოჯახიდან. სწავლა-განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსები: მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. იოანე პეტრიწი აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში ამ პერიოდში ამ უკანასკნელ მოღვაწეთა თაოსნობით. თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნების გამო იგი იდევნებოდა ოფიციალური კონსერვატიული წრეების მიერ. 1083 წელს, როდესაც იოანე იტალოსი გაასამართლეს და გააძევეს, დევნა მის თანამოაზრეებზეც გავრცელდა. იოანე პეტრიწს მოუხდა კონსტანტინოპოლის დატოვება. მან მიაშურა პეტრიწონის ახლად დაარსებულ საეპისკოპოსო საეპისკოპოსოს, შეუერთდა იქაური ქართველ მოღვაწეთა დასს და იქ განაგრძო კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა (აქედან მომდინარეობს მისი ზედწოდება „პეტრიწი“). იგი გაუძღვა სემინარიას და ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმე მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. ერთხანს იოანე პეტრიწი ეფრემ მცირესთან ერთად შავ მთაზე მოღვაწეობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და გელათის აკადემიას ჩაუდგა სათაოეში. იოანე პეტრიწმა მრავალმხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა; მისი შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დავყოთ: ისტორიული, გრამატიკული, ასკეტიკური, ჰაგიოგრაფიული, ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური და ფილოსოფიური. იოანე პეტრიწმა იამბიკურად გალექსა იოანე სინელის ასკეტიკური თხზულება „კლიმაქსის“ ანუ „სათნოებათა კიბის“ “ პირველი ნაწილი; იოანე ბატონიშვილის ცნობით, იოანე პეტრიწს გადმოულია „მრავალნი წმიდათა ცხოვრებანი“. იამბიკოდ გადმოუღია ქრისტეფორე მიტილინელის „გალექსილი კალენდარი“, რომელსაც უწოდა „გალობანი ყოველთა წმიდათანი“. იოანე პეტრიწს ეკუთვნის ქრისტეფორე მილიტინელის ბერძნული თხზულების „პროლოღის“ მიხედვა, რომელიც მის წყაროს არ ჩამოუვარდება. „სპეკალში“ ანტონ კათოლიკოსი გვამცნობს, რომ იოანე პეტრიწმა ქართულად გადმოიღო „საღეთო წერილი“. იოანე პეტრიწს იამბიკოდ დაუწერია საღვთო წერილის კანონი ორ მუხლად, რომლებშიც აღრიცხულია სახარებები და 14 ეპისტოლის სახელები დასაწყისი მარცვლის აღნიშვნით. ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მემკვიდრეობიდან მანც ფილოსოფიური ნაშრომებია, რომლებიც წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებით: „განმარტება პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისა“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათუს კაცისა“ (გამოიცა 1914 წ.); პროკლე დიადოხოსის „კაეშარნი ღმრთისმეტყველებითნი“; არისტოტელეს ორი თხზულება – „ტოპიკა“ და „პერი-პერმენეია“ (განმარტებისათვის). იოანე პეტრიწის თარგმანი „კაეშარნი“-სა უძველესია პროკლეს თხზულების მსოფლიოში ცნობილ თარგმანთა შორის, მაგრამ უფრო საინტერესოა ის კომენტარები, რომლებიც მან დაურთო პროკლე დიადოხოსის შრომას. აქ ის წარმოგვიდგება პირველხარისხოვან, ღრმა მოაზროვნედ, რომელიც დაუფლებია ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფიის მწვერ-

ეალებს. იოანე პეტრიწმა სათავე დაუდო ჩვენში მთელ ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც შექმნა შესაფერისი ფილოსოფიური ენა, სტილი და ტერმინოლოგია. კ. კეკელიძის თქმით, ამ სკოლამ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს მწერლობაში. პეტრიწონის ლიტერატურულმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს და ლიტურგიულ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნებისა და მწერლობის განვითარებას. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო ქრისტიანული თეოლოგიის გამართლება ფილოსოფიის გამოყენებით, როგორც ფორმალურ-დიალექტიკურად, ისე შინაარსობრივად. მისი მიზანი იყო ნეოპლატონიზმის (კერძოდ, პროკლეს მოძღვრების) საფუძველზე მოეცა პლატონიზმისა და არისტოტელიზმის „სიმფონია".

იოანე სინელი (ცნებამდე; 575-650) – სინის მთის მონაზონი და მწერალი, ცნობილია აგრეთვე, როგორც „სქოლასტი". 16 წლის ასაკში ის შევიდა აბა მარტირიუსის სკოლაში სინაზე, რომლის გარდაცვალების შემდეგ შეცვალა იგი. სინაზე მას ირჩევენ წინამძღვრად. იოანე ბევრს მოგზაურობს ეგვიპტეში და გაიცნობულია იმ სამონასტრო კომპლექსით, რომელიც იხიერა აქ, კერძოდ ანაკორეტის ლავრით და მონასტრით, სადაც ერთი თვე დაჰყო.

იოანე სინელის მთავარი თხზულება „კლემაქსი" („კიბე"), რომელშიც ის მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების კეთილისმყოფელ მხარეებზე, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების შესახებ, რომელიც ქრისტიანული სრულყოფილების იდეალს წარმოადგენს. „კლემაქსი" ქართულად სამკერ უთარგმნიათ: პირველი თარგმანი შესრულებული უნდა იყოს IX ს. ადრე (Sin. 35, 907 წ.), მეორედ იგი უთარგმნია ეფთვიმეს (A 285, XI ს. 110-230; A 445, XI ს., Ath. 5, 983 წ. და სხვ. (გამოც. 1902 წ. ქ. ფოთში; იგივე: საქ. ეკლესიის კალენდარში, 1986 წ., გვ. 212-484). შემდეგი თარგმანი ეკუთვნის პეტრე გელათელს (XII ს.) –A 39, XIII ს., 1-217 და სხვ., არსებობს აგრეთვე „კლემაქსის" მიხედვით დაწერილი ორი ნაშრომი: იოანე პეტრიწს ეკუთვნის თარგმნილი „კლემაქსის" I ნაწილი გაუელქაზე იამბიკურად (გამოც. ი. ლოლაშვილისა, სათხოვნათა კიბე. თბ., 1968), ხოლო II ნაწილი, ასევე იამბიკურად დაუსრულებია ანტონ I-ს.

იოანე ტარიჭისძე – XI-XII სს. ქართველი მწერალი, მთარგმნელი. იოანე მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენ იყალთოელთან ერთად. ბიოგრაფიული ცნობები იოანე ტარიჭისძის შესახებ არ შემონახულა. ანტონ კათოლიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში" მას სიბრძნის მოყვარეს, ღვთისმეტყველსა და პიიტიკოსს უწოდებს, ხოლო იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" აღნიშნავს, რომ მან გადმოიღო ქართულ ენაზე „მრავალნი სალმრთო წერილნი, იყო მოშაირე, პიიტიკოსი და მრავალნი ქართველნი განასწაულნა სიბრძნის მოყუარებასა შინა" (კალმასობა, II, 177). ჲ. იოსელიანის ცნობით, მას უთარგმნია ბერი ძეგლი, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ბევრი რამ, რასაც მას მიაწერენ, იოანე პეტრიწს ეკუთვნის. კ. კეკელიძე იოანე ტარიჭისძეს ნეოპლატონისტად თვლის და მას მიაწერს ამონიოს ერმისის ორი თხზულების თარგმანს, რომელსაც სხვა მკვლევარნი (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი) იოანე პეტრიწს მიაკუთვნებენ.

იოანე შრჯაელი კათოლიკოსი – სირიელი მღვდელმთავარი, როგორც ეს მის „ცხოვრებაშია" დადასტურებული, რომელიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის ცნობილი, მისი დედანი არ არის შემონახული, ან ჯერ არ არის ცნობილი. ის ყოფილა სირიის ქალაქ ედესის მღვდელმთავარი (ურჰა – ედესის სირიული სახელწოდებაა). იოანეს „ცხოვრება", რომელსაც ორიენტალისტიკის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ერთ, XI ს. ქართულ ხელნაწერს შემოუნახავს, რომელიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსაელურ ხელნაწერთა კოლექციაში (Addit. 11281, რომლის მიხედვით იგი ორჯერ არის გამოცემული: 1. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები... VII, თბილისი, 1961, 114-129 (ქართული ტექსტი რუსული თარგმანით); 2. ვ. იმნაიშვილის მიერ, მამათა ცხორებანი, თბილისი, 1975, 234-355). ქართული თარგმანის საფუძველზე X ს. I ნახევარში შეუდგენიათ იოანე ურჰაელის საგალობელი, რომელიც შესულია მიქაელ მოდრეკილის პიმნოგრაფიულ კრებულში (ადგარში – S425, X ს. II ნახევარი) და გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები VII, გვ. 129-135.

იოანე ძოზიბელი შეკუნებული – ქართულად თარგმნილია მისი ერთი „შესხმა": „ძმაო, მე ვიწყო სიტყუად მამისა იოანწმოთჳს" (Addit 11281 (XI); 319-333. გამოც.: კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები VII, გვ. 129-135.

იოანე ძოზიბელი შეკუნებული – ქართულად თარგმნილია მისი ერთი „შესხმა": „ძმაო, მე ვიწყო სიტყუად მამისა იოანწმოთჳს" (Addit 11281 (XI); 319-333. გამოც.: კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები VII, გვ. 129-135). ხსენების დღე 8 ივნისი.

იოანე ძონძაზისძე – X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი, ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შემონახულა. მიჩნეულია ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში" შესულია მისი ერცელი იამბიკური საგალობელი „გალობანი ქრისტეჲს ნათლისღებისანი და პაპო ისპასტელისაჲ ქართველისანი" (S425, X ს.).

იოანე ძსიფილინოსი – X-XI სს-ის ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. მან გაწაგრძო სვიმეონ მეტაფრასტის (იხ.) მიერ წამოწყებული წმინდანთა „ცხოვრებების" გადაკაზმვა, გადაამეტაფრასა შვიდი თვის (თებერვალ-აგვისტო) წმინდანთა „ცხოვრება-წამებანი", რომელთა უმეტესობა მხოლოდ ქართულ თარგმანში შემონახულა. ამგვარად, ქართული თარგმანები იძლევიან შესაძლებლობას შუა საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსებისას (კ. კეკელიძე). იოანე ქსიფილინოსის თხზულებები, კ. კეკელიძის ვარაუდით, თარგმნილი უნდა იყოს XII საუკუნეში, მეფე დიმიტრი I დროს (1125-1156), ხოლო თარგმნის ადგილად გელათის აკადემია. ქსიფილინოსის მიერ გადამეტაფრასებული ეს ჰაგიოგრაფიული კრებული დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონეა. მასზე დაყრდნობით გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ რამდენიმე საინტერესო თხზულება: „ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მოწამეთა ორენტოს, ერატოის, ფასანაკოის, ფირმოს, ფირმინოს, კურიაკოს და ლონგინოზაჲსი", „ იოსებ მონაზონისა ჭურჭელთ მცველისაჲ ცხოვრებისა მიმართ და საკურველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარქმნილისათა" „ცხოვრებაჲ და მოქალაქობა წმ. და ნეტარისა მარტინე პრომთა... მთავარეპისპოპისა " და სხვა. იოანე ქსიფილინოსის თხზულებები თავმოყრილია ხელნაწერებში: ქუთ. I (აგვისტო), ქუთ.2 (მარტი), ქუთ.3 (ივნისი), ქუთ.4 (ივლისი), ქუთ.7 (აპრილი). ჯერჯერობით არ ჩანს მაისისა და თებერვლის თვის ქსიფილინოსისეული ხელნაწერები.

იოანე შავთელი – XII-XIII სს-ის ქართველი მონაზონი, პოეტი; არსებობს ცნობა, რომ იგი გელათში მოღვაწეობდა; „აბდულმესიანის" ზოგიერთი ნუსხის მიხედვით, ეს ხოტბა შექმნილი უნდა იყოს გელათის მონასტერში. ამავე ცნობით, იოანე შავთელი, გელათს შემოსაზღვნელი, იქვე უნდა გარდაცვლილიყო (H 391, 4). მემატიანის ცნობით, იგი თამარს ახლდა ბასიანის ბრძოლის დროს ოძრხესა და ვარძიაში. მას შეუთხზავს აგრეთვე „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი". იგი რომ ბერად იყო შემდგარი, ამაზე პირველყოფილისა მიუთითებს მის თხზულებებში გამოელენილი ღრმა სალთის-მეტყველო განათლება და წყაროებში მისი მისამართით ნახმარი გამოთქმები: „ნეტარი", „წმინდანი" და სხვა. „აბდულმესიანში" იოანე თავის თავს „მწირად" და „მსხმად" მოიხსენიებს.

იოანე შავი – იხ. შავ-იოანე.

იოანე ჭყონდიდელი – XI-XII სს.. ჭყონდიდის ეპისკოპოსი. ჯერ კიდევ ერისკაცობაში იოანე და მისი ძმა, პეტრე პატრიკი (ვესტი) ბაგრატ IV-სა და მარიამ დედოფალს ახლდნენ ბიზანტიის სამეფო კარზე, სადაც ისინი შეხვდნენ ათონიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმიდელს და დიდი შესწირავი უძღვნეს ქართველთა მონასტერს. ამისთვის იოანეს და მის ძმას ათონზე აღაპი დაუწესეს (იხ. ელ. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 137-138). ამ დროისთვის ორივე ძმა ერისკაცი ყოფილა. ბაგრატის დაპატიჟებით იოანე ჭყონდიდელმა ქ. ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი მთაწმიდელი. მისი ინიციატივით იოანე ჭყონდიდელად აკურთხეს. იოანემ დიდი დახმარება აღმოუჩინა გიორგი მთაწმიდელის საქართველოში საეკლესიო საქმეების მოგვარება-მოწესრიგებაში. 1065 წელს იოანე და მისი ძმა პეტრე გაჰყვნენ მხლებლებად უფლისწულ მართას, როშელიც მოპატიჟებული იმპერატორის, მიხეილ დუკას საცოლე იყო. 1066-67 წლებში ის კვლავ ბიზანტიის იმპერატორის კარზეა ბაგრატის „მოციქულის" როლში. სწორედ ამ ელჩობის დროს უნდა ეთხოვა იოანე ჭყონდიდელს გიორგი ხუცესმონაზვნისათვის, აღეწერა გიორგი ათონელის ცხოვრება. 1085 წელს იოანე ჭყონდიდელი სვინგელოზის პატივით დაიკრძალეოდეს.

იოანე ხუცესი – V ს. საეკლესიო მწერალი, წმინდანი. იგი იყო სარკინოზი, რომელსაც წმინდა ეპიფანემ აუხილა თვალი და აზიარა ჭეშმარიტებას. მან დაწერა „ცხოვრებაჲ, სასწაული და საკურველებანი წმიდისა ეპიფანე ეპისკოპოსისაჲ კუპრელისა". საინტერესოა, რომ იოანე ხუცესმა მოძღვრისაგან ფარულად აღწერა მისი ცხოვრების I ნაწილი, ხოლო შემდეგ დასნეულდა და გარდაცვალების წინ თავისი საიდუმლო გაანდო ეპიფანეს მეორე მოწაფეს – პოლიბიოსს და სთხოვა მას, გაეგრძელებინა ეპიფანეს „ცხოვრების" წერა. იოანე ხუცესის და პოლიბიოსის თხზულება ქართულად ადრეეე

თარგმნილი (Sin. 6, 981 წ. 84-169 გამოც. ივ. იმნაიშვილისა, საკითხავი წიგნი ძვ. ქართ. ენაში, II. თბ., 1966, 92-142).

იოანიკე (რუდნეი) – იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდის საქართველოში.

იოანიკე ბერი – იოანიკე დიდი, ბითვინიელი მოღვაწე (752-846); დაიბადა ბითვინიაში, სოფ. მარიკათში, ღარიბი მშობლების ოჯახში. ბავშვობიდანვე ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. 6 წელი სამხედრო სამსახურში იყო, შემდეგ განმარტოდა უდაბნოში. სამი წელი იცხოვრა სრულიად მარტომ. 12 წლის შემდეგ ბერად აღიკეცა. იცხოვრა ღრმა მოხუცებულობამდე (გარდაიცვალა 94 წლის ასაკში). დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველების უნარით. მას შეეთხზავს: 1. „ეპისტოლე მეფისა მიმართ მორწმუნისა“, რომელშიც დარიგებას აძლევს მეფეს, რომლის სახელი „ხარისხად სრულთა სათნოებათა და სიმტკიცედ წყალობისათა ითარგმნების“; ჩანს, რომ ის გულისხმობდა „თეოდორა დედოფალს“ (კ. კეკელიძე). (A 55, 340-431; Ath. 49, 72-74). 2. იამბიკონი მოციქულთა აღსრულებისანი (S 379, 193-94).

იობი – ერთ-ერთი ბიბლიური წიგნის („წიგნი იობისა“) მთავარი პერსონაჟი. ღმერთმა იობი ბეკრჯერ გამოსცადა ეშმაკის ჩაგონებით და მეშვეობით მრავალი სატანჯველის მოელენით. ღვთისმოსაობა იობმა ყველა განსაცდელს გაუძლო და მოთმინებისათვის ღვთისაგან დაჯილდოდა. იობის სახელით ცნობილი წიგნის აეტორის ვინაობა დადგენილი არაა. წიგნის თხრობითი ნაწილი პროზითაა დაწერილი, ხოლო დიალოგი მის მეგობრებსა და იობს შორის – ლექსად. დიალოგი მათ შორის სამი ციკლისაა, მთავარი საგანი არის მარადიული პრობლემა უდანაშაულო მსხვერპლისა და ენებისა. იობი გამოხატავს ტრადიციულ თვალსაზრისს, რომ ენება, ტანჯვა არის ცოდვის შედეგი. მას ეჭვი არ ეპარება თავის ცოდვილობაში. მიზანი მისი ტანჯვისა არის ცდა განსაცდელის დათმენისა. ახალ აღთქმაში საყოველთაოდ ცნობილი იყო იობის დათმენა. არსებობს მოსაზრება, რომ „იობის წიგნი“ ძვ. წელთაღ. V ს-ისა უნდა იყოს. ფანრობრივად „წიგნი იობისა“ უახლოვდება ალმოსავლეთში კარგად ცნობილ და გავრცელებულ „სიბრძნის ლიტერატურას“. წიგნის უძველესი ქართული თარგმანი შემონახულია ოშკის (Ath. 1) ბიბლიაში, რომელიც თარიღდება 978 წლით. „წიგნი იობისა“ გამოც: ელ. დოჩანაშვილის მიერ, „მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1983, 100-150.

იობ ფიტარელი – ფიტარეთის მონასტრის XVIII ს. წინამძღვარი, მწიგნობარი, მქადაგებელი; ანტონ I-ის წყობილსიტყვაობაში ის დახასიათებულია, როგორც „საღმრთო წერილთა შინა გამოცდილი, უცხო მქადაგებელი და მესაზღვრეთა მსმენელთა, მწერლობასა შინა პირველი და მუსიკობითა ქებული“, რომლის „მუსიკობანი“ თავად პოესმენია ანტონს. ე. იოსელიანის ცნობით, იობმა ცხოვრების უკანასკნელი წლები თბილისში გაატარა, კათოლიკოსის კარზე. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერთა გამრავლებაში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია სულხან-საბა ორბელიანთან. როგორც საბა წერს, იობ ფიტარელს უცდია მისი ლექსიკონის მითვისება, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ საბა ახასიათებს მას, როგორც „კეთილად სწაელულ, შეუნერებრახველს, მეფუსალმუნე, მეეკმნე, მგალობელად ქებულს, შეიდეულით მმარხველს, შესაფრელად საყვარელს“.

იობ ფინამძღვარი – დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის XVIII ს. წინამძღვარი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის აქტიური თანამშრომელი. თითქმის ყველა ნუსხა ბესარიონს იობთან ერთად დაუშაზადება. ზოგიერთ ანდერძ-შინაწერში იობ წინამძღვარი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მუშაობდა „ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისათა“ (A 12, 470). ზოგჯერ იგი დამოუკიდებლადაც ამრაელებდა ნუსხებს. 1715 წელს გადაწერა და დიდოს მონასტერს შესწირა სპას ლავრის ტიპიკონი (A1348). მანვე გადაწერა მაქსიმე აღმსარებელის „ცხოერება“ და თხზულებანი (A 636), რომელიც 1728 წელს შესწირა ნათლისმცემლის მონასტერს. იობ წინამძღვარს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის ფორმირების საქმეში. ხშირად იობ წინამძღვარს ურევენ იობ ფიტარელში, მაგრამ ეს შეცდომაა, ისინი სხვადასხვა პირები ჩანან.

იოსებ//იოსებ//იოსებიანი – შუა საუკუნეების ლეგენდით, ინდოეთის მეფის, აბენესის ვაჟი, რომელიც მოექცა ქრისტიანობაზე მუედაბნე ბალაამარის გაელენით. იოდასაფი არის ბოდისატვას (ბუდას) ტიტულის დამახინჯებული ფორმა (იხ. სიბრძნე ბალაამარისა).

იოველი – ბიბლიური 12 მცირე წინასწარმეტყველთაგანი, რომლის შესახებ მოგვითხრობს ბიბლიის „იოველის წიგნი“. დაბადებული უნდა იყოს იუდაში. წიგნის დიდი ნაწილი შესრულე-

ბულია ლექსად და ორ ნაწილად იყოფა. ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ელ. დოჩანაშვილის მიერ („მცხეთური ხელნაწერი", თბ., 1986,52-56).

იონა (ვასილეესკი, † 1849 წ.) — იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდის საქართველოში.

იონა — გადამწერი, მოხსენიებულია იერუსალიმის ერთი (Jer. 2) ხელნაწერის XI ს. ანდერძში: „ესე ახალი თარგმნილი წმიბაჲ დიდებულთა და ღუაწლის მძლეთა ახოვანთა ამას მოწამეთა მე, სულთა საწყალობელმან იონა, ეპიე კალიპოსს ხახულით მოღებული". მინაწერიდან ირკვევა, რომ კალიპოსში დაცული ეს ხელნაწერი ხახულიდან ყოფილა ჩამოტანილი. ნ. მარი მთელ ხელნაწერს მიიჩნევდა ხახულიდან მომდინარედ. ხახულის მონასტრის ეს ძვირფასი ხელნაწერი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში მოთავსებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების" ერთადერთი, 1845 წლამდე გამოუვლენელი ტექსტის შემცველი ხელნაწერი.

იონა — ბიბლიური 12 მცირე წინასწარმეტყველთაგანი, რომლის შესახებ მოგვითხრობს „წინასწარმეტყველება იონაჲსი". იონას წიგნში მოთხრობილია, როგორ მოუწოდა ღმერთმა იონას, წასულიყო ნინევიაში, ასურიის დედაქალაქში, და იქადაგოს სინანული. იონას დაუმორჩილებლობის ცდა დამთავრდა იმით, რომ იგი ჩანთქა ვეშაპმა. წიგნი გვაუწყებს, როგორ გადაარჩინა იონა სამი დღე-ღამის შემდეგ.

იონას სიმბოლო ახალ აღთქმაში განხილულია, როგორც ქრისტეს აღდგომის წინასწარმეტყველება (მათე 12.40; 16,4; ლუკა 14,30). იონას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანი გამოცემულია ელ. დოჩანაშვილის მიერ, მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1986, 69-72.

იონა ერისკაცობაში ხელაშვილი (1775-1838) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მქადაგებელი. თავდაპირველი განათლება მიიღო მეტეხის სკოლაში დეკანოზ იესესთან (იხ.), შემდეგ განაგრძო სწავლა თელავის სემინარიაში დაეით რექტორთან. საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლება მიიღო პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის აკადემიაში. ერეკლე II და გიორგი XII მას მშობლიურ მფარველობას უწევდნენ; მათი გარდაცვალების შემდეგ, 1800 წელს ოთარ ხელაშვილი ჩამობრძანდა კარს, ბერად აღიკეცა და ქუთაისელის მონასტერს შეეფარა. იონა ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. იგი ფარნაოზ ბატონიშვილს გაჰყვა რუსეთში, სადაც ჯერ მოსკოვისა და შემდეგ პეტერბურგის ქართულ კოლონიებში მოღვაწეობდა დაეით, იოანე და მიხეილ ბატონიშვილების კარზე. 1809 წელს ის შეივიდა სასულიერო აკადემიაში, რომელშიც 3 წელი სწავლობდა, შემდეგ ეკურთხა მღვდლად და საბოლოოდ დამკვიდრდა პეტერბურგში. იქ მან გარს შემოიკრიბა იქაური ქართველობა და ნაყოფიერი კულტურული მუშაობა გააჩაღა. იგი თანამემამულეებს თაოსნობდა სხვადასხვა საქმიანობაში. 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ იონა ხელაშვილმა დაწერა „რონინი" (H 2226), რომელშიც გამჟღავნებულია მისი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა. იონა ხელაშვილს შეუდგენია ლექსიკონი, რომელიც დასაბეჭდად გაუგზავნია თბილისში ს. დოდაშვილისათვის, მაგრამ ლექსიკონი არ გამოცემულა. ამჟამად იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2226, გვ. 102-104). კარგა ხანს მის ავტორად იონე ბატონიშვილი მიაჩნდათ. მისი ნაწარმოებები ძირითადად ღვთისმეტყველური შინაარსისაა. ისინი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. იონა ხელაშვილი არის დაეით ბატონიშვილის „კალმასობის" მთავარი მოქმედი პირი (S 273, S285).

იონა _ მოსკოვის სამებისა და სერგის მონასტრის მონაზონი, რომელმაც 1648-1652 წწ. იმოგზაურა იერუსალიმში და დაგვიტოვა ცნობები იქაური ქართული მონასტრების შესახებ (Хождение в Иерусалем и Царгород черного диакона... по прозвищу Маленького; Сб., 1882, გე. 21-24; კერები, II).

იონა და ბარაქისოს — მოწამე ძმები — იონა და ბარაქისოს იყვნენ ქრისტიანები; ცხოვრობდნენ იასში, სპარსეთში, შაბურის (310-311) მეფობის დროს. ამ ხანებში ქრისტიანები სასტიკად იდევნებოდნენ. ძმები სხვა ქრისტიანებს აქეზებდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ ქრისტეს რჯულზე, რისთვისაც ისინი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს. პირველად ეუნო იონა: მას ცოცხლად გააძვრეს ტყაპი და შემდეგ შუაზე გახერხეს. წმ. ბარაქისოს ხელებზე გახურებული ბორკილები ჩამოაცვეს და გამდნარი ტყვია ჩაასხეს პირსა და ყურებში. ასეთი წამებით მოკლეს ორიე ძმა. მათი „წამების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 2, XVI ს. 374-383). ხსენების დღეა 20 მარტი.

იონა მიტროპოლიტი (გედევანიშვილი) — XVIII სს. მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი მღვდელმთავარი,

ანტონ კათოლიკოსის აღზრდილი. 1755 წელს იგი ანტონმა რუისის მიტროპოლიტად აკურთხა. 1780 წ. საეკლესიო კრებამ მას რაღაც დანაშაულისათვის მღვდელმსახურება აუკრძალა და ეპარქია ჩამოართვა. ითნა საქართველოდან წავიდა, რათა აღმოსაელეთის პატრიარქებისაგან კურთხევა მიეღო და აყრილი პატივი დაებრუნებინა. ამასთან ერთად მას წმინდა ადგილების მოხილვაც აქონდა განზრახული. მგზაურობა დაიწყო 1783 წელს, მოიარა ათონი, საბერძნეთი, საბერძნეთის კუნძულები, სინის მთა, იერუსალიმი, ეგვიპტე, ვენეცია, ავსტრია, რუმინეთი. სულ 12 წელიწადს მოგზაურობდა. ცხოერების ბოლოს კიევსა და მოსკოვში ცხოვრობდა. გარდაიცვალა მოსკოვში 1821 წ. დასაფლავებულია მოსკოვის „ლეონიმშობლის საფარველის" მონასტერში. იონამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა ერთ წიგნად, რომელსაც პირობითად „მიმოსლვა" ეწოდება. გარდა ამისა, შემოგვრჩა მისი შრომა – ცნობები თავისი წინაპრებისა და ნათესავების შესახებ. „მიმოსლვა" გამოსცა პლ. იოსელიანმა 1852 წ. ტექსტი შემორჩენილია რვა ხელნაწერით (იხ. ა. ჭაბაშვილი, „ზოგიერთი ცნობა იონა გედეონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ", მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1979).

იორდანოს – იხ. სუქიოსი.

იორდანე – დავით კურაპალატის თანამედროვე უნდა იყოს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ S 376 ხელნაწერის მინაწერის მიხედვით ბასილი დიდი კესარიელის „ითიკა", რომელიც უფთიმეს უთარგმნია დავით კურაპალატის ბრძანებით, საქართველოში მას ჩამოუტანია.

იოსები – ბიბლიური პერსონაჟი, იაკობისა და რაქილის პირმშვენიერი ძე, რომელიც შურაინმა ძმებმა წაიყვანეს ეგვიპტეში და გზად ჭაში ჩაგდეს. შემდეგ საყროველში მოხვდა, ხოლო ბოლოს ფარაონის კარზე აღზევდა. მან მამა და ძმები მოიწვია ეგვიპტეში (დაბადება თ. 42-50). იოსების სიკვდილის შემდეგ ებრაელები მძიმე ღღეში აღმოჩნდნენ. მონობისაგან თავი დაღწიეს მოსეს წინამძღოლობით და ქანაანში დაბრუნდნენ. თქმულება იოსების შესახებ ებრაელთა ისტორიაში მომხდარი მიგრაციების გამოძახილია. მისი ცალკეული სიუჟეტები დამუშავებულია, როგორც მხატერულ ლიტერატურაში, ისე სახეით ხელოვნებაში.

იოსები – იხ. ისაკ და იოსები.

იოსები – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. თბილისის მიტროპოლიტი, თბილელი, პოეტი (საკაძე), გიორგი საკაძის ძმისწული (1620-1688 წწ.). იოსები იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის და მსხვერპლად შეეწირა გიორგი XI-ის მომხრე არაგვის ერისთავთან ბრძოლას. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ეპიური ტილო „დიდმოურავიანი", რომელიც წარმოადგენს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველ გმირულ ეპოპეას, იოსებ თბილელმა ხოტბა შეასხა დიდ მოურავს – გიორგი საკაძეს. ძველი ამაე დროს მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროცაა (პირველად გამოიცა პ. იოსელიანის მიერ 1851 წ.). გარდა ამ ნაწარმოებისა, იოსებ თბილელს გაულეშაეს აგრეთვე სასულიერო ხასიათის თხზულებები: „ცხორება და მოქალაქობა ალექსი კაცისა ღმრთისა", „წმიდათა კრებათათჳს"., „ქებაჲ და წამებაჲ წმიდისა მარინასი, თქმული შაირად", „ანბანთქება" და სხვ. იოსებ თბილელი „ეკუზისტყაოსნის" ერთ-ერთი გამგრძელებელია (მას ეკუთვნის დანართის 67 სტროფი). მან დააარსა თბილისის სიონის ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც თვითონ მრავალი წიგნი შეუძენია.

2. მანგლისის ეპისკოპოსი. იგი მოწმეა და ამტკიცებს 1702 წ. საბუთს „განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რაობის თაობაზე" (სამართლის ძეგლები, III, გვ. 633-635).

3. სამების, შემდეგ წილკნის ეპისკოპოსი (ქობულაშვილი). XVII ს. მიწურულს და XVIII ს. დასაწყისში, ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მესტამბე. თავდაპირველად მოღვაწეობდა შიომღვიმეში, შემდეგ იყო ჯერ სამების (1695), ხოლო მერე წილკნის ეპისკოპოსი. იოსებ სამებელი ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა რუსეთში. ჯერ ვორონეჟის მონასტერში შეღგა ბერად, შემდეგ კი პეტერბურგში გადაეიდა. 1734 წელს ნოვგოროდის იურის მონასტერში შეღგა; აქედან ისევ პეტერბურგში გადაეიდა. სათაეში ჩაუღგა ქართული სტამბის დაარსების საკითხს მოსკოვში, სადაც გადასახლდა 1742 წელს. ქრისტეფორე გურამიშვილთან ერთად (დავით გურამიშვილის ძმა) პეტერბურგის მეცნ. აკად. სტამბაში ჩამოასხა ქართული შრიფტი. აქვე დაბეჭდა „რუსულ-ქართული ანბანი". 1737 წელს კი ბაქართან ერთად დაარსა ქართული სტამბა და ხელი მიჰყო საგამომცემლო საქმეს. 1743 წელს ბიბლიის უნებართეოდ დაბეჭდვის გამო სტამბა დაიხურა. გარდაიცვალა ყიზლარში.

4. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1755-64 წწ., რუსთაველი ეპისკოპოსი (ჯანდიერაშვილი). იოსები კათოლიკოსად დადგინა 1755 წლის საეკლესიო კრებამ, რომელმაც გადაჯვნა ანტონ I. მეფე ერეკლე II დროს, 1762 წელს ერეკლეს და იოსებ კათოლიკოსის ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც შეიმუშავა საგანგებო დადგენილებები მღვდელმსახურების დარღვევათა აღმოსაფხვრელად. კრების აქტები შეიცავს II მუხლს მღვდელმთავართა და მღვდელთა მოვალეობის შესახებ. 1764 წელს იოსები გადააყენეს ანტონ I-ის კათოლიკოსად აღდგენის გამო.

5. რუისის მთავარეპისკოპოსი XVIII საუკუნეში. მისი სახელი მოხსენიებულია 1748 წლის საეკლესიო კრების კანონების ბოლოს დართულ ხელრთვებში და საბუთში, რომელიც ეხება „დაკარგულ სიგელთა განახლების წიგნს ანტონ II-ისა ზაზა დეკანოზიშვილისადმი“ (1802 წ.). შესაძლოა, იოსებ მროველი იყოს მოხსენებული სოლომონ I და საეკლესიო კრების განწესებაში (იხ. სამართლის ძეგლები, III, 316; 280, 505).

6. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1769-1776), გელათის მიტროპოლიტი (1745-76), ალექსანდრე იმერეთის მეფის ძე, მეფე სოლომონ I-ის ძმა. იოსები ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოძრაობის იყო. მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და გონიერმა მღვდელმთავარმა. 1760 წელს გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში ააშენა სამღვდელმთაროო ქვის ტახტი, რომლის წარწერაში თავად არის მოხსენიებული. აქვეა გამოხატული მისი ფრესკაც (ჩრდ. სვეტზე). მანვე სცადა ნიკოლოზის ეკლესიის განახლება. სოლომონ I-ის დავალებით იოსები სახელმწიფოებრივ საქმეებშიც ერეოდა. 1766 წელს ის ოსმალებს ეწვია იმერეთის საქმეების მოსაგვარებლად. დიდი დახმარება გაუწია მეფეს რაჭის ერისთავის, როსტომის წინააღმდეგ ბრძოლაში და მის საბოლოო დამარცხებაში. იბრძოდა დას. საქართველოს ეკლესიის ერთიანობისათვის, ამიტომაც არ სცნობდა დადიანის მიერ ახლად დადგენილ ოდიშის კათოლიკოს-პატრიარქს. მას პოლიტიკურ-კონფესიურ ნიადაგზე უმწყრალება ჰქონია იმ დროს იმერეთში მყოფ იტალიელ მისიონერებთან. ცნობილია იოსებ გელათელის მიერ მოგებული ხელნაწერები. მან ჯერ კიდევ მიტროპოლიტობის დროს „დაკარგული ძმიელი“ და გიორგის ტაძარს შესწირა იოანე ქსნელი-ნოსის შრომების კრებული. მანვე დაიხსნა ვანის სახარება (1335,273). იოსებ კათოლიკოსმა 1761 წელს თბილისის ჯვარის მონასტრის დეკანოზს იოანეს გადაწერინა სჯულისკანონი (ქუთ. 26), 1776 წელს გადაწერილი „კლემაქსი“ და ორი სხვა ხელნაწერი გელათს შესწირა. 1766 წელს, ოსმალეთს გამგზავრების წინ, გელათის ტაძარს შესწირა მრავალი ხელნაწერი წიგნი (სახარება, სამოციქულო, დავითნი, გულანი და სხვა).

7. ურბნისის ეპისკოპოსი XVIII საუკუნეში. მისი სახელი არის მოხსენიებული სიაში „ყოველად სამღვდელონი მღვდელმთავარნი ქართლისა და კახეთისანი“ (სამართლის ძეგლები, III, 373) და აგრეთვე ხელრთვაში „წყალობის წიგნი იოსებ ურბნელისა რეჟაზ ჟორჟოლაძისადმი“ (სამართლის ძეგლები, III, 178). მისი დაკალებით სიონის დეკანოზს ნიკოლოზს გადაუწერია (1768 წ.) სგალობლები (H 656).

იოსებიი – რამდენიმე ქართველი სასულიერო მოღვაწისა და კალიგრაფის სახელი:

1. სინის მთის X ს-ის ქართველი მონაზონი, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ხელნაწერთა დამზადების საქმეში, მათ გამრავლებასა და გადაწერაში.

2. ჯვარის მამა და არქიმანდრიტი XIV საუკის დამლევსა და XV საუკუნის დასაწყისში (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია ელ. მეტრეველის წიგნში, მასალები იერუსალიმის... ქართ. კლონის ისტორიისათვის თბილისი, 1962, გვ. 35

3. ჯვარის მონასტრის წინამძღვარი XVI საუკუნეში, მამა ეპიფანეს (იხ.) შემდეგ. ტ. კორობეინიკოვის (იხ.) ცნობით, ის ჯვარის გარდა კიდევ რამდენიმე სხვა ქართული მონასტრის საქმიანობას განაგებდა.

4. დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის წინამძღვარი XVI ს. II ნახევარში. მისი დაწერილია „შეწირულების წიგნი ნიკოლაოს კათოლიკოსისა დავით გარეჯისადმი“, 1582 წელს.

5. მეფის კარის წინამძღვარი, ერეკლე I-ის თანამედროვე. მისი სახელი არის მოხსენებული 1748 წლის საეკლესიო კრების კანონების ხელრთვებში.

6. XIV საუკ. აღდგომის ეკლესიის ქართველი მონაზონი, დახელოვნებული მკაზმველი (ხუნტუს ძე). მოღწეულია მის მიერ შეკაზმული რამდენიმე ხელნაწერი: „მამათა ცხორება“ (Jer. 51), წინასწარმეტყველთა საკითხაები (Jer. 66), მოზრდილი კრებული, რომელშიც „პალეაიანის“ მოკლე რედაქციის ყველაზე სრული ტექსტია შესული (Jer. 35) და სხვა. იოსებ ხუნტუსძე იხსენიება სინის მთის სულთა მატ-

იანეში (ი. ჯავახიშვილი, სინის მთის... გე. 243). მისი მინაწერი გვხვდება აგრეთვე ენაში დაცულ ხელნაწერში (Geor. 2).

იოსებ ამბა ალავერდელი – საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგან, იოანე ზედაზნელის (იხ.) მოწაფე, ალავერდის მონასტრის აღმშენებელი. იოსები თან მოჰყვა იოანე ზედაზნელს ანტიოქიიდან VI საუ. შუა წლებში და მოღვაწეობდა მისი ხელმძღვანელობით. თავდაპირველად ცხოვრობდა ზედაზენზე, შემდეგ იწყო სამოღვაწეო ადგილის შერჩევა, გადაეცა კახეთს და მივიდა იმ ადგილას, „რომელსა ეწოდების ალავერდი" და „დაჰკუდრა მას შინა ადგილსა უდაბნოთსა, უშენოსა და უკალთა კაცთაგან და უნაყოფოსა" და დაარსა მონასტერი იქ, სადაც დღეს დგას ალავერდის დიდებული ტაძარი, რომელშიც თვითონ არის დასაფლავებული. მისმა მოღვაწეობამ გამძლეკა აქ ქრისტიანობა: „ურწმუნოება სრულიად წარდევნა და ღვთისმსახურება ესრეთ პატიოსნად აღაორძინა და ადგილი ესე განავრცელა კაცთა მერ და ალავსო კრებულითა სულიერითა". იოსებ ალავერდელი მოხსენიებულია დავით გარეჯელის და შიო მღვიმელის „ცხოვრებათა" მეტაფრასულ რედაქციებში (XII ს.). მოგვიანებით (XVIII ს.) შეუდგენიათ იოსებ ალავერდელის სვინაქსარული „ცხოვრება" (ძეგლები, IV, 1968, გე. 403-406).

იოსებ არიმათიელი – ებრაელთა სინედრიონის წევრი, ქრისტეს ფარული მოწაფე. როგორც სინედრიონის წევრი, იგი არ მონაწილეობდა იუდეველთა საბჭოში, რომელმაც ქრისტეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იოსებმა პილატეს გამოსთხოვა მისი გვამი. ნიკოდიმოსთან ერთად ჯვრიდან ჩამოხსნა ქრისტე, შეახვია სუდარაში და დაფლა გეთსიმანიის ბაღში. საფლავს მიაყუდეს მძიმე ქვა და წავიდნენ (ლუკა 23.50; მათე 27-60; მარკოზი 15.46; ლუკა 23.53, იოანე 19.42). ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარების მიხედვით იოსებ არიმათიელი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პირველი ქრისტიანული თემის შექმნაში ქ. ლიდიაში. ხსენების დღეა 17 მარტი.

იოსებ მგალობელი – IX ს. ჰიმნოგრაფი, ავტორი საეკლესიო ჰიმნებისა, კანონებისა. 830 წელს იოსებ ჰიმნოგრაფმა არაბების შემოჭრის დროს დატოვა სამშობლო სიცილია და თესალონიკაში დაიწყო სამონასტრო ცხოვრება. ცოტა მოგვიანებით იქიდან კონსტანტინეპოლში გაემართა, საიდანაც გაბაზდა რომში სატყვისპრძოლეობის დროს. ეს იყო 841 წელს. მეკობრეების მიერ დატყვევებულმა იოსებმა რამდენიმე წელი გაატარა კრიტოსზე და 850 წელს კონსტანტინეპოლში დაარსა მონასტერი. ხატთაყვანისმცემლობისა და ფოტიუსის მხარდაჭერისათვის იგი გადაასახლეს ხერსონში. მან 1000 ჰიმნოგრაფიული კანონი შექმნა, რომელთაგან 200-ში მისი სახელი აკროსტიქში არის აღნიშნული. მან დატოვა აგრეთვე დასრულებული სახე პარაკლიტონისა. მას ხშირად ურევენ იოსებ თესალონიკელსა, ანუ იოსებ სტუდიელში, რომელიც ძმა იყო ცნობილი თეოდორე სტუდიელისა. ხსენების დღე – 3 აპრილი.

იოსებ სქევოფილაქსი – IX ს. საეკლესიო მწერალი, მონაზონი; ჭარჭელთმცველი. მას დაუწერია ბერძნულ ენაზე წმ. სერგის მონასტრის წინამძღვრის, იოანეს „ცხოვრება", რომელიც თარგმნილია XII ს-ის II ნახევარში: „ცხორებისა, მომართ საკურველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრის წინამძღვარქმნილისათა". თხზულება იოანე ქსიფილინოსის მარტის თვის კრებულშია შეტანილი – 26. III-ის საკითხავად (ქუთ. 2,347-356) გამოსცა კ.კეკელიძემ, ეტიუდები, თბ., 1955, გე. 260-270).

იოსებ ფლავიოსი (37-100) – I საუკუნის ისტორიკოსი; დაიბადა პალესტინაში, მაღალი წარმოშობის ღვთისმოსავის ოჯახში. თავისი დროისათვის საფუძვლიანი განათლება მიიღო. პირველ ხანებში ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა, შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო. იუდეველთა ომის დროს იბრძოდა რომაელთა წინააღმდეგ, როგორც მხედართმთავარი. 67 წელს იოსებ ფლავიოსი გაასამართლეს რომში, მაგრამ თავი დაიხსნა სიკვდილისაგან. შემდეგ იგი ტყვედ ჩაუვარდა ვესპასიანეს, მან ამკერადაც მოახერხა ვესპასიანეს კეთილგანწყობის მოპოვება, მიიღო რომის მოქალაქეობა და პანსიონი, რაც მას ლიტერატურული მოღვაწეობის საშუალებას აძლევდა. 77-78 წლებში იოსებ ფლავიოსი წერს „იუდეველთა ომს", არამეულად, რომელიც ითარგმნა ბერძნულ ენაზე. თხზულების დასასრული ნაწილი საინტერესოა, როგორც თვითმხილველის თხრობა. 94 წელს მან დაასრულა მეორე ნაშრომი „იუდეველთა სიძველენი", რომელშიც გადმოცემულია ებრაელთა ისტორია დასაბამიდან იუდეველთა ომის დასასრულამდე. იგი 20 წიგნისაგან შედგება. მე-18 წიგნში მოხსენიებულია ქრისტე, რის გამოც

ამ ნაშრომს ეკლესიის მამები დიდად აფასებდნენ. ითელება, რომ ეს ნაწილი ინტერპოლირებულია შემდეგი დროის ავტორის მიერ. თხზულებებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი აღმოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვის ხალხების ისტორიის შესასწავლად, იოსებ ფლავიოსი ატარებს პრორომაულ ორიენტაციას და გვეკლინება იუდეველთა აპოლოგეტად, თხზულება შეიცავს ცნობებს ქართველთა ტომების შესახებ. მას ეკუთვნის პოლემიკური ხასიათის თხზულება „აპიონის წინააღმდეგ“ ან „ცხორება“, რომელშიც იგი თავის გამართლებას ლამობს. მისი თხზულებებიდან ქართულ ენაზე თარგმნილია: „მოთხრობაჲ იუდაბრივისა სიტყუაჲსაბამობისაჲ“ – თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ 15 წიგნი (S 315-319; 327-374; ქუთ. 10; A 675); გამოცემულია ნ. მელიქიშვილის მიერ, 1988 წ. 20-ვე წიგნი მღვდელ დავით ინანაშვილს 1836-37 წლებში უთარგმნია რუსულიდან (S 320; S 21; S 374; S 375), ისევე დ. ინანიშვილს უთარგმნია რუსულიდან იოსებ ფლავიოსის შემდეგი თხზულებები: „პრძოლისათჳს ოდალესთასა“ სამ ნაწილად და 7 წიგნად (S 320; S 321; S 322; S 323; S 324), „მაკაბელთათჳს ანუ მუეებისათჳს გულის ჴმისყოფათისა“ (S 332); „არათანხმოანი ადგილნი სალმრთოჲსა წერილსა თანა“; „აპიონის წინააღმდეგ“ (S 332).

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ისტორიკოსი და ფილოლოგი. დაამთავრა (1835 წ.) პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. თბილისში „კაკაძისეული გესტნიკში“ აქვეყნებდა გამოკვლევებს ქართულ სიძველეთა შესახებ. ათონის მთაზე გაეცნო იქაურთა მონასტრის სიძველეებს და ხელნაწერებს. თანამშრომლობდა რუსეთის მეცნ. აკადემიასთან, განსაკუთრებით კი – მარი ბროსეასთან. მან გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ (1852 წ.), ანტონ I-ის „წყობილსიტყჳაობა“ (1853 წ.), „ცხოერება მეფისა გიორგი მეათცამეტისა“ (1878 წ.) საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, 1836 და 1843წწ. (რუს. ენაზე), თბილისის სიძველეთა აღწერილობა, თბილისის სიძველეთა აღწერილობა, 1866წ. (რუს. ენაზე), და მრავალი საერო ძეგლი.

იოსია – ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოხსენიებულია ეპისკოპოს დორთეოსის „აღწერილი საკლესიო“-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს (H 2121, XI,).

იოსია – იუდეის მეფე (ძვ. წ. 639-609); მისი მეფობა ხასიათდება გამწვაებული სოციალური და რელიგიური ბრძოლებით, ისრაელის სამეფოს ტერიტორიის მნიშნელოვნად გაფართოებით. იოსიამ გაატარა პოლიტიკურ-რელიგიური რეფორმები. მის დროს შედგა კანონთა კრებული, რომელსაც საფუძვლად დაედო „მეორე შჯულთას“ წიგნი. მან მოახდინა იაჰვეს (იხ.) კულტის ცენტრალიზაცია და აკრძალა სხვა ღმერთების თაყვანისცემა. ღვთისმსახურების ერთ-ერთ ადგილად მეფე იოსიამ იერუსალიმი გამოაცხადა.

იოსტოსი – ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოხსენებულია ეპისკოპოს დოროთეოსის „აღწერილი საკლესიოჲ“-ში, რომელიც ერთვის გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს (H 2121, XI)

იპოლიტე რომაელი – რომის პაპი (170-236), საეკლესიო მწერალი, თეოლოგი; თაეისი ცხოერება წამებით დაასრულა და წმინდანად იქნა შერაცხული. იგი იყო ძალზე ნაყოფიერი მწერალი. დატოვა მრავალი თხზულება ეგზეგეტიკაში, დოგმატიკაში, აპოლოგეტიკაში და სხეა. დოგმატიკიდან ცნობილია მისი ნაშრომები: „ქრისტე და ანტიქრისტე“, „12 მოციქულთა შესახებ“, „ქანაკების ღვთისმეტყველება“, „შეიდი საიდუმლოს შესახებ“ და სხეა. ყველაზე ფასეული იპოლიტეს მოძღერებაში არის მისი მოძღერება ლოგოსის შესახებ. მიუხედაეად იმისა, რომ იპოლიტე ცნობილი რომაელთა თეოლოგი იყო, მისი თხზულებები დასაელეთში მალე მიეცა დაეიწყებას. მიზეზი ამისა საძიებელია მისი მოღეაწეობის ხასიათსა და აგრეთვე იმაში, რომ იგი წერდა ბერძნულ ენაზე. იპოლიტეს ბრალი დასდეს უღმერთობაში, ზოგიერთი მას საბელიანობას სწამებდა, თუმცა იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბელიანთა მწეალებლობის წინააღმდეგ მებრძოლ პარტიაში. ხსენების დღეა 30 იანეარი.

ნ. მარმა 1901 წელს გამოაელინა იპოლიტეს რამდენიმე, დღეისათეის დაკარგული ეგზეგეტიკური ნაშრომის ქართული თარგმანი. ქართულად თარგმნილია შემდეგი თხზულებები: 1. თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“-სა (S 1144; X ს. 325-56; გამოც. 1). ნ. მარის (Тексты и разыскания... III, 1901); 2) შატბერდის კრებული, თბ., 1978. 2. განმარტებაჲ კურთხეეთა მათთჳს მოსეთა ათორმეტთა მიმართ ნათესაეთა (S 1141, X ს., 256-284; S 282, 27-85; A 165); გამოც. შატბერდის კრებული, თბილი-

სი, 1978. 3. „თქუმული კურთხეუაძა მათთუს იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნაზაპეტნი აკურთხნა“ (S 1151, 284-314; S 292; 2785; A 165). თხზულება გამოცემულია: Patrologia krientalis, t. XXVII, Paris, 1954. 4. „დაეითისათუს და გოლიადისათუს განმარტებაჲ“, S 1141, 315-327; გამოც. შატბერდის კრებული, თბ., 1978 (არსებობს მე-2, 3 და 4 თხზულებათა გერმანული თარგმანი). 5. აღსასრულისათუს ჟამთაჲსა თქუმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტწსათუს და ანტიქრისტეწსათუს“ S 1141, 357-390; A 165, 663-697. გამოც. შატბერდის კრებული, თბ., 1978. 6. „სარწმუნოებისათუს“ (S 1141, 390-410; A 165, 70. გამოც. შატბერდის კრებული, 1978. 7. ებისტოლჱ იაოლიტჱსი მოციქულთათუს, თუ სადა ქადაგეს“ (A 445, 316-319). 8. „სახელები მოციქულთაჲ“ (დარჩენილია მხოლოდ 27 მოციქულის სახელი), A 445, 319-321.

ირაბა – თეთრი წყაროს რაიონის სოფლების – დიდი და პატარა ირაგის სახელწოდება. სოფლის აღმოსაელეთით დგას მცირე ზომის ერთნაეიანი ეკლესია გვიან ფეოდალური პერიოდისა. შეკეთებულია XX საუკის დასაწყისში.

ირინე ქალწულმოწამე – ცხოვრობდა I ს-ში. მონათლამდე ერქვა პენელოპე, იგი იყო ასული წარმართი ლიციოსისა, თარაგის ერთერთი ქალაქის მმართველისა. იზრდებოდა ფუფუნებაში. მისი მასწაელებელი და აღმზრდელი იყო ქრისტიანი და ირინემაც შეიყვარა ქრისტე, მოინათლა და სახელად დაირქვა ირინე. მამამ მოსთხოვა, რომ მას თაყვანი ეცა კერპებისათუს. ირინეს უარით განრისხებულმა მამამ ბრძანა ასული ცხენების ქუეშ ჩაგდოთ. მოხდა სასწაული და ცხენები ადგილიდან არ დაიძრნენ. ირინემ ლიკოზიც გააქრისტიანა და მასთან ერთად კიდევ 300 კაცი, რომელთაც ყველაფერი თაეისი თეალით იხილეს. ამის შემდეგ მან საჯაროდ იწყო ქრისტიანობის ქადაგება. „ირინეს ცხოერება“ ქართულადაც არის თარგმნილი (Jer. 3, XI ს. 203-212 H 972, XVI ს. 222-251 და სხვ. მოწამის ხსენების დღეა 5 მაისი.

ირინეოს ლიონელი – საეკლესიო მწერალი (130-300), ლიონის ეპისკოპოსი, პოლიკარპე სმირნელის მოწაე. ფიქრობენ, რომ ისიც სმირნელი უნდა ყოფილიყო. სმირნაში მიიღო მან ბრწყინეალე განათლება, შემდეგ სწაელობდა რომში. მოგეიანებით გახდა ლიონის პრესვიტერი. ამ თანამდებობაზე მას დაეალებული ჰქონდა რომის პაპისათუს ეპისტოლეთა მოწოდება, რომლებიც შეიცავდნენ თხოენას მცირე აზიის მონტანისტების შეწყნარების გამო. მისი ლიონში არყოფნის ჟამს დაიწყო ქრისტიანთა სისტემა დევნა. ლიონის მაშინდელი ეპისკოპოსი – პოტინუსი წამებულთა რიცხვში აღმოჩნდა (177 წელს). ირინეოსი 178 წელს დაბრუნდა ლიონში და დაიკაეა ეპისკოპოსის ადგილი. იგი ენერგიულად იბრძოდა ვალენტინისა და მარკიონის ერესის წინააღმდეგ, ეკლესიის ერთიანობისათუს. ირინეოსის უმთაერესი თხზულება – „ერესების წინააღმდეგ“ გნოსტიციზმის კრიტიკას წარმოადგენს (შემონახულია თხზულების ბერძნული, სირიული და სომხური თარგმანების ნაწილი). მისი მეორე ნაშრომი – „მოციქულთა მოძღერების დამტკიცებისათუს“ აპოლოგეტური ხასიათისაა. შემორჩენილია სომხურ თარგმანში. ირინეოსი, მსგაესად კლიმენტი ალექსანდრიელისა, პირველი დიდი თეოლოგია, რომელიც მნიშენელოან როლს თამაშობდა აღმოსაელეთისა და დასაელეთის საეკლესიო აზროენებასა და მოღაწეობაში. იგი არის უკეე ჩამოყალიბებული და არსებული რელიგიური და თეოლოგიური ტრადიციის დამცველი. ქრისტიანული მონოთეიზმის, მამისა და ძის ერთიანობისა და, საზოგადოდ, ქრისტეს განკაცების საკითხში იგი II ს-ის აპოლოგეტების, კერძოდ ეგნატე ღმერთშემოსილის მიმდეყარია. მან განაეთარა განსხეულებული ქრისტეს კაცობრიე ბუნებაში რეკაპიტულაციის (შეკრების, სუმირების) დოქტრინა. იმპერატორ სეპტიმიოს დროს (193-211) ირინეოს ლიონელი მახვილით განგმირეს ქრისტეს რჯულის აღმსარებლობისათეს. ხსენების დღეა 28 ივნისი. ქართულად არსებობს „წამების“ მეტაფრასული რედაქციის თარგმანი (ჯუთ. I, XVI ს., 526-528).

ირინეოს და არმენიოს ხუცესნი – დასახელებულნი არიან IV ს. მოწამეების „ხრესანთო და დარიას წამების“ აეტორებად. „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ჯუთ. XVI ს., 234-252.

ირმოლოგიონი – იხ. „ძლისპირნი“.

ირმოსი – (ბერძ6.) ბერძნულსა და ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში გაერცელებული ლექსური მეტყველების სპეციფიკური ფორმა, რომელსაც შეესაბამება ქართული „საგალობელი ძლისპირი“. იხ. ძლისპირი.

იროდი – იხ. პეროდე.

იროდიონი – ერთ-ერთი 70-მოციქულთაგანი, უფლის მოწაე. მოხსენებულია ეპისკოპოს დორითეოსის „აღწერილი საეკლესიო“-ში,

რომელიც ერთეის გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს (H 2121, XI).

ისაკრე – მოწამე, დიაკონი ათენიდან. ე.წ. მამა ეასილიოს, ინოკენტიოს, პერეგრინოსთან ერთად ქრისტესთის მაკედონიის ქალაქ აპოლონიაში იმპერატორ ნუმერიანეს (283-289) დროს. ხსენების დღეა 6 აპრილი. მათი „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 7, XIII ს. გვ. 402-420).

ისაია ხუცესი – თხზულების „სწავლა სათნოებისათჳს“ ავტორი. „სწავლა“ ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (A 1101, 1047 წ., 201-202;).

ისაკი – ბიბლიური პატრიარქი, აბრაამისა და სარას ძე, რომელიც აბრაამს მსხვერპლად უნდოდა შეეწირა ღმერთისათვის მორჩილების ნიშნად. ისაკი სიკვდილს ანგელოსზმა გადაარჩინა (დაბ. 21-8, 17-19 და ა. შ.). ახალ აღთქმაში ისაკი ჩნდება, როგორც ქრისტესა და ეკლესიის სიმბოლო (გალატელთა 3,16; 4, 21-31). ის ერთდროულად არის შეცილი აღთქმული და მამა მორწმუნეთა, მართლმადიდებელთა. ისაკის მსხვერპლად შეწირვა დაკავშირებულია ქრისტეს მსხვერპლად შეწირვასთან. ამ თემამ თავისი განვითარება ეკლესიის მამებთან პოვა. ისინი მის მსხვერპლს განიხილავდნენ, როგორც გოლგოთის მსხვერპლის სიმბოლოს. ტერტულიანე ისაკში ჭვრეტს ჯვარზე გაკრულ ქრისტეს. წმინდა კირილე ალექსანდრიელი დეტალურად განიხილავს ამ ორ მსხვერპლს შორის არსებულ მსგავსებას; წმინდა ავგუსტინე ჯვარცმულ ქრისტეს ადარებს ისაკით შეცვლილ ბატკანს. ის დიდი და მნიშვნელოვანი როლი, რომელიც წილად ხვდა ამ კონცეფციას ქრისტიანულ ხელოვნებაში, ცხადად ჩანს კატაკომბებში, სადაც წარმოდგენილი სცენები ჩვეულებრივ გამოყენებულია როგორც ქრისტეს მონაწილე ფიგურები. (იხ. აბრაამი).

ისაკი – ილარიონ ქართველის მოწაფე და თანამგზავრი. მის შესახებ ცნობები ჩართულია ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ (ძეგლები, II და III ტიგნები).

ისაკი – კალიგრაფი, „მჩხრეკელი“, XI საუ. მოღვაწე, ხაქარია ბანელის ან ეალაშკერტელის დავალებით კონსტანტინეპოლის მონასტერში გადაუწერია მაქსიმესა და პიროსის „სიტყვისგებისა“ და სხვა ძეგლების შემცველი XI ს. ხელნაწერი Q 34).

ისაკი და დალმატი – IV საუკუნის მოწამენი, ისინი იყვნენ დალმატის სავანის იღუმენები. თავდაპირველად დალმატი მსახურობდა წმ. თეოდორე დიდის ჯარში. შვილთან ერთად იგი კონსტანტინეპოლის ახლოს, ისაკის სავანეში დამკვიდრდა, ისაკმა ისინი მონაზვნად აღკვეცა. 383 წელს ისაკი გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა დალმატმა, რომლის სახელი შერჩა შემდგომ ამ სავანეს. დალმატი იყო თაყვანდებული მოღვაწე და დამცველი მართლმადიდებლობისა III მსოფლიო კრებაზე ეფესოში (431 წ.), რომელმაც დაამხო ნესტორის მწვალებლობა. კრების შემდეგ დალმატი სავანის არქიმანდრიტი გახდა. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში. ხსენების დღეა 3 აგვისტო.

ისაკისა და დალმატის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულად (ქუთ. 1, XVI ს., 271-289).

ისაკი და იოსები – მოწამე ძმები, რომლებიც ეწამნენ IX ს. მცირე აზიის ქ. კარნუში. მათ შესახებ სომხურ ენაზე დაიწერა „წამება“ (წმიდათა ცხოვრება, ტ. IV, ვენეცია, 1974, გვ. 266-271). ამ წყაროს მიხედვით გადმოაკეთა ქართულად ანტონ I-მა და შეიტანა „მარტირიკაში“ (ძეგლები, VI, თბილისი 1980, გვ. 358-370). მათი ხსენება 15 სექტემბერსაა დადებული.

ისაკ მონაზონი (ასური) – იხ. საჰაკ მონაზონი.

ისაკ მღვდელმონაზონი (მცირე) – გელათის მონასტრის XVIII ს. მოღვაწე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა გარეჯის უდაბნოში და 1852 წელს ლეკთაგან ლავრის დარბევის თვითმხილველი გამხდარა. ეს ამბავი მას აღუწერია 1853 წელს (A 649).

ისაკ მცირე (†1779) – XVIII საუ. ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, მწერალი, მესტამბე და კალიგრაფი. იგი მოღვაწეობდა ერეკლე II-ის სტამბაში, სადაც 1751 წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა „კონდაკი“. ზაქარია გაბაშვილსა და ანტონ კათოლიკოსს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო მისი მოღვაწეობა სტამბაში მალე შეწყდა. ამ უთანხმოების დროს იგი მიემხრო ზაქარიას, რისთვისაც დაისაჯა. ისაკ მცირე დიდ მონაწილეობას იღებდა ხელნაწერთა გადაწერის საქმეში, მას გადაწერილი აქეს რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან აღსანიშნავია H 2235; იგი მისდევდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ბაქარის დავალებით იოანე ხუცესმონაზონთან ერთად მან თარგმნა რუსული სამართლის წიგნი (H 1426). მას ეკუთვნის ორიგინალური თხ-

ზულება „თაგვებისა და კატების ომი“, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს ზაქარია გაბაშვილს მიაწერდნენ.

ისაკ მწიგნობარი — იგივე ისაკ სიონელი, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ის იხსენიება, როგორც „საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, მოკამბეთა შორის ჩინებული და ხუცურისა წერასა შინაცა ქებული“. ბეერია მის მიერ გადანუსხული ხელნაწერები და მისი ხელით დაწერილი საბუთები (A 265, A 822, A 1385, S 542, H 2182).

ისანი — თბილისის ერთ-ერთი ისტორიული უბანი, ქალაქის აღმ. ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მოიხსენიება VIII-X საუკუნეების წყაროებში, არაბთა ბატონობის დროს. IX ს-ში ის გაამაგრეს და უწოდეს პისნი, „რაც არაბულად ციხე-სიმაგრეს ნიშნავს) XII-XIII სს-ში მტკვრის პირას, კლდეზე იყო შეფის სასახლე, კარის ეკლესია და მეტეხის ტაძარი. გვიანდელ ხანაში იგი უკვე მეტეხად იწოდებოდა.

ისე ფილქნელი — ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე და თანამოღვაწე. ძველი წყაროების მიხედვით, VI საუკუნის შუა წლებში სირიიდან ქართველთა მონახონთა ჯგუფი იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით, რომელთა შორის იყო ისეც. ერთხანს იგი ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ განაგებდა წილკნის საეპისკოპოსო კათედრას. დასაფლაებულია წილკნის ეკლესიაში. სხვა ასურელ მამათა მსგავსად მან საქართველოში გაარაღა სამონასტრო და კულტურული მოღვაწეობა. თავისი სამწყსოს მოვლა-პატრონობის გარდა ის მისიონერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ისე წილკნელმა მიხედა იმ მხარეებს, სადაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული და მოსახლეობა ძველებურად კერპებს სცემდა თაყვანს. მან „იწყო სწავლად და წურთად სამწყსოთა თჳსთა და მიპმართა ჩრდილოჲთ კერძო, რამეთუ ჯერ მოუქცეველ იყვნეს და მტკიცედ ეპყრა კერპთმსახურება“ და გააქრისტიანა საქართველოს ჩრდილო მთიანეთის მოსახლეობა. მისი „ცხოვრება“ („ძაძირებაჲ... ისე წილკნელისა“) აღწერა კათოლიკოს ბესარიონ ორბელიშვილმა (გამოც. ძეგლები, V, გვ. 79-95). უფრო ძველ ცნობებს მისი ბიოგრაფიის შესახებ გვაწვდის შიო მღვიმელის X ს. „ცხოვრება“ (ძეგლები I, გვ. 222-224) ცნობილია მისი სვინაქარული საკითხავი (H 2077, XVI-II სს. გამოც. ძეგლები, IV, გვ. 400-403).

ისი — სოფელი თორთუმის ტბის მახლობლად, ოთხთაწყლის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის განაპირას შემორჩენილია ძველი ტაძრის ნანგრევები. ჩანს მოხატულობის კვალი. აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა, მაგრამ IX საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ისიდორე ეგზარქოსი (ნიკოლსკი) — იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში.

ისიდორა თაენიელი — იგივე ნისიმე მძღვარი, თაენის ქალთა მონასტრის მოღვაწე. ცნობებს მის შესახებ გვაწვდის ეფრემ ასური და პალადი პელეონპოლელი. მონასტერში ის გაგზავნა სულელად აჩვენებდა თავს ყველას და მოთმინებით იტანდა დაცინვას. შემდეგ გარკვეა, რომ ის სულაც არ ყოფილა სულელი და დიდი პატიოსნებით დაიმსახურა. ამ პატივს გაექცა ნეტარი ისიდორა და შემდეგ უკვე აღარაა ცნობილი მისი გზა-კვალი. ქართულ ხელნაწერებში ნისიმეს ცხოვრება დაწერილებით არის გადმოცემული მონასტრიდან წასვლის შემდეგაც (მისი უდაბნოში ცხოვრება). ნისიმის „ცხოვრება“ თარგმნილია ქართულად (A249, XI ს. 151-75; ბოდლ. I, XI ს., 495-497 და სხვ. მრ.) გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, კრებული I, 1918, გვ. 202-214.

ისიდორე სამთავნელი — იგივე ეზდერიოს სამთავნელი, ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე. საქართველოში მოვიდა სხვა მამებთან ერთად VI საუკ. II ნახ-ში. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ აღმწერის ცნობით, იგი თაედაპირველად ზედაზნის მონასტერში ცხოვრობდა, შემდეგ სამოღვაწეოდ ქართლში გადაიყდა და მდ. ლეხურის აღმოსავლეთით, სამთავისის სანახებში დაარსა მონასტერი. დასაფლაებულია ამავე მონასტერში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შემონახულა. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ეპოულობთ ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტებში (ძეგლები, I, III).

ისლამი (არაბ. „მორჩილება“, „ღვთისადმი მინდობა“) — ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში. წარმოიშვა VII ს. პირველ ნახევარში პიჯაზში (დას. არაბეთი). ისლამმა მოიცანა არაბთა პოლიტიკური გაერთიანება და სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია არაბეთის ფარგლებს გარეთ; შეიქმნა არაბთა სახალიფო და მოხდა დაპყრობილი ქვეყნების (ირანი, ამიერკავკასია, შუა აზია, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები) ისლამიზაცია. ისლამ-

ის დამარსებელი და მქადაგებელი იყო მაჰმადი, რომელიც გახდა მის მიერ დაარსებული თემის, ე. წ. უმის მეთაური. ეს თემი ერთდროულად იყო პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანება, რომელიც აღმოსავლეთში აერთიანებდა არა სისხლით ნათესაობით, არამედ რელიგიური რწმენის მიხედვით. რელიგიურისა და საერო სფეროს შეერთებამ, მორალისა და სამართლის გაგივებამ ისლამი აქცია ყოველმხრივ სისტემად (სწორედ ამის გამოა, რომ მას ხშირად იურიდიულ რელიგიას უწოდებდნენ). ეს სისტემა აცხადებდა პრეტენზიას, დაეკმაყოფილებინა ადამიანის ყველა სულიერი მოთხოვნა და ამის გამო მისგან მოითხოვდა სრულ, უსიტყვო მორჩილებას. ისლამი მოქმედებს საკუთარი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად, მაგრამ როგორც რელიგიური მოძღვრება, ეკლექტურია, შედგენილი ებრაული, არაბული და ქრისტიანული ელემენტებისაგან. თავისი დოგმატიკით, ეთიკით, წეს-ჩვეულებით იგი საკმაოდ ახლოსაა ქრისტიანობასთან, იუდაიზმთან და აგრეთვე ზოროასტრიზმთან. VIII ს. შუა წლებიდან ისლამი მსოფლიო რელიგიად იქცა. IX-X სს. იგი უკვე დახვეწილ ფილოსოფიურ-რელიგიურ სისტემას წარმადგენდა. ისლამი მუსლიმანური რელიგიური დოქტრინაა, რომლის ძირითადი პრინციპები თავმოყრილია ყურანში. ყურანის თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება „სუნას“. ისლამის რელიგიური სტრუქტურა ორი ნაწილისაგან შედგება. იმანი — ისლამის ჭეშმარიტების რწმენა და დინი — რელიგიური პრაქტიკა — რელიგიურ წეს-ჩვეულებათა, მორალის, ტრადიციების და სხვათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრულია ყურანით, სუნით და ოფიციალური რელიგიური ავტორიტეტების გადაწყვეტილებებით. იმანი — სარწმუნოების ჭეშმარიტების შინაგანი აღიარება, რომელიც ხდება სიტყვით და კეთილი საქმეებით. მისი არსია ერთი ღმერთის (ალაჰის) და მაჰმადის წინასწარმეტყველური მისიის რწმენა და აღიარება. ეფუძნება რწმენის 5 საფუძველს (არქანი): I. მუსლიმანის მიერ რწმენის აღიარება, რომელიც გამოიხატება ფორმულით: „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მაჰმადი მისი მოციქული“. ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ალაჰს ჰყავდა 7 მოციქული: ნოე, აბრაამი, ისმაილი, მოსე, იოსები, იესო და მაჰმადი. მოციქულთა შორის უკანასკნელი და უდიდესი, ისლამის მიხედვით, არის მაჰმადი. 2. რიტუალური ლოცვა — ნამაზი (ხუთჯერადი): დილით (მზის ამოსვლამდე), შუადღისას, მზის ჩასვლასა და შუაღამის შორის, მზის ჩასვლისთანავე და ღამით. 3. მარხვა (საუმი) რამადანის თვეში, რომელიც გრძელდება 30 დღეს. ამ პერიოდში აკრძალულია დღის განმავლობაში ჭამა, სმა და ყოველგვარი გართობა. 4. აუცილებელი მოწყალება — გადასახადი ზაქათი, ღარიბ-ღატაკების შესაწევნელად. 5. ჰაჯი ანუ მეჩის მოლოცვა ზულ-ჰაჯას თვეში (დაკავშირებულია მსხვერპლშეწირვის დღესასწაულთან). ისლამის მთავარი დღესასწაულებია: გახსნილება მარხვის შემდეგ (იდ ალ-ფიტრი, თურქ. ურაზა-ბაირამი), მსხვერპლშეწირვის დღესასწაული (იდ ალ-ადჰა, თურქ. ყურბან-ბაირამი), მირაჯი (მაჰმადის ზეცად ამაღლება), მაულიდი (მაჰმადის დაბადების დღე) და სხვა. ისლამის საკულტო ნაგებობებია: მეჩეთი, მინარეთი, მედრესე და მაზარი (მაუზოლეუმები).

ისლამი იყოფა სხვადასხვა სექტებად, რომელთაგან მთავარია ორი: სუნიტების და შიიტების. ორთოდოქსი არაბები და თურქეთი სუნას მოძღვრების მიმდევრებად ითვლებიან, ხოლო სპარსეთში გავრცელდა შიიტობა, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ყურანის ალეგორიული ინტერპრეტაცია. ყურანი მუსლიმთა შთაგონებისა და მედიტაციის წყაროა. ყურანის მიხედვით, ღვთის სიყვარულის მთავარი პირობა და საფუძველი მოყვასის სიყვარულია. ისლამის მისტიკური მოძღვრება ყურანზეა დაფუძნებული. სპირიტუალისტური ლტოლვა ძირითადად სუფიზმითაა გამოხატული, რომელიც წარმოადგენს მოძღვრებას ადამიანის სულის ღმერთთან შერწყმის შესახებ. სუფიზმის მიხედვით, იგი მიიღწევა ასკეტური პრაქტიკით და ინდივიდუალურის, პიროვნულის სრული დათმობითა და უარყოფით. ისლამში არ არსებობს ერთიანი საეკლესიო ორგანიზაცია, რაც დიდად უწყობს ხელს ავტონომისტური და სეპარატისტული ტენდენციების განვითარებას. მანვე ხელი შეუწყო ერთიანი მუსლიმური პოლიტიკური ორგანიზაციის მტრულ სახელმწიფოებად დაშლას და მრავალრიცხოვანი რელიგიური სექტების წარმოშობას (ხარიჯიტები, ზეიდიტები, ისმაელიტები, იმამიტები და ა. შ.).

ისმაილი – (ძვ. ებრ. „ღმერთი გაიგონებს“), ბიბლიური აბრაამისა და აგარის ძე. ისააკის დაბადების შემდეგ აბრაამის კანონიერი ცოლის, სარას დაჟინებით აბრაამმა ისმაილი და მისი დედა უდაბნოში განდევნა. ბიბლიის კომენტატორთა აზრით, ისმაილი არის ისრაელების მონათესავე ტომის, არაბი ბედუნების წინაპარი.

ყურანის მიხედვით, იგი არის წინასწარმეტყველი და მაჰმადის უმუალო წინამორბედი. ცოცხლა 130 წელი; დასაფლაებულია მექაში, ქააბის მახლობლად.

ისრაელი (სიტყვასიტყვით: ღმერთი იბრძვის) — იაკობის წოდება (დაბ. 35.10.20; 43,8; 50,2), რომელიც მიღო შემდეგ მთელმა ებრაელმა ხალხმა, როგორც იაკობ პატრიარქის 12 შვილთაგან წარმომდგარმა. ისრაელი არაა მხოლოდ ეთნიკური ტერმინი, არამედ ღვთაებრივი სახელიცაა. ღმერთმა აირჩია ისრაელი, რათა ის გამხდარიყო ხსნის მისიის მატარებელი. ღვთის ნებით იქცა იგი საღვთო ისტორიის ცენტრად. ახალ აღთქმაში „ისრაელის“ წოდება გადაეცა ქრისტიანულ ეკლესიაზე (გალატ. 6,16), ახალ ისრაელზე.

ისუ ზირაქი — ბიბლიური ავტორი არაკანონიკური თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „სიბრძნე“. წმ. იერონიმეს მოწმობით, ებრაელები ამ წიგნს „იგავებს“ უწოდებდნენ. თხზულების მთავარი საგანია მოძღვრება სიბრძნის ¦ესახებ. ისო ზირაქის აზრით, უმაღლესი სიბრძნე უფალს ეკუთვნის. ადამიანური სიბრძნე მდგომ¦რეობს მის რწმენასა და ღვთის მორჩილებაში. ადამიანი უნდა იყოს ღვთის მოშიში. ამიტომ. მისი აზრით, ადამიანი მოწოდებულია დაიცვ.ს და შეასრულოს ღვთის მცნებები. თხზულებაში ისო ზირაქი მოძღვრავს ადამიანს, როგორ უნდა მოიქცეს ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევაში, ჭირსა და ლხინში, უმცროსსა და უფროსთან, მდიდარსა და ღარიბთან და სხვა. ასეთი შინაარსისაა წიგნის I ნაწილი, ხოლო მეორე შედგება ებრაელი ხალხის „ღირსეულ შვილთა, მამათა“ ქებისაგან, დაწყებული ადამიდან და დამთავრებული მღვდელმთავარ სიმონით. ისო ზირაქის თხზულებას ბევრი რამ აქვს საერთო სოლომონის იგავებთან. წიგნის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ღღემდე არაა გადაწყვეტილი ძვ.წ.-ის II თუ III საუკუნეს მიეკუთვნება იგი („წიგნი სიბრძნისა“, გამოც. ელ. დოჩანაშვილის მიერ მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985, გვ. 50-60).

ისრითი — სოფელი ვანის რაიონში, მდ. სულორის ხეობაში, ვანიდან 5 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას შუა ფეოდალური ხანის ვანზანარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია XIV-XV სს-ისა. შემორჩენილია აგრეთვე შუა საუკუნეების კომპის ნანგრევები.

ისუ ნავესი (ისუ ძე ნავესი) — ისრაელის ბელადი, მოსეს საქმის გამგრძელებელი. მოსეს შემდეგ ის იყო ისრაელის წინამძღოლი და მამაცი მხედართმთავარი, რომელიც აღთქმული ქვეყნისათვის აწარმოებდა ომს ღვთის დახმარებით. ისრაელმა მოიპოვა ეს ქვეყანა, რათა დაემყარებინა კავშირი ღმერთთან და დაეცვა მისი კანონები. ისუ ნავესი თავისი აბსოლუტური რელიგიური შეურიგებლობით თავად იძლეოდა მაგალითს და ჭეშმარიტი მიზნისაკენ მიუძღოდა ისრაელს. როგორც მოსეს მემკვიდრემ, მან აკისრა მხსნელის მისია. ის არის პირველი, რომელსაც ეწოდა იესუ. ეს იყო მინიშნება იმ მომავალ მხსნელზე, რომელსაც ავრეთვე იესუ ერქვა. ისუ ნავესის საქმენი მხოლოდ მოსაზადებელი საფეხურია ხსნის ხანგრძლივ ისტორიაში (საქმე მოც. 7,45). ჭეშმარიტი ხსნა გულისხმობდა იესოს მოსვლას ქრისტეს სახით, რომელიც ეენო და ჯვარს ეცვა, ხოლო შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი ამაღლდა. აღთქმული ქვეყანა, რომელშიც მან შეიყვანა ხალხი, იყო მხოლოდ ერთი ეტაპი და არა საბოლოო მიზანი, მხოლოდ პირველსახე მშვიდობისა და არა ჭეშმარიტი მშვიდობა (ებრ. 4,8). ისუს საგმირო საქმეები აღწერილია წიგნში, რომელიც ცნობილია „ისუ ნავესის“ სახელით. თავისი შინაარსით წიგნი წარმოადგენს მოსეს სუფწიგნეულის გაგრძელებას. ავტორის მიზანია გვიჩვენოს ღმერთის ერთგულება თავისი აღთქმისადმი და ის, თუ როგორ აღასრულა აბრაამისათვის მიცემული აღთქმა იმის თაობაზე, რომ მისი მემკვიდრენი დაიმკვიდრებდნენ ქანაანის მიწას („წიგნი ისო, ძისა ნავესი“, გამოც. ელ. დოჩანაშვილისა, მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1981, გვ. 419-464).

იტრია — სოფელი ზაშურის რაიონში, დაბა სურამთან (ადრე იწოდებოდა ნიტრიად). აქ დგას ღვთისმშობლის სახელზე აშენებული განეთარებული შუა საუკუნეების ბაზილიკური ეკლესია. აქვს ლაპიდარული წარწერები, სამრეკლო (1665 წ.) და შუა საუკ. გალავანი. იტრიის ეკლესია აუგია კათოლიკოს დოროთეოსს (XVI საუკ.), რომელმაც შესწირა „წიგნები, რაც ერთს მონასტერს მოუნდებას, ყველა კარგი და პატოსანი“ (აქ. სიძეველენი, III, გვ. 127).

იუბენალი — იერუსალიმის პატრიარქი V საუკ. († 458). ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თეოდოსი მცირის მეფობის დროს. მისი ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. მონაწილეობა მიუღია ეფესოს კრებაში. იბრძოდა ყოველგვარი ყალბისა და ფსევდო-მოძღვრების წინააღმდეგ. 451 წელს ქალკედონის კრებაზე, რომელმაც

დაგმო ეეტისის მწვალებლობა, იგი გაძოვიდა ეეტისის წინააღმდეგ. თეოდოსი მცირე ამ ერესის მეთაური და მფარველი იყო და იუბენალს მოსთხოვა მხარი დაეჭირა მისთვის და გაეკიცხა კრება, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ უღალატა ჭეშმარიტებას. მაშინ თეოდოსიმ გადააყენა იგი პატრიარქობიდან. იუბენალი წაიყვანა კონსტანტინეპოლში მარკიანე პატრიარქთან, რომელმაც იგი კვლავ აღადგინა თავის უფლებებში. იუბენალმა მოაგვარა მწვალებლობის საკითხი და საეკლესიო ერთსულოვნება დაამყარა. აღმოსავლეთის ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

მისი სვინაქარული „ცხოვრება" შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქარში" (A 97, XI ს; H 2211, XI ს და სხვ.) გამოც. საქ. ეკლესიის კალენდარი, 2003 (გამომც. „ნათლისმცემელი"). ხსენების დღეა 2 ივლისი.

იუდაიზმი – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რელიგია. ჩაისახა I ათასწლეულში პალესტინის ებრაელთა შორის. ტერმინი „იუდაიზმი" ბერძნულია და აღნიშნავს ებრაელთა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და პრაქტიკას. ქართულ წყაროებში მას „იუდეველობა" ეწოდება (გალატ. I, 13, 14). იუდაიზმმა საბოლოო ჩამოყალიბებამდე გრძელი გზა განვლო და მრავალი ცვლილება განიცადა. ებრაელების მომხარე მესაქონლე ტომები ძვ. წ. XIII ს-ში ეგვიპტიდან უდაბნოში გაიქცნენ, ხოლო პალესტინის დაპყრობისა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ებრაელთა შორის პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა) გავრცელდა. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ (ძვ. წ. XI ს) იწყება ერთი ღმერთის კულტის ცენტრალიზაცია იერუსალიმში. მაგრამ მონოთეიზმს (ერთღმერთიანობას) საბოლოო დამკვიდრებამდე კიდევ დიდი დრო დასჭირდა. ოსია მეფის რეფორმები (ძვ. წ. 622) ერთი ღმერთის კულტის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. იუდაიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს წინასწარმეტყველებმა (IX-VIII სს.). მათ წინასწარმეტყველებათა ჩაწერა ჯერ კიდევ VIII ს-დან დაიწყეს (ამოსი, იერემია და სხვა). იუდაიზმის საბოლოო ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ძვ. წ. 586 წელს ბაბილონის მიერ იუდეის სამეფოს განადგურებამ და ებრაელთა ბაბილონში ძალით გადასახლებამ („ბაბილონის ტყვეობა"). პოლიტიკურ ერთობას მოკლებულ ებრაელთა შორის აგროვებდნენ ებრაელთა წმინდა წიგნებს და აერთიანებდნენ მათ. ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელთა დაბრუნების შემდეგ (533 წ.) ამ ტექსტებს რედაქცია გაუკეთეს და ასე ჩაყარა საფუძველი ძველი ალთქმის კანონიკურ ტექსტს, წმინდა წერილს. მისი ბირთვია თორა – მოსეს ხუთწიგნეული. ამ დროს ჩამოყალიბდა იუდაიზმის ძირითადი დოგმატები. ძველი ალთქმის კანონიკურმა ტექსტმა საბოლოო დახვეწილი სახე ახალი წელთაღრ. VII-IX სს. მიიღო; ჩამოყალიბდა ე. წ. ბიბლიის მასორული (ტრადიციული) ტექსტი (ებრ. „მასორა" – გადმოცემა). ძვ. წ. III-II სს. ელინებმა იუდეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეგვიპტეში, სირიაში, სომხეთში და სხვა ქვეყნებში განასახლა. თვით იუდეაში შეიქმნა ფარისეველთა და სადუკეველთა რელიგიურ-პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სცადეს თორის მრავალრიცხოვანი მცნებების ახლებურად გაგება და მათი შეგუება ახალ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებთან. მათ მიერ დამუშავებული და შეკრებილი კომენტარები თორისა გაერთიანდა თალმუდში (ებრ. „სწავლება"). შეშუშავდა საკულტო სიახლენი. იუდაიზმის წიგნები ქრისტიანული წმინდა წერილის ნაწილია.

იუდა ისქარიოტელი – ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელმაც 30 ვერცხლად გასცა იესო ქრისტე და გადასცა იგი ებრაელ მხედრიონს (მარკ. 14-10 და 43; იოანე 13.2.18). ქრისტეს შეპყრობის შემდეგ იუდამ თავი ჩამოიხრჩო (მათე 26-27). იუდა ისკარიოტელის გამცემლობა და თვითმკვლელობა ზოგჯერ სხვაგვარად გაიაზრება. ქრისტიანული ეკლესია მას ზიზღით უცქერის, კანონიკთა გნოსტიკური სექტა კი თაყვანს სცემს და დიდ პატივს მიაგებს.

იუდა მაკაბელი (†161) – ებრაელთა ლიდერი სირიელთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, მატათა მღვდლის მესამე ვაჟი; იგი თავის ძმებთან ერთად იბრძოდა ანტიოქ IV (173-162)-ის რელიგიური ცდების წინააღმდეგ, რამდენჯერმე დაამარცხა მისი ჯარი და ბოლოს დაუზავდა მას. ანტიოქ IV-ს სურდა იუდაიზმის აღმოფხვრა და ბერძნული კულტის შემოღება. იუდა მაკაბელმა გარს შემოიკრიბა ღვთის ერთგული მიმდევარნი, განწმინდა და განაახლა ტაძარი და აღადგინა ღვთისმსახურება. იუდა მაკაბელის მოღვაწეობა და თავგადასავალი აღწერილია მაკაბელთა წიგნში.

იუდეველთა სამეფო (ძვ. წ. 928-ძვ. წ. 586 წწ.) – უძველესი სახელმწიფო სამხრეთ პალესტინაში. შეიქმნა ისრაელის სამეფოს დაყოფის შემდეგ. დედაქალაქი – იერუსალიმი. სოლომონ მეფის გარდაცვალების შემდეგ იუდას

ტომმა (ბენიამინელებთან ერთად) მეფედ სოლომონის ძე რობოამი (დაახ. ძვ. წ. 928-911 წწ.) გამოაცხადა, რასაც მტრულად შეხვდნენ ისრაელისა და მისი მეზობელი სხვა ებრაული ტომები. მათ მეფედ აღიარეს იერობოამი, რომელიც ეგვიპტეს აფარებდა თავს. დაიწყო ომები, რომელშიც ეგვიპტემ ისრაელს დაუჭირა მხარი და დაარბია იუდეა. ერთიანი სამეფოს აღდგენა შეუძლებელი შეიქნა. 873-842 წწ. მათ შორის კავშირი შეიკრა. იუდეველთა სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე ოსიას (ძვ.წ. 640-609 წწ.) დროს. ოსიამ ჩატარა საკანონმდებლო რეფორმები და ერთი ღმერთის კულტის ცენტრალიზაცია. მისი მმართველობის ბოლო წლებში იუდეა დაიპყრო ეგვიპტემ, ხოლო 602 წელს – ბაბილონმა. 597 წელს მოხდა „ბაბილონის ტყვეობა“ – იერუსალიმის და ებრაელთა დარბევა და მასობრივი გადასახლება ბაბილონის სამეფოში. ამ დროიდან იუდეველთა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. ებრაელთა „ბაბილონის ტყვეობიდან“ დაბრუნების შემდეგ, რაც კიროს II-ის მიერ ბაბილონის დამხობას მოჰყვა, ებრაელებს უფლება მიეცათ იერუსალიმში ცხოვრებისა და ტაძრის აშენებისა. ძვ. წ. IV ს-ში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში შედიოდა, ხოლო მოგვიანებით რომის იმპერიის პროვინციად იქცა. საბოლოოდ იუდეა დაეცა ახ. წ. 70 წელს, როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლაიუსმა იერუსალიმი დაანგრია. იუდეაში შექმნილმა რელიგიამ – იუდაიზმმა ჩაძაფალება ძველი აღთქმის წმინდა წერილი, რომელიც სრულად მიიღო ქრისტიანობამ.

იულიანა ნიკომიდიელი – მოწამე (IV ს. დასწყისი). დაიბადა ნიკომიდიაში, წარმართთა ოჯახში, ყრმობიდანვე გაიტაცა ქრისტიანულმა მოძღვრებამ და მოინათლა ფარულად. მამამ მისი წინააღმდეგობა ვერ გატეხა და ასული საკუთარი ნებით წარუდგინა სამსჯავროს. იულიანამ წამება არჩია. ღვთის წყალობით მან ყველა წამებას გაუძლო, თვითმხილველთაგან ბევრი მოექცა ქრისტეს რწმენაზე. ისინიც და იულიანაც სიკვდილით დასჯეს 304 წელს. ხსენების დღე – 21 დეკემბერი. იულიანას „წამების“ მეტაფრასული რედაქცია ქართულად არის თარგმნილი (ქუთ. 5, XV ს., 346r-354r; A 2, XII-XIII სს., 174r-177r). მისი ხსენების დღეა 21 დეკემბერი.

იულიუს ურბნელი (თუხარელი) – XVIII-XIX საუკუნის ურბნისის ეპისკოპოსი († 1211 წ.).

იულიუსის კალენდარი – იულიუს კეისრის მიერ ძვ. წ. 46 წელს შემოღებული წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც 1582 წელს რომის ეკლესიამ შეცვალა მისივე მოდიფიკაციით – გრიგორიანული კალენდრით (ე. წ. ახ. სტილით).

იუსტინა – იხ. კეპარიანე.

იუსტინე ფილოსოფოსი – ფილოსოფოსი; დაიბადა სიქემში, ძვ. სამარის ქალაქში, ბერძენი წარმართის ოჯახში, ფილოსოფია და რელიგია ბავშვობიდანვე შეიყვარა. კარგად იცნობდა სტოიციზმს, პლატონიზმ და არისტოტელეს მოძღვრებას, იუსტინე იყო ასოლგეტების მოშორე. ის იყო პირველი ქრისტიანი მოაზროვნე, რომელიც ცდილობდა გონებისა და რწმენის საკითხის მოწესრიგებასა და მოგვარებას, მათ მორიგებას. იუსტინემ გახსნა რომში სასწავლებელი, სადაც ქადაგებდა ქრისტიანულ ფილოსოფიას, ებრძოდა მწვალებლობას (გნოსტიკოს მარკიონს). 155 წელს, იმპერატორ ანტონი პიუსის (138-161) დროს დაიწყო ქრისტიანთა დევნა. იუსტინემ წარუდგინა მას „აპოლოგია“ უდანაშაულოდ დასჯილთა დასაცავად. მეორედ იუსტინემ „აპოლოგიით“ მიმართა რომის სენატს 161 წ. იტალიაში დაბრუნებულ იუსტინეს ბრალდება წაუყენა მისმა მოშურნე კრიკონელმა. იგი გაასამართლეს და 166 წელს გარდაცვალა მოწამებრივი სიკვდილით. იუსტინემ ბევრი შრომა დატოვა. იოანე დამასკელმა შემოგვინახა მისი თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი წმინდა ნაწილები რომში დაცული. ხსენების დღეა 1 ივნისი. „წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე: „ღუაწლი წმიდისა იუსტინე ფილოსოფოსისაჲ“. (ქუთ. 3, XVI ს.).

იუსტინიანე I – ბიზანტიის იმპერატორი, „დიდად“ წოდებული (527-565). იზრდებოდა ბიძასთან, იუსტინე I-თან, რომელმაც მისცა ბრწყინვალე განათლება. შესანიშნავად იცოდა თეოლოგია, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით და რელიგიურობით. მას ეკუთვნის გამონათქვამი: „იმპერატორს არასდეს არ სძინავს“. მთელ რიგ პოლიტიკურ ღონისძიებებთან და დაპყრობით ომებთან ერთად, ბევრი გააკეთა ქრისტიანობისათვის. 528 წელს დაარბია მონოფიზიტები, გაანადგურა წარმართობის კერა (დახურა ათენის უნივერსიტეტი); ეკლესია დაუქვემდებარა სახელმწიფოს. მის დროს სხვა ნაგებობებთან და სასახლეებთან ერთად აიგო ცნობილი წმ. სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში, ბრწყინვალე მოზაიკებით შემკული წმ. ვიტალისა და წმ. ასოლინარის

ეკლესიები რაენაში. იუსტინიანეს ბრძანებით შედგა რომის სამოქალაქო სამართლის კრებული. იუსტინე I-ის ინიციატივით მოიწვიეს კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრება. მისი „ცხოვრება და ღვაწლი“ აღუწერიათ აგათია სქოლასტიკოსს და რომანოზ მელოდოსს (ქართ. თარგმნილი არაა). ქართულ ენაზე თარგმნილია მისი „საკითხავი თქუმული დღესასწაულთათჳს, რომელი იგი მიწერა იერუსალიმად ისტჳნიანეს მიერ მეფისა მართლმორწმუნისა ხარებისათჳს და შობისა, მიგებებისათჳს და ნათლისღებისა“ (A 19, X ს. 71-77; A 95, XI ს., 65-72. გამოც. კ. ქეკელიძისა, კიმენი II, 67-71).

იუსტოს — I საუკუნის მოწამე, ალიზარდა წარმართის ოჯახში; ჰქონდა ცხოველმყოფელი ჯვრის ხილვა, რის შემდეგაც ირწმუნა ქრისტეს მოძღვრება და მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკთ დაურიგა. ამისთვის იგი გაასამართლეს და დასაჯეს.

„წამების“ მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე (ქუთ. 3, XVI ს. 550-555). ხსენების დღე — 14 ივლისი.

იშნარა — სოფელი გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, გორიდან 32 კმ., აქ შემორჩენილია ფეოდალური ხანის ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები.

იშრარი — სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მესტიიდან 39 კმ-ის დაშორებით. სოფლის განაპირას გორაკზე დგას XI საუკუნის მთავარანგელოზის პატარა ეკლესია, ნაგები თლილი ქვისგან. ეკლესია მოხატულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ (მოხსენებულია კანკელის ფრესკულ წარწერაში). უფრო გვიან, 1096 წელს ეკლესიის ფასადი მოუხატავს უცნობ ოსტატს. მხატვრობა შემორჩენილი არ არის.

იშხი — სოფელი მესტიის რ-ში. აქ დგას წმინდა გიორგის X-XI სს-ის ეკლესია. შემორჩენილია მოხატულობაც. სოფელში არის აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია.

იძლოქი — იხ. სუქიოსთან.

იღუმენი (ბერძნ. წინამძღოლი) — მონასტრის წინამძღვარი, უფროსი, დღეს — არქიმანდრიტის ქვეშდგომი.

იღუმენია — დედათა მონასტრის წინამძღვარი.

იშთარი — ასურულ-ბაბილონურ მითოლოგიაში მთავარი ქალღმერთი, სემიტური წარმოშობის ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთი. ზოგიერთი გადმოცემით, ანის — ცის ღმერთის მეუღლეა, ზოგის მიხედვით კი - მისი ასული. იშთარის საკულტო ცენტრი იყო ურუქი, სადაც მისი კულტი შეერწყა ინანას კულტს (ხშირად მითოლოგიურ ტექსტებში). დროთა ვითარებაში იგი ქალღმერთის ზოგად სახელად იქცა. იშთარი ორბუნებოვანია: იგი არის ცისკრის და მწუხრის ქალღმერთი. მისი ასტრალური ხატია დილით ცისკრის ვარსკვლავი, საღამოთი — მწუხრის ვარსკვლავი. დილის იშთარი ბრძოლის ქალღმერთია, მეომარი და მშვილდოსანი, რომელიც წინ მიუძღვის ლაშქარს, მწუხრის ვარსკვლავის სახით წარმოდგენილი კი — სიყვარულის მფეთრი ღვთაებაა. ქ. ურუქში დგას მისი მთავარი ტაძარი. როგორც ომის ქალღმერთი, იგი ქალაქ აქადთან არის დაკავშირებული. იშთარის მითიური სატრფოა მწყემსი თამუზი, რომლის აშოსაყვანად ჩადის იგი ქეჟსკნელში და ეიდრე ნაყოფიერების ქალღმერთი საშუალოზე არ იმყოფება, დედამიწაზე წყდება გამრაველება. ასურულ-ბაბილონურ ღვთაებათა ტრიადში (სინ-შამაშ-იშთარი) იშთარს მეორე ადგილი უკავია. მისი წმინდა ცხოველებია: ფური, ძუ ლომი, მტრედი. საკრალური რიცხვია — 12.

იშხანი — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ტაოში (ამჟამად მდებარეობს თურქეთში), ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე. VII საუკუნის 30-იან წლებში კათოლიკოსმა ნერსემ ააგო ეკლესია, რომელიც არაბების შემოსევის შედეგად დაინგრა და გაუკაცრიელდა. IX საუკუნის I ათეულში „აკათაგან მიუვალი“ და მიტოვებული იშხანი „მეორედ აღაშენა“ გრიგოლ ხანცთელის მოწაფემ და ნათესავმა, საბა იშხნელმა (იხ.). ეკლესია განახლდა X საუკუნეში, მაგრამ XI ს-ში იგი ძირეულად გადაკეთდა. საბოლოო სახე იშხანის ტაძარმა მიიღო ხუროთმოძღვარ ივანე მონრჩაიძის (იხ.) ხელში 1032 წელს, რომელმაც ააგო იგი ბაგრატის დავალებით და ხელშეწყობით. თავდაპირველი ნერსესეული ეკლესიისაგან გადარჩა მხოლოდ საკურთხეველის ნახევარწრიული აბსიდი; ახლანდელი იშხანის ტაძარი საკმაოდ წაგრძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომელშიც ძლიერსა შეიმჩნევა ადრინდელი ეკლესიის ნაშთი, მისი ძველი მხატვრობა, რომლითაც განთქმული იყო იგი. აქა-იქ არის შემორჩენილი თითო-ოროლა ფრესკა თუ წარწერა. იოანე მონრჩაის ძის ნაგებობა ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმკაცრით და ხარისხით თავისი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

შემორჩენილია XI ს. I ნახევრის მხატვრობის ფრაგმენტები. იშხანის საეპისკოპოსო კათედრა X-XI სს. საკმაოდ ძლიერი ჩანს. ვახუშტის ცნობით, აქ იყოდა ეპისკოპოსი „მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაბურდისა – ვიდრე ტრაპიზონის მთამდე“, „ქლეშწიფის კარის გარიგებაში“ საგანგებოდ არის მოხსენებული იშხანელის პატივი. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ იშხნელ ეპისკოპოსებს განსაკუთრებული პატივი ენიჭებოდათ. მაგრამ იშხნის საეპისკოპოსო კათედრის ძლიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველ მღვდელმთავართა გვიანდელ ნუსხებში იშხნელი ეპისკოპოსი მე-10 ადგილზე იხსენიება. ჩანს, საქართველოს ძლიერების დაცემასთან და სამეფოს დაყოფასთან დაკავშირებით იშხანიც კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას. გვიანფეოდალური ხანის წყაროებში აქა-იქ თუ გვხვდება იშხნელ ეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთა ხსენება. XVI-XVII საუკუნეებში კიდევ ავრძელებს არსებობას იშხნის საეპისკოპოსო კათედრა. ასე მაგალითად, ართვინის სომხურ-გრიგორიანელთა კლესიის ქართული სახარების 1650 წლის მინაწერში იხსენიება იშხნელი მთავარეპისკოპოსი მაკარი (იხ.). მოგვიანებით იშხნის საეპისკოპოსო კათედრამ არათუ დაკარგა ძველი პატივი, არამედ მაჰმადიან დამპყრობელთა ხელქვეითიც კ. გახდა. მოღწეული ცნობების თანახმად, იშხნის საეპისკოპოსო კათედრა XVII საუკუნის დასასრულამდე არსებობდა. იშხნის მონასტერი განთქმული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, მწერალი და მწიგნობარი. იშხნის მოღვაწეთაგან საგანგებოდ აღსანიშნავია საბა იშხნელი, რომელიც VIII ს-ის 80-იან წლებში გაჰყვა გრიგოლ ხანცთელს კლარჯეთში და ხანცთის საეანეში დამკვიდრდა, სადაც 836 წლამდე დაჰყო. ამ წელს განაახლა მან იშხნის ტაძარი ბაგრატ კურაპალატის დახმარებითა და შემწეობით და ეკურთხა ეპისკოპოსად. ცნობები საბას ლიტერატურულ საქმიანობაზე არ მოიპოვება, მაგრამ არსებობს ვარაუდი (კ. კეკელიძე), რომ მას უნდა ეთარგმნა 836-842 წლებში იპოლიტე რომაელის თხზულებები. X-XI სს-ის მოღვაწეთაგან იშხანში ცნობილია ილარიონ იშხნელი, რომლის დაკვეთით გადაიწერა ასკეტიკურ თხზულებათა კრებული (A 35). მასვე მოუგია 1033 წელს მესტიის სახარება. ლიტერატურული ტრადიციები იშხანში კლავ გრძელდება XVI საუკუნეში. ამ დროისათვის აქ მოღვაწეობს ამბერკი იშხნელი, რომლის დაკვალებით და დახმარებით ცნობილმა კალიგრაფმა სვიმეონ კარგარეთელმა გადაახლა და „გააცხოველა“ (გააცოცხლა) 1233 წელს ძველთაგანი ხელნაწერი (A 85), რომელიც შეიცავს ახუსრიძე ტბელის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ორიგინალურ თხზულებებს.

იყალთო – ძველი ქართული სამონასტრო კომპლექსი, თელავიდან 7-8 კმ-ის დაშორებით. მონასტერი დაარსა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთმა მოწაფემ და თანამოღვაწემ ზენონმა VI ს. II ნახევარში. სამონასტრო კომპლექსიდან დღეს შემორჩენილია სამი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, როგორიცაა: აკადემია, სატრაპეზო და სხვ. ამ სამი ეკლესიიდან მთავარია VIII-IX სს. ფერისცვალების ეკლესია „ლვთაება“, რომელიც ამენდა უძველესი ეკლესიის ადგილას და რომელშიც იყო დაკრძალული ზენონ იყალთოელი. უძველეს ნაგებობათაგან ახლა მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი, საკმაოდ დაზიანებული. ასევე, ყველაწმინდის ერთნავიანი, XII-XIII სს-ის მიჯნაზე აგებული ეკლესია. იყალთოს მონასტერში ადრე მონაზონთა მრავალრიცხოვანი კრებული მოღვაწეობდა. ამას ასაბუთებს მონასტრის ეზოში თუ გალაეანს გარეთ შემორჩენილი მრავალი ნაგებობა. საუკუნეთა მანძილზე იყალთოს მონასტერი დაცემულა და გაჩანაგებულა. იყალთოს სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურისა და განათლების ერთ-ერთი უძლიერესი კერა იყო. კარგა ხანია ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იყალთოს მონასტერში სასწავლებლის არსებობის შესახებ. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს XI-XII სს-ში დაუარსებია იყალთოს აკადემია, თუმცა დღემდე არაა მიკვლეული იყალთოს აკადემიის არსებობის დამდასტურებელი რაიმე ძველი წყარო და წერილობითი დოკუმენტური მოწმობა.

იყალთოს აკადემია – XI-XII სს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი. აკადემიის არსებობას ამტკიცებს იყალთოს მონასტრის ეზოში და გალავნის გარეთ შემორჩენილი ნანგრევები, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით საერო დანიშნულების ნაგებობა უნდა ყოფილიყო. იყალთოს აკადემიის მეცნიერულ შესწავლას გ. ჩუბინაშვილმა ჩაუყარა საფუძველი, შეისწავლა და დახასიათა მონასტრის გალავნის შიგნით შემორჩენილი ორსართულიანი ნაგებობა და აკადემიის შენობად მიიჩნია იგი. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, ნანგრევებში იკვეთება კათედრის ფუძე, დამახასიათებელი თაზჩა-

ფანჯრები და სხვა. დღეს უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს „ღვთაების მონასტრის“ შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა მე-XII ს-ის ქართული აკადემიაა. იყალთოს ბევრი საერთო აქვს გელათის აკადემიასთან, მაგრამ ის უფრო გრანდიოზულია. მთავარი დარბაზი მეორე სართულზე ყოფილა მთავსებული. იყალთოს აკადემიის შენობა რამდენჯერმა გადაუკეთებიათ. უკანასკნელად ხანძარი გასჩენია და დანგრეულა, რის შემდეგ ის აღარ აღუდგენიათ. იყალთოს აკადემიის დაარსება დაკავშირებულია ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, არსენ იყალთოელის სახელთან. არსენი იყო მის მიერ დაარსებული აკადემიის პირველი რექტორი.

აკადემიას უთუოდ უნდა ჰქონოდა მდიდარი წიგნსაცავი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ და სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი მასწავლებლები, ისე მშობლები. ჩვენამდე არ მოღწეულა ამ ხელნაწერებს. ჩვენს სიძველესთანაკავებში შემონახული ხელნაწერები, რომლებიც იყალთოდანაა შემოსული, გვიანი ხანისაა და სამწუხაროდ არ შეიცავენ ცნობებს მის შესახებ. აქ ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები, როგორიცაა: ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ასტრონომია, რიტორიკა, გალობა და მისთ. საკარაუდოა, რომ აქვე ისწავლებოდა გამოყენებითი მეცნიერების დარგებიც: მეტალურგია (მჭედლობა), აგრონომია (მეენახეობა-მეღვინეობა), კერამიკა („მეეკეობა“) და სხვ.

იხტისი (ისტორიული ღრტილა) — სოფელი ახალქალაქის რაიონში, რომელშიც დგას წმ. სტეფანეს ეკლესია. ეკლესია აგებულია 1308 წელს. აქვს ლაპიდარული წარწერა.

იპრარეთი — სოფელი ისტორიულ სამცხეში, ადიგენის რაიონში, რომელშიც დგას ამავე სახელწოდების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს. სოფელში შემორჩენილია:

1. განვითარებული შუა საუკუნეების (XII-XIII სს.) უგუმბათო ეკლესია, რომელიც ამჟამად დანგრეულია. გადარჩენილია მხოლოდ I სართულის აღმოსავლეთ ფასადის მორთულობა.

2. სამრეკლო, რომელიც ხუროთმოძღვრული მორთულობის მიხედვით XIII საუკ. შუა წლებს ეკუთვნის. საქართველოში დღემდე ცნობილ სამრეკლოთა შორის იგი ყველაზე ძველია. ამავე დროისაა, ან უფრო ადრინდელი, თვით ეკლესიაც.

3. საჭალე, გალავანი და სხვა შენობები განვითარებული შუა საუკუნეების.

კ

კაბალა (ძვ. ებრ. „მიღება“) — მისტიკური მიმდინარეობა იუდაიზმში (იხ.), ებრაული თეოსოფიური კოდირებული სისტემა, რომელიც ეზოტერული მეთოდით განმარტავს ძველ აღთქმას. კაბალა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფარული დოქტრინის ინიციაციების განცხადებას.

კაბალაში თავი მოიყარა ყველა მისტიურმა დოქტრინამ: ფარისიზმმა, გნოსტიციზმმა, ნეოპლატონიზმმა. კაბალისტური დოქტრინა, შექმნილი III-VIII საუკუნეებს შორის, წარმოადგენს იმ ტენდენციების განვითარებას, რომელიც ყველაზე მეტად ახლო იყო გნოსტიციზმთან.

კაბალა დასრულებული სახით ჩამოყალიბდა XIII საუკუნის დასაწყისში პროვანსულ და ესპანელ ებრაელთა წრეში. კაბალის ფუძემდებლური ძეგლი „ზოჰარი“ („ციალი“) დაიწერა XIII საუკუნეში კასტილიაში არამეულ ენაზე მოშე დე ლეონეს მიერ, რომელმაც II საუკუნის თალმუდისტი რაბი შიმონ ბენ იოხაი გამოაცხადა მის ავტორად.

კაბენი — IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ახალგორის რ-ნში, სოფ. ყანჩაეთის მახლობლად, ახალგორიდან 7 კმ. მანძილზე. მას ხშირად იხსენიებენ, როგორც ყანჩაეთის მონასტერს (ე. წ. გეთსიმანია). ეკლესია საფუძვლიანად გადაუკეთებიათ XIII ს-ში. კაბენი თავდაპირველად „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობა ყოფილა. სამენ მასალად გამოყენებულია თეთრი, ნახერეტებანი ტუფი და რიყის ქვა. ყველზე აღმართული რვაწახნაგოვანი გუმ-

ბათი უძეელეს ფენას მიეკუთვნება; მასზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები, რომლებიც სამხრეთ ფასადის წარწერაში მოხსენებულ პირთა მიხედვით IX ს-ისა ჩანს.

ძირითადი წარწერები თარიღდება XII-XIII სს-ით. XIV საუკუნეში მონასტერი განუახლებია იოვანე ერისთავს, რომელსაც „ძეგლი ერისთავთა“ ტაძრის „მეორედ მაშენებელს“ უწოდებს. XVIII ს-ის შუა წლებში მონასტერი დაცარიელდა. ძეელი ეკლესია გაპარტახდა. კაბენის მონასტრის ხელნაწერები სოფ. ყანჩაეთში გადაიტანეს. მოღწეული ხელნაწერებიდან ჩანს, რომ აქ შესანიშნავი წიგნსაცავი უნდა არსებულიყო თავის დროზე. იმათგან, რაც მოღწეულია, აღსანიშნავია ჟამნ-გულანი (H 1452), რომელიც 1674 წელს დაუშაბლებინებია ეკდემოზ რატიმეულს და შეუწირავს „სახულისათჳს“; ავრეთვე „ყანჩაეთის ოთხთავი“ (H 1453) XII-XIII საუკ. და სხვა.

ᲙᲐᲑᲔᲜᲘ — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი, სოფ. კიკეთისა და კოჯრის მახლობლად, გარდაბნის რაიონში. სამონასტრო კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის მიძინების დიდი გუმბათოვანი ტაძარი, სვიმეონ მესვეტისა და მიქელ მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ტიპის ეკლესიები XIII საუკუნისა. კაბენის მონასტერი იმავე გეგმითაა ნაგები, რომლითაც ბეთანიის გუმბათოვანი ტაძარია, თუმცა ფასადის მორთულობის სისტემა არსებითად განსხვავებულია. კაბენი ამ მხრივ იმეორებს სამთავის-იკორთის დეკორატიულ სისტემას. კაბენის მონასტრის ზღუდის გარეთ ჩრდ.-აღმ.-ით დგას მომცრო დარბაზული ეკლესია XII-XIII სს-ისა, რომელიც ნაგებია ნატეხი ქვით. აღმოსავლეთის ფასადის წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა თამარის მეფობის ხანაში, ხოლო მისი აგება დაუმთავრებიათ ეინმე გიორგის 4 ეაეს: ნიკოლოზს, ეასილს, ოქროპირსა და გრიგოლს.

ᲙᲐᲑᲔᲠᲘ — X-XI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კახეის რ-ნის სოფ. კაბერში. კაბერის ეკლესია ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთით მთელ სიგრძეზე გასდევს მინაშენები. კაბერი მოკლებულია მორთულობას, მხოლოდ სარკმლის თავსართზე აქეს მარტო ამოკეეთილი ჯვარი. ფასადის ცენტრში წარწერიანი ქვის ფილაა მოთავსებული. ინტერიერს შემორჩა მოხატულობის ფრაგმენტები.

ᲙᲐᲔᲜᲘ (ებრ. კაჱინ) — ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ეეას უფროსი ძე, საკუთარი ძმის — მიწათმოქმედი აბელის მკეელი. ამ დანაშაულისათეის იაკვემ იგი გაასეა ნაიდის (ებრ. ხეტიალის) ქეეყანაში. ქანაანში მცხოვრებ ისრაელ ტომებში კაენზე შეიქმნა თქმულება, რომლის მიხედვით მომთაბარე ცხოვრება ახსნილი იყო, როგორც კაენის დანაშაულის შედეგად მოღებული სამაგიერო. კაენი იქცა საზოგადო სახელად ყეელა მკეელისა და მოღალატის მიმართ (დაბადება 4, 1-26).

ᲙᲐᲔᲠᲘ — სოფელი მესტიის რ-ში, მდ. ენგურის მარჯე. სანაპიროზე მესტიიდან 5 კმ. სოფელში დგას ღვთისშობლის ეკლესია.

ᲙᲐᲗᲝᲑᲐ, ᲗᲐᲗᲔᲙᲐᲗᲝᲑᲐ — წმ. გიორგის მოსახსენებელი დღესასწაული ქართლში, სოფ. კატინისეეში, პარატისსა და თაეკატაში (ეეთახეის მონასტრის ზემოთ), 23 აპრილსა და 10 ნოემბერს.

ᲙᲐᲖᲛᲐ — მწიგნობრული ტერმინი; ნიშნავს ხელნაწერის რეეულების ან ფურცლების შეკერვას, აკინძვას. შემოსვასა და კაზმვასთან დაკავშირებული ტერმინები გეიჩვენებს, რომ ეს ორი პროცესი პირეელად ერთი ტერმინით აისახებოდა. მწიფეელი იყო ამკინძეელიც და ხელნაწერის ყდაში ჩამსმელიც. კაზმეის ტერმინად შემოღება ქართლში დაკავშირებულია ხელნაწერთა აღდგენა-განახლებასთან. მკაზმავები იყვნენ დაძეელებული და დაშლილი ხელნაწერების ხელახლა შემკვრელნი. კაზმვის სინონიმია „შეკერა“. ეს პროცესიც ხელნაწერთა ფურცლების შეერთებას, აკინძვას უკავშირდება.

ᲙᲐᲖᲠᲔᲗᲘ — დაბა ბოლნისის რ-ში, მდ. მაშაეერის ხეობაში, ბოლნისიდან 18 კმ. სოფელში არის მე-13 საუკუნის სამონასტრო კომპლექსი, სამების ერთნავიანი ეკლესია, უგუმბათო, ნაგები სუფთად დამუშაებული ქვით; შემკულია მდიდრული დეკორით. ახსიდში გეიარობამდე (2002 წ.) შემორჩენილი იყო XIII ს-ის მოხატულობის ფრაგმენტები; კაზრეთის მიდამოებში მდებარეობს განეითარებული შეა საუკუნეების ეკლესია „სათხე“.

ᲙᲐᲗᲐᲙᲛᲔᲕᲔᲚᲘ — ნათლისღებისათეის და ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად გაშადებული პირი; იგივეა, რაც მოუნათლავი მორწმუნე. კათაკმეელებს უფლება ეძლეოდათ დასწრებოდნენ ზოგიერთ საზოგადო ღვთისმსახურებას თაეიდან ბოლომდე (მწუხრი, ცისკარი, ეამნობა...); ყამისწირეას კი — განსაზღერელ მომენტამდე. ყამისწირეის იმ ნაწილს, რომელზედაც კათაკმეელები ესწრებოდნენ, „კათაკმეელთა ლიტურგია“ ეწოდებოდა. წირეის ამ ნაწილის

დასასრულს დიაკონი იტყოდა: „კათაკმეველნო, განვედით; რაოდენნი კათაკმეველნი ხართ, განვედით“, და კათაკმევლებიც დაშორჩილებოდნენ მას. ჟამისწირვის მომდევნო ნაწილს „პორწუნეთა ლიტურგია“ ეწოდება. წეს-განგებათა კრებულებში (კურთხევანი, ეხლოლგიონი) შესულია „წესი დადგრომასა კათაკმეველთასა“.

კათოლიკოსი (ბერძნ. საყოველთაო, მსოფლიო, მთავარი) — ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესიის უმაღლესი იერარქის (პატრიარქის) ტიტული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ამ ტიტულს ატარებდა საქართველოს ეკლესიის მეთაური დაახლ. 466-74 წწ-დან XI საუკუნემდე. ის ჯერ „ქართლის კათოლიკოსს“ და „მცხეთის კათოლიკოსს“ უწოდებდნენ. XI ს-დან მისი წოდებულებაა „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“. დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათოლიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ მის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალს „აფხაზთა კათოლიკოსი“ ეწოდა, ხოლო XV ს-ის შემდეგ კი — „აფხაზთა პატრიარქი“. ეკლესიის მეთაურის ტიტულში ამგვარი ცვლილებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული ეკლესიის სტრუქტურული განვითარების ცალკეულ ეტაპებთან. მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, კათოლიკოსის თანამდებობა გაუქმდა (აღმ. საქართველოში 1811 წელს, ხოლო დას-ში — 1814 წ.). საქართველოს ეკლესია შეიერთა რუსეთის ეკლესიამ საეგზარქოსოს სახით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წ.) შემდეგ აღდგა მისი უმაღლესი იერარქის ტიტული — „უწმიდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“.

კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი — ასე იწოდებოდნენ საქართველოს ეკლესიის მამამთავარნი V საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის დამდეგამდე.

კათოლიკოსი — დასაელეთ საქართველოს ეკლესიის მამამთავართა ტიტული XV ს-დან 1814 წლამდე.

კათოლიკოს-პატრიარქი — ეკლესიის მამამთავართა ტიტული აღმოსავლეთ საქართველოში 1500 წლიდან 1811 წლამდე (ავტოკეფალიის გაუქმებამდე).

კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი — საქართველოს ეკლესიის მამამთავრის ტიტული XI ს. 20-იანი წლებიდან XVI ს. დამდეგამდე და 1917 წლიდან დღემდე.

კათარები (ბერძ. სუფთა, წმინდა) — ერთ-ერთი მწვალებლური სექტის სახელწოდება. წმ. ეპიფანეს გადმოცემით ასე ეწოდებოდა ნოვატიანუსის მიმდევრებს — ნოვატიანებს, ხოლო აგუსტინეს თანახმად — მანიქეველებს. ზოგჯერ ასე მოიხსენიებენ შუა საუკუნეების მწვალებლურ სექტას, წარმოქმნილს გერმანიაში (XII ს.); სექტა წარმოიშვა X ს-ში ბალკანთის ნახევარკუნძულზე, საიდანაც გავრცელდა დასავლეთში. ფართო გავრცელება ჰპოვა XI-XII სს-ში. კათარების სექტები გაჩნდნენ საფრანგეთში, იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ყველა ქვეყანაში ერესს თავისი სახელი ქქონდა. განსაკუთრებით აყვავდა იგი XII საუკუნის საფრანგეთში, სადაც მათ ალბიგოელებს უწოდებდნენ (ბულგარეთში — ბოგომილებს და სხვა). კათარების მოძღვრების საფუძველი იყო დუალიზმის პრინციპი (სინათლისა და სიბნელის ღმერთი). ქადაგებდნენ უკიდურეს ასკეტიზმს, უარყოფდნენ საეკლესიო საიდუმლოებებს, ქორწინებას, წმინდანთა თაყვანისცემას და სხვა; მოითხოვდნენ საეკლესიო მიწათმფლობელობის მოსპობას, უარს ამბობდნენ საეკლესიო გადასახადზე; თეითმკვლელობა არ მიაჩნდათ დანაშაულად და ა.შ. ამ რელიგიური სექტის ორგანიზაციის სათავეში იდგა პირი, რომელსაც „სრულყოფილი“ ეწოდებოდა. სექტის მეთაური უმკაცრეს ასკეტურ ცხოვრებას მისდევდა. საერო და სასულიერო ხელისუფლების ოფიციალური ორგანოები სასტიკად დევნიდნენ კათარებს. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა მათ წინააღმდეგ რეფორმაციამ, რის შემდეგაც ისინი გაქრნენ.

კათედრა (ბერძნ. სკამი, დასაჯდომი ადგილი, სავარძელი) — ეპისკოპოსის სავარძელი კათედრალურ ეკლესიაში, სადაც მღვდელმთავარი ჯდება ღმრთისმსახურების დროს; დგას ეკლესიის ცენტრში ამაღლებულ ადგილზე, აგრეთვე საკურთხეველის უკან; გადატანითი მნიშვნელობით — საეპისკოპოსო ოლქი (ეპარქია). 2. ადგილი ქრისტიანულ ეკლესიაში, საიდანაც ქადაგებენ. 3. საკათედრო (კათედრალური) ტაძარი.

კათედრალი — საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსოს მთავარი ეკლესია. ესაა ეპარქიის სასულიერო ცენტრი. საეპისკოპოსოს ზოგჯერ ორი საკათედრო ეკლესიაც აქვს.

კათოლიკე (ბერძნ. საყოველთაო, უნივერსალური, მსოფლიო) — ტერმინს პირველად ვხვდებით ქრისტიანულ ლიტერატურაში წმ. ეგნატე ანტიოქელთან. ქრისტიანულ ტერმინოლო-

გაში მას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა:

1. საყოველთაო ეკლესია. 2. ორთოდოქსალური ეკლესია (განსხვავებული მწვალებლებისაგან). 3. ის ქრისტიანები, რომლებიც აღიარებენ კათოლიციზმს. 4. ეკლესიის განსაკუთრებული სახე. იხ. კურსივში.

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ – იაკობ, პეტრე, იოანე და იუდა მოციქულების ეპისტოლეთა სახელწოდება, რომლებიც შესულია ახალ აღთქმაში; ისინი, განსხვავებით პავლეს ეპისტოლეებისაგან, არ არიან მიმართული გარკვეულ პირთა ან ეკლესიათა მიმართ, არამედ აქვთ საყოველთაო ხასიათი.

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲑᲐ – რომის კათოლიკური ეკლესიის დოგმატების, საეკლესიო მმართველობის ორგანიზაციის, კანონებისა და წესების სისტემა. ქრისტიანობის წარმოშობისა და გაერცელების დროიდან XI საუკუნემდე მხოლოდ ერთი ეკლესია არსებობდა – კათოლიკე ანუ საყოველთაო. IX საუკუნიდან დაიწყო აღმოსავლური და დასავლური ეკლესიის დაშორისპირებისა და გაყოფის პროცესი, რომელიც XI საუკუნეში დამთავრდა. ეკლესია 2 ნაწილად გაიყო 1054 წელს (სქიზმა). ამ დროს თითოეულ მათგანს შერჩა სახელი – „კათოლიკე“: აღმოსავლეთის კათოლიკე და რომის კათოლიკე ეკლესიები. ეკლესიათა განყოფამ თანდათან გაღრმავა მათ შორის განსხვავებანი, მათ შორის დოგმატური. პირველ ყოვლისა ესაა სულიწმიდის გამომავლობის საკითხი. კათოლიკობის მიხედვით სული წმიდა გამოდის არა მარტო მამა ღმერთისაგან, როგორც ეს მიჩნეულია მართლმადიდებლურ ეკლესიაში, არამედ ძე-ღმერთისაგანაც. მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით კათოლიკობა, გარდა სამოთხისა და ჯოჯოხეთისა, აღიარებს შუალედურ სამყოფელს – განსაწმენდელს ანუ სალხინებელს (პურგატორიუმი). სამღვდელოების სიწმინდისა და ავტორიტეტის დაცვისა და განმტკიცების მიზნით ოცი კრძალვის სასულიერო პირთა ქორწინებას (იხ. ცელიბატი); მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, მას აქვს ერთი ცენტრი – ვატიკანი, რომელსაც სათავეში უდგას რომის პაპი. შემდგომი იერარქიული წოდებებია: კარდინალი, მიტროპოლიტი, პატრიარქი, ეპისკოპოსი, პრესვიტერი და დიაკონი. საეკლესიო სიდიდენი შესრულებამდეც არის განსხვავებანი. მაგ., ნათლისღების დროს კათოლიკურ ეკლესიაში საკმარისია წესდებულ არაა წყლით განბანა, საკმარისია შესხურებაც. მირონის ცხება კათოლიკურ ეკლესიაში უშუალოდ ნათლისღების შემდეგ კი არ ხდება, არამედ მხოლოდ 8 წლის ასაკიდან. ამ პროცედურას აუცილებლად ეპისკოპოსი ასრულებს (IX საუკუნიდან) და არა პრესვიტერი, როგორც ეს მიღებულია აღმოსავლეთის ეკლესიაში. ცხება ხდება მხოლოდ შუბლზე. ეუქარისტიაში კათოლიკობას შეაქვს შემდეგი ცვლილებები: 1. პური არის არა საფუარზე დაყენებული, არამედ მტკნარი წყლით მოზელილი ცომისაგან. 2. არაა ნებადართული ყრმების ზიარება; 3. საერო პირი მხოლოდ პურით ეზიარება; კათოლიკურ ეკლესიაში ზიარების წესი სხვადასხვაა თვით სასულიერო პირთათვის, იერარქიის მიხედვით. კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის განსხვავება მეფავნდება აგრეთვე საეკლესიო სამართლის საკითხშიც. განსხვავებულია ტაძართა მოწყობილობა, საკურთხეველის, კანკელის და სხვათა განლაგება და მდებარეობა და მისთ. კათოლიკურ ეკლესიაში არ არის იკონოსტასები, როგორც ეს არის მართლმადიდებლობაში. დასაველური წესი ამ მხრივ უფრო ძველია, ვიდრე აღმოსავლური. ტრაპეზი ყოველთის არაა გამოყოფილი კათოლიკურ ეკლესიაში, მასთან მიახლება შეუძლიათ არა მარტო მღვდელთ, არამედ საერო პირებსაც – ქალსა და კაცს განურჩეველად. ხატები უფრო რეალისტურია და საერო იერი აქვთ. ტაძრები შემკულია ქანდაკებებით, ზოგიერთ მათგანს ღღესასწაულზე მოსაენ თანამედროვე ტანსაცმლით, დაშვებულია დეკორაციებიც. ღვთისმსახურების დროს მიღებულია ჯდომა; ადგომა ლიტურგიის დროს საჭიროა მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვან მომენტებში და ა. შ.

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ – საქართველოში თავდაპირველად არ იზიარებდნენ რომაელთა ეკლესიისადმი ბერძენთა კონფრონტაციას. ასეთი დამოკიდებულების გამომხატველი იყო გიორგი მთაწმიდელი (XI ს.). ანტიკათოლიკურ თხზულებათაგან ქართულად უთარგმნიათ მხოლოდ ერთი – ევსტრატი ნიკიელ მიტროპოლიტის († 1117) „მოსახსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს პრობნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალსა ეკლესიათაგან განიჭირნეს“. ეს „მოსახსენებელი“, რომელიც შეგვიძლიან არსენ იყალთოელის (ვარჭმის) დოგმატიკონში შეუტანიათ, რომის და აღმოსავლეთის განხეთქილების ისტორიის გარდა შეიცავს ნუსხას რომის ეკლესიის დოგმატურ-პრაქტიკული თავისებურებებისა, რომლებიც მასში ბერძნული თვალსაზრისითაა შეფასებული და გაკრიტიკებული. საქართვე-

ლოს საერო და სასულიერო ხელისუფლების მეთაურები ბიზანტიის გვერდის აელით ხშირად ცდილობდნენ დაემყარებინათ პოლიტიკური ურთიერთობა დასავლეთთან. XIII ს. 30-იან წლებში საქართველოს მეფე რუსუდანი პაპ გრიგოლ IX-ს სთხოვდა დახმარებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში და აგრეთვე საქართველოს ეკლესიის შეერთებას რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. ამ ურთიერთობებს მოჰყვა საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ჩამოსვლა. მაგ., ფრანცისკანელთა ორდენის წევრებისა, ე. წ. მონორიტების (მორჩილი ძმების), რომელთაც თბილისში დაარსეს მონასტერი იაკობ როგანელის ხელმძღვანელობით და ხელი მიჰყვეს კათოლიკობის პროპაგანდის საქმეს. მათ შემდეგ გაჩნდნენ საქართველოში დომინიკანელების ორდენის წევრები, რომელთაც აგრეთვე თავისი მონასტერი დაარსეს თბილისში. პაპმა იოანე XXII-მ 1329 წელს თბილისში დაარსა კათოლიკოსთა საეპისკოპოსო. მისი პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო საქართველოში ნაცხოვრები და ქართული ენის მცოდნე იოანე ფლორენციელი — დომინიკელი ბერი. თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო ემორჩილებოდა სპარსეთში შექმნილ ე. წ. „სულთანიეს საარქიეპისკოპოსოს“. XVI ს-ში ეს საეპისკოპოსო თბილისში გაუქმდა, მრეველე შემცირდა და ორი ორდენის წევრები (ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა) საქართველოში ვეღარ შემოდიოდნენ; XVIII ს-დან გაძლერდა ურთიერთობა ევროპასთან და საქართველოში ჩნდებიან რომის მიერ გამოგზავნილი მისიონერები — თეათინელები: ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ჯულიე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, ჯუსტო პრატო და სხვანი. მათი სამოღვაწეო ასპარეზი ამჯერად მთელი საქართველო იყო. შემდეგ ჩამოვიდნენ ფრანცისკანელთა ორდენის მისიონერები და კაპუცინები. ქართველობა კათოლიკობას საქართველოს გაერთიანებასა და სხვის საქმეს უკავშირებდა, ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ რომის პაპისგან დახმარებისათვის ირან-ოსმალეთის დამპყრობლური ბრძოლის წინააღმდეგ. ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. კათოლიკე მისიონერები აქტიურად ჩაებნენ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში. განსაკუთრებით კაპუცინების საქმიანობა იყო ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან მათ შორის იყო ბევრი მწერალი, მხატვარი, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი — მასწავლებლობდნენ სკოლებში და პოპულარიზაციას უწევდნენ მეცნიერებას ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად, ასწავლიდნენ ენებს და სხვ. ისინი აგროვებდნენ ეთნოგრაფიულ მასალას, ფოლკლორულ ნიმუშებს; ცხოვრობდნენ ძირითადად თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში და სამცხის სოფლებში.

ქართველ კათოლიკეთა საღვთისმსახურო ენა იყო ლათინური. XVI ს-დან მის გვერდით ფეხს იკიდებს კავკასიის კათოლიკეთათვის ეატიკანის მიერ დამტკიცებული სომხურენოვანი ტიპიკონი. ამის შემოღებამ ის გამოიწვია, რომ ხშირად ქართველი კათოლიკენი სახელებსა და გვარს იცვლიდნენ ამ რიტუალის (ტიპიკონის) შესაბამისად, რაც თავის მხრივ იწვევდა გაუგებრობას. კათოლიკობის პროპაგანდა ჩვენში იმდენად გაძლიერდა XVIII ს-ში, რომ მაღალ სამღვდელოებასაც მოედო. მართლმადიდებლობის მიმდევრებმა და გულშემატკივრებმა დაიწყეს ბრძოლა მის წინააღმდეგ. მათ რიგებში იყო ბესარიონ კათოლიკოსი, რომელმაც ლათინთა წინააღმდეგ დაწერა პოლემიკური თხზულება „გრდემლი“. ანტონ კათოლიკოსმა თავისი „მზამეტყველების“ მესამე წიგნში ცალკე თავად შეიტანა (XVII თავი) „ლათინთა მიმართ, რომელ არს პაპისტნი, მოკლედ წინაგანწყობაჲ, თუ რასითაც ერთი სასულიერისაგან სალმრთოსა არა მისცემენ უკუდავსა სისხლსა სიტყუა განხორციელებულისასა“. ამავე საუკუნეში ანტონის ბრძანებით პორფილე ბაგრატიონმა თარგმნა რუსი მღვდელმთავრის, თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება „ისტორია თუს დაწყებისა განხეთქილებასა შორის ბერძენთა და რომაელთა, თუს გამოსლვისა სულისა წმიდისა“. XIX ს. 40-იან წლებში ფრანცისკანელთა ორდენი გაუქმდა და აღგილობრივი ქართველი და სომეხი ბერ-მონაზვნები უძღვებოდნენ კათოლიკურ მრეველს. კათოლიკე ბერებმა, რომლებიც გამოეცნენ სომეხ მზითარისტთა ძმობას (ვენეციაში), სტამბოლში დაარსეს თავისი კონგრეგაცია ქართულენოვანი რიტუალით (ტიპიკონით), რომელსაც ჰქონდა საკუთარი სტამბა და სკოლა; ბეჭდავდნენ ქართულ სახელმძღვანელოებს და საერო ხასიათის წიგნებს (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1962; მისივე: საქართველოს ეკლესიის ისტორია, რომი, 1910 წ.; მისივე: პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას, თბ., 1904 წ. და სხვა).

ᲙᲐᲘᲐᲤᲐ — ებრაელთა მღვდელმთავარი, რომლის თანდასწრებითაც და მონაწილეობით აწამეს იესო ქრისტე. იოსებ ფლავიოსის თანახ-

მად, იგი სალუქელთა სექტას ეკუთვნოდა (იუდ. სიტ. 18,2,2). მისი სახელი იყო იოსები. მაღალი სამღვდელო სარისხი მან ტიბერიოსგან მიიღო. კაიაფას დროს დაიწყო ქადაგება იოანე ნათლისმცემელმა და იესო ქრისტემ. იმისათვის, რომ ქრისტიანული მოძღვრება არ გავრცელებულიყო იუდეველთა შორის, კაიაფამ შეკრიბა სინედრიონი, რომელზეც განაცხადა, რომ ქრისტეს მოძღვრება საფრთხეს უქმნის იუდეველთა და რომ სჯობს, მოკედეს ერთი კაცი, რათა გადარჩეს მთელი ხალხი. კაიაფამ გადაწყიტა, ქრისტე ჯვარს-ეცვათ (მათე 26, 1-5, 57-66).

კაიაფა – ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე, „რომელსაც მოციქულმან პალე ანტიოქიას ამბილა, რომელი ეპისკოპოს იქმნა იკონიას". მოხსენებულია ეპისკოპოს დროროთეოსის „ალწერილი საკლესიო"-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს. ამ თხზულების ძველი თარგმანი დაცულია A 95-ში.

კაინიტები – გნოსტიკური სექტა, რომელსაც ებრძოდნენ ირინეუსი და სხვა საეკლესიო მწერლები. ძველი ალთქმის მიხედვით, ღმერთი აგებდა პასუხს ყველა ცოდვასა და ბოროტებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნად. ეს გნოსტიკური სექტა პაიცაელად ცოდვილთ, მაგ. კაენსა და სხვ. მისთ. ცნობილია, რომ ისინი აღიარებდნენ იუდას ამაკრიფულ სახარებას. კაენის მოხსენიება ახალ ალთქმაში ამტკრებინებს თეოლოგებს, რომ კაენიტების სექტა ქრისტიანობამდე გაცილებით ადრე უნდა არსებულიყო.

კაკაბაძე სარგის (1886-1967) – საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. სწავლობდა ენის უნივერსიტეტში, დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსაელური ენების ფაკულტეტი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს. ს. კაკაბაძის ძირითადი შრომები ეძღვნება საქ. ისტორიისა და ფილოლოგიის საკითხებს. მან გამოსცა „სარიელი მაჰმის" უძველესი ტექსტები, ე. წ. არქეტიპები და გამოკლეკვაც დაურთო გამოცემებს: ასურელ მამათა ცხორებათა არქეტიპები, თბილისი, 1928. მან შეისწავლა და გამოსცა მრავალი საერო თხზულებაც („ეფხისტყაოსანი", „თამარიანი", „ამირან-დარეჯანიანი" და სხვ.).

კაკლიანი – სოფელი დმანისის რ-ნში, დმანისის პლატოზე. დმანისიდან 14 კმ-ის მანძილზე. სოფელში დგას XI საუკუნის „ღვთისმშობლის" ეკლესია ლაპიდარული წარწერით; აგრეთვე განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიები: „წვერიწმინდის წმინდა გიორგი" და „თოთეს ეკლესია".

კალამი – საწერი იარაღის უძველესი ქართული სახელწოდება. იხსენიება ესაის წიგნში, კალამი X საუკუნიდანაა ცნობილი და ამაე დროიდან ხდება საწერი იარაღის აღმნიშნველ გაბატონებულ ტერმინად. არსებობდა „კალამი რკინისაჲ" (მამათა სწავლანი, ილ. აბულაძის გამოცემა გვ. 130), „კალამნი ფოლადისანი" (ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია). ასოთა განსხვავებული „დანაკუწით" ესაჭიროებოდა ხუცურ და მხედრულ ასოებს. ხუცურის ასოთა ნაკეთების გამოსაყვანად გადამწერს უნდა ეხმარა ხუცურის კალამი (ანუ ნუსხურის). ასევე თავისი კალამი ესაჭიროებოდა მხედრულს. განსხვავებას „ხუცურსა" და „მხედრულს" შორის ქმნიდა კალამთა სხვადასგვარი გამოჭრა. კალამს საკალმეში ინახავდნენ. მის გამოჭრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ არაბი და სპარსი კალიგრაფები. მათ მიერ შემუშავებული წერის ექვსი სტილი სრულიად სხვადასხვაგვარად გამოჭრილ კალმებს მოითხოვდა.

კალამარია – იმპერატორმა იოანე კანტაკუზენმა 1351 წელს ათონის ივერთა ქართულ სავანეს დაუმტკიცა ხრისობულებით (იმპერატორის სიგელი) მამულები, მცირე მონასტრები და სხვა ნაგებობები, რომელთა შორის იყო მამული კალამარიაში.

კალანდა // კალანდობა (ლათ. თვის პირველი დღე) – ახალი წლის სახელწოდება გურიასა და სამეგრელოში, ხოლო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში – ახალი წლის წინა დღეს ეწოდება. კალანდასთან არის დაკავშირებული გამოთქმები: საკალანდო პურ-ღვინო, სვან. ლეკალანდ (საკალანდო ღორი) და სხვა (იხ. ახალწელიწადი და აგრეთვე: ს. მაკალათია, ახალი წელიწადი საქართველოში, ტფ. 1917).

კალაური – სოფელი გურჯაანის რ-ნში, მღებარეობს ქედის ჩრდილო კალთაზე, გურჯაანიდან 18 კმ. დაშორებით. სოფელში დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია გვიანი შუა საუკუნეებისა. არის მოსატკლობა და წარწერები.

კალენდარი (ლათ. თვის პირველი დღე) – დროის ხანგრძლივ პერიოდებად დანაწილებისა და აღრიცხვის სისტემა. დროის შუალედები ამ სისტემაში ციურ სხეულთა მოძრაობით განისაზღვრება (მზის ამოსვლა-ჩასვლა, წელი-

წადის დროთა ცვლა, მთვარის ფაზების მონაცვლეობა და სხვა). დიდი შუალედის გასაზომი ერთეულია ტროპიკული წელიწადი, რომელიც მზის ირგვლივ დედამიწის ერთი გარემოქცევით განისაზღვრება. კალენდარი შემოიღეს 46 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ახალი წელი იწყებოდა 21 მარტით, რომელიც ზუსტ თარიღად იყო მიჩნეული. ყველაზე დიდი გაერცელება პოვა იულიუს კეისრის მიერ ეგვიპტელი ასტრონომის, სოსიგენეს რჩევით შემოღებულმა წელთაღრიცხვის სისტემამ, რომლის მიხედვით წელიწადის ხანგრძლივობა შეადგენდა 365 დღეს, ხოლო ყოველი მეოთხე (ნაკიანი) წელიწადი — 366 დღეს. ეს კალენდარი ცნო ქრისტიანულმა ეკლესიამ, მაგრამ VII საუკ-ში ის საბოლოოდ მოაწესრიგეს და საჭირო რეფორმა ჩაატარეს. რომის პაპმა გრიგოლ XIII 1582 წელს გამოსცა ბულა, რომლის საფუძველზე დღეთა ანგარიში 21 მარტს დაემთხვა. ახალი სტილის წელთაღრიცხვას ეწოდა გრიგორიანული კალენდარი. პირველად იგი შემოიღეს XVI ს. 80-იან წლებში იტალიაში, ესპანეთსა, პორტუგალიასა და სხვა ეროპულ ქვეყნებში. ინგლისში იგი მიიღეს 1752 წელს. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ ცნო იგი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთშიც შემოვიდა გრიგორიანული კალენდარი. ამ დროისათვის იულიუსის კალენდარი 13 დღე-ღამით ჩამორჩებოდა. ამიტომ 1 თებერვალი გამოცხადდა 14 თებერვლად.

აღმოსავლეთის ქვეყნებში მთვარის კალენდარს — ჰიჯრას იყენებენ, რომლის მიხედვით მთვარის წელიწადი 29-30 დღე-ღამიან 12 თვეს შეადგენს. მთვარის კალენდარი უფრო ძველია მზისაზე. იგი გაერცელებული იყო უფრო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ბაბილონი, ჩინეთი), რადგან მთვარის ფაზების მონაცვლეობის შემჩნევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მზისა.

საქართველოში ძველთაგანვე გაერცელებული იყო მთვარის კალენდარი, რომელიც მერე მზისამ შეცვალა. ახალი წელი იულიუსის კალენდრით აგვისტოში იწყებოდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ იგი შეიცვალა სექტემბრით (VII ს.). ამ დროიდან შემოდის თვეთა რომაული სახელებიც, მაგრამ პარალელურად იხმარებოდა ძველიც. VIII-IX სს. მიჯნაზე შემოვიდა მარტის სტილის, ხოლო X ს-დან — ივნისის სტილის წელიწადი, რომელიც ბატონობდა XIII-XVI სს. საქართველოში ერთდროულად სხვადასხვა სტილის წელიწადს იყენებდნენ. არსებობდა წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემაც (ერა ქეყნის შექმნიდან — დასაბამიდან, ქრისტეს დაბადებიდან, ჯუარცმა-აღდგომიდან, ქორონიკონის ერა). ქეყნის შექმნის ერებიდან ყველაზე უფრო გავრცელდა 5604 წლიანი ქართული და 5508 წლიანი ბიზანტიური ერა, რომელთა თანახმად ქეყნის შექმნიდან დღემდე გავიდა ამდენი წელი. ქორონიკონის ერა ითვლის წელთაღრიცხვას 532-წლიანი ციკლით. ამ პერიოდს ეწოდება მოქცეა. 5604 წლიანი ერით ახ.წ. 780 წ. დამთავრდა მე-12 მოქცეა და 781 წელს დაიწყო მე-13 მოქცეა, რომელიც დამთავრდა 1312წ. 1313 წელს დაიწყო მე-14 მოქცეა, რომელიც 1844 წელს დამთავრდა. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში მე-13 მოქცეაზე ადრინდელი დათარიღება არ მოიპოვება. 1918 წლამდე საქართველოში, როგორც ეკლესიაში, ისე საშინაო-ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული იყო იულიუსის კალენდარი. 1918 წლიდან საშინაო-ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდა გრიგორიანული კალენდარი, ეკლესია კი დღემდე იულიუსის კალენდარს იყენებს.

კალვინიზმი — პროტესტანტული თეოლოგიური სისტემა, შექმნილი ჟან კალვინის მიერ. მიმართული იყო კათოლიციზმის წინააღმდეგ. ამ მოძღვრების თანახმად, სარწმუნოების ერთადერთი წყარო და უმაღლესი ავტორიტეტია ბიბლია. მას უნდა ეგუებოდეს სახელმწიფო მმართველობა, პოლიტიკა, საეკლესიო ორგანიზაცია და მორალი. კალვინის მოძღვრება არის რაღაც საშუალო ლუთერიზმა და ცვინგლის შეხედულებათა შორის. ლუთერანობისაგან კალვინიზმის მთავარი განმასხვავებელი თავისებურებაა ბედისწერის, პრედესტინაციის (წინასწარგანსაზღვრულობის) დოქტრინა, რაც კალვინიზმის საფუძვლადაა მიჩნეული. ეკლესიის საიდუმლოთაგან კალვინმა დატოვა მხოლოდ ორი: ნათლისღება და ზიარება. ასევე, გაამარტივა ღვთისმსახურება და საეკლესიო ორგანიზაცია. მორწმუნეთა თემი ირჩევს მოძღვარს, რომელსაც სამღვდელო წოდება არ გააჩნია და მხოლოდ სასულიერო „სამსახურს" ეწევა — მას მინისტრი ეწოდება. მინისტრის კანდიდატურას აყენებს ე. წ. კონსისტორია — საეკლესიო საბჭო. ამ საბჭოში მინისტრთა გარდა შედიან პრესვიტერები — ერისკაცთა მამასახლისები. მათ კი ირჩევენ წარჩინებული და გავლენიანი პირები, მდიდარი ერისკაცები. პრესვიტერები არსებითად საეკლესიო საქმეებს ხელმძღვანელობენ, რის გამოც კალვინისტურ ეკლესიას სხვანაირად ეწოდება „პრეს-

ჯიტერიანული". კონსისტორია მკაცრ კონტროლს უწევდა მოქალაქეთა ზნეობრივ სახეს; სიტყვის თავისუფლება და ინდივიდუალობა სასტიკად იკრძალებოდა და იდევნებოდა. კალვინიზმმა გაუქმა ხატები, საკლესიო იერარქია, შეამცირა უქმე დღეთა რიცხვი, აკრძალა საკლესიო მუსიკა. ღვთისმსახურება წარმოებდა ბიბლიის კითხვით, ქადაგებითა და ფსალმუნთა გალობით.

კალვინიზმი გაცრცელდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (ჰოლანდიაში, ინგლისში, შოტლანდიაში), ამერიკის ჩრდ. ამერიკაში (კანადა), სამხრეთ აფრიკის კავშირში და სხვ.

კალინიკე – III-IV სს. მოწამე, წარმოშობით კილიკიიდან. კალინიკე ბაუშვობიდანვე ქრისტიანულ გარემოში იზრდებოდა. თვითონაც ღვთისმოსაი იყო და სხვის მოქცევაზეც ზრუნავდა. მან ბევრი წარმართი მოაქცია ქრისტეს რწმენაზე, რისთვისაც ის შეიპყრეს, ქ. ანკვირიაში სამსჯავროს გადასცეს და პირობა დაუდეს, თუ წარმართულ კერპებს არ შესწირავდა მსჯეროლს, წამებით ამოხდიდნენ სულს. დიდი ტანჯვა-წამება მიაყენეს, მაგრამ მისი ძლიერი სული ვერ გატეხეს. მაშინ შააჯულმა ბრძანა ფეხსაცმელებში ჩაეჭედათ ლურსმნები და ისე გაეტარებინათ ქ. განგრამდე. წმინდანმა ამასაც გაუძლო და გზაში სასწაულიც მოახდინა: მხედრებს მოსწყურდათ და კალინიკემ ქვიდან გამოადინა წყალი; იგი თავისი ნებით შეეხდა კოცონში და სული უფალს მიუძღვნა, ხოლო მისი სხეული სასწაულებრივი ძალით უვნებელ დარჩა. ქართულად არსებობს კალინიკეს „წამების" მეტაფრასული რედაქციის თარგმანი – ჯუთ. 3, XII ს., 746-752. ხსენების დღე - 29 ივლისი.

კალიოპი – მოწამე, დაიბადა „სმირნიის პერგეში", წარჩინებულთა ოჯახში. დედამისს, თეოკლიას დიდხანს არ ჰყავდა შვილი; მან შესთხოვა უფალს და მალე დაიბადა კალიოპი. იგი იზრდებოდა ქრისტიანული სულისკვეთებით. მის ყმაწვილობაში დაიწყო ქრისტიანთა დევნა. იგი, როგორც ქრისტიანი, დაისმინეს. დედა იძულებული გახდა შვილი გადაემალა კილიკიაში. მათი იქ ჩასვლა დაემთხვა წარმართული ღმერთების დღესასწაულს. კალიოპს თხოვეს მასში მონაწილეობის მიღება. მან, როგორც ქრისტიანმა, უარი განაცხადა ზეიმში მონაწილეობაზე; იგი დაუსმინეს ქალაქის მმართველთან, დაიბარეს და გაასამართლეს: მოსთხოვეს უარი ეთქვა ქრისტიანობაზე. კალიოპი არ განუდგა ქრისტეს. მეორე დღეს შედგა სასამართლო და კალიოპს კვლავ მტკიცე უარი განაცხადა ქრისტიანობისაგან განდგომაზე. მაშინ იგი ჯვარს აცვეს: ეს მოხდა 304 წელს. თეოკლიამ ჩამოხსნა შვილი და თვითონაც იქვე გარდაიცვალა. დედა-შვილი ერთ საფლავში დაასაფლავეს. ხსენების დღეა 7 აპრილი. ქართულად არსებობს „წამების" მეტაფრასული რედაქციის თარგმანი, ჯუთ. 7, XIII ს. 158-168.

კალიოპი – ქართველთა სავანე შავ მთაზე (ანტიოქია), ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა. აქ მოღვაწეობდნენ: გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი, ბასილი თორელყოფილი და ბასილი კალიპოსელი, აგრეთვე გამორჩენილი მწიგნობრები – გაბრიელ და იოანე დეკანოზები, იოანწმინდელ-საყარელნი, რომელთაც ჯვარის მონასტერს შესწირეს გრიგოლ ნაზიანზელის და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველი კრებული (ამჟამად ინახება პეტერბურგში,აძღ. ისტ. – P 3). საკმაოდ დაშაადდა ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორიცაა ალავერდის ოთხთავი (A 484), შესრულებული 1054 წელს. ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულნი არიან იოანე დეკანი, მიქელ, გიორგი და მომგებელი სვიმეონ მღვდელი. ძველი მოხატულია და მხატვრულად დიდი გემოვნებითაა გაფორმებული. აქვეა დაშაადებული საზარების ტექსტი, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა და რომლის მნიშვნელობა უაღრესად დიდია ქართული კულტურის ისტორიისათვის. ბასილი თორელყოფილმა გადაწერა თაბორის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ოთხთავი, რომელიც ამჟამად ქუთაისში ინახება – ქუთ. 76. (იხ. კალიპოსის ოთხთავი). ამავე საუკუნეში მოღვაწეობდნენ ბასილი წინამძღვარი, კალიპოსელი, რომლის დაკვალებით ეფრემ მცირემ თარგმნა „წამებაჲ წმიდისა დიდებულისაჲ ქრისტეს მოწამისაჲ – მინა ეგვიპტელისაჲ". ვიცით კიდევ ერთი ბასილი კალიპოსელის არსებობა, რომელიც სინის მთის ცნობილი კრებულის Sin. 71 გადაწერაში იღებდა მონაწილეობას. კალიპოსშია გადაწერილი სხვა ხელნაწერებიც, რომელთა შესახებ ცნობები ჩვენამდე არ მოღწეულა. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ კალიპოსში ქართველ მოღვაწეებს თავის დროზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონიათ. არსენ კალიპოსელი (იგივე იყალთოელი) მოიხსენიება რუის-ურბნისის „ძეგლისწერის" სინოდალურში.

კალიაოსის ოთხთავი – წმ. ოთხთავის ხელნაწერი (ქუთ. 26), ეტრატი, რომელიც 1060 წ. გადაწერა ბასილი თორელყოფილმა

შაეი მთის კალიპოსის ქართულ მონასტერში (გადამწერის ანდერძი – 350v-353v).

ქალის ეკლესია – კალაში (სვანეთი), სოფ. დეკბერის ქვემოთ, მაღალ, განცალკევებულ მთაზე დგას XII ს. კერკესა და იელიტას ეკლესია (ყოფილი მონასტერი), რომელსაც სვანები „ლაგურკას“ უწოდებენ. ეკლესიას დასავ. მხარეს ადგას პატარა სამრეკლო, აქვეა სხვა ნაგებობებიც: სატრაპეზო ოთახები და სენაკები, გაშენებული ქვემო ფერდობზე. „ლაგურკა“ მთელი სვანეთის სამლოცველოს წარმოადგენს. მასში დაცულია ბიზანტიური ხელოვნების სანაწილე ხატი. ეკლესიაზე შემორჩენილია 1183 წ. წარწერა.

ქალისტე I – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (1350-1363), რომელმაც დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები ათონის ქართველთა მონასტერზე და უგულებელყო მასზე ქართველთა კანონიერი უფლებები. მისი დადგენილებით აიკრძალა მონასტერში წინამძღვრად და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველთა დანიშვნა. ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არჩეულნი მხოლოდ დაბალ თანამდებობაზე. ქართველებს ჩამოერთვათ „კათოლიკე ეკლესია“, ანუ „დიდი ეკლესია“ და დაუტოვეს მონასტრის მახლობლად მდებარე პატარა ეკლესია. კალისტეს დროს ბერძნები ეპატრონებიან კათოლიკე ეკლესიას იერთა მონასტერში და ითვისებენ წინამძღვრისა და ეკლესიარხის თანამდებობებს. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფალნი განაგრძობდნენ მონასტრის მფარველობას (ლ. მენაბდე, კერები, II, 224-225).

ქალისტრატე (ცინცაძე) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1953 წწ. დაიბადა 1866 წელს სოფ. ტობანიერში (უანის რაიონი). 1882 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1888 წელს პედაგოგიური საბჭო სწავლის გასაგრძელებლად მას გზავნის კიევის სასულიერო სემინარიაში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური ენები, სლაური და სხვა დისციპლინები. იგი ენერგიულად ჩაერთო მეცნიერულ შუშაობაში. ნაშრომისათვის „იბერიის ეკლესიის სასანიდების პერიოდში“ მას მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი; 1892 წელს დაბრუნდა საქართველოში და გაგნებდა დიდუბის ღვთისშობლის, ხოლო 1903 წლიდან – ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლოებს. პარალელურად განაგრძობდა მეცნიერულ შუშაობას, ბეჭდავდა წერილებს და სტატიებს „იერეოაში“, მისდევდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც: ასწავლიდა საღვთო სჯულს თბილისის სათაედაზნაურო და ვაჟთა პირველ გიმნაზიებში, ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიასა და თბილისის მასწავლებელ ქალთა სკოლაში. თანაშრომლობდა სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში, იღვწოდა განათლების კერების დაარსება-განმტკიცებისათვის. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია „სამუსიკო სკოლის“ დაარსება. 1894 წელს ჟურნალ „Пастырь“-ში (მწყემსი) მან გამოაქვეყნა წერილი: „Автокефалия церкви грузинской“.

1925 წელს იგი აკურთხეს ეპისკოპოსად, 1932 წლის 22 ივნისს კი – კათოლიკოს-პატრიარქად. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პრესის საშუალებითა თუ ქადაგებით იგი ხალხს უნერგავდა გამარჯვების რწმენას, რისთვისაც მთაწრობის მადლობა დაიმსახურა. კალისტრატე ცინცაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიულ ძეგლებსა და სიძველეთსაცავებს. მან დაგვიტოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელშიც საპატიო ადგილი უკავია არქეოლოგიური და ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომებს. რუსთველოლოგიური შრომიდან გამოქვეყნებულია „ეკუზისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (ეკაშვილის ფსევდონიმით).

ქალისტრატე მოწამე – წარმოშობით კართაგენიდან. ადრიანეს იმპერატორ ტიბერიოსის დროს პონტოს პილატეს ხელქვეითი იყო, მაგრამ კი – ქრისტიანი და კალისტრატესაც ღვთისმოსავად ზრდიდა. მამის მსგავსად ისიც მხედარი იყო; ღამ-ღამობით ლოცულობდა და ქრისტეს სახელს ახსენებდა. ერთ-ერთმა მხედარმა იგი უფროსთან დასმინა. კალისტრატე დაიბარეს და კერპთათვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანეს. მან უარი განაცხადა, რისთვისაც აწამეს და შეშდეგ, ტომარაში გახვეული, ზღვაში გადაგდეს. ღვთის ნებით კალისტრატე გადარჩა – დელფინებმა იგი უცნებლად გამოიყვანეს ნაპირზე მხედრებმა რომ ეს სასწაული იხილეს, ირწმუნეს ქრისტე. რაზმის უფროსმა ისინი კალისტრატესთან ერთად საპყრობილეში ჩაყარა. კალისტრატე იქაც განაგრძობდა ქრისტიანობის ქადაგებას. მოწამეებზე გადმოვიდა ნათელი, მოხდა სასწაული: იძრა მიწა და კერპი მთლიანად დაამსხვრა. ამ სურათის მოწმე 135 მხედარმა აღიარა ქრისტე. 304 წელს ღამით ყველა მოწამე ამოხოცეს. მათი წამების ადგილას აშენდა ეკლესია. ხსენების დღეა 27 სექტემბერი.

ქართულად თარგმნილია კალისტრატესა და

მასთან ერთად დაბოცილი მსედრების „წამების“ როგორც კიმენური (H 341, XI ს., გვ. 766-802), ასევე მის საფუძველზე სვიმეონ მეტაფრასტის მიერ შედგენილი მეტაფრასული თხზულებაც, თანაც ორჯერ — თეოფილე ზუცესმონაზონის მიერ XI ს-ში (Ath. 20, 98-105) და ამავე საუკუნეში უცნობი მთარგმნელის მიერ (S 384, 200-213; ქეთ. 4, 1565; 292-301).

ქალქოსი — სოფელი ისტორიულ ოლთისის მხარეში (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). ქალქოსში იდგა ნაცრისფერი და წითელი ქვით ნაშენი ძველი ეკლესია, რომელიც ადგილობრივ სომხებს გადაუკეთებიათ. ეკლესია ჩვეულებრივი რიგისაა, ერთ შესასვლელიანი. დასით, შესასვლელის მარჯვენა მხარეს, ამოჭრილია ხუცური წარწერა გვიანდელი ხანისა. ირგვლივ სასფლაოა, ბევრ ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი.

ქალოუბნობა — ქართული ხალხური საეკლესიო დღეობა, რომელიც იმართებოდა ქალოუბნად წოდებულ ეკლესიებში აღდგომის მე-5 კვირას. იგი დღესაც იმართება ქართლში (ზემო ხანდაყში და მცხეთის მიდამოებში) და კახეთში (მანავის მახლობლად) წმ. გიორგის ქალოუბნის ეკლესიაში.

ქალმასობა — პურის (სურსათ-სანოვაგის) ჩამოთხოვით მოგროვება ქალოუბზე, ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ.

„ქალმასობა ანუ ხუმარსწავლა“ — იხ. იოანე ბატონიშვილი.

ქამარა (ბერძ.) — მრუდწირული მოხაზულობის მზიდი სირკული კონსტრუქცია. ქამარის მასალად გამოიყენებოდა ბეტონი, ქვა და ხე. იგი გეხვდება ცილინდრული, შეკრული, ჯვაროვანი, სარკული, გუმბათის სახით. ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ცილინდრული, მაგრამ გეხვდებოდა აგრეთვე ვარსკვლავისებური, ისრული და შეკრული ქამარები. ხშირად შეკრული ქამარა ცელიდა გუმბათს, მაგ.: შიომღვიმის ეკლესიაში (ძველი), წინოწმინდის ტაძარში და სხვ.

ქამარძღი — ქამარის შესაცავი მცირე კონქი.

ქამილაქაა — კუნკული, ცოლოსან სამღვდელო პირთა თაესასურაკი ქუდი, გამოიყენება ღვთისმსახურების დროს, კერძოდ, ლიტურგიაზე, ქერუბიმთა გალობამდე. კამილაქაა არის შავი და იისფერი. ამჟამად ბერძნულ ეკლესიაში იგი ეძლევა სამღვდელო პირთ ხელდასხმის დროს (წინათ იმპერატორთა თაესასურაკი იყო). რუსულ ეკლესიაში კამილაქაა იხმარება XVIII საუკუნის შეორე ნახევრიდან.

ქანანასობა — წირვა-ლოცვის დროს მგალობელთა და წამკითხველთა ხელმძღვანელობა, ლიტბარობა. იხ. კანონარქი.

ქანდელაკი — კანდელთა ამნთები, მბათე. ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელსაც ევალება კანდელ-სანთლების მეთვალყურეობა, ზეთის კანდელების ანთება.

ქანდელაკი იოანე — იხ. იოანე კანდელაკი.

ქანდელი (ბერძ.) — ზეთის სანთელი, სანათი, ლამპარი. ჭერზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი ეკლესიაში, რომელშიც ზეთი ანთია. ზოგ ეკლესიაში არის ქორკანდელი — სახანთლეთა წრე, ერთ საკიდზე დაკიდებული რამდენიმე კანდელი. ალაპებში ჩვეულებრივ უთითებდნენ, საკუთრივ რომელი ხატის წინ უნდა აენთოთ კანდელი და რამდენი ზეთი დაეხარჯათ.

ქანკელი (იკონოსტასი) — ტიხარი მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ხატებით შემკული ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოჰყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან. აქვს სამი კარი: ერთი შუაში — „სამეუფონი კარნი“, ორი დანარჩენი, ჩრდილო და სამხრეთის მხარისა — სამეუფო კართა ორივე მხარეს. ჩრდილოეთის კარით შედიან სამსხვერპლოში, სამხრეთისათი — სადიაკვნოში. საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ქვის კანკელი, გეხვდება ისეთიათად ხისაც. მას ამკობდნენ ორნამენტებით, განსაკუთრებით ქვის კანკელს. თამაშრის კანკელი შეკვლი იყო მხოლოდ ჩუქურთმებით. ყველაზე ძველი კანკელები გეხვდება VIII-IX სს-ში. XI ს-ის ზოგიერთი კანკელი შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშებია (საფარის, ხოცნის, შიომღვიმის, სპეთის, პატარა ონის, ატენის და სხვ.). მათზე ამოკვეთილია ბიბლიური სცენები. არმაზის ეკლესიის კანკელზე შემონახულია უძველესი მხატვრული ნიმუშები.

„ქანონარი“ — იხ. „იერუსალიმის განჩინება“.

ქანონარძი — კანანახი, საგალობელი კანონის დამწყები საეკლესიო პირი, რომელიც საგალობელთა პირველ მუხლს ამბობს; მგალობლისათვის ნიშნის მიმცემი, ხმის მანიშნებელი. კანანახობის მოვალეობის შესრულება (კანანახობა) მღვდელი მღვდლის ლოცვა-კურთხევით გარეშე პირსაც შეუძლია. „კანანახობიდან“ დისიმილაციით მიეღიეთ „კარნახობა“. ე. ი. სიტყვა „კარნახი“ კანონარქიან მომდინარეობს (აკ. შანიძე). იხ. კანანახობა.

ქანონი — 1. საეკლესიო წესი ან დოგ-

მატი, დადგენილი საეკლესიო კრებისა და უმაღლესი იერარქიის მიერ. 2. აღნიშნავს ფსალმუნის საკითხავად განკუთვნილ მონაკვეთს. მიღებულია 150 ფსალმუნის 20 მონაკვეთად დაყოფა; თითოეულ ამ მონაკვეთს ქართულად ეწოდება კანონი, რასაც ბერძნულში შეესაბამება ტერმინი „კათისმა“. ყოველი კანონის ტექსტს სამ ნაწილად ყოფს „დიდება“ („თაყვანის-ცემა“). ფსალმუნის ძველ ნუსხებს ზოგჯერ ახლავს ცხრილები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ არის განაწილებული ფსალმუნები კანონებში. ეს განაწილება ყოველთვის ერთი და იგივე სისტემას არ უჩვენებს. X ს. ხელნაწერების მონაცემებით ქართულ პრაქტიკაში აღრეულ უნდა ყოფილიყო ცნობილი ფსალმუნის ე. წ. „იერუსალიმური“ დაყოფა, რომელიც უკვე VI ს-დან უნდა არსებულიყო. მას ფაქტიურად გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ტექსტის დაყოფა თანხვედება. უფრო აღრეული ხელნაწერების თანახმად კი ქართულ პრაქტიკაში მიღებული იყო დაყოფა, რომელიც „ქართულად“ იწოდება (იხ. „მცხეთის დავითნი“), რაც „იერუსალიმური“ დაყოფის აღრეულ სახეს უნდა წარმოადგენდეს (მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 67-81). ქრისტიანული ღვთისმსახურების საღღეღამისო ციკლში მიღებულია ფსალმუნების კანონებად კითხვა. საეკლესიო ტიპიკონებში მოცემულია ფსალმუნთა კანონების შესრულების წესი სხვადასხვა შემთხვევებისათვის. წესდების თანახმად მიღებულია, რომ ფსალმუნნი თაეიდან ბოლომდე უნდა იკითხებოდეს ერთი შეიდეულის განმავლობაში, ხოლო დიდმარხვისას – კვირაში ორჯერ. ტექსტი იკითხება თანმიმდევრობით, მხოლოდ მე-16 – მე-17 კანონები სრულდება ყველა კანონის ბოლოს, შაბათს. კანონების კითხვის რიგი იწყება თომას კვირით (ახალკვირით) და გრძელდება შემდეგ აღდგომამდე. კანონების ცისკარსა და მწუხრზე განაწილების მიხედვით მათი კითხვის რიგი წლის განმავლობაში რვაჯერ იცვლება. 3. საეკლესიო გალობის ერთელი ფორმა, ქართულად „გალობანი“ ეწოდება (იხ.).

კანონი, ანუ სჯული – სახელწოდება მოსეს ხუთწიგნეულისა, რომელშიც გადმოცემულია ღვთის მცნებები (კანონი, სჯული), მოსეს მიერ მიღებული სინის მთაზე.

კანონიკა – სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მოიცავს საეკლესიო იურიდიულ ლიტერატურას, რომელიც ნებადართული იყო უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის. მართვა-გამგეობისა და ცხოვრების იურიდიულ ნორმებზე ასაგებად ეკლესია ხელმძღვანელობს საუთარი კოდექსით, რომელშიც შედის მოციქულთა და მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონები, ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკური ეპისტოლენი და განმარტებანი, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება ნომოკანონი, ხოლო ქართულად სჯულისკანონი. საეკლესიო ისტორიაში ცნობილია რამდენიმე კრებული. კანონიკის პირველი ძეგლების აღმოცენება ბიზანტიის საეკლესიო მწერლობის საწყისებს უკავშირდება. კრებულში მათი გაერთიანება და საბოლოო რედაქცია მოხდა 883 წელს და ამ კოდექსს ეწოდა ფოტის რედაქციის „ნომოკანონი“, ქართული თარგმანს კი „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული მთელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში. X საუკუნის ბოლომდე ქართულ ენაზე არ შემონახულა ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ. ქართული კანონიკური მწერლობა იწყება X ს-ში ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ – შედგენილი „მცირე სჯულისკანონით“ (გამოცემულია 1972 წ. ე. გიუნაშვილის მიერ). კრებულს მიზნად ჰქონდა იმდროინდელი კანონიკური კოდექსის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. კრებულში გაერთიანებულ სხვადასხვა დროის თხზულებათაგან ცენტრალური ადგილი უჭირავს VI მსოფლიო კრების კანონებს, რომელნიც საფუძვლიანად განსხვაეებიან ორიგინალისაგან. ჩანს, ეფთვიმეს ნახერად ორიგინალური კოდექსი შეუდგენია, რომელშიც გაუერთიანებია იმდროინდელი მოქმედი საეკლესიო კანონები. სახელწოდებით „მცირე სჯულისკანონი“ ეფთვიმე ბაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობდა უფრო ვრცელი კოდექსი. VI მსოფლიო კრების კანონთა კრებული ნაწილია ნომოკანონისა, ამიტომ უწოდა მან თავის კრებულს „მცირე“. ეფთვიმემ ძეგლის შედგენისას სახელმძღვანელო პრინციპად აიღო მისი პრაქტიკული, ყოველდღიური მნიშვნელობა ცხოვრებისათვის და თავისი რედაქცია თარგმნა ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით. იხ. აგრეთვე „მცირე სჯულისკანონი“ (შეკოდებულთა კანონები), ძეელბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2003 წ. XI ს. მიწურულს ან XII ს. დასაწყისში არსენ იყალთოელმა ქართულად თარგმნა ნომოკანონი „დიდი სჯულისკანონის“ სახელწოდებით (გამოც. ე. გაბიძაშვილის რედაქციით, 1975 წ.). XII ს-

ში უნდა იყოს ნათარგმნი ბერძნულიდან „კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რომელთა აესნა გამოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან". ეს თხზულება, რომელიც სჯულისკანონში არ შესულა, წარმოადგენს მორწმუნეთა საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრებიდან სხვადასხვა კაზუსის განმარტებას. კანონკურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს XV ს. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის, მიხაილის მიერ იოაკიმე ბეღიელის აფხაზეთის კათოლიკოსად დადგინებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი ეპისტოლე, ე. წ. „სასჯულო მცნება". წმინდა საეკლესიო-იერიდიულ ნათარგმნ ძეგლთა შორის არსებობს აგრეთვე ანტონ კათოლიკოსის მიერ 1776 წ. სომხურიდან გადმოღებული III მსოფლიო კრების (ეფესოს) აქტები. ასეთივე კოდექსს წარმოადგენს ვახტანგ VI მიერ შედგენილ იურიდიულ კრებულში სხვა მასალასთან ერთად შესული „სამართალი ბერძული", რომელიც ერთ-ერთი ბიზანტიური „ნომოკანონის" (XIII-XIV სს.) თარგმანია. საქართველოს ეკლესია თავის ცხოვრებაგამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე: საკუთარი ადგილობრივი კანონმდებლობით. ქართული ორიგინალური კანონიკის სათავედ მიჩნეულია ეფთვიმე მთაწმიდელის პასუხები გიორგი ჭყონდიდლის შეკითხვებზე, რომლებშიც განმარტებულია საეკლესიო სამართლის საკითხებიც. ქართული კანონიკის უმნიშვნელოვანესი ძეგლია რეის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი, ე. წ. „ძეგლისწერა" (ე. გაბიძაშვილი, რეის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა", 1978), აღსანიშნავია აგრეთვე „კათალიკოსთა კანონები", ან „სამართალი კათალიკოსისა", XVI საუკ. ძეგლი, 1543-49 წლებში იმერეთში მოწყვეული საეკლესიო კრების კანონთა კრებული (ი. დოლიძე, ქართ. სამ. ძეგლები, II), საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობისა იყო იმ კრებათა დადგენილებები, რომელნიც 1755-1756 წლებში მოუწვევიათ აღმოსავლეთ საქართველოში, აგრეთვე ანტონ I-ის მიერ 1767 წ. შედგენილი კანონკური ეპისტოლე, 1762 წლის ერეკლე II-ისა და იოსებ კათოლიკოსის ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების კანონები და სხვა. ქართული საეკლესიო მართვა-გამგეობის საკითხებს ხშირად ეხება დოკუმენტები, რომელთაც სოგელ-გუჯრები ეწოდება (იხ. ი. დოლიძე, ქართ. სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970).

კანონიკე // კანონიკა – იორდანეს უდაბნოში დაყუდებული დედა, მბოძარი (III ს. კონსტანტინოპოლის მთაწერს ასული). ქართულ ენაზე შემონახულია მისი „ცხოვრების" კიმენური რედაქციის თარგმანი (95, XI ს., 628.-631.; ბოდლ. 1, XI ს., გვ. 482-491 და სხვ. მრავალი). აღსანიშნავია, რომ წმ. კანონიკას ხსენების დღე – 5 ნოემბერი დადებულია მხოლოდ იოანე-ზოსიმეს კალენდარში (ეტიუდები, V, გვ. 275). კონსტანტინეპოლურ კალენდრებში მისი ხსენება არ ჩანს.

კანონიკური – 1. საეკლესიო კანონებიდან, წესებიდან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული. 2. მტკიცედ დადგენილი, ნიშუშად მიღებული (მაგალითად: კანონკური წიგნები, კანონკური სამართალი და ა. შ.).

კაპადოკია – მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი ოლქი, სხვადასხვა ეპოქაში კაპადოკიის საზღვრები სხვადასხვა იყო. აქამდინდების დროს დასავლეთით ერცელდებოდა მდ. ჰალისამდე, ჩრდილოეთით – შავი ზღვის სანაპირომდე, სამხრეთით – ტავროსის მთებამდე. კაპადოკია ამ დროს იყოფოდა 2 სატრაპიად: „დიდ კაპადოკიად" და „მცირე კაპადოკიად". ეს უკანასკნელი მოიცავდა შავი ზღვის, ანუ პონტოს სანაპირო ზოლს. მოგვიანებით კაპადოკია ეწოდებოდა მხოლოდ დიდ კაპადოკიაში შემავალ ტერიტორიას. ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით, კაპადოკიას აღმოსავლეთი ემიჯნებოდა არმენია, სამხრეთით – კილიკია, დას-ით - ფრიგია, ჩრდილოეთით კი – მოსხები, ტიბარენები და სხვები ემეზობლებოდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულში კაპადოკიაში ცხოვრობდნენ პროტოხეთები. ეს იყო ხეთების სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია. დედაქალაქი – ხათუსა. ამ დროს გამოჩნდნენ აქ ინდოევროპული ტომებიც, რასაც „კაპადოკიის ფირფიტები" ადასტურებენ. VI საუკუნეში კაპადოკიის სამხრეთი ნაწილი დაიპყრო მიდიამ. VI ს-ის II ნახევარში კაპადოკია აქემენიდების სახელმწიფოში შემავალი ნაწილია. IV ს-დან კაპადოკია სელევკიდებს ემორჩილებოდა. I ს-ში რომის იმპერიის პროვინცია გახდა (ამ დრომ მისი დედაქალაქი კესარია), შემდეგ – ბიზანტიის იმპერიისა. 1074 წელს კაპადოკია სელჩუკებმა დაიპყრეს. XV საუკუნეში კი ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში მოიქცა. კაპადოკიელები იყვნენ წმ. გიორგი, წმ. ნინო და სამი დიდი საეკლესიო მოღვაწე: ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი). კაპადოკია ცნობილია ადრინდელი ხანის კლდეში ნაკვეთი ეკლესიებისა და სამონასტრო კომპლექსე-

ბის სიმრავლით.

ᲙᲐᲞᲐᲗᲐ – ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იერუსალიმში, მდებარეობდა სიონის მთაზე. XI ს-ის დამდეგს ბაგრატ IV-ის მეუღლემ, ბორენა დედოფალმა და მისმა ასულმა მართამ იუსტინიანე დიდის მიერ აგებული და ჰაქიმის მიერ დანგრეული ეკლესიის აღგილას აუშენეს კაპპათას მონასტერი, რომელიც ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად გადაიქცა. 1244 წ. იგი დაარბიეს ხვარაზმელებმა. XI-XIII სს-ში აქ საკმაოდ მდიდარი წიგნსაცავი არსებობდა. ამ საუკუნიდან ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე საყურადღებო ხელნაწერი: პარაკლიტონი (Jer. 88,) მარხვანი XIII ს-ის (Jer. 67,) რომელიც გადაწერა ნიკოლოზ კატარაწისძემ, შემდეგ უცხოელთა ტყვეობიდან იხსნა გიორგი ჯაყარელმა და იგი კაპპათას მონასტერს შესწირა; კვირიკე მოძღვრისა და მისი მოწაფის, მარკოზის მიერ დამზადებული სექტემბერ-ოქტომბრის თვენი (Jer. 68), იანვრის თვენი (H 2338) და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა „წმინდანთა ცხოვრება“ (Sin. 91), რომელიც XII-XIII სს. გადაწერა იოანე ანჩელის დისწულმა ოქროპირმა. კაპპათას საეკლესიათის ოქროპირს დაუმზადებია 14 სახელწოდების 26 წიგნი. ამავე მონასტერთანაა დაკავშირებული აგრეთვე ორი ხელნაწერი: პარაკლიტონი 1167 წლისა (Jer. 63) ორ წიგნად. ფიქრობენ, რომ კაპპათიდან უნდა იყოს აგრეთვე „სამწიროს შეწირული კრებულიც“ (Jer. 27). წიგნსაცავი და იქაური ხელნაწერები განადგურდა და დაიფანტა ხვარაზმელთა შემოსევის დროს (ლ. მენაბდე, კერები, II, გვ. 145-146).

ᲙᲐᲞᲔᲠᲜᲐᲣᲛᲘ („ᲙᲐᲫᲘᲠ-ᲜᲐᲮᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ) – ქალაქი გალილეაში, ზღვის ნაპირზე; აქ ცხოვრობდა იესო ქრისტე გალილეიდან გაძევების შემდეგ. კაპერნაუმი იყო მოწმე იმ სასწაულებისა, რომელიც მოახდინა აქ ქრისტემ.

ᲙᲐᲞᲐᲠᲔᲚᲐᲜ ᲙᲐᲠᲗᲐᲒᲔᲜᲔᲚᲘ – ავტორი თხზულებისა „ეპისტოლე პირველისა კრებისა მიმართ ეფესოჲსა“. რომლის ქართული თარგმანი შესრულებულია სომხურიდან ანტონ კათალიკოსისა და ფილიპე ყათშაზაშვილის მიერ XVIII ს. (A 266, 140-141).

ᲙᲐᲞᲣᲪᲘᲜᲔᲑᲘ (იტალ. კაპუშონი) – კათოლიკურ-მონაზვნური ორდენი, ფრანცისკანელთა შტო. დაარსდა 1525 წ. იტალიაში, ასე დაარქვეს იმიტომ, რომ თავს იბურავდნენ ანაფორაზე მიკერებული უხეში მაუდისაგან შეკერილი წვეტიანი კაპიუშონით. კაპუცინების ორდენის დამაარსებლები მიზნად ისახავდნენ, აღედგინათ ადრინდელი ფრანცისკული თემების ასკეტური ხასიათი. ორდენის წესდება მოიწონა პაპმა კლიმენტი VII-მ. დამოუკიდებელ ორდენად იგი სცნო პაპმა პაული V-მ. მალე ორდენი გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. 1972 წ. ორდენი აერთიანებდა 14000-მდე მონაზონს. არსებობს კაპუცინების დედათა ორდენიც, რომელიც დაარსდა XVI ს-ში. იგი დღეს 25000 მონაზონს აერთიანებს. ამ ორდენის წარმომადგენლები საქართველოშიც იყვნენ (1600-1700 წწ.). მათი მისია იყო კათოლიკობის გავრცელება საქართველოში. ორდენის წარმომადგენლებმა, თეატინელთა მსგავსად, სახელი გაიძახეს მკურნალობით. თავიანი განმანათლებლური საქმიანობა მათ თბილისში დაიწყეს ; ჯადამ 40-მდე მოწაფე; გარდა წერა-კითხვისა, ასწავლიდნენ სარწმუნოების უმთავრეს საგნებს და ლოცვებს ქართულად და ლათინურად.

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲚᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ – მონასტერი ათონის მთაზე, რომელსაც ჰქონია ქართველთა მოღვაწეობის კვალი. კარაკალუს მონასტერში ქართველ მეფე-დიდებულებს ჩაუტარებიათ აღდგენითი სამუშაოები, რისთვისაც დაუწესებიათ მათი მოსახსენებლები. ცნობა ამის შესახებ დაცული აქვს ტიმოთე გაბაშვილს: „ესე მონასტერი აღუშენებია მეფესა პრომთასა კარაკალოს, და ამის შემდგომად გაუახლებია ელახთა ბატონსა... ამის შემდგომად გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვით გარდაუჭედიათ არჩილს, იმერელთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა, და ვახტანგს, ქართველთ ბატონს, და აშოთას“ (მიმოსული, ე. მეტრეველის გამოცემა, გვ. 38). იხ. ათონის მთის მონასტრები.

ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ – სოფელი გორის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, გორიდან 8 კმ-ზე. სოფლის ძველი სახელია ნაჭარმაგევი. აქ იყო საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. სოფელში შემორჩენილია ფეოდალური ხანის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები.

ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲡᲘᲚᲘ (1858-1936) – მღვდელი, მუსიკოსი, მგალობელი. მამამისი – გრიგოლი, ცნობილი მგალობელი იყო. ვასილმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1882 წელს შევიდა კონსერვატორიაში და შემდეგ გალობას ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში. გამოაქვეყნა ორი კრებული: „ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი“ (I ნაწ., „მწუხარი“, 1897 და II ნაწ.,

„ცისკარი“, 1898). მან დიდი ამაგი დასდო ქართული სასულიერო გალობის განვითარებას. მის მიერ გამოცემულ კრებულებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ქარბელაშვილი პოლიევქტო (1855-1836) – მღვდელი, მუსიკოსი და მგალობელი, ძმა ვასილ ქარბელაშვილისა, მწერალი და ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა – „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, რომელშიც ის განიხილავს მიქაელ მოდრეკილის „ადგარს“ და საგალობლებში ჩართულ სამუსიკო ნიშნებს. ამ ნაშრომში მოცემულია ცდა და ავტორის ვარაუდები ქართული საეკლესიო მუსიკის წარმართული საგალობლებიდან წარმოშობის თაობაზე. მან დაამუშავა და გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები: „ეფუსხტყაოსნის“ დამატებანი („იერია“, 1880, №3), ანტონ I-ის „მზამეტყველება“ (1892), იოანე საბანისძის „ბრთბილელის წამება“ (1899), წმინდა ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა“. (1903), მას ეკუთვნის აგრეთვე მიმოხილვა: „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“; „კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“ (1900), „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“ (1902) და სხვ.

ქარბი – სოფელი გორის რ-ში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, გორიდან 28 კმ. დაშორებით. სოფელში დგას ეკლესია „სამება“ განეთარებული შუა საუკუნეებისა. არის ლაპიდარული წარწერა.

ქარდენახი – სოფელი გურჯაანის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. გურჯაანიდან 14 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემორჩენილია XIII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – „სამაგდლის“ მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია, სწორკუთხა ნაგებობა ჩახაზული ჯვრის ტიპისა. ნაგებია აგურით, რიყის ქვით და შირიმით. მოპირკეთებულია შირიმის ქვის სწორი რიგებით. მორთულობა ფასადისა სადაა. ეკლესია დაზიანებულია. მის მახლობლად არის VII ს. სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. სამრეკლო გვიანი შუა საუკუნეებისაა. არის სხვა ნაგებობებიც.

ქარდინალი – უმაღლესი სასულიერო პირი (რომის პაპის შემდეგ) კათოლიკური ეკლესიის იერარქიაში. კარდინალთა კოლეგია პაპთან ერთად მართავს ეკლესიას, კოლეგია ირჩევს პაპს; იგი ინიშნება პაპის მიერ კონსისტორიის თანხმობის საფუძველზე. იერარქიულად კარდინალები 3 ხარისხად იყოფიან: კარდინალი-ეპისკოპოსები, პრესვიტერები, დიაკვნები. პაველ VI-ის კანონით (1970) 75 წლის კარდინალი პენსიაზე გადის (წოდების შენარჩუნებით), ხოლო 80 წლისა რჩება კოლეგიის წევრად, მაგრამ აღარა აქვს უფლება, იყოს რომის კურიის წევრი და მიიღოს მონაწილეობა ახალი პაპის არჩევაში. კარდინალის ღირსების ნიშნად ითვლება წითელი ქუდი. პაპმა ინოკენტი IV-მ 1245 წელს პირველად მიანიჭა კარდინალებს ეს ღირსება. წითელი ქუდი სისხლის სიმბოლოა და აღნიშნავს კარდინალის მზადყოფნას, დაღვაროს თავისი სისხლი ეკლესიის ინტერესებისათვის.

ქარჩხი ხატი – ხატი, რომელსაც კარები აქვს და იღება და იხურება. ზოგჯერ ამ კარების შიგნითაა მხარეაც ხატებია მოთავსებული და ჩანს მხოლოდ მაშინ, როცა იშლება. მაგ., XII საუკუნის ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. ეკრცხლით მოჭედილი დიდი კარედი ღვთისმშობლის ჯვრების ხატისათვის იყო შესრულებული, როგორც შესანახი ბუდე. კარედი შემკული იყო ძვირფასი ქვებით და სხვადასხვა ფერის და ფორმის ტიხრული მინანქრითა და ჯვრებით. ამჟამად დაზიანებული ინახება თბილისის ხელოვნების მუზეუმში.

ქარჩობა – ეზოალსა დღესასწაული, პასექიდან მე-7 თვის 15 რიცხვში. დღესასწაული დაწესებულია მოსეს მიერ (იხ. ტაბაორობა).

ქართაგენის ადგილობრივი საეკლესიო კრება – შედგა 419 წ. კართაგენში. კრებას ესწრებოდა 217 ეპისკოპოსი, თავმჯდომარეობდა აერელი, კართაგენის ეპისკოპოსი. კრების მოწვევის საბაბი გახდა იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა რომის ეპისკოპოსს მიიღოს აპელაცია აფრიკის საეკლესიო კრებების გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამ უფლების დაცვისას რომის ეპისკოპოსი ეყრდნობოდა სარდიკის კრების ერთ-ერთ კანონს, რომელსაც ის მიიჩნევდა ნიკეის I მსოფლიო კრების კანონად. სინამდვილეში ნიკეის კრების საქმეებში ის წესი არ იყო დასახელებული, რომელსაც იშველიებდა რომის ეპისკოპოსი. იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ რომის ეპისკოპოსის გადაწყვეტილების უსაფუძვლობა, მათ მიმართეს კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის და ანტიოქიის ადგილობრივ ეპისკოპოსებს თხოვნით, რათა მათთვის გამოეგზავნათ ნიკეის კრების აქტების დედნები. აპელაცია 4 წლის შემდეგ უარყოფილ იქნა. მთავარი საკითხის გარჩევის შემდეგ მაშებმა დაადგინეს კანონები საეკლესიო დისცი-

პლინის საკითხებზე, შემდეგ განიხილეს საკითხი, როგორ სრულდებოდა ეს კანონები 348 წლიდან და აღმოჩნდა, რომ არც ერთი ეკლესია არ იცავდა მათ ისე გულდაგულ, როგორც აფრიკის. კართაგენის კრების კანონები შეიცავს კანონიკურ კრებულში. კართაგენის კრების კანონები ლათინურად დაიწერა და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად და შეტანილია 883 წ. ნომოკანონში, რომელიც ითარგმნა ქართულად დიდი სჯულისკანონის სახელწოდებით („დიდი სჯულისკანონი“, თბ., 1976, გვ. 286-363 (138 კანონი).

ჰარიბჭე — პორტიკი, პორტალი, შენობის წინ გამოწეული ნაწილი, რომელიც შექმნილია სახურავის საყრდენი სვეტებით ან თაღებით და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან. ქართულ ეკლესიებს უკეთებდნენ კარიბჭეს, რომელსაც ხშირად ამკობდნენ მდიდრული დეკორით. მაგ.: დმანისის სიონის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის, მანგლისის, ბეთანიისა და სხვა ტაძართა კარიბჭეები.

ჰარმელიტების ორდენი — კათოლიკური მონაზვნური ორდენის სახელწოდება. ორდენის ცენტრი არის რომში. იგი დაარსდა პალესტინაში 1154 წელს წმ. ბართოლდის, იტალიელი ჯვაროსნის მიერ. კარმელიტების ორდენის პირველი თემი მდებარეობდა კარმელის მთაზე. აქედან მოდის მათი სახელიც. თავდაპირველად ორდენი ქადაგებდა მკაცრ ასკეტიზმს. მათი წესდება დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ. 1226 წელს ჯვაროსნების მიერ ამ ორდენის განადგურების შემდეგ წეერთა უმრავლესობა ევროპაში გადასახლდა და იქ ინგლისელი გენერლის, სენ-სიმონ სტიკოს ხელმძღვანელობით გაერთიანდა. სწორედ ამ დროს მოხდა ორდენის რეორგანიზაცია და 1452 წ. გამოიყო ცალკე კარმელიტების დედათა ორდენი. ორდენმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XVI ს-ში. რეფორმის შემდეგ ორდენი ორად გაიყო: კარმელიტები და ფეხშიშველი კარმელიტები. ძირითადი მიზანი იყო მისიონერული მოღვაწეობა, თეოლოგიის ქადაგება; დიდი ყურადღება ექცეოდა ლოცვასა და ღვთის თაყვანისცემას. ამ უკანასკნელს დედათა ორდენი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა.

ჰარნეთი — სოფელი ახალქალაქის რ-ნში, რომელშიც დგას შუა საუკუნეების ეკლესია. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები.

„ჰარნი სამეუფონი“ — იგივე ბჭენი დიდნი, აღსაელის კარი, კანკელის შუა კარი. „ჰარნი სამეუფონი“ ეწოდება იმიტომ, რომ ამ კარით სიწმინდის სახით შედის მეუფე დიდებისა და უფალი იესო ქრისტე და ეერაეინ შეეა მასში გარდა სამღვდელო პირისა. საკურთხეველისაკენ მიქცეული კარის შიდა მხარე ფარდით (კრეტსაბმელით) არის დაფარული. იგი იღება ღვთისმსახურების დროს მღვდელმსახურთა შესვლისას სასაკმეელით, სახარებით, პატარა ჯვრით და სიწმინდით. სამეუფო კარით გადიან ნათლისღებამდე ეკლესიის ნაშში.

ჰარპე — ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოიხსენიება ტეირელი ეპისკოპოსის, დროთეოსის „აღწერილი საეკლესიო“-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს. უფრო ძველი თარგმანი შესულია „პარხლის მრაეალთაში“.

ჰარპოს მოწამე — წმინდა მოწამე, ეპისკოპოსი თიატირისა; დიაკვან პაპილასა და სხვებთან ერთად აწამეს III ს-ში იმპერატორ დეციანეს დროს ქრისტიანთა დევნისას. ხელისუფლებამ გაიგო, რომ მოწამეებმა წარმართულ დღესასწაულში არ მიიღეს მონაწილეობა; ისინი გამოიძახეს, ჯერ დაუყვაეეს. რომ ეერაფერს გახდნენ, შეაბეს ბორკილი და ამგვარად გაატარეს ქალაქში, მერე გამოაბეს ცხენებს და ათრიეს თიატირიდან სარდამდე. შემდეგ კი თაეი მოჰკეეთეს. არსებობს მათი „წამების“ შეტყობინებული რედაქციის ქართული თარგმანი (ქუთ. 4, 1565 წ., 427-438; S -384; XI-XII სს. 360-377). ხსენება 13 ოქტომბერს.

ჰარსანი — სოფელი მცხეთის მიდამოებში, კარსნის ხევში, თბილისი-მცხეთის გზატკეცილის მე-17 კმ-ზე. სოფელი დასახლებული ყოფილა გვიანდელი ბრინჯაოს ხანიდან. გათხრებმა გამოაელინა ამ ხანის სამარხები, საწარმოო უბანი, ძველი სამაროეები. კარსნის ხევის სათაეესთან შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნასოფლარი და პატარა ეკლესია.

კასიანე ჰრომაელი († 435 წ.) — დასაელეთის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. თაეის სამშობლოდ კასიანე ჰრომაელი ყოველთეის თელიდა მართლმადიდებლურ აღმოსაელეთს. იგი მონაზვნად აღიკვეცა ბეთლემში 390 წ. თაეის სულიერ ძმასთან, გერმანესთან ერთად მოგზაურობს სკეტის უდაბნოში. 397 წელს ცოტა ხნით ბრუნდება ბეთლემში და შემდეგ კონსტანტინეპოლს მიემგზაერება, სადაც უსმენს იოანე ოქროპირის ქადაგებებს. 405 წ. იგი მიაელინეს რომში პაპ ინოკენტ I-ის მისიით — დაიცვას უდანაშაულოდ შევიწროებული წმინდანთა საეანე. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც

პრესვიტერობა მიიღო. მან მარსელში პირველად დააარსა დედათა და მამათა მონასტრები, რომლებშიც ღვთისმსახურების წესი აღმოსავლური იყო. ქასიანე პრომაელმა 417-419 წლებში დაწერა 12 წიგნი „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგუპტისა და პალესტინის აღმოსავლეთისა მონასტერსა საკრებულოთასა". 431 წ. მან დაამაყარა ბოლო წიგნი, მიმართული ნესტორის წინააღმდეგ. ამ წიგნში თავმოყრილია ყველა შეხედულება, რომელიც კი გამოთქვეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მამებმა ნესტორის ერესის წინააღმდეგ. ქართულ ენაზე შემონახულია კასიანეს ორი თხზულება: 1. „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგუპტისა და პალესტინის აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა", თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (A 682, XIII-XIV სს., 60-69; A 1101, 1047 ფ. და სხვ. 2. „ტქუმული რეათა მათ გულისსტკუათათუს ბოროტთა", თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 682, XIII-XIV სს. A 196, XVII-XVIII სს. 251-362, A 1104-1047 ფფ.; Sin. 80, 225-243 და სხვ.) დედანში ერთ მთლიანს შეადგენს (Migne, Patr. Latina, t. 49, 53-476), რომელიც 12 წიგნისაგან შედგება. ამათგან პირველი ოთხი თარგმნა ეფრემ მცირემ, დანარჩენი – ეფთვიმე მთაწმიდელმა. 3. „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათუს წმიდათა მამათა სიტისათა", თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (A 682, XIII-XIV სს., 69-79; A 196, XVII-XVIII სს. 362-372 და სხვ.).

ქასპი – უძველესი ქალაქი აღმ. საქართველოში, მდ. ლეხურას ნაპირებზე; თბილისიდან 48 კმ. დაშორებით. მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" კასს ქართლის 4 უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიებს. ქასპი V ს-ში ციხე-ქალაქია. ლეონტი მროველი ქალაქის დაარსებას მიაწერს ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქს უფლისს. იგი VII ს-ში დაარბია მურვან ყრუმ. XV საუკუნიდან ეკუთვნოდა ქართლის ერთ-ერთ მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოს – ამილახვრებს. ქასპში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესიები – კვირაცხოველი და ღვთისშობელი.

ქასხანა – შაჰი მთის ქართული სავანე, ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი კერა საზღვარგარეთ. ქასტანდან მოდწულია მხოლოდ ერთი ხელნაწერი, მაგრამ მას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიისათვის – ეს არის „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ" (Q 37). ხელნაწერის ანდერძის თანახმად, იგი გადაიწერა ქასტანაში, ეფრემის მამობის დროს, ანუ 1091 წელს. როგორც ჩანს, ამ დროისათვის აქ ქართველები მოღვაწეობდნენ და ერთ-ერთი მათგანი იყო სწორედ გამოჩენილი მეცნიერი და მონასტრის წინამძღვარი – ეფრემ მცირე.

ქასტელი ძრისტეშორე – იტალიელი მისიონერი XVII ს-ისა; პატრი, თეატინელთა ორდენის წევრი; მშატერარი. საქართველოში ჩამოვიდა თეიმურაზ I-ის მეფობის დროს, 1628 წელს. თავდაპირველად ის ეწვია მეფე თეიმურაზს ქ. გორში, შემდეგ შეხვედრის ეპისკოპოსის, მაქსიმე მაჭუტაძის (იხ.) მიწვევით გადავიდა გურიაში. 1640 წელს ეახტანგ II გურიელისაგან დევნილი, ის გადადის ოდიშში. 1652 წელს თაუის თანამოღვაწე ბერებთან ერთად იტალიაში ბრუნდება. საქართველოში ყოფნის დროს მან ბევრი საყურადღებო ჩანაწატი (2 ალბომი) გააკეთა. ერთი ალბომი დაიკარგა, ხოლო მეორე დაცულია პალერმოში, ნაწილი ჩანაწატებისა მ. თამარაშვილმა გამოაქვეყნა და ფოტოპირები საქართველოში ჩამოიტანა. 1977 წელს ალბომი გამოსცა ბ. გიორგაძემ. კასტელის რელაციები და მისი ჩანაწატები მნიშვნელოვანი ისტორიული საინტერესო და ძვირფას ცნობებს გვაწვდის XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის.

ქატაჰასია (ბერძნ.) – ასე ეწოდება მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში იმნოსს, როდესაც იგი იგალობება არამარტო კანონის გალობის დასწყისში, არამედ მეორდება კიდეც საეკლესიო ტიპიკონით მითითებულ შემთხვევებში კანონის გალობების ბოლოს. სახელწოდება (ბერძნ. „ქვევით ჩასვლა") მოუთითებს, რომ სამნანტარო ტიპიკონით სამგალობელი ადგილის ორივე მხრიდან მგალობელთა გუნდები ჩამოდიან და ერთდებიან აღსავლის კარის წინ და ერთად გალობენ. კატავასია სრულდება ყველა გალობის ბოლოს, ან მხოლოდ კანონის III, VI, VIII და IX გალობების შემდეგ.

ქატაკომბა (ბერძნ. იტალ. აკლდამა, მიწისქვეშა აკლდამა) – ბუნებრივი, ანდა ხელოვნური მიწისქვეშა სათავსები ან სამარხები, რომელსაც ძველად რელიგიური წეს-ჩვეულებების შესარულებლად და მიცვალებულთა დასამარხავად იყენებდნენ ოდეეელნი და ქრისტიანები. იგი უფრო რომისათვის იყო დამახასიათებელი, კატაკომბა აქ ძალზე პოპულარული იყო, წმინდა ადგილად ითვლებოდა. ჩვეულებრივ, იგი შენდებოდა ქალაქის ფარგლებს გარეთ, თუმცაღა მის ახლოს. ცნობილია რომის გარდა ნეაპოლის, სიცილიის, მალტის, ჩრდ. აფრიკის, მცირე აზი-

ის და სხვა კატაკომბები. იგი შედგება ვიწრო გალერეებისა და მცირე სათავსოებით დაქსელილი ლაბირინთებისაგან, რომელთაც აერთებს ჰატარა ოთახები. მიცვალებულთა გვამები ნიშებში იყო განლაგებული. თითოეულ ნიშში 2-3 მიცვალებული თავსდებოდა. რელიგიურ წესთა და რიტუალთაგან აქ აღინიშნებოდა წმინდანთა ხსენების ნაკლებად ესწრებოდა, შემდეგში მათმა რიცხვმა იმატა. მატებასთან ერთად ხალხმა დატოვა კატაკომბა და გამოვიდა ღია ცის ქვეშ. მოგვიანებით წამებულთა წმინდა ნაწილები გადაჰქონდათ ქალაქის ეკლესიებში. შუა საუკუნეებში კატაკომბის არსებობამ აზრი დაკარგა და ხალხმა ისინი საერთოდ დაივიწყა.

ქატანოს და ნისტერიონ განშორებულნი — ქართულ ენაზე არსებობს მათი „ცხოვრების“ („ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდათა და ნეტართა განშორებულთა მამათა კატანოს და ნისტერეონ“) კიმენური რედაქციის თარგმანი, რომელიც მხოლოდ ერთ ხელნაწერშია შემორჩენილი (Ath. 41, XI ს. 114r-123r).

ქატეხიზმო (კატეხიზისი) — 1. ქრისტიანული დოქტრინა; წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან; „კატეხეო — სიტყვასიტყვით — „ჩახმახება“, „ჩაყვირება“, დამოძღერა, დარიგება, მითითება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში კატეხიზმო იყო ზეპირი დარიგება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოსაქცევად. 2. სახელმძღვანელო, კითხვა-პასუხის მიგვების სახით შედგენილი, რომელიც შეიცავს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებებს. იგი პოპულარულად გადმოსცემს ქრისტიანულ მოძღვრებას, ჩვეულებრივი კითხვა-პასუხის ფორმით. მართლმადიდებლურ, კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს თითოეულს თავისი კატეხიზმო აქვს.

ქაფსოკალივა — ათონის სავანე, რომელსაც მეორენაირად ეწოდება „მღვიძარე დაყუდებულთა ადგილი“. ამ სავანეში ცნობილ ქართველ მღვდელმთავარს, ტიმოთე გაბაშვილს XVIII ს. II ნახევარში უნახავს ქართველი თანამემამულენი — მოღვაწენი ამ სავანისა: ანთიმოს ჯავახი, გერასიმე ატოცელი, გერასიმე ფცელი, ბრისტოდულე საქარელი, გრიგოლ ქაჯი (იხ. მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., გვ.28).

ქაჩაეთი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, რაჭის ქედის ჩრდილ. კალთაზე, ამბროლაურიდან 18 კმ-ის დაშორებით. წყაროებში იხსენიება XI ს-ში. სოფელში დგას შუა საუკუნეების გუმბათოვანი ტაძარი.

ქაცხი — სოფელი ჭიათურის რ-ნში, მდ. კაცხურის (ცერილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, ჭიათურიდან 11 კმ-ზე. სოფლის ცენტრში დგას X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — კაცხის ტაძარი. სამხრ.-დას. შესასვლელი ტიმპანის წარწერის მიხედვით ტაძარი აგებულია 1010-14 წლებში. ტაძარს შემოვლებული აქვს ხუთკუთხა გალავანი, რომლის აღმ. კუთხეში დგას სამრეკლო. „ეკლესია მაცხოვრისა, გუმბათიანი, დიდ ფრიად კეთილშენი“ (ვახუშტი). იქვე ახლოს მდებარეობს „კლდე აყვანილი, ვითარცა სეტი“, რომლის თხემზე არის ორი მცირე ზომის ეკლესია. კაცხის სეტის (ორა) თხემზე ნაგები ეკლესია V-VI სს. უნდა იყოს. პირველი ეკლესიის აბსიდი კლდეშია ნაკვეთი და აშენებულია ქვის კედრებით. ის მეორე ეკლესიაზე ადრე უნდა იყოს აგებული, რომელიც ეკუთვნის VI საუკუნეს. პირველი კი არა უადრეს V საუკუნის ჩანს, როდესაც პირველად იქნა შემოღებული მესვეტეობა. მეორე ეკლესია მცირე ზომის ორსართულიანი ნაგებობაა. იგი ნაშენებია თლილი ქვის მცირე ზომის კვადრებით.

კაცხში საკმაოდ კარგი წიგნსაცავი არსებულა. იქაური ბიბლიოთეკიდან ცნობილია ე. წ. კაცხის გულანი (Q 631), გადაწერილი გორგი აბაშიძის დაკვეთით 1713 წელს, მარხვანი 1575 წლისა (Q 657), სახარება (Q 653) და სხვა.

ქაცხის სეტი — V-VI ს. კლდოვანი სეტი კაცხურის ხეობაში, ჭიათურის რ-ნში. სეტის სიმაღლე 40 მეტრია. მის ზედა ბაქანზე დგას ორი ეკლესია. ერთი ერთნავიანი მცირე ეკლესიაა. ადრინდელ შუა საუკუნეებში აქ იყო განლაგებულთა სამყოფელი; მეორე ეკლესია-სამლოცველოს აქვს კრიპტა (ქვეშე სართული — სამარხი), იგი აზიდული თლილი ტუფის კვადრებით არის ნაგები. მკვლევართა აზრით, ამგვარ ადგილებში სამლოცველოს აგება იმაზე მიუთითებს, რომ მესვეტეობა საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რასაც ადგილი ჰქონდა VI ს. წინა აზიასა და, პირველ რიგში, სირიაში, რომელთანაც საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. სვეტზე ამოკვეთილია ჯვარი, თანაბარმკლაviანი, წრეში ჩასმული. გამოსახულება ორი სიმრტყით იქმნება. ჯვარი შემდგარია ბუნზე, რომლის გამოსახულება მართიეა. კაცხის ჯვარი წააგავს ბოლნისისას, თუმცა ამ უკანასკნელის კომპოზიცია ჩამოჰგავს მედალიონებს და შედარებით უფრო დასრულებული და მთლიანი სახისაა. სტრიგოვსკის აზრით,

ასეთი ჯვრები უფრო სირიისათვის არის დამახასიათებელი. IV-VI სს-ის მედალიონები სირიულს ენათესავება. ასე რომ, კაცხის ჯვარი გამოსახულების კომპოზიციის და შესრულების მხრითაც ბოლნისისა და ადრინდელ სირიულ ჯვრებს ენათესავება.

ჯაწარემთი – ფეოდალური ხანის საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში. ამჟამად ნასოფლარი საგარეჯოს რ-ნში, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე (ამ მიდამოებში გაშენებულია სოფ. ხაშმი). ფიქრობენ, რომ აქ ძველად კუბებისა და სუჯების ტომების წარმართული რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო; პირველად იხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წმ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით. გადმოცემით წმ. ნინო „დადგა ჯაწარეთს და მონათლნა“ კუხნი და სუჯი მთაურები და მათი ქვეშევრდომები. რომლისაც ზუსტად დაარსებული ჯაწარეთის სამების მონასტერი, არაა ცნობილი. თაეისი გეგმით (სამნავიანი ბაზილიკა), აგებულებით და ზოგიერთი თაესებურებით ჯაწარეთის ეკლესია ბოლნისის სიონის რიგისაა და გადაკეთებული ჩანს IX ს-ში. ჯაწარეთის სამღვდელმთავრო კათედრა უნდა დაარსებულიყო ვახტანგ გორგასლის მეფობის შემდგომ. ქართულ საეკლესიო იერარქიაში ჯაწარელი ეპისკოპოსი რიგით მეოცედ იხსენიებოდა წილკნელის შემდეგ და ურბნელის წინ. ჯაწარელი, ანუ სამებელი მოხსენიებულია ჰაუმა ორბელიანის „ისტორიაში“, სადაც ჩამოთვლილია მცხეთის საკათოლიკოსოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი და აღმოსაელეთ საქართველოში არსებული კათედრები ანტონ I-ის კათოლიკოსობის დროს. ახლანდელი ნაგებობა VII-IX სს-ისა ჩანს, რომელიც შემდეგ გადაუკეთებიათ. XVI საუ-ში იგი შეუმკია ალექსანდრე მეფეს კახეთის სხვა ეკლესიებთან ერთად. ჯაწარეთის ეკლესიას აქვს კედლის მხატვრობა, რომელიც ეკუთვნის XVI-XVII სს-ს. არის საფრესკო წარწერებიც. უკანასკნელად ეკლესია შეუკეთებიათ 1885 წელს, პალადის ეგზარხოსობის დროს.

ჯახაბარიშვილი ციალა (1934-2005) – ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი. მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ საკითხებს, გამოსცა იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ („კალმასობის“) I-II ტომები (ც. კიკვიძესთან ერთად). სამწუხაროდ, III-IV ტომების გამოცემა დაყოვნდა, გამომცემელთა გარდაცვალების გამო.

ჯახოსი – ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი. იხ. ქართველთა ეთნარქები.

კედლის მხატვრობა – შუა საუკუნეებში ბიზანტიაში, საქართველოში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბდა რელიგიური შინაარსის კედლის მხატვრობა. საქართველოში კედლის მხატვრობის უძველესი ნიმუშებია ქსნის არმაზის ეკლესიის კანკელის (864 წ.) და თელენის ტაძრის (VIII-IX სს.) მოხატულობის ფრაგმენტები, დღეს მონასტრის (დაეითგარეჯა) ეკლესიის აბსიდში ქრისტესა და მთავარანგელოზების გამოსახულება (IX ს.), IX-X სს. უნდა მიეკუთვნებოდეს მცხეთის ეკლესიის აბსიდის მოხატულობა სვანეთის სოფ. ნესგუნში, ხშირად გამოსახავდნენ ქტიტორთა და ადგილობრივ წმინდანთა გამოსახულებებს. X-XI სს-ში ტაო-კლარჯეთში შეიქმნა კედლის მხატვრობის მრავალი ნიმუში: ოთხთა ეკლესიის (X ს.), ოშკის (1036), იშხნის, ხახულის, ტბეთის (XI) და სხვა. ამავე სკოლას მიეკუთვნება კუმურდოს და მანგლისის (XI) მოხატულობა, რომელიც იმავე ოსტატების მიერ შესრულებულად მიაჩნიათ. კედლის მხატვრობის თაესებური სკოლები შეიქმნა სვანეთსა და რაჭაში. ამათგან აღსანიშნავია თეძლრე მეფის მხატვრისა და მიქაელ მაღლაკელიძის მიერ შესრულებული ფრესკები. რაჭაში აღსანიშნავია ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა (XI ს.). ამაეე საუკუნის ძნიშნელოვანი ძეგლია ატენის სიონის მოხატულობა. XII-XIII სს. ქართული კედლის მხატვრობის ტენდენციები ფართოვდება და იზრდება (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ტიმოთეს უბანი, ბერთუბანი), მაგრამ ოდნავ უხეშდება კომპოზიცია და დეკორატიულობა. XIII-XIV სს. მიჯნაზე იქმნება ე. წ. პალეოლოგიური სტილის ნაწარმოებები. ამ მხატვრობის ნიმუშებია გელათის, ხობის, ზარზმის ტაძრების მოხატულობა. უფრო გვიან პერიოდში, XIV-XVI სს-ში კი – ლიხნის, უბისის, წალენჯიხისა. XVI-XVII საუკუნეში აღსანიშნავია გელათის წმინდა გიორგის, გეგუთის, რაჭისა და სვანეთის ტაძრების, აგრეთვე სამთაროს, ნესვრების, გრემის, ნაწილობრივ ალავერდის და სხვა. კედლის მხატვრობის მრავალი ნიმუში შემორჩა XVII საუკუნის მოხატულობისა სვეტიცხოვლის, ნიკორწმინდის, მარტვილის, შემოქმედის, წალენჯიხისა და სხვა ეკლესიებმა.

ქეჟერიძე კორნელი (1879-1961) – დიდი ქართველი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, აკადემიკოსი (1941). დაიბადა

ვანის რ-ნის სოფელ ტობანიერში. წერა-კითხვა შეისწავლა ოჯახში. 1886 წელს შეიყვანეს ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კიევში, სასულიერო აკადემიაში (სიტყვიერების განყოფილებაზე). აქ ის ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში და მტკიცედ გადაწყვიტა თავისი სამეცნიერო მუშაობის საგნად გაეხადა ძველი ქართული მწერლობის შეუსწავლელი დარგი - სასულიერო მწერლობა. საკანდიდატო (ანუ სადიპლომო) ნაშრომად აირჩია „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах". კიევის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა კ. კეკელიძის დატოვება იქვე პროფესორობისათვის მოსამზადებლად და მახლობელ აღმოსავლეთში (ათონი, იერუსალიმი, სინა) მისალევნებლად იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად, მაგრამ ასეთი ყურადღების გამოხვეჭება აკადემიის მხრივ საქართველოს წარსულისადმი სინდოდმა არ მოიწონა და პროფესორთა საბჭოს დადგენილება არ დამტკიცა. კ. კეკელიძე დამუშავებლად შეუდგა სამეცნიერო მუშაობას. 1904 წელს ის მიემგზავრება პეტერბურგს, სადაც აკად. ნ. მარისა და სხვა დიდ მეცნიერთა ხელშეწყობით ეცნობა ქართულ ხელნაწერ ფონდებს. 1905 წელს ის ქუთაისშია და ასწავლის ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში. ქუთაისში ის ეცნობა გელათის დიდღარ ხელნაწერთა კოლექციას. 1906 წელს თბილისში გადადის. ის ენერგიულად ჩაება საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში: სწავლობს ხელნაწერებს, აღგენს მათ კატალოგებსა და აღწერილობებს, აქვეყნებს ლიტერატურულ ტექსტებს, კითხულობს მოხსენებებს. მისი პირველი სამეცნიერო შრომები 1905 წელს გამოქვეყნდა. 1907 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია „ახალი საგალობლები აბო ტფილელისა" (ჟ. „მწყემსი", №№ 13, 14). 1908 წელს კიევის აკადემიაში თავისუფლდება ა. დმიტრიევსკის კათედრა, რომელიც შესთავაზეს მას, მაგრამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზად საქართველო მიაჩნდა. 1905-1912 წლებში იგი სისტემატურად თანამშრომლობდა კიევის სასულიერო აკადემიასთან. 1912 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მისი შესანიშნავი ნაშრომი „იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა", რომელიც მსოფლიო საკრისტიანო ლიტერატურის უნიკალური ძეგლია. ესაა ძირფესვი წყარო პალესტინის საეკლესიო ცხოვრებისა და მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად. ამავე წელს აქვეყნებს იგი „ძველ ქართულ არქიერატიკონს" (რუს. ენაზე). 1916 წელს მას ირჩევენ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. 1918 წელს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით არსდება თბილისის სახ. უნივერსიტეტი, რომლის ერთერთი ბურჯთაგანი იყო კ. კეკელიძე. იგი სათავეში ჩაუდგა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და სიკვდილამდე უცვლელად განაგებდა მას. იგი იყო ამ დარგის პირველი ქართველი პროფესორი. უნივერსიტეტში იგი ეწეოდა აგრეთვე სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას (1919-25 წწ.): იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პროორექტორი, განაგებდა უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთსაცავს; 1933-36 წლებში ხელმძღვანელობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას; 1922 წელს მონაწილეობდა რუსეთიდან ქართული სიძველეების საევაკუაციო კომისიის მუშაობაში; 1942-1949 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს; შემდეგ, ამავე ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილებას. თავისი ფართო და მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობით კ. კეკელიძემ დიდი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა. გარდა ხელნაწერების აღწერილობებისა და ძეგლების მეცნიერული გამოცემებისა, იგი წერს ნარკვევებს, გამოკვლევებს. მაძი დიდი ნაწილი თავმოყრილია სერიაში: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" (14 ტომი). მან შექმნა განმაზოგადებელი და შემაჯამებელი ხასიათის წერილები, ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსები; დიდია მისი ღვაწლი ტექსტოლოგიაშიც. 1918 და 1946 წლებში გამოსცა ქართული პაგიოგრაფიული თხზულების კიმენურ რედაქციათა ორტომეული; არაერთი ძეგლი თარგმნა რუსულად და ისინი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახადა. ბევრი გააკეთა მან ქართული სალრო მწერლობის შესწავლის საქმეშიც. მაგრამ მისი უმთავრესი დამსახურებაა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923-60). 1955 წელს რომში გერმანულ ენაზე

გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალ-გის მიერ გადამუშავებული კ. კეკელიძის ორ-ტომეულის I ტომი. კ. კეკელიძეს განსაზღვრა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის დიდი მნიშვნელობა ერთმხრივ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მეორე მხრივ – ზოგადი-მსოფლიო ქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. მისი კვლევის მიზა-ნი იყო ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სპარ-სული ლიტერატურული ურთიერთობების პრობ-ლემების დამუშავება, კერძოდ, ქართული ლიტ-ერატურის წვლილის გამოძიება ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში. დიდი ამაგი დასდო მან ქართულ ისტორიოგრაფიას, მის ჟანრადღებას იპყრობდა ძველი ქართული მწერლობის საწყისები და ქართული დამწერლობის წარმოშობის სა-ითხები, ძველი ქართული სტამბისა და ქართუ-ლი წიგნის ბეჭდვის ისტორია და სხვა. თავისი მეცნიერული მოღვაწეობით მან დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პრესტიჟის ამაღლებას მსოფლიოში [იხ. დიდი ქართველი მეცნიერი (მასალები), თბ., 1965].

კელაპტარი – დიდი სანთელი, სასან-თლე, ცეროვანი.

კელარი – მონასტრის მეკუჭნავე, საოს-ტიგნეს გამგე, მნე. ტერმინი გახედება პეტრი-წონის მონასტრის ტიპიკონში (იხ. ა.ა. მანიძის გამოცემა, გვ. 175), მიიმღვიძის ტიპიკონში, „იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრებაში“ და სხვ.

კელასური – სოფელი გულრიფშის რაიონში; აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია, ციხე-კოშკი და სხვ. ნაგებობები.

კელენი (კელინი) – კელია, მცირე სენაკი.

კელენიკი – მაღალი სასულიერო პირის (ეპისკოპოსის, პატრიარქის) ხელზე მოსამსახ-ურე, მოსენაკე ბერი (იხ. კელენი).

კელენჯერიძე გელიტონ (1864-1942) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედ-აგოგი, ფოლკლორისტი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1894 წელს დამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა ქუთაისში, ფოთში. კრებდა ქართველი ზეპირსი-ტყვიერების მასალას და აქვეყნებდა ფოლკ-ლორულ ნიმუშებს, რომელიც შემდეგ გამოსცა წიგნად (1915). აქვს გამოკვლევები ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ: „კახეთი, ეპისკო-პოსი ანტონი“ (1913), „საქართველოს საკათ-ლიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918), „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ (რუსულად, 1906 წ.) და მრავალი სხვა.

კალესტინე – რომის პაპი (422-432). ქართულად არსებობს კალესტინეს ეპისტოლე-თა თარგმანები: 1. „ეპისტოლე ეკლესიის მიმა-რთ კონსტანტინეპოლისა“. იგი მიმართულია ნესტორის წინააღმდეგ (A 266, გვ. 53-54). 2. „მეორე ეპისტოლე ნესტორის მიმართ“, იქვე, გვ. 54-69). ეპისტოლე ეკლესიის კრების მიმა-რთ, A 266, 241-243. ყველა ეპისტოლე შესამე მსოფლიო კრების აქტებიდან თარგმნილია სომხ-ურიდან XVIII ს. II ნახევარში ანტონ კათო-ლიკოსისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ.

კერპი – წარმართთა ღმერთების ქანდაკე-ბა, წარმართთა სალოცავი, რელიგიური თაყვა-ნისცემის ობიექტი. კერპთა თაყვანისცემა აღ-მოცენდა უძველეს დროში; კერპი ითვლებოდა ღვთაების შემცველად. არსებობდნენ როგორც ზოომორფული, ისე ანთროპომორფული კერპე-ბი. ანტროპომორფული კერპები დამახასიათებე-ლია მაღალი განვითარების მქონე რელიგიებ-ისათვის.

კერძო დიაკონი (პიპოდიაკონი) – დი-აკონის ქვემდგომი მსახური, ნახევარდიაკონი; ეკლესიის მსახური, რომელსაც უჭირავს საშუ-ალო ხარისხი მკითხველსა და დიაკონს შორის; იგი განაგებს წმ. ჭურჭელს და მის საბურველს. მათი უპირატესობა წიგნის მკითხველთა წინაშე მდგომარეობს შემდეგში: 1. ლიტურგიაზე ისინი ზიარებას იღებენ დიაკონთა შემდეგ; 2. ატარებენ ოლარს, ოღონდ არა მარცხენა მხარეზე (მს-გავსად დიაკონებისა), არამედ ისე, რომ ოლარი ჯვარს ქმნიდეს მკერდსა და ზურგზე. იხ. დია-კონი.

კესარი – ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოხსენიებულია დოროთეოს ტვირელის „აღწერილი საკლესიოში“, რომელ-იც დართული აქვს „დიდ სვინაქსარს“, აგრეთვე კლარჯულ მრავალთავში: „კესარ, რომელსა მოციქული ახსენებს, რომელი ეპისკოპოს იქმნა აღრიას“ (კლარჯული მრავალთავი, გამოც. თ. მგალობლიშვილისა, თბ., 1991, გვ. 386).

კესარია (კაპადოკია) – იხ. კაპადოკია.

კესარია (პალესტინისა) – ქალაქი პალ-ესტინაში, ქ. იაფოს ჩრდილოეთით; პეროდე დი-დის დროს ქალაქი ხელახლა გაშენდა 25-13 წლის ჩვ.წ.-მდე. მალე იგი პალესტინის დეკა-ქალად გადაიქცა. კესარიაში იყო სამოციქუ-ლო ეკლესია, რომელსაც ეწყია და დასახლდა კიდეც აქ ფილიპე მახარებელი; მას ეწევიენ აგრეთვე პეტრე და პაული მოციქულები. მიტ-როპოლიტ ალექსანდრე სეეროსის დროს იგი

გახდა პალესტინის მიტროპოლი. კესარიამ, როგორც დედაქალაქმა, ქალკედონის კრებამდე იარსება. იგი ეპორჩილებოდა იერუსალიმის პატრიარქს. ორიგენე, რომლის სამშობლო იყო კესარია, თავის შრომებში იხსენიებს მას, როგორც კულტურულ-მეცნიერულ ცენტრს. ამ ქალაქში სწავლობდა წმ. იერონიმე, აქედან იყო ცნობილი ეპისკოპოსი ევსებიოსი, რომელიც თავისი დროისათვის ყველაზე განათლებულ კაცად იყო აღიარებული. კესარიაში იყო თავმოყრილი ეპისკოპოსის ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა ორიგენეს მრავალ შრომას. ქალაქი ძალიან დაზიანდა VII საუკუნეში, 1265 წელს ჯვაროსნებმა ის საბოლოოდ დაანგრიეს, რის შემდეგ იგი აღარ გამართულა წელში. გადმოცემით, კესარიაში იყო დაცული ის თასი, რომელიც გამოიყენეს მოციქულებმა საიდუმლო სერობის დროს.

კესარიოსი – ძმა გრიგოლ ნაზიანზელისა (ღვთისმეტყველისა). დიდხანს ცხოვრობდა იმპერატორ კონსტანტის კარზე, იყო მისი მეგობარი და კარის დასტაქარი. 368 წელს ნიკეის მიწისძერის დროს ის სასწაულებრივად გადარჩა (ნანგრევებიდან გამოიყვანეს ცოცხალმკვდარი) და ამის შემდეგ ირწმუნა ქრისტე და მთელი ცხოვრება შესწირა ღვთის სამსახურს.

ქართულად არსებობს „სიტყვაჲ“ გრიგოლისა კესარიოსის მიმართ, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (A 292, 359-367). ხსენების დღე – 9 მარტი, (გარდ. 369 წ.).

კესიჯვარი – სოფელი ქართლში, ქარელის რ-ნში, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, ქარელიდან 6 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას სამების ეკლესია (XIX ს.), რომელიც აშენდა ძველი ეკლესიის ადგილზე; ძველი ეკლესიიდან არის შემორჩენილი ცალკეული ფრაგმენტები.

კეხვი – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ცხინვალიდან 10 კმ. სოფელში დგას ეკლესია განეთიარებული შუა საუკუნეებისა „დედა ღვთისა“ და ცნობილი კეხვის ციხე, რომელიც წყაროებში პირველად XVII ს-შია მოხსენიებული. ციხის ქვედა ნაწილში შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

კვაისა – დაბა ჯავის რაიონში, მდ. ჯეჯორის ხეობაში, ჯავიდან 45 კმ. აქ შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის „ყასაყარის“ – აღორძინული ქრისტიანული ხანის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ნანგრევებში ნაპოვნია ჩუქურთმებით და სკულპტურული დეკორით შემკული ქვის ფილები, რომლებზეც ამოკვეთილია ეკლესიის მოდელი.

კვარაშა – ადგილი კუმურდოს მიდამოებში, სადაც დგას განეთიარებული შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

კვართი – 1. ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდელმსახურების დროს მოსაცთინის, დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის სამოსი; სხვაგვარად – სტიხარი. ითვლება ქრისტეს სამოსელის სიმბოლურ გამოსახულებად. 2. ქრისტეს სამოსი – „კვართი უფლისა“ საქართველოში ითვლებოდა სვეტიცხოველის ტაძრის ერთ-ერთ სიწმინდედ, რომელიც მცხეთელმა ებრაელებმა იერუსალიმიდან ჩამოიტანეს ქრისტეს გოლგოთაზე ჯვარცმის შემდეგ. გადმოცემის მიხედვით, კვართი უფლისა დაფლულია სვეტიცხოველის სვეტის ქვეშ მიწაში. ქრისტეს კვართს XII საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერიძემ საგანგებო შრომა მიუძღვნა.

კვართი-ფილონი – სამღვდელო სამოსი.

კვართობა – ქრისტიანული ხალხური დღესასწაული, გიორგობას, მენელსაცხებელთა (აღდგომიდან მესამე) კვირის შემდეგ ხუთშაბათს; გავრცელებულია ხოვლეში (ქართლი).

კვარის ციხე – ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე რაჭაში, მდ. კრიხულის მარჯვენა ნაპირზე, ზემო სხვავადან 1,5 კმ-ზე. წყაროებში მოიხსენიება XI საუკუნიდან. ციხე-დარბაზის გალავნის შიგნით შემორჩენილია ორსართულიანი კოშკი, აუზი და მცირე ზომის ეკლესია.

კვეთა (ბერძნ. პროსკომიდია) – წირვის დაწყების წინ სეფისკვერების კვეთა ანუ შესაწირავის გამზადება დადგენილი წესის მიხედვით. „პროსკომიდია“ ნაწილების ამაღლებას ნიშნავს (იხ. პროსკომიდია).

კვერთხი – სპეციალური ჯოხი, უმაღლესი იერარქის რეგალია ძელის, ხის ან ლითონისაგან დამზადებული, მღვდელმთავრის საკუთრება, რომელიც მას ეძლევა მისი კურთხევის დროს, ლიტურგიის დამთავრების შემდეგ. კვერთხი წარმოადგენს სამწყსოზე მწყემსის ძალაუფლების სიმბოლოს. იგი ეძლევა აგრეთვე არქიმანდრიტსა და იღუმენს.

კვერეძსი – მოკლე ლოცვათა წყება, რომელსაც საეკლესიო ღვთისმსახურებისას წარმოთქვამს დიაკონი, და ბის ყოველ მუხლზე მგალობლები მიუგებენ, ხან – „უფალო შეგვიწყალენ“, ხან – „მოგემადლენ უფალო“, ბოლოს კი – „შენ, უფალო“. ყოველი კვერესი ბოლოვდება მღვდლის „ასამაღლებელით“.

კვერექსები სხვადასხვა სახისაა: 1. დიდი კვერექსი („დიდი მშვიდობიანი"). 2. მცირე კვერექსი („მცირე მშვიდობიანი"). 3 თხოვნითი კვერექსი („მოგვმადლენთაჲ"). 4. მრჩობლი კვერექსი („ზეგარდმოჲ"). დიდი და მცირე კვერექსები იწოდება „მშვიდობიან კვერექსებად", რადგან ორივე მათგანი იწყება მოწოდებით: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ".

კვეტერა — ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, მდ. ილტოს ნაპირზე, დღევანდელი ახმეტის რ-ში, წყაროებში პირველად მოიხსენიება XI საუ-ში. კვეტერის კომპლექსში შედის: 1. X საუკუნის I ნახევრის გუმბათიანი ეკლესია, გეგმით ჯვრისებური. ეკლესიის ყველი მკლაი აბსიდით სრულდება, რომელთა შორის მთაავსებულია ნიშები. კვეტერის ეკლესია უნდა ყოფილიყო მეფის კარის ეკლესია. 2. სასახლე X-XI სს., 3. ციხე გეიანი შუასაუკუნეებისა; 4. კოშკი, საგუშაგო და სხვა ნაგებობები.

კვიეტიზმი (ლათ. შვიდი, აუღელვებელი) — რელიგიურ-ეთიკური მოძღვრება, რომელიც აღმოცენდა კათოლიკურ ეკლესიაში XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში. ქადაგებს სამყაროსადმი მისტიკურ-მჭვრეტელობით დამოკიდებულებას, ღვთის ნებისადმი სრულ მორჩილებას, სულიერ სიმშვიდეს, გულგრილობას სიკეთისა და ბოროტებისადმი. მისტიკოსთა შთაგონების მთავარი წყარო იყო დიონისე არეოპაგელის „ზეცური იერარქიისათვის". თუმცა ეს მოძღვრება წარმოიშვა შედარებით გვიან, რეფორმაციის პერიოდში. კვიეტიზმის მომხრე იყო პაპი ინოკენტი XI, მაგრამ 1682 წლიდან კათოლიკური ეკლესია სხვა პოზიციებზე დგება და სასტიკად ებრძვის მას. მის წინააღმდეგ პირველი ილაშქრებს კარდინალი კარაჩოლი. კვიეტიზმის მამხილებელ თხზულებას წერს იეზუიტი პაულე სეგიური. ამათ საფუძველზე შედგა საგანგებო კომისია (1682-1687 წწ.), რომელმაც კვიეტიზმის მოძღვრება დაგმო, როგორც უზნეო და ერეტიკული.

კვინტელი მოწამე — ეწამა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305), თავის ძმებთან, დადა და მაქსიმესთან ერთად. წარმართული ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე უარის განაცხადეს წარმართული ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე და მტკიცედ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზე; ისინი ჯერ აწამეს, ხოლო შემდეგ თავები მოჰკვეთეს. ხსენების დღეა 28 აპრილი. მათი წამების ქართული თარგმანი დაცულია ქუთ. 7, XIII ს. 389-396. (იხ. მაქსიმე).

კვიპრიანე — მოწამე. წარმოშობით ანტიოქიიდან, წარმართთა ქურუმი; ფლობდა ჯადოსა და მაგიას. ამ ქალაქში ცხოვრობდა ქალწული იუსტინა, რომელიც შეუყვარდა ჭაბუკ აგლაიდს. იუსტინამ უარყო მისი სიყვარული. მაშინ ჭაბუკმა მიმართა ყოელისშემძლე კვიპრიანეს, მაგრამ ეერც მისმა ჯადომ გაჭრა, პირიქით, თვით კვიპრიანემ იგრძნო საკუთარ თავზე ქრისტეს ძალა: დაწვა თავისი წიგნები და მოინათლა ქრისტიანულად. მალე ეპისკოპოსობა მიიღო და ბევრი წარმართი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე წმ. იუსტინა მონაზვნად აღიკვეცა და იღუმენიად აირჩიეს. დიოკლეტიანეს დროს ქრისტიანთა დევნისას ორივე შეიპყრეს და ჩამოიყვანეს ნიკომიდიაში, სადაც სასტიკი წამების შემდეგ თავები მოჰკვეთეს 304 წელს. ხსენების დღეა 2 ოქტომბერი. ქართულად არსებობს ამ მოწამეთა „წამების" კომპური და მეტაფრასული რედაქციების თარგმანი: „საქმენი კვპრიანესნი და სინანული მისი" (A 95, XI ს., 363-380) და „წამებაჲ წმიდისა კვპრიანესი" (A 95, XI ს., 380-385) სინამდვილეში ერთი კომპური თხზულების ქართული თარგმანის ორი ნაწილია (Ath. 8, X, 312-321, მხოლოდ II ნაწილია და მისი ნაწყვეტი გამოც. ლ. ქაჯაიას მიერ, „მრავალთავი", IX, 1981, 41-44). კვიპრიანეს და უსტინას „წამების" მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერითაა წარმოდგენილი (S 384, XI-XII სს., 222-295; ქუთ. 4, 1565 წ., 354-366; ქუთ. 659, XV-XVI). გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუაჲ კვპრიანესთჳს მღელმოწამისაჲ" უთარგმნია ეფრემ მცირეს (A 109; A 292; ქუთ. 9).

კვიპრიანე სამთაველი — სამთაისის ეპისკოპოსი, XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII ს. I ნახევრის ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი, სასულიერო მოღვაწე; დომენტი კათოლიკოსის თანამოღვაწე და თანაშრომელი. მისი ბიოგრაფიიდან მცირე რამაა ცნობილი. ანტონ კათოლიკოსის ცნობით, იგი იყო „ნათესაურთ არაგუს ერისთავთანი". სახუთში იგი ზოგჯერ იხსენიება „ბატონის ერისთვის შვილი სამთაველი კოზმან", „კოზმა ყოფილი კიპრიანედ" იხსენიება იგი იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერში (იხ. 6. მარი,

იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გე. 78). დომენტი კათოლიკოსი მას „ბერძნულ ენაში დახელოვნებულ, განათლებულ დიდგვაროვან“ უწოდებს. მას ბერძნული ენა იერუსალიმში ყოფნისას (1685) შეუსწავლია, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან. იგი იყო ენერგიული და ნაყოფიერი მოღვაწე-შემოქმედი. 1691-92 წლებში იგი მოსკოვში და წერს ბერძნული ენის მოკლე გრამატიკას. ქართლში დაბრუნებული ქვიპრიანე დომენტი კათოლიკოსის დავალებით შეუდგა მთარგმნელობით მოღვაწეობას: თარგმნა ბერძნულიდან „ცურთხევანი,“ რომელიც ბოლომდე შემორჩა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკას (A 11, XVII ს., H 875 და სხვა გამოც. 1928 წ.). ბერძნულიდანვე უთარგმნია მას იმავე დომენტის დავალებით „განმარტება ეკლესიისა და ცურთხევა მისი“ (დაიბეჭდა 1719, გამოც. ძვ. საქართველო, III, 98; 291-292), აგრეთვე, 1703წ. „საქმენი შეიდთა სასიკუდინე ცოდვათანი“ (A 1134, 56-64). ანტონ I-ის ცნობით, დომენტის ბრძანებით მას 1703 წ. უთარგმნია „წესი გამორჩევისა და ხელთდასხმისა მღდელთმთავრობისა“. ფიქრობენ, რომ ბერძნული სამართლის წიგნი ვახტანგის კრებულისათვის ქვიპრიანეს უნდა ეთარგმნა. იგი საბუთებსაც წერდა. ცნობილია მისი ზრუნვა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, კერძოდ, გარეჯის დიდოს სავანეზე. შემონახულია ქვიპრიანე სამთაველის მიერ 1711 წელს დაწერილი გუჯარი.

ქვიპროსი — კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილში. ძველად ქვიპროსზე მრავალი ეკლესია-მონასტერი და მოღვაწეთა მთელი კრებული იყო. საუკუნეთა მანძილზე ქვიპროსზე ქართული მონასტრების არსებობის ფაქტი ეჭვმიუტანელია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა აურაცხელი შესაწირავი შესწირა მონასტრებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, საბერძნეთში, პალესტინაში, იერუსალიმში, სირიაში, შავ მთაზე და ქვიპროსზე. უფრო ზუსტ ცნობას გვაწვდის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, რომელიც დაწერილია გიორგი მთაწმიდელის მიერ. ამ წყაროს მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ ამაოდ შესთავაზა ათონის იერის ერთ-ერთ დამაარსებელს, ეფთვიმეს, დაეკავებინა არქიეპისკოპოსის ვაკანტური თანამდებობა წმ. ეპიფანეს ეკლესიაში, სალამისში (ქვიპროსზე). ქვიპროსზე ქართველების ყოფნა შეიძლება აიხსნას კუნძულის სიახლოვით ჩრდ. სირიასთან, ანტიოქიის დას. რაიონებთან, სადაც X ს. ბოლოსათვის ქართველები ფლობდნენ 13 მონასტერს დაახლოებით XX საუკუნემდე. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ თანამემამულეები, კერძოდ, გრიგოლ ბაკურიანი და მისი ძმა ბაბი, რომელიც ანტიოქიაში მამულებს ფლობდა. ამას გარდა ქვიპროსი ადრევე ექვემდებარებოდა ანტიოქიის ეკლესიას; მათი მიტროპოლიტების ხელდასხმა ანტიოქიაში ხდებოდა. ქართულ-ქვიპროსული ურთიერთობები გაგრძელდა XVI-II ს-მდე. მემატიანე მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ „ქვპროს ღალია შეამკო და უყიდნა შესაალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოელითა წესითა პატიოსნის მონასტრისათა“. მეცნიერულმა კვლევამ დაადგინა, რომ ქართველები მრავლად ყოფილან ქვიპროსზე. მათ კლონინა პქონდათ ნიკოზიაში, რამდენიმე მონასტერი ალამინის რაიონში. XIV ს. ისტორიულ დოკუმენტში მოხსენიებულია ქართული სავანე პირ-ზოფუს ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე — იალა, რომელიც მკვლევართა აზრით ღალია უნდა იყოს. აქ ქართველები მისდევდნენ მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. ერთი პაგიოგრაფიული ძეგლის თანახმად, რომელშიც მოთხრობილია ნიკოლოზ დეალის თაეგადასავალი (ძეგლები, IV, 349,8), აღნიშნულია, რომ ნიკოლოზი მამადიანთაგან გამოიხსნეს და „კუპრეს“ წარგზავნეს და იქ იმყოფებოდა „დიდი მოღუაწეთა“. ის ფაქტი, რომ იერუსალიმელმა თანამოღვაწე „ძმათა“ ნიკოლოზი ქვიპროსზე გაგზავნეს, მეტყველებს იმაზე, რომ XIV საუკუნის დამდეგისათვის აქ ქართული კოლონია კიდევ უნდა არსებულიყო. ქვიპროსზე ბერძენთა სავანეში, კიკოს მონასტერში აღმოჩნდა ქართულ სიძველეთა ნაშთი: ერეკლე მეორეს მიერ 1780 წელს შეწირული დოფარნა. ამ სავანესთან ქართველებს XVIII ს. ბოლო მეოთხედიდან მჭიდრო ურთიერთობა პქონდა.

ქვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესია — ქვიპროსის ეკლესიის დაფუძნება მოციქულთა ხანაში მოხდა. „საქმე მოციქულთას“ თანახმად, კუნძულზე ქადაგებდნენ პაელე და ბარნაბა მოციქულები (საქმე მოც. 13,4-13). ქვიპროსი ეკუთვნოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციას, რომლის ცენტრიც ანტიოქია იყო. ამიტომ ანტიოქიის ეკლესია პრეტენზიას აცხადებდა ქვიპროსის ეკლესიის იურისდიქციაზე. ეფესოს კრებამ (431 წ.) აღიარა ქვიპროსის ეკლესიის დამოუკიდებლობა; ადგილობრივ ეპისკოპოსთა კრებას მიეცა უფლება, დამოუკიდებლად აერჩია ქვიპროსის მთავარეპისკო-

პოსი. VII ს-ის შუახანებიდან X ს-ის შუახანებამდე კვიპროსი არაბების სათარეშოდ გადაიქცა, რომელთაც მოაოხრეს მთელი კუნძული. მოსახლეობის დაცვის მიზნით იმპერატორმა იუსტინიანე II-მ 688-695 წლებში გაბიზნა ისინი მათთვის საგანგებოდ აშენებულ ქალაქში — ახალ იუსტინიანეში (დარდანელზე). კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა თავისი კათედრა აქ გადმოიტანა, რის გამოც დღემდე ახალი იუსტინიანეს მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებს. იმპერატორ ნიკიფორე II ფოკას მიერ არაბების დამარცხების შემდეგ (963-969) კვიპროსს და მის ეკლესიას მშვიდობიანობის პერიოდი დაუდგა. 1191 წ. კვიპროსი დაიპყრო ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურმა, ინგლისის მეფემ რიჩარდ ლომგულმა. რამდენიმე თვის შემდეგ რიჩარდმა კუნძული მიჰყიდა ტამპლიერებს, მათ კი მიჰყიდეს ფრანგ გი დე ლუზინიანს, იერუსალიმის მეფეს. ამ უკანასკნელმა კუნძულზე მოაწყო დასაელური ტიპის ფეოდალური საზოგადოება და სათავე დაუდო დინასტიას, რომელმაც 300 წელიწადს იმეფა. მალე ლათინურმა საეკლესიო იერარქიამ შეაღწიროა ბერძნული ეკლესია. 1260 წელს ყველა მართლმადიდებლური მონასტერი ლათინ ეპისკოპოსთა ხელქვეით აღმოჩნდა. მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა რიცხვი 15-დან 4-მდე შემცირდა, და ისინიც კვიპროსის ლათინ მთავარეპისკოპოსს დაექვემდებარნენ. ზოგიერთმა დასაელურმა ორდენმა აქ თავისი მონასტრები დაარსა. მართლმადიდებელთა სასარგებლოდ მდგომარეობა შეიცვალა 1489 წელს. 1571 წელს კვიპროსი ოსმალებმა დაიპრეს. მათ დაშალეს ფეოდალური სისტემა და გააუქმეს ლათინური საეკლესიო იერარქია. მათ ნაცვლად ეკლესიები მართლმადიდებლებს გადაეცათ, რომელთაც მიეცათ უფლება თავისი მთავარეპისკოპოსის არჩევისა. მაგრამ ეკლესიაში მხოლოდ 4 ეპარქია დარჩა. ოსმალეთის იმპერიის სხვა ოლქების მსგავსად, აქაც მართლმადიდებელი ეპისკოპოსი გამოცხადდა ბერძნული მოსახლეობის სამოქალაქო მეთაურად. 1821 წლის ბერძენთა რევოლუციის დროს თურქებმა საეკლესიო იერარქია დაადანაშაულეს რევოლუციისადმი მხარდაჭერაში. ყველა ეპისკოპოსი და გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე შეიპყრეს და დახოცეს. მოგვიანებით ანტიოქიის პატრიარქმა კვიპროსზე გაგზავნა ახალი იერარქია, რომელმაც შეძლო მართლმადიდებელი მრევლის მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეკლესიას მძიმე გადასახადები შეენერა. 1878 წელს კვიპროსი თურქეთისაგან იჯარაეა ინგლისმა, 1914 წ. კი ანექსია მოახდინა. მალე კუნძულის ბერძნულმა მოსახლეობამ (ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ) დაიწყო მოძრაობა საბერძნეთთან კვიპროსის მიერთებისათვის. ამ მოძრაობას შეუერთდნენ მართლმადიდებელი იერარქებიც, რომლებიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, აქტიურად იყვნენ ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1960 წელს, როდესაც ინგლისმა კვიპროსს დამოუკიდებლობა მიანიჭა, მის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა კვიპროსის მთავარეპისკოპოსი მაკარიოს III. 1974 წელს თურქები შეიჭრნენ კვიპროსში და დაარსეს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“. ამჟამად კვიპროსის ეკლესიაში 6 ეპარქიაა, 9 მამათა და 14 დედათა მონასტერი. ამათგან ყველაზე განთქმულია კიკოს მონასტერი. ნიკოზიაში მოქმედებს ბარნაბა მოციქულის სახელობის საღვთისმეტყველო სკოლა.

კვირაცხოვლობა — თომას კვირა, აღდგომის მომდევნო კვირა. მოიხსენიება თომა მოციქულის მიერ უფლის გვერდის ხილვა და ლიტურგიაზე იკითხება სახარების სათანადო მონაკვეთი (იოვანე 20,26-29).

საქართველოში ძველად კვირაცხოველობის დღეს მიღებული იყო ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ ხალხი ორ ჯგუფად იყოფოდა და ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩაგდებაში. მონაწილეთა რწმენით, ის, ვინც ბურთს მოიგდებდა ხელში, იმ წელს უნდა ჭირნახულის პატრონი გახდებოდა. ამიტომაც ისეთი თავგამოდებით ცდილობდნენ ბურთის ხელში ჩაგდებას, რომ მას ნაგლეჯებად აქცევდნენ და ამ ნაგლეჯის ხელში ჩაგდებაც დიდ ბედნიერებად ითვლებოდა. ნაგლეჯის პატრონი დარწმუნებული იყო იმ წელს ოჯახის ბარაქაში. ამ დღეს კვირაცხოველობას გორაზე კვერცხს აგორებდნენ, რის გამოც მას წითელ გორასაც უწოდებენ. მღვიმელები დილაადრიან ანჩისხატის ეკლესიასთან მოასვენებდნენ ხატს. წირვა-ლოცვის შემდეგ იმართებოდა სახალხო დღესასწაული — სანახობა, ჯირითი, ცეკვა-თამაში და სხვა (იხ. ახალკვირაკეი, თომას კვირა).

კვირიაკოს მოწამე — ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (285-305) დროს თავის ექვს ძმასთან ერთად. შვიდივე ძმა იყო რომის ლეგიონერი. იმპერატორმა კვირიკოს და მის ძმებს მოსთხოვა მსხვერპლი შეეწირათ წარმართი ღმერთებისთვის. ქრისტიანმა მხედრებმა ამაზე უარი განაცხადეს, მაშინ მაქსიმიანემ ისინი ექსორია-

პყო და სატელელთა მთაკარს დუანს მისწერა წერილი, რათა ყოველი ღონე ეხმარა მათ მოსაქცევად. დუენმა ბევრი ტანჯვა-წამება მიაყენა ძმებს, მაგრამ ვერაფერს გახდა, რწმენა ვერ შეაცვლევინა. შემდეგ ძმები აფხაზეთს გადაასახლეს. გზაში შვიდივე დაიღუპა. ხსენების დღეა 24 ივნისი. კვირიკოსის და მის ძმათა მარტვილობის ქართული თარგმანი შემონახულია ორი ხელნაწერით (S 417, XII ს., 157-169; ქუთ. 3, XVI, 227-241; გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები... IV, თბ., 1957, 310-325 (იხ. ორენტიოსი).

ჯვრინოს მოწამე – იტალიელი ქრისტიანი; ეწამა 251 წელს იმპერატორ დეციოსის დროს თავის ძმებთან, ფილადელფოს და ალფეოსთან ერთად, რომის იმპერიაში დაწყებული ქრისტიანთა დევნის შედეგად. ძმები შეიპყრეს და სიცილიაში, ქ. მესოპოლში აწამეს. ხსენების დღეა 10 მაისი.

წმინდა მოწამეთა შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება ქართულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (A 129, XII-XIII სს., 279-315; Ath. 7, XIII ს. 160-228) (იხ. ალფიოს).

ჯვრია – ქართული ასტრალური პანთეონის სამეულის ერთ-ერთი წევრი (მორიგე, ღმერთი, მზექალი და კვირია), ნაყოფიერებისა და შვილიერების ძველი ქართული წარმართული ღვთაება. კვირიას ბუნება და ფუნქცია ბოლომდე არაა გარკვეული. ის მოიხსენიება, როგორც „ხმელთ მოურავი", „კარავიანი", „დიდი", „ძალი ღვთისა" და ა. შ. იგია ერთადერთი ღვთაება, რომელსაც ხალხის რწმენით შეეძლო ღმერთთან მისვლა და ამიტომ სწორედ მას ეკისრებოდა შუამავლობა უზენაეს ღვთაებასა და დანარჩენ ღვთისშვილთა შორის. ის გარკვეულ კავშირს ამყარებს ცეცხლთანაც. კვირიასა და ცეცხლის კულტი ერთი ჩანს. მართალია, მას მესამე ადგილი უჭირავს სამეულში, მაგრამ იგი ხშირად მეორე ადგილს იკავებს; სალოცავებში მას ხშირად ღვთის შემდეგ მეორე ადგილზე იხსენიებენ. კვირია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენით, უშუალოდ მართავდა ქვეყანას მორიგე ღმერთის დადგენილი წესის მიხედვით. მის განმგებლობაში შეილოსნობა და ნაყოფიერება შედის. მისი ფუნქციაა აგრეთვე სამართლის გარანტი. კვირიას სახელზე ადრე საგანგებო ღღეობები (კვირია-მერყეობობა) იმართებოდა, რომელშიც ფალოსს გარკვეული ადგილი ეკავა, რაც იმის დასტურია, რომ იგი სქესობრივი ძალის მფარველადაც იყო მიჩნეული, ნაყოფიერების მაძრ ღვთაებად. კვირია ძირითადად სამიწათმოქმედო ღვთაებაა (როგორც ორი დანარჩენი) და ნაყოფიერებაც მისი არსებითი ფუნქციაა. კვირიას ასტრალური შინაარსი არის ცისკრის ვარსკვლავი, მთიები. სვანეთში იგი აგრარულ ღვთაებად იყო აღიარებული; ის განაგებდა ტაროსს, მიწის ნაყოფიერებას, გამრავლება-ნაყოფიერებას. გადმოცემაში ის იხსენიება, როგორც „წყლის ბერი", „ცის მზე", „მიწა", „ცისა და მიწის მონაწილე" და სხვა.

საქართველოში მეომარ ტომებში კვირიას ცვლის წმ. გიორგი, ხოლო მიწათმოქმედ ტომებში მას ჩაენაცვლა ქრისტე.

ჯვრიაკე (ბერძნ. „საუფლო") – კვირადღე, დღე უფლის აღდგომისა. ასე მოიხსენიება მოძრავი საეკლესიო კალენდრის მნიშვნელოვანი ღღეები, როგორც მარხვისა და ზატიკისა, ისე წლის დანარჩენი პერიოდისა, სახელდობრ:

კვირიაკე მეზვერისა და ფარისეველისა – დიდმარხვის მოსამზადებელი პირველი შვიდეულის ბოლო კვირა დღე; ასე ეწოდება იმის გამო, რომ ლიტურგიაზე სახარებიდან იკითხება იგავი მეზვერისა და ფარისეელის შესახებ (ლუკა 18,10-14). იხ. მეზვერისა და ფარისეელის კვირა.

კვირიაკე უძღებისა – დიდმარხვის მოსამზადებელი მეორე კვირა დღე; სახარებიდან იკითხება იგავი უძღები შვილის შესახებ (ლუკა 15,11-32) იხ. უძღები შვილის კვირა.

კვირიაკე ხორციელისა (ხორცთა აკრებისა) – დიდმარხვის მოსამზადებელი III კვირა დღე, რომლის შემდეგაც იკრძალება ხორცის ჭამა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომამდე. ხორციელის კვირიაკის წინა დღეს, შაბათს სრულდება მიცვალებულთა ხსენება (იხ. ხორცთა აკრება).

კვირიაკე ყველიერისა (ყველიერის აღებისა) – დიდმარხვის მოსამზადებელი მესამე შვიდეულის ბოლო, კვირა დღე, რომლის შემდეგაც იწყება წმინდა დიდი მარხვა, და მაშასადამე, ამ დღეს უკანასკნელად იჭმევა კეერცხი და რძის ნაწარმი.

კვირიაკე ჯვრის თაყვანისცემისა – დიდმარხვის მესამე შვიდეული.

ნათლით შემოსილი კვირიაკე – აღსება, აღდგომა ქრისტესი.

თომას კვირიაკე, კვირაცხოველობა, ანტიპასქა – ქრისტეს აღდგომის მომდევნო კვირა დღე, როდესაც მოიხსენიება თომა მოციქულის მიერ საუფლო გვერდის განხილვა (იოანე 20,19-25).

კვირიაკე მენელსაცხებლეთა – მესამე კვირა დღე აღდგომის შემდეგ, თომას კვირის მომ-

დეკნო. იკითხება სახარება მენელსაცხებლეთა შესახებ (მარკ. 15,43-16,8). იხ. მენელსაცხებლე დედანი.

კვირიაკე განრღვეულისა — მეოთხე კვირა დღე აღდგომის შემდეგ; ლიტურგიაზე იკითხება სახარება უფლის მიერ განრღვეულის განკურნების შესახებ (იოანე 5,1-15).

კვირიაკე სამარიტელისა — მეხუთე კვირა დღე აღდგომის შემდეგ (იკითხება სახარება სამარიტელი დედაკაცის შესახებ — იოანე 4,5-42).

კვირიაკე ბრმისა — მეექვსე კვირა დღე აღდგომის შემდეგ (იკითხება სახარება უფლის მიერ ბრმის განკურნების შესახებ — იოანე 9,1-38).

კვირიაკე წმიდათა მამათა — მეშვიდე კვირა დღე აღდგომის შემდეგ (ამ დღეს მოიხსენიებიან წმინდა მამები პირველი მსოფლიო კრებისა).

კვირიაკე ყოველთა წმიდათა — მარტვილიის შემდგომი კვირა დღე, რომელზედაც თაყვება ზატკნი.

ქვირიაკისა ძალი — კვირაძალი, კვირა დღის წინა საღამო, შაბათი საღამო, მზის ჩასვლიდან.

ქვირიაკოს პალაპერელი, გაბშორებული († 556) — დაიბადა კორინთაში, ღვთისმსახური ოჯახში. ბავშობიდანვე აღმოაჩნდა სიფერული საღვთო წერილისადმი. 18 წლისა წავიდა იერუსალიმში და ეფთვიმე დიდის ლავრაში დამკვიდრდა. ეფთვიმემ იგი იორდანეზე გაგზავნა წმ. გერასიმესთან, რომლის გარდაცვალების შემდეგ 27 წლის კვირიაკოსი დაბრუნდა ეფთვიმეს ლავრაში, მაგრამ ეფთვიმე აღარ დახვდა ცოცხალი. მან აქ დუმილში გაატარა 10 წელი. 37 წლისა გახდა დიაკონი. ამის შემდეგ მოღვაწეობდა ხარიტონის ლავრაში, სადაც 30 წელი დაჰყო. 70 წლისა განცალკევდა უდაბნოში თაფლი მოწყვიტერი. იკვებებოდა მხოლოდ მწარე ბალახით. ახლებდა სასწაულებს და ბევრი სნეული განკურნა. ბოლოს კელე დაბრუნდა ხარიტონის ლავრაში. თავისი ლოცვა-ქადაგებით კვირიაკოსი დიდ დახმარებას უწევდა ეკლესიას ერესების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას წინასწარმეტყველური ნიჭიც აღმოაჩნდა. 99 წლის ასაკში ის კელავ გაემართა სუსაკიმის უდაბნოში იოანესთან (მისი მოწაფე) ერთად. გადმოცემით, უდაბნოში მას ემსახურებოდა უზარმაზარი ლომი; სიკვდილამდე ორი წლით ადრე იგი ისევ დაბრუნდა ხარიტონის ლავრაში. გარდაიცვალა 109 წლისა. ხსენების დღეა 29 სექტემბერი. ქართულად არსებობს მისი „ცხოვრების" როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული რედაქციის თარგმანი. კიმენური: ბრტყ. მუზ. ხელნაწერი Addit. 11281, XI ს. 286-300; მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, XI ს. 113-121, კუთ. 4, 1565 წ. 311-321).

ქვირიკე მონაზონი (ალექსანდრიელი) — იხსენიება ეფრემ მცირის ანდერძში, რომელიც ერთვის მის მიერ თარგმნილ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს. მას ეფრემი მოიხსენიებს იმ პირთა შორის, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ კრებულის თარგმნაში. უფრო მეტიც: კვირიკეს „იძულებით" უთარგმნია მას ეს კრებული: ...ბერმან კვირიკე ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მმძლავრა და კადნიერ-მყო მე ახლად თარგმნად ათექუსმეტთა სალესასწაულოთა..." (A 292; ტექსტი გამოც. ქართ. ხელნ. აღწ. I, 1980, გვ. 189). უნდა ითქვას, რომ ხელნაწერებში დაქარაგმებულ „კე"-ს ზოგი მკვლევარი „კვირიკედ" კითხულობს. ზოგი კი — „კვრილედ").

ქვირიკე — რამდენიმე ქართველი საკლესიო მოღვაწის სახელი:

1. XI საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობარი, რომელმაც „დიდთა სურვილთა" მოგო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (383), სახელწოდებით „აღდგომელი", იგი „აღდგომის ეკლესიის მონაზონი ჩანს.

2. ეფრემ მცირის თანაშეწე და თანამოაზრე. იხ. იერუსალიმის ხელნაწერი Sin.34, ეფრემის წერილი კვირიკეს მიმართ.

3. დიაკონი, ათონს ჩასული 1077 წელს სვიმონ თაშიშეველთან (იხ.) ერთად ქართველი დიდებულის, აბაზ ბაკურიანისძის (გრიგოლის ძმა) ხარჯით და განძით და აქ ორთაეულ დაუშაბებიათ პარაკლიტონის ერთი ნუსხა (24).

4. XI საუკუნის I ნახევრის ქართველი ოსტატი, რომელმაც აამენა ზემო კრიხის ეკლესიის კარიბჭე; ეკლესია შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით.

ქვირიკე ბანელი — IX-X სს. მოკლის ქართველი მღვდელმთავარი, ბანის დიდებული ტაძრის მაშენებელი და მისი პირველი ეპისკოპოსი. საისტორიო წყაროების მიხედვით, ბანის ქართული ტაძარი აგებულია აბარნასე II მეფობის (882-923 წწ.) დროს კვირიკე ბანელის მიერ. ამ ცნობას ადასტურებს ვახუშტიც (აღწერა სამეფოსა საქართველოსა). სუმბატ დავითის ძე წერს: „აბარნასე, ძე დავით კურაპალატისა დასუეს ქართველთა მეფედ... და მან აბარ-

ნასე, ძმან დაეით... ალაშენა ბანა კელითა კურიკე ბანელისათა, რომელ იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379,18).

ქვირიკე მიძნაძორელი – სინის მთის ქართული კოლონიის X საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც მანამდე მოღვაწეობდა მიძნაძორში, სადაც იგი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. იგი იყო სამხრეთ საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი მოღვაწე. კვირიკე დეკანოზი იყო ხელნაწერთა მომგებელი; 977 წელს მისი ბრძანებით იოანე-ზოსიმეს გადაუწერია სახარების საკითხავები Sin. 47. ამავე წელს კვირიკე სოხასტერელმა, რომელიც ახალი მოსული იყო სინის მთაზე ,,ძმასა მისსა სულიერსა კვრიკეს მიძნაძორელსა და თულეაჲსა ხუცესსა, რომელი იყო დეკანოზად მთასა წმიდასა სინასა მღუდელ პატიოსანი" გადაუწერა სამოციქულო (Sin. 58). ამავე წელს კვირიკე მიძნაძორელმა გადაწერინა იოანე-ზოსიმეს და ეზრა ქობულეანისძეს და სინას შესწირა სახარება (Sin. 30, Sin. 38). ამ ხელნაწერში ჩამოთვლილია კვირიკე მიძნაძორელის მიერ სინისათვის შეწირული წიგნების სია. კვირიკე შემდეგშიც ზრუნავდა ხელნაწერებზე. 982 წელს მან გადაწერინა იოანე-ზოსიმეს ,,განგებანი და განწესებანი მოძღვართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმს" (Sin. 37), 985 წელს – ,,წესი სინწინდელისა განახლებისა" (Sin. 31), 987 წ. ,,მცირე იადგარი" (Sin. 20).

ქვირიკე სოხასტერელი – სინის მთის X ს. ქართველი მოღვაწე, კვირიკე მიძნაძორელისა და იოანე-ზოსიმეს თანამოღვაწე და თანაშემწე, გადამწერი. კვირიკე მიძნაძორელის დაკალებითა და ბრძანებით კვირიკე სოხასტერმა გადაწერა ,,სამოციქულო" (Sin. 58); ,,მამათა ცხორება" (Sin. 52), იოანე ოქროპირის ,,სწავლანი" (Sin. 50) და სხვ.

ქვირიობა – ქრისტიანული ხალხური დღესასწაული, ზეიმობენ 15 იელისს ქართლში – სოფ. ლამისყანაში, კახეთში – ახმეტაში, რაჭაში – სოფ. კვირიკეწმინდაში, სვანეთში. დღესასწაული უნდა აღმოცენებულიყო ჩვილი კვირიკესა და დედამისის, იულიტას ,,წამების" საფუძველზე.

ქვიროს მოწამე – აწამეს 311 წელს. წმ. კვიროს იყო ცნობილი ექიმი ქ. ალექსანდრიაში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. იგი იყო ქრისტიანი და ყველას პკურნავდა უსასყიდლოდ. პკურნაედა არამარტო ფიზიკურ სნეულებებს, არამედ სულიერსაც. ქადაგებდა სახარებას და ბეური წარმართი მოაქცია. დიოკლეტიანეს შრისე დევნის დროს პიროს გაეცალა იქაურობას და არაბეთის უდაბნოს მიაშურა. აქ მან მიიღო მონაზვნობა და აგრძელებდა ხალხის მკურნალობას. იმ დროს ედესაში ცხოვრობდა მხედარი იოანე, აგრეთვე ღვთისმოსაეი ქრისტიანი. დევნის დროს ის მიეიდა იერუსალიმში, იქ ისმინა წმ. კვიროსის შესახებ ყოველი და მიაშურა არაბეთის უდაბნოს, იპოეა და გახდა მისი მიმდეკარი. ამიერიდან ისინი ერთად მოღვაწეობენ. ერთხელ მათ გაიგეს, რომ ეგეპტეში ქ. კანოპეში დაპატიმრეს ქრისტიანი ქალი, სამი შვილის დედა და წაეიდნენ მის დასახმარებლად, იპოეს, გაამხნეეს, ტანჯეა შეუმსუბუქეს. ქალაქის მმართველმა კიროსი და იოანე შეპყრო და აწამა ისინი. ხსენების დღეა 31 იანეარი.

ქვირტობა – ქრისტიანული ხალხური დღესასწაული ამაღლების შემდეგ ორშაბათს (ლეჩხუმში – სოფ. ქვიშარი).

კიაბმის ალტი – თანამედროვე (თურქული) სახელწოდება სოფლისა, სადაც შემორჩენილია X ს-ის ქართული ტაძარი ოლთისში, ბანას მიდამოებში (ამჟამად თურქეთის ფარგლებში) დაცულია ძალზე ლამაზი ეკლესიის ნანგრეეები. ეკლესია ექსკონქიანია, კედლები გარეთ და შიგნით მოწითალო თლილი ქვით არის აღმართული. აღმ. კონქი ოდნავ წაგრძელებული ფორმისაა და შეიცავს საკურთხეველს. გუმბათის თაღი მრგეალია, ამჟამად ჩამონგრეულია.

კიანეთი – სოფელი ბოლნისის რ-ში, მდ. მაშაეერის მარცხენა ნაპირზე, ბოლნისიდან 12 კმ. დაშორებით. სოფელში დგას X საუკუნის ერთნავიანი ეკლესია. ეკლესიამ ჩვენამდე ნანგრეეების სახით მოაღწია: ჩამოქცეულია კამარა, დაზიანებულია ეკლესიის კედლები, ფასადები შემკულია სხეადასხვა დროს მოჩუქურთმებული და წარწერიანი ფრაგმენტებით (VII-X სს.). ყურადღებას იქცეეს კედლის წყობა, რომელიც შესრულებულია მოყეითალო ფერის წმინდად თლილი სწორი კეადრებით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნალისებური ფორმის საკურთხეველით. აღმ. კედელში ჩატანებულია რამდენიმე მოჩუქურთმებული ქეა, ეიწრო სარკმელი. ზემოთ წრეში ჯვარია გამოსახული.

კიბელე – ფრიგიული რელიგიური პანთეონის უზენაესი ქალღმერთი, ,,დიდი დედა". მისი კულტი მკვდარი ბუნების აღორძინებას და ცოცხალი არსების განაყოფიერებას განასახიერებდა. ფართოდ იყო გავრცელებული მცირე აზია-

ში, შემდეგ შეერწყა ბერძნულ რეას კულტს და გაერცელდა რომის იმპერიაშიც. ქიბელეს თაყვანისცემის ცენტრი მცირე აზიაში იყო ქ. პესინუნტი („პესინუსი" გალატეაშია, ამიტომაც ქიბელეს ქურუმებს რომში „გალებს", არქიგალებს უწოდებდნენ). საებერძნეთში მთავარი საკულტო ადგილი ქიბელესი იყო კრეტაზე. თრაკიაში მისი კულტი შეერწყა დიონისეს კულტს, რომში მის კულტს მეგალეზია ეწოდა (რადგან „მეგალე დია" ნიშნავს „დიდ დედას").

ქიქეიძე ცოტნე (1932-2001) — ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი. გამოსცა მოსეს ხუთწიგნეულის პირველი ორი წიგნი: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ (ბ. გიგინეიშვილთან ერთად), თბ., 1989 წ. მანვე გამოსცა იონე ბატონიშვილის „ხუმართსწავლის" (ანუ „კალმასობის") პირველი ორი წიგნი (ოთხიდან; ც. კახაბრიშვილთან ერთად), წიგნი I, 1990 წ., წიგნი II. 1991 წ. ც. კიკნაძის შრომების უმეტესობა ეძღვნება ძველი ქართული ენის პრობლემებს.

ქიქნაძე გულნაზი (1932-1998) — ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი. მ.ს.ი ინტერესების სფეროს ძირითადად ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა და ჰიმნოგრაფია შეადგენდა. მან გამოსცა ესთერის წიგნი; გამოსცემად მოამზადა გრიგოლ ნოსელის „ქება-ქებათას განმარტების" გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის ტექსტი (ჯერ არ გამოცემულა). გამოკვლევა ამ თხზულების შესახებ დაიბეჭდა კრებულში: „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი", თბ., 1965, გვ. 126-170. გ. კიკნაძემ პირველად გამოაქვეყნა „ნეემირებული ძლისპირნი" (A 603, ფოტოებითურთ), თბ., 1982 წ. იგი მონაწილეობდა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" III წიგნის გამოსაცემად მომზადებაში. გამოაქვეყნა წერილი: „ესთერის წიგნის ქართული რედაქციები" („მრავალთავი", II, 1973 წ., გვ. 14-24). წერილები მიეუძღვნა ძველი და ახალი ქართული ენის ცალკეული საკითხების კვლევასაც.

ქიპრს მონასტერი — ბერძენთა სავანე კვიპროსზე, რომელთანაც ქართველებს XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ძალზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ქართველმა მოგზაურებმა: ტიმოთე გაბაშვილმა (1758 წ.), იონა გედეონაშვილმა (1789 წ.), გიორგი ავალიშვილმა (1820 წ.) თავისი მოგზაურობების დროს კვიპროსზე ქართველთა ნაკვალევი კვლარ ნახეს. უკანასკნელ ხანს ქართულ სიძველეთა ნაშთი (ერეკლე II-ის მიერ 1780 წელს შეწირული დაფარნა) აღმოჩნდა კიკოს მონასტერში. 1780 წელს ერეკლე II-ს მონასტრისათვის შეუწირავს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი და პერგამენტი. ეს ნივთები დღესაც არის იქ დაცული. ამავე დროს კიკოს მონასტრის წინამძღვარმა იოაკიმემ მეფე ერეკლეს მიმართა მატერიალური დახმარებისათვის, რათა აღედგინა დამწვარი მონასტერი. ერეკლე II შეურაულებია ეს თხოვნა და მონასტრის აღსადგენად გადაუცია ეარძიის მონასტრის შემოსაელის მესამედი. თვით იოაკიმე საქართველოში ჩამოვიდა 1780 წელს. იგი მიიღო ერეკლემ. იოაკიმე დასახლდა ეარძიაში, სადაც გააგრძელა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

ქიმენი (ბერძნ.) — ეგზეგეტიკური მწერლობის ამ ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა არის ბიბლიური-კანონიკური ტექსტი, განმარტებებისა და კომენტარების გარეშე მოცემული. ჩვეულებრივ, მას ეჭირა ფურცლის შუა ნაწილი და ანსხვავებდნენ მას აშიებზე მიწერილი კომენტარებისაგან. ბიზანტიელი იურისტი კომენტატორები კიმენს უწოდებდნენ ტექსტს და ამით მიუკავებდნენ მას საკუთარი კომენტარებისაგან. ამ ტერმინმა შეიძინა ახალი მნიშვნელობაც, კომენი ეწოდა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ჟანრს, რომელიც მოიცავს წმინდანთა ცხოვრებისა და მარტვილობის თავდაპირველად აღწერილ და გადაუკეთებელ ცხოვრება-მარტვილობებს. ეს ჟანრი ფართოდ გავრცელდა ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ეფრემ მცირის განმარტებით კიმენი ეწოდება „პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა". ქართულად მას ეწოდებოდა „მდებარე". მაშასადამე, კიმენად იწოდებოდა ძველი „მარტვილობა-ცხოვრებანის" ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტავი ტექსტი. იოანე ქსოფილნორის კიმენს ჰაგიოგრაფიულ თხზულების კიმენური რედაქციები იცვლებოდა, ისებოდა დამატებებით, ზოგჯერ მწვალებლური ხასიათის ჩანართებით, ახალი ლიტერატურული გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ცხოვრების „ლიტონი", მარტიი ფორმა და აღწერა აღარ აკმაყოფილებდა ბიზანტიელ მკითხველს და X საუკუნეში მიაყენეს კიმენური ტექსტების ოფიციალურ გადამუშავებას. გ[illegible]ერცობა-შემოკლებისა და გადაკეთების შედეგად მიღებულ ტექსტებს მეტაფრასუ-

ლი რედაქციები ეწოდა და თვით გადაკეთებას — გადამეტაფრასება.

ამრიგად, კიმენი გამოხატავდა ჰაგიოგრაფიული მწერლობის გარკვეულ ეტაპს, რომელსაც შემდეგ მოჰყვა მეტაფრასული ჰაგიოგრაფია. კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიული მასალის თარგმნა საქართველოში დამთავრდა X ს-ის ბოლოს ეფთვიმე ათონელისა და მის თანამედროვეთა მოღვაწეობით. კიმენური ტექსტების ქართულ თარგმანთა ნაწილი გამოსცა კ. კეკელიძემ (კიმენი, I, 1918 წ. და კიმენი II, 1946 წ.).

ჯიმოთესუბანი (ტიმოთესუბანი) — სოფელი ბორჯომის რ-ში, რომელშიც დგას ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი: 1. XII ს-ის გუმბათიანი ეკლესია, მოხატულობა XIII ს-ისა; 2. X-XI სს-ის მიჯნის ეკლესია. აქეს მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები; 3. XII-XIII სს-ის ბჭის კარი და სხვა ნაგებობები (იხ. ტიმოთესუბანი).

ჯინდის ეპისკოპოსი — კინდი ქართველი, იგი უნდა იყოს ან პროხორე შაშელის წინა დროის პალესტინის ქართველი მოღვაწე, ანდა პროხორეს თანამედროვე. ფიქრობენ, რომ ის უნდა ყოფილიყო ჯვარის მონასტრის წინადროინდელი იერუსალიმის რომელიმე ქართველი ეკლესიის ეპისკოპოსი (ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 86). ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“ არის ცნობა, რომ იერუსალიმში ჯვარის მონასტრის კედელზე მოთავსებულია ქართველ წმ. მამათა და მოწამეთა ჯგუფური გამოსახულება წარწერებით. მათი ნაშთები ნიკოლოზ ჩუბინაშვილსაც უნახავს. ამ სიაში ქართველ მოწამეთა და კათოლიკოსთა გვერდით დასახელებულია კინდ ეპისკოპოსი. ტიმოთე გაბაშვილის ამ ცნობას ეყრდნობა იოანე ბატონიშვილი, როცა თავის „კალმასობაში“ ცალკე გამოყოფს ქართველ მამებს, რომლებმაც „ცხოვრება თავიანი დაასრულეს ქალაქსა შინა იერუსალიმსა“. რა დროის მოღვაწეა იგი, ბოლომდე გარკვეული მაინც არაა. ის არა ჩანს ქართულ ონომასტიკონში. VII ს. სომხურ წყაროებში დასახელებულია IV ს. II ნახევრის მოღვაწე ნეტარი კინდ (ღ. ალიშანი). ნეტარი კინდის მონასტერიც არსებული იუდაბაფის უდაბნოს მისასვლელთან, ამავე წყაროს თანახმად. კავშირი ამ ორ კინდს შორის დასადგენია.

ჯინეპოსი — ისტორიული პატარა სოფელი ოლთისის ოლქში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე), კინეპოსის წყლის ეიწრო ხეობის კლდოვან ფერდობზე. წინათ აქ მონასტერი-ლავრა უნდა ყოფილიყო, ეინაიდან შემორჩენილია მრავალი მცირე ეკლესიის ნანგრევები. დარჩენილია შვიდი საკურთხეველი, ქვით ნაშენი. ამ ეკლესიათა კომპლექსში ყველაზე ლამაზი იყო ერთი — ჯვრის გეგმით ოთხაბსიდიანი გუმბათოვანი ეკლესია სამი ზედმოშენებული ეგვტერით ჩრდ. მხარეს. საკურთხეველის აბსიდი წაგრძელებულია და ხუთწახნაგოვნად გამოდის გარეთ. გუმბათის ყელი დაბალია, შიგნით მრგვალი, გარეთ რვაწახნაგოვანი, რეა ფანჯრით. ეკლესიას შიგნით აქონია მოხატულობა, მაგრამ მხატვრობა სულ მოშლილა. მისი ნაშთი დარჩენილა საკურთხეველში და ჩრდ-ის კედელზე ასომთავრული წარწერებით. მთავარი ეკლესია, ე. თაყაიშვილის აზრით, IX ს-ისა უნდა იყოს. იქვე ახლოს სამხრ-ით არის პატარა, თლილი ქვით ნაშენი ბაზილიკა. ეკლესიის ქვები გაძარცულია. ადგილობრივ მცხოვრებთ ისინი საკუთარი სახლების ასაშენებლად გამოუყენებიათ.

ჯინკლოსი — აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების დასაანგარიშებელი ციკლური ცხრილი. კინკლოსებში წელთაღრიცხვა მარტივი, ქრონიკონული სისტემითაა წარმოდგენილი. თითოეული სტრიქონი ცხრილისა ერთ წელს შეეხება. სტრიქონები თოხეულებადაა დაყოფილი ნაკიანი წლების მიხედვით. კინკლოსური ცხრილის მარცხენა ან მარჯვენა ველზე მითითებულია ქრონიკონის თარიღი. ასე რომ, კინკლოსი ტაბულა-ცხრილია დროის მსვლელობისა წლიდან წლამდე. სტრიქონებს შუა დარჩენილი ადგილები გამოიყენეს ქრონისტ-მემატიანეებმა. ადგილის სიმცირის გამო ისტორიული ხასიათის მინიშნებები ჩაწერეს ლაკონიურად და საეკლესიო ლიტურგიკული ცხრილები ამავე დროს საერო ხასიათის ქრონიკებადაც იქცნენ (იხ. ჯოღიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968).

ჯიოტი (ბერძნ.) — ხატის ჩასადგმელი ჩარჩო.

ჯირბალი — სოფელი გორის რ-ში, ტირიფონის ვაკეზე, გორიდან 23 კმ. დაშორებით. სოფელში დგას 1673 წლის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

ჯირიელეისონი (ბერძნ. „უფალო, წყალობა ყავ“ ან „უფალო, შეგვიწყალენ“) — ძველი აღთქმის საღვთო წერილიდან ნასესხები მოკლე ლოცვა — „უფალო შეგვიწყალენ“. კათოლიკეების ლოცვების შესრულების დროს დიაკონი წარმოთქვამს თხოვნა-ვედრების მთელ რიგს

და ყოველი მათგანის შემდეგ გუნდი გალობს: „უფალო შეგვიწყალენს“ და მრეველი იმეორებს ამ სიტყვებს. ქირიელეისონი ითქმის ყველა სახის ღვთისმსახურების დროს. თავდაპირველად მას ამბობდნენ 3-ჯერ, შემდეგ მისი რიცხვი 12-მდე გაიზარდა, ბოლოს კი 100-ს მიაღწია.

ქირილე ალექსანდრიელი († 444) – ეკლესიის წმ. მამა, ალექსანდრიის პატრიარქი, მართლმადიდებლური ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე და უდიდესი მოძღვარი, სწავლული, თეოლოგი, პოლემისტი, ეგზეგეტიკოსი. წარმოშობით წარჩინებული ქრისტიანული ოჯახიდან იყო. ახალგაზრდობაშივე საღვთო წერილთან ერთად შეისწავლა საერო მეცნიერებები. ჭაბუკობის წლები გაატარა ნიტრიის მთებში, მონასტერში წმ. მაკარიოსთან (6 წელი). ალექსანდრიელმა პატრიარქმა თეოფილემ იგი აკურთხა დიაკვნად. თეოფილეს გარდაცვალების შემდეგ მას ირჩევენ ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქად; ის იწყებს ენერგიულ ბრძოლას ერეტიკოსებისა და ყოველგვარი ერესების წინააღმდეგ. ქირილემ განდევნა ალექსანდრიიდან ყველა ერეტიკოსი. კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი (მწვალებელი) ყოველნაირად ებრძოდა მის მოძღვრებას, მაგრამ ეგრაფერს გახდა მასთან. 431 წელს ეფესოში მოწვეული იქნა მსოფლიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქირილე. კრებაზე თაი მოიყარა 200 ეპისკოპოსმა, ყველა ქრისტიანული ეკლესიიდან. განიხილეს ნესტორის ერესი და დაგმეს იგი. ნესტორი არ დაემორჩილა კრების გადაწყვეტილებას. ანტიოქიის ეპისკოპოსმა იოანემ და სხვა სირიელმა ეპისკოპოსებმა უკანონო საეკლესიო კრება მოიწვიეს და შეაჩვენეს ქირილე ალექსანდრიელი, გამოაცხადეს იგი ერეტიკოსად. ნესტორიცა და ქირილეც იმპერატორის ბრძანებით დაიჭირეს. მალე ქირილე გაათავისუფლეს, ხოლო ნესტორი გააძევეს ლიბიის უდაბნოში. 32 წელი ედგა სათავეში ქირილე ალექსანდრიის ეკლესიას და საბოლოოდ გაწმინდა თაყისი სამწყსო ერეტიკოსებისაგან.

ქართულ ენაზე ქირილეს მრავალი შრომაა თარგმნილი. არსენ იყალთოელმა თარგმნა: ა) თარგმანებაჲ ათორმეტთა თავთაჲ, ე. ი. 12 ანათემატიზმისა (S 1463, 183-286). ბ) ნაწყვეტები მისი „საუნჯიდან“, ეპისტოლე ნუკესონის მიმართ, „განკაცებისათუს მხოლოდშობილისა“ (S 1463, ქუთ. 24). XI-XII სს-ში უნდა იყოს თარგმნილი ქირილეს ეგზეგეტიკური თხზულებანი: 1. მათეს თაეისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ“ – ლექსიკონი, სადაც ანბანურ რიგზე ახსნილია საკუთარ სახელთა მნიშვნელობა (A 65, 171r-176r). 2. ეგზეგეტიკურ კატენებში გვხვდება ნაწყვეტები შესაქმეთა თარგმანებიდან; 3. ათონის ერთ-ერთ ხელნაწერში (Ath. 39, 19-101) არის პაულე მოციქულის ეპისტოლეთა შემოკლებული თარგმანება (გამოც. ე. კოჭლამაზაშვილისა, პაულეს ეპისტოლეთა განმარტება, თბ., 2003 წ. 8-215). 3. სიტყუაჲ ფერისცვალებისათუს (ქუთ. 1, 307-309). საკითხავი თქუმული ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისათუს და წმიდათა მამათათუს ეფესოჲს კრებისა“ (ქუთ. 8, 369-376; Ath. 7; 154-160 და სხვ.), თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. 5. განმარტება X ფსალმუნისა (Jer. 146); 6. მოძღურებანი (Jer. 1234); 7. ეპისტოლენი: ნესტორის მიმართ, ეპატიოსის მიმართ, „იოანე ანტიოქელის მიმართ შრულობისათუს“, „აკაკიოსის მიმართ მელიტინელისა“, „ეკლერიანეს მიმართ იკონიელისა“; „მაქსიმიანოს მიმართ“, „იოვენალიოსის მიმართ“ (რამდ. ათეული). ყველა ეს მასალა უკავშირდება ეფესოს მსოფლიო კრებას (430 წ.) და თავმოყრილია სომხურიდან ნათარგმნ ხელნაწერში (A 266), თარგმნილია ანტონ I და ფილიპე ყათმაზაშვილის მიერ; „სიტყუანი“.

ქირილეს „საუნჯე“ თარგმნილი იყო „ჯანძის“ სახელით, რომელიც ვრაგოლ ხანძთელის დროს უკვე ყოფილა თარგმნილი. აქედან ზოგიერთი სტატია შეტანილია „დოგმატიკონში“ (S 1463). ანტონ I კათოლიკოსმა ხელახლა თარგმნა იგი სომხურიდან და დაურთო მოკლე სქოლიოები და განმარტებანი (A 3 და სხვ.).

ქართულად არსებობს ქირილე ალექსანდრიელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის თარგმანი (S 417, XII ს., 36-41. ქუთ. 3, XVI ს. გვ. 84-90). ქირილე ალექსანდრიელის ხსენების დღედ 9 იელისია დადებული.

ქირილე ალექსანდრიელი (შაე მთაზე მოღვაწე ქართველი ბერი) – იხ. კეირიაკე მონაზონი (ალექსანდრიელი).

ქირილე ამირანიძე – XVIII ს-ის II ნახევრის ქართველი არქიმანდრიტი, გადაწერი. მას გადაუწერია ასტრახანში ხელნაწერი (A 1486), რომელიც სვინაქარს წარმოადგენს.

ქირილე და მეთოდე – IX ს. სლაეი განმანათლებელნი, ქრისტიანობის მქადაგებელნი, სლაეური ანბანის შემქმნელები. ქირილე (კონსტანტინე) და მისი ძმა მეთოდე თესალონიკეში დაიბადნენ. ქირილემ განათლება მიიღო კონსტან-

ტინეპოლში, ბიზანტიის იმპერატორის, მიქაელ III-ის კარზე. მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ფოტიუსი იყო. კირილემ იცოდა სლაური, ბერძნული და აღმოსავლური ენები – ებრაული და არაბული. მეთოდე ჯერ სამხედრო სამსახურში იყო, შემდეგ კი მონაზვნად აღიკეცა და პოლიუ ქის მონასტრის იღუმენი გახდა. ბიზანტიის იმპერატორმა ძმები მორავიაში გაგზავნა სლაური ენაზე ქრისტიანობის საქადაგებლად და გასარკვევლად. მორავიაში ამ მისიით გამგზავრებამდე კირილემ შექმნა სლაური ანბანი და მეთოდეს დახმარებით სლაურად თარგმნა რამდენიმე საღვთისმსახურო წიგნი. კირილესა და მეთოდეს ქადაგებამ მორავიაში საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ ეკლესიას. 866-867 წლებში რომის პაპის მოთხოვნით ორივენი რომში გაემგზავრნენ. კირილე იქვე გარდაიცვალა, ხოლო მეთოდე გახდა მორავიისა და პანონიის ეპისკოპოსი. 882-84 წლებში მეთოდე ბიზანტიაში ცხოვრობდა. 884 წელს დაბრუნდა მორავიაში და დაიწყო ბიბლიის თარგმნა სლაურ ენაზე. ასე ჩაუყარეს ძმებმა საფუძველი სლაურ დამწერლობასა და ლიტერატურას.

ქირილე დონაური – XIII-XIV სს-ის ქართველი სასულიერო მოღვაწე, ქურმუხის მთავარეპისკოპოსი. იგი ყოფილა „ყოველთა მთუელთა წინამძღუარი". 1310 წელს, ქირილეს სიტყვით, ექვთიმე პატრიარქს მისთვის უბრძანებია საგანგებო ყურადღება მიექცია სახარების გამრავლება-გავრცელებისათვის. სახარებათა გადაწერა მას დაუვალებია ბარბარეს ტაძრის მღვდლის, ისე ჭიტიშვილისათვის და მისი 12 მოწაფისათვის. მე-14 საუკუნის დამდეგს სახარების გადაწერილი ცალები კირილეს დაუგზავნია ეკლესია-მონასტრთა და „შვიდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი", ე. ი. უფროსებისადმი. აქედან ჩანს, რომ კირილე დონაურის დროს არსებულა 7 სასწავლებელი.

ქირილე იერუსალიმელი – იერუსალიმის ეპისკოპოსი (313-386). იგი დაიბადა იერუსალიმში. მღვდლად აკურთხა ეპისკოპოსმა მაქსიმე იერუსალიმელმა. ცნობები მისი ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ არ მოგვეპოვება. მაქსიმეს გარდაცვალების შემდეგ აკაკი კესარიელმა და სხვა არიანელებმა კირილეს ეპისკოპოსობა აღუთქვეს იმ პირობით, თუ იგი გაუნდგებოდა მაქსიმეს და უარჰყოფდა მის მოძღვრებას. კირილე აცდუნა ამ წინადადებამ და გადაუდგა მაქსიმეს. 348 წ. იგი დაინიშნა იერუსალიმის ეპისკოპოსად. არიანელთა წინააღმდეგ ამტყდარი ბრძოლების დროს მას რამდენჯერმე მოუხდა საეპისკოპოსო ტახტის მიტოვება. 381 წ. კირილე, როგორც იერუსალიმის ეპისკოპოსი, მონაწილეობს კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებაში. მის სულიერ მოძღვრებაში მთავარი ადგილი უკავია ნათლისღებას, ექვარისტიას, რომლითაც სრულდება ქრისტიანული საიდუმლოებანი. მონათლულმა ქრისტიანმა არ უნდა შესცოდოს – ამას ქადაგებს კირილე თავის კატეხიზმოებში. ლიტერატურული ტრადიციით მას მიეწერება 18 სიტყვა განცხადებისათვის, 5 საიდუმლოებისათვის, პროკატეზია, ეპისტოლე კონსტანტი კეისრისადმი და რამდენიმე საკითხავი, რომელთაგან მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. კირილეს სიტყვათა უძველესი ქართული თარგმანები შემოგვინახეს მრავალთავებმა. აქ გვხვდება მხოლოდ 11 სიტყვა, ამათგან 7 – „განცხადებისათვის" და 4 – ჯერის გამოჩინებისადმი მიძღვნილი საკითხავი. ძველ ქართულ ლექციონარებში (პარიზის, ლატალის) გვხვდება მისი ეპისტოლის თარგმანი. ქართულ ენაზე შემონახულა უძველეს დროში თარგმნილი შემდეგი თხზულებები: 1. „გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ" (A 144, Ath. 11), ამის ვარიანტია (Sin. 83, A 19, A 95); 2. ეპისტოლე კონსტანტინე კეისრისადმი (A 381, Sin. 92); 3. საკითხაჲ ჯუარისათჳს (A 144), 4. პოვნაჲ წმიდისა და სამშჭალისა (Sin. 83, A 95, A 144). 5. ნათლისღებისათჳს (A 19, Sin. 83); 6. მიგებებისათჳს უწესისა ჩუენისა (A 95, Ath. 11); 7. საკითხაჲ ზაქარიას დადუმებისათჳს (A 144); 8. საკითხაჲ მკურნეთით აღდგომისათჳს (A 144; A 1109, Ath. 11, Sin. 83); 9. აღსებისა ორშაბათსა ზატიკსა საკითხაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უწესისა ჩუენისა (A 144). 10. საკითხაჲ სულისა წმიდისაჲ (A 144), 11. თქუმული სინანულისათჳს (A 95), 12. საკითხაჲ მრტულეისაჲ, რაჟამს მოვიდა სული წმიდაჲ წმიდათა მოციქულთა ზედა (Ath. 11, Sin. 83, Jer. 17); 13. პოვნაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ (A 1109), 14. „პროკატეზია", ნათარგმნი უნდა იყოს რუსულიდან (S 30).

თანამედროვე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მრავალთავებში 4 საკითხავი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის გამოჩინებას ეხება და რომელსაც უძველესი ხელნაწერები კირილეს მიაწერს, ნამდვილად არ ეკუთვნის მას (იხ. თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის წყაროს დადგენისათვის, მაცნე, № 1, 1980). კირილე

იერუსალიმელის სახელით ცნობილ პომილიათა ქართული თარგმანების დიდი ნაწილი შესულია: კლარჯულ მრავალთავში (A 144, X ს. – ხუთი საკითხავი) გამოც. თ. მგალობლიშვილის მიერ: კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991, გვ. 235-248; 259-269; 327-336; 347-352; 438-439); სვანურ მრავალთავში (A 19, X ს. 2 საკ.), პარხლის მრავალთავში (A 95, XI 6 - საკ.) და სინურ მრავალთავში (Sin. 32-57-33, 864 ფ. – 3. საკით. გამოც. „სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 83-89; 237-243; 243-244); უდაბნოს მრავალთავში (A 109, IX ს. – 6 საკით. გამოც. უდაბნოს მრავალთავი, თბ., 1994, გვ. 108-109; 109-114; 114-116; 141-145; 222-238; 279-288) და სხვ. ხელნაწერებში (A 381; Ath. 11, Sin. 83 და სხვ.).

ქირილე მთავარეპისკოპოსი – XVIII ს. ქართლის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. მისი ხელთარსა არის დომენტი კათოლიკოსის მიერ 1739 წელს ურბნელ რიკოლოზ ხერხეულიძისადმი გაცემულ სამწყსოს გ.წესების წიგნში. იგი მოხსენიებულია აგრეთვე 1740-41 წელს დომენტი კათოლიკოსის მიერ გაცემულ წიგნში მრეველიძა და ურბნელის სამწყსოს საქმეზე განჩინებით, სადაც იგი ამგვარად იხსენიება: „ჩუენი სასოებით მთავარეპისკოპოზ-მიტროპოლიტი ბატონი კირილე". კირილეს ხელთარსა არის აგრეთვე შეწირულების წიგნში, რომელიც გაცემულია 1746 წელს ელენე მონაზვნისა ნიკოლოზ ალაკურდელისადმი, სადაც იგი მოწმის როლშია დასახელებული. (ი. დოლიძე, სამართლის ძეგლები, III, 846, 762, 791).

ქირილე სჰვითოპოლელი (ან ბასილი † 524) – VI ს. ბიზანტიელი საკლესიო მწერალი. დაიბადა სკვითოპოლში, პალესტინის პროვინციაში. ბავშვობიდანვე ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა, 543 წელს აღიკეცეა ბერად. 556 წელს ის გადაიხვეწა წმ. საბას დიდ ლავრაში, ვარაუდობენ რომ იგი სწორედ ამ დროს იკურთხა მღვდლად. კირილეს თხზულებებია: წმინდა ეფთვიმე დიდის ცხოვრება, საბა განწმედილის ცხოვრება, იოანე ქოზიბელისა (შეცნებული), კვირიკე განმორებულის, თეოდოსი დიდისა და სხვათა „ცხოვრებები". კირილე აღიარებულია საუკეთესო ბიზანტიელ ჰაგიოგრაფად. მისი ცნობები გამოირჩევა სანდოობით და სიზუსტით. თხრობა დაცლილია რიტორიკისაგან, სადაც. მისი ჰაგიოგრაფიული თხზულებების უმეტესი თარგმნილია ქართულად (იხ. ცალ-ცალკე).

ქირიონ I კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი VI-VII სს. ქართულ წყაროებში მის შესახებ ცნობები ძალზე მცირეა, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს სომხური წყაროები. წარმოშობით იგი უნდა ყოფილიყო ქართლის ერისთავთა კლარჯულ-ჯაყასური შტოდან. მისი საერისკაცო სახელი იყო სვიმეონი. ყრმობისას იგი მძეულად თუ ტყვედ წაუყვანათ სოფელ სურტრიდან და მოუვლიათ ქ. ნიკოპოლისში. პირველდაწყებითი განათლება კირიონმა მიიღო თავის სამშობლოში, ჯაჯახეთში. 15 წელი სწავლობდა იგი ნიკოპოლისში (მცირე აზიის ქალაქი) და საფუძვლიანი ელინისტური განათლება მიიღო. სწავლა-განათლების დასრულების შემდეგ იგი ბრუნდება უკან და მკვიდრდება სომხეთში, ქ. დვინში. აქ იგი ჯერ მონასტრის კატეხიზატორის თანამდებობაზეა, ხოლო შემდეგ მოსეს, სომეხ კათოლიკოსს, ეპისკოპოსად უკურთხებია. უხტანესის ცნობით, ამ დროს ქართლის მთავარს მოსე კათოლიკოსისათვის დეპუტაცია გაუგზავნია და უთხოვია შეერჩია კანდიდატი ქართლის კათოლიკოსის ტახტზე. მოსეს ასეთ პირად მიუჩნევია კირიონი. კირიონმა კათოლიკოსის ნების დაუმორჩილა როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლება და მთელი ქართლის მასშტაბით დაიწყო თანმიმდევრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება. მან კურსი ბიზანტიაზე აიღო და სპარსეთს დაუპირისპირდა. სპარსული ორიენტაციის მქონე ერისმთავარი სტეფანოზი კირიონის ერთგულმა ადარანასენ შეცვალა. ქართლის ოფიციალური ქრისტიანული მრწამსი გახდა დიოფიზიტური, მაგრამ კირიონი ქცეცანაში ქრისტიანული სექტების მიმართ შემწყნარებლურ პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. იგი შეუდგა ეროვნული პოლიტიკის გატარებას ქართლში. მან დაიწყო ქართლის ტერიტორიაზე არსებული არაქართული თემების გაქართველება და მათთვის საკალდებულო სამღვდელმსახურო ენად ქართულის გამოცხადება. ამან და აგრეთვე კირიონის ბრძოლამ მონოფიზიტობის წინააღმდეგ გამოიწვია კონფლიქტი კირიონსა და ცურტაველს ქართულ-სომხურენოვან სამწყსოს ეპისკოპოსს მოსე ელეაზრელს შორის. მოსემ ამ კონფლიქტში სომხეთის ეკლესიის მესვეურებიც ჩათრია და ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რელიგიურ-ნაციონალური პაექრობა გამართა, რაც საეკლესიო განხეთქილებაში გადაიზარდა და დასრულდა ამ ორი ეკლესიის ოფიციალური გათიშვით. დავის მოკვდა შეკვეთ მიმწერა, რომელიც შემონახულია სომხურ ენაზე – „ეპისტო-

ლეთა წიგნი“ (ზ. ალექსიძის მიერ გამოცემული 1968 წ.), რომელიც 4 დოგმატური ხასიათის წერილს შეიცავს. იგი შეუპოვრად იცავდა ქალკედონის კრების ქრისტოლოგიას და ამით საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობასაც. როგორც პენტარქიული თეორიის მიმდევარი, კირიონი აღიარებდა 5 პატრიარქის ავტორიტეტს. ყველაზე მეტად კი იერუსალიმის პატრიარქისას, რომელთანაც მას ამ საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდა მიწერ-მოწერა. თაეის დროზე კირიონს რომის პაპთანაც გაუგზავნია წერილი ნესტორიანობასთან დაკავშირებით. შემონახულია პაპი გრიგოლ დიდის საპასუხო წერილი (ძ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის). როდესაც სპარსეთმა კვლავ მოახერხა ბიზანტიაზე უპირატესობის მოპოვება, 613-618 წლებში შედგა ე. წ. „სპარსული კრება“, რომელმაც აღმოსავლეთის ქეენების ოფიციალურ ქრისტიანულ სარწმუნოებად სომხური ქრისტიანობა (ანუ მონოფიზიტობა) მიიჩნია. ამ კრებამ ქალკედონიტ მოღვაწეებს მისცა წინადადება — ან მიეღოთ მონოფიზიტობა, ან დატოვებინათ თავისი სამწყსო. კირიონი ტოვებს ქართლს და გადადის ეგრისში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კირიონ ქართლის ეპისკოპოსი და კიროს ფასისელი ალექსანდრიელი, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი გამორჩეული საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, თეოლოგი და მონოთელიტური წვალების იერარქი, ფასის მიტროპოლიტი — ერთი და იგივე პიროვნებაა (ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი) თუმცა ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. კირიონის მთავარ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან პირველმა გამოკვეთა VII საუკუნის დასწყისში ქართული ეკლესია აღმოსაელური მონოფიზიტური ეკლესიისაგან და გადაიყვანა იგი ქალკედონურზე. ამით მან ქართული ეკლესია ეროვნულ გზაზე დააყენა. ამ დროიდან იწყება საქართველოში გაცხოველებული საეკლესიო მშენებლობა. ამ დროს შენდება ე. წ. ჯვრის ტიპის ნაგებობები. რაც მთავარია, ამ დროს ხდება აღმოსაელური და დასავლური ქართული ეკლესიის გაერთიანება.

კირიონ II კათოლიკოსი — (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი (1855-1918) — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი-მეცნიერი. წერდა „ივერიელისა“ და „ნიქოზელის“ ფსევდონიმით. 1869 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დასრულა 1876 წელს და სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. 1880 წელს დაასრულა აკადემია და იმავე წელს ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ დანიშნა. 1883 წელს ბრუნდება სამშობლოში და იწყებს მუშაობას თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობაზე. 1885 წელს იმავე თანამდებობაზე ინიშნება გორის სასულიერო სასწავლებელში. 1890 წელს კონფლიქტის გამო იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. 1890-96 წლებში მასწავლებლობს ქუთაისში, ხოლო შემდეგ — თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში. 1897 წელს მას უბედურება ატყდება თავს: ქოლერამ იმსხვერპლა მისი ერთადერთი ვაჟი და მეუღლე. 42 წლისა იგი ბერად აღიკეცება. კირიონი დაინიშნა ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად, შემდეგ კი — ალავერდის ეპისკოპოსად. აქედან იმავე თანამდებობაზე გადადის გორში. აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც მას რუსეთის სასულიერო ხელისუფალნი სასტიკად დევნიდნენ. 1902 წელს მას ამწესებენ უკრაინაში, კამენეცკ პოდოლსკში, ბალტის ეპისკოპოსად. საზოგადოებას მისი რუსეთში გადახვეწა ეუწყა, როგორც კირიონიანაც სურვილი. 1903 წელს კირიონი ხერსონშია, 1904 წლის გაზაფხულზე ის ორიოლში გადადის, 1906 წელს — სოხუმში, 1907 წელს გადაჰყავთ კოენოში. 1908 წელს კირიონს ტოვებენ უეპარქიოდ და გზავნიან მას კურიაჟის მონასტერში, ხოლო კურიაჟიდან ჟანდარმების თანხლებით — სანაქარის უდაბნოში (მას ცილს სწამებენ საქართველოს ეგზარქოსის, ნიკონის მკვლელობაში). 1912 წელს კირიონი გადაჰყავთ ხერსონის მონასტერში, სადაც იგი 1915 წლამდე მუშაობდა. ამავე წელს კირიონს დაუბრუნეს ეპარქიის მმართველობის უფლება და ჩაბარეს ვიტებსკის და პოლიცკის ეპარქია. 1902-1915 წლები ყველაზე მძიმე, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო ნაყოფიერი წლებია კირიონის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია მისი ბიოგრაფიიდან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ კირიონს მეფისდროინდელი რუსეთის სასულიერო მთაერობა სასტიკად აეიწროებდა. სინოდის მიერ კირიონის აშკარა დევნა დაიწყო სწორედ 1902 წელს. 1917 წელს, როდესაც ქართულმა ეკლესიამ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოიპოვა ავტოკეფალია, იგი ბრუნდება სამშობლოში, სადაც ირჩევენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. ამ თან-

ამდებობაზე კირიონს დიდხანს არ მოუხდა ყოფნა. 1918 წლის 26 ივნისს ღამით იგი ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. კირიონმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს. 1906 წელს, როდესაც სინოდში ირჩეოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი, ქართველობამ თაყვის წარმომადგენლებად დაასახელა კირიონი და ლეონიდ ოქროპირიძე (ესპისკოპოსი). კირიონს სინოდისათვის უნდა გაეცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერება, ხოლო ლეონიდეს უნდა წარმოედგინა ქართული ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობა; კირიონმა უზარმაზარი შრომა გასწია, შეისწავლა ყველა წყარო და დაწერა ოთხი მოხსენება საქართველოს ეკლესიის საჭირბოროტო საკითხებზე: ამ წერილებში იგი ატარებდა აზრს, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენისაგან ქართულმა ეკლესიამ VIII ს-ში გაითავისუფლა თავი. 1811 წლამდე ქართული ეკლესია იყო ავტოკეფალური, ქართველ კათოლიკოსები დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ ეკლესიებს. 1804 წელს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების შემდეგ სინოდმა, წინააღმდეგ პაულე I-ის ბრძანებისა – ხელშეუხებელი ყოფილიყო ქართული ეკლესიის პრივილეგია, დაუნებით დაწყო მცდელობა, რათა ქართული ეკლესია იერარქიულად დაექვემდებარებინა რუსეთის საპატრიარქოსათვის. ამ მიზნით 1811 წელს წმ. სინოდმა მთავარმართებელ გენერალ ტორმასოვის შუამდგომლობით საქართველოს კათოლიკოსი ანტონ II გამოიძახა რუსეთში და მის ნაცვლად ეგზარქოსად და მცხეთის ესპისკოპოსად ვარლაამ მიაელინა. კირიონმა სინოდს წამოუყენა რამდენიმე ბრალდება, რომლებშიც ასახუთებდა, რომ სინოდს არა აქონდა უფლება გაეუქმებინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. მისთვის ჩვეული სიმახვილით და ლაკონურობით პასუხობს იგი თავისსავე დასმულ კითხვას, თუ რა აიძულებს ქართველებს იბრძოლონ თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად: ისტორიული და კანონკური უფლება და ქართული ეკლესიის თანამედროვე საჭიროება. იგი ამტკიცებს სინოდის განცხადებას, თითქოს ავტოკეფალიის საკითხი რეფორმამ მოძრაობამ წამოჭრა და მას უდევს პოლიტიკური საწინააღმდეგო ბეჭედი. ეკლესიისათვის საჭირბოროტო ბეჭედი სხვა საკითხი განიხილა ამ მოხსენებაში კირიონმა და სხვა ქართველმა მეცნიერებმა და სასულიერო მოღვაწეებმა. დიდი ცდის მიუხედავად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი მაინც კრახით დამთავრდა. მხოლოდ 10 წლის შემდეგ განხორციელდა კირიონის ოცნება.

დიდი და ფართო იყო კირიონის მოღვაწეობის ასპარეზი. იგი მარტო სასულიერო პირი კი არ იყო, არამედ საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი მეცნიერი. ჯერ კიდევ ხერსონში ყოფნის დროს იბრძოდა იგი იმისათვის, რომ ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა დაარსებულიყო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. ამ მიზნით მან დაწერა ბროშურა: „Назревший вопрос", რომელშიც იგი ასაბუთებდა ამ კათედრის დაარსების აუცილებლობას. მაშინ ამ ცდას არ მოჰყოლია შედეგი, მაგრამ კირიონს არ დაუყრია ფარხმალი და ბოლომდე მიიყვანა საქმე. 1903 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიასაც სწავლობდა. ამ დიდი საქმის მთავარი ინიციატორი კირიონი იყო. ასევე დაუცხრომლად იღვწოდა იგი ორიოლში ყოფნისას არქეოლოგიური კომიტეტის დაარსებისათვის. მან ფართოდ გაშალა სამეცნიერო მუშაობა; დაიწყო ძველი ხელნაწერებისა და არქეოლოგიური ნივთების შეგროვება კომიტეტის წევრებთან ერთად, რის საფუძველზეც გამოიცა კრებული. არქეოლოგიური კომიტეტის ენერგიული მუშაობის და დიდძალი მასალის შეგროვების შედეგად შესაძლებელი გახდა მუზეუმის დაარსება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი საეკლესიო ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოება. საზოგადოების სხდომები ტარდებოდა კირიონის თაოსნობით.

კირიონმა მეცნიერული მუშაობა რუსეთში დაიწყო და შემდეგ ეს საქმე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არ მიუტოვებია. აქ დაწერა მან თავისი შრომების უმეტესი ნაწილი, მრავალი მეცნიერული თუ პოპულარული ხასიათის სტატია. კირიონის შრომებში ყველაზე ფართო გამოხმაურება ჰპოვა წიგნმა „Культурная роль Иверии в истории Руси". საზოგადოდ, ყველა მისი შრომა პირველწყაროებს ეფუძნებოდა. იგი ზედმიწევნით სწავლობდა და ეცნობოდა მუზეუმებსა და მონასტრებში დაცულ დოკუმენტებსა თუ საარქივო მასალებს. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მას მის მიერ გელათის მონასტერში ნაპოვნმა „კორიდეთის ოთხთავმა" (1910). სხვა მრავალ საარქივო დოკუმენტებთან ერთად მან მიაკვლია აგრეთვე

მეორე უნიკალურ ძეგლს, როგორიცაა პაულე მატიკულის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი; ქირიონი აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, ფოლკლორულ ნიმუშებს, ძველ ქართულ მონეტებს. 1911 წელს მან თაეისი მდიდარი არქივი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა. ქირიონ II დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდობისადმი. მისი დახმარებით ორიოლის სასულიერო სემინარიაში 400-მდე ქართველი სწავლობდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურისა და მეცნიერების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში. მან აღუძრა ინტერესი არაქართველ მეცნიერებს ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი და ზოგიერთ მათგანს საგანგებო კვლევითი მუშაობაც კი დააწყებინა ამ სფეროში.

ქიროს ფასისელი (ალექსანდრიელი † 642) — ბიზანტიის ისტორიაში ძალზე ცნობილი პიროვნება, ახლო აღმოსავლეთის ერთერთი გამორჩეული საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, თეოლოგი და მონოთელიტური წეალების იერარქი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი და კირიონ ქართლის კათოლიკოსი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი). წყაროთა მიხედვით, 632 წელს ის იყო ფასისის მიტროპოლიტი. იგი განაგებდა არსებითად ლაზიკის საეკლესიო და საერო ცხოვრებას. კიროსი იყო ჰერაკლე კეისრის პოლიტიკური მოკავშირე და ბიზანტია-სპარსეთის 626-629 წლების ომების აქტიური მონაწილე. მას ჰერაკლეს მხარეზე გადაჰყავს ზაზარები, აფსხეები, იბერიელები. ჰერაკლე აღწევს წარმატებებს — ქართლი და სომხეთი მის მხარეზეა. კეისარი ხედავს კიროსის ენერგიასა და უნარს და 631 წელს გადაჰყავს იგი ალექსანდრიის პატრიარქად. ამ პოსტიდან კიროსი თავგამოდებით იბრძოდა ალექსანდრიისა და მისი ეკლესიის არაბთაგან დასაცავად. ჰერაკლე კეისართან, სერგი კონსტანტინოპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად მან შექმნა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების გამაერთიანებელი ქრისტოლოგიური დოქტრინა, რომელიც მონოთელიტობის სახელითაა ცნობილი. 633 წელს მან გამოსცა მონოთელიტური ტრაქტატი, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ამით ბიზანტიის იმპერიის პროვინციები ერთიანი მრწამსის ქვეშ ერთიანდებოდნენ; ახალ იდეოლოგიას დაუმორჩილა მონოფიზიტობა, მაგრამ ამ შემრიგებლურ პოზიციას დაუპირისპირდა ორთოდოქსი ქალკედონიტობა სოფრონ პალესტინელის მეთაურობით. კიროსის მოკავშირეებმა - პერაკლე კეისარმა და სერგი კონსტანტინოპოლელმა უკან დაიხიეს. კიროსი შეუპოვრად იდგა თავის პოზიციებზე. არაბების მიერ ალექსანდრიის დაპყრობის დროს კეისარმა კიროსს დალატი დასწამა და გადაასახლა. 641 წელს თავად ჰერაკლე გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრეებმა იგი უკან დააბრუნეს და აღადგინეს თავის ძველ უფლებებში. VI მსოფლიო კრებამ 681 წელს კიროსი მწვალებლად მიიჩნია და გაანადგურა მისი თხზულებები. მისი სახელი ქართულმა ეკლესიამაც მიჩქმალა და დაივიწყა.

ქისისხევი — სოფელი თელაეის რ-ში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. მდინარე კისისხევის მარცხენა ნაპირზე, თელავიდან 5 კმ. მანძილზე. სოფელში დგას VI-VII საუკუნეების ღეთისმშობლის ყოელადწმინდის გუმბათოვანი ეკლესია. ეკლესია ნაგები რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ეკლესიას სამხრეთით ჰქონდა სამი შესასელელი; გუთან მიაშენეს მიქელ მთაეარანგელოზის სამლოცველო ეკლესია, რომელთანაც მთაეარ ეკლესიას სამხრეთის შესასელელი აკაეშირებს. ამჟამად დარჩენილია ერთი — დასაელეთის შესასელელი; სარკმლები შემკული იყო დეკორატიული საპირეებით. აქვე არის ნათლისმცემლის შობის ეკლესია და კოშკი. ორივე აგებულია 1767 წელს. სოფელში დგას აგრეთეე XIX ს-ის „ღეთაების“ ეკლესია.

ქისორეთი — სოფელი ტყიბულის რ-ში, რაჭის ქედის სამხრ.-დასაე. კალთაზე, ტყიბულიდან 45 კმ-ის დაშორებით. სოფლის განაპირას დგას განეითარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, ნაგები ნათალი მოყვითალო ქვის კვადრებით. დარბაზი გადახურულია საბრჯენ თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული ფორმის კამარით. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიას ორი შესასელელი აქეს: დასაელეთის და სამხრეთის. იგი შემკულია ჩუქურთმებით და ეკერის რელიეფური გამოსახულებით.

ქლარჯეთი — მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოიცაედა მდ. ჭოროხის აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). სახელწოდება „ქლარჯეთი“ მოდის დაბა კლარჯეთიდან. მას განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, მისი რეზიდენცია იყო არტანუჯის ციხეში. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა ამ მხარეში ფართო კულტუ-

რული აღმშენებლობა წამოიწყო: ააშენა მონასტრები, დაარსა საეპისკოპოსო ცენტრი ოპიზაში. VIII ს-ში კლარჯეთში დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. IX ს-ში მეფე აშოტ I-მა დიდმა აღადგინა ეს გაპარტახებული მხარე არაბთა ბატონობის პერიოდში. დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით. თავისი ეკლესია-მონასტრებით ამ მხარემ სახელი გაითქვა XI-XIII სს-ში. კლარჯეთის მონასტრებს თორმეტ უდაბნოს უწოდებდნენ. XV ს-ში კლარჯეთი საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით ეს „უკაცო და უდაბური“ ქვეყანა აყვავდა. VI-VII სს-ში კლარჯეთში, როგორც ქალკედონიტურ ქვეყანაში, თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ ქალკედონიტ სომხებს, რომელთაც აქ უშენებიათ მონასტრები, სადაც ეწეოდნენ კულტურულ-შემოქმედებით და ლიტერატურულ საქმიანობას. VIII ს-ში მურვან ყრუ შეესია ამ მხარეს და ერთიანად აოხრა იგი. ამას თან დაერთო ჭოლერა, რომელმაც მუსრი გაავლო მოსახლეობას (746-747 წწ.). ამით ხსნიან იმას, რომ გრიგოლის მოსულისათვის აქ ოპიზის გარდა არავითარი ნაგებობა არ იყო. ეს მონასტერიც მიუტოვებიათ და დარჩენილა მხოლოდ პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. აქ დამკვიდრებულ ქართველებს განუახლებიათ ეკლესია. სერაპიონ ზარზმელი მოგვითხრობს, რომ ოპიზა ააშენეს ამონ, ანდრია, პეტრე და მაკარ მონაზენებმა. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ოპიზის პირველ სამ მამასახლისად დასახელებული არიან სამოელი, ანდრია და გიორგი. ოპიზა გადაიქცა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად. აქ მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი. ოპიზა იყო ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აქ გადაიწერა მრავალი საყურადღებო ძეგლი ამ პერიოდისა და შემდეგი დროის მწერლობისა (ოპიზის სახარება 913 წლისა). გრიგოლმა 5 მონასტერი ააშენა: სამი მამათა და ორი დედათა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შატბერდი. იგი იქცა ჩვენი მწერლობის უდიდეს ცენტრად. შატბერდში გადაიწერა და გადაითარგმნა ბევრი საყურადღებო ძეგლი. აქაური ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია ცნობილმა შატბერდის კრებულმა (S 1141), 897 წელს გადაწერილმა ჯრუჭის სახარებამ (936 წ.), პარხლის სახარებამ (973 წ.), იოანე ბერაის მიერ გადაწერილმა უდაბნოს მონასტრის მრავალთავმა X ს-ისა და სხვა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობისათვის იშხანს (იხ.), რომელიც გრიგოლის ბიოგრაფიის თანახმად სომეხთა ქალკედონიტ კათოლიკოსს ნერსეს (VII ს.) აუშენებია; არაბთა შემოსევამ „დააქერია“ იგი. ეს „ქერიება“ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ გრიგოლის დროს „ცუალად იქმნა“ სულიერი ჭორწილი და „მეორედ აღეშვნა“ ნეტარი სახას მიერ, რომელიც გრიგოლის დეიდაშვილი იყო. იშხანში გაჩაღებულა მწერლობა. აქედანაა კლარჯული მრავალთავი (X ს.), პარხლის მრავალთავი (A 95). X საუკუნის უკანასკნელ წლებში ილარიონ იშხნელს გადაუწერინებია აქ ისაკ ასურის თხზულებანი (Sin. 35).

გრიგოლის დროს აშენებულა წყაროსთაყის მონასტერიც, ის აუშენებია დაჟით მიძნაძორელის მოწაფეს ილარიონს, რომელიც შემდგომ მცხეთის კათოლიკოსი გახდა. წყაროსთაყი აშენდა მაცხოვრის სახელზე და დიდ როლს ასრულებდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მომეტებული ნაწილი აქ გადაწერილი ხელნაწერებისა ეკუთვნის II პერიოდს. „გრიგოლის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ მის დროს ყოფილა მონასტერი ტბა (რაც ტბეთს უდრის), სადაც ზაქარიას, ანჩელ ეპისკოპოსს, მოუხდენია რამდენიმე სასწაული. აშოტ კუხს († 918) ტბეთი აქცია საეპისკოპოსო კათედრად, ე. ი. მონასტერი აქ მანამდეც არსებულა. ტბელ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან: სტეფანე მტბეველი, დაჟით ტბელი, იოანე აკეთლა, პაული ტბელი. აქ გადაიწერა ცნობილი ტბეთის სახარება (995). IX ს-ის გასულსა და X ს. დამდეგს თორთომის ხეობაში აღარსად კურაპალატის მიერ (881-923) აშენდა ოშკის მონასტერი. მანვე ააგო აგრეთვე ბანას ტაძარი მდ. ოლთისზე. ოშკში გადაწერილი ხელნაწერები გვხდება 977-78 წლებშიც: ბიბლია, სამოთხე (ლიმონარი) იოანე მოსხისა, ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებულები, „ოქროპირის ცხოვრება“, იოანე ჩარაქის ხელით გადაწერილი 977 წელს და სხვა.

X ს-ში თორთომის წყლის ნაპირზე აშენდა ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი. ხახულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის. მის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იოანე ხახულელი, რომელმაც გადაწერა კრონიკე ალექსანდრიელის მოძღვრებანი და თებერვლის თვენი (Jer. 123).

დაახლოებით გრიგოლის დროსვეა აშენებული ბერთას მონასტერიც. ის ესახღვრებოდა

ოპიზის მონასტერს. ცნობილია აქ გადაწერილი ბერთას სახარება, რომელიც შემდეგ დაცული იყო გელათის მონასტერში (ქუთ. 41). X საუკუნეშიეკა აგებული პარხლის იოვანე ნათლისმცემლის მონასტერი ჭოროხის ხეობაში, სადაც ინტენსიური მწერლობა წარმოებდა. აქ შეიქმნა იშხნის ორიგინალის მიხედვით მრავალთავი (A 95). პარხლისათვის შეუწირავს იოანე ბერაძს მის მიერ შატბერდში 973 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც დღეს პარხლის სახარების სახელითაა ცნობილი. ტაო-კლარჯეთის მონასტრები უდიდესი მნიშვნელობისა არიან ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის. სწორედ აქ დუღდა ინტენსიურად ქართული ლიტერატურული ცხოვრება. უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რომელსაც ჩვენ დღეს ვსწავლობთ, IX-X სს-ში შექმნილა სწორედ ამ მხარეში, ამ კულტურულ ცენტრში. აქ იყო ჩამოყალიბებული საგანგებო სალიტერატურო სკოლა, აღმოცენებული ეროვნულ ნიადაგზე, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი ენა, გრამატიკა, წერის მანერა. ქართულმა შემოქმედებითმა ენერგიამ აქ ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ იგი ვეღარ ეტევა ამ საზღვრებში და გადადის მცირე აზიის სხვა სამონასტრო კერებში, ხოლო შემდეგ — ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც შეიქმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერთა მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ტაო-კლარჯეთის ვეებერთელა საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის ქართველთა მონასტერი ათონზე პირველ ხანებში ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით იკვებებოდა.

კლარჯული მრავალთავი — მრავალთავი ლიტურგიკულ-ჰომილეტიკური კრებულია, რომელიც ლექციონართან და უძველეს იადგართან ერთად ქართული მწერლობის ძალზე ადრეული პალესტინური წარმოშობის ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება. მისი აღრებიზანტიური მოდელი დღეს დაკარგულია და, ამდენად, ქართულ მასალას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენამდე მოღწეულია ამ ტიპის კრებულის უძველესი ნუსხები, რომელთა შორის იგი გამოირჩევა თავისი მნიშვნელობით. კლარჯული მრავალთავი (A 144) X ს-ით თარიღდება. კრებულში შემონახულია 63 საკითხავი. მასალა განკუთვნილია ლიტურგიკული წლის მეორე ნახევრისათვის და იწყება იოანე ბოლნელისადმი მიკუთვნებული მარხვის საკითხავებით. კლარჯულ მრავალთავში იოანე ბოლნელის სახელით ცნობილი საკითხავებისა და „შოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი პატარა ფრაგმენტის გარდა მხოლოდ ნათარგმნი ჰომილეტიკაა შესული. აქ ვხვდებით იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიელის, კირილე იერუსალიმელის, ეუსევი კესარიელის, ეფრემ ასურის, ათანასე ალექსანდრიელის და სხვათა შრომებს. კლარჯული მრავალთავის მასალის ანალოგიურ კრებულებთან შეპირისპირებისა და ქართული საკითხავების უცხოურ წყაროებთან შედარებითი შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ უძველესი ფენა ქართულად უნდა თარგმნილიყო V-VI სს-ში. კლარჯული მრავალთავი დაცულია საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 144). კლარჯული მრავალთავი გამოსაცემად მოამზადა თ. მგალობლიშვილმა (კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991).

კლდე — ბიბლიის მიხედვით ქრისტეს ერთერთი ეპითეტი, პაულე მოციქული ქრისტეს კლდესთან აიგივებს. ქრისტე, პაულეს თქმით, არის კლდე, რომლიდანაც ხალხი იღებს უდაბნოში ჭეშმარიტ კურთხევას (I კორ. 20,4).

კლდისუბანი — სოფელი ამბროლაურის რ-ში, მდ. რიცეულას ხეობაში, ამბროლაურიდან 6 კმ-ზე. ძველად კლდისუბანი სოფ. სადმელის ერთი უბანი იყო. სოფელში შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების კომპლექსი: IX-X სს-ის დარბაზული ტიპის ღვთისმშობლის პატარა ეკლესია და ამავე ტიპის მომცრო წმ. გიორგის „ციხის“ ეკლესია. მისგან ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ კედლები.

კლემენტი VI (ერისკაცობაში პიერ როჟე; 1291-1352) — ავინიონის პაპი (1342-52), წარმოშობით ფრანგი, ბენედიქტელთა ორდენის წევრი, თეოლოგიის პროფესორი პარიზში. მეცნიერობდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. რელიგიურ საკითხებში ლიბერალობას იჩენდა. კლემენტ VI-მ 1349 წელს თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა დომინიკელთა ორდენის წევრი ბერნარდო კოლეტი.

კლემენტი VII (ერისკაცობაში გრაფი რობერ ჟენეველი, 1342-94) — ანტიპაპი (1378-94.) პაპად იგი აირჩიეს ფრანგმა კარდინალებმა; იმყოფებოდა ავინიონში; პაპად იგი ცნეს მხოლოდ საფრანგეთმა, ესპანეთმა და შოტლანდიამ. მისი პონტიფიკატით დაიწყო დიდი განხეთქილება კათოლიკურ ეკლესიაში. 1832 წ. კლემენტი VII-მ თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად გამოგზავნა თავისი მომხრე, ფრანცისკანელთა ორდენის წარმომადგენელი, ენრიკო რაცი.

ქლემენტის მონასტერი – ათონის მთის ბერძნული სავანე, რომელშიც ქართველებიც მოღვაწეობდნენ X ს. II ნახევარში. ბასილი პორფიროგენეტის მიერ 980 წელს იოანე ბერისა და თორნიკე სვინგელოზისადმი გაცემული ოქრობეჭდის თანახმად მათ ეხმათ ლეონტის მონასტერი თესალონიკეში, კოლოვეს მონასტერი იერისოში და ქლემენტის მონასტერი, დაარსებული იოანე ნათლისმცემლის სახელზე ათონის მთაზე. ამათ სანაცვლოდ გამოთხოვილი იყო ორი მონასტერი: ერთი იბერისა, სამეუფო ქალაქში და მეორე – წმინდა ფოკას მონასტერი ტრაპეზუნტში. ქლემენტის მონასტრის ადგილას აღმოცენდა ქართული მონასტერი, რომელსაც ეწოდა იერთა მონასტერი; მას კარგა ხანს შემორჩა ძველი სახელიც (ლ. მენაბდე, კერები, II, 189).

ქლემენტოს რომაელი – რომის მეოთხე პაპი, მოწამე († 101). დაიბადა რომში, წარჩინებულთა ოჯახში, მიიღო თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება. წარმართული სიბრძნე და ფუფუნება არ იზიდავდა მას. როცა კლემენტოსმა შეიტყო ქრისტეს გამოჩენის ამბავი, დასტოვა დედაქალაქი და გაეშურა მოციქულებთან. პალესტინაში იგი მოინათლა თვით წმ. მოციქულ პეტრეს ხელით. პეტრემ აკურთხა კლემენტოსი რომის ეპისკოპოსად. მან ბევრი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სარწმენოებაზე. წარმართებმა ის დასმინეს იმპერატორ ტრაიანესთან (98-117) – ბრალდებად წაუყენეს წარმართული ღმერთების შეურაცხყოფა. იმპერატორმა ის ყირიმში გადაასახლა ქვის საშუშაოებზე. კლემენტოსი გადასახლებაშიც ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას და ბევრი ადამიანი მოაქცია ქრისტიანობაზე, რისთვისაც ტრაიანემ ბრძანა მისი ზღვაში დახრჩობა. ხსენების დღეა 24-25 ნოემბერი. კლემენტოს რომაელი ითვლება მართლმადიდებლურ კანონიკურ კოდექსში შესული მოციქულთა კანონების შემკრებ-შემდგენლად (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 102,7). ქართულად არსებობს კლემენტოსის „ცხოვრების" კომენტირებული რედაქცია. თხზულება თარგმნილია ეფთვიმეს მიერ (A 70, XIII ს. 83-90; Jer. 17, XI ს. 250-261; Sin. 80, X ს., 199-266 და სხვ. არსებობს აგრეთვე თარგმანი კლემენტოსის ეპისტოლესი იაკობისადმი – A 70, XIII სს. 36-83; Jer. 17, XI ს. 169-249; Ath. 77; 1029 წ., 131-146).

ქლეოპა – ერთ-ერთი 70-მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოხსენებულია ეპისკოპოს დრონოთოსის „აღწერილი საეკლესიო"-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი ათონელის დიდ სვინაქსარს და შეტანილია უძველეს ქართულ მრავალთავებში (A 144; A 95): „ნათესაი – მოდგმით უფლისაჲ და მეორე ეპისკოპოსი იერუსალემისაჲ, რომელმანაც იხილა იგი შემდგომად აღდგომისა მისისა მკუდრეთით".(კლარჯული მრავალთავი, გვ.385).

ქლერიკალიზმი – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ეკლესიის გავლენის გაძლიერებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საეკლესიო მოღვაწეთა უბრალესი პრივილეგიებითა და უფლებებით აღჭურვას, სამღვდელოებისა და ეკლესიის წარმომადგენელთათვის წამყვანი როლის მიკუთვნებას საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქლიაის ჯვარი – VII-VIII საუკუნეთა მიჯნის ქართული სამხავიანი ბაზილიკა გორის რ-ში, სოფელ მღებრიანის დასაწყისით 1 კმ-ზე, მდ. თეძმის მარცხენა მხარეს. იგი შედგება სამი ეკლესიისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია შესასვლელებით. შუა ეკლესია შედარებით უფრო დიდია გვერდით ეკლესიებზე. სამივე ეკლესიის საკურთხეველი გეგმით სწორკუთხაა. ნაგებია შირიმის ქვით, არა აქვს მორთულობა არც შიგნით, არც გარეთ.

ქლიმე ნეკრესელი – XVI ს-ის ნეკრესის ეპისკოპოსი. იგი მოხსენიებულია კახეთის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად კახთა ეპისკოპოსების მიერ შედგენილ 1562-1588 წწ. „ერთგულების წიგნში", რომელიც მათ გაუგზავნეს ნიკოლაოს კათოლიკოსს (იხ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 344).

ქლიმე ანკვირიელი – მოწამე, დაიბადა გალატიის ქ. ანკვირიაში, მამამისი წარმართი იყო, დედა – ქრისტიანი. დედ-მამა ადრე დაკარგა; იგი იშვილა ერთმა ღვთისმოსავმა ქალმა, სახელად სოფიომ და ღვთისმოშიშად და ღვთისმოსავად გაზარდა. 17 წლისა კლიმი უკვე პრესვიტერი იყო. დიოკლეტიანეს დროს, როდესაც იმპერიაში დაიწყო ქრისტიანთა სასტიკი დევნა, იგი დაასმინეს იმპერატორთან. გალატიის მმართველი დომეტიან ბერს უყვარდა კლიმი წარმართობაზე მოექცია, მაგრამ ვერაფერს გახდა – იგი მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე და მედგრად იტანდა ნებისმიერ ტანჯვა-წამებას. დომეტიანე იძულებული გახდა წმინდანი რომში გაეგზავნა თვით იმპერატორ დიოკლეტიანესთან. იმპერატორმა არ დაიკერა, რომ მის წინაშე ნაწამები წმინდანი დგას და ბრძანა მისი ხე-

ლახლა დასჯა. კლიმი აწამეს და შემდეგ საპყრობილეში ჩააგდეს. წარმართები ხედავდნენ, რა სიმტკიცით იტანდა მიყენებულ წამებას, რა სასწაულებრივ ძალას აელენდა იგი და ირწმუნეს ქრისტე. საპყრობილეში კლიმმა ბევრი წარმართი მოაქცია; ის მოძღვრავდა ხალხს, პკურნავდა სნეულთ, აძლევდა ზიარებას ისე, რომ საპყრობილე ნამდვილ ტაძრად იქცა. იმპერატორი გააღიზიანა კლიმის მოთმინებამ და ამტანობამ. იგი აგზავნის მას თავის თანამმართველ მაქსიმიანესთან, რომელმაც კლიმი მმართველ აგრიპინს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა არაადამიანურად აწამა კლიმი, მაგრამ იგიც ვერას გახდა. ბოლოს კლიმი გაგზავნეს სამშობლოში – ანკვირიაში. მთავარმა კლიმი გადაულახა სისასტიკით ცნობილ დომეტიანეს ქ. ამასიაში. ამასიაში კლიმი და სხვა მოწამენი ჩააგდეს ადუღებულ კირში, მაგრამ მოწამენი იქიდანაც უვნებელნი გამოვიდნენ. ამასიიდან ისინი ტარსში გააგზავნეს. ამასობაში გარდაიცვალა მაქსიმიანე და წმინდანები ანკვირიის ქრისტიანებმა გაათავისუფლეს და გამოქვაბულის ტაძარში მიუჩინეს თავშესაფარი. კლიმი მოკლეს ქალაქის მხედრებმა 312 წელს. ხსენების დღეა 23 იანვარი. ქართულად თარგმნილია „კლიმი ანკვირიელის (და აგათანგელოსის) წამების“ კიმენური რედაქციის თხზულება (Jer. 120, XIV-XV სს., 220-238; H 972, XVI ს., 422-440 და სხვ.) და მეტაფრასული „წამებაც“, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელს გადმოუღია (A 79, XII-XIII სს., 336-371; A 129, XII-XIII სს., 87-111).

კლიმი ხარჭაშნელი – ხარჭაშნის ეპისკოპოსი, XVI ს-ის შუა წლებში იგი მოხსენებულია კახეთის ეპისკოპოსების „ერთგულების წიგნში“, რომელიც მათ გაუგზავნეს დომენტი კათოლიკოსს 1556-1560 წწ. (სამართლის ძეგლები, III, გვ. 269).

კლიროსი – (ბერძ.) – მხარი, მგალობელთა და მედავითნეთათვის განკუთვნილი შემაღლებული ადგილი ტაძარში.

კლიტეთმპყრობელი – კანდელაკი, ეკლესიის ერთ-ერთი მსახური, მნათე.

კლუგე თეოდორ – გერმანელი ქართველოლოგი, რომელსაც ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების შესახებ: ახალი აღთქმის ქართული თარგმანები (1911 წ.); ძველი აღთქმის ხელნაწერები და მათი ქართული თარგმანები (1014 წ.); ახალი აღთქმის ქართული თარგმანის თარიღისათვის (1910 წ.); ახალი აღთქმის ორი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ (1950).

კმევა – საკმელის დაწვა და აკვამლება. ქრისტიანულ ეკლესიაში კმევა ძველთაგანვე ხდებოდა. იაკობისა და მარკოზის ჟამისწირვაში არის კმევის ლოცვები. საკმეელის აკვამლებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი გამოხატავს ღვთისადმი მოწოდებას, სულიწმინდის მადლის გადმოსვლას (მოფენას), ლოცვის დიდებას და სხვა. კმევის ლოცვას მღვდელი წარმოთქვამს მსხვერპლის კვეთაზე. კმევას იწყებენ ან საკურთხეველიდან, ან ტაძრის შუაგულიდან. აკმევენ საკურთხეველს, ან მთელ ტაძარს, ზოგჯერ მხოლოდ ტაძრის გარკვეულ ნაწილს. აკმევს ხან მღვდელი დიაკონთან ერთად, ხან კიდევ მხოლოდ დიაკონი, ან მღვდელი. კმევის დროს გამოისახება ჯვარი. მთელი ტაძრის კმევა ხდება: 1. მწუხრზე, ღამისთევის დასაწყისში; 2. „უფალო ღაღატყავსა“-ს გალობის დროს ცისკარზე პოლიელეოსის გალობისას და სხვა.

კმევის წესი ქრისტიანულ ეკლესიაში გადმოსულია ძველი ალთქმის ღვთისმსახურებიდან. კმევა არსებობდა ჯერ კიდევ მოციქულთა დროს და შედიოდა ღვთისმსახურების წესში (გამოცადება 8,3). მითითებები კმევის რიტუალის თაობაზე ღვთისმსახურებაში ეკუთვნის მე-4 საუკუნეს. როგორც ლიტურგიკული პროცესი, ის შედის ნათლისღების, მიცვალებულთა წესის გების და წყლის კურთხევის რიტუალში.

კობიანთქარი – თომა მოციქულის შუა საუკუნეების ეკლესია დუშეთის რ-ში, განახლებულია XIX ს-ში.

კოდეკი (ბერძ.) – საანდერძო აქტის დამატება, სიკვდილის წინა განკარგულება უბრალო წერილის სახით. კოდიკს თავდაპირველად არ ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობა; მათი შესრულება დამოკიდებული იყო მემკვიდრის ნებასურვილზე; იმპერატორ ავგუსტის (ძვ. წ. I ს.) დროიდან მათ მიეცათ იურიდიული ძალა. რომაული სამართლის მიხედვით, კოდიცილებში შეიძლებოდა მოეთავსებინათ ყველა საანდერძო განკარგულება მემკვიდრის დანიშვნის გარდა. მემკვიდრის დანიშვნა შეიძლებოდა მხოლოდ ანდერძში. ტერმინი ნახმარია დიდი სჯულისკანონის სისტემატურ ნაწილში, რომლიც შეიცავს ექსცერპტებს რომის იმპერიის სამოქალაქო კანონმდებლობიდან ეკლესიის საკითხების შესახებ (დიდი სჯულისკანონი, გე. 142,16).

კოდიკო (ბერძ.) – კოდექსი, იუსტინიანე I-ის თაოსნობით 534 წ. გამოცემული კრებული,

რომელიც შუიცავს იმპერატორთა მნიშვნელოვან კანონებს ადრიანედან იუსტინიანემდე (117-534 წწ.). კოდექსი იყოფა 12 წიგნად, წიგნები – ტიტულებად, ტიტულები – კონსტიტუციებად, რომლებიც ქრონოლოგიურად არის დალაგებული.

ტერმინი ნახმარია დიდი სჯულისკანონის სისტემატურ ნაწილში, რომელიც შეიცავს ეკლესიის საკითხების შესახებ (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 136-137).

კოდმანი – ადგილი მცხეთის მიდამოებში, შიომღვიმისკენ მიმავალ გზაზე. აქ დგას ეკლესია „წმ. დემეტრე", XIII საუკუნისა. ეკლესიის წყობაში დატანებულია X ს-ის ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტი.

კოდრატე – ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე. მოხსენებულია ეპისკოპოს დროთეოსის „აღწერილი საეკლესიო"-ში, რომელიც დართული აქვს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქარს, და „კლარჯული მრავალთავში" (A 144, კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991).

კოდრატე მოწამე – სატორნინე და რუფინოს მოწამეებთან ერთად ეწამა იმპერატორ დეციანეს (249-251) და მისი მემკვიდრის, ვალერიანის (253-259) დროს. წმ. კოდრატე ქრისტიანი იყო, წარმოშობით წარჩინებული გვარიდან. თანაუგრძნობდა მორწმუნე ლატაკებს, რომლებიც რწმენის გამო იყვნენ შეპყრობილნი. იგი თავისი ნებით წარდგა დეციოსის წარმგზავნილთან მორწმუნეთა დასაცავად. იგიც შეიპყრეს, აწამეს, მაგრამ უარი ვერ ათქმევინეს რწმენაზე. მან დაამსხვრია წარმართული კერპები, რისთვისაც მას სასტიკად გაუსწორდნენ – შანთებით ამოუწვეს სხეული. წამების დროს იყო სასწაულებრიები ნიშანი: შემოიჭრა საოცარი ნათელი და გაისმა ანგელოზთა გალობა, წარმართებს თვალთ დაუბნელდათ. მოწამენი ქალაქიდან ქალაქში ატარეს. შემდეგ კოდრატე გაახვიეს ტომარაში და ჩააგდეს ღრმა დილეგში. იგი სასწაულებრიად გადარჩა. მაშინ გადაწყვიტეს მისი დაწვა, მაგრამ კოდრატე ცეცხლიდანაც უვნებელი გამოვიდა. ბოლოს მას თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღეა 10 მარტი. ქართულად არსებობს კოდრატე, სოტორნინე და რუფინოსის „წამების" მეტაფრასული რედაქციის თარგმანი – ქუთ. 2, XVI ს. 146-159.

კოზმან ბისტიტორე (შეჭურჭლე) – X ს-ის ბიზანტიელი მწერალი. ქართულად არსებობს თარგმანი მისი თხზულებისა – „აღმოყუანებისათჳს ნაწილთა წმიდისა იოანე ოქროპირისათა კომნით კოსტანტინეპოლელ" (Ath. 3, 980 წ., 131-141; Jer. 3, XI ს. 188; XIII ს. 94-100).

კოზმან და დამიანე – მოწამენი, სასწაულთმოქმედნი, წარმოშობით რომიდან, პროფესიით მკურნალნი. მიიღეს მოწამებრივი სიკვდილი იმპერატორ კარინის (283-284) დროს. ძმები გაიზარდნენ ღვთისმოსაობა ოჯახში, მიიღეს ქრისტიანობა და ბევრი წარმართი მოაქციეს ქრისტეს რჯულზე. დაჯილდოვებულნი იყვნენ მკურნალობის ზებუნებრივი ნიჭით, რითაც რომის ხელისუფალთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ. დახმარებას უწევდნენ, მკურნალობდნენ ქრისტიანებსაც, რისთვისაც ისინი გამოიძახეს ხელისუფლებმა. ძმები გადამალეს. როცა დაიწყეს იმათი აწიოკება, ვინც მათ მალავდა, ძმები თვითონ წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე; ისინი საპყრობილეში ჩააგდეს; სამსჯავროზე თავს იცავდნენ ბრალდებებისაგან, რომ არავითარ ჯადოსა და მაგიას არ მიმართავდნენ მკურნალობის დროს, არამედ ღვთის ძალით მკურნაობდნენ სნეულთ. არ დაუჯერეს. მაშინ ძმებმა იმპერატორს შესთავაზეს საკუთარ თავზე გამოეცადა ღვთის ძალა. მოახდინეს მის თვალწინ სასწაული, განკურნეს იგი. მაშინ იქ მყოფთაგან ბევრმა ირწმუნა ქრისტე; იმპერატორმა გაათავისუფლა ისინი. ძმები კვლავ განაგრძობდნენ თავის საქმიანობას. შურით აღძრულმა ბებერმა ექიმმა, რომელთანაც ერთ დროს ძმები სწაელობდნენ ამ პროფესიას, ისინი შეიპყრა შორს მთებში და იქ მოკლა, გვამები კი გადაყარა მდინარეში. ხსენების დღეებია: 17 ოქტომბერი, 1 ნოემბერი, 1 იელისი და სხვა.

ქართულად არსებობს მათი ცხოვრების კიმენური (Sin. 62, X, 100-106; H 341, XI ს. 416-432 და სხვა და ორი მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანები შესრულებული თეოფილეს მიერ (Jer. 17, XIII-XIV სს.; 109-115) და უცნობი მთარგმნელისა (Ath. 37, 1080 წ., 3-7; Q 662; XVII ს. 149-151).

კოზმან და დამიანეს ეკლესია – ქართველთა ეკლესია ოლიმპოს მთაზე. მისი დაარსება ილარიონ ქართველის სახელს უკავშირებდება. „საყოველი წმიდათა კოზმან-დამიანეთასა" – ასე იწოდებოდა ეს ქართული სავანე ოლიმპზე (ლ. მენაბდე, კერები, II, გვ. 18).

კოზმა მელოდოსი – კოზმა მაიუმელი, იერუსალიმელი, VII საუკუნის პიმნოგრაფი, სამაწმინდელი პოეტი, მელოდოსი, ბიზანტიური

ჰიმნოგრაფიის და მუსიკის ერთ-ერთი რეფორმატორი. იგი იშვილა იოანე დამასკელმა; 732 წ. კოზმა იწყებს მოღვაწეობას წმინდა საბას ლავრაში, ხოლო 743 წელს ხდება მაიუმის ეპისკოპოსი (ღაზაში). მისი ყველაზე ცნობილი თხზულებებია: კანონები, ჰიმნები დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე – შობის, აღდგომის და სხვა. მათგან 14 შესულია აღმოსავლური ეკლესიის ლიტურგიკულ წიგნებში. კოზმა არის აგრეთვე ავტორი იდიომელების, ანუ მცირე რელიგიური ხასიათის პოემებისა. მისი თხზულებები ყურადღებას იქცევენ არაჩვეულებრივი ფორმითა და მეტრიკული ზომებით. თქმიან, რომ გრიგოლ ნაზიანზელის სახელით ცნობილი ზოგიერთი პოემის ავტორი კოზმა მელოდოსი უნდა იყოს.

კოზმან მღდელმონაზონი – XVII ს-ის მოღვაწე. ლექებმა მოკლეს 1735 წელს. მან ლექსად დაწერა შესხმა ქეთევან დედოფლისა. სხვა ცნობა მასზე არაა შემონახული (კ. კეკელიძე, I, გვ. 616).

კოთელია – სოფელი ახალქალაქის რაში, ახალქალაქიდან 15 კმ-ზე. სოფელში შემორჩენილია XVI საუკუნის ეკლესია ლაპიდარული წარწერით, რომელშიც მოხსენებულია მისი აღმშენებლის, ქიშვად აეალიშვილის სახელი.

კოლა – მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი გელე); კალას ანუ კოლას ზეკი სათავეა მტკვრისა. კოლაში ბევრი ძველი ძეგლი ყოფილა. ამ მხარის თითქმის ყველა სოფელშია ეკლესიების ნაშთები და ნანგრევები, მაგრამ თითქმის ყველა განადგურებულია. ეკლესიები უპირატესად ჩვეულებრივი ტიპისაა: ერთნავიანი ბაზილიკა, ნაგები თლილი პატარა ოთხკუთხედი ქვებით. გუმბათიანი ეკლესიები არა ჩანს. იქაური ბერძნებსა და სომხებს ძველი ქართული ეკლესიები გადაუკეთებიათ, ზოგი მათგანი დაუშლიათ და მათ ადგილას იმავე ქვებით ახალი ეკლესიები აუგიათ. მაჰმადიანებსაც ასევე გამოუყენებიათ ქართული ძველი ეკლესიების ქვები თავიანთი ნაგებობებისათვის (დადაშენი, დორთ-ქილისა, ტახტაკხანი, ჯოჯორი, თურქაშენი და სხვა) კოლას სახელწოდება ცნობილია პაგიოგრაფიული თხზულებითაც: „წამებაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ“ (ძეგლები I).

კოლაელ ყრმათა წამება – IX ს. ანონიმური პაგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც აღწერილია ის თავდაპირველი ხანა, როდესაც საქართველოში ბრძოლა წარმოებდა ადგილობრივ წარმართობასთან (არა უგვიანეს VI საუკუნისა). შემონახულია ათონის X საუკუნის მრავალთავში (Ath. 8). ძეგლი ორიგინალურ თხზულებადაა მიჩნეული. მტკვრის სათავეში, ხეში, რომელსაც ერქვა კოლა, ერთად ცხოვრობდნენ წარმართნიც და ქრისტიანნიც. პირველნი შეადგენდნენ უმეტესობას. მათი ბავშვებიც ერთად თამაშობდნენ. წარმართთა ცხრა ბავშვი – 7-9 წლისა, მშობელთაგან მალულად მოინათლა და შეითვისეს ქრისტიანი ბავშვების ზნე-ჩვეულებანი. მშობლებმა რომ შეიტყვეს ეს ამბავი, „უღმრთოთა მათ განუხეთქეს თაენი და განტეხნეს იგინი“. მარტვილობის ტექსტი მოკლეა და აღწერილია სვინაქსარისებური სიმარტივით, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. ძეგლი უთარიღოა და ამდენად ავტორის ვინაობისა და თხზულების შედგენის დროის გამოკვლევა ძნელდება. როდესაც არ უნდა იყოს დაწერილი წამება, ძეგლი მეტად ძველია, რასაც ამტკიცებს ძეგლის ენა და თვით ხელნაწერის სიძველე (ნ. მარი).

თხზულებიდან ჩანს, რომ VI ს-ში ჩვენში, განსაკუთრებით მთაში, წარმართობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ქრისტიანები და წარმართები ერთად ცხოვრობენ, ისინი მშვიდობიანად მეზობლობენ. ქრისტიანებს აქვთ ეკლესია, პაჟაფ მღვდელი, ასრულებენ ქრისტიანული წესით ღვთისმსახურებას, მაგრამ ეკრძალებათ ქრისტიანობის გავრცელება და ქადაგება. ძეგლის სიძველის მაჩვენებელია ღვთისმსახურების სიმარტივე (კ. კეკელიძე), კერძოდ, ნათლისღების წესისა და აგრეთვე ის, რომ ღვთისმსახურების აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „ყამობა“, როგორც ამას ეხვდებით „ესუტათი მცხეთელის მარტვილობაში“. ღამით ნათლობაც სწორედ ამის მაჩვენებელი უნდა იყოს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თხზულებაში შემონახულია პირველყოფილი ქრისტიანობის პრაქტიკა, რომლის მიხედვით ქრისტიანები თუ პირდაპირ იორდანეში არა, მდინარეში მაინც ცდილობდნენ ნათლვილო: წარმართი ბავშვების მოსანათლად „წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისა...“ თხზულება თარგმნილია რუსულ ენაზე (გამოც.: ძეგლები, I).

კოლიო – კორკოტი, მოხარშული ხორბალი, თაფლით შეზავებული. ეს იყო ლატკო რომაელების საკვები, რომელსაც ქრისტიანულ ეკლესიაში კოლიოს უწოდებდნენ. იგი იხარშება საუფლო დღესასწაულებზე, წმინდანთა და მიცვალებულთა მოსახსენებლად, დიდმარხვის პირველი კვირის პარასკევს და სხვა დღეებშიც. ეს წესი IV ს-ში შემოდის. მიცვალებულთა

ხსენებასთან დაკავშირებით კოლიოს ხარშვა ხდება დიდმარხვის პარასკევ საღამოს, შაბათს. წმინდანთა ხსენებისას კოლიოს კურთხევა ძველი პრაქტიკით ლიცვანთა კითხვის თანხლებით სრულდებოდა.

კოლიოს საეკლესიო რიტუალში შეტანა უკავშირდება თეოდორე ტირონის (IV ს.) მიერ გარდაცვალების შემდეგ აღსრულებულ სასწაულს: იულიანე განდგომილმა (361-363 წწ.), რომელმაც წარმართობის აღდგენა გადაწყვიტა, საიდუმლოდ უბრძანა კონსტანტინეპოლის ეპარქოზს, რომ გასაყიდად გამოტანილი სურსათ-სანოვაგე ნაკერპაევი შეეზავებინა, რათა ქალაქის ქრისტიანებს დიდმარხვის პირველი კვირის განმავლობაში თაეისდაუნებურად ნაკერპაევი ეჭამათ და ამ გზით ზიარებოდნენ წარმართობას. კონსტანტინეპოლის პატრიარქს გამოეცხადა თეოდორე ტირონი და უბრძანა, გაეფრთხილებინა ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა, არ ეყიდათ საზრდელი და საკვებად გამოეყენებინათ მოხარშული და საგანგებოდ შეზავებული ხორბალი ანუ კოლიო (კორკოტი), როგორც ამას იყენებდნენ საკვებად ექსატელები (სადანაც იყო წარმოშობით თეოდორე). ასე გადაარჩინა თეოდორემ ქრისტიანები წაბილწვას. ამ სასწაულის აღსანიშნავად ქრისტიანულ ეკლესიაში დამკვიდრდა ტრადიცია დიდმარხვის პირველ შაბათს, წმ. თეოდორეს ხსენების დღეს დამზადონ და მიირთონ კოლიო (კორკოტი). ეს სასწაული აღწერილი აქვთ გრიგორ ნოსელს († 394), ნეტარი კონსტანტინეპოლელს (381-397) და თეოდორე სტუდიელს († 826), რომლებიც ქართულად გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია. განსაკუთრებით საინტერესოა თეოდორე სტუდიელის „სასწაული დიდებულისა წმიდისა და ღაეწლისა მძლისა უძლეველისა თეოდორე მთავარმოწამისაჲ“ (A 500, 1042 წ. გვ. 253-261).

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲒᲐᲪᲘᲐ (ლათ. კავშირი, გაერთიანება) — 1. კათოლიკურ სამონაზვნო ორდენთან უშუალოდ დაკავშირებული რელიგიური ორგანიზაცია, რომელშიც ნაწილობრივ საერო პირებიც შედიან. ზოგიერთი მონაზვნურ ორდენთან რამდენიმე კონგრეგაცია არსებობს. ყოველ მათგანს აქვს პაპისგან ან ეპისკოპოსისგან დამტკიცებული წესდება. კონგრეგაცია აღმოცენდა XVI-XVII სს. დიდი გაერცელება მიიღო XIX ს-ში. 2. რამდენიმე კათოლიკური მონასტრის გაერთიანება ერთიანი მფარველობის ქვეშ. 3. რომის კურიაში შემავალი დაწესებულებები.

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲒᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ (ლათ. „გაერთიანება“) — ქრისტიანული ორგანიზაცია, რომელიც არ აღიარებს კონგრეგაციის გარდა სხვა ავტორიტეტს. კონგრეგაციონალიზმი აღმოცენდა კალვინიზმის საფუძველზე ინგლისში XIV ს. II ნახ., როგორც რადიკალური მიმდინარეობა პურიტანიზმში. კონგრეგაციონალისტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 2 მილიონს შეადგენს. 1891 წელს დარსდა საერთაშორისო კონგრეგაციონალური საბჭო.

ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲘ — 1. წიგნი ან ეტრატის გრაგნილი, რომელშიც ჟამისწირვის წესები და ლიცვები მოთავსებული. თავდაპირველად ლიცვების ტექსტი იწერებოდა ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ვიწრო ფურცლებზე, რომლებსაც ჯოხზე ახვევდნენ. X ს-დან, სამღვდელო კონდაკისაგან განსხვავებით, წარმოიქმნა მაღალი რანგის სამღვდელო პირთათვის განკუთვნილი კრებული, რომელსაც არქიერატიკონი, ანუ „სამღვდელმთავრო კონდაკი“ (A 86) ეწოდა (იხ. კ. კეკელიძის Древнегрузинский Архиератикон, 1912).

2. საეკლესიო საგალობლის ფორმა, რომელიც შემუსაიბებია ბიზანტიელ ჰიმნოგრაფის რომანოზ მელოდოსის (VI ს-ის I ნახ.) მიერ. უძველესი კონდაკები სწორედ რომანოზ მგალობლის სახელს უკავშირდება. არსებითი განსხვავება კონდაკსა და კანონს შორის საბიბეღლია არა ფორმაში, არამედ შინაარსში. კონდაკი პოეტური პომილიაა და შედგება 18-20 ერთნაირი სტრუქტურის სტროფისაგან, მისი სიგრძე 3-13 სტროფამდე ვარეუობს. დასაწყისში დგას მოკლე ტროპარი — პროიმიონი, რომელიც შემდეგ 2-3 სტროფისაგან შედგება. კონდაკი და პროიმიონი ერთმანეთს რეფრენით უკავშირდება.

კონდაკის ჟანრის აყვავება მოდის VI-VII საუკუნეებზე. შემდგომ მას ცვლის კანონი (იხ.). ამ პერიოდიდან იწყება (VII) კონდაკის მელოდიის განვითარება და სტროფების რაოდენობის შემცირება. კანონში დიდი საგალობლიდან რჩება მხოლოდ პირველი სტროფი, საკურთხე, კონდაკი და იკოსი (იხ.), რომლებიც თავსდებიან კანონის VI ოდის შემდეგ. ერთადერთი კონდაკი, რომელიც სრული სახითაა შემორჩენილი, ღვთისმშობლის დაუჯდომელია (აკათისტო), შემონახული ტრიოდიონში. იგი სრულდება დიდმარხვის მეხუთე შაბათს ცისკარზე.

3. თანამედროვე მნიშვნელობით კონდაკი არის რიტმიკულ-ანტიფონური ერთსტროფიანი საგალობელი, რომელიც ჩაერთვის კანონის VI გალობის შემდეგ (იკოსის მსგავსად). იგი სრულ-

დება ჩვეულებრივ ღვთისმსახურების დროს რომელიმე დღესასწაულზე.

კონდამიანი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდ. კისისხევის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კისისხევიდან (თელავის რაიონი) 6 კმ-ზე, კოზმასა და დამიანეს სახელობის გამოქვაბული სამონასტრო კომპლექსი, VI-VII სს. სამეკლესიანი ბაზილიკა. სხვა და მარტივი ნაგებობა ნაშენია რიყის ქვით. სამივე ეკლესია განლაგებულია ერთმანეთის მიყოლებით.

კონდოლი – სოფელი თელავის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. კისისხევის (ალაზნის მარჯვენა შენაკადი), მარცხენა ნაპირას, თელაველიდან 6 კმ-ზე. სოფელში შემორჩენილია VI ს-ის ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკური ეკლესია, ნაგები რიყის ქვის არათანაბარი რიგებით. ეკლესია მრავალჯერ არის გადაკეთებული. XVII ს-ში ეკლესიის შესასვლელი შეუკეთებიათ და ლავგარდანიც აგურისა შემოუყოლებიათ.

კონდაკოვი ნიკოდიმე (1844-1925) – რუსი ხელოვნების ისტორიკოსი; პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1898). სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში; მუშაობდა ძირითადად ძველი რუსული და ბიზანტიური ხელოვნების ძეგლების შესწავლაზე (1861-65); ასწავლიდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში: ოდესის, ნოვოროსიის, პეტერბურგის. 1920 წლიდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ, 1922 წ. ასწავლიდა პრაღის უნივერსიტეტში. მასვე ეკუთვნის ხელოვნების ნაწარმოებთა შესწავლის იკონოგრაფიული მეთოდი. მან გააანალიზა ძეგლთა ტიპოლოგიური თავისებურებები, ახსნა ამ თავისებურებათა მიზეზები და მნიშვნელობა. კონდაკოვი სწავლობდა აგრეთვე ქართულ ძეგლებს, უმთავრესად, მათ მიმართებას ბიზანტიურ კულტურასთან. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, მან ქართული ხელოვნების შესწავლა მაინც მაღალ მეცნიერულ დონეზე დაიყენა. მას ეკუთვნის ნაშრომი „საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დაცული სიძველეთა ძეგლების აღწერილობა“ (ე. ბაქრაძის თანაშრომლობით), რომელიც დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ მეცნიერულ ღირებულებას.

კონდრატოს – იხ. სუქიოსი.

კონიბერი შრედერიკ (1856-1924) – ინგლისელი არმენოლოგი, მარჯორი და ოლიე ეორდროპების მეგობარი, რომელმაც მათი წაქეზებით შეისწავლა ქართული ენა და შეუდგა ქართული სასულიერო მწერლობის კვლევას. მან თარგმნა ინგლისურად ალ. ცაგარელის „იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ასევე – არაბულიდან ქართულად X საუკუნეში თარგმნილი „წარტყუნაა იერუსალიმისაჲ“. ო. უორდროპთან ერთად თარგმნა და პარიზში დაბეჭდა „იაკობის ჟამისწირვის“ ქართული ვერსია. 1988 წელს საქართველოში სტუმრობის შემდეგ მან გამოაქვეყნა „ვარლაამისა და იოდასაფის ლეგენდები ქართულ და სომხურ მწერლობაში“ (1896 წ.), 1910 წელს – ახალი აღთქმის ქართული ვერსიები.

კონკლავე (ლათ. ჩაკეტილი ოთახი) – აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც კარდინალები კათოლიკური ეკლესიის გარდაცვლილი პაპის ნაცვლად ირჩევენ მის მემკვიდრეს. კონკლავი ეწოდება აგრეთვე თვით კარდინალთა შეკრებას, რომელიც ამ არჩევნებს ეძღვნება. ეს ტერმინი პირველად 1274 წლიდან ჩნდება გრიგოლ X დადგენილებებში. ეს დადგენილება ოდნავ სახეცვლილი დღემდეა შემონახული. ჩვეულებრივ, კონკლავი ხდება იმ ქალაქში, სადაც გარდაიცვალება პაპი და ტარდება მის გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ. არჩევნებში მონაწილეობს ყველა კარდინალი. რიგებსაც იგი ტარდება რომში, იკრიბებიან ვატიკანში, სადაც თითოეულს აქვს საკუთარი კელია. არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება, რაიმე კონტაქტი დაამყაროს გარე სამყაროსთან; კონკლავი ხდება სრულ იზოლაციაში. თვით არჩევნებიც წერილობით ტარდება; ყველა კარდინალი ქაღალდზე წერს თავისი კანდიდატის სახელს.

კონონ ისავრიელი – III ს. შუა წლების მოწამე; ცხოვრობდა იკონიაში (მცირე აზია), დაქვრივების შემდეგ იგი თავისი მცირეწლოვანი ვაჟით მონასტერში შედგა. ღვთისმოსაობითა და გულმოდგინე ღვთისმსახურებით მან მოიპოვა სასწაულებრივი ძალა (პკურნავდა სნეულთ, ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას), ხშირ მისი მოღვაწეობის შესახებ მიაღწია მხოლოდ დომენტიანეზე, რომელიც დევნიდა ქრისტიანებს. კონონი გამოიძახეს სამსჯავროზე და მოსთხოვეს წარმართულ კერპთათვის მსხვერპლის შეწირვა. იგი არ დათანხმდა და მაშინ კონონი და მისი ვაჟი (17 წლის დიაკონი კონონი) წარდგნენ დომენტიანეს წინაშე, რომელმაც ბრძანა მათი წამება, თუ ისინი კვლავ უარს განაცხადებდნენ მის წინადადებაზე. კონონმა კვლავ უარი თქვა წარმართული რიტუალის შესრულებაზე და ის და მისი ვაჟი სიკვდილით დასაჯეს (შუაში გადახერხეს). წამების დროს მოხდა საშინელი მიწისძერა და დაინგრა წარმართული კერ-

პები. ბერ-მონაზვნებმა მათი ნეშტი მონასტერში დაკრძალეს. ეს მოხდა ავრელიანეს მეფობის დროს (270-275). შემდგომ მათი წმინდა ნაწილები იტალიაში გადაიტანეს, ქ. აცერუში (კამპანია). ხსენების დღე დადებულია 6 მარტს.

ქართულად თარგმნილია კონონ ისაურიელის „წამების“ როგორც კიმენური (H 341, XI ს. 604-610, Ath. 8, X, 332r-334r; ბოდლ. 1, XI ს. 2-5 და სხვ.), ასევე მეტაფრასული (ქუთ. 2, XVI ს. 71-93) რედაქციის თხზულებები.

კონსტანტინე დიდი – რომის იმპერატორი (285-337 წწ.), იმპერატორ კონსტანციუს ქლორუსის ძე. მამის სიკვდილის შემდეგ ლეგიონერებმა იგი დაუსწრებლად გამოაცხადეს იმპერატორად (აგვუსტუსად). რომის იმპერიას მის გარდა ჰყავდა კიდევ 5 აგვუსტუსი. 313 წელს კონსტანტინე დიდმა და მისმა მოკავშირე ლიცინიუსმა ქალაქ მედიოლანუმში (მილანი) გამოსცეს ედიქტი („მილანის ედიქტი“), რომლის თანახმად იმპერიაში ქრისტიანობა უთმაცხადდა წარმართობასთან თანაბრად უფლებამოსილ რელიგიად. 325 წლიდან კონსტანტინე ერთპიროვნულად მართავდა ბიზანტიის იმპერიას. იმპერატორის სატახტო ქალაქად იქცა კონსტანტინეპოლი. მიუხედავად ქრისტიანობის აღზევებისა, წარმართული კულტები 313-321 წლებში ისევ ძალაში იყო; წარმართებს კვლავ მაღალი თანამდებობები ეკავათ. კონსტანტინე უბრძანა ლიცინიუსს აღმოსავლეთში ქრისტიანების გასანთავისუფლებლად, ლიცინიუსის წარმართული ტირანიისაგან მათ დასახსნელად. ამავე დროს კონსტანტინე ლიცინიუსზე გამარჯვების 10 წლის შემდეგ ნებას რთავს მისი და მისი მემკვიდრეების სახელზე წარმართული ტაძრის აგებაზე, თუმცა აკრძალა მსხვერპლის შეწირვა. იგი წარმართებს ნიშნავდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე; საყოველთაო დღესასწაულად გამოაცხადა მზის დღე („დეი სოლი“). ასე რომ, მიუხედავად ქრისტიანობისადმი პიროვნული სიმპათიებისა, კონსტანტინე მაინც პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავდა. სამაგიეროდ მან თავის მემკვიდრეებს მისცა ქრისტიანული აღზრდა-განათლება. იგი დიდად ზრუნავდა ქრისტიანული ეკლესიის სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე.

325 წელს კონსტანტინე დიდმა ნიკეაში მოიწვია I მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც დაგმობილ იქნა არიოსის მწვალებლური მოძღვრება და მოძრაობა და მიღებულ იქნა ერთიანი რწმენის კანონი – სარწმუნოების სიმბოლო: „ერთ ქრისტე ძე ღვთისა, ერთარსება მამისა“.

კონსტანტინე დიდმა სიკვდილის წინ მიიღო ქრისტიანობა (იგი სასიკვდილო სარეცელზე მოინათლა). დაკრძალულია რომში წმინდა მოციქულთა ტაძარში. მის პატივსაცემად ქ. ბიზანტიონმა მიიღო კონსტანტინეპოლის სახელწოდება (330წ.).

კონსტანტინეპოლი – კონსტანტინეს ქალაქი, დაარსა კონსტანტინე დიდმა I-მა 330 წელს. ოფიციალურად იგი იმპერიის დედაქალაქია 330 წლის 11 მაისიდან. რომიდან კონსტანტინეპოლში გადატანა დედაქალაქის განაპირობა მისმა იაბლოვეემ აღმოსავლეთის პროვინციებთან, რომელთაც ამ პერიოდისათვის დიდი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა ენიჭებოდათ. აქ გადმოტანილი იქნა მრავალი ანტიკური ქანდაკება. ქალაქის ცენტრს წარმადგენდა აგვუსტინოსის მოედანი, სადაც განლაგებული იყო უბრწყინვალესი ძეგლები: წმ. სოფიის ტაძარი, წმ. ირინეს ეკლესია, დიდი სასახლე და იპოდრომი. ქალაქი არაერთხელ გამხდარა სახალხო აჯანყებების კერა. VII ს. იწყება ბიზანტიის იმპერიის ეკონომიური დაქვეითება, მაგრამ კონსტანტინეპოლი მაინც ინარჩუნებს მსოფლიოს უდიდესი სახელოსნო-სავაჭრო ცენტრის სახელს. იგი არაერთხელ იყო გარეშე მტრების თავდასხმის ობიექტი. 1204 წ. ქალაქი ჯვაროსნებმა დაიპყრეს და იგი ლათინური იმპერიის სატახტო ქალაქად აქციეს. 1261 წელს ბიზანტიელებმა უკან დაიბრუნეს ქალაქი, მაგრამ სახელმწიფოს საერთო დაქვეითებამ და ვენეციელ ვაჭართა გაბატონებამ კონსტანტინეპოლში ბოლო მოულო მის ეკონომიკას. 1453 წ. კონსტანტინეპოლი დაიპყრეს თურქ-ოსმალებმა და იგი ოსმანთა იმპერიის დედაქალაქად აქციეს. ქალაქს სახელი შეუცვალეს და სტამბოლი უწოდეს. იგი 1923 წლამდე ოსმალეთის დედაქალაქი იყო.

კონსტანტინეპოლი ქრისტიანული კულტურის უდიდესი ცენტრი იყო. იგი მას შემდეგ დაწინაურდა, რაც იერუსალიმი მუსლიმთა მფლობელობაში აღმოჩნდა. ქალაქი ადრიდანვე იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს, ხოლო მოგვიანებით იგი ქართული მწერლობის ერთ-ერთ კერად იქცა. IX ს-ში მას სხვადასხვა დროს ეწვივნენ გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ ქართველი, რომელთაც გაიცნეს იქაური სამონასტრო ცხოვრება და საეკლესიო ორგანიზაცია. კონსტანტინეპოლის მახლობლად ბასილი იმპერატორის ინიციატივით ილარიონის ქართველი მოწაფეებისათვის აშენდა რომანოს მონასტერი (დღეს მისი ნაშთები ქალაქის ფარგლებშია მოქცეული), სადაც თესალონიკიდან გად-

მოასეენეს ილარიონის წმ. ნაწილები (ძეგლები, II). აქ ალიზარდა არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე (პეტრე ქართველი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე და სხვ.). კონსტანტინეპოლში მიიღეს უმაღლესი განათლება არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვ. XI საუკუნიდან ქართველები ჩანან კონსტანტინოპოლის რამდენიმე სავანეში: ხორაში, აგიაპანტში და სხვა. ხორას მონასტერში ქართველები ლიტერატურულ საქმიანობას XI ს-ის I ნახევარში ეწეოდნენ. აქედანაა „მცირე სჯულისკანონის" 1031 წლის საყურადღებო ხელნაწერი (A 96), რომელიც გრიგოლ მთაწმიდელის დაკალებით ხორას მონასტერში დაუმზადებია კონსტანტინეპოლელ ქართველს – ბასილ მალუშის ძეს. ამ უკანასკნელს ბევრი სხვა ხელნაწერი დაუმზადებია „მამამთავარ ხაქარია ვალაშკერტელის" დაკალებით. ზაქარია (იგივე ზაქარია ბანელი) კონსტანტინეპოლის ქართული კოლონიის წარმომადგენელია. კონსტანტინეპოლის კიდევ ერთი ქართული სავანეა ცნობილი – ტრიანდაფელივი, რომლის ხსენებას მარტო ერთ ქართულ ხელნაწერში – სვიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანების „ცხოერებათა" თარგმანების კრებულში (Ath. 20) ვხვდებით. შემონახულია ვრცელი შესავალი, რომელშიც დაცულია ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები ბიზანტიური მეტაფრასტიკისა და ქართული ჰაგიოგრაფიის შესახებ. ანდერძში კი არის ცნობა, რომ XI ს-ის 80-იანი წლების დამდეგს – „კონსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოველად შუენიერსა ტრიანდაფელივს მოღვაწეობდა მწიგნობართა ჯგუფი (თეოფილე ხუცესმონაზონი, მღვდელი საბა").

ქართველობას ბიზანტიაში მხოლოდ საკანეები კი არ იზიდავდა, არამედ სასწავლებლებიც. ჯერ კიდევ გიორგი ათონელმა წაიყვანა იქ ალბაზრდელად 80 ბავშვი, ხოლო უფრო გვიან დაუთ აღმაშენებელმა გაგზავნა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად 40 ახალგაზრდა. ქალაქში იყო სახელგანთქმული უმაღლესი სკოლები, სადაც ლექციებს კითხულობდნენ თეალსაჩინო მეცნიერები (მიქაელ პსელოსი, იოანე ქსიფილინოსი, იოანე იტალოსი და სხვები). მათ სხვებთან ერთად უსმენდნენ ქართველი მღვდელნიც (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი). აქ მოემზადნენ ისინი თეოლოგიასა და ფილოსოფიაში, იქაური ტრადიციები დანერგეს ქართულ სავანეებში (შავ მთაზე, პეტრიწონში, გელათში, იყალთოში). კონსტანტინეპოლის იდეური ცენტრი იყო კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-47 წლებში დაარსებული სახელოვანი მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა. მან დიდი როლი შეასრულა ბიზანტიური კულტურის ისტორიაში. ზოგიერთი ქართველი არა მარტო სწავლობდა მანგანაში, არამედ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა (არსენ იყალთოელი). ქართველთა მოღვაწეობა კონსტანტინეპოლში მას შემდეგაც გრძელდებოდა, რაც თურქ-ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაამხეს. სხვადასხვა დროს აქ იყო რამდენიმე ქართველი მოღვაწე (სულხან-საბა ორბელიანი, ლ. ბაგრატიონი, ი. ტლაშაძე, ტ. გაბაშვილი, ი. გედეონიშვილი და სხვა). კონსტანტინეპოლში შეაესო სულხან-საბამ თავისი ლექსიკონი. აქვე მუშაობდა იგი თავის „მოგზაურობაზეც". მან შეკრიბა ცნობები ქალაქზე და მოკლე აღწერილობით შეაესო ქართული სამოგზაურო-მემუარული ლიტერატურის ეს ბრწყინვალე ნიმუში. სულხან-საბას უბის წიგნაკში ჩაწერილია საცნობარო მასალა კათოლიკური დოგმებისა და სამღვდელმსახურო წესების შესახებ. დომენტი ბაგრატიონმა აქ გადააწერინა „დიაკონ ელისეს" სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მოზრდილი კრებული (A 56). კონსტანტინეპოლში შეთხზა იესე ტლაშაძემ თავისი პოემა „კათალიკოზ-ბაქარიანი". ქალაქი 1756-57 წლებში რამდენჯერმე მოინახულა ტიმოთე გაბაშვილმა. აქ დაწერულა მან თავისი „მიმოსლვა" (H 842), აღწერა კონსტანტინეპოლი. კონსტანტინეპოლზე მოგვაწოდა ცნობები იონა გედეონიშვილმა, რომელიც 1783 წელს 4 თვეს იმყოფებოდა ქალაქში. 1819 წელს კონსტანტინეპოლი და მისი სანახები მოიხილა და აღწერა გიორგი ავალიშვილმა. ქართველების ლიტერატურულ-შეგნობრული მოღვაწეობა კონსტანტინეპოლში XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა (ლ. მენაბდე, კერები, II, გვ. 247-252). კონსტანტინეპოლში იქნა მოწვეული II (381 წ.), V (553 წ.), VI (681) მსოფლიო საეკლესიო კრებები და აგრეთვე 691 წლის განთქმული ტრულის საეკლესიო კრება.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქო – ერთ-ერთი მართლმადიდებლური ეკლესია. იგი შეიქმნა კონსტანტინეპოლის ეპარქიის ბაზაზე. ამან განაპირობა მისი ეპისკოპოსის (451 წლიდან პატრიარქი) წამყვანი მდგომარეობა მართლმადიდებლური ეკლესიის როგორც დოგმატიკურ-საკულტო, ისე საეკლესიო-ორგანიზაციულ ურთიერთობაში. 1453 წელს ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ და ბი-

ზანტიის იმპერიის დაცემამ განსაზღვრა მთელი რიგი ეკლესიების ჩამოცილება, მათი აუტოკეფალია. ოსმალებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭეს საეკლესიო საქმეებში და სამოქალაქო უფლება მართლმადიდებელ მოსახლეობაზე სახელმწიფოს ფარგლებში. 1922 წელს კონსტანტინოპოლის ეკლესიის შემადგენლობაში შეიქმნა 4 ეპარქია აშშ-ში, დას. ევროპაში, 1924 წელს – 2 ეპარქია ავსტრიაში. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იწოდება „კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსად და მსოფლიო პატრიარქად", კათედრა სტამბოლშია.

კონსტანტინეპოლის პატრიარქების სია:

1. წმ. მიტროფანე 315-325 (სხვა წყაროებით 326)
2. წმ. ალექსანდრე 325-346.
3. წმ. პაულე I 340, გაძევეს მალე (340-42 წწ.)
4. ევსევი 340-341 (341-342)
5. პაულე I მეორედ 342-344
6. მაკედონი I 341-360 (342-348)
7. პაულე I მესამედ 34-350, მაკედონი 350-360.
8. ევდოკსი 360-370 (369)
9. წმ. ევაგრე 370
10. დემოფილე 370-380 (369-379)
11. წმ. გრიგოლი I 381, უარი თქვა (379-381)
12. მაქსიმე I 381
13. წმ. ნექტარი 381-397
14. წმ. იოანე I ქრიზოსტომი 398-404
15. წმ. არსაკი 404-405
16. წმ. ატიკი 406-425
17. წმ. სისინიუსი I 426-427
18. ნესტორი 428-431
19. წმ. მაქსიმიანე 431-434
20. წმ. პროკლე 434-447 (446)
21. წმ. ფლავიანე I 446-449
22. წმ. ანატოლი 449-458
23. წმ. გენადი (ღენადი) 458-471
24. აკაკი 472-489
25. ფრაიტი//ფლაიტი; ფრავიტასი (სხვა წყაროებით ფლავიანე II 489-490)
26. ევფემიოსი (ექვთიმე) 490-496
27. წმ. მაკედონი II 496!521
28. ტიმოთე I 511-518
29. წმ. იოანე II კაპადოკიელი 518-520
30. წმ. ეპიფანე 520-535 (536)
31. ანთიმი I 535-552
32. წმ. მინა 536-552
33. წმ. ეუტიხი 552-565 (566)
34. წმ. იოანე III სქოლასტი 565-577
35. წმ. ეუტიხი მეორედ 577-582
36. წმ. იოანე IV მმარხველი 582-595
37. წმ. კირიაკი 595-606
38. წმ. თომა I 607-610
39. სერგი I 610-638
40. პიროსი 639-642
41. პაულე II 641-653 (652)
42. პიროსი (მეორედ) 654
43. პიური 654-666 (652-668)
44. წმ. თომა II 667-669 (665-668)
45. წმ. იოანე V 669-675 (668-674)
46. წმ. კონსტანტინე I 675-677
47. წმ. თეოდორე I 677-679
48. წმ. გეორგი I 679-686
49. წმ. თეოდორე მეორედ 686-687
50. პაულე III 688-694
51. წმ. კალინიკე I 694-706
52. წმ. კირი (კიროსი) 706-712)
53. იოანე VI (სხვა წყაროებით წმინდანი) 712-715
54. წმ. გერმანე I 715-73-
55. ანასტასი 730-754
56. კონსტანტინე II 754-766
57. ნიკიტა I 766-780
58. წმ. პაულე IV 780-784
59. წმ. ტარასი 784-806
60. წმ. ნიკიფორე I 806-815+828
61. წმ. თეოდორე I კასიტერი 815-821
62. ანტონი I 821-873 (სხვა წყაროებით 834)
63. იოანე VII გრამატიკოსი 837-843
64. წმ. მეთოდე I 843-847
65. წმ. იგნატი 847-858
66. წმ. ფოტი 858-867
67. წმ. იგნატი მეორედ 867-877 ან 878
68. წმ. ფოტი მეორედ 877-886
69. წმ. სტეფანე I 886-893
70. წმ. ანტონი ი II კაულეასი 893-895 (გრუმელით 893-901)
71. წმ. ნიკოლოზ I მისტიკოსი (901-907)
72. წმ. ევთიმი (ექვთიმე) I 907-912
73. წმ. ნიკოლოზ მისტიკოსი მეორედ 911-925 (გრუმელით 912-925)
74. წმ. სტეფანე II 925-928 (ი-" 925-927)
75. წმ. ტრიფონ 928-931 (-ი- 927-931)
76. ეკლესიის ქვრივობა 931-933
77. თეოფილაქტე 933-956

78. წმ. პოლიეექტი 956-970
79. ვასილი I სკამანდრენოსი 970-974
80. ანტონი III სტუდიტი 974-979 (980)
81. წმ. ნიკოლოზ II ქრისობერგოსი 983-996 (984-985) (გრუმელით 979-991)
82. ეკლესიის ქვრივობა – 991-996
83. სისინიოსი III (995-998)
84. წმ. სერგი II მანუილიტი 999-1019 (გრუმელით 1001-1019)
85. წმ. ევსტათე 1019 ან 1020-1025
86. ალექსი სტუდიტი 1025-1043
87. მიხეილ I კერულარი 1043-1058
88. კონსტანტინე III ლიხუდი 1059-1063
89. იოანე VIII ქსიფილინი (ქსიფილინოსი) 1064-1075
90. წმ. კოზმა II იერუსალიმელი 1075-1081 (გრუმელით კოზმა I)
91. ევსტრატი გარიდა 1081-1084
92. ნიკოლოზ III გრამატიკოსი 1084-1111
93. იოანე IX აგაპეტოსი 1111-1134
94. წმ. ლეონ სტიპიოტი 1134-1143
95. მიხეილ II კურკუასი II 1143-11466
96. კოზმა II ატიკი 1146-1147
97. ნიკოლოზ IV მუზალონი 1147 ან 1148-1151
98. თეოდოტე II 1151-1153
99. ნეოფიტე I – რამდენიმე თვე (1153-1154)
100. კონსტანტინე IV-ლიხუდი (ხლიარენი) 1154-1156 (1154-1157))
101. ლუკა ქრისობერგოსი 1156-1169 (გრუმელით 1157-1170)
102. მიხეილ III ანხიალოსი 1169-1177 (1170-1178)
103. ხარიტონ ევგენიოტი 1177-1178 (1178-1179)
104. თეოდოსე I ბორადიოტი 1178-1183 (-□-1179-1183)
105. ბასილი II კამატეროსი 1183-1186
106. ნიკიტა II მუნტანი 1186-1189 (1187-1190)
107. დოსითეოს იერუსალიმელი 9 დღე (1189)
108. ლეონტი 1190 (7 თვე, 1190-1191 (გრუმელით 1189)
109. დოსითეოსი მეორედ 1190-1191 (1191-1192 (გრუმელით 1189-1191)
110. გეორგი II ქსიფილინოსი 1191-1198 (1192-1199)
111. იოანე X კამატეროსი 1198-1206 (1199-1206)
112. მიხეილ IV ავტორიანოსი 1206-1212 (გრუმელით 1208-1214)
113. თეოდორე II ირინიკოსი 1213-1215 (1214-1216)
114. მაქსიმე II 1212-1222 (1215-1222) (1215)
115. ა. გრუმელით: მანუელ I სარანტენოსი 1217-1222
116. გერმანე II 1222-1240
117. მეთოდე II 1240 (სამი თვე)
118. ეკლესიის ქვრივობა 1240-1243 (1244)
119. მანუილი II 1243-1255 (1244-1255) (გრუმელით 1244-1254)
120. არსენი ავტორიანოსი 1255-1260 (გრუმელით) 1255-1259)
121. ნიკიფორე II 1260-1261 (გრუმელით 1260 იანვრიდან წლის ბოლომდე)
122. არსენი მეორედ 1261-1266 (1261-1265)
123. გერმანე III 1266-1267 (1265-1266)
124. იოსებ I 1267-1274 (1268-1275) (1266-1275)
125. იოანე XI ბეკოსი 1276-1282 (გრუმელით 1275-1282)
126. იოსებ I მეორედ 1282-1283
127. გრიგოლ III კიპრელი 1283-1289
128. ათანასე I 1289-1293
129. იოანე XII კოზმა 1294-1303
130. ათანასე მეორედ 1303-1311 (გრუმელით 1303-1309)
131. ეკლესიის ქვრივობა 1311-1313
132. ნიფონტ I 1313-1315 (1311-1314) (გრუმელით 1310-1314)
133. იოანე XIII გოიკოსი 1316-1315-1319
134. გერასიმე I 1320-1321
135. ეკლესიის ქვრივობა 1321-1323
136. ისაია 1323: 1333 (1334) (გრუმელით 1323-1332)
137. იოანე XIV აპრენი 1333-1347 (გრუმელით 1334-1347)
138. ისიდორე 1347-1349 (1347-1350)
139. კალისტე მთაწმინდელი 1350-1354 (1350-1353)
140. ფილოთეოსი კორკინოსი 1354-1355 (1353-1355)
141. კალისტე I მეორედ 1355-1362 (1363)
142. ფილოთეოსი ხელასხლა – 1362-1376 (1364-1376)
143. მაკარიოსი 1376-1378 (1379)
144. ნილი 1378-1388 (1380-1388) (გრუმელით 1379-1388)
145. ანტონი IV 1388-1395 (1389-1390)

146. მაკარიოსი ხელმეორედ 1390-1391
147. ანტონი ხელმეორედ 1391-1397
148. კალისტე II ხანთონულოსი 1396 (1397)
149. მათე I 1397-1410
150. ექვთიმე II 1410-1416
151. იოსებ II 1416-1439
152. მიტროფანე II 1440-1443
153. გრიგოლ III მელისინი 1445-1450 (გრუმელით 1443-1450)
154. ათანასე II 1450 (ქრიზობა – 1450-1454)
155. გენადი II სქოლარი 1453-1460 (1454-1456)
156. ისიდორე ქსანფოპულოსი II 1460-1465 (1456-1463) (გრუმელით 1456-1462)
157. სოფრონი I 1465-1466 (1463-1464)
158. ა. გენადი II – მესამედ 1464-1465
159. იოსებ I 1466-1469 (1464-1466) (გრუმელით 1465-1466)
160. მარკოზ II 1469-1470 (1466-1467)
161. სვიმეონ I ტრაპიზონელი 1470-1473 (გედეონთან არაა) (გრუმელით 1466-1471)
162. დიონისე I 1473-1478 (1467-1472) (-□- 1467-1471)
163. სვიმეონ I ხელმეორედ 1478-1481 (პირველად 1472-1475) (გრუმელით: 1471-1474)
164. რაფაელ I – ერთი წელი (1475-1476)
165. მაქსიმე II – 6 წელი – 1482-1483 (1476-1482)
166. სვიმეონ I ხელმეორედ 1482-1486
167. ნიფონტი II 1488-1490 (1486-1489 (გრუმელით 1486-1488)
168. დიონისე I მეორედ 1490-1493 (1489-1491) (-□- 1488-1490)
169. მაქსიმე III (IV) 1493-1499 (1491-1497)
170. ნიფონტი II ხელმეორედ 1499-1506 (1497-1498)
171. იოაკიმე I 1550-1504 (1498-1502)
172. ნიფონტი მესამედ 1502
173. პახომი I 1504-1505 (1503-1504)
174. იოაკიმე I მეორედ 1505-1506 (1504-1505 (გრუმელით 1504)
175. პახომი I მეორედ 1506-1511 (1505-1514) (1504-1513)
176. თეოლეპტი I 1511-1520 (1514-1520) (1513-1522)
177. იერემია I 1520-1523 (1520-1522) (1522-1545)
178. იოანიკე I, უკანონოდ არჩეული და მალევე გადაყენებული (1523 ან 1524) (გრუმელით 1526)
179. იერემია I მეორედ 1523-1540 (1523 ან 1524-1537)
180. დიონისე II 1543-1551 (1537)
181. იერემია მესამედ 1537-1595
182. დიონისე II ხელმეორედ 1545-1555 (1546-1554)
183. იოასაფი II 1551-1565 (1555-1569) (გრუმელით 1554-1565)
184. მიტროფანე III 1565-1572
185. იერემია II 1572-1579
186. მიტროფანე III მეორედ 1579-1580
187. იერემია II □□- 1580-1584
188. პახომი II 1584-1585
189. თეოლეპტი II 1585-1586
190. იერემია II მესამედ 1586-1594 (1595) (1587-1595)
191. მათე II – 17-19 დღე (1596)
192. გაბრიელ I 5-6 თვე (1596)
193. თეოანე I. 6-7 თვე (1596-1597) (1597)
194. მელეტი I პიგასი ალექსანდრიელი ერთ წლამდე (1597-1599) (1598)
195. მათე II მეორედ 1596-1600 (1599-1602) (გრუმელით 1601-1602)
196. ნეოფიტე II 1600-1601 (1602-1603)
197. მათე II მესამედ 15 დღე (გედეონთან არაა) (1603)
198. რაფაელ II ხუთანაწყარი წელი, განიდევნა 1608 წ. (1603-1607)
199. ნეოფიტე II ხელმეორედ 1608-1613 (1607-1612)
200. კირილე I ლუკარისი, როგორც მმართველი 1613-1614 (1612)
201. ტიმოთე II (1614-1621) (გრუმელით 1612-1620)
202. კირილე I ლუკარისი 1621-1623 (1620-1623)
203. გრიგოლ IV 73 დღე (1623)
204. ანთიმოზ II 60-70 დღე 1623
205. კირილე I მეორედ (თუ მესამედ) 1624-1632 (1623-1630) გრუმელით 1623-1633
206. ისააკი 1630
207. კირილე II კონტარი 6-7 დღე (1633)
208. კირილე I მესამედ (თუ მეოთხედ) 1632-1633 (1630-1634) გრუმელით 1633-1634
209. ათანასე III პატელიარი 30-40 დღე (1634)
210. კირილე I 4(5)-ჯერ 1633-1634 (1634-1635)

211. ათანასე III მეორეჯერ 1634-1635 (გედეონთან არაა)
212. ნეოფიტე III 1636-15637
213. კირილე I მეექვსედ 1637-1638
214. კირილე II მესამედ 1638-1639
215. პართენი I 1639-1644
216. პართენი II 1644-1646 (1645)
217. იოანიკე II 1646-1647 (1648)
218. პართენი II მეორედ 1647-1650 (1648-1651)
219. იოანიკე II მეორედ 1650-1651 (1651-1652)
220. კირილე III 20 დღე (1652)
221. ათანასე III მესამედ 15 დღე (1652)
222. პაისი I წელი და 9 დღე (1652-1653)
223. იოანიკე II მესამედ 1653-1655 (1654)
224. კირილე III მეორედ 14 დღე (1654)
225. პაისი მეორედ 11 თვე (1654-1655)
226. იოანიკე მეოთხედ (1655-1656)
227. პართენი III 1656-1657
228. გაბრიელ II 12 დღე (1657)
229. პართენი IV 1657-1660 (1662)
230. დიონისე III 1660-1665 (1662-2665)
231. პართენი IV მეორედ 1665-1667 (166)
232. კლიმენტი 1668-1669 (1667)
233. მეთოდი III 1669-1671 (1668-1671)
234. პართენი IV მესამედ 1671-1672 (1671)
235. დიონისე IV 1672-1673 (1671-1673)
236. გერასიმე II 1673-1675 (1671-1673)
237. გერასიმე II 1673-1675 (1674)
238. პართენი IV მეოთხედ 1675-1676 დიონისე IV მეორედ 1676-1679
239. ათანასე IV 12-14 დღე (1679)
240. იაკობი 1679-1682 (1683)
241. დიონისე IV მესამედ 1682-1684
242. პართენი IV მეხუთედ 1684-1685
243. იაკობი მეორედ 1685-1686
244. დიონისე IV მეოთხედ ორი თვე (1686-1687)
245. იაკობი მესამედ 1686-1690 (1687-1688)
246. კალინიკე II 1690-1691 (1688)
247. ნეოფიტე IV 3 თვე 1688-1689
248. კალინიკე II მეორედ 1691-1693 (1689-1693)
249. დიონისე IV მეხუთედ 1693-1694
250. კალინიკე II მესამედ 1694-1702
251. გაბრიელ III 1702-1707
252. ნეოფიტე V არჩეული იყო და არა დამტკიცებული
253. კიპრიანე 1708-1710 (1708-1709) გრუმელით 1707-1709
254. ათანასე V 1710-1711 (1709-1711)
255. კირილე IV 1711-1713
256. კიპრიანე მეორედ 4 თვე (1713-1714)
257. კოზმა III 1713-1715 (1714-1716)
258. იერემია III 1715-1726 (1716-1726)
259. კალინიკე III არჩევის დღესვე გარდაიცვალა სიხარულისაგან.
260. პაისი II 1726-1732 (1726-1733)
261. იერემია III მეორედ 1732-1733 (1733)
262. სერაფიმე I 1733-1740
263. ნეოფიტე VI 1734-1740
264. პაისი II მეორედ 1740-1742 (1743)
265. ნეოფიტე VI მეორედ 1742-1744 (1743-1744)
266. პაისი II მესამედ 1741-1748
267. კირილე V 1748-1751
268. პაისი II მეოთხედ 1751-1752
269. კირილე V მეორედ 1752-1757
270. კალინიკე IV 1757
271. სერაფიმე II 1760-1764 (1761-1763) გრუმელით 1757-1761? გრუმელით: იოანიკე VI – 1761-1763
272. სამოელ I 1764-1768 (1763-1768)
273. მელეტი II 1768-1769
274. თეოდოსი II 1769-1773
275. სამოელ I მეორედ 1773-1774
276. სოფრონ II 1774-1780
277. გაბრიელ IV 1780-1784 (1785)
278. პროკოფი 1784-1789 (1785-1789)
279. ნეოფიტე VII 1789-1794
280. გერასიმე III 1794-1797
281. გრიგოლ V 1797-1899 (1798)
282. ნეოფიტე VII მეორედ 1799-1801 (1798-1801)
283. კალინიკე V 1801-1806
284. გრიგოლ V მეორედ 1806-1808
285. კალინიკე IV მეორედ 1808-1809
286. იერემია IV 1809-1813
287. კირილე VI 1813-1818
288. გრიგოლ V მესამედ 1819-1821 (1818-1821)
289. ევგენი II 1821-1822
290. ანთიმოზ III 1822-1824
291. ქრისანთი I 1824-1826
292. აგათანგელი – 1826-1830
293. კონსტანცი I 1830-1834
294. კონსტანცი II 1834-1835
295. გრიგოლ V 1835-1840
296. ანთიმოზ IV 1840-1841

297. ანთიმოზ V 1841-1845 (1841-1842)
298. მელეტი III 7 თვე (გედეონთან არაა)
299. გერმანე IV (1842-1845)
300. მელეტი 1845
301. ანთიმოზ VI 1845-1848
302. ანთიმოზ VI მეორედ 1848-1852
303. გერმანე IV მეორედ 1852-1853
304. ანთიმოზ VI მაორედ 1853-1855
305. კირილე VII 1855-1860
306. იოაკიმე II 1860-1863
307. სოფრონ II 1863-1866
308. სოფრონ II 1863-1866
309. გრიგოლ VI მეორედ 1867-1871
310. ანთიმოზ VI მესამედ 1871-1873
311. იოაკიმე II მეორედ 1873-1878
312. იოაკიმე III 1878-1884
313. იოაკიმე IV 1884-1886
314. დიონისე V 1886-1891
315. ნეოფიტე VIII 1891-1894
316. ანთიმოზ VIII 1894-1897
317. კონსტანტინე V 1897-1901

კონსტანტინეპოლის 394 წ. ადგილობრივი კრება – იგი შედგა ორი ეპისკოპოსის – აღაპისა და ბაღადის შორის ამტყდარი დავის გადასაწყვეტად. დავა დაიწყო იმის გამო, თუ ვინ დაიკავებდა მათ შორის მიტროპოლიტის კათედრას არაბეთის ქალაქ ბოსტრაში. ბოსტრის ეპისკოპოსად აურჩევიათ ბაღადი, რომელიც შეშდეგ რაღაც დანაშაულისათვის გადაუყენებია ორ ეპისკოპოსს და მის ადგილას გადაუწყვეტიათ აღაპის დასმა. ბაღადიმ საჩივრით მიმართა კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებას. ანკირიის ეპისკოპოსმა წინადადება შემოიტანა, რომ გარჩეულიყო საქმე და მომავლისათვის შეემუშავებინათ წესი ეპისკოპოსთა დანიშვნისა და გადაყენების შესახებ, რომელსაც კანონის ძალა ექნებოდა.

კრებაში მონაწილეობდა ნექტარ კონსტანტინეპოლელი, თეოფილე ალექსანდრიელი, კლავიანე ანტიოქიელი და 17 ეპისკოპოსი. თავმჯდომარეობდა ნექტარი. საკითხის ყოველშრივ გარჩევის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა, რომ ორ ეპისკოპოსს არ შეუძლია დანიშნოს, ან გადააყენოს ეპისკოპოსი, ამიტომ ორი ეპისკოპოსის საქციელი ჩათვალა უკანონოდ და დადგინა, რომ ეპისკოპოსის დანიშვნა-გადაყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მთელი კრების თანხმობის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა ეპარქიის ეპისკოპოსი, ყოველ შემთხვევაში სამზე მეტი. „კონსტანტინეპოლის შინა კრებისა მიერ ქმნილთა მოსკენებულთაგან აღაპისთჳს და ვალადისთჳს, რომელნი უძღებოდეს ურთიერთას საეპისკოპოსოსა ზედა ბოსტრისასა“, რომელსაც ერთი კანონის ფორმა აქვს, შეტანილია „დიდ სჯულისკანონში“ (გამოც. გვ. 363-365).

კონსტანტინეპოლის 861 წ. ადგილობრივი კრება – ეს კრება თავისი შედეგებით ყველაზე მნელეარე და საეალალო იყო ეკლესიისათვის. საქმე ეხებოდა პატრიარქ იგნატის ადგილას პატრიარქ ფოტის არჩევას. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია აღმოსავლეთში. პაპი იძულებული გახდა ჩარეულიყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შინაურ საქმეებში. ამასთანავე ხატმებრძოლობა, რომელიც ეკლესიის მიერ უკვე დაგმობილად ითვლებოდა, ყველა აღშფოთებდა მას. ამიტომ ხატთმებრძოლეობის საბოლოოდ დათრგუნვასა და ეკლესიაში საბოლოოდ წესრიგის დამყარების მიზნით გადაწყდა ეპისკოპოსთა კრების მოწვევა. კრებას ესწრებოდა იმპერატორი მიხეილ III და 318 ეპისკოპოსი, რომის პაპს ლეგატები წარმოადგენდნენ. პირველ სხდომაზე კრებამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება. ამ საკითხს ორი სხდომა დასჭირდა, რის გამოც იგი ცნობილია პირველ-მეორე კრებად. მეორე სხდომაზე გაიკიცხა ხატთმებრძოლობა, შემდეგ აღიარეს ფოტის არჩევის კანონიერება. გამოიცა 17 წესი საეკლესიო დისციპლინების შესახებ. ისინი შესულია ძირითად კანონთა კრებულში და „დიდ სჯულისკანონში“ (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 437-446).

კონსტანტინეპოლის 879 წ. ადგილობრივი საეკლესიო კრება – იგი შედგა წმ. სოფიის ტაძარში. 861 წლის კრებით დამყარებული წესრიგი გარკვეული მიზეზების გამო მყარი ვერ აღმოჩნდა. პატრიარქ იგნატის სიკვდილის შემდეგ პაპი იოანე VIII ადის ტახტზე, რაც თავის მხრივ გულისხმობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შერიგებას. თავისი მნიშვნელობით ეს კრება მსოფლიო კრებას უტოლდება. ასეთად იწოდება იგი დასავლეთის ეკლესიებში. იოანე VIII-სა და, საერთოდ, რომის ეკლესიის ინტერესებში იყო, რომ დასავლური ეკლესია არ მოწყვეტოდა აღმოსავლეთისას. სწორედ ამ შერიგებას მიეძღვნა ეს კრება, რომელსაც 383 მამა და პაპის სამი ლეგატი ესწრებოდა. კრებაზე საზეიმოდ აღიარეს შერიგების ფაქტი და გამოიცა 3 წესი, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა (იხ.„დიდი სჯულისკანონი“, გვ. 447).

კონსტანტინეპოლის მსოფლიო

II საეკლესიო კრება – მოწვეული იყო 381 წელს ეპისკოპოს მაკედონის წვალების აღმოსაფხვრელად. კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა თხოვნით მოიწვია იმპერატორმა თეოდოსი I-მა. კრების მსჯელობის საგანი მარტო მაკედონის და მის მიმდევართა მწვალებლობა კი არ იყო, არამედ ყოველგვარი ერესი. კრების გახსნას დაესწრო იმპერატორი თეოდოსი. მასში მონაწილეობდა აღმოსავლეთის ყველა ეკლესიის ეპისკოპოსი (150), მათ შორის იყვნენ გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. კრებას თავმჯდომარეობდა ჯერ მელეტი ანტიოქელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ნექტარ კონსტანტინოპოლელი (381-397). თავისი შედგენილობით იგი იყო ადგილობრივი, მაგრამ, როცა კრება შეუდგა ქრისტიანობის დოგმატური საკითხების განხილვასა და განსაზღვრას და ეს განსაზღვრებები გაიზიარა და მიიღო ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ, მას მიენიჭა მსოფლიო კრების მნიშვნელობა. მართალია, კრების აქტები არაა შემორჩენილი, მაგრამ სურათის აღდგენა შესაძლებელი ხდება გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომებით, რომლებშიც დაწერილებითაა აღწერილი ამ კრების მიმდინარეობა. გრიგოლ ნაზიანზელმა ამ კრებაზე წარმოთქვა თავისი ცნობილი გამოსათხოვარი სიტყვა. იგი კონსტანტინოპოლის მთაყარეპისკოპოსობიდან გადადგა, რადგან ზოგიერთმა ეპისკოპოსმა მისი ხელდასხმა ამ კათედრაზე საეკლესიო წესების დარღვევად მიიჩნია (გრიგოლი ნაზიანზის ეპისკოპოსად იყო ხელდასხმული და მისი მიტოვების უფლება საეკლესიო კანონმდებლობით არ ჰქონდა). კრებაში მონაწილეობას ღებულობდა 36 მაკედონელი ეპისკოპოსი. როგორც კი კრება შეუდგა ნიკეის სიმბოლოს დაკანონებასა და მის დამკვიდრებას, მაკედონელმა ეპისკოპოსებმა დატოვეს კრება. კრებამ გადაწყვიტა ის საკითხიც, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი. მაკედონის შეჩვენების შემდეგ ნიკეის რწმენის სიმბოლოს დაერთო დამატება. დადგინდა 7 წესი, რომელიც შევიდა ძირითად კანონიკურ კრებულში, რომელიც თარგმნილია ქართულად „დიდი სჯულისკანონის“ სახელით და მასში კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრების კანონებიცაა შეტანილი (გვ. 260-264).

კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრება – იგი შედგა 553 წელს; კრება მოიწვია იმპერატორმა იუსტინიანემ ე. წ. „სამი თავის“ განხილვის მიზნით. კრებას თავმჯდომარეობდა ეუტიხი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი. კრებას ესწრებოდა 164 ეპისკოპოსი (თავიდან 150, შემდეგ ნელ-ნელა იესებოდა). რომის პაპა ვიგილიუსმა ავადმყოფობის გამო უარი თქვა კრებაში მონაწილეობაზე. საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მიცვალებულთა საეკლესიო გაკიცხვა, დადებითად გადაწყდა. თეოდორე მოფსუეტელის, თეოდორე კეირელის და ივა ედესელის თხზულებებში კრებამ აღმოაჩინა ნესტორიანული წვალების ნიშნები. უკანასკნელ სხდომაზე გამოტანილ იქნა განაჩენი „სამი თავის“ შესახებ. დაადგინეს – დაიგმოს სამი პიროვნება: თეოდორე მოფსუეტელი, თეოდორიტე კეირელი და ივა ედესელი, აგრეთვე მათი თხზულებები. ამასთანავე კრებამ მოკლედ შეაჯამა რწმენის აღმსარებლობის საკითხი, გამოთქვა თავისი თანხმობა წინა კრებების დადგენილებების თაობაზე და შეაჩვენა არიოსი, მაკედონი, ნესტორი და ორიგენე. „სამი თავის“ თაობაზე დადგენილებამ ბოლო მოუღო აღმოსავლეთში დიდი ხნის უთანხმოებას. დასავლეთში კრების დადგენილება ნახევარი საუკუნის შემდეგ მიიღეს. კრებას დისციპლინარული კანონები არ დაუდგენია.

კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრება – მოწვეულ იქნა 680 წელს იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის მიერ მონოთელიტების მოძღვრებასთან დაკავშირებით. მონოთელიტები ქადაგებდნენ, რომ ქრისტეში განხორციელებული იყო ერთი ნება – ღვთაებრივი, ერთი ღვთაებრივი სურვილი, ხოლო ადამიანური ნება და ქმედება ღმერთკაცში არ იყო. იმპერატორები ჰერაკლე და კონსტანტინე II ამ მოძღვრების მიმდევრები იყვნენ და იმედოვნებდნენ, რომ მონოთელიზმის საშუალებით ეკლესიას შემოუერთებდნენ მონოფიზიტებს. ამის შესახებ პერაკლემ დოკტრინაც შეიმუშავა – „ექსთესისი“. მსგავსი თხზულება გამოსცა კონსტანტინემაც (ნიმუში – ტომოსი) მონოთელიტობის გასაურცელებლად ძალადობასაც მიმართავდნენ (მაქსიმე აღმსარებელი და პაპი მარტინი სასტიკად აწამეს). კონსტანტინეს მემკვიდრე იძულებული გახდა მოეწვია კრება, რომელსაც ესწრებოდნენ კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქები, აგრეთვე რომის პაპის 3 ლეგატი, სულ 135 წეერი. კრება მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩატარდა 18 სხდომა. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი აღიარებული მონოთელიტი იყო. მან კრებას წარუდგინა წერილობითი მოხსენება, რომლის განხილვის დროს

აშკარა გახდა, რომ მამათა მოწმობები მაკარის არ მოპქონდა სრულად და სწორად. კრებამ დაგმო მაკარის თხზულება, როგორც მწვალებლური. მას ჩამოართვეს კათედრა და გააძევეს კონსტანტინეპოლიდან. კრებაზე გაცხოველებული კამათი დაიწყო ქრისტოლოგიურ საკითხზე. საბოლოოდ კრებამ ალიარა ქრისტეში ორი ბუნება, ორი ნება, ღიღნდ დასძინა, რომ ადამიანური ნება უთმობს, მაგრამ არ ეწინააღმდეგება, არ ებრძვის ღვთაებრივს, არამედ ექვემდებარება უფლის ყოელისშემძლე ნებას. კრებას დისციპლინარული კანონები არ მოულია.

კონსტანტინეპოლის „გუმბაზდსა შინა“ კრების (691 წ.) კანონები – იხ. ტრულის საეკლესიო კრება.

კონსტანტინე ტიოელი – VII ს. საეკლესიო მწერალი და ეპისკოპოსი, ავტორი თხზულებისა „თქუმული პოვნისათუს ნაწილთა ყოელად ქებულისა მოწამისა უფემიაჲსათა“, რომელიც მას გიორგი ამპატრიელ ეპისკოპოსის ბრძანებით დაუწერია. თარგმნილია ქართულად (Ath. 7. XIII ს., 233-242).

კონფესიონალიზმი – თვალსაზრისი, რომელიც საუბებით ეგუება და შეესაბამება ამა თუ იმ ეკლესიის წესებსა და კანონებს, ანუ მის მოძღვრებას. იგი უპირისპირდება ლიბერალიზმს რელიგიის სფეროში. ყველაზე ხშირად ეს ტერმინი იხმარებოდა ლეონტი „ერთმოქმედის“ მიმდევართა მიმართ.

კონძი (ბერძ.) – ეკლესიის ნახევარწრიული ნაწილის მეოთხედ-სფერული მოჟანილობის გადახურვა, ნახევარგუმბათი. ფართოდ გამოიყენებოდა რომაულ და ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში, შუა საუკუნეთა ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებში. პირველად იგი გაჩნდა აღმოსავლურ-ელინისტურ არქიტექტურაში. კონქს ხშირად ამკობდნენ მოზატულობით, რომელზედაც გამოსახავდნენ ღვთისმშობელს, ანდა სხვა ქრისტიან წმინდანებს.

კოპალა – წარმართული, წინარექრისტიანული სათეო ღვთაება აღმ. საქართველოს მთაში. მისი ძირითადი სამლოცველო იყო ფშაუხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში და ქართლ-კახეთის ჩრდილო ზოლში. მორწმუნეთა წარმოდგენით იგი არის გაღეთისშეელებული მიწიერი არსება, რომელსაც იახსართან ერთად მორიგე ღმერთმა დევ-კერპების განადგურება დაავალა. კოპალას ფუნქცია არის ბრძოლა ავ სულებთან, ავი სულებისა და ბოროტი ძალებისაგან ადამიანის დაცვა და მფარველობა. მას პქონდა საკუთარი მამულები, სათიბები, ეკოგი და ზერები, პქონდა ასევე საკულტო ნაგებობები და მისთანანი. კოპალა ანტროპომორფული ღვთაებაა. ეს სათემო ღვთაება, დღევანდ მოჭიდავე ლახტიანი ღვთისშეილი, საკაობრიო რანგში ადის ბოროტებასთან ბრძოლის ფართო მასშტაბურობით. კოპალას ზოომორფული ბუნება თუშურ ლექსში ჩანს კარგად: „ირემ ეგრონე რქიანი“ – ირმის რქიანი გმირია. მის სახელთან მრავალი ადგილი და სალოცავებია დაკავშირებული.

ქოპი – სოფელი ისტორიული ოლთისის მხარეში; ბარდულის წყლის პირას ბერი მღვიმეა და ერთ-ერთი მღვიმის პირას, კლდის ნაპრალზე აშენებულია თლილი ქვის ეკლესია, შემკული ლამაზი ჩუქურთმებით. ეკლესიის ჩრდ-ის ნაწილი და აღმ. კედლის ნაწილი კლდეზეა მიშენებული. აქვს ერთი შესასვლელი სამხ-ით.

კორბო ვირჯილიო – იტალიელი არქეოლოგი, ფრანცისკანელი მინორიტების ორდენის პატრი. ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს პალესტინაში (1946 წლიდან), ბეთლეემის მახლობლად. მან იუდეს უდაბნოში გათხარა V-VI სს-ის ქართული მონასტრის ნანგრევები, ე. წ. „ლაზთა მონასტერი“ ქართული წარწერებით. კორბოს ცნობით, ქართული მონასტერი მეტად თავისებურია გეგმითა და გარემოცულობით, საწურაუების მოწყობილობით ღვინისა და ზეთისხილის პროდუქტებისათვის, რაც დიდ სამეურნეო საქმიანობაზე მეუთითებს. ამ მხრივ, მისი სიტყვით, აქ მოღვაწე ბერების საქმიანობა განსაკუთრებულად გამოიყურება იუდეის სხვა მონასტრების ბერებთან შედარებით. წარწერებისა და ქვების საშუალებით ძეგლს იგი VI საუკუნით ათარიღებს. კორბოს მიერ გათხრილი ქართული მონასტერი მდებარეობს ბირ-ელ-კუთთის მიდამოებში, ხირბეთ სიდარ ალ-ღანამის ჩრდ.-ით, ფართო ტაფობის ერთ ფერდობზე. იგი წარმოადგენს კვადრატული ფორმის ნაგებობათა კომპლექსს, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან ერთვის ეკლესია; საშხრეთით მოთავსებული ყოფილა ეკვეტერი, რომლის იატაკი, მსგავსად მონასტრისა, მოზაიკით ყოფილა დაფარული. აღმ. ნაწილში მოთავსებულია ქართული წარწერა (5 სტრიქონიანი). მონასტრის წარწერებს სპეციალური წერილი უძღვნა ქართველ კულტურისა და მწერლობის გამოჩენილმა მკვლევარმა მიქელ თარხნიშვილმა (1954), რომელსაც ქართველ საბჭოთა მეცნიერებიც გამოეხმაურნენ (ალ. გამყრელიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, კ.

კეკელიძე), ხოლო 1960 წლის უძველეს ქართულ წარწერებს პალესტინიდან სპეციალური ნაშრომი უძღვნა აკად. გ. წერეთელმა. მონასტრის 4 მოზაიკური ქართულ წარწერას, რომელიც აღმოჩნდა მონასტრის იატაკზე, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისა და დამწერლობის ცნობილ ქართულ წარწერათა შორის.

კორიდეთი – სოფელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ართვინის მხარეში, ძანსულის თემში, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის, მურღულას ნაპირზე. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. კორიდეთის ბერძნული ოთხთავი კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიის კუთვნილება იყო და სახელწოდებაც აქიდან მიიღო. ოთხთავი გადაწერილია IX ს-ში. XI ს-ში იგი შეუმოსავს ვინმე პიტირიონს (73). XIII ს-ში იგი ხელახლა შეუკაზმავთ ერისთავთ-ერისთავის, ბეშქენის ბრძანებით. სოფელში ოთხთავი ინახებოდა XIV საუკუნემდე. მერე იგი გადაიტანეს სვანეთში, სოფ. ლაგურკაში, წმ. კვირიკეს X-XI ს-ის ეკლესიაში. 1853 წელს ოთხთავი სვანეთში ნახა ბართოლომეიმ; 1860 წელს მას გაეცნო დ. ბაქრაძე. 1869 წელს გრაფმა ლევაშოვმა 50 მან. გირაოთი წამოიღო ლაგურკიდან. 1870 წელს ოთხთავი ჰქონდა გრაფ პანინს პეტერბურგში, სადაც მას გაეცნო მარი ბროსე. იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის (გერასიმე ქიქოძის) ჩარევით ხელნაწერი დააბრუნეს საქართველოში. იგი გელათის მონასტერში ინახებოდა. 1901 წელს კირიონ ეპისკოპოსმა, რომელიც იმჟამად საქართველოს საეგზარქოსოს დროებითი მმართველი იყო, ოთხთავი გელათიდან თბილისში, საეკლესიო მუზეუმში გადმოიტანა (993). 1904 წელს მისი გამოცემა გადაწყვიტა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. ამ მიზნით საზოგადოების თაემჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ხელნაწერი უკვე აღარ დახვდა ადგილზე, რადგან ხელნაწერი სამუშაოდ გადაგზავნილი იყო ქ. ლაიფციგში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ხელნაწერი კელავ საეკლესიო მუზეუმში მოათავსეს. ამჟამად ოთხთავი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში 28. ოთხთავის ქართული მინაწერები შეისწავლა და გამოსცა ნ. მარმა, ხოლო ხელნაწერთა აშიებზე მოთავსებული ქართული საბუთების დათარიღება პირველად მ. ჯანაშვილმა წარმოადგინა. კორიდეთის ოთხთავის შესახებ სპეციალური წერილი ეკუთვნის აკად. გ. წერეთელს, ხოლო წიგნად გამოაქვეყნა ე. სილოგავამ.

კორობეინიკოვი ტრიფონ – XVI საუკუნის რუსი მოგზაური. მოგზაურობის დროს მას დაუვლია იერუსალიმის უმთავრესი მოქმედი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის ქართული მონასტრებიც. 1593 წ. კორობეინიკოვს შესაწირავი შეუწირავს აღდგომის ეკლესიის ქართული სამწირველოსათვის, ჯვარის მონასტრისათვის, თეოდორე სტრატილატის, ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა და წმ. თეკლას მონასტრებისათვის. (იხ. По св. местам Востока, ППС, 27 (IX, 9), 1889, с. 44-45; ლ. მენაბდე, კერები II).

კორინთო – აქაიის დედაქალაქი. აქ იქადაგა პაულე მოციქულმა 50 წ. და დაარსებია ეკლესია. ცნობა ამის შესახებ დაცულია „მოციქულთა საქმეში“ და პაულეს ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ.

„კორინთელთა მიმართ“ – პაულე მოციქულის ორი ეპისტოლე, რომლებიც შეტანილია ახალი აღთქმის საღვთო წერილში. პაულემ თავისი მეორე მოგზაურობის დროს მოინახულა კორინთო, სადაც იქადაგა ღვთის სიტყვა, რომელმაც სხვადასხვა რეაქცია გამოიწვია. პაულემ მორწმუნეთაგან შექმნა ქრისტიანული ეკლესია კორინთოში, მაგრამ წავიდა თუ არა კორინთოდან, მაშინვე შეიქმნა საშიშროება მისი დაშლისა. კორინთელებმა პაულეს მიმართეს დახმარებისათვის. პასუხად პაულემ მათ გამოუგზავნა ორი ეპისტოლე „კორინთელთას“ სახელწოდებით. ეპისტოლეთა საგანი გახდა ის დაცა, რომელიც წარმოიშვა კორინთელ ქრისტიანთა და ძველი ტრადიციების დამცველ ებრაელთა შორის. პირველში იგი ჰკიცხავს იმ უწესრიგობას, რომელიც სუფევს ეკლესიაში, ნათელ და ცხად პასუხებს აძლევს მათ კითხვებსა და ეჭვებზე და ქრისტიანთა სასიხარულოდ წესრიგს ამყარებს. ეს იყო 57 წელს. პაულემ მეორე ეპისტოლეც დაწერა კორინთელთა მიმართ, რომელშიც განიხილა ქრისტიანული ჭეშმარიტებების კერძო ცხოვრებისათვის მისადაგების ფორმები. ორივე ეპისტოლე დიდი მნიშვნელობის მქონეა და საპატიო ადგილი უჭირავს კანონში სახარების შემდეგ (პირველი შეიცავს 16 თავს, მეორე – 13).

კორნილიოს ასისთავი – I ს. მოწამე. კორნილიოსი დაემკვიდრა პალესტინის ქალაქ სარიაში ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ. იგი იყო წარმართი და მონათლის შემდეგ გახდა ქრისტიანი. დატოვა ყველაფერი და პეტრესთან ერთად წაუძღა ქრისტიანობის საქადაგებლად, ურ-

ჯულოთა მოსაქცევად. იმ დროს ქალაქ სკეპსიაში ცხოვრობდა მთავარი, სახელად დიმიტრი, ბერძნულ ფილოსოფიაში ფრიად განსწავლული პირი, რომელიც წარმართ ღმერთებს, განსაკუთრებით კი აპოლონსა და ზევსს ეთაყვანებოდა. როდესაც მან შეიტყო ქორნილიოსის ქალაქში მოსვლა, მოიწვია იგი სტუმრად და მოსთხოვა წარმართულ ღვთაებათათვის მსხვერპლის შეწირვა. ტაძარში შესულმა ქორნილიოსმა მუხლი მოიყარა და აღაღლინა ლოცვა. ამ დროს იძრა მიწა და დაინგრა ზევსის ტაძარი. დიმიტრის ცოლ-შვილი მოჰყვა ტაძრის ნანგრევებში. ისინი ქორნილიოსმა გადაარჩინა ლოცვით. დიმიტრიმ პირობის თანახმად თვითონაც ირწმუნა ქრისტე და ქორნილიოსიც გაათავისუფლა. მან ყველა ურწმუნო მოაქცია ქრისტეს რჯულზე განისვენა ღრმა მოხუცებულობაში. დაკრძალეს მის მიერ დანგრეული ზევსის ტაძრის ახლოს. ხსენების დღეა 13 სექტემბერი.

ქართულად არსებობს „წამების" მეტაფრასული რედაქციის ორი თარგმანი: ერთი — შესრულებული თეოფილეს მიერ (Ath.20, 1081 ფ. 61-67). ხოლო მეორე — უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ.4, 1565 წ., 145-154; გამოც. ნ. გოგუაძის მიერ, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986 წ. გვ. 188-196).

ქორტი — სოფელი ამბროლაურის რ-ში, ამბროლაურიდან 8 კმ-ის დაშორებით. სოფლის თავდაპირველი სახელწოდებაა კვირიკეწმინდა (წყაროებით XIII-XIV სს.). სოფელში დგას X-XI სს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ორი ძეგლი. აღუწერია მოწამის თანამედროვე ანონიმ ავტორს.: „ესე მრავალისაგან მცირედი აღიწერა სიმრწეთაგან წმიდისა კოსტანტისა, რაჲთა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რაჲთა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულეანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა"-ო. დასაწყისში ავტორი აღწერს კახის ვინაობას, მის ბუნებასა და ხასიათს, მერე მის თავგადასავალს, საკუთრივ მისი შეპყრობისა და წამების ამბავს. დასასრულ მოყვანილია ის წერილი, რომელიც დედოფალ თეოდორას მოუწერია კონსტანტის შვილებისა და ნათესავებისათვის, რომლითაც იგი ულოცავს მათ, რომ კონსტანტის სახით მათ გამოუჩნდათ მეოხი ქრისტეს წინაშე და ურჩევს კლავაც მორჩილი იყვნენ ბიზანტიის იმპერიისა. ჰაგიოგრაფი წამების თანამედროვე პირი ჩანს, ისიც აშკარაა, რომ თხზულება შეიქმნა იმ დროს, როდესაც მცირეწლოვანი მხეიელის ნაცვლად დედამისი, დედოფალი თეოდორა მართავდა საბერძნეთს. მაშასადამე, მარტეილობა უნდა იყოს დაწერილი 853-856 წლებში. ავტორი უცნობია. თუ მხედველობაში მიეიღებთ იმას, რომ „კონსტანტის წამების" ავტორი მოელენეს ბერძენთა დედოფლის მეფობით ათარიღებს და მისი ეპისტოლეც (ბიზანტიური დიპლომატიკის შესწავლის მაგალითი) მოაქს, სადაც საზეგანოა ბერძენთათვის სასურველი ურთიერთობა ქართველებთან და დაწერილებით არ აღწერს ქართველთა მდგომარეობას, შეიძლება დავასკვნათ — წერს კეკელიძე — რომ ავტორი საბერძნეთში მცხოვრები რომელიმე ბერი, ან მწერალია (არ გამორიცხავს ალბაზეთსა და დასავლეთ საქართველოსაც (ეტიუდები... I, გვ. 133-146). ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ავტორმა ამბები იცის სხვისი მონათხრობიდან და ამიტომ ყველა ასე ზოგადად ამ ამბავს (თხზულებანი, VIII, გვ. 86-90). თხზულება მნიშვნელოვანია იმით, რომ საყურადღებო წყარო წარმოადგენს IX სის შუა წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გასათვალისწინებლად. ავტორს თხზულების დაწერისას ხელთა ჰქონია „იოანე ოქროპირის ცხოვრება" (კ. კეკელიძე).

კონსტანტი კახის მარტეილობის ხელნაწერები გვხვდება მხოლოდ XVIII საუკუნიდან (130, 1713 წ., 81-85; 49-51 და სხვ. 170, 1733 წ.). ტექსტი პირველად გამოსცა მიხეილ საბინინმა 1882 წელს, ხოლო უკანასკნელად დაიბეჭდა 1963 წ. ძეგლები, I, გვ. 162-172. 1925 წელს ტექსტი და თარგმანი ლათინურად გამოსცა პაულ პეეტერსმა (IV, 541-554).

ქოტისი — სოფელი ისტორიული ოლთისის მხარეში (ახლანდელ თურქეთის ტერიტორიაზე). სოფელში იდგა ძველი ეკლესია, ნაგები თლილი ქვით, გადახურული მიწით. შესასვლელი ჰქონდა ერთი — დას. მხარეს. ფანჯრები — აღმ-ით, დას-ით და სამხ-ით.

ქოშკები — სოფელი გორის რ-ში. თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, გორიდან 9 კმ-ზე. სოფელში დგას ეკლესია (შალიკაშვილებისა), რომელიც აგებულია 1708 წელს. არის ლაპიდარული და ფრესკული წარწერები.

კურდღელაური — სოფელი თელავის რ-ში, რომელშიც დგას განვითარებული შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია.

ქოხინჯრობა — ქრისტიანული ხალხური დღესასწაული, რომელიც ეძღვნება იერუსალიმში წმინდა ჯვრის სასწაულებრივ გამოჩინებას 352 წლის 7 მაისს. ამ მოვლენამ ახლად მოქცეულ საქართველოში დიდი შთაბეჭდ-

ილება მოახდინა და იგი საყოველთაო დღესასწაულად გადაიქცა. 7 მაისს ქოხინჯრობას დღესასწაულობენ ქუთაისის რაიონის სოფლებში — მაღლაკსა და დეალიშეილებში. იგივე დღესასწაულია ქობულრობა, ქობრობა, რომელსაც აღნიშნავენ მენელსაცხებლეთა (აღდგომიდან მე-3 კვირის წინა პარასკევს) ქართლში — სოფ. ერედვში, იმერეთში (სოფ. ქვიტირში და სოფ. დეალიშეილებში), ალაზნის გაღმა, შილდაში და იმავე 7 მაისს — რაჭა-ლეჩხუმში.

რა უნდა იყოს „ქოხინ" — ჯერ დადგენილი არაა, ხოლო „ჯვრობა", კ. კეკელიძის აზრით, აშკარად უკავშირდება ჯვარს და მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის იერუსალიმის ჯვრის პატივსაცემი დღესასწაული.

ქოშრების ეკლესია — თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ფარცხისის ჩრდილო-დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, ბორცვზე დგას ბაზალტის ქვებით ნაგები გეოანფოდლური ხანის ეკლესია და აქეს რიყის ქვით გამოყვანილი თაროები.

„ქრავი ღმრთისაი" — ტარიგი, იესო ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტი, შერქმეული იოანე ნათლისმცემელის მიერ (იოანე 1,20). სახისმეტყველებით ასე ეწოდა იესოს, რადგან იგი სამსხვერპლო კრავად შეიწირა, და ამით გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები.

ქრეაციონიზმი — მოძღვრება ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ.

ქრეტსაბმელი (ბერძნ. კატაპეტასმა, მაკაბ. 2, 22-23) — სამეუფო კარზე ჩამოსაფარებელი ფარდა, რომელიც ჩვეულებრივ მზადდებოდა ფარჩის, აბრეშუმის, ანდა სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან. ღვთისმსახურების დროს ტაძრის კრეტსაბმელი ხან გადაიხსნებოდა და ხან დაიხურებოდა. მისი გახსნა აუწყებდა ხსნის საიდუმლოს გამოცხადებას, ღვთის ძის განხორციელებით ცათა სასუფევლის განხსნას, ხოლო დახშვა — ადამიანის ცოდვილ არსებობას, რომელიც უკარგავს მას ცათა სასუფევლის სამკვიდრებელს.

ქრიპტა (ბერძნ. „საფარი") — 1. ძველი კატაკომბები, მიწისქვეშა დერეფნები, რომლებშიც მოწყობილია სამარხი. 2. კათოლიკური (ძველად მართლმადიდებლურიც) ტაძრის საკურთხეველის ქვეშ განლაგებული მიწისქვეშა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საპატიო სამარხს, ან საყამნოს.

ქრისპას — ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე, რომელსაც „მოციქული მოიხსენიებს ტიმოთეს მიმართ უბისტოლესა შინა, რომელი ეპისკოპოს იქმნა ქალკიდონს მალიანისა". ასეა მოხსენებული იგი ეპისკოპოს დროთეოსის „აღწერილი საეკლესიოჲ"-ში, რომელიც ერთვის გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს.

კუარტოს // კორტოს — ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, უფლის მოწაფე: „რომლისათჳს მასცა აკსენებს [პავლე] მასე [რომაელთა მიმართ] შინა, რომელ ეპისკოპოს იქმნა ბიერტოს". ასეა მოხსენიებული იგი ეპისკოპოს დროთეოსის „აღწერაჲ საეკლესიოჲ"-ში, რომელიც ერთვის გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარს". შესულია იგი პარხლისა (A95, XI ს.) და კლარჯეთის (A144, X, გამოც. გვ. 386) მრავალთაეებში.

კუნკული // კუნკულა — მონაზონთა თაესაბურავი. კამილაკა არის მცირე სქემის თაესაბურავი, ხოლო კუნკული — დიდი სქემისა. იგი ახსენებს მის პატრონს ჭეშმარიტ მონაზონურ წესს. გარეგნულად დიდი სქემის კუნკული მნიშვნელოვნად განსხვავდება მცირე სქემის თაესაბურავისგან, რადგან ის არა მარტო ფარავს თავს და მხრებს ყოველი მხრიდან, არამედ აქვს წაწვეტებული ბოლო და შემკულია 5 ჯვრით: შუბლზე, ორივე მხარეს გვერდებზე და ზურგზე. მონაზონი ვალდებულია, ატაროს კუნკული 7 დღეს და თავდაბურული დაესწროს ყველა მსახურებას. მე-8 დღეს ისინი საჯაროდ იხდიან მას, როგორც ძირითად სამოსს. პირველი მოხდა ხდება წინამძღვრის მიერ ლოცვისა და დამოძღვრის თანხლებით, მთელი ძმობის თანდასწრებით. კუნკული ეწოდება აგრეთვე ნათლიის მიერ მოტანილ ქსოვილის ნაჭერსაც, რომელშიაც ნათლობის ქრისტიანული რიტუალის შესრულების დროს ახვევდნენ ემბაზიდან ამოყვანილ ახლადმონათლულ ბავშვს.

კულტი (ლათ.) — რელიგიური თაყვანისცემა.

ქუმურდო — საეპისკოპოსო ტაძარი ჯავახეთში, X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში, ახალქალაქის რ-ში, სოფ. ქუმურდოში, ცენტრიდან 12 კმ-ის დაშორებით. ქუმურდოს ტაძარი გუმბათოვანი ეკლესიაა, რომელიც აიგო 964 წელს იოანე ეპისკოპოსის თაოსნობით. ტაძრის სამხრეთ კედელზე, სტოაში, მოთავსებულია წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზთა მეფის, ლეონის დროს იოანე ქუმურდოელის თაოსნობით ქართველ ხუროთმოძღვარს საკუთარს დაუწყია ტაძრის

მშენებლობა. XI ს-ში, ბაგრატ IV-ის მეუობაში, ტაძრისათვის მიუშენებიათ სამხრეთ სტოა. XVI ს-ში ის შეუკეთებიათ. ტაძარი ძლიერ დაზიანებული სახით არის დღემდე მოღწეული. ჩამონგრეულია გუმბათი და კამარები. ტაძრის მაღალი ღირსებები (საერთო პროპორციები, შიდა სივრცის მონუმენტურობა, იშვიათი ოსტატობითა და სიფაქიზით შესრულებული ჩუქურთმები, ფასადის სიბრტყის ფერადოვნება) სრულიად გამორჩეულ ადგილს და მნიშვნელობას ანიჭებს კუმურდოს ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. კუმურდოელი ეპისკოპოსი გარკვეული პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში. „განგებაჲ დარბაზობისაჲ“ მას მერვე ადგილს იხსენებს ქართველ მღვდელმთავართა შორის. დიდი ყოფილა მისი სამწყსოც: „ხერთვის ზეით სულ ჯავახეთი ხვეთამდი“. მოგვიანებით კუმურდოს კათედრალის ძლიერება შესუსტდა და ოსმალთა ბატონობამ ძველი დიდებული ნაგებობა დაღუპვის პირამდე მიიყვანა.

კუმურდოს ტაძარი ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. აქ მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნაია ტაძრის აგების ინიციატორი იოანე ეპისკოპოსი (კუმურდოელი), რომელიც შემდეგ სინის მთაზე ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა იქაურ მწიგნობართა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ასე მაგალითად, სეიმურ სალოსის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მისი „შექმნაჲ კელ ჰყო“ იოანე კუმურდოელმა. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ერთი კრებული: „ადგარნი გამოკრებილნი“ (იხ. სინის მთის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, ივ. ჯავახიშვილი, გვ. 109). ცნობილია აგრეთვე XI ს-ის მეორე მოღვაწე – ზოსიმე კუმურდოელი. მის მღვდელმთავრობაში კუმურდოს ტაძარში გარკვეული აღმშენებლობითი საშუალო ჩატარებულა. მისი მინაწერები შემოუნახავს ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ წიგნს.

ცნობილია კიდევ ერთი ზოსიმე კუმურდოელი, რომლის დროს ტაძარი „მეორედ აღაშენეს“.

ᲙᲣᲠᲚᲐᲜᲓ – X ს-ის ქართველი ჰიმნოგრაფი, მესხეთის ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენელი. მონაზვნად აღკეცვის შემდეგ ის კვირიკედ იწოდება. 70-იან წლებში მიდის სინაზე და იქ აგრძელებს თავის მოღვაწეობას. 977 წელს გადაწერა პაულეს ეპისტოლენი და „მოციქულთაჲს“ ანდრძში იგი მოიხსენიება, როგორც კვირიკე-კურდანა. ბოლო დროს წარმოებული კვლევის თანახმად (ლ. ჯღამაია) კვირიკე-კურდანა უნდა იყოს საბაწმინდიდან სინაზე მისული კვირიკე სოხასტერელი. „კურდანაჲ“ სახელს იძლევა მიქელ მოდრეკილის კრებულში VII ხმის აღდგომის დასდებელთა შორის მოთავსებული „უფალ ღაღადყჳსას“ საგალობლის კილურწერილობა.

ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ – 1. საეკლესიო წესების შესრულება; მღვდელმოქმედება, რომლის მეშვეობითაც გარკვეულ პირებზე, ან საგნებზე გადმოდის ღვთის მადლი, როგორც გამაძლიერებელი, განმკურნებელი ან განმწმენდი ძალა. კურთხევის უფლება აქვთ მხოლოდ მღვდლებსა და მღვდელმთავრებს. 2. დალოცვა, სამღვდელო პირის მიერ ჯვრის გადასახვა. 3. ხელოდასხმა. 4. ნებართვა, შენდობა.

„ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐᲜᲘ“ – ლიტურგიკულ-საღვთისმსახურო წიგნი, კრებული, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ლოცვათა ან კურთხევათა წესები. კურთხევანის მიხედვით სრულდება ნათლა, ჯვრისწერა, ანდრძის აგება (მიცვალებულის წესი) და სხვ. კურთხევანის უძველესი რედაქცია მოღწეულია X ს-ის ხელნაწერით (Sin. 66). მისი მოკლე რედაქციის შექმნას ეფუძნებ მთაწმიდელს მიაწერენ. მოგვიანებით (XI ს.) გიორგი მთაწმიდელმა შექმნა თავისი დროის ლეთისმსახურების მოთხოვნების შესაბამისი თარგმანი, რომელშაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით (1105 წ.) კანონიკური უფლება მოიპოვა (იხ. დიდნი კურთხევანი. გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ., 2002 წ. 460 გვ.).

ᲙᲣᲠᲘᲐ – რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატი, რომელსაც მეთაურობს პაპი. მას ქმნიან კონგრეგაციები, ტრიბუნები, საბჭოები, კომისიები, ბიურო, ვატიკანის სამოქალაქო გუბერნატორობა. კურიის მთავარი დანიშნულება არის სტატუსამდიენო. მისი მეთაური კი – პაპის ყველაზე დაახლოებული თანამშრომელი, რომელსაც კარდინალი ეწოდება.

რომის კურია წარმოადგენს იმ დაწესებულებათა ერთობლიობას, რომლებიც რომის პაპს ექვემდებარება. მას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფუნქცია და მნიშვნელობა ჰქონდა.

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ – სოფელი ტყიბულის რ-ში, ტყიბულიდან 24 კმ. დაშორებით, მდ. ყვირილას ნაპირებზე, წყაროებში პირველად მოიხსენიება XV ს-ში. სოფელში დგას ზენობანის მაცხოვრის დარბაზული ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებისა, შემორჩენილია აგრეთვე ორი ეკლესიის ნანგრევები და სამი კოშკი ამავე პერიოდისა. მაცხოვრის ეკლესიის სამხრეთ კარიბ-

ჭის თაგზე შემონახულია ასომთავრული წარწერა, ფასადი შემკულია ორნამენტებით, შიგნით მოხატულია. კურსებიდან იყენენ ქართველი მშენებელი ოსტატები ბერეკაშვილები, რომლებმაც XIX ს-ის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ეკლესია ააშენეს.

ქურუსეთი — ბასილი ეზოსმოძღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში კურუსეთი მოხსენიებულია იმ საზღვარგარეთულ მონასტერთა შორის, რომლებსაც თამარი უწევდა დახმარებას: „კუალად ისავრიას, კურუსეთს და ყოველთა სანაზებთა შაჲი მთისათა“. სხვა რამ ცნობა ამ მონასტრის შესახებ ქართულ წყაროებში არ არსებობს.

ქუსირეთი — სოფელი ცხინვალის რ-ნში, მდ. ლიახვის ხეობაში, ცხინვალიდან 2 კმ-ში. სოფლის განაპირას შემორჩენილია ქართული ზუროთმოძღვრების ძეგლის — VIII-IX სს-ის ეკლესიის ნანგრევები და XVIII ს. ოთხკუთხა კოშკი. მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით კუსირეთის ეკლესია ახლოს დგას ქსნის ხეობის ზოგიერთ ძეგლთან (არმაზი, კაბენი, წირქოლი და სხვა). შემონახულია IX-X სს. მოჩუქურთმებული კანკელის ფრაგმენტები.

ქუშჩი — ძველი ოლთისის თანამედროვე სახელი, სოფ. ისტორიულ თრიალეთში, სოფ. წალკის რაიონში, მდ. ქციის მარჯვ. ნაპირზე, წალკიდან 24 კმ-ზე. სოფელში დგას VI-VII სს. წმინდა გიორგის მცირე ზომის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით. აქვე არის შუა საუკუნების ციხე.

ქუჩატანი — სოფელი ყვარლის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, ყვარლიდან 10 კმ-ის მანძილზე. სოფელში დგას ღვთისმშობლის ეკლესია XVI-XVII სს-ისა.

ქუხოსი — ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეთნარქი, კუხეთის (ქიზიყის) მამამთავარი (იხ. ქართველთა ეთნარქები).

ლაბანი — ბიბლიური მამათმთავრის, იაკობის ბიძა და შემდეგ — სიმამრი, ძმა რებეკასი, მამა ლიასი და რაქილისა — იაკობის ცოლებისა, ცხოვრობდა ქარანში, მესოპოტამიის ქალაქში. ბიბლიაში (დაბ. 29-31) იგი დახასიათებულია, როგორც ანგარიშიანი და ანგარებიანი კაცი, მორჭენებით კეთილმსახურებასთან ერთად მას შეეძლო ყოველგვარი ვერაგობისა და უსამართლობის ჩადენა. როცა იაკობი გამოექცა თავის ძმას და იმალებოდა, ლაბანმა იგი პატივით მიიღო, მაგრამ შვიდწლიანი მსახურების შემდეგ, რის სანაცვლოდაც იაკობს იმედი ჰქონდა მისი უმცროსი ქალიშვილის, რაქილის შერთვისა, ლაბანმა მოტყუებით შერთო მას თავისი უფროსი ქალიშვილი, ლია. ამის შემდეგ იაკობი იძულებული გახდა კიდევ 7 წელს ემსახურა ლაბანისათვის, რათა ბოლოს და ბოლოს რაქილი მოეპოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ ლაბანი კეთილმსახურებით განთქმულ ქალაქში ცხოვრობდა და თანაც იცოდა იაკობისადმი ღვთის გამოცხადების შესახებ, ამან მასზე ვერ იმოქმედა. ისრაელის ღმერთის აღიარებასთან ერთად იგი თაყვანს ცემდა თაყვანს, რომელთა კერპებიც ჰქონდა შინ (დაბ. 31,19).

ლაბეჭინა — შუა საუკუნეების (XI-XII სს.) ქართული ზუროთმოძღვრების ძეგლი, დარბაზული ეკლესია; მდებარეობს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭყვიშის მიდამოებში, მაღალ გორაკზე. ძლიერ დაზიანებულია. კედლთან შედარებით უკეთაა დაცული 2 სამკუთხა ნიშნით სამად დანაწევრებული აღმოსაველეთი ფასადი. ძეგლი უხვადაა შემკული ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, რელიეფებითა და ასომთავრული წარწერებით, რომლებშიც მოხსენებული არიან ქტიტორები: კვირიკე ჩუღერი, ნათელა დედოფალი, მიქაელი, რატი დაფქუაისძე, მიქაელ ქობულისძე და სხვ. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული არიან „იეანე და გაბრიელ გალატოზნი“. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. მიწისძვრისგან დაქცეული ეკლესია XIII-

XIV სს-ში გაბრიელ ლაბეჭინელის თაოსნობით ხელმეორედ აუგიათ და მოუხატავთ. ნაგებობაში გამოირჩევა როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი სამშენებლო ფენები. ლაბეჭინაში ინახებოდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის XI ს. ჭედური ხატები (დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში) და სხვ. ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება (XI ს. პირველი მესამედი) მოჭედილია ვერცხლით, მოოქრულია ნაწილობრივ. ზომები 70X53, 5 სმ; ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებაც (XI ს. II ათეული) მოჭედილია მოოქრული ვერცხლით (ზომები 44 X 36 სმ.).

ლაბეჭინის მონასტერი ცნობილი იყო თავისი წიგნთსაცავით. მრავალად იყო გიორგი ლაბეჭინელის მიერ შეწირული წიგნები (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წ.). აქ ინახებოდა ლაბეჭინის ოთხთავი (A 1563), რომელიც XIII ს-ში გადაუწერია გიორგი დვალს. გაბრიელ ლაბეჭინელის გრძელი ანდერძი იძლევა მნიშვნელოვან ცნობებს მიწისმფლობელობის შესწავლის, ლაბეჭინის ეკლესიის აღდგენის, მოხატვისა და შემკობის შესახებ.

ლაბეჭინის ოთხთავი – სახარება-ოთხთავის XIII ს. ხელნაწერი (275 ფურც.), გადაწერილი გიორგი დვალის მიერ. ინახებოდა ლაბეჭინის ეკლესიაში (ამჟამად – ხელნაწერთა ინსტიტუტში, A 1563). ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, თავნაკლულია. მოხატულია მახარებელთა მინიატურებით. ერთეის ვრცელი და საინტერესო ანდერძი (272r-275v).

ლაბასყალდი – სოფელი სვანეთში, მესტიის რაიონში, სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, მესტიიდან 24 კმ. სოფლის მახლობლად მდებარეობს შუა საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – მიქელ მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია. ნაგებია ნატეხი ქვით კირისა და ქვიშის დუღაბზე. დასავლეთით ეკვრის ქვის ეგეტერი, რომელზეც XIX ს. II ნახევარში ხის მეორე სართული დაუშენებიათ. აღმოსავლეთ მხარეს აქეს ერთი სარკმელი. შესასვლელი დასავლეთ მხრიდანაა. საკურთხეველი გადატიხრულია სამალიანი ქვის კანკელით. ნაგებობა შელესილია და გადახატულია ყარით.

ლაბასყალდის ოთხთავი – სვანეთში, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული XII-XIII სს. სახარების ხელნაწერი (M 26), 265 ფ., 22 X 29 სმ., ეტრატზე ნაწერი ნუსხურით. ხელნაწერის ტყავგადაკრული ხის ყდა შემკულია მოოქროვილი ვერცხლის ჭედურობით, ხოლო ტექსტი – მახარებელთა მინიატურებით და მოხატული საზედაო ასოებით. ოთხთავი ჩამოტანილია ლახამყალდის ეკლესიიდან. ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ხელნაწერს მრავლად აქვს სხვადასხვა დროის ანდერძ-შინაწერები.

ლაგვიანთა – სოფელი ონის რაიონში, მდ. საკაურის მარცხენა მხარეს, ონიდან 4 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში, შემორჩენილია ფეოდ. ხანის ციხე-დარბაზისა და ეკლესიის ნანგრევები.

ლაგოდეხი – ქალაქი და რაიონული ცენტრი კახეთში, მდ. ალაზნის აუზში; ისტორიულ წყაროებში ცნობილია ლაგოეთის, ლაკუთისა და ლაკუასტის სახელწოდებით. XI ს-ში აქ იყო ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი. ლაგოდეხში არის წმ. ნიკოლოზის, წმ. გიორგის, ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიები.

ლაგურაკა – კურორტი და იელტეს მონასტერი სოფ. ხის მიდამოებში (ზემო სვანეთი); XI-XII სს. დარბაზული ტიპის ეკლესია, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენებით, ორსართულიანი სამრეკლოთი; ნაგებია შირიმის ქვით. კანკელიც ქვითაა ამოშენებული. ცილინდრულ კამარაში ორი საბჯენი თაღი აქვს. სიგრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი დეკორატიული თაღით. ინტერიერი მოხატულია თეოდორე მეფის მხატვრის მიერ (1112 წ.) კალის ხეების ფერადალთა დაკვეთით. ამის შესახებ ცნობას იძლევა ფრესკული წარწერა. ლაგურკის მოხატულობა შუა საუკუნეთა ქართული მონუმენტური მხატვრობის თვალსაჩინო ნიმუშია. ტაძარში თავმოყრილი და დაცულია როგორც ადგილობრივ შექმნილი, ისე საქ. სხვა კუთხეებიდან შემოტანილი ჯვრები, ხატები, საკლესიო ნივთები – შუა საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშები.

ლადანა (ბერძ.) – თეთრი, სურნელოვანი საკმეველი; იხმარება ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს.

ლავრა – დიდი, ხალხმრავალი სავანე, დიდი მონასტერი, რომელსაც მრავალი ეკლესია და საყოფაცხოვრებო ნაგებობები ჰქონდა. ბერძნული სიტყვა „ლავრა“ აღნიშნავდა ქალაქის ქუჩას ან კვარტალს. შემდეგში ლავრა ეწოდებოდა ისეთ ქუჩებს ალექსანდრიაში, სადაც რომელიმე ეკლესია იდგა. ბოლოს, ეს სახელწოდება მიღო უდაბნოებში ისეთმა ადგილებმა, სადაც განმარტოვდებოდნენ ხოლმე მეუდაბნოენი და დიდ მონასტრებს აარსებდნენ. ლავრებში, ჩვეულებრივ,

ასობით და ათასობით მონაზონი მოღვაწეობდა. საქართველოში განძქმული იყო დაეითგარეჯის ლავრა (VI ს.). რუსეთში ცნობილია კიევ-პეჩორის (1598 წ.), წმ. სამებისა და ღირსი მამის, სერგი რადონეჟელის (1744 წ.) ლავრები.

ლავრა — დედათა მონასტერი სოფ. ლავრისხევის მიდამოებში (კასპის რაიონში). ჯვარ-გუმბათიანი ტაძარი აგებულია X ს-ის I ნახევარში. ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით. გამოყენებულია აგრეთვე ბაზალტი და ტუფი. გეგმით თაეისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიას აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდი აქვს. გუმბათის ყელი ოდნავ წაგრძელებულ მართკუთხედს ეყრდნობა. მკლავების გრძივ კედლებზე დეკორატიული თაღებია. ამჟამად (XIX ს-დან) ეკლესიაში ხის იატაკია დაგებული და ხისაეე კანკელია აღმართული.

ლავრა — „დიდი ლავრა", უძველესი მონასტერი ათონის მთაზე (საბერძნეთში, ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე), დაარსებული ათანასე ათონელის მიერ (X ს.). იხ. ათანასეე ლავრა.

ლავრენტი († 258 წ.) — მოწამე, არქიდიაკონი, ეწამა იმპერატორ ვალერიანეს (253-259) დროს, რომის პაპ ქსისტონთან (სიქსტე) და მის სხვა დიაკენებთან ერთად. დატუსაღების წინ წმ. მღვდელმთავარმა მთავარდიაკონს დაავალა გაეყოდა ყოველივე საეკლესიო სიმდიდრე და გაეჭირვებული ქრისტიანებისათეის დაერიგებინა. ლავრენტიმ პაპის დავალება შეასრულა და როცა მისი გასამართლება დაიწყო, გამოცხადდა სასამართლოში. განსასჯელ ადგილას მყოფ ქსისტონს ლავრენტი მთავარდიაკონმა უთხრა: „მამაო, ყოველივე საგანძური შენი დავალებისამებრ გავეცით". საგანძურს რომ მოპკრეს ყური, მხედრებმა ლავრენტიც შეიპყრეს და დილეგში ჩამწყვდიეს. მთავარდიაკონმა იმპერატორს შეუთვალა, რამდენიმე დღე მომეცი და საგანძურს შენ მოგართმევო. იმპერატორი დათანხმდა. რამდენიმე დღის განმავლობაში წმ. ლავრენტიმ მოაგროვა უამრავი მათხოვარი და დავრდომილი, სასახლეში მიიყვანა და გამოაცხადა: „აი, ის ჭურჭელი, რომელშიც უთვალავი საგანძური აწყვია, და ყველა, ვინც მათში ჩადებს თავის განძს, მას ზეცაში მოიღებსო". ამის გამო ლავრენტი საშინლად აწამეს გახურებულ კეცებზე. წმ. მოწამემ მაღლი შესწირა უფალს და მიიცვალა. ლავრენტის თანამოწამენი (რომის პაპი ქსისტონ, დიაკენები ფელიქსიმე და აგაპიტე, მათთან ერთად ცხრის უფროსი იპოლიტე და მხედარი რომანოზი, რომლებიც ლავრენტის სასწაულთმოქმედების ხილვის შემდეგ გაქრისტიანდნენ) წარმართებმა მახვილით აჩეხეს. წმ. ლავრენტისა და მის თანამოწამეთა „წამება", რომელიც ბერძნულად ორი რედაქციით არის შექმნილი, ქართულადაცაა ნათარგმნი. კიმენური თხზულების ქართული თარგმანი დაცულია A 95, X ს., 582r-585v-სა და ბოდლე I ქართულ ხელნაწერებში (359-363), ხოლო მეტაფრასულისა, რომელიც იოანე ქსიფილინოსს უნდა ეკუთვნოდეს, მხოლოდ ქართულადაა შემონახული (ქუთ. 1, 341-353). მოწამის ხსენების დღეა 10 აგვისტო.

ლავრენტი — XVIII-XIX სს. მღვდელ-მონაზონი, წარმოშობით იმერეთიდან. 1812 წელს მოუხსულებია ათონის ივერთა მონასტერი, წაუკითხავს იოანესა და ეფთვიმეს „ცხოვრება" და ათონის კრებულზე გაუკეთებია მინაწერი, რომელშიც მწუხარებას გამოთქამს „სიმრავლისათეს ცოდეთა ჩუენთაჲსა და დაკარგულისათეს მონასტრისა ამის ნათესავისა ჩუენისა".

ლავრობა — ხალხური საეკლესიო დღესასწაული, იმართება აღდგომის ორშაბათს სოფ. ლავრისხევში (კასპის რაიონი, იხ. ლავრა).

ლავროსი — წმ. მოწამე (IV ს.), ქრისტიანობისათეის ეწამა თავის ძმა ფლოროსთან ერთად. ისინი ჯერ ბიზანტიაში ცხოვრობდნენ, შემდეგ ილირიაში (ბალკანეთში) გადასახლდნენ. იქ ქვის თლის ხელოვნება ისწავლეს და ოლქის მმართველის, ილარიონ ლიკაონის ბრძანებით წარმართული ტაძრის მშენებლობაზე მუშაობდნენ. ამის მიუხედავად ძმები ფარულად მისდევდნენ ქრისტიანობას, ლოცულობდნენ და მარხულობდნენ. მათ ასწავლებრივად განკურნეს ადგილობრივი ქერუბის ვაჟი და ქრისტეს სჯულზე მოაქციეს. გაქრისტიანდა მამამისიც — ყოფილი კერპთმსახური. მშენებლობა რომ დამთავრდა, ძმებმა შეკრიბეს ქრისტიანები, დააშენებინეს წარმართული კერპები და ტაძრის ადგილზე ჯვარი აღმართეს. ეს რომ მმართველმა გაიგო, ყოფილ კერუმ მამრტინეს, მის ვაჟსა და 300 ქრისტიანს კოცონზე დაწეა მოუსაჯა, ძმები — ფლორო და ლავროსი კი ორმოში ცოცხლად ჩამარხეს. მოგეიანებით მათი წმიდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. მათი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია XVI ს. ხელნაწერში — ქუთ. 1, 465-489. საყარაულოდ, ეს მეტაფრასული თხზულება ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა შეედგინა კიმენური თხზულების საფუძველზე, მაგრამ დღეს იგი უკვე დაკარგულია და მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემორჩენილი. ხსენების დღეა 18 აგვისტო.

„ლავსაიკონი“ – ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის თხზულება პალადი პელენოპოლელისა († 425 წ.), გაგზავნილი საიმპერატორო კარის მოხელე ლავსუსისადმი, რომლის თხოვნითაც დაწერა მან ეს შრომა. შეიცავს მცირე ზომის მოთხრობებს ბერებისა და განდეგილების ცხოერებიდან. ქართულ ენაზე თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. დაცულია მრავალ ხელნაწერში (A 143; A 154; A 164; A 196; A 362; A 400; A 682 და სხვ.).

ლაზარე – მეცნიერებაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ასე ეწოდებოდა ერთ-ერთ წარმართულ ღვთაებას ძველ საქართველოში. ლაზარე, ხალხის წარმოდგენით, „ღრუბლების სამფლობელოს, წვიმა-სეტყვისა და ელვა-მეხის ბატონი“ ყოფილა (იქ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., წიგნი I). XX ს-ის შუა ხანებამდე იყო შემორჩენილი „ღრუბელთა ბატონის“ თაყვანისცემისა და მსახურების ერთი ასეთი გადმონაშთი: როცა ზაფხულში გვალვას დიბჭერდა ხოლმე, ანდა, პირიქით, დიდხანს წვიმდა და ავდარი ჭირნახულს ალპობდა, სოფლელი გოგო-ბიჭები გააკეთებდნენ ხოლმე ლაზარეს გამოსახულებას და ჩამოიელიდნენ კარდაკარ, სათანადო ეგრეპრის შემცველი გალობით. რომელ სახლთანაც კი მივიდოდნენ ბაშვები, იმ სახლიდან პატრონი გამოდიოდა, კვერცხებსა და ფქვილს აძლევდა მათ, თეთ ბაშვებსა და „ლაზარეს“ კი წყალს დაასხამდა ხოლმე. შეგროვილ კვერცხებსა და ფქვილს ჰყიდნენ ბაშვები და ალებული ფულით ბატკანსა და თხას ყიდულობდნენ. ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ ხოლმე, თხას – ელიას. კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში თოჯინას „გონჯოს“ ეძახდნენ, თუშეთში – „საწვიმარ გუგას“, მესხეთ-ჯავახეთში – „კოტიკოტიას“, სამეგრელოში – „ბოჭყუდიას“, „ძიძიკაკეას“ და „ძიეოუს“. ზოგჯერ თოჯინის მაგიერად გამურულ ბიჭს ან ქალწულს ჩამოატარებდნენ. საგალობელთა ტექსტებში ლაზარესთან ერთად მოიხსენიებდნენ ელიას და ბარბარეს. სახელწოდება „ლაზარე“, როგორც ფიქრობენ, ქრისტიანობის გავლენითაა მოგვიანებით დამკვიდრებული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ცნობილია ივ. ჯავახიშვილის, ქ. სიხარულიძის, ჯ. ნოღაიდელისა და სხვათა მიერ ჩაწერილი პოეტური ტექსტები, რომლებიც ლაზარობის დროს სრულდებოდა: „ლაზარე – წვიმის მომყვანი“, „ლაზარე – დარის მომცემი“ და სხვ.

ლაზარე – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, ძმა მარიამ მაგდალინელისა და მართასი. იგი ცხოერობდა ბეთანიაში დებთან ერთად. ლაზარეს გარდაცვალებისა და ქრისტეს მიერ მისი მკვდრეთით აღდგინების ამბავი მოთხრობილია იოანეს სახარებაში (11, 1-45). ლაზარე ერთხელ ავად გახდა. დებმა უმალვე აუწყეს იესოს: „უფალო, აჰა, რომელი გიყუარს, სნეულ არს.“ როცა იესო ბეთანიაში ჩავიდა, ლაზარე უკვე ოთხი დღის მკვდარი იყო. მოძღვარს მართა და მარიამი შემოეგებნენ გზად. „უფალო, უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ ჩემი“ – უთხრეს მათ იესოს. იესომ დები ანუგეშა, „თქუენი ძმა აღდგებაო. მართლაც, როდესაც იესომ ლაზარეს საფლავიდან ლოდი ახევინა და ღაღად-ყო: „ლაზარე, გამოეედ გარე“, ოთხი დღის მკვდარი გაცოცხლდა და გამოვიდა საფლავიდან. ეს იყო უფლის ერთ-ერთი უდიდესი სასწაულთაგანი, რომელმაც ნათელყო მისი ღვთაებრივი ძლიერება და ძალაუფლება სიკვდილზე. ლაზარეს აღდგინებით ქრისტემ მოახწავა მთელი კაცობრიობის მომავალი აღდგომა – მერმისი საუკუნე, საყოველთაო ფერისცვალება და განახლება საუკუნო სასუფეველში. ლაზარეს აღდგინების სასწაულის ხსენებას ეკლესია აღასრულებს ე.წ. ლაზარეს შაბათს, ბზობის წინა დღეს (იხ. ლაზარეს შაბათი). ლაზარეს შესახებ ქართულ ხელნაწერებში დაცულია იოანე ოქროპირისა და ანდრია იერუსალიმელის, კრიტელი მთავარეპისკოპოსის, თხზულებანი: „საკითხავნი წმიდისა ლაზარესნი, მარიამისთჳს და ლაზარესთჳს და ელია წინაჲსწარმეტყველისა“ – იოანე ოქროპირის თხზულება. მისი ქართული თარგმანი წარმოდგენილია ხელნაწერებში: A 1109, 58-64; Ath. 80, 41-51; Sin. 86, 35-43. ანდრია იერუსალიმელის სიტყვა „ლაზარესთჳს, ოთხ დღე მომკუდარისაჲ, რომელი აღადგინა უფალმან“ შეტანილია ხელნაწერებში: A 5, 293-317; A 162, 163-170; A 129, A 186; ქუთ. 8, 189-202. Jer. 4, 30-42; Jer. 18.

ლაზარე – სახარების ერთ-ერთი იგავის (მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარეს შესახებ) პერსონაჟი. იგავის აზრი ასეთია: ცოდვიელი მდიდარი კაცი, რომელიც აძქვეყნად მარტო განცხრება და ცოდვებს არ ინანიებს, იმქვეყნად ჯოჯოხეთში მოხვდება, აძქვეყნიური ტანჯვა-გამოცდილი ლაზარე კი – აბრაამის წიაღში (ლუკა 16, 19-31).

ლაზარე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. XVII ს. ქართველი კალიგრაფი ოლიშის მთავრის, ლევან დადიანის კარზე. მანასესა და

გაბრიელთან ერთად გადაუწერია მეტაფრასი (S 1513), დიდი ფორმატის წიგნი, 238 ფ.

2. XVI ს. მწიგნობართუხუცესი და მესტუმრე. 1537 წ. დაუწერია ლეონ მუფის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობების წიგნი და მისი მამის, მეფე გიორგის საფლავის მსახურად (მეალაპედ) ქადაგ გელონ მაღალაძის დადგინების წიგნი (ცენტრ. არქივის საბ. 1449-1496 ა).

3. XVI ს. სვეტიცხოვლის კანდელაკი, მოხსენიებულია ცენტრ. არქივის № 1448-1051 საბუთში (1563 წ.).

4. XVII ს. მღვდელი, მოხსენებულია 1676 წ. საბუთში (Sd 1013).

ლაზარეს შაბათი, ლაზარობა — ბზობის წინადღე (შაბათი); ამ დღეს მოვიხსენიებთ წმიდა და მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას უფლის მიერ. ლაზარობის აღნიშნა სახელდობრ ამ დღეს — დაფუძნებულია სახარების გადმოცემაზე (იოანე 12, 1).

ლაზარე ფოლკნელი — V-VI სს. ქართველი მღვდელმთავარი; მოხსენიებულია დვინის საეკლესიო კრების (506 წ.) მონაწილე ეპისკოპოსთა შორის, რომელთაც დაგმეს და შეაჩვენეს ქალკედონის კრება (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975 წ. გვ. 139).

ლაზარე ჭუკელი — სომხეთის კათოლიკოსი, ანტონ I კათოლიკოსის (1720-1788) თანამედროვე; სომხური ენიდან ანტონმა ათარგმნინა ლაზარე ჭუკელის თხზულება „დრანტკანკალი", ანუ „სამოთხე საწადელი", მასში გატარებული აზრების უარყოფის მიზნით.

XVIII ს-ში გაძლიერებულა სომეხთა სარწმუნოებრივი პროპაგანდა, რომელიც დიდ ხიფათს უქმნიდა მართლმადიდებლობას. ანტონ კათოლიკოსს მიზნად დაუსახავს სომეხთა მოძღვრების (იოანე ოთხელის, პაველ ტარონელის, სტეფანე სიუნელის, გოშიკ ვანაკანელის, ვარდანის, სერგის, მაშტოცის, იოანე ოსოტნელის, გრიგოლ ტათეველის, გრიგოლ კესარიელის, ანგელის, იაკობისა და ლაზარე ჭუკელის) თხზულებათა წინააღმდეგ „წინაგანწყობა". ასე წარმოიშვა უზარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური შრომა „მზამეტყველება" (1750-52 წწ.).

ლაზთა მონასტერი — ასე უწოდებდნენ მონასტერს იერიქონში, რომლის დამარხვაც წმ. ხარიტონი (V ს.) ითვლებოდა. იტალიელი არქეოლოგის, ჟირჟილიო კორბის გათხრებმა ბეთლემის მახლობელ უდაბნოში, „ხირბეთ სიიარ ელ-დანამთან" (ბირ ელ-ყუთის მიდამოებში), გამოაელინა, რომ ქართული საეკე აუგია პეტრე ქართველს, რომელიც წარწერებში მოხსენებულია მარუანად (პეტრეს ერისკაცობის სახელია). სახელწოდება „ლაზთა მონასტერი" კი იმიტომ ეწოდა, რომ მისი აგების ინიციატორი პეტრესთან ერთად მისი აღმზრდელი იოანე ლაზიც იყო. V ს-ის პირველ ნახევარში პეტრე ქართველის მიერ აგებული ტაძარი მოგვიანებით, 532-552 წწ. მოზაიკით შეამკო მამა ანტონმა, როგორც ამას საგანგებოდ გვაუწყებს ერთ-ერთი წარწერა (გ. წერეთელი, უძველესი ქართ. წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960 წ.). ეს ის ანტონ ქართველი უნდა იყოს, რომელიც „მართას ცხოვრებაში" იხსენიება (კერები, II, გვ. 150).

ლაზიკის გაძრისტიანება — ლაზიკაში (ჭანეთში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 523 წ. (იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I). ეს იყო ოფიციალური აქტი, საერთოდ კი ქრისტიანობა დას. საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს (ანდრია პირველწოდებულის ქადაგების შედეგად). ამას მოწმობს ნიკეის კრებაზე (325 წ.) ბიჭვინთის ეპისკოპოსის, სტრატოფილეს დასწრება, „დანიელ მესვეტის ცხოვრების" ცნობები (კეკელიძე, ეტიუდები, VII), გელასი კიზიკელისა და პრისკე პანიონელის (V ს.) ჩვენებები (გელრგიკა, I, გამოცემული სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ) და ა. შ.

ლაილაში — სოფელი ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში, მდინარების — ლაჯანურისა და ასკისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფი ქედის სამხრ. — დას. კალთაზე, ცაგერიდან 18 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. ლაილაშიდანაა მირქმის ჭედური ხატი (XI ს. ოციანი წლები). შემორჩენილია მისი ფრაგმენტი (სიმაღლე — 75,5 სმ.). მოჭედილია მოყვრული ვერცხლით. დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში.

ლაკლაკიძეების ჭედური ხატი — XI ს. I მეოთხედის ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლი, ყოელადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, მოჭედილი მოოქრული ვერცხლით. შესრულებულია ლაკლაკიძეთა წარჩინებული ოჯახის დაკვეთით ზარზმის მონასტრისათვის (ლაკლაკიძეთა გვარის წარმომადგენლები ხატის წარწერაში არიან მოხსენებული). ცენტრში გრავირებული ორნამენტის ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი და ყრმა იესო, რომელთა სახეები ფერწერულია. ფართო ჩარჩოზე (13 სმ.)

მაღალი რელიეფითა და დიდი პრიფესიული ოსტატობითაა შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოერების ამსახველი მრავალფიგურანი კომპოზიციები — ათორმეტ დღესასწაულთა ხატები. XVI ს-მდე ინახებოდა ზარზმის მონასტერში, შემდეგ — შეოქმედში (გურია) 1924 წლიდან — ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში. ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ლაჭანციუსი (III ს. II ნახევარი — დაახლ. 330) — სწავლული ღვთისმეტყველი და რიტორი, ქრისტიანობის აპოლოგეტი, წარმოშობით აფრიკიდან, მიიღო შესანიშნავი განათლება. იმპერატორმა დიოკლეტიანემ მიიწვია იგი ნიკომიდიაში, იქაური უმაღლესი სასწავლებლის რიტორიკის კათედრაზე. ლათინურ ენაზე დაწერა რამდენიმე საღვთისმეტყველო შრომა („ღვთის საქმენი“, „საღმრთო განწესებანი“, „ღვთის რისხვისათჳს“), აგრეთვე ისტორიული მოთხრობა: „ქრისტეს ეკლესიის მდევნელთა სიკვდილის შესახებ“. აქ გადმოცემულია იმპერატორების: ნერონის, დომიციანეს, ვალერიანეს, დიოკლეტიანეს, გალერიუსის, მაქსენტიუსის და მაქსიმიანეს სიკვდილის ამბები. 307-317 წწ. ლაკტანციუსი განწესებულ იქნა იმპერატორ კონსტანტინე დიდის უფროსი ვაჟის აღმზრდელად. ის არის ავტორი ლათინურ ენაზე დაწერილი „კონსტანტინე დიდის ისტორიისა“ (ბერძნულ ენაზე ასეთივე ნაშრომი ევსები კესარიელს ეკუთვნის).

ლალისყური — სოფელი თელავის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. სტორის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა ნაპირას, თელავიდან 33 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეთა ციხე-გალავანი. ციხის შიგნით დგას მთაწმიდელი ერთნავიანი ეკლესია, რომელსაც დასავლეთიდან მიდგმული აქვს სამართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა, მეორე სართული საგუშაგო-საცხოვრებელი სადგომი იყო, ხოლო მესამე — თვით სამრეკლოს ფანჩატური (ახლა მთლიანად მონგრეულია).

სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეთა წყაროსაციის წმ. გიორგის ეკლესია.

„ლამაზი გორა“ — ბორცვი ბოლნისის სიონიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ. 800 მ. დაშორებით. 1959 წ. გათხრებით აქ გამოვლინდა სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები, მის მიდამოებში კი — სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. ვარაუდობენ, რომ ეს იყო სამონასტრო ანსამბლი, რომელსაც ეჭირა 1000 კ.მ. ფართობი. ამ სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე ექსპედიციამ აღმოაჩინა რამდენიმე ათეული ქვაყუთარი და რელიეფი, რომელთა ნაწილზე ასომთაერული წარწერების ფრაგმენტებია (ჯვრის აღმმართველთა მოსახსენებლები). ისინი გამოკვეთილია ადგილობრივი ტუფისაგან. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტელა, დიდებულის რელიეფური პორტრეტით, რომელსაც მკვლევარები პიტიახშის გამოსახულებად მიიჩნევენ. სტელა უწარწეროა. „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი უკვარცხლბეყო ქვაყუთარი ანალოგიურია ბოლნისის სიონში აღმოჩენილი სტელა-ყუთებისა და, ალბათ, მათი სინქრონულიც. რელიეფურ წარწერიანი ყუთები V-VI სს-საა, ხოლო ამოლარულ წარწერებიანი — VII-VIII სს-ებისა. „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და ისტორიულ მუზეუმში.

„ლამაზი საყდარი“ — XII ს. მიწურულისა და XIII ს. დასაწყისის ღვთისმშობლის ტაძარი. მდებარეობს დმანისის რაიონის სოფ. დიდი გომარეთის მიდამოებში, ლისარტისუბანში, მდ. ხრამის ხეობაში. სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ეკლესია, კოშკი, სატრაპეზო და სხე. შენობები. ამჟამად შემორჩენილია ნანგრევები. ეკლესია აუშენებიათ თამარ მეფის დროს, კარის თაშე ვრცელ წარწერაში იკითხება: „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფობაჲ თამარ და დავითისა“ (წარწერანი ქვა ამჟამად დამსხვრეულია რამდენიმე ნაწილად). ლიპარიტისუბნის ეკლესია ძალზე ლამაზი ნაგებობა იყო, ამიტომ შეარქვა მას ხალხმა „ლამაზი საყდარი“. კარ-სარკმლებს ამკობდა დიდი ოსტატობით გამოკვეთილი სხვადასხვა სახის ჩუქურთმა. მოჩუქურთმებული იყო კარნიზიც, ხოლო ეკლესიის კედლები — მოხატული.

ლამარია — ღვთისმშობელ მარიამის სახელი სვანურად. ასევე ეწოდებოდა მარცელეულის, ნაყოფიერების, მეწველი საქონლის და ხელსაქმის მფარველ სვანურ ქალ-ღვთაებას. მკვლევართა ვარაუდით, მისი კულტი აღმოცენდა წარმართული ღვთაებისა და მარიამ ღვთისმშობლის კულტის შერწყმის შედეგად. სვანების წარმოდგენით, ლამარიას ღვთაებათა პანთეონში უკანასკნელი ადგილი ეჭირა. ლამარიას დღეობები ძირითადად ახალი წლისა და აღრესაგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლს ემთხვეოდა. მის სახელობაზე დიასახლისი სპეციალურ კიდობანში ინახავდა საუკეთესო მარცლის ფქვილს,

რომელსაც ღვთისმსახურების დროს იყენებდნენ. ლამარიას ეძღვნებოდა საგაზაფხულო დღეობა ლილაშუნე – თესლობა. ამ დღეს აცობდნენ ხარისა და სახნისის გამომსახველ კერებს, აწყობდნენ ტაბლაზე, ან სპეციალურ მრგვალ კერზე, ე.წ. კალოზე და ლამარიას სწირავდნენ.

ლამეჭი – ბიბლიური მამამთავარი, უკანასკნელი წარღვნამდელ კეთილმსახურ პატრიარქთაგან, ძე მათუსალისი, მამა ნოესი. ესაა ორი ცოლი – ადა და სელა, ადასაგან შეეძინა ვაჟები: იობელ და იობალ, ხოლო სელასაგან – თობალ და მისი და ნოემა. იცხოვრა 753 წელი. (იხ. შესაქმე 4,18; 4,20-22; 5,31).

ლამზირი (სვან.) – „მიწის სალოცავი“, რომელიც ნაყოფიერების და შვილიერების მფარველი ღვთაების თაყვანისცემის ადგილი იყო. ახალკეკრას „მიწის სალოცავზე“ იკრიბებოდნენ ჯვარდაწერილი დედაკაცები. ისინი იქ პურის ცომსა და ყველს მიიტანდნენ და „ტაბლებს“ (კერებს) გამოაცხობდნენ ხოლმე. ამათგან სამი, ყველაზე დიდი კერი, ღვთისმშობლისთვის შესაწირავად ცხვებოდა (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I).

ლამისყანა – სოფელი კასპის რაიონში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, კასპიდან 16 კმ. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით გეგმით მართკუთხა ციხე-გალავანი (XVIII ს.) და ორბელიანების სასახლეა (XIX ს.), დასავლეთით – ღვთისმშობლის ეკლესია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, „ზედაელას“ ტყეში – ივლიტას ნიში.

ლამპარი – ხელში დასაჭერი დიდი სასანთლე, ჩირაღდანი, რომელიც მიუძღვის მღვდელსა და დიაკონს დიდსა და მცირე შესვლაზე ლიტურგიის დროს. ასე ეწოდება კანდელსაც; ესაა ზეთიანი ჭურჭელი, რომელშიც ჩადებულია პატრუქი. კანდელს ანთებენ ღვთისმსახურების დროს ხატების წინ. კანდელის ალს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს – იგი გამოხატავს მორწმუნეთა გულებს, ანთებულს ღვთის სიყვარულით. ლამპართა სოსუე ღვთისმსახურების დროს მოასწავებს სულიერ სიხარულს (იხ. ბაზმაკი).

ლამპრობა (სვან. ლიმპმარ, დეცეშ ლამპრობ, სუიმნიშ, სუიმნიშლამპრობ) – სვანური ხალხური დღესასწაული. იმართებოდა წმ. გიორგის ეკლესიებში მეზვერისა და ფარისეელის კვირიაკეს (ანდა 1 თებერვალს). დღესასწაულის მიზანი იყო მოსაელიანობის, საქონლის, ადამიანის გამრავლება და კარგი ამინდის გამოთხოვა. ამ დღეს ყველას მოაქონდა ცეცხლმოდებული არყის ხის ტოტები და ეკლესიის მახლობლად დიდ ცეცხლს გააჩაღებდნენ ხოლმე. ლამპრობის წესი ძველად მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე ხალხურმა ყოფამ იგი მხოლოდ სვანეთში შემოინახა. მეორენაირად ლამპრობას სეიმონობაც ერქვა, რადგან ამ დღეს მოიხსენიებოდა სეიმონ ღვთისმიმრქმელი. ლამპრობა ქრისტიანული დღესასწაულის – მირქმის რიტუალურ თავისებურებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველ ლიტურგიკულ ძეგლებში იგი მირქმის სინონიმად მოიხსენიება (იხ. X ს. ხელნაწერები H 95 და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართ. ხელნ. №11). ლამპრობა მირქმის დღესასწაულზე სხვა ქრისტიან ერებშიც ყოფილა ძველად გავრცელებული (festum calendarum sive luminum). H 450 და H 72 ხელნაწერებში დაცულია „კურთხეუად ლამპართა მიგებებისათა“.

ლანჩვანი – სოფელი ზემო სვანეთში, დაბა მესტიის მახლობლად. აქ დაცულია XI ს. მაცხოვრის ხატი – ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუში (ეერცხლი, 51X40 სმ), შესრულებული გიორგი გვაზავაისძის მიერ. ქრისტე გამოსახულია ტახტზე მჯდომი.

ლაოდიკიის საეკლესიო კრება – ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელიც შედგა 343 წ. მცირე აზიის ფრიგიის პროვინციის ქ. ლაოდიკიაში და გამოსცა 59 კანონი, რომელთაგან უმეტესობა შეეხება ღვთისმსახურებასა და საეკლესიო ადმინისტრაციულ საკითხებს, მაგალითად, 57-ე კანონის თანახმად, ეპისკოპოსის დადგინება შეიძლება მხოლოდ დიდ ქალაქებში, 13-ე კანონი ამბობს, რომ ხალხს არა აქვს უფლება აირჩიოს რომელიმე პირი რაიმე საეკლესიო თანამდებობაზე, 52-ე კანონი კრძალავს ქორწინებასა და დაბადების დღის აღნიშვნას დიდი მარხვის განმავლობაში, 10-ე და 31-ე კანონები კრძალავენ ქორწინებას მწეკარებთან და ა. შ. (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 254-259).

ლარგვისი – ქსნის ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი XIII-XVIII სს-ში. მდებარეობს მდ. ქსნისა და ჭურთისწყლის შესაყართან. ამ ადგილას ქალაქი დაარსდა და ეკლესია პირველად აშენდა VI ს-ში. ვიდრე მონასტერი დაბალ კონცხზე იყო გაშენებული და წყალდიდობა დიდ ზიანს აყენებდა, შემდეგში მესვეურებმა სამონასტრო ნაგებობანი მთის ფერდობზე განალაგეს. ადრეულ პერიოდის შენობათაგან მცირედია შემოგვრჩა. მონ-

ასტერს გარს ერტყა ძლიერი ზღუდე, რომელიც თაისებური ციხე-სიმაგრის იერს აძლევდა მას. დღეს შემორჩენილია ციხე-გალავანი კომკებით, საცხოვრებელი ნაგებობანი, გუმბათოვანი ეკლესია და ცალკე მდგარი კოშკი. ქსნის საერისთაოში ერისთავთა რეზიდენციის — ახალგორის შემდეგ პირველი ადგილი ლარგვისის ციხე-სიმაგრეს ეჭირა. „ძველი ერისთავთა“ (თ. ურდანია, ქრონიკები II) ცნობებს გეაძლევს იმის შესახებ, რომ ლარგვისის მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავის სახლის წევრები, მაგ., შალვა ერისთავმა, ვირშელ პირველის ძემ (XIII-XIV სსრ მოკვდა) „გაანადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ“. მონასტერს დახმარებია მისი ძე ლარგველ მეორეც. ამ უკანასკნელის ვაჟის ვირშელ მეორის ძემ, ქვენიფნველ პირველმა († 1373 წ.) „იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოჲთა და ყოველითა სამკაულითა შ,ამკო ეკლესიაჲ და შეკრიბნა მღდელნი და მოძ'ღვრნი“. სწორედ ეს ნაგებობანი დაანგრია წყალდიდობამ XIV ს. მიწურულში. მაშინ ერისთავ ჰოვანეს (ქვენიფნველ პირველის ძმას) ახალი ეკლესია აუშენებია და მოუხატავს. ეს ეკლესიაც მალე დაუნგრეიათ (1400 წ.) თემურ-ლენგის მეომრებს. ამის შემდეგ იქ დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია ლარგველ მღვდელს, გრიგოლ ბანდაისძეს (XV ს.), აღუდგენია და შეუმკია ძველი მონასტერი, აუგია ახალი ნაგებობანი და შეუწირავს ხელნაწერები. XV ს. მეორე ნახევარში მონასტერი ალადგინა და გაანახლა შალვა ერისთავმა. XVI ს. ოცი ერისთავმა და მისმა ოჯახმა ლარგვისის მონასტერს უბოძეს სოფ. ქურთა და სოფ. ციხია. ვიდრე ქსნის ერისთავთა რეზიდენციად ქვენიფნეი ითელებოდა, მათი საგვარეულო საძვალე ლარგვისი იყო, ხოლო როდესაც ახალგორი დაწინაურდა, საგვარეულო სამარხად იკორთა იქცა. მიუხედავად ამისა, ძველ საძვალეს ერისთავნი მზრუნველობას არ აკლებდნენ. 1759წ. ლარგვისის მონასტერში წმ. თეოდორეს ეკლესია ააგო დავით ქსნის ერისთავმა. ტაძრის ხის კანკელისათვის 1762 წ. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები დაუხატავს იოანე მხატვარს. 1777 წ. ქსნის საერისთავო გაუქმდა, ლარგვისის მონასტერი დაეცა, ხოლო XIX ს. დამდეგიდან უბრალო ეკლესიად იქცა. ლარგვისში შემორჩენილ ძეგლთაგან დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია დავით ერისთავის მიერ აგებული თეოდორე ტირონის დიდი ეკლესია — ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა. ლარგვისის მიდამოებში (საფერშეთში) არის IX-X სს. სამების ეკლესია და სხვ ნაგებობანი (შუა საუკუნები). ლარგვისის მონასტრის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.) და მისი ვაჟი გრიგოლი (XV ს.).

ლარგვისის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ჩვენამდე მოღწეულია ძვირფასი ხელნაწერები: A 25, A 26, A 575 და სხვ.

ლარგვისის ოთხთავი — ოთხივე სახარების შემცველი XIII ს. ხელნაწერი (A 26), გადაწერილი ნიკოლოზ კატარაწის ძის მიერ. ეს ერთი საუკეთესო ხელნაწერთაგანი კალიგრაფიული ღირსების მხრივ, კამარები და თავსამკაულები პროფესიული მხატვრის ნახელავია, მაგრამ ისინი წიგნის კალიგრაფიული ხარისხის დონეზე მაინც ვერ დგას. წიგნი, როგორც ჩანს, მდიდარი შემკვეთისათვის იყო დამზადებული, მას ბეჭედი შემკვეთისა ჰქონდა, ფრიად ოსტატური მინიატურა აშკობს, მაგრამ მათი ავტორის სახელი უცნობია.

ლარნაკი — ლუსკუმა; ჭურჭელი, განკუთვნილი წმინდანთა ნაწილების შესანახად.

ლატერანის სასახლე — რომის პაპის რეზიდენცია. აქ 1929 წლის 11 თებერვალს რომის პაპმა პიუს XI-მ და იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ქ. რომის ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც განლაგებულია პაპის რეზიდენცია და კათოლიკური ეკლესიის ცენტრალური დაწესებულება, შეიქმნა პაპის სუვერენული სახელმწიფო — ვატიკანი. ეს ხელშეკრულება ამჟამადაც ძალაშია.

ლაღამი — სოფელი ზემო სვანეთში, მესტიიდან 5 კმ. სოფელში შემორჩენილია XIII-XIV სს. ორსართულიანი მაცხოვრის ეკლესია. აქედანაა ხეიმონ მესვეტის ჭედური ხატი (XI ს, II ათეული), მოჭედილია მოოქროული ვერცხლით ოსტატი — ფილიპე ოქრომჭედელი. მარცხნივ, ქვემოთ, ხატის დამკვეთის, ცაგერელი ეპისკოპოსის, ანტონის გამოსახულებაა. ხატის ზომები — 35, 3 X23 სმ. დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში.

ლაშა — მაშენებელი ტბისის (თეთრი წყაროს რაიონი, ალგეთის ხეობა) „ყოროტის ეკლესიისა“. მოხსენებულია ამ ეკლესიის VIII ს. ლაპიდარულ წარწერაში. წარწერიანი ქვა ინახება საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ლაშარის ჯვარი — ფშავის მთავარი წარმართული სალოცავი. მდებარეობს

ფშავის არაგვის ზემო წელში, სოფ. ხოშარის მომიჯნავე, ე. წ. ლაშარის გორზე. ლაშარის ჯვარი ითვლებოდა მოლაშქრე ღვთაებად, რომელიც „გიშრის ფაფრიანი ნისლეა ცხენით“ წინ მიუძღოდა საფოს ლაშქრობებს. როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ მოსავლიანობას, ადამიანთა კეთილდღეობას, ავადმყოფობისა და ზიანისაგან დაცვას. ლაშარის ჯვრის კულტი, გარდა ფშაველისა, გავრცელებული იყო თუშეთში, ხევსურეთში, მოსაზღვრე ბარის რაიონებში, მეზობელ ჩრდილო-კავკასიულ მთიელებში. ლაშარის ჯვარი ითვლებოდა ერთერთ ყველაზე მდიდარ ღვთაებად, რომელიც ფლობდა მრავალ შემოწირულ განძეულობას (მათ შორის — საქართველოს მეფეებისაგანაც), ადგილ-მამულს, ზვრებს კახეთში და სხვ. არსებობს შეხედულება (ეახუშტი), რომ ლაშარის ჯვარი აგებულია ლაშა გიორგის მიერ; ლაშა გიორგის სახელს უკავშირებს მას ხალხური გადმოცემაც. ქართულ ფოლკლორში ლაშარის ჯვრისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსი მოიპოვება: „ლაშარელის ლურჯასა“, „ლაშარის ჯვარი ჯავრობდა“, „დიდობდა ლაშარის ჯვარი“, „თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი“ და სხვ.

ლაშარობა — ლაშარის ჯვრის დღესასწაული, იმართება ფშავში, ერთ მაღალ მთის ქედზე, რომელსაც „ხმელგორს“ უწოდებენ. აქ „ხატია“ გამართული (მცირე ზომის სალოცაო), რომელიც ყორის გალავნით არის შემოზღუდული. გალავნის გარეთ სასანთლეა აგებული და შიგ ასვენია წმ. გიორგის ხატები და ჯვრები, გალავანში კი ჩართულია მცირე გუმბათიანი საზარე. ლაშარში წლის განმავლობაში ხატობა რამდენჯერმე იმართება, მაგრამ მთავარი ხატობაა „სერობა“, რომელიც 18-19 ივლისს იმართება (ახ. სტ.). წინათ სალოცავად აქ აღმოსავლეთ საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც კი მოდიოდნენ, განსაკუთრებით კახეთიდან. იკლებოდა დიდძალი ცხვარი და კურატი (ასობით სული). ხევისბერები ანთებდნენ სანთლებს და ამწყალობებდნენ (ლოცავდნენ) „მხვეწართ“. დამწყალობების შემდეგ იშლებოდა სუფრები, იწყებოდა სმა და მაირსიტყვაობა. საღამოჟამს მეხატენი ღამის სათევად არაგვის ჭალაში ჩადიოდნენ. მიღებული იყო საზოგადო წყნარება (იხ. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985 წ. გვ. 220).

ლაშე — სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ჩხერიმელის ხეობაში, ხარაგაულიდან 5 კმ. აქ გვიანი ფეოდალური ხანის ციხე დარბაზის (აბაშიძეების) ნანგრევთა შორის შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესია (XI ს.). ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება ლაშეს ეკლესიის ხის კარი, რომელიც, წარწერის თანახმად, დაუმზადებია ეიმე ბაგრატს (XI ს.). სხვა წარწერებში მოხსენებული არიან მიქაელი, კირიკე, სუმეონ და იოვანე.

ლახვარი — ჯვრის ფორმის დანა სამკუთხა თაით, გალესილი ორივე მხარეს. მისი საშუალებით ხდება სეფისკვერების კვეთა, შესაწირავი ძღვნის მომზადება — აღმოღება და გეერდის გაღება ტარიგისა, ნაწილთა აშოკვეთა ღვთისშობლისა და ყოველთა წმინდათა, აგრეთვე ცოცხალ და გარდაცვლილ მოყვასთა მოსახსენებლად. იგი გამოხატავს იმ ლახვარს, რომლითა „ჟამაღეს“ მაცხოვრის გეერდი ჴნების დროს (იოანე 19,34). არსებობს ლოცვა ლახვრით, სნეულთათვის წასაკითხავი. მღვდელი აიღებს ლახვარს, ჯვარს გამოსახავს იმ ადგილას, სადაც ავადმყოფს სტკივა და წაიკითხავს სათანადო ლოცვას (კურთხევანიდან). იხ. ლოცვა.

ლაშთხევრი — სოფელი მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) მარჯვ. მხარეს. მესტიიდან 3 კმ. სოფელში დაცულია შუა საუკუნეების მთავარანგელოზის მცირე ზომის ეკლესია. (სვან. თარგზელ). მოხატულია როგორც ინტერიერი, ისე გარეთა კედლების ზედა ნაწილი (XIV-XV სს). დას. ფასადზე ედრების კომპოზიციაა, აღმ. ფასადზე გამოსახულია წმ. ევსტათეს ნადირობის სცენა, ხოლო სამხრეთით — ცხენზე ამხედრებული წმ. მეომრები. ჩრდ. ფასადის მოხატულობა საერო შინაარსისაა — იგი მოსე ხონელის რომანის „ამირან-დარეჯანიანის“ ილუსტრაციებს წარმოადგენს. ფერადოვან გამას ჰქმნის ცისფერის, რუხის, ყავისფერის, აგურისფერისა და მოყვრისფრო-ყვითელის შეხამება. ეს სიუჟეტი გვხვდება ჩაჟაშის (უშგული, ზემო სვანეთი) ეკლესიის ფასადის მოხატულობაშიც (XVII ს.). ლაშთხევრიდან ცნობილია აგრეთვე XI ს. წმ. იოანესა და პროხორეს ხატი, ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუში (დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში). XIX ს-ში ცნობილი იყო ლაშთხევრის სახარება. მის არსებობას აღნიშნავდნენ ი. ბართლომეი (1813-1870 წწ.) და დ. ბაქრაძე (Д. Бакрадзе, Сванетия, 1864 г.). ეს სახარება ამჟამად დაკარგულია.

ლახირი — სოფელი მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი

ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. მულხრის ხეობაში, მესტიიდან 11 კმ. აქ არის შუა საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია, სადაც გაზაფხულობით იმართებოდა ხალხური დღესასწაული „ლამპრობა", რომელიც შეწყდა სტალინ ლეონიძის ხსენების დღეს და მეორენაირად „სვიმონობასაც" უწოდებდნენ.

ლაჯანა – სოფელი ცაგერის რაიონში, მდინარე ლაჯანურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, ცაგერიდან 15 კმ. აქ შემორჩენილია XVIII ს. დარბაზული ეკლესია.

ლებეისი (იუდა) – ძმა უფლისა, ერთი თორმეტ მოციქულთაგანი. შემდეგში უფლის მიერ ეწოდა თადეოზი („მოშორნე". იხ. თადეოზ მოციქული).

ლეგატი (ლათ. „ელჩი", „გაგზავნილი", „დესპანი") – ბევრ რომში ასე ეწოდებოდა სენატის მიერ პოლიტიკური დავალების შესასრულებლად დანიშნულ ელჩს, ან რწმუნებულს. რომის პაპის ლეგატის წოდება კი კათოლიკური ეკლესიის დიპლომატიურ წარმომადგენელთა უმაღლესი ტიტულია. პაპის ლეგატები მონაწილეობდნენ ნიკეის I მსოფლიო კრებაში. ხშირად ტერმინი „ლეგატი" გამოიყენება ნებისმიერი ელჩის ან დიპლომატიური აგენტის აღსანიშნავად. კათოლიკურ ეკლესიაში არსებობს რამდენიმე სახის ლეგატის ტიტული. კერძოდ, პაპის წარმომადგენელთ, რომელნიც ოზანენის კათოლიკურ ქვეყნებში სპეციალური მისიით, აქვთ სამი განსხვავებული რანგი: უმაღლესი რანგის ლეგატი პაპის დიპლომატიური წარმომადგენელია სახელმწიფოს მეთაურთან. შემდეგი რანგის ლეგატსაც დიდი უფლებები აქვს მინიჭებული; მას შეუძლია ეპისკოპოსთა გადაყენება თანამდებობიდან და გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში სრული იურისდიქციის განხორციელება ყველა პრელატის მიმართ. რაც შეეხება ლეგატთა დაბალ რანგს, მათი სრულუფლებიანობა შეზღუდულია ცალკეული საეკლესიო საქმეებით.

ლეგიონი – რომაული მხედრობის ნაწილი. სახარებაში მოხსენებულია სიმრავლის მნიშვნელობით. კერძოდ, როცა ეშმაკული თავის თაეს უწოდებს ლეგიონს, იგულისხმება, რომ მასში ბევრი ბოროტი სულია (ლუკა 8, 30).

ლევან ბატონიშვილი († 1709 წ.) – ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის შვილი, ვახტანგ VI-ის მამა. ძმის, გიორგი XI-ის ირანში გაწვევის დროს, 1675-77 და 1703 წლებში იყო ქართლის გამგებელი (ჯანიშინი). 1678 წელს ირანში გაიწვიეს, გაამაჰმადიანეს და შაჰ ყულიხანი უწოდეს. შემდეგ ირანის მდივან-ბეგობაც მიიღო. ლევან ბატონიშვილი მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს, იყო სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართული ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი ხელშემწყობი. მას შეუდგენია კედრებს იოანე ნათლისმცემელის, პეტრე-პავლესა და სხვა წმინდანების მიმართ (S 3269).

ლევან კახთა მეფე (1520-1574) – გიორგი II-ის (აგეორგის) ძე. ქვეყნის მართვა-გამგეობის რთული პირობების მოუხედავად იცავდა მშვიდობიანობის პოლიტიკას. მის დროს კახეთში მტრის შემოსევა არ მომხდარა. ისტორიაში ცნობილია აგრეთვე, როგორც საზღვარგარეთის ქართულ სავანეებზე მზრუნველი. მას დაახლოებით 1538 წ. ახლად აუშენებია მარმარილოთი ქრისტეს საფლავი და გოლგოთა (იერუსალიმში). მასვე ჩაუტარებია ათონის მთაზე ალდგენითი სამუშაოები ფილოთეოსის მონასტერში, ეხმარებოდა იერუსა მონასტერს და ეწეროდა სხვა წმინდა საკანეთა აშენება-განახლებას. მისი მეფობის დროს ათო და მოიხატა გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, ახალი შუამთის მონასტერი და სხვ.

ლევი – აბრაამის შვილიშვილის, იაკობის ერთ-ერთი შვილი ლიასაგან. ისრაელის თორმეტ ტომს შორის ერთ-ერთის (ლევიტელთა ტომის) მამამთავარი. ამ ტომიდან იყო წარმოშობით მოსე წინასწარმეტყველი (გამოსლვათა, 1-2). ეს სახელი (ლევი) ეწოდებოდა აგრეთვე მრავალ სხვა ბიბლიურ პიროვნებას, მაგ., ახალ აღთქმაში მოციქულებს: მათეს, მატათას და სხვ.

ლევიათანი – 1. ურჩხული, დიდი ვეშაპი, „გველი მცურავი და დრეკა" (ესაია 27, 1); ბოროტების სიმბოლო. ბიბლიაში იგი რაობის სახელითაც გვეცნობება (იობი 3, 8; 40, 2. ფსალმ. 73, 14; 103, 26). იოანეს გამოცხადებაში ლევიათანი ეწოდება დრაკონს, რომელიც ცდილობს მზისა და მთვარის დაბნელებას (12, 3). ლევიათანი ნახსენებია ფიზიკურ წარმართულ გადმოცემებშიც. მათ მიხედვით, ღმერთმა ბაალმა დაამარცხა შვიდთავიანი ურჩხული ლევიათანი. 2. ებრაული სჯულის მტკიცებით, ესაა დიდი ზომის თევზი, რომლითაც მათი მომავალი მხსნელი ათიათასობით კაცს განაძღებს.

„ლევიტელთა" – სახელწოდება ბიბლიის მესამე წიგნისა; შედის მოსეს ხუთწიგნეულში. აქ ჩამოყალიბებულია ებრაელთა რელიგიურ-ზნეობრივი კანონები და ღვთისმსახურების წესები.

ლევიტელნი – იაკობის ეაფს, ლევის

შთამომავალნი, ისრაელის თორმეტთაგან ერთერთი ტომი, რომელმაც ებრაელთ მისცა მოსე და აარონი, მიიღო საგანგებო უფლება მღვდელმსახურებისა. ებრაელებთან ღვთისმსახურნი იყოფოდნენ სამ ხარისხად: მღვდელმთავრები, მღვდელნი და ლევიტელნი. ლევიტელებს ეკუთვნოდათ უმდაბლესი როლი ღვთისმსახურებაში: ზოგი მათგანი აღთქმის კიდობანსა და ტაძარს ემსახურებოდა, ზოგი მგალობელი იყო, სხვანი — წიგნის მკითხველნი და მოსამართლენი. მათი შემოსავალი იყო „ათეული“ (მეათედი) და სხვა შესაწირავი მრევლისა, ლევიტელთა ინსტიტუტი ქრისტიანობის დამყარებამდე არსებობდა.

ლევირატი — მოსეს „მეორე სჯულის“ წიგნში აღწერილი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის თანახმად, თუ ორი ძმა ერთად ცხოვრობს და ერთ-ერთი მათგანი უშვილოდ მოკვდება, მაშინ მისი ცოლი მაზლს უნდა მისთხოვდეს. ასეთ შემთხვევაში პირველ შვილს ერქმეოდა გარდაცვლილი ბიძის სახელი.

ლეკი — მოწამე, აღესრულა იმპერატორ დეკიოსის (249-251) დროს, ბითვინიის ქალაქ კესარიაში. წმ. ლეკის, რომელიც განმგებელ კუმბრიკიოსს ამხილებდა ქრისტიანთა უსამართლო დევნაში, ტანჯვა-წამების შემდეგ თავი მოაკვეთეს. მასთან ერთად აწამეს თეირსო, კალინიკე და სხვ. ხსენების დღე 14 დეკემბერია. ქართულ ენაზე არსებობს „წამებაჲ დიდებულთა ქრისტჱს მოწამეთა თეირსო, ლევკი, კალინიკე და ფილიმონ და აპოლონისი“. ამ თხზულების მეტაფრასული რედ. თარგმნილია უფრემ მცირის მიერ. ტექსტი დაცულია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში (A 90, 175-206; Sin. 91, 297-332, ქუთ. 5, 256-286; Ath. 2, 136-141).

ლეკნარი — მთა ამბროლაურის რაიონში, ნაქერალას გაგრძელება, სოფ. ზედა შაორის მიდამოებში (15 კმ.). მის მწვერვალზე შემორჩენილია X-XI სს. წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები. შემოსილია თლილი ქვის პერანგით. ინტერიერი მოხატული ყოფილა. ფასადებს ამკობს ღრმა კვეთით შესრულებული ჩუქურთმები. ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებული არიან ეიმე იოვანე და თორნიკე.

ლელიანი — სოფელი ლაგოდეხის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, ლაგოდეხიდან 32 კმ. ლელიანში არის XI-XII სს. წმ. თეოდორეს ეკლესია. თავდაპირველად რიყის ქვით ნაშენი სამკლესიოიანი ბაზილიკა ყოფილა. გარშემოსავლელი დას. მხრიდან ჰქონდა. გადაკეთებულია მრავალჯერ. აბსიდით დასრულებული სამხრეთის ნაკი მთელ სიგრძეზე გასდევს ცენტრალურს; ადრე იგი ერთ-ერთ ეკლესიას წარმოადგენდა. XVI-XVII სს-ში საფუძვლიანი გადაკეთების დროს მისთვის შუა თაღის ადგილას კარიესებური სახურაიით დასრულებული აგური რვამალიანი სამრეკლო დაუშენებიათ. ჩრდილოეთის ნაკი უფრო მოკლეა და დაკაშირებულია შუა ნაკთან. ეკლესიას შესასვლელი დას. მხრიდან აქვს. სამრეკლო XV-XVII სს-შია აგებული.

ლემნაპორი — სოფელი ლენტეხის რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ლენტეხიდან 27 კმ. სოფლის მახლობლად შემორჩენილია IX-X სს. დარბაზული ეკლესია.

„ლემი“ — ზოომორფული დროშა, რომელიც დაცულია სვანეთში, სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში (მესტიის რ-ნი). გამოჰქონდათ ზაფხულის დღესასწაულზე, ხილიშზე. „ლემი“ ხისტარიანი იყო. ტარს ჩამოცმული ჰქონდა ვერცხლის შუბისებრი თავი, რომელზეც წმინდანთა გამოსახულებები და სათანადო წარწერები იყო (ორიენე მხარეზე). კერავდნენ აბრეშუმის ქსოველისაგან, უკეთებდნენ ვერცხლის ფბას, კბილებსა და ენას. თავზე აკერებდნენ ყურებს, თვალები და ცხვირი გამოჰყავდათ ვერცხლისფერი სირმით. დროშას, კუდის ჩათვლით, 2,4 მ. სიგრძე ჰქონდა. სწრაფი მოძრაობისას ჰაერით ივსებოდა და ცხოველის ფორმას იღებდა.

ხალხური გადმოცემა პირველი „ლემის“ დამზადებას ქალ-ღვთაება ლამრიას მიაწერს, ზოგი კი — თამარ მეფეს. „ლემი“ სეტის წმ. გიორგის ყველაზე მნიშვნელოვან რელიკვიად ითვლება. მას ყოველთვის იცავდა საგანგებოდ არჩეული მელემე. ომიანობისას მელემე ლემით ხელში წინ უძღოდა ლაშქარს. დღესასწაულების დროს კი იმართებოდა ღონი, სადაც სხვებთან ერთად მელემეც იღებდა მონაწილეობას. მისი გამარჯვება ხვაქრიელ წელიწადს მოასწავებდა.

ლემული — სახელი უცნობი მეფისა, რომლისადმიცაა მიმართული სოლომონის იგავთა ზნეობრივი შეგონებანი, გადაცემული დედისაგან. ამ მეფედ გულისხმობენ თვით სოლომონს, რადგან შეგონებანი ძალიან ბუნებრიებია ბერსანესათვის (სოლომონ მეფის დედა).

ლენგი დევიდ (1924-1996 წწ) - ინგლისელი ქართველოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი. იგი იკვლევდა სასულიერო და საერო ლიტერატურის საკითხებს. მან წერილი მიუძღვნა პეტრე იბერის ეინაობის საკითხს (1951 წ.). 1963 წ. მან გამოაქვეყნა მოსკოვის ორიენტალისტთა კონგრესზე წაკითხული

მოხსენება „შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის პრობლემები", მან გამოავლინა „სიბრძნე ბალავარისა"-ს ქართული ხელნაწერი იერუსალეიმში და 1966 წ. გამოსცა მისი ინგლისური თარგმანი, ამავე წელს დაბეჭდა მან ლონდონში ნარკვევი: „ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები". მას არაერთი ნაშრომი აქვს საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისურ ენაზე გამოცემული ქართული წმინდანების „ცხოვრებათა" და „წამებათა" კრებული თავისი გამოკვლევით.

ლეონ I, დიდი († 461 წ.) — რომის პაპი 440 წლიდან. იბრძოდა რომის პაპის უფლებათა გაფართოებლად მთელ საქრისტიანოზე. 445 წელს იმპერატორ ვალენტინიან III-ის დროს გამოცემული რესკრიპტით მიაღწია საეკლესიო იურისდიქციის უფლებას მთელ დასავლეთ რომის იმპერიაში, მაგრამ ვერ შეძლო პაპების უმაღლესი ხელისუფლების გაფრცელება აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. ლეო I იბრძოდა ერეტიკული მოძრაობის, კერძოდ, მანიქეიზმის და მონოფიზიტობის წინააღმდეგ. გადმოცემის თანახმად, 452 წელს ლეო I -მა მნიშვნელოვანი გამოსასყიდით თავიდან აიცილა ჰუნების მიერ რომის დაპყრობა. ლეო I ავტორია დოგმატური ეპისტოლესი (ქრისტეს ორმაგი ბუნების შესახებ), რომელიც მას წმ. ფლაბიანე კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა და ქალკედონის კრებისთვის მიუწერია („ტომოსი"). ეს ეპისტოლე დაამტკიცა ტრულის კრებამ (692 წ). კანონიზებულია აგრეთვე ლეო I-ის 100 ქადაგება და 150-მდე ენციკლიკა. თვით ლეო I 1754 წელს შერაცხეს ეკლესიის მოძღვრად.

ქალკედონის კრების ისტორიაში და მის დოგმატიკურ ფორმულაში დიდი როლი ითამაშა ლეონ დიდის ეპისტოლემ. იგი შემდეგში შეიქნა ცილობის საგნად მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა შორის. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორიაში (VII ს. დამდეგს) ეს დოკუმენტიცაა მოხსენიებული (იხ. ეპისტოლეთა წიგნი). უეჭველია, ეს დოკუმენტი ქართულადაც იქნებოდა ნათარგმნი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველები სომხებთან ერთად მისი წინააღმდეგი იყვნენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ქართველები ქალკედონიზმს მიემხრნენ და ამ დოკუმენტის ჭეშმარიტება აღიარეს. ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა. მოგვიანებით ლეონ პაპის „ეპისტოლე ფლაბიანეს მიმართ კონსტანტინეპოლელისა" თარგმნა არსენ იყალთოელმა და შეიტანა თავის „დოგმატიკონში" (S 1463; A 265, 465-468; 205, 368-378; 267, 206-211; 64, 132-137; ქუთ. 24, 270-277).

ლეონი — ეპისკოპოსი სტლანიწელისა, (XI ს.) მოხსენებულია „ათონის კრებულში": „ამისთჳს, რამეთუ განგჳტჳეა ნასესხები ხუარბალი, დიკაი და ქური, ეჭუსანი მოდი, ჟამსა ჭირისასა". ათონელ ბერებს მისთვის დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე — დეკემბრის 1, რათა „აღსრულებოდენ ძალისაებრ ყოველივე" (ე. მეტრეველი, საღაჯე წიგნი, გვ. 135).

ლეონ ეპისტატი — მოხსენებულია „ათონის კრებულში", როგორც იერარიის მონასტრისათვის შეწირულობის გამღები. სიკვდილის შემდეგ რაც ჰქონია, ანდერძით ეკლესიისათვის გადაუცია. ამისათვის ქართველმა ბერებმა დაწესეს მისი მოსახსენებელი დღე — ივლისის 25. ლეონი XI ს. მოღვაწე უნდა იყოს (ე. მეტრეველი, ათონის ქართ. მონასტრის საღაჯე წიგნი, გვ. 89, 160, 237).

ლეონი — ბიზანტიის რამდენიმე იმპერატორის სახელი. მათ შორის: ლეონ I დიდი (457-474 წწ.), მოხსენებულია პეტრე ქართველის „ცხოვრებაში", როგორც „დიდად ღმრთისმსახური და წმიდათა მოყუარე" (ძეგლები, II, გვ. 250); ლეონ III ისაურიელი (675-741), იმპერატორი 717 წლიდან, ისაურიელთა დინასტიის დამაარსებელი. იბრძოდა მშრომელობის ცენტრალიზაციისათვის. 726 წელს გამოსცა კანონთა კრებული „ეკლოგა". 730 წლის ედიქტით აკრძალა ხატთა თაყვანისცემა; ლეონ სომეხი (813-820), აგრეთვე ხატმბრძოლი. ორივე ეს იმპერატორი და სხვა ხატმბრძოლები შეაჩვენა 843 წ. კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ; ლეონ VI ბრძენი (866-912), იმპერატორი 886 წლიდან, მაკედონელთა დინასტიიდან. ბასილი მეფის (836-886 წწ.) ძე, 890 წ. გამოსცა კანონთა კრებული „ბასილიკი" („სამეფო კანონები"). ცდილობდა, ეკლესია საიმპერატორო ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. მას კურთხევით იხსენიებს ზემოაღნიშნული საეკლესიო კრება (იხ. „მცირე სჯულისკანონი"). მოხსენებულია აგრეთვე იღარიონ ქართველის „ცხოვრებაში" (ძეგლები, II, გვ. 33). მამამისის ხელშეწყობით აუშენებიათ ქართველ ბერებს პრომანას მონასტერი. მშენებლობის დასაწყისში თვით მეფესაც მოუტანია ქვა მონასტრის საუფლოს დასაღებად. შემდეგ ქართველ ბერებს მან მოპგვარა თავისი ორი ძე — ლეონი

და ალექსანდრე, რათა მათთვის ქართული ენა და მწიგნობრობა ესწავლებინათ.

ლეონ მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, ქალაქ სამოსატში (სირიაში, მდ. ევფრატის ნაპირას), პარიღორიოსთან ერთად დახლ. 297 წ. ხსენების დღეა 18 თებერვალი. ლეონისა და პარიღორიოსის „წამების“ ქართული თარგმანი დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. № 1 (63-67).

ლეონი – VII ს. საეკლესიო მწერალი, ხუცეს-მონაზონი საბას ლავრისა რომში. ქართულ ენაზე მოიპოვება მისი თხზულება „ცხორებაჲ და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ეპისკოპოსისა აკრაკანტელთა ქალაქისაჲ, რომელ არს სიკილიისაჲ“, თარგმნილი დავით ტბელის მიერ. აღნიშნული თხზულება დაცულია ხელნაწერებში: Jer. 3, 139-211; S 384.

ლეონიდე (1860-1921) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-21 წლებში (ერისკაცობაში – ლონგინოზ ოქროპირიძე). 1888 წ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1888-97 წწ. იყო მისიონერი, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი, საქართველოს საეპარქიო სასწავლებლთა საბჭოს წევრი; ზედაზნის, ხირსის, იოანე ხათლისმცემელის მონასტერთა ზედამხედველი; ქართული ბიბლიის გამშვრებელი კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი, 1918 წ-მდე გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, თბილისის მიტროპოლიტი. ლეონიდეს მიტროპოლიტობის დროს, 1917 წ. 12 (25) მარტს, მისი თაოსნობით გამოცხადდა მცხეთაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ლეონიდე მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის მაქსიმიანეს (305-311) მეფობისას ეგვიპტეში, მარკიანე, ნიკანდრო, პაოლონ, არაზი, გიორგი, ეპირიქე, სელინად, ერინოს და ჰამმო მოწამეებთან ერთად. წმ. ლეონიდე ჯერ არაადამიანურად ჰგვემეს, შემდეგ კი ღილეგში შეაგდეს და წყურვილითა და შიმშილით ამოხადეს სული. ხსენების დღეა 5 ივნისი. წმ. მოწამეთა „წამების“ ქართული თარგმანი („წამებაჲ წმიდათა ათთა მოწამეთა“) დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3 (66r-67r).

ლეონ კატანელი († დაახლ. 780 წ.) – წმიდა მღვდელმთავარი, სიცილიის ქალაქ კატანის ეპისკოპოსი. იგი ცნობილი იყო გულკეთილობით, მოწყალებითა და ქრისტიანული სიყვარულით, რისთვისაც უფლისაგან კურნებისა და სასწაულთმოქმედების მადლი მიენიჭა. ლეონ კატანელის ცხოვრებაში მოთხრობილია მის მიერ გრძნეული ილიოდორეს სასწაულებრივი დამარცხების ამბავი და სხვ. ხსენების დღე 20 თებერვალია. წმიდა მღვდელმთავრის „ცხოვრება“ თარგმნილია ქართულად და დაცულია ხელნაწერში: ქუთ. № 1 (80-85).

ლეონტი მოწამე – მსახურობდა რომის არმიაში იატი (ეპატი) და თეოდულესთან (თეოდულოს) ერთად, იმპერატორ ვესპასიანეს (70-79 წწ.) დროს. ლეონტი, წარმოშობით ბერძენი და აღმსარებლობით –ქრისტიანი, დანიშნული იყო ჯარის მეთაურად ფინიკიის ქალაქ ტრიპოლში. მალე მან ქრისტიანული სათნოებით ყველას სიყვარული მოიპოვა. ტრიპოლის ქრისტიანთა დასჯის მიზნით იმპერატორმა გამოგზავნა სენატორი ადრიანე. ამ უკანასკნელმა კი, როცა გაიგო ჯარის მეთაურის, ლეონტის ქრისტიანობა, მის შესაპყრობად გაგზავნა ტრიბუნი იატი. გზაში იატი ავად გახდა და ანგელოზის გამოცხადებით, ლოცვით შესთხოვდა ღმერთს, რომელსაც ლეონტი აღიარებდა (ქრისტეს შესახებ იატმა არაფერი იცოდა). ამის შემდეგ იატი სასწაულებრივად განიკურნა. ამ სასწაულმა ჩააფიქრა იატი და მისი მეგობარი ჯარისკაცი თეოდულე. მათ მიატოვეს ჯარი და მარტო გასწიეს ლეონტის მოსაძებნად, რათა განსაცდელი აერიდებინათ მისთვის და დამოწაფებოდნენ. ლეონტიმ მონათლა ორივე მათგანი, მოუთხრო ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ და განუმტკიცა სარწმუნოება. სენატორ ადრიანეს ბრძანებით ლეონტი, იატი და თეოდულე შეიპყრეს და წამებით ამოხადეს სული. წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 18 ივნისი. „წამების“ მეტაფრასული რედაქციის XII ს. ქართული თარგმანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (A 95, 949-951, A 382, 14-15; Ath. 8, 394-335; Sin. 52; ბოდლ. ხელნ. 180-181; Sin. 11, 213-215; Sin. 62, 48-49. კომენური რედაქცია გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, II, 59-63 გვ.).

ლეონტი ბერძენი – ნიკოლასთან ერთად დაახლ. XI ს. ბოლოს ათონის ივერთა მონასტრისათვის შეუწირავს „სამოცი დრაჰკანი პერპერატი ჟამსა მიცვალებისა მათისასა“. ამისათვის ქართველ ბერებს მათთვის დაუწესებიათ მოსახსენებელი იელისის 18-ს: პანაშვიდი, ანაფორა, ჟამის წირვა.

ლეონტი დაღეთელი – XVIII ს.

ათონის მთის მოღვაწე „ლერსი მამა", წარმოშობით ქართველი, ქვემო ქართლის სოფ. დაღეთიდან (ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონი), მოხსენებულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში", როგორც „ფრიადისა მონაზონებისა შემტკიცობი".

ლეონტი მროველი – XI ს. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე, რუისის მღვდელმთავარი. მას მიეწერება „ქართლის ცხოვრებაში" შესული თხზულებები: „ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველ-აგანთა მამათა და ნათესაეთა", „წინოს მიერ ქართლის მოქცევა", „არჩილ მეფის წამება". ამ თხზულებებში ასახულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის VI ს-მდე (იხ. „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955 წ.). ლეონტი მროველს მიეწერება აგრეთვე თარგმანი ერთი აპოკრიფული თხზულებისა: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი: თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუყანისა და ადამისათჳს, ჳითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას" (ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების" მარჯანისეულ ხელნაწერს; ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმის მოამბე, XVII – B, 1953 წ., გვ. 25-47. აპოკრიფის ტექსტის კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის ც. ქურციკიძეს). ზოგიერთი მეცნიერი, ეყრდნობა რა დასახელებულ ნაწარმოებთა ენობრივ-სტილისტურ და ისტორიულ ანალიზს, ლეონტი მროველს XI საუკუნემდელ მოღვაწედ მიიჩნევდა. ამ მოსაზრების ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ „არჩილის წამების" ავტორს, ამავე ნაწარმოების XVIII ს. მეტაფრასული რედაქციის ავტორი თვით არჩილის თანამედროვედ (VIII ს. მოღვაწედ) თელის. ამიტომაც, ზოგიერთი მკვლევარის დასკვნით, XI ს. მოღვაწე ლეონტი მროველი ამ თხზულების მხოლოდ რედაქტორი ან გადამწერია (თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე და სხვ.). მკვლევართა ნაწილი კი ამ თხზულებებს VIII ს-ით ათარიღებს და შესაბამისად მათ ავტორად სხვა, VIII ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველს მიიჩნევს (პ. ინგოროყვა).

საკითხს ნათელი მოჰფინა 1957 წელს სოფ. თრეხვში (ქარელის რაიონი) აღმოჩენილმა ლეონტისეული ქვაჯვარის წარწერამ, რომლის თანახმად ამ სოფლის მახლობლად არსებული ქვაბები (გამოქვაბულები) აუშენებია ლეონტი მროველს, დიდი თურქობის (XI ს.) დროს, მოსახლეობის თავდასაცავად (იხ. გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961 წ. № 1, გვ. 239-257). ლეონტი მროველი, როგორც მთავარეპისკოპოსი, იხსენიება აგრეთვე ათონის ერთ-ერთ, ამჟამად პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ XI ს. ხელნაწერში.

ლეონტი სოლოლაშვილი – XVIII ს. მღვდელმონაზონი, საეკლესიო გალობის დიდი მცოდნე და გამარკვეველი, გურასიძე მღვდელმონაზონის (შემდეგ არქიმანდრიტი) მოწაფე. იოანე ბატონიშვილის ცნობით, სცოდნია ხუთასამდე „ჭრელი" („კალმასობა", II, გვ. 198).

ლეონტიოს ნიკოპოლელი (იგივე ლეონ ნეაპოლელი თუ ნიკონიელი) – VII ს. ესიხასტი, საეკლესიო მწერალი, ავტორი რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულებისა, რომელთა ქართული თარგმანები დღემდე შემორჩენილა: „ცხორებაჲ და განგებაჲ ამბა სჳიმეონისი, რომელსა ეწოდა ღმრთისათჳს სალოსი" (Jer. 17; Sin. 69; Ath. 7,253-277; ბრიტანეთის მუზეუმის Add. 11281; გამოცემულია ე. იმნაიშვილის მიერ: „მამათა ცხორებანი", თბ., 1975 წ., გვ. 285-311); „ცხორებაჲ წმიდისა მამისა იოვანე მოწყალისაჲ ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ (A 199, 54-84; Jer. 3, 94-124; Sin. 77).

ლეონტიოს ხუცესმონაზონი – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ავტორი თხზულებისა: „წამებაჲ წმიდათა მოწამეთა საკრველთ-მოქმედთაჲ კჳროსისი და იოვანესი და მათთანა სამთა წმიდათა ქალწულთა და დედის მათისაჲ", რომლის ქართ. თარგმანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში: A 95, 823-835; 90, 584-596; Ath. 57, 131-139; Sin. 62, 7-14.

ლეონ ჰრომი – X ს. ათონის მთის საეკლესიო მოღვაწე, მონაზონი, წარმოშობით წარჩინებული რომაელი, „ძმაჲ ევნევენტოს დუკისაჲ", მოხსენებულია იოანეს ად ჟუანიმეს „ცხოვრებაში", სადაც ნათქვამია, რომ ქართველი ბერების დახმარებით მთაწმიდაზე მან აუშენა მონასტერი რომაელი ბერებისათვის (ძეგლები, II, 1967 წ. გვ. 65-66).

ლერწმისხევი – უდაბნო შავი მთის მიდამოებში, ზღვისპირას (ანტიოქიის მახლობლად), სადაც ქართული მონასტერი ყოფილა. აქ შავ-ზაქარიას (XI ს.) გადაუწერია სახარე-

ბა, რომელიც „რუისის ოთხთავის" სახელითაა ცნობილი (იხ. რუისის ოთხთავი).

მეცნიერთა აზრით, ლერწმისხევის სავანედ უნდა იგულისხმებოდეს წმ. გიორგის ეკლესია სელეკიანში, რომლის ნანგრევები არცთუ დიდი ხნის წინ გამოვლინდა (მ. თარხნიშვილი, ქართული ხელოვნების ძეგლები ანტიოქიის სანახებში, „ბედი ქართლისა" № 9, 1951 წ. გვ. 17-18).

ლექართი – უძველესი პუნქტი ისტორიულ პერეთში (საინგილოში). ამჟამად ამ ადგილას არის სოფელი ლექური (აზერბაიჯანი, კახის რაიონი). სოფლის ტერიტორიაზე გათხრებით გამოვლინდა VII-IX სს. ქრისტიანული ეკლესია, ტეტრაკონქი. ვარაუდობენ, რომ აქ იყო პერეთის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი. (თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1970).

ლექციონარი – ქრისტიანული სამრეველო და სამონასტრო ღვთისმსახურებაში სხვადასხვა დღესასწაულისა და დღისათვის დაწესებული წეს-განგება ბიბლიური საკითხავებითურთ. არსებობდა ლექციონარის შედგენის სხვადასხვა სისტემა და ტრადიცია: საბაწმიდის, იერუსალიმის, ბერძნული ანუ კონსტანტინეპოლის და სხვ. ქართული ლექციონარები, რომელთა უძველესი რედაქციების ფრაგმენტები შემონახულია ხანმეტ და პალიმფსესტებში (V-VIII სს), კრებულის შედგენის სხვადასხვა ტრადიციას ასახავს.

ლექციონარის ის რედაქცია, რომელიც „ქართული ლექციონარის", ანუ „იერუსალიმის კანონის" სახელწოდებით არის ცნობილი, ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლია და ასახავს ღვთისმსახურების იერუსალიმურ წესს V-VIII სს. მანძილზე. ქართულად შემონახულია ფრაგმენტები ე. წ. „ხანმეტი ლექციონარისა", რომლის თარგმნა V-VI სს-ში იგარაუდება. „ქართული ლექციონარი" უმნიშვნელოვანესია იმ მცირერიცხოვან ძეგლთა შორის (მაგ.: „სომხური ლექციონარი", V-VI სს), რომელთა მიხედვითაც დღეს შესწავლობენ ადრეულ ბერძნულ (იერუსალიმურ) და, საერთოდ, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ღვთისმსახურებაზე, რადგან ძეგლის ბერძნული პირველწყარო დაკარგულია. „იერუსალიმური ლექციონარი" (ძირითადი ხელნაწერები თარიღდება X-XI სს.) წარმართავდა ქართულ ღვთისმსახურებას X ს. დასასრულამდე, ვიდრე ქართული ეკლესია კონსტანტინეპოლის ტრადიციებზე გადავიდოდა. ის „ტიპიკონია", „კანონად" სახელდებული; საკითხავების გარდა შეიცავს უძველეს საეკლესიო საგალობლებს, განმარტებებს ღვთისმსახურების წესისა და რიგის შესახებ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საწელიწდო კალენდარს. ადრეული ქართული ლიტურგიული კრებულები (მრავალთავი, იადგარი, კონდაკი და სხვ.) მთლიანად „ქართული ლექციონარის" პრინციპებზეა აგებული. ძველი თარგმნილია რუსულ (1912), ბერძნულ (1914), ლათინურ (1959) და სხვ. ენებზე.

„ლელვისათჳს განძველისა" – „სიტყუაჲ ლელვისათჳს განძველისა და იგაჲსი მისთჳს ვენახისა, აღმოთქუმული დიდსა ორშაბათსა" – იოანე დამასკელის (VII ს. ბოლო წლები, დაახლ. 754 წ.) თხზულება, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. „სიტყუაში" განმარტებულია სახარების ის ადგილი, სადაც მოთხრობილია მატხოერის მიერ უნაყოფო ლელვის ხის დაწყევლისა და გახმობის ამბავი (მთე 21, 18-22). თხზულების ქართული თარგმანი შეტანილია ხელნაწერებში: ჯუმ. 8, 219-224; Jer. 4, 52-57; A 129.

ლეხთაგი – სოფელი ზემო სვანეთში, მესტიიდან 3 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია „ლამარია", მოხატულობის ფრაგმენტებით.

ლეჩის ველი – ადგილი სინის მთაზე, სადაც ქართველ მოღვაწეებს ჰქონიათ საკუთარი ტაძარი, აგებული IX-X სს., 40 სხასტიელი მოწამის სახელზე.

ლია – ლაბანის უფროსი ქალიშვილი, და რაქილისა, ცოლი ბიბლიური მამათმთავრის, იაკობისა. იგი ისეთი ლამაზი არ იყო, როგორც რაქილი, ამიტომაც იაკობმა რაქილი შეიყვარა. მისი შერთვისათვის იაკობმა შვიდი წელი იმუშაჲა ლაბანთან მოჯამაგირედ, მაგრამ ქორწილის დღეს ლაბანმა მოატყუა იგი და უფროსი ქალიშვილი გააყოლა. რაქილის მოსაპოვებლად იაკობს კიდევ შვიდი წლის მუშაობა მოუხდა. ლიამ იაკობს შესძინა ექვსი ვაჟი: რუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა, ისახარი, ზაბულონი და ქალიშვილი დინა. მანვე იმვილა ორი ვაჟი თაეისი მხეელისა, რომელიც თეითონეე შესთაეაზა იაკობს მეუღლედ. ამრიგად, ლია გახდა დედა ისრაელის რვა ტომისა, ხოლო იუდას მხრივ – დავითისა და ქრისტეს წინაპარი (დან. 29-35).

ლია – სოფელი წალენჯიხის რაიონში, ოღნის ვაკეზე, მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, ზუგდიდი-ჯვრის საავტომობილო და სარკინიგზო გზაზე. წალენჯიხიდან 9 კმ. სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბორცვზე, რომელ-

საც ეწოდება „დიდია ქირსა“, მდგარა ციხე, ხოლო მის ტერიტორიაზე — ადრინდელი შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია. ამჟამად ეკლესიაც და ციხეც დანგრეულია. აქ 1964-65 წწ. მრავალი არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინეს.

ლიბანიოსი (დაახლ. 314-393 წწ.) — ცნობილი ბერძენი ორატორი, ფილოსოფოსი (ნეოპლატონიკოსი), IV ს-ის უდიდესი რიტორიკული სკოლის მამამთავარი, იოანე ოქროპირის მასწავლებელი. ქრისტიანობას თელიდა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დაცემის მიზეზად. მის აზრს იზიარებდა იმპერატორი იულიანე განდგომილი, რომელმაც წარმართობის აღდგენა მოინდომა. იულიანეს სიკვდილის შემდეგ ლიბანიოსი და მისი სკოლის წარმომადგენლები კონსტანტინეპოლიდან განდევნეს. ლიბანიოსს მიმოწერა ჰქონდა ქართველ ფილოსოფოს ბაკურთან, რომლის შეხედულებებს დიდად აფასებდა. ლიბანიოსის წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ძვ. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისათვის (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1940 წ. გვ. 13-20).

ლიბანიოსის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შემორჩენილია 1000-ზე მეტი სიტყვა, დეკლარაცია, წერილი და ავტობიოგრაფია (იხ. გეორგიკა, ტ. I).

ლიბანის მთა — მდებარეობს პალესტინის ჩრდ. ნაწილში, ოუდეისა და სირიის საზღვარზე, უძველესი დროიდან დაფარული იყო ზეთისხილისა და სხვა ძვირფასი ხის ტყეებით. საღვთო წერილში ხშირად წარმოდგენილია სიმბოლურ ყოველიეე დიდებულისა და ამაღლებულისა. გადმოცემით, აქედან მოქაჭნეს ებრაელთა მეფე სოლომონს ნაძი ტაძრის ასაშენებლად. აქვე ახლოს უწამებიათ წმ. მოწამე ბარბარე, აქვეა სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქის სოფელი. ლიბანის მთაზე იყო მწვალებელ მარონიტთა პატრიარქის საყდარიც.

ლიბელლონი // ლიბელლონი — წიგნაკი, წერილი, საბუთი, „ქარტაჲ სიმტკიცისაჲ“, რომელიც მოეთხოვებოდათ მწვალებლებს მართლმადიდებლობაზე მოქცევის შემთხვევაში.

ქრისტიანობის დევნის დროს რომის იმპერიაში ლიბელლოსანნი ეწოდებოდათ იმ ქრისტიანებს, რომლებიც ქრთამით ან სხვა რაიმე საშუალებით აღწევდნენ წარმართული ხელისუფლებისაგან მიეღოთ მოწმობა („ლიბელლა“) იმის შესახებ, რომ მათ უარყვეს ქრისტიანობა და მსხვერპლი შესწირეს წარმართულ ღმერთებს, საიდუმლოდ კი აღიარებდნენ ქრისტიანულ რწმენას. ლიბელლოსანთ ეკლესია თელიდა მძიმე შემცოდეებად და უკანე ღებულობდა მათ მზოლოდ მონანიებისა და საეკლესიო სასჯელის (ეპიტიმიის) მოხდის შემდეგ.

ლიდია (ლუდია) მოწამე — მეუღლე წარჩინებული ფილიტოსისა. აწამეს ქრისტიანობისათვის იმპერატორ ადრიანეს დროს (დაახლ. 117-138 წწ.) მეულლესთან და შვილებთან — მაკედონის და თეოპრებოსთან ერთად. მათთან ერთად აწამეს მხედართმთავარი ამფილოქსი და საყრონელის მცველი კრონდონი. ხსენების დღეა 23 მარტი. ლიდიას და მის თანამოწამეთა მეტაფრასული „წამების“ ქართული თარგმანი მოთავსებულია ხელნაწერში ქუთ. 2, 366-374 (აქ ხსენების დღედ აღნიშნულია 28 მარტი).

ლიკოზდია — ათონის ქართველთა მონასტრის კუთვნილი სოფელი. მოხსენებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ (იხ. ძეგლები, II, 139).

ლიკანი — სოფელი ბორჯომის რაიონში, მდ. მტკვრის ნაპირზე, ბორჯომიდან 5 კმ. ლიკანის მიდამოებში, მდ. ახლისწყლის ხეობაში შემორჩენილია შუა საუკუნეთა სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის მთავარი ნაგებობა ყოფილა ღვთისმშობლის ეკლესია (VIII-IX სს.), ამჟამად ნანგრევებად ქცეული. ეკლესიის მთავარი ნაწილია აბსიდით დასრულებული ნავი. მოგვიანებით, XVI ს-ში, ეკლესიას მიადგეს სამრეკლო, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავს დასავლეთ კედელს. სამრეკლოს მასიურკედლებიანი ქვედა სართული, რომელიც დაუშუაებელი დიდი ლოდებით არის ნაგები და კუბის ფორმა აქვს, ეკლესიაში შესასვლელს წარმოადგენს. ბარიერთ შემოზღუდულ II სართულს გარედან ლილვებიანი პროფილი გასდევს. ასასვლელად მიშენებულია ქვაყორის კიბე. სამრეკლოს ზედა ნაწილი კი, კერძოდ, თლილი ქვის სეტებები, რომლებსაც სახურავი ეყრდნობოდა, მონგრეულია.

ლილაშუნე (სვან. „თესლობა“) — სვანური წარმართული ღვთაების, ლამარიას დღესასწაული. იმართებოდა ადრე გაზაფხულზე. იხ. ლამარია.

„ლიმონარი“ — ბიზანტიელი მწერლის, იოანე მოსხის (დაახლ. 550-334) თხზულება, რომელსაც ქართული ვერსიით ეწოდება „სამოთხე“, სულის სასარგებლო პატერიკულ მოთხრობათა კრებული, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ათონურ ხელნაწერში Ath. 9, გადა-

წერილია 977 წ., ოშკის მონასტერში, სტეფანე დეკანოზის მიერ. ტექსტი გამოკვლეევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ 1960 წ.

ლ ი ნ ი – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი; გადმოცემით, იგი იყო რომის პირველი ეპისკოპოსი (I ს.). ეპისკოპოსობა მიუღია პეტრე და პაველ მოციქულებისაგან. აღესრულა მოწამებრივად. აწამეს ქრისტიანობისათვის იმპერატორ ნერონის დროს.

ლ ი პ ა რ ი ტ – დარკვეთის (ჭიათურის რაიონი) წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებელი, ძე გოლიათ ერისთავისა, მოხსენებულია ეკლესიის დას. ფასადის წარწერაში თავის ძმებთან ერთად: „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, შეიწყალენ მონანი შენნი, შვილნი გოლიათისნი: ანტონი გოლბრელი, ლიპარიტ და კურკე, რომელთა აგიშენეს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ. შემწე ეყავ“. ლიპარიტის მამას, გოლიათს და პაპას, გიორგი ერისთავთ-ერისთავს აუშენებიათ სავანის ეკლესია (1046 წ.).

ლ ი პ ა რ ი ტ ი ს შ ვ ი ლ ი – იხ. „ლამაზი საყდარი“.

ლ ი რ ა ნ ი კ ო ლ ო ზ (†1340 წ.) – განთქმული ღვთისმეტყველი და მქადაგებელი, ფრანცისკელი ბერი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი. ჰირველმა შეადგინა კომენტარები ძველი და ახალი აღთქმის ყველა წიგნისთვის. ამ კომენტარებს პქონდათ საუბრის ფორმა. მის შესადგენად ავტორმა ისარგებლა მრავალრიცხოვანი ლიტერატურით ძვ. ებრაულ ენაზე. ლირას თხზულებიდან ბევრი რამ ისესხა დიდმა გერმანელმა მწიგნობარმა და ღვთისმეტყველმა მარტინ ლუთერმა.

ლ ი ს ი – სოფელი მცხეთის რაიონში, თბილისის მახლობად, ლისის ტბის დასავლეთით.

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია წმ. ევსტათეს XIII-XIV სს. დარბაზული ეკლესია. ნაგებია ნატეხი ქვის არასწორი რიგებით. სამხრეთ და ჩრდ. კედლებს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს პილასტრები, რომლებსაც ეყრდნობოდა საბჯენი თაღი. ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვის ფილებით. საკურთხევლის სარკმელი შეკეთილია). სოფლის განაპირას დგას წმ. გიორგის XIX ს. 40-იანი წლების ეკლესია. იატაკის ფილებზე ამოკვეთილი წარწერები მოწმობს, რომ ის თავად თარხან-მოურავების საგვარეულოს საკუთრება ყოფილა.

ლ ი ს ი ს ჯ ვ ა რ ი – შუა საუკუნეების (დაახლ. X ს.) დარბაზული ეკლესია მდ. ფრონეს ხეობაში (შიდა ქართლი), ზნაურის რაიონის სოფელ ზედა ლისის მახლობლად, მდინარის პირას. ეკლესია ეკუთვნის ციხეს, რომელიც აღმართულია რიყით დაფარულ მთაზე. ეკლესიის სამხრეთის კარის თაქზე გაკეთებული ლაპიდარული წარწერის თანახმად, ეს ეკლესია აუშენებია ეინმე თებრონია თუალოის ასულს თავისი ძმის, აბულეთის „საფარეელად“ – სულის საოხად (აბულეთი თურქეთში უწამებიათ). სოფ. ლისში არის მეორე, XIII ს. ეკლესიაც – „ცხრაკარა“, რომელსაც ამჟამად, უბრალოდ, მონასტერს უწოდებენ.

ლ ი ტ ა ნ ი ა – საზოგადო (საყოველთაო) ლოცვა; ჯერებით, საეკლესიო დროებით, სანთლებითა და ხატებით, საზეიმო გალობით ეკლესიის გარშემოვლა. ლიტანია სრულდება აღდგომის ცისკრის წინ, ტაძრის დღესასწაულზე და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კათოლიკურ ღვთისმსახურებაში ლიტანია ეწოდება გარკვეული სახის მცირე ზომის ლოცვას. მას პირველსახედ ითვლება ფსალმუნი. ლიტანიის მეორე სახე შემოიღო გრიგოლ დიდმა. ლიტანიას ღვთისმსახურების დროს იყენებენ ლუთერანებიც.

ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში „ლიტანიისაჲ“ ეწოდებოდა „განსატევებელ ტროპარს“, რომელიც „ოხითაჲ“-საგან (ცისკრის „ღმერთი-უფალსა“ და ლიტურგიაზე სათქმელი ტროპარი) განსხვავებით, იგალობებდა მწუხრისა და ცისკრის ლოცვების ბოლოს. ამ განსატევებელ ტროპარს მოსდევდა ეკლესიის საზეიმო გარშემოვლა. ლიტანიის წესი სრულდებოდა როგორც მწუხრის, ისე ცისკრის ლოცვაზე, განტევების წინ. ეკლესიის (მონასტრის, სოფლის, ქალაქის) გარშემოვლისას განუწყვეტლივ იგალობებდა განტევებითი ტროპარი, ეკლესიაში დაბრუნების შემდეგ კი სრულდებოდა მწუხრის (ან ცისკრის) განტევება.

ლ ი ტ ა ნ ი ა დ ღ ე – საახალწლო წარმართული დღესასწაული ფშავში. ხალხური რწმენით, ამ დღეს ციდან ანგელოზები ჩამოდიან და ახალ წელიწადს ვინც უნდა მოკვდეს, წერენ და ეინც როგორ ტანისამოსში დაიწერება, საიქიოშიც ისე წაუხ. ამიტომ ახალ წელს ფშაველი ყველა ახალ ტანისამოსში ეგებებოდა, ხეივნებერები ხატს ღამეს უთენებენ ქრისტეშობიდან დაწყებული ახალწლამდე. ლიტანიობის ღამეს (ახალ წლის წინა ღამეს) ხატში მიდიოდნენ თემის წარმომადგენლები (ან ყოველი ოჯახის უფროსი) და ხეივნებერთან ერთად ათენებდნენ.

ხევისბერები მათ მოტანილ შესაწირავს (სანთლები, ხშიადები, სასმელი და ხშირად საკლაviე) ამწყალობებდნენ (აკურთხებენ). ხატიდან დაბრუნების შემდეგ თეძის წარგზავნილები მეკვლეებად მიდიოდნენ თითოეულ ოჯახში.

ლიტია — 1 ნაწილი საღღესასწაულო ღამისთევის ლოცვისა (პურის კურთხევის წინა ლოცვები), რომელიც მოსდევს თხოვნით კვერექსს: „აღუსრულოთ სამწუხროჲ ვედრებაჲ ჩუენი უფალსა“ (დიდ მწუხრში) და სრულდება ეკლესიის უკანა ნაწილში — სტოაში. ლიტია დაკანონდა ბიზანტიაში საზოგადო უბედურების დროს, როგორც ლოცვა ამ უბედურებისაგან გადასარჩენად. ამჟამად ლიტია ღამისთევის ლოცვის გარდა, საზოგადო უბედურების შემთხვევებშიც სრულდება, პარაკლისთან ერთად. ზოგჯერ კი — ლიტანიით (იხ. ლიტანია 1).

2. ასე ეწოდება მიცვალებულის მოსახსენებელ მცირე ლოცვას, „ლიტი“ ხშირად გვხვდება ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში (საღღესასწაულო და სხვ.).

ლიტურგია // ლიტურღია (ბერძნ. „საზოგადო მსახურება“) — ქრისტიანული ღვთისმსახურების უმთავრესი სახე, რომელიც სხვადასხვა სახით არსებობს ყოველ ქრისტიანულ ეკლესიაში (მართლმადიდებლურში — წირვა ანუ ჟამისწირვა, კათოლიკურში — მესა) და ძირითადად გულისხმობს საღვთო ძღვენის კურთხევას და ზიარებას.

სახარების თანახმად, ლიტურგია დაწესებულია თვით მაცხოვრის, იესო ქრისტეს მიერ, საიდუმლო სერობაზე (მათე 26, 20-30; მარკოზი 14, 17-25; ლუკა 22, 7-20).

ლიტურგიის წესში შედიოდა კითხვა ძვ. აღთქმის საღვთო წერილიდან, ფსალმუნთა გალობა, ახალი, ქრისტიანული საგალობლების შესრულება, სწავლა-მოძღვრება და ლოცვა. ისტორიულად ცნობილია II საუკუნიდან. მისი საყოველთაო წესები საბოლოოდ შემუშავდა IV ს-ში. სხვადასხვა დროს გავრცელებული იყო ლიტურგიის წესების სხვადასხვა რედაქცია: მოციქულთა — იაკობის, მარკოზის, პეტრესი; ეკლესიის მამათა — ბასილი დიდისა (329-379 წწ.) და იოანე ოქროპირისა (347-407). ლიტურგიის წესების სახელმძღვანელო წიგნს კონდაკი ან ჟამისწირვა ეწოდება.

X ს. დასასრულამდე საქართველოში იყენებდნენ იაკობის, პეტრეს, აგრეთვე ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებს. შემდეგ ფართოდ გავრცელდა უკანასკნელი ორი რედაქცია, რომლებიც XI ს-ში ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა (1744-55, 1764-88 წწ.) კონდაკის ქართული ვერსია შეასწორა სლავურის მიხედვით.

ლიტურგიის შესრულება დაწესებულია ტაძარში, რომლის ტრაპეზი და ოდიკი ნაკურთხია მღვდელმთავრის მიერ. ლიტურგიას ასრულებს მღვდელმთავარი ან მღვდელი. სხვას ლიტურგიის შესრულების უფლება არა აქვს.

ლიტურგია შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: პროსკომიდია (კვეთა), კათაკმეველთა ლიტურგია და მორწმუნეთა ლიტურგია.

პროსკომიდიის დროს ხდება საღვთო ძღვენის მომზადება. კათაკმეველთა ლიტურგიას ასე იმიტომ ეწოდება, რომ მასზე დასწრების უფლება აქვთ კათაკმეველებსაც, მორწმუნეებთან ერთად. კათაკმეველთა ლიტურგია შედგება ლოცვების, საგალობლებისა და საკითხავებისაგან (სახარება — სამოციქულო).

ლიტურგიის შესამე ნაწილი — მორწმუნეთა ლიტურგია წარმოადგენს, ძირითადად, ძღვენის კურთხევასა და ზიარებას. მასზე კათაკმეველთა დასწრება აკრძალულია.

ლიტურგია მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეიძლება შესრულებულ იქნას წლის ყოველ დღეს, გარდა რამდენიმე დღისა, როდესაც ტიპიკონის მიხედვით აკრძალულია ლიტურგიის აღსრულება (ასეთებია — დიდი პარასკევი, ყველიერის ოთხშაბათი და პარასკევი და სხვ.), უმეტესწილად სრულება ლიტურგია წმ. იოანე ოქროპირისა. დიდი მარხვის გარკვეულ დღეებში დადგენილია პირველშეწირულის (ანუ ადრე შეწირულის) ლიტურგია გრიგოლ დიალოღონისა; ლიტურგიის მესამე სახე — წმ. ბასილი დიდისა სრულდება წელიწადში ათჯერ: დიდი მარხვის I, II, III, IV და V კვირიაკეებს, დიდ ხუთშაბათს, დიდ შაბათს, ქრისტეს შობის დღეს ან მის წინადღით, ღვთის განცხადების დღეს ან მის წინადღით და ბასილი დიდის ხსენების დღეს — 1 იანვარს. ძველ ქართულში ლიტურგიის აღმნიშნელად იხმარებოდა ტერმინი „ჟამისწირვა“ ან მოკლედ „წირვა“.

ჩვენამდე მოღწეულია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესის ძველი ქართული საეკლესიო საგალობლები (როგორც ქართლ-კახურ, ისე იმერულ-გურულ კილოზე), ჩაწერილი და დამუშავებული სხვადასხვა დროს ფ. ქორიძის, ა. ბენაშვილის (1886 წ.), მ. იაშვილ-იოანოვის (1884 წ.), ზ. ფალიაშვილის (1909 წ.), ნ. კლენ-

ოვსკის (1901 წ.) მიერ. 1880-1900-იან წლებში გამოიცა აგრეთვე წირვა-ლოცვის საგალობლები იმერულ-გურულ კილოზე ფ. ქორიძისა და რ. ხუნდაძის რედაქციით; ე. კარბელაშვილის ქართლ-კახური საგალობლები – „მწუხარი“ და „ცისკარი“ და სხვ. (იხ. ჟამისწირვა).

ლიტურგია – ქრისტიანული საეკლესიო ღვთისმსახურების შემსწავლელი დისციპლინა, რომელიც იკვლევს მის თეორიულ საფუძვლებს, განვითარების ისტორიულ პროცესებს და ტრადიციებს, საეკლესიო დღესასწაულთა ციკლებს, ღვთისმსახურების შესრულების წესსა და რიგს და ა. შ. ლიტურგია, როგორც სამეცნიერო დარგი, ჩამოყალიბდა XVIII ს-ში. მისი პირველწყაროებია სასულიერო მოღვაწეთა თხზულებანი და მრავალფეროვანი ლიტურგიკული კრებულები.

ლიტურგია სასულიერო მწერლობის დიდი და მნიშვნელოვანი დარგია. ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში ასახულია საქართველოში ქრისტიანული სამრევლო და სამონასტრო ღვთისმსახურების ტრადიციები. X ს-მდე ქართულ ეკლესიას წარმართავდა იერუსალიმური (იხ. ლექციონარი), X-XII სს-ში – კონსტანტინეპოლური რედაქციის ტიპიკონი (იხ. სვინაქსარი), შემდეგ პალესტინის საბაწმიდის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც XVIII ს-ში სლავურის მიხედვით შეასწორეს. ცნობილია აგრეთვე სამონასტრო, ანუ ქტიტორული ტიპიკონები, დაწესებული ამა თუ იმ მონასტრისათვის (მაგ. პეტრიწონის მონასტრისათვის დაწესებული გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი, 1084 წლისა, „განგება ვანის ქუაბთა მონასტრისა“, 1204-34 წწ. და სხვ.).

ქრისტიანული ღვთისმსახურების სამმა ძირითადმა ელემენტმა – საკითხავებმა, ლოცვებმა და საგალობლებმა – განაპირობა ლიტურგიკული წიგნების სპეციფიკა. ბიბლიური საკითხავები ადრეულ ეტაპზე ძირითადად ლექციონარებში იყო თავმოყრილი. შემდგომში ძველი აღთქმის საკითხავ; ბის კრებულს საწინასწარმეტყველო, ხოლო ახალი აღთქმისას – აპრაკოსები ეწოდა. საკითხავ;ა ქართულ კრებულებში, რომლებიც ბერძნულის მიხედვით არის შედგენილი, ასახულია ღვთისმსახურების პრაქტიკის, მისი ტრადიციების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

საეკლესიო ლოცვები ძირითადად კონდაკსა და კურთხევანებშია შეკრებილი.

ქართული საგალობლები თავმოყრილია პიმნოგრაფიულ კრებულებში (იადგარებში, თვენებში, მარხვან-ზატიკებში და ა. შ.), რომლებშიც ასახულია ბერძნული და, შესაბამისად, ქართული სასულიერო პოეზიის განვითარება V-XVIII სს-ში, უმარტივესი ფსალმუნური საგალობლებიდან რთულ პოეტურ-მუსიკალურ კომპოზიციებამდე.

ლიტურგიკა, როგორც დისციპლინა, იყოფა ორ ნაწილად: საზოგადო და კერძო ლიტურგიკად. პირველი მათგანი აყალიბებს ღვთისმსახურების საფუძვლებს საზოგადოდ, განიხილავს მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, გადმოსცემს ღვთისმსახურების შემადგენელ ნაწილებს – საეკლესიო საიდუმლოთა, ლოცვათა, საგალობელთა, საღმრთო წერილის საკითხათა სახით. ასევე, იძლევა ცნობებს სამღვდელო მსახურთა, მათი შესამოსელისა და რიტუალთან დაკავშირებული ნივთების შესახებ და ა. შ.

კერძო ლიტურგიკის საგანია ცალკეული ღვთისმსახურების განგება (წესი, აკოლუთია), როგორც ყოველდღიური მსახურებისა (მწუხრი, ცისკარი, ჟამობა და სხვ.), ასევე სამარხვო და სადღესასწაულოსი. აქვე განიხილება საეკლესიო წესები, რომელიც მორწმუნეთა ინდივიდუალური სურვილით სრულდება.

ლიფანალი – ახალი წლის ციკლის დღესასწაული სვანეთში. იმართებოდა მიცვალებულთა სულების პატივსაცემად. ლიფანალი იწყებოდა 5 იანვარს და გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. მორწმუნეთა წარმოდგენით, მიცვალებულთა სულები თავიანთ ოჯახებს უბრუნდებოდნენ და მათ „გასამასპინძლებლად“ საწესო სუფრას აწყობდნენ. სუფრაზე ყველაფერი იყო გათვალისწინებული სხვადასხვა ასაკის მიცვალებულისათვის. მათ სვანები „პრთობდნენ“ მუსიკით, ალამაზებდნენ სახლსა და კარ-მიდამოს. ლიფანალის დღეებში საეკლესიო წმინდა ფქვილისა და ნაცრის ხსნარით სახლის კარებზე, კედლებზე, საჭონლის სადგომის ტიხარზე, კიდობნებზე და ა. შ. თითით გამოჰყავდათ ადამიანთა, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა თუ სასარგებლო ნადირის სილუეტები ან ხაზოვანი გამოსახულებანი და ასტრალურ-კოსმოგონიური ნიშნები. ამ მხატვრობის სტილი, ტექნიკა, თემატიკა თუ გამოყენებული მასალა პრიმიტიულია. ლიფანალის დღეების დასრულებისას მიცვალებულთა სულებს დიდი პატივისცემით გააცილებდნენ ხოლმე და თან ჯანმრთელობას, საქონლის გაძრავლებასა და მოსაელის სიუხვეს ეევედრებოდნენ.

ლიფანალის რიტუალები არქაულ წარმოდგენას ემყარება, რომელთა თანახმად მიცვალე-

ბულებს შეეძლოთ ცოცხალთა ცხოვრებაზე სასიკეთო გაელენის მოხდენა და ღვთაებათა წინაშე შუამდგომლობა. იგი ასევე უკავშირდება შეხედულებებს ბუნების ძალთა აღორძინების შესახებ და ამიტომ მოექცა ახალი წლის დღესასწაულთა ციკლში, რომლის წარმმართველი იდეა სწორედ მზის მობრუნება და ნაყოფის მომცემ ძალთა განახლება იყო. მსგავსი დღესასწაულები წლის სხვადასხვა დროს საქართველოს მრავალ კუთხეშია დამოწმებული (სულთაკერეფა, სუნთობა და სხვ.).

ანალოგიური წარმოდგენები გაერცელებული ყოფილა ძვ. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, კერძოდ, ეგვების დროიდან ინდოელებში, ბერძნებში, რომაელებში.

ლიწატი – საანდერძო ლეგატი, ანდერძდანაკისრი. მთელი მემკვიდრეობის დატოვებისაგან განსხვავებით საანდერძო ლეგატი ნიშნავდა გარდაცვლილის მხოლოდ ზოგიერთი უფლების (მაგ. ქონების ნაწილის) გადაცემას. ასეთი სახელწოდება საანდერძო დაკისრებამ მიიღო იმის გამო, რომ მემკვიდრისათვის მას აკონკია კანონის (lex) ძალა. ტერმინი დადასტურებულია „დიდი სკულისკანონში“ (137,16).

ლიხაური – სოფელი ოზურგეთის რაიონში, მდ. აჭისწყლის ხეობაში. აღრანდელ ფეოდალურ ხანაში აქ გურიის საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი იყო. სოფელში შემორჩენილია XIII ს. II ნახევრის ღვთისშობლის დარბაზული ეკლესია. სამრეკლო აშენებულია 1422 წ. მისი ქვედა სართული ოთხი მხრიდან კედლებთ შემოზღუდული საკმაოდ მაღალი სათავისია, რომელსაც აღმოსავლეთით და დასავლეთით შესასვლელები აქვს გაჭრილი. მეორე სართული გეგმით ოცკუთხა რვათაღიან ფანჩატურს წარმოადგენდა (შემორჩენილია ფრაგმენტები). მოხატულობა ძირითადად პირველ სართულს ამკობს.

ლიხაური ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიური სოფელია.

ლიხეთი – სოფელი აბზოლაურის რაიონში, მდ. ლუხუნის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. სოფლის მახლობლად შემორჩენილია „მეჭურეთის“ VIII-IX სს. სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები.

ლიხნი – სოფელი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში, შავი ზღვისპირა დაბლობზე. სოფლის ცენტრში აღმართულია X-XI სს. მიუწის ღვთისშობლის მიძინების ტაძარი. წაგრძელებულ ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას აღმოსავლეთით სამი შეერილი აბსიდი აქვს. მოგეიანებით დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ტაძრისათვის ღია ეგეტერები მოუშენებიათ. ფასადები მოპირკეთებულა სუფთად გათლილი კვადრებით. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ლიხნის ტაძარი ამჟამადაც მოქმედია და ეკუთვნის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას.

სოფლის განაპირას, მდ. ბიუსთის მარცხენა ნაპირზე, აბაანია ციხე-სიმაგრის (VII-VIII სს.) სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ეკლესიას აღმოსავლეთით შეოდწახნაგა შერჩილი აბსიდი აქონია, დასავლეთით – ერცელი ნართექსი.

ლოგოთეტი – ერთ-ერთი მეტად მალალი თანამდებობა კონსტანტინეპოლის ეკლესიაში. ლოგოთეტის გამგებლობაში იყო საპატრიარქო კანცელარია, იგი ინახავდა პატრიარქის ბეჭედსა და არქივს; დიდ გავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზე. მაგ., მეტაფრასული მიმნიწარეობის ფუძემდებელს სვიმეონს, მეტაფრასტად წოდებულს, ლოგოთეტის თანამდებობა ჰქონდა და ცნობილია სვიმეონ ლოგოთეტის სახელით.

ლოგოსი – ტერმინი „ლოგოსი“ ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში ერთდროულად აღნიშნავდა „სიტყვას“ („წინადადებას“, „გამოთქმას“) და „აზრს“ („ოცნებას“, „მსჯელობას“), ობიექტურად მოცემულ შინაარსსაც და გონის მოღვაწეობასაც. ტერმინი „ლოგოსი“ შემოიღო პერაკლიტემ. ამ ცნების მეშვეობით პერაკლიტე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყარო, მიუხედავად მისი დინამიკურობისა და კატასტროფულობისა, მაინც სტაბილური და ჰარმონიულია. შემდეგში ტერმინმა „ლოგოსმა“ დაკარგა თავისი აღრინდელი ონტოლოგიური მნიშვნელობა (არისტოტელესთან, პლატონთან, სოფისტებთან). მხოლოდ სტოიციზმმა აღადგინა ხუბსტანციური მსოფლიო ლოგოსის ცნება, განმარტა იგი, როგორც კოსმოსის წმინდა მატერიალური სული. ნეოპლატონიზმმა ამ შეხედულების იდეალური ინტერპრეტაცია მოახდინა – ლოგოსი გონებით წვდომადი სამყაროს ემანაციად მიიჩნია.

ქრისტიანობაში ლოგოსი ღვთის ძის – იესო ქრისტეს სინონიმადაა მიჩნეული („სიტყუაჲ ღმრთისაჲ“). იგი დასაბამს იოანეს სახარებიდან იღებს: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმერთსა თანა და ღმერთ იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე 1,1).

ლოთი – აბრაამის ძმის, არანის შვილი. ყმაწვილობა აბრაამთან ერთად. თავიდან ცხოვრობდა

ქარანში, შემდეგ აბრაამის ოჯახთან ერთად გადასახლდა ქანაანში. აქ იგი გამდიდრდა, ორლა ბიძას, დაქორწინდა და დასახლდა ქალაქ სოდომში, მკვდარი ზღვის სანაპიროზე. მალე ის ტყვედ მოხვდა მესოპოტამიაში, საიდანაც იგი გაანთავისუფლა აბრაამმა.

ლოთი მოწმე გახდა გახრწნილი ქალაქების, სოდომისა და გომორის დასჯისა. წმინდა სამება ანგელოზების სახით გამოეცხადა ჯერ აბრაამს, შემდეგ კი — ლოთს. ლოთმა ანგელოზები შინ შეიპატიჟა და გაუმასპინძლდა. ღამით ლოთის სახლს თავს დაესხნენ სოდომელი მამაკაცები, რომლებიც ესწრაფეოდნენ ლოთის სტუმართა შეურაცხყოფას. ამ მცრეხლობამ ანგელოზები აღაშფოთა და განიზრახეს უსჯულო ქალაქების დასჯა. მათ ლოთი და მისი ოჯახის წევრებიც თან გაიყოლეს და ამცნეს, ამ დაწყევლილი ქალაქისაკენ აღარ მოეხედათ. ქალაქიდან რომ გაეიდნენ, ღმერთმა ცეცხლის წვიმა მოუვლინა სოდომსა და გომორს. ქალაქები მთლიანად განადგურდა და ფერფლად იქცა. ლოთის ცოლმა არ შეისმინა ანგელოზთა ბრძანება, უკან შებრუნდა, რათა დაენახა განწირული ქალაქების ზედრი და იქვე მარილის სვეტად გადაიქცა (დაბ., 11, 27; 19, 1-38).

ლოიოლა იგნატიუს (1491-1556) — ესპანელი წვრილაზნაური. 1534 წელს შექმნა იეზუიტების ორდენი და იგი კონტრრეფორმაციის იარაღად აქცია, შეიმუშავა მისი ორგანიზაციული და მორალური პრინციპები. ლოიოლას იეზუიტური აღზრდის სისტემა (თხზულება „სულიერი ვარჯიშები") მიზნად ისახავდა ადამიანის ნების დათრგუნვას და მის გადაქცევას კათოლიკური ეკლესიის მორჩილ იარაღად. ღვთის საამებლად და მიზნის მისაღწევად დასაშვებად მიაჩნდა ყოველგვარი საშუალების (დაბეზღება, დასჯა, მკვლელობა და ა.შ.) გამოყენება. კათოლიკურმა ეკლესიამ 1622 წელს იგი წმინდანად შერაცხა.

ლომი — ზოდიაქო, მარკოზ მახარებლის სიმბოლო, რომელიც მითითებულია ახკალიფსში (იოანეს გამოცხადება 4,7). ლომს ხშირად გამოსახავენ ხოლმე ამ წმინდანის ხატზე.

ლომი — სოფელ კოშკების (გორის რაიონი, მდ. სკრის მარჯვ. მხარეს) დარბაზული ეკლესიის ხელმსანი. მას თაღისი ხარჯით „დაუსვამს" ქვა ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის თავზე. მოხსენებულია ამ ქვის X ს. ლაპიდარულ წარწერაში.

ლომისა — წარმართული ღვთაება მთი-

-ოში. მისი სალოცავი მდებარეობდა ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე, სოფ. მლეთასთან (დუშეთის რაიონი). ამჟამად იქ მდებარეობს წმ. გიორგის VIII-IX სს. ეკლესია. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ლომისა მთავრის საკულტო ტაძარი ყოფილა. ქრისტიანული ეკლესია აუგიათ წარმართული ტაძრის ადგილზე. ლომისა იყო მთიულეთისა და ქსნის ხეობის მოსახლეობის უპირველესი სალოცავი. აქვე წყდებოდა ბევრი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო საკითხი.

თქმულების თანახმად, ლომისა გზოვანის წმ. გიორგია, რომელსაც ხორასნიდან 7 ათასი ტყვე დაუხსნია და ხარის რქებზე დაბრძანებული დამკვიდრებულა მლეთის მთაზე. მას ეევედრებოდნენ შვილიერებას, თვალის სინათლეს, მიწისა და საქონლის ნაყოფიერებას.

ნაგებობა გეგმით მართკუთხა სამეკლესიიანი ბაზილიკაა. გადახურულია ცილინდრული კამარით; შუა ნაწილში საბჯენი სვეტია, რომელიც თაღებით უკავშირდება გვერდითი კედლების პილასტრებს. ტაძრის ირგვლივ შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, მათ შორის, სამრეკლოს ნანგრევები.

სოფ. ქვემო მლეთში მდებარეობს ლომისის ტაძრის მეტოქი — დიდი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (XIX ს. X).

ლომისის სახელზე საქართველოს სხვა კუთხეებშიცაა ტაძრები აგებული, მაგალითად, ახმეტის მიდამოებში (განუთარებელი შუა საუკუნეები), სოფ. კავთისხევის (კასპის რაიონი) ცენტრში და სხვ.

ამჟამად ლომისობა — ლომისის წმ. გიორგის დღესასწაული, იმართება ლომისის მთაზე, სულიწმიდის მოფენის შემდეგ ოთხშაბათ დღეს (მზგეფსია). დღესასწაულობენ თვით სოფელ მლეთაშიც, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, „ლომისის" სახელზე აგებულ მრავალრიცხოვან ეკლესიებში და ნიშებთან.

ლონგინოზი — გაღმოცემით, ასე ერქვა რომაელ ასისთავს, რომელიც სხვა მხედრებთან ერთად იცავდა იესო ქრისტეს ჯვარს, როცა ლონგინოზმა ნახა სასწაულები — მზის დაბნელება, მიწისძვრა, რომლებიც იესო ქრისტეს სიკვდილის მომენტში მოხდა, შესძახა: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე" (მათე 27, 54). იესოს აღდგომის შემდეგ მან საბოლოოდ იწამა იგი და მოინათლა მოციქულთა მიერ. ლონგინოზი მოწამეობრივად აღესრულა. მის ხსენებას ეკლესია 16 ოქტომბერს აღნიშნავს.

ლონგინოზ ასისთაის „წამების" მეტაფრასული რედაქციის XI ს. ქართული თარგმანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (ქუთ. 4, 454-460, S 384, 402-410; S 1276, 234-277 და Jer. 37, 70-79).

ლონგინოზ ასისთაის „წამების" კიმენური რედაქციის IX-X სს. თარგმანი დაცულია H 341, 432-446 და Ath. 8, 271-275 ხელნაწერებში (აქ ხსენების დღედ მიღებულია 24 აპრილი). გამოცემულია: ქ. კეკელიძე, კიმენი, გვ. 188-192.

ლონგინოზ მოწამე – წარმოშობით რომაელი. თაყის ძმებთან (ორენტი, ფარნაკი, ეროსი, ფირმოსი, ფირმინე, კვირიკე) ერთად მაქსიმიანე კეისრის (284-305) არმიაში მსახურობდა. სკვითებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის იმპერატორმა ძმები მიიწვია ამ გამარჯვების აღსანიშნავ მსხეერპლთშეწირვაზე. ძმებმა უარით უპასუხეს კერპთმსახურებაზე და ქრისტიანად გამოაცხადეს თავი. იმპერატორმა წმ. ორენტი და მისი ძმები კავკასიაში გადაასახლა, მაგრამ მათ იქ ვერ ჩაალწიეს: გემი, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ, ჩაიძირა. წმ. ლონგინოზის გვამი ზღვამ ბიჭვინთის ნაპირზე გამორიყა და იქვე დაკრძალეს. ხსენების დღეა 24 ივნისი. წმ. შვიდი მოწამე ძმის მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 227-241. გამოცემულია ქ. კეკელიძის მიერ (ლიტერატურული ძიებანი, IV, გვ. 111-127; იხ. აგრეთვე: ეტიუდები, IV, 310-329). აქ ხსენების დღედ დასახელებულია 23 ივნისი.

ლონგინოზ ჯანისელი (ჯარსნელი) – მცხეთაში ქრისტეს კვართის მომტანი ებრაელი. როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, ადერკის მეფობისას (I ს.) იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე წასულა რამდენიმე მცხეთელი ებრაელი და, მათ შორის, ლონგინოზ კანისელიც. ისინი იქ დასწრებიან უფლის ჯვარცმას და წილად რგებიათ მისი კვართი. ელიოზ მცხეთელთან ერთად ლონგინოზს მცხეთაში ჩამოუტანია ეს კვართი („ქართლის ცხოვრება", I, 36-37, 99). „მოქცეულა ქართლისაჲს" მიხედვით, ელიოზისა და ლონგინოზის გარდა იერუსალიმში ყოფილან თალენაე და მიხაელ (ძეგლები, I, გვ. 87).

„ლოლიჯა" – ანტონ პირველი კათოლიკოსის თხზულება, თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიის სტუდენტთა სახელმძღვანელო, შედგენილი ფრედერიკოს ბაუმაისტერის ამავე სახელწოდების ნაშრომის მიხედვით. დაცულია პარიზის ნაც. ბიბლ. ხელნაწერში: (№ 21) და სხვ.

ლოცვა – გონებით შეერთება ადამიანისა ღმერთთან, მოკრძალებული თხოვნა-ვედრება და ქება-დიდება ღვთისა. ბასილი დიდის სიტყვით, „ლოცვაჲ უბნობაჲ არს გონებისა ღმრთისა მიმართ" (A 81). სულხან-საბა განმარტავს: „ლოცვა – გონებით ღმრთისა მიმართ აღსლვა, ანუ თხოვა ჯეროვანი ღმრთისაგან. ლოცვა არს ვედრება, არამედ ესენიცა განყოფებიან, რამეთუ ლოცვა არს ლიტონითა სიტყვითა ღმრთისა შემწედ მოწოდება, ხოლო ვედრება – ცრემლიანითა თვალითა და სიტყვითა".

ლოცვების შესრულების წესებზე მითითებული იყო ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში, მაგრამ მათ ზუსტი ფორმულების სახე არ აქვნიათ. მოგვიანებით დადგენილი იქნა ლოცვის შესრულების ზოგიერთი აუცილებელი წესი, სახელდობრ, განისაზღვრა დრო მისი დაწყებისა. ებრაელთა ლოცვა, წარმართთა მსგავსად, გამოირჩეოდა დიდი ხანგრძლივობით. ამის საწინააღმდეგოდ ქრისტემ მოწაფეებს ამცნო „მამაო ჩვენოს" წარმოთქმა.

საღმრთო წერილი ხაზს უსვამს ლოცვის აუცილებლობას (მათე 7, 7-11; ლუკა 21, 26; რომ. 12, 12; ეფეს. 6, 18; ფილიპ. 4, 6; კოლ. 4, 2-3; 1 თესალ. 5, 17, 25; 2 თესალ. 3, 1; 1 ტიმ. 2, 1). მოთხრობილია, რომ თავად იესო ქრისტე ხშირად ლოცულობდა (მათე 14, 23; 26, 36-44; მარკოზი 1, 35; ლუკა 3, 21; 5, 16; 6, 12; 9, 18, 28; 11, 1; 22, 32, 40, 44; 23, 34; იოანე 17, 1-26), ლოცულობდნენ მისი მოწაფეებიც (საქმენი 1, 14; 2, 42; 4, 24-25, 31; 10, 2).

ლოცვისათვის საჭიროა: განწმედილი გული (მათე 5, 23-24; მარკოზი 11, 25-26; იოანე 15, 7, 16; 1 იოანე 3, 21, 22), სარწმუნოება (მარკოზი 11, 24; იაკ. 1, 5-8), მშვიდობა (ლუკა 18, 9-14), სიწმიდე გულისსიტყვისა (იაკ. 4, 30; ადამიანი უნდა ლოცულობდეს გამუდმებით (ლუკა 11, 5-8, 18, 1), როგორც განმარტოებით (მათე 6, 6), ისე სხვასთან ერთად (მათე 18, 19-20). იესო ქრისტე მოწაფეებს ამცნობდა, ელოცათ მისი სახელით (იოანე 16, 23-24, 26, 27), და არწმუნებდა, ყოველივეს, რასაც ლოცვაში ითხოვენ, მიიღებთო (მათე 7, 7-11; 18, 19-20; 21, 21-22; მარკოზი 11, 24; ლუკა 11, 5-13; 22, 40; იოანე 9, 31, 15, 7).

ქრისტიანულმა ეკლესიამ საუკუნეთა მანძილზე შეიმუშავა ლოცვისა და, საზოგადოდ,

ღვთისმსახურების რთული, დახვეწილი წესები.

ლოცვის გარეგნული ფორმები უმეტესწილად ნასესხებია იუდაისტური კულტისაგან (ლოცვისას ფეხზე დგომა, მუხლმოდრეკა, ხელების აღპყრობა და სხვ.). პირჯერის წერის წესი მომდინარეობს მოციქულთა დროიდან.

ლოცვა სამი სახისაა: დიდებისმეტყველებითი, მადლობითი და თხოვნითი. უმთავრესი ლოცვაა საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“. იგი თვით მაცხოვარმა იესო ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს (მათე 6,9-13, ლუკა 11, 2-4).

ტერმინი „ლოცვა“ იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით: 1) ასე ეწოდება ისეთ ხანგრძლივ საეკლესიო ღვთისმსახურებას, როგორიცაა: მწუხრის ლოცვა, ცისკრის ლოცვა, ჟამნი (არსებობს I, III, VI, IX ჟამნები; სადილის, შუაღამის, სამეუფეო ჟამნები), დიდი და მცირე სერობა და სხვ. თითოეული მათგანი შედგება უამრავი მცირე ზომის ლოცვისა, კვერექსისა და საგალობლისაგან. 2) „ლოცვა“ ეწოდება აგრეთვე ზოგიერთ საეკლესიო წესს.

ქრისტიანის პირადი ლოცვების კრებულს ეწოდება „ლოცვანი“. აქ შედის „ძილისაგან ადგომის“, „ძილად მისვლის“, ზიარების, მადლობის ლოცვები და ზოგიერთი სხვა ლოცვა.

საზოგადო ღვთისმსახურებაზე (მწუხრი, ცისკარი, ჟამნობა და სხვა) წარმოსათქმელი ლოცვები მეტად მრავალფეროვანია და შეტანილია სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნში: ჟამნში, კონდაკში, საღღესასწაულო თვენში, მარხვანში, ზატიკში და სხვ.

რაც შეეხება საეკლესიო წესებს, ძირითადად „კურთხევანში“ არის თავმოყრილი. ზოგიერთი საეკლესიო წესი (ნათლობა, წესის აგება, ზეთის კურთხევა და სხვ.) მრავალ ლოცვას მოიცავს, დიდი უმრავლესობა კი ერთი ლოცვის სახითაა წარმოდგენილი. ქვემოთ ჩამოთვლილია ასეთი ლოცვები, დალაგებული ანბანის რიგზე:

— ლოცვა ავის-ქარისა და ღელვისათვს ზღვისა — იკითხება ზღვის დასაწყნარებლად ნაოსნობის დროს.

— ლოცვა ანაფორის ჩაცმისა და კუნკულის დახურვისა — სრულდება მონასტერში, მორჩილის სამოსლის (ანაფორის, კუნკულის) კურთხევის დროს. მორჩილების გარკვეული ვადის შემდეგ შეიძლება მოხდეს საბეროდ განმზადებული ადამიანის აღკვეცა (ბერად კურთხევა). იხ. დიდი სქემა, მცირე სქემა.

— ლოცვა აღბეჭდვასა ჯვრისასა დღესა მერვესა, ოდეს უწოდდენ სახელსა — საეკლესიო წესი მობიდან მერვე დღეს, რომლის დროსაც ახალშობილს მიენიჭება სახელი.

— ლოცვა აღკვეცასა ზედა ყრმისასა — სრულდება ნათლობის შემდეგ.

— ლოცვა აღმოთხრასა ჭისასა — იკითხება ჭის, წყაროს და მისთანათა საკურთხებლად.

— ლოცვა აღშენებასა სახლისასა

— ლოცვა ახლისა ღვინისა, „ოდეს იხმიონ პირველად“.

— ლოცვა ბადისა — იკითხება სათევზაო ბადის საკურთხებლად.

— ლოცვა ბოროტისა გულის-თქმისა — იკითხება, რათა განიდევნოს ადამიანისაგან ბოროტი გულისთქმა (მისწრაფება).

— ლოცვა განცოფებულისა (ძაღლისა) ნაკბენსა ზედა.

— ლოცვა განზსნასა გურგუნისასა დღესა მერვესა — სრულდება ქორწინებიდან (გვირგვინის კურთხევიდან) მერვე დღეს.

— ლოცვა გვირგვინის კურთხევისა — ასე ეწოდება საეკლესიო წესს, როდესაც სრულდება საღვთო საიდუმლო — ქორწინება (იხ. საღმრთო საიდუმლო). ამას წინ უძღვის „წესი, რომელი იქმნების წინდობასა“.

— ლოცვა დადგომასა ზედა კათაკმეველთასა. კათაკმეველი ეწოდებოდა მოსანათლავად გამზადებულ ყრმას (ან მოზრდილ ადამიანს). ნათლობის წინა დღესაც სრულდება სპეციალური საეკლესიო წესი, რომელიც შეიცავს „შეფუცვის ლოცვებს“, კათაკმეელის მიერ მართლმადიდებლობის მრწამსის აღიარებას და სხვა ლოცვებს, კათაკმეელის დადგომას მოსდევს „ლოცვა წმიდისა ნათლისა ეპბაზსა ზედა“.

— ლოცვა დანერგვასა ენებისასა.

— ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა მეორმოცესა დღესა. ეს ლოცვა ეკითხება ქალს მშობიარობიდან მეორმოცე დღეს, როდესაც იგი ხორციელად იწმინდება და ეძლევა უფლება ტაძარში შესვლისა. ამავე შემთხვევაში იკითხება: „ლოცვა შესლეისა დედაკაცისა ეკლესიად მეორმოცესა დღესა“, „ლოცვა, რაჟამს ეკლესიად შეჰყვანდეს ყრმაჲ დღესა მეორმოცესა“, „ლოცვა დედასა ზედა ყრმისასა“ და „სხვა ლოცვა ყრმასა ზედა, რომელსა მღვდელი დაბეჭდავს ჯვარისა სახედ და წარუკითხავს“.

— ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, პირველსა დღესა.

— ლოცვა დედაკაცსა ზედა, რაჟამს მუცელი წაუხდეს.

— ლოცვა ენებისათჳს ერისა და სნებისათ-

უსცა, პატრიარქ კალისტეს თხზულება. სრულდება, როგორც საეკლესიო წესი, ყოველგვარი საზოგადო განსაცდელის დროს. კურთხევანშიეე ვნახავთ „სხვა ლოცვას ქრისტეს მოყვარეთა ერთათუს“ და „სხვა ლოცვას მეფეთა და მხედართა მისთათუს“.

— ლოცვა ზეთსა ზედა გესლიანისა ნაკბენზედა — იკითხება იმ ზეთის საკურთხებლად, რომელსაც გველნაკბენ კაცს აცხებენ (განკურნების მიზნით).

— ლოცვა თესლთა ზედა დასათესაად — იკითხება მინდერად, თესვის დროს.

— ლოცვა კალოსა ზედა — იკითხება პურის აღების დროს (კალოზე).

— ლოცვა ლიტანიისა და ღამისთევისა — სრულდება სხვადასხვა საზოგადო განსაცდელის ჟამს, მაგალითად, გვალვის შემთხვევაში, ეპიდემიის დროს და სხვ. სათანადო ადგილას ჩაერთვის შესაბამისი ლოცვები.

— ლოცვა ლხინებისა (განწმედისა) — განწმედის ლოცვა მათთვის, რომელთაც ჯერ უარყვეს სარწმუნოება და შემდეგ ისევ მოიქცნენ.

— ლოცვა მონანულსა ზედა — იკითხება ცოდვათა მისატევებლად.

— ლოცვა მტერთა მბრძოლად ჩუენდა მოსავალთათუს — კანონი და ლოცვა ყოველდღიდა ღეთისმშობლისა, საეკლესიო წესი, რომელიც სრულდება ოძიანობის დროს (ლოცვა გამოთქმულია „სანატრელისა ფილადელფოს მიტროპოლიტისა მიერ“).

— ლოცვა ნავის გაკეთებისა — იკითხება ნავის საკურთხებლად.

— ლოცვა ნათლობის ემბაზსა ზედა — სრულდება ნათლობის დროს.

— ლოცვანი სალხინებელნი უარისმყოფელთა და კუალად ჭეშმარიტისა სარწმუნოებასა ზედა მოქცეულთა — მეოთხე კონსტანტინოპოლელი პატრიარქის თხზულება; სრულდება, როგორც საეკლესიო წესი მათთვის, რომელთაც უარყვეს სარწმუნოება, შემდეგ კი მოინანიეს და დაუბრუნდნენ მას. თუ ყრმამ სარწმუნოება უარყო რამე შიშისა ან უსწავლელობისაგან, ეს ლოცვები უნდა წაეკითხოს 7 დღეს, მერე დღეს კი განიბანოს მისი სხეული უბრალო წყლით და ეცხოს წმ. მირონი, ახალმონათლულის მსგავსად.

თუ სრულწლოვანმა ან მოხუცებულმა უარყო სარწმუნოება რამე მძიმერი სატანჯველის შიშით, მან უნდა იმარხულოს ორი ორმოცი (ე. ი. 80 დღე) და როცა მოახლოვდება მეორე ორმოცის დასასრული, რეა დღის წინ უნდა დაიწყონ მასზე ზემოაღნიშნული ლოცვების კითხვა ყოველდღიურად. შემდეგ ისიც უნდა განიბანოს უბრალო წყლით და ეცხოს წმ. მირონი. ლიტურგიის შემდეგ ზიარების ნაცვლად მათ უნდა დაალევინონ პიაზმა განცხადებისა, როგორც ახალმონათლულთ. ხოლო თუ ვინმე თავისი ნებით, იძულების გარეშე, უარყოფს სარწმუნოებას, შემდეგ კი მოინანიებს, ასეთებს ეკლესია შეიწყნარებს, მაგრამ საღვთო საიდუმლოს არ აზიარებს სიკვდილამდე. წმ. ბასილი დიდის კანონის თანახმად, ასეთმა ადამიანმა მთელი ცხოვრება სინანულსა და აღსარებაში უნდა გაატაროს და მხოლოდ სიკვდილის წინ ეზიაროს.

— ლოცვანი საშინელისა სრვისათუს — „კანონი წმიდისა და ერთარსისა სამებისა მიმართ და ყოველთა წმიდათა მისთა, საშინელისა სრვისათუს, სენისა მიერ მოწეულისა“ — იკითხება საზოგადო უბედურების — ეპიდემიის დროს, რომელსაც მრავალი ადამიანის სიკვდილი მოსდევს.

— ლოცვანი საშინელისა ძრვისა — „კანონი და ლოცვანი საშინელისა ძრვისათუს, თქმული იოსების მიერ“ — იკითხება საზოგადო უბედურების — დამანგრეველი მიწისძვრის დროს.

— ლოცვანი უწყივრობისანი — „კანონი და ლოცვანი უწყივრობისანი“ — იკითხება გვალვის დროს, რათა ღმერთმა ქვეყანას მოაშველოს წვიმა. წერია კურთხევანში, აგრეთვე სპეციალური პარაკლისების წიგნში.

ლოცვაჲ თხოვისაჲ ნებსითა სიტყუითა — „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე“ — ანასტასი სინელის თხზულება, შეტანილია ხელნაწერში A 249, 26-45.

— ლოცვა პირველისა ხილისა.

— ლოცვა, რაჟამს მოვიდეს ყრმა სწავლად წიგნისა — მოწაფის კურთხევის ლოცვა.

— ლოცვა საეძრებელი სნეულთათუს და სულთაგან არაწმიდათა კვეთებულთა ზედა. ბასილი დიდის ეს ლოცვა ეკითხება სულით დაავადებულ ადამიანებს.

— ლოცვა საეძრებელი წინაშე უფლისა, სნებისა და სიფიცილისა და ჟამისა სათქმელი, თქუმული კალისტე პატრიარქისა — იკითხება საზოგადო შიმშილისა და ავადმყოფობის დროს.

— ლოცვა საკრესა ზედა — საკრის კურთხევის ლოცვა.

— ლოცვა სამკალსა ზედა.

— ლოცვა სამწყსოსა ზედა — იკითხება

ცხვრის ფარის, თხათა არვეს, ძროხების ნახირის, ღორის კოლტისა და მისთანათა საკურთხებლად.

– ლოცვა საშინელისა ქუხილისა და ელვისა – იკითხება ბუნების ძალთა მრისხანების ჟამს.

– ლოცვა ცხროსა ზედა – უკითხაედენ ციებიან ავადმყოფს.

ლოცვანი – საღვთისმსახურო წიგნი, რომელიც შეიცავს ღვთისშესახურთათვის განკუთვნილ პირად ლოცვებს (ძილისაგან აღდგომისა, ძილად მისვლისა, ზიარებისა, მადლობისა და სხვ.). ბერძნულ ენაზე ლოცვანი („ევხოლოგიონ") ეწოდებოდა კონდაკსა და კურთხეუანს, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების ლოცვებს შეიცავენ. კონდაკ-კურთხეუანთა უძველესი ქართული კრებულები X ს-ით თარიღდება. მათი შედგენილობა საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა.

„ლოცვანი ღმიდისა მარტჳლი-ისანი" – ბასილი კესარიელის თხზულება; წესი, რომელიც აღესრულება სულიწმიდის მოსვლის დღეს, წირვის შემდეგ, შუხრზე. ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (ტექსტი იხ.: A 450, 282v-294r).

„ლოცვანი მამისანი" – ასე მოიხსენიება ეფთვიმე მთაწმიდელის ბიოგრაფიაში პირველი, მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამები, რომლებიც მას უთარგმნია ქართულ ენაზე.

ლუარსაბ II (1592-1622 წწ.) – ქართლის მეფე 1606-1615 წლებში, წმიდა მოწამე. გამეფდა 14 წლისა. იგი მეფედ დამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ აბას I-მა (1584-1628) უეცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. ლუარსაბ მეფეს ირან-ოსმალეთის მძიმენარე ომში ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა. მან თავი გამოიჩინა ტაშისკარის ბრძოლაში (1609 წ.). 1610 წელს შაჰთან ეიზიტის შემდეგ მან დაიბრუნა თბილისის ციხე (ამ ციხეში ადრე ოსმალები, 1606 წლიდან კი – ყიზილბაშები იდგნენ). 1611 წ. ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო გიორგი საკაძის და, რომელსაც დიდ თავადთა მოთხოვნით მალე გაეყარა. ამას მოსდევს შეთქმულება საკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთავს, თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა.

1614 წ. დასაწყისში, შაჰ-აბას I-ის შეპოსეების დროს, ლუარსაბ II იმერეთში გადაიდა და სხვა ქართველ მეფეებთან ერთად ოსმალეთს სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ. 1614 წ. მიწურულში ლუარსაბ მეფე ქართლში დაბრუნდა და შაჰთან მივიდა, რათა ქართლი აოხრებისაგან ეხსნა. შაჰმა ქართლის მეფე ირანში წაიყვანა და ციხეში დაამწყვდია, რადგან მან გაბამბადიანებაზე უარი თქვა. შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში იგი მშვილდის სახლით მოამთქვა. საქართველოს ეკლესიამ მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მეფე წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 21 ივნისი. თავდაპირველად ლუარსაბის ხსენებას 1 ან 20 მარტს დღესასწაულობდნენ, მაგრამ რადგან ამ დროს დიდი მარხვაა, და ერთგვარად იჩრდილება წმინდანთა და მარტვილთა ხსენებები, ანტონ კათოლიკოსს მისი ხსენება 21 ივნისისათვის გადაუტანია. წმ. მოწამის, მეფე ლუარსაბის წამების ისტორია XVIII ს-ში აღწერეს:

1) ბესარიონ კათოლიკოსმა, ორბელიშვილბარათაშვილმა: „ღუაწი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოისა მიერ სპარსთა მეფისა". დაცულია ხელნაწერებში: S 3269; A 170; 1325; H 40. გამოცემულია: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ტ. I, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946 წ.; აგრეთვე: ძეგლები V, 1989, გვ. 33-49.

2) ანტონ კათოლიკოსმა (Q 78, 25-50. გამოც.: ძეგლები VI, გვ. 35-66).

3) არსებობს სვინაქსარული საკითხაიც (საქართველოს სამოთხე, გვ. 580-582; ძეგლები ტ. IV, გვ. 433-37).

ლუდიის ხელთუქმნელი ხატი – სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც გადმოცემის თანახმად უხელოდ გამოისახა ტაძრის ერთ-ერთ ბოძზე (ლუდიაში, მცირე აზიაში) მოციქულების – პეტრეს და იოანე ღვთისმეტყველის ლოცვის შემდეგ, ქრისტიანთა დევნის დროს ხატი სასწაულებრივად გადარჩა. პირი, რომელიც ამ ხატიდან იყო გადაღებული, აგრეთვე სასწაულთმოქმედი იყო. მან ზღვა გადაცურა კონსტანტინეპოლიდან რომში და უკანვე. ლუდიის ხელთუქმნელი ხატის თაყვანისცემის დღე დადებულია 26 ივნისსა და 12 მარტს.

ლუდიის ეკლესიის აშენების შესახებ მოთხრობილია აპოკრიფულ წიგნში: „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, და უწყებაჲ აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და აღშენებისათჳს ეკლესიისა, რომელი პირველ აღიშენა ლუდს შინა, ქალაქსა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისსა". ქართულ ენაზე

თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ, ტექსტი დაცულია ათონის ხელნაწერში: Ath. 75, 148-154 (გადაწერილია XI ს-ში სიმონ ხერკელის მიერ). ამ თხზულების მეორე რედაქციაც არსებობს: Ath. 9, 155-162; Ath. 53, 51-65; A 144, 91r-97r; A 249, 1-17; A 339; A 395. გამოცემულია ნ. მარისა და თ. მგალობლიშვილის მიერ (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. II, 1900 г.; კლარჯული მრავალთავი, გვ. 294-300).

ეს რედაქცია გადმოთარგმნილია VIII-IX სს. სირიულიდან ან არაბულიდან. მისი დედანი არ შენახულა, ის ამჟამად მხოლოდ ქართული წყაროებითაა ცნობილი.

ლუდოვიკო ბოლონიელი – მარონიტების ორდენის იტალიელი მისიონერი და ნუნციუსი აღმოსავლეთის ქვეყნებში XV ს. დაწინაურდა პაპ კალიქსტუს III-ის დროს, რომელმაც იგი აღმოსავლეთში გაგზავნა და დაავალა ნიადაგი მოესინჯა აღმოსავლეთის ქრისტიან და არაქრისტიან მბრძანებელთა ანტიოსმალურ კოალიციაში გასაერთიანებლად. ლუდოვიკო ბოლონიელმა ორჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში. 1459 წ. იგი დაბრუნდა რომში ანტიოსმალურ კოალიციაში შესაძლო მონაწილე ქვეყნების ელჩებთან ერთად, რომლებიც 1460 წ. რომში პაპ პიუს II-ს წარუდგინა. ზოგიერთი ცნობით, 1460 წ. ლუდოვიკო ბოლონიელი პიუს II-მ თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა.

ლუთერანობა – პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც აღმოცენდა გერმანიაში XVI ს-ში, რეფორმაციის დროს, ეფუძნებოდა მარტინ ლუთერისა და მისი მიმდევრების (ფ. მელანხთონის და სხვ.) მოძღვრებას. ლუთერანობაში მოცემულია პროტესტანტიზმის ძირითადი დებულებანი. ლუთერანობა უარყოფდა კათოლიციზმის ძირითად დოგმას, რომ ეკლესია და სამღვდელოება შუამავლები არიან ადამიანსა და ღმერთს შორის; რწმენის ერთადერთ ავტორიტეტად და წყაროდ აცხადებდა საღვთო წერილს (ბიბლიას). ლუთერანობამ კათოლიციზმისაგან ახლო ყველაფერი ის, რაც პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა საღვთო წერილს. შეინარჩუნა საკურთხეველი, ჯვარი, ორღანი, რელიგიური ფერწერა (ხატების გარდა). შეიდ საიდუმლოთაგან დატოვა მხოლოდ ორი: ნათლისღება და ზიარება. კათოლიკური დოგმა ჯვრისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნის შესახებ შეცვალა ამ დოგმასთან ახლო მდგომი დებულებით, რომლის თანახმად ქრისტეს სხეული და სისხლი ზიარებას საიდუმლოდ „ესწრება“.

ლუთერანობა გერმანიაში ოფიციალურ სარწმუნოებად (კათოლიციზმის თანაბრად) იქნა აღიარებული აუგსბურგის რელიგიური ზავით (1555 წ.). ლუთერანობას მრავალრიცხოვანი მიმდევრები ჰყავს: 1970 წ. მონაცემებით დაახლ. 75 მლნ. (მთელი პროტესტანტების დაახლოებით მესამედი), ყველაზე მეტი ცხოერობს გერმანიაში (საერთო რიცხვი 37 მლნ.). არიან აგრეთვე შვეიცარიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, ისლანდიაში, აშშ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ესტონეთსა და ლატვიაში. ლუთერანული ეკლესიები მონაწილეობენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობაში (დაარსდა 1948 წ.).

ლუთერი მარტინ (1483-1546 წწ.) – რეფორმაციის მეთაური გერმანიაში, გერმანული პროტესტანტობის (ლუთერანობის) ფუძემდებელი. 1505 წ. დაასრულა ერფურტის უნივერსიტეტი თაისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხით. იმავე წელს ბერად შედგა ერფურტის აგუსტინელთა მონასტერში. 1508 წლიდან ლექციებს კითხულობდა ქ. ვიტენბერგის უნივერსიტეტში (1512 წლიდან – ღვთისმეტყველების დოქტორი). 1517 წ. 31 ოქტომბერს ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე თაიისი 95 თეზისი ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ეს თეზისები შეიცავდნენ ახალი რელიგიური მოძღვრების მთავარ დებულებებს და უარყოფდნენ კათოლიციზმის ძირითად დოგმებს. ლუთერმა უარყო კათოლიკური ეკლესიის დოგმა, რომ ეკლესია და სამღვდელოება აუცილებელი შუამავლები არიან ადამიანსა და ღმერთს შორის. სულის ხსნის ერთადერთ გზად გამოაცხადა ჭეშმარიტი რწმენა, რომელიც ადამიანს ეძლევა უშუალოდ ღმერთისაგან. ლუთერმა მოითხოვა სალვთო წერილის ავტორიტეტის აღდგენა. იგი არ იზიარებდა სამღვდელოების პრეტენზიას საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობაზე.

ლუთერმა უარი თქვა რომში საეკლესიო სასამართლოზე გამოცხადებაზე, ხოლო ლაიფციგში კათოლიკე ღვთისმეტყველებთან დისპუტში (1519 წ.) განაცხადა, რომ პეტრ პეტრეს სწორად მიაჩნია ჩვენი რეფორმატორის, იან ჰუსის დებულებანი. 1520 წელს ლუთერმა ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეზოში სახალხოდ დაწვა პაპის ბულა ეკლესიიდან მისი განკვეთის შესახებ. ასპარეზზე თომას მიუნცერის გამოსვლის შემდეგ ლუთერმა რადიკალური პოზიციიდან უკან დაიხია და განაცხადა, რომ „ქრისტიანული

თავისუფლება" უნდა გაეგოთ, როგორც მხოლოდ სულიერი თავისუფლება, რომელთანაც ხორციელი არათავისუფლება სავსებით შესათავსებელია. გერმანიაში გლეხთა ომის (1524-26 წწ.) დროს ლუთერმა მოითხოვა აჯანყებული გლეხების სასტიკი დასჯა. ლუთერი ცნობილია აგრეთვე, როგორც კულტურის მოღვაწე – ენის, მუსიკის, განათლების რეფორმატორი. ლუთერს საკალდებულო სასწავლო დისციპლინებში შეჰქონდა სალვთო წერილი, კლასიკური ენები, ისტორია, მუსიკა და მათემატიკური საგნები. ლუთერი მოითხოვდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში მშობლიურ ენებზე სწავლებას.

მნიშვნელოვანია ლუთერის ლიტერატურული მოღვაწეობაც. ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანულ ენაზე შესრულებულმა თარგმანმა (1522-42 წწ.) საფუძველი ჩაუყარა საერთო გერმანულ სალიტერატურო ენას და დიდი გაელენა მოახდინა შემდგომი დროის გერმანულ ლიტერატურაზე. ლუთერმა გერმანულ ენაზე გადაიღო ლათინური საკლესიო საგალობლები და ფსალმუნები, შექმნა ორიგინალური სამრეკლო საგალობლებიც.

ლუკა – მოციქული და მახარებელი, სახარების მესამე თავისა და „საქმე მოციქულთას" ავტორი. ლუკას, პროფესიით ექიმს, პავლე მოციქული ასახელებს თავის იმ თანამოღვაწეთა რიცხვში, რომლებიც მხარში ედგნენ ტყვეობის დროს რომში (კოლ. 4, 11-14). საეკლესიო ისტორიკოსის, ევსების ცნობით, ლუკა წარმოშობით მდიდარი წარმართის ოჯახიდან იყო. ცხოვრობდა სირიის ანტიოქიაში, მიიღო კარგი ბერძნული განათლება და ძირითად პროფესიად ექიმობა აირჩია, შემდეგ დაემოწაფა მოციქულ პაელეს და თან ახლდა მას მეორე და მესამე სამოციქულო მოგზაურობის დროს (საქმენი, 16, 10-17; 20, 5-21, 1), პავლე მოციქულს იგი არ დაშორებია არც კესარიაში და რომში, სადაც მათ დიდი ღვწნა განიცადეს (საქმენი 24, 23; 27, 28; კოლ. 4, 14). ლუკას ცხოვრების შესახებ სხვა სანდო ცნობები არ მოგვეპოვება. სახარების მესამე თავის შედგენას ძველი საეკლესიო გადმოცემა ერთხმად მიაწერს ლუკას, თუმცა არის აგრეთვე მოსაზრება, რომ მან სიტყვასიტყვით გადმოსცა პავლე მოციქულის მონათხრობი. ლუკას მიეწერება ასალი აღთქმის მეორე წიგნიც: „საქმე მოციქულთა". ორივე ეს თხზულება წარმოაჩენს ლუკა მახარებელს, როგორც გამოცდილ, დახელოვნებულ მწერალს. ამასთან, მის თხრობას აზის ბეჭედი პაელე მოციქულის აზრისა და სიტყვისა. მისი პროფესიული მხარე კარგად ჩანს სნეულებათა და მათ სასწაულებრივ განკურნებათა აღწერისას (ლუკა 4, 23-38; 8, 43; 10, 34; 13. 11; 22. 50). ლუკას სახარების წყარო, როგორც თვით იუწყება, ყოფილა უფლის თვითმხილველთა მოწმობა, იმათი, რომლებიც დასაბამიდანვე მასთან იყვნენ და ემსახურებოდნენ (1,2), ამ თვითმხილველეთ იგი ხედებოდა მოციქულ პაელესთან, აგრეთვე იერუსალიმსა და კესარიაში. იესოს ყრმობის ამსახველ თხრობას (1 და 2 თავები), როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს მანამდე არსებული არამეული გადმოცემა. ლუკას უსარგებლია აგრეთვე სხვა სახარებებითაც. ლუკა თავისი სახარებით მიმართავს თეოფილეს, წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანს, და მისი სახით სხვა წარმართყოფილთ. ამიტომ მისი სახარება ისეთი ტენდენციითაა დაწერილი, რომ არავის მისცემოდა საფუძველი, წარმართობიდან მოქცეულთა სრულფასოვნება ეჭვის ქვეშ დაეყენებინა (შეად. მათე 5,47 და ლუკა 6, 33; მათე 10,5 და ლუკა 9,3). მახარებელი მიზნად ისახავს: 1) გადასცეს ახლადმოქცეულთ მაცხოვრის სიტყვა და 2) ამ მოთხრობით განუმტკიცოს მათ რწმენა სოფლის მაცხოვრისა. ლუკა სიყვარულით ხატავს იესოს სათნოებას, მხოლოდ მის სახარებაშია დაცული ისეთი შესანიშნავი ეპიზოდები, როგორიცაა: სამარიტელის, უძღები შვილის, დაკარგული დრაქმის, მეზვერისა და ფარისეელის შესახებ. ლუკას სახარება დაწერილია იერუსალიმის დანგრევამდე (70 წ.), რადგან „საქმენი" სახარებას მოიხსენიებს, როგორც უფრო ადრინდელ თხზულებას, „საქმენი" კი დამთავრდა 63 წელს. როგორც ფიქრობენ, ლუკას სახარება დაიწერა რომში, პაელეს პყრობილების დროს (61-62). ლუკა მოციქულის ხსენების დღეა 18 ოქტომბერი. მისი „ცხოვრების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 460-466; S 384, 410-419; S 1276, 247-260; Sin. 91, 28-32.

ლუკა – რამდენიმე ქართველი საკლესიო მოღვაწის სახელი:

1. წილკნელი ეპისკოპოსი; მოწმეა და ამტკიცებს 1190-1204 წწ. „დაწერილს შიომღვიმის კრებულისა ტოსტაძეებისადმი" (Ad 3; სამართ. ძეგლ. III, გვ. 130).

2. მოქის ეპისკოპოსი (ოძრხელი) 1360-იან წლებში. გარეჯის მონასტრის XII ს. კრებულის (ვენის № 4 ხელნაწერი) აშიებზე არის 5 მინაწერი ლუკა ოძრხელის სახელით (იხ. თ. ჯოჯუა, ისტორიულ-ეთნოგრ. შტუდიები, V, თბ.,

2003, გვ. 33-35).

3. „მემღუმე", შიომღვიმის მონასტრის XVI ს. მოღვაწე. მოხსენებულია ამ მონასტრის კრებულის მიერ ტოხაისძეებისათვის მიცემულ საბუთში (ცენტრ. არქ. 1189-1200, Ad 3).

4. მღვდელი, მოხსენებულია ცენტრ. არქივის XVII ს. II ნახ. საბ. 1448-4323.

ლუკა – სასისეთში ქრისტიანობისათვის წამებული ერთ-ერთი მარტკილი. მოხსენებულია პეტრე ქართველის „ცხოვრებაში" (ძეგლები, II, გვ. 252).

ლუკა იერუსალიმელი – ქართველი მოწამე, მუხაის ძე. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვარი 1270-73 წწ. ქრის გარდაცვალების შემდეგ ლუკას დედას მიუტოვებია შვილები და იერუსალიმს წასულა, სადაც ის მონაზვნად აღკეცილა და, ალბათ, ერთ-ერთ იქაურ ქართულ დედათა მონასტერში დაუწყია მოღვაწეობა. ოცი წლისა რომ შეიქნა, ლუკამ მიატოვა ბერები და მაშული და იერუსალიმში წაიყიდა წიგნები ადგილთა მოსალოცავად და ღვთის სანახავად. ისიც იქ დარჩა, ბერად აღკეცეს და დიაკვნადაც ეკურთხა. მან შეისწავლა არაბული ენა. როდესაც ყველასათვის ცნობილი შეიქნა მისი „ორკერძოდაც სიბრძნე" და სიწმიდე, ის აირჩიეს ჯვარის მონასტრის წინამძღვრად, ამ მოვალეობას ის სამი წლის განმავლობაში ასრულებდა. ამ დროს გამოჩნდა აქ ერთი უკეთური „სპარსი", რომელსაც შეხ-ხიდარ ეწოდებოდა და დიდი გაელენა ჰქონდა სულთან ფუნდუხტზე. სულთნისაგან მან გამოითხოვა ჯვარის მონასტერი. რაც კი ებადათ ძმებს, ყველაფერი ჩამოართვა მათ და მერე მონასტრიდან გაადევნა. ლუკა, როგორც წინამძღვარი, სულთანთან წაიყიდა საჩივლელად, თუმცა გაგებული ჰქონდა, შეხ-ხიდარს შენი მოკვლა აქვს განზრახული. ლუკამ არაფე ყურადღება არ მიაქცია ამ გაფრთხილებას, პირიქით, მივიდა შეხ-ხიდართან და უთხრა, „რათა განუტეხოს ძმანი და მისგან ითხოვოს რაიცა უნებს". შეხ-ხიდარმა მას მოსთხოვა ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება, რისთვისაც აღუთქვა ამირობა და „ტაძრისა თავადობა", ე. ი. სასახლის გამგეობა. ლუკამ უარი თქვა: ამისთვის შეხ-ხიდარმა მას თავი მოჰკვეთა და მისი გვამი ცეცხლში დაწვა (წამების დღე – 27 ივნისი). ჯვარის მონასტერი მამლუქებმა მიიტაცეს. ლუკას წამება აღწერილია ჩვენამდე სვინაქსარული რედაქციით მოღწეულ თხზულებაში: „ამასვე დღესა (ე. ი. 27 ივნისი), ლუკა იერუსალიმელისა", რომელიც დაწერილია XIII-XIV სს. მიკნაზე. შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდი სუნაქსარის" XI ს. იერუსალიმის ნუსხაში Jer. 24-25. ჩვენამდე მოღწეული ეს ერთადერთი ნუსხა (მიაკვლია ნ. მარრს 1902 წ.) მოგვიანებით არის ჩაკინძული XI ს. ხელნაწერში. გამოცემები: ს. ჯუბანიშვილი, ქრესტომათია, I, გვ. 253-254; ძეგლები, წ. IV, გვ. 346-348.

ლუკიანე ანტიოქელი – IV ს. მღვდელმოწამე, წარმოშობით ანტიოქიიდან. 12 წლისა დაობლდა და ქალაქ ედესაში წავიდა მაკარი აღმსარებელთან. იქ კარგად შეისწავლა სამღვთო წერილი და ღვთისმეტყველება. ხუცესად კურთხეის შემდეგ ლუკიანემ ანტიოქიაში გახსნა ქრისტიანული სკოლა. აქ იგი მეცნიერულ-საღვთისმეტყველო მუშაობასაც ეწეოდა, ასწორებდა საღვთო წერილის ტექსტებს, რომლებიც გადაწერთა და მწვალებელთა მიერ იყო დამახინჯებული. ლუკიანეს ეკუთვნის ბერძნული ბიბლიის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია. როგორც ცნობილია, ბერძნული სეპტუაგინტა (ბერძნული თარგმანი ძველი აღთქმის წიგნებისა, გადმოცემის თანახმად, შესრულებულია III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქ. ალექსანდრიაში 70 მთარგმნელის მიერ) პირვანდელი სახით არ შენახულა. ის დაყოფილია სამ უმთავრეს რედაქციად: ორიგენის პეგზაპალები (გაერცელებული იყო პალესტინაში), ლუკიანე ანტიოქიელისა (მიღებული იყო ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის სამპატრიარქოში) და ისიქი ალექსანდრიელისა (ალექსანდრიის სამპატრიარქოში). არსებობს მოსაზრება, რომ ქართული ბიბლია თარგმნილია ლუკიანეს რედაქციიდან. მართლაც, ქართულ ეკლესიას იმთავითვე კავშირი ჰქონდა სირია-ანტიოქიასთან და VII-VIII სს-დან, კონსტანტინეპოლთანაც, სადაც მიღებული იყო ლუკიანეს რედაქცია, ამიტომ ბიბლიის მთარგმნელებსა თუ შემსწორებლებს ხელთ ექნებოდათ ამ რედაქციის ტექსტი.

წმ. ლუკიანე ქრისტიანობის აღიარებისათვის ეწამა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს. იგი მწვალებელთა შესმენით შეიპყრეს და ნიკომიდიის საპყრობილეში ჩაგდეს, სადაც ცხრა წლის ტანჯვის შემდეგ შიმშილისაგან გარდაიცვალა († 312 წ.) ხსენების დღეა 15 ოქტომბერი. მისი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 444-453; S 384, 387-402.

ლუკიანე – VI ს. შუა წლების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, დავით გარეჯელის

უახლესი მოწაფეთაგანი, მოწმე მისი სასწაულთმოქმედებისა (ირმების მოწველა, ვეშაპის შემუსრვა და სხვ.). იერუსალიმის მოსალოცად წასელის წინ დაეით გარეჯელმა თაეის შემცვლელად მონასტერში ლუკიანე დატოვა. დაეით გარეჯელისაგე დავალებით დააარსა ლუკიანემ გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემელის მონასტერი. ლუკიანეს შესახებ ცნობები დაცულია „დაეით გარეჯელის ცხოვრების" რედაქციებში (იხ. ძეგლები, წ. I, 229-237; III, 176-186). მისი მოღვაწეობის ეპიზოდები ფართოდ აისახა ქართულ იკონოგრაფიაში.

ლუკიანოსი – IV ს. მოწმე. მის შესახებ ცნობები შემოუნახავს მხოლოდ ქართულ ჰაგიოგრაფიას. იოანე-ზოსიმეს სვინაქსარში (956 წ.) ლუკიანოსის ხსენების დღედ აღნიშნულია 22 აგვისტო, ხოლო A 95 მრავალთავში (496z-502v) და ბოდღეს ქართულ ხელნაწერში (გვ. 368-376) დაცული მისი „წამების" კიმენური რედაქცია უთითებს 21 აგვისტოს.

ლუკიანოსი იყო იელიანე განდგომილის (361-362 წწ.) თანამედროვე. როგორც კი გამეფდა, იელიანემ დაიწყო ბრძოლა ქრისტიანთა წინააღმდეგ და შეეცადა წარმართობის აღდგენას. კერძოდ, მან გამოაცხადა, რომ ყოველ მოქალაქეს თაეკანი უნდა ეცა კერპებისათვის. წმ. ლუკიანოზმა ეს არ შეასრულა და ამიტომ დასმენილი იქნა იმპერატორთან. შეგონებით რომ ვერაფერს გახდა, იელიანემ ბრძანა მისი შეუბრალებლად ცემა და საპყრობილეში ჩაგდება. ლუკიანოზი ლოცულობდა, რათა უფალს გამძლეობა მიენიჭებინა მისთვის. ლოცვის დამთავრებისთანავე გარდამოხდა უფლის ანგელოზი და წყლულებისაგან განკურნა იგი. მეორე დღეს წამება განმეორდა, მაგრამ ლუკიანოსი არ შემდრკალა. ბოლოს მასზე გააფთრებულ კერპთმსახურთა ბრბო მიუშვეს. ზოგი სცემდა, ზოგი ქვას ესროდა, ის კი სასოებით ლოცულობდა უფლის მიმართ. წარმართებმა ლუკიანოსი ხეზე ჩამოკიდეს და ნაწილ-ნაწილ აკუწეს. წმინდა ნაწილები კეთილმსახურ ქრისტიანთა ხელში მოხვდა. ისინი მრავალ სასწაულს ახდენდნენ. მალე ქრისტიანთა დევნა დაცხრა. ბალბაქის ეპისკოპოსმა კოდრატემ გადაასვენა წმინდანის ნაწილები სტეფანე პირველმოწამის ტაძარში, ბოლოს კი ლუკიანოზის სახელზე ააგეს ტაძარი და იქ დაასვენეს მისი წმინდა ნაწილები. ლუკიანოზის ნაწილებზე აშენდა ეკლესიები ქ. სიდონში და მის მახლობლად სოფელ სამსუაში. მოგვიანებით პამფილიის ეპისკოპოსს აღუწერია ლუკიანოსის წამება. მის თხზულებას ქართულ თარგმანში ეწოდება „სიმხნე და მოღვაწეობაჲ წმიდისა მოწამისა ლუკიანოზისა, რომელი იწამა ქალაქსა შინა ბალბაქს" (ბერძნული დედანი დაკარგულია). ავტორი არაა ლუკიანოსის თანამედროვე, მაგრამ გარკვეული არაა, რომელი საუკუნისაა. მისივე სიტყვით, ლუკიანოსის წამების აღსაწერად მას ძველი ქარტებით უსარგებლია. ქართული თარგმანი, რომელიც ზემოაღნიშნულ ხელნაწერებშია დაცული, გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, II, 1946 წ. გვ. 3-16).

ლუკილიანე მოწამე – ცხოვრობდა რომის იმპერატორ აურელიანეს (270-275 წწ.) დროს. თავიდან წარმართი ქურუმი იყო. სიბერეში დარწმუნდა წარმართული სარწმუნოების სიცრუეში, მთელი არსებით შემობრუნდა ქრისტეს სარწმუნოებისაკენ და მოინათლა. მისი ქადაგების გაელენით ბევრი სხვა წარმართიც გაქრისტიანდა. იუდეველებმა იგი დაასმინეს ნიკომიდიის ქალაქისათვის, სილვანთან, რომელმაც ხანგრძლივი წამების შემდეგ ლურსმნით მიაჭედებინა ჯვარზე. ლუკილიანესთან ერთად ეწამნენ ყრმები: კლაედი, იპატი, პავლე, დიონისე და ქალწული პაელა (ყველას თავებით მოკვეთეს). ხსენების დღე – 3 ივნისი. ლუკილიანესა და მის თანამოღვაწეთა მეტაფრასული „წამება" ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია ქუთ. 3, 39-51 ხელნაწერში.

ლული მოწამე – ეწამა ევსტოქიოს, პროეის, ურვასიოს და გაიოსთან ერთად იმპერატორ მაქსიმიანეს (286-310) დროს. პროეის და ურვასიოსი მისი მცირეწლოვანი ძმები იყვნენ, გაიოსი – მამა, ხოლო ევსტოქიოსი, ყოფილი წარმართი ქურუმი, პაპად ერგებოდა. როდესაც გაქრისტიანებული ევსტოქიოსი იმპერატორის მხედრებმა შეიპყრეს და ანკირიის (მცირე აზიაში) მმართველ აგრიპინეს წარუდგინეს, იქვე მოყვანეს ევსტოქის მიერ მოქცეული გაიოსი და მისი ოჯახის წევრები, მათ შორის ყრმა ლული. სასტიკი წამების მიუხედავად წმიდა მოწამეთ არ უარყვიათ ქრისტეს სჯული. მათ თავები მოჰკვეთეს. ევსტოქიოს, გაიოსის, პროეოსის, ლულის და ურვასიოსის მეტაფრასული „წამება" ქართულადაც უთარგმნიათ. თარგმანის ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 223-227. აქ წმ. მოწამეთა ხსენების დღედ აღნიშნულია 22 ივნისი. ბერძნული წყაროებით – ხსენების დღეა 22 (23) ივნისი.

ლულუ პროიდროსი – ათონის ივერთა მონასტრის XI ს. კეთილისმყოფელი და

მოღვაწე. თაყიდანეე მას დიდი სიყვარული ჰქონია ქართველთა საკანისადმი. ბოლოს, ისიც ბერად აღკვეცილა და მონასტრის კრებულში შესულა. ათონელ ბერებს მისთვის დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე ოქტომბრის 18 (ლუკა მახარებელის ხსენების დღე) და აღაჲი „ყოელისა გულმოდგინებითა, ლოცვითა, პანაშუღიტა, ანაფორაჲთა, ჯამისწირვითა და ყოელითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, ეწდიოს კრასოული მწუხრსა სამ-სამი და სამხრად ოთხ-ოთხი“ (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 164-165).

ლურჯი მონასტერი – ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. აღმართულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჭადრაკის სასახლის მახლობლად. აუშენებიათ XII ს. მიწურულში, უფრო ადრინდელი ეკლესიის ადგილას. ნაგებობაში გამოუყენებიათ ძვ. ეკლესიის ცალკეული ნაწილები. სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში დაცული ვრცელი წარწერის თანახმად, ეკლესიის აშენებელი ყოფილა „უღირსი ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოსფოველი“, თამარ მეფის დროინდელი პოლიტიკური მოღვაწის, აბულასანის ძმა. ლურჯი მონასტერი თავდაპირველად გუმბათოანი ნაგებობა იყო, უახლოვდებოდა XII-XIII სს. მიჯნის ქართლის სხვა ტაძრებს (ბეთანია, ქვათახევი). XVI და XVII სს-ში ძლიერ დაზიანებული ტაძარი უგუმბათოდ აღადგინეს და შიდა სივრცეს ბაზილიკის იერი მიანიჭეს. 1873 წელს ეკლესია კვლავ აღადგინეს, დადგეს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო ფორმის გუმბათი, აშენეს ახალი კედლები და ფრონტონები (აგურისა), რომლებმაც არსებითად დაამახინჯა ძეგლი. ამჟამად ეკლესია რესტაურირებულია; გეგმის, წარწერებისა და რელიგის ქვემო ნაწილის გარდა, გადარჩენილია აღმ. შვერილი აბსიდის სარკმლის ჩუქურთმა.

ლუსაშმა – ლარნაკი, ჭურჭელი წმიდა ნაწილების შესანახად; ქრისტეს სიმბოლური კუბო, რომელშიც, ჩვეულებრივ, ჩასვენებულია ქსოველზე შესრულებული გარდამოხსნის ხატი.

ლუსტრა – ლუკიის პროვინციის (მცირე აზიაში) ერთ-ერთი ქალაქი, რომელშიც მოციქულმა პაველ განკურნა მკელობელი და წარმართი (საქმენი, 14, 8-10). ეს რომ დაინახეს, ადგილობა ხალხმა მოინდომა, პაველსა და ბარნაბასათვის მსხვერპლი შეეწირათ, როგორც ღმერთებისათვის. მოციქულებმა ძლივს დაარწმუნეს ისინი, რომ ღმერთები კი არ არიან, არამედ მოციქულნი – ჭეშმარიტი ღვთისაგან, სასწაულთმოქმედების უნარი მინიჭებული აქვთ იმისათვის, რათა ისინი მოაქციონ. ხალხზე დიდი მთაბეჭდილება მოახდინა სასწაულებმა და მზად იყვნენ, ერწმუნათ მათი, მაგრამ ურწმუნო იუდეველებმა წააქეზეს ისინი მათ წინააღმდეგ და პაველს ქვები დააყარეს. ამჯერად მოციქულებმა გაქცევით უშველეს თავს (საქმენი, 14, 19-20). ლუსტრაში მეორედ მისვლისას პაველს აქ დაუმწყობია ტიმოთე, მისი ერთგული თანამგზაური და თანამოღვაწე, შემდგომში – ეპისკოპოსი.

ლუციფერი (ლათ. „სინათლის მატარებელი“) – 1. რამდენიმე ღმერთის ეპითეტი ანტიკურ მითოლოგიაში. 2. პლანეტა ვენერას (დილის მნათობის) ძველი სახელი. მოგეიანებით ლუციფერმა დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა და ბოროტების სინონიმად იქცა. შუა საუკუნეებში – სატანის (ეშმაკის) ერთ-ერთი სახელი.

ლუჩი – სოფელი ლენტეხის რაიონში, მდ. ცხენისწყალის მარჯვ. ნაპირზე, ლენტეხიდან 21 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია მონატულობის ფრაგმენტებითა და კანკელით.

ლუჯა – სოფელი ზემო სვანეთში, მესტიის რაიონში, მესტიიდან 15 კმ. აქ მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია. ამ ადგილას ძველადაც (XI-XII სს.) ყოფილა ეკლესია. შემორჩენილი ლაპიდარული წარწერების მიხედვით ცნობილია იმ ეკლესიის ორი „ვალატოზის“ სახელი: გიორგი და მიქაელი.

მ

მაგია (ბერძნ. ლათ. ჯადოქრობა) — ჯადოქრობა, ბოროტი ძალის შემწეობით ცრუ სასწაულების მოხდენა. მაგიის ძირითად ფორმებად მიჩნეულია იმიტაციური, ანუ მიმბაძველობითი და კონტაგიოზური მაგია. იმიტაციური მაგიის პრინციპია: „მსგავსი მსგაესს წარმოშობს“, ამიტომ წინასწარ სრულდება ჯადოქრისათვის სასურველი მოვლენის იმიტაცია. კონტაგიოზური მაგია კი ემყარება საგნების იდუმალი ძალის გამოვლენის რწმენას. გვიანდელ ხანებში გაჩნდა მაგიის ახალი ფორმები: ეერბალური, სასიყვარულო და სხვ. შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ არსებობს თეთრი მაგია, ე. ი. ისეთი მაგია, რომელიც ღვთაებრივ ძალას იყენებს და კეთილ მიზნებს ისახავს. მას უპირისპირდებოდა შავი მაგია, რომელიც ეშმაკეული ძალით მოქმედებდა და ბოროტებას ემსახურებოდა.

მაგოები — ქვეყანა, რომელიც მოხსენებულია ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში (38, 39) და იოანეს გამოცხადებაში (20,7). გოგი, ბატონი როსის, მოსოხისა და თობელისა, ცხოვრობდა მაგოგის ქვეყანაში; გაღმოცემით, იგი სკვითთა მეფე იყო. VII ს. (ძვ. წ.) მან გაძარცვა და დაარბია ეგვიპტე და მცირე აზია. შემდეგ ეთიოპელთა, ლიბიელთა და სპარსთა ლაშქართან ერთად თავს დაესხა პალესტინას, მაგრამ ღმერთმა არ დაუშვა მათი გამარჯვება და გაანადგურა ისინი.

მაგრანეთი — სოფელი თიანეთის რაიონში, ერწოს ქვაბულის სამხრეთ-აღმოს. ნაწილში, თიანეთიდან 30 კმ. სოფლის მახლობლად, მაგრანეთის ჯვრის ნაპირზე დგას X ს. „დარბაზული ეკლესია საკდარი“. დასავლეთის კედლის ერთ ქვაზე X ს-ის ასომთავრული წარწერაა. ეკლესიასთან შუა საუკუნეების ქვის სამარხებია, ხოლო შორიახლოს - ნასოფლარი. მაგრანეთშივე საცხვრე გორაზე არის მცირე ზომის შუა საუკუნეების ეკლესია „ქორიას ხატი“. ხოლო მაგრანეთის ხევის მარჯვენა ნაპირზე — იმავე ხანის დარბაზული ეკლესია „ადგილის დედა“.

მადიამი — 1) მეოთხე ვაჟი ბიბლიური მამამთავრის, აბრაამისა ქეტურისაგან (დაბ. 25, 2). 2) არაბეთის ზღვისპირა ქვეყანა (მეწამულ ზღვასთან), რომელსაც თავი შეაფარა მოსემ ეგვიპტელის მკვლის შემდეგ (გამოსლ. 2, 11-15). ეს ქვეყანა ძველთაგან განთქმული იყო ძვირფასი ქვებით, ეერცხლითა და სპილენძით.

მადლი — საღვთო წერილში იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით: 1. თვისება ღვთისა, რომელიც მეღაენდება ადამიანთა ცხოვნებისა და ცოდვილთა შეწყალების სახით. 2. ძალა ღვთისა, რომლითაც მას ძალუძს ადამიანთა ცხოვნება. მადლი თანადაუსაბამო თვისებაა ღვთისა (2 ტიმ. 1, 9; ეფეს. 1, 4, 6; რომ. 3, 29, 30). იგი გამომჟღავნდა ადამის შეცოდებისთანავე, როგორც აღთქმა გამოსყიდვისა (შესაქმე 3, 15) და გრძელდებოდა ძველი აღთქმის მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც სიყვარული დაცემული ადამიანისა. ღვთაებრივი მადლით ღმერთი შეისმენს ლოცვებს (გამოსლ. 22, 27), შეუნდობს ცოდვებს და ცხოვნებას მიპმადლებს ადამიანებს (გამოსლ. 32, 12; 34, 7; ფს. 31, 5, 10; 50, 3; 129, 7, 8; 142, 8; ისაია, 55, 7; იერემია 18, 8; 18, 21, 23; 33, 11). ახალ აღთქმაში მადლი მეღაენდება ღვთის მოწყალების სახით. მისი საშუალებით ცოდვილთ მიეტევებათ ცოდვები და მიემადლებათ საუკუნო ცხოვრება (ეფეს. 1, 5; ტიტე 3, 4); მადლი მაცხოვნებელია (ტიტე 2, 11), მხოლოდ მისი საშუალებით შეძლებს ადამიანი ამქვეყნიურ გულისთქმათა დათმობას და ღვთივსათნო ცხოვრებას (იქვე 2, 12). პავლე მოციქულის სიტყვით, საღვთო მადლი არის კაცისადმი ზეგარდამო მოცემული მოწყალება, ნიჭი და ძალა ღვთის ნების აღსასრულებლად (რომ. 1,5; I კორ. 15,10). მადლი ისეთი დიდი მოწყალებაა, რომ მისი დამსაზურება არავის ძალუძს, ამიტომ ადამიანებს ღვთისაგან ენიჭებათ უსასყიდლოდ (რომ. 9,16; 11,6; ტიტე 3,5). ხულხანაბა მადლს ასე განმარტავს: „ესე არს, რომელმან

არცა ნაცვლისგებისათჳს, არცა მოყვარებისათჳს, არცა შიშისათჳს, არცა სიყვარულისათჳს კეთილი და ქველისაქმე ქნას. კეთილ მადლი არს ყოველივე კეთილი და რაჲცა ცოდვა არა არს, მადლი არს". მაშასადამე, მადლი არის სათნოება და ქველმოქმედება ღვთაებრივი უშურველობითა და სიუხვით (ხალხურად მადლი ბარაქასა და სიუხვესაც აღნიშნავს).

ღვთის მადლის გარეშე ადამიანი უძლურია (იოანე 15, 5; რომ. 8, 26; I კორ. 3, 6-11; 4, 7; 15, 10; 2 კორ. 3, 5; ფილიპ. 2, 13), ამიტომ შედამ სიმდაბლით უნდა ითხოვდეს ღვთის მოწყალებას და თავის ადამიანურ ძალებზე ამპარტავნულად არ უნდა დამყაროს თავისი სასოება: „ამპარტავანთა შეუწყნარა ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი" (იაკ. 4, 6).

მადლი ადამიანებს სხვადასხვა ზომით მიეცა-მათ (მათე 25,14-30; ეფეს. 4,7. მათე 13,12; 22,14; I კორ. 9,24). თითოეულ ადამიანს აქვს ნიჭი „მადლისა მისგრი მიცემულისა" (რომ. 12,6). ყოველმა ადამიანმა თავისი ტალანტისა და ნიჭის კეთილობაზე უნდა გამოიღოს კეთილი ნაყოფი. საღვთო მადლის გარდამოსვლა არის შედი საეკლესიო საიდუმლოს მთავარი შინაარსი. კერძოდ, სასულიერო პირთა (დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი) კურთხევის დროს მთავარი მომენტია ხელდასხმა და საღვთო მადლის მოწვევა (იხ. სამღვდელმთავრო კონდაკი, ხელდასხმის წესები). პავლე მოციქული ერთმანეთს უპირისპირებს ძველი აღთქმის სჯულსა და ახალი აღთქმის მადლს: ძველ აღთქმაში კაცი „სჯულსა ქვეშე იყო" და მის გარდამავალ ცოდვებში ეფლობოდა. ახალ აღთქმაში კი „არა ხართ სჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა" (რომ. 6,14). იოანე სახარებაში ნათქვამია, რომ „სავსებისაგან მისისა (ღვთისა) ჩუენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისა წილ" (I,16), ე. ი. იმ მადლის წილ, რომელიც ძველ აღთქმაში იყო. ქრისტიანი იღებს ქრისტეს მიერ ახალ მადლს ღვთისას — ცოდვათა მიტევებას, გამართლებას და სხვ. „მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა" (იოანე 1, 17). იესო ქრისტესგან მიიღეს მადლი მოციქულებმა „დასაბრძნებლად სარწმუნოებითა ყოველთა წარმართთა". (რომ. 1, 5).

„მადლიანი" — განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია დმანისის რაიონის სოფ. კაკლიანის მიდამოებში, ვარდისუბანში. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერა.

მადლის ძეა — სასწაულთმოქმედი ქვა, რომელიც, დვით გარეჯელის ცხოვრების თანახმად, მამა დავითმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა გარეჯის უდაბნოში იერუსალიმის პატრიარქის, მაკარის (544; 563-574 წწ.) დროს. როდესაც ღირსი მამა დავითი მოსალოცავად იერუსალიმში ჩავიდა, იგი შეჩერდა ქალაქის გალავანთან და მადლობა შესწირა უფალს, რომ ღირსი გახდა ამ წმიდა ადგილთა ხილვისა და თაყვანისცემისა. მცირამ ქალაქში აღარ შესულა. მან ვერ გაბედა გაველო მაცხოვრის წმინდა ნაფეხურებზე. მამა დავითმა უკან დაბრუნება განიზრახა. აიღო სამი ქვა იქვე და შეინახა სამშობლოში წამოსაღებად, რათა ეცლოგიად მიერთმია თავისი უდაბნოსათვის, თითქოს უფლის საფლაოდან აეღოს ეს ქვები, თანამგზავრებს კი უთხრა: შედით ქალაქში, ემთხვიეთ მაცხოვრის საფლავს და მე უღირსიც მომიხსენეთ, რადგან თქვენთან ერთად მე ვერ შემოვალ — ღირსად არა ვცნობ თავს, ის წმინდა ადგილები დავტკბნოო. თანამგზავრთ გაუკვირდათ, — ამხელა მანძილზე გიელა და უფლის საფლავის უნახავად უნდა გაბრუნდე უკან? მაგრამ დავითი მაინც არ შეჰყვა ქალაქში და უკან გამობრუნდა.

იმ ღამეს ანგელოზი გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქ მაკარის და უთხრა: ადექი ჩქარა და დაეწიე ერთ ღვთისკაცს, რომელიც იერუსალიმიდან თავის სამშობლოსკენ მიემგზავრება. მისი სახელი დავითია, ღარიბულად აცვია ტანზეც და ფეხზეც, მცირე ტკირთი პკიდია ზურგზე, ჭვერი სარტყელამდე სცემს და ხელთ კვერთხი უპყრია. მან წაიღო მთელი იერუსალიმის მადლი. დაეწიე შენი კაცები და უკან გამოართვეთ ორი ქვა და ერთი მასვე დაუტოვეთ, რათა სრულიად არ დაიცალოს მადლისაგან; ორი წილი მადლი ამ ქალაქს დარჩეს, მესამედი იერუსალიმისა კი — უდაბნოსათ.

გაიელიძა პატრიარქმა მაკარიმ და შეასრულა ანგელოზის ბრძანება — ორი ქვა გამოართვეს მამა დავითს, მესამე ქვა კი თან გამოატანეს, რომელიც ღირსმა მამამ გარეჯის უდაბნოში ჩაიტანა (ძეგლები, III, გე. 306).

მადლობა — სულხან-საბას განმარტებით — „ესე არს, რაჟამს მოვიხსენებდეთ მადლსა ღმრთისასა, ჩუენ ზედა ბოძებულსა და ადეარებდეთ სიხარულით". ნ. ჩუბინაშვილი დასძენს: „ეგრეთვე კაცთადმი მადლის გარდახდა". რადგანაც ღვთის მადლის (ქველმოქმედების, მოწყალების, საღვთო ნიჭის) მოხსენება ყოველი ქრისტიანის მოვალეობაა, ღვთისადმი მადლობის შეწირვა არის საღვთო მსახურების (წირვისა

და ლოცვის) ერთ-ერთი უმთავრესი შინაარსი. მადლობის დიდი საიდუმლოებრივი მნიშვნელობა მრავალგზის მოსწავლებულია საღვთო წერილში. სახელდობრ, ხუთი ათასი კაცის დაპურების შესახებ „მოიხუნა იესუ პურნი იგი და მადლობადა, და მისცემდა მოწაფეთა და მოწაფენი მისცემდის ერსა მას“ (იოანე 6,11). ასევე, საიდუმლო სერობაზე იესო მადლობით განუყოფდა პურსა და ღვინოს თავის მოწაფეებს (მათე 26,27; მარკ. 14,23; ლუკა 22,17-19).

საღვთო ლიტურგიის ცენტრალურ მომენტს, როდესაც ხდება საღვთო ძღვენის (პურის, ღვინის) კურთხევა, მადლობითი კანონი (ბერძნ. „ევქარისტია“) ეწოდება. აქაც, საიდუმლო სერობის მსგავსად, წარმოითქმის სიტყვები: „მიიღებთ და ჭამეთ“ (მათე 26,26) და „სუთ ამისგან ყოველთა“ (მათე 26,27), მადლობითი კანონი იწყება სიტყვებით: „ვმადლობდეთ უფალსა“.

მადლობას შეეწირავთ ღმერთს იმისათვის, რომ მან ადამიანებს მოანიჭა უფლება საღვთო ლიტურგიის მღვდელმოქმედებისა და ამის საშუალებით – ზიარებისა ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცთან და სისხლთან. საგანგებო მადლობის ლოცვები სრულდება ზიარების შემდეგაც (ამ ლოცვების ტექსტი იხ. ლიტანაში).

ღვთისადმი მადლობის შეწირვის დიდ მნიშვნელობას აღნიშნავენ ეკლესიის მამები. ბასილი დიდს ეკუთვნის სპეციალური ჰომილია „მადლობისათჳს“. რომელიც ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. თხზულების ტექსტი დაცულია ქართულ ხელნაწერებში: A 1109; 95; Ath. 11; 32; H 2251, Jer. 14. გამოცემულია ც. ქურციკიძის მიერ (ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი“, 1983 წ.).

მაქმე – იხსენიება ყურანში, როგორც მაჰმადის თანამემწე.

მავრიანე – ღირსი დედა, წარმოშობით ეგვიპტელი. გაიზარდა კეთილშობილ ოჯახში. როდესაც დედა გარდაეცვალა, ხოლო მამამისი ბერად აღიკეცა, გადაწყვიტა, თვითონაც უდაბნოში გაჰყოლოდა მას. დიდხანს მოღვაწეობდა იგი მონასტერში მამაკაცის სამოსლით. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნდა, რომ იგი ქალი იყო. „ღირსი მავრიანეს ცხოვრება“ ქართულადაც უთარგმნიათ X საუკუნემდე. ტექსტი დაცულია მრავალთავში (A 95, 631r-633r).

მავრიკ მაშენებელი – უბისის IX-X სს. წმ. გიორგის ტაძრის მაშენებელი. მოხსენიებულია ეკლესიის აღმ. ფასადის ლაპიდარულ წარწერაში.

მავრიკე მოწამე – წარმოშობით სირიიდან. მსახურობდა მხედართმთავრად იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311 წწ.) დროს. ეწამა ქრისტიანობის აღიარებისათვის დაახ. 305 წ. მასთან ერთად აწამეს მისი ძე, ფოტი და სამოცდათი მხედარი. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ მათ თავები მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 22 თებერვალი. მავრიკესა და მისი 70 მოწაფის „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი შენახულია ხელნაწერში ქუთ. 1, 89-96. აქ ხსენების დღედ გამოცხადებულია 21 თებერვალი.

მაზარა – საბერო შესამოსელი, მანტია, მანდილი, მცირე სქემა („შაი ზედწამსასხამი, საბერო, მხრებში ნაოჭებიანი“, – 6. ჩუბინ.). იხ. მანტია.

მაზდაიზმი – ადრინდელ შუა საუკუნეებში ირანსა და ზოგიერთ მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება. საფუძველი ჩაუყარა III ს-ში. სახელწოდება მოდის მაზდაკელთა მოძრაობის ხელმძღვანელის, მაზდაკის სახელისაგან. მაზდაკის მთავარი იდეის მიხედვით მსოფლიო პროცესს საფუძვლად უდევს ბრძოლა ნათელ (კეთილ) და ბნელ (ბოროტ) საწყისებს შორის. პირველი – გონიერებისა და კანონზომიერების სათავეა, მეორე – ქაოსისა და შემთხვევითობის. ამ ბრძოლაში (უკვე ამ ქვეყანაზეც) გაიმარჯვებს სიკეთე რანასა და რომის იმპერიაში გავრცელებული სხვა სექტების მსგავსად მაზდაკიზმში არის ურთიერთდახმარების, ქონების თანასწორობის იდეები. მაზდაკელთა მოძრაობის ჩახშობის შემდეგ (VI ს.) მაზდაკიზმი მაინც განაგრძობდა არსებობას; მაზდაკური თემები XIV ს-მდე არსებობდნენ ირანში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში.

მაზდეანობა – ძვ. ირანული რელიგიების გაერცელებული სახელწოდება დას. ირანის, ავღანეთისა და შუა აზიის ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან (სახელწოდება მომდინარეობს ახურამაზდას სახელიდან, იხ. ზოროასტრიზმი, აგესტა). იმ დროს, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა ძალას იკრებდა (IV-V სს.), მაზდეანობა ერთ-ერთი უძლიერესი წარმართული მიმდინარეობა იყო. მის სიძლიერეს განაპირობებდა სპარსეთის გაელენა, რომელიც იბერიას დაემორჩილა, როგორც დამყრობელი.

მაზდეანობა ღეთაებად აღიარებდა ახურამაზდას, რომელსაც, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, შეესაბამება ქართული „არმაზი“.

მათე – წმ. მოციქული (თორმეტთაგანი)

და მახარებელი, სახარების პირველი თავის ავტორი, ძე ალფესი, ერქვა აგრეთვე ლევი (მარკ. 2,14; ლუკა 5,27). მოწოდებული იყო იესო ქრისტეს მიერ სახარების საქადაგებლად. ქრისტესადმი დამოწაფების შემდეგ მათე მის ერთგულ მიმდევრად იქცა. იგი იყო მაცხოვრის მრავალი სასწაულის მოწმე და მსმენელი მისი ქადაგებისა. იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ 15 წლის განმავლობაში იგი ქადაგებდა სახარებას პალესტინაში ებრაელთა შორის. სხვა სარწმუნოცნობები მათე მახარებლის შესახებ არ მოიპოვება. არსებობს მხოლოდ გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მას თითქოს ეთიოპიაში და სპარსეთშიც უქადაგია. გადმოცემით, აღესრულა მოწამებრივად. ისტორიულად დამტკიცებული, რომ პირველი სახარება მათეს მიერაა დაწერილი. მათემ წერილობით ჩამოაყალიბა ცხოვრება და მოძღვრება ქრისტესი ებრაულ (უფრო ზუსტად, არამეულ) ენაზე (იხ. ევსები, საეკლესიო ისტორია, III, 39; წმ. ირინეოსი, მწვალებლობათა შესახებ, III, I და სხვ.). თვით სახარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი პალესტინელი ებრაელი იყო. იგი აელენს ძველი ალთქმის, აგრეთვე თაეისი ტომის ისტორიის, გეოგრაფიისა და ზნე-ჩვეულებათა კარგ ცოდნას.

მათე რომ ნამდვილად იყო პირველი სახარების ავტორი, მოუთითებს ის გარემოება, რომ მოციქულთა სიაში, რომელიც ამ სახარებაშია მოცემული (მათე, 10,3), მოხსენებულია სიტყვით „მეზეერე". ეს მიუთითებს ავტორის ღრმა თაემდაბლობას, რადგან მეზეერები ებრაელთაგან მოძულებულნი იყვნენ თაეთი გამომძალველობის გამო. მათეს სახარების თაედაპირველი, არამეული ტექსტი დაკარგულია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უძველესმა ბერძნულმა თარგმანმა, რომელიც მოხსენებულია მოციქულთა თანამედროვე საეკლესიო მწერლების (წმ. კლიმენტი რომაელი, წმ. ეგნატე, წმ. პოლიკარპე და სხვ.) თხზულებებში. გადმოცემით, ბერძნულად სახარება თვით მათე მახარებელს უთარგმნია.

მათე წერდა პალესტინელ ებრაელთათვის. ამიტომაც მის თხზულებაში გათვალისწინებულია, რომ მკითხველი იცნობს მოსეს სჯულს, ისრაელის ქალაქების, მთებისა და სხვ. ადგილმდებარეობას, ებრაულ გამოთქმებსა და ზნე-ჩვეულებებს. მთავარი მიზანი მახარებლისა ისაა, რომ ებრაელებს უჩვენოს და განუმარტოს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება. მას მოპყავს საბუთები, რომლის თანახმადაც იესო არის მესია, ღვთის მიერ ებრაელთათვის აღთქმული. ებრაელები ღვთისაგან მოელოდნენ ისეთ მესიას, რომელიც დაიფუძნებდა უძლეველ ნაცითნალურ სახელმწიფოს და ებრაელებს ყველა სხვა ხალხზე მაღლა დააყენებდა. მესიის შესახებ ძველ აღთქმაში მოცემული წინასწარმეტყველების ასეთი შეზღუდული გაგების წინააღმდეგ მათე მახარებელი ქადაგებს ქრისტეს ზეციურ, სულიერ სასუფეველს, რომელიც რჩეულთათვის ამქვეყნად იწყება და სრულ-იქმნება ცათა შინა. ბიბლიოლოგთა ვარაუდით, მათემ სახარება დაწერა დაახლ. 42 წ. ქრისტეს შობიდან, დანარჩენ მახარებლებზე ადრე. წმ. მოციქულის ხსენება დადებულია 16 ნოემბერს. მისი მოსახსენებელი დაცულია ხელნაწერებში: S 384, 679-682; Ier. 37, 196-198; Sin. 91, 96-98; H 341.

მათე – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. ხარჭაშნელი ეპისკოპოსი (XVII ს.), მოხსენებულია სბათაში ცხსა 1449/2656.

2. შემოქმედის წინამძღვარი, გოგიტიძე; XVI ს. (ქართული სამართლის ძეგლები, III, 333).

3. კანდელაკი (XVII ს.), Hd 13130.

4. დეკანოზი, წინამძღვრის ყმა (XVII ს. II ნახ.), ცხსა 1448/5032.

5. რუსთველი (ბოდბელი) არქიეპისკოპოსი (XVII ს. II ნახ.), Ad 39.

მათე იანოველი (1350 და 1355 შორის – 1393) – ჩვენი მოაზროვნე, ადრინდელი რეფორმაციის ერთ-ერთი მოღვაწე, იან ჰუსის იღეური წინამორბედი. აკრიტიკებდა კათოლიკურ სამღვდელოებას, მოუწოდებდა ეკლესიათვის სიმდიდრისა და პოლიტიკური ძალაუფლების წართმევისა და მონასტრების გაუქმებისაკენ.

მათიმატიკონი – მისნობის სახე, რიცხვებით წინასწარმეტყველება. ეკლესია საერთოდ მათემატიკურ ცოდნას კი არ ერძალავდა (მათემატიკურ წიგნებად ითვლებოდა არითმეტიკა, მუსიკა, გეომეტრია და ასტრონომია), არამედ მომავლის საწინასწარმეტყველოდ ამ ცოდნის გამოყენებას. სათანადო აკრძალვა მოცემული იყო „დიდ სჯულისკანონში" (მოციქულთა კანონი 62; ლაოდიკიის 36; VI კრებისა 61,65; ბასილი დიდის 7, 65, 83; გრიგოლ ნოსელისა 2).

მათუსალა – ყველაზე დღეგრძელი ბიბლიური მამამთავარი, კაენის შვილიშვილის შვილი, ძე მალელელისა, მამა ლამექისა, ჰასაკი ნოესი (დაბ. 4,18). 167 წლისა იყო, როცა ლამექი შეეძინა. გარდაიცვალა 969 წლისა. ასეთი

დღეგრძელობის გამო მათუსალა იქცა სიმბოლოდ წელთა სიმრავლისა და მოხუცებულობისა.

მათხოზი – სოფელი წულუკიძის რაიონში, იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას, წულუკიძე-გეგეჭკორის საავტ. გზაზე. წულუკიძიდან 7 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVI ს-ში. სოფელში შემორჩენილია წმ. ბასილის გუმბათოვანი ეკლესია (1864 წ.) და წმ. ნინოს დედათა მონასტერი (1874-1915). კედლებში ჩატანებულია XIII ს. ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები. მათხოკიდანაა XVI ს. წმ. ბასილის ხატი, შეწირულია აფხაზთა კათოლიკოსის, ექვთიმე საყვარელიძის მიერ, მოჭედილია ვერცხლით. ზომები: 29X22,5 სმ. დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მაკაბელი მოწამენი – შვიდი წმინდა მოწამე: აბიმ, ანტონინე, გური, ელეაზარ, ეუსევონ, ადიმ და მარკელი, მათი დედა სოლომონია და მასწავლებელი ელეაზარი აწამეს 166 წ. ქრისტეს შობამდე, სირიის უკეთური მეფის, ანტიოქე ეპიფანეს დროს. ელინური სარწმუნოების მიმდევარი ანტიოქე ეპიფანე იერუსალიმსა და მთელ პურიასტანში (იუდეაში) წარმართული წესჩვეულებების დანერგვას ცდილობდა. მან შებილწა ღვთის ტაძარი წარმართული ღმერთის, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების დადგმით და აიძულებდა ებრაელებს, თაყვანი ეცათ მისთვის. ბევრმა უარყო მაშინ ჭეშმარიტი ღმერთი, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ღრმად განიცდიდნენ და სწუხდნენ ღვთის ერის დაცემას, თავად კი ძველ რწმენაზე იდგნენ და მოელოდნენ მესიის მოსვლას. 90 წლის მოხუცი, სჯულის მოძღვარი ელეაზარი, რომელიც მტკიცედ იცავდა მოსეს სჯულს, წამებით აღესრულა იერუსალიმში. ასეთივე გმირობა გამოიჩინეს წმ. ელეაზარის მოწაფეებმაც – შვიდმა მაკაბელმა ძმამ და მათმა დედამ სოლომონიამ. ისინი თვით მეფე ანტიოქე ეპიფანემ გაასამართლა ანტიოქიაში. წმინდა მოწაფეებმა უარი განაცხადეს წარმართული ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე და უშიშრად გამოაცხადეს თავი ჭეშმარიტი ღვთის მიმდევრებად. ყრმათა შორის პასუხებს იმპერატორს უფროსი აძლევდა, დანარჩენი ძმების ნაცვლადაც. ამიტომ იგი სასტიკი წამებით დასაჯეს დანარჩენი ძმებისა და მათი დედის თვალწინ. ხუთმა მომდევნო ძმამაც ასე, თანმიმდევრობით, სხვათა დასანახად მიიღეს მოწამებრივი გვირგვინი. დარჩა მეშვიდე ძმა, ყველაზე უმცროსი. ანტიოქე ეპიფანემ შესთავაზა წმ. სოლომონიას, უარი ეთქმევინებინა დარჩენილი ერთადერთი შვილისათვის თავის სარწმუნოებაზე, რათა ის ერთი მაინც გადარჩენოდა ცოცხალი. მაგრამ გმირი დედა, პირიქით, ამხნევებდა უმცროს ეაჯს და მოუწოდებდა ჭეშმარიტი ღვთის აღიარებას. ყრმამ გადაჭრით უარყო მეფის შეგონებანი და მტკიცედ გადატანა წამება, უფროსი ძმების მსგავსად. ყველა შვილის სიკვდილის შემდეგ წმინდა სოლომონიამ ხელები აღმართა სამადლობელი ლოცვით ღვთისადმი და სული განუტევა. წმინდა შვიდი მაკაბელი ყრმის გმირობამ შთააგონა იუდა მაკაბელი და მან დაიწყო აჯანყება ანტიოქე ეპიფანეს წინააღმდეგ. ღვთის შეწევნით მან გაიმარჯვა და იერუსალიმის ტაძარი გაწმინდა კერპებისაგან. ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობს მაკაბელთა II წიგნი. ხსენების დღეა 1 (ან 5) აგვისტო. მაკაბელთა მოსახსენებელი გვხვდება A 95 482v-491r; Sin. 62 ხელნაწერებში. ქებითი სიტყვები წმ. მაკაბელ მოწამეებს მიუძღვნეს ეკლესიის მამებმა და მღვდელმთავრებმა: კვირიანე კართაგენელმა, ამბროსი მედიოლანელმა, გრიგოლ ნაზიანზელმა და იოანე ოქროპირმა. ამათგან ქართულ ენაზე თარგმნილია (ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ) გრიგოლ ნაზიანზელის პომილია: „შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ“. ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 1, 125-149; A 16, 43-50; S 383; S 1696; ზოგიერთ ხელნაწერში (A 100; S 379; Jer. 14; Ath. 44) მაკაბელთა შესხმა მიეწერება ბასილი კესარიელს, რადგან შეტანილია მის „ითიკაში“. გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვა მაკაბელთა შესახებ უთარგმნია ეფრემ მცირესაც. თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 109, 437-449; A 16, 326-331; A 292; ქეთ. 9, 274-284.

ქართულ ენაზე მოთხრობა მაკაბელთა შესახებ ისტორიკოს ფლავიოსის („იოსიპოს შუკლისმეცნიერისა და ფილოსოფოსის“) ორი თხზულება: 1) „მაკაბელთათჳს ანუ მეუფებისათჳს გულსწრფის ყოფათასა“. ქართულად თარგმნილი დაეთო ინანიშეილის მიერ (რუსუდიდან). დაცულია ხელნაწერში S 332. 2) „წამებაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ,“ ელეაზარ მღდელისაჲ და შვიდთა ყრმათა და დედისა მათისა სოლომონიაჲსი, რომელნი იწამნეს იერუსალიმს ანტიოხოზ მეფისაგან და დამარხეისათჳს წესთა მათ საღმრთოთა შჯულისათა. დაცულია ხელნაწერში ქეთ. 1, 243-260.

მაკაბელთა წიგნები – ამ სახელითაა ცნობილი სამი არაკანონიკური წიგნი ძველი აღთქმისა. პირველ მათგანში მოთხრობილია

ამბები ალექსანდრე დიდის ბრძოლებით დაწყებული და იოანე მღვდელმთაერის მოღვაწეობით დამთავრებული. ავტორი ამ წიგნისა უცნობია. მეორე წიგნში მოთხრობილია იუდა მაკაბელის დროის ამბები. მესამე წიგნი იძლევა ცნობებს იმ დევნის შესახებ, რასაც განიცდიდნენ ებრაელნი ანტიოქე ეპიფანესაგან და ეგვიპტელი ებრაელები — პტოლომე IV-საგან.

მაკაბელნი — ამ სახელით იუდეველთა ძველი აღთქმის ისტორიაში ცნობილია ოჯახი მატათა მაკაბელისა. მაკაბელნი მტკიცედ იცავდნენ მშობლიურ სჯულს ანტიოქე ეპიფანეს დევნის დროს. მაკაბელთაგან განსაკუთრებით ცნობილნი არიან იოანე და იუდა. იუდა მაკაბელი (165-161 წწ. ძვ. წ.) იყო მესამე შვილი მატათასი. ცნობილია, როგორც უშიშარი მებრძოლი სირიელებისაგან იუდეველთა განთავისუფლებისათვის. დაეცა მათთან ერთ-ერთ ბრძოლაში, სადაც სირიელთა რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა იუდეველებისას.

მაკარი — ქართლის კათოლიკოსი VI ს-ში (553-569 წწ.), ბაკურ მეფის დროს. მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში". მი'ი თანამედროვენი იყვნენ ეარსქენ პიტიახში და წმ. შუშანიკ დედოფალი (იხ. ძეგლები I, 94). იგი იყო აგრეთვე ასურელ მამათა თანამედროვე. როგორც მოთხრობილია „შიოსა და ეგვარეს ცხოვრებაში" (ძეგლები, III, 143-144; IV, 367), მას შეუსრულებია შიომღვიმის ეკლესიის სატფურება, ხოლო ღირსი მამის, შიო მღვიმელის გარდაცვალების შემდეგ მასვე შეუმურაეს იგი და დაუსვენებია თაისსავე მღვიმეში.

მაკარი მოწამე — ეწამა ქრისტიანობისათვის ეკლესიოსთან, რომილოსთან და ზინონთან ერთად ქ. მელიტინში, იმპერატორ გალეროსის დროს (დაახ. 311-312). იგი თანამდებობით მოურავი იყო. მეგობრობდა წარჩინებულ მხედართმთავარ ეკლესიოსთან. როდესაც გამოიცა იმპერატორის ბრძანება ქრისტიანთა სასტიკი დევნის და სიკვდილით დასჯის შესახებ, ეკლესიოსმა არ დამალა თავისი აღმსარებლობა და მეფის მოხელეებს განუცხადა, რომ მზად იყო მოწამებრივი ღვაწლისათვის. წარმართებმა ჯერ დიდხანს აწამეს იგი, შემდეგ თავი მოკვეთეს. შვილი დღის შემდეგ ეკლესიოსი ჩვენებით გამოეცხადა თაეის ცოლს და უბრძანა შეეტყობინებინა მაკარისათვის, რომ მის მოსელასაც მოელის. წმ. მაკარი დაუყოვნებლივ გამოცხადდა წარმართ განმგებელთან და აცნობა, რომ ისიც ქრისტიანობის მიმდეგარი იყო. ჯალათებმაც არ დააყოვნეს და თავი მოკვეთეს მას. წმ. მოწამეთა ხსენების დღე — 6 სექტემბერი. ეკლესიოსის, რომილოსის, ზინონისა და მაკარის მეტაფრასული „წამება" XI ს. ქართულად უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 20, 34-38). არსებობს ამავე თხზულების მეორე თარგმანიც: ქუთ. 4. 50-57.

მაკარი აღმსარებელი — ანტიოქიელი ხუცესი. მოიხსენიება ევაგენი აღმსარებელთან ერთად. იმპერატორ იულიანე განდგომილის (361-363 წწ.) დროს ისინი შეეპყრეს და ხელმწიფეს მიაგგარეს. მათ უშიშრად ამხილეს იულიანე ჭეშმარიტი რწმენისაგან განდგომაში. ამისათვის ისინი ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი გადასახლეს არაბეთის ერთ-ერთ ოაზისში. გადასახლებაში ისინი აგრძელებდნენ სულიერ მოღვაწეობას და მრავალი სასწაულიც მოახდინეს. აღესრულნენ ერთ დღეს. ქართულ ენაზე არსებობს ევაგენისა და მაკარის მეტაფრასული „ცხოვრების" თარგმანი (ქუთ. 3, 743-744). აქ მათი ხსენების დღედ ნაჩვენებია 28 იელისი. ბერძნული წყაროებით ხსენების დღე 19 თებერვალია.

მაკარი — ოპიზის მონასტრის VIII ს. მონაზონი. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით, ამონა, ანდრია და პეტრე მონაზვნებთან ერთად აუშენებია ოპიზის მონასტერი (ძეგლები, I, გე. 322; 311-313).

მაკარი II — პატრიარქი იერუსალიმისა (ტახტზე ავიდა 544 წელს, მაგრამ მალე, იმავე წელს, გადაყენეს. მეორედ დაიკავა ტახტი 563-574 წწ.). მოხსენებულია „დაეით გარეჯელის ცხოვრებაში", მაღლის ქუასთან დაკავშირებით. იხ. მაღლის ქვა.

მაკარი ანტიოქელი — ანტიოქიის პატრიარქი, მონოთელიტობის მიმდევარი, რისთვისაც 680 წ. კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ შეაჩვენა.

მაკარი ბერი — XVIII-XIX სს. მწიგნობარი, დავითგარეჯის მოღვაწე. გადაუწერია ხელნაწერები: A 200; A 129; A 1394; A 1403.

მაკარი ლეთეთელი — IX ს. ქართველი მწიგნობარი, გიორგი გრძელის ძე. წარმოშობით ქართლიდან უნდა ყოფილიყო, სოფ. ლეთეთიდან, რომელიც XVII ს. ისტ. საბუთებში იხსენიება. სავარაუდოა, რომ მაკარი იყო მაწყვერელი ეპისკოპოსის, ეფრემის ნათესავი და გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. მოღვაწეობდა იერუსალიმში, საბას ლავრაში. გიორგი მერჩულეს ცნობით, იგი „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა" გრიგოლ ხანძ-

თელის მოწაფე იყო და შორეულ პალესტინაში მოღვაწეობის ჟამს არ წყვეტდა კავშირს თავის განსწავლულ მოძღვართან. გრიგოლ ხანთელის ცხოვრებაში მოლიანადაა მოტანილი იმ წერილის ტექსტი, რომელიც მაკარისა („მაკარი უძლურს") და ეიმმე არსენის გამოუგზავნიათ პალესტინიდან თავისი მოძღვრის, გრიგოლისათვის. მაკარი ლეთეთელი პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერის, „სინური მრავალთავის" (864 წ.) შექმნის ინიციატორი და, ალბათ, მისი ერთ-ერთი გადამწერი იყო პიმენ კახსა და ამონასთან ერთად. მაკარის ხელნაწერი გადაწერისთანავე შეუწირავს სინის მთისათვის; ამიტომ ეწოდა კრებულს „სინური მრავალთავი" (Sin. 32, 33, 57), თუმცა, გადაწერის ადგილის მიხედვით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, საბაწმიდური გვეწოდებინა. ტექსტის ის ნაწილი, რომლის გადამწერადაც იქარაუდება მაკარი ლეთეთელი, მარტივად და უსამკაულოდ არის შესრულებული. ტექსტი განაწილებულია ორ სვეტად, ნაწერი ფართო და მკაფიოა, დაწერილია თანაბარი მრგლოვანი ასოებით. „სინური მრავალთავი" გამოიცა 1959 წელს აკ. შანიძის რედაქციით.

მაკარი მეგვიპტელი (მაკარი დიდი) († დაახლ. 390-393) — თარანის უდაბნოს მოღვაწე (ეგვიპტეში), განთქმული მონაზონი, ანტონ დიდის მოწაფე და თანამოსაგრე. უდაბნოში განმარტოებით იცხოვრა 60 წელიწადს. სათნო ცხოვრებითა და სიმდაბლით სახელი ახალგაზრდობაშივე გაითქვა. მშვიდობიანად აღესრულა 97 წლისა. ხსენების დღე — 19 იანვარი. წმ. მაკარი დიდს მიეწერება მრავალი ქადაგება („სწაელა ძმათა მიმართ"), რომელთაც აქეთ კითხვა-პასუხის სახე. ქართულად ნათარგმნ „სწაელათაგან" დღემდე შემორჩენილია შემდეგი: „გულის-სიტკუთათჳს მწიკულეანთა, ვითარ შეელენ გულსა კაცისასა" (Sin. 82, 73-74; Ath. 69, 558-599; A 56, 433-434); „ბრძოლისათჳს ეშმაკთაჲსა" (Sin. 36, 174-208; Ath. 69, 559-568; A 56, 434-440); „რაჲსათჳს, რომელთა გემო იხილეს ზეცისა სიტკბოებისაჲ და არა განძღეს მისგან" (Sin. 82, 208-210; Ath. 99, 568-570; A 56, 440-443). ზემოაღნიშნული „სწაელანი" ქართულად ნათარგმნია არა უგეანეს 925 წლისა (Sin. 82. გადაწერილია ამ წელს). მოგვიანებით წმ. მაკარის თხზულებანი უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელსაც. მისი თარგმანი შეიცავს ორ ებისტოლეს და 28 „სწაელას ძმათა მიმართ". ეფთვიმეს თარგმანს შეიცავენ: Ath. 21; Ath. 54; Jer. 116; Jer. 73; Sin. 11. Sin. 25, 35; ქუთ. 181 (ათონური ხელნაწერი გადაწერილია ოლიმპზე, „ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა", ეიმმე ისააკის ხელით 1030 წ.). გამოცემულია გ. ნინუას მიერ („ფსველდ მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია". თბ., 1982 წ.).

ანტონ დიდის მოწაფეს, სერაპიონს (V ს.) დაუწერია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარი მეგვიპტელისაჲ". რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 79, 419-506; Jer. 17, 370-373. ქართულ ენაზე არსებობს მაკარის „ცხოვრების" სხვა რედაქციებიც: A 129; Jer. 17.

მაკარი — სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. „პარეხთ მოძღუარი". მოხსენებულია 1241 წ. პარხლის სახარების XV-XVI ს. ერთ-ერთ მინაწერში. ხელნაწერი დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში (Sl10).

2. მღვდელი — სიონის საყდრის მკვიდრი ყმა, მოხსენებულია XVII ს. II ნახ. ერთ საბუთში: ცსსა 1450-34/183, 34/191.

3. არქიმანდრიტი, მოხსენებულია XVII ს. საბუთში: Hd 2239.

4. მღვდელმონაზონი — დაეითგარეჯის მონასტრის XVIII-XIX სს. მოღვაწე, მწიგნობარი. მას გადაუწერია A 1394 (საგალობლები), A 200 („წინამძღუარი"), A 1403 ა (ფრაგმენტი).

მაკარი მღვდელი, მესხი — XIII-XV სს. ქართველი საეკლესიო მწერალი, ქართულ ენაზე გადმოკეთებული თხზულებისა „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ" (ძეგლები, წიგნი II, გვ. 213). როგორც ამ თხზულების ქართული ვერსია იუწყება, იგი დაწერილი ყოფილა ასურულ ენაზე V ს. გასულს თუ VI ს-ის დამდეგს, პეტრე ქართველის მოწაფისა და თანამშრომლის, ზაქარიას მიერ, რომელიც თავადაც ქართველი იყო. მაკარის შრომა ჩვენამდე პირვანდელი სახით არ შემონახულა, მისთვის რედაქცია გაუკეთებია ეიმმე პაულე დეკანოზს; პაულეს რედაქციიდან ვიღაცას გადმოუკეთებია მოკლე სვინაქსარული რედაქცია და ამ უკანასკნელიდან ვახტანგ VI-ს, როდესაც ის ჯერ კიდევ გამგებელი იყო (ე. ი. 1711 წლამდე), შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში". მაკარის თხზულებაში დაცულია მრავალი საყურადღებო ცნობა ქართველთა წარსულიდან, მაგალითად, მეუე ვარაზ-ბაკურის დახასიათება, ქართულ ენაზე

V ს-ში საღვთო წერილის არსებობა; აღნიშნავ კაუშირისა, რომელიც ამ დროს არსებობდა თურმე ქართლისა და სპარსეთის ეკლესიათა შორის და აგრეთვე იერუსალიმსა და სხვა წმინდა ადგილებში მოგზაურობის ჩვეულებისა; საყურადღებოა ცნობა, რომ იერუსალიმში უკვე V ს-ში დაარსებულია ქართველთა ახალშენი: აქ მოსაღალი ქართველებისათვის პეტრეს აუშენებია „სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა განსასუფენებლად მოსაღალთა ძმათა ქართველთა". აქვე აუშენებია მას მონასტერი, „რომელსა პრქუან ქართველისა მონასტერი". ასეთივე მონასტერი აუშენებია მას იორდანის უდაბნოშიაც.

მაკარიოსი (იბნ ალ-ზაიმ ალ-პალაბი ალ-ანტაქი; †1672) – ანტიოქიის პატრიარქი 1647 წლიდან. 1664-66 და 1669 წწ. იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში. იგი აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში.

მაკარი რომაელი (†251 წ.) – დიაკვნად რომში, წარჩინებულ ოჯახში. მშობლები საერო ინტერესებს შთააგონებდნენ, ის კი სულიერ სიწმინდეს ესწრაფოდა. როდესაც მშობლებმა მაკარის დაქორწინება განიზრახეს, იგი გაიპარა სასახლიდან და გადაწყვიტა, შინ აღარასოდეს დაბრუნებულიყო. სიწმიდის მაძიებელ ჭაბუკს, როგორც ეს მის „ცხოვრებაშია" აღწერილი, შეუწია მთაყარაგველოზი რაფაელი და გადაიყვანა იგი სამყაროს დასასრულს, სამოთხიდან „ოც მილიონ" მანძილზე. აქ, უფლის ნებით, მაკარის ემსახურებოდნენ ლომები და სხვა მხეცები. ღირსმა მამამ უცხო მხარეში მრავალი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ არ დაპყრა ეშმაკის ნებას და გამართლდა უფლის წინაშე. მაკარი რომაელის ცხოვრება აღწერა ასურელმა მონაზონმა თეოფილემ („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარი პრომაელისაჲ, რომელი იპოვა მახლობელად სამოთხისა ოცსა მილიონსა"). იგი თავის თანამოღუწეებთან (სერგი, ევგენი) ერთად დიდხანს მოგზაურობდა, რათა ენახა სამყაროს დასასრული. მრავალი განსაცდელის შემდეგ იგი ღირსი გახდა ენახა მაკარი რომაელი და მისი თაყვანდასაცემი შეეტყო. თეოფილეს თხზულება ქართულად უთარგმნიათ X-XI სს-ში, არსებობს ქართული თარგმანის ვრცელი (A 128, 904-928, XIII-XIV სს.) და მოკლე რედაქციები (A 199, 41-51; Jer. 36; A 691, 405-440). გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები, II, 50-63). მაკარი რომაელის ხსენების დღედ ქართული წყაროები 10 თებერვალს ასახელებენ, ბერძნული – 24 ოქტომბერს.

მაკარი ხახულელი – ხახულის მონასტრის წინამძღვარი XI ს. პირველ ნახევარში. მოხსენებულია გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში. მისი წინამძღვრობისას, დაახლ. 1019 წ. ათი წლის გიორგი მამამისმა ხახულის მონასტერში მიიყვანა. მაკარის დროს ხახულის მონასტერში მოღუწეობდნენ „ღმერთშემოსილი ანტონი", „დიდი ბასილი" (ბაგრატ III-ის ძე), ილარიონ თუალელი და სხვ. (ძეგლები, წ. II, გე· 115).

მაკედონიოს I – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (341-360), მაკედონიანოსთა მწვალებლობის მეთაური, ერესიარქი, ნახევრად არიანელი. უარყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას, ქადაგებდა, რომ ძე ღმერთი მსგავსია მამა ღმერთისა და სულიწმიდა მათი თანასწორი არაა. ამ მოძღვრების გამო მაკედონიოსი II მსოფლიო საეკლესიო კრებამ განკვეთა ეკლესიიდან. მანვე დაადგინა, რომ მაკედონიოსის წვალების მიმდევრები მონანიების შემთხვევაში შეიძლებოდა დაბრუნებოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. შეეწყნარებთ ესრეთ: მოვსთხოვთ ღირსებასა, რომელ არს ქარტაჲ სიმტკიცისაჲ და შეჩუენებად უბრძანებთ ყოველსა წვალებასა არა აღმსაარებელსა ესრეთ, ვითარ აღიარებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ ღმრთისაჲ და ესრეთ დავპბეჭდავთ, ესე იგი არს ვსცხებთ წმიდასა მიქრონსა შუბლსა და თუალთა და ცხურთა და პირსა და ყურთა და დაეპბეჭდვიდეთ რაჲ მათ, ვიტყუთ: „საბეჭდაი ნიჭთა სულისაჲ წმიდისათაჲ" (დიდი სჯულისკანონი, გე. 263). 360 წელს მაკედონიოსს კონსტანტინეპოლის კათედრა ჩამოართვეს არიანელმა ეპისკოპოსებმა – ეუდოკიმემ და აკაკიმ, ისარგებლეს რა მისდამი იმპერატორ კონსტანცის არაკეთილგანწმობილი დამოკიდებულებით.

მაკედონოს მოწამე – ყრმა, რომელიც ეწამა იმპერატორ ადრიანეს დროს თავის მშობლებთან (ფილიტოს, ლვიდია) და ძმასთან (თეოპრეპოს) ერთად დაახლ. 117-138 წწ. ხსენების დღე – 23 მარტი. წმ. მოწამეთა – ფილიტოსის, მისი შეუღლის ლვიდიას, შვილების - მაკედონოსისა და თეოპრეპოსის, და მათთანა კრონიდოს კომენტარისიოსის და ამფილოქოს დუკას მეტაფრასული „წამების" XII ს. ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 2, 366-374 (აქ ხსენების დღე 28 მარტია).

მაკრინა (†380) – ღირსი დედა, უფროსი

და წმ. მღვდელმთავართა — ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელისა. დაიბადა კაპადოკიაში IV ს. დასაწყისში. დედამისმა, ემილიამ სიზმრად ნახა ანგელოზი, რომელმაც თქვა უწოდა მის ასულს, თუმცა ჯერ იგი დაბადებულიც არ იყო, წმ. პირველმოწამე თეკლას პატივსაცემად. ემილიამ შეასრულა ნება ღვთისა და ქალიშვილს თეკლა უწოდა. სხვებმა გოგონას მაკრინა დაარქვეს, ბებიის სახატივსაცემად, იმ ბებიისა, რომელმაც წამება გადაიტანა ქრისტიანთა დევნისას იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. მაკრინას გარდა ოჯახში იყო კიდევ ცხრა ბავშვი. ემილიამ თვითონვე შეასწავლა მათ საღეთო წერილი და სხვა წმინდა წიგნები. როცა მაკრინა წამოიზარდა, მშობლებმა იგი დაწინდეს ერთ წესიერ ყმაწვილზე, მაგრამ სასიძო მალე გარდაიცვალა. მრავალ ახალგაზრდას სურდა მაკრინასთან ქორწინება, მაგრამ ქალწული ყველას უარით ისტუმრებდა, რადგან სურდა ქალწულებითვე აღსრულებულიყო. ღირსი მაკრინა ცხოვრობდა მშობლების სახლში, თვალყურს ადევნებდა უმცროსი დებისა და ძმების აღზრდასა და განათლებას. მამის გარდაცვალების შემდეგ ის იქცა ოჯახის მთავარ საყრდენად. როცა ყველა და-ძმა საკმაოდ წამოიზარდა და მათ დატოვეს მშობლიური სახლი, მაკრინამ დაითანხმა დედა, მიტოვებინა ამქვეყნიური ცხოვრება, გაეთავისუფლებინა მონები და დამკვიდრებულიყო დედათა მონასტერში. ზოგიერთმა მონა-მოსამსახურემ მათ მაგალითს მიბაძა. მონაზონად აღკვეცის შემდეგ ისინი ცხოვრობდნენ ერთად, ერთი ოჯახივით, ერთად ლოცულობდნენ, ერთად შუამდგნენ, ყოველივე საერთო პქონდათ, არაფრით გამოირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. დედის სიკვდილის შემდეგ წმ. მაკრინა ხელმძღვანელობდა მონასტერს. მისი მოღვაწეობისათვის დამსახსოვრებელი იყო სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ. ღვთივსათნო ცხოვრებისათვის წმ. მაკრინა ღირსიქმნა სასწაულთმოქმედებისა. იგი აღესრულა 380 წ. ლოცვით და ღვთისადმი მადლობის შეწირვით. დაკრძალულია მშობლებთან ერთად, ერთ საფლავში, ხსენების დღეა 19 იელისი. ღირსი მაკრინას „ცხოვრება" აღწერილია გრიგოლ ნოსელის თხზულებაში: „ცხოვრებისათჳს დისა თჳსისა წმიდისა მაკრინასი". რომელიც ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 55, 21-31; A 108, 9-38; A 142, 107-178; Jer. 2, 76-99.

მაკრინე მონაზონი (ერობაში — მარიამი) — XVIII ს. ქართველი პიმნოგრაფი, ასული მეუე ირაკლი I-ისა და ანა ჩოლოყაშვილისა. დაიბადა კახეთში დაახლ. 1696-98 წწ. მარიამი ადრე დაქორწინებულა. ის ცოლად შეურთავს (1714 წ.) კახთა მეფის სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლოყაშვილს. 1715 წ. ედიშერი დაღუპულა ლეკებთან ბრძოლაში. ამის შემდეგ მარიამი უმალვე მონაზვნად შემდგარა მაკრინეს სახელით და თავისი ძმის, კახთა მეფის, დავით იმამყული ხანის ნებართვით ალავერდის ტაძართან დამკვიდრებულა. გარდაიცვალა დაახლ. XVIII ს. შუა ხანებში. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, მაკრინე იყო „სწავლული ქართულსა ენასა ზედა ფრიად". უცხო ენებიდან იცოდა ფრანგული, სომხური და ბერძნული (ბერძნული შეუსწავლია იმისანად ჩვენში მყოფი პამფილის მიტროპოლიტ პართენისაგან). მაკრინეს მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როდესაც დაიწყო განსაკუთრებული მოძრაობა ქართული ეროვნული დღესასწაულების მოგვარებისა და მათთვის შესაფერი საგალობლებისა და აკოლუთიის შედგენისათვის; ხდება გადასინჯვა საეკლესიო კალენდრისა და წარმოებს კოდიფიკაციური მუშაობა პაგიოგრაფიის დარგში. ასეთ მრავალმხრივსა და ინტენსიურ მუშაობაში ჩაბმული განათლებული და სამშობლოს მოყვარული მკრინეც. ჯერ კიდევ მონაზონობამდე მისი ბრძანებითა და წარსაგებელით (ხარჯით) გადაუწერიათ ალავერდში მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი „სადღესასწაულო" (შენახულია სამ ხელნაწერში: A 366; A 379; A 380). მას საკუთარი ხელითაც მრავალი ძეგლი გადაუწერია, განსაკუთრებით ცნობილია: მეორე ნაწილი ე. წ. „ლეთაების გუჯრისა"; კანონიკური კრებული Q 427; პიმნოგრაფიული კრებული S 3269 და სხვ.

მაკრინეს ორიგინალური შრომებიდან საყურადღებოა იამბიკური „შესხმა", რომელიც მას პოლოსიტყვაობის სახით დაურთავს მის მიერ გადაწერილი საბას ლექსიკონისათვის (H 1740) და საგალობლები იოსებ ალავერდელისადმი (A 387; S 3269, H 1762, H 2077, ქუთ. 36). აქაა სულ 102 პროზაული სტროფი, მნიშვნელოვანია ორი „კანონი". (თითოეულში 40 სტროფი). მკრინეს პიმნების მთავარი მოტივია პატრიოტიზმი. პოეტურადაც მეტად საინტერესოა: ავტორს ემარჯვება მოხდენილი ეპითეტები, შედარებანი, მეტაფორები და პარალელიზმები. იღური სიმახვილით, გრძნობათა სიღრმითა და პოეტური აღმაფრენით მკრინე არ ჩამოუვარდება ქართული პიმნოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლებსაც კი. გარდა საგალობლებისა, მკრინეს მიეწ-

ერება იოსებ ალავერდელის მოკლე, სვინაქსარული „ცხოვრება“ (მ. საბინინი. „საქართველოს სამოთხე“. გვ. 217-218, ბეგლები, წ. IV, გვ. 233-238; 403-406). მაკარიეს პიმნოგრაფიული თხზულებების შესახებ იხ. მ. ქავთარია, XVIII ს. პიმნოგრაფია.

მალაქნები – ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში, „დუხობორების“ ნაირსახეობა. ჩამოყალიბდა XVIII ს. ბოლოს ტამბოვის გუბერნიაში და შემდეგ გავრცელდა ქვეყნის სხვა რაიონებში. სექტის დამაარსებლად ითვლება სემიონ უკლეინი. მალაკნები უარყოფენ ეკლესიას, საეკლესიო იერარქიას, მარხვებს, ხატებს და მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას. ლიტულობენ სამლოცველო სახლებში, სადაც გალობენ ბიბლიურ ტექსტებს. მალაკნების ნაწილი ბაპტისტებს შეუერთდა. XX ს. დასაწყისში მალაკნების რაოდენობა 1,2 მლნ. აღწევდა. მალაკნების პატარა ჯგუფები შემორჩენილია ამერიკაკავკასიაში (საქართველოში – აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში), უკრაინისა და რუსეთის ზოგიერთ რაიონში.

მალანი სოლომონ (1812-1894) – ინგლისელი ღვთისმეტყველი, რომელმაც ინგლისურად თარგმნა პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1866) და გამრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“. (მან იმოგზაურა საქართველოში სპეციალურად გაბრიელის გაცნობის მიზნით).

მალაქია წინასწარმეტყველი –ძველი ალთქმის ერთი მცირე წინასწარმეტყველთაგანი, ბიბლიის უკანასკნელი საწინასწარმეტყველო წიგნის აეტორი. წიგნში, რომელიც შეიცავს 4 თავს, ნაწინასწარმეტყველებია, რომ მცხოვრის მოსვლა მოახლოებულია და რომ იგი მიეა იერუსალიმის ტაძარში, ხოლო მანამდე კი ქეყანას მოეკლინება წინამორბედი, ილია წინასწარმეტყველის მსგავსი (ოგულისხმება იოანე ნათლისმცემელი).

მალაქია – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XVI ს. I ნახევარში. ადრე ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კახეთის სამეფოში მცხეთის კუთვნილი მამულების შემოშტკიცებას. 1532 წ. კახთა მეფეს ლევანს (1520-74) დაპირუნებინა მისაკუთრებული მამულები და დაამტკიცებინა კახეთის ტერიტორიაზე მცხეთის მამულების ერთიანი ახალი სიგელი. დახ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ევდემონ ჩხეტიძესთან (1543-78) ერთად მეთაურობდა იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-65) მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას (1543-49 წწ.), რომელმაც მიიღო დადგენილებები ტყეებით ვაჭრობის, მკვლელობის, ეკლესიათა ძარცვა-გლეჯის, არაკანონიერი ქორწინების და სხვათა აღმოსაფხვრელად და მოსახლეობაში შერყეული ქრისტიანული წეს-ჩვეულებების აღსადგენად. კრებას „დაუსხმა“ 22 კანონი (საკათოლიკოსო კანონები“. „ანუ სამართალი კათალიკოსისა“), რომელშიაც ყველა ამ უკეთრო მოქმედებათათვის შესაფერისი სასჯელია დადებული. ეს კანონები დამფარებული ყოფილა „დიდ სჯულისკანონზე“ (იხ. „სამართალი კათალიკოსისა“). მალაქია კათოლიკოსს სეეტიცხოველის წიგნთსაცავისათვის მრავალი ძეირფასი წიგნი შეუწირავს (მაგ. A 85).

მალაქია I (აბაშიძე) – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XVI ს. I ნახ. რეზიდენცია ქქონდა ბიჭვინთის საკათედრო საყდარში. მალაქია იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-65) პოლიტიკური მოშმრე იყო დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების საკითხში. ბაგრატ III-ის ბრძანებით მან 1529 წ. ქუთაისის საეპისკოპოსი გაყო სამად და დაარსა ხონისა და გელათის ახალი საეპისკოპოსოები, რომელთა მეთაურები ბიჭვინთის საყდარში აკურთხა. 1533 წ., როცა გაგრასთან ჯიქების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მალაქია ბრძოლის ადგილას გაემგზავრა და ტყვეები ფულით დაიხსნა.

მალაქია II – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი 1619-39 წწ., გურიის მთავრის, გიორგი II გურიელის ძე. ერთდროულად იყო ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც. 1630-იანი წწ-დან იყო აგრეთვე გურიის სამთავროს განმგებელი. სახელი გაითქვა, როგორც უნარიანმა სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწემ. მოაწესრიგა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეები, ააყო და შეამკო მრავალი ეკლესია-მონასტერი, მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებსა და ქართველ კულტურის მოღვაწეებს. მისი ინიციატივით შედგა აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ეხმარებოდა ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლისა და კახეთის მეფეებს, აგრეთვე გიორგი საააკაძეს. მალაქია კათოლიკოსს დაუკვეთია ცაიშის თორმეტი დღესასწაულის ხატი (1619 წ.). ხატზე მისი პორტრეტიცაა გამოსახული. ცენტრალური ნაწილი ოქროთია მოჭედილი. მასვე შეუწირავს ცაიშასათვის ღვთისმშობლის ხატი (1619-1622 წწ.).

მოჭედილი მოოქრული ვერცხლით. ღვთისმშობლის გვერდით გამოსახულია ხატის შემწირველი. იგი მოხსენებულია ასე: „ანზაზეთისა კათალიკოზი, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთაწარეპისკოპოზი". ორიე ხატი ამჟამად ინახება ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მალაქიასვე დიდი შეწირულობა მიურთმევია ბიჭვინთისათვის (ქართ. სამართლის ძეგლ. III, გე. 497-503).

მალაქია II გურიელი — გურიის მთავარი 1684-85 და 1689 წწ. ქაიხოსრო I გურიელის ძე, 1658-84 იყო ჯერ შემოქმედის, შემდეგ ჯუმათ-შემოქმედის ეპისკოპოსი. გურიის მთავრად დასვა იმერეთის მეფემ, ალექსანდრე IV-მ. 1685 წ. ტახტიდან ჩამოგდო ძმისწულმა — ქაიხოსრო II გურიელმა. მალაქია ახალციხის ფაშასთან გაიქცა. ფაშამ იგი გურიაში დააბრუნა. ქაიხოსროს ფიცი დაადებინა, რომ მალაქიას არაფერს ავნებდა, მაგრამ ქაიხოსრომ ფიცი გატეხა და მალაქია დაატრიალა. 1689 წ. მალაქია II ახალციხის ფაშის დახმარებით კვლავ დაეუფლა სამთავრო ტახტს, მაგრამ სამთავროს მართვა ვეღარ შეძლო და გურიის ფეოდალებმა იმავე წელს მთავრად მისი ძმისწული მამია III მიიწვიეს. ახალმა მთავარმა მალაქია კვლავ შემოქმედის ეპისკოპოსად დასვა.

მალიქ იბნ ანასი აბუ აბდ ალლაჰ (711 ან 715-795) — მუსლიმური სამართლის მცოდნე, იმამი, მალიქიტების სკოლის დამაარსებელი. ცხოვრობდა ქ. მედინაში და მეჩეთში ასწავლიდა მუსლიმურ სამართალს. მისი მთავარი ნაშრომია „ჰითან ალ-მყაუტტა" („გაკაული ბილიკი"), რომელიც წარმოადგენს მუსლიმური სამართლის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს კორპუსს, ჰადისების პირველ კრებულს. მასში შეტანილია 1700 ყველაზე სარწმუნო ჰადისი, გადმოცემულია ისლამის კანონები, რელიგიური წეს-ჩვეულებები და პრაქტიკა. ჰარუნ ალ-რაშიდმა, რომელიც დიდად აფასებდა ამ ნაშრომს, წინადადება მისცა მალიქ იბნ ანასს, ყველგან ძალით დაენერგათ ეს წიგნი, მაგრამ იმამმა უარყო ეს გადაწყვეტილება და დაიმოწმა მაჰმადის სიტყვები: „აზრთა სხვადასხვაობა ჩემს თემში ნებადართულია".

მალიქიტები — ერთ-ერთი თეოლოგიურ-იურიდიული სკოლის (მაზჰაბის) მიმდევრები სუნიტურ ისლამში. შეიქმნა ქ. მედინაში VIII ს-ში. დააარსა მალიქ იბნ ანასმა. მალიქიტები მკაცრად იცავენ სუნასა და ჰადისებს. მუსლიმური სამართლის ნორმების შემუშავებისას დასაშვებად მიიჩნევენ ლოგიკური დასკვნების და კიასის (შედარება, ანალოგია) მეთოდის გამოყენებას, მაგრამ მიმართავენ ისთისლაპის (გაუჯობესების) პრინციპს. მალიქიტების აზრით ანალოგიის მეთოდის გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც არსებობს ყველა აუტორიტეტული თეოლოგ-კანონმდებლის საერთო გადაწყვეტილება (იჯმა). მალიქიტების მიძღერები გაბატონებული იყო არაბეთში. IX ს-დან იგი გავრცელდა ზემო ეგვიპტეში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სხვ. არაბულ ტომებში. დღეს მალიქიტების უმეტესობა არის ტუნისში, ალჟირში მაროკოში, დას. აფრიკაში, აგრეთვე სუდანს. და ზემო ეგვიპტეში.

მალძოზი—იერუსალიმელი მღვდელმთავრის მსახური, მოხსენებულია იოანეს სახარებაში (18,10). როდესაც იესოს შესაპყრობად მღვდელმთავრებმა რაზმი გაგზავნეს, მალქოზიც მათ შორის იყო. პეტრემ მათი განზრახვა რომ გაიგო, ამოიღო მახვილი და მარჯვენა ყური მოკვეთა მალქოზს. ლუკა მახარებელის მოწმობით (22,51), იესომ ხელი შეახო მალქოზის ყურს და განკურნა იგი. ამით იესომ აჩვენა, რომ იგი არ გაურბოდა შეპყრობას, არამედ ნებით ჩაბარდა მღვდელმთავრებს წამებისათვის.

„მამა-დავითი" — დავით გარეჯელის ეკლესია თბილისში, მთაწმინდის კლდოვან ფერდობზე. გადმოცემით, აქ თაქსპარველად სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას — დავითს. შემდეგ აქ იერიის ღვთისმშობლის ეკლესია აუშენებიათ (IX ს.). ამ ეკლესიის ნანგრევებზე 1542 წელს ძმებს — ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებს წმ. დავითის მონასტერი დაუარსებიათ. ახლანდელი ეკლესია (აგებულია 1871 წ.) საშუალო ზომის გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ინტერიერი მოხატულია. მთავარი ტაძრის გვერდით მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია დგას (აგებულია 1809 წ.) ამ ეკლესიაზე დაშენებულია სამრეკლო.

მამადავითობა — დავით გარეჯელის პატივსაცემად დაწესებული დღესასწაული, რომელიც იმართება ამაღლების სწორს (ხუთმაბათი დღეს) თბილისში, მთაწმინდაზე. დავით გარეჯელს აქ დაუარსებია ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც დღესაც „მამა დავითის" ეკლესიის სახელითაა ცნობილი.

„მამათა სწავლანი" — პირობითი სახელწოდება მარხვათა საკითხავისა, რომელიც დაცულია X ს. ხელნაწერში S 1139. „სწავლანი" ასკეტიკური ხასიათის ნაწარმოებთა კრე

ბულს წარმოადგენს. მასში შესულია იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიელის, ეფრემ ასურის, საპაკ მონაზვნის, მარკოზ მონაზვნისა და მარტვირი მონაზვნის თხზულებანი. საინტერესოა, რომ მარტვირი მონაზვნის „თქუმული სინანულისათჳს და სიმდაბლისა" ზოგი მეცნიერის ვარაუდით ქართველი ავტორის მიერ ქართულად დაწერილი შრომაა („ლიტერატურილი ძიებანი", III, გვ. 261-313). „მამათა სწავლანი" გამოცემულია ილია აბულაძის მიერ (1955 წ.).

„მამათა ცხორებანი" – პატერიკი; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული, რომელიც შეიცავს მხოლოდ ღირს მამათა ცხოვრებას. ასეთ კრებულთა რიცხვს მიეკუთვნება ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერი XI ს. პირველი ნახევრისა. კრებული შეიცავს თხზულებებს წმინდა და ნეტარ მამათა ცხოვრების შესახებ, კერძოდ – ანტონისა, საბასი, ხარიტონისა, ეფთჳმესი, თეოდოსისა, ბარლაამისა, ეფრემისა, იოანე ურპაელისა, კვირიაკოზისა, სტეფანესი და ნიკონისა, პაული ეპისკოპოსისა და იოანე ზუცისა, იოანე ეპისკოპოსისა შეყენებულისა, ამბა სჳმეონ სალოსისა და ჲერასიმესი. ტექსტი გამოსცა ე. იმნაიშვილმა 1975 წ. იხ. პატერიკი.

მამამთაჳართა ქჳრიაკე – წმ. მამათა კვირიაკის (ქრისტეს შობის წინა კვირა დღის) წინა კვირა დღე. ამ დღეს ეკლესია მოიხსენებს ძველი აღთქმის მამამთავრებს ადამიდან იოსებ დამწინდველამდე, აგრეთჳ წინასწარმეტყველებს სამოელიდან ზაქარიამდე და იოანე ნათლისმცემლამდე. ეს კვირიაკე ხვდება 11-17 დეკემბრის ფარგლებში; ხანდახან ეშთხვევა 28-ე კვირიაკეს ერგასის შემდგომ, ხან წინ უსწრებს, ხან ჩამორჩება მას. ამის მიუხედავად მამათმთავართა კვირიაკის ლიტურგიაზე ყოველთჳს იკითხება 28-ე კვირიაკის სახარება.

მამამთაჳარი – პატრიარქი, ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის ტიტული აღმოსავლეთის ქვეყნებში. იხ. პატრიარქი.

მამამთაჳრები – პატრიარქები, ღვთის ერის (ისრაელის) იმ კეთილმსახურ წინაპართა წოდება, რომელნიც ცხოვრობდნენ სჳულის მოცემამდე (სინის მთაზე). ისინი იცავდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას და თაობებს გადასცემდნენ მაცხოვრის მოლოდინს. წარღვნამდელი მამამთავრები იყვნენ: ადამი, აბელი, სეით, ენოს, კაინან, მაჰლეშ, იარედ, ენუქ, მათუსალა, ლამექ და ნოე. წარღვნის შემდგომი მამამთავრებია: აბრაამი, ისაკი, იაკობი და იოსები. პირველნი გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივი დღეგრძელობით და საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ საღთო აღთქმას. მეორენი უფრო დაახლოებულნი იყვნენ ღმერთთან და ხალხში ზნეობრივი კანონების დაცვისათჳს იღწოდნენ. იაკობის მიერ კიბის ხილეა (დაბ. 28,12) არის სახე მაცხოვარში ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების შეერთებისა, ხოლო იოსების თავგადასავალი (იქვე 37,3-36) – მაცხოვრის ენებისა, ისაკის მსხვერპლად მიყვანა (იქვე, 22) – მაცხოვრის ჯვარცმისა და სიკვდილისა. მამამთავრები თავიანთ სულიერ უპირატესობას გადასცემდნენ ხოლმე პირველ შვილებს, რაც ხდებოდა საგანგებო ლოცვა-კურთხევით (იქვე, 27,1-29). შვილების უმთავრეს სათნოებად ითვლებოდა მშობლებისადმი მორჩილება. ქორწინება ხდებოდა მხოლოდ მშობლების ნებით. მთელი ძალაუფლება გვარის, ოჯახის მამამთავრის ხელში იყო. მტრის თავდასხმისას ისინი მეთაურობდნენ ჯარს და ა. შ. მამამთავრები მოხსენიებული არიან იესო ქრისტეს გენეალოგიაში. მათ ხსენებას ეკლესია აღასრულებს მამამთავართა კვირიაკეს (28-ე კვირიაკე მეერგასის შემდეგ, ორი კვირით ადრე ქრისტეს შობამდე). ამ დღეს მოიხსენიება ყველა მამამთაჳარი ძველი აღთქმისა, ადამიდან იოსებამდე (ქალწული მარიამის დამწინდველი), რომელნიც გახდნენ „მართალნი" მომავალი მესიის მოლოდინით. მამამთავართა კვირიაკის განგების საგალობლებში ჩამოთვლილია ყველა მამამთაჳარი (იხ. საღღესასწაულოში).

მამალაის ძენი – სოფ. ოქრობაგეთის (ისტორიულ შავშეთში, არდაგანიდან ტბეთისაკენ მიმავალ გზაზე, ღღეს თურქეთის ფარგლებშია) ეკლესიის IX ს. აშენებელნი. მოხსენებული არიან ამ ტაძრის ლაპიდარულ წარწერაში. იხ. ოქრობაგეთი.

„მამანი სინას და რაითას მოსრჱნი სარკინოზთაგან" – მოღვაწეობდნენ IV-V სს. სინისა და რაითის საკანებში, მეწამული ზღვის სანაპიროზე. სინის ნახევარკუნძულზე. ეს ის ადგილია, სადაც ბიბლიურმა მოსემ ღვთისაგან მიიღო ათი მცნება (გამოსლვათა 19, 20). სინელი და რაითელი მამები მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ. განუწყვეტელი ლოცვითა და მარხვით განწმედილები ხშირად საკვირველთმოქმედების ნიჭსაც ღებულობდნენ უფლისაგან. სარკინოზთა (არაბთა) მოშთაბარე ტომმა ორჯერ ამოწყვიტა წმინდა მამების კრებული. პირველი მოსრვა 312

წელს მოხდა (40 სინელი და 39 რაითელი მამა), მეორე – ასი წლის შემდეგ. პირველი მოსრვა აღწერილი აქვს თეოფმხილველს, ეგეპტელ ბერს ამონიოსს, მეორე – ასევე თეოფმხილველს – ნილო (ნილოს) მმარხველს, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა დაღუპვას. სარკინოზთაგან მოწყვდილ სინა-რაითელ მამათაგან სახელებით ცნობილნი არიან: ისაია, საბა, მოსე, მისი მოწაფე მოსე, იოსები, იერემია, პაველ, ადამი, სერგი, დომნე, პროკლე, ეიპატოსი, ისააკ, მაკარი, მარკოზი, ბენიამინი, ევსები და ელია. ხსენების დღე – 14 იანვარი. ნილო მონაზონის (სინელის) თხზულება „მოწყუედისათჳს წმიდათა მამათა მთისა სინისა და რაითისათა“ ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 13, 96-126; A 79, 119-186. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I) იხ. ნილოს სინელი.

მამაი (მამანტი) († 275) – წმ. მოწამე; წარმოშობით იყო „ქვეყანით ფენტლაონეთით, ქალაქით ღანით“ (გიორგი მთაწმ., სვინაქსარი Ath. 30), წარჩინებული ოჯახიდან. ეწამა ავრელიანეს (270-275) დროს; თაყდან იცემრატორს სურდა, მისი ნებისყოფა გაეტეხა და კესარიის მახლობლად მდებარე უდაბნოში, მაღალ მთაზე ცხოვრება უბრძანა. მამაი დამორჩილდა. მალე მან წმინდა ცხოვრებით საკერპეული ხელმწიფება მოიპოვა ბუნების ძალებზე. მის სამწყოსთან ყოველდღე იკრიბებოდნენ უდაბნოს მკვიდრი მხეცები და წმ. სახარების კითხვას ისმენდნენ. წმ. მამაი მხოლოდ გარეული თხებისა და ირმების რძით იკვებებოდა. მამის სასწაულთმოქმედების ამბავი მალე გავრცელდა. განრისხებულმა იმპერატორმა მისი მოკვლა ბრძანა. მრავალი სხვადასხვა ტანჯვის შემდეგ წმ. მოწამე „ქვითა განიტუნა და ლახჳრითა განიგუმირა“. ხსენების დღე – 2 სექტემბერი. ქართულ ენაზე არსებობს წმ. მამას წამების სამი თარგმანი: ორი სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებისა, ხოლო ერთი - ძველი, კომენური რედაქციისა. თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი დაცულია ხელნაწერში: Ath. 20,18-24, ხოლო ამაეე თხზულების უცნობი მწერლის თარგმანი – ხელნაწერებში: ქუთ. 4,26-33; Jer. 18,73-83. კომენური რედაქცია: Ath. 87, Sin. 52 ხელნაწერებში.

მამაი – ქართლის კათოლიკოსი, 731-744. მოხსენებულია იოანე-ზოსიმეს კალენდარში (X ს. Sin. 34-19). მოხსენების დღე – 3 მაისი (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 264).

„მამაო ჩვენო“ – ამ სიტყვებით იწყება უმთავრესი საუფლო ლოცვა, რომელიც თვით უფალმა იესო ქრისტემ ასწავლა თაყის მოწაფეებს: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი. მოვედინ სუფეჳა შენი, იყავ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მოგიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფეჳაჲ და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ, ამენ“ (მათე 6,9-13). ეს ლოცვა თვით მაცხოვარმა წარმოთქვა მთაზე ქადაგების დროს. ამ ლოცვის სწავლებას წინ უძღვოდა იესოს მიერ განმარტება ლოცვის შესახებ, რომ არაა საჭირო მრავალსიტყვაობა. „მამაო ჩუენო“ შედგება: 1) მოწოდებისაგან („მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“), 2) შვიდი ვედრებისაგან და 3) შესხმისაგან – „რამეთუ შენი არს სუფეჳაჲ და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ, ამენ“. ღვთისმსახურების დროს ეს ასამღერებელი წარმოთქმის ასე: „რამეთუ შენი არს სუფეჳაჲ, ძალი და დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ“. მოციქულთა კანონების მიხედვით, „მამაო ჩუენოს“ წარმოთქმა საჭიროა დღეში სამჯერ, ხოლო ტერტულიანეს მიხედვით – საზრდელის მიღების წინაც. ეკლესიის მამები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლოცვის სიტყვებს: „პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს“. ეს არის საიდუმლო თხოვნა ზიარებისა, რომლის უფლებაც აქვთ მხოლოდ მონათლულ მორწმუნეებს და რომლის ღირსეული მიღებაც უნდა გახდეს ადამიანის სულიერი და ხორციელი ცხოვრებისა და უკვდაების წყარო.

ქართულ ენაზე, გიორგი მთაწმიდელის ცნობით, ეფთჳმე ათონელს უთარგმნია „მამაო ჩუენოს“ განმარტება გრიგოლ ნოსელისა: „სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ მამაო ჩუენოჲსაჲ“, ხუთი თავისაგან შემდგარი. ეს თარგმანი დაცულია ხელნაწერში: A 108, 316-350. გვაქვს აგრეთვე მაქსიმე აღმსარებელის „ლოცვისათჳს მამაო ჩუენოჲსა“, ნიკოლოზ გულაბერიძის თარგმანი (დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 14).

მამასახლისი – მონასტრის ან ეკლესიის მმართველი, წინამძღვარი; ძველი ტერმინი მონასტრის ოქუმენის, ეკლესიის წინამძღვრის აღმნიშვნელი.

მამა, მამა ღმერთი – ქრისტიანუ-

ლი მრწამსის თანახმად, წმიდა სამების პირველი პირი, „ყოლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთაჲ“. იმავე მრწამსის თანახმად, ღმერთი ერთია: წმიდა სამება (მამა, ძე და სული-წმიდა). მაშასადამე, არსებით ღმერთი ერთია, მაგრამ სამი პირი აქვს: მამა, ძე და სული-წმიდა. სამება ერთარსი და განუყოფელია (მათე 11, 25-27; 18, 35; 24, 36; იოანე 5, 18; 8, 16, 19, 54; 10, 15, 30, 38; 14, 6, 10; 15, 24; 16, 3; 15, 23; 20, 17, 21; იაკ. 1, 17-18; რომ. 15, 6; 2 კორ. 1, 3; 11, 31; ეფეს. 1, 3, 17; 3, 14; კოლ. 1, 3; ებრ. 1, 5). მამისაგან არის შობილი ძე, ხოლო სულიწმიდა – მისგანვე გამოსული. თუთ მამა ღმერთი არაა ვინმესგან შობილი, ან გამოსული. აქ „შობილი“ იგულისხმება არა ადამიანური, არამედ ღვთაებრივი გაგებით. მამა ეცხადება ძეს (მათე 11, 27; ლუკა 10, 22; იოანე 1, 18; 12, 45; 14, 6, 7, 9; 15, 15-16; 16, 25; 17, 6-8, 26; ებრ. 1, 1-2; 1 იოანე 2, 22-23) და მოავლინებს ამქვეყნად (იოანე 3, 16; 5, 23, 36-38; 6, 44, 57; 8, 16, 18, 26-27, 42; 10, 36; 11, 42; 17, 8, 18, 21, 23, 25; 20, 21; რომ. 8, 3; გალ. 4, 4; 1 იოანე 4, 10, 14). მამაღმერთს, ძეღმერთსა და სულიწმიდას შორის არაა უფროსუმცროსობა, არც პრივილეგია, არც უპირატესობა, ისინი თანასწორნი არიან საღვთო ძალიერებით. ამ თანასწორობისა და ერთიანობის შესახებ მრავალგზის არის მინიშნება საღვთო წერილში (მათე 7, 21; 10, 32-33; 12, 50; ლუკა 24, 49; იოანე 5, 17-18; 8, 19 და სხვ). სულხან-საბას განმარტებით, გარდა ამისა, რომ „მამა არს ღმერთი დამბადებლობითა, მამა არს შემქმნელი“, მამად ითქმიან აგრეთვე „მოძღუარი, გინა წინამძღუარი, გინა მღელი“. მამა ეწოდების აღმზრდელსა, გინა მამის ნაცვალსა, მამად ითქმის კაცი უხუცესი, გინა მხცოვანი“. იხ. სამება, ძე ღმერთი, სულიწმიდა.

მამბრე – მუხნარი ქებრონში; სახელი ეწოდა ამორეელი მამბრეს მიხედვით. აქ, მამბრეს მუხასთან, აბრაამმა ააგო კარავი და სამსხვერპლო, სადაც მსხვერპლს სწირავდა ხოლმე ღმერთს (დაბ. 13,18). აქვე გამოეცხადა მას სამი მოგზაური (მწირი, მსხვილი, უცხოეთიდან მოსული). ამავე ადგილას, გამოქაბულში არიან დაკრძალულნი აბრაამი და სარა, აგრეთვე იაკობი და ისაკი ცოლებთან ერთად (იხ. დაბ. 18, 1; 25, 9-10; 35, 27-49, 30-31; 50, 13).

მამები – ადგილი სოფელ ქვახრელის (კასპის რაიონი) მახლობლად, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აქაა ნახევრად გამოქვაბული მონასტერი „სტეფანწმიდა“, მთავარი ეკლესია და სხვა ნაგებობები (სვეტი, გამოქვაბულები) XI საუკუნისა (იხ. სტეფანწმიდა).

მამკოლა – ნასოფლარი მცხეთის რაიონში, მდ. გლდანულას ხეობაში, სოფ. გლდანიდან 2 კმ. სოფლის მიდამოებში, მაღალ გორაკზე დგას XIX ს-ში აგებული წმ. გიორგის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. იქვე მახლობლად ძველი ტაძრის ნანგრევებია. XX ს-ის პირველ წლებში აქ დაარსდა დედათა მონასტერი, რომელმაც სულ ორიოდე ათწლეულს იარსება.

მამნე – ქართველი ოქრომჭედელი, მოღვაწეობდა XVI ს. პირველ ნახევარში. როგორც ირკვევა, თავდაპირველად – სამცხის ათაბაგთა კარზე, შემდეგ – იმერეთში. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ მოჭედილმა რამდენიმე ხატმა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე III-ისა და მისი მეულლის, ანას შეკვეთით მოჭედილი კანკელის წინ დასადგმელი სადგერის დიდი ჭედური ჯვარი (230X107 სმ.), რომელიც მასზე გაკეთებული წარწერების თანახმად 1522/23-1529 წლებით თარიღდება. ჯვარზე გამოსახულია საღვთო ღღესასწაულები და წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი სცენები. მოჭედილია მოოქრული ვერცხლის სქელი ფირფიტები, რომლებიც შემდეგ დაკრულია ხის ჯვარზე. მამნე ჯვაუფური კომპოზიციის დიდი ოსტატია. მისი ქმნილებები შეკრული, ერთიანი და დინამიკურია, ფიგურები – ოდნავ დაგრძელებული და მონუმენტური. ოსტატი ზოგჯერ მოცულობის გამოვლენასაც ახერხებს. მამნეს შემდეგი პერიოდის ნამუშევარი, ბარაკონის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი (213X105 სმ.), იმერეთში უნდა იყოს შესრულებული. მამნე ბარაკონის ჯვრის კომპოზიციებში ოსტატურად იყენებს ორნამენტსაც. მამნეს ნამუშევრებია აგრეთვე გელათისა და ხონის საწინამძღვრო ჯვრები, რომელთა მიხედვით მამნე ორნამენტის საკმაოდ დახვეწილ ოსტატად გვევლინება. მამნეს მოუჭედავს შემოქმედის ხატი, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წლისათვის დაკარგული იყო. მამნე ოქრომჭედელი მაღალი რანგის ოსტატი იყო. მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა გვიანდელი ხანის ქართულ ოქრომჭედლობაში. XVI-XVIII სს. ქართული ოქრომჭედლობის აღორძინება სწორედ მამნეს დამსახურებაა.

მამონა – არამეული წარმოშობის სიტყვა, აღნიშნავს სიმდიდრეს. ახალ აღთქმაში იხ-

მარება, როგორც სიმბოლო ბოროტი სულისა, რომლისადმი მორჩილებაც გამოიხატება სიძდიდრისაკენ ლტოლვაში (მათე 6,24; ლუკა 16, 9, 11, 13).

მამულა (1949 წლამდე — მამლოსოფელი) — სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე, დმანისიდან 35 კმ. სოფელში შემორჩენილია XVI-XVII სს. ღვთისმშობლის ეკლესია. სოფლის მიდამოებში არის კიდევ რამდენიმე ეკლესია: „წმიდა მარინე" (შუა საუკუნეები), ეკლესია ნასოფლარ პანტიანში, „ჭეჭეს საყდრები" (XVI-XVII სს.), ეკლესია ხრამის მარჯვენა ნაპირზე (შუა საუკუნეები).

მანამი — სოფელი საგარეჯოს რაიონში, ციე-გომბორის ქედის სამხრეთ კალთაზე, რაიონის ცენტრიდან 10 კმ. აქ, მაღალ მთაზე მდებარე მანაის ციხეში, რომლის ძველი სამშენებლო ფენა X-XI სს. მიეკუთვნება, ახალი — XVI-XVIII სს., ჯგუფად დგას სამი ეკლესია. ციხის ქვემოთ რიყისა და შირიმის ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესიაა. იგი აუშენებია დაეთგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს ეფრემს (1794 წ.). შიდა სივრცის მიხედვით ეკლესია დარბაზულია, მაგრამ დაგვირგვინებულია აგურით ამოყვანილი გუმბათით, რომელიც აფრებით ეყრდნობა სამკუთხ და კონქის თაღებს.

მანანა — ზეციდან ჩამონაყარი საჭმელი, რომელსაც, ბიბლიის თანახმად, ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები უდაბნოში ორმოცი დღის განმავლობაში ჭამდნენ (გამოსლ. 16,31). ეს იყო „ვითარცა თესლი ქინძისა სპეტაკი და გემოჲ მისი ვითარცა კიპრუჭი თაფლსა შინა". დაეით ებრაელთა მეფე მანანას მოიხსენიებს „ზეცის პურად" (ფს. 77,24). ნ. ჩუბინიშვილის ცნობით, „ამ მანანად უხმობენ რომელთამე ხეთა ნაწვეთარსა, გამხმარსა და ტკბილსა".

„მანანა" — „ღმრთივდიდებულთა წმიდათათჳს შესხმანი, სულისა დამატკბობელნი, რომელსა ეწოდების მანანა" — კრებული, რომელიც შეიცავს ორმოც „შესხმას": ღვთისმშობლისა, იესო ტკბილისა, ჯვარისა, ანგელოზისა, ნათლისმცემლისა, მოციქულებისა, მოწამეებისა, მღვდელმოძღვართა და ღირსთა მამათა. კრებული შედგენილია ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრის მოღვაწის, გაბრიელ მცირის (XVIII ს.) მიერ. ამ წიგნს, როგორც ბოლოსიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეწოდება „მანანა" ღვთისმშობლის სიყვარულისათვის, ეინაიდან მისგან მიეიღეთ ჩვენ ჭეშმარიტი პური ცხოვრებისა — იესო ტკბილი. ის შეიცავს 40 თაეს იმის მოსასწაეებლად, რომ 40 დღიანი წარღვნისაგან ნოე კიდობანში გადარჩა, 40 დღე მოსე გაბრწყინდა ღვთის ხედვითა, ილია 40 დღე მარხულობდა, იესო ქრისტე მე-40 დღეს ტაძარში მიიყვანეს, მან 40 დღის მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მეორმოცე დღეს ამაღლდა. კრებული დაცულია ხელნაწერებში: A 403, A 522; A 1310; H 261; 833; Q 269; S 2330; ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1904 წელს.

მანასე — იოსებ მშეენიერის უფროსი ეაჟი, რომელიც ეგვიპტეში შეეძინა ერთ-ერთი ქურუმის ასულისაგან. იოსებს მეორე ვაჟიც ჰყავდა — ეფრემი (დაბ. 46, 20-48, 22). ორივე ძმა ხელთდასხმით აკურთხა იაკობმა, იოსების მამამ სიკვდილის წინ, თანაც ეფრემს უპირატესობა მიანიჭა (იქეე, 48, 12-20). მანასესაგან წარმოშობილი ტომი ეგვიპტიდან გამოსელისას ითვლიდა, მარტო შეიარაღებულს, 32. 200 კაცს.

მანასე — იუდეის მე-15-ე მეფე (697-642 წწ. ძვ. წ.). გამეფდა 12 წლისა და იმეფა 55 წელს. თავისი სისასტიკით და წინასწარმეტყველთა დევნით შთამომავლობისათვის საძულველი გახდა. განიცდიდა რა კერპთაყვანისმცემელთა გავლენას, იგი ბილწავდა იუდეელთა ტაძრებს, დგამდა მათში ასურული ღმერთების კერპებს. მის დროს აწამეს წინასწარმეტყველი ესაია (IV მეფ. 21, 1-180). მანასე და მისი მემკვიდრე ამონი მათე მახარებლის მიერ დასახელებულნი არიან იესო-ქრისტეს გენეალოგიაში (მათე 1, 10).

მანასე — XVII ს. ქართველი კალიგრაფი, მუშაობდა ოლიშის მთავრის, ლევან დადიანის კარზე. ლაზარე და გაბრიელ მწერლებთან ერთად გადაუწერია მეტაფრასი (S 1513).

მანასერტის კრება — სომხური ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრება, მოწეეული იოანე-კათოლიკოსის მიერ 726 წელს. კრებამ დაადგინა „უეღოძაჲსა" და წყალშეურეენელი ღვინის ხმარება ზიარებისათვის (ამას, როგორც სომეხთა პრაქტიკის განმასხვაეებელ მოვლენას, აღნიშნავს VI მსოფლიო კრების აქტებიც, 692 წ.).

მანგანის აკადემია — უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში. დაარსებული იყო 1044-1047 წწ. იმპერატორ კონსტანტინე IX-ის (მონომახის) (1042-1054 წწ.) მიერ მანგანის წმ. გიორგის მონასტერში. მანგანის აკადემიამ დიდი როლი ითამაშა ბიზანტიაში სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებაში, და,

საერთოდ, ბიზანტიური კულტურის აღმაყლობაში. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი სწავლულნი, როგორებიც იყვნენ: მიქაელ ფსელოსი, იოანე ნომოფილაქსი (XI ს.), იოანე ქსიფილინოსი, იოანე იტალოსი და სხვ. აკადემიას ქართველთათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველები, რომლებიც ბიზანტიაში მიდიოდნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად, სწორედ ამ აკადემიაში შედიოდნენ. აქ მიიღეს განათლება: არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და ყველა იმათ, ვინც ბიზანტიაში სისტემატურ სასკოლო განათლებას ეზიარა XI ს-ში. ზოგიერთი მათგანი პარალელურად ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ არსენ იყალთოელმა აქ თარგმნა ანასტასი სინელის „წინამძღუარი". უეჭველია. მანგანის აკადემიაში, არსენის გარდა, სხვა ქართველნიც ეწეოდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას, მანგანის აკადემიის დამთავრების შემდეგ, XI ს. 80-იან წლებში არსენ იყალთოელი ეფრემ მცირესთან მოღვაწეობდა შავ მთაზე, სალო თაყილი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ კლაე მანგანას დაუბრუნდა. დაცით აღმაშენებლის მოწვევით ის დაახ. XI ს. მიწურულს ჩამოვიდა საქართველოში და მოღვაწეობა დაიწყო გელათის აკადემიაში.

მანგლისი – დაბა თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე, რაიონის ცენტრიდან 35 კმ. მანგლისი იყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი პირველი კერა. პირველი ეკლესია აქ IV ს-ში აუგეს. V ს-დან მანგლისი საეპისკოპოსო ცენტრია. როგორც „წინოს ცხოვრება" გადმოგვცემს, თუით მირიან მეფეს უბრძანებია მანგლისში ეკლესიის აგება (გაქრისტიანებისთანავე). მანგლისის განაპირას მდებარეობს ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი (სიონი). IV ს. 30-იან წლებში აქ უკვე იდგა ქვის ეკლესია, რომლის ნაცვლად V ს. II ნახევარში ახალი ეკლესია ააგეს. მანგლისში საეპისკოპოსო ცენტრის დაარსება დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის სახელთან. XI ს. I მეოთხედში, გიორგი I-ის დროს (1014-27) ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს და გაამაგრეს. ტაძარი გეგმით ტეტრაკონქია. გარედან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული მრავალკუთხედის ფორმისაა. აქეს ნახევარწრიული მკლავები, რომელთაგან სამს – სამხრეთისას, ჩრდილოეთისას და დასავლეთისას ბემები არა აქეს და უშუალოდ ერთეის გუმბათქვეშა სივრცეს. აღმოსავლეთის მკლავი კი წინ არის წაწეული და ცენტრალური სივრცისაგან გამყოფილია განიერი ტრანსეპტით. საკურთხეველის ერთ მხარეს სამკუთხედია, მეორე მხარეს – სადიაკვნე. დასავლეთ ახსიდის აქეთ-იქით კედელში მცირე ზომის თითო მაღალი სათავსია, რომლებიც თავდაპირველად ღრმა ნიშებს წარმოადგენდნენ. ტაძარი კარგად ნათდება თორმეტწახნაგა გუმბათის ყელში დატანებული ექვსი სარკმლით. სარკმლები გაჭრილია აგრეთვე ახსიდასა და ტრანსეპტის მკლავებში. ტაძარს შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. XI ს-ში შესასვლელებს კარიბჭეები მიაშენეს. შენობა გარედან და შიგნით შემოსილია რუხი ფერის ბაზალტის თლილი კვადრებით. დასავლეთ კარიბჭის შესამოსად გამოყენებულია მოყვითალო ფერის ქვა. ტაძარი მდიდრულადაა შემკული. ყურადღებას იქცევს ფასადის ჩუქურთმები (სარკმელთა პირები, ლავგარდანები), კარიბჭეთა მორთულობა (XI ს.), კერძოდ, სამხრეთ კარიბჭის ვარსკვლავისებრი კამარა. ტაძარში შემორჩენილია XI ს. I მეოთხედის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. XVII ს. მეორე ნახევარში აუშენებიათ (თუ განუახლებიათ) გალავანი. იქვე ჩატანებულია წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ამისი აშენებელი მანგლელი ეპისკოპოზი, არსენ ოსტატი". XIX ს. 50-60-იან წლებში ეკლესია შელესეს, შეათეთრეს და ზოგი უცხო ხასიათის დეტალიც დაუმატეს, განაახლეს გალავანი და სამხრეთ შესასვლელში, ძველი ოთხკუთხა კოშკის ადგილზე ააგეს ახალი სამრეკლო, რომლის პირველი სართულის თაღის ქვეშ ჭიშკარია. გალავნის შიგნით შეინშნევა სხვადასხვა ნაგებობათა კვალი (იხ. მ. დუდარი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი. თბილისი, 1974 წ.).

მანგლისის ჯვარი – დღესასწაული, რომელიც უძველესი ლიტურგიკული პრაქტიკით (VII-X სს.) დაწესებული ყოფილა 20 მაისს. ამ დღესასწაულს ახსენებს იოანე-ზოსიმეს კალენდარი (Sin. 34,19) კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 265) და იერუსალიმის კანონარი (იხ.К.Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VIII в., Тифлис, 1912 წ.).

მანდილი ღვთისმშობლისა – დიდი დღესასწაული, რომელიც დაწესდა წმ. ანდრია სალოსისა († 936 წ.) და მისი მოწაფის, ეპიფანეს ხილვის მოსახსენებლად. წმ. ანდრიას გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1 ოქტომბერს კონსტანტინეპოლში, ვლაქერნის ტაძარში ღამისთევის ლოცვის დროს მათ გაეხსნათ ცა და იხილეს ყოლადწმინდა ღვთისმშობელი,

წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და ანგელოზთა დასთა შორის. იგი ცრემლით ლოცულობდა სოფლისათვის და თავისი მანდილით იფარავდა ქრისტიანებს. ღვთისმშობლის მანდილის დღე იდღესასწაულება I, X და ემთხვევა ქართულ ეროვნულ დღესასწაულს – სვეტიცხოველობას.

მანიბრისი – მსახური („მონა") წმიდისა თალალესი, III ს. ჰაგიოგრაფი. მას დაუწერია „ცხოვრება წმიდათა თოტიმოს, ასტერი, ფილაგრიოს და თალალესი", რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: Ath. 8, 308-312; Sin. 52/11.

მანი სპარსი (მანიქთოს) – მანიქეელთა სექტის მეთაური. მანის მოძღვრება დაგმო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მისი მიმდევრების მკაცრი დევნა დაიწყო. იხ. მანიქეიზმი.

მანიქეიზმი, მანიქეელობა – III ს-ში ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი რელიგიური მოძღვრება, რომელიც წარმოადგენდა ქალდეურ-ბაბილონური, სპარსული (ზოროასტრიზმი, მაზდეანობა, ფარსიზმი) და ქრისტიანული გადმოცემების სინთეზს. სახელწოდება წარმოდგება ამ მოძღვრების ავტორის, მანის (216/217-276) სახელისაგან. გადმოცემით, იგი თავის მოძღვრებას ქადაგებდა სპარსეთში, შუა აზიასა და ინდოეთში. მას მიაწერენ შვიდამდე რელიგიურ-ეთიკური შინაარსის შრომის ავტორობას, მანიქეური ანბანის შექმნას. ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ მანიქეიზმი ასწაელის, რომ ბოროტებას ისევე დამოუკიდებელი საწყისი აქვს, როგორც სიკეთეს. მართალია, მანიქეელები ბოროტებას უკავშირებდნენ მატერიას, ხოლო სიკეთეს –სინათლეს, როგორც სულს, მაგრამ, ნეოპლატონიზმისაგან განსხვავებით, სიბნელეს, ანუ მატერიას არ მიიჩნევდნენ სინათლის ქრობის შედეგად. მანიქეიზმში წყვდიადის (ბნელის) სამეფო, როგორც თანასწორი, უპირისპირდება სინათლის სამეფოს; მსოფლიოს ისტორია ბნელეთისა და ჩათელის, სიკეთისა და ბოროტების, ღმერთისა და ეშმაკის ბრძოლაა. ბნელეთის სინათლეზე თაედა'ხმისას სინათლის ნაწილი წყვდიადმა დაფარა, ამიტომ შემდგომი ისტორიის დედააზრია დატყვევებული სინათლის გათავისუფლება. მანიქეიზმის მიხედვით, ადამიანს ორმაგი ბუნება აქვს: ეშმაკის ქმნილებაა, მაგრამ შექმნილია ცოური, „ნათელი პირველ-ადამიანის" ნიმუშის მიხედვით და შეიცავს სინათლის ელემენტებს. მანიქეიზმი უპირისპირდებოდა ოფიციალურ რელიგიებს, ამიტომ მას ყველგან დევნიდნენ. ქრისტიანულ მოძღვრებათაგან მხოლოდ მანიქეელობას აქონდა შეთვისებული მაზდეანობის ნიშან-თვისებანი. ეს მწვალებლობა უპირატესად სპარსეთში გავრცელდა. საქართველოს მამამთავართაგან მანიქეელადაა მიჩნეული მობიდანი (იხ. ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია", წიგნი I). კურთხეულანში შეუტანიათ წესი, თუ ვითარ ჯერ-არს აღწერით შეწუენებად წმიდად ღმრთისა ეკლესიად მოშაულთა მიერ მანიქეელთა წვალებისაგან" (A 450, 335 გვ.).

მანტია (ბერძნ.) – 1. ტანისამოსის ზედიდან სახმარი ფართო, უსახელო, გრძელი მოსასხამი; მეფეთა, როგის პაპისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავართა საზეიმო ტანსაცმელი. სამღვდელმთავრო მანტიას სიგრძეზე გასდევს ფერადი ზოლები – სიბრძნის სიმბოლო. ისინი გამოხატავენ სწავლა-მოძღვრებას, რომელიც გამოეღინება მღვდელმთავრის ბაგეთაგან. სამღვდელმთავრო მანტიას აქვს ეკუნებიც, ძველი აღთქმის მღვდელმთავართა ტანსაცმლის ანალოგიით (გამოსლ. 28, 33).

2. მაზარა, შავი ფერის საბერო შესამოსელი, რომელიც ფარავს მთელ სხეულს, თავის გარდა. სიმბოლურად გამოხატავს ფრთოსან ანგელოზს. ტანის მთლიანი დაფარვა ნიშნავა მკაცრი ბერული ცხოვრებისა, მოკრძალებისა და სიმდაბლისა, იმისა, რომ ბერის არც ხელი, არც ფეხი და არც სხვა ნაწილები აღარ ცხოვრობენ ამქვეყნიური საქმიანობისათვის. საბერო სამღვდელოება ვალდებულია ატაროს მანტია წირვა-ლიტვის შესრულების დროს. უბრალო ბერების გარდა, მანტიას ატარებენ არქიმანდრიტები და ეპისკოპოსები. სარქიმანდრიტო და სამღვდელმთავრო მანტიას ის თავისებურება აქვს, რომ არაა შავი ფერისა, არამედ ფერადი, და ზემო და ქვემო კიდეებში დაკერებული აქვს კვადრატული ნაჭრები. ესაა გამომსახველი სჯულის ფიცრებისა (Δüιάθά), რომლებითაც ხელმძღვანელობენ მღვდელმსახურნი. საბერო მანტიას მაზარა ეწოდება. გადმოცემით, ადრე მანტიას ატარებდა ყველა ქრისტიანი. მოგვიანებით იგი სამონაზონო სამღვდელოების კუთნილებად იქცა.

მანუილი († 362) – სპარსელი ქრისტიანი, რომელიც ეწამა თავის ძმებთან – ხაბელ და ისმაელთან ერთად 362 წ. იულიანე განდგომილის მიერ. მათი დედა ქრისტიანი იყო და შეილებიც ქრისტეს რწმენით აღზარდა. დავაუკაცებულმა ძმებმა მეფე ალამუნდარის არმია-

ში დაიწყეს სამსახური და მალე გაგზავნილი იქნენ ელჩებად იმპერატორ იულიანე განდგომილთან (361-363). თავიდან იმპერატორმა ელჩები შესაფერი პატივით მიიღო, მაგრამ როცა მათ უარი განაცხადეს წარმართულ მსხვერპლშეწირვაზე, განრისხდა და მათი წამება ბრძანა. ბოლოს წმ. მოწამეებს თაეები მოაკვეთეს. როცა მეფე ალამუნდარმა შეიტყო ელჩების დახოცვა და ისიც, რომ იმპერატორი მის წინააღმდეგ გამოემართა საომრად, თვითონაც შეკრიბა ლაშქარი და დადგა თაისი სამეფოს საზღვარზე. მძიმე ბრძოლაში სპარსელებმა გაიმარჯვეს ბერძნებზე, ხოლო იულიანე განდგომილი მოკლული იქნა წმ. დიდი მოწამის, მერკურის მიერ. 30 წლის შემდეგ კეთილმსახურმა იმპერატორმა თეოდოსი დიდმა († 395) კონსტანტინეპოლში ააგო ტაძარი წმ. მოწამე ძმების – მანუილ, სახელ და ისმაელის სახელზე. წმინდანთა ხსენების დღე 17 ივნისია. მათი მეტაფრასული „წამების“ XII ს. ქართული თარგმანი დაცულია გელათურ ხელნაწერში: ქუთ. 3, 181-190.

მანუილ ძსანთინოსი – კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის („აია-სოფიას“) იეროდიაკონი, XVI ს. საეკლესიო მწერალი. იერემია პატრიარქის (1525-1540 წწ.) ბრძანებით მას დაუწერია კანონკური შრომა ნათესაობით ხარისხის შესახებ „ქორწინებისა თავითა“, რომელიც 1785 წელს ქართულად გადმოუთარგმნია იოანე მიქელიძე ქსიფილინოსს – პატუნისშვილს, სიონის დეკანოზის, იოანე ოსეს ძის დახმარებით (დაცულია ხელნაწერებში: A 595; A 711; A 787; A 988). თხზულება შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში აღნიშნულია ხუთი სახე ნათესაობისა, მეორეში კი წარმოდგენილია ცხრილები, თუ რომელ ნათესაობაში რომელ ხარისხამდე შეიძლება ქორწინება. პირველი ნაწილი მანუილს ამოუღია უმთავრესად მთე ბლასტარის „სინტაგმიდან“, მეორე ნაწილი კი თვითონ შეუდგენია. ამიტომაც ქართულ თარგმანში პირველი ნაწილი მათეს სახელითაა წარწერილი.

მანუს კანონები – ძვ. ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური და სამართლებრივი კრებული, რომელიც განსაზღვრავს ინდოელთა ყოფაქცევას ბრაჰმანიზმის დოგმების შესაბამისად. მანუს კანონების შედგენა მიეწერება ადამიანთა მითიურ მამამთავარს მანუს. ჩვენამდე მოღწეული რედაქცია შედგენილი უნდა იყოს დაახლ. ძვ. წ. II – ახ. წ. I სს-ში. მანუს კანონები დაწერილია სანსკრიტულ ენაზე, დაყოფილია 12 თავად. ძგლში ასახულია შეხედულებანი სამყაროს შექმნის, ადამიანთა საზოგადოების, წოდებათა (ვარნები), წარმოშობის, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შესახებ, წარმოდგენილია საოჯახო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმები და სხვ.

მანუჩარი – მოხსენებულია „ათონის კრებულში“ ათონის ქართველთა მონასტრის სხვა XI ს. კეთილისმყოფელებთან ერთად. მათთვის დაწესებული ყოფილა მოსახსენებელი ოქტომბრის 10-ს, რათა „ვითარცა აღმაშენებელნი მოიკსენებოდენ“. იხ. ბაქაძე, ყვარყვარე (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 186).

მანუჩარი – ყვარყვარე დიდისა და დედისიმედის მეექვსე ვაჟი, XV-XVI სს. მოღვაწე. მოხსენებულია ათონის მონასტრის აღაპში. 1486 წ. მას აგარიანთა ხელიდან გამოუხსნია აწყურის ღვთისმშობლის ხატი (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 186).

მანძანება – საშმაკო ხერხები, ხრიკები, საშუალებები, რომელთაც ეშმაკი იყენებს ადამიანთა წარსაწყმედად.

მარაბდა – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე. სოფლის (ძველი მარაბდის) განაპირას დგას წმ. მარინეს XVI-XVII სს. ეკლესია. გადმოცემით, მის მახლობლად დაკრძალულნი არიან მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) გმირები – ცბრა ძმა ხერხეულიძე.

მარანათა – ასურული სიტყვაა, ნიშნავს: „უფალი მოვიდა“. პავლეს ეპისტოლეში იგი მოსდევს ასეთ ფრაზას: „რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩუენებულ“ I კორ. 16, 22. ამ კონტექსტისათვის მოულოდნელ სიტყვას („მარანათა“ I) სულხან-საბა სხვის ასე: „ღმერთი-იგი თქუა მოციქულმან – რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩუენებულ – ესოდენ მხურვალითა გულითა თქუა სიტყუა იგი, რომელ მეყსეულად უფალი იხილა. ამისთჳს შეუდგინა და დაწერა ასურულითა ენითა: „მარანათა“, ვითარმედ: „უფალი მოვიდა“.

„მარგალიტი“ – კრებული, შედგენილი დაახ. XVI ს-ში. შეიცავს სასულიერო სწავლას, რომლებიც ძირითადად გამოკრებულია იოანე ოქროპირის ამავე სახელწოდების კრებულისა და ბიბლიური წიგნებისაგან. ოქროპირის „სწავლანი“ თარგმნილა ეფთვიმე ათონელის მიერ. „მარგალიტის“ უძველესი ნუსხა (A 1738) XVI ს-ით თარიღდება, დანარჩენი ხელნაწერები XVIII-

XIX საუკუნებისაა. მასში კითხვა-მიგების სახით გადმოცემულია მოთხრობები ძველი და ახალი აღთქმიდან, წმ. მამათა სწავლანი ქრისტიანული მორალისა და ეთიკის საკითხებზე, განმარტებულია ბიბლიის ცალკეული ადგილები და სხვა. შედგება 20 თავისაგან: 1) მოთმინებისათჳს, 2) სინანულისათჳს და სათნოებათა მოგებისა და ენებათა სიელტოლვისა, 3) სიყუარულისათჳს, 4) რათა ველტოლდეთ ცოდვასა, 5) საუკუნოსა სასჯელისათჳს, 6) სათნოებისათჳს და უენებლობისა, 7) სიკუდილისათჳს და რაჲთა არა ზომისა უმეტეს ეიგლოვდეთ მიცვალებულთა, 8) უმანკოებისათჳს და ძრუნჳნებლობისა, 9) ლოცვისათჳს, 10) მარხვისათჳს და სიწმიდისა, 11) სიმდაბლისათჳს და სიმშვიდისა, 12) სულისა დიდებისათჳს, 13) რათა არა მიეკასტდეთ უღირსად ქრისტეს საიდუმლოთა, 14) განგებულებისათჳს, 15) ამპარტავნებისათჳს და ზუაბისა, 16) შურისათჳს და მტერობისა, 17) მწუხარებისათჳს, 18) მოწყალებისათჳს და ანგარებისა და სიმდიდრისა, 19) სიყუარულისათჳს და მოწყალებისა, 20) სინანულისათჳს. „მარგალიტი“ დაცულია ხელნაწერებში: Ath. 77, 123-213; Sin. 85 (შეიცავს 43 თავს); A 50; 733; 901; S 94, 345; 1582, 3529. „მარგალიტის“ ზოგიერთი სტატია აპოკრიფული ხასიათისაა. კრებულს თავისი დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამაზე მიგვანიშნებს სასაუბრო ქართულთან დაახლოებული მისი ენა, აგრეთვე ინტერესი ისეთი პრობლემებისადმი, როგორიცაა დედამიწაზე ეროვნებათა რაოდენობის საკითხი და სხვ. კრებულის შემდგენელი უცნობია. ზოგიერთი ცნობის თანახმად, „მარგალიტი“ თითქოს იოანე პეტრწუსც უთარგმნია 1093 წელს. მისი ერთი ცალი, 1500 წელს გადაწერილი, ხელთ ჰქონია ივანე გეარამაძეს (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1856 წ. № 36).

მარგჳშჳი — სოფელი ლენტეხის რაიონში, ლეწუმის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ღობიშურისა და ცხენისწყლის შესართავთან, ლენტეხიდან 41 კმ. აქ შემორჩენილია X-XI სს. ეკლესიის ნანგრევები, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე ლაპიდარული წარწერების ფრაგმენტებით.

მარგჳელთა ბოსლობა — ქართული წარმართული დღესასწაული, აღინიშნებოდა წლის დასაწყისში. ამ დღესასწაულის შესახებ ცნობას გვაძლევს „დიდი სჯულისკანონის“ XII ს. ქართულ ხელნაწერთა (A 76; 124; ქუთ. 25 და სხვ.) სჭოლიონები (დიდი სჯულისკანონი 393, სქ.) იქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ მარგუელთა ბოსლობა ეწათესეაება კათოლიკე ეკლესიის მიერ აკრძალულ კალენდის დღესასწაულს.

მარდარი მოწამე — ეწამა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს ევსტრატი, აგქსენტი, ეუგენი და ორესტისთან ერთად ქ. სებასტიაში. მარდარიმ, შთაგონებულმა კეთილშობილი ევსტრატის გმირობით, დაუფარავად აღიარა ქრისტიანული მრწამსი, რისთვისაც შეიპყრეს და თავდაყირა დაკიდეს ხეზე. მოწამებრიად აღესრულა 13 დეკემბერს. ამ დღესაა დადებული მისი სხენება. ევსტრატისა და მის თანამოწამეთა წამების კომპური რედაქცია ქართულად IX ს-ში უთარგმნია სეთს (Sin. 11), სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასული თხზულება კი — ეფთვიმეს (ქუთ. 5, 236-256; A 110, 114-126; Ath. 2/63, 114-126; 50; A 95, 1117-1158).

მარდოქე — ბიბლიის თანახმად, წარჩინებული იუდეველი სპარსეთის მეფის, არტაქსერქსის კარზე. მან ეს პატივი მოიპოვა ესთერ დედოფლის შეწევნითა და პირადი გამჭრიახობით. მარდოქე ესთერის ბიძაშვილი და აღმზრდელი იყო. როდესაც ესთერი დედოფალი გახდა, მარდოქე აქტიურად ჩაება სასახლის ინტრიგებში და მალე მეფის კეთილგანწყობა მოიპოვა. სამეფოს პირველი მოხელე ამან მაკედონელი ბეერს ეცადა ხაფანგი დაეგო მისთვის, მაგრამ მარდოქესა და ესთერის შეთანხმებული მოქმედების შედეგად თვითონვე გაება მასში. ბოლოს, მარდოქემ იგივე თანამდებობა დაიკავა, რაც მანამდე ამანს ეკავა და საშუალება მიეცა, სპარსეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ისრაელის ისტორიის ეს მონაკვეთი ასახულია „ესთერის წიგნში“.

მარდუქი (შუმერულად ამარ-უთუქ) — ბაბილონური პანთეონის უზენაესი ღვთაება. ძვ. წ. XVIII ს-დან ითვლებოდა ქ. ნანლილონის მფარველად, იწოდებოდა „ღვთაებათა მეუფედ და მამად“, მიიჩნეულნენ დედამიწის ღვთაების, ეას (შუმერული ენკი) ვაჟად, თაყვანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების, მორწყვის, სიბრძნის, სამართლისა და სინათლის ღვთაებას. სამყაროს შექმნის ბაბილონური მითის მიხედვით, მარდუქი იყო ქაეყნიერებისა და ადამიანის შემქმნელი, მეამბოხე ღმერთების წინამძღოლი. მითის მიხედვით, მისი მეთაურობით გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, სადაც სასტიკად დამარცხდა ქაოსის ქალღმერთი თიამთი. მისი სხეული გაჩეხეს ორ ნაწილად. ერთი მათგანი ცად გადაიქცა,

მეორე – დედამიწად. თიამათის ქმრის, ღმერთ აბზუს სისხლი კი შეურიეს თიხას და ამ ნარევისაგან გაჩნდა პირველი ადამიანი.

მართა († 551) – დედა წმინდა სვიმონ მესვეტისა, საკირველი მთის (შავი მთის) მოღვაწისა, ცნობილი მონაზონი ქალი.

მართა წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. მას დიდი წვლილი მიუძღოდა შვილის სარწმუნოებრივ აღზრდაში. წმინდა ცხოვრებით იგი ღირსი გახდა ღვთის ანგელოზებისა და ყოლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადებისა. ღვთისმშობელმა მას უწევნა მართალთათვის განმზადებული ზეცაური სამყოფელი, მათ შორის თაყისიც, რომელიც მას განმზადებოდა წმ. სვიმეონის ლოცვით. ღირსი დედის წმინდა ნაწილები საკვირველ მთაზეა დაკრძალული. ხსენების დღე – 4 იელისი. მისი მეტაფრასული „ცხოვრება“ დაცულია გელათურ ხელნაწერში – ქუთ. 3, 374-376 (ხსენების დღედ დასახელებულია 3 იელისი), ხოლო კიმენური რედაქცია, რომელიც დაჟით ტბელმა თარგმნა X ს. ბოლოს, დაცულია ხელნაწერებში: – A 42; A 142; Ath. 55; Ath. 84.

მართა და მარიამი – ღირსნი დედანი, მართალი ლაზარეს დები, მოხსენებულნი არიან სახარებაში (ლუკა 10,38-42; იოანე 11,1-44; 12,2-3). მათ იესო ქრისტე ირწმუნეს მის მიერ მათი ძმის მკვდრეთით აღდგინებამდე. წმ. მთაწმიდელი ნიკონის, სტეფანეს მოკლეის შემდეგ, როდესაც იერუსალიმში დაიწყო ქრისტიანთა მასობრივი დევნა და მართალი ლაზარე გააძევეს ქალაქიდან, დები თან გაჰყვნენ მას. მართამ და მარიამმა ძმასთან ერთად მოიარეს სხვადასხვა ქვეყანა და ეხმარებოდნენ მას სასულიერო მოღვაწეობაში. ღირს დედათა ხსენების დღეა 4 იენისი.

მართა – ბიზანტიის დედოფალი, ბაგრატ IV-ის († 1074 წ.) ასული. მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც ივერთა მონასტრისათვის ქველმოქმედი. ქართველ ბერებს მისთვის და მისი ვაჟისათვის (კონსტანტინე პორფიროგენი) დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე (ნოემბრის 21) და აღაპი, „ანაფორადთა და ყოელითა ნუგეშინისცემითა ძმათადთა, ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად – ხუთ-ხუთი“ [კრასოლიე]. როგორც იქვეა აღნიშნული, ბოლოს მართა მონაზვნად აღკეცილა, მარიამის სახელწოდებით. მართა დედოფალი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაშიცაა მოხსენებული. გიორგი მთაწმიდელს უწინასწარმეტყველებია მისი დედოფლობა (იხ. ძეგლები, II, გვ. 141-1770). მას იხსენიებს რუისურბნისის საეკლესიო კრების სინოდიკონიც, ამ დროს (1105 წ.) იგი ცოცხალია.

მართა დედოფალი – დამარხებელი „კაპპათას“ დედათა მონასტრისა პალესტინაში XI ს. (კ. კეკელიძე, „ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში“, ეტიუდები, IV, 202-216). იხ. ბორენა.

მართალნი – წოდება წმინდანთა, რომელნიც განიწმინდნენ საერო ცხოვრებაშიეე (არ უმოღვაწიათ არც მონასტერში, არც განდეგილად, არც წამებულან და ა. შ.). ასეთებს მიეკუთვნებიან: ძველი აღთქმის მამამთავარი ნოე, ყოელადწმიდა ღვთისმშობლის მშობლები – იოაკიმე და ანა და სხვ.

მართლიხონი – მოხსენებულია „ათონის კრებულში“ ათონის ქართველთა მონასტრის XI ს. სხვა კეთილისმყოფელებთან ერთად. მათთვის დაწესებული ყოფილა მოსახსენებელი ოქტომბრის 10-ს, რათა „ვითარცა აღმაშენებელნი მოიკსენებოდენ“. იხ. ბაქადური, ყვარყვარე, მანუარ (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 186).

მართლკეთა (ბერძნ. წარმართება) – სწორად და მართებულად წარმოთქმა (სიტყვისა), მართლაღმსარებლობა. მართლმკეთელად მოიხსენებიან მართლმადიდებელი მღვდელმთავრები (იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვაზე, „ღირს არს-ის“ გალობის შემდეგ). ზოგიერთი მკლევარი ამ სიტყვას უფრო ფართო სემანტიკით იაზრებს. კერძოდ, მართლკეთა („მართლ-განკეთა“ – ამ ფორმითაა დადასტურებული ეს სიტყვა Jer. 75v-ში) მიჩნეულია რიტმული პოეზიის, სიტყვის ხელოვნების გამოშასხველ ტერმინად (ლ. კეირიკაშვილი, პიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, 1982 წ.).

„მართლმადიდებელთა ძორწინებისა“ – თხზულება XIX ს. I ნახ. გამოჩენილი მქადაგებლისა და საეკლესიო მწერლის, იონა ხელაშვილისა (დაცულია ხელნაწერში S 279). მას ეს თხზულება შეუდგენია 1832 წელს და მიუძღვნია იოანე ბატონიშვილისათვის. მასში მოცემულია ციტატები საღვთო წერილიდან ქორწინების შესახებ და მათი განმარტებანი.

მართლმადიდებელი – მართალი სჯულისა და აღმსარებლობის მიმდევარი; ასე ეწოდებათ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის წევრებს. იხ. მართლმადიდებლობა.

მართლმადიდებლობა – ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. ჩამოყ-

ალიბდა 1054 წელს, ქრისტიანული ეკლესიის ორად გათიშვის შედეგად. ამ გათიშვის მიზეზი თეოლოგიური უთანხმოება იყო. ამასთან, იგი დაკავშირებული იყო ჯერ კიდევ IV ს. ბოლოს (394) რომის იმპერიის დას. რომისა და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტია) იმპერიებად გაყოფასთან. დასავლეთის ეკლესიას ეწოდა კათოლიკური (ბერძ. სიტყვის მიხედვით, რომელიც ნიშნავს „საყოველთაოს"), აღმოსავლეთისას — მართლმადიდებლური. მართლმადიდებლურ მოძღვრებასა და კათოლიციზმს შორის არის არსებითი განსხვავებები, მაგრამ ბევრიც საერთოა: ორივე სარწმუნოება ეყრდნობა საღვთო წერილს (ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა), საღვთო გადმოცემას, 7 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს (IV-VIII სს.), ამავე პერიოდის მთელი რიგი ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს, ეკლესიის მამათა თხზულებებს, 7 საეკლესიო საიდუმლოს და სხვ. მართლმადიდებლური რწმენის მთავარი წყაროა „სარწმუნოების სიმბოლო", რომელიც 325 წელს მიიღო ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ და შეავსო 381 წელს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ. მართლმადიდებლობის ძირითადი დოგმატებია შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ჩამოყალიბებული დებულებები. მართლმადიდებლობამ დაგმო კათოლიციზმის მიერ წამოყენებული სიახლენი და უარყო: მამა-ღმერთთან ერთად ძე-ღმერთისაგან სულიწმიდის გამომავლობის, რომის პაპის ღვთის მოადგილეობისა და უცოდველობის, სალხინებლის (განსაწმენდელის), წმინდანთა დაგროვილი კეთილ საქმეების, ღვთისმშობელ მარიამის უბიწოდ ჩასახვის დოგმატები და სხვა. მართლმადიდებლური ღვთისმსახურება საკმაოდ განსხვავებულია როგორც კათოლიკური, ისე სხვა ქრისტიანული ეკლესიების ღვთისმსახურებისაგან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარხვების დაცვას. ეკლესიაში უმეტესწილად იხმარება იულიუსის კალენდარი (კათოლიკურ ეკლესიაში კი სხვა ქრისტიანულ ეკლესიებში გრიგორიანული კალენდარი მოქმედებს).

მართლმადიდებლობის ბურჯის — ბიზანტიის დაცემის შემდეგ მის ტერიტორიაზე და მეზობელ ქვეყნებში ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) ეკლესია, რომლებმაც შეინარჩუნეს მართლმადიდებლური მრწამსი, მაგრამ ვერ შექმნეს ერთიანი ცენტრი.

საქართველოს ეკლესია დასაბამიდან (IV ს.) დღემდე მართლმადიდებლურ მრწამსს მისდევს.

მართლმადიდებლურია რუსეთის ეკლესიაც, რომელიც X ს. მიწურულში ჩამოყალიბდა: 988 წელს მართლმადიდებლობა აღიარებულ იქნა კიევის რუსეთის სახელმწიფო რელიგიად.

ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიაა (იხ. ავტოკეფალური ეკლესია).

მართლმადიდებლობის კვირიაკე (დღესასწაული მართლმადიდებლობისა) — ასე ეწოდება დიდი მარხვის („წმიდა ორმეოცის") პირველ კვირიაკეს (კვირა დღეს). იგი დღესასწაულად დაწესებულ იქნა 842 წელს, კონსტანტინეპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა წმ. მეთოდი კონსტანტინეპოლელი. კრებამ აღადგინა ხატთა თაყვანისცემა, რითაც განმტკიცდა ზეიმი მართლმადიდებლობისა. ამ დღეს ეძღვნება თხზულება, რომელიც დაცულია ხელნაწერებში: Ath. 7, 114-124; ქუთ. 8, 108-118. იხ. მეთოდი კონსტანტინეპოლელი.

მართლმადიდებლური ეკლესია — ქრისტიანობის მართლმადიდებლური მიმართულების მიმდევართა რელიგიური ერთობა. ეკლესიების გაყოფამდე (1054 წ.) მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები ერთ მთლიანობას — ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდნენ. კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, რომელიც თავიდანვე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა (ერთადერთ იერარქს — რომის პაპს — ემორჩილებოდა), მართლმადიდებლური ეკლესია თავდაპირველად გამოდიოდა, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელსაც თვით ბიზანტიის იმპერატორი მეთაურობდა. იგი ნიშნავდა და ცვლიდა საეკლესიო პირებს, იწვევდა და ხურავდა კრებებს, რომელთა თავმჯდომარე თვითონ ან მისი წარმომადგენელი იყო, ამტკიცებდა საეკლესიო კრების დადგენილებებს და ა. შ.

მართლმადიდებლური ეკლესიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა ბიზანტიის იმპერიაში კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების ხელში იყო. ამთავან კონსტანტინეპოლის პატრიარქს ჰქონდა მსოფლიო პატრიარქის ტიტული, მაგრამ ეს არ მოასწავებდა მის ფაქტობრივ უპირატესობას სხვა პატრიარქებზე. იგი იყო მხოლოდ „პირველი თანასწორთა შორის", უმნიშვნელოვანეს საეკლესიო საკითხებს ეს ოთხი პატრიარქი ერთობლივად წყვეტდა. საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა წმ. მეფის, ვახტანგ გორგას-

ლის მოღვაწეობის შედეგად, V საუკუნეში. ამჟამად არსებობს 18 მართლმადიდებლური ეკლესია: 1. კონსტანტინეპოლის, 2. ალექსანდრიის, 3. ანტიოქიის, 4. იერუსალიმის, 5. რუსეთის, 6. საქართველოსი, 7. სერბიის, 8. რუმინეთის, 9. კვიპროსის, 10. ელადის (საბერძნეთის), 11. ბულგარეთის, 12. სინის მთის, 13. პოლონეთის, 14. ჩეხოსლოვაკიის, 15. ამერიკის, 16. ფინეთის, 17. იაპონიის, 18. მაკედონიის, 19. ალბანეთისა.

მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში – რუსეთის სამეფოს მიერ კაკასიელ მაჰმადიანთა გასაქრისტიანებლად 1861 წელს შექმნილი ორგანიზაცია. იგი ექვემდებარებოდა საქართველოს ეგზარქოსს, 1884 წლიდან – უწმიდეს სინოდს. საზოგადოება აღადგენდა ძველ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს კაკასიაში, ამარაგებდა მათ საღვთისმსახურო საგნებითა და ლიტერატურით, ზრუნავდა სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. საზოგადოება მისიონერულ მუშაობას ეწეოდა აფხაზთა და ინგილოთა შორის, მალაკანებში, ბაპტისტებში, კათოლიკეთა და ებრაელთა შორის, მაგრამ ამ მხრივ მისმა მოღვაწეობამ სათანადო წარმატებას ვერ მიაღწია. 1880 წლისათვის საზოგადოებას ამიერკავკასიაში ჰქონდა 20 საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლებშიც სწავლობდნენ რუსები, სომხები, ბერძნები, ქურთები, ებრაელები, აფხაზები, ქართველები. მოსწავლეთა შორის იყვნენ ქალებიც. საზოგადოება ძირეულ ხალხთა ენებისათვის ქმნიდა ანბანს (მაგ. 1862 წელს მისი დაეალებით შეიქმნა აფხაზური ანბანი და 1865 წელს თბილისში გამოიცა საანბანო წიგნი), აღგენდა ლექსიკონებს, თარგმნიდა სასულიერო ლიტერატურას, აგებდა სკოლებს. საზოგადოების სასკოლო მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა კაკასიის ხალხებში განათლების გავრცელებისა და რუსულ კულტურასთან მათი დაახლოების თვალსაზრისით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

მართლმორწმუნე – მართალი სარწმუნოების მიმდეარი; მართლმადიდებელი.

მარი ნიკო (ნიკოლოზ; 1864-1934 წწ.) – ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1912 წ.). მამა შოტლანდიელი პაპუაა, დედა – ქართველი. 1884 წ. დაამთაერა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1890 წ. – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმ. ენათა ფაკულტეტი. 1891 წლიდან ამაეე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. ქართულ ხელნაწერთა შესასწაელად 1898 წ. გაემგზაერა ს. კონდაკოეის ექსპედიციაში ათონის მთაზე, 1902 წელს – სინის მთაზე (ი. ჯაეახიშვილთან ერთად). ნ. მარი იკელევდა სომხურ და ქართულ ენებს, მათ ნათესაობას სხვა ენებთან. წამოაყენა „იაფეტური თეორია", რომლის თანახმად ქართული ენა ენათესაება სემიტურ ენებს. ნ. მარს დიდი დამსახურება მიუძღეის ქართული და სომხური ფილოლოგიის განეითარებაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა შესწაელის საქმეში. მარის ინიციატივით შეიქმნა მრავალი სამეცნიერო სერია. ამათგან ეკლესიათეის განსაკუთრებით საინტერესოა: "Христианский Восток:", „Bibliotheca Armeno - Georgica", „Monumenta hagiographica Georgica" და სხე. ნ. მარმა ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკელეებით დიდი ამაგი დასდო ქართული სასულიერო და საერო მწერლობისა და კულტურის საკითხების შესწაელას . მან ძველი ხელნაწერების მიხედვით, სათანადო მეცნიერული კომენტარებით, ლექსიკონითა და რუსული თარგმანითურთ გამოსცა „პეტრე იბერის ცხოერება" (1896 წ.), იპოლიტე რომაელის „თარგმანება ქებაჲ-ქებათაჲსა" (1901 წ.), ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი" (1904 წ.), ანტიოქე სტრატიგის „იერუსალიმის წარტყეენის" არაბული ტექსტის ქართ. თარგმანი (1909 წ.). განსაკუთრებით მნიშნელოვანი იყო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოერების" გამოცემა რუსული თარგმანით (1911 წ. იოანე პეტრწინელის მიძღენილი გამოკელეებით ნ. მარმა საფუძეელი ჩაუყარა ქართული ფილოსოფიური აზრის განეითარების ისტორიის შესწაელას. ბრწყინეალე გამოკელეები უძღენა ნ. მარმა ქართული კლასიკური საერო მწერლობის ძეგლებს. დიდია მისი დამსახურება საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწაელაში.

მარიალისა – ივნისის (თეის) ძეელი ქართული წარმართული სახელწოდება. იხ. თვე.

მარიამ – „გრიგოლ ხანცთელის ცხოერებაში" მოხსენებული კეთილმორწმუნე და „ღმრთისმყუარე" ქალი, სამონასტრო მშენებლობაში გრიგოლის აქტიური დამხმარე, დიდებული აზნაურის, გაბრიელ დაფაჩულის მეუღლე (IX ს.) იხ. ძეგლები, I, 258.

მარიამ ბასილაკის ასული –

მეუღლე სუმბატ კურაპალატისა. მოხსენებულია „ათონის კრებულში“. მას დიდი სასოება ჰქონია იერთა მონასტრისადმი და მრავალი შესაწირავი მიურთმევია. სუმბატის მიცვალების შემდეგ (XI ს.) ამავე მონასტრისათვის ანდერძით დაუტოვებია სოფელი როდოლივი, ამისათვის ქართველ ბერებს მისთვის დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე (აპრილის 30) და აღაპი „ლოცვისა წესითა, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია, პანაშვიდითა, ჳამისწირვითა, ანაფორაჲთა, და რაჲცა ოდენ ძალ-ედვას, მოუწოდდენ მამასახლისთა და მონაზონთა მთისათა, და ესრეთ მაღლად და ბრწყინვალედ აღესრულოს საკსენებელი მათი“ (ე. მეტრეველი, საააპე წიგნი, გვ. 151).

მარიამ დედოფალი – საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის († 1074) დედა. დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა პროხორეს, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ამშენებელს. მან დიდი შეწირულობა გაუგზავნა მონასტერს გიორგი მთაწმიდელის ხელით. გიორგისაჲე ხელით იგი „ეკურთხა სქემითა“ (იხ. „ცხოერება გიორგი მთაწმიდელისა“, ძეგლები, ტ. II). როდესაც გიორგი მთაწმიდელმა მონასტრის წინამძღვრობას თავი დაანება, იგი გაემგზავრა კონსტანტინეპოლს, სადაც იმჟამად მარიამ დედოფალიც იმყოფებოდა. მისი დახმარებით გიორგიმ ნებართჳ მიიღო იმპერატორისაგან და წაიდა შავ მთაზე, სადაც წიგნების თარგმნას შეუდგა. მალე ანტიოქიაში მოვიდა მარიამი, რომელსაც განზრახული ჰქონდა იერუსალიმის მოლოცვა. მაგრამ რადგან ეს ვერ მოხერხდა, თავის მაგიერ იქ გიორგი გაგზავნა მდიდარი შეწირულობით ქართველთა ჯვარის მონასტრის ამშენებლის, პროხორეს და პალესტინის სხვა მონასტრებისა და წმიდა ადგილებისათჳს. მარიამს მრავალრიცხოვანი შეწირულობა მიურთმევია ათონის იერთა მონასტრისათჳსაც. მისთჳს ათონელ ბერებს დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე – აგვისტოს 15-ს, მარიამობას, რათა ამ დღეს შესრულებულიყო მისი აღაპი „ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ჩუენთაჲ“ (ე. მეტრეველი, საააპე წიგნი, გვ. 161). მისი მოსახსენებელი ჩართულია „რუის-ურბნისის კრების“ სინოდიკონში: გვ. 195 „წმ. დედოფალსა და ღმრთივ სულიერსა დედასა ჩუენსა მარიამ მონაზონისა საუკუნომაჲ არს ქსენებაჲ“.

მარიამ დედოფალი – ქორეთის X-XI სს. სამების ეკლესიის (ჩიჩხერის რაიონი) მშენებელი. მისი მეუღლის სახელი – გულზეიაღი – მოხსენებულია ეკლესიის სამხრეთ შესასელელის ტიმპანის ლაპიდარულ წარწერაში. იქვე მოხსენებულნი არიან „შვილნი მისნი – გიორგი და ხურსი“. როგორც ვარაუდობენ, ეს ის გიორგი ერისთავთ-ერისთაჲია, რომელსაც აუშენებია სავანის წმ. გიორგის ეკლესია (1046წ.).

მარიამ დედოფალი – როსტომ მეფის (1631-1658) თანამეცხედრე. ცნობილია, როგორც კეთილმორწმუნე ქრისტიანი. მან ტყეეობიდან დაიხსნა მთელი რიგი ძეირფასი ხელნაწერები: პარხლის მრავალთავი (A 95), სვეტიცხოველის ჟამნი (A 84), ტბეთის ოთხთავი (Q 929) და სხვ. მანვე გადაახლებინა ჭალის გულანი (H 936) და სხვა წიგნები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების“ ნუსხას, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით ყოფილა დამზადებული და რომელსაც ამიტომ მარიამისეული ეწოდება. იგი 1633-1646 წლებშია გადაწერილი (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 015).

მარიამი – ყოელადწმინდა ღეთისმშობელი, დედა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ასული კეთილმსახურთა იოაკიმ და ანასი. გადმოცემით, მის მშობლებს აღთქმა ჰქონდათ დადებული, თუ ღმერთი შეილს მისცემდათ, ტაძარში მიებარებინათ მსახურებისათვის. ღმერთმა შეისმინა კეთილმსახურ მოხუცთა თხოვნა და მისცა ასული. წმ. მარიამი სრულწლოვანებამდე იერუსალიმის ტაძარში მსახურებს, სრულწლოვანების შემდეგ კი მან მღვდლებს გამოუცხადა აღთქმა – სამუდამოდ დარჩენილიყო ქალწულად. ქალწულობის დასაცავად, მეუღლეობის სახით იგი დაწინდული იყო მართალ იოსებზე, 70 წლის მოხუცზე. წმ. ქალწულმა დატოვა იერუსალიმი და გადასახლდა ნაზარეთში, იოსების სახლში. აქ, იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების (ჩასახვის) 6 თვის შემდეგ მას გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი და ახარა მაცხოვრის განხორციელება (ლუკა I,26-38). იხ. ხარება. იესოს შობის (მათე 1,18-25; ლუკა 2,1-20) შემდეგ ყოელადწმიდა ქალწული მართალ იოსებთან და ყრმა იესოსთან ერთად გაიქცა ეგვიპტეში (მათე 2,14-15), იქიდან დაბრუნდნენ მხოლოდ ჰეროდეს გარდაცვალების შემდეგ (მათე 2,19-23) და დასახლდნენ ნაზარეთში. სახარებაში მოთხრობილია, როგორ ესწრებოდა წმ. მარიამი მაცხოვრის ქადაგებებსა და სასწაულებს (იოანე 2,1-12), მის ჯვარცმას, სიკვდილსა და აღდგომას (იოანე 19,25-27). მაცხოვრის ამაღლების შემდეგ წმ. მარიამი ცხოერობდა იოანე მოციქულის სახლში. გადმოცემით, მონაწილეო-

ბაც მიულია მოციქულთა წილისყრაში (საქადაგებლად წასვლის წინ), მაგრამ იერუსალიმიდან აღარ გასულა, რადგან მოახლეებული იყო მისი მიძინება (მიცვალება). ყოველდღიურად ღვთისმშობელი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ აღიარებულია უპირველეს წმინდანად. მას ლოცვით მიმართავენ მორწმუნენი უშუალოდ წმ. სამების შემდეგ, ყველა სხვა წმინდანთა (უსხეულო ზეცის ძალთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა და ა. შ.) წინ. წმ. მარიამი ითვლება მფარველად და შემწედ მთელი კაცობრიობისა. მისდამი განსაკუთრებული სასოებითაა განმსჭვალულია ქართველი ერი, რომელიც მის წილხვედრილად ითვლება. საეკლესიო ღვთისმსახურებაში დიდი ადგილი ეთმობა ღვთისმშობლის საგალობლებს. კერძოდ, ყოველი დასდებელის, ასევე ყოველი კანონის გალობათა ბოლო ტროპარი („აწდა"-ზე სათქმელი) ღვთისმშობელს ეძღვნება.

„ათორმეტ დღესასწაულთაგან" ღვთისმშობლის მოსახსენებლად განკუთვნილია შემდეგი: 1) შობა ღვთისმშობლისა (8 სექტ.). 2) ხარება (25 მარტი). 3) ტაძარად მიყვანება (21 ნოემბ.). 4) მირქმა იესო ქრისტესი (2 თებ.). 5) მიძინება ღვთისმშობლისა (15 აგვ.). ამათ გარდა, ღვთისმშობლის მოსახსენებლად დაწესებულია: დიდი დღესასწაული – საფარველი ღვთისმშობლისა (1 ოქტ.), აგრეთვე ღვთისმშობლის სხვადასხვა სასწაულთმოქმედი ხატის თაყვანისცემა (ივერიის კარისა, ოდიგიტრია, აწყურის, ელაქერნის, ყაზანის, სიონის, დიდუბის ხატები, „წყარო ცხოერებისა", „მაყვალი შეუწველი" და სხვ.).

ღვთისმშობლის დღესასწაულებისადმი მიძღვნილ თხზულებათაგან ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულია შემდეგი: 1) შობისათჳს (8 სექტემბერი). სიტყვა იოანე დამასკელისა. თარგმანი თეოფილე ხუცეს-მონაზონისა (Ath. 20,57-63). იგივე სიტყვის სხვა თარგმანი (ქუთ. 4,78-86). სხვა სიტყვა იგივე აეტორისა (Ath. 20, 64-70. თარგმანი თეოფილესი), სიტყვა თეოდორე სტუდიელისა (ქუთ. 4,68-78), ანდრია კრიტელისა (ქუთ. 4, 86-96; ქუთ. 4, 96-104; 104-113); 2) ტაძრად მიყვანებისათჳს (21 ნოემბერი): სიტყვა გიორგი ნიკომიდიელისა (S 384,739-750). გიორგი წიგნისმცველისა (S 384,763-771, S 1276, 63-82; A 382,243). 3) ხარებისათჳს (25 მარტი): სიტყვა ეუსუქი იერუსალიმელისა (ქუთ. 2,282-285; ქუთ. 8,147-149; A 5,245-249; A 272,258-260; თარგმანი ეფრემ მცირისა). იოანე თესალონიკელისა (ქუთ. 2,285-288; ქუთ. 8,149-151; A 272,256-257; A 674,149-151; A 276, თარგმანი ეფრემ მცირისა). სოფრონ იერუსალიმელისა (ქუთ. 2,288-312; ქუთ. 8,151-172; A 162). გრიგოლ ნეოკესარიელის (ქუთ. 2,312-317; ქუთ. 8,172-176; A 162,159-161; Jer. 4,12-17), იოანე ოქროპირისა (A 272,253-5; A 176,73-74; A 679,151-156; A 613; ქუთ. 2,317-321; ქუთ. 8,176-179; Jer. 2,69-76; Jer. 4,20-23), ანდრია იერუსალიმელისა (ქუთ. 2,321-333; ქუთ. 8,179-189); Jer. 30,76-88; თარგმანი ეფრემ მცირისა. 4) მიძინებისათჳს (გარდაცვალებისათჳს, 15 აგვ.): სიტყვა იოანე დამასკელისა (Jer. 2,1-10; Jer. 148,210-239); მისივე მეორე (Jer. 2,18-22).

ამათ გარდა, ყოველდღიურად ღვთისმშობელს ეძღვნება კიდეც შემდეგი თხზულებანი: „შობისა, აღზრდისა და სამოსელ-სარტყლის გამოჩინებისათჳს" (15 აგვისტო ქუთ. 1,410-438. ამისი კომენტარი რედაქცია – A 40). „დაუჯდომელი ან აკათისტო" (ქუთ. 2,275-282; ქუთ. 8, 140-147; A 5, 140, 162, 272; თარგმანი სტეფანე სანაითაისა. აგრეთვე Ath. 7/61,124-137; Q 47-72; და გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი: A 500, A 568, A 674), „ცლაქერნას დადება სამოსელთა მისთა, სიტყუა თეოდორე ხუცისა" (ქუთ. 3,342-356), „თქუმული კირილე ალექსანდრიელისა (Ath. 7/61,154-160; ქუთ. 8, 369-376; Jer. 151, 66-81; Sin. 71, 108-117. თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზონისა). „ღმრთისმშობლის შუამდგომლობით ქრისტეს მიერ აღწოდებაჲ და სინანული თეოფილესი, დიდისა ეკლესიისა ეკონომოსისა" (20 მარტი, ქუთ. 2, 334-347). „წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათჳს, რამეთუ ამისგან ხორცით იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ" – ეპიფანე კვიპრელის თხზულება. შეტანილია ხელნაწერებში: A 19; A 835,38-43; Jer. 2,110-115; Sin. 83,45-54).

მარიამი – სახელი რამდენიმე კეთილმსახური ქალისა, რომლებიც მოხსენებულნი არიან საღვთო წერილში:

1. მარიამ წინასწარმეტყველი, მოსე სჳულისმდებლის და (გამოსლ. 15,20). უდაბნოში მოგზაურობის დროს იგი არონთან ერთად აუკანკალა თავის ძმას, მოსე წინასწარმეტყველს. ღმერთმა კეთრი შეასყარა მარიამს და ბანაკიდან გააძევა. მხოლოდ შეიდი დღის შემდეგ შეიწყნარა ღმერთმა მოსეს თხოვნა – განეკურნა მარიამი და ნება მიეცა, თაჳისიანებთან დაბრუნებულიყო.

2. მარიამ ბეთანიელი, მართალი ლაზარესა და მართას და. მოხსენებულია სახარებაში, რო-

გორც ქრისტეს მორწმუნე და ერთგული მიმდევარი (ლუკა 10,38-42; იოანე 11,1-45; 12,1-8). იხ. მართა.

3. მარიამ რომაელი, მორწმუნე ქალი. მოხსენებულია პაულე მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ (16,6). შდრ. მარიამ მაგდალინელი.

4. მარიამ იაკობისა, მენელსაცხებლე დედათაგანი, იაკობ მოციქულის დედა, მოხსენებულია სახარებაში (მარკოზი 16,1; ლუკა 24,10 და სხვ.). ხსენების დღე — აღდგომიდან მესამე კვირიაკეს (მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს).

5. მარიამ მენელსაცხებლე, ღირსი და მართალი დედა, მშობელი იოსიასი. მოხსენებულია სახარებაში (მარკოზი 15,47). ხსენების დღე — 19 ივნისი.

6. მარიამ კლეოპასი — მენელსაცხებლე დედათაგანი. რამდენჯერმე მოხსენებულია სახარებაში (იოანე 19,25 და სხვ.). საეკლესიო გადმოცემით, იგი იყო ასული მართალი იოსებისა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დამწინდველისა — პირველი ქორწინებიდან. იგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როცა ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი დაწინდა მამამისმა, მართალმა იოსებმა და თავის სახლში მოიყვანა. იოსების ასული და წმინდა ქალწული ერთად ცხოვრობდნენ და მალე დამეგობრდნენ. როდესაც წმინდა ოჯახი ეგვიპტიდან ნაზარეთში დაბრუნდა, მამამ ქალიშვილი მიათხოვა თავის უმცროს ძმას, კლეოპას, ამიტომ ეწოდა მას „მარიამ კლეოპასი“, კლეოპასა და მარიამს შეეძინათ ვაჟი — სიმონი, რომელიც შემდეგში 70 მოციქულთა შორის ჩაირიცხა და იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის, იაკობის შემდეგ ავიდა სამღვდელმთავრო ტახტზე. მან სხვა მოციქულთა მსგავსად, ცხოერება წამებით დაასრულა. წმ. მენელსაცხებლე დედის, მარიამ კლეოპას ხსენება დადებულია 23 მაისს, ხოლო აღდგომიდან მესამე კვირიაკეს (მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს).

მარიამი — სახელი რამდენიმე ქართველი კეთილმსახური ქალისა, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობა ეკლესიას დაუკავშირეს:

1. ათონის ქართველთა მონასტრის კეთილისმყოფელი და შეწირულებათა მიმრთმეელი, მოხსენებულია „ათონის კრებულში“, მისთვის ქართველ ბერებს დაუწესებიათ მოხსენების დღე 31 აგვისტოს და აღაპი „სალოცველად საუკუნოდ“.

2. ცნობილი ქართველი პიმნოგრაფის, იოანე მტბევარის (X ს.) დედა. მოხსენებულია ტბეთის სახარების ბოლოსიტყვაობაში (ლენ. საჯ. ბიბლიოთეკის 995 ფ.)

3. და მიქაელ მოდრეკილისა, და, როგორც მიჩნეულია, ეფთვიმე ათონელისაც; დედა იოანე ბერაძისი (გადამწერი შატბერდის კრებულისა) და დავითისა (ერთ-ერთი ავტორი ოშკის სამოთხის „ანდერძისა“).

4. ენკრატისი, მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც იერუსა მონასტრის კეთილსმყოფელი. მისთვის დეკემბრის 21-ს დაუწესებიათ მოხსენების დღე და აღაპი.

5. დედა გიორგი მთაწმიდელისა, მოხსენებულია მის ბიოგრაფიაში (გიორგი მცირე, „ცხოერება გიორგი მთაწმიდელისაჲ“). იგი ყოფილა ღვთისნიერი და „შუენიერი ხატითა“. უფროსი შვილი ჰყავდა თეკლა. შვიდი წლისა რომ შეიქნა, „წარიყვანეს მონასტერსა სადედოსა სამცხეს, რომელსა ტაძრისი ეწოდება“. აქ ის მიაბარეს მონასტრის წინამძღვარს საბაიას. მეორე შვილი იყო თევდორე, ხოლო მესამე, რომლის დაბადება მარიამს სიზმარში ეუწყა, იყო გიორგი. თანახმად აღთქმისა და სიზმარში მიღებული ბრძანებისა, მშობლებმა ის განუკუთვნეს ღმერთს სამონასტრო სამსახურისათვის.

6. წრომის ეკლესიის სტელის (ჯვარის კვარცხლბეკი) IX ს. ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებული („ჯუარი, მარიამ შეიწყალე“).

7. მხევალი, მოხსენებულია კატაღიის (სოფ. კავთისხევის მახლობლად, მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე) სტელის VIII ს. ლაპიდარულ წარწერაში („ჯუარო პატიოსანო, მარიამ მკუეალი შენი შეიწყალე“), სხვა ქტიტორებთან ერთად (გრიგოლ ეპისტოსი, მუჭელი, ესაკ და სხვ.).

მარიამ ხოსროელი — ეგნატე ღმერთშემოსილის († 107) თანამდროვე, რომლისათვისაც მას მიუწერია დოგმატიკური ხასიათის ეპისტოლე (ქართულ ენაზე თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ — A 55; A 60; A 66; A 239; S 49; S 1587).

მარიამ მაგდალინელი — წმინდა მოციქულთა სწორი, მენელსაცხებლე უფლისა. დაიბადა ქალაქ მაგდალაში, რომელიც მდებარეობდა გენისარეთის ტბის ნაპირზე, კაპერნაუმსა და ტიბერიადას შორის (ამ ჰატარა ქალაქის ნაშთები დღემდე შემორჩა, ამჟამად მის ადგილას მცირე დასახლებაა და „მეუღლეი“ ეწოდება). წმ. სახარება არაფერს მოგვითხრობს მარიამის ახალგაზრდობის შესახებ, მაგრამ არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც მაგდალელი (ანუ როგორც ქართული სახარება უწოდებს

— მაგდალინელი) მარიამი ყოფილა ახალგაზრდა, ლამაზი და ცოდვილ ცხოვრებას მისდევდა. სახარებაში ნათქვამია, რომ უფალმა განდევნა მარიამისაგან შვიდი ეშმაკი (მარკ. 16,9). განკურნების შემდეგ მარიამმა დაიწყო ახალი ცხოვრება. ის იქცა მაცხოვრის ერთგულ მოწაფედ.

სახარება მოგვითხრობს, რომ მარიამ მაგდალინელი უფალს დაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი იგი თავის მოწაფეებთან ერთად წაიდოდა ხოლმე საქადაგებლად — ურიასტანისა და გალილეის ქალაქებსა და სოფლებში. მის გარდა უფალს ემსახურებოდნენ სხვა წმინდა დედებიც — მარიამი, იოანა, სუსანა და სხვები. სახარების თანახმად, მარიამ მაგდალინელი გოლგოთაზე იმყოფებოდა უფლის ჯვარცმის დროს (იოანე 19,25). როცა მაცხოვრის ყველა მოწაფე გაიფანტა, იგი უშიშრად დარჩა ჯვართან, ღვთისმშობელთან და მოციქულ იოანესთან ერთად. იგი ერთგული იყო უფლისა არა მარტო მისი დიდების დღეებში, არამედ მისი უკიდურესი დამცირებისა და შეურაცხყოფის ჟამსაც. იგი, მათე მახარებლის სიტყვით, ესწრებოდა უფლის დაკრძალვასაც (28,61). საღვთო კანონების ერთგულმა მარიამმა სხვა დედებთან ერთად მთელი შემდგომი დღე (შაბათი) მშვიდად გაატარა, რადგან ებრაული სჯულით — დიდი იყო შაბათი დღე საერთოდ, იმჟამად კი — განსაკუთრებით, რადგან იმ წელს პასექის დღესასწაულიც მას დაემთხვა. მაგრამ განსვენების დღის დადგომამდე დედებმა მაინც მოასწრეს მოემზადებინათ ნელსაცხებელი, რათა შვიდეულის პირველსავე დღეს განთიადისას მისულიყვნენ უფლის საფლავთან და ებრაული ჩვეულების თანახმად შეემუშაოთ ნელსაცხებლებით (ლუკა 24,1).

მარიამი დილით ადრე მიუდა უფლის საფლავთან და მიასწრო სხვა დედებს, რომლებიც აგრეთვე დილით მივიდნენ იქ. მარიამმა ლოდი საფლაყიდან გადაგორებული რომ ნახა, შიშით მიაშურა მაცხოვრის უახლოეს მოწაფეებს — პეტრესა და იოანეს (იოანე 20,1-2). გაიგეს რა ეს ამბავი, ორივე მოწაფე გაიქცა საფლავთან და იქ ნახეს მხოლოდ მიცვალებულის შესახვევი ტილოები და დაკეცილი ზეწარი. პეტრე და იოანე წაიდნენ და არაფის არაფერი უთხრეს, მარიამი კი იდგა საფლავის შესასვლელთან და ტიროდა. უეცრად ძლიერმა სინათლემ გაანათლა ინა. მარიამმა დაინახა ორი ანგელოზი, სპეტაკით (თეთრი სამოსლით) შემოსილნი — ერთი თავით უჯდა იმ ადგილს, სადაც წინადღით იესოს სხეული იყო დასვენებული, მეორე — ფერხთით (იოანე 20, 12). მარიამს მოესმა შეკითხვა: „დედაკაცო, რატომ სტირი"? ამაზე მან იმავე სიტყვებით უპასუხა, რომლებიც ეს-ესაა უფლის მოწაფეებს უთხრა: „წაუსვენებიათ ჩემი უფალი და არ ვიცი, სად დაუსვენებიათ იგი" (იოანე 20,13). ეს რომ თქვა, შემობრუნდა და დანახა აღდგომილი იესო, რომელიც საფლავთან იდგა, მაგრამ ვერ იცნო იგი. იესომ ჰკითხა: „დედაკაცო, რატომ სტირი, ვის ეძებ?" მარიამმა იფიქრა, ეს ალბათ მებაღეაო, და უპასუხა: „ბატონო, თუ შენ წაასვენე იგი, მითხარი, სად დაასვენე, რომ მე წამოვიყვანო". მაგრამ ამ დროს მარიამმა იცნო უფლის ხმა, რომელმაც სახელით მიმართა მას. „რაბუნი!" — შესძახა გახარებულმა მარიამმა, რაც „მოძღვარს" ნიშნავს და გაიქცა მისკენ, რათა თაყვანი ეცა, მაგრამ უფალმა შეაჩერა: „ნუ შემეხები, რადგან მე ჯერ კიდევ არ ავსულვარ მამასთან; წადი ჩემს ძმებთან და უთხარი, რომ ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან" (იოანე 20,14-17).

მარიამმა შეასრულა უფლის ბრძანება და გაიქცა მის მოწაფეებთან, რათა ეცნობებინა აღდგომა უფლისა. შეირბინა სახლში, სადაც შეშფოთებული მოწაფენი იმყოფებოდნენ და აცნობა მათ აღდგომა უფლისა. ეს იყო მსოფლიოში პირველი ქადაგება აღდგომილ უფალზე. საღვთო წერილი არაფერს მოგვითხრობს მარიამ მაგდალინელის ცხოვრების შესახებ ქრისტეს აღდგომის შემდეგ. საღვთო გადმოცემა მოგვითხრობს, რომ როცა მოციქულები წაუდნენ იერუსალიმიდან მთელ მსოფლიოში საქადაგებლად, მათთან ერთად წაუდა მარიამ მაგდალინელიც. მან ქადაგებით შემოიარა წარმართული რომი და მთელი იტალია. გადმოცემა მოგვითხრობს აგრეთვე, რომ იტალიაში მარიამი წარდგა იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე და მასაც უქადაგა ქრისტეს აღდგომა. მას მიურთმეია იმპერატორისათვის წითელი კვერცხი, როგორც აღდგომისა და ახალი ცხოვრების სიმბოლო და უთქვამს: „ქრისტე აღდა". სწორედ მარიამ მაგდალინელისაგან მოდის ეს ქრისტიანული ჩვეულება — ერთმანეთისათვის საღდგომო კვერცხების მიძღვნა.

ყველასაგან სარწმუნოდაა მიჩნეული, რომ მარიამ მაგდალინელის იტალიაში მოღვაწეობას გულისხმობს წმ. პაული მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (16, 6), სადაც სახარების მქადაგებელთა შორის მარიამსაც მოიხსენებს, თუმცა იგი „მაგდალინელით" არ პზუსტებს მარიამის ვინაობას. საეკლესიო გადმოცემითვე ცნო-

ბილია, რომ მარიამი რომში ჩასულა მოციქულ პაველს ჩასვლამდე და დიდხანსაც დარჩენილა იქ. რომიდან წმ. მარიამ მაგდალინელი, უკვე ხანში შესული, გადასახლებულა ეფესოში, სადაც მოღვაწეობდნენ წმ. მოციქული და მახარებელი იოანე. მარიამის მონაყოლის მიხედვით დაწერა იოანემ თავისი სახარების XX თავი. ეფესოში დასრულა მარიამ მაგდალინელმა თავისი ამქვეყნიური ცხოვრება და იქვე იყო დაკრძალული. მისი წმიდა ნაწილები IX ს-ში გადაასვენეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში და დასვენეს წმ. ლაზარეს მონასტერში. ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში იგი იტალიაში გადაასვენეს და დაკრძალეს რომში, ლატერანის ტაძრის საკურთხეველში. ღირსი დედისა და მენელსაცხებლის ხსენება დადებულია 22 ივლისს, აგრეთვე მენელსაცხებლე დედათა კვირაკეს.

მარიამ მაგდალინელის „ცხოვრება“ ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3,647-649.

მარიამ მეგვიპტელი († 522 წ.) – განძრქული მონაზონი ქალი, წარმოშობით ეგვიპტელი. ახალგაზრდობის წლები გაატარა გარყვნილებაში. ერთხელ ალექსანდრიიდან იერუსალიმს გაემგზავრა გემით. იქ სასწაულებრივად მოექცა სარწმუნოებაზე, მოინანია თავისი ცოდვები და სამოღვაწეოდ განმარტოდა იორდანის გაღმა უდაბნოში. მან იქ 40 წელი დაყო. ღმერთმა განამტკიცა იგი თავისი მადლით, დაიცვა ყოველგვარი განსაცდელისა და ცდუნებისაგან. ღვთის განგებით მარიამი ინახულა წმ. ბერმა ზოსიმემ, რომელმაც აზიარა იგი ღვთის წმ. საიდუმლოს. მეორე მოსვლისას ზოსიმემ ნახა, რომ ღირსი დედა გარდაცვლილიყო. საფლავი ლომმა გათხარა, ზოსიმემ კი შეასრულა სათანადო გალობა და მიწას მიაბარა მისი სხეული. წმ. მარიამ მეგვიპტელის ხსენება დადებულია მისი გარდაცვალების დღეს – 1 აპრილს, აგრეთვე დიდმარხვის მეხუთე კვირიაკეს. მისი ცხოვრება აღწერა იერუსალიმის პატრიარქმა წმ. სოფრონმა („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მარიამ მეგვიპტელისაჲ“). ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 272,91-105, A 643; ქუთ. 8,118-133; A 95-613; A 1104, 25-87; Jer. 2,142-156; Jer. 36,62-77.

მარიამობა – ქრისტიანული დღესასწაული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის, მარიამის მიძინების აღსანიშნავად. იდღესასწაულება 15 აგვისტოს.

მარიამობისთვე – აგვისტოს (თვის) ხალხური სახელწოდება. ასე ეწოდა იმიტომ, რომ ამ თვის 15 რიცხვში იდღესასწაულება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება.

მარილის კურთხევა – დაწესებული იყო სიყვარულის ტრაპეზსა და აღაპებზე. ბიბლიის თანახმად, მარილი ითვლებოდა საზრდელის დამატკბობელ ნივთიერებად, ამიტომ მისი კურთხევა სუფრის კურთხეასაც გამოხატავდა. მარილის კურთხევის ლოცვა შეტანილია კურთხევანში. ახალ ალთქმაში ქრისტეს მოწაფეები და მიმდევრები მოიხსენიებიან ქვეყნიერების მარილად (მათე 5,13), რადგან ისინი არიან მისი დამატკბობელნი და შემამკობელნი.

მარინე – IV ს. დიდი მოწამე. დაიბადა მცირე აზიაში, ქალაქ ანტიოქიაში, წარმართი ქურუმის ოჯახში. მარინე აღრე დაობლდა, ამიტომ მამამ აღმზრდელი მიუჩინა, რომელიც ქრისტიანი აღმოჩნდა და წმ. მარინესაც მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით ზრდიდა. როცა მამამ გაიგო მარინეს გაქრისტიანება, ხელი აიღო მასზე. იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს, როცა ქრისტიანთა დევნა მძვინვარებდა, წმ. მარინე, იმჯერად უკვე 15 წლისა, საპყრობილეში მოათავსეს. მარინე სასოებით იყო მინდობილი ღვთის ნებას და ევედრებოდა მისთვის განმზადებული ღვაწლისათვის. ქალაქის თავმა ოლიმბრემ, რომელიც მოიხიბლა გოგონას სილამაზით, სცადა უარი ეთქმევინებინა ქრისტიანობაზე და შემდეგ ცოლად შეერთო. მაგრამ წმინდა ქალწულმა უყოყმანოდ უარყო მაცდური წინადადება. განრისხებულმა ბატონმა დაუნდობელი წამება მიუსაჯა მას. წამებამ ვერ შეარყია გოგონას სიმტკიცე. ღამით, როდესაც იგი კელავ დილეგში ჩააგდეს, ღირს-იქმნა ზეგარდამო მოკითხვისა და განიკურნა მოწამებრივი წყლულებისაგან. მეორე დღეს წმ. მარინე მიაბეს ბეზე და ცეცხლს მისცეს. იგი მხურვალედ ლოცულობდა, რომ ნათლისღების ღირსი გამხდარიყო. სიტყვა „წყალი“ რომ მოესმა, ოლიმბრემ ბრძანა, ალმოდებული მარინე წყლით სავსე ჯასრში ჩაესვათ. მოწამემ სთხოვა, უფალს, ეს წამება მისთვის წმ. ნათლისღებად აქცია როცა მას წყალში უშვებდნენ, უეცრად გაბრწყინდა ღუთაებრივი ნათელი და თეთრი მტრედი დაეშვა ციდან, მას ნისკარტში ოქროს გვირგვინი ეჭირა. ბორკილები, რომლებიც წმ. მარინეს ედო, თავისთავად გაიხსნა. წმ. ქალწული იდგა ნათლისღების ემბაზში და ადიდებდა წმ. სამე-

ბას. იგი ემბაზიდან სრულიად ჯანმრთელი გადმოვიდა. სასწაულით თავზარდაცემული ხალხი მოპყვა ჭეშმარიტი ღმერთის დიდებას და ბევრი ურწმუნოც მოიქცა. ოლიმპრე ამან კიდევ უფრო განარისხა. მისი ბრძანებით გაწყვიტეს ყველა, ვინც აღიარებდა ქრისტეს სახელს. მაშინ 15000 ქრისტიანი აღესრულა მოწამებრივად, წმ. მარინეს კი თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 17 იულისი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით – 6 იულისი). „წამებაჲ წმიდისა მარინესი“ – თეტიმოსის (თეოტიმოსის, III-IV სს.) თხზულება ქართულადაცაა ნათარგმნი IX ს.-ში სეთის მიერ. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A95, 289-300; A382; Sin. 62/52, 83-94; ქუთ. 3, 598-607. საგალობლები წმ. მარინესი ლექსად გამოუთქვამს იოსებ თბილელს (S 1203; S1512).

მარკელაოზ – მაკელ პარეხელის მოწაფე, IX ს. მონაზონი. მოხსენებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (ძეგლები I, 322), აგრეთვე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

მარკელე არქიმანდრიტი († 485 წ.) – წინამძღვარი „დაუძინებელთა სავანისა“ ბიზანტიაში. წარმოშობით სირიის ქალაქ აპამიიდან იყო. აღზრდა-განათლება ჯერ ანტიოქიაში მიიღო, შემდეგ კი – ეფესოში. მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება მარკელემ ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, თვითონ კი ბიზანტიაში გაემგზავრა ღირს მამა ალექსანდრესთან, „დაუძინებელთა სავანის“ წინამძღვართან. აქ იგი ბერად აღიკეცა და მრავალი წლის განმავლობაში იღვწოდა მღვიძარებით, მარხვითა და ლოცვით. როდესაც მონასტრის წინამძღვარი გარდაიცვალა, ძმათა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მის ადგილას წმ. მარკელე აირჩიეს. ღირსი მამა 60 წელს ასრულებდა არქიმანდრიტის მოვალეობას „დაუძინებელთა მონასტერში“. წმინდა ცხოვრებისათვის უფალმა მას სასწაულთმოქმედება და წინასწარმეტყველების ნიჭი მიპმადლა. ხსენების დღე – 29 დეკემბერი. „მარკელე არქიმანდრიტის ცხოვრების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 5, 538-558; ქუთ. 6, 58-85; Ath. 2, 228-242; A 188, 132-148.

მარკელი – ერთ-ერთი მოციქული 70-თაგან ლიმოზის ეპისკოპოსი. სულხან-საბას სიტყვით „ესე იგი ყრმა, რომელმან ხუთი პური და ორი თევზი მოართვა ქრისტეს“ (იოანე 6).

მარკელი († 373) – ანკვირელი ეპისკოპოსი. მონაწილეობას იღებდა ნიკიის I მსოფლიო კრებაში. ცნობილია არიელებთან ბრძოლით. თავის თხზულებებში არიოზის წინააღმდეგ გალაშქრებისას თვითონვე ჩაჯარდა მწვალებლობაში. ორჯერ იყო განკვეთილი არიელების მიერ და ორჯერვე – აღდგენილი.

„მარკელინეს მიმართ“ – ეგზეგეტიკური შინაარსის ეპისტოლე ათანასე ალექსანდრიელისა; მასში ლაპარაკია ფსალმუნთა ღირსებასა და მათი დაყოფის შესახებ. აგრეთვე გარკვეულია, რომელი ფსალმუნი ადამიანის რომელ სულისკვეთებას შეეფერება და ბოლოს დარიგებაა, თუ როგორ უნდა ვგალობდეთ ფსალმუნებს. ეს თხზულება ქართულ ენაზე უთარგმნიათ არა უგვიანეს IX საუკუნისა; მოთავსებულია 904 წლის დაკითხვში (A 38).

მარკიანე მოწამე – წარმოშობით ეგვიპტელი. ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს. აღესრულა საპყრობილეში შიმშილისა და წყურვილისაგან, ხსენების დღე – 5 ივნისი. სვინაქსარული მოხსენებული „წმიდათა ათთა მოწამეთა: მარკიანე, ნიკანდრო, აპოლონ, ლეონდი, არაზი, გიორგი, ეპიქიტე, სელინად, ერინოს და პამბოჲსი“ დაცულია დიდი სვინაქსრის ხელნაწერში – A 97. მათი მეტაფრასული წამება კი – ქუთ.3 (66-67)-ში.

მარკიანე მწიგნობარი – მოწამე. მედავითნედ მსახურობდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტაძარში. რადესაც არიანელებმა მართლმადიდებელი პატრიარქი პაულე აღმსარებელი (342-344 წწ.) გააძევეს და მის ნაცვლად მაკედონიოსი (341-360 წწ.) დააღგინეს, მათ მოინდომეს თავის მხარეზე გადაებირებინათ მარკიანე მწიგნობარიც, მაგრამ ამაოდ, იგი მართლმადიდებლური მრწამსისა და მართლმადიდებელი პატრიარქის, პაულეს ერთგული იყო. ამისთვის მწვალებლებმა იგი სიკვდილით დასაჯეს; მარტვილი იპოდიაკონთან ერთად მას თავი მოჰკვეთეს დაახ. 355 წ. წმ. მოწამეთა ხსენების დღე – 25 ოქტომბერი. მათი მეტაფრასული „წამების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 586-588; S 384, 474-476; S 1276, 498-523.

მარკიანე – ბიზანტიის იმპერატორი 450-457 წლებში. მისი ზეობისას გაიმართა ქალკედონის IV მსოფლიო საკლესიო კრება (451 წ.).

მარკიანე ხუცესი – იერონიმოსი კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის. დიმასა რომში, წარჩინებულ ოჯახში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული ქონება ეკლესიების მშენებლობას, განახლებასა და შეშლობას მოახმარა (წმ. ანასტასიას, წმ. ირინეს ეკლესიები კონსტანტინეპოლში და სხვ.). კონ-

სტანტინეპოლის პატრიარქმა მარკიანე ხუცესად აკურთხა და კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის იკონომოსად დაადგინა. იგი გამოირჩეოდა მოწყალებით, უანგარობით. სათნო ცხოვრებისათვის საკეირველთმოქმედის ნიჭი მიიღო უფლისაგან: კურნაედა სნეულთ, განასხამდა ეშმაკთ და სხვ. გარდაიცვალა დაახ. 272-274 წწ. ხსენების დღე — 10 იანვარი. ღირსი მარკიანეს ცხოვრების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 90,482-515, ქუთ. 13,46-55, A 79,26.

მარკოზი — მცხეთის საყდრის ქადაგი (XVI ს.). მოხსენებულია ცხსა 1449/1537-ში.

მარკოზან მოძღვარი — მოხსენებულია სოფ. კაშაურთან (დუშეთის რაიონში, დიდველის პლატოზე) ნაპოვნ ლატბერულ წარწერაში. ეს წარწერა ეპიტაფიას წარმოადგენს და X ს-ით თარიღდება. ამჟამად დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

მარკოზ განშორებული († 400 წ.) — მეუდაბნოე, წარმოშობით ათენიდან. ახალგაზრდობაში შეისწავლა ფილოსოფია. მშობლების გარდაცვალების შემდეგ გაემგზავრა ეგვიპტეში და დასახლდა ერთ მთაზე, მღვიმეში, სადაც 95 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ადამიანი არ უნახავს. მხოლოდ სიკვდილის წინ, ღვთის განგებით, იგი მოინახულა ანტონ დიდის მოწაფემ ამბა სერაპიონმა, რომელმაც შემდეგ მისი ცხოვრება აღწერა. წმ. მარკოზი 130 წლისა გარდაიცვალა. აღსრულების წინ მან ლოცვა აღავლინა მთელი ქვეყნიერებისათვის და ამბა სერაპიონს სთხოვა, მისი სხეული ამავე მღვიმეში დაეკრძალა. ამბა სერაპიონმა შეასრულა თხოვნა. წმ. მარკოზ განშორებულის ხსენების დღეა 5 აპრილი. სერაპიონის თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მაძისა ჩუენისა მარკოზ განშორებულისაჲ“ ქართულადაც უთარგმნიათ, ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A199, 137-148, A691, 373-377; Sin. 82, 266.

მარკოზ გარსევანიშვილი — ოქონის ხატის დეკანოზი. მოსენიებულია ისტორიული მუზეუმის XVII ს. საბუთში 152.

მარკოზ დიაკონი — V ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ავტორი თხზულებისა: „ცხორებაჲ წმიდისა პორფირი ღაზელი ეპისკოპოსისაჲ“. ქართულად თარგმნილია, ალბათ, არაბული ენიდან. ამ თხზულების ერთელი რედაქცია არა უგვიანეს X ს-ისა და მისი ერთადერთი ნუსხა დაცულია ქუთ. 1, XVI ს. ხელნაწერში (გვ. 192-225). ამავე ხელნაწერში წარმოდგენილია XI ს. ბერძნულად შედგენილი „პორფირი ღაზელის ცხოვრების“ შემოკლებული ვარიანტის XII ს. ქართული თარგმანი (გე. 186-182).

მარკოზი — წმ. მოციქული (70-თაგანი) და მახარებელი, წმ. სახარების მეორე თავის აეტორი. რომაული სახელის — მარკოზის გარდა, მას მეორე სახელიც ჰქონია (ებრაული) — იოანე (საქმე 12,12). წარმოშობით იერუსალიმელი, ტომით ებრაელი იყო, ბიძაშვილი („მამის ძმისწული“, კოლ. 4,10) მოციქულ ბარნაბასი. დედამისი მარიამი მდიდარი ქალი იყო. მას იერუსალიმში სახლი ედგა გეთსამანიის ბაღთან. ამ სახლში ცხოვრობდა წმ. პეტრე მოციქული საპყრობილედან სასწაულებრივად განთავისუფლების შემდეგ. აქვე იკრიბებოდნენ წმ. მოციქულები სალოცავად (საქმე 12). მარკოზი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია მოციქულმა პეტრემ, რისთვისაც იგი მარკოზს თავის ძედ მოიხსენიებს (I პეტრე 5,13). საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ქრისტეს ენების წინა ღამეს 12 მოწაფესთან ერთად მარკოზიც მისდევდა მაცხოვარს შორიახლოს, წამოსასხამში გახვეული. როცა ჯარისკაცებმა მისი შეპყრობა მოინდომეს და წამოსასხამში ხელი ჩაავლეს, მან წამოსასხამი ხელში შეატოვა და შიშველი გაიქცა (მარკოზი 14,51-52). მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მარკოზის დედის, მარიამის სახლი გადაიქცა ქრისტიანთა სამლოცველო შესაკრებად და ზოგიერთი მოციქულის თავშესაფრად (საქმე 12,12). მარკოზი გახდა უახლოესი თანამოსაგრე მოციქულების: პეტრესი, პაველეს და ბარნაბასი. 45 წელს მან დაიწყო სამოციქულო მოგზაურობა პაველესთან და ბარნაბასთან ერთად. ქერძოდ, ისინი იყვნენ სელევკიაში (საქმე 13,40). მარკოზი, როგორც უმცროსი, ბორჩილად ემსახურებოდა პაველე მოციქულს. სელევკიიდან მქადაგებელნი გაემგზავრნენ კუნძულ კვიპროსზე და მთლიანად მოიარეს იგი. ქალაქ პამფილიაში მარკოზი მოწმე გახდა იმისა, თუ პაველე მოციქულმა როგორ დააბრმავა მოგეი ბარიისუ (ელვიმი) მორწმუნეთა შემაცდენელი ქადაგებისათვის (საქმე 13,6-12). პამფილიიდან მარკოზი იერუსალიმში დაბრუნდა (საქმე 13,13), იქიდან კი მოციქულ პეტრესთან ერთად გაემგზავრა რომში. 62-67 წწ. მარკოზის მოღვაწეობა ძირითადად რომს უკავშირდება (კოლ. 4,10; I პეტრე 5,13; II ტიმ. 4,11). შემდეგ პეტრეს ბრძანებით მარკოზი ეგვიპტეში წაეიდა და იქ დაარსა

ეკლესია. პაულეს მეორე სამოციქულო მოგზაურობის დროს მარკოზი მას შეხვდა ანტიოქიაში. იქიდან იგი მოციქულ ბარნაბას გაჰყვა, კუნძულ კვიპროსზე საქადაგებლად მიმავალს. აქედან მარკოზ მოციქული ისევ ეგვიპტეში გაემგზავრა, სადაც პეტრე მოციქულთან ერთად მრავალი ეკლესია დააარსა. როცა წმ. მოციქული პაულე შეიპყრეს რომში, მან საყრობილიდან მისწერა ეპისტოლე თავის მოწაფეს, ტიმოთეს, რომელშიც სხვა მითითებებთან ერთად ავალებდა, მარკოზთან ერთად ჩასულიყო მასთან რომში (II ტიმ. 4,11). ამ დროს ტიმოთე ეფესში იყო მღვდელმთავრად. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა რომში პაულე მოციქულთან და, მითითებისამებრ, თან ახლდა მოციქული მარკოზიც. რომში მარკოზმა ინახულა პეტრეც. პეტრე უმეტესწილად ზეპირად ქადაგებდა, რომელ მორწმუნეებს კი სურდათ, მისი ნაამბობი მაცხოვრის შესახებ წიგნად ყოფილიყო დაწერილი. ამიტომ სთხოვეს მარკოზს, როგორც კარგ მწიგნობარს, დაეწერა სახარება, იესო ქრისტეს ამქვეყნიურ საქმეთა ამსახველი წიგნი. მარკოზმა შეასრულა ეს თხოვნა და ასე შეიქმნა „სახარება მარკოზისი“. ამ წიგნს შემდეგში ზოგმა „პეტრეს სახარება“ უწოდა, რადგან მასში ძირითადად პეტრე მოციქულის ნაამბობია გადმოცემული. კლიმენტი ალექსანდრიელის და სხვათა მოწმობით, მარკოზს ზუსტად ჩაუწერია ყოველივე, რასაც რომში ქადაგებდა პეტრე. წიგნი, თავისი შინაარსით, მოცულობითა და მიზნებით მართლაც, საკმაოდ შეესაბამება პეტრეს სიტყვებს „საქმე მოციქულთა“-დან (10,37-41). თხრობა ისეთი ნათელი და ცოცხალია, რომ იგი უთუოდ თვითმხილველიდან უნდა მომდინარეობდეს (მაგ: I, 29, 33, 36; 4, 38; 5, 3; 9, 3; 11, 4). პეტრეს პიროვნებას მთხრობელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, თანაც წარმოჩენილია პეტრეს სუსტი მხარეებიც, მისი განმადიდებელი მომენტები კი გაკვრითაა აღნიშნული (შეად. მარკ. 8, 32-33, 27-29 და მათე 16, 17-19, 22-23). არსებობს აზრი, რომ მახარებელს პეტრეს მონაყოლის გარდა სხვა წყაროებითაც უხელმძღვანელია. მარკოზი თავის თხზულებას უმთავრესად წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანთათვის, სახელდობრ, რომის მცხოვრებთათვის წერდა. ამიტომ იგი შედარებით დაწვრილებით აღუწერს მკითხველს პალესტინის გეოგრაფიას, ებრაელთა ზნე-ჩვეულებებს, არამეულ გამოთქმებს, ხოლო რომაული ყოფისათვის დამახასიათებელ შტრიხებს არ იძლევა. ასევე გაცილებით იშვიათად მიმართავს პარალელებს ძველი აღთქმის საღვთო წერილსა და ქრისტეს ცხოვრებას შორის (შდრ. მათე). მახარებლის მთავარი მიზანია, განამტკიცოს ახლად მოქცეული წარმართები ქრისტეს სარწმუნოებაში, ამიტომ თხრობის უმეტესი ნაწილი ეძღვნება ქრისტეს სასწაულმოქმედებათა (განსაკუთრებით — ეშმაკთა განდევნის) აღწერას. საღვთო ისტორია მოკლედ და მარტივადაა მოთხრობილი. იესოს სწავლა-მოძღვრების შესახებ კი მახარებელი ცოტას ლაპარაკობს, მათეს და იოანესგან განსხვავებით, რომელთაც მაცხოვრის ვრცელი ქადაგებანი მოჰყავთ. მარკოზის სახარება ისე მარტივად და ადვილად გასაგებად მოგვითხრობს სასწაულებს, თითქოს იგი გამიზნული იყო „ღრმათათვის სარწმუნოებაში“. ერთერთი ცენტრალური საღვთისმეტყველო თემა მარკოზის სახარებაში არის თემა ღვთის ძლიერებისა, რომელიც აღსრულება აღდგომაა უძლურებაში, რადგან უფალი შესაძლებელს ხდის იმას, რაც აღდგომათვის შეუძლებელია. მახარებლის მიზანია, აგრეთვე, აჩვენოს ქრისტეს ურთიერთობა მოწაფეებთან. სახარება დაწერილია ბერძნულ ენაზე, რომელიც იმ დროისათვის რომის იმპერიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. სახარების დაწერის დრო ზუსტად არაა განსაზღვრული. საფიქრებელია, რომ იგი დაიწერა მათეს არამეული სახარების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 70 წლისა, ლუკას სახარების დაწერამდე (ე. ი. 62-63 წწ.). წმ. სოფრონ იერუსალიმელის თანახმად, პეტრე მოციქულმა წაიკითხა მარკოზის სახარება, დაამტკიცა მისი ჭეშმარიტება და დაუგზავნა ყველა ეკლესიას.

სახარების დაწერის შემდეგ მარკოზ მოციქული რომიდან ისევ ეგვიპტეში წაბრძანდა და ალექსანდრიაში დაარსა ქრისტიანული სასწავლებელი, საიდანაც მოგვიანებით გამოვიდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი და ეკლესიის მოძღვარნი, როგორებიც იყვნენ: კლიმენტი ალექსანდრიელი, მღვდელმთავარი ღირსი, მღვდელმთავარი გრიგოლ საკეირელთმოქმედი და სხვ. წმ. მარკოზი, როგორც ალექსანდრიის ეკლესიის დამაარსებელი, ითვლება მის პირველ მამამთავრად. საეკლესიო ღვთისმსახურების დაფუძნების მიზნით მოციქულმა მარკოზმა შეადგინა ლიტურგიის წესი ალექსანდრიის ეკლესიისათვის.

შემდეგ წმ. მარკოზი სახარებას ქადაგებდა აფრიკის სხვა ქვეყნებში (ლიზიაში, პენტაპოლში და სხვ.) და ბოლოს ისევ ალექსანდრიაში დაბრუნდა. ეგვიპტელთა ღმერთის, სერაპისის

დღესასწაულზე ალექსანდრიელი წარმართები თაეს დაესხნენ მარკოზ მოციქულს (ამ დროს იგი ღვთისმსახურებას ასრულებდა), აწამეს და მოკლეს. მათ სურდათ, წმ. მოციქულის სხეული დაეწვათ, მაგრამ როცა კოცონი გააჩაღეს, ყოველივე დაბნელდა, ატყდა ჭექა-ქუხილი და მიწა შეიძრა. წარმართნი შიშით დაიფანტნენ, ქრისტიანებმა კი აიღეს წმ. მოციქულის სხეული და დაკრძალეს ქვის სამარხში (63 წ. 4 აპრილი). 310 წ. წმ. მოციქულ მარკოზის ნაწილებზე აშენდა ტაძარი. 827 წელს წმინდანის ნაწილები გადაასვენეს ვენეციაში, მისიეე სახელზე აგებულ ტაძარში.

იკონოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, რომელიც ძველთაგან არსებობს და წმ. იოანე ღვთისმეტყველის ხილვიდან მომდინარეობს (გამოცხადება 4,7), წმ. მოციქული მარკოზი გამოისახება ლომთან ერთად, რაც მომასწავებელია ქრისტე-ღმერთის ძლიერებისა და მეუფებისა (გამოცხ. 5,5). წმ. მარკოზ მახარებლის ხსენებას ეკლესია აღნიშნავს 25 აპრილს. მისი მოსახსენებლის ქართული თარგმანი შესულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 7,364-372. მარკოზის შესახებ ქართულად შემორჩენილა აგრეთვე აპოკრიფული თხზულება: „წამებაჲ წმიდისა მარკოზ მახარებლისაჲ ალექსანდრია ქალაქსა შინა", რომელიც ბერძნულიდანაა ნათარგმნი. შეტანილია ხელნაწერებში: Ath. 8; A 370,534-540; A 95, 94-97. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: კიმენი, I, 1918, 193-197.

მარკოზი — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1460-65 წწ.

მარკოზი დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წინამძღვარი 1704 წლამდე. მოხსენებულია Ad 468-ში. იგივე პირი უნდა იყოს A 1350-ში მოხსენებული მარკოზ ბერი.

მარკოზ მემარნიშვილი — გეიანი შუა საუკუნეების ქართველი ოსტატი, „გალატოზი", მახარობელ მემარნიშვილთან და გიორგი გვრიტიშვილთან ერთად იხსენიება ზემო ნიქოზის სამრეკლოს სამშენებლო წარწერაში.

მარკოზი ხუცესი — მოხსენებულია Ad. 951-ში საბუთში XVII ს.

„მარკოზის თაეები" — ასე ეწოდება 100 დამატებით თაეს, რომლებიც X ს-ში იყო შეტანილი ქრისტიანული ღვთისმსახურების ტიპიკონში (თეენსა და ტრიოდიონში) წმ. საბა განწმედილის ლავრის მღვდელმონაზონის, მარკოზის მიერ. ეს დამატებები ეხებოდა IX-X სს. ბერძნულ ეკლესიაში არსებულ წესებს ცვალებად საგალობელთა შესრულების შესახებ. მათში იყო ჩამოყალიბებული, მაგალითად, თანმიმდევრობა ღვთისმსახურებისა ღვთისმშობლისა და დიდ წმინდანთა დღესასწაულებზე, თუ ისინი ემთხვეოდნენ კვირა დღეებს, ან დიდი მარხვის სხვადასხვა დღეს და სხვ. „მარკოზის თაეები", გარდა ტიპიკონისა, ერთეულ მარხვანისა და ზატიკის ბეჭდურ გამოცემებს (გამოკრებით).

მარკოზის სახარების თარგმანება (განმარტება) — თეოფილაქტე ბულღარელის (XI ს.) ეგზეგეტიკური თხზულება. ქართულად თარგმნილია იოანე ჭიმჭიმელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 102, S 404.

მარკოზ მონაზონი — მოღვაწეობდა V ს-ში ნიტრიის უდაბნოში (ეგვიპტეში). ყრმობიდანვე ჰყვარებია წმინდა წერილის კითხვა და მთელი ბიბლია ზეპირად შეუსწავლია. მარკოზი იოანე ოქროპირის თანამედროვე იყო და ხშირად მოუსმენია მისი ქადაგება. ჩვენამდე მოაღწია მრავალმა სამოძღვრო სიტყვამ, რომელიც წმ. მარკოზს დაუწერია. ქართულ ენაზე მოგვეპოვება მისი შემდეგი თხზულებები: „თქუმული მღუდარაჲ და ყუედრებაჲ ურთიერთას თავისა თუსისა სულისა და გონებისა მხილებაჲ" (Ath. 9,260-270; Sin. 38,85-89; A 56, 115-119); „სიტყუანი", „მოძღურებანი" და „თქუმულნი" (Sin. 35;36). „ეპისტოლე თუსისა მწყაფისა ნიკოლაჲს მიმართ" (A 1101), თარგმნილი ეფთვიმე ათონელის მიერ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თხზულებებს ხანდახან მარკოზ განშორებულს (ათონელს) მიაწერენ, რაც გაუგებრობის შედეგია. ღირსი მამა, უდაბნოს მოლეწე მარკოზი, გამოირჩეოდა სიმშეიდით, სულიერი სიწმინდითა და გულმოდგინე მარხულობით, რისთვისაც „მმარხველი" ეწოდა. ხსენების დღე — 5 მარტი.

მარონიტები — მარონიტების ეკლესიის (ლეგენდარული მარმარონის მიერ დაარსებული) მიმდევრები. ცხოვრობენ უმთაერესად ლიბანში (დაახლ. 600 ათასი კაცი), ნაწილობრივ — სირიაში, ეგვიპტეში, ჩრდ. და სამხრეთ ამერიკაში, კვიპროსზე. მარონიტების რელიგიური თემები წარმოიშვა V-VII სს-ში ჩრდ.-დას. სირიაში, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში განსჯათქილებების პროცესში. XIII-XVI სს-ში მარონიტული ეკლესია დაექვემდებარა ვატიკანს.

მარსი — რომაელთა უძველესი და ერთერთი უმთაერესი ღვთაება. იუპიტერთან და კვირინუსთან ერთად შედიოდა სახელმწიფოს დამცველ ზეომარ ღვთაებათა ტრიადაში. მარსი რომის დამაარსებლების — რემუსისა და რომულუსის

მამად ითვლებოდა, ამიტომ რომაელ ხალხს იგი თავის მამადაც მიაჩნდა და რომის მსოფლიოზე გაბატონებაც მარსის წყალობა ეგონათ. თვეს, რომელშიც მარსის კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა, მარსი (მარტი) უწოდეს; კულტის ადგილს — მარსის ძელი. მარსი ეწოდა ერთ-ერთ პლანეტასაც.

მარტვილი — შუა საუკუნეების ქართული სასულიერო და კულტურული ცენტრი, ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქალაქ მარტვილში (მოძღინარეობს ბერძნ. „მარტვილია"-დან, რაც ნიშნავს „დამოწმებას". ასე ეწოდებოდა ძველად სულიწმიდის მოფენის დღესასწაულს. ქალაქს სახელი შეერქვა მარტვილიის ეკლესიისაგან). ძველი დასახლებული პუნქტის, მარტვილის თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი. VII ს. I ნახევარში აქ ააგეს ეკლესია მარტვილიის (ე. ი. სულიწმიდის მოფენის) სახელზე. X ს-ში დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა და მარტვილი დასახლებული პუნქტის სახელად იქცა (დამოწმებულია XVII ს. 40-იან წლებიდან). მარტვილში მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა იყო გაჩაღებული. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: სტეფანე სანაოსიძე (X ს.). გიორგი ჭყონდიდელი, იოანე ჭყონდიდელი, იოანე მესვეტე (XI ს.), გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობარ-თუხუცესი (XI-XII სს.), ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი (XVIII ს.), რომანოზ მესვეტე (XIX ს.) და სხვანი. მარტვილის ხელნაწერთა კოლექცია დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მარტვილის ტაძარი გეგმით ძალიან ჰგავს მცხეთის ჯვრის ტაძარს, მაგრამ არ იმეორებს მას. ხუროთმოძღვარმა აქ თემის თავისუფალ ინტერპრეტაციას მიმართა და ფაქტობრივად დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები შექმნა. შენობის გეგმაში შეტანილია ზოგი ცვლილება: გუმბათის დიამეტრი უფრო მცირეა, კუთხის ნიშები კი უფრო დიდი, გაზრდილია აბსიდების მკლავების სილრმე, გადიდებულია კუთხის სათავსების ზომა. შეცვლილია აგრეთვე კედლტდან მრავალწახნაგოვანი გადასვლის გუმბათისქვეშა სისტემაც — ტრომპებს აქ ერთიმეორეზე გადმოდებული პატარა კამარების რიგით შექმნილი საფეხურისებრი სახე აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის ტაძარი ჯვრის ტაძარზე მცირეა, ცალკეულ ნაწილთა შეფარდების ცვლილებების შედეგად შექმნილია დიდი და მსუბუქი შინაგანი სივრცის შთაბეჭდილება; სხვაგვარია ფასადთა რელიეფებიც. ცალკეული დამოუკიდებელი კომპოზიციების ნაცვლად აქ უწყვეტი ფრიზებია, შესრულების ხასიათი კი უფრო დეკორატულია. ფიგურები და მცენარეული ორნამენტი ერთიან ნახატშია ჩართული და გარკვეულ რიტმულ დანაწევრებას ექვემდებარება. ფრიზებზე ბიბლიისა და სახარების სიუჟეტებია გამოსახული (მაგ.: დანიელი ლომთა ხაროში, სამსონი და ლომი, ქრისტეს ამაღლება 4 ანგელოზის მიერ და სხვა). X ს-ში აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის დროს ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს: დაუმატეს გარეთა კედლები, ამოიყვანეს ახალი გუმბათის ყელი. ამიტომ იგი გარედან აღარ მოგვაგონებს ჯვრის ტიპის ძეგლს. დასავლეთის ეკვეტრიც ასევე X ს-ისაა. ინტერიერი სხვადასხვა დროს (XVI-XVII სს.) არის მოხატული. ტაძრის გვერდთ დგას მცირე ორსართულიანი ეკლესია (X ს.). მარტვილიდანაა ე. წ. მარტვილის ოთხთავი — XI ს. ხელნაწერი (S 391). იქვეა გადაწერილი აგიოგრაფიული კრებული (Q 240).

მარტვილია — ასე ეწოდებოდა სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულს — აღდგომიდან 50-ე (მეორგასე) დღეს (ბერძ. „პენტეკოსტე"). ძველ ქართულ ძეგლებში მოხსენებული „მარტულია" წარმოდგება ბერძნ. „მარტურიისაგან" („დამოწმება"; იგულისხმება დამოწმება ქრისტეს ღვთაებობისა, რაც მის მიერ მოციქულებზე სულიწმიდის მოვლინებით აღსრულდა).

მარტვილიის შესახებ ძველ ქართულ ჰომილეტიკურ კრებულებში გვხვდება რამდენიმე საკითხავი: 1) „დღესა მისთჳს მეურგასსა, რომელ არს მარტულიაჲ" — გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულება. ქართულად თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 1, 96-124; A 16, 35v-43r; A 80, 183r-195; A 87, 1152-123r 518. 159 r-169 r; S 383; 84 r-94 r. 2) „საკითხავი მარტულიისაჲ, რაჟამს მოვიდა სული წმიდაჲ წმიდათა მოციქულთა ზედა" —კირილე იერუსალიმელის თხზულება. დაცულია ხელნაწერებში: Ath. 80, 137-140; Sin. 83, 114-120. Jer. 17, 115-119. 3) „საკითხავი მარტულიისათჳს" — სევერიანე გაბალოველის თხზულება, დაცულია ხელნაწერში: A 144, 260-269.

მარტვილის ოთხთავი (სახარება) — სახარება — ოთხთაეის ხელნაწერი (S 931), რომელიც 1050 წ. გადაუწერიათ ჭყონდიდში (მარტვილში) იოანე მესვეტეს და არსენ მწერალს. ნაწერია ეტრატზე. სახედაო ასოები შემკულია სტილიზებული ფოთლებით. ხელნაწერი საშუალო ზომისა (23 X 19, 186 ფ.).

მარტვილის ჭედური ხატები – ღვთისშობელი ყრმით (ოდიგიტრია), X-XI სს. მიჯნა. ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში. ოქროთია მოჭედილი ცენტრალური ნაწილი, მოოქრული ვერცხლით – ჩარჩო. ჩართულია ტიხრული მინანქარი, თელები ღვთისშობლის გამოსახულების ირგვლივ გუილია დამატებული. ზომები: 27,6 X 15,1 სმ.

მარტვილდანაა „ხორმეტი ღვისასწაულის" ხატიც, შესრულებული 1644 წ. (ზომები: 112 X 85 სმ.), მოჭედილია მოოქრული ვერცხლით. დამკვეთი – ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეკვტიმონ აფაქიძე. შეიცავს კიდევ ორ ქრონოლოგიურ ფენას: ჩასადგმელი ხატი (40 X 25 სმ.), იესოს გვარტომობის ხე 1784 წელსაა გაკეთებული. მისი ცენტრალური გამოსახულება კი – ღვთისშობელი ყრმით (მოოქრული ბრინჯაო) – ბიზანტიური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, X საუკუნისაა. ეს ორივე ხატი დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში.

მარტვილიდანაა აგრეთვე XI ს. ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი, საწინამძღვრო ჯვარი. (55 X 36 სმ.), რომელიც არსენი ეპრის ძის შეკვეთით გაუკეთებია ოვანე დიაკონს. ოსტატის სახელი იკითხება ჯვრის უკანა მხარის არშიაზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში. მარტვილის ჯვარი თავისი ფორმით ისეთივეა, როგორც სხვა ქართული საწინამძღვრო ჯვრები: ტარზე წამოცმული, უფრო გრძელი ქვემო მკლავითა და ზემო სამი თანაბარი მკლავით. მკლავების ბოლოები ფართოდები და ყოველ კიდეში ფოთლოვანი ყუნწები აქვს გამობმული. წინა პირზე შეიგული უჭირავს ჯვარცმული ქრისტეს რელიეფურ გამოსახულებას. მისი გაშლილი ხელების, ეი. ჯვრის განივი მკლავების ბოლოებში გამოსახულია თითო ანგელოზი, ყოველდწმინდა ღვთისშობელი მარიამი და იოანე მახარებელი. ზემო მკლავი უჭირავს ქრისტეს მთლიან ფიგურას, ქვემო – ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ფიგურებს. ჯვრის არე ორნამენტებითაა დაფარული. ჯვრის ზურგის მხარე კი მთლიანად უჭირავს ვირტუოზული ბრწყინვალებით შესრულებულ მცენარეულ ორნამენტს. მარტვილის ჭედური ჯვარი ქართული ოქრომჭედლებისადმი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურის თვალსაჩინო ძეგლია.. ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა ძალიერაა მოდელირებული. პროპორციები სწორია, შესრულების ხასიათი – მონუმენტური. მოოქრული ვერცხლის ჯვარი ძირითადად კარგადაა შენახული, დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მარტვილობა (ბერძნ. წამება) – ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ჟანრი. ასახავს ქრისტიანობისათვის თავდადებული წმინდანების ცხოვრებასა და მათ მოწამებრივ სიკვდილს. ამ ჟანრის თხზულება ეშახურებოდა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას. ქართულ სინამდვილეში ქრისტიანობისათვის თავდადება ეროვნული თავისთავადობის გადარჩენისათვის ბრძოლასაც უდრიდა. ამიტომ ქართულ „მარტვილობებში" ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაც აისახა (მაგ. „შუშანიკის წამება", V ს., ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", VI ს., „აბო ტფილელის წამება", VIII ს.; „ქეთევან დედოფლის წამება", XVIII ს. და სხვ.).

„მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ" – უცნობი ქართველი ავტორის VI ს. ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება (ძეგლები, I, გვ.30-45) იხ. ევსტათი მცხეთელი.

მარტვირი – „პირველი რომელსა ეწოდა იოანე", მოხსენებულია შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრების (XII ს.) სათაურში, როგორც ამ თხზულების ავტორი (ძეგლები, III. გვ. 107).

მარტვირი მოწამე (IV ს.) – პიოდიაკვნად მსახურობდა კონსტანტინეპოლის ტაძარში მარკიანე წიგნისმკითხველთან ერთად. როდესაც მართლმადიდებელი პატრიარქი პავლე აღმსარებელი (342-344) გააძევეს კათედრიდან და მის ნაცვლად მწვალებელმა არიანელებმა მაკედონიოსი (341-360) დაადგინეს, მარტვირსა და მარკიანეს შესთავაზეს მათ მხარეზე გადასვლა. მწვალებლები ასჯერდებოდნენ ოქროსაც, სამღვდელმთავრო კათედრასაც, მაგრამ ამაოდ, წმ. მოწამენი მართლმადიდებლური მრწამსისა და პავლე პატრიარქის ერთგულნი დარჩნენ. ამის გამო მწვალებლებმა ორთაეს თავები მოაკვეთეს დაახ. 355 წ. მოგვიანებით წმ. იოანე ოქროპირის, კონსტანტინეპოლის პატრიარქის მითითებით მარკიანე და მარტვირი მოწამეთა წმინდა ნაწილები მათ სახელზე აშენებულ ეკლესიაში გადასვენეს. ხსენების დღე – 25 ოქტომბერი. მარტვირი და მარკიანე მწიგნობართა მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ჯუთ.4,586-588; S 384,474-476; S 1276, 498-523.

მარტვირი ძართველი საბაწ-

მიდელი – პალესტინის საბაწმიდის ლავრის VI-VII სს. ქართველი მოღვაწე, მისტიკოსი. გადმოცემის თანახმად, იგი მამასახლად ყოფილა საბა განწმედილის († 532) ლავრაში. შემონახულია მისი ასკეტიკურ-მისტიკური შინაარსის თხზულება: სინანულისათჳს და სიმდაბლისა". ამ თხზულებაში განხილულია შემდეგი ასკეტური თემები: ლოცვა, სინანული, სიმდაბლე, მორჩილება, ძმათა სამსახური, მოღუწეობა, მოთმინება. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 625, A 56. გამოც. კ. კეკელიძისა (ეტიუდები, XII გე. 255-270); და ილ. აბულაძის (მამათა სწავლანი, X და XI სს. ხელნაწერების მიხედვით. თბ. 1955 წ.); უ. გარიტისა (Museon, t. LXIX, p.-23-312); ზოგიერთი მეცნიერის აზრით (გარიტი, რაიტი), ეს თხზულება არაა მარტჳილი საბაწმიდელის ორიგინალური ნაშრომი, იგი მხოლოდ გადმოკეთებულია VII ს. სირიელი მონაზვნის, მარტჳირი საძონას თხზულებიდან.

მარტინ V (1368-1431) – რომის პაპი 1417-31 წწ. ერისკაცობაში – ოდონე კოლონა. 1405 წლიდან – კარდინალი. პაპად აირჩია კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ (1414-1418 წწ.). მისი არჩევით ბოლო მოეღო კათოლიკური ეკლესიის დიდ განხეთქილებას (იხ. სქიზმა). მარტინ V-მ თავისი ხელისუფლების ქვეშ კვლავ გააერთიანა პაპის ოლქის მიწები. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა რომის განაშენიანებას. აღადგინა ხიდები, შენობები, ეკლესიები. მფარველობდა ჰუმანისტებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე მისიონერთა მოღვაწეობას აღმოსავლეთში. მას 1425 წელს თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დაუნიშნავს დომინიკელთა ორდენის წევრი იოანე სანქტ-მიქაელელი.

მარტინე ალექსანდრიელი († 655) – რომის პაპი. მისი მღვდელმთავრობის დროს საეკლესიო მშვიდობა დაარღვია მონოთელიტთა ერესმა. იგი ისე გაერცელდა, რომ თვით იმპერატორი და კონსტანტინეპოლის პატრიარქი – პაველ II (641-654) მონოთელიტობას აღიარებდნენ. მართლმადიდებლობის მტკიცე აღმსარებელს, წმ. მარტინეს დიდხანს დევნიდნენ. მას დასწამეს სახელმწიფოს ღალატი, ურწმუნოება, ღვთის გმობა და ამ ცრუ ბრალდებებით იგი ჯერ უკაცრიელ კუნძულზე გადაასახლეს, შემდეგ კი უკვე ღრმად მოხუცი, ჩამოიყვანეს კონსტანტინეპოლში და სასამართლო მოუწყეს. მის წინააღმდეგ გამოიყვანეს ცრუ მოწმენი და მიუსაჯეს ანათემა და სიკვდილი. როდესაც პატრიარქ პაველს მოახსენეს წმ. მარტინეს ხვედრი, შეწუხებულმა ითხოვა იმპერატორისაგან, შეეწყვიტათ მისი წამება, ხოლო სასიკვდილო განაჩენი შეეცვალათ გადასახლებით. წმ. მარტინე აღმსარებელი გადასახლებაში გარდაიცვალა 655 წელს. VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელმაც დაგმო მონოთელიტთა ერესი, ბრძანა მისი ნაწილების გადმოსვენება კონსტანტინეპოლში და მისი შერაცხვა წმინდანთა დასში. მარტინე აღმსარებლის მეტაფრასული „ცხოვრება" დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 7, 206-216. ხსენების დღე – 14 აპრილი.

მარტინიანე – მონაზონი, მოღვაწეობდა პალესტინის ქალაქ კესარიის მახლობლად მდებარე უდაბნოში. ასკეტური ცხოვრება 18 წლისამ დაიწყო და 25 წ. გაატარა მდუმარებაში. წმინდა ცხოვრებისათჳს მან ჯილდოდ მიიღო კურნების მადლი. სხვადასხვა უდაბნოთა მოვლის შემდეგ მივიდა აითნის მთაზე და იქ გარდაიცვალა (დახლ. 422). მარტინიანეს „ცხოვრება" ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია ხელნაწერში: Ath. 7,26-41. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები II, გე. 15-22, თბ., 1945 წ.). ხსენების დღე – 13 თებერვალი.

მარტიროლოგი – ასე ეწოდება თხზულებათა კრებულებს, რომელშიც თავმოყრილია მოწამეთა ღვაწლის აღმწერი თხზულებანი. ასეთ კრებულთაგან ბიზანტიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი უძველესია ევსები კესარიელის წიგნი პალესტინელ მოწამეთა შესახებ, აგრეთვე, უფრო სრული – „მენოლოგია" ბასილი მაკედონელისა. დასაელეთში ცნობილია მარტიროლოგი ნეტარი იერონიმეს, ფლორის ლიონელი დიაკვნისა; უფრო გვიან, ბარონიუს მიერ რომის პაპის, გრიგოლ XIII-ის დავალებით შედგენილი იყო გაცილებით სრული მარტიროლოგი, რომელიც მოიცავდა ცნობებს ყველა ქვეყანაში წამებულთა შესახებ. „მოწამეთა წიგნს" მოიხსენებს ქართული პაგიოგრაფიის უძველესი ძეგლი – „შუშანიკის წამება" (V ს.). საფიქრებელია, რომ „მოწამეთა წიგნი" იმთავითვე იყო ნათარგმნი ქართულ ენაზე.

მარტყოფი – სოფელი გარდაბნის რაიონში, იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე. ახლანდელი მარტყოფის ტერიტორია დასახლებული ყოფილა I-II ს-დან. VI ს-დან მას ჰარიანი (ქუიანი ადგილი) ერქვა. სახელწოდება „მარტყოფი" კი მოდის ერთ-ერთი „ათცამეტთაგანი" ასურელი მამის, ანტონ მარტყოფელის (მარტოყოფელი) სახელიდან. XIII ს-დან, ქალაქ რუს-

თავის მოსპობის შემდეგ (მონღოლთა შეშოსეების შედეგად) აქ რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსო კათედრა იქნა გადმოტანილი. XV ს-დან — სადროშოს ცენტრია. აქვე იყო კახეთის მეუფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. საეპისკოპოსო კათედრა მარტყოფში იყო 1811 წლამდე, სანამ რუსთავის ეპარქია გაუქმდებოდა. სოფელში შემორჩენილია გუშმათოვანი ეკლესიის ნანგრევები. იგი 1810 წ. აუგია რუსთავის ეპისკოპოსს სტეფანე II-ს.

მარტყოფის მახლობლად, ტყეში, კლდოვან ქედზე V-VI სს სამონასტრო კომპლექსია. იგი დაარსებულია „ათცამეტ" სირიელ მამათაგანის, ანტონ მარტყოფელის მიერ. მთაყარი ნაგებობაა გუშმათოვანი ტაძარი, რომელმაც მრავალი გადაკეთების შემდეგ საბოლოო სახე XIX ს-ში მიიღო. თლილი ქვით ნაგები ტაძარი უხვადაა შემკული ჩუქურთმებით, გარს აკრავს სათოფურებიანი გალავანი, მონასტრის აღმოსავლეთით, მთაზე, აღმართულია ანტონ მარტყოფელისავე აგებული კოშკი — სეტი, რომელიც XIII-XIVსს. უნდა იყოს აშენებული. ოთხსართულიანი სამრეკლოს წარწერის თანახმად, იგი 1629 წელს აუგია ახვერდა კალატოზს მარტყოფის „საჭეთმპყრობლის" „ქისიფის მოურავის შვილის", ზაქარია ენდრონიკაშვილის ბრძანებით.

მარუთა სოფანინელი — მღვდელმთავარი, სოფანინელთა ქალაქის (სომხეთი, სპარსეთის საზღვართან) ეპისკოპოსი. ბერძნულად ამ ქალაქს მარტიროპოლი ეწოდებოდა. წმ. მარუთამ სირიულ ენაზე აღწერა იმ მოწამეთა ცხოვრებანი, რომელნიც სპარსთა მეფის, საპორის დროს ეწამნენ ქრისტიანობისათვის, აგრეთვე სხვა თხზულებანი („განმარტება სახარების", ლიტურგია, საგალობელნი, 73 კანონი და განწესება ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებისა და სხვ.). წმ. მარუთა მონაწილეობდა კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებისა (381 წ.) და ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების (383 წ.) მუშაობაში. იგი ბიზანტიის დესპანად ორჯერ იყო გაგზავნილი სპარსეთში. დიპლომატიური საქმიანობის გარდა იგი ქრისტიანობის პროპაგანდასაც ეწეოდა. მანვე გამოითხოვა შაჰისაგან დევნის დროს წამებულთა წმინდა ნაწილები და მარტიროპოლში გადმოასვენა. ამ ქალაქშივე აღესრულა იგი დაახლ. 422 წ. მარუთას ცხოვრება და მის ქალაქში გადმოსვენებულ წმინდანთა ხსენება („კსენება მოწამეთა, ქალაქსა შინა მდებარეთა წმიდათა მარტულთა") ქართულადაც უთარგმნიათ. დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. I, 228-231; აქ ხსენების დღედ აღნიშნულია 28 თებერვალი (სხვა წყაროებით — 16 თებერვალი).

მარუშიანი ზვიად — დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი, აფხაზთა მეფის, ლეონ III-ის (957-967) მოხელე, ჯაყეთის ერისთავი X ს. 60-იან წლებში. მარუშიანის ერისთავობის დროს აიგო კუმურდოს საყდარი (მარუშიანი იხსენიება ტაძრის სამშენებლო წარწერაში, 964 წ.).

მარუშიანი ზვიად — დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი X-XI სს. მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მოხელე — თრიალეთის ერისთავი X ს. 80-იან წლებში; მეცნიერთა ვარაუდით, იგი იყო შვილიშვილი ჯავახეთის ერისთავის, ზვიად მარუშიანისა და შვილი ჯავახეთის ერისთავის, ვაჩესი. იგი მოხსენებულია ზარზმის ხატის განმაახლებლის წარწერაში.

მარჩბივი (ძვ. ტყუპისცალი) — ასეა მოხსენებული საღვთო წერილში თომა მოციქული (იოანე 11, 16; 20, 24; 21, 2).

„მარწუხი" — ისტორიულ-პოლემიკური ხასიათის თხზულება ტიმოთე გაბაშვილისა (XVIII ს.). „მარწუხი" ნიშნავს მაშას, რომლითაც ნაკვერჩხალს იღებენ. აეტორს ასეთი სახელი ამოუღია ბიბლიიდან: ერთმა ანგელოზთაგანმა — ნათქვამია ისაია წინასწარმეტყველის წიგნში (თავი VI) — მიიღო მარწუხთა ნაკვერცხალი და შეეხო ისაიას ბაგეს, ამით მან განწმინდა წინასწარმეტყველი და პირში ჩაუდო სიტყვა, რომელიც ხალხისათვის უნდა ექადაგა მას. თაეისი თხზულებისათვის ასეთი სიმბოლური სახელი ტიმოთე გაბაშვილს იმიტომ მიუცია, რომ მასში ლაპარაკია შვიდ მსოფლიო კრებათა შესახებ, რომელთა დადგენილებანი და კანონნი განწმენდნენ ქვეყანას უკეთურებისაგან, როგორც ისაია განწმიდა ნაკვერცხალმა, და ასწავლიან მას ჭეშმარიტების სიტყვას. მაშასადამე, წიგნი, რომელშიაც გარკვეულია ეს საგანი, არის „მარწუხი", მიმწოდებელი ქვეყნისათვის განმწენდელი და განმანათლებელი ნაკვერცხლისა. მსოფლიო კრებათა შესახებ ისტორიული მონაცემების გარდა „მარწუხში" მოყვანილია ექსცერპტები მწვალებელთა მოძღვრებებიდან და მათი დამარღვეველი საბუთები საღვთო წერილისა და წმინდა მამათა თხზულებებიდან. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: S 3244; ქუთ. 48 და სხვ.

მარწუხი — საზიარებელი კოვზის მნიშვნელობით იხმარება „დიდი სჯულისკანონის" უძველეს ქართულ ხელნაწერებში (A 76; A 124; ქუთ. 25 და სხვ.).

მარხვა – განსაზღვრული დროით ყველგვარი, ან ცალკეული სახის საკვების (განსაკუთრებით ხორცის, რძის პროდუქტების, კვერცხის, თევზის) აკრძალვის რელიგიური წესი. მარხვა საწყისს უძველეს დროში იღებს, მას რელიგიურად განწმენდის მნიშვნელობა ენიჭებოდა. მარხვის მაგალითი ქრისტიანებმა აიღეს იესოს ორმოცდღიანი მარხულობიდან (მათე 4, 1-2; ლუკა 4,1-2), თუმცა მარხულობის ჩვეულება იუდეველებსაც ჰქონდათ (მარკოზი 2,18; ლუკა 2,37; 5,33; 18,12). ძველი ჩვეულებით, მარხულობა უკავშირდება მწუხარებას (მათე 9,14-15; მარკოზი 2,18-20; ლუკა 5,33-35). ებრაელები მარხვის დროს გლოვის ნიშნად თავზე ნაცარს იყრიდნენ და საქეყნოდ აცხადებდნენ თავის მარხვას (მათე 6,16). ასეთი ღვაწლი იესოსათვის მიუღებელი იყო. იგი ასწავლიდა მოწაფეებს: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაჲთა არა ეზუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 6,17-18). მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულია 4 ხანგრძლივი მარხვა: დიდი მარხვა (7 კვირა), მოციქულთა (პეტრე-პაულობის) მარხვა (I-დან 5 კვირამდე; მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია აღდგომის დღეზე), მიძინების მარხვა (2 კვირა), ქრისტეს შობის მარხვა (6 კვირა). არსებობს აგრეთვე ერთდღიანი მარხვები: ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დღესაც (ჯვარის ამაღლების დღე – 14 სექტემბერი; ნათლისღების წინადღე – 5 იანვარი; იოანე ნათლისმცემლის თაყვანისცემის დღე – 29 აგვისტო). მართლმადიდებლურ ეკლესიაში წელიწადში დაახლოებით 200 მარხვის დღეა. კათოლიკეებში უარყოფს მრავალდღიან მარხვებს. კათოლიკეები მარხულობენ მხოლოდ დიდი მარხვის პირველი კვირის ოთხშაბათს, ენების კვირის პარასკევს, მიძინებისა და შობის წინადღეს. პროტესტანტიზმში (ანგლიკანური ეკლესიის გამოკლებით) სავალდებულო მარხვის დღეები არ არის.

ისლამში მთავარი მარხვა არის ურაზა, რომლის დროსაც რამადანის თვეში ყოველდღე, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მორწმუნეებს ეკრძალებათ ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა და სხვ. არსებობს ინდივიდუალური მარხვაც (მორწმუნის აღთქმის შესაბამისად). ინდუიზმში არსებობს საზოგადოებრივი (გლოვის ნიშნად) და ინდივიდუალური მარხვა.

მარხვის თემაზე ქართულ ენაზე არსებობს შემდეგი თხზულებები: 1. „მარხვისა და ლოცვისათჳს და მომთრალეთათჳს“ – იოანე ოქროპირის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. შეტანილია „ასკეტიკონში“ (A 143). 2. „შემოსლეისათჳს წმიდათა მარხვათასა“, გრიგოლ ნოსელის თხზულება, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, დაცულია ხელნაწერში A 1101. 3. „მარხუათათჳს“ გრიგოლ ნოსელის ჰომილია, თარგმნ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. დაცულია ხელნაწერში A 50,164-191. 4. „მარხჳისათჳს“ – საერთო სათაური იოანე ოქროპირის რამდენიმე სიტყვისა, რომლებიც დაცულია ხელნაწერებში: A 95,443-447, Sin. 86,9-22; Ath. 99, A 1109; A 56,5v-6v, 6v-22r; A 73,1-5. 5. „მარხჳისათჳს“ – იოანე ოქროპირის ასკეტიკური თხზულება, დაცულია ხელნაწერში Ath. 9 (X ს.). გამოცემულია ილია აბულაძის მიერ („მამათა სწავლანი“, 1955 წ., გვ. 25-26). 6. „მარხჳისათჳს და განწმედისათჳს სულისა და ძირუესენებლობისათჳს“ – იოანე ოქროპირისა (Ath. 9 (X ს.); Sin. 36 (XI ს.) – „მამათა სწავლანი“, გვ. 26-44. 7. „შემოსლეისათჳს მარხუათასა“, ანასტასი სინელის თხზულება, თარგმანი თეოფილესი (ქუთ. 8,29-40; A 5,98-120). 8. „მარხჳისათჳს“, ბასილი დიდის სწავლა, შეტანილია მის „ჰექაში“. ქართულად მოიპოვება ამ თხზულების სამი თარგმანი: ეფთვიმესი (Ath. 49,58-68), მეორე – ძველი (A 1109,41-47; Ath. 11,290-292) და მესამე – ახალი (ქუთ. 8,972-987). პირველი გამოცემულია 1983 წ. ც. ყურციკიძის მიერ (ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე პირნელისეული თარგმანი). 9. „მარხჳისათჳს, თჳი მეორე“ – ბასილი დიდის თხზულება, შეტანილია ხელნაწერში: Ath 32, ფ. 68-79. 10. „მარხუათათჳს“ – ბასილი დიდის ჰომილია, ეფრემ მცირის თარგმანი (A 129,161-171; 272).

„მარხვანი“ – ქრისტიანული საეკლესიო-სახურო წიგნი, რომელიც შეიცავს საეკლესიო წელიწადის მოძრაჲი პერიოდის – დიდი მარხვისათვის დაწესებულ საგალობლებს (მეზვერიხა და ფარისეველის კვირიდან დაწყებული პასექამდე). „მარხვანის“ ის რედაქცია, ქართულ ღვთისმსახურებაში რომ დამკვიდრებული, უკავშირდება კონსტანტინეპოლის სტუდიელთა მონასტრის ჰიმნოგრაფიულ სკოლას და მიეწერება თეოდორე სტუდიელს (IX ს.), თუმცა მასში შესულია საბაწმიდელ ჰიმნოგრაფთა – ანდრია კრიტელის, იოანე დამასკელის, კოზმა მგალო-

ბელის საგალობლები. ქართულ სინამდვილეში „მარხვანი“ XI ს-დან გაჩნდა. მისი თარგმნა ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების სახელებთანაა დაკავშირებული. მანამდე დიდმარხვის საგალობლები შედიოდა ჯერ ქართულ ლექციონარში, შემდგომ – ძველი და ახალი რედაქციის იადგარებში. „მარხვანის“, როგორც საგალობელთა კრებულის სპეციფიკა ისაა, რომ სადა დღეებისათვის მასში შეტანილია მხოლოდ 3 გალობისაგან შემდგარი კანონები, ანუ ხელდრნი. ამის გამო კრებულს ტრიოდიონიც ეწოდება. ეფთვიმე მთაწმიდელს რამდენადმე შემოკლებით უთარგმნია „მარხვანი“, სამაგიეროდ დაუმატებია ზოგიერთი დასდებელი (სინანულისა). ამასთან, საგალობლის ხმებიც შეუცვლია. გიორგი მთაწმიდელს სრულად უთარგმნია მარხვანი და ანდრია კრიტელის საგალობლები, მაგრამ ეფთვიმეს ავტორიტეტის პატივისცემით „შემატებათათვის“ ხელი არ უხლია და უცელელად დაუტოვებია. ამით წიგნი გაზრდილა და დამძიმებულა. დაჟით აღმაშენებელს უბრძანებია ცნობილი მეცნიერისა და მისი მოძღვრის – არსენ ბერისათვის – შესამედ, შეუცვლელად ეთარგმნა ეს წიგნი, ხოლო ქართული გალობის უალრესად მცოდნე ხელოვანს, ქართლის კათალიკოსს, იოანესათვის დაუვალებია ქართულ კილოზე გაეწყო საგალობელნი, ვინაიდან ბერძნული გალობა არ ეწყობოდა ქართულს. ამ თარგმანთა ნუსხები მოთავსებულია ხელნაწერებში: Sin. 70; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 5 და სხვ. XV-XVI სს-ში ქართულად ითარგმნა „მარხვანის“ იერუსალიმური რედაქცია. XVIII ს-ში „მარხვანი“ შესწორდა სლავური თარგმანის მიხედვით, დაიბეჭდა 1741 წელს. ამის შემდეგაც რამდენჯერმე გამოიცა საღეთისმსახურო დანიშნულებით.

„მარხვანის დაწყება“ – ტექნიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მარხვანის (საღვთისმსახურო წიგნის) კითხვის დაწყებას. „მარხვანის“ კითხვა იწყება სამი კვირით ადრე დიდი მარხვის დაწყებამდე, კერძოდ, მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკეს. იხ. მარხვანი.

მარხულობა – მარხვის დაცვა. სულხან-საბას განმარტებით, „მარხვა“ არს „შენახვა“, ვინაითგან ვიტყვით უნჯთა დამარხვასა, ანუ ცხოველთა, ანუ მკვდართა დამარხვასა; აგრეთვე მუცლისა, ენისა, ხვაშიადისა და სწავლისა შენახვასა მარხვად სახელ-ედების. ხოლო მარხულობა იგი არს, ოდესაც განწესებულთა დღეთა ანუ საკანონოთათვის რაოდენ დღე (რამდენიმე დღის განმავლობაში) მარხულობითა ვიმარხებოდეთ და დღეურ ერთგზის ეჭამდეთ. ხოლო კოლევიზმა – მარხულობა ძლიერი, ხორცთა ქენჯნისათვის“. იხ. მარხვა.

მარჯვენე – მარჯვენა ხელი (დაბ. 48,13; მათე 27,29; გამოცხ. 1,17-20), ბიბლიაში იხმარება ძალის, ღვთის საფარველის გაგებით. ფს. 117,15,16; 143,8,11; გოდება 2,5; საქმენი 2, 33; 5,31; ფარაჲდა ღმერთი რჩეულ ერს (ფს. 79, 18, შეად. 109,1; ზაქ. 13,7), მარჯვენის მიცემა – მშვიდობის, კაენშირის დამყარებას ნიშნავდა (1 მაკ. 11,62; 13,45; 2 მაკ. 11,26,30; გალატ. 2,9; 1 მაკ. 6,58).

მასონობა, ფრანკმასონობა (ფრანგ. თავისუფალი კალატოზი) – რელიგიურ-ეთიკური მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა XVIII ს. ინგლისში და შემდეგ გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, რუსეთში, დანიაში, შვეიცარიაში, ინდოეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. მასონები გაერთიანებული იყვნენ „ძმობის, სიყვარულის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების“ პრინციპების საფუძველზე. უარყოფდნენ საეკლესიო დოგმატებსა და კულტს. ამასთან, დასაშვებად მიაჩნდათ ნებისმიერი რელიგიის აღიარება. მათ თავის მოძღვრებაში შეიტანეს ქრისტიანობის, იუდაიზმისა და სხვა რელიგიათა ელემენტები. მასონები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ, ერთიანდებიან ადგილობრივ ორგანიზაციებში (ლოჟები), ხოლო ამ ორგანიზაციათა გაერთიანება ქმნის დიდ ლოჟას, რომლის სათაეშიც დგას გროსმაისტერი. მასონობის სახელწოდება, ორგანიზაციული ფორმა, იერარქია, სიმბოლური ნიშნები და სხვა ნიშანთვისება ნასესხია შუა საუკუნეების მშენებელ-კალატოზთა საამქრო გაერთიანების პრაქტიკიდან. თანდათანობით მასონობამ არისტოკრატიული ხასიათი მიიღო. მასში გაძლიერდა მისტიციზმის ელემენტები, შეიქმნა მდიდრული რიტუალიც. მასონობის მიმდევრები იყვნენ: პრუსიის მეფეები ფრიდრიხ I-დან ფრიდრიხ III-მდე; ინგლისის მეფეები (გეორგ IV, ედუარდ VII, ედუარდ VIII), შვეიცის მეფე გუსტავ III, აშშ-ის პრეზიდენტები ჯ. ვაშინგტონიდან ჰ. ტრუმენამდე, სახელმწიფო მოღვაწეები – ბ. ფრანკლინი, უ. ჩერჩილი, ფილოსოფოსები და მწერლები (გ. ე. ლესინგი, ვოლტერი, ი. გ. ფიხტე, ი. ვ. გოეთე, კ. მ. ვილანდი, ი.გ. პერდერი და სხვ.), კომპოზიტორები (ვ. ა. მოცარტი, ი. ჰაიდნი).

მასონობის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ რომის პაპები. 1738 წ. გამოქვეყნდა რამ-

დენიმე ბულა; მათში მასონობა გაკიცხეს, ხოლო კათოლიკე მასონები განკვეთეს ეკლესიისაგან.

მატათა, მატათია († დაახლ. 63) — წმ. მოციქული, ერთ-ერთი „ათორმეტთაგანი"; დაიბადა ბეთლემში, წარმოშობით იუდას ტომს ეკუთვნოდა. ბავშობაში იგი სწავლობდა საღვთო სჯულს წმინდა წიგნებით, სიმონ ღვთისმიმრქმელის ხელმძღვანელობით. როცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოეცილინა კაცობრიობას, წმ. მატათამ იგი მესიად შეიცნო, განუშორებლად მისდევდა მას და არჩეული იყო 70 მოწაფის კრებულში, რომელნიც „წარავალინნა ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბებსა, ჯერეულ ეგულებოდა მას მისლვად" (ლუკა 10,1). უფლის ამაღლების შემდეგ მოციქული მატათა წილისყრით არჩეული იყო 12 მოციქულთა შორის იუდა ისკარიოტელის ნაცვლად (საქმენი 1, 15-26). სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ მოციქული მატათა სახარებას ქადაგებდა იერუსალიმსა და მთელ იუდეაში სხვა მოციქულებთან ერთად (საქმენი 6,2; 8,14). იერუსალიმიდან მოციქულ პეტრესა და ანდრიასთან ერთად იმოგზაურა სირიის ქალაქ ანტიოქიაში, კაპადოკიის ქალაქ ტიანში და სინოპში. აქ მოციქული მატათა ჩაგდეს საპყრობილეში, სადაც იგი „სასჯაულებრივად განთავისუფლა წმ. მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. ამის შემდეგ მოციქული მატათა მოგზაურობდა ამასიაში, პონტოს სანაპირო ქალაქში. მოციქულ ანდრიას მე-3 მოგზაურობის დროს წმ. მატათა მასთან ერთად იყო ეფესასა და სებასტიაში. საეკლესიო გადმოცემით, იგი ქადაგებდა აგრეთვე პონტოს ეთიოპიასა (ახლანდელი დასავლეთ საქართველო) და მაკედონიაში. ანდრია მოციქულსა და მატათას საქართველოში რომ უქადაგიათ, ამას აღნიშნავს არსენი „წინოს ცხოვრებაში" (იხ. ძეგლები, წ. III, გე. 9). წმ. მოციქული მრავალგზის ჩავარდნილა სასიკვდილო განსაცდელში, მაგრამ უფალი იცავდა მას სახარების შემდგომი ქადაგებისათვის. ბოლოს იგი დაბრუნდა იუდეაში და აგრძელებდა თანამშმაულეთა განათლებას. იგი ახლენდა დიდ სასწაულებს იესო ქრისტეს სახელით და მრავალიც მოაქცია სარწმუნოებაზე. იუდეის მღვდელმთავარმა ანანმა განკარგულება გასცა მისი შეპყრობისა და სინედრიონის სასამართლოზე წარდგენის შესახებ. მოციქულ მატათას სინედრიონმა სიკვდილი მოუსაჯა და იქვე ჩაქოლა ქვებით. როცა წმ. მატათამ სული განუტევა, იუდეველებმა, დანაშაულის მისაჩქმალავად, მოაკვდეს თაკი, თითქოსდა კერპის მოწინააღმდეგე ყოფილიყოს. სხვა წყაროს თანახმად, მოციქული მატათა ჯვარს აცვეს (ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ იგი აღესრულა კოლხეთში). მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა იგი დაახლოებით 63 წელს. ხსენების დღე — 10 აგვისტო.

მატანი — სოფელი ახმეტის რაიონში, მდ. მატანისწყლის (ალაზნის სისტემა) ნაპირებზე. ახმეტიდან 5 კმ. სოფლის დასავლეთით, 3-4 კმ-ზე დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სამონასტრო კომპლექსი „ცხრაკარა". ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს „დიდშენი" მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. კომპლექსში შედის გალავანში მოქცეული რამდენიმე ეკლესია და სხვა ნაგებობები. მონასტრის მთავარი შენობა, V-VI სს. სამნავიანი ბაზილიკა, აგებულია რიყისა და ნატეხი ქვით. ინტერიერის ზოგიერთი ნაწილი შირიმის გათლილი კვადრებით არის ამოყვანილი. ბაზილიკას სამხრ. და ჩრდ. მხრიდან ეკერის ერთნავიანი ეკლესიები, რომლებიც VIII-IX სს-ში ბაზილიკის შეკეთების დროს მოუშენებიათ. XV-XVI სს-ში ჩრდ. ნაცსა და ჩრდილოეთით მიშენებულ ეკლესიაზე სამრეკლო დაუშენებიათ. ამავე ხანას მიეკუთვნება მოხატულობაც. ბაზილიკის დასავლეთით კარგად გათლილი ქვის კვადრებით მოპირკეთებული გეიანდელი შუა საუკუნეების მცირე ზომის ეკლესია დგას. თვით სოფელში რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები წმ. ნიკოლოზის ეკლესია (XVI ს.) და შუა საუკუნეთა ციხე-სიმაგრის ნანგრევებია. სოფლის მახლობლად შემორჩენილია სასახლის ნანგრევები. მატანის მიდამოებში არის ორი სხვა მონასტერიც: წმ. მარინესი („ფრიად შეუნერ-კეთილ-ნაგები") — კურტანაძეულების ხეში და ე.წ. „გუმბათიანი საყდარი", XI ს. მეორე ნახევრის ძეგლი, იქვე ახლოს, ტყით დაფარულ ბორცვზე.

მატენადარანი — სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ძველი სომხური ხელნაწერების უდიდესი საცავი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერევანში. შეიქმნა 1920 წელს ეჩმიაძინის ხელნაწერთა ნაციონალიზებული კოლექციის ბაზაზე. მატენადარანის ფონდებშია 12960 სომხ. მანუსკრიპტი, 100000-ზე მეტი ძველი საარქივო დოკუმენტი, 2000-მდე ხელნაწერი არაბულ, სპარსულ და სხვა ენებზე. მატენადარანში არის V-XVIII სს. ხელნაწერები, XVI-XVIII სს. პირველნაბეჭდი და ძველნაბეჭდი

სომხური წიგნები. იქვეა დაცული მრავალი ქართული ხელნაწერიც.

მატერიჰი (ლათ. mater – დედა) – ჰაგიოგრაფიული კრებული, დედათა ცხოვრების წიგნი. ძველ ჰაგიოგრაფიულ კრებულებში, ჩვეულებრივ, შეჰქონდათ როგორც წმ. მამათა, ისე წმ. დედათა ცხოვრებისა და წამების ამსახველი ნაწარმოებები. ზოგჯერ დედათა ცხოვრების წიგნებს ცალკე ადგენდნენ, მამათა ცხოვრებისას – ცალკე (იხ. პატერიკი). პარხლის მრავალთავისა (XI ს.) და ბოლნელს წიგნსაცავს XI ს. ქართული მრავალთავის II ნაწილი მატერიკია (მამათა ცხოვრებანი გაერთიანებულია I ნაწილში).

მატიანე (მატიანი) – საისტორიო ჩანაწერთა კრებული ძველ საქართველოში. ეს ტერმინი გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიის უძველეს ნუსხებში. თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ ნუსხის სახით გადმოცემულ ამბებს. ბიბლიაში მატიანის სინონიმად იხმარება „წიგნი მეფეთა საკსენებელთა“ (მატიანე, სულხან-საბას განმარტებით, „სალმრთო წერილთა, ძველთა და ახალთა, ორთავე სახელით. მატიანედ ითქმის მეფეთა ცხოვრებანიცა; მატიანე არს აღწერილნი მოსახსენებელნი საქეყნოთა განსაგებელთა და წესთანი“). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან მოხსენებულია „ძველი მატიანე ქართლისა“. ი. ჯავახიშვილის აზრით, აქ იგულისხმება ის საისტორიო თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ წინ უძღვის დავით აღმაშენებლის ისტორიას. ეფრემ მცირის (XII ს.) ცნობით, ყოფილა „წიგნიდათა მატიანეებიც“. მატიანები ჰქონდათ ეკლესია-მონასტრებსაც. XIII ს. ერთ-ერთი სამონასტრო წესდება გვაუწყებს, რომ მონასტრებს სწირავდნენ სწერ მასალას მატიანეებისათვის, რომელსაც ბერები ინაწილებდნენ. მელქისედეკ კათოლიკოსის საბუთში (XI ს.) მოხსენებულია „მატიანენი სააღაპენი“, ე. ი. სააღაპე ჩანაწერების კრებულები. სამონასტრო მატიანეთა განსაკუთრებული სახე იყო ე. წ. „სულთა მატიანე“ (შემწირველთა მოსახსენებლების კრებული), რომელსაც ადგენდნენ დიდ და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მონასტრებში და საყდრებში. მონასტერი, ან საყდარი თითოეულ შემწირველს ჯილდოდ უწესებდა წირვის დროს მოხსენიებას, რაც სათანადო ჩანაწერით – მოსახსენებლით ფორმდებოდა წიგნში. წლებისა და საუკუნეების მანძილზე წიგნებში გრძელდებოდა ასობით ასეთი ჩანაწერი, რომელთაც შემდეგ თაეს უყრიდნენ ერთ წიგნში – „სულთა მატიანეში“ და იხსენებდნენ ხოლმე წირვის დროს, განსაზღერულ დღეებში. დიდი „სულთა მატიანეები“ შედგენილი იყო განსაკუთრებული გეგმით: შესაულის შემდეგ მოსახსენებლები იყოფოდა ნაკეთებად. თითოეულ ნაკეთში გაერთიანებული იყო ერთნაირი წოდების პირთა (მეფეთა, დედოფალთა, დიდ ფეოდალთა, ეპისკოპოსთა, დაბალი რანგის სასულიერო პირთა, დაბალი ფენების წარმომადგენელთა და სხვ.) მოსახსენებლები. შემოგვრჩა სინის მთის ქართველთა მონასტრის, ტბეთის საყდრის, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის, გერგეტის საყდრის, ნიკორწმინდის მონასტრის და სხვ. „სულთა მატიანეები“.

მატო მღვდელი – გრიგოლ ხანთელის მეგობარი და თანამოღვაწე VIII-IX სს. გრიგოლის ლოცვა-კურთხეით გაწეწილა მერეს დედათა მონასტრის მღვდელმსახურად და 40 წელი იღვაწა იქ. მოხსენებულია „გრიგოლ ხანთელის ცხოვრებაში“ (ძეგლები, I, 263-286).

მატრონა – განთქმული მონაზონი ქალი, წარმოშობით პამფილიელი (მცირე აზია). მისი ქმარს, დომეტიანეს არ მოსწონდა მისი ქრისტიანული სათნოება, ლოცვა და მარხვა, ეკლესიაში ხშირად სიარულსაც უშლიდა. ხანგრძლიეი ყოყმანის შემდეგ მატრონამ გადაწყვიტა ოჯახის მიტოვება და მონაზვნად აღკეცვა, მაგრამ იმის შიშით, რომ შეძლებული ქმარი მას ყველგან მოძებნიდა, მამკაცურად შეიმოსა და მამათა მონასტერს შეაფარა თავი, ბაბილას სახელით. რამდენიმე ხნის შემდეგ სავანის ღუმენმა ჩვენება ნახა – მონაზონი ბაბილა სინამდვილეში დედაკაციაო. როცა დარწმუნდა ღირსი მატრონას ზრახვათა სიწმინდეში, მან ლოცვა-კურთხევა მისცა, ქ. ემესის დედათა მონასტერში გადასულიყო. ამ სავანეში მრავალი წელიწადი გაატარა ღირსმა დედამ და როდესაც ღუმენია გარდაიცვალა, მონაზონთა ერთსულოვანი სურვილით სავანის წინამძღვარიც გახდა. ამ დროს მატრონას ყოფილმა ქმარმა შეიტყო მისი ადგილსამყოფელი. ამიტომ მატრონა იძულებული შეიქნა სხვა სავანეში გადასულიყო. იგი ჯერ იერუსალიმში წაიღა, შემდეგ სინის მთაზე, ბოლოს ქ. ბერიტში. აქ მატრონამ ახალი მონასტერი დააარსა და მშრომლობისად აღსრულა დაახლ. 100 წლისა 492 წ. ახლოს. ქართული თარგმანი ღირსი დედის მატრონას მეტაფრასული „ცხოვრებისა“ დაცულია ხელნაწერში: S 380,612-635. არსებობს მეორე თარგმანიც, თეოფილე ხუცესმონაზონისა, რომელიც შემორჩენილია ფრაგმენტულად ხელნაწერში

Ath. 36,1-3. ხსენების დღე – 9 ნოემბერი.

მატრონა თესალონიკელი – მოწამე III-IV სს. იგი იყო მონა თესალონიკელი მხედართმთავრის ცოლის, ებრაელ პატილასი. თავისი პატრონი აიძულებდა მას ებრაული სჯულის მიღებას, მაგრამ ქრისტიანი მატრონა უფრო იმტკიცებდა თავის სარწმუნოებას და ჩუმად დადიოდა ეკლესიაში სალოცავად. ეს რომ პატილამ გაიგო, განრისხებულმა უწყალოდ სცემა და დაამწყვდია იგი. მეორე დილას პატილამ ნახა, რომ რაღაც უხილავი ძალით წმ. მატრონა ბორკილებიდან განთავისუფლებულიყო და ლოცულობდა. ბოლოს იძღენი სცემა შეუბრალებელმა პატილამ, რომ წმ. მოწამე ძლივსღა სუნთქავდა და ერთი დღის შემდეგ აღესრულა კიდეც. მოწამის სხეული პატილას ბრძანებით გადაავდეს ქალაქის გალაენიდან. ქრისტიანებმა ნახეს იგი და პატივით დაკრძალეს. თესალონიკელმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ტაძარი ააგო წმ. მოწამის, მატრონას სახელზე და ამ ტაძარში იყო დასვენებული მისი წმ. ნაწილები, რომლებსაც სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა.

წმ. მატრონას მეტაფრასული „წამება" დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 2, 360-365. ხსენება დადებულია 27 მარტს.

მაფუცებელი – საეკლესიო მსახური ქრისტიანობის აღრეულ პერიოდში. მისი მოვალეობა იყო მოსანათლეთა გამზადება ჯერ სახლში და შემდეგ ეკლესიაში, ფიცის ჩამორთმევა ძველ სარწმუნოებაზე უარის თქმის შესახებ. ლაოდიკიის კრებაზე მათ მოვალეობას პირველი ნაწილი ჩამოშორდა, ე. ი. ეკლესიის გარეთ აღარ შეიძლებოდა არაკეთილი წესის შესრულება (26-ე კანონი). შემდეგ თანდათან გაქრა მაფუცებლის საჭიროება და მისი მოვალეობის შესრულება მომწათვლელს – მღვდელს დაეკისრა (იხ. დიდი სჯულისკანონი: ლაოდიკიის კრების (343 წ.) 24-ე კანონი (გვ. 256, 17) და ანტიოქიის კრების (341 წ.) მე-10 კანონი (გვ. 249, 26).

მაქსიმე მოწამე – ეწამა ტერენტიოს, აფრიკანოს, პომპიოს და კიდევ სხვა 36 მოწამესთან ერთად, იმპერატორ დეკიუსის (249-251) დროს. მაქსიმე და მისი თანამოწამენი წარმოშობით აფრიკელები იყვნენ. დეკიუსის ბრძანებით აფრიკის განმგებელმა ფორტუნატიანემ გამოაცხადა, რომ ყველა მის ქვეშევრდომს მსხვერპლი უნდა შეეწირა კერპებისათვის, თუ არა და, ყველას წამებითა და სიკვდილით ემუქრებოდა. ბევრი ქრისტიანი, ტანჯვა-წამების შიშით, დათანხმდა წარმართულ მსხვერპლშეწირვაზე, მაგრამ ორმოცმა წმ. მოწამემ, მათ შორის მაქსიმემ, უშიშრად აღიარა ქრისტიანობა. ხანგრძლივი წამების შემდეგ მაქსიმესა და მის თანამოაზრეთ თავები მოჰკვეთეს. წმ. მოწამეთა – ტერენტიოსის, აფრიკანოსის, მაქსიმეს, პომპიოსის და სხვათა მეტაფრასული „წამება" ქართულადაც უთარგმნიათ: (ქუთ. 2, 253-260). აქ ხსენების დღედ აღნიშნულია 21 მარტი. ცნობილია 40 აფრიკელი მოწამის ხსენების სხვა დღეებიც – 10 აპრილი და 28 ოქტომბერი.

მაქსიმე მოწამე – ეწამა ძმებთან – დადა და კვინტილიანესთან ერთად იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს, დაახლ. 286 წ., ქ. დიოსტოლში. გამბგებელმა ტარკვინიუსმა წმ. მაქსიმეს შესთავაზა, რომ თუ ქრისტეს განუდგებოდა, ზეესის ტაძრის ქურუმად დანიშნაედა. მაქსიმემ და მისმა ძმებმა უარყვეს განმგებლის მაცდუნებელი წინადადება და შეურაცხყვეს წარმართული კერპები. ხანგრძლივი წამების შემდეგ სამივე ძმას თავები მოჰკვეთეს. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 7,389-396. ხსენების დღეა 28 აპრილი (ქართული წყაროებით – 27 აპრილი).

მაქსიმე მოწამე – ეწამა ქალაქ ანდრიანოპოლისში იმპერატორ მაქსიმიანეს (დაახლ. 305-311 წწ.) დროს, თრაკიის მმართველის, ტირისის მიერ. მასთან ერთად აწამეს თეოდოტი, ისიხი და ასკლიპიოდოტი. ხსენების დღე – 19 თებერვალი. ზოგიერთ კალენდრებში ხსენება დადებულია 15 სექტემბერს. მათი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 1, 77-80.

მაქსიმე აღმსარებელი († 662) – ბიზანტიელი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი, არეოპაგიტული წერილების კომენტატორი და სხვადასხვა „სწავლათა" ავტორი. ახალგაზრდობაში – სახელმწიფო მოღვაწე, 613-14 წლიდან – მონაზონი. 645 წ. კართაგენში გაიმართა მონოთელიტებთან დისპუტი, რომლებსაც სახელმწიფო მფარველობდა. 653 წ. შეასწრეს. 662 წ. სახელმწიფოს ღალატი დასწამეს და მოჰკვეთეს ენა და მარჯვენა ხელი. მასვე დაბრალეს მწვალებლობა (თითქოს იგი მარიამს ღვთისმშობლად არ თვლიდა). გარდაიცვალა გადასახლებაში. გადმოცემით, დასაფლავებული უნდა იყოს ლეჩხუმში, სოფ. შურში. ხსენების დღეებია – 1, 13 აგვისტო, 21 იანვარი. მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრება" აღწერა თეოდორე სპუდეოსმა (მიეწერება თეოდოსი განგრელისაც). ქართული

თარგმანი („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა“) ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს. ამავე თხზულებაში მოხსენებული არიან პაპი მარტინე და ანასტასი (მაქსიმეს მოწაფე). გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I, 60-103). თეოდორე სპუდეოსსე ეკუთვნის „მოთხრობაჲ ღუაწლისაჲ და ენებულებათა ღირსისა და აღმსარებელისა მაქსიმესთაჲ და ანასტასი მოწაფისა მისისაჲ და ამათ თანა მრავლად ღუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი“. ამ თხზულების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. I, 372-389. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები III, 271-310). მაქსიმე აღმსარებელის „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია დაცულია ხელნაწერში A 636. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I, 1918 წ., გვ. 60-63). მაქსიმე აღმსარებელის ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბდა არისტოტელეს, ნეოპლატონიზმისა და, განსაკუთრებით, არეოპაგიტიკის ძლიერი გავლენით. მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეპციის ცენტრში დგას ადამიანის პრობლემა. მაქსიმე აღმსარებელი ისტორიას 2 პერიოდად ჰყოფდა: ღვთის განკაცების წინა პერიოდად, რომელიც დამთავრდა ქრისტეს შობით, და ადამიანის განღმრთობის პერიოდად. თუკი ადამიანი დაძლევს პირველი ცოდვით განპირობებულ თვითგადაუცხებას, გათიშვას კაცებად და ქალებად, სულიერად და ხორციელად, — ღვთის ქმნილება, ადამიანი, კვლავ შეერწყმის შემოქმედს. მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკურ, პოლემიკურ და საღვთისმეტყველო თხზულებათაგან ქართულ ხელნაწერებში დაცულია შემდეგი: 1. სიტყვისგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროს კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა მწყალებელისა (A 636,33-41, S 1128). ამ თხზულებაში დარღეეული და განქიქებულია მონოთელიტური ქრისტოლოგია. 2. ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა, მრავალთა მონასტერთაჲსა, სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტარისა მაქსიმესგან (A 636,41-181). 3. თავნი ათხუთმეტნი ღმრთისმეტყუელებისათჳს (A 234; A 39; A 711). 4. სიტყვისგებისათჳს ვნებათაჲსა, მიწერილი მამისა თალასეს მიმართ (A 636, 181-232). 5. ელპიდის მიმართ ხუცისა „ოთხასეული“ წინა შესავალითურთ (A 39,218-328; A 234,1-85; A 711). 6. თარგმანებაჲ ძნიად გულისხმის საყოველთა სიტყუთა ქრისტეს შობისა საკთხაჲსათა გრჳოლ ღუთისმეტყუელისა (A 1,201-257). 7. სწავლაჲ მონისა ღმრთისა სერგის მიმართ მაგისტროსისა (A 1101,1139). 8. ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოველადწმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალებამდე (A 40,1-282; A 36,1-84; A 70,264-278; Jer. 148,95-133). 9. სწავლანი სულიერნი — ესაა 97 მოკლე სწავლა ზნეობრივი ხასიათისა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანი. ამოკრებილია მაქსიმეს სხვადასხვა თხზულებიდან (A 146,64-90; A 126,271-201). 10. სწავლათაგან წმიდისა მაქსი-მესსა, რომელი მეექუსისა კრებისაგან განბრწყინდა (A 166, 1-206; A 57, 1-204; A 57, 551-555). აქ გვაქვს კითხვა-მიგების სახით მთელი რიგი ახსნა-განმარტება ყოველდღიური ცხოვრების კაზუსებისა, ლაპარაკია ავრეთვე სულიერი მამისადმი მორჩილებაზე. 11. სიტყუანი სახარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მაქსიმეს თქუმულთაგან კითხვა-მიგების სახით (A 128,852-867). ეს და ყველა ზემოაღნიშნული თხზულება ნათარგმნია ეფთვიმე ათონელის მიერ. საფიქრებელია, რომ მაქსიმეს სწავლათა სამი კრებული ეფთვიმეს მიერ არის შედგენილი. 12. ორასეული — თავნი ღმრთისმეტყუელებისათჳს და ხორციელად განგებულებისათჳს ძისა ღმრთისა (A 234,85-153; A 711,57-80) — ნიკოლოზ გულაბერიძის თარგმანი. 13. ლოცვისათჳს „მამაო ჩუენოჲსა“ (ქუთ. 140), თარგმანი მისიე. 14. ეპისტოლენი (ქუთ. 14), თარგმანი მისიე. 15. მოკლე ტრაქტატები მონოფიზიტთა და მონოთელიტთა წინააღმდეგ (ქუთ. 14), თარგმანი მისიე. 16. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სქოლიონები (A 110; A 139; A163, A684) თარგმანი ეფრემ მცირისა. 17. პასქისათჳს (ქუთ. 17, 469-485) და სხვ.

მაძსიმე I (მაჭუტაძე; †1657, იერუსალიმში) — დასაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1639-57 წლებში. ადრე შემოქმედელი ეპისკოპოსი იყო. იბრძოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ საქმეში დახმარებლად 1634 წელს გორიდან გურიაში მიიწვია იტალიელი კათოლიკე მისიონერები. მაქსიმე I-მა ოდიშის მთავარს, ლევან II დადიანს აღადგენინა გაუქმებული ხოფის მონასტერი, მოაწესრიგა ოდიშში თავად-აზნაურთა საწესო-საკათოლიკოსო გადასახადების აკრეფის საქმე. 1640

წელს მასპინძლობდა ელჩინისა და ზახაროვის ელჩობას ლუან II დადიანთან, აგრეთვე ტოლოჩანოვისა და იეელეევის ელჩობას იმერეთის მეფესთან 1650-52 წწ. მაქსიმე I-მა სამჯერ იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც დიდი შეწირულება გაიღო ქართული მონასტრებისათვის.

მაქსიმე II (აბაშიძე; †1795 წ. 30. V) – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1776-95 წწ. ქუთათელი – ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტის წოდებით 1759-81 წწ. 1770 წლამდე რეზიდენცია ჰქონდა მაღლაკში, სადაც მცირე ეკლესია ააგო და გადმოასვენა ღვთისმშობლის ხატი. ენერგიულად იბრძოდა ტყვეებით მოვაჭრე თაეადთა წინააღმდეგ, ზოგიერთს უკანონე გამოასყიდინა ოსმალებისათვის მიყიდული ქართველები. 1777 წ. გურიისა და ოდიშის მთავრებს დაბრუნებინა მითვისებული საეკლესიო მამულები, აღადგინა საეპისკოპოსოები, აღკვეთა საკათოლიკოსო მამულების გაცემა მეფის მოურავებსა და მოხელეებზე. 1781 წ. სოლომონ I-თან უთანხმოების გამო მაქსიმე II აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, საიდანაც დაბრუნდა 1784 წელს, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ. 1768-69 წწ. მაქსიმე II სოლომონ I-ის ელჩი იყო რუსეთის სამეფო კარზე, 1784-86 წწ. კი – დავით II-ისა (ზურაბ წერეთელთან და დავით კონინიძესთან ერთად). პეტერბურგიდან უკან დაბრუნებული მაქსიმე კათოლიკოსი ასტრახანში დარჩა საცხოვრებლად. დაახლოებით 1792 წ. შემდეგ კიევს გაემგზავრა, სადაც გარდაიცვალა. დასაფლაებულია კიევის მღვიმეთა (კიევ-პეჩორის) ლავრაში.

მაქსიმე – XIV ს. ქართველი კალიგრაფი. მისი გადაწერილია სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებთა კრებული (A 146), რომელშიც შესულია დოროთეოსის თხზულება ბერობის შესახებ, მისიეე – იოანე წინასწარმეტყველის პასუხები დოროთეოსის შეკითხვებზე, მაქსიმე აღშარებელის „სწავლანი სულიერნი“, ეგვიპტის მეფის ასულის წმ. ნინოსმი „ცხოვრება“. ხელნაწერი შეძკულია ილუსტრაციებით.

მაქსიმე ტაოელი – XII-XIII სს. ქართველი კალიგრაფი, ასომთავრულით გადაუწერია მდიდრულად მორთული (საზედაო ასოებით, მინიატურებით და სხვა) ოთხთაეი, რომელიც იერუსალიმის ჯუარის მონასტრის ბიბლიოთეკას ეკუთვნის (Jer. 9). საეარაუდოა, რომ თეითონაც იქ მოღუაწეობდა.

მაქსიმე მაჭუტაძე – დაეითგარეჯის XVII-XVIII ს. წინამძღვარის, ონოფრეს ძმა (იხ. ძეგლები, წ.IV, გე. 441). XVII ს. მიწურულში ბოლნისის ეპისკოპოსი ყოფილა. მისი დაეალებით ბესარიონ ბარათაშეილ-ორბელიშეილმა 1696 წ. განაახლა და შეკაზმა ხელნაწერი A 198 (ფამისწირეა).

მაქსიმე ძიძიოძე – მღვდელი, გაბრიელ ეპისკოპოსის მამა, მოხსენებულია 1818 წლის ერთ საბუთში (ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. VI, გე. 518).

მაქსიმილიანე ეფესელი – ერთ-ერთი შეიდ ეუესელ ყრმათაგან (იამბლიქე, მარტინიანე, იოანე, დიონისე, ექსაკუსტოდიანე ანუ კონსტანტინე და ანტონინე), ეუესის ქალაქისათეის ეაეე. დაბარჩენი ექვსი ამაეე ქალაქის წარჩინებულთა ოჯახებიდან იყვნენ. ყველანი იმპერატორ დეკიოსის (249-251) არმიაში მსახურობდნენ. როდესაც იმპერატორმა მათი ქრისტიანობის ამბაეი შეიტყო, სამსახურიდან დათხოეა და გაყრათხილა, რომ თუ კერპთაყვანისცემლობას არ დაუბრუნდებოდნენ, წამებით სიკედილი მოელოდათ. ყრმები ქალაქის მახლობად ერთ-ერთ გამოქეაბულში დაიმალნენ და სულაც არ ფიქრობდნენ ქრისტიანული მრწამსის უარყოეას. განრისხებულმა იმპერატორმა გამოქეაბულის ამოქოლეა ბრძანა. იმ ხელოსანთა შორის, რომელთაც დაეალებული ჰქონდათ მღეიმის ამოქოლეა, ორი ქრისტიანიც იყო. მათ ამომქოლაე კედელში ჩაატანეს პატარა კიდობანი, რომელზედაც დაწერილი იყო შეიდი ყრმის სახელი და მათი მოწამებრივი სიკედილის გარემოებანი. უფალმა ყრმებს მოუელინა სასწაულებრივი ძილი, რომელიც თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა. იმ დროისათეის ქრისტიანთა დეენა უკეე შეწყეტილი იყო, მაგრამ თეოდოსი იმპერატორის (408-450) დროს გამოჩნდენ მწუალებლები, რომლებიც უარყოფდნენ მიცეალებულთა მკვდრეთით აღდგომას უფლის მეორედ მოსელის დროს. უფალმა ინება, მომაეალი საყოეელთაო მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო გამოეცხადებინა წმიდა ეუესელი ყრმების საშუალებით. 7 ეუესელი ყრმა უკეე ყველას დაეიწყებული ჰყაედა. მემამულემ, რომელსაც მღეიმის მისადგომები ეკუთვნოდა, განიზრახა იქ რაღაც ნაგებობის დადგმა. ამისთეის საჭირო გახდა მღეიმის ამომქოლაეი კედლის დანგრეეა. ამ საქმეს რომ მორჩნენ, უელის ნებით სწორედ ამ დროს გამოეიდნენ მღეიმეში დაძინებულმა ყრმებმა. მათ ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, რომ ეს იყო ჩეეულებრიეი ძილი, არც დაეჭეებულან, რომ მათი დაძინე-

ბიდან უკვე ორასამდე წელი გავიდა. მათი სხეული და სამოსელი უცვლელად იყო შემონახული. ეს ამბავი რომ გაიგო, ქალაქის ეპისკოპოსმა. მოვიდა იქ და მღვიმეში შესასვლელის მახლობლად დაყრილ ნანგრევებში იპოვა დაბეჭდილი კიდობანი, გახსნა იგი და წაიკითხა ფიცრებზე გაკეთებული წარწერები, რომლებიც ამცნობდნენ მას ყრმათა ვინაობას და იმპერატორ დეკიუსის მიერ მღვიმის ამოქოლვის გარემოებებს. როდესაც მღვიმეში შევიდნენ და ნახეს იქ შვიდი ყრმა, ორასი წლის წინ მღვიმეში შემწყვდეული და დაძინებული, მიხვდნენ, რომ ხანგრძლივი ძილისაგან მათი გამოფხიზლება არის საღვთო მინიშნება მკვდართა აღდგომის შესახებ. ამის შემდეგ იქ შეკრებილი ხალხის წინაშე შვიდივე ყრმამ თავი მიწაზე დადო და კვლავ დაიძინეს, ამჯერად უკვე მკვდართა საყოველთაო აღდგომამდე (ქრისტეს მეორედ მოსვლის დრომდე). წმ. შვიდი ეფესელი ყრმის ხსენების დღეებია: 4 აგვისტო — პირველი დაძინების დღე და 22 ოქტომბერი — გაღვიძების დღე (საღვთისმსახურო წიგნთა მიხედვით — მეორედ დაძინების დღე). წმიდა ყრმები მოიხსენიებიან აგრეთვე საეკლესიო ახალი წლის — 1 სექტემბრის ღვთისმსახურების დროსაც.

მაღაზანა — ერთ-ერთი მონასტერი დავითგარეჯის თორმეტ მონასტრთაგან, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი; მდებარეობს გარეჯის მრავალმთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს. მის მახლობლად გამოქვაბულთა რამდენიმე კომპლექსია განლაგებული (ქოლაგირი, პირუკუღმართი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები და სხვ.). უწინდელი „მღვიმისა“ და „ბაღანების“ ნაკვეთ დღეს „საბერეებს“ უწოდებენ (გ. გაფრინდაშვილი, ძველი ქართული კულტურის კვლევის სპეციალისტიკური პრობლემები და გარეჯის უდაბნო; სელეოლოგთა XII სამეცნიერო სესია, თბ., 1977, გვ. 7). ქვედა, რომელშიც ეკლესია-ქვაბია ნაკვეთი, იგივე ბერების სერი, სოფ. ქვემო ბოდბიდან (სიღნაღის რაიონი) სამხრეთით, დაახლ. 25 კმ-ითაა დაშორებული. ქვედა მდინარე შუაზე კვეთს. ქვედის ცენტრალურ ნაწილში ოთხმოცამდე ქვაბია (ბერების სერი), აღმოსავლეთ ფერდობზე — ქოლაგირის მონასტერი, დასავლეთ ნაწილში კი — საბერეები. საბერეების კომპლექსი მოყვითალო-ჟავისფერი ქვიშაქვის ფენაშია გამოკვეთილი. იგი ერთ იარუსად განლაგებულ რამდენიმე ეკლესიას, სატრაპეზოს და სხვადასხვა დანიშნულების სათავსს აერთიანებს. გამოქვაბულთა ნაწილი ჩამონგრეულია. შემორჩენილია ერთი დარბაზული და რამდენიმე გუმბათიანი ეკლესია. საბერეების მოხატულობისა და ფრესკული წარწერების შესწავლას ეძღვნება ზ. სხირტლაძის მონოგრაფია (საბერეების ფრესკული წარწერები, 1985 წ.; იხ. საბერეები).

მაღალაანთ ეკლესია — XII ს. დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს კასპის რაიონის სოფ. წინარეხთან (2,5 კმ.), მდ. კავთურის მარცხენა ნაპირზე. ეს მხარე XV ს-დან ძლიერ აზნაურებს — მაღალაძეებს ეკუთვნოდა. აქედანაა სახელწოდებაც. გეგმით სწორკუთხა, ერთნავიანი ეკლესია აღმართულია ორსაფეხურიან ცოკოლზე, გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრეთ ფასადის მთელ სიგრძეზე გასდევს ასევე ცილინდრული კამარით გადახურული ეგეტერი, რომლის აღმოსავლეთი, აბსიდით დასრულებული ნაწილი სამლოცველოს წარმოადგენს. ეკლესია ამ ტიპის ნაგებობათა ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშია საქართველოში. მისი პროპორციები მსუბუქი და პარმონიულია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები დამუშავებულია სამთაღედის სისტემით. საერთო დეკორატიული ეფექტისათვის ხუროთმოძღვარს ორი ფერის ქვა გამოუყენებია — ძირითადად ყვითელ-ქვიშისფერი, ხოლო ორნამენტული ფრიზისათვის, რომელიც მთელ შენობას უვლის გარს, მწვანე ქვა ჩაურთავს. ეკლესია შემკულია მაღალი ოსტატობით შესრულებული მდიდარი ჩუქურთმებით (სარკმლებისა და პორტალების საპირეები, კარნიზები, ჯვრისა და ფრინველების კომპოზიცია დას. ფასადზე). ინტერიერში შემორჩენილია განეთაურებული შუა საუკუნეებისა და XVII ს. მოხატულობის ფრაგმენტები. 1677 წ. ტაძარი შეუკეთებია ნიკოლოზ მაღალაძეს. ამაზე ხანებს მიეკუთვნება ეკლესიის მოხატულობა და კანკელი. მაღალაანთ ეკლესიის სამხრეთით აღმართულია სამრეკლო, რომელიც 1716 წ. ააშენა სოლომონ მაღალაძემ. სამრეკლოს ქვემო სართული გალაუანში შესასვლელს წარმოადგენს (ახლა ნახევრად დანგრეულია). გალაუნის შიგნით XVI-XVII სს-ის კიდევ ერთი სამრეკლოა. იგი პაპუა მაღალაძეს საძვალედ გადაუკეთებია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიისა და კოშკის მთელ ანსამბლს გადმოჰყურებს ზემო კოშკი, რომელიც აგრეთვე პაპუა მაღალაძემ ააშენა 1679 წ.

მაღალაძეები — ქართველი მწიგნობარ-კალიგრაფები, სოფ. წინარეხში (კასპის რაიო-

ნი) მცხოვრებ აზნაურთა გვარიდან. მაღალაძეები XV ს-დან დაწინაურდნენ და განსაკუთრებულ სიძლიერეს XVII ს-ში მიაღწიეს. მას შემდეგ, რაც „სოფლის ეითარებისგან პატიოსანი ივანიძის ძეთა საქადაგო სახლი და საკელო უმკეიდრო ქმნილიყო“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 191), მაღალაძეებს საგანგებოდ აქონდათ მცხეთის ქადაგის თანამდებობა: სახლთუხუცესობა და მღივანმწიგნობრობა. 1449 წ. უკვე ცნობილია „მცხეთის ქადაგი“ დიმიტრი მაღალაძე. XVII ს-ში ამ ფეოდალური სახლის შეთაური გახდა ნიკოლოზ ქადაგის ვაჟი — პაპუა მაღალაძე (1623-1681 წწ.), რომელიც „სვეტიცხოველისა და სამთაოს სახლთუხუცესი“ ყოფილა. თავსაწინო პიროვნება იყო ბერი ნიკოლოზი, სვეტიცხოველის ქადაგი (XVII ს.), თავისი მამის, პაპუას მსგავსად კომკებისა და ეკლესიების მაშენებელი და შემკეთებელი, კალიგრაფი. 1674-1704 წწ. იხსენიება ქადაგად, მღვდელმთავნაზონ-ქადაგად, არქიმანდრიტად და ქადაგ-არქიმანდრიტად (მისი აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ იხ. ე. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII სს. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B 1947, გვ. 195-217. მისივე: წინარეხი-გომბისჯვარი-სასხორი. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 6, 1943, 609-610; მისივე: მაღალაანთ ეკლესია, „ქართული ხელოვნება“, V, 1959, 205-219. იხ. აგრეთვე: ს. მაკალათია, კაეთურის ხეობა, 1960). ნ. მაღალაძე ამზადებდა ნუსხებს, იძენდა და სვეტიცხოველს სწირავდა ძველ ხელნაწერებს, გამოდიოდა ხელნაწერთა დამზადების ინიციატორის როლში და ა. შ. მისი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაგიოგრაფიული თხზულება: „ცხორებაჲ და შესხმაჲ ახლად მოწამეჲ გამორჩეულისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დაეკლნეს დაჳით გარეჯას ლეკთა უღმრთოთა“ (A 1367; „საქართველოს სამოთხე“, გვ. 611-615 ძეგლები, IV, გვ. 440-442). მას გადაუწერია სასულიერო თხზულებათა კრებული A 904. ნიკოლოზის სახელი გვხვდება XVII ს. მიწუროლის ხატებზე, მის მიერ შეკეთებული მაღალაანთ ეკლესიისა (წინარეხთან) და სვეტიცხოველის კედლებზე. ნიკოლოზის ბიძაშვილი სოლომონი (XVII-XVIII სს.) 1702 წ. კათოლიკოსის მღვიან-მწიგნობარ-მგალობელი იყო; მას ლამაზი მხედრულით გადაუწერია ბესარიონ ორბელიანის „გრდემლი“ (S 286), აგრეთვე ვახტანგის სამართლის წიგნების ერთ-ერთი უძველესი ნუსხა (S 3683), მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სტამბის საქმიანობაში (მისი დამზადებული უნდა იყოს ხელნაწერი ნიმუში სასტამბო მხედრული შრიფტისათვის). სოლომონს აუშენებია 1716 წელს წინარეხის „მაღალაანთ ეკლესიის“ სამრეკლო. ამაეე ხანებში მოღვაწეობდა ზურაბი, უფრო მოგვიანებით (XVIII ს.) — მერე ნიკოლოზი, ანტონ კათოლიკოსის კარის „პროტოკას-მღივან-ქადაგი“, რომელიც ამ თანამდებობაზე 1741-1769 და მომდევნო წლებშიც ყოფილა. 1761 წ. პეტერბურგში მას გადაუწერია „კრებული სამეცნიერო“ (სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი; სიტყვისგება სოგრატისი, H 1053). ისტორიული საბუთებიდან ცნობილია მახარებელი მაღალაძე — მღვდელი, სვეტიცხოველის ქადაგი, შეილი ოქროპირ მაღალაძისა, ძმა ეგნატის, დიმიტრისა და დაჳითისა, მამა მარკოზისა, მოხსენებულია XV ს. II ნახევრის საბუთებში: Hd 1352; Qd 6995 და სხვ.

„მაღალი დასაჯდომელი“ — უზედაესი საყდარი, საკარძელი საკურთხეველის აღმოსავლეთ მხარეს, კედელთან. იგი, როგორც წესი, იდგმება რამდენიმე საფეხურით შემაღლებულ ადგილზე. მასზე დაჯდომის უფლება აქეს მხოლოდ მღვდელმთავარს და ისიც წირვის გარკვეულ მომენტში — სამოციქულოსა და სახარების კითხვის დროს.

„მაღნისიელთა მიმართ“ — დოგმატიკური შინაარსის ეპისტოლე ეგნატე ღმერთშემოსილისა, ქართულად თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 55, 60, 66, 239, S 49, 1587). ქართული ტექსტი გამოქვეყნებულია 1988 წლის საეკლ. კალენდარში (გვ. 545-555).

მაღრანი — სოფელი ახმეტის რაიონში, მდ. მაჭარეულის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. ახმეტიდან 25 კმ-ზე სოფლის მიდამოებში, ტყეში არის გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია „წამებული“ (მოხატულობა XVI ს. ეკუთვნის), ხოლო მთაზე — ციხის ეკლესია გვიანი შუა საუკუნეებისა.

„მაყვალი შეუფველი“ — ეკლიანი ბუჩქი ქორების მთის მახლობლად, რომელზედაც, ბიბლიის გადმოცემით, ღმერთი გამოეცხადა მოსეს სა შთააგონა ისრაელის გამოხსნა ეგვიპტის მონობისაგან. მოსემ დაინახა, რომ ეს ბუჩქი ცეცხლმოდებული, მაგრამ არ იწვის (გამოსლ. 3,2). ამ ხილვას ეკლესიის მამები საეკლესიო საგალობლებში ხაღუმელო მშობელობას აძლევენ: შეუფველი მაყალი სიმბოლოა ყოველადწმიდა ღვთისმშობლისა, რომელიც ქალ-

წულადვე დარჩა მის მიერ მაცხოვრის შობის შემდეგაც. არსებობს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი „მაყვალი შეუწველი“, რომლის თაყვანისცემა დადებულია 4 სექტემბერს.

მაყვლოვანი – ადგილი მცხეთის მახლობლად, სადაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, თავს აფარებდა წმ. ნინო თავისი მოციქულებრივი მოღვაწეობის დასაწყისში. ქართლის მოქცევისთანავე IV ს. ამ ადგილზე აშენდა მცირე ზომის ეკლესია, რომელიც დღემდეა შემორჩენილი მცხეთის სამთაროს ტაძრის ეზოში.

მაშნაარი – სოფელი სილნაღის რაიონში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთისწინეთში, სიღნაღიდან 6 კმ. აქ დაცულია შუა საუკუნეების ღვთისმშობლისა და გიორგიწმიდის ეკლესიები.

მაშიზა ბერი – მოხსენებულია ფალას (ადგილი მესტიის რაიონის სოფლების – ლეზგარასა და ტვიბერს შორის) აწ უკვე დანგრეული ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში (წარწერანაი ქვა ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

მაჩხანი – ნასოფლარი თბილისის მახლობლად, დიღმის ხეობაში, სოფ. დიღმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. წოდორეთსა და ბეურეთს შორის, თბილისიდან 18 კმ. აქ შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ეკლესიის ფასადებზე არის მისი აგების თანადროული ორი ასომთავრული წარწერა, რომლებიც იუწყებიან, რომ ეკლესია წმ. თეოდორეს სახელზეა აშენებული. წარწერების თანახმად, ეკლესია აუგიათ 853 წელს, არაბთა ბატონობის ხანაში, იგი ერთ-ერთი აღრინდელი და ზუსტად დათარიღებული ძეგლია თბილისის მიდამოებში. ნაგებია ფოროვანი ტუფით. ცალკეული ნაწილები – ლავგარდანი, სამხრეთ შესასვლელის წარწერიანი არქიტრავი, აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული წარწერიანი ფილა და კედლის ზედა ნაწილების მოპირკეთება უფრო მკვრივი, მოყვითალო ფერის ქვისაა. შიგნიდან კამარები და აბსიდის კონქი ამოყვანილია რიყის ქვით. ინტრირერში შემორჩენილია მოგვიანო ხანის (XI ს.) მოხატულობის კვალი.

მაცდური – იგივე „გამომცდელი“ – ბოროტი სულის (ეშმაკის, სატანის) ეპითეტი. ასეა იგი მოხსენებული სახარებაში (მათე 4,3), სადაც, კერძოდ, მოთხრობილია, რომ ეშმაკმა გამოსცადა განკაცებული ძე ღვთისა – იესო ქრისტე და მისგან დამარცხებული უკუიქცა (მათე 4,1-11).

მაცხვარიში (სვან. მაცხოვრისა) – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. მესტიიდან 9 კმ. სოფლის მახლობლად, გორაკზე, შემორჩენილია XI ს. დასასრულისა და XII ს. დასაწყისის ერთნავიანი ეკლესია. თავდაპირველად მას სამხრეთიდან გარშემოსაელელი ჰქონია. ამჟამად დარჩენილია მისი მხოლოდ მცირე ნაწილი. ეკლესია შიგნით კედელ-კამარიანად მოხატულია. წარწერიდან ირკვევა, რომ კედლები XII ს. დასაწყისში მოუხატავს მიქაელ მაღლაკელს. ეკლესიის გვერდით აღმართული სამრეკლო XVII-XVIII სს. მიეკუთვნება. მაცხვარიშის ეკლესიაში დაცულია რამდენიმე ძვირფასი ხატი: 1. ქრისტე ტახტზე (XIII ს.), ზომები: 154X104 სმ. 2. ჯვარცმა (XIII ს.) ზომები: 157X101 სმ. 3. მთავარანგელოზი (XIII-XIV სს.). ზომები: 100X69 სმ. 4. ადიშის მთავარანგელოზი (XIII-XIV სს.) ზომები: 81X52 სმ.. 5. იოანე ნათლისმცემელი (XII ს.) ზომები: 52X41 სმ. 6. ადიშის ტრიპტიქონი: ღვთისმშობელი ყრმით, ხარება, მთავარანგელოზი (XVI-XVII სს.). მაცხვარიშიდანაა აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის ხატი XII-XIII სს-ისა (ზომები: 79X59 სმ.), მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი XI-XII სს. (ზომები: 75,5X46 სმ.), რომლებიც დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მესტიაში). საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია წმ. გიორგის მოზაიკური ხატი (XI-XII ს.). ზომები: 27X17 სმ. (წერილი კენჭები ცვილის საფუძველზეა დამაგრებული).

მაცხოვრება – მარადიული ცხოვრების მინიჭების ძალაუფლება, „ცხოვრების ქონება“ (სულხან-საბა), რომელიც, ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად, იესო ქრისტეს ეკუთვნის.

მაცხოვარი – მარადიული ნეტარი ცხოვრების მიმნიჭებელი, მხსნელი, „ცხოვრების (ცხოვნების) მოქმედი“ (სულხან-საბა); იესო ქრისტეს ყველაზე გავრცელებული ეპითეტი.

მაცხოვარება – ხალხური საეკლესიო დღესასწაული სოფ. ბელოთში და ვანათში (ცხინვალის რ-ნი), იმართება სამარიტელის (აღდგომიდან მეხუთე) კვირის ხუთშაბათს და „ყოველთა წმიდათა“ კვირაიკის მეორე დღეს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი – იხ. ხელთუქმნელი ხატი.

მაწვანი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ალგეთის ხეობაში, თეთრიწყაროდან 8 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

მაწყვერელი – აწყვრის ეპისკოპოსის წოდება, ტიტული.

მახათაშრი – სოფელი საჩხერის რაიონში, იმერეთის მაღლობზე, მდ. ლაშურის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სათავეში, საჩხერიდან 11 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში. სოფელში შემორჩენილია შუა უფოდალური ხანის ეკლესია.

მახარებელი – ასე ეწოდებათ იმ. წმ. მოციქულებს, რომელთაც დაწერეს ახალი აღთქმის უმთავრესი წიგნი – სახარება – იესო ქრისტეს განხორციელების, მისი ცხოვრებისა და მოძღვრების ამსახველი წიგნი. სახარება ქრისტეს მრავალმა მოწაფემ დაწერა, მაგრამ მათგან ეკლესიამ კანონიკურად სცნო ოთხი: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოვანესი. ამათ გარდა ცნობილია სხვა მოციქულთა (ე. წ. აპოკრიფული) სახარებანი, მაგრამ მახარებელი უწოდეს მხოლოდ ოთხ ზემოაღნიშნულ მოციქულს.

მახარობელი – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. მახარობელი (ნიკოლოზი) XVI ს. მოღვაწე, მღვდელი, მისი გადაწერილია ხელნ. Q 56.

2. ოქროყმასიძე, მომგებელი პეტრიწონის მონასტერში შესრულებულ XIII-XIV სს. ხელნ. H 1760 („დღესასწაულ... საკითხავნი").

3. ქვაბალია, ბერი... სამეგრელოს მთავრის, ეამეყ დადიანის (1384-1396) დავალებით ანდრონიკე ბერთან (გაბისულავა) ერთად კონსტანტინეპოლიდან ჩამოუყვანია მხატვარი კირ-მანუელ ეუგენიკოსი წალენჯიხის ტაძრის მოსახატად. არსებობს მოსაზრება, რომ ბერები – მახარობელიც და ანდრონიკეც მხატვრები იყვნენ და კირ-მანუელს ეზმარებოდნენ ტაძრის მოხატვაში. წალენჯიხის მოხატულობა XIV ს. ბიზანტიური მხატვრობის (ე.წ. პალეოლოგოსთა ეპოქის) დამახასიათებელი ნიმუშია.

4. XVII ს. ქართველი კალიგრაფი. მისი სახელი შემოგვინახა გიორგი წულუკიძის ბრძანებით გადაწერილმა წიგნმა – „მარხვანი" – A 1476 (28,8X20,4 სმ. 246 ფ.).

5. მემარნიშვილი, გვიანი შუა საუკუნეების ქართველი ოსტატი, მარკოზ „ვალატოზთან" (მემარნიშვილთან) და გიორგი გურიტიშვილთან ერთად იხსენიება ზემო ნიქოზის სამრეკლოს წარწერებში (როგორც ფასადზე, ისე ფანჩატურში). სამრეკლო ზუსტად დათარიღებული არაა. ეს არის თლილი ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი ნაგებობა. მეორე სართული არაა გამოყოფილი ცალკე ფანჩატურის სახით, როგორც ჩვეულებრივ კეთდებოდა, არამედ პირველ სართულთან ერთად შეადგენს მთლიან სწორკუთხა კომპისებურ მასივს. ქვემო სართული გალავანში შესასვლელია. სამრეკლოს უჩვეულო სახეს ანიჭებს მისი საბურავი, რომელსაც ორის ნაცვლად ოთხი ფერდი აქვს. ამის გამო ოთხივე ფასადი ზემოთ ფრონტონით მთავრდება. ფრონტონის წვეროებში ტრადიციული ცხვრისთავების ქანდაკებებია მოთავსებული.

მახაში – სოფელი ლენტეხის რაიონში, სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ლენტეხიდან 42 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია „თარგზეული".

მაჯლაჯუნა – ძველი ქართული წარმართული შესწირულებით ბოროტი და მავნე სული (ალებთან და ქაჯებთან ერთად). ექვემდებარებიან მავნე სულების მეუფეს. სულხან-საბას განმარტებით – „ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების სისხლის უძრაობისა მიერ და ესრეთ ჰგონებს, ვითარმედ დაწეა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე და განიერთხობს, გინა გვიანად აღმოიღებს ხმასა".

მაკრი ფრანცისკო-მარია (1612-1686) – იტალიელი კათოლიკე მისიონერი. 1637 წ. ჩამოვიდა გორში აციტაბალეს მოწვეთით. საქართველოში 8 წელი გაატარა. ლათინურად დაწერა ქართული ენის გრამატიკა და ორჯერ (1643 და 1670) დაბეჭდა რომში. წერნს ერთვის ტექსტები ქართული სახარებიდან. მაჯოს თხზულება პირველი ნაბეჭდი შრომაა ლათინურად, რომლითაც ევროპელებმა გაიცნეს ქართული ენა.

მაჯაიანა (სანსკრ. – დიდი ეტლი, ან დიდი გზა) – ბუდიზმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება (პინაიანასთან ერთად). ლიტ. ძეგლებში ძვ. წ. I საუკუნიდან იხსენიება. პინაიანასაგან განსხვავებით, მაჰაიანა ამსუბუქებს ბუდიზმის საბოლოო მიზნის – ნირვანის მიღწევის გზას. მაჰაიანას იდეალი არის ბოფისატვა – მაგალითი, ნიმუში სხვებისათვის. იგი არ ცდილობს განერიდოს ამ ქვეყანას მანამ, სანამ უკანასკნელი მოკვდავი არ ისარგებლებს მისი მაგალითით და არ მიაღწევს ნირვანას. ბოდჰისატვის უფრო კონკრეტული ცნება დაკავშირებულია პარამიტებთან (პიროვნებაში კეთილი თვისებების დაგროვება), კერძოდ: უდიდესი ზნეობის, უდიდესი ცოდნის, უდიდესი მოთმინების, უდიდესი ენერგიულობის, უდიდესი ცოდნისა და ა. შ. მაჰაიანის კულტში ცენტრალური ადგილი უჭირავს „ბუდას სამი სხეულის" სიმბოლიკას. მაჰაიანის რელიგიური სიმ-

ბოლიკა გულისხმობს ღვთაებათა რთულ პანთეონს, რომელშიც განხორციელებულია ამქვეყნიური ცხოვრებიდან საბოლოო განთავისუფლების პერსონალიზირებული ღირებულებანი. მაჰაიანას კანონიკურ ლიტერატურას საფუძვლად დაედო სუტრების 9 თავი (ე. წ. კაიპულია — სუტრები). მაჰაიანას ძირითადი ფილოსოფიური სკოლებია იოგა-ჩარა ანუ ვიჯნიანავადა (დამაარსებელი ასანგა) და მადჰიამიკა, ანუ შუნიავადა (დამაარსებელი ნაგარჯუნა). მაჰაიანასთან დაკავშირებულია ბუდისტური იოგას მოძღვრების განვითარება.

მაჰდი (არაბ. — „ჭეშმარიტი გზით წაყვანილი") — მუსლიმანთა მესია, მხსნელი. შიიტებთან მაჰდი „ფარული იმამია". მაჰდის სახელი მიისაკუთრა რამდენიმე მქადაგებელმა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი იყვნენ საიდ ალი მუჰამადი — ბაბიზმის ფუძემდებელი და მუჰამად აჰმედ მაჰდი — სუდანელი გლეხებისა და მომთაბარეთა აჯანყების მეთაური სუდანში.

მაჰმადი // მუჰამედი (დაახლ. 570-632) — ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმური ტრადიციისა და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული და წინასწარმეტყველი. მაჰმადის შესახებ თანამედროვეთა ცნობები არ შემონახულა. პირველი ბიოგრაფია მხოლოდ VIII ს-ში დაწერა იბნ-ისჰაყმა. მაჰმადი წარმოშობით იყო წარჩინებული, მაგრამ გალარიბებული ბანუჰაშიმის გვარიდან, კურაიშთა ტომიდან. მაჰმადი არაბეთსა და მის ფარგლებს გარეთ გაეცნო იუდაისტურ, ქრისტიანულ მონოთეიზმს და სხვა რელიგიურ და პოლიტიკურ მოძღვრებებს. მდიდარი მეწილე ვაჭრის ქვრივზე, ხადიჯაზე ხელსაყრელმა დაქორწინებამ მაჰმადს საშუალება მისცა, მთელი დრო თავისი რელიგიური პრობლემებისათვის დაეთმო. გადმოცემის მიხედვით, დაახლ. 609 ან 610 წ. რამადანის თვეში, ჰირის მთაზე (მექის ახლოს) თითქოსდა მთავარანგელოზმა ჯიბრაილმა (გაბრიელმა) მაჰმადს უკარნახა წმინდა წიგნი „ყურანი" და დაავალა ხალხისათვის მისი გაცნობა. სინამდვილეში მაჰმადმა ისარგებლა ძველი აღთქმის პერსონაჟებითა და სიუჟეტებით, გადააკეთა ბიბლიური მოთხრობები ნოეს, აბრაამის, ისააკის, იაკობის, იოსების, იობის, მოსეს, აარონის, დავითის, სოლომონის, იონას, ზაქარიას (იოანე ნათლისმცემელის მამის) შესახებ. ისლამურ თქმულებებში ფიგურირებენ მაჰმადის გამოგონილი წინასწარმეტყველნი და მოციქულნი: ხუდ, ზალატ (სალეტ), სოაიპა, ედრის, დუალა, კიფილ და ლუკმან. მაჰმადის მიხედვით, ღმერთი არის ყოველივე კეთილის მიზეზიც და ბოროტისაც. იესო ქრისტეს შესახებ იგი წერს, თითქოსდა იგი იშვა მოსეს და აარონის დის — მარიამისაგან, უთესლოდ, „სიტყვითა ღვთისათა და სულითა," ბავშვობაში ფრინველებს ძერწავდა თიხისაგან და შებერვით აცოცხლებდაო. ბრმებს აკურნავდა, მკვდრებს აღადგენდა, ზეციური ტრაპეზით დააპურა მოწაფენი, მაგრამ ჯვარს კი არ ეცვა, არამედ ურიათაგან ტანჯვა ისე დაითმინა, როგორც სიზმარიო. ბოლოს მაჰმადი ჰყვება: ღმერთმა ჰკითხა ქრისტეს: ღმერთად ხომ არ იხსენიებდი შენს თავს კაცთა წინაშეო? მან უარყო და უთხრა: „შენ ყოველივე იცი, რომ საკუთარი თავისთვის ღმერთი არ მიწოდებია, არც ძე ღვთისა, რადგან მონა ვარ შენი და ამ წოდების ღირსად არ მიმაჩნია თავიო. ამრიგად, მაჰმადი ქრისტეს აღიარებს არა ღვთის ძედ, არამედ მხოლოდ მის მოციქულად და წინასწარმეტყველად. ღმერთს თანაზიარი არავინ ჰყავს.

მაჰმადი თავის მიმდევრებს მტრულად განაწყობდა ქრისტიანთა მიმართ, „აღადგენდა სიძულვილად და მკვლელობად მათდა", და ქრისტიანთა დევნას აფასებდა დიდ საღვთო საქმედ. ვინც ასეთ ბრძოლაში მოკვდებოდა, აგრეთვე სულის სხვა მოთხოვნებს შეასრულებდა, მაჰმადი ღვთის რჩეულად აღიარებდა მას და სამოთხის ნეტარებას პირდებოდა. ყურანში აღწერილია სამოთხე, სადაც მიედინება ოთხი მდინარე: სუფთა და აუმღვრეველი წყლისა, გემრიელი რძისა, ტკბილი ღვინისა და „თაფლისა თვითმცენარისა". აქ თითქოსდა დამკვიდრებიან მაჰმადიანები თავის ცოლებთან ერთად და იცხოვრებენ სიამტკბილობით, მათ ხალიშს, განცხრომას და ხორციელი თანაყოფას არ ექნება დასასრული. მაჰმადი ილაშქრებდა ძველი წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ, ამიტომ მოღვაწეობის პირველ ხანებში იგი დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა და იძულებული გახდა, მოშორებითურთ ასარიში (მედინაში) გადასულიყო 630-631 წწ. მუსლიმებმა მაჰმადის მეთაურობით დაიმორჩილეს მექა. შემდეგ კი არაბეთის სხვა რაიონებზეც გაავრცელეს ძალაუფლება. მაჰმადი გახდა მისიე შექმნილი პირველი ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს მეთაური.

მაჰმადი დასაფლავებულია მედინაში. მაჰმადის აკლდამა არის მუსლიმთა მეორე წმინდა ადგილი ქააბის შემდეგ.

მაჰმადიანობა — ისლამი, მაჰმადის

რელიგიური მოძღვრება. წარმოიშვა VII ს. I ნახევარში დას. არაბეთში. იგი პრეტენზიას აცხადებდა, დაეკმაყოფილებინა ადამიანის ყველა სულიერი მოთხოვნა და ამის საფუძველზე მისგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ისლამმა ბევრი რამ ისესხა ქრისტიანობიდან, ებრაელობიდან, ზოროასტრიზმიდან, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი სხვა რელიგიური მიმდინარეობებიდან და თავისი ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა ყურანის (იხ.) სახით. VIII ს. შუა წლებიდან სახალიფოს მოსახლეობის მასობრივი გამუსლიმანების შედეგად მაჰმადიანობა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ რელიგიად იქცა. IX-X სს-ში მას უკვე დახვეწილი ფილოსოფიურ-რელიგიური სისტემის სახე ჰქონდა, დეტალურად დამუშავებული სამართლებრივი საფუძვლებით (შარიათი). მაჰმადიანობა, დღიდან მისი წარმოშობისა, ქრისტიანობის ისტორიულ მტრად გადაიქცა საქართველოში და ქართველებს მისგან არასოდეს მოუსვენიათ. შინაარსი ჩვენი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა არის გარეშე მტრებთან მუდმივი ბრძოლა, უმთავრესად მაჰმადიანების წინააღმდეგ. ამიტომ ქართულ პოლემიკურ მწერლობაში – როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში, ანტიმაჰმადიანური თემა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. პირველი ასეთი თხზულებაა არსენ ვაჩის ძის „დოგმატიკონი“ (S 1463; A 65; ქუთ. 23), სადაც უმეტესწილად ნათარგმნი სტატიები (თეოდორე აბუკურასი) შედის. არის აგრეთვე ქართველი ავტორის მიერ დაწერილი ანტიმაჰმადიანური თხზულება: „კსენებაჲ სიტყუსგებისაჲ და სასჯელისაჲ სჯულისათჳს ქრისტიანეთაჲს და სარკინოზთა“. შემდეგ საფუძვლის ქართული ანტიმაჰმადიანური მწერლობის ისტორიაში წარმოადგენს XVI ს-ში ბაგრატ ბატონიშვილის მიერ დაწერილი „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთაჲ“, რომელიც XVII ს. გასულს თუ XVIII-ის დამდეგს გაულექსავს შემოქმედელ მიტროპოლიტს იაკობ დემნაძეს. დასასრულ, ქართულად დაიწერა ორიგინალური ანტიმაჰმადიანური თხზულება, რომელსაც ეწოდება „აბბაჲ მაჰმადისი, თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მაჰმადიანთაჲს გამოღებული, და ნათესაობა მათი“ (A 349; S 1512). თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ეს არის „წიგნი სიტყუსსაგებელი მოპმედიანთა, აგარიანთა და ისმაიტელთა ზედა“. მისივე სიტყვით, ამ თხზულების ავტორი ყოფილა იოსები, ხუცესი და მოძღვარი, რომელიც, თითქოსდა, „ცხოვრობდა ჟამსა ღირს სახსოვარისა, სრულიად იუერიის, ზემოჲსა და ქუემოჲსა საქართველოჲსა და აუხაზთა მეფისა თუთმკრობელისა ბაგრატ მეოთხისა“ (ამ ცნობას ეჭვით ეცდებიან, რადგან აღნიშნულ თხზულებას აღორძინების ხანის სტილის ნიშნებიც აქვს). ანტიმაჰმადიანური პოლემიკა მოითხოვდა, რომ ქართველებს მაჰმადიანთა ყურანი სცოდნოდათ, ამიტომ ყურანი აღრე იქნებოდა გადმოთარგმნილი ქართულად, გაცილებით აღრე XVII-XVIII საუკუნეებამდე.

„მგელთუქმე“ – ასე უწოდებდნენ ფშაველი დიდმარხვის პირველ შაბათს. ფშაველთა წარმართული რწმენით, ღმერთს მგლისათვის ერთი დღე ურგუნებია და ეს დღე კაცმა უქმად უნდა შეინახოსო. ვინც გატეხს, იმისი ცხვარ-ძროხაც ღვთისაგან მგლისათვის დალოცვილიაო. ამიტომ მგელთუქმეს ფშაური ყველა უქმობდა, განსაკუთრებით მწყემსები.

მდიდარი და ლაზარე – სახარების ერთ-ერთი იგავის (ლუკა 16, 19-31) პერსონაჟები; ლაზარე ღარიბი კაცი იყო და იკვებებოდა იმ ნამუსრევით, რასაც მდიდარი კაცის ნასუფრალიდან უყრიდნენ ძაღლებს. სიკვდილის შემდეგ მდიდარი ჯოჯოხეთის სატანჯველში ხვდება, ლაზარე კი – აბრაამის წიაღში. ეს რომ ნახა მდიდარმა კაცმა, სთხოვა მამა აბრაამს, ლაზარე ჩემს ძმებთან მიაცილინე, რათა ისინიც ჯოჯოხეთში არ მოხვდნენო. მამა აბრაამი პასუხობს: შენი ძმები თუ სჯულსა და წინასწარმეტყველს არ უსმენენ, არც მკვდრეთით აღმდგარი კაცისას მოისმენენო. ამ იგავით იესო ამხილებს იმ ნაბეჭრად-მორწმუნეებს, რომელთაც საღვთო წერილი არ აკმაყოფილებთ და დამატებით რაიმე სასწაულს ითხოვენ, როგორიცაა, მაგალითად, მკვდრეთით აღმდგარი კაცის საუბარი მოწყალებისა და საღვთო სჯულის სხვა მცნებების შესახებ. მდიდრისა და ლაზარეს იგავს ეხება იოანე ოქროპირის სიტყვა „მოწყალებისათჳს“, რომლის ქართული თარგმანი გამოცემულია ი. აბულაძის მიერ („მამათა სწავლანი“, 1955 წ. გვ. 83-91).

„მდინარე“ – ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში (იერუსალიმის განჩინება და სხვ.) აღნიშნულია მღვდელმთავრის მანტია.

„მდინარეთა ზედა ბაბილონისათა“ – 136-ე ფსალმუნი, რომელიც იგალობება დიდი მარხვის წინა სამი კვირაკიის (უძღები შვილის, ხორცისელისა და ყველიერის) ცისკრის ლიტიაზე. ბაბილონი არის ცოდვის

სიმბოლო, ბაბილონის ტყეობაში ყოფნა — ცოდვებისადმი დამორჩილება.

მდუმარენი, ისიხასტები — ასე ეწოდებოდათ ღირს მამებს (ბერებს), რომლებიც ირჩევდნენ სამონაზონო მოღვაწეობის (განდეგილობის) თავისებურ სახეს — მდუმარებას. ხანდახან ასკეტურად განწყობილი მღვდელმთავრებიც კი უარს ამბობდნენ თავის სამღვდელო ხარისხზე და მდუმარების აღთქმას დებდნენ. არსებობდა მდუმარეთა მონასტრებიც.

მდულარება — მდულარე წყალი, რომელიც ტარიგის განტეხისა და ბარძიმში ჩასვენებისას ჩაისხმის ჯვრის სახით. მდულარებას მოამზადებს მნათე (პარაეკლესიარხი) და მიართმევს დიაკონს. დიაკონი აკურთხებინებს მღვდელს და ჩაასხამს ბარძიმში. ამ დროს ითქმის: „მდულარება სარწმუნოებისა აღსებულ არს სულითა წმიდითა, ამინ“. მდულარება ჩაისხმის ბარძიმში ზიარების მთლიანად მიღების შემდეგაც (ღვინოსთან ერთად), ბარძიმის გარეცხვის მიზნით, რათა შიგ არ დარჩეს ზიარების უმცირესი ნაწილიც. ამ ღვინოსა და წყალსაც მწირველი მღვდელი ან მისი თანამწირველი დიაკონი მიიღებს. იგი მომსწავებელია მორწმუნეთა სულიერი მდულარებისა (რომ. 12, 11).

მეზარძიმეები (ლათ. კალიქსტინელები) — ჰუსიტური რეფორმატორული მოძრაობის (XV ს. I ნახ. ჩეხეთი) ზომიერი ფრთის წარმომადგენლები. ისინი მოითხოვდნენ ყველა მორწმუნის (როგორც საერო, ისე სამღვდელო) ზიარების უფლებას „ორივე სახით“ — არა მარტო პურით, არამედ ღვინითაც (ეს უკანასკნელი კათოლიკური ეკლესიის მიერ ნებადართული იყო მხოლოდ სამღვდელოებისათვის).

მეზეძე — მისანი, ცხოველის ბეჭის ძვალზე ბედისა და ამინდის ამომცნობი. „დიდი სჯულისკანონი“ მათ განდევნასა და ექსორიას მოითხოვს (დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975, გვ. 228).

მეკვათინე — მგალობელი, მეფსალმუნე (ფსალტი), მართლმადიდებელი ეკლესიის დაბალი რანგის საეკლესიო მსახური, რომელსაც ევალება დაკითნის, პარაკლიტონისა და სხვ. გალობა საზოგადო ღვთისმსახურების დროს.

მეკინა (არაბ. „წინასწარმეტყველის ქალაქი“) — ქალაქი საუდის არაბეთის ჩრდ.-დას. ნაწილში. გაშენებულია ოაზისში. ძველად ეწოდებოდა იასრიბი. 622 წ. მეკინაში მექიდან გადმოსახლდა ისლამის დამარსებელი მაჰმადი. 632-656 წწ. იყო არაბთა სახალიფოს დედაქალაქი. ითვლება ისლამის წმინდა ქალაქად (მექასთან ერთად). ქალაქის ცენტრში აღმართულია დიდი მეჩეთი (ააგეს 656 წ.) აქ, გადმოცემით, მაჰმადის სახლი მდგარა. მეჩეთს თანამედროვე სახე მიეცა 1853-54 წწ.

მეკრესე (არაბ. მადრასა — სასწავლებელი) — საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი მეჩეთში ან მეჩეთთან, სადაც ასწავლიან სუნიტური ისლამის რელიგიურ და იურიდიულ დოგმებს, ამზადებენ სასულიერო (ყადი, მუფტი, ხატიბი) და საერო მოხელეებს. პირველი მედრესე გაჩნდა X ს-ში ირანში (ქ. ნიშაბურში), შემდეგ გავრცელდა მუსლიმურ ქვეყნებში, შუა აზიიდან ესპანეთამდე. თურქების მიერ დაპყრობილ საქართველოს სამხრეთ ნაწილში მედრესეები დაწყებით და საშუალო სასწავლებლებს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და სხვ. მედრესეები. 1928 წლიდან საქართველოში მედრესეები აღარ მოქმედებენ. მედრესე, როგორც არქიტექტურული ნაგებობის ტიპი, X-XI სს-ში ჩამოყალიბდა მუსლიმური სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში (ფარჯაქის მედრესე ბუხარაში, X ს., არ შემონახა; ნიზამიეს ხარგრძლში — ირანში, XI ს., XII-XIII სს-დან მედრესეები აშენეს ახლო აღმოსავლეთში, XIII-XIV სს-დან კი — აფრიკის ჩრდილო ნაწილში (ჯასანის მედრესე კაიროში, XIV ს.).

მეკლესიე — ეკლესიის გარეთ სალვთისმსახურო შეკრების მომწყობი. „გარეგან ეკლესიისა“ შემწირველობას ანუ მეეკლესიობას კრძალავდა მოციქულთა (31), ლაოდიკიის (58) და VI მსოფლიო კრების (31; 59) კანონები (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 149, 27).

მეერგასე — ძვ. ებრაული დღესასწაული მკისა; ითვლებოდა პასექის გაგრძელებად. გრძელდებოდა ერთი დღე. 16 ნისანიდან 50 დღის შემდეგ, მაისის ბოლოს. ამ დროისათვის უკვე დამთავრებული იყო მკა და დღესასწაულზე მოჰქონდათ პური ახლად მიღებული მოსაელისა. ამ დღესასწაულს შეუერთდა აგრეთვე მცნების მიცემის მოხსენიება სინის მთაზე, რომელიც მოხდა ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის 50-ე დღეს (მეწყაროი ზღვის გავლით).

მეერგასე (ძვ. „ორმოცდამეათე“) — ასე ეწოდება აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს (კვირას), სულიწმიდის გარდამოსვლის დღესასწაულს. როგორც „საქმე მოციქულთა“ გადმოგვცემს (2,1-47), იუდეველთა მეერგასის დღესასწაულზე (ეს დღე დაემთხვა მაცხოვრის

აღდგომის 50-ე დღეს), როდესაც ყველა მოციქული ერთად იყო შეკრებილი, უცებ გაისმა ხმა ზეციდან და თითოეულ მათგანს ცეცხლოვანი ენა დაადგა თავზე. წმ. მოციქულები აღვსნენ სულიწმიდით და მეყსეულად დაიწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე. არსებობს ჩვეულება – მეორგასის დღესასწაულზე ეკლესია და სახლები მორთონ ხეებითა და ყვავილებით; იგი ბიბლიური ტრადიციდან მომდინარეობს. მეორგასის დღესასწაულზე სინაგოგებსა და სახლებს რადენ ხის რტოებით, ბალახითა და ყვავილებით (ლევიტ. 23,10-17; რიცხვთა 28, 26). ასევე, უეჭველია, მეორგასის დროს, როდესაც სულიწმიდა გადმოვიდა წმ. მოციქულებზე, შემსული იყო სიონის მთის ეკლესიაც. მეორგასის დღესასწაულზე ტაძრების შემკობა გამომხატველია ადამიანთა განახლებისა, სიცოცხლის მოშნიპველი სულიწმიდის გარდამოსვლისა. მეორგასის დღესასწაულს ეხება გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი სიტყვა („მეორგასისათუს და სულისა წმიდისათუს"), ქართულად თარგმნილი უფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 109, 419-435; A 292,97-104; Jer. 18,64-73; ქუთ. 8, 385-395; ქუთ. 9,262-274.

მეზვერისა და ფარისეელის ქებირიაკე – კვირა დღე დიდი მარხვის დაწყებამდე სამი შეიდეულით (სამი კვირით) ადრე. ასეთი სახელი ამ კვირადღემ მიიღო იმის გამო, რომ წირვაზე იკითხება სახარება მეზვერისა და ფარისეელის შესახებ (ლუკა 18,10-14). სახარების ამ მონაკვეთში მოთხრობილია მაცხოვრის იგავი: ტაძარში შევიდა ორი კაცი, ერთი – მეზვერე, მეორე – ფარისეელი. ფარისეელი წინ წარდგა და ასე ლოცულობდა თავისთვის: „ღმერთო, გმადლობ შენ, რადგან არა ვარ სხვა ადამიანებივით მტაცებელი, ცრუ და მემრუშე, როგორიცაა, მაგალითად, ეს მეზვერე, არამედ წესისამებრ ვმარხულობ, მთელი ჩემი შემოსავლის მეათედს გწირავ..." ასე ამპარტავნულად ლოცულობდა ფარისეელი, მეზვერე კი, რომელსაც თავისი ცოდვები შეეგნო, შორს იდგა, ვერ ბედავდა თვალის ზეცით ასწრობასაც კი, არამედ იცემდა მკერდში და ამბობდა: „ღმერთო, განწმიდე მე ცოდვილი". უფლის წინაშე, მონანული მეზვერე უფრო გამართლებული გამოვიდა, ვიდრე თავისი მოჩვენებითი კეთილმსახურებით მოამაყე ქედმაღალი ფარისეველი, რადგან ვინც აიმაღლებს თავის თავს, ის დამდაბლდება; ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ის ამაღლდება.

მეზვერისა და ფარისეელის იგავის განმარტებას ეძღვნება იოანე ოქროპირის თხზულება: „ქადაგება იგავისა მისთვის მეზვერისა და ფარისეელისა", რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 5,1-8; A 140,1-10; A 177, 1-11; A 182, 516-521; A 272, 10-15; A 276, 1-2; ქუთ. 8, 1009; Jer. 23, 199-203.

„მეთიმონი" (ბერძნ. „ჩვენთან") – დიდი სერობის სახელწოდება დასწერილი გალობის („ჩვენ თანა არს ღმერთი") პირველი სიტყვის მიხედვით.

მეთოდი I კონსტანტინეპოლელი († 847) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი 843-847 წწ., წარმოშობით სიცილიიდან. ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა მონაზვნად კუნძულ ქიოსზე (ეგეოსის ზღვაში), შემდეგ მსახურობდა პატრიარქ ნიკიფორეს კარზე. ხატმებრძოლი იმპერატორების – ლეონ სომეხის (813-820), მიქაელისა (820-829) და მისი ძის, თეოფილეს (829-842) ზეობის პერიოდში მეთოდი დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, მაგრამ არ ღალატობდა მართლმადიდებლობას.

თეოფილეს შემდეგ გაბედა მისი მცირეწლოვანი ძე მიქაელი (842-867). ამ დროს იმპერიას ფაქტიურად მიქაელის დედა, ნეტარი თეოდორა, მართავდა, რომელმაც აღადგინა ხატთა თაყვანისცემა. 842 წელს კონსტანტინეპოლში მოწვეული იქნა აღგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც საპატრიარქო ტახტიდან გააძევა ერეტიკოსი ანი და მის ნაცვლად აირჩია წმ. მეთოდი. ამავე კრებაზე დადგინდა, ყოველწლიურად ედღესასწაულათ მართლმადიდებლობის აღდგენა (დიდი მარხვის I კვირიაკეს. ამ დღეს ეწოდა „მართლმადიდებლობის კვირიაკე"). პატრიარქმა მეთოდიმ საგანგებოდ ამ დღისთვის შეადგინა „წესი მართლმადიდებლობისა".

წმ. მღვდელმთავრის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საეკლესიო საგალობელი, წესი ჯვრისწერისა და სხვა. ქართულ ენაზე არსებობს მისი რამდენიმე კანონიკური სტატია (იხ. კრებული „მარგალიტი", A 1369; H 1296; S 3529; 1536). წმ. მღვდელმთავრის „ცხოვრების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 143-152. ხსენების დღე – 14 ივნისი.

მეთოდი პატრელი († 311 წ.) – მღვდელმოწამე, ეპისკოპოსი ქ. პატარისა (ქართულ წყაროებში – ოლიმპისა), ლუკიის ოლქში, მცირე აზიაში. იგი თავგამოდებით იბრძოდა მწვალებლობათა (განსაკუთრებით – ორიგენიზმის) წინააღმდეგ. მეთოდი ავტორია მრავალი დოგმატიკური და ეგზეგეტიკური თხზულებისა. ქართულ ენაზე

ამათგან მოგეპოვება: „სიტყუაჲ სუმეონისათჳს და ანნაჲსა და ყოელაწმიდისა ღმრთისმშობელისა“ (A 162, 64-74; ქუთ. I, 13-30), „მეორედ მოსვლისათჳს და აღსასრულისათჳს“ (H 1296, 28-53; A 1369, 186-208; S 3529, 25-214). მეთოდი პატრელის ხსენება დადებულია 20 იენისს.

მელაანი — სოფელი გურჯაანის რაიონში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასაელეთ კალთაზე, გურჯაანიდან 25 კმ. სოფლის განაპირას, მთის ფერდობზე დგას გვიანი შუა საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესია. სოფ. მელაანსა და მის მიდამოებში („სამგლე სერი“, „ტინის სერი“, „მოჭრილი გორა“, „მელი-ღელე“) აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები, აგრეთვე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის წარმართული სამლოცველოს ნაშთი.

მელანია ჰრომი (ჰრომაელი; † 439 წ.) — ცნობილი მონაზონი ქალი, წარმოშობით რომაელი, დიდგვაროვანი ოჯახიდან. თოთხმეტი წლისა მისი ნების საწინააღმდეგოდ წარჩინებულ პინინოზე დააქორწინეს. მეუღლენი უბინოდ ცხოვრობდნენ. მალე ორივემ მიატოვა სახლკარი და იერუსალიმს გაემგზავრნენ. პინინო ამ დროს 24 წლისა იყო, მელანია 20-ისა. სხვადასხვა სავანეების მოლოცვის შემდეგ პინინო მამათა მონასტერში დამკვიდრდა, მელანია — დედათა მონასტერში. აქ იგი სქემით შეიმოსა და „თუსთა კელთ-საქმრითა მორჩენდა საზრდელსა“. გარდა სამონასტრო საქმიანობისა, წმ. მელანია აქტიურად იღვწოდა აგრეთვე სხვა ეკლესიათათვის, ურწმუნოთა და მწუალებელთა (ნესტორიანთა) მოქცევისათვის, ხსენების დღე — 31 დეკემბერი. მელანია რომაელის მეტაფრასული „ცხოვრების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 5, 558-576; ქუთ. 6, 85-115; Ath. 2/2, 242-253; A 90, 276-309. არსებობს აგრეთვე მელანია ჰრომის „ცხოვრების“ კიმენური რედაქცია: A 511, A 643, Ier. 36. მელანია ჰრომი მოხსენებულია „პეტრე ქართველის ცხოვრებაში“ (ძეგლები, II, გვ. 227-228; წიგნი IV, გვ. 380). აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ მელანიამ იერუსალიმს მოსალოცად ჩასული მურვანოსი, ქართველი უფლისწული, თავისი ყოფილი მეუღლის, პინინოს მონასტერში გაგზავნა. მურვანოსი იქვე აღიკვეცა და სახელად ეწოდა პეტრე. იხ. პეტრე ქართველი, პეტრე იბერი.

მელასიპე მოწამე — თაიის ძმებთან — სპევსიპე და ელასიპესთან ერთად ეწამა ქრისტიანობისათვის იმპერატორ ავრელიანეს (161-180 წწ.) დროს კაპადუკიაში (ზოგიერთი გადმოცემით — გალიაში). წმ. ღვთისმსახურმა ძმებმა დაამსხვრიეს წარმართული კერპები და ამხილებდნენ კერპთმსახურთა უგუნურებას. განრისხებულმა წარმართებმა შეიპყრეს ყრმები და ტანჯვა-წამება დაუწყეს. შემდეგ მათი ბებია ლეონილაც მოიყვანეს წამების ადგილზე და უბრძანეს ქრისტესგან განდგომა შეეგონებინა შვილიშვილებისათვის. მან კი, ამის მაგიერ, შეაქო ყრმების გამბედაობა და სიმტკიცე. წმ. მოწამენი წარმართებმა ცეცხლში ჩაყარეს, მაგრამ ღვთის შეწევნით არაფერი ეუნოთ. განრისხებულმა მტარვალებმა მათ თაეები მოჰკვეთეს. მათთან ერთად სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე ტურბონი, იოვილა და წმ. ნეონი. წმ. მოწამეთა ხსენების დღე — 16 იანვარი. მათ განსაკუთრებით დიდ პატივს სცემენ ესპანეთში, სადაც მათ სახელზე მრავალი ტაძარია აგებული. წმინდანთა ნაწილები საბერძნეთის იმპერატორმა ზენონმა საფრანგეთს გადასცა და ისინი ამჟამად ქ. ლანგრშია დასვენებული. „წამება წმიდათა მოწამეთა სპევსიპესი, ელასიპესი და მელასიპესი“ ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია XI ს. ათონურ ხელნაწერში (Ath.8) (იხ. სპევსიპე. ელასიპე).

მელეტი ანტიოქელი († 381 წ.) — ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი; თაეიდან იგი ქალქ სებასტიის ეპისკოპოსი იყო (დაახლ. 357 წ.), შემდეგში კი იმპერატორმა კონსტანციმ ანტიოქიაში გადაიყვანა არიოზის მწვალებლობასთან საბრძოლველად. წმ. მელეტი თაეგამოდებით ებრძოდა მწუალებლებს და მათი მიზეზით სამჯერ იყო გაძევებული კათედრიდან, რაღგან თვით იმპერატორიც კი ხანდახან მწვალებელთა გავლენის ქვეშ ექცეოდა. წმ. მელეტის აკურთხა დიაკვნად მომაკალი მღვდელმთავარი ბასილი დიდი. მისივე ხელმძღვანელობით იზრდებოდა წმ. იოანე ოქროპირიც, რომელმაც შემდეგში თავის მოძღვარს სადღეგრძელო „სიტყუა“ მიუძღვნა. 381 წელს მელეტი ანტიოქელი თავმჯდომარეობდა იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395 წწ.) ინიციატივით მოწვეულ II მსოფლიო საეკლესიო კრებას. გარდაიცვალა კრების მიმდინარეობის დროს. წმ. გრიგოლ ნოსელმა მის პატივსაცემად სიტყვა წარმოთქვა. წმ. მღვდელმთავრის ნაწილები კონსტანტინეპოლიდან ანტიოქიაში გადაასვენეს. მელეტი ანტიოქელი განთქმული მქადაგებელი იყო. მის თხზულებათაგან ქართულ ხელნაწერებში შემონახულია შემდეგი ჰომილიები: I. ხარებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა (A

95, 20-27). 2. შესლვისათჳს იერუსალემად (Sin. 83, Sin. 86, 59-60; A 1109, 64-66). 3. მიცემისათჳს უფლისა ჩუენისა და განკითხვისათჳს უსჯულოთა მიერ (Ath. 11, 82v-85v). 4. განცემისათჳს (A 1109,82-83). 5. დიდსა პარასკევსა საკითხავი (Ath. 11, 85-89). 6. დაბეჭდჳსათჳს საფლავისა (A 1109,107-108). 7. მოღუაწებისათჳს აღსებასა (Ath. 11,98-100). 8. წმიდასა აღსებასა საკითხავი (Ath. 80, 107-115; A 1109, 118-128); 9. თქუმული სინანულისათჳს (A 95, 464-478). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ნოსელსა და იოანე ოქროპირს ეკუთვნით მელეტი ანტიოქელის ქებითი სიტყვები: „შესხმაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მელეტი მთავარეპისკოპოსისა ანტიოქიასა". გრიგოლ ნოსელის თხზულების ქართული თარგმანი შეტანილია ხელნაწერებში: A 55, 318-322; A 108, 174-183; ქუთ. 1, 41-48; Ath. 84/14, 157-164. იოანე ოქროპირის სიტყვის ქართული თარგმანი დაცულია ერთ ხელნაწერში (ქუთ.1, XVI ს.). წმ. მელეტის ხსენების დღე 12 თებერვალია.

მელქისედეკ სამთაროსი ძე – XV-XVI სს. ქართველი კალიგრაფი, H 1721 სახარების გადამწერი. მას ეს წიგნი დაუმზადებია მერამ კალმახლისა და მისი მეუღლის, ელენეს დაკვეთით 1520 წელს. შემდეგში წიგნი სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში მოხვდა, ხოლო იქიდან – თბილისში. 1884 წ. ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტმა ს. აფაქიძემ ეს ძვირფასი ხელნაწერი შეიძინა და სავანეს დაუბრუნა. ამჟამად ინახება თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში. წიგნი მცირე ფორმატისაა (12X8,4 სმ.; 0+326 ფ., ეტრატი), ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, შემკულია მახარებლების გამოსახულებებით.

მელქისედეკი (ებრ. „მეუფე სიმართლისა") – სალემის (იერუსალიმის) ბიბლიური მეფე და მღვდელმთავარი. როცა აბრაამმა უკუაქცია და დაამარცხა ქანაანის მბრძანებელთა მტერი – ელამის მეფე, მელქისედეკმა ღვთის სახელით დალოცა იგი (დაბ. 14, 18-19). მელქისედეკის შესახებ ბიბლიაში ბაუასპეულია, რომ ის იყო „უმაშო, უდედო, ნათესავმოუსენებელი, არცა დასაბამი დღეთა, არცა აღსასრული ცხორებისა აქუს" (ებრ. VII, 3). ამის გამო ძველ საეკლესიო მწერლობაში წარმოიშვა სხვადასხვაგვარი ცდა მელქისედეკის გენეალოგიის შედგენისა და მისი სამეფო ქალაქის (სალემის) ადგილმდებარეობის გარკვევისა. ამ ცდას, თვით წმიდა მამათა და საეკლესიო მოძღვართა თხზულებებშიც კი (მაგ.: ბასილი კესარიელის „ითიკა", ათანასე ალექსანდრიელის „ისტორია მელქისედეკისა" და სხვ.) ახორციელებს ალეგორიული ხასიათი აქვს, ეგზეგეტიკურ პრეტენზიებთან ერთად. მამების ერთობლივი დასკვნით, მელქისედეკი არის სახე ზეციური მღვდელმთავრის – ქრისტესი. მელქისედეკის შესახებ ტრაქტატები აქვთ დაწერილი ევსევი კესარიელსა და ათანასე ალექსანდრიელს. ქართულ ენაზე ეფთვიმე ათონელს უთარგმნია თხზულება: „მელქისედეკის გამოჩინებისათჳს და თუ რაჲსათჳს უმამოდ და უდედოდ იწოდა იგი" (A 381, 9-12; A 394, 302-303), მიეწერება ბასილი კესარიელს. ათანასე ალექსანდრიელის სიტყვა მელქისედეკისათვის შეტანილია კრებულში S 1479, 63-87. ქართველ საელესიო მწერალს იონა ხელაშვილს დაუწერია „მელქისედეკის მღვდელობის წიგნი".

მელქისედეკ I – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1010-33 წწ., ბაგრატ III-ის ახლო ნათესავი. მელქისედეკ I დიპლომატიური მიზნით არაერთხელ ყოფილა კონსტანტინეპოლში, ბიზანტიის იმპერატორების კარზე. მის სახელს უკავშირდება საქართველოში პატრიარქობის დაწესება. ზრუნავდა მცხეთის საპატრიარქო კათედრალის გაფართოება-გაშენებაზე და გამდიდრებაზე. შემონახულია მელქისედეკის მიერ დაახლ. 1031-33 წწ. შედგენილი ანდერძი – „დაწერილი" (ცსსა ფ. 1448. საბ. № 5018; XII ს. პირი), რომელიც საუკეთესო წყაროა XI ს. საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის შესასწავლად (ქართ. სამართ. ძეგლები, III, გვ. 18-26).

მელქისედეკ III (ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე; 1872-1960 წ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1952-60 წწ. 1900 წ. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა ქუთაისის (1900-07 წწ.), სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის (1904-09 წწ.), ქ. კამენეც-პოდოლსკის (1909-15 წწ.) სასულიერო სემინარიებში. იყო მღვდელ-ზედამხედველი ტივროვის (1909 + 15), გორის (1917-20 წწ.) სასულიერო სასწავლებლებში. 1922-24 წწ. – სიონის ტაძრის მღვდელი, 1924-25 წ. – ანჩისხატის, 1925-27 წწ. – ალავერდის ეპისკოპოსი, 1927-28 წწ. – ცხუმისა (სოხუმი). 1928-35 წწ. თბილისში ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი, 1935-38 წწ. – სოხუმის მიტროპოლიტი, 1944-52 წწ. – დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი. დასაფლავებულია სიონის ტაძარში.

მელქისედეკი (საყვარელიძე) – პრეე-

ლი გენათელი – გელათის მღვდელმთავარი მიტროპოლიტის წოდებით. მელქისედეკი იყო იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-65 წწ.) პოლიტიკური თანამებრძოლი დას. საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის. მელქისედეკმა თავისი სახსრებით გააკეთებინა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში ქვის კანკელი, საკურთხეველში მღვდელმთავართა ტახტი – „საყდარი“ და სამკვეთლოს ტრაპეზი. ამ ტაძრის კედლებზე შემონახულია მელქისედეკის მოღვაწეობის ამსახველი წარწერები და მისი პორტრეტული გამოსახულება.

მელქისედეკი – შიომღვიმის მონასტრის XVII ს. წინამძღვარი. მისი თხოვნით ქართლის გამაჰმადიანებულმა მეფემ როსტომმა (1632-1658) გადასახადებისაგან გაათავისუფლა მღვიმე, რისთვისაც მელქისედეკმა ალაპი გაუჩინა მას.

მემფრინველე – მისანი, ფრინველთა ხის მიხედვით, მათი ფრენის მიმართულებით მკითხაობ. „დიდი სჯულისკანონი“ ასეთ ეშმაკეულობას ძნელად მოსაცილებლად თვლიდა, ამიტომ მას მოქმედ ეკლესიაში არ იწყნარებდნენ ხანგრძლივი გამოცდის გარეშე („განწესებანი ყოელად წმიდისა მოციქულისა პავლესნი საეკლესიო კანონთათუს“ – VIII კან., დიდი სჯულისკანონი, გვ. 227).

მეეხრე, კლირიკოსი – მკითხველი (მედავითნე) და მგალობელი, კლიროსზე, მხარზე (იხ. კლიროსი, მხარი) მდგომელი. ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაში მეეხრენი წილის ყრით ირჩეოდნენ (კლიროს – წილი). ანტიოქიის ადგილობრივ საეკლ. კრებამდე კლირიკოსის წოდება მკითხველ-მგალობელთა გარდა ვრცელდებოდა აგრეთვე დიაკვნებზე, მღვდლებსა და თვით ეპისკოპოსებზეც. ანტიოქიის კრებამ ეს წოდება მიაკუთვნა პიპოდიაკვნებს, მკითხველ-მგალობელთ და სხვა დაბალ მსახურთ.

მენაჯი, მენიაჯი – ამალლებული ადგილი შუა ეკლესი. ში, სამღვდელმთაერო კათედრა.

მენელსაცხებლენი – ასე ეწოდათ იესო ქრისტეს ერთგულ მოწაფე ქალებს, რომლებიც სხვა მოწ.-ფეებთან ერთად მოწმე გახდნენ მისი ჯვარცმისა და დაფლისა. მესამე დღეს, კვირას დილით ადრე ისინი მივიდნენ იესოს საფლავზე და მიიტანეს ნელსაცხებელი, რათა ეცხოთ მისთვის (მათე 28,1; მარკოზი 16, 1-2; ლუკა 24,1; იოანე 20,1). ეს დედები იყვნენ: მარიამ მაგდალინელი, მარიამ იაკობისა, სალომე, იოანა და სხვ. ისინი ღირს იქმნენ პირველებს მოესმინათ მაცხოვრის აღდგომის ხარება (მარკ. 16,5-6), პირველებმა ნახეს მკუდრეთით აღმდგარი მაცხოვარი (იოანე 20,11-18) და ახარეს მოციქულებს (ლუკა 24,9). მენელსაცხებლე დედებთან ერთად მოიხსენებიან იოსებ არიმათელი და ნიკოდიმოსი, რომელთაც გარდამოხსნეს ჯვრიდან მაცხოვარი და დაკრძალეს (მათე 27,57-61; მარკოზი 15,42-47; ლუკა 23,50-56; იოანე 19,38-42). მათი ხსენება დადებულია აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ, თომას კვირის მომდევნო კვირადღეს (მენელსაცხებლეთა კვირიაკეს). მენელსაცხებლეთა ხსენება იდღესწაულება ერთი კვირის განმავლობაში. ქართული ეკლესიის მიერ მენელსაცხებლეთა დასშია შერაცხული წმ. კეთილშობილი მეფე თამარი, ამიტომ მენელსაცხებლეთა კვირიაკეს მისი ხსენებაც სრულდება.

„მენე, მენე, თეკელ, ფარეს“ – საიდუმლო სიტყვები, რომლებიც, ბიბლიის თანახმად (დანიელი 5,5), დაწერილი იყო ხელით კედელზე ბაბილონის მეფის, ბალთაზარის ნადიმის დროს. ამ ნადიმზე ბილწავდნენ იერუსალიმის ტაძრიდან წამოღებულ ჭურჭლით ნივთებს; ეს სიტყვები ახსნილი იყო წინასწარმეტყველ დანიელის მიერ და ნიშნავდა: ღმერთმა აღწერა შენი სამეფო (მენე), აგწონა შენც (თეკელ), და შენი სამეფო დაჭუდმაცებული იქნება (ფარეს). წინასწარმეტყველის სიტყვები მალე აღსრულდა.

მენინქნე მოწამე († 250 წ.) – ეწამა ქრისტიანობის საჯაროდ აღიარებისათვის იმპერატორ დეკეოზის (249-251 წწ.) დროს. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ მას თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 22 ნოემბერი. მენინქნეს „წამების“ ქართული თარგმანი შემონახულია ხელნაწერში: ქუთ. 2, 215-219. აქ ხსენების დღედ აღნიშნულია 16 მარტი.

მენონიტები – პროტესტანტული სექტა, ჩამოაყალიბა მენო სიმონსმა (აქედან სახელწოდება) XVI ს. 30-40-იან წლებში ნიდერლანდში. სექტა წარმოიშვა გერმანიაში გლეხთა ომის (1524-26) და მოუსტერის კომუნის (1534-35 წწ.) დამარცხების შემდეგ. მენო სიმონსი ქადაგებდა ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას, მორწმუნეებსა და ზნეობრივ თვითსრულყოფას. მისი მიმდევრები ელიან ქრისტეს მეორედ მოსვლასა და მისი ათასწლოვანი მეუფების დამყარებას, ნათლავენ მხოლოდ მოზრდილებს, ჩაკეტილი არიან თავის თემში, გაურბიან ცივილიზაციას. ნიდერლანდიდან მენონიტები გაიბნენ ბევრ ქვეყანაში (აშშ, კანადა, გერ და

სხვ.). მათი საერთო რაოდენობა 300 ათასამდეა. 1930 წლიდან არსებობს მენონიტების მსოფლიო კონფერენცია, რომლის ცენტრი კანადაშია.

მეოდახი – სულხან-საბას განმარტებით: „რომელნიმე დიას იტყვიან, რომელიმე კრონოსსა, რომელიმე ბახილონს შინა პირველ გამეფებულსა ანუ უკანასკნელსა, რომელსა ზედა იქმნას დახსნა მეფობისა". ეს კერპი მოხსენებულია იერემიას წინასწარმეტყველებაში (50,2).

მეორედ მოსვლა მაცხოვრისა – ქრისტიანული სარწმუნოების მრწამსის თანახმად, ქუეყნის მსხვნელის, მესიის (იესო ქრისტეს) მოსალოდნელი მეორედ მოქალინება, რომლის დროსაც მოეწყობა ცოცხალთა და მკუდართა საყოველთაო, საშინელი სამსჯაერო, „განსჯა ცხოველთა და მკუდართა". მეორედ მოსვლა მოსწავებულია საღვთო წერილში. კერძოდ, იქ ნათქუამია, რომ მკედრეთით აღდგომის შემდეგ, როცა მაცხოვარი ზეცად ამაღლდა, მის მოწაფეებს გამოუცხადათ ანგელოზი და უთხრა: „კაცნო გალილეველნო, რაჲა ჰხედგით და ხედავთ ზეცად? ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმაჲალი ზეცად" (საქმე 1,11). მეორედ მოსვლის შესახებ საუბრობდნენ თვით მაცხოვარი (მათე 24,23-51; 25,31-46; იოანე 14,3) და მისი მოციქულები (2 ტიმ. 4,1; საქმ. 10,42; 17,31; რომ. 2,16; 14,10; გამოცხ. 20,11-15). „ძველი ღმითაჲს" სახელით იესო ქრისტეს მოსვლა მსაჯულად და განმკითხველად ნაწინასწარმეტყველები აქვს დანიელსაც (7, 9, 22, 27).

ბიბლიური მოძღვრებით, მეორედ მოსვლის დრო დაფარულია, არაეისთვის არაა ცნობილი, ღმერთის გარდა (მათე 24,36; ლუკა 12,40; I თეს. 5,2; 2 პეტრე 3,10), მოხდება მოულოდნელად (მათე 24,37-44; ლუკა 17,26-32; გამოცხადება 16,15), თანაც ძალიან მალე (ფილიპ. 4,5; გამოცხადება 3,11); თუ კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად მაცხოვარი მდაბალი სახით მოვლინა ადამიანებს, მეორედ მოსვლა, პირიქით – დიდებით მოხდება (მათე 25,31). საღვთო წერილში არაა განსაზღვრული მეორედ მოსვლის დრო, მაგრამ დასახელებულია ზოგიერთი ნიშანი მისი მოახლოებისა: რწმენისა და სიყვარულის შესუსტება, უბედურებათა და სნეულებათა გაძრაელება, სახარების ქადაგება მსოფლიოს ყველა ხალხებში, ანტიქრისტეს მოსვლა და სხვ. (მათე 24,2-30).

მეორედ მოსვლის შესახებ ქართულ ენაზე არსებობს რამდენიმე ჰომილია: 1. „მეორედ მოსვლისათჳს უფლისა" – იოანე დამასკელის თხზულება, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 8,933-937; A 162; A 172; A 182. 2. „მეორედ მოსლვისათჳს უფლისა" – იოანე ოქროპირის თხზულება, შეტანილია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ „კლიტე"-ში (A 227; S 127). 3. „მეორედ მოსლვისათჳს და აღსარულისათჳს" - მეთოდი პატრელის თხზულება, დაცულია ხელნაწერებში: H 1296,28-53; A 1369,186-208; S 3529, 25-214. 4. „მეორედ მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა" – ეფრემ ასურის თხზულება, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, შეტანილია „ასკეტიკონში" (A 154; 166; 196; 391; 673; ქუთ. 8). იმავე ავტორს ეკუთვნის ჰომილიები: „მეორედ მოსლვისათჳს უფლისა" (A 182,603-629; ქუთ. 8,955-65). მეორედ მოსვლის შესახებ ორიგინალური ჰომილია დაუწერია სულხან-საბა ორბელიანს („მეორედ მოსლვისათჳს ქრისტესა", თხზულებათა კრებული 4 ტომად, ტ. III, 1963 წ., გვ. 67-71).

მეორე სჯული – მოსეს ხუთწიგნეულის ბოლო, მეხუთე წიგნი. როგორც ძველებრაული, ისე ქრისტიანული გადმოცემით, დწერილია მოსეს მიერ (ბოლო ნაწილის გამოკლებით, სადაც აღწერილია მისი გარდაცვალება). ეხება საღვთო სჯულის სხვადასხვა საკითხებს და აღწერილია ისრაელის მდგომარეობა უშუალოდ ალიქმულ ქანაანში შესვლის წინ. წიგნი შედგება 34 თავისაგან.

მეორე ქორწინება – საეკლესიო წესი, რომელიც პირველი ქორწინების შეწყვეტისას (როდესაც გარდაიცვლება ერთ-ერთი მეუღლეთაგანი). მეორე ქორწინების წესი უფრო მოკლეა და ნაკლებად საზეიმო (მაგ., გვირგვინები არ ედგმებათ შეუღლებულთ და სხვ.).

გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „რომელმან იქორწინოს პირველად სჯულიერითა ქორწინებითა (ე. ი. საეკლესიო ჯვრისწერით, რედ.), კურთხეულ არს უფლისა მიერ. და რომელმანცა იქორწინოს მეორედ, შენდობითა მწყემსთათა იქორწინოს. და რომელმან იქორწინოს მესამედ, უსჯულოება არს. ხოლო რომელმან იქორწინოს მეოთხედ, მისი ცხორება სხვა არარაჲ არს, არამედ მსგაესი არს ღორთა, მწერისა შინა მწუმელეთა, შესყარულთა მწერთაჲ უსჯულოებისათა" (კურთხეუანი, 1826 წ.). მაშასადამე, გრიგოლ ღვთისმეტყველის თანახმად, მეორე ქორწინება მწყემსთა (ე. ი. მღვდელთა და

მღვდელმთავართა) ლოცვა-კურთხევით (ნებართვით) დასაშვებია, მესამე და მეოთხე კი – დაუშვებელი. ბასილი დიდი აწესებს უზიარებლობის კანონებს მეორე, მესამე და შემდეგ ქორწინებებზე. მეორე ქორწინებაზე – სამ წელს უზიარებლობას, მესამე ქორწინებაზე – ხუთ წელს, ამასთან მესამე ქორწინება წმ. ბასილის დასაშვებად მიაჩნია იმ პირობით, რომ მექორწინე ეკლესიას არ დაკლდეს, ცრემლით ინანიებდეს ცოდვას და სეფისკერს მიიღებდეს. ხუთი წლის შესრულების შემდეგ – ეზიაროს.

მეოთხე ქორწინების შესახებ ბასილი დიდიც და სხვა მამებიც აცხადებენ, რომ იგი არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სჯულიერ ქორწილად, არამედ სიძვად, მეოთხე ქორწინებით შეძენილი შვილებიც სიძვის შვილებად ჩაითვლებიან.

მეორმოცე დღის ლოცვა – „ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, მეორმოცესა დღესა“. ამ ლოცვას მღვდელი უკითხავს მელოგინე ქალს მშობიარობიდან მეორმოცე დღეს. ამ დღეს ქალი ხორცილად იწმინდება და ლოცვის შემდეგ უფლება აქვს შევიდეს ეკლესიაში, ემთხვიოს ხატებს, მოისმინოს წირვა-ლოცვა.

„მერია“ – ღვთისმშობლის XII-XIII სს. ეკლესია ახალგორის რაიონში, მდინარების – პატარა ლიახვისა და მეჯუდის გამყოფ მაღალ მთებში, ტყეში. იგი დარბაზული ნაგებობაა. სამხრეთით მთელ სიგრძეზე აქვს მინაშენი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილი მცირე სამლოცველოს წარმოადგენს, დასავლეთი ნაწილი – ღია ჭიშკარს ვარსკვლავისებრი კამარით. ტაძარი შემოსილია თლილი ქვით, სარკმლებს შემოვლებული ჰქონია პროფილირებული საპირეები. მდიდრულად მოჩუქურთმებული ქვის კანკელი გადმოტანილია თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მერკვირე – III ს. დიდი მოწამე, წარმოშობით სკვითი იყო და მხედრად მსახურობდა რომის არმიაში. მამკობისათვის მხედართმთავრის თანამდებობა მიიღო, მაგრამ, როცა მისგან მოითხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა, უარი განაცხადა ყოველგვარ დიდება-პატივზე. წმ. მოწამე შეიპყრეს და ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 24 ნოემბერი (ქართული წყაროებით – 22 ნოემბერი). „ცხოვრება მერკვირისა“ სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასებიდან ქართულ ენაზე უთარგმნია იოანე პეტრწუს. დაცულია ხელნაწერში: A 128, ხოლო ადრინდელი კიმენური „წამების“ ქართ. თარგმანი – X-XI ს. ხელნაწერებში: Ath. 8 და Ath. 28. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ. (Monumenta Hagiographica Georgica, I).

მერჩულე,მერჯულე – ძვ. საქართველოში – ღვთისმეტყველი; ქრისტიანული მოძღვრებისა და საეკლესიო სამართლის განსწავლული მცოდნე, ამა თუ იმ სარწმუნოების ავტორიტეტული მქადაგებელი და მასწავლებელი. მერჩულე ერთმორწმუნეს, იმავე რჯულის (სარწმუნოების) აღმსარებელსაც ნიშნავდა. ამ სახელწოდებით იხსენიება გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ ავტორი – გიორგი მერჩულე.

მერჩულიანი – ქართულ პიმნოგრაფიაში დამკვიდრებული ალიტერაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს ძლისპირ-გალობას შორის ალიტერაციულ თანაფარდობას. გალობის ყოველ მუხლში მეორდება ძლისპირის დასაწყისი ასო, მარცვალი ან სიტყვა. მერჩულიულთა დამკვიდრებას გიორგი მერჩულეს სახელს უკავშირებენ. მისი უძველესი დადასტურება მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978-988 წწ.) გვხვდება. მერჩულიულთა ფორმით არის დაწერილი „საგალობელნი აღსებისანი რვა-ხმანი“ (მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“) და გიორგი მთაწმიდელის „პარაკლიტონში“ (XI ს. ხელნ. A 93) შესული „სამარადისო საგალობელნი რვა-ხმანი“.

მერჯევი – სოფელი საჩხერის რაიონში, ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილას მარცხენა მხარეს, საჩხერიდან 8 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია შუა ფეოდალური ხანის ეკლესია „ანგაროული“ ლაპიდარული წარწერით.

მესა – ღვთისმსახურება კათოლიკურ ეკლესიაში, წირვა (მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეესაბამება ლიტურგია), ძირითადად ლათინურ ენაზე სრულდება (ვატიკანის II კრებამ (1962-65 წწ) ნება დართო ჩატარდეს აგრეთვე ადგილობრივ ენებზედაც). როგორც მუსიკალური ჟანრი, მესა ციკლურ-ეოკალური ან ეოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებია, რომელიც ამ ღვთისმსახურებას (მესას) თან ახლავს. თავდაპირველად მესის საგალობლები ერთხმიანი იყო. მათ საფუძველს გრიგოლისეული ქორალი წარმოადგენდა. მრავალხმიანობის განვითარებასთან ერთად ზოგიერთმა კომპოზიტორმა პოლიფონიურად დაამუშავა მესის საგალობლები. აღორძინების ეპოქაში მესა მუსიკალური ხელოვნების ყველაზე მონუმენტური ჟანრი იყო.

მესეფენი – ქართული მითოლოგიური

პანთეონის გმირები, რომლებიც შაჲი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველურ ტომთა წარმოდგენით, მესეფობის პერიოდში (28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე ძვ. სტ.) ამოდიან ზღვიდან. მათზეა დამოკიდებული თევზისა და ნადირთ სიმრავლე, ამინდის ცვალებადობა და სხვ. ნადირთ მფარველი მესეფენი მართავენ ღრეობებს, ჭამენ და კლავ აცოცხლებენ ნადირს. მონადირეებს მხოლოდ მათ მიერ შეჭმული და გაცოცხლებული ნადირი ერგება. ტერმინი „მესეფე" გამრიგებელს, მეუღეს უნდა ნიშნაედეს. იხ. ნადირთ ღუთაებანი.

მესია — ქრისტე (ებრ. მაშიახ — ცხებული), ძე ღვთისა, მხსნელი, მაცხოვარი, რომელსაც მოავლენს უფალი ქეყნად ბოროტების აღმოსაფხვრელად და ათასწლეულიან მეუფების დასამკვიდრებლად. იუდაური ტრადიციით, მესია, როგორც მეფე, გაუსწორდებოდა ებრაელების მტრებს, მოსპობდა უკანონობას და დაამყარებდა სამართლიანობას. ქრისტიანულ მოძღვრებაში კი მესია არის კაცობრიობის მხსნელი პირველქმნილი (ადამ და ევას) ცოდვისაგან, ეშმაკის მეუღებისაგან. იესო ქრისტემ მართლაც შეასრულა მესიანური (მაცხოვრებითი) მისია, განკაცებითა და მოწამებრივი სიკვდილით გამოისყიდა ადამიანთა ცოდვა და შეარიგა ხალხი ღმერთთან.

მესიანიზმი — მოძღვრება მესიის, მხსნელის შესახებ (იხ. მესია).

„მესმაჲ" (მესმასა) — პიმნოგრაფიული კანონის IV გალობის ძველი ქართული სახელწოდება, მომდინარეობს მეოთხე ბიბლიური გალობიდან: „უფალი მესმა სმენა შენი, და შემეშინა" (ამბაკუმ. 3,1-19). ზოგიერთ კანონში IV გალობას ეწოდება „უფალო მესმაჲ" („უფალო მესმასა").

მესროპ მაშტოცი (361-440) — სომეხი სწავლული, განმანათლებელი, სომხური ანბანის შემქმნელი. შეისწავლა სომხური ენის ბგერითი სისტემა და 405-406 წწ. შექმნა ანბანი. თავის მოწაფეებთან ერთად სირიულიდან სომხურად თარგმნა ბიბლიის ნაწილი. მესროპ მაშტოცის ბევრი მოწაფე შემდგომში ცნობილი მწერალი გახდა (ეზნიკი, კორიუნი, ელიშე, მოვსეს ხორენაცი და სხვ.).

მესხეთი (ყოფ. სტატი) — დაბა ზემო სვანეთში, რაიონული ცენტრი, მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეების — მესტიაჭალისა და მულხრის ნაპირებზე. მესხეთში კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი. საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია: XIII-XIV სს. მაცხოვრის (მაცხვარის) ჯვრ ნაგები ორსართულიანი ეკლესია, რომლის კედლებსაც მალალოსტატურად მოხატული ფრესკები ამკობს; ღვთისმშობლის (ლამარია) ეკლესია (განეთარებული შუა საუკ.) მოხატულობითა და წარწერებით. სეტის მთავარანგელოზთა (თარნგზელ) და ფუსტის ეკლესიები. შემორჩენილია აგრეთვე სვანური სახლ-სიმაგრეები — გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი. მესხეთში დაცულია ძვირფასი ხატები, რომელთაგან აღსანიშნავია სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს. მაცხოვრის ეკლ.), საკურთხეველის წინა ჯვარი და მაცხოვრის ხატი (მთავარანგელოზთა ეკლესია) და სხვ. მესხეთშია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც დაცულია ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნაი ნიმუში, ძვ. ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები (ადიშის ოთხთავი, 897 წ. და სხვა).

მესხეთის ოთხთავი (სახარება) — 1033 წელს გადაწერილი სახარება-ოთხთავის ხელნაწერი, რომელიც დღეს დაცულია მესხეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (M 1; 311 ფ.).

მესხეთის ჭედური ჯვარი — საკურთხეველის წინ დასადგმელი ვერცხლის მოოქრული ჭედური ჯვარი XI ს. პირველი ნახევრისა. იდგა სოფ. მესხეთის ძვ. ეკლესიაში, ამჟამად ინახება მესხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჯვრის ზომებია 125 X 77 სმ., აკლია ქვედა ნაწილი, 3 ფირფიტა, რომლებზედაც, რელიეფების გარდა, ქტიტორული წარწერა უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე მოაღწია ჯვრის ნაწილმა, რომელზედაც გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრების 9 სცენა. ჯვრის უკანა მხარე და გვერდები დაფარულია მცენარეული ორნამენტით. კომპოზიციები მაღალშტამპული დონისაა; სცენების გადმოცემაში მიღწეულია მონუმენტურობა, კომპოზიციური მთლიანობა, ფიგურები პლასტიკური, ელასტიკური და მეტყველია, მომრაობა — ბუნებრიეი. ოსტატი დიდი ზომიერებით გადმოგვცემს როგორც ზოგად ფორმას, ასევე ცალკეულ დეტალებს. ჯვრის დეკორატიულ მორთულობაში ოსტატი ამჟღავნებს სწრაფეას მოცულობისაკენ. მესხეთის ჭედური ჯვარი ქართული ჭედური ხელოვნების ერთერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი ნიმუშია.

მესხაძენი — I ს. მოწამენი, მძოვარი-მეუდაბნოენი. სახელი მიიღეს მთა სუკავეთიდან (სოშხეთშია), სადაც 44 წელს მოღაწეობდ-

ნენ. მესუკაევნი წარმოშობით დიდგვაროვანნი იყვნენ, თავისი ქეუნდან გამოქცნენ უსჯულოებეს (წარმართობას) და „ოვსეთის კარით“ შემოეიდნენ სომხეთში. იქ მთა სუკავეანზე დამკვიდრდნენ გამოქვაბულში და მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მესუკაეთა სულიერი წინამძღვარი იყო სუქია. ცნობილია სხვა მოღვაწეთა სახელებიც: ლუკიან, ლუკიოზ, პოლიოკტეს, კოდრატოს, კოსტრატიოს, მენას და სხვ. როდესაც მეფის კარზე გაიგეს მესუკავეთა მოღვაწეობის ამბები, გაგზავნეს მხედრები და სიკეთილით დასაჯეს ისინი. მეფე კონსტანტინე დიდს გამოცხადებით გაუგია, რომ წმ. მოწამენი სუკავეანის მთაზე დაუმარხავად დარჩენილიყვნენ. გაგზავნა ხალხი და პატივით დაფლვევინა ისინი. ხსენების დღე — 14 აპრილი.

„წამება წმიდათა მოწამეთა მესუკავეთაჲ“, ქართულ ენაზე უთარგმნიათ სომხურიდან IX-X სს-ში. დაცულია XI ს. ათონურ კრებულში: Ath. 8; გამოცემულია ა. ხახანაშვილის მიერ, Материалы по грузинской агиологии, стр.10-24; ილ. აბულაძის მიერ, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. გვ. 22-61. იხ. ამ მოწამეთა შესახებ პაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური თხზულება დაუწერია ანტონ I-საც და ჩართავს „მარტირიკაში“. იხ. ძეგლები VI (გვ. 340; 510).

მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა (XVIII ს.) — მესხიშვილთა გვარმა ქართულ მწერლობას მისცა მრავალი გამორჩენილი მოღვაწე, რომელთაც შექმნეს კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი მწერლობის გამდიდრებას, როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით. წარმოშობით ისინი მესხეთიდან ყოფილან, მაგრამ მას შემდეგ, რაც თბილისში გადმოსახლდნენ (იხ. პეტრე მესხი), მესხიშვილების სამოღვაწეო ადგილს მეტწილად ანჩისხატის ტაძარი წარმოადგენდა. აქ იყო თაშეფარებული მესხიშვილთა ოჯახი, რომელმაც არაერთი მწიგნობარი მისცა მშობლიურ კულტურას. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ანჩისხატის დეკანოზი ალექსი, XVIII ს-ის შუა ათეული წლების მოღვაწე. ის ანტონ კათოლიკოსთან დაახლოებული პირი ყოფილა. ჩვენს ხიძეულეთა საცავებში მრავლადაა შემონახული ალექსის მიერ გადაწერილი ნუსხები, მეტწილად სასულიერო შინაარსისა (ოთხთავები: S 2715, H 1114 და Q 264, H 1666; ტიპიკონები: A 399, A 459, სჯულის კანონები: A 344, A 478; ხრონოგრაფი H 1671, ჟამნი S 1096; ლოცვანი Q 295, წმინდანთა ცხოვრებანი H 2077). მასვე გაუმართავს ქართული თვენი რუსულის მიხედვით (1758 წ.) — A 1093.

ალექსი დეკანოზის შვილი იყო დავით რექტორი (1745-1824), რომელიც თელაიის სემინარიას ხელმძღვანელობდა. მეორე ვაჟი, სოლომონი (1742-1808) ანჩისხატის ტაძარში დარჩა და იქ განაგრძო მამის საქმე. ხელნაწერებს ამრავლებდნენ ალექსი მესხიშვილის სხვა შვილებიც: ნიკოლოზი და გიორგი. წინაპართა ტრადიციას არ უღალატა მომდევნო თაობამაც. გაწაფული და დახელოვნებული კალიგრაფები ყოფილან დიმიტრი სოლომონის ძე ალექსიშვილი (1778-1862) და მისი ძმები: იერონიმე, ტარასი (არქიმანდრიტი) და ანდრია. კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ეფრემ, იაკინთე, იოველ, პაორ და სხვა ალექსიშვილები.

მეტანია (ბერძ. „მონანიება“) — მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა (მიწამდე) ლოცვა-ვედრების დროს, თაყვანისცემა, „სინანულით შევრდომა“ ძველთაგან მეტანიისაგან განასხვაებდნენ თაყვანისცემას — წელში მოხრას სანახევროდ. მოგეიანებით მეტანია ერთსაც აღნიშნავდა და მეორესაც (იხ. მცირე მეტანია, დიდი მეტანია, მუხლმოდრეკა). მეტანიები უპირატესად სრულდება დიდი მარხვის დროს. დიდი მეტანია, ანუ მუხლმოდრეკა აუცილებელია ეფრემ ასურის ლოცვის, ჟამნობის ტროპართა, სერობის განტევებით ლოცვისა და სხვათა წარმოთქმისას. სამაგიეროდ აკრძალულია კვირა დღეებში და ერგასის (აღდგომიდან სულთმოფენობამდე) განმავლობაში (I მსოფლიო კრების მე-20 კანონი; VI მსოფლიო კრების 90-ე კანონი, პეტრე ალექსანდრიელის მე-15 კანონი).

მეტაფრასი (ბერძ. „თარგმანება“, „განმარტება“, „გადაკეთება, ხელახალი თხრობა“) — პაგიოგრაფიული მწერლობის ჟანრი. გულისხმობს ისეთი სახის თხზულებას, რომელიც შეცვლილია თავის ადრინდელ ვერსიასთან შედარებით: გაურკვეველია, გამოკრებილია, ანდა პერიფრაზია. მაგ., „ეკლესიასტეს მეტაფრასი“ მოკლე და ცოცხალი მოთხრობაა ეკლესიასტეს შინაარსისა, ასევე „ეზეკიელის მეტაფრასი“ შეიცავს ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვის განმარტებას. ძველ, „ლიტონად“ (უბრალოდ) აღწერილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს კიმენი ეწოდებოდა. იგი დროთა განმავლობაში ირყვნებოდა და მახინჯდებოდა ან შეგნებულად მწყალობელთა მიერ, რომელნიც მათ ასწორებდნენ თა-

ვიანთი ტენდენციის შესაბამისად, ანდა შეუგნებლად — მორწმუნეთაგან, რომელთაც ქრისტიანული დოგმატების დაცვის მიზნით შეჰქონდათ შიგ ისეთი აზრები, სიტყვები და ამბები, რომლებიც ამ თხზულებათა გმირს (წმინდანს) არ შეეძლება სცოდნოდა. გარდა ამისა, შინაარსისა და ფორმის მხრივ ისინი, როგორც „მარტივად და ლიტონად" აღწერილნი, ეელარ აკმაყოფილებდნენ საშუალო საუკუნეთა ბიზანტიის რიტორთა და სტილისტთა პრეტენზიულ მოთხოვნილებებს. ამის გამო ბიზანტიაში ხელი მოჰკიდეს ამ „ნაკლულევანებათა" აღმოფხვრას. გაჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც დაიწყეს ძველი, „ჟიმენური" რედაქციის გადაკეთება და გალამაზება; ამ მიზნით ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფორმას, ენას, სტილს; ასევე შინაარსსაც, რამდენადაც სხვის ინტერპოლაციებს სპობდნენ და, სამაგიეროდ, ზშირად თავისი შეჰქონდათ შიგ. ამ ნაიაგზე ბიზანტიაში შეიქმნა მეტად ძლიერი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მეტაფრასული მიმართულება ეწოდება. მან თავი იჩინა მეცხრე საუკუნიდან, მაგრამ განვითარების უმაღლეს საფეხურზე იგი აიყვანა ბერძენმა საეკლესიო მწერალმა სვიმეონ ლოგოთეტმა (X ს.), რომელმაც ამის გამო „მეტაფრასტის" სახელი მიიღო. სვიმეონ მეტაფრასტმა შეადგინა სექტემბერ-ივნისის თვეების კალენდარულ რიგზე გაწყობილ საკითხავთა კრებულები. XI ს-ში იოანე ქსიფილინოსმა გაასრულა სვიმეონ ლოგოთეტის შრომა და შექმნა თებერვალ-აგვისტოს თვეების მეტაფრასული საკითხავები. იოანე ქსიფილინოსის დამსახურება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი გახდა მხოლოდ ქართულ ენაზე შემონახული მასალის საფუძველზე — კ. კეკელიძის მიერ 1912 წ. მიკვლეული იოანე ქსიფილინოსის ნაშრომთა ქართული თარგმანებისა და მათზე დართული ანდერძის მეშვეობით (ეტიუდები, V, 231-232). ამავე დოკუმენტით და აგრეთვე ეფრემ მცირის „მოსაკსენებელით" (ეტიუდები, V, 235-241) დაზუსტდა სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის დეტალებიც. ქართული წყაროები საშუალებას იძლევა, გაირკვეს მეტაფრასული კრებულების შედგენის პრინციპები: სვიმეონ ლოგოთეტი არ ცვლიდა ისტორიულ ფაქტებს, მოკლე თხზულებას აერთობდა, ერცელი თხზულებიდან გამოკრებდა მისთვის საინტერესო მასალას, მწვალებელთა მიერ დამახინჯებულ ადგილებს ასწორებდა და ა. შ. ზოგიერთი წიგნი არ საჭიროებდა ასეთ ჩარევას და ამიტომ არის, რომ მეტაფრასულ კრებულებში ზოგიერთი თხზულება უცვლელად შევიდა.

მეტაშრასი — ლიტერატურული კრებული, რომელიც შეიცავს კალენდარული წესით გაწყობილ წმინდანთა „ცხოვრებებსა" და „წამებებს", განკუთვნილ ცისკრის საკითხავებისათვის.

„მეტაშრასი მეჯაიელისა" — მოკლე ეგზეგეტიკური ნაწყვეტი, რომელიც შეიცავს ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვის განმარტებას (ეზეკიელი, თავი I). ქართულ ენაზე თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. დაცულია ხელნაწერში A 292 — გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის (ფ. 322), მიეწერება გრიგოლ ნეოკესარიელს.

„მეტაშრასი ეკლესიასტესი" — გრიგოლ ნეოკესარიელის, საკვირველთმოქმედის († 270 წ.) ეგზეგეტიკური თხზულება, რომელიც წარმოადგენს მოკლე და ცოცხალ მოთხრობას „ეკლესიასტეს" შინაარსისას, დაწყარებულს ბერძნულ სეპტუაგინტაზე. წინათ ამ თხზულებას გრიგოლ ღვთისმეტყველს აკუთვნებდნენ, ვინაიდან ხელნაწერებში იგი გრიგოლის თხზულებათა შორისაა მოთავსებული. ეს ძველი ქართულ ენაზეც შენახულა. უთარგმნია ეფრემ მცირეს. შეტანილია A 292,323-331 ხელნაწერში.

მეტაშრასტი — იხ. სვიმეონ ლოგოთეტი.

მეტეხი — სოფელი კასპის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდ. თეძმის შესართავთან, კასპიდან 10 კმ. შუა სოფელში, გაშლილ ტაფობზე, დგას XIII ს. ღვთისმშობლის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც შეშოზღუდულია გალავნით. ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება. გუმბათი ორ ბოძსა და საკურთხეველის კედლებს ეყრდნობა. აღმოსავლეთის ამხიდი ნატაკიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული, მის ორივე მხარეს სამკუთხა და სადიაკენეა. გუმბათის კონუსისებურ ყელში 12 სარკმელია. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. შემოსილია მოშენაო ფერის კარგად გათლილი პერანგით, მდიდრულადაა შემკული ჩუქურთმებით, რამდენჯერმე შეკეთებული, გალავანი და სამრეკლო გუანი შუა საუკუნეებისაა.

მეტეხი — ძველი უბანი თბილისში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ციცაბო კლდის პირას. მოიცავდა ისნის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიას. XVII ს-ში მეფე როსტომმა

შემოზღუდა. სახელწოდება „მეტეხი" პირველად XII ს-ში იხსენიება მატიანეებში. მეტეხში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის აგებას მიაწერენ ვახტანგ გორგასალს (V ს.). გადმოცემით, აქვეა დაკრძალული შუშანიკ დედოფალი. XII ს. ბოლოს ამ ადგილას სამეფო სასახლე და კარის ეკლესია მდგარა (გადაწვეს მონღოლებმა 1235 წ.). 1278-89 წწ. შორის ეკლესია აღუდგენია დემეტრე II თავდადებულს. დაახლოებით ამავე დროს აღადგინეს სასახლეც. ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის გეგმა იმ დროისათვის უჩვეულოა (4 თავისუფლად მდგომი ბოძი, 3 შეერილი აბსიდი); როგორც ჩანს, ამ ადგილზე მანამდე მდგარი ეკლესიის გეგმას იმეორებს. ფასადები ახლებური დეკორატიული სისტემით არის დამუშავებული; კედლები დანაწევრებულია ჰორიზონტალური სარტყლებით (ეს სისტემა ვერ გავრცელდა), მაგრამ იმავე დროს საკურთხეველის შეერილ აფსიდზე გამეორებულია ძველი, სამთავისის დროიდან ცნობილი სისტემა — დიდი ჯვარი და ორი მონუკურთმებული კეადრატი სარკმლის ქვემოთ. საუკუნეთა განმავლობაში ტაძარმა ბევრი ცვლილება განიცადა. XIII ს. ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი და ჩრდილო კედლები კამარების დონემდე, დასავლეთი კედლის ქვემო ნაწილი, სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. XVI-XVII სს-შია აგურით აღდგენილი ოთხივე ბოძი, დასავლეთით — პატრონიკე, კამარები, გუმბათის ყელი. XVI-XVII სს-ში, ერეკლე II-ის დროს უნდა იყოს აღდგენილი სამხრეთის კედლის დიდი ნაწილი. ახის XIX ს. ფენებიც XIX ს-ში მეტეხის ძველი ციხე დანგრიეს და საპყრობილე ააშენეს. ამჟამად ეკლესია შეკეთებულია, XIX ს-ში აშენებული საპყრობილე დანგრიეს და ეკლესიის გარემო მოაწესრიგეს.

ცნობილია „მეტეხის ოთხთავი" — XV ს. სახარება ოთხთაეი (H 2903; 232 ფ.), გადაწერილი მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაში დიმიტრი მღვდლის მიერ. ხელნაწერი იდენტიფიცირებულია თ. ჯოჯუას მიერ (იხ. მრაველთაეი, XXI, 2005, გვ. 190-199).

მეტკეეთილება — წინადაცვეთა, წინადაცვეთილება, ებრაელთა რელიგიური ჩვეულება, რომლის მიხედვით მამრობითი სქესის ახლად დაბადებულ ყრმას მერვე დღეს აჭრიან სასქესო ასოს წინა კანს (ჩუჩას). ეს რელიგიური ჩვეულება დაკანონებულია მაჰმადიანთა შორისაც. იხ. წინადაცვეთა.

მეტოქი — ამა თუ იმ მონასტრის კუთვნილი ეკლესია (ფილიალი), მონასტრისაგან მოშორებით (სულხან-საბას განმარტებით — „სამყოფი მონაცვალე"). მეტოქები ყველა მნიშვნელოვან მონასტერს ჰქონდა. მაგ.: ცნობილია დაეითგარეჯის მეტოქი იერის ხეობაში, სოფ. უჯარმის მახლობლად. იერუსალიმის ჯვარის მონასტერს თბილისში ჰქონდა მეტოქი („ჯვარის მამა"), რომელიც შეწირულობებს აგროვებდა ჯვარის მონასტრისათვის და სხვ.

მეტრაპეზე — მონასტრის მოწესე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ძმათა მომსახურება სადილის დროს, ტრაპეზზე; ტრაპეზის მნე (მზარეული, სუფრაზე მომსახურე ბერი) მონასტერში. ტერმინი დადასტურებულია გიორგი მთაწმიდელის (XI ს.) „დიდ სვინაქსარში".

მეუნარგია აეაე († 1851 წ.) — ქართველი ოქრომჭედელი, ძველი ქართული ჭედური ხელოვნების უკანასკნელი წარმომადგენელი. მიიღო თუ არა სპეციალური განათლება, არაა ცნობილი. 1839 წ. იგი მეფის მთავრობამ ოქრომჭედლობის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მედლით დაჯილდოვა. მან ქართული ჭედური ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნა თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი ჭედური ხატები. პ. მეუნარგიას ნამუშევრებიდან ცნობილია მის მიერ ხელმოწერილი მარტეილის მაცხოვრის დიდი ჭედური ხატი და სოფ. აიას წმ. გიორგის ხატი. გარდა ამისა, მეუნარგიას აკუთვნებენ წალენჯიხის, ცაიშის (1843 წ.) ჭედურ ხატებს, რომლებზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი; აგრეთვე სოფ. ორბელის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატს (1837 წ.). ამ ნამუშევრებს გარდა, ცაიშის ეკლესიაში ინახებოდა მეუნარგიას ხელმოწერილი ჯვარი და ორი სამწერობელი. ყველაზე მნიშვნელოვანია მარტეილის მაცხოვრის ხატი (ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში), რომელიც ი. მეუნარგიას 1849 წ. შეუქმნია. ხატზე მოცემულ ფიგურათა პროპორციები ძძიძეა, შედარებით მსუბუქად და ლამაზადაა დამუშავებული სამოსლის ნაოჭები. ხატს ეტყობა გამოცდილი ოსტატის ხელი.

მეუფე — 1) უფალი, ღმერთი, უზენაესი პატრონი, განმგებელი და მბრძანებელი. 2) ასე იწოდებიან ეკლესიის უმაღლესი იერარქები (ეპისკოპოსი — ყოელადუსამღვდელოესი მეუფე, მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი — მაღალყოელადუსამღვდელოესი მეუფე, კათოლიკოს-პატრიარქი — უწმიდესი და უნეტარესი მეუფე).

მეფე – სახელმწიფოს მეთაური მონარქიული წყობილების დროს. ძველ აღთქმაში მეფე ღვთისაგან მირონცხებულად ითვლებოდა (მღვდელმთავართა და წინასწარმეტყველთა მსგავსად). მეფის ღვთიური მისია დაკანონა ქრისტიანულმა ეკლესიამაც. მეფის კურთხევა გულისხმობდა ღვთივ რჩეულ პიროვნებაზე მეფობის საღვთო მადლის გადმოსვლას. მეფის კურთხევის წესი დაცულია ძველ ქართულ ხელნაწერებში (S 352; A 450; ქუთ. 12). „ქართველთა მეფის“ ტიტული მეფობის აღდგენის შემდეგ პირველად მიიღო ალანასე II-მ, IX-X სს. მიჯნაზე. ქართველთა მეფე სათაოები ედგა ყოველნაირ საეკლესიო და საერო საქმიანობას. ფეოდალურ საქართველოში ყველაზე ძლიერი მეფის ხელისუფლება დაით აღმაშენებლის დროს შეიქმნა. ეს ხელისუფლება საკანონმდებლო გზით არ იყო შეზღუდული, მაგრამ მეფე ქვეყანას ფაქტიურად მსხვილ ფეოდალებთან ერთად მართავდა. მონარქია შეუზღუდველი იყო გიორგი III-ისა და თამარის დროსაც, მაგრამ ამ შეუზღუდველობას აბსოლუტიზმის ფორმა არასდეს მიუღია. ეს იმიტომ, რომ საქართველო, მართალია, გაერთიანებული იყო, მაგრამ მაინც ცალკეული სამეფოებისა და სამთავროებისაგან შედგებოდა. ეს სამეფო-სამთავროები ერთგვარი დამოუკიდებლობის ნიშნების ატარებდნენ. გაერთიანებული საქართველოს მეფეები ქვეყანას ცალკეული სამეფო-სამთავროებისათვის დამახასიათებელი კანონებითა და წესჩვეულებებით მართავდნენ. ცალკეულ სამეფო-სამთავროებში შეშორრათ მარტო ამ კუთხისათვის დამახასიათებელი სხელოები, ინსტიტუტები და სხვ. თამარ მეფის დროს კი, მსხვილი ფეოდალების აჯანყების შედეგად, მეფის ხელისუფლება შეზღუდული აღმოჩნდა და როგორც ეს აღნიშნულია „ქელმწიფის კარის გარიგებაში“, აჯანყების შემდეგ სამეფოს „ერთნებობით“, ე. ი. მეფე და დიდებულები ერთობლივი შეთანხმებით მართავდნენ. ეს უკვე საკანონმდებლო გზით მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. მაშასადამე, საქართველოს გაერთიანების შემდეგ სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ორი პერიოდი განვლო: I. ფორმალურად შეუზღუდველი მონარქიისა; 2. თამარის დროიდან ფორმალურად შეზღუდული სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ორგანოს, რომლის საშუალებითაც მეფე და ფეოდალები სამეფოს განაგებდნენ, დარბაზი ეწოდებოდა.

მეფეთა – სახელწოდება ძველი აღთქმის ოთხი ისტორიული წიგნისა; მეფეთა წიგნები გაცალებენ 1170-569 წწ-ის ამბებს ე. ი. წინასწარმეტყველ სამუელის დაბადებიდან იეჰონიას საყრობილედან განთავისუფლებამდე; პირველი წიგნის ისტორია 110 წლის ამბებს მოიცავს (მეფე საულის სიკვდილამდე), მეორე – 40 წლისას (მეფე დავითის სიკვდილამდე), მესამე – 120 წლისას (იოსაფატის სიკვდილამდე), მეოთხე – 335 წლისას და მთავრდება ბაბილონის ტყვეობით. მეფეთა წიგნებში ასახულია როგორც პოლიტიკური, ისე ზნეობრივი და რელიგიური ისტორია ებრაელებისა. ამასთან, პირველი ორი გვაძლევს იდეალურ სახეებს – მეფე დავითისა და წინასწამრეტყველ სამუელისას, მეორე ორი კი წარმოაჩენს ებრაელთა სამეფოს დაცემის მიზეზებს – წინასწარმეტყველთა მიმართ უპატივცემულობასა და კერპთაყვანისმცემლობას.

მეფსალმუნე – წიგნის მკითხველი, მედაკითნე, „ფსალმუნთ მთქმელი“ (სბა). ტერმინი დადასტურებულია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში“.

მეძა (მაჭი) – მაჰმადიანთა წმიდა ქალაქი, მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე. აქაა დაკრძალული (ქააბის შავი ლოდის ქვეშ) არაბთა მოდგმის მამამთავრად მიჩნეული ისმაელი, აბრაამის პირმშო, რომელიც მას შეეძინა ეგვიპტელი მხევლის, აგარისაგან (ისმაელისა და აგარის სახელებისაგან წარმოდგება არაბების სხვაგვარი სახელწოდებები: ისმაიტელები და აგარიანები). მექის სალოცავ სახლში მაჰმადიანები უჩვენებენ დიდ ქვას, რომელზედაც გამოსახულია „მსგავსება აფროდიტისა“, და ირწმუნებიან, აბრაამმა ამ ქვას გამობა აქლემი, როცა ისააკის დაკვლა განიზრახო. იხ. მედინა.

მეძვენა (ყოფ. ეანისჭალა) – სოფელი წყალტუბოს რაიონში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ქუთაის-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე, წყალტუბოდან 52 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე-კოშკი და ეკლესიის ნანგრევები.

მეძრთილე – ქერის (ქრთილის) მარცვალზე სვე-ბედის მრჩეველი. „დიდი სჯულისკანონი“ კრძალავდა ასეთ მკითხაებთან ურთიერთობას (განწესებანი პალე მოციქულისა, მე-17-ე კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 228).

მეჩეთი (არაბ. მასჯიდ – თაყვანისცემის ადგილი) – მუსლიმური საკულტო ნაგებობა. VII-VIII სს-ში ჩამოყალიბდა გეგმით სწორკუთხა მეჩეთის ტიპი, რომლის ეზოსაც გარს ერტყა

გალერეები, ხოლო მრავალსვეტებიანი სალოცავი დარბაზის ერთ-ერთ, მექისაკენ მიმართულ კედელში მოთავსებული იყო ერთი ან რამდენიმე მიპრაბი (ღმაისთა მეჩეთი დამასკოში, 705-715 წწ.). ჩვეულებრივ, მეჩეთს ამკობენ სტუკოზე ამოკვეთილი ორნამენტით, ინკრუსტაციით, მოზაიკით, მოხატულობით.

მეჩხეთური — სოფელი ჭიათურის რაიონში, ჭიათურის პლატოზე, მდინარეებს — დუმალასა და მეჩხეთურას შორის. ჭიათურიდან 23 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში, შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები.

„მეძიებელნი" — ქრისტიანული სექტა ინგლისში XVIII ს-ში. ასწავლიდა, რომ ღვთის რწმენა ეძლევა მეძიებელთ; რომ მარტო საღვთო წერილი არ კმარა, საჭიროა კიდევ ე. წ. „საღვთო განათლება".

მეწიეთის მარხვანი — XVI ს. შუა ხანების ხელნაწერი (Q 642), რომელშიც დაცულია საქართველოს მეფეთა და დიდგვაროვანთა ერცელი მოსახსენებელი. იგი გადაუწერათ „პატრონ ქეთაონის" ბრძანებით (იხ. სამხრეთ საქ. ისტორიის მასალები, XV-XVI სს. ქრ. შარაშიძის გამოცემა, 1961 წ.).

მეხელი — ქართველი პროფესიონალი ჰიმნოგრაფებისა და მუსიკოსების სახელწოდება. დადასტურებულია X-XI სს. წერილობით ძეგლებში. მეხელების მიერ ახალი წესით დაწერილ (ან თარგმნილ) და მელოდიასთან შეწყობილ საგალობლებს მეხური (იხ.) ეწოდებოდა.

მეხური — ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავს ახალი წესით დაწერილ (ან თარგმნილ) და მელოდიასთან შეწყობილ საგალობლებს. მეხურის გამოყენება დადასტურებულია X-XI სს. ქართულ ხელნაწერებში: „მეხურნი ძლისპირნი", „დასდებელნი აღდგომისანი მეხურნი", „ჯალობანი მეხურნი" (მიქაელ მოდრეკილის „იადგარი"), „მეხურნი ღმრთისმშობლისანი" (გიორგი მთაწმიდელის ივნისის თვის „თვენის" ანდერძი), „მეხური იადგარი" (მელქისედეკ კათოლიკოსის სიგელი). მკვლევართა ერთი ჯგუფი (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, გ. ჟორდანია, ვ. გვახარია) მეხურს ეთნიკურ, ხოლო მეორე ჯგუფი (ა. კარბელაშვილი, კ. კეკელიძე, ე. ტიბო, ლ. ჟღამაია, ო. ჩიჯავაძე, ე. მეტრეველი) — მუსიკალურ ტერმინად მიიჩნევს. ბოლო დროს გამოვლენილმა ახალმა წყაროებმა (გიორგი მთაწმიდელის ივნისის და სექტემბრის თვეთა „თვენის" ანდერძები) დაადასტურეს, რომ მეხური მუსიკალური ტერმინია და დაკავშირებულია მეორე ტერმინთან — „მეხელი". ეს ტერმინები შეიქმნა ქართული ჰიმნოგრაფიის გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ძველი ტიპის „წყობილი სტყვით" დაწერილი საგალობლები შეიცვალა ახალი ტიპის „საგალობელთა მარცვლედით", ანუ რიტმული პროზით დაწერილი საგალობლებით (იხ. ჰიმნოგრაფია).

ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში რიტმული პროზის, ანუ ბიზანტიური სასულიერო ლექსის გაჩენა დაკავშირებული იყო იოანე დამასკელის მიერ ჩატარებულ რეფორმებთან და გულისხმობდა გალობაში ძლისპირ-ტროპართა რიტმულ-მელოდიური შესატყვისობის დაცვას და მელოდიის ფიქსაციას ტექსტებზე, რაც X ს. დამდეგიდან გახორციელდა ნეუმების (სანოტო ნიშნების) შეშვებით. ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარებას, აგრეთვე დაიწყო ახალი საზომით დაწერილი ბერძნული საგალობლების თარგმნა, ძველი თარგმანების გადამუშავება და ამავე საზომებით ორიგინალური საგალობლების წერა. მელოდიათა ფიქსაციისათვის შემუშავდა ორიგინალური ნეუმური სისტემა, რომელიც გრაფიკულად განსხვავდება ყველა არსებული სისტემისაგან. ეს სამუშაო თხოულობდა ბიზანტიური სასულიერო ლექსისა და მუსიკის თეორიის კარგ ცოდნას, გიორგი მთაწმიდელის სიტყვებით — „დასდებლის მეცნიერებას".

კ. კეკელიძის ვარაუდით, ტერმინი „მეხური" წარმოებული უნდა იყოს ბერძნული სიტყვიდან „ეხოს", რაც ხმას ნიშნავს.

მეჯვრეთი — VIII-IX სს. სამონასტრო კომპლექსი ამბროლაურის რაიონის სოფ. ლიხეთთან. იხ. ლიხეთი.

მეჯურჯლე (სკევოფილაქსი) — მეთვალყურე საეკლესიო ჭურჭლისა, გამგე სკევოფილაკიისა. ასე ეწოდებოდა ბაზილიკის განყოფილებას, რომელშიც ინახებოდა წმ. წიგნები, ჭურჭელი და მღვდელმსახურებისათვის საჭირო საგნები. VII ს-დან სკეოფილაქსობა საპატიო თანამდებობად ითვლებოდა ბიზანტიის საპატრიარქო ეკლესიაში. თავდაპირველად, ალბათ, ასეთი მოხელე სჭირდებოდათ დიდ, ჭურჭლით მდიდარ ეკლესიებს. ეს იქიდან ჩანს, რომ საეკლესიო ჭურჭლის გამგებლობა უკისრებოდათ ზოგჯერ სხვა თანამდებობით დაკავებულ პირებს. მეჭურჭლე განაგებდა მთელ საეკლესიო ჭურჭელს და მის ხმარებას ღვთისმსახურების დროს. საპატრიარქო კარის შექმნის დროიდან სკეოფილაქსი

შევიდა მოხელეთა უმაღლესი ხუთეულის შემადგენლობაში (III ადგილი – იკონომოსისა და საეკლარის შემდეგ). დიდი სკევოფილაქსი სათაეში ედგა 12-თა საბჭოს. თავდაპირველად სკევოფილაქსს ირჩევდნენ ხუცესთაგან და დიაკონთაგან, შემდეგ კი მხოლოდ დიაკონთაგან. იგი ატარებდა ოქროს გვირგვინს და სინოდში მონაწილეობდა. სკევოფილაქსის მოვალეობაში შედიოდა ზრუნვა ღვთისმსახურების წესრიგზე. თუ რომელიმე ეკლესიას გარდაეცვლებოდა მწყემსი, მაშინ სკევოფილაქსი თვით მეთვალყურეობდა ეკლესიას და ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთებს. ღვთისმსახურების დროს იდგა საეკლესიო სამოსის საცავის წინ, რათა გაეცა სანთლები და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სამოსელი და ნივთები. ქართული ტერმინი – მეჭურჭლე, სკევოფილაქსის შესატყვისად დადასტურებულია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სჯნაკსარში“.

მეჯაზრე // მჯაზრავი – მკითხავი, მომავლის წინასწარ მთქმელი. რომაული სამოქალაქო კანონმდებლობა (იუსტინიანეს კოდექსი) მკაცრად კრძალავდა ასეთ მკითხავებთან ყოველგვარ ურთიერთობას, რაც აისახა „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატურ ნაწილებიც (იხ. „დიდი სჯულისკანონი“, გე. 172, 6; 14).

„მზამეტყველება“ – კათოლიკოს ანტონ I-ის დოგმატიკურ-პოლემიკური შრომა, დაწერილია 1750-52 წწ., მიმართულია მონოფიზიტთა, კერძოდ, სომეხთა წინააღმდეგ და მიზნად აქვს დასახული განჭვრიტა მონოფიზიტური იდეოლოგიისა, როგორც ისტორიულად, ისე დოგმატიკურად, და განმარტება-განმტკიცება მართლმადიდებლობითი დოქტრინისა. ანტონს ამ თხზულების შედგენისას დახმარებია ფილიპე ყაითმაზაშვილი, კერძოდ, მას უთარგმნია მასალები სომხური წყაროებიდან. თხზულება სამ წიგნად იყოფა: პირველი წიგნი ეხება ნესტორიანობას, რამდენადაც ის დაკავშირებულია მონოფიზიტობასთან ისტორიულად და იდეურად. მეორე წიგნში მოთხრობილია ისტორია ეფესოსა და ქალკედონის კრებისა, მონოფიზიტობის წარმოშობისა და მისი შეჭრისა სომხეთში. მესამე წიგნში მუხლობრივადაა გაჩეული მონოფიზიტთა დოგმატიკა, სომეხთა ეკლესიის წესნი და ჩვეულებანი და ნაჩვენებია მათი სიყალბე. ამ თხზულების შედგენა ანტონის შემდეგი გარემოებების გამო გადაუწყვეტია: მის დროს, განსაკუთრებით 1744-1749 წწ., ჩვენში გაძლიერებულა სომეხთა სარწმუნოებრივი პროპაგანდა, რომელიც დიდ ხიფათს უქადდა მართლმადიდებლობას საქართველოში. პროპაგანდა წარმოდა როგორც სიტყვიერი, ისე ლიტერატურული. ანტონისათვის ცნობილი ყოფილა წიგნები სომეხთა მოძღვრებისა: იოანე ოძნელისა, პაველ ტარონელისა, სტეფანე სიუნელისა, გოშიკ ვანაკანელისა, ვარდანისა, სერგისა, მაშტოცისა, იოანე ოროტნელისა, გრიგოლ ტკაელელისა, გრიგოლ კესარიელისა, ანგელისა, იაკობისა და მისი თანამედროვე კათოლიკოსის, ლაზარე ჭუკელისა, რომელმაც დაწერა „დრახტცანკალ“ („სამოთხე საწადელი“). ანტონის სიტყვით, ყველა ეს წიგნები სავსე იყო გმობითა და უკეთურებით, ამიტომაც „ეწერა წინაგანწყობად ზემოთქმულთა ამათ მწვალებელთაო“. მონოფიზიტთა და, კერძოდ, სომეხთა „წინაგანწყობა“ (საწინააღმდეგო) ლიტერატურა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო ქართულ ენაზე. ანტონს თავისი განსაცვიფრებელი ერუდიციის წყალობით ოსტატური კომბინაცია მოუხდენია ამ მასალისა. კერძოდ, იგი უხვად სარგებლობს ანასტასი სინელის „წინამძღუარით“, იოანე დამასკელის „ჟარდამოცემით“, კირილე ალექსანდრიელის „საუნჯით“ და ლეონ დიდის, რომის პაპის „ტომოსით“, საზოგადოდ, იმ მასალით, რომელიც თავმოყრილია არსენ იყალთოელის „დოღმატიკონში“. მიუხედავად ამისა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ღირსებით ეს თხზულება შეგვიძლია ერთ დონეზე დავაყენოთ ბიზანტიის დოგმატიკურ-პოლემიკური შრომების საუკეთესო ნაშრომებთან. თხზულება გამოცემულია 1892 წ. ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით და პ. კარბელაშვილის რედაქტორობით.

მზგმეშისანი – ამ ტერმინით აღინიშნებოდა „პარაკლიტიკოსი“ – სადაგი დღეების განგებათა კრებული და არა საკუთრივ რაც ხმათა წიგნი (ოქტოიხოსი).

მზე – ღუმაება ქართული წარმართული პანთეონიდან. ძველ საქართველოში წარმართობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მზათობთა თაყვანისცემა. მთავარ ღმერთად მთვარე იყო აღიარებული („მამა“), მისი დღე – ორშაბათი – უქმედ ითვლებოდა. მზეს („დედას“) კი უფრო ნაკლები პატივი ჰქონდა. მისი დღე „მზისაჲ“ (კვირა) იყო.

„მზე სიმართლისა“ – ეპითეტი მაცხოვრისა (იესო ქრისტესი); რომლითაც იგი მოიხსენიება შობის ტროპარში. აღებულია მალაქიას წინასწარმეტყველებიდან (4,2).

„მზე შინა“ – ძობის რიტუალთან დაკავშირებული წარმართობის დროინდელი ქართუ-

ლი ხალხური ორხმიანი სიმღერა, აგრეთვე საწესო ფერხული („სამაიას“ ნაირსახეობა). სიმღერას გაბმული ბანის ფონზე მონაცვლეობით ასრულებდა ორი ქალი. ამას მოსდევდა ღამისთევა გართობა-თამაშით. მე-3 დღეს ბაშვის დედას ტახტრევანზე დაწვენდნენ. იწყებოდა მილოცვები სიმღერით. სიმღერითვე მიმართავდნენ მზეს: „მზე შინა და მზე გარეთა, მზეე შინ შემოდიო“... ამ სიმღერის ფონზე ცეკვავდნენ ფერხულს. სასიმღერო რიტმის მიხედვით ცეკვა ნარნარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ძეობის რიტუალი ორ კერას გრძელდებოდა.

მზეჭაბუკი ჯაყელი († 1516 წ.) – სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1500-15 წწ. ყვარყვარე II-ის მეორე ვაჟი. ტახტი მიიტაცა უფროსი ძმის, ქაიხოსრო I-ის გარდაცვალების შემდეგ. თავდაპირველად იცავდა საქართველოს მეფეთაერებს შორის 1490-92 წწ. დადებულ ზავს, შემდეგ კი საკუთარი სამფლობელოს გაძლიერების მიზნით ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადა და მისი დახმარებით ჭანეთი და აჭარა სამცხე-საათაბაგოს შეუერთა. მზეჭაბუკ ათაბაგი ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს ეკლესია ჩამოშორებინა საქართველოს ეკლესიისაგან. მან ერთხანს მიაღწია კიდეც ამას, მაგრამ ბოლოს დამარცხდა, 1515 წ. ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და ბერად აღიკეცება იაკობის სახელით. იგი ცნობილია, როგორც საზღვარგარეთის ქართულ სავანეებზე მზრუნველი. მას XVI ს. დამდეგს სინის მთაზე და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დიდძალი შესაწირავით გაუმაგრებია თავისი ძმის, ქაიხოსროს აღშრდილი აბბოსი (კალიგრაფი და მხატვარი, Q 84 ოთხთავის გადამწერ-შემკობელი).

მზეჭაბუკ ქაიხოსროს ძე – მოხსენებულია „ათონის კრებულში“ ათონის ქართველთა მონასტრის სხვა კეთილისმყოფელებთან ერთად. მათთვის XVI ს. დაწესებული ყოფილა მოსახსენებელი ოქტომბრის 10-ს, რათა „ეთარცა აღმაშენებელნი მოიკსენებოდენ“, ე. მეტრეველი, აღაპე წიგნი, გვ. 185. იხ. ბაჰადურ, ყვარყვარე.

მზისა – კვირიაკის (კვირა დღის) ძველი ქართული სახელწოდება.

მზისაჲ – „ჟამი მზისაჲ“, ასე ეწოდება ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში პირველ ჟამნს, როგორც მზის ამოსვლისას შესასრულებელ ღვთისმსახურებას. „მზის ამოსვლის“ ღვთისმსახურება (ანალოგიური სახელწოდებით) ცნობილია სომხურ ლიტურგიკულ ძეგლებშიც.

მზის მოქცევა (საბას მიხედვით – „მზის მოქცეა“) – ასე ეწოდება 28 წელს (4 X 7), რომლის გასვლის შემდეგ წლის ყოველი თვე და რიცხვი იმაეე კვირის დღეებში მოხვდება, რომელშიც 28 წლის წინ იყო. ეს რიცხვი მიიღება 4-ისა და 7-ის გამრავლებით. რიცხვი „4“ იმიტომ გათვალისწინება, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთი ნაკიანია, 7 კი – კვირის დღეთა რიცხვია. „28 წელიწადთა მოქცევა მზის-მოქცევად იწოდების, ვინაითგან მას შინა არიან სლვანი წელიწდისანი და თთეის დადეგნი და დღენი ნაკთანი და ხელთა (ქელთა) ცხრილები და კალანდრანი, ხოლო ვინც მათმტკიცას ისწავლის, მრავალს სხვასა ჰპოებს“ (საბა). მზის მოქცევის სახელწოდება არ გამოხატავს რაიმე პერიოდულ ასტრონომიულ მოვლენას. ეს სახელი 28 წლიანმა ციკლმა მიიღო იმიტომ, რომ მისი გასვლის შემდეგ წლის ყოველ კვირა დღე იმავე რიცხვში მოხვდება, როგორც ეს იყო 28 წლის წინათ. კვირა კი რომაულად მზის დღედ ითელებოდა (dies solis). აქედან – „მზის მოქცევის“, მზის [დღის] მობრუნების სახელწოდებაც (იხ. ზელთა). ინდიქტიონის ცხრილში მზის მოქცევას ეთმობა სპეციალური სვეტი, სადაც თანმიმდევრობით წერია რიცხვები: 1, 2, 3, ... 28-მდე. ეს რიცხვები გეიწვენებენ, მერამდენეა ესა თუ ის წელიწადი მზის მოქცევის დაწყებიდან.

მზის წელიწადი – წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც ძვ. წ. V ს-ში (სხვა შეხედულებით – ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში) ჩამოყალიბდა წინა აზიაში, აქედან კი საქართველოში შემოვიდა. ძველ ქართულ თვეთა სახელებია: აპრილი, ახალწლისაჲ, ვარდობისაჲ, თიბისაჲ, იგრიკაჲ, მარიალი, მიპრაკანი (მითრაკანი), სთულისაჲ, სურწყისაჲ, ტირისკონი, ტირისდენი, ქუელთობისაჲ.

„ახალწლისაჲ“ ანუ ახალი წელიწადი ქართულში 6 აგვისტოს იწყებოდა. ძველ ირანში, სომხეთში კაპადოკიასა და ეგვიპტეში მიღებული იყო მოძრაეი წელიწადი, შუდამ 365-დღიანი. ქართველთა შორისაც ამავე ბუნებისა უნდა ყოფილიყო მზის წელიწადი. იგი შედგებოდა 12 თვისაგან, რომელთაგან თითოეული შეიცავდა 30 დღეს. წლის გასულს, XII-სა და I თვეთა შორის, ჩაუმატებდნენ ხოლმე ხუთ დღეს („ეპაგომენებს“). მზის მოძრაეი წელიწადი, ულიუსის კალენდართან შედარებით, ყოველ ოთხ წელში ერთი დღით იგვიანებდა; ამის გამოსასწორებლად შემოღებული იქნა ნაკიანი, 366-დღიანი

წელიწადი ყოველ ოთხ წელიწადში. ძველი ქართული წელიწადი, მისი შედგენილობა და ხასიათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ახალწლისაჲ: 6 აგვისტო — 4 სექტემბერი.
სთულისაჲ: 5 სექტემბერი — 4 ოქტომბერი.
ტირისკანი: 5 ოქტომბერი — 3 ნოემბერი.
ტირისხინი: 4 ნოემბერი — 3 დეკემბერი.
აპნისი: 4 დეკემბერი — 2 იანვარი.
სურწყნისი: 3 იანვარი — 1 თებერვალი.
მიპრაკანი: 2 თებერვალი — 3 მარტი.
იგრიკა: 4 მარტი — 2 აპრილი.
ვარდობისაჲ: 3 აპრილი — 2 მაისი.
მარიალი: 3 მაისი — 1 ივნისი.
თიბისაჲ: 2 ივნისი — 1 ივლისი.
ქუელთობისაჲ: 2 ივლისი — 31 ივლისი
ეპაგომენები: 1 აგვისტო — 5 აგვისტო.

მზრეველი — მზორავი, კერპებისადმი - მსხვერპლის შემწირველი. „დიდი სჯულის-კანონი“ კრძალავდა მათთან ყოველგვარ ურთიერთობას (იხ. „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 172, 13) (იხ. ზორავა).

მთავარანგელოზი — ზეციური უსხეულო არსება. დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ზეციური იერარქიის მერვე საფეხურის სული (სერაბინთა, ქერუბინთა, საყდართა, უფლებათა, ძალთა, ხელმწიფებათა და მთავრობათა შემდეგ). მთავარანგელოზები არიან: მიქაელი — მძლეველი ყველა მტრული ძალებისა; გაბრიელი — სიმაგრე ღვთისა და მისი საღვთოსლოს კეთილი მაცნე; რაფაელი — აკადმყოფთა მკურნალი და გზაზე დამყენებელი; ურიელი — აღმძვრელი ლოცვების სურვილისა და განმანათლებელი უცოდინართა; იეგუდიელი — გაჭირვებულთა დამხმარე; ბარაქიელი — მომცემი ღმრთის სიკეთისა და მფარველი სულიერი და ხორციელი სიწმინდისა; სალათიელი — აკადმყოფობისაგან განმკურნებელი; იერემიელი — ღვთისადმი სიყვარულის გამძღებებელი.

სიტყვა „მთავარანგელოზი“ წარმომავლობით ახალი აღთქმისაა, იგი არ გვხვდება არც ძველ ალთქმაში, არც ძველ მწერალთა თხზულებებში, მაგრამ ანგელოზთა იერარქიაზე წარმოდგენა ადრეც იყო. მთავარანგელოზთა შესახებ ქართულ ენაზე მოიპოვება გერმანე კონსტანტინოპოლელის თხზულება „საკითხავი მთავარანგელოზთაჲ“ (შეტანილია ხელნაწერში A 70, 278-281). საღვთო წერილში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მთავარანგელოზი გაბრიელი (ებრ. „გაბრიელ“ — ღმერთი და კაცი), მსახური საღვთო ძლიერებისა.

მთავარდიაკონი (არქიდიაკონი) — მღვდლისა და ეპისკოპოსის თანაშემწე მღვდელმსახურების დროს; წარმოთქვამს ექსრეცსებს, კითხულობს სახარებას და ა. შ. (იხ. დიაკონი). ღვთისმსახურებისას მთავარდიაკვნები, ისევე, როგორც პროტოდიაკვნები, იმოსებიან საგანგებო გრძელი შესამოსლით — სტიქარით. მარცხენა მხარეზე გადაკიდებული აქვთ ოლარი. ანგლიკანურ ეკლესიაში მთავარდიაკვნებს აქვთ ადმინისტრაციული ძალაუფლება და ეპისკოპოსის მოადგილეებს წარმოადგენენ საეპარქიო მართვა-გამგეობის საქმეში. XIII ს-მდე მთავარდიაკვნებს დიდი ადმინისტრაციული ძალაუფლება ჰქონდათ რომის ეკლესიაშიც.

მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) — მთავარი ეპისკოპოსი, უპირატესი ეპისკოპოსი, მღვდელმთავარი. თუმცა მღვდელმთავრები თანასწორნი არიან ძალაუფლებით, მაგრამ ჯერ კიდევ მოციქულთა კანონებით იქნა დადგენილი ზოგიერთი ეპისკოპოსისათვის უპირატესი ტიტულის მინიჭება. 34-ე კანონით დადგენილია, რომ ეპისკოპოსები უნდა სცნობდნენ უპირველესის ძალაუფლებას და მისი თანხმობის გარეშე არ უნდა შეასრულონ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე. მთავარეპისკოპოსის ტიტული პირველად მიენიჭა ალექსანდრიელ ეპისკოპოსს, რადგან იგი საეკლესიო საქმეებს განაგებდა მთელ ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში. პატრიარქობის დაარსებიდან მთავარეპისკოპოსის ტიტული მიენიჭა თვით პატრიარქებს, ავრეთვე იმ მიტროპოლიტებს, რომლებიც თვითმმართველობის (ავტოკეფალიის) უფლებით სარგებლობდნენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე პატრიარქები, მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ყოველთვის ხელს აწერდნენ, როგორც ეპისკოპოსები ამა თუ იმ ქალაქისა. საქართველოში პირველი მთავარეპისკოპოსი დადგენილი იყო ჯერ კიდევ მირიან მეფის დროს, 335 წელს (იოანე I). რუსეთში პირველი მთავარეპისკოპოსი იყო ნოვგოროდში, 1165 წ. ამჟამად მთავარეპისკოპოსის წოდება წარმოადგენს ჯილდოს და ენიჭება ეპისკოპოსებს.

მთავართა და ერისთავთა დადგენის წესი — კურთხევა ერისმთავრებისა და ერისთავებისა; საეკლესიო წესი, რომლის შესრულების უფლება აქვთ მხოლოდ პატრიარქსა და ეპისკოპოსებს. ტექსტები დაცულია XVI-XVII სს-ის ქართულ ხელნაწერებში: A 450 (XVI ს.) H 414 (XVI-XVII სს.), S 352 (XVII ს.), ქუთ. 12 (XVII ს.), A 895, H

2285; H 1667 (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III გვ. 157-165). იხ. წესი.

„მთაპართა სანათლოჲ“ – „ფრიად დიდებული“ ადგილი მცხეთის მახლობლად, მტკვრის ნაპირას, მოგვეთის კართან. აქ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, ყოფილი ბაგინის ადგილზე წმ. ნინომ აღმართა ჯვარი, რომელსაც „მთაპართა სანათლოჲ“ ეწოდა იმის გამო, რომ აქ მოინათლნენ მთაპართა შვილები იაკობ მღვდლისა და პროსილა მთავარდიაკონის ხელით („ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები“, I, გვ. 146). დღეისათვის აქ შემორჩენილია მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ეწოდება „მოგვეთა“.

მთაპარმოწამე – წმ. დიდი მოწამის გიორგისა († 303) და სხვა გამორჩეულ მოწამეთა ერთ-ერთი ეპითეტი; დიდი მოწამე.

მთაპარმოწამება – გიორგობა, ხალხური საეკლესიო დღესასწაული. იმართება 3 იელისს სოფ. ხორხელში (ახმეტის რაიონი).

მთაპრობანი – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი, დიონისე არეოპაგელის მიხედვით – მეშვიდე (სერაბინთა, ქერუბინთა, საყდართა, უფლებათა, ძალთა და ხელმწიფებათა შემდეგ); (იხ. ანგელოზთა დასები).

მთაზე ფარმოთქმული ქადაგება – მაცხოვრის ერთ-ერთი ქადაგება, რომელიც მან წარმოთქვა მთაზე. ყველაზე ვრცლად ეს ქადაგება მოთხრობილია მათეს სახარებაში (5,1-7,29), აგრეთვე ლუკას სახარებაში (VI, 17-49). ამ ქადაგების ძირითადი თემებია: 1. ცხრა ნეტარება. 2. ქრისტიანთა შედარება მიწის მარილთან და სინათლესთან. 3. ქრისტე მოსესა სჯულის შესავსებად და არა მოსასპობად (დასარღვევად). 4. მრისხანებისა და მკვლელობის შესახებ. შერიგება ძმასთან. 5. მაცდური თვალისა და ხელის მოკვეთა. 6. ცოლთან გაყრის შესახებ. 7. უარყოფა მცნებისა: „თვალი თვალისა წილ;“ ე.ი. ამის ნაცვლად მეორე ლეყაში მიშვერა იმის საპასუხოდ, რომ ერთ ლეყაში გაგარტყეს. 8. მტრების სიყვარული. 9. მოწყალების შესახებ. 10. ლოცვის შესახებ. 11. საუფლო ლოცვა „მამაო ჩუენო“. 12. მარხულობის შესახებ. 13. თვალი – სხეულის სანთელი. 14. ორი ბატონის საშსახურის უარყოფა, ამაო ზრუნვაზე უარის თქმა. 15. განკითხვის უარყოფა (ბეწვისა და ღვრის შედარება). 16. „ეძიებდეთ და ჰპოოთ“. 17. საცხოვნებელი გზა – ვიწრო გზა. 18. გაფრთხილება ცრუ წინასწარმეტყველთა შესახებ (ხე ნაყოფით იცნობა). 19. ყველა ვერ ცხონდება, ვინც ღაღადებს: „უფალო! უფალო!“ 20. გონიერი და უგუნური მშენებლები.

იესო ქრისტეს ქადაგება „ნეტარებათა“ შესახებ (მათე 5,3-12) გამოხატავს ახალი აღთქმის არსსა და მის განსხვავებას ძველი აღთქმისაგან. შემდეგ უფალი განმარტავს ახალი აღთქმის კანონებს ძველი აღთქმის კანონებთან შედარებით და ფარისეველთა მოძღვრებასთან დაპირისპირებით. თუ როგორ არის განმარტებული ათი მცნება, ჩანს შემდეგი მაგალითებიდან: მცნება „არა კაც-კლა“ სჯის არა მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც კაცი მოკლა, არამედ იმასაც, ვინც მარტო გულში გაიელო მტრობა. იგივე ითქმის მრისხანე ადამიანზე, რომლის საქციელი შეიძლება მტრობის წყაროდ იქცეს და გამოიწვიოს მრაველი ცოდვა, როგორც სიტყვით, ისე საქმით. სიძულვილ გაგებულია არა მარტო ქალვაჟის ხორცილი თანაყოფა, არამედ გულისთქმით შეხედვაც კი. ძველი აღთქმისეულ მცნებას: „თვალი თვალისა წილ“ უპირისპირდება ახალი აღთქმის დებულება: „არა წინააღმდგომად ბოროტისა“, და ა. შ. მთაზე წარმოთქმულმა ქადაგებამ დიდი გავლენა მოახდინა მსმენელებზე. იგი მუდამ საყვარელი თემა იყო ღვთის სიტყვის მქადაგებელთათვის. მას იკვლევდნენ და განმარტავდნენ ეკლესიის მამები და მოძღვრები.

მთაწმინდა – ათონის მთა, საბერძნეთში, ეგეოსის ზღვაში შეჭრილ ქალკიდონის ნახევარკუნძულზე, საბერო ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი მსოფლიოში; აქ პირველად დამკვიდრდა და სამონასტრო მოღვაწეობას საფუძველი ჩაუყარა ათანასე ათონელმა († 1000 წ.). ათანასეს ლაურაში სამოღვაწეოდ ქართველი ბერებიც მოვიდნენ (იოანე, თორნიკე, უფთიმე). მათ ათანასეს დროსვე მიიღეს უფლება დამოუკიდებელი მონასტრის აშენებისა. ქართველების თანადგომით აშენდა ჰრომთა (რომაელთა) მონასტერიც. ათონის მთაზე მრავალი მონასტერი და სკიტი აშენდა. დღეისათვის ათონის მთაზე 20 მონასტერი არსებობს. იხ. ათონის მთის მონასტრები.

მთაწმინდა – მამადავითის მთა, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი შტო-ქედის დაბოლოება. სახელი მიიღო საქრისტიანოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის – ათონის მთის მიხედვით. მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთაზე, დავით გარეჯელის სამოღვაწეო ადგილზე მამადავით-

სა და ფერისცვალების ეკლესიებია (XIX ს.). იხ. მამა-დავითი.

მთვარის მოქცევა („მთოვარის მოქცევი“) — მთვარის ციკლი, 19-წლიანი პერიოდი — „ათცხრამეტური“, რომელიც დაწესებულია მთვარის განახლების საანგარიშოდ. როგორც ცნობილია, მთვარის განახლება ხდება დახლოებით ყოველი 29,5 დღის შემდეგ. ეს რომ 12-ზე გავამრავლოთ, მივიღებთ: 354; ე. ი. მარტივ წელიწადში — 365 დღიან წელიწადში — მოხდება 12 მთვარის მოქცევა და კიდევ დარჩება ნაშთი 11 დღე (365-354=11) ეს თერთმეტი დღე წარმოადგენს „ათცხრამეტურის“ I წლის ზედნადებს. „ათცხრამეტურის“ შემდეგი წლის ზედნადებები გამოითვლება ასე: აღებული წლის ზედნადებს დაემატება 11 და თუ მიღებულმა რიცხვმა გადააჭარბა 30-ს, გამოაკლდება 30 და რაც დარჩება, ის იქნება ახალი წლის ზედნადები. კერძოდ, ზედნადებებია: 11, 22, 3, 14, 25, 6, 17, 28, 9, 20, 1, 12, 23, 4, 15, 26, 8, 19, 30. ამის შემდეგ დაიწყება ახალი „ათცხრამეტური“, რომლის წლებს ზედნადებები იგივე თანმიმდევრობით ექნება (მთვარის აღსვლების დღეები თაიდანპირველი წესრიგით განლაგდება). უნდა შეენიშნოთ, რომ „ათცხრამეტურის“ განმავლობაში ზედნადები 11-ით იცვლება, მაგრამ ნაკლები წლით გამოწვეული ცდომილების შესწორებულად ერთ შემთხვევაში 11-ის ნაცვლად ზედნადებს ეცვლით 12-ით. კერძოდ, „ათცხრამეტურის“ მეთექვსმეტე წელს აქვს ზედნადები 26. მეჩვიდმეტე წელს ზედნადები უნდა ყოფილიყო 7(26 + 11 = 37; 37-30 = 7), მაგრამ 11-ის ნაცვლად ეუმატებთ 12 და ახალი წლის ზედნადებიც გამოდის 8. (26 + 12 = 38; 38 — 30 = 8); მთვარის მოქცევას, მზის მოქცევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს პასქალიაში. მთვარისა და მზის მოქცევის წელიწადთა ნამრავლი გვაძლევს დიდ ინდიქტიონს (28 X 19 = 532), რომლის გასვლის შემდეგაც წლის ყოველი რიცხვი იმ დღეს დაემთხვევა, როგორც ეს თავდაპირველად იყო, ასევე მთვარის აღვსების რიცხვებიც.

მთვარის ღმთაება — ძველ ქართულ წარმართულ ღმთაებათა პანთეონში მიჩნეული იყო უმთავრეს და უძლიერეს ღმთაებად. იგი წარმოდგენილი იყო მამაკაცის სახით (მზისაგან განსხვავებით, რომელიც დედაკაცად ითვლებოდა). მთვარის საუქმო დღე ორშაბათი იყო. ამიტომ წარმართი ქართველები უმთავრესად ორშაბათობით უქმობდნენ (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I).

მთვარის ფელიწადი — სისტემა წელთაღრიცხვისა, რომელიც დამყარებული იყო მთვარის მოქცევაზე. უძველესი ქართული წელიწადი მთვარის წელიწადს წარმოადგენდა. ეს იქიდან ჩანს, რომ მთვარე უძველეს ხანაში მთავარი ღმთაება ყოფილა ქართველებისა, რომელთაც მისი სახელით (თუთა) თვე (თთუე) აღუნიშნავთ. როგორი იყო სახელწოდება მთვარის თვეებისა და მათი თანმიმდევრობა წელიწადში, ან რომელი თვით იწყებოდა წელიწადი, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. მთვარის წელიწადი მთვარის კულტთან ერთად ქარანიდან უნდა იყოს შემოსული ჩვენში. ამის დადასტურებას საეციალისტები ხედავენ ქართული თეთრი გიორგის დღესასწაულში — „გერისთობაში“, რომელიც სამი სწორისა და თაე-უქმობით გამოიხატება (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 100). ქარანელები მთვარის თვის 27-ე დღეს დღესასწაულობდნენ ახალმთვარის ღღეობას, როდესაც ისინი მთვარეს მსხვერპლსა სწირავდნენ. გარდა ამისა, აქ დამოწმებულია 27-დღიანი მთვარის დღესასწაული. 27-28-დღიანი დღესასწაულის გამოძახილია ჩვენი ოთხსწორიანი (4X7) მთვარის დღესასწაული, ცერასთობად ცნობილი. 28 დღე მაჩვენებელია იმ 28 სადგომისა, რომელსაც მთვარე გაივლის ხოლმე და რომელსაც არაბები „მანძილს“ უწოდებდნენ. შემდეგში მთვარის წელიწადი ჩვენში მზის წელიწადს შეუცვლია. იხ. მზის წელიწადი.

„მთისათჳს თაბორისა“ — „საკითხაი მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს“ — თეოდორე აბუკურას (740-820) თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: A 144, 353-358.

მთისკალთა — სოფელი ონის რაიონში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ონიდან 30 კმ. სოფელს თაედაპირველად მრავალძალი ეწოდებოდა. აქ შემორჩენილია მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს.). წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში. იხ. მრავალძალი.

„მთოვარისაჲ“ — მთვარისა, ორშაბათის ძველი ქართული სახელწოდება, რომელიც დაკავშირებული იყო წარმართულ ღმთაებასთან (იხ. მთვარის ღმთაება). იხ. კვირა; მზისა; მთვარის მოქცევა.

„მთოვარისა დღენი სათუალავნი“ — იოანე პეტრიწის თხზულება, რომელშიც ჩამოთვლილია, როგორი შედეგები ექნება ამა თუ იმ საქმეს ან მოვლენას, რომელსაც

ადგილი აქვს ამა თუ იმ მთვარის რიცხვში. ამგვარი თხზულება პეტრიწს შეეძლო შეექმნა ბასილი დიდის მიხედვით, რომელმაც, მისივე სიტყვით, „ცნობაჲ ოთხთა ჟამთა ქცეულებისაჲ, თუ ვითარ იქმნებიან განწესებულისა მისგან მზათობთა მოძრაობისა... და მზათობთა მათ ნიშებისა გამომკლეელობაჲ, რომელნი ნოტიობასა ცხად ჰყოფენ ანუ უნოტიობას, გინა ქართა მძრეელობასა ანუ სხუასა რასმე ესეეთარსა, არა განაგდო, არამედ შეიწყნარაო" (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 225). ზემოაღნიშნული თხზულების ტექსტი დაცულია ხელნაწერში A 290, 245-259.

„მიბაძჟა ძრისტესი" – თომა კემპელის დოგმატიკურ-ზნეობრივი ხასიათის თხზულება. ქართულ ენაზე უთარგმნია გორელ კათოლიკეს, დავით ტულუკაშვილს კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კოლეგიაში სწავლისას რომში, 1734 წელს. ტექსტი დაცულია ქუთაისის ისტ. მუზეუმის № 572 ხელნაწერში.

მიბაძება, მირქმა – საუფლო ღვთისწაული, რომელიც დაწესდა მოხუცებული მართალი სიმეონის უფალთან მიგებების (ლუკა 2,22-39) აღსანიშნავად. იხ. მირქმა.

მიდრაში (ებრ. „მიდრაშ" – შესწავლა) – ებრაული ლიტერატურული ჟანრი; ბიბლიის ცალკეული წიგნებისა თუ პასაჟების რაბინული ინტერპრეტაცია. ე. წ. ფეშატისაგან განსხვავებით, რომელიც ბიბლიური ტექსტების სიტყვა-სიტყვით განმარტებას მოიცავს, მიდრაში გულისხმობს ბიბლიის კვლევასა და ყოველმხრივ შესწავლას, და ამდენად, იუდაიზმის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. მიდრაში იქმნებოდა II-XIII სს-ში. მიდრაშულ ლიტერატურაში გამოყოფენ ორ ტიპს: 1) ჰალახურ (ან თანაიტურ) მიდრაშს, ე. წ. მიდრაშ-ჰალახას, რომელიც მოიცავს ტრადიციულ იუდაიზულ ნორმებს – ჰალახებს (ებრ. „სვლა"), მათზე მსჯელობებსა და დისკუსიას, რითაც უახლოვდება თალმუდს, და 2) ჰაგადურ მიდრაშს, ე. წ. მიდრაშ-ჰაგადას, რომელშიც შედის ჰაგადები (ებრ. „თქმულება") – ეთიკური და დიდაქტიკური ხასიათის ქადაგებანი, რელიგიური დოქტრინები. აქვე წარმოდგენილია ფოლკლორული მასალაც (ლეგენდები, იგავები), რომელშიც ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებია დაცული. მიდრაშ-ჰაგადა დაწერილია სადა, მარტივი სტილით, ზოგიერთი არამეულ ენაზე, რომელიც იმ ხანებში ებრაელთა სასაუბრო ენა იყო.

„მიზეზი დიდისა ამოსისა ფიანდსწარმეტყუელებისაჲ" – თეოდორიტე კვირელის ეგზეგეტიკური თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 157-175.

„მიზეზი პონტოდ სივლტოლისაჲ" – გრიგოლ ღვთისმეტყველის კანონიკური თხზულება („მიზეზი პონტოდ სიქლტოლისა მისისაჲ და მოქცევისათუს მიერ; კუალად სიტყუისგებაჲ ხუცად კურთხეუისა მისისა, რომელსა შინა მოახსენებს, თუ რაჲ არს პატივი იგი მღდელობისაჲ და თუ ვითარი ჯერ-არს ყოფად ეპისკოპოსი"), ქართულად თარგმნილია დავით ტბელის მიერ (X-XI სს.), შეტანილია ხელნაწერებში: A 87,374-425; S 393,1696. იგივე სიტყვა, ეფრემ მცირის თარგმნილი (სათაურით „სიტყუაჲ პასუხისგებითი პონტოდ მიმართ ლტოლეისათუს და კუალად უმოქცეისათუს მიერ, ხუცად ხელთდასხმისა ძლით, რომელსა შინა იტყუს, თუ რაჲ არს აღთქუმაჲ მღდელობისათჳს და ვითარი ჯერ არს ყოფად ეპისკოპოზი"), შეტანილია ხელნაწერებში A 292, 283-305.

„მიზეზი სანატრელისა მიქეას წინაჲსწარმეტყუელებისაჲ" – თეოდორიტე კვირელის ეგზეგეტიკური თხზულება – განმარტება მიქეას წიგნისა, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. I, 189-410.

მითარსი – კახეთის მეფის კარის მდივანი, რომელსაც XVI ს. 70-იან წლებში ეკლესია აუგია გრემში (იხ. ა. შანიძე, ე. თოფურიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940 წ. გვ. 1-11).

მითი – წარმართული დროის ხალხური ფანტაზიის ნაყოფი. ხატოვანი ფორმის გაძო ახლოს დგას მხატვრულ ლიტერატურასთან. თვით ლიტერატურის წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული შუმერულ, ინდურ, ბერძნულ, რომაულ მითებთან. ქართული მითოლოგიური სინამდვილე ქართულზე ადრე სხვა მწერლობაში აისახა (მიჯაჭვული პრომეთე, არგონავტიკა). ძველი ბერძნული ლიტერატურა მითოლოგიურ აზროვნებას ემყარებოდა. იგი დიდად განსხვავებოდა ბიბლიური წარმოდგენებისაგან. ქართულ მწერლობაში მითოსის ასახვა შუა საუკუნეებიდან დაიწყო. ცნობილი გახდა ბასილი კესარიელის (IV ს.) მიერ ჩამოყალიბებული ანტიკური მითოლოგიის სიმბოლური გააზრების პრინციპები, რომლებიც ბიზანტიურ მწერლობაში ერცელდებოდა. ამ პრინციპების მხატვრულ რეალიზაციას წარმოადგენდა ქართულად თარგმნილი

ბიზანტიური თხზულებანი: „ჟამთააღმწერი“ (ქართულად — „სახსოვრისმეტყველი“) და უფრო მცირის მიერ ნათარგმნი „ცხოვრება ნინოსი“. ქართულ ჰაგიოგრაფიაში („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „ნინოს ცხოვრება“) აირეკლა სპარსულ-ქართული მითოლოგიური წარმოდგენები. იგი მიზნად ისახავდა წარმართული პანთეონის (მზათობით და არმაზის კულტის) განჭიქებასა და ერთი ჭეშმარიტი ღვთის რწმენის დამკიდრებას.

მითოლოგია — წარმართული წარმოდგენები სამყაროზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ზეპირსიტყვიერი სიუჟეტების სახით. წარმართულ კულტურაში მითოლოგია შეერწყა რელიგიას, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა წარმოდგენები ღვთაებათა და გმირთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე. მეცნიერთა დაკვირვებით, დაბალი სოციალური განვითარების ხალხთა მითები უფრო მეტად მაგიის, ანიმიზმისა და ტოტემისტური მსოფლშეხედველობის ელემენტებს შეიცავს. ქართული მითოლოგიური აზროვნების მიხედვით, სამყარო შედგება ცალკეული ელემენტებისაგან თუ დამოუკიდებელი პორიზონტებისაგან, რომლებიც კოსმოგონიურ ჯგარზე არიან განლაგებული. თითოეულ ელემენტს სკნელი ეწოდება. ზესკნელი (ცაცრა სამყარო), სკნელი (მიწის პირი) და ქვესკნელი (მიწისქვეშა სამყარო) განლაგებულია ვერტიკალურ ღერძზე, ხოლო მის გადამკვეთ პორიზონტალურ ღერძზე — წინასკნელი, სკნელი და უკანასკნელი, ყოველივე ეს გარემოცულია ბნელი გარესკნელით.

სამ ვერტიკალურ სკნელს ცასთან აერთებს შიბით (ჯაჭვით) შეკრული სიცოცხლის, ანუ ცხოვრების ხე, რომელზედაც ცხოვრობენ და მოგზაურობენ ღვთაებები (მაგ.: ლაშარის ჯვრის მუხა ხმელეთრიში, ფშაველი, რომელიც, გადმოცემით, ზურამ ერისთავს მოუჭრია). მისი სახეცვლილი ფორმაა „დაკიდებული“, ანუ ცასთან შეკრული კოშკი (ყამარის კოშკი), დარბაზთა დედაბოძები, ირმის რქები და სხვ. გარდა ამისა, ქართულ მითოლოგიაში სკნელთა დამაკავშირებელ საშუალებად მიჩნეულია ფანტასტიკური ფრინველები, ცხოველები და ქვეწარმავლები, რომელთა სემანტიკა მკაცრ კოსმოგონიურ სქემას ემორჩილება. ადამიანი ერთი სკნელიდან მეორეში შეიძლება მოხვდეს ღვთაების ნება-სურვილით, მაგრამ არა თავისი ხორციელი სახით, არამედ ხორცისაგან სულის დროებით გაყრის საშუალებით. მოგზაურობის შემდეგ სული უბრუნდება სხეულს და ადამიანი იძენს ზეადამიანურ სიბრძნეს (გახუა მეგრელაური, მინდია და სხვ.).

მითოლოგიურ აზროვნებაში დრო წარმოდგენილი იყო წრიული ციკლების სახით, წელიწადის დროების ანალოგიით, ამიტომ მითიური სიუჟეტი ხშირად იყო განმეორებადი, იგი ყოველწლიურად იწყებოდა და მთავრდებოდა, პერსონაჟები ყოველწლიურად გადიოდნენ თავის გზას. ამით მითი საფუძველს უქმნიდა რელიგიური რიტუალისა და დღესასწაულის აღმოცენებას.

ქართულ მითებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია ამირანის ეპოსი, დაღუპული მონადირის ციკლი, თაეფარანული ჭაბუკის თუ ობოლი მზეთუნახავის, ეთერის მითი, რომელთაც მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში მოეძებნებათ პარალელები (მაგ.: პრომეთე, აქტეონი, ადონისი, თამუზი, ამრსკილი და სხვ.).

მითრა (სპარს. „მზე“) — ინდო-ირანული წარმართული ღვთაება მზისა და დღის ნათელისა. მისი სახელი იხსენიება ჯერ კიდევ ლურსმულ ტექსტებში და გაოგეებულია ბაბილონურ მზის ღვთაებასთან (შამაშთან). პიმნებში მითრა იხსენიება ვარუნასთან ერთად და უპირისპირდება მას, როგორც ნათელი — ბნელს, დღე — ღამეს, მზე — მთვარეს, ცეცხლი — წყალს, ერთიანი — გამოცალკევებულს და სხვ. ირანში მითრა ინარწუნებს ამავე ფუნქციებს — იგი კანონისა და წესრიგის დამცველი ღვთაებაა („უსამართლოთა დამსჯელი“, „ათასყურიანი“, „ათასთვალიანი“), ამავე დროს ლოცთისა და ნაწირის, ძალაუფლებისა და ნაყოფიერების მიმნიჭებელი. მითრაიზმის ფართო გავრცელებას ხელს უწყობდა სპარსეთის სიძლიერე (მითრა ითვლებოდა სპარსელთა უზენაესი ღმერთის, აჰურამაზდას, ანუ ორმუზდის ძედ). ის ჯერ ბაბილონში გავრცელდა, სადაც ძველთაგანვე იყო უფხმოკიდებული შამაშთა თაყვანისცემა, ელინისტურ ხანაში კი მითრას კულტი ფართოდ გავრცელდა მთელ წინა აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, საბერძნეთსა და რომში. მითრაიზმისადმი სიმპათიებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმპერატორი ავრელიანე (270-275). ეს მოძღვრება აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობას II-IV სს-ში. მითრას კულტმა — მითრაიზმმა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი რომში, სადაც მის სახელზე იმართებოდა მისტერიები გაზაფხულის ბუნიობის დროს. მითრა წარმოდგენილი იყო, როგორც „დაუდალი მზე“. გამოქვაბულებში, სადაც მითრა უნდა შობილიყო, გაითამაშებდნენ მითრასა და აჰრიმანის ბროლტ ძალებს შორის ბრძოლის აშსახველ დრამას. ცნობილია სკულპტურული გამოსახულებანი — ხართან მებრძოლი მითრა

და სხვა. მითრას ღვაწლთაგან აღსანიშნავია: გამძვინვარებული ხარის მოკვლა, რომელიც ადამიანებს აწუხებდა, კლდიდან მატყუარებელი წყლის გამოყვანა, ხალხის გადარჩენა „წყალთარღვნისა“ და ყოვლის შთანმთქმელი ცეცხლისაგან. კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობის დროშით გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა მითრაიზმს, მაგრამ კიდევ კარგახანს იყო მისი პოზიციები შეურყეველი. მაგალითად, ცნობილია, რომ 361 წელს მოკლეს ალექსანდრიის პატრიარქი გიორგი, რომელმაც მითრას სამლოცველოს ნანგრევებზე ქრისტიანული ეკლესიის აგება განიზრახა. მითრაიზმის სიძლიერეს განაპირობებდა მისი ერთგვარი ნათესაობა ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ქრისტიანობის მსგავსად, იგი აღიარებდა ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტის ბრძოლას (აპურამაზდა და ანრიმანი). მითრა, ორმუზდის ძე, ციდან ჩამოდის და კაცის სახეს იღებს. ორმუზდს ეშმაკურებად კეთილი ანგელოზები (იაზატები). ანრიმანის მხარეზე არიან დემონები და ეშმაკები. მითრაიზმის მიხედვით, ადამიანთა სულები უკვდავნი არიან და ცხოვრობენ VIII ცაზე. მითრაიზმი თავის მიმდევრებს უწოდებდა „ღვთის მხედრებს“, მათგან მოითხოვდა მუდმივ ლოცვას, მარხვას, თავშეკავებულ ცხოვრებას, მხარს უჭერდა ასკეტიზმს (მონაზვნობას). დღეში სამჯერ სრულდებოდა ღვთისმსახურება მითრეუმებში (მითრას ტაძრებში). მითრაისტებს ჰქონდათ ქრისტიანულის მსგავსი ტაძრები საკურთხეველებით, ლამპრებით, მუსიკა-გალობით, კრეტსამწლით. ლოცულობდნენ აღმოსაელეთისაკენ. აღიარებდნენ შეიდ „ცხებას“ (სახლუმლოს), წმიდა ტრაპეზიდან იღებდნენ პურ-ღვინოს, ზიარების წინ მარხულობდნენ, ჰქონდათ ნათლისღება (წყლით), მირონცხება, ქრისტიანულის მსგავსი იერარქია (უმაღლეს ქურუმს პაპა ეწოდებოდა) და სხვ. მითრაიზმის მორალი ქადაგებდა ურთიერთსიყვარულს. მორწმუნენი ერთმანეთს მიმართავდნენ: „საყვარელო ძმაო“. III ს-ის აპოლოგეტი ტერტულიანე ამბობს: „ეშმაკი აიძულებს მწვალებლებს, როდესაც ისინი თავიანთ ცრუ ღმერთებს თაყვანს სცემენ, მიპბაძონ ჩვენს წმიდასა და საღმრთო წესებს; ის უკარნახებს მითრას მხედრობას, გამოისახონ შუბლზე ნიშანი“. მითრას კულტი თითქოს საქართველოშიც უნდა არსებულიყო, სახელდობრ, მირსობის სახით, რომლის დროსაც „მირსას“, როგორც სინანულის ღვთაებას, თვალისჩინისა და გამჭრიახობის შესთხოვდნენ. მითრას სახელი შედის საკუთარ სახელებში: მითრიდატე, მირდატ („მითრას ბოძებული“), მირიან („მითრასეული“) და სხვ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მითრას სახელიდან უნდა მომდინარეობდეს „ამირანი“.

მითრიდატე ლაზი — იხ. იოანე ლაზი.

მილანის ედიქტი (313 წ.) — დოკუმენტი, რომელიც (საეკლესიო მწერლის, ევსების ცნობით) გამოსცეს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ და ლიცინიუსმა 313 წელს მილანში გამართული თათბირის შემდეგ. ამ დოკუმენტით ყველა რელიგიის მიმდევრებს (მათ შორის — ქრისტიანებს) მიენიჭათ უფლება ღვთისმსახურების შესრულებისა. მილანის ედიქტმა ქრისტიანულ ეკლესიას დაუბრუნა ადრე ჩამორთმეული ქონება. ზოგიერთ ისტორიკოსს ეჭვი შეაქვს ევსების ცნობაში.

მილარა — XI ს. მოღვაწე, რომელც მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც ქართველთა მონასტრისათვის შეწირულობათა მიმრთმეველი. ქართველ ბერებს მისთვის და მისი ძის, ქობულისათვის დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე (აგვისტოს 29) და აღაპი (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 161).

მიმინოშვილი რომანოზ (1928-2001) — ბიზანტინოლოგი, ფილოლოგი, ძველი სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ დოგმატური თხზულებების კვლევას. მან გამოსცა იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ქართული თარგმანები (თბ., 1966 წ. ხელმოწერილ გამოცემაა 2006 წ.)ქართულად თარგმნა ჰომეროსის „ილიადა“ (1979 წ.), ვირგილიუსის „ენეიდა“ (1976 წ.). წერილები მიუძღვნა ეფვთიმე მთაწმიდელისა და სხვა მოღვაწეთა საქმიანობას.

მიმოგლებითი გალობა — ანტიფონური გალობა, მარკვენა და მარცხენა მხარის (კლიროსის) მგალობელთა ურთიერთმონაცვლეობითი გალობა. პირველად შემოიღო ანტიოქიაში ფლაბიანემ (იხ. ხრონოგრაფი გიორგი ჰამარტოლისა, ს. ყაუხიშვილის გამოცემა, ტფილ., 1920, გვ. 280; К.Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, стр. 90).

მიმომავალი, მოწყალებელი, ხმალადი — ხუცესი, რომელიც დიდი ქალაქის ეპისკოპოსის სახელით მიმოიელიდა ეპარქიის ჰატარა სოფლებსა და დაბებს, სადაც მრევლის სიმცირის გამო ეპისკოპოსი არ ინიშნებოდა და

მათ შესახებ ანგარიშს აბარებდა თავის ეპისკოპოსს (ლაოდიკიის კრების 57-ე კანონი). შემდეგ ეს თანამდებობა გაუქმდა და მის ფუნქციას ასრულებდა სხვადასხვა ხარისხის მქონე პირი.

„მიმოსლვაჲ“ – „მოწმობისა და წმიდისა იერუსალიმისა მიმოხილვა ტიმოთეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსისა“ – XVIII ს. საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის, ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულება. მასში ათონის მთისა და იერუსალიმის წმინდა ადგილთა აღწერილობასთან ერთად არის მრავალი ცნობა თურქეთის იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. გამოცემულია ელ. მეტრეველის მიერ, თბ., 1956 წ.

„მიმოსლვაჲ ღმრთისმშობლისაჲ ადგილთა ტანჯვისათა“ – თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი აპოკრიფი. ქართულ ენაზე დაცულია ორ ხელნაწერში: A 70,260-263 (თაუსკლული) და H 1432. გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1,15-19).

მიმრეველი – მოსანათლავი ყრმის ნათლია – ნათლიდედა ან ნათლიმამა. ნათლობის დროს მათი დასწრება აუცილებელია. ისინი არიან მოწმე ახალნათლეღებულის აღთქმისა (VI მსოფლ. კრ. 59-ე კანონი; VII მსოფლ. კრ. 14-ე კანონი), პასუხობენ მღვდელს მოსანათლავის მაგიერ, თუკი ავადმყოფობის გამო მას ეს არ შეუძლია (კართაგენის კრ. კანონი 54-ე). როდესაც ინათლებიან ყრმები, ისინი წარმოთქვამენ მათ მაგიერ სარწმუნოების სიმბოლოს და ყველა სხვა სათქმელს. და ბოლოს, მიმრეველის მოვალეობაა, იზრუნოს თავისი ნათლულის სულიერ, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდაზე. ყოველივე ამისათვის აუცილებელია, მიმრეველი თავად იყოს მართლმადიდებლობის აღმსარებელი და მცოდნე უმთავრესი ქრისტიანული დოგმატებისა. მღვდელი ვალდებულია შეამოწმოს მიმრეველთა სულიერი მომზადება. უცხო აღმსარებლობის ადამიანები მიმრეველად არ დაიშვებიან; ასევე ყრმები, რომლებიც ჯერ თავად არ არიან განმტკიცებულნი სარწმუნოებრივად. მიმრეველი უნდა იყოს არა უმცირეს 15 (ქმაწვილი) ან 13 (ქალიშვილი) წლისა. მიმრეველად დაუშვებელია მონაზონი, აგრეთვე მოსანათლავი ყრმის მშობლები (VI მსოფლ. კრ. 53-ე კანონი). მონაზვნად აღკვეცის დროს მიმრეველებად არიან მონაზვნები.

მინა (მენა) მოწამე – ეწამა დაახლ. 313 წ. ერმოგენესა და ეკლრაფოსთან ერთად იმპერატორ მაქსიმიანეს (305-313) დროს. მინა იმპერატორის კარზე მსახურობდა. ალექსანდრიაში ქრისტიანთა და წარმართთა შორის ატეხილ მღელვარებათა ჩასახშობად იმპერატორმა იგი ათენიდან ალექსანდრიაში მიაწვინა. ქრისტიანმა მინამ ალექსანდრიაში განცხადებულად დაიწყო თავისი რწმენის ქადაგება და მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. მინასა და მის თანამოაზრეთა დასასჯელად იმპერატორმა თავისი სხვა მოხელე – ერმოგენე გაგზავნა ალექსანდრიაში. მინას ქადაგებითა და სასწაულებით ერმოგენეც გაქრისტიანდა. მათ შეეყარდა წმ. ეკლრაფოც – მინას თანაშემწე. იმპერატორის ბრძანებით სამივე მოწამე შეიპყრეს და თაეები მოაკვეთეს. წამების დღე – 10 დეკემბერი. მინა, ერმოგენე და ეკლრაფოს მოწამეთა წამება აღწერა ათანასე ალექსანდრიელმა. მისი თხზულების კომპლური რედაქცია – ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი, დაცულია ხელნაწერებში: A 70, 446-454; H 341. უფრო ვრცელი მეტაფრასული „წამება“ უთარგმნია ეფრემ მცირეს (A 90, 135-175). არსებობს ამ „წამების“ სხვა თარგმანიც: ქუთ. 5, 141-169; Ath. 2, 71-86.

მინა მეგვიპტელი – მოწამე, წარმოშობით ეგვიპტელი, მსახურობდა რომის არმიაში იმპერატორების – დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს დროს (284-305). ქრისტიანობის დევნის გამო მინამ თავი დაანება სამსახურს და იმპერატორთა ურწმუნოების მამხილებელი ქადაგებით გამოვიდა საჯაროდ. ხანგრძლივი წამების შემდეგ მას 304 წ. თავი მოაკვეთეს. ხსენების დღე – 11 ნოემბერი. მინა მეგვიპტელის წამების კომეწური რედაქცია ქართულ ენაზე უთარგმნია სვეთ ირუსალიმელს VIII ს. II ნახევარში (Ath. 8; Sin. 11; A 95), მეტაფრასული რედაქცია-თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 36,13-19) და ეფრემ მცირეს (პასალი კალიპოსელის დავალებით; A 128; S 384, 635-643). ამ თარგმანში ხსენების დღედ გამოცხადებულია 10 ნოემბერი.

მინარეთი (არაბ. „მანარა“ – შუქურა) – კოშკი, რომლის ზედა ბაქნიდან მუეზინი მოუხმობს მუსლიმებს ლოცვაცად. აღმართულია განცალკევებით, ან ჩართულია მეჩეთის შენობაში. ეგვიპტეში, ერაყში, ირანსა და ცენტრალური და შუა აზიის ქვეყნებში აგებდნენ მაღალ, ზომოთ შეეწროებულ მრგვალ ან მრავალწახნაგა მინარეთებს. გეგმით კვადრატულ მინარეთებს აგებდნენ სირიასა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. თურქული მინარეთი წვეტით დასრულე-

ბული მრავალწახნაგოვანი წვრილი ნაგებობაა.

მინერვა – სიბრძნის ქალღმერთი ძვ. რომაულ მითოლოგიაში (ეტრუსკული წარმოშობისა; შეესაბამება ბერძნ. ათენას); ხელოსანთა, მხატვართა, მოქანდაკეთა, მკურნალთა, მასწავლებელთა, პოეტთა, მუსიკოსთა მფარველი და ქომაგი. იუპიტერთან და იუნონასთან ერთად მინერვა შედიოდა კაპიტოლიუმის ტრიადაში.

მინდორთ ბატონი – ძველი ქართული წარმართული რწმენით ასე ეწოდებოდა მინდვრისა და ყვაელების მფარველ ღვთაებას (იხ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტ.“ წიგნი I).

მინიატურა – პატარა ზომის, დახვეწილი და ფაქიზი ხელწერით შესრულებული საბვითი ხელოვნების ნაწარმოები. მინიატურის ძირითადი სახეობაა წიგნის მინიატურა. იგი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყო ცნობილი. ბიზანტიური მინიატურა ამყარებს მემკვიდრეობით კავშირს ელინისტურ ხელოვნებასთან. განსაკუთრებით საინტერესოა მაკედონური რენესანსის ძეგლები (ფსალმუნი, X ს. ეროვნ. ბ-კა, პარიზი). ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებულმა ახალმა მსოფლმხედველობამ განსაზღვრა ფორმათა გამარტივებისა და სიერცის აბსტრაქირების ტენდენცია. დოგმატური ხასიათის ბიზანტიური მინიატურის სტილი განსაკუთრებით განვითარდა XI-XII სს-ში (სახარება, XI ს., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი, XII ს., ორივე დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პარიზში). ამ დროს მინიატურებით ამკობდნენ ხელნაწერის მინდვრებსაც („ხლუდოვის ფსალმუნი“, IX ს., მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, სახარება XI ს. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა). პალეოლოგოსთა მეფობის ეპოქაში (XIII ს. დასასრული – XV ს.) თავი იჩინა კომპოზიციის სივრცობრივი აგების, ფორმათა ფერწერული დამუშავების, არქიტექტურული და მთლიანი ფონის გართულებისკენ სწრაფვამ. ბიზანტიური ხელოვნების მშატერული პრინციპები კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ, ე. წ. პოსტბიზანტიური სტილის ძეგლებში განაგრძობდა არსებობას (XVI-XVII სს.). ამ სტილმა განაზღვრა ბიზანტიური კულტურის არეალში მოქცეული ქრისტიანული ადმოსავლეთის ქვეყნების მინიატურის თავისებურება. შუა საუკუნეებში დასაელეთ ეეროპაში მრავალი სამინიატურო სკოლა არსებობდა. დას. ევროპის იკონოგრაფიამაც ბიზანტიური მინიატურის გაელენა განიცადა. XII-XIV სს. სკოლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კილიკიის სამინიატურო სკოლა თოროს როსლინის (XIII ს.) მეთაურობით. ცნობილია აგრეთვე სხვა სამინიატურო სკოლები: ეგეიპტური (სტილისტიკურად კოპტურ ხელოვნებასთან დაკავშირებული), სირიული (განიცდიდა ბიზანტიური ხელოვნების ძლიერ გავლენას), ერაყული, ირანული, აელაური, შუა აზიური და სხვ.

საქართველოში წიგნის მხატვრულად გაფორმებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ქართული ხელნაწერი წიგნისათვის დამახასიათებელია ლამაზი კალიგრაფია, მრავალფეროვანი ორნამენტი, დახვეწილი მინიატურული მხატვრობა.

ხელნაწერის ანდერძებში იშვიათად გეხვდება მინიატურის მხატვართა სახელები. ზოგჯერ ოსტატის სახელი გამოხატულია კრიპტოგრამულ წარწერაში (ჯრუჭნის I ოთხთაეი, X ს.), ან ჩაქსოვილია ორნამენტში (იენაშის ოთხთაეი, ჯრუჭნის II ოთხთაეი, XII ს. დასასრ.), ზოგ შემთხვეეაში გადამწერი და მომხატეელი ერთი და იგივე პიროვნებაა. მინიატურების კოლორიტში დიდი ადგილი უჭირაეს ოქროს. იგი ხშირად გამოყენებულია ნახატის ფონად. ხელნაწერი წიგნის ხელოვნებამ განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა (V-XVIII სს.). წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ V-ს-ში უკვე არსებობდა მხატერულად გაფორმებული ხელნაწერები. დაკარგულია ვახტანგ გორგასლის შეკვეთით შესრულებული მინიატურული მხატერობით შემკული სახარება (V ს.), რომელიც შიომღვიმის მონასტერში ინახებოდა. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი, რომელიც მინიატურებითაა მორთული, არის ადიშის ოთხთაეი. იგი 897 წ. შატბერდის მონასტერში გადაუწერია მიქაელს. მის ერთ ფურცელზე ცისფერ ფონზე გამოსახულია ფეზზე მდგარი ლუკა და იოანე მახარებლები. ადიშის მინიატურებთან ახლოს დგას ბერთის სახარების მინიატურები, რომლებიც კამარებითა და მახარებელთა ფიგურებითაა შემკული. სახარების ანდერძში აღნიშნულია, რომ იგი დაწერილია ვინმე გლახა გაბრიელის მიერ ბერთის ლავრაში IX ს. დასასრულს. საინტერესოა 936 წ. შატბერდის მონასტერში კალიგრაფ გაბრიელის მიერ გადაწერილი ჯრუჭის I ოთხთაეი, რომელიც 940 წ. მოუხატაეს თეოდორეს. ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებითა და განკურნების სცენებით. ხელნაწერი წიგნის მორთულობისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი კომპონენტი XI ს-ში ჩამოყალიბდა. იკონოგრა- ში გამოელინდა ოსტატთა შემოქმედებ-

ითი თაეისუფლება და მხატვრული სტილი. ამ ეპოქის მონიატურული ფერწერის საუკეთესო ნიმუშები გამოირჩეიან მაღალი ოსტატობით, რომელიც არ ჩამოუვარდება ბიზანტიური, კონსტანტინეპოლის სკოლის მინიატურების წერის მანერას. XI-XII სს. ქართულ მინიატურას ახასიათებს თავშეკავებული ფერადოვნება, მსუბუქი, მოქნილი ნახატი. XI-XIII სს. ხელნაწერებიდან აღსანიშნავია გელათის, ჯრუჭის II, მოქვის, ალაევერდის, მესტიის ოთხთავები, ვანის სახარება და სხვ. მოგვიანებით, XVI-XVIII საუკუნეებში მინიატურებით ამკობდნენ არა მარტო სასულიერო (მაგ. ანჩისხატისა და ყანჩაეთის ჟამნგულანი), არამედ საერო ხასიათის ნაწარმოებებსაც.

მინოდორა – მოწამე ქალწული, წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ ბითვინიიდან, ქრისტიანობისათვის ეწამა დებთან – მიტროდორასა და ნიმფოდორასთან ერთად. დაახლ. 305-311 წწ. წმ. დები ქალწულობის აღთქმით განეშორნენ ყოველივე ამქეყნიურს და განმარტოდნენ ერთ უკაცრიელ ადგილას უდაბნოში. ბითვინიის მმართველმა, წარმართმა ფრონტონემ რომ გაიგო მათი მოღვაწეობის ამბავი, ბრძანა მათი შეპყრობა და წამება. წმ. ქალწულებმა უარყვეს წარმართი განმგებლის ყოველი მაცდუნებელი წინადადება და უშიშრად აღიარეს ქრისტე ღმერთი. ხანგრძლივი წამების შედეგად ჯერ მინოდორა აღესრულა, შემდეგ კი – უმცროსი დები: მიტროდორა და ნიმფოდორა. ხსენების დღე – 10 სექტემბერი. ქართულ ენაზე არსებობს მათი სეიმეონ მეტაფრასტის მიერ შეთხზული „წამების" ორი თარგმანი: პირველი მათგანი, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია, დაცულია ათონურ ხელნაწერში: Ath. 20, 151-155; მეორე – გელათურში: ქუთ. 4, 120-127.

მინჩხი – იხ. იოანე მინჩხი.

მინჩხური – პიმნოგრაფიული ტერმინი, ქართულ პიმნოგრაფიაში დამკვიდრებული მეტრული ზომის სახეობა, რომლის შემომტანად მიიჩნევენ იოანე მინჩხს – X ს. პიმნოგრაფს. მინჩხურით გამართულ პიმნოგრაფიულ კანონში (ზოგიერთ საგალობელს აწერია: „მინჩხნი", „მინჩხისანი") სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო ზომა იცვლებოდა არა 9-ჯერ (ოდების რაოდენობის შესაბამისად), არამედ 5-ჯერ : ერთნაირი სალექსო ზომით იწერებოდა II და III, IV და V, VI და VII გალობები. მინჩხურით არის დაწერილი იოანე მინჩხის აკროსტიქული „გალობანი გიორგისნი" (Sin. 2); აგრეთვე Sin. 5; Sin.75; Sin.77 საგალობლები). ამ საგალობელთაგან ზოგი პროზითაა დაწერილი, ზოგი – იამბიკოთი. იამბიკოთი დაწერილი პიმნები მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში.

მირდატი – XI ს. მოღვაწე, მოხსენებულია „ათონის კრებულში", ქართველთა მონასტრის კეთილისმყოფელთა შორის. ქართველთა მონასტერში დაწესებული ყოფილა მისი მოსახსენებელი დღე (ოქტომბრის 26) აღაპით (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 117).

მირიან მეფე – პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე IV ს. რომელმაც წმ. ნინოსაგან მიიღო ქრისტიანობა და მთელი ერიც მოაქცია ჭეშმარიტ სჯულზე. წმ. ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ გაქრისტიანებაზე ფიქრი მირიან მეფემ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც წმ. ნინომ განკურნა მეფის ავადმყოფი თანამეცხედრე ნანა დედოფალი, რომლის განკურნებაც „ხელოვნებამან კაცთამან" ვერ შესძლო. მირიან მეფე შეეკითხა ნინოს, რომელ ღმერთთა ძალით ახერხებდა სნეულთა განკურნებას და მანაც უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება. მირიან მეფე მაინც ყოყმანობდა და მოქცევა ერთბაშად ვერ გადაეწყვიტა ზაფხულის ერთ დღეს, 20 ივლისს, შაბათს, მირიანი თაეისი ამალითურთ მუხრანის მიდამოებში სანადიროდ წავიდა. ნადირობის დროს თხზითის მთის მწვერვალზე უეცრად დაბნელდა და უკუნმა სიბნელემ შეცვალა დღის სინათლე. მეფეს და მის ამალას ერთმანეთის პოეა ვეღარ მოეხერხებინათ და გზა ვერ გაეგნოთ. მირიანმა არაშაისა და ზადენიაღდი უშედეგო ეეღრების შემდეგ წმ. ნინოს ქადაგება გაიხსენა და ქრისტე ღმერთი ახსენა, აღთქმაც დადო, რომ თუ ამ განსაცდელს გადარჩებოდა, ნინოს მიერ ნაქადაგებ რჯულს მიიღებდა. მართლაც, მყისეე ცა მოიწმინდა და მზე გამობრწყინდა. მშეიდობით შინ დაბრუნებულმა მეფემ წმ. ნინო მოიხმო და ქრისტე აღიარა. მეორე დღესეე მირიანმა თაეისი მოცეკლეები საბერძნეთს წარგზაენა ამ ამბის საცნობებლად და მღვდლების მოსაყვანად. წმ. ნინომ მეფეს მის „სამოთხეში" (ბაღში) ეკლესიის აგება ურჩია, მირიანმა ეს რჩეეა მიიღო და „ძელის" ანუ ხის ეკლესიის აშენება დაიწყო. აქ მოხდა „ძელი-ცხოველის" (სვეტიცხოველის) სასწაული: ხუროებმა ვერაგზით ვერ შესძლეს ახლად მოჭრილი ნაძვის სვეტად აღმართეა. მხოლოდ წმ. ნინოს ეეღრებით აღემართა ეს სვეტი და „ცეცხლის სახედ" დაეშეა და თაეის ხარისხზე დაემყარა. მირიან მეფის მიერ იყო აღმართული ხის ჯვარიც მცხეთის

აღმოსავლეთ მხარეს ბორცვზე, სადაც დღეს ჯვრის დიდებული ტაძარი დგას (იხ. „მცხეთის ჯვრის აღმართვა“).

მირიან მეფე და დედოფალი ნანა დაკრძალულნი არიან მცხეთის სამთაროს ტაძარში. ქართველთა განმანათლებელი მეფე-დედოფალი საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა მოციქულთასწორთა დასში. მათი ხსენება დადებულია I ოქტომბერს (სვეტიცხოვლობის დღეს).

მირიან ბატონიშვილი – XVIII-XIX სს. ქართველი პოეტი, გაულექსავს „ქება სუეტისა ცხოველისა“ და „შესხმა ფერისცვალებისა“ (დაცულია ხელნაწერში S 3723,312-313), მას იამბიკო მოუძღვნია ოთხ ხელაშვილისათვის (S 279) და სხვ.

მირიანი – ატენისა და თრიალეთის X ს. დიდი მოხელე. მირიანის სოფ. ახალსოფელში (თერი წყაროს რაიონი, მანგლისიდან 7 კმ. მანძილზე, საშხერეთ-დასავლეთით) აუგია ტაძარი წმ. მოწამე ბაგრატის (ტაეროშენელის) სახელზე, ბაგრატ აფხაზთა მეფის (III) და გურანდუხტ დედოფლის ხადიებლად. ლაპიდარულ წარწერაში იგი სთხოვს წმ. ბაგრატს: „ლტუკე თუალნი ბაგრატისნი (მეფისა, მიწასა მათსა მირიანს“. წარწერიანი ქვა ამჟამად ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმში. მირიანი მოხსენებულია სოფ. ფლავის (გორის რაიონში) ეკლესიის ლაპიდარულ წარწერაშიც. ამ ეკლესიაში მის ცოლს, დედა ერისთავის, რატის ასულს აღუმართავს მოწიჭურთხებული ჯვარი. წარწერიანი ქვა ამჟამად ინახება საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მირქანი – მარტის თვის ძვ. ქართული წარმართული სახელწოდება (იხ. თვე).

მირონი (მიქირონი) – ნაკურთხი წმინდა ზეთი, იხმარება ქრისტიანულ ეკლესიაში მირონცხების საიდუმლოს შესრულების დროს, ტაძრისა და წმ. ტრაპეზის კურთხევისას, აგრეთვე მეფის კურთხევაზე. მირონი მოასწავებს „სურნელებასა სულისა წმიდისასა“ (A 450, 435v). სახარებაში მოთხრობილია იესოსათვის მირონის ცხების შესახებ მარიამ მაგდალინელის მიერ (მათე 26,7,9,12; მარკოზი 14,3 ; ლუკა 7,38,46; იოანე 11,2; 12,3,5). გადმოცემის თანახმად, საქართველოში წმინდა მირონი გადმოდიოდა მცხეთაში იმ ხიდან, რომელიც იესო ქრისტეს მიწაში დაფლულ კვართზე იყო ამოსული. შემდგომში იმ ადგილზე სვეტიცხოველის ტაძარი აუგიათ. მირონის კურთხევის წესი შემოღებული იყო წმ. მოციქულების მიერ. მირონს ამზადებდნენ 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან (ზეითნის ზეთი, თეთრი ღვინო, საკმეელი, სხვადასხვა ყვაელი, ეარდის ზეთი და სხვ.). მირონის კურთხევის უფლება კართაგენის კრების მე-6 კანონის თანახმად მხოლოდ მღვდელმთავრებს ჰქონდათ. ამჟამად მირონი მზადდება მხოლოდ დამოუკიდებელ, აუტოკეფალურ ეკლესიებში და მისი კურთხევის უფლება აქვს მხოლოდ ეკლესიის მეთაურს (პატრიარქი, მიტროპოლიტი). მირონის კურთხევის უფლება ამჟამად ითვლება ეკლესიის აუტოკეფალიის ერთ-ერთ ნიშნად. მირონის ხარშვა იწყება აღდგომის წინ, დიდ ორშაბათს და სამ დღე-ღამეს გრძელდება (ამ სამი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ იკითხება სახარება, სამღვდელობა კითხულობს მორიგეობით). მირონს აკურთხებს პატრიარქი სპატრიარქო ტაძარში დიდ ხუთშაბათს, ბასილი დიდის საზეიმო წირვის შესრულების დროს. ამ დროს მირონზე გადმოდის სულიწმიდის მადლი, რომელსაც მიიღებს ყოველი მცხებელი მირონისა. მირონის ხარშვისა და კურთხევის დრო აღმოსავლეთის ეკლესიაში დადგინდა V საუკუნიდან. საქართველოში მირონს აკურთხებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთის სპატრიარქო ტაძარში. (როგორც ცნობილია, საქართველოში მირონის კურთხევა დაწესდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, ეფრემ მაწყვერელის მცდელობით. ქართველ იერარქებს მირონის კურთხევის ნებართვა მისცა სერგი პატრიარქმა). „რომელნი ქრისტინთას“ ნაცვლად ბასილი დიდის წირვაზე იგალობება „სერობასა საიდუმლოსა“... ამ დროს ხდება სიწმინდეთა (მირონის, ბარძიმ-ფეშხუმის) გამოსვენება. „ზედამწირველი“ მღვდელი გამოასვენებს მირონს და პატრიარქსაც ის მოიხსენიებს. პატრიარქი გამოართმევს მირონს და დადგამს ტრაპეზზე ფეშხუმის ადგილის მარცხნივ. ამის შემდეგ ბარძილ-ფეშხუმს შეასვენებს პატრიარქი და დადგამს თავის ადგილას, დიაკონი იტყვის კვერექსს „აღვასრულოთ...“, პატრიარქი – ორ ასამაღლებელს („და მომეც ჩვენ უფალი“, „და იყვნენ წყალობანი...“), ამის შემდეგ პატრიარქი წაიკითხავს მირონის კურთხევის ლოცვას (სალმებლად). ამის შემდეგ ჩვეულებრივ გაგრძელდება ლიტურგია ბასილი დიდისა.

მირონი ინახება საკურთხეველში, სპატიო ადგილზე (ჩვეულებრივ – ტრაპეზზე).

მირონი – IV ს. მღვდელმთავარი, კრეტის ეპისკოპოსი („მირონი, ეპისკოპოსი კრეტეს შინა რაჲსაჲ“), საკვირველთმოქმედი. ახალგაზრ-

ლიბაში ოჯახს მოეკიდა, მისდევდა მიწათმოქმედებას. მისი სიკეთისა და სათნოების ამბავი ყველასათვის ცნობილი იყო. ამიტომ კრეტელებმა წმინდა მირონს სთხოვეს მღვდლობის ხარისხი მიეღო, შემდეგ კი კრეტის ეპისკოპოსადაც აირჩიეს. თავისი სამწყსოს კეთილად დამწყსებისათვის წმ. მღვდელმთავარმა უფლისაგან ჯილდოდ მიიღო სასწაულთმოქმედების ნიჭი. კრეტელი მღვდელმთავარი ალერუა 100 წლისა, დახლ. 350 წელს. ხსენების დღე – 8 აგვისტო. მისი მეტაფრასული „ცხოვრების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 1, 338-341 (აქ ხსენების დღედ 9 აგვისტოა დადებული).

მირონი (მურონ) – მღვდელმოწამე, ცხოვრობდა აქაიაში (სპარტეთი), აწამეს ქრისტიანობისათვის 250 წ. იმპერატორ დეკიოსის (249-251) დროს. მღვდელი მირონი იყო მშვიდი და მოწყალე მრევლის მიმართ, მაგრამ მტკიცე და შეუვალი – თავის სულიერ შვილთა დაცვისას. ერთხელ, ქრისტეს შობის ღამისწინაზე, როდესაც იგი ღვთისმსახურებას ასრულებდა. ტაძარში შევიდა ადგილობრივი მმართველი ანტიპატრე მეომრებით, რათა შეეპყრო მლოცველი ერი და ეწამებინა. ეს რომ დაინახა, წმ. მირონი სამწყსოს დაცვას შეეცადა, ამხილებდა მმარ ელის სისასტიკეს. მოძღვარი სამინლად აწამეს, მაგრამ უფალმა უვნებლად დაიცვა წმ. მოწამე. გამშმაგებულმა ანტიპატრემ წამების სხვა ხერხებიც სცადა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. თავის უძლურებაში რომ დარწმუნდა, ანტიპატრემ თავი მოიკლა, წმ. მირონი კი ქ. კეთრიაში წაიყვანეს და იქ თავი მოაკვეთეს († 250). ხსენების დღე – 17 აგვისტო. წმ. მირონის ღვაწლის ამსახველი მეტაფრასული თხზულება ქართულადაც უთარგმნიათ. ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 1,457-465.

მირონცხება – საღვთო საიდუმლო, რომლის დროსაც მირჩუნე (ნათელღებულ) ადამიანს წმინდა მირონის ცხებით (სულიწმიდის სახელით) მიენიჭება მადლი სულისა წმიდისა, სულიერი აღზრდისა და განმტკიცებისათვის (იხ. შეიდი საიდუმლო). მოციქულები სულიწმიდის მადლს მოწვეულნი ხელის დადებით (იხ. საქმე 8, 14-17), მათი მემკვიდრენი კი მირონის ცხებით ასრულებენ მასვე. მირონცხების საიდუმლოს შესრულების უფლება აქვთ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს (მოციქულთა კანონები 7, 23). ერისკაცს ამის უფლება არავითარ შემთხვევაში არა აქვს, მოსანათლაების საკვდილის საშიშროების შემთხვევაშიც კი. მირონცხება ყველა ნათლღებულს სჭირდება, ამიტომ იგი უშუალოდ მოსდევს ნათლისღებას (II მსოფლიო კრების კანონი 7; VI მსოფლ. კრების კან. 95; ლაოდიკიის 46). ამ დროს წარმოითქმის სიტყვები: „ბეჭედი მონიშნულ არს სულისა მიერ წმიდისა“. ნათლისღებისაგან ცალკე მირონცხება ხდება იმ შემთხვევაში, როცა მწყალობლად მართლმადიდებლობაზე მოიქცევა ადამიანი. მირონცხება, ისევე როგორც ნათლობა, არ მეორდება. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც ხდება მეფის კურთხევა. მირონს სცხებენ აგრეთვე ახლად ნაკურთხ ეკლესიას, ტრაპეზსა და ოლტარს. მირონის კურთხევა ხდება ავტოკეფალურ ეკლესიათა მეთაურების, როგორც მოციქულთა მემკვიდრეების მიერ.

მირქმა (მიქუმა) – მიგებება იესო ქრისტესი, საუფლო ღვესასწაული, აითრომეტფაგანი, მართალი სვიმეონის მიერ უფლის მირქმის (მიგებების, მკერდზე მიხუტების) მოსახსენებლად. ამის შესახებ საღვთო წერილი მოგვითხრობს: იუდეველთა სჯულის მიხედვით ყოველი პირველმობილი ეკუთვნოდა ღმერთს (გამოსლე. 13, 12-13; ლევ. 12,1-8 ; რიცხვთა 3,13-18; 15-16), ამიტომ ებრაელს ეკალებოდა ყოველი პირველმობილი ღვთისათვის შეეწირათ და დაბადებიდან მე-40 დღეს ტაძარში მიეყვანათ. წესის შესასრულებლად მარიამ ღვთისმშობელმა ილსებთან ერთად ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანა. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა ბრძენი მოხუცი სვიმეონი (ტრადიციით – ერთერთი იმ სამოცდაათ სწავლულთაგანი, რომელთაც ბიბლია თარგმნეს ებრაულიდან ბერძნულ ენაზე). ისაიას წინასწარმეტყველების კითხვისას მან თურმე არ იწერწმუნა წინასწარმეტყველება ქალწულისაგან მხსნელის შობის შესახებ. ამის გამო მას ეცნობა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე ქრისტეს არ იხილავდა და წინასწარმეტყველებაში არ დარწმუნდებოდა. როდესაც მოსეს სჯულისამებრ მშობლებმა ახალშობილი იესო მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში უფლის წინაშე წარსადგენად და ღარიბთათვის შესაფერისი შესწირავი – ორი მტრედის ბუდე შესწირეს, ამავე დროს სულიწმიდის შთაგონებით ტაძარში მივიდა მართალი სვიმეონიც. მან ხელში აიყვანა (მიიქცა) ყრმა, აღიდა ღმერთი და წარმოთქვა ლოცვა: „აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა, მშჳდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოელისა ერისასა,

ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა" (ლუკა 2, 9-32). ტაძარში ამ დროს იყო 84 წლის ანა წინასწარმეტყველი, რომელიც ქრისტეს მოლოდინით არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღმე და ღამე". ანა წინასწარმეტყველმა პირველმა იქადაგა მაცხოვრის მობრძანება. მართლმადიდებელი ეკლესია მირქმას დღესასწაულობს 2 თებერვალს. წინათ მირქმის დღესასწაულს ქრისტიანები ხვედებოდნენ ანთებული ლამპრებით. ამიტომ დღესასწაულმა „ლამპრობის" სახელი მიიღო. დღეისათვის ეს ჩვეულება ეკლესიაში დაფიწყებულია, შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ კუთხეში, მაგ.: სვანეთში, „ლამპაარის" სახელით (იხ. ლამპრობა). მიგებების ლამპრებს ძველად სპეციალური კერთხეები წესიც ჰქონია — „კერთხევა ლამპართა მიგებებისათა", რომლის ტექსტი შენახულია რამდენიმე კერთხეებში: A 450; A 274; A 72; A 147. მიგებების დღესასწაულს ეძღვნება რამდენიმე ჰიმნია, რომელთა ტექსტი დაცულია ქართულ ხელნაწერებში: 1). „დღეს როშელსა მიირქუა სვიმეონ მკლავთა თვისთა ზედა უფალი" — ევსუქი იერუსალიმელის თხზულება, შეტანილია ხელნაწერებში: A 95, 401-405; Ath. 11, 39-41. 2). „მიგებებად საკითხავი, თქუმული ყოელადწმიდისა ღმრთისმშობლისათჳს, რომელსა შინა მოისენების სჳმეონიცა და ანნა" — ამფილოქე იკონიელის თხზულება. მისი ძველი თარგმანი მოთავსებულია ათონის ხელნაწერში Ath. 5,2-20, ეფრემ მცირის თარგმნილი კი მოთავსებულია ხელნაწერებში: A 162, 74-78; A 182; A 186; ქუთ. I, 30-36. 3). „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი" — სოფრონ იერუსალიმელის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 129, 116; A 162,56-64; ქუთ. 1,1-13. 4). „მიგებებისათჳს უფლისა ჩუენისა" — კირილე იერუსალიმელის თხზულება, დაცულია ხელნაწერებში: A 95,415-421; Ath. 80, 43-46.

მისაელი — მცხეთელი ებრაელი მირიან მეფის დროს, IV ს-ში. „მოქცეულა ქართლისაჲს" მიხედვით, იგი ელიოზ მცხეთელთან და ლონგინოზ კარსნელთან ერთად დასწრებია უფლის უნებასა და ჯვარცმას (ძეგლები, I, გე. 87).

მისაელი — ძველი აღთქმით (დაახლ. 600 წ. ქრისტეს შობამდე), წარმოშობით ისრაიტელი, წარჩინებული ოჯახიდან. ჯერ კიდევ ყრმა იყო, როცა ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო იერუსალიმი და ისრაიტელნი ტყვედ წაასხა. მისაელთან ერთად იყვნენ ყრმები — ანანია და აზარია, აგრეთვე წინასწარმეტყველი დანიელი. ყრმები წმინდად ინახავდნენ თავიანთი სჯულის მცნებებს და უარს ამბობდნენ კერპთა თაყვანისცემაზე. ამისთვის ისინი მეფის ბრძანებით კოცონში ჩაყარეს. ყრმები იდგნენ შუაგულ ცეცხლში, მაგრამ ღვთის შეწევნით უვნებელნი რჩებოდნენ. ისინი ხმამაღლა გალობდნენ და ადიდებდნენ უფალს (დან. 3,26-90). ბოლოს მათ გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც გააცივა ცეცხლის სიმხურვალე და ყრმები უვნებლად გამოიყვანა კოცონიდან. ამ სასწაულის ხილვაზე მეფემ გაანთავისუფლა წმინდა ყრმები და ირწმუნა მათი ღმერთი. კირილე ალექსანდრიელის გადმოცემით, ანანია, აზარია და მისაელი ბოლოს მაინც მოწამებრივად აღესრულნენ (სპარსთა მეფის ბრძანებით მათ თაკვეთეს). არსებობს სხვა გადმოცემაც, რომლის მიხედვით მათ ღრმა სიბერეშდე იცოცხლეს. ანანიას, აზარიასა და მისაელის „ცხოერება" ქართულ ენაზე უთარგმნია სეითს VIII-IX სს.-ში. ტექსტი დაცულია ხელნაწერში: Sin. 11, 240-245; 341, 561-571.

მისაჰინელი — ასე ეწოდებოდა წმინდა მორწმუნეთა სასაფლაოს. „დიდი სჯულისკანონის" მოწმობით, იქ აკრძალული იყო მწყალებელთა შესვლა (ლაოდიკიის კრების კანონი 9).

მისია — დაყალება, მიზანი, რაიმე დაყალების შესასრულებლად მოციქულის (წარგზავნილის, ელჩის) გაგზავნა; კერძოდ, ამა თუ იმ რელიგიური მოძღვრების ქადაგება სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა შორის.

მისიონერობა (ლათ. missio „გაგზავნა", „დაყალება") — რელიგიური ორგანიზაციებისა და ეკლესიების მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმა. მიზნად ისახავს სხვა სჯულის მიმდევართა მოქცევას და განდგომილთა ეკლესიაში დაბრუნებას. ქრისტიანული მისიონერობა IV ს-ში წარმოიშვა. XIII-XVI სს-ში ქრისტიანი მისიონერები იყვნენ ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში. კათოლიკური მისიონერობის სახელმძღვანელოდ პაპმა გრიგოლ XV-მ 1622 წ. დააარსა სარწმუნეობის პროპაგანდის კონგრეგაცია (1967 წ-დან შეიქმნა ხალხთა ეკანგელიზაციის კონგრეგაცია).

მისტერია (ბერძნ. „საიდუმლოებანი") — ზოგიერთი წარმართული ღვთების საიდუმლო კულტი, ღვთისმსახურების განსაკუთრებუ-

ლი ფორმა ძველ დროში. მისტერიებს აწყობდნენ უმეტესად ღამით, ჩირაღდნების შუქზე; იმ ღვთაების ცხოვრების ისტორიას, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, წარმოადგენდნენ მიმიკური დრამატული სცენების სახით, რომელთაც ახლდა შეძახილები, სიმღერა და ცეკვა. მისტერია აღმოცენდა მიმინებული და გაცოცხლებული ბუნების განმასახიერებელი უძველესი ღვთაებების კულტებთან დაკავშირებით. უძველესი მისტერიები ჩაისახა ძვ. ეგვიპტეში (ოსირისისა და ისიდას კულტები), ბაბილონში (თამუზის კულტი); ვარაუდობენ, რომ სპარძნეთში მისტერიები ჯერ კიდევ პელასგების დროს არსებობდა, მაგრამ ისტორიულად დამოწმებულია მხოლოდ ძვ. წ. VII ს-დან. უძველესია ელევსინის მისტერია (ქალღმერთ დემეტრასა და მისი ასულის, პერსეფონესადმი მიძღვნილი). ორფიკული მისტერიის თრაკიული მითიური მომღერლის, ორფევსის კულტის სამუალებით ანტიკურ სამყაროში გაცოცხლდა მთელი რიგი აღმოსაელური კულტებისა. ამ გაელენის შედეგია დიონისესა და კიბელას, ჰეკატეს, აფროდიტეს, ისიდას, მითრას მისტერიები. პომპეის მახლობელად გათხრეს ვილა მისტერია, რომლის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია უნიკალური გამოსახულებები — მისტერიის სცენები.

მისტერია, როგორც რელიგიურ-თეატრალური ჟანრი, განეითარდა XIV-XVI სს. საფრანგეთში. აქ მისტერიას საუფლოდ ედო ბიბლიური სიუჟეტები, ავტორები იყენებ საეკლესიო მოღვაწენი, ღვთისმეტყველნი, ქიმები, იურისტები, ხოლო შემსრულებლები — მოყვარულნი, უბრალო ადამიანები. წარმოდგენები იმართებოდა ქალაქის მოედნებზე, ბაზრობების დროს. რელიგიურ სცენებს შორის ჩართული იყო ყოფითი, კომედიური ეპიზოდები — ე. წ. ინტერმედიები. აღსანიშნავია არნულ გრებანის „ლეთის ენებათა მისტერია" (XV ს. შუა წლები), „ორლეანის ალყის მისტერია" (1429 წ.). XVI ს. სასულიერო და საერო ხელისუფლებამ მისტერიები აკრძალა.

მისტიკა (ბერძ. „საიდუმლო") — რელიგიური პრაქტიკა, რომლის მიზანია ექსტაზის გზით ღმერთთან უშუალო შეერთების განცდა; თეოლოგიურ და ფილოსოფიურ დოქტრინათა ერთობლიობა, რომელიც არკვევს და არეგულირებს ამ პრაქტიკას. მისტიკით საზრდოობს ყველა რელიგიური მოძღვრება. მისი ფესვები ძვ. აღმოსაელურ რელიგიებშია. ძვ. სპარძნეთში იგი თაისებურად გამოიხატა პითაგორელთა ფილოსოფიაში. შემდგომ ფართოდ გაერცელდა შუა საუკუნეებში. მისტიკის მიხედვით, შემეცნების მაუარი წყაროა ღვთიური გამოცხადება, რომელსაც წმინდა მამები ხანგრძლივი განმარტებული მოღვაწეობით (ლექციით, მარხვით) ეზიარებოდნენ.

„მისაძუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ, რაჲთა არა კელთა დასხმიდენ საკრძისა" — ბასილი კესარიელის კანონიკური ეპისტოლე, შეტანილია დიდ სჯულისკანონში. ქართველ გადამწერთ ამ თავისათვის მაღალი შეფასება მოუციათ. მინაწერები ამცნობს მკითხველს: „ეხილე და წარიკითხე ყოველი ესე ეპისტოლე შუენიერი და სათანადოჲ ფრიად" (იხ. „დიდი სჯულისკანონი", გვ. 504-506).

მიტევების კვირა — შენდობის კვირა; ასე ეწოდება ყველიერის ბოლო დღეს (ყველიერის აღებას, ანუ დიდი აღების დღეს) — კვირას. რადგან მკრე დღეს იწყება დიდი მარხვა, ამ დღეს დაწესებულია მორწმუნეთა შორის ცოდვათა ურთიერთშენდობა (მიტევება, პატიება), რათა დიდი მარხვა თითოეულმა მორწმუნემ განწმენდილი გულით შეასრულოს. მწუხრის ლოცვის შემდეგ, ტიპიკონის თანახმად, უნდა შესრულდეს შენდობის წესი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უპირატესმა მღვდელმა უნდა წარმოთქვას ქადაგება ცოდვათა მიტევების შესახებ და თვითონ პირველმა მუხლის მოდრეკით ითხოვოს პატიება ყველას წინაშე. ამის შემდეგ თითოეული საკლესიო დასისაგანი და მორწმუნე შენდობას ითხოვს ერთმანეთისაგან.

მიტრა (ბერძ. „თაეზე წასაკრავი") — ხატებითა და ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამღვდელმთავრო გვირგვინი, რომელსაც მღვდელმთავარი წირვა-ლოცვაზე იხურავს. მიტრის წარმოშობა მიეკუთვნება შორეულ წარსულს. ძვ. რომში იგი ქალის შუბუქი თაესაბურავი იყო; ძვ. სპარძნეთში — თაესაკრავი, შუბლზე წასაკერელი ფართო ბაფთა, რომელიც ინასკვებოდა კეფაზე და გრძელი ბოლოებით ზურგზე ეშვებოდა. ამგვარ მოსარტყმელს ხმარობდნენ ეპისკოპოსები ადრინდელ ქრისტიანულ ეკლესიაში. დროთა განმავლობაში მოსარტყმელმა ბაფთამ მიიღო ფორმა ქუდისა, რომელიც ზემოდან ღია იყო, წინა მხარეს კი ამოჭრილული ხატებით შემკული. XII საუკუნიდან მიტრა იღებს გვირგვინის ფორმას და იქცევა ეპისკოპოსის შესამოსელის აუცილებელ ნაწილად. აღმოსაელეთის ეკლესიაში ეპისკოპოსის მიტრა სიმბოლუ-

რად მეფის მიტრას გაუთანაბრდა, რადგან ეპისკოპოსი მღვდელმსახურების დროს წარმოადგენს ზეცათა მეუფეს – იესო ქრისტეს. გარდა ამისა, მიტრა მიგვანიშნებს ეკლის გვირგვინს, რომელიც მაცხოვარს დაადგეს თავზე (მათე 27,29), აგრეთვე სუდარას, რომელიც დამარხვისას თავზე შემოახვიეს (იოანე 20,7). კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და სხვ. ავტოკეფალურ ეკლესიებში მიტრის ტარების უფლება მხოლოდ პატრიარქსა და მღვდელმთავრებს აქვთ. ზოგიერთ ავტოკეფალურ ეკლესიაში (მათ შორის საქართველოშიც) მიტრას ატარებენ აგრეთვე არქიმანდრიტები და ზოგიერთი დეკანოზი (მიტროსანი დეკანოზები; მათთვის მიტრის ტარების უფლება ჯილდოს წარმოადგენს. ეს დაკანონდა 1667 წლიდან, მოსკოვის საეკლესიო კრების დადგენილებით). პატრიარქისა და მიტროპოლიტების მიტრზე აღმართულია პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ჯვარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეფის ოქროს გვირგვინის მსგავს მიტრას იხურავს. იგი ცილინდრული ფორმისაა, ოდნავ გაწეული ზემო შვერილებით, ზემოდან კი გუმბათისებურ მოხრგვალებაზე ჯვარია აღმართული. ასეთი ფორმის ოქროს მიტრა (XVI ს.) დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მიტრიდრა – მოწამე ქალწული, წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ ბითვინიიდან. ქრისტიანობისათვის ეწამა დებთან – მინოდორასა და ნიმფოდორასთან ერთად დაახლ. 305-311 წწ. წვ. დებს ქალწულობის აღთქმა ჰქონდათ დადებული და განმარტოებით ცხოვრობდნენ ერთ მიუვალ ადგილზე უდაბნოში. მათი ქრისტიანული აღმსარებლობის ამბავი შეიტყო ბითვინიის წარმართმა მმართველმა ფრონტონემ, რომელმაც, რაკი მათი გადაბირება ვერ მოახერხა, მძიმე წამებით ამოხადა სული. ჯერ უფროსი და – მინოდორა აღესრულა წამებით, შემდეგ კი შუათანა – მიტრიდორა და უმცროსი – ნიმფოდორა. წვ. ქალწულმოწამეთა ხსენების დღე – 10 სექტემბერი. ქართულ ენაზე მათი „წამება“, შედგენილი სვიმეონ მეტაფრასტის მიერ, უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს. ეს თარგმანი დაცულია ათონურ ხელნაწერში Ath. 20, 151-155; არსებობს ამავე „წამების“ მეორე თარგმანიც: ქუთ. 4,120-127, გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ: „ძველი მეტაფრასული კრებულები“ (სექტემბერი), 1986 წ.

მიტროპოლიტი (ბერძ. „დედაქალაქისა“) – ოლქის (ეპარქიის) ან პროვინციის (დიოცეზის) მთავარი ქალაქის (მიტროპოლიის) მღვდელმთავარი. მიტროპოლიტის წოდება დადგინდა I მსოფლიო კრებაზე (325 წ.) და ანტიოქიის კრებაზე (341 წ.). მიტროპოლიტს ეშორჩილებოდნენ სამიტროპოლიტო ოლქში შემავალი ეპისკოპოსები. XIII ს-თვის მიტროპოლიტს არავითარი უფლება აღარ ჰქონდა ეპისკოპოსებზე. მიტროპოლიტის წოდება აშკარად ეპისკოპოსთა საპატიო ტიტულს წარმოადგენს. ეს ხარისხი შეიძლება მიეცეს ყველა მღვდელმთავარს, რომელსაც ეპარქია აქვს. საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიაში მიტროპოლიტის ხარისხით აჯილდოებენ მღვდელმთავარს და იგი იერარქიულად ეპისკოპოსისა და მთავარეპისკოპოსის წინ დგება.

მიტროფანე ზმვირნელი (სმირნელი) – IX ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ზმვირნელი მიტროპოლიტი, ავტორი თხზულებისა: „თარგმანება ეკლესიასტისაჲ“, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 61. მთარგმნელი – იოანე ჭინჭიმელი (XII ს.). გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ („თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმირნელ მიტროპოლიტისა“, ტფ., 1920 წ.). ამ თხზულების ბერძნული დედანი ჯერჯერობით ცნობილი არაა.

მიტროფანე კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინოპოლის პატრიარქი III-IV სს. იმპერატორ კონსტანტინე დიდის (296-337 წწ.) თანამედროვე. მამამისი, დომენტი იყო იმპერატორ პრობუსის (276-282 წწ.) ძმა, დაბოწოდა ბიზანტიის ეპისკოპოს ტიტეს (242-272 წწ.), რომელმაც იგი მღვდლად აკურთხა. ტიტეს სიკვდილის შემდეგ ეპისკოპოსის ტახტი დაიკავა დომენტიმ (272-303), მისმა შვილებმა შემდეგ – პრობუსმა (303-315) და მიტროფანემ (316 წლიდან). მიტროფანეს მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა დედაქალაქის გადმოტანა რომიდან ბიზანტიაში და I მსოფლიო საეკლესიო კრება (325 წელს, ნიკეაში). კონსტანტინე დიდის წინადადებით მსოფლიო კრების წმინდა მამებმა მიტროფანეს პატრიარქის ტიტული მიანიჭეს. იგი კონსტანტინეპოლის პირველი პატრიარქი გახდა. გარდაიცვალა 326 წელს, 117 წლისა. მისი ნაწილები დასვენებულია კონსტანტინეპოლში, მისივე სახელზე აგებულ ტაძარში. ხსენების დღე – 4 ივნისი. წვ. მღვდელმთავრის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 3,51-66 (აქვეა „ცხოვრება“

მისი მომდევნო პატრიარქისა – ალექსანდრესი, რომელიც მიტროფანემ დატოვა თაყის მეშკიდრედ. სხვათა შორის, მიტროფანემ იწინასწარმეტყველა, რომ ალექსანდრეს შემდეგ პატრიარქის ტახტზე ავიდოდა პაველე – იმ დროს მედაუთნე; ალექსანდრიის პატრიარქის შემცელელად კი იწინასწარმეტყველა წმ. ათანასე – იმ დროისთვის არქიდიაკონი).

მიტროფანე ნინოწმინდელი – XVIII ს. ნინოწმინდის ეპისკოპოსი, ბაინდურ არაგვის ერისთავის ძმა, ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლების ინიციატორი. მისი დაკვეთით ვინმე გიორგის 1763 წ. გადაუწერია სახარება-სამოციქულოს საკითხავები (ქუთ. 104). მიტროფანეს განუახლებია ბოდორნის ტაძარი, 1772 წელს.

მიშრიდიზმი – რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობა ისლამში. ჩაისახა XIV ს-ში შია აზიის მუსლიმებში. XIX ს. 20-იან წლებში მიურიდიზმის იდეა გავრცელდა აღმოსავლეთ კავკასიაში და გამოიწვია კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სერთო სახელწოდებად. მიურიდიზმი რელიგიურ მოძღვრებას – სუფიზმს უხამებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, კერძოდ, „წმინდა ომში" – ჰაზავათში მონაწილეობას, რომელიც „ურწმუნოთა" (ე. ი. არამუსლიმთა) წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. მიურიდიზმი თავისი მიდევრებისაგან მოითხოვდა სულიერი მამებისადმი უსიტყვო მორჩილებას, საკუთარ სურვილებზე უარის თქმას, აქტივისტური ცხოვრებისადმი გულგრილობას და ა. შ. ჩრდ. კავკასიაში მიურიდიზმს სათავეში ედგნენ „იმამები": ღაზი-მაჰმედი, ჰამზათ-ბეგი და შამილი, რომლის დროსაც მიურიდიზმი განსაკუთრებით გავრცელდა. მიურიდიზმის იდეოლოგები იყვნენ შეიხი ჰაჯი-ისმაილი, მოლა მაჰმედი და შამილის სიმამრი - ჯემალედინი. კავკასიის მთების ჭრელი მოსახლეობის განმათავისუფლებელ ბრძოლას მიურიდიზმი რელიგიურ ელფერს ამკვიდრებდა და გარკვეულ ორგანიზებულობას მატებდა. ამავე დროს მიურიდიზმი აღვიქვებდა რელიგიურ ფანატიზმს და მტრობას არამუსლიმი ხალხებისადმი. რუსეთის მიერ კავკასიის შემოერთებამ 1864 წ. მიურიდიზმს საფუძველი გამოაცალა.

მიქაელ, გობარონად ფოლებული († 914 წ.) – იხ. გობარონი.

მიქაელი // მიქელი – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა, მწიგნობრისა და ხუროთმოძღვრისა:

1. V ს. I ნახ. ურბნისის სიონის (ქარელის რაიონში, ქ. გორიდან 12 კმ-ის მანძილზე, სოფ. ურბნისში, საეპისკოპოსო საყდარი) აშენებელი, მისი პირველი „მამაჲ" ანუ წინამძღვარი. მოხსენებულია ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის ლაპიდარულ წარწერაში (კოსტანტისთან ერთად).

2. ულუმბელი (ულუმბელი), ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე. საქართველოში მოვიდა VI ს. შუა წლებში სხვა ასურელ მამებთან ერთად. დაარსა ულუმბოს მონასტერი (ქართლში, ახლანდელ ხაშურის რაიონში, სოფელ ალის მახლობლად). იყო მისი პირველი წინამძღვარი. დაკრძალულია იქვე. ულუმბოს მონასტრის დიდი ტაძარი მოგუთანებით სამრეველო ეკლესიად გადაკეთდა და მანამდე მოქმედებდა, სანამ იქიდან მოახლენება არ აიყარა (XX ს. დასაწყისში). აბეშარდ კვლაე მონასტერი მოქმედებს (2001 წლიდან).

3. სინელი, VI-VII სს. სინის მთის მოღვაწე, ქართველი მონაზონი. იმ ადგილს, სადაც ის იმყოფებოდა, არსებული ეწოდებოდა. ცნობილია მიქაელის მოწაფე ესტატიც (იხ. П. Успенский, Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 г.

4. შავშელი, მიქელ მამაი – VIII-IX სს. დიდი მეუდაბნო, გრიგოლ ხანცთელის მეგობარი. წარმომობით შავშეთიდან იყო, სოფელ ნორგიალიდან. მონაზონად აღიკვეცა მიმნაძორის მონასტერში (კლარჯეთში). მრავალ წელიწადს განდეგილად იცხოვრა ბერთის პარეხში და იქვე აღესრულა. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში" აღწერილია ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ მორჩილად ასრულებდა იგი გრიგოლის სულიერ მითითებებს (ძეგლები, I, 280-281). ზოგიერთი მკვლევარი მას მიქელ პარეხელთან აიგივებს.

5. პარეხელი, პარეხის მონასტრის აშენებელი და მისი პირველი წინამძღვარი. გაერცელებული შეხედულებით, მიქელ პარეხელი ცხოვრობდა IX ს-ში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით – VI-VII სს-ში. ბასილი ზარზმელის ცნობით, მიქელ პარეხელი ყოფილა შიო მღვიმელის მოწაფე, შემდეგ მისულა კლარჯეთში და ერთხანს ოპიზის მონასტერში უმღვაწია. თაყის მოწაფეებთან ერთად აუშენებია მცირე ეკლესია, რომლისათვისაც პარეხი უწოდებია. მიქელ პარეხელის მოწაფეთა შორის ცნობილი ყოფილან ბასილი და მარკელოზი, აგრეთვე ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონ ზარზმელი,

რომელიც მას გაუგზავნია სამცხეში მონასტრის დასაფუძნებლად (ძეგლები, I, 322, 345).

6. IX ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. მიქაელმა 897 წ. მონასტრის წინამძღვრის, სოფრონ შატბერდელის შეკვეთით გადაწერა ე. წ. ადიშის ოთხთაეი (ინახება სპანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მესხეთა). ნაწერია ეტრატზე, მრგლოვანით, ორ სვეტად. პირველ ფურცელზე გამოსახულია ჯვარი, კუთხეებში — მახარებლები წელზევით; მეორე ფურცლის წინა გვერდზე — მარკოზ მახარებელი, რომელიც ზის და წერს, უკანაზე — ფეზზე მდგომი ლუკა და იოანე მახარებელი. შემდეგ გვერდებზე ხუთი კამარაა. ეს გამოსახულებები ადრინდელი ტიპისაა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კანონიკური სახე. ლამაზად ნაწერი ტექსტი მოწმობს, რომ მიქაელი თავისი საქმის დიდი ოსტატი იყო.

7. ოლიმპელი, ღირსი მამა, რომელსაც არსენთან ერთად ქართველთათვის მონასტერი აუშენებია ოლიმპის მთაზე IX ს. (იხ. ოლიმპის მთა). მათვე იერუსალიმის პატრიარქის, სერგის (843-859) ნებართვით მირონის კურთხევა იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოუტანიათ. ღირს მამათა ხსენება შეტანილია იერუსალიმურ ხელნაწერში Jer.24-25.

8. ზარზმის მონასტრის მესამე წინამძღვარი (სერაპიონისა და გიორგის შემდეგ). IX-X სს. სერაპიონის მიერ დაწყებული ეკლესიის დასასრულებლად მას მოუწვევია ხუროთმოძღვარი მიქელ ბერძენი და კალატოზი შუარტყველი. ეკლესიის მშენებლობის დამთავრება წილად ხვდა მიქაელის მომდევნო წინამძღვარს — პაველეს. მოხსენებულნი არიან „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" (ძეგლები, I, 344-345).

9. „სათხის" X ს. დარბაზული ეკლესიის (ბოლნისის რაიონის სოფ. კაზრეთის სამხრეთით, მისგან მცირე მანძილზე, ტყეში, მთის ძირას) ერთ-ერთი ხელოსანი, სხვა ხელოსნებთან (ბუწატი, კურიკე კალატოზი, იოანე, გიორგი, იოანე ნიკოლოზის ძე, თაქაძა) ერთად მოხსენებულია ამ ეკლესიის ლაპიდარულ წარწერაში.

10. ოპიზარი, X ს-ის ოსტატი, რომლის აშენებულიც უნდა იყოს მარტვილის ტაძრის დასავლეთი ეგეტერი. ამ ეგეტერს ჰქონდა წარწერა, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევარში გამქრალა. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, მასში მითითებული იყო თარიღი — 996 წ. (ქრონიკონი სიე), ხოლო მეორე წარწერა, გარედან, ეგეტერის სარკმლის ზემოთ, ასე იკითხებოდა: „ქრისტე, შეიწყალე მიქელ გალატოზი ოპიზარი". მიქელის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რაც ამ წარწერაშია აღნიშნული, კერძოდ ის, რომ წარმოშობით ოპიზიდან (კლარჯეთიდან) იყო.

11. ვარაზვარეს ძე, X ს. ქართველი კალიგრაფი, მოღვაწეობდა ოშკის მონასტერში, სადაც სტეფანეს და გიორგი გელასისძესთან ერთად 978 წელს გადაწერა სახელგანთქმული ოშკის ბიბლია (Ath. 1). წერის დამკვეთი ყოფილა იოანე — თორნიკე (ყოფილი თორნიკე ერისთავი). კ. კეკელიძის მოსაზრებით, შეიძლება ეს მიქაელი — მიქაელ მოდრეკილი იყოს.

12. ნიჭოზელი ეპისკოპოსი, აშენებელი ზემო ნიჭოზის (გორის რაიონში, ცხინვალიდან 3 კმ. მანძილზე, სამხრეთით) მთაძარაგნელოზის ეკლესიისა. X ს. ჩრდილოეთის ფასადის კარის თავზე შემორწენილია აშენებლო წარწერა, რომელშიც მიქაელ ეპისკოპოსია მოხსენებული. სხვა წარწერაში მოხსენებულია იოანე, დისწული მიქაელ ეპისკოპოსისა.

13. ეპისკოპოსი (ბოლნელი?), მოხსენებულია სოფ. კიანეთის (ბოლნისის რაიონში, მდ. მაშავრის მარცხ. ნაპირზე) დარბაზული ეკლესიის X ს. ლაპიდარულ წარწერაში, როგორც აშენებელი.

14. ხახულის მონასტრის (ისტორიულ ტაოში, თორთუმის წყლის აუზში) X ს. ერთ-ერთი კალატოზი. მოხსენებულია მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ლაპიდარულ წარწერაში (იხ. ჯავახ. გურსი, ავდერკ, თუალშავ, მუხწის).

15. სინის მთის [illegible] ღვაწე. მოხსენებულია სინის მთაზე [illegible] წლებში დამუშავებულ ხელნაწერებში (Sin. 8; Sin. 12, Sin. 17, Sin. 30). სპეციალისტთა ვარაუდით, მიქაელს იოანე-ზოსიმესთან და სხვა ბერებთან ერთად (გიორგი, გაბრიელი, ბასილი, კვირიკე) X ს. 60-იანი წლების მიწურულამდე საბაწმიდის ლავრაში უმოღვაწია და ამის შემდეგ გადასულა მათთან ერთად სინის მთაზე.

16. ხარაისძე, მოხსენებულია სოფ. ქვემო ჭარების (ცხინვალის რაიონი, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე) ეკლესიის აბსიდის ფატაკში ჩატანებული სტელის X ს. წარწერაში. იხ. ხარაისძეები.

17. კოსტანტის ძე, მოხსენებულია ურბნისის სიონის (გორის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე) X ს. ლაპიდარულ წარწერაში. (აღმოსავლეთის ფასადზე, ორ, ერთიმეორის გვერ-

დით ჩადგმულ ფილაზე). მიქაელი დახმარებია ამ ტაძრის აშენებელ თეოდორე ეპისკოპოსს.

18. ვახტანგის ძე, მოხსენებულია ტბეთის (ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 5-6 კმ. მანძილზე დასაელთით), „ბოსის ჯვრის" ანუ „ბორცვის ჯვრის" ეკლესიის X ს. ლაპიდარულ წარწერაში, როგორც ერთ-ერთი ქტიტორი (იხ. პატრიკ ტბელი, ოქროპირ ტბელის ძე, სარმანე ვახტანგის ძე).

19. „გლახაკი", – ასე უწოდებს თავისთავს სინის მთაზე X ს. მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბერი, რომელსაც მონასტრისათვის შეუწირავს დავითნი (Sin. 42) და სხვა წიგნები.

20. დეკანოზი სინაწმიდისა, სინის მთის ქართველთა საკანის მოღვაწე 974-983 წწ. ეწეოდა მწიგნობრულ მოღვაწეობას (ხელნაწერთა დამზადება და შეძენა).

21. კათამნელი, სინის მთის ქართული საკანის XI ს. მოღვაწე, მწიგნობარი. იგი ჯერ პალესტინაში, საბას ლავრაში მოღვაწეობდა, შემდეგ გადასულა სინის მთაზე. მოხსენებულია Sin. 9 ხელნაწერის ანდერძში.

22. მღვდელი, ცნობილია მხოლოდ იმ ანდერძის მიხედვით, რაც მას 963-69 წწ. „სამოციქულოსთვის" (Ath. 42) დაურთავს: „მე, მიქელ მღდელმან, ზეკეპე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაი პავლე მოვიგე" (იხ. ილ. აბულაძის, საქმე მოციქულთა).

23. X ს. ქართველი მწიგნობარი. თორნიკე ათონელის ინიციატივით 981 წელს მას გადაუწერია კირილე ალექსანდრიელის თხზულება „განძი" („საუნჯე"). სპეციალისტთა დასკვნით, ქართული ვერსიის ასეთი სახელწოდება მოასწავებს, რომ ეს თხზულება სომხურიდან ყოფილა თარგმნილი. ცნობილია „საუნჯის" მეორე თარგმანიც ანტონ კათოლიკოსისა და ფილიპე ყაითმაზაშვილისა (ისიც სომხურიდან).

24. ზედაზნის მონასტრის XI ს. I ნახ. წინამძღვარი, ინიციატორი იოანე ზედაზნელის „ცხოვრების" I მეტაფრასული რედაქციის დაწერისა. მოხსენებულია „იოანე ზედაზნელის ცხორების" შესავალში (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოც. ილ. აბულაძის მიერ. 1955 წ.). ამ „ცხოვრების" უცნობი ავტორი ალნიშნავს, რომ მიქაელს უთხოვია მისთვის იოანე ზედაზნელის მეტაფრასული (გაკრცობილი) „ცხოვრების" დაწერა. ამისთვის მას გაუგზავნია „ქარტა წულილი" (აღრინდელი; კომენური რედაქცია), რომელშიც აღწერილი ყოფილა „საკმენი მამისა ჩუენისა ზედაზნელისანი". ზედაზნელთ, ჩანს არ აკმაყოფილებდათ მოკლე არქეტიპული რედაქცია კათოლიკოს არსენი მეორისა, მათ გემოვნებას არ ეგუებოდა შედარებით „მოკლედ და ლიტონად" დაწერილი მოკლე „ცხორება", ამისთვის მიმართეს უცნობ მეტაფრასტს, დაეწერა შესაფერისი ნაშრომი, მაგრამ, ჩანს, რომ არც ამ უკანასკნელის მიერ დაწერილმა დაკმაყოფილა ზედაზნელები (ალბათ, ზედმეტად გაერცობილი და განყენებული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობების გამო). ამას ადასტურებს ის, რომ ნუსხები ამ შრომისა არ შენახულა, ვიცით. მხოლოდ მისი ერთადერთი დეფექტური ნუსხა, რომელიც შენახულია ანასეული „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერში, რომელშიც, ფურცლების დაკარგვის გამო ვერ ეპოულობთ თხზულების მეორე ნაწილს. ზედაზნის მოღვაწეთა მეცადნეობის შედეგი უნდა იყოს აგრეთვე იოანეს „ცხოვრების" ახალი, II მეტაფრასული რედაქციის შექმნა, რედაქციისა, რომელიც მრავალი ხელნაწერითაც გაერცელდა და რამდენჯერმე გამოცემულიცაა (ძეგლები, წ. III, 192).

25. ათონის ივერთა მონასტრის XI ს. პირველი ნახევრის მოღვაწე – მწიგნობარი. მას გრიგოლთან ერთად გადაუწერია სახარება Ath.60.

26. ათონის ქართველთა მონასტრის XI ს. მოღვაწე, ძმა გიორგი ოლთისარისა. მოხსენებულია „ათონის კრბულში", როგორც ივერთა მონასტრის კეთილისმყოფელი. თავის ძმა გიორგისთან ერთად იღვწოდა მონასტრის განახლება-დამშვენებისა და ოფიციალური სტატუსის განმტკიცებისათვის. მათ ზღუდე შემოუვლიათ მონასტრისათვის. ამიტომ ათონელ მონაზვნებს მათთვის დაუწესებიათ მოსახსენებელი დღე (23 აპრილი) აღაპით, რომელიც გადაიხდებოდა „ეითარცა წმიდათა მამათა ჩუენთა მაშენებელთათუს წერილ არს" (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 151-152).

27. XI ს. შესანიშნავი ქართველი კალიგრაფი. 1054 წ. გადაუწერია ოთხთავი (S 962), რომელიც XI ს. ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია. ხელნაწერი ძალიან იყო დაზიანებული, ამჟამად აღდგენილია. ესაა პატარა ფორმატის წიგნი (14,5 X 14,4 სმ. 266 ფ.). ეტრატზე ყავისფერი მელნით, ასომთავრულით ორ სვეტად ნაწერი ტექსტი ოსტატის დახვეწილ ხელოვნებაზე მიუთითებს.

28. ტყემლობილი, რომანწმინდის საკანის (ანტიოქიაში, შაე მთაზე, სვიმონ საკირველთმოქმედის მონასტრის მახლობლად) XI ს. წინამძღვარი. მოხსენებულია იოანე ჯაბისძის მიერ

გადაწერილი სვინაქსარის (H 2211) ანდერძში. მისი წინამძღვრობისას, 1040 წ. არის გადაწერილი აგრეთვე „მართას ცხოვრება“ (Jer. 156) ვიმე გიორგის მიერ. შემდეგ ეს ხელნაწერი გიორგი აფხაზს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს.

29. აბრაამის ძე, მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც იერთა მონასტრისათვის შეწირულობათა მიმრთმეელი. XI ს. ათონელ მოწესეებს მისთვის განუწესებიათ ალაპი (მოსახსენებელი დღე – 6 სექტემბერი – მიქელ მთავარანგელოზის დღესასწაული), რომელიც გადაიხდებოდა „ანაფორაჲთა, პანაშულითა და ჟამის წირვითა, მერტიკონითა და კრასაულითა“ (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 162).

30. დვალი, XI ს. შესანიშნაეი ქართველი კალიგრაფი, კალიპოსის ღვთისმშობლის მონასტრის (შავ მთაზე) მოღვაწე. 1054 წ. იოანე დვალთან და გიორგისთან ერთად სვიმონ მღვდლის დაკვეთით გადაუწერია ცნობილი ალავერდის ოთხთავი (A 484). კალიპოსელ მამათა ნამუშეეარში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მხატვრული გაფორმება. მიქაელ დვალის გადაწერილია აგრეთვე ჟამნი (Jer. 23), იოანე ოქრაპირის „იოანეს სახარების თარგმანება“ (Jer. 145, ამ წიგნის მთავარი გადამწერი ყოფილა მიქაელ ჩიხუარელი); 1049 წლის სვინაქსარი (Jer. 142).

31. მწირი, XI ს. ქართველი კალიგრაფი. 1048 წ. გეთსამანიის მონასტერში, „საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა“, გადაწერა ოთხთაეი (ხელნ. ინსტ. H 1741). წარმოშობით მცხეთელი ყოფილა. წიგნი გადაუწერია სტეფანე ხუცესი პალაერელის შეკვეთით, მას შემდეგ, რაც იგი იერუსალიმს ჩაეიდა, მოილოცა ყველა წმინდა ადგილი და განწესებულ იქნა ქართლის კათოლიკოსის, ოქროპირის მწირველად. წიგნი უპრეტენზიოდაა გაფორმებული, ორ სვეტად ნაწერი ნუსხური ტექსტი კარგი ხარისხისაა.

32. XI ს. ქართველი კალიგრაფი. 1049 წ. მონასტრისა›ვის გადაუწერია თვენი (ხელნ. H 2337); ხელნაწერი დამზადებულა „ბრძანებითა და მოღუაწებითა ღმრთ-შემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოანე გოლგოთელისაჲთა“. წიგნი საშუალო ზომისაა (25,5 X 17 სმ.) ეტრატი, ნუსხური, ერთ სვეტად.

33, XI ს. მეორე ნახევრის კალიგრაფი, „მიქაელ უცხად მჩხრეკელი“ – ასე უწოდებს თავისთავს სინის მთის მოღუაწე, ქართველი ბერი მიქაელი, რომელსაც 1074 წელს გადაუწერია სახარება (Sin. 19). როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, იგი გულმოდგინე და თითქმის უშეცდომოდ გადამწერი ყოფილა.

34. მოხსენებულია ბაჯითის (საჩხერის რაიონი) ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში: „წმიდაო სამებაო, შეიწყალე მიქაელ, ესე ქაჲა მან შესწირა“.

35. მოხსენებულია დარკვეთის (ჭიათურის რაიონი), წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში.

36. მოხსენებულია ლაშეს (ხარაგაულის რაიონი) ეკლესიშობლის ეკლესიის ხის კარის XI ს. წარწერაში (ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

37. მოხსენებულია წებელდის (გულრიფშის რაიონი) წმ. თეოდორეს ეკლესიის კანკელის X ს. წარწერაში (ინახება საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, №№ ხმმ-443).

38. ლაბეჭინის (ამბროლაურის რაიონი) XI-XII სს. ეკლესიის მაშენებელი. მოხსენებულია ეკლესიის სამხრეთ ფასადის წარწერაში.

39. გალატოზი, სოფ. ლუას (მესტიის რაიონი) წმ. გიორგის XI-XII სს. ეკლესიის მაშენებელი. მოხსენებულია ლაპიდარულ წარწერაში. იქვეა მოხსენებული გიორგი გალატოზიც.

40. მიქაელ მიქვეტინის ძე, მოხსენებულია ქორეთის (საჩხერის რაიონი) სამების ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში.

41. დაღალისონელი, ათონის ქართველთა მონასტრის XI ს. მოღუაწე, ერთი გადამწერთაგანი „ათონის კრებულისა“ (1074 წ., A 558). ეს საშუალო მას შეუსრულებია „თუნიერ სასყიდლისა და ყოველისაეე საფასოჲსა“. იგი იძლეა საინტერესო ცნობებს ეფთვიმე ათონელისა და მისი ლიტერატურული მტრების (მაგ. ოზანის) შესახებ. მიქაელს ამ წიგნზე მოხუცებულობაში უმუშაეია. მთელი წიგნი ნუსხურითაა ნაწერი. სამკაულები არა აქეს, გამოყენებულია მხოლოდ სინგური, მარტივი საზედაო ასოებისათვის (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 33-110).

42. ათონის იერთა მონასტრის XI ს. მოღუაწე („მამა-ყოფილი“). მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც მონასტრისათვის მოჭედილი სახარებისა და სამოციქულოს შემწირველი. ამის გამო ათონელ მოწესეებს განუწესებიათ მისი მოსახსენებელი დღე – 20 დეკემბერი. (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 139).

43. ხუცეს-კანანაჲი, ათონის იერთის მონასტრის XI ს. მოღუაწე. აქტიური მონაწილეო-

ბა მიუღია სამონასტრო ნაგებობათა შეკეთება-განახლებაში, შესაწირავი მიურთმევია მონასტრისათვის „სასუნელობის შაშნებლად“. ამის გამო ქართველ ბერებს მისთვის განუწესებიათ მოსახსენებელი დღე აღაპით — 18 იანვარი (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 142).

44. ხუცეს-გალატოზი, XI ს. პირველი ნახევრის ოსტატი, სოფელ დიდი გომარეთის (დმანისის რაიონში) ღვთისმშობლის ეკლესიის მაშენებელი. მოხსენებულია სამშენებლო წარწერაში სამხრეთის შესასვლელის თავზე: „სახელითა ღმრთისათა, მას ჟამსა, ოდეს ძლიერმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა ზეიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალაური დიდება ქელითა ცოდილისა მიქელ ხუცეს-გალატოზისაჲთა“. სხვა წარწერებში მოხსენებული არიან ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და „შვილნი მისნი“. როგორც ჩანს, მიქელ ხუცეს-გალატოზი დაკავშირებული ყოფილა ბალუშთა ძლიერ ფეოდალურ ოჯახთან, რომელიც თავის მამულებში გაცხოველებულ მშენებლობას აწარმოებდა.

45. ჩიხუარელი, XI ს. კალიგრაფი. მოღვაწეობდა პალესტინის ქართულ სავანეებში. მისი გადაწერილია იოანე ოქროპირის „თარგმანება იოანეს სახარებისა“ (Jer. 145, ცაგარლის კატალოგით). ამ ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა ქელითა გლახაკისა და მწირად ცოდილისა მიქელ ჩიხუარელისაჲთა, ლაგრასა ღრდსა წმიდისსა მამისა ჩუენისა საბაჲსსა, ბრძანებითა შაშემოსილისსა წმიდისა მამისა ჲ მოძღურისა ჩუენისა გიორგი ჯუარელისაჲთა, მეფობასა ბერძენთსა ზედა მიხაელისსა, ხოლო ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისსა“. მიქელ ჩიხუარელს გადაწერაში დახმარებია მიქელ დეკანელი, რომელიც მოხსენებულია იქვე. ხელნაწერი დათარიღებულია 1038 წლით (ქორონიკონ სნე). ანდერძში მოხსენებულია ბაგრატ კურაპალატი — ბაგრატ მეოთხე, მიხაელი — ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ IV პაფლაგონელი (1034-1041 წწ.).

46. ათონის იერთა მონასტრის XI ს. მოღვაწე, ზედწოდებით ლაკლაკი, „ათონის კრებულის“ ცნობით, ცხოვრება „დიდითა მსახურებითა“ გარდაუვლია, მიცვალების შემდეგ კი მონასტრისათვის შესწირავი დუტოუებია ანდერძით. ამის გამო ათონელ ბერებს მისთვის განუწესებიათ აღაპი პანაშვიდითა, ანაფორაჲთა და ყოველთაე ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა“ (მოხსენების დღე — ნოემბრის 24, ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 170-171).

47. ქუაბულის ძე, მოხსენებულია ლაბეჭინის (ამბროლაურის რაიონი) ეკლესიის XI-XII სს. ლაპიდარულ წარწერაში.

48. მოხსენებულია უბისის მონასტრის ერთერთ, XII ს. ლაპიდარულ წარწერაში.

49. მიქაელ ჭორახძე, მოხსენებულია ღუანკითის (თერჯოლის რაიონი) სამების ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში, მიქაელ „თავაფარის“ ზედწოდებით.

50. ჯრუჭის (ჯაჭვრის რაიონი) წმ. გიორგის ეკლესიის მამასახლისი. მოხსენებულია ეკლ. დასავლეთი ფასადის XI-XII სს. ლაპიდარულ წარწერაში.

51. კახელი, მოხსენებულია „ათონის კრებულში“. XI ს. II ნახ. იოანესთან ერთად წამოსულა კახეთიდან წმინდა ადგილების მოსალოცად. ჯერ ათონის ქართველთა მონასტრისათვის მოურთმევიათ შესაწირავი, შემდეგ კი იერუსალიმში წასულან მაცხოვრის საფლავისათვის თაყვანის საცემად. ამის შემდეგ მალევე აღსრულებულან. ათონელ მოწესეებს მათ მოსახსენებლად განუწესებიათ აღაპი 14 იანვარს, სინელ მამათა დღესასწაულზე, „სანაშუდითა, ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა“ (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გგ. 140-141).

52. XII ს. I ნახევრის ქართველი მხატვარი, მაღლაკელი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი სოფ. მაღლაკიდან (ქუთაისთან ახლოს) უნდა ყოფილიყო. მიქაელ მაღლაკელს მოუხატავს ზემო სვანეთის სოფ. მაცხვარიშის ეკლესია. ეკლესიაში შემონახულია რამდენიმე საქტიტორო წარწერა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ ეკლესია მოიხატა დემეტრე I-ის მეფობის მე-15 წელს, ე. ი. 1140 წ. ქელითა მიქაელ მაღლაკელისაჲთა“. მაცხვარიშის ეკლესია ერთნაოიანი ნაგებობაა. მას თავდაპირველად სამ მხრივ გარშემოსაველი ჰქონდა, ახლა მხოლოდ სამხრეთი ნაწილია დარჩენილი. საკურთხეველში გამოსახულია „ეკლრება“, მის ქვემო რიგში მოციქულთა ფიგურებია, ნავის კედლები და კამარა ახალი ალიქმის ილუსტრაციებს უჭირავს (სამ რეგისტრად). განსაკუთრებით საინტერესოა ქედა რეგისტრი, სადაც გამოსახული არიან სვანეთის კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელი წმიდა მხედრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფე დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალის გამოსახულება. ჩრდ. კედლის მარცხენა თაღში დემეტრე მეფის ფიგურაა, მეფეს გვირგვინს ადგამს ანგელოზი, ქრისტე კი აკურთხებს, ორი წარ-

ჩინებული მას წელზე სმალს არტყამს. მხატერულ-სტილისტიკური თვალსაზრისით მიქაელ მაღლაკელის მხატერობა XI-XII სს. გარდატეხის ეპოქას განეკუთვნება. არსებითად იგი XI ს. მონუმენტური მხატერობის ტრადიციებს აგრძელებს. შენარჩუნებულია ცალკეული კომპოზიციის დიდი ზომა, მხატვარი ფიგურებს მონუმენტური, განზოგადებული ფორმებით გადმოსცემს, მათი მოძრაობა დინჯი და თავდაჭერილია, დგომა – მყარი და ბუნებრივი. მხატერობაში იგრძნობა XII-XIII სს. დეკორატიულ-მონუმენტური ფერწერის სტილის ნიშნები. ერთი მხრივ იგი ატენის სიონის, მეორე მხრივ – ყინწვისტიმოთესუბან-ბეთანიის მოხატულობის ნიშნებს ამჟღავნებს. კოლორიტის თვალსაზრისით მხატვარი თავდაჭერილია, იყენებს ორი ძირითადი ფერის – რუხისა და მოწითალო ყავისფერის ნიუანსებს. ნახატები გრაფიკულია.

53. რომანას მონასტერში (იხ. რომანა) მოღვაწე XII-XIII სს. ბიზანტიელი მინიატურისტი მხატვარი, „ოქროთ მწერალი, კორნელი", მის მიერაა მოხატული თამარ მეფის შეკვეთით გადაწერილი ეანის ოთხთაკი (A 1335), რომელიც დიდებული მინიატურებითა და დეკორატიული შემკულობით გამოირჩევა.

54. XII-XIII სს. ქართველი მინიატურისტი, ე. წ. კრუპნის II სახარების ერთ-ერთი დამსურათებელი. სახარება (H 1667) XII-XIII სს. ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლია. იგი შემკულია 334 მინიატურით. ხელნაწერის დასურათებაზე რამდენიმე მხატვარს უმუშაია. უმეტესობის ვინაობა უცნობია, მაგრამ ერთერთ ფურცელზე (გვ. 180) ამოკითხეს მხატვრის სახელი – მიქაელ. მას რამდენიმე მინიატურას აკუთვნებენ. მიქაელი ამ ხელნაწერის დამსურათებლებს შორის საუკეთესო ოსტატია. იგი სხვა მხატვრებისაგან გამოირჩევა ნათელი, მხიარული, ფერადოვანი გამით. კოლორიტი სუფთა და გამჭვირვალეა (შეფარდებები: ოქრო-შავთან ან მოკოლადისფერთან, მკრთალი ოქროსფერი-წაბლისფერთან). კოლორიტის აქცენტებს ქმნის სინგურის ოღნავ მოვარდისფრო ლაქა. მინიატურების ფონი ოქროსფერია, ნიადაგი – მომწვანო-ცისფერი, ბალახი გადმოცემულია პატარა ბუჩქების სახით. მხატვარი დიდი ოსტატია ორნამენტისა, რომელიც გამოირჩევა არა მარტო ზომების სილამაზით, არამედ ფერების დახვეწილი ჰარმონიით.

55. გურგენისძე, XII ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა იერუსალიმის ჯუარის მონასტერში. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ გადაწერილ ერთ წიგნს – გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ „სტოლიერს" (A 1347), ე. ი. თეოდორე სტუდელიის სულიერ სწავლათა კრებულს. წიგნი მოძრო ზომისაა (24,3 X 16 სმ.; 221 ფ.), ნუსხურით ნაწერი ერთ სვეტად, შესრულებული მაღალი კალიგრაფიული ოსტატობით. წიგნს სამკაულები არა აქვს.

56. დეკალი, ჯუარის მონასტრის მოღვაწე XIV ს. გადაუწერია „ეამნი" Jer. 143.

57. XVII ს. მხატვარი და კალიგრაფი. მუშაობდა ნიკოლოზ კათოლიკოსის (ამილახვრის) დაკვეთით. მისი გადაწერილია ე. წ. ერისთვის დაუჯდომელი (H 98) და სახასთან ერთად – ანრისხატის ჟამნგულანი, სამ ტომად შეკრული უზარმაზარი წიგნი (A 30; A 31, A 32).

ერისთვის დაუჯდომელი პატარა წიგნია (20 X 14 სმ, 86 ფ.), მაგრამ 72 მინიატურა ახლავს. მინიატურებითაა შემკული ჟამნგულანიც. ამ ორიეე წიგნში ორი მხატვრის ხელი გაირჩევა. მიქაელი იმ ხანის ერთ-ერთ საინტერესო და დამახასიათებელ მხატვრად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო როგორც კალიგრაფი, უეჭველად საუკეთესოთა რიცხვს ეკუთვნის.

58. გალატოზი, მოხსენებულია სოფელ აჭის (გურიაში) ეკლესიის წარწერაში, რომელიც, ე. თაყაიშვილის აზრით, XVII-XVII სს-ზე გაცილებით ძველი უნდა იყოს. მიქაელთან ერთად წარწერაში მოხსენებულია აგრეთვე გალატოზი მზეციძე (ამ საკუთარი სახელის წაკითხვა ე. თაყაიშვილს უეჭველად არ მიაჩნია).

მიქაელი (ებრ. „ვინ არის ღმერთივით?") – მთავარანგელოზი, ზეცის მხედრობათა მეთაური (გამოცხ. 12, 7-9; იუდა 9). ღმესწაული მიქაელ მთავარანგელოზისა – 8 ნოემბერს. მიქაელისა და სხვა წმინდა ანგელოზთა შესახებ ქართულ ენაზე არსებობს „თხრობაჲ სასწაულთათჳს და ცხოვრებათაჲ დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისათა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთათჳს" – პანტელეიმონ დიაკონის თხზულება (იხ. პანტელეიმონი, დიაკონი დიდისა ეკლესიისა). ქართულ ხელნაწერებში მიეწერება გრძნეული კონსტანტინეპოლელს. თარგმნილია უფუთეიმე ათონელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 1103,137-180; Sin. 91,91-136; A 128, 28-119. არსებობს აგრეთვე თხზულება: „სასწაული ხონელთა შორის"; დაცულია ხელნაწერში ქუთ. 4, 45-50; იხ. მთავარანგელოზი.

მიქაელი – ქართლის მთავარეპისკოპოსი V ს. 40-70-ან წლებში, ბიზანტიიდან მოწვე-

ლი ბერძენი, ეახტანგ გორგასლის აღმზრდელ-მასწავლებელი. მიქაელი იღვწოდა ქრისტიანობის განმტკიცებისათვის, ენერგიულად ებრძოდა ქართლში ფეხმოკიდებულ სხვადასხვა ერესს და მაზდეანობას. დასწყვა ქართლის ეპისკოპოსის მოხიდანის მწვალებლური წიგნები. ამასთან, მიქაელი უფლებისა და სიმდიდრის მოყვარული მღვდელმთავარი ყოფილა. იგი არ ეშვრობოდა ეახტანგ გორგასლის საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც ზღუდავდა ეკლესიის დამოუკიდებლობას.

მეფეს და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის უთანხმოება ისე გამწვავდა, რომ განაწყენებულმა მღვდელმთავარმა მასთან ლოცვა-კურთხეთისათვის მისულ ეახტანგ მეფეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ კანონიერებისათვის მიქაელი ქართლიდან გააძევეს.

მიქაელი – საქართველოს კათოლიკოსი (951-დაახლ. 955 წწ.) მოხსენებულია გიორგი მერჩულეს „ჭიროლ ხანცთელის ცხოვრებაში“ (951 წ.), როგორც იერუსალიმის პატრიარქის, აგათონის (951-964 წწ.) თანამედროვე (ძეგლები, I, 316); აგრეთვე „ქართლის მოქცევაში“ (იქვე, I, 97).

მიქაელი – მიქაელ მირიანის ძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1178-90 წწ. (სხვა მოსაზრებით – 1118-87 წწ.) და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. მიქაელ მირიანის ძე ქართლის დიდებულთა სახლს. მკვლევართა ერთი ნაწილი მიქაელს რეაქციონერ დიდგვაროვანთა ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნევს. სხვათა აზრით, იგი გიორგი III-ის ერთგული მოღვაწე იყო, რომელიც მეფემ ნიკოლოზ I გულაბერიძის გადადგომის შემდეგ კათოლიკოსად აარჩევინა. 1184 წ. მიქაელი გახდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ყოლეუ-არსლანის დასის პროტესტის შემდგომ მიქაელმა ეს თანამდებობა დაკარგა. მიქაელი აქტიურად მონაწილეობდა თამარის დაქორწინებაში იური ანდრიას ძეზე.

მიქაელი (მიძელი) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. XIII ს. 30-იანი – 1241 წწ. ჩვენამდე მოუღწევია მიქაელის წყალობის წიგნს, რომლითაც იგი მცხეთის სეტიციხოველის ტაძრის აზნაურს ვაჩე გუარამის ძეს სარჩო-მამულად აძლევს მცხეთის სოფელ ოროშაშენს.

მიქაელი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1420-25 წწ. მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის განმტკიცებას. ალაგმა სამცხის სამთავროს ეკლესიის მეთაურის, გერასიმე მაწყვერელის სეპარატისტული მოქმედება და ფიცი დაადებინა მას საქართველოს მეფისა და მცხეთის საპატრიარქოს ერთგულებაზე. მხარში ედგა ალექსანდრე I-ს თემურლენგის შემოსევათა შედეგად დაზიანებული სვეტიცხოველის ტაძრის განახლებაში (ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 182-184).

მიქაელ III (842-867 წწ.) – ბიზანტიის კეისარი, 843 წელს ხატთა თაყვანისცემის აღდგენის მიზნით დედამის თეოდორასთან ერთად მოიწვია კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრება. კრებამ დაადგინა „ძველისწერა სარწმუნოებისა“ (იხ. „მცირე სჯულისკანონი“), ანათემა გამოუცხადა ხატთმებრძოლთ და ხატთაყვანისცემის საბოლოო ზეიმი აღნიშნა. მიქაელ იმპერატორი მოხსენებულია „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“, აგრეთვე ათონის იერთა შინასტრის აღაპებში (მოხსენების დღე – 8 სექტემბერი; ე. მეტრეველი, საალბე წიგნი, გვ. 162).

მიქაელ IV – ბიზანტიის იმპერატორი 1034-1041 წწ. მოხსენებულია „იოანესა და ეფთჳმეს ცხორება“-ში; კერძოდ, გრიგოლის მამობის დროს (1028-1035 წწ.), როდესაც ათონის იერთა მონასტერში ბერძნმა ბერებმა იმატეს და ქართველების განდევნა მოიწადინეს. მიქაელ იმპერატორმა გამოიკვლია მონასტრის საქმე და დიდი ბჭობითა და გამომიებით ქართველების კეთილსინდისიერად გამოაცხადა იგი („ყოველად დაუშკვრა“, ე.ი. დაუმტკიცა სამონასტრო ადგილი).

მიქაელ მოდრეკილი – X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი, შემდგენელ-რედაქტორი ერცელი ტიპის შებური იადგარისა, რომლის უნიკალური ხელნაწერი (S 425), როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, X ს. ქართული წიგნის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. კრებული შედგენილია 978-988 წლებში შატბერდის მონასტერში. თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც დაკარგულია), ჩვენამდე მოღწეულია 544 გვერდი. ხელნაწერის უდიდესი ნაწილი, რომელიც დახვეწილი კალიგრაფიითა და ფაქიზი მხატვრული გემოვნებით გამოირჩევა, გადაწერილია მიქაელ მოდრეკილის მიერ. დანარჩენი ნაწილი გადაუწერიათ ანონიმ გადამწერს და ეფთჳმეს. გარდა მდიდარი დეკორისა (ორნამენტული თავსაკაულები და მხატვრული საზედაო ასოები), იადგარში წარმოდგენილია უძველესი პორტრეტული ჯგუფი – იო-

ანე მტბევარისა და ბასილი კესარიელის მინიატურული გამოსახულებები. კრებულის შედგენილობა: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, სათეო ანუ საწელიწდო ნაწილი, დასდებელნი ალდგომისანი, დასდებელნი სამშაბათნი, დასდებელნი სულისანი, საუფლოთა სხმარნი ფარაკლისნი. მიქაელ მოდრეკილმა თავი მოუყარა მისი დროისათვის ქართულ მღდელმსახურებაში გაერცელებულ მთელი წლის მესურ საგალობლებს (ორიგინალურსა და ნათარგმნს) — როგორც ქართველ ავტორთა (მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანაოისძე-ჭყონდიდელი, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, ბასილი, კურდანაი, მერჩულე), ისე ბერძენ (ანდრია კრიტელი, კოზმა იერუსალიმელი, იოანე დამასკელი, თეოფანე, ევფრემ და სხვ.) პიმნების თარგმანებს. ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლების უდიდესი ნაწილი ავტორების გარეშეა წარმოდგენილი. მიქაელ მოდრეკილის კრებულის ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი მთლიანად და საგალობელთა დიდი ნაწილი ნევმირებულია. მრავალრიცხოვანი ლიტურგიკული შენიშვნები, რომლებიც მიმართულია მგალობლებისა და მღვდელმსახურებისადმი მათი დამოძღვრისა და განსწავლის მიზნით, გვაფიქრებინებს, რომ კრებული სასწავლო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ამით არის განპირობებული ისიც, რომ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, რომლებიც გალობათა რიტმულ-მელოდიურ მოდელებს შეიცავს, ქარაგმა-გახსნილად არის წარმოდგენილი. ეს ტექსტის ხმოვნებზე ნევმების (სანოტო ნიშნების) სწორი განაწილების საშუალებას იძლევა, რაც აუცილებელია გალობის კილოს ზუსტი ფიქსირებისათვის. იადგარის ერთ-ერთ ანდერძში მიქაელ მოდრეკილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კრებულში შეტანილი გალობანი დაწერილია „სისწორითა კილოსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა". მიქაელ მოდრეკილის კრებულის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისიცაა, რომ პალესტინური ტიპის ამ იადგარის ბერძნული მოდელი, რომელიც გაერცელებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში IX-X სს-ში, დღეისათვის დაკარგულია და მის შედგენილობაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ქართული იადგარის საშუალებით. მიქაელ მოდრეკილის ორიგინალური საგალობლები დაწერილია არაჩვეულებრივი პოეტური აღმაფრენით, საღვთისმეტყველო სილრმე-სიღიადით, სტილის სილამაზითა და მოხდენილობით.

მიქაელ მოდრეკილის ბიოგრაფიიდან გარკვეით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას შატბერდის მონასტერში ულვაწია. ათონის (შატბერდული) ბიბლიის (რომლის გადაწერაშიც მიქაელს მიუღია მონაწილეობა) და S 425-ის მინაწერთა მიხედვით ფიქრობენ, რომ მიქაელი ყოფილა იოანე-თორნიკეს ძმისწული, იოანე-ვარაზპაქეს ძე, ძმა ეფთვიმე მთაწმიდელისა.

მიქაელ საბაწმიდელი (ტბორიელი) — VII ს. მოწაფე. წარმოშობით ქალაქ ედესიდან იყო (მესოპოტამია). აღიზარდა ქრისტიანულ ოჯახში და ახალგაზრდობაშივე დაემწყარა წმ. თეოდორე ედესელს. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მიქაელი იერუსალიმში წავიდა და დამკვიდრდა წმ. საბას მონასტერში. ამ დროს იერუსალიმი მუსლიმებს ეჭირათ. ერთხელ ბერებმა მიქაელი იერუსალიმში გაგზავნეს თავის ნაკეთობათა გასაყიდად. ბაზარში მიქაელის საქონელი ნახა ახალ-მაღიქ ხალიფას (685-705) ერთმა მსახურმა და მოეწონა. მან მიქაელი დედოფალ სეიდას წარუდგინა. ახალგაზრდა ბერი მოეწონა დედოფალს და განიზრახა მისი შეცდენა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. განრისხებულმა დედოფალმა მიქაელის დასჯა ბრძანა. იგი წარუდგინეს მეფეს და ბრალად დასდეს მტრობა მამადიანთა წინააღმდეგ. ხალიფამ მოაყუდანა ერთი განსწავლული სჯულისმეცნიერი ებრაელი და მათ შორის გამართა პაექრობა ქრისტიანობის, იუდაიზმისა და მამადიანობის შესახებ. რადგანაც მიქაელმა სძლია ხალიფასაც და ებრაელსაც, ხალიფას ბრძანებით ის შიშველი ფეხებით დააყენეს მზურეალე ღელეზე, მერე შეასვენეს საწამლავი, რომელმაც ცეროფერი აჰნი მას, ამის შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღეები — მარტის 20, აპრილის 17.

ქართულ ენაზე არსებობს „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსასა" (ტექსტი შენახულია XI ს. ათონურ ხელნაწერში Ath. 8, პირველად გამოიცა პატარა წიგნაკად: „წამებაჲ წმიდა მიქელ ტბიერიელისა", 1903 წ. მეორედ გამოსცა კ. კეკელიძემ: კრებენი I, 165-173). აქ შესაალში აღნიშნულია, რომ მიქაელს წამების ამბავი საბაწმიდელი ბერებისათვის მოუყოლია ამავე ლავრის მოღვაწეს, თეოდორე ხარანელს, რომელიც ცნობილია აგრეთვე აბუკურას სახელით (740-820 წწ.) მის მიერ მოთხრობილი ამბავი ჩაუწერია საბაწმიდის ლავრის მამასახლისს ბასილის არაბულ ენაზე (IX ს. I ათეული). შემდეგ ვინმე ბასილი ეშესელს ეს თხზუ-

ლება შეუტანია მის მიერ დაწერილ „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში“ (IX ს. 70-იანი წწ.). ქართული თარგმანი შესრულებულია უცნობი პირის მიერ არაბული ენიდან (IX-X სს.). ზოგი ქართველი მკლევარი (ჯ. ინგოროყვა, ლ. დათიაშვილი), მიქაელ საბაწმიდელის „წამებას“ ქართველი პიმნოგრაფის, ბასილი საბაწმიდელის ნაწარმოებად თვლის (იხ. ლ. დათიაშვილი, „ბუკურას“ ორიგინალობის საკითხისათვის, „მაცნე“, 1967, № 6). ქ. კეკელიძის დასკვნით, ეს სწორედ ის თხზულებაა, რომელიც ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია ეფთვიმე ათონელს „ბუკურას“ სახელწოდებით (X ს. უკანასკნელ მეოთხედში). მერე რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც შეტანილია თეოდორე ედესელის „ცხოვრებაში“, ბერძნულიდან ეფრემ მცირეს უთარგმნია (იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. VI).

მიქაელ სინაელელი – IX საუკუნის იერუსალიმელი მღვდელი, საკლესიო მწერალი, ქართულ ენაზე თარგმნილია მისი ორი დოგმატიკური თხზულება: 1) სიმბოლო სარწმუნოებისა: „მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ უშობელი და ერთი ძე“, თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ და შეტანილია მაქსიმე აღმსარებელის „ცხოვრებაში“, როგორც მაქსიმეს სიმბოლო. შენახულია ხელნაწერებში: A 584,241-244; A 67,56-58; Jer. 151,81-87 (იხ. კიმენი I, გვ. 87-90). 2) „ეპისტოლე, მჭვრებელი წმიდისა და უბიწოჲსა სარწმუნოებისაჲ, წარკეცილი ნეტარისა თომაჲს მიერ, იერუსალიმელ პატრიარქისა, სასმხეთოჲსა მწყალებელთა მიმართ“, ამ ეპისტოლეში მოცემულია მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ ქალკედონის კრების განსაზღვრება შეიცავს ჭეშმარიტებას. იგი არაბულად დაუწერია თეოდორე აბუკურას, არაბულიდან ბერძნულად გადმოუთებია მიქაელ სვინკელოსს, ხოლო აქედან ქართულად გადმოულია არსენ იყალთოელს (შეტანილია მის „დოგმატიკონში“ – S 1464; A 64; 105v-111v; A 65; 104v-111r და სხვ.).

მიქაელ ფსელოსი († დაახლ. 1078 ან 1096 წ.). ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი. კონსტანტინეპოლის უმაღლესი ფილოსოფიური სკოლის (მაისტორ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წწ. დაარსებული აკადემიის) პირველი ხელმძღვანელი. მისი აზრით, ფილოსოფია მიზნად ისახავს ნივთთა და საგანთა ბუნების გამოკვლევას, ამიტომ მისთვის საკალდებულოა ზუსტი მტკიცებანი (გეომეტრიული მეთოდი და სილოგიზმი). მიქაელ ფსელოსი ცდილობდა, შეეთანხმებინა პლატონიზმი და ქრისტიანობა, ლოგიკური გზით განემარტა ქრისტიანული დოგმები. მიქაელ ფსელოსის რაციონალიზმმა განეითარება პოვა მისი უმცროსი თანამედროვის, იოანე იტალოსის შემოქმედებაში. მიქაელ ფსელოსმა და იოანე იტალოსმა მოინდომეს ეკლესიური ავტორიტეტების გვერდის აქცევით პლატონ-არისტოტელესთან უშუალოდ მისვლა, მათ ნააზრევის თანხმობაში მოყვანა და ქრისტიანობის მიზნებისათვის საკუთარი მეთოდით გამოყენება. მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, ჯეროვანი ზომიერება ვერ გამოიჩინეს, მიღებულ ფარგლებს გასცილდნენ და თავიანთი წამოწყების მსხვერპლი გახდნენ, განსაკუთრებით იოანე იტალოსი. 1075-76 წწ. მიქაელ ფსელოსი კონსერვატიული წრეების მხრივ დევნა-შეეიწროების გამო საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოეთიშა.

მიქაელ ფსელოსის თხზულებათა ქართულ ენაზე თარგმნა უკავშირდება პეტრიწონული სკოლის მოღვაწეობას. თვით იოანე პეტრიწი მიქაელ ფსელოსის მოწაფე და თანამოღვაწე იყო (კონსტანტინეპოლის აკადემიაში). ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილი გვაქვს მიქაელ ფსელოსის შემდეგი თხზულებანი: „განმარტებანი საეკლესიო წესთა, მოქმედებათა და ნივთთა“ (A 67), „განმარტებაჲ საღუმლოსა საუფლოსა წმიდათა დღესასწაულთასა“ (იქვე), „განმარტება რომაელთა ეპისტოლეს ერთი მუხლისა“ (VIII, 29), რომელიც, როგორც ფიქრობენ, იოანე პეტრიწს უთარგმნია (S 1463, 287-288; ქუთ. 23, 361-364). მიქაელ ფსელოსის სახელით წარწერილია კიდევ ერთი თხზულება: „დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ, მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას ღმრთისმეტყუელისასა, მეტყუელსა: ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს იქმნა ყოველ“ (ქუთ. 23,358-364). ეს თხზულება ბერძნულ ენაზე ცნობილი არაა. კ. კეკელიძის აზრით, იგი იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომი უნდა იყოს, რამდენადაც მასში განმეორებულია მრავალი ისეთი აზრი და დებულება, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის საკუთარ კომენტარებში და ნემესიოს ემესელის თარგმანში.

მიქაელ ჯუაშ – XI ს. საეკლესიო მოღვაწე, ექვთიმე გრძელის ძე, მოხსენებულია რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“ (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 166; 196).

მიქაელ ხუცესი, სვიმეონწმიდე-

ლი – XI ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ბერი, შაჟი მთის მოღვაწე (სირიაში, ანტიოქიის მახლობლად), „იოანე დამასკელის ცხოვრების“ არაბული ვერსიის ავტორი. მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონია შაჟი მთის ქართველ მოღვაწეს, ცნობილ მეცნიერსა და მთარგმნელს ეფრემ მცირეს. ეფრემს ქართულად უთარგმნია „ცხორება იოანე დამასკელისა“, არაბულად აღწერილი მიქაელ ხუცის მიერ და ბერძნულად თარგმნილი სამუელ ადანელის მიერ. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 24; A 90 და სხვ. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: ეტიუდები, VII, თბ., 1961, გვ. 136-176.

მიქაძეები – ამ გვარმა XVIII ს-ში ქართულ კულტურას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე მისცა. მათი შორეული წინაპრები სამეგრელოდან გადმოვიდნენ ქართლში. აქ ისინი სასულიერო წოდებაში შესულან. XVII ს-დან მიქაძეების ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა თბილისის სიონის დეკანოზობა. იმავე დროს ამ ოჯახის წარმომადგენლები ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ და თავი გამოიჩინეს, როგორც შესანიშნავმა კალიგრაფებმა. XVII ს. ბოლოს ცხოვრობდა იესე დეკანოზი, რომელსაც ჰყავდა რამდენიმე ეაკი, მათ შორის – გაბრიელი (დაიბ. 1687 წ.) და ოხე (1698-1758). ორივენი მწიგნობრები იყვნენ. გაბრიელის გადაწერილია, მაგ. გულანი (A 910). ოხეს ვაჟები იყვნენ: იესე ოხეს ძე (1758-1815 წწ. საინტერესო მემუარების ავტორი) და დეკანოზი იოანე ოხეს ძე ანუ ოხესშვილი (1750-1801 წწ. ორიგინალური შრომების ავტორი და გადამწერი), იკონომოს-დეკანოზი თბილისის სიონისა. ეს უკანასკნელი თბილისის სემინარიის რექტორიც იყო ერთხანს. ორიგინალურ შრომებთან ერთად თარგმნილა სომხურიდან, ეწეოდა სარედაქციო მუშაობას ფილიპე ყაითმაზაშვილთან და იოანე ქსიფილინოს-პაპუნისშვილთან ერთად. იგი აქტიური მუშაკი ყოფილა ერეკლეს სტამბისა, მისი მონაწილეობით გამოიცა მრავალი საღვთისმსახურო წიგნი.

არანაკლები მასშტაბის მოღვაწენი იყვნენ გაბრიელის შვილები ნიკოლაოზი და ზაქარია. ნიკოლაოზი, სიონის დეკანოზი (1720-1780) იყო გამოჩენილი კალიგრაფი, XVIII ს. ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი. დღემდეა შემორჩენილი მის მიერ გადაწერილი ათობით დიდტანიანი საღვთისმეტყველო თუ საღვთისმსახურო წიგნი (იხ. ნიკოლაოზ სიონის დეკანოზი).

ზაქარია, ნიკოლაოზის უმცროსი ძმა, ცნობილია ამბროსი ნეკრესელის (1728-1812 წწ.) სახელით. ესაა განთქმული სასულიერო მოღვაწე (ნეკრესელი ეპისკოპოსი), მწერალი და კალიგრაფი (იხ. ამბროსი ნეკრესელი).

მიქაჱა – ძველი ათონქმის ერთ-ერთი მცირე წინასწარმეტყველთაგანი VIII ს. (ქრისტეს შობამდე). ეკუთვნოდა ეფრემის ტომს. დაიბადა მარათიში. მრავალი სასწაული მოახდინა იოსაფატ მეფის დროს. წინასწარმეტყველება დაიწყო დაახლოებით 778 წ. ქრისტეს შობამდე, რომელიც თითქმის 50 წელს გაგრძელდა, იუდეის მეფეთა – იოთამის, აქაზისა და კეთილმსახური ეზეკიას (721-691 წწ.) დროს. მიქეა ესაია წინასწარმეტყველის თანამედროვე იყო. მისი მხილებანი და წინასწარმეტყველებანი შეეხებოდა როგორც იუდეის, ისე ისრაელის სამეფოს. მან იწინასწარმეტყველა განსაცდელი, რომელიც ისრაელის სამეფოს ემუქრებოდა: მისი დანგრევა და იუდეის სამეფოზე სენაქერიმ ასურელის თაედასხმა. მიქეას წიგნში ნაწინასწარმეტყველებია მაცხოვრის შობა ბეთლემში (5,2), მისი ენება და აღდგომა (2,12-13), დახატულია ისრაელის მანკიერებათა სურათი. წიგნი მცირე ზომისაა (შედგება შვიდი თავისაგან). წინასწარმეტყველ იერემიას სიტყვებიდან ჩანს, რომ იუდეველებს შიშის გამო უარი უთქვამთ მიქეას მოკლაზე (იერ. 26, 18-19). მხილოდ იოსაფატის ძემ, იორამმა ჩაგდო თხრილში და ცოცხლად დამარხა. მიქეა წინასწარმეტყველის ცხოვრების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 1, 389-410. ხსენების დღე – 14 აგვისტო. ამას მოსდევს მუხლობრივი თარგმანება თეოდორიტე კვირელისა.

მიქელ თამარაშვილი (1858-1911 წწ.) – ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, კათოლიკე მღვდელი. დაიბადა ახალციხეში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1878 წლიდან სწვლობდა კონსტანტინეპოლში, კათოლიკე მოძღვრის, პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელში, შემდეგ – ესპანეთსა და საფრანგეთში (სასულიერო სასწავლებლებში). 1888 წელს დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ „უცხო იდეებით“ განმსჭვალული პიროვნება ცარიზმის მოხელეებმა გააძევეს. 1891 წ. მიქელ თამარაშვილი ჩავიდა რომში, სადაც დაამთავრა სასულიერო აკადემია და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მოიპოვა. მიქელ თამარაშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი საქართველოს ისტორიისა და საქართველო-ევროპის ურთიერთობის საკითხებზე („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა

შორის", თბ., 1902 წ.; „პასუხად სოფხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას", თბ., 1904 წ.; „საქართველოს ეკლესიის ისტორია", რომი, 1910 წ. და სხვ.). 1978 წ. იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიადან გადმოასვენეს საქართველოში. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მისი მეცნიერული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

მიშველი — სოფელი აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში, აფხაზეთის მთისწინეთის სამხრ. — აღმ. ნაწილში, ოჩამჩირიდან 28 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების „ფიჭვის ეკლესია" („ფიჭვ ოხამე").

მიცვალებულთა ხსენება — ლოცვათა აღვლენა ღვთის მიმართ მიცვალებულ მოყვასთა სულის საოხად. ქრისტიანული მრწამსით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული კი არ ისპობა, არამედ გარდაიცვლება — შეიცვლის მდგომარეობასა და ადგილსამყოფელს. ლოცვებითა და მოწყალების გაღებით მიცვალებულთა სულებს უშუბუქდებათ ის ცოდვები, რომლებიც კერ მოინანიეს სიცოცხლის განმავლობაში.

მიცვალებულთა მოსახსენებლად უმეტესწილად დადებულია შაბათი დღეები, რადგან შაბათი განსვენების დღეა (ამ დღეს განისვენა უფალმა სამყაროს შექმნის დასასრულს; ამაღე დღეს იშაბათა, ე. ი. განისვენა ქრისტემ ჯვარცმისა და საფლავად დაბების შემდეგ). სწორედ ამ დღეს ეეედრებით უფალს, განუსვენოს მიცვალებულთა სულებს მართალთა თანა.

მიცვალებულთა საზოგადო მოსსენების დღეებია: ხორციელის შაბათი, დიდი მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შვიდეულთა შაბათები და სულიწმიდის მოფენის წინადღე — შაბათი. გარდა ამ დღეებისა, მიცვალებული მოიხსენებიან ინდივიდუალურად, გარდაცვალებიდან მე-3, მე-9, მე-40 დღეს და წლისთავზე (რუსული ეკლესია მიცვალებულთ მოიხსენიებს ასევე თაობას კვირის მომდევნო სამშაბათს და დიმიტრი თესალონიკელის ხსენების მომდევნო შაბათს, ხოლო ბრძოლის ველზე მოწყვეტილ მეომრებს, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულთ — იოანე ნათლისმცემლის თაეისკვეთის დღეს, 29 აგვისტოს). საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებულია ტრადიცია საფლავთა კურთხევისა ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს. ეს არ ითვლება მიცვალებულთა მოხსენიებად, არამედ აღდგომის მომლოდინედ (იხ. ჯვარის ღესსწაული). სჯულისკანონის თანახმად, ქრისტეს შობიდან ნათლისღებამდე (12 დღე), დიდი მარხვის პირველ შვიდეულში, ენებისა და ბრწყინვალე შვიდეულებში, აგრეთვე დიდ დღესასწაულებზე მიცვალებულთა მოხსენება არ ხდება. თუ ხორციელის შაბათს ან სულთმოფენობის წინა დღეს (შაბათს) დაემთხვევა ეკლესიის დღესასწაული, ანდა ათორმეტ საუფლო დღესასწაულთაგანი, მიცვალებულთა ხსენება გადატანება წინა შაბათს ან ხუთშაბათს. არც დიდი მარხვის II, III და IV შაბათს შეიძლება მათი ხსენება, თუ დაემთხვა ეკლესიის დღესასწაული. მიცვალებულთა მოხსენება ხდება ლიტურგიაზე (კეკრექსი, მიცვალებულთა კერექსის და ბარძიმ-ფეშხუმის გამოსენების დროს), აგრეთვე სპეციალურ ღვთისმსახურებაზე — წესის აგებაზე, პანაშვიდსა და ლიტიაზე.

მიცვალებულის კერექსი — კერექსი, რომელიც წარმოითქმის მიცვალებულის მოსახსენებელ ღვთისმსახურებაზე (პანაშვიდი, წესი მიცვალებულისა, აგრეთვე ცისკრის ლოცვა და ლიტურგია), არის სამი სახისა: დიდი, მცირე და მრჩობილი. მიცვალებულის დიდი კერექსი ითქმის პანაშვიდის დასაწყისში (ეს კერექსი შედგება მრავალი მუხლისაგან, თითოეულ მათგანს მოსდევს გალობა: „უფალო შეგეწყალენ"). მცირე კერექსი (ოთხმუხლიანია; მიცვალებული მოიხსენება მეორე მუხლზე) — ლიტურგიაზე (ერთხელ), წესის აგებასა და პანაშვიდზე (მრავალჯერ). მრჩობილი კერექსი (ესეც ოთხმუხლიანია, მცირე კერექსისაგან განსხვავდება მხოლოდ პირველი მუხლით, აგრეთვე იმით, რომ მის თითოეულ მუხლს მოსდევს სამმაგი „უფალო შეგეწყალენ") — მიცვალებულის წესსა და პანაშვიდზე (ერთხელ, ბოლოში).

მიცვალებულის კულტი — წარმართულ რწმენა-წარმოდგენათა ერთ-ერთი უძველესი ფორმა. არსებობდა შეხედულება „სამზეოსა" და „სულეთის" შესახებ. ქართველ წარმართთა წარმოდგენით, „სამზეოს" ისეთი არაერი მოხდებოდა, რაც წინასწარ „სულეთს" არ ეფლიყო გადწყვეტილი. მიცვალებულის ხსენების დღეებში იცოდნენ უზეი საკლავი და ხალხმრავალი წეეულება, რადგან სწამდათ, რომ დანახარჯი სულს მოუვიდოდა. მრავალფეროვანი იყო ქართული დასაკრძალაეი ცერემონიალი. მაგალითად, ძველი ავტორები ხშირად მიუთითებენ, რომ ადამიანის სიკედილისას სცოდნიათ ხის მოჭრა. მიცვალებულის დატირების ქართული წესებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „დალაი", რომელიც თუშეთში იყო გაერცელებული. მასში

მონაწილეობდნენ მსჯელობაში, რომლებიც გარკვეული წესის დაცვით ხოტბას ასხამდნენ მიცვალებულს სიმღერით, რის შემდეგაც იმართებოდა დღილი, ანუ სადგინი.

მიცვალებულის სულის მოხსენიების წესი – გარდაცვალების შემდეგ ქრისტიანთათვის დაწესებულია დარჩალეთის და სულის მოხსენიების წესები, რომლებიც აღწერილია დიდ კურთხევანში. მიცვალებულის გვამს, უწინარეს ყოვლისა, განბანენ (მიცვალებულ მღდელს განწმენდენ ნელსაცხებლებით), როგორც მიღებულია მოციქულთა დროიდან (საქმ. 9,37; ლუკა 23,53). ასეთი წესებისა დაფუძნებული იყო მიცვალებულის ბატივისცემაზე და სურვილზე – განწმედილი წარმდგარიყო უფლის წინაშე აღდგომის შემდეგ. მიცვალებულს აცმევენ ახალ ტანსაცმელს, მისი წოდებისა და მდგომარეობის შესაბამისად (მაგ.: მღდელს ოლარითა და ფილონით მოსავენ, მონაზონს – მანტიით, მღდელმთავარს – ოლარით, ბისონით, ომოფორითა და მიტრით და ა. შ.). ესაა გამომსახველი იმისა, თუ როგორ შეასრულა მან სიცოცხლის განმავლობაში თავისი მოვალეობა (I კორ. XV,13). ამის შემდეგ მიცვალებულს აფარებენ თეთრ სუდარას იმის ნიშნად, რომ მან ცხოვრების ბოლომდე დაიცვა ნათლისღების დროს დადებული აღთქმა. კუბოში ჩასვენების წინ მღვდელი აიაზმას ასხურებს კუბოს შიგნიდან და გარედან. სრულდება მცირე პანაშვიდი. შემდეგ მიცვალებულს უკითხავენ სახარებას (მღვდელსა და მღვდელმთავარს) ან დაუთნეს (ერისკაცებსა და მონაზვნებს) მოღიანად. დაკრძალვამდე მიცვალებულთათვის სრულდება პანაშვიდები, ლიტია, და ბოლოს – წესის აგება (უშუალოდ დაკრძალვის წინ). დაკრძალვის შემდეგ კი მისი სული მოიხსენიება ამისათვის განკუთვნილ სპეციალურ დღეებში („წესი, თუ ვითარ ჯერ-არს მოსენებაი სულისაა მიცვალებულისა“ გამოცემულია ე. ჭელიძის მიერ: იხ. „დიდი კურთხევანი“, თბ., 2002, გვ. 197-224).

მიძინება ღვთისმშობლისა – მარიამობა, ერთი ათორმეტთაგანი საუფლო დღესასწაული, რომელზედაც მოიხსენებენ ყოელადწმიდა ღვთისმშობლის მიცვალებას. საკლესიო გადმოცემით, მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მარადქალწულ მარიამს მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის – მ ი ძ ი ნ ე ბ ი ს (მიცვალების) ჟამი. წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა დედა ღვთისა, მან გამოსამშვიდობებლად მოუწოდა მაცხოვრის მოწაფეებს – მოციქულებს, რომლებიც იმ დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდნენ საქადაგებლად. ყველა მოციქული სასწაულებრივად გამოცხადდა ღვთისმშობელთან, ღვთის განგებით არ მოსულა მხოლოდ თომა მოციქული. დანარჩენმა მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარად ქალწულისა: ქრისტემ ანგელოზებთან ერთად ზეცად აიტაცა მისი სული. მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში დაასვენეს (დარბაზეს) ღვთისმშობლის სხეული (იქვე იყვნენ დარბაზულნი ღვთისმშობლის მშობლები და მართალი იოსები). მესამე დღეს იერუსალიმში ჩამოვიდა თომა მოციქულიც. მან მოინდომა თაყვანი ეცა ღვთისმშობლისათვის, რადგან ვერ დაესწრო მის მიძინებას. როდესაც აკლდამა გახსნეს, ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, დედა ღვთისა ზეცად აღუმაღლებია თავის ძეს. იმავე საღამოს, მოციქულები ტრაპეზად რომ დასხდნენ, ღვთისმშობელი გამოეცხადა მათ და უთხრა: „იხარებდით, მე თქვენთან ვარ მარად“. გახარებულმა მოციქულებმა აღამაღლეს ღვთისმშობლის სულის ჯერის ნაწილი და წარმოთქვეს: „ყოველწმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვენ ჩუენ“. ამით დაიდო საფუძველი პანაგიის წესს – ღვთისმშობლის ნაწილის ამაღლებას, რომელიც დღემდე შემორჩენილია მონასტრებში (იხ. პანაგიის წესი). ღვთისმშობლის მიძინების შესახებ წერილობითი ძეგლები მოციქულთა დროიდანაა შემორჩენილი. I ს-ში ამის შესახებ წერდა დიონისე არეოპაგელი. II ს-ში ღვთისმშობლის ხარიცილად ზეცაში ამაღლებაზე წერდა სარდიკის ეპისკოპოსი მელიტონი. IV ს-ში ამაზე კვესაბრეტობდა ეპიფანე კვიპრელი. V ს-ში იერუსალიმის პატრიარქი ოუბენალი (420-448 წწ.) ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ მართალია, სიღეთო წერილში არა წერია რა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ, მაგრამ ეს ამბავი ჩვენ სარწმუნო წყაროების გადმოცემით ვიცითო. მან იმპერატორ მარკიანეს (450-457 წწ.) წინაშე დაამტკიცა ღვთისმშობლის ზეცად ასვლის სასწაულის უტყუარობა და მის მეუღლეს, წმ. პულქერიას († 453 წ.) მისი საფლავიდან აღებული სუდარა გაუგზავნა. წმ. პულქერიამ იგი ეკლესიის ტაძარში დაასვენა. მიძინების შესახებ ქართულ ენაზე არსებობს იოანე ოქროპირის ორი ქადაგება: „ბეთლემს შემოკრებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ, ოღუს მიცვალებოდაჲ წმიდაჲ ღმრთისმშობელი; წინადღესასწაულისა საკითხაი“,

და „საკითხაი გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა“; პირველი მათგანი დაცულია ხელნაწერებში: A 144, 360-378; Ath. II, 154-156; Sin. 32-57-33, 132-135; მეორე – A 144, 378-380; Ath. II, 153-154; Sin. 32-57-33, 128-132. მიძინება, როგორც ალენიშნეთ, ათორმეტ დღესასწაულთა რიცხვს ეკუთვნის, მას აქვს წინადღესასწაული (14 აგვისტოს) და 9 დღე წარგზავნამდე (წარგზავნა – 23 აგვისტოს). მიძინების დღესასწაულის ღირსეული შეხვდრისათვის მას წინ უძღვის ორკვირიანი მარხვა – მიძინების მარხვა (1-დან 14 აგვისტომდე).

მიძინების სახელზე საქართველოში მრავალი ტაძარია აგებული: ბოლნისის სიონი, დმანისის სიონი, თბილისის სიონი, მანგლისის სიონი, ქვათახევის მონასტერი, ტიმოთესუბნის მონასტერი, გელათის მონასტრის დიდი ტაძარი და სხვ. მიძინების სახელზე აგებული ტაძრები სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიც მრაელადაა. რუსეთში განსაკუთრებით ცნობილია მიძინების ტაძარი მოსკოვის კრემლისა – XV ს. რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ავარ იტალიელმა არქიტექტორმა ა. ფიორავანტიმ 1475-79 წწ.). ;ს ტაძარი მოსკოვის მიტროპოლიტთა, მოგვიანებით კი – სრულიად რუსეთის პატრიარქთა სატაძვლე იყო. აქვე ხდებოდა მათი ხელთდასხმაც. ტაძარში სრულდებოდა საზეიმო სახელმწიფო აქტები (მეფედ, იმპერატორად კურთხევა და სხვ.).

მიძინების მარხვა, მარიამობის მარხვა – იწყება 1 აგვისტოს და გრძელდება 14 აგვისტომდე (მარიამობის წინა დღემდე). ამ პერიოდში ხდება „ათორმეტთაგანი“ საუფლო დღესასწაული – ფერისცვალება (ხსნილია თევზით). თუ მარიამობა ოთხშაბათ-პარასკევს დაემთხვა, ხსნილია თევზით, სხვა დღეებში მარიამობა ახსნილებს ყოველიე საზრდელით.

მიძაძორი (მიძაძოროჲ, მიჯნაძორი) – შუა საუკუნეების ქართული მონასტერი და კულტურის ცენტრი ისტორიულ კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). წყაროებში პირველად მოხსენებულია IX ს-ში. შემორჩენილია ცალკეულ ნაგებობათა ნანგრევები (მონასტერი, საოსტიგნო და სხვ.). მიძაძორელ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან: წინამძღვარი დაჳით დიდი (IX ს.), იაკობ დიდი (X ს.). სინის მთის ქართული საკანის დეკანოზი კვირიკე (X ს.).

მიხაილი – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. XVIII ს. მცხეთელი მწიგნობარი. 1787-89 წწ. მას გადაუწერია თევნი (A 221; A 235; H 303).

2. ხუცეს-მონაზონი, დავითგარეჯისა და ნათლისმცემლის მონასტრების XVIII ს. მოღვაწე, მწიგნობარი. მას გადაუწერია შემდეგი წიგნები: A 415, S 369 (მაქსიმე აღმსარებლის თხზულებები 1781 წ.) და სხვ.

3. მღვდელი, კანდელაკი, XVIII ს. H 689-ის გადამწერი.

4. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის XIX ს. I ნახ. მოღვაწე, მწიგნობარი, გვარად ხანდალოვი; გადაუწერია „სტეფანეს წამება“ (A 1044).

მკედართა აღდგომა – ეკლესიის სწავლებით, მოხდება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს. „მკუდართა ესმოდის სიტყუანი ძისა ღმრთისანი და, რომელთა ესმოდის, ცხოვნდენ“ (იოანე 5,25). მოციქულ პაულეს სიტყვით, აღდგომა მოხდება მეყსეულად. ღმერთი აღადგენს ადამიანებს უხრწნელი სხეულით. მკვდრეთით აღმდგარის სხეული არ იქნება ისეთივე ბუნებისა, როგორიც იყო სიცოცხლეში. იგი იქნება უხრწნელი, სულიერი და უკვდავი. მას აღარ დასჭირდება არც საჭმელ-სასმელი, არც სამოსელი, არც ქორწინებითი დამოკიდებულებები (მათე 22,30). წარმოიშვება ახალი ცა და ახალი ქვეყანა, რომელზედაც დამკვიდრდება სიმართლე.

მკვდრეთით აღდგომა ცნობილი იყო ძველი ალთქმის საღვთო წერილშიც. ფსალმუნებში ნაწინასწარმეტყველევია მართალთა მკვდრეთით აღდგომა, მაკაბელთა წიგნებში – ყოველი ოუღუელისა, ეზეკიელის წიგნში კი – მთელი კაცობრიობისა (ოუდაური კომენტირებით, საღვთო წერილში ლაპარაკი იყო მარტოოდენ ისრაელის ნაციონალურ-რელიგიური და პოლიტიკური აღორძინების შესახებ).

მკვდართა აღდგომის შესახებ ქართულ ენაზე მოგვეპოვება ეფთვი იერუსალიმელის დოგმატიკური თხზულება: „მკუდართა აღდგომისათჳს და მოგებად კაცადკაცადსა საქმეთა თჳსთაებრ და ბრძენთა მათ და სულელთა ქალწულთათჳს და საკითხაი მათეს სახარებისაჲ“. შეტანილია ხელნაწერებში: A 1109, 70-76; Ier. 4, 57-65.

მკედარი ზღვის ხელნაწერები – 1947 წ. მკედარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე განლაგებულ გამოქვაბულებში აღმოჩენეს ძველი ებრაული, არამეული, ნაბატეური, ბერძნული, ლათინური, სირიულ-პალესტინური და არაბულენოვანი ხელნაწერები, რომლებიც ნაწერია ტყავზე, პაპირუსზე, აგრეთვე თიხის

ფირფიტებზე, სპილენძსა და ხეზე. კუმრანის II გამოქვაბულში აღმოჩენილია 40000-ზე ფრაგმენტი, ბიბლიის, აპოკრიფული წიგნებისა და კუმრანის თემის საკუთარი თხზულებების ფრაგმენტები. ციხე-სიმაგრე მასადის (ძვ. წ. I ს.) ნანგრეველებშიც აღმოჩნდა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის ბენ სირას (ისუ ძე ზირაქისა) აპოკრიფული თხზულებისა. იუდეის უდაბნოს გამოქვაბულებში გათხრების შედეგად გამოვლინდა ბიბლიის ხელნაწერთა ფრაგმენტები და სხვ. ხირბეტ-მირდინში აღმოაჩინეს ახალი აღთქმისა და აპოკრიფული წიგნების ფრაგმენტები.

მკვდარი ზღვის ხელნაწერების ტექსტებს სწავლობს და აქვეყნებს სავანგებოდ შექმნილი მეცნიერთა საერთაშორისო კომიტეტი. იხ. კუმრანის ხელნაწერები.

„მაქედრემითი აღდგომისათუს უფლისა“ – „საკითხაი მკუდრეთით აღდგომისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ – კირილე იერუსალიმელის თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 144,69; A 1109,108-118; Ath. 11,115-123, Sin. 32-57-33, 87-102. ოგივე ავტორს ეკუთვნის ქადაგება: „აღესუბისა ორშაბათსა ხატიკისა საკითხაი მკუდრეთით აღდგომისათუს უფლისა ჩუენისა და სულთათუს“ (A 144,113-131), გრიგოლ ნოსელს კი – „საკითხაი თქუმული მკუდრეთით აღდგომისათუს უფლისა“ (A 55, 303-318; A 108,156-174; ქუთ. 8,274-290; Ath. 84/14, 146-157).

მკრივი – ასე უწოდებენ ფშაველი ხატის საგანძურის სამალავს. ესაა ოთხივე მხრივ შემკული მკვიდრი ნაგებობა, პირამიდული სახურავით, 2 X 2 მ. გეგმით. სამალავის ახდა არ შეიძლება და ვინც ამას ჩაიდენს, ის კვდება, ან გიჟდებაო. სამალავიდან წაღებულ ნივთს ხატები უკანე მიატანინებენ და დამწაშავეს ხატები სიზმარში სცემენო. ამის შიშით ფშაველები სამალავს ხელს არ ახლებენ და თუ შემთხვევით წაწყდებიან სამალავიდან გამოტანილ ნივთის ქურქს, მაშინვე შინ გაიქცევიან, იარაღს მოიტანენ და ძალით წაართმევენ ქურქს ხატის საკუთრებას. მკვრივი ყოველი ხატის მახლობლად არსებობდა. განსაკუთრებით მდიდარი სამალავი აქვნია წყაროსთაველის (წმ. გიორგის) ხატს (უკანაფშავში).

მაისხაე – მისანი, გრძნეული (წერილობით წყაროებში მოიხსენიება ეპითეტებით: „პასუხის შემტყობი“, „წინასწარმეტყველი“, „ნიშომჭვრეტელი“, „მარჩიელი“, „ფამომცნობელი“, „ნიშომზმელი“, „ტყვრპის მსტური“, „ქადაგი“, „მეენე“, „მუცლითმეზღაპრე“, „მსახვრალი“, „შეშლილებელი“, „ეკადოქარი“ და სხვ.). შუა საუკუნეებში მკითხაებს ეძლესია დეუნიდა, როგორც ეშმაკის მსახურთ.

მაძრტჩ ნაღაში – XIV-XV სს. სომეხი მწერალი, მხატვარი, კალიგრაფი, საზოგადო მოღვაწე. ცხოვრობდა კილიკიის სომხეთში. აღსანიშნავია მისი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის ნაწარმოები „სიტყვისგება ლათინელთა მიმართ“ (1438 წ.), რომელიც კათოლიკოსმა ანტონ I-მა ნაწილობრივ (არასრულად) გადმოთარგმნა და შეიტანა თავის „მზამეტყველებაში“ (IV თავად).

„მაკურნალი“ – XVI-XVII სს. მცირე ზომის ერთნაციანი ეკლესია ანანურის ციხის ტერიტორიაზე (დუშეთის რაიონი). სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური. იხ. ანანური.

მაკურნალნი უვეცხლონი – ასე უწოდებენ წმინდანებს, რომელთაც ღვთისაგან ჯილდოდ მიიღეს კურნების ნიჭი და ღვთის ბრძანების თანახმად („უსასყიდლოდ მიგიღებიეს და უსასყიდლოდ გასცემდით“, მათე 10,8), უვეცხლოდ (უვერცხლოდ, უსასყიდლოდ) პკურნავდნენ სნეულთ. უვეცხლო მკურნალთა დიდი ნაწილი ეკუთვნის წმ. მოწამეთა დასს. ასეთებია: კოზმა და დამიანე, კიროს და იოანე, პანტელეიმონ, ერმოლაოს, დიომიდე, სამსონ, ანიკიტე, თალალე და ტრიფონი. უვეცხლონი კურნებას ახდენდნენ ლოცვითა და კურთხეული ზეთის ცხებით.

მნა – სოფელი ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში, მდ. მნაისწყლის (თერგის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. აქ შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები. მის საძირკველში იპოვეს XVI ს. I ნახევარში ჩაფლული განძი – სხვადასხვა დროის ქართული მონეტები.

მნათე – ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელსაც ევალება მღვდლის მომსახურება: ზეთის კანდელების ანთება; ნაბშირის გალეწვა საეკლესიო, მღვდლის წინ სანთლის გაძღოლა, მისთვის სხვადასხვა საღვთისმსახურო ნივთის მირთმევა, ზარების რეკვა, სეფისკვერის დაჭრა და სხვა დამხმარე საქმიანობა. მეორენაირად ეწოდება კანდელაკი; „ერის კაცი, ამბონებული სანთლითა და კანდელთა ეკლესიასა შინა“ (ნ. ჩუბინაშვილი).

მნათობ ღვთაებათა შვიდეული – წარმართი ქართველები შვიდეულის დღეებს აღნიშნავდნენ მნათობთა სახელებით და ამ მნათობებს ღვთაებობას მიაწერდნენ:

კვირა იყო „მზის დღე“ (მეგრ. „ჟაშხა“, ჭან. „ბჟაჩხა“, „ბჯაჩხა“, სვან. „მიშლაღელ“, „მგველაღელ“). მზის ძველი ქართული სახელწოდება „არლი“ იყო (ივ. ჯავახიშვილის აზრით).

ორშაბათი იყო „მთვარის დღე“ (მეგრ. „თუთაშხა“, ჭან. „თუთაჩხა“, სვან. „ლიშდიშ“). მთვარის ძველ ქართულ სახელწოდებად მიჩნეულია „თუთა“ (ან „თუთე“), აქედან წარმომდგარა „თთუე“ (თვე), ხოლო მნათობის აღსანიშნავად გამოყენებული ყოფილა მიმღეობა „მთვარე“ (მთვარე).

სამშაბათი „არიას“, ე. ი. მარსის (ომიანობის ღვთაების) ღღედ ითვლებოდა (მეგრ. „თახაშხა“, ჭან. „ტიკინაჩხა“, იკინაჩხა“, „ერკინაჩხა“, ეკინაჩხა“, სვან. „თახაშ“). ამ ღვთაების სახელად მეცნიერნი ეარაუდობენ „თახა“, „ტარხონ“, „თარხონ“, ან „თარხო“-ს.

ოთხშაბათი ითვლებოდა „ერმის“ (ჰერმესის, მერკურის) ღღედ (მეგრ. „ჯუმაშხა“, სვან. „ქაშ“), ამ ღღეს თაყვანს სცემდნენ „მთიებს“ („ცისკრის ვარსკვლავს“), რომლის ძველ ქართულ სახელად ივარაუდება „ცა“.

პარასკევი იყო „ღიოსის“ (ოპიტერის) ღღე (მეგრ. „ობიშხა“, ჭან. „პარასკე“, „პარასკედა“, სვან. „ყებიშ“).

შაბათი იყო „ქრონოსის“ ღღე (მეგრ. და ჭან. „საბატონი“, სვან. „საფტინ“, „სამტინ“). ამ მნათობ-ღვთაებას ძველ ქართულში, შესაძლოა, „მორგე“ ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. ერის ისტორია“, ტ. I).

მნათობთა თაყვანისცემა – ძველ საქართველოში წარმართობის ერთ-ერთი გამოვლინება (იხ. წარმართობა საქართველოში). უმთავრეს ღვთაებად მიჩნეული იყო მთვარე („მამა“). თაყვანს სცემდნენ აგრეთვე მზეს („დედა“), მორიგეს (ეს იყო ფშავ-ხევსურეთის უზენაესი ღვთაება), „ხმელთ მოურაჲს“, ეკირას (ნაყოფიერების ღვთაებას), „ეობს“ (ტარონის ღვთაებას), „ეკიმაღს“, ღმერთს (იხ. მნათობ ღვთაებათა შედეული).

მოაბი – I. ბიბლიის მიხედვით, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრები, ისრაიტელთა მონათესაე ხალხი. წარმოშობილი იყო ლოთისა და მისი უფროსი ქალიშვილის ვაჟის – მოაბისაგან (დაბ. 19, 37). 2. მოაბელთა (ქანაანელთა ერთ-ერთი ტომი) ძველი სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე ეომებოდა პალესტინისა და სამხრეთ სირიის სახელმწიფოებს. ძვ. წ. XI-X სს-ში ისრაელ-იუდეველთა სახელმწიფოში შედიოდა. მოაბი განსაკუთრებით გაძლიერდა მეშას მეფობის დროს (ძვ. წ. IX ს.). ძვ. წ. VIII ს. II ნახევარში ასურეთს მორჩილებდა. მოაბის რელიგიური პანთეონიდან ცნობილია უზენაესი ღვთაება ქემოში, რომელსაც ადამიანებს სწირავდნენ. თაყვანს სცემდნენ აგრეთვე ბაალ-ფეგორს.

მობედი – სასულიერო პირის სახელწოდება შუა აზიის, აზერბაიჯანისა და სპარსეთის ადრინდელ რელიგიაში – ზოროასტრიზმში. სასანიდთა ირანში (226-651 წწ.) მობედი ემსახურებოდა კულტს, განათლებასა და სამართალს. მობედთა იერარქიის სათავეში იდგა მობედან-მობედი.

მობიდანი – ქართლის მთავარეპისკოპოსი V ს. 30-იან წლებში, არჩილ მეფის დროს, წარმოშობით სპარსი, ქართლში გამატონებული ქრისტიანული მრწამსის მოწინააღმდეგე მმართველების – მანიქეიზმის ფარული მიმდევარი. ეპისკოპოსად დაუსვამს არჩილ მეფეს. „ქართლის ცხოვრებაში“ მობიდანი მოიხსენიება, როგორც „მგელი უსულოჲ და შემზღელი წესთაჲ“, რომელიც გარეგნულად მართლმადიდებლობას აღიარებდა, ხოლო „ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა“ (ჯუანშერი). მეფეს მისი „მოგვობა“ ვერ შეუმჩნევია, რადგან გულმოდგინედ მალავდა ამას მეფისა და ხალხის შიშით. ქართლის მომდევნო მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა მობიდანის გავლენის აღმოსაფხვრელად მისი წიგნები დაწვა.

საფიქრებელია, რომ „მობიდანი“ საკუთარი სახელი არაა. შესაძლოა, მას ასე მოგვიანებით შეარქვეს ქრისტიანებმა, რამდენადაც თავისი მრწამსით იგი მობედებს (ზოროასტრიზმის კულტმსახურთა) ეწათესაეებოდა. იხ. მობედი.

მოგეთა – (მოგუთაჲ, მოგუეთაჲ) მცირე ზომის დარაბაული ეკლესიის ნანგრევი მცხეთაში, მტკვრის ხიდის მახლობლად. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ ამ ადგილას ძველად მდგარა მცირე ბაგინი (ტაძარი), რომელზედაც მოგვები ცეცხლის მსახურების წესს ასრულებდნენ, ხოლო წმ. ნინოს ალუმრთაჲს ჯვარი ქრისტესი. იხ. მთავართა სანათლოჲ.

მოგეთა თაყვანისცემა – სახარებაში მოთხრობილია (მათე 2,1-13), რომ ახალშობილი მაცხოვრის თაყვანისაცემად აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მოგვები (სწაელული ვარსკვლავთმრიცხველნი), რომლებმაც ცაში ახალგამოჩენილი ვარსკვლავის მიხედვით დაასკვნეს, რომ დაიბადა პურიათა მეფე. ამის შესახებ გაიგო პეროდე მეფემ და გადაწყვიტა მოესპო ეს

ახალშობილი ყრმა. ამიტომ საღუმლოდ დაიბარა მოგვები და უთხრა: გამოკვლიეთ ახალშობილის ადგილსამყოფელი და მე მაცნობეთ, რათა მეც მივიდე და თაყვანი ვცეო. მოგვები ახალგამოჩენილი ვარსკვლავის წინამძღოლობით გაემართნენ ბეთლემში, სადაც იშვა ყრმა იესო და შესწირეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. ამ ძღვენით გამოისახა ქრისტეს ბრწყინვალი (ორმაგი ბუნება — ღვთაებრივი და კაცობრივი). ოქრო მიართვეს, როგორც მეუფეს, გუნდრუკი — როგორც ღმერთს, მური ანუ მირონი - ჟირფასი ნელსაცხებელი — როგორც მკვდარე ადამიანს, შესამრავად. უკანდაბრუნებისას მოგვებმა მიიღეს ანგელოზის ბრძანება — არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, ამიტომ სხვა გზით დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში.

ᲛᲝᲒᲕᲘ (ᲛᲐᲒᲘ) — 1. ზოროასტრული რელიგიის მღვდელმსახური, ცეცხლმსახურთა ჯურუში. ზოროასტრიზმის ერთ-ერთი ცენტრი იყო მიდია. მოგვთა ტომის წარმომადგენლებს ჰქონდათ მღვდელმსახურების განსაკუთრებული უფლება. მოგვთა მთავარი ღმერთი იყო ჰურამაზდა — ცეცხლის ღმერთი. მოგვებმა სხვა მიდიური ღმერთები დემონებად — დევებად გამოაცხადეს. მოგვთა ღვაწლში სრულად შეშინაბა ზოროასტრიზმმა. 2. ასტროლოგიის, ასტრონომიის (ვარსკვლავთმრიცხველობის) და სხვა საიდუმლო მეცნიერების მცოდნე ძველ აღმოსაელეთში. მოგვობა (ანუ მაგია) იყო ცოდნის ერთ-ერთი უმთავრესი დარგი ძველ ასურეთბაბილონში, აგრეთვე ეგვიპტეში. იგი იყოფოდა რამდენიმე თანრიგად, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო ვარსკვლავთმრიცხველობა. სახარებაში მოთხრობილია ალმოსაელელ მოგვთა მისვლა ბეთლემში ახალშობილი ქრისტეს თაყვანის საცემად (მათე 2, 1-16). იქ არაფერია ნათქვამი მათი რიცხვისა და წარმოშობის შესახებ. გადმოცემა, რომლის თანახმადაც ისინი მეფენი იყვნენ, I საუკუნიდან მომდინარეობს. 3. ჯადოქარი (ძველ რომში), მისანი, ბრძენი, „მეცნიერი, ანუ ვარსკვლავთმრიცხველი, გრძნეული“ (ნ. ჩუბინაშვილი). სულხან-საბა მოგეობას გრძნეულებისაგან განასხვავებს: „მოგობა, გრძნეულობა, მწამლეელობა განიყოფებიან, რამეთუ მოგობა არს წოდება (მოწოდება, რეჲ.) ეშმაკთა კეთილის-მყოფელთაჲ ქუეის-მოქმედებად ეისამე; ხოლო გრძნეულებაჲ — საფლავთა, გინა ქმნილი წოდებაჲ ბოროტთა ეშმაკთაჲ ბოროტისმოქმედებად ეისამე; ხოლო მწამლეელობა — რაჟამს მიცემითა წამლისაჲთა ფარულად მოაკედინოს ვინმე, ანუ შეცვალება შეამთხეოს“.

„ᲛᲝᲬᲕᲐᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘᲗᲐᲓ“ — ძველი ქართული ლიტურგიკული ტერმინი; ასე ეწოდებოდა თხოვნით კვერექსს, როდესაც მგალობელნი თითოეულ მუხლს პასუხობენ: „მოგუმადლენ, უფალო“. იხ. კვერექსი.

„ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ“ — „სწავლა მოძღვრისა კვირიაკესა მამათმთავარისა, და მთამინებისათუს“ სულხან-საბა ორბელიანის პოემა. იხ. თხზულებათა კრებული, ტ. III.

„ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ“ — იოანე ოქროპირის ასკეტიკური თხზულება, რომლის თარგმანი დაცულია ძვ. ქართულ ხელნაწერებში (S 1139, X ს. და სხვ.), გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ („მამათა სწავლანი“, 1955 წ., გვ. 12-24). თხზულების სრული სათაურია: „მთამინებისთუს და ამის სოფლისა აღსრულებისათუს და მოსლეისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მეორედ განსჯად ცხელთა და მკუდართა, წიგნის კითხეისათუს და დაყენებისა“.

„ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲓᲐ ᲭᲐᲛᲗᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲚᲕᲘᲡᲐᲗᲐᲕᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲡᲐ“ — ეფრემ ასურის თხზულება, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია „ასკეტიკონში“ (A 62; A 154; A 166; A 196; A 673; ქუთ. 8; Ath. 83).

„ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ“ — იოანე ოქროპირის თხზულება, შეტანილია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ „კლიტე“-ში (A 227, S 127), იქცვა თხზულება „ჭეშმარიტთა მოთმინეთა მოღუაწეთათუს“. მსგავსი სიტყვაა დაცული გელათურ ხელნაწერშიც (ქუთ. 5, 385).

„ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲓ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘ“ — გერმანე კონსტანტინეპოლელის თხზულება. შეორენაირად ჰქვია „განგებაჲ საიდუმლოთა კათოლიე ეკლესიისათა და სახისმეტყველებისა წესთა მისთა“. ხელნაწერებში ხშირად წარწერილია ბასილი დიდის სახელით. შეტანილია ხელნაწერებში: A 450; A 432; A 691,280-306 (გამოც. ე. კოჭლამაზაშვილის მიერ, საქ. ეკლ. კალენდარი, „ნათლისმცემელი“, 2004 წ.).

„ᲛᲝᲘᲮᲘᲚᲔᲡᲐᲓ“ — ლიტურგიკული კანონის II გალობის ძველი სახელწოდება, წარმოსდგება შეორე ბიბლიური გალობის (II სჯ. 32,1-52) დასაწყისი სიტყვიდან: „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდე...“ თავდაპირველად ლიტურგიკული კანონი მოიცავდა ცხრა გალობას (უგალობდითსა, მოიხილესა, განძლიერდასა, უფალო მეს-

მასა, ღამითგანსა, ღაღატყასა, კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, აღიდებდითსა); ყველა ეს გალობა წარმოდგენილია უძველესი პიმნოგრაფიული კრებულის – იადგარის კანონებში (იხ. „უძველესი იადგარი“). VIII ს-ის დიდმა ღვთისმეტყველმა და პიმნოგრაფმა იოანე დამასკელმა (დაახლ. 675-753) შემოიღო რვა-გალობიანი კანონი. კანონიდან ამოღებულ იქნა მეორე გალობა „მოიხილესა“. იოანე დამასკელის შემდეგ ეს გალობა თითქმის აღარსად გამოიყენებოდა ღვთისმსახურებაში. გამონაკლისებს შეიძლება მივაკუთნოთ გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „გალობანი სარებისანი“ (S 4999, ფ. 273v-277r). თანამედროვე ტიპიკონით კანონის მეორე გალობა („მოიხილესა“) შეტანილია მხოლოდ დიდი მარხვის სამსაგალობელში (ენების შეიდეულის სამშაბათის ცისკარი).

მოკაზმული – ქართული პიმნოგრაფიული ტერმინი. გულისხმობს თავისუფალ, გადამუშავებულ თარგმანს, დედნის პერიფრაზს. მოკაზმულის უძველესი წერილობითი დადასტურება მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978-988) გვხვდება. უკანასკნელი დროის გამოკვლევების მიხედვით, მოკაზმული, ძველი თარგმანის გადაკეთება-გადამუშავებასთან ერთად, ძლისპირის მიხედვით მის ზუსტად გამართვაშეწყობასაც უნდა ნიშნავდეს.

მოკლე ფილონი – პირველი შესამოსელი, რომელსაც კურთხევის დროს აცმევენ ეკლესიის მსახურთ (წირვის წინ, ჟამნობაზე). კურთხევის შემდეგ მას აღარასოდეს იცვამენ. ფორმით იგი სამღვდელო ფილონს ჰგავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ძალიან მოკლეა, ძლივს ფარავს მხრებს.

მოლა (არაბ. მაულა) – მუსლიმთა რელიგიური კულტის მსახური, რომელიც იერარქიულ კიბეზე ყველაზე დაბლა დგას. მოლები აღმოსავლეთის ქვეყნებში ზოგჯერ ადგილობრივი მოსახლეობის მასწავლებლები, ან მოსამართლეები (ყადი) არიან. მოლას, ჩვეულებრივ, მორწმუნეები ირჩევენ თაიანთი წრიდან.

მოლიტორი იოსებ (1903-1978 წწ.) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. ძირითადად იკვლევდა ქართული სასულიერო მწერლობის საკითხებს. გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული ბიბლიის თარგმანი, მისი წარმოშობა-ცვლილება და მისი მნიშვნელობა დღევანდელი თვალსაზრისით“ (1933), „კათოლიკე ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია“ (1965-66); ლათინურად თარგმნა ქართული ახალი ალთქმის ცალკეული ნაწილები და სხვ. გამოაქვეყნა ახალი ალთქმის სხვადასხვა ნაწილის ლექსიკონები.

მოლოზონ გრძელის ძე – მოხსენებულია ქორეთის (საჩხერის რაიონი) ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში.

მომაკვდინებელი ცოდვები – მძიმე ცოდვები, რომელთა მოსანანიებლად ეკლესიაში დაწესებულია საკანონო სასჯელები. მომაკვდინებელ ცოდვებს, რიცხვით შვიდს, შეესაბამება თავ-თავისი „წამალი“ – ისეთი მაღლისმოქმედება, რომელიც შინაარსით ამა თუ იმ ცოდვის საპირისპიროა: 1) ამპარტავნების წამალია სიმდაბლე, 2) ანგარებისა – მოწყალება, 3) სიძვისა – უმანკოება, 4) მრისხანებისა – სიმშვიდე, 5) ნაყროვანებისა – მარხულობა, 6) შურისა – სიყვარული, 7) მიმოწყლიელეობისა – სასოება. ქართულ ენაზე არსებობს თარგმანი კასიან პრომელის თხზულებისა მომაკვდინებელი ცოდვების შესახებ: „თქუმული რჳთა მათ გულის სიტყუათათჳს ბოროტთა: ნაყროვანებისა და სიძვისა და ვერცხლის მოყუარებისა და რისხვისა და მწუხარებისა, მოწყინებისა და ცულმზუაობრობისა და ამპარტავნებისათჳს“ (თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, დაცულია ხელნაწერში A 1101). მომაკვდინებელ ცოდვების შესახებ ორიგინალური შრომა დაუწერია ნიკოლოზ თბილელს, სულხან-საბა ორბელიანის ძმას („შჯულთა მათ მომაკუდინებელთა ცოდვათა და შჯთა მადლთათჳს“). ამ თხზულების ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 342; S 348.

მომგებელი – შემკვეთი, მფიცველი. ასე ეწოდებოდა ხელნაწერი წიგნების გადაწერა-გამრავლების ინიციატორს, უმეტეს შემთხვევაში – მაღალი სასულიერო და საერო წოდების პირს. იგი ხშირად არა მარტო გადაწერის ხარჯებს ანაზღაურებდა, არამედ თვითონვე ამარაგებდა მწერალ-კალიგრაფებს საწერი მასალით.

„მომთვრალეთათჳს“ („თქუმული წმიდისა ბასილისი მოშთრაალეთათჳს, რომელ თქუა შემდგომად აღსებისა დღითა ერთითა“) – ბასილი დიდის თხზულება, შეტანილია მის „ითიკა“-ში (A 100; A181; A394; S 376; Jer. 14; Ath. 44). თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. გამოცემულია 1983 წ. ც. ქურციკიძის მიერ (ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი).

„მომიკსენენი“ – 1. სახარების „ცხრა ნეტარების“ (მათე 5, 3-12) მეორენაირი სახელწოდება. ასე ეწოდა იმიტომ, რომ „ცხრა ნე-

ტარებას“ წირვაზე წინ უძღვის სიტყვები: „სასუფეველსა შენსა მომიკსენენ ჩუენ, უფალო...“ გარდა ამისა, დიდ მარხვის ზოგიერთ დღეს ამ გალობის ყოველ მუხლში ჩართვოდა: „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფეითა შენითა (ლუკა 23, 42). „მომიკსენებისა“ და მათეს სახარების V-VII თავების სხვა მუხლების ახსნას ეძღვნება გრიგოლ ნოსელის „განმარტება მომიკსენებისაჲ“; ქართულად თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 55,278-309; A 108,57-124; Ath. 84/14, 78-125; Ath. 49,4-11. 2. ტექნიკური ლიტურგიკული ტერმინი, რომელიც ძველ ტექსტებში აღნიშნავდა „სალილს ჟამს“, რადგან იგი „მომიკსენებით“ იწყებოდა. „მომიკსენენი“ ეწოდება აგრეთვე იმ საგალობლებს (ტროპარებს), რომლებიც ჩართვის ლიტურგიაში „მომიკსენენის“ მუხლებს. ეს ტროპარები მოცემულია რვა ხმათა წიგნში, მიცალებულის წესში (კურთხევანიდან) და სხვ.

აღნიშნული ტროპარები შინაარსობრივ კავშირში არიან სახარების „ნეტარებათა“ შესაბამის მუხლებთან. კერძოდ, მუხლებს წინ უძღვის ავაზაკის აღსარება: „სასუფეველსა შენსა მომიკსენენ ჩუენ, უფალო“... „მომიკსენენის“ ტროპართაგან პირველი — ავაზაკის აღსარებას ეხება და ა. შ. თევნა და ტრიოდიონში „მომიკსენენის“ საგანგებო ტროპარები არ გვხვდება, ამიტომ მათ ნაცვლად იგალობება ცისკრის კანონის გალობათა ტროპარები, გამოკრებით.

სადაც დღეებში, „მომიკსენენზე“ იგალობება III ან VI გალობის (ან ორივე ერთად) ტროპარები (თევნიდან). შეიდეულის დღეებში, როცა დაემთხვევა წინადღესწაული, „მომიკსენენზე“ იგალობება III და VI გალობა წინადღესასწაულისა. დღესასწაულის შემდეგ დღეებში კი იგალობება დღესასწაულის კანონის რიგითი გალობები (ასე ეწოდება გალობებს იმიტომ, რომ დღესასწაულის შემდეგ იგალობებიან ყველა ისინი, რიგრიგობით. დასასრულ, წარგზავნის დღეს იგალობება კანონის IX გალობა). საუფლო დღესასწაულების დროს წირვაზე იგალობება არა სალილის ჟამნის ანტიფონები (მათ შორის, არც „მომიკსენენი“ და მათი ტროპარები), არამედ — სალესასწაულო ანტიფონები. შეიდეულის დღეებში „მომიკსენენზე“ ითქმის 6 ან 8 ტროპარი. სპეციალური „მომიხსენენი“ თაეისი მუხლებით იკითხება დიდი პარასკევის ცისკარზე (VI უნების სახარების შემდეგ), აგრეთვე მღვდლის წესის აგებაზე (V სამოციქულოს წინ).

მოქლოცველობა — მორწმუნეთა მოგზაურობა წმ. ადგილების მოსალოცავად. ჩაისახა წინაქრისტიანულ ეპოქაში. ბერძნები და რომაელები ლოცვისათვის ცერცეთისა და ნემეზისის ადგილებში, რომლებიც უკავშირდებოდნენ ანტიკურ სარწმუნოებრივ ლეგენდებს. იუდეველები დიდ დღესასწაულებზე იერუსალიმში მიდიოდნენ. ქრისტიანობამ მოშლილებიც დაიწყეს წმ. ელენეს (IV) მაგალითით. იგი, როგორც ცნობილია, ჩავიდა პალესტინაში, მოილოცა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა და ქადაგებდა მაცხოვარი. მანვე აღამაღლა იქ უფლის ჯვარი. მომლოცველობა მალე გაერცელდა. თავდაპირველად მას მოწინააღმდეგეები გამოუწვდნენ. IV ს. მიწურულს მას დეენდნენ ზნეობრივი მოსაზრებებით, მაგრამ მალე ეკლესიამ იგი აღიარა ღვთივსათნო მოღვაწეობად (იხ. მაკარი რომაელი).

ქართველი მოღვაწეები ხშირად დადიოდნენ წმ. ადგილების მოსალოცავად. ცნობილია დავით გარეჯელის მისვლა იერუსალიმის მისადგომებამდე; იოანე ათონელს მრავალი ეკლესია-მონასტერი ჰქონდა მოელილი. გიორგი მთაწმიდელმა მოილოცა შავი ანუ საკვირველი მთა, თაყვანი სცა წმ. სვიმეონისა და დედამისის, მართას ნაწილებს, იყო იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და სხვა წმინდა ადგილებში.

უფრო გვიან, შორეულ მხარეებში იმოგზაურეს ქართველმა მღვდელმთავრებმა: ტიმოთე გაბაშვილმა (დაწერა თხზულება „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსაელეთისა ადგილთა“) და იონა გედევანიშვილმა (მას ეკუთვნის „მიმოსულა ანუ მგზაურობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“). სულხან-საბა ორბელიანმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ევროპაში მოგზაურობას. ამავე ჟანრისაა გიორგი აკაღისეულის „მგზაურობაჲ“ (გამოც. ელ. მეტრეველის მიერ).

მონაზვნობა — ასკეტური მოღვაწეობის სახე ქრისტიანულ რელიგიაში, რომელიც ითვალისწინებს აქტიანური ცხოვრების უარყოფას, ქორწინებისა და ნათესაური კავშირების გაწყვეტას. „მონაზონი“ ბერძნულად ნიშნავს მარტო მცხოვრებს. სულხან-საბას მიხედვით: „მოწესე, მგლოიარე, გინა მოსილი საგლოველითა“; „მემხოლოვე, ბერი შავოსანი, კაცი მოწესე“ (ნ. ჩუბინაშვილი). მონაზვნობა III-IV სს-ში ჩაისახა, თავდაპირველად განდეგილობის სახით, შემდეგ (IV ს-დან) — სამონასტრო ფორმით. ეგვიპტისა და იორდანის უდაბნოში მოღვაწეობდნენ მონაზვნობის ისეთი ბურჯები, როგორებიც იყვნენ: ანტონი დიდი, ეფთვიმე დიდი, ონოფრი დიდი, მაკარი დიდი, პახომი დიდი, საბა განწმედილი.

სამონაზვნო მოღვაწეობა გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში, დაარსდა მრავალი მონასტერი (იხ. სკიტი). წარმოიშვა სამონაზვნო მოღვაწეობის სხვადასხვა სახეები: მდუმარება, მღვიძარება (მდუმარეთა და მღვიძარეთა მონასტრები), მწიგნობრობა, მესვეტეობა და სხვ. საქართველოში სამონაზვნო კერები დაარსეს 13 ასურელმა მამამ (იოანე ზედაზნელი, ანტონ მარტყოფელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, ზენონ იყალთოელი, ისიდორე სამთავნელი, პიროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, სტეფანე ხირსელი), გრიგოლ ხანცთელმა და მისმა მოწაფეებმა და სხვ. ქართველი მოღვაწენი იღვწოდნენ აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ სავანეში: სინის მთაზე, ათონის მთაზე, იერუსალიმში, ულუმბოზე, საკირეველ მთაზე და სხვ. ამ სავანეებში მოღვაწე მონაზვნებმა უდიდესი ამაგი დასდეს ქართულ სასულიერო მწერლობას. მთარგმნელთა და მწიგნობართაგან განსაკუთრებით აღსანიშნაია: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, მიქაელ მოდრეკილი, იოვანე ზოსიმე, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვ.

მონაბულთა შეწყნარება და დაგება – ცოდვის მომნანიებელთა შერიგება ეკლესიასთან, სინანული. სინანულს აქვს ოთხი საფეხური:

1. შეტრირილი არის სინანულის უმძიმესი საფეხური, რომლის დროს მონანულნი არ შედიოდნენ ეკლესიის შენობაში, იდგნენ წინაკარში, ან ეზოში და ცრემლით ეხვეწარებოდნენ ეკლესიაში შემსელელთ, მათთვის ელოცათ.

2. მსმენელობა. მსმენელთ უფლება ჰქონდათ ღვთისმსახურების დროს შესულიყვნენ ეკლესიის წინა ნაწილში, სადაც იდგნენ კათაკმეველნი და მათთან ერთად მოესმინათ საღვთო წერილის კითხვა და ქადაგება. მსმენელნი ეკლესიიდან უნდა გამოსულიყვნენ კათაკმეველებთან ერთად.

3. შეურდომა. შეურდომილნი მუხლმოყრილნი იდგნენ მორწმუნეებთან ერთად ამბიონის დასავლეთ ნაწილში. მსმენელთა ეკლესიიდან გასვლისთანავე ისინი დაემხობოდნენ მიწაზე; ეპისკოპოსი ლოცულობდა მათთვის და შემდეგ ისინი გადიოდნენ ეკლესიიდან.

4. თანამდგომარე-ყოფა ერისა. ამ საფეხურზე მონანულნი იდგნენ და ლოცულობდნენ მორწმუნეებთან ერთად მთელი ლიტურგიის განმავლობაში (ამბიონის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს), მათ არ ქონდათ ეუქარისტიის მიღებისა და მსხვერპლშეწირვის უფლება.

თითოეულ საფეხურზე მონანულის ყოფნის ვადა ჩადენილი ცოდვის სიმძიმის შესაბამისი იყო. აქედან მონანიების დროც არ იყო ერთი და იგივე (რწმენის უარყოფა – 12 წელი, კერპისათვის მსხვერპლშეწირვა – 6 წელი, წარმართულ ღღესასწაულში მონაწილეობა – 2 წელი, ნებსითი კაცისკვლისათვის – შეურდომა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და სხვ.). საკლესიო ხელისუფლებას სრული უფლება ქონდა, შეემცირებინა სინანულის დრო იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გულწრფელი იყო მონანულის წუხილი. IV ს. შემდეგ საჯარო მონანიება აღმოსავლეთში გაუქმდა. კანონები ხანგრძლივი საჯარო მონანიების შესახებ შეიცავალა შეცოდებულთა კრებულების ეპიტიმიური კანონებით, რომლებიც ცნობილია იოანე მმარხველის კანონის სახელით. ეპიტიმიური კანონებით დადგინდა მოკლეეადიანი სინანული (10 წლის ნაცვლად 1 წელი) გახლერებული ლოცვებით, მარხვით, წყალობით და სხვ. მონანულთა დაგება (შერიგება, შეწყნარება) შეეძლო მხოლოდ ეპისკოპოსს.

მონასტერი (ბერძ. „სამხლოლო", განდეგილის სენაკი) – მონაზონთა კრებული, ერთმანეთთან დაკავშირებული საერთო ცხოერების პირობებითა და იერარქიული დამოკიდებულებით. სულხან-საბას განმარტებით, მონასტერი არის „მონაზონთ საკრებული; ლათინურია, ქართულად სამზრუველიო ქმეან". არსებობს მამათა და დედათა მონასტრები.

უძველესი მონასტერი (ბუდისტური) წარმოიქმნა ინდოეთში ძ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში. პირველი ქრისტიანული მონასტერი ჩამოყალიბდა IV ს-ში ეგვიპტეში. IV-V სს-ში მონასტრები გაჩნდა პალესტინასა და სირიაში, შემდგომ – ხმელთაშუაზღვისპირეთში, გალიასა და ირლანდიაში. სამონასტრო ცხოერება ბიზანტიაში განსაზღერული და რეგლამენტირებული იყო ბასილი დიდის წესდებით (IV ს.), უფრო გვიან – კონსტანტინეპოლის სტუდიელთა მონასტრის წესდებით (IX ს.). დს. ეეროპაში სარგებლობდნენ ბენედიქტე ნურსიელის (ბენედიქტელების ორდენის დამაარსებელი) წესდებით.

ორგანიზაციულად კათოლიკურ მონასტერს სათაეში ედგა აბატი, მართლმადიდებლურს – იღუმენი. საქართველოში, ისტორიოს ჯუანშერის (XI ს.) ცნობით, პირველად ორი მონასტერი დაარსებულა კლარჯეთში ვახტანგ გორგასლის (V ს.) ინიციატივით. იგი სპერძნეთის

მონასტრების ტიპისა ყოფილა. ფარნო სამონასტრო შენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში უკუაშორდება ასურელი მამების მოსვლას. მათ და მათმა მოწაფეებმა დაარსეს დაითგარეჯის, დოდორქის, იოანე ნათლისმცემელის, ზედაზნის, შიომღვიმის, მარტყოფის, ალავერდის, სტეფანწმიდის, ბერთის, ხირსის, სამთავისის, ულუმბოს, იყალთოს და სხვ. მონასტრები. VII-X სს-ში დიდი სამონასტრო შენებლობა გაჩაღდა კლარჯეთში, ტაოსა და ქართლში. კლარჯეთის მონასტრთა შენებელი და პირველი არქიმანდრიტი იყო გრიგოლ ხანძთელი. სამხრეთ საქართველოში მოქმედებდა მრავალი ძლიერი მონასტერი: ზარზმისა, ხანცთისა, შატბერდისა, ნეძისა, კირიკეწმიდისა, წყაროსთაყვისა, ბერთისა, ბარდოელთასი, გუნთლესი, მერეს, ძველი ოპიზისა, მიძნაძორისა და სხვ. ხანცთელმა ბერებმა VIII ს-ში დას. საქართველოში დაარსეს უბის მონასტერი. მონასტრებს აშენებდნენ გვიანდელი პერიოდის მეფეებიც. არსებობდა მეფეთა სალოცავი და სამკალე მონასტრები, აგრეთვე კერძო ფეოდალთა სამკალე – სალოცავები. სამეფო მონასტრად იქცა XII ს-ში შიომღვიმის (მღვიმის), დაითგარეჯის მონასტრები, ახლად აშენდა გელათის სამეფო მონასტერი (XII ს.).

ქართულ წყაროებში დასახელებულია სხვადასხვა პერიოდში მოქმედი 100-მდე მონასტერი. არსებობდა დიდი და მცირე მონასტრები. ხშირ შემთხვევაში მონასტრები შენდებოდა მკაცრ ბუნებრივ გარემოში, სადაც მეტი პირობა იყო თავშეკავებული, ასკეტური ცხოვრებისათვის, ასეთები იყო 13 ასურელი მამის მიერ დაარსებული მონასტრები. ზოგ შემთხვევებში ქართველი ბერები (გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი და სხვ.) საგანგებოდ არჩევდნენ სამონასტრო დიდად ბუნებას, ჯანსაღ კლიმატს, მარგებელ წყალს. მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებას აწესრიგებდა საგანგებო ტიპიკონი, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღებული ზოგადი წესების ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდა. ტიპიკონს ადგენდა მონასტრის დამაარსებელი საეკლესიო მოღვაწე, ან მისი პატრონი ფეოდალი. საქართველოში მოქმედ ტიპიკონთაგან ცნობილია გრიგოლ ხანძთელის, „საბაწმიდური", „სუმბონწმიდური" და სხვ. მოღწეულია აგრეთვე ჭიტიტორული ტიპიკონები – შუე დაეით აღმაშენებლისა, შედგენილი შიომღვიმის მონასტრისათვის (XII ს.), ალის მონასტრისა (XIII ს.), ვაჰანის ქაჯთა მონასტრისა (XIII ს.). დიდ სამონასტრო ცენტრს ეწოდებოდა ლავრა. მონასტრებს განასხვავებდნენ მოღვაწეობის სახეების მიხედვით. მაგალითად, არსებობდა ზოგადცხოვრებულთა (ერთად მცხოვრებთა, როდესაც ყველაფერი საერთო აქვთ), სკეტის (განმარტოებით მცხოვრებთა), მღვიძართა მონასტრები და სხვ.

X-XII სს-ში მონასტრებმა დიდ ეკონომიურ, მორალურ და პოლიტიკურ გავლენას მიაღწიეს, რომლითაც XIX საუკუნემდე სარგებლობდნენ, XIX ს-ში მონასტრებმა დაკარგეს ძველი პრივილეგიები, ოქტომბრის რევოლუციის (1917 წ.) შემდეგ მონასტრების უმრავლესობა გაუქმდა. ზოგიერთმა დიდმა მონასტერმა (ქვათახევის, ბეთანიის, თბილისის წმ. დარიას, კაბენის და სხვ.) XX ს. 50-იან წლებამდე მოაღწია. შემდეგში მამათა მონასტრები სრულიად გაუქმდა, დედათა მონასტრებიდან კი შემორჩა რამდენიმე (მცხეთის სამთავროს, ჯიხეთის, ბოდბის, მენჯის, თეკლათის მონასტრები). 70-იანი წლების მიწურულში დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღორძინება. პირველად აბოქმედდა ბეთანიის მამათა მონასტერი. დღეისათვის მონასტერთა საერთო რიცხვი 100-ს აღემატება.

შუა საუკუნეებში მონასტრები დიდ სალიტერატურო-სამწიგნობრო და კულტურულ კერებს წარმოადგენდნენ. აქ იქმნებოდა და იწერებოდა ორიგინალური და ნათარგმნი სასულიერო მწერლობის ძეგლები. ამ მხრივ განსაკუთრებით განთქმული იყო ხანცთის, შატბერდის, ოპიზის, პარხლის, იშხნის, წყაროსთავის, ტბეთის, ოშკის, ხახულის, შიომღვიმის, დაითგარეჯის, ალავერდისა და სხვ. მონასტრები. გელათისა და იყალთოს მონასტრებში უმაღლესი სკოლები – აკადემიებიც არსებობდა.

საქართველოს მონასტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთის ქართულ და უცხოურ სამონასტრო ცენტრებთან.

„მონასტერი მაყულოვანი" – ერთ-ერთი მონასტერი სინის მთაზე, სადაც ცნობილი ქართველი მწიგნობარ ბერი იოანე-ზოსიმე (X ს.) მოღვაწეობდა. ამ მონასტერში შეუმოსავს მას ერთ-ერთი წიგნი (Sin. 55).

მონოთეიზმი – რელიგიურ რწმენათა სისტემა, რომელიც ემყარება წარმოდგენას ერთი ღმერთის შესახებ, უპირისპირდება პოლითეიზმს. მონოთეისტური რელიგიებია: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი და ისლამი. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, კაცობრიობის ერთადერთი და უპირველესი რელიგია მონოთეისტური იყო, ხოლო რელიგიის სხვა, პოლითეისტური

ფორმები წარმოიშვა მხოლოდ ამ ჭეშმარიტი რელიგიის დამხინჯების შედეგად.

მონოთელიტობა (ბერძ. „ერთი ნება") – VII ს-ში აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში გაბატონებული მოძღვრება. მონოთელიტობის მიხედვით, ქრისტეში ორი ბუნებაა, მაგრამ მისი ნება და მოქმედება ერთია – ღვთაებრივი. ამ დოგმატური ფორმულის მიზანი იყო დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების გაერთიანება ორიენ მიმდინარეობისათვის გარკვეული დათმობით და ბიზანტიის იმპერიისათვის აღმოსავლეთის მონოფიზიტური პროვინციების შემომტკიცება. მონოთელიტური დოგმატი ჩამოყალიბდა 620-იან წლებში, კაეკასიაში, ჰერაკლე კეისრის, სერგი კონსტანტინოპოლელისა და კიროს ფასისელის თათბირისა და მიმოწერის შედეგად, ხოლო 633 წ. გამოაქვეყნა ალექსანდრიის პატრიარქის საყდარზე ასულმა კეისრის ფასისელმა. მონოფიზიტებმა მონოთელიტური უნია (გაერთიანება) თავის გამარჯვებად აღიქვეს, ხოლო ქალკედონელები (დიოფიზიტები) მას წინ აღუდგნენ (სოფრონ პალესტინელის მეთაურობით). ბიზანტიის სამეფო კარმა და ეკლესიამ უკან დაიხია. 638 წ. გამოქვეყნდა „სარწმუნოების გარდამოცემა", რომლითაც აიკრძალა კამათი ქრისტეს „მოქმედებათა" შესახებ, ხოლო ძალაში დარჩა დოგმატი ქრისტეს ერთი ნების შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ VII ს-ში კავკასიის ეკლესიებში მონოთელიტობა საკმაოდ გავრცელებული იყო. მონოთელიტობის წინააღმდეგ მხურვალედ იბრძოდა მაქსიმე აღმსარებელი. ქართულ ენაზე უთარგმნიათ მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიმონოთელიტური მწერლობისა. მაგ: ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა „სიტყუსგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესი და პიროს კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწუალებელისა", რომელშიც დარღვეული და განქიქებულია მონოთელიტური ქრისტოლოგია. შემდეგ არსენ ვაჩეძემ უთარგმნა და „დოგმატიკონში" შეუტანია იოანე დამასკელის „ქრისტეს შორის ორთა ნებათაჲს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თუთებათა, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა" (S 1463, 128-138; ქუთ. 23, 36-52; A 205, 431-448). დასასრულ, XII ს-ში ნიკოლოზ გულაბერიძეს უთარგმნია ეფთვიმე ათონელის მიერ წინათ თარგმნილი, მაქსიმე აღმსარებელის „სიტყუსგება პიროს კონსტანტინოპოლელთან" შემდეგი სათაურით: „აღნიშნაჲ ქმნილისა მის ძიებისაჲ, აღძრულთა მათ საეკლესიოთა რწმენათა ძლით, მუნ ყოფასა გრიგოლ კეთილმსახურისა პატრიარკისასა და მის თანა პოვნილთა ყოლად ღირსთა ეპისკოპოსთა და სხუათა ღირსთასა მოყვარეთა და დიდებულთა ქაქთასა კუროპა მიერ პატრიარქქმნილისა კონსტანტინეპოლის და მეგობრისტ კეთილშობილისა მონაზონისა თთუესა ივლისსა ინდიკტონსა სამსა" (ქუთ. 14). მასვე უთარგმნია აგრეთვე მაქსიმესვე პატარ-პატარა ტრაქტატები მონოთელიტთა წინააღმდეგ. 680-681 წწ. VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ მონოთელიტობა მწვალებლობად გამოაცხადა, დაწყევლა და ყველა მონოთელიტური თხზულება დაწვა. ამჟამად მონოთელიტთა ნაშთად მიიჩნევენ მარონიტებს, რომლებიც შემორჩნენ ლიბანსა და სირიაში.

მონოფიზიტობა (ბერძ. „ერთი ბუნება") – მწვალებლური მიმდინარეობა ქრისტიანობაში. ძე. ქართულ პოლემიკურ მწერლობაში „ერთბუნებიანობა" ეწოდება. მონოფიზიტობა ქრისტიანობის მიმდინარეობათა შორის ყველაზე გაურცელებულია ახლო აღმოსავლეთში. მონოფიზიტთა ქრისტოლოგიური დოქტრინა ნესტორიანელობასთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა. მათი შეხედულებით, ძე ღმრთისა ორუბებიანად (ღვთაებრივი და ადამიანური) შეიძლება ვაღიაროთ მხოლოდ მის განხორციელებამდე. განხორციელების შემდეგ ღვთაებრივმა ბუნებამ იმდენად შთანთქა ადამიანური, რომ ამ უკანასკნელმა თავისი სუბსტანცია მთლიანად დაკარგა. ამის შემდეგ ძე ღვთისა მხოლოდ ერთბუნებიანია. მონოფიზიტობა საბოლოოდ გაფორმდა 449 წ. ეფესოს კრებაზე, რომლის განსაზღვრებებიც მომდევნო მსოფლიო საეკლესიო კრებებმა გაუქმებულად გამოაცხადეს. თაეის მხრივ მონოფიზიტებიც უფლებამოსილად აღიარებენ მხოლოდ პირველ სამ მსოფლიო კრებას.

მონოფიზიტობამ თავიდანვე ღრმა პოპულარობა მოიპოვა აღმოსავლეთის ეკლესიებში. მისი ერესიარქი (მწვალებლობის მეთაური) იყო კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტი ეუტიქი, რომლის სახელითაც ამ წეკლების პოლემიკოსები ეუტიქიანელობასაც უწოდებდნენ. ეუტიქი დაუპირისპირდა მართლმადიდებლობის მრწამსს, რომლის თანაზმადაც იესო ქრისტე არის სრული ღმერთი და სრული კაცი, ე. ი. აქვს ორი ბუნება (იხ. დიოფიზიტობა). 451 წ. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო მონოფიზიტობა, განკეთა მისი ერესიარქები (ეუტიქი, დიოსკორე) და ძე-ღმერთის შესახებ მიიღო დიოფიზიტური დოგმა. ქალკედონის კრების გამარჯვებით მონოფიზიტობის ისტორია არ დამთავრე-

ბულა. ერესმა ბიზანტიის იმპერიის პერიფერიებში გადაინაცვლა და ეროვნული ეკლესიების (სომხური, კოპტური, ნაწილობრივ სირიული და სხვ.) იდეოლოგია გახდა.

მონოფიზიტობის ისტორიაში შემდეგი საეტაპო შექმნა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე მკაწრალმა („ფულონი"), რომელმაც „სამწმიდაობის" გალობაში ძე-ღმერთის მიმართ შეიტანა გამოთქმა: „რომელიც ჩუენთჳს ჯუარს ეცა". ეს ფორმულა მოწინააღმდეგეებმა გაიგეს, როგორც ღმერთის ჯვარცმულად გამოცხადება და ამიტომ მის მიმდევრებს „თეოპასქიტები" (სომხებს – „ხაჩეცარები") უწოდეს.

ბიზანტიის სამეფო კარს არ სურდა, დაეკარგა აღმოსავლეთის პროვინციები. ამიტომ შეეცადა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების მორიგებას (ზენონის „ჰენოტიკონი", 482; მონოთელიტთა „ეკთესისი", 633), მაგრამ ამის განხორციელება არ მოხერხდა.

VI ს-ში მონოფიზიტობა ორ შტოდ გაიყო. ერთ შტოს, რომელიც დიოფიზიტობას უახლოვდებოდა, ერესიარქის სახელის მიხედვით სევერიანობა (ან თეოდოსელობა) ეწოდა. მეორეს – იულიანიტობა. პირველი მთავარი ქრისტეს ხორცს (ამაღლებამდე) ხრწნადად მიიჩნევდა, მეორე – ამაღლებამდეც უხრწნელად. სომხური ეკლესია ჯერ იულიანიტობას ეშხრობოდა, შემდეგ სევერიანელთა სირიულ განშტოებას – იაკობიტობას დაუახლოვდა.

საქართველოში მონოფიზიტობის ისტორიის შესასწავლად საკმარისი ცნობები არ მოგვეპოვება. ლიტერატურული ტრადიციით, საქართველოში თითქოს არასოდეს არც ერთი მწვალებლობა არ გავრცელებულა, და საქართველოს ეკლესია მუდამ ურყევად იცავდა ქალკედონის 451 წ. მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს. მაგრამ მეცნიერებაში არსებობს სხვა თვალსაზრისიც, – რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრებიდან VII ს. დამდეგამდე ქართული ეკლესიაში, სომხური და ალბანური ეკლესიების მსგავსად, ძლიერი მონოფიზიტური ნაკადიც არსებობდა (იხ. კ. კეკელიძის „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ", „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე", VI, გვ. 82-107. ეტიუდები, I, 19-50).

ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულ ეკლესიას მონოფიზიტობა თავის ოფიციალურ იდეოლოგიად არასოდეს უცნია, თუმცა იგი VI ს. განმავლობაში შემრიგებლურ პლატფორმაზე იდგა და თავის სამწყსოში ჰყავდა მონოფიზიტი ეპისკოპოსები და მრეველიც.

ყველა წეალებათაგან, რომელთა უარყოფას ეძღვნებოდა ქართული პოლემიკური მწერლობა, უმთავრესი მონოფიზიტობა და მისი ფრაქციები იყო, როგორიცაა იაკობის, პეტროსის, სეუეროზის, თეოდოსის, გაიანეს და სხე. მიმდინარეობანი, განსაკუთრებით კი სომეხთა ანტიქალკედონიტობა. მწვავე დოგმატურმა კამათი ახსაბ მრავალ ქართულ ანტიმონოფიზიტურ თხზულებაში. ამ მიმართულების უძველეს ძეგლად უნდა ჩაითვალოს ერთი მოკლე ტრაქტატი, რომელიც წმინდა ნინოს მიეწერება: „თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე ქართლს შინა, შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან" (A 19; A 95), აგრეთვე X ს-ის ერთი ანტიმონოფიზიტური კრებული (Q 209). არსენ ეკარ-ძემ თაეის „დოგმატიკონში" მოათავსა ანასტასი სინელის, ნიკიტა სტითატის, იოანე დამასკელისა და სხეა ავტორთა ანტიმონოფიზიტური თხზულებები.

მონოფიზიტობის კრიტიკას, ეძღვნებოდა იოანე დამასკელის თხზულება „სარწმუნოებისათუს" („წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქუმული სარწმუნოებისათუს, სიტყუსგებაჲ უთათა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარჰყოფენ", თარგმანი ეფთჳმე მთაწმიდელისა, დაცულია ხელნაწერებში: A 200, A 240, A 853 და სხე. მეორენაირად ამ წიგნს ეწოდება „წინამძღუარი"), მისიეე „ორისა ბუნებისათუს ქრისტესისა", რომელსაც ხელნაწერში შემდეგი სათაური აქეს: „ქრისტეს შორის ორთა ნებათათუს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თუსებათა, გარნა შემოკლებული და ორთა ბუნებათათუს და ერთის გუამისა" (თარგმანი ეფთჳმე მთაწმიდელისა, დაცულია ხელნაწერებში: A 205,431-448; A 267). განსაკუთრებული მნიშენელობა ჰქონია სომხურიდან ქართულად თარგმნილ ქალკედონიტურ შრომებს: „პატიმთონი" (თ. ჟორდანია, „ქრონიკები", I, 336-341), „ხილეაჲ გრიგორ განმანათლებელისა", „წინასწარმეტყუელება ნერსე დიდისა" (S 3236), „ჩუენებაჲ წმიდისა სააკისი" (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, 322), „პეტრე მკაწრალისაჲ და ალაჯორისათუს თხრობაჲ" და მისი გაგრძელება „უწყებაჲ სუბულის ძისა სარგისისათუს" (მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 629-633).

ქართველები დამოუკიდებელ პოლემიკასაც აწარმოებდნენ სომხების წინააღმდეგ და თეი-

თონაც ეკამათებოდნენ მათ. ჯერ კიდევ კათოლიკოსი კირიონი (VI-VII სს.) თაეგამოდებით ებრძოდა მათ. სამწუხაროდ, ყველა მისი წერილი ჩვენამდე არ შენახულა. IX ს-ში არსენ საფარელს დაუწერია მათ წინააღმდეგ მეტად საყურადღებო ისტორიულ-პოლემიკური თხზულება, რომელსაც ეწოდება „განყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა“ (თ. ჟორდანია. ქრონიკები, I, 313-332). XI ს-ში, ბაგრატ IV-ის დროს, 1046 წელს, ღრტილის კრებაზე არტანუჯში მომხდარა სომეხ-ქართველთა ეკლესიურ-სარწმუნოებრივი პაექრობა, რომლის დროს ქართველთა მხრივ გამოსულა ეფთვიმე გრძელი (იერუსალიმელი), სომეხთა მხრივ — სოსთენი. ოქმები ამ პაექრობისა ჩვენამდე შემონახულა („საქართველოს სამოთხე“, გე. 615-621; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I 126-127). ისინი ჩაწერილი უნდა იყოს პაექრობის შემდეგ, პეტრიწონელი სკოლის რომელიღაც მიმდევრის მიერ. პაექრობა სომხებთან შემდეგაც არ ყოფილა იშვიათი მოვლენა. მაგ.: ერთხელ ასეთი პაექრობა დაეით აღმაშენებლის დროს მომხდარა. ამ პაექრობას დასწრებია მრავალი სომეხი ეპისკოპოსი და წინამძღვარი, ქართველების მხრივ კი — იოანე კათოლიკოსი, არსენ იყალთოელი და თვით მეფე დაეითი. კამათს მეტად მწვავე ხასიათი მიუღია, გაგრძელებულა „ცისკრიდან ცხრაკამამდე“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გე. 325-327). მეორე ასეთივე პაექრობა მომხდარა თამარ მეფის დროს. ეს პაექრობა გაგრძელებულა „მიმწუხრამდე. ქართველები ბრძნად მიუგებდნენ თქუმულთა მათთა უკურღუეად, ხოლო თჳსად დამამტკიცებელად“ (იქვე, გე. 481-494).

ქართველ-სომეხთა საეკლესიო პოლემიკა გაცხოველდა XVIII ს-ში. ეს გამოიწვია ამ დროს ჩვენში სომხური მონოფიზიტური პროპაგანდის გაძლიერებამ. ამან ბევრი ქართველი საეკლესიო მოღვაწე აიძულა, შეესწავლა სომხური ენა და სომხური ღვთისმეტყველება, რათა მუდამ მზად ყოფილიყვნენ ჯეროვანი პასუხისათვის. ტიპიური გამომხატველი ამ დარგში ლიტერატურული შემოქმედებისა არის ანტონ კათოლიკოსის „მზამეტყველება“, რომლის ორი ნაწილი სპეციალურად მონოფიზიტობასა და სომხობას ეხება. ეს უზარმაზარი, კაპიტალური შრომა გეორგიანად უნდა ჩაითვალოს ანტიმონოფიზიტური პოლემიკისა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში.

მონტანისტები — ადრინდელი ქრისტიანული სექტა. დაარსა მღვდელმა მონტანუსმა (აქედან — მონტანიზმის სახელწოდება) II ს. შუა წლებში ფრიგიაში (მცირე აზია). მონტანისტობა გაერცელდა მცირე აზიაში, აფრიკაში, რომში, გალიასა და ბალკანეთში. პირველი ქრისტიანული თემების ტრადიციებრ, მონტანისტები ილაშქრებდნენ ეპისკოპოსების ხელისუფლების წინააღმდეგ. მონტანისტების თემების სათავეში იდგნენ „წინასწარმეტყველები“. ისინი უახლოეს მომავალში ელოდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას პატარა ქალაქ პეპუზაში (მცირე აზია, ამიტომ მათ „პეპუზიანელებსაც“ უწოდებდნენ). ამის გამო მოუწოდებდნენ მორწმუნეებს, უარი ეთქვათ საკუთრებაზე, ჩაეხშოთ ხორციელი სურვილები და ა. შ. სექტამ იარსება VIII ს-მდე. მონტანისტები მოხსენებული არიან რომის პაპის, გრიგოლი დიდის პასუხში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გე. 24-26, 575-577).

მორიგე — უხუცესი წარმართული ღვთაება ფშაველა და ხევსურეთში. ხალხური რწმენით, ეს იყო „ცოცხლების ღმერთი“, რომელიც მეშვიდე ცაში სუფევს და როგსა და. წესს აძლევს (აწესრიგებს) ქეყნიერებას.

მორიონი (მორია) — მთა, რომელზედაც აბრაამმა შეასრულა მსხვერპლშეწირვა (II ნეშტთა, 3,1). იქ მოხდა გამოცხადება ღვთის ანგელოზისა, რომელმაც უბრძანა, რომ პირმშო ძის, ისააკის ნაცვლად შეეწირა ვერძი. ამ ადგილს აბრაამმა უწოდა „უფალმან იხილა“ (დაბადება 22, 1-14). ამავე მთაზე აშენდა ბოლოს იერუსალიმის ტაძარი. სულხან-საბას განმარტებით, ესაა „სიმწვარის ადგილი, რომელ არს თხემის ადგილი“.

მორგილი უილიამ (1834-1909) — ინგლისელი მეცნიერი, სლავისტი. ალ. ცაგარელის ნაშრომების გაცნობის შემდეგ შეისწავლა ქართული ენა და იმოგზაურა საქართველოში. დაწერა მონოგრაფია: „ქართული ენა და ლიტერატურა“ (1888 წ.) უ. მორგილი არის პირველი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც ზოგადად მიმოიხილა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია. გამოაქვეყნა სტატია ქართული სიძველეების შესახებ სინის მთაზე, რეცენზიები ა. ხახანაშვილის ნაშრომზე — „ცარელამ და იოდასაფი“, ალ. ცაგარელის ცნობები ქართული სიტყვიერების ძეგლებზე და სხვა.

მორჩილება — მორჩილის სულიერი მსახურება; ესა თუ ის საქმე, რომელსაც მონასტრის წინამძღვრის ლოცეა-კურთხევით (ბრ-

ძანებით, მითითებით, განჩინებით) ასრულებს მორჩილი. მორჩილება გულისხმობს დაბალ საკლესიო მსახურებას, ანდა მონასტრის სამეურნეო და სხვ. საქმეების შესრულებას. მორჩილება შეიძლება მიეცეს ადამიანს სულიერ სასჯელადაც (იხ. კანონი, განკანონება). ქართულ ენაზე ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილია ამბა დროითა სწავლა „მორჩილებისათჳს და ნებისა დატეებისათჳს და ენებათა და ცოდვათათჳს" (A 146; 126).

მორჩილი — პირი, რომელიც ემზადება მონაზვნად აღკვეცისათვის და მონასტრის წინამძღვრის მითითებით ასრულებს რაიმე სამორჩილო საქმეს (იხ. მორჩილება). მორჩილს ჯერ კიდევ არა აქვს დადებული სამონაზვნო აღთქმა, არ იწოდება მონაზვნად და არც სამონაზვნო შესამოსელს ატარებს. მორჩილი შეიძლება ემსახურებოდეს რომელიმე სასულიერო პირს (მღვდელი, მონაზონი და სხვ.) პირადად.

მოსართაჲი — ფარაჯითონი, ძე. ქართული პიშნოგრაფიული ტერმინი, გვხვდება X ს. უძველეს იადგარებში: Sin. 1-ში, Sin. 34-სა და მრავალ მოდრეკილის იადგარში (S 425). კერძოდ, აქ არის „შესხმანი წმიდისა ღუთისშობლისანი და ოხითა" დღესასწაულთა სათქმელნი, საუფლოთა საქმარნი ფარაჯითონნი, მოსართავნი ბერძულნი, თქუმულნი წმიდისა კოზმანისნი, თარგმნილნი გლახაკისა მაკარისნი" (S 425, 269v-242v). რეა ხმაზე დაწერილი ღმრთისმშობლის შესხმები წარმოადგენენ საუფლო დღესასწაულებისათვის ახლად დაწესებულ ფარაჯითონს, მოსართავს, დასართავს (რადგან იგი დაერთვის ძველ საგალობლებს), დამატებით სათქმელ შესხმებს. ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში მათი შედგენა და გავრცელება უნდა ვიგულისხმოთ X ს-ის შუა წლებიდან. ბერძნულმა ტერმინმა „ფარაჯითონმა" ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა. ის მხოლოდ სამ უძველეს იადგარშია დამოწმებული ღუთისშობლის შესხმასთან დაკავშირებით. მისი ქართული შესატყვისი „მოსართავი" და მისი სახესხვაობები იხმარება X-XVIII სს. ლიტურგიკულ ძეგლებში. მოსართავის სახესხვაობანია: ჩასართავი, წართული, მორთული. „წართულის" ხმარების საინტერესო შემთხვევები გვხვდება XVII-XVIII სს. სადღესასწაულოებში: S 1218-XVIII ს. და სხვა, S 1277-XVII ს. გულანში, ტერმინი „მორთული" გვხვდება ძლისპირთა კრებულში — A 603 და სხვ.

მოსე წინასწარმეტყველი (ძე. ებრ. მოშე) — ძე. ებრაელთა ბიბლიური სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი. უცხოურია ძე. წ. XIII ს-ში. მისი სახელი წარმოდგება ეგვიპტური „მოშე"-დან, რაც ნიშნავს „წყლიდან ამოყვანილს". ასე უწოდა მოსეს ეგვიპტის პრინცესამ, როდესაც იგი იპოვა მდინარეში. ბიბლია ამის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: ეგვიპტეში ებრაელთა ტყვეობის დროს ახპრაამსა და იოხაველას შეეძინათ ვაჟი. ფარაონის ბრძანების თანახმად, უნდა გაეწყვიტათ მამრობითი სქესის ყველა ებრაელი ყრმა. ამიტომ მოსესაც ეშუკრებოდა სიკვდილი. მის გადასარჩენად დედამისმა იგი (მოსე) ჩაწვინა ფისით ამოლესილ მოწნულ ჭურჭელში, და ნილოსის მდინარებას მისცა. კალათ იპოვა ეგვიპტის პრინცესამ, რომელიც სასეირნოდ იყო გამოსული მდინარის პირას. მან იშვილა ნაპოვნი ყრმა და მდიდრულად აღზარდა (ღვთის განგებით მოსე გაზარდა საკუთარმა დედამ, რომელმაც დანაბა, რომ მისი შვილი პრინცესამ იშვილა. მან სთხოვა პრინცესას — მსახურად ამიყვანეო, რაზედაც პრინცესა დათანხმდა). ფარაონის კარზე მოსემ ბრწყინვალე განათლება მიიღო და გადმოცემით, ეგვიპტის მთავარსარდალადაც კი იყო დანიშნული. როცა გაიზარდა, მოსემ დედისაგან გაიგო თავისი წარმომავლობის ამბავი და შეიყვარა ებრაელი ერი. ერთხელ, როცა დაინახა, რომ ვიღაც ეგვიპტელი უდიერად ეპყრობოდა თავის ქვეშევრდომ ებრაელ მუშებს, განრისხებულმა მოსემ მოკლა ეგვიპტელი, ამის გამო მოსეს დარჩენა ეგვიპტეში შეუძლებელი იყო. იგი გაიქცა ეგვიპტიდან და დასახლდა სინის ნახევარკუნძულზე, სადაც ცხვრის ფარას მწყემსავდა 40 წლის განმავლობაში. შემდეგ მოსემ მიიღო საღვთო შთაგონება, რომ მას უნდა ეხსნა ისრაელის ძენი ფარაონის მონობისაგან და აღთქმულ ქვეყანაში (ქანაანში) დაესახლებინა. თავის ძმა აარონთან ერთად გაემგზავრა ფარაონთან, რათა ეთხოვა ებრაელი ხალხის განთავისუფლება. მოსე არ შეუშინდა ფარაონის წინააღმდეგობას, დარწმუნა ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელი ხალხი და სასწაულებრივად გამოიყვანა მეწამულ ზღვაში, ხოლო მდევარი ფარაონი და მისი შეჯურვილი მხედრობა შთანთქა ზღვამ. შემდეგ მოსემ ღვთის სჯული (ორ ფიცარზე დაწერილი ათი მცნების სახით) გადასცა ებრაელებს და დაწერა ხუთი სჯულდებითი წიგნი: „შესაქმე", „გამოსლვათა", „ლევიტელთა", „რიცხვთა", „მეორე სჯული". სინის მთაზე მოსეს ყოფნის დროს ისრაიტელები ღმერთის გან-

დგომიან და ოქროს კერპის კულტი აღუდგენიათ, რის გამოც იაქეს მათთვის ალთქმულ ქვეყანაში შესვლა 40 წლით გადაუდია და სინის უდაბნოში ხეტიალი მოუსპია. მოსეს მიაწერენ თორის შექმნასაც (ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, თორა მოგვიანებით შეიქმნა – ძვ. წ. IX-VII სს-ში). მოსეს წინასწარმეტყველად აღიარებენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ იუდეველები და მუსლიმებიც. ქართულ ენაზე მოიპოვება გრიგოლ ნოსელის თხზულება: „წმიდისა მოსე წინაჲსწარმეტყუელისა ცხორებისა თარგმანი" (თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, დაცულია ხელნაწერში A 108, 350-412).

მოსე – სომეხთა კათოლიკოსი VI-VII სს. მოკლაზე. მას უკურთხებია ეპისკოპოსად კირიონი (მომავალი კირიონ კათოლიკოსი) და როდესაც ქართლის კათოლიკოსის საყდარი განთავისუფლდა, მისი წინადადებითვე იკურთხა კათოლიკოსად. ქართლში, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ამ დროისათვის უკვე დიოფიზიტობას საქმაო სიმპათიები ჰქონდა მოპოვებული. კირიონიც საბერძნეთში იყო აღზრდილი დიოფიზიტურ ტრადიციებზე, ამიტომ ქართლში შემოსვლის შემდეგ გადაუდგა სომხურ მონოფიზიტობას. ამის გამო დაიწყო ქართლის ეკლესიასა და სომხებს შორის კამათი და მწვავე მიწერ-მოწერა. სამაბი იყო ცურტავის ეპარქიაში სომეხი ეპისკოპოსის, მოსეს მაგიერ ისეთი ადამიანის დანიშვნის მოთხოვნა, რომელმაც სომხურიც იცოდა და ქართულიც. იქაური შერეული მრევლის მოთხოვნილებათა თანაბრად დასაკმაყოფილებლად. ეს მიწერ-მოწერა კათოლიკოს მოსესა და კირიონს შორის შენახულია სომხურ ენაზე. იხ. „ეპისტოლეთა წიგნი" (გამოც. ზ. ალექსიძის მიერ, თბ. 1968).

მოსე – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. ხანცთის მონასტრის IX ს. მოღვაწე. გრიგოლ ხანცთელის მოწაფეებთან – მაკარი უძლურთან და არსენთან ერთად მოიხსენია და მოილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები და უკან დაბრუნებისას გრიგოლს მოუტანა მაკარისა და არსენის წერილი (ძეგლები. I, 302-303).

2. ოთხთა ეკლესიის X ს. მოღვაწე. მოხსენებულია „ოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში". მამა მოსესა და მამა გელასისაგან მიილო ოთანე მთაწმიდელმა, ეფთვიმეს მამამ, „ურთხება მონაზონობისა", ე. ი. აღკვეცა ბერად. შემდეგ, რადგან თანდათან გახმაურდა მისი შემონაზვნების ამბავი, ისევ მამა მოსესა და გელასისაგან მიილო ლოცა-კურთხევა და საბერძნეთისაკენ გაემართა, ულუმბოს მთაზე (ძეგლები, II, გვ. 43).

3. XVIII-XIX სს. ნეკრესელი დიაკონი, მწიგნობარი; 1802 წელს გადაუწერია თანამედროვე მღვდელმთავრის, ამბროსი მიქაძის „სწავლა გამოკრებული" (H 447).

4. V-VI სს. ტარსის ეპისკოპოსი, ქართველი მღვდელმთავარი, რომელსაც სომეხი ისტორიკოსი უხტანესი იხსენებს, როგორც ანტიქალკედონიტური დენის კრების (506 წ.) მონაწილეს („ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან", 1975 წ. გვ. 139).

5. ფორთის მონასტრის (ხოფ. ქედმო ფორთაში, ადგილ „ბაღნარში", ჭოროხის შენაკადის მდ. ოშურხევის ხეობაში, ამჟამად თურქეთის საზღვრებში) X ს. ხელოსანი, რომელსაც შეუსრულებია ლამპრიული წარწერა ამ მონასტრის მთავარი ეკლესიისათვის. წარწერაში მოხსენებული არიან ოთანე და ანჩელი თეოდორე.

6. IV-V სს. ქართველი მღვდელმთავარი. ბაკურ მეფის ბრძანებით დაუარსებია პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებელი (იხ. ჯაში).

7. ათონის იერთა მონასტრის XI ს. მოღვაწე. გარდაცვალების შემდეგ ეკლესიისათვის დატოვებია სამი კარგი ცხენი და მთელი ქონების მეოთხედი. ათონელ ბერებს მისთვის განუწესებიათ ალაი „ყოველთა გულმდგინებითა – ლაცითა, ჟამისწირვითა, პანაშვლითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა, ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა (ე. მეტრეველი, საალაე წიგნი, გვ. 172). ლ. მენაბდე ამგიცებს ოთხთა ეკლესიის მოღვაწე მოსესთან (ძველი ქართული მწერლობის კერპი, II, 1980 წ., 187). ხსენების დღე – სექტემბრის 4.

8. ხანცთის მონასტრის XI ს. მოღვაწე. მას შატბერდის ლავრისათვის 1085 წელს დაუშვადებია საწელიწდო საწინასწარმეტყველოს ხელნაწერი; ეს წიგნი ერთხანს დაუთ გარეჯის უდაბნოში ინახებოდა, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H 1350).

9. XI ს. კალიგრაფი. მოღვაწეობდა სამხრეთ საქართველოს სავანეებში, კერძოდ, ხანცთასა და შატბერდში. 1085 წელს ხანცთის მონასტერში მას გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი საწელიწდო-საწინასწარმეტყველო (A 1350), საშუალო ზომის 93-ფურცლიანი წიგნი (24, 5X8,3 სმ.), ნუსხურით შესრულებული ერთ სვეტად. მოსე საკმაოდ კარგი ოსტატი ყოფილა, თუმცა წიგნის გაფორმება უპრეტენზიოა. დამკვეთს, ეონმე ეგნატის, აღნიშნული წიგნი შატბერდის მონასტრისათვის ჰქონია გამიზნული. ანდერძში მოხსენებული არიან

მეუღეები - გიორგი II და დაით აღმაშენებელი.

მოსე ცურტაველი – ცურტაველი ეპისკოპოსი 599-605 წწ., წარმოშობით სომეხი. დაიბადა 569/70 წ. ტაშირის სოფ. მეკენკერტში, აღიზარდა ცურტავეში, პიტიახშის კარზე. შეისწავლა ქართული და სომხური მწიგნობრობა, გახდა ჯერ პიტიახშის კარის მოძღვარი, შემდეგ – ცურტავის ეპისკოპოსი. 605 წ. ზამთარში ქართლის კათოლიკოს კირიონ I-თან კონფლიქტის გამო მოსე ცურტაველი სომხეთში გაიქცა და დაბინავდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (პოვანავანქი), აქედან მიმოწერა გამართა სომხეთის ეკლესიის მესვეურებთან ქართლიდან გაქცევის მიზეზის შესახებ. მოსე ცურტაველი სთხოვდა მათ, დახმარებოდნენ საეპისკოპოსო ტახტის დაბრუნებაში, ცურტავეში სომხურენოვანი თემისათვის მონოფიზიტური მრწამსის შენარჩუნებაში. ამ მიმოწერას მოაყვა წერილების გაცვლა სომეხ და ქართველ საეკლესიო და საერო ხელისუფალთა შორის, დაიწერა აგრეთვე ცურტავის სომეხი მრევლისათვის სახელმძღვანელოდ სპეციალური ტრაქტატები შობილი ეკლესიის ისტორიის შესახებ. ყველაფერმა ამან ჩვენამდე მოაღწია „ეპისტოლეთა წიგნის" სახით (ძვ. სომხ. ენაზე), რომლის I ნაწილი, ზოგი მკვლევარის აზრით, მოსე ცურტაველის შედგენილი უნდა იყოს (გამოცემულია ზ. ალექსიძის მიერ, 1968 წ.).

მოსე შავი († დახლ. 400 წ.) – IV ს. II ნახევრის ეგვიპტელი მონაზონი, მოშვ. წარმოშობით ეთიოპიელი იყო, შავი პირისახე ჰქონდა და ამიტომ ეწოდა „შავი". ახალგაზრდობაში ერთი წარჩინებულის მონა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მკვლელობა ჩაიდინა, ბატონმა გაბეზა იგი და მოახვედა ავაზაკთა ბანდაში. ხასიათის სიმტკიცისა და დიდი ფიზიკური ძალის გამო მოსე ყაჩაღთა მეთაურად აირჩიეს. იგი დანარჩენ ყაჩაღებთან ერთად მრავალ ბოროტმოქმედებას სჩადიოდა: ხოცავდა და ძარცვავდა ხალხს, შიშის ზარს სცემდა ყველას მარტო თავისი სახელის ხსენებითაც კი. რამდენიმე ათეული წელი გაატარა მოსემ ასეთი ცოდვილი ცხოვრებით, მაგრამ ბოლოს ღვთის მოწყალებით მოინანია, დატოვა ყაჩაღთა ბანდა და ერთ უდაბნო ადგილს მიაშურა. მონასტერში მოსე მწარედ დასტიროდა თავის ცოდვილ წარსულს და უსიტყვო მორჩილებას ასრულებდა. ხანგრძლივი მოღვაწეობისა და ენებებზე გამარჯვების შემდეგ მოსე ჯერ დაკენან აკურთხეს, შემდეგ კი – მღვდლად. ამ ხარისხში ღირსმა მამამ 15 წელი გაატარა და თავის ირგვლივ 75 მოწაფე შემოიკრიბა, მათ შორის მისი ყოფილი ბანდის მრავალი წევრი. როცა 75 წლისა შესრულდა, მოსემ გაანერთხილა თავისი მოწაფენი: ჩვენს საკრებულოს მალე ყაჩაღები დაესხმიან თაეს და ვისაც აქ ნახავენ, ყველას ამოწყვეტენო. წმინდა მოხუცმა ყველას ურჩია, დროულად გასცლოდნენ მოძალადეთა მახვილს და მისცა ლოცვა-კურთხევა. მოწაფეებმა სთხოვეს, მისეც გაყოლოდა ლტოლვილებს, მაგრამ მან უპასუხა, რომ იგი დიდი ხანია ელოდება იმ დღეს, როცა მასზედაც აღსრულდება იესო ქრისტეს სიტყვები: „ყოველმან რომელმან აღილის მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს" (მათე 26, 52). ბერები წავიდ-წამოვიდნენ. მოსესთან დარჩა მხოლოდ 7 მოწაფე. ყაჩაღთა თაედასხმის დროს ერთ-ერთმა მათგანმა მოასწრო დამალვა და ცოცხალი გადარჩა, დანარჩენები კი, ღირს მოსესთან ერთად ყაჩაღთა ხელით აღსრულნენ. მოსე შავის ხსენების დღე – 28 აგვისტო. მისი მეტაფრასული „ცხოვრების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. I, 551-557.

მოსეს მცნებანი – ღვთის მიერ მოსესადმი სინის მთაზე მიცემული 10 მცნება (გამოსლ. 20,1-17). ბიბლიის თანახმად, ამ მცნებების წარმოთქმის დროს მთა ღრუბელმა დაფარა და აკუმლდა, ისმოდა საყვირის ხმა, ხალხი ხედავდა ანთებულ ლამპრებს, რომელსაც ელვა და ჭექა-ქუხილი ენაცვლებოდა. ღმერთმა მოსეს მცნებები მისცა სამუდამოდ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ რჩეული ერისათვის ზნეობრივი სრულყოფის ნიმუში (იხ. ათი მცნება).

მოსეს სამართალი – კანონები, გადმოცემული ბიბლიის მე-5 წიგნში – „მეორე სჯულთაში", რომელსაც მოსე წინასწარმეტყველს მიაწერენ. მეცნიერება ძეგლის შედგენის თარიღად მიიჩნევს ძვ. წ. 622 წ. მოსეს კანონები მოქცეული სამართალი იყო საკრისტიანო მსოფლიოში. იგი ძველი დროიდანვე საქართველოშიც მოქმედებდა. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში მოსეს სამართალი შეტანილია პირველ წიგნად. იგი შედგება 52 მუხლისაგან და წარმოადგენს გამონაკრებს „მეორე სჯულთას" V წიგნის მე-5, 13-27 თავების მუხლებიდან. ტექსტი შემოკლებული სახითაა გადმოღებული. სამართლის წიგნი იწყება ათი მცნებით და უმთავრესად სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო სამართლის ნორმებს შეიცავს. ბიბლიური კანონმდებლობის წყრნის შედეგნა არა მარტო „მეორე სჯულთას", არამედ „გამოსლვათა" წიგ-

ნის მიხედვითაც უცდიათ საქართველოში, ვახტანგის კრებულის შედგენამდე.

მოსქენაჩხუარა – მთა გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოში, ხირზენის კალთაზე. აქ წელიწადში ორჯერ – აპრილსა და ოქტომბერში იმართებოდა ქრისტიანულად აღაპტირებული წარმართული დღესასწაული – წაჩხურობა. მოსქენაჩხუარაში ესვენა ღვთისმშობლის სატი, რომელსაც მორწმუნე ადამიანი შეილიერებასა და ნაყოფიერებას უკავშირებდა და ამიტომ წაჩხურობის ძირითადი შინაარსიც შვილიერების თხოვნა იყო. აქ უძველესი დროიდან ყოფილა მოსქეს კულტი. უშვილო ქალი გააკეთებინებდა სატარა აკვანს. აკვანს ყველაფერით გაწყობდნენ, შიგ სატარა თოკინას ჩაწუენდნენ, ჩამოკიდებენ ორ სანთელს და უშვილო ქალს თეთრ ტანსაცმელში გამოაწყობდნენ. სალოცავში თან მიაყვადათ შეპირებული შესაწირავი: მამალი, ან ბატკანი და იქ ცოცხლად უშვებდნენ. „წაჩხურობას" დღესაც ესწრება დიდძალი ხალხი, როგორც სამეგრელოდან, ისე მთელი კოლხეთიდან.

„მოქალაქობაჲ და ვაჭრობაჲ ფშაველი აბიბოს ნეკრესელი ქრისტეანესაჲ" – არსენ I დიდის თხზულება, რომელშიც აღწერილია ერთი ასურელ მამათაგანის – წმ. მღვდელმოწამის, აბიბოს ნეკრესელის (VI ს. II ნახ.) ცხოვრება და წამება (ძეგლები, I, 240-248; იხ. აბიბოს ნეკრესელი).

მოქვი – სოფელი ოჩამჩირის რაიონში, მდ. მოქვის ნაპირზე, ოჩამჩირიდან 17 კმ. მოქვში დგას X ს. საკათედრო ტაძარი, რომელიც ადრე აფხაზთა მეფემ ლეონ III-მ (957-967 წწ.). ტაძარი სამნაოიანია, სამლოცველოების მწკრივით განაპირა ნაების გასწვრივ. აღმოსავლეთ მხრიდან სამი შეერილი აბსიდი აქვს. საკურთხეველს აბსიდი შიგნიდან ნალისებური ფორმისაა, გარედან – ხუთწახნაგა. გუმბათი ეყრდნობა შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ ბოძს. კეკლუტრედან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. გუმბათის თორმეტწახნაგა ყელი დაბალია. შენობა შეშოსილია თლილი ქვის პრანგით. ტაძარს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები. იხ. მოქვის სახარება.

მოქვის სახარება – გადაწერილია 1300 წელს დანიელ მოქველ მთავარეპისკოპოსის შეკვეთით (Q 902). ხელნაწერი შემკულია მრავალი ძვირფასი მინიატურით, რომელიც ეკუთვნის შესანიშნავ მხატვარსა და კალიგრაფს ეფრემს (XIII-XIV სს.). სახარება მოზრდილი ფორმატის წიგნია (30 X 23 სმ., 328 ფურც.), კლასიკური ნუსხურით ნაწერი ორ სვეტად. ეს ერთი უმდიდრესი ქართული ხელნაწერთაგანია მინიატურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ (152 მინიატურა და 531 საზედაო ასო). მორთულობისათვის გამოყენებულია მცენარების, ფრინველებისა და ცხოველების ფიგურები. წერილი და სხვა ფრინველები ამკობენ კამარათა ანტაბლემენტებს. საზედაო ასოებს კი ქმნიან ყელგადაწყობილი ფარშევანგები, მტრედები და სხვ. ხელნაწერი ამშვენებდა ძლიერ დაზიანებულია. დაცულია სპქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მოქცევა – 1. ძვ. მთარგმნელობითი ლიტერატურის ჟანრი, რომელიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას ქვეყნებსა და ხალხებში. ასეთია: „მოქცევაჲ ქართლისაჲ", „მოქცევაჲ აფხაზთაჲ", „მოქცევაჲ ჰერეთისაჲ", „მოქცევაჲ ოსთაჲ", „მოქცევაჲ ალანთაჲ", „მოქცევაჲ ჰაგარელთაჲ" და სხვ. 2. სარწმუნოებისაკენ შემობრუნება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" – ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულება. ცნობილია მისი შატბერდული და ჭელიშური რედაქციები. შატბერდის კრებული, რომელიც აღმოაჩინა (1888 წ.) და გამოაქვეყნა (1890 წ.) ე. თაყაიშვილმა, გადაწერილია X ს. 70-იან წლებში შატბერდის მონასტერში იოანე ბერას ხელმძღვანელობით. ჭელიშის კრებული (მიაკვლიეს 1903 წ. ჭელიშის მონასტერში) შედგება ორი ნაწილისაგან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" მოთავსებულია კრებულის იმ ნაწილში, რომელიც XIV-XV სს.-ში უნდა იყოს გადაწერილი. ორივე რედაქცია ნაკლულია, ჭელიშურს დასაწყისში აკლია ფურცლები, შატბერდულს – შუაგან. ჭელიშური რედაქცია უფრო ვრცელი და მრავალსიტყვაობია, თუმცა შატბერდული ბევრად უფრო უხეია ცნობებით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული ორი თხზულებისაგან შედგება: I ნაწილში, რომელსაც „ქრონიკას" უწოდებენ, მოკლედ არის გადმოცემული ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX ს-მდე. II ნაწილი, რომლის სახელწოდებაა – „ნინოს ცხოვრება", მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორიას გადმოგვეცემს (იხ. „ნინოს ცხოვრების" რედაქციები).

ძირითადი გამოცემებია: ე. თაყაიშვილი – სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ. 1890 წ.; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედ. თბ., 1963 წ.; შატბერდის კრებული X ს-ისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გოუნაშვილის გამოც. თბ., 1979 წ.

მოქცევი – დროის გარკვეული მონაკვეთი;

„მობრუნება ჟამთა და წელთა, ანუ მნათობთა ცისათა, ვითარ მზისა, მთოვარისა“ (6. ჩუბინაშვილი). იხ. მზის მოქცევი, მთვარის მოქცევი.

მოღვაწება – მონაზვნობა, მონაზვნური ცხოვრება. მოღვაწე ხანდახან მებრძოლსაც აღნიშნავდა (II ტიმ. 4,4) უფრო ფართო მნიშვნელობით მოღვაწეობა ნიშნავდა ყოველგვარ ღვთივსათნო საქმიანობას, საღვთო მსჯელობის მოხეცხას. ცნობილია ბასილი დიდის სიტყვა „მოღვაწეობათა განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს“, შეტანილი მის „ასკეტიკონში“. ქართულად არსებობს მისი ორი რედაქცია; 1) უფრემ მცირის თარგმანი (A 132; A 689); 2) პროკოპი მღვდლის თარგმანი (A 63). ცნობილია აგრეთვე მელეტი ანტიოქელის თხზულება „მოღუწეებისათჳს აღსებისა“ (დაცულია ხელნაწერში: Ath. 11,98-100). იმავე ავტორს ეკუთვნის თხზულება: „წმიდასა აღსებასა საკითხავი ადგომისათჳს მკურვეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (Ath. 11,107-115; A 1109,118-128).

მოყვასი – ახლობელი, ნათესავი, ამხანაგი, მეგობარი; კაცი, რომლის სიყვარულიც გვმართებს; ქრისტიანული გაგებით – ყოველი ადამიანი. „მოყვასის“ ანტონიმად საღვთო წერილში იხმარება „მტერი“ (ლევ. 19, 17; 12, 17-18; მთე 5, 43-44). იესო ქრისტეს სიტყვით მოყვასის სიყვარული ერთ-ერთი უდიდესი საღვთო მცნებაა (მთე 22,39; მარკოზი 12,31-33; ლუკა 10,27). ვინ არის ადამიანისთვის მოყვასი? – ამ კითხვას სცემს პასუხს მაცხოვრის იგავი მოწყალე სამარიტელზე (ლუკა 10,29-370. „მოყვასი“ აღნიშნავდა ეკლესიის მსახურსაც (იხ. „დიდი სჯულისკანონი“, VI კრების 9 კანონი, ხალკ. 9, 10 კანონები და სხვ.).

მოშურნენი – 1. სარწმუნოებრიე-პოლიტიკური პარტია ისრაელში, რომელსაც თავდაპირველად წმინდა რელიგიური ხასიათი ჰქონდა. იგი აერთიანებდა ყველას, ვინც დიდ მოშურნეობას (ვულმოდგინებას) გამოიჩენდა რწმენის საკითხებში. ამ წოდებით მოიხსენიებდნენ თვით ღმერთს (გამოსლ. 20,5 და სხვ.). რომაელთა მიერ ისრაელის დაპყრობის შემდეგ მოშურნეთა პარტია სარწმუნოების დაცვასთან ერთად ქადაგებდა რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლას და იგი იქცა ისრაელის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის უმთავრეს ძალად. ლუკა მახარებელი მოშურნედ მოიხსენიებს მოციქულ სვიმონს (ლუკა 6,15), სვიმონ-პეტრესაგან განასხვავებლად. მათე და მარკოზ მახარებლები მოიხსენებენ „კანანელად“ (მთე 10,4; მარკოზი 3,18), რაც ებრაულ ენაზე მოშურნეს ნიშნავს. აპოკრიფული გადმოცემებით, მოშურნეთა პარტიას ეკუთვნოდა აგრეთვე ბარაბა, რომელსაც მარკოზ მახარებელი მეშფოთეს უწოდებს (15,70), იოანე მახარებელი კი – ავაზაკს (18,40). 2. კეთილი მისწრაფებების მქონე; ის, ვინც კეთილს ეშურება. ამ ეპითეტითაა მოხსენებული მეფე დავით ალმაშენებელი რუის-ურბნისის კრების მეგლისწერაში, „მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის“. (მეგლისწერა, გე. 194, 11).

მოციქულები – იესო ქრისტეს რჩეული 12 მოწაფე, მისი მუდმივი თანამგზავრები და ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ ქრისტიანულ საზოგადოებათა მეთაურები. ისინი გამოარჩია თავად უფალმა იესო ქრისტემ წმ. ეკლესიის დასაარსებლად (მათე 10,2-4; მარკოზი 3,14-19; ლუკა 6,13-16; გამოცხ. 21,14). საგანგებოდ იყო გამორჩეული პაულე წარმართთა მოციქულად (რომ. 11,13). თავიდან იესომ მოუწოდა პირველ ოთხ მოწაფეს, რათა ისინი „კაცთა მესაზეველებად“ ექცია (მათე 4,18-22), შემდეგ კი – დანარჩენ რვას: პეტრე (სჳმონი), ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფეს ძე, თადეოსი, სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი. როდესაც იესოს მეთორმეტე მოწაფემ, იუდამ მოძღვარი გასცა და შემდეგ კი თავი ჩამოიხრჩო, დანარჩენმა თერთმეტმა მოციქულმა მის ნაცვლად კენჭისყრით იესო ქრისტეს სამოციდაათ მოწაფეთაგან აირჩია ერთ-ერთი – მატათა (საქმენი 1,15-26). მოციქულებად გამორჩეული იყვნენ უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები, მაგრამ მათი გული ისეთი სიყვარულით იყო მოცული ქრისტეს მიმართ და ისე ღრმად მიიღეს მისი მოძღვრება, რომ ქრისტემ სწორედ ისინი ჩათვალა მოციქულობის ღირსად. უბრალო ადამიანების განბრძნობით ქრისტემ არცხვინა უღმერთო სწავლულნი და ცხადად გამოაჩინა, რომ კაცთათჳს შეუძლებელი – ღვთისათჳს შესაძლებელია. იესომ თორმეტი მოწაფე იმიტომ გამოარჩია, რომ მათაც ექადაგათ სახარება მრავალრიცხოვან მიმდევართათჳს და განეკურნათ ეშმაკეულნი (მარკ. 3,14). იესო აუვლებს მოციქულებს, ილაპარაკონ მისი სახელით (მარკ. 6, 6-13), დაიმოწყალონ მთელი კაცობრიობა და ნათელ-სცენ ყოველ ადამიანს „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28,18-20). მოციქულებს მიეცათ „შეკვრისა“ და „განხსნის“ უფლება (მათე 18,18). მათზე გადმოვიდა სულიწმიდა და განაბრძნო ისინი (საქმე

2,1-13). იესომ მოციქულებს მისცა სრული ძალაუფლება ეკლესიაზე; ვინც მათ დაემორჩილება, ღვთის მორჩილად ჩაეყენებოდათ (ლუკა 10,16). ამრიგად, „მოციქულის" წოდება კარგად ასახავს იმ მისიას, რაც მათ ღვთისაგან მიიღეს. მოციქული, საზოგადოდ, ეწოდება შუამავალ ადამიანს, რომელიც რაიმე მიზნით ერთი ადამიანისაგან შეორესთანაა მიგზავნილი. ამიტომაც მიიღეს ასეთი წოდება იესო ქრისტეს მოწაფეებმაც, რომელნიც მაცხოვარმა წარგზავნა მსოფლიოს ყველ კუთხეში საქადაგებლად. სულხან-საბას განმარტებით, მოციქული არის „ღმრთის მიერ მოვლინებული სჯულის მასწაელებელი". გარდა სჯულის სწაელებისა, მათ დიდი ძალა ჰქონდათ მინიჭებული: ქრისტეს სახელით ახდენდნენ სასწაულებს, მიუტევებდნენ ცოდვებს, „ალტებდნენ" უშმაკთ. რამდენადაც ქრისტეს გვერდით ისინი სუსტნი იყვნენ, იმდენად ძლიერი და მხნე გახდნენ მისი სიკვდილის შემდეგ. ალდგომილი მაცხოვრის გამოცხადებამ და სულიწმიდის გარდამოსვლამ კი საბოლოოდ აქცია ისინი მგზნებარე მქადაგებლებად. თორმეტი მოციქული გახდა ფუძემდებელი ახალი ისრაელისა — ქრისტიანული ეკლესიისა (ისე, როგორც იაკობის 12 ეჯისაგან წარმოიშვა ისრაელის 12 ტომი). სახარების თანახმად, თავად ისინი იქნებიან მისი მსაჯულნი უკანასკნელ დღეს (მათე 19, 28). გარდა თორმეტი მოციქულისა, ეს წოდება მიენიჭა ქრისტეს სხვა სამოცდაათ მოწაფეს, რომელთაც დიდად იღუაწეს ქრისტიანობის გავრცელებისათვის მთელ მსოფლიოში. მათი სამოციქულო საქმიანობა ვრცლადაა აღწერილი ახალი აღთქმის ისტორიულ წიგნში: „საქმე მოციქულთა", განსაკუთრებით — პეტრე და პაველ მოციქულებისა. თავდაპირველად მოციქულებმა ეკლესია დაიარსეს იერუსალიმში. წარმართთა ნათლისღება კი დაიწყო პეტრე მოციქულის ინიციატივით (საქმე 11,1-18). მოციქულებმა ქრისტიანობის ქადაგებით შემოიარეს რომის იმპერიის ყველი კუთხე, ახლო აღმოსაელეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები. გადმოცემით, საქართველოში ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს. ერთ-ერთი ვერსიით, სვიმონ კანანელი საქართველოში ეწვამა და ახალ ათონშია დაკრძალული („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" მოწმობით).

მოციქულთა შესხმისა და მათი ღვაწლის აღწერას ეძღვნება რამდენიმე თხზულება, რომელიც ქართულადაც უთარგმნიათ. მათ შორის: 1. „ათორმეტი მოციქულის შესხმა" (იენისის 30), ნიკიტა ფილოსოფოსის (პაფლაღონელის) თხზულება; დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 3,320-328. 2. იმავე თემას შეეხება იოანე ოქროპირის თხზულება, დაცული იმავე ხელნაწერში (ფ. 239-330), აგრეთვე სხვა შესხმა (A 272, 281-283; A 674, 173-175; Jer. 23, 378-380). 3. „საკითხავი მოციქულთაჲ" — სვეტრიან გამალოელის († 408 წ.) თხზულება. დაცულია კლარჯულ მრავალთავში: A 144,316-325. 4. დროთეოს ტყრილის თხზულება უფლის სამოცდაათ მოწაფის (მოციქულის) შესახებ. შეტანილია ხელნაწერებში: A 95,156-161; A 144,320-333; მეორე თარგმანი ამ თხზულებისა ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს და მთავსებულია მის სვინაქსარში: A 193,359-363; A 222; A 257 და სხვ.

მოციქულთა კრება — გაიმართა იერუსალიმში 51 წ. წარმართთა წინადაცვეთის საკითხის განსახილველად. ქრისტიანობაზე მოქცეული ებრაელები მტკიცედ მოითხოვდნენ ამ ტრადიციისა და მოსეს სჯულის სხვა წესების დაცვას (საქმენი 11,3). მოციქულთა კრებამ, რომელსაც პეტრე თავმჯდომარეობდა, უარყო აღნიშნული წესების დაცვის აუცილებლობა, რითაც ქრისტიანობისაკენ გზა გაუხსნა წარმართთ.

მოციქულთა კანონები — ასე ეწოდება არა იმიტომ, რომ თითქოს ისინი დაწერილია მოციქულთა ხელით, არამედ იმიტომ, რომ ისინი შედგენილია ძველი (მოციქულთა დროინდელი) ეკლესიის წყაროებთა გადმოცემების საფუძველზე. ისინი შემუშავებულ იქნა ადგილობრივ კრებებზე ნიკეის I კრებამდე. თავდაპირველად ისინი ცნობილი იყო ყველა ეკლესიათვის, მაგრამ ნაწილ-ნაწილ ინახებოდა სხვადასხვა ეკლესიაში. სწავლულთა აზრით, ერთ მთელად ისინი შეკრებილი იყო სხვადასხვა პირის მიერ, სხვადასხვა დროს და არა უადრეს IV ს. დასაწყისისა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, იგი შეუდგენია რომის ეპისკოპოსს კლემენტის (V ს.). კანონების თავდაპირველი მნიშვნელობა მდგომარეობდა არა მათ საეკლესიო-სამართლებრივ ხასიათში (ასეთი მნიშვნელობა მან მხოლოდ VI მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ შეიძინა), არამედ დაფუძნებული იყო პირველ სამ საუკუნის გადმოცემებსა და საეკლესიო პრაქტიკისადმი (რომელიც მათში ჩანაცხადა ასახვას) ღრმა პატივისცემაზე, ასევე მის არსებით ერთიანობაზე ახალი აღთქმის მოძღვრებასთან. კრებები და წმ. მამები არ განსაზღვრავენ მოციქულთა დადგენილებების რიცხვს. რომაელმა პაპმა დიონისე მცირემ (V ს. მიწურული) პირველმა მოათავსა

ის აღმოსავლეთის ეკლესიის კანონების ლათინურ თარგმანში (კანონების რიცხვი იყო 50). VI ს. საეკლესიო მწერალმა იოანე სქოლასტიკოსმა (შემდგომში კონსტანტინე პატრიარქი) თავის საეკლესიო კანონთა კრებულში მოათავსა მოციქულთა კანონები, რიცხვით 85. ტრულის კრებამ სცნო ისინი კანონიკურად, ავრეთვე რიცხვით 85. აღმ. ეკლესიის ცნობილი კანონისტები (ფოტი, ბალზამონი, ზონარა და სხვ.) კანონიკურად თელიან 85 კანონს. დას. ეკლესია კი დღემდე სცნობს მის პირველ 50 წესს, დანარჩენ 35-ს კი საეჭვოდ მიიჩნევს, თუმცა ათავსებს თავის საეკლესიო კანონთა კრებულებში.

მოციქულთა კანონები წარმოადგენენ უძველეს საეკლესიო დამოკიდებულებათა ამსახველ სამართალძეგლ დოკუმენტებს, ამიტომ ისინი საფუძვლად დაედო მთელ შემდგომ კანონმდებლობას. კრებები, დაწყებული IV ს-დან, ეყრდნობიან რა მათ სიძველეს, გმობენ მათგან ყოველგვარ გადახრას (I მსოფლიო კრების 2 და 15 კანონი, II მს. კრების 6 კანონი, ლაოდიკიის 21 კანონი და სხვ.) და თავის დადგენილებებს მათი ავტორიტეტით ამაგრებენ (III მს. კრების 8 კანონი, IV მს. კრების 40 კანონი და ა. შ.). მოციქულთა კანონები „დიდი სჯულისკანონის" სხვა თაეებთან ერთად ქართულ ენაზე უთარგმნია არსენ იყალთოელს (XI ს. მიწერილს). გამოცემულია 1975 წელს (გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გვ. 216-226).

მოციქულთა ლიტურგიები – განწესებანი ჟამისწირვისა, რომლებიც დაწერილი იყო წმ. მოციქულთა მიერ. ლიტურგია, ანუ სალვთო მსხვრპლის შეწირვა (ჟამისწირვა) დაწერა თვით უფალმა იესო ქრისტემ საიდუმლო სერობაზე და მოწაფეებს ამცნო: „ამას ყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა" (ლუკა 22,19). ამ მცნების თანახმად, წმ. მოციქულებმა დაწერეს ჟამისწირვის წესები, რომლებსაც ასრულებდნენ მღვდელმსახურნი მათ მიერ დაარსებულ ეკლესიებში. უმთავრესად ცნობილია ჟამის-წირვის წესები წმ. პეტრე მოციქულისა (ითვლება ანტიოქიისა და რომის პირველ მღვდელმთავრად), წმ. მარკოზ მახარებლისა (ალექსანდრიის პირველი მღვდელმთავარი) და წმ. იაკობ მოციქულისა, უფლის ხორციელი ძმისა (იერუსალიმის პირველი მღვდელმთავარი). საქართველოში უძველეს დროში იხმარებოდა იაკობ მოციქულის ჟამისწირვა. მოციქულთა ჟამისწირვები საეკლესიო პრაქტიკიდან გამოვიდა VI ს-ში, მას შემდეგ, რაც დამუშავდა კონსტანტინეპოლური ლიტურგიები (იხ. ლიტურგია).

მოციქულთა მარხვა – პეტრე-პავლობის მარხვა. ამ მარხვის თავისებურებაა ის, რომ აღდგომის დღის მიხედვით, ხან უფრო ხანგრძლივია (5 კვირა და მეტიც), ხან – ხანმოკლე (1 კვირამდე). მოციქულთა მარხვა იწყება სულთმოფენობიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ – ორშაბათ დღეს და გრძელდება პეტრე-პაელობამდე (29 ივნ.) მაშასადამე, ამ მარხვის დასაწყისი მოძრავია, დასასრული – უძრავი. იხ. მარხვა; პეტრე-პაელობა.

მოციქულთასწორი – ასე უწოდებს ეკლესია იმ წმინდა მოღვაწეთ, რომელთაც მოციქულთა დარად იქადაგეს და სხვადასხვა წარმართულ ქვეყანაში გაავრცელეს ქრისტიანობა. მოციქულთა სწორნი არიან: მარიამ მაგდალინელი, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე დიდი და დედოფალი ელენე, ქართველთა განმანათლებელი ქალწული ნინო, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, სლაეების განმანათლებელნი – კირილე და მეთოდე, მთავარი ვლადიმირი და სხვ.

მოძრავი დღესასწაულები – გარდამავალი დღესასწაულები; ასე ეწოდება აღდგომაზე დამოკიდებულ დღესასწაულებს, რომლებიც ყოველწლიურად სხვადასხვა თვესა და რიცხვში მოდის. ასეთებია: 1) იერიქის ღვთისმშობლის ხატის გამოცხადება ათონის მთაზე ბრწყინვალე შეიდეულის სამშაბათს. 2) თომას კვირა, ახალი კვირა აღდგომის სწორს. 3) გარეგნობა (აღდგომის მომლოცველობა) – აღდგომის მეორე დღეს. 4) მენელსაცხებლეთა კვირიაკე აღდგომიდან III კვირას. 5) განრღეეულის კვირიაკე – აღდგომიდან IV კვირას. 6) განზოგება (განახევრება) ერგასიაა – აღდგომიდან IV შეიდეულის ოთხშაბათს. 7) სამარიტელის კვირიაკე – აღდგომიდან V კვირას. 8) განზოგების წარგზავნა – აღდგომიდან V შეიდეულის ოთხშაბათს. 9) ბრმის კვირიაკე – აღდგომიდან VI კვირას, იმავე დღეს – თაყვანისცემა ღვთისმშობლის ხატისა „მაყვალი შეუწველი". 10) პასექის წარგზავნა – აღდგომიდან VI შეიდეულის ოთხშაბათს. 11) ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი – აღდგომიდან მე-6 შეიდეულის ხუთშაბათს. 12) ამაღლების წარგზავნა – აღდგომიდან VII შეიდეულის პარასკევს. 13) მიცვალებულთა ხსენება – აღდგომიდან VII შეიდეულის შაბათს. 14) მეერგასე, სულიწმიდის გარდამოსვლა – აღდგომიდან VIII კვირას. 17) მამამთაყართა კვირიაკე (წმიდათა მართალთა

მამათა კვირიაკე) – ქრისტეს შობამდე 2 კვირით ადრე. 18) ქრისტეს შობის წინა შაბათი. 19) წმიდათა მამათა კვირიაკე – ქრისტეს შობის წინა კვირადღეს. 20) ქრისტეს შობის შემდეგი შაბათი (ღვთის განცხადების წინა). 21) ქრისტეს შობის შემდეგი კვირიაკე (ღვთის განცხადების წინა). 22) ღვთის განცხადების შემდეგი შაბათი. 23) ღვთის განცხადების შემდეგი კვირიაკე. 24) მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე – დიდი მარხვის დაწყებამდე სამი კვირით ადრე. 25) უძღები შვილის კვირიაკე – მეზვერისა და ფარისეველის კვირის შემდეგი კვირა. 26) მსოფლიო შაბათი (მიცვალებულთა ხსენება) – უძღები შვილის კვირიაკის შემდეგ შაბათი დღეს. 27) ხორცის აღების კვირიაკე – უძღები შვილის კვირიაკის სწორზე (საშინელი საშჯოყრის ხსენება). 28) ყველიერი (ხსნილი ყველითა და კვერცხით) – ხორცის აღების კვირიაკედან დიდი მარხვის დაწყებამდე (ერთი შვიდეული). 29) ყველიერის აღება – ხორციელის აღების კვირიაკის სწორზე (დიდი მარხვის დაწყების წინა დღეს) – სამოთხიდან ადამის განდევნის მოხსენება. 30) დიდი მარხვის I კვირიაკე – მართლმადიდებლობისა. 31) დიდი მარხვის II შვიდეულის შაბათს – მიცვალებულთა ხსენება. 32) დიდი მარხვის III შვიდეულის შაბათს – მიცვალებულთა ხსენება. 33) დიდი მარხვის III კვირიაკე – ჯვრის თაყვანისცემისა. 34) დიდი მარხვის IV შვიდეულის შაბათს – მიცვალებულთა ხსენება. 35) ღვთისმშობლის დაუჯდომელის შაბათი – დიდი მარხვის V შვიდეულის შაბათს. 36) ლაზარეს აღდგინება – დიდი მარხვის VI შვიდეულის შაბათს. 37) ბზობა (ბაიაობა) – შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი – დიდი მარხვის VI კვირას. 38) ენების შვიდეული – ბზობიდან აღდგომამდე. 39) საიქუმლო სერობა – დიდ ხუთშაბათს (ენების შვიდეულის ხუთშაბათს). 40) ქრისტეს ვნებანი – დიდ პარასკევს (ენების შვიდეულის პარასკევს). ხალხურად „წითელი პარასკევიც“ ეწოდება. აღნიშნულ მოძრავ დღესასწაულთა გარდა არსებობს მოძრავი საეკლესიო ხსენებანი და ხალხური დღესასწაულები.

მოძრავი საეკლესიო ხსენებანი – ასე ეწოდება ზოგიერთი წმინდანისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებას, რომელიც სრულდება ყოველწლიურად სხვადასხვა თვესა და რიცხვში. ეკლესიის მიერ წმინდანთა თითოეულ დასში შერაცხილ თითოეულ წმინდანს დაწესებული აქვს ხსენების დღე, როდესაც ეკლესია ზეიმით აღნიშნავს ამ წმინდანის ხსენებას (ანუ მის ხსენებას აღასრულებს), მაგრამ ზოგიერთი წმინდანის ხსენება დადებულია არა რომელიმე მუდმივ თვესა და რიცხვში, არამედ იცვლება აღდგომის დღის ცვალებადობასთან დაკავშირებით, ე. ი. ასეთი ხსენების დღე მოძრავია. მოძრავი საეკლესიო ხსენებანი შემდეგია: 1) 6000 ღირსი მოწამისა, დაეთმგარეულის მონასტერში ამოწყვეტილისა – ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. 2) მენელსაცხებელ დედათა კვირიაკე – III კვირას აღდგომის შემდეგ. ამ დღეს მოვიხსენებთ მენელსაცხებლე დედებს: მარიამ მაგდალინელს, მარიამ იაკობისას, მარიამ კლეოპასას, სალომეს, იოანას, მართას და მარიამს (ლაზარეს დებს), სუსანასა და სხვებს. ამაღე დღეს მოიხსენიებიან უფლის საიდუმლო მოწაფეები: იოსებ არიმათიელი და ნიკოდიმოსი, აგრეთვე წმიდა კეთილშობილი თამარი, მეფე საქართველოსი. 3) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 318 ღირსი მამის ხსენება – VII კვირას აღდგომის შემდეგ. 4) ღირსი მამის დიდო გარეჯელისა – აღდგომის შემდეგ VII შვიდეულის ოთხშაბათს. 5) ღირსი მამის დავით გარეჯელისა – აღდგომის შემდეგ VII შვიდეულის ხუთშაბათს. 6) ყოველთა წმიდათა – სულიწმიდის მოფენის შემდეგ პირველ კვირას. 7) ყოველთა ათონელთა მამათა – სულიწმიდის მოფენის შემდეგ II კვირას. 8) VII მსოფლიო საეკლესიო კრების ღირსთა მამათა – 11 ოქტომბრის წინა კვირა დღეს. 9) ღირსი მამის შიო მღვიმელისა – ყველიერის ხუთშაბათს. 10) ყოველთა ღირსთა მამათა – ყველიერის შაბათს. 11) წმ. დიდი მოწამის თეოდორე ტირონისა – დიდი მარხვის პირველი შვიდეულის შაბათს. 12) წმ. მღვდელმთავრის გრიგოლ პხლამისი, თესალონიკელი მთაწმიდელი პოსისა – დიდი მარხვის II კვირას. 13) ღირსი მამის იოანე კლიმაქსისა – დიდი მარხვის IV კვირას. 14) ღირსი დედის მარიამ მეგვიპტელისა – დიდი მარხვის V შვიდეულის ხუთშაბათსა და V კვირას. 15) წმ. იოსებ არიმათიელისა – დიდ ორშაბათს. მოძრაობა აგრეთვე წმ. გიორგის, წმ. თეოდორეს და ზოგიერთი სხვა წმინდანის მოხსენების დღეები, რომლებიც ქართულ ხალხურ დღესასწაულს უკავშირდებიან (იხ. ხალხური დღესასწაულები).

მოძღვართმოძღვარი – 1. უმაღლესი სასწავლებლის რექტორის აღმნიშვნელი ტერმინი ძვ. საქართველოში. გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა მოძღვართმოძღვარი, წინამძღ-

ვარი კი გელათის სამონასტრო საქმეების განაგებდა. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ტერმინი „მოძღვართმოძღვარი" ბიზანტიის უმაღლესი სკოლის მეთაურის სახელწოდებას ენათესავება (დიდასკალოს ტონ დიდასკალონ). შემდგომი დროის დოკუმენტებში მოძღვართმოძღვარი უკვე ზოგიერთი მონასტრის წინამძღვარსაც ერქვა. ტერმინი დასტურდება XIX ს-მდე.

2. „უფროსი წინამძღვარი, წინამძღვართუფროსი" (სულხან-საბა). გაერთიანებულ საქართველოში ასეთი წოდება ენიჭებოდა ოთხ უმაღლეს იერარქს შორის უპირველესს. „ცხელშიფის კარის გარიგების" (XIV ს. ძეგლი) მიხედვით, „ამ ოთხთაგან (მოძღვართმოძღვარი, ორი კათოლიკოსი და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი) ერთი საჯდომი მარჯვენით (მეფისა) დაუწერია მოძღვართმოძღვრისა". მაშასადამე, მოძღვართმოძღვარს უპირველესი ადგილი ეჭირა მიწების დროსაც. პირველად მას იწვევდნენ მეფესთან და მეუღე ყველაზე დიდი პატივით მას ღებულობდნენ. ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, მოძღვართმოძღვარი გელათის აკადემიის რექტორი უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, მოძღვართმოძღვარს განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამონასტრო ცხოვრებაში, როგორც მეცნიერ ბერს. მოძღვრები საქართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მით უფრო პატივსაცემი იქნებოდა მათი უფროსი — მოძღვართმოძღვარი. იგი არ იყო სახელმწიფო ან საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული რომელიმე მოხელე. იგი სწვალულ ბერად ითვლებოდა. მისი ტიტული „მოძღვართმოძღვარი" მეცნიერული წოდების აღმნიშნველი უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფო ან საეკლესიო თანამდებობისა. მოძღვართმოძღვრის ავტორიტეტი და მისი დიდი მნიშვნელობა ის იყო, რომ მას მოწაფეები, მიმდევრები ჰყავდა, და საკუთარი სკოლა ჰქონდა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით). ამაში იყო მოძღვართმოძღვრის ძალა, მისი დაფასების საფუძველი. აქედან ისიც ჩანს, თუ განვითარების რაოდენ მაღალ საფეხურზე იდგა მაშინდელი საქართველო, რომელიც ასე პატივისცემით ეპყრობოდა მოძღვართმოძღვარს, ანუ მაშინდელი მეცნიერების უპირველეს წარმომადგენელს.

ტერმინი „მოძღვართმოძღვარი" გვიჩვენებს, რომ ყოფილან ამავე დროს მოძღვარნიც. ასე იწოდებიან ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელშიც იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე.

მოძღვარი — 1. ასე უწოდებდნენ მაცხოვარს მისი მოწაფენი (მათე 23,8,10; 26,18; იოვანე 3,2; 13,13-14). 2. სულიერი მამა, ბერი, ბრძენი მოხუცებული, წინამძღვარი, მქადაგებელი. 3. სკოლის მოძღვარი, მასწავლებელი; ოსტატი; მეცნიერი ბერი ძე. საქართველოში. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და ამასთან მწერლობას, მეცნიერებასა და რომელიმე ხელობას ასწავლიდა. მოძღვრის უპირველესი მოვალეობა იყო მოწაფის ზნეობრივი აღზრდა და სრულყოფის გზით წარმართვა, სარწმუნოებრივი და სულიერი განსწავლა. მოწაფე მოძღვრის სულიერი შვილი იყო, და გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა მოძღვრის წინაშე. სახელდობრ, მას არ შეეძლო მის დაუკითხავად მონასტრის დატოვება, არ ჰქონდა უფლება განშორებოდა თავის მოძღვარს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოძღვარი არ შეასრულებდა თავის ზნეობრივ ვალს.

მოძღვარი, ვითარცა სულიერი მწყემსი, განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა ძმობის წევრთა შორის, მაგრამ მისი უფლებები განუსაზღვრელი არ იყო. მოძღვრებს ეკრძალებოდათ სხვა მოძღვართა მოწაფეების მითვისება, ისევე, როგორც მოწაფეებს არ შეეძლოთ ერთი მოძღვრის მიტოვება და მეორესთან გადასვლა. ეს წესი მოწაფეს აიძულებდა, დაკმაყოფილებულიყო თავისი მოძღვრის ცოდნითა და გამოცდილებით. მოწაფე ხდებოდა თავისი მოძღვრის მემკვიდრე, მისი ტრადიციის გამგრძელებელი. 1748 წ. საეკლესიო კრების დადგენილებით, თუ რომელიმე მონაზონი მამისა და წინამძღვრის ნებისა და შენდობის გარეშე გამოვიდოდა მონასტრიდან, ყველას ეკრძალებოდა მისი შეწყნარება, როგორც ჭეშმარიტი კანონის უარმსი. მსგავსი დადგენილება უფრო ადრე რუის-ურბნისის კრებაზეც მოუღია (იხ. ძეგლისწერა, მე-12 კანონი და მისი კომენტარი).

მოწამე (ბერძ. მარტვირი // მარტვილი) — სჯულისათვის წამებული, თავდადებული. ადგილს, სადაც წმ. მოწამეებმა თავისი ღვაწლი აღასრულეს, „მოწამეთაჲ" ეწოდებოდა. ასეთ ადგილებში, ჩვეულებრივ, აშენებდნენ ეკლესიებს (სამარტყლოჲ, ბერძნ. „მარტურიონი"). (იხ. დიდი მოწამე, შუადეს-მოწამე, ქალწულმოწამე, ღირსი მოწამე). მოწამეთა ხსენებას ეძღვნება: შესხმა ბასილი დიდისა (ქუთ. 2,137-145), შესხმა ეფრემ ასურისა (ქუთ. 8,922-939), შესხმა ყოველთა მოწამეთა ეფრემ ასურისა (A 50,147-164; A 272,182-184; ქუთ. 8,404-411), შესხმა

ყოველთა მოწამეთა იოანე ოქროპირისა (ჭუთ. 8,395-404; A 140,507). ანტონ I კათოლიკოსის „შარტირიკის“ თითოეული თავი ცალკეულ მოწამეთა შესხმით იწყება.

მოწამეთა – სოფელი იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. წყალწითელის (ყვირილის მარჯვ. შენაკადის) მარჯვ. მხარეს, ტყიბულიდან 33 კმ. გელათიდან – 2 კმ.. სოფლის მიდამოებში დგას სამონასტრო ანსამბლი, რომელიც შედგება გუმბათიანი ეკლესიის, სამრეკლოს, გალავნისა და სამეურნეო ნაგებობათაგან. თავდაპირველად აქ მცირე ზომის ეკლესია მდგარა, რომელშიც VIII ს-ში მურვან-ყრუს მიერ ნაწიხები მთავრების – დავითისა და კონსტანტინეს წმ. ნაწილები დაუსვენებიათ. XI ს-ში ბაგრატ IV-ს ეკლესია განუახლებია და უფრო მოზრდილი შენობა აუგია. თანამედროვე სახე მონასტერმა XIX ს-ში მიიღო.

მოწესე – 1. მონაზონი, სამონაზონო წესის შემსრულებელი. 2. ეკლესიის მსახური, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობა წესრიგის დაცვაზე (ბერძნ. „ეუტაქსი“). 3. რომელიმე საეკლესიო ან სამონასტრო წესის (თანამდებობის) შემსრულებელი, უმაღლესი ოურარქიდან ეკლესიის უდაბლეს მსახურამდე; კლერიკოსი, „სამღვდელო რიგთაგანი“ (სულხან-საბა).

მოწმინდარი – ასე უწოდებდნენ ფშაველ ხატის (წარმართული ღვთაების) მსახურს. მოწმინდარს ხატის მიერ „დაჭერას“ (გამორჩევას) მკითხავი ამცნობდა და მოწმინდარიც ხატის ნებას უნდა დამორჩილებოდა. მოწმინდარს ევალებოდა ცხოვრების საგანგებო რეჟიმი (ცალკე ქოხში ცხოვრება, ლორისა და ქათმის ხორცზე, კვერცხსა და ზოგიერთ სხვა საჭმელზე უარის თქმა და ა. შ.). მოწმინდარები მამაკაცების გარდა იყვნენ დედაკაცებიც. თავისი სიწმინდით მოწმინდარი დედაკაცი მოწმინდარ მამაკაცს ვერ შეედრებოდა. მოწმინდარ მამაკაცს შეეძლო ხატში მისვლა და მოსმსახურება. ხეივსბერებს (ხატის უზენაეს მსახურთ) ხატი გამოარჩევდა ხოლმე მოწმინდართა წრიდან. მოწმინდარ დედაკაცს სხვა ქალებთან შედარებით ის უპირატესობა ეძლეოდა, რომ შეეძლო ხატს მიუახლოებოდა, ხეივსბერის კილოთი წარმოეთქვა ლოცვა, ხატის სახელი ეხსენებინა, მისი თანასაზეის ხელი შეეხო და სასმელი იმით შეესვა. მოწმინდარად ითვლებოდა მკითხაობაც. ხალხს იგი ზეშთაგონებულ პირად მიაჩნდა. მკითხაობს შეეძლო, როცა მოისურვებდა, ხატი გამოეწვია და მისი ნება-სურვილი ხალხისათვის გამოეცხადებინა. მკითხაობ მთელ ფშაველ ერთი ან ორი იყო და სამკითხაოდ და ხატის მიზეზის გასაგებად ყველანი მასთან მიდიოდნენ. მკითხაობის რჩეულ ხელობდა მოწმინდარების, ხეივსბერებისა და ხატის სხვა მსახურთა დადგინება, რადგან იგი, ფშაველთა რწმენით, ხატის ნება-სურვილის გამომხატველი იყო.

მოწყალება – ნაღების ქმნა, ქველმოქმედება, მოყვასისათვის მატერიალური ან სულიერი დახმარება. მოწყალება მოყვასისადმი სიყვარულის გამოვლინებაა და ღვთის მცნებით ევალება ყველა ადამიანს (ლუკა 3,11; 11,41; 12,33; 14,13-14; რომ. 12,13,10; ეფეს. 4,28; I ტიმ. 6,17-18; ებრ. 13,16; იაკ. 1,27; 2,15-16; I იოანე 3,17). მოწყალება, სიქველე ადამიანმა დაფარულად უნდა ქმნას და არა თავის გამოჩენის მიზნით (მათე 6,2-4; რომ. 12,8) ხელგაშლილად უნდა გაიღოს მოწყალება და არა სიმტკნეით (2 კორ. 8,2; 9,6-9). ამასთან, რაც არ უნდა ხელგაშლილი იყოს ადამიანი, თუ მის მოწყალებას სიყვარული არ ახლავს, ფუჭია მის მიერ ქმნილი მადლი (I კორ. 13,3). სიყვარულითა და მოწყალებით ადამიანი ღმერთს ემსგავსება და დაფარულთა მხილველი ღმერთი ამ სათნოებისათვის უხვად აჯილდოებს (მათე 6,4; 10,42; 19,21; 25,34-40; ლუკა 11,41; 14,14; 16,9; საქმენი 20,35; 2 კორ. 9,10-14; I ტიმ. 6,19). საღეთო წერილში მოყვანილია მოწყალების გაღების რამდენიმე მაგალითი (მარკ. 14, 41-42; ლუკა 19,8; საქმენი 2,45; 4,34-37; 9,36-39; 10,2; 11,29-30; 20,35; 2 კორ. 8-9; გალატ. 2,10). მოწყალების თემას ეძღვნება ეკლესიის დიდ მოძღვართა რამდენიმე „სწავლა“, რომელთა თარგმანები ქართულ ენაზე შეგვეპოვება: 1) „მოწყალებისათჳს“, იოანე ოქროპირის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. შეტანილია „ასკეტიკონში“ (A 143), აგრეთვე გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულში „კლიტე“. იქვეა მეორე თხზულება: „მოწყალებისათჳს მდიდართასა“, „უცხოთშეწყნარებისათჳს და მოწყალებისა“ და სხვა. (A 277, S 127). 2) „მოწყალებისათჳს და ანგაარებისათჳს და სიძდრისა“, იოანე ოქროპირის თხზულება, დაცულია Sin. 85 ხელნაწერში (63-73). 3) „მოწყალებისათჳს მდიდრისა მისთჳს და ლაზარესათჳს გლახაკისა“, იოანე ოქროპირის თხზულება. დაცულია ხელნაწერებში: Ath. 9; A 56, 109-112, Sin. 36/84, 23-28; გამოცემულია ი. აბულაძის მიერ („მამათა სწაველანი“, 1955 წ., გვ. 83-91). 4) „ცლაზაკათ მოწყალებისათჳს“,

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი ეფთიმე ათონელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 1, A 16, A 80, A 87, A 92, A 178, A 224, A 518; S 383, S 1696 და სხვ. 5) „მოწყალებისათჳს გლახაკთა“, ბასილი დიდის თხზულება, რომელიც შეტანილია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულში „სუფევა“ (A 232, A 22, S 54). იგივე თხზულება შეტანილია ბასილი დიდის „ოთხაში“ სათაურით: „თქუმული სიტყჳსა მისთჳს ლუკას სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდარისა მისთჳს, ვითარმედ დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდენი აღვაშენე, და ანგაარებისათჳს“ (A 100, 181, 394; S 376; Jer. 14; Ath. 44). თარგმნილია ეფთიმე მთაწმიდელის მიერ. 6) „მოწყალებისათჳს ღრთისა“, იოანე ოქროპირის თხზულება. დაცულია ხელნაწერებში: Ath. 9, A 1142; A 56,72-77; Sin. 82,10-12; Sin. 84,82-88.

მოწყალებათა საძმენი – I. სულიერნი: 1) მოჭირვება ცოდვილთა. 2) სწავლება უმეცართა. 3) განმართჳა დაბრკოლებულთა. 4) ნუგეშინისცემა მწუხარეთა. 5) მოთმინებით ატანა უსამართლობისა. 6) მიტევება შემცოდეთა. 7) ვედრება ღვთისა საცხონებლად მოყუასისა.

II. ხორციელნი: 1) მშიერთა დაპურება. 2) სმენა მწყურვალთა. 3) შემოსვა შიშველთა. 4) შეწყნარება უცხოთა. 5) მოკითხვა სნეულთა. 6) მიხედვა პატიმართა. 7) დაფლვა მიცვალებულთა.

„მოწყუედისათჳს ჳმიდათა მამათა მთისა სინისა და რაითისათა“ – ნილოს სინელის (IV-V სს.) პაგიოგრაფიული თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 79; ჭუთ. 13 და სხვ. იხ. „მამანი სინას და რაითს მოსრვილნი სარკინოზთაგან“.

„მოხედეთ“ – ამ სიტყვას ხშირად წარმოთქვამს დიაკონი ან მღვდელი ღვთისმსახურების დროს, რათა იქ მყოფთა ყურადღება მიაქციოს საღვთო სწავლებას, ან რაიმე ისეთი წესის შესრულებას, რომელსაც დიდი საიდუმლო მნიშვნელობა აქვს. მაგ.: „მოხედენ“ წარმოითქმის სამოციქულოსა და სახარების წაკითხვის, წარდგომისა და ალილუიას მუხლების წარმოთქმის წინ. აგრეთვე მაშინ, როდესაც მღვდელი ან მღვდელმთავარი ჯვარს გადასახავს სამწყსოს და წარმოთქვამს: „შენდობა ყოველთა“, ან როდესაც ადამაღლებს ტარიგს და ამბობს: „წმიდა წმიდათა“ და სხვ.

მრავალთაჳი – ძე. ქართული პომილეტიკური კრებული, სადაც თავმოყრილია საუფლო, საღეთისმშობლო და სხვა დიდ საეკლესიო დღესასწაულთათვის განკუთვნილი საკითხაევები. სახელწოდება, რომელიც პირველად დადასტურებულია „სინურ მრავალთაგში“ (864 წ.), ეწოდა „ოთხთაის“ ანალოგიით. მრავალთაის ბერძნული მოდელია „პანეგირიკონი“, რომელიც თითქმის ყოველთჳის შეიცავს ქრისტესა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიებს. მოგვიანებით ქართული მრავალთაჳი გამდიდრდა ჰაგიოგრაფიული მასალითაც. ჩვენამდე მოღწეულია მრავალთაჳის 10 ხელნაწერი; მათ შორის აღსანიშნაჳია: უძველესი მრავალთაჳის ფრაგმენტი (ხელნაწერი S 3902, გამოსცა ა. შანიძემ, 1927 წ.), „სინური მრავალთაჳი“ (გამოსცა ა. შანიძემ, 1959 წ.), „უდაბნოს მრავალთაჳი“ (ხელნაწერი A 1109; გამოსცეს: ა. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, თბ., 1994), „სჳანური მრავალთაჳი“ (X ს. ხელნ. A 19), „პარხლის მრავალთაჳი“ (X ს. ხელნ. A 95), „კლარჯული მრავალთაჳი“ (ხელნ. A 144, გამოსცა თ. მგალობლიშვილმა) და სხვ. მრავალთაჳის ყველა ნუსხა ნაკლულია. ი. აბულაძისა და ა. შანიძის გამოკვლევებით, მრავალთაჳის საკითხავთა კოლექცია ეკუთვნის ქართულ თარგმანთა უძველეს ფენას. მრავალთაჳის ტექსტების უმეტესობა თარგმნილია ბერძნულიდან, ნაწილი – სომხურიდან, უფრო მცირე ნაწილი – სირიულიდან და არაბულიდან. მრავალთაჳების ენობრივ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ვარიანტთა დიდი სახესხვაობა მოწმობს, რომ VI-VII სს. საქართველოში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო გავრცელებული ანალოგიური კრებულები. ზოგმა უკეთ შეშოგვინახა ორიგინალის სახე, ზოგჯერ კი მხოლოდ ქართული ძეგლების მიხედვით შეიძლება დაკარგული ბერძნული მოდელის აღდგენა (მაგ. პეტრე იერუსალიმელის, ბარნაბა იერუსალიმელის, ეპიფანე კვიპრელის, იუსტინიანე კეისრის, კირილე იერუსალიმელის, იოანე ოქროპირის საკითხავები, წმინდა ნინოს სახელით ცნობილი ჰომილიები და სხვ.). კრებულის იერუსალიმურ წარმომაველობას გვიდასტურებს როგორც საკითხავების ავტორთა ვინაობა, ისე მრავალთაებში დაცული ლიტურგიკული წელიწადის რიგი, რომელიც დიდ მსგავსებას აჭენს უძველეს ქართულ იადგარების, ლექციონარიისა და იოანე-ზოსიმეს კალენდრებთან.

მრავალმთა – ასე ეწოდებოდა დაუთგარეკის მონასტრების კომპლექსს.

მრავალთამიერი – საეკლესიო საგა-

ლობელი, რომელიც სრულდება საზეიმო ლიტურგიის დასასრულს შობის, ნათლისღებისა და სხვა დიდი დღესასწაულების დროს. დიაკონი ამბიონზე წარმოთქვამს მუხლებს, რომლებშიც კეთილდღეობას და მშვიდობით ცხოვრებას, სიმრთელესა და ყოველთა შინა კეთილწარმართებას ითხოვს ღვთისაგან პატრიარქის, სამღვდელოებისა და კეთილმორწმუნე ერისათვის. თითეულ მუხლზე გუნდი გალობს: „მრავალჟამიერ“ (3-ჯერ ან მრავალგზის). მრავალჟამიერით მთავრდება, როგორც წესი, საზეიმო პარაკლისებიც. „მრავალჟამიერით“ ბოლოდება ასევე ყოველდღიური ღვთისმსახურება, როგორც დილით, ისე საღამოს. გუნდი გალობით მოისხენებს ღვთივდაცულ ერს, მის მთავრობასა და მხედრობას, კათოლიკოს-პატრიარქს, ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს, ეკლესიის მრევლსა და ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს. ამის შემდეგ გუნდი გალობს: „დიაცენ იგინი, უფალო, მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ“.

მრავალღმერთიანობა (პოლითეიზმი) – წარმართული რწმენა, რომელიც ერთი ღმერთის ნაცვლად აღიარებს მრავალი ღვთაების არსებობას. იხ. წარმართობა.

მრავალძალი – XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მრავალძალის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. მდებარეობს ონის რაიონის სოფ. მთისკალთის (ყოფ. მრავალძალი) მიდამოებში. დას. მხრიდან მიშენებული აქვს სამრეკლო. ამან გამოიწვია ძველი ეკლესიის დიდი ნაწილის განადგურება. დარჩენილია მხოლოდ ჩუქურთმით, რელიეფებითა და ლაპიდარული წარწერებით მდიდრულად შემკული აღმოსავლეთი ფასადი, საკურთხევლის ნახევარწრიული აბსიდი კონქითა და მაღალი ღრმა ნიშებით, აგრეთვე შესანიშნავი ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები. ძე. ეკლესიის მრავალი მოჩუქურთმებელი ქვა ახლად ამენებულ კედლებშია აქაიქ უსისტემოდ ჩატანებული. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია რაჭა-იმერეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სალოცავია.

მრგვლადდასაჯდელი, ყოვლად დასაჯდელი – ებრაელთა სკულში საღვთო მსხვერპლის ერთ-ერთი სახე. ასეთი მსხვერპლი ღვთის სამსხვერპლოზე (საკურთხეველზე) მთლიანად იწვებოდა. „ესე არს, მსხვერპლსა რა მთლიც დასწვიდენ“ (სულხან-საბა). იხ. ყოვლადდასაწველი.

მრგლოვანი // მრგლოანი – უძველესი ქართული დამწერლობა, იგივეა, რაც ასომთაერული. მრგლოვანით ანუ ასომთაერულით შესრულებული უძველესი ნიმუშებია პალესტინის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (V ს. I ნახ.) და ბოლნისის სიონის წარწერა (V ს. II ნახ.). იხ. ასომთაერული.

მრევლი – ეკლესიის კრებული, სამწყსო. პაპ პიუს IX-სათვის გაგზავნილ მიმართვაში აღმოსავლეთის პატრიარქები აღნიშნავდნენ, რომ საეკლესიო დოგმატებისა და წესების დამცველად ითვლება არა მარტო იერარქია, არამედ მთელი ხალხი და რომ ამაშია გარანტია მართლმადიდებლობის სიწმინდისა.

მროველი – რუისის ეპისკოპოსის წოდება. მართებული ფორმა უნდა იყოს „მრუველი“ (იხ. ზ. სარკვლაძე, „მროველი თუ მრუველი“, „მრავალთაური“, II, 1973 წ., 5-10).

მრჩობლი კვერეძსი – ორმაგი კვერექსი, რომლის თითოეულ მუხლს მოსდევს სამმაგი „უფალო შეგეწყალენ“. ითქმის მწუხრისა და ცისკრის ლოცვაზე, იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიებზე, სხვადასხვა საეკლესიო წესის აღსრულებისას (ნათლისღება, ქორწინება, სნეულის ზეთის კურთხევა და სხვ.). მრჩობლ კვერექსზე იერარქიულად მოისხენება ეკლესიის მთელი სავსება: ჯერ კათოლიკოს-პატრიარქი, მღვდელმთავარნი და სამღვდელონი, შემდეგ კი ეკლესიის მრევლი და ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი. არსებობს მრჩობლი კვერექსი მიცალებულთა მოსახსენებლადაც (იხ. მიცალებულის კვერექსი).

მრწამსი – 1. მსოფლმხედველობა, საზოგადოდ. 2. „სარწმუნოების სიმბოლოდ“ წოდებული აღსარებითი (აღიარებითი) ლოცვა, რომელშიც მოკლედ, მაგრამ ამომწურავადაა ჩამოყალიბებული ქრისტიანული მრწამსი. ასეთი სახელწოდება ამ ლოცვამ მიიღო პირველი სიტყვიდან: „მრწამს“. იგი შედგება 12 მუხლისაგან: 1. მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოველისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა, 2. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, 3. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, 4. რომელი ჩუენთჳს, კაცთათჳს, და ჩუენისა ცხორებისათჳს გარდამოჴდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა, 5. და ჯუარს-ეცეა ჩუენთჳს პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო

და დაუფლა, 6. და აღდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა, 7. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა, 8. და კვალად მოშვავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ; 9. და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაჲსწარმეტყველთა მიერ; 10. ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ, 11. აღიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა, 11. მოველი აღდგომასა მკუდრეთით 12. და ცხორებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ.

სარწმუნოების სიმბოლო ამ სახით ჩამოაყალიბეს პირველი და მეორე მსოფლიო კრებების წმიდა მამებმა. პირველი კრება ნიკეაში ჩატარდა 325 წელს. ამ კრებაზე უარყოფილ იქნა მწვალებელ არიოზის ცრუ მოძღვრება ძე-ღმერთის შესახებ. მის საპირისპიროდ გამოითქვა და დადგინდა მართებული მოძღვრება („შობილი და არა ქმნილი"). მეორე საეკლესიო კრება (კონსტანტინეპოლისა, 381 წ.) ძირითადად მიეძღვნა მოძღვრებას სულიწმიდის შესახებ; კრებამ დაგმო მწვალებელ მაკედონიოსის მცდარი სწავლება და საბოლოოდ დაადგინა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი მრწამსი. მრწამსის ტექსტი, როგორც სარწმუნოების აღიარება, წარმოითქმის ნათლობის დროს, აგრეთვე მწვალებლობიდან მოქცეულთათვის შესასრულებელ წესზე. მრწამსი იგალობება ჟამისწირვაზეც. იგი უშუალოდ წინ უძღვის ძღვნის კურთხევის წესს (ეუქარისტიას). დაბოლოს, მრწამსი იკითხება დიდი და მცირე სერობის, აგრეთვე პირადი ლოცვების დროს (იხ. სიმბოლო სარწმუნოებისა).

მსახრჯალი — მისანი, მკითხაური. თუ ერთმე „სახრჯას" მატყუებდა და ეკლესიის წიაღს დაუბრუნებდაო, „დიდი სჯულისკანონის" თანახმად, საჭირო იყო მისი დროდადრო გამოცდა, რადგან ასეთი ეშმაკეულობა ძნელი მოსაცილებელია (განწესებანი ყოველადწმიდისა მოციქულისა პავლესნი, 8).

მსაჯულთა (ებრ. „შოფეტ") — ძველი აღთქმის ერთ-ერთი ისტორიული წიგნი. აქ აღწერილია ისრაელის მსაჯულთა მოღვაწეობა. თხრობა ეხება ამბებს იესე ნავეს ძის სიკვდილიდან სამსონის სიკვდილამდე. ავტორად ითვლება წინასწარმეტყველი სამუელი. შეიცავს 21 თავს.

მსგავსი — ასე ეწოდება ზოგიერთ საგალობელს, რომელიც დაწერილია რომელიმე სანიმუშო საგალობლის რიტმულ-მელოდიური სქემით. სალექსო ზომათა ნათესაობის მიხანშნებლად ამ საგალობელს წინ უძღვის რამდენიმე დასწყისი სიტყვა სანიმუშო საგალობლისა. მაგ.: საღვთისმსახურო წიგნებში (საღვთისმეტყველო, მარხვანი, ზატიკი) ხშირად გვხვდება მითითება ასეთი „მსგავსისა": „დედანო, ყურად იღეთ..." (ამ საგალობლის სრული ტექსტი იხ. ზატიკში, მწვალებლებისა კირიაკის „განმანათლებელად").

მსგებსი — ასე ეწოდება, საზოგადოდ, შეიდეულს — ერთ კვირას („შეიდეული დღეთა, ამ დღით მის სწორ დღემდე", საბა). ტერმინი „მსგავსი" იხმარება განსაკუთრებით იმ შეიდეულთა მიმართ, რომლებიც მთლიანად ხსნილია (ე. ი. არც ოთხშაბათ-პარასკევს არაა მარხვა.). წელიწადში 5 ასეთი მსგავსია: 1. ქრისტეს შობიდან ნათლისღებამდე. 2. მეზვერისა და ფარისველის კვირა (მეზვერის და ფარისველის კვირიაკიდან მის სწორამდე). 3. ყველიერის კვირას, ამ დროს ყოველი დღე ხსნილია მხოლოდ ყველით (საზოგადოდ, რძის ნაწარმით) და კვერცხით. 4. ბრწყინვალე შეიდეულში (აღდგომის დღიდან მის სწორამდე). 5. ხულთმოფენობის კვირას (მეერგასიდან მის სწორამდე).

მსოფლიო მოძღვარნი — წოდება დიდი მღვდელმთავრებისა — ბასილი დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისა და სხვათა, რომელთა თხზულებებში კანონიკურადაა განმარტებული მთელი ქრისტიანული ღვთისმეტყველება. სხვადასხვა საკამათო და საეჭვო საკითხების განხილვისას ეკლესია მუდამ მიმართავს მსოფლიო მოძღვართა ნააზრევს, რომელსაც სწავლობს პატროლოგია.

მსოფლიო საეკლესიო კრებები — მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ასე ეწოდა შეიდ საეკლესიო კრებას, რომელზედაც შეიკრიბნენ მთელი მსოფლიოს კათოლიკე მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსთმთავრები და მოძღვარნი, სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების განმტკიცების მიზნით. ადგილობრივ კრებათაგან განსხვავებით, მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები ყველა ეკლესიისათვისაა სავალდებულო. მათ მოწვევა თითოეულ შემთხვევაში დაკავშირებული იყო საგანგებო ვითარებასთან და ძირითადად ეძღვნებოდა ქრისტიანული დოგმატის შემუშავებას, მწვალებლობათა დაგმობას და სამართლებრივი ნორმების დაკანონებას.

IV საუკუნიდან ქრისტიანობის დევნა შეწყდა, მაგრამ ეკლესიის შიგნით გაჩნდა განხეთქილებანი (მწვალებლობანი, ერესი); საჭირო იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ისინი ეკლესიის ერთიანობას ძირს უთხრიდნენ. ამიტომაც ყველა ახალი მწვალებლობა ხდებოდა საბაბი საეკლესიო კრების მოწვევისა.

მსოფლიო საეკლესიო კრებების მოწყობა იყო გაგრძელება მოციქულთა ტრადიციისა. მოციქულები სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად იკრიბებოდნენ ხოლმე იერუსალიმში (საქმენი 15); ამ ჩვეულებას საფუძვლად ედო აგრეთვე თვით იესო ქრისტეს გამონათქვამები, რომელთა თანახმად უეკლესიო ადამიანები წარმართებს უთანასწორდებოდნენ (მათე 18,17). თითოეული ავტოკეფალური ეკლესია მართავს ადგილობრივ საეკლესიო კრებებს. ამ კრებებზე ხდება არჩევა ახალი მამათმთავრებისა, აგრეთვე გადაწყვეტა სხვადასხვა ორგანიზაციულ-დისციპლინური საკითხისა. ადგილობრივი საეკლ. კრების დადგენილებანი საჭიროებულია ცალკე აღებული რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიისათვის. მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დადგენილებათა გამოტანის უფლება კი მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას ჰქონდა.

მართლმადიდებლური ეკლესია სცნობს შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებას: 1. ნიკეის I (ხსენება 29 მაისს და მე-7 კვირაკეს შემდგომ პასექისა), მოწვეული იყო 325 წელს არიოზის მწვალებლობის წინააღმდეგ, ქალაქ ნიკეაში (ბითვინიაში), მოციქულთასწორის. იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს. 2. კონსტანტინეპოლის II (ხსენება 22 მაისს), მოწვეული იყო 381 წელს. მაკედონის ერესის წინააღმდეგ, იმპერატორ თეოდოსი დიდის დროს. 3. ეფესოს III (ხსენება 9 სექტემბერს) – 431 წელს ნესტორის მწვალებლობის წინააღმდეგ, ქალაქ ეფესოში, იმპერატორ თეოდოსი მცირის დროს. 4. ქალკედონის IV (ხსენება 16 ივლისს) – 451 წელს მონოფიზიტთა მწვალებლობის წინააღმდეგ, ქალაქ ქალკედონში, იმპერატორ მარკიანეს დროს. 5. კონსტანტინეპოლის V (ხსენება 25 ივლისს), სამი მღვდელმთავრის საკითხის გამო, შედგა 553 წელს, იმპერატორ იუსტინიანე დიდის დროს. 6. კონსტანტინეპოლის VI (ხსენება 23 იანვარს), 680-681 წწ. მონოთელიტთა მწვალებლობის წინააღმდეგ, იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის დროს. 7. ნიკეის VII (ხსენება – 11 ოქტომბრის უახლოეს კვირაკეს), შეკრიბა 787 წელს, ხატმებრძოლთა მწვალებლობის წინააღმდეგ, იმპერატორ კონსტანტინესა და დედამისის ირინეს დროს.

პირველ ექვს კრებას „მსოფლიო საეკლესიო კრების" პატივი და წოდებულება მიეცა თანამიმდევრობით, მომდევნო მსოფლიო კრებაზე. ნიკეის II კრება კი მეშვიდე მსოფლიო კრებად იქნა მიჩნეული კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე (879-880 წწ.), რომელსაც თავად მსოფლიო კრების ღირსება არ მიეცია.

პირველ მსოფლიო კრებას დაესწრო 318 წმინდა მამა, მეორეს – 150, მესამეს – 200, მეოთხეს – 165, მეექვსეს – 170, მეშვიდეს – 307. თითოეულმა კრებამ თავის ძირითად დადგენილებებთან ერთად გამოსცა კანონები: პირველმა – 20, მეორემ – 7, მესამემ – 8, მეოთხემ – 30. მეხუთეს და მეექვსე კრებას კანონები არ გამოუცია, მაგრამ მეექვსე კრების გაგრძელებად ითვლება ე. წ. „ტრულის" კრება („გუმბათის"), რომელიც მოწვეული იყო სპეციალურად საეკლესიო კანონთა დასამტკიცებლად. „ტრულის" კრებამ გამოსცა 102 კანონი. ამ კრებას ხშირად VI მსოფლიო კრებად მოიხსენიებენ (იხ. სჯულის კანონი).

„მსოფლიო შაბათი" – მიცვალებულთა მოხსენების დღე – ხორციელის შაბათი. ამ დღეს მოვიხსენებთ ყველა გარდაცვალებულს – მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს. სრულდება პანაშვიდი. იხ. მიცვალებულთა ხსენების დღეები, ხორციელის შაბათი.

მსოფლიო ფარღვნა – მსოფლიო წყალდიდობა, რომელმაც, ბიბლიის თანახმად, მოსპო ცოდვილი კაცობრიობა (დაბ. 7,17-23). ღვთის ნებით მართალმა ნოემ დაამზადა კიდობანი, რომლითაც თავისი ოჯახის გარდა გადაარჩინა ყველა სულდგმულის (მხეცები, ფრინველები, ქვეწარმავლები) თითო წყვილი, რათა შემდეგში მათ გამრავლების საშუალება ჰქონოდათ. ცოდვილი კაცობრიობის წარღვნით დასჯის ამბავი მითის სახით მსოფლიოს მრავალ ხალხში იყო გავრცელებული. ამ სერიიდან ყველაზე ძველია შუმერული მითი (ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ.), რომლის მიხედვითაც ღმერთებისაგან მოელენილ წარღვნას მხოლოდ ერთი მართალი კაცი, ზიუსუდრა, გადაურჩა. გილგამეშის ეპოსში (აქადური) ეს მართალი კაცი უთნაფიშთია. მეორე აქადური ეპოსის მიხედვით კი „ჯანიერი ქეყანა, გამრავლდა ხალხი; ქეყანამ ხარის ხმაზე იწყო ბუბუნი; მათმა ღრიალმა შეაწუხა ღმერთები" და ენლილმა ბრძანა ხალხის დახოცა: წარღვნით უნდა წარხოცილიყო ხმელეთი

და ყველაფერი, რაც მასზე არსებობდა. ადამიანთა ჭიშკრის ენების (ეას) კაცთა მოდგმის საუკეთესო წარმომადგენელი ათრახასისი გამოურჩევია, რომელსაც უნდა დაეტოვებინა ღმერთებისაგან დაწყევლილი მიწა და ყოველი სულიერის თესლი თორთ მესულიყო მშისგან შეუვალ, წყალგამტარ ხომალდში; გარკვეული ხნის შემდეგ კელე გამოჩენილა ხმელეთი, ამოზიდულა მთის მწვერვალები. გილგამეშის ეპოსში წარღვნის ხომალდი ნიცირის მთასთან (ანატოლიის მთიანეთის სამხრ. — აღმ.) შეჩერებულა (ბიბლიის ტრადიციით — არარატის (ურარტუს) ქუყანაში). ქართულ ლეგენდებში კი იხსენიება ბრუკსაძეელა ან მუნჯარწყვერი.

მსოფლიო წარღვნის მოტივი ასახა ზოგიერთ ქართულ ლეგენდაში. სინქრეზისა თქმულება პალიასტომის ტბის წარმოშობაზე, რომლის მიხედვითაც ცოდეილი ქალაქის — პალიასტომის დალუპვას ახლია პირველწყებულის ხატი გადაურჩენია ვინმე კიკოს, ღმერთის რჩეულს, რომელსაც ხატი შემოქმედში დაუსვენებია. თქმულების სხვა ვარიანტის მიხედვით, პალიასტომიდან ეს ხატი აუტანიათ იმ მხარეში უმაღლეს ადგილზე, ჯუმათის მთაზე, სადაც დღესაც დგას მთავარანგელოზის ტაძარი.

„მსწრაფლ განეხვენ..“ — სინანულის საგალობელი, რომელიც ითქმის მეზვერიასა და ფარისველის, უძღები შვილის, ხორციელისა და ყველიერის, დიდი მარხვის I, II, III, IV, V კვირაკვირა ცისკრის ლოცვაზე ნაცვლად საკვირაკვირა მუხლებისა: „მოციქულთა ვედრებითა...“ და სხვ.

მსხვერპლი — შესაწირავი ღვთისადმი, რაიმე ნივთი ან საკლავი ცხოველი, ზვარაკი, საღვთო, რომელიც შეიწირებოდა მადლობის ნიშნად ან შეწევნის სათხოვნელად, ცოდვათა მისატევებლად ან ღვთიური მადლის მისაღებად. მსხვერპლის შეწირვის წესი გავრცელებული იყო მსოფლიოს ყველა ხალხში. მსხვერპლშეწირვით გამოხატავდნენ ადამიანის სიმდაბლეს და ღვთის ნებაზე მის დამოკიდებულებას. მეორე მხრივ, მსხვერპლშეწირვა იყო ერთ-ერთი საშუალება ღმერთთან კავშირისა (ლოცვისა), კულტმსახურებისა (ძვ. ქართულში — ზორცა, კმევა).

წარმართული მსხვერპლშეწირვა ხდებოდა მსოხრიეი სისხლისლერით. წარმართულ ღმერთს ბაალს და ასტარტს სწირავდნენ ქალწულთა პატიოსნებას. ზოგიერთ ხალხში ადამიანსაც სწირავდნენ მსხვერპლად. მშობლებს საკუთარი შვილები მოჰყავდათ, მეფეებს — მონები. ბიბლიაში ორგან არის მითითება ადამიანის მსხვერპლად მიყვანაზე: აბრაამის მიერ თავისი ვაჟის — ისაკისა და იეფთაეს მიერ — საკუთარი ასულისა. აბრაამის მსხვერპლშეწირვა წარმოადგენს მხოლოდ აბრაამის სარწმუნოების გამოცდას, მეორე კი ისეა მოთხრობილი, რომ მისი განმარტება სხვადასხვანაირად შეიძლება. უფრო საფიქრებელია, რომ იეფთაეს ასული შესწირეს ღმერთს, როგორც აღთქმის კიდობნის მსახური (მსაჯ. 11,30-40). გვიანდელ ხანაში სისხლიანი მსხვერპლი ძირითადად ცხოველთა და ფრინველთა შეწირვას გულისხმობდა. უძველესი დროიდანვე არსებობდა მსხვერპლშეწირვის მეორე ფორმაც — უსისხლო მსხვერპლის შეწირვა. იგი გამოიხატებოდა ღვთისადმი რჩეული ხილის, მარცვლეულის და სხვ. მირთმევაში. უსისხლო მსხვერპლად ითვლებოდა პირველი მოსავალი, ასკეტური წესით ცხოვრება ათხრჩვილი ლრიის მონაკვეთში, სანთლისა და ლამპრის ანთება და ა. შ. მოსეს დროს ჩამოყალიბდა მსხვერპლშეწირვის წესები. პირველი მსხვერპლი, რომელიც ბიბლიაშია მოხსენებული, კაენისა (მიწის ნაყოფი) და აბელის (ცხვარი) მსხვერპლი იყო. მოსემ განასხვავა მსხვერპლის 5 სახეობა (მათი შეწირვის წესები მოცემულია ლევიტელთა წიგნში): ყოველად დასაწველი, უნებლიე ცოდვისა, განგებ ჩადენილი შეცოდებისა, მადლობისა, უსისხლო.

1. ყოველად დასაწველი — ასე ეწოდა იმიტომ, რომ ყოველივე მოტანილი იწვებოდა საკურთხეველზე. ეს ნიშნავდა, რომ შეწირული ძღვენი მთლიანად ეკუთვნოდა ღმერთს, შემწირველი კი მთელი სულითა და სხეულით ღმერთის ნებას მიეძღვნებოდა. ასეთი მსხვერპლი შეიძლება გაეღებინაო მთელი ხალხისთვისაც და ცალკეული პირებისთვისაც. შესაწირავი პირუტყვი (ზვარაკი, ცხვარი, თხა, მტრედი) მკაცრად შეირჩეოდა — იგი უნაკლო უნდა ყოფილიყო. შემწირველი ხელს ადებდა სამსხვერპლოს, შემდეგ კი დაწვავდა მთლიანად (ტყავის გარდა, რომელიც მღვდელს ეძლეოდა).

2. უნებლიე ცოდვათა მიტევებისათვის სწირავდნენ ცალკეული პირები. შეწირვა შეიძლებოდა წინასწარაც — ყოველგვარი შესაძლო ცოდვისა და შეხილწეის თავიდან ასაცილებლად.

3. განგებ ჩადენილ ცოდვათა მიტევებისათვის ისე, როგორც უნებლიე ცოდვათა მისატევებელ მსხვერპლშეწირვისას, ძღვენი მთლიანად არ დაიწვებოდა, არამედ მიეცემოდა მღვდელს.

4. მშვიდობის მსხვერპლი შეიწირებოდა,

როგორც სამღვდლოები ღვთისადმი, ან როგორც ალთქმულის შესრულება. შეწირულიდან ნაწილი იწვებოდა, მკერდი და ბეჭი ეძლეოდა მღვდლებს, დანარჩენი კი შეიძლებოდა მოეხმარებინა შემწირველს.

5. უსისხლო მსხვერპლთაგან შეიწირებოდა ფქვილი, ზეთი, ღვინო და საკმეველი. ეს შესაწირავი წინა სახის მსხვერპლშეწირვასაც შეეძლებოდა დართოდა. უსისხლო მსხვერპლს მიეკუთვნებოდა აგრეთვე ახალი ხილის კურთხევა, რის შემდეგაც უკვე ნებადართული იყო მათი მოხმარება.

ყოველი მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა მღვდელთა მიერ. მას თან ახლდა ლოცვები და დადგენილი წესგანგებანი, აღწერილი ლევიტელთა წიგნში. მღვდელმოქმედების მიზნად ჰქონდა სიწმინდის დაცვა ხალხში, რომელიც, როგორც რჩეული ღვთისა, წმინდა უნდა ყოფილიყო. ამავე მიზნით იყო დაწესებული სხვა სავანგებო კანონები და წეს-განგებანი. წინასწარმეტყველთა დროს მსხვერპლშეწირვის შინაარსი გაფართოვდა და გაღრმავდა. ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვა იყო წინარე სახე იესო ქრისტეს მსხვერპლად მისვლისა, რომლითაც მან გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები.

მსხვერპლის შეწირვა უსისხლო მსხვერპლის სახით არსებობს ქრისტიანობაშიც. მართლმადიდებელი ეკლესია, ემყარება რა საღვთო წერილსა (იოანე 6,51; მათე 26,28; მარკოზი 14,24; I კორ. 11,24) და ეკლესიის მამათა სწავლებას, თვლის, რომ იესო ქრისტეს მსხვერპლად მისვლა არ გამორიცხავს ეკქარისტიის საიდუმლოს. ძველი სისხლიანი მსხვერპლისაგან განსხვავებით, იგი უსისხლო მსხვერპლს წარმოადგენს. ქრისტიანულ ეკლესიაში სრულდება საღვთო მსხვერპლის — პურისა და ღვინის შეწირვის წესი — წმ. ლიტურგია, რომელიც თვით იესო ქრისტეს მიერ იყო დაკანონებული საიდუმლო სერობის დროს (იხ. ლიტურგია). პურისა და ღვინის შეწირვას ისეთივე შინაარსი ეძლევა, როგორც ძველ აღთქმაში — სისხლიან მსხვერპლს, ცხოველთა შეწირვას (ებრ. 9,7; 10,4). საღვთო მსხვერპლად ითვლება აგრეთვე მხურვალე გულით ევდრება და ქება ღვთისა. დაუით წინასწარმეტყველი უფალს სწირავდა შემუსრეულ სულს და ხელთა აღსყრობას (ფს. 49,8,14,23; 50,17; 140,2).

პროტესტანტული ეკლესია თვლის, რომ იესო ქრისტეს მსხვერპლად მისვლის შემდეგ არავითარი მსხვერპლის შეწირვა აღარა საჭირო.

მტბევარი — ტბეთის ეპისკოპოსის წოდება. შუა საუკუნეებში მტბევარი შავშეთის ერისთავადაც ითვლებოდა. იხ. ტბეთის საყდარი. იოანე მტბევარი. სტეფანე მტბევარი.

მთერი — ასე ეწოდება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ბოროტ სულს, სატანას, რომელიც განუწყვეტლივ თესავს ღვარძლს და სიძულვილს კაცთა შორის. მტრობა, როგორც ლოგიკური შედეგი, მოაქვს პირველ ადამიანთა შეცოდებას. ამ მტრობის შედეგია კაცისკვლა, სიძულვილი და გახარება სხვისი წარუმატებლობით. მტრობა კაცთა შორის საზოგადოების უდიდესი მანკიერებაა. საღვთო სჯული მას უპირისპირებს ყოველისმომცველ, ყოველისმიმტევებელ სიყვარულს. ჯერ კიდევ მოსეს სჯული ბრძანებდა: „შეიყვარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (ლევიტ. 19,18). ამ მოყვასთა შორის ქრისტეს მოძღვრება ხაზს უსვამს მტრებს: „ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდენ მტერნი თქუენნი და აკურთხეენით მწყევართა თქუენთა და კეთილის უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ილოცევდით მათ, რომელნი გძლევარობენ თქუენ და დევნიდენ თქუენ“ (მათე, 5,44). უფალმა კაცთა მოდგმის ცოდვათა გამოსყიდვის გზით მტრები მოყვრებად და ქრისტესმიერ ძმებად აქცია. ეკლესიის სწავლებით, მტრულად განწყობილი ადამიანები სნეულნი და დაბნეულნი არიან. საჭიროა მათი განკურნება ლოცვით, კეთილი საქმეებით, რათა უფალმა ისინიც სწორ გზაზე დააყენოს. ყოველი ქრისტიანი მუდამ უნდა ჰქადაგებდეს მაცხოვარს და დაუსრულებლად მიისწრაფოდეს სრულქმნისაკენ (მათე 5,48).

მუშძინი (არაბ. „მუზზინ“ — გამომცხადებელი, ლოცვისკენ მომწოდებელი) — მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთიდან ხალოცავად მოუწოდებს მუსლიმანებს.

მურყვამობა (სვან. „ლიმურყუამალ“ — კოშკობა) — წარმართულ ღვთაება კეირიასადმი მიძღვნილი ალრესაგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლში შემავალი ერთ-ერთი საწესო მოქმედება. სრულდებოდა დიდმარხვის პირველ დღეს, ე. წ. შაე ორშაბათს. ქუემო სვანეთში, სოფლების — ჟაბუნდრისა და სასაში მოსახლეობა მზის ამოსვლის წინ, კეირიას საგალობლის შესრულების შემდეგ მიადგებოდა წინასწარ აგებულ თიელის კოშკს და ცდილობდა თავის მზარეს გადაძლევას და წაქცევას, რადგან ხალხის რწმენით, საითაც კოშკი წაიქცეოდა, იმ მხარეს მთელი წლის მანძილზე საჭირო ატმოსფერული ნალექი მოვიდოდა და უხვი მოსავალი იქნებო-

და. ასევე სწამდათ, რომ ეინც თოელის კოშკს საფუძველს ჩაუყრიდა ან თავზე ჯვარს დაადგამდა, უსათუოდ ეაი შეეძინებოდა. თუ თოელი არ იყო, მაშინ თოელის კოშკს ნაძვის ხით ცელიდნენ. ზემო სვანეთში მურყვამობა იმართებოდა ყველიერის აღებისას (სვან. „აღბალაღრალ“ – აღების თამაშობები). მსგავსი დღესასწაულები ბარშიც ყოფილა გაერცელებული (ნაციხურობა – რაჭაში, ჭენიერობა – სამეგრელოში).

მურყმელი – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის ხეობაში, მესტიიდან 48 კმ. სოფელში დგას XI ს. შუა წლების მაცხოვრის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. იგი თითქმის მიმალულია ბევრად უფრო მაღალ სახლებსა და კოშკებს შორის. თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩენილია სხვადასხვა ზომისა და სახის ქვით ნაგები დას. ნაწილი. ეკლესიის დანარჩენი ნაწილი აგებულია ე.წ. კოშკური წყობით, მშრალად ნაწყობი ფიქლით, უბათქაშოდ. საკურთხეველის აბსიდი ოთხკუთხაა, შიდა სივრცე მცირე ზომისაა, თუმცა საკმაოდ მაღალი. ინტერიერში შემონახულია ნათლისღების, ჯვარცმისა და სხვა თემებზე შესრულებული მოხატულობა.

მურჯნისი (პირიმზე) – XVII-XVIII სს. ეკლესია დუშეთის რაიონის სოფ. ბუჩაანში.

მურჯახეთი – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მურჯახეთისწყლის (ფარავანის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ახალქალაქიდან 7 კმ. სოფელში დგას XI ს. ეკლესია. კედლებზე ლაპიდარული წარწერებია.

მუსლიმი (არაბ. მორჩილი, ერთგული, თავდადებული) – პიროვნება, რომელიც აღიარებს ისლამს. მუსლიმი ეალდებულია აღიაროს მონოთეისტური ფორმულა: „არა არს ღმერთი თეინიერ ალაჰისა და მუჰამედი ალაჰის მოციქულია“, ილოცოს დღეში 5-ჯერ, გადაიხადოს ზაქათი – ღარიბთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი, შეინახოს მარხვა რამადანის თეეში, მოისიძიოს და მოილოცოს მექა. ამ ვალდებულებებს ჭელად ემატებოდა აგრეთვე სარწმუნოებისათვის ბრძოლა – ჯიჰადი.

მუსლიმური სამართალი – სამართლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VII-X სს-ში. მუსლიმური სამართალი ისლამის კვალდაკვალ გავრცელდა. თურქეთში იგი 1926 წლამდე მოქმედებდა, ლიბანში – 1932 წლამდე, ერაყში – 1951-მდე, იორდანიასა და ზოგ მუსლიმურ ქვეყანაში კი მას დღემდე არ დაუკარგავს მოქმედი სამართლებრივი ძალა. მუსლიმური სამართლის წყაროდ ითელება ყურანი, ყურანის დამატებები, წინასწარმეტყველ მუჰამადის (მაჰმადის) – მუსლიმთა კანონმდებლის, ანუ „შარიათის“ შეგონებები და გადაწყვეტილებები, ფეტუა – ყველაზე სახელმოხვეჭილი კანონმცოდნეების სანიმუშო გადაწყვეტილებების კრებული. მუსლიმური სამართლის არაოფიციალური წყარო იყო ადათი, რომელსაც კანონში არსებული ხარეეზების შესაესებად იყენებდნენ. მუსლიმური სამართლისათვის დამახასიათებელია რელიგიური და სამართლებრივი ნორმების შერწყმა. ჩამორჩენილობით გამოირჩეეა სისხლის სამართალი, დაკანონებულია სისხლის აღება, დაწესებულია მრავალცოლიანობა.

მუსლიმური სამართალი ძირითადად კანონმცოდნეების კომენტარების მეშეობით ვითარდებოდა. ცნობილი კანონმცოდნეები იყვნენ: აბუ ჰანიფა, მალიქ იბნ ანასი, ალ-შაფიი და ა.შ.დ იბნ ჰანბალი, რომლებიც მუსლიმური სამართლის მთავარი სკოლების ფუძემდებლებად ითვლებიან (ჰანიფიტები, მალიქიტები, შაფიიტები, ჰანბალიტები).

მუფთი (არაბ.) – მუსლიმებში სამართალმცოდნე ღვთისმეტყველი, რომელსაც უფლება აქეს, გამოიტანოს გადაწყვეტილება რელიგიურ-იურიდიულ საკითხებზე, მისცეს ახსნა-განმარტება შარიათის გამოყენების თაობაზე. მუფთი ყველა მუსლიმურ სასამართლოშია. მუფთების წრიდან ირჩევენ დიდ მუფთს, რომელსაც თურქები შეიხ-ულ-ისლამს უწოდებენ.

მუშევანი – სოფელი ბოლნისის რაიონში, ქვემო ქართლის პლატოზე, მდ. მაშაერის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ბოლნისიდან 14 კმ. სოფლის მახლობლად დგას X-XI სს. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. იგი ძლიერ დაზიანებულია – ჩამოქცეულია კამარა, საშრეეთი კედელი თითქმის მთლად ჩამოქცეულა. ფასადებსა და ინტერიერს ამჯამს ხურთმოძღვრული დეკორი, კედლებზე ეკლესიის თანადროული წარწერებია. ალ. კედელზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის შიგნით კანკელის მოჩუქურთმებული ქვები აწყვია.

მუხის ანგელოზი – მუხის (ხის) მფარველი წარმართული ღვთაება. ძველ ქართული წარმართული შეხედულებით, ტყესა და ხეებს თავისი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ. განსაკუთრებით გავრცელებული იყო მუხის თაყვანისცემა (შდრ. რკონი, ჭყონდიდი). დიდებით მოიხ-

სენებდნენ მუხის ანგელოზს ფშაე-ხევსურეთში.

მუხლთმოდრეკა — დიდი მეტანია, ღვთის თაყვანისცემის ძველი ფორმა, რომელიც ქრისტიანობაში გავრცელდა იუდეველებისაგან ჯერ კიდევ მოციქულთა დროს, ნიშანი სიმდაბლისა და მორჩილებისა. მუხლმოდრეკის შესახებ ცნობები მოიპოვება მრავალ ისტორიულ წყაროში: „საქმე მოციქულთა“ 7,60; 9,40; ეფეს. 3,14; კორინ. 57 თავი და სხვ.

ნეოკესარიის კრებამ დაადგინა წესი ეკლესიაში შესვლისას მუხლმოდრეკისა, როგორც კანონი მორწმუნეთათვის. მუხლმოდრეკა სრულდება აგრეთვე ლიტურგიის დროს, სხვადასხვა მუხლმოდრეკის ლოცვაზე, სასულიერო პირთა ხელდასხმისას და სხვ. მუხლმოდრეკა განსაკუთრებით ხშირად ხდება დიდი მარხვის დღეებში (კვირადღეების გარდა). ზოგიერთი ლოცვის წარმოთქმის დროს (ეფრემ ასურის ლოცვა სამი ან თექვსმეტი მეტანით, ტროპარები ჟამნობაზე, წმინდანთა მიმართ საედრებელი იუხლები, გან-ტკეცებითი ლოცვა დიდ სერობაზე და სხვ.) მუხლმოდრეკის ლოცვებს (სულიწმიდის გარდამოსვლის ღეთისშესაწირების, აგრეთვე, ზოგიერთი პარაკლისის დროს) წინ უძღვის დიაკვნის სიტყვები: „მერმე და მერმე მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ“. ლოცვა მუხლმოდრეკით, რომელიც გამოხატავს უდიდეს მოკრძალებას, სიმდაბლესა და მორჩილებას ღვთის წინაშე, აუცილებელია მათთვის, ვინც ითხოვს სულიწმიდის მადლის გარდამოსვლას. ამიტომ, სულთმოფენობის ლოცვების გარდა, მუხლმოდრეკა ხდება ეკუმენისტების, მღვდლის კურთხევისა და სხვა მღვდელმსახურების დროს, რომელსაც მორწმუნეებზე გადმოდის სულიწმიდის მადლი.

მუხლი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, ამბროლაურიდან 10 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები.

მუხლი (მუკლი) — სხვადასხვა საეკლესიო საგალობლის შემადგენელი ნაწილი, დასრულებული ფორმის მქონე და დასრულებული აზრის გამომხატველი. თითოეული საგალობელი (დასდებლები, კანონები, წარდგომები და სხვ.) რამდენიმე მუხლს შეიცავს.

მუხრანი — სოფელი მცხეთის რაიონში, მუხრანის ვაკეზე, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირას, მცხეთიდან 23 კმ. ქართლის ერთ-ერთი ძველი სოფელი, XVIII ს. 70-იან წლებამდე მოიხსენიება ერქვა. ძველად ის საქართველოს სამეფო გვარეულობის ბაგრატიონთა ერთ შტოს სამკვიდრო იყო. იქიდან სათავეს (მუხრანბატონი) ჩამოყალიბდა XVI ს. დასწყისში. ამ დროს ქართლის მეფემთრეობა საკმაოდ გართულდა. ქართლის მეფემ დავით მეათემ (1505-1525) უმცროს ძმას — ბაგრატს გადასცა მუხრანი საუფლისწულოდ და დაუმორჩილა ქსნისა და არაგვის ხეობები. სამუხრანბატონოს დიდხანს არ დაუყარგავს თავისი მნიშვნელობა და ძლიერება და ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სათავადოდ დარჩა რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე. მუხრანის სათავადოს დაარსების შემდეგ აქ გაიშალა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, იწერებოდა ორიგინალური თხზულებებიც. პირველ ასეთ მწერლად ბაგრატ მუხრანბატონი გვევლინება. ლუარსაბ I-ის (1534-1558) გამეფების ახლო ხანაში, ზოგიერთი ცნობით 1539 წელს, ბაგრატი ბერად შედგა. ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. მან დაწერა „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა იშმაიტელთა“ (იხ.). ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული იყვნენ მუხრანბატონთა სახლის სხვა წარმომადგენლებიც: თეიმურაზ კონსტანტინეს ძე (XVII ს.), მუხრანბატონის შვილი ნიკიფორე (XVII-XVIII სს.), ერეკლე მუხრანბატონის ვაჟი მამუკა (XVIII ს. I ნახევარი). ფრიად ნაყოფიერი მწიგნობარი ყოფილა აგრეთვე გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ მუხრანელი (იხ. S 531; H 2547; S 1512, 2455, 3670) და სხვანი. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობენ მუხრანბატონის სახლის მანდილოსნებიც: კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე ბარბარე (ასული ბარძიმ არაგვის ერისთავისა), მუხრანბატონის ასული ქეთევანი (იხ. Q 821).

სოფელში დგას მუხრანბატონის ციხე-გალავანი, რომელიც მამუკა მუხრანბატონს აუგია 1733 წ., ხოლო 1756 წ. მის ნანგრევებზე სახლთუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონს აუშენებია ახალი ციხე. ციტადელის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში დგას დარბაზული ტიპის კარის ეკლესია, რომლის ფასადები მორთულია აგურის წყობით გამოყვანილი ჯვრებითა და რომბებით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასაელეთიდან აქვს. გალავანში XIX ს. ორი ეკლესიაა.

მუხურა — სოფ. ტყიბულის რაიონში, რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ტუსის (ყვირილის აუზი) ზემო წელში, ტყიბულიდან 9 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XI ს-ში.

მუხურის მახლობლად შემორჩენილია „მოდინახეს" ციხე და შუა უფრალური ბანის ეკლესიის ნანგრევები.

მუხური (1952 წლამდე – საშარანგიო) – სოფელი გალის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის ნაპირას, გალიდან 6 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVII ს-ში. სოფლის მახლობლად დგას განჯითარებული შუა საუკუნეების ციხე და ეკლესია.

მუხური – სოფელი ჩხოროწყუს რაიონში, ოდიშის ვაკეზე, მდ. ხობის ნაპირას, ჩხოროწყუ-წალენჯიხის საავტომობილო გზაზე, ჩხოროწყუდან 15 კმ. სოფლის მახლობლად დგას XIV ს. ოწინდალეს ეკლესია. კედლები მოხატულია XIV-XV სს-ში.

მუხოისი – ხახულის მონასტრის (ისტორიულ ტაოში, თორთუმის წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულისწყლის ხეობაში) ერთ-ერთი კალატოზი (X ს.). მოხსენებულია მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ლაპიდარულ წარწერაში.

მუჩელი – მოხსენებულია სოფ. კათისხევის (კასპის რაიონი, მდ. კათურის ნაპირებზე) მახლობლად, კატაულაზე აღმოჩენილი (VIII ს. სამრეკლო ბაზილიკის შუა ეკლესიაში) რელიგიური სტელის VIII ს. წარწერაში, როგორც ქტიტორი. იხ. გრიგოლ ვიახტოსი.

მუჩთაჰიდი (არაბ. თაედადებული, გულმოდგინე) – მუსლიმი, ღვთისმეტყველი და კანონის მცოდნე, რომელსაც შუა საუკუნეებში რელიგიურ-უფლებრივი საკითხების დამუკვდებელი განმარტების უფლება (იჯთიჰადი) ჰქონდა. სუნიზმში მუჯთაჰიდი არის მაზჰაბების (საღვთისმეტყველო-იურიდიული სკოლების) დამარსებელი და მეთაური, შიიზმში – უმაღლესი შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენელი.

მუჰაჰედი – იხ. მაჰმადი.

მუჰაჯირები (არაბ. „მუსაჯირ" – გადასახლებული, ემიგრანტი) – ისლამის ქვეყნებში აღნიშნავს ემიგრანტებს, გადასახლებულებს. მუსლიმური ტრადიციით, პირველი მუჰაჯირები იყვნენ წინასწარმეტყველ მაჰმადის მიმდევრები (622 კაცი), რომლებიც მასთან ერთად გადასახლდნენ მექიდან იასრიბში (მედინაში), მაჰმადიანობის დაცვის მიზნით. დიდ მუჰაჯირობას ადგილი ჰქონდა კავკასიაში XIX ს-ში. კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის სოლიდური ნაწილი (მრწამსით – მაჰმადიანები) გადასახლდა ოსმალეთის იმპერიაში. მუჰაჯიროებით დაინტერესებული იყო და მას ხელს უწყობდა როგორც ოსმალეთი, ისე რუსეთი. რუსეთი, კერძოდ, ისწრაფოდა, პოლიტიკური სიმშვიდის მისაღწევად ამ მხარეში და განთავისუფლებული მიწების ფართო კოლონიზაციისათვის გამოსაყენებლად. საქართველოდან თურქეთში წავიდა 150 ათას სულზე მეტი. თურქეთში გადასახლდნენ აგრეთვე ჩრდ. კავკასიის მაჰმადიანი მთიელები (ადიღეურ-ჩერქეზული ტომებიდან, აფსუაზეთიდან და სხვ.).

მუჯარელი ანგელოზი – ანგელოზები არიან ღვთის ქმნილებანი – უხორცონი (სულიერნი), გონიერნი, ძლიერნი და ღვთის მსახურნი. ღვთის ბრძანებით, ყოველ ადამიანს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს (იხ. მათე 18,10), რომელიც მონათლის შემდეგ განსაკუთრებით მფარველობს ადამიანს.

მურთუანაობა – მოხიბლა, მოჯადოება, ჯადოქრობის გზით ქალის მიერ მამაკაცის სიყვარულის მოპოვება. ასეთ მოქმედებას გმობდა ბასილი კესარიელი ამფილოქე იკონიელისადმი ეპისტოლეში („დიდი სჯულისკანონი", გვ. 478,30).

მღვდელთმოძღვარი – „უპირატესი მღვდელთმთავარი" (ნ. ჩუბინაშვილი).

მღვდელი – ეპისკოპოსისაგან ნაკურთხი ეკლესიის მსახური, რომელსაც უფლება აქვს შეასრულოს ყველა სახის ღვთისმსახურება და საეკლესიო საიდუმლო, გარდა მღვდლის კურთხევისა. „ხუცესი, სულიერი მწყემსი, მაკურთხეველი და მსხვერპლის შემწირველი წინაშე საკურთხეველისა" (ნ. ჩუბინ.). მღვდლის კურთხევის დროს მასზე უხილავად გადმოდის სულწმიდის მადლი და ამ მადლს იგი უნაწილებს მორწმუნეებს. ტაძარში მღვდელი ასრულებს საღვთო ჟამისწირვას და სხვა საზოგადო ღვთისმსახურებას (ჟამნობა, მწუხრი, ცისკარი, სერობა და სხვ.), მორწმუნეთა პირადი თხოვნით – სხვადასხვა საეკლესიო წესებს (ნათლობა, ჯვრისწერა, სახლის კურთხევა, მიცვალებულის წესი და სხვ.). გარდა ამისა, მღვდელი მოვალეა, იყოს თავისი მრევლის სულიერი მოძღვარი, მქადაგებელი. მღვდლის უფლებანი და მოვალეობანი ჩამოყალიბებულია სჯულისკანონში, აგრეთვე წმ. მამათა კანონიკურ თხზულებებში (მაგ.: „მცნებაჲ მღდელთა მომართ", ბასილი დიდის თხზულება), რომლებიც ერთიანად სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნებს სჭილიეთის სახით.

ძველ აღთქმაში ეკლესიის მსახურები სამ ხარისხად იყოფოდნენ: ლევიტები, მღვდელი და მღვდელმთავარი, ახალ აღთქმაში – დიაკონი,

მღვდელი და მღვდელმთავარი.

მღვდელი სიმბოლურად გამოხატავს ზეციურ ძალას – სერაბინს: „ითარცა იგინი ორითა ფრთითა იფარვენ პირთა მათთა, ეგრეთვე ესენი შესამოსლითა მით საღმრთოთა იფარვიან (A 450,427v). მოციქულთა კანონების თანახმად, მღვდლის ხელდასხმა (კურთხევა) ხდება ეპისკოპოსის მიერ საღვთო ლიტურგიის დროს. მღვდელს უფლება აქვს იქორწინოს მხოლოდ ერთხელ.

მღვდელმთავარი – მღვდელთმოძღვარი, ეპისკოპოსი (მღვდელმთავარი – ზედამხედველი), ეპარქიის განმგებელი და სასულიერო პირთა (მღვდელთა, დიაკონთა) მაკურთხებელი (ებრ. 7,26; 9,7). მღვდელმთავრის ხარისხებია: ქორეპისკოპოსი (ეპისკოპოსის მოადგილეები მცირე ქალაქებში), მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი (მთავარი ქალაქის ეპისკოპოსი) და პატრიარქი. მღვდელმთავარი განაგებს თავისი ეპარქიის ყველა ეკლესიას, ნიშნავს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავს მღვდელმსახურნი, აკურთხებს ახალ მღვდელმსახურთ, განაგებს მთელი ეპარქიის სასულიერო ცხოვრებას. მღვდელმთავრის კურთხევა შეუძლია სამ მღვდელმთავარს, კათოლიკოს-პატრიარქის თანხმობითა და დასტურით. კურთხევის წინადღეს ან რამდენიმე დღით ადრე ხდება საეპისკოპოსო კანდიდატის სახელების წესი (წმ. სინოდის თანდასწრებით). ქიროტონია სრულდება საღვთისმეტყველო წირვაზე. კურთხევის დღესვე ახალ ეპისკოპოსს შეუძლია შესრულოს მღვდლისა და დიაკვნის კურთხევა.

მღვდელმთავრის შესამოსელია: სტიქარი, ოლარი, ბისონი (საკოსი), სამაყურები, დიდი და მცირე ომოფორი, მიტრა, ჯვარ-სანაღლი. ხელთ უპყრია მანდილიანი კვერთხი (წირვა-ლოცვის დროს) ან არგანი (ხელჯოხი, როცა მარტო ანაფორითაა შემოსილი). ღვთისმსახურების დროს აკურთხებს ერთი ხელით და, მღვდელთაგან განსხვავებით, ორითაც. ზოგიერთ შემთხვევაში კურთხევას გამოსახავს დიკირ-ტრიკირით, აგრეთვე მაშინაც, როცა მარცხენა ხელში უპყრია კვერთხი. მღვდელმთავრის წირვის თავისებურებანი აღწერილია სამღვდელმთავრო კონდაკში.

„მღვდელმთავრისა ლიტურგიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ – გაბრიელ მცირის (XVIII ს.) ორიგინალური ნაშრომი. მასში მოკლედ განმარტებულია ტაძარი, მისი ნაწილები, ცერემონიული მხარე მღვდელმთავრის წირვისა, მისი შემოსებისა და სამოსელისა, აგრეთვე წირვის სხვადასხვა მოშენებისა. ავტორს გამოუყენებია ადრე ქართულად ნათარგმნი თხზულებები გერმანე კონსტანტინოპოლელისა (A 432; A 450, A 691) და სვიმეონ თესალონიკელისა (A 642). აშიაზე ნაჩვენებია ციტატები საღვთო წერილიდან და წმ. მამათა თხზულებებიდან. თხზულება დაწერილი ყოფილა სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის. შენახულია მრავალი ნუსხა (A 224, A225, A226; S54, S 77, S120).

მღვდელ-მონაზონი // ხუცეს-მონაზონი – მღვდლად ნაკურთხი მონაზონი, „მწირველი ბერი“ (ნ. ჩუბინ.).

მღვდელმოწამე – წოდება მოწამებრივად აღსრულებული ეპისკოპოსის ან მღვდელისა. მღვდელმოწამეთა დასის მრავალი მღვდელმთავარი მოკუთვნება: წმ. კლიმენტი, რომის პაპი, რომელიც იმპერატორმა ტრაიანემ ზღვ გადაასახლა ხერსონესში, შემდეგ კი ზღვაში დაახრჩობინა; წმ. კლიმენტი, ანკირის ეპისკოპოსი (ეწამა 312 წ. მაქსიმიანეს დროს); ბასილი, პროტოპრესვიტერი ანკირის ეკლესიისა (ეწამა 363 წ. იულიანე განდგომილის დროს) და სხვ.

ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულნი არიან: ლუკა იერუსალიმელი (XIII ს.), მღვდელმოწამენი – პეტრე წყაროსელი (VI ს.), ნეოფიტე ურბნელი (VII ს.), ნიკოლოზ დეკი (XIV ს.).

მღვდელმსახურება (მღვდელმოძღვრება) – საღვთო მსახურება, წირვა-ლოცვა და საეკლესიო წესები. სრულდება ეკლესიაში მოციქულთაგან გადმოცემული მადლით შემოსილი სამღვდელოების მიერ ღმერთსა და მრევლს (მორწმუნე საზოგადოებას) შორის კავშირის დასამყარებლად. მღვდელმსახურება ორგვარია: საზოგადო და კერძო. საზოგადო მღვდელმსახურება (ჟამისწირვა, შუკრი, ცისკარი და სხვ.) სრულდება მთელი მრევლისათვის, კერძო მღვდელმსახურება – ცალკეულ მორწმუნეთა შეკვეთით, მათი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებით. მღვდელმსახურების უმაღლესი ფორმაა ჟამისწირვა, ანუ ლიტურგია. ამ დროს ხდება მსხვერპლის შეწირვა (ძღვნის მირთმევა) ღვთისადმი. სამსხვერპლოდ, მაცხოვრის მცნებით, დაწესებულია პური და ღვინო. სამსხვერპლო წმინდა პურს ეწოდება სამეუფო პური, ანუ სეფისკვერი (მეუფედ იგულისხმება იესო ქრისტე), ხოლო სამსხვერპლო წმიდა ღვინოს, რომელიც წითელი ან შავი უნდა იყოს – ზედაშე. მსხვერპლის შეწირვა ძველი ალთქმის ეკლესიაშიც სრულდებოდა, მაგრამ მაშინ შეი-

წირვებდა სისხლიანი მსხვერპლი – ზარაკი, ტარიგი (ბატკანი, კრავი). ოსო ქრისტემ დაწესა უსისხლო მსხვერპლი – პური და ღვინო. სეფისკვერი სიმბოლურად გამოხატავს ღვთის ტარიგს – იესო ქრისტეს, რომელიც კაცობრიობის ცხოვნებისათვის „ითარცა ცხოვარი, კლვად მიიგვარა“ (კვეთის წესი ჟამისწირვიდან). ქრისტიანული წირვის დაწესება მოხდა სადღეღამო სერობაზე, როცა მაცხოვარმა გატეხა პური, დაურიგა მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჩორეი ჩემი“ (მათე 26,26). დაურიგა ავრეთვე ღვინო და უთხრა: „სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღძგუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26,27-28). მართლმადიდებლურ ეკლესიაში მისი დაარსებიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სრულდებოდა წირვის პირველი წესები, რომლებიც გამოთქვეს მოციქულებმა – პეტრემ, მარკოზმა და იაკობმა. მოციქულთა წირვები შუა საუკუნეებიდან თანდათანობით შეეცვალეს კონსტანტინოპოლურმა ლიტურგიებმა, რომლებიც შეთხზეს ბასილი დიდმა (დაახლ. 330-379 წწ.) და იოანე ოქროპირმა (324-407 წწ.). კერძოდ, საქართველოში იერუსალიმური ტიპიკონი მოქმედებდა X ს-დე, კონსტანტინოპოლური ლიტურგიების შესრულება კი მხოლოდ XI საუკუნიდან დაიწყო, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობის შედეგად. საერთოდ, აღმოსავლეთში თითქმის XII საუკუნემდე იყო მიღებული მოციქულთა ლიტურგიები, განსაკუთრებით – იაკობისა, ბიზანტიაში კი IV-V სს-დან ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვები სრულდებოდა გარდა ამ „სრული“ ლიტურგიებისა, დაიწერა „სიწმიდის განახლების“ („პირველგანწმედილის“, „პირველშეწირულის“) ლიტურგიები. საღვთისმსახურო პრაქტიკას ასეთი წირვებიდან შემორჩა გრიგოლ დიალოღოსის (დაახლ. 540-604 წწ.) წირვა. „პირველშეწირულის“ ლიტურგია წარმოადგენს ადრე (წინასწარ) შეწირული ძღვნის განახლებას („სიწმიდის განახლება“).

ლიტია, ბასილი დიდის განმარტებით, არის „უბნობა კაცისა ღმერთთან“ (A 81, „სწაელანი ლიტეიასთჳს“). ლიტია სხვადასხვა შინაარსისაა: სადიდებელი, საკურთხეველი, სამადლობელი. ამასთან, იგი ორგვარია: პირადი და საზოგადო (საერთო). ყოველი მორწმუნე ვალდებულია, შეასრულოს ყოველდღიური პირადი ლიტიები, როგორიცაა: დილის, საღამოს ლიტიები, ლიტია სადილის, ან ყოველი საქმის უწინარეს სათქმელი და სხვა. საზოგადო ლიტიები სრულდება ეკლესიაში. მისი სახეებია: ჟამნობა (არსებობს I, III, VI, IX, სადილის, შუაღამის, სამეუფო ჟამნები), მწუხრი, ცისკარი, დიდი და მცირე სერობა. „ჟამი“ დროის გარკვეულ მონაკვეთს აღნიშნავდა, მას შეესაბამება თანამედროვე „საათი“. I, III, VI, IX ჟამები დღე-ღამის გარკვეული დრო იყო და თითოეულ მათგანს თავისი ლიტია („ჟამნი“) შეესაბამებოდა. ლიტიასათვის საგანგებოდ ამ აღნიშნული დროების შერჩევა და არა სხვა რომელიმესი, დაფუძნებული იყო ახალი აღთქმის საღვთო წერილზე. კერძოდ, მესამე ჟამს მოხდა სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე (საქმენი 2,1-15), მეექვსე ჟამს – მაცხოვრის ჯვარცმა (მარკოზი 15, 33), მეცხრე ჟამს – მაცხოვრის სულის განტევება ჯვარზე (მათე 27,46-50). თანამედროვე ღვთისმსახურებაში ჟამნების კითხვა შეიდეგნარადაა განაწილებული: I ჟამნი იკითხება საღამოთი, ცისკრის ლიტიის შემდეგ; III და VI ჟამნი – დილით, ერთმანეთის მიყოლებით, წირვის დაწყებამდე; IX ჟამნი წინ უძღვის მწუხრის ლიტიას (საღამოთი); შუაღამის ჟამნი („შუაღამისნი“) სამრეველო ტაძრებში არ სრულდება (გამონაკლისია აღდგომის სპეციალური „შუაღამისნი“, რომელიც საღდგომო ლიტანიობის დაწყებამდე იკითხება), მონასტრებში კი კითხულობენ ღამის თორმეტ ან პირველ საათზე, მონასტრის ტიპიკონის მიხედვით. სამეუფო ჟამნი წარმოადგენს I, III, VI და IX ჟამნების თანმიმდევრულ კითხვას, რომელიც დაწესებულია დიდ პარასკევს (ვნების შედეგულში), აგრეთვე შობისა და ნათლისების დღესასწაულთა წინა დღეებში. სამეუფო ჟამნების თავისებურებაა ის, რომ თითოეულ ჟამნში ჩართულია სათანადო საკითხავები (საწინასწარმეტყველო, სამოციქულო და სახარება). სადილის ჟამნი სრულდება დიდი მარხვის ზოგიერთ დღეს. არსებობს ავრეთვე სპეციალური „აღდგომის ჟამნი“, რომელიც იგალობება ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში, თითოეული ჟამნის ნაცვლად.

„მწუხრი“ ანუ მწუხრის ლიტია სრულდება საღამოობით (მწუხრზე, შებინდებისას). არსებობს დიდი და მცირე მწუხრის ლიტიები. „დიდი მწუხრი“ სრულდება დიდ დღესასწაულებისა და კვირა-დღეების წინა საღამოს. „მცირე მწუხრი“ კი – სადაც (სადა, უბრალო) დღეებში. დღესასწაულებზე მწუხრის ლიტიაში ჩაერთვის საწინასწარმეტყველოები და პურის

კურთხევის წესი.

„ცისკარი“, ანუ ცისკრის ლოცვა, ძველი სამონასტრო პრაქტიკის მიხედვით, სრულდებოდა განთიადამდე (მზის ამოსვლამდე), მაგრამ რადგან სამრევლო ტაძრებში ამ დროს ლოცვა მოუხერხებელი იყო, ცისკრის ლოცვა გადატანეს წინა საღამოს, როგორც შუბრის ლოცვის გაგრძელება. ცისკარი, მწუხრის მსგავსად, ორგვარია — დიდი და მცირე — იმისდა მიხედვით, დღესასწაულია თუ უბრალო დღეები. დიდ და მცირე ცისკარს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ დიდ ცისკარზე სახარება იკითხება და მცირეზე — არა. რაც დიდ მწუხრს მოერთვის დიდი ცისკარი, ასეთ ლოცვას ეწოდება „ღამისთევის ლოცვა“. მწუხრისა და ცისკრის ლოცვებს აქვთ მნიშვნელოვანი თავისებურებები დიდ მარხვაში, ერგასში ანუ ორმოცდაათში (აღდგომიდან სულთმოფენობამდე), აგრეთვე ზოგიერთ სხვა დღეს. ტიპიკონის ეს თავისებურებანი მითითებულია შესაბამის საღვთისმსახურო წიგნებში: დიდი მარხვისა — მარხვანში, ერგასისა — ზატიკში. და სხვ. მწუხრისა და ცისკრის ლოცვების შესრულება სავალდებულოა ყოველთვის, როდესაც მერე დღეს საღვთო ლიტურგია — წირვაა შესასრულებელი.

დიდი სერობა სრულდება მწუხრის დროს — საღამოობით დიდი მარხვის სადგ დღეებში, აგრეთვე მწუხრის დღეებიც (შობისა და ნათლისღების წინა საღამოს, სულთმოფენობის დღეს და სხვ.), როცა მწუხრის ლოცვა უკვე შესრულებულია დილით, უშუალოდ წირვის ან ჟამნობის შემდეგ.

საეკლესიო წესები სრულდება ცალკეულ მორწმუნეთა შეკვეთით. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს: 1) ნათლისღება ანუ მონათლა — ესაა ერთ-ერთი საღვთო საიდუმლოთაგანი, როდესაც ადამიანი სულიერად იბადება და ეკლესიის წევრად იქცევა. ნათლისღების დროს ხდება მერე საღვთო საიდუმლოც — მირონცხება. ამით ადამიანს მიენიჭება საღვთო მადლი და განმტკიცდება შემდგომი სულიერი ცხოვრებისათვის. 2) ზიარება — ესაა მიღება უფლის ხორცისა და სისხლისა, რითაც მორწმუნე განიწმინდება სულითა და ხორცით და მიიღებს საღვთო მადლს. ამდენად, ზიარებაც ერთი საღვთო საიდუმლოთაგანია. იგი, როგორც წესი, სრულდება წირვის დროს, მაგრამ მძიმე ავადმყოფების ზიარება შეიძლება სახლშიც. 3) ქორწინება საღვთო საიდუმლოა. იგი შეულებულ ქალ-ვაჟს კრავს საღვთო კაცშირით. არსებობს აგრეთვე მეორე ქორწინების წესი, რომელიც სრულდება მღვდელმთავრის, ან პირადი მოძღვრის სავანგებო ლოცვა-კურთხევით. 4) პარაკლისი — ესაა ლოცვა (საეკლესიო გალობა) ცოცხალთათვის, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. არსებობს პარაკლისი თითეული წმინდანის მიმართ. ამ შემთხვევაში მიემართაუთ ამა თუ იმ წმინდანს, რათა გვიშუამდგომლოს უფალთან და მოგვმადლოს საღვთო მადლი. არის აგრეთვე პარაკლისი მაცხოვრისა (იესო ტკბილისა). ამ პარაკლისით მიემართაუთ უშუალოდ უფალს. სპეციალური პარაკლისები მრავალგვარია: საახალწლო, სწავლის დაწყებისა, მთავრობისა და ერისა, თითეული საუფლო დღესასწაულისა, ბრძოლის დაწყების წინ მტერთა წინააღმდეგ, ავადმყოფისა, სამადლობელი, უწვიმრობისა, ავდრისა, წყალვნისა, მეზღარობისა, საბრძოლო გემის კურთხევისა, სამხედრო დროშის კურთხევისა, სამხედრო საჭურველის კურთხევისა, ხომალდის კურთხევისა, საშინელი სიკვდილიანობისა (გადამდები ავადმყოფობის — ეპიდემიის გავრცელების დროს) და სხვა. 5) მიცვალებულის წესი, ანუ ანდერძი — მართლმადიდებელთა დაკრძალვის წესი. არსებობს სპეციალური წესები მღვდელთათვის, მონოზონათათვის და ერისკაცთათვის. თუ მიცვალებულის დაკრძალვა ბრწყინვალე შეიდეულში ხდება, ანდერძი სრულიად სხვაგვარი — სააღდგომო წესით სრულდება. 6) პანაშვიდი — ლოცვა მიცვალებულთათვის. იგი სრულდება მიცვალებულის ორმოზე, წლისთავზე და მიცვალებულის საზოგადო მოხსენების დღეებში (ხორციელის შაბათი, სულის შაბათი, ანუ სულთაობა და სხვა). 7) ზეთის კურთხევა და ცხება — სრულდება მძიმე სნეული ადამიანის საკურნებლად. შეიკრიბება შვიდი მღვდელი, ერთობლივად ილოცებენ სნეულისათვის და სცხებენ ზეთს. ზეთის კურთხევა ერთ-ერთი საღვთო საიდუმლოთაგანია. 8) აღსარება — ესაა ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე. აღსარებას აუცილებლად უნდა ახლდეს სინანული. მღვდელი წაიკითხავს შენდობის ლოცვას და ამით მორწმუნეზე გადმოდის ღვთის კურთხევა და ცოდვათა შენდობა. სინანულ ერთ-ერთი საღვთო საიდუმლოთაგანია. 9) კურთხევა ეკლესიისა, საცხოვრებელი სახლისა, ყველა საზოგადოებრივი თუ კერძო ნაგებობისა. სახლის კურთხევა აუცილებელია, როგორც ამენებისთანავე, ისევე ყოველი შეკეთების შემდეგ და იმ შემთხვევაშიც, თუ სახლი რაიმე უწმინდურებით (მაგალ-

ითად, მოუკადებით) შეიბილწება („ლოცვა სახლსა შეგრნებულსა"). 10) დალოცვა ქრისტიანთა ყოველი სამეურნეო საქმიანობისა: „ლოცვა თესლთა ზედა სათესაად", „ლოცვა კალოსა ზედა", „ლოცვა დანერგვასა ვენახისასა". „ლოცვა სოლობასა ვენახისასა", „ლოცვა ყანასა, ვენახსა და ბოსტანსა ზედა", „ლოცვა საკრის დაწვასა", „ლოცვა, უკეთუ არაწმიდა რაიმე შთაყარდეს ჭურჭელსა ღვინისა, ზეთისა და თაფლისასა, ანუ სხვასა რასამე შინა", „ლოცვა ჭურჭელსა ზედა შეგინებულსა", „ლოცვა შეგინებულსა ხვარბლსა, და ფქვილსა და სხვასა რასამე ზედა", „ლოცვა სამწყსოსა ზედა". „ლოცვა აღმოთხრასა ჭისასა", „ლოცვა ნავის გაკეთებისა", „ლოცვა ბადისა", ლოცვა სახლის საფუძვლის დაღებისა", „ლოცვა შესლვასა ახალსა სახლსა შინა". 11) მშობიარე ქალის შელოცვა: „ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, პირველსა დღესა შობისასა", „ლოცვა აღბეჭდვასა ყრმისასა დღესა მერვესა, ოდეს უწოდდენ სახელსა", „ლოცვა დედაკაცსა ზედა მშობიარესა, მურომოცესა დღესა შობითგან", „ლოცვა დედაკაცსა ზედა, რაჟამს მუცელი წაუხდეს". 12) ლოცვები აკადმყოფთათვის: „ლოცვა ყოელისა სნეულებისათჳს", „ლოცვა სნეულთა ზედა, და სულთა არაწმიდათა კეთებულთა", „ლოცვა სნებისათჳს, სიყრმილისა და ჟამისა", „ლოცვა შუდთა ყრმათა, სნეულსა ზედა უძილებისათჳს", „ლოცვა სნეულსა ზედა წმიდითა ლაზრითა", „ლოცვა შეგინებულის მჭამელსა ზედა". 13) ლოცვები ერისა და მამულისათვის: „ლოცვა ენებისათჳს ერისა და სნებისათჳს", „კანონი და ლოცვა მტერთა მბრძოლად ჩენდა მომავალთათჳს", „ლოცვა ქრისტეს მოყვარეთა ერთათჳს", „ლოცვა მთავრობისა და მხედრობისათჳს". 14) ლოცვები სტიქიურ მოვლენათაგან დასაცავად: „კანონი და ლოცვანი უწეიმრობისანი", „კანონი და ლოცვა წვიმისაგან შემშთავართათჳს", „კანონი და ლოცვანი საშინელისა ძერისათჳს, „კანონი და ლოცვანი საშინელისა სრვისათჳს", „ლოცვა საშინელისა ქუხილისა და ელვისათჳს", „ლოცვა აეისქარისა და ღელვისათჳს ზღვისა". 15) კურთხევა წყლისა (დიდი და მცირე აიაზმა), მარილისა, წანდილისა, ყვლისა, კერცხისა, პირველი ხილისა, ყურძნისა, ახალი ღვინისა და სხვა საზრდელისა. 16) კურთხევა ყოველი საკლესიო და პირადი ნივთისა (იხ. დიდნი კურთხევანი, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ., 2002წ.). გარდა ზემოაღნიშნულისა, საკლესიო წესები სრულდება წარმართობისა და მწვალებლობისაგან მოქცეულთათვის, სასწავლებლად გამზადებული ყრმებისათვის, შეილობილობის, ან მონაზვნად აღკვეცის მსურველთათვის და ა. შ. უფლის სახელით იკურთხება და დალოცება ყველი კეთილი საქმე, ყოველი კეთილი განზრახვა.

მღვდლობა – საეკლესიო საიდუმლო, ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლის დროსაც მღვდელმთავრის ხელთდასხმით (ბერძ. ქიროტონია) სულიწმიდის მადლი გადმოდის გამორჩეულ ადამიანზე და იგი დაიდგინება საკლესიო საიდუმლოთა აღმასრულებლად და ქრისტიანთა მწყემსად (მღვდლად). მღვდელობის საიდუმლო, რომელიც სრულდება დიაკვნად, ხუცესად, მღვდლად, პრესვიტერად და ეპისკოპოსად (მღვდელმთავრად) გამორჩეულ პირებზე, მეორენაირად იწოდება ქირიტონიად, ანუ ხელთდასხმად. ხელთდასხმა ხდება სამღვდელმთავრო წირვაზე, საკურთხეველში, ტრაპეზის წინაშე. რამდენადაც აუცილებელია, რომ ახალნაკურთხმა მღვდელმა ან ეპისკოპოსმა მონაწილეობა მიიღოს ძღვნის კურთხევაში, მათი ხელთდასხმა სრულდება მხოლოდ იოანე ოქროპირის ან ბასილი დიდის წირვაზე. პირველშეწირულის წირვაზე კი დასაშვებია მხოლოდ დიაკვნად და ჰიპოდიაკვნად ხელთდასხმა, აგრეთვე მკითხველ-მგალობლად და მბათედ კურთხეა. ოქროპირის ან ბასილის წირვაზე შესაძლებელია ხელთდასხმული იყოს ერთი ეპისკოპოსი, ერთი მღვდელი და ერთი დიაკონი. პირველშეწირულის წირვაზეც შეიძლება ხელი დაესხას ერთ დიაკონს. ეკლესიის დახლ მსახურთა (ისოდიაკვნების, მკითხველ-მგალობლების და სხვ.) კურთხეაც თუმცა აგრეთვე ხელის დადებით ხდება, მაგრამ ამ დროს არ წარმოითქმის სულიწმიდის მადლის მოწვევის საიდუმლო სიტყვები. დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის ხელთდასხმისაგან (ქიროტონიისაგან) განსხვავებით, მათ ხელისდადება („ქიროთესია") ეწოდება.

მღვდლობის საიდუმლო, სასულიერო იერარქია და, მაშასადამე, ქრისტიანული ეკლესია იმ სახით, რა სახითაც დღემდე არსებობს, დაწესებული იყო მოციქულთა დროიდან. ამიტომ ქრისტიანულ ეკლესიას სამოციქულო ეკლესიასაც უწოდებენ. მოციქულთაგან ხელთდასხმულმა ეპისკოპოსებმა ხელნი დაასხეს სხვა ეპისკოპოსებს და მღვდლებს. მათგან სამღვდელო მადლი შემდგომმა თაობებმა მიიღეს და ასე გრძელდება სამღვდელო მადლის გადაცემა დღემდე. მღვდლობის შესახებ იოანე ოქროპირს დაუწერია თხზულება „მღვდლობისათჳს", რომელიც ქართუ-

ლად რუსული ენიდან თარგმნეს 1842 წელს. შეტანილია ხელნაწერებში: A 286, A 375, A 663.

მწვიმევი – სოფელი ჭიათურის რაიონში, ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილას მარჯვ. მხარეს, ჭიათურიდან 3 კმ. სოფლის მახლობლად დგას სამონასტრო კომპლექსი. შემონახულია XIII ს. შუქრილ-ბასილიანი ორნავიანი ეკლესია (დიდი ბუნებრივი გამოქვაბულის შესასვლელში,). აგებულია რაჭის ერისთაუის, კახაბერიძე რატისა და მისი ძმის, ნიანიას მიერ. ნაგები ერთმანეთისაგან გამყოფილია მასიურ ხოშეზე დაყრდნობილი თაღებით. ფასადები შემკულია დეკორატიული თაღედით, ჯვრებითა და ჩუქურთმიანი ფართო არშიებით. ჩრდ. ნაგის კედლებზე შემონახულია ეკლესიის აგების დროინდელი ფრესკული მხატვრობა, ხოლო სამხრ. ნაგის მხატვრობა გვიანდელია (არაუგვიანეს XVI ს-ისა). მხატვრობის ძველმა ფენამ ეკლესიის მშენებლის, რატი რაჭის ერისთაუის, მისი მეუღლისა და ძმის ნიანია კახაბერიძეების პორტრეტები შემოგვინახა. მღვიმეუის ეკლესიაში ინახებოდა XI ს. ჭედური ხატები, ხოლო შესასვლელში ეკიდა ხეზე კეთილ მნიშვნელოვანი ნიშუში – XI ს. ხის კარი. მღვიმეუიდანაა მაცხოვრის ჭედური ხატი, XI ს. დასაწყისის ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიშუში, რაჭის ერისთაუის, რატისა და მისი მეუღლის, რუსუდანის შეწირულობა (ზომები: 87 X 62,7 სმ.); მოჭედილია მოოქრული ვერცხლით. პირისახე გვიანაა გადაწერილი. ეს ხატი ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ორ ხატთან ერთად „ეღრების“ ერთიან კომპოზიცია – ტრიპტიქს წარმოადგენს. იოანე ნათლისმცემლის XI ს. ჭედურ ხატზე ფერწერითაა შესრულებული სახე, რომელზედაც ჩანს გვიანდელი შეკეთების კვალი. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შესაძლოა, მღვიმეუის ხატი გადაწერილი იყოს ძველი ჭედურობის თანადროული ნიმუშის მიხედვით. ხატის ზომები: 87 X 62 სმ. მეორე მნიშვნელოვანი ხატია წმ. მარინეს ხატი XVI საუკუნისა. მოჭედილია მოოქრული ვერცხლით. ხატი შეუწირავს ვინმე ელენეს. აქეუა მისი გამოსახულებაც (ზომები: 21,3 X 17,5 სმ.). ორიეე ეს ხატი, აგრეთვე ხის კარი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ხის კანკელის კარი შემკულია XI ს. ჭედური ფირფიტებით. ეკლესიის ქვეშ გრძელი გვირაბია, რომლის გადახურვა შემაგრებულია საყრდენი თაღებით. მონასტრის ნაგებობათაგან აღსანიშნაუა აგრეთვე სანახევროდ კლდეში გამოკვეთილი პატარა ეკლესია და ორსართულიანი სამრეკლო – ორივე, საეარაუდოა, XIII-XIV სს. (იხ. ი. გომელაური, „მღვიმეუი“, თბ., 1982 წ.).

მწვიძარება – სამონაზონო მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე. ეფუძნება მაცხოვრის მითითებას: „ღვიძებდით უეე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს“ (მათე 24,42). ქრისტიანმა არ იცის, როდის მოვა უფალი საშინელი განსჯისათვის (მათე 24,42). ამიტომ იგი მუდამ მზად უნდა იყოს (მარკოზი 13,33-38). ყოველი დღე ისე გაატაროს, თითქოს ეს მისი ცხოვრების უკანასკნელი დღე იყოს: არ უნდა მოიცალოს კეთილი საქმეებისაგან, არ დაყოვნოს მოეაასთან შერიგება (სიფვარული), აღსარების თქმა (სინანული) და ა. შ. (ლუკა 12, 35-46; 21,34-36; საქმ. 20,28-31; 1 თეს. 5,8-10; 2 ტიმ. 4,5). სიფხიზლე და ლოცვა, იესო ქრისტეს თქმით, განსაცდელისაგან იხსნის აღამიანს (მათე 26,41). მღვიძარების თემას ეძღვნება იგავი ათ ქალწულზე, რომელთაგან ხუთი ბრძენი იყო, ხუთი – სულელი (მათე 25,1-13).

მშვიდობა, სულიერი მშვიდობა – სულიერი მოღვაწეობის აუცილებელი პირობა. მშვიდობა არის ერთ-ერთი თვისება ღვთისა (მათე 11,29). მშვიდობისათვის ლოცულობენ ანგელოზნი ზეცაში (ლუკა 2,14); „მშვიდობის“ თქმით ესალმებოდა თავის მოწაფეებს იესო ქრისტე (იოანე 20,19) და თავისი ღვთაებრივი მშვიდობა გადასცა მათ (იოანე 14, 27; 16,33; რომ. 5,1; ეფეს. 2,14; ფილიპ. 4,7). სახარების „ცხრა ნეტარებიდან“ ერთ-ერთი ეხება მშვიდობისმყოფელს, ე. ი. ისეთ ადამიანს, რომელიც მშვიდობას თესავს ყველგან: „ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძენი ღმრთისაჲ იწოდნენ“ (მათე 5,9).

მშვიდობას შეიცავს იოანე ოქროპირის ერთ-ერთი სწავლა, რომელიც ქართულადაც უთარგმნიათ: „სიტყუა მისთჳს მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ: „ქრისტჱსთ მშვიდობა ყო სისხლითა თუსითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: Ath. 9, Sin. 36, S 1139. გამოცემულია ილია აბულაძის მიერ: „მამათა სწავლანი“, 1955 წ. გვ. 100-107.

„მშვიდობაჲ ყოველთა!“ – ამ სიტყუებით ლოცავს მღვდელი და მღვდელმთავარი წირვა-ლოცვის განსაზღვრულ მონაკვეთში მრევლს (თხოვნითი კერძესის ბოლოს, როგორც მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის დროს). ასე ესალმებოდა იესო ქრისტე თავის მოწაფეებს (იოანე 20,19) და ასწავლიდა, თავადაც ასე

მისალმებოდნენ ყველას, ვინც ეხებოდა ქრისტესმიერ მშვიდობას (იოანე 14,27; მთე 10,12-13). „მშვიდობა ყოველთას“ წარმოთქმის დროს მღვდელი ჯვარს სახაზე მრევლს ერთი ხელით, მღვდელმთავარი კი – ორი ხელით.

„მშჯდობიანი“ – დიდი კეერქსის მეორენაირი სახელწოდება, რომელიც წარმოდგება მისი პირველი სიტყვისაგან („მშჯდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“). იხ. დიდი კერექსი.

მშვილდოსანი – ზოდიაქო, მოციქულ ბართლომეს სიმბოლო. „რომელმან მოინადირნა წარმართნი“ (სულხან-საბა).

„მშობელნი ღმრთისანი“ – წოდება წმ. ქალწულ მარიამის მშობლების – იოაკიმესი და ანასი.

მჩხაბაჲი – ცუდად (აკად) მწერალი. ასე უწოდებდნენ თავდაპირველად თავისთავს ძველი ქართული ხელნაწერების გადამწერნი.

მჩხრეკალი („უცნად მჩხრეკალი“) – ასე უწოდებდნენ თავისთავს ძველ ქართულ ხელნაწერთა გადამწერნი. „ჩხრეკა“ და „დაჩხრეკა“ არასათანადო წერის, ან დამწერლისაგან თავმდაბლობით თავისი ნაშრომის დასახასიათებლად და აღსანიშნავად იხმარებოდა. „ჩხრეკა“ და „დაჩხრეკა“ ნაწერის დაბალ ღირსებას, მის სიმდარეს არ ამტკიცებს. იგი მხოლოდ გულწრფელი თავმდაბლობის ან ზრდილობად ქცეული თავმდაბლობის გამომხატველი იყო. „ჩხრეკის“ მეორე მნიშვნელობაა ძიება, გამოძიება, შესწავლა, ყოველი „მჩხრეკელი“ ზრუნავდა ტექსტის სანდო დედნიდან გადაწერაზე, ამისთვის მას უხდებოდა „მართალი დედის“ ძიება. მჩხრეკელები მხოლოდ დედნის შერჩევით არ იფარგლებოდნენ. ისინი ადგენდნენ ახალ კრებულებსაც. ასეთი ხელნაწერების შემქმნელი იყო არა უბრალო გადამწერი, არამედ მისი შემდგენელი, რედაქტორი. მჩხრეკალს უწოდებს თავისთავს XI ს. შესანიშნავი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე. ერთერთი მისეული ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ მას დედნის ტექსტი ზოგან შეუმოკლებია, ზოგან განუვრცია. ასეთ ადგილებს იგი „დაჩხრეკილს“ უწოდებს. ე. ი. „დაჩხრეკა“ ნიშნავდა ამა თუ იმ თხზულების განსხვავებული რედაქციის შექმნას. ასეთი მნიშვნელობით ტერმინები „ჩხრეკა“ და „მჩხრეკალი“ მხოლოდ სინურ ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ არა ყოველთვის. დაახლ. XII ს-დან ეს ტერმინები მნიშვნელობით „წერასა“ და „მწერალს“ გაუტოლდნენ.

მცირე აიაზმა (ბერძნ. „აიაზმა“ – სიწმიდე) – ასე ეწოდება წყლის კურთხეევის წესს, რომელიც სრულდება ტაძრის დღესასწაულებზე (ლიტურგიის დაწყებამდე) და ყველა საჭირო შემთხვევაში, სურვილისამებრ. ამისაგან განსხვავებით, „დიდი აიაზმა“ სრულდებოდა წელიწადში მხოლოდ ერთხელ – ნათლისღების დღესასწაულის წინადღით (XVII ს-დან, ფილოთეოს კონსტანტინეპოლელის რეფორმის შემდეგ – თვით ნათლისღების დღესაც). „აიაზმა“ ნაკურთხ წყალსაც ნიშნავს, მაშასადამე, „მცირე აიაზმა“ არის ის ნაკურთხი წყალი, რომელიც ამ წესით იკურთხება. მცირე აიაზმის შესრულება სავალდებულოა 1 აგვისტოს (წყაროებზე ან წყალსაცავებში, ამ დროს ხდება ლიტანიობაც), აგრეთვე განზოგების დღეს, როდესაც მოვიხსენებთ, თუ როგორ შესთავაზა მაცხოვარმა ხალხს „წყალი ცხოველი“ დღესასწაულის განზოგების დღეს (იოანე 4,5-34). ტაძრის დღესასწაულებზე წყლის კურთხევას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დროს განახლდება ტაძარი ლოცვითა და წმიდა წყლის ხსურებით.

მცირე აიაზმის წესი თავისი შედგენილობით მსგავსია ცისკრის ლოცვისა, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ემატება ლიტია, აგრეთვე ჯვარის ჩასვენება სამჯერ წყალში და გალობა ტროპარისა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ (იხ. დიდნი კურთხევანი).

მცირე დაფარნა – ჯვარის ფორმის მოქარგული ქსოვილი, რომელიც იხმარება წირვის დროს ბარძიმსა და ფეშხუმზე გადასაფარებლად (ცალ-ცალკე). გადაფარება ხდება პროსკომიდიის დროს. დაფარნებით დაბურულ ბარძიმ-ფეშხუმით მოხდება ამბიონზე ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენება, ტრაპეზზე დასვენების შემდეგ კი მცირე დაფარნების ნაცვლად ბარძიმ-ფეშხუმი იბურება დიდი დაფარნით. იხ. ცაჲ.

მცირე დღესასწაულები – თვეინის ზოგიერთ წმინდანთა ხსენება, რომელსაც აქვს შემდეგი თაეისებურებანი: „უფალო ღაღად-ვყავს“ აქეს-ექესი დაიდებელი, ცისკრის კანონის გალობები შეიცავენ ექეს-ექეს ტროპარს, მესამე (ხან მესამესთან ერთად მეექსე) გალობის ტროპარები ჩართვის წირვის მესამე აღსაელის (ცხრა ნეტარების) მუხლებში. და ბოლოს, თუ ამ წმინდანის სახარება წაკითხული უნდა იყოს წირვაზე, თვენში მოთითებული იქნება სათანადო წარდგომა, „ალილუიას“ მუხლები და „ქანიცაც“.

„მცირე კანონი“ იოანე ზოსიმესი – სინის მთის ხელნაწერი Sin. 37, გადა-

წერილი X ს-ში (982 წ.) იონე-ზოსიმეს მიერ, „პრძანებითა და მოლუწებითა პატრიარხისა მღდელსა კურაპს წმიდისა სხუაწმიდის ღუანოზისათა და შეწევნითა გიორგი, პატიოსანსა მღდელისაჲთა“. „მცირე კანონი“ აშაჩეულია იერუსალიმური ღვთისმსახურების წესისა და წარმოადგენს ნაწილს „დიდი კანონისას“ (განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთაჲ, რომელსა ჰყოფენ იერუსალჱმს“, გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: Иерусалимский Канонарь VII в., Тивлис,1912). იგი, შეიცავდა არა მთელი წლის განგებას, არამედ მარტო ზენების კვირიაკისას და სამი დღესწაულის – შობის, ნათლისღების და ბზობისას (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ტ. III, გვ. 127-133).

მცირე კვერექსი – „მცირე მშვილდიანი“, სამშუხლიანი კვერექსი, რომელიც იწყება სიტყვებით: „მშუხლობით უფლისა მიმართ ვხლაკოთ“. ორივე მუხლის ბოლოს ითქმის „უფალო, შეგუწყალენ“. მცირე კვერექსი მრავალჯერ ითქმის ლიტურგიაზე, მწუხრისა და ცისკრის ლოცვებზე, საკლესიო წესებზე. თითოეულ შემთხვევაში მცირე კვერექსს მოსდევს სხვადასხვანაირი ასამხლებელი. იხ. კვერექსი.

მცირე მწუხრი – მწუხრის ლოცვა, რომელიც სრულდება კვირიაკეებისა და დიდი დღესასწაულების წინა საღამოს, ღამისთევის ლოცვის წინ, თანაც იმ შემთხვევებში, როცა ღამისთევა იწყება დიდი მწუხრით. იმ დღეებში, როდესაც ღამისთევის ლოცვა იწყება დიდი სეროპით, მცირე მწუხრი არ ილოცება. მცირე მწუხრის ლოცვა უფრო მოკლეა, ვიდრე ყოველდღიური მწუხრი. დიდი მწუხრისაგან განსხვავებით, მცირე მწუხრზე არ ითქმის: დიდი კვერექსი, რიგითი კანონი, მცირე კვერექსი, თხოვნითი კვერექსი („ალეუსრულოთ სამწუხრო ვედრება“...); „უფალო ღაღად-ყაჲსი“ დასტებულად იგალობება არაუმეტეს 4 მუხლისა, მრჩობლი კვერექსი („შეგუწყალენ ჩვენ, ღმერთო...“) წარმოითქმის არასრულად, შეკვეცილად (მხოლოდ 4 მუხლი); განტეება მცირეა.

მცირე სერობა – საზოგადო ღვთისმსახურების ერთ-ერთი სახე, ეახშმის ლოცვა, რომელიც იკითხება ყოველდღიურად ხსნილში, ასევე მარხვის იმ დღეებში, როდესაც არ იკითხება დიდი სერობა. არის დღეები, რომლებსაც ტაძარში არ იკითხება სერობის ლოცვა (მაგ.: დიდი მარხვის V შუადეკეში, დიდი კანონის კითხვისა და დაუჯდომლობის დღეებში), ასეთ შემთხვევაში ტიპიკონი მიუთითებს სერობის წაკითხვას კელიაში (მონაზონთათვის). ამ ლოცვის ტექსტი წერია ჟამნში. იხ. დიდი სერობა.

მცირე სვინაქსარი – „აიასოფიის“ ანუ კონსტანტინეპოლის „დიდი ეკლესიის“ ტიპიკონი, შემოკლებულად თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. „სუნაქსარი საწელიწდოჲ უმცროსი“, ათონის კრებული, გვ. 28). სვინაქსარი X საუკუნეში დამკვიდრდა ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში და თანდათან განდევნა „იერუსალიმის კანონი“ – ქრისტეს საფლავზე შემუშავებული იერუსალიმის რედაქციის ტიპიკონი. მოგეგონებით, რაკი ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი მცირე სვინაქსარი იმჟამინდელ რთულ ლიტურგიულ მოთხოვნილებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა „დიდი სუნაქარი“, ე.ი. მთლიანი, სრული რედაქცია აიასოფიის ტიპიკონისა, რომელშიც შეტანილი იყო ელემენტები სტოდიელთა საუანისა და ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკისა.

მცირე სქემა – მანტია, მონაზონთა შესამოსელი. არსებობს სამონაზონო ზოდების ორი საფეხური – მცირე სქემოსნობა და დიდი სქემოსნობა (ნ. სქემა). მცირე სქემოსნობა მონაზონების პირველი (უფრო დაბალი) საფეხური, დიდი (ანუ ანგელოზებრივი) სქემოსნობა – მეორე, უფრო მაღალი საფეხური.

მცირე სქემა ეწოდება აგრეთვე მონაზონთა შესამოსლის ერთ, უმთავრეს ნაწილს, რაზედაც დამაგრებულია ხის ჯვარი. მცირე სქემას (დიდი სქემისაგან განსხვავებით) ეწოდება საბჭური, „წინლი“ (საწინდარი) დიდი სქემისა. მცირე სქემის კურთხევა, სქემის შემოსვა ეწოდება მონაზონად აღკვეცის წესს. მცირე სქემოსანთა შესამოსელია: კვართი (კაბა), სარტყელი, კუკული (ცილინდრული ფორმის ქუდი), საბჭური („წინდი დიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა“), სანდალი (უბრალო ფეხსაცმელი) და ბოლოს – მანტია („პატივი დიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა“). იხ. „კურთხევა მცირისა სქემისა, რომელ არს მანდილი, ესე იგი მაზარა“; „წესი და განგება წმიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა“ (დიდნი კურთხევანი, ე. ჭელიძის გამოცემა, თბ., 2002, გვ. 169-195.)

„მცირე სჯულისკანონი“ – საეკლესიო სამართლის კრებული, რომლის ქართული რედაქცია ეფთვიმე მთაწმიდელმა შეადგინა X ს. მიწურულში. კრებულის წყაროებად მან აღო ბიზანტიური საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები („წესი და განგებაჲ და

რწულისკანონი მეექვსისა კრებისაჲ“, „კანონნი შეცოდებულთანი“, „კანონნი დღით დღეს ცთომათანი“ და „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“) და რედაქციულად დაამუშავა. მათთან ერთად გაითვალისწინა ქართული მასალა და შექმნა სრულიად ახალი, ქართული რედაქცია სჯულისკანონისა. „მცირე სჯულისკანონი“ თავიდანვე განსაზღვრული იყო ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ. ეს კრებული საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკაში ფართოდ ყოფილა გამოყენებული, იმდენად, რომ იგი ხშირებიდან ერრ განუდევნია არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდ სჯულისკანონსაც“ კი.

ეფთვიმე მთაწმიდელის კანონიკური კრებული თავისი შედგენილობით სრულიად ორიგინალური და ერთადერთია ქრისტიანული ეკლესიის სამართლის ისტორიაში. თვით სახელწოდებაც ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის. კრებულის პირველ ნაწილს წარმოადგენს ტრულის 692 წლის კრების კანონები. როგორც ცნობილია, V და VI მსოფლიო კრებებს კანონები არ გამოუცია. ამიტომ იყო, რომ 692 წელს კეისარმა იუსტინიანე II-მ მოიწვია კრება, რომელსაც უნდა შეევსო V და VI კრებათა ხარვეზი საეკლესიო სამართლის საკითხში. ამიტომ ამ კრებას „მეხუთე-მეექსე“ ეწოდა და შემდგომში მსოფლიო კრებებს გაუსწორდა თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ზოგიერთი მისი მუხლის ნაცვლად შეტანილია ბასილი დიდის კანონები და სხვა წმიდა მამათა კანონიკური ხასიათის შრომებიდან ამოღებული ადგილები. ზოგიერთი მუხლი თვით ეფთვიმე მთაწმიდელს დაუწერია. რედაქტორს უფრო მეტი ყურადღება დაუთმია იმ დროისათვის აქტუალური საკითხებისთვის, რომლებიც პასუხობდნენ ქართული ეკლესიის იმდროინდელ მოთხოვნილებებს.

კრებულის მეორე ნაწილია შეცოდებულთა კანონები, რომლებიც მიეწერება კონსტანტინეპოლის პატრიარქს, იოანე მმარხველს (582-595 წწ.). სინამდვილეში, სპეციალისტთა დასკვნით, ეს კანონები უფრო გვიან, VIII-IX სს-ში დაიწერა, როდესაც ბიზანტიის იმპერია გარყვნილმა ცხოვრებამ მოიცვა და საჭირო შეიქნა ბრძოლა მის წინააღმდეგ. მესამე ნაწილია „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი, ვითარცა წმიდამან მამამან ჩუენმან ბასილი განაწესა“. ეს კანონები ეკუთვნის არა თავად ბასილი დიდს, არამედ, როგორც ვარაუდობენ, VIII-IX სს-ის უცნობ კომპილატორს, რომელსაც ეს კანონები ბასილი დიდის კანონების მიხედვით უნდა შეედგინა.

კრებულის ბოლო, IV ნაწილია „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისა“, რომელიც 843 წ. კონსტანტინეპოლის ადგილობრივ საეკლ. კრებას მიუღია. ამ კრებამ დაგმო ხატმებრძოლნი და აღადგინა ხატთა თაყვანისცემა. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში ჩართულია ერცელი ტრაქტატი, რომელიც ხატმებრძოლობას ეხება. იგი არ არის არც ბერძნულ დედანში და არც ამაკე ძეგლის მეორე ქართულ თარგმანში, რომელიც შიომღვიმის ტიპიკონში შეუტანიათ. ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სჯულის- კანონმა“ მრავალი ნუსხით მოაღწია ჩვენამდე. უძველესი ნუსხებია: A 96; A 737, S 143, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი № 92 და სხვ. გამოსცა ე. გიუნაშვილმა 1972 წ. (ძირითადად A 96 ხელნაწერის მიხედვით. „შეცოდებულთა კანონები“ ბერძნული ენიდან თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ე. ჭელიძემ, მცირე სჯულისკანონი, თბ., 2003 წ.).

მცირე შესვლა – ასე ეწოდება წირვა-ლიტიის დროს მღვდელმსახურთა გამოსვლას ჩრდ. კარებიდან და შესვლას აღსავლის კარებში. სრულდება შემდეგ შემთხვევებში:

1. წირვაზე, მესამე ანტიფონის (ცხრა ნეტარების) გალობის დროს. მღვდელი და დიაკონი დგებიან წმ. ტრაპეზის წინ, ასრულებენ სამ მეტანიას, შემდეგ მღვდელი აიღებს წმ. სახარებას, გადასცემს დიაკონს და გამოდიან ჩრდ. კარებით, ტრაპეზს შემოუვლიან უკანა მხრიდან. წინ მიუძღვით ლამპარი. დიაკონი აღსავლის კარებში ჯვარს გამოსახავს სახარებით, იტყვის „სიბრძნით აღემართენით“ და შეაქ საკურთხეველში. მღვდელი ემთხვევა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებს კანკელზე, ჯვარს გადასახავს ხალხს და შედის საკურთხეველში. ასეთი შესვლა წირვაზე დაწესებული იყო იმიტომ, რომ ამ დროს ხდებოდა წმ. სახარების გამოტანა სადაკენდან, საღაც იგი ინახებოდა (თანამედროვე წეეულებით, სახარება ტრაპეზზე რჩება წირვა-ლიტიის შემდეგაც). შესვლა სახარებით გამოხატავდა იესოს ქადაგებას მთაზე (მათე 5-7). ლამპარი – სახეა უფლის წინამორბედისა – იოანესი. ჯვრის გამოსახვა სახარებით – გვიჩვენებს, რომ უფალმა საკუთარი ჯვარის ტკივილითა და ენებით გაგვცა კარი სამოთხისა. საუფლო დღესასწაულებზე (ქრისტეს შობა, ღვთის განცხადება, მირქმა, ფერისცვალება, ბაიაობა, პასექის მთელი შვიდეული, მეერგასე, ჯვართამაღლება) დიაკონი მცირე შესვლისას „სიბრძნით აღემართების“ გარდა ამბობს სპე-

ციალურ მუხლს („შესვლად"), რომელიც აღებულია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან და ეხება ამა თუ იმ დღესასწაულს.

2. დიდ მწუხრზე, „უფალო ღაღად-ვყავის" ბოლო დასტებელზე („აწდა") მღვდელი და დიაკონი ასრულებენ მცირე შესვლას საცეცხლურით (დიაკონს სახარების ნაცვლად ხელთ უპყრია საცეცხლური. საცეცხლურითვე გამოსახაჭას ჯვარს აღსაელის კარებში). კარის გაღება მომასწავებელია იმისა, რომ უფლის მოსელით ხალხს გაეღება სასუფევლის კარი; საკურთხეველიდან გამოსული მღვდელი არის სახე იესო ქრისტესი – „ნათლისა მხარულისა"; მისი შესამოსელი (ფილონი) არის ნიშანი სიმდაბლისა და სიღიდისა. მღვდლის წინ მიმავალი დიაკონი გამოხატავს იოანე წინამორბედს, საცეცხლური და საკმეველი – ლოცვათა აღვლენას უფლის მიმართ. დიაკონს წინ უძღვის ორი ლამპარი.

3. როდესაც მწუხრის ლოცვაზე იკითხება სახარება (მაგ. პასექის დღეს, დიდ პარასკევს, პირველშეწირულის ზოგიერთ წირვაზე), შესვლა ხდება სახარებით.

მცნება – იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიის მიერ აღიარებული მორალური და სოციალური ხასიათის დარიგება („ბრძანება ანუ სჯულისდება ღმრთისა მიერ, გინა უაღრესისაგან", ნ. ჩუბინიშვილი), რომელიც მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. ძველ აღთქმაში ათი მცნებაა – დეკალოგი (ბერძ. deka – ათი, logos – სიტყვა, მოძღვრება), მოცემული მოსე წინასწარმეტყველის მიერ [ბიბლიაში მათი სხვადასხვა ვარიანტია (გამოსლ. 20,34; მეორე სჯულ., 5)]. ახალ აღთქმაში ქრისტიანული მცნებები ცნობილია „ცხრა ნეტარების" სახელით, რომელიც თვით იესო ქრისტემ იქადაგა (მათე 5; ლუკა 6). მოსეს მცნებათაგან უდიდესი, მაცხოვრის სიტყვით, არის: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოლითა გულითა შენითა და ყოლითა სულითა შენითა და ყოლითა გონებითა შენითა... და მეორე, მსგავსი ამისი: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი" (მათე 22, 36-40; მარკოზი 12,28-33). ამ ორ მცნებაზეა დამყარებული „სჯული და წინასწარმეტყველნი" (მათე 22,40), ე. ი. მთელი საღვთო წერილი ძველი აღთქმისა.

ახალი მცნება მაცხოვრისა ისეც სიყვარულია: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებდით ურთიერთას" (იოანე 13,34-35; 15,12; რომ. 13,8-10).

„მცნებათა ღმრთისათა დაცვისათჳს" – თხზულება თეოფანე კესარია-კალწყოს მთავარეპისკოპოსისა. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ყველ ადგილსა და ყველ ჟამს შესაძლებელია დამარხვა (დაცვა) ღვთის მცნებებისა. თარგმნილია უფუთიეზ მთაწმიდელის მიერ. დაცულია ხელნაწერში A 1101.

„მცნებათა მღდელთა მიმართ" – ბასილი დიდის კანონიკური თხზულება, ქართულად თარგმნილია გიორგი მთაწმიდელისა (A 584,247-248) და არსენ იყალთოელის მიერ (A 1426; A 1369,72-72; A 633,221-228; A 450).

„მცნებაჲ ჳგინდისა ჴამისჴერვისაჲ მღდელთა მიმართ, რაჲთა არა ჴერვიდენ დღესა შინა ორგზის, არამედ ერთგზის" – ბასილი დიდის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 584, გვ. 248).

მცხეთა – ქალაქი აღმ. საქართველოში, მცხეთის რაიონის აღმ. ცენტრი (1930 წლიდან), მდებარეობს მდინარეების – მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მტკვრის ორივე და არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თბილისიდან 21 კმ. ქართლის ძველი დედაქალაქი, მისი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. მცხეთის ტერიტორია და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ქალაქად მისი ჩამოყალიბება, გადმოცემით, მოხდა ძ. წ. IV-III სს-ში, მცხეთოსის მიერ. ძ. წ. IV ს. ბოლოდან მცხეთა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრია. ძველთაგანვე მცხეთა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ცენტრიც იყო. აქ გაიშალა ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა (IV ს. დასაწყისში). მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილებია: სამთავრო, სვეტიცხოველი, ჯვარი. 337 წ. შემე მირიან III-მ და მისმა ოჯახმა ახალი სარწმუნოება მიიღეს. მათივე ბრძანებით ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა. მცხეთაში დაიწყო პირველი ქრისტიანული ტაძრების შენებლობა. მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში, შემორჩენილია უძველესი გუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც სპეციალისტები IV საუკუნით ათარიღებენ. VI ს. დასაწყისში მეფე დაჩი I უკარმელმა მამის – ვახტანგ გორგასლის ანდერძის თანახმად, დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოტანა. მცხეთამ დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ იგი კე-

ლაჟვარდურად ქვეყნის საეკლესიო ცენტრი დარჩა – აქ იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. გარდა დიდი ტაძრებისა (სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი), მცხეთაში არის სხვა საეკლესიო ნაგებობანი: სამთაროს წმ. ნინოს ეკლესია (IV ს. გადაკეთებულია XIX ს-ში), „ანტიოქია" (VII-VIII სს.), არმაზისხევის მონასტერი (VIII ს.), „მოგვთა" (IX ს.), ბარბარესი (X-XI სს.), ახალქალაქური (ამჟამად ოლღას მონასტრად წოდებული, XI-XII სს., გადაკეთებულია XX ს-ში), კალოუბნის წმ. გიორგის (XII ს. მოხატულობით) და სხვ.

მცხეთაში, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკურ და სასულიერო ცენტრში, დასაბამიდანვე დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა იყო გაჩაღებული. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მცხეთელი მწიგნობარი. VI ს. 70-იან წლებში მცხეთაშია დაწერილი ერთ-ერთი უძველესი ქართული პაგიოგრაფიული ნაწარმოები „მარტვილობაჲ და მოთხრობაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ". მცხეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის თვალსაჩინო წარმომადგენელია კათოლიკოსი არსენ დიდი (IX ს.). ნაყოფიერ მწერლად აგრეთვე კათოლიკოსი არსენ მეორე (X ს.). გვიანფეოდალურ ხანაში მცხეთელ მწიგნობრებად გვევლინებიან მაღალაძენი, რომელთაც XV ს-დან სვეტიცხოველის ქადაგობა და ამ თანამდებობისათვის განკუთვნილი მამულები ეკავათ. 1449 წ. უკვე ცნობილია „მცხეთის ქადაგი" დიმიტრი მაღალაძე. მაღალაძეთა საგვარეულო განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნეში, როდესაც ამ ფეოდალური სახლის მეთაური გახდა ნიკოლოზ ქადაგის ვაჟი – პაპუა მაღალაძე (1623-1681). მისი მრავალრიცხოვანი ოჯახიდან განსაკუთრებით ცნობილია ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძე, როგორც შესანიშნავი ქადაგი და მწიგნობარი. ასევე ცნობილი მოღვაწეები არიან ნიკოლოზის ძმის, რევაზის ვაჟი სოლომონ მაღალაძე (XVII-XVIII ს. მიჯნა) და სვეტ-ცხოველის „მდივან-მწიგნობარ-ქადაგი" ნიკოლოზ მაღალაძე (XVIII ს.)

სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა აქონია. იგი მდიდრდებოდა არა მარტო ადგილზე გადაწერილი წიგნებით, არამედ უხვი შეწირულობითაც: ცნობილია, რომ კათედრალისათვის ძვირფასი ხელნაწერები შეუწირავთ კათოლიკოსებს: ეპიფანეს (XIII ს.), მაღალას (XVI ს.) ნიკოლოზ ამილახორს (XVII ს.), იოანე დიასამიძეს (XVII ს.) და სხვებს, აგრეთვე მარიამ დედოფალს (XVII ს.), კათოლიკოს დომენტი III-ს (XVIII ს.), დავით კანდელაკს (XVIII ს.), მამია IV გურიელს (1726-1784) და მის მეუღლეს როდამს. მტერთაგან მრავალი დარბევისა და ძარცვის მიუხედავად სვეტიცხოველის ბიბლიოთეკიდან დღემდე შემორჩენილია მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიბლია (A 51, XVII-XVIII სს.), დავითნი (A 38, X-XI სს.), სახარება-ოთხთავი (A 37, XIII ს.).

მცხეთის საეპისკოპოსო – პირველი საეპისკოპოსო აღმოსავლეთ საქართველოში. დაარსდა IV ს. 30-იან წლებში, ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. მისი დაარსება დაკავშირებულია ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან. თავდაპირველად ეპისკოპოსები იგზავნებოდნენ ქ. კონსტანტინეპოლიდან; ისინი მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. მცხეთის საეპისკოპოსოს ტერიტორია V ს-მდე მთლიანად მოიცავდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ეთნიკურ ფარგლებს. ყველა ადგილობრივი ეკლესია მცხეთის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროდან (V ს.), კერძოდ, ქართლში ახალი საეპისკოპოსოების დაარსებისა და კათოლიკოსობის შემოღების შემდეგ, მცხეთის საეპისკოპოსო დარჩა საკათოლიკოსოში შეშვალ ერთერთ საეპისკოპოსოდ, რომლის საკათედრო (საეპისკოპოსო) ტაძარი იყო მცხეთაში; ამ დროდან მცხეთის საეპისკოპოსოს იურისდიქცია დავიწროვდა – ერისელდებოდა მხოლოდ მდინარეებს – რეხულასა და დიდ ლიახვს შორის მდებარე ტერიტორიაზე. ამ პერიოდიდან მცხეთის საეპისკოპოსოს მეთაურს ეწოდებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსი ან სამთაროს ეპისკოპოსი (მცხეთის საეპისკოპოსოს საკათედრო ეკლესია იხსენიება სამთაროს სახელითაც, როგორც „მთავრის" – მთავარეპისკოპოსის კათედრა). იერარქიულად ქართლის ეპისკოპოსს კათოლიკოსის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა (გვიანდელ პერიოდში – მეოთხე), მთავარ როლს ასრულებდა მეფის კურთხევის რიტუალში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მცხეთის საეპისკოპოსო ადმინისტრაციული წესით გაუქმეს (1811 წ.) და მის ნაცვლად დაარსეს სამთაროს დედათა მონასტერი.

მცხეთის ჯვრის ალმართება – მოხდა IV ს. 30-იან წლ. მეფე მირიანის ბრძანებით. ჯვარი აღმართეს მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე, იქ, სადაც ამჟამად ჯვრის მონასტერი დგას. მცხეთის ჯვარმა, გადმოცე-

მით, მრავალი სასწაული მოახდინა: მცხეთელებს წარმოუღგა სხვადასხვაგვარად ღუმელგაბრწყინებული, სნეულნი განკურნა და მოცალებულიც კი აღადგინა მკვლერეთით. მეფის ძემ რევი პატიოსან ჯარს გუმბათი აუშენა სამადლობელოდ: ჯვრის მადლით განიკურნა მისი ერთადერთი ძე, რომელიც ყველას სასიკეთილოდ განწირული ეგონა.

მცხეთის ჯვრის აღმართვის შესახებ დაწერილებით მოთხრობილია გრიგოლ დიაკონის თხზულებაში, რომელიც ნაწილია „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და რომელმაც ჩვენამდე X ს. ორი ხელნაწერით მოაღწია (A 144 და S 1141): „საკითხავი მარტულიისა შემდგომად, დღესა ოთხშაბათსა; აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთას". ეს თხზულება ცალკე გამოსცა სოლ. ყუბანეიშვილმა „ლიტერატურული ძეგლების" II ტომში, თბ., 1945 წ. (იხ. აგრეთვე ძეგლები I, გე. 147-157). როგორც თხზულების სათაურიდან ირკვევა, დღესასწაულიც კი ჯვრად დაწესებული მცხეთის ჯვრის აღმართვის მოსახსენებლად, კერძოდ, მარტვილიის (ანუ სულიწმიდის გარდამოსვლის) შემდეგ პირველსავე ოთხშაბათ დღეს და ზატიკის შესამე კვირაკეც. ეს დღესასწაული მოხსენებულია იოანე-ზოსიმეს კალენდარში (X ს. Sin. 34,19v).

მცხეთის ჯვრის მონასტერი – მდებარეობს მცხეთის აღმოსავლეთით კლდოვან ბორცვზე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" გადმოცემით, ეს ის ადგილია, სადაც მირიან მეფის ბრძანებით პირველად აღიმართა ხის დიდი ჯვარი (იხ. მცხეთის ჯვრის აღმართვა). VI ს-ში სტეფანოზ ქართლის ერისთავმა ააშენა დიდი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, ხოლო მამამისმა, გურამ ერისთავმა – ჯვრის მცირე ტაძარი. მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. იხ. ჯვრის მონასტერი („მცხეთის ჯვარი").

მცხეთობა, სვეტიცხოველობა – დიდი ეროვნული საეკლესიო დღესასწაული; იმართება მცხეთის საპატრიარქო ტაძარში, სვეტიცხოველში 1 ოქტომბერს; დაწესებულია იმ სასწაულის სადიდებლად, რომელიც უფლის კართმა და ცხოველმა სვეტმა (ძელმა) მოახდინეს. ამის შესახებ არსებობს საეკლესიო გადმოცემა, რომლის მიხედვით ქრისტეს კართი ჯვარცმის შემდეგ წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. კართი ელიოზ მღვდელმა (რახინმა) მცხეთაში ჩამოიტანა და თავის მართლმორწმუნე დას გადასცა, რომელმაც კართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და კართიური დაკრძალა. საფლავზე ამოიდო მშენიერი ხე, რომელიც ხუროებს ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ; მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი. მათ შორის ერთი, სახელგანთქმული და სასწაულთმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კართი იყო დაფლული. სვეტიცხოველობას ემთხვევა ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული, რომელიც აგრეთვე 1 ოქტომბერსაა დადებული.

მცხეთური ბიბლია – XVIII ს. დასაწყისის ქართული ხელნაწერი, ბიბლიის ყველაზე სრული ქართული ნუსხა. იგი რედაქტირებულია XVII-XVIII სს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის მიერ (სომხურ და ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით). ხელნაწერის უმეტესი ნაწილი არქაული და XI-XIII სს-ში ბერძნული ენიდან ნათარგმნია. მათ გვერდით ხელნაწერში არის შედარებით გვიანდელი ერსიები ზოგიერთი ბიბლიური წიგნისა. მცხეთური ბიბლიის ტექსტი ახლოს დგას ჯანაშვილისეული ბიბლიების ტექსტთან (A 570-1460 ერლისა; A 646 – XVI ს.). ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 51). იგი შეიცავს ქაღალდის 668 ფურცელს. ნაწერია შავი მელნით, სხვადასხვა ხელით, ნუსხურით. რედაქტირებულია მხედრული ხელით და ამავე ხელით შეტანილია საძიებლები. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ 1981 წელს დაიწყო და 1986 წელს დამთავრდა მცხეთური ბიბლიის ტექსტის გამოცემა ხუთ წიგნად (გამოსაცემად მოამზადა და გამოკელეფა დაურთო ელ. დოლბაშვილმა).

მძიმე მარხვა – მარხვის წესების განსაკუთრებული სიმკაცრით დაცვა, რომელიც ტიპიკონის მიერ დაკანონებულია გარკვეულ შემთხვევებში.

მძოვარნი (მძოარნი) – პირველ ქრისტიანთა შორის ყველაზე მკაცრი ჟრჟრის ასკეტიზმის მიმდევარნი; იკვებებოდნენ მხოლოდ მწვანილითა და პოსტნეულით (უზეთოდ და უცეცხლოდ). ცნობილი არიან IV-V სს. მძოვართა მონასტრების მამასახლისები: აბრაამ, სტეფანე (იხ. „მამათა ცხორებანი", გამოცემული ვ. იბნაიშვილის მიერ, თბ., 1975 წ. გე. 268-269), ნისიმე მძოვარი, ონოფრე და სხვ. იხ. აგრეთვე მესუეველნი.

მძოვრეთი – ისტორიული ქალაქი აღ-

მოსაელეთ საქართველოში, ახლანდელი ქარელის რაიონში, მდ. ძამის ზეობაში, ქარელიდან 15 კმ. მოიცავდა ახლანდელი სოფლების - ორთუბნის, წითელსოფლისა და სუქანაანთუბნის ტერიტორიას. XIV ს-ში ფანასკერტელთა ფეოდალურმა საგვარეულომ (ციციშვილებმა) მძოვრეთისხევში (ასე ეწოდებოდა ძამის ხევს) მამულები მიიღო. ძამის ციხის ქვემოთ, მთის ძირას იყო მათი სასახლე-რეზიდენცია. მძოვრეთის ხუროთმოძღვრულ ანსამბლში შედის სასახლე, კოშკი, ეკლესია სამრეკლოთი და სხვ., რომლებიც ძირითადად XVII-ს-შია აგებული. საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია ანსამბლის სამხრეთ-დასავლეთით დგას. მისთვის დასავლეთიდან მოგვიანებით მიუშენებიათ სამხარეუნიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული ეკლესიის კარიბჭეს წარმოადგენს, მეორე - საცხოვრებელს, მესამე კი - ღია თაღოვან ფანჩატურს. ანსამბლს გარს ერტყა გალავანი.

მწერალი - ასე ეწოდებოდათ მონაზონებს, რომელთაც ხელნაწერთა გადაწერა ჰქონდათ ხელობად. „მწერალი“ ბერები თავიანთი მნიშვნელობით „მეცნიერ კაცთ“ უტოლდებოდნენ. „მწერლები“ განსაკუთრებული პატივითა და უფლებებით სარგებლობდნენ ქართველთა შორის; „იოანესა და ეფთვიმეს ცხორებაში“ მოთხრობილია, რომ ეფთვიმე დიდი მოკრძალებითა და რიდით ექცეოდა თეოფანე ბუცესს, რომელსაც ათასხუთას დრაკანზე მეტი ღირებულების წიგნი დაუწერია, მაშინ, როდესაც ეფთვიმე, ჩვეულებრივ, ყოველთვის ებრძოდა მონასტრის ძმათა მიდრეკილებას ქონების დაგროვებისადმი. ამავე ძეგლიდან ჩანს, რომ მხოლოდ „მწერალ“ მონაზონებს ჰქონდათ ჯიღის უფლება, რათა ღამით სენაკში სინათლე ჰქონოდათ. თუ რომელიმე მონასტერში რამდენიმე „მწერალი“ იყო, ისინი მწიგნობართა დასს შეადგენდნენ. ამ დასის უფროსს ეწოდებოდა „მწერალთა ზედა მთავარი“ („გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში“ მოხსენებულია გიორგი, „მწერალთა ზედა მთავარი“).

მწვალებელთა შეწყნარება - საეკლესიო რიტუალი, რომლითაც შეიძლებოდა ეკლესიის წიაღში დაბრუნებულიყო ყოფილი მწვალებელი, თუკი იგი მოინანიებდა მართლმადიდებლობისაგან განდგომას და დაგმობდა იმ მწვალებლობას, რომელსაც მისდევდა კათოლიკე ეკლესიაში დაბრუნებამდე. „წესი, თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარება მწვალებელთა მართლმადიდებლობითსა სარწმუნოებასა შინა“ წერია ქართხევანში (იხ. დიდნი კურთხევანი, გამოსცა ე. ჭელიძემ, გვ. 309-315). წვალებათაგან მოქცევის წესი დაადგინა კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებამ (381 წ.) იხ. „ეპისტოლე მარტური ეპისკოპოსისა ანტიოქელისაჲ, თუ ეითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მწვალებელთაჲ, რომელნი მოუქცევიან წმიდასა და კათოლიკე ეკლესიასა“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 539). „ხარეცართაგან“ (სომეხთაგან) მოქცეულებისათვის კანონი გამოსცა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც (ძეგლისწერა, გვ. 136-142).

მწვალებელი - ქრისტიანი, რომელიც მისდევს ამა თუ იმ მწვალებლურ მოძღვრებას და იცავს მართლმადიდებლობისაგან განსხვავებულ წესებს. „ესე არს სარწმუნოებით განყოფილი, გინა განშორებული“ (სულხან-საბა), „სარწმუნოების განმწვალებელი (განწვალება-გაყოფა, განცალკევება,), განდგომილი, განშორებული საერთოს სჯულისაგან“ (ნ. ჩუბინიშვილი).

მწვალებლობა (ბერძნ. ერესი) - განკერძოებული, ძირითადი შტოსაგან განსხვავებული მოძღვრება, რელიგიური სექტა, ქრისტიანული მოძღვრების გაუკუღმრთება, რომელიც სცდილდა დაკანონებულ საეკლესიო დოქტრინას დოგმატიკისა და კულტის საკითხებში. ანტიკური მწერლები „ერესის“ ტერმინს იყენებდნენ მოძღვრების, სკოლის მნიშვნელობით. ადრინდელი პატრისტიკის წარმომადგენლები კენტუს ტერტულიანე და კლემენტი ალექსანდრიელი მწვალებლებს უწოდებდნენ ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც თავისუფლად განმარტავდა ქრისტიანულ დებულებებს. უფრო გვიან მწვალებლობის ცნება აღნიშნავდა ეკლესიის მიერ ოფიციალურად აღიარებული დოგმატებისაგან გადახვევას.

მწვანე მონასტერი - IX-X სს. ერთნავიანი ბაზილიკა. ბორჯომიდან 12 კმ. მანძილზე (ახალციხის მიმართულებით), მდ. ჩითახევის წყლის მარცხენა სანაპიროზე. მონასტრის სხვა ნაგებობანი უფრო გვიანდელია, განსაკუთრებით სამრეკლო (XV-XVI სს.).

„მწვანეყვავილა“ - უბანი ქ. ქუთაისში, კლდეკარ სერზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. აქ არის მონასტერი, რომლის ერთერთი ეკლესია XI ს. დამდეგით თარიღდება (ლაპიდარული წარწერის თანახმად, იგი 1013 წელს აუშენებიათ) XVII ს-ში „მწვანეყვავილას“ მონასტერი წარმოადგენდა გელათის მიტროპოლიტისა და იმერეთის მეფის მოძღვრის, ზაქარია ქარიანის (†1660 წ.) რეზიდენციას. „მწვანეყვავილა“ XVII ს. შემდეგაც გელათის

მიტროპოლიტის მამულად ითვლებოდა. ზაქარია ქვარიანის 1644 წ. შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ მას „მწუანეყვაეილაზე“ მთაყარანგელოზის ეკლესია აუშენებია. „მწუანეყვაეილას“ მონასტერი საცხოვრებელ პალატებს, ციხე-კოშკებსა და რამდენიმე ეკლესიას მოიცავდა. XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში კი ოსმალთა თავდასხმის გამო ძალზე დაზიანებულა.

დღეისათვის „მწუანეყვაეილას“ უბანში სამი ეკლესიაა შემორჩენილი: მთაყარანგელოზის დიდი ეკლესია (განახლებულია XIX ს-ში), XI ს. მცირე დარბაზული ეკლესია და შუა საუკ. დარბაზული ეკლესია პანთონის ტერიტორიაზე.

მწიგნობართუხუცესი მწიგნობართა უფროსი, სამეფო კარის სამდივნოს მეთაური ფეოდალურ საქართველოში. მწიგნობართუხუცესი პირველად X-XI სს. ძეგლში იხსენიება. დაკით აღმაშენებლმა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მწიგნობართუხუცესობა ჭყონდიდელობასთან შეაერთა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – სამეფო დარბაზის პირველი ეზოირის ტიტული გაერთიანებულ საქართველოში. იგი ენიჭებოდა ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსს. სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების მიზნით 1105-1110წწ. შუალედში დავით აღმაშენებელმა გაართიანა მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობა. მწიგნობართუხუცესობა არსებითად განსხვავდებოდა ყველა სხვა სადარბაზისკარო თანამდებობისაგან (ყველა სხვა „ხელი“ მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული, მწიგნობართუხუცესი კი მონაზონი იყო და არ იჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას). იგი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ თავგამოდებით უჭერდა მხარს მის გაძლიერებას. „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, „ეითა მაშა არს მეფისა“, ამიტომ „ყველა საუკრავი უმისოდ არ იქნების“. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფოში და იგი მის თანაშემწედ ითვლებოდა. მას არ ებარა მმართველობის რომელიმე დარგი. იგი ყველა დარგს უწევდა ზედამხედველობას. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი საეა-ზიროს მეთაური, პრემიერმინისტრი, ანუ კანც-ლერი იყო. იგი, როგორც საეაზიროს უფროსი, აშხედრო საქმეების მოწესრიგებაშიც იღებდა მონაწილეობას. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, როგორც მონაზონი, ოთხ სასტატო მონაზონთან ერთად იყო გათვალისწინებული დარბაზობის განაწესში. მწიგნობართუხუცესის მოვალეობა იყო „სამეფოსა და სახლის განგება“ (ქამთაალმწერელი). იგი „საეკარსაე“ ედგა სათაეში და სახელმწიფოში მართლმსაჯულებას განაგებდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, როგორც საეკლესიო მოხელეს, გარდა გელათისა, ყველა მონასტერი და ეკლესია ემორჩილებოდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელი ქართული სახელმწიფოს გაძლიერების გარიერაზე წარმოიშვა. ამ სახელის პატრონი აქტიური მონაწილე იყო სახელმწიფო საქმიანობაში, ამიტომ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს დაწყ-დაწინაულ იყო სახელის ძლიერების დასასრულიც. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტიტულის პირველი მატარებელი იყო გიორგი მონაზონი – რუისურბნისის საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე.

მწიგნობარი (მწერალი) – საეკლესიო წიგნების გადამწერი და სამართლებრივი დოკუმენტების შემდგენელი ძველ საქართველოში. მწერლისა და მწიგნობრის სახელო საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა, ხოლო X ს-დან მაინც, თუ უფრო ადრე არა, – მწერალთმთავრისა და მწიგნობართუხუცესისაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელო მწიგნობართუხუცესისა, რომელიც თავდაპირველად ერისკაცი იყო, შემდეგ – მონაზონი, ხოლო 1105-1110 წლიდან – ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი.

მწირი – უცხოობაში მყოფი ბერი, „ესე არს უცხო ერიმე უცხოთა ადგილთა იყოფებოდეს და გამოიზარდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმიდათა ადგილსა მოილოცებდეს“ (სულხან-საბა).

მწუხარების დღენი – ებრაელთა დღესასწაული, რომელიც იმართება იერუსალიმის „წარტყუენას“ (ტყვედ წაყვანას). გლოვის ნიშნად ებრაელნი თავზე მტკერს (ნაცარს) იყრიან, მძიმედ მარხულობენ და მოთქმამენ თაეიანთი უბედურობის გამო. იხ. „წარტყუენა იერუსალემისა“.

მწუხრი – მწუხრის ლოცვა, ერთ-ერთი უმთავრესი საზოგადო ქრისტიანული ღვთისმსახურება. იგი სრულდება მწუხრის ჟამს, შებინდებისას. მწუხრი, ისევე როგორც სხვა საზოგადო ღვთისმსახურება, შედგება მრავალი ლოცვის, საგალობლის, კერექისა და ასამაღ-

ლებლისაგან. მათი თანმიმდევრობა დადგენილია ტიპიკონით. მწუხრის ლოცვის ცვალებადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დღეს სრულდება იგი. მწუხრი სხვადასხვანაირია მარხვაში, ზატიკსა და წლის დანარჩენ პერიოდში. დიდი ღღესასწაულებისა და კვირაკეების (კვირაღღეების) წინასაღამოს სრულდება ე. წ. „დიდი მწუხრი“, სადა ღღეებში – ყოველდღიური მწუხრი. არსებობს შემთხვევები, რომლისაც მწუხრი მოერთვის სხვა რომელიმე ღვთისმსახურებას (წირვას, სერობას), ან პირიქით – მწუხრზე მორთულია სხვა ღვთისმსახურება (მაგ., პირველშეწირვის წირვა). ყველა ეს შემთხვევა აღნუსხულია ტიპიკონში და იქცა მოცემული საღვთისმსახურო მითითებები. დიდ მწუხრსა და მასთან შეერთებულ „დიდ ცისკარს“ ეწოდება ღამისთევის ლოცვა. ღამისთევის ლოცვის წინ სრულდება „მცირე მწუხრი“.

მწყემსთა თაყვანისცემა – როდესაც ხორციელად იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იუდეის ქალაქ ბეთლემში, იქვე მახლობლად მინდორში მწყემსებს გამოეცხადა ანგელოზი (ლუკ 2,8-20), რომელმაც ახარა მათ მაცხოვრის შობა. გაკვირვებული და გახარებული მწყემსები წავიდნენ იმ გამოქვაბულისაკენ, სადაც ახალშობილი ყრმა და დედამისი იყვნენ და თაყვანი სცეს მას. საგულისხმოა, რომ უფლის თაყვანისსაცემად მოვიდნენ არა მარტო უწიგნური მწყემსები, არამედ ღრმად განსწავლული მოგვებიც. იხ. მოგვთა თაყვანისცემა.

მწყემსი, სულიერი მწყემსი – მღვდლისა და მღვდელმთავრის ეპითეტი.

„მწყემსი“ – ქართული სასულიერო ჟურნალი, გამოდიოდა 1883-1910 წწ. ყვირილაში (ახლანდელი ზესტაფონი), თეგში 2-ჯერ, 1885-87 წწ-ში – თეგში 5-ჯერ. ჟურნალი სასულიერო თემატიკის გარდა დიდ ადგილს უთმობდა ქართული სკოლის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს. 1885-1905 წწ. რუსულ ენაზე გამოდიოდა „მწყემსის“ დამატება. რედაქტორ-გამომცემელი იყო დ. ღამბაშიძე.

მწყემსმთავარი – მღვდელმთავრის ან მამამთავრის (კათოლიკოს-პატრიარქის) ეპითეტი.

მჯადიჯვარი – სოფელი ღუშეთის რაიონში, მდ. ნარეკვაის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. სოფლის შუაში არის ეკლესია და ციხე. სამხრ. და დას. კარის წარწერების მიხედვით, ეკლესია 1668 წ. აუგია დომენტი კათოლიკოსს. ეს ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა ერთ-ერთი უდიდესია გეიანდელი შუა საუკუნეების ეკლესიათა შორის, ნაგებია ძირითადად აგურით. ეკლესიას აღმ. და სამხრ. მხრიდან ეკვრის ციხე, რომელიც სოფლის „მოშენების“, „აღორძინების“ მიზნით სახლთუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონს აუშენებია 1746 წ.

მხარი (მჯარი) – 1). მხარე, ფრთა, კლიროსი. მგალობელთა და მედაიკონეთა აგდილი ამბიონის ორიენ მხარეს, ჩრდ. და სამხრ. კარების პირდაპირ. 2) მკითხველთა და მგალობელთა დასი, გუნდი (იხ. მემხრე). მარჯვენა მხრის მგალობლენი დგანან სამხრ. კარის, ხოლო მარცხენა მხრისა – ჩრდ. კარის პირდაპირ. „მხარი“ სიმბოლურად გამოხატავს უფლისადმი ლოცვის აღმვლენელ ანგელოზთა დასს.

მხედრობანი // ზეციური მხედრობანი – ანგელოზთა კრებული (ლუკ 2,13), ღვთისმსახურნი. ასე ეწოდება აგრეთვე ყველა არსებას, რომელიც ღმერთს ემსახურება (გამოსლ. 14,4; 9,17; სიბრძნ 12, 8), განსაკუთრებით – წმიდათა კრებული (გამოცხ. 19, 14).

მხედრული – ქართული დამწერლობის განვითარების ბოლო, მესამე საფეხური (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული). მხედრული დამწერლობა იქმნებოდა თანდათანობით, უფრო ადრეული ქართული დამწერლობის – ნუსხურის საფუძველზე. მხედრულის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლები IX ს-დან მოგვეპოება (ატენის სიონი, სინის 864წ. გადამწერის ანდერძი). ივ. ჯავახიშვილი ადრეულ მხედრულ დამწერლობას მრგლოვან ნუსხა-ხუცურს და მდივან-მწიგნობრულ დამწერლობას უწოდებს. XIX ს. დამლევამდე ქართული დამწერლობის სამიეე სახეობა იხმარებოდა, შემდეგ კი მხედრულმა დამწერლობამ უპირატესობა მოიპოვა.

მხეთალი ღვთისა – მორწმუნე და ღვთის ნებისმყოფელი დედაკაცი, ან ქალწული. შდრ. მონა ღვთისა.

მხეციძე (მკეციძე) – „გალატოზი“, მოხსენებულია სოფ. აჭის (გურიაში) ეკლესიის დაახლ. XVII ს. წარწერაში მიქაელ კალატოზთან ერთად (იხ. მიქაელ გალატოზი).

მხილება – საყვედური, გამოსასწორებელი სასჯელი, რომელსაც სასულიერო პირს აღებს ეპისკოპოსი ან ეპისკოპოსთა კრება (მეორე შემთხვევაში მხილება ხდებოდა საჯაროდ). ტერმინი დადასტურებულია „დიდ სჯულისკანონში“ (ქალკედ. კრ. მე-19 კან., გე. 273,25).

„მხილებაჲ თაეისა თჳსისაჲ და ალსარებაჲ“ – ეფრემ ასურის თხზუ-

ლება, ქართულად თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელისა (A 612,563-637; 1104 298-337) და ეურემ მცირის მიერ (A 154, A 166, A 196, A 391, A 673; ქუთ. 8). თარგმანისათვის ეურემს უწოდებია „სულისა შიშისათჳს“.

„მხილებაჲ მონაზონთა უღებთა, თავჴელთა და დაკნინებულთაჲ“ – ეურემ ასურის თხზულება, შეტანილია ხელნაწერებში; Ath. 9 („სამოთხე“), A 56; A 1142; Sin. 36.

„მხილებისათჳს თავისა თჳსისა და აღსარებისათჳს ცოდვათა“ – ეურემ ასურის თხზულება, ქართულად თარგმნილია IX-X სს., შეტანილია ოშკის ლარაში 977 წელს გადაწერილ „სამოთხეში“ (Ath. 9) და მისგან გადმოღებულ ორ პირში: A 56 და A 1142, აგრეთვე Sin. 36.

მხილებითი ღვთისმეტყველება – ანუ შედარებითი, პოლემიკური ღვთისმეტყველება (theologia antitetica), საღვთისმეტყველო მეცნიერება, რომელიც აკრიტიკებს სხვადასხვა მოწინააღმდეგე, მწვალებლურ და არაქრისტიანულ სარწმუნოებას. ქართული სასულიერო მწერლობა განსაკუთრებით მდიდარია მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური თხზულებებით (იხ. მონოფიზიტობა). კრიტიკა და ანალიზი იულეიზმისა, მაჰმადიანობისა და წარმართობისა – არის საგანი აპოლოგეტიკისა (იხ. აპოლოგეტიკა).

მხოლოდშობილი – ერთადერთი ძე; ასე ეწოდება ძე ღვთისას, იესო ქრისტეს (იხ. მრწამსი. აგრეთვე იოანე 1,14 და 1,18). ამით ხაზი ესმება იმას, რომ ძე ღვთისა ერთადერთი ნაშობია მამაღმერთისაგან, როგორც ერთარსი. იგი ამ ღვთაებრივი შობით კი არ გამოეყო მამას, არამედ მათ შორის არსობრივი ერთიანობაა.

„მკუეთათჳს სახისა სიტყუაჲ“ – ბასილი კესარიელის სახისმეტყველებითი თხზულება იმის შესახებ, თუ რა ალეგორიული აზრითაა ნახსენები თითოეული ცხოველი საღვთო წერილში. ქართული თარგმანი მოთავსებულია S 1141 ხელნაწერში (გამოც. ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ: „მატბერდის კრებული X საუკუნისა“, თბ., 1979, გვ. 175-190).

ნ

ნაბაკევი – სოფელი სამტრედიის რაიონში, იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. მხარეს, სამტრედიიდან 5 კმ. სოფელში არის XV ს. დარბაზული ეკლესია.

ნაბახტევი – სოფელი ხაშურის რაიონში, მდ. ჭერათხევის მარჯვ. ნაპირზე, ხაშურიდან 20 კმ. სოფლის მახლობლად გორაკზე დგას ეკლესია, რომელიც XIV-XV სს. მიჯნაზე აუგია და მოუხატვინებია მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1442) პაპას, ქუცნა ამირეჯიბს. გეგმით სწორკუთხა ეკლესიას აღმოსავლეთით შვერილი ცხრაწახნაგა აბსიდი აქვს. ფასადები შეპირისპირებული თლილი ქვის კვადრებით და შემკულია ჩუქურთმებით. ინტერიერი გადახურული იყო ოთხ წყვილ პილასტრზე გადაყვანილ თაღებზე დაყრდნობილი კამრით. კონსტრუქციული ნაწილები ამოყვანილია თლილი ქვით. შიგნით, საკურთხეველის ნახევარწრიული აბსიდის წინ, კანკელის ნაცელად ქვის კვადრებით ამოშენებული კედელია. ჩრდ. მხრიდან ეკლესიას მიშენებული აქვს გეგმით ოთხკუთხა ორსართულიანი სამრეკლო. ეკლესია მოხატეს 1412-31 წწ. რამდენიმე ფრაგმენტი (ძირითადად ისტორიულ პირთა გამოსახულებანი: მეფე ალექსანდრე I დედოფალთან ერთად, ქუცნა ამირეჯიბი ოჯახით და სხვ.). გადატანილია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, როგორც ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი.

ნაბუქოდონოსორი – ბაბილონის მეფეთა სახელი. ბიბლიაში მოხსენებულია ნაბუქოდონოსორ II, ახალბაბილონური სამეფოს ქალდეური დინასტიის მეორე მეფე (ძვ. წ. 604-562 წწ.), ნაბუფალასარის ძე (დანიელის წინასწარმეტყველება, 2-4). მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ცხოვრებაში. ძვ. წ. 597 წ. აიღო იერუსალიმი, 586 წ. ხანგრძლივი ალყის შემ-

დეც ხელმეორედ დაიმორჩილა და დაანგრია იგი. იერუსალიმის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონში გადაასახლა. ნაბუქოდონოსორის მეფობისას ბაბილონი გაძლიერდა. ქალაქში აიგო არაერთი სასახლე და ტაძარი. გაშენდა „ბაბილონის დაკიდული ბაღები", რომელთაც ძვ. ბერძნები მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად მიიჩნევდნენ.

ნაბუქოდონოსორის ხილვა (დანიელი, 2) განმარტებულია იპოლიტე რომაელის თხზულებაში: „აღსასრულისათჳს ჟამთაჲსა, თქუმული წიგნთაგან წმიდათა, ქრისტესთჳს და ანტქრისტესთჳს". ამ თხზულების ქართული თარგმანი მოთავსებულია ხელნაწერში S 1141,357-390.

ნაბარეჟი – სოფელი თერჯოლის რაიონში, იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, თერჯოლიდან 25 კმ. სოფლის მიდამოებში არის შუა ფეოდალური ხანის ეკლესია „ცხრაკარა", თუთ სოფელში კი – მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც 1883 წ. აუგია ოსტატ იოსებ ბერეკაშვილს. ეკლესია ერთნავიანია, დარბაზული ტიპისა, შერეული აბსიდით. კედლები გარედან თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი, ჩუქურთმები არაა, მაგრამ გამოყენებულია დეკორატიული თაღების სისტემა (შეერილ აბსიდზე), შეწყვილებული ღილეებით შედგენილი თაღი შესასვლელების გარშემო და სხვ. ინტერიერი დაყოფილია კედლის თაღებით, პილასტრებითა და საყრდენი თაღებით.

ნაკარბაზევი – სოფელი ჯავის რაიონში, მდ. ჯეჯორის ხეობაში (ისტორიული კუდარო), ჯავიდან 34 კმ. სოფელში შემორჩენილია X ს. სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ეკლესია საკმაოდ მოზრდილი, უხვად დეკორირებული და რელიეფური კომპოზიციებით შემკული ყოფილა. შემორჩენილია კარის ტიმპანის ქვები, სარკმლის თაესართები, სვეტისთაებები. თაღებისა და კარნიზების ფრაგმენტების ორნამენტი ქვაზე კვეთის საინტერესო ნიმუშია.

ნაღირთ მწყემსი, ნაღირთ პატრონი, ნადირის ანგელოზი – ქართველთა წარმართული შეხედულებით, ტყის ნადირის მფარველი ღმერთები. მათ შესთხოვდნენ, რათა მონადირეს ნადირობაში შესწყალოდნენ. ასეთ ღვთაებებად მიჩნეული იყვნენ: ანატორი, ოჩოპინტრე და ბოჩი. „ნაღირთ მწყემსი", „ნაღირთ პატრონი", „ნადირის ანგელოზი" მათი ეპითეტები იყო.

ნაღირთ ღვთაებანი – ნადირის მფარველი წარმართული ღვთაებები. მათ მიეწერებოდათ ნადირთ ნაყოფიერება-გამრავლება, მონადირისათვის ხელის მომართვისა და შემცოდე მონადირის დასჯის ძალა. ხალხური რწმენით, ნადირთ მფარველნი წარმოდგენილნი არიან ნადირთ მწყემსების, ნადირთ პატრონებისა და ნადირთღვთაებათა სახით. საქართველოს მთიანეთში ისინი ე. წ. „წმინდა" ნადირთა (ჯიხვი, არჩვი, ირემი, შველი) მფარველებად ითვლებიან, ხარში კი – სხვა ტყის ცხოველების გამგებლებადაც. ნადირთ მწყემსებად მიაჩნდათ ნადირთა ჯოგიდან რაიმე ნიშნით (თეთრი ფერი, ოქროსფერი) გამორჩეული ცხოველები. არსებობდა წარმოდგენა ანთროპომორფული სახის ნადირთ მწყემსებზე, რომლებსაც ევალებოდათ ნადირის მოცა-პატრონობა, მონადირისაგან დაცვა, ხიფათის აცილება და სხვ. იმავე რწმენით, ეს მწყემსები თითო წლით მწყემსაედნენ ნადირს. ვაჟების მორიგეობის წელი მონადირისათვის იღბლიანად ითვლებოდა, რადგან ქალები ნადირს ვაჟებზე უფრო ფხიზლად დარაჯობდნენ და მონადირეს მათი დახოცვის საშუალებას არ აძლევდნენ. ზოგიერთი ნადირთ პატრონი ცის მზათობებს დაუკავშირეს და ისინი ასტრალურ ღვთაებებად იქცნენ (იხ. დალი). ძვ. ხალხური შეხედულებით, ნადირთ მფარველად საქართველოში ითვლებოდა ოჩოპინტრე (ოჩაინტე), აგრეთვე ანატორის ჯუარი ანუ ოჩი დალი. სვანეთში ნადირთ მფარველებად, გარდა მამალმერთისა, მიაჩნდათ წმ. გიორგი, დალი, აბსადი, სვიმ ბერ-მოძღვარი და ელი. მეგრული მითოლოგიის მიხედვით, ტყის ნადირთა საქმეს განაგებდა ტყაში-მაფა (ტყის მეფე). სწამდათ აგრეთვე გალენიშიორთას – ნადირთ პატრონის არსებობაც. ნადირთა, ფრინველთა, იძერისთა (ქვეწარმავალთა) მფარველ ღვთაებად ითვლებოდა მესეფი. მისი სურეილის გარეშე მონადირე ცხოველსა და ფრინველს ვერ მოკლავდა.

ნაღოქრა (ყოფ. ბიკორტა) – სოფელი თიანეთის რაიონში, ერწოს ქვაბულის დასავლეთ ნაწილში, სოფ. სიონიგორის (ყოფ. როშკიონის) სამხრეთ-დასავლეთით, მაღლობზე. თიანეთიდან 29 კმ. სოფლის მახლობლად მდებარეობს „არჩილის მონასტერი" – VIII ს. I ნახევრის სამონასტრო კომპლექსი. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, კოშკი, საშეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევები. ერთ-ერთი ეკლესია (VIII ს. I ნახევარი) მიჩნეულია მეფე არჩილ II-ის საძვალედ. მეორე, მცირე ზომის ეკლესია (XVI ს.) დგას მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით (2 კმ. მანძილზე, სიონის გორაზე). ნადოქრის ღვთისმშობლის სამნაკიანი ბაზილიკა

VI საუკუნისაა; ახლა ძლიერ დანგრეულია. ეკლესიებს შორის ხუთსართულიანი კოშკია (XVII-XVIII სს.), რომელიც დას. კედლით მიდგმულია პირველი ეკლესიის აღმ. კედელზე, სოლო ჩრდილოეთი კედლით – მეორე ეკლესიაზე.

ნავარძეთი – სოფელი ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს, ჭიათურიდან 4 კმ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XI ს-ში. ნავარძეთში დგას ერთნავიანი ეკლესია, ე. წ. „თირის მონასტერი“ (1708 წ.). ეკლესია შემორჩენილია ნავარძეთის ციხის ტერიტორიაზეც. ნავარძეთი მოხსენებულია XI ს. I ნახევრის გაბრიელ მთაწმინდელის ეკლესიის (სოფ. რგანი) ლაპიდარულ წარწერაში: „სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა გაბრიელისათა, სოფელმან ნავარძეთმან ადო ტაძარი ესე ღმრთისაჲ“.

ნავატოს – კართაგენის ეკლესიის ხუცესი III ს-ში, დამფუძნებელი მწვალებელთა სექტისა, რომელსაც მისი სახელის მიხედვით ნავატიანობა ეწოდა (იხ. ნავატიანნი). ნავატოსის განდგომილება ძირითადად გამოიწვია კართაგენის ეპისკოპოსად წმ. კვიპრიანეს დადგინებამ. 251 წ. კართაგენის კრებამ დაგმო ნავატიანობა.

ნავატიანნი (ე. წ. „განწმედილნი“) – მიმდევარნი მწვალებლური მოძღვრებისა, რომელიც მკაცრად უარყოფდა ეკლესიიდან განკვეთილთა ხელახლა შეწყნარებას. ამ მოძღვრების ფუძემდებელი იყო კართაგენელი მღვდელი და საეკლესიო მწერალი ნავატოსი (III ს.). ნავატიანები მთლიანად ჩამოშორდნენ რომის ეკლესიას და თავიანთ ეპისკოპოსად კირჩიეს ნოვატოსი. ქადაგებდნენ, რომ ეკლესია არის წმინდანთა (განწმედილთა) საზოგადოება, რომელიც ვალდებულია, თავისი წიაღიდან განდევნოს მომკვდინებელ ცოდვათა ჩამდენი ქრისტიანები. ამასთან, კრძალავდნენ მათს შეწყნარებას, როგორც არ უნდა მოენანიებინათ. მძიმე შემცოდეთა ცოდვების მიტევებით ეკლესია თავადვე იბილწებაო, აცხადებდნენ ისინი. თავიანთ საზოგადოებას კი განწმედილად თვლიდნენ. კართაგენის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიათა იერარქები (კვიპრიანე კართაგენელი, დიონისე ალექსანდრიელი) ენერგიულად ილაშქრებდნენ ნავატიანთა წინააღმდეგ, მაგრამ მწვალებლობამ VII ს-მდე იარსება. მისი რიგებისაკენ ილტვოდნენ კეთილმსახურების გარეგნული ფორმის თაყვანისმცემელნი. ნავატიანებს მიმდევრები ჰყავდათ კართაგენში, ალექსანდრიაში, სირიაში, მცირე აზიაში, გალიაში, ესპანეთში და სხვ. ქართულ ენაზე შემორჩენილია ნავატოსის მოძღვრების განმამტკიცებელი თხზულება გრიგოლ ღვთისმეტყველისა: „თქუმული ბორგნელთა მწუალებელთა ვენოვიოს და ნავატ ფილოსოფოსის მიმართ“ (A 87; S 383). თარგმანი დავით ტბელისა.

ნავთლუღი – ძველი უბანი თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საქარხნო რაიონში. სახელწოდება თურქულია და ნავთის ადგილს, ნავთუს ნიშნავს. ნავთლუღის ტერიტორიაზე შემორჩენილია წმ. ბარბარეს ორი ეკლესია. ერთი შუა საუკუნეებისაა (ახლანდელი სახე XIX ს-ში უნდა მიეცეს), მეორე – XIX ს. II ნახევრისა.

ნავი – ბაზილიკის ერთ-ერთი ნაწილთაგანი, რომელიც გამოყოფილია სვეტების რიგებით. არსებობს ერთნავიანი (დარბაზული), სამნავიანი, ხუთნავიანი ეკლესიები. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია ერთნავიანი და სამნავიანი ეკლესიები. სამნავიან ეკლესიათაგან გამოიყოფა მისი თავისებური ტიპი – სამეკლესიანი ბაზილიკა (IX-X სს.). ქართული ხუროთმოძღვრება იცნობს ორნავიან ეკლესიებსა და ორეკლესიიან ბაზილიკებსაც.

ნაპერკაძიოზ ციმციაძე – XVI ს. ქართველი კალიგრაფი. მისი გადაწერილია მეტაფრასი Q 39 და ოთხთავი H 1031. მეტაფრასი მოქცევი მთავარეპისკოპოს ეფთვიშე საფარელიძის შეკვეთითაა გადაწერილი და 1560-78 წწ-ით თარიღდება. დიდი ფორმატის სქელი წიგნია (32 X 22 სმ; 488 ფ.), ნუსხურით ნაწერი, ორ სვეტად. ასოები მსხვილია, ძალიან მკაფიო და კალიგრაფიულად დახვეწილი. საზედაო ასოები რამდენადმე მორთულია. H 1031 ოთხთავის ხელნაწერი სულ სხვა ხასიათისაა – ასოები ძალიან წვრილია (ძფვიერთ, კალმის დაჭერის გარეშე ნაწერი), მორთულობა სრულიად არა აქვს.

ნავროზობა – მაზდეანთა (ცეცხლთაყვანისმცემელთა) ახალი წელი; დადებული იყო გაზაფხულის დამდეგს, გრძელდებოდა 22 მარტიდან 28-მდე. აღწერილია „ევსტათი მცხეთელის მარტყოლობაში“, რომლის თანახმადაც წმ. მოწამეს უარი უთქვამს მასში მონაწილეობაზე. საინტერესოა, რომ ქრისტიანთა აღდგომის მსგავსად, რომელიც ევსტათის შეპყრობის წელს (547 წ.) სპარსელთა ნავროზობს დაემთხვა (24 მარტი), წოთელი კერცხი საზოგადოდ ხმარებაში იყო მაზდეანთა ამ დღესასწაულზეც. ევსტათიმ თანამემამულეებს განუცხადა: „მე ქრისტჱს ხატიცა ვზატიკობ... და ბნელსა მაგას განშორებულ ვარ“-ო (ძეგლები, I, გე. 30).

ნაზარი მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის გერასი, პროტასი და კელსისთან ერთად, იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს. დაიბადა რომში, ქრისტიანულ ოჯახში. მოინათლა წმ. მოწამის, ეპისკოპოს ლინის ხელით. ნაზარიმ მიზნად დაისახა თავისი ცხოერება დღენი ქრისტიანთა შეწევნისათვის მიეძღვნა. იგი რომიდან მედიოლანში (მილანში) ჩაედა და მოინახულა საპყრობილეში მყოფი პროტასი და გერგასი. აქედან ნაზარი გაამეცქა და იგი იძულებული გახდა გალიაში წასულიყო. იქ მან დაიმოწაფა კელსი და მასთან ერთად ქადაგებდა საქრისტიანო მოძღერებას. წარმართებმა რამდენჯერმე სცადეს მათი მოკლეა, მაგრამ იმჯერად ყოველგვარ განსაცდელს სასწაულებრივად გადარჩნენ. ამ სასწაულების მხილეელმა ბერმა წარმართმა გალელმა მიიღო ქრისტიანობა და მოინათლა. გალიიდან ნაზარი და კელსი ისევ მედიოლანში ჩაედნენ, გერგასი და პროტასისთან. მათი მხრივ ქრისტიანთა თანამშრომლობა და თანადგომა აცნობეს იმპერატორ ნერონს, რომელმაც ბრძანა ოთხივესათვის თავები მოეკეთათ. წმ. მოწამეთა ხსენების დღე – 14 ოქტომბერი. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ჭუთ. 4, 438-444; S 384, 277-387.

ნაზარეველნი – 1. სარწმუნოებრივი დაჯგუფება ისრაელში, რომლის წევრნიც „ნაზარეველობის" აღთქმის ძალით, ბავშვობიდანვე ღმრთისადმი შეწირულნი იყვნენ. ეს თავისებური მონაზენობა დაწესებული იყო რიცხვთა წიგნის მიხედით (თავი 6). ნაზარეველნი უარს ამბობდნენ ხორცის ჭამაზე და საერთოდ კრძალავდნენ პირუტყვთა დაკვლას. თავს იკავებდნენ ყოველგვარი მათრობელი სასმელისაგან, არ იჭრიდნენ თმებს და ერიდებოდნენ ყოველგვარ შებილწვას. ნაზარეველობის აღთქმა იდებოდა ან მთელი ცხოერების, ან რაიმე გარკვეული დროის მანძილზე; უკანასკნელ შემთხვევაში იგი აღთქმისაგან თავისუფლდებოდა სამკერდო მსხვერპლის მირთმევითა და თმების დაწვით საკურთხეველზე. ნაზარეველობა განსაკუთრებით გავრცელდა მსაჯულთა ხანაში. ნაზარეველები იყვნენ სამსონი და სამოელი, ახალ აღთქმაში – იესო ქრისტე, იოანე ნათლისმცემელი, პავლე მოციქული.

2. ძე. ქრისტიანული სექტა. შედიოდნენ გაქრისტიანებული ებრაელები (საქმე მოციქ. 24, 5). მათ ცნეს ქრისტე ღმერთად და მესიად, აღიარეს მისი ღვთაებრივი შობა და ა. შ., მაგრამ ქრისტიანთათვის ისინი საჭიროდ თვლიდნენ მოსეს სჯულის დაცვას, რაც, მოციქულთა მითითებით, არ მოეთხოვებოდათ წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებს. ნაზარეველნი არსებობდნენ IV საუკუნემდე. V ს-ში ნაზარეველთა ნაწილი ებრაელებს შეერია, ნაწილი კი – ქრისტიანებს.

3. რელიგიური სექტა რუსეთში. ჩამოყალიბდა XIX ს. 40-50-იან წლებში, ამირკავკასიელ მალაკანებში. ისინი უარყოფდნენ საეკლესიო წესებს. XX ს. დასაწყისში ნაზარეველები მალაკანებს შეერივნენ.

ნაზარეთი – პატარა ქალაქი გალილეაში, სადაც მაცხოვარმა ბავშვობა გაატარა (მათე 2, 23; 4, 13; მარკ. 6, 1-6; ლუკა 2, 39; 4, 16). აქედ მოხდა ხარება ყოველადწმიდა ღვთისმშობლისა (ლუკა 1,26). ამას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა: „ნაზარეთით შესაძლებელ არს კეთილისა რაჲსამე ყოფად?" (იოანე 1, 46) ე. ი. რაკი საღმრთო წერილში მოხსენებული არაა და უმნიშვნელო ქალაქია, როგორ შეიძლება, ამ ქალაქიდან ისრაელის წინამძღვარი გამოვიდესო. დღესათვის ნაზარეთი მსოფლიო საქრისტიანოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მოსალოცავი ადგილია.

ნაზორეველი – კერპისათვის შენაწირავი (ნაკერპავი) საჭმელ-სასმელი. „დიდი სჯულისკანონი" კრძალავდა ნაზორეველის ჭამას (მოციქულთა კანონი – 63, ანკვირიისა – 3, ლაოდიკიისა – 2, VI კრებისა – 63, ბასილი დიდისა – 81, გრიგორი საკირეველთმოძღვრის „ეპისტოლე მჭამელთათჳს კერპთა ნაზორეველისათა").

ნათანი – ბიბლიური წინასწარმეტყველი, დავითისა და სოლომონის თანამედროვე, დიდ როლს ასრულებდა ისრაელის სამეფოს რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოერებაში. იგავით ცხერის შესახებ (2 მეფეთა, XII) მან ამხილა დავითი საშინელ ცოდვაში. მესამე მეფეთა წიგნში ნათქვამია (I თავი), რომ მხოლოდ ნათანის ხელშეწყობით მოხდა სოლომონის არჩევა დავითის მემკვიდრედ.

ნათანი – ბრძენად წოდებული, დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ძე (II მეფეთა 5, 14; III მეფეთა 1, 33-46).

ნათანი – ამ სახელითაა მოხსენებული შიოსა და ევაგრეს XII ს. მეტაფრასულ „ცხოერებაში" ერთ-ერთი „ათკამეტ" ასურელ მამათაგანი (VI ს.). იხ. ძეგლები, III. გვ. 116.

ნათანაელი – სახელი რამდენიმე ბიბლიური პირისა. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია ერთ-ერთი, 12 მოციქულთაგანი, შემდეგში უფლის მიერ ბართლომედ წოდებული.

წარმოშობით იყო გალილეის ქალაქ კანიდან. როდესაც გაიგო მესიის მოსვლა იესო ნაზარეველის სახით, ნათანაელმა თაყვანი არ დაიკერა, შემდეგ კი ისეთი რწმენით მიეახლა მასთან, რომ იესომ თქვა: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაიტელი, რომელისა თანა ზაკუაი არა არს“ (იოანე 1,47). იესოს მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლების შემდეგ ნათანაელი ქადაგებდა მის მოძღვრების ინდოეთში, არაბეთსა და ეთიოპიაში, სადაც მოწამებრივად აღესრულა. ხსენების დღეებია 11 და 30 ივნისი და 25 აგვისტო. იხ. ბართლომე მოციქული.

ნათანაელ ბედისმწერლიშვილი – XVII ს. ქართველი კალიგრაფი, ძმა ცნობილი კალიგრაფებისა – იესე და ფარემუზისა. ნათანაელი მღვდელი ყოფილა, იგი თავის თავს ბაღდადიძეს ან ბაღდადელიძეს უწოდებს. ბედისმწერლიშვილების შემკვეთნი ვახტანგ V-ის ოჯახთან ახლომდგომი პირები იყვნენ, ამას გარდა, ისინი დაკავშირებულნი ყოფილ. ნ ორბელიანთა ოჯახთან. ნათანაელის მიერ გადაწერილ წიგნთაგან აღსანიშნავია დავითნი (H 16), რომელიც მას გადაუწერია შახპაზ მუხის ძის, ლუარსაბის მეუღლის, რეჟან ერისთავის ასულის, მარიამისათვის (1691 წ.). შემკულია მოლაქრეული თავსამკაულებით, ყოველი გვერდი მოჩარჩოებულია, სინგურის ნაცვლად ოქრია ნახმარი. მასვე გადაუწერია მინიატურებით შემკული ტაძნი H 1755 (1772 წ.) და ბიბლია H 1207. ორიე ამ წიგნის შემკვეთი ყოფილა „ბატონი ყაფლანის ძე ორბელი“, იგივე ვახტანგ ორბელი, საბა-სულხანის მამა.

„ნათელთათჳს“ – გრიგოლ ღვთისმეტყველის მისტიკური სიტყვა, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 109, 145-166; A 292, 57-64; Jer. 8, 87-100; ქუთ. 9, 91-104.

ნათელი – საღვთო წერილში ამ სიტყვით გამოიხატება ყოველივე ამაღლებული და წმინდა: ღმერთი, წმიდა სამება (1 იოანე 1, 5; იაკ. 1, 17; 1 პეტრე 2, 9; 1 ტიმ. 6, 16; გამოცხადება 21, 22-24; 22, 5), ქრისტე (იოანე 1, 4-9; 3, 19; 8, 12; 9,5; 12, 35-36, 46; მათე 4, 16; ლუკა 1, 78-79; 2, 32), ქრისტიანი ადამიანი (მათე 5, 14-16; ლუკა 16, 8; იოანე 12, 36; ეფეს. 5, 8; ფილიპ. 2, 15; 1 თეს. 5,5), სული კაცისა (მათე 6,22-23; ლუკა 11, 34-36).

„ნათელი ნათლისაჲან“ – სარწმუნოების სიმბოლოში ასე მოიხსენიება ძე ღვთისა (იესო ქრისტე). ეს სიტყვები ხილულ ნათელთან შედარებით რამდენადმე ხსნიან მამა-ღმერთისაგან ძის შობას, რომელიც მოუწვდომელია კაცობრივი გონებისათვის. როდესაც ეკუურებთ მზეს, ეხედავთ მის ნათელს. ამ ნათლისაგან იბადება ნათელი, რომელიც მთელ სამყაროს ეფინება. ორივე ეს ნათელი ერთი ბუნებისაა, ერთიანი და განუყოფელია. ამის მსგავსად მამა-ღმერთი არის მარადიული ნათელი. მისგან იშვება ძე ღვთისა, რომელიც ასევე არის მარადიული ნათელი, მაგრამ მამა-ღმერთი და ძე-ღმერთი ორი, ცალკეული კი არაა, არამედ – ერთიანი, მარადიული, ღვთაებრივი ნათელი.

„ნათელი ჟამშმარიტი“ – იესო ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტი (იოანე 1,9). ამ სიტყვებით იწყება იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიის ერთ-ერთი საგალობელი, რომელიც იგალობება მის ბოლო ნაწილში.

„ნათელი ქრისტესი განგებანათლებს ყოველთა“ – ამ სიტყვებს წარმოთქვამს მღვდელი პირველშეწირულის წირვაზე ორ საკითხაის შორის (დაბადება და იგავთა). ამ დროს მას ხელთ უპყრია საცეცხლური და ანთებული სანთელი და ჯვარს სახავს მრევლს. ზემოაღნიშნული სიტყვები იმას მოასწავებს, რომ წინასწარმეტყველნი, რომელთა თხზულებებსაც ამჟამად კითხულობენ, განათლებულნი იყვნენ ღვთიური ნათლით, და ეს ნათელი იქ მდგომ მლოცველთაც განანათლებს. მრევლი ამ სიტყვების წარმოთქმისას მუხლს იდრეკს და თაყვანს სცემს. მლოცველებზე სანთლით ჯვრის გადასახვა უძველესი ჩვეულებაა. პირველი ქრისტიანები ანთებული სანთლით ჯვარს სახავდნენ კათაკმევლებს (ნათლობისათვის განმზადებულ პირთ) ტაძრიდან გასვლისას. ეს იყო მომასწავებელი საღვთო ნათლისა, რომელსაც ისინი ნათლისღებისას მიიღებდნენ.

„ნათელი მხიარული“ – საგალობელი, რომელიც სრულდება მწუხრის ლიტიაზე საცეცხლურით შესვლის დროს. იგი ლოგიკური გაგრძელებაა წინა ფსალმუნისა, რომლის უკანასკნელ მუხლებში („უფალი ღაღადყოს“ დასდებლის ჩასართავებში) მოცემულია წინასწარმეტყველება მაცხოვრის განხორციელებასა და კაცთა მოდგმის ცხონებაზე. საგალობელი „ნათელო მხიარულო“ აგრძელებს დიდებისმეტყველებას წმ. სამების მიმართ, რომელმაც ქვეყნად მოაველინა უფალი იესო ქრისტე, „ნათელი მხიარული“, მომცემელი ცხოვრებისა, ღირსი იმისა, რომ ყველ ჟამს, განუწყვეტლივ უგალობდნენ და აღიდებდნენ რჩეულნი მისნი.

ნათლია, ნათლისმამა, მიმძმობი (მიმრძმელი) – ეშმაზიდან ამოყვანილი ახალმონათლულის მიმქმელი (ხელში ამყვანი); ქრისტიანის (ნათლღებულის) სულიერი მამა.

ნათლისმღებელთა სექტა – სარწმუნოებრივი სექტა ისრაელში; იზიარებდნენ ფარისეველური ცხოვრების წესებს, და დამატებით ირწმუნებოდნენ, თითქოს ადამიანი ვერ ცხონდება, თუკი ყოველდღიურად ნათელს არ იღებსო (ე. ი წყალში არ განიბანება).

ნათლისმცემელის მონასტერი –დავითგარეჯის მრავალმთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მონასტერი. იგი ჯერ კიდევ დავით გარეჯელის მოღვაწეობის, ან მის ახლო ხანაში (VI-VII სს.) დაფუძნდა. იგი ლავრიდან დასავლეთით 12 კმ. მანძილზე მდებარეობს. გადმოცემით, ამ მონასტერს ლუკიანეს აგებულად მიიჩნევენ (იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, I, 68). იგი წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ ერთიან კომპლექსს. ნაგებობათაგან აღსანიშნაია უჩვეულოდ მაღალი და ვრცელი მთავარი ეკლესია. ჩრდილოეთით მცირე სათაესი ეკვრის, რომელიც ძირითად დარბაზს 2 თაღის მეშვეობით უკავშირდება. საკურთხევლის წინ XVIII ს. II ნახ. კანკელია. მთავარი ეკლესიის სამხრეთით კიდევ ერთი მცირე ეკლესიაა, რომელშიც კლდეში გამოკვეთილი კიბით შეიძლება ასვლა. მთავარი ეკლესიის შესასვლელში აღმართულია კოშკი და ჭიშკარზე დაშენებული სამრეკლო. ინტერიერში შემორჩენილია XII ს. I ნახევრის მოხატულობის ფრაგმენტები.

„ნათლისმცემელი" გარეჯის სხვა მონასტრებთან ერთად მრავალჯერ იყო აოხრებული მაჰმადიანთა შემოსევების დროს, განსაკუთრებით აღსანიშნაია მაჰ-აბასის მიერ დატრიალებული ტრაგედია აღდგომის ტაძართან (იხ. წამებულთა ეკლესია დავითგარეჯში). შემოსევების შემდეგ მონასტერი ისევ ხელახლა შენდებოდა და მოწესეებით ივსებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნაია ნათლისმცემელის მონასტრის გაძლიერება ონოფრე მაჭუტაძის არქიმანდრიტობის დროს (XVII-XVIII სს მიჯნაზე). ონოფრემ 1702 წ. მონასტერს წინამძღვრად დაუდგინა ხარტონი. მომდევნო წლებში ნათლისმცემელის მონასტერი უხვად იღებდა შეწირულობებს საქართველოს მეფე-დიდებულთაგან, რის შედეგადაც დავითგარეჯის მონასტრები, და მათ შორის „ნათლისმცემელიც", ქონებრივად გაძლიერდნენ. გაიხარა მონაზონთა კრებულიც. XVII ს. მიწურულიდან 1724 წლამდე იქ მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ქართველ წმინდანთა (ლუარსაბ მეფე, რაჟდენი, ბიძინა, შალვა და ელიზბარი) „ცხოვრებების" აღმწერი, ავტორი პოლემიკური თხზულებისა „გრდემლი" (1724 წლიდან ბესარიონ ორბელიანი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა). იმავე დროს ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდნენ და ბაყოფიერ მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ: სულხან-საბა ორბელიანი (1698-1710); ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, შემდგომში ნიკოლოზ რუსთველი, ცნობილი მწერალი; იობი წინამძღვარი; გაბრიელ საგინაშელი, მღვდელმონაზონი, ძველსწული ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ელისე თბილელისა (XVII ს.); იოსებ, არაგვის ერისთავის შვილი; ექვთიმე (ზაზა) ბარათაშვილი (ძე სიონის დეკანოზის იესესი); ანტონ I კათოლიკოსი (1743 წ.); მღვდელმონაზონი გერმანე (1748 წ.); რომანოზ გაორგის ძე ერისთავი (XVIII ს.); ტიმოთე გაბაშვილი (1724 წ. ბერად შედგა ნათლისმცემლის მონასტერში), შემდეგში მთაწმიდის კოპოსი, ცნობილი მოგზაური და მწერალი; ამბროსი მაჭაძე (XVIII ს. 70-იან წლებში); ექვთიმე, „ნათლისმცემლის" წინამძღვარი (XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედი); იონა გედევანიშვილი (1780 წელს, ეპარქიის ჩამორთმევის შემდეგ); გაბრიელ მცირე (XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში); მღვდელმონაზონი გერონტი სოლოლაშვილი, ერეკლე II-ის კარის არქიმანდრიტ-ეკონომი (XVIII ს. ბოლო წლებში); გიორგი ავალიშვილი (XVIII ს.); სპირიდონ გძელიევი (XIX ს.) და სხვანი. ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვართაგან ცნობილნი არიან: ხარტონი (1702-1718), სიმონი (1760-1772), ანანია (1749-1751), ნიკოლოზი (1773-1774), ექვთიმე (1776-1798).

XVIII ს. 70-იანი წლების დამდეგს „ნათლისმცემელი" დაუძლურდა ლეკიანობის გამო, მაგრამ სასულიერო და საერო მესვეურთა დახმარებით ისევ აღდგა და წინ გაუსწრო მრავალმთის სხვა მონასტრებს. ეს მოხდა ექვთიმეს წინამძღვრობაში. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ნათლისმცემელის მონასტერში იოანე მაყაშვილმა (ბოდბელმა). მან გაამაგრა და დაამშვენა სავანე, ააგო პალატები, სამრეკლო და კოშკი (XIX ს. დამდეგს). XIX ს. სამოციანი წლებიდან ლეკების თარეშის გამო მრავალმთის მონასტრებში ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა, ისინი დაცარიელდნენ და მხოლოდ საკულტო დანიშნულება შეინარჩუნეს.

„ნათლისმცემლის შობისათჳს“ – სულხან-საბა ორბელიანის პომილია (იხ. თხზულებათა კრებული, III ტ.).

ნათლისღება – ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლის დროსაც ადამიანი საიდუმლოდ იბადება ახალი, სულიერი ცხოვრებისათვის. გულსხმობს საეკლესიო საზოგადოებაში ადამიანის შეყვანას, ნათლისღება სრულდება წყალში განბანით (ემბაზში ან მდინარეში). ნათლღებადი სამგზის ჩაიყვანება წყალში სათანადო ლოცვების წარმოთქმით.

ქრისტიანული ნათლისღება დადგინდა იოანე ნათლისმცემლის მიერ იესოს ნათლისღების დროს (მათე 3,6-17; მარკ. 1,9-11; ლუკა 3, 21-23), ზოგიერთი ღვთისმეტყველის სიტყვით, იგი დაადგინა ქრისტემ ზეცად ამაღლების წინ, როდესაც უთხრა თავის მოწაფეებს: „წარვედით და მოიშოვნეთნი ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28,19). ქრისტიანული ნათლისღებით ადამიანი განწმინდება წინაპართა ცოდვებისაგან. ნათლისღების შემდეგ იგი ითელება ეკლესიასთან სულიერად შეერთებულად. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ნათლისღებას წინ უძღოდა ქრისტიანობის უმთავრესი დოგმატების შესწავლა; ზრდასრულ ნათლღებადს მოითხოვებოდა სინანული და რწმენა (იხ. საქმე მოც. 2,38; მარკ. 16,16). თუ მოსანათლავი მცირეწლოვანი იყო, იგივე მოეთხოვებოდა ყრმის მშობლებსა და მიმქმელებს. „საქმე მოციქულთაში“ აღწერილია პირველ ქრისტიანთა მასობრივი ნათლობები (2, 41; 8, 12,13, 16, 36, 38; 9,18; 10,47-48; 16,15-33; 18,8; 19,5). მოზრდილნი, რომლებიც ნათლისღებას გადაწყვეტდნენ, კათაკმეველებად იწოდებოდნენ და 3 ჯგუფად იყოფოდნენ. კათაკმევლობა გრძელდებოდა ორ წელს, თუმცა ხანდახან ეს ვადა ან მცირდებოდა, ან იზრდებოდა. საზეიმო ნათლისღებას ასრულებდნენ ეპისკოპოსები პასექისა და მეცრგასის წინადღით. ნათლისღება ხდებოდა მდინარეებსა და ნაკადულებში, კონსტანტინე დიდის შემდეგ კი – საგანგებო აუზებში, რომლებიც ეკლესიის მახლობლად იყო აგებული. ახლადნათელღებული თეთრი ტანსაცმლით იმოსებოდა, რომელსაც იგი ატარებდა 8 დღის განმავლობაში (დასაელეთში მიღებული იყო უფრო ხანგრძლივი ვადა სანათლისღებო სამოსლის ტარებისა), ხანდახან მათ ამკობდნენ მარადმწვანე მცენარეთა გვირგვინით. არსებობდა ე. წ. ნათლისღება სისხლით. ასე ეწოდებოდა მტანჯველ სიკვდილს იმ პირებისას, რომელთაც სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ნათლისღება.

მოგვიანებით დადგინდა ყრმათა და ჩვილთა ნათლისღებაც. ასეთ შემთხვევებში ქრისტიანული მოძღვრების შესწავლის ვალდებულება მათ არ ეხსნებათ. როცა ისინი წარმოიზრდებიან, მათი მიმქმელი ვალდებულია, უსულძღვანელოს მათ განსწავლას. მძიმე, სასიკვდილო ავადმყოფობის დროს ნებადართულია ნათლისღება ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, მარტოოდენ წყლის გადაესხმით და სათანადო სიტყვების წარმოთქმით. „ნათელს იღებს მონაჲ ღმრთისაჲ (სახელი), სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“. თუ ამის შემდეგ მომკვდავი განიკურნება, საჭიროა ეკლესიაში შესრულდეს ნათლისღების სრული ცერემონია, წყლის გადაესხმის გარდა.

ნათლისღების წყალი არ შეიძლება შეზავებული იყოს სხვა რაიმე სითხით. ნათლისღების საიდუმლო უნდა შესრულდეს ეკლესიაში; სახლში მონათლა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება. მიმრქმელები არ შეიძლება იყვნენ საქეციდნი ალიარებული ცოდვილები, აგრეთვე უმეცრები და სამოსზე დასისაგან-ნი. ვაჟის მოსანათლავად საკმარისია ერთი მამაკაცი, ქალისა – ერთი დედაკაცი. ერთსა და იმავე წყალში შეიძლება მოინათლოს რამდენიმე ყრმა, უცხო აღმსარებლობის წარმომადგენელნი მშობლების ნებადართულად შეიძლება მოინათლონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეუსრულდებათ 14 წელი. როცა მოზრდილმა არ იცის, მონათლულია თუ არა ყრმობისას, და არც სხვას ესმის შეუძლია სარწმუნო ცნობის მიცემა, ასეთ შემთხვევაში ნათლისღება უთუოდ უნდა შესრულდეს.

ნათლისღება – ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული ათორმეტთაგანი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 6 იანვარს აღნიშნავს (ახ.სტ. 19 იანვარს). სახარების მიხედვით, ამ დღეს, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე (მათე 3,13-17; მარკოზი 1,9-11; ლუკა 3,21-22; იოანე 1,29-34). უძველ წინამორბედი, წმ. წინასწარმეტყველი იოანე ნათლავდა ხალხს მდინარე იორდანეში. როდესაც იესოს 30 წელი შეუსრულდა, იმება ნათლისღება იოანესგან. როდესაც იოანემ დაინახა იესო, ნათლისღებისათვის მასთან მისული, საკარდ თქვა: „აჰა, ტარიგი (კრაეი) ღმრთისა“ (იოანე 1,29). ნათლისღების შემდეგ, როდესაც იესო წყლიდან

ამოვიდა და ლოცულობდა (ლუკა 3,21), მტრედის სახით გამოცხადდა სულიწმიდა, მოვიდა და გაჩერდა მის თავზე, ზეციდან კი მოისმა ხმა მამა ღმერთისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ" (მათე 3, 13, 17; მარკ. 1,9-11; ლუკა 3,21-23; იოანე 1,33-34). ამრიგად, ამ დღეს განცხადდა (გამოცხადდა) სამგვამოვნება წმ. სამებისა – მამისა, ძისა და სულიწმიდისა: მამა-ღმერთი სიტყვით ადასტურებდა ქრისტეს ღვთაებობას, ძე-ღმერთი მდინარე იორდანეში ნათელს-იღებდა, სულიწმიდა კი გარდამოვიდოდა მტრედის სახით. ნათლისღებისას განცხადდა საღვთო ბუნება იესო ქრისტესი, ამიტომ ამ დღეს ღვთისგანცხადებაც ეწოდება. თავდაპირველად ნათლისღებას ეკლესია ქრისტეს შობასთან ერთად აღნიშნავდა (6 იანვარს). V-VII სს-ში კი ქრისტეს შობის სადღესასწაულოდ ცალკე დღე დაწესდა – 25 დეკემბერი.

ნათლისღებას ან მის წინადღით მართლმადიდებელ ეკლესიაში სრულდება წმ. ბასილი დიდის ლიტურგია, წირვის შემდეგ კი, როგორც დღესასწაულის დღეს, იხე წინადღითაც, სრულდება წესი დიდი აიაზმისა (წყლის კურთხევა).

ნათლისღების ტიპიკონი, საერთოდ, ძალზე ახლოსაა ქრისტეს შობის დღესასწაულის ტიპიკონთან. აქვს 4 დღე წინადღესასწაულისა (2-5 იანვარი) და 8 დღე – შემდგომი დღესასწაულისა (წარგზავნამდე). წარგზავნა ხდება 14 იანვარს (საქართველოს ეკლესიაში – 13 იანვარს, რათა 14 იანვარს დაუბრკოლებლად შესრულდეს ქართველთ განმანათლებლის, წმ. ნინოს ხსენება). სპეციალური ტიპიკონი აქვს ნათლისღების წინა შაბათს, აგრეთვე ნათლისღების შემდგომ შაბათსა და კვირას.

ნათლისღების დღესასწაულს ეძღვნება ეკლესიის მამათა მრავალი თხზულება, რომელთაგან ქართულ ენაზე დღემდე შემორჩენილია შემდეგი:

ქადაგებანი ოქროპირისა: ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულია რვა სხვადასხვა „სიტყვა": 1). „ნათლისღებისათჳს" A 19, 231-331; A 95, 227-231; A 90, 463-467; Ath. 11, 30-32. 2). A 19, 335-338; A 95, 231-234; A 649, 3). A 90, 447-470; Ath. 11, 32-36; Sin. 32-57-33, 70-72. 3). A 19, 338-340; A 95, 269-270; A 90, 457-459; Ath. 11, 205-206. 4). A 19, 340-341; A 95, 270-272; A 95, 459-460. 5). A 19, 341-344; A 90, 460-463; Ath. 11, 206-207; Sin. 32-57-33, 72-74. 6). A 19, 344-349; A 95, 234-238; A 1109, 2-5; Sin. 32-57-33, 74-77; Sin. 32-57-33, 470-474 (ამთგან ოდნაე განსხვავებული Ath. 80, 207-209). 7). A 19, 369-377; A 95, 258-269; A 90, 449-457. 8). A 19, 377-381.

„ნათლისღებისათჳს ქრისტეს, ძისა ღმრთისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანეს მიერ" – იელიანეს (ესპასპოსი ტაბაია ქალაქისა) თხზულება. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ: კიმენი, I, 10-25.

„ნათლისღებისათჳს" – კირილე იერუსალიმელის თხზულება, დაცულია ხელნაწერებში: A 19, 381-386, Sin. 32-57-33, 77-84.

„საკითხავი თქუმული ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა" – ეუსები ალექსანდრიელი ეპისკოპოსის თხზულება, შეტანილია ხელნაწერებში: A 19, 393-402; A 95, 372-281; Ath. 11, 209-212.

„სიტყუაჲ ნათლისღებისათჳს" და „ზედაღდგომისათჳს სარკინოზთასა" – სოფრონ იერუსალიმელის ორი თხზულება, პირველი მათგანი დაცულია ხელნაწერებში: A 182, 403-478; S 1276, 178-197; ქუთ. 13, 1-25; Jer. 23, 122-131; მერე – A 182, 438-467; S 1276, 197-212; ქუთ. 13, 25-39; Jer. 23, 132-140.

„ნათლისღებისათჳს უფლისა" – პროკლე კონსტანტინოპოლელის თხზულება, დაცულია ხელნაწერებში: A 19, 356-360; 95, 356-360, 245-249; A 90, 481. Ath. 11, 36-37.

„ნათლისღებისათჳს ღღესა განცხადებისასა", „ნათლისღებისათჳს, რომელი იკითხვის ღღესა მერეს" – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები, ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი, შეტანილია ხელნაწერებში: A 1, 406-483; A 16, 177-156; A 80, 127-174; A 92, 131; A 518, 108-115; A 87, 155-195; S 383, 1696.

„თქუმული წმიდისა ნათლისღებისათჳს, მათდა მიმართ, რომელნი-იგი გუანად ნათელ-იღებდეს" – ბასილი დიდის თხზულება, შედის მის „ითიკა"-ში (A 100, A 181, A 394; S 376; Jer. 14). თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. გამოქვეყნებულია ც. ქურციკიძის მიერ (ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ, 1983 წ.).

„ნათლისღებისათჳს სიტყუაჲ", გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულება, ქართულად დაცულია არასრულად A 19(XI ს.) ხელნაწერში (27r),

„ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა" – გრიგოლ ღვთისმეტყველის მეორე „სიტყვა" სრულად შენახული იმავე A 19 ხელ-

ნაწერში (181v-186r). ორიეე „სიტყვის" თარგმანი ეკუთვნის ტარო-ქლარჯეთის უცნობ მთარგმნელებს (IX-X სს.). არსებობს აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ „სიტყვის" ეუთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი (A 1, 374-405; A 16, 129-137; A 80,114-127; A 87, 140-155; A 92, 678-606; A 518, 97-107).

„ნათლისღების მიმართ მაწუეელობითი" – „სიტყვა" გრიგოლ ღვთისმეტყველისა, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 109, 169-225; A 292, 64-82; Jer. 8, 100-133; ქუთ. 9, 104-142.

ნაკიეთი – სოფელი ონის რაიონში, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ონიდან 7 კმ. წყაროებში მოხსენებულია XVIII ს. II ნახ. ნაკიეთის მიდამოებში (ადგილი ტამირეთი) შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ნაკიფარი – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. ენგურის ნაპირზე, მესტიიდან 22 კმ. სოფელში შემორჩენილია წმ. გიორგის („ჯგრაგ") ერთნავიანი ეკლესია (XI ს.), რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით გარსშემოსავლელი აქვს. ალმ. ფასადი დანაწევრებულია პილასტრებზე დაყრდნობილი სამი თაღით. პილასტრებს შორის ირმისა და ცხვრის თავების რელიეფები და ლომის ფიგურაა. ფასადებზე შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები. საკურთხეველის წინ ქვის სამთაღიანი ბაღალი კანკელია (XI ს.), ეკლესია შიგნით თეელორე მეფის მხატვრის მიერაა მოხატული (1130 წ.), მოხატულობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენებს. საკურთხეველში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქრისტე, მრისხანე გამომეტყველებით.

ნაკიფარიდანაა რამდენიმე ძეირფასი ხატი: 1) წმ. გიორგი, ცხენზე ამხედრებული, კლაეს დიოკლეტიანეს (XIII-XIV სს.). ზომები: 92 X 41 სმ. 2) ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი ყრმით (XIII-XIV სს.). ზომები: 91 X 62 სმ. 3) წმ. გიორგი (XIV-XV სს). ზომები: 90 X 59 სმ. 4) ღვთისმშობელი და წმ. ბარბალე (IX-X სს.), ზომები: 55 X 45, 5 სმ. (ფერადოვანი ფენა ჩამოცვენილია, შემორჩენილია მხოლოდ კონტურული ნახატი). 5) წმ. გიორგი (XIII ს.). ზომები. 58 X 38 სმ. ყველა ეს ხატი დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მესტიაში), თეით ნაკიფარში დაცულია წმ. გიორგის ორი ჭედური ხატი XI საუკუნისა (მოოქრული ეერცხლი), მოჭედილი ასან გეაზაკისის მიერ (იხ.).

ნაკურალეში – სოფელი ცაგერის რაიონში, ხეამლის მასივის ჩრდ. კალთაზე, ცაგერიდან 16 კმ. სოფელში შემონახულია XVII ს. დარბაზული ეკლესია. ინტერიერის მოხატულობა ეკლესიის თანადროულია. ნაკურალეშის მახლობლად დგას წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია (განეთარებული შუა საუკუნისა, გადაკეთებულია XVIII ს-ში).

ნამაზი (თურქ. „ლოცეა"; არაბ. „სალათ") – მუსლიმთა ლოცეა, რომელიც მკაცრად განაზღვრულ რიტუალს ემორჩილება. ნამაზის მთავარი კომპონენტია საწესდებო ლოცეა, რომელსაც თან ახლავს მეტად რთული რიტუალით განბანის, სალოცავი პოზებისა და ფუსტებისა (რაკათი). ლოცეა შეიძლება ყველგან – მეჩეთში, სახლში, გარეთ. მლოცეელი პირით მიმართული უნდა იყოს მექის ქააბის ტაძრისაკენ (ყიბლა). ნამაზი დღის განმავლობაში ხუთჯერ სრულდება (იხ. ისლამი).

ნანა – 1. ძე. მცირეაზიული წარმართული ქალღმერთი, რომელმაც ნუშის თუ ბროწეეულის მარცელის სახით მუცლად იღო პერიოდულად მოკედაეი და მკედრეთით აღმდგარი ჭაბუკი, ღეთაება ატისი.

2. წარმართ ქართეელთა ქალღმერთი, ღეთაებათა დედა, რომლის კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართეელოში. ნანა, როგორც ბუნების დედობრეი ძალების განმასახიერებელი, წარმოდგენილი ჰყოდათ ლამაზი ქალის სახით, რომელიც უმეეროდ აკეანში მძინარე ყრმას. იგი განაგებდა მიწის ნაყოფიერებას, ბუნების კდემა-აკეებას, ითელებოდა სიკვდილის მფარველად. ეარაუდობენ, რომ ფასისში არიანეს მიერ აღწერილი ცნობილი ქანდაკება საკრძელში მჯდომარე ქალღმერთისა, რომელსაც ხელში მუსიკალური ინსტრუმენტი უპყრია და ფერხთით ლომები უწეიან, სწორედ ნანას განასახიერებდა. ნანას მეუღლის გამოხატულებად იყო მიჩნეული გაზაფხული, ფერადი ყეავილები, ნანას საგალობლები. მისი სახელი დღემდე შემოინახა ქართულმა „იაენანამ". ნანას შეილებად ითელებოდნენ „ბატონები", „დიდილნი", ულამაზესი ჭაბუკები და ქალწულები.

ნანა დედოფალი – ქართლის მეფის, მირიან III-ის მეუღლე. IV ს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად („მოქცეაა ქართლისაა", „ცხოერება ნინოსი"), ნანა დედოფალმა, მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ უკურნებელი სენისაგან იხსნა, სამეფო სახლის წეერთაგან პირეელმა აღიარა ქრისტიანული სარწმუ-

ნოება. ამ სასწაულსა და წმ. ნინოს სხვა სასწაულებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეფესა და ხალხზე, რის შედეგადაც მთელი ქართლი გაქრისტიანებულა. ამ დიდმნიშვნელოვან სარწმუნოებრივ აქტში მონაწილეობისათვის მირიან მეფესთან ერთად ნანა დედოფალი წმინდანადაა (მოციქულთა სწორად) შერაცხული ქართული ეკლესიის მიერ. მათი ხსენება დადებულია სეპტიქსოლობის დღეს, 1 ოქტომბერს. იხ. ძეგლები, I, 84-162; III, 21-78; IV, 355.

ნანძიანძორელთა მიმართ – „თქუმული ერისა მიმართ ნანძიანძორელისა, რომელნი აძლეულებდეს მოძღურებად და იოანეს მიმართ მეხარკისა, რომელი იგი მოყუას მისა ყოფილ იყო სასწაულოსა“ – გრიგოლ ღვთისმეტყველის დოგმატიკური თხზულება, იკითხება ქრისტეს შობის წინადღეს. ქართულად თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 1, 150-175; Sin. 88,1-22.

ნარაზენი – სოფელი ზუგდიდის რაიონში, ოდიშის ვაკეზე, მდ. ჭანისწყლის (ხობის მარჯვენა ნაკადი) მარჯვ. მხარეს, ზუგდიდიდან 18 კმ. სოფლის მიდამოებში დგას XVI-XVII სს. კერპეის ციხე და ეკლესია „ნათლისმცემელის კვირეს ხატი“. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია.

ნასაყდრალი – IX ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფ. გლდანის მიდამოებში, ერთნავიანი მცირე დარბაზული ეკლესია, აგებულია ბაცი მომწვანო ქვებით. მთავარ (სამხრეთის) ფასადზე მორთულობას მკლებული შესასვლელის თაღი და ორი სწორკუთხა სარკმელია. კედელში ჩასმულია მწვანე ქვის რელიეფური სტელის ფრაგმენტი. დანარჩენი ფასადები სადაა. ჟოლიდას თაღი ნალისებრი ფორმისაა. საკურთხეველში, კონქის ფუძესთან, რეზონანსის გასაძლიერებლად ჩადგმულია ქვევრები.

ნასპარსევი – ნასოფლარი ნასტაგისის მინდვრის აღმოსაელეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდ. ქსნის შესართავის ქვემოთ, ქსნის რკინიგზის სადგურთან. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ნასყიდა – XVIII ს. ოსტატი, ლეჩხუმის სოფ. მცხეთაში ააშენა მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია ოტია დადიანის (1728-44) მეუღლის, რაჭის ერისთავის, შოშიტას ასულის, გულქანის ბრძანებით. აღმ. სარკმლის საპირეში ჩასმულია ხელის რელიეფური გამოსახულება და მხედრული წარწერა: „ხელი ნასყიდის კალატოზის ქართველის“. ეს ძეგლი ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ლეჩხუმში. აქვს ორი გუმბათქუშა ბურჯი. ნაგებია წინაპირჩამოთლილი ქვით. აღმ. სარკმელი შემკულია მდალიონებითა და მცენარეული მოტივით, დასავლეთისა კი – ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა რელიეფური გამოსახულებებით. თავისი დროის კეთილობაზე ნასყიდა გამოცდილი ოსტატი ჩანს.

ნასყიდა კალატოზი – გეგუთის წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი მაშენებელი. მოხსენებულია აბიდის სარკმლის თავზე მოთავსებულ XVIII ს. წარწერაში. იქვე არიან მოხსენებულნი გოგიჩა, იოანე, ბეჟან კალატოზები.

ნატალია მოწამე – წარმოშობით დიდგვაროვანი ოჯახიდან. დაჭრილნიდა მსაჯულ ადრიანეზე; ცხოვრობდნენ ნიკომედიაში. როდესაც იმპერატორმა მაქსიმიანემ (305-311 წწ.) ქრისტიანების დევნა დაიწყო, ადრიანე მასთან განსასჯელად მიყვანილი ქრისტიანების გამოკითხვას შეუდგა. ქრისტიანულ მოძღვრებას რომ გაეცნო, თვითონაც უშიშრად აღიარა მაცხოვარი და მოწამთა კრებულს შეურთდა. იმპერატორის ბრძანებით ადრიანე სასტიკად აწამეს. მასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს 23 ქრისტიანი. ნატალია ფარულად აღიარებდა ქრისტიანობას. იგი თავის მეუღლეს სულიერად განამტკიცებდა მოწამებრივი აღსასრულის წინ. ადრიანეს სიკვდილის შემდეგ ერთმა წარმართმა მხედართმთავარმა მოიწადინა ახალგაზრდა და მდიდარი ნატალიას ცოლად შერთვა. ქალი ბიზანტიაში გაიხიზნა და მრავალი დევნა-შეერწყოებით გაწამებული, მალე აღესრულა. ხსენების დღე – 26 აგვისტო. ქართულ ენაზე უთარგმნიათ „ადრიანესა და ნატალიას წამების“ როგორც კიმენური (H 341, 305-343; ბოდლე I, ფ. 376-389), ისე მეტაფრასული რედაქცია (ქუთ. I, 532-550). ქუთაისის ხელნაწერში ხსენების დღეც, ჩვეულებრივ, 26 აგვისტოა მითითებული, წინა ხელნაწერებში კი – 21 აგვისტო.

„ნატჩორა“ – ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკური ეკლესია თელავის რაიონის სოფ. გულგულაში. შემორჩენილია მოხატულობის ნაშთები.

ნაუმი – თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთაგანი, დაიბადა პალესტინის ქალაქ ელკოშში, ქადაგებდა ეზეკიას მეფობის დროს. ნაუმის წიგნი გადმოგვეცეშს პალესტინის იმდროინდელ რელიგიურ-ზნეობრივ და პოლიტიკურ მდგომარ-

ერობას, აგრეთვე მოპყაეს ცნობები ასურეთის ისტორიიდან. ნაშის წინასწარმეტყველება შეიცავს 3 თავს.

ნაშარეული – სოფელი თელავის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ლოპოტის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. სოფლის მიდამოებში (თორნისში) შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების სამეკლესიანი ბაზილიკა.

ნაშენაი – მოხსენებულია სოფ. ცხვატის (ახალგორის რაიონი, ქსნის ხეობა), მაცხოვრის ეკლესიის X ს. ლაპიდარულ წარწერაში ინა კალატოზთან ერთად.

ნაძალაძევი – სოფელი ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ასპინძიდან 24 კმ. სოფლის მიდამოებში იყო ძველი ქალაქი წუნდა, რომლისაგანაც შემორჩენილია პატარა კლდეზე აღმართული წუნდის დარბაზული ეკლესია (XII-XIII სს. მიკნა). ნაგებია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით, შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით, დასაელეთის ფასადზე ლაპიდარული წარწერაა.

ნაპრომანება – გაუმაძღარი ჭამა-სმა; ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებთ ერთ-ერთი მომაკედინებელი ცოდვა, რომლის წამალია მარხულობა (იხ. მომაკედინებელი ცოდვები). ქართულ ენაზე არსებობს თარგმანი იოანე ოქროპირის ერთი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება: „ნაყროვანთა მიმართ და ანგაპართა", შეტანილია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულში „კლიტე" (A 227; S 127).

ნაშიძე – XV ს. მხატვარი და კალიგრაფი. მისი შესრულებულია მარკოზ მახარებლის სურათი Q 5 ოთხთაეისა. დახატულია კალმით, სწრაფი ხელით, ესკიზურად. იქვეა წარწერა: „მარკოზ მახარებელო, მეოხ ეყავ საყუარელს ნაშიძეს". შესაძლოა, ეიგნის გადამწერიც თავად ნაშიძე იყოს.

ნაცარგორა – აღგილი სოფ. ნიქოზში (შიდა ქართლი), სადაც ქრისტიანობის განმტკიცებამდე იდგა წარმართული (მაზდეანური) სამლოცველო (მუდმივი ცეცხლის სამსხვერპლო). აქ მეფე ეახტანგ გორგასალმა (V ს.) აგო დიდი საყდარი და დაარსა საეპისკოპოსო კათედრა. ამ ტაძარში მანეე გადმოასვენა წმინდად წმ. პირველმოწამის, რაჟდენის ნაწილები. იხ. ნიქოზი.

„ნაცვალსიტყვაობა" – „წარმოთქმა მართლისა სარწმუნოებისა, ესე იგი ღმრთისმეტყველებისათა და განგებულებითა, ხოლო პირველად არსებისა და ბუნებისათჳს, პირისა და გეამისათჳს, კითხვა-მიგებით განკარგულნი, რომელსა ეზედწოდების „ნაცვალსიტყვაობა" – მრავალმთის ნათლისმცემელის მონასტრის მოღვაწის, მეფე ერეკლე II-ის კარის არქიმანდრიტის, გერონტი სოლოდაშვილის (1757-1813) დოგმატიკური თხზულება (XVIII ს. უკანასკნელი წლები), რომელიც დაუწერია რუსული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ძლიერი ზეგაელენით. წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა – მომართეა ნინოწმიდელი მიტროპოლიტისა და ეკუთჳს არქიმანდრიტისადმი. აღნიშნული ნაწარმოები ავტორს, მისივე განცხადებით, ქართველთა განათლების საქმეში მცირედენი წვლილის შეტანის მიზნით დაუწერია. შედგება სამი ნაწილისაგან: გუამი და ბუნება იესო ქრისტესი, შეიდთა საიდუმლოთათჳს და შეიდთა მსოფლიოთა კრებათა. თხზულების ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 1046; A 640; S 349; S 1521; H 296.

ნაციხურობა – ხალხური ღღესასწაული (ხატობა) რაჭაში, ონის რაიონის სოფ. სორში, მრავალძალის წმიდა გიორგის „ჯაჭვის მონასტერთან". იმართება ხალიდგომეეს, მეოთხე კვირის ორშაბათს და სამ მომდევნო ორშაბათს. ხატობა კვირა საღამოთი იწყება. ხალხი მიეშურება ნაციხურის გორაკისკენ. აქ ოდესღაც ციხე და ეკლესია მდგარა და ნაციხურობა, გადმოცემით, სოფ. სორის „ვაკეების ბეღზეა" დაწესებული. იხ. მურეეამობა.

„ნაწილიანი" – ღვთის რჩეული, მისი ნიშნით აღბეჭდილი პირი – ძველი ქართული წარმართული შეხედულებით. ხალხის წარმოდგენით, „ნაწილიან" თაეზე, მკერდზე ან ბეჭებს შორის აქონდა ნიშანი (ხალი, მრგეალი მხრწყინავი ლაქა და სხვა), რომელსაც იგი საგულდაგულოდ მალავდა. „ნაწილიანები" გამოირჩეოდნენ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით (გონიერებით, სიმამაცით, პაერადობით, სრულყოფილად ფლობდნენ იარაღს და ა. შ.). შეხედულება „ნაწილიანთა", როგორც ღვთაების რჩეულთა შესახებ, რწმენა-წარმოდგენათა არქაულ ფორმებს უკავშირდება, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბდა ასტრალური რელიგიის აღორძინების ხანაში. ამ პერიოდში ნიშანი იძენს ამა თუ იმ ასტრალური ღვთაების (მზე, მთვარე, ეარსკვლაეი) ხახეს და რჩეულ პირს განაკუთენებს შესაბამის ღვთაებას, წარმოგეიდგენს როგორც მის ძალებთან ნაზიარებ ზებუნებრივ არსებას. ტერმინი „ნაწილი" (წილი) ქართულში „წულის", „შეილის" სინონიმია და ლად გამოხატაეს იმ წარმოდგე-

ნათა არსს, რომლის თანახმად, შეილი მშობლის ნაწილად, მისი ნიშნის მატარებლად ითვლებოდა. ასეთსავე მიმართებაშია „ნაწილიანი“ თავის მფარველ ღვთაებასთან. ადრე რჩეული მხოლოდ ერთი რომელიმე ღვთაებისადმი იყო განკუთვნილი და მხოლოდ მის ნიშანს ატარებდა. ასეთი ვითარებაა დამოწმებული ამირანის ეპოსში, სადაც ამირანი და უსუდი მზის ნიშნით არიან ალბეჭდილნი, ბადრი კი მთვარის ნიშანს ატარებს. მოგვიანებით, ამ წარმოდგენათა რღვევის ხანაში, შესაძლოა გმირს რამდენიმე ნიშანიც ჰქონოდა, ასე მაგ., თორღვას ბეჭედზე მზისა და მთვარის ნიშანი აზის, ხოლო მათ შუა ჯვარია გამოსახული. ასტრალური ნიშნით ალბეჭდვა ხშირად ხელოვნურადაც ხდებოდა (მზის, მთვარის, ჯვრის გამოსახვა იარაღზე, ტანსაცმელზე, თმის შეკრეჭა ჯვრის სახედ და ა.შ.), რაც, გარდა ბიოლოგისაგან დაცვისა, გარკვეულ ღვთაებრივ ძალებთან ზიარებასაც ნიშნავდა.

„ნაფილთა აღმოჩენა“ – მღვდლის მიერ სეფისკვერიდან ლახვრით ნაწილების ამოკვეთა და დადება ფეშხუმზე. სრულდება პროსკომიდიის დროს. ნაწილები ამოიღება ოთხი სეფისკვერიდან (ღვთისმშობლის, წმიდათა ცხრა დასის, ცოცხალთა და მიცვალებულთა) და ფეშხუმზე განლაგდება ტარიგის ირგვლივ. კერძოდ, ტარიგის მარჯვნივ (მღვდლისათვის მარცხენა მხარეს) დაიდება ნაწილი ღვთისმშობლის სეფისკვერიდან, მარცხნივ – ცხრა ნაწილი წმიდათა ცხრა დასის მოსასხენებლად. ტარიგის ქვემოთ განლაგდება ნაწილები ცოცხალთათვის, უფრო ქვემოთ – მიცვალებულთათვის.

„ნაწლვევთმჭრელობა“ – მისნობის ერთ-ერთი სახე. „ნუ ვინ მისნობს ნაწლვევთმჭვრეტობითაო, რამეთუ მწარედ იტანჯებისო...“ აღნიშნულია იუსტინე იმპერატორის მიერ 534 წელს გამოცემული „კოდექსის“ პირველი წიგნის მეთვრამეტე ნაწილის მეორე განწესებაში, რომლის პერიფრაზული თარგმანი შეტანილია „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატურ ნაწილში (დიდი სჯულისკანონი, გვ. 172, 38).

„ნაჭარბებობა“ – ღვთისმშობლობა, ხალხური საეკლესიო დღესასწაული გორის რაიონის სოფ. კარალეთში, აღინიშნება აღდგომის მეოთხე დღეს, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათს. ნაჭარმაგევი შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია იყო. მდებარეობდა ახლანდელი კარალეთის აღგილზე. ნაჭარმაგევის სასახლესთან არის დაკავშირებული გიორგი III-ის მიერ თავისი ასულის, თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადება (1178 წ.) და X-XIII სს. საქართველოს ბევრი სხვა პოლიტიკური და სამხედრო მოვლენა.

ნახარებაჲო (ნახარებოჲ) – სოფელი მარტყოფის რაიონში, ოდიშის ვაკეზე, რაიონის ცენტრის მახლობლად. შემორჩენილია XVII ს. ნახარებაჲოს მონასტერი. აქ მოღვაწეობდა ანტონი ცაგარელ-ჭყონდიდელის 1788 წლიდან, როდესაც დატოვა ჭყონდიდელის კათედრა. ანტონი გარდაიცვალა 1815 წ. და იქვე დაიმარხა. ანტონისაგან დარჩენილია „ანდერძი“, რომელიც მას მოუცია ნახარებაჲოს მონასტრისათვის (იხ. გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ., № 39, 40). აქ აღნიშნულია, თუ როგორ გადაიკეთა ანტონმა ნახარებაჲოს სამრეკლო ეკლესია მონასტრად, და ჩამოთვლილია, რა ადგილ-მამული, გლეხები და წიგნები დაუტოვა მან მონასტერს.

ნებარონი – ნოველები, კანონების კრებული, რომელშიც შესულია იუსტინიანეს კოდექსის (Codex, 534 წ.) შემდეგდროინდელი დადგენილებები (534-565 წწ.) ყოველი ნოველა შედგება შესაყვანისა, დასკვნისა და დისპოზიტური ნაწილისაგან, რომელიც იყოფა თავებად, ხოლო თავები – პარაგრაფებად. შეიცავს როგორც საერო, ისე ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მას, როგორც წყაროს, მოიხსენიებს „დიდი სჯულისკანონი“ („ნაწილნი კანონებრივთა განწესებათანი“. იხ. „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 134, 136).

ნებროთი – ბიბლიური მამამთავარი, ნოეს ძის, ქამის შვილიშვილი. „დაბადებაში“ ნათქვამია, რომ ქამის შვილმა, ხუსმა „შეა ნებროთ: ამან იწყო გმირ ყოად ქუეყანასა ზედა; ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა. და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა: ბაბილოვანი, ორექი, არქადი და ხალანი, ქუეყანა ზენაარისა. ქუეყანისა მისგან გამოვიდა ასურ და აღაშენა ნინეჲი და ქალაქი რომოთი და ხალანი და დასხენ საშუალ ნინეჲისა და საშუალ ხალანსა“ (დაბ., X, 8-12). ე.ი. ნებროთი ყოფილა გმირი, მონადირე და პირველი მეფე ქვეყანაზე, რომლის სამეფო შეიცავდა მთელ შუამდინარეთს, ანუ მესოპოტამიას. ნებროთი იხსენიება სხვადასხვა ბიბლიური გადმოცემის ნიადაგზე აღმოცენებულ აპოკრიფებში. კერძოდ, ძველი მწერლობა გვამცნობს, რომ თითქოს არსებობდა „ნებროთის წიგნი“, ან „ნებროთიანი“. ასეთი წიგნი, ლეონტი მროველის „ჰეროეა ცხოვრების“ თანახმად, ჰქონია მირიან მეფესაც, რომელსაც იქ ამოკითხული წინასწარმეტყველური ფრაზების

მიხედვით „შექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისაჲ“. სხვა შეხედულებით, რომელიც მოყვანილია A 153-ში (გვ. 141-142), ნებროთის წიგნი არის „გრძნებისა და ეშმაკთა სიბილწის მოძღვრება“. ამ თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ წარმოიშვა ნებროთის დროს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახე კერპთაყვანისმცემლობისა. სხვათა შორის, მის დროს „გამოჩნდა ცეცხლი აღმოსაელეთით“, ე. ი. სპარსეთით, თაყვანი სცა მას ნებროთმა და დადგინა მღვდლები, რათა თაყვანს სცემდნენ და უკმევდნენ გუნდრუკს. იქვე იყო „წყარო წყლისა“, სადაც საღვთო განბანაც სრულდებოდა. ამ წყაროსთან ნებროთმა ნახა ვიღაც გრძნეული იუნიტანი, რომლისაგანაც მან ისწავლა წვრთნა სიბრძნისა. ამ წიგნის საშუალებით ნებროთი სიბრძნისმეტყველებდა და ყველას აკვირვებდა. ეს სიბრძნე შეშურდა ანდიბან მღვდელს (მოგვს), რომელიც დადგინებული იყო მის მიერ საღვთო ცეცხლის მსახურად, და მან ეშმაკთა დახმარებით შეიგნო ეს სიბრძნე, რის შემდეგ „იწყო მან ვარსკულავთრიცხუაჲ და გრძნებაჲ და ბედის თხრობაჲ და მისნობაჲ და ზღაპრობაჲ“. ერთი სიტყვით, ასკრიფის ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ წარმოიშვა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობა და ასტროლოგია, რომელიც შეადგენდა სპარსეთის ქურუმთა და მოგეთა ხელობას. ამ ცოდნით, რომელიც წარმოდგენილი იყო ნებროთის მიერ იუნიტანისაგან მიღებულ წიგნში და რომელიც მათ საშუალებას აძლევდა მომავალი ამბები წინასწარ შეეტყოთ, მოგეებმა, როდესაც მათ ცაზე უცხო ვარსკვლავი დაინახეს, სცნეს, რომ აღმოსავლეთში უნდა დაბადებულიყო მეფე დიდებული და ვარსკვლავის წინამძღვრობით ისინი მივიდნენ იერუსალიმსა და ბეთლემს. ნებროთის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობა ლეონტი მროველისა უკავშირდება ასურულ აპოკრიფულ თხზულებას „განძთა ქუაბი“ (გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბ., 2007).

ნევმია – იუდეველი პატრიოტი, იღვწოდა იერუსალიმისა და მისი დიდი ტაძრის აღდგენისათვის ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. ნევმია თავიდან ღვინის მწდეველი იყო მეფე არტაქსერქსესთან, მაგრამ როცა გაიგო იუდეველთა განსაცდელი, იგი ეზრასთან ერთად გაემგზავრა პალესტინაში, სადაც შეუდგა რელიგიურ-ზნეობრივ და სამოქალაქო მოღვაწეობას. მან ბევრი რამ შეძლო ისრაელში წესრიგისა და კეთილმსახურების აღსადგენად. მისი მოღვაწეობის ამბები მოთხრობილია ბიბლიურ წიგნში, რომელსაც ეწოდება „წიგნი ნევმიასი“, შედგება 13 თავისაგან და შინაარსობრივი სიახლოვის გამო მოთავსებულია ეზრას I და II წიგნთა შორის.

ნევმები (გვიანდ. ლათ. neuma, ბერძ. pneuma – სუნთქვა) – სანოტო დამწერლობის ნიშნები, იხმარებოდა ევროპაში შუა საუკუნეების დასაწყისში, როგორც საეკლესიო გალობის ფიქსაციის საშუალება. შედგებოდა ხაზების, წერტილებისა და ძმიშევებისაგან. ნევმებს იყენებდნენ მხოლოდ ეოკალური მუსიკის ჩასაწერად. იგი არ აღნიშნავდა ბგერის ზუსტ სიმაღლეს, მხოლოდ მოაგონებდა მომღერალს უკვე ცნობილ მელოდიას, მიუთითებდა ხმის აღმავალ და დაღმავალ მოძრაობასა და მელიზმებზე. მრავალხმიანობის განვითარებას მოჰყვა ნევმური დამწერლობის რეფორმა. ნევმებს იყენებდნენ ძველი ქართველი პროფესიონალი მგალობელ-მუსიკოსები – მეხელენი. მათ მიერ შედგენილ მეხურ კრებულებში (ძლისპირნი და სხვ.) დაცულია ქართული ნევმების ორიგინალური სისტემა, რომლითაც დაფიქსირებულია (დღემდე ჯერ კიდევ უცნობი წესებით) ქართული სამხმიანი საგალობლები. ნევმირებულ (მეხურ) ძლისპირებს შეიცავენ X-XI სს. ხელნაწერები: S 425 (მიქაელ მოდრეკილის იადგარი), A 603; Sin. 1; Sin. 14; იელის იადგარი და სხვ. A 603 ხელნაწერში შენახული რედაქცია ძლისპირისა გამოცემულია გ. კიკნაძის მიერ („ნევმირებული ძლისპირნი“, 1982 წ.).

ნეკრესი – ისტორიული ქალაქი კახეთში, ახლანდელ ყვარლის რაიონში, სოფ. შილდის მახლობლად, მთის ფერდობზე. დაარსა მეფე ფარნაჯომმა (ძვ. წ. II-I სს.). მირიანის მეფობაში (IV ს.) ქალაქი გაუმაგრებია მირვანოზს, მირიანის მამამძუძეს. IV ს-ის მესამე მეოთხედში მეფე თრდატმა აქ ააგო პირველი ეკლესია. VI ს-ში ნეკრესში დამკვიდრდა ერთი ასურელი მამათაგანი – აბიბოსი (იხ. აბიბოს ნეკრესელი). მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო (იარსება XIX ს-მდე) – საკმაოდ ძლიერი ფეოდალური ერთეული, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამხედრო-პოლიტიკურსა და საეკლესიო ცხოვრებაში. ნეკრესს იმთავითვე მიეცა დიდი მნიშვნელობა, აქედან ჯრუცლდებოდა ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთზე. ნეკრესის საეპისკოპოსო ეპარქიაში შედიოდა არა მხოლოდ ალაზნის გაღმა მხარე, არამედ დაღესტნის ნაწილიც

(დიდღეთი). ნეკრესში გაჩაღებული იყო დიდი სამონასტრო და მწიგნობრული მოღვაწეობა. ნეკრესელი მღვდელმთავრები: იოანე ჯორჯაძე, დოსითეს ჩერქეზიშვილი, ამბროსი მიქაძე (XVIII ს.), დიაკონი მოსე (XIX ს.) და სხვ. სამწერლო ასპარეზზეც ილვწოდნენ.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლს აერთიანებს, რომელთაგან IV ს. II ნახევრის მინიატურული ბაზილიკა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში დღემდე მოღწეულ ეკლესიათაგან. დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა VII ს. დასაწყისს განეკუთვნება. იგი გარედან გეგმით სწორკუთხაა. მთავარი ეკლესიის საკურთხეველი სამ ნაწილანია. გვერდითი ეკლესიები ცენტრალურზე მოკლეა. დასავლეთით – მთავარი, ხოლო ჩრდილოეთითა და სამხრეთით – გვერდითი შესასვლელებია. VIII-IX სს. გუმბათოვანი ეკლესია გეგმის თავისებურებით გამოირჩევა და სამეკლესიანი ბაზილიკის გუმბათოვან ვარიაციას წარმოადგენს. შუა, კვადრატულ გუმბათით დაგვირგვინებულ დარბაზს მხოლოდ ერთი შეერილი (გარედან ხუთწახნაგა და შიგნით ნალისებრი) ფორმის აბსიდი აქვს. ეკლესიას სამი მხრიდან გარშემოსავლელი ეკერის. სამხრეთით და დასავლეთით ორ-ორ თაღიანი შესასვლელებია. ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლისათვის (VIII-IX სს. რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული), XVI ს-ში კოშკი მიუშენებიათ. მონასტრის ტერიტორიაზე არის საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათა ნაშთები, მცირე სამლოცველოები და სხვა.

ნეკრესის სკოლა – სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ნეკრესის მონასტერთან დაარსდა XVIII ს-ში დოსითეოს ნეკრესელის ხელმძღვანელობით. სკოლა, სხვა იმდროინდელი სკოლების (სიონის, კალაუბნის, ქვაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატის) მსგავსად, პირველდაწყებითი ხასიათისა იყო. საშუალო სასწავლებელი – სემინარია გაიხსნა თბილისში 1755 წ. ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით.

ნეკტარიოს კონსტანტინეპოლელი (381-397 წწ.) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი გრიგოლ ღვთისმეტყველის გადადგომის შემდეგ. „მცირე სჯულისკანონის“ მოწმობით, ნექტარიოსის დროს „სამეუფოსა ამას ქალაქსა (კონსტანტინეპოლს) შემოკრბეს ღირსნი მამანი“. ეს კრება შედგა 394 წელს და მისი საგანი იყო ერთ საეპისკოპოსო კათედრაზე ორი ეპისკოპოსის ცილობა, რომელიც თხრობის სახით არის (ყოველგვარი კანონების გარეშე) წარმოდგენილი და შეტანილია დიდ სჯულისკანონში კართაგენისა და ტრულის (VI მსოფლ. კრების) კანონებს შორის (გვ. 363-365).

ნექტარიოსი ავტორია თეოდორე ტირონის სასწაულთმოქმედების აშსაწელი საკითხავისა („სასწაულისა მისთჳს წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი იგი აღსრულა ყოველადქებულმან მოწამემან ეშმა იულიან განდგომილისათა“. იკითხება დიდმარხვის პირველ შაბათს). ეს საკითხავი ქართულად უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს. დაცულია ხელნაწერებში: A 5, A 55; A 129; A 272, 68-74; Jer. 23, 234-240; ქუთ. 8, 22-29; Ath. 14, 170v-177r და Ath. 49, 66v-69v. ქართულად თარგმნილია (უფრო მცირის მიერ) აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის წერილი ნექტარიოსის მიმართ („ეპისტოლე ნექტარიოსის მიმართ, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოზისა“). შენახულია ხელნაწერებში: A 292, 318-319; ქუთ. 8, 318-319.

ნემესიოს ემესელი – IV-V სს. ემესელი ეპისკოპოსი, ღვთისმეტყველი, ნეოპლატონიკოსი და საკლესიო მწერალი. მოღვაწეობდა ნეოპლატონიზმის აღმავლობის პერიოდის სკოლაში. ცდილობდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ანტიკური აზროვნების მონაპოვართა დანერგვას. შუა საუკუნეების წარმოდგენები ადამიანის ფიზიკურ აღნაგობასა და სულიერ თვისებებზე მნიშვნელოვნად ემყარება მის თეოლოგიურ-ფსიქოლოგიურ თხზულებას „ბუნებისათჳს კაცისა“. აქ ქრისტიანული მსოფლმხედველობა გადმოცემულია ანტიკური ფილოსოფიის მრავალპლანიანი მონაპოვრის გათვალისწინებით. ძირითადი საკითხებია: სულის რაობა, მისი სახეები, სულის სხეულთან მიმართება, პირველქმნილი ცოდვის პრობლემა, ნების თავისუფლება და სხვ. აღსანიშნავია ნემესიოს ემესელის გაელენა იოანე დამასკელზე. ეს თხზულება ქართულად თარგმნა იოანე პეტრიწმა (იხ. „ბუნებისათჳს კაცისა“, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, ს. გორგაძის გამოც., თბ. 1912).

ნეოთომიზმი – თომა აკვინელის მოძღვრების აღდგენა და თანამედროვეობასთან შეხამებული განვითარება. ნეოთომიზმის ისტორია იწყება პაპ ლეო XIII-ის ენციკლიკით – „Aeterni Patris“ (1879 წ.), რომლის ძირითადი პრინციპი იყო: „გაამდიდრე და სრულყავ ძველი ახლით“. მასში აკვინელის მოძღვრება გამოცხადდა ჭეშმარიტებად. 1923 წ. პაპმა პიუს XIII-მ თომას იდეები წმინდად გამოაცხადა. 1925 წ.

ეატიკანმა მოაწყო თომისტთა პირველი კონგრესი. ამჟამად ნეოთომიზმის ცენტრები ძლიერია საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, აშშ-სა და კანადაში.

ნეოკონფუციანელობა – ჩინური ფილოსოფიის იდეალისტური სკოლა; კონფუცის მოძღვრების მრავალწლიანი მოდერნიზაციის საერთო სახელი. ნეოკონფუციანელობა ჩამოყალიბდა IX ს. ჩინეთში, როგორც ბუდიზმისა და დაოსიზმის საპირისპირო მოძღვრება. მისი ისტორია იყოფა სამ პერიოდად: I პერიოდის (სუნის დინასტია) მთავარი ფიგურა იყო ჯუსი (1130-1200), რომლის მოძღვრება XX ს-მდე კანონიზებული იყო. II პერიოდის (მინის დინასტია) ნეოკონფუციანელობის გამფორმებელი უანიანმინი (1473-1529 წწ.) ამტკიცებდა, რომ სამყარო ცნობიერების პროდუქტია. III პერიოდში (ჩინის დინასტია) ტაი-ჟუანი (1723-1777 წწ.) ცდილობდა ნეოკონფუციანელობის ყველა მიმართულების სინთეზირებას.

ნეოკონფუციანელობას დიდი გაელენა ჰქონდა იაპონიასა და კორეაში. დღევანდელი ნეოკონფუციანელობა ეკლექტიკურია; ცდილობს, შეეხამოს დას. ევროპის ფილოსოფიას.

ნეოპლატონიზმი – ანტიკური ეპოქის ფილოსოფიური მიმართულება (III-VI სს.), რომელმაც პლატონის ფილოსოფიასთან არისტოტელეს მოძღვრების ელემენტების შეერთებით სცადა მთელი ანტიკური კულტურის სისტემატიზაცია. ნეოპლატონიზმი იბრძოდა გაბატონებული სკეპტიციზმისა და პესიმიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მისი მისტიკური ოპტიმიზმი მოითხოვდა ყოველი კონკრეტულისა და ინდივიდუალურის არსებობაზე მაღლა მდგომ უთვისებო აბსოლუტთან შერწყმას.

ნეოპლატონიზმის მამამთავარია ამონიოს საკა, მისი მოწაფეები არიან ლონგინე და ორიგენე. ნეოპლატონიზმი ფაქტიურად ჩამოაყალიბეს პლოტინემ და მისმა მოწაფემ პორფირიოსმა, რომელთაც შექმნეს ალექსანდრიულ-რომაული სკოლა. პორფირიოსის მოწაფის, იამბლიქეს მეთაურობით IV ს-ში შეიქმნა ნეოპლატონიზმის სირიული სკოლა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მითოლოგიის ინტერპრეტაციას, დემონოლოგიას, რიტუალთა მისტიკას. ნეოპლატონიზმის ათენის სკოლის (პლუტარქე, სირიანე ალექსანდრიელი, დიადოხოსი) ძირითადი ინტერესი იყო იდეალისტური დიალექტიკის დაფუძნება. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ნეოპლატონიზმის პერგამონის სკოლას, ალექსანდრიულ სკოლასა (ნემესიოს ემესელი, პერმიასი, დაფნი) და ლათინურ ნეოპლატონიზმს, რომლებიც ძირითადად მთარგმნელობითი და კომენტატორული მუშაობით იყარგლებოდნენ.

529 წელს დახურეს ათენის ფილოსოფიური სკოლა და აკრძალეს ანტიკური ფილოსოფიის სწავლება. ამის მიუხედავად, ნეოპლატონიზმმა დიდი გაელენა მოახდინა როგორც ქრისტიანულ, ისე არაბულ და ებრაულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ნებარი აგუსტინე დიდად აფასებდა პორფირიოსს, თუმცა მან 15 წიგნი დაწერა „ქრისტიანთა წინააღმდეგ". შემდეგ ნეოპლატონიზმი, დოონისე არეოპაგელის ავტორიტეტს ამოფარებული, თითქმის ოფიციალური გახდა. მისი ძლიერი გაელენა გრძელდებოდა XVI ს-მდე.

ნემოსი – კუნძული ეგეოსის ზღვაში. „ოთანესა და ეფთუმეს ცხოვრების" მიხედვით, ბასილი მეფეს ეს კუნძული უბოძებია ათონის ქართველთა მონასტრის მაშენებლის, იოანე ქართველისათვის (იხ. ძეგლები, II, გე. 52).

ნეოფიტე (ნიუფიტე) – ალის მონასტრის წინამძღვარი XIII ს-ში. მოხსენებულია ამ მონასტრის ხელნაწერის (H 1347) მინაწერში.

ნეოფიტე – მღვდელ-მონაზონი, დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის XVIII-XIX სს. მოღვაწე, მწიგნობარი. მისი გადაწერილი ხელნაწერებიდან შემორჩენილია ორი: A 1052 („გეირგეანი") და A 1050 (საგალობელ-საკითხაოთა კრებული).

ნეოფიტე ბერი – დავითგარეჯის მონაზონი (XVIII-XIX სს.), მწიგნობარი. გადაუწერია ხელნაწერი: A 1052 (გაბრიელ მცირის „გეირგეანი").

ნეოფიტები – (ბერძ. ახალნერგი) ქრისტიანობის აღრეულ პერიოდში ასე ეწოდებოდათ ახალმონათლულებს, რომლებიც თავიანთი მონათვლის დღიდან (აღდგომიდან) თოთხმეტ კვირიაკემდე ატარებდნენ თეთრ ტანსაცმელს. შუა საუკუნეებში ნეოფიტებად იწოდებოდნენ ახალაღკეცილები სამონასტრო ორდენებში.

ნეოფიტე ურბნელი – VII ს. მღვდელმოწამე, ურბნისის ეპისკოპოსი, წარმოშობით სპარსი. მსახურობდა არაბთა არმიაში, სახელად ერქვა ომარი. როდესაც იგი ამირა მუშნის ბრძანებით შიდა ქართლში შემოვიდა და შიომღვიმის ლავრის აღება მოიწადინა, მას წინააღმდეგობა გაუწია ანგელოზთა მხედრობამ, რომელიც ცხადად გამოუჩნდა მას. სასწაულებრივი გამოცხადების შემდეგ ომარი გაქრისტიანდა და მიიღო

ახალი სახელი – ნეოფიტე. იგი აღარ განშორებია შიომღვიმის ლავრას და იქ აღიკეცება მონაზვნად. მასთან ერთად აღიკეცნენ ხრისტოდულოს და ხრისტოფოროსი. წმინდა ცხოვრებისა და თვალსაჩინო სულიერი მოღვაწეობისათვის სამუელ ქართლის კათოლიკოსმა წმ. ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსად აკურთხა. მაზღუანებს შეშურდათ ქრისტიანობის წარმატება. მათ ლოცვის დროს შეიპყრეს წმ. მღვდელმთავარი და სტეფანე პირველმოწამის მსგავსად ქვებით ჩაქოლეს. წმ. ნეოფიტე ურბნელის ხსენების დღე – 28 ოქტომბერი. მისი მარტვილობის ისტორია შეუთხზავს მოკლედ ბასილ ეაჩეს ძეს და შეიოს ასწაულთა აღწერილობაში შეუტანია მეცხრე თხრობად (საქართველოს სამოთხე, გვ. 258-260; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები გვ. 206-207). XVIII ს-ში ანტონ კათოლიკოსმა დაწერა მეტაფრასული საკითხაკი: „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ენებთა წმიდისა მღუდელ-მოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა“ („საქართველოს სამოთხე“, გვ. 303-312; ძეგლები, VI 119-135).

ნერონი (ნერო) – ლუციუს კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს ცეზარ (37-68 წწ.), რომის იმპერატორი 54 წლიდან, იულიუსებისა და კლავდიუსების დინასტიის წარმომადგენელი, აგრიპინას ვაჟი, პატივმოყვარე, სასტიკი და გარყვნილი ტირანი. თხზავდა ლექსებს, გამოდიოდა ცირკში, მღეროდა, ჯამბაზობდა, ხატავდა, აქანდაკებდა და სიკეთილით სჯიდა ყველას, ვინც მისი „უდიდესი ხელოვნებით“ აღტაცებული არ იყო. ნერონის ბრძანებით დახოცეს მისი ძმა ბრიტანიკუსი, დედა აგრიპინა, ცოლი ოქტავია, პრეფექტი ბურუსი; თვითმკვლელობამდე მიიყვანეს პოეტი ლუკანუსი, ფილოსოფოსი სენეკა და მწერალი პეტრონიუსი. ნერონმა სახელი გაითქვა ადრეული ქრისტიანთა დევნით. 64 წელს რომში ხანძარი გააჩენინა (ქალაქის 14 უბნიდან 4 გადარჩა) და ხანძრის გაჩენა ქრისტიანებს დააბრალა რისთვისაც ისინი მხეცებს დააგლეჯინეს, ზოგი დაწვეს. ნერონის მიერ წამებულთა შორის იყვნენ წმ. თავნი მოციქულნი პეტრე და პაული. ნერონმა . ხალი ქალაქი ააშენა. განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩეოდა იმპერატორის „ოქროს სასახლე“. 65 წელს ნერონის წინააღმდეგ მოეწყო სენატორთა და წარჩინებულთა შეთქმულება. 68 წელს აუჯანყდნენ გალიის, ესპანეთისა და რაინის მმართველები. ნერონს პრეტორიანელებიც განუდგნენ და იძულებული შეიქნა თავი მოეკლა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ოო, რა მსახიობი ვიღუპები!“ იხ. ქრისტიანთა დევნა.

ნერსე I – ქართლის ერისმთავარი VII ს. II ნახევარში. გადმოცემით, მან დაამარცხა და განდევნა სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა. არის ვარაუდი, რომ ნერსე I ატენის სიონის ერთ-ერთი ქტიტორთაგანია.

ნერსე II – ქართლის ერისმთავარი VIII ს. II ნახევარში (781 წლამდე), ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძე. 772 წელს ხალიფა მანსურმა ანტიარაბული საქმიანობისათვის ბაღდადში გაიწვია და საპყრობილეში ჩასვა. ხალიფა მაჰდი (775-785 წწ.) გამეფებისთანავე გაათავისუფლა და უწინდელი პატივით გამოისტუმრა ქართლში. ხუთი წლის შემდეგ ნერსე კვლავ შეებრძოლა არაბებს, შემდეგ თაეისი მხლებლებით ხაზარებთან გაიქცა მათი დახმარების იმედით, იქიდან კი – დასაელეთ საქართველოში. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას ქართლის ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დაენიშნა. ამირას ნებართვით ნერსე ისევ ქართლში გადმოვიდა, მაგრამ ძველებური პატივი აღარ ჰქონია. ნერსეს ცხოვრების ამ პერიოდთან არის დაკავშირებული მისი ყოფილი მსახურის, წმ. მოწამის – აბო ტფილელის მარტვილობა (იხ. ძეგლები, I, 55-62). ნერსეს ცოლისძმის შეილი იყო გრიგოლ ხანცთელი (ძეგლები I, 249). გრიგოლი ერისმთავრის კარზე აღიზარდა, მის სასახლეში. სწავლა-აღზრდის საქმეს თვით ნერსეს ცოლი ხელმძღვანელობდა.

ნერსე სომეხთა მთავარეპისკოპოსი – სომეხთა კათოლიკოსი არშაკ მეფის (368-386) დროს. ცნობილია სახელები მისი მამისა (ათენაგენე) და პაპისა (ოსკი). როგორც იუწყება IX-X ს-ში სომხურიდან ქართულად ნათარგმნი მისი „ცხოვრება“ (Ath. 8; А. Хаханов, Материалы по грузинской агиологии, стр. 65-69. ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში), ნერსე წმიდა მღვდელმთავარი იყო. მას სანიმუშო წესრიგი დაუმყარებია სომხურ ეკლესიაში, აუმენებია სასწულოები კეთროვანთათვის, სასტუმროები – უცხოთათვის. როდესაც არშაკ მეფეს სპარსეთის შაპმა ომი გამოუცხადა, ნერსე დესპანად წასულა კეისართან, მაგრამ ამაოდ. ნერსე და სომეხი მძეულები (მათ შორის მემკვიდრე მეფისა – პაპი) კეისარს რომელიღაც კუნძულზე გაუგზავნია ექსორიობაში. მწუალებელი მაკედონი თურმე შეუწრფია ნერსეს, ჩვენს მხ-

არეზე გადმოდი და იმპერატორის წინაშე გიშუამდგომლებო, მაგრამ ნერსეს უარი განუცხადებია. ამასობაში სპარსეთმა დაიპყრო სომხეთი, მოკლეს მეფე არშაკი. როდესაც კეთილმსახური იმპერატორი თეოდოსი გამეფდა, მან ექსორიობიდან დააბრუნა ნერსე მთავარეპისკოპოსი. მეფის სიკვდილი რომ გაიგო, ნერსემ სთხოვა თეოდოსი იმპერატორს, არშაკის ნაცვლად პაპი გაემეფებინა სომხეთში. თეოდოსმა განდევნა სპარსელები სომხეთიდან და გაამეფა პაპი. ახალგაზრდა მეფემ ბოროტად გადაუხადა ნერსეს შუამდგომლობა. მისი ბრძანებით მოწამლეს კათოლიკოსი ნერსე, რომელიც 33 წელი იყო სომხეთის მღვდელმთავრად. ხსენების დღე 1 ივლისია. ნერსე მთავარეპისკოპოსი მოხსენიებულია ძველ ქართულ ისტორიულ ძეგლში – „მოქცეაჲ ქართლისაჲ“ (იხ. ძეგლები, I, 91). ცნობილია, რომ ნერსეს ყოფილი დიაკონი იობი შეხვედრია ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა (375-390 წწ.). ქართულ ენაზე მოიპოვება ნერსე კათოლიკოსის ერთი თხზულება („წინ..სწარმეტყუელებაჲ ნერსე დიდისა, სომეხთა ჴელმწიფისა მის მთავარეპისკოპოსისაჲ“, S 3236), რომლის დედაარსი ანტონ კათოლიკოსსაც აქვს გადმოცემული თავის „შრამეტყველებაში“. კერძოდ, ნერსე დაბადებასა და განსაცდელს უწინასწარმეტყველებს სომხეთს. ანტონ კათოლიკოსი თვლის, რომ სომხეთის დაბადების მიზეზი მონოფიზიტობა.

ნესხუნი – სოფელი ზემო სვანეთში (მესტიის რაიონი), მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. მესტიიდან 3 კმ. სოფელში დგას თლილი ქვით ნაგები IX-X სს. მაცხოვრის ეკლესია. შესასვლელი ორია – სამხრეთით და დასავლეთით. ინტერიერი მოხატულია XII ს-ში, შემონახულია ქვის კანკელი.

ნესტან-დარეჯან დედოფალი – ლეკან დადიანის მეუღლე, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მფარველი (შემწირველი) XVI-XVII სს. მას იხსენიებს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (1585-1659 წწ.), ჯვარის მონასტრის წინამძღვარი.

ნესტორი – პერგე ქალაქის ეპისკოპოსი, წმ. მღვდელმოწამე; იმპერატორ დეკიოსის (249-251 წწ.) ზეობისას შეიპყრეს თავისივე სახლში ლოცვის დროს. ხანგრძლივი წამების შემდეგ, რომელიც მას წინასწარ აქონდა უწყებული ზეციდან, ჯვარს აცვეს († 250 წ.). წმ. მღვდელმოწამის ხსენების დღე – 28 თებერვალი. მისი „წამების“ ქართული თარგმანი შენახულია ხელნაწერში: ქუთ. I, 225-227. აქ ხსენების დღედ 27 თებერვალია აღნიშნული.

ნესტორი კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (428-431 წწ.), ერესიარქი, ნესტორიანობის მშვალებლობის მამამთავარი. წარმოშობით უბრალო ოჯახიდან იყო. მოღვაწეობდა ანტიოქიის ერთერთ მონასტერში, ეკურთხა მღვდლად და ქადაგებდა. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) დროს, რომელმაც იგი ჰიროდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტახტზე. თავისი მშრომელობის პირველ ხანებში სასტიკად დევნიდა არიანელებს და სხვა მშვალებლურ მიმდინარეობებს, მაგრამ ხოლოს თვითონაც მშვალებლობაში ჩავარდა. ქართულ ხელნაწერებში დაცულია მშვალებელი მღვდელმთავრის შემდეგი თხზულებანი: ეპისტოლე კირილე ალექსანდრიელის მიმართ (A 266, 46-49). ეპისტოლე იოანე ანტიოქელისადმი (A 266, 66-68). ეპისტოლე უწყებითი (A 266, 212-214). ეპისტოლე ეუნუსის მიმართ (A 266, 275-277). ეპისტოლე კელესტინე რომაელის მიმართ (A 266, 49-51, 51-52, 52-53). წყვნი მოთხრობითი შეწყობილი (A 266, 393-396). ქადაგება, ოდეს იყოვნება სახლსა შინა თჳსსა (A 266, 68-69). ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებანი ნესტორისა, რომლებიც მოთავსებულია აგრეთვე A 618-ში, გადმოთარგმნილია სომხურიდან ანტონ კათოლიკოსისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ 1776 წელს, ისინი შეტანილია მესამე მსოფლიო კრების აქტებში.

ნესტორიანობა – მწვალებლური მოძღვრება, რომლის ერესიარქი იყო ნესტორი კონსტანტინეპოლელი (428-431). ნესტორიანელთა ქრისტოლოგიური დოქტრინით, რომელიც ანტიოქიის თეოლოგიური სკოლის მოძღვრებას ემყარებოდა: იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, რომელშიც სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა სიტყვა ღვთისა (ლოგოსი). ამიტომ ღვთისმშობელს („თეოტოკოს“) უნდა ეწოდოს კაცისმშობელი („ანთროპოტოკოს“) ან ქრისტესმშობელი („ქრისტოტოკოს“). კაცი იესო, დაბადებული მარიამისაგან, იყო მხოლოდ ღვთაების საყუდარი და იარაღი ჩვენი ცხოვრებისა; კაცი და ღმერთი იესოში ერთ არსებად არ გადაქცეულან. ეს კაცი, სულიწმიდის მადლით, გადაქცა ქრისტედ, ე. ი. ცხებულად, და სიტყვა-ღმერთი იყო მასთან. ნესტორის ასეთმა განცხადებებმა გამოიწვიეს მართლმადიდებელ მწყემსმთავართა საერთო აღშფოთება. მათ სცადეს უკეთესთ

მისი მოძღვრება და ჩამოერთმიათ ძალაუფლება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, სანამ მას იმპერატორი მფარველობდა. ბოლოს ნესტორის მოძღვრებას დაუპირისპირდა კირილე ალექსანდრიელი, რომელმაც მიაღწია იმას, რომ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეფესოში 431 წელს დაგმო და განკვეთა ნესტორი. ნესტორიანელებთან ბრძოლაში ჩაბოყაღნებული ახალი ერესი – მონოფიზიტობა დაგმო ქალკედონის კრებამ (451 წ.). ქალკედონის კრების მიმდევრებმა (დიოფიზიტები) განაგრძეს დევნა ნესტორიანელებისა, რომლებმაც თავი შეაფარეს ანტიოქიის სპატრიარქის, შემდეგ – ირანის იმპერიას, რომელიც მფარველობას უწევდა ანტიბიზანტიურ იდეოლოგიურ მიმდინარეობებს. 499 წელს სელევკიის კრებაზე ნესტორიანელებმა შექმნეს თავიანთი ეკლესია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთის კათოლიკოსი. ირანიდან ნესტორიანელობა გავრცელდა შუა აზიაში, ინდოეთსა და ჩინეთში.

წყაროებით დასტურდება ნესტორიანელთა არსებობა საქართველოში (VI ს.). ცნობები ამის შესახებ დაცულია ქართლის კათოლიკოსის, კირიონის (VII ს. დამდეგი) მიმოწერაში რომის პაპ გრიგოლ I-თან და სომეხთა კათოლიკოს მოსესთან (574-604 წწ.).

VIII-IX სს. ქართულად უთარგმნიათ ერთი თხზულება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და რაჲთუ ღმრთისმშობელი არს წმიდაჲ ქალწული მარიამ და რომელი იგი იშუა მისგან – ღმერთი და იგიეე კაცი“ (A 19, 41-52; A 95, 46-59). როგორც სათაურიდანვე ჩანს, ეს თხზულება მიმართულია ნესტორიანთა დოქტრინის წინააღმდეგ. ის ბერძნულ ენაზედაც შენახულა: Migne, PG, t. 28, 25-30). აეტოროსა მიეწერება აპოლინარი ლაოდიკიელს.

არსენ ვაჩნაძეს თავის „დოგმატიკონში“ შეუტანია რამდენიმე ანტინესტორიანული პოლემიკური თხზულება: 1) ორი ტრაქტატი იოანე დამასკელისა: „სიტყუაჲ სარწმუნოებისათუს, დასამხობელად ნესტორიანთა“, და „სიტყუაჲ, დასამხობელი ნესტორიანთაჲ“, 2) თეოდორე ფილოსოფოსის „ნესტორიანთა მიმართ სიტყუსგებაჲ“ და 3) თეოდორე აბუკურას „ნესტორიანთა მიმართ ოთხი სიტყუსგება“, რომელიც შედის სიტყუსგებაში „მთავრისა მიმართ ეფესისა შეიგანთაჲსა“ (S 1463, 289-294; 103-108; 108-128; A 205, 397-403; 403-414; ქეთ. 23, 1-8, 8-20, 368-386). გარდა ამისა, ცნობილია რამდენიმე სხვა ანტინესტორიანული თხზულება: „მათთჳს, რომელნი კაცსა თუსაგან იტყჳან ჯუარცმულად, ვითარცა ნესტორ იტყოდა“, თეოდორე აბუკურასი (A 691, 157-160; A 735, 28-29). ამავე ავტორს ეკუთვნის „სიტყუსგებაჲ ნესტორიანთა მიმართ“ (S 312, 24-28). „ერისა მიმართ კონსტანტინეპოლელისა, რომელნი ნესტორის ბოროტთა იჭუთა შედგომილ იყუნეს“ – თეოდორიტე კჳრელის თხზულება (A 266, 390-391). იმავე ავტორს ეკუთვნის „სიტყუა, თქუმული ქალკიდონს შინა წინაშე პოტირიტისთა მწუალებელთა და მოწაფეთა ნესტორისათა“ (A 266, 349-352). „საკითხავი, თქუმული ყოველადწმიდისა ღმრთისმშობელისათუს და წმიდათა მამათათუს ეფესოჲს კრებისა, რომელნი შეკრბეს დაშხობისათუს უსჯულოჲსა ნესტორისა“ – კირილე ალექსანდრიელის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: ქეთ. 8, 369-376. Sin. 151, 66-81; Ath. 7/61, 154-160. იმავე ავტორს ეკუთვნის სიტყუა: „თქუმული ქალაქსა შინა ეფესოს ჟამსა ლეცესასა შემდგომად ნესტორის განკუეთისა“ (A 266, 219-222). „სიტყუაჲ თქუმული ეფესოს შინა, წინაალმდგომად ნესტორიოსისა დღეს იოანე მახარებელისასა“ – თეოდოტი ანკჳრელის თხზულება. დაცულია ხელნაწერში A 266, 325-326.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ანტონ კათოლიკოსის „მზამეტყველება“, რომლის პირველ თავში დაგმობილია ნესტორიანთა წვალება.

„ნეტარებაჲ მოწაჳეთაჲ“ – ეფრემ ასურის თხზულება, ქართულად თარგმნილი ეფთჳმე ათონელისა (A 1704) და ეფრემ მცირის (A 62, A 154, A 166, A 196, A 673; ქეთ. 8, Ath. 83) მიერ. ეფრემს ამ თხზულებისათვის უწოდებია „ნეტარებანი“.

„ნეტარ-არიანი“ – ლიტურგიკული ტერმინი, ფსალმუნის მე-17 კანონის სახელწოდება, რომელიც წარმოდგება მისი დასაწყისი სიტყვებიდან: „ნეტარ-არიან უბიწონი გზასა...“ (იგალობება შეაღამის ჟამში, შაბათს ცისკრის რიგით კანონად, მიცვალებულის მოსახსენებლად და სხვ.).

ნეტარება – სულხან-საბას განმარტებით, ნეტარება არის „ყოველთა კეთილთა შესაკრებელი, რომლისა არცა ერთი მოკლებულ იყოს“, ე. ი. ის სიხარული და ბედნიერება, რომელიც ღვთიურჩეულთ ელით ზეცათა სასუფეველში.

ნეტარი – 1. ყოველი სიკეთით შემკული, სრულქმნილი (წმინდანთა ეპითეტი). 2. ადა-

მიანი, რომელიც ნეტარებას განიცდის, ბედნიერი, წარმატებული (რომ. 4,7; იაკ. 1,12). ასე იწოდებიან მეორეხარისხო სალოსები; ის წმინდანნი, რომელნიც საიდუმლოდ სათნო-ეყენენ ღმერთს. აგრეთვე წმინდანნი, რომელთა სიწმინდეს მოწმობენ არა მარტო მათი პირადი საქმენი, არამედ მათ გარშემო მყოფი ხალხი (მაგ. ნეტარი გრიგოლი, ანტიოქიის პატრიარქი. ხსენების დღე – 20 აპრილი). საღვთო წერილის თანახმად, ადამიანი ნეტარია, თუკი არ დაბრკოლდება სარწმუნოებაში (მათე 11,6; ლუკა 7,23) და აღიარებს ქრისტე-ღმერთს (მათე 16,17), არ მიჰა ულებოთა შესარებელში და არ დადგება ცოდველთა გზას (ფს. 1), არამედ იელის უბიწოდ, საღვთო სჯულის მიხედვით (ფს. 118,1), შეისმენს ღვთის სიტყვას, გამოიკელეეს და დაიმარხავს მას (ფს. 118,2; ლუკა 11,28), ირწმუნებს ყოველივეს, რასაც უფალი ეტყვის (ლუკა 1,45), ირწმუნებს, თუნდაც უფალი არ გამოეცხადოს და პირადად არ აუწყოს თავისი ნება (იოანე 20,29). ნეტარია ადამიანი, რომელიც განაცდელთა დათმენით ცხონების გვირგვინს მიიღებს (იაკ. 1, 12), რომელსაც მიეტევება უსჯულოებანი და დაეფარება ცოდვანი (ფს. 31,1; რომ. 4,7).

იესო ქრისტეს მოძღვრება ნეტარების შესახებ (მათე 5,3-12) ახალი ალთქმის ქვაკუთხედია; მასში ჩამოყალიბებულია ქრისტიანის იდეალური სახე: სიმდაბლე (თაქცხლობა), სინანული ცოდვების გამო, სიმშვიდე, მოწყალება, გულის სიწმინდე, მშვიდობისმყოფელობა, სიმართლისათვის დევნის დათმენა და სხვ.

„ნეტარ არს კაცი“ – დაეითის ფსალმუნთა I კანონი, ასე ეწოდება დასაწყისი სიტყვების მიხედვით. ღვთისმსახურების დროს (მწუხრის ლოცვაზე) სრულდება ან მთლიანად, ან მისი ერთი აღსავალი („დიდება“), ანდა პირველი აღსაელის პირველი ანტიფონი (I ფსალმუნი). დიდ დღესასწაულებზე ითქმის მხოლოდ პირველი ფსალმუნი. თუ კეროს დაემთხვეეა – I აღსავალი, ზოგიერთ შემთხვევაში კი (უკართმაღლებას) – ითქმის მთელი კანონი.

„ნეტარებანი“ – ცხრა ნეტარება სახარებისა; ქრისტეს სწაელა, რომელიც იწყება სიტყვებით: „ნეტარ-იყუნენ...“ (მათე 5,3-12). ეს მუხლები, რომლითაც ქრისტე ნეტარებას ჰპირდება ადამიანებს მათი სხეადასხეა კეთილმოქმედებისათვის, ჩეეულებრივე იგალობება ან იკითხება ლიტურგიის, სალიტის ჟამნის, მიცვალებულის წესისა და სხვა ღვთისმსახურების დროს.

ნეფთალემი – ბიბლიური მამათმაეარის, იაკობის ვაჟი ბალასაგან (დაბ. 30,8), ნეფთალემის ტომის მამათმაეარი. ამ ტომმა ალთქმეული ქვეყნის მოპოეების შემდეგ დაიკავა მისი ჩრდილოეთი ნაწილი. ამიტომაც იგი პირველ რიგში განიცდდა ჩრდილოელი მეზობლების (ასურეთი და სხე.) თავდასხმებს (იხ. გამოსლ. I).

„ნეშტთა“ (ებრძნ. „პარალიპომენონ“ – გამოტოვებული, დარჩენილი, ნაშთი) – ასე ეწოდება ბიბლიის ორ ისტორიულ წიგნს; ეწოდება აგრეთვე „მატიანე“ (ბერძნულ ბიბლიაშიც და ეულგატაშიც); იგი მოსდევს „მეფეთა“ წიგნებს. სახელწოდება „ნეშტთა“ გამოხატავს იმას, რომ მასში მოცემულია ყოველივე ის, რაც გამოტოვებულია მეფეთა წიგნებში. აქ მოცემულია მატიანე ებრაელთა მეფეებისა, მონარქიის დაწყებიდან კეროსის მიერ ებრაელთა განთაესუფლებამდე (ბაბილონის ტყეობიდან). ამაეე პერიოდს შეეხება, სხეათა შორის, „მეფეთა წიგნიც“, თანაც უფრო სისტემატურად და მწყობრად; „ნეშტთა წიგნი“ კი შედგენილია სხეადასხეა ფრაგმენტულ მატიანეთაგან. ამიტომ მისი ტექსტი ხან ემთხეეა „მეფეთა წიგნის“ ტექსტის სათანადო ადგილს, ხან იძლეეა შინაარსობრივ სხეაობას მასთან. ამის გამო იყო შემთხვეეები საეთის დასმისა „წეშტთა წიგნის“ კანონიკურობის შესახებ, მაგრამ სხეადასხეაობა უმნიშვნელოა და რამდენადაც „წეშტთა წიგნი“ თავისი ხასიათით ბიბლიის სხეა წიგნებისაგან განუყოფელია, იგი მუდამ კანონიკურად ითელებოდა. პირველი წიგნი შეიცავს 29 თავს, მეორე – 36. „ნეშტთა წიგნის“ წარმოშობისა და მათი ავტორების შესახებ არაეერი არაა ცნობილი, მისი ქართული თარგმანი დაცულია ქართული ბიბლიის უძეელეს ნუსხებში: Ath.1 (978 წ.), A 51 (მცხეთის ბიბლია); A 570 (1460 წ.) და A 646 (ჯანაშეილისეული, XVI ს.).

ნეძვი – IX ს. 50-იანი წლების მონასტერი, აგებული გრიგოლ ხანძთელის მოწაეეების – თეოდორესა და ქრისტეფორეს მიერ. მდებარეობს ახლანდელ ბორჯომის რაიონში, მტკერის ერთ-ერთი შენაკადის, მდ. ნეძისხეევის ხეობაში. ძეელის გაწმენდის შემდეგ (1948, 1962 წწ.) გამოვლინდა ეკლესიის თავდაპირველი გეგმა და ცხადი გახდა, რომ საქართველოს დღემდე ცნობილ სამეკლესიოან ბაზილიკათა შორის ნეძვი ყველაზე დიდი ყოფილა. აბსიდიანი შუა ეკლესიის გრძივი კედლები დანაწევრებული იყო საეეხურიანი სეეტებითა და თაღებით. აღმოსავლეთით აბსიდის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიში აქეს, ხოლო დასაელეთით – ნახეერად-

წრიული ქუსლები. ეკლესიას სამშრომი გარშემოსაველი აქვნია. გვერდითი სწორკუთხოვანი ეკლესიები ერთმანეთთან დასავლეთის გასასვლელით იყვნენ დაკავშირებული.

ნეძიხი – სოფელი დუშეთის რ-ში, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ბარეხბდა მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. მხარეს, ფინეალის მახლობლად, დუშეთიდან 21 კმ. (ამჟამად დაფარულია წყალსაცავით). ნეძიხში, ადგილ „ბზიანაზე" იყო წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსი (გათხარეს 1877 წ.), რომელიც წარმოადგენს გალავნით შემოზღუდულ ეზოს, სადაც განლაგებულია ორი ეკლესია და რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობა. ერთი ეკლესია განეკუთვნება ორნავიანი ბაზილიკის ტიპს, ნაგებია ნატეხი კლდის ქვით, კონსტრუქციულ ადგილებში შირიმის კეადრებია ჩართული, აღმ. და სამხრ. ფასადებზე ჯვრის რელიეფურგამოსახულებანი ორი ფილაა. ბაზილიკა VI-VII სს. განეკუთვნება. მეორე ნაშენობა ერთნავიანია, სამხრეთით და ჩრდილეთით აქვს მინაშენები, რაც გეგმაში ჯვრის გამოსახულებას ქმნის. აგებული უნდა იყოს X ს-ში.

ნიაბი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კასპიდან 17 კმ. სოფლის მიდამოებში დგას X ს. წმ. გიორგის ეკლესია. ნაგებია ტუფის გათლილი კეადრებით, გამოყენებულია ქვიშაქვა და რიყის ქვაც. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით არის დასრულებული. კამარა პილასრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღებს ეყრდნობა. ჩრდ. კედელში გაჭრილი კარის მეშვეობით ეკლესიასთან დაკავშირებულია მცირე ზომის სათავსი. შენობას მოგეანებით სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე სტოა მიაშენეს. აქეს ორი შესასვლელი – სამხრეთისა და ჩრდილოეთისა; ფასადები სადაა, მხოლოდ ტუფის კეადრებით შემოსილი აღმოსავლეთი ფასადის სარკმელია შემკული ტუფისავე მოზუქურთმებული თაღით და მის თავზე მოთავსებული წრეში ჩასმული სამი ტოლფრთაგებიანი ჯვრის გამოსახულებით.

ნიგოითი – სოფელი ლანჩხუთის რაიონში, გურიის დაბლობზე, სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო და საავტომობილო გზაზე, ლანჩხუთიდან 6 კმ. სოფლის მახლობლად დგას სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ეკლესია (განეთარებული შუა საუკ.), სამრეკლო (შუა საუკ.) და სხვა ნაგებობანი.

ნიზიბინის სკოლა – საქრისტიანო სწავლა-განათლების გაბატონებული სისტემა აღმოსავლეთში V-VII სს-ში. სახელწოდება მიიღო მცირე აზიის ქალაქ ნიზიბინისაგან, სადაც ასეთი სკოლა პირველად გაიხსნა. სკოლისათვის დამახასიათებელი იყო პრაქტიციზმი, რომელიც გამოიხატებოდა სასწავლო მასალის შერჩევაში. განყენებულ სისტემატურ ცოდნას – არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, იქ არ მისდევდნენ. უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა და საეკლესიო გალობა. სასწავლებლის მიზანი იყო ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. კ. კეკელიძის აზრით, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სწავლა-განათლება ნიზიბინის სკოლის პროგრამით წარმოებდა. მაშინდელი ქართული სკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი.

ნიკა (ბერძ. „ძლევა") – წარწერა ჯვარზე, რომელიც, გადმოცემით, გამოეცხადა იმპერატორ კონსტანტინეს მაქსენციოსთან ბრძოლის წინა დღეს. ასეთი წარწერა ხშირად გვხვდება ქრისტიანულ ძეგლებზე: კატაკომბების ფერწერასა და ეპიგრაფიკაში, ძველ დიპტიხებში, მონეტებზე, ჯვრებსა და სხვა საეკლესიო ნივთებზე. წარწერა „ნიკა" (ქართულად „ძლევა") იბეჭდება სამსხვერპლოდ განკუთვნილ წმინდა ჯვრზე – სეფისკვერზე.

ნიკანდრო მოწამე – წარმოშობით ეგვიპტელი. ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს. სხვა მოწამეებთან ერთად შიმშილითა და წყურვილით აღესრულა საპყრობილეში. ხსენების დღეა 5 ივნისი. „წამება წმიდათა ათთა მოწამეთა: მარკიანე, ნიკანდრო, აპოლონ, ლეონიდი, არაზი, გიორგი, ეპირიქე, სელინად, ერინოს და პამბონი" დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3 (66-67).

ნიკანორი – მოციქული ქრისტესი, ერთერთი 70-თაგანი; „საქმე მოციქულთას" მიხედვით (6,1-6), ნიკანორი იყო ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც თორმეტმა მოციქულმა აირჩია იერუსალიმში. მოწამებრივად აღესრულა იმ დღეს, როდესაც ქვით ჩაქოლეს პირველმოწამე სტეფანე. ხსენების დღე – 28 იელისი. ამაღე დღეს მოიხსენებიან სხვა პირველი დიაკვნებიც: სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ტიმონი, პარმენი და ნიკოლოზი.

ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. ზეცოსის (სწრაფეა), კრატოსის (ძალა) და ბიას (ძალადობა) და. პესიოდეს მიხედვით, ნიკეს ოჯახი მუდამ თან ახლდა ზევსს ოლიმპზე, რადგანაც ისინი პირველნი

გამოუხმაურნენ ღმერთების მოწოდებას ტიტანებთან ბრძოლაში. ნიკეს ხშირად გამოსახავდნენ გამარჯვების მომნიჭებელ ღმერთებთან ერთად, მაგ.: ზევსის ქანდაკებას ოლიმპიაში და ათენა პალადას ქანდაკებას ათენის აკროპოლისიდან ხელთ ეპყრა ნიკეს გამოსახულება. ნიკე ქალღმერთ ათენას ერთ-ერთ ეპითეტად იყო. რომაულ მითოლოგიაში ნიკეს შეესატყვისებოდა ვიქტორია, რომლის ტაძარი პალატინუსის ბორცვზე იდგა, სადაც მისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა 12 აპრილს. ხელოვნებაში ნიკეს გამოსახავდნენ მფრინავი ასულის სახით, პალმის რტოთი და გვირგვინით ხელში.

ნიკეა — ისტ. ქალაქი მცირე აზიაში, ბითვინიაში (ახლანდ. იზნიქი, თურქეთში). მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბითვინიის ისტორიაში. XI ს-ში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. XIII ს-ში ნიკეის იმპერიის დედაქალაქი და მსოფლიო პატრიარქის კათედრალური ქალაქი იყო. ნიკეა განსაკუთრებით ცნობილია ორი მსოფლიო საეკლესიო კრებით: პირველი — 325 წ. და მეორე — 787 წ. (VII მსოფლიო კრება).

ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება — მოწვეულ იქნა ნიკეაში 325 წ. კონსტანტინე I დიდის საგანგებო ბრძანებით. კრების ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება და, ამასთან ერთად, უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხების განხილვა, აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე საშიში მწვალებლობის — არიანელობის მხილება. ერესიარქი არიოზი ალექსანდრიელი მღვდელი იყო. იგი უარყოფდა იესო ქრისტეს ღვთაებობასა და მის თანასწორობას მამა-ღმერთთან; მკრეხელურად ამტკიცებდა — ძე ღმერთი მამა ღმერთის ისეთივე ქმნილებაა, როგორც სხვა ქმნილებები (გარკვეულ დროს დაბადებული), ამიტომ ძე ღვთისა მხოლოდ ადამიანი იყო და არა ღვთაება. მწვალებელ არიოზის მოძღვრება ძე ღმერთის შესახებ უარყოფილ და დაგმობილ იქნა უკვე კიდევ I მსოფლიო საეკლ. კრებამდე — ალექსანდრიის ეკლესიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელიც მოიწვია ალექსანდრიელმა პატრიარქმა ალექსანდრემ. ასეთმა მხილებამ არიოზი უფრო გაამწარა: მან საჩიერის წერილები დაუგზავნა მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელ მღვდელმთავარს და გაავრცელა თავისი მოძღვრება მთელ აღმოსაელეთ ეკლესიაში. არიოზის წერილებს ზოგიერთი მღვდელმთავარი დადებითად გამოეხმაურა და დიწყო მოთმოთქმა სარწმუნოების უმთავრეს დოგმატზე. ეკლესია გაიოზიან: ერთნი იზიარებდნენ მართლმადიდებლურ დოგმატს, მეორენი არიოზის მოსაზრებას ემხრობოდნენ. ამ სერიოზული განხეთქილების აღსაკვეთად მოწვეულ ნიკეის კრებას დაესწრო 318 ეპისკოპოსი — სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელი. მათ შორის იყვნენ წმ. ალშარებები, რომლებმაც ქრისტიანობის დევნის დროს მრავალი განსაცდელი გადაიტანეს. კრების მონაწილენი იყვნენ აგრეთვე ღარი მღვდელმთავრები, ეკლესიის მწათობები — ნიკოლოზ მირონლუკიის მთავარეპისკოპოსი, სპირიდონ ტრიმითუნტელი ეპისკოპოსი, ევსტათი ანტიოქელი, ალექსანდრე ალექსანდრიელი და სხვა წმინდა მღვდელმთავრები. კრების მონაწილეთა სიაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ექვს ენაზე და შედგენილია ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით, იხსენიება პიტენთის საეპისკოპოსო კათედრის მწყემსველი, ეპისკოპოსი სტრატოფილე. ალექსანდრიელ პატრიარქ ალექსანდრეს კრებაზე ახლდა დიაკონი ათანასე, რომელიც ხოლოს ალექსანდრიელი პატრიარქი გახდა და ეწოდა „დიდი", როგორც თავდადებულ მებრძოლს მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმინდისათვის. კრებას ესწრებოდა მოციქულთასწორი იმპერატორი კონსტანტინეც. თავის სიტყვაში მან თქვა: „ღმერთი შეგიწიოთ, დამემსხვრა ქრისტიანობის მტერნელთა უღირსთა მეუფება, მაგრამ ყველა ომზე, დღენაა და განსაცდელზე უფრო მძიმეა ჩემთვის ღვთის ეკლესიის შიგაგანი განხეთქილება".

ალექსანდრიელმა დიაკონმა, წმ. ათანასემ თავის სიტყვაში სამოსლად უკუავდო არიოზის მკრეხელური აზრები, კრებამ უარყო არიოზიანელთა მიერ შემოთავაზებული სიმბოლო სარწმუნოებისა (მრწამსი) და დაამტკიცა მართმადიდებლური სიმბოლო. არიოზის იმ მცდარი აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა იესო ქრისტე ღვთის ძე კი არა, მისი ქმნილება იყო, მრწამსში ძე — ღმერთის შესახებ ჩამატებული იქნა სიტყვები: „შობილი და არა ქმნილი", წმ. კონსტანტინე იმპერატორის წინადადებით ჩაუმატეს აგრეთვე სიტყვა „ერთარსი", რომელსაც კრებაზე ხშირად ხმარობდნენ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები. ამრიგად, ნიკეის კრებამ სიმბოლოში (მრწამსში) ჩამოაყალიბა მოციქულთა მოძღვრება ყოვლადწმიდა სამების მეორე პირის — იესო ქრისტეს — ღვთაებობის შესახებ.

მთავარი დოგმატიკური საკითხის გადაწყვეტის შემდეგ კრებამ გამოსცა აგრეთვე ოცი

კანონი საეკლესიო მმართველობისა და დისციპლინის შესახებ, დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული და ადმინისტრაციული ნორმები, გადაიჭრა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ დღეს უნდა ედღესასწაულა ეკლესიას წმ. პასექი (აღდგომა). ასეთ დღედ დადგენილი იქნა პირველი კვირიაკე გაზაფხულის ბუნიობის (დღეღამტოლობის) შემდეგ (325 წელს ეს დღე დაემთხვა 22 მარტს). ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მამათა ხსენება ეკლესიაში დადებულია 29 მაისს.

ნიკეის II კრება – VII მსოფლიო საეკლესიო კრება, შედგა 787 წელს ნიკეაში. კრების მიზანი იყო ხატთაყვანისმცემლობის აღდგენა. ხატებს უარყოფდნენ ნესტორიანელები და მონოფიზიტები. VIII ს. ბიზანტიაში დაიწყო ხატმბრძოლობა, რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია კონსტანტინე კოპრონიმეს (741-745 წწ.) დროს. ლეე IV დროს იგი რამდენადმე შესუსტდა ხატთა თაყვანისმცემლის, დედოფალ ირინას შემწეობით. პატრიარქ ტარასის ჩრჩეით, ირინამ, რომელიც მართალდა იმპერიას თავისი ძის, კონსტანტინე VI-ის (780-797 წწ.) მცირეწლოვანების დროს, მოიწვია კრება კონსტანტინეპოლში, რომელსაც ხელი შეუშალა ხატმბრძოლთა მხარეზე მყოფმა მზედრობამ. მომდევნო წელს (787 წ.) კრება მოწვეულ იქნა ნიკეაში. იქ შეიკრიბა 307 ეპისკოპოსი და გაიმართა 8 სხდომა. კრებამ შეიწყნარა მონაწილი ეპისკოპოსები, რომლებიც ეკლესიის დევნის ჟამს განუდგნენ მას. III სხდომაზე დაიწყეს ხატთა თაყვანისცემის საკითხის განხილვა. დაშვებული იყო სრული თავისუფლება აზრებისა. კრებამ თავისი აზრები დაამყარა სალეთო წერილსა და ეკლესიის პირველ მამათა მოძღვრებაზე. 754 წლის ცრუ „მსოფლიო კრების" საწინააღმდეგოდ, რომელმაც აკრძალა ხატთა თაყვანისცემა საკუთარი განსჯისა და დიალექტიკის მოშველიებით, დადგენილ იქნა, რომ ქრისტიანებს ჰმართებთ ხატთა თაყვანისცემა და მოკრძალებით მთხვევა. ხატთა თაყვანისცემა ეკუთვნის არა იმ მასალას, რომლისგანაც ისინი არიან შექმნილნი, არამედ მასზე გამოსახულ პირველსახეებს. ამასთან, თაყვანისცემა არ ნიშნავს მსახურებას; მსახურება შეეფერება მხოლოდ ღმერთს, თაყვანისცემა კი არის გამოხატულება პატივისცემისა. კრების დადგენილებებს ხელი მოაწერეს დედოფალმა ირინამ და მისმა ვაჟმა, იმპერატორმა კონსტანტინემ. კრებამ გამოსცა 22 კანონი. იხ. მსოფლიო საეკლესიო კრებები.

ნიკეის სიმბოლო – მრწამსი, ქრისტიანული სჯულთმოძღვრების ფორმულა, სარწმუნოების სიმბოლო, აღიარება სარწმუნოებისა, ქრისტიანული ეკლესიის უმთავრესი დოგმატი, რომელიც შემუშავებული იყო I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნიკეაში (325 წ.).

ნიკეის ღვთისმშობლის ხატი – ხასწაულთმოქმედი ხატი, რომლის თაყვანისცემა დაადგინა ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (325 წ.). სასწაული ასე მოხდა:

304 წელს არაბთა სარდალმა აბრამა დაიპყრო ქალაქი ნიკეა. ერთმა ჯარისკაცმა, სახელად კონსტანტინემ, ამ ბრძოლების დროს ნახა ღვთისმშობლის ხატი და მეტად უსტოდ მოექცა: ჯერ ქვა ესროლა, შემდეგ კი ფეხებით გათელა. ღამით, ძილში, მკრეხელს გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „შენ დიდად შეურაცხმყავ მე. იცოდე, რომ ამ საქციელით დალუპავ გაუმზადე საკუთარ თავს". სასჯელმა, მართლაც, არ დააყოვნა, ბრძოლის დროს კონსტანტინეს უეცრად ქვა მოხვდა თავში და უსულოდ დაეცა ძირს. ეს ამბავი ემცნო I მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელმაც სასწაულთმოქმედი ხატის თაყვანისცემა დაადგინა 28 მაისს.

ნიკიტა მოწამე – I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილის, ეპისკოპოს თეოფილეს მოწაფე. ქრისტიანობის აღიარებისა და ქადაგებისათვის მრავალგზარი საშვალებით აწამეს წარმართებმა, ბოლოს კი ცეცხლში დაწვეს († დაახლ. 372 წ.). ხსენების დღე – 15 სექტემბერი. წმ. ნიკიტას მეტაფრასული „წამება" ქართულ ენაზე უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს. ტექსტი შეტანილია ხელნაწერში: Ath. 20, 172-174. ამ თხზულების მეორე თარგმანი არის ხელნაწერებში: ქუთ. 4,193-197; Jer. 18,92-86.

ნიკიტა I (766-780) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ხატმბრძოლი, „წვალების წინამძღვარი", რომელმაც „წვალების დაპყრა საყდარი კონსტანტინეპოლისაჲ" (იხ. „მცირე სჯულისკანონი", „ძეგლისწერა სარწმუნოებისაჲ"), შეჩვენებულ იქნა კონსტანტინეპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე 843 წ.

ნიკიტა ალმსარებელი († 824 წ.) – მიდიკიის მონასტრის წინამძღვარი. დაიბადა ბითვინიის ქალაქ კესარიაში (მცირე აზიის ჩრდილო-დასაელეთით). აღიზარდა კეთილმსახურ ოჯახში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიკიტა თავისმა სულიერმა მამამ, განდგილმა სტეფანემ გაგზავნა მიდიკიის მონასტერში, სადაც იღუმენად იყო

წმიდა ნიკიფორე. მრავალი წლის მოღვაწეობის შემდეგ, როდესაც მონასტრის მამასახლისი (წინამძღვარი) გარდაიცვალა, ძმობამ მის ადგილზე ერთხმად აირჩია ნიკიტა. ძმათა რიცხვი მონასტერში კიდევ უფრო გაიზარდა. უფალმა ნიკიტას მიამადლა ნიჭი კურნებისა და სასწაულთმოქმედებისა. იმპერატორ ლეონის (813-820 წწ.) დროს განახლდა ხატმებრძოლობა, დაიწყო მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა დევნა და გადასახლება. 815 წელს კონსტანტინეპოლში მოწვეული იქნა ერეტიკოსთა კრება, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო წმიდა პატრიარქი ნიკიფორე (806-815; † 828), მის ადგილას კი აირჩია ერეტიკოსი ერისკაცი თეოდოტე. იმპერატორმა გამოიძახა ყველა მონასტრის წინამძღვარი და ცდილობდა, ისინიც ჩათრია ერესში. მათ შორის იყო ნიკიტა, რომელიც მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლურ აღსარებას. მისი მიბაძვით სხვა იღუმენებიც ერთგულნი დარჩნენ ხატთა თაყვანისცემისა. ამისთვის ისინი საპყრობილეში ჩაყარეს. მრავალი წელი გაატარა წმიდა ნიკიტამ საპყრობილეში. გარდაიცვალა ახალი იმპერატორის, მიქაელის (820-829 წწ.) დროს. ხსენების დღე – 3 აპრილი. ქართულ ენაზე თარგმნილია ნიკიტა აღმსარებელის „ცხოვრება“ („ცხორებისა მიმართ ღირსისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა ნიკიტაჲსა, აღწერილი საფლავსა ზედა მისსა“), რომელიც მის მოწაფეს თეოსტრიკეს დაუწერია. ტექსტი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 7,6-43.

ნიკიტა (დავით) პაფლაღონელი († 890) – იგივე ნიკიტა სერონელი, პერაკლეიელი, IX ს. ბიზანტიელი მწერალი, პანეგირისტი, სერონის მიტროპოლიტი. ქართულ ენაზე მოიპოვება მისი თხზულებების თარგმანები: 1) მოღვაწებაჲ და შესხმაჲ წმიდისა მოწამისა გიორგისი, რომელი იწამა პალესტინეს შინა (ქუთ. 7, 168-179). 2) მიმოსლვანი და ქადაგებანი ანდრია მოციქულისანი („მოსაკსენებელი მიმოსლვათაჲს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრიასი“, მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე, გე. 24-47). მთარგმნელის, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ეს თხზულება რამდენადმე გადაკეთებულია ეპიფანე მონაზონის ამგვარიეე თხზულების დახმარებით. მთარგმნელის სიტყვით (A 1103), „შეკრბა პირველ წერილთა მოსაკსენებელთაგან ნიკიტა ღირსმან მონაზონმან და ფილოსოფოსმან“. ამ თხზულებაში აღნიშნულია, რომ ანდრიას ქრისტიანობა უქადაგია ქართლშიც. „ანდრიას მიმოსლვას“ იმოწმებს მაკარი ხუცესი თავის თხზულებაში: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ“ (იხ. ძეგლები, II, გვ. 215). 3) ეპიტაფია ბასილისა, „სტიხოსნი იროიკონნი პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფოსისანი“ – ესაა გადაკეთება გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვისა „ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“ (A 292,54-56; A 109,139-142; 16, 309-311; ქუთ. 9,88-90) იამბიკოდ თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. 4) „შესხმაჲ წმ. ყოველაქებულისა მოციქულთა თჳებისა პეტრესი“ (ქუთ. 3, 308-320). 5) „შესხმაჲ წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაჲ“ (ქუთ. 3,320-328). 6) კომენტარები და სქოლიონები გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 საღვთისმეტყველო სიტყვისა, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ (A 109; Jer. 34).

ნიკიტა მაგისტროსი – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ავტორი თხზულებისა: „ცხორება თჳკუმტისტე ლესბოელისა“, ქართულად თარგმნილია სტეფანე სანანოისძის (X ს.) მიერ, დაცულია ხელნაწერში S 384, 597-612.

ნიკიტა სტითატი – XI ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, სტუდიელთა მონასტრის მონაზონი და ხუცესი. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი დოგმატიკური ხასიათის თხზულებები: „ხუთნი სიტყუანი სომეხთა წუალებისა განმაქიქებელნი“ (A 64; A 65; A 205; ქუთ. 23, 236-266; S 1463, 256-264), „სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრიებისა“ (ქუთ. 23, 275-295; S 1463, 265-271), „სათნოებითა აღსაჲალთათჳს, ესუესი მონაზონს“; ეპისტოლენი ნიკიტა ხარტოფილაქსის სუნკელოსისა კორონიდისა და ბასილი მესხორნისადმი“ (ქუთ. 23, 266-270, 315-319; S 1463, 264-265, 276-277). „სამოთხისათჳს“ (ქუთ. 23, 295-315), „სიტყუაჲ მაწუეებელი სინანულისა მიმართ და სიტყუსა მისთჳს მოციქულისა“. ეს თხზულებები ქართულად თარგმნა არსენ იყალთოელმა და შეიტანა „დოგმატიკონში“ (S 1463; A 265; ქუთ. 24).

ნიკიფორე I († 828 წ.) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (809-815 წწ.), წმ. აღმსარებელი. დაიბადა კონსტანტინეპოლში VIII ს. მეორე ნახევარში. მამამისმა თეოდორემ, მართლმადიდებლობის აღმსარებელმა, ბევრი დევნა განიცადა ხატმებრძოლი იმპერატორის, კონსტანტინე კოპრონიმეს (740-775 წწ.) დროს. იგი გადასახლებაში გარდაიცვალა. მისი მეულლე ევდოკია გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კონსტანტინეპოლში დაბრუნდა და მონაზვნად აღიკვეცა. წმ. ნიკიფორემ სასულიეროსთან ერთად კარგი

საერო განათლება მიიღო. ლეონ IV-ის (775-680) დროს იგი მეფის მრჩეველის თანამდებობაზე დაინიშნა. ლეონის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორ კონსტანტინე VI-ის (780-797) და დედამისის, წმ. ირინას მიერ მოწვეული იქნა VII მსოფლიო საეკლესიო კრება (787 წ.), რომელზედაც საღვთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე ნიკიფორემ იმპერატორის სახელით სიტყვა წარმოთქვა ხატთა თაყვანისცემის დასაცავად. ამ კრების შემდეგ ნიკიფორე კიდევ რამდენიმე წელს მსახურობდა იმპერატორის კარზე, შემდეგ კი ბოსფორის მიდამოებში განმარტოდა, დაარსა მონასტერი და შეუდგა მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას. იმპერატორ ნიკიფორე I-ის (802-811 წწ.) დროს, წმ. პატრიარქ ტარასის (784-806 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ნიკიფორე პირჩიეს მის ადგილას. ნიკიფორემ ჯერ სამღვდელო ხარისხი მიიღო, შემდეგ კი აყვანილ იქნა საპატრიარქო ტახტზე (906 წლის 12 აპრილს, აღდგომა-დღეს). ხატმბრძოლი იმპერატორის, ლეონ სომეხის (813-820 წწ.) დროს ისევ დაიწყო მართლმადიდებელთა დევნა. წმ. პატრიარქი ნიკიფორე განაგრძობდა მსახურებას საპატრიარქო ტახტზე და მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას. იმპერატორმა დაიწყო მწვალებლობისათვის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ განკვეთილი და გადასახლებული ეპისკოპოსებისა და მღვდლების დაბრუნება დედაქალაქში. მან შეკრიბა ისინი სადაო სარწმუნოებრივი საკითხების ხელახლა გასარჩევად და პატრიარქ ნიკიფორესაგანაც მოითხოვა, დასწრებოდა ამ შეკრებას. პატრიარქმა უარი განაცხადა მწვალებლებთან დისკუსიაზე, რადგან ხატმბრძოლთა მოძღვრება VII მსოფლიო კრების მიერ უკვე ანათემაზე იყო გადაცემული. წმ. ნიკიფორე ყველანაირად ცდილობდა, აზრი შეეცვლევინებინა იმპერატორისა და მასთან დაახლოებული პირებისათვის, მაგრამ ამაოდ. მწვალებელთა კრებამ ეკლესიიდან განკვეთა მეუსაჯა მას და მის წინა მოადგილეებს — ტარასისა და გერმანეს. წმ. ნიკიფორე ჯერ გაგზავნილ იქნა ბრისოპოლის მონასტერში, შემდეგ — კუნძულ პროკონისზე (მარმარილოს ზღვაში). 13 წლის შემდეგ (828 წლის 2 ივნისს) წმ. პატრიარქი ნიკიფორე გარდაიცვალა გადასახლებაში. 843 წ. კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომელმაც ხატთა თაყვანისცემა აღადგინა, დაგმო პატრიარქ ნიკიფორეს მტრები (იხ. ამ კრებაზე მიღებული დოკუმენტი „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“, თარგმნილი უფთვიძე მთაწმიდელის მიერ, „მცირე სჯულისკანონი“, გამოც. ე. გიუნაშვილის მიერ, 1972 წ. „ძეგლისწერის“ მეორე — არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი ტექსტი გამოსცეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, „ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა“, თბ., 2005 წ.). 847 წლის 13 მარტს წმინდა პატრიარქის უხრწნელი ნაწილები, რომელიც მიწაში ეწყო მთელი 19 წელი, ზეიმით გადაასვენეს კონსტანტინეპოლში, წმიდა სოფიის ტაძარში. პატრიარქი ნიკიფორე თავისი დროის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე იყო, „საუკუნისა და კათედრის მშვენება“. მან შთამომავლობას დატოვა მდიდარი სულიერი მემკვიდრეობა — მრავალრიცხოვანი შრომები ისტორიული, დოგმატიკური და კანონიკური შინაარსისა. ხსენების დღეა 2 ივნისი, ნაწილების გადასვენებისა — 13 მარტი (ქართულ წყაროებში — 12 მარტი).

წმ. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 3, 6-39. მისი ნაწილების გადასვენებისას ეგნატე დიაკონის მიერ წარმოთქმული სიტყვისა („სიტყუა ექსორიობით აღმოყვანებისათჳს სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა, რომელი მამათთავარ იქმნა კოსტანტინეპოლისს, ახალსა ჰრომსა“) — ქუთ. 2, 172-205-ში (ქართულ თარგმანში სიტყვის ავტორად მიჩნეულია კონსტანტინე დიაკონი).

ნიკიფორე — III ს. მოწამე, წარმოშობით ანტიოქიელი. დაახლოებული იყო მღვდელ სპრაკიოსთან, რომელთანაც გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. ერთხელ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ნიკიფორემ თავი დაიმდაბლა მოძღვრის წინაშე და პატიება სთხოვა, მაგრამ სპრაკიოსმა ახლოსაც აღარ გაიკარა იგი. როდესაც ანტიოქიაში ქრისტიანობის დევნა დაიწყო, მღვდელი სპრაკიოსი დასმინეს წარმართებთან. მათაც არ დააყოვნეს და შეიპყრეს ქრისტიანი მღვდელი. ნიკიფორემ სპრაკიოსის შეპყრობისა და წამების ამბავი რომ გაიგო, საჩქაროდ მივიდა მასთან და ისევ გულმოდგინედ დაუწყო შენდობის თხოვნა. სპრაკიოსი მაინც არ ურიგდებოდა. ბოლოს, როდესაც წარმართებმა ნახეს, რომ სპრაკიოსი ყველა წამებას უძლებს და ქრისტიანობაზე არ ამბობს უარს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამან კი გატეხა სპრაკიოსის გამძლეობა. მან სთხოვა ჯალათებს, სიკვდილისაგან ეხსნათ, რის საპასუხოდ იგი აღთქმას დებდა, კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირა. ნიკიფორემ, სპრაკიოსის სულმოკლეობა რომ ნახა, თამამად განუცხადა წარმართებს,

რომ მის ნაცვლად თავად იყო მზად, მიეღო სასიკვდილო განაჩენი: რაკი საპრიკოსმა უარი თქვა მოწამის გვირგვინზე, რომელიც მისთვის იყო განმზადებული, მე უკან არ გავაბრუნებ ამ გვირგვინს და თავად დავიდგამო. ასე დაკარგა საპრიკოსმა წმინდანის გვირგვინი, რომელიც მის ნაცვლად მდაბალმა ნიკიფორემ შეიმოსა. ნიკიფორეს „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 188, 221-224; ხსენების დღე – 21 თებერვალი.

ნიკიფორე II, ფოკა (963-969) – ბიზანტიის იმპერატორი. ჭაბუკობისას მეგობრობდა წმ. ათანასე ათონელთან. ამ უკანასკნელმა მისი შემწეობით ააშენა ათონის ლავრა, ათანასეს ლავრად წოდებული, პირველი და ყველაზე ძნიშნელოვანი ათონის სავანეთა შორის.

ნიკიფორე – თეიმურაზ მუხრანბატონის (XVII-XVIII სს.) ძე, მისი ინიციატივით არის დამზადებული სახარება-აპრაკოსის ხელნაწერი Q 897 (1704 წ.).

ნიკიფორე ირბახი – იხ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი.

ნიკიფორე ხუცესი – X ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. მას დაუწერია „ცხორებაჲ ანდრია სალოსისაჲ", მაგრამ არ გამოუქვეყნებია. მის შემდეგ ეს ნაშრომი ხელში ჩავარდნია ეიღაც უცნობს, რომელსაც შიგ შეუტანია ბევრი აპოკრიფული ელემენტი. იმთავითვე (ყოველ შემთხვევაში, XI ს. პირველ ნახევარში) ეს წიგნი თარგმნილი იყო ქართულად, როგორც ფიქრობენ, ეფთვიმე ათონელის მიერ. ქართული თარგმანის ნუსხები მრავლადაა შემორჩენილი (A 311, A 794, A 832; Jer. 26,325-420; S 244, S 1117, S 1498, S 3635, S 3636).

ნიკოდიმოსი – იესო ქრისტეს საიდუმლო მოწაფე, ფარისეველთა სექტის წარმომადგენელი, „ჰურიათა მთავარი" (იოანე 3,1). სახარებაში მოთხრობილია იესოს საუბარი ნიკოდიმოსთან (იქვე, 3, 2-21). შემდეგ ნიკოდიმოსი ჩანს სინედრიონის კრებაზე, სადაც ცდილობს იესოს დაცვას, მაგრამ ამაოდ (იქვე 7, 50-52). ბოლოს ნიკოდიმოსს ეხვეწათ იესოს გარდამოხსნის ჟამს. მას იოსებ არიმათიელთან ერთად შეუძლია იესოს გვამი და საფლავში დაუსვენებია (იქვე, 19, 38-42). ნიკოდიმოსს მიეწერება ერთ-ერთი აპოკრიფული სახარება (იხ. ნიკოდიმოსის სახარება).

ნიკოდიმოსის სახარება – აპოკრიფული ლიტერატურის ერთ-ერთი ძნიშნელოვანი ნაწარმოები. შედგება ორი ნაწილისაგან: 1) მოთხრობა ქრისტეს ვნების შესახებ. კანონიკური ტექსტისაგან განსხვავდება შემდეგით: იესო ქრისტეს შესაპყრობად მისული კაცი თაყვანს სცემს მას; სამსჯავრო დარბაზში იესოს შესვლისას დროშები წარმართული ღმერთების გამოსახულებით ძირს ეშვებიან თაყვანისცემის ნიშნად; მაცხოვრის დასაცავად სიტყვით გამოდის ნიკოდიმოსი, იესოს ფარული მოწაფე; მის მიერ სასწაულებრივად განკურნება ბრმად შობილი და სისხლმდინარე ქალი ვერონიკა; იოსებ არიმათიელს ფარისეველები საპყრობილეში ამწყვდევენ, მაგრამ მას ათაურსუულებს აღდგომილი მაცხოვარი. ამის შესახებ იოსები უამბობს ქალაქის ხელისუფალთ. პილატე იესოს დასჯისათვის ქერცის მიერ დაიხსნა. 2) მეორე ნაწილს წარმოადგენს მართალი სვიმეონის მკვდრეთით აღმდგარ ძეთა მოთხრობა იესო ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთში ჩასვლისა და იქიდან ადამის, მამამთავრების, წინასწარმეტყველებისა და მოწამეების ამოყვანის შესახებ. დასავლეთში გავრცელებულია ნიკოდიმოსის სახარების სრული რედაქცია, აღმოსავლეთში – მოკლე (მხოლოდ პირველი ნაწილი). ეს სახარება ქართულადაცაა თარგმნილი და ეწოდება: „დიდჲ პარასკეჳსა საკითხავი ვნებათაჲს და სიკუდილისა, მოსაკსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანა ებრაელისა დასისაგან შუკილისა მეცნიერთაჲსა". ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: Sin. 78,266-275; A 70, 304-313; A 674,201-208; A 71,21-47. გამოცემულია ც. ქურციკიძის მიერ: „ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია", თბ., 1985.

ნიკოლა ბერძენი – ათონის მონასტრის შემწირველი (XI ს.). შესაწირავი მიურთმევია ლეონტისთან ერთად. ქართველმა მონაზვნებმა მის მოსახსენებლად დაწესეს 18 ივლისი (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 159).

ნიკოლაიტანები – 1) პატარა სექტა, რომელიც ბოქმეიაში 1417 წ. დაარსა უინმე ნიკოლამ, წარმოშობით გლეხმა. ამ სექტის მოძღვრებით, ეკლესიამ დაკარგა ნორმალური სახე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბიბლიის გარდა არსებობს სხვა საღვთო გამოცხადება, რომელსაც იღებენ სექტის ცალკეული წევრები. 1676 წ. გამოსცეს „აღსარება სარწმუნოებისა".

2) ასე ეწოდებოდა აგრეთვე მწუალებლობას, რომელმაც სახელი მიიღო ნიკოლოზისაგან (ერთი შვიდ დიაკონთაგანი, I ს.).

ნიკოლა პეტრიწონელი – პეტრიწონის მონასტრის XI თუ XII ს. წინამძღვარი;

მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც ათონის ქართველთა მონასტრის კეთილისმყოფელი. მას მრავალი შესაწირავი მიურთმევია ამ მონასტრისათვის. იოანე ქართველს განუწესებია ნიკოლას მოსახსენებელი დღე 6 დეკემბერს – წმ. ნიკოლოზის დღესასწაულზე (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 136,172).

ნიკოლა პროტოსვინგელოსი – ათონის ქართველთა მონასტრის მამა (წინამძღვარი) XI ს. მიწურულში. მოხსენებულია „ათონის კრებულში“. მას განუწესებია აღაპები ათონის მონასტრის შემწირველთათვის (იხ. ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 140, 141, 149).

ნიკოლასძენი – მოხსენებული არიან სოფ. განძანის (ჯავახეთში, ნინოწმიდის რაიონში, ფარავნისა და საღამოს ტბების მახლობლად) ორი ეკლესიის დაახლ. XIV ს. წარწერებში. რამდენიმე წარწერაში იხსენიება ვინმე შალვა, რომელიც ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა (ზემო ეკლესია), შემდეგ კი მანდატურთუხუცესობაც მიუღია (ქვემო ეკლესია). იგი რომელიღაც გიორგი მეფის დროს ცხოვრობდა (ქვემო ეკლესის წარწერა). ზემო ეკლესია უფრო ადრინდელია: მისი დასავლეთის კედლის წარწერაში ბოლოს ნათქვამია: „ეაშენეთ წმიდა ესე საყდარი ჩუენ... ნიკოლასძეთა“. ქვემო ეკლესიის სამხრ. კედელზე, სარკმლის მარცხნივ: „ეაშენეთ მერე წმიდა ესე საყდარი ჩუენ ნიკოლასძეთა. შალუას მონასა მანგლაფასა მეოხ ექმნე, ღმერთო ყოველთაო“. შესაძლებელია, ნიკოლასძენი მშენებელი ოსტატები იყუნენ. ეკლესიების შენობათა მდარე ხარისხი და მორთულობის ხასიათი მოწმობს, რომ ეს ძეგლები XIV ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს; ისინი გიორგი V-ის ხანას (XIV ს-ის I ნახევარი) უნდა ეკუთვნოდეს.

ნიკოლა ხუცესი – მოხსენებულია „ათონის კრებულში“, როგორც ქართველთა მონასტრისათვის შესაწირავთა მიმრთმეველი. ქართველ ბერებს მისთვის XI ს. განუწესებიათ აღაპი; მოხსენების დღე – 25 ნოემბერი (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 171).

ნიკოლოზი – მოციქული ქრისტესი, 70-თაგანი, ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც თორმეტი მოციქულის მიერ იყუნენ არჩეულნი I ს. იერუსალიმში (საქმე მოციქულთა 6, 1-6). ხსენების დღე – 28 იელისი. ამავე დღეს მოიხსენიებიან სხვა პირველდიაკვნებიც: სტეფანე, ფილიპე, პრორორე, ნიკანორი, ტიმონი და პარმენი.

ნიკოლოზი – დას. საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსი XIII ს. II ნახევარში, მანამდე – ბედიელი ეპისკოპოსი. იხსენიება იერუსალიმის აღაპებსა და სინის მთის ხელნაწერებში. მ. ბროსეს ცნობით, მოხსენებული ყოფილა ბედიის მონასტრის სამრეკლოს ლაპიდარულ წარწერაში, როგორც მისი მაშენებელი. წარწერიანი ქვა ამჟამად დაკარგულია.

ნიკოლოზ I გუსაბერის ძე – საქართველოს კათოლიკოსი 1150-1178 წწ., გიორგი III-ის დროს; მწერალი და ფილოსოფოსი. ძმისწული სეიმონ კათოლიკოსისა (1142-1146 წწ.), წარმოშობით – კახეთიდან. იგი განათლებული და დიდად ნიჭიერი კაცი იყო, მიმდევარი პეტრწონის სალიტერატურო სკოლის ტრადიციებისა. პირადი მოღვაწეობით ეშრობოდა სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას. თამარის ისტორიკოსის ცნობით, 1178 წ. „სიმდაბლისა ძლით“ გადამდგარა კათოლიკოსობიდან და იერუსალიმს წასულა, მაგრამ 1184-1185 წწ., როდესაც მიქელ კათოლიკოსმა (1178-1190 წწ.) მწიგნობართუხუცესის სავაზირო მიიტაცა და თავისი კარიერისტული საქმიანობით მეფე და დიდებულები აიმხედრა, თამარის მოწოდებით იგი კვლავ საქართველოში დაბრუნდა და მიქელის წინააღმდეგ გამართულ საეკლესიო კრებას ჩაუდგა სათავეში ანტონ ქუთათელთან ერთად („ქართლის ცხოვრება“, ტ. II გვ. 117-119). თამარის სურვილი იყო, ყველასაგან შეხულებული და ათვალწუნებული მიქელ კათოლიკოსი გადაეყენებინა და მის მაგიერ ისევ ნიკოლოზი დაეყენებინა, მაგრამ ნიკოლოზმა კათოლიკოსობაზე უარი თქვა. თამარის თხოვნით ნიკოლოზ კათოლიკოსი ათონის მთასაც სწვეულა. გარდაიცვალა 1190 წ. ახლო ხანებში. ნიკოლოზ კათოლიკოსს არაერთი თხზულება უნდა ჰქონოდა დაწერილი, მაგრამ ჩვენამდე შემორჩენილია ერთადერთი – „საკითხაი სუეტისა ცხოველისა, კურთხისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ (გამოცემულია „საქართველოს სამოთხეში“, გვ. 69-118). მასში აღწერილია საუფლო კვართისა და წმ. ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი, აგრეთვე სვეტიცხოველის ძველი და ახალი სასწაულები; „საკითხაისათის“ ავტორს დაურთავს მთელი განგება ამ დღესასწაულისა, ე. ი. წესი ღვთისმსახურებისა, მწუხრისა და ცისკრის საგალობლებითურთ. ნიკოლოზ კათოლიკოსმა თავის თხზულებაში პირველმა წამოაყენა საკითხი, თუ რატომ მოაკლინა ღმერთმა ქართველთა მოსაქცევად დედაკაცი – წმინდა ნინო. პირველი მიზეზი ამისა არის ის, რომ საქართველო იყო „წილხვდომილი დედისა ღმრთი-

სა", მას თვითონ სურდა აქეთ წამოსვლა ქრისტიანობის საქადაგებლად, მაგრამ, ვინაიდან „ეშმან მისმან დააყენა ის ამის საწადელისაგან, გამოთხოვითა და ხუაშნითა დედისა თჳსისაგანთა", მაცხოვარმა მის მაგიერ დედაკაცი წარმოაელინა ჩვენში. მეორე მიზეზი, ნიკოლოზის აზრით, არის ის, რომ „ენანადან ყოველსა ნათესავსა უმძუნჯარესნი და უველურესნი იყვნეს ესე ნათესავნი, ამისთჳსცა დედაკაცი წარმოაელინა, რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძალი ღმრთებისა მისისაჲ და არაჲსი ენაჲ კაცნიერ იქმნეს ამაოჲსა მთხზველობისათჳს ცუდისა მეტყუელებად, ეითარცდ სიმწნეშან და სიბრძნეშან ფილოსოფოსთამან, გინა ენარიტორობამან მის ვისმე მამაკაცისამან დააცხრო ბოროტბორგნეულობაჲ მათი". ნიკოლოზი შეფარვით ეხება იმდროინდელ ქართველთა ერთ მტკივნეულ საკითხს, რომელიც თამარის თანამედროვეებს ძალზე აღელვებდათ. მან თამარის სახელისა და აუტორიტეტის განსამტკიცებლად, ტახტზე ქალის ასვლის გასამართლებლად გაუსვა ხაზი ქალის (წმ. ნინოს) მოღვაწეობას, მის პატივსა და ღირსებას. ღრმად განსწავლული და მჭევრმეტყველი კათოლიკოსი თამარ მეფის ერთგული ქომაგად და დამცველად გამოვიდა. ნიკოლოზ კათოლიკოსი მთარგმნელიც ყოფილა. მას ბერძნული ენიდან უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის დოგმატიკური (ქუთ. 14; A 711), ეგზეგეტიკური და პოლემიკური თხზულებანი (ქუთ. 14).

ნიკოლოზ II — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დახლ. XIII ს. 30-ან წლებში. „ქართლის ცხოვრებაში" იგი დახასიათებულია, როგორც „კაცი მხილველი სულიერა, ანგელოზთა მობაძავი და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკურველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალუხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა" („ქართლის ცხოვრება", II ტ. გვ. 224). იბრძოდა პატიოსნებისა და სიწმიდის დასაცავად, ბოლოს „სოფლისაგანთა შეებათა განმაკიდმა" დატოვა კათოლიკოსობა, „წარვიდა მამულად თუსად" და სიკვდილამდე „მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღვიძარებითა და გლახაკთმოწყალებითა" (იქვე, გვ. 282).

ნიკოლოზ III — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1247/48-82 წწ. ამხელდა და ებრძოდა დიდგვაროვანთა შორის ფეხმოკიდებულ განდგომა-განკერძოებულობას, მოძმეებჭკლეობას, წარმარუნულ და მონღოლურ წესებს. ნიკოლოზ III ვაემგზავრა ურდოში, სადაც მან მიიღო ქართული ეკლესიის დაცვის „იერლაყი" („შეწყალების წიგნი"), რომელიც ახლად ამტკიცებდა მცხეთის სასტრიარქო სეფიცხოველის ტაძრის, საეპისკოპოსოებისა და მონასტრების არსებულ შეუვალობასა და პრივილეგიებს. ეკლესიის აუტორიტეტის დაცვის გამო ნიკოლოზ III-მ ვერ შეძლო გადამჭრელი ზომების მიღება, ამიტომ გადადგა და თვითონვე აკურთხა კათოლიკოსად აბრაამი (იხ. აბრაამ I).

ნიკოლოზ IV — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დახლ. 1488-92 წწ., ლეონ კახთა მეფის ძე, ბაგრატოვანი, აღზარდა გელათ მაღალამებ. მისადმი გაცემულ სიგელში ნიკოლოზ კათოლიკოსი წერს: „სულიერთხუედ მან დედოფალმან, დედამან ჩემმან, წარმოგიყუანა კათოლიკე ეკლესიით სახლად თუსად კახეთად სწავლისა ჩემისათჳს, ხოლო შენს მიერ განსწავლულ ვიქმენ კითხუასა ღმრთივსულიერთა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა, რომელ აღწერენ ვიქმენ თაჳსა სრულებისასა, ვიდრე რიტორობად და ღრამატიკოსობად; და მამამან ჩემმან დიდმან მეფემან ლეონ დიდად პატივ-გჳა კეთილად აღზრდისა ჩემისათჳს და მრავალნი საფასენი მოგანიჭა ცხორებასა შინა თჳისა" (საბარალ. ძეგლ. III, 1970, გვ. 272).

ნიკოლოზ V — აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დახლ. 1542-47 წწ.

ნიკოლოზ VI (ბარათაშვილი) — აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1561-84 წწ. მცხეთის სასტრიარქო ტაძრის სამეურნეო-ქონებრივი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ქართლის სამეფოს ცენტრალურ ხელისუფლებას 1565 წელს დაამტკიცებინა მცხეთის ქართული მამულების შეწირულობის სია. მისივე ინიციატივით ქართლისა და კახეთის სამეფო კარმა მცხეთას მრავალი სოფელი შესწირა.

ნიკოლოზ VII (ბაგრატიონი) — აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1584-89 წწ. კახთა მეფის, ლევანის ძე.

ნიკოლოზ VIII (ამილახვარი; † 1705 წ.) — აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1678-88 და 1692-95 წწ. კახეთის მეფემ, ერეკლე I-მა ორჯერ დაიკავა ქართლი, ორჯერვე გადააყენა ნიკოლოზ VIII და მის მაგიერ თავისი ბიძა იოანე დანიშნა. ეახტანგ VI-მ 1703/5 წწ. სცადა ნიკოლოზ VIII-ის აღდგენა, მაგრამ იგი საეკლესიო წრეებმა უარყვეს. 1687 წ. ნიკოლოზ VIII-ს შეუდგენია თავისი ნაშრომ-ნაღვაწის აღმნუსხველი დოკუმენტი, სადანაც ირკვევა, რომ მას მცხეთის მეურნეობის აღდგენისა და სასოფლო ეკლესიების მშენებლო-

ბისთვის დიდი სამუშაო შეუსრულებია: აუგია სასახლეები, მარნები, საწნახლები, წისქვილები, გაუშენებია ზვრები, ბაღები, გაუყვანია სარწყავი არხები, ნასოფლარები სოფლებად უქცევია და სხვ.

ნიკოლოზ IX (ხერხეულიძე) — ალმოსაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1741-44 წწ. 1744 წ. 11 აგვისტოს ტარიელ თამაზაშვილს სანჯლით განგმირა იგი, დაკრძალულ საკათოლიკოსო კათედრაზე ავიდა ანტონ I.

ნიკოლოზ IV — რომის პაპი (1288-92 წწ.), პირველი ფრანცისკელი პაპის ტახტზე. მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, მაგრამ უშედეგოდ. წერილები მისწერა საქართველოს კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებს და რომის ეკლესიასთან შერერთება შესთავაზა (1289 წ.).

ნიკოლოზ დვალი († 1314 წ.) — წმ. მოწამე. ეწამა ქრისტიანობის ალიარებისათვის დამასკოში. წარმოშობით დვალი, სოფელ წაიდან. 12 წლისა მონაზონად აღიკეცება და ერთხანს კლარკეთის უდაბნოში მოღვაწეობდა. აქედან ის იერუსალიმს წაადგა და დაემკვიდრა ჯვარის მონასტერში. ვინაიდან მას სურვილი ჰქონდა ქრისტესთვის მოწამეობისა, „პოვა თარგმანი სასრსი ეიწმე კაცი და მოტყუებით ყადისსა მიიყვანა“. აქ მან აღიარა ქრისტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც ის დატუსალეს. მისდა უნებურად მონასტრის ძმებმა ის გამოიხსნეს და კვიპროსის კუნძულზე გაგზავნეს. კვიპროსზე ის კარგახანს დარჩა, აქედან განიზრახა ათონზე წასვლა, მაგრამ „ჩუენებით ბრძანებაჲ მოიღო“, იერუსალიმს წასულიყო და ერთ ქართველ ბერს დამოწაფებოდა. ნიკოლოზი ასეც მოიქცა, მოვიდა იერუსალიმს და მოძებნა ის ბერი, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დამასკოს წარგზავნა, რათა „ღირს იქმნეს საწადელსა მისსა, სიკუდილსა ქრისტესთჳს“. დამასკოში მან აღიარა ქრისტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც მას ჯერ სცემეს და მერე საპყრობილეში ჩასვეს. იქაურმა ქრისტიანებმა ის გაათავისუფლეს და იერუსალიმში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ ნიკოლოზმა ხელმორედ აღიარა სულდგმულად ქრისტე და შეურაცხყო მაჰმადიანობა. ამისთვის მას ხუთასი შოლტი დარტყეს და საპყრობილე მუსაჯეს, რომელშიც ორი თვე დასჯო. ქრისტიანებმა კიდევ გაათავისუფლეს და კვლავ იერუსალიმში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ ამ დროს აქ იყო ქალაქის ამირა, რომელმაც იცნო ნიკოლოზი. მან შეიპყრო ის და გაუგზავნა ამირათა-ამირას დენგიზს († 1340 წ.), რომელმაც მოინდომა მისი გამაჰმადიანება. ვინაიდან ნიკოლოზმა ურჩობა გაუწია, მას თავი მოაკვეთეს და გეჰში ცეცხლში დაწვეს (წამების დღე — 19 ოქტომბერი ეკლესიაში მისი ხსენების დღედ დაადგინეს). ნიკოლოზ დვალის „ცხოვრება“ ჩვენამდე შენახულა XIV ს. მოკლე, სინაქსარული რედაქციით (ავტორი უცნობია), რომელიც დაცულია Jer. 24-25 ხელნაწერში (მიაკვლია ნ. მარმა იერუსალიმში); გამოც.: 1) ი. ჟორჟოლიანი (Известия Кавказского Историко-Археол. Институт, т. II, 1917-1925, с. 63-65). 2) ს. ყუბანეიშვილისა (ქრისტომათია, I, 254-255), 3) ე. გაბიძაშვილისა (ძეგლები, IV თბ. 1968, გვ. 348-351).

ნიკოლოზ ეგზარქოსი — იხ. ხერხეთის წმ. სინდოს ეგზარქოსები საქართველოში

ნიკოლოზ თბილელი (ორბელიანი; 1672-1732 წწ.) — ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, ნაყოფიერი საეკლესიო მწერალი, ნათესაი და ერთგული თანამოღვაწე ვახტანგ VI-ისა. დაიბადა ქართლის მდივანბეგის, ვახტანგ ორბელიანის ოჯახში (სულხან-საბა ორბელიანის ძმა). მალე ჩაება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ქართლის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მხარს უჭერდა გიორგი XI-ს. XVII ს. დამლეგიდან მოღვაწეობდა სასულიერო ასპარეზზე. მან ჯერ კიდევ მონაზონობას ბეური შრომა გასწია თბილისში სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეში. 1715 წ. გახდა რუსის მღვდელმთავარი. 1717 წელს ურბნისის ეპარქიაც შემოიერთა. 1724 წ. რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ს. 1726 წელს, როდესაც გარდაიცვალა პავლე თბილელი მიტროპოლიტი, ვახტანგ VI-მ მის ადგილას ნიკოლოზი დანიშნა. ნიკოლოზი ბოლომდე ვახტანგ VI-ს ახლდა რუსეთში და იქვე გარდაიცვალა 1732 წელს. ნიკოლოზ თბილელი ეწეოდა მრავალმხრივ ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობას. მას უმთავრესად ლიტურგიკულ დარგში უმუშავია, შეუთხზავს ტროპარები და კონდაკი ქართველი წმინდანებისა და, როდესაც პირველად ბეჭდავდნენ ჟამნს, თაეისი შეხედულებისამებრ შეუტანია მასში ქართველ წმინდანთა ხსენების დღეები. გარდა ამისა, მას დაუწერია „აქებდითსა ზედა დასდებელნი“ ანო თბილელისა, ესტატე მცხეთელისა და არჩილ და ლუარსაბისა; აგრეთვე მოკლე, ხუთსტრიქონიან იამბიკოებად ცისკრის „აქებდითსა ზედა დასდებელთა“ უკანასკნელი მუხლი, რომელსაც „დიდებაჲ“ ეწოდება — შემდეგი წმინდანებისა: ნინოსი, რაჟდენ პირველმოწამისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკ დედოფლისა, ილიე ზედაზნე-

ლისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, ისე წილკნელისა, აბიბოს ნეკრესელისა, ანტონ მარტყოფელისა, არჩილ მეფისა, აბო თბილელისა, დავით და კონსტანტინესი, ილარიონ ქართველისა, გობრონისა, იოანე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, დავით აღმაშენებლისა, ერისთავთა – შალვა, ბიძინა და ელიზბარისა, ლუარსაბ მეფისა და ქეთევან დედოფლისა (დაბეჭდილია „სადღესასწაულოსა“ და მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“, დასახელებულ წყობადთა ბიოგრაფიების წინ). ნიკოლოზ თბილელს დოკუმენტიკის დარგშიც უმუშაია. კერძოდ, მას რედაქცია გაუკეთებია სულხან-საბას შრომისათვის – „სამოთხის კარი“, რომელშიც კათოლიკური ტენდენციები და აზრები მართლმადიდებლურით შეუცვლია; მოუმზადებია კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება „სარწმუნოება შემოკლებითი“ (გამოცემულია თბილისში 1885 წ. მღებრიშვილის, კარბელაშვილისა და მოლოდინაშვილის მიერ); რედაქცია გაუკეთებია არჩილ II-ის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილ პეტრე მოგილას კატეხიზმოსათვის („აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“) და მოუმზადებია ის დასაბეჭდად (იხ. A 586, გე. 119); დაბოლოს, ნიკოლოზ თბილელს ეკუთვნის თხზულება: „შუდთა მათ მომაკუდინებელთა ცოდეთა და შუდთა მადლთათჳს“, რომლის ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 342; S 348. ნიკოლოზ თბილელმა ბევრი იზრუნა ძველი ხელნაწერების აღდგენა-გამოყენებისათვის; აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის სტამბაში. მისი უშუალო მონაწილეობით გამოქვეყნდა სახარება (1709 წ.), სამოციქულო (1709 წ.), ლოცვანი (1710 წ.) და სხვ.

ნიკოლოზი // ნიკოლაოზი – სახელი რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა:

1. ჯუმათელი, მოხსენებულია ადიშის ოთხთავის მინაწერში. მას შატბერდის მონასტრიდან წამოუღია ეს სახარება (897 წ. გადაწერილი), რომელიც შემდეგ ინახებოდა სვანეთში, სოფ. ადიშის ეკლესიაში (ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

2. XII ს. ქუთაელი მთავარეპისკოპოსი. მოხსენებულია ტბეთის სახარების ანდერძში (ეს სახარება გადაუწერია პავლეს, ტბეთის ეპისკოპოსს, ნიკოლოზის ბიძას). იხ. ე. გაბიძაშვილი, ძეგლისწერა, გე. 34.

3. XV-XVI სს. აწყურის მთავარეპისკოპოსი, მაწყვერელი. შემორჩენილია მის მიერ დაწერილი „აღთქმა“ (Ad 547), რომელითაც ერთგულებას ეფიცება ქართლის კათოლიკოსს იოანეს.

4. ტფილელი; ქართულ ენაზე უთარგმნია პეტრე მოგილას თხზულება: „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოჲსა ეკლესიისა მართლმადიდებელთა აღმოსავალთაჲსა“; ავტორი თხზულებისა: „სარწმუნოება შემოკლებით აღწერილი“ (A 16).

5. ალავერდელი მღვდელმთავარი XVIII ს. I მეოთხედში, გვარად ჩოლოყაშვილი. მისი ბრძანებითაა გადაწერილი დიდი „სადღესასწაულო თუენი“ (A 366, A 379, A 380). იგი 1714-16 წწ. გადაუწერიათ დემეტრე მგალობელსა და ზაქარია ჭილაიშვილს. ნიკოლოზ ალავერდელს დაუხსნია ტყვეობიდან „მარბეველთაგან“ გატაცებული მარხვანი XVI საუკუნისა (A 1404). ნიკოლოზს აღმშენებლობით საქმიანობაც უწარმოებია ალავერდში 1721 წ.

ნიკოლოზი // ნიკოლაოზი – სახელი რამდენიმე ქართვ. საეკლესიო მოღვაწისა:

1. კახთა მეფის კარის მღვდელი XVIII ს. ფილიპე ყაითმაზაშვილთან და ზოგიერთ ქართველთან ერთად დამოწაფებია თბილისში განწესებულ სომეხ ეპისკოპოსს აეტტეს, რომელიც ცნობილი იყო თავისი განსწავლულობით ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში. მოგეპანებით ნიკოლაოზი ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად სომხურიდან ქართულად წიგნების თარგმნას შედგომია, კერძოდ, ფილიპესთან და მღვიანბეგ იოანე ორბელიანთან ერთად 1757 წელს მას უთარგმნია პროკლე დიადოხოსის „კაეშარნი ღვთისმეტყველებითნი“ სვიმეონ ჯულფელის რედაქციიდან (ტექსტი დაცულია ხელნაწერში S 192). დოსითეოზ ნეკრესელის გადმოცემით, ამ „მღდელმან ნიკოლაოზ ქიზიყელმან გარდამოიღო არისტოტელის თხზუთნი ფილასოფობანი, რომელ არს პერიერმენია, და კუალად მისიეე ფილოსოფოსისა ნათქუსა აზრი, რომელ არს დიალექტიკა, თარგმანებითა მისიეე მღდელისა ფილიპესითაო“ (ეს „დიალექტიკა“ გვაქვს ხელნაწერებში: A 329, S 131).

2. მღვდელი. მოხსენებულია ალის მონასტრის (სამცხეში) ხელნაწერის H 1347 (XVIII ს.) მინაწერში.

3. გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, გვარად ჯოჯუანი (იხსენიება 1773-1774 წლებში). შემდეგ ჯოჯოლა იმერეთის სოფელ ვარძიის (ახლანდ. ორკონიკიძის რაიონში) მონასტრის წინამძღვარი და „ლიხთ და იმერთ მეფის ძის, ბატონიშვილის კარის არხიმანდრიტი“. 1777 წ. მან აღადგინა ვარძიის მონასტრის დაქცეული სამრეკლო (იხ.

თ. ხუსკივაძე, ყვარლიდგან ეარძიამდის, „დროება“, 1885, № 163; ე. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 43-44). როგორც ამ სამრეკლოს შესასვლელის თავზე ამოკვეთილ წარწერაშია ნათქვამი, ნიკოლოზი თურმე დიდხანს ეძებდა სამრეკლოს მეორედ გაკეთების შემძლებელ „ვალატოზს“, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვითონვე დაუწყია შენება „სადეგრძელოდ და მუდამ გასარკვევად ბედნიერის ხელშეწყობის მიერ სოლომონისა (იგულისხმება სოლომონ I) და ძისა მისისა ალექსანდრესათვს“. ნიკოლოზის მიერ მეორედ აშენებული სამრეკლო ორსართულიანია. კუბური ფორმის I სართულზე შედგმულია ოთხსვეტიანი ფანჩატური. მასვე განუახლებია ერთი საკურადღებო კრებული (H 882).

4. დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის (შემდეგ დოდორქის) წინამძღვარი 1742-49 წწ-ში, გვარად შალიკაშვილი. იხსენიება Ad 454-ში.

5. თბილისის სკოლის მოძღვარი, გვარად ხელაშვილი (XVIII ს.); ასტო ანდრონიკაშვილის მოწაფე. მოხსენებულია იოანე ბატონიშვილის „ქალმასობაში“, როგორც დიდად განსწავლული პედაგოგი.

ნიკოლოზი // ნიკოლაოზი — სახელი რამდენიმე ქართვ. კალიგრაფ-მწიგნობრისა:

1. XIII ს. კალიგრაფი. მისი გადაწერილია სახარება A 1459. როგორც ანდერძში აღნიშნავს, ამ წიგნის გადაწერა-შემოწმებას იგი ორ წელიწადს მოუნდა (წიგნი საშუალო ზომისაა, 24,2 X 20,5 სმ. 194 ფ., ეტრატი). ამით იგი ერთგვარად პრეტენზიას აცხადებს, რომ მისი ნაშრომი სანდოა და რომ ქართლში იმხანად უკეთესი არ მოიპოვებოდა. ტექსტი ნამდვილი ოსტატობითაა ნაწერი, თავსამკაულები და საზედაო ასოები კი — პრიმიტიულად.

2. ნიკოლოზ ეანძაძე — დავით გარეჯის მონასტრის მოღვაწე XVIII-XIX სს., ამ მონასტრის წინამძღვარის, ილარიონის ახლობელი. გადაუწერია უამრავი წიგნები, რომელთაგან დღემდე შემოსულია: A 1398 (სადღესასწაულო), A 269, H 1247, A 403 („მანანა“); H 1247, 1248 („სამასეული“); Q 300 (მამათა და დედათა ცხოვრება), H 805 (აღდგომის საგალობლები), A 172 (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი), S 4624 („მეტაფარასი, რომელი არს საკითხავი უდიდესთა დღესასწაულთა“).

3. ნიკოლაოზ ბერი — XVIII ს. მწიგნობარი, A 126-ის მეორე ნაწილის გადამწერი.

4. ენიცელთმოურავის ძე, დღევს მონასტრის მღვაწე XVIII ს. დასაწყისში, მწიგნობარი. გადაუწერია ეფრემ ასურის თხზულებანი (A 166), კონდაკი (A 398).

5. კოჯაძე დავითგარეჯის მონასტრის მოღვაწე, XVIII-XIX სს. მწიგნობარი. გადაუწერია ხელნაწერები: H 296 (გერონტი სოლოღაშვილის „ნაცვალსიტყვაობა“), A 1046 (დოგმატიკურ-კანონიკური კრებული) და სხვ.

6. XVIII ს. მწიგნობარ-კალიგრაფი, სიონის დეკანოზის შვილი. 1746 წელს გადაუწერია „თოუნი“ (A 1454), დამყარებული ძველ (გიორგი მთაწმიდლისეულ) რედაქციაზე. როგორც ცნობილია, მის თანამედროვეთ — დეკანოზ ალექსი შესხნიშვილსა და ანტონ კათალიკოსს შეუქმნიათ „თოუნის“ ახალი რედაქცია, კერძოდ, შეუსწორებიათ იგი სლავური „თოუნის“ მიხედვით.

7. მცხეთელი დიაკონი, XI ს. კარგი მწიგნობარი. მას 1047-1048 წწ. შეუმოსავს „თარგმანება მათეს თავისა“ (H 19,20).

8. XIII ს. ქართველი კალიგრაფი, კატარაწისძე. გადაწერა ე. წ. ლარგვისის ოთხთავი (A 26). ეს მცირე მოცულობის წიგნი კალიგრაფიული თვალსაზრისით ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია. ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, ყაენისური მელნით. ასოები დახრილი, მკაფიო და ადვილად საკითხავია. აშიებზე გატანილი საზედაო ასოები ოქროთია შეფერილი, რაც წიგნს საზეიმო ელფერს აძლევს. კამარები მორთულია ოქროსფრად, ლურჯად და წითლად შეღებილი ორნამენტებით, ცხოველთა და ფრინველთა ფიგურებით. კამარები და თავსამკაულები თუმცა საკმაოდ მაღალი დონის ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ ავტორის კალიგრაფიულ ოსტატობას მაინც ჩამოუვარდება. ხელნაწერს ერთვის მრავალი საუკეთესო მინიატურა, რომელთა ავტორი უცნობია. შესაძლებელია, ნიკოლოზ კატარაწისძის გადაწერილი იყოს აგრეთვე ჯვარის მონასტრის მარხვანი (ცაგარლის კატალოგით № 77).

9. XIX ს. მწიგნობარი, გვარად კაჭარავა. 1851 წელს სიონისათვის გაკეთა პირი ათონის ბიბლიისა (Ath. 1), რომელიც თბილისში დროებით ჩამოიტანა ათონის მთიდან პლ. იოსელიანმა. ნ. კაჭარავას ხელნაწერის მიხედვით გამოიცა ბიბლია 1884 წელს. ამჟამად ეს ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 471).

10. ანტონ კათალიკოსის კარის პროტოპაპა მდივანი-ქაღაგი, მაღალაძის გვარისა. „სამეუფოსა ქალაქსა პეტერბუხს“ XVIII ს. II ნახევარში მას გადაუწერია სამეცნიერო კრებული (სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, სიტყვის-

გება სოგრატისი) – H 1053.

11. თბილისის სიონის დეკანოზი, ნაყოფიერი კალიგრაფი, გვარად მიქაძე. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ XVIII ს. გადაწერილი რამდენიმე ათეული ნუსხა.

12. ნიკოლოზ მრეული, ორბელიანი (1672-1732 წწ.), სულხან-საბა ორბელიანის ძმა, საეკლესიო მოღვაწე და პოეტი, გადამწერი და რედაქტორი. 1715 წლიდან მოღვაწეობდა რუისში. შემდეგ რუსეთში გადასახლდა. ამის მიუხედავად, რუისის ეკლესიისათვის ზრუნვა არ შეუწყვეტია. რუისის საკათედრო ტაძრის ბიბლიოთეკისათვის ამზადებდა ახალ ნუსხებს, მაგ., მან ასტრახანში გადაწერინა დამასკელის „მოკლე წინამძღუარი“ (A 853), მოსკოვში – მარხვანი (A 849) და სხვ. აღნიშნული წიგნები მან რუისის „ღუთაებას“ შესწირა.

13. XVII-XVIII სს. მღვდელმონაზონი, გვარად ორბელიანი. 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ თბილისის სტამბაში დაბეჭდა სახარება, მღვდელმონაზონ ნიკოლოზის მიერ გასწორებული.

14. სიონის დეკანოზი 1720-1780 წწ-ში, გამოჩენილი კალიგრაფი, ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი XVIII ს-ისა. დეკანოზობა მიუღია 1748-53 წწ. 1753-54 წწ. მოსკოვში ცხოვრობდა. ნიკოლოზის უადრესი ხელნაწერი 1731 წ. მიეკუთვნება (S 1295). 23-26 წ. ჯამეცა იყო, როცა მას უკეთაენდნენ გადაწერას თეით მეფე თეიმურაზ II (დრეგმატიკონი H 601, 1746 წ.), ვახტანგ VI-ის სიძე, ანუკა ბატონიშვილის მეუღლე, ვახუშტი ბატონიშვილის (სადღესასწაულო, A 1454, 1746 წ.), ბატონიშვილი ანტონი, იმ დროს დადოგარეკის მონასტრის მოღვაწე. შემდეგ კი კათოლიკოსი ანტონ I (ლოცვები და საგალობლები, A 347, 1743 წ.), დიდოსრკის მონასტრის წინამძღვარი სეიმონი (სადღესასწაულო, H 1221, 1748 წ.), ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე (ორი ტიპიკონი (A 1399 და A 1487, 1758 და 1760 წწ.), იოსებ ურბნელი (საგალობლები, H 656, 1768 წ.), გერმანოზ მროველი (კრებული A 897, 1768 წ.), დასასრულ, ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯან დედოფალი (ანტონ I-ის თვენი, Q 57) და გიორგი ბატონიშვილი, მომავალი გიორგი XII (კონდაკი H 2239, 1780 წ.). ზოგიერთი წიგნი მარტივადაა გაფორმებული, შედარებით უპრეტენზიოდ, ზოგი კი საგანგებოდ იყო შეკვეთილი მაღალი არისტოკრატის წარმომადგენელთა მიერ და მდიდრულად, ხაზგასმულია მორთული (A 1454, A 347 და სხვ.). ტექსტი იმდენად თანმხარი და ზუსტია, თითქოს მანქანით შესრულებული იყოს. ნიკოლაოზის სხვა ხელნაწერთაგან აღსანიშნავია: სადღესასწაულო H 2121; 1753 წ.; კრებული A 1702; 1754 წ.; მარგალიტი H 1246, 1756 წ. ლოცვანი H 334; 1758 წ., იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებისა A 20, 1766 წ.; კრებული S 1193; 1768 წ. და A 897, 1772 წ. კლემაქსი H 1369, კურთხევანი A 1193; 1777 წ., ვრცელი ლოცვანი H 2234; 1779 წ. მარტვრიკა Q 78, 1769 წ.

15. თბილისელი მღვდელი, ცნობილი ქართველი მწიგნობარი, კალიგრაფი, გვარად ჩაჩიკაშვილი (XVIII ს. † 1810 წ.). შემონახულია მისი გადაწერილი წიგნები XVIII ს. 50-იანი წლებიდან XIX ს. დასაწყისამდე (კურთხევანი 1758 წლისა, A 1465, თეთა მეტყველება 1802 წლისა, A 1321). წერდა უმთავრესად სასულიერო შინაარსის წიგნებს. ხსენებული კურთხევანის გარდა, მას გადაუწერია კურთხევანი 1760 წლისა, A 465; 1775 წლისა, A 1354; ფსალმუნი 1778 წლისა, ანა ხანუმ ბატონიშვილიასთვის – ლოცვანი H 2270; ჟამნი S 4549; სჯულისკანონი 1757 წლისა, S 4963 და სხვ. ნიკოლოზის შვილები – კორნილიოსი და თომა აგრეთვე გადამწერნი იყვნენ.

16. XVIII ს. კალიგრაფი, მონაზონი, გვარად ჩხატარაძე; ცხოვრობდა ლეჩხუმ-ოდიშში (დაახლ. 1728-1758 წწ.). ცაგარელ ეპისკოპოს გრიგოლის დავალებით გადაწერა თვენი A 1470, ეს პატარა ფორმატის, მაგრამ ძალიან სქელი წიგნია (18,5 X 14,5 სმ.; 439 ფ.). ნიკოლოზი ფრიად გაწაფული კალიგრაფი ყოფილა: ძალიან წვრილად, სუფთად, თანაბრად წერს, მაგრამ მთავრულით ნაწერი სათაურები და მელნითვე გამოყვანილი თავსამკაულები მოწმობს, რომ მისი ხელობის დიპაზონი შეზღუდული ყოფილა.

17. XVI-XVII ს. კალიგრაფი, გვარად ჭუმბურიძე. მისი შესრულებულია საწელიწდო (H 1029), პატარა ფორმატის წიგნი (14X9 სმ.), რომლის ნუსხური ტექსტი ვირტუოზული ოსტატობითაა გადაწერილი. ნაწერი ძალიან წვრილია, ასოები და სტრიქონები – ზუსტი და თანაბარი.

18. მღვდელმონაზონი, გვარად ჯორჯაძე; დადოგარეკში გადაუწერია ხელნაწერები: A 166, A 398.

ნიკოლოზი // ნიკოლაოზი – სახელი რამდენიმე ქართ. ქტიტორ-შეშწირველისა:

1. ნიკოლაოზ აჭიელი – სოფელ აჭის (გურიაში) ეკლესიის ქტიტორი. მოხსენებულია ეკლესიის XVII ს. წარწერაში მიქაელ და მხე-

ცისძე კალატოზებთან ერთად.

2. ნიკოლაოზ ბოლნელი – ბაგრატ მუხრანბატონის ძე. 1678-1688 წლებში მან ააგო ბოლნისის სამრეკლო, მოახატვინა კანკელი და სხვ.

3. სიმეონ ჭყონდიდელის გაზრდილი, XII ს. მოღვაწე, მოხსენებულია „ათონის კრებულში", როგორც მონასტრის კეთილისმყოფელი. მას აუშენებია მთავარანგელოზთა ეკლესია „ყოველთურთ მოხატვით, გამოჭიქით, დაჭრელებით", აგრეთვე მონასტრისათვის მიურთმევია მრავალი შესაწირავი. ჰავლეს მამობის (წინამძღვრობის) დროს (დახლ. 1170 წ.) ნიკოლოზისთვის ქართველ ბერებს პანაშვიდი და აღაპი განუწესებიათ „მწუხრის ლიტვითა და ჟამისწირვითა, ხილითა და კრასოულითა და ძმათა ტრაპეზის დია ნუგეშინისცემითა" (მოხსენების დღე – 1 სექტემბერი). იხ. ე. მეტრეველი, საალაე წიგნი.

4. გარეკული, იხსენიება სინის მთის ქართველთა მონასტრის სულთა მატიანეში, როგორც ამ მონასტრის კეთილისმყოფელი, შეწირულობათა მიმრომეველი (იხ. ივ. ჯაჯანიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწ. აღწერ., თბ., 1947 წ.).

5. ნიკოლოზ ამილახორი – (XVII ს.), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნსაცავისათვის შეუწირავს ძვირფასი ხელნაწერები (H 98, იხ. აგრეთვე: მ. ხელაშვილი, საისტორიო მასალა, „მწყემსი", 1894, № 10, გვ. 13-15; ე. თაყაიშვილი. არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, გვ. 273-274; A 30, A 32; თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ. 496; პ. კარბელაშვილი, გორის ბაზრის ს. ჭალის ღვთისმშობლის მიძინების „გულანზედ" წარწერანი, „იერია", 1877, № 43).

ნიკოლოზის მონასტერი (მოსკოვში) – ამ მონასტერში დასხვეს 1648 წელს ათონიდან რუსეთში ჩატანილი ღვთისმშობლის ხატი – ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზუსტი პირი. 1653 წელს ეს მონასტერი ათონის მონასტრის მეტოქედ გამოცხადდა.

ნიკოლოზის მონასტერი (პალესტინაში) – XVI ს. აგებული ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად. XVII ს. მეორე ნახევარში განაახლა ერეკლე I-ის (1688-1703) დედამ, კახთ. დედოფალმა ელენე-ყორყმალმა, ელისაბედმა. სხვა იერუსალიმურ მონასტერთა მსგავსად აქაც დიდი მწიგნობრული მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

ნიკოლოზ მაღალაძე – პაპუა მაღალაძის ვაჟი, თაედაპირველად მცხეთის საკათოლიკოსო ტაძრის სვეტიცხოველის ქადაგი, შემდეგ ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე 1675-1676 წწ. მის აღზრდაში გარკვეული მონაწილეობა მიუღია დომენტი კათოლიკოსს. ნიკოლოზი, მამამისის მსგავსად, დიდად ცნერგიული კაცი ყოფილა, აუშენებია და შეუკეთებია მრავალი ეკლესია და ციხე-კოშკი; მისი სახელი გვხვდება XVII ს-ის მიწურულის საბუთებში, ხატებზე, მის მიერ შეკეთებული მაღალანთ ეკლესიის (1677 წ.) კედლებზე; მოხსენებულია სვეტიცხოველის ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაშიც. ნიკოლოზი კალიგრაფიც ყოფილა. მისი გადაწერილია სასულიერო თხზულებათა კრებული A 904.

ნიკოლოზ მირონლუკიელი – IV ს. I ნახევრის მღვდელმთავარი, საკვირველთმოქმედი, ლუკოს ქალაქ მირონის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა ლუკიაში (მცირე აზიის სამხრეთი ნაწილი), კეთილმორწმუნე ოჯახში. სიყრმიდანვე შეუდგა საღვთო წერილისა და ღვთისმეტყველების შესწავლას, განუწყვეტელ ლოცვასა და მარხვას. ქ. პატარის ეპისკოპოსმა, წმ. ნიკოლოზის ბიძამ, რომელსაც მეტად ახარებდა სულიერი წარმატება ძმისწულისა, იგი ჯერ მკითხველად დაადგინა ეკლესიაში, შემდეგ კი მღვდლად აკურთხა. ნიკოლოზ ხუცესმა მალე მოიპოვა მრევლის სიყვარული დიდი სარწმუნოებისა და ღვთისმოსაობის, მღვიძარებისა და განუწყვეტელი ლოცვის გამო. იგი ყველგან სიკეთე თესავდა: გაჭირვებულთ შეეწეოდა, გზას აცდენილთ სათეო გზაზე აყენებდა, სნეულთ კურნავდა, განსაცდელში მყოფთ სასწაულებრივად გამოიხსნიდა. მალე ღვთის განგებით წმ. ნიკოლოზი მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსად იქნა დადგენილი. მრევლისათვის იგი იყო მაგალითი სიწმიდისა, სათნოებისა და სიყვარულისა. იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305) იგი ერთხანს შეპყრობილი ჰყავდათ წარმართებს, მაგრამ უფალმა სრულიად უვნებლად დაიცავა იგი და როცა კონსტანტინე დიდი ავიდა ტახტზე, წმ. ნიკოლოზი თავის სამწყსოს დაუბრუნდა. 325 წ. მღვდელმთავარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაში. მან სხვა მღვდელმთავრებთან (რომის პაპი სილვესტრი, სპირიდონ ტრიმითუნტელი და სხვ.) ერთად ამწილა და უკუაგდო არეკსანდრიელი ხუცესის, არიოზის მწვალებლური მოძღვრება. იგი თაეის სიმართლის დასაცავად ხელჩართულ შეტაკებაშიც ჩარეულა, რისთვისაც რამდენიმე ხნით სამღვდელმთაერო ოფოფორი ჩამოართვეს და საპყრობილეშიც ჩასვეს. კრების მონაწილე წმ. მამებს ჩვენებით ეუწყა, რომ მღვდელმთავარ

ნიკოლოზის მოქმედება თორმე სათნო-ყო უფალს. ამიტომაც იგი საჩქაროდ გაათავისუფლეს საყრობილიდან და უწინდელი პატივი მიაგეს. წმ. ნიკოლოზი ღრმა მოხუცი გარდაიცვალა. იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღასრულებდა მრავალრიცხოვან სასწაულებს, გარდაცვალების შემდეგ კი მისი სასწაულები უფრო გაძლავრდა. ბევრი აეადმყოფი განიკურნა მისი წმინდა ნაწილების შეხებით და მისგან გადმოსული მირონის ცხებით. ხსენების დღე – 6 დეკემბერი.წმ. ნიკოლოზის კომენტარი „ცხოვრება" ქართულ ენაზე ორჯერ უთარგმნიათ. პირველი მათგანი უთარგმნია სეითს (Sin. 11, 143-152). მეორე – ეფთვიმე მთაწმიდელს (A 1103,180-205, A 134,598-662; Jer. 36,135-149). მეტაფრასული რედაქციის ტექსტი დაცულია ქუთ. 5,87-107 და Ath. 2,51-62 ხელნაწერებში.

ნიკოლოზ ორბის ძე – კალატოზ-თუხუცესი, რომელსაც XI-XV სს. აუგია შორეთის მონასტრის (ასპინძის რაიონში) ერთ-ერთი მინაშენი (სამხრეთის მხრივ). მოხსენებულია ამ მინაშენის წარწერაში.

ნიკოლოზ რუსთველი (ჩერქეზიშვილი) – XVII-XVIII სს. ქართველი მოღვაწე-მთავარი და საეკლესიო მწერალი. XVIII ს-ის დამდეგს ის გარეჯის ნათლისმცემლის მიწესე ყოფილა და იქვე დაუწყია ხელნაწერთა გამრავალება „ქართველთა და კახთა მეფეთ-მეფის ასულის, ელენეს" დაკვეთით და ბრძანებით. კერძოდ, 1704 წ. გადაუწერია დავითნი (Q 430), 1705 წელს – სახარება (Q 919) და სხვ. რუსთავის მიტროპოლიტად იგი დაუდგენია კახეთის მეფეს, დავით იმამყულიხანს XVIII ს. დასაწყისში (დაახლ. 1700-20 წწ.). 1711 წელს იგი უკვე რუსთველად იხსენიება. კეთილისმყოფელი მეფის გარდაცვალების შემდეგ (1723 წ.) ნიკოლოზს კათედრისათვის თავი დაუნებებია და 1724 წელს რუსეთში მიმავალ ვახტანგ მეექვსეს იმერეთამდე გაჰყოლია. რუსეთს წასვლა გადაუფიქრებია, იმერეთისავე დარჩენილა და თავი შეუფარებია მეფე ალექსანდრე მეხუთისა და აფხაზეთის კათოლიკოსის, გრიგოლ II-ისათვის. ვიცით მხოლოდ ის, რომ ნიკოლოზი გარდაიცვალა არა უადრეს 1733 წლისა. ნიკოლოზი გაწაფული კაცი ყოფილა, ღვთისმეტყველებასა და ისტორიაში გაწაფული. როგორც მწყემსი, ის გამორჩეული მქადაგებელიც იყო. ანტონ I თავის „წყობილსიტყვაობაში" მაღალ შეფასებას აძლევს მას, როგორც მჭევრმეტყველსა და „მაღალმოუბნეს". განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკოლოზ რუსთველის ლიტურგიკული შემოქმედება. დიდორჩელ ხუცესმონაზონ გრიგოლთან ერთად ნიკოლოზს დაუწესებია ანტონ მარტოყოფილის ხსენება 17 იანვარს და მისი აკლუთაია დაუწერია (იხ. კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, I, გვ. 10). მასვე შეუთხზავს აგრეთვე „საგალობელნი წმიდა დიდისა". ამაზე დროს ნიკოლოზი ერუდიციით აღჭურვილი და ენამზიანი ღვთისმეტყველიც ყოფილა, როგორც ეს ნათლად ჩანს მის მიერ გრიგოლ კათოლიკოსის ბრძანებით 1733 წელს დაწერილ ბიჭვინთის იადგარიდან, ანუ სოგელოდან. თავში იადგარს დართული ჰქონდა იამბიკო, რომლის აკროსტიქი ამბობს: „ნიკოლოზ რუსთველი ეშუსიკობ". ის წარმოადგენს ოთხ-მუხლად ჭრას. მისი ერთი ნაწილი ღვთისაღმია მიძღვნილი, მეორე – კათოლიკოს გრიგოლისადმი. იამბიკოს შემდეგ იწყება ერცელი სალვთისმეტყველო ტრაქტატი, რომელიც შედგება შვიდი წყობისა, ანუ თავისაგან. პირველ თავში ლაპარაკია ღმერთის ერთგვაროვნებისა და სამპიროვნების შესახებ, მეორეში წარმოდგენილია ღვთისმეტყველება „ქრისტეს ორი ბუნებისათუს", მესამეში – „შესხმა ანგელოზთათუს", მეოთხეში – მოძღვრება „აცთა დამადებისათუს", მეხუთეში – „მდღელთმოძღვართათუს, მეექვსეში – „მოწამეთათუს", მეშვიდეში – „მამათათუს" (Ad 2251g; სამ. ძეგლ. III, გვ. 718-735). საერთოდ, ნიკოლოზ რუსთველი თანამედროვეთათვის ცნობილი ყოფილა სიგელ-გუკრების შედგენაში დახელოვნებულ მწერლად. ბიჭვინთის სიგელის გარდა, ჩვენამდე შენახულა 1717 წელს მისი ხელით დაწერილი „მზითევის წიგნი" ვახტანგ VI-ის ასული დავით იმამყულიხანის დის, ხვარაშანია და ალაგერდის ტაძრის სიგელი 1721 წლისა (იხ. ი. ფორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული სამუთები, გვ. 232-234). ზოგიერთი მკვლევარი მას აიგივებს ნიკოლოზ თბილელთან.

ნიკოლოზ ძართველთა მნათობი († 1308) – XIII-XIV სს. ქართველი ჰიმნოგრაფი. მოღვაწეობდა დიმიტრი თავდადებულის ძის – ვახტანგის დროს. ანტონ კათოლიკოსის ცნობით – აკლუთაიათა და საგალობელ კანონთა გამომთქმელი. ერთ-ერთი აკლუთაია – „ფალოსანი წეიმისაგან შემშეთაართათუს", რომელსაც ანტონ I თავის „წყობილსიტყვაობაში" „უზომოდ წყმისა გარდამხელის დასაყენებ აკოლუთიას" უწოდებს და მაღალ შეფასებას აძლევს, ჩვენამდეა მოღწეული, როგორც ხელნაწერების

(A 48), ისე ნაბეჭდი სახით (კურთხეული, მოსკოვი, 1826 წ., გვ. 553-559). პლატონ იოსელიანის ცნობით, ნიკოლოზს შეუთხზავს „სრულნი საგალობელნი", რომელნიც იერიის მონასტრის წიგნთსაცავში უნახავს. ნიკოლოზს მიეწერება კურთხეულის ზოგიერთი თავის თარგმნა ბერძნულიდან ქართულად („ჯანგება წყლის კურთხეისა" და სხვ.). ხსენების დღე – 3 ნოემბერი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – იგივე ნიკიფორე ირბახი (1585-1659 წწ.), წარმოშობით კახეთიდან იყო. ძე ომბისა, ძმა გამოჩენილი სარდლის, „ომბინიანის" აეტორის – ქაიხოსროსი. განათლება მიიღო რომში. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა კახეთში (თეიმურაზ I-თან), იმერეთში (ალექსანდრე მეფესთან), სამეგრელოში (ლევან დადიანთან) და ა. შ. მოიარა ევროპის ბევრი ქვეყანა. 1614-1626 წწ. ცხოვრობდა იერუსალიმში. 1643-1649 წწ. კვლავ იერუსალიმში იყო, ამჯერად უკვე ჯვარის მამად (ე.ი. ჯვარის მონასტრის წინამძღვრად). ამ თანამდებობაზე მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და სრულად გამოავლინა თავისი ორგანიზატორული ნიჭი. იგი პატრარქმა გარდაცვალების წინ (1645 წ.) თავის მემკვიდრედაც კი დაასახელა.

ნ. ჩოლოყაშვილის შესახებ იხ.: კ. კეკელიძე. ეტიუდები II, 1945. გვ. 292-313; აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, 1977.

ნიკოლოზ ხერხეულიძე – XVIII ს. ურბნელი მღვდელმთავარი. მას 1739 წ. აღუდგენია მტერთაგან დარბეული ურბნისის საკათედრო ტაძარი, ხელმეორედ აუშენებია გალავანი, კოშკები და სხვ. როგორც ირკვევა, ის ლექსებსაც წერდა (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაუროანი და შენიშვნანი, I, გვ. 49-50).

ნიკოლწმიდა – წმ. ნიკოლოზის სახელზე აშენებული სახასტერი, პეტრიწონის მონასტრის მახლობლად (ბულგარეთში). აქ არსებობდა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებული ქართული სასულიერო სემინარია.

ნიკოლწმიდა – ქართველთა მონასტრის კუთვნილი ერთ-ერთი ეკლესია (მეტოქი) ათონის მთაზე. მოხსენებულია „ათონის კრებულში" (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 188-189).

ნიკონ ნაპილისი – ათონის ივერთა მონასტრის XI-XII ს. კეთილისმყოფელი, მოხსენებულია ათონის აღაპებში დედ-მამასთან (კოსტანტი და ანნა) ერთად (იოანე ბუქაისძის წინამძღვრობის დროს). ათონელ ბერებს განუწესებიათ მათთვის აღაპი 4 დეკემბერს, წმ. ბარბარეს დღესასწაულზე (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 136).

ნიკონ შამთელი – XI ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი, მოღვაწეობდა სვიმონწმინდის მონასტერში, შაე მთაზე (სირიაში, ანტიოქიის მახლობლად), „პანდექტებისა" და „ტაქტიკონის" აეტორი. „პანდექტები" მონაზნების სახელმძღვანელო წესების კრებულია, მას დიდი აეტორიტეტი ჰქონდა ანტიოქიის ეკლესიაში. „ტაქტიკონში" კი განხილულია მართლმადიდებლური ეკლესიის კეთილმოწყობის საკითხები. ნიკონ შამთელის თზულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო არქეოლოგიის და ისტორიის შესწავლაში. ისინი იძლევიან მრავალ ცნობებს ქრისტიანული აღმოსავლეთის, ქრისტიანთა იმდროინდელი მდგომარეობის, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ცნობილია, რომ ნიკონ შამთელთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ქართველ ფილოსოფოსსა და მთარგმნელს, ეფრემ მცირეს.

ნიკონი († 251) – წმ. მოწამე. დაიბადა ნეაპოლში. დედა ქრისტიანი ყოფილა, მაგრამ მამის გავლენით აღიზარდა წარმართად. მსახურობდა არმიაში. ერთ-ერთ ბრძოლაში სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და აღთქმა დადო, რომ ქრისტიანულად მოინათლებოდა. იგი ღმერთს შეევედრა, ეწვენებინა დევნილი ქრისტიანებისა და მათი სამღვდელოების ადგილსამყოფელი. ბოლოს მან ეპისკოპოს თეოდოსის მიერ მიიღო წმინდა ნათლისღება. მალე ნიკონი სქემით შეიმოსა და შეუერთდა თეოდოსის ძმობას. სამი წლის შემდეგ ეპისკოპოს თეოდოსის გამოეცხადა ანგელოზი, რომლის ბრძანებითაც მან ეპისკოპოსად აკურთხა ნიკონი, რომელიც მთელ სამოციი მოამორჩეოდა ქრისტიანულ სიქველით. ღვთის განგებით ეპისკოპოსი ნიკონი მოხვდა მშობლიურ ნეაპოლში, აგრეთვე სიცილიაზე, სადაც მან მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტიანობაზე. იგი დიდხანს მოღვაწეობდა სიცილიაზე თავის ძმობასთან ერთად, მაგრამ ბოლოს, სიცილიის განმგებელის, კვინტიანეს ბრძანებით ის და მისი 199 მოწაფე შეიპყრეს და თავები მოჰკვეთეს. წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 23 მარტი. ნიკონის მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია გელათურ ხელნაწერში (კუთ. 2, 260-270).

ნიკონი – IV ს. მონაზონი, წარმოშობით რომაელი. სტეფანე მონაზონთან ერთად მოღვაწეობდა ეგეიტის უდაბნოში. მათ წმინდად იცხოვრეს მონასტერში 47 წელიწადს. ბოლოს, ეშმაკს შეშურდა მათი და განიზრახა, საფრთხე

დაეგო. მან მოაჩეჩა თითოეულ მათგანს, თითქოს მეორე მათგანი მუშაც დედაკაცად აღირიცხა. მონაზვნები ერთმანეთს განურისხდნენ, მაგრამ ამაოდ; ეროაერი შეამჩნიეს ერთმანეთს. ბოლოს სტეფანემ „დამწაშავის" სამხილებლად მოიწია ათანასე ალექსანდრიელი პატრიარქი (295-373 წწ.). ათანასემ გამოიძია საქმე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, სასწაულებრივად გამოჩნდა ორიე მოღვაწის სიმართლე. თაეისი სიტყვის დასამტკიცებლად ისინი ცეცხლში ჩადგნენ და ორიეე უვნებელი გამოედო იქნდან. ნიკონისა და სტეფანეს „ცხორება" დაცულია მხოლოდ ქართულ ენაზე, ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ხელნაწერსა (Add. 11281) და ხელნაწერთა ინსტიტუტის A 249 ხელნაწერში. სხეა ენებზე არ ჩანს ამ თხზულების კეალი. ქართული თარგმანი შეუსრულებიათ საბას ლაერაში (პალესტინაში), გამოცემულია ე. იმნაიშეილის მიერ („მამათა ცხორებანი", 1975 წ. გე. 256-261).

ნიკონი (1605-1681 წწ.) – XVII ს. რუსეთის საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის ეკლესიის პატრიარქი. 19 წლისა მღვდლად აკურთხეს, 1635 წ. მონაზვნად აღიკეცა, 1643 წ. გახდა კოლომნაროს მონასტრის წინამძღვარი, 1648 წ. ნოვგოროდის მიტროპოლიტად აკურთხეს, 1652 წელს კი – პატრიარქად. 1653 წ. ნიკონი შეუდგა რუსეთის ეკლესიის მოწესრიგებას. მისი საეკლესიო რეფორმები მიზნად ისახავდა ეკლესიის ცენტრალიზაციას, წესების უნიფიკაციას (ბერძნ. ნიშუშების მიხედვით). ნიკონის რეფორმებს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. უკმაყოფილების შედეგი იყო ე. წ. „რასკოლის" – საეკლესიო განხეთქილების წარმოშობა. ნიკონმა დიდი ძალაუფლება მოიპოეა, აქტიურად ერეოდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოერებაში. ამას მოჰყეა მეფესა და პატრიარქს შორის მკეთრი უთანხმოება. 1658 წ. ნიკონმა მიატოეა ჰასპტრიარქო და გაემგზაერა მის მიერ დაარსებულ ნოეი-იერუსალიმის აღდგომის მონასტერში, იმ ვარაუდით, რომ მეფე უკან გამოიძახებდა, მაგრამ მეფის ხელისუფლებამ იქეე დარჩენა უბრძანა, 1666-67 წწ. კი საეკლესიო კრებამ იგი გადაასენა. ნიკონი გადაასახლეს ბელოზერსკის მონასტერში. 1681 წ. მეფე თეოდორე ალექსის ძემ ნიკონს ნება დართო გადასულიყო ნოეი-იერუსალიმის მონასტერში. ნიკონი გზაში გარდაიცვალა.

ნიკოპოლელი 45 მოწამე – იხ. ორმოცდაბუთი ნიკოპოლელი მოწამე.

ნიკორწმინდა – სოფელი ამბროლაურის რაიონში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, შაორის წყალსაცავის ჩრდილოეთით, ამბროლაურიდან 16 კმ. სოფელმა სახელწოდება მიიღო XI ს--ში აქ აგებული ნიკოლაოსწმიდის ეკლესიისაგან. ეს ეკლესია ქართული ხუროთმოძღერების დიდმნიშეელოეანი ძეგლია. დასაელეთის შესასელის წარწერის მიხედეით, იგი აეგიათ საქართეელოს მეფის, ბაგრატ III-ის დროს, 1010-14 წწ.-ში. ტაძარი გარედან მოკლემკლაეებიანი სწორკუთხა ჯერის ფორმისაა, შიგნიდან კი – ხუთაბსიდიანია. დასაელეთით მოკლე სწორკუთხა მკლაეი აქეს. აბსიდის შეერილებზე, რომელთაც ნახეარსვეტების ფორმა აქეთ, ალმართულია გუმბათის ყელი. ექესკუთხედიდან გუმბათის წრეზე გადასელა ხდება აფრების მეშეეობით. საკურთხეელის აბსიდის ბემისა და დასაელეთის მკლაეის გამო შინაგანი სივრცე შესამჩნეეად არის დაგრძელებული მთაეარი ღერძის გასწერივ ალმოსაელეთიდან დასაელეთისაკენ. ინტერიერში შემონახულია XVII ს. ფრესკები, გეთანდელი ხანის ქართული კედლის მხატერობის დამახასიათებელი ნიმუშები. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქეთა და დამუშაეებულია უწყეტი თაეედით. ასეთივე თაეედითაა დამუშაეებული 12-სარკმლიანი გუმბათის ყელიც. ტაძარი უხეად არის შეკული მდიდრული ჩუქურთმებით, დიდი ადგილი უჭირაეს აგრეეე სიუეეტურ მრაეალფიგურიან რელიეფებს („ჭერისცეკლება", „მეორედ მოსელა", „ჯერის ამოლება"), წმინდანების ფიგურებს, რეალურ და ფანტასტიკურ ცხოეელებს, გამოსახულებებს, რომლებიც ერთ მთლიანი, წინასწარ გააზრებული პროგრამის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. სარკმლებს ირგელიე შემოეეეა ჩუქურთმიანი არშიები. სამრეეთსა და დასაელეთის კარიბჭეები მოგეიანებითაა მიშენებული, მაგრამ ისინიც XI ს. I ნახეარს მიეეთეებენ. 1634 წ. ტაძარი განახლებია იმერეთის მეფეს, ბაგრატ III-ს. ტაძრის ეზოში აღმართული სამსართულიანი სამრეკლო XIX ს. II ნახეარშია აშენებული. შეა საუკუნეებში ნიკორწმინდის ეკლესია საპისკოპოსოს ცენტრი იყო. აღმოსაელეთ საქართეელოში ირანის აგრესიის დროს (XVII ს.) აქ ერთხანს თაეს აფარებდა მეფე თეიმურაზ I. ნიკორწმინდის ეპარქია ამეამადაც მოქმედია და აერთიანებს ამბროლაურისა და ონის რაიონებს.

ნიკოფსი // ნიკოფსია – ისტორიული ციხე-ქალაქი შავი ზღეის პირას, ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასაელეთით 47 კმ-ზე (ამეამად

— რუსეთში, კრასნოდარის მხარეში). ნანგრევები შემორჩენილია დაახლ. 30 მ. სიმაღლის კლდეზე. პირველად მოხსენებულია V ს. ანონიმ ავტორთან. მემატიანე ფლავიუს არიანეს (II ს.) ცნობით, აქ უფრო ადრეც ყოფილა ქალაქი ძვ. ლაზიკეს სახელწოდებით. VII-VIII სს-ში ნიკოფსიაში საეპისკოპოსო კათედრალი იყო. XVI ს-დან თანდათან გამოეთიშა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ველს გაელენას. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში იგი უკვე ნაქალაქარია. „ჟამთა მთაწმიდელის ცხორების“ მიხედვით, ნიკოფსიაში არის დაკრძალული წმ. მოციქული სიმეონ კანანელი (იხ. ძეგლები, II, 154-174).

ნიკრაი (ნიკრაჲ) — XII ან XIII სს. ქართველი კალიგრაფი. გადაუწერია იოანე სინელის „კლემაქსი“, რომელიც XI ს-ში ბერძნულიდან თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა. ხელნაწერი (H 1669) ნუსხურია, წერს ყავისფერი მელნით, ორ სვეტად, ნაწერია ნაჩქარევი ხელით, ძნელი საკითხაია. საზედაო ასოები ორნამენტებითაა შემკული, კიდურები წვეტიანი აქვს, ზოგ ასოს ფოთოლი ეძმის, ზოგან ადამიანის სახეა ჩართული, ისინი ხშირად ტექსტშიც იჭრებიან. მისი ნაწერი მოწმობს, რომ იგი დიდი ფანტაზიის პატრონი უნდა ყოფილიყო. ასოები ფართოა და ზედ უამრავი სქოლიოა გამოტანილი. ყველა მთგანი წერილადაა ნაწერი ისე, რომ ტექსტი რაღაც ფიგურებს ქმნის თავისი განლაგებით. ზოგან განლაგება მარტივია, საფეხურებიანი. მაგრამ ერთგან (ფ. 181) ასიაზე მელნით ადამიანის ფიგურის მთელი კონტურია შემოხაზული და სქოლიოს ტექსტი ამ კონტურს ავსებს. ამ კაცს სახე დახატული აქვს და გვერდით აწერია: „მამაჲ ჯერასიმე“. ნიკრაის ფანტაზიისათვის დამახასიათებელია, რომ ჯერასიმე ცალი ხელით ყაყარკენს ეჯრდნობა, მეორეში კი უჭირავს პატარა საზედაო ასო, რომლითაც ამ გვერდის ტექსტი იწყება. რამდენიმე ადგილას სქოლიოს ტექსტი ჯვარისებრ ფიგურებს ქმნის, გეხვდება არწივისა და მაძლის მოხაზულობაში ჩაწერილი სქოლიონები, ერთგან კი — თხისთავიანი კაცის კონტურში (ამ ფანტასტიკურ კაცს აწერია: „კაცკაცი“). ყველა ეს ნახატი მხოლოდ კალმითაა შესრულებული. ნიკრაი კარგი კალიგრაფი კი ყოფილა, მაგრამ პროფესიონალი მხატვარი — არა. მისი ნახატები უფრო ხალხური შემოქმედების ნიმუშებია: ნიკრაის წიგნი 1919 წლამდე ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა. იქიდან ე. თაყაიშვილმა ჩამოიტანა.

ნილოსი — ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე XV ს. მიწურულში. ქართლის მეფის, კონსტანტინე II-ის კარის მოძღვარი. დაახლ. 1492 წ. მეფემ პოლიტიკური მიზნით ეგვიპტის სულთანთან გაგზავნა, შემდეგ, დაახლ. 1493-95 წწ. — დასაელეთ ევროპაში.

ნიმფოდორა (ნუმფოდორა) — მოწამე ქალწული. ეწამა ქრისტიანობისათვის თავის დებთან — მინოდორასა და მიტროდორასთან ერთად (დაახლ. 305-311 წწ.) წმ. დები წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ ბითვინიდან იყვნენ. გადაწყვეტილი ქონდათ ქალწულებრივი ცხოვრება, მთლიანად მოშორდნენ ამქვეყნიურ ამაოებას და ერთ უკაცრიელ ადგილას განმარტოდნენ უდაბნოში. როდესაც ბითვინიის მმართველმა, წარმართმა ფრონტონემ გაიგო მათი მოღვაწეობის ამბავი, ბრძანა მათი შეპყრობა და წამება. მძიმე წამების შემდეგ ჯერ მინოდორა და მიტროდორა აღესრულნენ, შემდეგ კი — უმცროსი და ნიმფოდორა. ხსენების დღე — 10 სექტემბერი, მათი მეტაფრასული „წამების“ ქართული თარგმანი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 20, 151-155). არსებობს ამ „წამების“ მეორე თარგმანიც: ჭუთ. 4, 120-127.

ნინეველთა მარხვა — ასე ეწოდებოდა მეზეკრისა და ფარისეველის ცრიარკის შემდგომ სამი დღის (ორშაბათის, სამშაბათისა და ოთხშაბათის) მარხვას სირიულ-ნესტორიანულ, კოპტურ, ეთიოპურ და სომხურ კალენდრებში (სომხურად მეორენაირად არაჯორს // ალაჯორს უწოდებენ, რაც „წინამორბედს“, „წინამავალს“ ნიშნავს). ეს მარხვა უძველეს დროში ჩვენშიც ყოფილა მიღებული. სომეხ-ქართველთა რელიგიური გათიშეის შემდეგ მას ქართველები „არაჯორს“ ალარ უწოდებდნენ, არამედ აღმოსაელეთის სხვა ქეეყნებში მიღებულ სახელს — „ნინეველთა მარხვას“. ამ ფაქტს აღნიშნავს VIII ს-ში გადმოთარგმნილი „იერუსალიმური განჩინება“.

ნინევია (ასურ. ნინუა, ნინუაჲ, ნინა) — ასურეთის უძველესი ქალაქი. მდებარეობდა მდ. ტიგროსის მარცხ. ნაპირზე, თანამედროვე კუიუნჯიკისა და თელ-ნებიიუნუსის ბორცვზე (ერაყი). ბიბლიის თანახმად, ნინევია დაარსა ასურამა (დაბ. 10,11). არქეოლოგიური მონაცემებით, ნინევიის ადგილას პირველი დასახლება გაჩნდა ძვ. წ. V ათასწლეულის შუა ხანებში, ქალაქად კი გადაიქცა ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში. აქ ძვ. წ. XVIII ს-ში ღეთაება იშთარის ტაძარი ააგო შამშიადად I-მა. ძვ. წ. VIII ს-ში, მეფე სინახერიბის დროს, ნინევია გადაიქცა ასურეთის სამეფოს დედაქალაქად. განახლდა იშთარის

ტაძარი და ახლად აიგო ღვთაება ნაბუს ტაძარი. მეფე ამურბანიფალის დროს (ძვ. წ. VII ს.) ნინეველში შეიქმნა იმ დროისათვის უდიდესი და უნიკალური ბიბლიოთეკა. ძვ. წ. 612 წელს ბაბილონის და მიდიის გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო და დაანგრია ნინეველი. ამის შემდეგ იგი მცირე დასახლებად გადაიქცა. ბიბლიის თანახმად, ნინეველში საღვთო მისიით იყო მიელინებული იონა წინასწარმეტყველი (იონა 1,2). ნინეველებმა იონას ქადაგების პასუხად ცოდვები მოინანიეს და ღმერთმაც შეუნდო (იქვე 3,5-10).

ნინო ბანმანათლებელი – მოციქულთასწორი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IV ს. 30-იანი წწ.), წარმოშობით კაპადოკიელი. გადმოცემით, ნინოს მამა ზაბულონი იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისათვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის და, სუსანა. ბოლოს მონაზვნად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა საშრუნველოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენეს და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, საღოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისაგან („ნასხლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი. ნინოს ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მას მეტსახელად „ტკბესაც“ ეძახდნენ, როგორც უცხოელ, უთვისტომო ადამიანს. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გაჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ – მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ ნინოს რჩევით მეფემ მოციქულები გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა განუგრძია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთაების, სამღვდელოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთში (ფოხენში) ასულა და წილკნელები, ჭართალელები, ფხოველები და ერწო-თიანელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას აქად გამხდარა და სოფ. ბოდბე (ახლანდელი ბოდბე) გარდაცვლილა (ძეგლები, I,161) და იქვე დაუსაფლავებიათ. ნინოს, როგორც წმინდანის, ხსენების დღედ ეკლესიამ დაწესა მისი მიცვალების დღე – 14 იანვარი. წმიდა ნინოს ხსენება თავდაპირველად დაწესებული ყოფილა „მესამესა ზატიკსა, დღესა მასათსა“ (იოანე-ზოსიმეს კალენდარი). უძველეს ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (IV-V სს.) ნინო იხსენიება, როგორც „ტკბილი ქალი“, სომხურში – „ნუნე“, არაბულ-კოპტურში – „თეოგნოსტა“.

„ნინოს ცხოვრება“ – პაგიოგრაფიული თხზულება ნინო განმანათლებლის მიერ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. წერილმე მოღწეულია 5 რედაქცია. ყველაზე ადრინდელია მატბერნელ-ჭელიშური (IX ს.), რომელშიც თხრობა არათანმიმდევრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. ცალკეული თავების ავტორებად გამოცხადებული არიან თვით ნინო, რომლის ნაამბობი სალომე უჯარმელს ჩაუწერია, ანაითარ მღვდლის ასული სიდონია, ანაითარ მღვდელი, იაკობ მღვდელი და მირიან მეფე. ზედწარწერების მიხედვით, თხზულება IV ს. I ნახევარში დაუწერიათ (ნაწილი ნინოს სიცოცხლეში, 337 წლამდე, ნაწილიც – მისი გარდაცვალების შემდეგ). ტექსტზე დაკვირვება კი საშუალებას იძლევა, რომ მატბერნელ-ჭელიშური რედაქცია ძველი წყაროების ლიტერატურულ გადამუშავებად მივიჩნიოთ (გამოც.: ძეგლები I, გვ. 99-16. მატბერნის კრებ., 1979, გვ. 320-355).

მეორე რედაქცია ეკუთვნის ლეონტი მროველს, რომლის ისტორიულ ნაშრომში – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაჲთა“ – მირიან მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ნინო განმანათლებლის ამბავიც არის გადმოცემული. ლეონტი მროველის რედაქცია მატბერნელ-ჭელიშურის თავისებური გადაკეთებაა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 72-129), ორიე რედაქციის ნაკლი (ქრონოლოგიური თანმიმდევრობის, მწყობრი კომპოზიციის უქონლობა) გათვალისწინა ახალი, III – მეტაფრასული რედაქციის ავტორმა (XII ს. დასწყისი), როგორც ეარაუდობენ – არსენ იყალთოელმა, და შექმნა ძნიშნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება, რომელიც შეიცავს საინტერესო და ზოგჯერ უნიკალურ ცნობებს ქართლის მოქცევაისა და განმანათლებელთა ვინაობაზე (ძეგლები III, გვ. 7-51).

IV რედაქცია არსენ იყალთოელის თხზულების შემოკლებული და გამარტივებული ვარიანტია, ეკუთვნის დაახლ. XIII ს. უცნობ რედაქტორ-გადამწერს (ძეგლები, III, გვ. 52-43). ნი-

კოლოს გულაბერიძის ორიგინალური თხზულებაც „საკითხავი სუეტისა ცხოველისა“ „ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთ რედაქციად (V) ითვლება, რადგან მასშიც აღწერილია ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობა. აქ პირველად არის განხილული საკითხი, თუ რატომ მოაკლინა ღმერთმა ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოში ქალი განმანათლებელი. კ. კეკელიძის ვარაუდით, ავტორმა თამარის ტახტისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად დაწერა ეს თხზულება (საქ. სამოთხე, გვ. 119-155). ქართულ მწერლობაში ძეგლის 5 რედაქციის არსებობა მოწმობს, რომ ქართველებს ძველთაგანვე აინტერესებდათ ქართლის მოქცევის ისტორია. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა X-XII სს-ში, როდესაც ქართველმა მოღვაწეებმა ხელი მოჰკიდეს ჩვენი ისტორიული წარსულის შესწავლას და იმის გამო, თუ რა ადგილი ეჭირა ქართველ ხალხს მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიაში.

ნინო ამილახვარი – ქართველი კალიგრაფი, H 66 ხელნაწერის გადამწერი.

ნინო ზედგენიძე – ქართველი კალიგრაფი, ხელნ. S 161 და H 831 გადამწერი.

ნინოწმინდა – სოფელი საგარეჯოს რაიონში, საგარეჯოდან 2 კმ. აქ შემორჩენილია გალავანშემოვლებული სამონასტრო კომპლექსი: ტაძარი, აგურის ოთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.), მიტროპოლიტ საბა ტუსიშვილის ორსართულიანი სასახლე (1774-77 წწ.) და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. ნინოწმინდის ტაძარი VI ს. ძეგლია. იგი გეგმის მიხედვით ტეტრაკონქს წარმოადგენს; დაგერგეზებული ყოფილა გუმბათით. ცენტრალური კვადრატის კუთხეებში ოთხ ბჰნიდის შორის დიაგონალურ ღერძებზე თითო დამატებით მცირე სადგომია ჩასმული. გარედან ტაძარი გეგმით ჯვარცელაისებრი ნაგებობა იყო, სიდიდის მიხედვით მონაცვლეობით განლაგებული ნახევარწრიული მოხაზულობის შვერილი აბსიდები. მხოლოდ საკურთხევლის აბსიდს შუა ნაწილში, სადაც სარკმლებია გაჭრილი, აქვს წახნაგოანი ფორმა. ნინოწმინდის კათედრალი მრავალჯერ შეუკეთებიათ სა-ფუძვლიანად, პირველი გადაკეთება IX-X სს. მიეკუთვნება, შემდეგი – XIII-XIV სს. ამას მოსდევს შეკეთება XVI ს. II ნახევარში, ლეკან კახთა მეფის (1520-1574) მიერ. 1671 წელს ეკლესია განუახლებია ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს, ნინოწმინდელ მღვდელმთავარს. 1750 წ. ნინოწმინდის ტაძრისათვის გუმბათი დაუდგამს საბა ტუსიშვილს – ნინოწმინდელ ეპისკოპოსს, რითაც ძალზე დაუმძიმებია იგი. როცა თაემთწონე ეპისკოპოსმა თავისი ნამუშევარი მეფე ერეკლე II-ს უჩვენა, ერეკლემ უთხრა: ტაძარი მართლა დაგიმშვენებია, მაგრამ მოგიცილაც კი; სასალნე დიდი დაგიდგამს და ფეხები გამოგიცლია; ასე რომ, ეკლესია კი არ აგიშენებია, დაგინგრეიაო. ერეკლეს დაკვირვება მართებული აღმოჩნდა. 1824 წლის მიწისძვრის დროს ათასწლოვანმა კედლებმა დიდი ტკივილი ეყარა შემმაგრეს და თაღი და გუმბათი ჩამოიქცა. 1848 წელს სხვა კედლებიც დაინგრა. გადარჩა მხოლოდ საკურთხევლის კონქი.

ნინოწმინდის სამრეკლო სიდიდით ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში. იგი XVI-XVII სს. აგურის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ქვემო სამ სართულში თითო კამაროვანი ოთახია ისარული სარკმლებით, ნიშებითა და ბუხრებით. მეოთხე სართული საკურთხე სამრეკლოა – რვაბოძიანი თაღებით გახსნილი ფანჩატურით. ფასადები დამუშავებულია აგურის წყობით გამოყვანილი და სიმეტრიულად განლაგებული ისრული თაღებით, რომბებით, ჯვრებით.

ნინოწმინდაში საპისკოპოსო კათედრა დააარსა ვახტანგ გორგასალმა V ს. უკანასკნელ მეოთხედში. ნინოწმინდელის სამწყსო დროდადრო იზრდებოდა და მცირდებოდა. 1757 წ. მას მიემატა ნაწილი ჭერემის ეპარქიისა. 1758 წელს – ჭერემის ეკლესიაც. ნინოწმინდელი სანდახან გარეჯის მრავალმთის ზოგიერთ სავანესაც გაანაგებდა. ნინოწმინდის კათედრალს სამეფო ხელისუფლება დიდად ეხმარებოდა. კახთა მეფეების – ლეკანის (1520-1574), ალექსანდრეს (1574-1605) და დავით I-ის (1602 წ.), ქართლის მეფის, როსტომის (1632-1658), აგრეთვე მეფე-პოეტის, არჩილისა და სხვათა შეწირულობით ნინოწმინდა ძალიან დაწინაურდა. 1733 წ. ნინოწმინდის კათედრალს თეიმურაზ II-მ შესწირა ვენახი, 1767 წელს ერეკლე II-მ მიაბარა დოდორქისა და ბერთუბნის მამულები. ნინოწმინდელი მღვდელმთავარი XIX ს. დამდეგსაც ძლიერი იყო, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან ერთად, 1811 წელს გაუქმდა ნინოწმინდის ეპარქიაც.

მონასტერში მდიდარი წიგნთსაცავი ყოფილა, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები. ნინოწმინდელ მწიგნობართაგან ადრეულ ხანაში ცნობილია არსენი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, რომელიც შემდგომში ათონზე მოღვაწეობდა და ეფთვიმე მთაწმიდელის მრჩეველი

გახდა. XVIII ს. მოღვაწეთაგან კი ცნობილია სამი ნინოწმინდელი მღვდელმთავარი: მიტროფანე, იოანე და საბა (ტუსიშვილი).

ნინოწმინდის სახარება – ინახებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში (H 3262). ამჟამად დაკარგულია.

ნინუა გულნარა (1938-1996) – ფილოლოგი, ენათმეცნიერი და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მისი შრომები ძირითადად კანონიკური, ასკეტიკურ, პომილეტიკურ და ჰაგიოგრაფიული მწერლობათა საკითხების შესწავლას ეხება. მან შეისწავლა და გამოსცა მაკარი შეგვიატელის სახელით წარწერილი ასკეტიკურ ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი („ფსეფდომაკარის თხზულებათა ქართული თარგმანი", თბ., 1982); გამოსაცემად მოამზადა და გამოკლეპა დაურთო ახორციელებული ჰაგიოგრაფიულ თხზულებას – „მაგრატ ტარონელის ცხოვრება" (ამჟამად გამოცემის პროცესშია). მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა „ათონის მრავალთაეის" ტექსტი და გამოკლევა. (დაიბეჭდა ნაწილი) გ. ნინუა ერთ-ერთი მონაწილეა „დიდი სჯულისკანონის" ტექსტის გამოცემისა (1975 წ.). მას დაბეჭდილი აქვს სტატიები ძველი და ახალი ქართული ენის საკითხებზე.

ნირანა (სანსკრ. „ჩაფერფლეა", „ჩაქრობა") – ბუდისტური რელიგიის (აგრეთვე ჯაინიზმის) ფილოსოფიური მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ადამიანის სულიერი მისწრაფებების უზენაესი ზღვარი, ჭეშმარიტი გზა სრულყოფისაკენ. ბუდისტური რწმენის თანახმად, ნირვანა არის შეუცნობელი და აუხსნელი ფანომენი; ესაა მარადისობა, ხსნა, უკვდავება, სიშვიდე, ცოდვებითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებისაგან განრიდება. ბუდისტები განასხვავებენ ნირვანის ორ სახეს: არასრულსა და აბსოლუტურს. არასრული ნირვანის მიღწევა მორწმუნეს შეუძლია სიცოცხლეშივე, განწმენდის მეოთხე საფეხურზე. აბსოლუტური ნირვანა კი მიიღწევა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ. მას მაღწევს წმინდანი, რომელიც თავის თავში განაეთიერებს 5 სიკეთეს (რწმენა, მხნეობა, ყურადღება, დაკვირვება და სიბრძნე), მოიპოვებს სრულ სიმშვიდეს, განთავისუფლდება ყოველგვარი ეგოისტური სურვილებისა და ენებებისაგან.

ნისთერეონი – გოლგოთის მონასტრის IX ს. ქართველი მოღვაწე, მწიგნობარი. მას შეუმოსავს 1049 წ. იოანე გოლგოთელის ბრძანებით გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი (სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის № 123). ანდერძში იგი იხსენიებს ეიმე პაულს: „პაულესაჲსა ლოცაა ჟამთ, დიად ამაშენა დანაამა ღესჲითა".

ნისიმე – მონაზვნობის სახელი „დიოფალ-დიოფალის" ეანენისა; იგი იყო დიდგვაროვანი ოჯახიდან; აბუსერიძის ასული, ბიცოს ძის, ჩუხჩარახის მეუღლე. სახელი გაითქვა ღვთისმსახურებითა და ქველმოქმედებით. მოხსენებულია აბუსერიძე ტბელის ანდერძში (იხ. აბუსერიძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1941 წ., გვ. 68). სადაც ნათქვამია, რომ ეანენს XIII ს. აუშენებია ეკლესია იოანე მახარებელისა და ჯეროვნად შეუმკია იგი. მოხსენებულია აგრეთვე H 1673 ხელნაწერის ანდერძში, როგორც „დიოფალ-დიოფალი" და „პატრონი". ფიქრობენ, რომ ნისიმე იყო ამ ხელნაწერის მომგებელი და რედაქტორიც (იხ. ქრ. შარაშიძე, სამხრ. საქ. ისტ. მას., XIII-XV სს. 1982წ.).

ნიქოზის საეპისკოპოსო – ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო, დაარსებია ეახტანგ გორგასალს (V ს.) წარმართული სალოცავის ადგილზე, სადაც დაკრძალული იყო სპარსელებისაგან წამებული რაჟდენი. ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა ლაბახის ზემო წელი, დეალეთი და მთიანი რაჭა (გლოლაღები). მისი კათედრალი (ღვთაების ეკლესია) მდებარეობდა „დეალეთის გზაზე". ნიქოზის საეპისკოპოსოს მისია იყო ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში. ნიქოზში ეახტანგ გორგასლის დროინდელი ეკლესია და სხვა ნაგებობანი არ შემონახულა. მოღწეულია შემდეგ საუკუნეებში გადაკეთებული ღვთაების ეკლესია.

ნიშანთ მაჩქენებელი – წინასწარმჭვრეტი, მკითხაე. ეკლესიაში შეწყნარების შემდეგ, „დიდი სჯულისკანონის" მიხედვით, საჭირო იყო მათი დროდადრო შემოწმება, რადგან ასეთი გრძნეულება ძნელი მოსაცილებელიაო (განწესებანი პაულე მოციქულისა, 8).

ნიში – I. სასწაული, ნიშანი (მათე 12, 39), 2. კედელში გაკეთებული მცირე თახჩა. 3. მცირე ზომის სალოცაო სეტი, ჯვარი და მისთანანი, რომლებიც იდგმებოდა ძნელად მისაეალ ადგილებში აგებული ეკლესიების გზაზე – მორწმუნეთა გასამხნევებლად და გზის მანიშნებლად. ასეთ სალოცაე სეტებში ზშირადაა გაკეთებული მცირე ზომის თახჩა – ხატის დასასვენებლად და სანთლის ასანთებად.

ნიჩბისი — სოფელი მცხეთის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ნიჩბურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. მცხეთიდან 23 კმ. აქ შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია: 1. წმინდა ნიკოლოზისა — შუა ნიჩბისის განაპირას, სასაფლაოზე. აგებულია 1670-1675 წწ. ზაზა და ზაალ ციციშვილების მიერ, კათოლიკოს დომენტის რჩევით. 2. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია „უშზეური" — ზემო ნიჩბისის მიდამოებში, ტყეში. 3. წმ. გიორგის ეკლესია „თეთრისანი" და სხვ.

ნოე — ბიბლიური პატრიარქი, ადამის მეათე შთამომავალი, მეათე და უკანასკნელი წარღვნამდელ პატრიარქთაგან, ლამექის შვილი, სემის, ქამისა და იაფეთის მამა, კაცი მართალი და უცოდველი, კაცთა მოდგმის მხსნელი, მსოფლიო წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი. რადგანაც ადამიანები ღვთის რწმენას გადაუდგნენ, ღმერთმა დასასჯელად საშინელი წარღვნა მოუვლინა კაცობრიობას. ღვთის შთაგონებით ნოეს აუგია კიდობანი, რომელშიც ცოლი, შვილები (სემი, ქამი, იაფეტი) და ყველა ცოცხალის თითო წყვილი ჩაუსვამს (იხ. მსოფლიო წარღვნა). წარღვნის შემდეგ ნოემ ღვთისაგან მიიღო მცნებები, რომლებიც შეიცავენ საზოგადოების მართებულად ცხოვრების საკითხებს. ებრაელები ითელიან ნოეს 7 მცნებას. ეს მცნებები კრძალავენ კაცისკვლას, გარყვნილებასა და სხვა უსჯულოებას. ამიერიდან ნოემ განაგრძო ჩვეულებრივი ცხოვრება, მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ნოეს მიეწერება ვენახის გაშენება და ღვინის დაყენება. იგი, ბიბლიის მოწმობით, 950 წლისა აღესრულა. მისი სხეული ჯაფისაგან წარმოიშვა ადამიანთა მოდგმის სამი უდიდესი ჯგუფი: სემიტები, ქამიტები და იაფეთიტები (არიული რასა). ნოეს ისტორია მოთხრობილია „დაბადებაში", თავი 6-9.

ნოეს კიდობანი — ასე ეწოდა ნოეს ხომალდს მისი დიდი ზომების მიუხედავად, რადგანაც აგებულებით მარტივი იყო. მასში იმყოფებოდა ნოე თავის ოჯახთან ერთად, აგრეთვე ყველგვარი ცხოველი და ფრინველი, მათი საკვების ერთწლიან მარაგთან ერთად. აგებული იყო კუპაროსისა და კედრისაგან ისე მკვიდრად, რომ პარი და სინათლე მასში ერთადერთი სარკმლიდან შეიძლებოდა შესულიყო (ზომები: 300 X 50 X 30 წყრთა; დაბ. 6,14-22). ნოეს კიდობანს სიმბოლურად განმარტავენ, როგორც ეკლის ძელის წინასახეს. ნოეს კიდობნის მსგავსად, ახალი ადამის კაცობრიობაც საკუთარ ცხოვნებას მოიპოვებს ნათლისღების წყალში განბანის შემდეგ. ქრისტიანულმა ხელოვნებამ ეკლესიით სიმბოლურად გამოხატა კიდობანი — ხომალდი (ბერძნ. „ნავი" — ბაზილიკის ბერძნული სახელწოდება).

„ნავატიანთა მიმართ" — ამბროსი მედიოლანელის პოლემიკური თხზულება. მისი ქართული თარგმანი მოთავსებულია ხელნაწერებში: A 796, S 378 (იხ. ნაეატიანნი).

ნოვგოროდი — ქალაქი რუსეთში, ნოვგოროდის ოლქის ცენტრი, მდ. ვოლხოვის ორივე ნაპირზე. პირველად იხსენება 859 წ. ე. წ. ნოვგოროდის I მატიანეში. X ს. დასასრულიდან ნოვგოროდი კიევის რუსეთის მეორე ცენტრია, 1136-1478 წწ. — ნოვგოროდის ფეოდალური რესპუბლიკის დედაქალაქი. ნოვგოროდი იყო რუსული კულტურის უდიდესი ცენტრი. XII ს-დან იგი მდინარის ორსაუკე ნაპირზე განაშენიანებული დიდი ქალაქია. მარცხენა ნაპირზეა სოფიის ტაძარი (1045-50 წწ.) კრემლითურთ (1044 წ., ქვის კედლები — 1302-1420 წწ.), ღვთისმშობლის შობის ტაძარი (XII ს.), ანტონის მონასტერი (XII ს.), პეტრე-პაველს და მაცხოვრის ეკლესიები (ორივე XII ს. II ნახ.) და სხვ.

ნოვოლეიჩიის მონასტერი — დედათა მონასტერი მოსკოვში. დაარსა დიდმა მთავარმა ვასილი III-მ სმოლენსკის აღების აღსანიშნავად, 1524 წელს. ნოვოდევიჩის მონასტრის ტერიტორია შემოზღუდულია აგურის გალაქით (XVII ს. დასასრ.). მონასტრის თანადროულია სმოლენსკის ტაძარი (1524-1525 წწ.; მოხატულობა XVI და XVII სს.). სამონასტრო ნაგებობათაგან აღსანიშნაია: სატრაპეზო (1685-87 წწ.); სამრეკლო (1689-90 წწ.), ჭიშკარზე დაშენებული ფერისცვალებისა და ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიები (1683-88 წწ.). ნოვოდევიჩის მონასტერში იყო სამონასტრო ბიბლიოთეკა (XVI-XIX სს.).

ნოემოკანონი — ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შედგენილი საეკლესიო სამართლის კრებული. ნომოკანონი შეიცავს როგორც საეკლესიო, ისე ბიზანტიის იმპერატორთა (ძირითადად იუსტინიანე I-ის) მიერ შედგენილი სამოქალაქო კანონმდებლობის წიგნიდან გამოკრებილ იმ კანონებს, რომლებიც საეკლესიო იურისპრუდენციის საკითხებს ეხება. უცნობი რედაქტორის მიერ შედგენილი პირველი ნომოკანონი (VI ს. II ნახ.) იოანე სქოლასტიკოსის საეკლესიო სამართლის ორი კრებულის გაერთიანებას წარმოადგენდა. მასთან შე-

დარებით უფრო სრულყოფილი იყო VII ს. II ნახევრის ნომოკანონი, რომლის საბოლოო რედაქცია, შეესებული VII-IX სს. საეკლესიო კრებათა კანონებით და საეკლესიო მოღვაწეთა კანონიკური ეპისტოლეებით, ჩამოყალიბდა 883 წ. ეს საბოლოო რედაქცია დაკავშირებულია პატრიარქ ფოტი კონსტანტინოპოლის († 891) სახელთან. კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებამ ნომოკანონის ეს რედაქცია მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ კოდექსად აღიარა. მისი თარგმანია არსენ იყალთოელის „დიდი სჯულისკანონი" (იხ. სჯულისკანონი). პირველი კრებულების ჩამოყალიბების შემდეგ ნომკანონს ხშირად უწოდებენ საეკლესიო სამართლის ისეთ კრებულებსაც, რომლებშიც სამოქალაქო კანონმდებლობიდან არაფერი იყო შეტანილი.

ნორიო – სოფელი გარდაბნის რაიონში, იალნოს ქედის სამხრ. მთისწინეთში, გარდაბნიდან 50 კმ. სოფელში დგას XVII ს. ეკლესია, სოფლის მიდამოებში კი მდებარეობს ღვთაების სამონასტრო კომპლექსი. მონასტერი VI ს-ში დაუარსებია ანტონ მარტყოფელს.

ნოსტე – სოფელი კასპის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, კასპიდან 21 კმ. სოფლის სამხრეთ-დასაელეთით, ხეეგალმა გორაკზე, აღმართულია ორი დარბაზული ეკლესია: სამებისა (XVI-XVII სს.) და ღვთისმშობლისა (XVII-XVIII სს.).

ნოძალაძევი – ისტორიული ციხე-ქალაქი დს. საქართველოში. მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას (ახლანდელი სოფ. ნაქალაქევი, სენაკის რაიონი). ისტორიული წყაროების თანახმად, ადგილმდებარეობისა და სვანეთის ერისთავის ქუჯის (ძე. წ. III ს. დასაწყისში). ქალაქის თავდაპირველი სახელწოდება იყო ციხეგოჯი. უფრო გვიან კი მოხსენებულია ბერძნული სახელწოდებით – არქეოპოლისი („ძველი ქალაქი"). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ეგრისის მეფეთა IV ს. სასახლის, V ს. სამნავიანი ბაზილიკის, VI ს. მცირე ბაზილიკის ნანგრევები. ყველა შენობა ნაგები იყო თლილი, ან მცირედ დამუშავებული ქვით. ციტადელის ეზოში ფეოდალური ხანის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დგას.

ნოლა – სოფელი მარტვილის რაიონში, ოდიშის ვაკეზე, მარტვილიდან 28 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია, გადაკეთებული XIX ს-ში.

ნოჯიხევი – სოფელი ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის ნაპირას, ხობიდან 3,5 კმ. სოფელში დგას XII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ხობის მონასტერი.

ნუგეშინისმცემელი – ასე მოიხსენიება საღვთო წერილში სულიწმიდა, წმ. სამების მესამე პირი (იოანე 14, 16, 25; 15, 26; 16, 4-15). ამავე ეპითეტითაა იგი მოხსენიებული სხვადასხვა ლოცვებსა და საგალობლებში.

ნუნე – ამ სახელით მოიხსენიებს წმ. ნინოს სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი. მისი გადმოცემით, რომელიც, თავის მხრივ, რუფინუსისა და აგათანგელოსის თქმულებათა სინთეზს წარმოადგენს, ქართველები მოუქცევია რიფსიმეს მეგობარ ნუნეს, რომელიც თითქოსდა მონქებედად გრიგოლ განმანათლებლის ხელმძღვანელობით და დრექტივით. თქმულება სომეხთა მისიონერების საშუალებით ქართლის გაქრისტიანების შესახებ ისეთი პოპულარული ყოფილა, რომ მას ქართველებიც დიდხანს იზიარებდნენ, მაშინაც კი, როდესაც მათ შორის ეკლესიური განსჯეთილება დაიწყო (მაგ., კირიონ კათოლიკოსი ხაზს უსვამს თავის მიწერ-მოწერაში სომხებთან, რომ ქართველებსა და სომხებს გრიგოლ განმანათლებელმა მოგვცა ჭეშმარიტი სარწმუნოება) და განხეთქილება-განყოფის შემდეგაც, თითქმის IX ს-ის მიწურულამდე.

ნუნისი – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ზვარულის (ზჭრიმელის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, ხარაგაულიდან 25 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ნუსხური – ქართული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა, პირველად სინის მრავალთავში (Sin. 32-57-33, 864 წ.) გვხვდება (გადაწერის ანდერძი) და XIX ს. ბოლომდე გაბატონებული ყოფილა. XI ს-დან ნუსხურმა სავსებით განდევნა ხელნაწერ ტექსტებში ასომთავრული. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ნუსხურს, ისევე როგორც ასომთავრულს, ხუცური ჰქვია.

ნუსხური უშუალოდ ასომთავრულის გრაფიკის განვითარების შედეგია, მაგრამ მოხაზულობებს თავისი დამახასიათებელი გრაფიკული სტილი აქვს: ასოები ოთხ-ხაზოვან სისტემაშია განაწილებული და გეერდზეა გადახრილი.

ნუსხური კალიგრაფიის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული (X ს.), გელათის ოთხთავი (XII ს.), უანის ოთხთავი (XII-XIII სს.) და სხვ.

ო

ობუჯი – სოფელი წალენჯიხის რაიონში, ოდიშის კაკუზე, მდ. ჭანისწყლის (ხობის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, წალენჯიხიდან 6 კმ. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მთაზე. XIII-XIV სს. ობუჯის მონასტრის ნანგრევებია. მოზრდილი კვადრებით ნაგებ ეკლესიას კარ-სარკმლები მოჩუქურთმებული აქვნია. ორსართულიანი სამრეკლოს I სართული კამარიან ჭიშკარს წარმოადგენს, II სართული კი ორიეე მხარეს ორ-ორი თაღით გახსნილი ღია ფანჩატურია. იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) ცნობებით, ობუჯის მონასტერში ოდიშის მხატერების სამარხი იყო. XVII ს. მიწურულს ობუჯში ქიაჩის მონასტრიდან (სოფ. ჯგერდის მახლობლად, ოჩამჩირის რაიონი) წმ. გიორგის ხატი გადმოასვენეს.

ობჩა – სოფელი ბაღდათის რაიონში, მდ. ხანისწყლის მარჯვ. მხარეზე. ბაღდათიდან 8 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია.

„ოდიგიტრია“ (ბერძ. „მეგზური“, „გზის გამკვალავი“) – ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უძველესი, I ს. ხატი. გადმოცემით, იგი დაუხატავს მოციქულ ლუკას და VIII ს-მდე ინახებოდა კონსტანტინოპოლში (ვლაქერნაში), სადაც მრავალი სასწაული მოუხდენია. ხატმბრძოლობის დროს იგი დამალეს კედელში, სადაც დაცული იყო თითქმის 100 წელს. ბოლოს, მისი დამალვის ადგილი სასწაულებრივად ეუწყა მორწმუნეთ და თავის ძველ სამყოფელ ადგილას იქნა დაბრუნებული. 1453 წელს, თურქებთან ომის დროს კვლავ გადამალეს (როგორც ფიქრობენ, ათონზე). ამჟამად დაცულია ქ. მელას მონასტერში, ტრაპიზონის მახლობლად (თაყვანისცემის დღე – 18 აგვისტო).

არსებობს ამავე სახელწოდების მქონე მეორე ხატიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, რომელიც დაცულია რუსეთში, სმოლენსკის მიძინების ტაძარში. ეს ხატიც წმ. ლუკა მახარებელს მიეწერება. სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატი, „ოდიგიტრია“ რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდეა. თაყვანისცემის დღე – 7 და 28 იელისი.

ოზაანი – სოფელი დედოფლისწყაროს რაიონში, გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, წითელწყაროდან 18 კმ. შემორჩენილია IX ს. ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი. გეგმით სწორკუთხა, აგურით ნაგებ შენობას აღმოსავლეთით სამი ნახევარწრიული შეერთება აბნიდი აქვს. საკურთხევლის აბსიდი ბემიანია. ბემის ორიეე მხარეს სამკეთლო და სადიაკენეა. შიგნით გუმბათი დასავლეთის ორ ბოძსა და საკურთხევლის კუთხეებს ეყრდნობა. კედლებზე შემორჩენილია XII-XIII სს. მიჯნის ფრესკების ფრაგმენტები. ამავე ხანას მიეკუთვნება საკურთხევლის იატაკზე მოგებული შორენკეცი (კაფელი) და ეკლესიის სახურავის მოჭიქული კრამიტი. აქეს სამი შესასვლელი – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ეკლესია ძუნწად არის მორთული, მხოლოდ გუმბათის ყელს ამშვენებს თაღები. XVI-XVII სს-ში ეკლესიისათვის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მიუშენებიათ სათავსები. სოფლის ტერიტორიაზეა აგრეთვე სამების ეკლესია (შუა საუკუნეები).

ოზანი – ათონის ქართველთა მონასტრის XI ს. მონაზონი, მწიგნობარი, ეფთვიმე ათონელის ლიტერატურული მოწაფეთაგანი. ათონის კრებულის გადამწერი მიქელ დაღალისონელი მის შესახებ გადმოგვცემს: „ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზან ვინმე, რომელ შეცებულ არს, წმიდისა ეფთუმეს სახარებისა თარგმანისაგან და დაეთინისა და ღმრთისმეტყველისაგან აუქოცია და ჩაურთავსო“, ე. ი. ოზანს გაურყვნია სახარების თარგმანი, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, ეფთვიმეს მიერ გადმთარგმნილი, აგრეთვე მისი დაეითნი.

ოზია (ოზი) – აბიათარ, ეგრაელთა მღვდლის მამა I ს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, მას მიმოწერა ჰქონია იერუსალიმელ მღვდელ ანასთან“ (იხ. ძეგლები, I, 127).

ოზნა მარეს ძე – ალის მონასტრის (სამცხეში) მწირველი. მოხსენებულია ამ მონასტრის XIII ს-ის H 1347 ხელნაწერის მინაწერში.

ოზურგეთი – ქალაქი დას. საქართველოში, გურიაში, მდ. ნატანებისა და მის შენაკად ბეუჟის ნაპირებზე, რაიონული ცენტრი. გეოან-

დელ ფეოდალურ ხანაში წარმოქმნილი ოზურგეთი გურიის სამეურნეო-ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კერაც იყო. გურიელების სასახლეში ამრავლებდნენ ხელნაწერებს, აღბეჭდნენ ახალ ნუსხებს. აქ შექმნილ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია XVII ს. ნუსხები: დავითნი (H 75), კურთხევანი (ქუთ. 246), თუენი (A 1488).

ოთა – სოფელი ასპინძის რაიონში, ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ოთის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ასპინძიდან 7 კმ. სოფლის მიდამოებში მდებარეობს შუა საუკუნეების შორეთის სამონასტრო კომპლექსი (სამრეკლო XV-XVI სს-შია აგებული).

ოთარაანი – სოფელი საგარეჯოს რაიონში, მდ. იორის ხეობაში, საგარეჯოდან 43 კმ. სოფელში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების სამეცლესიანი ბაზილიკა. აქედან ერთ-ერთი, ჩრდილოეთის ეკლესია, სწორკუთხედითაა დასრულებული. როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად სამსხვერპლოს დანიშნულებას ასრულებდა. ბაზილიკას დას. მხარეს ყრუ გარსშემოსაღელი აქვს.

ოთხთა ეკლესია – X ს. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა, ისტორიულ ლარჯეთში, სოფ. ოთხთაძან 5კმ-ზე, მდ. ჭოროხის ხეობაში, (ახალ თურქეთის ფარგლებშია). იგი პარხლის ეკლესიასთან ერთად გვიანდელი ხანის ბაზილიკების ყველაზე ძნიშვნელოვანი ნიმუშია. „ოთანესა და ეფთუმეს ცხორების" თანახმად, აქ ერთხანს უმოღვაწია იოანე მთაწმიდელს. წერილობითი წყაროების მიხედვით, ძველთაგანვე ცნობილი მონასტრის მთავარ ტაძარს წარმადგენდა. ოთხთა ეკლესია თაეიანი ზეტყორცნილი პროპორციებით განსხვავდება ძველი ბაზილიკებისაგან (ბოლნისი, ურბნისი). ამპიდით დარსულებული შუა ნაი მკვეთრად არის გამოყოფილი გვერდითი ნაეებისაგან, სახურავის კალთები ციცაბოა, ხოლო ფასადები დამუშავებულია ვიწრო და მაღალი დეკორატიული თაღებით. ნაგებია კვადრატული აგურითა და ქვაყორით, შემოსილია მორუხო-მოყავისფრო თლილი ქვით. ე. თაყაიშვილის აზრით (ოთხთა ეკლესია მან ინახულა და გამოიკვლია 1917 წელს), ეკლესია აგებულია IX ს-ში, ხოლო მოპირკეთებულია X ს. II ნახევარში, დაეით კურაპალატის დროს. იგი ეკრნობა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წარწერას, რომელშიც მოხსენებულია დაეით კურაპალატი. სამხრეთის კედლის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებულია ერისთავთ-ერისთაეი ხურსი. ინტერიერი მოხატული იყო. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა (როგორც ფიქრობენ, სემინარია). აქვეა მცირე ზომის სამლოცველო, რომლის კედლებზეც სამარხია მოთაეებული.

ოთხთაეი – ახალი ათონის ოთხი უმთავრესი წიგნის (სახარებანი მთისა, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი) პირობითი სახელწოდება. როდესაც ოთხივე ავტორის ნაწარმოები ერთ წიგნშია მოკეცული, მაშინ თითოეული ამ ნაწარმოებთაგანი ცალკე თავად არის მიღებული და მთელ წიგნს ეწოდება „სახარება ოთხთაეი". სეცილისტთა აზრით, ეს წიგნი ყველაზე ადრე უნდა ეთარგმნათ ქართულად. ამ მოსაზრებას ადასტურებენ უძველესი პალიმფსესტები, რომლებიც უმთავრესად სახარების (ბერძნ. ევანგელე) ტექსტს შეიცავენ. შუშანიკის მარტვილობაშიც ეკითხულობთ, რომ როდესაც შუშანიკი წაიყვანეს ეარსქენ პიტიახშთან, მან „თანა წარიტანა ევანგელიო თჳსი", მაშასადამე, სახარება V ს-ში უკვე ნათარგმნი ყოფილა.

ოთხთაეის უძველესი რედაქცია მოცემულია ადიშის (897 წ.), ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ხელნაწერებში (გამოცემულია ა. შანიძის მიერ, „ქართული ოთხთაეის ორი ძველი რედაქცია სამი მატბერლული ხელნაწერის მიხედვით", თბ., 1945 წ.). ბოლო ორი რედაქცია ეკუთვნის ეფთიმე და გიორგი მთაწმიდელებს. პირველი მათგანი შემონახულია ურბნისისა (X ს. მიწურული) და პალესტინურ (1048 წ.) ხელნაწერებში, მეორე – ვანის (XII-XIII სს.), ეშმაძინისა (XII-XIII სს.) და გელათისაში (XII ს. ბოლო). გამოცემულია ივ. იმნაიშვილის მიერ (ქართული ოთხთაეის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979 წ.;) ბოლო ხანებში მკვლევრებს აზრი, რომ ეფთიმეს რედაქციად მიჩნეული სახარება წინათხრობისა. სხვა უძველეს ხელნაწერთა რიცხვს მიეკუთვნებიან შემდეგი ოთხთაეები: ოპიზისა (913 წ.), ტბეთისა (995 წ.), ქსნისა (X ს.), მესტიისა (1033 წ.), ალავერდისა (1054 წ.), ბერთისა (X ს.) და სხვ.

ოიკუმენიზმი // ეკუმენიზმი – მოძრაობა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის. ჩასახა XX ს. პროტესტანტიზმში. ოიკუმენური მოძრაობის სათაეე დაედო მისიონერთა მსოფლიო კონფერენციამ 1910 წ. ედინბურგში (კონფერენციაზე შექმნილი კომიტეტი 1921 წ. გარდაქმნა მისიონერთა საერთაშორისო საბჭოდ). 20-იან წლებში შეიქმნა ორგანიზა-

ციები „რწმენა და წყობა“ და „ცხოვრება და მოღაწეობა“. პირველმა მიზნად დაისახა დოგმატური და კანონიკური უთანხმოებების დაძლევა ქრისტიანობაში (ლოზანისა და ედინბურგის კონფერენციები, შესაბამისად 1927 და 1937 წწ.), მეორემ – თანამედროვეობასთან ქრისტიანობის დაკავშირება (სტოკჰოლმისა და ოქსფორდის კონფერენციები – 1925 და 1937 წწ.). თანამედროვე ოიკუმენური მოძრაობა ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა ეკლესიების მსოფლიო ასამბლეაზე ამსტერდამში 1948 წელს, აქვე შეიქმნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს), რომლის რეზიდენციაც ჟენევაშია. ემს-ის ოფიციალური ორგანოა „ეკუმენიკალ-რევიუ“. ემს აერთიანებს 100 ქვეყნის 293 ეკლესიას (1974 წ.). 1961 წ. მასში შევიდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ხოლო 1962 წელს – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, სომხეთის გრიგორიანული ეკლესია და სხვ. (საქართველოს ეკლესია 1996 წ. გამოვიდა ემსდან). 1961 წ. ემს და მისიონერთა საერთაშორისო საბჭო გაერთიანდნენ. ვატიკანის II კრებამ 1964 წ. „ეკუმენიზმის შესახებ“ სპეციალური დეკრეტი გამოსცა და ქრისტიანული ერთიანობის ხელშემწყობი სამღვდო დაარსა.

ოკულტიზმი (ლათ. occultus – ფარული, იდუმალი) – მისტიკური მოძღვრება, რომლის მიხედვით არსებობენ ზებუნებრივი ძალები, რომლებთანაც კონტაქტის დამყარება შესაძლებელია ფსიქიკის სათანადო წვრთნითა და სათანგებო მაგიური რიტუალის აღსრულებით. ოკულტიზმი ყოფიერების სიღრმისეული, ანუ „უმაღლესი და იდუმალი“ ცოდნის ძირითად წყაროდ მიიჩნევს იდუმალ გამოცდილებას და მისტიკურ ინტუიციას. უძველესი ალქუსანდრიული სკოლები ოკულტურ მეცნიერებებს ყოფდნენ ალქიმიად, ასტროლოგიად და კაბალად. XIX ს. II ნახევარში ოკულტიზმი აღორძინდა სპირიტიზმისა და თეოსოფიის სახით. დასავლეთში მრავლადაა ნაირნაირი ოკულტური საზოგადოებები, კოლეჯები; გამოდის წიგნები და პერიოდული გამოცემები ოკულტიზმის პრობლემებზე.

ოლგა (ნათლობის სახელი – ელენე; დაახლ. 890-969 წწ.) – კიევის მთავრის, იგორის მეუღლე, წარმოშობით ფსკოველი, იზბორსკთა თავადური ოჯახიდან, რომელიც თავის შვილ სკანდინავიური წარმოშობისა იყო. იგორმა და ოლგამ მთავრის ტახტი 912 წ. მიიღეს, ოლეგის შემდეგ. იგორი მონათლული იყო, მაგრამ მერყეობდა სარწმუნოებაში, კერძოდ, 944 წ. შედგენილ დოკუმენტში იგი თავს წარმართად აღიარა. სარწმუნოების ღალატისათვის იგი 945 წელს მოკლეს აჯანყებულმა წარმართებმა. სახელმწიფოს მართვა იკისრა მთავრის ქვრივმა, – ოლგამ, რადგან მისი ვაჟი სვიატოსლავი ამ დროისათვის სამი წლისა იყო. ხალხმა ოლგას „ბრძენი“ შეარქვა. მან მრისხანედ იძია შური იგორის მკვლელებზე; „დრევლიანების“ აჯანყება სისხლში ჩაახშო. ოლგა იბრძოდა რუსეთის ერთიანობისათვის. საგრძნობლად გააუარესა კიევის დიდი მთავრის სამფლობელო. ზრუნავდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებისათვის. ოლგას სახელთანაა დაკავშირებული რუსეთის პირველი ქრის ნაგებობანი (მანამდე მხოლოდ ხის შენობები არსებობდა). 955 (ან 957) წელს კონსტანტინეპოლს ეწვია პოლიტიკური და სულიერი მიზნებით. ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქმა ძლიერი გაელვება მოახდინა ჩრდილეთის მკაცრ ასულზე, არქიტექტურის ბრწყინვალებით და ჭერთა სიმრავლით. იგი დაესწრო ღვთისმსახურებას კონსტანტინეპოლის საუკეთესო ტაძრებში: წმ. სოფიისა, ვლაქერნის ღვთისმშობლისა და სხვა. ოლგამ გადაწყვიტა ქრისტიანული სკულის მიღება და მოინათლა კიდეც კონსტანტინოპოლის პატრიარქის, თეოფილაქტეს (933-956 წწ.) მიერ. მიძქმელად იყო თვით იმპერატორი კონსტანტინე (912-959 წწ.). ნათლობის სახელად ოლგას „ელენე“ დაარქვეს წმ. მოციქულთასწორ ელენეს პატივსაცემად. უკან დაბრუნებულმა ოლგამ რამდენიმე ტაძარი აშენა რუსეთში, მაგრამ კონსტანტინეპოლმა რუსეთს არ მისცა საეკლესიო იერარქია გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით. ოლგამ, რომელსაც სწყუროდა მთელი რუსეთის მოქცევა და მონათლა, მიმართა მეფე ოტონს, გერმანიის იმპერიის მოხსენიებულ ფუძემდებელს, რადგან არ იყო საკმარ გარკვეული მართლმადიდებლური და კათოლიკური მოძღვრების სხვადასხვაობაში. ოტომმა 960 წელს რუსეთში გაგზავნა ეპისკოპოსი ლიბუცი, რომელიც მალე გარდაიცვალა. მის ადგილას დადგენილი იქნა მეორე გერმანელი მისიონერი – ადალბერტ ტრირელი, მაგრამ კათოლიკეებს არ დასცალდათ რუსეთის კათოლიკურად მონათლვა; ოლგას ვაჟი, მთავარი სვიატოსლავი წარმართობას მიემხრო და მისი მხარდაჭერით ფრთამშვენებულმა წარმართებმა განდევნეს გერმანელი მისიონერები, სიცოცხლის ბოლო წლები ოლგამ ისევ სახელმწიფო მოღვაწეობას მიუძღვნა – მან რუსეთის მონათლა ისევ ღმერთს მიანდო, რადგან იმჯერად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

იგი სიცოცხლის ბოლო წლებამდე ბრძნულ თანაშემწეობას უწევდა საკუთარ ვაჟს სამთაურის მართვაში. 968 წ. ხელმძღვანელობდა კიევის თავდაცვას პაჭანიკებისაგან. გარდაიცვალა 969 წელს. ოლღამ ვერ მოახერხა რუსეთის გაქრისტიანება, მაგრამ რუსულმა ეკლესიამ იგი მაინც მოციქულთასწორად შერაცხა.

ოლღამა – წინასწარმეტყველი ქალი. ცხოვრობდა VII ს. პირველ ნახევარში (ქრისტეს შობამდე). მან უწინასწარმეტყველა იუდეველთა XVI მეფეს, იოსიას, ბუნიერი მეფობა და მშვიდობიანი აღსასრული (იხ. IV მეფეთა წიგნი).

ოლთისი – ძველი სახელწოდება სოფ. კუშჩისა (წალკის რაიონი). ამ სოფელში დგას VI-VII ს. ერთნავიანი ეკლესია.

ოლიმპი – უმაღლესი მთის მასივი საბერძნეთში, ეგეოსის ზღვის თერმეოსის (თესალონიკის) ყურის ნაპირთან. სიმაღლე 2911 მ-მდეა. აქეს კლდოვანი მწვერვალები. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, პომეროსისა და სხვა ძველ მწერალთა ნაწარმოებებში, ოლიმპი ღმერთების სამყოფელია. ოლიმპს ღმერთების სარეზულოსაც უწოდებდნენ, ხოლო ღმერთს – ოლიმპიელს. ოლიმპის მიხედვით უნდა მიეღო სახელწოდება ერთ-ერთ მონასტერს მცირე აზიაში – „ულუმბი", ადგილი შიდა ქართლში – ცამეტ ასურელ მამათაგანის, მიქაელ ულუმბელის მიერ დაარსებულ მონასტერს (ახლ. ხაშურის რაიონში).

ოლიმპი (ულუმბო, ულუნბო) – მთა მცირე აზიაში, ისტორიულ ბითვინიაში (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). შუა საუკუნეებში იქ გაცხოველებული სამონასტრო ცხოვრება იყო. ქართველი მოღვაწენი ოლიმპის მთაზე IX საუკუნეში მოვიდნენ და XI საუკუნემდე მრავლად იყვნენ. 864 წელს ოლიმპზე მოვიდა ილარიონ ქართველი. მან „პოვა მცირე ეკლესიაჲ ადგილსა უდაბნოსა" და იქ დაიწყო ცხოვრება. როდესაც ეს მახლობელი მონასტრის ბერძენმა მამასახლისმა გაიგო, აღშფოთდა და მრისხანებით თქვა: „ენ უწყის, ვითარმედ კეთილად ზრახენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს?" და „მსწრაფლ ბრძანა შეურაცხებით განძებაჲ მათი". ილარიონი და მისი მოწაფენი იძულებული გახდებოდნენ, ოლიმპი დაეტოვებინათ, ბერძენ მამასახლისს ღვთისმშობლის ჩვენება რომ არ ენახა, და მისი რისხვა არ დაეშასურებინა. ილარიონი დარჩა ოლიმპზე, სადაც სახელი გაითქვა და მოწესენი მიიზიდა.

ერთ იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერში (№ 24-25) გვხვდება „ხსენება წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენისა, რომელთა აღაშენეს ულუმბოჲ". მათეე იერუსალიმის პატრიარქის, სერგის (843-859) ნებართვით მირონის კურთხევა იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოუტანიათ (პ. ინგოროყვას ვარაუდით, აქ დასახელებული არსენი გრიგოლ ხანცთელის მოწაფე იყო, რომელიც ხანცთიდან ეწვია პალესტინას, სადაც მკარი ლეთეელთან ერთად მოღვაწეობდა, შემდეგ კი მცირე აზიაში გადავიდა და ოლიმპის მთაზე დასახლდა).

პირდაპირი ცნობა ოლიმპზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ქართველთა ყოფნის ფაქტია. ერთხანს ოლიმპზე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე (ეფთვიმე მთაწმიდელის მამა), რომელმაც შემდეგში ათონზე ქართველთა მონასტერი დააარსა. ოლიმპზე მოღვაწეობდა თავდაპირველად ათანასე ათონელიც (920-1000), რომელიც X ს. 60-იანი წლების დამდეგს ათონზე გადაეიდა. ოლიმპელი ქართველები ძირითადად დამკვიდრებული ყოფილან შემდეგ საუკუნეებში: ღვთისმშობლის ეკლესიაში („ქებაჲსა საყოველსა ქართველთასა"), ლავრა კრანაში, „საყოველსა წმიდათა კოზმან დამიანესსა". ამ მონასტერშია გადაწერილი 963-969 წწ. სამოციქულო (Ath. 42), „გამოცხადების" ანდრია კესარია-კაპადუკიელისეული „თარგმანების" შემცველი, საბა კუტის მიერ 978 წელს გადაწერილი ხელნაწერი (H 1346), რომელიც ნუხუნრით შესრულებული პირველი თარიღიანი ხელნაწერია; აგრეთვე ეფთვიმეს თარგმანთა შემცველი ხელნაწერი (Ath. 21), გადაწერილი 1030 წელს.

ოლიმპიაი (ოლჳპიაი) – († 409) დედათდიაკონი, სოფიაწმიდის მსახური. დაიბა და წარჩინებულ ოჯახში. საქმროს გარდაცვალების შემდეგ მან აღარ ისურვა გათხოვება და ქალწულებრივი ცხოვრება არჩია. მშობლების სიკვდილის შემდეგ იგი დიდძალ ქონების მფლობელი გახდა და უხვად დაურიგა მოწყალება გლახაკებსა და ქვრივ-ობლებს. ეკლესიასაც დიდ შესაწირავს უგზავნიდა, ამარაგებდა მონასტრებს, სასნეულოებს, ღატაკთა და მწირთა თაშესაფრებს. წმ. პატრიარქმა ნექტარიოსმა (381-397 წწ.) ოლიმპია დედათდიაკნად აკურთხა. თაეის მსახურებას ნეტარი ქალწული წმიდად და პატივსაცემად ასრულებდა. იგი დაახლოებული იყო წმ. მღვდელმთავრებთან: იოანე ოქროპირთან, ამფილოქე იკონიელთან, ონისიმე პონტოელთან, გრიგოლ ღვთისმეტყველთან, პეტრე სებასტი-

ელთან (ბასილი დიდის ძმა), ეპიფანე კვიპრელთან და სხვა წმინდა მამებთან. ალექსანდრიის პატრიარქი თეოფილე (385-412) მტრულად განეწყო ოლიმპიას მიმართ, რაკი იგი წმ. იოანე ოქროპირს დიდად ერთგულებდა. თეოფილე თავისი უსამართლო ბრალდებებით ცდილობდა შეებილწა ოლიმპიას წმინდა სახელი. იოანე ოქროპირის განდევნის შემდეგ დაიწყა წმ. სოფიოს სატრაპარქო ტაძარი კონსტანტინეპოლში. ამას მოჰყვა დედაქალაქის დიდი ნაწილის გადაწვაც. ეჭვი მიიტანეს იოანე ოქროპირის მოშრეებზე, მათ შორის ოლიმპიაზეც, მაგრამ დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. ამის მიუხედავად მტრებმა იგი ნიკომიდიაში გადაასახლეს, სადაც ბერი განსაცდელი გამოიარა. გარდაიცვალა გადასახლებაში.

გარდაცვალების შემდეგ წმ. ოლიმპია ძილში გამოეცხადა ნიკომიდიის ეპისკოპოსს და უბრძანა, მისი სხეული ჩაედო ხის კიდობანში და გადაეგდო ზღვაში, „სადაც ტალღები წამი ღებენ, და, იქ იყოს ჩემი საფლავი", – უთხრა წმინდანმა. ეპისკოპოსმა შეასრულა ოლიმპიას ბრძანება. კიდობანმა ბევრი იცურა და ბოლოს მიადგა ერთ სანაპიროს, კონსტანტინეპოლის მახლობლად. იქაურ მცხოვრებთ აქონდათ წინასწარ საღვთო გამოცხადება, რომლის მიხედვით ისინი გამოეიდნენ ზღვის პირას, ამოიყვანეს წმ. ნაწილები ნეტარი ოლიმპიასი და დაკრძალეს მახლობლად, წმ. თომა მოციქულის ეკლესიაში. ბარბაროსთა შემოსევების დროს ეკლესია დაიწვა, ოლიმპიას წმ. ნაწილები კი უვნებლად გადარჩა. პატრიარქ სერგის (610-638 წწ.) ბრძანებით წმ. ნაწილები გადაასვენეს დედაქალაქში და დაასვენეს ოლიმპიას მიერვე დაარსებულ დედათა მონასტერში. წმ. ნაწილებთან ხდებოდა სასწაულები და უკურნებელ სნეულებათა კურნებანი. ხსენების დღე – 25 ივლისი (ქართული წყაროებით – 26 ივლისი). ღირსი დედის მეტაფრასული „ცხოვრების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 3,714-726. ქართულ ენაზე ცნობილია აგრეთვე იოანე ოქროპირის „ეპისტოლენი, ექსორიობით მოწერილი ოლუმპიას მიმართ დედათა დიაკონისა", თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (ქუთ. 8, 199-206). ოლიმპიას შესახებ ვრცელი თხრობა შეტანა პალადი პელენეპოლელმა († 430) თავის „ლავსაიკონში", რომელიც თარგმნილია ქართულად ეფრემ მცირის მიერ (A 143, XII ს.).

ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი – VI ს. საეკლესიო მწერალი, ეგზეგეტიკური თხზულებისა: „თარგმანება ეკლესიასტესი", რომელიც ქართულად უთარგმნია იოანე ჭიმჭიმელს (XII ს.). თარგმანი დაცულია A 61 ხელნაწერში. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ წიგნში: „თარგმანება ეკლესიასტესი მიტროფანე სჩირნელისა", თბ., 1920 წ.

ოლოპორო – ადგილი, სადაც დაიზამთრა წმ. ნინომ საქართველოში შემოსვლის წინ (როდესაც გამოექცა თრდატ მეფის რისხვას, იმ წარმართი მეფისას, რომელმაც წმ. რიფსიმე და გაიანე აწამა მათთან მყოფ სხვა დედებთან ერთად). როცა გამოზაფხულდა, წმ. ნინო ოლოპოროდან ჯაავახეთის მთებში აეიდა და ფარავანის ტბასთან გაჩერდა ორი დღით, სადაც ძილში გამოეცხადა მაცხოვარი, რომელმაც აკურთხა მისი მოციქულებრივი მოღვაწეობა.

ომანი – ნასოფლარ ფიის (სამცხეში, ვარძიასთან, ხერთვისიდან 5 კმ. ასპინძიდან 22 კმ.). წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი ხელოსანი. სხვა ხელოსნებთან ერთად (ახოან, საკაცარ, იესე) მოხსენებულია ამ ეკლესიის სამრეთის ფასადის კარნიზის ქვაზე გაკეთებულ X ს. ლაპიდარულ წარწერაში.

ონადირი – IX-X სს. წმ. გიორგის ეკლესია სოფ. დიღმის მახლობლად, მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი შემოსილია კარგად გათლილი ქვის დიდი ფილებით. შიგნით, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები დანაწევრებულია რთული პროფილის თითო პილასტრით. მორთულობა ძუნწია, მხოლოდ ფასადებს ამკობს მოზრდილი გლუვი დისკები. ასევე სადა და მორთულობას მოკლებულია საკურთხევლის აბსიდიც. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.

ონი – რაიონული ცენტრი რაჭაში, მდ. რიონისა და ჯეჯორის შესართავთან. აქ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია წმ. გიორგისა. ონიდანაა მთავარანგელოზთა ჭედური ხატი (XIII ს. II ნახ.). მოჭედილია მოოქრული ვერცხლით. შესრულებულია სამი ძმის – მიქელ, ფორთოს და ივანე გარაყანიძეების დაკვეთით. ზომები: 65 X 52,5 სმ. დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუ-ზეუმში.

ონისიმე – 70 მოციქულთაგანი (ფილიმ. 10), წარმოშობით ფრიგიელი, ქ. კოლასედან, ფილიმონის მონა. იგი გაეცა ბატონს და რომში მოციქულ პავლეს მიერ ქრისტიანად მოინათლა. პაველ ონისეს გაატანა ეპისტოლე თავის ყოფილ ბატონთან, რომელშიც სთხოვა, შეენდო ონისიმესათვის გაქცევა. ეპისტოლეშ მიაღწია მიზანს და ონისიმემ თავისუფლება მოიპოვა,

იგი კლავ დაბრუნდა რომში და ასრულებდა მოციქულ პაულეს დავალებებს. ონისიმესა და ტიქიკოს ხელით პაულემ გაუგზავნა ეფესელთ ეპისტოლე კოლასელებს. ეპისტოლეში ონისიმე მოხსენებულია „საყვარელ ძმად“, რომელიც ტიქიკოსთან ერთად მოუთხრობს მათ (კოლასელებს) რომში პაულეს მოღვაწეობის ამბებს (კოლ. 4,7-9). ბოლოს ონისიმე გახდა ეპისკოპოსი ეფესოში (ტიმოთეს შემდეგ), სხვა ცნობით (მოციქულთა დადგენილებანი, წიგნი 7, თავი 46) — მაკედონიის ქალაქ ვერიაში და მოწამებრივად აღესრულა რომში ტრაიანეს დროს (†109 წ.). ხსენების დღე — 4 იანვარი და 15 თებერვალი.

ონორი პრომი — VII ს. ცნობილი მონოთელიტი, აღიარებდა ერთ ნებასა და ერთ საქმეს იესო ქრისტეში მისი განკაცების შემდეგ. შეაჩვენა და განკვეთა VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

ონოფრე ბოდბელი — ბოდბის ეპისკოპოსი XVIII ს. I ნახევარში. მის მიერაა მოგებული ხელნაწერები: A 1397 (კონდაკი), A 1480 (კურთხევანი) და სხვ. ონოფრეს საასულიერო მწერლობის გარდა საეროც იზიდავდა და თავად თხზავდა ლექსებს (იხ. S 1512 — ანბანთება; A 1236 და სხვ.).

ონოფრე გარეჯელი — დავითგარეჯის მონასტრის XII ს. მოღვაწე, „დიდი ბერი და მოძღუარი“, დავით აღმაშენებლის თანამედროვე. მისი ინიციატივით დაიწერა დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფორასული რედაქცია („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ“). დახმარებია ათონის ივერიის მონასტერს, რის გამოც ათონის ალაპებშიცაა მოხსენებული (ალაპი № 143; ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 173).

ონოფრე გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე) — დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი 1690-1736 წწ., ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, წარმოშობით გურიიდან. ქართლში გადასახლდა დაახლ. 1680-იან წლებში (თაიის ძმასთან მაქსიმესთან ერთად). იქ ლეან ბატონიშვილმა „სამწერისას მესხულეობის“ სახელო უბოძა. ბერად შედგა დაახლ. 1683-90 წწ. ერეკლე I-ის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ 1690 წ. ონოფრე დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ მონასტრის განახლება-აღორძინება. ნიკოლოზ მაღალაშვილი მას „დავითგარეჯის უდაბნოს მეორე აღმშენებელს“ უწოდებს („საქართველოს სამოთხე“, გვ. 613). მან საკუთარი სახსრებით აშენა იოანე მახარებლის ეკლესია, გაამაგრა გალავანი, კოშკები, შეაკეთა გზა. სოფ. ნადარბაზეში ააგო პეტრე-პაულეს ეკლესია. მისი წინამძღვრობის დროს აღმაშენობის გზაზე დადგა ლავრა, ნათლისმცემელი და დიდლრჭა. მონასტრის შეუძინა საეკლესიო სახმარი: ხატები, შესამოსელი, სხვა წმინდა ნივთები, აგრეთვე წიგნები, ზვარი, მარანი და 18 კოლი გლეხი. 42 წელი, რომელიც ონოფრეს წინამძღვრობაზე მოდის, განსაკუთრებით ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდია გარეჯის მონასტრების ისტორიაში. ონოფრეს ხელშეწყობით დავითგარეჯის მონასტერში გამოცოცხლდა ლიტერატურულ-მწიგნობრული მუშაობა. 1699 წ. მისი ინიციატივით შედგა და რედაქცია გაუკეთდა პაგოგრაფიულ კრებულს (A 160, რომელშიც პირველად გაერთიანდა ასურელ მამათა ცხოვრების აჭრისველი თხზულებები (იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის „ცხოვრებანი“ და „განგებანი“); გადაწერა სვეტიცხოველის მეტაფრასი, „წმ. ნინოს ცხოვრება“, საგალობლებსა და საღვთისმსახურო საკითხავთა კრებული და სხვა. მის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნულ წმინდანთა გამოცემებას, მათი ღაწლის დაფასებასა და წარმოჩენას. ონოფრეს ხელშეწყობითა და დახმარებით აშრალებდნენ ხელნაწერებს შიო გარეჯელი (A 160), ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი (A 105), იოანე მონაზონი (A 418), გაბრიელ საგინაშვილი (H 1557; A 130) და სხვანი. დიდი ღაწლი მოუძღვის ონოფრე მაჭუტაძეს დავითგარეჯის წიგნადი ფონდის გაზრდის, და დაცვის საქმეში. მისი ინიციატივით გურიის მთავარს, მამია გურიელს დაადებინეს ფიცის წიგნი, რომ ტყეებს აღარ გაყიდდა. საკუთარი ფულით გამოისყიდა ტყეები და დასახლა მონასტრის მიწებზე (იხ. ძეგლები, IV, გვ. 441).

ონოფრე დიდი — IV ს. განძქრული შეუდაბნიე, თებაიდის უდაბნოს მოღვაწე (ეგვიპტეში), „განმორებული“. მის შესახებ წერს ლირი მამა პაფნუტი, რომელსაც იგი შეხვდა უდაბნოში მოგზაურობის დროს. ონოფრე დიდმა 60 წელი გაატარა უდაბნოში ლოცვასა და მარხვაში. ამ ხნის მანძილზე არც ერთი კაცი არ უნახავს პაფნუტის გარდა, რომელიც სწორედ იმ დროს მივიდა, როცა მისი აღსასრულის დღე იყო მოახლოებული. ღმერთი განამტკიცებდა უდაბნოში წმინდა მოღვაწეს. გამოქვაბულთან,

სადაც ონოფრე დიდი ცხოვრობდა, აღმოცენდა ფინიკის პალმა და იქვე მახლობლად წყარო გადმოედა კლდიდან. პალმის თორმეტი ტოტი რიგრიგობით ისხამდა ნაყოფს და ამით იკვებებოდა მეუდაბნოე. კეირაობით ანგელოზს მოჰქონდა წმინდა პური და აზიარებდა ხოლმე მას. ონოფრეს სამოსელი სრულიად არ გაჩნდა, მის დანიშნულებას ასრულებდა გრძელი თეთრი თმა, რომელიც კაბასავით ეცმია მთელ სხეულზე.

აღსრულების წინ წმ. ონოფრემ დიდხანს ილაცა, შემდეგ დაწვა მიწაზე, წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები: „ხელთა შენდა შევედრებ, ღმერთო, სულსა ჩემსა“ და გარდაიცვალა. ღირსმა მამა პაფნუტიმ იქვე მოძებნა დიდი ქვა, რომელსაც შუაში ჩაღრმავება ჰქონდა კუბოსებრად და იქ ჩაასვენა წმ. ონოფრეს სხეული. ხსენების დღე — 12 ივნისი. პაფნუტის თხზულება — „ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ონოფრე განმარტებულისაჲ და სხუათა მეუდაბნოეთაჲ“ — ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია ქართულ ენაზე. თარგმანის ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 128, 887-903; H 341; A 1104; ქუთ. 3, 120-134; Jer. 2; Ath. 140.

ოპიზა — XIII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მონასტერი, ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ კლარჯეთში (ახლა თურქეთის ფარგლებშია). მდებარეობს ოშურხევში, მაღალ მთაზე. ოპიზაში, ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრების მსგავსად (ხანცთა, შატბერდი, ხახული, იშხანი, ოშკი), საუკუნეების მანძილზე ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება იყო გაჩაღებული. აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები: გრიგოლ ხანცთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი (IX-X სს.), ათანასე ოპიზელი (XI ს.), იოანე ოპიზელი (XIII ს.), ილარიონ ოპიზარი (XIII ს.); ოქრომჭედლები: ბეშქენ და ბექ. ოპიზრები (XII ს.) და სხვანი. ოპიზიდან მრავალი ძვირფასი ხელნაწერია ცნობილი, მათ შორის — 913 წ. ოპიზის ოთხთავი (ინახება ათონის მთაზე, Ath. 83).

ოპიზა უძველესი მონასტერთაგანია. იგი ერთერთი პირველი აღადგინეს არაბთა შემოსევის შემდეგ, ჯერ კიდევ VIII ს-ში. მონასტრის მშენებლებად მოხსენებული არიან: ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი მონაზონნი. მონასტრის მთავარი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით უჩვეულოდ დაგრძელებული ნაგებობაა. გუმბათი კედლის შვერილებს ეყრდნობა. საკურთხეველის ორივე მხარეს უახლოდ სამკვეთლო და სადიაკვნე. დასავლეთის მკლავი მთლიან, დაუნაწევრებელ, გრძელ დარბაზს წარმოადგენს. შიგნით კედლები და გუმბათი შემოსილია თლილი ქვის ქვადრებით. გუმბათი პანდატიებს (აფრებს) ეყრდნობა, მაგრამ ტრომბებიც არის ჩასმული. ეს თავისებური, გარდამავალი, პირიქული კონსტრუქციაა. დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები საკმაოდ პლასტიკურადაა დანაწევრებული სამაფეხურიანი კედლის სვეტებითა და თაღებით. ყურადღებას იპყრობს X ს. I ნახევარში აღდგენილი გუმბათის ყელი. მას 12 წახნაგი აქვს და ყოველი მათგანი საკუთარი ფრონტონით არის აღჭურვილი, რის გამოც კარნიზი პროფილირებულია ნაცვლად ტეხილი გამოდის, ხოლო სახურავი სანახევროდ გამლილ ქოლგას ემსგავსება. ეს და აგრეთვე გუმბათის ყელის შეწყვილებულ ლილვებზე დაყრდნობილი დეკორატიული თაღები მოწმობს დეკორატიულობისადმი ინტერესის გაძლიერებას. შენობის ფასადებიც, ისევე როგორც ინტერიერი, შემოსილია თლილი ქვით. ოპიზაში შემორჩენილია სხვა სამონასტრო ნაგებობათა ნაშთებიც. ერთი მათგანი, დიდი სამნავიანი შენობა, როგორც ჩანს, სატრაპეზო იყო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია რელიეფი ოპიზიდან, აშოტ კურაპალატის პორტრეტით (IX ს., ქვა).

ოპიზის ოთხთავი (სახარება) — იხ. ათონის ოთხთავი.

ოქონი — სოფელი ახმეტის რაიონში, ალაზნის ეკაეზე, ახმეტიდან 17 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია „დიდ ახმა“ (ალბათ, „დიდი ახაზმა“), ხოლო მიდამოებში — ბაიხოში — სამების VI საუკუნის ბაზილიკური ეკლესია.

ოქორა — სოფელი ზნაურის რაიონში, მდ. ლისის (შუა ფრონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზნაურიდან 6 კმ. შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია „ცხრაკარა“.

ორავეანდა — XI ს. მოღვაწე, მოხსენებულია „ათონის კრებულში“, ათონის ქართველთა მონასტრის სხვა კეთილისმყოფელებთან ერთად. მისთვის დაწერებული ყოფილა მოსახსენებელი ოქტომბრის 10-ს (ალაპი 164; ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 186).

ორაკული (ლათ. „ეამბო“, „შევთხოე“) — 1. სამსნო, სადაც რომელიმე ღვთაებას შესთხ-

ოდნენ, წინასწარ ემცნო თავისი ნება-სურვილი, ეწინასწარმეტყველა ამ თუ იმ მოვლენის შედეგი. ძველ საბერძნეთში განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო დელფოს ორაკული აპოლონის ტაძართან, ცნობილი იყო აგრეთვე ამონის ორაკული თებეში (ეგვიპტე), დოდონის ორაკული (ეპირი), სადაც ზევსისეული წინასწარმეტყველება ცხადდებოდა. ძველი ბერძნული ტრადიცია იძლევა ცნობებს არტემიდას ორაკულის შესახებ კილიკეთში. ძველ რომში ცნობილი იყო სიბილას ორაკულები და მათთან დაკავშირებული ე. წ. სიბილური წიგნები, რომლებშიც ნაწინასწარმეტყველები იყო რომის მომავალი. ორაკულთაგან წინასწარმეტყველების მისაღებად აუცილებელი იყო საგანგებო მზადება – მარხვა, მსხვერპლშეწირვა, განწმენდა და სხვ.

2. წინასწარმეტყველი, სამისნო ქურუმი.

„ორასეული" – „ღმრთისმეტყველებისათუს და ქორცილად განგებულებისათუს ძისა ღმრთისა" – მაქსიმე აღსარებელის დოგმატიკური თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილია ნიკოლოზ I კათოლიკოსის (გულაბერისძის) მიერ. ტექსტი დაცულია ხელნაწერში A 711.

ორბეთი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, თბილის-მანგლისის საავტომობილო გზაზე, თეთრი წყაროდან 65 კმ. სოფლის მახლობლად, ალგეთის ხეობის მაღალ და მოუვალ კლდეზე მდებარეობს ორბეთის ციხე. წყაროებში პირველად მოიხსენიება XI ს. 30-იან წლებში. ციხის ნაგებობათაგან ყველაზე კარგადაა შემორჩენილი წმ. გიორგის X ს. ეკლესია.

ორბელი – სოფელი ცაგერის რაიონში, მდ. ლაჯანურის (რაიონის მარჯვ. შენაკად.) ხეობაში, ლაჯანურის წყალსაცავის ჩრდილოეთით, ცაგერიდან 14 კმ. სოფლის მიდამოებში არის 1798 წ. აგებული „გელეღვანების ეკლესია". კანკელის წარწერაში მინიშნებულია, რომ ამ ადგილას ადრეც მდგარა ეკლესია. ორბელის ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების მცირე ეკლესიაც.

ორბელიანი სულხან-საბა – იხ. საბა-სულხან ორბელიანი.

ორენტიოს მოწამე – წარმოშობით რომაელი. თავის უმცროს ძმებთან (ფარნაკი, ეროსი, ფირმოსი, ფირმინე, კვირიაკე და ლონგინოსი) ერთად მაქსიმიანე კეისრის (284-305) არმიაში მსახურობდა. თავი გამოიჩინა სკვითების წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლაში. ამის აღსანიშნავად იგი იმპერატორმა მიიწვია საზეიმო მსხვერპლშეწირვაზე. ორენტიოსმა თავი ქრისტიანად გამოაცხადა და უარი თქვა კერპთმსახურებაზე. იმპერატორმა წმ. ორენტიოსს ძმებთან ერთად კატასიაში გადასახლება მიუსაჯა. გზაში შეიდივე ძმა გარდაიცვალა, სხვადასხვა ადგილას. წმ. ორენტიოსი მოწამებრივად აღესრულა – მას მძიმე ქვა მოაბეს კისერზე და ზღვაში დაახრჩეს. წმ. შეიდი მოწამე ძმის ხსენების დღე – 24 ივნისი. მათი მეტაფრასული „წამების" ბერძნული დედანი დაკარგულია. ქართული თარგმანი დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 3, 227-241, გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ლიტერატურული ძიებანი, IV, გვ. 111-127; ეტიუდები, IV, 293-325). აქ ხსენების დღედ დასახელებულია 23 ივნისი.

ორესტი მოწამე – ეწამა ქრისტიანობის აღიარებისათვის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს, რამდენიმე სხვა მოწამესთან ერთად (ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, მარდარი), ქ. სებასტიაში. შთაგონებულმა წარჩინებული ევსტრატის მოწამებრივი ღვაწლით, დაუფარავად აღიარა თავი ქრისტიანად, რისთვისაც იგი შეიპყრეს და გასამართლების შემდეგ ცოცხლად დაწვა მიუსაჯეს. წმ. მოწამეთა – ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, ორესტი და მარდარის ხსენების დღე – 13 დეკემბერი. მათი „წამების" კიმენური რედაქცია ქართულ ენაზე უთარგმნია სეითს (Sin. 11, 34-65), სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასი კი – ეფთვიმე ათონელს (A 95, 1117-1158; Ath. 50, 140-169; ქუთ. 5, 236-256; A 1104, 114-126).

ორესტი მოწამე – აწამეს სებასტიაში ქრისტიანობის აღიარებისათვის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს. ხსენების დღე – 7 იელისი. მისი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია, დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3,391-395.

„ორთა ბევრთა" ზამება ნიკომიდიაში – მოხდა 302 წელს, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. მაქსიმიანე თავიდანვე გამოირჩეოდა ქრისტიანთა სიძულვილით, მაგრამ მან განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა ნიკომიდიაში, საიმპერატორო სასახლეში ცეცხლის გაჩენის შემდეგ. ცეცხლის გაჩენა ქრისტიანებს დააბრალეს და შურისძიების მიზნით თავს დაესხნენ მათ ქრისტეშობის ღილესასწაულზე, როდესაც ნიკომიდიის საკათედრო ტაძარში „ორი ბევრი" (20000) მორწმუნე იყო შეკრებილი. იმპერატორის ბრძანებით ცეცხლს მისცეს ტაძარი და მასში მყოფი ყველა მლოცვე-

ლი. ნიკომიდიელ მოწამეთაგან სახელებით ცნობილი არიან: გლიკერიოს ხუცესი, თეოფილე დიაკონი, პეტრე, ექვთიმე, მარდონი, მიგდონი დიაკონი, ინდისი, გორგონი; აგრეთვე დედები: აგათია, დომნა, თეოფილა, ანტონია და სხვ. „წამება ორთა ბეერთა მოწამეთა“ (მეტაფრასული რედაქცია) ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: Sin. 91, ქუთ. 5; A 90.

„ორთათჳს ბუნებათა ქრისტესთა შეერთებისათჳს“ – ბასილი დიდის დოგმატიკური თხზულება. მისი ქართული თარგმანი დაცულია ხელნ. A 735, 36-37.

„ორთა ნებათათჳს“ – „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა“ – იოანე დამასკელის დოგმატიკური თხზულება, ქართულად თარგმნილია არსენ ეაჩის ძე იყალთოელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 205, 431-447; A 267, S 1433, 128-138; ქუთ. 23, 36-52. ეს თხზულება ეფთვიმე ათონელსაც უთარგმნია („ათონის კრებული“, გვ. 28).

ორთუბანი (ისტორიული მხარეთა) – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ქარელიდან 14 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია: ძამის ციხის ეკლესია (XII ს.), ღვთისმშობლის შობისა და იოანე მახარებლის ეკლესიები.

ორიგენე – გამოჩენილი ალექსანდრიელი ქრისტიანი თეოლოგი და ფილოსოფოსი (დაახლ. 185-253/54 წწ.), ადრინდელი პატრისტიკის წარმომადგენელი, ქრისტიანული ღვთისმეტყველების პირველი (ნიკეამდელი) დოგმატიკური სისტემის შემქმნელი, მეცნიერული ქრისტიანული ტექსტოლოგიის ფუძემდებელი, მრავალი საღვთისმეტყველო, ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური და დოგმატიკური შრომის ავტორი. მის თხზულებათაგან ცნობილია: „ეკლესიასტეს“ განმარტება, „ჰეგზაპლები“ (ბიბლიოლოგიური შრომა, რომელსაც არსენ იყალთოელი გიორგი მონაზონის „ხრონოგრაფის“ თარგმანში მოისხენიებს „ექუსკეცად“ და „ექუსთასაულელად“), „მკეცთათჳს“ (ბიბლიაში მოხსენებულ მხეცთა თვისებების ალნუსხვა და განმარტება) და სხვ. მისი პიროვნებისა და მოძღვრების გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმთავითვე. ეს მითქმა-მოთქმა VI ს-ში ნამდვილ ბრძოლად გადაიქცა. ორიგენე მწვალებლად სცნეს და მისი თხზულებები აკრძალეს. მისი მოძღვრება სამების პირთა ძალების განსხვავების, შესაქმის მარადიულობისა და საყოველთაო ცხოვნების მტკიცების გამო ერესად იქნა გამოცხადებული V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (კონსტანტინეპოლი, 543 წ.). ორიგენეს თხზულებათა აკრძალვა დადასტურებულია ეფთვიმე ათონელის პასუხში გიორგი ჭყონდიდელის კითხვაზე: „ორიგენე მწვალებელსა მრავალნი წიგნები აღუწერია და არა შესაწყნარებელ არს“ (იხ. „საქართველოს სამოთხე“), მაგრამ ზოგიერთი ნაწყვეტი ორიგენეს თხზულებათაგან მაინც აღწევდნენ გვიანდელ კომპილაციებში. ამის მაგალითია ეგზეგეტიკური კატენები, რომელიც ქართულ ენაზე შეუდგენიათ XII საუკუნეში (A 1108). მასში დაცულია ორიგენეს სამი სქოლიო ღვთიური სასჯელის დროებითი ხასიათის შესახებ. ორიგენეს მოძღვრებას, სხვათა შორის, ანტონ I-ის „ღვთისმეტყველება სამწყალედი“ (S 3658) ეხება. ორიგენეს დიდი გავლენა ჰქონდა არიანელობაზე, გრიგოლ ნოსელზე, გრიგოლ ნაზიანზელზე და მომდევნო ხანის მისტიკაზე.

ორიგენიზმი, ორიგენიანობა – III ს-ის ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, ორიგენეს მოძღვრება, რომელსაც VI საუკუნემდე ჰქადა აქტიური მიმდევრები და დამცველები. პალესტინაში ორიგენიანთა და მის მოწინააღმდეგეთა ბრძოლის მოწმენი და მონაწილენი ქართველებიც იყვნენ. ამით აიხსნება, რომ ორიგენიანობა საქართველოში ცნობილი ყოფილა. ქართულ ენაზე წვენ მოგვეპოვება მისი გამაქიქებელი ლიტერატურა. პირველ ყოვლისა, აქ უნდა დაეასახელოთ არსენ ეაჩესძის „დოგმატიკონში“ მოთავსებული „მეტყველთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველივე იყვნეს ჴორცთანა“ (S 1463, 301-305; ქუთ. 23, 415-427), რომელშიც დარღეუესია ორიგენეს აზრი სულთა წინასწარ არსებობის შესახებ. ორ ხელნაწერ პოლემიკურ კრებულში მოთავსებულია აგრეთვე „მოთხრობაჲ საწყალობელისა ფილასოფოსისა ორიგენისა“ (S 312, 19-20) და „ნეტარისა თეოდორე აბუკურას სიტყუსგებაჲ ორიგენიანისა მიმართ“ (S 312, 20-24; S 248, 48-58). ენის მიხედით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ტრაქტატები ნათარგმნია „დოგმატიკონის“ შემდეგ. საეჭვებელია, რომ ამგვარი თხზულებანი მეათე საუკუნემდეც არსებობდა ქართულად. V ს. მწერალს, ანთიპატროს ბოსტრელის პოპულარობა უძველეს ქართულ პომილეტიკურ მწერლობაში იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ჩვენში ეცოდინებოდათ მისი ანტიორიგენისტული თხზულებებიც.

ორმაშენი – სოფელი დმანისის რაიონ-

ში, ლუკუნის მთის ჩრდ. კალთაზე, დმანისიდან 22 კმ. შემორჩენილია XI ს. ეკლესია.

ორმოცდაათიანელები – ქრისტიანული სექტა; მის მიმდევრებს საფუძვლად უდევს ქრისტიანული დღესასწაული – სულთმოფენობა. როგორც „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს, იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმიდა, რის შედეგადაც მათ სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. აქედან მოდის სექტის სახელწოდებაც. ორმოცდაათიანელები ქადაგებენ, რომ ადამიანი ცოდვილია და მისი ცხონება შეუძლია მხოლოდ სულიწმიდის მოფენას. ამისათვის აუცილებელია რწმენა, ღვთის მცნებათა შესრულება და ამქვეყნიური ცხოვრების სრული უარყოფა. საზოგადო ლიტის დროს სექტანტები ეშტაზს ეძლევიან და ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ დროს ეფინება ღვთის რჩეულთ სულიწმიდა და ისინი იწყებენ „მეტყველებას სხვაგვარ ენაზე“ (არამიწიერ ენაზე), რომლითაც უშუალოდ უკავშირდებიან ღმერთს. ორმოცდაათიანელთა პირველი თემები აშშ-ში წარმოიშვა (XIX-XX სს. მიჯნაზე), შემდეგ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში (სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდი, შვეიცარია და სხვ.), ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში. ორმოცდაათიანელთა რიცხვი უმნიშვნელოა რუსეთსა და საქართველოში.

დასავლეთში დიდი გავლენით სარგებლობს ორმოცდაათიანელთა ორგანიზაციები: „საღვთო კრებათა კავშირი“ და „ღვთის ასამბლეა“.

ორმუზდი – იხ. ახურამაზდა.

ორმოცდახუთი ნიკოპოლელი მოწამე – მოწამებრივად აღესრულნენ სომხეთის ქალაქ ნიკოპოლში, იმპერატორ ლიკინის (307-324), კონსტანტინე დიდის თანამმართველის დროს († დაახლ. 318). ქრისტეს მიმდევრები თავისი ნებით გამოცხადდნენ მდევნელებთან, გამოაცხადეს თავისი სარწმუნოება და მზადყოფნა წამებისათვის. წმ. აღმსარებლებს მეთაურობდნენ ლეონტი, მაკრიკი, დანიელი, ანტონი, ალექსანდრე, რომლებიც გამოირჩეოდნენ ქრისტიანული ქველმოქმედებით. სომხეთის ოლქის პეგეშორი, ლისი თაეიდან ცდილობდა მათ გადაბირებას წარმართობისაკენ, მაგრამ, როცა წმ. აღმსარებელთა სიმტკიცე ნახა, ბრძანა მათი ჩაჭრილი და საპყრობილეში ჩაყრა. საპყრობილეში წმიდანი იხარებდნენ და ფსალმუნებდნენ. მათი რწმენა გააცხოველა ღვთის ანგელოზის გამოცხადებამ. სასტიკი წამების შემდეგ ორმოცდახუთი ნიკოპოლელი მოწამე დაწვეს ცეცხლში, მათი ძვლები კი მდინარეში გადაყარეს. კეთილშობილმა ადამიანებმა იპოვეს წმიდა ნაწილები, შეკრიბეს და დაკრძალეს. მოგვიანებით, როცა ქრისტიანულ ეკლესიას თავისუფლება მიეცა, იმ ადგილას აღიმართა ტაძარი წმ. მოწამეთა სახელზე. ხსენების დღე – 10 ივლისი. წმ. მოწამეთა კრებული „წამების“ ქართული თარგმანი, რომელიც VIII-IX ს. თარგმნა სეთმა, დაცულია ხელნაწერებში: A 382; Sin. 11; Sin. 62, ხოლო მეტაფრასულია – ქუთ. № 3, 487-506.

ორმოცდღიანი მოხსენიება – გარდაცვლილის შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში მიცვალებულის სულის მოხსენიების წესი, რომლის მიხედვითაც მოხსენება ხდება ყოველდღიურად, საღვთო ლიტურგიაზე.

ორმოცდაორი ამორაველი მოწამე – რომელთა შორის სახელებით ცნობილნი არიან: კონსტანტინე, აერი, თეოფილე, თეოდორე, მილისენ, აკლისტე, ევსთი და სხვ. მსახურობდნენ სპარსმპყრობის იმპერატორ თეოფილეს (829-842 წწ.) არმიაში. არაბებთან ომის დროს, როდესაც ამ უკანასკნელთ დაიპყრეს გალატიის ქალაქი ამორეა, ტყვედ წაუყვანდნენ და შემდეგ წელს იყიდნენ დატყვევებულნი სირიაში. დამსყრობნი ცდილობდნენ, შეერყიათ ქრისტიანი მებრძოლების ნებისყოფა და მაჰმადიანობა მიეღებინებინათ, მაგრამ ამაოდ. ამორაველი მოწამენი ვაჟკაცურად წყრდვნენ წარმართთა სამსჯავროს წინაშე. მათ თაეები მოკვეთეს († დაახლ. 845 წ.), სხეულები კი მდინარე ევფრატში ჩაყარეს. ხსენების დღე – 6 მარტი. მათი მეტაფრასული „წამების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 2, 93-105.

„ორმოცთა ეკლესია“ – ორმოცი სებასტიელი მოწამის ეკლესია, მდებარეობს ქოროღლის ციხის ძირში, სოფ. ღარებანთან ახლოს (თეორიწყაროს რაიონი). აგებულია XVI საუკუნეში. აგურის ნაგებობას აგურგვარების 8 სარკლიანი გუმბათი, რომელიც საკურთხეველის კუთხეებსა და განივი კედლებიდან პერპენდიკულარულად გამოწეულ შეერთებს ეყრდნობა. არქიტექტურულად „ორმოცთა ეკლესია“ ენათესაება თბილისის „ჯუარის მამის“ ეკლესიას, რომელიც იმავე საუკუნეში აგებული. „ორმოცთა ეკლესიას“ საშრეთიდან მიშენებული აქონია სარეკლო, რომლის ფანტური (III სართული) ამჟამად დანგრეულია, I სართული სტოას დანიშნულებას ასრულებს, II სართულს კი კამარით გადახურული სადგომი მოთავსებული.

ორმოცი მოწამის ეკლესია აშენებული ყოფ-

ლა თბილისშიც, როგორც ეს დადასტურებულია ამ ტფილელის „წამებაშიც“ (ძეგლები, I, გვ. 73).

ორმოცი – სოფელი გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ტანის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. სოფელში დაცულია შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია.

ოშკის ბიბლია – იხ. ათონის ბიბლია.

პ

პაატა ბატონიშვილი – 1709 წელს გაუღეწავს „ხალმრთო ისტორია“ (იხ. გაზ. „იერია“, 1899 წ., №12, 13).

პაგოდა (სანსკრ. ბჰაგავატ – წმინდა; ჩინ. ბაო-ტა, სიტყვასიტყვით – განძეულის კოშკი) – ბუდისტური საკულტო ნაგებობის ტიპი ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში, გამოზნეულია ბუდისტური რელიკვიების შესანახად. ასრულებს მემორიალურ ფუნქციას. ჩვეულებრივ, პაგოდა წარმოადგენს გეგმით კვადრატულ, 6, 8 ან 12-კუთხა ნაგებობას. ჩამოყალიბდა ახ.წ. პირველ საუკუნეებში ჩინეთში. აქედან გავრცელდა ვიეტნამში, კორეასა და იაპონიაში.

პაველა – ქალწულმოწამე. აწამეს ნიკომიდიაში იმპერატორ ავრელიანეს (270-275) დროს. იგი ზრუნავდა წმ. მოწამე ლუკილიანეზე და მის ოთხ თანამოწამე ყრმაზე (კლაუდი, იპატი, პაველე, დიონისე), როცა ისინი საპყრობილეში ისხდნენ. მანვე დაკრძალა მათი სხეულები. ამ მოქმედების გამო ქალწული პაველა შეიპყრეს და თავი მოკვეთეს. მოწამეთა ხსენება დღესასწაულია 3 ივნისს. წმ. ქალწულმოწამე მოხსენებულია ლუკილიანეს მეტაფრასულ „წამებაში“, რომლის ქართული თარგმანი არის ხელნაწერში ქუთ. 3, 39-51.

პაველ III (ერისკაცობაში ალექსანდრე ფარნეზე; 1468-1549 წწ.) – რომის პაპი 1534-1549 წწ. მფარველობდა ხელოვნებასა და მეცნიერებას. მიქელანჯელოს დაუალა წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობის გაგრძელება. იყო რელიგიური რეფორმაციისა და პროტესტანტიზმის დაუბრკოლებელი მტერი. 1540 წ. დაამტკიცა იეზუიტების ორდენი. 1542 წ. რომში დააარსა უზენაესი საინკვიზიციო ტრიბუნალი. მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ქართლის მეფე ლუარსაბ I-თან (1534-1558 წწ.). მათი მიმოწერიდან (1545 წ.) ირკვევა, რომ საქართველოში ამ დროს იგებოდა კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრები (მ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფ., 1902 წ.).

პაველ მოციქული († 67 წ.) – ქრისტეს ერთ-ერთი უდიდესი მოციქული და განმანათლებელი. პეტრესთან ერთად იწოდება „მოციქულთა თავად“. „საქმე მოციქულთას“ მიხედვით, პაველ იყო ოუდეველი. დაბადებულა ქ. ტარსუსში (კილიკია), წარჩინებული ებრაელის ოჯახში (საქმ. 22,3; 9, 11; 21,39; 23,6). მოქცეამდე ეწოდებოდა საულე. ეკუთვნოდა ფარისეველთა სარწმუნოებრივ სექტას. საღთისმეტყველო განათლება მიღო იერუსალიმში, ფარისეველ გამალიელის სკოლაში (საქმე 22,3; 18,3). თავდაპირველად აქტიურად მონაწილეობდა ქრისტიანთა დევნაში (საქმ. 7,58; 8,1,3; 22, 4-5; 26, 10-11; I კორ. 15,9; გალ. 1,13; ფილიპ. 3, 6,; I ტიმ. 1,13), მაგრამ დამასკოს გზაზე ქრისტეს სასწაულებრივ ხილვას მოუქცევია (საქმე 9,3; 22, 6-16), მონათლულა მოციქულ ანანიას მიერ და ამის შემდეგ იგი ქრისტიანობის დაუცხრომელი მქადაგებელი გამხდარა. ქრისტიანობის გასავრცელებლად სამგზის უმოგზაურია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ქვეყნებში არაბეთიდან ესპანეთამდე და „სხუათა უმეტეს დამშრალა“ (I კორ. 15,10). მოწამებრივად აღსრულებულა (თავი მოუკვეთიათ) რომში იმპერატორ ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნის დროს (პაველე მოციქულის „წამების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 19, A 67; A 95; Ath. 8, Sin. 32-57-33). პაველმ, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად დააფუძნა მრავალი ეკლესია და ეპისკოპოსები დაუდგინა მათ, დაწერა სწაველა-მოძღვრე-

ბითი შინაარსის 14 ეპისტოლე, რომლებიც ახალი აღთქმის შემადგენლობაში შედიან. კრებული ძველქართულად „პაულენის" სახელით იყო ცნობილი. იგი ძველთაგანვე იყო თარგმნილი ქართულ ენაზე. ოთხი ქართული რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი X-XIV სს. თარგმნტი ხელნაწერის მიხედვით გამოცემულია ქ. ძოწენიძისა და კ. დანელიას მიერ (პაულენი; პაულეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ., 1974 წ.). ქართულ ენაზე მოგვეპოვება პაულეს ეპისტოლეთა განმარტება: „მოკლე თარგმანება პაულეს ეპისტოლეთაჲ, კორინთელთა და ებრაელთა მიმართ" – კირილე ალექსანდრიელის თხზულება (თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა). ტექსტი დაცულია ათონურ ხელნაწერში: Ath. 39, 16-101 (გამოც. ე. კოჭლამაზაშვილის მიერ: პაულეს ეპისტოლეთა განმარტება, თბ., 2002).

პაველე – მოწამე ყრმა, აწამეს ნიკომიდიაში ქრისტიანობის აღიარებისათვის იმპერატორ ავრელიანეს (270-275) დროს. მასთან ერთად აწამეს ყრმები: კლავდი, იპატი და დიონისე, ავრთვე ყოფილი წარმართი ქურუმი ლუკილიანე. მ-წამთა ხსენების დღეა – 3 ივნისი. მათი მეტაფრასული "წამების,, ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 39-51.

პაველე – მოწამე, ეწამა პალესტინის ქალაქ კესარიაში იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, დაახლ. 307-309; პაელე იყო მეგობარი წმ. მღვდელმოწამე პამფილესი. მათთან ერთად აწამეს დიაკონი ვალენტი და სხვა მრავალი ქრისტიანი. მოწამეთა ხსენების დღეა 16 თებერვალი. მათი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 1, 57-597

პაველე – მოწამე, ეწამა თაეის და იელიანასთან და სამ სხვა მოწამესთან ერთად იმპერატორ ავრელიანეს (270-275) დროს, 273 წ. ფინიკიის ქალაქ პტოლემაიდში. როდესაც იმპერატორი ამ ქალაქს ეწვია, დამხვდურთა შორის მყოფმა პაელემ პირუკუარი გადაიწერა, რაც არ გამოპარვიათ მხედველობიდან. იგი მაშინვე შეიპყრეს და სატუსაღოში ჩაგდეს. სასტიკი წამების მიუხედავად იგი დაუფარავად აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. იულიანა, რომელიც ხედავდა თაეისი ძმის წამებას, საჯაროდ ამხილებდა იმპერატორს, უსამართლობასა და სისასტიკეში სდებდა ბრალს. ამის გამო ისიც შეიპყრეს და აწამეს. ხანგრძლივი წამების შემდეგ და-ძმას თაეები მოჰკეთეს. პტოლემაიდელ წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 4 მარტი. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 2, 58-71.

პაველე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობრის სახელი:

1. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი X ს. დასაწყისში სერაპიონის, გიორგისა და მიქელის შემდეგ. მიქელის დროს დაიწყეს შენება ახალი სამონასტრო ტაძრისა, რომელიც დამთავრდა პაულეს დროს. პაულეს შემდეგ ზარზმის წინამძღვარი იყო ბასილი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ავტორი.

2. იოანე პეტრიწის ძმა, გელათის მონასტრის მოღვაწე. მას დაუმთავრებია იოანეს მიერ გალექსილი „კალენდარი" ქრისტეფორე მტილელელისა („გალობანი ყოველთა წმიდათანი"), რომელსაც თარგმანში ლიტურგიკული კანონის სახე აქვს. იოანეს ეკუთვნის ამ გალობათა პირველი ნაწყვარი, „კურთხეულ არსამდე", ე.ი. 1-6 გალობა (შეესაბამება სექტემბერი-მარტი), ხოლო მეორე ნაწილი – „კურთხეულ-არსი", „აკურთხეგდითი" და „დიდებდითი" ანუ 7-9 გალობა (აპრილ-აგვისტოს წმინდანები) – პაულეს. ეს კანონი დაცულია ხელნაწერებში: A 85; A 290; S 379.

3. ჭუთათელი, XI ს. მღვდელმთავარი, მოხსენებულია „ათონის კრებულში", როგორც ქართველთა მონასტრის შემოწირველი. ათონელ ბერებს მისთვის განუწესებიათ აღაპი პაულე თებელის ხსენების დღეს – 15 იანვარს.

4. მტბეელი, XII ს. ტბეთის ეპისკოპოსი, ბიძა ნიკოლოზ ჭუთათელი მთავარეპისკოპოსისა. გიორგი III-ის მეუობაში გადაუწერია ტბეთის სახარება.

5. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XII ს. II ნახევარში. როცა იგი წინამძღვრად დამდგარა, იერარიის მონასტერი გაჭირვებულ დღეში ყოფილა – „როდიდითგან და ვიდრე ნიკოლწმიდადმე" დაუკარგავს მამულები. პაელე წასულა კონსტანტინეპოლეში, მრავალი ხარკის ფასად გამოუხსნია მამულები და მოულია სიმტკიცის (ხელშეუვალობის) სახეებები. პაელეს სამწებნელო სამუშაოებიც ჩაუტარებია მონასტერში, აუშენებია სასწულო, კელიები, ბოლბოლის მეტოქი, ეკლესია წმიდა თეოდორესი, მელენძათა ღვთისმშობლის ეკლესია (მოხატეთ), როდოვილის მეტოქი, ლობრაიკის წმ. გიორგის ეკლესია, აუმაღლებია მონასტრის გალავანი, შეუსრულა კანისკას მონ-

ასტერი „დიდითა წარსაგებელითა", შეუმკია მონასტრის დიდი ეკლესია, აგრეთვე ბურღოს და ნიკოლწმიდის ეკლესიები. იგი, როგორც „ათონის ქრებულის" აღათა ნუსხის ჩანაწერებიდან ჩანს, შესანიშნავი ორგანიზატორი ყოფილა. მისი ხელით მრავალ თანამდროვეს შეუწირავს შესაწირავი მონასტრისათვის, მასვე განუწესებია მათთვის მოსახსენებელი დღეები (აღაპები), მონასტერში სანიშნეში წესირიგი დაუმყარებია (მაგალითად, უბრძანებია „დაუუსებლობა" ანუ ჩაუქრობლობა სადიაკონოში რამდენიმე კანდელისა – ქართველთა მამათა, წმ. იოანე მახარებელისა, წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისა, რადგანაც ისინი, მისივე სიტყვით, არიან ყოველდღე მეხნი ჩუენისა ნათესაისანი"), მას მამობა გადაუღიცავს შემდეგი წინამძღვრის, გიორგი IV-სათვის, რომელიც მანამდე იკონომოსი ყოფილა.

ათონელ ბერებს „ერთითა ერთობითა და ყოველთა ძმათა განწრაფვითა" განუწესებიათ პაველისათვის აღაპი ამაღლების დღესასწაულზე.

6. XV ს. დეკანოზი, მწიგნობარი, პეტრე იბერიელის ქართული „ცხოვრების" რედაქტორი. ამ თხზულების ქართული ვერსიის თანამად, იგი შეთხზული ყოფილა V-VI სს-ში ასურულ ენაზე, პეტრე იბერის მოწაფისა და თანამსლებლის, ზაქარიას მიერ. XIII ს-ში ეს თხზულება ქართულად უთარგმნია მღვდელს, მაკარი მესხს. პაველ დეკანოზს გაუერცელებია თხზულების შესაკლი და დასასრული, რადგანაც დედანი, როშლიდანაც იგი წერდა, აშლილი და უთავბოლო ყოფილა, საეკლესიოდ საკითხავი წიგნი კი „არა აშლილი ხამსო".

7. თბილისის სიონის მღვდელი, მწიგნობარი. გადაუწერია A 728 და სხვა ხელნაწერები.

8. დაითგარეჯელი მონაზონი, ლეკების მიერ მოკლული XVII ს. მიწურულში. მოხსენებულია წმ. მღვდელმოწამის, შიოს „წამებაში" (იხ. ძეგლები, IV, გე. 441).

პაველ – III ს. ეგვიპტელი მოწამე, წარმოშობით ქ. თანისიდან. როდესაც მაქსიმიანე იმპერატორმა ქრისტიანთა დევნა გამოაცხადა, თანისში გამოჩნდა მტკიცე მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებიც თვითონ გამოცხადდნენ ეგვიპტის მსაჯულ ამპელიანოსთან და მის წინაშე აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება. მსაჯულმა ბრძანა ბორკილები დაედოთ წმ. აღმსარებლებისათვის და განსასჯელად თესალონიკეში გაგზავნა იმპერატორთან. ხანგრძლივი და მძიმე ტანჯვა-წამების შემდეგ პაველს, ბოლოს, თეონ და ირონ მოწამეებს და მათთან ერთად 32 სხვა აღმსარებელს თავი მოაკვეთეს. ერთმა იქ დამსწრე ქრისტიანმა, სახელად პანესმა, შეისყიდა მტარვალთაგან წამებული გვამები და დაფლა მიუვალ ადგილას, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ გადაასვენა ეგვიპტეში, მათ მშობლიურ ქალაქ თანისში და იქ შესაფერი პატივით დაკრძალა ისინი. სსენების დღეა 2 ივლისი. ამ მოწამეთა შესახებ არც ბერძნულ, არც სხვა ქვეყნის ქრისტიანი ერის მწერლობაში არაეითარი ცნობა დღესდღეობით არ მოგვეპოვება – არც კალენდარული, არც მარტიროლოგიური. მხოლოდ. ძე. ქართული ჰაგიოგრაფიის საშუალებით გახდნენ ისინი ცნობილი. ქართულ ენაზე მათი სსენება აღნიშნულია იოანე-ზოსიმეს 956 წლის კალენდარში (ეტიუდ. V, 268), გიორგი მთაწმიდელის „თვენში" (1049 წ.), მიქაელ მოდრეკილის მიერ შეთხზულ „ყოველთა წმიდათა" საგალობელში. ქართულადვე მოგვეპოვება ერეტელი, კიმენის რედაქციის „მარტვილობა", რომელიც ოთხი ნუსხითაა ცნობილი. პირველი ორი, ქრონოლოგიურად უძველესი (X ს.) ნუსხა გვაქვს A 95-ში (გვ. 953-963) და Sin. 62/11-ზე; XI ს-ის შუახანების ნუსხა მოთავსებულია ბოდლეს ბიბლიოთეკის XI ს. ხელნაწერში (ბოდლ. 1); მეოთხე ნუსხა – A 382-ში. თარგმანი შესრულებულია სეითის მიერ (VIII-IX სს.), გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, II, 17-26).

„პაველ" – ძველ ლიტურგიკულ ძეგლებში ასე აღინიშნებოდა სამოციქულოს ის დასწყისები, რომლებიც ეკუთვნის პაველ მოციქულს. „საქმე მოციქულთას" დასაწყისებს ეწოდებოდა „პრაქსი" (ბერძნ. „საქმე") ან „საქმე მოციქულთაჲ", კათოლიკე ეპისტოლეთა დასაწყისებს – „კათოლიკე".

პაველ ეგზარხოსი – იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში.

პაველ ეპისკოპოსი – „პონტოჲს" მწყემსმთავარი, წმიდა მამა. ღვთის სიყვარულისათვის დატოვა თავისი საეპისკოპოსო კათედრა და განდეგილად მოღუწეობდა სხვადასხვა უდაბნოებში. იოანე ხუცესთან ერთად მოილოცა სინის მთა და საკვირველთმოქმედებით მოაქცია მის მახლობლად მცხოვრები მადიამელი სარკინოზები. პაველ ეპისკოპოსისა და იოანე ხუცესის „ცხოვრება" სრულადაა დაცული ერთად ქართულ ხელნაწერში – ბრიტანეთის მუზე-

უმის Add 11281. სხვა ვარიანტი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. არსებობს მხოლოდ ამ თხზულების ბერძნული ორიგინალი, ისიც არასრული. ქართული ტექსტი გამოცემულია ე. იმნაიშვილის მიერ („მამათა ცხორებანი", თბ., 1975 წ. 262-272). ქართული ვერსია წმიდა მამათა ხსენების დღეზე არაეერს ამბობს, ბერძნულის მიხედვით – 30 ივლისი.

პაველ თებაელი // Tebaideli – თებაიდის უდაბნოს მოღვაწე (ეგვიპტეში), განდეგილობის ერთ-ერთი მამამთავარი და დამფუძნებელი. უდაბნოში გაატარა 91 წელიწადი და 113 წლისა გარდაიცვალა (341 წ.). გარდაცვალების წინ იგი ღვთის განგებით იხსნეულა ანტონ დიდმა, რომელიც აგრეთვე თებაიდის უდაბნოში მოღვაწეობდა. ღირსმა ანტონმა დაკრძალა მისი სხეული და თან წაიღო პალმის ფოთლებისაგან დამზადებული მისი შესამოსელი. პაველ თებაელის ხსენების დღე 15 იანვარია. არსებობს მისი „ცხოვრების" ორი რედაქცია: კომენური (A 95, 316-324; A 1109, 5-9) და მეტაფრასული (A 90, 515/533; ქუთ. 13, 127-137) Sin. 91, 176-186; Jer. 18, 215-227; A 79, 186-207).

პაველ ისაურიელი – IX ს. ერთ-ერთი ხატმებრძოლი, რომელიც შეაჩერეს 843 წ. კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ. იხ. „მცირე სჯულისკანონი" („კრებულსწერა სარწმუნოებისაჲ"), გე. 132,12.

პაველ კორინთელი სალოსი – IX საუ. სასწაულმოქმედი და ნათლმხილველი (ხსენების დღე – 28 თებერვალი). მისი „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია თარგმნილია ქართულ ენაზე და დაცულია ხელნაწერში: ქუთ. I, 231-242; ბერძნული დედნიდან ღღემდე მოღწეულია მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თხზულების დასაწყისში. სრული ტექსტი დაუცავს მხოლოდ ქართულ თარგმანს. გამოცემულია ე. გაბიძაშვილის მიერ: ხელნაწერთა ინსტიტუტის „მრაალთავი", XVIII, თბილისი, 1949, გე. 323-334.

„პაველ მღდელისა მიმართ" – თალასე მონაზონის მისტიკური თხზულება („თქუმული სიყუარულისათჳს და სულიერისა ცხორებისა პაველ მღდელისა მიმართ"), რომელიც ქართულად უთარგმნიათ ათონის სალიტერატურო წრეებში (შესაძლოა, გიორგი მთაწმიდელს)არა უგვიანეს XI ს-ისა. თხზულება ოთხ ნაწილად იყოფა, რომელთაც „ასეული" ეწოდება. თარგმანის ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 55, 395-403; A 66, 175-193.

პაველ ტარონელი – შუა საუკუნეების სომეხი საეკლესიო მწერალი. ანტონ I კათოლიკოსის მოწვევით, 1744-1749 წწ-ში ქართულ ენაზე უთარგმნიათ მრავალი ანტიქალკედონიტური დოგმატიკური და პოლემიკური თხზულება, მათ შორის პაველ ტარონელისა. ამით საფრთხე ექმნებოდა მართლმადიდებლობას საქართველოში. სომებ მოძღვართა „წინააგმსაწყობად" (საწინააღმდეგოდ) ანტონ I-ს დაუწერია „შჯამეტყველება" (იხ.).

პაველ შაინცელი – XVI-XVII სს. იტალიელი კათოლიკე მღვდელი. 1616 წ. იყო საქართველოში, რის შემდეგაც ნეაპოლში გამოსცა წიგნი საქართველოს შესახებ (იგი აღნიშნავდა ქართველების დაინტერესებას რომთან ურთიერთობით).

პაველ ხუცესი – ზარზმის მონასტრის მეოთხე წინამძღვარი (X ს.) სერაპიონის, გიორგისა და მიქაელის შემდეგ. მან „სრულ ყო ეკლესიაჲ და შეამკო ყოველთა სამკაულითა". მოხსენიებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" (იხ. ძეგლები, I, 345).

პაველიანი – სოფელი ახალგორის რაიონში, მდ. ქსნის ხეობაში, ახალგორიდან 33 კმ. სოფლის მიდამოებში (ადგილი „ლამისა") შემორჩენილია IX-X სს. წმ. გიორგის ეკლესია, აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების სამრეკლო და სხვა ნაგებობანი.

პაველიკიანობა – მწვალებლური მოძრაობა შუა საუკუნეების ქრისტიანობაში. ჩაისახა VII ს-ში ბიზანტიის იმპერიის აღმ. ნაწილში (დას. სომხეთი), დამარსებელია სომეხი კონსტანტინე, რომელმაც მოგვიანებით სილვანი დაირქვა. VIII ს. დასაწყისში პაველიკანობა გავრცელდა აღმ. სომხეთში, მცირე აზიაში, ძირითადად გლეხობასა და ნაწილობრივ ქალაქის დაბალ ფენებში. პაველიკიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია მანიქეიზმმა და მაზდაიზმმა. პაველიკიანები დუალისტები იყვნენ: აღიარებდნენ სიკეთის ღმერთს (ზეცისრა მამა) და ბოროტების ღმერთს (სატანა); იესო ქრისტეს ერთ-ერთ ანგელოზად და სიკეთის ღმერთის ძედ მიიჩნევდნენ. მოძღვრების მიხედვით, ბოროტების ღმერთის (ხილული სამყაროს და ადამიანების შემოქმედის) განადგურების შემდეგ დედამიწაზე გამა-

ტონდება სიკეთის ღმერთი. პაულიკიანობა უარყოფდა ღვთისმშობლის თაყვანისცემას, მოციქულებს, წმინდანებს, ეკლესიას, სამღვდელოებასა და, განსაკუთრებით, ბერ-მონაზვნებს. წმინდა წიგნად მხოლოდ ახალ აღთქმას (პეტრეს ეპისტოლეების გარეშე) აღიარებდა. პაულიკიანობა, როგორც სარწმუნოება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX ს. I ნახევარში. პაულიკიანობის მიმდევრებმა თაყვანი სახელმწიფო დაარსეს მცირე აზიაში, არაბეთ-ბიზანტიის საზღვარზე, დედაქალაქი – თეფრიკა. პაულიკიანობის მიმდევრები ბიზანტიელებმა 872 წ. გაანადგურეს და აიღეს თეფრიკა (878 წ.). გადარჩენილებმა სომხეთს შეაფარეს თავი, სადაც მათი მიმდევრები გახდნენ თონდრაკელები. პაულიკიანობის მიმდევრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბალკანეთში „ბოგომილობის“ ჩამოყალიბებაში.

პაისიოსი – იერუსალიმის პატრიარქი 1645-61 წწ. 1658 წ. იმოგზაურა საქართველოში დოსითეოსთან (მომავალ იერუსალიმელ პატრიარქთან) ერთად. იხ. დოსითეოსი.

პაისიოს მღვდელმონაზონი – ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი 1673-1674 წწ. ეროვნებით ბერძენი. მოხსენებულია თხზულებაში: „მოთხრობაჲ უმშვენიერესი მონასტრისათჳს იერთაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“ (იხ. კ. კეკელიძე, „მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მღვიძარეობა XVI-XVII სს-ში“, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, გვ. 69-86).

პალადი ჰელენოპოლელი († 425) – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, აეტორი ასკეტურ-მისტიკური ხასიათის თხზულებისა „ლავსაიკონი“. ქართულად თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. დაცულია მრავალ ხელნაწერში: A 143, A 154, A 164, A 196, A 362, A 400, A 682 და სხვ.

პალადი ეგზარქოსი – იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში.

პალაპარა (ბერძნ. „ძველი ლავრა“) – მონასტერი პალესტინაში, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10-12 კმ-ზე. დაარსა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ხარიტონმა († დაახლ. 350 წ.), რომლის პატივსაცემადაც პალავრას ხარიტონის ლავრას ან ხარიტონწმიდასაც უწოდებდნენ. X-XI სს-ში აქ ყოფილა ქართველთა მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე საფარელი, პაული პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ. პალავრაში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები თაყვანს აშბადებდნენ საყურადღებო ნუსხებს და პალესტინის სხვა სავანეთა მკვიდრ თანამემამულეებსაც ავალებდნენ კრებულების გადაწერას (კერძოდ, საბაწმიდის მონასტერში, სინის მთაზე და სხვ.). პალავრაში გადაწერილ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია კრებული H 2124.

პალაპატრი (პალეკარტი, პალიკარტი, პალეგატი) – „მონაზონთ სამოსელი, ფართო და ნაოჭიანი, წმიდის ბასილის მოგონილი“ – საბა (იხ. სქემა, საბეჭური).

პალდენ – ქართლის „სეუე-სახლის V-VI სს. ეპისკოპოსი“, მოხსენებულია დვინის საეკლესიო კრების (506 წ.) მონაწილე ეპისკოპოსთა შორის, რომელთაც შეარჩენეს ქალკედონის კრება და ლეონ რომთა პაპის დოგმატიკური ეპისტოლე (უხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, 1975, გვ. 139).

პალესტინა (ბერძნ., მომდინარეობს ძე. ებრ. „ფელიშთიმიდან“ – ფილისტიმელები) – ისტორიული ოლქი წინა აზიაში. დასახლებული იყო პალეოლითის ხანიდან. ძვ.წ. X-VIII ათასწლეულში აქ განვითარდა ნატუფიის კულტურა. ძვ.წ. III ათასწლეულში ქანაანელი ტომები ჩამოსახლდნენ. ძვ.წ. XII ს-ში პალესტინის სანაპირო ზოლი ფილისტიმელებმა დაიპყრეს. ძვ.წ. XI ს-ში პალესტინის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში შეიქმნა ისრაელ-იუდეველთა სამეფო, რომელიც დაახლ. ძვ. წ. 928 წ. ორ სამეფოდ გაიყო – ისრაელის სამეფოდ (ჩრდ. პალესტინა, ძვ. წ. 928-722 წწ.) და იუდეველთა სამეფოდ (სამხრ. პალესტინა, ძვ. წ. 928-586 წწ.). ძვ. წ. 539 წლიდან პალესტინის ტერიტორია აქემენიდთა სახელმწიფოში შედიოდა, ძვ. წ. 332 წლიდან ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ძვ. წ. 301 წლიდან პტოლემეების ემორჩილებოდა. ძვ. წ. 2000 წლიდან – სელევკიდებს. ძვ. წ. 63 წ. პალესტინაში რომის პროტექტორატი დამყარდა. 395 წლიდან ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 540 წლიდან არაბებმა დაიპყრეს. XI ს-ში დაიპყრეს ჯვაროსნებმა, XII ს-ში – ეგვიპტის სულთნებმა, XIII ს-ში – მამლუქებმა. 1516 წლიდან შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემად-

გენლობაში. 1948 წ. პალესტინის ტერიტორიის ნაწილზე დაარსდა ისრაელის სახელმწიფო.

პალესტინასთან დაკავშირებულია საღვთო ისტორიის უმთავრესი მოვლენები: სარწმუნოების დაფუძნება, წინასწარმეტყველთა ქადაგება, უფლის განჯარისება და მისი სასწაულები, ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა და ზეცად ამაღლება. პალესტინაში ყველ ფეხის ნაბიჯზეა წმინდა ადგილები: იერუსალიმი, ბეთლემი, გეთსამანია, გოლგოთა, სიონის მთა, ელეონის (ზეთისხილის) მთა, იორდანე, ქუბრონი და სხვ.

პალესტინის ოთხთავი (სახარება) — 1048 წ. სახარება-ოთხთავის ხელნაწერი, გადაწერილი პალესტინაში და იქიდან საქართველოში ჩამოტანილი. დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 1741).

პალიმფსესტი – პერგამენტი, რომელზედაც წაშლილი და გადარეცხილია ტექსტი, მისი ხელახალი გამოყენების მიზნით. ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში საწერი მასალა ძვირად ფასობდა. პალიმფსესტები მზადდებოდა მონასტრებში. უკანასკნელ ხანებში ქიმიური საშუალებებით ხერხდება ზოგიერთი პალიმფსესტის ძველი ტექსტის ამოკითხვა.

პალმიერი აურელიო – იტალიელი ალმოსაელთმცოდნე. 1902 წ. მან გამოაქვეყნა სტატია იბერთა გაქრისტიანების შესახებ („ქრისტიანული აღმოსაელეთი", 2,3). მას აქვს რამდენიმე წერილი ქართველ წმინდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ საკითხებზე.

პამფილე მღვდელმოწამე – ეწამა პალესტინის ქალაქ კესარიაში იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) მიერ წამოწყებულ ქრისტიანთა დევნის დროს (დაახლ. 307-309). წარმოშობით ქალაქ ბერიტის (ბეირუთის) მკვიდრი იყო. განათლება ალექსანდრიაში მიიღო, ხუცესად კი კესარიაში იყო დადგინებული. მან ბევრი უღვაწა საღვთო წერილის წიგნთა გადაწერა-რედაქტირების საქმეში. ნეტარი იერონიმე (IV-V სს.) დიდ პატივს სცემდა წმ. პამფილეს განსწავლულობას. წმ. მოწამე შეიპყრო კესარიის გამგებელმა ურბანმა. მასთან ერთად შეპყრობილები იყვნენ მისი მეგობრები ეალენტი დიაკონი და პალე. ჯერ ურბანი, შემდეგ მისი მემკვიდრე ფირმილიანე ეცადა, ქრისტიანობისაგან განეყენებინა წმ. მოწამენი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მან ბრძანა, თავები მოეკვეთათ მათთვის. პამფილე ხუცესთან, ეალენტი დიაკონთან და პალესთან ერთად ეწამნენ: პორფირე, ხელეჩა, თეოდულე, იულიანე, სამუელი, ილია, დანიელი, ირენეა და ისაია. წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 16 თებერვალი. მათი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 1, 57-59.

პანაგია, პანაღია (ბერძნ. „ყოველად წმიდა") 1. თავდაპირველად ასე ეწოდებოდა ხეფის კვერის ნაწილს, რომელიც პროსკომიდიის დროს ნაკვეთი იყო ყოველდღიდან ღვთისმშობლის პატივსაცემად და მოსახსენებლად. ამ ნაწილს ინახავდნენ საგანგებო ყუთში, რომელსაც პანაგიარი ეწოდებოდა. წირვის ბოლოს ხეფის კვერი თავის ყუთისად გადაჰქონდათ სატრაპეზოში (იხ. პანაღიის წესი), რათა თითოეულ მონაზონს მიეღო მისი თითო ნაწილი სადილის დაწყებამდე და თითოც – სადილის დასაწყისს. მოგვიანებით პანაღია ეწოდა თვით პანაგიარს, აღნიშნული სეფისკვერის შესანახ ყუთს. ბოლოს კი ამ სანაწილე ყუთს გაუკეთეს ერთ მხარეს – ღვთისმშობლის, მეორე მხარეს – მაცხოვრის ან წმ. საბუის გამოსახულება და მკერდზე ატარებდნენ მღვდელმთავარნი, როგორც მღვდელმთავართა განმასხვავებელ ნიშანს. ხანდახან პანაღიაში წმინდანთა ნაწილებსაც ინახავდნენ. 2. საწიაღე ხატი, ენკოლპიონი; გულზე ჩამოსაკიდებელი მედალიონისებრი პატარა მოჭედილი ხატი, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი, მაცხოვარი, ან რომელიმე საუფლო დღესასწაული. მისი ტარების უფლება მხოლოდ მღვდელმთავრებს აქვთ. წმინდა ნაწილები თანამედროვე პანაღიაში საკლდებულო არ არის. პანაღიას ამზადებენ როგორც ლითონისაგან (ჩამოსხმული, გამოჭედილი, მინანქრითა და სეედით მორთული), ისე სპილოს ძვლისაგან, ხისა და რბილი ქვისაგან. 3. ღვთისმშობლის ეიკონოგრაფიული სახე, მკერდზე მედალიონში ჩასმული ყრმა ქრისტეს გამოსახულებით.

პანაღიის ფესი (პანაღიის ამაღლების წესი) – წესი ღვთისადმი მადლობის შეწირვისა. სრულდებოდა მონასტრებში საღვთო ჯამის წირვისა და სადილობის შემდეგ, ყოველდღიდა ღვთისმშობლის ზეცად ამაღლების მოსახსენებლად. სატრაპეზოში წარმოითქმოდა სათანადო (სამადლობელი) ლოცვები, ორიეე ხელის პირველი თითებით აღამაღლებდენ ღვთისმშობლის სეფისკვერის ნაწილს (იხ. პანაგია) და ყველი მონაზონი თითო ნაწილს მიიღებდა მისგან. გადმოცემით, ამ წესმა დასაბამი პოეა მო-

ციქულთა დროიდან. ამ გადმოცემის თანახმად, სანამ მოციქულები მოგზაურობას შეუდგებოდნენ, ერთად იყვნენ შეკრებილნი იერუსალიმში. ლოცვის შემდეგ სატრაპეზოში მიდიოდნენ ხოლმე და სადილს შეექცეოდნენ. მუდამ ისე სხდებოდნენ, რომ უპირატეს ადგილს ცარიელს ტოვებდნენ, მასზე კი ერთ-ერთ ნაკეთ პურს ათავსებდნენ. ამ პურს ეწოდებოდა ქრისტეს ნაწილი. სადილობის შემდეგ ადგებოდნენ ლოცვისათვის (მადლობის შესაწირაოად), აიღებდნენ ქრისტეს ნაწილად წოდებულ პურს და ამაღლებდნენ (ზეცით ასწევდნენ). ამ დროს ყველა წარმოთქვამდა: „დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა“. როდესაც მოციქულნი საქადაგებლად გაემგზავრნენ, ყველა ასრულებდა ამაღე წესს ცალ-ცალკე. ეს გაგრძელდა ღვთისმშობლის მძინებამდე. მძინების დღეს ყველა მოციქული ასწუალებრივად გამოცხადდა იერუსალიმში წმ. მარიამთან გამოსათხოვებლად. ღვთისმშობლის დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ გამართეს ვახშამი. ტაბლიდან რომ ადგნენ, წესისმებრ ადამაღლეს უფლის ნაწილად წოდებული პური და უფალთან ერთად ადიდებდნენ ყოველადწმიდა ღვთისმშობელს იმავე სიტყვებით, რა სიტყვებიც წარმოთქვეს წმ. ქალწულის მიძინების დროს, როდესაც იხილეს ზეციური დიდება და სიმრავლე ანგელოზებისა, რომლებიც უფლის მიერ ზეცად აყვანილ ღვთისმშობელს გარს ერტყნენ. მოციქულები ამბობდნენ: „ყოველადწმიდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ ჩუენ“. ამის შემდეგ გახსნეს საფლაკი და ვეღარ იპოვეს ღვთისმშობლის უხრწნელი გვამი, რადგანაც იგი ხორციელადაც ზეცად ამაღლებინა თავის ძეს და ღმერთს. ამიერიდან წმ. ნაწილის (პურის) ამაღლების წესს ეწოდა პანაღიის (ბერძ. „ყოვლადწმიდა“) წესი. ეს წესი, ზემოხსენებული გადმოცემითურთ, წერია ჟამშიო (ერთეული სადილის ჟამს).

პანაგუშასა (პანაგუზას) — VI ს. მცხეთელი სპარსელი, რომელიც რამდენიმე თანამებრძოლესთან ერთად (ევსტათი, გუშნაკ, ბორზო, პეროზაკ, ზარმელ, სტეფანე) გაქრისტიანდა, მაგრამ შემდეგ, წამების შიშით, კვლავ მაზდეანური სარწმუნოება აღიარა. მოხსენიებულია „ევსტათი მცხეთელის მარტულობაში“ (იხ. ძეგლები, I, 32-34).

პანათენეა — ძველი ბერძნული დღესასწაული ქალღმერთ ათენას პატივსაცემად. ანტიკური ტრადიციით, უძველესი დღესასწაულია და მისი დაარსება ერექთეონს მიეწერება, ხოლო თესევსის დროს (დაახლ. ძვ. წ. XIII ს.) საერთო ატიკური დღესასწაული გახდა. ე. წ. დიდი პანათენეა ეწყობოდა ხუთ წელიწადში ერთხელ, შემდეგ კი — ყოველი ოლიმპიადის მე-3 წელს, იელისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში.

პანაშვიდი (ბერძნ. „მთელი ღამე“) — საეკლესიო მღვდელმსახურება, ლოცვა მიცვალებულთათვის, სრულდება მიცვალებულის დაკრძალვამდე (მე-3 დღეს) და დაკრძალვის შემდეგ (გარდაცვალებიდან IX, XX, XL დღეს), აგრეთვე დაბადების და გარდაცვალების წლისთავზე, ანგელოზის დღეს. გარდა ამისა, პანაშვიდები სრულდება მიცვალებულთა მოსახსენების საყოველთაო დღეებში, მსოფლიო შაბათებში (ხორციელის შაბათს, დიდი მარხვის II, III და IV შაბათს, სულთმოფენობის წინადღეს) და სხვა დღეებში. პანაშვიდი სრულდება ცისკრის ლოცვის სქემით. ექვსი ფსალმუნის ნაცვლად იკითხება 90-ე ფსალმუნი. ამას მოსდევს მიცვალებულის ტროპარები და კანონი (ძლისპირები თაყვანით ტროპარებით) და ა. შ. პასექის შვიდეულში პანაშვიდი განსხვავებული წესით სრულდება: დასაწყისში იგალობება „ქრისტე აღდგა“ სათანადო მუხლების ჩართვით, მიცვალებულის კანონის ნაცვლად წაიკითხება (ან იგალობება) აღდგომის კანონი, მე-9 გალობის შემდეგ ითქმის პასექის დასაბეჭდები და ა. შ. პანაშვიდის წესი წერია „კურთხევანში“.

პანაშვიდი ცოცხლისათვის — საეკლესიო წესი, რომელსაც ასრულებენ ცალკეულ მორწმუნეთათვის რაიმე მძიმე შეცოდების შემთხვევაში. ეს წესი შეტანილი იყო ძველ კურთხევანებში (A 48, A 450 და სხვ.). გამოც.: ე. კოჭლამაზაშვილის მიერ (მცირე კურთხევანი, 1999 წ.).

პანდიტი (სანსკრ. პანდიტა — სწავლული, ბრძენი, მასწავლებელი) — ინდოეთში ძვ. საპატიო წოდება სწავლული ბრაჰმანისა, რომელმაც კარგად იცოდა სანსკრიტი და ინდუსთა კანონიკური ლიტერატურა. პანდიტს ქაშმირში უწოდებენ ყველა ბრაჰმანს. პანდიტის წოდება ჰქონდა ინდოეთის პრეზიდენტს ჯ. ნერუს.

პანდორე („ყველაფრით დაჯილდოებული“) — ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში შვენიერი ქალი, რომლის შექმნა ჰეფესტოსს უბრძანა. პრომეთეზე განრისხებულმა ზევსმა (პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მისცა) ად-

ამიანთა მოდგმის დასასჯელად. პეფესტოსმა მიწისა და წყლისაგან შექმნა არსება, რომელსაც ქალღმერთის გარეგნობა და ადამიანის ხმა ჰქონდა. აფროდიტემ პანდორეს მოშობილებლობა და სინარნარე დაანათლა, პერმესმა — ეშმაკობა და ვერაგობა, ათენა პალადამ კი ხელსაქმე ასწავლა. შემდეგ მიაგვარეს პრომეთეს ძმას ეპიმეთეუსს და მან, მიუხედავად პრომეთეს გაფრთხილებისა, პანდორე ცოლად შეირთო. ცნობისმოყვარე პანდორემ თაი ახადა სახლში შენახულ ადამიანის ყველა უბედურებათა ყუთს და ამის შემდეგ ბოლო მოელო ადამიანთა ბედნიერ ცხოვრებას. ზეუსის ნებით, ყუთს თაი მაინც დაეხურა, როცა მის ძირში დარჩა მხოლოდ იმედი. პანდორეს ყუთი სიმბოლოა ყოველგვარი უბედურებისა.

პანეგირიკი — საჯაროდ წარმოთქმული სახოტბო სიტყვა, ისტორიულ-რიტორიკული და ლიტერატურული ჟანრი. წარმოიშვა ძვ. საბერძნეთში. ჟანრის სახელწოდებად დამკვიდრდა რიტორ ისოკრატეს მიერ ათენის სადიდებელი „პანეგირიკის“ გამოქვეყნების შემდეგ (ძვ. წ. დაახლ. 380 წ.). მართლმადიდებლურ ეკლესიაში პანეგირიკები (ე. წ. ენკომიები) წარმოითქმოდა წმინდანთა ხსენებასთან დაკავშირებით (იხ. ჰომილეტიკა). რჩეული პანეგირიკები ხშირად შეჰქონდათ საგიგრაფიულ კრებულებში და ისინი, როგორც წესი, მოსდევდა წმინდანთა „ცხოვრება-მარტვილობას“.

პანთეიზმი — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს ღმერთის არსებობას და ოგოვებს მას სამყაროსთან. პანთეიზმის მიხედვით, ღმერთი ბუნებაშია და ბუნება — ღმერთში. განასხვავებენ პანთეიზმის ორ ფორმას — ათეისტურსა და რელიგიურ-მისტიკურს. ათეისტური პანთეიზმის წარმომადგენლები არიან: ჯ. ბრუნო, ბ. სპინოზა და სხვ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბუნება არაეის შეუქმნია, იგი იყო და იქნება, ის არსებობს შინაგანი კანონების საფუძველზე, რომ ღმერთი არის ბუნება. რელიგიურ-მისტიკური პანთეიზმის წარმომადგენელთა (იოანე სკოტეს ერიუგენა, ნ. მალბრანში, ფ. შლაიერმახერი და თანამედროვე პერსონალისტები) მტკიცებით, ღმერთი არსებობს ყველა საგანსა და მოვლენაში, როგორც რაღაც ზებუნებრივი საწყისი. პანთეიზმის მისტიკური ფორმა ყველაზე სრულად აისახა ი. ეკჰარტის მოძღვრებაში. პილოზოისტურ (სულიერი, ცოცხალი მატერია) პანთეისტურ იდეებს შეიცავდა ძვ. ინდური აზროვნება (ბრაჰმანიზმი, ინდუიზმი, ჯეინიზმი), ძვ. ჩინური აზროვნება (დაოისიზმი), ძვ. ბერძნული ფილოსოფია (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე). შუა საუკუნეებში პანთეიზმი ავითარებდა მოძღვრებას უპირველესი მსოფლიო სულზე. ეს მოძღვრება ემყარებოდა ნეოპლატონიკურ იდეას ემანაციის შესახებ. პანთეიზმის ნატურალისტური ტენდენციები მთელი ძალით გამოვლინდა აღორძინების ეპოქაში (ნიკოლოზ კუზანელი, ტ. კამპანელა, ჯ. ბრუნო), როცა ამტკიცებდნენ, რომ ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი საგნებში.

პანთეონი (ბერძნ. „ყველა ღმერთისა“) — 1. ყველა ღმერთის ტაძარი ძველ რომში, არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლი, აგებულია დაახლ. ახ. წ. 125 წ. აგრიპას მიერ აშენებული ამავე სახელწოდების ტაძრის ადგილზე. რომის პანთეონი უზარმაზარი, კესონებიანი ნახევარსფეროსებრი გუმბათით (დიამ. 43 მ-ზე მეტი) გადახურული როტონდაა, შუაში სასინათლო ხვრელი (დიამ. დაახლ. 9 მ.) აქვს. გუმბათი აგურებრთულია ბეტონისაა. მისი საყრდენი კედელი შიგნით ორიარუსიანია. ქვედა იარუსი დაანეურებულია 7 ნიშით. პორტიკი გაფორმებულია 16 კორინთული სვეტით. ამჟამად პანთეონი წარმოადგენს ეროვნულ მაზოლეუმს, სადაც დაკრძალული არიან იტალიის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები (რაფაელი, პერუცი). 2. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო ან აკლდამა. პანთეონისათვის, როგორც წესი, იყენებენ საკულტო დანიშნულების შენობებს. ასეთი იყო უესტმინსტერის საბატო ლონდონში (1245-1745), სენტ-ჟენევიევის ეკლესია პარიზში (1764-90; პანთეონად იქცა 1791 წ.). საქართველოში 1929 წ. ა. გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე, თბილისში, მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის ეზო ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად. თბილისში გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის არის კიდევ დიდუბისა და საბურთალოს პანთეონები. ჭუთაისის პანთეონი მწუანეეკაულის მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოშია მოწყობილი.

პანი — ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყისა და ჭალების ღვთაება, მონადირეთა, მწყემსთა, მეთევზეთა და მეფუტკრეთა მფარველი. მითების თანახმად, მხიარული ღმერთი ნიმფებთან ერთად ცეკვავს, მღერის და სალამურს უკრავს,

მაგრამ განმარტოებაც უყვარს. იგი საშინელი სანახაობაა: ბანჯგვლიანსა და რქოსანს ადამიანის სახე, თხის ჩლიქები, წვერი და კუდი აქვს, ხმა ზარდამცემი (აქედან გამოთქმა – პანიკური შიში). პანის საკულტო ადგილები მისი სახელობის გამოქვაბულები იყო.

პანკრატი ტაერომენიელი – I ს-ის მღვდელმოწამე. იხ. ბაგრატ ტაერომენიელი.

პანსოფი ალექსანდრიელი – მოწამე, ძე ალექსანდრიის პროკონსულის, ნილოსისა. მამის გარდაცვალების შემდეგ მან გლახაკთ დაურიგა მთელი თავისი ქონება და უდაბნოში წავიდა, სადაც 27 წლის განმავლობაში განდეგილად ცხოვრობდა. იმპერატორ დეკიოსის (349-251 წწ.) მიერ ქრისტიანთა დევნის დროს ღირსი მამა პანსოფი შეიპყრეს წარმართებმა და ალექსანდრიის პრეფექტს მიჰგვარეს განსასჯელად. წმ. მოწამემ არ უარყო ქრისტეს სარწმუნოება და უშიშრად ამხელდა წარმართებს. ამისათვის სასტიკად ჯვეშეს მაფილის წკლაპებით და წამებით ამოხადეს სული. ხსენების დღე 15 იანვარია. წმ. პანსოფი ალექსანდრიელის „წამება“ ქართულ ენაზე თარგმნილია არაბულიდან, დაცულია ხელნაწერში A 188. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კიმენი, I, გგ. 48-59).

პანტელეიმონ – XI ს. ათონის მონასტრის მოღვაწე, მოხსენებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“, როგორც მაგალითი გიორგი მთაწმიდელის სასწაულთმოქმედებისა; იგი ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა, „ყოველთა უმრწემეს პასაკთა“, როდესაც ურჩით მთასაენებდნენ გიორგი მთაწმიდელის ცხედარს კონსტანტინეპოლიდან ათონზე. ფეხშიშველა ბიჭს თურმე იმ დროს ეკალი შეერჭო ფეხში და როცა დაიხარა, შემთხვევით ზედ ურემმა გადაურა; ყველა მოელოდა, რომ ყრმა არათუ იქვე მოკვდებოდა, არამედ ჭიასაით შუაზე გაწყდებოდა, მაგრამ გიორგი მთაწმიდელის მადლით არაფერი ენებია; იგი მყისვე ფეხზე წამომდგარა და შეშფოთებულ დამსწრეთათვის უთქვამს: „მიტევეთ, რამთა ეკალი ესე აღმოვიღო“.

პანტელეიმონ († 305 წ.) – დიდი მოწამე და მკურნალი. დაიბადა ქ. ნიკომიდიაში, წარჩინებული წარმართის, ევსტორგის ოჯახში. სახელად პანტოლეონი (ბერძნ. „ყველაფერში ლომი“) უწოდეს. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა სამკურნალო ხელოვნების შესწავლას და მოკლე ხანში ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ მის შესახებ მოახსენეს იმპერატორ მაქსიმიანეს (284-305). ნიკომიდიაში პანტოლეონი დაუახლოვდა წმ. მღვდელმოწამეებს – ერმოლაოსს, ერიმპესა და ერმოკრატეს. მათი ქადაგებითა და ღვთის სასწაულთა ხილვის შედეგად იგი ქრისტიანად მოიქცა და მოინათლა. ახალ სახელად მას პანტელეიმონი (ბერძნ. „ყოველად მოწყალე“) უწოდეს. მამის სიკვდილის შემდეგ წმ. პანტელეიმონმა თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა ავადმყოფებსა და ღარიბ-ღატაკთ. იგი უსასყიდლოდ კურნავდა ყველას, ვინც მას მიმართავდა. მალე მოწყალე ექიმის სახელი მთელ ქალაქს მოედო. ყველამ ზურგი აქცია სხვა ექიმებს და მხოლოდ წმ. პანტელეიმონს მიმართავდნენ. შურით შეპყრობილმა ექიმებმა იმპერატორს აცნობეს, პანტელეიმონი ქრისტიან ტყვეებს მკურნალობსო. ქრისტიანობის მდევნელმა იმპერატორმა სახელგანძვრულ მკურნალს ურჩია, გაებათილებინა ბრალდება და მსხვერპლი შეეწირა კერპებისადმი. წმ. პანტელეიმონმა კი იმპერატორის წინაშე ქრისტიანად აღიარა თავი, და მეტიც – მის თვალწინ იესო ქრისტეს სახელით განკურნა განრყვეული (კუტი). მაქსიმიანემ პანტელეიმონის სიმტკიცე რომ ნახა, სცადა მისი დამორწმუნება სხვადასხვაგვარი წამებით, მაგრამ წმ. მოწამეს არავითარი იარაღი არ ეკარებოდა, არც რკინის მარწუხები, არც მდუღარე ფისი, არც ზღვის ფსკერზე ჩაიძირა. ყველანაირი განსაცდელიდან პანტელეიმონის უვნებლად გამოსვლამ წარმართ იმპერატორს მაინც ვერ აუხილა თვალი. ბოლოს მან ბრძანა, თავი მოეკვეთათ წმ. მოწამისათვის. პანტელეიმონის წამება აღწერეს თვითმხილველებმა, მისმა მსახურებმა – ლარენტიმ, ევსიმ და პროვიანემ. ხსენების დღე 27 ივლისია.

ქართულ ენაზე თარგმნილია პანტელეიმონის „წამების“ როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული რედაქციები. კიმენური რედაქცია დაცულია სინურ ხელნაწერებში: Sin. 62, 106-112 და Sin. 12, 123-143; მეტაფრასული რედაქცია – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერში № 3, 726-743.

პანტელეიმონ – ბეჟან მდივანბეგის ძე, დავითგარეჯის მონასტრის XVIII-XIX სს. მოღვაწე, მწიგნობარი. 1792 წ. გერონტი სოლოლაშვილის დაკვეთით გადაუწერია „ძლისპირგულანი“ (S 1360).

პანტელეიმონ – ბიზანტიელი საეკ-

ლესიო მწერალი, სარტოფილაქსი, „დიაკონი დიდისა ეკლესიისა“. მიიჩნევენ VIII ს. მოღვაწედ (ზოგიერთი მოსაზრებით – XII საუკუნისად). შემორჩენილია მისი რამდენიმე თხზულება, მათ შორის „თხრობაჲ სასწაულთათჳს და საკურველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთათჳს“, რომელიც ქართულად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს (A 128,28-117. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, „ეტიუდები“ II ტ. გვ. 245-251). ქართული თარგმანის მიხედვით, ეს თხზულება მიეწერება გერმანე კონსტანტინოპოლელ პატრიარქს († 733).

ᲞᲐᲜᲗᲘᲐᲜᲔ – სოფელი დმანისის რაიონში, სადაც 1966 წ. აღმოაჩინეს ქვაკუთხა VII ს. II ნახევრის ლატინური წარწერით. წარწერაში მოხსენიებული არიან ქვაკუთხის აღმშენებელნი – ერემია და ფალავინჯ. წარწერიანი ქვარცხლბეკი ჯერჯისა ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ᲞᲐᲜᲢᲝᲙᲠᲐᲢᲝᲠᲘ (ბერძნ. „ყოველისა მპყრობელი“) – მამა ღმერთის ეპითეტი: ასე მოიხსენიება აგრეთვე იესო ქრისტე, ასევე ეწოდება მაცხოვრის ხატს, რომელზედაც გამოსახულია უფალი და ხელთ სამყაროს სიმბოლო – სფერო უპყრია. პანტოკრატორის სახელწოდება აგებული ერთ-ერთი მონასტერი ათონის მთაზე.

ᲞᲐᲝᲚᲘᲜᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ – XVII ს. მოღვაწე, თეატინელი ბერი, იტალიელი მესტამბე, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელ-გამომცემელი (ნიკიფორე ირბახთან – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან ერთად). წიგნი დაიბეჭდა რომში 1629 წ. „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაციის სტამბაში სათაურით: „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“. ლექსიკონში შესულია 3084 სიტყვა. პაოლინის ჯერ მეღირის, ხოლო შემდეგ ეატიკანის სტამბებში უმუშავია. კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებლად წმ. კონგრეგაციამ მას დაუვალა (1626 წ.) სტამბის გამართვა და ქართული ასოების პუანსონებისა და მატრიცების შექმნა (1628 წ.), რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. პაოლინი დაინიშნა მის მიერვე დარსებული სტამბის მთავარ მბეჭდავად. აქ მან ქართულ წიგნთან ერთად დაბეჭდა კრებული „ფლორენციის მსოფლიო წმიდა სინოდი“, ორ ტომად (ბერძნულ-ლათინურ ენებზე), რომელშიც მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორიაა გადმოცემული.

ᲞᲐᲞᲐᲫᲕᲐᲠᲘ – ხის ჯვარი, რომელსაც მორწმუნე გლეხები ასობდნენ ეზოში ან ყანაში ეზო-მამულის აჲი თვალისაგან დასაცავად.

ᲞᲐᲞᲘᲐ – XVII ს. ოსტატი, რომელმაც დაამთავრა სოფ. გორულის (მარნეულის რაიონში) ეკლესია დარეჯან ქსნის ერისთავის ქალის ბრძანებით. მოხსენებულია საშრეთის კარის სამშენებლო წარწერის ზემოთ მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში. ეკლესიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი მშენებლობა ორ საფეხურად შეიძლება გაიყოს: შენება, ქტიტორის წარწერის თანახმად, როსტომ მეფის დროს (1632-58 წწ.) დაუწყიათ და საგრძნობი ინტერვალის შემდეგ (ისევე XVII ს-ში) დაუმთავრებიათ რამდენადმე შეცვლილი პროექტით. პაპია სწორედ მეორე „საფეხურის“ მშენებელია.

ᲞᲐᲞᲘᲚᲝᲛᲐ (ბერძნ.) – იხ. ზეწარი.

ᲞᲐᲞᲝᲑᲐ – რომის კათოლიკური ეკლესიის მონარქიული ხასიათის მმართველობის სისტემა. საეკლესიო ტრადიციით პაპები იშველებიან ქრისტეს მოციქულთა თაეის – პეტრეს მოადგილეებად, პაპს ირჩევს კონკლავი (კარდინალთა კრება) მთელი სიცოცხლის ვადით. XVI ს-დან პაპად უმეტესწილად იტალიელს ირჩევდნენ. პაპის ხელისუფლება შეუზღუდავია, მისი საეკლესიო პრიმატი ეფყარება ეატიკანის I საეკლესიო კრების (1869-70 წწ.) გადაწყვეტილებას, ხოლო ეკლესიის მმართველობაში ნომინალურად მონაწილეობს ეატიკანის II საეკლ. კრების (1962-65 წწ.) დადგენილების შესაბამისად. 1965 წელს შექმნილ ეპისკოპოსთა სინოდს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება აქეს. პაპი იწვევს „მსოფლიო საეკლესიო კრებებს“ (დასკვნეთის ეკლესიის მასშტაბით), ამტკიცებს მათ დადგენილებებს, ანიჭებს კარდინალის წოდებას, ამტკიცებს ეპისკოპოსებს. მას ექვემდებარებიან სამონაზვნო ორდენების გენერლები. პაპის რეზიდენცია ეატიკანშია. პაპი ეატიკანის შეუზღუდავი გამგებელია, ატარებს საკუთარ საშინაო და საგარეო პოლიტიკას თავისი ლეგატების, ენციკლიკებისა და ეპისკოპოსთა მეშვეობით. სხვადასხვა ქვეყნებში პაპობა გაელენას ახდენს კათოლიკური პარტიების, პროფკავშირებისა და საერო ორგანიზაციების მოღვაწეობაზე.

პაპობა წარმოიშვა რომის საეპისკოპოსოს

საფუძველზე. ლეო I დიდის გავლენით რომის იმპერატორმა ყველა დასავლელი ეპისკოპოსი დაუქვემდებარა პაპს (445 წ.). რომის ეპისკოპოსის დამოუკიდებლობას ხელი შეუწყო აგრეთვე დას. იმპერიის დამხობამ (476 წ.). VIII-XI სს-ში პაპობის გავლენა დას. ქვეყნებზე ძლიერდება, რასაც ხელი შეუწყო ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამ (1054 წ.). ეროპაში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პაპობის გავლენა ეცემა, საფრანგეთში ვითარდება გალიკანობა, რომელიც მოითხოვდა საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის დამოუკიდებლობას პაპისაგან. საფრანგეთის მეფესთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ პაპი საფრანგეთის მეფეზე დამოკიდებული გახდა და მისი რეზიდენცია რომიდან ავინიონში გადაიტანეს (1309 წ. იხ. ავინიონის ტყვეობა პაპებისა), ხოლო საფრანგეთის ძლიერმა გავლენამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იტალიაში, ინგლისსა და გერმანიაში. რომში პაპების დაბრუნებას (1377 წ.) მოჰყვა „დიდი სქიზმა“ (გათიშვა): 1378-1417 წწ. გაჩნდა ორი პაპი: ერთი – რომში, მეორე – ავინიონში, ხოლო 1409 წლიდან – მესამეც. სქიზმის მოსპობის მიზნით ევრ. ქვეყნების უმაღლეს სამღვდელოებასა და საერო არისტოკრატიაში ჩაისახა მიმდინარეობა, რომელიც საეკლესიო კრებებს ანიჭებდა პაპობაზე უზენაესობას. მართალია, ბრძოლა დასრულდა პაპობის გამპრკვიებით, მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი აღრინდელი გაელენის აღდგენა. პაპობის გავლენის დაცემას დიდად შეუწყო ხელი XVI ს. რეფორმაციამ და პროტესტანტიზმის გავრცელებამ, თუმცა იგი რამდენადმე განამტკიცა კონტრრეფორმაციამ (იეზუიტების ორდენის დაარსება, ტრიენტის საეკლესიო კრება 1545-63 წწ.). 1869-70 წწ. ვატიკანის I საეკლესიო კრებამ აღიარა პაპის უცოდველობის დოგმატი. 1929 წ. დაიდო ლატერანის ხელშეკრულებები, რომლებიც იტალიასწინაბდნენ ვატიკანში პაპის სახელმწიფოს შექმნას.

პაპუა – XVII ს-ის ოსტატი; პოლოზასთან ერთად პაპუნა ბარათაშვილის შეკვეთით 1683 წელს აუშენებია ეკლესია ტბისის (მდ. ალგეთთან, თეთრი წყაროს რაიონში) სასახლის კომპლექსში. ეკლესიის დასაელეთის ფასადზე, ზემოთ მოთავსებულია ორი ხელებაყრობილი მამაკაცის პრიმიტიული რელიეფი. ფიგურების გვერდით იარაღებია – ჩაქუჩები, გონიო და სხვ. ფიგურების თავზე ცალ-ცალკე წარწერილია: „ოსტატი პაპუნა“, „ოსტატი პოღოზა“. ეკლესია ერთნაეიანია, შემოსილია თლილი ქვის პერანგით.

პაპუა – ქვის მჭრელი, რომელიც XVII ს-ის მიწურულში, ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის დროს, დავითგარეჯის ლავრის გალავნის შენებაზე მუშაობდა. მოხსენებულია ბერთუბნის ეკლესიის კედლის წარწერაში. იმავე წარწერაში მეორე ქვისმთლელიცაა მოხსენებული – აფრიამა.

პაპუა მალალაძე – XVII ს. ქართლელი აზნაური, მაღალაძეთა ძლიერი ფეოდალური გვარის მეთაური XVII ს. მეორე ნახევარში. იგი ქართლის მეფეებთან და კათოლიკოსებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ბევრი მამული შეუძენია, ბევრი უშენებია, დიდად გარკვეულა თავისი საგვარეულოს ნივთიერი და საზოგადოებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მცხეთის ქადაგის თანამდებობა მაღალაძეებს ადრევე საგვარეულოდ ჰქონიათ, პაპუას დროიდან მათ გვარს ეკუთვნის აგრეთვე კათოლიკოსთა სახლთუხუცესობა. პაპუას ვაჟი, ბერი ნიკოლოზიც სვეტიცხოველის ქადაგი იყო.

პაპუა ქარუმიძე – XVIII ს. ოსტატი, სარქარი, ქვემოჭალის (ქასპის რაიონში) გვიან ამილახვრისეული ეკლესიის მშენებელი. მოხსენებულია ეკლესიის აღმოსაელეთის ფასადის წარწერაში. შენობა ერთნაეიანია, შემოსილია თლილი ქვის პერანგით, ტექნიკურად კარგადაა შესრულებული, მაგრამ მხატვრულად უმნიშვნელოა.

პაპუშინაშვილი-ძნიფილინოსი იოანე – XVIII ს. ქართველი მწიგნობარი, წარმოშობით ბერძენი. თბილისის სემინარიის რექტორის, იოანე ოსეს ძის (ოსეშვილის) დახმარებით შეისწაელა ქართული ენა და გაქართველდა კიდეც. ამიტომ ხელნაწერებში თავს ბერძნული გვარით კი არა, უფრო ხშირად პაპუშინაშვილად იხსენიებს. ანტონ I კათოლიკოსის დაეალებით ბერძნულს შეუკერა ქართული ზატიკი (გამოიცა 1788 წ.) და გაიოზ რექტორის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი „დაუცდომელი“ (A 813). ბერძნულიდან გადმოთარგმა „ლსარება კეთილთა საქმეთა, წინააღმდგომთა ცოდვისათა“ (A 711), თარგმნა მანუელ ქსანთინოსის კანონიკური შრომა „ქორწინებისა თაეთაუს“ (1785 წ.) და სხვ.

პარაეკლესიარხი – კანდელთა მანთებელი, მბათე, საეკლესიო მსახურთა დაბალი წოდება. პარაეკლესიარხის მოვალეობაა საეკლესიურის მომზადება და მღვდელისთვის მიწოდება საჭირო მომენტებში, ზარის დარეკვა ღვთისმსახურების დაწყების წინ, სანთლებისა და კანდელების ანთება საკურთხეველში წირვა-ლოცვის დროს, სეფისკვერის, ღვინის, წყლის, საკმელის შეტანა საკურთხეველში, მღვდლარების მომზადება, საკურთხევლის დასუფთავება და სხვ.

პარაკლისების წიგნი – ასე ეწოდება „საეკლესიო პარაკლისებს" (1889 წ.). მისი შედგენილობა ასეთია: ა) საახალწლო, ბ) სწავლის დაწყებისა, გ) მეფისა და ერისა, დ) ბრძოლის დაწყების წინ, მტერთა წინააღმდეგ, ე) ავადმყოფისა, ვ) სამღვდლოებელი, ზ) უწეიმრობისა, თ) ავდრის დროს, თ) წარღვნის დროს, ი) მგზაურობის წინ, ია) გემით მგზაურობის წინ, იბ) ზღვის საბრძოლო ნავის კურთხევა, იგ) სამხედრო დროშის კურთხევა, იდ) სამხედრო საჭურველის კურთხევა, იე) ხომალდის კურთხევა, ივ) ჭის ამოთხრა და წყლის პოვნა. იზ) ახალი ჭის კურთხევა, იმ) ქრისტეს შობის დღეს, ით) „საშინელი სრვისა".

პარაკლისი (ბერძნ. „თხოვნა, ვედრება") – საეკლესიო მღვდელმსახურების ერთ-ერთი სახე, საეედრებელი ან სამადლობელი ლოცვა, სრულდება მრეელისათვის. შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი (სრულდება ტაძარში უმეტესწილად წირვის შემდეგ), ისეე პირადი. პარაკლისი შეიძლება შესრულდეს მორწმუნეთა პირადი ხარეილით, როგორც ეკლესიში, ისე საცხოვრებელ ბინებშიც. საზოგადოებრივი პარაკლისები სრულდება ეკლესიის დღესასწაულებზე და სხვა დიდ დღესასწაულებზე, აგრეთვე დიდ სახელმწიფოებრივ მოვლენებთან დაკავშირებით, საზოგადო უბედურების დროს და სხე. არსებობს საეედრებელი პარაკლისები თითოეული წმინდანის მიმართ, აგრეთვე საზოგადო პარაკლისები (წმინდანთა დასების მიმართ). გარდა წმინდანთა მიმართ პარაკლისებისა, არსებობს საეკლესიური პარაკლისები (ახალი წლისა, სწავლის დაწყებისა, ქრისტეს შობისა, ავადმყოფთათეის, სამღდლობელი, უწეიმრობისა, წეიმიანობისა, ეპიდემიის, ომის და სხვადასხვა განსაედელის დროს და სხვა). პარაკლისის წესები და სხვადასხვა პარაკლისზე სათქმელი საგალობლები წერია სამღდელო ლოცვანში და საეედრებელ გალობათა წიგნში. პარაკლისის ელემენტებია: ტროპარი, კანონი (ცხრა გალობა), საბარება, კეერექსები, განტეეება და სხე. პარაკლისი შეიძლება შესრულდეს კანონის გალობის დართეით, დაუკლიმელთან და მცირე აიაზმასთან (წყალკურთხეეასთან) ერთად, აგრეთვე ლიტანიებით (ეკლესიის ირგელეე საზეიმო გარშემოელით). პარაკლისს საეციალური წესები აქეს პასექის შეიდეულში და ქრისტეს შობის დღეს.

„პარაკლისი ალმსარებელსა ზედა" – ლოცეა აღსარების წინ. მას უშეალოდ მოსდეეს აღსარება – ცოდეების აღიარება მოძღერის წინაშე. პარაკლისის ტეექსტი შეტანილია კურთხეეანში.

პარაკლიტონი (ბერძნ. „პარაკლიტიკოს" – ნუგეშისმცემელი) – რეა ხმათა წიგნი; ასე ეწოდება რეა ხმაზე გაწყობილ სადაგი ღღეების (ორშაბათი-შაბათი) საგალობელთა კრებულს. რეა ხმაზეე იყო გაწყობილი საგალობელთა მეორე წიგნიც – ოქტოიხოსი (ბერძნ. რეა ხმათა), რომელიც შეიცავდა საკეირაო მსახურებას. ეს ორი წიგნი ქართულ ვერსიაში შეერთებულია ერთ წიგნად პარაკლიტონის სახელწოდებით. პარაკლიტონის საგალობლები ბერძნულიდან ქართულად X ს-ში უნდა იყოს თარგმნილი, XI ს. დასწყისში კი ჩამოყალიბდა პარაკლიტონის კრებულებიც. ცნობილია პარაკლიტონის ორი ძეელი რედაქცია: იერუსალიმის ჯეარის მონასტრის მაშენებლის, გიორგი-პროხორესი (Jer. 48) და გიორგი მთაწმიდელისა (A 93), რომელსაც უთარგმნია ერეელი რედაქცია. ქართულ სინამდეილეში ბერძნულის მსგავსად, შეიდეულის საგალობლები ორ წიგნად იყო გაყოფილი, მაგრამ ბერძნულისაგან განსხვავებით, პირეელ წიგნში მოთავსებული იყო ოთხი ძირითადი (აეთენტური) ხმის მასალა (როგორც საკეირაო, ისე სადაგი ღღეებისა), მეორეში კი – დამხმარე (პლაგალური) ხმებისა. პირეელ წიგნს ეწოდება „ხმანი", მეორეს „გუერდნი"/"გუერდთა". პარაკლიტონში ახლანდელ მეხუთე ხმას შეესამება ხმა I გუერდი, მეექესეს – II გუერდი, მეშვიდეს – III გუერდი, და მერეეს – IV გუერდი (ასეა ბერძნულ პარაკლიტონშიც). ორიეე წიგნი გაერთიანებული იყო და მას ერთი სახელი – პარაკლიტონი ერქეა. ხინური წარმომაელობის ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში ამ ტიპის საგალობლთა კრებული ოქტოიხოსის სახელითაა მოხსენიებუ-

ლი (Sin. 3, XI ს.). XVIII ს-ში ანტონ I კათოლიკოსმა გიორგი მთაწმიდელისეული პარაკლიტონი შესწორა იმდროინდელ ბერძნულ-სლაური პარაკლიტონთა მიხედვით და მისი ახალი, მესამე რედაქცია შექმნა. პარაკლიტონი რამდენჯერმე დაიბეჭდა – 1712 წ. (თბ.), 1734-37 წწ. (ნოვგოროდი), 1772 წ. (თბ.). დაბეჭდა აგრეთვე კათოლიკოსმა ანტონ I-მა ელადიმირისა და იაროპოლის მთავარეპისკოპოსად ყოფნისას, 1760 წელს. ამ გამოცემისათვის ახალი რედაქცია შეუმუშავებია დეკანოზ ანდრიას, რომელიც ბრწყინვალე მცოდნე ყოფილა ბერძნული და სლაური ენებისა, და ქართული პარაკლიტონი ბერძნული და სლაური ოქტოიხოსებით შეუსწორებია და შეუვსია.

პარალიპომენონ – ბიბლიის „ნეშტთა წიგნის" ბერძნული სახელწოდება.

პარასკევა – დიდი მოწამე, მდიდარი მშობლების შვილი. ჯერ კიდევ ბავშვი შეუდგა ასკეტურ ცხოვრებას. დიოკლეტიანეს (284-305)მიერ ქრისტიანობის დევნის დროს აშხილეს, რომ იგი ქრისტიანობას მისდევდა. ქალიშვილი წარუდგინეს ოლქის მმართველს, რომელმაც შესთავაზა, უარეყო ქრისტიანობა და ცოლად წაჰყოლოდა მას. წმ. პარასკევა არ დაეთანხმა, რისთვისაც თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – ოქტომბრის 14. მისი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 381, 442-447; A 511; A 643, 143-148.

პარატისი – სოფელი კასპის რაიონში, მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, კასპიდან 16 კმ. სოფლის მიდამოებში მდებარეობს კავთის წმ. გიორგის ეკლესია (შუა საუკუნეები, განახლებულია XVIII ს-ში). სოფელ პარატისშიც ყოფილა კავთის ნიში, ამჟამად ნანგრევებია.

პარემია (ბერძნ.) – საწინასწარმეტყველო; საღვთისმსახურო საკითხაი ძველი აღთქმის საღვთო წერილიდან; უმრავლეს შემთხვევაში – წინასწარმეტყველებათა წიგნებიდან. პარემია იკითხება მწუხრის ლოცვაზე, დიდი საუფლო დღესასწაულებისა და გამოჩენილ წმინდანთა ხსენების წინა საღამოს. შინაარსით უკავშირდება დღესასწაულს, კერძოდ, შეიცავს ან წინასწარმეტყველებას ხდღესასწაულო მოვლენის შესახებ, ან იმ წმინდანის შესხმას, რომლის ხსენებასაც აღენიშნაეთ, ანდა განმარტავს დღესასწაულის არსს. პარემიები, ჩვეულებრივ, სამია, მაგრამ ხანდახან იკითხება მეტიც, მაგალითად, ხარებაზე – 5, ქრისტეს შობის წინაღღეს – 8, ღვთის განცხადების წინაღღეს – 13, დიდ შაბათს – 15.

პარეხი – ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ კლარჯეთში, მდ. კარჩხალის ხეობის კლდოვან მასივში, ოპიზის მონასტრის მახლობლად (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). დაარსებულია მიქელ პარეხელის მიერ, რომელიც აქ ოპიზიდან მოვიდა. მან ააშენა მცირე ეგვტერი და მამათა შესაკრებელი (მონასტერი). IX-X სს-ში პარეხი გარკვეულ როლს ასრულებდა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. პარეხელ მოღვაწეებს დაუწერიათ ამ სავანის დაარსებლის, მიქელ პარეხელის „ცხოვრება", რომლითაც ბასილი ხარზომელს X ს-ში უსარგებლია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" დაწერისას. ცნობილია აგრეთვე მწიგნობარი ილარიონ პარეხელი (დაახლ. IX-X სს. მიჯნა), რომელსაც პატივით იხსენიებს გიორგი მერჩულე. პარეხის სამონასტრო ანსამბლიდან შემორჩენილია მთავარი ტაძარისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. იხ. მიქელ პარეხელი.

პართენ პაპფილიელი – XVII-XVIII სს. პამფილიის მიტროპოლიტი. XVIII ს. დამდეგს უცხოურია საქართველოში, თბილისში. ბერძნულ ენას ასწავლიდა ბატონიშვილ თეიმურაზს (შემდეგში ანტონ I კათოლიკოსი) და ერეკლე პირველის ასულს, მარიამს (შემდეგში მაკრინე მონაზონი).

პართენიოს ხუცესი – ათონის იერიის მონასტრის წინამძღვარი 1592-1604, 1606-1613, 1613-1614 და 1618 წლებში. ეროვნებით ბერძენი. მოხსენებულია თხზულებით: „მეთხრობაჲ უმშვენიერესი მონასტრისათჳს იერართაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი" (იხ. კ. კეკელიძე, „მიტაქცა ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერის ათონზე და მისი მდგომარეობა XVI-XVII სს-ში", ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, გვ. 69-86).

პართენონი (ბერძნ. „ქალწულისა") – ქალღმერთ ათენა პართენოსის ტაძარი ათენში, ძვ. ბერძნ. ხელოვნების ძეგლი. აგებულია ძვ. წ. 447-438 წწ. აკროპოლისში (ხუროთმოძღვრები

იქტინე და კალეკრატე, სულტანური მოხელეობის ხელმძღვანელი – ფიდია). დასრულდა ძვ. წ. 432 წელს. ნაგებია მარმარილოთი (დაახლ. 31 X 70 მ., სიმაღლე 10 მ; სვეტების რაოდენობა 8 X 17). ნაში იდგა ათენას ქანდაკება. პართენონი დაინგრა 1687 წელს ვენეციელთა მიერ აკროპოლისის ალყის დროს, თურქეთთან ომში. 1801-1803 წწ. ქანდაკების დიდი ნაწილი ბრიტანეთში წაიღეს. 1816 წ-დან იგი დაცულია ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲘᲝᲡᲘ – წმ. მოწამე († 297წ.) ეწამა ქრისტიანობის აღიარებისა და წარმართობის განქიქებისათვის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს ქალაქ სამოსატში (სირიაში). მასთან ერთად ეწამნენ ლეონი, რომანოზი, იაკობი, ფილოთეოსი, ისპირიქე, ახიბო და იულიანე. ქრისტიანობის აღმსარებელთ რკინის მახეები იარაღებით დაუსერეს სხეული, ქვეზე ბორკილდადებულნი მძიმედ გვემეს და ბოლოს ყვარზე მიალურსნეს. ქართულად უთარგმნიათ მათი „წამება“ (ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. №1, ფ3-67). ხსენების დღეა 29 იანვარი.

ᲞᲐᲠᲛᲔᲜᲘ –ქრისტეს 70 მოციქულთაგანი, ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც თოჯმეტი მოციქულის მიერ იყვნენ არჩეულნი იერუსალიმში I ს-ში (საქმე მოციქულთა, 6,1-6). ქრისტიანობას ქადაგებდა მაკედონიაში. გარდაიცვალა აშაღმყოფობით. არის ეკლესია, რომლის თანამდგომი იგი ტრაიანეს (98-117 წ.) მმართველობის ბოლო წელს წამებით მოკლეს. ხსენების დღე – 28 იელისი. ამავე დღეს მოიხსენიებიან სხვა პირველი დიაკონებიც: სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ნიკანორი, ტიმონი და ნიკოლოზი.

ᲞᲐᲠᲜᲐᲡᲘ – მთის მასივი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის სრუტის ჩრდილოეთით, აქეს კლდოვანი შუკერვალი, ქედით დაფარულია წიწვოვანი ტყით. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, პარნასი აპოლონის, დიონისეს და მუზების სამყოფელია. პარნასის ძირში გაშენებულ ქ. დელფოში იყო აპოლონის სახელგანთქმული ტაძარი. გადატანითი მნიშვნელობით პარნასი პოეზიის სამყაროს აღნიშნავს.

ᲞᲐᲠᲮᲐᲚᲘ – სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ტაოში, მდ. ჭოროხის მარცხ. შენაკადის, პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთების აღმ. კალთაზე (ახლანდ. თურქეთის ტერიტორიაზე). პარხლის ეკლესია ადგო დავით III კურაპალატმა. ეკლესია აშენდა 973 წელზე ცოტა ადრე (პარხლის ოთხთავის მინაწერიდან ჩანს, რომ 973 წელს პარხლის ტაძარი „ახალი ეკლესია“ იყო). ამ პერიოდში შატბერდის მონასტერში მოღვაწე იოანე ბერაძე გადაწერა და პარხალს შესწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში პარხლის ოთხთავის (ხელნაწ. ინსტიტუტი, A 1453) სახელითაა ცნობილი. პარხლის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაბრიელი (X-XI სს.) – პარხლის ოთხთავისა (S 4927) და პარხლის მრავალთავის (A 95) გადამწერი. პარხლის მონასტრის იოანე ნათლისმცემელის ეკლესია გეგმითა და პროპორციებით უახლოვდება ოთხთა ეკლესიას და მასთან ერთად გვაძლევს ქართული ბაზილიკების მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. ბაზილიკის შუა ნაო მაღალია და მკვეთრად გამოყოფილი; ფასადის რუსტირებში აქ უკვე გარკვეულ როლს თამაშობს; ტაძარს ამკობს სარკმელთა სათაურები, გრეხილით მორთული ყვრები, ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი. პარხლის ეკლესიის განსაკუთრებული თავისებურებაა შუა ნაოს სიგრძივი კედელი, რომელიც დამწვრებულია დეკორატიული თაღედითა და შეწყვილებული ლილეებით. დამატებით შემკულია საღებავით შესრულებული გამოსახულებებით – მარადისური სათაურებით სარკმლებს ზემოთ, ყვრებით, დისკოებითა და სხვ. ამავე კედელზე უამრავი წარწერაა, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ის პირნი, ვინც იღვწნა ეკლესიის შესაკობად. ოსმალთა მიერ საშრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XVI ს.) ბაზილიკა მეჩეთად გადაკეთეს.

ᲞᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲕᲘ – XI ს. ხელნაწერი (A 95). გადაწერილია „ფსალმუნ პატარას“ მიერ პარხლის მონასტერში. ესაა უზარმაზარი კრებული (წიგნის ზომა 45,5X34 სმ., შეიცავს 1310 გვერდს). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ იგი, სხვათა შორის, შეიცავს ქართული მწერლობის უძველეს თხზულებებს – „შუშანიკის მარტვილობასა“ და „ აბო ტფილელის მარტვილობას“. გადაწერილია ვაესურული მელნით, ორ სვეტად, ლამაზი, მკაფიო ნუსხურით. თავიდან გადამწერ გაბრიელს განზრახული ჰქონია მხოლოდ დედათა „წამებისა“ და „ცხოვრების“ გადაწერა, შემდეგ კი მისთვის მამათა „ცხოვრებაც“ დაუმატებია. მას საგანგებოდ უძებნია დედნები კრებულში შესატანი თხზულებებისა და რაც თავის მონასტერ-

ში ვერ უნახავს, იშხნის მონასტრიდან უთხოვია. გაბრელის კრებული XVI ს-ში ჯერ კიდევ ჯარხლის მონასტრის ეკუთვნოდა, XVII ს-ში კი, მინაწერის თანახმად, იგი „ურუმთა ქვეყნიდან“ (ე. ი. თურქეთიდან) გამოიხსნა და გაანახლა დადიანის ასულმა მარიამმა.

ჯარხლის ოთხთაჟი (სახარება) — ასე ეწოდება 973 წელს შატბერდის მონასტერში იოანე ბერაის მიერ გადაწერილ სახარებას, შეწირულს ჯარხლის მონასტრისადმი. თურქოსმალთა მომძლავრების შედეგად ხელნაწერი მტრის ხელში აღმოჩნდა. ვახუშტი აბაშიძემ დაიხსნა იგი, ხოლო მისმა ვაჟმა, ნიკოლოზმა 1739 წელს ბულბულის ციხის ეკლესიას შესწირა. 1889 წ. ე. თაყაიშვილმა ხელნაწერი აღმოაჩინა სოფ. ზემო ჭალაში (ქართლში), მ. სუხიშვილის ოჯახში. შემდეგში ის გაუჩინარდა და მხოლოდ 1922 წ. შეუერთდა ქართულ ხელნაწერთა საგანძურს. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 1453). ტექსტი გამოცემულია აკ. შანიძის მიერ („ქართული ოთხთაიის ორი ძველი რედაქცია“, თბ., 1945 წ.). ჯარხლის ოთხთაჟი (S 4927) გადაწერილია X ს-ში, შესანიშნავი კალიგრაფის, „ვაჩრიელ პატარაძის“ მიერ, ამჟამად ძლიერ დაზიანებულია.

პასექი (ებრ. „ფესახ“ — „გვერდი აუარა“; ბერძნ. „პასქა“ — ვნება, წამება) — აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული. სახელი ამ დღესასწაულისა მომდინარეობს უძველესი ებრაული დღესასწაულიდან — ფესახიდან, რომელიც დაწესებული იყო ეგვიპტის მონობისაგან იუდეველთა გამოხსნის მოსახსენებლად. ანგელოზი უფლისა, რომელიც ეგვიპტელთა პირმშოებს ხოცავდა, გვერდს უვლიდა (ებრაულად „პასახ“; აქედან — „პასქა“) ებრაელთა სახლებს, რომელშიც ხედავდა კრავის სისხლს (გამოსლ. 12,7-23). პასექად შესაწირავი კრავი (ტარიგი) იყო პირველსახე იესო ქრისტესი. საღვთო წერილშიც იესო მოიხსენიება, როგორც სპასექო ტარიგი. უფალმა იესო ქრისტემ თავისი სიკვდილითა და აღდგომით იხსნა ადამიანი ცოდვისა და ეშმაკის მონობისაგან: „ზატიკად ჩუენდა ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე“ (I კორ. 5,7). აღდგომის უდიდეს სარწმუნოებრივ მნიშვნელობას ხაზს უსვამს პავლე მოციქული: „უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი, და ცუდად არს სარწმუნოება ეგე თქუენი“ (I კორ. 15,14). როგორც სახარებაშია მოთხრობილი, იესო ქრისტე აღდგა „ცისკარსა მსთუად“ (დილით ადრე). უფლის საფლაოსთან მიწა იძრა, ანგელოზმა გადააგორა ლოდი საფლაედან, მცველნი შეძრწუნდნენ (მათე 28,2-4). განთიადისას მარიამ მაგდალინელი, მარიამ იაკობისა და სალომე მიეიდნენ საფლაესთან ნელსაცხებლებით, რათა შეემურაღ გვამი იესოსი (მათე 28,1; მარკ. 16,1-4). მარიამ მაგდალინელმა საფლაედან გადაგორებული ლოდი რომ დაინახა, იფიქრა, იესოს გვამი ამოუღიათო და გაიქცა პეტრე და იოანე მოციქულებთან (იოანე 20,1-2), რათა ეცნობებინა ამის შესახებ. სხვა დედები კი შეუდნენ საფლაეში და იქ ნახეს ანგელოზი. ანგელოზმა ახარა მათ მაცხოვრის აღდგომა. გახარებული დედები ქრისტეს მოწაფეებთან წაიყვანენ (მარკ. 16,5-8). პეტრე და იოანე მოციქულებმა, რომ გაიგეს მარიამ მაგდალინელისაგან საფლაეის ლოდის გადაგორების ამბავი, მოეიდნენ საფლაეთან, მაგრამ იესოს გვამი იქ ვერ იპოვეს (ლუკა 24,12; იოანე 20,3-8). მარიამი, გაჩერდა საფლაეთან და ტიროდა. აქ მას გამოეცხადა თვით უფალი იესო ქრისტე. მარიამმა თაიდან ვერ იცნო და მემტილე (მებაღე) ეგონა მას, შემდეგ კი, როცა მაცხოვარი გამოესაუბრა, ირწმუნა მისი მკვდრეთით აღდგომა და მოციქულებისაკენ გაეშურა, რომ ეხარებინა (იოანე 20,11-18; მარკოზი 16,9). იგი დანარჩენ დედებს შეუერთდა და ერთად გასწიეს. ამ დროს ისევ გამოეცხადათ უფალი და მოიკითხა ისინი: „ჳიხაროდენ“. დედები მის ფერხთით დავარდნენ (მათე 28,9-10). შემდეგ იესო გამოეცხადა ორ მოწაფეს, ემაუსში მიმავალთ, აგრეთვე პეტრეს (ლუკა 24,13-35). იმავე დღეს, საღამოს გამოეცხადა ყველა მოწაფეს, ერთად შეკრებილს (თომას გარდა) (იოანე 20,19-24).

თავდაპირველად პასექს დღესასწაულობდნენ ნისანის თვის 14 რიცხვში, როდესაც ებრაელები ამზადებენ სპასექო ტარიგს. პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი (325 წელს, ნიკეაში) დაადგინა, რომ აღდგომა (პასექი) იდღესასწაულებოდეს გაზაფხულის მთვარის აღსვების შემდგომ კვირა დღეს. ამ დღესასწაულს ეკლესია განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს. პასექის ღირსეული შესვლისათვის მორწმუნენი ემზადებიან დიდი მარხვით.

სააღდგომო დღესასწაული იწყება დიდ შაბათს, შუაღამისას, ლიტანიობითა და სააღდგო-

მო ცისკრით, გრძელდება ტამნობითა და საღეთო ლიტურგიით. წირვის შემდეგ ხდება არტოსის (საღდგომო პური) კურთხევა.

პასექს აქვს 40-დღიანი შემდგომი დღესასწაული. განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეული – პასექის მომდევნო 7 დღე. წარგზავნა ხდება აღდგომიდან მე-40 დღეს, ოთხშაბათს (ამაღლების წინადღეს).

პასექის შესახებ ქართულ ენაზე მოგვეპოვება გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვა („პასხაჲსათჳს") თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 109,373-375; A 292, 282-283; ქუთ. 9,234-237. პასექის შესახებ გვაქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის მეორე სიტყვაც: A 109, 377-404; A 292,83-93; ქუთ. 220-310; ქუთ. 9,237-257. იხ. აღდგომა.

პასია (ბერძნ. ვნება, წამება) – ასე ეწოდა პეტრე მოგილას მიერ დადგენილ საეკლესიო წესს, რომელიც სრულდება რუსეთის ეკლესიაში დიდი მარხვის I, II, III და IV შვიდეულების პარასკევს, კერძოდ, სერობის ლიტიაზე, „უბიწოო, შეუგინებელი"-სა და „მომეც ჩუენ, მეუფეო"-ს შემდეგ იკითხება სახარებები მაცხოვრის ენების შესახებ (პირველ შვიდეულში – მათეს, მეორეში – მარკოზის, მესამეში – ლუკას და მეოთხეში – იოანეს სახარებიდან).

პასიჰარტოს // პასიჰარტოს – წმ. გიორგის მოწაფე და მსახური (IV ს.), აეტორი თხზულებისა: „წამებაჲ გიორგისი", რომლის ძველი კომენური რედაქციის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: H 535, 126-139; Sin. 62, 29-38. Ath. 8, 259-267; თხზულება გამოსცეს: ძ. სახანიმა (საქართველოს სამოთხე, გვ. 48-68); ე. გაბიძაშვილმა (წმინდა გიორგი, გვ. 42-140). აქ აეტორად პასიქარტოსია დასახელებული. ხოლო მეორე რედაქცია (ხელნაწ. Q 762,274-294; ბოდლ. 1, 87-99) აეტორად პასკარტოსს ასახელებს (ე. გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი, გვ. 140-159).

პასტორი (ლათ. „მწყემსი") – პროტესტანტული ეკლესიის მღვდელი. კათოლიკე და მართლმადიდებელი მღვდლებისაგან განსხვავებით, პასტორის დადგინებისას არ ხდება მასზე სულიწმიდის მადლის მოწვევა. ამდენად, იგი არ ითვლება განსაკუთრებული საღვთო მადლის მატარებლად, არა აქვს საგანგებო ტანსაცმელი და ჩვეულებრივი ერისკაცივით ცხოვრობს.

პასძალია – პასექის (ეს. აღდგომის დღის) და მასზე დამოკიდებულ დღესასწაულთა საანგარიშო ცხრილი, რომელიც ხშირად ერთვოდა ძველ ხელნაწერებს (სვინაქარს, ჭამგულანს და სხვ.). პასქალიის მიხედვით შეიძლება მოძებნოს: „მარხვანის" კითხვის დასაწყისი, ხორციელისა და ყველიერის აღების დღეები, დიდი მარხვის რომელი შვიდეულის რომელ დღეს იწყება ხარების დღესასწაული, აღდგომა, განზოგება, ამაღლება, მწერგასე, პასექის შემდეგ რომელ შვიდეულში იწყება წმ. გიორგის ხსენების დღე, რომელ შვიდეულში იწყება ოთხ ევანგელისტის დღე, პეტრე-პაულობის მარხვის წინ ხორცის აღება, პეტრე-პაულობის მარხვის შვიდეულთა და დღეთა რიცხვი, შვიდეულის რომელ დღეს მოხვდება პეტრე-პაულობა, ქრისტეს შობა და სხვ. პასქალიის ცხრილები ერთვოდა 1965-70 წწ. ქართულ საეკლესიო კალენდრებს.

პატაპი – VII ს. მონაზონი, დაბადა თებეში (ეგვიპტე), ღვთისმოსავ ქრისტიანთა ოჯახში. სრულწლოვანებას მიღწეული პატაპი განმარტოდა ეგვიპტის უდაბნოში, სადაც მრავალი წლის მოღვაწეობის შედეგად შორს გაითქვა სახელი. მასთან დიდხანს ხალხმა იწყო დენა სულიერი შეწევნისა და რჩევისათვის. განმზოლებული ცხოვრების მოყვარულმა ეგვიპტე დატოვა და გადავიდა კონსტანტინეპოლის მახლობლად, ელაქერნის ეკლესიასთან. აქაც მალე შეიტყვეს წმინდა მამის ადგილსამყოფელი და მრავლად დაიწყეს მოსვლა სნეულებმა. ღირსი პატაპი, რომელსაც კურნების მადლი ჰქონდა მინიჭებული, სარწმუნოებით მოსულ ყველა მთხოვნელს შეეწეოდა. ეკლესიამ მამა პატაპი წმინდანად შერაცხა. ხსენების დღე – 8 დეკემბერი. მისი „ცხოვრება" ქართულ ენაზე უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 5, 118-123; Ath. 2, 68-71. არსებობს მეორე თარგმანიც – ეფრემ მცირისა (A 90, 126-135).

პატარა გომარეთი – სოფელი დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე, დმანისიდან 32 კმ. სოფლის განაპირას აღმართულია დარბაზული ეკლესია, რომელიც სამხრ. კარის არქიტრავის ასომთავრული წარწერის მიხედვით, აგებულია XI ს. I ნახევარში ლიპარიტ ერისთავთერისთავის მიერ. კედლები, ახსიდი და ცილინდრული კამარა ნაგებია კარგად გათლილი ქვით. პილასტრების კაპიტელები და ბაზისები მარტივადაა პროფილირებული. ინტერიერში

შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტები. აღმ., სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. ფასადები შემოსილია სუფთად გათლილი ბაზალტის კვადრებით. მორთულობიდან აღსანიშნავია აბსიდას სარკმლის მკლავებგაშლილი პროფილირებული თავსართი და სწორკუთხა ლავგარდანი.

პატარა დმანისი — სოფელი დმანისის რაიონში, მღინარეების — ფინეზაურისა და მაშაურის (ხრამის აუზი) შესართავის მახლობლად, დმანისიდან 20 კმ. სოფლის მახლობლად მდებარეობს VI ს. ხუროთმოძღვრების ძეგლი — დმანისის სიონი (იხ. დმანისი).

პატარა ონი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ამბროლაურიდან 26 კმ. სოფელში შუა საუკუნეების ორი ეკლესია და ციხე. ერთ-ერთი — რკინეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია XI ს. I მესამედს განეკუთვნება, ეს არის დარბაზული, ერთნავიანი ნაგებობა, რომლის აღმოსავლეთის ნახევარწრიული აბსიდ გარედან კედლის სიბრტყეშია მოჭრილი. კამარა პილასტრებზე ამოყვანილ თაღს ეყრდნობა. აქეს სამი შესასვლელი — სამხრ., დას. და ჩრდ. მხრიდან. ნაგებია სუფთად გათლილი შირიმის ქვის კვადრებით. კარ-სარკმელი, ლავგარდნისა და აღმ. ფასადის მორთულობა შესრულებულია მოთეთრო კირქვით. ეკლესია უხვად არის შემკული მდიდრული ჩუქურთმებითა და რელიეფებით. რესტავრირებულია 1970-იან წლებში. ნაწილობრივ აღდგენილია შესანიშნავი ჩუქურთმებით შემკული კანკელი (შხატრული გაფორმებით ენათესაება სპეთის კანკელს), რომლის ჩამოცვენილი ნაწილები ეკლესიაშივეა დაცული.

პატარა სამსარი (ყოფ. ქვემო სამსარი) — სოფელი ახალქალაქის რაიონში, სამსარის ქედის დას. კალთაზე, ახალქალაქიდან 27 კმ. სოფელში შემონახულია ნახევრად გამოქვაბული გუმბათოვანი ეკლესია (VIII-IX სს.) ლაპიდარული წარწერებით. იხ. სამსარის ეკანი.

პატარძეული —' სოფელი საგარეჯოს რაიონში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ მთის წინეთზე, თბილისი-საგარეჯოს საავტომობილო გზაზე, საგარეჯოდან 8 კმ. სოფელში შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია „წმიდა შიო".

პატერიკი (ბერძნ. „პატერ" — მამა) — ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გარკვეული ტიპის კრებულთა საერთო სახელწოდება. პატერიკების ერთი ჯგუფი შეიცავს სამონასტრო მოღვაწეების, ცნობილი ასკეტების „ცხოვრებებს" (სინური, ეგვიპტური პატერიკები); მეორე — მათსავე ბრძნულ, აფორიზმულ გამონათქვამებსა და სენტენციებს რელიგიურ-ზნეობრივ თემებზე. პატერიკი ადრევე ითარგმნა ლათინურ, სირიულ, არაბულ, ქართულ, სომხურ და სხვ. ენებზე. ქართულად პატერიკს „მამათა ცხოვრება" ან „სამოთხე" ეწოდა. IX-XI სს. ქართ. ხელნაწერებში დაცულია ორიე ჯგუფის პატერიკების თარგმანები; მათ შორის უმნიშვნელოვანესია იოანე მოსხის „ლიმონარი", პატერიკის ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი, X ს. „მამათა ცხორებანი" (დაცულია დიდ ბრიტანეთში) და სხვ. გამოცემები: იოანე მოსხი, ლიმონარი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1960 წ.; მამათა ცხორებანი, ე. იმნაიშვილის გამოც., თბ., 1975; შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, მ. დუალის გამოც., ტ. 1-2, თბ., 1967-74 წ. (იხ. მატერიკი).

პატერმოთე (პეტრეშოთე, პატერშუთე) — ღირსი მოწამე, აწამეს კოპრესთან და აღექსანდრესთან ერთად იულიან განდგომილის (361-363) მეფობისას. პატერმოთე და მისი მოწაფე, კოპრე ეგვიპტელი განდეგილები იყვნენ. როდესაც სარწმუნოებიდან განდგომილმა იმპერატორმა მათი მოღვაწეობის ამბავი შეიტყო, თაყვანთან მოაყვანინა და სცადა, წარმართობისაკენ მოექცია წმინდანები. ეშმაკურად არწმუნებდა — მეც ალე ქრისტეს ეემსახურებოდი, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ კაცის ცხოვრება მხოლოდ წარმართულ ღმერთს შეუძლიაო. კოპრე თაყვანს მოტყუდა და მხოლოდ თავისი წმინდა მოძღვრის ლოცვებითა და შეგონებებით აეხილა კვლავ თვალი. მან საჯაროდ აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი, რამაც მეფის განრისხება გამოიწვია. იულიანემ ბრძანა, სასტიკად ეწამებინათ კოპრე. წმ. პატერმოთე ამხნევებდა თაყვის მოწაფეს.

ერთმა მხედარმა, სახელად ალექსანდრემ, ქრისტიანთა წამების მხილველმა, თაყვადაც ირწმუნა ქრისტე და ამის აღიარებისათვის კოცონზე დაწვით იქნა დასჯილი. წმ. მოწამენი — პატერმოთე და კოპრე მახვილით აჩეხეს. მათი „წამება" დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 3, 378-391; ბოდლ. 1, 242-251; აგრეთვე შეტანილია პალადი პელენელოელის „ლავსაიკონში". ხსენების დღე — 9 ივლისი.

„პატივმოთინი“ (ქართული ეპისთით – „პატივმინთი“) – ასე ერქვა სოშეს დიოფიზიტთა პოლემისტურ თხზულებათა კრებულს, რომელშიც განხილული იყო ისტორია ქალკედონის კრების შედეგებისა სომხეთში.

„პატივთინი“ ქართულად ძველადვე უთარგმნიათ, X ს-ზე გაცილებით ადრე, სომხეთთან კამათის დროს სახელმძღვანელოდ. ერთი ნაწყვეტი ამ თხზულებისა ჩვენამდე შენახულა (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 336-341).

პატმოსი – მთაშველი, უნაყოფო, კლდოვანი კუნძული (ჭალაკი) ეგეოსის ზღვაში, ეფესოდან სამხრეთ-დასავლეთით. ეკუთვნის დოდეკანისუს კუნძულებს. აქ 95 წელს იმპერატორ დომიციანეს ბრძანებით გადასახლებული იყო წმ. მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი, აქ იხილა მან საღვთო გამოცხადება (გამოც. 1,9) და დაწერა წიგნი. მოგვიანებით პატმოსის კუნძულზე დაარსდა იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი. აქაა ბერძნულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექცია.

პატრი (ლათ. mater) – ასე უწოდებენ კათოლიკე მღვდლებს.

პატრიარქი (ბერძნ. „მამამთავარი“) – დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის მეთაურის უზენაესი ტიტული მთელ რიგ ქვეყნებში. პატრიარქის წოდება ქალკედონის მსოფლიო საეკლ. კრებამ (451) დაადგინა. ქრისტიანული ეკლესიის გაყოფის შემდეგ (1054 წ.) პატრიარქი აღმოსავლეთის ეკლესიის მეთაურთა წოდება გახდა. ბიზანტიის იმპერიის მართლმადიდებლურ ეკლესიას ოთხი პატრიარქი განაგებდა: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმისა. რუსეთის საეკლესიო კრებამ პატრიარქი პირველად 1589 წელს აირჩია. 1721 წ. პეტრე I-მა გააუქმა პატრიარქის წოდება. რუსეთის ეკლესიის კრებამ 1917-18 წწ. პატრიარქის ტიტული აღადგინა. პატრიარქი ჰყავს ამჟამად კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, საქართველოს (იხ. კათოლიკოს-პატრიარქი), სერბიის, ბულგარეთისა და რუმინეთის ეკლესიებს. კათოლიკური ეკლესიის ზოგიერთ ეპარქიასაც პატრიარქი მეთაურობს.

პატრიკ ტბელი – ძე ქაჯთარისა, სოფ. ტბეთის (ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 5-6 კმ. მანძილზე დასავლეთით) „ბოსის ჯვრის“ ანუ „ბორცვის ჯვრის“ X-XI სს. დარბაზული ეკლესიის მშენებელი. მოხსენებულია ბალავრის ქვის წარწერაში. წარწერიანი ქვა დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში. სხვა წარწერიანი ქვები დაკარგულია (ეკლესია პერანგჩამოცლილია).

პატრიკია საჰურისის „ცხოვრება“ – „პატრიკიაჲსათუს, რომელმან გარდაიცვალა სახელი საჰურისად“ – ამბა დანიელის თხზულება, რომელშიც აღწერილია უდაბნოს ერთი განდეგილის ცხოვრება. ამ თხზულების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 382, 75-76.

პატრისტიკა – 1. ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ეკლესიის მამების თეოლოგიურ სწავლებას. 2. ალეთისმეტყველი მეცნიერება, რომელიც სწავლობს ეკლესიის მამათა ქმნილებებს და სისტემად აყალიბებს მათში მოცემულ მოძღვრებებს. პატრისტიკის ჩამოყალიბების პერიოდში (II-III სს.), რომელიც „აპოლოგეტიკის“ სახელითაა ცნობილი, ეკლესიის მამები მიზნად ისახავდნენ ქრისტიანობის დაცვას მოწინააღმდეგეებისაგან. შემდგომ პერიოდში (IV-V სს.) კი – ქრისტიანული დოგმების სისტემატიზაციას. ამ დროს ეკლესიის მამათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ე. წ. „მსოფლიო მოძღვარნი“, რომლებმაც მტკიცედ გაუმაგრეს თეორიული საფუძვლები საქრისტიანო მოძღვრებას, დაიცვეს და განმარტეს სარწმუნოებრივი დოგმატები. აღმოსავლეთის ეკლესიაში „მსოფლიო მოძღვრებად“ იწოდებიან: ბასილი კესარიელი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ნოსელი, ათანასე ალექსანდრიელი. პატრისტიკა სწავლობს აგრეთვე ეკლესიის მიერ კანონიზებული სხვა წმინდანების მოძღვრებებსაც. V ს. II ნახევარში აღმოცენდა არეოპაგიტიკა. პატრისტიკის უკანასკნელი პერიოდი (V ს. დასასრ. – VI ს. I ნახ.) მთავრდება იოანე დამასკელის ნაშრომებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სქოლასტიკას.

პატრონიძე (ბერძნ.) – ეკლესიის მეორე იარუსზე მოწყობილი ეიწრო ბაქანი მანდილოსნებისათვის. კ. კეკელიძე თვლის, რომ პატრონიჟის პარალელურად იხმარებოდა ტერმინი „პატეხუმენი“; ასე ეწოდებოდა ტაძრის ზემო განყოფილებას, რომელიც მიუკუღმოდა დასავლეთ (ხან ჩრდ. და სამხრ.) მხარეს. მანდილოსნების გარდა იქ თავსდებოდნენ კათაკმეველები.

პაშნოტი – საფარის მონასტრის (სამცხეში) XIV ს. მოძღვარი. მოხსენებულია ბექა-

ალბუღას სამართლის შესავალ ნაწილში (იხ. ი. ლოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953 წ., გვ. 285).

ჯაფნუტი – IV-V სს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, აეტორი თხზულებისა „ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ონოფრე განშორებულისაჲ და სხუათა მეუდაბნოეთაჲ“. ქართულ ენაზე თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (A 128, 887-903 და სხვ.). ამ თხზულებაში აღწერილია, თუ როგორ იმოგზაურა ღირსმა მამამ პაფნუტიმ თებაიდის უდაბნოში (ეგვიპტეში), სადაც შეხვდა მრავალ წმიდა მეუდაბნოეს: ტიმოთეს, ონოფრე დიდს, ოთხ ჭაბუკს – იოანეს, ანდრიასს, ირაკლემონესა (ირაკლემონეს) და თეოფილეს, აგრეთვე სხვა მეუდაბნოეებს. იხ. ონოფრე დიდი.

პახომი დიდი – IV ს. განთქმული მონაზონი, მეუდაბნოე. ანტონ დიდთან, მაკარი დიდთან და ეფთვიმე დიდთან ერთად იყო ეგვიპტის მონაზონობის ფუძემდებელი და ბურჯი. დაიბადა III საუკუნის მიწურულში ეგვიპტეში, წარჩინებულ წარმართულ ოჯახში. მიიღო კარგი საერო განათლება, 20 წლის ჟამწვილმა გაიცნო ქრისტიანები და გაიგო, რომ მათ სჯულის უმთავრესი მოთხოვნა იყო ღვთისა და მოყვასის სიყვარული. ბუნებით წმიდა ჟამწვილზე ამ ცნობამ ძლიერ იმოქმედა და ცხოვრების მიზნად სულიერი სრულყოფა დაისახა. ამ მიზნით იგი დაემოწაფა თებაიდელ მეუდაბნოეს პალამონს. უდაბნოში ცხოვრების 10 წლის შემდეგ ღირსი მამა პახომი მოხვდა ძველ ნასოფლარ ტავენისთან. ამ დროს მას ჩაესმა ხმა, რომელიც უბრძანებდა ამ ადგილას აეგო მონასტერი. სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით მამა პახომი შეუდგა მონაზონთა მცირე ზომის საცხოვრებელი ბინის შენებას. ერთხელ მას გამოეცხადა ღვთის ანგელოზი ბერის სამოსელში და გადასცა სამონასტრო ცხოვრების წესდება (ტიპიკონი). ღირს მამას მონასტრის შენებისას მრავალი განსაცდელი და სინდელე შეხვდა, რომელიც ბოლოს ლოცვითა და მოთმინებით გადალახა, პახომის მონასტერში თანდათან მრავალმა მოწაფემ მოიყარა თავი. ბერების რიცხვის ზრდამ ახალი მონასტრების აგების საჭიროება წარმოშვა. მოღვაწეთა რიცხვმა ბოლოს 7000-ს მიაღწია. ყველა ისინი წმ. პახომის სულიერი ხელმძღვანელობით ცხოვრობდნენ. ღირსი მამა ხშირად ნახულობდა ყოველ მონასტერს და განაგებდა მათ. ამ მდგომარეობის მიუხედავად, მამა პახომი მეტად თავმდაბალი ბერი იყო, იგი მუდამ მზად იყო დამორჩილებოდა ყოველ ძმათაგანს და მიეღო მათგან შენიშვნები. უფალმა ღირსი მამა პახომი დააჯილდოვა სასწაულთმოქმედი მკურნალი ძალით. სამონასტრო მოღვაწეობის დიდი ბურჯი გარდაიცვალა 53 წლის ასაკში დაახლ. 348 წელს და დაკრძალული იყო თავისი მონასტრის მახლობლად. ხსენების დღე – 15 მაისი.

საკვირველია, რომ წმ. პახომის „ცხოვრება“ ქართულად ძველად არ უთარგმნიათ. არსებობს მხოლოდ თანამედროვე ქართული თარგმანი (ლ. კვირკაშვილი, ბიზანტიური მწერლობის კრესტომათია, II, თბ., 1993, გვ. 7-17).

პეტრესი პაული (1870-1950) – ბელგიელი ქართველოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე. მან განსაკუთრებული ამაგი დასდო ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ცალკეული საკითხების შესწავლას და პოპულარიზაციას; მან რამდენიმე ათეული ჰაგიოგრაფიული ძეგლი გამოსცა ლათინური თარგმანით: „ქართულ ხელნაწერთა ისტორია“ (1942 წ.), „ძიებანი აღმოსავლური ფილოლოგიის ისტორიიდან“ (ორ ტომად 1951 წ.), „წმინდა ილარიონ იბერიელი“ (1914 წ.), „ქართული მონასტრების ისტორია“ (1917-1919 წწ.), რომელშიც წარმოდგენილია „იოანე და ეფთიმეს ცხოვრების“ და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ლათინური თარგმანები. „ქრისტიანობის გაერცელების ისტორია ჰაგიოგრაფიული წყაროების მიხედვით“, (1932 წ.), „წმინდა შუშანიკი – ქართველებისა და სომხების მარტვილი“ (1935 წ.), „ხაზარები ახო თბილელის მარტვილობაში“ (1934 წ.).

პელაგია – წმინდა ქალწულმოწამე, ცხოვრობდა III საუკუნეში კილიკიის ქალაქ ტარსში (მცირე აზიაში). მისი მშობლები დიდგვაროვანი წარმართები იყვნენ. როდესაც პელაგიამ მოისმინა ნაცნობ ქრისტიანთა ქადაგება ჭეშმარიტ ღმერთზე, მან ირწმუნა იგი და გადაწყვიტა, ქრისტეს მიმდეარი გამხდარიყო, დაეცვა თავისი ქალწულობა და მთელი თავისი ცხოვრება უფლისადმი მიეძღვნა. როდესაც იმპერატორ დიოკლეტიანეს მემკვიდრემ დაინახა პელაგია, მოისხრბია მისი სილამაზით და გადაწყვიტა ცოლად შეერთო. წმინდა ქალწულმა ჭაბუკს უთხრა, რომ იგი უკვე დაწინდულია უკვდავ სიძეზე – ძე ღვთისაზე, ხოლო ამქვეყნიურ ცხოვრებას კი უარყოფს. ასეთმა პასუხმა აღაშ-

ფოთა უფლისწული, მაგრამ გადაწყვიტა დროებით მოეთმინა. იგი იმედოვნებდა, რომ მშვენიერი ქალწული მალე შეიცვლიდა აზრს. იმ ხანებში პელაგიამ სიზმარში ნახა მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ტარსელი ეპისკოპოსი კლინონი, რომელიც ქრისტიანთა დევნის გამო ქალაქიდან გახიზნული იყო. ერთხელ, ქალაქგარეთ მოგზაურობისას, ღვთის განგებით პელაგიას გზად შეხვდა ეპისკოპოსი კლინონი. პელაგიამ მყისვე იცნო იგი, დაეცა მის მუხლებთან და სთხოვა მონათლა. მღვდელმთავარმა გულმოდგინედ ილოცა, მიწიდან გამოალინა წყალი და ამ წყალში მონათლა წმ. პელაგია. ამიერიდან წმ. ქალწულმა დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება თავის მსახურთა შორის და ზოგიერთი მათგანი მოაქცია კიდეც. იგი დღის მოქცეასაც ცდილობდა, მაგრამ განრისხებულმა დედამ უფლისწულთან უჩივლა – ჩემი ქალიშვილი ქრისტიანია და არ სურს შენი ცოლობაო. შეცდარებულმა ჰაბუმა, რაკი იგრძნო, პელაგია ჩემთვის დაკარგულიაო, თავი მოიკლა. პელაგიას დედას იმპერატორის რისხვისა შეეშინდა, თვითონვე დადო ბორკილი საკუთარ შვილს და წაიყვანა დიოკლეტიანესთან, როგორც ქრისტიანი და უფლისწულის სიკვდილის უნებლიე მიზეზი. იმპერატორი მოიხიბლა პელაგიას სილამაზით და სასჯელის ნაცვლად წყალობა შესთავაზა, ოღონდაც ცოლობაზე თანხმობა ეთქმევინებინა, მაგრამ პელაგიამ ამხილა მისი უგუნურება და სამარცხვინო წინადადება უარყო. როცა იმპერატორის შეგონებებმა არ გაჭრეს, მან ბრძანა ქალწულის დაწვა. პელაგია უშიშრად წარდგა ცეცხლის წინაშე, გადაისახა პირჯვარი და ლოცვებით შეევედა გაუარვარებულ ღუმელში (დაახლ. 290 წელს). მისი სხეულის კეთილსურნელებამ აავსო მთელი ქალაქი, ძღლები კი უნებელი გადარჩა. ეს წმიდა ნაწილები სასწაულებრივად მოიპოვა ეპისკოპოსმა კლინონმა და პატივით დაკრძალა. იმპერატორ კონსტანტინეს დროს (306-337 წწ.), როცა შეწყდა ქრისტიანთა დევნა, წმიდა პელაგიას სფლავზე აშენდა ტაძარი. წმ. ქალწულმოწამის ხსენება დადებულია 4 მაისს. იოანე ოქროპირმა მას მიუძღვნა შესხმა, რომელიც ქართულ ენაზე უთარგმნია ეფრემ მცირეს: „შესხმა წმ. ქალწულისა პელაგიასა“. ტექსტი შემონახულია ხელნაწერში: S 384, 329-339. ქართულ ენაზე უთარგმნიათ წმ. ქალწულმოწამის „წამებაც“.

პელაგია ანტიოქელი (V ს.) – ცნობილი მონაზონი ქალი. თავდაპირველად იგი ცნობილი ანტიოქელი მეძავი იყო. ერთხელ იგი ედესის ეკლესიაში დაესწრო წმ. ეპისკოპოსის, ნონეს ქადაგებას საშინელი სამსჯავროს შესახებ. მოძღვრის სიტყვებმა ისე იმოქმედა მასზე, რომ ცრემლებით მოინანია ცოდვები და ნათლისცემა სთხოვა მღვდელმთავარს. რაკი პელაგიას გულწრფელი სინანული იხილა, ნონე ეპისკოპოსმა ნათლ-სცა მას. ამის შემდეგ წმ. პელაგია იერუსალიმში წავიდა და განმარტოდა ელეონის (ზეთისხილის) მთაზე. სიკვდილამდე († 457 წ.) იგი განდეგილად ცხოვრობდა და დიდ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. ღირსი დედის „ცხოვრება“ აღუწერია იაკობ დიაკონს, რომლის ქართული თარგმანი („სინანული პელაგიასა მეძავისაჲ, რომელსა ეწოდა მარგალიტ, და სიმკჳრ მისი“) შემონახულია ხელნაწერში: ბოდლ. I, 456v-464r; მეორე თარგმანი – A 95, 604v-612v; A 382, 10-14. ქართულ ხელნაწერებში ხსენების დღედ აღნიშნულია 9 ივნისი, ბერძნული წყაროების მიხედვით – 8 ოქტომბერი.

პელაგიოსი – IV-V სს. ბრიტანელი მონაზონი, ერესიარქი, რომელმაც სათავე დაუდო მთელ მიმდინარეობას – პელაგიანობას. პელაგიოსის დაბადების ადგილი ზუსტად არაა განსაზღვრული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იტალიაში ჩამოვიდა V ს. დასაწყისში. ეწეოდა მკაცრ სამონაზვნო ცხოვრებას. მეგობრობდა წმ. პაულინე ნოლაელ ეპისკოპოსთან. ხედავდა რა იმდროინდელი იტალიის ზნეობრივ დაქვეითებას, პელაგიოსი თავის თხზულებებში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ადამიანისათვის დაუძლეველი ცოდვა არ არსებობს (პელაგიოსის უმთავრესი თხზულებაა განმარტება პაულეს ეპისტოლეებისა). იგი ასწავლიდა, რომ უცოდველი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც ამას მოისურვებს; ღმერთი თავისი მცნებების სახით არ მოითხოვს შეუძლებელსო. ადამის პირველქმნილი ცოდვა, პელაგიოსის თანახმად, ადამიანთათვის მარტოოდენ ცუდი მაგალითი იყო, რაიმე რეალური ძალა კი არ გააჩნდა. ამრიგად, ცოდვის ქმნა მხოლოდ ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. ცოდვის დაუძლეველობის უარყოფამ პელაგიოსი მიიყვანა საღვთო მადლის უარყოფამდე, იმ მადლისა, რომელიც ადამიანს ენიჭება შექმნიდან დაწყებული, ქრისტეს საღვთო გამოცხადებით დამთავრებული. პელაგიოსს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შორის დიდგვაროვანი ცელესტი, რომელ-

თანაც ერთად (411 წლიდან) სამოღვაწეოდ გადაიცა აფრიკასა და პალესტინაში. კართაგენის საეკლესიო კრებამ ისინი მწვალებლობაში ამხილა და ეკლესიიდან განკვეთა. ერთხანს პელაგიოსმა მოახერხა თავის გამართლება, რომის პაპის, ზოსიმეს კეთილგანწყობაც დაიმსახურა, მაგრამ იმპერატორ ჰონორიუსის ბრძანებით მისი მოძღვრება საბოლოოდ იქნა უარყოფილი (418 წ.), დამტკიცებულ იქნა მისი განკვეთა ეკლესიიდან. პელაგიოსი აღმოსავლეთში დარჩა და მალე გარდაიცვალა. მის მოძღვრებას კი ერთხანს მტკიცედ იცავდა რამდენიმე იტალიელი ეპისკოპოსი. ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (431 წ.) პელაგიანობა დაგმეს და მწვალებლობად გამოაცხადეს.

პენატები – ძველ რომაულ მითოლოგიაში ოთახისა და კერის, შემდეგ კი მთელი რომაული ხალხის მფარველი ღმერთები. თითოეულ ოჯახს ორი პენატი ჰყავდა, მათ გამოსასულებებს კერიის ახლოს ათავსებდნენ. პენატების სახელმწიფო კულტს განაგებდა უზენაესი ქურუმი, რომელიც ვესტას ტაძარში სწირავდა მათ მსხვერპლს. გადატანითი მნიშვნელობით პენატი – ოჯახური კერა, მშობლიური სახლი.

პერევისა – სოფელი ჭიათურის რაიონში ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილის მარცხ. მხარეს, ჭიათურიდან 6 კმ. შემორჩენილია III ს. ეკლესიის ნანგრევები. მოხატულობის ფრაგმენტები XIII-XIV და XV სს. მიეკუთვნება.

პერეძელი // ცაჲ – დაფარნა, გადასაფარებელი ქსოვილი ბარძიმ-ფეშხუმისათვის, ბანილი დიდის განმარტებით „პერეული ლოდისა მის წილ არს, რომელი იყო კარსა ზედა საფლავისასა, რომელიცა დაბეჭდეს პურიათა, ხოლო ანგელოზმან გარდააგორვა“ (A 450, 432v). იხ. დაფარნა, ცაჲ.

პერელრინოს – III ს. მოწამე. ისაკრე დიაკონთან, ვასილოს, ინოკენტიოს, ფილისკოს და ერმისთან ერთად იგი აწამეს ქრისტიანობის აღიარებისათვის მაკედონიის ქალაქ ათოლონიაში, იმპერატორ ნუმერიანეს (283-284 წწ.) დროს. მათი „წამების“ ქართული თარგმანი იხ.: ქსე. 7, 402-416. ხსენების დღედ აქ ნაჩვენებია 29 ათრილი. თანამედროვე კალენდარში ისინი მოიხსენიებიან 6 ივლისს.

პეროზაძი – VI ს. გაქრისტიანებული მცხეთელი სპარსი. „ესუტათი მცხეთელის მარტყოლობაში“ მოხსენებული, როგორც ქრისტიანობის დამცველი, რისთვისაც დასჯეს. მან ექსი თვე საპყრობილეში გაატარა და გაათავისუფლეს ქართველ დიდებულთა თხოვნით სხვა გაქრისტიანებულ სპარსელებთან ერთად. ვესტათის მეორედ დაპატიმრების დროს პეროზაკი აღარ ჩანს, ალბათ იგი ამ დროს – სამი წლის შუალედში – გარდაიცვალა (იხ. ძეგლები, I, 32-33).

პეროტაური სიმონელი – IV ს. ქართლის დედოფალი („ურისთვისა დედაჲ“), წმ. ნინოს თანამედროვე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, იგი ესაუბრა წმ. ნინოს მის მიცვალებამდე მცირე ხნის წინ და სალოცე უჯარმელთან ერთად დაწერა მისი „ცხოვრება“ (იხ. ძეგლები, I, 100-106).

პეტეშრე – ფარაონის კარზე წარჩინებული პიროვნება, საჭურისი, რომელმაც შეისყიდა მექარავანეთაგან ძმების მიერ გაყიდული იოსები, იაკობის ვაჟი (შექმნათა 37,36). იოსებმა მალე ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ პეტეფრემ იგი თავის მოურავად დანიშნა, მაგრამ ცოლის შთაგონებით კეთილსინდისიერი მსახური პეტეფრემ საპყრობილეში ჩასვა. დასახლისს თავისი პიროვნული მტრობა ამოძრავებდა – იოსებმა არ გაიზიარა მისი სარეცელი, თუმცა ქალი დღედ ეცადა (დაბ. 49,7-20). საპყრობილედან იოსები სასწაულებრივად გათავისუფლდა ფარაონის ბრძანებით (იქვე 41, 14-40).

პეტეშრე – ეგვიპტის მზის ქალაქის – ონის (ბერძნ. ჰელიოპოლისი) ქურუმი. მისი ქალიშვილი ფარაონის ნებით ცოლად გაჰყვა იოსებ მშვენიერს (იაკობის ძეს), რომელსაც ფარაონის კარზე დიდი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული.

პეტრა – ისტორიული ციხე-ქალაქი დას. საქართველოში, ეგრისის სამეფოში (ახლანდელი სოფ. ციხისძირი, ქობულეთის რაიონი). შემორჩენილია ციხის ნანგრევები. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა სხვა ნაგებობებიც, მათ შორის VI-VII სს. ბაზილიკის საძირკველი, რომელიც პეტრას საეპისკოპოსო კათედრალის ნაშთია.

პეტრე მოციქული (ბერძნ. კლდე, ქვა) – ქრისტეს მოციქულთა თავი (პაველსთან ერთად), მისი უახლოესი მოწაფე, მაცხოვართან შედგომამდე ერქვა სიმონი (იონას ძე), წარმოშობით გალილეველი იყო, ბეთსაიდიდან (მეთევზეთა ქალაქი გენესარეთის ტბის ნაპირზე). თავის ძმასთან, ანდრეასთან ერთად ეწვევა მეთევზეობას (მათე 4,18). მათი სასწაულებრივი მოქცევა მოხდა

გალილეის ზღვასთან, თევზაობის დროს. იესო, რომელმაც მოწაფედ გამოირჩია ორივე მათი, მიიდა მათთან და უთხრა: „მოვედით და შემომიდევით მე და გყვნე თქუენ მესათხველე კაცთა“ (მათე 4,19). ანდრეამ და პეტრემ მაშინვე დატოვეს ბაღე და გაჰყვნენ იესოს. სხვა მახარებელთა სიტყვით, სიმონი იესოსთან მიიყვანა მისმა ძმამ ანდრეამ. იესომ, შეხედა თუ არა, სახელად უწოდა „ქეფა“ (ბერძნ. პეტრე), რაც ქართულად ნიშნავს კლდეს (იოანე 1,42; მარკ. 3,16; ლუკა 6,14). ამ კლდეზე ბრძანა უფალმა თავისი ეკლესიის აშენება (მათე 16,18). როგორც ნეტარი აგუსტინე მიუთითებს პეტრე-პაულობისადმი მიძღვნილ სიტყვაში, კლდე (ლოდი) არის სიმბოლო თვით იესო ქრისტესი, რომლის ღვთაებობის აღიარებაზეცაა დაფუძნებული წმ. ეკლესია. პეტრე იყო ყველაზე მხურვალე მიმდევარი იესო ქრისტესი და მოწაფეთაგან პირველმა აღიარა იესო ღვთის ძედ (მათე 16,16). მოციქულთა შორის პირველობა პეტრეს ერყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იესო ქრისტემ გამოირჩია 12 მოწაფე მოციქულებად. პეტრეს პირველობას მოციქულთა შორის ხაზი ესმება სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, აღდგომის შემდეგ (ამაღლებამდე) მოწაფეებთან მაცხოვრის გამოცხადებისას. სახარების ერთ-ერთი შთამბეჭდავი ადგილია პეტრეს მიერ მაცხოვრის უარყოფა მღელმთაერის ეზოში (ადამიანური შიშის გამო), შემდეგ კი ღრმა სინანული და მწარე ტირილი (მათე 26, 69-75; მარკ. 14, 66-72; ლუკა 22, 55-62). პეტრე მოციქულთაგან პირველი მივიდა უფლის საფლავთან (იოანე 20,6). მაგრამ სამგზის უარყოფის შემდეგ იგი აღარ იწოდებოდა იესოს მოწაფედ. მაცხოვრის გამოცხადების შემდეგ მოხდა მისი ხელახალი აღიარება მოციქულად (იოანე 21, 15-17). უფალმა სამგზის მოწოდებით დაადგინა მთელი ეკლესიის უმაღლეს მწყემსად და ჩაბარა სამოთხის კლიტენი. პეტრეს მოღვაწეობა მაცხოვრის ამაღლებიდან ერთი ათეული წლის განმავლობაში დაკავშირებული იყო იერუსალიმსა და პალესტინასთან. იგი სათაეები ჩაუდგა იერუსალიმის ქრისტიანთა თემს, პირველმა იქადაგა მკვლრეთით აღდგომა უფლისა (საქმენი 2,14), ამხილა თუეეველები მაცხოვრის მკვლელობაში (იქვე, 4,13), პირველად იქადაგა სახარება წარმართთა შორის (საქმენი 10,1), ქადაგებით შემოიარა იუდეა და გალილეა. იერუსალიმის საპყრობილიდან სასწაულებრივი განთავისუფლების შემდეგ (საქმე 12,7) იგი მივემგზავრება რომში. 49 წელს ის კვლავ იერუსალიმია, სადაც ესწრება მოციქულთა კრებას (საქმე 15). აქედან მივემგზავრება ანტიოქიაში და იქ მკვიდრდება (გალ. 2,11-14). პეტრე მოციქული ანტიოქიის ეკლესიის დამფუძნებლად და პირველ ეპისკოპოსად ითვლება. 67 წელს, იმპერატორ ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნის დროს, პეტრე მოციქული შეიპყრეს რომში და აწამეს (პაულესთან ერთად). მისივე თხოვნით, თავდაყმა გაუკრავთ ჯვარზე. პეტრე ითვლება რომის პირველ ეპისკოპოსად.

პეტრე მოციქულს მიეწერება ორი კათოლიკე ეპისტოლე. პირველი ეპისტოლეები იგი მიმართავდა მცირე აზიის ქრისტიანებს, რომელნიც წარმართთაგან ძლიერ შეეწიროებულნი იყვნენ (2, 12, 19, 20; 3, 14-17; 4, 4-12). მოციქული მოუწოდებს მათ, არ შეუშინდნენ მუქარას, დევნას და წარმართთა სამებლად არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვიონ ქრისტიანული ცხოვრების სიწმინდეს. ეპისტოლე დაწერილია ბაბილონში (5,13). ასე უწოდებდნენ მეორენაირად რომს I საუკუნის ქრისტიანები. ეპისტოლის დაწერის დროდ ვარაუდობენ 63 წელს შემდეგი მოსაზრებით: მცირე აზიის ეკლესიათა მდგომარეობა ისე, როგორც მოციქულის მიერაა აღწერილი, შეესაბამება ეპოქას 58 წლის შემდეგ, როდესაც მოციქულმა პაულემ დაასრულა მათი განწესება, დატოვა ეფესო. მეორე მხრივ, ეპისტოლეში არაფერია ნათქვამი ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნაზე, რომელიც, როგორც ვიცით, 64 წელს დაიწყო. მეორე კათოლიკე ეპისტოლე პეტრესი ეხება იმავე საკითხებს, რასაც მასზე ადრე დაწერილი ეპისტოლე იუდასი. ორივე ეს ეპისტოლე ამხილებს ცრუ მოძღვრებას, რომელიც უარყოფდა უფლის მეორედ მოსვლას და, საერთოდ, იესოს ღვთაებობას. პეტრე II-ის ეპისტოლე დაწერილია 67 წწ. რომის საპყრობილეში, მალე აღსრულების მოლოდინში (1, 13-15).

პეტრე მოციქულს სახარება არ დაუწერია, მაგრამ მარკოზის სახარებას ხშირად პეტრეს სახარებად მოიხსენიებენ, რადგან წმ. მარკოზ მოციქულმა სახარებაში დაწერა ყოველივე ის, რასაც ზეპირად ქადაგებდა პეტრე და რაც პირადად მოისმინა მისგან. გადმოცემის თანახმად, პეტრემ წაკითხა მარკოზის სახარება და დაამტკიცა იგი. პეტრე მოციქულს ეკუთვნის აგრეთვე ლიტურგია, რომელიც შეთხზა მან ახლად

დაარსებულ ეკლესიებში შესასრულებლად. კ. ქეცელიძის აზრით, კონსტანტინეპოლური ლიტურგიების დანერგვამდე საქართველოს ეკლესიაში, სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიათა მსგავსად, იკარა მოციქულის ჟამისწირვასთან ერთად სრულდებოდა პეტრე მოციქულის ჟამისწირვაც. ამ ჟამისწირვის ქართული ტექსტი შეგვინახულია XVII ს-ის ორ ხელნაწერში: ხელნაწერთა ინსტიტუტის A 81 და ვატიკანის ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 7-ში (იხ. მოციქულთა ლიტურგიები).

პეტრე მოციქულის შესახებ ქართულ ენაზე არსებობს რამდენიმე თხზულება: 1. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მღდელმოწამისა კლიმენტოს პრომთა პაპისა და წმიდისა მოციქულისა პეტრეს მოწაფისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელი ესე მიუწერა პრომით იერუსალიმს წმიდისა იაკობის მიმართ ძმისა უფლისა, ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა“ (ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი) – Ath. 50, 169-249 და სხვა. 2. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთასწორისა ბაგრატისი, მღდელთმთავრისა ტაცრომენელთა ქალაქისა ჰალაკის მის საკლიტისა, რომელი აღწერა ეფგრე ეპისკოპოსმან, მოწაფემან მისმან“ (გამოც. აღ. ხახანაშვილის მიერ: Труды по востоковедению, вып. XIX). არსებობს ამავე თხზულების მეტაფრასული რედაქციაც: ქუთ. 3, 420-487. (ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი, Ath. 50, 1-102 და სხვ.). ორივე ამ ჰაგიოგრაფიაში ლაპარაკია უმეტესწილად პეტრეს მიმოსვლის შესახებ. 3. „პეტრე მოციქულის წამება“ (A 19, 82-85; A 95, 71-75; Ath. 8, 29-33; Sin. 32-57-33, 174-179). ხსენების დღე – 28 დეკემბერი. 4. „პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყუანისცემაჲ„ (ქუთ. 13, 148-167; A 79, 231-268). ხსენების დღე – 16 იანვარი (იხ. პეტრეს ჯაჭვის ტაძარი). 5. „პეტრე მოციქულის შესხმაჲ„ (შესხმაჲ წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულთა თხებისა პეტრესი“); ნიკიტა ფილოსოფოსის (პაფლაღონელის) თხზულება. ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 308-320.

პეტრე I – ქართლის პირველი კათოლიკოსი, მამამთავარი V ს-ის 60-70-იან წლებში (დაახლ. 467-474 წწ.), ეროვნებით ბერძენი. ჯუანშერის (XI ს.) ცნობით, პეტრე წინათ ქ. ნაზიანზინში იყო მღვდლად. ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე მისი წინამადგილე იყო მიქაელ მთავარეპისკოპოსი, რომელიც დაუპირისპირდა მეფე ეახტანგ გორგასალს და კბილიც ჩაამტერია. მეფემ სიმშილით მოითხინა მეუღლისყოფა და „არარა ბოროტი შეამთხია“ მიქაელს, მაგრამ სპარსეთში გაგზავნა მოციქულები (მეფესა და პატრიარქთან) და ითხოვა, ქართლში მიქაელ მთავარეპისკოპოსის ნაცვლად დაენიშნათ ახალი მამამთავარი – კათოლიკოსი. მათ გამგზავნეს პეტრე, რომელიც ეახტანგ მეფემ კათოლიკოსად დამტკიცა. პეტრესთან ერთად გამოგზავნილი იყვნენ „სამოელ ღირსი და სხუანი მის თანა“. ამიერიდან ქართლის მამამთავარს ეწოდებოდა კათოლიკოსი. ეახტანგ გორგასალმა ქართლის საკათოლიკოსო ტახტის დაფუძნებასთან დაკავშირებით ააშენა „ქუეყნის ეკლესია“ (სვეტიცხოველი) და „დასუა მას შინა პირველად კათოლიკოსად და მწყემსად პეტრე“. მაშასადამე, მამამთავრის ტახტი სამთავროს ტაძრიდან გადატანილ იქნა სვეტიცხოველში.

ბიზანტიის წინააღმდეგ ირან-საქართველოს ომის დროს ეახტანგ გორგასალმა პეტრე კათოლიკოსი საიდუმლოდ გაგზავნა მოციქულად ბიზანტიაში. პეტრემ ხელი შეუწყო ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

პეტრე – ოპიზის მონასტრის VIII ს. მღვდელი, ბერი. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თანახმად, ამონა, ანდრია და მაკარი მონაზვნებთან ერთად აუშენებია ოპიზის მონასტერი (ძეგლები, I, გვ. 322).

პეტრე – სახელი რამდენიმე საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობრისა:

1. მწიგნობართუხუცესი, XI ს. II ნახევრის მოღვაწე, ძმა იოანე ჭყონდიდელისა, ერისკაცობაში პეტრეკი. პეტრეს ღვაწლი მიუძღვის ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში. 1054 წ. პეტრე და მისი ძმა იოანე (შემდგომში ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი) ბაგრატ IV-სა და დედოფალ მარიამს ახლდნენ კონსტანტინეპოლში ბიზანტიის იმპერატორთან. იქიდან პეტრესა და მის ძმას მატერიალური დახმარება გაუწევიათ ათონის ქართველთა მონასტრისათვის, რისთვისაც მათ დაუწესეს აღაპი. პეტრემ ერისკაცობაშივე მიიღო პატრიკის ტიტული. 1065 წ. უკვე ბერია და იხსენიება, როგორც „პეტრე-პატრიკი პეტრიკ ყოფილი“ („ცხორებაჲ გიორგი მთაწ-

მიღელისაჲ“). 1065 წ. ძმასთან ერთად კონსტანტინეპოლში ახლდა უფლისწულ მართას. ძმებმა სააღ.ის დღე დაუწესეს გიორგი მთაწმიდელის სახელზე. 1085 წ. იხსენიება, როგორც „პეტრე ვესტი და შუიგნობართუხუცესი“.

2. ხუცესი, ათონის ივერთა მონასტრის XI ს. მოღვაწე და შემწირველი. მოხსენებულია „ათონის კრებულში“. მას შეუწირავს „სათუნი ათორმეტთა თუეთანი, თაესა მოგებული და თუსითა კელითა დაწერილნი შუდად წიგნად“ (გადაწერილი გიორგი ათონელის თუენიდან) და სხვა წიგნები. ათონელ ბერებს მისთვის დაუწესებიათ აღაპი იანვრის 16-ს (ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, კგ. 141).

3. გეთსიმანიის მონასტრის (იერუსალიმში) ქართველი მოღვაწე მღვდელი, მწიგნობარი, ზაქარიას მოწაფე (X-XI ს.ს.). მას, სხვა სინელ ქართველებთან ერთად, მჭიდრო კავშირი ჰქონია სხვა საკანებში მოსახლე თანამემამულეებთან. მაგ: გეთსიმანიაში მას გადაუწერია პარაკლიტონი Sin. 13 (1044 წ.) და სინის მთისთვის შეუწირავს, რადგან იქ იმყოფად ეს წიგნი არ ჰქონიათ.

4. სიონის მგალობელი, XII-XIII სს. ქართველი ჰიმნოგრაფი. ცნობილია მისი „ანბანთქება“ — საღვთო საგალობელი, რომელიც აკროსტიქულად ანბანს იძლევა (S 1203, S 1512).

5. XVII ს. მღვდელი, თავდაპირველად ცხოვრობდა სამცხეში. შემდეგ, როდესაც ხელთუქმნელი ანჩის ხატი სამცხიდან თბილისში გადმოასვენეს, ისიც ცოლ-შვილთან ერთად თბილისში გადმოსახლდა. 1674 წ. კათოლიკოსმა დომენტიმ მისცა ადგილი კანდელაკისა ანჩისხატის ტაძარში. პეტრე კალიგრაფიც ყოფილა. პ. კარბელაშვილის ცნობით, მას გადაუწერია კონდაკი „შვენიერის ხუცურის ხელით“ და სხვ. წიგნები. გარდაიცვალა 1680 წ.

6. XVII ს-ის კალიგრაფი (პატარიძე). გადაუწერია ბიბლია Q 105.

7. XVIII ს. მონაზონი (ჩხუტარაისძე, ჩხუტარაისშვილი), წარმოშობით გურიიდან.. სიყრმეშივე აღიკვეცა ბერად, დახელოვნდა მგალობლობასა და მწიგნობრობაში. იყო პოეტიც. ლექსად დაწერა „ალექსანდრიანი“ (საქართველოს მეფის, ალექსანდრეს ცხოვრება). გარდაიცვალა 1725 წელს. პლ. იოსელიანის ცნობით, დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

8. XIX ს. გადამწერი (ტაბლიაშვილი). 1851 წელს სამეგრელოს მთავრის, დაით დადიანისათვის გადაწერა ათონის ბიბლია (Ath. 1), რომელიც თბილისში დროებით ჩამოიტანა ათონის მთიდან პლ. იოსელიანმა. ამჟამად ეს ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში (№ 422).

პეტრე — ანტიოქიის პატრიარქი 1053-1057 წწ. მოხსენებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. გიორგის თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით და ღრმა განსწავლულობით მიუყვანია ყურადღება პეტრე და თეოდოსი პატრიარქებისა (1057-1076 წწ., იხ. ძეგლები, II).

პეტრე ათონელი († 734) განდეგილი მონაზონი, წარმოშობით ბერძენი, წმ. ნიკოლოზის გამოცხადებით მონაზვნად აღკვეცა რომის პაპმა წმ. პეტრეს საფლავთან. ამის შემდეგ, 681 წელს სამღვდელოდ მიეცა ათონის მთაზე (საბერძნეთში) და 53 წელი გაატარა განმარტოებით ერთ-ერთ მიუვალ გამოქვაბულში. პეტრე ათონელის სახელთაანა დაკავშირებული ღვთისმშობლის აღთქმა: ამიერიდან ათონის მთა — ყოველადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა — უნდა გადაქცეულიყო მონაზონთა და განდეგილთა მყუდრო ნავსაყუდელად, რომელსაც თეით დედაღვთისა დაიცავდა სამყაროს დასასრულამდე. ხსენების დღე — 12 ივნისი. ქართულ ენაზე არსებობს „პეტრე ათონელის ცხოვრება“, დაცულია ხელნაწერი Ath. 7, 277-294 (აქ ხსენების დღედ 13 ივლისია დადებული).

პეტრე ანტიოქელი, ფულონი — ივივე პეტრე მჭაწრვალი, ანტიოქიის პატრიარქი 471, 475-478 და 485-488 წლებში, მონოფიზიტობის თავგამოდებული დამცველი. ბერძნებმა ზედმეტსახელად „მგელი“ შეარქვეს, რადგან იგი ქალკედონის კრებას გამოექცა. პეტრე ანტიოქელის სახელს უკავშირდება „წმიდაო ღმერთოს“ გალობაში ჩართვა სიტყვებისა: „რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს“ (ხოშურად: „ხაჩეცარ“). ამით მან ენებულად შეარცხა წმ. სამება. „ჯუარცუმულად თქუა ძისა თანა მამაჲ და სული წმიდაჲ“ (იხ. „მცირე სჯულისკანონი“, კგ. 47).

ცნობილია დოგმატიკური შინაარსის ეპისტოლენი პეტრე ანტიოქელის მიმართ ანტონის არსენელისა, გელასი რომელისა, პამფილე აენდელისა, ასკლეპიადეს ტრალელისა, ფაკესეს ალექსანდრიის, კვირინე ასკულანელისა და ფლავიე რომელისა, რომელთა ძირითადი თემაა პეტრეს შემატება „რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს“. ეს ეპისტოლენი არსენ იყალთოელს უთარგ-

მნა და შეუტანია თავის „ქრებსტიკონში“ (S 1463; A 265; ქუთ. 24).

პეტრე ალექსანდრიელი – III-IV სს. ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი, ცნობილი საეკლესიო მწერალი, წარმართებმა თავი მოკვეთეს 331 წ. ხსენების დღე – ნოემბრის 25. ტრულის კრებამ (692 წ.) დაამტკიცა პეტრე ალექსანდრიელის კანონთა კრებული. მისი სინანულისათვის თქმული ქადაგებებიდან შედგენილია 14 კანონი, პასექის ქადაგებიდან – ერთი და შეტანილია ნომოკანონში. მისი ქართული თარგმანი შეტანილია „დიდ სჯულისკანონში“ (გვ. 452). „წამებაჲ წმ. პეტრე ალექსანდრიელი მამამთავრისაჲ“ – დაცულია ხელნაწერში: Sin. 11, 152-163 (X ს. კრებული, რომელიც გადაუწერია პავლე პალავრელს), თარგმანი სეითისა. იგივე თხზულება შეტანილია S 382, 48-57-ში და A 128-ში.

პეტრე გელათელი – XIII ს. ქართველი საეკლესიო მწერალი, ფილოსოფოსი, პიმნოგრაფი, რიტორი და ღვთისმეტყველი, გელათის მონასტრის მოღვაწე (პლ. იოსელიანის სიტყვით, იქნება დაკრძალული). ანტონ კათოლიკოსი მას ადარებს იოანე პეტრინს, არსენ იყალთოელსა და ეფრემ მცირეს. „სტიხნი პეტრესნი“ პგვანან იეზეკიელის, იოანე ფილოსოფოსისა და ეფრემ ქართველთა შჯაობის ლექსებს და „უსეც კმა ქებაჲ“ („წყობილსიტყვაობა“). მისივე ცნობით, პეტრეს დაუწერია და უთარგმნია შემდეგი თხზულებანი: 1. „სიტყუაჲ განხორციელებისათჳს ძისა ღმრთისა“. 2. „ქალწულებისათჳს“ ბასილი დიდისა. 3. „მოწამებისა გურგჳნი, გასაზნეველად აგარიანთაგან დენილი ქართველთანი“. 4. გრიგოლ ნაზიანზელის 186-მუხლიანი სიტყვა სტიხად (S 379, გვ. 103-119). 5. დასდებელსაგალობელნი წმიდათანი. 6. ლექსი იამბიკოდ ღვთისმშობლის პატივად. ეს თხზულებები, გარდა მეოთხისა, დღეისათვის ცნობილი არ არის. ჩვენამდე მოღწეული შრომა პეტრესი, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის მხოლოდ ორი იამბიკო, რომელიც ჩართულია იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრინისეულ პროზაულ თარგმანში, XIII ს. ხელნაწერში A 39, რომელსაც კ. კეკელიძე პეტრე გელათელის თარგმანად მიიჩნევდა (იხ. ძვ. ქართ. ლიტერ. ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 334), პატრიარქ ფოტის სჯოლიონებიურთ. პირველი იამბიკოს კიდურწერილობა ამბობს: „კიბედ ვინაჲ ცად მიმაველენ, წარმიმართე“ (ეძღვნება „კლემაქსის“ ავტორს, იოანე სინელს). მას ეკუთვნის აგრეთვე ორი მრგვალივწყრიწერა, ერთი იამბიკოს გარშემო, რომელიც ასეთ ფრაზებს გვაძლევს: „კიბე განსთალე გელათს ნაგები“ და „პეტრე წერდა ე˜ ცად“ (იამბიკო ეძღვნება იოანე პეტრიწს).

პეტრე ეპისკოპოსი – VI-VII სს. სომეხ-ქართველთა ეკლესიური განხეთქილების დროინდელი სომეხი მამამთავარი. მოხსენებულია სომეხთა კათოლიკოსის, აბრაამის ეპისტოლეებში კათოლიკოს კირიონ ქართველის მიმართ. პეტრე, როგორც ჩანს, აბრაამ კათოლიკოსის ელჩი ყოფილა და მას დაპქონდა წერილები კათოლიკოსთა შორის (იხ. უხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, 1975 წ.).

პეტრე იბერიელი (იბერი) (411-491 წწ.) – გამოჩენილი ქართველი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, ერისკაცობაში მურვანი (სირიული წყაროებით – ნაბარნუგი), იყო იბერიის მეფის, ბაზმარის შვილი, ბაკურ დიდის შვილიშვილი. მის აღმზრდელად კოლხეთიდან მოუწვევიათ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მთრდატე ლაზი. მურვანი ამალითურთ 423 წ. ბიზანტიის კეისრის თეოდოსი II-ის მოთხოვნით მძევლად წარგზავნეს კონსტანტინეპოლს. აქ ქართველი უფლისწულის სწავლა-აღზრდის საქმე მითრიდატე ლაზთან ერთად ხელმძღვანელობდა კეისრის მეუღლე დედოფალი ეუდოკია. მურვანს ბაშეობიდანვე დიდი ნიჭი გამოუჩენია და ბერწყინვალე განათლება მიუღია, შეუთვისებია „ყოველივე სწავლულება, საეკლესიო და საფილოსოფოსო“ („ქართლის ცხოვრება“). ცნობების თანახმად, მურვანი ბიზანტიაში უსმენდა გამოჩენილ სწავლულებსა და ფილოსოფოსებს. მისი ბიოგრაფის, ზაქარია ქართველის გადმოცემით უფლისწული თავისი განსწავლულობით, ბერძნული ცოდნით და გონებამახვილობით განაკვირვებდა მეფესა და სასახლის ფილოსოფოსებს. იერუსალიმში ყოფნის დროს შესანიშნავად აუთვისებია სირიული ენა და მწერლობა. სამშობლოდან მოწყვეტილ მურვანს არ აკმაყოფილებდა იმპერატორის სასახლე, რის გამოც იგი რამდენიმე ქართველთან ერთად გაიპარა სასახლიდან და პალესტინაში გადასახლდა, მათ შორის მითრიდატე ლაზისა და ზაქარია ქართველის ყოფნა წყაროებითაა დადასტურებული. იერუსალიმში მურვანი და მითრიდატე მონაზვნებად აღიკეცე-

ნენ, გამოიცვალეს სახელები (მურვანი – პეტრე, ხოლო მითრიდატე – იოანე). 445 წ. ისინი აკურთხეს მღვდლებად. მათ შემოიარეს ახლო და შუა აღმოსავლეთის მრავალი ქვეყანა, დამკვიდრდნენ მაიუმში, ქ. ღაზის მახლობლად, სადაც ეწეოდნენ დიდ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მოღვაწეობას. პეტრე იბერიელი გახდა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი V ს. II ნახევრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა. 452 წ. პეტრე იბერიელი მაიუმის ეპისკოპოსად აკურთხეს. ზაქარია რიტორი მას „შოლელიოში სახელგანთქმულ ადამას" უწოდებდა, იოანე რუფუსი კი – „მეორე პაულეს" და „მეორე მოსეს". ზაქარია ქართველის გამოთქმით, „იგი იყო მშვენება და დიდება საქართველოსი და მცველი მთელი ქვეყნისა". იერუსალიმში პეტრე იბერიელმა ააშენა ქართველთა მონასტერი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პეტრე იბერიელი ავტორია დიდმნიშვნელოვანი წიგნებისა, თუმცა მისი სახელით ჩვენამდე ეს წიგნები არ არის მოღწეული. პეტრე იბერიელის ბიოგრაფიების მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე შ. ნუცუბიძემ და ე. პონიგმანმა იგი არეოპაგიტიკული წიგნების ავტორად აღიარეს .

ქართულ ეკლესიაში პეტრე იბერიელი დიდხანს დავიწყებული იყო. მხოლოდ XII-XIII სს. მიჯნაზე იქნა აღიარებული და წმინდანად შერაცხული. ხსენების დღე – 3 დეკემბერი [იხ. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თარგმ. ეფრემ მცირისა" ს. ენუქაშვილის გამოც. თბ., 1961]. პეტრე იბერიელის ცხოვრება აღუწერია მის მოწაფეს, ზაქარიას (ასურულ ენაზე). ქართულად უთარგმნია მაკარი ხუცესს, მესხს („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ"). ტექსტი შემონახულია ორი რედაქციით. პირველი მათგანი დაცულია H 1760 ხელნაწერში, მეორე – A 130; A 170; A 176; H 1672; H 2077; პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის 22, R 2 ქართულ ხელნაწერებში. გამოცემულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" II წიგნში (1967 წ.). არსებობს „პეტრე ქართველის ცხოვრების" მოკლე, სეინაქსარული რედაქციაც („დაბინება წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, მაიამოს ქალაქის ეპისკოპოზისა"), ხელნაწერებში: H 111 (1703-15 წწ.) და ცენტრ. არქივის 459 (1739 წ.). გამოცემულია „ძეგლების" IV წიგნში (1968 წ.).

პეტრე იერუსალიმელი – იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი VI ს. მამამთავრობდა 524-544 წწ-ში (ქართული წყაროებით 548-568 წწ.). ავტორია თხზულებისა: „შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა", რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 19, 39r-47r. გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ (ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 307-316). სხვა ენებზე მისი არც ერთი თხზულება ცნობილი არაა.

პეტრე კაპეტოლელი – III-IV სს. მღვდელმოწამე, მოღვაწეობდა სირიაში, კაპეტოლელთა ქალაქში. იმ დროისათვის ქრისტიანები ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ წარმართთა არაბებისაგან. მთისწინაფოდა რა მოწამეობრივი სიკვდილისკენ, პეტრემ გადაწყვიტა აქტიურად შეწინააღმდეგებოდა მათ. მძიმე ავადმყოფობის დროს მან არაბთა სამლოცველოსთან მოუწოდა წარჩინებულ არაბებს, ვითომც სიკვდილისწინა ანდერძისათვის, და იქ საჯაროდ ამხილა მათი უკეთურება. არაბები მზად იყვნენ, იქვე განეგმირათ წმ. პეტრე, მაგრამ რაკი ნახეს, რომ მომაკვდავია, ხელი აღარ ახლეს. ამ დროს პეტრე უეცრად სასწაულებრივად განიკურნა. მან ახლობელთა შეწონების მიუხედავად, გააგრძელა წარმართთა მხილება. წმ. პეტრეს ოთხი დღის განმალობაში სხვადასხვა ხერხებით აწამებდნენ (ჯვარცმით, ხელ-ფეხის მოკვეთით, თეალების დათხრით, კოცონზე დაწვით და სხვ.), მაგრამ მაინც ცოცხალი რჩებოდა. ბოლოს თავი მოაკვეთეს. ხსენების დღე – 4 ოქტომბერი. წმ. მღვდელმოწამის შესახებ იოანე დამასკელს დაუწერია „სიტყუაჲ ცხორებისა და ღუაწლთა ჯუალდღიდებულისა პეტრე ახლისა მღდელმოწამისა, კაპეტოლელთა ქალაქსა შინა წამებულისა". ეს თხზულება არც ერთ ენაზე, ქართულის გარდა, არაა შემონახული. ბერძნულ და ლათინურ წყაროებში გვხვდება მხოლოდ მისი ორიოდსიტყვიანი მოსახსენებელი 4 ოქტომბერს. ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 4, 373-389, გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები, VII, გვ. 194-223).

პეტრე კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის VII ს. პატრიარქი, მონოთელიტობის მიმდევარი, რისთვისაც VI მსოფლიო საეკლ. კრებამ (კონსტანტინეპოლი, 680 წ.) განკვეთა.

პეტრე ლარაძე – XVIII-XIX სს. მწიგნობარი და პოეტი, „დილარიანის“ ავტორი, მას გაულექსავს „სალმონი ისტორია“ (ძველი ალთქმა შეუე დაეით და სოლომონის დროზე) და საქართველოს ისტორია დავითის შთამომავლის, გვარამ ბაგრატიდის მოსელიდან ჩვენში დიმიტრი თავდადებულამდე. ამ თხზულების ტექსტი დაცულია S 155-ში. მასვე ეკუთვნის იამბიკო იონა ხელაშვილისადმი (S 279).

პეტრე მოგილა – VII ს. რუსი იერარქი, კიევის მიტროპოლიტი, საეკლესიო მწერალი. ქართულ ენაზე არსებობს თარგმანი მისი დოგმატური ხასიათის თხზულებისა: „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოჲსა ეკლესიისა მართლმადიდებელთა აღმოსავალთაჲსა“, რუსულიდან თარგმნილი არჩილ მეფის (†1713 წ.) მიერ; დაცულია ხელნაწერებში: A 119; A 529; A 586; A 239. დასაბეჭდად მოუმზადებია და გამოუცია ნიკოლოზ თბილელს.

პეტრე-პაველობა – დიდი საეკლესიო დღესასწაული 29 ივნისს, როდესაც მოიხსენიებიან წმ. მოციქულთა თავნი პეტრე და პაველ. ეს დღე მიჩნეულია წმ. მოციქულების წამების დღედ. კერძოდ, ცნობილია, რომ პეტრე მოციქული ჯვარს აცვეს (მისივე თხოვნით – თავდაღმა), პაველს კი თავი მოჰკვეთეს (იხ. პეტრე; პაველ). ქართულ ენაზე მოგვეპოვება მათი წამების აღწერა: „წამებაჲ პრომენს შინა“... ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: Ath. 8,37-51; ბოდლ. 193-205. არსებობს აგრეთვე „საკითხავი ქებისათჳს თავთა მოციქულთასა პეტრესი და პაველსი, ქებაჲ და სიტყუაჲ“, „შესხმაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრე-პაველსი“ და „პეტრე მოციქულისა საკითხავი“ – იოანე ოქროპირის ქადაგებები. პირველი მათგანი დაცულია ხელნაწერში: A 19, 172-177 (ამისივე მეტაფრასული რედაქცია A 272, 277-280; A 395, 24-30; Jer. 23, 375-378); მეორე – ქუთ. 3, 305-308. მესამე – A 144, A 422; Ath. 59, 174-182. უძველეს ლიტურგიკულ ძეგლებში – იერუსალიმურ განჩინებასა და იადგარში პეტრე-პაველობა 28 დეკემბერსაა დადებული. პეტრე-პაველობის ზეიმი გრძელდება მეორე დღესაც, 30 ივნისს („ათორმეტ მოციქულთა“ ხსენების დღეს). პეტრე-პაველობას წინ უძღვის ე. წ. მოციქულთა მარხვა (პეტრე-პაველობის მარხვა), რომელიც იწყება „ყოველთა წმიდათა კვირიაკის“ მეორე დღეს – ორშაბათს (იხ. პეტრე-პაველობის მარხვა). პეტრე-პაველობა ხსნილია თევზით, თუ დაემთხვა ოთხშაბათ-პარასკევს. სხვა შემთხვევებში – ხსნილია ყველაფრით. პეტრე-პაველს სახელზე საქართველოში მრავალი ეკლესიაა აგებული: ქუთაისის საკათედრო ტაძარი (აგებული 1901 წ.), საგარეჯოსი, თბილისისა და სხვა. თბილისის პეტრე-პაველს სასაფლაოს ეკლესია აშენებულია 1848 წ. კეთილმოწესე დეკ. გრიგოლ ჭრელაშვილის დახმარებით და ელისაბედ გოგიჩიან-მაჭავარიანის მიერ მოგრეული თანხით. 1897 წ. ეკლესია გადაკეთეს და კარიბჭის თავზე გუმბათი დააშენეს.

პეტრე-პაველობის მარხვა – მრავალდღიანი მარხვა, რომელიც იწყება ყოველთა წმიდათა კვირიაკის მეორე დღეს, ორშაბათს და მთავრდება პეტრე-პაველობის წინადღეს, 28 ივნისს. ამ მარხვის დასაწყისი მოძრავი დღეა, დასასრული კი – უძრავი. ამიტომ ამ მარხვის დღეთა რიცხვი ყოველწლიურად სხვადასხვაა. ყველაზე მოკლე მარხვა არის 8-დღიანი, ყველაზე ხანგრძლივი კი – 6-კვირიანი.

პეტრე სებასტიელი (IV ს. II ნახ.) – ეპისკოპოსი, ძმა ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელისა. მისთვის მიუძღვნია გრიგოლ ნოსელს თავისი ეგზეგეტიკური თხზულება „კაცისა შესაქმისათჳს“. ამ თხზულების ქართული თარგმანი მოთავსებულია შატბერდის კრებულში (S 1441, X ს.). გამოცემულია: „შატბერდის კრებული X ს-ისა“, 1979 წ. გრიგოლ ნოსელს მეორე წერილიც გაუგზავნია ძმისათვის: „პეტრეს მიმართ, ძმისა თჳსისა, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ (ქართული თარგმანი – ხელნ. Ath. 14, 364-373). გამოც. ე. ჭელიძის მიერ („საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1987 წ.).

პეტრე ხარტოფილაქსი – XI ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ავტორი კითხვა-მოგებითი კანონიკური ხასიათის თხზულებისა: „კითხვანი მონაზონის ვისმიმე, რომელთა აკსნაჲ გამოსცა პეტრე პატრიოსანმან ხარტოფილაქმან“, რომლის ქართული თარგმანი (XII ს.) დაცულია ხელნაწერებში: A 67, 46-48; A 450, 558-582.

პეტრე ხუცესი – მოხსენებულია სოფ. უკანგორის (დმანისის რაიონი) ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილი ქვაჯვარის კვარცხლბეკის V-VI სს. ლაპიდარულ წარწერაში. ქვაჯვარი აღუმართავს ვინმე თათვარაზს. წარწერიანი ქვა ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

პეტრეს ჯაჭვთა თაყვანისცემა — წმ. პეტრე შეპყრობილი იყო ოქროს მეფის, იროდი აგრიპას მიერ და ხელებზე ბორკილები (ჯაჭვები) ედო. როგორც „საქმე მოციქულთა“ გადმოგვცემს, პეტრე მოციქული სასწაულებრივად განთავისუფლდა ჯაჭვებისაგან ანგელოზის შეწევნით (საქმე 12,6-11). ამჟამად ეს რელიკვია დაცულია რომში, ვატიკანში.

თბილისის მახლობლად, აეკლაში, მაღალ ბორცვზე დგას დარბაზული ეკლესია პეტრე მოციქულისა. ამ ეკლესიის დღესასწაულია 16 ივნისი — პეტრეს ჯაჭვთა თაყვანისცემის დღე. ამიტომ ხალხურად ეკლესიას „პეტრეს ჯაჭვსაც“ უწოდებენ. ეკლესიის მახლობლად, ხეში გამოდის ე. წ. „ჯაჭვის წყარო“.

პეტრიკი — მოხსენებულია „ათონის კრებულში“, ქართველთა მონასტრის XI ს. კეთილისმყოფელთა შორის. მისთვის და მისი ძმის, იოანესათვის ათონელ ბერებს განუწესებიათ აღსი დეკემბრის 13-ს (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 137-138).

პეტრიწონის მონასტერი — შუა საუკუნეების ქართული მონასტერი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა საზღვარგარეთ — ბიზანტიის იმპერიაში (ახლანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, როდოპის მთების ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიცის მარჯვენა მხარეს, ლამაზ ხეობაში, ქ. პლოვდივის მახლობლად, 30 კმ. მანძილზე, სოფ. ბაჩკოვოში). 1083 წ. დაარსა ბიზანტიის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ (ა. შანიძის ვარაუდით, გრიგოლი ბაგრატიონთა გვარიდან იყო. მამამისი ბაკურიანი იყო ტაოელი ერისთავთა-ერისთავი), მას შეუდგენია მონასტრისათვის „ტიპიკონი“ (წესდება) ქართულ და ბერძნულ ენებზე (1084), შეუწირავს წიგნები. სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ღვთისმშობლის მთაწარი ეკლესია, ორი მომცრო ეკლესია — იოანე ნათლისმცემელისა და წმ. გიორგისი, აგრეთვე სამკვდილე. პეტრიწონის მონასტრის ირგვლივ მდებარე მიწები და დასახლებები მის საკუთრებას შეადგენდნენ, რაც ხელს უწყობდა მონასტრის ეკონომიურ სიძლიერეს და დაწინაურებას. პეტრიწონის მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში. იქ იყო შუა საუკუნეების ცნობილი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა — პეტრიწონის სემინარია. ერთხანს იგი იყო ერთ-ერთი უმთავრესი კერა ჩვენი მწერლობისა, აქ ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც პეტრიწონის სკოლის სახელითაა ცნობილი. იქაურ მწიგნობრულ საქმიანობას, ტრადიციული აზრით, თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს, დოგმატურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. პეტრიწონელმა სკოლამ ჩვენში შემოიტანა და დანერგა ელინოფილური მიმართულება. კ. კეკელიძის დაკვირვებით, პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის გავლენა ეშნინვა არა ერთ ქართველ მწერალს, სახელდობრ: არსენ იყალთოელს, იეზეკიელს, ნიკოლოზ გულაბერიძეს და სხვ. 1204 წ. პეტრიწონის მონასტერი ჯვაროსნებმა დაარბიეს და გაძარცვეს. მოუხედავად ამისა, სამონასტრო ცხოვრება შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის მიხედვით, მონასტერი აგებული იყო მხოლოდ ქართველთათვის. ბერძენი შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ყოფილიყო (მწერალი, რომლის საშუალებითაც მონასტერს მიმოწერა ექნებოდა საერო ხელისუფლებასთან). ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების ბუნებრივი შედეგი იყო საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის გაფხვიერება. მოუხედავად ქტიტორის კატეგორიული მოთხოვნისა, ეკამია სიავის შედეგად ბერძნებმა დროთა განმავლობაში ხელთ იგდეს პეტრიწონის მონასტერი და კარგახანს ფლობდნენ მას. წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა ბერძენთა და ბულგარელთა შორის. დამთავრდა იგი 1894 წელს, როდესაც ძველი სავანე ბულგარელთა ხელში გადაეცა. რუსეთ-თურქეთის ომის (1877-79) დროს რუსეთის არმიის ნაწილმა კაპიტან გ. ყორჩაძის მეთაურობით მონასტერი თურქთაგან დარბევას გადაარჩინა. გრიგოლ ბაკურიანის ძის დროინდელ ნაგებობათაგან შემორჩა მხოლოდ სამკვდილე, სხვა შენობები XVII ს-ში მთლიანად გადაკეთეს. ამ დროს აშენდა მთაწარი ტაძარი და სატრაპეზო. მომდევნო ხანისაა სხვა ეკლესიებიც. ზოგიერთი ნაგებობის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია ახლაც მიმდინარეობს. სამკვდილე მდებარეობს მთაწარი ტაძრიდან 200 მ. დაშორებით, ფერდობზე, კლდის

პირას. ერთნაუნი ნაგებობა დიდებულად იყო მოხატული და მიუხედავად დაზიანებისა, დღესაც იპყრობს ყურადღებას თავისი ფრესკებით, რომელთა შორის გრიგოლისა და მისი ძმის, აბაზის გამოსახულებაცაა. მოხატულობა ეკუთვნის იოანე იერუსალიმელს (XII ს.) – ფერწერის ჩინებულ ოსტატს (ზოგიერთი მკვლევარი მას ქართველად მიიჩნევს). საყურადღებოა მხატვრის იდეური ჩანაფიქრი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია – მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით იგი ქართველ წმინდანთა გამოსახულებებს ათავსებს (ილარიონ ქართველის, ეფთვიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდელის). საძვალე ქვემოდან ორსართულიანია, ზემოდან კი – ერთსართულიანი. საძვალის ფუნქციას ქვემო სართული ასრულებს. აქ მოთავსებულია აკლდამები. ზემო სართული ეკლესიაა (ვარაუდობენ, რომ წმ. გიორგის სახელზე იყო აშენებული). საძვალეში დაკრძალულნი არიან ძმები – აბაზ და გრიგოლ ბაკურიანის ძენი. საძვალის კედლებზე ორიენ ძმის გამოსახულებაა. პეტრიწონის მონასტერში შემონახულია 1311 წლის ქართულწარწერიანი ღვთისმშობლის ხატი. მთავარი ეკლესიის გუმბათის ყელის ქართული წარწერა აქეს (პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, აკად. ა. შანიძე წარწერას XIV ს-ით ათარიღებს).

პეტრიწონის სემინარია – პეტრიწონის მონასტერთან, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებული სასწავლებელი, რომელიც მღვდლებს ამზადებდა. ამის შესახებ ცნობას შეიცავს გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ 1084 წელს დაწერილი ტიპიკონი პეტრიწონის მონასტრისა. 24-ე პარაგრაფი სამონასტრო წესდებისა შეეხება სწორედ ამ სემინარიას. განსაზღვრული იყო სემინარიის პროგრამა, შედგენილობა და მიზანი. 31-ე პარაგრაფი ითვალისწინებს უწყერულეაში მოზარდების მიღებას წმ. ნიკოლოზის მონასტერში, სადაც მათთვის მოზუცებულ მღვდელთაგანს საღვთო წერილი უნდა ესწავლებინა. მოსწავლეთა კონტინგენტი 6 ბავშვით განისაზღვრებოდა, ბავშვებს სარჩოსა და ტანსაცმელს მონასტერი აძლევდა და ისინი აქ მანამდე იმყოფებოდნენ, სანამ გარკვეულ ცოდნას არ მიიღებდნენ და სამღვდელო ხარისხისათვის არ მოემზადებოდნენ; სათანადო განათლების მიღებისა და ასაკობრივი მომწიფების შემდეგ ღირსეულთ მიიღებდნენ მონასტერში და ჩარიცხავდნენ მოღვაწეთა დასში, ხოლო ვინც ვერ მოემზადებოდა, მას დაითხოვდნენ. ახალგაზრდების აღსაზრდელად გამოყოფილი იყო ერთი განსწავლული ბერი, რომელიც გამოირჩეოდა ცოდნით, მოშმადებით, ზნეობით, პირადი ღირსებით. პეტრიწონის სემინარიაში სწავლება ქართულ ენაზე იყო, რადგან ტიპიკონი აღნიშნულ მონასტერში მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნე მონაზვნების ყოფნას ითვალისწინებდა. პეტრიწონის სემინარიაში მომზადებული ახალგაზრდები შემდგომში სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. სასწავლო საგნები იყო: დიალექტიკა ანუ ფილოსოფია (ფილოსოფია ღვთისმეტყველებასაც გულისხმობდა), რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა (სასულიერო პოეზია), იერისპრუდენცია. პეტრიწონის სასწავლებლის ტრადიციების შემწყნარებლად და გამგრძელებლად საქართველოში გამოდის გელათის მონასტერი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ გადმოსახლდა იოანე პეტრიწი.

„პეშიტო" – ასე ეწოდება ბიბლიის თარგმანს ასურულ ენაზე. იგი უთარგმნიათ V ს. შუახანებში.

პილატე პონტოელი – რომის პროკურატორი, რომის იმპერიის მიერ დადგენილი მმართველი პალესტინისა I ს. I ნახევარში. მისი მმართველობის დროს მოხდა ყოველივე ის, რაც მოთხრობილია სახარებაში: იოანე ნათლისმცემელის გამოსვლა საქადაგებლად და იესო ქრისტეს მთელი ამქვეყნიური მოღვაწეობა. თანახმად სახარებისა, რომელსაც მხარს უჭერენ იმდროინდელ საერო მწერალთა გადმოცემები, მისი ბრძანებით უწამებიათ იესო ქრისტე (მათე 27,2, 11-26, 58; მარკოზი 15, 1-15, 43-45; ლუკა 3,1; 13,1; 23,1-25; იოანე 18,28-39; 19,1-22, 38; საქმე 3,12; 4,27; 13,28; I ტიმ. 6,13). პილატე პონტოელი ნაწინასწარმეტყველები იყო ძველი აღთქმის მამამთავარ იაკობის მიერ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდაასგან და წინამძღუარი წყულთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს და იგი არს მოლოდებაჲ წარმართთაჲ" (დაბ. 49,10).

პილატეს თავისი მაღალი მდგომარეობისათვის უპატიოსნო გზით მიუღწევია. ცხოვრობდა კესარიაში. იერუსალიმში მოღიდიდა ხოლმე მნიშვნელოვანი საქმეების გამო. პილატემ სახელი გაითქვა სიმკაცრითა და უსამართლობით, რამაც

ხალხში მის მიმართ სიძულვილი გამოიწვია. იესოს დასჯით იგი ფიქრობდა, რომ ხალხს შეირიგებდა, მაგრამ მისი იმედი არ ასრულდა. მტრებმა იგი დაასმინეს იმპერატორ კალიგულასთან, რომელმაც ჩამოართვა მას თანამდებობა. გადმოცემით, პილატემ თვითონვე მოიკლა თავი. მეორე გადმოცემით, იგი გადასახლებული იყო გალიაში და იქვე გარდაიცვალა.

პილიგრიმი (ლათ.) – წმინდა ადგილებში სალოცავად წასული მოგზაური, მომლოცველი, მწირი, მსხვენი.

პიმენი – ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანი, რომელიც VI ს-ში მოსულა ქართლში სირიიდან იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით. მოხსენებულია „შიოსა და ეგვაგრის ცხოვრებაში“ (იხ. ძეგლები, წ. III, გვ. 116).

პიმენ დიდი – IV-V სს. განთქმული მონაზონი, მეუდაბნოე, წარმოშობით ეგვიპტელი. თავის ორ ძმასთან – ანუბისა და პაისისთან ერთად ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში წავიდა და ბერად აღიკვეცა. სიმდაბლისა და სიბრძნისათვის, სიმართლისა და ღვთისსიმი თავდადებული მსახურებისათვის გარდაცვალების შემდეგ მალე იგი წმინდანად აღიარეს და „დიდის“ წოდებით შეამკეს. ხსენების დღე – 27 აგვისტო. პიმენ დიდის ცხორება ქართულ ენაზე არაა ცნობილი. დაცულია მხოლოდ მცირე, სვინაქსარული მონაცემები. ქართულ ხელნაწერებში (Sin. 35, 909 წლისა და Ath. 12 და სხვ.) გვაქვს პიმენის „სწავლანის“ ქართული თარგმანი. სხვა ენებზე ეს თხზულება არაა ცნობილი. არც მისი ავტორის შესახებ არის შემორჩენილი რამე გადმოცემა. „სწავლათა“ ავტორისა და პიმენ დიდის იგიეპობაზე ლაპარაკი მხოლოდ საკარაუდოა.

პიმენ კარსი – პალესტინის საბაწმინდის ლავრის IX ს. ქართველი მოღვაწე. მაკარი ლეთეთელთან, ამონასა და სხვებთან ერთად მას გადაუწერია 864 წლის მრავალთავი (სინური მრავალთავი, Sin. 32-33-57).

პიმენ მაწყვერელი – XIV-XV სს. აწყურის მღვდელმთავარი, რომელიც XV ს. ათიან წლებში იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვრად დაუნიშნავთ; ამ დროს ქართველი ბერები შეიწიროებას განიცდიდნენ (თემურლენგმა 1400 წელს დამასკო აიღო. ამან კი გაავლენა მოახდინა იერუსალიმზე, კერძოდ, ჯვარის სავანეზეც). პიმენი ენერგიულად იღვწოდა ჯვარის მონასტრის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებისათვის. თანამემამულენიც საქმად ეხმარებოდნენ (მაგ.: ზაქარია ფანასკერტელის ოჯახი, ხელა თაკვლიძე – მოლარეთუხუცესი, ივანე ათაბაგი და სხვანი).

პიმენ სალოსი, გარეჯელი – ლეკთა განმანათლებელი, XIII ს. მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, იხსენიებს ჟამთააღმწერელი: „ამათვე ჟამთა (ე. ი. 1280 წლის ახლო ხანში) ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარესკით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ჭუაბა რასმე, რომელმან ნათესაი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცინა, რომელნი პგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283) ანტონ კათოლიკოსისა და იოანე ბატონიშვილის ცნობებით, „პიმენ სალოსი იყო კახი, კეთილშობილთაგანი“, რამდენიმე წელს მღვიწრობდა გარეჯში, „მერე წარვიდა ლეკთა შორის და უქადაგა ქრისტე და მრავალნი მათგანნი მოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებაზედ, აგრეთვე ფშაელთა და თუშთა უქადაგა და მრავალნი მოაქცინა, და მერე მივიდა ბელაქანს და მოაქცინა იგინიცა“ (ანტონ კათოლიკოსი, „წყობილსიტყვაობა“, გვ. 270; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 179). ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, პიმენ სალოსი გარეჯელი დიმიტრი მეფის მაშჩილებელი იყო (ბასილი მთაწმიდელის მსგავსად). პიმენ სალოსს თანამოღვაწეც ჰყოლია – ანტონ ნათხრებელის ძე. პიმენ სალოსის ხსენება დადებულია 16 მარტს.

პინინოსი // პინიანოსი (V ს.), რომაელი დიდებეროვანი (პეტრე იბერის „ცხოვრების“ მიხედვით – მეფე), რომელმაც თავის მეუღლე მელანიასთან ერთად დატოვა სახლკარი და ააშენა მონასტერი იერუსალიმში, რათა ეწერებინა სიმდაბლის მაგალითი მონაზვნად აღკვეცილი პინინოსი „ზურგითა თუსითა კრებდა შეშასა თუსსა“. პინინოსის მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად მურვანოსი და ეწოდა სახელად პეტრე (პეტრე იბერი) (იხ. ძეგლები, წ. II, გვ. 227-228; წიგნი IV, გვ. 380). იხ. მელანია პროში.

პიპა – შალვა ერისთავის, ქეენიფნეველის ძე, მოხსენებულია XIV ს. ისტორიულ ქრონიკაში „ძეგლი ერისთავთა“ (ქრონიკები II; სამართლის ძეგლები II). მაცხოვრის საფლაოის ტაძრის (იერუსალიმში) ქართველებისადმი დაბრუნებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილ-

ია, გოლგოთის, უფლის საფლაესა და აღდგომის ტაძრებში XI ს. შუახანებიდან ქართველ მონაზონთა კრებული მოღვაწეობდა და გარკვეული უფლებამოსილებაც ჰქონდათ. იერუსალიმში მამადიანთა ბატონობის ხანაში (1071-1099 წწ. 1187-1229 წწ.; 1244 და შემდეგ) აღნიშნულ სავანეებში დამკვიდრებული ქართველები შეეწიროვას განიცდიდნენ, კერძოდ, მამადიანებმა ხელთ იგდეს კლიტე საფლავის ტაძრისა, მოწესენი ჩაკეტეს და შესვლა-გამოსვლაზე მკაცრი კონტროლი დაწესეს. მდგომარეობა გამოსწორდა გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს. მას გარკვეული სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მამადიან მბრძანებელთა შორის. მეფე გიორგიმ ორჯერ (1316 და 1320 წწ.) გაგზავნა თავისი ელჩები მამლუქთა მბრძანებელთან და ქართველთა უფლებების აღდგენა ითხოვა. სულთანმა, როგორც ჩანს, ქართველებთან კეთილგანწყობის მნიშვნელობა გაითვალისწინა და მისი თხოვნა დააკმაყოფილა. მეფე გიორგიმ იერუსალიმში წარგზავნა შალვა ერისთაუის ძე — პაპა, რომელმაც წარმატებით შეასრულა დიპლომატიური მისია და ქართველებს დაუბრუნა უფლის საფლავის ტაძრის კლიტე. პაპას თან ახლდა დეკანოზი იოვან ბანდას ძე, რომელიც დადგინებულ იქნა ტაძრის წინამძღვრად („აკურთხეს მოძღუართმოძღურად"). პაპამ დიპლომატიური მისიის შესრულების შემდეგ მოილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები და დაბრუნდა საქართველოში.

პირველდაფყებითი წესალმუნი — ფს. 103; ესაა პირველი ფსალმუნი, რომელიც სრულდება მწუხრის ლოცვის დასაწყისში, როგორც შცირე და ყოველდღიურ მწუხრზე, ისე ღამისთევის ლოცვაზე.

პირველმოწამე — „სხვათა უწინარეს წამებით აღსრულებული" (6. ჩუბინაშვილი). ასე მოიხსენიება წმ. მოწამე სტეფანე არქიდიაკონი (I ს.). საქართველოს ეკლესიაში პირველმოწამედ შერაცხულია წმ. რაჟდენი († დაახლ. 457), წრომში სასრსთაგან წამებული.

„პირველმოწამისა სტეფანესთჳს" — „თქუმული წმიდისა პირველმოწამისა სტეფანესთჳს" — გრიგოლ ანტიოქელის თხზულება. შეტანილია ხელნაწერებში: A 95, 108-115, Ath. 8, 17-21. „ქება პირველმოწამისა წმიდისა სტეფანესი" — იმავე ავტორისა (A 95, 115-120; Ath. 57, 21-25).

პირველძნილი ცოდვა — კაცთა მოდგმის მამამთავრის, ადამის მიერ ქმნილი ცოდვა (სამოთხის აკრძალული ხის ნაყოფის ჭამა), რომელიც შეჩვეოდებით გადაეცა მთელ კაცთა მოდგმას. პირველქმნილი ცოდვისაგან განთავისუფლებისათვის დაწესებულია ნათლისღების საიდუმლო, რომლის დროსაც ადამიანი სულიწმინდის მადლით განიწმინდება.

პირველშეწირულის წირვა — როგორც სახელწოდებიდან ჩანს („პირველ შეწირული" — ადრე შეწირული), განსხვავებული სრული ლიტურგიებისაგან (იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდისა), იმით, რომ მასზე არ ხდება ძღვნის კურთხევა, მაშასადამე, არც პროსკომიდია და არც ეკქარისტია, არამედ — მხოლოდ განახლება სიწმიდისა და ზიარება ადრე უკვე ნაკურთხი ძღვენით. პირველშეწირული ლიტურგია სრულდება დიდი მარხვის დღეებში (ლაოდიკიის კრების კანონი 49,51; ტრულისა 52), კერძოდ, ოთხშაბათობით და პარასკეობით; აგრეთვე ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით, თუ ამ დღეებს დაემთხვა რომელიმე დიდი წმინდანის ხსენება ან ეკლესიის დღესასწაული; დაბოლოს, პირველშეწირული ლიტურგია სრულდება ვნების შეიდეულის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს.

ძღვენი, რომელიც ზიარებად მიეცემა მორწმუნეთ პირველშეწირულის ლიტურგიაზე, იკურთხება წინასწარ — იოანე ოქროპირის (ყველაერის აღების კვირიაკეს, ბზობის კვირიაკეს, ხარებას, თუ იგი რომელიმე სადაგ დღეს დაემთხვა) ან ბასილი დიდის (დიდი მარხვის I, II, III, IV და V კვირიაკე) წირვაზე. ამისათვის ამ წირვებზე პროსკომიდიის დროს უფრო მეტი სეფისკვერი იხმარება, ვიდრე ჩვეულებრივი წირვების დროს. თითოეულ დამატებით ტარიგს თითო დამატებითი სეფისკვერი სჭირდება. პირველშეწირულის ლიტურგიას წინ უძღვის ჟამნობა (III, VI, IX ჟამები და საღილის ჟამი) და მწუხრი.

პირველშეწირულის ლიტურგიის წესი მწუხრის ლოცვისა და სრული ლიტურგიის ელემენტების შერწყმითა და გადამუშავებითაა ჩამოყალიბებული გრიგოლ დიალოღოსის მიერ (V ს.). ცნობილია პირველშეწირულის სხვა ლიტურგიებიც — იაკობ მოციქულისა, ბასილი კესარიელისა და სხვ. იხ. სიწმინდის განახლება.

პირიმზე, შუაკის ანგელოზი — წარმართული ღვთაება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ უმთავრესად გუდამაყარში, ფშავსა და ხე-

ესურეთში. იგი მიჩნეული იყო სულით აკაღმყოფთა, შეშინებულთა და აეი ქარით შეპყრობილთა მკურნალად.

პირის გახსნა – „სახსნილოს მიღება შემდგომად მარხვისა“ (6. ჩუბ.).

„პირი ღვთისა“ – ასე ეწოდება მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, ტილოს, რომელზედაც სასწაულებრივად გამოისახა პირი ღვთისა. იხ. ხელთუქმნელი ხატი, ანჩისხატი.

პირმარხვა – ორშაბათი პირმარხვისა, შაეი ორშაბათი, დიდმარხვის დასაწყისი (პირი), პირეელი დღე. ტერმინი დადასტურებულია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში (გიორგი მთაწმიდელის „დიდი სუნაქსარი“ და სხვ.) „პირმარხვის შვიდეული“ ეწოდებოდა მარხვის პირეელ შეიდეულს.

პირმშო – პირეელი შეილი. საღეთო ისტორიის მანძილზე სარგებლობდა საგანგებო უფლებითა და უპირატესობით. მას გადაეცემოდა მამის მთელი ძალაუფლება. მემკიდრეობად იღებდა ორმაგ წილს. მოსეს სჯულის თანახმად, ყოველი პირმშო უნდა შეეწირათ ღვთისათვის; ასეთი წესი ებრაელთ მოაგონებდა ეგვიპტის მონობისაგან სასწაულებრივ განთავისუფლებას. ღვთისათვის შეწირვა იმას ნიშნავდა, რომ დაბადებიდან 30 დღის შემდეგ პირმშოს მშობლებს უნდა გადაეხადათ ტაძარში გარკვეული გამოსასყიდი თანხა, რითაც პირმშო თავისუფლდებოდა ტაძარში მსახურების ვალდებულებისაგან. აქ მათ სცელიდნენ ლევიტელნი. ასეთი წესი შესრულდა ყრმა იესო ქრისტეზეც, რომელიც იყო პირმშო მარიამისა (ლუკა II, 22-23).

პირმშოთა გამოსყიდვის წესი შენარჩუნებულია თანამედროვე ისრაელშიც. თუ მამა აღარაა ცოცხალი, პირმშოს უფლება ეძლევა, თეითონვე გამოისყიდოს თავი, როდესაც ზრდასრულობას მიაღწევს.

პიროს ალაპერდელი (ოქროპირიძე, 1873-1922 წ.) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ლეონიდეს ძმისწული. ცნობილია პოპულარული ეზოგეტიკური ნაშრომებით – სახარების კომენტარებით, რომლებიც არქიმანდრიტობის დროს გამოსცა (განმარტება მათეს სახარებისა, ტფ., 1914 წ.; განმარტება მარკოზის სახარებისა, ტფ., 1915 წ.). სიცოცხლის ბოლო წლებში ალავერდელ ეპისკოპოსად იყო ნაკურთხი. დაკრძალულია ალავერდის ეკლესიაში.

პიროს ბრეთელი – საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამა, იოანე ზედაზნელის მოწაფე (იხ. ასურელი მამები). მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში იოანე ზედაზნელთან ერთად. დაარსა ქართლში ბრეთის მონასტერი (მდ. ფრონეს ხეობაში). დასაფლავებულია იქვე. ამ მონასტრიდან დღემდე შემორჩენილია წმ. გიორგის VI ს. ბაზილიკური ეკლესია. პიროს ბრეთელი მოხსენიებულია შიოსა და ეკვრეს, აგრეთვე დავით გარეჯელის „ცხოვრებებში“ (იხ. ძეგლები, III, გე. 116, 292).

პიროს კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი (638-641, 654 წწ.), მონოთელიტობის მიმდევარი, შეაჩერეს VI მსოფლიო საეკლ. კრებამ (კონსტანტინეპოლი, 680 წ.). ქართულ ენაზე არსებობს პიროსის წინააღმდეგ მიმართული დოგმატიკური თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა: „სიტყვაგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესსა და პიროსი კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწყალებელისა“, რომელშიაც დარღეეული და განქიქებულია მონოთელიტური ქრისტოლოგია (თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 636, 33-41; S 1128 და სხვ; იგივე თხზულება XII ს-ში თარგმნა ნიკოლოზ გულაბერიძემ („აღნიშნაჲ ქმნილისა მის ძიებისაჲ აღძრულთა მათ საეკლესიოთა რწმენათა ძლით მუნ ყოფასა გრიგოლ კეთილმსახურისა პატრიკიოსსა და მის თანა პოვნილთა ყოველად ღირსთა ეპისკოპოსთა და სხუათა ღმრთისა მოყუარეთა და დიდებულთა კაცთასა პუროს მიერ პატრიარქმნილისა კონსტანტინეპოლის და მგებსტე კეთილმსახურისა მონაზონისა თთუესა იელისსა ინდიკტიონსა სამსა“. ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 14, გე. 228-251).

პირუკუღმართი – ასე ეწოდება ერთ-ერთ მონასტერს დავითგარეჯის „ათორმეტ მონასტერთაგან“ (იხ. П.Иоселиани, Гора св. Давида в Тифлисе). მდებარეობს მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ქეშო ბოდბიდან (სიღნაღის რაიონი) 25 კმ. შემორჩენილია კლდეში ნაკეთი გამოქვაბულები.

პირჯუში – ქართული მითოლოგიური პერსონაჟი, ჭედვის ოსტატი და გამგებელი ღვთის შეილი. ფშაე-ხევსურების რწმენით, ოღესღაც ხორციელი ყოფილა და ფშაეში უცხოერია (ახალში). უცოდველობის გამო იგი გარდაცვალების შემდეგ ანგელოზად ქცეულა. პირჯუშის სალოცავები დაწესებულია ფშაეს (სოფ. ახადი) და

ხევსურეთში (სოფ. ბაცალიგო). პირქუში კოპალას დახმარებით განთავისუფლდა დევების ტყვეობიდან, შემდეგ თავად ებრძოდა მათ. კოპალასა და იახსართან ერთად მას დაუზღაცავს დევ-ქერპები, რისთვისაც ღმერთს დაუჯილდოებია ისინი და ყმად ფშაელის ხეი უბოძებია. ამიტომაც გადმოცემებსა და საგმირო ლექსებში პირქუში ხშირად იხსენიება კოპალასა და იახსართან ერთად. დევების ამოხოცვაში მას წმ. გიორგი წყაროსთაველიც მიშველებია. პირქუში მიჩნეულია სასტიკ ხატად. მისი ეპითეტებია: „მჭედელი“, „ყაწიშის მკედ“, რადგან იგი ოქრომჭედლიც ყოფილა და ხატის თასები უკეთებია.

პირღებული – XIII ს. ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი თეთრი წყაროს სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ-ზე, მდ. ხრამის მარცხ. ნაპირზე. შემორჩენილი კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა – დიდი ეკლესია, რომელიც ფრაგმენტებისა და წარწერის თანახმად, აგებულია რუსუდანის მეფობის ხანაში (1222-45). ეკლესია შიგნით მოხატული იყო. გარედან კედლებზე წარწერებია. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ თბილელ ელისე საგანაშეილს XVII ს-ში ეკლესიისათვის საშხრეთიდან კარიბჭე და საძვალე მიუშენებია (ახლა დანგრეულია). ეკლესიას გარს ერტყა გალავანი, რომელშიც ჩართული იყო სამსართულიანი სამრეკლო (დარჩენილია 2 სართული). I სართული ჯვარულ წარმოადგენდა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით დიდი შენობის ნაშთია. კლდეებში განლაგებული გამოქვაბულები, როგორც ჩანს, მონაზონთა საღვთო სენაკებად იყო გამოყენებული. ეკლესიის ზემოთ, ფერდობზე, გვიანდელი ხანის დარბაზული ეკლესიაა.

პირჯვარი – ჯვრის გამოსახვა ხელით საკუთარ სხეულზე. პირჯვრის წერით აღბეჭდა მოიხსენებს ჯვარცმულ იესოს. პირჯვრის წერის ჩვეულება სათავეს იღებს მოციქულთა დროიდან.

პისტი – ქალწულმოწამე. დედამისმა, ღვთისმოსაცმა ქვრივმა სოფიამ თავის ასულებს სამი ქრისტიანული სათნოების სახელი უწოდა – პისტი, ელპიდი და აღაპი (ბერძნ. სარწმუნოება, სასოება, სიყვარული). სოფია და მისი სამი ასული არ მალადნენ თავიანთ ქრისტიანულ რწმენას და განცხადებულად აღიარებდნენ ყველას წინაშე. ამის გამო ისინი დახმენილ იქნენ იმპერატორ ადრიანესთან (117-138 წწ.). იმპერატორმა რომში ჩააყუანინა და ეცადა წამებით შეერყია მათი სარწმუნოება, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მტარვალის ბრძანებით წმიდა ქალწულებს თავი მოპკეთეს საკუთარი დედის წინაშე. დაახლ. 137 წ. პისტი ამ დროს 12 წლისა იყო. იმპერატორის ნებართვით სოფიამ ლუსკუმაში ჩაასვენა თავები ასულთა სხეულები და ქალაქგარეთ ამაღლებულ ადგილას დაკრძალა. წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 17 სექტ. სოფიას, პისტის, ელპიდისა და აღაპის მეტაფრასული „წამება“ ქართულ ენაზე თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ და დაცულია ხელნაწერში: Ath. 20, 126-132. არსებობს ამავე თხზულების სხვა თარგმანიც: ქუთ. 4, 207-216; S 384, 133-146.

პისტოს – მოწამე, უმცროსი ძე წმ. მოწამე ბასასი. დაიბადა მაკედონიის ქალაქ ედესში, წარმართი ქურუმის ოჯახში. ბასას და მისი შვილების – თეოლინის, აღაპისა და პისტოსის ქრისტიანად მოქცეა რომ გაიგო, მამამ თავისი ცოლ-შვილი იმპერატორ მაქსიმიანე ცალერიუსთან (305-312) დაიბეზღა. თაედადებულმა ქრისტიანებმა უარი განაცხადეს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე. მაშინ დედის თვალწინ შვილებს წამება დაუწყეს. დედა შვილებს ამხნევებდა და მოუწოდებდა ქრისტესათვის წამება მოთმინებით აეტანათ. ბოლოს ყრმების თავები მოჰკვეთეს. წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 21 აგვისტო. ბასას და მის ძეთა – თეოლინის, აღაპის და პისტოსის მეტაფრასული "წამების„ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. I, 202-215.

პითირიმი – საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსი 1914-1915 წწ-ში. იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში.

პიუსი – რომის პაპი (1458-64), იმპერატორ ფრიდრიხ III-ის ყოფილი მრჩეველი, ისტორიკოსი. იღვწოდა პაპის ხელისუფლების განმტკიცებისათვის. 1458 წ. საქართველოში მოავლინა თავისი ნუნციუსი – ფრანცისკელი ბერი ლუდოვიკო ბოლონელი, რომელიც ადრე ასეთივე დავალებით ყოფილა საქართველოში (პაპების – ნიკოლოზ V და კალიქსტუს II-ის დროს). პიუსის მიზანი იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

პიუს VI (1775-99) – რომის პაპი, მიმოწერა ჰქონია იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. საფრანგეთის დირექტორიის მიერ „რომის რესპუბლიკის“ გამოცხადების (1798 წ.) შემდეგ

პოესი დაასტიმარეს და ვალენსიის ციხეში ჩასვეს.

პიღასი – მოწამე. იგი სპარსთა მეფის, შაბურის კარისკაცი იყო. თავის მეგობრებთან – აკვინდინე და ანემპოდისტოსთან ერთად ფარულად აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ისინი დაასმინეს მეფესთან, რომელიც სასტიკად სძულდნენ ქრისტიანებს. მათ არ უარყვეს თავიანთი სარწმუნოება, რისთვისაც მეფემ მათი წამება ბრძანა. წამების დროს ერთი კენესაც კი არ აღმოხდენიათ. ამიტომ წარმართებმა იფიქრეს, გრძნეულები არიან და კოცონზე დაწვა მოუსაჯეს. როცა კოცონმაც ვერაფერი ავნო მათ, მეფემ ჰკითხა, როგორ შეძლებენ უნებლიედ დარჩენას. წმ. მოწამეებმა ქრისტეს შესახებ მოუთხრეს მას და განუმარტეს – თვით უფალი აღსრულებს ამ სასწაულებსო. გარისხებულმა მეფემ ღვთის გმობა დაიწყო. წმინდანთა ლოცვით იგი დამუნჯდა. მეფე უფრო გაცოფდა, მიხვდა, რომ მისი დალუმება წმ. მოწამეთა ნებით მოხდა. აკვინდინეს შეებრალა იგი და ენა აუხსნა. მეფე უფრო დარწმუნდა მათ გრძნეულებაში და ბრძანა თავები მოეკვეთათ მათთვის. († დაახლ. 341-345 წწ.). წმ. მოწამეთა (აკვინდინის, პიღასი, ანემპოდისტოს, აფთონი, ელპიდეფორე) ხსენების: ღვინობრობის 2 ნოემბერი; მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი, შესრულებული თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ, დაცულია ხელნაწერებში: S 384, 535-553; Jer. 37, 139-149; Ath. 37, 7-17; Sin. 91, 225-237.

პლატონი (ძვ. წ. 428/427-348/347) – ბერძენი ფილოსოფოსი, ობიექტური იდეალიზმის კლასიკოსი, სოკრატეს მოწაფე, არისტოტელეს მასწავლებელი. პლატონი იცნობდა ეგვიპტელ ქურუმთა სიბრძნეს. ცდილობდა სახელმწიფოს გარდაქმნას. ამ მიზნით იმოგზაურა სიცილიაში, სადაც ტირანმა დიონისე უფროსმა ეგინაზე, მონათა ბაზარში გაგზავნა. მონობიდან მეგობრებმა გამოისყიდეს. ათენში დააარსა სკოლა – აკადემია, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. პლატონს თავისი ფილოსოფიური იდეები გამოთქმული აქვს დიალოგების ფორმით. მრავალ დიალოგში წამყვანია სოკრატე. „პარმენიდეში" სოკრატე მოწაფის როლშია, ხოლო „კანონებში" ნახსენებიც არ არის. პლატონის დიალოგების რიცხვი 35-მდე აღწევს. მასვე ეკუთვნის 13 წერილი, 25 ეპიგრამა და „სოკრატეს აპოლოგია". პლატონის შრომათა ქრონოლოგია ასეთია: სოკრატეს პერიოდის ნაშრომები – „აპოლოგია", „კრიტონი", „პროტაგორა" და სხვ., რომლებშიც მისი იდეათა თეორია ჯერ არაა წარმოდგენილი; გარდამავალი პერიოდისა – „გორგია", „მენონი", „ევთიდემე" და სხვ., რომლებშიც ყალიბდება პლატონის იდეალიზმის ძირითადი პრინციპები. სიმწიფის ხანის ნაშრომები – „ნადიმი", „ფედონი", „სახელმწიფოს" II და X წიგნები, „ტიმეოსი", „ფილებე" და სხვ. თვითკრიტიკული პერიოდისა – „პარმენიდე", „სოფისტი", გეგუაი პერიოდისა – „კანონები", „წერილები". უკანასკნელ თხზულებებში გაძლიერებულია მისტიკა და უარყოფილია სიმწიფის ხანის ზოგიერთი დებულება.

პლატონმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც ანტიკურ ფილოსოფიაზე, ასევე პატრისტიკაზე, სქოლასტიკაზე, აღორძინების ეპოქაზე. თავდაპირველად ქრისტიანობა და ბერძნული ფილოსოფია მტრულად შეხვდნენ ერთმანეთს. პავლე მოციქულის სიტყვით, „განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ" (I კორ. 1,20). ახალოგეტები, არღვევენ რა ბერძნულ-რომაულ წარმართობასა და ფილოსოფიას, ამსთანავე ცდილობენ, რომ წარმართ ფილოსოფოსთა მოძღვრებაში მოიპოვება ჭეშმარიტების მარცვლები და რომ ეს მარცვლები უშუალოდ ღმერთო წერილიდან მომდინარეობენ. ჭეშმარიტების მარცვლებს ისინი ჭვრეტენ განსაკუთრებით ისეთ ფილოსოფოსთა შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. ისინი თავიანთ მოძღვრებით რამდენადმე ამზადებდნენ კიდეც ქრისტიანობასო. ამით ახსნება, რომ სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს გამოსახულებას, როგორც ქრისტიანობის წინამორბედებისას, ზოგჯერ ეკლესიის კარიბჭეშიც კი ათავსებდნენ. ბერძნულ ფილოსოფოსს ქრისტიანები ენაყოფიერებდნენ არა თავისთავად, არამედ საეკლესიო თეოლოგიურ აზროვნებაში მათი გამოყენების – ქრისტიანობის გამართლებისა და ლოგიკური დასაბუთების მიზნით.

პლატონის აკადემია – ფილოსოფიური სკოლა, რომელიც დააარსა პლატონმა მითოსური გმირის – აკადემეს სახელობის ჰაღალში, ათენის მახლობლად, დაახლ. ძვ. წ. 387 წ. მალე იგი გადაიტანა იქვე, საკუთარ ბაღში, მდ. კეფისოსის პირას, ათენის დას. კედლიდან ერთ კილომეტრზე. პლატონის აკადემიის შესახებ ეწერა: „ეკუმენტრიის უკლინარს ეკრძალება შესვლა". პლატონის აკადემიის წევრები

(ქალქსე, თეტეტე) იმ ეპოქის სუკეთესო მათემატიკოსები იყვნენ. ამ აკადემიამ 1000 წელი იარსება. პლატონის შემდეგ სკოლას მეთაურობდა სპეუსიპე, შემდეგ – ქსენოკრატე, პოლემონი, კრატეტი. ეს იყო ე. წ. ძველი აკადემია. ახალი აკადემია ეწოდა იმ პერიოდის აკადემიას, როცა არკესილაეს თაოსნობით პლატონის აკადემიაში სკეპტიციზმი გაბატონდა. მესამე აკადემიის დამაარსებლად ითვლება კარნეადე, რომლის დროსაც პლატონის აკადემიაში უკიდურესად განეთარდა სკეპტიციზმი. ანტიოქე ასკალონელის შემდეგ, რომელმაც ფილონი შეცვალა, პლატონის აკადემიაში გაბატონდა ეკლექტიზმი, შემდეგ – ნეოპლატონიზმი (პროკლე დიადოხოსი). პლატონის აკადემიის უკანასკნელი მეთაური იყო დამასციუსი. 529 წ. იუსტინიანე I-ის ედიქტით პლატონის აკადემია დაიხურა.

ᲐᲚᲐᲢᲝᲜᲘ – მოწამე, ღვიძლი ძმა წმ. მოწამის, ანტიოქე მკურნალისა. დაიბადა გალატიის ქალაქ ანკირიაში, ღვთისმოსაე ქრისტიანთა ოჯახში. სიჭაბუკეშივე დატოვა შშობლიური სახლი და ქალაქ-ქალაქ დადიოდა ღვთის სიტყვის ქადაგებით. ამის გამო წარმართებმა იგი შეიპყრეს და განსასკუთრებულ წესის ტაძარში მიიყვანეს განმგებელ აგრიპინესთან. აგრიპინე ბევრს ეცადა, წარმართობისაკენ დაებრუნებინა ჭაბუკი: ჯერ ტკბილი სიტყვით არწმუნებდა – თუ მამა-პაპისეულ სარწმუნოებას აღიარებ, დიდ ფილოსოფოს პლატონზე ნაკლები არც შენ იქნებო. შემდეგ თავისი ულამაზესი ასული ალუქცა ცოლად, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, მუქარაზე გადავიდა – ტანჯვა-წამებითა და სიკვდილით დაემუქრა. დიდხანს იყო საპყრობილეში დამწყვდეული წმ. პლატონი. პერიოდულად მას აწამებდნენ გაუვარვარებული რკინით, მარწუხებით და სხვა საწამებელი იარაღებით, რათა გაეტეხათ მისი ნებისყოფა, მაგრამ ამაოდ. იგი არ დათანხმდა არათუ კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე, არამედ სიტყვითაც კი არ განდგომია უფალს და არც დაუჩვეცია. მაშინ აგრიპინეს ბრძანებით წმ. მოწამე პლატონს თავი მოჰკვეთეს († დაახლ. 302-306 წწ.). ხსენების დღე – 18 ნოემბერი, წმ. პლატონის მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: S 384, 728-738.

ᲐᲚᲐᲢᲝᲜᲘ – საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსი 1915-1917 წწ-ში. იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში.

„ᲞᲝᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲡᲐᲚᲛᲠᲗᲝᲗᲐᲡᲐ ᲫᲔᲚᲘᲡᲐ" – „პოენისათვს საღმრთოთასა ძელისა და კელთუქმნელისა ხატისა კაბულინეს, რომელი გამოუწნდა ჟამთა დიოკლეტიანე მეფისათა ნეტარსა ბასს, ხოლო გამოცხადნა მეფობასა დიდისა მორწმუნისა მეფისა თეოდორისა" – გრიგოლ ნოსელის თხზულება. შეტანილია ხელნაწერებში: A 272, 79-93; ქუთ. 8, 75-79.

„ᲞᲝᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘᲡᲐ ᲯᲕᲐᲠᲘᲡᲐᲡ" – ალექსანდრე კეპრელის თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 518; Q 762, 86-126.

ᲞᲝᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘ – V ს. ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ავტორი თხზულებისა: „ცხორებაჲ ეზოფაე კურპელისაჲ", რომლის ქართული თარგმანი დაცულია იერუსალიმურ ხელნაწერში – Jer. 3.

ᲞᲝᲚᲘᲔᲕᲥᲢᲝᲡᲘ – პირველი მოწამე, რომელიც ქრისტიანობისთვის ეწამა სომხეთის ქალაქ მელიტინში. მსახურობდა იმპერატორ დეციოსის (249-251 წწ.) მხედრობაში, მოწამებრივი აღსასრული კი იმპერატორ ვალერიანეს (253-259) დროს ეწია († 259 წ.). პოლიევქტოსი მეგობრობდა მტკიცე ქრისტიან ნეარქესთან, თუმცა თვითონ ისევ წარმართი იყო. ამის მიუხედავად იგი ისეთ სათნო ცხოვრებას მისდევდა, რომ ღირსი გახდა უფლის სასწაულებრივი გამოცხადებისა, პოლიევქტოსი გაქრისტიანდა და საჯაროდ აღიარა თავი ქრისტიანად. მან ცდილობდა ჩაშოხია იმპერატორის ბრძანება, რომელიც ყველას ავალდებულებდა მსხვერპლი შეწირათ წარმართული კერპებისათვის, და ყველას დასანახავად დაამსხვრია ეს კერპები. პოლიევქტოსმა იცოდა, რომ ამისათვის მას სიკვდილი მოელოდა, მაგრამ უშიშრად მოუდრიკა ქელი ჯალათის მახვილს და საკუთარი სისხლით მიიღო წმიდა ნათლისღება. მალე, მოციქულთა სწორი წმიდა იმპერატორის კონსტანტინე დიდის დროს (306-337 წწ.), როცა ქრისტეს ეკლესიამ მთელ რომის იმპერიაში იზეიმა გამარჯვება, ქალაქ მელიტინში წმიდა მოწამე პოლიევქტოსის სახელზე ტაძარი აშენდა. წმ. პოლიევქტოსის მეოხება ღვთის წინაშე მრავალჯერ გამოჩნდა სასწაულებით. მაგალითად, მისი შეწევნით მიეცათ შვილი ეუთიშე დიდის ღვთისმოსავ შშობლებს და სხვ. ხსენების დღე – 9 იანვარი. პოლიევქტოსის „წამების" ქართული

თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 90, 437-447; ქუთ. 13, 40-45; Sin. 91, 170-176; A 188, 148-153.

ᲞᲝᲚᲘᲗᲔᲘᲖᲛᲘ (ბერძ.) – მრავალღმრთიანობა, ღმერთების თაყვანისცემა; თაყვანისურება წარმართული რწმენისა, რომლის თანახმად ზოგიერთ საგანს ან მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავს. პოლითეიზმის დროს თითოეულ ღმერთს აქვს საკუთარი სახელი, სახე (ხშირად ანთროპომორფული), გამგებლობის განსაზღვრული სფერო. პანთეონს (ღმერთთა კრებულს) სათავეში უდგას უზენაესი ღვთაება, მაგრამ არა ყოელისშემძლე, როგორც ეს მონოთეიზმს ახასიათებს. პოლითეიზმი არ გამორიცხავს უცხო ხალხთა ღმერთებს. პოლითეიზმის დროს კულტს ქურუმები ეშასურებიან. ძველი ეგვიპტელების, ბერძნების, რომაელების, ქართველებისა და სხვა ძველი ხალხების რელიგია პოლითეისტური იყო. პოლითეისტურია ინდოელების, იაპონელებისა და ტროპიკული აფრიკის ხალხების რელიგია.

ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲘᲡᲘ – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, რომელიც მოხსენებულია თხზულების „წამებაი პოლიეკტოისი“ ავტორად. (ამ თხზულების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 90).

ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲝᲡ ᲖᲛᲔᲘᲠᲜᲔᲚᲘ (პოლუკარპოს ზმირნელი) – წმ. მღვდელმოწამე, ზმირნის (სმირნის) ეპისკოპოსი (დახლ. 80-167 წწ.). ადრე დაობლდა. მისი აღზრდა იკისრა ღვთისმოსავმა ქვრივმა დედაკაცმა კალისტამ. პოლიკარპოსი იოანე ღვთისმეტყველს დაემოწაფა და სამოციქულო მოგზაურობაშიც თან ახლდა. როგორც პრორხორე არქიდიაკონი მოგვითხრობს თავის „ცნობანე მაზარებელის ცხოვრებაში“ (იხ. ათონის კრებული, გვ. 111-176), იოანემ პოლიკარპოსის სიკვდილის წინ დაადგინა „ნაცვალი თუსი“ და ამცნო მოწაფეებისგან აღსრულება. პოლიკარპოსი დაახლოებული იყო ზმირნის ეპისკოპოს ეუკოლესთანაც. მან იგი ხუცესად აკურთხა, ხოლო თავის აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე ანდერძად დაიბარა, ზმირნის ეპისკოპოსად მის შემდეგ პოლიკარპოსი დაედგინათ. ეუკოლეს ანდერძი აღსრულებულ იქნა. პოლიკარპოსმა მალე მოიპოვა მრევლის სიყვარული და აღიარება. დიდი სიმპათიებით იყო განწყობილი მის მიმართ წმიდა ეგნატე ღვთისმოსილიც.

რომის იმპერატორის, მარკუს აურელიუსის (261-180 წწ.) ტახტზე ასვლისას დაიწყო ქრისტიანთა სასტიკი დევნა, წარმართებმა პოლიკარპოსის შესაპყრობად მხედრები გაგზავნეს. წმ. მღვდელმთავარი არ დაბალულა, თვითონვე გამოვიდა მათ შესახვედრად და უბრძანა მორწმუნეთ, დაეპურებინათ ისინი. სამსუპრეზე პოლიკარპოსი მხნედ წარდგა და უშიშრად აღიარა რწმენა ქრისტესი, რისთვისაც მას კოცონზე ცოცხლად დწვა მიუსაჯეს. ცეცხლის ალი გარს შემოეხვია წმინდანს, მაგრამ ავნო. გამძვინვარებულმა მსაჯულებმა ბრძანეს, მახვილით განეგმირათ წმ. მოწამე. წმიდა პოლიკარპოსს იმდენი სისხლი წარმოსდინდა, რომ ცეცხლიც კი დაშრიტა. მისი სხეული მტარვალებმა შემდეგ კოცონზე დაწვეს. კეთილმსახურმა ზმირნელებმა ფარულად მოაგროვეს მღვდელმოწამის ძვლები და პატივით დაკრძალეს. ხსენების დღეა 23 თებერვალი. წმ. პოლიკარპოსის წამების ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. I, 167-170; S 382, 195-198).

ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔ (პოლუკარტე) ეუესელი – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, მოხსენიებულია ავტორად თხზულებისა: „წამებაჲ ტიმოთე მოწაფისა პაულე მოციქულისაჲ, ეფესელთა ეპისკოპოსისაჲ“, გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (კორპი, I, 103-106).

ᲞᲝᲚᲘᲥᲠᲝᲜᲘᲝᲡᲘ – VII ს. მწყალებელი, ტრულის კრების (692 წ.) დასასიათებით „ეგზარი და ცოფი ბერი“, რომელიც VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (680 წ.) იქადდა, ჩემი რწმენა (მონოფიზიტობა) სასწაულით შემიძლია დავამტკიცო – მკვდარს გავაცოცხლებო. წმიდა მამებმა ნება დართეს, მაგრამ პოლიქრონიოსმა ამაო ქადილით შეირცხვინა თავი. VI მსოფლიო კრებამ პოლიქრონიოსი განკვეთა და შეარქვა (იხ. „მცირე სულის კანონი“).

ᲞᲝᲛᲞᲔᲘᲝᲡᲘ – მოწამე; ეწამა ტრენტიოს, აფრიკანოს, მაქსიმე და სხვა, რიცხვით 366 მოწამესთან ერთად, იმპერატორ დეკიოსის (249-251) დროს. პომპეიოსი და მისი თანამოწამენი წარმოშობით აფრიკელები იყვნენ. მათ უარი განაცხადეს წარმართულ მსხვერპლშეწირვაზე, რის გამოც აფრიკის განმგებელმა ფორტუნატიანემ სანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ თავები მოკვეთა. ხსენების დღე – 10 აპრილი. წმ. მოწამეთა – ტრენტიოს, აფრიკანოს, მაქსიმე, პომპეიოს და სხვათა მეტაფრასული „წამება“ ქართულადაც უთარგმნიათ. ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 2, 253-260. აქ ხსენების

დღედ აღნიშნულია 21 მარტი. ცნობილია 40 აფრიკელი მოწამის ხსენების სხვა დღეც – 28 ოქტომბერი.

პონტიფიკატი (ლათ.) – კათოლიკურ ეკლესიაში – რომის პაპის ძალაუფლება და მმართველობის დრო.

პონტოს კრებული – ასე ეწოდება საეკლესიო კანონების შემკრებ უძველეს, IV ს. კრებულს, რომელიც ნიკეის კრების კანონებთან ანკვირიის, ნეოკესარიისა და ღანგრის ადგილობრივ კრებათა კანონების შეერთებით უნდა იყოს შექმნილი. პონტოს კრებული მას ეწოდა იმის გამო, რომ ოთხივე კრება ბიზანტიის აღმოსავლეთის პრეფექტურის, პონტოს დიოცეზში იყო მოწვეული. იგი ერთ-ერთი წყარო გახდა კანონიკური კოდექსისა, რომელიც ქართულად „დიდი სჯულისკანონის" სახელით ითარგმნა.

პორტაიტისა (ბერძნ. „კარისა") – ათონის მთის უდიდესი სიწმიდეთაგანი, ქართველთა მონასტრის კარიბჭის თაგზე დასვენებული ღვთისმშობლის ხატი. გადმოცემით, ეს დიდებული ხატი ათონელ მამებს გამოეცხადათ 999 წლის 27 აპრილს, ბრწყინვალე სამშაბათს. „ათონის მთის აქტებში" დაცულია უძველესი ცნობები ამ ხატის შესახებ (გეორგიკა, VIII). XVII ს-ში მიტროპოლიტებმა – ტიმოთე გაბაშვილმა და იონა გედეანიშვილმა იმოგზაურეს წმიდა ადგილთა მოსახილველად და დაწვრილებით აღწერეს ყოველივე ნანახი. მათ მონათხრობშიც საინტერესო ცნობებია დაცული ხატის ისტორიის შესახებ. პორტაიტისას თავგადასავალი მოკლედ ამგვარია: იმპერატორ თეოფილეს დროს, როდესაც ხატის თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობად იყო გამოცხადებული, ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში ღამე გაუთევია ნიკეაში მიმავალ მეფის შიკრიკს. ამ დედაკაცს სახლში პქონია ღვთისმშობლის ხატი, რომლისთვისაც ხატმებრძოლ შიკრიკს მახვილი ჩაუცია. ხატიდან გადმომსკდარა სისხლი. შიშისაგან თაზარდაცემული შიკრიკი გაქცეულა, ხოლო დედაკაცს ხატი ზღვაში ჩაუსვენებია. წმიდა ხატი წლების განმავლობაში იმალებოდა ხმელეთსა და ზღვაზე. ბოლოს იგი ცეცხლებრ მოელვარე სახით გამოწნდა ზღვაზე ათონის მთასთან, იევრთა მონასტრის პირდაპირ. ათონელმა მამებმა ბევრჯერ სცადეს ხატის გამოსვენება, მაგრამ იგი ახლოს არაფის იკარებდა. ამ დროს ათონის მთაზე მოღვაწეობდა სიწმიდით სახელგანთქმული ქართველი ბერი – გაბრიელი. იგი მთათა და ნაპრალთა შორის ეწეოდა დაუუდებულ ცხოვრებას, იკვებებოდა წყლითა და ბალახეულით. და აი, ათონელ ბერებს ესმით ხმა, რომ მხოლოდ ამ გაბრიელს აქვს უფლება ხელი შეახოს ღვთისმშობლის წმიდა ხატს. მართლაც, აღდგომის მესამე დღეს, ბრწყინვალე სამშაბათს, გაბრიელს გამოუბრძანებია ზღვიდან ხატი, რომელიც ლოცვითა და პარაკლისებით დაუსვენებიათ ქართველთა მონასტერში. მეორე დღეს ბერებმა ხატი იხილეს მონასტრის კარიბჭესთან, რამდენჯერმე შეასვენეს ტაძარში, მაგრამ ყველაე მსგავსი სასწაული განმეორდა. ბოლოს ისევ გაბრიელს აუწყა ღვთისმშობელმა, რომ მისი წმიდა ხატი არ საჭიროებს დაცვას, არამედ თვით იყო მოსული ქართველთა საკანის მცველად და მონასტრის კარიბჭესთან იყო მისი ადგილი. ათონელმა მამებმა დაუყოვნებლივ აღასრულეს ღვთისმშობლის ნება, ივირონის კარიბჭის თაგზე დაასვენეს ხატი და კარის ღვთისმშობელი უწოდეს. კარის ღვთისმშობელს არაერთი სასწაული უჩვენებია მისი თაყვანისმცემელი ქართველი მონაზვნებისათვის; შიშველების დროს სათავსები აუვსია ფქვილით, ღვინით, ზეთით, გაუნადგურებია მტრის ფლოტი და სხვ. XVI ს-ში ხატისათვის მცირე გუმბათიანი ტაძარი აუგია ამოთან მუხრანის ბატონს, წმიდა ქეთევან დედოფლის მამას. ხატი ძვირფასად მოუჭედვინებია ყუარყარე ათაბაგის ძეს – ქაიხოსრს. 1648 წლის 13 ოქტომბერს ათონიდან რუსეთში ჩამოიტანეს პორტაიტისას ასლი, მას დიდი ზეიმით შეხვდნენ პატრიარქი ნიკონი და მეფე ალექსი მიხეილის ძე. საკათედრომქმედი ხატისათვის საგანგებო სამლოცველოც აუგიათ.

საქართველოში ივერიის ღვთისმშობლის ხატის ათონზე შესრულებული სასწაულმოქმედი პირი დაცულია მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში. იმავე ხატის ახალი პირი 1989 წელს სიონის საპატრიარქო ტაძარში დაასვენეს. ივერიის ღვთისმშობლის ხატის თაყვანისცემის დღედ დადებულია ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი (გამოჩინების დღე), აგრეთვე 18 თებერვალი, 31 მარტი, 12 ოქტომბერი.

პორფირი – მოწამე; ეწამა პალესტინის ქალაქ კესარიაში იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (დაახლ. 307-309 წწ.). პორფირი იყო მსახური წმ. მღვდელმოწამისა პამფილესი. როდესაც მან წმ. პამფილესა და მის თანამოღვაწეთა

(ვალენტი დიაკონი, პაველ და სხვ.) მოწამებრივი აღსასრულის მიახლოების აშკარა შეიტყო, კესარიის გამგებელს ფირმილიანეს ნებართვა სთხოვა, მიწისათვის მიებარებინა მათი სხეულები წამების შემდეგ. თხოვნის შესრულების ნაცვლად ფირმილიანემ პორფირის მოკვლა ბრძანა. შემდეგ იგი კოცონზე დაწვეს. ამ დროს პორფირი 18 წლისა იყო. წმ. მოწამეთა ხსენების დღე – 16 თებერვალი. მათი „წამების“ ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. I, 57-59.

პორფირი (1774-1801 წწ.) – დავით-გარეჯის მონასტრის მღვდელი, დიდგვაროვანი ოჯახიდან. სამონასტრო სკოლაში მიუყვანიათ 1784 წ. მის აღზრდას ხელმძღვანელობდა გაბრიელ მცირე, ფრიად განსწავლული მწიგნობარი. 16 წლის პორფირი ბერად აღკვეცილა, 1801 წლის კი 27 წლის ასაკში გარდაცვლილა. პორფირის გადაუწერია რამდენიმე ხელნაწერი, პირველ რიგში საკუთარი მასწავლებლის მიერ შედგენილი კრებულები. მისი პირველი ნაშრომია ლოცვებისა და საგალობლების კრებული H 1433 (პარაკლისისა და ლიტურგიის განმარტება), H 902 („გვირგვინი“), H 211 (იგივე) და სხვ. გაბრიელ მცირეს მისი გარდაცვალების გამო სპეციალური თხზულება დაუწერია: „მოკლე მოთხრობა თუთ პორფირისათჳს“ (ბოდლეს № 8; გამოცემულია: ძეგლები, V, 122-125).

პორფირი ფინიკიელი – IV ს. ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. არსებობს მოსაზრება, რომ მისი ფილოსოფიური თხზულება „შეცვანილება“ თარგმნილი იყო ბერძნულიდან ქართულ ენაზე XII ს-ში იოანე ტარიჭისძის მიერ. XII ს. თარგმანი ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტულად არის მოღწეული. დღესდღეობით ცნობილი თარგმანი გადმოღებულია სოშურიდან XVIII ს-ში და ეკუთვნის ზურაბ შანშოვანს, რომელსაც ის შეუსრულებია 1735 წ. ეპიტანგ მეფის ბრძანებით. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ცნობით, პორფირი ფილოსოფოსის „ხუთი ხმა“ XVIII ს-ში სომხურიდან უთარგმნია ზაქარია ვართაპეტ მადინაშვილს, ანტონ კათოლიკოსის ცნობით (S 4839) კი – ფილიპე ყაითმაზაშვილს. „ხუთი ხმის“ შესახებ ამონიოს ერმისს (V-VI სს-ის ნეოპლატონიკოსს) დაუწერია თხზულება: „მოსახსენებელი ხუთთა ქმნათდმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნის იოანე ტარიჭისძეს (XII ს.) (გამოცემულია მ. რაფავას მიერ: ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, თბ., 1983 წ., გვ. 3-96).

პორფირი ლაზელი († 420) – წმინდა მღვდელმთავარი, ლაზის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა დაახლ. 346 წელს, მაკედონიის ქალაქ თესალონიკეში, შეძლებულ ოჯახში, მოლი კარგი აღზრდა-განათლება. 25 წლისამ დატოვა სამშობლო და ეგვიპტეში წაიყიდა. დიდხანს მოღვაწეობდა ნიტრიის მთაზე ღირსი მამის, მაკარი დიდის ხელმძღვანელობით. აქვე დაუახლოვდა იგი ნეტარ იერონიმეს. მასთან ერთად ჩავიდა პორფირი იერუსალიმში წმიდა ადგილების მოსალოცად. ამის შემდეგ იგი განმარტოდა იორდანიის უდაბნოში, სადაც მძიმე სენი შეეყარა და სასწაულებრივად განიკურნა უფლის გამოცხადებით. იერუსალიმის პატრიარქმა პორფირი ხუცესად აკურთხა. 395 წელს კი – კესარიის მიტროპოლიტმა იოანემ ლაზის ეპისკოპოსად დაადგინა. იმ დროისათვის ლაზაში მრავალი წარმართი იყო. წმ. პორფირის მოღვაწეობის შედეგად ბევრი მათგანი გაქრისტიანდა. დედოფალ ევდოქსიას მეუღლემ მღვდელმთავარმა პორფირმა მალე მთელ ლაზაში დაამკვიდრა ქრისტიანობა და სრულიად შემოხღუდა თავისი საეწყსო წარმართთაგან. წმ. მღვდელმთავარი მშვიდობით აღსრულა 420 წელს. ხსენების დღე – 26 თებერვალი. „ცხორება წმიდისა პორფირი ლაზელი ეპისკოპოსისა“ – მარკოზ დიაკონის თხზულება ქართულადაც უთარგმნიათ დაახლ. X საუკუნეშიდე. მისი ერთადერთი ნუსხა შემორჩენილია ხელნაწერში ქუთ. I, 192-225. ამ კრებულის თხზულების საფუძველზე XII ს. დასაწყისში შეუქმნიათ შემოკლებული ვარიანტი (ეპიტომა), რომლის ქართული თარგმანი XII ს. შუა წლებისა არის იმავე ქუთაისურ ხელნაწერში, გვ. 186-192. გამოცემულია ჯ. პეტერსის მიერ: Analecta Bollandiana, t. 59, 1941, 65-216.

პრაქსი (ბერძნ. „საქმენი“) – ამ ბერძნული სათაურით მოიხსენებოდა ხშირად ახალი აღთქმის წიგნი „საქმე წმიდათა მოციქულთა“.

პრესვიტერი (ბერძნ.) – ხუცესი (საქმე 14,23), უძველესი კანონიკური სახელწოდება მღვდლისა. მოციქულთა ხანაში პრესვიტერებად იწოდებოდნენ ეპისკოპოსებიც (იხ. I ტიმ. 3, 1-7; 5,17 და სხვ.). ამით გამოხატავდნენ არა იერარქიულ საფეხურს, არამედ სასულიერო მოღვაწის პირად თვისებას: კერძოდ, თუ ეპისკოპოსს პრესვიტერად მოიხსენებდნენ, ამით ხაზს

უსეამდნენ მის ხანდაზმულობასა და სიბრძნეს. პირქითად, თუ ზუცესი მოციქულთა მიერ იქნებოდა დადგენილი, სხვა ზუცესთა და დიაკონთა კურთხევის უფლებაც რომ არ ჰქონოდა, მაინც ეპისკოპოსად მოიხსენიებდნენ. ხანდაზმულობის გამოსაბატავად პრესვიტერებს უწოდებდნენ თავისთავს თვით მოციქული პეტრე (I პეტრე 5,1) და იოანე (2 იოანე 1,1; 3 იოანე 1,1). ეპისკოპოსებსა და პრესვიტერებს სხვა ფორმითაც მოიხსენიებდნენ: მწყემსნი (ეფეს. 4,11), წინამძღვარნი (ებრ. 13,7,17,23), ზედამდგომელნი (რომ. 12,8), თავმჯდომარენი, მღვდელნი, როგორც მოციქულთა ეპისტოლეებიდან და II-III სს-ის მამათა თხზულებებიდან ჩანს. პრესვიტერთა მოვალეობა იყო: 1. კურთხევა მორწმუნეებისა. 2. ხელმძღვანელობა მორწმუნეთა შეკრებისა. 3. სწავლა-ზოძღვრება ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხეით (ეპისკოპოსს ჰქონდა სწავლა-მოძღვრების უპირატესი უფლება), 4. საეკლესიო საიდუმლოთა და მღვდელმსახურებათა შესრულება. ახალი პრესვიტერის კურთხევის დროს პრესვიტერებს ნება ჰქონდათ ხელი დაესხათ მისთვის ეპისკოპოსთან ერთად (კართაგენის კრების 4 მუხლი). შეკრების დროს პრესვიტერები იკავებდნენ მეორე რიგს (ეპისკოპოსთა უკან). დასავლეთის ეკლესიაში პრესვიტერთა კრების გარეშე ეპისკოპოსი საეკლესიო დისციპლინის შესახებ არც ერთ საკითხს არ წყვეტდა (კართაგ. 4,22-23). პრესვიტერთა არჩევნებში უძველეს პერიოდში მონაწილეობდნენ ერისკაცნიც (აკრძალა ლაოდიკიის კრებამ IV ს-ში). მინიმალური ასაკი პრესვიტერისათვის განსაზღვრული იყო 30 წლით (IV ს-დან). იხ. ზუცესი.

პრესვიტერიანობა – კალვინიზმის ნაირსახეობა ინგლისსა და შოტლანდიაში. პოლიტიკური პარტია ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის (XVII ს.) პერიოდში.

პრესვიტერიანები – ინგლისელი და შოტლანდიელი პურიტანების ზოგიერი ფრთა. პრესვიტერიანობის საშობლოა შოტლანდია. ინგლისში პრესვიტერიანული თემები XVI ს. 70-იან წლებში შეიქმნა. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის (XVII ს.) დროს პრესვიტერიანობამ პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობა შეიძინა და მისი გაელენით 1644 წ. პრესვიტერიანების ეკლესია ინგლისის სახელმწიფო ეკლესიად გამოცხადდა. ე. წ. უესტმინსტერის ასამბლეაზე 1643-49 წწ. შემუშავდა პრესვიტერიანთა სარწმუნოების სიმბოლო – „უესტმინსტერის სარწმუნოება“. 640 წლიდან პრესვიტერიანები უმრავლესობას შეადგენდნენ პარლამენტში, 1648 წელს კი დითხოევს პარლამენტიდან. 1660 წელს პრესვიტერიანებმა ხელი შეუწყეს სტიუარტების დინასტიის რესტავრაციას. თითოეული პრესვიტერიანული ეკლესია წარმოადგენს მორწმუნეთა თემების გაერთიანებას. თითოეულ თემს სათავეში უდგას პრესვიტერთა (ბერძ. უხუცესთა) კონსისტორიუმი (რომელსაც ერისკაცთაგან ირჩევენ) და პასტორი („მინისტრი“). რამდენიმე თემი ქმნის ასოციაციას, რომელსაც მართავს ამ თემების პასტორების და პრესვიტერების პრესვიტერიუმი (კოლოკიუმი). ასოციაციებს ხელმძღვანელობენ პროვინციული და ეროვნული სინოდები. პრესვიტერიანული ეკლესია არსებობს აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიის კავშირში, ახალ ზელანდიაში.

პრიმასი (ლათ. „უპირველესი“, „მთავარი“) – 1. პრიმატი, საეკლესიო კრების თავმჯდომარეობის უფლების მქონე მთავარი ქალაქის ეპისკოპოსის ტიტული ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იერარკაში. სინოდალურ-პრიმასური ფორმა საეკლესიო მმართველობის ყველაზე ძველი და მარტივი ფორმაა და იგი ყველაზე დიდხანს კართაგენის ეკლესიას შემორჩა. IV საუკუნიდან მას სინოდალურ-მიტროპოლტური ფორმა ცვლის. 2. კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში უპირველესი მღვდელმთავრის, რომელიმე სამხელოლოში პაპის მოადგილის (არქიეპისკოპოსის) წოდება. მაგ., საფრანგეთში: რუანის არქიეპისკოპოსი – ნორმანდიის პრიმასია, ბორდოს არქიეპისკოპოსი – აკვიტანიის პრიმასი და სხვ. ინგლისში: კენტერბერის არქიეპისკოპოსი – დიდი ბრიტანეთის პრიმასია, იორკის არქიეპისკოპოსი – ინგლისის პრიმასი.

პროეოსი – III-IV სს. ყრმა მოწამე. აწამეს ქრისტიანობის აღიარებისათვის მშობლებთან და ძმებთან ერთად (გაინოს, ლული, ურვასიოს), იმპერატორ მაქსიმიანეს (286-310 წწ.) დროს. მათთან ერთად აწამეს მათი მომნათლელი ზუცესი ევსტოქიისიც. ხსენების დღე – 22 (23) იენისი. წმიდა მოწამეთა – ევსტოქიის, პროეოს, ლული, ურვასიოს და გაინოსის მეტაფრასული „წამება“ ქართულადაც უთარგმნიათ. დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 223-227.

პროეოსი – მოწამე. ეწამა ტარახოს და ანდრონიკესთან ერთად კილიკიის ქალაქ ტარს-

ში (მცირე აზია), იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს († 304 წ.). წმიდა მოწამეებმა უარი განაცხადეს წარმართთა წინადადებაზე – მსხვერპლი შეეწირათ კერპებისათვის და უშიშრად აღიარეს ქრისტიანული მრწამსი. ხანგრძლივი და მრავალგვარი წამების შემდეგ ტარახოს, პროეოს და ანდრონიკე მოწამენი წარმართებმა ხმლით აჩეხეს. ხსენების დღე – 12 ოქტომბერი. მათი მეტაფრასული წამების ქართული თარგმანი შემორჩენილია რამდენიმე ხელნაწერში: ქუთ. 4, 420-427; S 384, 349-360; Jer. 37, 64-70.

პროკლე – II ს. მოწამე, წარმოშობით ანკირიიდან. ეწამა თავის ღისწულ ილარიონთან ერთად, იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წწ.) დროს. მათ უშიშრად გამოაცხადეს თავი ქრისტიანებად მტრედალი წარმართების წინაშე. წმ. მოწამეებს თაეები მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 12 იელისი. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში ქუთ. 3, 529-537.

პროკლე დიადოხოსი (410-485 წწ.) – ანტიკური ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი, ათენის ნეოპლატონური სკოლის მეთაური სირიანეს შემდეგ. მისი მოძღვრება წარმოადგენს ნეოპლატონურად გაგებული პლატონის მოძღვრების საფუძველზე ყაოცბრიობის მთელი კულტურული მემკვიდრეობის სისტემატიზაციის ცდას. პროკლე ცდილობდა, ყოველ არსებულში, ყოველ მეცნიერებაში, რელიგიასა თუ კულტში დაენახა გარკვეული ღირებულება, რომელსაც იგი სრკეთიდან (ერთიდან) გამოსხივებულ სამყაროში გარკვეულ ადგილს მიუჩენდა. პროკლესთან „ერთის" სამყაროზე გადასვლის ფუნქციას ღმერთები ასრულებენ. აბსოლუტური ერთიდან არსებულის ეშხაცის პროცესი, როგორც ერთში დაბრუნების გზა, ტრადიციულია. დაბრუნება იმიტომ ხდება, რომ ყოველი არსებული ესწრაფვის მყარ არსებობას, რასაც მიზეზებში ხედავს, მიზეზთა მიზეზი კი ერთია. არსებულის (სამყაროს) ერთში ყოფნა (თეზისი), მისგან გამოსვლა (ანტითეზისი) და მასში დაბრუნება (სინთეზი) პროკლესთან მოცემულია ტერმინებით: მონე, პროოდოს, ეპისტროფე. ახლის წარმოშობა გამორიცხულია, უმაღლესი მოცემულია პროცესის დასაწყისში. პროკლე იცავდა სამყაროსა და ერთის აუცილებელ კავშირს, უარყოფდა ღმერთის თავისუფალ ნებას, სამყარო მარადიულად მიაჩნდა. ყოველივე ეს გზას უხსნიდა პანთეიზმს. პროკლემ დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის აზროვნებაზე. მისი უდიდესი მიმდევრები იყვნენ დასავლეთში ნიკოლოზ კუზანელი და აღმოსავლეთში იოანე პეტრიწი. კერძოდ, იოანე პეტრიწმა ქართულ ენაზე გადმოთარგმნა და კომენტარები დაურთო პროკლეს უმთავრეს ფილოსოფიურ ტრაქტატს: „კაეშანნი ღმრთისმეტყველებანი". ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 69; A 74, A 185; A 237; S 3662, H 1337; გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ (იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940). იხ. აგრეთვე იოანე პეტრიწის შრომები, II, „ჟამართებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს", გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937 წ.

პროკლე კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი 434-446 წწ-ში, საეკლესიო მწერალი, ჰომილიების ავტორი. ქართულ ხელნაწერებში დაცულია თარგმანები მისი თხზულებებისა: „სიტყუაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი ესე აღმოთქუა დიდსა ეკლესიასა შინა სოფია წმიდას სასმენელად ნესტორ მწყალებელისა, ჯდა რაჲ იგი მუნ" (A 182, 363-372; A 266, 22-26; ქუთ. 5, 480-473), „ჩანილისწმიდისათჳს უფლისა" (A 19, 179v-181v; A 95, 356-360; A 90, 244v; Ath. 11, 36-37), „თქმული ხარებისათჳს" (Ath. 11, 12-14; Sin. 32-57-33, 40-45), „ღმრთისმშობელისათჳს" (A 19, 2r-5v; A 95, 4r-v).

პროკოპი – დიდი მოწამე (საერო სახელი – ნეანი), წარმოშობით იერუსალიმიდან; ცხოვრობდა და წამებით აღესრულა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დროს († 303). მამა, წარჩინებული რომაელი – ქრისტეფორე, მალე გარდაიცვალა. ნეანის ზრდილა დედა – წარმართი თეოდოსია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ბრწყინვალე საერო განათლება მიიღო და მალე დაინიშნა იმპერატორის კარზე. 303 წელს, ქრისტიანთა დევნის ჟამს, ნეანი გაიგზავნა ალექსანდრიაში ქრისტიანულ ეკლესიის მოსასპობად, მაგრამ სანამ ეგვიპტეში ჩაფრინდა, სირიის ქალაქ ასამეიში ნეანის ძმრნდა უფლის გამოცხადება ისეთი, როგორც ადრე საულს (პაულე მოციქულს) დამასკოს გზაზე. საღვთო ხმამ უთხრა: „ნეანი, შენც ჩემს საბრძოლველად მოგიხარ?" ნეანიმ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?"

„მე ჯვარცმული იესო ვარ, ძე ღვთისა“. ამ დროს ზეცაში გამოისახა მოელვარე ჯვარი. ამ ჩვენების შემდეგ ნეანიმ იგრძნო უჩვეულო სულიერი სიხარული, რადგან მღვენელიდან იგი ერთბაშად გარდაიქმნა ქრისტეს მიმდევრად. ამ დროიდან ნეანიმ შეიყვარა ქრისტიანები და ძლევამოსილად ებრძოდა ბარბაროს წარმართებს. მაგრამ მასზე გამართლდა სიტყვა მაცხოვრისა, რომლის თანახმად ადამიანის მტრები თვით მისი ოჯახის წევრები არიან (მათე 10,36). დედა, წარმართი თეოდოსია, თვითონ მივიდა იმპერატორთან და ურიცხა შვილს — მამაპაპისეულ ღმერთებს არ ემსახურებაო. ნეანი გამოიძახეს იულიას პროკურატორ იუსტუსთან, რომელმაც გადასცა ღვთისმგმობელი წერილი იმპერატორ დიოკლეტიანესი. ნეანიმ ყველას დასანახად გადახია წერილი. იმპერატორის შეურაცხყოფისათვის ნეანი შეიპყრეს და გაგზავნეს პალესტინის ქალაქ კესარიაში, იქ, სადაც ოდესღაც შეიპყრეს პავლე მოციქული. საპყრობილეში ნეანის გამოეცხადა თვით უფალი იესო ქრისტე თავის წმინდა ანგელოზებთან ერთად და „ნათელ-სცა“ წმინდა ალმსრებელს. ნათლობის სახელად ნეანის ეწოდა პროკოპი. ღვთაებრივი გამოცხადებით გაძლიერებული პროკოპის ნებისყოფა ეერაგითარმა წამებამ ვერ გატეხა. მოწამებრივი აღსასრული მიიღეს პროკოპის ბეჭრმა ძველმა ქვეშევრდომმა, მათ შორის რომანელმა ჯარისკაცებმა — ტრიბუნებმა ნიკოსტრატემ და ანტიოქმა, თორმეტმა ქრისტიანმა ქალმა, რომელნიც თაეისი ნებით გამოცხადნენ კესარიის პრეტორიაში. მოინანია და ქრისტიანად მოიქცა თვით პროკოპის დედა თეოდოსია, რისთვისაც სიკვდილით იქნა დასჯილი. წმ. მოწამე პროკოპიც სიკვდილით დაისაჯა, მას თავი მოკვეთეს. ღამით ქრისტიანებმა აიღეს მრავალწამებულის სხეული და პატივით დაკრძალეს († 303 წ.). სხენების დღე — 8 ივლისი. პროკოპის „წამება“ („წამებაჲ პროკოპი დუქისა..ჲ“) დაცულია გელათურ ხელნაწერში ქუთ. 3,395-420; მეორე თარგმანი, ეფთვიმე ათონელისა — დაცულია ხელნაწერებში: A 382, 30-44; A 1103, 255-278; ბოდლ. 1, 117-241; A 199, 2-18; ეფთვიმეს თარგმანი შესრულებულია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებიდან.

პროკოპი კესარიელი — VI ს. 60-იან წლების ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი თხზულებები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს (იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1934).

პროკოპი მღვდელი — ქართველი მთარგმნელი, რომელსაც ეფრემ მცირის ცნობით, ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ („სამოღვაწეო წიგნი“). ზოგი მკვლევარი პროკოპი მღვდელს XI ს. II ნახევრის მოღვაწედ თვლის, ზოგი — უფრო ადრინდელ მწერლად. კ. კეკელიძის აზრით, პროკოპი მღვდლის თარგმანი დაცულია „ასკეტიკონის“ A 63 ხელნაწერში, აგრეთვე A 66, 138-139. ე. ხინთიბიძის აზრით — Sin. 35 ხელნაწერში. ეს თარგმანი XI ს-შიც ძნელად ხელმისაწვდომი ყოფილა. ეფრემ მცირეს იგი 12 წლის განმავლობაში ვერ მოუპოვებია და „ასკეტიკონი“ ხელახლა გადმოუქართულებია ბერძნულიდან. პროკოპის თარგმანი, წინასიტყვაობის გარდა, შედგება რეა თავისაგან (იხ. ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადუკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, 1986 წ.).

პროკოპიოწმიდა — მონასტერი შავ მთაზე (ანტიოქიაში), სადაც, სხვათა შორის, ქართველი ბერებიც მოღვაწეობდნენ (XI ს.).

„პროლოლი“ — იოანე პეტრიწის ორიგინალური პიმნი იამბიკოდ; შეთხზულია პატივად იმ მსოფლიო წმინდანებისა, რომელნიც იხსენიებიან სვინაქსარში ენკენისთვედან იანვრამდე. ამგვარი შრომა ბერძნულ ენაზე პირველად ქრისტეფორე მიტილინელმა დაწერა — „ჟამლეწილი კალენდარი“, ქართულად თარგმნილია იოანე პეტრწისა და მისი ძმის, პაულეს მიერ, A 85; A 290; S 379). „პროლოლის“ ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 85,196-212; A 67,92-105; A 415; S 379.

პრომეთე (ბერძნ. „წინდახედული“, „ფრთხილი“) — ძე. ბერძნულ მითოლოგიაში ტიტანი, იაფეტის ძე, ატლანტის ძმა, დედალიონის მამა; ულრესი და ძლიერი ბუნების, ადამიანთა მფარველი და მათთვის წამებული გმირი. პესიოდეს „თეოგონიის“ მიხედვით, პრომეთეს ოლიმპიდან ცეცხლი მოუტაცია (ლერწმის ჯოხით) და ადამიანებისათვის მიუცია. განრისხებულ ზევსს პრომეთე კავკასიის მთებზე მიუჯაჭვავს და არწივი მიურეხია მისი ღვიძლის საჭიჟგნად, ადამიანებისათვის კი უბედურება მოუვლენია პანდორეს სახით. ბოლოს, ზევსისაგე ნებით პრომეთე ჰერაკლეს უხსნია სატანჯველისაგან.

ათენში იყო პრომეთეს კულტის ადგილი და მის პატივსაცემად საზეიმო მსვლელობა იმართებოდა ჩირაღდნებით. ქართულ ფოლკლორში პრომეთეს შესაბამება ამირანი (იხ. პანდორე).

პრომოსი – მოწამე; მოხსენებულია არე და ელია მოწამეებთან ერთად ესესი კესარიელის თხზულებაში „პალესტინის მოწამეთათუს", სახელოდობრ, იმ თაეში, სადაც ლაპარაკია პეტრე მონაზონისა და ასკლეპიოსის შესახებ. აქ სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს მათ მიძღვნილი: ისინი იყვნენ ეგვიპტელები, სხვებთან ერთად კოლიკაში წარგზავნილნი და დაკითხულნი ასკალონში, სადაც არე ცეცხლით დაწვეს, ხოლო პრომოსსა და ელიას თავი მოაკვეთეს. ასეთივე მოკლე ცნობა შემოუნახავს მათ შესახებ კონსტანტინეპოლის ეკლესიის „დიდ სვინაქსარს" (ქართულად თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ). ქართულ ჰაგიოგრაფიაში მოიპოვება საკმაოდ ერცელი „მარტვილობა" დასახელებული პირებისა, რომელიც შემონახულია ერთადერთ „მრავალთავში" (A 95) და რომელიც სხვა ენაზე ჯერჯერობით ცნობილი არაა. ოთხ-ზოსიმეს 956 წლის სვინაქსარში პრომოსი მოხსენებულია „პრომეთეზედ". ქართული „წამების" თანახმად, დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს დროს, როდესაც ეგვიპტეში დევნიდნენ ქრისტიანებს, არე, პრომოს და ელია თავისი ნებით გამოცხადნენ არიანე მთავართან და განუცხადეს, რომ ისინიც ქრისტიანები არიან. ხანგრძლივი წამების შემდეგ მთავარმა ისინი პალესტინაში გაამეკა. ქ. ასკალონში ისინი ხელახლა შეიპყრეს და როცა მათი ქრისტიანობის ამბავი გაიგეს, წარუგზავნეს ქ. კესარიაში „დიდსა ქალწიქსა". ოცდაათი დღის წამების შემდეგ, როცა მოწამეთა ნებისყოფა ვერ შეარყიეს და რჯულზე ხელი ვერ ააღებინეს, ისევ ასკალონში გაგზავნეს. 14 დეკემბერს მთავარმა კლავე დაკითხა ისინი. მოწამენი მტკიცედ აღიარებდნენ ქრისტიანობას. ამიტომ მსაჯულმა ბრძანა პრომოსისა და ელიასთვის თავის მოკვეთა, არეს შესახებ კი არაფერი უთქვამს. მაშინ არემ ხმამაღლა ამხილა მისი უსამართლო „ბჭობა", რისითვისაც მას ცეცხლში დაწვა მიუსაჯეს († 285-305). წმ. მოწამეთა ხსენების დღეა 14 დეკემბერი (ბიზანტიურ-სირიული სვინაქსარების მიხედვით – 19 დეკემბერი).

პროპაგანდის კონგრეგაცია – სრული სახელწოდებაა „რწმენის გამავრცელებელი კონგრეგაცია", რომის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი ძიდმნიშვნელოვანი კონგრეგაცია; დაარსა 1622 წ. პაპმა გრიგოლ XV-მ (1621-23 წწ.). თავდაპირველად პროპაგანდის კონგრეგაციის მიზანს შეადგენდა კათოლიკობის გავრცელება აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის და ბრძოლა პროტესტანტთა წინააღმდეგ. XVII ს-ში პროპაგანდის კონგრეგაცია იქცა კათოლიკური მისიების მთავარ ხელმძღვანელ ცენტრად. მას ეკუთვნის მრავალნოვანი სტამბა, სასწავლო დაწესებულებები – კოლეგიები (კოლეჯები) და უმაღლესი სასწავლებელი, რომში აქვს უმდიდრესი არქივი, რომლის მასალებით უხვად ისარგებლა ქართველმა კათოლიკე ისტორიკოსმა, მღვდელმა მიხეილ თამარაშვილმა (იხ. მისი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", ტფილისი, 1902 წ.).

პროსილა მთავარდიაკონი – IV ს. მცხეთელი საკლესიო მოღვაწე, მოხსენიებულია ძველ ქართულ ისტორიულ ძეგლში „მოქცეაჲ ქართლისაჲ", რომლის თანახმად იგი მოღვაწეობდა „მთავართა სანათლოში" (იხ. მთავართა სანათლოჲ), იაკობ მღვდელთან ერთად (ძეგლები, I, გე. 146).

პროსკომიდია (ბერძნ. „მიტანა", „მირთმეა") – კვეთა, ქრისტიანული ლიტურგიის პირველი ნაწილი, რომლის დროსაც მღვდელმსახური აშზადებენ ტარიგს ძღვნის შესაწირავად. სათანადო მომზადებისა და შემოსვის შემდეგ მღვდელი და დიაკონი მიდიან სამსხვერპლოსთან (სამკვეთლო), სადაც უკვე მომზადებულია წმ. ჭურჭელი. იხმარება 5 სეფისკვერი. ღვინო უნდა იყოს აუცილებლად ყურძნისა, წითელი. დასაწყისი ლიტურგიისა და ასაწყლებლის შემდეგ მღვდელი იღებს სეფისკვერს მარცხენა ხელით, მარჯვენათი – ლახვარს და ჩამოაჭრის ნაწილებს ოთხი მხრიდან. ამ დროს იგი წარმოთქვამს სიტყვებს საწინასწარმეტყველოდან იესო ქრისტეს ენების შესახებ. შემდეგ მოაჭრის კვედა მხარეს და მთელი სეფისკვერიდან „აღმოღებს" ნაწილს, რომელსაც ეწოდება ტარიგი, რადგან იგი არის გამოსატყვრება ენებული ქრისტესი. ტარიგს მღვდელი დაასვენებს ფეშხუმზე (ბეჭდით ქვედათ) და განკვეთს ჯვარედინად. ეს გამოსახაეს იესო ქრისტეს სიკვდილს ჯვარზე. შემდეგ ბეჭედს ზემოდან მოაქცევს და ლახვრით „გაბნაღებს" მის გვერდს (იოანე 19,34). დიაკონი ჩასხმას ბარძიმში ღვინოს და წყალს. წყლის

რაოდენობა გაცილებით ნაკლები უნდა იყოს ღვინისაზე, რათა არ შეცვალოს მისი გემო. ტარიგის მომზადების შემდეგ მღვდელი „აღმოიღებს" ნაწილებს დანარჩენ სეფისკვერებიდანაც (ღვთისმშობლისა, წმიდათა ცხრა დასისა, ცოცხალთა და მიცვალებულთა), აგრეთვე მრეულის შემწირული სეფისკვერებიდან. ნაწილები განლაგდება ფეშხუმზე ტარიგის ირგვლივ. მას მღვდელი დაფარავს ვარსკვლავით, შემდეგ ბარძიმ-ფეშხუმს ცალ-ცალკე გადაეფარება მცირე დაფარნები, ორთავეს ერთად კი – დიდი დაფარნა. ამ დროს წარმოითქმის ლოცვა, რომლითაც მღვდელი ევედრება ღმერთს, დაიფაროს მორწმუნენი თავისი საფარველის ქვეშ და განდევნოს მისგან ყოველი მტერი. ბოლოს მღვდელი აკმევს წმ. ძღვენს, წარმოითქმის წინადაგების ლოცვა და სრულდება განტეცება.

პროტასი – I ს. მოწამე; ეწამა ქრისტიანობისათვის თავის ძმასთან, ტყუპისცალ გერვასისთან ერთად, იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს. წარმოშობით მედიოლანელები (ახლანდ. მილანი) იყვნენ, წარჩინებული ოჯახიდან. მათი მშობლებიც მოწამებრივად აღესრულნენ. ქრისტიანობის აღიარებისა და ქადაგებისათვის ტყუპი ძმები შეიპყრეს და იმპერატორის ბრძანებით თავები მოკვეთეს. მათთან ერთად აწამეს მათი კეთილისმყოფელნი – ნაზარი და კელსი. ხსენების დღე – 14 ოქტომბერი. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 438-444; S 384, 277-387.

პროტესტანტიზმი – XVI ს. რეფორმაციიდან გამომდინარე რელიგიურ მოძღვრებათა და მიმდინარეობათა საერთო სახელწოდება. პროტესტანტიზმი დაუპირისპირდა რომის კათოლიკურ ეკლესიას და ჩამოაყალიბა ახალი ქრისტიანული მრწამსი. პროტესტანტიზმი მოიცავს რამდენიმე დამოუკიდებელ ეკლესიასა და სექტას. მის ფუძემდებლებად ითვლებიან: მ. ლუთერი, ჯ. ცვინგლი და ჟ. კალვინი.

პროტესტანტიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ დოგმას: პირველის თანახმად ქრისტიანობის უმთავრეს ავტორიტეტად ითვლება საღვთო წერილი (ბიბლია – ძველი და ახალი აღთქმა), მეორე დოგმა კი ემყარება პაველე მოციქულის ეპისტოლეს ეფესელთა მიმართ (თავი 2, 8-10) და მისგან გამომდინარე ავგუსტინე ნეტარის მოძღვრებას.

პროტესტანტთა აღიარებით, ეკლესიის ერთადერთი თავია იესო ქრისტე, ამიტომ მას არ სჭირდება სხვა მეთაური – რომის პაპი და საეკლესიო იერარქია. პროტესტანტებმა დააწესეს სამღვდელოების არრეკა ერისკაცთაგან; უარყვეს ღვთისმშობლის, ანგელოზთა და სხვა წმინდანთა თაყვანისცემა, კათოლიკური წარმოდგენები სალხინებელზე. აღკვეთილია მარხვა, ხატები და წმინდანთა სკულპტურული გამოსახულებანი, აგრეთვე წმ. ნაწილები (ეს, მათი აზრით, კერპთმსახურებაა). აკრძალეს საეკლესიო მუსიკა (გარდა ლუთერანული ეკლესიისა), ცელიბატი და მონაზვნობა, სამღვდელოების მიერ ცოდვათა შენდობა, შეამცირეს საეკლესიო დღესასწაულები. 7 საიდუმლოთაგან დატოვეს მხოლოდ ორი – ნათლობა და ზიარება. ღვთისმსახურება უაღრესად გამარტივებულია. იგი წარმოადგენს ძირითადად მოძღვრის ქადაგებას, ერთობლივ ლოცვასა და ფსალმუნთა გალობას. ყველა სხვის პროტენტიზმისათვის დამახასიათებელია საღვთო წერილის თარგმნა ეროვნულ ენებზე.

XIX ს. 70-იან წლებში პროტესტანტული ეკლესიები ითვლიდნენ დაახლ. 225 მლნ. მიმდევარს. პროტესტანტული ეკლესიების ინიციატივით დაიწყო XX ს-ში ე. წ. ეკუმენური მოძრაობა, რომლის მიზანია ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება. 1948 წლიდან მას ხელმძღვანელობს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო.

პროტესტანტული ქორალი – პროტესტანტული სასულიერო საგალობელი გერმანულ ტექსტზე. აღმოცენდა XVI ს-ში. რეფორმაციის მოღვაწეებმა თ. მიუნცერმა და მ. ლუთერმა უარი თქვეს გრიგორიანულ ქორალზე (სრულდებოდა ლათინურ ენაზე სპეციალურ მგალობელთა მიერ) და ღვთისმსახურება გერმანულ ენაზე მოაწყეს. ფსალმუნებსა და საგალობლებს ასრულებდა მთელი თემი. მელოდიის ძირითად წყაროს წარმოადგენდა გერმანული ხალხური სასიმღერო რიტუალი. პროტესტანტული ქორალი თანდათან დამკვიდრდა საეკლესიო მსახურებაში. XVII ს-ში საგუნდო გალობას ორღანიც შეუერთდა.

პროტოდიაკონი (ბერძნ. „პირველი მსახური") – პირველი დიაკონი, საკათედრო ტაძრის მთავარი დიაკონი. პროტოდიაკნის ტიტული ენიჭება აგრეთვე, როგორც ჯილდო. პროტოდიაკონი ერთ-ერთი მთავარი პირია სამღვდელმთავრო წირვაზე. იგი სხვა დიაკნებისაგან გან-

სხვაებით ოლარით იმოსება, რომელიც შეკრულია მარცხენა მხარეს.

პროხორე (I ს.) – ქრისტეს 70 მოციქულთაგან ერთ-ერთი, ძმისწული სტეფანე პირველმოწამისა. როგორც „საქმე მოციქულთა“ აღნიშნავს (61-6), პროხორე იყო ერთი შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც მოციქულებმა ირჩიეს იერუსალიმში. იგი სხვა პირველდიაკვნებთან ერთად აღესილი იყო სულიწმიდითა და სიბრძნით. თავიდან პროხორე პეტრე მოციქულს ახლდა, რომელმაც იგი ნიკომიდიის ეპისკოპოსად დანიშნა. ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ პროხორე წმ. მოციქულის, იოანე ღვთისმეტყველის მხლებელი და თანაშემწე იყო. მასთან ერთად გადასახლეს კუნძულ პატმოსზე. იქ მან ჩაიწერა ღმერთის გამოცხადება იოანე მახარებლისადმი სამყაროს დასასრულის შესახებ (იხ. გამოცხადება იოანესი). მასვე დაუწერია „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისაჲ“; ეს თხზულება ქართულად გადმოუთარგმნია ეფთვიმე ათონელს X ს. გასულს. დაცულია ხელნაწერებში: A 558, 111-175; Jer. 13, 120-153. გამოცემულია 1074 წ. ხელნაწერით (A 558) „ათონის კრებულში“ (გვ. 111-175). ამ თხზულების თანახმად, პროხორე განუშორებლად იმყოფებოდა თავის მოძღვართან; იგი თეთრშილელი და მონაწილე ყოფილა მისი მრავალრიცხოვანი სასწაულებისა. კერძოდ, „ცხოვრებაში“ აღწერილია იოანეს მიერ სახარების გამოთქმის გარემოებანი. პატმოსის ჭალაკის ერთ მაღალ მთაზე იოანეს ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ მიუღია საღვთო მადლი სახარების გამოთქმისა, სახარების ჩაწერა კი პროხორესათვის უბრძანებია. ორი დღე და ექვსი ჟამი იდგა იოანე მახარებელი ხელგანპყრობილი და ჰაერნახობდა სახარებას, პროხორე კი იწერდა. ნიკომიდიაში დაბრუნებული პროხორე წარმართებს ქრისტეს სჯულზე აქცევდა. მოწამებრივი გვირგვინი კი ანტიოქიაში დაიდგა. ხსენების დღე – 28 იელისი (ამავე დღეს მოიხსენიებიან სხვა პირველდიაკვნებიც: სტეფანე, ფილიპე, ნიკანორი, ტიმონი, პარმენი და ნიკოლოზი).

პროხორე იერონიმოსი – XI ს. ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე. მოხსენებულია „ათონის კრებულში“ (მისთვის დაწერებული ყოფილა აღაპი იანვრის 21; ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 143).

პროხორე ქართველი – იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი († 1066). თავდაპირველად მოღვაწეობდა კლარჯეთში, წყაროსთავის მონასტერში (იქვე მოღვაწეობდა მისი ძმა). როდესაც პროხორე წამოიზარდა და საკმაოდ განისწავლა, აკურთხეს ჯერ დიაკვნად, შემდეგ – მღვდლად. დაახლ. 1015-1025 წწ. მოღვაწეობდა იერუსალიმში სპა პალესტინელის ლავრაში, სადაც მან დაყო მრავალი წელი ყოველგვარ მორჩილებაში. შემდეგ, ეფთვიმე გრძელის ბრძანებით მან იწყო შენება „მახლობლად იერუსალიმისა, დასაყოფით კერძო მისა, საჯდისა, რომელსა უწოდიან ჯუარის მონასტერი“. აქ მან შეკოიკრიბა 80-მდე ძმა, უზრუნველყო ისინი ყოველივე სახმარით და განუწესა „წესი და კანონი მონასტრისაჲ შესავსებელი წმიდისა სამაჲს ლავრისა“. ვარაუდობენ, რომ პროხორე ქართველი 1025 წ. უნდა შედგომოდა ჯუარის მონასტრის მშენებლობას, რომელიც დასრულდა 1058 წელს. ცნობილია, რომ მონასტრის შენებაში პროხორეს მატერიალურად ეხმარებოდა მეუე ბაგრატ IV და დედამისი მარიამი. პროხორეს ურთიერთობა ჰქონია გიორგი მთაწმიდელთან, ათონისა და შავი მთის სხვა ქართველ მოღვაწეებთან, რომლებიც ჯუარის მონასტერს ამარაგებდნენ ქართული ხელნაწერი წიგნებით. პროხორემ თავის ირგელივ შემოიკრიბა საუკეთესო მწიგნობრები (იოანე დეკანი, მიქაელ დეკანი, შავი იოანე და სხვ.) და ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაება ჯუარის მონასტრის მთელი კრებული. 1061 წლამდე პროხორე ჯუარის მონასტრის წინამძღვარი იყო. შემდეგ წავიდა არნონის უდაბნოში (პალესტინა) და „ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან“ დაუძლურებული გარდაიცვალა (1066 წ.). მიცვალების დღე – 21 თებერვალი. „პროხორეს ცხოვრება“ დაწერილი უნდა იყოს XI ს. 70-იან წლებში ჯუარის მონასტერში. „პროხორეს ცხოვრების“ სინაქსარულ რედაქციას დიდი მნიშვნელობა აქვს პალესტინის ქართული მონასტრის ისტორიისა და იერუსალიმში მოღვაწე ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესასწავლად. ძეგლი არსებითად ერთადერთი და უსრულესი წყაროა პროხორეს ბიოგრაფიისათვის. ტექსტი გამოსცეს თ. ჟორდანიამ (1897 წ.), ი. ყოფშიძემ (1927 წ.), ს. ყუბანეიშვილმა (1946 წ.), ე. გაბიძაშვილმა (1968 წ.). იხ. ძეგლები, IV, თბ., 1968 წ.).

ᲐᲢᲔᲜᲐ – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარცხ. მშარეს, ახალქალაქიდან 8,5 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეთა ეკლესია.

ᲐᲣᲠᲘ – ლეთიეკურთხეული საზრდელი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის ცხოვრებას. რადგან ადამიანისათვის უმთავრესია ცხოვრება, საუფლო ლოცვაში პირველს, რასაც ვითხოვთ, ესაა „პური არსობისა“ (მათე 6,11). „პური ზეცისა“ არის თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე. „მე ვარ პური, რომელი ზეცით გარდამოვხედ“ – ამბობს იგი. საიდუმლო სერობისას, პურის განტეხის დროს მან მოწაფეებს უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს კორცი ჩემი“ (მათე 26,26). ამ სიტყვებზეა დამყარებული საღვთო მსხვერპლის, ევქარისტიის შეწირვა, რომელიც ლიტურგიის უმთავრეს შინაარსს წარმოადგენს.

ᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ – წესი, რომელიც სრულდება ღამისთევის ლოცვის დროს, დღესასწაულების წინა საღამოს. დაწესებულია ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან, როდესაც ღესასწაულებს ღამისთევით აღნიშნავდნენ. მწუხრის ლოცვის ბოლოს ხდებოდა პურის კურთხევა და ურგებოდა მლოცველებს. ამგვარად აღნიშნული წესი მწუხრის ლოცვაში ჩართეს. საკურთხებლად ამზადებენ ხუთ პურს, იმ სასწაულის მოსახსენებლად, რომლითაც მაცხოვარმა ხუთი პურით ხუთიათასი კაცი განძღო. კერძოდ, სახარებაში მოთხრობილია, რომ როდესაც იესომ უბრძანა მოწაფეებს, საზრდელი მიეცათ იქ მყოფი 5000 კაცისათვის, მათ ხუთი პურისა და ორი თევზის მეტი არაფერი აღმოაჩნდათ. მაცხოვარმა აკურთხა ეს ხუთი პური, განამრავლა და დააპურა ყველანი (მათე 14,19-21; მარკ. 6,41-44; ლუკა 9,16-17). პურის კურთხევის ლოცვაში მღვდელი ევედრება უფალს, „განამრავლოს... პური ქალაქსა ამას შინა და ყოველსა ქუყანასა ზედა“ (იხ. კონდაკი). პურთან ერთად იკურთხება ხორბალი, ღვინო და ზეთი. თითოეულ მათგანს თავისი სიმბოლური აზრი აქვს. პურის კურთხევისას უფალს ევედრებიან არა მარტო მადლისა და ბარაქის გამრავლებას (პური), არამედ განკურნების ყოველგვარი სულიერი და ხორციელი სნეულებისაგან (ზეთი), ზიარების წმ. საიდუმლოსთან (პური, ღვინო), მკვდრეთით აღდგინებას (ხორბალი) და საუკუნო ცხოვრების (პური სამარადისო) მონიჭებას.

ᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲔᲮᲐ – იხმარება უსისხლო მსხვერპლის შეწირვის სინონიმად. დაწუხებული იქნა იესო ქრისტეს მიერ საიდუმლო სერობაზე (მათე 26,26; მარკ. 14,22; ლუკა 22,19). მაცხოვრის მცნების თანახმად, შემდეგ მას ასრულებდნენ წმიდა მოციქულები (ლუკა 24,30).

პურის განტეხა ამჟამად ხდება საღვთო ლიტურგიის დროს, ზიარების წინ, როდესაც დიაკონი წარმოთქვამს: „განტეხე, მეუფეო, წმიდა პური“. მღვდელი ოთხ ნაწილად გაყოფს წმ. ტარიგს და იტყვის: „განიტეხების და განიყოფის ტარიგი ღმრთისა, განტეხად და არა განყოფად, ყოველადვე ჭამადი და არა განლეველი, არამედ მზრარებელთა წმიდამყოფელი“ (იხ. კონდაკი). პურის განტეხა ხდება ღამისთევის ლოცვაზეც. მწუხრის ბოლოს მოხდება პურის კურთხევა, შემდეგ იგი განიტეხება და დაურიგდება მლოცველთ.

ᲞᲣᲠᲐᲜᲔᲑᲘ (სანსკრ. „წარსული“, „ძველი“) – ინდუისტური კანონიკური ტექსტები, ეპიკური პოემები და პიმნები. ინდუიზმის ამ საღვთო წიგნებში მოთხრობილია კოსმოგონიური ლეგენდები სამყაროს წარმოშობის შესახებ, მითები ღმერთებსა და ზეადამიანებზე, შეიქმნა სანსკრიტულ ენაზე. უძველესი ტექსტი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა წლებით, ხოლო ჩვენამდე მოღწეული ტექსტები შექმნილია ძირითადად I ათასწლეულის II ნახევარში.

ᲞᲣᲠᲘᲢᲐᲜᲔᲑᲘ (ინგლ. „სიწმინდე“) – ინგლისელი პროტესტანტების სახელწოდება, რომელიც იხმარება XVI ს. 60-იანი წლებიდან. ასე ეწოდათ ინგლისელ პროტესტანტებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ნახევრად პროტესტანტული ანგლიკანური ეკლესიის გაწმენდას რომის კათოლიციზმის „ნარჩენებისაგან“. პურიტანების მოძღვრების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს ჯ. უიკლიფის იდეებმა და ჟ. კალვინის მოძღვრებამ. პურიტანები, ისევე როგორც სხვა პროტესტანტები, ძირითადად ემყარებოდნენ საღვთო წერილს და უარყოფდნენ საეკლესიო ტრადიციას. პურიტანები უბრალოდ იცვამდნენ, მთელ დროს შრომასა და გარჯაში ატარებდნენ, უქმობდნენ მხოლოდ კვირა დღეს. მათი მოძღვრება სწრაფად გავრცელდა მოსახლეობის ფართო ფენებში. XVI ს. 80-90-იანი წლებიდან დაიწყო მთაურობის რეპრესიები მათ წინააღმდეგ, XVII ს. დამდეგს კი – მათი ემიგრაცია ნიდერლანდში, შემდეგ ჩრდ. ამერიკაში.

ალავერდი.
XI ს. საკათედრო ტაძარი
(ახმეტის რ-ნი)



„ნიკორწმინდა“.
1010-1014 წწ. ეკლესია
(ამბროლაურის რ-ნი)



გელათის XVI ს. საკათედრო ტაძარი (ტყიბული



ბანა. ეკლესიის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. VII-X სს.

ხახულის ქართველთა X ს. მონასტერი. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია

ოშკი – XII ს. ქართველთა მონასტერი. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია



შატბერდი.
IX ს. ქართველთა მონ[illegible]ერი.
ამჟამად თურქეთის საზღვრებშია



არტანუჯის ციხე (V ს.).
ამჟამად თურქეთის
საზღვრებშია

ქართველთა (ივერთა) X ს. მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში

ჯვარის (XI ს.) ქართველთა მონასტერი იერუსალიმში



პეტრიწონი – XI ს. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში



ჯვარის (XI ს.) ქართველთა მონასტერი იერუსალიმში

არტანუჯის ციხის (V ს.), IX ს-ის შიდა ეკლესია, ამჟამად თურქეთის საზღვრებშია

ხანძთა VIII ს.
ქართველთა მონასტერი.
ამჟამად თურქეთის საზღვრებშია

ოპიზა – V-VI სს. ქართველთა მონასტერი, აღდგენილი VIII საუკ[illegible]
ამჟამად ნანგრევებიღაა შემორჩენილი თურქეთის ტერიტორიაზე

ფიტარეთი – მონასტერი, 1213-1222 ღვთისმშობლის ეკლესია (თეთრიწყაროს რ-ნი)



არტანუჯი. ციხე და ნაქალაქარი. V ს.

იშხანი. გუმბათის ხედი ჩრდილო-დასავლეთით. VII-XI სს.

ხანძთა. მონასტრის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. VIII-XV

ოშკი. გუმბათის ხედი აღმოსავლეთით. X ს.



წმ. ეკატერინეს IV ს. მონასტერი სინას მთაზე (ეგვიპტე)
VI ს-დან მოღვაწეობდნენ ქართველი მონაზვნებიც

ქართველთა (ივერთა X ს.) მონასტერი ათონის მთაზე (საბერძნეთი)

ხახული.
არწივის რელიეფი ეკლე
სამხრეთ ფასადზე. X ს.



ოთხთა ეკლესია. მონასტრის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. X ს.

კავკასიძეების ციხე
(ოთხთა ეკლესიის ციხე).
ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
შუა საუკუნეები



ქაჯისციხე. შუა საუკუნეები

ყველისციხე. ხედი სამხრეთიდან. შუა საუკუნეები

თეთრციხე. ციხე და ნაქალაქარი ჩრდილის ტბის კუნძულზე

კავკასიძეების ციხე (ოთხთა ეკლესიის ციხე). ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. შუა საუკუნეები

დოლისყანა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან X ს.



ტბეთი.
აღმოსავლეთ ფასადი. X ს.



პარხალი. ქართული წარწერა სამხრეთ ფასადზე. X ს.

ქ

ᲫᲐᲑᲔᲨᲘ – სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. მულხრის (ენგურის მარჯ. შენაკადი) ნაპირზე, მესტიიდან 15 კმ. სოფელში დგას XI ს. მაცხოვრის ეკლესია, ნაგები შირიმის თლილი ქვით. აღმოსავლეთით ეკლესიას სამწახნაგა შვერილი აბსიდი აქვს. სამმალიანი ქვის კანკელის წინ, ქვის ოთკუთხა კვარცხლბეკზე აღმართულია ხის ჯვარი. საკურთხევლის კედელში დატანებულია ორი ღრმა უბე, სადაც სამალავში შესასელელია მოწყობილი. ინტერიერში შემონახულია მოხატულობის ფრაგმენტები.

ᲫᲐᲚᲔᲗᲘ – ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ადრინდელი შუა საუკუნეების კახეთის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი, რომელიც მდებარეობდა მდ. იორის შუა წელზე, ამჟამად სოფ. სიონის წყლით დაფარულ მიდამოებში. ჟალეთი პირველად იხსენიება X-XI სს. ისტ. წყაროში („მოქცევაჲ ქართლისაჲ"). ეს სახელწოდება შემორჩა ყოფ. სოფ. ჭოტაანთკარის აღმოსავლეთით, მდ. იორის მარცხენა სანაპიროზე აღმართულ მთას, მასზე განლაგებული მცირე ეკლესიით და ციხე-სიმაგრით (XI-XII სს.). ეპიშტი ბაგრატიონის აზრით, „ჟალეთი" იგივე „ჩელეთია", სადაც ეპიტანგ გორგასალმა V ს. ააგო საეპისკოპოსო საკათედრო ტაძარი („ქართლის ცხოვრება", I, 199). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს უკანასკნელი გაიგივებულია სოფ. სიონის ტერიტორიაზე 1950-1962 წწ. გათხრილ ბაზილიკასთან, რომელიც ამჟამად გადატანილია საქ. ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმში (თბილისში). ისტორიული „ჟალეთის ქვეყანაში" ამჟამად წყლით დაფარულ სოფ. საყარაულოსთან ახლოს, იორის მარჯვენა შემაღლებულ ნაპირზე დგას კიდევ ერთი სამნაოიანი ბაზილიკა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „წმ. გიორგის ხატს" უწოდებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მას ჟალეთის ეკლესიას უწოდებენ, ბაზილიკა თარიღდება IX-X სს-ით.

ᲫᲐᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ (ᲚᲐᲚᲘᲐ) – ქართველთა მონასტერი კუნძულ კვიპროსზე, დაარსებული X ს-მდე (ამ მონასტერში გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი X ს-ისაა). დავით აღმაშენებლის (1689-1725 წწ.) ისტორიკოსი გვამცნობს, რომ დავითმა დიდძალი შესაწირავები გაუგზავნა საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებს და მათ რიცხვში ასახელებს კვიპროსსაც (იგულისხმება ჟალიას მონასტერი. იხ. ქართლ. ცხ. I,352-353). თამარ მეფემ (1184-1207) მეორედ „აღაშენა და შეამკო ყოველთა წესითა" (ქართლ. ცხ. II,91). მოგვიანებით ქართველმა პილგრიმებმა (ტიშოთე გაბაშვილმა 1858 წ. და იონა გედეონიშვილმა 1784 წ.) კვიპროსზე ქართველ მოღვაწეთა ნაკვალევი ეღარ ნახეს. 1981 წ. ამერიკელმა მეცნიერმა ე. ჯობაძემ შეისწავლა მონასტრის ნანგრევები (იხ. Oriens Christianus, t. 68, 1984, გვ. 196-209), რომელიც მდებარეობს მდინარე იალიას მარჯვენა ნაპირზე, კრისოხორის ყურის ჩრდ. სანაპიროს აღმოსავლეთით, დაახლ. 7 კმ-ის დაშორებით, მთაზე, რომელიც გადაჰყურებს ქალაქ იალიას, და ეჭვმოუტანელი მონაცემებით დააღასტურა, რომ ეს მონასტერი არის ქართულ წყაროებში მოხსენიებული ჟალიას მონასტერი. ამჟამად იგი დანგრეულია და ფიჭვნარით დაფარული. მონასტრის ეკლესიას სწორკუთხა ფორმა აქვს. ნაგებია მოშწვარ ქვიშაქვით. ქვები დაწყობილია თანაბარ რიგებად. ეკლესია მოხატული ყოფილა, ოღონდ დღეს მისი მცირე ფრაგმენტებიღა შემორჩენილი. მნიშვნელოვანია ქართული წარწერები ვედრების ფორმულით, შესრულებული მრგლოვანი ანბანით, ამოკვეთილი საშრეთის ალაყაფის კარის დასაყრდენ წირთხლზე. ისინი XIII-XIV სს. უნდა იყოს. მათ შორის ერთი – „ღმერთმა შეუნდოს ნიკოლოზს" – წმ. მოწამე ნიკოლოზ დვალს უნდა გულისხმობდეს, რომელიც მისი სვინაქსარული „წამების" მიხედვით (ძეგლები IV,349) სწორედ კვი-

როსზე იყო ამ დროს. ჯალიას მონასტერში ქართველ მონაზონთა მწიგნობრულ საქმიანობას ადასტურებს X ს. ქართული ხელნაწერი — ფსალმუნთა განმარტება (ამჟამად პეტერბურგის აღმოსაელეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული H 18), რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „ხოლო დაიწერა კუარეს ქართველთა მონასტერსა ჯალიას, არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორს მონასტრისაგან“ (თ. ყორდანია, ქრონიკ. II, 128): ქართველ მონაზვნებს კუპროსზე სხვაგანაც უნდა ემოღვაწათ. სახელდობრ, ქართულ სიძველეთა ნაშთი აღმოჩნდა ერთ ბერძნულ სავანეში — კიკოს მონასტერში, ჯალიასთან ახლოს.

ჯამ-გულანი — ღვთისმსახურების წიგნი, გულანის შემოკლებული რედაქცია. ჯამ-გულანების შედგენილობა მცირეოდენ განსხვავებას ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითადი შედგენილობა დახლოებით ასეთია: ჯამნი, დაუდგომელნი, ღვთისმშობლისანი, ლოცვები ზიარებისანი, საწელიწდო სვინაქსარი, იბაკონი მარხვათა და ზატიკთანი, დასდებელნი აღდგომისანი, სახარებანი საცისკრონი აღდგომისანი ათერთმეტნი, გალობანი ყოველთა წმიდათანი წესსა ზედა ტუბიკონისასა, გალობანი წმიდისა ღვთისმშობლისანი ყოველთა განსაცდელთათჳს, ლოცვანი სინანულისანი და აღსარებისანი შეერდომითნი.

ჯამთაალმფრელი — XIV ს. ანონიმი ისტორიკოსი, რომელსაც დაუწერია საქართველოს ისტორია XIII ს. 10-იანი წლებიდან XIV ს. 10-იან წლებამდე (თხზულება შესულია „ქართლის ცხოვრებაში“, II, 151-325). ისტორიკოსი კარგად იცნობს თაეისი დროის საეკლესიო მწერლობას, იყენებს ქართულ ისტორიოგრაფიულ (შუეთა წიგნი, ბაღუაშთა წიგნი, ვინმე მღვიმელი ბერის თხზულება და სხვ.) და ბერძნულ-ბიზანტიურ, სომხურ და სპარსულ წყაროებს. იგი კარგად იცნობს საქართველოს და მასთან კაეშირში მყოფი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის საკითხებს. ჟამთაალმწერელი ქრისტიანულ ზნეობისა და მსოფლმხედველობის გამოშხატველია. მას ღრმად სწამს სალვთო განგება და სასწაულები. საქართველოს მარცხს გარეშე მტრებთან ბრძოლაში, მის დაქვეითება-დაცემას იგი მიიწნეეს ზეგარდამო სასჯელად, მთელი ხალხის და, პირველ ყოველისა, მეფე-მთავართა ცოდეების გამო.

ჯამი — დრო, საათი. ებრაელებს ქრისტიანობის წარმოშობის პერიოდში ღლისა და ღამის საათებად დაყოფისას (თითოეულში 12-12 საათი) ღამეს რომაელთა მსგაესად ოთხ ნაწილად ჰყოფდნენ და თითოეულს „ჯამილაეს“ (ღამის სადარაჯო დრო) უწოდებდნენ. თითოეული „ჯამილაეი“ 3 საათს გრძელდებოდა. პირველი „ჯამილაეი“ იწყებოდა მზის ჩასელიდან (საღამოს 7 საათი), გრძელდებოდა 3 საათს (7, 8, 9 საათები) და ეწოდებოდა „მწუხრი“ (მარკ. 11,19). მეორე „ჯამილაეი“ იწყებოდა „მწუხრის“ დამთაერებიდან (ღამის 10 საათი), გრძელდებოდა სამ საათს (10, 11, 12) შუაღამეზე (ღამის 12 საათი) და ეწოდებოდა „შუაღამე“ (მათე 25,66). მესამე „ჯამილაეი“ იწყებოდა „შუაღამის“ გასელიდან (ღამის I საათი), გრძელდებოდა 3 საათს (1, 2, 3) და ეწოდებოდა „ქათმისკმობა“ (მარკ. 13, 3, 4). მეოთხე „ჯამილაეი“ იწყებოდა „ქათმისკმობის“ დამთაერებიდან (დილის 4 ს.), გრძელდებოდა 3 საათს (4, 5, 6) და ეწოდებოდა „განთიადი“ (მარკ. 13,34) ან „ცისკარი“. ღლის საათებიც ღამის დაყოფის ანალოგიით 4 ნაწილად გაიყო, თითოეულში 3-3 საათი (trihoria). პირველ ნაწილს „ჯამი პირველი“ ეწოდა და მოიცაედა დილის 7, 8, 9 საათებს, მეორეს — „ჯამი მესამე“ („ხოლო იყო ჯამი მესამე და ჯუარს-აცუეს იგი“ — მარკ. 15, 24), და შეიცაედა დილის 10, 11, 12 საათებს; მესამე ნაწილს „ჯამი მეექუსე ეწოდებოდა“ („და ეითარცა იყო ჯამი მეექუსე, ბნელ იყო ყოველსა ქუეყანასა“ — მარკ. 15, ფს. I) და მოიცაედა შუაღლის 1, 2 და 3 საათებს, მეოთხე ნაწილს — „ჯამი მეცხრე“ („და მეცხრესა ჯამსა კმა-იყო იესუ ქრისთა დიდითა“ — მარკ. 15, 32) და მოიცაედა ნაშუაღლევის 4, 5 და 6 საათებს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ შეითვისა დღე-ღამის ასეთი დაყოფა და თითოეულს გარკვეული ღვთისმსახურება მიუსადაგა იმისდა მიხედეით, თუ რომელ დროს, საათს ქრისტეს ქეეყნიური ცხოვრების რომელი ეპიზოდი უკავშირდება. ასე ჩამოყალიბდა ყოველდღიური საზოგადო ღვთისმსახურება, რომელიც მოიცაეს დღე-ღამის ზემოთდასახელებულ საათებთან მისადაგებულ მსახურებას, რომელთაც შესაბამისად ეწოდებათ: „მწუხრი“, „სერობა“, „შუაღამის ჯამი“, „ცისკრის ჯამი“, „ჯამი პირველი“, „ჯამი მესამე“, „ჯამი მეექუსე“, „ ჯამი სამხრისა“ (ლიტურგია ანუ ჯამისწირვა), „ჯამი მეცხრე“ (იხ. თითოეულ მათგანთან).

„ჯამი მეექუსე“ — ყოველდღიური საეკ-

ლესიო მსახურება, რომელიც სრულდება „მეექუსე ჟამს“, ე. ი. დღის 1-3 საათებში („ჟამი“), ლიტურგიის წინ „მეექვსე ჟამის“ მსახურება შემოღებულია სახარების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც იესო ქრისტე სამჯერ მიაჭედეს ჯვარზე, რომელიც გოლგოთამდე თვით მან ზიდა, („და იყო პარასკევი პასექისა და ჟამი იყო მეექუსე... სადა-იგი ჯუარს-აცუეს“ იოან. 19, 14-18), მეექვსე ჟამის ღვთისმსახურებაზე, შესაბამისად დროისა, იგალობება „სამწალობნი“ — 53-ე, 54-ე და 90-ე ფსალმუნები, რომლებშიც აღწერილია ლოცვა უფლისადმი მისი შეწევნის სასოებით და წინასწარმეტყველურადაა მითითებული იუდას გამცემლობა, უფლის ენება, სიბნელე, რომელმაც დაფარა ქვეყანა მეექვსე ჟამიდან მეცხრე ჟამამდე, გამოხატულია იმათი ბედნიერება, ვინც მიმართავს უფალს შეწევნისათვის. დიდმარხვის დღეებში მეექვსე ჟამის მსახურება შერთებულია მესამე და მეცხრე ჟამის ღვთისმსახურებებთან, ხოლო საუფლო დღეებში ყველა ჟამის ღვთისმსახურება ერთად სრულდება (1, 3, 6, 9): პასქის დღეებში მესამე ჟამის ღვთისმსახურება, ისევე როგორც დანარჩენი ჟამებისა, სრულდება „სამწალობნის“ გარეშე. მეექვსე ჟამის ჩვეულებრივი დღეების ღვთისმსახურება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველს შეადგენს ლოცვები: „სამწალობნი“, საწინასწარმეტყველო (ზოგჯერ), სამოციქულო და სახარება, მეორეს — ლოცვები და საეკლესიო საგალობლები. მეექვსე ჟამის ღვთისმსახურების მასალა წარმოდგენილია „ჟამნსა“ და „კონდაკში“, ხოლო განგება — „ტიპიკონში“.

„ᲣᲐᲛᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ“ — ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება „მესამე ჟამს“, ე. ი. დილის 10-12 საათებში (იხ. ჟამი), ლიტურგიის წინ. მესამე ჟამის მსახურება შემოღებულია სახარების ორი ეპიზოდის მოსაგონებლად: 1. მესამე ჟამს ჯვარს აცეს იესო ქრისტე („ხოლო იყო ჟამი მესამე და ჯუარს-აცუეს იგი“ (მარკ. 15,24). 2) ჟამსა მესამესა სულიწმიდა გარდამოეიდა მოციქულებზე. შესაბამისად დროისა, რომელსაც ეს ფაქტები მომხდარა, მესამე ჟამის ღვთისმსახურებაზე იგალობება „სამწალობნი“: მე-16, 24-ე და 50-ე, რომლებშიც ერთად სრულებასთან ერთად, რომ უფალმა გვასწავლოს სიარული მის ნაკვალევზე, გამოხატულია უფლის მქეცნიერი ცხოვრების ენების გზა მტრების გარემოცვაში, აღამიანთა შეცოდებანი უფლის წინაშე და ცოდვების მონანიება და ვედრება სულიწმინდის მოფენაზე.

მესამე ჟამის (ისევე როგორც პირველი, მეექვსე და მეცხრე) ღვთისმსახურება ჩვეულებრივ დღეებში განსხვავდება დიდმარხვის, სამეუფო და პასქალური დღეების მესამე ჟამის მსახურებისაგან (იხ. „პირველი ჟამი“).

დიდმარხვის დღეებში მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის მსახურება სრულდება ერთად, ხოლო სამეუფო ჟამის დღეებში ყველა ჟამის (1,3,6,9) ღვთისმსახურება სრულდება ერთად. პასქის დღეებში ყველა ჟამის და, მათ შორის, მესამე ჟამის მსახურება სრულდება „სამწალობნის“ გარეშე. მესამე ჟამის ჩვეულებრივი დღის ღვთისმსახურება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილს შეადგენს ლოცვები, სამწალობნი, საწინასწარმეტყველო (ზოგჯერ სამოციქულო) და სახარება, მეორეს — ლოცვები და საეკლესიო საგალობლები. მესამე ჟამის ღვთისმსახურების მასალა წარმოდგენილია „ჟამნსა“ და „კონდაკში“, ხოლო განგება „ტიპიკონში“.

„ᲣᲐᲛᲘ ᲛᲔᲔᲪᲮᲠᲔ“ — ყოველდღიური საეკლესიო მსახურება, რომელიც სრულდება „მეცხრე ჟამს“, ე. ი. ნაშუადღევის 3-6 საათებში (იხ. ჟამი) მწუხრის ღვთისმსახურების წინ, იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც მან, ჯვარცმულმა, წამებისა და დამცირების შემდეგ სული გაუტევა („და მეცხრე ჟამსა ჰა-ყო იესო ჴმითა დიდითა... და განუტევა სული“ მარკ. 15, 32-35). ამ ეპიზოდის მოხსენიების შესაბამისად, მეცხრე ჟამის ღვთისმსახურებაზე სრულდება „სამწალობნი“: 83-ე, 84-ე და 85-ე, რომლებშიც გადმოცემულია წინასწარმეტყველება ადამიანთა ცოდვების უფლის მიერ გამოსყიდვისა, მაცხოვრის ჯვრისწიებში ჩასვლისა ცოდვილთა სულების გამოსახსნელად. მეცხრე ჟამის ღვთისმსახურების მასალა წარმოდგენილია „ჟამნსა“ და „კონდაკში“, ხოლო განგება — „ტიპიკონში“.

„ᲣᲐᲛᲘ ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ“ — ყოველდღიური ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება მზის ამოსვლის ჟამს (7 საათიდან). ამიტომ ხშირად „მზისაა“-ს უწოდებენ. იგი დაწესებულია სახარების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც შუშორკილი იესო ქრისტე ებრალება მღვდელმთავარ კაიაფასაგან წამოიყვანეს და იუდეველთა მეუხისაცლის, პილატეს წინაშე წარადგინეს (იოანე 18,27-28). შესაბამისად, განთიადისას,

როდესაც ეს ფაქტი მოხდა („და იყო განთიად“), პირველი ჟამის ღვთისმსახურებაზე იგალობება „სამფსალმუნი“ – მე-5, 89-ე და მე-100 ფსალმუნები, რომლებიც გამსჭვალულია სასოებით და მადლიერებით ღვთისადმი.

პირველი ჟამის (ისევე, როგორც მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამებისა) წეს-ჩვეულებრივი დღეების ღვთისმსახურებისაგან განსხვავებულია დიდმარხვის, სამეუფო და სასაუბრო პირველი ჟამის ღვთისმსახურება. დიდმარხვის ჟამის ღვთისმსახურება (ყველა ჟამისა) სრულდება: 1. ყველიერის ოთხშაბათსა და პარასკევს, მაგრამ თუ ამ დღეებში საქალესიო დღესასწაული დაემთხვევა, შესრულდება პირველი ჟამის (და დანარჩენი ჟამების) ჩვეულებრივი ღვთისმსახურება. ასეთი დღესასწაულებია: მიგებება (2 თებერვალს) და ეკლესიის დღესასწაული. 2. დიდმარხვის 1, 2, 3, 4, 5 და 6 კვირიაკეების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. 3. ვნების კვირიაკის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს.

„სამეუფო ჟამის“ პირველი ჟამის ღვთისმსახურება შეერთებულია მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის მსახურებასთან.

პასქის დღეების განმავლობაში, მთელ ბრწყინვალე შეხედულში, შაბათის ჩათვლით, პირველი ჟამის ღვთისმსახურება სრულდება „სამფსალმუნის“ გარეშე. პირველი ჟამის ღვთისმსახურების მასალა, ისევე, როგორც სხვა ჟამებისა, წარმოდგენილია „ჟამნა“ და „კონდაკში“, ხოლო განგება – „ტიპიკონში“.

ᲬᲐᲛᲘ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲡᲐ – ჩადენილი ცოდვის მონანიების ვადა, იხ. სინანული.

ᲬᲐᲛᲘᲡᲬᲘᲠᲔᲑᲐ (ბერძნ. „ლიტურგია“ – საერთო მსახურება) – უმთავრესი ღვთისმსახურება მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მისი ძირითადი შინაარსია უსისხლო მსხვერპლის შეწირვა და მორწმუნეთა ზიარება წმ. საიდუმლოთი – ქრისტეს ჭეშმარიტი ხორცითა და სისხლით. საღვთისმო ღვთისმსახურების დანარჩენი განგებანი (მწუხრი, სერობა, შუაღამე, ცისკარი, I, III, VI, IX ჟამები) წარმოადგენს მორწმუნეთა მოშზადებას ჟამისწირვისათვის. რადგან ჟამისწირვა თვით უფლის მიერაა დადგენილი საიდუმლო სერობაზე, კაცთა მიმართ მისი სიყვარულისა და ღვაწლის მადლობით მოსახსენებლად, ამიტომ ჟამისწირვას ევქარისტიასაც (ბერძნ. „მადლობა“) უწოდებენ. ჟამისწირვის შესრულების უფლება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს ან ხუცესს (მღვდელს). დიაკონსა და უფრო დაბალი იერარქიის პირს ამის უფლება არა აქვს. ჟამისწირვის შესრულება არ შეიძლება სამლოცველოებში, სენაკებსა და კერძო სახლებში; არამედ მხოლოდ ნაკურთხ ეკლესიაში, რომელშიც მოწყობილია სამსხვერპლო და რომელშიც ინახება მღვდელმთავრისაგან კურთხეული ოდიკი. ერთ სამსხვერპლოზე ერთსა და იმავე დღეს არ შეიძლება ორი ჟამის-წირვის შესრულება. ეპისკოპოსსა და მღვდელს უფლება აქვთ, ერთ დღეს მხოლოდ ერთი ჟამისწირვა შეასრულონ.

თავდაპირველად ეკლესიაში სრულდებოდა ჟამისწირვა წმ. მოციქულთა განწესებების მიხედვით (ჟამისწირვის წეს-განგების შადგენეს პეტრე, იაკობ, მარკოზ და სხვა მოციქულებმა). ამჟამად კი სრულდება წმ. მღვდელმთავართა მიერ შეთხზული საღვთო ჟამისწირვები: იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და პირველშეწირულთა (გრიგოლ დიალოღონისა). ჟამისწირვის ლოცვები და კერექსები (მღვდლებისა და დიაკონთათვის) წერია „კონდაკში“.

ᲬᲐᲛᲘᲡᲬᲘᲠᲔᲑᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ – ჟამისწირვის განგება, შედგენილი წმ. ბასილი დიდის (IV ს.) მიერ. ბასილის ჟამისწირვა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მღვდელმსახურნი ღვინოსა და პურს ამზადებენ ზიარების საიდუმლოსათვის. ჟამისწირვის ამ ნაწილს პროსკომიდია ეწოდება. მეორე ნაწილი ჟამისწირვისა შეიცავს ლოცვებს, საკითხაებს და სავალობლებს, რომლითაც მორწმუნენი ემზადებიან ზიარებისათვის და რომელზედაც კათაკმევლებსაც შეუძლიათ დასწრება: ჟამისწირვის ეს ნაწილი იწოდება „კათაკუმენელთა ლიტურგიად“. მესამე ნაწილია ევქარისტია – საღვთო მსხვერპლის შეწირვა და წმ. საიდუმლოს ზიარება. ჟამისწირვის ამ ნაწილს ესწრებიან მხოლოდ ნათლღებული ქრისტიანები, რის გამოც მას „მორწმუნეთა ლიტურგიას“ ეუწოდებენ.

ბასილი დიდის ჟამისწირვა წელიწადში 10-ჯერ სრულდება (დიდი მარხვის I, II, III, IV, V კვირას; ქრისტეს შობისა და ნათლისღების დღეს ან მათ წინადღეებთ; დიდ ხუთშაბათსა და დიდ შაბათს; 1 იანვარს – ბასილი დიდის ხსენების დღეს).

ᲬᲐᲛᲘᲡᲬᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲐ – ჟამისწირვის განგება, შემოღებული წმ. იოანე ოქროპირის მიერ (VI ს.). აეტორი მისი

შედგენისას დაეყრდნო ბასილი დიდის ჯამისწირვას, რედაქციულად დაამუშავა მისი ზოგიერთი ნაწილი, უმეტესწილად კი უცვლელად გადმოიტანა. გარდა იმ დღეებისა, როდესაც სრულდება ბასილი დიდისა და პირველშეწირულის ლიტურგიები, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ყოველთვის სრულდება იოანე ოქროპირის ჯამისწირვა. იხ. ჯამისწირვა; ბასილი დიდის ჯამისწირვა.

ჯამნი — ყოველდღიური საზოგადო ღვთისმსახურების წიგნი, რომელშიც თავმოყრილია მწუხრის, სერობის, შუაღამის, ცისკრისა და სხვა „ჯამების“ (პირველი, მესამე, მეექვსე და მეცხრე) ლოცვები და საგალობლები, რომლებიც მუდმივად, ყოველთვის იკითხება და იგალობება დასახელებულ ღვთისმსახურებებზე. მწუხრისა და ცისკრის ღვთისმსახურება მთლიანად წარმოდგენილია „კონდაკსა“ და „ჯამში“: კონდაკში წარმოდგენილია ლოცვები, რომელსაც წარმოთქვამენ მღვდელი და დიაკონი ამ მსახურებებზე, ხოლო „ჯამში“ — ფსალმუნები, რომლებიც კითხულობს წიგნისმკითხველი, და საგალობლები, რომლებსაც ასრულებენ მგალობლები.

წიგნის სახელწოდება „ჯამი“ წარმოდგება „ჯამი“-დან (საათი, დრო), რადგან მასში წარმოდგენილი სადღეღამისო ციკლის თითოეული ღვთისმსახურება გარკვეული ჯამის ღვთისმსახურება. გარდა ზემოთჩამოთვლილი განგებებისა, „ჯამნი დამატებით შეიცავს: ა). ღილის ლოცვებს, რადგან ისინი იკითხებიან „შუაღამიანის“ შემდეგ. ბ). პანაქიის ამაღლების განგებას, რადგან იგი მონასტრებში სრულდება ადრილის ჯამნის შემდეგ. გ). ღვთისმშობლის კანონს, რადგან ის იკითხება ეკლესიაში დიდი სერობის შემდეგ. დ). ძილის წინა ლოცვებს, რადგან ისინი იკითხებიან „სერობის“ შემდეგ. ეს დამატებები „ჯამნში“ შეტანილია (და არა სხვა წიგნებში) იმიტომ, რომ ისინი იკითხებიან და იგალობებიან იმ მსახურებათა შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილია ჯამნში. „ჯამნის“ დამატებებში შეტანილია აგრეთვე: ტროპარები, კონდაკები, ღვთისმშობლისანი, წარდგომანი, განიცადენი, რომლებიც შეიდეულის დღეებისა და საწელიწდო დღეების ღვთისმსახურებას ეკუთვნიან. „ჯამნს“ ერთვის „თეთა-შეტყუებანი“ (წლიური კალენდარი), რომელიც შეიცავს წმინდანთა მოკლე ცხოვრებებს, დღესასწაულებს, მათ ტროპარ-კონდაკებს და სხვ.

ჯამუში — სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. მულხრის (ენგურის მარჯ. შენაკადი) მარცხენა შტოს, მესტიიდან 11 კმ. სოფელში დგას XI ს. მაცხოვრის ეკლესია. ცნობილია ჯამუშის ამხედრებული წმ. გიორგის X ს. ხატი და საკურთხეველის წინ აღმართული ჯვარი (118 სმ.).

ჯანენ რაიმეონ — ფრანგი ისტორიკოსი, რომელმაც 1913 წ. გამოსცა წიგნი „ქართველები იერუსალიმში“, რომელშიც მრავალი საინტერესო ცნობაა მოტანილი ქართველი მონაზვნების იერუსალიმში და მის ახლომახლო მდებარე მონასტრებში მოღვაწეობის შესახებ. წიგნი ჯერ კიდევ 1921 წელს თარგმნა ქართულად და გამოიცა სტამბოლში. მანვე მოუძღვნა სტატია გიორგი მთაწმიდელს (1965 წ.), რომელშიც ლაპარაკია წმინდანის ცხოვრების ქართული ტექსტის სამი თაეის XIII ს-ში შესრულებული ბერძნული და ლათინური თარგმანების შესახებ (გამოაელინა პოეშანმა), ასევე სტატია ეუსტათი მცხეთელზე (1964წ.).

ჯახუნცლერი — სოფელი ლენტეხის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარჯ. მხარეს. სოფელში შემორჩენილია თლილი ქვის ნაგები შუა საუკუნეების წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთის სარკმელი მოჩუქურთმებულია. ჯახუნცერის ეკლესიის ხის მოჩუქურთმებული კარი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ჯებოტა (ფოჭ. მათურიანთკარი) — სოფელი თიანეთის რაიონში, მდ. იორის მარცხ. ნაპირზე, თიანეთიდან 1 კმ. სოფლის მიდამოებში, იხინგის მთის წვერზე დგას შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომლის ახლოში სარკმლის გვერდით შემორჩენილია მხატვრობა და წარწერები. ეკლესიის გვერდით არის ოთხკუთხა კოშკი, რომლის მეორე სართულზე სამლოცველოა. გალავნის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო. მთის ძირში დიდი ნამოსახლარია.

ჯიბიანი — სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირზე, მესტიიდან 40 კმ. სოფელში სამი ეკლესია დგას. მათგან ყველაზე დიდი — ქვით ნაგები ღვთისმშობლის („ლამარია“) X-XI სს-ის ეკლესია — აღმართულია სოფლის თავში, მაღლობზე. ეკლესია შემოზღუდულია კომკით გამაგრებული გალავნით. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით გვიანდელი მინაშენი აქვს,

ხოლო აღმოსავლეთით – სამწახნაგა შვერილი ჰქონდა. ინტერიერში არის ქვის სამმალიანი კანკელი და მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის დასავლეთის ფასადში, შირიმის ქვის ფილაზე არის ლაპიდარული წარწერა XI-XII სს-ისა. ცნობილია ამ ეკლესიის საკურთხეველის წინ დასადგმელი სამი ჯვარი. აქეა წმ. გიორგის („ჯგრაგ") განვითარებული შუასაუკუნეების ეკლესიაც, ქვის კანკელით, XIV ს. მოხატულობის ფრაგმენტებით და გალავნით. ცნობილია ამ ეკლესიის XIV-XV სს.-ის ამხედრებული წმ. გიორგის ხატი. მაცხოვრის შუა საუკუნების მესამე ეკლესია სოფლის ბოლოში დგას. მასაც ინტერიერში სამმალიანი ქვის კანკელი აქვს. ამ ეკლესიიდან არის რამდენიმე ხატი, რომელთაგან აღსანიშნავია მაცხოვრის X ს. და იოანე ნათლისმცემელის XII-XIII სს. ხატები.

ᲫᲘᲜᲯᲐᲚᲘ (ძე. ჟინვანი) – დაბა (1976 წ-დან) ლეშუთის რ-ნში, მდ. არაგვის მარჯვ. ნაპირას, საქ. სამხედრო გზაზე. ქართული ისტორიული წყაროებით (ვახუშტი) აქ „ძველი ქალაქი" აღმოცენდა XII ს. II ნახევარში, ხოლო დასახლება გაცილებით ადრინდელია, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი უამრავი ენეოლითური ხანის ნამოსახლარები, ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ნაკეთობანი, წარმართული ხატი – სალოცავი, შუა ფეოდალური და ანტიკური ხანის სამარხები და სხვ.

ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია მცირე ზომის ეკლესია „კვირაცხოველი", ახლანდ. წყალგამყვანი გეირახის სათავესთან და ნაქალაქარის ჩრდ. ნაწილში; ხევსურეთის გზასა და ფშავის არაგვს შორის 3 ეკლესიაა, რომელთაგან ერთი, XI-XII სს-ისა, გამოყოფილია მცირე წრიული ზღუდით; მეორე – დიდი ეკლესიაა, რომლის გარშემო ორ იარუსად განლაგებული იყო ქვის ფილებით ნაგები ინდივიდუალური და კოლექტიური ქვის სამარხები და მოზრდილი ცრუთაღიანი აკლდამები, რომელიც XII-XIII სს-ით თარიღდება; ნაქალაქარის თავზე დგას „ყელის ციხე" (X-XI სს.) და ციხის ეკლესია (XVI-XVII სს.).

ᲫᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲗᲐᲠᲘ – წვრილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება ძველ სამეგრელოში.

ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ ᲗᲔᲓᲝ (თედორე) (1854-1916) – ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1875 წ, და მოსკოვის სასულიერო აკადემია (1879 წ.). მუშაობდა თბილისის სასულიერო სწავლებულის პედაგოგად, შემდეგ – საეკლესიო მუზეუმის გამგედ, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მთვალყურედ, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსების ინსპექტორად და სხვ. თედო ჭორდანია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1880 წლიდან), საეკლესიო საარქეოლოგიო საბჭოს წევრი (1889 წლიდან), საეკლესიო სიძველეთა საკაის მზრუნველი კომიტეტის წევრი (1899 წლიდან), საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი (1907 წლიდან).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალჯერ მოგზაურობის დროს თ. ჭორდანიამ შეკრიბა დიდძალი მასალა (ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.), კრიტიკულად განიხილა და გამოაქვეყნა ისინი და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თავის „ქრონიკებში" (ტ. I, 1892 წ. ტ. II, 1875 წ.; მესამე ტომი გამოვიდა მკვლევარის სიკვდილის შემდეგ, 1967 წელს, გ. ჭორდანიას რედაქტორობით). თ. ჭორდანიამ შეადგინა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (2 წიგნი, რუსულ ენაზე), გამოსცა შიომღვიმის საეკლესიო საბუთები (რუსულ ენაზე). მან დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლას (გარდა ზემოაღნიშნულისა, მას ეკუთვნის გამოკვლევები: „ქართული გრამატიკა", „ანტონ I" (რუს. ენაზე, 1891-1893 წწ.), „გურამიშვილი და მისი დრო" (1880წ.) და სხვ.

რ

რაბინი – (ძე. ებრ. „რაბი" – ჩემი მოძღვარი) – ებრაული ოჯახისტური თემის სულიერი მოძღვარი, აღჭურვილი რელიგიური, სასამართლო და აღმზრდელობითი ფუნქციებით. ებრაული კანონით, რაბინი შეიძლება იყოს ის, ვინც სათანადოდ არის დაუფლებული ღვთისმეტყველებას და მორწმუნეა.

რაითი – მონასტერი სინის ნახევარკუნძულზე. იხ. „სინა-რაითის მამათა მოსრვა".

„რაკეთის ჟამ. ნიკოლოზი" – XI ს. დასასრულის ეკლესია აბბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონში. წარწერიანი ქვა ამ ეკლესიიდან გადატანილია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

რამადანი – მუსლიმური კალენდრის (ჰიჯრის) მეცხრე თვე. ისლამის დოგმის მიხედვით, ამ თვეში იქნა ზეგარდამოვლენილი ყურანი. რამადანში მუსლიმანებმა მარხვა უნდა დაიცვან: შიხს ამოსვლიდან შიხს ჩასვლამდე იკრძალება ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა, კეთილსურნელებათა ყნოსვა, რაიმე სიამოვნების მიღება.

„რამაიანა" – უძველესი ინდური ეპოპეა, შექმნილი ე. წ. ეპიკურ სანსკრიტზე, ძვ. წ. IV ს-ში, აღმოსავლეთ ინდოეთში. სახალხო მთქმელების მიერ შეკრებული და მოდიფიცირებული სახალხოდ ჩამოყალიბდა ახ. წ. II ს-ში. „რამაიანას" ავტორობას მიაწერენ ლეგენდარულ ინდოელ პოეტს ვალმიკის. თხზულება ასახავს ლეგენდარული მეფის, რამას საგმირო საქმეებს. „რამაიანას" უდიდესმა პოპულარობამ განაზღვრა მისი გმირების გაღმერთება შუა საუკუნეებში. იგი იქცა ვიშნუიზმის ერთ-ერთ წმინდა წიგნად. რედაქციული გადამუშავების შედეგად მასში გაჩნდა რელიგიური ელემენტი, რამამ დაკარგა ადამიანური სახე; წარმოდგენილ იქნა, როგორც ღმერთ ვიშნუს VII ინკარნაცია. პირველი და მეშვიდე წიგნები გვიანდელი წარმოშობისაა, გამოირჩევა რელიგიური მორალის მკაცრაგებლობით, ენობრივად და შინაარსობრივად განსხვავდება სხვა ნაწილებისაგან. „რამაიანამ" დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდში კლასიკურ სანსკრიტზე შექმნილ ეპიკურ პოეზიაზე, მისი ეერისები შეტანილია „მაჰაბარატას" ეპიკურ ციკლებში და პურანებში, ბუდისტური და ჯაინისტური ლიტერატურის ძეგლებში. მათ დიდი როლი შეასრულეს ახალი ინდური ლიტერატურის ჩამოყალიბებაში.

რამაზი – მოხსენებულია ბოლნისის სიონის ეზოში ნაპოვნი რელიეფური სტელის (VII ს.) ლაპიდარულ წარწერაში. წარწერა ფრაგმენტულია; ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (1948 წლიდან).

რამაკრიშნა (საერო სახელი – გადადარ ჩატერჯი; 1836-1886 წწ.) – ინდოელი ფილოსოფოს-მისტიკოსი, რელიგიური რეფორმატორი, ნეოინდუიზმის წარმომადგენელი. რამაკრიშნას აზრით, ყველა რელიგია მხოლოდ სხვადასხვა გზას წარმოადგენს ღმერთისაკენ. თავის თავს იგი აბსოლუტური იდეალიზმის – ვედანტას მიმდევრად თვლიდა, მაგრამ აღიარებდა მატერიალური სამყაროს რეალობას. ამით ცდილობდა, გაეერთიანებინა აბსოლუტური მონიზმი (ადვაიტა) და შეზღუდული მონიზმი (ვიშიშადვაიტა). მისი მიმდევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრაქტიკულ მოძღვრებას, რომელსაც გადმოსცემდა ქადაგების დროს. რამაკრიშნას მოწაფისა და მიმდევრის, ვივეკანანდას მიერ დაარსებული საზოგადოება „რამაკრიშნას მისია" (1897 წ.) დღესაც მთავარი რელიგიური ცენტრია ინდოეთში.

რაჟდენ პირველმოწამე († დაახლ. 457 წ.) – ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწე, გაქრისტიანებული სპარსი, გამზრდელი (მამამთქე) ვახტანგ გორგასლის მეულლისა (ირანის შაჰის ასულისა), რომელსაც გამოჰყვა ქართლში. ირანელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის ომის დროს რაჟდენი ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს. შაჰმა მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა. მიუხედავად ტანჯვა-წამებისა, რაჟდენი არ დაუბრუნდა ცეცხლთაყვანისმცემლობას და „ღირსი წარუვალი ოგი დიდებაჲ" („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 199). მაშინ შაჰმა ის გაგზავნა წერაში დაბანაკებულ ირანელთა ლაშქრის მეთაურთან, რომელმაც რაჟდენი სიკვდილით

დასაჯა – ძელზე გააკრეს და ისრები დაუშინეს. რაჭდენიც ხნის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ინიციატივით, რაჟდენის ნეშტი ნიქოზის ეკლესიაში გადაასვენეს. ვახტანგმა ეს ეკლესია საეპისკოპოსო კათედრად აქცია. რაჟდენის წამების ისტორია მოთხრობილია ვახტანგ გორგასლის ისტორიაში („ქართლის ცხოვრება", I, 199), ხოლო რაჟდენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აშსაწყისი მეტაფრასული თხზულება – „წამებაჲ და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისთა, სპარსთა მიერ ქართლს შინა, ხოლო ველსა შინა წრომს". ამ ისტორიის საფუძველზე ბესარიონ კათოლიკოსს (ორბელიშვილს; 1730-1737) შეუდგენია საეკლესიო საკითხავი რაჟდენის ხსენების დღისათვის (3 აგვისტო). ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: S 3269, A 170, 176 და სხვ. გამოცემულია: „საქართველოს სამოთხე", გვ. 169-180 და „ძეგლები", V, 64-79 (1989 წ.). XVIII ს-ის 70-იან წლებში რაჟდენისადმი მიძღვნილი ვერცელი თხზულება დაუწერია ანტონ კათოლიკოსს (Q 78, 108-122). გამოცემულია: „ძეგლები", VI, 136- 153.

რასკოლი (რუს. „განხეთქილება") – რელიგიურ-საზოგადოებრივი მოძრაობა XVII ს. რუსეთში. მოძრაობის წარმოშობის მიზეზი იყო საეკლესიო რეფორმა, რომელსაც 1653 წლიდან ატარებდა პატრიარქი ნიკონი. რუსეთის საეკლესიო წესებში სუფევდა ალრეა, რომლის აღკვეთას და უნიფიკაციას ერთდროულად უნდა განეშტკიცებინა რუსეთის ეკლესია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ორი გზა დაისახა: პატრიარქი ნიკონი მოითხოვდა, უნიფიკაცია გატარებულიყო ბერძნული საღვთისმსახურო წიგნების მიხედვით, მეორე ჯგუფი კი ძველ რუსულ საღვთისმსახურო წიგნებს უჭერდა მხარს. ნიკონი მიისწრაფოდა უკარიბნა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებისა და აღმოსაელეთის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან კავშირის განმტკიცებისაკენ. ალექსი მიხეილის ძის მხარდაჭერით ნიკონმა რეფორმა გაატარა 1654-55 წწ. საეკლესიო კრებებზე (ამიერიდან ორი თითის ნაცვლად უკვე სამი თითით იწერდნენ პირჯვარს, წირვის დროს სამგზის წარმოთქვამდნენ „ალილუიას" ორ-ორის ნაცვლად და ა. შ.). ნიკონის რეფორმას მოჰყვა საპროტესტო მოძრაობა „ძველი სარწმუნოების" (Старая вера) დაცვის სახბით. განხეთქილებამ მოიცვა რუსეთის საზოგადოების ყველა ფენა – საერო და საეკლესიო ფეოდალები, ქალაქის მოსახლეობა და, განსაკუთრებით, გლეხები.

რასკოლმა მასობრივი ხასიათი მიიღო 1666-67 წწ. საეკლესიო კრების შემდეგ, რომელმაც შეაჩვენა „სტაროვერცები". განსაკუთრებით ფანატიკურად განწყობილ მორწმუნეთა შორის წარმოიშვა „ცეცხლით მონათლის" (თვითდაწვის) წესი, რომლის მიმდევრები ვოლგისპირეთის, ციმბირის, ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონების ტყეებში გარბოდნენ და თემებად სახლდებოდნენ.

XVII-XVIII სს. მოკვნაზე რასკოლი თანდათან მინელდა. ამას ხელი შეუწყო პეტრე I-ის პოლიტიკამ, რომელმაც შეასუსტა რასკოლის მიმდევრების დევნა, თუმცა მათ გადიდებული გადასახადები დაუწესა. მოგეიანებით რასკოლის მიმდევრები სხვადასხვა სექტად დაიყვნენ.

რატევანი – სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. მაშაველის მარცხენა ნაპირზე, ბოლნისიდან 2 კმ. სოფელში შემონახულია განვითარებული შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

რატი I (ბაღვაში; †1021 წ.) – ძე ლიპარიტ ერისთავისა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, კლდეკარის ერისთავი. გაიფართოვა კლდეკარის საერისთაო. ებრძოდა ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს – ბაგრატ III-ს. 989 წელს იგი ბაგრატმა დაიმორჩილა. რატიმ თავისი სამფლობელო – თრიალეთი კლდეკარის ციხით მეფეს გადასცა, თვითონ კი არგვეთში, მამაპაპეულ მამულში დასახლდა. შემდეგ, ჩანს, მას დაუბრუნეს საერისთაო და ისიც ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას. დაიღუპა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, შირიმნში. პაულე ინგოროყვა რატი I-ს აიგივებს X-XI სს. პიმნოგრაფ რატი ორბელთან და მასვე აკუთვნებს ტიტე მოციქულის ერთ საგალობელს, რომლის აკროსტიქში მოხსენიებულია ავტორის სახელი – რატი (ხელნაწერი H 2337). რატი ერისთავს აუშენებია ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია (982-989 წწ.). მოხსენებულია ამ ეკლესიის დასაელეთის კარის ტიმპანის ლაპიდარულ წარწერაში. მისი შეკვეთით აუგიათ შეპიაკის ეკლესიაც (ამჟამად წყლითაა დაფარული, მოქცეულია ხრამჰესის ხელოვნურ საგუბარში 1947 წლიდან). ამის შესახებ ცნობას იძლევა ასომთაერული წარწერა რელიეფური და მოჩუქურთმებული კამარით გაფორმებულ ტიმპანზე (სამხრეთის კარის თაღზე; წარწერიანი ქვა დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). რატი ერისთავი ქტიტორად მოიხსენიება დაშბაშის (წალკის რაიონი, ძველად –

თრიალეთის ახალქალაქი) წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ კარის თავზე ამოღარული წარწერაში. დაშბაშის ეკლესია ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ნაგებობაა; დგას მდ. ხრამის ციცაბო, კლდოვან ნაპირზე. დაშბაშის მეორე ეკლესიის (ღვთისმშობლისა, უგუმბათო ნაგებობა) აშენებაც რატი ერისთაველ მიეწერება. იგი მოხსენებული ყოფილა ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც ე. თაყაიშვილს უნახავს ამ ეკლესიის ახლოს. ამჟამად ეს ქვა დაკარგულია.

რატი — სოფელ გადიდის (ვანის რაიონი) წმ. გიორგის ეკლესიის (ამჟამად დანგრეულია) მაშენებელთაგანი. მოხსენიებულია XI ს-ის ლაპიდარულ წარწერაში (წარწერიანი ქვა ინახება ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

რატი დაშჭუაის ძე — ლაბეჭინის (ამბროლაური რ-ნი) მთავარანგელოზის ეკლესიის ქტიტორი. მოხსენიებულია XI-XII სს. ლაპიდარულ წარწერაში.

რატი ერისთავთ-ერისთავი — რაჭის ერისთავი, მოხსენებულია ნიკორწმიდის (ამბროლაურის რ-ნი) წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XII-XIII სს. ლაპიდარულ წარწერაში, როგორც ქტიტორი.

რაშაელი — მთაულარანგელოზი, ავადმყოფთა მკურნალი და მოგზაურთა მფარველი (ებრაულად „რაფაელ" — „ღვთაებრივ მკურნალს" ნიშნავს). მისი გამოცხადება და სასწაულები აღწერილია ბიბლიაში, სახელდობრ, ტობის წიგნში (5,5-12,22).

რაქელი (რაქილი) — ბიბლიური მამამთავრის, იაკობის ცოლი (მამიდაშვილადაც ერგებოდა), ლაბანის უმცროსი ქალიშვილი. იაკობს ცოლად ჰყავდა რაქელის უფროსი და ლიაც. ორივე დამ იაკობს შესძინა მრავალი ძალ-ვაჟი. რაქელის ვაჟები იყვნენ იოსები და ბენიამენი. ამ უკანასკნელის შობას გადაყვა რაქელი (დაბ. 30,22-23). რაქელი მოხსენებულია გრიგოლ ნოსელის თხზულებაში: „საკითხავი, თქუმული შობისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელსა შინა მოიკსენებს რაქელს და ჩჩულთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან პეროდე". თარგმნილია გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის მიერ (შეტანილია ხელნაწერებში: A 55,42-48; A 108,191-207; A 182,332-352; ქუთ. 5,483-493; Jer. 23, 99-107). ორიეე თარგმანის ტექსტი გამოცემულია (ე. კოჭლამაზაშვილი, 2006 წ.). გრიგოლ ნოსელის ეს თხზულება ახალქართულადაცაა ნათარგმნი (ე. ჭელიძე, 2003 წ.).

რგანი — სოფელი ჭიათურის რაიონში, ჭიათურის პლატოზე, ჭიათურიდან 8 კმ. აქ შემონახულია XI-XII სს. წმ. გიორგის ეკლესია რამდენიმე ლაპიდარული წარწერით.

რებეკა — აბრაამის ძმის, ნაჰორის შვილიშვილი, ბათოელის ასული. აბრაამის ვაჟმა ისაკმა მამის სურვილის თანახმად იგი ცოლად შეირთო. რებეკასა და ისაკს შეეძინათ ტყუპი ვაჟები: ესაი და იაკობი. თუმცა ესაი უფროსი იყო, მაგრამ უპირატესობა ბოლოს იაკობს ერგო. ჯერ იყო და ოსპის შეჭამადის ფასად თავად ესაემ მიჰყიდა იაკობს პირმშოობა, შემდეგ კი რებეკას მოხერხებით ისაკს სწორედ იაკობი დალოცა თავის მთავარ მემკვიდრედ. მამის დალოცვას, ებრაული ჩვეულებით, კანონის ძალა ჰქონდა და ღვთიურ კურთხევადაც ითვლებოდა. ესაეს მრისხანებისაგან რომ დაეცვა, რებეკამ იაკობი თავის ძმა ლაბანთან გაგზავნა ქარანში. იქ იაკობმა ცოლად შეირთო ლაბანის ორიეე ასული, ჯერ უფროსი (ლია), შემდეგ უმცროსი (რაქელი) (იხ. დაბ. 25,20-34; 25; 27; 29; 30).

რევაზაშვილი — ნასოფლარი სოფ. დიდი გომარეთის (ლანჩხუთის რ-ნი) მიდამოებში. შემორჩენილია ორი ეკლესია. ერთი VIII-IX სს. დიდი სამკაული ბაზილიკაა. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შიგნით ნაგები გაყოფილია ორ-ორი დაბალი თაღით. ეკლესია ნაგებია დაუმუშავებელი ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები თლილი ქვისაა. ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთით აღმართულია მეორე — შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, მისი კარის ტიმპანის წარწერიანი ქვა ჩამოვარდნილია. წარწერაში იხსენიება კათოლიკოსი შიო. ნასოფლარში დგას აგრეთვე თლილი ქვით მოპირკეთებული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომლის არქიტექტურის წარწერაში მოხსენიებულია ვინმე ბაკური.

რევი — ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის (IV ს.) ძე, „მოშიში ღმრთისაჲ". „მოქცეაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, იგი მონაწილეობდა მცხეთის ჯვრის აღმართვაში, მესამე წელს კი „შეუქმნა კუბოჲ" (ლუსკუმა) პატიოსან ჯვარს. იმავე ძველში მოთხრობილია მცხეთის ჯვრის მიერ სასწაულებრივი განკურნება რევის ვაჟისა. რევმა ალუთქვა ჯვარს, — „უკუეთუ მოშიბოძო ყრმაჲ ესე, გუმბაღი აღვაშენო საყოველად შენდაო", და როგორც განიკურნა ყრმა, „მოვიდა აღნათქუემისა აღსრულებად". ამის შემდეგ ყოველწლიურად მოდიოდა რევი და თაყვანს სცემდა პატიოსან ჯვარს, რო-

მელიც მრავალ სასწაულს ახდენდა. მირიანის შემდეგ „ძმამან მისმან რევ მიიღო მეფობაჲ და მანცა ყოველითა ღმრთისმოშიშებითა აღასრულა მეფობაჲ თჳსი“. გარდაცვალების შემდეგ იგი დაკრძალეს მცხეთის „ქუეშესა ეკლესიასა“, სადაც წინასწარ თვითონვე განიმზადა საფლავი (იხ. „ძეგლები“, I, გვ. 85-91; 155-156; III, გვ. 79).

რევ მართალი – ქართლის 21-ე მეფე „მოქცეულა ქართლისაჲს“ მიხედით (დაახლ. II ს.; იხ. „ძეგლები“, I, გვ. 83). მისი წოდების („მართალი“) მიხედით ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, მისთვის ცნობილი იყო ქრისტეს სჯული და პატივსაც მიაგებდა.

რეჩკა – სოფელი ონამჩირის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობის გორაკ-ბორცვიან ჩრდილო-დასავლეთ ზოლში, ონამჩირიდან 18 კმ. სოფლის აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში, ნაციბარში, აღმართულია XIV საუკუნის, გეგმით სწორკუთხა საკურთხეველიანი ეკლესია, რომლის სამხრეთ მინაშენის ქვეშ კრიპტები ყოფილა მოთავსებული. ეკლესიის კარ-სარკმლებს ჩუქურთმები ამკობდა.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მეორე ციხის ნანგრევთა შორის გაირჩევა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთები.

რეჩხა – ზარის (სარეკელის) დარეკვა ღვთისმსახურებაზე მრევლის (მონასტერში – საძმოს) მოსაწოდებლად. სხვადასხვა ღვთისმსახურებას სხვადასხვანაირი ზარი შეესაბამება. დიდი მარხვის საღამო დღეების ღვთისმსახურებას წინ უძღვის ხანგრძლივი, მძიმე ზარი. ქამნობაზე და სერობის ლოცვისას რეკავენ მძიმე ზარს. მწუხრისა და ცისკრის ლოცვის წინ რეკავენ დიდ ზარს, თანაბარი დარტყმებით. ქამისწირვის წინ კი – სამიე ზარს ერთდროულად. სამი ზარი ირეკება ლიტანიობისა და „უარებდითის“ დროსაც. დიდი შაბათის ცისკარზე, გარდამოხსნის გამოსვენებისას ირეკება ყველა ზარი, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ რიგრიგობით, თითო დარტყმით.

რელიგია (ლათ. religio – ღვთისმოსაობა, სალოცავი, კულტის საგანი) – გარკვეულ შეხედულებათა (რწმენის), მოქმედებათა (კულტის) და გრძნობათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ღვთის რწმენასთან. ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანს ახასიათებს განსაკუთრებული, თანდაყოლილი რელიგიური გრძნობა და მოთხოვნილება ღმრთთან ურთიერთობისა. ამ ურთიერთობაში (რელიგიაში) ადამიანი პოულობს უმაღლესსა და სრულყოფილ დაკმაყოფილებას, აგრეთვე სახელმძღვანელოს პირად ცხოვრებაში. ბიბლიის თანახმად, რელიგია (საღვთო მცნების სახით) ადამიანს შექმნისთანავე მიეცა. სამოთხეში ღმერთთან ადამიანის სიახლოვე ისეთივე უშუალო იყო, როგორც ანგელოზებისა. ადამისა და ევას დედამიწაზე განდევნის შემდეგ მათი შთამომავალნი საუკუნო ცხოვრების იმედსა და ნუგეშს პოულობენ რელიგიაში.

შეხედულება საიქიო ცხოვრებისა და სულის უკვდავების შესახებ მომდინარეობს უხსოვარი დროიდან. რელიგიის ადრეულ ფორმებს მიეკუთვნება: მაგია, ტოტემიზმი, შამანიზმი, საიდუმლო კავშირები, ბალადის კულტი და ა. შ. პატრიარქალური ოჯახის განვითარებას მოჰყვა წინაპართა კულტი. შეიქმნა სხვადასხვა მითი. კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას მოჰყვა პოლითეისტური რელიგიების განვითარება. ამ პერიოდში გამოიყო ქურუმთა და კულტის მსახურთა სოციალური ფენა.

ქრისტიანული თვალსაზრისით, პოლითეისტური რელიგიები და წარმართული კულტები ჭეშმარიტი ღმერთისაგან დაშორების შედეგს წარმოადგენენ. ადრეულ რელიგიებს ქონდათ ტომობრივ-ეროვნული ხასიათი. ადამიანთა რელიგიური კავშირები ხშირად მათ სოციალურ-პოლიტიკურ და ეთნიკურ კავშირებს ემთხვეოდა (კონფუციანელობა, ინდეანიზმი, იუდაიზმი). ისტორიული განვითარების უფრო გვიანდელ საფეხურზე წარმოიშვა მსოფლიო რელიგიები – ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ყალიბდება რელიგიური ორგანიზაციებისა და ურთიერთობების ახალი ფორმები: ეკლესია, სამღვდელოება, ეთიკდება თეოლოგია, ფართოვდება მისიონერული საქმიანობა.

რელიგიური ომები – პუგენოტური ომები, რელიგიურ-სამოქალაქო ომები საფრანგეთში კათოლიკეებსა და კალვინისტებს (პუგენოტებს) შორის VI ს. II ნახ. იგი დასრულდა 1598 წ., ანრი II-ის მიერ გამოცემული ნანტის ედიქტით, რომლითაც მოწესრიგდა პუგენოტთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა (იხ. პუგენოტები).

რელიგიური სწავლა-განათლება – სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს თეოლოგების, სასულიერო სასწავლებელთა ღვთისმეტყველების, მასწავლებლების, მოსახლეობის რელიგიური სწავლების სპეციალისტთა აღზრდას. ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში საზოგადოდ განათლებამ თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ღვთისმეტყველება ძირითად სასწავლო

საგნად გადაიქცა არა მარტო საეკლესიო-სასულიერო, არამედ ყველა სახისა და ტიპის საერო სკოლაში. რეფორმაციის ეპოქაში საერო სკოლების განვითარებამ რამდენადმე შეზღუდა მოსახლეობის რელიგიური განათლება, მაგრამ სასულიერო პირთა, თეოლოგ-სპეციალისტთა მომზადება და მოსახლეობის რელიგიური სწავლება ბევრ ქვეყანაში დღემდე გრძელდება.

რელიგიურ სწავლა-განათლებაში ძირითადი ადგილი უჭირავს სალვთო და კანონიკური წიგნების (ქრისტიანობაში — ბიბლიის, იუდაიზმში — თორისა და თალმუდის, ბუდიზმში — ტიპიტაკის, ისლამში — ყურანის) შესწავლას.

რელიგიური სწავლა-განათლება ფართო მასშტაბით ხორციელდება აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ისლამი, ბუდიზმი ისწავლება ყველა საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, არის სპეციალური ბუდისტური და მუსლიმური სასწავლებლები).

თანამედროვე ქრისტიანული სალვთისმეტყველო განათლება ვითარდება სამი ძირითადი სარწმუნოების — კათოლიციზმის, მართლმადიდებლობისა და პროტესტანტიზმის თავისებურებათა გათვალისწინებით. რომის კათოლიკური ეკლესიის სისტემაში ითვლება 53 კათოლიკური უნივერსიტეტი, 49 საუნივერსიტეტო თეოლოგიური ფაკულტეტი და ინსტიტუტი, დღემდე შემორჩენილია კათოლიციზმისათვის ტრადიციული თეოლოგიური, ფილოსოფიური და კანონიკური სამართლის ფაკულტეტები. ეს უნივერსიტეტები გაფანტულია მსოფლიოს ყველა კონტინენტის 116 ქვეყანაში. მოქმედებს 2000-ზე მეტი კათოლიკური სემინარია. თეოლოგიური განათლების ერთ-ერთ ცენტრად ითვლება რომი, სადაც მოქმედებს 9 პონტიფიკური აკადემია, 7 პონტიფიკური უნივერსიტეტი, 14 ინსტიტუტი, 18 კოლეჯი, 119 უფროსი და 277 უმცროსი რეგიონალური სემინარია და 60-ზე მეტი კოლეჯი, რომლებიც განკუთვნებიან სხვადასხვა სამონასტრო ორდენს. იტალიაში რომის კათოლიკური ეკლესიის გამგებლობაში შედის 4500 ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება. რელიგია, როგორც სავალდებულო საგანი, ისწავლება ევროპის ბევრ ქვეყანაში, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის ყველა ტიპის სკოლებში. ფართოდ არის გავრცელებული კათოლიკური სკოლები აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. კათოლიკური თეოლოგიური განათლების დამსახასიათებელი თავისებურებაა მკაცრი ცენტრალიზაცია. ყველა ტიპისა და საფეხურის კათოლიკურ სასწავლებლებს განაგებს ეატიკანი. კათოლიკური განათლების საქმეში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის იეზუიტთა ორდენს, ძირითადად მის ხელშია უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მართვაც და თეოლოგიის სწავლებაც.

ტრადიციული სახითა აქვს მართლმადიდებლურ სწავლა-განათლებას. სასულიერო სასწავლებლებში ძირითადად სწავლობენ საღვთო წერილს, პატრისტიკას, ღვთისმსახურებას.

პროტესტანტულ საშუალო და უმაღლეს თეოლოგიურ განათლებას იღებენ თეოლოგიურ კოლეჯებში, აკადემიებში, უნივერსიტეტებში, სემინარიებში. ლუთერანულმა და დასავლეთ ევროპის სხვა პროტესტანტულმა ეკლესიებმა შექმნეს სასულიერო სასწავლებლთა დიდი ქსელი აფრიკის, აზიის, ამერიკის ქვეყნებში. პროტესტანტული თეოლოგიური განათლება არ არის ცენტრალიზებული იმიტომ, რომ პროტესტანტიზმის ყოველი განშტოება და ეკლესია ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პროტესტანტული სასულიერო სასწავლებლის სტატუსს ცალკეულ ქვეყნებში განსაზღვრავს შესაბამისი რელიგიური ორგანიზაცია.

განათლების საკუთარი სისტემა აქვთ მონოფიზიტურ ეკლესიებს. ამ კონფესიის თეოლოგიურმა განათლებამ დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა, ხოლო სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას აქვს სასულიერო აკადემია (ეჩმიაწინში).

საქართველოში რელიგიურ სწავლა-განათლებას დიდი ისტორია აქვს. VI ს-დან აღმოცენებული სამონასტრო ცენტრები დიდ ეკლესიურ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ. ქრისტიანულ თეოლოგიას ასწავლიდნენ აგრეთვე საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში (პეტრიწონი, ათონი და სხვ.). ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების ხანაში (XII ს.) დაარსდა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებს წარმოადგენდნენ. საშუალო სასწავლებლთა ფუნქციებს კი დიდხანს მონასტრები ასრულებდნენ. XIX ს-ში საქართველოში რამდენიმე სასულიერო სემინარია იყო (თბილისში, თელავში, გორში, მარტყოფში და სხვ.), რომელთაც საგანგებოდ ვანაგებდა. 1917 წლის რევოლუციისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ რელიგიური სწავლა-განათლება ერთხანს შეწყვეტილი იყო;

მხოლოდ 1963 წელს დაარსდა მცხეთის სასულიერო სემინარია. აქ ისწავლებოდა ძველი და ახალი აღთქმა, ღვთისმეტყველება, ჰომილეტიკა, ეკლესიის ისტორია, კლასიკური და ეროპული ენები, საეკლესიო ტიპიკონი, გალობა და სხვა დისციპლინები. სწავლება სამწლიანი იყო.

1987 წელს მცხეთის სასულიერო სემინარიის ბაზაზე გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. 2000 წელს კი – გელათის სასულიერო აკადემიაც.

რელიკვია (ლათ. reliquiae – ნარჩენები, ნეშტი) – რელიგიური თაყვანისცემის საგანი, ჩვეულებრივ, წმიდათა ნაწილები, რომლებიც სასწაულთმოქმედ ძალას ავლენენ. რელიკვიების თაყვანისცემა უძველესი დროიდანაა ცნობილი. დასაწყისში ქრისტიანთა შორის იგი განსაკუთრებით გავრცელდა XI-XIII სს-ში; ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს აღმოსავლეთიდან იქ მრავალი წმიდა საგანი იქნა გატანილი. საქართველოში მრავალი რელიკვიაა დაცული: წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა, ანჩისხატი, საუფლო კვართი, სხვადასხვა წმინდანთა ნაწილები და სხვ. (იხ. სიწმიდენი საქართველოს ეკლესიისა).

რეფორმაცია (ლათ. – გარდაქმნა, საზეცხლილება) – XVI ს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, რომელიც წარიმართა რომის კათოლიციზმის წინააღმდეგ და მოიცვა დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოშორა ისინი კათოლიკურ ეკლესიას. რეფორმაციამ საფუძველი ჩაუყარა ახალი ეროვნულ-პროტესტანტული ეკლესიების აღმოცენებას.

რეფორმაციას წან უსწრებდა პაპობისა და რომის კათოლიკური ეკლესიის XIV-XV სს. კრიზისი (იხ. ავინიონის ტყვეობა პაპებისა; დიდი განხეთქილება კათოლიკურ ეკლესიაში). იგი იდეურად შეამზადეს წინამორბედმა მიმდინარეობებმა: შუა საუკუნეების მწვალებლობამ, აღორძინდელმა რეფორმაციულმა, განსაკუთრებით ჯ. უიკლიფისა და ი. ჰუსის იდეებმა (იხ. ავრეთვე: ლოლარდები; პ. სიტური ომები; მებაძოვეების; თაბორიტები).

რეფორმაცია დაიწყო გერმანიაში. მისმა ფუძემდებელმა მარტინ ლუთერმა ჩამოაყალიბა რეფორმაციის ორი ძირითადი დოგმა: 1. უმაღლეს ავტორიტეტად საღვთო წერილის, ანუ „მოციქულთა ტრადიციის“ ცნობა და საეკლესიო ტრადიციის უარყოფა. 2. მოძღვრება რწმენით სულის გამოხსნის შესახებ. მ. ლუთერი არ თანაუგრძნობდა თ. მიუნცერისა და ანაბაპტისტების რეფორმაციას (ისინი მოითხოვდნენ დედამიწაზე ღვთის მეუფების დამყარებას, გამთანაბრებელი კომუნისტური წესწყობილების შექმნას), რომელმაც ხატმებრძოლობის ხასიათი მიიღო, მაგრამ ისარგებლა მათ მიერ გაკაფული გზით. ლუთერანულმა რეფორმაციამ საბოლოოდ გაიმარჯვა 1556 წელს, ლუთერანობა გავრცელდა სკანდინავიის ქვეყნებიც.

ინგლისში ლუთერანული რეფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა ანგლიკანური ეკლესია. შეიცარიაში რეფორმაციას ბელადობდა უ. ცვინგლი. კალვინისტურმა რეფორმაციამ გაიმარჯვა შოტლანდიასა და ნიდერლანდებში, გავრცელდა ინგლისში, სადაც მიიღო პურიტანიზმის სახე. საფრანგეთში კალვინიზმმა ჰუგენოტური სახე მიიღო (რელიგიურ ომებში ჰუგენოტები დამარცხდნენ, გაიმარჯვა სამეფო აბსოლუტიზმმა და კათოლიციზმმა). კალვინისტური რეფორმაცია გავრცელდა დასავლეთ გერმანიაშიც.

რეკვიემი (ლათ. Requiem – განუსვენე) – პირველი სიტყვა საგალობლისა („განუსვენე მათ სამარადისოდ, უფალო“), რომელიც მიცვალებულის მოსახსენებლად იხმის კათოლიკურ ეკლესიაში. XV-XVII სს-ში რეკვიემი წარმოადგენდა მრავალხმიან საგუნდო ციკლურ ნაწარმოებს (აკაპელა), რომლის მელოდია გრიგორიანულ ქორალზე იყო დაფუძნებული. XVII-XVIII სს-ში რეკვიემი იქცა მსხვილი პლანის ნაწარმოებად გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ვ. ა. მოცარტის, ლ. ქერუბინის, ჟ. ლისტის, ა. ბრუკნერის, ა. დვორჟაკის, ჰ. ბერლიოზის, ჯ. ვერდის, ი. ბრამსის რეკვიემები.

რეჩხი – სოფელი გალის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. რეჩხის (ერისწყლის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე, გალიდან 18 კმ. სოფელში შემორჩენილია XIX ს-ის შეერილაბსიდიანი ეკლესიის ნანგრევები.

რეჩხა – სოფელი წალკის რაიონში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკიდან 35 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

რეჩხი (რეკი) – სოფელი შიდა ქართლში, მდ. ლებურის (ძვ. რეხულის) ხეობაში, სამთაისისა და ჭალის ზემოთ. აქ VI ს-ში დაბანაკებული იყვნენ სპარსელი დამპყრობლები, რომლებმაც მარზპანის განკარგულებით „ქვითა განტუნეს, მოკლეს და განათრიეს გარეშე ქა-

ლაქსა“ წმ. მღვდელთმთავარი აბიბოს ნეკრესელი (ძეგლები, I, 244-246; IV,393).

„რვა ხმათა“ (წიგნი) — იგივეა, რაც ოქტოიხოსი (იხ.).

„რვათათჳს გულისხიტყუათა, რომელნი მოულენან კაცსა ზედა“ — ევაგრე მონაზონის (პონტოელის, 346-399) თხზულება, როშლის ქართული თარგმანი შეტანილია Sin. 11 ხელნაწერში (ფ. 29-32).

„რვათა მათ გულისხიტყუათათჳს ბოროტთა“ — „თქუმული რვათა მათ გულისხიტყუათათჳს ბოროტთა: ნაყროვანებისა და სიძვისა და ვეცხლისმოყუარებისა და რისხვისა და მწუხარებისა, მოწყინებისა და ცუდაშჯაობრობისა და ამპარტავანებისათჳს“ — კაისიანე რომაელის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 154,345-256; A 196,700-723; A 352; A 400,303-360; A 1101; Sin. 35.

რჩაწახნაგება ჯერი — ჩეულებრივი ოთხწახნაგა ჯვრისაგან განსხვავდება იმით, რომ აქეს ორი დამატებითი განივი ხაზი, ძირითადი განივი ხაზის ორივე მხარეს — ზემოთ და ქვემოთ. ზემოთა ხაზი (შედარებით მცირე ზომისა) სიმბოლურად გამოხატავს წარწერას, რომელიც პონტოელმა პილატემ გააკეთა მაცხოვრის ჯვარზე: „იესუ ნაზარეველი, მეუფე პურიათა“ (იოანე 19,19). ქვემოთა ხაზი (დახრილი) გამოხატავს მაცხოვრის მარჯვენე გაკრული კეთილგონიერი ავაზაკის ცოდვათა შემსუბუქებას და მარცხნე გაკრულის ცოდვათა დამძიმებას (ლუკა 23, 39-34).

რიგედა — ლექსთა ვედა, პიმნების კრებული (სამიტა), უძველესი და უმნიშვნელოვანესი ვედების ოთხ კრებულს შორის (რიგ-, იაჯურ-, სამა-, ათარვა-). შეიცავს 1028 პიმნს, დაყოფილია 10 ციკლად, რომლის კოდიფიკაციის თარიღი ზუსტად დადგენილი არ არის. მისი რედაქცია გრძელდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (ძვ. წ. XV ს-დან X ს-მდე). რიგვედას რელიგიური პიმნების უმეტესობა შექმნეს არიელმა ტომებმა ინდოეთში მათი გადასახლების პერიოდში, ვედური სანსკრიტის სახელწოდებით ცნობილ დიალექტზე. ინდური ტრადიციით, რიგვედას პიმნების შეთხზვა მიეწერება ქურუმთა ცალკეულ საგვარეულოებს, რომლებიც სათავეს იღებენ შვიდი მითიური ბრძენი პოეტისაგან (რიში); ეს პიმნები წარმოადგენენ ლიტეულებსა და ქება-დიდებას, მიძღვნილს ვედური პანთეონის ღვთაებებისადმი, რომლებიც მეტწილად ციურ მზათობებსა და ბუნების ძალებს განასახიერებენ. რიტუალურის გარდა რიგვედაში არის კოსმოგონიური ხასიათის პიმნები, დაწერილი დიალოგის ფორმით. მრავალი პიმნი შეიცავს უძველეს ისტორიულ მასალას და ლეგენდების მაღალი კულტურის მქონე პროფესიული პოეტური შემოქმედებითი ტრადიციის ნაყოფია. ევროპაში მისმა შესწავლამ ხელი შეუწყო შედარებითი ინდოევროპული მითოლოგიის ჩამოყალიბებას. ყველაზე მეტი პარალელები რიგვედას მითოლოგიას ავესტაში აქვს. საერთო წარმომავლობა შეინიშნება რიგვედასა და ბერძნული პანთეონის რიგ სახეთა შორის (დიაუს — ზევსი, უშას — ეოსი, განდჰარვა — კენტაური და სხვ.). პარალელები მოიპოვება აგრეთვე სხვა ინდოევროპულ ხალხთა მითებშიც. ქართულად თარგმნილია რიგვედას ზოგიერთი პიმნი (კრებული „არმაღანი“, თბ., 1966 წ.).

რიგითი საკითხავები — საოცნებოსა და სახარების საკითხავები ლიტურგიაზე, რომლებიც განაწილებულია თანმიმდევრობით, მთელი წლის კვირაკეებისა და შედღესასწაულების მიხედვით, დღი მარხვის გარდა. საუკეთესო ღვთისმეტყველი, რომელ დღესაც არ უნდა დაემთხვეს, რიგითი საკითხავების ნაცვლად იკითხება საღვთისმეტყველო საკითხავები. თუ შედღესასწაულის დღეს დაემთხვევა საღმრთისმშობლო ან ეკლესიის ღვთისმეტყველი, ასევე დიდ წმინდანთა ხსენება, რიგითი საკითხავები არ იკითხება,ხოლო თუ ეს დღეები კვირაკეს დაემთხვა, ჯერ რიგითი საოცნებო-სახარება წაიკითხება (კვირაკესა), შემდეგ — ღვთისმეტყველისა. უბრალო დღეებში ჯერ რიგითი საკითხავები იკითხება, შემდეგ — წმიდისა. ღმრთისმშობლის ღვთისმეტყველთა წარგზავნაზეც ჯერ რიგითი საკითხავია, შემდეგ — საღმრთისმშობლო.

რიპიდი — სამწერობელი (მწერების მოსაგრეობელი რიტუალური ნივთი). თავდაპირველად აკეთებდნენ თხელი ტყავისაგან, მოგვიანებით — ლითონისაგან. ამჟამად რიპიდი წარმოადგენს ლითონის დისკოს, რომელიც გრძელ სახელურზეა მიმაგრებული. დისკოზე გამოსახულია ექვსფრთიანი სერაბინი. ხანდახან რიპიდებს ამზადებენ კვადრატის, ჯვრის და სხვა ფორმისას. რიპიდის დანიშნულება თავდაპირველად მწერების (ბუზების და სხვ.) გაფანტვა იყო, თუ ისინი საღმრთო შესწირაეს დაესეოდნენ. ამჟამად ხმარობენ მხოლოდ სამღვდელმთავრო ლიტურგიაზე — დიაკნის კურთხევისას (ახლად ნაკურთხ დიაკონს უჭირავს იგი ხელში

და ჯვარედინად „უმწერებს" ბარძიმ-ფეშხუემს) და ბარძიმ-ფეშხუემის გამოსვენების დროს (რიაიდები, დიკონ-ტრიკირის მსგავსად, დგებიან საღეთო ძღვენის ორივე მხარეს).

„რიტორიკა" – ანტონ I კათოლიკოსის თხზულება, სახელმძღვანელო თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიების სტუდენტთათვის. იგი დამუშავებული იყო ქართულ მასალაზე მხოლოდ სუბსტიელის ამავე სათაურით ცნობილი წიგნის მიხედვით (იხ. S 4739). ამასთან, იგი რამდენადმე შეკეცილი იყო სასწავლო დანიშნულების გამო. მხოლოდ შრომის უფრო ვრცელი თარგმანი ეკუთვნის დოსითეოზ ნეკრესელს (S 1137).

რიფსიმე (IV ს.) – წმიდა ქალწული, მოწამე, მოხსენებულია წმ. ნინოს „ცხოვრებაში". როდესაც ნინომ ნახა სასწაულებრივი გამოცხადება ღვთისმშობლისა, და თავისი ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის ლუკა-კურთხეით განიზრახა, სამოციქულო მოგზაურობას შესდგომოდა, დაემგზავრა ერთ წარჩინებულ ეგვესელ დედაკაცს, რომელიც იმხანად ჩამოსული იყო იერუსალიმის სიწმიდეთა მოსალოცავად. ამ დედაკაცის სახლში ნინომ გაიცნო პატიოსანი და წარჩინებული რიფსიმე, რომელსაც სურდა, ქრისტეს სარწმუნოების შესწავლა და წმიდა ნათლისღებაც მიეღო. წმ. ნინომ დაიწყო მისი დამოძღვრა და მოუხსნა „ცვარგებულებაჲ მაცხოვრისაჲ, ესრეთ ჩუენსათჳს აღსრულებული", მანვე აუწყა მისი მეორედ მოსვლისა და ზეცათა სასუფევლის შესახებ. ამ ქადაგების შემდეგ რიფსიმე მოინათლა თავის ორმოცდაათ ახლობელთან ერთად და თავისთან წაიყვანა ნინო, რომელმაც ორი წელი იცხოვრა მასთან და ასწავლიდა მას მაცხოვრის მცნებებს. ორი წლის შემდეგ რიფსიმეს „რომლისაჲ მიზეზისათჳს" საბერძნეთიდან გამოქცევა მოუხდა. თან წამოიყვანა ნინო, თავისი გამზრდელი გაიანე, ის სხვა ორმოცდაათი მორწმუნე, და მოადგა სომხეთის საზღვრებს. მეფე თრდატის „სამოთხის" (პალის) მახლობლად გაჩერდნენ რამდენიმე ხანს. როდესაც სომეხმა წარმართებმა შეიტყვეს მათი ქრისტიანული აღშარებლობის ამბავი, მეფე თრდატის ბრძანებით აწამეს წმ. რიფსიმე და სხვა მასთან მყოფნიც. ღვთის განგებით ჯალათებს გადაურჩა მხოლოდ წმ. ქალწული ნინო, რათა საქართველომდე მოეღწია და მოემკო „ფრიადი სულიერი სამკალი". მდევართა თვალთაგან დაფარული, იგი შორიდან ხედავდა ანგელოზთა გუნდს, რომელსაც წმიდა მოწამეთა და, მათ შორის, რიფსიმეს სული ზეცაში ასაყვანად დიდებით (იხ. „მოქცეულებაჲ ქართლისაჲ", ძეგლები, წ. I, გვ. 115). 1768-1769 წწ. ანტონ I კათოლიკოსმა სომხური და ქართული წყაროების საფუძველზე დაწერა და „მარტირიკაში" შეიტანა თხზულება: „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღდელმოწამისა გრიგორი დიდისა, სომხეთის ეპისკოპოსისა და წმიდათა ღირსთა მოწამეთა ქალწულთა რიფსიმესი და გაიანესი და სხუათა მისთანათა" (ძეგლები, VI, 370-418). წმ. მოწამეთა – რიფსიმესა და გაიანეს სხვენა დადებულია 30 სექტემბერს.

რიფსიმე – მონაზონი, როდამ ყოფილი (XV-XVI) – თაყა ამილახვრის ქალიშვილი. იერუსალიმის ჯვარის მონასტრისათვის ააშენებინა მარანი და წისქვილი.

რიფსიმეს ეკლესია – სომხური გუმბათოანი არქიტექტურის VII ს. ძეგლი, საქართველოსა და სომხეთში ცნობილი ე. წ. „მცხეთის ჯვრის ტიპის" ტაძარი. მდებარეობს ერმიაწინში (ზოგიერთი მკვლევარი მას ათარიღებს IX ს-ით). წარმოადგენს ტეტრაკონქს 4 სათაესით აბსიდებს შორის და წრის 3/4 მოხაზულობის ნიშებით გუმბათის წრის დიაგონალებზე. მოგვიანო ხანის 16-წახნაგა გუმბათი ტრომპებზეა დაფუძნებული. ეკლესია გარედან სწორკუთხედშია მოქცეული. გარეთ და შიგნით თლილი ქვითაა ნაგები. ტაძრის ფასადები სადაა. ისინი ტრაპეციისებრი ნიშებითაა და სარკმლებისა და ნიშების თაესართებითაა დანაწევრებული. ეკლესიის ქვეშ დაცულია წმ. რიფსიმეს სამარხი.

„რიცხვთა" – მეოთხე წიგნი მოსეს ხუთწიგნეულისა. ასე ეწოდება იმიტომ, რომ მის პირველ თავებში მოთხრობილია ხალხის აღწერა. იგი წარმოშობილი უნდა იყოს უდაბნოში ებრაელთა 40-წლიანი მოგზაურობის დასასრულს. ისტორიული მონაცემების გარდა, იგი შეიცავს საღვთო კანონებს, აგრეთვე ცნობებს დღესასწაულთა და მსხვერპლშეწირვათა შესახებ. „რიცხვთა" წიგნი შეიცავს 36 თავს. ძველი ალთქმის სხვა წიგნებთან ერთად ამ წიგნის ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული: A 1108, Q 1152, K 26, H 1207; A 51. გამოსაცემს: 1) ელ. დონდუაშვილმა (იხ. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1981 წ., გვ. 278-350), 2) ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ (იხ. წიგნნი ბუელისა ალთქუმისანი, ნაკვ. II, თბ., 1990 წ., გვ. 120-370).

რკონი – VII-XVIII სს-ის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლი, მნიშვნე-

ლოვანი სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში, სოფ. რკონის მახლობლად, თქმის ხეობაში, კასპიდან 20 კმ. რკონში რელიგიური ცენტრი ქრისტიანობამდეც არსებულა. აქ თაყვანს სცემდნენ, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მუხის ხეს (რკო, მუხა). ამჟამად გაირჩევა მშენებლობის სამი ძირითადი ფენა, რომლებიც სამონასტრო ცხოვრების აღორძინების პერიოდებს უნდა შეესაბამებოდეს. I ფენას მიეკუთვნება VII ს. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, სამნავიანი ბაზილიკა, რომლის თავდაპირველი ფორმების დადგენა ახლა ძნელია. შედარებით უკეთ არის შემონახული აღმოსავლეთის ფასადი. ინტერიერში მოხატულობის ნაშთია (ძე. და განეთარებული შუა საუკ.). II ფენა – XIII-XIV სს. მიეკუთვნება – ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭე და სამლოცველო, ნათლისმცემელის ერთნავიანი ეკლესია (მდიდრულად მოჩუქურთმებული) და სატრაპეზო. III ფენა – XVI-XVIII სს. – სამრეკლო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. კომპლექსის ტერიტორია ორ მონაკვეთად იყოფა. ერთში განლაგებულია საკულტო ნაგებობანი, მეორეში – საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები. სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1939-40 წწ. თითქმის პირვანდელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული რკონის ერთმალიანი ხიდი (სიგრძე 12,5 მ. სიგანე 2,2 მ.), შუა საუკუნეების ხიდების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში საქართველოში. სოფელ რკონსა და სამონასტრო კომპლექსს შორის მდებარეობს რკონის ციხე (XVII ს. შუა წლები). მის ტერიტორიაზე გალავნის, კოშკის, ფეოდალის სასახლის, ერთნავიანი ეკლესიისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევებია.

რკონისობა – გიორგობა, ხალხური საეკლესიო დღესასწაული, იმართება მარიამობის დღეს (აგვისტოს 15), რკონის მონასტერში (ძე. თქმის ხეობაში, კასპის რ-ნი).

რობოამ – იუდეის მეფე (X ს. ძე. წ.), ძე სოლომონ მეფისა ნაამაგად (III მეფეთა, II, 43). მეფობდა 17 წელიწადს. სამეფო ტახტზე ასულისთანავე, ისრაელის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტომებს შორის კაეშარის შესამჭიდროებლად მან თავი მეფედ გამოაცხადა არა მარტო იერუსალიმში, არამედ სიქემშიც – ჩრდილოეთ პალესტინის მთავარ ქალაქში. ამით ისარგებლეს ჩრდილოეთ პალესტინის წარმომადგენლებმა და მოითხოვეს ხალხის მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება. რობოამმა უარყო ასეთი მოთხოვნა და დაეშუქრა, რომ უფრო დაუმძიმებდა მათ უღელს. ასეთმა პასუხმა აჯანყება გამოიწვია. ჩრდილოელებმა თაყვის მეფედ აირჩიეს იერობოამი. რობოამმა ამას არ მიაქცია ყურადღება და გადასახადების ამკრები – ადონირამი გაგზავნა. ხალხმა რობოამის წარგზავნილები ჩაქოლა. ასე გაიყო ებრაელთა მონარქია ორ სამეფოდ – ისრაელისა და იუდეის სამეფოებად.

რობოამი მოხსენებულია იესო ქრისტეს გენეალოგიაში (მათე 1,7).

როდიონოჯა (ფარავანი) – სოფელი ბოგდანოვკის რაიონში, ფარავნის ტბის ნაპირზე, ბოგდანოვკიდან 40 კმ. აქ შემონახულია X-XI სს. ეკლესია „ფარავნა“. ეკლესია მოხატულია, არის ლაპიდარული წარწერები (იხ. ფარავნა).

როკითი – სოფელი ბაღდათის (ყოფ. მაიაკოვსკის) რაიონში, მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე, ბაღდათიდან 10 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეთა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლი – მაცხოვრის ეკლესია „პალატის ნაშთი“.

„რომაელთა მიმართ“ – დოგმატიკური შინაარსის ეპისტოლე ეგნატე ღმერთშემოსილისა, ქართულად თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ (A 55, 60, 66, 239; S 49, 1587). გამოცემულია 1988 წლის საეკლესიო კალენდარში.

რომანა, რომანწმინდა, პრომანა – ილარიონ ქართველის მოწაფეების მიერ დარსებული ქართული მონასტერი კონსტანტინეპოლის მახლობლად (IX ს.). იხ. პრომანა.

რომანოზ მელოდოსი (ტკბილადმგალობელი) – V-VI სს. ბიზანტიელი საეკლესიო პოეტი, ბიზანტიური რიტმული სასულიერო პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი, „კონტაკიონის“ სახელით ცნობილი პოეტური თხზულებების ავტორი. ლიტერატურული ტრადიციით მას მიეწერება 1000-მდე კონტაკიონი; შემონახულია აგრეთვე ფსევდორომანოზისეული 85 კონტაკიონი. მასვე მიეწერება „დაუჯდომელი ყოველადწმიდისა ღმრთისმშობელისა“ („იბაკონი და იკოსი ყოველადწმიდისა ღმრთისმშობლისანი“; იგი ხშირად შეაქვთ სამღვდელო ლიტანიაში, აგრეთვე მარხვაში, დაუჯდომელის შაბათის საგალობლთა შორის). რომანოზის საგალობლები თემატურად დაკავშირებულია ძველი და ახალი აღთქმის საღვთო წერილის წიგნებთან, საუფლო დღესასწაულთა და წმინდანთა მოსახსენებლებთან. ლორსი მას რომანოზი წარმოშობით სირიის ქალაქ ემესიდან იყო, ეროვნებით ებრაელი. იმპერატორ ანასტასის დროს მისულა კონ-

სტანტინეპოლში, სადაც ღვთისმშობლის ეკლესიის დიაკვნად მსახურობდა. გადმოცემით, საღვთო საგალობელთა გამოთქმის ნიჭი რომანოზს ღვთიური მადლით მიეცა: შობა ღამეს ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი, გაუწოდა გრაგნილი და უბრძანა, შეეჭამა. ამ სასწაულებრივი ჩვენების შემდეგ რომანოზი მივიდა ეკლესიაში, აეიდა ამბიონზე და დაიწყო გალობა ახალი საშობაო საგალობლისა, რომელსაც ყოველდღიურად ღვთისმშობელი შთაგონებდა. ეს საგალობელი (კონტაკიონი) შედგება 24 კონდაკისაგან. იგი, როგორც ჰოეიის ბრწყინვალე ნიმუში, იმპერატორის საშობაო სუფრაზე სრულდებოდა ხოლმე, ხოლო ამ კონტაკიონის პირველი მუხლი (პირველი კონდაკი) დღესაც იგალობება ეკლესიაში, როგორც ქრისტეს შობის კონდაკი. წმ. რომანოზ მელოდოსის ხსენება დადებულია 1 ოქტომბერს, ღვთისმშობლის საფარველის დღეს.

რომანოზ მესხეტე – XIX ს. ქართველი მონაზონი, მესხეტე, რომელმაც მარტვილის მონასტერში სვეტზე დაყუდებით 35 წელი იცხოვრა. იგი მწიგნობარი და გადამწერიც ყოფილა. 1827 წ. მან გადაწერა H1005 ხელნაწერი, 1829 წ. – S50, 1830 წ. – H1009, ხოლო 1834 წ. – H1695 ხელნაწერები.

რომანოზ მიტროპოლიტი (XVI-II ს.) – ძე არაგვის ერისთავის – გიორგისა. მონაზვნად აღკვეცილა გარეჯის უდაბნოში, სადაც მას 12 წელიწადი გაუტარებია. ჯერ არქიმანდრიტის ხარისხში აუყვანიათ, შემდეგ გამხდარა სამთავისის მიტროპოლიტი. ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის დროს რუსეთში ახლდა საქართველოს მეფის ძეს – ბაქარს, შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნებულა. გარდაცვლილა გარეჯში და იქვეა დასაფლავებული, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (A 150-ის მინაწერი). რომანოზის მწიგნობრული მოღვაწეობა ძირითადად სასულიერო წიგნების გადაწერას გულისხმობს. 1715 წელს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში გადაუწერია დავითნი (A 914). დავითგარეჯის მონასტერს მან სხვა წიგნებიც შესწირა (A 152, A 154, A 149, A 1346 და სხვ.) რუსეთში ყოფნისას, 1745 წელს დაუწერია დოგმატიკური ხასიათის თხზულება „წინწილა ღაღადებისა“. რომანოზ მიტროპოლიტს თავის თხზულებაში არაფერი ჩაურთავს „თუსითა მუცლითა და სიბრძნითა ნაზღაპარი, ანუ თუ ჩემობითა და მოგონებითა ახალი რამე და თუსაგან ნასიბრძნი“, არამედ მხოლოდ საბარეობის, სამოციქულოს, დავითნისა და წინასწარმეტყველებათაგან ამოკრებილ ადგილებს დამყარებია. თხზულების ტექსტი დაცულია ხელნაწერში A 150. მას დაუწერია ორიგინალური თხზულებაც – „დავით გარეჯელის ცხოვრება“ (ცენტრ. არქ. 259, გამოც. ე. გაბიძაშვილის მიერ: ძეგლები, III,1971).

რომანოზ ფილკნელი (XVII-XVIII სს.) – ფილკნელი მღვდელთმთავარი, ეპისკოპოსი. 1699 წელს დომენტი ბატონიშვილის ბრძანებითა და დასტურით შეუდგენია „წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების სიგელი“. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის; ამასთანავე, იგი უცილობლად ადასტურებს წილკნის კათედრალის სიმდიდრესა და ძლიერებას (იხ. შ. ჩხეტია, წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი 1699 წლისა, „საისტორიო მაამბე“, 1925, II, გვ. 9-26).

რომანოზ ხერხიძე (XVI ს.) – კალიგრაფი. მოხსენებული ყოფილა მის მიერ 1534 წელს გადაწერილ ოთხთაეში, რომელიც ე. თაყაიშვილს უნახავს წალკის რაიონის სოფ. წინწყაროში, ერთი ბერძნის ოჯახში. რომანოზის მამა მონაზვნად აღკვეცილა, თვითონ კი მთავარდიაკონი გამხდარა. ოთხთაეი გადაუწერია „კალმახის ციხესა შინა, წმიდის დიმიტრის კარის ბჭეთა“ (ტაოში, ჭოროხის ხეობაში).

რომანოზი († 303 წ.) – მოწამე. დიაკვნად მსახურობდა პალესტინის ქალაქ კესარიაში. ქრისტიანთა დევნის დროს იგი ანტიოქიაში გადაეიდა და იქ გააგრძელა ქადაგება. წარმართებმა შეიპყრეს და დიდხანს აწამეს, ბოლოს კი ჩამოახრჩეს. ხსენების დღე – 18 ნოემბერი. რომანოზ ანტიოქელისათვის იოანე ოქროპირს მიუძღვნია შესხმა („შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა რომანოზისი“), რომელიც ქართულად ეფრემ მცირეს უთარგმნია (S 394,649-659; აქ ხსენების დღედ გამოცხადებულია 15 ნოემბერი).

რომანოზი – VIII ს. მოწამე, წარმოშობით გალატელი, ახალგაზრდა აღიკვეცა მონაზვნად ტომანტიონის მონასტერში. ამ დროს შეფობდა მონაზვნობის მტერი და სატმბრძოლი კონსტანტინე V (719-775). ერთხელ რომში მიმავალი შეიპყრეს სარკინოზებმა და წაიყვანეს ბაბილონში. იქ დიდხანს ტყეეობაში იყო. მეფე მაჰდის (781-786 წწ.) დროს ხანგრძლივი წამების შემდეგ თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 1 მაისი. რომანოზის წამება აღწერა სტეფანე მან-

სურმა, დამასკელმა, საბაწმიდის მონასტრის მოღვაწემ († 807 წ.). ქართულ ენაზე თარგმნილია არაბული ენიდან. შენახულია ხელნაწერებში: Ath. 8 (XI ს.); A 95 (X ს., ნაკლული). გამოცემულია ა. ხახანაშვილისა და კ. კეკელიძის მიერ (А. Хаханов, Материалы по грузинской агиологии, М., 1910 г; კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, თბ., 1961, გვ. 64-75).

რომანწმინდა — ხალხმრავალი მონასტერი შავ. ანუ საკვირველ მთაზე (სირიაში, ანტიოქიის მახლობლად), სადაც სხვებთან ერთად ქართველი მონაზვნებიც მოღვაწეობდნენ. ამ სავანის პირველი ქართველი მწიგნობარია გიორგი მთაწმიდელი, რომელიც მისმა მოძღვარმა გიორგი შეეწევებულმა „დამკუდრა რომანწმიდას და დაყო მას შინა სამი წელი დიდითა შრომითა და მოღუაწებითა“ (1035-1039). ამის შემდეგ გიორგიმ თავისი მოძღვრის ნებართვით მოიილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები და მცირე ხნის შემდეგ ისევ შავ მთაზე დაბრუნდა. რაც გიორგი თავისი მოძღვრის წინადადებით წიგნების თარგმნას შეუდგა, შავი მთიდან მთაწმინდაზე გადავიდა, იერუთა მონასტერში, სადაც ამ დროს დიდი ლიტერატურული მუშაობა იყო გაჩაღებული (იხ. ძეგლები, II, 121). როგორც შავი მთის მოღვაწე იოანე ჯიბისძე (XI ს.) გვაუწყებს, ბიძამისს დავითს რომანწმინდის სავანეში აუგია ეკლესია „საოფელად ძელისა ცხორებისა“. მაშასადამე, ქართველები შავ მთაზე მწიგნობრულ საქმიანობასთან ერთად აღმშენებლობასაც ეწეოდნენ.

„რომელნი ქერუბინთა“ — დასაწყისი სიტყვები ერთ-ერთი საგალობლისა, რომელიც სრულდება ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიაზე, საღვთო ძღვის გადასვენებისას სამკვეთლოდან საკურთხეველზე.

საგალობელი გულმოდგინე ლოცვისაქენ მოუწოდებს მრევლს და შთააგონებს ყოველივე ამქვეყნიური ზრუნვის დატოვებას. ტექსტი შედგენილია არა უგვიანეს VI საუკუნისა.

რომი — ქალაქი იტალიაში, დაარსდა ძვ. წ. VIII ს-ში, შემდგომ დაიმორჩილა მთელი აპენინის ნახევარკუნძული, ხოლო ძვ. წ. III ს-დან მძლავრი სახელმწიფო გახდა. რომის იმპერიის ისტორია სამ ძირითად პერიოდს მოიცავს: 1. მეფეთა პერიოდი (ტრადიციის მიხედვით, ძვ. წ. 754/3-510/9); 2. რესპუბლიკის ხანა (510/9-27); 3. იმპერიის ეპოქა (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 476). იმპერიის ეპოქაში გამოყოფენ პრინციპატს (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 193), კრიზისის ხანას (193-284) და დომინატს (284-475). რომაელთა უძველესი რელიგიური წარმოდგენებიდან მომდინარეობს ლეგენდა ძუ მგლის შესახებ, რომელმაც ქალაქის დამაარსებლები რომულუსი და რემი გამოკვება, კაპიტოლიუმის ბატების შესახებ და სხვა. უძველესი რელიგიისათვის დამახასიათებელი იყო ღვთაებათა ფუნქციების არაჩვეულებრივი დანაწილება. ყველაზე ძველ რომაულ ღვთაებებს განეკუთვნებოდა იანუსი — ჯერ სახლის კარიბჭის მფარველი, შემდეგ კი სამყაროს საწყისის ღმერთი, ოჯახის კერის მფარველი ქალღმერთი ვესტა, ეტრუსკებისაგან შეთვისებუ იუპიტერის, იუნონას, მარსის, სატურნის, ველკანუსის კულტები. მონათმფლობელური საზოგადოებების განვითარებასთან ერთად იქმნება უფრო ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა, იქმნება ღმერთების პანთეონი, რომლის სათავეშიც იქცევა ე. წ. კაპიტოლიუმის ტრიადა — იუპიტერი, იუნონა, მინერვა. ყალიბდება ქურუმთა კოლეგიები, ღვთისმსახურების რთული წესები, იწყება ტაძრების მშენებლობა. რესპუბლიკის ხანაში ელინისტური გავლენით რომაულ პანთეონში შემოდიან ბერძნული ღმერთები და ხდება რომაულ ღვთაებებთან მათი გაიგივება (იუპიტერი — ზევსი, იუნონა — ჰერა, მინერვა — ათენა, მარსი — არესი და სხვ.); იწყება წმინდა ბერძნული ღმერთების თაყვანისცემაც (აპოლონი). იმპერიის ხანაში ხდება აღმოსაელური კულტების შემოსელაც (ღმერთების დიდი დედა კიბელე, ისიდა, მითრა და სხვ.). რომთანაა დაკავშირებული წმ. თაოსა მოციქულთა — პეტრეს და პაველს სამოციქულო მოღვაწეობა და მოწამებრივი აღსასრული. ქრისტიანები სასტიკ დევნას განიცდიდნენ იმპერატორების — ნერონის, ტიტეს, დომიციანეს, ტრაიანეს, მარკუს ავრელიუსის, სეპტიმიუსის, მაქსიმიანეს, დეცი ტრაიანეს, ვალერიანეს, ავრელიანეს, დიოკლეტიანეს, გალერიუსის. კონსტანტინე დიდმა (306-337 წწ.) ბოლო მოუღო ქრისტიანთა დევნას და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ქრისტიანობა იმპერატორის ხელისუფლების ძლიერ დასაყრდენად იქცა, მაგრამ იმპერიაში კრიზისული მოვლენები არ შეწყვეტილა. ეკონომიური კრიზისი უფრო ამკარა და ძლიერი დასავლეთ პროვინციებში იყო. აღმოსაელეთში არ მოშლილა საქალაქო ცხოვრების ისეთი დაქვეითება, როგორც დასავლეთში. აღმოსავლეთი პროვინციები ნაკლებად განიცდიდნენ ბარბაროსთა შემოსევებსაც. ამით აიხსნება, რომ იმპერიის ეკონომიკური ცენტრმა აღმოსაელეთში გადაინაცვლა, ხოლო

კონსტანტინე დიდმა დედაქალაქი რომიდან ბიზანტიონში გადმოიტანა და მას კონსტანტინეპოლი უწოდა. 395 წლიდან, თეოდოსიუს I-ის შემდეგ იმპერია ორ ნაწილად გაიყო – დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. დასავლეთ რომის იმპერიამ 476 წელს დაასრულა არსებობა სხვადასხვა ტომთა შემოსევების შედეგად (გუთები, ჰუნები, ვანდალები). რომში არის მცირე ზომის თეოკრატიული სახელმწიფო – ვატიკანი, რომის პაპის რეზიდენცია.

რომილოს – მოწამე; ევდოქსიოსთან, მაკარისთან და ჰინონთან ერთად ეწამა ქრისტიანობის აღიარებისათვის იმპერატორ გალერიუსის დროს (დაახლ. 311-312). რომილოსი მეგობრობდა წარჩინებულ მხედართმთავარ ევდოქსიოსთან და მისი მოწამებრივი ღვაწლით შთაგონებულმა უშიშრად გამოაცხადა თავი ქრისტიანად ქ. მელიტინის წარმართი მმართველის წინაშე. რომილოსს ევდოქსიოსსა და მისი რაზმის სხვა მებრძოლებთან ერთად თავი მოკვეთეს. მოწამეთა ხსენების დღე – 5 სექტემბერი. ევდოქსიოსისა და მის თანამოწამეთა ღვაწლი აღწერილია მათ მეტაფრასულ „წამებაში“, რომელიც ქართულად უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს (Ath. 20, 34-38). არსებობს ამ თხზულების მეორე ქართული თარგმანიც (ქუთ. 4, 50-57).

რომის კურია – დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელიც ეხმარება რომის პაპს, როგორც კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურს. შეიქმნა პაპის კარის სხვადასხვა დაწესებულებების ბაზაზე XII ს-ში, მოიცავს სხვადასხვაგვარ კონგრეგაციები (საეკლესიო სამინისტროებს), უმაღლეს საეკლესიო სასამართლოებსა და კანცელარიებს.

რომის პაპი (ლათ. papa – „მამა“) – კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური. იხ. პაპობა.

რომის პაპებისა და ანტიპაპების სია:

წმ. პეტრე მოციქული († 67, 29 ივნისი).
წმ. ლინუსი 67-76
წმ. ანაკლეტუსი I, 76-88
წმ. კლიმენტი I, 88-97
წმ. ევარისტუსი 97-105
წმ. ალექსანდრე I, 105-115
წმ. სიქსტუსი I, 115-125
წმ. ტელესფორუსი 125-136
წმ. ჰიგინიუსი 136-140
წმ. პიუს I, 140-155
წმ. ანიკეტუსი 155-160
წმ. სოტერი 166-175
წმ. ელეუთერუსი 175-189
წმ. ვიქტორი I, 189-199
წმ. ზეფირინუსი 199-217
წმ. კალიქსტუსი I, 217/218-222
ჰიპოლიტუსი (ანტიპაპი) 217/218-235
წმ. ურბან I, 222-230
წმ. პონტიანუსი 230-235
წმ. ანტეროსი 235-236
წმ ფაბიანე 236-250
წმ. კორნილიუსი 251-253
ნოვაციონი (ანტიპაპი) 251-258
წმ. ლუციუსი I, 253-254
წმ. სტეფანე I, 254-257
წმ. სიქსტუსი II, 257-258
წმ. დიონისიუსი 259-268
წმ. ფელიქს I, 269-274
წმ. ეუტიხიანე 275- 283
წმ. გაიუსი 283-296
წმ. მარცელინუსი 296-304
წმ. მარკელი I, 304 ან 308-310
წმ. ევსებიუსი 309 ან 310
წმ. მილტიადე 311-314
წმ. სილვესტრ I 314-335
წმ. მარკუსი 336 (იან. ოქტ.)
წმ. იულიუს I, 337-352
წმ. ლიბერიუსი 352-366
ფელიქს II (ანტიპაპი, არიანელი) 355-365
წმ. დამასუსი I, 366-384
ურსინუსი (ანტიპაპი) 366-367
წმ. სირიციუსი 384-399
წმ. ანასტასიუსი I, 399-402
წმ. ინოკენტი I, 402-417
წმ. ზოსიმუსი 417-418
წმ. ბონიფაციუს I, 418-422
ეულალიუსი (ანტიპაპი) 418-419
წმ. ცელესტინ I, 422-432
წმ. სიქსტუს III 432-440
წმ ლეო I დიდი 440-461
წმ. ჰილარიუსი 461-468
წმ. სიმპლიციუსი 468-483
წმ. ფელიქს III, 483-492
წმ. გელასიუს I, 492-496
წმ. ანასტასიუს II, 496-498
წმ. სიმახუსი 498-514
ლაურენციუსი (ანტიპაპი) 498-508
წმ. ჰორმიზდუსი 514-523
წმ. იოანე I 523-526
წმ. ფელიქს IV 526-530

ბონიფაციუს II 530-532
დიოსკორიუსი (ანტიპაპი) 530
იოანე II 533-535
წმ. აგაპეტუს I 535-536
წმ. სილვერიუსი 536-537
ვიგილიუსი 537-555
პელაგიუს I 555-561
იოანე III 561-574
ბენედიქტე I 574-579
პელაგიუს II 579-590
წმ. გრიგოლი (დიდი) 590-604
საბინიანე 604-606
ბონიფაციუს III 607 (თებ. ნოემბ.)
წმ. ბონიფაციუს IV 608-615
წმ. ადეოდატუს I 615-618
ბონიფაციუს V 619-625
ჰონორიუს I 625-638
სევერინუს II 638-640
იოანე IV 640-642
თეოდორე I 642-649
წმ. მარტინე I 649-655
ევგენი I 654-657
წმ. ვიტალიანე 657-672
ადეოდატუს II 672-676
დონუსი 676-678
წმ. აგათონ 678-681
წმ. ლეო II 681-683
წმ. ბენედიქტე II 683-685
იოანე V 685-686
კონონი 686-687
თეოდორე და პასხალიოს ანტიპაპები 687 (სექტ.)
წმ. სერგიუს I 687-701
იოანე VI 701-705
იოანე VII 705-707
სიზინიუსი 708 (იანვ. თებ.)
კონსტანტინე I 708-715
წმ. გრიგოლი II 715-731
წმ. გრიგოლი III 731-741
წმ. ზაქარია 741-752
სტეფანე II 752 (მარტი)
სტეფანე III 752-757
წმ. პაული I 757-767
კონსტანტინე II (ანტიპაპი) 767-768
ფილიპე (ანტიპაპი) 768 (ივლ.)
სტეფანე IV 768-772
ადრიანე I 772-795
წმ. ლეო III 795-816
სტეფანე V 816-817
წმ. პასხალიუს I 817-824
ევგენი II 824-827
ვალენტინუსი 827 (აგვისტო-სექტ.)
გრიგოლი IV 827-844
იოანე (ანტიპაპი) 844 (ივნ.)
სერგიუს II 844-847
ლეო IV 847-855
ბენედიქტე III 855-858
ანასტასიუსი (ანტიპაპი) 855
წმ. ნიკოლოზ I (დიდი) 858-867
წმ. ადრიანე II 867-872
იოანე VIII 872-882
მარინუს I 882-884
ადრიანე III 884-885
სტეფანე VI 885-891
ფორმოზუსი 891-896
ბონიფაციუს VI 896 (აპრ.)
სტეფანე VII 896-897
რომანუსი 897 (აგვისტო-ნოემბ.)
თეოდორე II 897 (ნოემბ. დეკ.)
იოანე IX 898-900
ბენედიქტე IV 900-903
ლეო V 903
ქრისტეფორუსი (ანტიპაპი) 903-904
სერგიუს III 904-911
ანასტასიუს III 911-913
ლანდო 913-914
იოანე X 914-928
ლეო VI 928 (მაისი-დეკ.)
სტეფანე VIII 929-931
იოანე XI 931-936
ლეო VII 936-939
სტეფანე IX 939-942
მარინუს II 942-946
აგაპეტუს II 946-955
იოანე XII 955-964
ლეო VIII 964-965
ბენედიქტე V (ანტიპაპი) 964 (მაისი-ივნ.)
იოანე XIII 965-972
ბენედიქტე VI 973-974
ბენედიქტე VII 974-983
იოანე XIV 983-984
ბონიფაციუს VII (ანტიპაპი) 984-985
იოანე XV 985-996
გრიგოლ V 996-999
იოანე XVI (ანტიპაპი) 997-998
სილვესტერ II 999-1003
იოანე XVII 1003 (ივნ. დეკ.)
იოანე XVIII 1003-1009
სერგიუს IV 1009-1012
ბენედიქტე VIII 1012-1024

გრიგოლ V (ანტიპაპი) 1012
იოანე XIX 1024-1032
ბენედიქტე IX 1032; 1045 (იანვ. მარტი)
სილვესტერ III (ანტიპაპი) 1045
გრიგოლ VI 1045-1046 (პაპობა იყიდა ბენედიქტე IX-საგან, მაგრამ შემდეგ თვითონვე უარყო).
კლიმენტი II 1046-1047
ბენედიქტე IX (მეორედ) 1047-1048
დამასუს II 1048 (იულ. აგვ.)
ლეო IX 1049-1054
ვიქტორ II 1055-1057
სტეფანე X 1057-1058
ბენედიქტე X (ანტიპაპი) 1058-1059
ნიკოლოზ II 1058-1061
ალექსანდრე II 1061-1073
ჰონორიუს II (ანტიპაპი) 1061-1072
წმ. გრიგოლ VII 1073-1085
კლიმენტი III (ანტიპაპი) 1084-1100)
ვიქტორ III 1086-1087
ურბან II 1088-1099
პასხალიუს II 1099-1118
თეოდორიხი (ანტიპაპი) 1100-1101
ალბერტი (ანტიპაპი) 1102 (თებ. მარტი)
სილვესტერ IV (ანტიპაპი) 1105-1111
გელასიუს II 1118-1119
კალიქსტუს II 1119-1124
გრიგოლ VIII (ანტიპაპი) 1118-1121
ცელესტინ II (ანტიპაპი) 1124
ჰონორიუს II 1124-1130
ინოკენტი II 1130-1143
ანაკლეტუს II (ანტიპაპი) 1130-1138
ვიქტორ IV (ანტიპაპი) 1138 (მარტი-მაისი)
ცელესტინ II 1143-1144
ლუციუს II 1144-1145
ევგენი III 1145-1153
ანასტასიუს IV 1153-1154
ადრიანე IV 1154-1159
ალექსანდრე III 1159-1181
ვიქტორ IV (ანტიპაპი) 1159-1164
პასხალიუს III (ანტიპაპი) 1164-1168
კალიქსტუს III (ანტიპაპი) 1168-1178
ინოკენტი III (ანტიპაპი) 1178-1180
ლუციუს III 1181-1185
ურბანოს III 1185-1187
გრიგოლ VIII 1187 (ოქტ. დეკ.)
კლემენტი III 1187-1191
ცელესტინ III 1191-1198
ინოკენტი III 1198-1216
ჰონორიუს III 1216-1227
გრიგოლ IX 1227-1241
ცელესტინ IV 1241 (ოქტ. ნოემბ.)
ინოკენტი IV 1243-1254
ალექსანდრე IV 1254-1261
ურბანოს IV 1261-1264
კლიმენტი IV 1265-1268
გრიგოლ X 1271-1276
ინოკენტი V 1276 (იანვ. ივნ.)
ადრიანე V 1276 (იულ. აგვ.)
იოანე XXI 1276-1277
ნიკოლოზ III 1277-1280
მარტინ IV 1281-1285
ჰონორიუს IV 1285-1287
ნიკოლოზ IV 1288-12492
ცელესტინ V 1294 (იულ. დეკ.)
ბონიფაციუს VIII 1294-1303
ბენედიქტე XI 1303-1304
კლიმენტი V 1305-1314
იოანე XXII (ავინიონის) 1316-1334
ნიკოლოზ V (ანტიპაპი) 1328-1330
ბენედიქტე XII (ავინიონის) 1334-1342
კლიმენტი VI (ავინიონის) 1342-1352
ინოკენტი VI (ავინიონის) 1352-1362
ურბან V 1362-1370
გრიგოლ XI 1370-1378
ურბან VI (ანტიპაპი) 1378-1380
კლიმენტი VII (ავინიონის) 1378-1394
ბონიფაციუს IX 1380-1404
ბენედიქტე XIII (ანტიპაპი) 1394-1423
ინოკენტი VII 1404- 1406
გრიგოლ XII 1406-1415
ალექსანდრე V (ანტიპაპი) 1409-1410
იოანე XXIII 1410-1415
მარტინ V 1417-1431
კლიმენტი VIII (ავინიონის) 1424-1429
ბენედიქტე XIV (ანტიპაპი) 1425
ევგენიუს IV 1431-1447
ფელიქს V (ანტიპაპი) 1439-1449
ნიკოლოზ V 1447-1455
კალიქსტუს III 1455-1458
პიუს II 1458-1464
პაულე II 1464-1471
სიქსტუს IV 1471-1484
ინოკენტი VIII 1484-1492
ალექსანდრე VI 1492-1503
პიუს III 1503 (სექტ. ოქტ.)
იულიუს II 1503-1513
ლეო X 1513-1521
ადრიანე VI 1522-1523
კლიმენტი VII 1523-1534

პაული III 1534-1549
იულიუს III 1550-1555
მარცელიუს II 1555 (აპრ.)
პაული IV 1555-1559
პიუს IV 1559-1565
პიუს V 1565-1572
გრიგორი XIII 1572-1585
სიქსტუს V 1585-1590
ურბან VII 1590 (სექტ.)
გრიგოლ XIV 1590-1591
ინოკენტი IX 1591 (ოქტ. დეკ.)
კლიმენტი VIII 1592-1605
ლეო XI 1605 (აპრ.)
პაული V 1605-1621
გრიგოლ XV 1621-1623
ურბან VIII 1623-1644
ინოკენტი X 1644-1655
ალექსანდრე VII 1655-1667
კლიმენტი IX 1667-1669
კლიმენტი X 1670-1676
ინოკენტი XI 1676-1689
ალექსანდრე VIII 1689-1691
ინოკენტი XII 1691-1700
კლიმენტი XI 1700-1721
ინოკენტი XIII 1721-1724
ბენედიქტე XIII 1724-1730
კლიმენტი XII 1730-1740
კლიმენტი XIII 1758-1769
კლიმენტი XIV 1769-1774
პიუს VI 1775-1799
პიუს VII 1800-1823
ლეო XII 1823-1829
პიუს VIII 1829-1830
გრიგოლ XVI 1831-1846
პიუს IX 1846-1878
ლეო XIII 1878-1903
პიუს X 1903-1914
ბენედიქტე XV 1914-1922
პიუს XI 1922-1939
პიუს XII 1939-1958
იოანე XXIII 1958-1963
პაული VI 1963-1978
იოანე-პაული I 1978
იოანე-პაული II 1978-2005
ბენედიქტე XVI 2005 წლიდან

„რჩინი" – ქართველი მონაზონის მოღვაწის, იონა ხელაშვილის († 1837 წ.) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება, რომელიც საკალმასოდ გასული ბერის სწავლა-მოძღვრებათა სახით იძლევა ცნობებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, განსაკუთრებით ღვთისმეტყველებიდან (S 288). აქ მოთხრობილია, რომ იონა ქვათახევს შიომღვიმიდან ეწვია, მონასტერი კარდახშული დახვდა; ლეკთა შიშით მონაზონი მიმალულიყვნენ. ქვათახევში გაატარა იონამ სამი წელი. ზაფხულობით ენერგიულად შრომობდა, ხოლო ზამთრობით, როცა მონაზონთა კრებული იზრდებოდა, იონა სხვებთან ერთად იღებდა მონასტრის საკეთილდღეოდ. იოანე ბატონიშვილის ცნობით, იონა ხელაშვილი ქვათახევიდან გაუდგა გზას საკალმასოდ. იხ. იონა ხელაშვილი.

რუბენი – ბიბლიური მამამთავრის, იაკობის უფროსი ვაჟი პირველი ცოლის, ლიასაგან (დაბ. 29,32), ისრაელის ერთ-ერთი ტომის (რუბენის ტომის) მამამთავარი. როდესაც იაკობის ვაჟებმა გადაწყვიტეს თაუანთი ძმის, იოსების მოკვლა (შურის გამო), რუბენი წინ აღუდგა მათ და სთხოვა, ძმის სისხლს ნუ დაღვრით, ცოცხალი ჩაუგდოთ ჭაშიო; სულ ერთია, შიმშილით მოკვდებაო. ასე იხსნა რუბენმა იოსები სიკვდილისაგან (დაბ. 37,21).

რუთი – (ბიბლ.) ისრაელის მსაჯულთა პერიოდში მცხოვრები მოაბელი ქალი, რომლის ცხოვრების აღწერას ეძღვნება ბიბლიის ერთ-ერთი კანონიკური წიგნი, მისივე სახელწოდებით. რუთი ბეთლემელ ებრაელს მისთხოვდა და მალე დაქვრივდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ მან დედამთილთან განშორება არ მოისურვა. წესიერებისა და მარჯვნალებისთვის მდიდარმა ბოაზმა (დავით მეფის წინაპარმა) შეირთო იგი ცოლად, და ასე იქცა რუთი დავითის დიდ ბებიად და მაშასადამე – იესო ქრისტეს წინაპრად. რუთი მოხსენიებულია სახარებაში, ქრისტეს გენეალოგიაში (მათე 1,5).

რუთი მონაზონი – XIII ს. ქართველი მწიგნობარი ქალი, დახელოვნებული კალიგრაფი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი ხელნაწერი: A 306, A 382, ხიხის გულანი, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი Jer. 3 და სხვ.

რუისი – სოფელი ქარელის რაიონში, შიდა ქართლის ვაკეზე, გორი-ხაშურის საავტ. გზაზე, ქარელიდან 5 კმ. რუისში ეკლესია პირველად ვახტანგ გორგასალს აუგია (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა"). შუა საუკუნეებში რუისი საეპისკოპოსო კათედრა იყო (იხ. რუისის საეპისკოპოსო). რუისი მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. იქ მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავია ან-

ტან მრეველი (IX-X სს.), ლეონტი მრეველი (XI ს.), გიორგი მრეველი (XII-XIII სს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.), დომენტი აკალიშვილი (XVI-XVII სს.), ნიკოლოზ ორბელიანი (XVII-XVIII სს.), გერმანე მრეველი (XVIII ს. მეორე ნახევარი), იონა გედეონიშვილი (1737-1821 – რუისის მღვდელთმთავარი 1775-1780 წწ.), იუსტინე მაღალაძე (XVIII-XIX სს.), ისიდე მრეველი, ჯანდიერიშვილი, შემდგომში კათოლიკოსი (1755-1764) და სხვ. ამ მღვდელმთავართა და სხვა მრეველ მოღვაწეთა ზრუნვის შედეგად რუისის კათედრალს საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ცნობილია რუისისათვის შეწირული მრავალი ხელნაწერი: A 849, A 853, A 866 (ნ. ორბელიანი), A 901 (იოსებ კლიმაშვილი), A 897, A 903 (გერმანე მრეველი), A 49, A 863, A 867, A 870, A 1341, A 1552; H 1249, H 2902. განსაკუთრებით აღსანიშნაა რუისის სახარება (A 845), გადაწერილი XI ს-ში, შავი მთის ქართულ მონასტერში.

სოფლის შუაგულში აღმართულია ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთაების ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, „დიდი, დიდშენი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). ნაგებობა ყურადღებას იპყრობს მაღალი გუმბათისა და კორპუსის ქვედა წელის შეუსაბამობითა და არაპროპორციულობით. ეს გამოწვეულია იმით, რომ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ეპოქის ფორმების აღრეულთან. ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ძველი ნაგებობის ფრაგმენტული ნაშთი, რომელიც წრომის (VII ს.), გურჯაანის ყველაწმიდის (VIII ს.) და სხვა იმდროინდელი ძეგლების მონათესავეა. ძველი შენობა (VIII-IX სს.) აღდგენილ და განახლებულ იქნა X საუკუნეში, XI საუკუნის დასაწყისში კი რადიკალურად გადაკეთეს და მაღალი ხელოვნებით და ოსტატობით დაამშვენეს (ეს შეეხება უმთავრესად ტაძრის დეკორატიულ მხარეს, აგრეთვე საკურთხეველის მარკუნივ და მარცხნივ განლაგებული სადგომების კამარების გაფორმებას). აღრინდელი, VIII-IX სს. ნაგებობის ფრაგმენტები ჩართულია საკურთხეველსა და აღმოსავლეთის და სამხრეთის ფასადებში. ტაძრის გუმბათი დაყრდნობილია თაღსუფლად მდგარ ოთხ ბოძზე. XI საუკუნეშიე ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებისათვის მთელ სიგრძეზე მოუშენებიათ მაღალმტკრულად შესრულებული ჩუქურთმებიანი ეგვტერები, ჩუქურთმებითა და ლილვებით შეუმკიათ 12-წახნაგა გუმბათის ყელის სარკმლები (მათგან ექვსი XV ს-ში ამოუქოლავთ). XI-XII საუკუნეებში რუისი საკმაოდ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. გიორგი II (1072-1089) აქ აკურთხებს მეფედ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 304). დაჟით აღმაშენებლის ინიციატივით რუისსა და ურბნისში გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1105 წ.). ცნობილია, რომ რუისის ეკლესიას დიდ დახმარებას უწევდა ბურდუხან დედოფალი (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. 268). თემურ ლენგის ლაშქარმა ტაძარი დაწვა და დაანგრია. განაახლა ალექსანდრე I-მა (1412-1442). ამას მოწმობს როგორც ტაძრის წარწერა, ისე ძველ ავტორთა ჩვენებებიც („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილი, ტიმოთე გაბაშვილი და სხვ.). XVII საუკუნეში რუისის ტაძარი კვლავ განაახლა და შეამკო დედოფალმა მარიამმა. 1920 წლის მიწისძვრით დაზიანებული ტაძარი 1930-ან წლებში აღადგინეს. ტაძრის გალავანში ეპისკოპოს იღარიონ ლარაძის მიერ XVII ს-ში აგებული სამრეკლოა. რუისში, დიდი გუმბათოვანი ტაძრის გარდა, რამდენიმე მცირე ეკლესიაცაა შემორჩენილი. ამათგან გამოირჩევა წმ. დემეტრეს და წმ. კვირიკეს ეკლესიები. წმ. დემეტრეს ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. იგი საკმაოდ ძველი ნაგებობა უნდა იყოს. შედარებით გვიანდელია წმ. კვირიკეს ეკლესია (XVII-XVIII სს.).

რუისის ოთხთავი – ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 845 ხელნაწერი. გადაწერილია XI ს. შუა წლებში შავი მთის ქართულ მონასტერში, ლერწმისხევის უდაბნოში, შავ-ზაქარიას მიერ. შემდეგ ეს ხელნაწერი მოხვედა სამცხის ათაბაგთა კარზე, სადაც დაასურათა მინიატურისტმა ანანიამ.

რუისის საეპისკოპოსო – ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრა. რუისის ეპისკოპოსი, ანუ მრეველი მონაწილეობდა 506 წ. დვინის საეკლესიო კრებაში. ეპისტოლეთა წიგნში იგი მოხსენიებულია, როგორც „მარუელი“. რუისის ეპარქია საკმაოდ დიდ ფართობზე იყო გადაჭიმული და მისი მღვდელმთავარი (მრეველი) სათანადო პატივით სარგებლობდა. მეფეთა კურთხეევისას ქართველ იერარქთა შორის მრეველს 22-ე ადგილი ეჭირა. რუისის საეპისკოპოსოში შედიოდა რუისის ჩრდილო-დასაელეთით მდებარე შიდა ქართლის სოფლები ლიხ-ტაბისკარამდე. აწყურის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ (XVII ს.) საბერი

და ხეობის სხვა სოფლებიც მრეველს დაექვემდებარა. 1715 წელს რუისის სამწყსოში შედიოდა 84 სოფელი 1839 კომლი. 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით რუისის საეპისკოპოსოც გაუქმდა. საკათედრო ტაძარს ყურადღება მოკლდა. ამას დაერთო 1920 წელს მომხდარი მიწისძვრა. მხოლოდ 1936 წელს ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შედეგად გადარჩა ტაძარი დანგრევა-განადგურებას.

რუის-ურბნისის საეპისკოპოსო ძრება – მოიწვია 1105 წელს დაუთ აღმაშენებლის (1089-1125). მისი სხდომები რუისსა და ურბნისის საეპისკოპოსო ტაძრებში გაიმართა. კრების მოწვევას მრავალი მიზეზი ჰქონდა. სამეფოს წინაშე იდგა ამოცანა – ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების საშახურში ჩაეყენებინა ეკლესია, აღმოეფხვრა ქართულ ეკლესიაში არსებული დარღვევები (ხელდასხმის წესების დარღვევა, საეკლესიო ქონების ფლანგვა, მცირეწლოვანთა ქორწინება, ზნეობის დაქვეითება და სხვ.). კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დაუით აღმაშენებლის ერთგული მოხელე გიორგი, შემდგომში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. შემთხვევა რა გიორგი მთაწმიდელის იღუმენად შემკვიდრეთა ძლიერი დასი, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მკაცრად იმსჯელა ეკლესიის მაშინდელი მესვეურების შესახებ.

კრებამ დაუთ აღმაშენებლის მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები – ე. წ. ძეგლისწერა (იხ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა), რომლის ძალითაც გადაყვა ულრესი მღვდელთმთავრები; მათი აღგილი სამეფო ხელისუფლების ერთგულმა პირებმა დაიკავეს. კრებამ უარყო გვარიშვილობის მნიშვნელობა საეკლესიო მსახურთათვის და პირად ღირსებას მიანიჭა შესაფერისი პატივი. მოწესრიგდა ხელდასხმის წესი და მოგვარდა საეკლესიო ცხოვრების ბევრი სხვა საკითხი.

რუის-ურბნისის კრების შედეგებმა დიდი როლი შესრულეს საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება-ცენტრალიზებაში.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა – „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა დაუით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა; პირთათუს, რომელნი ქუეშე მოკსენებულ არიან"; რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1105 წ.) დადგენილებებით: 1. შეიცვალა ულრესი მღვდელმთავრები. 2. დაწესდა წლოვანების ზღვარი ხელდასხმისათვის (35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 – მღვდელთათვის, 25 – დიაკონთათვის, 8 – წიგნისმკითხველისათვის). 3. დადგინდა ხელდასხმის წესი. 4. აკრძალა ხელდასხმელის მიერ ხელდასხმულისაგან „ქრთამისა და საფასის მიღება". 5. აიკრძალა ყოველგვარი საეკლესიო ნივთის არადანიშნულებისამებრ მოხმარება. 6. აიკრძალა უეკლესიოდ ნათლისცემა და ქორწინება. 7. აიკრძალა გვარტომის კურთხება „ჩრქელთა ქალ-ყრმათა". თუ მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დამოყრება, ნება ეძლეოდათ, ბავშვები დაეწინდათ, ხოლო დაქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში იყო დაშვებული. ულარდასაწერი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. 8. კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებს დაეკალათ, ქორეპისკოპოსებად „სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი" აერჩიათ. 9. მონასტერს უნდა ჰყოლოდა ერთი მოძღვარი, განსაკუთრებულ შემთხვევებში – ორი. 10. აიკრძალა მონასტერთან ბაზრობის გამართვა. მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 კანონები შიდასაეკლესიო საქმიანობას ეხებოდა. 15. აიკრძალა სასულიერო პირთა შორის დამკვიდრებული ზოგიერთი უწესობა. გამოცემები: საისტორიო ძეგლები, III, 105-126; დიდი სჯულისკანონი, 1975, 543-559; ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 176-196.

რუისპირი – სოფელი თელავის რაიონში, მდ. თურძლის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს, თელავ-ახმეტის საავტ. გზაზე, თელავიდან 7 კმ. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ზე აღმართულია VI ს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამკლესიანი ბაზილიკა, ამჟამად ძლიერ დაზიანებული. ნაგებია რიყის ქვით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები თლილი ქვისაა. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ადგ. არტოზანი) ფეოდალის ციხე-დარბაზის გალავნის შიგნით დგას მცირე დარბაზული კარის ეკლესია (გვიანი შუა საუკუნეებისა). ასეთივე ეკლესიაა შემორჩენილი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე (XVIII ს.). რუისპირის მახლობლად მდებარეობს XIII ს. გუმბათიანი ეკლესია „ამაღლება", აგრეთვე წმ. შიოს მონასტერი (XII-XIII სს. შემორჩენილია მოხატული ფრაგმენტები).

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია – დაარსდა X ს-ის მიწურულში ელადიმერ მთავრის დროს. რუსეთის გაქრისტიანებას წინ უძღოდა სლაური ანბანის შექმნა და ბერძნულიდან სლაურ ენაზე საღთო წერილის თარგმნა კირილესა (827-869) და მეთოდეს (დაახლ. 815-885) მიერ. ქრისტიანობა სლავთაგან პირველებმა გაიცნეს კიევის მთავრებმა (რუსულ მატიანეთა თანახმად, რიურიკის ბოიარებმა) ასკოლდმა და დირმა (IX ს. II ნახ.). მათი წინამძღოლობით მოწყო პირველი ლაშქრობა კონსტანტინოპოლზე (დაახლ. 866 წ.). იმპერიის სატახტო ქალაქის დარბევის შემდეგ, როგორც ფიქრობენ, ღვთის რისხვით დაშინებულებმა, 866-867 წწ. ქრისტიანობა მიიღწს. ქრისტიანულად მოინათლა თავად იგორის მეულლე ოლგაც (957 წელს, მიმრქმელად იყო კონსტანტინე პორფიროგენეტი, მომნათვლელად – პატრიარქი პოლიეუქტო), თუმცა შემდგომში მას აღარ უზრუნავია რუსეთის გაქრისტიანებაზე. მხოლოდ დიდი მთავრის, ელადიმერის (ოლგას შვილიშვილის) დროს, 988 წელს მოინათლა საზეიმოდ მთელი კიევის რუსეთი. ვლადიმერის გაქრისტიანებასაც, ასკოლდისა და დირის მსგავსად, კონსტანტინოპოლზე გალაშქრება უძღოდა წინ. იგი თავისი მხედრობით გაემართა ბიზანტიისაკენ, აიღო ხერსონესი და დაემუქრა მაშინდელ იმპერატორებს – კონსტანტინესა და ბასილის, რომ კონსტანტინეპოლსაც აიღებდა, თუ ისინი ცოლად არ მისცემდნენ თაეის დას, ანას. ვლადიმერის გაქრისტიანების სურვილი რომ შეიტყვეს, იმპერატორებმა დაითანხმეს ანა. ამას მოაყვა კიდეც მთელი კიევის მონათვლა. XI ს. ბოლოს ქრისტიანობა უკვე მთელ რუსეთში იყო გავრცელებული. ღვთისმსახურება, წესები და იერარქიული წყობა ბერძნული ეკლესიის ანალოგიურად მოეწყო. თავდაპირველად რუსი მიტროპოლიტები ბერძნულ ეკლესიას ეხორჩილებოდნენ, შემდეგ კი, როცა კონსტანტინეპოლი თურქების ხელში გადაეიდა, პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავრებს მისცეს უფლება, თვითონვე აერჩიათ და ეკურთხებინათ თავიანთი მიტროპოლიტები. პირველი რუსი მიტროპოლიტი იყო ილარიონი (1051-1054). ზოგიერთი მიტროპოლიტი წმინდანადაა შერაცხული: პეტრე, ფილიპე, ალექსი, იონა და გერმოგენი.

თეოდორე ივანეს ძის მეფობისას, მსოფლიო პატრიარქთა თანხმობით, 1589 წელს რუსეთის ეკლესიაში შემოიღეს პატრიარქის ტიტული. მეათე პატრიარქის შემდეგ (უკანასკნელი იყო ადრიანე, † 1700 წ.) ეკლესიას მართაუდა მოსაყდრე (მოადგილე), 1721 წლიდან კი პეტრე დიდმა ეკლესიის მმართველად დაწესა მუდმივი კრება (ანუ სინოდი) გამორჩეული სასულიერო პირებისა. ამ კრებას გადაეცა მთელი საეკლესიო ძალაუფლება. საღეთო წერილისა და მსოფლიო კრებათა კანონების გარდა, პეტრე დიდმა კრების სახელმძღვანელოდ დაწესა ე. წ. სასულიერო რეგლამენტი. აღნიშნულ კრებას ჯერ სასულიერო კოლეგია ეწოდა, შემდეგ – უწმინდესი სინოდი. XVI და XVII სს-ში რუსეთის ეკლესიაში გაძლიერდა განხეთქილება (რასკოლი). მისი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო კომპანია სასულიერო წიგნთა შესწორებისა (განსაკუთრებით პატრიარქ ნიკონის დროს). ძველი წიგნების დამცველებმა ჩამოაყალიბეს „სტაროვერების“ („სტარობრიადცების“) სექტა, რომელიც 1666 – 1667 წწ. ამხილა მოსკოვის საეკლესიო კრებამ. სტაროვერები შერიგების ნაცვლად ეკანყნენ (ძირითადად ორგან: სოლოვეცკის მონასტერსა და თვით მოსკოვში), რისთვისაც ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა მათ. მოთავეები დახოცეს, სხვები გადაასახლეს, ან დაამწყვდიეს. ამით განხეთქილება არ დამთავრებულა. სტაროვერები იატაკქვეშ განაგრძობდნენ ქადაგებასა და სასულიერო მოღვაწეობას. შწვალებლობის შედეგად წარმოიშვა სხვა მრავალი სექტა და მიმდინარეობა.

მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ (1917 წ.) რუსეთის ეკლესიაში აღდგენილ იქნა საპატრიარქო მმართველობა. წმინდა სინოდი დარჩა, როგორც თანაშემწე პატრიარქისა ეკლესიის მმართველობის საკითხებში. ეკლესიის დაფუძნების უფლება მიეცათ „სტაროობრიადცებსაც“.

რუსეთის მამამთავართა სია:

კიევისა და რუსეთის მიტროპოლიტნი:
მიხაილ I 988-991
ლეონტი I 991-1007
იოანე I 1008-1035
თეოპემპტო 1035-1049
კირილე I 1050
ილარიონ (რუსთაგან პირველი) 1051-1054
ეფრემ I 1055
გიორგი I 1067-1077
იოანე II 1077-1089
იოანე III 1089-1091
ეფრემ II 1092-1097
ნიკოლოზი 1097-1102
ნიკიფორე I 1103-1121
ნიკიტა 1122-1126

მიხაილ II 1126-1145
კლიმენტი 1147-1154; † 1170
კონსტანტინე I 1155-1158; † 1159
თეოდორე 1151-1163
იოანე IV 1164-1166
კონსტანტინე II 1167-1177
ნიკიფორე II 1182-1198
გაბრიელი
დიონისე I 1205
მათე 1209; † 1220
კირილე II 1224-1233
იოსებ I 1237
კირილე III 1243-? † 1281
მაქსიმე 1283-1305
პეტრე 1308-1326
თეოგნოსტე 1328-1353
ალექსი 1355-1378
პიმენი 1380-1382
კიპრიანე 1381-1383, 1390-1406
დიონისე II 1383-1385
ფოტი 1408-1431
ისიდორე 1437-1441
ინოა I 1448-1451
თეოდორიტე 1345-1354
რომანოზი 1354-1362
კვიპრიანე 1375-1381; 1383-1390
გრიგოლი (ცამბლაკი) 1415-1419
გერასიმე 1433-1435

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტნი:

თეოდოსი 1461-1454
ფილიპე I 1464-1473
გერონტი 1473-1489
ზოსიმე 1490-1494
სიმეონი 1495-1511
ვარლაამი 1511-1521
დანიელი 1522-1539
იოასაფი 1539-1542
მაკარი 1542-1563
ათანასე 1564-1566
ფილიპე II 1566-1568
კირილე III 1568-1572
ანტონი 1572-1581
დიონისე 1581-1586
იობი 1586-1589

პატრიარქები მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა:

იობი 1589-1605
ევგენტე 1605-1606
გერმოგენი 1606-1612
უპატრიარქობა 1612-1619
ფილარეტი 1619-1633
იოასაფ I 1633-1640
იოსები 1642-1652
ნიკონი 1652-1666
იოასაფ II 1667-1672
პიტირიმე 1672-1673
იოაკიმე 1674-1690
ადრიანე 1690-1700
პატრიარქის მოსაყდრე სტეფანე (იაორსკი) 1701-1721
უწმიდესი სინოდის ხანა 1721-1917
ტიხონი 1917-1925
სერგი მიტროპოლიტი, მოსაყდრე 1925-1943
სერგი (პატრიარქი) 1943-1945
ალექსი I 1945-1970
პიმენი 1971-1990
ალექსი II 1991 წლიდან.

რუსთავი – ძველი ქართული ქალაქი (ბოსტან-ქალაქი) თბილისის სამხრეთით, მტკვრის პირას. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, იგი თითქოს ქართლოსის მეუღლემ ააშენა. თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, რუსთავი „ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, 1960 წ., გვ. 291). მონღოლთა შემოსევის შედეგად ძველი ქალაქი აოხრდა და განადგურდა. რუსთავში ეკლესია აუშენებია თრდატ მეფეს (IV ს.), ხოლო საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია ვახტანგ გორგასალს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 300). ქალაქის მოსპობის შემდეგ რუსთველი ეპისკოპოსის სადგომად განწესებულ იქნა მარტყოფი, სადაც იყო „ეკლესია ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდშენი, გარეზღუდგოდლოსანი, მსგავსი ცისისა, კეთილს შეურიერს ადგილსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი). მარტყოფს მცხოვრები მღვდელმთავარი კლავე რუსთველად იხსენიებდნენ. მის სამწყსოს ეკუთვნოდა არა მარტო მარტყოფ-საგურამო-ხერკი, არამედ მთელი ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, ჟალეთი და სხვ. რუსთველ მღვდელმთავარს საქართველოს ეკლესიის იერარქიაში მე-18 ადგილი ეჭირა. ეპარქია გაუქმდა 1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით. რუსთველ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილნი არიან ნიკოლოზ რუსთველი, ჩერქეზიშვილი (XVII-XVIII სს.), არქიეპისკოპოსი იოანე რუსთველი, ქობულაშვილი (XVIII ს. II ნახევარი), სტეფანე ჯორჯაძე, ნინოწმიდელი

მიტროპოლიტი და რუსთველი არქიეპისკოპოსი (XVIII ს.).

რუსთაველი – სოფელი ცხინვალის რაიონში, ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის ზემოთში, ცხინვალიდან 17 კმ. აქ შეშორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია და გალავანი.

რუსთაველი შოთა (XII-XIII სს.) – დიდი ქართველი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი. ზოგიერთი მეცნიერის დასკვნით, მას ერისაკაობასა საქართველოს მეფის კარზე მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ეკავა (რაც შესაძლებელია თანამედროვე ფინანსთა მინისტრს), სიბერეში კი იერუსალიმში ჩასულა და განუახლებია (მოუხატავს) ჯვარის მონასტერი. ამ მონასტერში არსებული მისი პორტრეტისა და სამონასტრო საკალაპე წიგნში მის შესახებ არსებული ცნობის მიხედვით საკამათო აღარაა, რომ შოთა რუსთველს დიდი დამსახურება მიუძღვის ძველი ქართული სავანის წინაშე. ბიოგრაფიული ცნობების არარსებობის გამო მეცნიერები ემყარებიან სხვადასხვა ვარაუდს და მიაწნიათ, რომ სიცოცხლის ბოლო წლები რუსთველს ჯვარის მონასტერში გაუტარებია, იქ გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი, ა. წერეთელი, გ. ფერაძე და სხვ.), ზოგს პოეტის მონაზვნად შედგომაც სარწმუნოდ მიაჩნია (მ. ბროსე, პ. იოსელიანი, გ. ფერაძე), ზოგი კი „ვეფხისტყაოსნის" ცალკეულ სტროფებს ჯვარის სავანეში დაწერილად ცნობს (შ. ნუცუბიძე).

საქართველოს ეკლესიის მიერ დიდი მოღვაწის მოსახსენებელი აღსაც დადებული იყო სულთმოფენობის მეორე დღეს – ორშაბათს.

რუფინოსი – მოწამე, წარმოშობით ნიკომიდიელი. ეწამა კიდრატესთან და სატორნინესთან ერთად იმპერატორ დეკიუსის დროს (249-251 წწ.). ხსენების დღეა 10 მარტი. მათი მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 2, 146-159.

რუფინუსი, ტირანიუს (დაახლ. 345-410) – ლათინურენოვანი საეკლესიო მწერალი; იზრდებოდა მონასტერში ნეტარ იერონიმესთან ერთად. ალეკეცა მონაზვნად, დიდხანს ცხოვრობდა ეგვიპტის უდაბნოში, შემდეგ პრესვიტერად მსახურობდა მშობლიურ ქალაქ აკვილეაში (იტალია). რუფინუსის მრომთა უმეტესობა ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებებს წარმოადგენს. ამ თარგმანების წყალობით მოაღწია ჩვენამდე ორიგენეს მრავალმა ჰომილიამ და დოგმატურმა თხზულებამ (ორიგენესადმი სიმპათიების გამო მას ერეტიკოსობაშიც დასდეს ბრალი). რუფინუსმა თარგმნა აგრეთვე ესესი კესარიელის საეკლესიო ისტორია, და შეთხზა მისი გაგრძელებაც – ორ წიგნად. რუფინუსის წიგნში შეტანილია ცნობები ქართლის გაქრისტიანების შესახებ. ეს ცნობები გადასულა შემდგომი დროის საეკლესიო ისტორიკოსების, სოკრატესა (V ს.) და სოზომენეს (V ს.) ნაშრომებში.

რძა – 1) ბიბლიაში იხმარება, როგორც სიმბოლო ძალისა, ძლიერებისა (I მეფეთა 2,1; ლუკა 1,69). „ამაღლებაჲ რქისაჲ" – გაძლიერება, განმტკიცება. 2) რქა საკურთხეველისა – ოთხი შეერთილი საკურთხეველისა. ტერმინი დამოწმებულია პეტრე მოციქულის ეპისტოლეში (A 81).

რჩული (რჯული, სჯული, შჯული, შჩული) – კანონი; მცნება, ბრძანება; სარწმუნოება, აღმსარებლობა, რელიგია.

ს

საბა – სახელი რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა:

1. ქართლის კათოლიკოსი დაახ. V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში (ქართული საეკლესიო კალენდრით 523-552), ფარსმან მეფის დროს, პირველი ქართველი კათოლიკოსი (მანამდე საქართველოში კათოლიკოსებად იწოდნენ ბერძნები). „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდულ ვარიანტში საბა „დასაბიად" არის მოხსენიებული (ძეგლები I,94).

2. ტბეთის ეპისკოპოსი, მტბეველი, პოლიტიკური მოღვაწე XI ს. დასაწყისიდან და ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს. როდესაც ახლად გამეფებულ ბაგრატ IV-ს განუდგნენ ტაოელი აზნაურნი, რომელთაც ბიზანტიის ჯარი ეხმარებოდა, რომელმაც „მოკლო და მოაოკრა ქუეყანანი",

სამშობლო კუთხის დაცვა იკისრა ტბეთის ეპისკოპოსმა სამ. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს: „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიისა და სახელ-სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შეიღებეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი და შავშეთის აზნაური და განძლიერდა მას შინა“ (ქართ. ცხ. I, 386). ბიზანტიელებმა სცადეს სუეტის დამცველთა დამორჩილება, მაგრამ გაწბილებულები გაბრუნდნენ (1028 წელს). როგორც ჩანს, ტბეთის ეპისკოპოსებს ამის შემდეგ მიენიჭათ შავშეთის ერისთავობაც, რომელსაც ისინი XIV ს-შიც ატარებდნენ (ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. 15).

3. ქართლის მთავარეპისკოპოსი XIII ს. შუა წლებში. საბა ხელს აწერს (ქართლის კათოლიკოსის, არსენის შემდეგ) საელესიო კრების განჩინებას შიომღვიმის შეუვალობის შესახებ (დახ. XIII ს. 40-იანი წლების): „ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა... მეცა გლახაკი ქართლის მთავარეპისკოპოზი საბა ქლთწერილით დავამტკიცებ (სამ. ძეგ. III, გვ. 161).

4. აწყურის ეპისკოპოსი, მაწყვერელი, დახლ. XV ს. საბა ცნობილია მხოლოდ იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის საძაბე წიგნით (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 144. აღ. № 49).

5. ტბეთის ეპისკოპოსი, მტბევარი (წყმედიე), 1556 წლიდან. საბა მანამდე ხახულის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა, როგორც ეს აღნიშნულია 1556 წ. ერთ ქრონიკონში: სძდ (1556 წ.) აქა დაჯდა მტბევრად ხახულარი წყმედიძე მამა საბა“ (S 252-გ, გვ. 13). ცნობილია ერთგულების წიგნი, რომელიც 1556 წ. საბა მტბევარს მიუცია დომენტი კათოლიკოსისადმი (Ad 720, სამ. ძეგ. III, 260).

საბა – სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. ოშკის მონასტრის წინამძღვარი X ს. II ნახევარში. საბა მოხსენიებულია ამ მონასტერში იოანე ჩრარის მიერ X ს. 70-იან წლებში გადაწერილი იოანე ოქროპირის ცხოვრების შემცველ ხელნაწერის ანდერძში: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს.. წინამძღვრობასა წმიდისა მამისა საბაჲსსა“ (Ath. 3). მისი პირი, რომელიც ი. ფანცულაიამ გადაწერა ათონზე 1915 წ., დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში – (A 1142). საბას წინამძღვრობაშივე ოშკში 977 წ. იოანეს მიერ გადაწერილია „სამოთხე“ (იოანე ოქროპირის, უფრეშ ასურისა და სხვათა „სწავლანი“, Ath. 9), იოანე თორნიკესა და იოანე ვარაზვაჩეს დაკვეთით.

2. ხახულის მონასტრის ბერი XI ს. დასაწყისში, გიორგი მთაწმიდელის ბიძა (მამის ძმა). 10 წლის გიორგი მამამ სწორედ ხახულის მონასტერში მიიყვანა, სადაც მღვაწეობდნენ თავისი ძმები: გიორგი მწერალი, „რომელი ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა, ხოლო მეორისა სახელი საბა კაცი წრფელი და უმანკო“ (ძეგ. I, 115). კონსტანტინეპოლიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი თავის უფროს ბიძასთან, გიორგი მწერალთან ერთად ახლდა ეკლესიონაში ბიზანტიის იმპერატორის მიერ სიკვდილით დასჯილი ფერის ჯოჯიკის ძის ქვრივს; „ჴრშაჲ გიორგი წარვიდა ხახულს მამისძმისა თჳსისა თანა საბაჲსა“ (ძეგ. I, 119).

3. შავი მთის სვიმეონ მესვეტის (საკვირველის) მონასტრის XI ს. შუა წლების ქართველი მონაზონი, ზედწოდებით ჰროკოპიწმიდელი, მოძღვარი შავ ზაქარიასი, რომელმაც შავ მთაზე გადაწერა ოთხთავი (A 845), რომელიც რუსის ოთხთავის სახელწოდებითაა ცნობილი. ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „დაიწერა წმ. ესე სახარებაჲ შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმისკენისასა, ზღუს პირსა, რომელ არს დასასრულსა შავი მთისასა, მახლობელად სელეცკოისა, კელთა.. შეზაქარიაჲსთა მაღლითა და ლოცვითა მოძღვრისა ჩემისა სამა ჰროკოპიწმიდელისაჲთა, რომელი მკუდრ იყო მონასტერსა წმ. სუმეონ საკურველისასა“ (კერები II, 160).

4. ხახულის მონასტრის ბერი, დაკუდებული, XI ს-ში სამა დაკუდებულს: სხვა დამხმარეთა შორის ასახელებს დაეით თბილელი, რომელსაც ხახულის მონასტერში გადაუნუსხავს და შეუმოსავს იოანეს სახარების ოქროპირისეული თარგმანება (Jer.32), რომელიც ჯვარის ქართველთა მონასტრის საკუთრება გამხდარა (ამჟამად ინახება იერუსალიმის სპატრიარქო ბიბლიოთეკაში).

5. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XIII ს. დამლევს, დახ. 90-იან წლებში (ე. მეტრეველი „მასალები“ გვ. 36). სამა „ჯვარის მამა“ იხსენიება სინის მთის სულთა მატიანეში - Sin.77, XIV ს. 245 – ტექსტის ხელით).

6. ერისკაცობაში ზაზა სალირის ძე, მოხსენიებულია სინის მთის მონასტრის XIV ს. სულთა მატიანეში (Sin. 77, გვ. 247, ტექსტის ხელით).

7. ხობის ეკლესიის წინამძღვარი XV ს. I ნახევარში. საბა მოხსენიებულია ალექსანდრე მეფის მიერ 1428-1430 წწ-ში გაცემულ სიგელში დასავლეთ საქართველოს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად: „ასრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი: სიმეონ მაწყვერელო, მანუელ ქუთათელო... საბა ხობელო...“ (ქრონიკ. II, 234).

8. გელათის მონასტრის მოძღვარი დაახლ. XI ს. II ნახევარში. საბა მოიხსენიება 1519 წლის გელათის სამწყსოს და საეპისკოპოსოს განწირების წიგნში: „არს გელათის ზღუდისა გარეთ საბა მოძღვრისეული სენაკი მისითა ჭურმარნითა, ეკლესიით“ და ა.შ. (ქრონიკ. II, 336).

9. XV-XVI სს. მიწის ხოროთმოძღვარი. იგი ხელმძღვანელობდა სამწერლის ტაძრის განახლებას. ტაძრის სამხრეთის ფასადის წარწერაში აღნიშნულია: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდინეს ღმერთმან“, ე.ი. ტაძრის განახლების ინიციატორი მერაბ ფანასკერტელი ყოფილა. იმავე წარწერაში საბა ტაძრის მშენებლობის „ზედამდეგად“ არის მოხსენიებული.

10. ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი XVII ს. მიწურულს. საბა მოწმედა დასახელებული დროთეოს ქუთათელის (წერეთელი) 1796 წ. შეწირულების წიგნში ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი: „ჩუ არიან ამის მოწამენი: წინამძღვარი საბა...“ (სამ. ძეგ. III, 1034).

საბა – სახელი რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერისა;

1. ათონის ქართველთა მონასტრის ბერი X ს. II ნახევარში. საბას გადაუწერია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „ბასილის ცხოვრება“ და „სწავლანი“ (Ath. 32), რომლის მომგებელია ეფთვიმეს მამა – ჯანე ათონელი. საბას ანდერძში „უცბად მწერალი“ ეწოდება.

2. შატბერდის მონასტრის მონაზონი XI ს. I ნახევარში. საბა არის ერთ-ერთი გადამწერი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის „დავითნის“ განმარტებისა (A 135), რომელიც მას 1035 წელს, შეუხრულებია მიქელთან, გაბრიელთან და იოანესთან (ჯიბისძე) ერთად ეზრა მამათმთავრის ბრძანებით და დაუთ ჯიბისის ინიციატიით.

3. კონსტანტინეპოლის ტრიადდაფლიევის ღვთისმშობლის მონასტრის ქართველი მღვდელი XI ს. II ნახევარში. საბა მღვდელს შეუმოსავს 1081 წ. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ ამ მონასტერში თარგმნილი სიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანთა „ცხოვრება-წამების“ კრებული, რომელსაც ახლავს მთარგმნელის ანდერძი: „ითარგმნა... წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოელად შუენიერსა ტრიადდაფლიევს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცესმონაზონისა და მათივე ხელით დაინუსხა დასაბამითგანთა წელთა ექუსათას ხუთას ოთხმოცდამეცხრესა – (6589-5508 – 1081 წ.) ღმერთმან აკურთხენ პატიოსანი მღდელი საბა ცოდეილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემძინა ესე წიგნი“ (Ath. 20).

4. წყაროსთავის მონასტრის კალიგრაფი XIII ს-ში. საბას გადაუწერია სახარება, რომელიც დიდხანს უბისის მონასტერში ინახებოდა. საბა, როგორც ჩანს, პოეტიც ყოფილა. მას თავისი გადაწერილი სახარებისათვის გიორგი მტბევარისადმი მიძღვნილი იამბიკოც დაურთავს, რომელშიც ავტორს მეორედ მოსელისა და საშინელი განკითხვის სურათი გადმოუცია ისე, როგორც ეს სახარებაშია მოცემული (მათე XIII, 24-30; 37-43; XXV, 31-46 – იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... IV, გვ. 107).

5. XVI ს. კალიგრაფი, გვარად ნაჭოფაძე. მონაწილეობდა ბედიის გულანის (A 187) გადაწერაში ამბროსი კარგარეთელთან, გაბრიელ ლომსიანისძესთან და სიმონ გიორგისძესთან ერთად. ბედიის გულანი მათ გადაუწერიათ ბედიელი მიტროპოლიტის, გურიაზე ჩხეტისის დაკვეთით. საბას ანდერძი ხელნაწერის 556-ე ფურცელზეა: „ნაჭოფაძესა საბას შეუნდნენ ღმერთმან. მამაჩემსა მახარებელსა შეუნდნენ ღმერთმან“.

6. XVII ს. კალიგრაფი. საბას თბილელი მიტროპოლიტის, იოსებ საკაძისათვის გადაუწერია ფსალმუნი (H 1112). პატარა ხელნაწერი მდიდრულად არის მორთული: ყოველი გვერდი სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული; ჩარჩოს ზაზები ოქროსფერი, სინგურისა და ლურჯი წერილი ზაზებისგანაა შედგენილი; საზედაო ასოები, გამოყოფილი სტრიქონები ოქროთია დაფარული. ყუის მოპირდაპირე მხარე და მისი გაგრძელება – ზედა და ქვედა ნაწილები – ყვავილოვანი მოტივებითაა შემკული. ხელნაწერს აქვს თავ-

სამკაულიც და მინიატურაც — დაეით მეფის გამოსახულება.

7. გელათის ეკლესიის მღვდელი XVII ს. შუა წლებში. საბა მღვდელს 1655 წ. იოსებ კარგარეთელთან, აბრაამთან და დიმიტრი მღვდელთან ერთად გადაუწერია გელათის გულანი (A186), ზაქარია გენათელის (ქუარიანის) ბრძანებით. ხელნაწერის ანდერძში აღნიშნულია: „...აქედგან ერწყე წერა მარხვანისა მე... მღდელმან საბა“ (ქრონიკ. II, 469).

8. XVIII ს. II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე და კალიგრაფი. 1674 წ. საბა მღვდელს ზაქარია მწერალთან ერთად ეედემოზ რატიშვილის დაკვეთით გადაუწერია ყანჩაეთის ცნობილი ჟამნგულანი (H 1452), რომელიც ეედემოზს შეუწირავს კაბენის მონასტრისათვის.

საბა ასური — IV ს. I ნახევრის განდეგილი ბერი და სასწაულთმოქმედი. საბას ერისკაცობაში იელიანე ერქვა. განდეგობილების სურვილი ახალგაზრდობაშივე გაუჩნდა და დაეუფა მთაზე მდ. ეფრატის მიდამოებში, ერთ გამოქვაბულში. მისი ამბავი მალე გავრცელდა და მას მრავალი მოწაფე გამოუჩნდა, რომლებმაც მონასტერი ააშენეს, თუმცა საბა განმარტოებით ცხოვრებას ეწეოდა. ცოტა ხნის შემდეგ საბამ ანტიოქიასთან მონასტერი ააშენა, სადაც შეიკრიბა თავისი მოწაფეები, რომელთაგან ბევრი შემდეგში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გახდა. საბა გაემგზავრა სინის მთაზე სალოცავად თავის სამ მოწაფესთან ერთად, სადაც მათ ეკლესია ააშენეს. ამ დროს დაემთხვა იელიანე განდეგომილის (361-363) მიერ ქრისტიანთა დევნა და წარმართობის აღდგენა. საბამ 120 დღე გაატარა მარხულობაში და ლოცვებში. მას გამოეცხადა ანგელოზი და აუწყა იელიანე უსჯულოს მოკვლა. საბამ ანტიოქიაში ყოფნის დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო არიანელთა წინააღმდეგ ბრძოლასა და მართლმადიდებლობის განმტკიცებაში. საბა ასურის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი მოიპოვება სინის მთის ერთ ქართულ ხელნაწერში Sin. 6, რომელიც გადაწერილია 981-983 წლებში იოანე ზოსიმეს მიერ. „ცხოვრების“ ქართული თარგმანი გამოცემულია ს. ჯანაშიას მიერ, კრებ. „არილი“, ტფილისი, 1925, 4-21). საბას ხსენების დღე ხელნაწერში აღნიშნული არ არის.

საბა განწმენდილი († 532) — განთქმული პალესტინელი მონაზონი VI ს. I ნახევარში, ცნობილი იერუსალიმის საბაწმინდის ლავრის დამაარსებელი და წინამძღვარი. საბა დაიბადა V ს. II ნახევარში, კაპადოკიაში, ქრისტიანი მშობლების ოჯახში. მამამისი იოანე მხედართუფროსი იყო. 5 წლის იყო საბა, როდესაც მამამისი სამსახურის საქმეების გამო ალექსანდრიაში გაემგზავრა და თან წაიყვანა მეუღლე სოფია. ბაგეში ბიძასთან დარჩა, ხოლო 8 წლის ასაკში წმ. ფლავიანეს მონასტერში შევიდა. მშობლების თხოვნამ, საბა მონასტრიდან გამოსულიყო და დაქორწინებულიყო, არ გაჰრა. 17 წლის ასაკში საბა მონაზვნად აღიკვეცა. 10 წელი გაატარა მან ამ მონასტერში, შემდეგ გაემგზავრა იერუსალიმში, იქიდან კიეფთიმე დიდის მონასტერში, მაგრამ ეფთვიმემ საბა გაგზავნა წმ. თეოქტისტესთან, რომლის მონასტერი იქვე იყო და გამოირჩეოდა მკაცრი სამონასტრო წესდებით. აქ საბა მორჩილად იყო 30 წლის ასაკამდე. თეოქტისტეს გარდაცვალების შემდეგ დადგენილმა წინამძღვარმა ნება დართო საბას დაყოფებულიყო მღვიმეში და მხოლოდ შაბათობით გამოსულიყო ღვთისმსახურებაში მონაწილეობისათვის და საზრდოს მისაღებად. მალე საბას ნება დართეს საერთოდ აღარ გამოსულიყო მღვიმიდან. ასე გაატარა მან 5 წელი. ეფთვიმე დიდი თვალს ადევნებდა ახალგაზრდა საბას ცხოვრებას და სულიერად ზრდას. მას საბა თან დაჰყავდა რუეის უდაბნოში (მკედარ ზღვასთან), სადაც ეფთვიმე ყოველთვის გადიოდა 14 იანვრიდან და ბზობის კვირამდე იქ რჩებოდა. როდესაც ეფთვიმე დიდი გარდაიცვალა († 473), საბა ლავრიდან წავიდა და დამკვიდრდა მღვიმეში გერასიმე იორდანელის († 475) ლავრის ახლოს. მალე საბასთან თავი მოიყარეს მონაზვნებმა, რომელთაც განდეგილობა აერჩიათ. ასე ჩაეყარა საფუძველი დიდ ლავრას. საღვთო განგებით მათ მღვიმეში ეკლესია მოაწყეს. წმ. საბამ კიდევ რამდენიმე მონასტერი დააარსა. სასწაულმოქმედმა მას სახელი გაუთქვა. საბამ დაწერა საეკლესიო მსახურების პირველი ტიპიკონი, რომელსაც „იერუსალიმური“ ეწოდა და რომლის მიხედვით აწარმოებდა ღვთისმსახურებას პალესტინის ყველა მონასტერი. გარდაიცვალა საბა 532 წ. საბას ლავრაში დაარსების დროიდანვე ბევრი ქართველი მონაზონი მოღვაწეობდა (მათ შესახებ, საბაწმინდის ტიპიკონის საქართველოში გავრცელების შესახებ იხ. „საბაწმინდა“). საბა განწმედილის „ცხოვრების“ კომპური თხზულება,

რომელიც ქართველ მოღვაწეთა პალესტინაში მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის, ქართულად ითარგმნა X ს-მდე და რამდენიმე XI ს. ხელნაწერშია დაცული (Ath. 40, XI-XII სს. 211-313; ბრიტ. მუზ. Addit 11281, XI ს. 57-144). კიმენური „ცხოვრების" საფუძველზე სეიმონ მეტაფრასტმა X ს. ბოლოს შეადგინა საბა განწმენდილის მეტაფრასული „ცხოვრება", რომელიც ქართულად ითარგმნა XI ს-ში და რამდენიმე ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე (A 179, 1669 წ., 305-485; ქუთ. 5, XVI ს. 22-87; Ath. 2, XII-XIII ს. ფ. 4-51 და სხვ.). საბა განწმენდილის ხსენების დღეს მართლმადიდებლური ეკლესია 5 დეკემბერს დღესასწაულობს.

საბა გუთი, ჰოწაძე (†372) – გუთელი ქრისტიანი IV ს. II ნახევარში, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო სხვებთან ერთად გუთეთში კულტელი ეპისკოპოსის მიერ ქრისტეს მობძერების ქადაგების დროს, როდესაც დაიწყო ქრისტიანთა დევნა, მათ აიძულებდნენ ეჭამათ ნაკრახაი, ე. ი. კერპისათეის შეწირული ხორცი. წარმართები, რომელთაც უნდოდათ ეხსნათ დალუპვისაგან თავიანთი ნათესაი ქრისტიანები, მათ ნაკრახაის ნაცვლად ჩვეულებრივ ხორცს აძლევდნენ. ბევრი ქრისტიანი თანახმა იყო ასეთ ეშმაკობაზე, ხოლო საბამ უარი თქვა და განაცხადა, რომ ქრისტიანმა უშიშრად უნდა გამოაცხადოს თავისი მრწამსი. როდესაც დევნა გაძლიერდა, იმ სოფლის მცხოვრებლებმა, სადაც საბა ცხოვრობდა, დაიფიცეს მსაჯულის წინაშე, რომ მათ სოფელში ქრისტიანი არ ცხოვრობდა. საბამ ხმამაღლა აღიარა ქრისტიანობა. საბა დაატუხრეს საბერძნეთიდან ახლად ჩამოსულ ხუცეს საპასალთან ერთად. მრავალი ტანჯვის შემდეგ აფარი მხედართუფროსის ბრძანებით საბა მდინარეში დასხრჩობად წაიყვანეს. მსახურებმა გადაწყვიტეს საბას გაპარება, რაზედაც საბამ სასტიკი უარი განაცხადა. საბას ქედზე ხის დიდი მორი დააკრეს და მდინარეში გადააგდეს. ეწამა საბა 372 წლის 12 აპრილს, 38 წლის ასაკში. ჯალათებმა საბას გვამი ნაპირზე გამოიტანეს და იქ დატოვეს. ქრისტიანებმა ფარულად დასაფლავეს იგი. მოგვიანებით სკვითების ქრისტიანმა ბელადმა სარანმა საბას წმინდა ნაწილები კაპადოკიაში გადაიტანა, სადაც იგი სიხარულით მიიღო ბასილი დიდმა.

საბა გუთის „წამების" კიმენური თხზულება ქართულად თარგმნილია X საუკუნემდე და ერთადერთი ხელნაწერით არის მოღწეული. ხელნაწერი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (Addit 1890, ხელნაწერი ცნობილია მხოლოდ კ. კეკელიძის ეტიუდების V ტ. მიხედვით, გვ. 136), ხოლო „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც კიმენური „წამების" საფუძველზე იოანე ქსიფილინოსის შედგენილი უნდა იყოს ბერძნულადვე XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია აგრეთვე ერთი ხელნაწერით (ქუთ. 7, XIII ს. 216-224). საბა გუთის ხსენების დღეს კიმენური თხზულების ქართული თარგმანი 16 აპრილს ასახელებს, მეტაფრასული კი – 13 აპრილს. გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" 15 აპრილს შეტანილია „საბატი გუთის" სვინაქსარული „ცხოვრება".

საბა თუხარელი (სულაძე) – შაი მთის სეიმონ საკვირველთმოქმედის მონასტრის XI ს. შუა წლების ქართველი მონაზონი, ეფრემ მცირის უფროსი თანამედროვე, მისი სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი და ხელის შემწყობი მწიგნობრულ საქმიანობაში. საბას შესახებ ეფრემ მცირე ასე წერს: „...ღირს მყო... მოსლვად ფერკთა თჳს ზემოკსენებულისა ბერისა საბა თუხარელისა, სულაძისსა, რომელმან ქრისტეს-მიმსგავსებული სახიერებითა მიტკრთა ჟამსა სიუცებისა და სიჭაბუკისა ჩემისასა და სხუათაჲ ქველისმოქმედებათა თანა ესეცა აწუენა ჩემ ზედა, რომელ ბერძულისაცა წიგნთა კითხუისა სწაულაჲ ოლუენა ჩემთჳს ადგილსა შინა ჳკეროჲნად მომზადებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სუმეონ საკჳრველთმოქმედისაჲ (A 90, XIII ს. 310-314; ეტიუდები V, 225). თავის ნათარგმნ თხზულებათა ანდერძებში ხშირად აღნიშნავს ეფრემი, რომ რაც ამ წიგნში არის „ღირსი რაჲმე ღმრთისაჲ და შემსგავსებული, საბაჲს... მეოხებისაჲ არს", ან „სრულ იქმნა... ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს..." (კერები II, 165), „დაწერა ბერძულისაგან ქართულად... ბრძანებითა ზოგადისა მამისა ჩუენისა ბერისა საბაჲსითა" (იქვე, გვ. 167) და სხვ. საბა თუხარელი, სულაძე, როგორც ჩანს, ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა ქართული ეკლესიის ისტორიაში, რომ მისი მოსახსენებელი შეტანილია რუისურბნისის 1105 წ. საეკლესიო კრების „ძეგლისწერის" სინოდიკონში ქართული ეკლესიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით: „დაუსრუ-

ლებელსა ნეტარებისა მკუდრთა ბერთა ჩუენთა საბა სულაჲსისა და ანტონ ტბელისა და უფრემ მცირაჲსაჲ საუკუნომცა არს კსენებაჲ“ (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 196).

საბაია – სამცხეში ტაძრისის დედათა მონასტრის წინამძღვარი XI ს. I ნახევარში. საბაია მოხსენიებულია გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“: გიორგის უფროსი და თეკლა შვიდი წლის ასაკში „შესწირეს იგი ღმრთისა, ვითარცა აღეთქუა და წარიყუანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების. და მისცეს იგი კელთა წინამძღუარსა მის მონასტრისასა, რომელსა სახაია ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თუსი, და კეთილად აღზარდა“ (ძეგლები II, 111).

საბა იშხნელი – იშხანის ეპისკოპოსი IX ს-ში, გრიგოლ ხანცთელის (759-86) მოწაფე და დედაბერი. საბა გრიგოლთან ერთად შედგა მონაზვნად ოპიზის მონასტერში, ხოლო შემდეგ გრიგოლს გაჰყვა ხანცთას და მონაწილეობდა ხანცთის მონასტრის მშენებლობაში და საეკლესიო საქმიანობაში. გრიგოლ ხანცთელს ახლდა კონსტანტინეპოლში და ბიზანტიის სხვა საეკლესიო ცენტრებში იქაური სამონასტრო წესდებათა გასაცნობად და საქართველოში გადმოსანერგად. ხანცთის მონასტერში დაბრუნების შემდეგ გრიგოლისაგან მიიღო ნებართუა იშხანს წასვლისა, სადაც საბამ ბაგრატ I-ის ხელშეწყობით ხელახლა ააშენა იშხანის გაუქმებული საეპისკოპოსო ტაძარი და გახდა იშხანის პირველი ეპისკოპოსი. გრიგოლ ხანცთელის ბიოგრაფის – გიორგი მერჩულეს ცნობით, საბა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენამდე არ შემონახულა. საბა იშხნელის შესახებ ცნობები დაცულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა არქიმანდრიტისაჲ...“ (ძეგლები I, 248-319).

საბა ჯუტი – საბერძნეთის ულუმბოს (ოლიმპის) მთის მონასტრის X ს. II ნახევრის ქართველი მონაზონი და კალიგრაფი. სახის მიერ 978 წ. გადაწერილი ხელნაწერი (H 1346), რომელიც შეიცავს იოანე მახარებლის „გამოცხადების“ (აპოკალიპსის) ანდრია კესარია-კაპადოკიელის „თარგმანებას“, წარმოადგენს ნუსხურით შესრულებულ უძველეს თარიღიან (978 წ.) ხელნაწერს. საბას ხელნაწერი გადაუწერია გრიგოლ მოძღვრისა და იოანეს დაჯილებით და მისთვის საინტერესო ანდერძიც დაურთაუს: „ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბა კუტი, დაწერად კელითა ჩემითა წმიდასა ამას და ჭეშმარიტსა წიგნსა გამოცსადებისასა... დაიწერა სბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმპოს, საყუელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ლავრასა შინა, სახელით კრანიას მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ბარდა სკლიროსისსა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოკრებასა გლასკათსა და აწყუედასა ჭაბუკათსა უწყალოდ ურთიერთას მაკლილთა, ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა... დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხჟბ (= 6582 – 5604 – 978 წ.), ქრონიკონი იყო რუმ (= 198 + 780 – 978 წ.).

საბანელი – იხ. ემბახი.

საბა ნინოწმინდელი (ტუსიშვილი) – ნინოწმინდის მიტროპოლიტი დახ. 1744-1788 წწ-ში. საბა ერეკლე II-სთან დაახლოებული პირი იყო. იგი ატარებდა „ათორმეტთა უდაბნოთა“ არქიმანდრიტის ტიტულსაც. საბა იყო მეფის პირადი წარმომადგენელი დოღორქის (1760 წ-დე), იოანე ნათლისმცემელის (1760 წ-დან), დავითგარეჯის (1760-1769 წწ.) მონასტრებში. საბამ დიდი საშენებლო საქმიანობა ჩაატარა: შეაკეთა და განაახლა ნინოწმიდის საკათედრო ტაძარი, ააგო სამეურნეო დანიშნულების სათავსები, ტაძარს დაუმრეკა დაკარგული ჟამ-მაშალი, საეპისკოპოსო ტაძრის გალავანში 1744-1777 წწ-ში ააგო ორსართულიანი სასახლე. საბა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის ნაშრომში „ანდერძისებრნი ღუწანი“ (H 2110) ასახულია საქართველოს ეკონომიკის, ეკლესიის, სამართლის, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის მდგომარეობა XVIII ს. (გამოც.: ს. ბარნაველი, საბა ტუსიშვილის „ანდერძისებრნი ღუწანი“, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 211-236). საბა ნინოწმინდელი ესწრებოდა და ხელს აწერს 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებებს (მე-7 ხელნაწერა 22-დან Q 412; სამ. ძეგლ. III, 798-805). იგი ხშირად მოიხსენიება იმ დროისათვის დავითგარეჯის მონასტერთან დაკავშირებულ ისტორიულ საბუთებში. მისი ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით ბევრი ქართული ხელნაწერია დამზადებული.

საბაოთი – ღმერთის სახელწოდება ძველ ალთქმასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არს ყოველი ქუეყანაჲ დიდებითა მისითა" (ესაია 6,3). ესაია წინასწარმეტყველის მიერ მოსმენილ ანგელოზთა გალობას ქრისტიანულ ლიტერატურაში „წმიდა არსნი" ეწოდება (იხ. ანგელოზთა გალობა 1. და „წმიდა არსნი").

საბა სპინგელოზი (აბუსერისძე) – ქარის (ყარსის) ეპისკოპოსი XIII ს. II ნახევარში, ცნობილი პიმნოგრაფი. საბას დაუწერია „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი", რომლის აკროსტიქიდან ირკვევა, რომ ეს საგალობელი საბას დაუწერია თავისი ძმის, ერისთავ ვარდან აბუსერისძის თხოვნით (A 85, 293-297). მას მიაწერენ ბერძნულიდან ძლისპირთა კრებულის გადმოღებას.

საბას ტაძარი – იხ. საფარა.

საბა სტრატილატი – ეწამა აურელიანე იმპერატორის (270-275) დროს. საბა იყო სამეფო ჯარის ერთ-ერთი მხედართუფროსი. მან ქრისტიანობა ყმაწვილობაშივე იწამა. ეხმარებოდა ღარიბებს, ანუგეშებდა დილეგებში ჩაწყვედილ ქრისტიანებს. უმანკო და საქმელმოქმედო ცხორებით მიაღწია საკვირველმოქმედების ნიჭს და კურნავდა ადამიანების ფიზიკურ და სულიერ სნეულებებს. როდესაც იმპერატორმა გაიგო საბას ქრისტიანობის ამბავი, მოსთხოვა მას უარეყო ქრისტე. საბა განიძარცვა სამხედრო საჭურველისაგან და მტკიცედ აღიარა ქრისტესადმი ერთგულება. საბა სასტიკად აწამეს. წამების თვითმხილველმა 70-მა მისმა მეომარმა აღიარა ქრისტიანობა, რომელთაც თავები მოკვეთეს, ხოლო საბა დილეგში ჩააგდეს. ღამით მას გამოეცხადა ქრისტე და განამტკიცა იგი. დილით საბა დაახრჩვეს მდინარეში († 272) საბა სტრატილატის „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად უნდა შეედგინა იოანე ქსიფილინოს‘ı Xi ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთადერთ, XIII ს. ხელნაწერით (ქუთ. 7, 361-364). საბა სტრატილატისა და მასთან წამებული 70 მეომრის ხსენების დღედ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 24 აპრილი დაუწესა.

საბა-სულხან ორბელიანი (1658-1725) – გამოჩენილი ქართველი მწერალი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. საბა შთამომაელობით დიდგვაროვანი ფეოდალი იყო (ერისკაცობაში – სულხანი). მამამისი, ვახტანგი ქართლის სამეფოს მდივანბეგი იყო, ხოლო დედა, თამარი, არაგვის ერისთავის, ზაალის ქალიშვილი. სამეფო კარზე საბა მეგობრობდა ვახტანგ V-ის განათლებულ ვაჟებთან (არჩილთან, ლევანთან და გიორგისთან; გიორგი შემდეგ ქართლის მეფე გიორგი XI გახდა). სამძ კარგი სასულიერო და საერო განათლება მიიღო. მოგვიანებით მას დაეკალა სამეფო ტახტის მემკვიდრის, ვახტანგ ლევანის ძის (ვახტანგ VI) აღზრდა. საბა მზრდელად ედგა ჯერ გიორგი XI-ს, შემდეგ ვახტანგ VI-ს ირან-ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1688 წ. იგი იძულებული გახდა გასცლოდა ქართლს, როდესაც ირანის შაჰმა გიორგი XI-ს მეფობა ჩამოართვა. საბა ერთხანს იმერეთში, შემდეგ სამცხეში იმყოფებოდა. 1698 წელს იგი საბას სახელით მონაზვნად აღიკეცება დაეითგარეჯის ნათლისმცემელის მონასტერში. 1703 წლიდან, ვახტანგ VI-ის დავალებით, დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთსა და იტალიაში. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით საბამ კათოლიკობა მიიღო. 1724 წ. საბა გაემგზავრა მოსკოვს ვახტანგ VI-ის მომავალ ეშიგრაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ხანდაზმული მოღვაწე, მოსკოვში ჩასვლიდან მალე გარდაიცვალა და დაკრძალეს ესესუიტსკოეში. დიდი სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. მისი „სიტყვის კონა" (1685-1716 წ.) დღესაც სამაგიდო სამეცნიერო წიგნია. ივავ-არაკების კრებულმა – „სიბრძნე-სიცრუისამ" (1686-1695) – დიდი როლი შეასრულა ქართული პროზის შემდგომ განვითარებაზე. თარგმნილია რუსულ (1878), ფრანგულ (1888), ინგლისურ (1895), გერმანულ (1933) და სხვ. ენებზე. ძალზე მნიშვნელოვანია საბას „მოგზაურობა ევროპაში", რომელიც ღღიურების სახით არის დაწერილი.

განსაკუთრებულია საბას როლი ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაშიც. მის სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების წიგნში, „სამოთხის კარში" ქრისტიანული მოძღვრების მოკლე რეზიუმეა მოცემული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქადაგებების კრებულს, რომელსაც „სწავლანი" ეწოდება. საბას ეკუთვნის პიმნოგრაფიული თხზულებები, განსაკუთრებულია მისი დამსახურება ბიბლიის წიგნების შესწავლა-რედაქტირებაში (A 51) და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები გამო-

ცემულია ოთხ ტომად (თბილისი, 1959-1966).

საბაწმინდა — სოფელი ცხინვალის რ-ნში, მდ. დიდი ლიახვის მარცხ. მხარეს, ცხინვალიდან 4 კმ. სოფელში დგას X ს. საბაწმინდის ეკლესია. გარედან ეკლესია მოპირკეთებულია მუქი წითელ-ღვინისფერი სუფთად გათლილი კვადრებით, ეკლესიის შიგნით თლილი ქვით არის ნაშენები გარემომსაელელის კედლები, ეკლესიის ყველა კონსტრუქციული ნაწილი, ხოლო კედლები — ყორე-ქვით. ეკლესიას აქვს მაღალი, აღმოსავლეთით წაგრძელებული, ამსიდით დამაკრებული დარბაზული შიდა სივრცე, რომელსაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ეკვრის უფრო დაბალი, ღრმა უბეები. უბეები სივრცის სწორკუთხა მოხაზულობიდან გარეთ იჭრება და ქმნის გეგმაში ჯვრისებურ კომპოზიციას. ამსიდის მოშიგნაგად სამხვერპლო და სადიაკვნე იყო აგებული. ეკლესიის დასავლეთის ნაწილს სამი მხრიდან (სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის) შემოელებული აქვს სტოა. ტაძრის შიგნით ძირითადი დარბაზული სივრცე შეხრული კამარითაა გადახურული. ტაძარს ერთი განიერი და მაღალი თაღოვანი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. ეკლესიის გარემომსაელელიდან გადარჩენილია მხოლოდ მისი სამხრეთის და ნაწილობრივ დასავლეთის მონაკეთები. ჩრდილოეთის მონაკეთის ადგილზე გვიანდელი ნაგებობაა ჩაშენებული, ძეგლის ფასადიდან შერჩენილია მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის, აღმოსავლეთის ფასადს ალარა აქვს კედლის შუა ნაწილი სარკმლითურთ, ჩრდილოეთის ფასადს თითქმის სრულიად ჩამოცლილი აქვს საპირე ქვები, სამხრეთის ფასადზე არის მოხუჭურთმებული დეტალები, სარკმლის თავზე რელიეფური ტოლმკლავებიანი ჯვარია გამოკვეთილი. ეკლესია დაახ. XIII ს. მეორე ნახევარში და XIV ს. შეუკეთებიათ (იხ. რ. მეფისაშვილი, სოფ. ხეითის ძეგლი — საბაწმინდა, მაცნე (ხელოვნ. სერია) № 3, 1971, 462).

საბაწმინდელი მოწამენი — არაბთა მიერ VIII ს-ში წამებულნი, საბა განწმენდილის ლავრის მონაზენები, რომელთა შესახებ პაგიოგრაფიული თხზულება დაუწერია საბაწმიდის ლავრის წინამძღვარს სტეფანე დამასკელს († 807 წ.). თხზულება არაბული ენიდან ქართულად უთარგმნიათ X საუკუნეშიე და შეტანილია X ს-ის ხელნაწერში „წამებაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს ბარბაროზთაგან ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსა, აღწერა ამბა სტეფანე მანასურისძემან დამასკელმან საბაწმიდას“ (A 95, 408-440).

საბაბაწმინდის ლავრა — საბა განწმენდილის (439-532) მიერ V ს. 80-იან წლებში დაარსებული მონასტერი პალესტინაში, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით 13-15 კმ-ზე. საბას ლავრა დაარსებიდანვე იქცა ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად, რადგან აქ მრავალად მოღვაწეობდნენ ქართველი მონაზენები. 532 წლისათვის მათი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მათ მონასტერში საკუთარი ეკლესიაც კი ჰქონდათ და ლვთისმსახურების გარკეულ მონაკეთს მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ. VIII-IX სს-ში საქართველოში არაბთა მომძლავრების გამო გაღმოხვეწილმა ქართველმა მონაზენებმა საბას ლავრაში ცხოველი მწიგნობრული საქმიანობა გააჩაღეს. აქ შემუშავდა ბიბლიური წიგნების ე. წ. საბაწმინდური რედაქცია (დაახლ. IX ს.), განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია (ბასილი საბაწმინდელი, იოანე-ზოსიმე), ითარგმნა წმინდანთა „წამებანი“ და „ცხოვრებანი“ (მარტვილი საბაწმინდელი, სეფის თარგმანი), გადაწერა ბერი უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელსაც ამზადებდნენ ცნობილი ქართველი კალიგრაფები (მაკარი ლეთეული, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე). საბას ლავრაში დამზადებულ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია 864 წლის ე. წ. სინური მრავალთავი — უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი, ჭილ-უტრატის იადგარი (IX ს.) და სხვ. საბას ლავრის ქართველობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. იქ შექმნილი თხზულებები ქართველ მწიგნობართა და პილგრიმთა საშუალებით გავრცელდა როგორც პალესტინის ქართულ სავანეებში, ასევე საქართველოშიც, რამაც გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებაზე. საბას ლავრის ტიპიკონი საფუძვლად დაედო სამხრეთ საქართველოს მონასტრებისათვის გრიგოლ ხანთელის მიერ (IX ს.) შედგენილ ტიპიკონს, ხოლო საბაწმინდის ტიპიკონის სეფეთწმინდის (შავი მთა) ახალი რედაქცია (XII ს.) შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონის საფუძველი გახდა XII ს. II ნახევრიდან და მთელ საქართველოში გავრცელდა. XI ს-დან პალესტინაში არაბთა მოძალებისა და ლავრის ხშირი დარბევის გამო ქართველი ბერები სხვა მონასტრებში გადაიდნენ, უმეტესად სინის მთაზე და ხელნა-

წერებიც ახალ სადგომში გადაიტანეს. დღესაც სინის მთაზე ქართულ ხელნაწერთა დიდი კოლექცია ინახება (წმ. ეკატერინეს მონასტერში). სააბას ლავრაში გადაწერილი ხელნაწერები თბილისისა და ლენინგრადის წიგნსაცავებშიც არის დაცული. სააბა განწმენდილის მიერ დაარსებული მონასტრის – სააბაწმინდის პოპულარობა იმდენად დიდი იყო საქართველოში, რომ დღესაც გვხვდება სოფლებისა და მონასტრების სახელწოდებად „სააბაწმინდა“ საქ. სხვადასხვა კუთხეში (ოსეთში, კახეთში, ტაშირში – იხ. კერები, II, 303-304).

სააბაწმინდის მონასტერი – იხ. კარდენახი.

სააბა ხახულარი (წყმედიძე) – იხ. სააბა მტბევარი (XVI ს.)

საბელ მოწამე († 362) – სპარსელი ქრისტიანი, რომელიც ეწამა თავის ძმებთან, მანუელ და ისმაილთან ერთად იულიანე განდგომილის (361-363) მიერ. საბელი, ისმაილი და მანუელ ეკუთვნოდნენ ცნობილ სპარსულ გვარს. მამა წარმართი ყავდათ, ხოლო დედა - ქრისტიანი და მან ბავშვები ქრისტიანული რწმენით აღზარდა. როცა ისინი დაიპატიმრეს, სამხედრო სამსახურში განწესებულნენ. სპარსეთის მეფემ ალაშუნდარამ ძმები დიპლომატიური მისიით გაგზავნა იულიანე განდგომილის კარზე სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. წარმართების ერთ-ერთ დღესასწაულზე ძმებმა უარი განაცხადეს კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე, რითაც იულიანეს რისხვა დაიმსახურეს და ისინი დილეგში ჩაამწყვდიეს. მათი მრავალჯერის წამების შემდეგ იულიანე დარწმუნდა, რომ მანუილი, ისმაილი და საბელი ქრისტიანობას არ უარყოფდნენ და მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. მათ თავები მოჰკვეთეს. მოწამეთა გვამები, რომლებიც ქრისტიანებმა დიდი პატივით დაასაფლავეს, მრავალ სასწაულს ახდენდნენ.

30 წლის შემდეგ თეოდოსი დიდმა († 395) კონსტანტინოპოლში წმინდა მოწამეთა პატივსაცემად ტაძარი ააგო, ხოლო გერმანე კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა მათ სადაფიელი კანონი შეუდგინა. ერთობლიეი პაგიოგრაფიული თხზულება – სამიე ძნის მეტაფრასული „წამება“, რომელიც იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწეროს XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (კუთ. 3, XVI ს. 181-190). მოწამეთა ხსენების დღე 17 ივნისია.

საბერიო – სოფელი გალის რ-ნში, მდინარეების ენგურსა და ერისწყალს შორის, გალიდან 20 კმ-ზე. სოფელში არის შუა საუკუნეების ეკლესია „აბაა“.

საბეჭური – ახლად აღკვეცილი მონაზვნის სამოსელი, უსახელო, ბეჭებზე მოსასხამი და გულმკერდზე ლითონის შესაკრავით. ზოგჯერ საბეჭურის სინონიმად გვხვდება პალეკარტი. ძველად საბეჭურს იცვამდნენ ჟამისწირვის დროს, ხოლო ფელონს – ცისკარზე და მწუხრზე. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ ძველად (XI ს. II ნახევ. გაცილებით ადრე) ერთმა ქართველმა ხუცესმა, რომელიც ახალი ჩასული იყო სვიმეონ მესვეტის მონასტერში, ქართულ მონასტერში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად ჟამისწირვა შეასრულა არა ფილონში, არამედ საბეჭურში: „...გასრულ იყო ჟამისწირვად... საბეჭურითა, თუნიერ სამღდელოჲსა შესამოსელისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩუენი“ (ძეგლები II, 150), რისთვისაც ბერძენთა რისხვა დაიმსახურა და იმ დროიდან ქართველებს აკრძალათ სვიმეონის ლავრაში ჟამისწირვის ჩატარება (ეს უფლება მათ გიორგი მთაწმიდელის ამ ლავრაში მოღვაწეობის დროს დაიბრუნეს). ქართულ ეკლესიაში, ათონის პერიოდამდე (X ს. II ნახევარი) საბეჭური ეწოდებოდა სამღდელო სამოსელს, რომელსაც აგრეთვე „სამღდელო ზეწარსაც“ უწოდებდნენ (ილარიონ ქართველის ცხოვრება, ძეგლ. II), ხოლო უფრო გვიან იგი მხოლოდ სამონაზვნო სამოსელი გახდა.

საბინე ეპისკოპოსი – ეპიფანე კვიპრელის († 401 წ.) მონაცვლე კვიპროსის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე, რომლის ერთი ეპისტოლე თარგმნილია ქართულად: „ეპისტოლე პოლიბიუს ეპისკოპოსისადმი ქალაქად რინოკორარად“ (Jer. 3, XI-XII სს.), რომელშიც იგი პოლიბიეს – ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორის თხოვნის შესაბამისად აღწერს ეპიფანეს დასაფლავებას, რომელსაც პოლიბიე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრო.

საბინე მოწამე – III ს. მოწამე დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს. ქრისტიანთა დევნის დროს საბინე თავის თანამშრომველებთან ერთად იმალებოდა შორეულ სოფელში, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ორი ოქროს ფულის საფასურად გასცა ერთმა ღატაკმა, რომელსაც წმინდანი ყოველთვის ასაზრდოებდა

და ფულითაც ეხმარებოდა. ექვს სხვა ქრისტიანთან ერთად საბინე აწამეს და შემდეგ დაახრჩვეს ნილოსში 287 წ. საბინეს „წამების" მეტაფრასული თხზულება თარგმნილია ქართულად XII ს. და შეტანილია კუთ. 2, XVI ს. ხელნაწერში. თარგმანის ტექსტი თაენაკლული სახითაა შემორჩენილი და ამიტომ დღემდე ამ მოწამის სახელი ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში ცნობილი არ იყო: საბინეს „წამება" კუთ. 2 ხელნაწერში წინა თხზულების გაგრძელებად იყო მიჩნეული. წმ. საბინეს ხსენება 13 მარტს არის დადებული (იხ. ე. გაბიძაშვილი, ახლადგამოელენილი ნათარგმნი თხზულება – „წმ. საბინეს წამება", მწიგნობარი, 98, თბ., 1998, გვ. 134-137).

საბინინი მიხეილ (გობრონი, 1845-1900) – თეოლოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, ქართულ სიძველეთა მკვლევარი. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დასრულა 1575 წ. იგი თავდამდებით იღვწოდა დასალუქად განწირული ეკლესია-მონასტრების შეკეთება-აღდგენისათვის. მის მიერ შედგენილმა და პეტერბურგში 1882 წ. გამოცემულმა ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი სასულიერო მწერლობის თხზულებათა კრებულმა „საქართველოს სამოთხემ" ფასდაუდებელი როლი ითამაშა ძველი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. სახინიმა რუსულ ენაზე შეადგინა „ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა" (1872წ.), რითაც საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ღვაწლი. იგი თავდამდებით იცავდა ქართული ეკლესიის უფლებებს რუსეთის ეკლესიის შემოტევებისაგან, რის გამოც სინოდმა მას უარი უთხრა ეპისკოპოსის ხარისხზე.

საბუხარი // საბუხრები – „სამღვდელო შესამოსელთაგანი, მაუკბებელ შესაცმელი" (ნ. ჩუბინაშვილი).

საბარეიჟო – ქალაქი (1962 წ-დან) ახალციხეში, რაიონული ცენტრი, გოცნორის ქედის სამხ.-დასავ. კალთაზე, მდ. თვალთხევის (იერის მარცხ. შენაკადი) ნაპირას, თბილისიდან 58 კმ. ქალაქის (ადრე სოფლის) სახელწოდება მომდინარეობს იქიდან, რომ იგი დაეთვალურკის მონასტრის მამული იყო. საგარეუბნოში არის პეტრე-პავლეს XVIII ს. ეკლესია ლამპიდარული წარწერით.

საგდუხტ დედოფალი – მოწამე, სომხეთის მეფის, სანატრუკის (II) ასული და თადეოზ მოციქულის მოწაფე, რომელიც ქრისტიანობის აღიარებისათვის ეწამა სომხეთს I ს. II ნახევარში. საგდუხტი ქრისტიანი გახდა თადეოზ მოციქულის მიერ სომხეთში ქრისტიანობის ქადაგების დროს და უარი განაცხადა ქრისთაყვანისმცემლობას დახრუნებოდა, რისთვისაც ის მახვილით განგმირეს. საგდუხტ დედოფლის „წამება" თარგმნილია სომხურიდან დაახ. IX საუკუნეში და მისი ქართული თარგმანი შემონახულია ერთი – X ს. ხელნაწერით (Ath. 8, Xს.). გამოცემულია: 1) А.Хаханашвили, Материалы по грузинской агиологии, Москва, 1910. 2) ილ. აბულაძის მიერ, ქართული და სომხური ლიტ. ურთიერთობა IX-X სს., თბ., 1944, გვ. 38, გვ. 60-62. მოწამის ხსენება ქართული თარგმანის მიხედვით დადებულია 5 მაისს, მოწამის აღსრულების დღეს.

საგდუხტ დედოფალი – დედა ვახტანგ გორგასლისა, ასული რანის ცეცხლთაყვანისმცემელ ერისთავის – ბარსაბოძისი, რომელიც ცოლად მოიყვანა ქართლის მეფის, არჩილის ძემ, სამშვილდის ერისთავმა, შემდეგ ქართლის მეფემ მირდატმა. „და მისცა მეფემან სამშვილდე ძესა თვისსა საერისთაოთა მისითა და მუნ დახსნდეს მირდატ და საგდუხტ" (ქართ. ცხ. I, 142). საგდუხტი გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებას, „დაუტევა ცეცხლისმსახურება", ქრისტეს სარწმუნოებაზე მოინათლა და „აღაშენა სიონი სამშვილდისა" (იქვე).

საგურამო – სოფელი მცხეთის რ-ნში, მდ. არაგვის მარცხ. მხარეს, მცხეთიდან 10 კმ. საგურამოდან ზედაზნისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს შემორჩენილია VI ს. „ქასური წმ. გიორგის" სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ეკლესია ნაგებია მოყვითალო ქვის სუფთად გათლილი დიდი კვადრებით. შუა ეკლესიის აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდი ჰქონდა. სამხრეთ ეკლესიის აღმ. ნაწილში იყო მცირე სათაყვანო, სამხრეთ კედელში – ორმაგი თაღით გახსნილი ფართო შესასვლელი. ჩრდილოეთ ეკლესია განიკვეთით ორ მონაკვეთად იყოფოდა, ორივე მათგანი კარით შუა ეკლესიას უკავშირდებოდა. ბაზილიკის ყველა თაღი და კამარა ნახერხად ფრიალი მოხაზულობისა იყო.

საგურამოს მიდამოებში (ნადარბაზევი) არის

ეკლესია XVI-XVIII სოსა და ე. წ. „აგურის საყდარი“ ადრე შუა საუკუნეებისა.

საღმერი – სოფელი ბორჯომის რ-ნში, მდ. ბორჯომულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, ბორჯომიდან 7 კმ. სოფელში დგას წმ. გიორგის XV ს. ეკლესია. საეკლესიო მწერლობაში ცნობილია სვიმონ შოთასძის „საღმერის წმ. გიორგის ქება“ (H 1752. 131-137), რომელიც XV ს. თხზულება უნდა იყოს.

საღედრო – იხ. დედათა მონასტრები.

საღიაკონე // საღიაკვნე – სათაო საკურთხევლის მარჯვენა (სამხრეთის) მხარეს, რომელსაც საღიაკონეს (საღიაკვნეს) ანუ საჭურჭლეს უწოდებენ. აქ ინახება საეკლესიო ჭურჭელი (აქედან სახელწოდება საჭურჭლე), საეკლესიო სამოსელი, წიგნები და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები. მათი შენახვა და დაცვა დიაკონის მოვალეობაა, ამიტომ მიიღო მან სახელწოდება „საღიაკვნე“. ასევე საღიაკვნეში თავს იყრიან სასულიერო პირები და იმოსებიან ღვთისმსახურების ჩასატარებლად. სამრეთის კარები, რომლითაც შედიან ამ სათაოში, ასევე საღიაკვნედ იწოდება.

საღილის ჭამი – ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება ჭამისწირვის (ლტურგიის) ნაცვლად. მართლმადიდებლურ ეკლესიაში გარკვეულ დღეებში, კერძოდ ყველიერის ოთხშაბათს და პარასკევს, დიდმარხვის ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს ჭამისწირვა არ სრულდება. მითითებულ დღეებში მათ ნაცვლად სრულდება „საღილის ჭამი“ (რუს. обедница). საღილის ჭამის განგება თაეისი ლოცვებით და საგალობლებით გამოსატავს ლიტურგიას (აქედან – რუს. последование изобразительных).

საღოთ მღვდელმოწამე – ეპისკოპოსი, ეწამა სპარსეთს 128 სხვა ქრისტიან მოწამესთან ერთად სპარ მეფის მიერ ქრისტიანების დევნის დროს. საღოთ ეპისკოპოსთან ერთად დაუსტიგრეს 128 ქრისტიანი, რომელთაგან ნაწილი საეკლესიო დასის წევრი იყო, ხოლო ნაწილი – საშწყსოს წევრები, მათ შორის – 9 ქალი. ხუთ თვის განმავლობაში საღოთ ეპისკოპოსს და მის თანამოაზრეებს ტანჯავდნენ და აწამებდნენ დილეგში, რათა მათ ქრისტიანობა უარეყოთ და თაყვანი ეცათ ცეცხლისა და მზისათვის. როდესაც ცეცხლთაყვანისმცემლებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, საღოთ ეპისკოპოსსა და დანარჩენ პყრობილთ თაეები მოკვეთეს.

საღოთ ეპისკოპოსის და მასთან ერთად წამებულთა „წამების“ მოკლე ტექსტი თარგმნილია ქართულად დაახ. XII ს. II ნახევარში და მოწეულია XIII ს. ხელნაწერით (S 382, 192-195), აგრეთვე XVI ს. ხელნაწერით (ქუთ. I, 165-167); ხსენების დღედ ქართული თარგმანი 22 თებერვალს უწევნებს, თუმცა ბიზანტიურ წყაროებში უფრო ხშირად 20 თებერვალია მითითებული, მათ შორის გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარშიც“.

საღუკეველნი – იუდეველთა ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკურ-რელიგიური სექტა (ძ. წ. II ს. – ახ. წ. I ს. ბოლო), რომელიც აერთიანებდა სამღვდელოებას, მიწათმფლობელ და სამხედრო მსაზრთა დიდკაცობას. საღუკეველნი ცნობდნენ მხოლოდ დაწერილ კანონებს – თორას, უარყოფდნენ ღვთის განგებას, ანგელოზებს, სულის უკვდავებას, მკვდრეთით აღდგომას. პოლიტიკაში მხარს უჭერდნენ რომაელთა ბატონობას იუდეაში. საღუკეველნი ხშირად იხსენიებიან სახარებაში, როგორც იესო ქრისტეს მოძღვრების მოწინააღმდეგენი.

საეგზარქოსო რუსეთის ეკლესიის სინოდისა საქართველოში – საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა 1811 წ. საქართველოს საეგზარქოსოს დაარსება. საქართველოს ეგზარქოსი იყო რუსეთის სინოდის წევრი და იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“ ან მოკლედ – „საქართველოს ეგზარქოსად“. ეგზარქოსი იყო დიკასტერიის ნაცვლად დაარსებული „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის“ (გაიხსნა 1815 წ.) უფროსი და პქონდა წოდება ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტისა, შემდეგში კი – არქიეპისკოპოსისა. 1814 წ. თბილისში დაარსდა ეგზარქოსის კანცელარია. პირველი ეგზარქოსი 1811-1817 წწ. იყო ვარლამ ერისთავი (იხ.), ხოლო მომდევნო – რუსეთიდან მოვლინებული იერარქები. საქართველოს საეგზარქოსოს კომპეტენციაში შემავალი ტერიტორია თანდათან ფართოვდებოდა და XIX ს. დასასრულს მასში შედიოდა მთლიანად ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარეც. საქართველოში საეგზარქოსო გაუქმდა 1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შედეგად (იხ. ეგზარქოსები...)

საეკლესიო აზნაური – ეკლესიის

(საკათოლიკოსო და საეპარქიო ეკლესია, დიდი მონასტრები) ვასალი ფეოდალი შუა საუკუნეების საქართველოში. XI ს-დან, როდესაც ფეოდალური კლასი ორ წოდებად ჩამოყალიბდა (XI-XIII სს-ში – დიდებულები და აზნაურები, XIV-XVIII სს-ში თავადები და აზნაურები), საეკლესიო აზნაურებად ითვლებოდნენ ფეოდალური კლასის მხოლოდ ქვედა წოდების წარმომადგენელნი. საეკლესიო აზნაურებს შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესიის შეილებსა და მონასტრის შეილებს უწოდებდნენ (გაზვდება: მცხეთისშვილები, ჯარძისშვილები, ქვათახევისშვილები, რუისის საყდრისშვილები, გერგეტის საყდრისშვილები, აწყურის საყდრისშვილები და სხვ.) XIV-XVIII სს-ში საქართველოში საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა უფრო მცირე იყო, ვიდრე სამეფო და სათავადო აზნაურებისა, ალრე კი უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა. საეკლესიო აზნაურთა შემცირება გამოიწვია მტრებ.ს ხშირმა შემოსევებმა, შინაფეოდალური აშლილ.ობისა და სამეურნეო ნგრევის შედეგად მრავალი ეპარქიისა და მონასტრის შესუსტებამ ან სრულიად მოშლამ. ყველაზე მეტი აზნაური ჰყავდა მცხეთის საკათოლიკოსო საყდარს – სვეტიცხოველს. ეკლესიის ყმა-მამულს განაგებდნენ საეკლესიო აზნაურები, რომლებსაც მეფისაგან და კათოლიკოსისაგან ბოძებული ჰქონდათ სხვადასხვა სამხედრო პატივი. მაგ.: XVII-XVIII სს-ში კათოლიკოსის სახლთუხუცესის ხელი მემკვიდრეობით ეპყრათ სვეტიცხოვლის აზნაურებს – მაღალაშვილებს, ხოლო საკათოლიკოსო სარდლობა – სვეტიცხოველის აზნაურებს – გვდევანიშვილებს, იყვნენ აგრეთვე ბოქაულთუხუცესები, მეკონიბეთუხუცესები, ქადაგები, სუფრაჯები, მდივან-მწიგნობრები, ნაწირები, სოფლის მოურავები, მელალე-მებალახეები და სხვ.

1783 წ. ტრაქტატზე დართული სიის მიხედვით, იმდროინდელ ქართლში იყო სამეფო აზნაურის 82, სათავადო აზნაურის 188, ხოლო საეკლესიო აზნაურის მხოლოდ 17 სახლი.

საეკლესიო აზნაურობა საქართველოში გაუქმდა რუსეთთან შეერთების შემდეგ. 1811 წ. მთავრობამ ისინი მათი ყმა-მამულებიანად სახაზინო უწყებაში ჩარიცხა. 1833 წლიდან ყველა აზნაური გაუთანაბრეს რუსეთის „დეორიანსტეოს“.

საეკლესიო განხეთქილება მართლმადიდებლებსა და კათოლიკეთა შორის – იხ. ეკლესიათა გაყოფა.

საეკლესიო დამფერლობა – იხ. ასომთაკრული, ნუსხა-ხუცური.

საეკლესიო კერძოლოგიური წელიწადი – წელიწადის მთელი ციკლის დღესასწაულთა ანგნიშნის სისტემა საქართველოს ეკლესიაში. ამ სისტემის უძველესი პრაქტიკა დამკვიდრებული იყო საქართველოს ეკლესიაში X ს. ბოლომდე. ქართული პეორტოლოგიური წელი იწყებოდა ქრისტეშობის წინადღესასწაულით, რომელიც 21 დეკემბერს ემთხვეოდა და შედგებოდა ცხრა პერიოდისაგან:

1. პირველი პერიოდი შეიცავდა შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს და თავდებოდა ნათლისღების მომდევნო რვა დღით, 13 იანვარს, ე.ი. შეიცავდა 24 დღეს – 21 დეკემბრიდან 13 იანვარამდე. ქართული ეკლესიის პრაქტიკას ამ შემთხვევაში შემონახულს პირველყოფილი ქრისტიანობის ტრადიცია, პალესტინური ქრისტიანობის უძველესი პრაქტიკა (შობა-ნათლისღების ერთად - 6 იანვარს აღნიშნავს).

2. მეორე პერიოდი მოიცავდა ნათლისღების მომდევნო კვირებს 14 იანვრიდან „მეზეურისა და ფარისეელის“ კვირამდე. რომელსაც ადგომა 25 აპრილსაა, ეს პერიოდი შეიცავს 31 დღეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში „მეზეურისა და ფარისეელის კვირა 14 თებერვალს მოდის. რომელსაც აღდგომა 22-24 მარტსაა, ეს პერიოდი სულ იკარგება, რადგან ამ შემთხვევაში „მეზეურისა და ფერისეელის“ კვირა მოდის 11-13 იანვარს.

3. მესამე პერიოდი შეიცავს დიდმარხვის ეგრეთწოდებულ მოსამზადებელ კვირაკვებს: მეზეურისა და ფარისეელის (ერთი კვირაღე), უძღები შვილის, ხორცისა და ყველის აკრების – სულ სამ კვირას. ის გრძელდება 14 თებერვლიდან 7 მარტამდე, რომელსაც აღდგომა 25 აპრილსაა, ხოლო 11 იანვრიდან 1 თებერვლამდე, როცა აღდგომა 22 მარტსაა. ამ პერიოდში უძველეს ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში უძღები შვილის კვირაკის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს მიღებული ყოფილა „არაკორის//ალაკორის“ მარხვა (სომხური „არაკაკორ“-დიდმარხვის „წინამორბედი, წინმავალი“), რომელიც სირო-ქალდეველების (ნესტორიანელების), კოპტების, ეთიოპების „ნინეველთა მარხვის“ ფარდია. IX ს-ში, არსენ დიდი კათოლიკოსის ლროს „ალაკორის“ წინააღმდეგ ქართლში გამწვაებული პაექრობა იყო, ხოლო X ს-დან უკვე აღარ ჩანს (ეს მარხვა, რომელიც ცოცხალი

იყო დახ. VIII ს-მდე, ბოლო ხანებში „ნინეელთა მარხვად“ იწოდებოდა).

4. მეოთხე პერიოდი არის დიდმარხვის პერიოდი, რომელიც შედგება შვიდი კვირის ან 49 დღისაგან. კველის აღების კვირა ითვლებოდა პირველ კვრად, პირველ-მეორედ, მეორე-მესამედ და ა.შ. ბზობის კვირა მეშვიდედ, ასე რომ, ენების კვირა გრძელდებოდა ორშაბათიდან შაბათამდე („იერუსალიმის განჩინება“). ამგვარ ათვლას აქვი აქვს სირო-ქალდეველთა და სომეხთა კალენდარში, რაც მაჩვენებელი უნდა იყოს ქართული საეკლესიო პრაქტიკისა.

5. მეხუთე პერიოდი არის აღდგომის (პასექის, ზატიკის) პერიოდი, რომელიც გრძელდება სულიწმინდის მოსვლამდე (მარტვილია) და მოიცავს 7 კვირას, ანუ 49 დღეს. აღდგომას და მთელ მის მომდევნო პერიოდს უძველეს ქართულ ძეგლებში ეწოდება „ზატიკი“ (სომხ. ზატიკი = აღდგომას) ან „აღესვა“, რაც უნდა ნიშნავდეს, რომ ენების კვირით და აღდგომის დღით აღიესება – სრულდება დიდმარხვის პერიოდი („აღესვა“ იხმარება სირო-ქალდეველთა საეკლესიო პრაქტიკაში როგორც დიდმარხვის, ასევე სხვა შვიდკვირიანი პერიოდის უკანასკნელი შვიდეულის აღსანიშნავად. მაგ.: „პარასკეეი მოციქულთა შვიდეულის აღსებისა“, „კვირა მოციქულთა შვიდეულის აღსებისა“ (В. Болотов, Церковный год Сиро-Халдеев, Христ. чтение, Июнь, 1901, с. 942). ორიეე ტერმინი – „ზატიკი“ და „აღესვა“ – მაჩვენებელია ქართული საეკლესიო პრაქტიკის უძველესი ტრადიციებისა.

6. მეექვსე პერიოდი იწყება სულიწმინდის მოფენიდან (მარტვილიიდან), გრძელდება 7 კვირას, ანუ 49 დღე, ე. წ. „ათენაგენობამდე“. დღეს უკვე აღარ ჩანს, რატომ ეწოდება სულიწმინდის მოფენას ძველ ქართულ წყაროებში „მარტვილია“, რაც უეჭველად უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „მოწამეს“. ჩანს, ამ დღეს მოდიოდა მოწამეთა, ე. ი. მარტვილთა ხსენება. უძველესი ბიზანტიური ქრისტიანული საეკლესიო პრაქტიკით IV ს-ზე ადრეც კი ყველა დროისა და ქვეყნის მოწამეებს იხსენებდნენ ერთად სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის მომდევნო დღეებში: იოანე ოქროპირი ერთ-ერთ ქადაგებაში (Migne, PG, t. 50, p.706) ამბობს: „არ გასულა ჯერ შვიდი დღე, რაც ჩვენ სულიწმიდის მოსვლა ვიღესასწაულეთ და ჩვენ მიგველო მოწამეთა გუნდმა“. როგორც ჩანს, „მარტვილია“ სულ უძველეს დროს უკავშირდებოდა სულიწმინდის მოფენის დღესასწაულს, რადგან იყო მოძრაეი დღესასწაული და საბოლოოდ დაიკავა დღევანდელი ადგილი, სახელდობრ, ყოველთა წმინდათა კვირიაკე, პირველი კვირიაკე დღე სულიწმინდის მოფენის დღესასწაულიდან. „ათენაგენობა“ მოწამე ათენაგე ანუ ათინოგენ სებასტიელის (III - IV სს. დასაწყ.) სახელთან დაკავშირებული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება „მარტვილიითგან მეშუდესა კვირიაკესა (იერუსალიმის განჩინება, გვ. 289); „შემდგომად მარტულიისა მეშვიდესა კვირიაკესა ქსენებაჲ წმიდისა ათენაგენა მღდელმოძღვრისაჲ“ (იოანე-ზოსიმეს კალენდ. ეტიუდ. V). „მარტულიითგან მე-ზ-სა კუირიაკესა მოციქულთანი, ათენაგენაჲ“ (უძველესი იადგარი, 255). ათენაგენის ხსენების კალენდარული დღეები (13, 16, 17, 18 იელისს) გვაინდელი მოვლენაა, ხოლო მოძრაე დღეებზე დადებული ხსენება უძველესი საეკლესიო პრაქტიკის ამსახველია. ის ფაქტი, რომ ათენაგენის ხსენება ორი საეკლესიო პერიოდის მიჯნად ყოფილა მიჩნეული, მაჩვენებელია, რომ იგი ერთერთი დიდი და პოპულარული დღესასწაული ყოფილა ჩვენში (იხ. ათენაგენობა). ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში ხშირად გეხვდება: „ათენაგენესა პპოო“ (იერუს. განჩინება, გვ. 20), „ჴალობათა ათენაგენასა პპონე“ (უძველესი იადგარი, გვ. 27), რაც მიუთითებს ათენაგენეს ხსენების დღის განგებაზე. ეს დღესასწაული ნაშთია სომეხ-ქართველთა ეკლესიური სარწმუნოებრივი ერთობისა, რადგან სომხეთში ათენაგენეს კულტი მეტად პოპულარული იყო (გრიგოლ განმანათლებელმა სებასტიიდან სომხეთში ჩამოიტანა ათენაგენეს წმ. ნაწილები და მის სახელზე ქ. ბატისატში ეკლესია აგო და დღესასწაული დააწესა (H.Марр, Крещение армян... с. 130-133). ათენაგენობა ჩვენში მოდიოდა მარტვილიიდან მეშვიდე კვირიაკეს, ე. ი. აღდგომიდან 98-ე დღეს და წარმოადგენს აღდგომაზე დამოკიდებულ მოძრაე დღე-სასწაულს, რომელიც ერთერთი უძველესია ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში.

7. „ათენაგენობიდან“ იწყება ახალი, მეშვიდე პერიოდი, რომელიც „ენკენიის“ თვემდე (13 სექტემბერი) გრძელდება. ამ პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია აღდგომაზე. თუ იგი 22 მარტს არის, მაშინ „ათენაგენობა“ 28 იენისსაა,

მაშასადამე, ამ პერიოდის ხანგრძლივობა უდრის 77 დღეს, ანუ 11 კვირას, ხოლო როდესაც აღდგომა 25 აპრილს არის – „თენაგენობა" 31 იელისაა. ამ პერიოდის ხანგრძლივობა უდრის 42 დღეს, ანუ 6 კვირას. როდესაც პერიოდი მოიცავს 11 კვირას, ორ ნაწილად იყოფა: ა) შეიდი კვირის პერიოდი და ბ) ოთხი კვირის პერიოდი.

8. მერვე პერიოდი ენკენიდან იწყება და გრძელდება 14 კვირას „ჟრუასალიმის განჩინებით" 21 დეკემბრამდე, თუმცა თუ მზედელობაში მოვლენთ ძველ შეიდკვირიან სისტემას, ამ შემთხვევაში გვიანდელი სურათი უნდა გვქონდეს. ალბათ, ეს პერიოდი იყოფოდა ორ ნაწილად: I შეიდი კვირა, ანუ 49 დღე 13 სექტემბრიდან I ნოემბრამდე, ხოლო II ნაწილში, რომელიც მეცხრე პერიოდს შეადგენდა – შეიდი კვირა, ანუ 49 დღე 2 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე.

როგორც დავინახეთ, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე პერიოდი ქართული ლიტურგიკულ-პერიტალოგიური წელიწადისა შედგება შეიდ-შეიდი ან 49 დღიანი ციკლისაგან, რაც უძველესი აღმოსავლეთის საეკლესიო პრაქტიკა უნდა იყოს (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ჟორტალოგიური წელიწადი, ეტიუდები, I გე. 125-132).

საეკლესიო კრებები – ქრისტიანულ ეკლესიათა წარმომადგენლების შეკრება სარწმუნოების რელიგიურ-მორალური ცხოვრების, ეკლესიის ორგანიზაციისა და მართვის, საეკლესიო დისციპლინის საკითხების განსასჯელად და გადასაწყვეტად. საეკლესიო კრებათა მოწვევის ტრადიცია ემყარება მოციქულთა კრებას, რომელიც იერუსალიმში იქნა მოწვეული 51 წ. (საქმე მოციქ., 15). ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში საეკლესიო კრებათა ორი კატეგორია არსებობს: მსოფლიო საეკლესიო (იხ.) და ადგილობრივი საეკლესიო კრებები. საეკლესიო კრება წარმოადგენს უძველეს საეკლესიო საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისად: მსოფლიო – მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიათა საზოგადოდ, მთელ მსოფლიოში, ხოლო ადგილობრივისა – იმ რეგიონში, რომელიც მოწვეულია კრება. ადგილობრივი კრების დადგენილებები, რა თქმა უნდა, ძირითადად ემყარება მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონმდებლობას. მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა არ არის განპირობებული გარკვეული პერიოდულობით, ე.ი. ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს მოწვეული საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ადგილობრივი საეკლესიო კრება, ეს იქნება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის შეკრება თუ გარკვეული საეპისკოპოსოს თუ სამიტროპოლიტის შეკრება, საეკლესიო კანონმდებლობით განსაზღვრულია კონკრეტული დროით: ორჯერ ან ერთხელ წელიწადში (თუმცა ეს ყველგან არ სრულდებოდა). საეკლესიო კრების სახელწოდებას განსაზღვრავს ის გეოგრაფიული პუნქტი, სადაც კრება იყო მოწვეული (მაგ. ნიკეის მსოფლ. კრება, ხარდიკიის ადგილობრივი კრება და ა. შ.).

ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მრავალრიცხოვანი კანონებიდან მხოლოდ ბიზანტიური პროვინციების რამდენიმე ადგილობრივი კრების (სულ 10) კანონები დამტკიცეს მსოფლიო საეკლესიო კრებებმა, როგორც საეკლესიო სამართლის ძირითადი კოდექსის შემადგენელი ნაწილი (დაწერ. იხილეთ: ადგილობრივი საეკლესიო კრება; მსოფლიო საეკლესიო კრება).

საეკლესიო კრებები საქართველოში – პირველი ცნობა საქართველოში საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ IX ს. II ნახევარს ეკუთვნის. გრიგოლ ხანცთელის „ცხორებაში" აღწერილია ჯვაბახეთში მოწვეული კრების მიმდინარეობა, რომელსაც საქართველოს კათოლიკოსის კათედრაზე არსენ დიდის კანდიდატურა უნდა დაემტკიცებინა. შემდეგი ცნობა XI ს. II ნახევარს განეკუთვნება: ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში მოუწვევიათ ლრტობილის საეკლესიო კრება, რომელზედაც სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის პაექრობა გამართულა ქრისტიანული სარწმუნოების სხვადასხვა საკითხებზე. ასევე მხოლოდ ცნობებია შემორჩენილი თბილისში, ასევე სომხურ-ქართულ ეკლესიებს შორის სასაუბროდ მოწვეული საეკლესიო კრების შესახებ, დავით აღმაშენებლის დროს XII ს. დაახ. 1122-23 წწ-ში. თამარ მეფეს 1184-1185 წწ. მოუწვევია საეკლესიო კრება თბილისში, რომლის მოთავეი ყოფილან თამარის მიერ იერუსალიმიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ნიკოლოზი (გულაბერიძე), ბერობამდე საქართველოს კათოლიკოსი, და ანტონი ჭყონდიდელ-შუამთავარ-თუშუცესი (გწოლისთაისძე). კრებაზე „სხუანი ვინმე ეპისკოპოსნი შეცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიონი წესნი განმართნეს უდებათა მიერ დაწესებულნი" (ქართ. ცხ. II, 117-119). ამ კრებათა

დადგენილებანი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი წყაროებს არ შემოუნახავთ. პირველი საეკლესიო კრება, რომლის დადგენილებები ანუ კანონები ჩვენამდეა მოღწეული, არის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელიც დაჟით აღმაშენებლის ინიციატივით მოიწვიეს 1105 წელს და რომლის დადგენილებები რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის" სახელით არის ცნობილი (იხ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება" და „ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ"). არსებობს ცნობა XIII ს. 40-იან წლებში მცხეთაში მოწვეული კრების შესახებ, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად შიომღვიმის მონასტრის შეუვალობა დაუმტკიცებია და ამასთან დაკავშირებით სპეციალური „განჩინება" შეუდგენია, რომელსაც ხელს აწერს ქართლის კათოლიკოსი არსენი და ქართლის მთავარეპისკოპოსი საბა, რადგანაც ეს საკითხი „წმიდასა კრებასა... განუჭრენია ბჭობითა"... (განჩინება გამოცემულია: სამ. ძეგლ. III, 160-161). 1623 წ. მცხეთაში მოწვეულ საეკლესიო კრებას ულტიმატუმით მიუმართავს დაჟთ ულუხანმა, რათა ის დახმარებოდა ეკლესიას უწესრიგობათა აღმოფხვრაში: კრების დოკუმენტი გამოცემულია (სამ. ძეგლ. III, 161-164, ბოლო გამოცემა: 1984 წ. ქართ. ისტ. საბ. კორპ. გვ. 170-174).

შნოშენელოვანი საეკლესიო კრება მოწვეულიათ XVI ს. შუა წლებში (დაახ. 1643-1549 წწ. შორის) დასავლეთ საქართველოში, ალბათ, გელათში, ბაგრატ III-ის მეუფობის დროს. მისი მოწვევის ინიციატორები ყოფილან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათოლიკოსი ეფდემონი. კრებას იმ დროს გაურცელებული ტყუეობა ყოდია-გაყიდვის, ეკლესიის ძარცვისა და შეურაცხყოფის, კაცის კლებისა და მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე 23 კანონი გამოუტანია. ამ კრების დადგენილებები „სამართალი კათალიკოზთა" (იხ.) სახელით არის ცნობილი. საეკლესიო კრებები მოწვეულიათ დასავლეთ საქართველოში აგრეთვე 1759 და 1761 წწ-ში.

აღმოსავლეთ საქართველოში მოწვეულ კრებათაგან, გარდა ზემოთ დასახელებული XI-XIII სს-ში მოწვეული კრებებისა, ცნობილია გეგან, XVIII ს. მოწვეული რამდენიმე კრება: 1702 წ. მცხეთაში მოწვეულ საეკლესიო კრებას ეფდემონ კათოლიკოსის თაოსნობით დაუდგენია სამონასტრო წესი და რიგი. ეს განჩინება გამოცემულია (სამ. ძეგლ. III, 633-635). 1748 წ. თბილისში ერეკლე II-ის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებას ანტონ I-ის თავმჯდომარეობით დაუდგენია 27 საეკლესიო კანონი ეკლესიის სხვადასხვა საკითხებზე. კრების დადგენილებებს ხელს აწერს: მეფე ერეკლე II, ანტონი I კათოლიკოსი და აღმოსავლეთ საქართველოს 13 მღვდელმთავარი, მონასტერთა სამი წინამძღვარი და 4 ხუცესი (მეფეთა და პატრიარქის მოძღვარნი, მცხეთის ეკლესიის იკონომოსი და ალავერდის ეკლესიის დეკანოზი). კრების დადგენილებები გამოც.: სამართ. ძეგლ. III, 798-805. 1762 წ. თბილისში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ერეკლე II-ის მეუობაში და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იოსების თაოსნობით განიხილა და განჩინება გამო-იტანა საეპისკოპოსოთა მართვის საკითხებზე. განჩინება გამოცემულია (სამ. ძეგლ. III, 848-850).

სხვა საეკლესიო კრებათა შესახებ 1917 წლამდე ცნობები არ მოგვეპოვება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 1917 წელს თბილისში შედგა საქართველოს ეკლესიის მესვეურთა კრება, რომელიც გრძელდებოდა 9-დან 17 სექტემბრამდე. მომდევნო კრებათა რიგი ასეთი იყო: 1920 წლის 24 ივნისს თბილისში; 1921წ. 1-5 სექტემბერს გელათში; 1927 წ. 21-27 ივლისს თბილისში, 1930 წ. 8 ივლისს თბილისში; 1932 წ. 21-22 ივნისს თბილისში. 1934 წ. 31 მაისს თბილისში, 1937 წ. თბილისში, 1952 წ. 5 აპრილს თბილისში, 1960 წ. 20 თებერვალს თბილისში.

საეკლესიო საბუთები – ყოველგვარი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ან შედგენილია ეკლესიის, ან საერო ხელისუფლების თუ პირის მიერ საეკლესიო საქმესთან დაკავშირებით. ქართულ წყაროებში საეკლესიო საბუთის აღსანიშნავად სხვადასხვა დროს მრავალი ტერმინი გვხვდება, როგორიცაა: სიგელი, გუჯარი, განწესება, განჩინება, დაწერილი, უწყება, მოხსენება, ბრძანება, დავითნი, ნუსხა და სხვ. ყველაზე ხშირად იხმარება წიგნი, თაისი სპეციფიკური დაზუსტებით. მაგ.: წყალობის წიგნი, ერთგულების წიგნი, პირობის წიგნი, ვედრების წიგნი, ჯამაგირის წიგნი, შეწირულების წიგნი, შეუვალობის წიგნი, პატიების ბოძების წიგნი, ბეგარის განწესების წიგნი, სარგოს განწესების წიგნი, განახლების წიგნი, შეჩვენების წიგნი, ნიშნის ამოწერის წიგნი, სითარხნის წიგნი და

სხვ. საეკლესიო საბუთების უმრავლესობა გამოცემულია: I. ისტორიული საბუთები, წგ. I-V, ტფ., 1913 (ს. კაკაბაძის მიერ); 2. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, ტფ., 1896 წ. (თ. ჟორდანიას მიერ); 3. საქართველოს სიძველენი ტ. I-III დამატება, ტ. III 1907-1926 წწ. (ექ. თაყაიშვილის მიერ), გუჯრები, 1861, ქუთაისი (ალ. ხახანაშვილისა), ქრონიკების I და II წიგნები (თ. ჟორდანისი), ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსი წ., შ. ბერჯანაძისა, „დასაელეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I-II, 1920, „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, I, 1940, II,1953 (ნ. ბერძენიშვილისა), მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის (I-1938; II-1853; III-1955 (ნ. ბერძენიშვილისა), ქართული სამართლის ძეგლები I-VIII ტომები 1970-1985 (ი. დოლიძისა), ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XV სს. საბუთები), I, 1984 (აქვეა მოცემული გამოცემული საბუთების ბიბლიოგრაფია, გვ. 197; კორპუსის დანარჩენი 8 წიგნი თანდათანობით გამოიცემა მომდევნო წლებში). საეკლესიო საბუთებიდან აღსანიშნავი რამდენიმე უძველესს: „დაწერილი ფაენელისა მღვიმისადმი", IX ს. II ნახევარი (დედანი დაკარგულია); „დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა მოსენებული მცხეთის საყდრისადმი" 1031/1033 წლებისა (დედანი დაკარგულია; სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მოჯანაორელ მამებისადმი, 1054/1072 წწ.; სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლაერისადმი, 1054/1058 წწ. დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. 1071/1080 (დედანი დაკარგულია); სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი, 1073 წ. (დედნის ძირ. ნაწ. დაკარგულია); სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიასძისადმი, 1104/1118 წწ., ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი, 1123/1124 წწ. (დედნის ძირ. ნაწ. დაკარგულია); განაწერი მამა სვეტისა. XIII ს. II ნახ. ; სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი, 1170 წ.; სიგელი გიორგი მეფისა საქართველოს ეკლესიისადმი, 1177 წ.; სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი, 1187 წ.; სიგელი გიორგი მეფისა საქართველოს ეკლესიისადმი, 1177 წ.; და სხვ. ჩამოთვლილი და სხვა ძველი საბუთები გამოცემულია: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984 წ.

საეკლესიო სამართალი – მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ ეკლესიის საკითხებზე სანქცირებული წესების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის შინაგან სტრუქტურასა და საეკლესიო ორგანიზაციას, მორწმუნეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას. საეკლესიო სამართალი შეიძლება ისეთ ნორმებს შეიცავდეს, რომლებიც კანონიკურ სამართალში არ არის. საეკლესიო სამართლით წესრიგდებოდა საოჯახო და საქორწინო სამართლის საკითხები, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების დანაშაულთა (ცთომილებათა) განსჯა, დავა საეკლესიო ქონების შესახებ და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში საეკლესიო სამართლის სახელმძღვანელო ნორმები მოცემული იყო თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლებში: „მცირე სჯულისკანონი" (X ს.) „დიდი სჯულისკანონი" (XIს.), რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა" (XIს.), „მცნებაჲ სასჯულოჲ" (XVს.), „კათალიკოსთა სამართალი" (XVI ს.), „მცნებაჲ მღდელთათჳს" (1768) და სხვ.

საეკლესიო სამსჯავრო – (Judicium ecclesiae) – საეკლესიო სასამართლო. უძველესი ქრისტიანული კანონმდებლობით, რაც ასახულია „დიდ სჯულისკანონში" (ნომოკანონში), კრძოდ, კართაგენის კრების მე-15 კანონში, სასულიერო პირმა საკმაო საკითხების გასარკვევად უნდა მიმართოს არა სამოქალაქო, არამედ საეკლესიო სასამართლოს: „...ეპისკოპოსისა, გინა ხუცისა, გინა დიაკონისა, გინა სამღდელოთა დასისაგანისა ვისიცა საქმე ანუ საეკლესიოდ განსაკითხაჲ, ანუ სამოქალაქოჲ ეკლესიასა შინა საბიებლად აღიძრას, ხოლო მან იკადნას საეკლესიოსა სამსჯაულოჲსაგან და საროთა სამსჯაულოთა შინა ინებოს განხილვაჲ მისი, დაღათუ მის კერძა იყოს მძლეობაჲ სამართლობისაჲ, ეგრეთცა წარუწყმედიეს მას ადგილი თჳსი (კომენტარი: „ადგილად აქა სამღდელოსა პატივსა იტყჳს" – დიდი სჯულისკანონი, გვ. 296 და სქოლიო). წინადადებ შეთხზეებაში, როგორც კანონის მოტანილი ადგილიდან ჩანს, მას სამღდელო პატივის დაკარგვა ემუქრება. კონსტანტინე დიდის დროს (IV ს. I ნახ.) კერძო სამართლის საკითხების გადასაწყვეტად ყველა ქრისტიანს შეეძლო მიემართა საეკლესიო სასამართლოსათვის, რომლის გადაწყვეტილებას სამოქალაქო სასამართლოს დაღგენილების ძალა ჰქონდა. იმპერატორ ჰონორიუსის დროს (399 წ.) საეკლესიო სასამართლოს წაერთვა ეს უფლება და იგი განიხილებოდა სხ-

ვადასხვა სახის სარჩელს: 1. ხუცესთა, დიაკონთა და სხვა კლერიკოსთა (მოყუასთა) დავას ერთმანეთს შორის; 2. კლერიკოსთა საჩივრები ეპისკოპოსზე; 3. ეპისკოპოსთა ან კლერიკოსთა საჩივრები მიტროპოლიტზე. პირველი სახის საქმეებს არჩევდა ეპისკოპოსის სამსჯაერო, ან ორიეე მხარის მიერ არჩეულ მსაჯულთა სამსჯაერო, ოლონდ ეპისკოპოსის თანხმობით. მეორე სახის საქმეებს განიხილავდა დიოცეზის ეგზარქოსის, ან პატრიარქის სამსჯაერო, ან კონსტანტინეპოლის საყდრის სამსჯაერო. ეს იყო საპატრიარქო კრება. დიაკონს ასამართლებდა 3 ეპისკოპოსი, ხუცესს - 6, ეპისკოპოსს – 12 ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი.

საეკლესიო სასჯელი – იხ. ეპიტიმია, განკანონება.

საეკლესიო ძორწინება – იხ. ქორწინება.

საეკლესიო წელიწადი – უძველესი ქართული წარმართული წელიწადი საქართველოში ბაბილონურ-სემური სისტემის მიხედვის წელიწადი უნდა ყოფილიყო, რომელიც წარმართობამდე შეუცვლია მზის მოძრავ წელიწადს ისეე, როგორც ეს მოხდა წინა აზიაში, სპარსეთში, ირანსა და სომხეთში. ამის საბუთია თვეთა ძველი ქართული სახელები, რომელთა ნაწილი ირანულ-სომხური წარმოშობისა ჩანს. თვეთა წარმართული სახელები წარმართული დროიდან ქრისტიანობის სანამდეც გადმოსულა და დადასტურებულნი არიან როგორც უძველეს ორიგინალურ ქრისტიანულ თხზულებებში, ასეე უძრეს ნათარგმნ ძეგლებშიც. თვეთა რიგი (თითოეული მათგანი 30 დღეს შეიცავდა) და შესატყვისობა თანამედროვე თვეებთან ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. ახალწლისაჲ (თთუე) „შესატყვისი ირანული „ნავაროზისა“ (ახალი დღე) და სომხური ნავასარდის (ახალი წელი), მოიცავდა დღეებს აგვისტოს 6-დან 4 სექტემბრის ჩათვლით. „ესრეთ წმიდანი მოწამენი აბდონ, სენენ... უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“, „თთუესა ახალწლისასა“ (A 95, XI ს. 1207-1210).

2. სთულისაჲ არის წმიდა ქართული სახელი იმ თვისა, რომელშიც ადგილი აქონდა სთველს, ანუ რთველს. მნიშვნელობით იგივეა, რაც სომხური „ქაღოც“, სთულისაჲ მოიცავდა დღეებს 5 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით: „ესრეთ აღსრულნეს ბერნი იგი თთუესა სთულისასა ოცდახუთს, დღესა შაბათსა“ (Ath. 8, X ს., 325).

3. ტირისკნისაჲ – ირანულ-სომხური წარმოშობისა, უდრის 5.X- .XI: „იქმნა წამება ესე სამგზის სანატრელთა მოწამეთა... ტირისკნისასა ხუთსა (Ath. 8, XV ს. 317).

4. ტირისდინისაჲ – ირანულ-სომხური წარმოშობისა, უდრის 4.XI-3.XII თთუესა ტირისდინისა ექუსსა... (A 256, ფ. 3).

5. ასინისისაჲ – ირანული (ფალაური) წარმოშობისა, უდრის 4.XII-2.I „და არს დასაბამი ტანჯეათა მათ წმიდისა შუშანიკისაჲ თთუესა ასინისისასა, მერეესა თთუსასა და დღესა ოთხშაბათსა“ (ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 46).

6. სურწყნისაჲ – ირანული (აესტური) წარმოშობისა, უდრის 3.I-1.II, „და აღსრულა წმიდაჲ სტეფანე თთუესა სურწყნისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა“ (A 19, X ს. 134).

7. მიჰრაკანისაჲ//მეჰრაკანისა - ირანული (აესტურ-სომხური წარმოშობისა, უდრის 2.II-3.III: „და მოჰკუეთეს თავი მისი (ქრისტეფორეს) თთუესა მიჰრაკანისასა ხუთსა, დღესა პარასკევსა (Ath 8, XV ს. 328).

8. იგრიკისაჲ – სომხური წარმოშობისა, უდრის 4.III-2.IV: „და გურგუნოსან იქმნა აკულინა პირველსა მას დღესა თთუსა იგრიკისასა“ (A 95, XI ს. 811).

9. ვარდობისაჲ – წმინდა ქართული სახელია. ბიბლიის ძველ ვერსიებში ეწოდება აგრეთვე „თთუე ყუაელობისაჲ“ (გამოსლ. 34,18), რაც ებრაელთა მეორე თვეს „ზიფ“ (ყუაელთა თვე) თარგმანია. ვარდობისაჲ უდრის 3.IV-2.V: „და კუალად ტანჯეაჲ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა“ (მარტულობაჲ შუშანიკისი, გვ. 46).

10. მარიალისაჲ – სომხური „მარერ“, უდრის 3.V-1.VI: აღსრულა წმიდაჲ იგი ფილეტიმონ ათხუთმეტს მისსა, რომელ არს მარიალი, დღესა შაბათსა (კიმენი, I, გვ. 160).

11. თიბისაჲ – ქართული სახელწოდება, უდრის 2.VI-1.VII: „თთუესა ივნისსა, რომელ არს თიბისაჲ ოცდამეცხრესა დღესა... ჟამი იგი წამებისაჲ პავლე მოციქულისაჲ (V-1138, წინასიტყუაობა).

12. ქუელთობისაჲ – ქართული სახელწოდება, უდრის 2.VII-31.VII: „ესე დღე ოთხშაბათი იყო მერვე ქუელთობისა, უწინარეს რვისა ჟამთა ღამისასა, რომელსა პრქუან პრომალევრი“ (A 95, XI ს. გვ. 951, პროკოპის წამება). წლის გასულს,

მეთორმეტესა და პირველ თვეთა შორის 1 აგვისტოდან 5 აგვისტომდე ემატებოდა 5 დღე (ეპაგომენები). მოტანილი კალენდრის მიხედვით ჩანს, რომ წლის დასაწყისი მოდიოდა თვეზე, რომელსაც ახალწლისაჲ ეწოდება. ბუნებრივია, თვის პირველ დღეს (ე. ი. 6 აგვისტოს) თანამედროვე ანგარიშით, ე. ი. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ, ჩვენში დარჩა ძველებური (წარმართული) აგვისტოს წელიწადი, რომელმაც გამოყენება ჰოპა პაგიოგრაფიულ ძეგლებში, მაგრამ დაახლ. VI საუკუნიდან ქრისტიანობამ საქართველოში გზა გაუკაფა რომული სისტემის მზის უძრავ წელიწადს, რომელიც წელიწადს 1 სექტემბრიდან იწყებდა. რომაულ თვეთა სახელების დამკვიდრებისა და წელიწადის 1 სექტემბრით დაწყების ახალმა სისტემამ, რომელსაც საქართველოში აგვისტოს წელიწადი დახვდა, თაედაპირველად შეუსაბამობანი გამოიწვია ბერძნულიდან ნათარგმნ თხზულებებში. შეუძლებელი იყო ზუსტად დაედგინათ თვეთა რიცხვების შესატყვისობა, რადგან ბერძნულ-რომაული წელიწადი მზის უძრაო წელიწადი იყო, ხოლო საქართველოში წინა აზიიდან შემოსული იყო მზის მოძრაჲი წელიწადი, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული ნაკიანი წელი და ოთხ წელიწადში ერთი დღით იგვიანებდა. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მზის მოძრაჲი წელიწადი მოქმედებდა, ხუთდღიან ეპაგომენებს ყოველ მეოთხე წელს მეექვსე დღესაც უმატებდნენ, თვეები კი ისევ 30-დღიანი რჩებოდა. საფიქრებელია, რომ საქართველოშიც ამგვარი უძრაჲი წელიწადი დამყარდა მაშინ, როდესაც საქართველო რომაელთა კულტურულ-პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა. ერთი სიტყვით, ქრისტიანობის შემოსვლისას ჩვენში უკვე აღმოსავლური ტიპის უძრაჲი წელიწადია დამკვიდრებული, რომელიც აგვისტოში (ახალწლისა) იწყებოდა. ამიტომ არის, რომ რომაულ თვეთა სახელწოდებას, რომელიც სათარგმნ თხზულებაში იყო აღნიშნული თვის ქართული სახელწოდებით განმარტება სჭირდებოდა: „თთუესა იენისსა, რომელ არს თიბისაჲ, ოცდამეცხრესა დღესა“ (S 1138), „სებასტიანე აღესრულა მეშვიდესა ამრილსა თთუესა, რომელ არს იგრიკაჲ (უნდა „ვარდობისაჲ“ – კიმენი, გე. 160), „აღესრულა წმიდაჲ იგი ფილეკტიმონ ათხუთმეტსა მაისისისა თთუესა, რომელ არს მარიალი“ (კიმენი, გე. 160), „წმიდაჲ თეოდოსია აღესრულა მეთორმეტესა ფებერუალსა თთუესა, რომელ არს მიჰრკანი“ (კიმენი 160) და სხვა მრავალი. მართალია, მოტანილ მაგალითებში თვეთა შესატყვისობა აღნიშნულია, მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა, რიცხვების მიხედვით არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, ხოლო რომაული თვის რიცხვის შესატყვისი ქართული თვის რიცხვი არაა ნაჩვენები. რომაულმა კალენდარმა თანდათანობით გამოდევნა ხმარებიდან ქართული კალენდარი და VII ს. დამდეგიდან დაწყებული, ეს პროცესი (იხ. ზემომოტანილი მაგალითები) VIII ს. ძირითადად უკვე დამთავრებულია („აბოს წამება“, ძეგლები, I, 66,68). IX ს. დასაწყისიდან ე. წ. ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით საქართველოში შემოდის მარტის წელიწადი, რომელიც 1 მარტით იწყება. 1 მარტი საუკუნო 532-წლიანი ქორონიკონისა, როგორც ქართულის, ისე უცხოურისაც. უძველესი ცნობა საქართველოში მარტის წლის შესახებ მოიპოვება ნონოს „ცხოვრების“ ჭელიშურ რედაქციაში: „რამეთუ თთუე იყო მეექუსე და დღე იყო მეექუსე თთუსა მის, ოდეს იგი ეყმანუელ თაბორს მაძისა ხატი უჩუენა“ (ძეგლები, I, 122), ე. ი. ფერისცვალების დღე, 6 აგვისტო აქ მიჩნეულია მეექვსე თვედ. მაშასადამე, წლის დასაწყისად ნაგულისხმევია მარტი. მარტის წლის შემოსვლის შემდეგ სექტემბრის წელიწადი განაგრძობს მის გვერდით არსებობას X ს. ნახევრამდე, ხოლო X ს. ნახევრიდან, როდესაც უძველესი საეკლესიო-პერიტოლოგიური აღმოსავლეთის ტიპის წელიწადი ბიზანტიურმა საეკლესიო პრაქტიკამ შეცვალა, სექტემბრის წელიწადი იკავებს საეკლესიო წლის ადგილს. პირველად სექტემბრის წელიწადი, როგორც საეკლესიო წელი, ჩვენ გვხვდება იოანე-ზოსიმეს კალენდარში (X ს. ზუა ნლები), სადაც პირველი სექტემბრის ქვემ წერია: „გურგ'ნი წელიწადსა მოქცევისაჲ“. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ კონსტანტინეპოლის ეკლესიის „სვინაქსარში“ (მცირე სვინაქსარი, X ს. II ნახევარი) წელიწადი 1 სექტემბრით იწყება. ამ დროდან კალენდარზე გაწყობილი საეკლესიოსახურო წიგნები (იადგარები, თვენი, სადღესასწაულოები და სხვ.) 1 სექტემბრით იწყება.

მარტის წელიწადი, როგორც სამოქალაქო, არსებობს ჩვენში დაახლ. X ს. II ნახევრამდე. ამ დროდან ის ხმარებიდან იდევნება იანვრის წელიწადით და მხოლოდ ქორონიკონული წე-

ლიწადის საფუძვლად რჩება. იანვრის წლის კალი ჩანს იოანე-ზოსიმეს კალენდარში, რომელშიც თვეები დალაგებულია იანვრიდან დეკემბრამდე (ეტიუდ. V, 258-278). ასეცა მიქელ მოდრეკილის „იადგარში" (გამოც. ე. გვახარიას მიერ 1978 წ.) და იერუსალიმის კანონის იმ რედაქციაში, რომელიც გადაწერილია XI ს. I ნახ-ში (პარიზ. № 3). ამ ბოლო ორ ძეგლში I იანვრის ქეშე ნათქვამია „წელიწადის თაეი".

იანვრის წელიწადის დამკვიდრებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. მაგ., პბუსერიძე ტბელი 1233 წელს გადაწერილ „ასურული კენკლოსის" განმარტებაში ამბობს: „დაღაცათუ დასაბამად წელიწადისა (ოგულისხმებს საეკლესიო) დადგომაჲ სექტემბრისაჲ დადებულ არს, გარნა ესეითარისა სათუალაესა გამოძიებისათჳს და ამის ყოველსათჳს, რომლისა წერასა შინა ვართ, იანვარსა დაწყებაჲ დადებულ არს წელიწადისა დასაბამად (M. Brosset, Etudes, p. 29).

საბოლოოდ საქართველოში დამკვიდრდა სექტემბრის საეკლესიო წელი და იანვრის სამოქალაქო წელი. მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის მიერ საეკლესიო წლის დასაწყისად 1 სექტემბრის დადგენა, როგორც ფიქრობენ, უნდა უკავშირდებოდეს კონსტანტინე დიდის გამარჯვებას მაქსენციუსზე 312 წლის სექტემბერში. სექტემბრის საეკლესიო წელი 1917 წლიდან შეცვალა იანვრის საეკლესიო წელმა (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, ეტიუდები... I, თბ., 1956, გვ. 99-124; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზ. მოამბე, VI (1929-1930) და VIII (1931-1932).

საჰანე – სოფელი საჩხერის რ-ნში, მდ. იზვარისა და ლაშურის წყალგამყოფზე, საჩხერიდან 7 კმ. ისტორიულ წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება. სოფელში არის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც სამრეკლოს შესასვლელის წარწერის თანახმად აგებულია 1046 წ. ადგილობრივი ფეოდალის, ერისთავთერისთავის, გიორგი გულუზიაძის ძის მიერ. დასაელეთის შესასვლელის წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესია აუგია ხუროთმოძღვარ პარაბას. ეკლესიას სამხრეთით მთელ სიგრძეზე გასდევს სტოაკარიბჭე, რომელიც სხვა ოსტატის მიერ უნდა იყოს ცოტა მოგეიანებით მიშენებული. ეკლესია უხვად და მდიდრული ორნამენტებით არის შემკული. ეკლესიაში XI ს. მდიდრულად მოჩუქურთმებული თაბაშირის კანკელია, რომელიც დამახინჯებულია XIX ს-ში შეკეთების დროს. სამრეკლო XIX ს. II ნახევარს მიეკუთვნება.

საჰანე – იხ. მონასტერი.

საჰარღი – 150 მარცელოანი ჩრდილოსანი 150 ფასალმუნის მიხედვით, რომელსაც მონაზენები მარცხენა ხელზე იხვევენ და ლიცკის დროს მხარობენ ლიცკების დასათელებლად.

საჰატი მოწამე – ეწამა ქრისტესთის პრობო იმპერატორის (276-282) დროს ტროფიმე და დორიმენდრტთან ერთად. ქ. ანტიოქიაში წარმართთა დღესასწაულის დროს მოვიდნენ ქრისტიანები ტროფიმე და საეტი. წარმართებმა ისინი დაიჭირეს და ანტიოქიის მმართველთან მიიყვანეს, რომელმაც მათ კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვა მოსთხოვა. წმინდანებმა მტკიცე უარი თქვეს და აშკარად აღიარეს ქრისტიანული მრწამსი. სასტიკი წამების შედეგად საეტი გარდაიცვალა, ხოლო ტროფიმეს, რომელიც საწამებლად ფრიგიის მმართველ დიონისესთან ერთად გააგზავნეს ქ. სიდში, მისი მოთმინებისა და სიმტკიცით მოხიბლულ და გაქრისტიანებულ სენატორ დორიმენდიანეს ერთად თავი მოჰკვეთეს. საშიე მოწამის ერთობლივი „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად სიმეონ მეტაფრასტმა შეადგინა X ს. ბოლოს, ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: XI ს. II ნახევარში იგი თარგმა თეოფილე ხუცესმონაზონმა (Ath. 20, XI ს. 132-138), ხოლო, ალბათ, უფრო ადრე – XI ს. I ნახევარში – უცნობმა მთარგმნელმა (S 384, XI-XII ს. 146-159; ჯუმ. 4, 1565 წ., 216-225). მოწმეთა ხსენებას ქრისტიანული ეკლესია დღესასწაულობს 19 სექტემბერს.

საჰიდრებელი წიგნი (Libellus Supplex) – წერილობითი თხოვნა, პეტიცია სამღვდელო პირისა სამღვდელო პირისადმი ან სამოქალაქო ხელისუფალისადმი. საეკლესიო კანონმდებლობით, საეკლესიო პირს შეუძლია საეღრებელი წიგნით მიმართოს საერო ხელისუფალს მას შემდეგ, რაც თხოვნას გაეცნობა იერარქიულად მაღლა მდგომი საეკლესიო პირი, ხოლო მაღალი საეკლესიო პირის საეღრებელ წიგნს იმპერატორისადმი წინასწარ ეცნობა უმაღლესი საეკლესიო პირი (სარდიკის კრების 9 კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 281).

საველე – პაელე მოციქულის სახელი მოქცევამდე.

საზიარო – ლიტურგიკული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს, რომ ორ ან მეტ საკლესიო დღესასწაულს ლიტურგიკულ საკითხავთა თუ საგალობელთა ერთნაირი წყება აქვს. ძირითადად ეს ეხება ეკლესიის წმინდანთა დღის განგებებს.

„საზღვარი ფილოსოფოსთა“ – ქრისტიან ბაუმაისტერის (1705-1785) ნაშრომის ანტონ I-ის მიერ ლათინურიდან (ან რუსულიდან) შესრულებული თარგმანი („მოამბე“, 1898 წ. № 9).

სათიბარი – სოფელი ცხინვალის რ-ნში, მდ. ჭარებულის მარჯვ. ნაპირზე, ცხინვალიდან 12 კმ. სოფელში შემონახულია X ს. ეკლესია.

საიდუმლონი ეკლესიისანი – ქრისტიანული ეკლესიის წეს-მოქმედებანი, რომლის საშუალებითაც, საეკლესიო მოძღვრების თანახმად, მორწმუნეებზე გადადის ღვთის მადლი. მართლმადიდებლური ეკლესია სცნობს შვიდ საიდუმლოს: 1. ნათლისღება; 2. მირონცხება, 3. ზიარება, 4. მღვდლობა, 5. სინანული, 6. ქორწინება, 7. ზეთის კურთხევა.

საიდუმლო სერობა – მნიშვნელოვანი ეპიზოდი იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრებიდან, რომელიც გადმოცემულია სახარებაში: ჯვარცმის წინა დღეს ქრისტემ მოწაფეებისათვის გამართული ვახშამი (სერობა), რომელზედაც ორი ესაუბრა მოწაფეებს, აღასრულა ფეხთაბანის რიტუალი, დაადგინა ზიარების საიდუმლო, უკანასკნელად მიიღო საიდგომო კრავი, იწინასწარმეტყველა იუდას ღალატი და პეტრე მოციქულის მიერ მაცხოვრის უარყოფა (მათე 26, 20-36 და სხვ.). ამ დღის აღსანიშნავად ქრისტიანულ ეკლესიაში დაწესებულია „სერობის“ ყოველდღიური ღვთისმსახურება (იხ. სერობა).

საირმე – ზედა და ქვედა საირმის ძველი სახელწოდება, ცაგერის რ-ში, მდ. რიონისა და ლაჯანურის შესართავთან, ცაგერიდან 35 კმ. სოფლების მახლობლად შემონახულია სამონასტრო კომპლექსი „უდაბნო“, რომელშიც შედის: 1766 წ. ეკლესია, XVIII ს. სამრეკლო და XVIII-XIX სს-ის სხვა ნაგებობანი.

საიძიო – ადამიანის სულის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალების შემდეგ. ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით საიქიო ორ მთავარ ნაწილად იყოფა: სამოთხე ზეცაში, სადაც მართლმორწმუნე ადამიანთა სულები ნეტარებაში იცხოვრებენ და ჯოჯოხეთი ქვესკნელში, სადაც ურწმუნოთა და ცოდვილთა სულები სამუდამო სატანჯველში მოხვდებიან.

საკაო – სოფელი ონის რ-ნში, მდ. საკაურის მარცხ. მხარეს. წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში. ცნობილია საკაოს ამხედრებული წმ. გიორგის XI ს. ჭედური ხატი, რომელიც გულისხმობს სოფ. საკაოში ძველი ეკლესიის არსებობას, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

„საკითხავნი“ – ასე ეწოდება ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნებიდან ამოკრებილ ადგილებს, რომელსაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში კითხულობენ მწუხრის ღვთისმსახურებაზე, ძირითადად დღესასწაულთა წინადღეს. საკითხავების შინაარსს კავშირი აქვს დღესასწაულის არსთან, შეიცავს წინასწარმეტყველებას ამა თუ იმ დღესასწაულის იმ მოვლენის შესახებ, რომელსაც ეძღვნება დღესასწაული, ანდა განმარტავენ დღესასწაულის არსს.

VI ს-დან ძველი აღთქმის საკითხავები ბერძნული ეკლესიის ჟამისწირვაზე (ლიტურგიაზე) უკვე აღარ იკითხება, მაგრამ ისინი მიუსადაგა მწუხრის ღვთისმსახურებას (რომელმაც დაიკავა ძველი ჟამისწირვის ადგილი).

საკითხავთა რიცხვი სხვადასხვა დღესასწაულებში სხვადასხვაა: ძირითადად მათი რიცხვი სამია, ხარებაზე – 5, შობის წინა დღეს – 8, ნათლისღების წინა დღეს – 13, დიდ შაბათს – 15 და ა.შ. დაწვრილებითი ცნობები საკითხავების შესახებ შეტანილია საეკლესიო ტიპიკონში. „საკითხავთა“ თავდაპირველი შინაარსი თანდათანობით გაფართოვდა და ეწოდა ღვთისმსახურებაზე საკითხავ მასალას საწინასწარმეტყველოდან, სამოციქულოდან, კანონის ზოგ-ერთი საგალობელს პატერიკიდან, სვინაქსარიდან, მრავალთავიდან და სხვ. გვიანდელ ხელნაწერებში ტერმინი „საკითხავნი“ ზოგჯერ შეცვლილია „მეტაფრასით“ და „სვინაქსარით“.

საკმეველი – სურნელოვანი თეთრი ფისი, რომელიც წვის დროს სასიამოვნო სუნს გამოსცემს. გამოიყოფა ბურსერებრთა ოჯახის მცენარის, ბოსველიას ანუ საკმლის ხის დახერილი ქერქიდან. ხე იზრდება აღმ. აფრიკისა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. საკმეველი შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს, მწარე ნივთიერებებს. ნაწილობრივ იხსნება წყალსა და ორგანულ გამხსნელებში.

ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდელმსახური საკმეველს საცეცხლურით უკმევს ხატებს და მლოცველებს, საკმეველის კვამლი სიმბოლურად გამოსახატავს მლოცველთა ლოცვა-ვედრების ასვლას ცაში და იქიდან საღვთო მადლის გადმოსვლას.

საკოცარი – X ს. გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, კუმურდოს ტაძრის მაშენებელი. ტაძრის სამხრეთის შესასვლელის თაღზე რელიეფური ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში აღნიშნულია: „იოანე ეპისკოპოსმან დაღვა სამრკველი ამის ეკლესიისაჲ კელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა, ღმერთმან მეფისა ზე, ადიდენ ღმერთმან, ჭრონიკონსა რაჲ (184 + 780 – 964წ.) თთუესა მაისსა...“ (ლაპ. წარწ. I, 269). ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მორთულობის მხრივ საკოცარის ნაწარმოები ერთო უბრწყინვალესი ნაგებობათაგანია საქართველოში (იხ. კუმურდო). საკოცარი შეიძლება იყოს X ს. ფიის წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი მაშენებელთაგანიც (ლაპ. წარწ. I, 273; იხ. ფია).

საკურთხეველი – მართლმადიდებლური ტაძრის ამაღლებული აღმოსაელეთი ნაწილი, რომელიც ტაძრის შუა ნაწილისაგან გამოყოფილია მაღალი კანკელით და დანიშნულია ღვთისმსახურების ჩასატარებლად. საკურთხეველის შუა ადგილას დგას ტრაპეზი, ქვადრატული ფორმის მაგიდა, რომელზედაც დაფარებულია ჯერ არდაგი, სიმბოლურად გამომხატველი იმ არდაგისა, რომელშიც შეგრაგნეს იესო ქრისტეს გვამი დაფლვის წინ, შემდეგ ინდიტი და ილიტონი, ბოლო ტრაპეზზე ძევს ოდიკი, ჯვარი და სახარება. ტრაპეზის ან ოდიკის ქვეშ დაღებულია წმინდანთა წმ. ნაწილები იმ ძველ დროის ქრისტიანობის მოსაგონებლად, როდესაც ლიტურგია სრულდებოდა მოწამეთა საფლავებზე კატაკომბებში. ტრაპეზი საკურთხეველის უმნიშვნელოვანესი ნაწილია: მასზე ხდება უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, ე. ი. ტარდება ჟამისწირვა. ტრაპეზს იქით საკურთხეველის აღმოსაელეთ კედელთან ეწყობა წმ. ტახტი ანუ მაღალი დასაჯდომელი მღვდელმთავართათვის, რომელიც ორივე მხარეს ეშვება დაბლა და ქმნის დასაჯდომელს სუეასთათვის. საკურთხეველში ჩრდილოეთის მხარეს არის სამკვეთლო, რომელიც გამოყოფილია საკურთხეველისაგან სპეციალური ოთახის სახით, ან გამოყოფილი არ არის და დგას მაგიდა, რომელზედაც იკეთება წმ. უსისხლო მსხვერპლი, ე. ი. ტარდება პროსკომიდია. სამკვეთლოდან წმ. მსხვერპლი გადმოაქვთ ტრაპეზზე, სადაც ტარდება წმ. ჟამისწირვა (ლიტურგია). საკურთხეველში სამხრეთით მოთავსებულია სადიაკვნე ანუ საჭურჭლე, სადაც ინახება საეკლესიო წმინდა ჭურჭელი (აქედან სახელწ. საჭურჭლე), საეკლესიო სამოსელი, წიგნები და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები (აქედან – სახელწოდება „სადიაკვნე“, რაც „სამსახურებელს“ ნიშნავს). აქ თავს იყრიან მღვდელმსახურნი (კლერიკოსები) ღვთისმსახურების დაწყების წინ და იმოსებიან (იხ. სადიაკონე).

საკურთხეველი და მასზე დადგმული ტრაპეზი ტაძარში შეიძლება იყოს რამდენიმე (ტრაპეზი საკურთხეველში მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს). ერთ ტრაპეზზე შეიძლება ლიტურგიის ჩატარება მხოლოდ ერთხელ დღის განმავლობაში.

ძველ ძეგლებში საკურთხეველს ზოგჯერ „სამსხვერპლოსაც“ უწოდებენ.

სალომე – სახარების მიხედვით ერთ-ერთი დედათაგანი, რომელიც დაეზიარა იესო ქრისტეს გალილეაში მოღვაწეობის დროს. სალომეს, მარიამ მაგდალინელთან და მარიამ იაკობისთან ერთად ანგელოზის მიერ პირველს ეუწყა იესოს მკვდრეთით აღდგომა, როდესაც ისინი საფლავზე მივიდნენ მაცხოვრის გვამისათვის ნელსაცხებლის საცხებლად (მარკ. 15,38; 16, 1-7).

სალომე ქართველი – მოწამე, იერუსალიმის ერთ-ერთი დედათა მონასტრის მოღვაწე XIII ს. II ნახევარში. სალომეს, როგორც მისთვის განწესებული მოსახსენებლიდან ჩანს, იერუსალიმში მამლუქთა ბატონობის დროს მამადიანობა მიუღია და ქრისტიანობა უარუყვია, ხოლო შემდეგ ისევ დაბრუნებია ქრისტეს მოძღვრებას, რისთვისაც იგი სიკვდილით დაუსჯიათ: „თთუესა იელისსა კ ამასვე დღესა წამებაჲ სალომე ქართველისა, რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თაჳი წარკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“ (Jer. 24, მინაწერი აშიაზე 276; მასალები, გვ. 104, 163; აღაპი 274).

სალომე უჯარმელი – პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ძის, რევის მეუღლე. სომეხთა მეფის, თრდატის ასული. სალომე უჯარმელმა პეროზაერა სიუნიელთან ერთად ჩაწერა წმ. ნინოსაგან მონათლობი მისი ცხოვრება

და ღვაწლი, როგორც ამას გვაუწყებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ძეგლები I, 106).

სალოსები – მორწმუნეები, ძირითადად მონაზვნები, რომლებიც ღვთისა და მოყვასთა სიყვარულისთვის შეუდგნენ ქრისტიანული ღვთისმოსაობის უწვეულო ღვაწლის – ქრისტესთვის სალოსობას. სალოსები არა მარტო უარს ამბობდნენ საკუთარი სურვილით მიწიერი ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეზე, საზოგადოებრივი ცხოვრებით სარგებლობაზე, ყველაზე ახლობლებთან ურთიერთობაზე, არამედ იღებდნენ შეშლილი ადამიანის სახეს, რომელმაც არ იცოდა, რა იყო სირცხვილის გრძნობა და ზრდილობა და ა.შ. ეს მოღვაწეები არ ერიდებოდნენ სიმართლე ეთქვათ პირში ძლიერთათვის ამა ქვეყნისა, ამხელდნენ ადამიანებს უსამართლობაში და მათ, ვინც იეწყებდა ღვთიურ სიმართლეს, ანუგეშებდნენ ღვთისმოსაეა და ღვთისმოშიშთა. სალოსები ზშირად ტრიალებდნენ საზოგადოების ბიწიერი ნაწილის წრეში, ხალხში, რომლებიც საზოგადოების თვალსაზრისით დასალუძად განწირულნი იყვნენ და მრავალ მათგანს აკენებდნენ ჭეშმარიტებისა და სიკეთის გზაზე.

სალოსუობა დამახასიათებელი გახდა აღმოსაელური მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. მათ წარმოშობას ხელი შეუწყო პაულე მოციქულის სიტყვებმა: „ჩუენ – სულელ ქრისტესთჳს, ხოლო თქუენ – ბრძენ ქრისტეს მიერ“ (I კორინ. 4,10). მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე მოღუწე სალოსი, რომელთა ცხოვრება-მოღვაწეობა პაგიოგრაფთა აღწერის საგანი გახდა: ისიდორა (ნისიმა) სალოსი († 365), სერაპიონ სინოდიტი, ბესარიონ საკერველთმოქმედი, სეიმეონ სალოსი, ღირსი თომა, ანდრია სალოსი და სხვ. ქართულ პაგიოგრაფიაში მსგავსი მოღვაწეები არ გვხვდება, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაშია“ მოხსენიებული ეინმე პიმენ და ეულოგი სალოსები თამარ მეფის ეპოქაში. სალოსობა დიდად გავრცელდა რუსეთში (XI-XVIII).

სალხინებელი – სახელწოდება ძველი აღთქმის ებრაელთა სჯულის კიდობნის ოქროს სახურავისა, ბოლოებში ორი ქერუბიმის გამოსახულებით. ეს სახელწოდება მან მიიღო იმის გამო, რომ განწმენდის დღესასწაულის დღეს პირველ მღვდელმთავარი მას ასხურებს მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლს, ხალხის ცოდებისაგან განაწმედელად. როდესაც ხალხნებელი იღებოდა, ღმერთი მოსეს და მისი პირით მთელ ხალხს უცხადებდა თავის ნებას (გამოს. 25, 17-21). პაულე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში განმარტავს ამ რიტუალის არსს (9, 1-10).

სამათოს ეკლესია – XI ს. ეკლესია გუდაუთის რ-ში სამათოს მთაზე. დღეს ეკლესიის ნანგრეეებიღაა დარჩენილი. ნანგრეებში 1828 წ. აღმოჩნდა კანკელის ფრაგმენტი, კრძალის ფილა ჯუარცმის რელიეფური გამოსახულებით, რომელსაც აქეს ასომთაერული წარწერები: „ჰაბ მეუფემ პურიათა“, „ჯუარცმაჲ ქრისტესი“. დღეს ინახება გუდაუთის სახელმწიფო მუზეუმში.

„სამარადისონი“ – გარკეეული დანიშნულების დასდებული საგალობლები, რომლებიც შეიდეულის ცალკეული დღეებისათვის არის განკუთვნილი, გარდა შაბათის და კვირისა. მისი სინონიმია „მსგებსი“. „სამარადისონი“ სინანულის გამომხატველი საგალობლებია და განკუთვნილია კვირის სადა დღეებში (ორშაბათ-პარასკეე) ცისკრად და მწუხრზე საგალობლად, პირველ რიგში მარხვის პერიოდში და სურეილისამებრ სხვა დროსაც. სინანულის დასდებული რვა ხმაზე საღვთისმსახურო წიგნებშია შეტანილი. თუმცა ცალკეული ხელნაწერები სხვაობენ ერთი ხმის ფარგლებში საგალობელთა სახეობების თვალსაზრისით და ტექსტობრივი შედგენილობით (უძველესი იადგარი, გე. 915-916).

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის, ანუ კორპუსის ბოლო ნაწილი, შემუშავებული ვახტანგის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით 1705-08 წლებში. „სამართალი ბატ. ვახტანგისა“ შეიქმნა წარსული საკანონმდებლო მემკვიდრეობისა და სამართლის ჩვეულებათა კრიტიკული შეთვისება-გადახალისების შედეგად, მასში შეეიდა აგრეთვე მთელი წყება ახალებისა. იგი მოქმედებდა საქართველოს ყველა სამეფოსა და სამთავროში. სამოქალაქო ურთიერთობათა დარგში მისი ნორმები მოქმედებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, 1859-70 წლებამდე. მისი სამოქალაქო დებულებანი შეიტანეს რუსულ კანონთა კრებულის X ტომში. ძველი შეიცავს 270 მუხლს და პრეამბულას. კრებული თავდაპირველად 204 მუხლს შეიცავდა. 205-270 მუხლები, რომლებიც „ნოველებს“ წარმოადგენს, დამატებულია შემდეგ, თეით ვახტანგის მიერ, ხარეეზების შეესებისა

და სასამართლო პრაქტიკის ასახვის მიზნით. კანონთა ეს კრებული ფეოდალური სამართლის წერილა და ეხება თითქმის ყველა მაშინდელ ურთიერთობას გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ვახტანგისაგე „დასტურლამალშია“ ასახული. სხვა საკითხებთან ერთად „სამართალი ბატ. ვახტანგისა“ განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიის მესვეურთა სტატუსს. არსებობს ამ საკანონმდებლო ძეგლის 100-ზე მეტი ხელნაწერი (მათ შორის აღსანიშნავია ვახტანგისეული ხელნაწერი S 3883, 1710 წ., Q 575, ორიეე ხელნაწერთა ინსტიტუტისა და 1746 წ. ქუთ. მუზეუმის № 201) პირველად გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა 1846 წ. ქართული კრესტომათიის I ნაწილში, შემდეგ – თ. ენუქიძემ 1955 წ. და ი. დოლიძემ – 1963 და 1981 წწ-ში. რუსულად ითარგმნა XIX ს. I მეოთხედში და დაისტამპა რუსეთის სენატის მიერ 1828 წ. განმეორდა 1887 წელს დ. ბაქრაძის რედაქტორობით. უახლესი რუსული თარგმანი და გამოცემა ეკუთვნის დ. ფურცელაძეს 1980 წ., 1930 წ. ფრანგულად თარგმნა და გამოსცა ჟ. კარსტმა.

„სამართალი კათოლიკოსთა“ – კანონიკური სამართლის ქართული ძეგლი, დადგენილებანი საეკლესიო კრებისა, რომელიც მოწვეული იქნა დასავლეთ საქართველოში, ალბათ, გელათში, იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მეფობაში, XVI ს. შუა წლებში (დაახ. 1543-1549 წწ.) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მალაქიასა და აფხაზეთის კათოლიკოს ეფემონის ინიციატივით და მეთაურობით. კრების მოწვევის აუცილებლობა გამოწვეული ყოფილა იმ მიზეზებით, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში „დიდი სიფმილი შეშოვიდა“: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრებუა და უხვედრება“, როგორც ეს ნათქვამია ამ კრების დადგენილებათა შესავალში. კრებას 23 კანონი დაუდგენია ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. კრების დადგენილებებს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „სამართალი კათალ-კოსთა“ ეწოდა, ხელს აწერს აფხაზეთის კათოლიკოსი ეფემონი და დასალეთ საქართველოს 10 მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსი. „სამართალი კათალიკოსთას“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს ადგილობრივი ქართული საეკლესიო სჯულისმდებლობის ტრადიცია და ქართული ეკლესიის პრაქტიკული მოღუწეობა. როგორც კრების მესვეურები აღნიშნავენ, მათ სახელმძღვანელოდ აიღეს „დიდი სჯულისკანონი“, თუმცა მისი კანონები ქართული სინამდვილის გათვალისწინებით არის გადამუშავებული და ჩამოყალიბებული. „სამართალი კათალიკოსისა“ შეტანილია ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში (S 3683 და Q 575) და გამოცემულია ი. დოლიძის მიერ (ქართ. სამართ. ძეგლები, I, 393-397).

„სამართალი სომხური“ – ძველი სომხური სამართლის ქართული ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ნაწილად შეტანილი საკანონმდებლო ძეგლი. ვახტანგმა ჩამოატანინა „ეჩმიაძინით სომეხთა მეფეთა წიგნი სამართლისანი“ და გადმოათარგმნინა მისი კანონები. თარგმანი თავისუფალ სტილშია შესრულებული და შეიცავს ბევრ უზუსტობებს. მთარგმნელი უცნობია. სომხური სამართლის ქართული ვერსია ორნაწილიანი საკანონმდებლო კრებულია. პირველია სპირიტუალური სამართალი (მუხლები 1-150), ხოლო მეორე - ქართულად გადამუშავებული მხითარ გოშის სამართლის წიგნი (მუხ. 1-51-431) – XII-XIII სს-ის მიჯნაზე შედგენილი იურიდიული კრებული, რომელიც საეკლესიო და სამოქალაქო კანონმდებლობას შეიცავს. ქართული ვერსიის სომხურ კანონებს გავლენა არ მოუხდენია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის სხვა ნაწილებზე, კერძოდ, საკუთრივ ვახტანგისეულ სჯულმდებლობაზე.

„სამართალი სომხური“ შესაბამის სომხურ ტექსტებს შეუდარა და გამოსცა ლ. მელიქსეთბეგმა (1927), ხოლო ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შემადგენლობაში გამოსცა ი. დოლიძემ (1963 წ.), კრებულის ეს ნაწილიც მთელ კრებულთან ერთად ითარგმნა რუსულად XIX ს. და გამოიცა ორჯერ.

„სამართალი ბერძნული“ – ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ქართული ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში მეორე ნაწილად შეტანილი საკანონმდებლო ძეგლი. როგორც თვით თხზულებაშია აღნიშნული, ვახტანგ VI-მ „ძიება ყო სამართლეთით“ და მოიხმია „წიგნნი სასამართლონი“. ეს კანონები გადმოაქართულეს „ბრძენ კაცთა“ თაკად ვახტანგის აქტიური მონაწილეობით. კანონები ბერძნულიდან ეპისკოპოს კეპრიანე სამთაელს უთარგმნია. ძეგლი წარმოადგენს

მათე ბლასტარის (ელასტარის) იურიდიული ტრაქტატის „ალფაბეტური სინტაგმის“ შემოკლებულ რედაქციას, რომელიც კანონთა მოკლე პრაქტიკული სახელმძღვანელოდან – არმენოპულოსის „ექვსწიგნეულიდან“ და სხვა წყაროებიდან გამოკრებილი კანონდებულებებით არის შეკუთხული. იგი 418 მუხლისაგან შედგება და ბერძნულ-რომაული სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მოიცავს (სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საეკლესიო, სამოქალაქო, სისხლის, საოჯახო, მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები, ბატონ-ყმათა ურთიერთობა, სასამართლო წყობილება და სამართალწარმოების წესები). კანონთა შინაარსი, დედნის შესაბამისად, დალაგებულია ბერძნული ანბანის რიგზე. ქართული თარგმანი დედნის თავისუფალი თარგმანის ნიმუშია, ალაგ-ალაგ გაერცობილი, ან შემოკლებული. ძეგლი ეახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის სხვა ნაწილებთან ერთად გამოსცა ი. დოლიძემ (1963 წ.). ბერძნული დედანი გამოაქვეყნა და კანონების ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტი გამოაქვეყნა თ. ბრეგაძემ (1964 წ.). ეს ძეგლი ეახტანგის კრებულის შემადგენლობაში იყო არგმნა და ორჯერ გამოიცა რუსულად XIX ს-ში.

სამარტჳილე – იხ. მარტვილი.

სამარხეო – მარხვის დღეებში მორწმუნეთათვის ნებადართული საჭმელი (იხ. მარხვა).

სამება – ძირითადი დოგმატი ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა, რომლის მიხედვით ღმერთი არსებითა და ბუნებით ერთია და სამპიროვანი (ანუ სამგვამოვანი): მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა, რომლებიც თანასწორნი და თანაარსნი არიან. ქრისტიანულ ლიტერატურაში ტერმინი სამება პირველად ჩნდება II ს. მიწურულს (თეოფილე ანტიოქელი, ტერტულიანე). სახარებაში იგი არ დასტურდება, თუმცა იგულისხმება ნათლისღების ფორმულაში (მათე 28-19). მოძღვრებამ სამების შესახებ განვითარება ჰპოვა III-IV სს. საეკლესიო მამების შრომებში. ღმერთის სამპიროვნების ცნებამ ქრისტიანულ ეკლესიაში გამოიწვია ხანგრძლივი დისკუსია და წინააღმდეგობა სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობების მხრივ. სამების დოგმატი ოფიციალურად დადგინდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) და დაბუსტდა კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებაზე (381 წ. იხ. სარწმუნოების სიმბოლო).

სამება – ამ სახელწოდებით საქართველოს სხვადასხვა რაიონში რამდენიმე სოფელი არსებობს (ჭობულეთის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის რაიონებში; ახლანდელი სოფ. „ყეენროს“ ძველი სახელი მარნეულის რ-ში და სხვ.). ასევე ეწოდება მთას თეთრი წყაროს რ-ნის ტერიტორიაზე, სოფ. ჩხიკეთასთან, რომელზედაც შემორჩენილია სამების ეკლესია, ციკლოპური წყობით ნაგები გალავნით. ამ ადგილს ფეოდალურ ხანაში „გმირთა ნაკეთი“ ერქვა (ქართ. ცხ. IV, 326).

სამება – საეპისკოპოსო ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. შუა წლებამდე (ეახუშტი ბაგრატიონის ცნობით, იგი მდებარეობდა „ნინოწმინდის ზეით“ და მის დაქვემდებარებაში იყო გარეჯის უდაბნოც). XVIII ს-ის 70-იანი წლების ერთ ისტორიულ დოკუმენტში, რომელშიც ჩამოთვლილია „ყოვლადსამღვდელონი მღვდელთმთავარნი ქართლისა და კახეთისანი“, სამების საეპისკოპოსო იმ სიაშია, რომელშიც ჩამოთვლილია ამ დროისათვის აოხრებისაგან დაცლილი საეპისკოპოსოები (ქართ. სამართლ. ძეგლები III, 229).

სამების მონასტერი – იხ. გერგეტი.

სამეკლესიანი ბაზილიკა – ბაზილიკის სახეობა; გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ შიგნით ნავები ერთმანეთისგან გამყოფილია არა ბოძებით, როგორც ეს სამნავიან ბაზილიკაში გვხვდება, არამედ კედლებით, ე.ი. ერთ შენობაში გაერთიანებულია ერთმანეთთან კარებით დაკავშირებული 3 ეკლესია (სამი საკურთხეველით), რომლებშიც ღვთისმსახურების შესრულება ერთმანეთის პარალელურად იყო შესაძლებელი. სამეკლესიანი ბაზილიკის პირველი ნიმუში VI ს. შუა წლებს მიეკუთვნება. დროთა განმავლობაში მან ჩამოყალიბებული სახე მიიღო. გვერდითი ეკლესიები (ნავები) ერთმანეთს დაუკავშირდა დასავლეთის მხარეს მოწყობილი გალერეით, საიდანაც არის შესასვლელი შუა ეკლესიაში. გაჩნდა ახალი დეტალიც – გვერდის ეკლესიების ორი ან სამთაღიანი ღია შესასვლელი. სამნავიანი ეკლესიის ტიპის ნაგებობანი X ს-მდე არსებობდა, შემდეგ კი იშვიათად გვხვდება. მისი ცნობილი ნიმუშებია VI-VII სს-ის ეკლესიები ზეგანში, ნეკრესის მონასტერში, ქვემო ბოლნისში, დმანისში და სხვ.

სამეუფო კარი (აღსავლის კარი, წმინდა კარი) – კანკელის მთავარი, ცენტრალური კარი, რომლითაც მღვდელმთავარი შედის ამბიონიდან საკურთხეველში. სამეუფო ეწოდება იმის აღსანიშნავად, რომ ამ კარით ეამბიწერების დროს საკურთხეველში შედის წმ. ტარიგი, გამომსახველი „დიდების მეუფისა“ (ქრისტესი). სამეუფო კარს წმინდაც ეწოდება, რადგან

საკურთხეველიდან ეკლესიაში ამ კარებიდან გამოასვენებენ წმ. ძელებს – ქრისტეს სისხლსა და ხორცს, მრევლის საზიარებლად. სამეუფო კარი ილება ღვთისმსახურების გარკვეულ დროს, ხოლო მუდმივად ღია ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში.

სამთაეროს – XI ს. I ნახევრის საეპისკოპოსო გუმბათოვანი ტაძარი მცხეთაში. ტაძარი წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა ნაგებობას, გუმბათი ეყრდნობა არა 4 თაღისუფლად მდგარ ბოძს, როგორც ეს ადრინდელ გუმბათოვან ეკლესიებში გვხვდება, არამედ 2 ბოძსა და საკურთხეველის შეერილებს. საკურთხევლის აბსიდის ორივე მხარეს 2 სართულად განლაგებული გვერდითი სათავსებია. ტაძარი, როგორც ჩანს, თავიდანვე შეელესილი და მოხატული ყოფილა. კანკელი მოგვიანებითაა აღდგენილი. ტაძარს სამხრეთიდან მიშენებული აქვს კამარებით გადახურული დიდი ეკვტერი-კარიბჭე. ეკლესიას აქეს მინაშენი ჩრდილოეთის მხარესაც. მნიშვნელოვანია ტაძრის დეკორატიული მორთულობა. აღმოსაელეთის ფასადზე გამოყენებულია ხუთთაღიანი კომპოზიცია, უფრო ინტენსიურადაა დამუშავებული სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები. გუმბათის ყელი XIII-XIV სს-შია მთლიანად აღდგენილი.

სამთაეროს ტაძრის გალავნის შესასვლელის მარკუნე დგას ძალიან ადრინდელი ხანის მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც IV ს-ში აშენებულად მიიჩნევენ. ეს უნდა იყოს ზემო ეკლესია, რომელიც მირიან მეფეს აუგია: „და წარვიდა მირეან მეფე და ყოველი ერი, რაჲეთუ იქმოდეს ზემოთა ეკლესიასა ქუითა. და განიშორეს მეოთხესა წელსა“ (მოქც. ქართ. ძეგლები, I, 91). ეკლესიის ჩრდილო დასაელეთის კუთხესთან აღმართულია XIII ს-ის შემდეგდროინდელი სამრეკლო. გადმოცემით, სამთაეროში არის დასაფლავებული პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე მირიანი: „ხოლო შემდგომად წმიდისა ნინოჲს ცხორებად საუკუნოჲ მისელისა მეფემან (ე. ი. მირიანმა) კეთილად წარემართა ღმრთისმსახურებაჲ... და სათნოდ ღმრთისადა აღესრულა და დაიდჳა სამთაეროს ეკლესიასა“ (ძეგ. III, 46). მეორე ცნობით „მიიცვალა და დამარხეს მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა სამთაეროს“ (ძეგ. III, 79). ეს ცნობები „მოქცეაჲ ქართლისა“-ს ეყრდნობა, რომელშიც ზემო ეკლესიის მირიანის მიერ აგების ცნობის შემდეგ ნათქვამია: „და მოკუდა მირეან მეფე და დაეფლა საშუალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოჲთ კერძო“ (ძეგ. I, 91). XI ს. ისტორიკოსის ცნობით, სამთაეროს ეკლესიაში დასაფლავებულია აბიბოს ნეკრესელიც: „პატიოსანი გუამი მისი დადეს მცხეთას, საეპისკოპოსო, სამარხსა ეპისკოპოსთასა“ (ქართ. ცხოვ. I, 229). ასევე, ეახუშტის ცნობით, „წმიდა აბიბოს დაფლულ არს სამთაეროს“ (ქართ. ცხ. IV, 545). ამჟამად სამთაეროში წმ. ნინოს დედათა მონასტერია.

სამთავისი – სოფელი კასპის რ-ნში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე, კასპიდან 11 კმ. სამთავისში დგას XI ს. გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც 1030 წელს აუშენებია ილარიონ სამთავისელს, ძეს ვაჩე ყანჩაელისა, როგორც ეს აღნიშნულია ტაძრის აღმოსაელეთის ფასადის წარწერაში. ეკლესია დაზიანებულია, ძველი ნაგებობიდან გადარჩა მხოლოდ აღმოსაელეთის ფასადი; ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადებს კარიბჭეები აკლია. დასაელეთის ფასადი აღდგენილია XVI ს-ში, მას შემდეგ, რაც გუმბათის ყელი ჩამოიქცა და დასაელეთის კედელი გადაანგრია. ახლანდელი გუმბათის ყელიც XVI ს-ისაა. გეიანდელი მხატვრობის ფრაგმენტები შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველში. ტაძარი გამოირჩევა ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით, პროპორციათა ჰარმონიულობით. საკურთხეველის მთავარი სარკმლის თაზე გამოსახულია უზარმაზარი მოწუქურთმებული ჯვარი. სამთავისის ტაძრის დეკორატიულმა მორთულობამ დიდი გაელენა იქონია ქართული ხუროთმოძღვრების შემდეგ განვითარებაზე. ძეგლს გარს ერტყმის გალავანი, რომლის შიგნით ეპისკოპოს სამთაენელის სახლის ნანგრევებია. სამრეკლო დაახ. XVIII ს-ში უნდა იყოს აგებული.

სამთავისის საეპისკოპოსო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. გადმოცემით, პირველი ქრისტიანული ეკლესიის აგებას აქ იოანე ზედაზნელის სახელს უკავშირებენ, VI ს. 50-იან წწ-ში. თამარ მეფის დროს სამთავისის საეპისკოპოსო სამართავად გადაეცა ჯერ მიქელ, ხოლო შემდეგ ანტონ კათოლიკოსებს. სამთავისში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები. მაგ.: ილია (XVI ს.), არქიეპისკოპოსი ეფემონ (XVIII ს.), მწიგნობარი და მთარგმნელი კვიპრიანე სამთაენელი (XVII-XVIII სს.), ანტონ I კათოლიკოსი და სხვ. სამთავისი უკავშირდება ეზღიოს სამთაენელის სახელს, რომელიც, გადმოცემით, სირიიდან საქართველოში ჩამოსული იოანე ზედაზნელის მოწაფე იყო.

სამკეთლო – საკურთხეველში ჩრდილოეთის მხარეს გამწადებული ადგილი, ან

ცალკე გამოყოფილი სათავსო, სადაც სრულდება სეფისცერის, ანუ უსისხლო მსხვერპლის კეთება, პროსკომიდია. სამკვეთლოში დგას ოთხკუთხა მაგიდა, რომელიც საკურთხევლის ტრაპეზის (სამსხვერპლოს) მსგავსადაა შემოსილი: ქვედა საფარი გამოხატავს იმ არდგას, რომელშიც შეახვიეს იესო ქრისტეს გვამი დასაფლავების დროს, ხოლო ზედა საფარი – ინდიციმიკეს ქსოვილისა და ფერისაა, როგორიც სამღვდელო სამოსელია. სამკვეთლოს მაგიდაზე ინახება საეკლესიო წმინდა ჭურჭელი ლიტურგიისას მათი გამოყენებისათვის. ძველ საეკლესიო წყაროებში სამკვეთლოს ხშირად „სამსხვერპლოსაც“ უწოდებდნენ.

სამოელ I – ბერძენი მონაზონი, რომელიც მცხეთაში ჩამოასვა პეტრე ქართლის პირველ კათოლიკოსს ვახტანგ გორგასლის მეფობაში. როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს, ვახტანგ მეფემ „წარაელინნა მღიქნელნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიაქისაგან კათალიკოზი, ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა აჰყვანდა მას სამოელ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი“ (ძეგლ. I, 93). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგის მიერ გამოთხოვილი პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ქართლში ჩამოსულამდე ბიზანტიის იმპერატორმა და კათოლიკოსმა ანტიოქიას მიაელინეს, რათა ანტიოქიის პატრიარქს მათთვის ხელი დაესხა – პირველისათვის ქართლის კათოლიკოსის კათედრაზე, ხოლო მეორისათვის მცხეთის ეპისკოპოსად, ამის გარდა მასვე დააეალეს, შეერჩია კიდევ 11 ეპისკოპოსი ქართლის სხვადასხვა კუთხეში ვახტანგის მიერ დარსებული საეპისკოპოსო კათედრებისათვის (ქართ. ცხ. I, 196-199). ვახტანგმა „კათალიკოზად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო ეკლესიასა ეპისკოპოსად“ (ქართ. ცხ. IV, 113). პეტრე კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის ძის, დაჩის მიერ ქართლის მეორე კათოლიკოსად სამოელი იქნა დადგენილი (იქვე, 115) V ს. 70-80-ან წლებში. სამოელ კათოლიკოსი მოიხსენიება „შუშანიკის წამებაშიც“ (ძეგლები, I,27). ქართული საეკლესიო კალენდრით სამოელ I-ის კათოლიკოსობის წლებია 472-502.

სამოელ II – ქართლის კათოლიკოსი VI ს-ში, ბაკურის მეფობაში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს: „და ამისა შემდგომად (ე. ი. დაჩის შემდეგ) მეფობდა ბაკური, ძე დაჩისი და კათალიკოზი იყო სამოელ“ (ძეგ. I,94). სამოელ II-ის კათოლიკოსობის დროს აწამეს ევსტათი მცხეთელი, როგორც ეს ჩანს ევსტათის „წამების“ ტექსტიდან: სამოელისა და დიდებულთა თხოვნით გაანთავისუფლეს ციხიდან შეპყრობილი ევსტათი. სამოელსვე დაუსაფლავებია მცხეთის საკათედრო ტაძარში ევსტათის გვამი წამების შემდეგ (ძეგ. I,45). ქართული საეკლესიო კალენდრის მიხედვით სამოელ II-ის კათოლიკოსობის წლებია 544-553.

სამოელ III – ქართლის კათოლიკოსი VI ს. II ნახევარში, სვიმონ II კათოლიკოსის შემდეგ, საეკლესიო კალენდრით 575-582 წწ.

სამოელ IV – ქართლის კათოლიკოსი VI ს. მიწურულს, სამოელ III კათოლიკოსის შემდეგ, გვარამ კურაპალატის მმართველობის დროს. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ჩანართით „მოკუდა კათალიკოსი სუმონ და დაჯდა სამოელ და მოკუდა კათოლიკოსი სამოელ და დასუეს სამოელვე (ქართ. ცხ. I, 222): საეკლესიო კალენდრით სამოელ IV-ის კათალიკოსობის წლებია 582-591.

სამოელ V – ქართლის კათოლიკოსი VIII ს. I ნახევარში. სამოელის დროს უწამებიათ მის მიერ ურბნისის ეპისკოპოსად ხელდასმული, არაბთა რაზმის ყოფილი მეთაური, უშარი, რომელიც ქრისტიანად მონათლა ნეონტეტუს სახელით (საეკლესიო კალენდრით 634-640).

სამოელ VI – ქართლის კათოლიკოსი VIII საუკ. II ნახევარში, ნერსე გურგენ და სტეფანოზის ერისმთავრობის პერიოდში. მისი კათოლიკოსობის დროს ქართლში ჩამოვიდა, მოინათლა და ეწამა არაბი შაბუკი აბო, ტფილელად წოდებული. სწორედ სამოელ კათოლიკოსის დაკალებით დაწერა იოანე საბანისძემ, აბოს წამების თვითმხილველმა „წამებაჲ აბო ტფილელისაჲ“ (ძეგლ. I, 46. საეკლესიო კალენდრით სამოელ VII – 780-790 წწ.).

სამოელ არქიდიაკონი – სპარსეთში მოღვაწე ქრისტიანი არქიდიაკონი VI ს., რომელიც მოხსენიებულია „ევსტათი მცხეთელის წამებაში“: სანამ ევსტათი ჯერ კიდევ სპარსეთში ცხოვრობდა, გადაწყვიტა ქრისტიანი გამხდარიყო. ღამით იგი მივიდა ქრისტიანების ეკლესიაში, რომ გასცნობოდა მათ მოძღვრებას. მას ქრისტიანული მოძღვრების ისტორია და არსი გააცნო სამოელ არქიდიაკონმა, რამაც კიდევ უფრო განუმტკიცა ევსტათის სურვილი, ქრისტიანი გამხდარიყო (ძეგლები, I, 36).

სამოელ დიდი, ზედაზნელი – ზედაზნის მონასტრის მესამე წინამძღვარი, იოანე

ზედაზნელისა და ელია დიაკონის შემდეგ, როგორც ეს აღნიშნულია ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა XVIII ს. ხელნაწერებში (A 160, A 170 და სხვ.) შემონახულ სიაში: „სამოელ დიდი, რომელმან ქუაბი ჰქმნა ჯუარისაჲ“ (ქრონიკ. I, 73-74).

სამოელის მონასტერი – მონასტერი, აგებული იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით სამოელ წინასწარმეტყველის სახელზე, რომელშიც მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები და ლიტერატურულ-მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ. სამოელის მონასტერში XI ს-ში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „ღმრთ მჴო ღმერთმან გლახაკი დანიელ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი უცხოებასა და მწირობასა სიგლახაკესა შინა პალესტინისა სანახებთა წმიდისა აღდგომისათა, მონასტერსა წმიდისა სამოელ წინასწარმეტყველისასა... და შევსწირე წმიდასა წინასწარმეტყველსა სამოელს, მამობასა იოანე უხამურისასა“ (Sin. 149).

სამოელ ოპიზარი – ოპიზის მონასტრის პირველი წინამძღვარი, როგორც ეს აღნიშნულია გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში“: როდესაც გრიგოლი პირველად მოვიდა ოპიზას, იქ წინამძღვრად იყო გიორგი, რომელიც „მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იქუნეს“ (ძგ. I, 253). ამ ცნობით სამოელის წინამძღვრობა დაახ. VIII ს. I ნახევარშია საყარაუდებელი.

სამოელ ტიმუელი – ქართლის ერთერთი ეპისკოპოსი VI ს. დასაწყისში. „სამუელ ტიმუელი ეპისკოპოსი“, როგორც ერთ-ერთი წყვრი ქართული საეკლესიო ღვლეცაციისა, რომელსაც გაბრიელ ქართლის ეპისკოპოსი მეთაურობდა, დასწერებია 506 წ. დვინის საეკლესიო კრებას, რომელიც მოწვეული იყო სომეხ, ქართველ და ალბანელ საეკლესიო მესვეურთა მიერ ქალკედონის მსოფლიო კრების (450 წ.) დადგენილებების წინააღმდეგ. იგი მოხსენიებულია აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის მესამე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, ისტ. გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 139).

სამოელ ქუთათელი – ქუთაისის მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ათონის ქართველთა მონასტრის ძმობამ გაუწერა ალაპი (№ 101): „თუესა აგვისტოსა კ (20) ალაპი განგუწესებია სამოელ ქუთათელ მთავარეპისკოპოსისაჲ ქველისმოქმედებისა და წყალობისა მათისათჳს, ვითარცა მაშენებელთაჲ, ეგრეთ გარდაიკლებოდეს ყოველითა მოსწრაფებითა სალოცველად საუკუნოდ, ამინ“ (ათონის კრებული, 1901, გვ. 241. ე. მეტრეველი, სააღაპე წიგნი, გვ. 161).

სამოელ წინასწარმეტყველი – ბიბლიური გადმოცემით, ისრაელთა უკანასკნელი და ყველაზე სახელგანთქმული მსაჯული (XI ს. ძვ. წელთაღრიცხვით). სამოელი დაიბადა და აღიზარდა ისრაელი ხალხის ცხოვრების ყველაზე მძიმე დროს. ის გახდა თავისი ხალხის აღორძინების მოთავე. მისი მოწოდებით, რომელმაც სულიერად აღაფრთოვანა ისრაელები, მათ ფილისტიმელთა უღელი გადაყარეს. ხალხის თხოვნით მან დაუდგინა ისრაელ ხალხს პირველი მეუე საული, მაგრამ საულმა იმდენი ზიანი მიაყენა ხალხსაც და თვით სამოელსაც, რომ სამოელმა საულის სიცოცხლეშივე ფარულად აკურთხა დავითი მეუედ. სამოელი გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. მისი ცხოვრება აღწერილია „მეფეთა“ პირველი წიგნის პირველ თავებში. გადმოცემით, სამოელს მიეკუთვნება ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი „მსაჯულთა“.

სამონა მოწამე – ეწამა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებისათვის ეგვიპტეში დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს გამოცხადებული დევნის შედეგად, თაუის მეგობარ გურასთან ერთად. მათ სიკვდილის მუქარის მიუხედავად უარი თქვეს კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე, რისთვისაც ისინი აწამეს, ღმით ქალაქგარეთ გაიყვანეს და თავები მოჰკვეთეს (დაახლ. 299-301 წწ. შუა), რამდენიმე წლის შემდეგ, ლიკინიოსის მეფობის (311-324) დროს, მოწამებრივი აღსასრული მიღო ეფესის ეკლესიის დიაკონმა ახიბომმა. სამივე მოწამის ერთობლივი „წამების“ კომენტარი თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნა სეით მთარგმნელმა IX ს-ში. თარგმანი შემონახულია რამდენიმე ძველ ქართულ ხელნაწერში (A 95, XI ს. 513-530; H 341, XI ს. 481-524; Sin. 11. X ს. 8-34. გამოც. ქ. კეკელიძისა, ეტიუდები, VIII, გვ. 104-131). კომენტარი თხზულების საფუძველზე სეით მეტაფრასტმა X ს. ბოლოს შეადგინა მეტაფრასტული თხზულება, რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა არსენ იყალთოელმა XI ს. II ნახ. (S 384, XI-XIII სს., 658-679). განსხვავებული თარგმანია A 128, XIII ს., 111-130. სამივე მოწამის ხსენებას მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს 15 ნოემბერს.

სამოთხე – 1. ზეციური სასუფეველი, რომელიც მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენით, ღმერთმა შეამზადა სამყაროს შექმნის

დროს წმინდანთა დასამკვიდრებლად, სადაც არაა არც ავადმყოფობა, არც მწუხარება და ვაება. სული განიცდის განუწყვეტელ სიხარულსა და ნეტარებას. ზეციური სამოთხე მდებარეობს მიწასთან ყველაზე ახლოს, „პირველ ცაზე", რომლის ზევით არის კიდევ სხვა „ცანი" (გამოც. 6,9; 7,9; 41,4). ეკლესიის მამათა მოძღვრებაში მართლმორწმუნეთა და ღვთისმოსავთა სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მიცვალება ღმერთთან და იესო ქრისტესთან, მუდმივ საცხოვრებლად სამოთხეში ანუ ზეციურ სასუფეველში (წმ. კვიპრიანე).

2. ქეყნიური სამოთხე, ბაღი. ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთის მიერ შექმნილი, მის მიერ გაჩენილი პირველი ადამიანების საცხოვრებელი, რომელიც შეიცავდა ყველაფერს, რაც კი მშვენიერი იყო ბუნებაში. „დაბადების" მიხედვით, მდებარეობს აღმოსავლეთში, ედემის ქვეყანაში. მას რწყავს ოთხი მდინარე: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ევფრატი.

„სამოთხე" – ათონის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში დაცული 977 ფ. ქართული ხელნაწერის (Ath. 9) სახელწოდება, რომელიც შეიცავს ძირითადად იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებებს, აგრეთვე ეპისკოპოსი დიდის, მარტვილი მონაზონის, მარკოზი მონაზონის, საპაკ მონაზონის თითო სწავლას და იოსებ არიმათიელის „თხრობაჲ აღშენებისათჳს ეკლესიისა... ლუდიას შინა"-ს (გამოც. ილ. აბულაძისა, მამათა სწავლანი, თბ., 1955). ხელნაწერის მეორე ნაწილში შეტანილია იოანე მოსხოს († 619) „სამოთხე" (აქედან ხელნაწერის სახელწოდებაც) ანუ ლიმონარი, რომელიც 91 ასეტიკურ თხრობას შეიცავს: „ამას წიგნსა ეწოდების სამოთხე, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი და განგებანი წმიდათა მამათანი" და მისი გაგრძელება: ანონიმი ავტორის 30 თხრობა – „მიმსგავსებული სამოთხისა", გამოც. ილ. აბულაძისა, ლიმონარი, თბ., 1960. ხელნაწერი გადაწერილია ოშკის ლავრაში, ნათლისმცემელის ეკლესიაში და შეიცავს ეტრატზე ნაწერ 377 ფ. (34,7სმ X 38 სმ.).

სამოციქულო – ახალი აღთქმის წიგნთა ერთი ჯგუფი, რომელშიც შედის „საქმე მოციქულთა", შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პაულე მოციქულის 14 ეპისტოლე. სამოციქულოს წიგნებიდან გამოკრებულ საკითხავთა კრებულს, რომელიც ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის იყო განკუთვნილი, ეწოდებოდა „საწელიწდო სამოციქულო". შედგენის პრინციპით ეს კრებული მსგავსია „საწელიწდო საწინასწარმეტყველოსი", რომელიც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებიდან იყო გამოკრებილი. „სამოციქულო" X ს-მდე ცალკე კრებულის სახით არ გვხვდება. სამოციქულოს უძველესი თარგმანი IX-X სს. უნდა ეკუთვნოდეს (S 407) გიორგი მთაწმიდელს რედაქცია გაუკეთებია ძველი თარგმანისთვის, თითოეული ეპისტოლესათვის წინ წაუმძღვარებია „უწყებაჲ მიზეზსა ეპისტოლესასა", რომელშიც ყოველგვარი ცნობებია შეტანილი ამ ეპისტოლის შესახებ (H 1299; იხ. „საქმე მოციქულთა", ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1949).

სამშვამი – იხ. ჭამნი, ჭამი მესამე.

სამრეკლო – ეკლესიაზე დაშენებული, ან ეკლესიის მახლობლად აღმართული მაღალი კოშკისებრი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია ზარების ჩამოსაკიდებლად. ისტორიულ წყაროებში პირველი სამრეკლო VIII ს-ში იხსენიება (რომში წმ. იოანე ლატერანელისა და წმ. პეტრეს ბაზილიკები). უძველესი სამრეკლოები შემონახულია ეჩრინასა და რავენაში. XI ს-დან სამრეკლოები სწრაფად ვრცელდება დასავლეთ ევროპაში. საქართველოში პირველი სამრეკლოები XIII ს. ჩნდება. მათ შორის უძველესია გუდარეხის 1278 წ. აშენებული სამრეკლო. ამ დროის სამრეკლოს ნიმუშები წარმოადგენენ გეგმით სწორკუთხა ორსართულიან შენობებს, რომელთა კუბურ ქვემო სართულში გალავნის შესასვლელი იყო მოწყობილი, ხოლო მეორე სართულის მრავალწახნაგა, თაღებით გახსნილ გამჭოლ ფანრატურში – საკუთრივ სამრეკლო. ხშირად სამრეკლო საცხოვრებელ ოთახებსაც შეიცავდა და თავდასაცავის ფუნქციასაც ასრულებდა. დროთა განმავლობაში სამრეკლოები, როგორც ნაგებობის ტიპი, განვითარების განაცდის, იქმნება ახალი ტიპები. სამრეკლოს ცნობილი ნიმუშებია ვარძიის, ოკარეთის, გელათის, საფარის, ზარზმის, გუდარეხის მონასტრების, ნინოწმინდის, ანჩისხატის, გრემისა და სხვა სამრეკლოები.

სამსაგალობელი // სამფსალმუნი – პიმნოგრაფიული კანონი, რომელიც შედგება არა 8 ან 9 ოდისაგან, როგორც ეს სრულ პიმნოგრაფიულ კანონში გვაქვს, არამედ 3 სამოდიანი გალობისაგან. სამსაგალობელი სრულდება დიდმარხვის შვიდეულის დღეებში, გარდა შაბათისა და კვირა დღეებისა. ყოველგვარი სამსაგალობლის შემადგენლობაში აუცილებლად შედის მე-8 და მე-9 ოდა კანონისა, ხოლო

მესამე ოდა, შვიდეულის დღეების შესაბამისად, მეორღება დანარჩენი ოდები (რიშპათის 1, 8, 9 გალობები, სამშაბათის 2, 8, 9 ოთხშაბათის 3,8,9 და ა. შ. (იხ. გალობანი).

სამსარის ვანი – კლდეში ნაკეთი X ს. I ნახევრის ღვთისმშობლის ეკლესია სოფ. პატარა სამსარის (ახალქალაქის რ-ნი) ახლოს, მდ. სამსარის ნაპირის გაყოლებით. ეკლესია გუმბათოვანია. აქეთ გამოკვეთილი სენაკები. ეკლესიამ ნუსხურზე გარდამაეალი დამწერლობით შესრულებული X ს. რამდენიმე წარწერა შემოგვინახა, განსაკუთრებით საინტერესოა საძვშენებლო წარწერა: „აშენდა წმიდაჲ ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკუერველ, ოდეს ქართველთა მეფემან კურაპალატმან დავით და ერმან ყოველმან ესე ვანი [და კრებული] შეგუობრალა, მაშინ დიდისა ჭირისაგან გუკსნა და უფალო, იქსენინ იგიცა დღეს მას განკეთებისასა. სულამ მაშინ დაეწერე, ოდეს აგარიანთა მცხეთისა ეკლესია დაწუეს და ნინოის კელი ტყუეაც წარიტანეს" (ლაპ. წარწ. I, 273-277).

სამსონ (ძე. ებრ. შიმშონ) – ბიბლიური გადმოცემით (მსაჯულთა 13,24; 14, 1-20; 15,6; 16,1-30), გმირი, უძლიერესი გოლიათი, ისრაიტელთა მსაჯული. სამსონი ღვთისადმი ყოფილა შეწირული და აღთქმისებრ არც ღვინო უნდა დაელია და არც თმა უნდა გაეკრიჭა (მისი ძალის საიდუმლო თმაში იყო). ისრაელის მტრებმა – ფილისტიმელებმა, რომლებმაც იცოდნენ სამსონის ქალებისადმი სიყვარული, ფილისტიმელი ქალი დალილა შეუყვარეს, რომელმაც სამსონს ძილში თმა შეაჭრა. დასუსტებული სამსონი შეპყრეს, თვალები დასთხარეს და ღილეგში ჩააგდეს. ფილისტიმელები მტერზე გამარჯვებას დაგონის ტაძარში ზეიმობდნენ, სამსონიც იქვე პყოლიათ მიუკჭვული. ტყეობაში მას თმა წამოეზარდა და ძალაც დაუბრუნდა. სამსონს ტაძრის ორი სვეტისათვის ხელები შემოუჭდვია და დაუყვირია: „მოკვდე, სული ჩემი ფილისტიმელთა თანა". ტაძარი ჩამონგრეულა და 3 ათასი კაცი ჩაუტანია. სამსონი გახდა სიმბოლო გმირისა, რომელიც მონობაში სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს.

„სამსჯუალნი უფლისანი" – საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიხედვით კონსტანტინე დიდმა, რომელსაც ახლად მოქცეულმა მირიან ქართლის მეფემ სთხოვა ქართლში ეკლესიების ასაშენებლად „ქირითხურონი" გამოეგზავნა, ეკლესიების მაშენებელთ სხვა სიწმინდეებთან ერთად გამოატანა „სამსჯუალნი", რომლებითაც იესო ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული. „სამსჯუალნი" ახლად საფუძველჩაყრილ მანგლისის ეკლესიაში იქნა დადებული: „წარმოვიდეს (ქირითხურონი) მანგლისს და დადვეს საძირკუელ ეკლესიისა და დატბეცეს სამსჯუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად" (ძეგლ. I, 87).

სამსხვერპლო (საკურთხეველი ძველი აღთქმისა) – სპეციალურად ამაღლებული ადგილი, რომელზედაც ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა. ძველ აღთქმაში სამსხვერპლოს (საკურთხეველის) მოხსენიება გვხვდება ნოეს დროიდან (დაბ. 8,20), თუმცა პირველყოფილი ფორმით. იაკობმა, მაგალითად, სამსხვერპლო აღმართა უბრალო ქვისგან, რომელიც წინა ღამით მისთვის სასთუმლის მოვალეობას ასრულებდა (დაბ. 28, 11-12). კულტის განვითარებასთან ერთად სამსხვერპლომ ხელოვნური ფორმა მიიღო. თვით იაკობმა მოგვიანებით ააგო სამსხვერპლო გაუთლელი ქვების გროეის სახით, რომელზედაც შეიძლებოდა ცეცხლის გაჩაღება და მსხვერპლის დადება (დაბად. 45-54). ისუ ნაევსმა გებალის მთაზე ააგო სამსხვერპლო გაუთლელი ქვებისაგან, რომლებიც ამოღებული იყო მდინარე იორდანეს ფსკერიდან, ისრაიტელთა მიერ მასზე სასწაულებრივი გასელის შემდეგ, როგორც მას ნაბრძანები აქონდა ღვთისაგან (მეორე სჯულთა 27,5). კარვის აგების შემდეგ სამსხვერპლო მნიშვნელოვანი ნაწილია „წმინდათაწმინდისა", რადგან კარავი იყო მოძრავი და გადასატანი ტაძარი, ამიტომ სამსხვერპლოს აკეთებდნენ ხისაგან. კარაეში ორი სამსხვერპლო იყო – ერთი „ყოველდღისაწველი" მსხვერპლისათვის, ხოლო მეორე – საკმეველი მსხვერპლისათვის. პირველი დაფარული იყო სპილენძით, მეორე – ოქროს ფირფიტებით. პირველი სამსხვერპლო წარმოადგენდა კიდობანის მსგავს ყუთს, რომელსაც შიგნით აქონდა სპილენძის ცხაურა შეშისათვის, ხოლო გვერდებზე – რგოლები, გადატანისას მასში ჭოკების გასაყრელად. კუთხეებში ამობურცულ ე. წ. რქებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა. ვინც მათ ხელს შეახებდა, გამოხატაედა სურეელს, მთელი არსებით მინდობოდა ღვთის მოწყალებას, რითაც მორწმუნეს გარანტირებული აქონდა ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება შურისმაძიებელთაგან. სასაშეელე სამსხვერპლოს მაგიდის ფორმა აქონდა, რომელზედაც თავიდან პირეელი მღვდელთმთავარი, შემდეგ პერიოდში კი მღვდელი დილით და საღამოს ასრულებდნენ სურნელოვანი ბალ-

ახების კრების (იხ. სამკრებლო).

სამხრეთ ეპისკოპოსთა – იხ. საეკლესიო სამხრეთი.

სამუელ ანეცი (ანელი – 1100-1190) – სომეხი საეკლესიო ისტორიკოსი XII ს-ში, ანისის კათედრალური ტაძრის ხუცესი. სწავლა-განათლება მიუღია ახპატში. 1182 წ. სამუელს დაუწერია „ეპითაალმწერლობა დასაბამითგან სოფლისა 1179 წლამდე, რომელშიც შეტანილია სინტერესო ცნობები საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრებიდან.

სამუელ რაბინი – XV ს. ებრაელი სასულიერო მწერალი, რომლის თხზულება „ოქროს ალდაქსი" რუსულიდან უთარგმნია დიმიტრი ბაგრატიონს 1786 წ. (A 1011).

სამშასლაშუნი – იხ. სამსაგალობელი.

სამშისონ უცხოთშემვღყნარებელი († 530 წ.) – მკურნალი და სასწაულთმოქმედი VI ს. I ნახევარში. სამფსონი დაბადა როშში, მდიდარ და წარჩინებულ ოჯახში, მიიღო კარგი სამედიცინო განათლება და უსასყიდლოდ კურნავდა ავადმყოფებს. შობლების გარდაცვალების შემდეგ თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა და გადაწყვიტა მონაზვნობა, რისთვისაც გაემგზავრა აღმოსაელეთში, მაგრამ საღეთო ჩვენებით სამფსონი კონსტანტინეპოლში აღმოჩნდა. დასახლდა ჰატარა სახლში და მალე სახელი გაითქვა უცხოთა, ღარიბთა და ავადმყოფთა შეწყნარებით და მათი მსახურებით. უფალმა ამ ღვაწლისათვის სასწაულთმოქმედის ნიჭით დაუკილდოვა. სამფსონი ჰკურნავდა ავადმყოფებს არა მარტო თავისი საექიმო ნიჭით, არამედ ღეთიური მადლით. ისე განთქმა მისი სახელი, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იგი ხუცესად აკურთხა. მან იუსტინიანე იმპერატორი (527-565) განკურნა ძნიმე სნისაგან და სრულად მიიღო (მისი თხოვნის საფუძველზე) სახლი უცხოელი პილიგრიმებისათვის და საავადმყოფო. სამფსონმა თავისი დარჩენილი სიცოცხლე მოუკლია მსახურებას შეალია. გარდაიცვალა მოხუცებული და დაასაფლავეს წმ. მოწამე მოკის ეკლესიაში. სამფსონი ორჯერ გამოეცხადა თავის დაარსებულ უცხოთა შესაწყნარებელი სახლის გამგებელს და გაკილა იგი სიხარმაცისათვის. სამფსონის თაყვანისმცემლების თხოვნით უცხოთ თავშესაფარი ეკლესიად გადაკეთდა და მის გვერდით აშენდა ახალი სახლი უცხოელი პილიგრიმებისათვის. სამფსონ უცხოთშემწყნარებლის „ცხოვრების" მეტაფრასული თხზულება იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ხოლო ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 292-299). მისი ხსენების დღე 27 ივნისია.

სამღრეთი – სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში, მდ. ირაგის ხეობაში. სოფლიდან სამხრეთით 1 კმ. მანძილზე, მდ. ხრამის მარცხენა მხარეს არის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის XIII ს. 20-იან წლებში აგებული ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო და გალავანი. გვიანფეოდალურ ხანაში შეკეთებულია სამრეკლოს ზედა სართული, გამაგრებულია გალავანი, აგებულია სენაკები და სამეურნეო ნაგებობანი. სამონასტრო კომპლექსს „სამღრეთის მონასტერს" უწოდებენ. სოფლის შუაგულში X ს. ბოლო წლების ეკლესია მდგარა, მაგრამ XIX ს-ში მთლიანად გადაუკეთებიათ. სოფლის ბოლოს კედლებში ჩატანებულია მრავალი ჩუქურთმებიანი ფრაგმენტები მონასტრის სატრაპეზოსა და ეკლესიიდან.

სოფ. სამღრეთის ჩრდილო-დასაელეთით 2,5 კმ-ზე მდებარეობს სრულიად დანგრეული სამონასტრო კომპლექსი (ძეგ. მეგობ. 51, 1978, გვ. 8.).

სამღვდელო დასი (ბერძნ. კლიროსი) – სამღვდელო პირთა ერთობლიობა ერთი კონკრეტული ეკლესიის ფარგლებში.

სამღვდელობა – ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა ერთობლიობა, რომლებიც საეკლესიო კანონმდებლობით ხელთდასხმული არიან სხვადასხვა სასულიერო ხარისხში. სამღვდელობა ეკლესიაში თავისი ფუნქციის შესაბამისად იყოფა უმაღლეს და დაბალ სამღვდელოებად. მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის უმაღლეს სამღვდელობას შეადგენენ: ქართველი ეკლესიის მეთაური – კათოლიკოსი (XI საუკუნიდან კათოლიკოს-პატრიარქი), მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები. დაბალ სამღვდელობას შეადგენენ: ხუცესი (მღვდელი), არქიდიაკონი, დიაკონი, კერძოდიაკონი, წიგნისმკითხველი. ეკლესიის მომსახურე პირები, რომელთაც ხელთდასხმა არა აქვთ, იწოდებიან ეკლესიის მსახურად: მგალობელი, მბათე, კანდელაკი და სხვ. სამღვდელობა იყოფა შავ და თეთრ სამღვდელობად. შავ სამღვდელობას წარმოადგენენ მონაზვნები, რომელთაც ნაკურთხი აქვთ მცირე ან დიდი სქემა. მონაზვნობაში იერარქიულად გამოიყოფა: არქიმანდრიტი, იღუმენი – მონასტრის წინამძღვარი. მღვდელობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ საიდუმლოა.

სამშვილდე – ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი ისტორიულ ქვემო ქართლში, დღევან-

დელი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ საშვილდის მახლობლად. დღეს ნანგრევებიღაა შემორჩენილი. საკულტო ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია VIII ს. ცენტრალურ-გუმბათოვანი დიდი საეპისკოპოსო ტაძარი — საშვილდის სიონი. ტაძარი დანგრეულია. შედარებით უკეთ არის შემონახული აღმოსავლეთ ნაწილი, რომელსაც დღემდე შემოუნახავს გრძელი წარწერის ფრაგმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ტაძრის აშენების ისტორიას, მოიხსენიებენ ისტორიულ პირებს: კონსტანტინე V კოპრონიმს და ლეონ IV ბაზარს. ამის საფუძველზე დადგინდა ტაძრის აგების ზუსტი თარიღი — 759-777. საშვილდის სიონი ხუროთ-მოძღვრული დეტალების დამუშავებით აგრძელებს IV-VII სს. ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს. ტაძრის გეგმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. მის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული აბსიდებიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო. გუმბათი 4 თავისუფლად მდგარ სვეტს ეყრდნობა. სამხრეთით და ჩრდილოეთით ტაძარს გასდევდა გრძელი გალერეები, რომლითაც აღმოსავლეთით დამოუკიდებელი ეკლესიები ჰქონდათ.

საშვილდის სიონის აღმოსავლეთით დგას შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, დასავლეთით — სამრეკლო ბაზილიკა. ორივე ეკლესიის აგებისათვის გამოყენებულია საშვილდის სიონის ტაძრის ქვები.

საშვილდის ტერიტორიაზე, არქეოლოგიურმა გათხრებმა (1968-1970 წწ.) გამოაელინა ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის მდიდარი მასალა.

საშვილრისი — სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ბოლნისისწყლის მარჯვენა მხარეს, ბოლნისიდან 16 კმ. სოფელში არის ორი ეკლესია: „თეთრი ეკლესია“, რომლის ძირითადი ნაწილი X-XI სს. მიეკუთვნება და XVI ს-ის ეკლესია, რომელიც სოფლის თავში დგას. სამწყვარისიდანაა VII ს. სტელა-ჯვარი, რომელიც ეინმე ბალანდუხტის ეპიტაფიას შეიცავს (ლაპ. წარწ. I, 150).

საშვილრისი — სოფელი ქარელის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქარელიდან 4,5 კმ. წყაროებში პირველად იხსენიება XIV ს-ში. სოფლის მახლობლად, საგანგებოდ მოწყობილ ბაქანზე აღმართულია საშვილრისის წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია (VII ს. I ნახევარი). ეკლესია პატარა და მარტივია, მაგრამ უბრალო და ლაკონური ფორმებით, უზადო პროპორციებით და შესრულების მაღალი ოსტატობით იგი ძველი ქართული ხელოვნების თვალსაჩინო შედევრია. ეკლესია ნაგებია ერთნაირი ქვების თანაბარი წყობით და წარმოადგენს „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის შენობას, რომელსაც ერთი აბსიდი და სამი სწორკუთხა მკლავი აქვს. გუმბათქვეშა კვადრატი მკლავების თაღებს ზემოთაც გრძელდება და ამის გამო გუმბათის საყრდენო ტრომპები მაღლა, უშუალოდ გუმბათის სფეროს ქვეშ არის მოქცეული. ეკლესიის მორთულობა ძუნწია. შემორჩენილია 912-913 წლების ლაპიდარული ხასიათის წარწერა: „საშვილრისის ჯვარის“ მამასახლისისა დიმნინოსისა და გიორგი თუალთაგის ძისა (ლაპ. წარწ. I, 222-223). მიწისძვრით სანაპიროდ დანგრეული ეკლესია 1952-53 წწ-ში აღადგინეს პირვანდელი სახით. ეკლესიის სამხრეთით დგას ქართული აგურით ნაშენები XVI ს. ერთნავიანი მავზოლეუმი. ცოტა მოშორებით ციხე-დარბაზის ნანგრევებია (უძველესი ფენა VIII-IX სს.). იქვეა შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიაც.

საშვერიბელი — გრძელტარიანი რიტუალური მარცა, რომლითაც დიაკვნები მღვდელმსახურების დროს ტრაპეზს უნაიებენ, რათა წმ. სამსხვერპლოზე მწერი არ დაჯდეს.

საშწყსო — გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც ეკუთვნის რომელიმე ეკლესიის საშწყსოს და ახორციელებს ღვთისმსახურებას ამ ეკლესიის მღვდელმსახურთა მეთაურობით. უფრო ფართო გაგებით საშწყსოს უწოდებენ საეპისკოპოსო ეპარქიას, ცალკეული ქვეყნის ქრისტიან მორწმუნეთა ერთობლიობას და, ბოლოს, მთელ ქრისტიანულ სამყაროს, რომლის მწყემსი იესო ქრისტეა. „საშწყსოს“, ისევე როგორც „მწყემსს“, ქრისტიანობაში სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: „მწყემსი კეთილი“ იესო ქრისტეს ეპითეტია, ხოლო „ცხოვარი“, რომელსაც მწყემსი მწყემსავს — ქრისტიანი მორწმუნე. აქედან — „საშწყსო“. ამიტომ საეკლესიო იერარქიის მაღალ პირებს ხშირად „მწყემსთმთავარს“ უწოდებენ.

„საშხრად“ — ლიტურგიკული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა უძველეს, განსაკუთრებული რიგის ღვთისმსახურებას დიდმარხვის პერიოდში და რომელზედაც დაწესებული იყო კათაკმეველთა საკითხავების შესრულება. მსახურება აღწერილი აქვს IV ს. მოგზაურ ქალს, ეგერიას (Православный Палестинский сборник, т. VIII, вып. 2, с. 167-170). მისი

ცნობით, შსახურება პირველ-მესამე ჟამებზე იყო დაწესებული. ეს თავისებურება იერუსალიმურ ნიადაგზე შემუშავებულად ითვლება. რადგან ტერმინი „სამხრად“ ქართული ღვთისმსახურების ძეგლების მიხედვით ჟამისწირვას აღნიშნავს, კ. კეკელიძემ მასში დაინახა პირდაპირი მინიშნება სიწმინდის განახლების ლიტურგიაზე, რომელიც მისი აზრით, სრულდებოდა არა მარტო ოთხშაბათსა და პარასკევს, არამედ მარხვის ყველა დღეს ბზობამდე, გარდა შაბათებისა და კვირა დღეებისა, აგრეთვე ენების ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს. ამგვარი პრაქტიკა, მისივე აზრით, აღარ დასტურდება იერუსალიმის განჩრდების ლატალის ნუსხაში (Иерусалимский Канонарь, с. 11).

სამხრე – იხ. საბეჭური.

სანათლავი – I. სათაესი, რომელშიც ხდება ნათლისღება. საქართველოში სანათლავი-სათვის ეკლესიაში თავდაპირველად ცალკე სათაესო ყოფილა გამოყოფილი (ბოლნისის სიონი), რაც შემდეგ ხანებში აღარ გვხვდება, გარდა ნინოწმინდის ეკლესიისა. 2. სანათლაო ხშირად ემბაზსაც ეწოდება.

სანატრელი – ნეტარი; უმაღლეს სასულიერო პირთა, გამორჩეულ საეკლესიო მოღვაწეთა და მოწამეთა ერთ-ერთი ეპითეტი.

სანაწილე – წმინდა ნაწილთა საცავი კოლოფი, რომელიც საკურთხეველში ტრაპეზზე ოდიკის ან ტრაპეზის ქვეშ ინახება. მას მართლმადიდებლური ეკლესიის ფორმა აქვს და „სიონსაც“ უწოდებენ.

სანაწილე პატარა (ბერძნ. „არტოფოროს“) – კოლოფი, რომლითაც უძღვნიან და სნეულთა საზიარებლად დაატარებენ წმინდა ზიარებას.

სანახშირე – სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ყვირილას მარცხ. მხარეს, ზესტაფონიდან 10 კმ. ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერებით და შიდა მოხატულობით.

სანთა – სოფელი წალკის რ-ნში, თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, წალკიდან 22 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია XI-XII სს-ის ეკლესია ლაპიდარული წარწერებით, რომელიც გადაკეთებულია XIX ს-ში. აქ შემონახულია აგრეთვე უძველესი ციკლოპური ციხისა და შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები.

სანთელი – ცილინდრული ფორმის პატრუქზე ჩამოსხმული ცვილი. სანთელი იხმარება პირველი საუკუნეებიდან, ქრისტიანთა პირველი დევნის დროიდან. ცნობილია, რომ IV ს. დასაწყისში კონსტანტინე დიდის დროს, აღდგომის ღღესასწაულზე კონსტანტინეპოლი განათებული იყო ლამპრებით და ცვილის სანთლებით. სანთელი ქრისტიანული ღვთისმსახურების აუცილებელი ელემენტია. სანთლის ანთებას და სინათლეს, საერთოდ, ქრისტიანული მოძღვრებით სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: ღვთისმსახურებაზე ანთებული სანთელი აღნიშნავს, რომ მლოცველთა გულები ანთებულია ღვთისადმი სიყვარულით. ღვთისმსახურების დროს ანთებულ სანთლითა სუნით გამოსატაც სულიერ სიხარულს.

სარბინი – ერთნავიანი ეკლესია თეძმის ხეობაში, გორის რ-ნის სოფ. ფიცხელის მიდამოებში, აგებული 1152 წელს. ეკლესიის აღმოსავლეთის სარკმლის ფართო საპირეები მდიდრადაა მოჩუქურთმებული. ეკლესიის წარწერებში აღნიშნულია, რომ ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობდა სოფლის მოსახლეობა.

სარისტიგნე – ხურსათ-სანოვაგის შესანახავი ოთახი მონასტერში (იხ. ოსტიგანი).

სარა ბეთლემელი – იერუსალიმის ბეთლემის ეკლესიის ნიაფორი (ე. ი. ტაძრის მეთვალყურე), რომელსაც ემსახურებოდა სუსანა – წმ. ნინოს დედა და რომელთანაც იზრდებოდა ბავშვობაში წმ. ნინო (მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძეგ. I, 107). წმ. ნინომ სარა ბეთლემელისაგან ისწავლა მცირეოდენი სომხური. სარა ბეთლემელი ეროვნებით სომეხი იყო (ლეონტი მროველი, ქართ. ცხ. I, 85).

სარიქელი – იხ. ძელი.

სარიტათა – სოფელი სამხრეთ ოსეთში, ჯავის რ-ნში, მდ. სარიტათის (ფაწის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, ჯავიდან 25 კმ. სოფელში შემორჩენილია XI ს. ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები ლაპიდარული წარწერების ფრაგმენტებით.

„სარკე“ – გვიანი შუა საუკუნეების მონასტერი ქარელის რ-ნის სოფ. ზღუდერის მიდამოებში (იხ. ზღუდერი).

სარკინე – უძველესი ციხე-ქალაქი, რომელიც მდებარეობდა მცხეთის დასაველეთით, დღევანდელი ძეგვისა და შიომღვიმის ახლომახლო ტერიტორიაზე. სარკინის მღვიმე გახდა შიომღვიმეების პირველი თაშესაფარი მისი განდეგილობის დროს (ძეგლ. III,107). აქვე დაარსდა შიომღვიმის მონასტერი. იხ. შიომღვიმე.

სარკინეთი – სოფელი დმანისის რ-ნში, გომარეთის პლატოზე, დმანისიდან 28 კმ. აქ

შემორჩენილია შუა საუკუნეების წმ. ბარბარეს ეკლესია და წმ. ბასილის VIII-IX სს-ების ეკლესია (ორივე – ლაპიდარული წარწერებით).

სარმეან კათოლიკოსი – ქართლის კათოლიკოსი დაახ. IX ს-ში, მეზუთე უცილო კათოლიკოსი (VIII ს-მდე ქართლის კათოლიკოსები ცოლშანნი იყვნენ; მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველ. I, 97).

სარო – სოფელი ასპინძის რ-ნში, მდ. მტკვრის ხეობაში, ასპინძიდან 17 კმ. აქაა ადრე შუა საუკუნეების ეკლესია, რომელიც გადაუკეთებიათ 1747 წელს.

საროთი – მოზაიკა, სოფიის კენჭი, მონუმენტური ფერწერის სახეობა, სადაც გამოსახულება მიღება სხვადასხვა მასალის (მარმარილოს, მინის ფერადი კენჭების და სხვ.) ნაჭრების მიჯრით დალაგებით. მოზაიკური ხელოვნებით შესრულებული ფერწერა გავრცელებული იყო ქრისტიანულ ეკლესიებშიც. მოზაიკის შესანიშნავი ნიმუშია კონსტანტინეპოლის აია სოფიის ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება. საქართველოში მოზაიკის ბრწყინვალე ნიმუშია გელათის მთავარი ტაძრის ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმით, აგრეთვე ბიჭვინთის ტაძრის უძველესი მოზაიკა, იერუსალიმის მახლობლად აღმოჩენილ V ს. დასაწყისის „ლაზთა მონასტრის" ნაშთებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზაიკური იატაკი ასომთავრული წარწერებით.

სარტყელი ღვთისმშობლისა – ქრისტიანულ ეკლესიაში 31 აგვისტოს დაწესებულია დღესასწაული „დადებაჲ და თაყუანისცემაჲ პატიოსნისა სარტყლისა წმიდისა ღვთისმშობლისაჲ". ღვთისმშობლის სარტყელი – ქრისტიანული ეკლესიის დიდი სიწმინდე, რომელიც „საწმე მოციქულთა"-ს მოწმობით ღვთისმშობელმა მიაძარა მოციქულ თომას, ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ იერუსალიმში ინახებოდა. იმპერატორ არკადის (395-408) დროს სარტყელი დიდი კონსტანტინეპოლის ელაქერნის ტაძარში. მრავალი წლის შემდეგ იმპერატორ ლეონ ბრძენის (886-911) დროს ღვთისმშობლის სარტყლის მერ იქმნა სასწაულებრივი განკურნება იმპერატორის მეუღლე ზოიასი, რომელიც იტანჯებოდა უწმინდური სულისაგან. დედოფალს ეჩვენა, რომ იგი განიკურნებოდა, თუკი მას დაადებდნენ ღვთისმშობლის სარტყელს. იმპერატორმა სთხოვა პატრიარქს. პატრიარქმა გახსნა დაბეჭდილი ყუთი, რომელშიც ინახებოდა სიწმინდე. სარტყელი სრულებით უვნებელი იყო, დროთა მსელელობას მასზე ვერ ემოქმედნა. პატრიარქმა სარტყელი დადო დედოფალს და იგი მაშინვე განიკურნა. ჩატარდა სადღესასწაულო წირვა ღვთისმშობლისადმი საეკლესიო ლოცვებით, ხოლო სარტყელი ისევ შეინახეს ყუთში და დაბეჭდეს. ამ სასწაულის აღსანიშნავად დაწესდა დღესასწაული „დადებაჲ და თაყუანისცემაჲ პატიოსნისა სარტყლისა წმიდისა ღვთისმშობელისაჲ". ღვთისმშობლის წმინდა სარტყლის ნაწილები ინახება ათონის ვატოპედის მონასტერში, ტრირის მონასტერში და საქართველოში.

სარწყუნელი – ზიარების შემდეგ დასაყლეპელი წყალ-ღვინო, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ წარეცხოს („წარრეწყას") ზიარების უმცირესი ნაწილაკებიც. ტერმინი დასტურდება ნათლობის პოსტათნურ წეს-განგებაში („კურთხევანიდან").

სარჯველაძე ზურაბი (1938-2002 წწ.) – ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი და ენათმეცნიერი. მან, ძველი ქართული ენის სპეციალისტმა, გამოაქვეყნა მრავალი პაგიოგრაფიული და ბიბლიოლოგიური ტექსტები. აღსანიშნავია სასწაულთა გამოცემა: „შუშანიკის წამება"; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (თანაავტორობით), რომელიც ორჯერ გამოიცა (1986 და 2000 წწ.); მისი რედაქციით დაიბეჭდა „ადიშის ოთხთავის" ბოლო გამოცემა (2003 წ.); მან ე. გიუნაშვილთან ერთად გამოაქვეყნა მათესა და მარკოზის სახარებათა ტექსტები თანამედროვე ენაზე თარგმანებით (2004 წ.). მას ეკუთვნის აგრეთვე „ძველი ქართული ენა" (2004წ.). „ქართული პალეოგრაფია" (კ. დანელიასთან ერთად); „ძველი ქართული ენის ლექსიკონი" (1995 წ.), „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა" (2001 წ.); „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984 წ.) და სხვ. იგი იყო ქართული პაგიოგრაფიული ტექსტების პოპულარიზატორი და მთარგმნელი საზღვარგარეთ (გერმანია).

სასადილო – სოფელი საგარეჯოს რ-ნში, მდ. იორის მარცხ. მხარეს, საგარეჯოდან 45 კმ. სოფელში არის განეითარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

სასაქმევლე – საეკლესიო, ქრისტიანულ ღვთისმსახურებაზე საკმევლის საბოლებელი ჭურჭელი. ძველად მას წაგრძელებული ფორმა ჰქონდა. ახლანდელი სასაკმევლე წარმოადგენს სპილენძის მრგვალ თასს 4,5-დან 6,5 სმ. დიამეტრით, რომელიც ჩამოკიდებულია 71-72 სმ. სიგრძის სამ ან ოთხ ჯაჭვზე, რომ-

ლებიც შეერთებულნი არიან თაეში და რომლითაც სასაკმეელე უჭირავს ღვთისმსახურს, რომელიც უკმევს. სასაკმეელეში იდება ანთებული ნაკეერცხლები და მათზე აყრიან საკმეველს, ბის არომატულ კვეს, ან სხვა მცენარისეულ ნივთიერებას. ტიპიკონში მითითებულია, როდის და როგორ წარმოებს კმევა. „სასაკმეელე“ და „საცეცხლური“ იხსენიება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. „და უქმნე გურგუნი საკურთხეველსა... და საცეცხური მისი და ყოველი ჭურჭელი მისი პქმნე რვალისა“ (გამოსლე. 27,3). „ოქროჲსა აქუნდა სასაკმეელე და კიდობანი იგი სჯულისაჲ“ (ებრ. 9,4).

სასანთლე – საეკლესიო შანდალი ერთი და მეტი სანთლისათვის. იმისდა მიხედვით, თუ რამდენ სანთლიანია სასანთლე, მას განსხვავებული საეკლესიო სახელი აქვს. ორსანთლიან სასანთლეს დიკირი ეწოდება, სამსანთლიანს – ტრიკირი, თუ 7-12 სანთლიანია – პოლიკანდელი, უფრო მეტი რაოდენობისას – პანიკანდელი და ა. შ. სასანთლე ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში არის დადასტურებული: „და ყოველნი ბრძენნი გონებით თქუენ შორის მოვედით და იქმოდენ ყოველსაე მას, რომელი ბრძანა უფალმან... სასანთლესა სანთლისასა ყოველთა ჭურჭელთა მისთა და სასანთლესა და ზეთსა ნათლისასა“ (გამოსლე. 35,10; 14).

სასაშე – სოფელი ლენტეხის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე, ლენტეხიდან 29 კმ. ცნობილია სასაშის ღვთისმშობლის ტაძრზე გამოსახული XI ს. ჭედური ხატი.

სასოწარკვეთილება – უიმედობა, „სულისა წმიდისა მიმართი წინააღმდგომი ცოდვა“ (H 1283).

სასწაული – „საკვირველება“, მოვლენა, რომელიც არ გამომდინარეობს ბუნების კანონებიდან, არც ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობიდან, და განპირობებულია ზეგარდამო ძალებით, საღვთო ნებით, რომლის შემწეობითაც ღმერთის რჩეული ახდენს ამ სასწაულს. ღმერთი არის ყოველივეს შემქმნელი და სასწაულიც მისი ნების გამოვლინებაა, ე. ი. სასწაული არის მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური ნების არაჩვეულებრივი გამოვლინება (წმ. აგუსტინე). სასწაულთმოქმედების უნარით აღჭურვილთ ეკლესია საკვირველთმოქმედ ანუ სასწაულთმოქმედ უწოდებს. ქრისტიანულ მწერლობაში ცნობილია მრავალი საკვირველთმოქმედი, რომელთაგან განსაკუთრებული პატივით სარგებლობენ: სვიმეონ საკვირველთმოქმედი, თეოდორე ტირონი, ტიმოთე საკვირველთმოქმედი, ილარიონ და ექვთიმე პალესტინელები, გრიგოლ საკვირველთმოქმედი (ნეოკესარიელი), ნიკოლოზ მირონლუკიელი და სხვ. ქართველ მოღვაწეთაგან ასეთები იყვნენ ღირსი მამები: შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი და სხვა ასურელი მამები, გრიგოლ ხანცთელი, სერაპიონ ზარზმელი, ილარიონ ქართველი, ეფთვიმე მთაწმიდელი და სხვ. მათ „ცხოვრებაში“ აღწერილია მათ მიერ აღსრულებულ სასწაულთა ნაწილი.

სასხორი – სოფელი მცხეთის რ-ნში, მდ. ნიჩბისისწყლის ნაპირზე, მცხეთიდან 16 კმ. (ქსნიდან 4 კმ.). სოფლის განაპირას არის მცირე სამლოცველო, რომლის შესასვლელის თაღზე გაკეთებული მხედრული წარწერა მოწმობს, რომ სამლოცველო აგებულია ნიკოლოზ მაღალაძის მიერ, თაეისი დის, ხვარაშის საფლაზე 1704 წ. სამლოცველოს შიგნით ფერწერის დაზიანებული ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სატანა (ებრ. „მხდომი“, წინააღმდგომი) – ეშმაკთა მთავარი; სახარებაში ეშმაკის სინონიმად იხმარებოდა: „მაშინ პრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა... მაშინ დაუტეა იგი ეშმაკმან მან“ (მათე 4,9-10).

სატორნინე მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის იმპერატორების – დეკეოზისა (249-251) და ვალერიანეს (253-254) დროს გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის შედეგად, კონდრატე ნიკომიდიელთან და რუფინოს მოწამეებთან ერთად. წმ. კონდრატეს წამების დროს მოწამის სიმტკიცემ ქრისტიანობის სურვილი აღუძრა პელესპონტოს ორ მოქალაქეს: სატორნინესა და რუფინოს. მათ ქრისტე აღიარეს, რისთვისაც ორივეს თავები მოკვეთეს. მოწამეთა ერთობლიეი „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა შეედგინა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთ ხელნაწერში (ქუთ. 2, XVI ს. 146-159). მათი ხსენების დღედ 19 მარტია დაწესებული.

სატრაპეზო – ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა, რომელიც შეიცავს ბერების საერთო ტრაპეზისათვის განკუთვნილ დარბაზსა და სამლოცველოს, აგრეთვე დამხმარე სათაესოებს (სამზარეულოს, საწყობს და სხვ.). საქართველოში სატრაპეზოები მონასტრების დასრულებასთან ერთად გაჩნდა. ცნობილია დავითგარეჯის მონასტრების – ბერთუბნისა

და უდაბნოს სატრაპეზოები, რომლებშიც შეწირული მონუმენტური ფერწერის ბევრი ძვირფასი ნიმუში; აგრეთვე აგარისა და ოშკის მონასტრების სატრაპეზოები და სხვ.

სატშურიბა – იხ. ენკენიობა.

საუფლო დღესასწაულები – ასე იწოდება საეკლესიო კალენდარში ქრისტიანული ეკლესიის უმნიშვნელოვანესი 12 დღესასწაული, როცა ქრისტიანული ეკლესია დღესასწაულობს განსორციელებული უფლის – იესო ქრისტეს მაცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, როგორიცაა: 1. შობა, 2. ნათლისღება (განცხადება), 3. ფერისცვალება, 4. ბზობა (უფლის შესვლა იერუსალიმში), 5. ამაღლება, 6. სულიწმინდის მოფენა, 7. მიცვალება, 8. ჯვრის ამაღლება. აგრეთვე ღვთისმშობლის მოსასვენებელ დღესასწაულებს: 9. ხარება, 10. მიძინება, 11. შობა, 12. ტაძრად მიყვანება. დღესასწაულთა რიცხვის მიხედვით მათ „თორმეტნი საუფლონი დღესასწაულნიც" ეწოდებათ. საუფლო „თორმეტ დღესასწაულთაგან" სამი – ბზობა, ამაღლება და სულიწმინდის მოფენა – გარდამავალი დღესასწაულებია და კვირიაკის მოძრავ დღეებზეა დადებული, ხოლო დანარჩენი 9 – უძრავი დღესასწაულებია და ყოველწლიურად გარკვეული თვის გარკვეულ რიცხვში მოდის: ნათლისღება – 6 იანვარს (ძვ. სტ.), მიგებება – 2 თებერვალს, ხარება – 25 მარტს, ფერისცვალება – 6 აგვისტოს, მიძინება - 15 აგვისტოს, შობა ღვთისმშობლისა – 8 სექტემბერს, ჯვრის ამაღლება – 14 სექტემბერს, ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა – 21 ნოემბერს და შობა უფლისა – 25 დეკემბერს. საუფლო დღესასწაულებზე აღმატებულია უფლის აღდგომის დღესასწაული – „დღესასწაულთა დღესასწაული".

საშარეიში ღვთისმშობლისა – იხ. მანდილი ღვთისმშობლისაჲ.

„საშარისი" – საფარისის ანუ საფარელის მონასტერი კახეთში, წინანდლიდან 5 კმ-ზე, მდ. კისისხევის მარჯვ. ნაპირზე. მონასტრის მთავარი ნაგებობა წმ. გიორგის სამკლესიანი ბაზილიკაა, რომელიც XII ს-შია აგებული. ეკლესია აშენებულია რიყის ქვით, აღმოსავლეთ ფასადის სარკმლები, თაღები და კარნიზი შირიმის თლილი ქვისაა. მთავარი ეკლესია შუა ნავშია მთავსებული. გადახურულია კოლოფა კამარით. აღმოსავლეთ ფასადზე ჩარჩოში ჩასმული რელიეფური ჯვარია ამოკვეთილი, ჯვარი ამოკვეთილი დასავლეთ ფასადზეც. ეკლესიის ჩრდილოეთით აღმართული ორსართულიანი სამრეკლო XIV-XV სს. აგებული.

საშარის მონასტერი – მდებარეობს სამცხეში, ახალციხიდან 10-12 კმ-ზე. საფარის მონასტერი წარმოადგენდა ძველი ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას. დაარსდა არაუგვიანეს X ს-ს. სამონასტრო კომპლექსის ყველაზე ადრინდელი ნაგებობაა X ს. ღვთისმშობლის მიძინების ერთნავიანი ეკლესია (რომლის კანკელის ფრაგმენტი ინახება საქ. ხელოვნ. მუზეუმში). მთავარი, წმ. საბას ეკლესია, სამრეკლო და სასახლე XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისს მიეკუთვნება და აგებულია სამცხის მთავრის, ბექა ჯაყელისა და მანდატურთუხუცესის განმგებლობის დროს (ბექა, მამამისი სარგისი და ბექას ვაჟები – სარგის II და ყვარყვარე გამოხატულნი არიან ეკლესიის კედელზე). ჯაყელებმა საფარა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად და სამკვიდრო ადგილად აქციეს. ტაძრისა და კარიბჭის სარკმლის წარწერებში იხსენიება ხუროთმოძღვარი ფარეზას ძე. ტაძრის გუმბათის ყელი დაბალბეღურულია, რის შედეგადაც ეკლესიის კორპუსი უფრო მაღალი ჩანს. გუმბათის ყელზე ნამდვილ სარკმლებს ენაცვლება ყრუ სარკმლები, რომლებიც საპირეებით არის გაფორმებული. ინტერიერების პატრონაჟებს აქ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვს, დასაყელეთის კარიბჭე უჩეჩელოდ მაღალია. მისი შიდა სიერცე ღიაა, თაღები და ვარსკვლავისებური კამარები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით. ეკლესიას ბევრი წარწერა აქვს. სამრეკლო აღორძინდა ქართული სამრეკლოს ტიპისაა. მის ქვემო, კუბურ ნაწილში ჯაყელთა მსახურ-თუხუცესის, ლასურაძისის საგვარეულო სამარხი იყო. მონასტრის ტერიტორიაზე გაფანტული სხვა სამლოცველოები (წმ. სტეფანეს, იოანე ნათლის-მცემლის, წმ. დიმიტრის, წმ. გიორგის პატარა ეკლესია, იოანე ოქროპირის) XIV-XV სს-ისაა. მონასტერს თავს დაჰყურებდა ციხე და გარს გალავანი ერტყა. XVI ს-ში მიტოვებული მონასტერი XIX ს-ში რუსმა ბერებმა განაახლეს, ზოგი რამ ააშენეს, შეაკეთეს ან გადაკეთეს, რამაც პირვანდელი სახე დაამახინჯა. საფარის მონასტერში მრავალი ძველი კულტურის მოღვაწეს უცხოურია. მათ შორის უნდა დავასახელოთ არსენ I კათოლიკოსი (IX ს.), იოანე და გაბრიელ საფარელები (X-XI სს.), იოანე მტბევარ-საფარელი (XII ს.), მწიგნობარი ეფრემი (XIII-XIV სს. მიჯნა), კალიგრაფი სვიმონ კარგარეთელი (XVI ს.), გადაშწერები მიტროფანე საფარელი, ქრისტესია სა-

მადაშვილი (XVIII-XIX სს.) და სხვ.

საშრომე – ეკლესიის გუმბათის ქვეშ ნაშენი ერლი.

საშსალმუნე – ჭარი ანუ საგალობელი საკრავი, რომლის თანხლებით იგალობებოდა სასულიერო საგალობლები ან ფსალმუნი: „აუარებდით უფალსა ბობღნითა და ათძალითა საფსალმუნისაჲთა უგალობდით მას“ (ფს. 32,2). 2. ადგილი ეკლესიაში, სადაც მედავითნე კითხულობს ფსალმუნს (იხ. ამბიონი).

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია – ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (IV ს. I მეოთხედი) ახლო ხანებში მცხეთაში დაარსებული საეპისკოპოსოს სახით. ერთი ცნობით კონსტანტინე დიდმა (306-338) წმ. მირიან მეფისა და წმ. ნინოს თხოვნით საბერძნეთიდან გამოგზავნა „იოანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნიშოსჳს“ („მოქცეაჲ ქართლისაჲ“, ძეგლები, I, 86). იოანე გახდა მცხეთის პირველი ეპისკოპოსი. ჩამოსულებმა ნათელსცეს მეფეს, დედოფალს, დიდებულებს, ხალხს, და აკურთხეს მცხეთაში აშენებული ეკლესია. მეორე ცნობით, კონსტანტინე დიდმა მცხეთას წარმოგზავნა „ეკლესიისაჲ“ (უფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, ასევეა არსენ იყალთოელის წმ. ნინოს „ცხოვრებაში“ და რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში“). ცხადია, მცხეთის „ეპისკოპოსი“ ან „მთავარეპისკოპოსი“ პირველ ხანებში (V ს-მდე) იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა. ქრისტიანული მრეწველი ამ დროს, რა თქმა უნდა, მცირერიცხოვანი იყო, რადგან მოსახლეობის დიდალ ფენებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო წარმართობისა და ირანიდან შემოტანილი ცეცხლთაყვანისმცემლობის გავლენა. პოლიტიკურად ქართლი ირანის გაელენის ქვეშ იყო და, ცხადია, ქრისტიანობა ამ მხრივ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. V ს. ქართლში 12-13 მღვდელმთავარსაგან 4-5 ყოფილა „შემშლელი წესთა“, მათ შორის ცნობილია ეპისკოპოსი მობდნი, რომელიც „ირანიზირებული“ ქრისტიანობის ფარული მიმდევარი ყოფილა და აერცელებდა მას მოსახლეობაში. ქართლის ცენტრალური ხელისუფლება ენერგიულად ებრძოდა როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობას, ისე ერესებს, ცდილობდა ქვეყანაში აღმპარებლობითი ერთიანობა დაემყარებინა, ბიზანტიის ეკლესიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და ნიკეის (325), კონსტანტინეპოლისა (381) და ქალკედონის (451) მსოფლიო საეკლესიო კრებების დოგმატებისადმი ერთგული დარჩენილიყო. ქართლში მეფის ხელისუფლება და დიდებულები მატერიალურ შემწეობას უწევდნენ ეკლესიათა მშენებლობას.

V ს. II ნახევარში, დაახლ. 466-468 წწ-ში ეახტანგ გორგასლმა მნიშვნელოვანი საეკლესიო-ორგანიზაციული რეფორმა გაატარა და შემოიღო საეკლესიო მმართველობის ახალი სისტემა. ამიერიდან ქართული ეკლესია კათოლიკოსის მეთაურობით აერთიანებდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ დროს დაარსებულ 12 საეპისკოპოსო კათედრას. ქართული ეკლესია ბერძნული ეკლესიისაგან (ანტიოქიის პატრიარქისაგან) დამოუკიდებელი – ავტოკეფალური გახდა. ამ დროისათვის ღვთისმსახურება უკვე ნაწილობრივ ქართულ ენაზე სრულდებოდა. ქართული ეკლესიის პირველი კათოლიკოსი პეტრე იყო. მცხეთაში ძველი, უკვე დანგრეული ეკლესიის ადგილზე აშენდა სვეტიცხოველის საკათედრალო კათედრალი, თორმეტ მოციქულთა სახელზე. VI ს-ის ქართლში საეპისკოპოსო ეპარქიების რიცხვი 33-მდე გაიზარდა (მცხეთის, ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუისთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, ნიქოზის, ცურტავის, რუისის, ურბნისის, წილკანის, სამთავისის და სხვ.). V ს-ის წყაროებით დადასტურებულია ქართულ ენაზე „სახარების“ ქართული თარგმანის არსებობა, აგრეთვე თარგმნილი უნდა ყოფილიყო „პავლე“ (ეპისტოლეები), „ასრგასისნი ფსალმუნნი“ (დავითნი), ბერძნ. მოწაფეთა „წიგნნი“, „მრწამსი“ (სარწმუნოების სიმბოლო ნიკეა-კონსტანტინეპოლისა) და სხვ. ქართულად არსებობდა ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი საღვთო წერილის (ბიბლიის) ძირითადი წიგნები. ქართული ღვთისმსახურების შესახებ პირდაპირი ცნობა დაცულია სახა განწმენდილის († 532 წ.) „ცხოვრებაში“: იგი თავის ცნობილ ლავრაში (იერუსალიმში) ნუსხა რაციას ქართველებს, თავიანთ ენაზე იკითხონ მხოლოდ სახარება, სამოციქულო, ფსალმუნი და სხვ., ხოლო ფსალმუნიერის ქართულად ჩატარებას უკრძალავს. V ს-დან მომრავლდა ქართველ პილიგრიმთა რიცხვი, რომლებიც წმინდა ადგილების მოსალოცავად მიემგზავრებოდნენ იერუ-

სალიმისკენ. ბევრი მათგანი რჩებოდა სამოღვაწეოდ იერუსალიმში და მის სხვადასხვა კუთხის მონასტრებში. დახლ. 440 წელს პეტრე იბერს იერუსალიმში სასტუმროც კი აუგია ქართველი და სხვა ეროვნების მონაზვნებისათვის, რომლებიც იერუსალიმში ჩადიოდნენ წმ. ადგილების მოსალოცავად. მანვე დაიარსა მონასტერი იერუსალიმის ახლოს, არნონის უდაბნოში, რომელსაც შემდგომ „ლაზთა მონასტერს" უწოდებდნენ და რომელიც განაახლა იუსტინიანე იმპერატორმა (518-527 წწ.).

V-VI საუკუნეებში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებაში დიდი წვლილი შეიტანეს უცხო ეროვნების მოწამეებმა, რომლებმაც ზოგადად ქრისტიანული სარწმუნოების და, კერძოდ, ქართული ეკლესიის სიმტკიცისათვის თავი გასწირეს: სომეხმა შუშანიკ დედოფალმა (V ს.), სპარსმა რაფდენმა (V ს.), სპარსმა ევსტათიმ (VI ს.) და ასურელმა აბიბოს ნეკრესელმა (VI ს.). ყველა მათგანი ქართული ეკლესიის წმინდანთა დასში ჩარიცხეს და მათ შესახებ მარტვილოლოგიური თხზულებებიც შექმნეს.

ქარლში ქრისტიანობის განმტკიცებისა და სამონასტრო ცხოვრების დაფუძნების საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს სირიიდან საქართველოში ჩამოსულმა ბერებმა — იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა: შიო მღვიმელმა, დაუით გარეჯელმა, ანტონ მარტყოფელმა, ისე წილკნელმა და სხვ., რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 16-მდე მონასტერი დააარსეს, რომელთაგანაც რამდენიმე შემდეგში მნიშვნელოვან მწიგნობრულ კერად და სამონასტრო ცხოვრების ცენტრად იქცა (დაითგარეჯა, შიომღვიმე, ალავერდი, ზედაზენი, მარტყოფი, წილკანი, ნეკრესი და სხვ.). ანტონ მარტყოფელის სახელთან არის დაკავშირებული ქრისტიანული ეკლესიის დიდი რეფორმის — უფლის ჯვრის ხელთუქმნელი ხატის ხელთუქმნელი ასლის ჩამოტანა.

VI ს. ბოლოდან, როდესაც ქართლზე ირანის გავლენა შესუსტდა და ეროვნული ხელისუფლება განმტკიცდა, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა კირიონ I კათოლიკოსი, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო დიოფიზიტური მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისა და სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისაკენ, რამაც დაჩქარა ამ ორი ეკლესიის საბოლოოდ გათიშვა (607 წ.). ამ დროს ქართული ეკლესია უკვე 35-ზე მეტ საეპისკოპოსოს აერთიანებდა. VII-X სს-ში ქარლში არაბების ბატონობის პერიოდში ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა ერთიანი ქართული ენის, სულიერი კულტურის და ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში. იოანე საბანისძემ (VIII ს.) არაბ დამპყრობელთა პოლიტიკაში ნათლად დანახა ეროვნული გადაგვარებისა და ქრისტიანული ეკლესიის სიმტკიცის შესუსტების საფრთხე და მამხილებელი მოწოდებით გამოეიდა იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც არაბთა შიშით თუ მათი მაამებლური თვალთმაქცობის გამო განუდგნენ ქრისტეს მოძღვრებას (ძეგლები 1,50). მან ასეთ ქართველებს აჩვენა ქრისტიანული სარწმუნოების ძალა არაბი აბოს მაგალითზე, რომელმაც „დაუტევა თავისი სჯული" — მამადაინათა და ქრისტეს მოძღვრება ალიარა, მტკიცედ დაიცვა მისი მცნებები და ქართული ქრისტიანული ეკლესიის ერთგულება შეეწირა, რაც შესანიშნავად აღწერა იოანე საბანისძემ მაგიოგრაფიულ თხზულებაში: „ცამეტბაჲ წმიდისა აბოჲსი" (ძეგლ. I, 46-81). VIII ს-დან მძლავრი სამონასტრო მშენებლობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში, რომლის მეთაური გრიგოლ ხანძთელი, მისი და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული მონასტრების სულიერი ხელმძღვანელი და ხანცთა-შატბერდის მონასტრების არქიმანდრიტი იყო. ამ პერიოდში ახლად აშენებული მონასტრების (ხანცთა, შატბერდი, გუნათლე, მერე და სხვ.) გარდა უდიდესი მწიგნობრული და კულტურული საქმიანობა იყო გაჩაღებული ოპიზის, იშხნის, ოქის, წყაროსთავის, ბანას, ხახულის, ზარზმისა და სხვა მონასტრებში, რომლებშიც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი საეკლესიო მწერლები და მამამთავარნი: გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარზმელი, ეფრემ მაწყვერელი, არსენ საფარელი, გიორგი მაწყვერელი, ილარიონ თუალელი და სხვ. მრავალი. უკვე X ს-ითვის ქართულ ენაზე მოიპოვებოდა მდიდარი ორიგინალური მაგიოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურა, ბერძნულიდან ითარგმნა საეკლესიო პრაქტიკისათვის საჭირო ძირითადი თხზულებები, სხვადასხვა ქრისტიანულ ცენტრებში ითარგმნა ქართული ეკლესიისათვის საჭირო ძირითადი თხზულებები: იერუსალიმის, სამაშვილის, კონსტანტინეპოლის და სხვა ეკლესიების ტიპიკონე-

ბი, იადგარები, გაშორნილ საეკლესიო მამათა „სწაულანი“ და სახელმძღვანელო თხზულებები. თითოეული მონასტერი და ეკლესია წარმოადგენდა კულტურის კერას, სადაც ვითარდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგები: ფერწერა, მუსიკა, არქიტექტურა, აგრეთვე მედიცინა, ასტრონომია, ზუსტი მეცნიერებანი და სხვ.

ჯერ კიდევ V საუკუნიდან საქართველოს ეკლესიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა (მიმოსელით თუ მიმოწერით) რომის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ცენტრებთან. სირიასა და პალესტინაში ქართული მონასტრები გაჩნდა V ს-დან. მრავალი ქართველი მოღვაწეობდა იქაურ მონასტრებში (საბაწმინდა, ხარიტონის ლავრა, ქრისტეს საფლავის ეკლესია, სინის მთა, შაჰი მთა და სხვ.). ქართული ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა X ს. II ნახევარში ქართული მონასტრის („იერთა მონასტრის“) დაარსებას ათონის მთაზე (საბერძნეთი).

ათონის ქართულმა სამონასტრო და მწიგნობრულმა ცენტრმა უდიდესი როლი შეასრულა მდიდარი ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის მემკვიდრეობის ქართულად გადმოღებისა და ორიგინალური საეკლესიო თხზულებების შედგენის საქმეში. განუზომლად გაიზარდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი მისადმი სკეპტიკურად განწყობილ ბიზანტიურ საეკლესიო წრეებში. ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ჯერ ეფთვიმე მთაწმიდელის და მოგვიანებით (XI ს.) გიორგი მთაწმიდელის უდიდეს ლიტერატურულ და პრაქტიკულ საეკლესიო მოღვაწეობას. ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა ჯერ კიდევ VIII ს. დაიწყო, როდესაც ბიზანტიური სამყარო ხატმებრძოლობის ერამ მოიცვა, ხოლო საქართველოს ეკლესია მთლიანად მართლმადიდებლობის ერთგული დამცველი დარჩა. VIII ს. მცხეთაში ქართლის კათოლიკოსმა აკურთხა იოანე გუთელი ეპისკოპოსი, რადგან სხვაგან მართლმადიდებლობა სანთლით საძებნელი იყო. ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ანტიოქიის ეკლესია პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750) დროს იძულებული იყო, კლავე ელიარებინა და დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. იერუსალიმის პატრიარქმა სერგიმ (843-859) ნება დართო მცხეთის საპატრიარქოს, დაემხადებინა და ეკურთხებინა წმ. მირონი. იოანე ზოსიმეს (X ს.) სახელით ცნობილი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ კარგად გამოხატავს ქართული ენისა და ეკლესიის პრეტენზიებს — იყოს ზოგადქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის დონეზე. XI ს. დასაწყისიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი იერარქი ატარებდა „პატრიარქის“ წოდებას. კათოლიკოს-პატრიარქის წოდებით პირველად მოიხსენიება მელქისედეკი (1010-1033), რომელიც რიგით მეექვსე პატრიარქია მსოფლიო პატრიარქთა შორის. საქართველოს საპატრიარქო ტერიტორიულად ემთხვეოდა სელჩუკიფოს პოლიტიკურ საზღვრებს. XI-XII სს-ში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოში არსებული საკათოლიკოსო თავისი საეპისკოპოსოებით, ქალკედონიტ-მართლმადიდებელ სომხურ თემთა საეპისკოპოსოები, რომელთაც სათავეში მიტროპოლიტი ედგათ და, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები, სულ 40-ზე მეტი ეპისკოპოსი, მათ შორის მცხეთის მთავარეპისკოპოსი, ჭყონდიდელი, მოქველი, ბედიელი, ჭუთათელი, მაწყვერელი, კუმურდოელი, იმხნელი, მტბევარი, ანჩელი, ერუშეთელი, ბანელი, გიმელი, ანელი, მანგლელი, ბოლნელი, დმანელი, ხიდელი, ნინოწმინდელი, ხარჭაშნელი, ჭერემელი, ნიქოზელი, ალავერდელი, რუსთველი, ურბნელი, მროველი, სამთავნელი, წილკნელი, თბილელი და სხვ.

XI-XII სს-ში კიდევ უფრო ცხოველი მუშაობა გაჩაღდა წინა საუკუნეებში და, განსაკუთრებით, X ს. დაწყებული ბიზანტიური საეკლესიო ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოღებისა და ძველი თარგმანების შეცვლა-გასწორების მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, თეოფილე ხუცესმონაზონის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ჭიმჭიმელის და სხვა ღვთისმეტყველთა დამსახურება. ამ პერიოდში უდიდესი საეკლესიო-ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქართულ კერებში: გელათის მონასტერში და აკადემიაში (დაარსდა 1106 წ.), შიომღვიმეში, დაფითგარეუბანში, პეტრწონის ქართულ მონასტერში (დაარსდა 1083 წ.), იერუსალიმის ჯვარის მონასტერში (დაარსდა XI ს. შუა წლებში), შავ მთაზე და სხვ. XI ს. აშენდა შესანიშნავი ეკლესია-ტაძრები: ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), სვეტიცხოველი და სამთავრო (მცხეთაში), სამთავისი (ქართლში), ალავერდი (კახეთში), ნიკორწმინდა (რაჭაში) და სხვ.

XI ს. შუა წლებში ანტიოქიის საპატრიარქოს

კლაე გაურნდა პრეტენზია საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებისა იმ საბაბით, რომ მას ოთხჭის ავტოკეფალია უკანონოდ ჰქონდა მითვისებული, მაგრამ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა არგუმენტირებული მტკიცებით, რომელთა შორის პირველ რიგში გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე უნდა დავასახელოთ, იძულებული გახდა ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

XI ს. ბოლო მეოთხედიდან შეინიშნება თურქსელჯუკების მომძლავრების შედეგად ეკლესიის ორგანიზაციაში გამოვლენილი ზნეობრივ-დისციპლინარული დარღვევების ფაქტები, რომლის წინააღმდეგ სისტემად გააღაშქრა გიორგი მთაწმიდელმა და ამხილა ბაგრატ IV-ის სარწმუნოების საწინააღმდეგო საქმიანობა ეკლესიის ორგანიზაციულ საკითხებში. საქართველოს ეკლესიის სიმტკიცისა და ალორძინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დაცით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ინიციატივით ჩატარებულ საეკლესიო რეფორმებს, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს რუის-ურბნისის საგანგებო საეკლესიო კრებაზე 1105 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დაასაბამი მისცა საეკლესიო სამრევლოს ნორმალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებას. კრების უმთავრესი მიზანი იყო XI ს. 70-იანი წლებიდან დაწყებული მოშლილი საეკლესიო ორგანიზაციის აღდგენა-განმტკიცება და ისეთ დინებე აყვანა, რომ ეკლესია ქვეყნის იღეური დასაყრდენი ძალა გამხდარიყო, მორწმუნეთა თვალში აღედგინა ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრა დროის უკულმართობის მიზეზით ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გაკეთებული შეცდომების და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვეულები, აელაგმა თაგბასული ფეოდალები, აღეკვეთა მათი საეკლესიო საქმეებში ჩარეულის ცდები და მათ მიერ საეკლესიო ქონებისა და მიწების დატაცება. დაცით აღმაშენებელმა სამეფო კარის ვაზირთუპრიველებს — მწიგნობართუხუცესს ჭყონდიდელობაც უბოძა და საეკლესიო საქმეების კონტროლი დაავალა, ხოლო საეპისკოპოსო კათედრებზე მეფის ცენტრალური ხელისუფლების მოშრუ ეპისკოპოსები დაადგინა (დაწერ. იხ. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978 წ.). დაცითის უშუალო ინიციატივით დაარსდა გელათის მონასტერი, ხოლო ცნობილი სამონასტრო კომპლექსები — შიომღვიმე და დაცითგარეჯა ისეც სამეფო მონასტრებად იქცა.

XIII-XVIII სს-ში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო უცხოელი დამპყრობლების: მონღოლების, სპარსელების, თურქ-ოსმალების განუწყვეტელი შემოსევებითა და ხანგრძლივი ბატონობით. საქართველოს ეკლესიისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო თურქ-ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობა (1453 წ.), რადგან საქართველო მასმადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა. სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებდა, თუმცა არაერთი მღვდელმთავარი უთხრიდა ძირს ამ ერთობას, ადგილობრივი მთავრების სეპარატისტულ პოლიტიკას უჭერდა მხარს და ცდილობდა დამოუკიდებელი საეკლესიო ერთეულის შექმნას. (მაგ. XV-XVI სს. აწყურის ეპისკოპოსები — სამცხის მთავრებს). XV ს. 70-იან წლებში სრულიად საქართველოს მეცხეთის საპატრიარქოს ჩამოსცილდა აფხაზეთის საკათოლიკოსო, რომელსაც დაექვემდებარა მთელი დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები (აფხაზეთის პირველი კათოლიკოსი აკურთხა დასავლეთ საქართველოში შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქიამა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქელმა (1470/74-1484). საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო. XVI ს. II ნახევარში კათოლიკოს ეგნატიმ ჩხეტიძის დროს (1558-1578) რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. XVI-XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა შემდეგი საეპისკოპოსოები: ბედიის, გელათის, ჭყონდიდის, ხონის, ცაგერისა და ნიკორწმინდის. XVI ს. მიწურულს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოაკლდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია ამ მხარის თურქებისაგან მიტაცებისა და იქ ისლამის ძალით გავრცელების გამო.

XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოში სპარსთა ბატონობის პერიოდში სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარმა მოწამებრივმა ფაქტებმა (ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეფე, ბიძინა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები) და ამ ფაქტების პაგიოგრაფიულ მწერლობაში აღწერამ (გრიგოლ დიდოელი, ბესარიონ კათოლიკოსი) XVII-XVIII სს-ში ერთგვარად გამოაცოცხლა ქართული საეკლესიო მწერლობა და ხელი შეუწყო საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში, განსაკუთრებით დაცითგარეჯის მონასტრებში, მასმადიანთა ხანგრძლივი ბატონობით შერყეული ქრისტიანობისა და ეროვნული შეგნების განმტკიცებას.

XVIII ს-ში იმერეთში სოლომონ I-მა (1752-

1784) და ქართლ-კახეთში ერეკლე II-ჲ (1762-1798) სცადეს ეკლესიის შერყეული მდგომარეობის გაუმჯობესება, რისი დასტურია რამდენიმე მნიშვნელოვანი საეკლესიო კრების მოწვევა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, რომლებზეც ბევრი საჭირბოროტო საქმე იქნა განხილული (იხ. საეკლესიო კრებები საქართველოში). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის ცარიზმმა გაიუქმა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წ., ხოლო დასავლეთ საქართველოში 1814 წ. საქართველოს ეკლესია ცალკე საეგზარხოსოდ გამოცხადდა და რუსეთის ეკლესიას შეუერთა. პირველი ქართველი ეგზარქოსის შემდეგ (ვარლაამ ერისთავი 1811-1817 წწ.) ეგზარქოსებად რუსეთიდან მოვლინებულ მღვდელმთავრებს ნიშნავდნენ, რომლებიც ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ, უგულებელყოფდნენ ქართული ეკლესიის ტრადიციებს და ზიანს აყენებდნენ ქართულ ეკლესიას.

1917 წელს (25 მარტს) რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართულმა სამღვდელოებამ აღიდგინა ავტოკეფალია და 8-17 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II (სამაგლიშვილი) აკურთხა. 1918 წ. 20 იანვრის (2 თებერვლის) და საქართველოს მთავრობის 1921 წ. 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლა — ეკლესიას.

საქართველოს საპატრიარქო ამჟამად შედგება 37 ეპარქიისაგან: I. მცხეთა-თბილისის, ალავერდის, არგვეთის, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, ახალქალაქისა და კუმურდოს, ბათუმისა და ჭოხელეთის, ბოდბის, ბოლნისის, ბორჯომისა და ბაკურიანის, გურჯაანისა და ველისციხის, დმანისის, ეკალისა და ბაღდათის, ზუგდიდისა და ცაიშის, თიანეთისა და ფშაე-ხევსურეთის, მანგლისისა და წალკის, მესტიისა და ზემო სვანეთის, ნეკრესისა და პერეთის, ნიკორწმიდის, ნინოწმიდისა და საგარეჯოს, ნიქოზისა და ცხინვალის, რუსთაველისა და მარნეულის, სამთაწმისისა და გორის, სენაკისა და ჩხოროწყუს, სტეფანწმინდისა და ხვედურეთის, სხალთის, ტყიბულისა და თერჯოლის, უწმიანისა და რუისის, ფოთისა და ხობის, ქუთაისა-გაენათის, შემოქმედის, ცაგერისა და ლენტეხის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნისა და ღუბუეთის, ჭიათურისა და საჩხერის, ჭყონდიდის, ხონისა და ხაშურის.

საქართველოს ეკლესიას მეთაურობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ამჟამად მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსიც არის. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომლის უფლებაში შედის ახალი კათალიკოს-პატრიარქის არჩევა და სხვა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი აერთიანებს ყველა მღვდელმთავარს. მას თავმჯდომარეობს კათოლიკოს-პატრიარქი.

„საძმო მოციქულთა“ — ახალი ალფაბის ისტორიული წიგნის სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს სახარების თხრობის უშუალო გაგრძელებას და მოიცავს პერიოდს იესო ქრისტეს ამაღლებიდან 62 წლის ჩათვლით. წიგნი დაწერილია ლუკა მახარებლის მიერ, როგორც ეს დასაწყისი სიტყვებით ჩანს. „საძმე მოციქულთა“ შეიცავს 28 თავს და გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად. პირველ ნაწილში (I-XII თ.) მოთხრობილია მოციქულებზე სულიწმინდის მოფენის, პეტრეს პირველი ქადაგების, იერუსალიმის პირველი ქრისტიანული ძმობის, მოციქულთა სასწაულებისა და მათი იერუსალიმში პირველ ქადაგებათა შესახებ, მოციქულთა გასვლის შესახებ სახარების საქადაგებლად პალესტინის სხვა პროვინციებში, ქრისტიანთა დევნის შესახებ საულს (შემდეგში პაველ მოციქული) მიერ და მისი მოქცევის შესახებ, პეროდე აგრიპას მიერ ქრისტიანთა დევნის, იაკობ ზებედეს წამების შესახებ. მეორე ნაწილი ეძღვნება პაველ მოციქულის სამ მოგზაურობას საქადაგებლად, მის დატყვევებას იერუსალიმში, კესარიაში მის გასამართლებას და ორი წლის პატიმრობის შემდეგ მის წაყვანას რომში გასასამართლებლად. წიგნს სათარი მისცა არა ავტორმა ლუკა მახარებელმა, არამედ უცნობმა მწერალმა მოგვიანებით. „საძმე მოციქულთას“ ქართული თარგმანები, მოღწეული X-XI სს. და უფრო გვიანდელი ხელნაწერებით, გამოსცა ილ. აბულაძემ 1949 წ.

„საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ — საეგზარქოსოს ოფიციალური ორგანული ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1891 წლიდან 1916 წლამდე. დაარსდა თბილისის სასულიერო სემინარიასთან. მას რედაქტორობდა თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის რექტორი ან ინ-

საქტორი. იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე (ქართული ტექსტი რუსულის თარგმანს წარმოადგენდა). აქვეყნებდა სასულიერო უწყებების ბრძანებებს და სხვა ოფიციალურ საეკლესიო მასალას, ქადაგებებს, მოძღვრებებს, სიტყვებს, სტატიებს საეკლესიო საქმეთა შესახებ და სხვ.

„საქართველოს სამოთხე“ – ქართული პაგოგრაფიული კრებულის პირველი, შედარებით სრული ბეჭდური გამოცემა, შესრულებული პეტერბურგში 1882 წ. „პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის, იერონიმე გობრონ (მიხაილ) პაპუას ძის საბინინის მიერ“. საბინინს 7 წლის განმავლობაში უგროვებია მასალა ამ წიგნისათვის, შეუსწავლია ეკლესია-მონასტრები და წიგნსაცავები, ძირითადად პეტერბურგის ბატონიშვილების კოლექციისა, გადმოუწერია ტექსტები და ოფიციალური პირებისგან შექმნილ სხვადასხვა დაბრკოლებათა მიუხედავად დაესრულა ეს საშვილიშვილო საქმე. კრებულში ძირითადად შეტანილია ქართველ წმინდანთა „წამებანი“ და „ცხოვრებანი“, რომელთაც წინ უძღვის ნიკოლოზ თბილელისა და ანტონ I-ის იამბიკოები, საგალობლები და სხვ., მაგრამ აქვეა ის თარგმნილი თხზულებებიც, რომლებიც ავტორს კრებულის სრულყოფის მიზნით შეუტანია: მაქსიმე აღმსარებელის „მოთხრობაჲ მოძღებისაჲ ღუთისმშობლისაჲ“, ანდრია მოციქულის „მოძღვრებაჲ“ და ქადაგება, „წამება მთავარმოწამისა გიორგისი“ და „საკვირველებანი წმ. გიორგისი“. კრებულში სულ 50 თხზულებაა შეტანილი. წიგნი შეიცავს დიდი ფორმატის 639 გვერდს. მ. საბინინის მიერ გამოცემული ტექსტები თავისთავად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ და საეკლესიო ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, კრიტიკული არ არის და ყოველთვის ვერ ითვალისწინებს გამოცემულ თხზულებათა უძველეს ხელნაწერებს, აგრეთვე ქართული პაგოგრაფიული ლიტერატურის ყველა ძეგლს არ შეიცავს, მაგრამ თავის მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს.

„საძართველოს სიძველენი“ – სასულიერო და საერო ისტორიული საბუთების (დოკუმენტების) კრებული, რომელიც 3 ტომად გამოსცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. I ტ. გამოვიდა 1899 წ., მასში შესულია 1362-1848 წწ. 431 საბუთი: II ტ. – 1909 წ. გამოქვეყნებულია XI-XIX სს. 609 საბუთი: III ტ. – 1910 წ., შეიცავს 1408-1836 წწ-ის 587 საბუთს. 1911 წ. დაიბეჭდა IV ტ-ის პირველი თაბახი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ბეჭდვა შეწყდა (ეს თაბახი გამოქვეყნდა 1926 წ. ს. ჯანაშიას რედაქტორობით, როგორც III ტ-ის დამატება – 8 საბუთი 1170-1477 წწ.). აღსანიშნავია, რომ I ტომის მთელი ტირაჟი თითქმის მთლიანად დაიწვა (გადარჩა რამდენიმე ცალი). სამივე ტომი შეიცავს ყველა სახის დოკუმენტს – სამეფო სიგელებს, წყალობის, შეწირულობის და სხვა წიგნებს, სასისხლო სიგელებს, სასამართლო დადგენილებებს, არზებს, ოქმებს, მიმწერებს და სხვ. 1970 წ. ჯაკახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა „საქართველოს სიძველენის“ სამივე ტომის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები (შემდგენელი – ლ. დავლიანიძე).

სალეთოობა // სამლთოობა – სასალხო რელიგიური დღესასწაული, ღვთაებასადმი მიძღვნილი დღეობა, რომელსაც მართავდა სოფლის თემი, ან ოჯახი. კოლექტიურ საღვთოობას იხდიდნენ დარ-ავდრის, ზვინა-თესვის, ჭირნახულის სოუსვის, გადამდებ სნეულებათა არიდების და სხვა მიზნით.

სალეთო სჯული – ზოგადი გაგებით, ყოველგვარი მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც ასწავლის ამ სარწმუნოების მიმდევარ ცხოვრებისა და მოღვაწეობის აუცილებელ, საკმადებელ ზნეობრივ ნორმებს. სპეციფიკური გაგებით ესაა XIX ს-ში რუსეთისა და საქართველოს დაწყებით და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო საგანი, რომლის მიზანი იყო, მოსწავლეთათვის ესწავლებინა რელიგიური ჭეშმარიტებანი და ზნეობრივი წესები, დამყარებული სარწმუნოების მოძღვრებაზე, აგრეთვე მიეწოდებინა ცნობები ღვთისმსახურების, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო კანონმდებლობისა და სხვ. შესახებ.

„საღმრთო მსხვერპლი“ – იხ. უსისხლო მსხვერპლი.

საღმრთო წერილი – იხ. ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები).

საღოლაშენი – სოფელი ქარელის რ-ნში. მდ. აღმოსავლეთის ფორნის მარცხ. მხარეს, ქარელიდან 6 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერებით. საღოლაშენის ეკლესიიდან არის წამოღებული X ს. სამღვდელმთავრო მიტრის ფრაგმენტები და X ს. ხატის ჩარჩო.

ცნობილია სალოლაშენის X-XI სს-ების ოთხთავი.

საყაერე – სოფელი გორის რ-ნში, მდ. თეძმის ხეობაში, გორიდან 40 კმ. სოფელში დგას წმ. გიორგის XV ს. ეკლესია. შემონახულია ლაპიდარული წარწერები და ეკლესიის შიდა მოხატულობა.

საყდარი – ადგილი საკურთხეველში ტრაპეზის უკან, სადაც ამაღლებულ ადგილზე იდგმება მღვდელმთაყრის კათედრა და გვერდით – მღვდელთა დასაჯდომი.

2. საყდარი ხშირად იხმარება ეკლესიის, ტაძრის მნიშვნელობითაც, იმ გაგებით, რომ ყოველი ეკლესია, ანუ ტაძარი არის უფლის საბრძანებელი ტახტი. ამასთანავე „საყდარი" ხშირად ეწოდება სამღვდელმთაყრო კათედრალურ ტაძრებსაც.

საყდარი – სოფელი ლენტების რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ლენტეხიდან 12 კმ. სოფლის მახლობლად დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია („ჯგრაგ"), რომელშიც შემორჩენილია XVI ს. მოხატულობის ფრაგმენტები და ფრესკული წარწერები. ეკლესია ნაგებია გათლილი ქვით. ეკლესიაში ადრე ქვის კანკელიც ყოფილა, რომელიც შემდეგ ხის კანკელით შეუცვლიათ. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. საყდრის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცულია: ღვთისმშობლის XI ს. ხატი (ტახტზე), XI ს. ხატი დეისუსის გამოსახულებით, ქვითი წმ. გიორგის XI ს. ხატი და საკურთხეველის წინ აღსამართავი X ს. ორი ჯვარი. სიძველენი ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშებს მიეკუთვნება.

საყდარნი – ანგელოზთა 9 დასიდან ერთერთი. ანგელოზთა იერარქიაში „საყდარნი" უმაღლესი იერარქიის მესამე ხარისხი უჭირავთ (სერაფიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი).

საყუნეთი – სოფელი ახალციხის რ-ნში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ახალციხიდან 22 კმ. სოფელში დგას XV-XVI სს. მცირე ზომის დარბაზული ერთაბსიდიანი ეკლესია, შესასვლელით სამხრეთიდან. კამარა პილასტრებზე ამოყვანილ სახჯენ თაღს ეყრდნობა. ეკლესიის შიდა კედლები უხვად დამუშავებული ქვითაა ამოშენებული. ეკლესია შელესილი და მოხატული ყოფილა, რისი კვალიც კიდევ შემორჩენილია. გარედან ეკლესია ჩასულია ნასერტიან ქვის პერანგში. დასავლეთის ფასადის სარკმლის თავზე გამოსახულია მოწუქურთმებული ჯვარი, რომლის სამიე მკლავი რელიეფური ბურთულებით არის დასრულებული, საფუძველი კი უშუალოდ სარკმლის საპირეს ერწყმის.

საშაბათო – შაბათი დღის ღვთისმსახურება.

საშინელი სამსჯავრო – სახარებისეული მოძღვრებით, სამსჯავრო, რომელსაც მაცხოვარს იესო ქრისტე მეორედ მოსვლის დროს. სახარების სიტყვებით „არცაღა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა... და კელმწიფებაჲ მოსცა მას საშჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძე კაცისაჲ არს" (იოან. 5,22 და 27). „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებისა თჳსისათა... და შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინეს ურთიერთას..." (მათე 25, 31, 32). „და წარაყენნეს ანგელოზნი თჳსნი საყოფითა ძახილითა და შეკრბენეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჲთ, ეიდრე კიდემდე მათა" (მათე 24,31). „და შეკრბენ სუეჳისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულებისანი" (მათე XIII, 49). „და განაშორონ უკეთურნი იგი შორის მართალთა" (იქვე, XIII, 49). მოციქულთა მოძღვრებით, „ჩუენ ყოველნი განცხადებულად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან კორცთა მათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი" (2 კორ. V, 10). ღმერთი დასჯის „მოქმედსა ბოროტისასა, პერიასა პირველად და მერე წარმართისა, ხოლო მიანიჭებს დიდებასა, პატივსა და მშჳდობასა ყოველსა მოქმედსა კეთილისასა, პერიასა პირველად და მერმე წარმართისა" (რომ. 2, 9-10). იესუ ქრისტეს მიერ განისჯებიან ცოცხლები და მკუდრები (2 ტიმ. 4,1), აგრეთვე ბოროტი ანგელოზები (2 პეტ. 2,4) და „ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას სასჯელისასა" (მათე 12,36). მართალთა მსაჯული ეტყვის: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ" (მათე 25,34), ხოლო ცოდვილები მოისმენენ ასეთ განაჩენს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთა" (მათ. 25,41).

საცეცხლური – იხ. სასამკელე.

საკელისი – ისტორიული პუნქტი აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. ალგეთის მარცხ. შენაკადის, ამლეთისწყლის აღმოსავლეთით, სოფ. ამლეთიდან (თეთრი წყაროს რ-ნი) 2 კმ. და-

შორებით. „საძელისი“ მონასტრის სახელიდან, რომელიც აქ არსებულა. დღეს აქ შემორჩენილია მაცხოვრის ეკლესია, რომელიც აგებული უნდა იყოს XVIII ს-ში.

საძმელე — მიცვალებულის საგანგებო დასაკრძალავი ადგილი, სათაფლი უპირატესად ტაძრებისა და ეკლესიების იატაკქვეშ ან ცალკე, მათთან ახლოს, რომლებშიც ასაფლავებდნენ ოჯახის ან მთელი საგვარეულოს წევრებს. საძვალე მრავალგზის და ხანგრძლივად გამოსაყენებელი, ჩვეულებრივ, მოზრდილი, კარიან-ტახტრევნიანი საკრძალავია, აგებული ან კლდეში გამოკვეთილი, რომლის გაღება და კვლავ დახურვა შეიძლებოდა.

საძმორი — ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით (XI ს.), ქართლის მეფე არჩილ II (მოწამე და წმინდანი) „მოეიდა... კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და ახზაურ ჭყონ იგინი, ალაშენა ეკლესია საძმორს“ (ქართ. ცხ. I, 243).

საწამებელი ეპისტოლე — იხ. დასამტკიცებელი ეპისტოლე.

საწიბნე — იხ. ბიბლიოთეკა.

საწინასწარმეტყველო — ქრისტიანული ეკლესიის ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც შეიცავს წმინდა წერილიდან, ძირითადად, ძველი აღთქმის დიდი და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან გამოკრებილ საკითხავებს. X ს-მდე ცალკე კრებულის სახით არ გვხვდება და ლექციონარში შედის. გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა საწინასწარმეტყველოს ტიპის კრებული „სწელიწდოჲ საწინაჲსწარმეტყველოჲ“ (H 1350). საკითხავები საწინასწარმეტყველოდან ძირითადად ეკლესიაში იკითხება მწუხრის ღვთისმსახურებაზე, უმეტესად დღესასწაულთა წინადღით და დღესასწაულთან აქვთ შინაარსობრივი დამოკიდებულება. საკითხავების რაოდენობა სხვადასხვა დღესასწაულებზე ერთნაირი არ არის. ძირითადად მათი რიცხვი სამია: ხარებაზე — 5, შობის წინადღეს — 13, დიდ შაბათს — 15 და ა. შ. დაწვრილებითი ცნობები მოცემულია საეკლესიო ტიპიკონში.

საშუალე — იხ. სადიაკვნე.

სახარება — ახალი აღთქმის პირველი ოთხი წიგნის საერთო სახელწოდება, რომლებშიც წარმოდგენილია ხარება იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრებისა და მოძღვრებისა. რადგან სახარება ოთხია, ოთხი მახარებლის (მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე) მიერ დაწერილი, მას ოთხთაესაც უწოდებენ. პირველ სამ სახარებას სინოპტიკურს უწოდებენ. (მათეს, მარკოზისა და ლუკასი), რადგან ისინი მსგავსი არიან შინაარსით და სტრუქტურით (ეს ტერმინი XVI ს. ადრინდელი არ არის). სახარების დაწერის დრო არ არის ზუსტად დადგენილი, მაგრამ უნდა განისაზღვროს I ს. II ნახევრით. ახალი აღთქმის პირველი წიგნები, რა თქმა უნდა, მოციქულთა ეპისტოლეები იყო. მათეს სახარება დაახ. 50-60 წწ-ში დაიწერა, მარკოზისა და ლუკას სახარება — რამდენიმე წლით გვიან, მაგრამ არა უგვიანეს 70 წლისა (ე. ი. იერუსალიმის დანგრევამდე), ხოლო იოანესი — I საუკუნის ბოლოს. სახარებები შეიქმნა ბერძნულ ენაზე (მაგრამ არა კლასიკური, არამედ ე. წ. ალექსანდრიულზე, რომელიც რომის იმპერიის მრავალტომიანი ხალხებისათვის გასაგები იყო, რადგან მისი ცოდნა აუცილებლად ითვლებოდა). მახარებლებიდან მათე და იოანე მოციქულები ქრისტეს მოღვაწეობის თვითმხილველნი იყვნენ. არსებობს უძველესი რწმენა, რომ მარკოზზე დიდი გავლენა იქონია პეტრე მოციქულმა. ლუკა თვითონ ამბობს, რომ მას არ უხილავს ქრისტე (თუმცა იგი ეკუთვნის 70 მოციქულთა რიცხვს). ლუკამ, რომელიც უახლოესი მოწაფე იყო პაელე მოციქულისა, თაყის სახარებაში გამოხატა პაელე მოციქულის ნააზრევი. სინოპტიკური სახარებები მოგვითხრობენ ქრისტეს მოღვაწეობას გალილეაში, ხოლო იოანესი — იუდეაში. პირველნი ძირითადად მოგვითხრობენ სასწაულებზე, იგავებზე და, საერთოდ, ქრისტეს ცხოვრების გარეგნულ მოვლენებზე, ხოლო იოანე მსჯელობს ქრისტეს მოძღვრების შინაარსზე. ერთი სიტყვით, ოთხივე სახარება ავსებს ერთმანეთს და იძლევა იესო ქრისტეს — ღმერთკაცის სრულ სახეს. ძველი ქრისტიანები ოთხთაეს, ე. ი. ოთხი მახარებლის თხზულებას აღარებდნენ ედემიდან გამომდინარე ოთხ მდინარეს, რომლებიც რწყავდნენ ღვთიურ სამოთხეს. ოთხი სახარების სიმბოლო იყო საიდუმლო ურმისთაეი, რომელიც წინასწარმეტყველმა ეზეკიელმა იხილა მდინარე ქობარის პირას (I, 5-26), რომელიც შედგებოდა ოთხი ოთხსახიანი არსებისაგან, რომელიც შიაგონებდა ადამიანს, ლომს, ზვარაკს (ხბოს) და არწივს. სწორედ ეს არსებანი გახდნენ მახარებელთა სიმბოლოებად. V საუკუნიდან ქრისტიანული ფერწერა მათეს გამოსახავს ადამიანთან ან ანგელოზთან ერთად, მარკოზს — ლომთან, ლუკას — ზვარაკთან და იოანეს — არწივთან. სიმბოლოთა ასეთი განაწილება მახარებლებს შორის — ემყარება იმ აზრს, რომ მათე თაყის

სახარებაში განსაკუთრებით გამოყოფს იესო ქრისტეს ადამიანურ და მესიანისტურ ხასიათს, მარკოზი წარმოადგენს ქრისტეს ფილიპეშემძლეობას და მეუფებას, ლუკა ლაპარაკობს ქრისტეს უპირველეს მღვდელმთავრობაზე (რომელსაც უკავშირდება ზეპარაკის მსხვერპლშეწირვა), ხოლო იოანე, ნეტარი აგუსტინეს სიტყვებით, „როგორც არწივი, ფრენს ადამიანური უძლურების ღრუბელს ზემოთ".

სახარება მათეს ოთხ სახარებას შორის უძველესად ითვლება. მათე მოციქულს სახარება, გადმოცემის მიხედვით, ებრაულ ენაზე უნდა დაეწერა, რადგან იგი გამიზნული იყო თანატომელთათვის, განსაკუთრებით კი „მწივნობართათუს" საღთო სიტყვის სწავლებისათვის. ჩვენამდე მხოლოდ მისმა ბერძნულმა თარგმანმა მოაღწია, რომელიც დედნის დაწერიდან სულ მალე ითარგმნა. მახარებელი მათე მოქცეულ ებრაელებს უხსნის სახარების დანიშნულებას და უმტკიცებს, რომ იესო არის ის მესია, რომელსაც ისინი მოელოდნენ. იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოერების მოვლენების აღწერისას მათე ყოველ ხელსაყრელ მომენტში აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს მჭიდრო კავშირშია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებასთან, ამიტომ ხშირად ეხედებით ფრაზებს: „ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, პირითა წინასწარმეტყუელისაჲთა თქუმული" (I,22), „რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, წინასწარმეტყუელისა მიერ" (II,15) და სხვ. მათეს სახარებაში დასტურდება 65-მდე მითითება ძველ აღთქმაზე, მათ შორის 43 – ზუსტი ციტირებით. მათეს სახარება 28 თავს შეიცავს, რომელიც იწყება ქრისტეს გენეალოგიით აბრამიდან და მთავრდება უფლის გამომშვიდობებით მოციქულებთან ამაღლების წინ.

სახარება მარკოზისი წარმოადგენს ქრონოლოგიურად მეორე სახარებას. მისი ავტორი მარკოზი ახალგაზრდობაში ორმაგ სახელს ატარებდა – იოანე-მარკოზი. პეტრე მოციქულის მსმენელთ უნდოდათ, წერილობით ჰქონოდათ მოციქულის მოძღვრება. ამ თხოვნის შედეგად მარკოზმა წერილობით დააფიქსირა ყველაფერი, რაც პეტრე მოციქულისაგან გაიგონა ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების შესახებ. მარკოზის სახარება განკუთვნილი უნდა ყოფილიყო წარმართებისათვის. სახარებაში იშვიათად არის მითითება ძველ აღთქმაზე, მაგრამ ხშირად არის განმარტებული სხვადასხვა ებრაული ჩვეულება თუ რიტუალი (ბალარული, ფესთა, ხელთა და ჭურჭლის განბანა). მარკოზს სახარება რომში უნდა დაეწერა ან ალექსანდრიაში. სახარება 16 თავს შეიცავს, იწყება იოანე ნათლისმცემელის გამოჩენით და მთავრდება, თუ როგორ წავიდნენ მოციქულები ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად უფლის ამაღლების შემდეგ. ზოგიერთის აზრით, მარკოზს თავისი თავიც უნდა ჰყავდეს შეყვანილი სახარების თხრობაში (XIV 51-52).

სახარება ლუკასი არის ოთხთავის მესამე თავი, რომელიც დაუწერია პაულე მოციქულის მოწაფეს და მხლებელს პაულეს სამისიონერო მოგზაურობაში – ლუკას. სწორედ პაულე მოციქულის ღრმა განმარტებებს ქრისტეს მოძღვრებისა უნდა შეეგროვებინა ლუკასთვის სახარების დაწერა, რომელიც მიძღვნილია ვილაც თეოფილესადმი. სახარება გამიზნული უნდა იყოს იმ ქრისტიანების დასამოძღვრად, რომლებიც წარმართობიდან მოეიღნენ. სახარებაში ქრისტეს გენეალოგია იწყება არა აბრაამიდან, როგორც ეს მათეს სახარებაშია, არამედ ადამიდან, როგორც ადამიანთა მოდგმის დამწყებისა, და მთავრდება იესო ქრისტეს ამაღლებით. ლუკას სახარებაში იესოს ცხოერება წარმოდგენილია უმთავრესად ისტორიული რაკურსით (განსაკუთრებით პირველ თავებში).

სახარება იოანესი, ქრონოლოგიურად ოთხთავის ბოლო, მეოთხე სახარება, დაუწერია იესო ქრისტეს „საყურელ მოწაფეს", იოანე მოციქულს, რომელმაც თავისი ღრმააზროვანი მოძღვრების გამო სიტყუა-ღმერთის შესახებ, მიიღო ზედწოდება „ღმრთისმეტყველი". იერუსალიმის დანგრევის შემდეგ (70 წ.) ეფესო გახდა ქრისტიანული ეკლესიის ცენტრი აღმოსავლეთში, რადგან აქ ძველთაგანვე თაეს იყრიდა ბერძნული და აღმოსავლური აზროენება, რომელიც ხშირად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ამ ეთაერებაში საჭირო იყო რწმენის სახელმძღვანელო, რომელიც ეკლესიას ააცილებდა დაბნეულობასა და შეცდომებს. იოანე მოციქულის სახით ეფესელებს ჰყავდათ ადამიანი, რომელიც მოწმე და თეითმხილველი იყო ქრისტეს ღუაწლისა და შეეძლო აღეწერა ქრისტეს ქვეყნიური ცხოერება. იოანეს სახარება დასაწყისშივე აუსებს იმ ხარვეზს, რომელიც აქონდათ მის წინამორბედ მახარებლებს. იგი იწყებს თხრობას იმით, რომ ქრისტე არის დაუსაბამო სიტყუა, ლოგოსი, რომელიც იყო „ღმრთისა თანა და ღმერთ იყო სიტყუაჲ იგი" (I,1), რომლისგანაც წარმოიშვა ყოველი არსებული. იოანე მოციქული აუსებს წინამორბედ მახარებელთა სახარებებს და აღწ-

ერს იესო ქრისტეს მოღვაწეობას ძირითადად ულუაში, დაწერილებით გადმოგვცეს იესოს მიერ იერუსალიმში ჩასვლას დიდი დღესასწაულების დროს, სხვა პილიგრიმებთან ერთად.

იოანეს სახარება შედგება 21 თავისაგან და მთავრდება ავტორის მოწმობით, რომ „ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს ამისთჳს და რომელმან დაწერა ესე, და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი“ (იოან. 21, 24. იხ. ითხთაკი).

„სახარებანი ათერთმეტნი საკჳირაო საცისკრონი“ – ოთხივე სახარებიდან გამონაკრები 11 თავად, ანუ სახარებად, რომლებიც იკითხება კვირა დღეებში ცისკრად მთელი წლის განმავლობაში ასეთი თანმიმდევრობით: 1. მათე 28, 16-20. 2. მარკ. 16,1-8. 3. მარკ. 16,9-12. 4. ლუკა 24, 1-12. 5. ლუკა 24, 12-35. 6. ლუკა 24, 36-53. 7. იოანე 20, 1-10. 8. იოანე 20,11-18. 9. იოანე 20, 19-31. 10. იოანე 21,1-14. 11. იოანე 21,15-25.

ბოლო სახარების საკითხავის შემდეგ კითხვა მეორდება იმავე რიგით.

სახარებანი ათორმეტნი ვნებისანი – წმ. ოთხთაკიდან 12 თავად, ანუ „12 სახარებად“ გამოკრებილი საკითხავები, რომლებიც იკითხება ვნების კვირის „დიდ ხუთშაბათს მწუხრზე და პარასკევს ცისკრად. მათი თანმიმდევრობა ასეთია: 1. იოანე 13,31-დან – 18,1-მდე. 2. იოანე 18,1-28. 3. მათე 26,57-75. 4. იოანე 18,28-19,16. 5. მათე 2,3-32. 6. მარკოზ 15-16-32. 7. მათე 27,33-54. 8. ლუკა 23,32-49. 9. იოანე 19,25-37. 10. მარკოზ 15,43-47. 11. იოანე 19,38-42. 12. მათე 27,62-66.

სახიერი – კეთილი, კეთილისმყოფელი; ღვთის ერთ-ერთი ეპითეტი.

სახისმეტყველება – ალეგორიულ-სიმბოლური გამოხატვის აღმნიშნელი ძველ ქართული ტერმინი, სახეებით აზროვნება. „სახისმეტყველების“ ყველაზე კარგი ნიმუშებია ძველი და ახალი აღთქმის ცალკეული ადგილები თუ მთელი წიგნები, საიდანაც იგი დამკვიდრდა ძველ საეკლესიო მწერლობაში.

სახსენებელი – იხ. ხსენება.

საბა – სოფელი დმანისის რ-ნში, გომარეთის პლატოზე, დმანისიდან 21 კმ. სოფლის მახლობლად შემორჩენილია თლილი ქვით ნაგები XI ს. ეკლესია. ეკლესია დაზიანებულია. კარნიზი შემკულია თაღების მწკრივით. კარის თაღზე წარწერაში იხსენიება მელქისედეკ კათოლიკოსი.

საბაბანაო – სოფელი სამტრედიის რ-ნში (ყოფილი ორპირი), მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, სამტრედიიდან 8 კმ. სოფლის მიდამოებში (ქორისუბანი) შემორჩენილია: 1. განეთარებული შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც შემოუნახავს მოხატულობის კვალი; 2. სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც „გამოჩინებულს“ უწოდებენ და რომლის მთავარი ნაგებობა – წმ. გიორგის ეკლესია 1519 წ. არის აგებული. სხვა საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთებიც დასხ. შუა საუკუნეებისაა.

საბაბ თბილელი – თბილისის ეპისკოპოსი V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში. „საბაბ ტფილელი ეპისკოპოსი“ მოხსენიებულია აბრაამ სომხთა კათოლიკოსის შესახებ ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი... გვ. 139), რომელიც ქართლის სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით, დასწრებია დვინის 506 წ. სომეხ-ქართველ-ალბანელთა საეკლესიო კრებას, მოწვეულს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (450 წ.) დადგენილებების წინააღმდეგ.

საბაბ მონაზონი – იგივე ისააკ ასური, მონაზონი, VII ს. საეკლესიო მწერალი. მისი ერცელი ასკეტიკური „სწავლა“, რომელიც 42 თავისაგან შედგება და მონაზონთა დასამძღვრად ყოველმხრივ შეგონებებს შეიცავს, შემონახულია Xს-ის ხელნაწერებში (A 35; A 1101; და სხვა) და თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ Xს. მიწურულს.

საბაბ პართევნელი – სომხეთის კათოლიკოსი VI ს-ში. საბაკი ყოფილა ძე ნერსესი, „რომელი იყო მეექუსე ნათესაჲი წმიდისა გრიგოლისაჲ“. საბაკის გარდაცვალების შესახებ მოკლე თხზულება „აღსრულებაჲ წმიდისა საბაკისი პართევისაჲ“ თარგმნილია ქართულად დაახ. IX ს-ში და შეტანილია X ს. ხელნაწერში (Ath. 8, X ს., 249-250).

სებასტიანე მოწამე – ეწამა დიოკლეტიანე და მაქსიმიანე იმპერატორების ერთობლივი მმართველობის დროს (284-305), სხვა 11 მოწამესთან ერთად. სებასტიანე დაიბადა გალეთის ქ. ნარბონში, განათლება მიიღო ქ. მედიოლანში. იყო იმპერატორის სასახლის დამცველი რაზმის უფროსი. ამავე დროს იგი ფარული ქრისტიანი იყო. სებასტიანემ თავისი სასწაულთმოქმედებით მრავალი წარმართი გააქრისტიანა. მათი რიცხვი 1400 აღწევდა. როდესაც მათი ქრისტიანობა გამომეღავნდა, სებასტიანემ და 11 გაქრისტიანებულმა გადაწ-

ყოფა ქრისტესთვის წამებულიყვნენ: პირველად აწამეს წმ. ზოია, იმპერატორის სახლთუხუცესის; ნიკოსტრატეს მეუღლე, იგი ჩამოახრჩვეს საკუთარი თმებით, ხოლო გვამი მდ. ტიბრში გადააგდეს. წმ. ნიკოსტრატეს, კასტორს, კლაუდიუსს, მის შვილს სიმფორიანეს და ამა ჰიპტორინეს ყელზე ქვები ჩამოკიდეს და ზღვაში დაახრჩვეს. ყრმა ტიბურტინეს თავი მოჰკვეთეს, დიაკონი მარკელინე ცოცხლად დამარხეს. დიაკონი მარკოზი და სამეფო კარის მოხელე კასტული შებორკილი განგმირეს. ყველაზე ბოლოს აწამეს წმ. სებასტიანე. იგი თვით იმპერატორმა დაკითხა და ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა, რაზედაც მტკიცე უარი მიიღო. სებასტიანე ქალაქგარეთ გაიყვანეს, ზეზე მიაბეს და ისრებით დაცხრილეს. ღამით მოვიდა მოწამე კასტულის მეუღლე ირინე, რათა სებასტიანეს გვამი დაემარხა, მაგრამ სებასტიანე ცოცხალი იყო. ირინემ წმ. სებასტიანე სახლში წაიყვანა და განკურნა. წმ. სებასტიანემ იხილა იმპერატორები წარმართთა ტაძართან და საჯაროდ ამხილა ისინი უწმინდურებაში. იმპერატორთა ბრძანებით წმ. სებასტიანე იმთხრობაზე წაიყვანეს და სიკვდილით დასაჯეს. გვამი ხეში გადაადგეს. ქრისტიანმა ქალმა ლუცინამ მისი გვამი კატაკომბებში დაასაფლავა. წმ. სებასტიანეს და მასთან ერთად წამებულთა „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად ხვიმონ მეტაფრასტს შეუდგენია X ს. ბოლოს, ქართულად ითარგმნა დაახ. XI ს. I ნახევარში და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (Jer. 2, XI-XII სს. 162-168; ჯუმ. 5, XVI ს. 313-327). მოწამეთა ხსენების დღე 18 დეკემბერსაა დადებული.

სებპოსი – VII ს. სომეხი ეპისკოპოსი და ისტორიკოსი. თავის „ისტორიაში" სხვა საკითხებთან ერთად სებეოსს მოეცემული აქვს საგულისხმო ცნობები საქართველოს შესახებ.

სევერიანე გაბალონელი (†408) – გაბალონიის (სირიაში) ეპისკოპოსი IV ს. II ნახევარში და V ს. დასაწყისში (გარდ. სხვადასხვა ცნობით 408, 415, 430 წ.), ცნობილი საკლესიო მწერალი და განთქმული მქადაგებელი. სევერიანემ, როდესაც იგი კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა, დიდი გაკვირვება მოახდინა ეფუძსია დელფიელზე. განსაკუთრებით აფასებდა მას იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი. ზოგჯერ, როდესაც ოქროპირს ხანგრძლივი დროით წასვლა უხდებოდა, ეპარქიის მართვას სევერიანეს ანდობდა. მაგრამ სევერიანე გაბალოვნელმა იოანე ოქროპირის წინააღმდეგ ინტრიგა წამოიწყო. პატრიარქმა სევერიანეს კონსტანტინეპოლში ქადაგება აუკრძალა. დროებითი შერიგების შემდეგ უმაყოფილებამ ისევ იჩინა თავი და სევერიანე კონსტანტინეპოლიდან გაასვენეს. ამიტომ სევერიანეს ქადაგებების ტექსტსა ჩვენამდე შედარებით მცირე ოდენობით მოაღწია. სევერიანეს ქადაგებებზე ლმერთმა ლაპარაკობენ ისტორიკოსები: სოკრატე, სოზომენი, პალადიუსი, ისიდორე სველილელი. სევერიანე გაბალოვნელის ბევრ ქადაგებას იმდროინდელ სხვა ავტორებსაც მიაწერდნენ (იოანე ოქროპირს, ბასილი დიდს და სხვ.). სრული სახით თუ ფრაგმენტებად ცნობილია სევერიანეს 107-109 ქადაგების დასახელება. თანამედროვენი მას თელდნენ უგანათლებულეს პიროვნებად.

სევერიანე გაბალოვნელის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართულად თარგმნილია: I. საკითხავი მოციქულთა (A 144, X ს. 316-325); 2. საკითხავი მარტვილთათვს (A 144, 260-269); 3. საკითხავნი ბზობისანი (Sin. 86, 43-52), 4. ქადაგება: („ნუ ნებასა შენთაებრ ითხოვ. Sin. 35, 39); 5. „ექუსთა დღეთა", რომელიც წარმოადგენს კომენტარს ბიბლიური თხრობისა „შესაქმიდან", რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერებოდა (ავტორობის საკითხი გაარკვია თ. ჭყონიამ). სევერიანე გაბალოვნელის ამ თხზულების მდიდარი ლექსიკა და სალითხმეტყველო ტერმინოლოგია სპეციალური სამეცნიერო შესწავლის საგანი გახდა (იხ. ე. ჭელიძის ძველი ქართული სალითხმეტყველო ტერმინოლოგია სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთას" ქართული თარგმანის საფუძველზე. თბ. 1996, 692 გვ.).

სევერიანე სებასტიელი – ეწამა ლიკინიოს იმპერატორის (307-324) დროს 39 კაპადუკიელ მეომარ ქრისტიანთან ერთად 320 წ. სომხეთის ქ. სებასტიაში, ქრისტიანული სარწმუნოების აღსარების გამო. ისინი ცეცხლში დაწვეს, ხოლო დაშეკვარი გვამები ტყეში გადაყარეს. ქრისტიანებმა სებასტიის ეპისკოპოსის, პეტრეს თაოსნობით. ღამით შეაგროვეს მოწამეთა წმ. ნაწილები და დამარხეს. სევერიანე სებასტიელისა და მასთან ერთად წამებულთა „წამების" მეტაფრასული თხზულება ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: XI ს. შუა წლებში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, XI ს. 40-57) და დაახ. XI ს. II ნახევარში უცნობი მთარგმნელის მიერ (ჯუმ. 4,

1565 წ. 113-120). ქართული თარგმანების მიხედვით მოწამების ხსენების დღე 9 იანვარია, ხოლო სხვა წყაროებით – 9 მარტი.

სეითი // სეთ თარგმანი – იერუსალიმის საბა განწმენდილის ლავრის VIII ს. II ნახევრისა და IX ს. I ნახევრის ქართველი მოღვაწე, მთარგმნელი. სეითის ნათარგმნი პაგიოგრაფიული თხზულებები თავმოყრილია X ს. ცნობილ სინის მთის ხელნაწერში (Sin. 11), რომელიც გადაწერილია „სალავრას კელთა პავლესთა". ამ კრებულის 240 ფურცელზე შემორჩენილია შენიშვნა: „თარგმა იერუსალიმს კელთა სეით თარგმანისაჲთა". სეით თარგმანს ძირითადად გაღმერთული უძველესი ქრისტიანი მოწამეების (III-IV) 25 კომენური თხზულება, ძირითადად ბერძნული ენიდან (ნ.გოგუაძე მას მხოლოდ ერთი თხზულების მთარგმნელად მიიჩნევს), თუმცა ზოგიერთი „წამება" შეიძლება არაბულიდანაც იყოს თარგმნილი (ქ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 133-134).

სემი – ბიბლიური გაღმერთებით, ნოეს უფროსი ვაჟი (შესაქ. VI), მრავალრიცხოვანი შთამომავლობის წინაპარი. სემი დაბადებულა, როცა მამამისი ნოე 500 წლის ყოფილა. სემი თაესი ცოლ-შვილით გადარჩა წარღვნის დროს, ნოეს მიერ გაკეთებული კიდობნით და ცხოვრობდა 500 წელი ვაჟიშვილის, არფაქსადის დაბადების შემდეგ (სხვა ვაჟები – ელამუასური, ლუდი და არამი). სემი და იაფეტი სარგებლობდნენ მამის კურთხევით თავისთან კრძალულებით, ხოლო ქამი ნოემ დაწყევლა მისადმი ურჩობისა და უპატივცემულობისთვის. სემი ითელება სემიტური ხალხების წინაპრად.

სენაჰი – მონაზონის საცხოვრებელი პატარა განცალკევებული ოთახი მონასტერში, ან მონასტრის ახლოს. მონასტერში საცხოვრებელი ადგილის უკმარისობის შემთხვევაში მონაზონს ნება ეძლეოდა საკუთარი სახსრებით აეგო მონასტრის ტერიტორიაზე, ან, თუ სურვილი ექნებოდა, მონასტრის ახლოს საკუთარი სენაკი. ხშირად მონაზონად შეხვედრი ყოფილებდა სენაკში ცხოვრების უფლებას და თვითონ ირჩევდა მონაზენური ცხოვრების რომელიმე სახეს, ზოგჯერ უფრო მკაცრს, ვიდრე სამონასტრო ტიპიკონით იყო განსაზღვრული, ანდა პირიქით. ზოგჯერ მდიდარი საერო პირი, რომელიც მონაზონობას იღებდა, დიდძალ შესაწირავს აძლევდა მონასტერს და პერიოდულად შესატანი შეჰქონდა მონასტრის სასარგებლოდ, რათა თავისუფალ ყოფილიყო სამონასტრო სამუშაოებიდან, კომფორტულად მოეწყო თავისი სენაკი, ჰყოლოდა მსახური და ა. შ., მაგრამ მათ ეკრძალებოდათ მონასტრის ეზოში შესვლა. საეკლესიო და საერო ხელისუფლება ხშირად ზღუდავდა მესენაკეთა რიცხვს და ზოგჯერ საერთოდ მესენაკეობას, რადგან ისე წარმოადგენდა სამონასტრო რეჟიმიდან გადახვევას. სამონასტრო წესდებით მესენაკეები სრულ მორჩილებაში უნდა ყოფილიყვნენ მონასტრის წინამძღვრისა, რომელსაც შეეძლო სამონასტრო წესების დარღვეებისათვის მესენაკისათვის არა მარტო ჩამორთმია სენაკი ცხოვრების უფლება, არამედ სულაც გაეძევებინა იგი მონასტრიდან.

მესენაკეობამ ფართო განვითარება მოიპოვა ათონის მთის მონასტრებში, სადაც ძველთაგანვე არსებობდა სენაკის შესყიდვის ტრადიცია.

სერაპიონი – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ათონის ქართველთა მონასტრის ბერი X-XI სს. მოღვაწე. სერაპიონს შეუმოსავს 1008 წ. არსენ ნინოწმინდელისა და იოანე გრძელისძის მიერ გადაწერილი იოანე ოქროპირის მთეს თაეის თარგმანის (Ath. 13) და სახარების სხვა თაეების თარგმანება, მათიეე გადაწერილი იმავე წელს (Ath. 4).

2. აწყურის მთავარეპისკოპოსი XV ს. I ნახევარში. ცნობილია (დაახ. 1427-1436 წწ.) სერაპიონ მაწყვერელის ერთგულების წიგნი თეოდორე კათოლიკოსისადმი (Ad 320, სამ. ძეგ. III, 185).

3. მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის აღაპებში (№ 21). „ჯვარისა პატიოსნისა ტრაპეზის მეორედ სრულობით აღმაშენებელსა და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმაშენებელსა ამაღლებულსა კუმურღოელსა სერაპიონს შეუნდეენ ღმერთმან (ე. მეტრეველი, მასალები, 124). აღაპი XV ს. ხელით არის დაწერილი. აღაპიდან ჩანს, რომ თავდაპირველად სერაპიონი კუმურდოს ეკლესიის მოღვაწე ყოფილა, შემდეგ ჯვარის მონასტერში მისულა და დიდი სააღმშენებლო-აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია, რასაც ადასტურებს არა მარტო აღაპი, არამედ ჯვარის მონასტერში გადაწერილ ხელნაწერთა მინაწერებიც.

4. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის მონაზონი XVს., ერისკაცობაში სულა ხურხიძე (ე. მეტრეველი, მასალები, 170).

5. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი დაახლ. 1719-1742 წწ-ში (ბ. ლომინაძე, I, 159).

6. მოწამე; დაჟინებით ითხოვდა ბერობაში მიღებას. 1917 წ. ბოლოს ეპისკოპოსად აკურთხეს და ხელდასხმით ალბანეთის ეპარქიის მმართველად დანიშნეს. 1918 წ. ალბანეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ალბანეთის კათალიკოსად აირჩიეს. 1919

კონსტანტინეპოლის პატრიარქი 610-638 წწ-ში, პრაკლე იმპერატორის მეგობარი და თანაშემწე. სერგის აქტიური მოქმედებით 626 წ. ავარი და სპარსელთა მიერ გარემოცული დედაქალაქი გადარჩა. დასავლეთის კანონისტ იურისტთა აზრით, პატრიარქ სერგის ეკუთვნის ნოშკანონის I რედაქცია (ცახრიე, ბინერი და სხვ.), ასევე მას თელიან ღვთისმშობლის ცნობილი ბერძნული დაუჯდომელის ავტორად, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 626 წლის გარემოცედან კონსტანტინეპოლის გადარჩენის აღსანიშნავად. დოგმატიკის ისტორიაში სერგი დარჩა, როგორც ერეტიკოს-მონოთელიტი, რომელმაც VI მსოფლიო კრების მიერ ანათემა დაიმსახურა. სერგის სურდა, მოერიგებინა მონოფიზიტობა ქალკედონის კრების დადგენილებებთან, ე. ი. დიოფიზიტობასთან, ჯერ კიდევ 610-617 წლებში. 622 წელს ირაკლი იმპერატორის დახმარებით მონოთელიტობა (ერთნებობა) იმარჯვებს. სერგის მოძღვრებაში რაიმე ერეტიკულს ვერ ხედავდა პონორიუს პაპი.

ქართულად თარგმნილია სერგი პატრიარქის „ხრობაჲ მარგებელი ძუელთა თხრობათაგან შერჩეულად მუწყებულად საკსენებელსა საკრველსა ქმნილისა სასწაულისა რაჟამს სპარსნი და ბარბაროზნი დედოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წარტყუენეს... ხოლო ქალაქი ესე უენებელად დაცული მეოხებითა ღმრთისმშობლისაჲთა მიერითგან წლითი-წლადა გალობასა შესწირაეს სამადლობელსა „დაუჯდომელად“ სახელმდებელი დღისა ამის“. თხზულების ვრცელი რედაქცია უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს (A 500, XI ს. 568-574), მოკლე რედაქცია – სტეფანე სანანოისძეს (A 5, 1756 წ. 233-245), ხოლო კიდევ უფრო მოკლე რედაქცია გადმოღებულია უცნობი მთარგმნელის მიერ (A 347; გამოც. თხზულების ქართული ვრცელი რედაქციის თარგმანის რუსული თარგმანი, შესრულებული მ. ჯანაშვილის მიერ – Материалы по истории и древн. Грузии и России, Тиф. 1912, с. 107-145.

სერგი მოწამე – ეწამა მაქსიმიანე იმპერატორის (284-305) დროს ქრისტიანობისათვის, დაახ. 300 წელს მოწამე ბაქოზთან ერთად. ისინი იმპერატორმა თაეის ჯარში მაღალ თანამდებობაზე დანიშნა, რადგან არ იცოდა, რომ ქრისტიანები იყვნენ. სერგი და ბაქოზი იმპერატორთან დასმინეს, რომ ისინი არ აღიარებდნენ წარმართულ ღმერთებს. იმპერატორმა მათ კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვა უბრძანა, რაზედაც უარი მიიღო. იმპერატორმა ბრძანა მათი განძარცვა სამხედრო ტანსაცმლისაგან, ქალის სამოსლის ჩაცმა და ხალხის სასაცილოდ ქუჩებში ტარება, მაგრამ ქედზე რკინის ხუნდების დადება. მოწამეები იმპერატორმა აღმოსავლეთ სირიის მმართველ ანტიოქთან გაგზავნა, რომელიც ქრისტიანების სასტიკი მტერი იყო, თანაც მაღალი თანამდებობა სერგისა და ბაქოზის დახმარებით ჰქონდა მიღებული. ანტიოქი ბევრს ეშდარა მოწამეებს, უარყოთ ქრისტიანობა, მაგრამ ვერ დაიყოლია. გამბედაობისათვის მმართველმა ბაქოზი ისე აცემინა შოლტებით, რომ იგი გარდაიცვალა, ხოლო სერგი საშინაოზე წარადგინეს სხვა ქალაქში, სადაც თავი მოჰკვეთეს. სერგისა და ბაქოზის „წამების“ კიმენური თხზულება, რომელიც ბერძნულად დაიწერა, ქართულად თარგმნილია დაახ. VIII-IX საუკუნეებში სუით თარგმანის მიერ (A 95, XI ს. 502-512; Sin. 11, X ს. 254-269), ხოლო მათი „წამების“ მეტაფრასული თხზულება ძველი კიმენურის საფუძველზე შეადგინა სვიმეონ მეტაფრასტმა X ს. ბოლოს და თარგმნილია ქართულად დაახ. XI ს. I ნახევარში (Jer. 37, XII-XIV სს. 51-60; Sin. 91, XIV ს. 17-28; ქუთ. 4, 1565 წ. 397-509). მათ ხსენებას ქრისტიანული ეკლესია 7 ოქტომბერს აღნიშნავს.

სერობა – მართლმადიდებლური ეკლესიის ყოველდღიური ღვთისმსახურების ბოლო ნაწილი, რომელიც სრულდება სამწუხარო ლიტვის შემდეგ. სერობა სათაყვანო იღების მონაზონთა უძველესი წეულებიდან, შეესრულებინათ ღვთისმსახურება მწუხრის შემდეგ თავ-თავიანთ სენაკებში. მწუხრისაგან სერობის გამოყოფილად ჩატარების ზოგადქრისტიანული პრაქტიკა VI ს. იწყება. ძველი ქრისტიანული საეკლესიო პრაქტიკა არ ყოფდა სერობას დიდ და მცირე სერობად. მოგვიანებით სერობა ორი სახის გახდა: დიდი სერობა და მცირე სერობა. დიდი სერობა მას ეწოდა იმიტომ, რომ ღვთისმსახურება გაგრძელებულია და სამი ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება წმინდა სპების პატივსაცემად. თითოეულ ნაწილს აქვს შესავალი და დამაგვირგვინებელი ლოცვები. დიდი სერობა სრულდება დიდმარხვის დღეებში და ცისკრის ლოცვასთან ერთად შობის, განცხადების (ე. ი. ნათლისღების) და აღების დღესასწაულებზე. დიდმარხვის პირველი შვიდეული სერობის ლოცვას უწოდებენ აგრეთვე „მეოთხენი“ (ბერძ. „ჩვენ თანა“), რადგან მხოლოდ ამ დღეებში იგალობება სერობაზე კანონი

„ჩუენ თანა არს“-ის მისამღერით.

მცირე სეროба არის შემოკლებული დიდი სეროба და აქვს მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც სრულდება ჩვეულებრივ დღეებში მწუხრის ლიტიის შემდეგ, აღდგომის შეიდეულის გარდა. როგორც დიდი, ასევე მცირე სერობის ლიტიაზე იგალობება და იკითხება ფსალმუნები, დიდებისმეტყველება, სარწმუნოების სიმბოლო, ჰიმნოგრაფიული კანონი, ღვთისმშობლის ლიტიები და ლიტიები ძილის წინ.

ქართულ წყაროებში დიდ სერობას ზოგჯერ „ათორმეტნი ფსალმუნნი“, ხოლო მცირეს – „ხადილსა ჩემსა“ ანუ „ხადილიანი“ ეწოდება, რადგან იწყება ფსალმუნით „ხადილსა ჩემსა“ (მე-4 ფსალმუნის დასაწყისი).

სპპარატისტები – გერმანული სექტანტები, რომლებიც 1817-1818 წწ-ში გადმოსახლდნენ საქართველოში და ამიერკავკასიაში და ცხოვრობდნენ 1941 წ-მდე.

სეპტუაგინტა // სეპტანტა – ძველი აღთქმის ბერძნული ტექსტის ის რედაქცია, რომლის თარგმნა ებრაულიდან სამოცდაათ მთარგმნელს მიეწერება, ახალი წელთაღრიცხვის II-III სს-ში. ძველი აღთქმის ეს ბერძნული რედაქცია რამდენადმე განსხვავდება ძველი აღთქმის სხვა ბერძნული რედაქციებისაგან (აკილას, სიმაქოსის და თეოდოტიონის მიერ ებრაულ დედანთან ნასწორები სეპტანტის ბერძნული ტექსტი).

სეფიეთი – სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, აბაშიდან 12 კმ. აბაშის მარცხენა ნაპირზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების სეფიეთის სამნაოსნიანი ბაზილიკა ერთი შეერილი ნახევარწრიული აბსიდით. ეკლესია ნაგებია ქვითა და აგურით, გამოყენებულია თლილი და ნატეხი ქვა. ეკლესია ადრე შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული, მაგრამ მრავალგზის გადაკეთების შედეგად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. დასაელეთით მიშენებული აქვს ეგეტერი. ეკლესიაც და მინაშენიც მოხატულია გვიან შუა საუკუნეებში. ღვეს მოხატულობა ფრაგმენტულად არის შემონახული. მოხატულობაში რელიგიური სიუჟეტების გარდა გვხვდება ისტორიულ პირთა ფრესკებიც (მოხატვის მოთაეის, ჭყონდიდელი ზოსიმე კოპლატაძისა, აბრამ ჭილაძის – ადგილობრივი ფეოდალისა და სხვ.). ეკლესიის ტერიტორიაზე ნაპოვნი ჯვრებითა და მზის გამოსახულებით შემკული სეეტისთაეი (დაცულია მარტეილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ამ ტერიტორიაზე არსებულ ძველ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს. ცნობილია ე. წ. „სეფიეთის განძი“, რომაული ეერცხლის მონეტები, რომელიც 1931 წ. აღმოჩნდა სეფიეთში (337 მონეტა 98-222 წლებისა).

სეფისკერი – საეფლო პური, რომელიც აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია ჟამისწირვაზე (ლიტურგიაზე) ზიარების საიდუმლოს შესრულებისათვის. უძველეს ქრისტიანულ რელიგიაში მორწმუნეების მიერ ეკლესიაში ჟამისწირვაზე მოტანილ ყოველგვარ შესაწირავს – ჰურს, ღვინოს და სხვ. „პროსფორა“ ეწოდებოდა. გამოიყენებოდა ევქარისტიის საიდუმლოს შესასრულებლად, ხოლო ნარჩენები – „სიყვარულის სერობის“ მოსაწყობად, რომელიც უშუალოდ ლიტურგიის შემდეგ ტარდებოდა. მას შემდეგ, რაც „სიყვარულის სერობა“ ლიტურგიას გამოეყო, შემოღებული იქნა სპეციალური პური, რომელსაც მორწმუნეები ილებდნენ წმ. ზიარების დროს და მას სეფისკერი ეწოდა. უძველესი დროიდან IV ს-მდე სეფისკერს, რომელიც სპეციალურად მზადდებოდა, გაბრტყელებული წრის ფორმა აქონდა, რომელსაც ზემოდან ამობურცული ფორმის ჯვრის გამოსახულება აგეირგეინებდა. მოგეიანებით ჯვართან ერთად უკეთებდნენ წარწერას IC XC NIKA, კონსტანტინე დიდის დროიდან ანალოგიურად. სეფისკერს მართლმადიდებელურ ეკლესიაში აცხობენ საფუარის დარეით, კათოლიკურში – უსაფუროდ. თანამედროეე მართლმადიდებელურ ეკლესიაში სეფისკერი შედგება ორი ერთმანეთზე დადებული ნაწილისაგან, რომელთაგან ზედაზე გამოსახულია ბეჭდის ანაბეჭდი, ზემოხსენებული ჯვარი და წარწერა. ცალკეულ ეკლესია-მონასტრებს შესაძლებელია აქონდათ სეფისკერზე სხვა გამოსახულებებიც. მაგ., იმ წმინდანის ან დღესასწაულის გამოსახულება, რომლის სახელზეცაა აშენებული მონასტერი თუ ეკლესია. სეფისკერი მზადდება საუკეთესო ხორბლის ფქვილისაგან, მოზელილი სუფთა წყალში. დაუშეებელია რაიმეს მიმატება და შერეეა (მაგ., ზეთის, კვერცხისა და სხვ.).

მონასტერში სეფისკერის დამზადება დაევალებული აქვს ძმობის რომელიმე წევრს, სამრეელო ეკლესიაში – რომელიმე კეთილმორწმუნე ადამიანს მღვდლის ლიტია-კურთხეეთ. სეფისკერის მომზადებას შესწირავად კეთა (პროსკომიდია) ეწოდება, სეფისკერიდან ამოღებულ საეფლო ნაწილს – ტარიგი (კრაეი).

სექტანტობა – რომელიმე რელიგიიდან გამოყოფილი და მის მიმართ ოპოზიციურად

განწყობილი დაჯგუფების, თემებისა და გაერთიანებების საერთო სახელწოდება. ქრისტიანულ რელიგიაში წარმოშობილი სექტანტობა ორიენტირებულია ერთ ცენტრალურ ცნებაზე – „განხეთქილებასა“ და „წვალებას“ შეესატყვისება. „სექტანტობასა“ და „მწვალებლობას“ შორის ტერმინოლოგიურად ის განსხვავებაა, რომ „სექტა-სექტანტობა“ წარმოადგენს ადამიანების ორგანიზებულ საზოგადოებას, რომელიც გაბატონებული ეკლესიისაგან განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ სრული თანხმობა აქვთ ერთმანეთთან რელიგიურ საკითხებში. „მწვალებლობა“ ანუ „ერესი“ კი აღნიშნავს არა იმდენად ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც მისდევენ გარკვეულ მოძღვრებას, არამედ თვით მოძღვრების შინაარსს. სექტა არის რელიგიური აღმსარებლობა, რომელსაც მისდევს შედარებით მცირე რიცხვი მორწმუნეებისა და რომელიც უმრავლესობის თვალსაზრისით ითვლება ცრუ და მავნე რწმენად. ევროპაში სექტები ხშირად იპოვებდნენ უფლებას, წოდებულიყვნენ დამოუკიდებელ ეკლესიებად, ანუ სარწმუნოებად. „სექტებსა“ და „წვალებათა“ შორის ტერმინოლოგიური განსხვავება დამკვიდრდა ბოლო ხანებში (რეფორმაციის შემდეგ, XVI ს.) და შემდეგ იქნა გადატანილი ძველ ეპოქებზე, როდესაც სიტყვა „სექტა“ და „წვალება“ იზმარებოდა ერთმანეთის სინონიმებად. ზემოაღნიშნულმა გარემოებამ „სექტას“ დამატებითი ნიუანსიც შესძინა „ერესთან“ ანუ „წვალებასთან“ შედარებით. საქმე ისაა, რომ I-VII სს-ის მთავარი მწვალებლობანი იწყებოდა არა საეკლესიო მოძღვრებისა და მისი ავტორიტეტის უარყოფით, არამედ მცდელობით, გაერკვიათ და ჩამოეყალიბებინათ საეკლესიო მოძღვრების გარკვეული პუნქტი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მტკიცე დოგმატურ ფორმულად. ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში წარმოშობილი ერეტიკოსები არ თელიდნენ თავიანთ მოძღვრებას ქრისტიანული ეკლესიის საწინააღმდეგო გამოხდომად, პირიქით, მათ მიაჩნდათ, რომ ისინი გამოხატავდნენ და აგრძელებდნენ ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციებს. საეკლესიო კრებაზე მათი გაკიცხვის შემდეგ ისინი და მათი მიმდევრები ან ეშორჩილებოდნენ კრების გადაწყვეტილებებს, ან წყვეტდნენ ოფიციალურად ეკლესიასთან ურთიერთობას და აგრძელებდნენ ოფიციალური რელიგიის უკვე ჩამოყალიბებული დოგმატების გადასინჯვას, რაც უკვე აღარ ტოვებდა ეჭვს ეკლესიის მიმართ მათ ოპოზიციონერობაში. გვიანდელი რელიგიური მოაზროვნეები, განსაკუთრებით რეფორმაციის შემდეგ (XVI ს.), რომლებსაც საქმე ჰქონდათ დიდი ტრადიციების მქონე, განვითარებულ და ჩამოყალიბებულ საეკლესიო მოძღვრებასთან, ძირითადად ეხებოდნენ ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებას საერთოდ, ან მის ცალკეულ საფუძვლებს და არა ცალკეულ პუნქტებს. ისინი თავიდანვე შეეხებულად დგებოდნენ იმ პოზიციებზე, რომელზედაც აღმოჩნდებოდნენ ძველი ერეტიკოსები თანდათანობით, ზემოაღნიშნულ მეორე სტადიაში. ამიტომ „სექტანტის“ სახელწოდება, რომელსაც იყენებენ ძირითადად შუა საუკუნეების და უფრო გვიანდელ ოფიციალურ ეკლესიასთან ოპოზიციაში მყოფი რელიგიური დაჯგუფებებისათვის, ძველ ერეტიკოსებთან მიმართებით შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება ოფიციალური ეკლესიის მიერ შეჩვენებულ და ეკლესიისაგან გამოყოფილ ერეტიკოსებს, რომელთაც დამოუკიდებელი ეკლესიები შექმნეს და თავიანთ მოძღვრებას გარკვეული მრეული მოუპოვეს. ამრიგად, პირობითად „სექტა“ ეწოდება ქრისტიანულ რელიგიასთან ოპოზიციაში მყოფ იმ დაჯგუფებას, რომელიც ძირითადად XVI ს. შემდეგ წარმოიშვა, ხოლო ადრინდელი ქრისტიანობის დროს ჩამოყალიბებული ოფიციალური ქრისტიანობისაგან განსხვავებულ რელიგიურ მოძღვრებებს კი – „მწვალებლობა“ ანუ „ერესი“. ჩვენც ძირითად სექტებს ამ ნიშნით წარმოვადგენთ.

ძველი ქრისტიანული ეკლესიის სექტებიდან აღსანიშნავია: I. სექტები, რომლებიც ჩამორჩნენ ქრისტიანული სარწმუნოების ეეოლუციას. მაგ., ასეთია იოანე ნათლისმცემლის მიმდევრები, რომლებიც არ შეურთდნენ ქრისტიანობას. მათთან კავშირშია „იმერობაპტისტები“ (ყოველდღიური ნათლისცემა) და „გნოსტიკოს-იოანიტები“. აქვე შეიძიან სამარიტული მესიანური სექტები: „დოსითეანელები“, „სიმონიანელები“ და „მენანდრიანელები“; 2. იუდეური სექტები ქრისტი-ანობისა პირველ საუკუნეებში: ნაზარეველნი (I-IV ს.), ებიონიტები, ებიონიტ-გნოსტიკოსები (II ს. ბოლოდან); 3. წარმართული სექტები, რომლებიც მრავალრიცხოვანნი იყვნენ და ცნობილი არიან გნოსტიკოსების საერთო სახელწოდებით. მათგან კათოლიკე ეკლესიასთან ყველაზე ახლოს იდგნენ მარკიონიტები (II-VII სს.), ყველაზე შორს – მანიქეველები, რომლებიც ქადაგებდნენ განსაკუთრებულ რელიგიას, რომელიც ქრისტიანობასთან იმაზე მეტად არ იყო დაკავშირებული, ვიდრე, მაგ., ისლამი. მაგრამ „მა-

ნიქეველები“ ქრისტიანულ სექტად ითელებოდა მაინც, რადგან მოგვიანებით ის გახდა საფუძველი წმინდა ქრისტიანული სექტების – „პავლიკიანელთა“ (VII-XII) და „ბოგომილების“ (XI-XV) წარმოშობისათვის. 4. ენთუზიასტური სექტები, რომელთაგან აღსანიშნავია მონტანისტები (II-III; შემორჩა VIII ს.). 5. გრიგორიანულ მორალზე აღმოცენებული სექტები, მაგ.: ნოვატიანელები (რომში, III ს.), მელიტიანელები (ალექსანდრიაში IV ს. დასაწყისში) და დონატისტები (აფრიკაში IV ს. დასაწ.); 6. დოგმატიკური ხასიათის სექტები IV-VI ს. (არიანელობა, აპოლინარელები, მაკედონიანელები, ნესტორიანელები, მონოფიზიტობა, ორიგენიზმი, მონოთელიტობა, მარიანიტები და სხვ.), 7. მონაზონობი წარმოშობილი მისტიკური სექტები: მესალიანელები ანუ ევქიტები.

აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიაში XI-XV სს-ში ახალი სექტები თითქმის არ წარმოშობილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „არსენიტებს“ (XIII ს.-XIV სს.), უფრო განახლებულ სექტას, რომელმაც ხელახლა დაიყენა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი, რომელიც ადრე არსენი პატრიარქის სახელთან იყო დაკავშირებული, და „ჭარლაამიტებს“, რომელთა კამათი ათონის ისიხასტებთან ერთი ეპიზოდი იყო დიდი კამათისა არისტოტელიანელთა და პლატონიკოსთა შორის.

შუა საუკუნეების დასავლეთის ეკლესიაში პაპის ძლიერების პერიოდში (X-XIV სს.) სექტების შედარებით მცირე ოდენობა წარმოიშვა: კათარები (XI ს-დან) და „ვალდენსები“ (XIII ს. მიწურულში). სექტების დიდი რაოდენობა წარმოიშვა რეფორმაციის პერიოდში: 1) მისტიკური და პანთეისტური სექტები, 2. ანაბაპტისტები (გადამბანთველები), 3. „ანტიტრინიტარები“ და „უნიტარები“ – რაციონალისტები ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში. ახალი დროის სექტებიდან, რომლებიც XVIII ს. გამოჩნდნენ პროტესტანტულ ნიადაგზე, აღსანიშნავია „ქერგუნტერები“, „მეთოდიზმი“ (ინგლისში), „პიეტიზმი“, „სვედენბორგიანიზმი“. კათოლიკურ ეკლესიაში წარმოიშვა „ჩეხური დეისტები“ ანუ „აბრამიტები“, „ფრანკისტები“ (გალიციაში), „მასონობა“, „ახალი ტამპლიერების ორდენი“. „მეთოდიზმის“ საფუძველზე აღმოცენდა „ხსნის არმია“ და გავრცელდა მსოფლიოს უმეტეს ნაწილში. სხვა სექტებიდან აღვნიშნავთ „კაკურიებს“, „უნიტარებს“, „პარშონისტებს“, „პერფექტიონისტებს“ და სხვ. რუსეთში სექტანტობა წარმოიშვა ნიკონ პატრიარქის (XVII ს. II ნახევარი) შემდეგ. რუსეთში წარმოშობილი სექტებიდან აღსანიშნავია: „ეუანგელისტები“; მისტიკური სექტები – „ღვთის ხალხი“ ანუ „ხლისტები“, რომელთაც ბევრი მომხრე აღმოაჩნდათ მონაზვნების შორის, „დუხობორები“, რომლისგანაც შემდეგ აღმოცენდა „მალაკანები“ და რომელიც თავად დაიშალა „მეშაბათეთა და მეკვირეთა“ სექტებად; „ხლისტებიდან“ აღმოცენდა „საჭურისთა“ სექტა; ეუანგელისტებიდან წარმოიშვა „შტუნდიზმი“, შემდეგში „შტუნდობაპტიზმი“. უბრალო ხალხის მზარდჭერით სარგებლობდა „ტოლსტოველების“ რადიკალური სექტა და სხვა.

საქართველოში სექტანტობა გავრცელდა რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ. 1817 წ. გადმოსახლებულ გერმანელთა შორის იყვნენ „სეპარატისტები“. 1840-დან მათ საქ-ში მცხოვრებ სომეხთა შორის გაავრცელეს „ეუანგელისტობა“ და „სომხური სახარებისეული საზოგადოება“ დააარსეს. 1820 წ. კავკასიის კორპუსის ჯარის ნაწილებში აღმოჩნდა „სკოპცების“ (საჭურისების) სექტა, რომლებიც სოფელ მარანში (სამტრ. რ-ნი) დაასახლეს. შემდეგში ახლადჩამოსული „სკოპცების“ ნაწილი დასახლდა სოფ. კოღორსა და სოფ. ორპირში (სამტრ. რ-ნი). 1865 წ. სექტის წევრები სამხედრო სამსახურიდან დათხოვეს და ქ. ქუთაისში დაასახლეს. 1830-50 წწ-ში ამიერკავკასიაში სასამართლო და ადმინისტრაციული წესით 10 ათასი სექტანტი დაასახლეს. მათგან 200 ოჯახი „დუხობორებისა“ – ახალქალაქის მაზრის ბოგდანოვ-კის რ-ნში (ამჟამად – ნინოწმინდის რაიონი). XIX ს. „მალაკნები“ თბილისში დასახლდნენ ყოფილ მალაკანთა ქუჩაზე და მოედანზე (ახლ. ფიროსმანის ქუჩა და მოედანი). 1867 წ. გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში გაავრცელეს „ბაპტიზმი“. 90-იან წლებში გაჩნდნენ „იეღოველების“, „შტუნდისტების“, „შალოპოტების“, „პაშკოველებისა“ და სხვა სექტების მიმდევრები. 1908 წ. გამოჩნდნენ „ეუანგელისტები“. რუსეთის ჯარში მომსახურე ი. კანდელაკმა 1919 წ. თბილისში ჩამოსელისთანავე დაარსა ბაპტისტთა ქართული ჯგუფი. შემდეგ წლებში „ბაპტიზმი“ უმნიშვნელო წარმატებით გავრცელდა ქართულ მოსახლეობაში. „ორმოცდათისტთა“, „იეღოველთა“ და „მეშვიდე დღის ადვენტისტთა“ სექტის მიმდევრები საქართველოში დიდი სამამულო ომის დროს ევროპელი ნაწილიდან ევაკუირებული ხალხის ნაწილია.

„სვესენგჯა“ („ესხესიატსკოე“) – ქართუ-

ლი ეკლესია მოსკოვის მახლობლად XVII ს-ში. 1683 წ. აშენებული ყოვლადწმინდის ეკლესიის მიხედვით სოფელს „სვეშნიკოვო“ ეწოდა. 1691 წელს სოფელი, რომელსაც ქართული წყაროები „სვეშნიკას“ უწოდებენ, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს უბოძეს. 1736 წელს დარეჯან დედოფლის ინიციატივით დანგრეული ძველი რუსული სალოცავის ადგილზე აშენდა ქართული სამნაოიანი ბაზილიკური ტიპის ეკლესია. ტაძრის შესასვლელის თავზე აღმართულია მაღალი სამრეკლო შუქურით, ეკლესიის ცენტრალური ნაწილი და საკურთხეველი გადახურულია ნახევარწრიული ახსიდით. ეკვსწახნაგოვანი კონქის ხასვისებური წყვრი დაბოლოებულია ჯვრით. ეკლესიის არქიტექტურაში ჭარბობს რუსული კლასიციზმის სტილი. ეკლესიის კურთხევასთან ერთად ტაძარი შეიმკო ქართული ჭედური ხატებით და სხვა სამღვდელო სამკაულით. დარეჯან დედოფალმა ეკლესიას შესწირა წმ. ნინოს, თამარის და ქეთევანის ხატები, აგრეთვე სხვა ნივთები და წიგნები.

ბევრი რამ გაქრა აქ დარეჯანის შემდეგ ახალი მფლობელის, ბაქარ ბატონიშვილის დროს. „სვეშნიკაში“ მოსკოვიდან გადმოიტანეს ქართული სტამბა. 1743 წელს აქ დაიბეჭდა „დაბადება“. გადაიწერა ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები, ითარგმნა სხვადასხვა ენებიდან სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლები. 1741 წლიდან ეკლესიის წინამძღვარი იყო ნოვგოროდიდან დაბრუნებული ქრისტესია (გურამიშვილი). ქართულ ენაზე ღვთისმსახურება ეკლესიაში XIX ს-ის 40-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ მასში ღვთისმსახურება 1946 წ. განახლებულა (რუსულ ენაზე).

სვეტი — განდეგილი მესვეტე მოღვაწის დასაყუდებელი ადგილი, კოშკის მსგავსი ნაგებობა, რომელზედაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობდა განდეგილი და ალთქმა ჰქონდა და და-დებული, მიწაზე არ ჩამოსულიყო. საქართველოში ამ მნიშვნელობით სვეტის არსებობას უნდა ადასტურებდეს ზოგიერთი მონასტრის ტერიტორიაზე აღმართული სვეტი (მაგ. უბისის ეკლესიასთან, მარტყოფის მონასტერში, კაცხის სვეტი და სხვ.).

სვეტიცხოველი — XI ს. I ნახევარში აგებული საპატრიარქო ტაძარი მცხეთაში, თბილისიდან 20 კმ. იგი წარმოადგენდა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ ცენტრს ქრისტიანული სარწმუნოების საქართველოში გავრცელების დღიდან. სწორედ დღევანდელი სვეტიცხოვლის ადგილზე ააშენა IV ს-ში წმ. ნინოს რჩევით მირიან მეფემ პირველი ქრისტიანული ეკლესია, რომელმაც დღემდე ვერ მოაღწია, თუმცა მისი საძირკვლის კვალი მიკვლეული იქნა სვეტიცხოველის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს 1970-1971 წლებში. ასევე მთლიანად შემოინახა იმ ბაზილიკის გეგმა, რომელიც აქ ააშენა ევსტატე გორგასალმა V ს. II ნახევარში, წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ. XI ს. I ნახევარში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათოლიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მშენებლობა, რომელსაც არსუკიძე ხელმძღვანელობდა, 1010 წელს დაიწყო და 1029 წელს დამთავრდა.

სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთით ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა. ჯვარის სახე სიერცეშია შექმნილი გუმბათის ორიენ მხარეს გაწვდილი 4 მკლავით. საკურთხევის სამხრეთითა და ჩრდილოეთით 2 სართულად განლაგებულია სათავსები. გუმბათი 4 მძლავრ ბოძს ეყრდნობა. გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ტაძრის ძველი ფრესკული მხატვრობა განადგურდა, ხოლო კედლების შეთეთრებამ, რომელიც XIX ს. დასწყისში რუსეთის სინოდის განკარგულებით ჩატარდა, ტაძრის ინტერიერს მისი მხატვრული მთლიანობა დაუკარგა. ტაძრის პროპორციები ექვემდებარება შუაში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომლის ქვეშ ორფერდა სახურავებით გადახურული ჯვრის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის — დაბალი ცალფერდა სახურავებით გადახურული სადგომები. ფასადების მორთულობაში გამოყენებულია კედლის დეკორატიული თაღედებისა და შეწყვილებული პილასტრების განვითარებული სისტემა, აგრეთვე სარკმლთა მოჩუქურთმებული საპირეები. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია. მორთულობაში დიდი ადგილი უჭირავს რელიეფსაც. გამოიყოფა აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა, რომლის საფუძველი 5 დეკორატიული თაღისაგან შეკრული სისტემაა წარმოადგენს. ძირითადი ქვისშესერი კედლების ფონზე გამოიყოფა საკურთხევლის სარკმლის კაშკაშა წითელი ფერის ქვით აწყობილი მოჩუქურთმებული საპირე, რომელიც ზემოდან გამოყოფილია მდიდრულად მორთული ჰორიზონტალური სარტყლით. დასავლეთის ფასადზე ერთი დიდი სარკმელია, რომლის მდიდრულ მორთულობას კედლის მთელი არე უჭირავს. ფასადის კომპოზიცია დასრულებულია სამფიგურიანი რელიეფით — ტახტზე

მჯდომი მაცხოვარი მის ორივე მხარეს მდგარი ანგელოზებით.

ტაძრის ახლანდელი მოხატულობა XVI, XVII და, შესაძლებელია, XVIII ს-ისაც იყოს, განახლებულია XIX ს-ში. საინტერესოა ტაძრის შიგნით, საკურთხე „სეტის“ (კოშკისებური ნაგებობის) XVII ს. მიწურულის მხატვრობა, რომელშიც ქართლის მოქცევის ეპიზოდებია გადმოცემული (შესრულდა ნიკოლოზ კათოლიკოსის ინიციატივით, მოხატვას ხელმძღვანელობდა მხატვარი გრიგოლ გულუკავარაშვილი). ცელილებები განიცადა ტაძრის გარეგანმა მხარემაც: გუმბათის ყელი და ფასადთა პერანგის ნაწილი, რომელიც მწვანე ქვით არის მოპირკეთებული, XV ს. I ნახ. არის შესრულებული ალექსანდრე I დიდის მიერ (თეიურ-ლენგის შემოსევების დროს ტაძრის ძლიერი დაზიანების შემდეგ).

ტაძარი გარშემორტყმულია ქვადრატული ფორმის გალავნით, რომელიც 1787 წ. აუგიათ ერეკლე II-ის ბრძანებით (სამხრ. შესასვლელის თაღზე ამოკვეთილი მხედრული წარწერის თანახმად). ყორე-ქვით ნაგები ბეღელი ნაწილები ჩართულია ახალ, რიყის ქვით ნაგებ გალავანში, ხოლო კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია აგური. ორიარუსიანი გალავნის ქვედა ნაწილი ყრუა. ზედა ნაწილს გასდევს საბრძოლო ბილიკი, რომლის დონეზეც სათოფურები და სალოდებია განლაგებული. გალავანს ერთნაირი სიმაღლის 6 ცილინდრული და 2 ოთკუთხა კოშკი აქვს. გალავნის დასავლეთ ნაწილში არის სამრეკლო და XI ს. შესანიშნავი კარიბჭეა. 1964-1965 წ. რესტავრაციის შედეგად კარიბჭეს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. გალავნის კედლის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის ქცევ 1963-64 წ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის ნაშთი (XI ს.). ტაძრის ეზოში გალავნის სამხ.-აღმოსავლეთ კუთხეში, ანტონ II კათოლიკოსის ორსართულიანი სასახლეა (XVIII ს. ბოლო; ამჟამად იქ მამათა მონასტერი მოქმედებს). სვეტიცხოველში, რომელიც ქართველ კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენციას წარმოადგენდა, საუკუნეების განმავლობაში გაჩაღებული იყო მწიგნობრული საქმიანობა. სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკა ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნსაცავი იყო.

სვიმეონი – ბიბლიური იაკობის ერთ-ერთი შვილი, რომელმაც სათაყვანო დაუდო ისრაელის სვიმეონის ტომს (დაბ. XXXIV და სხვ.). სვიმეონისაგან ტომმა საცხოვრებლად მიიღო პალესტინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. დროთა განმავლობაში ისინი მეზობელ არაბთა ტომებს შეერივნენ.

სვიმეონი // სვიმეონი – სახელი რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა:

1. ქართლის მთავარეპისკოპოსი ფარსმან მეფის დროს, ელიას შემდეგ (ქართ. საეკლ. კალენდრით 400-410 წწ-ში; „მოქც. ქართლისაჲ“, ძეგ. I, 92).

2. ქართლის მთავარეპისკოპოსი V ს. I ნახევარში ფარსმან მეფის დროს: „მეფობდა ფარსმან, დისწული თრდატისი, და მთავარეპისკოპოსი იყო სვიმონ“ (მოქც. ქართლ. ძეგ., I,92,20).

3. ქართლის კათოლიკოსი VI ს. II ნახევარში, მაკარის შემდეგ „ქართ. საეკლ. კალენდრით 569-575; ქართ. ცხ. I, 217, 219, 373).

4. საქართველოს კათოლიკოსი X ს. ბოლოს და XI ს. დასაწყისში, ბაგრატ III-ის მეფობის (X ს. 60-იანი წწ. 1041 წ.) დროს (ქართული საეკლესიო კალენდრით სვიმონ III (1001-1012 წწ.). იაკობის ჟამისწირვის XI ს. დასაწყისის ცნობილი ხელნაწერის (A 86, აღწერილობაში დათარიღებულია X ს.) მინაწერში სვიმონ ქართლის კათოლიკოსი მოხსენიებულია, როგორც ამ ხელნაწერის მომგებელი: „მოიკსენე უფალო და აღიდე მომგებელი ამა ჟამისწირვათაჲ სიმონ ქართლისა კათალიკოზი“ (30r). ქართლის ცხოვრების XVII ს. ჩანართში აღნიშნულია: „მოკვდა სჳმონ და დასუა ამან მეფეშან (ე. ი. ბაგრატ III) გაზრდილი თჳსი მელქისედეკ კათალიკოზ-პატრიარქად“ (I, 282).

5. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1547-48 წწ-ში. სვიმონმა კახეთის მეფეს ლევანს 1548 წ. სამეფო გადასახადებისაგან გაანთავისუფლებინა დაეითგარეჯის მონასტრების მამულები.

6. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი 1660-1666 წლებში (ჩხეტის ძე). სვიმონი ადრე ნიკორწმინდის ეპისკოპოსი იყო, შემდეგ, დაახ. 1673 წ-დან ქუთაისი მიტროპოლიტი. კათოლიკოსად კურთხევის შემდეგაც ითავსებდა იგი ქუთათელობას. სვიმონი ხელს უწყობდა მწიგნობრობის განვითარებას, მისი დაკვეთით არა ერთი და ორი ხელნაწერი იქნა დამზადებული (მაგ. გულანი, ქუთ. 16). 1661 და 1664 წლებში მან აღკვეთა კათოლიკოსის სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმეებში გურიისა და ოდიშის მთავრების ჩარევის ცდები. სვიმონი აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ საქმეებშიც. 1663 წ. მისი აქტიური მხარდაჭერით ბაგრატ IV-ი

დაიბრუნა იმერეთის ტახტი.

7. ქუთათელი მიტროპოლიტი XVI ს. I ნახევარში. მას ქუთათელობა მიუღია თავისივე ბიძის, გერასიმე ქუთათელის გარდაცვალების (1529) შემდეგ, როგორც ამას გვამცნობს „ქართლის ცხოვრება". „ქრონიკონსა სიზ" (1529) მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, ივანარსა ი. ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა" (ქართ. ცხ. II, 493, 19).

8. იმერეთის მთავარეპისკოპოსი (ჩიჯავაძე) XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისში. სვიმეონი მოხსენიებულია ხონის საყდრის გამოსაყოლის დავორის შეწირულებათა მინაწერში (სამ. ძეგლ. III, 368; ცხსა ფ. 1448, საბ. №5034).

9. ქუთათელი მიტროპოლიტი, XVII ს. II ნახევარში, ძე სებნია ჩხეიძისა, რომელსაც მეშატიანე ცუდად ახასიათებს: „გარნა თუ იყო მღუდელთმთავარი, არამედ ტყუსმფდელი, მუსაიმრუშე, კაცისმკელელი, ცრუ-ფიც, უწირაველოცველი, ვითარცა განდგომილი იელიანე" (ქართ. ცხ. IV, 851, 5).

10. გელათის მთავარეპისკოპოსი დაახ. XVII ს-ში. ცნობილია სვიმეონ „გენათელ მღუდელთმთავარ-ეპისკოპოზის" წყალობის წიგნი იოანე კლდეაშენილადმი სვიმონეთის დეკანოზად დადგინების შესახებ" (ცხსა ფ. 1448, საბ. №3319; სამ. ძეგ. III, 620-21).

სვიმეონი // სვიმონი — სახელი რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწისა:

1. ბეღიის ტაძრის (X ს.) მშენებლობის ხელმძღვანელი, არქიტექტორი, როგორც ამას მოწმობს ბეღიის ტაძრის საალმშენებლო წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეორ ეკმენ წმიდისა ამის საყდრისა ამაშენებელსა, გალატოზთაუხუცესს სუმეონსა (ლაპ. წარწ. II, გე. 38).

2. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XI ს. I ნახევარში, დაახ. 1041-1042 წლებში, არსენი წინამძღვარის შემდეგ (დაახ. 1039-1041). სვიმეონის მამობის დროს ათონის ქართველთა მონასტრის ძმობამ შექმნა ქართული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „მოსაკსენებელი", რომელშიც მოკლედ აღწერილია ბერძენთა ძალმომრეობა მონასტრის მიტაცებისათვის, რომელიც დაიწყო გიორგი დიდი ათონელის (1012-1029) დროს და გრძელდებოდა არსენი წინამძღვრის (1039-1041) დრომდე. „მოსაკსენებლის" შედგენის მიზანი იყო ქართველების შეკავშირება და შემჭიდროება, რათა მსგავსი არ განმეორებულიყო, რომ დოკუმენტალურად წარმოჩენილიყო ქართველების უფლება მათ მიერ დაარსებულ მონასტერზე და ბერძენთა უსაფუძვლო პრეტენზიები. „მოსაკსენებელი" გიორგი მთაწმიდელს მთლიანად, უცვლელი სახით შეუტანია მის მიერ დაწერილ „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში" (ძეგლ. II, 94-99).

3. შაი მთის კალიოპოს მონასტრის ქართველი მღვდელი, რომელსაც მოუგია 1054 წ. კალიპოსში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც დღეს ალავერდის ოთხთაეის (A 484) სახელით არის ცნობილი (კერები II, 158).

4. ათონის ქართველთა მონასტრის ბერი XI ს. II ნახევარში, ზედწოდებით „თაშიშველი". მას 1077 წ. შეუმოსავს კეორიკე დიაკონის მიერ გადაწერილი პარაკლიტონი (Ath. 24), რომლის ანდერძი გვამცნობს: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას, ღაერსა შინა დიდებულსა ქართველთასა კელითა კურაც დიაკონისაჲთა, ღაერასა ამას ჩუენსა ზედა წინამძღურობასა გიორგი ოლთისარისასა. ხოლო იყოდა წმიდაჲ ესე წიგნი საფასოჲთა და განძითა ამაზ ბაკურაანისძისაჲთა და დაიდვა წმიდასა ამას ეკლესიასა შინა. ლოცუა ყავთ სუმეონ თაშიშველისათუს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი შეჰოსა" (კერები II, 214).

5. ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე დაახლ. XI ს. II ნახევარში, ნოტარი, რომლისათვისაც აღაპი განუწესებიათ 28 აპრილს: „თუესა აპრილსა კ (28) აღაპი არს სუმეონ ნოტარისა ქართველისა (ათ. კრებ. გე. 232). ნოტარი, ნოტარიოსი ბიზანტიური საეკლესიო წყაროებით ეწოდებოდათ პირებს, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებებზე აწარმოებდნენ კრების მსელობის ზუსტ ჩაწერას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავარი ნოტარიოსი. ასეთივე ნოტარიოსი ან თანამედროვე ტერმინოლოგიით „მდივანი" ახლდა კრებაზე დამწყრე თითოეულ ეპისკოპოსს და იწერდა თავისი ეპისკოპოსის სიტყვას, რათა მოწინააღმდეგე ბანაკის ეპისკოპოსის ნოტარიოსს მისი სიტყვა არ დაემახინჯებინა, ან შეგნებულად არ გადაეკეთებინა. როგორც ჩანს, ასეთი თანამდებობა არსებობდა ათონის ქართველთა მონასტრის პრაქტიკაშიც. თუმცა სვიმეონ ნოტარი შეიძლება ყოფილიყო სასამართლო თხოვნათა შემდგენელი, მწერალი ან სწრაფწერალი (სტენოგრაფი), რასაც გულისხმობს ბერძნული სახელწოდება „ნოტარიოსი".

6. სინის მთის XI ს. ქართველი მოღვაწე, რომელიც მოხსენიებულია მიქაელ უცბად

მჭხრეკელის მიერ 1074 წ. გადაწერილი სახარების (Sin. 19) ანდერძში (კერები II, 68).

7. გიორგი III-ის (1156-1184) თანაგანმხრახის), სუმბატის ბერობის სახელი (ქართ. ცხ. II, 718).

8. მღვდელი, რომელიც მოხსენიებულია რკონის დაწერილის (Sd 2859; 1260 წ.) გვიანდელ, 1669 წ. მხედრულ მინაწერში: „ესე წიგნი გადრეთ... რკონის ღვთისმშობელსა ჩუენ ჯაკანიშვილმან პატრონმან ქაიხოსრო... ასე რომე სვიმონ მღვდელს რაც აკგაროზული მამული პქონდა, ის მამული მასზედ მსახლობელის კაცით ჩუენ მამასათაგან შეშოწირული იყო“ (ქართ. ისტ. სბ. კორპ. I).

9. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი დ. ალდგომის ტაძრის მოძღვარი XIII ს. მიწურულს და XIV ს. დასაწყისში (აღსა № 65 და № 84 ე. მეტრეველი, მასალები, 136, 142). სვიმეონ ჯვარის მამის მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე სინის ძთის მონასტრის სულთა მატიანეშიც (სინ. მთ., ხელნ. აღწ. გე. 245, Sin.77, XIV ს.).

10. ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი და არქიმანდრიტი (ქაჯარაძე), რომელსაც წშ. გიორგის სავანისათვის შეუწირავს 1520 წ. ქადაწერილი ოთხთაეი (H 1721, მინაწ. 1r).

11. გელათის მონასტრის დეკანოზი XVII ს. ბოლოს. 1691 წ. სვიმონისათვის წყალობის წიგნი მიუცია მარკოზ გენათელს (ლაშხიშვილს, Hd 7883, სამ. ძეგლ. III, 599).

12. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ხუცესმონაზონი XVIII ს. I ნახევარში. მოხსენიებულია 1710 წ. ერთ სახუთში (ქრონიკ. III, 35).

13. ცაიშის ეკლესიის წინამძღვარი (კილაძე) XVII ს. ბოლოს ან XVIII ს. დასაწყისში. ცაიშის გულანის (გადაწერილია 1525 წ.) მინაწერში აღნიშნულია: „ამის წინამძღვარმან სვიმონ კილაძემან ვიშოვე ესე გულანი. ვიძე გულანი დიდის ლეკან დადანია (†1657წ.) უკნით უქმარ და გაუკეთებელი (ქრონიკ. II, 356).

14. ჭყონდიდის ეკლესიის მთავარდიაკონი იოსელიანი XVIII ს. I ნახევარში. სვიმონი მოწმეა გრიგოლ ჭყონდიდელის მიერ გაცემული საბატო წიგნისა მახარობელ გეგეჭკორისადმი (ცსსა ფ. 1448, სახ. № 8338; სამ. ძეგლ. III, 816).

15. თავდაპირველად დავითგარეჯის დიდის მონასტრის წინამძღვარი (ინაურის ძე), 1746-1760 წლებში, ხოლო შემდეგ, ერეკლე II-ის მიერ დიდის მონასტრის გაუქმებასთან დაკავშირებით, ერეკლე II-მ და სახა ნინოწმიდელმა სვიმონი გადაიყვანეს დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტად, სადაც მოღვაწეობდა 1760-1772 წლებში. სვიმონმა საკუთარი სახსრებით შესძინა დიდის მონასტერს ადგილ-მამული თბილისში. მისი ინიციატივით იოანე ნათლისმცემლის მონასტრმა მიიღო საშემოსაელო ადგილები ხოჯ. სახუეში, გიორგიწმიდასა და თელში.

16. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი XVIII ს. შუა წლებში. მოხსენიებულია 1780 წ. სახუთში (ცსსა ფ. 1448, სახ. № 2767; სამ. ძეგლ. V, გვ. 131) 1746 წლის ამბებთან დაკავშირებით.

17. ვანის ეკლესიის წინამძღვარი XIX ს. დასაწყისში. 1818 წ. 30IX. სვიმონისათვის შეწირულების წიგნი უბოძებია დოსითეოს ქუთათელ მიტროპოლიტს (ცსსა, ფ. 1448, სახ. № 6836; სამ. ძეგ. III, 1133).

სვიმეონი // სვიმონი – სახელი რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერისა:

1. იერუსალიმის სამწმინდის ლავრის X ს. ქართველი მოღვაწე, მგალობელი, გადამწერი. მას თეოდორე პალავერელის დავალებით დაუმზადებია საგალობელთა კრებული (Sin. 40): „ესე იადგარი დაწერეცალი თეოდორე პალავერელმან დაუდებულმან დამწერინა ცოდვილსა მე, სუმონს მგალობელსა... დაიწერეს სამწმიდას შინა“ (კერები II, 42).

2. კონსტანტინეპოლის პრომანას ქართველთა მონასტრის XI ს. II ნახევრის ქართველი მოღვაწე, კალიგრაფი, გვარად დეკანოზი სვიმონს 1066 წ. გადაუწერია ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანების შემცველი კრებული (Ge 134): „დაიწერა ქელითა სუმეონ დეკანოზისათა მონასტერსა შინა პრო-მანასასა, ქორონ. სკვს“ (1066 წ.).

3. XII ს. I ნახევრის გადამწერი. გიორგი მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელის († 1118 წ.) დაკვეთით სვიმონს გადაუწერია იოანე ოქრომპირის მათეს სახარების თარგმანება (A 1114).

4. XIV-XV სს. საეკლესიო მოღვაწე ოპიზიდან, რომელსაც ათონის მთაზე ქართველთა მონასტერში გადაუწერია ზატიკი (Ath. 23, ცაგ. აღწ.).

5. საფარის მონასტრის მოღვაწე (კარგარეთელი) XVI ს. ცნობილი კალიგრაფი. სვიმეონს ამწერკი იშხნელის დავალებით განუახლებია და გაუცხოველებია 1233 წლის გადაწერილი ერთი ძველთაგანი ხელნაწერი – A 85. სვიმეონ ჩხეტიძის დაკვეთით მას გადაუწერია გულანი – ქეთ.

16, ხოლო ოთკომე მაწყვერელის დაკალებით – პოლე-მიკური და სამეცნიერო კრებული S 312 (კერები, I, გე.გე.446, 475, 484, 448, 532).

6. სვიმეონ დეკანოზი (შოთას-ძე) – პოეტი და ოქრომჭედელი, სადგერის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი. XV-XVI სს. სვიმეონმა ყვარყვარე ათაბაგის ბრძანებით მოჭედა და განაახლა წმ. გიორგის ხატი, რომელიც სადგერის ტაძარში იყო დასვენებული და შეთხზა 25 სტროფიანი, რუსთველური შაირით დაწერილი ოდა „სადგერის წმიდის გიორგის ქება“ (H 1752), რომელსაც 1940 წელს მიაკვლიეს (გამოც. ილ. იუნაძე, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 255-257.

სვიმეონ თმესალონიკელი – XV ს. I ნახევრის ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. მისი თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია: „საიდუმლოებითი განმარტება ლიტურგიისა“, თარგმნილია რუსულიდან (A 642, 329-441). 2. ლიტია (ცენტრ. არქ. 269). 3. წიგნი „სამოძღვრო“ (H 1242, 111-129).

სვიმეონ ლოგოთეტი – იხ. სვიმეონ მეტაფრასტი.

სვიმეონ მანდრაელი, არქიმანდრიტი – იხ. სვიმეონ მესვეტე (უფროსი).

სვიმეონ მაწყვერელი – აწყურის ეპისკოპოსი და სამცხის ეკლესიის მამამთავარი მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515) ღროს, ეროვნებით ბერძენი. მზეჭაბუკ ათაბაგი ცდილობდა სამცხე ქართლის მეფისაგან დამოუკიდებელ სამთავროდ ექცია, ხოლო სამცხის ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსო ეკლესიისაგან გამიჯო. მან ისარგებლა სამცხეში ანტიოქიის პატრიარქის ღირთოსის ჩამოსვლით და მისი მხარდაჭერა მოიპოვა. ღირთოსმა აწყვრის კათედრაზე ტრაპიზონელი ბერძენი სვიმეონი აკურთხა და სამცხის ეკლესიის მართვა ჩააბარა (კერები I, 479), მანამდე XV ს. მიწურულს სვიმეონი მტბეული, ე. ი. ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა (ქართ. ცხ. II, 483). ღირთოსმა მაწყვერელს სამცხის ეპისკოპოსთა ხელდასხმის უფლებაც მისცა (სამ. ძეგლ. III, 240). მზეჭაბუკმა და ყვარყვარე ათაბაგებმა სვიმეონ მაწყვერელს სიგელით დაუმტკიცეს „ღიდი და დიდებული მონასტერი ზარზმა სრულად მისითა შესაკალითა აგარაკ-სოფლიანითა და გლეხობითა“, ე. ი. ამ დროიდან ზარზმის ტაძარი და მონასტერი აწყვრის ეკლესიას დაუმტკიცდა.

სვიმეონ მესვეტე (უფროსი 356-459) – განმქმული ქრისტიანი განდეგილი IV-V სს-ში, ე. წ. განდეგილობის ერთ-ერთი სახეობის „მესვეტეობის“ დამაარსებელი. სვიმეონი 18 წლის ასაკამდე მწყემსაედა საკუთარი ცხვრის ფარას. შემდეგ მშობლებთაგან ფარულად წაედა მონასტერში. პირველ მონასტერში დაყო 2 წელი და გადაიდა მეორეში, რომლის მონაზონები გამოირჩეოდნენ ცხოვრების მკაცრი წესებით. ახალგაზრდა სვიმეონის თვითგვემის ცხოვრების წესმა შეაშინა მონასტრის წინამძღვარი, რომ მას სხვებიც მიბაძავდნენ, და სვიმეონი მონასტრიდან გაიძევა. სვიმეონი ამომშრალი ღრმა ჭის ფსკერზე დაემკვიდრა. როდესაც მის მონასტერში დაბრუნება სცადეს, ის გაიპარა და ანტიოქიის მახლობლად მთის ძირში მიტოვებულ ჭაობში დასახლდა, ხოლო მალე მთის მწვერვალზე ავიდა და იქ დამკვიდრდა. მან თავისი სენაკი ღობით შემოარგუა, ღობეს გაღობა რკინის ჯაჭვის ერთი ბოლო, მეორე ფეხზე შეიბა, რომ თავისი საცხოვრებლის შემოზღუდული ეზოდან გარეთ არ გასულიყო. ანტიოქიის მთავარეპისკოპოსმა მელეტიმ აუკრძალა სვიმეონს თვითგვემის ასეთი სახე შეეწინებინა, რომ ადამიანი უნდა ფლობდეს თავის თავს ყოველგვარი ჯაჭვების გარეშე. საკუთარი ნებისყოფით. მალე სვიმეონი მართლმადიდებლურ სამყაროში ცნობილი გახდა არა მხოლოდ თავისი განდეგილობით, არამედ, როგორც ბრძენი სულიერი მოძღვარი. ის კურნავდა სულიერ და ფიზიკურ სნეულებს. მასთან მიმწერა პჭონდათ იმპერატორებს სხვადასხვა საკვებებზე. 423 წ. სვიმეონმა დაიწყო განდეგილობის მანამდე უცნობი სახე – მესვეტეობა. მან დააყენა სვეტი, რომელსაც თავში მცირე ფართობი პჭონდა, სადაც შეიძლებოდა დგომა და ჯდომა. სვეტის გარშემო შემოაკლო ღობე (ამტკომ მას მანდრელსაც უწოდებენ), რომლის შიგნით შესცა აკრძალული პჭონდა ყველას. მას არ პჭონდა საჩრდილობელი მზისაგან, თაშესაფარი წვიმისაგან და თოვლისაგან. ასე გატარა სვიმეონმა 40 წელი, აქედან ოცი მოძღვრად მასთან მისულ მრავალრიცხოვან ხალხს სიბრძნეს და ახდენდა მრავალ სასწაულს, რისთვისაც სასწაულმოქმედი უწოდეს. სვიმეონის შესახებ ცნობები მოპოვებათ ცნობილ ისტორიკოსებს: თეოდორიტეს, ევაგრეს და სხვ. სვიმეონ მესვეტე უფროსის ცხოვრება აღწერა მისმა მოწაფემ ანტონიმ. „ცხოვრების“ მიხედით, სვიმეონთან სამოღაწეოდ სხვა ეროვნების მონაზონებთან ერთად ჩასულან ქართველებიც. სვიმეონის მოღვაწეობის ადგილზე მისი გარდაცვალების შემდეგ V ს. II ნახევარში დაარსებულა მონასტერი, რომელიც სვიმეონწ-მინდის

ლარის, ანუ მონასტრის სახელით არის ცნობილი და როშელშიც შემდეგ VI-IX სს. მანძილზე ბევრ ქართველ ბერსა და კულტურის მოღვაწეს უმოღვაწია. სვიმეონ მესვეტის ცხოვრების კიმენური რედაქცია, რომლის ქართულ თარგმანში იგი პალაბის მთის მოღვაწედ არის დასახელებული („ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა სჳმეონ მესუეტისაჲ და საკურველთმოქმედისაჲ, რომელი იყო დამკჳდრებულ მთასა ზედა პალაბისსა"), მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (A 397, X-XI სს., 11-165; Sin 6, 981-983 წწ. 12-66; Ath. 50, XIV-XV) ხოლო მეტაფრასული რედაქცია ორჯერ არის თარგმნილი XI ს-ში: თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath 20, 1081 წ., 4-18) და უცნობი მთარგმნელის მიერ (A 70, XIII ს., H 1347, XI-XII სს.; ქუთ. 4, 1565 წ. 4-26; გამოც. ნ. გოგუაძისა, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 26-58). სვიმეონ მესვეტე (უცროსის) ხსენების დღე 1 სექემბერია, თუმცა კიმენური რედაქციის „ცხოვრების" ქართული თარგმანი 24 იელისს მიუთითებს.

სვიმეონ მესვეტე (უმცროსი, 521-569) — საკირველმოქმედი, ანტიოქიის შავი მთის სახელგანთქმული განდეგილი VI ს-ში. სვიმეონი დაიბადა 521 წ. სირიის ანტიოქიაში, ქრისტიანი მშობლების, მართასა და იოანეს ოჯახში. როგორც მისი ბიოგრაფი გვამცნობს, სვიმეონი ექვსი წლის ასაკში წასულა უდაბნოში და ერთობანს განმარტოებით ცხოვრობდა. ანგელოზის მფარველობით იკეებებოდა და მანე მიიყვანა იგი მონასტერში, რომლის წინამძღვარი აბბა იოანე სვეტზე იყო დაყუდებული. შვიდი წლის იყო სვიმეონი, როცა იოანესგან ითხოვა დაყუდების ნებართვა. მისთვის იოანეს სვეტის მახლობლად მონასტრის ძმებმა ახალი სვეტი აუგეს და მონაზვნად სვიმეონი სვეტზე თვით იოანემ აიყვანა. მალე სვიმეონი სალთო განგებით სწეულთა განკურნების ნიჭით დაჯილდოდა. მისი სახელი საყოველთაოდ განითქვა და მასთან მრავალი მონაზონი და ერისკაცო მოდიოდა რჩევა-დარიგებისათვის და განსაკურნებლად. 11 წლის სვიმეონმა გადაწყვიტა უფრო მაღალ სვეტზე დაყუდებულიყო, რომელსაც ორმოცი საფეხური ჰქონდა. ანტიოქიისა და სელევკიის ეპისკოპოსებმა სვიმეონს ხელი დაასხეს დიაკვნად და შემდეგ ნება დართეს ასულიყო ახალ სვეტზე, სადაც მან 8 წელი დაყო. სვიმეონზე სულიწმინდა გადმოვიდა და საღვთო სიბრძნით აღავსო იგი. მოხუცებული იოანეს გარდაცვალების შემდეგ იგი მონასტრის წინამძღვარი გახდა, მაგრამ მალე, საღთო ჩვენებით წავიდა სამოღვაწედ საკრველ ანუ შავ მთაზე, ხოლო მონასტერს გამოცდილი ბერი დაუდგინა წინამძღვრად. შავ მთაზე ასვლისას მას გამოეცხადა ღმერთი, რომელიც მთის მწვერვალზე იდგა. სვიმეონი დაეყუდა იქ, სადაც უფალი იხილა, ჯერ ქვაზე, ხოლო შემდეგ ახლად აღმართულ სვეტზე. სვიმეონი დაჯილდოებული იყო ნათელხილვისა და წინასწარმეტყველების ნიჭით. მან იწინასწარმეტყველა ანტიოქიის არქიეპისკოპოსის, ეფრემის სიკვდილი, ქალაქ ანტიოქიის მიწისძვრა და სხვ. შავ მთაზე სვიმეონმა დაარსა მონასტერი, რომლის ტაძარი მადლობის ნიშნად აუშენებია მისგან განკურნებულ ხალხს. 650 წ. 39 წლის ასაკში სელევკიის ეპისკოპოსმა სვიმეონი მღვდლად აკურთხა. 75 წლის ასაკში წინასწარ ეუწყა აღსასრულის მოახლოება, დამობერება მონასტრის ძმობა და 596 წელს გარდაიცვალა სვეტზე 68 წლის მოღვაწეობის შემდეგ.

ქართული წყაროების ჩვენებით, სვიმეონ მესვეტეს მეგობრობა აკავშირებდა სირიიდან, სწორედ სვიმეონწმინდის სანახებიდან ქართლში ჩამოსულ სირიელ მამებთან იოანე ზედაზნელის მეთაურობით (ეს აღნიშნულია აბობის ნეკრესელის „წამებაში" — ძეგლები, I, 243).

სვიმეონ საკირველთმოქმედის მიერ დაარსებულ მონასტერში — სვიმეონწმინდაში სვიმეონის მოღვაწეობის დროს ბევრი ქართველი ბერი მოღვაწეობდა, როგორც ეს აღნიშნულია ორ პაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომლებიც ბერძნულიდან ქართულად არის ნათარგმნი: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მართაჲსი, წმიდისა სჳმონის დედისაჲ" (A 142; Ath. 84: გამოსცა ჟ. გარიტმა: CSCO 285-286; Louvain, 1968) და „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სჳმონ საკრველთმოქმედისაჲ", რომელიც არკადი კეკარელს († 638 წ.) დაუწერია. (Jer. 156, 1040 წ.; Sin. 46, 978 წ. 1-169. გამოსცა კ. კეკელიძემ — კიმენი, II, 215-340). მოგვიანებით, XI ს-დან სვიმეონ მესვეტეს (უმცროსი) მიერ დაარსებული მონასტერი — სვიმეონწმინდა ქართველ მოღვაწეთა კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. ქართულად თარგმნილია სვიმეონ მესვეტის ერთი სწავლა: „სწავლაჲ, რაჟამს ეკედრებოდეს მას მამანი, რაჲთა რჩეა მათ სიტყუაჲ ცხორებისაჲ" (Sin. 35, გამოც. კ. კეკელიძის მიერ, კიმენი, I, 228-230), რომელიც ამოღებულია მისი „ცხოვრებიდან".

სვიმეონ მესოპოტამიელი — ბი-

ზანტიელი საკლესიო მწერალი, რომლის ერთი სწავლა „სიკუდილისათჳს“ უთარგმნია ეფთჳმე მთაწმიდელს (A 1101, 1047 წ., 177-170).

სვიმეონ მეტაფრასტი, ლოლოთეტი – გამოჩენილი ბიზანტიელი საკლესიო მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე X ს. II ნახევარში. სვიმეონის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ლიტერატურული მიმართულება ბიზანტიურ საკლესიო მწერლობაში, ე. წ. მეტაფრასული ეანრი ჰაგიოგრაფიისა, რაც გამოიხატა წმინდანების „წამება-ცხოვრებათა“ უძველესი ბერძნული ძეგლების, ე. წ. კიმენური თხზულებების მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით გადამუშავება-შემკობაში. საინტერესოა, რომ სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის დრო და მის მიერ ჩატარებული სამუშაოს მოცულობა, რაც ბურუსით იყო მოცული ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში, ცნობილი გახდა ქართული წყაროებით: აკად. კ. კეკელიძემ მიაკვლია ორ დოკუმენტს, რომელთაგან ერთი ეკუთვნის XI ს. II ნახევრის გამოჩენილ ქართველ მწერალს ეფრემ მცირეს (ორივე დოკუმენტი გამოქვეყნებულია: ეტიუდები V, გვ. 223-226; 235-241). ნათელი გახდა, რომ სვიმეონს თავისი მეტაფრასულ-ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია 982 წელს და გადაუმუშავებია სექტემბერ-იანვრის, ე. ი. 5 თვის წმინდანთა „წამება-ცხოვრებანი“. ეს უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა სხვადასხვა დროს ქართულად უთარგმნიათ: ცალკეული თხზულებები დაეთ ტბელს, სტეფანე სანაოსისეს, ეფთჳმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, არსენ იყალთოელს, ხოლო მთლიან თვეთა მასალა – ეფრემ მცირეს და თეოფილე ხუცესმონაზონს. ე. ი. სვიმეონის ლიტერატურული მემკვიდრეობა მთლიანად არის თარგმნილი ქართულად, უფრო მეტიც, სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის თვეები ორჯერ – ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (აქედან თეოფილეს თარგმნილი ოქტომბერი დაკარგული ჩანს). სვიმეონის თხზულებათა ქართული თარგმანები დაცულია XI-XII სს. ხელნაწერებში: სექტემბერი – S 384, XI-XII სს. ძირითადად ეფრემის თარგმანი: Ath 20, 1081 წ. თეოფილეს თარგმანი. ოქტომბერი – S 384, XI-XII ს. ეფრემის თარგმანი (თეოფილეს თარგმანი დაკარგული უნდა იყოს), ნოემბერი – S 384, XI-XII სს., ძირითადად ეფრემის თარგმანი; Ath. 36-37, XI ს. თეოფილეს თარგმანი. დეკემბერი – Ath. 2, XI ს. მხოლოდ ცალკეული თხზულებათა მთარგმნელია ცნობილი. იანვარი – A 79 XII-XIII, ქუთ. XIII-XVI ს. ცალკეულ თხზულებები უთარგმნია ეფთჳმე მთაწმიდელს. სვიმეონს ზედწოდება „მეტაფრასტი“ უწოდეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის სტილის გამო – „მეტაფრასის“ ბერძნულად ფრაზის გამართვას, დახვეწას ნიშნავს, ხოლო საერთოდ იგი ცნობილია, როგორც „სუმეონ მაგისტროსი და ლოლოთეტი“, ბიზანტიის სამეფო კარის დიდი სახელმწიფო მოხელე. სვიმეონ ლოლოთეტს ეკუთვნის აგრეთვე „ქრონოგრაფი“, რომელიც მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 948 წლამდე.

სვიმეონ მწიგნობართუხუცეს – ჭყონდიდელი – XII ს. I ნახევრის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის დისწული და მემკვიდრე ამ თანამდებობაზე 1118-1141 წწ-ში. 1123 წ. შიომღვიმისათვის მიცემულ ანდერძში დაეით აღმაშენებელი სვიმეონს ბედიელ-ალაეერდელის ტიტულით მოიხსენიებს: „აწ სუმეონ ბედიელ-ალაეერდელისა იყოს შეეედრებულ (საუბარია შიომღვიმის მონასტერზე)... შემდგომად მისაა, თუ მისსა ადგილსა... სხუაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურუდის (ქართ. ისტ. სად. კორპუსი, I, 1984, გვ. 58). შირვანის აღების (1123 წ.) შემდეგ დავითმა „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჴერი და კახნი და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სუმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალაერდელი, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“ (ქართ. ცხ. I, გვ. 345). როგორც ჩანს, სვიმეონი ჯერ ბედიელ-ალაერდელი ყოფილა 1118 წლამდე, ხოლო გიორგის გარდაცვალების შემდეგ დამატებით მწიგნობართუხუცესის სახელო და ჭყონდიდელის პატივი მიუღია.

1141 წ. სვიმეონს განუახლებია უბისის მონასტერი და სეეტიც აუგია, როგორც ეს დასტურდება სვეტის სააღმშენებლო წარწერიდან: „მე საწყალობელსა სულითა სუმეონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღმრთისაგან აღშენებად მონასტერი ესე და სუეტიცა ესე მეფობასა ღმრთის მიერ გურგუნოსნისა დიმიტრი მეფეთა-მეფისა, ძისა დიდისა მეფისა დავითისა. ქრონიკონი იყო ტჲდ (-361-780 – 1151). ზედა წელი სარკინოზთაჲ ულე (1141)“ (ლაპ. წარწ. I, გვ. 141).

სვიმეონ სალოსი – VI ს. სირიელი მონაზონი ქ. ედესიდან, რომელიც მონაზვნად აღიკეეცა თაეის მეგობარ იოანესთან ერთად და

დაშკვიდრა უდაბნოში მკვდარი ზღვის ახლოს. 29 წლის განდეგილობის შემდეგ, 582 წლიდან მან დატოვა უდაბნო და ჩაედო ქ. ემესში, რათა ღვთის შთაგონებით ეშსახურა ხალხისათვის. იმ საბაბით, რომ სასწაულმოქმედებით, ქველმოქმედებით და მოყვასთა სიყვარულით მას სიმსუბუქი არ გამოეწია ხალხში, მან სიგიჟე მოიგონა და სალოსობა დაიწყო. სვიმეონ სალოსი გარდაიცვალა 592 წ. ახლოს. მისი სხენების დღედ 21 იელისია დადებული. სვიმეონ სალოსის ცხოვრების რედაქციის „ცხოვრება“ ქართულად არის თარგმნილი X ს. ადრე და მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (Ath.7 XIII ს., 253-277; ბრიტ. მუზ. Addit 11281, XI ს. 333-364, Jer. 17, XII-XIII სს., 290-316, გამოც. ვ. იმნაიშვილისა, მამათა ცხორებანი, თბ., 1975, გვ. 285-311), ხოლო მეტაფრასული რედაქციის „ცხოვრება“, რომელიც XI ს. ბოლოს იოანე ქსიფილინოსს უნდა შეედგინა კიმენური „ცხოვრების“ საფუძველზე და რომელიც ქართულად ალბათ, XII ს. შუა წლებში უთარგმნიათ, ცნობილია ერთი ხელნაწერით (ქუთ. 3, XVI ს., 639-647).

სვიმეონ უფლის მიმრძველი – ლუკა მახარებლის მოწმობით, „იყო კაცი იერუსალიმს, რომლისა სახელი სჳმეონ და კაცი ესე მართალი იყო მის ზედა“ (ლუკა 2,25). სულიწმინდის უწყებით, მოხუცებული სვიმეონი მანამ არ მოკვდებოდა, სანამ არ იხილავდა „ცხებულსა უფლისასა“, ე.ი. იესო ქრისტეს. ერთ დღეს მარიამმა და იოსებმა იუდეველთა ჩვეულების მიხედვით, შობიდან მეორმოცე დღეს, იესო ქრისტე მიიყვანეს ტაძარში და ღვთის წინაშე წარადგინეს პირმშო და მსხვერპლი შესწირეს მას. როგორც კი სვიმეონმა დაინახა მოსულნი, სულიწმინდამ აუწყა სვიმეონს, რომ ახლადშობილი არის მესია, რომლის მოლოდინებას იგი მოელოდა. მოხუცმა მიირქვა ჩვილი და წარმოთქვა თავისი წინასწარმეტყველება: „აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა, მშჳდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოელისა ერისასა ნათელი გამოხრწყვნებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“ (ლუკა 2, 31-34) წინასწარმეტყველების დასრულებისთანავე სვიმეონი გარდაიცვალა. VI ს. მისი წმინდა ნაწილები გადაუტანიათ კონსტანტინეპოლში. სხენების დღედ 3 თებერვალია დადებული. სვიმეონის რამდენიმე ეკლესია არის ცნობილი, ერთი მათგანი ყოფილა ათონის მთაზე: „შრომითა განკაჟულნი გუამნი მათნი (არსენი ნინოწმიდელისა და იოანე გრძელისძისა) დაისხნეს საფლაჳსა შინა წინაშე ტაძრისა წმიდისა სჳმეონ მოხუცებულისასა“ (ძეგლები II,86). ერთ ბერძნულიდან ნათარგმნ თხზულებაში – „გამოცხადებაჲ იაკობისი, სჳმეონის და ზაქარიაჲსი“, რომელიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული (კიმენი, II, გვ. 731-738), სვიმეონ მოხუცებული პირველ მოწამედ არის დასახელებული (სტეფანე პირველმოწამეზე ადრე), რადგან მან პირველმა დაამოწმა, რომ ახლადშობილი იესო არის ღმერთი.

სვიმეონი, „ნათესავი უფლისა“ – ერთი 70 მოციქულთაგანი, ზედწოდებით ნაგარი (საქ. მოც. XIII, I), იოსების (მარიამის მეუღლის) უმცროსი ძმის, კლეოპის შვილი. იგი უკვე მოწიფული იყო, როდესაც იხილა იესო ქრისტე სასწაულები, ირწმუნა იგი და გახდა ერთ-ერთი მოციქული. მისი მოძღვრის – იაკობ მოციქულის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ (†63 წ. 23 ოქტ.), რომელიც იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო, სვიმეონი იერუსალიმის ეპისკოპოსად აირჩიეს. ტრაიანე იმპერატორის (98-117) დროს რომის ქალაქის თავს, ატიკოსს მოახსენეს, რომ სვიმეონი ბიბლიური დავით მეფის შთამომავალია (რომაელები სასტიკად უსწორდებოდნენ დავით მეფის შთამომავლებს) და ქრისტიანობას ქადაგებს. წარმართობამ უკვე ას წელს მიღწეული მოხუცი ტანჯვებს და ბოლოს ჯვარზე გააკრეს. „საქმე მოციქულთაში“ სვიმეონი მოხსენიებულია ანტიოქიის ეკლესიის მოძღვართა და მოციქულთა - პაულესა და ბარნაბასთან ერთად (XIII). სვიმეონ მოციქულის მოსახსენებელი თარგმნილია ქართულად (ქუთ. 7, XIII ს., 386-389). მოციქულის სხენების დღედ 27 აპრილია დადებული, ხოლო 4 იანვარს იგი მოიხსენიება დანარჩენ 70 მოციქულთან ერთად.

სვიმეონ ხუცესმონაზონი – XIII ს. სომეხი დიოფიზიტი საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, რომელმაც ქართულიდან სომხურად რამდენიმე მნიშვნელოვანი თხზულება თარგმნა. სვიმეონი, როგორც იგი ერთ-ერთ ანდერძში აღნიშნავს, 1248 წ. 60 წლისა ყოფილა. მოღვაწეობდა ლაერაში, ალბაკაძის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მას ქართულიდან სომხურად უთარგმნია: 1. პროკლე ღიდონელის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, რომელიც ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია იოანე პეტრწუს და საკუთარი კომენტარები დაურთავს, 2.

იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ“ („დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“), რომელიც ბერძნულიდან ქართულად არსენ იყალთოელმა თარგმნა, 3. არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი „დოგმატიკონის“ ექვსი სტატია (ევსტრატი ნიკიელის), 2. „სიტყუაჲ პურიანთა მიმართ“, 3. სიტყუაჲ სარწმუნოებისათუს დასამკობელად ნესტორიანთა“, 4. „სიტყუაჲ ნამუშაკევი დასამკობელად ღმრთის მოძაგებულისა წვალებისა იაკობიტთა“, 5. „ქრისტეს შორის ორთა ნებათათუს... ორთა ბუნებათათუს და ერთისა გუამისა“; 6. „სიტყუსგებაჲ სომეხთა მიმართ. 7. იოანე სინელის კლიმაქსი, რომელიც ბერძნულიდან ქართულად პეტრე გელათელმა თარგმნა ფოტი პატრიარქის სქოლიოებითურთ (სომხური სქოლიები არ არის ნათარგმნი; ილ. აბულაძე, შრომები IV, 29-40).

სეიმეონ ჯალაბელი — იხ. სეიმეონ მესვეტე (უფროსი).

სვინაქსარი — თავდაპირველად ეწოდებოდა სახარება-სამოციქულოზე დართულ სარჩევს ანუ კალენდარს, რომელიც შეიცავდა წმინდანთა სახელებსა და საეკლესიო ღღესასწაულებს, განაწილებულს თვის დღეებში მათი ხსენების მიხედვით. იქვე მითითებული იყო, საღვთო წერილის რომელი ადგილი უნდა წაკითხულიყო ამ დღეს. შემდგომში სვინაქსარი იქცა ტიპიკონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად, რომელშიც მოცემულია წმინდანთა, მოწამეთა და ღღესასწაულთა თორმეტი თვის ყველა დღეზე გაწყობილი კალენდარი, გაერკვიებილი მათი ბიოგრაფიული თუ ისტორიული ცნობებით და ლიტურგიკული მითითებებით ტროპარებზე, კონდაკებზე, ლიტანიაზე და სხვ. ქართულად თარგმნილი ასეთი ძეგლებიდან აღსანიშნავია შიომღვიმის XII ს. ტიპიკონი, სამშვინდის ლავრის ტიპიკონის ქართული თარგმანი H 1349 (გამოსცეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 2005წ.).

ქართულ მწერლობაში სვინაქსარის სახელწოდება მთელ ტიპიკონზე გავრცელდა. ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია ბერძნული ენიდან თარგმნილი სვინაქსარის ორი რედაქცია: 1. „სუნაქსარი საწელიწდოჲ უმცროსი“, რომელიც წარმოადგენს კონსტანტინეპოლის წმ. სოფიოს ტაძრის ტიპიკონის შემოკლებულ ვარიანტს. თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა X ს. დასაწყისში (1005 წლამდე) და სამეცნიერო ლიტერატურაში „მცირე სვინაქსარი“ ეწოდება, 2. „დიდი სუნაქსარი“, კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრის ტიპიკონის სრული რედაქცია, რომელშიც შეტანილია აგრეთვე მასალა სტუდიელთა მონასტრისა და ათანასე მთაწმიდელის დიდი ლავრის ტიპიკონებიდან. იგი 1042-1044 წწ-ებში თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა და შეიტანა ზოგიერთი ქართული მასალაც შეუტანა.

სვინგელოსი // სვინგელოზი (ბერძნ. — „თანამესენაკე“) — ხუცესი ან მონაზონი, რომელიც პატრიარქთან ცხოვრობდა და მისი თანაშემწე იყო საეკლესიო მართვის საქმეში და ამავე დროს მოწმე პატრიარქის უბიწო ცხოვრებისა. სვინგელოზთა შორის უპირატესს პროტოსვინგელოზის წოდება ჰქონდა, რომელიც პატრიარქობის პირველ კანდიდატად ითვლებოდა. ქართულ საეკლესიო მოღვაწეთაგან სვინგელოზის ტიტულს რამდენიმე პირი ატარებდა: ქართულ წყაროებში პირველი, ვინც სვინგელოზის ტიტულით არის მოხსენიებული, იოანე-თორნიკეა, ერისკაცობაში თორნიკე ეარაზვარე, ცნობილი ქართველი მხედართმთავარი დაჟით III კურაპალატის მეუობის დროს, შემდეგ ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და მონაზონი, იოანე ათონელის ნათესავი, „თჳსი“. იოანე-თორნიკე სვინგელოზადაა მოხსენიებული 977 წ. (ლიმონარი, Ath. 9) და 978 (ოშკის ბიბლია, Ath 1) წლების ხელნაწერთა ანდერძებში, აგრეთვე ათონის ქართველთა მონასტრის აღაპების წიგნში (A 558, 1074 წ.). სვინგელოზის ტიტულით მოიხსენიება XI ს. I ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ზაქარია ბანელი (ვალაშკერტელი), რომელიც მონაწილეობას იღებდა ბასილი იმპერატორისა (976-1025) და გიორგი I-ის (1014-1027) მოლაპარაკებაში და რომელიც ბასილი იმპერატორმა სამუდამოდ დატოვა კონსტანტინეპოლში, სადაც ზაქარიამ დააარსა აგიაპანტის მონასტერი. აქ გადაწერილი ერთ-ერთ ხელნაწერის (Q 34) ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარია ეპისკოპოსისა ბანაელისა და სუნგელოზისაჲთა... ქალაქსა კოსტან-ტინოპოლს, მონასტერსა მასვე ბანაელისა ეპისკოპოსისა, სუნგელოსისაჲთა, ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს“. სვინგელოზის წოდებით აქეს წარწერილი თავისი ერთი საგალობელი „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“ XIII ს. II ნახევრის ცნობილ ქართველ პიმნოგრაფს საბას, ხიხათა (აჭარის) ერისთაეს — ვარდან პხუსერიძის ძმას): „თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ეპისკოპოსისანი, შეხუეწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლისა თაენი წითლითა ასომთაერთანი მსი-

ტყუეელობენ“ (A 85, 293-297, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 391-393). ქართველ საეკლესიო მოღვაწეთათვის ბიზანტიური ეკლესიის მნიშვნელოვანი ტიტულის მინიჭებას, ალბათ, სიმბოლური მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული.

სვიფი (ფარის) – სოფელი მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონის მთ. ქედის სამხ. კალთაზე, მესტიიდან 37 კმ. სოფელში დგას X ს. წმ. გიორგის პატარა მოხატული ეკლესია. ეკლესია დაცულია ფრესკული მხატვრობის ორი ფენით X-XIV სს-ისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკლესიის ფასადების მოხატულობა ძველი ალთქმის, სამებისა და წმ. მხედრების გამოსახულებებით. ეკლესიაში ინახება ჭედური და ფერწერული ხატების უძირფასესი კოლექცია. ყურადღებას იპყრობს ეკლესიის ხის ძველი საუცხოო ჩუქურთმიანი კარები (XI ს.) ქტიტორული წარწერით (ლაპ. წარწ. II, გვ. 109-110).

სვეტიცხაქ – წარმართული დროის ქართული სახელი თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით იწყებოდა 5 სექტემბერს და მთავრდებოდა 4 ოქტომბერს (იხ. საეკლესიო წელი).

„სიბრძნე ბალავარისი“ – ჰაგიოგრაფიულ-მორალური ხასიათის სასულიერო რომანის – „ბალაჳარიანის“ ქართული თარგმანის სახელწოდება. ქართულად „სიბრძნე ბალავარისი“ არაბული ენიდან უნდა იყოს გადმოკეთებული. თხზულებაში მოთხრობილია ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავი: ინდოეთის მეფის, აბენესის ვაჟს იოდასაფს ქრისტიანობაზე მოაქცევს მეუდაბნოე ბალავარი. გამეფების შემდეგ იოდასაფი ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხზულების იგავური თხრობა (ბალავარის შეგონებები იოდასაფისადმი წარმოდგენილია იგავებად). თხზულებაში წარმოდგენილია რომანული ელემენტებიც (იოდასაფს ცოლუნების მიზნით მეფე ულამაზეს ასულებს მიუჩენს, და ერთი მათგანი უფლისწულს შეუყვარდება). ქართულ ხელნაწერებში „სიბრძნე ბალავარისი“ ერცელი და მოკლე რედაქციებით არის წარმოდგენილი: ვრცელს ეწოდება „ცხოვრებაჲ იოდასაფისი“, ხოლო მოკლეს – „სიბრძნე ბალავარისი“. ვრცელი რედაქციის თხზულება მხოლოდ ერთ ხელნაწერშია (Jer. 140, XI ს. გამოც. 1957 წ.). მეცნიერებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ვრცელი რედაქცია IX-X სს-ში უნდა იყოს თარგმნილი – ქართულად, ხოლო მოკლე – X ს. ბოლოს, ან XI ს-ში უნდა შექმნილიყო ქართულად ვრცელი რედაქციის შემოკლებით, რომელიმე პატერიკულ თხრობასთა კრებულში შესატანად. „სიბრძნე ბალავარისი“ ანუ „ბალაჳარიანის“ ქართული ვერსია თხზულების პირველი ქრისტიანული გადამუშავება უნდა იყოს. იგი შუალედური საფეხურია ამ სიუჟეტის ალმოსავლურ (სანკრიტი, ფალაური, არაბული) და დასავლურ (ბერძნული) გადამუშავებას შორის. შუა საუკუნეების ევროპაში უაღრესად პოპულარული „ბარლაამისა და იოდასაფის“ სახელწოდების თხზულება ქართული ვერსიიდან უნდა იღებდეს სათავეს. იოანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში დაცული ცნობის მიხედვით „სიბრძნე ბალავარისა“ ქართული ენიდან ბერძნულად თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (ძეგლები II, 41, 21). „სიბრძნე ბალავარისი“ ქართულიდან ითარგმნა რუსულად (ვრცელი რედაქცია თარგმნა ი. აბულაძემ, 1962 წ., მოკლე – ივ. ჯავახიშვილმა, პეტერბურგი, 1899) და ინგლისურად (მოკლე 1957, ვრცელი 1966 – ორივე დ. ლანგმა). ბალავარიანის ქართული რედაქციები გამოსცა ი. აბულაძემ (თბ., 1957 წ.).

„სიბრძნე ფილოსოფოსთანი“ – ზოგადი სახელწოდება ძველი ქართული საერო ხასიათის ასოფთეგმური კრებულებისა, რომლებშიც თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქის და ეროვნების ბრძენთა შეგონებანი (სენტენცია = აფორიზმები, გნომები, ბრძნული გამონათქვამები, ანეკდოტები). ქართულ მწერლობაში ცნობილია რამდენიმე ასეთი კრებული: „სიტყჳანი და სწაჳლანი სამეცნიერონი“, „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთაჲსა“, „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“ (XI-XII სს.), „სწაჳლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შუენიერნი“ (XVI-XVII სს.), „სიტყჳსგებაჲ სოკრატისი და სხუათა ფილოსოფოსთა“ (XVIII ს.) და სხვ. ზოგი კრებული შედგენილია ქართული მასალის საფუძველზე, ზოგიც თარგმნილია ბერძნული ან რუსული ენიდან. ტექსტები გამოსცეს ივ. ლოლაშვილმა (1969 წ.) და ლ. ძოწენიძემ (1978 წ.).

„სიბრძნით ალემართენით“ – ასაბალღებელის ერთ-ერთი სახე, რომელიც ითქმის მწუხრზე და ჟამისწირვაზე მცირე შესვლის დროს. „სიბრძნე“ აღნიშნავს ქრისტეს, ან ქადაგებას მის საქმეთა შესახებ, ხოლო „აღემართენით“ საეკლესიო მამებთან განმარტებულია ასე: „აღვამაღლოთ აზრი და საქმე ჩუენი ქმნეთისაგან და გულისხმა-ეყოთ სიკეთის გამოცხადება“. ამ ასაბალღებელს მწუხრზე მოსდევს გალობა:

„ნათელი მზიარული“, რომელიც გამოხატავს ქრისტეს, როგორც სალვთო სიბრძნეს.

სიდონია – IV ს. შუა წლების მოღვაწე ქალი, ამიათარ ებრაელთა მღვდლის ასული, რომელიც გაქრისტიანდა მამასთან ერთად, წმ. ნინოს დაემოწაფა და აღწერა მისი მოღვაწეობა, რომელიც „მოქცეაჲ ქართლისაჲ“ შეიტანა (ძეგლები, I, 124-144).

სილვანი რომის პაპი (314-335) – რომის განთქმული პაპი IV ს. I ნახევარში. სილიბისტრო I დაიბადა რომში, ქრისტიანი მშობლების ოჯახში. სილიბისტროს კარგი ქრისტიანული განსაზრახვა მიიღო და ცხოვრებიდანვე გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით და ქველმოქმედებით. მან თაეისი სახლი უცხოთ თავშესაფრად აქცია. ქრისტიანთა დევნის დროს იგი უშიშრად ახლებდა თავშესაფარს დევნილ ქრისტიანებს. უწამებიათ ეპისკოპოს ტიმოთეს შეფარებისათვის, ხოლო წამების შემდეგ ტიმოთეს გვამის დასაფლავებისათვის ქალაქისთავმა ტარკვინმა სილიბისტრო დაასტიმრა, მრავალი ტანჯვა მიაყენა, რომ სილიბისტროს უარი ეთქვა ქრისტიანობაზე, მაგრამ როდესაც ეერაფერს მიაღწია, იგი დილეგში ჩაამწყვდია. ქალაქისთავის უეცარი გარდაცვალების შემდეგ სილიბისტრომ თაეისუფლება მოიპოვა და უშიშრად უქადაგებდა წარმართებს ქრისტიანულ მოძღვრებას. 30 წლის ასაკში სილიბისტრო რომის ეკლესიის მოყვასთა დასში მიიღეს და მარკელინე პაპმა (296-304) ხელი დასხა ჯერ დიაკვნად, ხოლო შემდეგ ხუცესად. რომის პაპის, მელქიადის (311-314) სიკვდილის შემდეგ წმ. სილიბისტრო რომის ეპისკოპოსად აირჩიეს. იგი რომის ეკლესიას 20 წელზე მეტ ხანს მართავდა და ქრისტიანთა ულრმესი პატივისცემით სარგებლობდა. გარდაცვალა ღრმა მოხუცებული 335 წელს. სილიბისტროს ბიოგრაფი, სხვა ეპიზოდებთან ერთად, მოგვითხრობს ქრისტიანთა და ებრაელ მწიგნობართა პაექრობის შესახებ, რომელსაც კონსტანტინე დიდი და დედამისი, წმ. დედოფალი ელენე ესწრებოდნენ. ქრისტიანთა მხრიდან პაპი სილიბისტრო გამოდიოდა, რომელმაც წმ. წერილზე დაყრდნობით ისე სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგენი, რომ მათ ქრისტიანობა აღიარეს. სილიბისტრო პაპის „ცხორების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად სიმეონ მეტაფრასტმა შეადგინა X ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია დაახ. XI ს. I ნახევარში და რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული (A 90, XIII ს. 385-436; Jer. 5, XI ს. 1-16; და სხვ.). მიქელ მოდრეკილის იადგარში (S 425) შეტანილია სილიბისტროს საგალობელი, რომელიც ბერძნულიდან არის თარგმნილი („სილიბისტროს, რომთა ეარსკულავსა, ეაქებდეთ ერნი“...). სილიბისტრო რომის პაპის ხსენებას ქრისტიანული ეკლესია 2 იანვარს დღესასწაულობს.

სილიბისტრო – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელით:

1. იმერეთის მეფის კარის წინამძღვარი (ლილბერიძე) სოლომონ I-ის დროს, XVIII ს. II ნახევარში. სილიბისტრო მოხსენიებულია სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრების განწესებაში ხონის ტაძრის გამოსაელის თაობაზე, რომელიც შედგენილია 1761 წ. 23 აპრილს. დოკუმენტი სილიბისტროს დაუწერია: „მე, არქიმანდრიტს ლილაბერიძეს, ჩემის ხელმწიფის კარის წინამძღვარს, მღდელ-მონაზონს სილვისტროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი“ (ცსსა ფ. 1448, საბ. №4444; სამ. ძეგლ. III, 846).

2. გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი XVIII ს. II ნახევარში. სილვისტრო მოხსენიებულია აფხაზეთის კათოლიკოსის 1787 წ. ერთ წიგნში, რომელიც ლეონ სილიბისტრისაძეთა გაგზავნილი მოხელეიდან (Ad 8957; სამ. ძეგლ. III, გვ. 970-971).

სილოანე მოციქულები – ერთი 70 მოციქულთაგანი, პაულე მოციქულის მოწაფე და თანამშრომელი ქრისტეს მოძღვრების ქადაგებაში (თესალ. I,1; თესალ. II,1). სილოანე თესალონიკის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

სილოანე ნინოწმინდელი – ნინოწმინდის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში დაახლ. 1562-1588 წ. სილოანე სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხელს აწერს კახეთის ეპისკოპოსების ერთგულების წიგნს აღმოსაელეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზისადმი (Ad 64; სამ. ძეგლ. III, 344). ამ დროს ნინოწმინდელი ითელება „ათორმეტთა უდაბნოთა“ (ე. ი. დავითგარეჯის) არქიმანდრიტადაც. სილოანე ამ ტიტულით იხსენიება ერთ საბუთში: ნინოწმინდელი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი მამა სილოანე“ (ქრონიკ. II, 396; ისტ. საბუთ. III, გე. 64).

„სიმბოლო სარწმუნოებისა“ – ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმების შემცველი აღსარება, რომელსაც წარმოთქვამს მოსანათლავი ნათლისღების დროს, „მრწამსი“. პირველი სიმბოლო ქრისტიანული სარწმუნოებისა მოცემულია ქრისტეს მიერ იმ სიტყვებში, რომლითაც მან მიმართა მოციქულებს

ამაღლების წინ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ“ (მათე 28,19-20). რუფინუსის აზრით, სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი შედგენილია მოციქულების მიერ იერუსალიმის მოციქულთა კრებაზე (I ს.). მისი თქმით, კრებაზე თითოეულ მოციქულს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული სარწმუნოების სიმბოლო, შედგენილი იმ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას ქადაგებდნენ. კრებაზე მოციქულებმა ერთიანი ძალებით შეადგინეს სარწმუნოების სიმბოლოს ერთი ფორმულა. II საუკუნის ეკლესიის მამები ირინეუსი და ტერტულიანე სიმბოლოს შესახებ ლაპარაკობენ არა როგორც ახალ რამეზე, არამედ როგორც მოციქულთაგან გადმოცემულზე. სარწმუნოების სიმბოლოს, რომელსაც ნათლისღების დროს წარმოთქვამს თითოეული ასაკსრული ადამიანი, ტერტულიანე უწოდებს „ქრისტეს მიერ დადგენილ წესს, კანონს“. რომის ეკლესია თვლის, რომ სარწმუნოების სიმბოლო მოციქულთა შეუწნელია. მოგვიანებით რომის კურია ცდილობდა, დაედგინა, სარწმუნოების სიმბოლოს თუ რომელი სიტყვები რომელ მოციქულს ეკუთვნოდა. სარწმუნოების სიმბოლოს შემუშავების დამაგვირგვინებელი აქტი იყო ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლო სარწმუნოებისა, რომლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა 325 წ. ნიკეის I მსოფლიო კრებაზე, ხოლო მისი მეორე ნაწილი ჩამოყალიბდა და ორივე ნაწილი გაერთიანდა ერთ სიმბოლოდ კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებაზე 381 წელს.

ნიკეის კრების „სიმბოლო სარწმუნოებისა“ ანუ „აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ ნიკიისა კრებისაჲ“ ასეთია: „გურწამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოველისა მპყრობელი, ხილულთა და უხილავთა შემოქმედი, და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, შობილი მამისაგან, მხოლოდშობილი. ესე იგი არს არსებისაგან მამისა, ღმერთი ღმრთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი, არა ქმნული, თანაარსი მამისაჲ, რომლისა მიერ ყოველნი შეიქმნნეს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელი ჩუენ კაცთათჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს გარდამოჴდა და განკორციელდა და განკაცნა, ეუნო და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მოვალს განკითხვად ცხოველთა და მკუდართა, და ერთი სულიწმიდაჲ. ხოლო რომელნი იტყჳან, ვითარმედ: იყო, ოდეს არა იყო და პირველ შობისა არა იყო და ვითარმედ არა არსობისაგან იქმნა, ანუ რომელნი სხუა არსებისად იტყჳან ქცეცდისა ანუ ცვალებადისა ძესა ღმრთისასა, ამათ შეაჩუენებს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ“, კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებამ მცირედენი დამატებები შეიტანა ნიკეის კრების სიმბოლოს პირველ ნაწილში და განაერცო მეორე ნაწილი სულიწმიდის შესახებ და დაუმატა რამდენიმე დოგმატური საკითხი, ამასთანავე მთლიანად ამოიღო არიანული მწვალებლობის შეჩვენება. კონსტანტინეპოლის კრების მიერ ჩამოყალიბებული „აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ“ უცვლელად არის მიღებული დღევანდელი „მრწამსის“ ფორმულაში: „მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოელისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთჳს, კაცთათჳს და ჩუენისა ცხოვრებისათჳს გარდა-მოჴდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცდა და ჯუარს-ეცუა ჩუენთჳს პონტოელისა პილატეს ზე, და ეუნო და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა და კუალად მომაველ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფეისა არა არს დასასრულ, და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემის და იდიდების, რომელი იტყოდა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ: ერთი წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ; აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდეთა; მოველით აღდგომასა მკუდრეთით და ცხორებასა მერმისა მის საუკუნისასა. ამინ“.

მოტანილი სარწმუნოების სიმბოლო ანუ „მრწამსი“ ხმამაღლა უნდა წარმოთქვას სრულასაკოვანმა მოსანათლავმა ნათლისღების დროს, ხოლო მცირეწლოვანის მონათვლის დროს მას წარმოთქვამს მიმრქმელი ანუ ნათლია, ან მისი

სურულით ნათლისღების საიდუმლოს შემსრულებელი სასულიერო პირი. ტერმინი „სიმბოლო“ დასალური წარმოშობისაა. მის ნაცვლად აღმოსაელურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში იხმარებოდა „აღსაარებაჲ სარწმუნოებისა“, ან „მცნება სარწმუნოებისა“. აღმოსაელეთის ეკლესიის მამები და საეკლესიო კრებები IV ს-შიც არ უწოდებდნენ მას „სიმბოლოს“, არამედ სარწმუნოების „აღსარებას“ ან „გარდამოცემას“.

სიმონ იონაჲსი – პეტრე მოციქულის თავდაპირველი სახელი (იოან. 21,14; იხ. პეტრე მოციქული).

სიმონ კანანელი – იესო ქრისტეს ერთი თორმეტ მოწაფეთაგანი, მოციქული. ხშირად მოიხსენიება სახარებაში და „საქმე მოციქულთაში“. ქართული ტრადიციით, სიმონმა ქრისტიანობა გაავრცელა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში და კავკასიის მთიანეთში. ამავე ტრადიციის მიხედვით, სიმონ კანანელი დასაფლავებულია აფხაზეთში, ღღეანდელ ახალ ათონში. მის საპატიო საფლავზე შემდეგ სიმონ კანანელის ტაძარიც აუგიათ.

სიმონ კჱირინელი – სახარებაში მოხსენიებული პირი, რომელსაც გოლგოთაზე იესო ქრისტესთან ერთად აატანინეს ჯვარი, რომელზედაც აცვეს ქრისტე (ლუკა, 23,24).

სიმონ-კლდე – იხ. პეტრე მოციქული.

სიმონ მოგჳი – იხ. სიმონია.

სიმონ მოშურნე – იხ. სიმონ კანანელი (ლუკა 6,15).

სიმონ პეტრე – იხ. პეტრე მოციქული.

სიმონ-პეტრე – ქართლის კათოლიკოსი ბაკურის მეუობაში, სამოელ კათოლიკოსის შემდეგ, უკანასკნელი ცოლოსანი კათოლიკოსი (689-720 წწ.). (იხ. მოქც. ქართ.; ძეგ. I, 94, 97).

სიმონეთი – სოფელი თერჯოლის რ-ნში, თერჯოლიდან 15 კმ. სოფ. დგას გეიანდელი ეკლესია, რომლის კედლებში ჩატანებულია XI ს. წარწერიანი ქვები შეწყალებისა და მოსახსენებლების შინაარსით. წარწერიანი ფილები ჩატანებულია ეკლესიის სამხრეთის მინაშენის აღმოსაელეთ კედელში (3), ეკლესიის აღმოსაელეთ ფასადში (4), დასაელეთ კედელში (1) და ეკლესიის ჩრდილოეთის მინაშენის ფასადში (2) (ლაპ. წარწ. II, 110-115).

სიმონია – საეკლესიო თანამდებობისა და სასულიერო წოდების ყიდეა-გაყიდეა. სახელწოდება, რომელიც პირველად კლიუნელთა (X ს. საფრანგეთი) ორდენმა დამკვიდრა, მოდის „საქმე მოციქულთა“-ში მოხსენიებული სჳიმონ მოგეის სახელიდან, რომელიც მოციქულებს სთხოეს, მიანიჭონ „სულიწმიდის ნიჭი“ (8,9-25), და რომელიც პეტრე მოციქულმა ამხილა. სიმონიის წინააღმდეგ (ოლონდ ტერმინის დამკვიდრებამდე გაცილებით ადრე) მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების კანონმდებლობაში ბევრი კანონია გამოტანილი. მაგ.: საეკლესიო თანამდებობაზე განწესებისა და სასულიერო ხარისხში ხელდასხმისათვის გასამრჯელოს აღებისათვის დამნაშავე ეკლესიიდან განიკვეთებოდა (მოციქ. 29-ე, ქალც. მე-2, მეექვ. (ტრულის) 22-ე და 23-ე, ნიკეის VII მს. კრ. მე-19 კანონები, აგრეთვე ბასილი დიდის (IV ს.) ეპისტ. მისსვეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ, გენადი კონსტანტინეპოლელის (V ს.) ეპისტოლე, ტარასი კონსტანტინეპოლის ეპისტოლე ადრიანე რომის პაპის მიმართ და სხვ.). ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, რომელშიც აღნიშნულია, თუ როგორ ამხილებდა გიორგი ბაგრატ IV-ს მის მიერ დანერგილი საეკლესიო კათედრათა ყიდეა-გაყიდეის მანკიერი ჩვეულების გამო „რაჲთა არა ჰყიდღეს საპისკოპოსთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწაელეთა“ (ძეგლ., II, 162). საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული მეცრთამეობის მანკიერი ჩვეულების წინააღმდეგ იყო მიმართული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მე-5 კანონი „ხოლო ქრთამისათჳს და საფასისა, რომელსა მიიღებენ კლერიკოსნი კელთდასხმენი კელთდასხმადთაგან... განჩინებად ეიკადრებთ ჩუენცა... შეიჩვენოს, ვითარცა სჳმონ მოგჳ პეტრე მოციქულისაგან...“ (ე. გაბიძაშეილი, ძეგლისწერა, გვ. 109).

სინაგოგა (კრება, კრებული, საკრებულო) – იუდეველებში მორწმუნეთა თემი და საღოცავი სახლი. სინაგოგა წარმოიშვა პალესტინაში (ძვ. წ. აღ. IV ს.) და ეგეპტეში (ძვ.წ. III ს.), იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიების (დიასპორის) გაფართოების შემდეგ. სინაგოგა არსება ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ. სინაგოგაში სრულდებოდა ღვთისმსახურება, კითხულობდნენ და კომენტარს უკეთებდნენ ძველ აღთქმას და თალმუდს, მართავდნენ რიტუალურ ტრაპეზებს. შუა საუკუნეებში ვინც იუდეურ დოგმებს გადაუხვეოდა, სინაგოგიდან განიკეთებოდა.

სინანული – ცოდვების მონანიება, საეკლესიო კანონმდებლობით დაწესებული მორწმუნის ცოდვების მონანიების საეხური. სინანულს ოთხი საეხური აქეს: 1. შეტრირეი არის სი-

ნანულის უმძიმესი ფორმა, რომლის დროს მონანულნი არ შედიოდნენ ეკლესიის შენობაში, იდგნენ წინაკარში ან ეზოში და ცრემლით ეხუმარებოდნენ ეკლესიაში შემსვლელთ, მათთვის ელოცნათ. 2. მსმენელობა, რომელთაც უფლება ჰქონდათ ღვთისმსახურების დროს შესულიყვნენ ეკლესიის წინა ნაწილში, სტოაში, სადაც კათაკმეველნი იდგნენ და მათთან ერთად მოესმინათ საღვთო წერილი და ქადაგება და გამოსულიყვნენ ეკლესიიდან კათაკმევლებთან ერთად. 3. შეერდომა. შეერდომილნი მუხლმოყრილნი იდგნენ მორწყ-მუნეებთან ერთად ამბიონის დასავლეთ ნაწილში. მსმენელთა ეკლესიიდან გასვლისთანავე ისინი დაემხობოდნენ მიწაზე, ეპისკოპოსი ლოცულობდა მათთვის და შემდეგ ისინი გადიოდნენ ეკლესიიდან. 4. თანამდგომარე-ყოფა ერისა. ამ საფეხურზე მონანულნი იდგნენ და ლოცულობდნენ მორწმუ-ნეებთან ერთად მთელი ჟამისწირვის (ლიტურგიის) განმავლობაში, ამბიონის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს. მათ არ ჰქონდათ ეუქარისტიის (ზიარების) მიღებისა და მსხვერპლშეწირვის უფლება.

სინანულის თითოეულ საფეხურზე მონანულის ყოფნის ვადა ჩაღენილი ცოდვის სიმძიმის შესაბამისი იყო. აქედან მონანიების მთელი დროც არ იყო ერთი და იგივე (რწმენის უარყოფა – 12 წელი, კერპებისათვის მსხვერპლშეწირვა – 6 წელი, წარმართულ ღღესასწაულებში მონაწილეობა – 2 წელი, ნებსით კაცისკვლისათვის შეერდომა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა და სხვა). საეკლესიო ხელისუფალთ უფლება ჰქონდათ შეემცირებინათ დრო იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გულწრფელი იყო მონანულის წუხილი. IV ს. შემდეგ საჯარო მონანიება ალმოსავლეთის ეკლესიაში გაუქმდა. კანონები ხანგრძლივი საჯარო მონანიებისა შეიცვალა შეცოდებულთა ეპიტიმიური კანონებით, რომლებიც ცნობილია იოანე მმარხველის კანონების სახელით. ეპიტიმიური კანონებით დადგინდა მოკლევადიანი სინანული (10 წლის ნაცვლად 1 წელი) გაძლიერებული ლოცვებით, მარხვით, წყალობებით და სხვ. მონანულთა დგება (შერიგება) ეკლესიასთან შეეძლო მხოლოდ ეპისკოპოსს.

„სინანულისათჳს და სიმდაბლისა“ – ქართული საეკლესიო მოღვაწის მარტვილი საბაწმინდელის (VII ს.) პოემილია (ქადაგება), რომელშიც აღწერილია ფიზიოლოგიის მეტად რთული საკითხები. მთელი ორგანიზმი წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი, ყველა ორგანოს იმსულსების თავშესაფარი, რომლის განმგებელია ტვინი, გული კი მეუფეა ორგანოთა, ის აწვდის სისხლს ორგანიზმის ყველა ნაწილს და ა. შ. დახასიათებულია სხვა ორგანოები და მათი ფუნქციები. თხზულება მდიდარია სამედიცინო ტერმინოლოგიით. აღნიშნულია, რომ იმ დროს საქართველოში იყვნენ „მეცნიერნი მკურნალნი“. საბაწმინდის ლავრაში, სადაც ქართველებიც მოღვაწეობდნენ, იყო ქსენონი (საავადმყოფო), პყადათ დაქრავებული მკურნალი და სხვ. ქართული მედიცინის ისტორიაში „სინანულისათჳს და სიმდაბლისა“ ჯერჯერობით სამედიცინო-ბიოლოგიური შინაარსის უძველეს ნაწარმოებად უნდა ჩათვალოს. ქ. კეკელიძე ამ თხზულებას ორიგინალურ ძეგლად მიიჩნევს, ხოლო ჟ. გარიტი – ნათარგმნ თხზულებად, რომელიც სირიულიდან არის გადმოღებული. „სინანულისათჳს და სიმდაბლისა“-ს ერთ ხელნაწერში თხზულების სათაურში ასეთი შენიშვნაა: „მარტჳრი საბაწმიდელი იყო ქართველი (A 625,10). თხზულება გამოცემულია (ქ. კეკელიძე, ეტიუდები,... XII, გვ. 255-270; ი. აბულაძე, მამათა სწავლანი; ჟ. გარიტი, Le Museon, t. XIX).

სინასა და რაითს ჳამებულნი – მონაზონნი, რომლებიც დამკვიდრებულნი იყვნენ მონასტრებში და მღვიმეებში სინის მთაზე, სადაც მოსეს ღმერთმა ათი მცნება გამოუცხადა, და აგრეთვე რაითს, წოდებით ზღვის ნაპირზე, და ეწოდნენ ქრისტესთვის სარკინოზთა და არაბთა მომთაბარე ტომებისაგან. პირველი გაკეთება მონაზვნებისა მოხდა 312 წლის ახლოს, რომელიც აღწერილი აქვს ეგეიატელ მონაზონს ამონიუსს (IV ს.), რომელიც თვითმხილველი იყო 40 სინაელი წმინდანის წამებისა სინის მთაზე. ამონიოსის თხზულება „ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა წმიდასა სინას და რაითს“, თარგმნილია ქართულად (Sin. 32-57-33, 864 წ., 255-273) და გამოცემულია (I. ქ. კეკელიძე, კიმენი, I, 28-47 2. რ. გვარამია, ქართული და არაბული ტექსტები, თბილისი, 1973. გვ. 1-19). ამ დროსვე არაბებმა გაწყვიტეს 39 მონაზონი რაითში. მეორედ იგივე ამბავი განმეორდა 190 წლის შემდეგ, რაც აღწერა ასევე თვითმხილველმა, ნილოს სინელმა ანუ მმარხველმა (V ს.), რომელიც თეითონ სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს. მისი თხზულება „მოწყუენისათჳს წმიდათა მამათა მთისა სინისა და რაითისათა“, თარგმნილია ქართულად (A 79, XII ს., 119-186; ქუთ. 13,

XVI ს., 96-127). სინისა და რაითს დახოცილ მოწამეებს მოიხსენიებიან 14 იანვარს (ქართული წყაროებით 13 იანვარს).

სინგური – სულფიდების კლასის მინერალი, ძველად იყენებდნენ წითელი საღებაის დასამზადებლად. სინგური ფართოდ გამოიყენებოდა საკულტო მწიგნობრობაში: მისგან დამზადებული წითელი მელნით იწერებოდა წიგნის სათაურები, საზედაო ასოები, საგანგებოდ გამოსაყოფი ადგილები თუ სიტყვები. ფართო ადგილი ეკავა სინგურს საეკლესიო ფრესკულ მხატვრობაში და ა. შ.

სინდონი – იხ. არდაგი, არმენკა.

სინის მთა – მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასაწყისთან, სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. სინის მთაზე მდებარე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი საკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ქართული ბერების სამყოფელსა და მოღვაწეობის ადგილს და ძველი ქართული მწიგნობრობის ერთერთ მნიშვნელოვან საზღვარგარეთულ კერას. ეკატერინეს მონასტერი სინის მთაზე (ზღვის დონიდან 1528 მ.) დარსებულია IV საუკუნეში. აქ უძველესი დროიდან ბერძნებთან, სირიელებთან, ქრისტიან არაბებთან ერთად მოღვაწეობდნენ ქართაველებიც. პირველი ცნობები თითოროლა ქართველის მოღვაწეობის შესახებ სინაზე VI ს-დან გვხვდება, ხოლო ქართული კოლონიის მომძლავრება აქ IX ს-ში იწყება და X ს. სრულდება: პალესტინის სავანეებში (საბაწმინდა, პალავრა და სხვ.) არაბთაგან დევნილმა და შეეიწროებულმა ქართველმა ბერებმა სინის მთას მიაშურეს, იქ პალესტინის ქართული კულტურის ტრადიციები გააგრძელეს და მძლავრი საწყვნობრო კერა შექმნეს. სინის მთაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი მწიგნობრები, ჰიმნოგრაფები, კალიგრაფები, წიგნთა დამზადების ოსტატები (იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, მიქაელ კათმოწელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულეანისძე და სხვ.), რომელთა ერთობლივი ღვაწლის შედეგად შეიქმნა მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნსაცავი. დღეს სინის მთის ქართული წიგნების კოლექციის ნაწილი ისევ სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერშია დაცული (რომელთა ფოტოასლები დამზადებულია აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკიდან 1956 წ. მიღებული მიკროფილმებისაგან და ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ზოგი კი თბილისის, ლენინგრადის, პარიზის, გრაცის, აშშ-ისა და სხვა ბიბლიოთეკებშია). სინის მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობანი გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს, იე. ჯავახიშვილს, ე. გარიტს (ფრანგულად). ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო ამ კოლექციის ხელნაწერთა ერცელი აღწერილობის პუბლიკაცია. გამოვიდა I, II, III წიგნები. სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულია ბიზანტიური ხელოვნების უმდიდრესი კოლექცია მონასტერში შექმნილი უძველესი ქრისტიანული ხატებისა (VI ს.). ბოლო ხანებში ეკატერინეს მონასტერში გაჩენილმა ხანძარმა და კედლის ჩამონგრევამ გამოავლინა უცნობი წიგნსაცავი, რომელშიც სხვა ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა 40-მდე უცნობი ქართული ხელნაწერი და მრავალი ფრაგმენტი. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა სამჯერადი მიელინების შედეგად შეისწავლეს და აღწერეს ახალი კოლექცია, რომელიც გამოიცა ბერძნულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე. სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარაძემ, ათენი, 2005 წ.

სინოდი (ბერძ.) – უმაღლეს სასულიერო პირთა კრება მთელ რიგ მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულ ეკლესიებში; რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო (XVIII ს. დასაწყ. – XX ს. დასაწყ.), 1917 წლის შემდეგ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის სათათბირო ორგანო, რუსეთში სინოდი 1721 წ. შეიქმნა გაუქმებული საპატრიარქოს ნაცვლად და მთელ საეკლესიო ცხოვრებას განაგებდა. სინოდი უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ოჯახური სამართლის ზოგიერთ საკითხში (ნათესავთა შორის ქორწინება, განქორწინება). სინოდის წევრებს იმპერატორი ნიშნავდა. სინოდის საქმიანობას აკონტროლებდა ობერპროკურორი – საერო პირი, სამხედრო ან სამოქალაქო მოხელე. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტით სინოდი, როგორც სახელმწიფო ორგანო, გაუქმდა. 1917 წ. რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში პატრიარქის აღდგენის შემდეგ სინოდი, როგორც საეკლესიო ორგანო, აღდგა. 1917 წ. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად დაარსდა სინოდიც.

სინური ოთხთავები (სახარებანი) – სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული უძველესი ქართული სახარება-ოთხთავის შემცველი ოთხი ხელნაწერი: Sin. 15, გადაწერ-

ილი 978 წ.; Sin. 30+Sin 38, 979 წ.; Sin. 16, X ს.; Sin. 19, 1074 წ.

სიონი – ბორცვი იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით, რომელზედაც ბიბლიური ტრადიციით, მდებარეობდა ღვთის ტაძარი და მეფე დავითის რეზიდენცია. ეპიფანე კვიპრელი (IV ს.) თავის თხზულებაში „საზომთათჳს და საწყაულთა" მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა ადრიანემ დანგრეულ იერუსალიმში სიონის მთაზე ნახა პატარა ეკლესია, რომელშიც სულიწმინდის მოფენა მოხდა. კირილე იერუსალიმელიც (IV ს.) ახსენებს წმ. სიონის ეკლესიას, რომელიც მოციქულთა ხახელს ატარებს. ეუსევი კესარიელი გადმოგვცემს, რომ მან ამ ეკლესიაში იხილა იაკობის, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის, „კათედრა (ტახტი). 384 წ. ერთ-ერთმა პილგრიმმა (ეგერიამ) სიონის მთაზე ნახა ახლად აგებული დიდი ეკლესია (Православный Палестинский сборник, VII). V ს. შუა წლების ცნობებით სიონის ეკლესია მოციქულთა აგებულია და აქ მოხდა სულიწმინდის გადმოსვლა მოციქულებზე. „ქრისტეს უწმიდესი ეკლესია, რომელიც არის დედა ყოველთა ეკლესიათაგან, დაარსეს მოციქულებმა, აქ მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმიდა ცეცხლის ენების მსგავსად და მასში მდგარი იაკობის ტახტი და ძელი, რომელზედაც აწამეს ქრისტე" (M.van Esbroeck, Actep.. 277). 500 წ. ბრეუიარიუს იერუსალიმელი წმ. სიონის ეკლესიაში მიუთითებს იმ ადგილს, სადაც წმ. სტეფანე პირველმოწამე ჩაქოლეს. ამავე ტაძარს უკავშირებს იგი „სადუმლო სერობას" (А. Веселовский, с. 6). 614 წ. სპარსთა შემოსევის შედეგად იერუსალიმი მიწასთან იქნა გასწორებული. ამ დროიდან ჯვაროსნების ლაშქრობამდე წმ. სიონის ეკლესია ალარ მოიხსენიება, როგორც „დედა ყოველთა ეკლესიათაჲ". სწორედ ჯვაროსნებმა აღადგინეს იერუსალიმის წმ. ადგილები და ალბათ, სიონის მოციქულთა ბაზილიკაც.

სიონის ბაზილიკა გახდა პროტოტიპი ბაზილიკური ეკლესიებისათვის საქართველოში „სიონის" სახელწოდებისა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცნობილია ეკლესიები და სოფლები „სიონის" სახელწოდებით.

სიონი – ღვთისმშობლის მიძინების კათედრალური სასატრიარქო ტაძარი თბილისში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. სიონის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის შენებლობა, როგორც საეპისკოპოსო კათედრალისა – „დიდი ეკლესიისა" ისტორიული ცნობების თანახმად, დაუწყიათ ქართლის ერისმთავრებს VI ს. II ნახევარში. ტაძარი მრავალჯერ დაურბევიათ და დაუგრევიათ მტრებს შემოსევების დროს. იგი მრავალჯერ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ, რასაც ადასტურებს კედლებზე შემორჩენილი წარწერები; ერთ-ერთი წარწერა გვაუწყებს, რომ თბილელი ეპისკოპოსი საგინაშვილს 1657 წ. ხელმეორედ აუშენებია სიონის გუმბათი, მოუხატვინებია და მოურთავს კარიბჭე. 1710 წ. წარწერით, ვახტანგ VI-ს განუახლებია ტაძარი. სიონი ძლიერ დაზიანდა 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს. XIX ს. დამდგისათვის ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს, ხოლო იმავე საუკუნის შუა წლებში ხელახლა მოიხატა რუსი მხატვრის, გ. გაგარინის ესკიზების მიხედვით.

„სიონი" – იხ. სანაწილე.

სიონი – დაბა (1960 წ-დან) თიანეთის რაიონში, მდ. იორის ხეობაში, სიონის წყალსაცავის ნაპირზე, თიანეთიდან 32 კმ. სიონის წყალსაცავის შექმნამდე (1951-1963) სიონში იდგა V ს. II ნახევრის ბაზილიკა, რომელიც გადმოიტანეს თბილისში, ხალხური ყოფისა და ხელოვნების მუზეუმში. ადგილზე ჩატარებული გათხრების (1962წ.) შედეგად ეკლესიის შიგნით და გარშემო აღმოჩნდა შირიმის კვადრებით ნაგები მინისქვეშა კამაროვანი აკლდამა (VI ს.), ქვიშაქვის ფილებით ნაგები ორგანყოფილებიანი სამარხი (VIII-IX სს.) და ქვის კოლექტიური სამარხები (XI-XVIII სს.). სიონის ბაზილიკის გეგმით სწორკუთხა ნაგებობის შიდა სივრცე სვეტების ორი წყვილით სამ ნავად არის დაყოფილი. შუა განიერი ნავი აღმოსაველეთით ნაწილობრივ აბსიდით მთავრდება. კედლები შემოსილია სუფთად გათლილი შირიმის ქვით. მორთულობაში გამოიყენებოდა მცენარეული, გეომეტრიული მოტივები და ცხოველთა გამოსახულებებით შედგენილი რელიეფური კომპოზიციები.

სიონი – სოფელი ყაზბეგის რ-ნში, მდ. თერგის მარჯვ. შენაკადი, ყაზბეგიდან 8 კმ. სოფელში დგას IX-X სს. მოქნის სამნავიანი ბაზილიკა ე.წ. ხეფის სიონი. ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვის კვადრებით. ფასადის მორთულობა ღარიბია. ტაძრის დასავ. კედელზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. ეკლესიის მახლობლად, კლდის პირას, დგას ოთხსართულიანი პირამიდისებური სადარაჯო კოშკი. იქვე კვარცხლბეკზე აღმართულია ქვა-სტელა, რომელსაც თავდაპირველად ჯვარი აგვირგვინებდა. ერთ ქვაზე შემორჩენილია ღვთისმშობლის ჩვილით გამოსახულების ნაშთი, ხოლო ფუძის რაკურსზე ქვაზე

ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. ეკლესიის შესასვლელთან სუფის უხუცესთათვის განკუთვნილი ქვის სკამებია.

სიონი – სოფელი მარნეულის რ-ნში, მდ. შულავრის მარცხ. მხარეს, მარნეულიდან 29 კმ. სოფელში და სოფლის მიდამოებში რამდენიმე ადრე და გვიან შუა საუკუნების ეკლესია დგას: I. გვიან შუა საუკუნების ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბოლნისის ძმას" უწოდებს. არის ლაპიდარული წარწერები. 2. სოფლის მიდამოებში (ქვედა ზარდალი) დგას ადრე შუა საუკუნების ეკლესია, რომელიც გვიან, XVIII ს. გადაუკეთებიათ სამლოცველოდ.

სიონიზმი – ებრაული ნაციონალისტური იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს დიდი სახელმწიფოების დახმარებით დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნას. ეს იდეა აისახა სიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აქსტრიელი ჟურნალისტის, თეოდორ ჰერცლის წიგნში „ებრაული სახელმწიფო" (1896 წ.). 1896 წ. სიონისტთა I კონგრესზე გაფორმდა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია. სიონიზმის იდეოლოგიის თეორიული საფუძველია იუდაისტური რელიგია, სადაც ამბობ მან დებულებები ებრაელი ხალხის ღვთივრჩეულობის, განსაკუთრებული ისტორიული ბედის, აღთქმულ ქვეყანაში ებრაელთა აუცილებელი თავმოყრის შესახებ. 1948 წლიდან სიონიზმი ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია გახდა. იგი ყველა საშუალებით ცდილობს ებრაელთა თავმოყრას პალესტინაში. სიონიზმის ხელმძღვანელი ცენტრები აშშ-სა და ისრაელშია. სიონიზმის უმაღლესი ორგანოა მსოფლიო სიონისტური კონგრესი, რომელიც ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ორგანიზაციის საქმიანობას 60-ზე მეტ ქვეყანაში.

სიტყვა – სახარების მიხედვით „სიტყვა" (იოანე I,1) აღნიშნავს წმ. სამების მეორე პირს – ძე ღვთისას, რომელიც მარადიული არსია მამაღმერთთან და სულიწმიდასთან ერთად და რომელიც განხორციელდა კაცთა ხსნისათვის.

სიტყვისებება – პაექრობა, კამათი. ქრისტიანულ მწერლობაში ტერმინით „სიტყვისგება" ხშირად აღინიშნებოდა კამათი სარწმუნოების საკითხებზე, მაგ. მართლმადიდებლობის პალოგეტის, ეფთვიმე გრძელის (XI ს.) კამათს სომეხთა მღვდელ სოსთენთან ღრტილის კრებაზე „სიტყვისგება" ეწოდება („სიტყვისგება ბერისა ეფთიმი გრძელისა, სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღვრისა – „საქ. სამოთხე", გვ. 615).

სიძიზმი – მონოთეისტური რელიგია ინდოეთში. აღმოცენდა ინდოეთში, პენჯაბში, რომელიც ბპატის (სახალხო რელიგიური მოძრაობა ინდოეთში XII-XVII სს.) ერთ-ერთი სექტა. მისი დამაარსებელი იყო რელიგიური თემის წინამძღვარი გურუ ნანაკი (1469-1539). სიქიზმს საფუძვლად უდევს იდეა ერთი ღმერთისა (ან ღვთაებრივი საწყისის), რომელიც გამოხატულია ყოველივე არსებულში. სიქიზმი აღიარებდა ყველა ადამიანის (კასტობრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად), თანასწორობას ღვთის წინაშე, უარყოფდა რთულ წეს-ჩვეულებებს და ასკეტიზმს, ღვთაებისადმი თაყვანისცემის გარეგნულ ფორმებს.

სიყვარულის სერობა (ბერძ. „აგაპე") – ქრისტიანული სარწმუნოების პირველ წლებში დამკვიდრებული ტრადიცია – ქრისტეს საიდუმლო სერობის მოსახსენებლად ღარიბ და მდიდარ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და სიყვარულის განმტკიცების მიზნით გამართული პურისჭამა ლიტურგიის დროს, ზიარების დაწყებამდე (რადგან იესო ქრისტემ თავის მოწაფეებთან ერთად ჯერ სერობა ჩაატარა და შემდეგ კი მოწაფეები აზიარა). მოგვიანებით, როდესაც მიღებული იქნა ზიარების წესი უზმოზე, „სიყვარულის სერობა", ანუ აღაპი ზიარების შემდეგ იწყებოდა. II ს-ში აღაპებს მართავდნენ ლიტურგიისაგან განცალკევებით, ეკლესიის შიგნით ან მის უზოში საღამო ხანს.

სიძვა – დაუქორწინებელი ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირი, „უმეუღლოს ბოზობა" (საბა). ასეთ ქალს „მეძაი", ხოლო მამაკაცს „მსიძაე" ერქვა. საეკლესიო კანონმდებლობით, „სიძეთ დაცემისათჳს" განსაზღვრული იყო „სიძეისა კანონითა განკანონება" – უზიარებლობით დასჯა 3-დან 7 წლამდე.

სიწმინდენი საქართველოს ეკლესიისა – I. „კართი უფლისა" ანუ იესო ქრისტეს პერანგი, კართი, ქართული ეკლესიის უდიდესი სიწმინდე, მცხეთაში იერუსალიმიდან ჩამოუტანია მცხეთელ ებრაელს, ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდა და „წილთგდებით" ხვდა იგი. სვეტიცხოველის პირველი ეკლესია, რომელიც მირიან მეფის და წმ. ნინოს დროს აშენდა, აგებულია სწორედ იმ ადგილზე, სადაც დაფლული იყო იესო ქრისტეს კართი ელიოზ მცხეთელის დასთან ერთად (როდესაც ელიოზმა კართი ჩამოიტანა, მისმა დამ გულში ჩაიკრა და მყისვე გარდაიცვალა; ეს ისტორია აღწერილია „მოქცეაჲ ქართლისაჲ"-ში,

ძეგლები, I, 87, 129, იხ. კვართი უფლისა).

2. „ფერკოთა ფიცარნი მაცხოვრისანი" – გამოგზავნილი საბერძნეთიდან კონსტანტინე დიდის მიერ. მირიან მეფემ ითხოვა საბერძნეთიდან „ქვის მთლელნი და კირითხურნი", რომ ახლად გაქრისტიანებულ საქართველოში ეკლესიები აეგო. ბერძენი ოსტატები, რომელთაც იმპერატორმა სიწმინდენი გამოატანა, ერუშეთს მისულან და „დადგეს საძირკველი ეკლესიისაჲ და დაუტეეს ფერკოთა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი" (ძეგლები, I, 86-87).

3. „სამსჭუალნი", რომლითაც იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს, აგრეთვე კონსტანტინე დიდის გამოგზავნილი იმავე ბერძენ ოსტატთა ხელით, რომლებიც „წარმოვიდეს (ერუშეთიდან) მანგლისს და დადგეს საძირკველ ეკლესიისა და დაუტეეს სამსჭუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად" (ძეგ. I,87).

4. „ჯუარი ეაზისა", რომელიც წმ. ნინომ შექმნა მცხეთაში, როდესაც იგი იმყოფებოდა „ადგილსა ერთსა შებურკილსა ბრძანებითა მაყულისაჲთა და შექმნა სახე ჯუარისაჲ ნასხლეებისაჲ (ვაზი), მოკეცეაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, 84. მეორე ცნობით, ეაზის ჯუარი, ნინოსთვის ღვთისმშობლის მიერ მიცემული, ნინომ იერუსალიმიდან ჩამოიტანა (ძეგ. III). ინახება მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში.

5. „ხალენი (ტყავის წამოსასხამი) ელიაჲსი", რომლის შესახებ „მოკეცეაჲ ქართლისაჲ" მოგვითხრობს: „არს სხუაჲცა ძალითა შემოსილი მრწოლი იგიცა, ხალენი ელიაჲსი ამას ქალაქსა (ე. ი. მცხეთაში) შინა, კელთა ჩუენთა, საკურთხეველსა სიმტკიცესა ჭუეშე, ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა" (ძეგლ. I, 130).

6. სიმონ კანანელის საფლავი ახალ ათონში (იხ. სიმონ კანანელი)

7. მაქმიე აღშარებელის საფლავი (ცაგერის რ-ნში, სოფ. მურში).

8. დავით და კონსტანტინეს წმ. ნაწილები „მოწამეთა" ეკლესიაში (იხ. დავით და კონსტანტინე).

9. ღვთისმშობლის კვართი (ხობის ეკლესიაში), რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში იყო XVI ს.; იქაურ (ე. ი. ხობის) ეკლესიაში დღემდე ინახება ღვთისმშობლის კვართი. ჩვენ ის ენახეთ, ვემთხვიეთ და თაყვანი დავიმწყალობეთ. ზუსტად მის თარგზე გამოჭერით პერანგი თეთრი სელისგან, აიაზმა ვხადეთ და შიგ იმ დიდებული კვართის ნაწილი ჩავდეთ, მერმე კი ეს წყალი ახალ პერანგს დავასხით. ეს პერანგი შეენახათ, რათა ჩვენს ქეყანაში წაგველო და ღვთისმშობლისაგან ლოცა-კურთხეუა მგველო („არმაზანი", მაკარი ანტიოქელის ცნობები საქ-ს შესახებ, 1982, გვ. 112-113).

10. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა, „მაღლი იერუსალიმისა" (ძეგლები, I, 238).

11. „ცრემლები" დავითგარეჯელისა, წყარო დავითგარეჯის მონასტერში.

12. თითი წმ. მოწამე კვირიკესი.

13. თაჳი წმ. მოციქულისა თომასი (თბილისის სიონში).

„სიწმიდისაჲ" – საგალობელი, რომელიც იგალობება ყველა სახის ჯაჭისწირვაზე (ლიტურგია) წმინდა მსხვერპლის გადატანის დროს „ულთაბანისაჲს" შემდეგ (საგალობლის ტექსტი გამოსცა მ. თარხნიშვილმა: Liturgie Ibericae Antiquiores, Louvain, 1950, p. 93-101).

სიწმინდის განახლება – „პირველმწირველთა ლიტურგიის" ძველი სახელწოდება (იხ. პირველმწირველთა ლიტურგია). სიწმინდის განახლების ლიტურგია (ანუ „წესი, როგორც ეს წყაროებშია აღნიშნული) უძველესი მოგვეწია. მის წარმოშობას მოციქულთა ეპოქას უკავშირებენ. ცნობილია, რომ ლიტურგიის ეს თავისებური წესი შემუშავებული იყო სპეციალურად მარხეთისთვის და რომ იგი უძველესი დროიდანვე დაწესებული იყო დიდმარხვის ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს, აგრეთვე ვნების კვირის პირველ სამ დღეს – ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს (А. А. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц во Иерусалиме IX-X вв., Казань, 1894, с. 49). ქართული უძველესი ადგარის (H 2123) პირველი ოთხშაბათის განგებაში ჩართულია სიწმიდის განახლების ლიტურგიის მასალა, ხოლო პირველი პარასკევის განგებაში ჩართულ დასდებელს 140-ე ფსალმუნიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, სიწმინდის განახლების ლიტურგიას უკავშირდება, ასეთი შენიშვნა აქვს „ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა" (უძველესი ადგარი, თბ., 1980, გვ. 107), რაც მიუთითებს, რომ ოთხშაბათი და პარასკევი გამორჩეულია იმით, რომ სწორედ ამ დღეებში აქვს ადგილი სიწმინდის განახლების ლიტურგიას, რომელიც შწუხარის მომდევნოდ სრულდება (ძველი ადგარი, გვ. 763). პირდაპირი მითითება სიწმინდ-

ის განახლების ლიტურგიაზე დაუცავს იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილ იადგარს (Sin. 34, ხელნაწერის ლიპსიური ფრაგმენტი) „და ზედ საკითხავსა – ფსალმუნი: ვითარცა საკუმეველი წინაშე შენსა წარემ..." დასდებელი: „უფალო, ღალად-ვსცა შენდამი, ისმ ... სიწმიდის განახლებსა-სიწმიდისაჲ ბ. აწ, ძალნი ცათანი..." (139r). „სიწმინდის განახლების" ლიტურგიის ერთ-ერთი რედაქცია, რომელიც XVI ს. გელათის მონასტრის კონდაკშია წარმოდ-გენილი, ბასილი დიდის სახელს ატარებს: „საღმრთოჲ განახლება სიწმიდისა წმ. ღმერთშემოსილისა ბასილისი", ხოლო მეორე რედაქცია, რომელიც XVII ს. ხელნაწერშია დაცული (A 82), გრიგოლი დიალოღოსნის სახელს: „საღმრთოჲ სიწმიდის განახლებაჲ თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი დიოლოღოსი. ესე ჟამისწირვა აღსრულების წმ. დიდთა მარხვათა შინა (23r-29v). ქ. კეკელიძემ სიწმიდის განახლების ლიტურგიის საკითხს სპეციალური პარაგრაფი უძღვნა ლექციონარში (Иерус. Канонарь, с. 202-204).

სიწმინდის განახლების ლიტურგია მწუხრის მსახურების უშუალო გაგრძელებაა. მწუხრი და სიწმინდის განახლება ერთი და იმავე მსახურების ორი განუყოფელი ნაწილია.

სკოპცები (საჭურისები) – ქრისტიანულ სამყაროში პირველ შემთხვევა თვითდასჯურისებისა ცნობილია VII ს-ში. ცნობილმა სწაველულმა თეოლოგმა ორიგენმა თავი დაისაჭურისა ცოლების თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც იგი განკეთილი იქნა მღვდელობისაგან. მალე, ისევ II ს-ში ორიგენეს გაელენის გარეშე პალესტინაში ქ. ფილადელფიაში აღმოცენდა საჭურისთა ვალენტიანური მწვალებლობა, არაბი ფილოსოფოსის ვალეზის სახელისაგან, რომლის წევრებს მცდარად ესახებოდა იესო ქრისტეს სიტყვები (მათე 19,12). 349 წ. ეს მწვალებლობა შეჩენებული იქნა, ხოლო მისი შემდგომი ბედი ცნობილი არ არის. თვითდასაჭურისების, ალბათ, ვალეზიანელთა სექტის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მოციქულთა კანონებია მიმართული (21, 22, 23, 24), შემდეგ – ნიკეის კრების პირველი კანონი. უფრო გვიან კი ამ საკითხზე სპეციალური კანონი (მე-8) გამოიტანა კონსტანტინეპოლის 861 წლის ადგილობრიემა კრებამ, რომელიც კონსტანტინეპოლის პირველად და მეორედ შეკრებილი კრების სახელით არის ცნობილი. მოუხედავად მრავალი შემთხვევისა, როდესაც საჭურისები იყენენ დასაღი და მაღალი სასულიერო წოდების პირები რუსეთში (პირველი – უცხოელი მონაზონი 1001 წ., შემდეგ კიევის მიტროპოლიტი ბერძენი იოანე II და ეფრემ I (1090-1147 და სხვ.), „სკოპეების" მწვალებლობის შესახებ რუსეთში პირველი ცნობა 1772 წ. ეკუთვნის. ეკატერინე II-ს ბრძანებაში მითითებული იყო: გამოეძიათ აქმე ორლოვის გუბერნიაში სკოპცების მწვალებლობის გამოჩენის შესახებ. მთავარი დამნაშავე ანდრია იეანიეი კატორღულ სამუშაოებზე გადაასახლეს ნერჩინსკში. საჭურისების მწვალებლობის მეორე გამავრცელებელი იყო კონდრატი სელიეანოვი, რომელიც ამ მწვალებლობის დამაარსებლად ითვლებოდა. კ. სელიეანოვი ჩაეიდა ორლოვის გუბერნიაში და დასახლდა ხლისტების თემში. დიანახა რა მათი გარყენილება, ცოდეების მოსანანიებლად დაიწყო დასაჭურისების ქადაგება, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. იგი გადავიდა ტამბოვის გუბერნიის ს. სასნოეკაში, თავი გამოაცხადა უფლის ძედ და ჩამოაყალიბა სკოპცების სექტა. 1772 წ., როცა ეკატერინე დედოფალმა დაიწყო „სკოპცების" საქმის გამოძიება, სელიეანოეი დაიმალა, იგი 1775 წ. დაპატიმრეს და გადაასახლეს ნერჩინსკში, მაგრამ რაღაც მიზეზებით ირკუტსკში დარჩა. 1795 წ. იგი უკეე მოსკოეშია და დიდი გავლენით სარგებლობს არა მარტო „სკოპცებში", არამედ სამეფო კარზედაც. როდესაც ეს სექტა ფრიად გავრცელდა და მისი წევრი გახდა მაღალი საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელი, მხოლოდ ამის შემდეგ, 1820 წ. გადაასახლეს იგი სუზდალის ეფთეიმეს მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1832 წ. სელიეანოეის სიკედილის შემდეგ დაიწყო უამრავი სასამართლო პროცესები მის შესახებ და სასჯელის თავიდან ასაცილებლად „სკოპცების" სექტის წევრები გადასახლდნენ საზღვარგარეთ, უმეტესად რუმინეთში. „სკოპცების" მოძღვრებით, „მამა მხსნელი", მეორე ქრისტე (კ. სელიეანოეი), განხორციელდა სულიწმიდისაგან და იმეა ქალწულისაგან (ელიზაეტა პეტრეს ასულისაგან) იოანე ღეთისმეტყველის ხარებით. იგი არის „თეთრი მეფე" პეტრე III თეოდორეს ძე. სექტა შედგებოდა თემებისაგან, რომელსაც ხომალდი (корабль) ეწოდებოდა. თითეული ხომალდის მეთაურს „მესაჭე" (кормщик) ჰყვდა. მას განუსაზღრული უფლებები ჰქონდა ქეეშეერდომებზე. მათ რიტუალს „რადენია" ერქეა. თავდაპირეელად დასაჭურისება ხდებოდა გაეარეარებული შანთით, ამიტომ მას „ცეცხლოვან ნათლისღებას" უწოდებდნენ, შემდეგ კი მჭრელი იარაღით, ხოლო გაეარეარებული შანთით სისხლისდენას აჩერებდნენ.

შემდეგში „სკოპცების“ სექტას ახალი სექტის ჩამოყალიბება. მოპყვა, რომელიც სრულ დასაჭურისებას ქადაგებდა („მცირე ბეჭედი“, „პირველი ბეჭედი“, „პირველი სიწმინდე“ და სხვა მრავალი). სკოპცების სექტის შესახებ რამდენიმე შრომა გამოქვეყნდა ჯერ კიდევ XIX ს. შუა წლებში.

სძრა — სოფელი გორის რ-ნში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, გორიდან 8 კმ. სოფლის მიდამოებში (ბნელეთი) არის ადრე შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია ლაპიდ. წარწერით.

სნექეთი — ნასოფლარი ცხინვალის რ-ნში, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე (ფეოდალურ ხანაში სოფ. სნეკეი შედიოდა ქსნის საერისთავოს გეერდისძირის თემის შემადგენლობაში). ნასოფლარის განაპირას დგას IX-X სს-ის წმ. გიორგის ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ეკლესია ნაგებია ყორით, შირიმისა და ფითელი ქვით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდი აქვს. კამარის საბჯენი თაღები პილასტრებზეა დაყრდნობილი. სამხრეთის კარის თავ'ზე ჩაღრმავებული ტიმპანია, ხოლო დასავლეთის კედელში, შესასვლელის ორივე მხარეს — თითო მაღალი ნიში. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე ბოლოებგაშლილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ნასოფლარის ტერიტორიაზე არის აგრეთვე შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

სოდომი — ბიბლიური გადმოცემით (დაბ. 19,1-29), ქალაქი მდ. იორდანეს შესართავთან ანუ მკვდარი ზღვის დასავ. სანაპიროსთან, რომლის მოსახლეობა მის ახლოს მდებარე ქალაქ გომორის მკვიდრებთან ერთად ცნობილი იყო გარყვნილებითა და ზნედაცემულობით, რისთვისაც ღმერთს ამ ქალაქების განადგურება გადაუწყვეტია. მის მიერ მოვლინებულ ანგელოზებს უნდა გადაერჩინათ მხოლოდ ღვთისმოსავი და პატიოსანი ადამიანები, მაგრამ ასეთი მხოლოდ აბრაამის ძმისწულის, ლოთის ოჯახი აღმოჩნდა. ანგელოზებს ლოთი და მისი ოჯახის წევრები გაუფრთხილებიათ, რომ ქალაქიდან გასვლისას უკან არ მოეხედათ. ღმერთმა სოდომსა და გომორს „წუნწუბა“ და ცეცხლი აწვიმა და მთლიანად გაანადგურა ისე, რომ არავინ გადარჩენილა. ლოთის ცოლს არ შეუსმენია ანგელოზთა გაფრთხილება, ქალაქიდან გამოსვლისას უკან მიუხედავს და იქვე მარილის სვეტად ქცეულა.

ძველ ქართულ მწერლობაში, ასევე თანამედროვე მეტყველებაში, „სოდომი“ ან „სოდომი და გომორი“ დაკავშირებულია უწესო ქცევის, გარყვნილების, ანარქიულობისა და სხვ. სიმბოლურად გამოსახატავად.

სოზონ მოწამე — ეწამა კილიკიაში მაქსიმიანე იმპერატორის (284-305) დროს. სოზონი იყო მწყემსი, წარმოშობით ლიკაონიდან. იგი გატაცებული იყო წმ. წერილით, რომელსაც უთხოვდა მწყემსებს და ბერი მათგანი გაკრისტიანა. მას გამოცხადებით ეუწყა მოწამებრივი აღსასრული. სოზონი ჩაიდა კილიკიის ქალაქ პომპეოპოლში, სადაც მზადდებოდა წარმართთა ღმერთსწყალი ოქროს კერპის სასტიკებულად. სოზონი შეიპყრა ხომობნი, მოამტვრია ხელი ოქროს კერპს, დაამსხვრია იგი და დაუწაფიელი ღრიჭებს. როდესაც ქალაქში საშინელი ორომტრიალი ატყდა დამწამების ბებნაში და აწამებდნენ ეჭვმიტანილ უდანაშაულო ადამიანებს, სოზონმა თვითონ განაცხადა დანაშაული იმპერატორის წინაშე. ხანგრძლივი სასტიკი წამების შედეგად წმ. სოზონი გარდაიცვალა დაახ. 304 წ. ღამით ქრისტიანებმა დამარხეს წმ. სოზონი, რომლის კუბოზე რამდენიმე სასწაული მოხდა. მოგვიანებით ქრისტიანებმა ააშენეს წმ. სოზონის ეკლესია. წმინდა სოზონის „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც სვინქარ მეტაფრასტს დაუწერია, ქართულად ორჯერ არის თარგმნილი: XI ს. შუა წლებში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, 1080 წ. 38-40) და დაახლ. XI ს. II ნახევარში უცნობი მთარგმნელის მიერ (ქუთ. 4, 1565 წ., 66-68; A 70, XIII ს., 395-398; Jer. 2, XI ს. 30-33). მოწამის ხსენება დადებულია 7 სექტემბერს.

სოკრატე (ძ.წ. აღ. 470/469/399) — უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი. სოკრატეს მოძღვრებით, ჭეშმარიტი ცოდნა მარად შეფარდებითია. ყოველის მცოდნე, ბრძენი მხოლოდ ღმერთია. ადამიანი შეიძლება მხოლოდ სიბრძნის მეგობარი, მისი მაძიებელი იყოს. ამ ძიების მიზანია ცნების, როგორც ერთეულისათვის, ზოგადისა და აუცილებლის დადგენა. ამოსავალია საკუთარი არცოდნის გაცნობიერება. სოკრატეს აზრით, ბოროტება უცოდინარობის გამო ხდება და თავისთავად არ არსებობს. საბოლოოდ ბოროტება სიკეთეს ეშმახურება. სოკრატე ათენის სასამართლომ სიკვდილით დასაჯა ახალი ღმერთის ქადაგებისა და ახალგაზრდობის გარყვნის ცრუ ბრალდებით.

სოლი — სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. მესტიაჭალის მარჯვ. მხარეს, მესტიიდან 5 კმ. სოფელში არის შუა საუკუნეების მაცხოვრის

ელესია ეკლესიის შიგნით შეშორჩენილა მოხატულობა და კანკელი.

სოლომონი – ბიბლიური გადმოცემით, ისრაელის მესამე და უდიდესი მეფე, დავითის მეორე შვილი ბერსაბესაგან. სოლომონი მეფე გახდა 16 წლის ასაკში. მან (1010 წ. ძველი წელთაღრიცხვით) დაიწყო იერუსალიმის ტაძრის მშენებლობა, რომელიც შეშდეგში თავისი დიდებულებით და მშვენიერებით ებრაელთა საოცნებოდ განთქმული სიწმინდე გახდა. ტაძრის მშენებლობა შვიდ წელიწადსა და 6 თვეში დამთავრდა. სოლომონს ხალხმა თავისი გონიერი სახელმწიფო მოღვაწეობისათვის და მწერლური ნიჭისათვის ბრძენი უწოდა. ამიტომ ეწოდება ძველი აღთქმის ერთ-ერთ მას წიგნს „სიბრძნე სოლომონისი". მას მიაწერენ ავრეთვე სხვა ბიბლიურ წიგნებსაც: „ეკლესიასტე", „ქებაჲ ქებათაჲ" და „იგავნი სოლომონისნი". სოლომონი გარდაიცვალა იერუსალიმში 40 წლის მეფობის შემდეგ (ძვ. წ. აღ. 980 წ.). სოლომონ მეფის ცხოვრება გადმოცემულია ძველი აღთქმის „მეფეთა" წიგნებში.

სოლომონი – რამდენიმე ქართველი კალიგრაფ-გადამწერისა და საკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ალავერდის სახარების გადამწერი, XI ს. შუა წლების შავი მთის ქართველი მოღვაწე, სოლომონი მოხსენიებულია სახარების მათეს თავის ბოლოს: „ქრისტე, შეიწყალე სოლომონ" და ავგაროსის (წერილი ქრისტესი და ავგაროსისა) ბოლოს: „იესუ ქრისტე... აღიდე სულითა მაღიდებელი შენი სოლომონ მღდელი" (ქრონიკ. II, 203).

2. XVII-XVIII სს. მოკლის საკლესიო მოღვაწე და კალიგრაფი, მაღალაძე. 1702 წელს სოლომონი კათოლიკოსის მღვან-მწიგნობარ-მგალობელი იყო, წერდა საბუთებს. მან გადაწერა ბესარიონ ორბელიშვილის გრდემლი (S 286, ლამაზი მხედრულით), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები (S 3683 – მხედრული). სოლომონი მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სტამბის საქმიანობაში (ფიქრობენ, რომ მან დაამზადა სახტამბო მხედრული შრიფტისათვის ხელნაწერი ნიმუში). სოლომონს აუშენებია 1716 წ. მაღალაძთ ეკლესიის სამრეკლო. უკანასკნელად სოლომონი მოიხსენიება 1736 წ. ერთ საბუთში.

3. თბილისის ანჩისხატის დეკანოზი, კალიგრაფი, მხატვარი და მწიგნობარი (ალექსი-მესხიშვილი). სოლომონი იყო მამა ტარასი არქიმანდრიტისა და ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრისა, დავით რექტორის ძმა. სოლომონი ანტონ I-ის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფე იყო. 1773 წელს იგი რუსეთშია. საფიქრებელია, რომ იგი გაჰყვა ანტონ I-სა და ლეონ ბატონიშვილს, რომლებიც ერეკლე II-მ ეკატერინე II-სთან გაგზავნა დიპლომატიური მისიით. 1789 წ. 29.X სოლომონმა ხოტბით მიმართა დავით ბატონიშვილს, შეშდეგში ტახტის მემკვიდრეს, არიანელებზე მისი გამარჯვების გამო (A 355, S 3282; დაიბეჭდა „ივერიაში" 1900 წ.). 1795 წ. აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრებისას სოლომონმა თავის შვილთან, დიმიტრისთან ერთად თბილისიდან გახიზნა ანჩისხატი, ქართული ეკლესიის დიდი და ძველი სიწმინდე. საკმაოდ მოზრდილი და მძიმე ხატი მან ზურგით ატარა და მთებში აიტანა. გახიზნულობის დროს სოლომონს არ შეუწყვეტია ხელნაწერების გადაწერა (A 356, A 15). იგი იყო მხატვარიც. მისი მხატვრობის ნიმუშია ანჩისხატის ეკლესიაში დაცული წმ. ბარბარეს ხატი. 1802 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სოლომონს უბოძა ოქროს გულის ჯვარი, კამილაუკა და 400 მან., პენსია სიკვდილამდე. გარდაიცვალა სოლომონი 1808 წ. და დაასაფლაეს ანჩისხატის ტაძარში. სოლომონი მხედრული და ნუსხური კალიგრაფიის საუცხო ოსტატი იყო. იგი მხედრულით წერდა როგორც საერო, ისე სასულიერო წიგნებს: მაგ. სოფ. ბელოთში 1770 წ., როდესაც სოლომონი კერძოდიაკონი იყო, მას გადაუწერია მხედრულად ოთხთავი (Q 268), ხოლო ასტრახანში 1773 წ. გადაუწერია ლოღიკა (A 15); 1788 წ. – „პარხვის მეტაფრასი" (A 276), 1799 წ. – „ბლისპირნი" (A 356), 1787 წ. ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია (A 1106) და სხვ. ნუსხურად სოლომონის მიერ გადაწერილი ხელნაწერებიდან აღსანიშნაია 1778 წ. გადაწერილი დიდი ფორმატის კრებული (A 618) და სხვ.

4. თბილისის სიონის ეკლესიის მღვდელი XVIII ს-ში, გადამწერი. სოლომონს გადაუწერია მცირე ლოცვანი (H 319), გადამწერი ანდერძში თავს „სიონელ სოლომონს" უწოდებს (100r).

5. XVIII ს. ბოლოს დეკანოზი. ანტონ II კათოლიკოსს სოლომონისათვის დაუკალებია გულანის (A 932) „შეკერა და განახლება".

6. XIX ს. I ნახევრის სასულიერო მოღვაწე (ერისთავეული). სოლომონი ახლდა კათოლიკოს ანტონ II-ს ნიჟნი ნოვგოროდში. 1826 წ. დაბრუნდა საქართველოში, შეირთო ცოლი და ისევ ნიჟნი ნოვგოროდში დაბრუნდა ანტონთან. 1827 წელს აკურთხეს ჯერ დიაკვნად და შეშდეგ

მღედლად (და უწოდეს სოლომონი). გარდაიცვალა 1842 წ.

სოლომონისი – სოფელი სამხრეთ საქართველოში ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, დღეს თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე. სოფელთან, მთაში ყოფილა მოხატული ეკლესია.

სომინო – სოფელი ონის რ-ნში, მდ. ჯეჯორის ხეობაში, ონიდან 3 კმ. ისტორიულ წყაროებში პირველად XVIII ს. იხსენიება. სოფელში შემორჩენილია XI-XII სს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია ლაპიდარული წარწერებით და კოშკის ნანგრევები.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია – ანუ სომხური სამოციქულო ეკლესია, რადგან ტრადიციის თანახმად, სომხეთში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ თადეოზ და ბართლომე მოციქულები. ფაქტიურად კი სომხეთში III ს. მეორე ნახევარში (დაახ. 274 წ.) ქრისტიანობის არსებობის შესახებ პირველი ცნობა ეუთვნის ათანასი ალექსანდრიელს († 373). სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა სომხეთში IV ს. დასაწყისში (301 ან 315 წ.) გამოცხადდა, თრდატ III-ის დროს, გრიგოლ განმანათლებელის (პართველის) ღვაწლის შედეგად. გრიგოლი გახდა სომხეთის პირველი ეპისკოპოსი, რომელსაც ხელი დასხა კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსმა ლეონტიოსმა. პირველ ხანებში საეპისკოპოსო ხარისხი გრიგოლის საგვარეულოში მემკვიდრეობით გადადიოდა. IV-V სს. მიჯნაზე ბიზანტია-ირანის ომების შედეგად სომხეთი ორ ნაწილად გაიყო და საერო ხელისუფლება მოიშალა. ერთიანი სომხეთის სიმბოლო გახდა სომხური სამოციქულო ეკლესია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დაახ. ამავე ხანებში ავტოკეფალური სომხური ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის რეზიდენცია ხან ვაღარშაპატში იყო, ხან – დვინში. სომხური ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ნიკეის I (325 წ.), კონსტანტინოპოლის II (381 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებებში და აღიარებდნენ მათ. ისინი ვერ დაესწრნენ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებას (451 წ.) რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო და მთელი V ს. II ნახევრის მანძილზე მონაწილეობა არ მიუღიათ დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის გამართულ პოლემიკაში. დვინის 506 წ. საეკლესიო კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული, სომხური და ალბანური ქრისტიანული ეკლესიები, სომხურმა ეკლესიამ, ქართველებისა და ალბანელების მსგავსად, მიიღო ზენონის ჰენოტიკონი და დაგმო ნესტორიანელობა. ამის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ იწყო მონოფიზიტობისაკენ გადახრა, რომლის მეშვეობენე ფრთა – იელიანიტობა თავის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა დვინის II ადგილობრივ კრებაზე (551-554). ამ დროიდან მხოლოდ 631-726 წლებს შორის იყო იგი ქალკედონიტური, ხოლო მთელი დანარჩენი დრო დღემდე მონოფიზიტობისაგან აღარ გადაუხვევია. XII-XIII ს. მთელს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა 3 სომხური საკათოლიკოსო – ეჩმიაწინის, აღთამარისა და სისისა – და ორი საპატრიარქო – იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის. ამჟამად სომხეთის ეკლესიას სათავეში უდგას უზენაესი პატრიარქი და სრულიად სომეხთა კათოლიკოსი ეჩმიაწინისა, რომელიც სხვა იერარქების მიმართ მხოლოდ პატივის უპირატესობით სარგებლობს. ეჩმიაძინში მოქმედებს სასულიერო სემინარია და აკადემია.

აღთამრის საკათოლიკოსო 1915 წ. გაუქმდა, ხოლო სისისა 1965 წლიდან გადაიცა ანტელიაში (ლიბანი). მის სამწყსოში შედიან ლიბანის, სირიისა და კვიპროსის სომხები (125000 კაცი). განაგრძობს არსებობას იერუსალიმისა (6400 კაცი) და კონსტანტინოპოლის (6000) საპატრიარქოები, რომელთაც 1928 წელს გამოეყო ბულგარეთის ავტონომიური საეპისკოპოსო (25000 კაცი).

სორი – სოფელი ონის რ-ნში, მდ. რიონის მარჯ. შტარეს, ონიდან 14 კმ. სოფ. სორი წყაროებში პირველად XVIII ს. იხსენიება. სოფელში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესიისა და ციხის ნანგრევები. სოფლის მახლობლად დგას „ჯვარცმის“ პატარა მოხატული ეკლესია, რომელიც დაახ. XIII-XIV სს. უნდა იყოს აგებული (ძეგ. მეგობარი, 34, 1947 წ.), ხოლო XVIII ს. გაახახლა რაჭის ერისთავმა შოშიტამ. იგი ერთხანს მონასტერი ყოფილა. სოფლის განაპირას დგას წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესიის ინტერიერში დაცულია XIV ს. მოხატულობა. წარწერაში მოხსენიებულნი არიან შატრერები – დავით და დიაკვნის შვილი ივანე. მოხატულობაში არის გვიანდელი ფენების კვალიც. სოფ. სორის მიდამოებში, შქმერის მთაზე არის შუა საუკუნეების ეკლესია. სოფლის მიდამოებშია აგრეთვე მთავარანგელოზის განეთარებული შუა საუკუნეების ეკლესია.

სოსთენე მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, პავლე მოციქულის მოწაფე,

რომელიც კოლოფონიის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

სოსიპატროს მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, წარმოშობით აქაიიდან. სოსიპატრე მოციქულ იასონთან ერთად გახდა პაულე მოციქულის მოწაფე. პაულე მოციქული მათ „ნათესაეთ" უწოდებს: „გიკითხავენ თქვენ... იასონ და სოსიპატროს ნათესავნი ჩემნი" (პრომ. მიმართ. 16,21). სოსიპატრე იკონიის პირველ ეპისკოპოსად იქცა ხელდასხმული. ქრისტეს სახარების საქადაგებლად იასონთან ერთად იგი გაუშვა დასავლეთში და 63 წ. მივიდა კუბტულ კერკორზე, იონის ზღვაში, საბერძნეთის მახლობლად. იქ მათ აშენეს ეკლესია სტეფანე პირველმოწამის სახელზე და ბევრი ადგილობრივი მცხოვრებელი მონათლეს, რისთვისაც კუბტულის მმართველმა ისინი დილეგში ჩააგდო. მოციქულთა მოთმინებამ და ქრისტიანული რწმენის სიმტკიცემ ბევრი პატიმარი გააქრისტიანა, რომელთაც მოწამებრივი აღსასრული მიიღეს. კუბტულის მმართველმა აწამა და მოაკვლევინა საკუთარი ქალიშვილი კერკორა, რომელიც მოციქულთა გაელვებით ქრისტიანი გახდა. სოსიპატრესა და იასონის ყოველისშემძლებით შეხრწუნებული მმართველიც ბოლოს ქრისტიანი გახდა, სეასტიანედ იწოდა და მოციქულებს ეხმარებოდა კუბტულზე ეკლესიების აგებაში. მოციქულები ღრმა მოხუცებულობაში აღესრულნენ. იასონისა და სოსიპატრე მოციქულების მოსასხენებელი, რომელიც შეიძლება იოანე ქსიფილინოსის შედგენილი იყოს, თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად დაახ. XII სნ შუა წლებში და შემონახულია ერთ მეტაფრასული თხზულებების შემკვეთ კრებულში (ქუთ. 7, XIII ს. 369-402). მოციქულთა ხსენების დღედ 28 აპრილია დადებული.

სოფია მოწამე – ეწამა ქრისტია-ნობისათვის იმპერატორ ადრიანეს (117-138) დროს რომში თავის ქალიშვილებთან პისტი, ელპიდი და ალაპისთან ერთად. ისინი წარადგინეს იმპერატორის წინაშე და კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვა მოსთხოვეს. ცეროვითარმა წამებამ და ტანჯვამ ვერ აიძულა დედა და ქალიშვილები, შეესრულებინათ იმპერატორის ნება. სოფიას აყურებინეს თავისი ქალიშვილების წამება და თავის მოკვეთა. მერე კი ნება დართეს სოფიას თავისი ქალიშვილების გვამები წაეღო და დაემარხა. წამებულმა დედამ ქალიშვილების საფლავზე დალია სული მესამე დღეს. ქრისტიანებმა დედაც ქალიშვილებთან დაკრძალეს. 777 წლიდან მოწამეთა წმ. ნაწილები ინახება ელზასში, ეშოს ეკლესიაში. ქართულად ორჯერ არის თარგმნილი ბერძნულიდან სვინურ მეტაფრასტის (X-XI სს.) მიერ შედგენილი ერთობლივი „წამება": X ს. შუა წლებში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (Ath. 20, 1080 წ., 126-132) და დაახ. XI ს. II ნახევარში უცნობი მთარგმნელის მიერ (S 384, XI-XII სს. 133-146; ქუთ. 4, 207-216). წმ. სოფიას და მისი წამებული ქალიშვილების ხსენება დადებულია 17 სექტემბერს.

სოფიანმინდა („აია სოფია") – VI ს. I ნახევრის გუმბათოვანი ტაძარი კონსტანტინეპოლში (დღევანდელ სტამბოლში), ბიზანტიის საეკლესიო ცენტრი, აგებული 532-537 წლებში, სამნავიანი ტაძრის (სიგრძე 77 მეტრი) აფრაბზე ამოყვანილი გუმბათი (დიამეტრი 31,4 მ.) ძირითად სივრცეს ნახევარგუმბათების რთული სისტემით უკავშირდება. შიგნით ტაძარი მორთულია ფერადი მარმარილოთი და მოზაიკით, რომელიც ოსმალებმა 1453 წ. შელესეს და ტაძარი მეჩეთად გადაქცევის (VI-XII სს. მოზაიკის ნაწილი გაწმენდილია). გარედან ტაძარი დამახინჯებულია XVI-XVIII სს. თურქების მიერ მინაშენებით (მინარეთები და სხვ.) დღეს ტაძარი მუზეუმს წარმოადგენს. ქართულ საეკლესიო წყაროებში ხშირად არის მოხსენიებული კონსტანტინეპოლის დიდი სატაძრიარქო ტაძარი – წმინდა სოფია ანუ აია-სოფია და ამ საეკლესიო ცენტრში შემუშავებული სახელმძღვანელო საეკლესიო წიგნები თუ ღვთისმსახურების წესი (ტიპიკონი).

სოფონია ფინასწარმეტყველი – ძველი ალთქმის ერთი მცირე წინასწარმეტყველთაგანი, იერემია წინასწარმეტყველის თანამედროვე. წარმოშობით ცნობილი ოჯახიდან იყო. სოფონია ცხოვრობდა ოსია შეფის სასახლეში, ქადაგებდა სინანულს და ეხმარებოდა შეფეს კერპთაყვანისმცემლობის მოსპობაში. სოფონია წინასწარმეტყველებდა იუდეის მცხოვრებლთა და მეზობელი ხალხების მოსალოდნელ უბედურებაზე. სოფონიას წინასწარმეტყველება შეტანილია ძველი ალთქმის წიგნებში, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებთან ერთად. ქართულად თარგმნილია წინასწარმეტყველის მცირე მოსახსენებელი, რომელიც შესულია დეკემბრის თვის მეტაფრასული თხზულებების კრებულში (ქუთ. 5) 3 დეკემბერს, წინასწარმეტყველის ხსენების დღეს.

სოფრონი – სახელი რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრისა:

1. ბედიელი, ბედიის ეპისკოპოსი XIII ს. II

ნახევარში. მისი ინიციატივით (ნიკოლოზ კათოლიკოსთან ერთად) აუშენებიათ ბედიის ტაძრის სამრეკლო, როგორც ამას ადასტურებს სამრეკლოს საალმშენებლო წარწერა: „ღმერთო შეიწყალე სული ამის მაშენებლისა ნიკოლოზ კათალიკოზისა და სოფრონ ბედიელისა“ (ლას. წარწ. II, 207).

2. მიტროპოლიტი; ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერა სამეფოჲსა საქართველოჲსა“-ში, ალექსანდრე დიდის (1412-1443) ეპოქასთან დაკავშირებით ამაზე წერს: „სწერენ ხრონო-ლოგიებსა შინა, რამეთუ ფლორენციის კრებასა ზედა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონ და ეპისკოპოსი ერთი წელსა ქრონიკონსა ჩუენგ“ (= 1433 წ.) ქართველნი, რომელი იქმნების ალექსანდრეს მეფობის წელი ით (19) (ქართ. ცხოვ. IV, 281 სქ.).

3. გენათელი, გელათის მიტროპოლიტი XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისში. 1612 წელს იგი მოუკლავთ შეთქმულების მონაწილეებს – სეხნია ჩხეიძეს და ხოსია ახალქიანს, როგორც ეს დადასტურებულია ერთი ქრონიკის ცნობით (მცირე ქრონიკები).

4. ცაიშელი (ღოღობერიძე), მოხსენიებულია მოწმედ XVIII ს. შუა წლების ერთ საქუთში, რომელიც გრიგოლ ჭყონდიდელს გაუცია“; „-კაცთაგან ამისი მმოწმე: ჩუენი წინამძღუარი ღოღობერიძე სოფრონ...“ (ცსსა ფ. 1448, საბ. №8783; საძ. ძეგლ. III, 816). როგორც ჩანს, სოფრონი ცაიშის ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა. XVIII ს. II ნახევრის ერთ წყალობის წიგნში, რომელიც გრიგოლ ცაიშელს გაუცია, მოხსენიებულია „ცაიშელი სოფრონ ღოღობერიძე“, როგორც გრიგოლ ცაიშელის წინამორბედი, ცაიშის მიტროპოლიტი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სოფრონ წინამძღვარი ღოღობერიძე შემდეგ ცაიშის მიტროპოლიტი გამხდარა, როგორც ეს ჩანს იმავე საბუთიდან: „და იმას შემდგომად სოფრომს ცაიშელობა მისცეს...“ (Hd 10549, საძ. ძეგ. III, 1050).

სოფრონი – სახელი რამდენიმე საეკლესიო მოღვაწისა:

1. წყაროსთავის მონასტრის მოღვაწე XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასწყისში. სოფრონს მოუგია 1193-1207 წლებში სახარება, რომელიც წალკის ოთხთავის სახელითაა ცნობილი (ც. არქ. №323). ოთხთავი ბექა ოპიზარის მიერ ყოფილა მოჭედილი, მაგრამ ჭედურობა XIX ს. ბოლოს უკვე დაკარგული ყოფილა. წალკიდან ეს ხელნაწერი ჩამოუტანა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რომელიც მას „ანჩურ სახარებას“ (იხ.) უწოდებს.

2. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის მონაზონი XV ს. ბოლოს და XVI ს. დასაწყისში. სოფრონს 1513 წ. შეუუხია და აღუდგენია ფსალმუნის ხელნაწერის (Jer. 133) დაკლებული ადგილები (კერები II, 113).

3. დაუითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი XIX ს. შუა წლებიდან, არქიმანდრიტი. სოფრონი იყო არაგვის ერისთაის, ბეჟან სარიდანისძის ერთ-ერთი შვილი, ერისკაცობაში – სარიდან. სოფრონს თბილისში ჰყავდა 20-მდე მოწაფე, რომელთაც გალობას ასწავლიდა. სოფრონი 1868 წელს მოხსენიებულია დაუითგარეჯის მონასტრის წინამძღვრად (A 1590; კეკელიძის კალენდარი, 1869 წ. გვ. 48).

სოფრონ დიდი – შატბერდის მონასტრის წინამძღვარი, განმანათლებელი, გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე, საეკლესიო მწერალი IX-X სს-ის მოღვაწე. გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიი, გიორგი მერჩულე სოფრონ დიდს ასახელებს იმ საეკლესიო მოღვაწეთა და მწერალთა რიცხვში, რომელთაგანაც მოსალოდნელი იყო გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ აღწერა: „ეპყრნებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყუნეს ჟამთა ჩუენთა: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გურგუნი მისი“ (ძეგ. I, 294). სოფრონ შატბერდელის მოგებულია ადიშის 897 წ. ოთხთაეი (H 1660).

სოფრონ იერუსალიმელი – იერუსალიმის პატრიარქი 634-644 წლებში, საეკლესიო მწერალი და ჰიმნოგრაფი, იოანე მოსხის მოწაფე და თანამგზავრი. სოფრონ იერუსალიმელის, ანუ პალესტინელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართულად 9 თხზულება არის თარგმნილი: I. მისი ქადაგებებიდან აღსანიშნავია: 1. „სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“ (A 129-116; A 162, 56-64; ქუთ. I, 1-13), რომელიც ეურეკ მცირეს უთარგმნია. 2. „სიტყუაჲ ხარებისათჳს“ (A 162, 2-4; ქუთ. 2, 288-312; ქუთ. 8, 151-172). 3. „სიტყუაჲ ნათლისღებისათჳს და ზედაეღგომისათჳს სარკინოზთა“, ქართულად თარგმნილია ორი რედაქციით (I. A 182, 403-438; S 1276, 178-197 და სხვ. II. A 182, 438-467; S 1276, 197-212 და სხვ.). 4. „სიტყუაჲ ზეცად ამაღლებისათჳს უფლისა“ (ქუთ. 8, 336-369) თარგმნილი ეურეკ მცირის მიერ. 5. „სიტყუაჲ შობისათჳს იოანე ნათლისმ-

ცემლისა" (Jer. 38, 307-327; H 1347, 319-333). II. შესხმის ჟანრის თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია: 1. „შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა და პირველდიაკონისა", ორი თხზულება (ქუთ. 5, 493-499; ქუთ. 5, 499-503). 2. „შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა" (Jer. 13, 240-277; S 1276, 213-239; თარგმნილი უნდა იყოს ეურემ მცირის მიერ). 3. „შესხმაჲ წმიდისა მღიქნელისა იოანე მახარებელისაჲ" (H 1347, 304-312). III. პაგიოგრაფიული თხზულებებიდან ერთი — „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მარიამ მეგვიპტელისაჲ" (A 272, 91-105; A 543; ქუთ. 8, 118-133), ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია.

სოფრონ ჯალეტინელი — იხ. სოფრონ იერუსალიმელი.

სოხასტერი (ბერძნ.) — მონასტრის ახლოს მდებარე ბერების საცხოვრებელი ადგილი (სენაკებით), სადაც განდეგილობის მსურველი მონაზვნები მღვდლებით და წყარად ცხოვრობენ. ქართული წყაროების ჩვენებით, სოხასტერები ჰქონიათ ყველა დიდ მონასტერს. მაგ.: გელათის, შიომღვიმის და სხვ. განსაკუთრებით მრავალი სოხასტერი ჰქონია ათონის ქართველთა მონასტერს. სოხასტერში ზოგჯერ, როგორც ჩანს, ეკლესიასაც აშენებდნენ, როგორც ეს ეფთვიმე მთაწმიდელის ცხოვრებაშია დადასტურებული: „ნეტარი ნინოწმიდელი ეპისკოპოსი და საღმრთოჲ ბერი იოანე გრძელის ძე, რომელნი იგი გარეგან მონასტრისა სოხასტერსა ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სუმეონ მოხუცებულისასა ესუენნეს, რამეთუ მუნ დაყუდებით ცხონდებოდეს" (ძეგლ. II, 133, 6-10).

სოხთა — სოფელი ჯავის რ-ნში, მდ. ფაწის მარჯვ. ნაპირზე, ჯავიდან 18 კმ. სოფლის მახლობლად, მაღალ მთაზე, შემორჩენილია X ს. დიდი ერთნაოსანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილის ქვედა სართულში საძვალეა. აღმოსავლეთის აბსიდის კედლებში ორი მაღალი, ნახევარწრიული ნიშაა. სიგრძის კედლები დანაწევრებულია პილასტრებით. ეკლესიას სამხრეთიდან ეკვეტერი ეკვროდა. ეკლესია ნაგებია შირიმით, ნატები და ღრუნისფერი თლილი ქვით. ეკლესია უხვად ყოფილა შემკული წარწერებით, ჩუქურთმებით და რელიეფებით, რომელთა უდიდესი ნაწილი განადგურებულია. ეკლესიის ხელოსანთა X ს. ხუთსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია ეკლესიის კედლიდან ჩამოვარდნილ სწორკუთხა ფილაზე. წარწერა ნუსხურნარევი ასომთავრულითაა ამოღარული: „საყდარო დაბისაო, შეიწყალე თეყდორე კალატოზი, სულსა გიორგისა განუსვენე, წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე იუანე კალატოზი" (ლაპ. წარწ. I, 189).

სოხთორითი — პატარა სოფელი ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, მდ. თორთომის ხეობაში, ექვემდებარე 1,5 კმ. (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე). სოფელში დგას ძველი, ოთხკუთხოვანი ერთნავიანი ტაძარი (ამჟამად ჯამედ არის ქცეული). ეკლესიას სახურავი არ შერჩენია და იგი მიწაყრილი ხის ჭერით არის დაფარული. ეკლესია ნაგებია ნატეხი ქვით, ოღონდ კარები, სარკმლები და აღმოსავლეთის ნაშენებია წმინდად თლილი ქვით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლებს მომრგვალებული, ჰორიზონტალურქუსლიანი საპირეები აქვს. ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონია: დასავლეთიდან და სამხრეთიდან, მაგრამ უკანასკნელი ამჟამად ამოქოლილია და მის მაგიერად სამხრეთით სარკმელია გაჭრილი. კედლებს მოხატულობის კვალი ამჩნევია. დასავლეთით გვიან მინაშენი ეკვეტერის ნაშთებიც შემორჩენილა. ტაძრის სიგრძე გარედან 10 მეტრია, ხოლო სიგანე — 6,6 მეტრი. ეკლესიას ჰქონია გალავანი, რომელიც ახლა დანგრეულია (იხ. ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია სამხ. საქართველოში, 1960 წ. გვ. 71).

სოხუმი — აფხაზეთის დედაქალაქი შაჲი ზღვის ნაპირზე. სოხუმის მიდამოებში (აშტოკის მთა) შემორჩენილია შუა საუკუნეების ბაგრატის ციხე-კოშკი და XI-XII ს. ეკლესიის ნანგრევები.

საადშენი — საგალობლების აღმნიშვნელი უცხო ტერმინი: „საადუნი უცხონი ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით: მსგაესი მსგავსებითა და თითოეული განთუსებით" (ე. ინგოროყვა, ძვ. ქართ. პოეზია, ს.ც 263 გვ.). ტერმინის მნიშვნელობა დაუდგენელია (ე. ინგოროყვას აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მუსიკალურ საკრავთან — ბერძნ. „საბლის").

საათაგორი — სოფელი ცაგერის რ-ნში, ლაჯანურის წყალსაცავის ნაპირზე, ცაგერიდან 15 კმ. წყაროებში იხსენიება XVIII ს-დან. სოფელში შემორჩენილა გვიანდელი ფუდალური ხანის ე. წ. „დადეშქელიანების ეკლესია".

საეპისკოპოსო — ურმა ქრისტიანი კაპადოკიიდან, რომელიც ეწამა ქრისტესთვის ტყეპ ძმებთან, ელასიპე და მელასიპესთან ერთად, კერპების შეურაცხყოფისათვის. ძმები

გააქრისტიანა ბებიამ — ნონნოსამ. ბაგშვები ცეცხლში დაწვეს, ხოლო ბებიას თავები მოაკვეთეს. სვეტლანეს, ელასიპეს და მელასიპეს „წამება" მოიხსენებს X ს. ქართულ ხელნაწერში (A 95, XI ს. Ath. 8, X ს.) და თარგმნილი უნდა იყოს ბერძნულიდან. ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ხუცურად (ნ. მარი, ЗВОР АО, т. XVII, вып. II-III, 1906). მოწამეთა „წამების" სვინაქსარული თხზულება შეტანილია გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" 17 იანვარს, ხოლო ერცელი „წამების" ქართული თარგმანი მოწამეთა ხსენების დღედ 23 აპრილს მიუთითებს.

სპეთი — სოფელი საჩხერის რ-ნში, მდ. ყვირილას მარცხ. ნაპირას, საჩხერიდან 16 კმ. სოფლის მახლობლად, მაღალ მთაზე აღმართულია XI ს. „ზედამცხოვრის" ეკლესია. ეკლესია შიგნით და გარედან შემოსილია მოყვითალო-მოცისფერი ქვიშაქვის თლილი კვადრებით. გეგმით ნახევარწრიული აბსიდი გარედან სწორკუთხედშია მოქცეული. საკურთხეველის ორივე მხარეს კედლებში დატანებულია სამკვეთლო და სადიაკვნე. გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებით, რომლებზედაც ამოყვანილ საბჯენ თაღებს ნახევარწრიული კამარა ეყრდნობა. საკურთხეველს წინ კვარცხლბეკზე აღმართულია ხის მასიური ჯვარი. განსაკუთრებით საინტერესოა საუცხოოდ შენახული XI საუკუნის თაბაშირის თეთრი, მოჩუქურთმებული კანდელი. ფასადების მოხატულობა მკაცრია და სადა. ძეგლი 1938 წ. საფუძვლიანად შეკეთდა. სოფ. სპეთში დგას შუა საუკუნეების კიდევ ერთი — მაცხოვრის ეკლესია.

„სპეკალი" — ანტონ I კათოლიკოსის (ბაგრატიონის) მიერ შედგენილი ფილოსოფიური სტატიების კრებული — „გარდამოცემაჲ ფილოსოფოსებრი პლატონისა და არისტოტელისა და პორფირის და ეკლესიისა ფილოსოფოსთა მიერთა გამოთქუმათა" — სიმბოლური სახელწოდება (თხზულება ანტონმა მიუძღვნა ერეკლე II-ს და მეფის საკარიის სარუკარის სიმბოლურად „სპეკალი" უწოდა). ანტონ კათოლიკოსს თხზულება დაუწყია 1752 წ. 1 იელისს გორში და დაუმთავრებია 14 ოქტომბერს თბილისში. თხზულებისათვის წინასიტყვაობა დაურთავს ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც თავს „ყოელადსამღედელო სამთავროჲსა და გორისა მიტროპოლიტსა" უწოდებს. თხზულების ერთადერთი ნუსხა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 1752 წელსვე გადაუწერია ცნობილ კალიგრაფს, იოანე ოსეს ძეს ანუ ოსეშვილს (A 1743). თხზულება, რომელიც 153 თავს შეიცავს, შედგება სამი განყოფილებისაგან: I. კატეგორია (თავი I-87), რომელიც თავის მხრივ სამი ნაწილისაგან შედგება. ა) მარტივმიღებაჲ (თავ. I.65), ბ. თხზულებაჲ ან შეთხზვაჲ, ესე იგი შეწმასნაჲ ლექსთთხზვითა (თ. 66-80), გ. სილოგიზმოჲ, ესე იგი შეკრებაჲ სიტყუათაჲ (თ. 81-87). ანტონის სიტყვებიდან ჩანს (მე-80-ე თავის დასასრულს), რომ „კატიღორიის" მეორე და მესამე ნაწილი ქართულად მანამდე არ ყოფილა გადმოღებული და იგი პირველად ანტონს შეუსრულებია სვიმეონ ჯულფელის დიალექტიკის მიხედვით. 2. ადგილნი დიალექტიკისანი (თ. 90-119), ესე იგი — არისტოტელეს „ტოპიკა", რომელიც ანტონის მიერ შედგენილია სვიმეონ ჯულფელის დიალექტიკის შესატყვისი ადგილების მიხედვით, 3. სულისათჳს (თ. 121-149), ესე იგი — ფსიქოლოგია. გამოყენებულია შრობები: იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ" (თ. 46, 103, 137, 138). ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა" (თ. 137, 138, 139), მაქსიმე აღმსარებელის (თ. 121), ალბერტ დიდი ბოლშტედელისა (1243-1280 წწ. არისტოტელის კომენტატორი) და იოანე პეტრიწის „განმარტებანი პროკლე დიადოხოსის კავშირისა" და მისი „წინასიტყვაობაჲ". „სპეკალის" ერთი საეცილური თავი (151) ეძღვნება იოანე პეტრიწის ვინაობისა და ღვაწლის გაცნობას: „იოანესთჳს პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოკსენებაჲ, თუ ვინ იყო იგი ანუ ვითარი იყო" („სპეკალის" ტექსტი გამოსცა გ. ლედნიშვილმა, თბ., 1993).

სპირიდონ ტრიმითუნტელი — კვიპროსის ქ. ტრიმითუნტის ეპისკოპოსი კონსტანტინე დიდის (306-337) დროს. სპირიდონი დაიბადა კუნძულ კვიპროსზე III საუკუნის ბოლოს. მისი ბიოგრაფიის ბუნდი ცნობებიდან ცნობილია, რომ ის იყო მწყემსი და აკადია ცოლშვილი. სპირიდონი თავის ქველმოქმედებისათვის და უცხოთშეწყნარებისათვის უფალმა ასწაულთმოქმედების ნიჭით დააჯილდოვა. იგი კურნავდა ავადმყოფთ და ეშმაკეულთ. მეუღლის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინე დიდის მეფობაში სპირიდონი ქალაქ ტრიმითუნტის ეპისკოპოსად აკურთხეს. საეკლესიო ისტორიკოსთა ცნობებით, სპირიდონი მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო კრების (325 წ.) საქმიანობაში. კრებაზე სპირიდონი გამოდიოდა ბერძენი ფილოსოფოსების წინააღმდეგ, რომელიც იცავდა არიანულ მწვალე-

ბლობას და რომელიც წმ. სპირიდონის მტკიცე დებულებების შედეგად ქრისტიანად მონათლა. მოგვითხრობენ, რომ წმ. სამების დასამტკიცებლად სპირიდონმა ასეთი სასწაული ჩაიდინა: აღო აგური, ხელი მოუჭირა მას და იმ წამსვე აგურის ზედა მხრიდან ცეცხლის ალი ამოვიდა, ქვედა მხრიდან წყალმა იწყო დენა, ხოლო თიხა ხელში დარჩა წმინდანს: „ეს არის სამი სტიქია (ე. ი. ცეცხლი, წყალი და მიწა) — თქვა სასწაულთმოქმედმა — ხოლო აგური ერთია. ასევე წმ. სამება სამი პირია, ხოლო ღვთაება მისი — ერთია". სვიმეონ მეტაფრასტს, მისი ცხოვრების აღმწერს, სოზომენს თავის „საეკლესიო ისტორიაში", სოკრატე სქოლასტიკოსს და სხვებს უამრავი მაგალითები აქვთ აღწერილი სპირიდონის სასწაულთმოქმედებისა. გარდაიცვალა მღვდელ-მთავარი და სასწაულთმოქმედი დაახ. 348 წელს. ეკლესიის ისტორიაში იგი წმ. ნიკოლოზ მირონლუკიელის გვერდით მოიხსენიება:. წმ. სპირიდონის წმ. ნაწილები ინახება კუნძულ კორფუზე, წმ. სპირიდონის ეკლესიაში, ხოლო ხელის მტევანი — რომში.

სპირიდონ ტრიმითუნტელის „ცხოვრების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს (X ს.) ეკუთვნის, ქართულად თარგმნილია: XI ს. II ნახევარში ეფრემ მცირის მიერ (A 90, XIII ს. 327-367; Sin. 91, XIV ს. 272-296; Ath. 2, XII-XIII სს. 102-114; ჭუთ. 5, XVI ს. 207-2366 და სხვ.) განსხვავებული თარგმანია — A 161, 1738 წ., 22-35. ხსენების დღე — 12 დეკემბერი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის მთავარის ტიტული XI ს. დასაწყისიდან, რომელიც აღნიშნავდა მის თანასწორობას მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის უძველესი ავტოკეფალური ეკლესიების 4 პატრიარქთან (ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის და კონსტანტინეპოლის). საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი იყო მელქისედეკი (1010-1035). ამ ტიტულს ატარებდნენ ჯერ სრულიად საქართველოს შწყემსმთავრები, ხოლო XV ს. 70-იანი წლებიდან, როდესაც მას დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიები გამოეყო და აფხაზეთის საკათოლიკოსოში შეიერა, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მთაური. 1811 წლიდან, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ავტოკეფალია გააუქმა, გაუქმდა კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულიც. 1917 წ. 20 მარტიდან აღდგენილ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას სექტემბრიდან სათავეში კირიონ II კათოლიკოს-პატრიარქი ჩაუდგა. 1977 წლიდან დღემდე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეთაურობს.

სტაურონიკიტას მონასტერი — მონასტერი ათონის მთაზე, სადაც 1903 წ. გ. სმირნაკის ცნობით (მაცნე, № 1, 1975, გვ. 154) 3 ქართველი ბერი მოღვაწეობდა (იხ. ათონის მთის მონასტერი).

„სტაროობრიადცები" — მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი სექტა, რომელიც წარმოიშვა რუსეთში საეკლესიო განხეთქილების („რასკოლ") დროს, XVII ს-ში; პატრიარქ ნიკონის რეფორმებს, რომლებიც ძირითადად საღვთისმსახურო წიგნთა შესწორება-დაზუსტებას ისახავდა მიზნად, მსოფლიო რეაქცია მოაქცა კონსერვატიულად და ფანატიკურად განწყობილ სამღვდელოებაში. დეკანოზ ავვაკუმის მეთაურობით მათ გამოაცხადეს ბრძოლა „ძველი წესჩვეულების", „ძველი რწმენის" დასაცავად. „სტაროობრიადცებმა" ცალკე სამართლიანი დაარსეს და გაეთიშნენ რუსეთის ერთიან ეკლესიას. უკანასკნელ ხანებში იყო ცდები „სტაროობრიადული" იდეების ქადაგებისა ქართველთა შორის (გაზ. „ლეთაური გზა" და სხვ.).

სტაქე მოციძული — ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელსაც პაულე მოციქული მოიხსენიებს რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: „კითხუა არქუთ... სტაქეს საყვარელსა ჩემსა" (16,9). მოციქულთა მოსახსენებელში, რომელიც ერთეულ გიორგი მთაწმიდელის „დიდი სინაქსარის" ქართულ თარგმანს, სტაქეს შესახებ აღნიშნულია: ...მასაცა (ე. ი. სტაქეს) პროშელეთა მიმართ მოიკსენიებს და ანდრია მოციქულმან პონტოს ზღუაჲ რაჲ განგელო, არგურაპოლის თარკოსასა ეპისკოპოსად ბიზანტიასა დიდგინა ესე".

სტელა (ბერძ.) — ქვასვეტი, ვერტიკალურად დაყენებული ქვის სვეტი, რომელზედაც არის წარწერა ან რელიეფური გამოსახულება. სტელა ფართოდ გამოიყენებოდა ქრისტიანულ ეკლესიებში და, მათ შორის, ქართულ ეკლესიებში, რომლებსაც ქვა-ჯვარსაც უწოდებენ და მასზე გამოსახული იყო ჯვარი, წმინდანთა და ქტიტორთა რელიეფური გამოსახულებები შესაბამისი წარწერებით. ასეთი ქვა-ჯვრები დიდი რაოდენობით არის მოღწეული ჩვენამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სტეფანე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ბოლნისის ეპისკოპოსი დახ. VIII-IX ს-ში. სტეფანე ბოლნელი მოხსენიებულია სოფ. კიანეთთან (ბოლნისის რ-ნი) მდგარი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილო კუთხეში გვიან ჩადგმული წითელი ფერის ქვაზე შესრულებულ წარწერაში. საფიქრებელია, რომ ეს ქვა ფრაგმენტია სტელა-ჯვარის ბაზისა. ქვაზე ამოკვეთილია მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი – „ბოლნისის ჯვრის" ვარიაცია, რომლის ზემოთ ამოღარულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „მე, გლახაკმან სტეფანე ბოლნელ ეპისკოპოსმან აღვბართე ესე ჯუარი ალაღობელად სულისა ჩუენთათჳს... უფალო შეიწყალე სტეფანე ეპისკოპოსი" (ლაკ. წარწ. I, 255).

2. ნიქოზის ეპისკოპოსი IX ს. ბოლოს და X ს. დასაწყისში. სტეფანე მოხსენიებულია სოფ. ერედვის (ცხინვალის რ-ნი) წმ. გიორგის ტაძრის 906 წ. ახლოს შესრულებულ სააღშენებლო ასომთავრულ ამოღარულ წარწერაში, რომელიც ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილს ირგვლივ სპირალისებურად უვლის: „ნიქოზელისა, სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისთა ძალითა, შეწევნითა მოყუასთა, მე თევდორე (თ'ე) თაფლაჲსძემან დავდეთ საძირკველი, წელნი იყუნეს ხჳი (6510-5604 – 906), ქრონიკონსა რკჱ (ლაპ. წარწ. I, 172). როგორც წარწერიდან ჩანს, სტეფანე ნიქოზელი ერედვის წმ. ეკლესიის აშენების ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელი ყოფილა.

3. ნინოწმინდის მიტროპოლიტი და რუსთავის მთავარეპისკოპოსი XVIII ს. ბოლო მეოთხედში და XIX ს. დასაწყისში. სტეფანე მწიგნობრობით დაინტერესებული მღვდელმთავარი ყოფილა. გაბრიელ მცირე, დაეით გარეჯის მონასტრის მღვდელი და ცნობილი საეკლესიო მწერალი, სტეფანეს დავალებით აღგენდა საეკლესიო შინაარსის კრებულებს, როგორიცაა „ლიტე" (A 22), „მარგალიტი" (Q 725) და სხვა კრებულები (A 229, A 238). სტეფანე განმეორებით ამტკიცებს 1791 წლის გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ერთ საბუთს 1807 წელს: „ჩუენ, ყოველად სამღდელო ნინოწმიდელი მიტროპოლიტი და არსიებისკოპოსი რუსთაჳსა ენისელთ მოურავის ძე, სტეფანე ამ მაღალ ღირსთა არქიმანდრიტთაგან ნაბოძებსა სიგელსა ვამტკიცებთ. აგვისტოსა იე (16), ქრონიკონსა უჟე (-4595+1312 – 1807).

სტეფანე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. X ს. II ნახევრის ტბეთის ეკლესიის მღვდელი. სტეფანეს შეუმოსავს 995 წელს ტბეთის ცნობილი სახარება, რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება (№212). გადაწერა ანდერძი გვაუწყებს: „დაიწერა წიგნსა ესე სახარებაჲ საჯდარსა შინა ტბეთისასა... ქორონიკონსა სიე (=995 წ.) კელითა ორთა მწერალთა დავით გლახაკისთა და გლახაკისა არქიპოსისათა... შეიმოსა კელითა სანატრელისა მღვდელისა სტეფანესითა". ხელნაწერი მოუგია იოანე მტბევარს, რომელიც ხელნაწერის გადაწერის მომენტში აწყვრის ეპისკოპოსია, ე. ი. მაწყვერელი (კერები I, 471).

2. ხახულის მონასტრის ბერი XI ს. I ნახევარში. ხახულის მონასტერში გადაწერილი იოანეს სახარების იოანე ოქროპირისეული თარგმანების (Jer. 119) ანდერძში ხელნაწერის გადაწერი დავით თბილელი დაშხარე პირთა შორის ასახელებს სტეფანე გრძელს (კერები I, 457).

3. შავი მთის კალიპოსის ქართველთა მონასტრის ბერი XI ს. შუა წლებში. სტეფანე ეარსეთან ერთად იხსენიება 1040 წ. კალიპოსის მონას-ტერში გადაწერილი ხელნაწერის გადამწერის ანდერძში: „ღმერთო სახიერო, აღიღენ ორთაჲვე ცხოერებაჲსა სტეფანე და ეარე ერთობით" (ქრონიკ. I, 180). შეიძლება იგი სტეფანე სანანოაძეს (იხ.) იყოს.

4. ათონის ქართველთა მონასტრის მთავარდიაკონი და შემდეგ ხუცესი გიორგი მთაწმიდელის წინამძღვრობის (1044-1056) დროს. სტეფანეს შესახებ გიორგი ხუცესმონაზონს თაეის თხზულე-ბაში „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ" ერცელი ეპიზოდი აქვს მოტანილი: „რამეთუ იყო ძმაჲ ერთი, სახელით სტეფანე, წესითა მთავარდიაკონი, კაცი პატიოსანი და მოშიში უფლისაჲ. ესე ღიაჟი სტეფანე ღირსებისა მისისაჲ ჟამსა ოდენ სიყრმისასა ხუედ აკურთხა ნეტარმან ამან (ე. ი. გიორგი მთაწმიდელმა), რამეთუ ბრძანა: „დაღაცათუ ასაკითა ყრმაჲ არს სტეფანე, არამედ გონებითა მკცოან". და ესრეთ ყოველითურთ პატივსა მღვდელობისასა აღიყვანა" (ძეცლ. I, 202-203). შემდეგ მოთხრობილია როგორ განკურნა სასწაულით გიორგი მთაწმიდელმა სტეფანე ხუცესი ეშმაკეულისაგან.

5. იერუსალიმის პალაურის (ანუ „ძველი ლავრის", ან კიდევ ხარტონის ლავრის – ხარტონწმინდის) მონასტრის ქართველი ხუცესი XI

ს. შუა წლებში. სტეფანეს 1048 წ. მოუგია ოთხთავი (H 1741), რომლისათვისაც დაურთავს მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი ანდერძი: „მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათეყოფილი... შვილი მცხეთისაჲ... მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალემს აღდგომასა უფლისა ჩუენისა... და წმიდისა გოლგოთისა... და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირის და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი... ქრონიკონი იყო სიბ (268+780 – 1048წ.).

6. შავი მთის ქართული კოლონიის მოღვაწე XI ს. II ნახევარში, წარმოშობით ჭულეველნი, უფრემ მცირის ერთ-ერთი თანამოღვაწე მწიგნობრულ საქმიანობაში. ეფრემ მცირე მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ იოანე ოქროპირის „ცხორების“ ანდერძში წერს: „ითარგმნა ესე ახლად ბერძულისაგან მეტაფრასისა ყოველად წალიერებითა და მკურვალედ სურვილითა გაბრიელ და სტეფანე ხუცისა ჭულეველისაჲთა, რომელმან უმეტეს ზომისა კიძულა პირუტ-ყუთსახე ესე გონებაჲ ჩემი ყოველად მცირესა და რეცა უნარჩევესისა რასმე თარგმანთასა ეფრემისი და კადნიერ მყო სხუათაე თანა ამისძღაცა თარგმნად და კადრებად“ (S 384, 121; იხ. აგრ. 24, 137).

7. ოპიზის მონასტრის წინამძღვარი XI ს. II ნახევარში. სტეფანე ოპიზელი მოხსენიებულია აბუსერიძე ტბელის ისტორიულ თხზულებაში (აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე), რომელშიც შეურტყალში ბოლოკ-ბასილის მიერ წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობაზეა ლაპარაკი, რაშიც დახმარება აღმოუჩენია სტეფანე ოპიზელს (ქრონიკ. II, გე. 113).

8. არქიმანდრიტი. მოიხსენიება 1771-1797 წლების ოთხ ისტორიულ დოკუმენტში. სტეფანე სვეტიცხოვლის ეკლესიის წინამძღვარი უნდა იყოს, რომელსაც არქიმანდრიტის ტიტული პქონდა ნაბოძები. 1771 წ. 18/XII ანტონ I-ის მიერ საშწყსოს საქმეთა განწესებაში მე-11 პუნქტად აღნიშნულია „წილეანის საშწყსოში ნიშნის, საწირავის, ღრამის, საკანონოსა და სახუ-ცოსათის ასაღებად, რომელიც სტეფანე არქიმანდრიტმა შეკრებულებას მოახსენოს, ის კაცი განაწესონ გასაგზავნად“ (Ad 185; სამ. ძეგ. III, 894). 1784 წ. I/XI სტეფანე ხელს აწერს დიასტერიის უწყებას მთავარეპისკოპოს ბესარიონისა და თეოფილე მიტროპოლიტის, გერმანეს შემდეგ ტიტულით: „მცხეთას ღმრთისმშობლის დაუძლეშელის ეკლესიის არქიმანდრიტი (ბეჭედი) არქიმანდრიტი სტეფანე“ (Ad 827; სამ. ძეგ. III, 950). სტეფანე არქიმანდრიტი მოხსენიებულია 1785 წ. 29/IV ერთ დოკუმენტში (Ad 576; სამ. ძეგ. III, 957) და უკანასკნელად ხელს აწერს დიასტერიის 1797 წ. 26/III დადგენილებას ზემოხსენებულ მღვდელმ-თავრებ-ის შემდეგ, „არქიმანდრიტი (ბეჭედი), არხიმანდრიტი სტეფანე (Ad 839; სამ. ძეგ. III, 1036).

სტეფანე – სახელი რამდენიმე ქართველი კალიგრაფისა:

1. ოშკის მონასტრის ბერი და ცნობილი კალიგრაფი X ს. II ნახევარში. სტეფანე მწერალს მიქაელ ვარაზვაჩეს და გიორგი გელასისძესთან ერთად 978 წ. გადაუწერია ცნობილი ოშკის ბიბლია, რომელიც ლღეს ათონის მთის ქართველთა მონასტრის წიგნსაცავში ინახება (Ath. 1). ხელნაწერი, რომელიც დამზადებულია ათონის ქართველთა მონასტრის ცნობილი მოღვაწის, იოანე-თორნიკეს დაკვეთით, შეუმთსავს იმავე სტეფანე მწერალს (ხელნაწერის შესახებ დაწვრ. იხ. ოშკის ბიბლია). სტეფანე მწერალი უნდა იყოს იგივე სტეფანე დეკანოზი (იხ.), რომელსაც 977 წ. ოშკის ლავრაში იოანეს მიერ გადაწერილი „სამოთხე“ (მამათა სწავლანი Ath. 9) შეუმთსავს, რომელიც იმავე იოანე-თორნიკეს და იოანე-ვარაზვარეს დაკვეთით ჰრის შესრულებული.

2. იერუსალიმის გეთსამანიის ღვთისმშობლის ეკლესიის მოღვაწე და კალიგრაფი XI ს-ში, გვარად დეკანი. სტეფანეს გეთსამანიაში გადაუწერია ჟამისწირვის ძალზე მნიშვნელოვანი ხელნაწერი (Sin. 89).

3. XI ს. მიწურულის ან XII ს. დასაწყისის იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის მონაზონი და კალიგრაფი. სტეფანეს ჯვარის მონასტერში გადაუწერია იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება (Jer. 12). წიგნის მომგებელი ყოფილა ვინმე ზაქარია. სტეფანე „თბილელად“ იხსენიება.

4. შატბერდის მონასტრის ხუცესი, კალიგრაფი დაახ. XII საუკუნის II ნახევარში. სტეფანე მოხსენიებულია ვანის სახარების (XII ს.) გადამწერის, იოანე რომანაელის ანდერძში, რომელიც გვაუწყებს, რომ მის მიერ გადაწერილი სახარება იმ ნუსხიდან გადმოღილი, რომელიც „გადმოწერა შატბერდელმა ხუცესმა სტეფანემ“ (კერები I, 421).

5. როსტომ რაჭის ერისთავის კარის მწერალი და გადამწერი XVIII ს. შუა წლებში. 1751 წ. როსტომის ბრძანებით სტეფანეს მზედრუ-

ლით გადაუწერია სამართლის წიგნთა კრებული (H 1070).

სტეფანე ასური – VI ს. შუა წლებში მცხეთაში მცხოვრები ქრისტიანი, წარმომავლობით სირიელი. სტეფანე ეკლესიათა მცხეთელთან ერთად ორჯერ დაასტიმრეს მაზდეანებმა ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისათვის. პირველი პატიმრობის დრო სტეფანემ ეკლესიასა და კიდევ 3 გაქრისტიანებულ სპარსელთან ერთად 6 თვე დაყო საპყრობილეში, ხოლო შემდეგ ქართლის კათოლიკოსის, სამოელისა და დიდებულების თხოვნით გაანთავისუფლეს. სამი წლის შემდეგ სტეფანე და ეკლესიათ ისევ დაასტიმრა ქართლის მოსულმა ახალმა მარზპანმა, ეეფან ბუზმირმა.

მარზპანის სამსჯავროზე „აღდგეს ასურნი მთავარნი კაენ სტეფანესთჳს და პრქუას: ესე კაცი ჩუენ ეიცით, ჩუენი მდაბური არს, მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტეანე არიან და ეგეცა ქრისტიანე არს". ხოლო სტეფანე მათითა მით სიტყუთა განუტეევს" (ძეგ. I,35), ხოლო ეკლესიათ სპარსი აწამეს, როგორც სპარსელების სარწმუნოების მოღალატე.

სტეფანე ახალი, მოწამე († 767) – ეწამა ხატთმბრძოლი იმპერატორის, კონსტანტინე კოპრონიმის (741-775) დროს ხატთთაყვანისცემისათვის. სტეფანე დაიბადა 715 წელს კონსტანტინეპოლში ქრისტიანი მშობლების ოჯახში. დედამ ახალდაბადებული ძე მიიყვანა ელაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში და ღმერთს მიუძღვნა იგი. ლეონ ისაურელის (716-741) დროიდან გავრცელებული ხატთმბრძოლობის გამო მართლმადიდებლები ძალზე მეცოწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1732 წელს სტეფანეს მშობლები კონსტანტინეპოლიდან ბითვინიაში გადასახლდნენ და 16 წლის სტეფანე მორჩილად მისცეს ნეტარ იოანეს, რომელიც დაეუღებული იყო წმ. აკესენტის მთაზე. სტეფანემ მოძღვართან 15 წელი დაყო. მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ, რადგან მასთან მრავლად მოდიოდა განდეგილობის მსურველნი, მან მონასტერი დაარსა, რომლის წინამძღვარიც თვითონ გახდა. 42 წლის ასაკში მან დატოვა მონასტერი, წავიდა მეორე მთაზე და დაეუფლა იქ მთის მწვერვალზე, მაგრამ აქაც მიაგნეს მას და აქაც ჩამოყალიბდა განდეგილთა მონასტერი. მალე სტეფანეს სასწაულთმოქმედებისა და ძალუმე-ობის ამბავმა მიაღწია იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის ყურამდე. სტეფანეს ცილი დასწამეს მონაზონ ქალთან სქესობრივ კავშირში. ცილისწამება გამოაშკარავდა, მაგრამ იმპერატორის ბრძანებით სტეფანე მაინც დაამწყვდიეს ღილეში, ხოლო მისი მონასტერი დაარბიეს. ბევრს ეცადნენ სტეფანე ხატთმბრძოლთა მხარეს გადაებირებინათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. სტეფანე ექსორიაქმნილი ყუნე მარმარილოს ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე. აქაც მოიყარეს თავი სტეფანეს მოწაფეებმა. ცოტა ხნის შემდეგ მიატოვა მოწაფეები და მესვეტეობის ღვაწლს შეუდგა, რამაც მას სახელი გაუთქვა მთელ იმპერიაში. იმპერატორის ბრძანებით სტეფანე კუნძულ ფაროსის ღილეში დაამწყვდიეს. სამსჯავროზე მან მტკიცედ დაიცვა ხატთთაყვანისცემა და მართლმადიდებლობა, აშკარა ხატთმბრძოლთა მწვალებლობა და შეურაცხყოფა მიაყენა იმპერატორის გამოსახულებას (ფეხით გაეცალა ოქროს მონეტა მისი გამოსახულებით) რისთვისაც ის აწამეს. ღილეში მან II თვე დაყო, სადაც მოძღვრავდა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა დატყვევებულ მართლმადიდებელ ქრისტიანებს. იმპერატორმა თაეის მეომრებს სიცრუე უთხრა, რომ სტეფანეს მისი ტახტიდან გადმოგდება აქონდა განზრახული და გაგზავნა ისინი მის მოსაკლავად. გამზეცებულმა მეომრებმა სტეფანე ქალაქის ჭიშკრებში თრევით შეიტანეს და მისი დასახიჩრებული გვამი დამწაშავეთათვის განკუთვნილ ორმოში ჩააგდეს.

სტეფანე ახლის „ცხორება და წამება" დაწერია სტეფანე დიაკონს, რომელიც ქართულად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს (A 70, XIII ს., 154-195; A 90, XIII ს. 21-90): „თარგმანა ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისაჲ" (ძეგლ. II, 62). სტეფანე ახლის ხსენების დღედ ქართული წყაროები 26 ნოემბერს ასახელებენ, ხოლო სხვა წყაროებში მისი ხსენების დღე 28 ნოემბერია.

სტეფანე მტბევარი – X ს. ტბეთის ეპისკოპოსი და ცნობილი ქართველი მწიგნობარი, პაგიოგრაფი X ს. I ნახევარში. სტეფანე მტბევარმა 914-918 წლებში ათონ კუნის (ერისთავის) თხოვნით დაწერა პაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გოძრონისი" (ძეგლ. I, 172-183), რომელიც მოგეთხრობს ქართველი ხალხის ბრძოლას არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. კონკრეტულად აღწერილია სამხრეთ საქართველოში ყველის ციხის მეციხოვნეთა თავგანწირული ბრძოლა თაკალთა ეურაისის, ეოსნანის მეთაურობით. ტყვედ ჩაგარდნილმა ციხის კარისკაცმა ქრისტეფორე ეპისკოპოსმა და ასსი 128 მეომარმა მოწამეობა ირჩიეს, ვიდრე ისლამის სარწმუნოების

ერთგულება დამტკიცეს (A 130, 1713 წ., 85-91; გამოც. ძეგლები... გვ. 172-183). სტეფანე მტბევარი, როგორც მწიგნობარი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. როგორც ეთქვით, აშოტ ერისთავმა მას ვთხოვა გობრონის „წამების" აღწერა, ასევე გიორგი მერჩულე სტეფანე მტბევარს ასახელებს მათ რიცხვში, ვისაც „ქალწიფებოდა" გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების" აღწერა (ძეგლები I, 294). სტეფანე მტბევარის სამსჯავროზე მთარგმნელმა დაჩივ წარმოადგინა სომხურიდან თარგმნილი ფსალმუნები და ნაწროშის ნაკლის გამართვა ვთხოვა (შატბერდის კრებული, გვ. 364-365).

სტეფანე იეროპოლელი – სირიის ქალაქ იერაპოლის ეპისკოპოსი და საეკლესიო მწერალი VI ს-ში. სტეფანეს აღუწერია „მარტულობაჲ გულანდუხტ სპარსისაჲ", რისი თვითმხილველიც იგი ყოფილა. გურანდუხტი აწამეს 591 წ. ახლოს. ბერძნულ წყაროებში დადასტურებულია სტეფანე იერაპოლელის დასახელებული პაგიოგრაფიული თხზულების ავტორობა (ისტორიკოსი ევაგრე, ნიკიფორე ფალისტა), მაგრამ მისი თხზულება ბერძნულად დღემდე მიუკვლეველია. სტეფანეს თხზულება მხოლოდ ქართულ თარგმანით უნდა გვქონდეს შემორჩენილი (A 95, XI ს. 329-333; Ath. 8, X ს., 358-468; გამოც. კ. კეკელიძე, ეტ. III, 197-250), ხოლო ბერძნულად არსებულ თხზულებაში, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ქართული თარგმანის ტექსტისაგან, ავტორად კონსტანტინოპოლის აია სოფიის ხუცესი, აგრეთვე გულანდუხტის თანამედროვე, ოღონდ არა თვითმხილველი, არის დასახელებული (Analecta Bollandiana, t. V, 392-396).

სტეფანე მაროვარი – იერუსალიმის საბაწმინდის ლავრის ბერი („რომელი ზღუდეს ვიღდა"), რომლის ორი სწავლა, რომელთაც დამოძღვრით ხასიათი აქვს, ქართულად თარგმნილი უნდა იყოს იმავე საბაწმინდის ლავრაში იქ მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბერის მიერ, ალბათ, IX-X სს-ში, რადგან ისინი შეტანილნი არიან X ს. ქართულ ხელნაწერებში: I სწავლა („ოგულე სული შენი, შვილი ჩემი Sin. 81, 979 წ., და Sin. 71, 982 წ., 220-223 (გამოცემულია ჟ. გარიტის მიერ Museon, t., XVII, p. 78-90, 1954). II სწავლა („ყოველსა პირველად, შვილო, დაუტევე სოფელი და ქუეყანაჲ შენი" – Sin. 35, 90-94).

სტეფანე პირველმოწამე – იერუსალიმის ეკლესიის არქიდიაკონი და პირველი ქრისტიანი მოწამე I საუკუნეში. სტეფანე იყო ერთი იმ შვიდ დიაკონთაგანი, რომლებიც მოციქულთა მიერ იყვნენ შერჩეულნი იერუსალიმის ქრისტიანულ ეკლესიაში სამოღვაწეოდ. სტეფანე გაბედულად ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას. ფანატიკოსებმა მას ღვთის მიმართ მცრუნელობა დასწამეს და ქვებით ჩაქოლეს. სხვათა შორის ამ საქმეში მონაწილეობდა ახალგაზრდა ყმაწვილი საული, რომელიც შემდეგ სახელგანთქმული პაული მოციქული გახდა. ნეტარ აგუსტინეს ეკუთვნის სიტყვები, რომ სტეფანეს რომ არ ელოცა, ეკლესიას არ ეყოლებოდა პაული. სტეფანე იყო ერთი 70-მოციქულთაგანი. სტეფანე პირველწამებული ფრიად პოპულარული წმინდანი იყო მოციქულთა დროიდანვე. კონსტანტინე დიდმა სტეფანეს სახელზე ააშენა ტაძარი იერუსალიმში, ცნობილი წმ. სტეფანეს ბაზილიკა. იოანე ოქროპირმა, გრიგოლ ნოსელმა, ასტერიოსმა, ნეტარმა აგუსტინემ და სხვ. თხზულებები მიუძღვნეს სტეფანეს. წმ. სტეფანეს წმ. ნაწილების მიაკვლიეს იერუსალიმის ახლოს 415 წ. და გადმოასვენეს იერუსალიმში, ხოლო 428 წ. გადაიტანეს კონსტანტინოპოლში. სტეფანე პირველდიაკონისა და პირველმოწამის „წამების" კიმენური თხზულება ქართულად ადრევე ყოფილა თარგმნილი, ხოლო ჩვენამდე მოაღწია ორი X ს. ხელნაწერით (A 19, XI ს. 129-160; Ath. 8, X ს. 2-6; მხ. I თავი) და უფრო გვიანდელი რამდენიმე ნუსხურით (H 341, XI ს. 542-551, H 535, 43-75; Sin. 83, 59-67 და სხვ.). სტეფანესადმი მიძღვნილი შესხმების ქართული თარგმანების რიცხვი გაცილებით დიდია: გრიგოლ ანტიოქელის ორი შესხმა მოღწეულია ძველი ხელნაწერებით (I. A 95, XI ს. 108-115; 2. Ath. 8, X ს. 21-25), ხოლო სხვა მამებისა თაშყრილია ქუთ. 5. (XIII ს.) ხელნაწერში: სოფრონ იერუსალიმელის ორი შესხმა (გვ. 493-499 და 499-503); გრიგოლ ნოსელისა, რომელიც სტეფანე სანანოძის უთარგმნია (გვ. 503-514); იოანე ოქროპირისა, ეფრემ მცირის თარგმანი (გვ. 514-516). სხვა ხელნაწერებია (ქუთ. I) შემონახული სტეფანეს ნაწილთა „მოყვანებაჲ"-ს შესხმა (გვ. 260-271), რომლის ავტორიცა და მთარგმნელიც უცნობია. სტეფანე პირველმოწამის ხსენების დღედ 27 დეკემბერია დადებული, ნაწილთა „მოყვანებისა" – 2 აგვისტო.

სტეფანე საბაწმინდელი (მანსური) – VIII ს. II ნახევრისა და IX ს. დასაწყისის († 807 წ.) სირიელი ქრისტიანი საეკლესიო მწერალი დამასკოდან, რომელიც მოღვაწეობდა

იერუსალიმის საბაწმინდის ლავრაში. სტეფანე მანსურის მიერ შეთხზული თხზულებებიდან ქართულად თარგმნილია ორი პაგიოგრაფიული თხზულება: 1. თხრობაჲ წამებისა წმიდათა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს ბარბაროზთაგან, რომელ არიან სარკინოზნი, ლაერასა შინა წმიდასა მაჰისა ჩუენისა საბაჲსსა (A 95, XI ს. 846-920; ბოდლ. I. XI ს. 20-58; A 188, XIII ს. (ნაწყვეტი). 2. წამებაჲ წმ. რომანოზ ახლისა მოწამისაჲ, რომელი იწამა მეფობასა ეშმაკთმსახურისა მეფისა მაჰდისსა (A 95, XI ს., 440-454, Ath. 8, X ს., 273-293; გამოც. კ. კეკელიძის, ეტიუდ. VII, გვ. 64-75 – ქართული ტექსტის რუსული თარგმანით). სტეფანეს ორივე თხზულება ქართულად თარგმნილია არაბული ენიდან X ს-მდე, რადგან თარგმანი შესულია X ს. ქართულ ხელნაწერში (A 95). საფიქრებელია, რომ მთარგმნელი საბაწმინდის მონასტრის რომელიმე ქართველი ბერი იყო.

სტეფანე ტარონელი (ასოლიკი) – X-XI სს. სომეხი ისტორიკოსი. სტეფანეს უმთავრესი ნაშრომი „მსოფლიო ისტორია", რომელიც სომეხთა კათოლიკოსის, სარკისის (922-1019) დაკვეთით დაუწერია, 3 ნაწილისაგან შედგება. პირველი და მეორე ნაწილი კომპილაციური ნაშრომია, ხოლო მესამე ნაწილი, რომელიც მოიცავს 929-1004 წწ. ამბებს, ორიგინალური თხზულებაა, ეხება ძირითადად მონასტრების მშენებლობას და სამონასტრო ცხოვრებას. აქ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხზე, კერძოდ, ტაო-კლარჯეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების საეკლესიო ცხოვრების შესახებ, ბაგრატიონთა მოღვაწეობაზე და სხვ.

სტეფანე ჯყონდიდელი, სანანოძე – ჭყონდიდის ეპისკოპოსი, ცნობილი მწიგნობარი, პიმნოგრაფი და მთარგმნელი X ს. II ნახევარში. სტეფანე ჭყონდიდელს ახასიათებს უფთიმე მთაწმიდელი თავის თხზულებაში „კითხვა-მიგებაჲ, რომელი მოსცა თედორე საბაწმიდელსა: „უწინარეს მრავალისა ჟამისა სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჭყონდიდელსა და ეკითხა, ვითარებად: შესაწყნარებელ არს წიგნი ესე, გინა თუ არაო (ეგესეი პამფილიელისა – სამ. ძეგ. III, 12). სტეფანე ჭყონდიდელი, სანანოძე, ცნობილი პიმნოგრაფია. მას დაუწერია ნათლისღებისა და აბო თბილელის საგალობელი ერთად (H 2123) და უთარგმნია სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილი საგალობელი (S 425). ეფრემ მცირის ცნობით, სტეფანე ჭყონდიდელს უთარგმნია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებები: „საკთხაჲნი დაუკვდომელთაჲ" (A 5; A 140; -762; ქუთ. 2, ქუთ. 8 და სხვ. მრ.). „ცხორებაჲ თეოქტისტე ლეზველისაჲ" (S 384) და გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ (A 1170; ქუთ. 5). სტეფანე ჭყონდიდელი-სანანოძის ქართული მწიგნობრობისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურების დასტურია მისი მოხსენიება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის" სინოდიკონში ქართული ეკლესიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით: „საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მწყობთა ჩუენთა ეფთუმი და გიორგი მთაწმიდელთაჲ, საუკუნოჲსა არს ჴსენებაჲ და კურთხეუაჲ მთი ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოძისსა საუკუნოჲსა... (ძეგლისწერაჲ, გვ. 196).

სტეფანე ხირსელი – ერთ-ერთი სირიელი მამა, რომელიც VI ს. შუა წლებში სირიის შავი მთის სანახებიდან ქართლში მოვიდა თავის მოძღვარ იოანე ზედაზნელთან და მის სხვა მოწაფეებთან ერთად. სტეფანეს ხირსაში (ქიზიყში) დაუარსებია მონასტერი. გადმოცემით, დასაფლავებულია მის მიერ დაარსებულ მონასტერში.

სტეფანია (სტეფანიდა) მოწამე – ეწამა დამასკოში ბიქტორ მოწამესთან ერთად. ბიქტორმა უარი თქვა კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა, რისთვისაც სასტიკად აწამეს. წამების დროს ბიქტორის მიერ ჩადენილი სასწაულით გაკვირვებულმა ერთ-ერთი მჭანკველის ახალგაზრდა მეუღლემ სტეფანიამ (სტეფანიდა) ქრისტე ირწმუნა და თავი სახალხოდ გამოაცხადა ქრისტიანად, რისთვისაც სიკვდილით იქნა დასჯილი (ოგი მიაბეს ერთმანეთს გვერდით მდგომ ორი დახრილი პალმის წვერს და შუაზე გახლიჩეს), ხოლო შემდეგ თავი მოკვეთეს წმ. ბიქტორსაც. ბიქტორისა და სტეფანიას ერთ-ბლიანი „წამების" კომენური თხზულება თარგმნილია ქართულად IX ს. სეით თარგმანის მიერ და შეტანილია სინურ მრავალთავში (Sin. 11, X ს., 245-254; გამოც. ივ. ჯაჯანიშვილის მიერ სინ.ის მთის ხელნაწ. აღწ. გვ. 166-171). ქართული თარგმანით, მოწამეთა მარტვილობა მოხდა დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს, მოწამე ქალს სტეფანია ეწოდება და მისი ხსენების დღედ 10 ნოემბერია დადებული. სხვა კალ-

უნდრით, მოწამეები აწამეს II ს-ში იმპერატორ მარკუს აურელიუს ფილოსოფოსის (161-180) დროს და ხსენების დღედ 11 ნოემბერია მითითებული. გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში" მოწამე ქალს სტეფანიდა ჰქვია და დღედ 11 ნოემბერია დადებული.

სტეფანოზ I – ქართლის პირველი ერისმთავარი, პატრიკიოსი VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში, დაახ. 590/591-605 წლებში, ძე გუარამ კურაპალატისა. სტეფანოზი თავის ძმასთან – დემეტრესთან ერთად იყო მცხეთის ჯვარის ეკლესიის აღმშენებელი. სტეფანოზის რელიეფური გამოსახულება დღემდეა შემორჩენილი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე.

სტეფანოზ II – ქართლის ერისმთავარი VII ს. შუა წლებში, ძე ადარნასესი. სტეფანოზ II-ს დაუსრულებია მცხეთის ჯვარის ეკლესიის მშენებლობა და მისი რელიეფური გამოსახულება შემონახულია აღმოსავლეთ ფასადზე.

სტეფანოზ რუსთაველი – რუსთაველის ეპისკოპოსი V ს. ბოლოს და VI ს. დასაწყისში. „სტეფანოზ რუსთაველის ეპისკოპოსი" მოხსენიებულია ახაამ სომეხთა კათოლიკოსის მესამე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი (უხტანესი, გვ. 139), რომლის მიხედვითაც სტეფანოზი დასწრებია სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით 506 წ. დვინის სომეხ-ქართველ-ალბანელთა საეკლესიო კრებას, რომელიც ქალკედონის მსოფლიო კრების (450 წ.) დადგენილებათა წინააღმდეგ იყო მოწვეული.

სტეფანოს ორბელიანი (განძაკეცი, 1258-1304) – სომეხი ისტორიკოსი XIII-XIV სს-ში, საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, წარმოშობით ორბელიანთა ქართული ფეოდალური გვარის გასოშხებულ შტოს განეკუთვნებოდა. სტეფანოსის მრავალრიცხოვანი ისტორიული თხზულებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სისაკანის სახლის ისტორია", რომელიც მან 1297-1300 წლებში დაასრულა. ამ თხზულების 66-ე თავი „ცხოვრება ორბელიანთა" მრავალ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს XII-XIII სს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებიდან.

სტეფანწმინდა – ნახევრად გამოქვაბული მონასტერი კასპის რ-ნში. ეპისუშტი ბაგრატიონი „აღწერაჲ აწინდელისა ქართლისაჲში" მოგვითხრობს: „კასპს ზევით, წლეულს მთაში, არს მონასტერი მამებელის, სტეფანწმინდისა თათესაგან, იგ(13) მამათაგანის ქმნული. დაფლულია წმიდა თათე მუნ (ქართ. ცხ. IV, 365) ე. ი. სტეფანწმინდის ანუ „მამებელის" მონასტერი ტრადიციით იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფის, სირიელი მამის, თათე მამებელის მიერ დაარსებულად არის მიჩნეული. ამჟამად სამონასტრო კომპლექსი შეიცავს: I. XI ს. წმიდა სტეფანეს ეკლესიას, რომელსაც აქვს ლაპიდარული წარწერები, 2. XI ს. სვეტს და შუა საუკუნეების გამოქვაბულებს.

სტეფანწმიდა – ეკლესია სტეფანე პირველმოწამის სახელზე, რომელიც მცხეთაში აუშენებიათ V ს. I ნახევარში არჩილის მეფობისა და იონას მთაწარეპისკოპოსობის დროს, როგორც ეს „მოქცეაჲ ქართლისაჲში" არის აღნიშნული: „მეუობდა არჩილ და მთაწარეპისკოპოსი იყო იონა. და მაშინ დაეცა ქუეშეჲ ეკლესიაჲ და იონა მოიცალა გარეუბანის ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო. და მისა ზე აზნაურთა სტეფანწმიდაჲ აღაშენეს არაგუსა ზედაჲ (ძეგლები, I, 92). ისტორიკოს ჯუანშერის „ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისაჲ"-ში ნათქვამია: „მაშინ არჩილ მეუღლან აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კარსა ზედა არაგუსათა, სადა იყენეს კომკრი მტკიცენი საბრძოლონი, რომელნი მასვე აღეშენნეს" (ქართ. ცხ. I, 140).

სტეფანწმინდის მონასტერი – ხირსის მონასტერი, კახეთში, სოფ. ტიბაანში, რომელიც, ტრადიციის თანახმად, დაუარსებია სტეფანე ხირსელს, იოანე ზედაზნელის ერთერთ სირიელ მოწაფეს, რომელიც მოძღვარს შავი მთის სანახებიდან ქართლს ჩამოჰყვა. გადმოცემით ამ მონასტერში, რომელსაც სტეფანე ხირსელის სახელის მიხედვით სტეფანწმინდა ეწოდება, დასაფლაებულია მონასტრის დამაარსებელი. ეახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „სტეფანწმიდაჲ მონასტერი, მამათაგან ანუ წმიდაის ეფთვიმესაგან აღშენებული არის" (ქართლის ცხ. IV, 544-45).

სტიქარი (ბერძნ.) – სამღვდელო (სადიაკვნო) გრძელი, ფართოსახელოებიანი კაბა (ქართ), ჩვეულებრივ, ტერფამდე ქსოვილისა. სტიქარი ქრისტიანულ ეკლესიაში გადმოტანილია ძველი აღთქმის ქვართის ანუ პოდირის (მღვდელმთავართა შესამოსელი) მიბაძვით. ჩვეულებრივ, სტიქარი მზადდებოდა სელისაგან და თეთრი ფერისა იყო, რაც მიუთითებდა მისი მატარებლის ზნეობრივ სიწმინდეზე. სტიქარი სახელოების ქვემ გაჭრილია იესო ქრისტეს განგმირული

გვერდის მოსახსენებლად, სამხრეები, რომელიც სხვა ფერისაა, მოგვაგონებს იესო ქრისტეს გვემის კვალს. ხმირად გვერდებზე და სახელოებზე სტიქარს აკერებენ ბაბთებს – ქრისტეს ბორკილებს. მღვდელთა და მღვდელმთავართა სტიქარი ფართო და განიერია და სამღვდელო სტიქარი ეწოდება.

სტიქარონი (ბერძნ.) – ერთი ან რამდენიმე სტროფისაგან შემდგარი მცირე ზომის საგალობელი, რომელიც ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ცისკრად და მწუხრზე იგალობება ფსალმუნთა საკითხავებს შორის. სტიქარონთა სახელწოდებანი („უფალო ღაღადყავსა", „აქებდითსა", „აღვივსენითსა") აღებულია შესაბამისი ფსალმუნის (140,1; 148,1; 89,14) მუხლის დასწყისი სიტყვის მიხედვით. სტიქარონთა პირველ აეტორად მიჩნეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქი ანატოლე (V ს.). სტიქარონი, რომელიც მეტწილად დაკავშირებულია ფსალმუნთან, თავდაპირველად იყო მოკლე მისაძერი, რომელიც აღებული იყო თვით ფსალმუნიდან და რომელიც იგალობებოდა ფსალმუნის მუხლის შემდეგ. მოგვიანებით სტიქარონები უფრო გრძელნი გახდნენ და სრულდებოდნენ ცისკრისა და მწუხრის ღვთისმსახურებაზე, როგორც დამოუკიდებელი, საგანგებოდ შეთხზული პოეტური სტროფი. სტიქარონი სამი სახისაა: 1. სტიქარონი, რომელიც სრულდება მწუხრზე 140-ე ფსალმუნის შემდეგ. მისი ქართული სახელწოდებაა: „უფალო ღაღადყავსა". 2. სტიქარონი, რომელიც 148, 149 და 150-ე ფსალმუნებს შორის იგალობება – ქართული სახელწოდებაა „აქებდითსა". 3. სტიქარონი, რომელიც სხვადასხვა დღესასწაულზე სხვადასხვა ფსალმუნისა თუ ბიბლიურ ტექსტს დაერთვის ცისკრად და მწუხრზე – ქართული სახელწოდება „აღვივსენითსა". XI ს-დან ქართულ საღვთისმსახურო ძეგლებში სტიქარონი იხმარება „აღვივსენითსას" და ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობითაც. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „სტიქარონის" მრავალმხივი ფორმით ნახმარი ტერმინი – სტიქარონები ამ საგალობლის ყველა სახეობას გულისხმობს.

იმ სტიქარონთა კრებულს, რომლებიც უძრავ დღესასწაულებზე (თვენის მასალა) იგალობება, სტიქარონ-იადგარი ეწოდება და ქართულად ცნობილია გიორგი მთაწმიდელის თარგმანით (Sin. 92).

სტოა // **სტოვა** (ბერძნ.) – ტაძრის დასავლეთი ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ტაძრის შუა ნაწილისაგან გამოყოფილია ერთ ან ორ რიგ უფრის ძელი ალთქმის კარვის ეზოს, რომელშიც შეეძლოთ შესულა არა მარტო ისრაელებს, არამედ წარმართებსაც. ქრისტიანული ტაძრის სტოაში შესვლის უფლება აქონდათ არა მარტო კათაკმეველებსა და მონანულთ, რომლთაც „მიმენელები" ეწოდებოდათ, არამედ ავრეთვე ისრაელებს, მწვალებლებს და წარმართებს, რათა მათ მოესმინათ საღვთო სიტყვა და მოძღვრება. ძველად სტოაში მოწყობილი იყო სანათლავი, ე. ი. ეკლესიაში ნათლისღებისათვის. ამჟამად სტოაში ტარდება ლიტანობა, ღამისთევის დროს სერობა, შუაღამის ჟამი და მომზადება ქრისტიანობის მიღებისათვის. სტოაში სრულდება შობიარე ქალის ლოცეა მე-40 დღეს. ზოგჯერ სტოაში (მონასტრებში) ეწყობა ტრაპეზობა ლიტურგიის შემდეგ, ძველი სიყვარულის სერობის მსგავსად. სტოაში საერო პირებს ნება ეძლეოთ აღდგომის დღეს აკურთხებინონ საღდგომო პური, ყველი და კვერცხი. სტოა მოხსენებულია „საქმე მოციქულთაში": „შეკრებოდეს მათდა ყოველი ერი სტოასა მას..." (3,11).

სტრატონიკე მოწამე – ეწამა ქრისტესთვის IV ს. დასაწყისში, ლიკაონიაზე იმპერატორის (307-324), ღრის თაეის მეგობარ ერმილესთან ერთად. ერმილე და სტრატონიკე წარმოშობით სლავები იყვნენ. სტრატონიკე სასყრობილის ზედამხედველი და ფარული ქრისტიანი იყო, ხოლო ერმილე – დიაკონი ქ. სინგიდონში (ბელგრადი). ერმილე ქრისტიანთა ქადაგებისათვის იმპერატორის ბრძანებით პატიმრობილეში იყო დამწყვდეული და სასტიკ წამებას იტანდა. ერმილეს ტანჯვა-წამებამ და მეგობრისადმი თანაგრძნობამ სტრატონიკეს თაეისი ქრისტიანობა გააშკარებინა. ორივე მეგობარი სასტიკი წამების შემდეგ ბაღეში გამოკერეს და ღუნაიში გადაგდეს. მესამე დღეს ქრისტიანებმა იპოვეს მოწამეთა გვამები და ქალაქის მახლობლად დამარხეს. მოწამეთა წმ. ნაწილები (თავები) კონსტანტინეპოლის წმ. სოფიას ტაძარში 1200 წ. ნახა რუსმა პილიგრიმმა ანტონიმ. ერმილესა და სტრატონიკეს „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც X ს. ბოლოს ან XI ს. დასაწყისში შეადგინა ბერძნულად სვიმეონ მეტაფრასტმა, ქართულად ითარგმნა დაახლ. XI ს. II ნახევარში (ქუთ. 13, XIII ს. 90-96; A 79, XII ს. 106-119). მოწამეთა ხსენების დღესასწაული დადებულია 13 იანვარს.

სტრატოფილე ეპისკოპოსი – ბიჭვინთის ეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში, ეროვნებით ბერძენი (ამ დროს ბიჭვინთაში ბერძნუ-

ლი კოლონია იყო). სტრატოფილე დასწერებია 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო კრებას, როგორც ეს ცნობილია ნიკეის კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა სიიდან, რომელიც კრების მოწვევის დროიდან კარგა მოგვიანებით უნდა იყოს შედგენილი (К. Смирнов, Обозрение источников... Никейского собора, Ярославль, 1883 г.)

სტურაკი (ბერძნ.) – გუნდრუკის მსგავსი, სტურაკოსის ხისგან ნაწეული ნივთიერება, რომელიც ეკლესიაში გამოიყენება საკმეელად.

„სულისაჲ" – საგალობლები, რომლებიც შეიცავენ ლოცვებს მიცვალებულთა განსასვენებლად. ისინი სრულდება მიცვალებულთა დაკრძალვაზე და საშაბათო ღვთისმსახურებაში.

სულიწმინდა – ერთარსება და განუყოფელი სამების მესამე პიპოსტასი, ანუ პირი, რომელიც გამოდის მამაღმერთისაგან და ძის მიერ მიეცემა კაცთ (იოანე 15,26). ქრისტიანული დოგმატის მიხედვით სულიწმინდა მამისა და ძის ერთარსი და თანასწორია. მოძღვრება სულიწმინდის შესახებ გადმოცემულია ახალი აღთქმის წიგნებში – წმ. სახარებაში (მაცხოვრის სიტყვებით) და მოციქულთა ეპისტოლეებში. მათი განმარტება კი მოცემულია ეკლესიის მამების – ათანასე დიდის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, ნეტარი ავგუსტინეს და სხვათა თხზულებებში. მოძღვრება სულიწმინდის შესახებ შეტანილია ნიკია-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოში. ნიკეის სიმბოლოში წმ. სამების მესამე პირის – სულიწმინდის შესახებ მოკლედ იყო ნათქვამი: „გურწამს... სულიწმიდა", ხოლო კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოში კი – მთელი სისრულით: „გურწამს... სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამის თანა და ძის თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაწასწარმეტყველთა მიერ". მოგვიანებით დასავლეთის ეკლესიაში შემუშავებულ იქნა ნიკეა-კონსტანტინეპოლის კრებათა განსაზღვრების თავისებური რედაქცია სულიწმინდის შესახებ მოძღვრების ნაწილში. ჯერ კიდევ V საუკუნეში დასავლეთის ეკლესიის ზოგიერთმა მესვეურმა დაიწყო მტკიცება, რომ სულიწმინდა მარადიულად გამოდის არა მარტო მამისაგან, არამედ ძისაგანაც (Filioque). ეს მოძღვრება კანონიკურად დამტკიცდა 809 წლის საეკლესიო კრებაზე, რომელსაც იმპერატორი კარლოს დიდი თავმჯდომარეობდა. კრების დადგენილება ლეონ III რომის პაპმა არ დაამტკიცა და ნიკეა-კონსტანტინეპოლის „პრწამსი" დაჭრილ და ლათინურ ენებზე, სპეციალურ ვერცხლის დაფებზე დაწერილი, წმინდა პეტრეს ტაძარში ჩამოკიდა. მიუხედავად ამისა, მოძღვრება სულიწმინდის ძისაგან გამომაელობის შესახებ გაერცელდა ესპანეთის, იტალიისა და გერმანიის ბევრ ადგილებში. როდესაც კათოლიკე მისიონერებმა მოიდომეს ამ მოძღვრების გაერცელება აღმოსაელეთის ეკლესიებში, კერძოდ ბულგარეთში, ფოტი კონსტანტინეპოლელმა პატრიარქმა 886 წლის კრებაზე დაგმო იგი. ოფიციალურად ეს მოძღვრება რომის ეკლესიამ აღიარა არაუადრეს 1014 წლისა. სულიწმინდის განსაზღვრებაში რომის ეკლესიის მიერ ზემოაღნიშნული დამატების შეტანამ ხელი შეუწყო აღმოსაელეთისა და დასაელეთის ეკლესიების განყოფას.

სულიწმინდის მოფენა – ქრისტიანული ეკლესიის საუფლო დღესასწაული, დაწესებული სახარებისეული თხრობის საფუძველზე, რომლის მიხედვით აღდგომის დღესასწაულიდან 50-ე დღეს, ერგასისს, მოციქულებზე სული წმინდა გადმოვიდა და მათ მიანიჭა უნარი, ქრისტეს მოძღვრება ეცნობათ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ხალხში, მოეხდინათ სასწაულები და სხვ. დღესასწაული აღინიშნება აღდგომიდან 50-ე დღეს და აქედან აღირიცხება საღვთისმსახურო შვიდეულები (კვირები) მეზვერეთა და ფარისეველთა კვირამდე, დიდმარხვის წინ – სულ 32 კვირა, თავისი სახარებისა და სამოციქულოს საკითხავების თანმიმდევრობით.

სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის აღნიშნების შესახებ ცნობები გვაქვს IV ს-დან. არსებობს გადმოცემა, რომ იმ ადგილას, სადაც მოციქულებზე სულიწმინდის გადმოსვლა მოხდა, ააგეს ქრისტიანული ტაძარი, რომელიც IV ს-ში განაახლა ულენე დედოფალმა (კონსტანტინე დიდის დედამ). ამ დღეს ღვთისმსახურებაზე იკითხება „სამქმე მოციქულთა". ძველ ქრისტიანულ ეკლესიებში დამკვიდრებული ტრადიცია კათაკმეველთა მონათლისა ამ დღეს, დღესასწაულს განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს ანიჭებდა. ამ დღის პატივსაცემად მრავალი საეკლესიო საგალობელი (კანონი) შექმნეს იოანე დამასკელმა და კოზმა მაიუმელმა, რომლებიც დღესაც იგალობება. სულთმოფენის დღესასწაულზე უშუალოდ ლიტურგიის შემდეგ ტარდება მწუხრის ღვთისმსახურება, რომლის დროსაც მღვდელი ალსაელის კარებში კითხულობს ბასილი დიდის სამ ლოცვას, რომლის

დროსაც მრეველი ასრულებს მუხლთმოდრეკას.

სულთმოფენის დროს ძველად ტაძრებსა და მორწმუნეთა სახლებს რთავდნენ ხის ტოტებით, ბალახებით და ყვაელებით, რაც გამოხატავდა გაზაფხულის განახლებას და ამასთანავე ადამიანების განახლებას სულიწმინდის ძალით.

სულორი – სოფელი ვანის რ-ნში, მდ. სულორის (რაინის მარცხ. შენაკადი) ორივე ნაპირზე, ვანიდან 11 კმ-ზე, სოფელში არის გვიანი შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია „ქაშვეთი“.

სუმბატ დავითის ძე (ბაგრატიონი) – ქართველი ისტორიკოსი XI ს. პირველ ნახევარში, ავტორი ცნობილი ისტორიული ქრონიკისა „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა ჩუენ ქართველთა მეფეთასა...“. სუმბატ დავითის ძის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევით, სუმბატი ტაოს ბაგრატიონთა შტოს უნდა ეკუთვნოდეს. მისი ნაშრომი ადამიდან იწყება და 1031 წლის ამბებით მთავრდება. ნაშრომის დასწყისი ემყარება ბიბლიას და სუმბატ დავითის ძეს ბაგრატიონები მიაჩნია ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავლებად. მისი აზრით, ისინი საქართველოში მოვიდნენ პალესტინიდან VI ს-ში და ერთი მათგანი – გუარამი ქართლის ერისმთავარი გახდა. ცნობები გუარამიდან აშოტ I-მდე ემყარება „მოქცეაჲ ქართლისაჲ“, აშოტ I-დან ბაგრატ II-მდე – ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეებს. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ძვირფასი ისტორიული წყაროა, განსაკუთრებით VIII-XI ს. I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ისტორიოგრაფიისათვის.

სუმელის მონასტერი – თ. ფორდანიას გადმოცემით (ქრონიკ. III, გვ. 021), მას გრიგოლ გურიელმა უამბო, რომ არის ქართველთა მონასტერი სუმელა ტრაპიზონის ახლოს, ორმოც ეერსზე მთებში, სადაც ბევრი ქართული წიგნია დაცული (დაბლა მღვიმეში).

სუნიზმი – ორთოდოქსული ისლამი. ამ რელიგიის მიმდევრები – სუნიტები – უმრავლესობას წარმოადგენენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული (ეგვიპტე, ირანი, საბრ. ერაყი, არაბთა რესპ., აზერბაიჯანი და ტაჯიკეთის მთიანეთი). სუნიტების თემის მეთაურს, იმამ-ხალიფას, შიიტებისაგან (იხ. შიიტობა) განსხვავებით, ირჩევენ მთელი თემის ფორმალური თანხმობის საფუძველზე. სუნიზმი მოიცავს 4 რელიგიურ-იურიდიულ სკოლას (მაზჰაბს). სუნიტები წმინდა ქალაქებად აღიარებენ მექასა და მედინას.

სურამი – დაბა (1926 წლიდან) ხაშურის რ-ნში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთის ძირას, მდ. სურამულის ნაპირზე, ხაშურიდან 5 კმ.-ზე, სურამი XIII ს-ში ფეოდალთა ციხე-ქალაქია. XII-XIII სს. იგი წარმოადგენდა ქართლის ერისთავთა რეზიდენციას (აქედან მათი ტიტული „სურამელი“). სურამში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე და ციხის ამავე დროის ეკლესია, რომელშიც შეიძნეული მოხატულობის კვალი.

სურწყუნისი – წარმართული დროის ქართული სახელი თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით 3 იანვარს იწყებოდა და მთავრდებოდა 1 თებერვალს (იხ. საეკლესიო წელი).

სუსანა // სოსანა – დედა წმ. ნინოსი და იერუსალიმის პატრიარქის და – იობენალისა, როგორც ეს აღნიშნულია წმ. ნინოს „ცხოვრებაში“ (ძეგლები I, 106-110). წმ. ნინოს გადმოცემით: „დედაჲ ჩემი მისცა პატრეაქმან (ე. ი. ძმამ) მსახურად გლახაკთა, დედათა უძლურთა“ (იქვე, 110).

სუსთევი // სოსთევი – ადგილი კონსტანტინეპოლის მახლობლად, ჩრდილოეთით (დღევანდელი სტენია), რომლის „ზენა კერძი ადგილსა“ ბასილი იმპერატორის დახმარებით ილარიონ ქართველის სამმა ქართველმა მოწაფემ 876 წ. მონასტერი ააშენა, რომელიც ცნობილია პრომანას, ანუ რომანას მონასტრის სახელწოდებით. მონასტრის ადგილის შესარჩევად ილარიონის მოწაფეები „გამოვიდეს და ძიება ყეს და მიემთხუნეს ელესია რასმე, რომელსა ერქუა პრომანა, ზემო კერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების... მეფე განვიდა ადგილსა მას და მუსკულად გამოსახა ეკლესია სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთა, რამეთუ თუსითა კელითა დადვა მეფემან ქვაჲ იგი საფუძველისაჲ და აღასრულა საქმე იგი შენებისაჲ შუდ თუჱ“ (ძეგ. III, 242-243). ამ მონასტერში ბასილი იმპერატორის მიერ გადასვენებული იქნა წმ. ილარიონ ქართველის წმ. ნაწილები ბასილი იმპერატორის მიერ: „შეიდა პირველად ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისა სუსთენს და შეიყვანა ნაწილნიცა წმიდანისანი.. გამოვიდა მერ და აღმკვდრდა სამეუოთა ეტლსა და მივიდა პრომანად, რომელი-იგი თჳთ აღეშენა მოწაფეთაჳს ამის წმიდისათა და დაუსუენნა მითვე მცირითა ლარნაკითა ნაწილნი წმიდისა ილარი-

ონისნი თუესა დეკემბერსა ზ (7)-სა" (ძეგლები, II, 36).

სუხანოვი არსენ (არტები; დაბ. 1600-1668წწ.) რუსი საეკლესიო მოღვაწე. 1637-40წწ. იყო მოსკოვის სამეფოს ელჩობის წევრი კახეთში. 1649 და 1651 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1652წ. ჩამოუხდა თბილისში. მოინახულა თბილისის და მცხეთის ღირსშესანიშნაობები, სვეტიცხოველი და კაეთისხევის მონასტერი და დაწერილებით აღწერა ისინი. 1653-1655წწ. იყო ათონის მთაზე, საიდანაც მოსკოვში ჩაიტანა 500-ზე მეტი ბერძნული და სლაური ხელნაწერები. თავის მოგზაობათა ანგარიშებში საინტერესო ცნობებია საქართველოსა და ათონის ქართული მონასტრის შესახებ. (იხ. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1965; Проскринитарий А. Суханова, ППС, 21(VII,3), 1889 с. 53; 157).

სუხაჩი – V-VI სს-ის ეკლესია სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინცია ტაოში (ახლა თურქეთის ფარგლებში), რომელიც მდებარეობს იშხანის ტაძრის ჩრდილოეთით. ჯვარგუმბათოვანი ეკლესია ტეტრაკონქის ტიპისაა. ნაგებია გათლილი ქვით. დასავლეთ მხარეს ეკრის გუანდელი ეკვტერი, რომელიც ამავე დროს ერთერთ შესასვლელს წარმოადგენს. ეკლესია შიგნით შემკული იყო, მაგრამ მოხატულობის კვალი არ ჩანს. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.

სუჯუნა – სოფელი აბაშის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის ნაპირას, აბაშიდან 6 კმ. სოფელში დგას XVIII ს. გუმბათოვანი ეკლესია და ამავე დროის სამრეკლო. ცნობილია: სუჯუნის წმ. გიორგის ხატი, რომელიც დაქონდათ შეწირულებათა შესაგროვებლად სვლის დროს; წმ. გიორგის ხატი (ქვეთი) XI ს.-ისა, რომელიც 1797 წ. ბესარიონ ჭყონდიდელს შეუწირავს ეკლესიისათვის.

სძიხვმა (ბერძნ. „დაყოფა", „გაყოფა") – იხ. ეკლესიათა გაყოფა.

სძოლასტიკა (ბერძნ.) – თეოლოგიური მიმდინარეობა, გაბატონებული VIII-XV სს., რომელიც გულისხმობდა ეკლესიის დოგმატთა თეორიული დასაბუთების შესაძლებლობას ფილოსოფიური მეთოდებით, ხოლო ფილოსოფიას თეოლოგიის მსახურის როლს განუკუთვნებდა. ამ მიზნით სქოლასტიკა იყენებდა პლატონიზმს, ნეოპლატონიზმს და, განსაკუთრებით, არისტოტელიზმს. ფილოსოფია დასაბუთების საშუალებად იქცა, მაგრამ მას დასაბუთებლის შემოწმების უფლება არა ჰქონდა. იგი აღარ იყო მსოფლმხედველობა. ამ პერიოდში გაბატონდა ავტორიტეტის პრინციპი, სიახლეებზე უარის თქმა („ხოლო ჩემი ვთქუა არარაა" – იოანე დამასკელი). სქოლასტიკის აღრეული ეტაპის (VIII-XII სს.) უდიდესი წარმომადგენლები არიან: იოანე დამასკელი, იოანე სკოტუს ერიუგენა, ანსელმ კენტერბერიელი. II ეტაპზე (XII ს. II ნახევრიდან XIV ს. შუა წლებამდე) „მაღალი სქოლასტიკის" გამორჩენილი წარმომადგენლები არიან: ალექსანდრე ჰალელი, თომა აკვინელი, იოანე სკოტუსი. მომდევნო ხანა სქოლასტიკის დაქვეითების პერიოდია. XIX ს. ბოლოს გავრცელდა ნეოსქოლასტიკა, ძირითადად ნეოთომიზმის სახით.

სძალი – ქრისტიანულ ეკლესიაში სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობით გამოყენება, ძირითადად მრავამ ღუთისმშობლის ეპითეტად და ნიშნავს ქალწულს. ასევე ქრისტეს სძალი ეწოდებათ ქალწულებს, რომლებმაც მონაზონობა მიიღეს და სხვ.

სხალთა – XIII ს. ბაზილიკური ეკლესია ხულოს რ-ნში, სოფ. ჟინჩაურში, მდ. ხახალთას ნაპირზე, ხულოდან 18 კმ. ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. არის ავრეთვე შუა საუკ. სამეურნეო ნაგებობანი. მდ. სხალთაზე შუა საუკუნეების ხიდია.

სხალტბა – სოფელი მცხეთის რ-ნში, სხალტბის ქედის ჩრდ. კალთაზე, მცხეთიდან 20 კმ. სოფლის დასაწყისთან 1,5 კმ-ზე. სასაფლაოზე დგას აგურით ნაგები ერთნავიანი ეკლესია „ცეროკხველი". სამხრეთის კარის თაღზე მოთავსებული წარწერის თანახმად, ეკლესია 1669 წ. აუშენებიათ იოვანე ზედგინის ძის, სახლთუხუცეს შიოშსა და მის მეუღლეს თამარს. კარიბჭის ერთ-ერთი სვეტის წარწერაში იხსენიება ოსტატი სარქარი მელქან ფურცხვანიძე. სამხრეთით ეკლესიას მიშენებული აქვს 4 ოსრული თაღით გახსნილი კარიბჭე, რომლის სამი რვაწახნაგა ბოძი შემკულია ჩუქურთმებით და ჯვრებით. მოჩუქურთმებულია ავრეთვე კარნიზიც. ეკლესია შიგნით სადა, თაღები და გადამხური კამარა ოსრული ფორმისაა. შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრების" მოწმობით, სოფ. სხალტბა ეკუთვნა მღვიმელმა საკუთარი სახსრებით შესძინა შიომღვიმის მონასტერს. სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში თამარ მეფის დროს (1202 წ.) გამოუყვანიათ წყალსადენი.

სხიერი – სოფელი ონის რ-ნში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ონიდან 7 კმ. წყაროებში

პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში „სხუარის" სახელწოდებით. სოფელში დგას განეთარებული შუა საუკუნეების ე. წ. „უძრაო წმ. გიორგის" ეკლესია. ინტერიერში შემონახულია მოხატულობისა და კანკელის ფრაგმენტები. კანკელის IX-X სს-ის ფრაგმენტები სხიერის ეკლესიიდან დაცულია აგრეთვე ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ლაპ. წარწ. II, გვ. 32-34). ცნობილია აგრეთვე ორი დეტალი სხიერის წმ. გიორგის ამხედრებული ჭედური ხატისა.

სჯული // შჯული // რჩული – მცნება, კანონი, წესი, ჩვეულება. ქართული წყაროების მიხედვით, „სჯული" ძველ საქართველოში დღევანდელ „სამართალს" აღნიშნავდა („სჯა", სულხან-საბას განმარტებით არის „სამართელი"), თაედაპირველად იგი „ნაბჭობს", „დადგენილს" აღნიშნავდა. განასხვაებდნენ ბუნებით სჯულს (იგი ადამიანთა თანდაყოლილ და მენებით შთაგონებულად მიიჩნეოდა), „დაწერილ სჯულს", ანუ კანონმდებლობას („სჯული წიგნისაჲ"), „დაუწერელ სჯულს" (ჩვეულებითი სამართალი) და „სამოქალაქოთა სჯულს". სჯული უმეტესად საეკლესიო კანონმდებლობის მნიშვნელობით იხმარებოდა. საეკლესიო კანონების კრებულს ქართულად სჯულისკანონი (იხ.) ეწოდება. სამართლის საკანონმდებლო პროცესს „სჯულდება" ეწოდებოდა, ხოლო კანონმდებელს – „სჯულმდებელი" ან „მერჩული".

სჯულისკანონი – საეკლესიო კანონების კრებული – ბიზანტიურ-ბერძნული „ნომოკანონის" სახელწოდება ქართულ თარგმანში. სჯულისკანონის ბერძნული დედანი – ნომოკანონი ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში რამდენიმე რედაქციით არის წარმოდგენილი, იმისდა მიხედვით, თუ ქრონოლოგიურად რომელ პერიოდშია შედგენილი და საეკლესიო კანონმდებლობის რა მასალას შეიცავს, აგრეთვე შეიცავს თუ არა სამოქალაქო კანონმდებლობას ეკლესიის შესახებ (დაწერ. იხ. ნომოკანონები). ქართულად სჯულისკანონი ორი რედაქციით არის ცნობილი: I. მცირე სჯულისკანონი (რჩულისკანონი), რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ არის ნათარგმნი (X ს.) და რომლის ძირითადი ნაწილია VI მსოფლიო კრების კანონები, წარმოდგენილი ეფთვიმეს მიერ გადამუშავებული სახით, რომელსაც ბერძნულად დედანი არ მოეპოვება. 2. დიდი სჯულისკანონი, რომელიც წარმოადგენს IX ს-ში ნომოკანონის საბოლოოდ ჩამოყალიბებული რედაქციის – 14-ტიტულიანი ნომოკანონის (ნაწილიანი) ქართულ თარგმანს, შესრულებულს XI საუკუნის მიწურულს არსენ იყალთოელის მიერ და რომელიც შეიცავს მოციქულთა, მსოფლიო საეკლესიო კრებათა, რამდენიმე (10) მნიშვნელოვანი ადგილობრივი საეკლესიო კრებათა და ეკლესიის გამოჩენილ მამათა საეკლესიო კანონებს. გარდა ამისა, დიდ სჯულისკანონში ისევე, როგორც მის დედანში, შეტანილია სამოქალაქო კანონმდებლობის ექსცერპტები ეკლესიის სხვადასხვა საკითხების შესახებ (დაწერ. იხ. დიდი სჯულისკანონი).

ტაბაკინი – სოფელი ზესტაფონის რწმი, მდ. აჯამურის (ყვირილას მარცხ. შენაკადი) ხეობაში, ზესტაფონიდან 7 კმ. სოფლის მახლობლად დგას VI-VII სს-ის „ძლევის წმ. გიორგის" მონასტრის დარბაზული ეკლესია. ეკლესიის ჩრდილოეთ ნაკ დარბაზს უკავშირდება მასიური ოთხკუთხა ბოძზე დაყრდნობილი განიერი თაღებით. ნაკის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია აბსიდიანი სათავსი, ხოლო სამხრეთით მდებარე სტოა დამოუკიდებელ სათავსს წარმოადგენს. სტოას საშხრეთი ფასადი გაფორმებულია სამი თაღითა და ორი მონუმენტური მრგვალი სვეტით, ხოლო დასავლეთის კედელი ფართო თაღით არის გახსნილი. ეკლესიის ქვეშ მოთავსებულია სამკალე. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ფრესკებით, ქტიტორთა პორტრეტებით, მათ შორისაა იმე-რეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) გამოსახულება და სხვ. წარწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესია რამდენჯერმე შეკეთებული. XVI ს. 20-იან წლებში

ტაბაკინის დანგრეული მონასტერი განახლა და ეკლესია მოახატვინა ქუთათელმა ეპისკოპოსმა გერასიმე ჩხეტისძემ. ყველა შემდგომი შეკეთება 1529 წლის შემდეგაა ჩატარებული. სამრეკლო უფრო გვიანდელი ხანისაა.

ტაბაწყური — სოფელი ბორჯომის რ-ნში, ჯავახეთის ზეგანზე, ტაბაწყურის ტბის ნაპირას, ბორჯომიდან 60 კმ. სოფელში შემორჩენილია ეკლესია „წითელი საყდარი", რომელიც განუთარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ტაბახმელა — სოფელი გარდაბნის რ-ნში, თრიალეთის ქედის სამხრეთ განშტოებაზე, გარდაბნიდან 51 კმ., თბილისიდან 15 კმ. სოფელში დგას განუთარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია „კვირაცხოველი".

ტაბლა (ლათ. „დაფიდა") — ფეხბებიანი ფიცარი (მათე 15,27), დადგმული მონასტრის სატრაპეზოში (სასადილოში) მონაზვნებისათვის საზრდელის მისაღებად, მასზე დალაგებული სანოვაგითურთ. ძველ ქართულ წყაროებში „ტაბლა" გუშვდება სამსხვერპლოს (ტრაპეზის) და ოდეის მნიშვნელობითაც კი. დღეს ამ სიტყვას უფრო ხშირად ხმარობენ მიცვალებულის სუფლის მოსასხენებლად ნაკურთხი სანოვაგით გაშლილი მაგიდის მნიშვნელობით.

ტაბორიტები — იხ. ქილიაზმი, რეფორმაცია.

ტაბუ (პოლინეზიური) — აკრძალვა, რომელსაც უძველეს ხალხებში რელიგიური ხასიათი ჰქონდა. ტაბუს დამრღვევები, მათი რწმენით, ზებუნებრივი ძალების მიერ ისჯებოდნენ. პოლინეზიელებთან ხმარებიდან ამოღებული იყო ყველაფერი, რაც ითვლებოდა სულებთან და ღმერთებთან დაკავშირებულ სიწმინდედ, რაც ეკუთვნოდათ მის ბელადებსა და ქურუმებს. ქურუმებს უფლება ჰქონდათ, ტაბუ დაედოთ ყოველგვარი საგნისათვის, ან ყოველგვარი მოქმედებისათვის. ტაბუს დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა. ავსტრალიელებთან ტაბუ დაკავშირებულია ტოტემთან: იკრძალება იმ პირუტყვის მოკვლა და მისი ხორცის ჭამა, რომლის სახელსაც ატარებს ესა თუ ის გვარი. ტაბუ სახეშეცვლილი ფორმით შეენიძა თითქმის ყველა რელიგიაში.

ტათევის მონასტერი — შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი, მონასტერი-ციხესიმაგრე სომხეთში, სიუნიქის (ზანგეზურის) ისტორიულ ოლქში (ახლანდ. გორისის რაიონი). კომპლექსში შედის გრიგორის კამაროვანი დარბაზი (836-848 წწ.). პოლოსისა და პეტროსის ეკვარ-გუმბათოვანი IX-X სს. დარბაზული ეკლესიები, ჭიშკარზე დაშენებული ასტვაწაწინის გუმბათოვანი დარბაზული ეკლესია (XI ს.) და სხვ. ტათევის მონასტერი კულტურისა და მწიგნობრობის კერა იყო, რომელშიც ქართველ მწიგნობრებსაც უმოღვაწიათ (კერები, I, 40).

ტაჩუკი — ოქროს ან ვერცხლის ტარიანი მომცრო თასი (გამოსლვ. 25,29). მართლმადიდებლურ ეკლესიაში იხმარება წმ. ზიარების შემდეგ მორწმუნეთა მიერ ღვინის მისაღებად.

ტალაერობა, ქარქობა (ებრ. კუშკი) — ძველ ებრაელთა სამ უდღეს დღესასწაულთაგან ერთ-ერთი, რომელიც დაწესებულია უდაბნოში ებრაელთა 40-წლიანი ხეტიალის მოსაგონებლად. დღესასწაული იწყებოდა მეშვიდე თვის — თიშრის მე-15 დღეს და გრძელდებოდა 8 დღე. დღესასწაულის დღეებში ებრაელი მორწმუნეები ცხოვრობდნენ ტალაერებში — კარვებში, რომლებიც გაკეთებული იყო ხის ტოტებისაგან. ტაძარში ყოველდღე მსხვერპლად სწირავდნენ ხბოს. ხალხი პალმისა და სხვა ხეების რტოებით ხელში გალობდა სადიდებელ ფსალმუნებს. ეს უკანასკნელი რიტუალი დღემდეა შემორჩენილი. იდგმება კარავიც (ტალაკარი), რომელშიც სრულდება ტრაპეზობა.

ტამალა — იხ. დამალა.

ტამპლიერები // ტემპლიერები ანუ მეტაბრენი (milites templi) — სასულიერო-რაინდული ორდენი დასავლეთის ეკლესიაში, დაარსებული XII ს-ში. სახელწოდება მიიღო მას შემდეგ, რაც იერუსალიმის მეფემ, ბალდუინმა მას დაუთმო ციხე იმ ადგილას, სადაც ადრე სოლომონის ტაძარი იდგა. მისი დაარსება მიეწერებათ ბურგუნდიელ რაინდს პიტერ დე ჰენს და მის 7 მეგობარს. 1119 წელს ტემპლიერებმა შეადგინეს ძმობა, რომელთა მიზანი იყო ადგილობრივი და პილიგრიმი ქრისტიანების დაცვა მაჰმადიანებისაგან. ორდენის წეს-ებმა მიიღეს მონაზვნობის რამდენიმე აღთქმა (სიღარიბე, გონიერება და სხვა). ორდენის საშინაო საქმიანობამ დაჩრდილა მონაზვნური. მალე ორდენის წევრებმა სახელი გაითქვეს, როგორც უშიშარმა მეომრებმა. 1128 წელს ორდენმა გამოიმუშავა წესდება და მიიღო რომის პაპისა და იერუსალიმის პატრიარქის სანქციები. ორდენის მეთაურს ტიტული ჰქონდა „დიდმოსტერი", რომელსაც რეზიდენცია იერუსალიმში ჰქონდა. მას ექვემდებარებოდნენ პროვინციული მაგისტრები საფრანგეთში, ინგლისში, პორტუგალიაში, არაგონიაში, უნგრეთში და სხვ. ქრისტიანების მიერ

პალესტინის მიწების დაკარგვამ გამოიწვია ორდენის დანიშნულების დაქვეითებაც, რასაც მოჰყვა როშის პაპის, კლიმენტი V-ის ბულით ორდენის გაუქმება 1312 წ., მათი ერეტიკოსებად გამოცხადების მიზეზით.

ტანძია — სოფელი ბოლნისის რ-ნში, მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს, ბოლნისიდან 16 კმ. სოფელში დგას წმ. ნიკოლოზის დარბაზული ეკლესია, რომელიც 1683 წელს აუგია მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანს, სულხან-საბას მამას, როგორც კარის ეკლესია. ეკლესია ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას, გარედან სწორკუთხა მოცულობა აქვს. ნაგებია თლილი, მოყვითალო ფერის ქვით, შუაში კი შინდისფერი ქვის ორი ზოლი მიჰყვება. ეკლესიის შიდა პირი აგურისა და ქვის რიგებითაა აგებული: საკურთხეველის კონქი და კამარა აგურისაა, ხოლო აბსიდის ორი კედლის შეერილი და მათზე გადაყვანილი თაღი თლილი ქვის კვარებით არის ამოყვანილი. ეკლესიის ერთი შესასელელი დასავლეთის კედელშია დატანებული, ხოლო მეორე, სამხრეთით, ორ სარკმელს შუაა გაჭრილი. დასავლეთის ფასადზე, კედლის შუაში განიერი პორტალია და მის ცენტრში წაგრძელებული ჯვარი, რომელიც თითქოს ებჯინება კარნიზის ჩვერს. ფასადს ამკობს რელიეფური გამოსახულებანი და დეკორატიული ელემენტები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადს საკურთხეველის სახიერებანი სარკმელი და ჯვარი ამკობს. სამხრეთის ფასადზე ორი სარკმლისაგან შექმნილი კომპოზიციაა, მათ ქვეეით გაჭრილი კარის მუზარადისებურ შეირულ ტიმპანზე ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი: „წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ექმენ პატრონსა ორბელს".

ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ ვახტანგ ორბელიანის თაოსნობით ტანძიის კარის ეკლესიაში მწიგნობრული მუშაობა მიმდინარეობდა და ბევრი ქართული ხელნაწერი დამზადდა (კერები, I, 258-261).

ტანძიაში არის ღვთისშობლის ეკლესია, რომლის 1670 წლის მხედრული წარწერა გვამცნობს: „აღვაშენე კარისაჭე ესე ორბელმან პაუნამ და თანამეცხედრემან ჩვენმან აბაშიძის ასულმან ბანგიჯასპიმ" (ქრონიკ. II, 508).

ტანძოთი — სოფლის სახელწოდება ისტორიულ ტაოში, სადაც ეინმე სამადალე კალმახელს (კალმახის ციხის მფლობელს) 1311 წელს აუგია ეკლესია (კერები, I, 465).

ტაოსკარი — X ს. ტაძარი ისტორიული ტაოს (ახლა თურქეთში) ფარგლებში. ეკლესია მრავალ აბსიდიანი ეკლესიების ტიპს ენათესავება. აქვს სამი შესასვლელი — დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ეკლესია, რომელიც 1907 წ. აღწერა ე. თაყაიშვილმა: „შიგნით და გარეთ შეძერწილია ლამაზად ნათალი არა დიდრონი ქვებით, რომელნიც ახლაც მოძრაცულია. გუმბათის ყელიდან აღმოსაელეთის ნაწილია დარჩენილი ერთი ფანჯრითურთ. კორპუსი ეკლესიისა ახლა სანახევროდ მიწაშია ჩასმული". ეკლესიის დიამეტრი 17 მეტრზე მეტი ყოფილა, სიმაღლე შიგნიდან — დაახლ. 15,5 მ.

ტარასი არქიმანდრიტი (ალექსიშვილი — 1797-1874 წწ.) — ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტი 1855-1874 წწ. ანწისხატის დეკანოზის, სოლომონის (1748-1808 წწ.) ძე, ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფი და სასულიერო მოღვაწე. ტარასი აღიზარდა თბილისში, თავის მამასთან, რომელიც ცნობილი მწიგნობარი და კალიგრაფი იყო. 15 წლის ტარასი კათოლიკოსმა ანტონ II-მ, მისმა ნათლიამ, 1808 წ. აღკვეცა ბერად, იყო მისი კერძოდიაკონი და მოლარე. 1817 წ. პეტერბურგში გაჰყვა საქართველოს პირველ ეგზარქოსს — მიტროპოლიტ ვარლაამს (ერისთავს) და მასთან დაჰყო 1826 წლამდე. 1826-1830 წწ-ში. ტარასი თეიმურაზ ბატონიშვილის კარის ეკლესიის მოძღვარი იყო. 1830 წ. ტარასი დაბრუნდა თბილისში, დარაის მონასტერში. 1832 წ. იგი დაასტიმრეს შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. გამოძიების შემდეგ ტარასი გაანთავისუფლეს და დატოვეს თბილისში პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ. გიორგი XII-ის შვილიშვილის, ივანე ლუარსაბის ძე თარხანმოურავის საფასით ქარლოში 1845-1855 წწ. განახლდა უკაცრიელი ქვათახევის მონასტერი, რომლის წინამძღვრად 1855 წ. დაინიშნა ტარასი არქიმანდრიტის სარისხით. ტარასი იქვე გარდაიცვალა 1874 წ. 81 წლის ასაკში და დასაფლავებულია მონასტრის ჩრდილოეთ კედელთან. ტარასი არქიმანდრიტმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მან დაწერა „მოკლე აღწუსხუა ქართლ-კახეთის მონასტერთა" — მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს სიძველეთა იმდროინდელი მდგომარეობისა („საქართველოს სასულიერო მახარებელი", 1864 წ.; „მწყემსი", 1888, №16), ასევე: „მონასტერი ქვათახევის ღვთისშობლის მიძინებისა" („სასულიერო მახარებელი", 1864, III, გვ. 85-89). ტარასის სასულიერო შინაარსის რამდენიმე წიგნიც უთარგმნია: „ღეთრაფიული ლე-

ქსიკონი ახალის აღთქმისა (სანკტ. პეტ. 1861), „ურცელი კატეხიზმო“ (1827), „სიტყვა მღვდელობისათის“ (1845), „თანამდებობისათვის სამრეველთა მღვდელთასა“ (1861 წ.), გადმოკეთებია „ქართული ანბანი სასწავლოდ ყრმათა, ხუცურისა და მხედრული წერილისა“ (პოსკოჟი 1825), ლითოგრაფიულად დაბეჭდილია მისი „ქართული საწერი დედანი“, ხოლო მისი ნახატი ასოები გამოსცა ქსილოგრაფმა ტატიშვილმა თაეის „ქართული ანბანის თაიგულში“ (1902). ტარასის მიერ გადაწერილი ხელნაწერები იშვიათი კალიგრაფიული ხელოვნებით არის შესრულებული.

ტარასი იყო საუკეთესო მცოდნე საეკლესიო ღვთისმსახურებისა და ნიჭიერი მქადაგებელი. მისი სიტყვა-გოდება ივანე თარხან-მოურავის დაკრძალვაზე („ცისკარი“, 1858, ნოემბერი) წარმოადგენს სასულიერო მჭევრმეტყველების კლასიკურ ნიმუშს (ქერები I, 236-241).

ტარასი კონსტანტინეპოლელი († 806) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი 784-806 წლებში. ტარასი დაიბადა კონსტანტინეპოლში, დიდგვაროვანთა ოჯახში, მიიღო კარგი განათლება, დაწინაურდა კონსტანტინე VI პორფიროგენეტის (780-797) სამეფო კარზე და მიაღწია სენატორობას. ამ დროს მძვინვარებდა ხატთმბრძოლობის მწვალებლობა, რომლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო პატრიარქმა პაველმ (780-784), გადადგა პატრიარქობიდან და მონასტერში შედგა. პატრიარქის ტახტზე ახალი კანდიდატურის დასახელებისათვის იმპერატორმა კონსტანტინემ და დედამისმა – დედოფალმა ირინემ (797-802) პაველს მონასტერში მიაკითხეს და მან ერთადერთ ღირსეულ კანდიდატად ტარასი დაასახელა, რომელიც ამ დროს ერისკაცი და სენატორი იყო. დიდი უარის შემდეგ ტარასიმ მიიღო ხელდასხმა, გაიარა ყველა საეკლესიო იერარქიული საფეხური და აეიდა პატრიარქის კათედრაზე 784 წელს. 787 წელს ტარასი კონსტანტინეპოლეის თაემდღომარეობით მოწვეული იქნა VII მსოფლიო საეკლესიო კრება ქ. ნიკეაში, რომელსაც 367 ეპისკოპოსი დაესწრო. კრებამ შეაჩვენა ხატთმბრძოლობა და დაამტკიცა ხატთთაყვანისცემა. ეპისკოპოსები, რომლებმაც მოინანიეს თავიანთი შეცოდებანი ხატთმბრძოლობის თანაგრძნობისათვის, ისევ მიღებულნი იქნენ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ტარასი 22 წელი მართავდა კონსტანტინეპოლის ეკლესიას და დიდი ამაგი დასდო მას. მთელი თავისი ქონება მან საღეთო-საეკლესმოქმედო საქმეებზე დაბარჯა. ტარასი უკომპრომისო მღვდელმთავარი იყო. მან უშიშრად ამხილა იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი, როდესაც მან ცოლი დასწყმა თაეის მეულეს, დედოფალ მარინეს და უნდოდა მისი მონასტერში გაგზავნა, რათა ეკორწინა თავისსავე ნათესავთან, რისთვისაც იმპერატორის რისხვა დაიმსახურა. ტარასი კონსტანტინეპოლელი გარდაიცვალა 806 წ. და დასაფლავეეს თავისსავე აშენებულ მონასტერში ბოსფორზე. ტარასი კონსტანტინეპოლელის ეპისტოლე ანდრიანე რომის პაპის მიმართ, რომელიც მიმართულია სიმონიის წინააღმდეგ, თარგმნილია ქართულად და შეტანილია „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენლობაში VII მსოფლიო კრების კანონების შემდეგ (გვ. 431-437). ტარასი კონსტატინეპოლელის მოკლე „ცხოვრება“ (ე. წ. ეპიტომა) თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად დაახ. XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, 179-185). ხსენების დღედ დადებულია 25 თებერვალი.

ტარასი ეპისკოპოსი (კანდელაკი) – ერისკაცობაში გიორგი იაკობის ძე, შუამთის მონასტრის არქიმანდრიტი XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში. მღვდელმონაზვნობისას, 1905-1908 წწ-ში გადაუწერია კირიონ ეპისკოპოსის (სამკალიშვილის) წერილები (H 1459, H 1460, H 1461). მოგვიანებით ეპისკოპოსად აკურთხეს.

ტარაქოს მოწამე – ეწამა ქრისტეს სარწმუნოებისათვის 304 წელს პრობოს და ანდრონიკე მოწამეებთან ერთად კილიკიის ქალაქ ტარსუში. წმ. ტარაქოსი იყო ძველი მეომარი. მან თანამოღვაწეებთან ერთად უარი თქვა კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა, რისთვისაც ისინი მსხვილით აკუწეს. ქრისტიანებმა მოწამეთა გვამები ფარულად დაასაფლავეს. მოწამეების – ტარაქოს, პრობოს და ანდრონიკეს „წამების“ კომენური თხზულება ქართულად ითარგმნა X ს-მდე, იგი შეტანილია X ს. ცნობილ ათონურ ხელნაწერში (Ath. 8, X ს. 368-383), ხოლო „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც X ს. ბოლოს შედგინა სვიმეონ მეტაფრასტმა, თარგმნილია ქართულად XI ს-ში (ქუთ. 4, 1565 წ., 420-427; S 384, XI-XII ს., 349-360; Jer. 37, XIII-XIV სს., 64-70).

მათი ხსენება აღინიშნება 12 ოქტომბერს, ხოლო თხზულების ქართული თარგმანის კომენური რედაქცია მიუთითებს 27 ივნისს.

ტარიბი – თეორი (უბიწო) კრავი ერთ წლამდე, რომელსაც ძველი ებრაელები მსხვერ-

პლაც სწირავდნენ ღმერთს. ქრისტიანულ ეკლესიაში „ტარიგმა“ გადატანითი მნიშვნელობით ღვთისადმი შესაწირავი უსისხლო მსხვერპლის მნიშვნელობა მიიღო. რადგან ქრისტე ადამიანის ხსნას მსხვერპლად შეწირა, ამიტომ მისი ერთერთი ეპითეტია „ტარიგი“: „ტარიგ ეწოდა, რამეთუ ჩვენთჳს დაიკლა ქრისტე („აბოს წამება“, ძეგლები, I, 53,2. შდრ. I კორ. 5,7); „ტარიგი“ ეწოდება საღმრთო ჟამისწირვაზე სეფისკვერიდან ამოჭრილ ნაწილსაც, რომელიც განასახიერებს ქრისტეს სხეულს და რომელიც მორწმუნეებმა უნდა მიიღონ წმ. ზიარების დროს.

ტარტაროზი (ბერძ.) – უძირო უფსკრული (ბერძნული მითოლოგიური წარმოდგენით), რომელიც იმავე მანძილით არის დაშორებული დედამიწის ზედაპირს, რამდენითაც დედამიწა – ცისგან. ტარტაროზს გარს არტყია სამი ფენა უკუნისა (სიბნელისა) და შემოზღუდულია რკინის კედლით და რკინის კარიბჭეებით, რომელიც აღმართა პოსეიდონმა. იგი არის კრონოსისა და დამბობილი ტიტანების საპყრობილე. მოგვიანებით ტარტაროზის დანიშნულება შეიცვალა: ქრისტიანული წარმოდგენით, ტარტაროზი არის ქეენანელი, უქვეშესი ჯოჯოხეთი, სატანჯველი ცოდვილთა. „უკუეთუ ღმერთმან ანგელოსთა მათ შეცოდებულთა არა პრიდა, არამედ ჯაჭვებითა მით წყუდიადისაჲთა ტარტაროსსა შეყენნა და მისცნა იგინი სატანჯველად და სასჯელად დამარხვად“ (II პეტ. 2,4).

ტასია მეგვიპტელი – IV ს. ქრისტიანი მონაზონი ქალი. თავდაპირველად იგი მეძავი იყო და თავისი სილამაზით ბევრი აიყოლია ცოდვის გზაზე. ტასიას შესახებ ხმა გავრცელდა მთელ ეგვიპტეში და მიაღწია მოხუც მონაზონ პაფნუტიმდე, რომელმაც ბევრი შეცდომილი იხსნა. პაფნუტიმ ჩაიცვა საერო ტანსაცმელი, მოვიდა ტასიასთან და სთხოვა მას პაემანი დაენიშნა მისთვის ისეთ ადგილას, რომ არათუ ხალხს, ღმერთსაც ვერ დაენახა ისინი. ტასიამ უპასუხა, რომ ასეთი ადგილი არ არსებობს, რადგან ღმერთი ყველაფერს ხედავს. პაფნუტიმ დაინახა რა ტასიას ღვთისმოშიშობა, გაუმხილა ვინაობა და აჩვენა მას თავისი საშინელი შეცოდებანი. ტასიაზე ისე იმოქმედა მონაზვნის სიტყვებმა, რომ თავისი სიმდიდრე, რომელიც საბარცხვინო ცხოვრებით აქონდა შეგროვებული, დაწვა ქალაქის მოედანზე, ხოლო თვითონ პაფნუტის გაჰყვა მონასტერში, სადაც სამი წელი გაატარა ჩაკეტილმა. ლაცცებისა და მარხულობის გზით მან მიიღო საღვთო პატიება, გარდაიცვალა დაახ. 340 წ. ახლოს. ტასია შეგვიპტელის „ცხოვრების“ ძველი კოპტური თხზულება თარგმნილია ქართულად და XI ს. და უფრო გვიანდელი ხელნაწერებით არის შემონახული (A 95, XI ს., 602-604; ბოდლ. I, X ს., 434-436; A 382, XV ს., და სხვ.). წმინდანის ხსენების დღედ 8 ოქტომბერია დადებული, ქართული წყარო კი 6 ოქტომბერს უჩვენებს.

ტატოსი – მარონის დასამშობელი ერთერთი ნიშიერება.

ტაძარი – ეკლესია, ღვთის სადიდებლად აგებული შენობა, რომელშიც იკრიბებიან მორწმუნეები (I კორინ. 11,22) საღვთო მადლის მისაღებად, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა საშუალებით, ღვთისადმი ლოცვების აღსავლენად (ლუკა 19,46). ტაძარი არის „სახლი უფლისა“ (ლუკ. 19,45-46), რომელშიც დგას საკვირო (ტახტი) სამგვამეანი ღვთისა. ყოველი ტაძარი ღვთისაა, მაგრამ იწოდებიან სხვადასხვა სახელით – ქრისტესშობის, ღვთისმშობლის მიძინების, მთავარანგელოზთა, წმინდანთა და სხვა, რადგან უკავშირდებიან სარწმუნეობის ისტორიის გარკვეულ მოვლენებსა და ფაქტებს (იხ. ეკლესია). ტაძარი, როგორც სხვადასხვა დანიშნულების სახლი, სასახლე, ფიგურირებდა ქრისტიანობამდელ წყაროებში და ქრისტიანობის დროსაც.

„ტაძრად მიყვანება ღმრთისმშობლისა“ – ღვთისმშობლის ცხოვრების უადრესი, ბაუშობის ეპიზოდი, რომელიც არაა აღწერილი წმინდა წერილში, მაგრამ ადრეულ სახეებებში და ეკლესიის მამებთან (ირინე ალექსანდრიელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე დამასკელი) აღწერილია ასე: მარიამ ღვთისმშობლის მშობლები იოაკიმე და ანა მოხუცებულობამდე უშვილონი იყვნენ. მათ მიიღეს ღვთიური აღთქმა, რომ მათ შვილი შეეძინებოდათ, ამიტომ აღუთქვეს ღმერთს, რომ ბაუშს ღმერთს შესწირავდნენ. ძველ ებრაელებს, საერთოდ, ტრადიცია ჰქონდათ, პირველი შვილი ღმერთისთვის შეეწირათ და ისინი იერუსალიმის ტაძარში იზრდებოდნენ სიმწიფის ასაკამდე. მათ შორის იყო ერთი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ცნობილნი იყვნენ ნაზარეველთა სახელით, რაც დაახლოებით შემდგომდროინდელ მონაზონს ჟღერიდა, თუმცა მკაცრი მონაზვნური ორგანიზაციის გარეშე. ჩვენის იერუსალიმის ტაძარში შეყვანა და ღმერთისადმი შეწირვის ცერემონიალი ზუსტად იყო განსაზღვრული კანონმდებლობით. ღვთისმშობელი ტაძრად მიიყ-

ვანეს დიდი ზეიმით, როცა მას 3 წელი შეუსრულდა. ტაძარში შესვლამდე მათ გამოეგებნენ ტაძრის მსახურნი და თვით პირველმღვდელმთავარი ზაქარია, იოანე ნათლისმცემელის მამა. ბავშვი თვითონ აყვდა ტაძრის კიბეებზე და მიჰყვა მღვდელმთავართან, რომელმაც იგი შეიყვანა „წმიდათა წმიდაში“, რაც მანამდე არც ერთი შვილიერის მიმართ არ გაუკეთებიათ. მარიამი მოათავსეს ტაძარზე მიდგმულ საცხოვრებელში, სადაც მან 14 წლამდე დაყო, რაც სრულწლოვანებად ითვლებოდა. ღვთისმშობლის ცხოვრების ამ ეპიზოდის მოსახსენებლად, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია 21 ნოემბერს აღნიშნავს, მიეკუთვნება ათორმეტ ღღესასწაულთა რიცხვს. ამ დღესასწაულის უძველესი მოხსენიება VII ს. ეკუთვნის. ამ დღისადმი საეკლესიო მამებს მიძღვნილი აქვთ ქადაგება-ჰომილიები.

ტაძრისი – დედათა მონასტერი სამცხეში. ტაძრისის მონასტერი მოხსენიებულია გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ (ძეგლები, II, 111). იქ მოღვაწეობდა გიორგის და (იქვე, 112). როგორც „ცხოვრებიდან“ ჩანს, მონასტერი უკვე X ს-დან არსებობდა (დღესაც სოფ. ტაძრისი ძველ სახელს ატარებს). იგი მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, ციხისჯვრის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. საკირულის (მტკვრის აუზი) მარცხ. ნაპირას, ბორჯომიდან 24 კმ. მონასტერი სოფლიდან 3 კმ. მანძილზე, ეიწრო ხეობაში მდებარეობს. სამნაოიანი ბაზილიკის გარდა შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები.

ტაშბაში – იხ. დაშბაში.

ტბეთი – საეპისკოპოსო ტაძარი ისტორიულ შავშეთში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია), დაარსებული IX ს. ბოლოს ან X ს. დასაწყისში აშოტ ერისთავეთ-ერისთავის – კუხის († 918 წ.) მიერ: „აშოტ ერისთაეთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოველითა განგებითა“ (ქართ. ცხ. I, 380). ეახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მკვდრად ნაგები და დიდ-შუენიერი“ (ქართ. ცხ. IV, 673). ტბეთის ეკლესია უხვად ყოფილა შემკობილი ჩუქურთმებით და წარწერებით (ნ. მარი, ТРА-ГФ,VII, 11-25). ტბეთის პირველი ეპისკოპოსი იყო ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი სტეფანე მტბევარი, წმ. გობრონის „წამების“ ავტორი (აშოტმა „დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე“ – ქართ. ცხ. I, 380). აქ X ს-ში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი, რომლის საგალობლები შემოუნახავს მიქელ მოდრეკილის კრებულს (S 425, ძე. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, I 334-337). X ს. II ნახევარში ტბეთის ეკლესიაში ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას დაეით ტბელი ანუ მტბევარი. XI ს. მოღვაწეთაგან აღსანიშნავია აკეკლი მტბევარი, რომელსაც 1002 წ. გადაუწერია დღეს ათონის მთაზე დაცული „წმინდანთა ცხოვრება“ (Ath. 28), XII ს. პაულე მტბევარს აქ გადაუწერია ოთხთავი (Q 929),

XI ს-ში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა აქ აგო ციხე-სიმაგრე ბიზანტიის აგრესიისაგან შავშეთის დასაცავად და ამ დროიდან სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ხელისუფლება – შავშეთის ერისთაობა უბოძა. (იხ. კერები, I).

ტბეთი – სოფელი ამბროლაურის რ-ნში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ამბროლაურიდან 28 კმ. სოფელში დგას X-XI სს. მთაძორაგნელოზის დარბაზული ეკლესია ლაპიდარული წარწერით.

ტბეთი – სოფელი ცხინვალის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკის უკიდურეს ჩრდ. ნაწილში, ცხინვალიდან 3,5 კმ. სოფელში დგას X-XI სს-ის ტბელი ერისთაევების რეზიდენციის ნაშთი: ციხე-სიმაგრისა და ეკლესიის ნანგრევები. ე. წ. „ბორცვისჯვარის“ ეკლესია, რომელიც X ს. უნდა აეშენებინათ, რომელიც უხვად ყოფილა შემკობილი მოჩუქურთმებული ქვებით, რაც შემდეგ ცხინვალის სხვადასხვა ნაგებობათა (მაგ. საავადმყოფოს) მშენებლობისათვის გამოუყენებიათ, ხოლო წარწერიანი ქვები (რომლებიც ცნობილია ე. თოფურიას პუბლიკაციით) დღეს დაკარგულია. ეკლესიის არქიტრავი (XI-XII სს. შიჯნა) დაცულია საქ. სახელმწ. მუზეუმში, არქიტრავის წარწერის მოწმობით, ეკლესია აუშენებია პატრიკ ტბელს, ქაჯთარ ტბელის შვილს. ამ წარწერაში ტბელთა გვარის სხვა პირებიც იხსენიებიან. ტბეთში არის აგრეთვე განვითარებული შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია ლაპიდარული წარწერით, ხოლო სოფლის მიდამოებში – სამონასტრო კომპლექსის ნაშთი: ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებისა, საცხოვრებელი კომპლექსი, გეოანდელი შუა საუკუნეების კოშკი და სხვ.

ტბეთის I ოთხთავი (სახარება) – 995 წ. ასომთავრულით გადაწერილი, ოთხიოე სახარების შემცველი ეტრატის ხელნაწერი (პეტერბურგის საჯ. ბიბლიოთეკის იოვანე ბატონიშ-

ვილის კოლექციის №15212; 322 ფ. 23,3X19), ჩასმული ტეიფრულ ტყავგადაკრულ ყდაში. ტექსტის სათაურები და საძიებლები ნაწერია სინგურით. ხელნაწერის კამარები გემოვნებით არის მოხატული, ჩართულია მარკოზ და ლუკა მახარებლების მინიატურები (ხელნაწერის დაკარგულ ფურცლებზე უნდა ყოფილიყო მათე მახარებლის მინიატურაც). ხელნაწერი გადაუწერიათ დავით ოშკელსა და არქიფოს ტბეთის მოციქულთა ეკლესიაში 995 წ.: „ადიდე შენსა ზეცისა სასუფეველსა შენ მიერ გურგუნოსანი მეფე ჩუენი დავით კუროპალატი. ესე სახარებაჲ დაიწერა მათსა ზედაჲსა, კელითა ორთა მწერალთა დავითისთა და არქიფოსისთა“ (88r). ხელნაწერის მომგებელია იოანე მტბევარი, რომელიც შემდეგ მაწყვერელი გამხდარა: „ადიდე იოანე მამათმთავარი პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყუერელ ეპისკოპოსი და კუალად მუნვე თუსსა საფლავად შესრული“ (303r). „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საფლარსა შინა ტბეთისასა, საყოფელსა წმიდა მოციქულთასა დასაბამითგან გარდასრულთა წელთა, ქრონიკონსა სიმ (215 + 780 = 995) კელითა ორთა მწერალთა დავით ოშკელისაჲთა და გლახაკისა არქიპოსისთა და შეიმოსა კელითა... მღდელისა სტეფანესითა“ (305r). ტბეთის სახარებას აქვს უაბრაზი ისტორიული და სხვა ხასიათის მინაწერები, რომელთა დიდი ნაწილი აღარ იკითხება.

ტბეთის II ოთხთავი (სახარება) – ეტრატის XII ს. ხელნაწერი (Q 929), რომელიც შეიცავს ოთხივე მახარებლის სახარებებს (321 ფურცელი, 27X19,5). გადაწერილია ტბეთის ტაძარში პავლე მტბევარის დავალებით იოანე ფუკარალისძის მიერ (305). ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, რესტაურირებულია ეტრატისაგე ნაჭრებით XVIII ს-ში, სოლომონ I-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის მიერ ხელნაწერის თათართაგან გამოსყიდვის (ანდერძ-მინაწერი 80v) შემდეგ. ხელნაწერის მაგარი ფიცრული ყდა ტეიფრული მოოქროვილი ყურთ XVIII ს-შია გაკეთებული და ძალზე დაზიანებულია. კლასიკური ნუსხურით ნაწერი ტექსტის ნაწილი უხეშად არის გაცხოველებული. ხელნაწერში ჩართულია მახარებელთა ფერადი პორტრეტები. ტბეთის სახარება (ოთხთავი) 1921-1945 წწ-ში გატანილი იყო პარიზში, დაბრუნებულია 1945 წ. და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (Q 929; დაწერ. აღწერილობა იხ. ექ. თაყაიშვილი, არქ. მოგზ. 1902 წ. 154-162). ტბეთის ოთხთავი ეფთვიმე მთაწმიდელის რედაქციისაა (ბოლო ხანებში ეფთვიმეს რედაქციის ოთხთავებს წინაათონურ პერიოდს აკუთვნებენ).

ტბელი აბუსერისძე (დაახლ. 1190-1240) – ქართველი მწერალი-ისტორიკოსი და ასტრონომი. ტბელი იყო ხიხათა (აჭარაში) ერისთავთერისთავის, იოანე აბუსერისძის შვილი. ტბელი აბუსერისძის შრომები, ერთად თავმოყრილი, გადაწერილია 1233 წ. (A 85), ხოლო რესტაურირებულია XVI ს-ში. მას დაუწერია პაგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულება „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძი მისისა სასოებით შეუვლდრებულისა და ამათ სიტყვით შესაკრებელად ღირსისაებრ მთქმელისაჲ“, რომელშიც გადმოცემულია ვინმე ბასილას ან ბაზილას, ანდა ბოლოკ-ბასილას მიერ წმინდა გიორგის ბრძანებით მის სახელზე ეკლესიის აშენების ამბავი (დაახ. 1155-1160 წწ.), ალაკერდის წმ. გიორგის ხატის სასწაულთმოქმედება, ხუარაზმელთა შემოსევა და ქეჟნის აოხრების ამბავი, ხიხათა ეკლესიის აგება, გაფართოება და შემკობა, აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, იმდროინდელი ყოფისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები (გამოსცა ლ. მესხელიშვილმა, თბ., 1941 წ.). 1999 წ. გამოვიდა ამ კრებულის სრული გამოცემა (მ. ქავთარიას და დ. ხახუტაიშვილის რედაქციით). ყურადღებას იმსახურებს ტბელის ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“, რომელიც ვრცელი საკალენდრო ცნობარია წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემების შესახებ; აქ აგრეთვე მოცემულია საეკლესიო დღესასწაულთა და მთვარის გაესება-დაკლების მზამზარეული ცხრილები. ტბელ აბუსერისძეს მიეკუთვნება აგრეთვე „გალობანი სამთა იოანეთა: ნათლისმცემლის, მახარებლისა და ოქროპირისა“.

ტბისი – სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირას, თეთრი წყაროდან 15 კმ. სოფელში და სოფლის ახლომახლო რამდენიმე ეკლესია და ეკლესიის ნანგრევია: 1) სოფლის დასაწყისთან 200 მ. მანძილზე დგას ერთნავიანი ეკლესია ნალისებრი ფორმის აბსიდით. ნალისებრი ფორმისაა კონქისა და განმბჭენი თაღებიც. ეკლესია ნაგებია ბაზალტის ქვებით. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა შესანიშნავი ფრესკებით. ყველა ნიშნის მიხედვით ეკლესია VIII-IX სს-ისაა. ეკლესიის მახლობლად დგას ცხვრის ქანდაკება გუმბათიანი ეკლესიის მოდელით ზურგზე. 2) სოფლის განაპირას, დასაწყისში ნასოფლარში დგას ერთნავიანი ღვინ-

ისფერი ტუფით ნაგები წმ. მარინეს ეკლესია. სამხრეთის კარის ტიმპანში XVII ს. მხედრული წარწერაა. 3) სოფლიდან აღმოსავლეთით 600 მ. მანძილზე არის ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები. 4) სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირას, ტყით დაფარულ მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს ადგილობრივი ფეოდალის გამაგრებული სასახლე, რომლის ტერიტორიაზე დგას გალავნით შემოზღუდული მოზრდილი ეკლესია. ეკლესია ნაგებია ალგეთის თეთრი თლილი კვადრებით და მდიდრულადაა მორუსტრებული. როგორც დასავლეთის კარის ტიმპანში მოთავსებული მხედრული წარწერა გვამცნობს, ეკლესია და სხვა ნაგებობანი აშენებულია 1683 წ. პაპუნა ბარათაშვილის მიერ. ეკლესია სამლაპი გეორაბის საშუალებით უკავშირდება მერე, გარე გალავანს, რომლის აღმოსავლეთის ნაწილში მოთავსებულია ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე მცირე ეკლესიაა, ხოლო მეორეზე – სამრეკლო. ეს ნაგებობანი, როგორც ჩანს, ეკლესიაზე ადრეა აგებული. თვით ეკლესიაც აგებულია ძველი ეკლესიის ადგილას.

ტევტონური ორდენი – გერმანელი ჯვაროსნების სასულიერო-რაინდული ორდენი. დაარსდა იერუსალიმში 1128 წელს, თავდაპირველად მცირე ჯგუფის სახით, რომელშიც შედიოდნენ იერუსალიმში მცხოვრები მდიდარი გერმანელები, იერუსალიმში ჩამოსული ღარიბ და ავადმყოფ გერმანელ პილიგრიმთა მატერიალური დახმარების მიზნით. XII ს. II ნახევარში ეს ჯგუფი გაიზარდა და გადაიქცა მთელ საზოგადოებად, რომლის წევრები იწოდებოდნენ მარიამ ტევტონელის ძმებად და 1198 წელს დამტკიცებულ იქნა რომის პაპის, ინოკენტი III-ის ბულით. ორდენს დიდძალი მიწები ჰქონდა გერმანიაში და სამხრეთ ევროპაში. 1226 წ. ორდენის დიდი მაგისტრის – გერმან ფონ ზალცის და პოლონელი დიდებულის – კონრად მაზოველის მოლაპარაკების შედეგად ორდენმა პოლონეთში ერცხა მიწები მიიღო, თავისი საქმიანობა აღმოსავლეთ ევროპაში გადაიტანა და შეუდგა პრუსიელთა დამორჩილებას. 1237 წელს ტევტონთა ორდენს შეუერთდნენ „მახელოსანთა" ორდენის ნარჩენები. ორდენის ფილიალი გახდა აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის ლივონელთა ორდენი. ტევტონურმა ორდენმა 1283 წლისათვის დაიპყრო პრუსიელთა მიწები, 1309 – წელს აღმოსავლეთის ზღვისპირეთი ქ. გდანსკითურთ, 1346 წელს – ესტლანდია და სხვ. ბალტიისპირეთში ჩამოყალიბდა მხსნელი ფეოდალურ-კოლონიზაციური სამხედრო სახელმწიფო ტევტონთა ორდენისა, რომლის საშუალებელი ვრცელდებოდა მდ. ვისლიდან ნარვამდე. გადაუჭრა რა ბალტის ზღვაში გასასვლელი პოლონეთს, ლიტვას და რუსეთს. ისინი სპობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ასახლებდნენ გერმანული მოდგმის ტომებს. ორდენის გროსმაისტერის, ანუ დიდი მაგისტრის რეზიდენცია 1309 წლიდან იყო მარიენბურგი (1466 წლიდან – კენიგსბერგი). 1410 წელს ტევტონურმა ორდენმა გადამწყვეტი დამარცხება განიცადა პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ არმიასთან გრიუნვალდის ბრძოლაში. ამის შემდეგ დაიწყო ორდენის დაქვეითება და შესუსტება. საბოლოოდ ორდენი გაუქმდა 1809 წელს. 1834 წლიდან ავსტრიაში დღემდე არსებობს ტევტონთა ორდენი ალდგენილი სახით, მაგრამ მას აღარ უთამაშია რაიმე მნიშვნელოვანი როლი.

ტერენტი პონტელი – ეწამა იმპერატორ დეკიუსის (249-251) დროს, აფრიკაში. აფრიკის მმართველმა ფორტუნატიანემ თავი მოუყარა ხალხს მოედანზე და იმპერატორის ბრძანების თანახმად მოუწოდა მსხვერპლი შეეწირათ კერპებისათვის. შეშინებული ხალხის უმეტესობამ ბრძანება აღასრულა, მაგრამ 40-მა ქრისტიანმა ტერენტის მეთაურობით უარი თქვა მსხვერპლის შეწირვაზე და აღიარა ქრისტიანობა. ტერენტი თავის უახლოეს მეგობრებთან – აფრიკანოს, მაქსიმე და პომპიოსთან ერთად დილეგში ჩაგდეს, ხოლო დანარჩენი 36 მოწამე მათ შესანიშნებლად აწამეს და ბოლოს თავები მოკვეთეს. აწვენეს რა ტერენტისა და მის მეგობრებს დახოცილი ამხანაგები, მმართველმა ხელახლა უბრძანა მათ კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა, მაგრამ ამჯერ ბევრი წამების შემდეგ ტერენტის და მის მეგობრებს თავები მოკვეთეს. ტერენტის და მის თანამოსაგრეთა „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქეთ. 2, XVI ს., 253-260). მათი ხსენების დღედ დადგენილია 13 მარტი და 10 აპრილი, ხოლო თხზულების ქართული თარგმანი 21 მარტს მიუთითებს.

ტერტულიანე – II-III სს. გამოჩენილი ღვთისმეტყველი. დაიბადა 160 წელს კართაგენში. მიიღო იურიდიული განათლება და ითვლებოდა შესანიშნავ იურისტად. 195 წელს გახდა

ქრისტიანი. ტერტულიანე კართაგენშიც აკურთხეს ხუცესად, მაგრამ დაახ. 202 წ. განუდგა კათოლიკე ეკლესიას და მონტანიზმს მიემხრო, რომლის ერთგული დარჩა სიკვდილამდე. იგი თხზულებებს ბერძნულ ენაზე წერდა, რომელთა დედნები ამჟამად დაკარგულია; შემონახულია მისი ლათინური თარგმანები. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული დაახ. 220 წ. შემდეგ. მწირი ცნობები მისი ბიოგრაფიისა თვით მის თხზულებებშია დაცული, აგრეთვე იერონიმესა და ევსების საეკლესიო ისტორიებში. ტერტულიანეს შრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიისა და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის. ტერტულიანე ცოდნას უპირისპირებდა რწმენას. მას მიაწერენ გამოთქმას „მწამს, რადგან აბსურდია“. ტერტულიანე წინამორბედია ნეტარი ავგუსტინესი, რომელიც გახდა უუძეძლებელი დასაყრდენი ლათინური ღვთისმეტყველებისა.

ტერტულიანეს ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლის უმეტესი ნაწილი არ შემონახულა, შეიძლება გაიყოს კათოლიკე და მონტანისტურ პერიოდებად. ორივე ნაწილში 3 ძირითადი ჯგუფის თხზულებები შედის: ქრისტიანული ცხოვრების შესახებ, პოლემიკური და დოგმატიკური. ტერტულიანემ შემოიღო მრავალი მნიშვნელოვანი თეოლოგიური ტერმინი. მაგ.: „სამება“. ტერტულიანეს შრომები ქართულად არ ყოფილა თარგმნილი.

ტეტრაკონქი – ოთხაბსიდიანი ცენტრული ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა, რომელშიც ნახევრად წრიული აბსიდები სიმეტრიულად ჯვარისებრ არის განლაგებული ცენტრალური (წრეულებრივ გუმბათქვეშა) სივრცის ირგვლივ. ტეტრაკონქი გავრცელებული იყო ადრინდელ ქრისტიანულ არქიტექტურაში (VI ს.), განსაკუთრებით კი საქართველოსა და სომხეთში. საქართველოში ტეტრაკონქს უპირატესად VI-VII სს-ში აშენებდნენ: ძველი გაჯაზის (ახალსოფელი), მანგლისის, ნინოწმინდის ეკლესიები, მცხეთის ჯვარისა და ბანის ტაძრები.

ტვიბი – სოფელი ლენტეხის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ლენტეხიდან 15 კმ. სოფელში დგას X-XI სს-ის მთავარანგელოზის ეკლესია „თარხუნელ“. შემორჩენილია მოხატულობისა და ფრესკული წარწერის ნაშთები.

ტვიძიკოს მოციქული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი. ტვიძიკოს მოციქულს ახსენებს პაულე მოციქული „ტიტეს მიმართ ეპისტოლეში“ (3,11). ტვიძიკოსი ბითვინიის ქ. ქალკედონის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

ტევიხონ ამათუნტელი – კეისარიის ქ. ამათუნტის ეპისკოპოსი V ს. I ნახევარში. ტევიხონი დაიბადა ქ. ამათუნტში, ქრისტიანი მშობლების ოჯახში. მშობლებმა მას შეასწავლეს სალთო წერილი. სასწაულთმოქმედების ნიჭი მან ბავშვობიდანვე გამოაჟღინა. ღვთისმოშიში ყმაწვილი მიიღეს საეკლესიო დასში და აკურთხეს წიგნისმკითხველად, ხოლო შემდეგ – დიაკვნად. ამათუნტის ეპისკოპოსის, მეშვიდის გარდაცვალების შემდეგ ტევიხონი ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. იგი იღვწოდა კუბრულ კეისარიაზე წარმართობის აღმოსაფხვრელად, ანადგურებდა წარმართების ბიმონებს და აერცელებდა ქრისტიანულ სარწმუნეობას. გარდაიცვალა 425 წელს.

ტევიხონ ამათუნტელის „ცხოვრების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად ითარგმნა ქრისტეფილინოსის შედგენილი უნდა იყოს, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 175-181). მისი ხსენება დადებულია 16 ივნისს.

ტიბაანი – სოფელი სიღნაღის რ-ნში, გომბორის ქედის სამხ. აღმ. დაბოლოებაზე, სიღნაღიდან 14 კმ. ტიბაანში მდებარეობს სტეფანწმინდის მონასტერი, რომლის მთავარი ეკლესია თაღდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა იყო, აგებული VI ს-ში, VIII-IX სს-ში კი გადაკეთდა გუმბათიან ეკლესიად, ხოლო XVI ს-ში კვლავ მოხდა მისი რესტავრაცია. ეკლესიის როგორც ფასადებზე, ისე შიგნით, შემორჩა ექვსი წარწერა, მათგან ერთი – 886 წლისა ძალზე ფრაგმენტულია და მხოლოდ ქორონიკონი „სიე“ (216) არის შემორჩენილი. დანარჩენი წარწერები გეიანდელია (იხ. ხორსის მონასტერი).

ტიმოთე ალექსანდრიელი († 385) – ალექსანდრიის ეპისკოპოსი 380-385 წლებში, მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) მონაწილე. ტიმოთემ დაწერა 18 სიტყვა-მიგება წმ. ზიარებისა და მარხვის საკითხებზე, რომლებიც (15) შეტანილია ძირითად კანონიკურ კოლექციაში – ნომოკანონი. მათი XI ს. ქართული თარგმანი დაცულია „დიდ სჯულისკანონში“ (გვ. 524-526). ცნობილია მისი ეპისტოლე დიდმარტვილის მიმართ (გამოც. ბერძნ. ტექსტი). ტიმოთე ალექსანდრიელს დაუწერია ათანასე დიდის „ცხოვრება“ და ორი ქადაგება ღვთისმშობელზე.

ტიმოთე მთავარეპისკოპოსი (გაბაშვილი) – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, დიალოგისტი, კარტოგრაფი და მხატვარი. 1729 წლამდე ტიმოთე დაუით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. 30-

ან წლებში იგი ქუთაისელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. 1738 წელს ტიმოთე იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს რუსეთის იმპერატორთან გაგზავნა ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. 1740 წ. უკან დაბრუნებული ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებმა დაატყვევეს. ექსი თვის პატიმრობის შემდეგ ტიმოთე გაიპარა და იმერეთში დაბრუნდა. 1743-1747 წლებში ქუთაისელი მთავარეპისკოპოსის ხარისხი ჰქონდა, თუმცა ეს ეპარქია ამ დროისათვის გაუქმებული იყო. 1753 წელს ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობაში. 1755 წ. ტიმოთე ქართულ სიძველეთა მოსანახულებლად წაყიდა კონსტანტინეპოლში, ათონის მთაზე იერუსალიმში და თან ერეკლე II-ის დავალებით დიპლომატიურ მისიას ასრულებდა სულთნის უმაღლეს მოხელეებთან, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან. 1759 წელს იგი ქართლში დაბრუნდა. შემდეგ ჯოზღარში წაყიდა. 1762 წელს სინოდის ბრძანებით საცხოვრებლად ასტრახანი მიუჩინეს, სადაც გარდაიცვალა 1769 წ. და დასაფლავეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ტიმოთე მთავარეპისკოპოსმა დაგეგმოვა თავისი მოგზაურობის ერცელი აღწერილობა, მნიშვნელოვანი დოკუმენტური ძეგლი, რომელშიც წარმოდგენილია ძეგრეფაში ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები, მეცნიერული დაკვირვებანი, ავტორის პირადი შთაბეჭდილებანი. თხზულებას, რომლის სათაურია: „მოხილვაჲ წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა“ (გამოც. ელ. მეტრეველის მიერ 1956 წ.), გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში. აქ მოცემულია ცნობები მცირე აზიის, ბალკანეთის, პალესტინის მრავალი ქალაქისა და ადგილის შესახებ. ათონსა და იერუსალიმში ტიმოთემ შეინახულა და დაწერილებით აღწერა ძველი ქართული ეკლესია-მონასტრები, რითაც საფუძველი ჩაუყარა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერების შესწავლას. „მოხილვა“ პირველი თხზულებაა, რომელშიც მოცემულია იერთა მონასტრის გეგმა, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკების პირები და სხვა ჩანახატები. იერუსალიმში ტიმოთეს უნახავს 18 მონასტერი და ეკლესია, სადაც ქართველებს სხვადასხვა დროს უმოღვაწიათ, შეუსწავლია ყოველი მათგანის აშენების ისტორია. განსაკუთრებით მდიდარი ცნობებია მოწოდებული ყოველი მათგანის აშენებისა და მოხატვის შესახებ, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ სანდო პირველწყაროს მნიშვნელობა. თავისი შრომები ტიმოთემ გააერთიანა კრებულში, რომელსაც შემდეგ „ტიმოთიანი“ უწოდეს. გარდა „მოხილვისა“ („მიმოსლვა“); აქ შეტანილია ისტორიულ-პოლემიკური თხზულება „მარწუხი“, დოგმატი-კური თხზულება „გარდამოცემული ერთობისათჳს და სიყუარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა...“ და „დღესასწაულთათჳს ღმრთისმშობლისა მარიამისა“. სამივე თხზულება განმსჭვალულია ანტიმამადიანური სულისკვეთებით.

ტიმოთეს 1737 წელს შეუდგენია დასაელეთ საქართველოს (ლიხთიმერეთის) რუკა, რომელსაც თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ აღნიშნულია რელიეფი, ტყეები, მდინარეები, სანაოსნო გზები, წიაღისეული სიმდიდრენი და ისტორიული ძეგლები.

ტიმოთე მოციქული – ერთი სამოციქათ მოციქულთაგანი. წარმოშობით ტიმოთე იყო ლუკაონის ქ. ლუსტრიდან (მცირე აზია). იგი ქრისტეს სარწმუნოებაზე პაულე მოციქულმა მოაქცია, როდესაც იგი პირველად ჩაეიდა ქ. ლუსტრაში ბარნაბასთან ერთად (საქმე მოციქ. 14, 6-12). ტიმოთე პაულე მოციქულის უახლესი მოწაფე გახდა, რომელიც განუყრელად ახლდა თავის მოძღვარს სახარების საქადაგებლად. პაულე მოციქული ტიმოთეს „საყვარელ შვილს“ უწოდებს და დიდად აფასებს მის ღვაწლს: „შედგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულსმოდგინებასა, სარწმუნოებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა“ (II ტიმ. 3,10). 65 წლის პაულე მოციქულმა ტიმოთეს ხელი დასხნა ეფესოს ეკლესიის ეპისკოპოსად, რომელსაც იგი 15 წლის განმავლობაში მწყემსავდა. პაულე მოციქულმა ორი ცნობილი ეპისტოლე მისწერა ტიმოთე მოციქულს, რომლებშიც მოძღვრავს თავის მოწაფეს. მეორე ეპისტოლეში, რომელიც პაულე მოციქულმა თავისი ჯამეგობის წინ გაუგზავნა ტიმოთეს, იგი თავისთან უხმობს მას, რათა სიკვდილის წინ გადასცეს ტიმოთეს ფელონი და წიგნები. ტიმოთე მოციქულმაც თავისი მოძღვრის მსგავსად მოწამებრივი აღსასრული მიიღო: ეფესოში იგი წარმართებმა ჩაქოლეს კერპების ერთ-ერთი დღესასწაულის დროს, დაახ. 80 წ. IV ს-ში ტიმოთე მოციქულის წმ. ნაწილები ეფესოდან კონსტანტინეპოლში გადაასვენეს – წმინდა მოციქულთა ტაძარში. ქართულად თარგმნილია

დიონისე არეოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი (S 3342). ტიმოთე მოციქულის მოსახსენებელი, დადებული 22 იანვარს, ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია ორჯერ: კიმენური (A 95, XI ს.; Ath. 8) და მეტაფრასული (A 79, XII ს., 627-638; Sin. 91, XII ს., 203-208) რედაქციებით.

ტიმოთე მოწამე – ეწამა ქრისტესთვის დაახ. 2000 წ. მაერასთან ერთად, არიანე მსაჯულის მიერ. „ტიმოთეს და მაერას წამების“ ძველი, კიმენური თხზულება თარგმნილია ქართულად და შემონახულია X ს-ისა (Ath. 8, 121-128) და XI ს-ის (H 341, 446-468) ხელნაწერებში. მათი ხსენების დღედ დაწესებულია 9 ნოემბერი, ხოლო ქართული თარგმანი ხსენების დღეს არ უწერენებს.

ტიმოთე მროველი – რუისის ეპისკოპოსი XII ს. II ნახევარში. ტიმოთე რუისის კათედრაზე კათოლიკოს ნიკოლოზს (გულაბერიძეს) უკურთხებია: „ხოლო საყდარსა მის (რუისის) ზრუნვა და საურავი ქელ-ყო დედოფალსა ბურდუხანს († 1181-82 წწ.) ...თუთ თავისა საყდარსა შინა გაკურთხე (ტიმოთე მროველი) დედოფლისაცა ხუთშნით“ (ქრონიკ. I, 268).

ტიმოთე ბოლნელი („ბოლნელი“) – ქართლის მთავარეპისკოპოსი და ბოლნისის ეპისკოპოსი XVIII ს. შუა წლებში. ტიმოთე მოხსენიებულია 1749 წლის ორ ისტორიულ ლეკუმენტში: ანტონ I-ის ბრძანება ბოლნელისათვის ღალა-კულუსის მიცემის შესახებ (A 653) და კულუსის თარხნობის წიგნი ტიმოთე ბოლნელისა გაბრიელ დოლაშვილისადმი (Ad 13994; სამ. ძეგლ. III, 808-809).

ტიმოთე იკორთელი – იკორთის მონასტრის XVII ს. I ნახევრის ბერი. 1622 წ. ტიმოთე ჩასულა ათონის მთაზე და მოუხახულებია ქართველთა მონასტერი.

ტიმოთე პრუსელი – ბითვინიის ქ. პრუსის ეპისკოპოსი IV ს. II ნახევარში, მღვდელმოწამე. ეწამა იულიანე განდგომილის (361-363) მეფობის დროს. ტიმოთე იყო უფლისაგან ასწაულთმოქმედების ნიჭით დაჯილდოებული. თაეის სამწყსო ქალაქში ტიმოთემ მრავალი წარმართი გააქრისტიანა, რისთვისაც იულიანე იმპერატორმა იგი დილეგში ჩაგდო. იულიანე განდგომილის ბრძანებით ტიმოთეს თაეი მოკვეთეს. ტიმოთე პრუსელის „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსს უნდა შეედგინა XI ს. ბოლოს, ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 98-102). ტიმოთეს ხსენება დაწესებულია 10 ივნისს.

ტიმოთე საკვირველმოქმედი – VIII ს. II ნახევრის და IX ს. I ნახევრის ანტიოქიელი მონაზონი, მესვეტე. ტიმოთე დაიბადა ანტიოქიის მახლობელ სოფ. კახუსტანში. ადრე დაობლებულ ტიმოთეს უფროსი და ზრდიდა. შვიდი წლისა სახლიდან გაიქცა იმიტომ, რომ ცხვრის ფარას კარგად ვერ მოუარა და უფროსმა ძმამ სცემა. მას თავი შეეფარებია მორეულ დაბაში ერთ ოჯახში, სადაც აღზარდეს, როგორც საკუთარი შვილი და მისცეს კარგი საკლესიო განათლება. უკვე მოზრდილი, იგი წავიდა იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად. აქედან კი უდაბნოს მიაშურა და სქემა შეიმოსა. აქ მან 27 წელი დაჰყო და შემდეგ დაბრუნდა იმ დაბაში, სადაც აღიზარდა და მონასტერში დამკვიდრდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ანტიოქიაში გაჰყვა ერთ ბერს მონასტრისათვის სანოვაგის შესაძენად და გზად გაიარა თავისი მშობლიური სოფელი იმ დროს, როდესაც მისი ძმები აღნიშნავდნენ წმ. გიორგის ღღესასწაულს, რომელიც მათ დაუწესეს ტიმოთეს დაკარგვის შემდეგ იმისათვის, რომ ღღეობაზე მოსულ ნაცნობ-უცნობებისათვის გამოეკითხათ ტიმოთეს ასაკის-დასაკარ. ტიმოთე და მისი თანამგზავრი ბერი დიდი ხეეწნის შემდეგ დაიყოლიეს ამ ღღესასწაულზე დარჩენაზე. ტიმოთეს დამ მათ კითხა, ხომ არაეერი იცოდნენ დაკარგული ძმის შესახებ. დის მწუხარებამ ტიმოთე იძულებული გახადა ელიარებინა თაეისი ვინაობა, რამაც და-ძმების უსაზღერო სიხარული გამოიწვია. ტიმოთე ნათესაეებისა და თანასოფლელების დაჟინებული თხოვნით დარჩა სოფელში და დაბინავდა ძმების მიერ აშენებულ სენაკში, სადაც ის ერთხანს მოღაეწეობდა. სოფელში დაწყებული შფოთის და უსიამოვნების გამო ტიმოთემ გადაწყეტა მიეტოეებინა სოფელი და სხვა მხარეს წასულიყო, მაგრამ სოფლელები სთხოედნენ დარჩენილიყო და აღუთქეს, რომ გამოსწორდებოდნენ. ტიმოთე დათანხმდა, მაგრამ მოსთხოეა საკანე აეშენებინათ მისთვის სოფლიდან მოშორებით. მართლაც, ერთ ხეეში, სადაც წმ. გიორგის ტაძარი იდგა, მას აუშენეს მაღალი სეეტი (გოდოლი) და დიდი ზეიმით აიყვანეს მასზე. ტიმოთეს მესეეტეობა გაგრძელდა სიკვდილამდე. სეეტის გარშემო გაჩაღდა ნამდეილი სამონასტრო ცხოერება. ტიმოთეს ასწაულთმოქმედება მალე მთელ ქეეყანას მოედო და მასთან მორეული კუთხეებიდანაც

მოდიოდნენ რჩევა-დარიგების მისაღებად არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ ბერ-მონაზონები, ეპისკოპოსები და თვით ანტიოქიის პატრიარქიც კი. ტიმოთეს ცხოვრება ასე ერცლად იმიტომ წარმოვადგინეთ, რომ მის შესახებ ცნობები მხოლოდ ქართულად არის შემონახული: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ“. ეს დიდტანიანი პაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ვრცლად აღწერილ ტიმოთეს 25 სასწაულს შეიცავს, მხოლოდ ქართულად არის შემორჩენილი (Jer. 3, XI ს., 21-93; Ath. 7, XIII ს., 41-109; A 682, XII ს., 163-209; A 105, 1637 წ., 202-285 (მხოლოდ სასწაულები); S 382, XII ს. 178-192; ქუთ.1, XVI ს. 96-165 და სხვ.). თხზულება პირველად არაბულად უნდა იყოს დაწერილი დაახ. IX ს. შუა წლებში, შემდეგ თარგმნილი ბერძნულად, ხოლო ბერძნულიდან – ქართულად არაუგვიანეს X საუკუნისა (გამოც. ქ. კეკელიძის მიერ – ეტიუდ. VI, 311-420). ტიმოთეს ხსენება დადებულია 21 თებერვალს (ქუთ. 1-ში) და 28 იანვარს (Jer. 3 და Ath. 7 ხელნაწერებში); სხვა წყაროებით ტიმოთეს ხსენების კვალი აღარ ჩანს.

ტიმოთესუბანი (კიმოთესუბანი) – სოფელი ბორჯომის რაიონში, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ბორჯომიდან 17 კმ. (წაღვერიდან 3 კმ.). სოფელში შემონახულია დიდი სამონასტრო კომპლექსი (XI-XVIII ს.), რომლის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (XII-XIII სს. მიჯნა), რომელიც ნაგებია მოკარდისფრო „ქართული აგურით“. ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიას აღმოსავლეთის მხარეს 3 შეერილი აბსიდი აქვს. გუმბათის ყელი დაყრდნობილია ორ თავისუფლად მდგარ ბოძსა და საკურთხევლის კედლის შეერილებზე. მოგვიანებით დასავლეთის მხრიდან აგურის კარიბჭე მიუშენებიათ. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატულია. მხატვრობა შესრულებულია არა უგვიანეს XIII ს. 20-ანი წლებისა. მოხატულობაში ცხადად განირჩევა სხვადასხვა ოსტატის ხელწერა. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია XII-XIII სს. ცნობილი ქართველი სარდალი შალვა თორელი, ახალციხელი, რომელსაც მიეწერება ტიმო-თესუბნის მონასტრის გაფართოება, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა. მოხატულობა განშინდეს და შეისწავლეს 1972-1976 წლებში. (Е.Привалова, Роспись Тимотесубани, Тб.,1980), ტაძრის ჩრდილოეთით სამონასტრო ნაგებობათა (X-XI სს.) ნაშთია შემორჩენილი. აქვე არის აგრეთვე თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (XIV ს.).

ტიმოთე ღაზელი (გრამატიკოსი) – ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი და ღაზის ეპისკოპოსი, რომლის ერთი თხზულება – „თუთმპყრობელისა ანასტასის მიმართ, ცხოველთაცაოს“ თარგმნილია ქართულად (A 433, 21-22).

ტიმოთე ხუცესი – იერუსალიმელი საეკლესიო მწერალი. მხოლოდ ქართულ თარგმანშია შემორჩენილი ტიმოთე ხუცესის (იერუსალიმელის) ერთი ქადაგება: „თქუენი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს შემდგომად შობისა მეორმოცისა დღისათჳს, ვითარ-იგი მიიყვანეს ტაძრად მარიამ დედამან და ქალწულმან და იოსებ, რაჟამს იგი აკურთხეედა მას წმიდაჲ სიმეონ“. თხზულება IX ს-ზე ადრე უნდა ეთარგმნათ ქართულად, რადგან ის შესულია 864 წელს გადაწერილ სინის მთის ცნობილ მრავალთავში (Sin. 32, 57-33; გამოცემულია: სინის მრავალთავი, 1959, გვ. 94-99). ქადაგების ქართული თარგმანის ნუსხები საკმაო ოდენობით არის შემორჩენილი (A 95, XI ს. 405-411; A 1147; 38-41; Ath. 11, 41-43 და სხვ.).

ტიმონ მოციქული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელიც არაბეთის ქ. ბოსტრას ეპისკოპოსი გახდა. ტიმონ მოციქული წარმართებმა აწამეს და ცეცხლში დაწვეს.

ტიმპანი (ბერძ.) – 1. ეკლესიის ან სხვა შენობის ფრონტონის პორიზონტალურ და დახრილ ზოლურებს შორის მოქცეული სამკუთხა არე, რომელიც ხშირად სკულპტურული გამოსახულებით არის შემკული.

2. სარკმლის ან კარის თავზე მოთავსებული ნახევარდწრეული, სამკუთხა, ან ისრული ფორმის ნიში, რომელშიც ათავსებდნენ ქანდაკებას, ფერწერულ გამოსახულებას და სხვ. ქართულ ეკლესიებში ტიმპანის ქვაზე ხშირია რელიეფი, წარწერები და სხვ.

ტიპიკონი – საეკლესიო წესდებათა წიგნი, რომელიც შეიცავს ყველა მღდელმსახურისათვის სახელმძღვანელო მითითებებს საწესწორო კალენდრის დღეებში, შვიდეულის დღეებში და ყოველდღიური ღვთისმსახურების ჩატარების წესისა და თანმიმდევრობის შესახებ. ქრისტიანული ღვთისმსახურების ისტორიაში ამა თუ იმ ტიპიკონის არსებობა მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი ეკლესიის ან მონასტრის პრაქტიკას უერთდებოდა ესა თუ ის საეკლესიო თემი. არსებობდა სამრევლო და სამონასტრო წესი ღვთისმ-

სახურების შესრულებისა. სამრეკლო ტიპიკონებიდან ცნობილია იერუსალიმისა, ანუ ქრისტეს საფლავის ეკლესიისა და კონსტანტინეპოლის, ანუ აია-სოფიის დიდი ეკლესიის ტიპიკონები. სამონასტრო ტიპიკონებიდან ცნობილია: პალესტინაში საბაწმინდის ლავრისა, კონსტანტინეპოლში სტუდიელთა მონასტრისა და ათონის მთაზე – მთაწმინდის ათანასეს ლავრისა. საქართველოს ეკლესია X ს-მდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ღვთისმსახურებაში პქონდა იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის ტიპიკონი „განწირვაჲ იერუსალიმისა", ანუ სრული სახელწოდებით – „განწირვაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთაჲ რომელსა ჰყოფენ იერუსალემს" (გამოც. К. Кекелидзе , Иерусалимский канонарь VII в., грузинская версия). X ს-დან ათონის მთაზე ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მიერ თარგმნილმა აიასოფიის, ანუ კონსტანტინეპოლის „დიდი ეკლესიის" ტიპიკონმა (ჯერ ეფთიმე მთაწმიდელის მიერ X ს. შეშლილებული სახით, ხოლო შემდეგ გიორგი მთაწმიდელის მიერ XII ს. სრული სახით) თანდათანობით განდევნა იერუსალიმის განწირვა და ქართული ეკლესიის პრაქტიკაში დამკვიდრდა „სვინაქსარის" სახელით (ეფთიმეს თარგმანს „მცირე სვინაქსარი" ეწოდება, ხოლო გიორგის თარგმანს – „დიდი სვინაქსარი"). კონსტანტინეპოლის ტიპიკონი განაგებდა საღვთისმსახურო პრაქტიკას XIV ს-მდე, ხოლო მომდევნო საუკუნეებში მისი ხმარება თანდათანობით შეცირდა და გაქრა. ქართული სამონასტრო ღვთისმსახურების პრაქტიკაში, ისტორიული ცნობების საფუძველზე, უკვე IX ს. გრიგოლ ხანძთელის მცდელობით ტაო-კლარჯეთის მონასტრებში ღვთისმსახურება საბა განწმენდილის ლავრის ტიპიკონის ქართული თარგმანის საფუძველზე სრულდებოდა, ხოლო XII ს. I მეოთხედში შიომღვიმის მონასტერს დავით აღმაშენებელმა განუწესა სვიმეონ მესვეტის (შაქმახზე) მონასტრის ტიპიკონი, რომელიც თავისთავად წარმოადგენდა საბას ლავრის ტიპიკონის საფუძველზე შედგენილ წესდებას. ეს ტიპიკონი საქართველოში ხმარებაში იყო XVIII ს-მდე, სანამ ანტონ I-მა არ შეასწორა იგი სლაური ტიპიკონის მიხედვით.

ეკლესიათა მაშენებელი დიდგვარიანი მორწმუნეები, ე. ი. ქტიტორები ხშირად თვითონ განუწერდნენ ხოლმე სამონასტრო წესსა და კანონს. ამ გზით წარმოიშვა მრავალი ე. წ. ქტიტორული ტიპიკონები – ქტიტორულ ტიპიკონს უნდა მივაკუთვნოთ „ანდერძი დავით აღმაშენებლისა" (1123 წ.), რომელიც მას მოუცია შიომღვიმის ლავრისათვის და რომელშიც გარკვეულია შინაური წესწყობილება აღნიშნული ლავრისა და მისი დამოკიდებულება მეფესა და კათოლიკოსთან. ქტიტორული ტიპიკონის საუკეთესო მაგალითია პეტრწმინის ქართული მონასტრის ტიპიკონი, მიცემული გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ თავის მიერ აშენებული მონასტრისათვის 1084 წ. (შედგენილი ქართულ და ბერძნულ ენებზე). გამოც.: სამ. ძეგლ. III, გვ. 35-105, ა. შანიძის მიერ, თბ., 1971 წ.), 1204-1234 წ. დაწერილი „დგმული ვახტანგ ჭყონდიდელისა", მიცემული მთავრმწყალის მიერ „თავის მონასტრისათვის" (გამოც. ლ. მუსხელიშვილის მიერ).

თანამედროვე საეკლესიო პრაქტიკაში ხმარებული ტიპიკონი შინაარსობრივად 3 ნაწილად იყოფა: I ნაწილი (1-47 თავები) შეიცავს ზოგად მითითებებს: ა) მღვდელმსახურებათა თანმიმდევრობაზე საზოგადო ღვთისმსახურების გარკვეულ დღეებში (თ. 1-26); ბ) როგორ უნდა იყვნენ განლაგებულნი მღვიძარენი ღვთის შსახურების დროს (თ. 26-32); გ) მონაზონთა ცხოვრების წესი (თ. 31-47). II ნაწილი (თ. 47-52) შეიცავს მითითებებს წლის თითოეული დღის მღვდელმსახურებაზე და მათ თანმიმდევრობაზე ღეთისმსახურების დროს. III ნაწილი (თ. 52-დან) წარმოადგენს ტიპიკონის I და II ნაწილების დამატებას და შეიცავს: ა) ისეთ ზოგად მითითებებს საწელიწდო კალენდრისა და შეიდეულის დღეების მოკლე საგალობლებზე, რომლებიც არ არის შეტანილი ტიპიკონის I და II ნაწილებში. ბ) ისეთ საგალობლებს, რომლებზედაც მითითებანი ამ ნაწილშია წარმოდგენილი: კონდაკებს, სტიქარონებს, იმაკოებს და ა. შ.

ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა – შიომღვიმის მონასტრისათვის დადგენილი წესდება დავით აღმაშენებლის მიერ დაახლ. 1123 წელს. ტიპიკონმა XIII ს. (1270 წ.) ხელნაწერით მოაღწია (H 1349), თუმცა დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წ. შიომღვიმისათვის მიცემული ანდერძიდან (ქართ. ისტ. საბუთების კორპუსი, თბ., 1984, გვ. 53-59) ჩანს, რომ ტიპიკონი თარგმნა ბერძნულიდან (სვიმეონწმინდის მონასტრისა) არსენ იყალთოელმა დავით მეფის დაკვალებით, ე. ი. XII ს. I მეოთხედში. ტიპიკონის სრული სახელწოდებაა: „ტუფიკონი საეკლესიოჲსა წესისაჲ, კეთილ განგებულისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა

სამამს ლავრისამა, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა". არსენ იყალთოელის თარგმანი წარმოადგენს სამას ლავრის ტიპიკონის შავი მთის სვიმეონ მესვეტის ლავრისეულ ვარიანტს. შედგენილობა ტიპიკონისა: 1. განგებაჲ ღამისთევისა 13-16; 2. მოთხრობაჲ შემოკლებული საეკლესიოჲს განწესებისაჲ მონასტერთა იერუსალიმისათაჲ, 16-22; 3. სვინაქსარი ათორმეტთა თუეთა წელიწადისათაჲ", 22-76; 4. განგებაჲ წმიდათა და დიდთა მარხვათაჲ", 76-110; 5. „თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობაჲ, 110-116; სინოდიკონი და სხუა დამატებითი მასალა. ამაეე ტიპიკონს თავში ერთეულ შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრება" (2r-v) და წმ. ნინოს საგალობლები. გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილისა და ე. გოფუაშვილის მიერ, თბ., 2005.

ტირიჭანი – სომხური ეკლესიის მოწამე. ტირიჭანი თავის ძმასთან, დავითთან (იხ.) ერთად აწამეს არშაკ სომეხთა მეფის (368-389) დროს ტაოში. მცირეწლოვანი ძმების, დავითისა და ტირიჭანის „წამება" მხოლოდ X ს. ქართული წყაროებიდან არის შემონახული (Ath. 8). სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულება სომეხი ქალკედონიტი ავტორის მიერ შეთხზულად არის აღიარებული. მათი ხსენება ადრინდელ ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში 18 მაისს არის შეტანილი A 97, XI ს.). დავით და ტირიჭანის „წამების" ტექსტი გამოქვეყნებულია (ძეგლები, I, 186-191).

ტირისძენი – წარმართული დროის ქართული სახელი თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით 4.XI-3.XII პერიოდს ემთხვევა (იხ. საეკლესიო წელი).

ტირისძანი – წარმართული დროის ქართული სახელი თვისა, რომელიც თანამედროვე ქრონოლოგიით 5.X-3.XI პერიოდს ემთხვევა (იხ. საეკლესიო წელი).

ტიტე ბოსტრელი – არაბეთის ქ. ბოსტრის ეპისკოპოსი IV ს. II ნახევარში, საეკლესიო მწერალი. ტიტე იყო ეპისკოპოსი თანამედროვე იელიანე განდგომილისა (361-363 წწ.). იგი ხელს აწერს 363 წლის ანტიოქიის კრების დადგენილებებს, რომელმაც დაამტკიცა ნიკეის კრების სიმბოლო და აღიარა სამების ერთარსება. იერონიმეს ცნობით, ტიტე გარდაცვლილა ვალენტიანე იმპერატორის (363-378) მეფობის დროს. ტიტე ბოსტრელს დაუწერია: „მნიქველთა წინააღმდეგ", „ლუკას სახარების განმარტება", ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე, ქადაგება აზხის დღესასწაულზე და სხე. ქართულად თარგმნილია მისი მხოლოდ ბოლო თხზულება: „თქუმული აზხაჲსა შესლვისათჳს უფლისა ჩუენისა იერუსალიმად" (Ath. 11, 64-69).

ტიტე მოციქული – ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი. წარმოშობით კუნძ. კრეტიდან იყო, წარჩინებული წარმართული ოჯახიდან. მან კარგი წარმართული განათლება მიიღო. როცა ტიტე ოცი წლის გახდა, ესმა უფლის ხმა, რომელმაც მას ელინური (წარმართული) სიბრძნის მიტოვებისა და უფლის წინასწარმეტყველთა მოძღვრების შესწავლისაკენ მოუწოდა. ახლანდელ ტიტე ისაის წინასწარმეტყველებას გაეცნო. ამ დროს კრიტამდე მოაღწია ხმამ პალესტინაში დიდი წინასწარმეტყველის გამოჩენის შესახებ. კრიტის მმართველმა, ტიტეს ბიძამ იგი პალესტინაში გაგზავნა. ეს წინასწარმეტყველი თვით იესო ქრისტე იყო. ტიტემ იერუსალიმში ნახა იესო, მოისმინა მისი მოძღვრება და ირწმუნა იგი. ტიტე იყო თვითმხილველი მაცხოვრის ჯვარცმისა და აღდგომისა და ამაღლებისა. სულწმინდის მოფენის დღეს ტიტე პაველ მოციქულის ხელით მონათლა და მისი უახლოესი მოწაფე გახდა. ტიტე თან დაჰყვებოდა პაველ მოციქულს სამისიონერო მოგზაურობაში და ასრულებდა მის დავალებებს. ტიტე ჩაირიცხა 70 მოციქულთა შორის და პაველს მიერ ხელდასხმულ იქმნა კრიტის ეპისკოპოსად. დაახლ. 65 წელს პაველ მოციქულმა მეორედ შეჰკრობამდე სამწყსო ეპისტოლე გაუგზავნა თავის მოწაფეს, რომელიც „სამოციქულოშია" შესული. „პაველ მოციქულისა წიგნი ტიტეს მიმართ". ტიტე თან ახლდა თავის მოძღვარს მოწამებრივი აღსასრულის დროსაც. იგი დიდხანს მწემსავდა კრიტის ეკლესიას და სახელი გაითქვა სასწაულთმოქმედებით. ტიტე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული – 94 წლის ასაკში. ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია ტიტე მოციქულის „მოსასენებელი" და შეტანილია ნათარგმნ მეტაფრასულ კრებულში (ქუთ. 1, XVI ს., 598-531) 25 აგვისტოს – ტიტე მოციქულის ხსენების დღეს.

ტიხონი (1865-1925) – რუსეთის პატრიარქი 1917-1925 წწ. (ერისკაცობაში ვასილი ივანეს ძე ბელავინი).

ტლაშაძე იესე – იხ. იესე ტლაშაძე.

ტობანიერი – სოფელი ვანის რ-ნში, მდ. ჟუმურის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, ვანიდან 10 კმ. სოფელში დგას ეკლესია, რომელიც აშენებულია 1587 წ., როგორც

ეს აღნიშნულია ეკლესიის ლაპიდარულ წარწერაში. ცნობილია „ტობანიერის განძი" – ვერცხლის მონეტების კლექცია (215 ც.), რომელიც აღმოაჩინეს 1927 წ. სოფ. ტობანიერში. მონეტები მოჭრილია XIII ს. 1235-1297 წლებში ბიზანტიის სხვადასხვა იმპერატორთა დროს და ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

სოფ. ტობანიერში დაიბადა დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

ტობია (ებრ. „ღმერთი არის სიკეთე") – ებრაელი ისრაელის ნეფთალიმის ტომიდან. გამოირჩეოდა მართალი ცხოვრებით, ღვთისმოშიშებით, როგორც თავის სამშობლოში, ასევე ნინეველთა ტყეებაშიც. გაჭირვებაში ჩავარდნილ თავის ტომზე ზრუნვისათვის ტობიას სდევნიდნენ ასირიელი ხელისუფალნი, რის გამოც ბევრი ძნელი გამოცდა შეხვდა, რაც მისთვის და მისი ხალხისათვის ღვთიური კურთხევით დამთავრდა. ტობიას ცხოვრების ისტორია დაწერილებითაა გადმოცემული ტობიას წიგნში, რომელიც მიეკუთვნება ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთა რიცხვს. უცნობია, ვინ დაწერა, ან როდის დაიწერა ეს წიგნი, მაგრამ ბიბლიის ქარაულ დედანში იგი არ არის (ფიქრობენ, რომ ბერძნულ ენაზე შეიქმნა). საფიქრებელია, ტობიას წიგნი ქრისტეს შობამდე ბოლო ორ საუკუნეში შექმნილიყო. იგი ცნობილია მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც. კლიმენტი ალექსანდრიელი სარგებლობდა ამ წიგნით და ძველი აღთქმის ნაწილად მიაჩნდა. მართალია, ქრისტიანული ეკლესია მას არაკანონიკურად მიიჩნევს, მაგრამ მას სასარგებლოდ მიიჩნევენ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით. ამბროსი მედიოლანელმა დაწერა წიგნი „ტობია", რომელშიც იგი ამ წიგნს ადამიანის მიერ შექმნილ ყველა წიგნზე მაღლა აყენებს, როგორც წინასწარმეტყველურ წიგნს. „ტობიას წიგნის" ქართული თარგმანი გამოცემულია (ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, გამოსცა ც. ქურციკიძემ. 1970 წ.; მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ე. დოჩანაშვილმა, თბ. 1983, გვ.34-52).

ტოლოშე – სოფელი ასპინძის რ-ნში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასპინძიდან 15 კმ. სოფლის მიდამოებში (ალანძა) არის VIII-IX სს-ის დარბაზული ეკლესია. ასევე, სოფლის მიდამოებში (შალოშეთი) –VIII ს. ეკლესია, რომელშიც შემორჩენილია მოხატულობის ნიშნები და ლაპიდარული წარწერები.

ტომოსი // ტომარი – ქარტა, გრაგნილი, ეპისტოლე. ამ ტერმინით ცნობილია რომის პაპთა ზოგიერთი ეპისტოლე. რომის პაპის, ლეონ დიდის († 461) ცნობილი „ტომოსი", ანუ „ტომარი", რომელსაც ქართულ წყაროებში ეპისტოლე ეწოდება, გაგზავნილი ქალკედონის მსოფლიო კრების თავმჯდომარის, ფლაბიან კონსტანტინეპოლელის მიმართ (451 წ.), ქართულად თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ და შეტანილია დოგმატიკონში (S 1463).

ტონდრაკიელები – ქრისტიანული სექტა X-XI სს-ის სომხეთში, პაველიკიანელთა მწვალებლობის გამგრძელებლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ანტიფეოდალურ მოძრაობაში. ტონდრაკიელებმა ჩამოაყალიბეს სექტანტების რამდენიმე თემი ქონების თანაბარგანაწილების პრინციპზე. ამათგან განსაკუთრებით მყარი იყო სოფ. ტონდრაკის თემი, რომელსაგანაც წარმოდგა სექტის სახელწოდება. ტონდრაკიელები უარყოფდნენ ფეოდალურ საკლესიო მიწათმფლობელობას, სოციალურ პრივილეგიებს, საკლესიო საიდუმლოებებს და რიტუალებს, ქადაგებდნენ თემთა თანასწორობას. ფეოდალები და ეკლესია უმოწყალოდ ანადგურებდნენ სექტანტებს. ბიზანტიელების მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ ტონდრაკიელთა სექტამ დამსყრობელთა წინააღმდეგ დროდადრო გლეხთა ომების სახე მიიღო. XI ს. შუა წლებში ბიზანტიელთა ჯარმა საბოლოოდ დაანადგურა იხინი. გადარჩენილები გადასახლდნენ სირიაში, უდიდესი ნაწილი კი ბიზანტიელებმა ძალით გადასახლეს ბალკანეთში, სადაც მათ გარკვეული გავლენა მოახდინეს „ბოგომილებზე".

ტოტემიზმი – რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც დამყარებულია რწმენაზე საგვარეულო ჯგუფების წევრთა საიდუმლო კავშირისა რომელიმე გვარეულობის ცხოველთან (ძირითადად), მცენარესთან, საგანთან, ან ბუნების მოვლენასთან, რომელთაც ტოტემი ეწოდებათ. მათი საერთო წარმომავლობისა და სისხლით ნათესაობის მიხედვით მთელი საგვარეულო ჯგუფი ამ ტოტემის სახელით იწოდება. ტოტემი არ არის ღვთაება, მას თაყვანს არ სცემენ, იგი მიაჩნიათ ნათესავად, უფროს ძმად, მამად, მეგობრად. ტოტემიზმი გაცილებული იყო მთელი მსოფლიოს უძველეს ხალხებში და შემორჩენილია დღესაც (მაგ. აუსტრალიურ ტომებში).

ტრაპეზი (ბერძ.) – 1. ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხეველის მთავარი ნაწილი. ესაა ოთხკუთხა, კვადრატული ფორმის სამსხვეპლო მაგიდა, რომელიც

დგას ოთხ ფეხზე საკურთხეულის შუაში და წარმოადგენს ჟამისწირვის (ლიტურგიის) შესრულების ადგილს. ტრაპეზის სიმაღლე განსაზღვრულია. სიგრძე-სიგანე შეიძლება სხვადასხვა ზომისა იყოს. ტრაპეზი შემოსილია ორი სამოსით: ქვედა გადასაფარებელი სიმბოლურად გამოხატავს არდგს, რომელშიც ქრისტეს გუამი შეახვიეს დაფლეის წინ, ხოლო ზედა გადასაფარებელია ინდიტი, რომელიც იმავე ქსოვილისა და ფერისაა, როგორიც სამღვდელო სამოსელი. ეკლესიის კურთხევის დროს ტრაპეზის ქვეშ გადასაფარებელს მღვდელმთავარი ისე კრავს თოკებით, რომ მაგიდის ყველა მხარეს თოკებით ჯვარი გამოისახოს, რაც სიმბოლურად გამოხატავს იესო ქრისტეს საკრველს (იოანე 18,24). ტრაპეზის ზედა სამოსი ზოგჯერ მრეელის მცდელობით, ან ეკლესიის საკუთარი სარჯებით შეადგება ეერცხლისაგან, ფრინდანთა და მოელენთა ჭედური გამოსახულებებით. ტრაპეზზე ასენია ჯვარი, სახარება და ოდიკი, ხოლო ოდიკის, ან ტრაპეზის ქვეშ დგას სანაწილე, ფრინდანთა ნაწილებით. საიდუმლო აზრით, ტრაპეზი გამოხატავს უფლის ზეციურ სამყოფელს, აგრეთვე იესო ქრისტეს საფლავს, რადგან მასზე ასენია იესო ქრისტეს ხორცი (წმ. ზიარება). ამიტომ ტრაპეზის შეხების უფლება ღვთისმსახურთა გარდა არავის აქვს. ასევე, სამღვდელო ხარისხის მქონე პირების გარდა არავის არა აქვს უფლება, გაიაროს ტრაპეზსა და აღსავლის კარებს შორის, აგრეთვე ტრაპეზსა და მღვდელმთავრის ტახტს შორის. ტრაპეზს ხშირად უწოდებენ სამსხვერპლოს, რადგან მასზე სრულდება უსისხლო მსხვერპლშეწირვა. 2. ტაბლა (მაგიდა) სანოვაგითურთ, სადაც მონაზვნები იღებენ საკვებს მონასტერში, ხოლო შენობას, სადაც მონაზვნები სადილობენ, სატრაპეზო ეწოდება.

ტრაქტს მოწამე – ეწამა ქრისტესთვის 304 წ. კილიკიის ქალაქ ტარსუსში ანდრონიკე და პრობის მოწამეებთან ერთად კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე უარის თქმისათვის. მოწამეთა ერთობლიეი „წამების" კომენური თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია IX-XI სს-ში (Ath. 8, X ს., 368-383), ხოლო მეტაფრასული თხზულება, რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს უნდა ეკუთვნოდეს (X ს.), ქართულად თარგმნილი უნდა იყოს XI ს. II ნახევარში (კუთ. 4, 1565 ფ., 420-427. S 384, XI-XII სს., 349-360). მოწამეთა სხენების დღედ კომენური თხზულება 27 ივნისს გეიჩენებს, ხოლო მეტაფრასული – 12 ოქტომბერს.

ტრიანდაფლიეის მონასტერი – მონასტერი ქ. კონსტანტინოპოლში. მონასტერში, რომელიც ღვთისმშობლის სახელს ატარებდა, XI ს. 80-იან წლებში ქართელ მწიგნობართა ცნობილი წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. 1081 წ. აქ მოღვაწე თეოფილე ხუცესმონაზონმა ბერძნულიდან თარგმნა სვიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანთა „ცხოვრებების" კრებული (Ath. 20), რომელსაც ახლავს მთარგმნელის ანდერძი: „თარგმნა... წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოელად შუენიერსა ტრიანდაფლეს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცესმონაზონისა და მათივე კელთა მიერ დაინუსხა დასაბამითგანთა წელსა ეჳსათას ხუთას ოთხმეოცდა მეცხრესა (6589-5508 – 1081) მეფობასა აღმოსაელეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა მოღუაწეთა ეიწყე თარგმად წიგნთა საღრთოთა ელინურისაგან ქართულად".

ტრიფილე არქიმანდრიტი (ჩერქეზიშვილი) – ქართელი ეკლესიის მოღვაწე და მწიგნობარი XVIII ს. II ნახევარში და XIX ს. პირველ მეოთხედში. ტრიფილე იყო ანტონ I-ის აღზრდილი. 1761 წელს იგი ელადიმირში მოღვაწეობს დიაკონ-მონაზვნის ხარისხით. ანტონ I-ის ბრძანებით გადაუწერია „თეეენი" (H 348). 1772 წელს ტრიფილე ასტრახანში ეწევა მწიგნობრულ საქმიანობას ხუცეს-მონაზონის ხარისხში. 1774 წ. ტრიფილე ფიზლარშია იღუმენად. მან რუსულიდან თარგმნა „საეკლესიო პარაკლისი" H 1218) და გადაწერა ხელნაწერი (H 348). 1791 წლიდან იგი იხსენიება არქიმანდრიტად („ქართული წიგნი", I, 70/67). ტრიფილეს მრავალი ქართული ხელნაწერი გადაუწერია (H 192; H 1374, H 2185, S 3657, S 3731, S 363, S 139) და მონაწილეობა მიუღია წიგნების სტამბურად ბეჭდვაში. იგი იყო „რუსულსა ზედა შემწოწმებელი" („ქართული წიგნი", I, 38-62) და „რუსულსა და ბერძნულსა [ზედა] შემწოწმებელი" (იქვე 63/64; 768 და სხე.). 1799 წელს დაუწერია იამბიკო რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსელასთან დაკავშირებით (პლ. იოსელიანი, „ცხოერება გიორგი XIII-ისა"). 1801 წელს მას უკურთხებია მამდავითის ეკლესია [პლ. იოსელიანი, საქართველოს სიძე. აღწერა (რუს.), გე. 46]. ტრიფილე

გარდაიცვალა დაახლ. 1810-1815 წლებში და დაუსაფლავებიათ დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში.

ტრიკირი (ბერძნ.) – სამსანთლიანი შანდალი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს წმიდა სამების სამ ჰიპოსტასს. ტრიკირით (და დიკირით) მღვდელმთავარი ღვთისმსახურების დროს აკურთხებს მორწმუნეებს (ჯვრის გადასახვით).

ტრიკონქი (ბერძნ.) – სამაბსიდიანი ეკლესია. საქართველოში ამ ტიპის უმთავრესი ნიმუშებია ოშკის, ალავერდისა და ბაგრატის ტაძრები.

ტრინიტარები (ლათ. „წმიდა სამება") – კათოლიკური მონაზვნური ორდენი, დაარსებული 1198 წ. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, მაპმადიანთაგან ტყვეთა გამოსყიდვის მიზნით. ორდენი დამტკიცა 1209 წ. პაპმა ინოკენტი II-მ. გავრცელდა ევროპის ქვეყნებში – იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთში და, განსაკუთრებით, საფრანგეთში, სადაც ორდენის წევრები „მატურინელებად" იწოდებოდნენ. ორდენი დღესაც არსებობს იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და სხვ.

ტრიპტიქი (ბერძნ. „სამად დაკეცილი") – დასაკეცი ხატი, რომელსაც სამი დარაბა აქვს. მისი შესანიშნავი ნიმუშებია ხახულის კარედი ხატი, ანჩისხატი და სხვ.

ტრომპი – ხუროთმოძღვრული კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება ეკლესიებისა და სხვა შენობათა აგებისას და რომლის საშუალებითაც გუმბათის წრიული საფუძველი გადასახურავი შენობის კედლებს უკავშირდება, აქვს ნახევარი კონუსის, ან მეოთხედი სფეროს (ნახევარ-გუმბათის) სახე. მისი დანიშნულება ოგივეა, რაც პანდანტიებისა. ტრომპების გამოყენებისას კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება არა უშუალოდ, არამედ საფეხურებად (კვადრატი – რვაწახნაგა – თექვსმეტწახნაგა – წრეწაპი). საქართველოში გავრცელებული იყო უმეტესად VI-VII სს. ეკლესიების მშენებლობაში.

ტროპარი – იხ. დასდებელი.

ტროფიმე მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი. მას ახსენებს პაულე მოციქული ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეში (4,20). ტროფიმე მოციქული არისტარხოსთან და ჰუდისთან ერთად პაულე მოციქულს ახლდნენ დევნილობისა და გაჭირვების დროს. ნერონის ბრძანებით სამივეს თავები მოჰკვეთეს.

ტროფიმე მოწამე – ეწამა ქრისტესთვის სავატი და დორიმენლ მოწამეებთან ერთად რომის იმპერატორის, პრობის (276-282) დროს. ტროფიმე და სავატი ანტიოქიაში შეესწრნენ წარმართულ დღესასწაულს და წარმართთა უძღებებისა და უხეირების მზახველებმა იწყეს ლაცება უფლის მიმართ, რათა მას შეცდომები ბრალი ეხსნა. ისინი დაატყვევეს და მიიყვანეს ქალაქის მმართველთან. სამსჯავროზე მათ აღიარეს ქრისტიანობა და მტკიცე უარი თქვეს მის დათმობაზე. მკაცრი წამების დროს სავატი გარდაიცვალა, ხოლო ტროფიმემ გადაიტანა ფიცლეგარი არაადამიანური ტანჯვა. მასთან ღილეგში მოდიოდა და უკლიდა ფარული ქრისტიანი სენატორი დორიმენლი. რაცა მისი ქრისტიანობა გამჟღავნდა, ბევრი წამების შემდეგ ორიე წმინდანს თავები მოჰკვეთეს.

სამივე მოწამის ერთობლივი „წამების" მეტაფრასული თხზულება ბერძნულად შედგენა სვიმონ ლოლოთეტმა (X ს. ბოლოს), ხოლო ქართულად ითარგმნა ორკერ: ჯერ უცნობი მთარგმნელის მიერ (S 384, XI-XII ს., 146-159; ქუთ. 4, 1565 წ., 216-225), მეორედ კი – თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ XI ს. II ნახევარში (Ath. 20, 1081 წ., 132-138), მათი ხსენების დღედ დადებულია 19 სექტემბერი.

ტროფიმე მოწამე – ეწამა ქრისტესთვის დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს წმ. ეკატერინოსთან ერთად. ტროფიმე და ეკატერინოსი მეომრები იყვნენ ნიკომიდიიდან და ქრისტიანთა დევნის დროს განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მათ მიმართ. ერთხელ, ქრისტიანთა ძებნის დროს მათ ესმათ სალოცო ხმა, რომელმაც მოუწოდა მათ, შეეწყვიტათ ქრისტიანთა დევნა და თვით ელიარებინათ ჭეშმარიტი ღმერთი და მოენანიებინათ ჩადენილი ცოდვები. ტროფიმემ და ეკატერინოსმა ქრისტე ირწმუნეს და დატყვევებული ქრისტიანები გამოუშვეს საპრობილედან, რისთვისაც ისინი საშინლად აწამეს და ბოლოს ცეცხლში დასწვეს.

ტროფიმესა და ეკატერინოსის „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს შედგენილი უნდა იყოს XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში და შემონახულია ერთადერთი – XVI ს. ხელნაწერით (ქუთ. 2, 271-274). მოწამეთა ხსენების დღედ 18 მარტია დადებული, თუმცა ქართული თარგმანი 24 მარტს მიუთითებს.

ტრულის საეკლესიო კრება – ქართული თარგმანით – „კონსტანტინეპოლის გუმ-

ბაღსა შინა სამეუფოსასა პალატისასა შეკრებული კრება", რომელიც მოწეული იქნა კონსტანტინეპოლში, იმპერატორის სასახლეში („ტრული" ნიშნავს „ჭუშბათს") 691 წ. „იუსტინიანე II იმპერატორის ინიციატივით, რომელმაც შეაესო კონსტანტინეპოლის V (553 წ.) და კონსტანტინეპოლის VI (681 წ.) მსოფლიო კრებათა ხარვეზი, რადგანაც მათ საეკლესიო კანონები არ გამოუტანიათ. ტრულის კრებამ დაადგინა 102 საეკლესიო კანონი და ამით მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ საქმიანობაში შეასრულა ერთ-ერთი უდიდესი საქმე. ფაქტიურად ამ კრებაზე შეჯამდა ქრისტიანული ეკლესიის კანონიკური საქმიანობა. ამიტომ არის, რომ ტრულის კრებას ხშირად VI მსოფლიო კრებას უწოდებენ. ქართულად ტრულის კრების კანონები პირველად ეფთვმე მთაწმიდელმა თარგმნა: „მცირე რწულისკანონი მეექუსესა კრებისა" (გამოც. „მცირე სჯულისკანონი", თბილისი, 1970 წ.), უფრო სწორედ, მოგვცა ამ კრების კანონების თაეისებური, თვით მის მიერ შედგენილი რედაქცია. მეორედ ტრულის კრების კანონები „დიდი სჯულისკანონის" შემადგენლობაში თარგმნა არსენ იყალთოელმა (გამოც.: დიდი სჯულისკანონი, თბ., 1875, 365-418).

ტყარშეთი — სოფელი ყაზბეგის რ-ნში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, ყაზბეგიდან 12 კმ. სოფლის მახლობლად არის შუა საუკუნეების ეკლესია.

ტყვირი — სოფელი აბაშის რ-ნში, ოლიშის დაბლობზე, მდ. ნოღელის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, აბაშიდან 6 კმ. სოფლის მახლობლად დგას XV ს-ის მცხოვრის გუმბათიანი ეკლესია, „თაეისუფალი ჯვრის" ტიპისა, რომელშიც არის მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები. შენობის ქვედა ნაწილი თლილი ქვით არის ნაშენები და უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ზედა ნაწილის კედლები, კამარები და რვაწახნაგა გუმბათის ყელი აგურისაა. ეკლესიის მშენებლობა XV ს-ში უნდა დამთაერებულიყო. სამხრეთის შესასვლელის თავზე მოთაესებული წარწერის თანახმად, „მეორედ მაშენებელი" ქველი ჭილაძე ყოფილა. ეკლესია შემკულია ჩუქურთმებით, დასავლეთის კარის თავზე ამოკვეთილია დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი და ვრცელი წარწერა. XVIII ს. II ნახევარში იერემია ჭყონდიდელს (ჭილაძეს) ტყვირის ეკლესიისათვის მიუშენებია ეგეტერი (კერები I,55), რომელშიც იგი უნდა იყოს დასაფლავებული (ექვთიმე თაყაიშვილის აზრით). ცნობილია ტყვირის ეკლესიის კარედი ხატი XVIII ს-ისა, რომელიც დამზადებულია რომანოზ ჭილაძის დაკვეთით, აგრეთვე ღვთისმშობლის XVI ს. ხატი, დამზადებული ლევან II დადიანის მეუღლის დაკვეთით, მაცხოვრის XVIII ს. ხატი და სხვ.

უ

უბმ — ძველი სახელწოდება უბისის მონასტრისა, რომელიც გრიგოლ ხანცთელს დაარსებია აფხაზეთის მეფის, დემეტრეს თხოვნით და უწოდა მას „უბმ და ილარიონ ქიმე იერუსალმით მოსრული, სარწმუნო მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად... და აქუნდა მას კეთილნი წიგნნი და მამამანცა გრიგოლ თუსანი წიგნნი, რომელ აქუნდეს, დაუტეენა მონასტერსა მას" (ძეგლ. I, 268).

უბისი — სოფელი ხარაგოულის რ-ნში, თბილისი-ქუთაისის გზის მარცხნივ, მდ. ძირულის ნაპირებზე. ხარაგოულიდან 25 კმ. სოფელში არის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის სხვადასხვა დროის ნაგებობანი: წმ. გიორგის ერთნაეიანი ეკლესია, IX საუკუნისა, რომლის აშენების ამბაეი მოთხრობილია გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებაში" (იხ. უბე). ეკლესიას IX ს. რამდენიმე წარწერა შემოუნახავს, რომელთაგან მნიშვნელოვანია სტეფანეს სააღაპე და მცირე მაშენებლის წარწერები (ლაპ. წარწ. II, გვ. 29). უბისის ეკლესია განსაკუთრებით ცნობილია XIV ს. მოხატული ფრესკებით, ქართული მონუმენტური მხატვრობის მნიშვნელოვანი ნიმუშებით, რომლებიც დამიანეს და მის მოწაფეს — გერასიმეს შეუსრულებიათ. ეკლესიის სამრეკლო XVI ს. აუგიათ თავად აბაშიძეებს. მო-

ნასტრის სატრაპზო და გალავნის ნაშთი XII ს. უნდა იყოს. ეკლესიასთან აღმართული ოთხსართულიანი სვეტი, რომელიც, ალბათ, მესვეტე მონაზვნების საცხოვრებელი იყო, ლაპიდარული წარწერის მიხედვით, აუგიათ 1141 წ. ცნობილია აგრეთვე უბისის კარედი ხატი XVI ს-ისა.

„უბალობდითსა“ – პიმნოგრაფიული კანონის პირველი ოდა (იხ. გალობანი).

უდაბნოს მონასტერი – სამონასტრო ანსამბლი დაუთგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. უდაბნოს მონასტერი მდებარეობს დაუთის ლაერის სამხრეთ-დასავლეთით აღმართული კლდის სამხრეთ ფერდობზე. გამოქვაბული მონასტერი მოიცავს მრავალ ეკლესია-სენაკს, რომელთაგან მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის ეკლესია. მას ჩრდილოეთით სამთაღიანი გასასვლელით დაკავშირებული მაღალი და ფართო სადიაკვნე ეკერა. მონასტერს პქონდა აგრეთვე სატრაპეზო და სხვა დანიშნულების სათავსები. უდაბნოს მონასტერში დაცულია ფრესკული მხატვრობა, რომელმიც პირველად აისახა დაით გარეჯელის ცხოვრების ციკლი. ეთაური ეკლესიის მოხატულობის უძველესი ფენა X ს. II ნახევრით თარიღდება. ამავე დროის უნდა იყოს სატრაპეზოს მოხატულობაც. უფრო ადრინდელი, დაახლ. 856-864 წლების უნდა იყოს სადიაკვნოს მოხატულობა. მოხატულობის მეორე ფენა XIII ს. მიეკუთვნება, ხოლო შემდეგი – XIV ს.

უდაბნოს მონასტერი – შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი ნიგოით-სუფაახოს ქედის სამხრეთ კალთაზე, ჩოხატაურიდან სამხ.-დასავლეთით 8 კმ. მანძილზე. მონასტერი იოანე ნათლიმცემლის სახელზეა დაარსებული. მონასტერში საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ თითქმის XIX საუკუნამდე. ამ მონასტერში მოიპოვა აკაკი შანიძემ IX ს. ცნობილი „უდაბნოს მრავალთავი“.

უდაბნოს მონასტერი – იხ. საირმე (მიდამოები).

უდაბნოს მონასტერი – იხ. ხონჰიორი (მიდამოები).

უდაბნოს მრავალთავი – IX ს. მრგლოვანი ასომთავრულით ორ სვეტად ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი (A 1109, 179 ფ. 33X30). ჩამოტანილია უდაბნოს მონასტრიდან (გურია) და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (A). ხელნაწერში წარმოდგენილია ეკლესიის მამათა ქადაგებანი, სწაელანი (პომილიები) და მათ შორის ჩართულია იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამების“ უძველესი, თუმცა თავნაკლული, ტექსტი (7r-19r). ხელნაწერი მოიპოვა და თბილისში ჩამოიტანა ა. შანიძემ. მანვე გამოაქვეყნა ამ ხელნაწერის 8 ფურცელი პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში, ხოლო 1 ფურცელი თ. ჟორდანიამ გადაასცა საკლესიო მუზეუმს. უდაბნოს მრავალთავი გამოცემულია ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძისა რედაქტორობით (1994 წ.)

უდე – სოფელი ადიგენის რაიონში, ადიგენიდან 14 კმ. სოფელში დგას XIV-XV სს. ღვთისმშობლის პატარა უგუმბათო ეკლესია და სამრეკლო განვითარებული შუა საუკუნეებისა.

„უემბაზო“ – ვისაც ქრისტიანული ნათლისღება არ მიუღია, ეინც სანათლავ ებბაზში არ განბანილა.

„უეცხლონი“ – ქრისტიანული ეკლესიის იმ წმინდან-მკურნალთა ეპითეტი, რომლებიც აეადმყოფებს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე კურნავდნენ. მაგ.: კოზმან და დამიანე (ხსენ. 16 ნოემბერს), სამფსონ უცხოთშემწყნარებელი († 530 წ. ხსენება 27.VI) და სხვ.

უზეშთაესი – უმაღლესი (ღმერთის ეპითეტი).

უზიარებლობა – საკლესიო სასჯელი, რომელიც მორწმუნეს ართმევს ეკლესიასთან ერთობის, წვ. ზიარების უფლებას. უზიარებლობით ისჯება: მონაზონი, რომელიც იქორწინებს, კერძოდიაკონი, წიგნისმკითხველი, მგალობელი, „შეუბამთა და მორევალობათა შექცეული“, ეკლესიის მსახური, რომელიც დასცინებს ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანს (კოჭლს, ყრუს, უსინათლოს და სხვ.). სასულიერო პირი, რომელიც მითითებას ეკლესიის ცეცლს, ზეთს და სხვ.; ერისკაცი, რომელიც ცოლს გაშორდება და შეირთავს მეორეს, ან სხვის მიერ განტევებულს; ერისკაცი, რომელიც თავს დახიჭრისებს და სხვ. უზიარებლობის დრო განსაზღვრულია საკლესიო კანონმდებლობით.

„უთაეონი“ (ბერძნ.) – სახელწოდება ბევრი მონოფიზიტური სექტისა ალექსანდრიაში, რომლებმაც უარყვეს თავისი მონოფიზიტი პატრიარქი პეტრე მონგუსი (477-490), რომელიც მიეშხრო 482 წ. ბიზანტიის იმპერატორის ზენონ ისაურიელის მიერ გამოცემულ ედიქტს – „ჰენოტიკონს“, რომლითაც იმპერატორი ცდილობდა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შერიგებას. „უთაეონი“ აღნიშნავს საეკლესიო მეთაურის – „თავის“ გარეშე დარჩენილთ.

უთმინი – ისტორიული პუნქტი დასავლეთ საქართველოში, დღეისდღეობით „მოწამეთას“

ძველი სახელწოდება, სადაც VIII ს-ში მდგარა დანგრეული ეკლესია, რომლის საკურთხეველის ქვეშ დაუსაფლაეებიათ ქართველი მოწამეები, არგვეთის ერისთავები დავით და კოსტანტინე, როგორც ეს აღნიშნულია დავით და კოსტანტინეს „წამების“ უძველეს სვინაქსარულ რედაქციაში (XIII-XIV სს. პარიზ. ნაც. ბიბლიოთ. №4): „აღმოიხუნეს გუამნი მათნი და დაასხნეს ნარლუვსა ეკლესიასსა საკურთხეველსა ქუეშე. ხოლო ადგილსა მას ეწოდების უთმინი, სადაცა იქმნებიან კურნებანი ურიცხუნი სადიდებელად ღმრთისა და წმიდათა მისთა. ამინ“ (ძეგლები, IV, 361). ამ მოწამეთა „წამების“ დანარჩენ სვინაქსარულ ტექსტებში და ერცელი „წამების“ ტექსტში ადგილს, სადაც დავითი და კოსტანტინე დაასაფლაეეს, ეწოდება წყალწითელი: „ადგილსა მას, რომელსა ჰქუან წყალწითელ, რამეთუ იყო ადგილი იგი ციხეკლაე და ერმრავალ, ხოლო ჯრუესა მურვანსა გამოელო, აეკრა და დაეწუა და იყო უკაცურ და დარღუეულ ეკლესიაჲ, ხოლო ქუეშე კერძო ეკლესიისა აკლდამა იყო შენ... და მას შინა დაჰკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი“ (ძეგლ. III, 262).

ᲣᲯᲐᲜᲑᲘᲠᲘ — სოფელი დმანისის რ-ნში, მდ. ბალიჯის ხევის (მაშაველის მარჯ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, დმანისიდან 23 კმ. IV-V სს. ეკლესია, რომელსაც „ორკარიან ეკლესიას“ უწოდებენ. ეკლესია ნაგებია საშუალო ზომის ყვითელი ფერის თლილი ქვით. შიდა სივრცის გაფორმებაში ჩართულია: ძმლავრად გამოწეული მორუქურთმებული სვეტისთავებით დაგვირგვინებული პილასტრები, მუზუქურთმებული იმპოსტები და სხვ. ეკლესიის ტრიტორიაზე, სასაფლაოზე ნაპოვნია ჯვრის კვარცხლბეკის V-VI სს. „ხანმეტური“ წარწერა, რომელშიც, ჯვრის აღმართვაზეა ლაპარაკი: „პეტრეს ხუცობასა, მე თათვაროზ აღუმართე ესე ჯუარი... რომელმან თაყუანის ხსცეთ, ლიტანია მომიხენიათ“. მეორე V-VI სს-ების წარწერაც თათვაროზისა და მარიამისა ისეე ჯვრის აღმართვის შესახებაა. უკანგორში ყოფილა მეორე, როგორც ჩანს, უფრო ძველი ეკლესია, რომლის მხოლოდ ნანგრეეებიღა შემორჩენილი. ძველი ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა აგრეეე V-VI სს-ის მოსახსენებელი წარწერების ფრაგმენტი. ამჟამად წარწერები გადატანილია სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (იხ. ლაპიდ. წარწ., I, გე. 89-90).

ᲣᲚᲣᲛᲑᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ — მონასტერი ხაშურის რ-ნის სოფ. ალის მახლობლად (ნასოფლარი „ულუმბო“), ალისწყლის (მდ. ჭერათხევის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) ცნობით, მონასტერი VI ს. შუაწლებში დაუარსებია მიქაელ ულუმბოელს, იოანე ზედაზნელის ერთ-ერთ სირიდან ჩამოსულ მოწაფეს, რომელიც ამაეე მონასტერში უნდა იყოს დასაფლაეებული. წერილობითი წყაროების მოწმობით, XIII ს-ში აქ უკეე დიდი ტაძარი მდგარა. XIV-XV სს-ში მონასტერი მნიშენელოვანი მწიგნობრული ცერა ყოფილა. თემურ-ლენგის ლაშქრობის შედეგად დანგრეული ტაძარი 1400-1415 წწ-ში ალის ხეობის მფლობელ ქუცნა ამირეჯიბს ხელახლა აუშენებია და მისთვის დიდძალი ყმა-მამული შეუწირავს. მომდეეონ საუკუნეებში მონასტერი მოქმედია. ამჟამად აქ დგას ღეთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელიც 1871 წ. ნახევრად დანგრეული ძველი ეკლესიის აღმოსაელეთის მხარეეში ქვედლებზე დაუშენებიათ, როგორც ეს აღნიშნულია სამხრეთის კარის წარწერაში. დღეეანდელი ეკლესია უფრო პატარაა. გაირჩეა 2 სამშენებლო ფენა. მის ქედლებში ჩართულია სანახევროდ მიწით დაფარული ძველი ეკლესიის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით დადგენილია, რომ ძეგლს ჩუქურთმები და მოხატულობა ამკობდა. აღმოსაელეთის ფასადის წარწერა, რომელიც აგრეეე მიწით იყო დაფარული, XI ს. I ათეული წლებით თარიღდება.

ᲣᲚᲢᲠᲐᲛᲝᲜᲢᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ — მიმდინარეობა კათოლიციზმში, რომელიც მიზნად ისახავდა რომის პაპების ავტორიტეტის აღდგენას „აეინიონის ტყეეობის“ შემდეგ (იხ. აეინიონის ტყეეობა).

ᲣᲚᲣᲛᲑᲝ — იხ. ოლიმპი.

ᲣᲚᲣᲛᲞᲘᲐ ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ — იხ. ოლიმპია (ოლიმპიადა).

ᲣᲚᲣᲛᲞᲐᲡ // ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐ ᲛᲝᲪᲘᲐᲫᲣᲚᲘ — ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, რომელსაც იხსენიებს პაელე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში; „კითხუაჲ არქუთ... და ულუმპას და მათ თანათა მათ ყოველთა წმიდათა“ (16,15). ულუმპას მოციქულს ნერონის ბრძანებით თაეი წარეკეეთა რომში პეტრე მოციქულთან ერთად (იხ. დიდი სვინაქსარის დანართი, A 97).

„ᲕᲔᲪᲘᲠᲘᲡᲜᲘ“ — ძველი „ხუედრნის“ ანუ „სამუსალმუნის“ გეიანდელი სახელწოდება (იხ. იერუსალიმის განჩინება, გე. 325).

ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲝᲠᲘ (1869-1909) — ინგლისელი ქართველოლოგი, ქართუ-

ლი კულტურის მკვლევარი, მთარგმნელი. ინგლისურად თარგმნა „წინის ცხოვრება“. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმამ ჯონ ოლიფერ უორდროპმა ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაარსა მ. უორდროპის სახელობის ქართულ ხელნაწერთა და ნაბეჭდ წიგნთა ფონდი.

ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘ – უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული, მიმართვის ფორმა.

ᲣᲡᲐᲢᲘᲝᲔᲑᲐ – საეკლესიო სასჯელი საერო პირთათვის. ბერძნულ-რომაული სამოქალაქო სამართლით დასჯილი პირი კარგავდა მოქალაქეობის უფლებებს. საეკლესიო სამართლით დასჯილი პირი იზღუდებოდა თავის უფლებებში. კარგავდა სასამართლოზე დაყენის უფლებას, შეზღუდული იყო მემკვიდრეობის უფლებებში და სხვ. უსატიოება იწყებოდა რომე უსატიოსნო საქციელის ჩადენისთანავე უშუალოდ ფორმალური სასამართლო მოქმედების გარეშე ან შუალობით – სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ.

ᲣᲘᲠᲐᲢᲔᲡᲘ – უპირველესი. ასე იწოდებიან: 1. მონასტერთა წინამძღვრები. 2. ღვთისმსახურების დროს პირველი მწირველნი.

ᲣᲫᲐᲛᲝ – დროით განუსაზღვრელი, მარად არსებული (ღმერთის ეპითეტი).

ᲣᲠᲐᲔᲚᲘ – სოფელი ახალციხის რ-ნში, მდ. ურაველის ხეობაში, ახალციხიდან 17 კმ. სოფელთან ახლოს შემორჩენილია მცირე ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია ბატარა გუმბათოვანი შენობაა, ე. წ. ტრიკონქის ტიპისა. იგი ჯვარისებრი მოხაზულობისაა და ჯვრის სამი მკლავი შიგნით ნახევარწრეულადაა მომრგვალებული. ამ ტიპის შენობები საქართველოში XI ს-ზე გვიან აღარ გვხვდება. ეკლესიას ლაპიდარული წარწერა აქვს.

ᲣᲠᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ – პაპი ურბან VIII-ის (1623-1644) მიერ 1627 წ. დაარსებული კოლეგია – „პროპაგანდის კოლეგია“ – კათოლიკური ეკლესიის მისიონერთათვის.

ᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘ – სოფელი ქარელის რ-ნში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქარელიდან 10 კმ. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი VIII საუკუნეში, რომელიც ხშირად იხსენიება მატიანეებში. ურბანისის V ს. დიდი სამბაიანი ბაზილიკა აღრეფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ეკლესია ჯვრისებრია, გეგმის სვეტების ოთხი წყვილით. საკურთხეველი სამნაწილედია – ბემის გვერდით უახლოდ სადიაკნე და სამკვეთლოა. გათხრებმა აღმოაჩინა, რომ ეკლესიას სამ მხარეს – სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე მიბმული პასტოფორიუმები ჰქონია, მაგრამ მათი მხოლოდ ნაკეცები შემორჩენილი. საკუთხეთა მანძილზე ეკლესია ვარაუდობილ დაზიანებულა და აღუდგენიათ. კედლებზე შემორჩენილ წარწერებში საინტერესო ცნობებია დაცული. უძველესია V ს. I ნახევრის კონსტანტინეს და მამა მიქელის სახელმშენებლო წარწერა ტაძრის ჩრდ. ფასადის კედელში. ერთი მათგანი მოგვითხრობს, რომ „ესე სიონი დაბეჭდებულ უფრომს ზომასა“ აღუდგენია თეოდორე ეპისკოპოსს. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით IX ს. დასასრულს ან X ს. დასაწყისს მიეკუთვნება. საქართველოს გაერთიანების ხანაში, დაახ. ალმაშენებლის დროს ურბნისის საეპისკოპოსოს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საეპისკოპოსო კათედრებს შორის. ამის დასტურია დავითის მიერ 1105 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა. 1566 წ. ერთი ხაბუთის მოწმობით, ურბნისი „მოშლილა ჟამთა უთაურებისაგან“. 1688 წ. ტაძრის წარწერის თანახმად, „ძირითურთ აღმოუხრეული“ ტაძარი აღუდგენია მარიამ დედოფალს. 1706 წ. ვახტანგ VI აშენა სამრეკლო და „გალავან-პალატი“. 1739 წ. ნიკოლოზ ურბნელმა (ხერხეულიძე) აშენა გალავანი და კოშკები, რომელთაგან დღემდე სამრეკლომ მოაღწია. ურბნისის ეკლესიის შეკეთებულ-აღდგენილი ნაწილები, კედლის ზედა ნაწილები, კამარები, პილასტრები და სხვა უმეტესად აგურისაა, ხოლო თაღა-პირელი სახით შემორჩენილი ნაწილები ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით. თაღები ნალისებრი მოხაზულობისაა, ფასადები თაღჩარჩოდ ყოველგვარი მორთულობის გარეშე ყოფილა. ეკლესიის ზომებია 32x15 მ, სიმაღლე 15 მ. ურბნისში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაამაღლინა ნაქალაქარი ურბნისი, ადრებრინჯაოს ძეგლებით დაწყებული და ადრეფეოდალური ხანის ძეგლებით დამთავრებული.

ურბნისი ძველი ქართული მწერლობის კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ელასი ურბნელი (XVI ს.), ეფემან რატიშელი გლონისათვის ძე (1623-1710), ნიკოლოზ ხერხეულიძე-ურბნელი (XVII ს.) და სხვ. ურბნისის წყობაცაებიდან მოღწეულ ხელნაწერთაგან უმნიშვნელოვანესია ურბნისის სახარება-ოთხთაი XI ს-ისა – A 28. (იხ. კერები, I).

ᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘᲡ ᲝᲗᲮᲗᲐᲘᲔ (სახარება) – XI ს. დასაწყისის მრგლოვანით ნაწერი ეტრატის ხელნაწერი (A 28), რომელიც შეიცავს ოთხივე მახარებლის სახარებებს (222 ფ., 19, 5x14,4).). გადაწერილია იოანე ტატანელის მიერ (5r, 67v).

ურბნისის ოთხთაეი მოხატულია: ხელნაწერის შეჩკულობას შეადგენს შაბიამნისა და შინდისფერი საღებაეებით, შესანიშნაეი გემოენებით შეხამებული ინიციალები, კანონთა კამარები. ხელნაწერი, როგორც ჩანს, სულთა მატიანეს წარმოადგენს, რადგან მის აშიებზე სხეადასხეა დროის 90-ზე მეტი მოსახსენებელია მიწერილი. ურბნისის ოთხთაეი ეფთეიმე მთაწმიდელის რედაქციისაა. საინტერესოა ხელნაწერის ისტორია, რომელზეც თეალის გადეენება მხოლოდ XV-XVI სს-დან შეიძლება: თაედაპირეელად ხელნაწერი ეკუთენოდა ბათუმის (არდაგანის) ოლქის ერთ-ერთ უცნობ ეკლესიას (მფლობელის გეარი — კაეკასიძე). XVI ს-ში ის მოუპოეებია სეიმენ ქუთათელს (დაახ. 1530-1540 წწ.), შემდეგ, XVI ს. გასულს ხელნაწერი ბედიის მიტროპოლიტის, ანტონის (ჭეანიძე) საკურთხეე გაჩხარა. 1798 წელს ეპისკოპოსი გრიგოლ ხარჭაშენელს ოთხთაეი ასტრახანის წიგნსაცაეში დაუდეგა, როგორც ეს აღნიშნულია ამ ხელნაწერის მინაწერში (გეე. 7). XIX ს. დასაწყისში ხელნაწერი ურბნისის ეკლესიას შესწირა რაფიელ მცხეედაძემ (გეე. 5). აქედან კი 1889 წ. გადმოიტანეს თბილისში. ე. ი. ხელნაწერის სახელწოდება — ურბნისის ოთხთაეი დამკვიდრდა ხელნაწერის ბოლო სამყოფელის მიხედეით. ურბნისის ოთხთაეი დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (A 28) ინახება.

შრვასიოს მოწამე — ეწამა ქრისტესთეის იმპერატორ მაქსიმიანეს (286-310) დროს გამოცხადებული ქრისტიანთა დეენის შედეგად წმ. მოწამეებთან ეუსტექიოს, გაიანოს, პროეოს და ლოკისთან ერთად, გალატელთა ქალაქ. ანკეირიაში. ეუსტექიოსი იყო წარმართთა ჯარუში, რომელმაც მიიღო ნათლისღება ანტიოქიის ეპისკოპოსის, ეედოქიოსის ხელით, ხოლო მან ქ. ლუსტრაში მოაქცია თაეისი დისშეილი გაიანოსი და მისი სახლეულობა, მათ რიცხეში — ყრმები პროეოს, ლული და ურეასიოსი. რადგან ისინი არ განუდგნენ ქრისტეს, მათ თაეები მოჰკეთეს. მათი ერთობლეი „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად უნდა შეედგინა იოანე ქსიფილინოსს, ქართულად თარგმნილია XI ს. ბოლოს, XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 223-227). ქართული თარგმანის მიხედეით მოწამეთა ხსენების დღე — 22 ივნისია, ხოლო სხეა წყაროების მიხედეით — 23 ივნისი.

შრომა — სოფელი ზუგდიდის რ-ნში, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე, ზუგდიდიდან 13 კმ. სოფლის მიდამოებში, მთის კალთაზე დგას XVII ს. ეკლესია „ჯუმათი“ ეკლესიის ლაპიდარული წარწერები გადატანილია ზუგდიდის მუზეუმში.

შრომა — ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართეელოში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია), ჩრდილის (ახლანდ. ჩილდირის) ტბის დასაელეთით. XX ს. დასაწყისში აქ კიდეე იყო შემორჩენილი შუა საუკუნეების ეკლესია და ციხე. (XVI ს. ქართულ წყაროში — მესხური დავითნის ქრონიკებში — მას ქაჯის ციხეს უწოდებენ).

შრსულელ დედათა ორდენი — დედათა სამონაზენო ორდენი კათოლიკურ ეკლესიაში, დაარსებული 1537 წ. წმ. ურსულას სახელზე. თაედაპირეელად ორდენი აერთიანებდა ქალწულ და ქერიე ქალებს, რომელთაც არ ჰქონდათ დადებული მონაზენობის აღთქმა და უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ქალწულთა აღზრდის საქმეს. 1572 წ. პაპმა გრიგოლ XIII-მ ურსულელთა ორდენი ნამდეილ სამონაზენო ორდენად აქცია და მიაღებინა მათ წმ. აეგუსტინეს წესდება. ორდენი სწრაფად გაერცელდა იტალიაში, გერმანიაში და ნიდერლანდებში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშენელობა მოიპოეა საფრანგეთში. ორდენს რეეოლუციის წინ მართო პარიზში 14 მონასტერი ჰქონდა, ხოლო მთლიანად საფრანგეთში — 300-მდე. რეეოლუციის მიერ განადგურებული ორდენი აღადგინეს ნაპოლეონ I-ის დროს, მაგრამ მან ძეელებური გაერცელება ეეღარ მოიპოეა.

შრშაძე აკაკი — ლიტერატურათმცოდნე, კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი მკლეეარი. მან მრაეალი წიგნი მოუძღენა ბერძნული და ლათინური ლიტერატურის ძეგლების ქართულ თარგმანებს. აღსანიშნეაია მისი წიგნი „ქართული კულტურის კერა ბულგარეთში“ (1969 წ.), რომელიც ეძღენება პეტრიწონში 1084 წ. დაარსებულ ქართულ მონასტერს.

შრცხეინოება, კადნიერება — „სულისა წმიდისა წინააღმდგომი ცოდეა“ (H 1283, 2). იხ. კადნიერება.

უსანეთის მონასტერი — წმ. თეოდორეს მონასტერი გორის რ-ნში, სოფ. მეკერისხეეის (ძე. მეკუდა) მიდამოებში, „უსანეთის მთის ძირში მონასტერი წმ. თეოდორესი“ (ქართ. ცხ. IV, 368). ცნობილია უსანეთის ოთხკუთხა სტელა-ჯეარი VIII ს-ისა, რომლის სამი მხარე შემკობილია რამდენიმე შეკრეად განლაგებულ ქანდაკებათა კომპოზიციებით: ნათლისღება, მაცხ-

ოერის შესელა იერუსალიმში, დანიელ წინასწარმეტყველი ხაროში ლომთა შორის, მთავარანგელოზები, ქრისტე, მოციქულები – პეტრე, პაველ და ანდრია. მეოთხე, აღმოსავლეთის მხარეს ორი დიდი, ერთმანეთზე დაწერებული ჯვარია გამოსახული, ხოლო მათ შორის სამი ფიგურა. გამოსახულებათა უმრავლესობას ახლავს ასომთავრული წარწერები (ლაპ. წარწ. I, 123-130). თ. ჟორდანია თაყის „უბის წიგნაკში" ახსენებს „უსანეთის ღვთისმშობლის ხატს" (ქრონიკ. III, 022).

უსახელო – სოფელი ჭიათურის რ-ნში, ჭიათურის პლატოზე, ჭიათურიდან 13 კმ. სოფლის მიდამოებში არის შუა საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია. შემორჩენილია ძველი მოხატულობა.

უსინსხლო მსხვერპლი – მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეკუარისტული სიდიადულოს ერთ-ერთი სახელწოდება (იხ. ეკუარისტია), რომლითაც ოვი უპირისპირდება წარმართთა და იუდეველთა სისხლიან მსხვერპლს – საკულტო ცხოველების ღვთისადმი შეწირვას დაკვლისა და სისხლის გამდენის გზით.

უსპენსკი თეოდორე (1845-1928) – რუსი ისტორიკოს-ბიზანტინოლოგი, რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი კონსტანტინეპოლში და მისი პირველი დირექტორი (1914 წ.), „Византийский временник"-ის რედაქტორი (1915-1928), მეცნიერებათა აკადემიის რუსეთ-ბიზანტიის კომისიის თაემჯდომარე, ავტორი ფუნდამენტალური შრომისა „История Византийской империи". თ. უსპენსკის შრომებში დიდი ადგილი უჭირავს ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხებს, ეხება ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის, ეკლესიისა და პოლიტიკის საკითხებსაც.

უსპენსკი პორფირი (1804-1885 წწ.) – რუსი ბიზანტინოლოგი, თეოლოგი. მის შრომათაგან აღსანიშნავია სამტომეული „ითონი", სადაც ოვი ათონის ქართული მონასტრის მრავალ საინტერესო საკითხსაც ეხება (История Афона, т. I, II, III, Киев,1877).

უსუაი (მესხური ზეტები) – ერთგვარი სურნელოვანი ბალახი, რომლის კონასაც ეკლესიაში ხმარობენ მრეელისათვის ნაკურთხი წყლის სასხურებლად.

უსძლო – რძლად არყოფილი, დაუქორწინებელი, ქალწული (ღმრთისმშობლის ეპითეტი).

უსხეულო – უხორცო, ხორცშეუსხმელი; ღმრთისა და უხილავი ძალების (ანგელოზთა, სულთა, ბოროტ ძალთა) ეპითეტი.

უშაალი – მბრძანებელი, პატრონი (ღმერთის ეპითეტი).

„უშაალო მესამასა" – პიმნოგრაფიული კანონის მეოთხე ოდის სახელწოდება, რომელიც აღებულია ფსალმუნის დასაწყისი სიტყვის მიხედვით (იხ. გალობანი).

„უშაალო ღაღადყავსა" – სტიქარონის ერთ-ერთი სახე, ცისკრის ღვთისმსახურების მცირე ფორმის საგალობელი. სახელწოდება აღებულია 140-ე ფსალმუნის პირველი მუხლის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „უფალო, ღაღად-ყავ შენდამი, ისმინე ჩემი, მოგზედენ ქმასა ლოცვისა ჩემისასა, ღაღადებასა ჩემსა შენდამი" (140,1). „უფალო, ღაღადყავსა" იგალობება 140-ე ფსალმუნის გალობათა შემდეგ (იხ. სტიქარონი).

„უშაალო შეგვიწყალენ" – იხ. კირიელეისონი.

უშლებანი – საშუალო (მეორე) იერარქიის ანგელოზთა პირველი დასი (უფლებანი, ძალნი და ქელმწიფებანი). იხ. ანგელოზი.

უშლისციხე – კლდეში ნაკეთი უძველესი (II ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ციხე-ქალაქი ქარელის რ-ნში. ციხის ტერიტორიაზე დგას ღვთისმშობლის ეკლესია შუა საუკუნეებისა, მოხატული. უფლისციხის მონასტერი იხსენიება 1392 წ. ერთ დოკუმენტში (სამ. ძეგლ. III,179).

უძიმერიონის ეკლესია – იხ. ჭუთაისი.

უცომოება – უბრალო პასუხის ქართული სახელწოდება. დღესასწაულის ქართული სახელი წარმოდგება იმ უბრალო ჩვეულებისაგან, რომ პასუხის კერაში ებრაელები ჭამენ მხოლოდ და მხოლოდ უფუარ პურს, ხმიადს, „უცომოს" ანუ ბლარჯს (იხ. ბლარჯობა).

უფუარი პური ანუ „უცომოა" რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში იხმარება სადღესწო ზარების დროს. პირველად უფუარი პური ამ მიზნით იხმარეს ებიონიტებმა, I ს. მწვალებლობა. VII ს. ზოგიერთ ესპანურ ეკლესიაში გავრცელდა ჩვეულება ეკუარისტიის შესრულებისა უფუარი პურით, რაც XI ს-ში საფრანგეთ გადდა დასავლეთის კათოლიკური ეკლესიისათვის. XV ს. ფლორენციის კრებამ დაადგინა, რომ ეკუარისტიის ჩასატარებლად შეიძლება გამოიყენონ როგორც უფუარი პური, ასევე საფუარიანი.

უძლისპირონი – სტიქარონები, რომლებსაც ძლისპირები არ გააჩნიათ და აქვთ საკუთარი რიტმი და მელოდია. „თვითაეყენი".

ᲫᲫᲝ – მთა თბილისის ახლოს, რომლის მწვერვალზე მდებარეობს შუა საუკუნეების მცირე ზომის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია.

ᲫᲐᲠᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ – ქრისტიანული ეკლესიის დღესასწაულები, რომლებიც ყოველწლიურად გარკვეულ თვეთა გარკვეულ რიცხვებში აღინიშნებიან. საუფლო დღესასწაულთაგან ასეთებია: შობა უფლისა (25.XII), ნათლისღება-განცხადება (6.I), მარხვა-მიგებება (2.II), ხარება (25.III), ფერისცვალება (6.VIII), მიძინება ყოელადწმინდა ღვთისმშობლისა (15.VIII), შობა ღვთისმშობლისა (8.IX), ჯვრის ამაღლება (14. IX), ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა (21.XI). აგრეთვე დიდი ღღესასწაულები: წინადაცვეთა უფლისა (1.I), შობა ნათლისმცემლისა იოანესი (24.VI), პეტრე-პავლობა (29.VI), თაეისკვეთა იოანე ნათლისმცემელისა (29.VIII), საფარველი ყოელადწმიდა ღვთისმშობლისა (XI). აგრეთვე წმ. მოციქულთა, მღვდელმთავართა, ეკლესიის მამათა და მოწამეთა დღესასწაულები და სხვ.

ᲫᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲮᲔ – დიდმარხვის მოსამზადებელ კვირიაკეთაგან მეორე კვირიაკე (მეზვერისა და ფარისველის კვირიაკის შემდეგ და ხორციელის წინ). ასე ეწოდა იმის გამო, რომ ლიტურგიაზე ამ დღეს იკითხება სახარების იგავი უძღები შვილის შესახებ (ლუკა XV, 11-32), იგავის აზრი ისაა, რომ ცოდვილის სინანული და ქრისტეს სამწყსოში დაბრუნება არის „დიდი სიხარული ცათა შინა“. უძღების კვირიაკის განგება წერია „მარხვანში“.

ᲫᲕᲔᲠᲐ – სოფელი ონის რ-ნში, მდ. რიონის ორიეე ნაპირზე, ონიდან 17 კმ. ვაბუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ამის ზეით არის უწერა, რიონის ორსაე კიდესა ზედა. აქა რიონის ჩრდილოეთ არის ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარას შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი და იტყუან თამარ მეფისასა“ (ქართ. ცხ. IV,768, 4-6).

ᲫᲕᲘᲓᲔᲡᲘ – უმაღლესი სასულიერო პირის (პატრიარქის, პაპის) ტიტული, მისადმი მიმართვის ფორმა.

„ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡᲐᲗᲐ“ – ეფრემ მცირის ორგინალური თხზულება (ხელნწ. A 24, XI ს., 145-147), რომელშიც მოხმობილია ბერძნული წყაროები ქართლში ქრისტიანობის გაერცელების შესახებ. თხზულება სპეციალურად დაიწერა ქართული ეკლესიის აეტოკეფალიის დასამტკიცებლად და ბერძნული ეკლესიის მესვეურთა უსაფუძვლო ბრალდებების გასაბათილებლად (გამოაქვეყნა თ. ბრეგაძემ, თბ., 1959 წ.).

ᲫᲮᲠᲬᲔᲚᲘ – გაუხრწნელი, უკედაეი, წმინდა (ღმერთისმშობელის ეპითეტი).

ᲫᲮᲔᲗᲐᲜᲔᲡ ᲬᲠᲐᲮᲐᲔᲚᲘ (ედესელი) – X ს. სომეხი ისტორიკოსი, ურჩას ეპისკოპოსი, აეტორი ცნობილი შრომისა „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (თხზულებების ტექსტი და მისი ქართული თარგმანი გამოკლეეიოურთ გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1975 წ.). უხტანეს VII ს. წყაროების გამოყენებით (ძირითადად „ეპისტოლეთა წიგნისა“) ერცლად აქვს გადმოცემული ქართული და სომეხური ეკლესიების ურთიერთობა და მიზეზები XII ს. დასაწყისში მომხდარი საეკლესიო განხეთქილებისა ქართველთა და სომეხთა შორის. თხზულება მრაელად შეიცავს სხვა ისტორიულ ცნობებსაც აღმოსაელეთ საქართველოსა და ამიერკაეკასიის ქეეყნების შესახებ.

ᲫᲬᲐᲠᲛᲐ – სოფელი საგარეჯოს რ-ნში, რომლის მახლობლად არის ისტორიული ციხე-ქალაქის ნანგრეეები, აგებულია ვახტანგ გორგასლის დროს. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია V ს. გამოქვაბული ეკლესია „ჯვარი პატიოსანი“, რომელიც განეთარებულ შუა საუკუნეებში გაუფართოებიათ და მოუხატავთ XVI ს-ში. უჯარმის მიდამოებშიე დგას ავალიშეილების ეკლესია XVIII ს. ლაპიდარული წარწერით.

ᲫᲬᲐᲠᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ – იხ. სალომე უჯარმელი.

ფ

ფაენისი – ისტორიული ტერიტორია შიდა ქართლში, რომელიც დღეს კასპის რ-ნის სოფ. ახალქალაქს (ყოფილი წითელი ქალაქი) უჭირავს. სოფლის მახლობლად, მდ. თეძმის მარჯვენა ნაპირზე დგას X ს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელსაც ფაენისის ეკლესიასაც უწოდებენ. ეკლესიის სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები XII ს. მიეკუთვნება. ეკლესიის შიდა სივრცე პილასტრების ერთი წყვილით ორ ნაწილად არის გაყოფილი. პილასტრებზე აბოყვანილია კამარის საბჯენი თაღები. აღმოსაველეთით ფართო აბსიდია. აღმოსაველეთ ფასადზე 2 რელიეფად ფილაზე გამოსახულია გველი, რომელიც ნთქავს სფეროს (მზე ან მთვარე). ეკლესია შიგნით შელესილი და მოხატული ყოფილა. მოხატულობის უძველესი ფენა X ს. მიეკუთვნება. XII ს. 80-იან წლებში ეკლესია ხელმეორედ შეულესავთ და მოუხატავთ. ორივე ფენის მოხატულობა მხოლოდ ნაწილობრივ არის შემონახული. ფაენისის ეკლესიის მოხატულობის მეორე ფენა მაღალმხატვრული და დახვეწილია. იგი საუბნით შეესატყვისება ქართული ხელოვნების, კერძოდ, ფერწერის განვითარების ბრწყინვალე ხანის (XII სს. II ნახ.) სტილს.

ფალა – ადგილი მესტიის რ-ნში ს. ლეზგარას და ტვიბერს შორის, სადაც დღეს წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებია დარჩენილი. აქ აღმოჩნდა (1975 წ.) XI ს. წარწერიანი ქვის ფილა (მესტიის მხარეთმც. მუზეუმი): „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ცოდვილი– ბერი" (ლას. წარწ. II, 117).

ფანიანი – სოფელი სიღნაღის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, სიღნაღიდან 23 კმ. სოფლის მახლობლად დგას შუა საუკუნეების მოხატული ეკლესია „ამაღლება".

ფანტინე ბასილოფიდელი – ათონის ქართველთა მონასტრის საიაკე წიგნში (A 558, XI ს.) სექტემბრის 23 აღაპი (№112) აქვს დადებული ფანტინე ბასილწმიდელს: „აღაპი არს ფანტინესი ბასილწმიდელისაჲ. აელო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა და ერთი პირი განუტეეა, ვიდრე ცოცხალ იყო, ააშენა. ხუთასისა მოდისა ყანაჲ შეჰმატა სყიდით და იყიდა ვენაკი ათასისა მოდისაჲ, სახლი და ეკლესიაჲ ჭურჭლითა მოაშენა და მოგუცა ორასი დრაკანი. ამის ყოველისათჳს გარდაიქცეთლის აღაპი მისი, ძალისაებრ ყოველთა მოსწრაფებითა" (ე. მეტრეველი, „საიაკე წიგნი", გვ. 164).

„ფარავანა" – X-XI სს-ის ეკლესია ნინოწმიდის რ-ნის სოფ. როდიონოვკაში (ძე. ფარავანი), ფარავნის ტბის ნაპირზე, რომელშიც შემორჩენილია მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები.

ფარაფთონი (ბერძნ.) – ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ტერმინი, რომლის ქართული შესატყვისია „მოსართავნი" და რომელიც გვხვდება შრომად უძველეს იადგარებში: (Sin. 1; Sin. 34 და მიქელ მოდრეკილის იადგარში S 425): „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი და ოხთანი დღესასწაულთა სათქმელნი, თქმულნი წმიდისა კოზმანისნი, თარგმნილნი გლაბაკისა მაკარისანი" (S 425, 269-272). ფარაფთონ-მოსართავნი ეწოდება საუფლო დღესასწაულებზე დამატებით სათქმელ შესხმებს აერთად. ზემოთ დამოწმებული ადგილის მიხედვით კონკრეტულად იგულისხმება: რაც ხმაზე დაწერილი ღვთისმშობლის შესხმები წარმოადგენენ საუფლო დღესასწაულებისათვის ახლად დაწესებულ ფარაფთონს, მოსართავს, ე. ი. დამატებით მოსართავად სათქმელ შესხმებს, რომელთა ერთი ნაწილის აეტორია კოზმა ორყალაშელი, ხოლო მისი ქართულად მთარგმნელი – მაკარი. მოგვიანო დროის ლიტურგიკულ ძეგლებში ტერმინი ფარაფთონი აღარ იხმარება, იგი ქართულმა ტერმინმა „მოსართავმა" შეცვალა (ე. მეტრეველი, ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა" და „მოსართავის" გაგებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, 1973, გვ. 144-154).

ფარახეთი – სოფელი ონის რ-ნში. მდ. რიონის ხეობაში, ონიდან 14 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების მოკარანგე-

ლოზის ეკლესია, რომელშიც შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ფარეზას ძე – XIII ს. ხუროთმოძღვარი. ფარეზას ძეს აუგია საფარის მონასტრის მთავარი ნაგებობა – წმ. სჯას დიდი გუმბათოვანი ტაძარი ბეკ მანდატურთუხუცესის, სარგის ჯაყელის ძის დაკვალებით. ხუროთმოძღვრის სახელი მოხსენებულია ტაძრის დასავლეთის სარკმლის წარწერაში.

ფარისველნი – ძველ ებრაელთა ერთერთი სექტის სახელწოდება. ფარისეველთა სექტა ისევე, როგორც სადუკეველთა და ესეველთა სექტები, წარმოიშვა მაკაბელთა აღორძინების ეპოქაში (დაახ. 150 წ. ქრისტემდე). იოსებ ფლავიუსი, რომელიც სადუკეველთა წრიდან იყო, სამივე სექტის ისტორიისა და მოძღვრების გაცნობის შემდეგ მიემხრო ფარისეველებს და ახასიათებს მას, როგორც ფილოსოფიურ სკოლას და ადარებს ბერძნების სტოიკურ სკოლას. ფარისეველებმა უარყვეს დამწაფის სიკეთილით დასჯა, რომელიც მოსეს კანონებით ხშირად ხდებოდა. ისევ ფლავიოსის მოწმობით, ფარისეველებს სწამთ სულის უკვდავება, იმქვეყნად სამსჯავროს არსებობა, რომელიც კეთილი საქმებისათვის ჯილდოს მიაგებს, ხოლო ცოდვილთ სამაგიერო ტანჯვას განუწესებს. კეთილი სულები ისევ აღსდგებიან, ხოლო ცოდვილები მუდმივ სატანჯველში იქნებიან დამწყვდეულნი. ფარისეველთა და სადუკეველთა 6-წლიანმა ომმა 50000 ფარისეველთა მოშრე შეიწირა ალექსანდრე იანას მეფობაში. გადარჩენილებმა სხვადასხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი. ფარისეველთა საუკეთესო დრო იყო ალექსანდრე იანას ქვრივის – სალომეა-ალექსანდრეს 9-წლიანი მმართველობა, რომლის დროს ქვეყნის ფაქტიური მმართველი მისი ძმა სიმონ ბენ-შატახი იყო, ენერგიული და ჭკვიანი პოლიტიკოსი, რომელმაც შეარგა მოქიშპენი. ეს დრო ხანმოკლე აღმოჩნდა: სალომეას სიკვდილის შემდეგ დაიწყო ტახტისათვის ქიშპობა მის შვილებს შორის, რაც დამთავრდა შუამავალ-მოსამართლედ რომის მხედართმთავრის, პომპეუსის მოწვევით, რომელმაც იხარგებლა მომენტით და იუდეა რომის ხელისუფლებას დაუმორჩილა. ერთ-ერთი მიზეზი ამისა ისიც იყო, რომ ფარისეველები დამყარებულს მოსეს კანონზე მყუდრო და წყნარ ცხოვრებას, პოლიტიკურ თავისუფლებაზე მაღლა აყენებდენ. პერიოდის დროს (37-4 წწ. ძვ. წელთაღ.) ფარისეველთა პოლიტ. როლი მთლიანად გაქრა და მათ მთელი საქმიანობა კანონების კვლევას დაუთმეს. ამ დროს ეკუთვნის ცნობილი გილელის (75 წ. ძვ. წ. – 5 ახ. წ.) მოღვაწეობა, რომლის სახით ფარისეველებმა მიაღწიეს განსაკუთრებით უმაღლეს დონეს. მისი ფორმულა ასეთი იყო: „რაც შენთვის უსიამოვნოა, არ გაუკეთო სხვა მოძმეს – აი, მთელი კანონი, დანარჩენი – მხოლოდ კომენტარია". იერუსალიმის დაცემამდე რამდენიმე წლით ადრე ფარისეველთა წრიდან ორი პოლიტიკური პარტია გამოეყოდა: მშვიდობის მოყვარე გილელიანელები, რომლებიც მოუწოდებდნენ რომთან მშვიდობიანობისაკენ, შამანტების მიერ ჩამოყალიბებული ზილოტების (მოშურნეთა) პარტია, რომლებიც ინიციატორები იყვნენ რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებისა, რამაც საბოლოოდ მოსპო იუდეა (70 წ. ახ. წ.). ერთმა ფარისეველმა ჩამოაყალიბა საღვთისმეტყველო სკოლა იამნაში, რომელმაც საფუძველი დაუდო თალმუდის ებრაელობას.

ფარისეველები ზშირად მოიხსენიებიან სახარებაში იესო ქრისტეს მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდებთან დაკავშირებით.

ფარნავაზ – VI ს. II ნახევრის ხელოსანი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ბოლნისის სიონის მშენებლობაში, კერძოდ, ტაძრის ჩრდილოეთის კარის შებმაში, როგორც ეს ალნიშნულია 494 წლის კარის ბალავრის ქვედა მხარეზე გამოქანდაკებულ ერთსტრიქონიან ასომთავრულ რელიეფურ წარწერაში: „შენწენითა ქრისტესითა მე ფარნავაზ და ახარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად [ჩუენთა და შეილთა ჩუენთა]".

ფარნავაზ მეშე – ქართლის პირველი ქართველი მეფე ძვ. წ. აღ. III ს-ში. ფარნავაზს აუგია არმაზის ქერპი: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თუსა: ესე არს არმაზი, რაჲთუ ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქუა" (მას დედა სპარსელი ჰყავდა – ქართ. ცხ. I, 25). ქართული წყაროებით ფარნავაზს მიეწერება ქართული დამწერლობის შემოღება: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაჲთაგანი. ამან განაკრძო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (ქართ. ცხ. I, 26).

ფარნაკოს მოწამე – რომაელი მოწამე, ეწამა ქრისტიანობისათვის მაქსიმიანე იმპერატორის (284-305) დროს თაეის ეკუს ძმასთან (ორენტიოსის, ეროტიოს, ფირმოს, ფირმინოს, კეირიაკოს და ლონგინოზ) ერთად. ძმები

რომაელთა ჯარის მეომრები იყვნენ. სკვითების შემოსევის დროს ერთ-ერთმა ძმამ, ორენტიოსმა, რომელიც ფარულად ქრისტიანი იყო, ორთაბრძოლაში დაამარცხა სკვითების ბელა-დი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად იმპერატორმა ზეში გამართა და კერპებისათვის სამსხვერპლოს შესწირვაზე ორენტიოსიც მიიწვია. მან მსხვერპლის შეწირვაზე უარი თქვა და აღიარა ქრისტეს სარწმუნოება. ასევე მოიქცნენ მისი ძმებიც. იმპერატორმა ძმების კაეკასიაში გადასახლება ბრძანა, მაგრამ, გზაში დაიღუპნენ. მოწამე ფარნაკოსი გარდაცვალა 3 იულისს კორდილიაში. მოწამე ძმების „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსის მიერ უნდა იყოს შედგენილი ბერძნულად XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 227-241; გამოც. კ. კეკელიძის მიერ, ეტიუდები..., IV, თბ.,1957, გვ.310-323). მოწამეთა ხსენება ქართული თარგმანის მიხედვით 23 იენისსა დადებული, სხვა წყაროებით – 24 იენის.

ფარსმან მეფე – ქართლის 29-ე მეფე V ს-ში, ძე ვარაზ-ბაქარისი. ლეონტი მროველის ცნობით, „ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მქედარი შემმართებელი; აღარა მისცა სპარსთა სახლი და განამრავლნა ჯუარნი და განახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა" (ქართ. ცხოვ., I, 138).

ფაცი – სოფელი ლენტეხის რ-ნში, მდ. ხელედულის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, ლენტეხიდან 6 კმ. სოფელში არის განეითარებული შუა საუკუნეების ღვთისშობლის ეკლესია „ლამარა". სოფ. ფაცოდან არის სკალდის მაცხოვრის XI ს. ხატი.

ფებრონია – მონაზონი ქალი, მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარი IX ს-ში. გრიგოლ ხანცთელის თანამოღვაწე და მეგობარი. ფებრონია კლარჯეთში სამცხიდან მოსულა. „ღირსად ცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღვარ" – ასე ახასიათებს მას გიორგი მერჩულე (ძეგლ. I, 261).

ფებრონია მოწამე – ეწამა ქრისტინიანობისათვის დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს. ფებრონია იზრდებოდა ქ. სიბაალის (სირიის ოლქი) დედათა მონასტერში, რომლის წინამძღვარი იყო ფებრონიას დედა ვრიენა. ღირსეულმა მოღვაწეობამ და გულმდგინე ლოცვა-მარხულობამ ფებრონიას სახელი გაუთქვა. მასთან მოსული წარმართები მისი დამოძღვრის შემდეგ ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდნენ. დიოკლეტიანე იმპერატორის მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს მონასტერში მოვიდნენ მეომრები, რომელთაც იქ მხლოდ სამი მონაზონი ქალი და, მათ შორის, ფებრონია ნახეს და წარუვლინეს თავიანთ უფროსს – სელინს. ქალის სილამაზით მოხიბლულმა მას თავისი ძმისწულის ცოლობა შესთავაზა და სხვა სიმდიდრესაც დაპირდა, თუკი ფებრონია უარყოფდა ქრისტიანობას და მსხვერპლს შესწირავდა კერპებს. წმ. ფებრონიამ ყველაფერზე უარი თქვა, რისთვისაც საშინელი ტანჯვა დატყდა თავს. სასტიკი ცემის შემდეგ მას ენა ამოჭრეთს, კბილები ჩაუმტვრიეს, ხელ-ფეხი მოაჭრეს და ბოლოს თავი მოჰკვეთეს, დაახ. 304 წ. სელინის ძმისწულმა ლისიმაქმა მოამზადა კიდობანი, ჩადო ფებრონიას გვამი და მის მონასტერში მიიტანა, ხოლო თვითონ ქრისტიანობა აღიარა. წმ. ფებრონიას წამების დღეს მონასტერში დიდი დღესასწაული იმართებოდა. მოწამის წმ. ნაწილები საკვირველ სასწაულებს ახდენდნენ. ფებრონიას „წამება" აღუწერია მათი წამების მოწმე მონაზონ ქალს თომაიდას. 363 წ. ფებრონიას წმ. ნაწილები კონსტანტინეპოლში გადასვენეს. წმ. ფებრონიას გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ იაკობ ნიზიბინის ეპისკოპოსმა აიშენა წმ. ფებრონიას ეკლესია და ერთი ნაწილი წმ. ნაწილებისა იქ გადაასვენა.

ფებრონიას „წამების" ორი თხზულებაა ქართულად თარგმნილი. კიმენური თხზულება (A 95, XI ს., 305-319; Sin. 6, 981 წ., 184-200v; ბოდლ. 1, XI ს., 181-193 და სხვ.) თარგმნილი უნდა იყოს X საუკუნემდე, ხოლო მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსის მიერ უნდა იყოს შედგენილი კიმენური „წამების" საფუძველზე XI ს. ბოლოს, ქართულად უთარგმნიათ XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 256-282). უნდა არსებულიყო ფებრონიას „წამების" კიდევ ერთი თარგმანი, შესრულებული ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, როგორც ეს აღნიშნულია „იოანესა და ეფთვმეს ცხოვრებაში": „თარგმნა... წამებაჲ წმიდისა ფებრონიაჲსი", რომელიც ჩვენამდე A 790, 990 წ. 1-7 ხელნაწერში უნდა გვქონდეს (თაბალო-ნაკლული). წმ. ფებრონიას ხსენების დღედ 24 და 25 იულისია დადებული.

ფელონი // ფილონი (ბერძ.) – თეთრი, გრძელი და განიერი უსახელო სამღვდელო სამოსელი. ძველად ფელონი იყო ზარის ფორმის მრგვალი ტანსაცმელი, რომელსაც მხ-

ოლოდ თაეზე ჩამოსაცმელად პქონდა ჭრილი. თანამედროვე ფელონს წინ დიდი ჭრილი აქვს. ღვთისმსახურების დროს მღვდელი მაღლა ხელების აწევა-დაწევით ფრთების მსგავსად აღნიშნავს ანგელოზურ ხარისხს, ხოლო შერულებული მოქმედება უჩვენებს ღვთისმსახურების ძალას, რომლის საშუალებითაც ღვთისმსახური ასრულებს საიდუმლოს. ფილონის შემოსვისას ღვთისმსახური წარმოთქვამს ფსალმუნის სიტყვებს: „მღდელთა შენთა, უფალო, შეიმოსონ სიმართლე და წმიდანი შენნი იხარებდენ“. ფილონის გარეშე, მხოლოდ ეპიტრახილში, მღვდელი ასრულებს შედარებით ნაკლებ საზეიმო მსახურებას (მცირე მწუხარი, სერობა ღამისთევის გარეშე, შეაღამის მსახურება, ჟამნი, როცა სახარება არ იკითხება და სხვ.). საზეიმო მსახურების დროს ხუცესი აუცილებლად ფილონით იმოსება (ნათლისღება, მარონცხება, ქორწინების კურთხევა, ზეთის კურთხევა, დიდი მწუხრისა და ცისკრის მსახურება და სხვა). ფილონის ხმარება ალმოსავლეთში ქრისტიანობამდეც იყო ცნობილი. მას ატარებდნენ სხვა სამოსლის ზეიდან, წვიმის, სიცხისა და სიცივისაგან თავის დასაცავად. სიმბოლურად აღნიშნავს სამოსელს, რომელიც ემოსა იესო ქრისტეს ჯვარცმის დროს.

ᲫᲘᲠᲐᲫᲔ ᲑᲠᲘᲒᲝᲚ (1899-1945 წწ.) – საქართველოს ეკლესიის წმინდანი, მოწამე. საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მღვდელმსახური, თეოლოგი, ისტორიკოსი. მისი მეცნიერული კვლევის საგანი ძირითადად იყო ქართული ეკლესიისა და საეკლესიო მწერლობის საკითხები: მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო: „მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“. ბერძნულ სასტრიარქო ბიბლიოთეკაში გამოაქვეყნა 162 ქართული ხელნაწერი, ხოლო პოლონეთის მართლმადიდებლურ მონასტრებში – ისტორიული, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, 1936 წ. მან მიაკვლია გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონს, ათონის მთაზე შეიძინა 15 ქართული ხელნაწერი. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ენაზე გამოაქვეყნა: „ეპისტოლე წმ. დიონისისონი ბრძენმთავრისაჲ და ათინელთა მთავრებისკოპოსისაჲ“ („ჯვარი ვაზისა“, პარიზი, 1931, №1), „გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში“ (ქართ. წარმართობის შესახებ), „ძველქართული ლიტერატურა და მისი პრობლემა“, „ძველ-ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“, „ბიბლიის ქართული თარგმანის საკითხთა პრობლემა“, ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემა“, „ბიზანტიამდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის“, „ქართველი ბერები და მონაზვნები პალესტინაში“. მან ძველბერძნულიდან თარგმნა „ქებაჲ ქებათაჲ“, ქართულიდან ინგლისურად – კ. კეკელიძის „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. გრიგოლ ფერაძე დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში. იგი თავისი სურვილით შეიდა მრავალშვილიანი მამის ნაცვლად. საქართველოს ეკლესიამ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა (იხ. გ. ჯაფარიძე, გრიგოლ ფერაძე, თბ., 2003; ნ.პაპუაშვილი, გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, თბ., 2005).

ᲫᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ – მართლმადიდებლური ეკლესიის ერთი „ათორეტ“ საუფლო დღესასწაულთაგანი. იგი უკავშირდება ოსო ქრისტეს ქეენური ცხოვრების უკანასკნელი წლის იმ ეპიზოდს, როდესაც მან უწინასწარმეტყველა მოციქულებს თავისი ენებისა და სიკვდილის მოახლოების, ჯვარცმა იერუსალიმში და განუმტკიცა რწმენა, რომ მისი ენების დროს არ ცდუნებულიყვნენ, ამიტომ ზოგიერთ თავის მოწაფეს, კერძოდ პეტრეს, იაკობს და იოანე მოციქულებს ჭეკნა თავისი საუფლო დიდებით თაბორის მთაზე, სადაც ისინი აეიდნენ სალოცავად. ლოცვის დროს მაცხოვრის სახე განბრწყინდა, როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში. თაეიდან მოწაფეები რულმა მოიცა და რიდესაც გამოეზიდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამადმერთის ხმა: „ეს არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“ (მარკ. 9,7). ფერისცვალების ეპიზოდი აღწერილია სახარებაში: მათე XVIII, 1-13; მარკოზი IX, 1-12; ლუკა IX, 28-36.

ფერისცვალებას მართლმადიდებლური ეკლესია დღესასწაულობს 6 აგვისტოს, აქეს ერთი დღესასწაულის წინადღე – 5 აგვისტო და დღესასწაულის მომდევნო შვიდ დღე; დღესასწაულის წარგზავნა – 13 აგვისტოს. ფერისცვალების დღესასწაულის დროს ხდება ყურძნისა და სხვა ხილის კურთხევა ლიტურგიის ბოლოს.

კათოლიკური ეკლესია ამ დღესასწაულს მხოლოდ 1457 წლიდან – პაპი კალიქტუს III-ის ბრძანების შემდეგ დღესასწაულობს.

ᲫᲔᲠᲡᲐᲗᲘ – სოფელი ბაღდათის რ-ნში, მდ. ხანისწყლის მარცხ. მხარეს, ბაღდათიდან 4

კმ. სოფლის მიდამოებში (სალხინო) დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

„ᲭᲔᲠᲙᲝᲕᲐ ᲑᲐᲜᲐ“ – საეკლესიო საღვთისმსახურო რიტუალი იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც მან ხუთშაბათ დღეს, ჯვარცმის წინადღით, საიდუმლო სერობის დროს ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს – მოციქულებს და აზიარა ისინი თავის სისხლსა და ხორცს (იოანე XIII,4). ძველი აღმოსაელური ტრადიციით (მოხსენიებულია ძველ ალთქმაშიც – XVIII, 4), ბერძნებთან და ინდოელებთან არსებობდა სტუმრისათვის ფეხების დაბანის ტრადიცია, რაც იყო სიმბოლო თავდაბლობისა და სიყვარულისა.

მართლმადიდებელურ ეკლესიაში „ჭერკოვბანის“ რიტუალი ძველად სრულდებოდა ყველა ეკლესია-მონასტერში (ამჟამად – მხოლოდ საეპისკოპოსო ტაძრებში) დიდ ხუთშაბათს, ლიტურგიის შემდეგ. ეკლესიის სტოაში. რიტუალში მონაწილეობდა 12 ძმა 12 მოციქულის აღსანიშნავად. განსაბანი ძმები პირველ ადგილს უთმობდნენ შეკარეს, რომელიც გამოხატავდა იუდას, ხოლო ბოლოს – იკონომოსს, რომელიც მოციქულ პეტრეს განასახიერებდა. „ჭერკოვბანის“ რიტუალის დროს იკითხება სახარების სათანადო მონაკვეთი.

ᲭᲔᲨᲮᲔᲛᲘ // ᲭᲔᲨᲮᲔᲛᲘ (ამჟამად უფრო **ᲭᲔᲨᲮᲣᲛᲐᲓ** მოიხსენიება) – წმინდა ჭურჭელი, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში იხმარება ჟამისწირვის (ლიტურგიის) დროს. ესაა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული, ქვესადგამიანი თეფში, რომელზედაც შუადება, იკურთხება და განიტენება წმ. ტარიგი (ქრავი), ე. ი. სეფისკვერის ნაწილი, რომელიც ეკლარისტიის საიდუმლოს დროს სულიწმინდის მოქმედებით გადაიქცევა იესო ქრისტეს ხორცად. ჭეშხეში ქრისტიანულ ეკლესიაში იხმარება უძველესი დროიდან – წმ. მოციქულის იაკობის ჟამისწირვიდან დაწყებული. ეს წმინდა ჭურჭელი, საეკლესიო ძამების განძარტების თანახმად, გამოხატავს ბაგას, რომელშიც იწვა ახლადშობილი იესო ქრისტე, ასევე კუბოს, რომელშიც ჩაასვენეს მაცხოვარი ჯვრიდან გარდამოხსნის შემდეგ. ჭეშხეშთან ერთად ჟამისწირვისას იხმარება წმ. ბარძიმიც, ამიტომ ქართულ საღვთისმსახურო წიგნებში „ბარძიმ-ჭეშხეში“ ერთ ტერმინად მოიხსენიება.

ᲕᲘᲐᲚᲐ (ბერძ.) – საეკლესიო წმინდა ჭურჭელი, რომელშიც განცხადების (ნათლისღების) წინა დღეს ხდება წყლის კურთხევა.

ᲕᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲝᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – ეწამა ქრისტიანობისათვის 251 წელს, დეკეოს იმპერატორის დროს, ძმებთან – ალფეოსა და კვირინოსთან და კიდევ 16 სხვა მოწამესთან ერთად. ფილადელფოსი და მისი ძმები იყვნენ იტალიის მმართველის, ვიტელიუსის შვილები და ნათელღებულნი ქრისტიანული სარწმუნეობით წმ. ონისიმეს მიერ. იმპერატორ ლიკინიოზის დროს გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს ძმები დაპატიმრეს და მათ მოძღვარ ონისიმესთან, წმ. ერაზმთან და კიდევ სხვა 14 ქრისტიანთან ერთად რომში წაიყვანეს. აქედან წმ. მოწამეები ალფეოსი, ფილადელფოსი და კვირინოსი სიცილიის ქალაქ მესინაში გადაასვენეს, სადაც აწამეს კიდეც: წმ. ფილადელფოსი რკინის სარეცელზე დაწვეს, კვირინოსი – რკინის ტახტზე, ხოლო ალფეოსს ენა ამოაჭრეს და სისხლისგან დაიცალა. ალფეოსის, ფილადელფოსისა და კვირინოსის ერთობლივი „წამება“ ქართულად უთარგმნია ეფუმიძე მთაწმიდელს X-XI სს-ის მიჯნაზე (A 129, XII-XIII სს., 279-315. Ath. 7, XIII ს. 16-228). მოწამეთა ხსენება 10 მაისსაა დადებული.

ᲕᲘᲚᲐᲙᲘᲐᲜᲔᲡᲘ – პრებენელი ეპისკოპოსი V ს. I ნახევარში. ქართული თარგმანით მოღწეულია ფილაკანოსის ეპისტოლე: „პეტროსის მიმართ ეპისკოპოზისა ანტიოქელისა, თუ ვითარ ყოველ არს უარისყოფაჲ არიოზისი წმიდისა სამებისა ერთსწორებისა და უკუდაჲი იგი სიტყუაჲ თქუმულ ჯუარცუმულად და არაჲ ორთა ბუნებათაგან ერთი ბუნებაჲ ქრისტესი“ (A 735, 30-35).

ᲕᲘᲚᲔᲙᲢᲘᲐᲜᲔᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – ეწამა ქრისტიანობისათვის გორდიანე იმპერატორის (238-244) „შეშვიდება წელსა“, ე. ი. 244 წ. ფილეკტიანოსის „წამება“ დაუწერია გორდიანე მეფის „ბჟეთმწიგნობარს“ ალექსანდრეს.

ფილეკტიანოსის „წამების“ კომპილური თხზულება ქართულად თარგმნილია დაახლ. IX ს-ში და მოღწეულია X ს. ერთადერთი ხელნაწერით (Ath. 8; ტექსტი გამოც.: კომენი, I, 133-160). ამ სახელის მქონე მოწამე მხოლოდ დასახელებული ქართული თარგმანით არის ცნობილი. ქართული თარგმანის მიხედვით მოწამის ხსენება დადებულია 12 მარტს.

ᲕᲘᲚᲘᲞᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – ეწამა ქრისტიანობისათვის დიოკლეტიანე იმპერატორის (284-305) დროს ანტიოქიაში. წარმართთა დასმენით იგი წარადგინეს იმპერატორის წინაშე. ყოველგვარი დაპირებანი და ცდა, რომ ფილიპესს უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და წარმართობას

დაბრუნებოდა, უშედეგოდ დასრულდა. მოწამე ლახვრებით განგმირეს. ფილეთეოსის „წამების" კიმენური თხზულება, რომელიც თავდაპირველად კოპტურ ენაზე უნდა დაწერილიყო, მხოლოდ ქართული თარგმანის სახით არის შემორჩენილი (Jer. 14, XIII ს. 284-233; Jer. 20, XII-XIII სს., 284-293). მოწამის ხსენების დღედ 12 იანვარია მითითებული. მიქელ მოდრეკილის „რადგარშიც" (S 425) ფილეთეოსის სავალდებულო შეტანილია 12 იანვარს.

ფილემონ მენესტუე – ეწამა ქრისტიანობისთვის დიოკლეტიან იმპერატორის დროს (284-305) ეგვიპტეში, ქ. ანტინოეში წმ. არიანესა და ათოლონოსთან ერთად. წმ. ათოლონოსს შეეშინდა წამებისა და სთხოვა წარმართ მუსიკოსს ფილემონს, გადაეცცა მისი ტანსაცმელი და მის მაგიერ შეეწირა კერპებისათვის მსხვერპლი. ფილემონი დათანხმდა, მაგრამ უეცრად მან იწამა ქრისტე და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა. ათოლონოსს შერცხვა და მანაც მიბაძა ფილემონს. მოწამეები საშინელი ტანჯვა-წვალებით აღესრულნენ 286 წ. 16/III.

ფილემონ მენესტუეს „წამების" კიმენური თხზულება თარგმნილია ქართულად არა უგვიანეს IX ს-ისა და მოღწეულია X ს. ერთადერთ ხელნაწერში (Ath. 8, 294-302). მოწამის ხსენების დღედ ქართული თარგმანი 10 მაისს მიუთითებს, ხოლო სხვა წყაროები – 14 დეკემბერს.

ფილიმონ ეპისკოპოსი – ხობის ეპისკოპოსი XVIII ს. I ნახევარში. მოხსენიებულია ბესარიონ იმერეთის კათოლიკოსის 1753 წ. წერილში რუსეთის სინოდისადმი: „ესე ფილიმონ ეპისკოპოზი ჩემ მიერ... კელდასხმულ იქმნა ეპისკოპოსად... მონასტერთა ხოფისასა... აწ დამეთხუა ამა მიზეზით, რომელ... ოსმალონი ბილწნი... ჩამოეიდნენ ქუეყანასა ჩუენსა... შეშინდა და დაგეთხოვა და აღარც ჩუენ დავუშალეთ... ქცსა ჩღნგ (-1753) აგვისტოსა იდ" (14). 1753 წ. ფილიმონი მოსკოვს მიემგზავრება, როგორც ზემომოყვანილი წერილიდან ჩანს (ბესარიონს აღნიშნული წერილი ფილიმონის ხელით გაუგზავნია). ფილიმონ ეპისკოპოსის შესახებ შემდეგ არაფერია ცნობილი.

ფილიპე – IX-X სს. ქართველი ჰიმნოგრაფი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, პალესტინაში, ბეთლემის ახლოს, წმ. თეოდორეს მონასტერში მოღვაწეობდა. ფილიპეს ღვთისმშობლისადმი მიეძღვნია ცამეტსტრიქონიანი აკროსტიქული იამბიკო, რომლის კოდურდაწერილობა ასე იკითხება: „ფილიპე ბეთლემი". იამბიკო დაცულია სინის მთის X ს. ხელნაწერში (Sin. 59). თხზულება გამოაცემინა ნ. მარმა სინის მთაზე ყოფნის დროს 1902 წელს იე. ჯავახიშვილთან ერთად და მანვე გამოსცა 1910 წელს. შემდეგ რამდენჯერმე დაიბეჭდა (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, II, გვ. 349 და სხვ.).

ფილიპე – რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი:

1. ალავერდის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში. ფილიპე კახეთის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ერთგულების წიგნს აძლევს დომენტი კათოლიკოს-პატრიარქს დასხ. 1556-1560 წლებში (Ad 1892, სამ. ძეგლ. III, 269). ფილიპე ალავერდელი მწიგნობრობით დაინტერესებული მღვდელმთავარი ყოფილა. მან ალავერდის კათედრალს შესწირა ეფრემ მცირის თარგმნილი სამოციქულო (რომელშიც არსენ იყალთოელის იამბიკოებიც არის შეტანილი – Ad 482). დაჯილდოვა მეფე (†1602 წ.) გვაუწყებს, რომ ფილიპე ალავერდელისა და ზაქარია ბოდბელის რჩევით მას დაუწყია „ქილილა და დამანას" თარგმნა სპარსული ენიდან". ფილიპეს და ზაქარიას იგივე დავით მეფე ასე ახასიათებს: „ლირსნი და წარჩინებულნი და წარმატებულნი იყუნეს წიგნთა სამეცნიეროთა სულ-აღძერით მოყუარე, გარნა მრავალნი წიგნნი საფილოსოფოსო ჰქონდა წმიდათა მამათა მიერ თარგმნილნი" (ძვ. ქართ. ლიტ. ისტ. კრებ. II, 338).

2. კაწარეთის ეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში. ფილიპე კახეთის სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ერთგულების წიგნს აძლევს ნიკოლოზ კათოლიკოს-პატრიარქს (დასხ. 1562-1588; Ad 64; სამ. ძეგლ. III, 344).

3. რუისის ეპისკოპოსი (თაქთაქიძე) XVII ს. I ნახევარში. ფილიპე მოიხსენიება თირის მონასტრის 1622 წ. მხედრულ წარწერაში: „ჩუენ თაქთაქიძემ მროელ ეპისკოპოსმან ფილიპემ... აღვაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა, ოდეს ბედნიერის კელმწიფისაგან ჩუენს ნათესავსა სასაფლაოდ სამკუდროდ და სამშობლოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მაშა-პაპანი მარხულ იყუნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა და ეს ეკკლესერი ავაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ ქცსტი (= 1622 წ., ქრონიკები. II, 445).

4. დრანდის ეპისკოპოსი XVIII ს. დასწყისში. ფილიპე იხსენიება იმ მღვდელმთავრებს შორის, რომლებიც გიორგი იმერთა მეფის დროს 1605-1609 წლებს შუა შეგრებილან დასაელეთ საქართველოში გავრცელებული უსჯულოების და, განსაკუთრებით, ტყეცა ყოდეა-გაყიდვის

ალმოსაუხერელად: ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ჟამთა ამათ შინა... იქმნა განტევება ცოლთა, კლეა კაცთა და იდუმალ ტყუა ყოდეა და უჯერონი სჯულისა ზედა მრავალნი იძერეს შინა. ამისთჳს შეერბნენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ეფდემონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იძერეთ-იდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყუნენ: ქუთათელი სუმონ, გენათელი ანტონ... დრანდელი ფილიპე“ (ქართ. ცხ. IV, 824).

5. ხარჭაშელი ეპისკოპოსი XVIII ს. I ნახევარში. ფილიპეს კახეთის სხვა მღვდელმთავრებთან ერთად პირობის წერილი მიუცია ვახტანგ VI-ისათვის 1720 წ. (Hd 1433; სამ. ძეგლ. III,700).

6. ურბნისის ეპისკოპოსი XVIII ს. შუა წლებში. ფილიპე ურბნელი მონაწილეობდა 1748 წელს ერეკლე II-ის ინიციატივით მოწვეული ალმოსაველეთ საქართველოს მამამთავართა საეკლესიო კრების საქმიანობაში და ხელს აწერს (მე-12 ხელმოწერა) კრების დადგენილებებს (Q 412, 1-8; სამ. ძეგ. III, 804).

7. ალმოსაველეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. XVIII ს. II ნახევარში. ეს არქეული 1800 წ. ერთი საბუთიდან (ცსსა ფ. 1448, სამ. 5188), რომლის მიხედვით საბუთის გაცემაზე აღრე გიორგისათვის „ყოველჯ სამღედელო ფილიპეს“ სამთავნელობა (ე. ი. სამთავისის ეპისკოპოსობა) უბოძებია (სამ. ძეგ. III, 1061). ეს აქტი შეიძლება მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქს შეესრულებინა. სხვა წყაროებით ფილიპე კათოლიკოსი ცნობილი არ არის.

ფილიპე – რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი (ბარათაშვილი) XVI ს. შუა წლებში. ფილიპეს 1559 წ. დაუწერია ქართლის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (Ad 1572), რომელსაც ალექსანდრე კახთა მეფე ამტკიცებს (სამ. ძეგლ. III, 268). ფილიპე მღვდელმონაზონი, შესაძლებელია, შემდეგში ალაგერდელი ეპისკოპოსი გამხდარიყო.

2. ქართველი მონაზონი (შაქარაშვილი), პილიგრიმი, 1567 წელს იგი ეწვია იერუსალიმს და იქ პატრონის მიერ მიცემული „საიერუსალიმო თეთრი“ ჩაიტანა (ალაპი 112). იგი სამცხიდან 1565 წელს გაემგზავრა. წელიწადნახევარი მან ჯვარის მონასტერში გაატარა; დიდი დახმარება გაუწია იერუსალიმის საკანეებს: გოლგოთას, კათამონს, გიორგის ეკლესიას და სხვა. ზოგიერთი მათგანი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგსაც დაგირავებული ბარძიმ-ფეშხუში დაუხსნა (იხ. ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 89; 147). იგი ჩასულა ათონის მთაზეც და საალაპე წიგნში ჩანაწერები გაუკეთებია 1565 წელს (ე. მეტრეველი, საალაპე წიგნი, გვ. 13-14).

3. შუამთის „მოძღვართმოძღვარი“ XVIII ს. I ნახევარში. ამ ტიტულით არის მოხსენიებული ფილიპე დოკუმენტში, რომელშიც ჩამოთვლილია შუამთის მონასტრის მოძღვართმოძღვრები სხვადასხვა დროს. 1716 წ. დასახელებულია ფილიპე (ქრონიკ. III, 24,25).

4. იკორთის არქიმანდრიტი XVIII ს. შუა წლებში. ფილიპეს იხსენიებს მარი ბროსე თავისი „რაპორტის“ 66-ე გვერდზე იკორთის ეკლესიის მთავარანგელოზთა 1755 წ-ის ხატთან დაკავშირებით (ქრონიკ. III, 243).

ფილიპე – XI ს. ოქრომჭედელი, რომელიც მოღვაწეობდა ლეჩხუმში, შესაძლებელია – ცაგერში. ფილიპეს მიერ შესრულებული სეიმონ მესვეტის ჭედური ხატი დღეს ლაღამის ეკლესიაში (ზემო სვანეთი) ინახება. ხატი წარწერის თანახმად „გლახაკმან ანტონი ცაგარელმან“ შესწირა იშხანის ეკლესიას, საფიქრებელია, იმ დროს, როდესაც ანტონ იშხნელი ეპისკოპოსი იყო და განახლა (ბაგრატ III-ის მეფობაში) იშხნის ტაძარი. ხატი სვანეთში გვიან მოხვედა, როდესაც სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა თურქების ძალმომრეობის გამო ჩრდილოეთს მიაშურა და ეკლესია-მონასტრების ქონებაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნინა. მეორე, წერილად შესრულებული წარწერა, რომელიც ხატზე გამოსახული სვეტის კვარცხლბეკზეა გაკეთებული, გვამცნობს ოსტატის სახელს: „ქრისტე, შეწყალე ფილიპე ოქრომჭედელი“. ხატის (35,3x23) მთავარი არე სეიმეონ მესვეტესა და ხატის შემკეთს – ანტონ ცაგერელს აქვს დათმობილი, ზეით, შუაში ქრისტეს გამოსახულება, მარჯვნივ და მარცხნივ – ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლისა, შეყულ არეებზე ორი მთავარანგელოზი და სამი მახარებელია, ქვემოთ – პეტრე და პაველ მოციქულები. ფილიპეს შესრულებული უნდა იყოს აგრეთვე თეკალის (ქვემო სვანეთი) ღვთისმშობლის ხატიც. ღვთისმშობლისა და ყრმის სახეები ფერწერულია, სხვა ყველაფერი – ჭედური. ფილიპე ოსტატის ორიგე ნამუშევარი ოქრომჭედლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია.

ფილიპე ყაითმაზაშვილი – გაქართველებული სომეხი მღვდელი, XVIII ს. ცნობილი მთარგმნელი, მწიგნობარი და სასული-

ერო მოღვაწე. დოსითეოს ნეკრესელის მოწმობით, ფილიპე ყოფილა „ფრიად გონება-ერცელმაღალი და კეთილმეცნი პლატონურთა არისტოტელ და პითაღორებრთა სიბრძნისმეტყუელებათა პრაქმაულითა ენითა“ (S 2564, 103). 1755 წელს ანტონ კათოლიკოსმა თაყის მიერ გახსნილი სალვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სემინარიის „სხოლაპეტად“, ე. ი. რექტორად ფილიპე ყაითმაზაშვილი მიიწვია. თბილისიდან ფილიპე თელავში გადაუყვანია ერეკლე II-ს და დაუნიშავს მის მიერ 1758 წელს გახსნილი საფილოსოფოსო-თეოლოგიური სკოლის რექტორად. მისი მოწაფეები იყვნენ: დოსითეოს ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელ-ცაგარელი და სხე. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ფილიპემ იმდროინდელ ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის აღორძინების საქმეს ქართულ ენაზე სომხურიდან საუკეთესო ფილოსოფიური და თეოლოგიური თხზულებების თარგმნის სახით. ფილიპე ყაითმაზაშვილი ანტონ I-ის, მღიკანბეგ იოანე ორბელიანის, დოსითეზ ნეკრესელის, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდლის შეკეთეით და დაეალებით თარგმნიდა ამა თუ იმ თხზულებას. პირველი თარგმანი ეკუთვნის 1750 წ. ფილიპე ეხმარებოდა ანტონ I-ს „მზამეტყველების“ შედგენისას 1750-1752 წწ. მას სომხურიდან უთარგმნია: „მცირე ღალეტიკა სვიმეონ ჯულელელისა (S 43 და სხვ.), „ათნი კატეღორიანი არისტოტელებრნი“ („მოამბე“, 1898, №9, გვ. 93); „ხუთნი უმანი... პორფირიოს ფინიკიელისანი“, მხითარ სევასტიელის გრამატიკა (A 785), ფილიპე დახმარებია ანტონ I-ს „ღრამატიკა სიმეტენს“ შედგენაში (A 415). 1764 წ. ანტონის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ფილიპეს მისთვის უთარგმნია მხითარ სებასტიელის „რიტორიკა“ შემოკლებულად („მოამბე“, № 9, 1898, გვ. 93). 1776 წ. ფილიპეს სომხურიდან უთარგმნია III მსოფლიო ეკლესიების აქტები (A 266; A 618); ანტონისათვის უნდა გადმოეთარგმნა მას კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე“ (A 3) და „დაეით სიბრძნისმოყუარისა ახსნა პორფირის შეკეთებისადმი რეათა თაეთა შერთეითა“ (S 203). 1757 წ. ფილიპეს იოანე მღიკანბეგის თხოვნით უთარგმნია „კაშირნი ღუთისმეტყველებითნი“ სვიმეონ ჯულელის რედაქციისა სომხურიდან, ხოლო კახთა მეფის კარის მღვდელ ნიკოლაოსთან ერთად – არისტოტელის „პერიერმენიაც“ (S 1137). დოსითეოს ნეკრესელთან ერთად ფილიპემ სომხურიდანვე გადმოიღო 1758-62 წწ. დაეით უძლეველის „წიგნი საზღვართა“, „ახსნა პორფირის შეკეთებისადმი“, „შემოკლებითი ახსნა პერიერმენიასი დაეით უძლეველისა“, 1764 წ. „მცირე ლოღიკა“ ანტონ კათოლიკოსისა. ანტონ ჭყონდიდელ-ცაგარელისათვის ფილიპეს უთარგმნია: „წიგნი ჭეშმარიტებითისა ღმრთისმეტყველებისა“ ყოველად ბრძნისა ალფრედისი“ (S 250; 1775 წ.) და „ლოღიკა დიდი ანტონი კოვიდისა“ 1776 წ.

ფილიმონ მოციქული – ერთი 70 მოციქულთაგანი, პაელე მოციქულის მოწაფე. მოციქულ პაელეს ერთ-ერთი ეპისტოლე მიმართულია ფილიმონისადმი; „ფილიმონის მიმართ ეპისტოლე წმიდისა პაელე მოციქულისა“, რომელიც ერთ თაესა და 25 მუხლს შეიცავს.

ფილიმონი იყო სახელოვანი მოქალაქე ფრიგიის ქ. კოლასისა, რომლის ეპისკოპოსი იყო მოციქული არქიპო. ფილიმონის სახლში იკრიბებოდნენ ქრისტიანები ფარულად ღვთისმსახურების ჩასატარებლად. პაელე მოციქულმა ფილიმონი ეპისკოპოსად აკურთხა და მან იწყო ქრისტეს ქადაგება ფრიგიის ქალაქებში, შემდეგ კი ღაზის მწყემსმთავრად იქნა დადგენილი. ფილიმონის მეულე აპფია თაყის სახლში იფარებდა მწირებსა და ავადმყოფებს და ემსახურებოდა მათ. იმპერატორ ნერონის (54-68) დროს ქრისტიანთა დევნის შედეგად მოციქულები ფილიმონი და არქიპო და მოციქულთასწორი აპფია დასჯიმრეს და წამებით მოკლეს: ფილიმონი და აპფია წელამდე ჩამარხეს და შემდეგ ქვებით ჩაქოლეს, ხოლო არქიპო დანებით დაჩეხეს.

ქართულად XII ს-ის თარგმანის სახით შემონახულია არქიფოს, ფილიმონისა და აპფიას „წამების“ მოკლე თხზულება (ქუთ. 1, XVI ს. 85-86). მოწამე-მოციქულთა სხენების დღესასწაული ქართული თარგმანის მიხედით 20 თებერვალსაა, სხვა წყაროები – 19 თებერვალს.

ფილიპე მოციქული – ერთი ათორმეტ მოციქულთაგანი. ფილიპე გალილეის ქ. ბეთსაიდიდან იყო. იგი ცნობილი იყო წმინდა წერილის საფუძლიანი ცოდნით და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების საფუძველზე ელოდა მესიის მოსვლას. იესო ქრისტეს მოწოდების შემდეგ (იოან. 1,43) ფილიპე შეუდგა მაცხოვარს. ფილიპე მოციქული ხშირად მოიხსენიება სახარებაში (იოან. 1,46; 6,7; 12,21-22, 14,8). იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ ფილიპე ღვთის სიტყვას ქადაგებდა გალილეაში, შემდეგ – საბერძნეთში, იქ გადასახლებულ ებრაელთა შორის. მან პაექრობაში დაამარცხა იერუსალიმიდან სპეციალურად ჩამოსული ებრაელი

პირველმღვდელმთავარი და მისი თანმხლები პირები, ჯერ დაბრმავა ისინი და შემდეგ სასწაულით განკურნა. ბევრმა მათგანმა იწამა ქრისტე. ახლადმოქცეულებს ფილიპემ დაუდგინა ეპისკოპოსი ნარკისი (ერთი 70 მოციქულთაგანი). ფილიპე მოციქულმა სახარება იქადაგა პართიაში, ქ. აზოზში, სირიის ქ. იარაპოლში, მცირე აზიაში, ლიდიაში და სხვ. და ყველგან სასწაულმოქმედებით ამკვიდრებდა ქრისტიანობას. მოგზაურობაში მას ახლდა თავისი და მარიამწა. მათ მრავალი ენება და განსაცდელი გადაიტანეს.

ბოლოს ფილიპე მოციქულ ბართლომესთან და დასთან ერთად ჩავიდა ფრიგიის ქალაქ იერაპოლში, სასწაულმოქმედებით მოაქცია ქალაქის მმართველის მეუღლე, რისითვისაც ფილიპე და ბართლომე ჯვარზე გააკრეს წარმართების ტაძარში. მიწისძვრამ დაანგრია ტაძარი, ხოლო მოციქულები ლოცულობდნენ ნანგრევებში მოქცეული ხალხის გადარჩენისათვის. გადარჩენილმა (დაიღუპნენ მხოლოდ ქალაქის მმართველი და ქურუმები) ქრისტიანობა იწამეს და მოიხოვეს მოციქულების ჩამოხსნა. მოციქულმა ბართლომემ ისინი მონათლა და ეპისკოპოსი დაუდგინა, მოციქული ფილიპე კი ჯვარზე გაკრული გარდაიცვალა. მარიამწამ დაასაფლავა ფილიპე და ბართლომესთან ერთად სომხეთში წავიდა სახარების საქადაგოდ. სომხეთში ბართლომე ჯვარს აცვეს, ხოლო მარიამწა სიკვდილამდე ქადაგებდა სახარებას ლიკაონში. ფილიპე მოციქულის „წამება-მოსახსენებელი", რომელიც ბერძნულად სეიმეონ მეტაფრასტის შედგენილია X ს. ბოლოს, თარგმნილია ქართულად XI ს. II ნახევარში (S 384, XI-XII სს., 643-449; Jer. 18, XIII-XIV სს., 180-185; Jer. 37, XIII-XIV სს., 193-196; Sin. 91, XIV ს., 91-95). მოციქულის ხსენება დადებულია 14 ნოემბერს.

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ — ერთი 70 მოციქულთაგანი. ფილიპე დაიბადა პალესტინის კესარიაში. მოციქულებზე სულიწმინდის მოფენის შემდეგ მათ იერუსალიმის ეკლესიის დიაკნად ხელი დაასხეს ფილიპეს, რომელსაც მასთან ერთდროულად ხელდასხმულ კიდევ ექვს დიაკონთან ერთად დაევალებული ჰქონდა შეწირულებათა მეურვეობა და ზრუნვა ობლებზე, ქვრივებზე და ავადმყოფებზე. ფილიპემ იერუსალიმი დატოვა მას შემდეგ, რაც სტეფანე პირველმოწამე და არქიდიაკონი წარმართებმა ქვებით ჩაჰქოლეს. იგი გადასახლდა სამარიაში, სადაც განაგრძობდა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას. ფილიპეს მიერ მოქცეულთა შორის იყო სეიმეონ მოგეი (საქმ. მოც. 8, 9-13) და ეთიოპიის დედოფლის დიდებული საჭურისი (8, 26-39). იერუსალიმში მოციქულებმა ფილიპეს ხელი დაასხეს ეპისკოპოსად და გაგზავნეს ლიდიაში, სადაც ბევრი წარმართი მოაქცია. ფილიპე გარდაიცვალა მოხუცებულობაში. ფილიპე მოციქულის „ცხოვრება-მოსახსენებელი" ქართულად თარგმნილია ორჯერ (A 188, XIII ს., 276-286; H 341, XI ს. 213-240 — „მიმოსლეაჲ მოციქულთაჲ" და Ath. 11, 251-276). მოციქულის ხსენების დღედ 11 ნოემბერია დადებული.

ᲤᲘᲚᲘᲡᲙᲝᲡ ᲛᲬᲐᲛᲔ — ათთელი მოწამე, რომელიც ისაურე, ვასილიოს, ონოკენიოს და პერიღორონთან ერთად ეწამა ქრისტესთვის მაკედონიის ქ. ახალონიაში იმპერატორ ნუმერიანეს (283-284) დროს. მოწამეთა ერთობლიეი „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსის მიერ უნდა იყოს შედგენილი XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 7, XIII ს., 402-426). მოწამეთა ხსენება ქართული თარგმანის მიხედვით 29 აპრილს არის დადებული, ხოლო სხვა წყაროებით — 6 იელისს.

ᲤᲘᲚᲘᲢᲝᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ — ეწამა ქრისტიანობისათვის ადრიანე იმპერატორის (117-138) დროს. ფილიტოსი იყო მეფის კარის წარჩინებული და ქრისტიანობის ამკარა აღიარებისათვის გასამართლეს მეუღლე ლიდიასთან და შვილებთან — მაკედონიოს და თეოპრეპოსთან ერთად. საწამებლად იმპერატორმა ფილიტოსი და მისი ოჯახის წევრები გაგზავნა ილირიის ჯარის უფროსთან — ამფილოქე დუკთან. ტანჯვა-წამების შემდეგ ისინი ღილეგში ჩაყარეს. მათი მოთმინებით გაკვირვებულ და გაქრისტიანებულ ციხეების უფროსთან — კომენტარიოს კრონიდიოსთან ერთად. მოწამეთა სიმტკიცემ და მოთმინებამ გააცეიფრა ამფილოქე დუკი. მან ქრისტიანობა იწამა, მოწამეებთან ერთად შეიყარა მღუდარე ზეთში და ლოცვებს აღაელენდა ქრისტეს მიმართ. მოწამეები უვნებელნი დარჩნენ. ჩამოსულმა იმპერატორმა კიდევ უფრო საშინელი ტანჯვა დაატყვა მათ თავს, მაგრამ ეერაფერი დააკლო. ბოლოს მათ ლოცვა-ვედრებით განუტევეს სული.

წმ. ფილიტოს და მასთან ერთად წამებულთა „წამების" ერთობლიეი მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსის შედგენილი უნდა იყოს ბერძნულად XI ს. ბოლოს, ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. 2, XVI ს. 366-374). მოწამეთა ხსენება დადებულია 23 მარტს (ქართ. თარგმანით — 28.III).

ფილოთეოსის მონასტერი – მონასტერი ათონის მთაზე, რომელშიც ქართველებსაც უმოღვაწიათ. ამ მონასტერში XVI ს. I ნახევარში საალმშენებლო საქმიანობა ჩაუტარებიათ კახთა მეფე ლევანს (1520-1574) და მის ძეს ალექსანდრეს (1527-1605): მათ „წარუგზავნიათ და თავისითა საფასითა აღუშენებიათ", გაუახლებიათ ტაძარი, რომლის კედლებზე არიან ისინი გამოხატულნი (ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 37-38). იხ. ათონის მთის მონასტრები.

ფილონ ალექსანდრიელი (ძვ. წ. 25 – ახ. წ. 50) – იუდეველი თეოლოგი. იუდაიზმს აკავშირებდა ბერძნულ ფილოსოფიასთან, უპირველეს ყოვლისა, პლატონის სტოიციზმთან. ბიბლიის ძველი აღთქმის თარგმანების (განმარტების) ფილონის მიერ დამუშავებულმა ალეგორიულმა მეთოდმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც კლიმენტი ალექსანდრიელის, ორიგენესა და სხვა საეკლესიო მამების პატრისტიკაზე, ასევე შუა საუკუნეების კულტურაზე.

ფილოლოგე – ერთი 70 მოციქულთაგანი. ფილოლოგე მოციქულს მოიხსენიებს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: „კითხვა არქუა ფილოლოგუს" (16,15). ანდრია მოციქულს ფილოლოგე სინოპის ეპისკოპოსად დაუდგენია („დიდი სუნაქსარის" დანართი, A 97).

ფილოლენე ანტიოქელი – ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი IV ს. I ნახევარში. ერისკაცობაში ადვოკატი იყო და დარიბებსა და ჩაგრულებს ქომაგობდა. დაქვრივების შემდეგ ფილოლენე ანტიოქიის ეპისკოპოსად აკურთხეს. აღჭურვილი იყო ღრმა საღვთისმეტყველო ცოდნით და იცავდა მართლმადიდებლობას ქრისტიანთა დევნისას მაქსიმიანეს (305-311) და ლიკინიოზის (307-324) დროს, ხოლო ბოლო ხანებში – არიანული მწვალებლობისაგან. გარდაიცვალა 323 წ. 386 წ. ფილოლენე ანტიოქელს შესხმა უძღვნა იოანე ოქროპირმა. „შესხმის" ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერითაა მოღწეული (Sin. 91, XIV ს., 32-140 და სხვ.). ხსენების დღედ 20 დეკემბერია დადებული.

ფინეზი – იუდეველთა მესამე მღვდელმთავარი, ძე ელიაზარისა და შვილიშვილი არონისა. ფინეზი დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა ებრაელ ხალხში თავისი სარწმუნოებისადმი თავგამოდებული ერთგულებით და სიმამაცის გამო. ფინეზის მამაცურმა შემართებამ უსჯულოების წინააღმდეგ, რომელიც ებრაელთა შორის გაჩენილა მოაბიტელთა ზეგავლენით კერპთმსახურების სახით, ააცილა ებრაელებს ღვთის რისხვა. ღვთისა და ხალხის წინაშე ფინეზის მართალი სამსახურისათვის მის შთამომავლობას მემკვიდრეობით დაუმტკიცდა მღვდელმთავრობის პატივი. ფინეზის მოღვაწეობა დაემთხვა ისრაელში არეულობასა და შფოთს. ამ დროს ეკუთვნის ბენიამინის ტომის გაჟლეტა (მსაჯ. 20, 26-38). ფინეზის შესახებ მოგვითხრობს ძველი აღთქმის წიგნები (გამოსლ. 625; რიცხ. 25, 7, 11, ისუ ნავესი 22, 13, 30-33; 24, 33-34). ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გეხვდება ამა თუ იმ ისტორიული პირის შედარება ფინეზთან (მაგ. არსენ მონაზონი დავით აღმაშენებლის შესხმაში ამბობს: „მოშურნე ეითარცა ფინეზ მღდელთა შორის" (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გე. 194).

ფირმინოს მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის თავის ექვს ძმასთან ერთად მაქსიმიანეს (284-305) დროს. ფირმინოსი ისევე, როგორც მისი ძმები (ორენტიოს, ფარნეკს, ეროტოს, ფირმოს, კურიაკოს და ლონგინოს) იმპერატორის ჯარის მეომარი იყო და ფარულად ქრისტეს აღიარებდა თავის ძმებთან ერთად. როდესაც რომაელებს სკეთში დაუხვნენ თავს, უფროსმა ძმამ ორენტიოსმა ქრისტეს შემწეობით ორთაბრძოლაში დაამარცხა მათი ბელადი და მომხლურთა ჯარამდე პირი იბრუნა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად იმპერატორმა ზეიმი გამართა და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე ორენტიოსიც მიიწვია. ორენტიოსმა მსხვერპლის შეწირვაზე უარი თქვა და თავისი ქრისტიანობა გამოამჟღავნა. ასე მოიქცნენ ძმებიც. იმპერატორმა ბრძანა მათი კაჟკასიაში გადასახლება. გზაში ყველანი დაიღუპნენ სხვადასხვა დროს და ადგილას. წმ. ფირმინოსი და ფირმოსი გარდაიცვალნენ 7 იენისს, ასპარაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მოწამე ძმების „წამების" მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოსის შედგენილი უნდა იყოს ბერძნულად XI ს. ბოლოს, თარგმნილია ქართულად XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს., 227-241; გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები, IV, 310-323). მოწამეთა ერთობლიები ხსენების დღედ ქართული თარგმანი 23 იენისს მიუთითებს, ხოლო სხვა წყაროები – 24 იენისს.

ფირმოს მოწამე – ერთი 7 ძმათაგანი, რომლებიც ქრისტიანობისათვის ეწამნენ მაქსიმიანე იმპერატორის (284-305) მეფობაში. ფირმოსი ისევე, როგორც მისი ძმები, იმპერატორის ჯარის მეომარი იყო და ფარულად ქრისტეს

ალიარებდა: ფირმოსისა და მისი ძმების ქრისტიანობა გამჟღავნდა იმპერატორის მიერ მოწვეულ ზეიმზე, რომლითაც მან აღნიშნა ძმათაგან უფროსის — ორენტიოსის გამარჯვება სპეთების ბელადზე და მოწინააღმდეგის უპუქცეა. ზეიმზე ორენტიოსმა და მისმა ძმებმა უარი თქვეს კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე, რისთვისაც ძმები იმპერატორის ბრძანებით კაეკასიაში ექსორიობისათვის განაწესეს. გზაში ყველა მათგანი გარდაიცვალა სხვადასხვა დროსა და ადგილას: ფირმოსი და ფირმინოსი გარდაიცვალნენ 7 იელისს ასარში, შაეი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მოწამე ძმების ერთობლივი „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად იოანე ქსიფილინოსს უნდა დაეწერა XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. 3, XVI ს. 227-241, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები IV, 310-323). მოწამეთა ხსენების დღედ ქართული თარგმანი 23 ივნისს ასახელებს, სხვა წყაროები — 24 ივნისს.

ᲫᲘᲗᲐᲠᲔᲗᲘ — სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თეთრი წყაროს პლატოზე, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს, თეთრი წყაროდან 26 კმ. სოფელთან ახლოს (მდ. ხრამის ხეობაში) დგას 1213-1222 წლების ღვთისშობლის გუმბათოვანი ტაძარი (15 x 13). ეკლესიის ორნამენტებია მრავალფეროვნება და შესრულების მაღალი ოსტატობა ფიტარეთის ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ქმნილებებს შორის აყენებს. ეკლესიის გეგმა თითქმის კვადრატულია: ერთადერთი, სამხრეთიდან შემოსასვლელი კარის კარიბჭე მდიდრულად მოჩუქურთმებულია. ეკლესია თაღაპირველი სახით არის მოღწეული. კარიბჭის შიგნით მოთავსებული დიდი საამშენებლო წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი აშენა მეფეთა მეფის გიორგის (ე. ი. ლაშა — 1213-1222) ამირეკობმა ქაეთარ ქაჯიფაისძემ. ფიტარეთში მოქმედება მონასტერი, რომელიც დიდ მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა. აქ XVII-XVIII სს-ში მოღვაწეობდა იოს ფიტარელი, რომლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მას ჩინებულ მწერლად მიიჩნევდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ I, ოთარ ბატონიშვილი. ფიტარეთის წიგნსაცავიდან ცნობილია 1673 წლის ფიტარეთის ოთხთავი (სასარკვ.; A 517), გადაწერილი იესე ბელისმწერლისშვილის მიერ და ძღისპირები (იხ. კერები, I).

„ᲫᲘᲪᲐᲠᲜᲘ ᲭᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ“ — ორი ქვის ფილა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო ათი მცნება, რომელიც მამაღმერთმა გამოუცხადა მოსეს სინის მთაზე. პირველი „ფიცარი სჯულისანი“ მოსე წინასწარმეტყველმა დაამტვრია გაბრისხების დროს, რაც გამოწვეული იყო ებრაელთა მიერ ოქროს ხბოს კერპისადმი თაყვანისცემის გამო (გამოსლ. 32, 15-19). დაამზადეს მეორე „ფიცარნი“, რომელიც, როგორც უძველესი სიწმიდეთაგანი, ინახებოდა ყურ კარვის, ხოლო შემდეგ იერუსალიმის ტაძრის „წმიდათაწმიდაში“, „აღთქმის კიდობანში“. ტაძრის ნგრევის შემდეგ „ფიცარნი“ დაიკარგა და მათ შესახებ მხოლოდ გადმოცემაღა დარჩა.

ᲫᲘᲩᲮᲝᲔᲜᲘ — სოფელი ახმეტის რ-ნში; მდ. მაჭარულის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ახმეტიდან 21 კმ. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია „ნათლისმცემელი“.

ᲫᲘᲪᲔᲡᲘ — სოფელი გორის რ-ნში, თქმის ხეობაში, გორიდან 25 კმ. სოფლის მიდამოებში (სარკბისი) არის 1152 წლის მოხატული ერთნავიანი ეკლესია ლამპიდარული წარწერებით და კანკელით. ეკლესია შეირე მოცულობისაა (8, 5 x 6 x 5), მაგრამ საინტერესოა სარკმლის საპირეების მდიდარი ჩუქურთმებით. ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა სოფლის მოსახლეობა, როგორც ეს აღნიშნულია ლამპიდარულ წარწერაში. იხ. „სარკბისი“.

ᲨᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲔᲚᲘ — ანტიოქიის პატრიარქი 381-404 წწ. რუსულიდან ქართულად თარგმნილია ფლაბიანე ანტიოქელის „სიტყვაჲ საქებელი დიდისა თეოდოსი იმპერატორის წინაშე, წართქმული შუამდგომელად ანტიოქელთა ერისა, რომელთაცა აჯანს აღმფოთებით ახალსა ხარკისდადებასა ზედა და შეურაცხებით დაკუეთეს ანდრანტი სახისა მისისაჲ წელსა ქრისტესით 387“ (A 683,23).

ᲨᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔ — საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსი 1898-1901 წწ. (იხ. ეგზარქოსები რუსეთის წმ. სინოდისა საქართველოში).

ᲨᲚᲐᲕᲘ — სოფელი გორის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, ტირიფონის არხის ნაპირას, გორიდან 25 კმ. სოფელში ფოტოა ძველი ეკლესია, რომლის სვეტის თაღი შემდეგ გამაყენებული იქნა ჯვრის კვარცხლბეკად, რომელზედაც ამოკვეთილია X-XI სს. მოხუცის ასომთავრული წარწერა. წარწერა გვამცნობს, რომ ჯვარი აღუმართავს რატი ერისთაეის ასულს (სახელი არ იკითხება — ლაპ. წარწ. I, 228).

ᲨᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲐ — მართლმადიდე-

ბლური და კათოლიკური ეკლესიების შეერთების უნიას ასეთი წანამძღვრები აქონდა: XVI ს. დასაწყისში ოსმანების მიერ შეჭიდრობული ბიზანტიის იმპერია დახმარებას დასავლეთში, ძირითადად რომის პაპთან ეძებდა, რომელსაც შეეძლო ევროპელი მონარქები დაეყოლიებინა ბიზანტიის დახმარებაზე. იოანე VI პალეოლოგმა (1425-1448) გადაწყვიტა იმპერიის გადასარჩენად უკიდურესი ზომისათვის მიემართა – დათანხმებულიყო აღმოსავლურ-ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებაზე და ამის შედეგად მიეღო დახმარება დასავლეთის მეფეებისაგან. რომის პაპი ევგენი VI დათანხმდა ამ წინადადებას. ისინი შეთანხმდნენ შეეკრიბათ მსოფლიო კრება ბერძნული და ლათინური ეკლესიების წარმომადგენლებისა და კრებაზე დაედგინათ ამ ორი ქრისტიანული ეკლესიის შეერთების საკითხი. გადაწყვეტილი იყო აგრეთვე კრებაზე დასავლეთის მეფეების მოწვევა, რათა კრების დამთავრების შემდეგ მათთვის მიემართა რომის პაპს, რომ დახმარებოდნენ ბიზანტიის იმპერიას. კრების მოწვევის ადგილად ფერარი იქნა შერჩეული. 1437 წლის ბოლოს ფერარში გაემგზავრნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოსები აღმოსავლეთის პატრიარქების რწმუნებით და რამდენიმე ბერძენი ეპისკოპოსი. ფერარში ჩავიდა აგრეთვე რუსეთის მიტროპოლიტი ისიდორეც, რომელიც დიდი ხანია თანახმა იყო შეერთებაზე (უნიაზე). მასთან ერთად ჩაეიდნენ სუზდალის ეპისკოპოსი ავრაამი და ბევრი სასულიერო და საერო პირი რუსეთიდან, დაახ. 100 კაცი.

1438 წლის 8 ოქტომბერს კრება გაიხსნა, მაგრამ დასავლეთის არც ერთი მეფე არ ჩამოვიდა. უმთავრესი საკამათო საკითხი იყო სულიწმიდის გამომავლობის საკითხი. ლათინთა მოძღვრებით, სულიწმიდა გამოდის მამაღმრთისაგან და ძისაგანაც, ხოლო მართლმადიდებლები ძისაგან სულიწმიდის გამომავლობას არ ცნობდნენ და კათოლიკეებს უკიჟინებდნენ ნიკეა-კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლოში თვითნებური შესწორების შეტანას. ამ საკითხზე კამათს კრების 15 სხდომა დასჭირდა. განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდნენ მარკოზ ეფესოს ეპისკოპოსი, რომელიც ამავე დროს იყო იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი, და ბესარიონ ნიკეის ეპისკოპოსი, რომელთაც არ უნდოდათ, რაიმე დაეთმოთ კათოლიკეებისათვის. ამ დროს ფერარაში შავი ჭირი გაჩნდა და საეკლესიო კრება 1439 წ. ფლორენციაში გადაიტანეს. იქ გაგრძელდა კამათი. ბიზანტიის იმპერატორი იოანე სთხოვდა ბერძენ მღვდელმთავრებს, დათმობაზე წასულიყვნენ. ბესარიონ ნიკეელი დათმობაზე წავიდა, ხოლო მარკოზ ეფესელი მტკიცედ იდგა მართლმადიდებლობის დასაცავად. საბოლოოდ ბერძენმა მართლმადიდებლებმა გაიზიარეს სულიწმიდის გამომავლობის კათოლიკური ფორმულა და აგრეთვე აღიარეს პაპის პრიმატობა. ღვთისმსახურების შესრულების რიტუალურ განსხვავებებზე დიდი კამათი არ ყოფილა: ლათინები დათანხმდნენ, თანაბრად შესრულებულიყო როგორც კათოლიკური, ასევე მართლმადიდებლური ღვთისმსახურება. შედეგა აქტი ეკლესიათა შეერთებისა, რომელშიც ჩაიწერა სულიწმიდის გამომავლობის კათოლიკეთა ფორმულა და რომის პაპის პრეეენტის ქრისტიანულ ეკლესიაში. აქტს ხელი მოაწერეს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა, გარდა მარკოზ ეფესელისა და იოსებ კონსტანტინეპოლის პატრიარქისა, რომელიც კრების მსელელობის დროს გარდაიცვალა. აქტი საზეიმო ვითარებაში წაიკითხეს კათედრალურ ტაძარში ლათინურ და ბერძნულ ენებზე. კონსტანტინეპოლში დაბრუნებისთანავე იოანე იმპერატორმა დაინახა, რომ ეკლესიების შეერთება არამყარი იყო. ბერძენმა ეპისკოპოსებმა, რომლებიც თანახმა იყვნენ ფლორენციაში უნიაზე და აქტს ხელი მოაწერეს, დაბრუნებისთანავე უარი თქვეს კრების დადგენილებებზე იმ მოტივით, რომ ისინი იქ აიძულეს დათანხმებულიყვნენ უნიაზე. ბერძენმა სამღვდელოებამ და ხალხმა აღშფოთება გამოთქვეს ფლორენციაში მიღებული შეთანხმებების გამო და კრების მონაწილე თანამემამულენი შწუალებებად გამოაცხადეს. მარკოზ ეფესელის ირგვლივ შემოკრებნენ მართლმადიდებლობის დამცველნი. ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებიც არ ცნობდნენ უნიას. მათ 1443 წელს მოიწვიეს იერუსალიმის კრება და უნიის ყველა მომხრე განკვეთეს. მართალია, იოანე პალეოლოგმა კონსტანტინეპოლის კათედრაზე თანმიმდევრობით აიყვანა უნიის მომხრე მღვდელმთავრები – მიტროფანე კეიზიკელი და გრიგოლ მამა, თაეისი ყოფილი სულიერი მოძღვარი, მაგრამ უნიის დებულებებს განხორციელება არ ეწერა. იმპერატორმაც, რომელმაც ერ მიიღო დასავლეთის მეფეების დახმარება ოსმანთურქების წინააღმდეგ, გული აიცრუა უნიაზე. იოანე პალეოლოგის მემკვიდრის დროს, კონ-

სტანტინეპოლის საბოლოოდ დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, აღმოსავლეთის ეკლესიების პატრიარქებმა კიდევ ერთხელ შეაკვნეს უნია კონსტანტინეპოლის 1450 წლის კრებაზე. განკეთეს უნიის მომხრე კონსტანტინეპოლის პატრიარქი გრიგოლი მამუ და პატრიარქის კათედრაზე ცნობილი ათანასე აიყვანეს. 1453 წ., როდესაც კონსტანტინეპოლი თურქებმა ხიღეს, უნიისათვის ალარაკის ეცალა.

ფლოროს მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის თაყის ძმასთან – ლაროსთან ერთად II ს-ში. ისინი ცხოვრობდნენ ჯერ ბიზანტიაში, შემდეგ კი გადასხლდნენ ილირიაში (ახლანდელი იუგოსლავია). ხელახით ძმები ქრის მოღვაწეები იყვნენ. ეს ხელობა მათ ქრისტიანებმა, პროკლემ და მაქსიმემ შეასწავლეს, რომელთაც მათ ქრისტეს მოძღვრებაც ასწავლეს. ილირიის მმართველმა ფლოროსი და ლაროსი მეზობელ ოლქში გაგზავნა, სადაც წარმართების ტაძარი შენდებოდა. მშენებლობის დროს მათ მოაქციეს ადგილობრივი ქურუმის ბავშვი, რომელსაც მათ ქრისტეს შემწეობით განუკურნეს ქის ნატეხისაგან დაზიანებული თვალი. სასწაულის გამო მოინათლა ბავშვის მამაც. ტაძრის მშენებლობა დამთავრდა, ძმებმა შეკრიბეს ქრისტიანები, დაამტკრიეს კერპები და ტაძრის საკურთხეველში ჯვარი დადგეს. როცა ოლქის მმართველს ეს ამბავი რომ შეიტყო, ყორელი ქურუმი თაყის ბავშვთან ერთად და კიდევ 300 ქრისტიანი კოცონზე დაწვა, ხოლო ძმები ილირიის მმართველთან გაგზავნა. აქ ისინი ცარიელ ჭაში ჩაყარეს და ჭა მიწით ამოაყსეს. დიდი ხნის შემდეგ ფლოროსისა და ლაროსის უხრწნელი გვამები იპოვეს და კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. 1200 წ. მათი წმ. ნაწილები მოინახულა ნოვგოროდელმა პილიგრიმმა ანტონმა.

წმ. მოწამე ძმების „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც იოანე ქსიფილინოს უნდა შეედგინა ბერძნულად XI ს. ბოლოს, ქართულად თარგმნილია XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, XVI ს. 465-489). მოწამეთა ხსენების დღედ 18 აგვისტოა დაწესებული.

ფრესკა (იტალ. „ფინესკო“) – ფერწერული მხატვრობის ხერხი შენობის კედლებზე, თაღებზე და ჭერზე წყლის საღებავებით ჯერ კიდევ სველ ბათქაშზე, რაც ფხვარებს ცემენტის თვისებას, შეიწოვოს, სანამ ნოტიოა, წყალში გახსნილი საღებაი წუხის გარეშე. ამ ხერხით ბათქაშზე შესრულებულ ფერწერულ გამოსახულებასაც ფრესკა ეწოდება. ფრესკული მხატვრობა, რომელსაც უძველესი ისტორია აქვს, გახლა ძირითადი საშუალება მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანების თუ ისტორიული პირების გამოსახატავად. ქართული ფრესკული მხატვრობა ერთ-ერთი უძველესია მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის და ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები VI ს-დან იწყება (დიდორქა). ქართული ფრესკული მხატვრობის უამრავი ნიმუში, რომლებიც შემონახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკლესია-ტაძრებში, ხელოვნების ნამდვილი შედევრია.

ფოკა – სოფელი ნინოწმინდის რ-ნში, ფარავანის ტბის ნაპირას, ნინოწმინდიდან 8 კმ. სოფელში დგას წმ. ნინოს XI ს. I ნახევრის დარბაზული ეკლესია, რომელიც აუგია ქართლის კათალიკოსს იოანე-ეკრემიძის ბაგრატ III-ის (1027-1072) კურაპალატობის ჟამს, ე. ი. 1030-1050 წლებში, როგორც ეს აღნიშნულია ეკლესიის მრავალრიცხოვან ლაპიდარულ წარწერებში. ფოკის ეკლესია აუგია ეინმე ბაერელ ხუროთმოძღვარს: „მე, ბაერელი ღირს ეიქმენ შენებად წმ. ამის ეკლესიისა საფუძველი დაიდეას (!) მე, თანა დაშუერ, კელესანი ეიყვე ოჭროპირის ქართლისა კათალიკოზისა“. ეკლესია ნაგებია სუფთად გათლილი, ნაწყობი კვადრებით. ინტერიერში კედლები დანაწერებულია პროფილირებული იმპოსტებიანი პილასტრებით, რომლებზედაც დაყრდნობილია კამარის საბჯენი თაღები. საკურთხეველის აბსიდში ორი მაღალი, გეგმით ნახევარწრიული ნიშია. დეკორატიული მორთულობა მხოლოდ საშრეთ ფასადზეა შემონახული. კარ-სარკმლები შემკულია რეტურთმებით. ინტერიერში შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები.

ფოკა მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის დაახლ. 320 წელს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქ. სინოპში ადგილობრივი მმართველის მიერ. ფოკას საკუთარი ხეხილის ბაღი პქონდა და შემოსავალს საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა. მისი ქრისტიანული სათნოების გამო წარმართებიც დიდ პატივს სცემდნენ და ბევრი მათგანი ქრისტიანე ც გახდა. როდესაც ოლქის მმართველმა შეიტყო, რომ წმ. ფოკა ქრისტიანობას აქრცელებდა წარმართებს შორის, ბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ. ფოკა შემთხვევით შეხვდა მასთან გაგზავნილებს და სტუმართმოყვარეობით მიიპატიჟა ისინი. ღამით, როდესაც სტუმრები დაიძინა, ფოკამ თვით მოიშხა და კუბო და სასაფლაო საკუთარ ბაღში და დატოვა ანდერძი, რომ მისი ქონება ღატაკები-

სათვის დაერიგებიათ. ღილით მან განუცხადა მოგზაენილებს თავისი ვინაობა და როდესაც მათ სინდისის ქენჯნა შეატყო, მტკიცედ მოითხოვა ბრძანება შეესრულებინათ და თავი მახვილს წარუყრო. წმ. ფოკას გვამი მის მიერვე მომზადებულ საფლავში დაკრძალეს; მის საფლავზე ბერი სასწაული ხდებოდა. მოგვიანებით წმ. ფოკას საფლავზე მისი ეკლესია ააშენეს.

წმ. ფოკასადმი ასტერიოს ამასიელს († 400) მიუძღვნია შესხმა, რომელიც ქართულად რამდენჯერმე უთარგმნიათ: თეოფილე ხუცესმონაზონს XI ს. II ნახევარში (Ath. 20, 1081 წ., 105-108), უცნობ მთარგმნელს (ქუთ. 4, 1565 წ., 248-253 და S 384, XI-XIII სს., 192-199), დაახ. XI ს. I ნახევარში. გამოც. მ. კახაძისა, ენიშის მოამბე, ტ. XVI, გვ. 234-239; და ასევე უცნობ მთარგმნელს (ქუთ. 3, XVI ს., 649-655), ალბათ, ასევე XI ს-ში. ფოკას „წამების“ კომპილური ტექსტი კიდევ უფრო ადრეა თარგმნილი (Sin. 11, X ს., 66-76; Sin. 62, XI, 139-143; H-535, XI ს., 161-172 და სხვა., გამოც. ივ. იმედაშვილის მიერ, საკითხავი წიგნი... 1963, გვ. 32-40 (ნუსხური შრიფტით). მოწამის სხენების ღღეა 22 სექტემბერი.

ფოკას ასტერიონის ეპისკოპოსი – იხსენიება აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის (VIII დასაწ.) ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფოკას ასტერიონის (!) ეპისკოპოსი სხვა ქართველ საეკლესიო მამამთავრებთან ერთად გაბრიელ ქართლის კათოლიკოსის მეთაურობით დასწრებია დვინის 506 წ. ქართველ-სომეხ-ალბანელთა საეკლესიო კრებას, რომელმაც დაგმო ქალკედონის მსოფლიო კრების დადგენილებები. ეპარქიის სახელი (ასტერიული) ან დამახასიათებელია, ან უცნობი.

ფონა – სოფელი ლაგოდეხის რ-ნში; მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ლაგოდეხიდან 18 კმ. სოფელში არის XVIII ს. სამების ეკლესია და სამრეკლო.

ფორთის მონასტერი – X ს. სამონასტრო კომპლექსის ნაშთი სოფ. ქვემო ფორთაში („ბაღნარი“), მდ. იმერხევის (ჭოროხის შენაკადი) ხეობაში (დღეს თურქეთის ტერიტორიაზე). მონასტერი 1904 წ. მოინახულა და აღწერა ნ. მარმა. მთავარი ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანია. გეგმით სწორკუთხა შენობის აღმოსავლეთის აბსიდი კედლის სიმტკიცეშია მოქცეული. შიგნით მკაფიოდ არის გამოყოფილი მაღალი ჯვაროვანი შუა სივრცე და უფრო დაბალი ნაწილები კუთხეებში, ჯვრის მკლავებს შორის. აქვეა ორი თაისუფლად მდგარი გუმბათქვეშა ბურჯი და ბოძების კიდევ ერთ წყვილი დასავლეთ მკლავში. გუმბათის ამკობს დეკორატიული თაღები და ხერხისებრი კარნიზი, რომლის გამოც გუმბათის სახურავს ნახევრად დაკეცილი ქოლგის სახე აქვს. მთავარი ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით სხვა გუმბათიანი ეკლესიაა, ხოლო მის სამხრეთ-აღმოსავლეთით – სატრაპეზო, ანუ საოსტიგე. ფორთის სამონასტრო კომპლექსიდან შემოგვრჩა X ს. რამდენიმე ასომთაწერული წარწერა (გამოც. ლაპ. წარწ. I, 294-301), ერთ-ერთ მათგანში მოხსენიებულია ხუროთმოძღვარი ამონა.

ფორთის მონასტრის იდენტიფიკაციაზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: ფორთა არის შატბერდი (ნ. მარი) ან სანცთა (პ. ინგოროყვა). არც ერთი მათგანი სახლოდ დადგენილი არაა.

ფოტი კონსტანტინეპოლელი – კონსტანტინეპოლის პატრიარქი 858-867 და 878-886 წლებში, IX ს. გამოჩენილი მღვდელმთავარი და მწერალი. ფოტი დაიბადა დაახლ. 820 წელს. მამამისი დიდებულთაგანი და ტარასი კონსტანტინეპოლელის († 806) ნათესავი იყო. ბევრი მძიმე დრო გადაიტანა ფოტიმ ხატმბრძოლთაგან, დაკარგა კათედრა და ქონება, მაგრამ მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას. ფოტის ბრწყინვალე განათლებამ, ღვთისმეტყველების, ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებების ღრმა ცოდნამ დიდი გაელენა მოახდინა ხატმბრძოლობის ეპოქაში გაცინული საეკლესიო ცხოვრების აღორძინებაში. იგი უაქტიურად იყო იმ აღორძინების საფუძელის ჩამყრელი, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს დონეს XII-XIII სს-ში მიაღწია. ფოტიმ კარიერა დაიწყო სამეფო გვარდიაში, გააგრძელა სახელმწიფო კანცელარიაში. ერისკაცმა ფოტიმ რამდენიმე დღის განმაელობაში გაიარა სამღვდელოების ყველა საფეხური და 858 წ. 25 დეკემბერს საერო ხელისუფლების მხარდაჭერით კონსტანტინეპოლის პატრიარქობიდან გადაყენებული ეგნატეს ადგილი დაიჭირა. ეგნატე პატრიარქისა და ფოტის მომხრეებს შორის ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. რადგანაც ფოტი პატრიარქს მხარს უჭერდა ოფიციალური სახელმწიფო, ეგნატის მომხრეებმა ეერაფერი გააწყეს და მიმართეს უკიდურეს ზომას, რამაც საბოლოოდ გაუტეხა მათ სახელი: მათ უღალატეს ბიზანტიის ეკლესიის ძირითად პოლიტიკურ მიზნებს, მთავარი დასაყრ-დენის ძებნა რომის

კათოლიკურ ეკლესიაში დაიწყეს და აღიარეს პაპის პრიმატობა. ბიზანტიის სამეფო კარმა და ფოტის პატრიარქმა თავის მხრივ გადაწყვიტეს რომის პაპის, ნიკოლაოს I-ის (858-867) კეთილგანწყობის შექმნა და მას დელეგაცია გაუგზავნეს საჩუქრებით და თხოვნით, გამოეგზავნა დელეგატები კრებაზე, რომელსაც საეკლესიო შფოთი უნდა დაეწყნარებინა და ხატთმბრძოლების ნამთები გაენადგურებინა. მაგრამ უფრო ადრე პაპთან ეგნატეს მომხრეები ჩავიდნენ. პაპმა დელეგატები გამოგზავნა და მოწინააღმდეგეთა დაეის ამბებში გარკვევა დაავალა, ხოლო სამეფო კარისა და ფოტისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ არ სცნობს ფოტის პატრიარქობას საქმის საბოლოოდ გარკვევამდე და მოითხოვა კრებაზე ეგნატეს დასწრება. ეს უკვე ნიშნავდა პაპი ნიკოლაოსის პრეტენზიებს პრიმატობაზე. კონსტანტინეპოლის 861 წლის კრებაზე, რომელსაც ძირითადად ფოტის მომხრეები ესწრებოდნენ (318 ეპისკოპოსი), აიძულეს ეგნატე, უარი ეთქვა პატრიარქობაზე პაპის დელეგატების თანდას-წრებით და ედიარებინა ფოტის კანონიერი პატრიარქობა. პაპმა არ სცნო კანონიერად ეგნატეს გადაყენება და ფოტის პატრიარქად არჩევა. დაიწყო რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის ბრძოლა, რომელშიც გამოვლინდა ფოტის სიმტკიცე და ჭკუიანური პოლიტიკური ალღო. მან და მისმა მომხრეებმა 867 წ. კონსტანტინეპოლის კრებაზე იმპერატორის მხარდაჭერით ანათემას გადასცეს რომის პაპი ნიკოლაოსი და განკვეთეს. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ფოტის უწდოდა მიემხრო ლუდოვიკო მეფე, რომელთანაც რომის პაპს უთანხმოება ჰქონდა. მაგრამ საქმე მოულოდნელად შეტრიალდა: სამეფო ტახტზე 867 წ. აეიდა ბასილი I, ხოლო ნიკოლაოს პაპი გარდაიცვალა. ბასილი I-მა რომთან უთანხმოების შიშით ფოტი იმავე წელს გადააყენა პატრიარქობიდან, ხოლო პატრიარქად ისევ ეგნატე დანიშნეს. რომის ახალმა პაპმა ადრიანე II-მ ანათემას გადასცა კონსტანტინეპოლის კრება და ფოტი პატრიარქი და მიაღწია სოფიის 869 წ. კრებაზე (რომელსაც რომის ეკლესია VIII მსოფლიო კრებად თვლის) რომის პაპის პრიმატობის აღიარებას, რასაც ხელი მოაწერა ეგნატე პატრიარქის მომხრე 102 ეპისკოპოსმა. რომის ეკლესიის გამარჯვება არ იყო ხანგრძლივი. ახლადმოქცეულ ბულგარეთზე პაპის პრეტენზიებმა ეგნატე პატრიარქისა და მისი მომხრეების აღშფოთება გამოიწვია და ბრძოლა ისევ გაჩაღდა. ფოტი მონასტერში შედგა თავის მრავალრიცხოვან მომხრეებთან ერთად, მაგრამ მალე, ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ, მეორედ ავიდა პატრიარქის კათედრაზე 877 წელს. იგი შეურიგდა რომის ახალ პაპს იოანე VIII-ს (872-882). პაპმა დელეგატები გამოგზავნა კონსტან-ტინეპოლის 879 წ. ნოემბრის კრებაზე (დამთავრდა 880 წ. მარტში, ესწრებოდა 380 ეპისკოპოსი), რომელმაც დაგმო 869 წ. კრებაზე რომის ეკლესიის იძულებითი მოქმედების შედეგად მიღებული სულიწმიდის გამომაელობის კათოლიკური ფორმულა და რომის პაპის პრიმატობა. ბულგარეთის საკითხიც კონსტანტინეპოლის ეკლესიის სასარგებლოდ გადაჭრა. ამის გამო რომის პაპმა ისევ განკვეთა ფოტი ეკლესიიდან, ხოლო ლეონ VI ბრძენმა (886-911), რომელსაც უნდოდა თავისი 16 წლის ძმისწული სტეფანე პატრიარქის კათედრაზე ავყვანა, ფოტი პატრიარქი გადაყენა. ფოტი მონასტერში შედგა, სადაც გარდაიცვალა, როგორც ფიქრობენ, 891 წელს.

ფოტის შრომათაგან აღსანიშნავია „ამფილოქი" (ამფილოქე კეისრიელის სახელის მიხედვით, რომელსაც ავტორი მიმართავს). აქ წარმოდგენილია 300-მდე მეცნიერული მსჯელობა, რომლებიც ერთმანეთს ენაცესებიან გარკვეული სისტემის გარეშე საეკლესიო და საერო მეცნიერებათა სხვადასხვა საკითხებზე. უმეტესი ნაწილი ეხება ეგზეგეტიკის საკითხებს მოსეს ხუთწიგნეულის, ფსალმუნისა და სახარების ტექსტების შესახებ, განხილულია აგრეთვე დოგმატიკის საკითხები და სხვ. კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგაა მიმართული მისი შრომა „სულიწმიდის შესახებ", პოლემიკური შრომაა „მანიქეველთა და პაულიკიანთა ცხოვრებათა შესახებ", კანონიკური მწერლობიდან აღსანიშნავია მისი „საყოველთაო ეპისტოლე", დაწერილი 867 წ. ფოტი გამოჩენილი მქადაგებელი იყო. მისი ჰომილიებიდან ბევრი არაა მოღწეული. განსაკუთრებით ფასეულია 2 ჰომილია რუსების თავდასხმის (860 წ.) შესახებ. ფოტი პატრიარქს მიაწერენ ნომოკანონის საბოლოო, 883 წ. რედაქციის შედგენას, რომელშიც შეტანილია ფოტის მიერ მოწეული 861 და 879-880 წწ. კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებების დადგენილებანი. ფოტის თაყვანისმცემელთა ფართო წრეში ცნობილია მისი ძმა, ტარასის თხოვნით შეუდგენია უზარმაზარი კომპილაციური ნაშრომი „ბიბლიოთეკა", რომელშიც წარმოდგენილია ფოტის დაკვირვებანი მის მიერ წაკითხული საერო ხასიათის წიგნების (280) შესახებ. ჩვენამდე მოაღწია მისმა 260-

ზე მეტმა ეპისტოლემ. მისივე რედაქციით მისმა მოწაფეებმა შეადგინეს ძველი კლასიკური მწერლობისა და წმინდა წერილის „ლექსიკონი“. ფოტის, სხვათა შორის, შეუდგენია ანდაზების კრებული (214 ერთეული). ფოტი პატრიარქის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, გარდა „ლექსიკონისა“, გამოცემულია ჟ. მინის პატროლოგიაში (Patrologia Graeca, t.101-104, 1860). საეკლესიო ნაშრომი ფოტის შესახებ ეკუთვნის ი. ერგენრეტერს (3 ტომი, 1867-1869 წ).

ფოტი პატრიარქის შრომებიდან ქართულად ცოტაა თარგმნილი: 1. „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისა“ (A 124, 602-603; A 1040, 2-4; A 584, 230), თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ. თხზულება უნდა იყოს ნაწილი (მეხუთე თავი) იმ ეპისტოლისა, რომელიც ფოტის მიუწერია ჰაჰი ნიკოლოზ I-ისათვის. 2. დიდი სჯულისკანონი, რომელიც არსენ იყალთოელს უთარგმნია XI ს-ის მიწურულს და რომელიც ფოტის 883 წლის რედაქციას უნდა წარმოადგენდეს (A 76; A-124; ქუთ. 17, ქუთ. 25 და სხვ. გამოცემულია 1976 წ.).

ფოტი მოწამე – ეწამა ქრისტიანობისათვის ბიძასთან – ანიკიტოსთან ერთად დიოკლეტიანეს (284-305) დროს. წმ. ფოტი მოწმე გახლა ბიძის მოთმინებისა და სიმტკიცისა, როდესაც მას სხვადასხვა საშინელი ხერხებით აწამებდნენ და იმპერატორს მამხილებელი სიტყვით მიმართა, რისითვისაც იგი დაასატიმრეს და ანიკიტოსთან ერთად ღილეგში ჩაგდეს. სამი დღე ცდილობდა იმპერატორი მათ დაბრუნებას წარმართობაზე, მაგრამ ამაოდ. მრავალგვარი წამების შემდეგ მათ თავები მოჰკვეთეს.

წმ. ანიკიტოსა და ფოტის „წამების“ მეტაფრასული თხზულება, რომელიც ბერძნულად ილანე ქსიფილინოსის დაწერილი უნდა იყოს XI ს. ბოლოს, ქართულად ითარგმნა XII ს. შუა წლებში (ქუთ. I, XVI ს., 359-372). მოწამეთა ხსენება დადებულია 12 აგვისტოს.

ფოტინა სამარიტელი – საყლესიო რწმენით, ფოტინა სამარიტელი იყო ის სამარიტელი ქალი, რომელთანაც ისაუბრა იესო ქრისტემ (იოან. 4, 5-42). იმპერატორ ნერონის (54-68) დროს ფოტინა თაეის უმცროს ვაჟთან, იოსიასთან ერთად ცხოვრობდა კართაგენში და ქრისტიანულ მოძღვრებას ქადაგებდა, ხოლო მისი უფროსი შვილი ბიტორი იმპერატორის ჯარში მსახურობდა და იბრძოდა ბარბაროსთა წინააღმდეგ. სიმამაცისათვის იგი ქ. ატალიაში (მცირე აზია) მხედართმთავრად დაინიშნა. ბიქტორის შეგონებებით და უფლის სასწაულით გაქრისტიანდა ქალაქის მმართველი სებასტიანიც. ამ ამბავმა ნერონამდე მიაღწია და მან ორიენ ძმა რომში დაიბარა სამსჯავროს წინაშე წარსადგენად. წმ. ფოტინაც, რომელსაც უფლის მიერ ემცნო ყოველივე, რომში ჩამოვიდა რამდენიმე ქრისტიანის თანხლებით. ქრისტიანებმა სასტიკი უარი განაცხადეს წარმართობაზე. ნერონის ბრძანებით ყველა ქრისტიანი სასტიკად აწამეს. წმ. ბიქტორს, სებასტიანეს და იოსიას საშინელი წამების შემდეგ თვალები დათხარეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს. საშინელი ტანჯვა-წვალებით ამოხადეს სული ფოტინას დებს: ანასტასიას, ფოტოს, ფოტიდას, პარასკევას და კირიაკას. საშინლად ნაწამები წმ. ფოტინა ჯერ ჭაში ჩააგდეს, შემდეგ 20 დღე ღილეგში ჩამწყვდიეს, ხოლო ბოლოს, როდესაც ნერონის განძეურებით მოთხოვნაზე, მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის, უარი თქვა, ისევ ჭაში ჩააგდეს, სადაც სული განუტევა (დაახლ. 66 წ.). ფოტინა სამარტელის „წამება“ ქართულად თარგმნილია კიმენური (A 518, 1708 წ. 257-266; Q 762, XIII-XIV სს. 1-17 და სხვ. და მეტაფრასული (ქუთ. 2, XVI ს. 383/387) თხზულებების სახით. მოწამის ხსენება დადებულია 30 მარტს.

ფოქეშში – სოფელი ოჩამჩირის რ-ნში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალიძგის მარცხ. ნაპირზე, ოჩამჩირიდან 18 კმ. სოფელში შემონახულია შუა საუკუნების ეკლესია „აბაა“.

ფსალმუნთა წიგნი (ნაცვალნი) – იხ. ანტიფონი.

ფსალმუნი (ფსალმუნთა წიგნი) – ძველი აღქმის ერთ-ერთი წიგნი, დაჟით წინასწარმეტყველის გალობათა (ფსალმუნთა) კრებული. ძველ ქართულ წყაროებში ამ წიგნს უფრო ხშირად „დაჟითნს“ უწოდებენ (A 22, 232). ფსალმუნთა წიგნი, რომელიც ძველებრაული რელიგიიდან ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშიც გადმოვიდა ქრისტიანობის ჩამოყალიბებისთანავე, შედგება 150 (ხოლო ბერძნულ და სლაეურ თარგმანებში 151) საგალობლისაგან ანუ ფსალმუნისაგან, რომლებშიც შინაარსობრივად გამოხატულია ღვთისმოსაური გრძნობები ცხოვრების სხვადასხვა განცდებთან დაკავშირებით. ფსალმუნთა ავტორად, ჩვეულებრივ, თვლიან ებრაელთა მეფე დაჟით წინასწარმეტყველს, რაც თვით მრავალი ფსალმუნის ზედწერილობათაგანაც ჩანს, თუმცა ზოგიერთ მათგანს გეონდელობის კვალიც ატყვია (მაგ. ბაბილონის ტყვეობის დრო და სხვ.). ეარაუდობენ, რომ საგალობლების კრე-

ბული, რომელიც აეტორის ხელიდან გამოვიდა, თანდათანობით ივსებოდა. ფსალმუნთა წიგნი რედაქტირებული სახით ებრაელთა წმინდა წერილის წიგნად მოგვიანებით იქცა, თუმცა მისი გარკვეული ნაწილის ხმარება ებრაულ ღვთისმსახურებაში, ჯერ კარაეში და შემდეგ ტაძარში, თვით დავით მეფის დროსვე არაა გამორიცხული. ფსალმუნთა წიგნში შეტანილი 150 ფსალმუნი იყოფა 20 კანონად, ხოლო თითოეული კანონი იყოფა სამ „დიდებად", რომელთა შემდეგ სამჯერ ისთხება „ალელუია". ფსალმუნი იკითხება ყოველთვის ცისკრისა და მწუხრის ღვთისმსახურებაზე მთლიანად ყოველ კვირის განმავლობაში, ხოლო დიდმარხ-ვის პერიოდში — კვირაში ორჯერ. ფსალმუნი წარმოადგენს ცისკრისა და მწუხრის ლიტიების წყაროს. საერთოდ, მისი გავლენა იგრძნობა ყოველგვარ ლიტანიაზე. ბიბლიური წიგნებიდან „ფსალმუნი" ქართულად ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა ეთარგმნათ. ძველი ალბანის არც ერთ წიგნს არ პქონია ისეთი გავლენა ძველ ქართულ მწერლობაზე და მის ენაზე, როგორც ფსალმუნს. მრავალ გამოცემათაგან მეცნიერულ-კრიტიკულია მ. შანიძის გამოცემა (თბ., 1960; იხილე მისივე „ფსალმუნთა" წიგნის ძვ. ქართ. თარგმანები, თბ., 1979) და ე. ჭელიძისა (თბ., 2006).

„ფსალმუნნი დაფესებულნი" — იხ. დაფესებულნი, ექვსფსალმუნნი.

ფსალტი — „კურთხეულ-ა ფსალტისა-ა" (S 143, XI ს., გე. 340; გე. 40). იხ. მეკავთნე.

ფსირცხა — იხ. ახალი ათონი.

ფშაველი — სოფელი თელავის რ-ნში, მდ. სტორის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე, ახმეტა-ყვარლის საავტომობილო გზაზე, თელავიდან 35 კმ. სოფლის მიდამოებში არის ადრე შუა საუკუნეების სამონასტრო ანსამბლი „კოხტა ღვთისმშობელი". შემორჩენილია მთავარი ეკლესია, მცირე ეკლესია, გალავანი, სასახლე და სხვა დაშხრეული ნაგებობანი.

ფშკა — სპარსეთში წამებული ერთ-ერთი მარტყოლთაგანი, რომელიც ლუკა და რომანოზთან ერთად დაუწყვეთ ქრისტეს სარწმუნოების დაცვისათვის, ხოლო მათი წამების ადგილზე პეტრე იბერიელს მათ სახელზე ეკლესია აუშენებია და „დაჯრილნეს მას შინა პატიოსანი იგი ნაწილნი წმიდათა მათთანი", როგორც ეს აღწერილია პეტრე ქართველის (იბერიელის) ცხოვრებაში (ძეგლები, II, გე. 252).

ფხუტრირი — სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. ენგურის ხეობაში, მესტიიდან 27 კმ. სოფლის მახლობლად დგას X ს. მთავარანგელოზის ეკლესია „თარგზელ". ეკლესია ნაშენია თლილი ქვით. სამი მხრიდან გარეშემოსაველი აკრავს. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატული იყო. ეკლესიის ურთხელის ხის მოხატულ კარს ამკობს წმინდანების 6 ფიგურა და დიდებული ჩუქურთმები. ეკლესიის გარეშემოსაველის ჩრდილოეთ ნაწილის აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის ფილაზე არის XI ს. ლაპიდარული წარწერა: „ქრისტე, კურიე შეწყალე; გაბრიელ შეწყალე" (ლაპიდ. წარწ., II.118).

ქ

ქადაგება — I. სწავლა-მოძღვრების სასიათის სიტყვის საჯაროდ წარმოთქმა ეკლესიაში. 2. ასეთი სიტყვის ლიტერატურული ჩანაწერი. ქადაგება მტკიცე რწმენისა და შეხედულების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია და მგზნებარე ელფერი შინაარსის ფართო გაერცელებასა და შმენელთა დამოძღვრას ემსახურება. ქრისტიანული ეკლესიის მამამთავრები ისეც, როგორც მოციქულები, ზეპირად ქადაგებდნენ. წარმართული მსოფლიოს წინააღმდეგ ქრისტიანობას, გარდა სიტყვისა, სხვა იარაღი არ გააჩნდა და ამ იარაღით გაიმარჯვა კიდეც. (იხ. პომილია, პომილეტიკა).

ქადაგი — I. საკათედრო ტაძრის მთავარი დიაკვნის წოდება ძველ საქართველოში. მათ მოვალეობას შეადგენდა კვერექსების წარმოთქმა,

ეპისკოპოსის კურთხევაში მონაწილეობის მიღება (პატრიარქისა და ეპისკოპოსთა კრებულის დადგენილების გამოცხადება ამა თუ იმ სამღვდელო პირის სამღვდელმთავრო ხარისხში ამაღლების შესახებ). მცხეთის სვეტიცხოველის ქადაგის თანამდებობა ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა. მაგალითად, ცნობილია მაღალძეთა დინასტია ამ თანამდებობაზე (იხ. ნიკოლოზ მაღალძე). 2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძველი წარმართული წარმოდგენით — ღვთიერჩეული პირი, შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის. ქადაგში, მთიელთა რწმენით, დასადგურებული იყო ღვთაება და მისი პირით ამცნობდა იგი ხალხს თავის ნება-სურვილს. არსებობდა ქადაგობის მთელი ინსტიტუტი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქადაგს ხატის მსახურთა წრეში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეკავა. ის აქტიურად მონაწილეობდა თეშის სერი და სასულიერო ცხოვრებაში. ქადაგი სამლოცველოში იჯდა მხოლოდ რელიგიური დღესაწაულების დროს (უმეტესად ახალ წელს) და თეშის წევრებს უწინასწარმეტყველებდა, რა ელოდათ ახალი წლის მანძილზე. ქადაგი ასახლებდა აგრეთვე ხატის იმ მსახურებს, რომლებიც უნდა გაძღოლოდნენ სალოცავებს, წყვეტდა სამეურნეო საკითხებსაც და ა. შ.

ქაიხოსრო (ზედგენიძე) — ჯვარის მონასტრის წინამძღვარი XV-XVI სს-ში, რომელსაც დიდი სააღმშენებლო საქმიანობა უწარმოებია იერუსალიმში („ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, 1971, გვ. 236-241).

ქაიხოსრო ქართველი — მოწამე „რომელი აწამა ყენმან შაჰ-აბაზ წმიდათა ხატთათუს 1612 წელს“. ტიმოთე გაბაშვილის „მოსწავლეში“ (გვ. 85,30) დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმში ჯვარის მონასტრის კედლზე არის მოთავსებული წმ. მამათა და მოწამეთა ჯგუფური გამოსახულება წარწერებით. სიის მესამე ადგილზე დასახელებულია მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომლის გამოსახულება ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელია. ქაიხოსრო ქართველი არის ნიკიფორეს თანამედროვე, ანუ XVII საუკუნის დამდეგის მოღვაწე.

ქაიხოსრო წულუკიძე — ნიკიფორე ჩოლოყაშვილის თანამედროვე მოღვაწე (XVII ს.). გამოსახულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დასაელეთის კედლზე ჰატა წულუკიძესთან ერთად. ქაიხოსრო წულუკიძისთვის ნიკიფორეს აღუპიც დაუწესებია, სადაც აღნიშნულია, რომ მან ააშენა ქრისტეს საფლავთან წმ. ნიკოლოზის საფდარი სამოცი სახლით, ქვითკირით კამარა-შეკრული და გამოიხსნა წმ. ნიკოლოზის წისქვილი და ეენახი (იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 81-82). ამ ამაგის გამო ნიკიფორემ იგი დახატა ჯვარის მონასტერში და აუწთო კანდელები ქრისტეს საფლავთან და გოლგოთაზე და ჩაწერა მისი სახელი ყველა მოსახსენებელში (ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 144).

ქალკედონის მსოფლიო IV საეკლესიო კრება — შედგა 451 წელს ქალკედონში (აქედანაა მისი სახელწოდებაც). ეფესოს კრებაზე 431 წ. ნესტორის გაკიცხვით არ ამოწურულა ქრისტოლოგიური საკითხი. ეუტიქიმ, კონსტანტინოპოლის მახლობლად მდებარე მონასტრის არქიმანდრიტმა, ახალი წეალება წამოიწყო, რომლის გამო კვლავ საჭირო გახდა საეკლესიო კრების მოწვევა და იმპერატორმა მარკიანემ მოიწვია იგი ქალკედონში 8 ოქტომბერს. ქალკედონის კრებას ესწრებოდა 640-მდე მღვდელმთაური და რომის პაპის ლეგატები. კრებამ განიხილა კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის, ეუტიქის ქრისტოლოგიური მოძღვრება, მწვალებლად შერაცხა იგი და მტკიცედ განაზღვრა მართლმადიდებლური სარწმუნოების შესაფერისი დოგმატი. კრებამ დაგმო ეფესოს ე. წ. „ავაზაკური კრება“ (449 წ.) და შეიმუშავა ახალი, დიოფიზიტური სარწმუნოების განსაზღვრება, რომელიც აღიარებდა იესო ქრისტეს პირში ორ სრულ ბუნებას — კაცობრივსა და ღვთაებრივს. ქალკედონის კრების შემდეგ დიოფიზიტები და მონოფიზიტები სამწლოდ გაემიჯნენ ერთმანეთს. კრებამ შეიმუშავა ეკლესიის 30 საორგანიზაციო კანონი, დაადასა კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქები. დასავლეთის ეკლესიის კანონიკურ კრებულში შეტანილია მხოლოდ 27 კანონი. 28-ე კანონი პრიმატს კონსტანტინეპოლს ანიჭებს და მას „ახალ რომად“ აცხადებს. ეს კანონი არ მიიღო დასავლეთის ეკლესიამ და არ შეიტანა თავის კანონიკურ კრებულში. არსენ იყალთოელის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ „დიდ სჯულისკანონში“ შესულია ქალკედონის კრების 30-ივე კანონი (იხ. დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975 წ., გვ. 269-278).

ქალკედონიტობა (ქალკედონიზმი) — სარწმუნოების განსაზღვრება, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს პირში ორ სრულ ბუნებას — ღვთაებრივსა და კაცობრივს. მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც 451 წელს შედგა ქ. ქალკედონში, განიხილა რწმენის საკითხი ქრის-

ტეს ბუნების შესახებ. ქალკედონიტთა თეოლოგიურმა მოძღვრებამ საბოლოოდ გაიმარჯვა VIII საუკუნეში; მართლმადიდებლურმა მოძღვრებამ სისტემური და ჩამოყალიბული სახე მიიღო იოანე დამასკელის თხზულებებში.

ძამი – ბიბლიური მამათმთავრის ნოეს ერთ-ერთი ძე, რომელიც მამასთან და ძმებთან (სემსა და იაფეტთან) ერთად გადაურჩა წარღვნას. ბიბლიის მიხედვით, ქამი და მისი ძმები იყვნენ მსოფლიოს ხალხთა მამამთავრები. ქამის ნაშიერები იყვნენ ქანაანელები და ეგვიპტელები. ღმერთმა დაწყევლა ქამი იმის გამო, რომ დასცინა მამის სიშიშველეს (იხ. დაბ. 9,21-27).

ძარზამეთი – სოფელი ასპინძის რ-ნში, თმოგვის მიდამოებში. სოფელში დგას XIII საუკუნის დარბაზული ეკლესია. თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილ სოფელ ტატალეთისაგან მას მხოლოდ მდ. ქარზამეთის წყალი ყოფს. ვახუშტის ცნობით, ქარზამეთი გუმბათოვანი მონასტერი უნდა ყოფილიყო. ღღეს იგი უგუმბათოა და ე. ბერიძის აზრით საეჭვოა, რომ გუმბათოვანი ყოფილიყო ოდესმე. მთავარი ეკლესია დგას ბორცვზე, სოფლის თავში. ე. თაყაიშვილის აღწერით, ქარზამეთის ეკლესიის შენება უნდა დაწყებულიყო XIV საუკუნის II ნახევარში (ე. ბერიძეს თარიღი მე-13 საუკუნეში გადაჰქონს). ეკლესიას შემორჩა წარწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ იგი აგებული ყოფილა წმ. გიორგის სახელზე. წარწერა პირველად გამოაქვეყნა მარი ბროსემ, ხოლო შემდეგ – ე. თაყაიშვილმა.

ძართველთა ეთნარძები – ქართველთა მითოლოგიური წინაპრები, ქართული ერის მამამთავრები. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართველები არიან ლეგენდარული ქართლოსის, თარგამოსის ძის შთამომავალნი. ლეონტი მროველის სქემით, ქართველთა გენეალოგიური შტო ამგვარად გამოიყურება: თარგამოსი, მისი ძე – ქართლოსი (ქართლოსიანთა სამეფო გვარის მამამთავარი); ქართლოსის 5 ეაჟი: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი; მცხეთოსს კი ჰყავდა სამი ძე: უფლოსი, ოძრხოსი და ჯავახოსი.

შემატიანე მოგვითხრობს, რომ თარგამოსმა მისცა ქართლოსს ქვეყანა: აღმოსავლეთით პერეთი, დასავლეთით – პონტოს ზღვა, სამხრეთით – ტაო-კლარჯეთი ვიდრე ზღუდემდე და ჩრდილოეთით – ლიხის მთამდე. ქართლოსმა აშენა არმაზი და უწოდა მას ქართლი; აშენა აგრეთვე ციხე ორბისი, ხუნანი და სხვა. ქართლოსის ძეთა შორის გამოირჩევდა მცხეთოსი. ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა ააშენა დედაციხე, ბოსტან-ქალაქი (რუსთავი) და გაჟო ქვეყანა მის 5 ეაჟს შორის. მცხეთოსს დარჩა მამის სამყოფელი არმაზი (მანვე ააშენა ქალაქი „შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვსასა და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა და დაიპყრა ქუეყანა ტფილისისაგან სპერის ზღუამდე და იყო უფალი ოთხთა ძმათა ზედა"); გარდაბოსს მისცა ხუნანი და „უჩინა საზღვარი აღმოსაელეთით მღინარე ბერდჳსისი, დასაელეთით ქალაქი გაჩიანი და სამჯერთ მთა პირველსწერებული და ჩრდილოით – მტკუარი". კახოსს მისცა „კაკჳასითსა და კახეთის მთას შორის, არაგჳიდან ვიდრე ტფილისამდე, რომელ არს პერეთისა საზღუარი"; კუხოსს მიეცა „ბოსტან-ქალაქი, რომელსა ჰქჳია რუსთავი... არაგჳითგან, ვიდრე ჰერეთამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა". გაჩიოსს მისცა „ორბის ციხე და სურეთის მღინარითგან ვიდრე თავადმდე ახალისა"; მან ააშენა ქალაქი გაჩიანი. მცხეთოსის შვილთა შორის სამი სახელოვანი გჳჩირა: უფლოს, ოძრხოს და ჯავახოს. მცხეთოსმა მათ შორის გაყო თავისი ქვეყანა: უფლოსს დარჩა მამის სამყოფელი – მცხეთა და ეპყრა ქუეყანა არაგჳდან ტაშისკარამდე და ფარავნამდე. უფლოსმა ააშენა უფლისციხე, ურბანისი, კასპი. ოძრხოსს მისცა ტაშისკარიდან სპერის ზღუამდე ტერიტორია; მან ააშენა ორი ციხე-ქალაქი – ოძრხე და თუხარისი. ჯავახოსს გაჰქუაო ქუეყანა ფარავნიდან მტკურის თავამდე. ჯავახოსმა ააშენა ქალაქი არტაანი (ქაჯთა ქალაქი). ლეონტი მროველი ეგრისისა და პეროსის ჩამომავალთა – მეგრელ და პერთა ტომების შესახებ არაფერს ამბობს. ლეონტის მიხედვით, ქართლოსის ძმამ პეროსმა „აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელსა შორის ორთაჳე ალაზანთასა და უწოდა სახელი თჳსი პერეთი". ასევე მეორე ძმამ ეგროსმა „აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი". ქართლოსის შთამომავლობად ლეონტის მარტო ქართლელნი (მცხეთოს, უფლოს), კახელნი (კახოს, კუხოს, გაჩიოს) და მესხნი (ოძრხოს, ჯავახოს) მიაჩნია. სხვა ტომთა შესახებ კი დუმს. ამგვარად, ლეონტის ცნობები საინტერესოა მხოლოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მთელ ქვეყანას „ქართლი" მხოლოდ მისი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ ეწოდა („ქართლის ცხოვრება", ტ. I, გე. 3-11).

ძართლისა და სომხეთის საეკლესიო განსჯეთძილება – ამ საკითხის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება საეკლესიო განხეთქილების ამსახველ ისტორიულ წყაროებს. ასეთ წყაროთაგან ყველაზე ნაკლებ ტენდენციურად ითვლება „ეპისტოლეთა წიგნი“. ესაა კრებული სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერისა სხვა ეკლესიის მეთაურებთან V-XIII სს-ის მანძილზე. მასში შეტანილია მასალები, რომელიც ქართლისა და სომხეთის ურთიერთობის საკითხებსაც ეხება. „ეპისტოლეთა წიგნში“ ასახული მასალა მოიცავს ქართველ-სომეხთა საეკლესიო დაყის პირველ (განხეთქილების) ეტაპს. სხვა ეტაპზე იქმნება არანაკლები მნიშვნელობის პოლემიკური თხზულებები. ამათგან მნიშვნელოვანია უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ და არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“.

საეკლესიო განხეთქილება VI ს-ის მანძილზე მზადდებოდა და VII ს-ს დამდეგს დასრულდა. განხეთქილება დიდად იყო დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაზე. VI-VII სს-ის მოკლე არჩევანის წინაშე აყენებს ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებს. ქალკედონიტობის აღიარება ბიზანტიის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავდა, მონოფიზიტობა კი – სპარსეთის ქვეშევრდომობის აღიარებას. ქართლმა გააკეთა არჩევანი და გადაჭრით დადგა ბიზანტიის მხარეზე სწორედ მაშინ, როცა სპარსეთის უპირატესობა სავსებით აშკარა იყო. საეკლესიო განხეთქილება მნიშვნელოვნად იყო განპირობებული მონწილე ქვეყნებისა და ეკლესიების მიერ მთელი კაეკასიის მასშტაბით პირველობის ძიებით, ხოლო შემდეგ თვითონვე უწყობდა ხელს რომელიმე იმპერიის მიერ მისი დასაკუთრებისათვის ბრძოლას. ქართლის მესვეურთაგან მთელ VI ს-ის მანძილზე გარე საფრთხისა (სპარსეთი) და მისი იდეოლოგიური იარაღისაგან (მონოფიზიტობა) თავდაცვის საშუალებათა ძიებას შედეგად მოჰყვა საეკლესიო განხეთქილება. ამ ძიებაში ქართლმა იდეოლოგიურ ფარად ქალკედონური მრწამსი აირჩია. VII ს-ის დამდეგს აღებული კურსი, ქალკედონური მრწამსის ქვეყნის ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადება და ამ გეზის განუხრელი გატარება, საშუალებას აძლევდა ქართლს ძლიერების ზენიტში თავი ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ამ მისიის შესასრულებლად იგი უნდა გამხდარიყო ეროვნული თვითშეგნების გამომხატველიც. ბუნებრივია, ქალკედონური მრწამსისათვის ამ მისიის დაკისრებამ გამოიწვია „უცხო ქვეყანაში“ მოსახლე სომხების თავდადებული ცდა, შეენარჩუნებინათ თავისი ეთნიკურ-იდეოლოგიური სახე და მონოფიზიტური მრწამსი. VII ს-ის დამდეგს ქართლის კათოლიკოსის საეკლესიო პოლიტიკით შეშფოთებული ცურტავის საპატიმროს სომხურენოვანი თემი წერდა: „ან უნდა დაეჩრეთ ამ ქვეყანაში და ამის სურვილისამებრ მოვიქცეთ, ან უნდა დავტოვოთ და გავეცალოთ“.

კაკეასიაში საეკლესიო განხეთქილების მონაწილეთა შთამომავლობა ორ მთავარ იდეოლოგიურ ბანაკად გაიყო – ქალკედონურად და მონოფიზიტურად. ბუნებრივია, რომ ისტორიოგრაფიაში ორი ძირითადი მოდელი ჩამოყალიბდა. ქალკედონური მოდელის წამომწყება იყო ქართლის ეკლესიამ, მონოფიზიტურის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის და ალბანეთის ეკლესიებმა, რის შედეგად მივიღეთ მონოფიზიტური მოდელის ორი განშტოება. წყაროები ამ განხეთქილების შესახებ ან ძალიან მრავალსიტყვაანია (მონოფიზიტური), ან ძალზე ბუნწი (ქალკედონური). კაკეასიაში მოშხვარი საეკლესიო განხეთქილება შედეგია გარეშე ძალის დაწოლით უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ არჩეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაციისა. ასეთი რეალისტური თვალსაზრისის მქონე ისტორიკოსების პოზიცია ძალზე ზუსტად გამოხატა არსენ საფარელმა: „სპარსთა მეფენი აიძულებდნენ სომეხთა, რაჲთა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა... რაჲთა სიძულილი შეაყარდეს შორის მათსა განშორებითა სჯულისაჲთა და ამით უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსთასა“. ქალკედონიტი ისტორიკოსის აზრით, ნერსე კათოლიკოსმა და მისმა მოშრეებმა „ფიცხელი ეკალი წებსით განაწონეს კლდეთა მათთა და ერსა მას უბრალოსა“. დაახლებით ასეთი პოზიცია ეკავა უხტანესს, რომელიც განხეთქილების გამო მთელ პასუხისმგებლობას კირიონ კათოლიკოსსა და ბერძენთა კეისარს აკისრებდა. უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ პირველი ცდაა მონოფიზიტური თვალსაზრისით აღადგინოს კაკეასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების ისტორია თანადროული დოკუმენტებისა და ზეპირი გადმოცემების მიხედვით. არსენ საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ წარმოადგენს ბიზანტიისა და ირანის იმპერიათა ურთიერთობის ფონზე გაშლილ კაკეასიის ქვეყნების საეკლესიო და პოლიტიკურ ისტორიას IV ს-ის დასასრულიდან, ვიდრე 726 წლამდე. მასში ვრცლად არის გადმოცემუ-

ლი სომხური ეკლესიის მონოფიზიტურად გაფორმების პროცესი. არსენ საფარელის ტრაქტატიდან ჩანს, რომ ავტორი იცნობდა ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა შორის მიმოწერას VII ს. დამდეგს. არსენის მთავარი წყაროა ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი Naratio derebus Armenuac, რომელმაც ჩვენამდე ბერძნულ ენაზე მოაღწია. არსენი ქართველ მოღვაწეთა იმ ფრთას ეკუთვნის, რომელთათვის საეკლესიო განხეთქილება წარმოადგენდა უცხო ძალის დაწოლით გამოწვეულ პოლიტიკურ აქტს და არა შინაგან კანონზომიერებას. იგი გმობს მონოფიზიტობას, მაგრამ სჯერა, რომ სომეხი ერი „უბრალოა" და „უნებლიებით არის მოქცეული" მცდარი სარწმუნოებისაკენ. არსენს სწამს, რომ ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში კაეპაპიის ქეყნების იდეოლოგიური გართიანება არაა შეუძლებელი აქტი. ტრაქტატის მიზანიც ესაა: შეაგონოს კაეპაპიელ მონოფიზიტებს, რომ მათი წინაპრები ნებით არ გათიშულან და მხოლოდ გამოუვალმა პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა „მწუხარებით ეთხოვათ" სპარსთა მეუღაგან „სჯული იაკობოჲ".

„ქართლის ცხოვრება" – სისტორიო თხზულებათა კრებული, რომელიც შეიცავს ქართველ ისტორიკოსთა იმ თხზულებებს, რომლებიც თანმიმდევრობით მოგვითხრობენ ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. კრებული იწყება ლეონტი მროველის თხზულებით, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან V საუკუნემდე. ჯუანშერის საისტორიო ნაშრომი მოგვითხრობს V-VIII სს-ის ამბებს; ამას მოსდევს ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისა", რომელშიც გადმოცემულია VIII-XI საუკუნეთა ისტორია და ა. შ. „ქართლის ცხოვრებაში" არის ორი ციკლი თხზულებებისა: ძველი ციკლი – XIV ს-მდე და ახალი – XIV-XVII სს. ძველის მოცულობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ღღემდე მოგვეპოვება 12-მდე საისტორიო ძეგლი, რომლებიც თანმიმდევრობით მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიას დასაბამიდან XVII ს-მდე. ესენია: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა" (უძ. დროიდან V ს-მდე); „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა"; მისივე „წამებაჲ წმიდისა და ღიდებულისა მოწამისა არჩილისი" – VIII ს., ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქობა ეახტანგ გორგასლისა" – V-VII სს., უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა" – VIII-XI სს. სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა" – VI-XI სს., უცნობი ავტორის „ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე" (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა) – XII-XIII სს., უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (თამარ მეფის პირელი ისტორიკოსი) – XII-XIII სს., ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი (თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი) – XII-XIII სს., „მოწილეთა დროინდელი ისტორია" (ფამთააღშწერელი) – XIII-XIV სს., ბერი ეფთატაშელის „ახალი ქართლის ცხოვრება" – XIV-XVII სს., უცნობი ავტორების „ქართლის ცხოვრების" ორი გადამუშავებული გაგრძელება: პირველი – 1453 წ. მეორე - 1452-1605 წწ., დღისათვის ცნობილია „ქართლის ცხოვრების" 15 ნუსხა (ანასეული – XIV ს.; ჭალაშელისეული – XVI ს.; მარიამისეული – 1636-1646 წ-ისა; რუმიანცევისეული – 1703 წლამდე; თეიმურაზისეული – XVIII ს. I ნახ.; ჭალაშელისეული (ახალი) – 1713 წ.; მაჩაბლისეული – 1736 წ.; საეკლესიო მუზეუმისა – 1748 წ.; ჯანაშელისეული – XVIII ს.; ბარათაშვილისეული – 1761 წ.; ფალავანდიშვილისეული – 1761 წ., დადიანისეული – XVIII ს.; სხეპტორული – XVIII ს.; ბროსე სული – 1839 წ.; „მცხეთური" ვარიანტი, ნაწერი ნუსხა-ხუცურით; დაბლოს, სინის მთის ახალ კოლექციაში აღმოჩენილი ნუსხა).

ქართლოსი – ქართველ ხალხთა ერთერთი ეთნარქი – ლეონტი მროველის მიხედვით. (იხ. ქართველთა ეთნარქები).

ქართული მონასტერი იაკლესტინაში – V საუკუნის ქართული მონასტერი იერუსალიმში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, ბირ-ელ-კუთის მიდამოებში, ხირბეთ ეთოარ ალ-ღანამის ჩრდ. დას-ით. აშენა ავტრე იბერმა (იხ.) დაახლოებით 444 წ. მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ იოანე ლაზი (იხ.) და სხვა ქართველი ბერები. მონასტრის ნანგრევები აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ (იხ. „ლაზთა მონასტერი").

ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონი – ქრისტიანობის ოფიციალურ, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოში არსებულა წარმართულ ღვთაებათა უმცროს-უფროსობაზე შემუშავება-

ლი რიგი. უძველესი ცნობების თანახმად, წინა ქრისტიანულ ქართულ პანთეონს შეადგენდნენ ციური სხეულები: მზითობები (ანდა მათი განმასხივირებელი ღეთაებები) – მზე, მთვარე და 5 ვარსკვლავი. მოგვიანებით აზოს (იხ.) შემოულია გაცისა და გაიმის კულტები, აღუმართავს მათი კერპები. მეფე ფარნავაზ I-ს სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა არმაზის კულტი, აღმართა მისი კერპი არმაზის მთაზე. გაცისა და გაიმის კერპები არმაზის ორიე მხარეს დაუდგამს. საურმაგმა, ქართლის მეორე მეფემ აღმართა ანონასა და დანინას კერპები, ხოლო ფარნაჯომმა შემოიღო ზადენის კულტი. შემდეგ რეგ მართალმა მათ მიუმატა აფროდიტეს კერპი, რომელიც აღმართა მცხეთის თავზე. ამ კერპთაგან არმაზი და ზადენი, „ქართლის ცხოვრების" თანახმად, ქართველთა დიდ ღმერთებად, ნაყოფიერების ღეთაებებად არიან მიჩნეულნი, ხოლო გაცი და გაიმი, მკვლევართა აზრით, უფრო სოციალური ფუნქციის შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ. ქართულ წარმართულ ღეთაებათა პანთეონიდან თაყვანისცემა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ თანდათანობით გაქრა.

ძარიაქი – სოფელი წალკის რაიონში, წალკიდან 11 კმ-ზე, რომელშიც დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია, ლაპიდარული წარწერებით. ესაა მცირე ზომის ლამაზი ეკლესია, ნაგები სუფთად გათლილი ქვის კვადრებით, მოჩუქურთმებულია სარკმლები. საკურთხეველში 3 ნიშაა; მოხატულობა ახალია.

ძარმლუხი // ჯარქლუხი – მუსლიმანური სოფელი ისტორიული ოლთისის მხარეში (დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა), რომელშიც ყოფილა ორი ქართული ეკლესია. ერთი დიდი – ნაგები ნახევრად თლილი, წითელი ქვით, ოთხკუთხედი გეგმისა, საკურთხეელის აბსიდი და თაღი მოშლილია, კედლები დაცული. შესასვლელი ჩრდ. და სამხ.-ით. სამხ. მხრიდან ახლავს პატარა ეგეტერი, მთლიანი სახით დაცული. მეორე პატარა ეკლესია გადაუკეთებიათ მუსულმანურ ჯამედ. ერთ-ერთი ამ ორ ეკლესიათაგანი წმ. გიორგისი უნდა ყოფილიყო. ცნობა ამის შესახებ დაცულია ჯრუჭის სახარებაში (H 1667, XII ს.).

ძარტა (ბერძნ.) – თაღაპირველად ასე ეწოდებოდა საწერად განკუთნილ პაპირუსის ფურცელს, ხოლო გვიან ყველგვარი ფურცლის სახელწოდებად იქცა. ასეთი მნიშვნელობით შეიდა იგი სხვა ხალხების ენაში და, მათ შორის, ქართულში. რაკი ერთი ქარტა ხშირად საკმარისი იყო ლოკუმენტის შესადგენად, მან შეძლეგ მიიღო სახეთის მნიშვნელობაც. ასეთი მნიშვნელობით გვხვდება ქარტა, მაგალითად, იოანე მოციქულის აპოკრიფულ ცხოვრებაში (A 19, X, 107r-108v. გამოც. ც. ჯურციკიძისა, ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 55-72).

ძარჩოხის ციხე // ცხმორის ციხე – შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე აღმ. საქართველოში, ახლანდელი ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე. ქარჩოხის ციხის კომპლექსში შედის: ადრინდელი შუა საუკუნეების ზურგიანი კოშკი და უახლიდო ბაზილიკური ეკლესია. შემდგი პერიოდისაა გალავანი და რეკონსტრუირებული კოშკი.

ძარცები – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, ახალ-ქალაქიდან 20 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XIV საუკუნის ეკლესია. აქეს მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები.

ძასაგინი – სოფელი ჯავის რაიონში, მდ. ღრამელის ხეობაში, ჯავიდან 32 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობლად ტყეში არის X ს-ის II ნახევრის ეკლესიის ნანგრევები (დაფარულია მიწით). მის ახლოს მდებარეობს ხანძრის შემდეგ მიტოვებული ძველი სოფლის შენობა, რომლის კედლებში არის ჩატანებული ქასაგინის ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები. ამას გარდა სოფლის შენობის ახლოს აღმართულია ორი დიდი სვეტი (2-2 მ-ის სიმაღლისა). ერთ მათგანზე დგას ქვის ჯვარი, ეკლესიიდან გადმოტანილი. ქასაგინის ეკლესია მორთული ყოფილა ქვაში ნაკვეთი მდიდარი ჩუქურთმებით, ცნობილია გამოსახულებებით. ერთ-ერთი ფრაგმენტი ღვთისმშობურის გამოსახულებით დაცულია ცხინვალის უნოგრაფიულ მუზეუმში.

„ძასური წმიდა გიორგი" – VI საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა (ნანგრევები) მცხეთის რაიონში, საგურამოს მიდამოებში, ზედაზნის გზაზე. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ძაშვეთი („ქვაშვეთი") – ეკლესია თბილისში (ძველ გარეუბანში), ახლანდელ რუსთაველის პროსპექტსა და თბუაშვილის ჭიჭას შორის. მის აშენებას გაღმოცემა მიაწერს ერთ-ერთ ასურელ მამათაგანს, დაუით გარეჯელს. წერილობით წყაროებში ქაშვეთს ეკლესია პირველად 1440 წელს შედგენილ სიგელში იხსენიე-

ბა: „მოგეცით ქაშუთაბა მკუდრი საყდრის მიწა საუნაქე“... (ისტ. სამუთები, II). ძველი ეკლესია შეცვალა ამილახვრების მიერ აგებულმა აგარის ეკლესიამ (XIII ს.). XIX საუკუნემდე მოღწეული ეკლესიის აგებას პლ. იოსელიანი გივი ამილახვარს მიაწერს. XIX ს-ის მიწურულს ისიც დაზიანდა და ტაძრის მაშინდელმა წინამძღვარმა მარკოზ ტყემალაძემ და ტაძრის სხვა მესვეურებმა ახალი ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს, პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ლ. ბილუელდმა, რომელმაც ახალი ეკლესიის ნიმუშად სამთავისის ტაძარი გამოიყენა. ქაშუეთის მშენებლობაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ქალაქის არისტოკრატიის და ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. ქაშუეთის ეკლესია წმ. გიორგისაა. 1947 წელს იგი მოხატა ლადო გუდიაშვილმა.

ძაშვეთი – სოფელი სვანეთში, ლენჯერის თემში. სოფელში დგას წმ. გიორგის ძველი ეკლესია. ეკლესია მცირე ზომისაა, აქვს ქვის კანკელი, რომლის საფუძველზე აღმართულია ორი დიდი ხის ჯვარი.

ძება – „შესხმა, დიდება, გინა კეთილთა მისთა წარმოთქმა“ (სახა). ქება სახელოვანი პიროვნებისა ან რაიმე სამაგალითო მოვლენისა, შემაჯამებელი ორატორული ძეგლი, რომლის ხატოვანი და ემოციური ფორმა მსმენელთა შთაგონებას ემსახურება – ძველ ქართული პოეზიის ჟანრია. ტერმინი „ქება“ დამკვიდრდა ქართულ პიმნოგრაფიასა და სახოტბო პოეზიაში. ქება იწერებოდა პროზად (მაგ. იოანე საბანისძის „ქებაჲ წმიდისა მოწამისა აბოჲსი“) ან ლექსად (იოანე ზოსიმეს „ქებაჲ ქართლისაჲ ენისაჲ“, ჩახრუხაძის „თამარიანი“). ამ რიგისაა ბასილი საბაწმიდელის მიერ VIII-IX სს თარგმნილი „ქებაჲ სამებაჲსი და სამწმიდისაჲ“, ქება გვხვდება ავრეთვე საკარიდ წარმოთქმული ნაწარმოების მნიშვნელობითაც. სასულიერო მწერლობაში „ქების“ სინონიმია „შესხმა“.

ძედა – სოფელი ქვის რაიონში (ეანთან ახლოს). სოფელში პატარა ბორცვზე დგას შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია. იგი დგას ძველი ეკლესიის ადგილზე. თითონ ახლად ნაგებია ძველი ეკლესიის ქვებით; კანკელი ხისა აქვს, არის ხატები.

ძედა – სოფელი გურიაში (შემოქმედის ახლოს), რომელშიც არის ძველი ეკლესიის ნანგრევები. როგორც ჩანს, ეკლესია პატარა ზომისა იყო. შემორჩენილია ტრაპეზის ქვა. იოანე ნათლისმცემლის ერთი ხატი (ქვის ეკლესიიდან) ამჟამად დაცულია ახალ ეკლესიაში. 1157-1159 წლებში ეკლესია მურიდ აგეს.

ძედისუბანი – სოფელი რაჭაში, ამბროლაურის რ-ნში, ამბროლაურიდან 10 კმ-ზე; სოფელში დგას ორი ეკლესია: მრავალძალის („მრავალძალის“) წმ. გიორგისა და მთაყარანგელოზისა (XVI-XVII სს.). ეს უკანასკნელი დარბაზული ეკლესიაა, ერთნავიანი ნაგებობა აშენებულია უხეშად დამუშავებული ქვით, თაღი ფიცრისაა; ჩრდ. კედელზე შემორჩენილია მხატვრობა. დანარჩენი კედლები ჩანთიაა შეღებილი. აქეს წარწერები და ფრესკები. კედლის წყობაში ჩატანებულია XI ს-ის კანკელის ფრაგმენტი. მოხატულობა XVI-XVII ს-ისაა. კარსარკმელს ამკობდა ჩუქურთმა, რომელიც ნაწილობრივ შეღესილია.

ძეთევან დედოფალი (1570-1624) – ქრისტიანობისათვის წამებული წმინდანი, ამოთან მუხრანბატონის ასული, კახეთის მეფის, დავით I-ის მეუღლე, თეიმურაზ I-ის დედა. 1614 წელს შაჰ-აბასის შემოსევების დროს ქეთევან დედოფალი თავისი ორი შვილიშვილით – ალექსანდრეთი და ლევანით მძევლად გაგზავნა წაიყვანეს, იქიდან შაჰის ბრძანებით აშორეს გადაიყვანეს, 1620 წელს კი შირაზს გაგზავნეს. თეიმურაზმა რუსეთის დახმარებით სცადა ქეთევან დედოფლის განთავისუფლება. მაშინ შაჰ-აბასმა შირაზის ბეგლარბეგს მოსთხოვა დედოფლის გამამადიანება. ქეთევანმა გამამადიანებაზე მტკიცე უარი განაცხადა, რისთვისაც ის შაჰის ბრძანებით მოკლეს საშინელი წამებით. გოას ავგუსტინელმა კოლეგიის ბერებმა ქეთევან დედოფლის ნეშტი ასარსეთიდან გაიტანეს. ერთხანს მისი წმინდა ნაწილები საქართველოში ინახებოდა, ალავერდის ტაძარში (საიდანაც 1723 წელს დაიკარგა), შემდეგ ინდოეთში (გოა და-გრასის მონასტერში), რომში (წმ. პეტრეს ტაძარში), ბელგიაში (ნამურის ტაძარში). ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილი აღწერილი აქეს მის ძეს, პოეტ თეიმურაზ I-ს პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“. შემდეგ ის აღწერა გრეგორიო ორსინიმ, პიეტრო დელავალემ, ე. გრუზინსკიმ, კლოდ მალეტგრამ და სხვა. გერმანელმა მწერალმა ა. გიფიუსმა ამ თემაზე შექმნა ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“. ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. ქეთევან დედოფლის წამების მიუხედავ გრიგოლ დოდორკელის (ვახტანგ VI-ის) თხზულება: „წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ“ (ნუსხა XVII ს-ისა) ეკლესიის მიერ ქეთევან დედოფალი წმინდანად არ იქნა აღიარებული.

ძეთევან დედოფალი – ქალაქი ალავერდის ველზე, ალავერდის ეპარქიის ცენტრი. ქალაქის ადგილზე ადრე სოფელი ყარაღაჯი იყო. 1938 წელს ალავერდის ეპარქიის ცენტრი ყარაღაჯიდან გადმოიტანეს ალავერდის მონასტერში, ხოლო 1939 წელს ყარაღაჯი ქალაქად გადაკეთდა და ეწოდა ქეთევან დედოფალი. ქალაქში ფუნქციონირებს ალავერდის ეპარქიის სამრევლო ეკლესია.

ძეთევან დედოფალი – სოფელი ყვარლის რ-ნში, ალავერდის ეპარქიის ცენტრი. სოფელში დგას ალავერდის ეპარქიის სამრევლო ეკლესია.

ძეთევან დედოფალი – სოფელი ხაშურის რ-ნში, ალავერდის ეპარქიის ცენტრი. სოფელში დგას ალავერდის ეპარქიის სამრევლო ეკლესია.

ძეთევან დედოფალი – სოფელი ხონ

სი" (XVII ს.) (A 130, 1719წ., 114-127; S 3269წ., 1720, 171-177 და სხვ. გამოც. ტ.რუხაძის, ლიტ. ძიებანი, V, 1949, გვ. 248-267; ძეგლები, V, 1989, 5-32. გრიგოლის ამ თხზულებისა და სხვა წყაროების საფუძველზე ანტონ კათოლიკოსმა 1768-69 წ. შექმნა ქეთევანის „წამების" მეტაფრასული რედაქცია და შეტანა „მარტირიკაში" (Q 78; S 1272; გამოც., ძეგლები, VI, 1980, 12-35). ქეთევანის „წამების" სინაქსარული „წამება" სამი რედაქციით არის ცნობილი (იხ. ძეგლები, IV, გვ. 429-432; 432-433; ძეგლები, VI, გვ. 448-450).

ქემერტი – სოფელი შიდა ქართლში, ცხინვალის რ-ნში. მდ. დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, ცხინვალიდან 12 კმ-ის მანძილზე. სოფელში შემორჩენილია IX-X სს-ის მიჯნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები არათანაბარი ზომის ქვებით. შელესილია შიგნით და გარეთ. სარკ-მლებისა და კარების თაღები ნალისებრი ფორმისაა, შემკულია ჩუქურთმებით. ფასადებში ჩართულია კანკელის ორი ფილა და აყვავებული ჯვრის გამოსახულება (X-XI სს.). XX ს-ის დასწყისში ეკლესია შეუკეთებიათ. დას. კარის თაღზე გამოსახულია ღვინისფერი ტუფის ქვის ჯვარი. არის უფრო ადრინდელი ფრაგმენტებიც.

ქერაბინი – ჯვარის მამა, რომელიც ჯვარის აღაპების მიხედვით XIV საუკუნის მიწურულში წინამძღვრობდა. ქერაბინი სხვა წყაროებში არ ჩანს. მისი სახელი არაა შეტანილი სინის მთის სულთა მატიანის მოსახსენებელში. ფიქრობენ, რომ მისი „მამობა" ხანმოკლე უნდა ყოფილიყო და, ალბათ, უმნიშვნელოც" (ელ. მეტრეველი, მასალები, ალაპი 80-81, გვ. 86; 116-117).

„ქერობინი" – საგალობელი, რომელიც სრულდება იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიებზე, დიდი შესვლის (სიწმინდის გადასვენების პროცესიის) წინ. გალობამ სახელწოდება მიიღო დასაწყისი სიტყვისაგან. დიდ ხუთშაბათსა და დიდ შაბათს მის ნაცვლად ლიტურგიაზე სრულდება სხვა საგალობლები („სერობასა საიდუმლოსა..." და „ხლუმენ..."), ასევე პირველშეწირულის წირვაზეც („აწ ძალნი ცათანი...").

ქერობინი (ქერუბინი) – უმაღლესი რანგის ანგელოზთა დასი ანგელოზთა ცხრა დასს შორის. ძველი აღთქმის მიხედვით, ქერუბინები იყვნენ ღვთის მსხლებელნი. იხსენიებიან დაბადებასა და იეზეკიელის წინასწარმეტყველებაში. ისინი გამოსახულნი იყვნენ სოლომონის ტაძრის თაღზე იერუსალიმში. ქერობინები ქრისტიანულ ანგელოლოგიაში ჩვეულებრივ სერაფიმებთან ერთად მოიხსენიებიან (იხ. ანგელოზი).

ქერობინ ანჩელი – XV ს-ის II ნახევრის ანრის ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი ქერობინ აბელის ძე. შემონახულია მის მიერ 1466-1479 წლებში გაცემული „ერთგულების წიგნი" ქართლის კათოლიკოს დავითისადმი (სამართლის ძეგლები, III, გვ. 218-219).

ძეაბისხევი – სოფელი ბორჯომის რაიონში, მდ. ქვაბისხევის ნაპირებზე, ბორჯომიდან 21 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობლად დგას VIII-IX საუკუნეების დარბაზული ეკლესია, არის მოხატულობა XII-XIII საუკ-ისა და ფრესკული წარწერები. სოფელში შემორჩენილია აგრეთვე შუა საუკუნეების „დემოთის ციხე" და ამავე პერიოდის ციხის ეკლესია.

ძეაბლიანი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ხერთა შუა საუკუნეების სამხრეთ.-დას. საქართველოში, ისტორიულ სამცხეში (ახლანდელი ადიგენის რ-ნის ტერიტორია). ქვაბლიანში შემორჩენილია ქართული კულტურის ძეგლები: ოქროსა და ზანაკის ციხეები, ზარზმისა და ჭობულეს ეკლესიები; აგრეთვე ეკლესიები იფკარეთში, ბოლაჯურში და სხვა.

ძეათახევი – XII-XIII სს. ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელიც დგას კავთურის ხეობის სიღრმეში, კასპის რაიონში. ქვათახევის ტაძარი, ეახუშტის დახასიათებით, „შეენიერნაშენი" გუმბათიანია. ეყრდნობა ორ ბურჯსა და აბსიდის კედლების შეერილებს. გუმბათი და გუმბათის ყელი უხვადაა შემკული დეკორით. ქვათახევის ტაძარს დღემდე აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი ზომები და პროპორციები. სამხრეთის მინაშენი აგებულა ტაძართან ერთად, ხოლო დას. კარიბჭის ღია თაღები – უფრო გვიან, XVII ს-ში. მთავარი ეკლესია ამ ეპოქის ყველაზე ტიპიური ნაგებობაა. სტილით ის უახლოვდება ფიტარეთის, ბეთანიის, წულერულაშენის, ანტკალის, პუჯაბის ეკლესიებს. „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, როგორ აწამეს და ააწიოკეს მონასტრის მონაზვნები სპარსელებმა: „შეამწყვდიეს ტაძარსა წმიდისა ქუაბთა ქვეშა ღთისმშობელისასა და შეუგზნეს ცეცხლი შიგან ეკლესიისა და დაწვეს, რომელიცა იყოფებოდის ეკლესიასა მას შინა". ანტონ I-მა მათ წამებას უძღვნა პაგიოგრაფიული თხზულება (ძეგლები, VI, გვ. 319-340). დაზიანების მიუხედავად კედლების

დიდი ნაწილი და გუმბათის ყელი გადარჩა.

მოუხედავად დარბევისა და აოხრებისა, ქვათახევი მძლავრ საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა. მეფე-დიდებულთა შეწირულებათა და დახმარებით მონასტერი მალე მოღონიერებულა. XVIII ს-ში ძველი სავანე დასუსტდა, ლეკიანობამ ის დაღუპვის პირამდე მიიყვანა. წინამძღვრის რეზიდენცია კაეთისხევში გადაიტანეს, რადგან ქვათახევში ყორნა ძალზე ხშირი შექნა. მონასტრის კეთილდღეობისათვის დიდად იღვწოდა წინამძღვარი ათანასე თარხნიშვილი, ასევე თაედიდები შრომობდა მომდევნო წინამძღვარი ლოსიონის ფრცხულაური, არაკლები ამაგი მიუძღვის მონასტერზე ტარასი ალექსიშვილს, რომელიც 1854-1874 წლებში არქიმანდრიტი იყო ქვათახევში. XIX საუკუნის ნახევარში 1854 წელს ქვათახევის ტაძარი კაპიტალურად შეაკეთა გიორგი XII-ის შვილიშვილმა, იოანე თარხანმოურავიშვილმა. ქვათახევში მოღვაწეობდა არაერთი ქართველი მწიგნობარი. ქვათახევის წინამძღვარი ფილიპე ბარათაშვილი ფრიად დახელოვნებულა სიგელ-გუჯრების წერაში; მას გადაუწერია მცხეთის ეკლესიის მამულების სია 1392 წლისა. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ დაწერილმა რამდენიმე საბუთმა; საბუთებს წერდნენ სხვა მოღვაწენიც (რომანოზ, კანდელაკი იოანე, მგალობელი ნიკოლოზ, დეკანოზი შიო, წინამძღვარი ქრისტეფორე და სხვა). საისტორიო წყაროებით ყველაზე მეტად ცნობილია ქვათახევის წინამძღვარი იოანე ავალიშვილი; მას გადაუწერია „იბაკონი ღვთისმშობლისანი“ – წმ. ქეთევან დედოფლისათვის. ფიქრობენ, რომ აქვე აღიზარდა იოსებ საკაძეც (XVIII ს.); ქვათახევში მოღვაწეობდა იონა ხელაშვილი და სხვ. მონასტერს თავის დროზე კარგი ბიბლიოთეკა ჰქონია. მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი ამ ბიბლიოთეკიდან (A 272, A 292, H 345, A 1427, A 1430, A 1438, A 1441; H 182, 284 და სხვა). ზოგიერთი ხელნაწერი გვაცნობს უცნობ მოღვაწეთა სახელებსაც, მაგალითად, გამოკრებილი სადღესასწაულო (ცენტრ. არქ. ხელნ. 442) მოუგია ქვათახევის კანდელაკის ძეს, იოანე ხუცესს; 5 პარაკლიტონი (A 290) გადაუნუსხავს ქვათახევში ჰარონ მწერალს და სხვ. (იხ. კერები, I).

ქვათახევის მოწამენი – თემურლენგის შემოსევის დროს 1386 წ. წამებულნი ქვათახევის მონასტერში. თემურლენგი საქართველოს შემოესია, გაანადგურა და აოხრა ქვეყანა, დაიპყრო და აწიოკა ქვათახევის მონასტერიც. იქ თაეს აფარებდნენ მოსახლენი და იქაური მცხოვრებნი. მონასტრის დარბევის შემდეგ მონღოლებმა მონაზონები ერთად შეყარეს. ჯერ შეურაცხყვეს ისინი: ცეცხა-თამაში მოსთხოვეს, ხოლო შემდეგ შეამწყდიეს ღვთისმშობლის ეკლესიაში, შეუნთეს ცეცხლი და დაწვეს. მათი სისხლის ნაკალევი დიდხანს შერჩა ტაძრის კედლებს.

ქვაშვეთობა – გიორგობა, სახალხოსაეკლესიო დღესასწაული კახეთში (გურჯაანი, აწყური), თბილისში, საციციანოს სოფ. ქვაშვეთში, ლენჯერის თემის სოფ. ქვაშვეთში (სვანეთი), ჭურმუხში (საინგილო), შუხრანში, ქმერტში, დიდ ჯიხაიშში, ჯურსებში, ნიგოზეთში (იმერეთი) და სხვა.

ქვახვრელი – სოფელი გორის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, გორიდან 8 კმ-ზე. სოფელში დგას 1716 წლის დარბაზული ეკლესია. კედლებზე არის ლაპიდარული წარწერები.

ქვედა ბახვი – სოფელი ოზურგეთის რაიონში, მდ. ბახვისწყლის ნაპირზე, ოზურგეთიდან 11 კმ-ზე. სოფელში დგას გუიანი შუა საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

ქვედა გორა – სოფელი ვანის რაიონში, მდ. კენისწყლის მარჯვენა მხარეს, ვანიდან 18 კმ-ის მანძილზე. სოფელში დგას მთავარანგელოზის ეკლესია, ნაგები თლილი ქვით 1903-14 წლებში. ეკლესიის გუმბათი ოთხ სვეტზეა დაყრდნობილი; არის მოხატულობის კვალი; ეკლესიას ირგვლივ შემოყოლებული აქვს გალავანი.

ქვედა ზარძალი – სოფელი მარნეულის რაიონში (სიონის მიდამოები), სოფელში დგას ეკლესია ადრე შუა საუკუნეებისა. გვიან პერიოდში იგი გადაუკეთებიათ. აქვს ლაპიდარული წარწერები.

ქვედა ზეგანი – სოფელი მაიაკოვსკის რაიონში, მდ. საკრაულის ხეობაში, ბაღდათიდან 7 კმ-ზე. სოფელში შემონახულია წმ. გიორგის ეკლესია შუა საუკუნეების ხანისა.

ქვედა ილემი – სოფელი ზესტაფონის რაიონში, მდ. ძირულას ხეობაში, ზესტაფონიდან 10 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია „შემოქმედი“.

ქვედა მახუნცეთი – სოფელი ქედის რ-ნში, მდ. აჭარისწყლის ნაპირებზე, ქედიდან 1 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

ქვედა მესხეთი – სოფელი წყალტუბოს რაიონში, იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონ-

ის მარკვენა მხარეს, რიონიდან 6 კმ-ზე. სოფელში შემონახულია გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია.

ძველა ოშხა – სოფელი ამბროლაურის რაიონში, ჭრებალოდან რამდენიმე კმ-ზე. სოფელში დგას ჯვარცმის ერთნავიანი ეკლესია, ნაგები ნაწილობრივ შირიმისა და ნაწილობრივ ტანის თლილი ქვითა და კირით. შემორჩენილია მხოლოდ კედლები, სახურავი გადახდილია. იატაკი ფილაქნისაა. ეკლესია განახლებულია. შიგნით შელესილია კირით. სამხრეთით და დასავლეთით აქეს კარი. კარ-სარკმელი და კედლები შემკულია ჩუქურთმიანი ქვებით. ზოგიერთი მათგანი მთელია და თავის პირვანდელ ადგილას დგას.

ძველა საჭარა – სოფელი ზესტაფონის რაიონში, ყვირილისა და ჩოლაბურის შუამდინარეთში, ზესტაფონიდან 4 კმ-ზე. სოფელში შემონახულია შუა საუკუნების წმ. გიორგის ეკლესია.

ძველა სიმონეთი – სოფელი თერჯოლის რაიონში, მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეს, აკამეთიდან 8 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობლად, უნაგირის მთაზე დგას შუა საუკუნების დარბაზული ტიპის ეკლესია მოხატული ინტერიერით.

ძველთობა – წარმართული დღესასწაული, რომელიც დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ერთი ციკლის, სახელდობრ მკის დამთავრებასთან. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან თვე „ქველთობისაჲ“ მოხსენებულია „ქრისტეფორეს მარტვილობის“ პირველ ვერსიაში, ხოლო „ქველთობა“ – „პროკოპის მარტვილობაში“. როგორც ჰ. ინგოროყვამ გაარკვია, ქველთობა უწევს 15 იულისს. ქრისტიანობაში ეს დღესასწაული შეერწყა „ცეროკობას“, „ელიობას“ და, ნაწილობრივ, „თენაგენობას“, რომლებიც ჩვეულებრივ ამავე შვიდეულში აღინიშნებოდა ხოლმე. ამ ხალხურ დღეობაზე მთელ რიგ ქართულ თემებში შერჩენილია ძველი წარმართული კულტის გადმონაშთები. ქველთობა იწყება 23 ივნისს და სრულდება 22 იელისს, როდესაც მზე ტოვებს კირჩხიბის ზოდიაქოს.

ძველი – ქართველი ხუროთმოძღვარი, რომელმაც X ს-ის II ნახევარში აჯო შეპიაკის ეკლესია თრიალეთში. ეკლესია ამჟამად მოქცეულია ხრამესის ხელოვნური ტბის ფსკერზე. ძეგლი გამოირჩეოდა იშვიათი მორთულობით. ხუროთმოძღვრის სახელი ამოკვეთილი იყო სამხრეთ ფასადზე და კარნიზის ქეაზე. სანამ ეკლესიას წყლით დაფარავდნენ, ძეგლი შეისწავლა ლ. რჩეულიშვილმა და დაასკვნა, რომ წარწერებში მოხსენებული ქველი ეკლესიის ამშენებელი ხუროთმოძღვრის სახელია.

ძველო აკეთი – სოფელი ლანჩხუთის რაიონში, გურიის ქედის სამხრეთ კალთაზე, ლანჩხუთიდან 16 კმ-ის მანძილზე. სოფლის მახლობლად დგას სამონასტრო კომპლექსი: ადრეული შუა საუკუნეების მაცხოვრის გუმბათოვანი ეკლესია მოხატულობით, გვიანი შუა საუკუნეების სამრეკლო და ამავე დროის გალავანი.

ძველო ბარი – სოფელი ონის რ-ნში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე, ონიდან 23 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების მოხატული დარბაზული ეკლესია ღვთისმშობლისა. აქეს მოხატული ინტერიერი. საბაკის მთაზე აღმართულია აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის ერთნავიანი ეკლესია (იხ. ზემო ბარი).

ძველო ბოლბე – სოფელი სიღნაღის რ-ნში, იორის ზეგანის ჩრდ. აღმ. კიდეზე. სოფელში დგას მცირე ზომის ეკლესია. სოფლის კუთვნილ ტერიტორიაზე (20 კმ.), მდ. იორის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს გამოქვაბულთა კომპლექსი „მალაზანი“ (ამჟამად უწოდებენ „საბერეებს“).

ძველო ბოლნისი – სოფელი ბოლნისის რაიონში, ბოლნისიდან 7 კმ. ესაა სოფ. ბოლნისის ერთ-ერთი უბანი. ბოლნისის საკონის ახლოს მდებარეობს სამეკლესიოანი ბაზილიკა VI ს-ისა. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა ლამაზი ფერის კვადრებით. შუა ეკლესიის ორივე შესასვლელის თაღზე ლოდებზე ამოკვეთილი იყო კომპოზიციები. მარჯვენა კარის ზემოთ – ქრისტეს ამაღლება ანგელოზთა მიერ (ამჟამად ეს კომპოზიცია აღარ არსებობს), მარცხნივ, ზემოთ – ღვთისმშობლის ამაღლება. ძეგლი სამეკლესიოანი ბაზილიკის მარტივ ვარიანტს წარმოადგენს.

ძველო ნიძოზი – სოფელი გორის რ-ნში, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას, გორიდან 30 კმ-ზე. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

ძველო ნიჩბისი – სოფელი მცხეთის რ-ნში, მდ. ნიჩბისწყლის ნაპირებზე, მცხეთიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია XVI-XVIII ს-ისა, ციცინელების ციხე XVI-XVIII ს. და რამდენიმე

მცირე ზომის ეკლესია წმ. ნინოსი, წმ. გიორგისა, „უმზეურა“ და „თეთრისანი“.

ძველი ოროზმანი – სოფელი დმანისის რ-ნში, მდ. მაშაურის მარჯვენა მხარეს; დმანისიდან 4 კმ-ის მანძილზე. სოფელში დგას განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერით.

ძველი ოქონა – სოფელი შიდა ქართლში, ზნაურის რაიონში, მდ. შუა ფრონის ნაპირზე, ზნაურიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას შუა საუკუნეების მონასტერი.

ძველი ოშორა – სოფელი ასპინძის რაიონში, მდ. ოშორის ნაპირზე; ასპინძიდან 8 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XVI საუკუნის ეკლესია. ინტერიერი მოხატულია.

ძველი რეხა – სოფელი გორის რაიონში მდ. მეჯუდის ნაპირებზე, გორიდან 4 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია.

ძველი ყარაბულახი – სოფელი დმანისის რაიონში, მდ. შავწყაროს წყლის მარჯვენა მხარეს, დმანისიდან 22 კმ-ის დაშორებით. ძველად სოფელში რამდენიმე ეკლესია ყოფილა. ამჟამად მათგან ბევრი ნანგრევების სახითღაა შემორჩენილი. გადარჩა ორი ეკლესია: მდ. ზურტაკეთის მარცხენა ნაპირზე მდგარი, უხეშად გათლილი ქვით ნაშენი ეკლესია „სარკე“, XI საუკ-ისა. ეკლესია მცირე ზომისაა, სახურავი და იატაკი ქვისა აქვს. ერთადერთი სარკმელი მოთავსებულია აღმ. მხარეს. საკურთხეველში ორი ნიშაა. აქვე მდებარეობს მეორე ეკლესიაც – წმ. სალომესი, ისიც მცირე ზომის. აქვს ლაპიდარული წარწერები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი აუგიათ 1712 წელს. ეკლესია უხეშად გათლილი ქვითაა ნაშენები.

ძველი ჯალა – სოფელი კასპის რაიონში, მდ. ლეხურის ნაპირებზე, კასპიდან 13 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემონახულია „ყარაბაღლოსანის“ 1661 წლის კომპლექსი – XVII საუკუნის მოხატულობით და წარწერით; ანსამბლში შედის ციხე-დარბაზისაგან შემორჩენილი კარის ეკლესიაც, რომელიც XVII ს-ის 70-80-იან წლებში აუგია ჰაპუნ ქარუმიძეს. ეკლესია მოხატულია შიგნიდან. გარედან შემკული იყო რელიეფებითა და ჩუქურთმებით. ფეოდალის სასახლის გარდა შემორჩა კოშკი, სამრეკლო და გალავანი ამავე პერიოდისა.

ძველი წერაძვი – ნასოფლარი მარნეულის რაიონში. ეს ნასოფლარი დღევანდელი წერაქვიდან 2 კმ-ზე მდებარეობს. ნასოფლარის ჩრდილო განაპირას დგას სამონასტრო კომპლექსი. მთელი ეს ტერიტორია დღეს ტყითაა, გაველურებულია ხეხილითა და ვაზით, დახლართში საწნახელის ნაშთებია. მონასტერს არგელიე აერკვა ქვის გალავანი. ოცი ნაგები იყო მოზრდილი ქვის რიგებით. 3-4 ნაგებობა გალავნის შიგნით საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ეკლესია დარბაზული ტიპის, ორნავიანი შენობაა, კარგად გათლილი, ღია ფერის სწორი კვადრებით. კარებს და სარკმელს წნულორნამენტიანი ფართე ჩარჩოები აქვს შემოვლებული. მთავარი ნავის აბსიდით წახნაგზე გარედან სარკმლის მარჯვნივ ერთ-ერთ დიდ კვადრზე ასომთავრულთან ნარევი ნუსხა-ხუცურით ამოკვეთილი წარწერა იკითხება (დაზიანებული და ნაკლული). ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის სახელზე. ის აღუდგენია ფანასკერტელს, რომელსაც, წარწერის თანახმად, მისი მეორედ განახლება დაუწყია განმახლებელი დიდ ფანასკერტელად არის დასახელებული. წარწერა გვიანდელი ჩანს და მოწმობს, რომ ეკლესია XII-XIII სს-ში მაინც უნდა არსებულიყო. „დიდი ფანასკერტელი“ კი ზაზა ფანასკერტელი უნდა იყოს.

ძველი ხვთი – სოფელი ჩოხატაურის რაიონში, მდ. ხვეისწყლის მარცხენა ნაპირზე. ჩოხატაურიდან 16 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას ხათისმცემელის გუმბათიანი ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდისა.

ძველისციხე – შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე აღმ. საქართველოში (ახლანდელი სამარნეულის ტერიტორიაზე), სოფელ ლარგვისის სამხრეთით 3 კმ-ზე. ციხიდან შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები. ზღუდის შიგნით იდგა სასახლე და ეკლესია, რომელიც ააგეს ერისთაველმა - ლარგველი შალვას და ქვენიფნელელ გირშელის ეპატმა. გალავნის გარეთ დგას დანგრეული მცირე დარბაზული ეკლესია, გვიანფეოდალური ხანისა, რომელსაც შემორჩა ფრესკათა ფრაგმენტები.

ძველში – სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. მაშაურის მარცხენა ნაპირზე, ბოლნისიდან 7 კმ-ზე. სოფლის მახლობლად დგას VI საუკუნის ეკლესია „აკვანება“ და ციხე შუა საუკუნეების ხანისა. სოფელ ქვეშისა და თვით ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია VII ს-ის ეკლესიები. სომხურ წყაროებში მოხსენიებული „ქვეშაფორი“ – ქვეშის ხეობა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილა ქვეში რომელიც XII ს-ში ეკუთვნოდა შახურთუხუცეს ვარდან

დადიანს. შემდეგ ქვეში გადაეცა თორელთა საგვარეულოს. თორელთა ამ შტომ დაიმკვიდრა ქვეშელთა სახელი. ქვეშელები ეწოდებოდათ აგრეთვე თორელთა განაყოფ შტოს – ჯაკაბიშვილებს. XVI-XVII სს-ში ქვეში საორბელიშვილოს მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო.

ქიროტონია – იხ. ხელთდასხმა.

ქიტონი (ბერძ.) – ძველ საბერძნეთში მატყლის ან სელის სახელოებიანი ან უსახელო გრძელი პერანგი. ქრისტიანულ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ქიტონით (სტიქარით) იმოსებიან ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონი, აგრეთვე დაბალი წოდების საეკლესიო მსახურნი (მწათე, კანდელაკი, ჰიპოდიაკონი და სხვ.).

ქლიმინდი – მღვდელმთავრის უქამრო ზედასამოსი, რომელიც წააგავს საკოსს – ანუ იმ სამოსს, რომელიც ეზოსა მაცხოვარს; პორფირი, ძოწეულის წოდილი ფერის ზედა ტანსაცმელი, რომელსაც მეფეები და მაღალი წრის წარმომადგენლები იცვამდნენ; სამეფო მანტია.

ქობული – სოფელი წალკის რაიონში. სოფელში დგას განვითარებული შუა-საუკუნეების ეკლესია. ეკლესიაში არის მოხატულობის ნაშთები და ლაპიდარული წარწერა.

ქოდალო – სოფელი გურჯაანის რაიონში, გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, კაჭრე-თიდან 10 კმ-ზე. სოფელში დგას ღვთისმშობლის ეკლესია VII-VIII სს-ისა.

ქოთიში – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეს, თეთრი წყაროდან 21 კმ-ის დაშორებით; ახლანდელი სოფლის ადგილას არის ნასოფლარის ნაშთები და ცალნაგიანი ეკლესიის ნანგრევები.

ქოლაბირი – გარეჯის მრავალმთის ერთერთი 12 მონასტერთაგანი. პლატონ იოსელიანი გარეჯის 12 მონასტერს შორის ასახელებს ქოლაგირსაც. გარეჯის შესახებ დოკუმენტებისა და სამონასტრო კომპლექსის გულდასმით შესწავლით გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეინა მხოლოდ 6 მონასტერი, რომელთა შორის ქოლაგირი არაა. ქოლაგირი კლდეში ნაკვეთ ტაძრად მიაჩნია დ. გონაშვილს (იხ. ისტორიული ძეგლები ივრის ხეობაში, სასალხო განათლება, 9.VIII.50. № 83).

ქოლაბირი – სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, მარნეულიდან 15 კმ-ზე; სოფელში დგას „ციხის ეკლესია“ 1788-1798 წწ-ისა და „ქოლაგირის ციხე“ ამავე პერიოდისა.

ქორების მთა – ბიბლიური გადმოცემით, მოსე „მწყსიდა ცხოვარსა იოთორ სიმამრისა და თჳსთა და მოვიდა მთასა მას ღმრთისასა ჴორებს“. სინისა და ჴორების მთას ზოგჯერ აიგივებენ, მაგრამ გაირკვა, რომ ეს შეცდომაა. შეცდომა იმან განაპირობა, რომ სინა და ქორები ერთი მთიანეთის სხვადასხვა მწვერვალებია (იხ. А.Норов, Иерусалим и Синай), სინისა და ქორების მთებს საუკუნით კანონზომიერად ანსხვავებდნენ ერომანეთისაგან ძველი მოგზაურები (იხ. И.Вишневский, Путешествие в Иерусалим и на Синае, 1914, გვ. 49, 134). ბიბლიის მიხედვით, ქორების მთაზე ყოფილა ილია წინასწარმეტყველიც (მეფეთა წიგნი III, XIX,8). ელიას ეკლესია ქორების მთაზე იყო ერთ-ერთი ქართველთა ოთხ ეკლესიათაგან (Успенский П., Первое путешествие в Синайский монастырь в 1845, გვ. 189-195).

ქორეთი – სოფელი საჩხერის რაიონში, მდ. ყვირილის ხეობაში, საჩხერიდან 5 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემონახულია ორი ეკლესია. ერთი მათგანი დგას ბორცვზე. ვარაუდობენ, რომ ის უნდა მდგარიყო უძველესი წინაქრისტიანული სალოცავის ადგილზე. სოფლის თავში დგას მეორე, ღვთაების ეკლესია, რომელიც აშენებულია X ს-ის ბოლო წლებში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა სამხრ.-დას-ით მთელ სიგრძეზე შიშენებული აქვს კარიბჭე, ორი შესასვლელი. ფასადები მოჩუქურთმებულია.

ქორონიკონი (ქრონიკონი) – წელთაღრიცხვის ერთ-ერთი სისტემა, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში შემოიღეს VI ს-ში. ქორონიკონი დამყარებულია 532-წლიან მოქცევაზე ანუ ციკლზე. თითოეული ციკლი შეიცავს 532 წელს, რომელიც მზის (28 წ.) და მთვარის (19 წ.) წრეთა ნამრავლითაა მიღებული (28X19 – 532). ყოველ ახალ მონაკვეთში მეორდება მთვარის ასაკი, თვისა და კვირის დღეთა თანმიმდევრობა. წელთაღრიცხვის ქორონიკონული სისტემით სარგებლობა მიზნად ისახავდა აღდგომის მოძრავი დღეების წინასწარ გამოთვლას. ძველთა ანგარიშით, ქვეყნის გაჩენიდან 780 წლამდე 12 მოქცევაა გასული (532 X 12 – 6384), ე. ი. ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გასული ჟამია 5604 წელი (3384-780 – 5604). 781 წელს დაიწყო მე-13 მოქცევა, რომელიც დასრულდა 1312 წელს, მე-14 ციკლი დაიწყო 1313 წელს და დასრულდა 1844 წელს. ამგვარად, წელთაღრიცხვის ქრონიკონული სისტემა დამყარებულია 5604-წლიან ქართულ ციკლზე (იხ. ინდიქტიონი).

ქორეპისკოპოსი // ხორეპისკო-

ეპისკოპოსი (ბერძ.) – ქართულში ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და მხოლოდ სასულიერო, საეკლესიო მოღვაწეს არ ნიშნავს. სახას განმარტებით, ქორეპისკოპოსი „უსამწყსო ეპისკოპოსს" ეწოდება. ადრე იგი აღნიშნავდა სოფლის ეპისკოპოსს. თავდაპირველად ქორეპისკოპოსი ისეთივე უფლებებით იყო აღჭურვილი, როგორც ჩვეულებრივი ეპისკოპოსი (ქალაქისა), მაგრამ მისი ძალაუფლება მაინც შეზღუდული იყო. მას ეკალებოდა მიმოსვლა ქალაქებსა და სოფლებში და სამწყსოს დამოძღვრა. ქორეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ მხოლოდ დაბალი სამღვდელოების მსახურნი. თავის მხრივ იგი ეხორცილებოდა ეპარქიის ეპისკოპოსს. რადგანაც დაიწყო საეკლესიო იერარქიის ზუსტი განსაზღვრა, მათ შორის თანდათან ისეთი დამოკიდებულება დამყარდა, როგორც ეპარქიის პირველ ეპისკოპოსსა (მიტროპოლიტსა) და ეპარქიის დანარჩენ ეპისკოპოსებს შორის (მოციქულთა 34-ე კანონი), ე.ი. სოფლის ეპისკოპოსი ანუ ქორეპისკოპოსი ქალაქის ეპისკოპოსს დაექვემდებარა. ასეთი სურათია ქორეპისკოპოსების შესახებ გამოტანილ ძველ ადგილობრივ საეკლესიო კანონებში (ანკვირიის 314 წლის ადგილობრივი კრების მე-13 კანონი, ნეოკესარიის 314-25 წ. კრების მე-14 კანონი და სხვა). ანკვირიის, ნეოკესარიის და ანტიოქიის კრებების კანონებით განისაზღვრა ქორეპისკოპოსთა ფუნქციები. ყველაზე სრული ამათგან ანტიოქიის კანონებია. IV საუკუნეში ასეთი ქორეპისკოპოსების რიცხვი დიდი იყო, განსაკუთრებით მცირე აზიაში. როდესაც გაზრდა მათ მიერ ეპისკოპოსთა ნებართვის გარეშე ხუცესთა და დიაკონთა ხელდასხმის შემთხვევები, ანტიოქიის 341 წლის საეკლესიო კრებამ მე-10 კანონით სცადა ბოლო მოეღო ამ უწესრიგობისათვის და დადგინა, რომ იგი უნდა დამორჩილებოდა თავის ეპისკოპოსს და უფლება ჰქონდა, ხელი დაესხა მხოლოდ კერძო დიაკონისათვის და რომ დიაკვნის თანამდებობაზე ხელდასხმა მას მხოლოდ ქალაქის ეპისკოპოსის ნებართვით შეეძლო. ლაოდიკიის 343 წლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ უფრო მკაცრი დადგენილება გამოიტანა: ამიერიდან იკრძალებოდა სოფლად ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე დანიშვნა (57 კანონი), მათი ადგილი უნდა დაკავებინა ჩამოსულ ბერებს. ყველაფერი ხდებოდა იმისთვის, რომ ეს თანამდებობა საერთოდ გაუქმებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა და ისევ გაძლებებოდა ქორეპისკოპოსთა სწრაფვა მიეთვისებინათ ეპისკოპოსთა უფლებები. ეს ჩანს ბასილი დიდის ეპისტოლედანაც ხელქვეით მყოფ ქორეპისკოპოსის მიმართ (370 წ.). ლაოდიკიის კრების ცდის შემდეგ – გაუქმებინა ქორეპისკოპოსის თანამდებობა, განელო 400 წელმა და ისინი კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. ამ საკითხს შეეხო VII მსოფლიო კრების (787 წ.) მე-14 კანონი. ქალკედონის კრებაზე ქორეპისკოპოსები წარმოადგენდნენ თავის ეპარქიას. ეს თანამდებობა უკვე განწირული იყო. მე-13 საუკუნეში იგი საერთოდ ქრება. „ძეგლისწერის" კანონი აღასტურებს, რომ ეს თანამდებობა თავის უფლებებში იყო XII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ხოლო უფრო გვიანდელი წყაროები მის არსებობას მე-13 ს-შიც აღასტურებენ. ბალზამონი კი (XII ს.) თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ ქორეპისკოპოსის ხარისხი სრულებით გაუქმებულიაო. ჩანს, ბიზანტიაში ის უფრო ადრე გაუქმდა, ვიდრე საქართველოში. გარდა ამისა, ისიც საკვირველია, რომ ეს თანამდებობა საქართველოს სინამდვილეს უფრო შეეგუა და კარგად შეეწყო ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას. ამიტომ მისი გაუქმება აღარ აღმოჩნდა აუცილებელი. ქორეპისკოპოსის თანამდებობა საქართველოში რუის-ურბნისის კრებამდე გაცილებით ადრე არსებობდა. იგი ჩამოყალიბდა ბერძნული ეკლესიის გაკვლევით და მიბაძვით და საკვირველია, იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც ბიზანტიაში – ხელმძღვანელობდა სოფლის სამრევლო ეკლესიებს. აღმოსავლეთის ეკლესიაში ქორეპისკოპოსის ფუნქცია უფრო შეზღუდული იყო. მათი უფლებები გათანაბრებული იყო არქიდიაკონის უფლებებთან.

ქორეპისკოპოსის თანამდებობა მოხსენიებულია რუის-ურბნისის ძეგლისწერაში: „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთო წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდეს მღდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისაჲთა ემცნებოდეს მას უბიწოდ დაცვაჲ, ყოველთაჲ საქრისტიანოთა წესთაჲ, რაჲთა არარაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათჳს, არცა რაჲ განყოფის ვეცხლად" (გვ.188) აქედან ჩანს, რომ ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე შესაფერი კანდიდატის შერჩევა შედის კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის კომპეტენციაში. კანდიდატს ამ თანამდებობაზე უნდა ჰქონდეს მღვდლის (ან ხუცესის) ან დიაკონის ხარისხი მაინც. დაეთის ისტორიამ ეს თანამდებობა „ქორეპისკოპოსად" მოიხსენია. ქორეპისკოპოსის ხსენება უფრო გვიანაც გვხვდება (1263 წ.). ამ თანამ-

დებობას არაფერი აქვს საერთო კახეთში არსებულ ქორეპისკოპოსის სერო ტიტულთან (სერო და სასულიერო მმართველი კახეთში).

ქორწილო – სოფელი დუშეთის რაიონში, მთიულეთის ქედის სამხრ. კალთაზე, დუშეთიდან 84 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობლად ორი ხუროთმოძღვრული კომპლექსია შემონახული: I. X ს-ის ეკლესია ლაპიდარული წარწერით; კოშკი და სასახლის ნანგრევები გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდისა. 2. კომპლექსში „ცეცხლისჯვარი" შედის X საუკუნის ეკლესია, X-XI სს. კოშკი და გვიანდელი შუა საუკუნეების სასახლის ნანგრევები. ეკლესიის ფასადი შემკულია რელიეფური ფრიზით, სადაც ალბეჭდილია ეკლესიის მშენებლობის პროცესი, რომელიც თავისი თემატიკით და მხატვრული თვალსაზრისით უნიკალურია.

ქორწინება – მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლითაც მამაკაცსა და დედაკაცს აუღლებს თავად უფალი; ღვთის წინაშე ისინი არიან ერთსულ და ერთხორც. განქორწინება, სახარების სჯულით, აკრძალულია (მათე 19,9). ამავე დროს ახალ აღთქმაში ნათქვამია, რომ იქნებიან ადამიანები, რომლებიც გამოისჭურისებენ თავს ღვთის სასუფევლის მოპოვებისათვის (მათე 19,11). აქ იგულისხმება ქრისტიანული ქალწულების ღვაწლი. საეკლესიო კანონმდებლობით პირველი, შუალეიერი ქორწინების გარდა, დაშვებულია მეორე და მესამე ქორწინებაც (ისიც მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში), მაგრამ ამათგან პატიოსცემას მხოლოდ პირველი იმსახურებს. მეორე ქორწინების საკითხს ეხება ლაოდიკიის კრების I კანონი – მეორედ დაქორწინებას აღებს საეკლესიო სასჯელს, ეპიტიმიას, სახელდობრ, მეორედ დაქორწინებულებს ზიარების მიღება შეუძლიათ მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. დროის ეს მონაკვეთი მათ უნდა გაატარონ მარხვასა და ლოცვაში. ბასილი დიდის მე-4 კანონით კი ეს ეპიტიმია გრძელდება ერთ წელს. პირველად დაქორწინებულნი გეორგიანის კურთხევის შემდეგ წმიდა საიდუმლოს ეზიარებოდნენ, მეორედ დაქორწინებულთ კი ზიარების უფლება მხოლოდ დაწესებული დროის გასვლის შემდეგ ეძლეოდათ. მეორე ქორწინება რომ ქრისტიანული ეკლესიისათვის სასურველი მოვლენა არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ხუცესს, რომელიც აკურთხებდა ასეთ ქორწინებას, ეკრძალებოდა ჯვრისწერის შემდეგ გამართულ წეეულებაზე მისვლა, მაშინ როდესაც პირველი ქორწინების დროს საეკლესიო პირთა დასწრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რუის-ურბნისის კრებამ სასტიკად აკრძალა „ჩვილთა ქალ-ყრმათა" ქორწინება და ქალის ქორწინების ასაკად 12 წელი დაადგინა (ე. გაბიძაშვილი, ძეგლისწერა, გვ. 122, 187).

ქოსალარი – სოფელი ქციის ხეობაში. სოფლიდან 2 კმ-ის დაშორებით დგას დანგრეული ეკლესია XVI-XVIII სს-ისა. ცალნაიანი მოზრდილი ეკლესიის გვერდით არის მცირე სამეკლე. თვით ნასახლარი და ეკლესია შედარებით ადრინდელია.

ქრისტე (ებრძნ. „ცხებული"; იგულისხმება მეფე, მირონცხებული) – ებრაწნული შესატყვისი ებრაული „მესიისა" (უფრო სწორად – „მაშია-ხისა"). თავდაპირველად ეს იყო სამეფო პატივის გამომხატველი ზედწოდება, ღვთის ძის მოვლინების შემდეგ კი იხმარება, როგორც მისი საკუთარი სახელი (გალატ. I,6; ებრ. 9-11; იხ. იესო ქრისტე).

ქრისტეს საფლავის ეკლესია – გოლგოთა – უფლის საფლავი – აღდგომა – ეს სამი ტაძარი ერთიანი შეკრული კომპლექსი იყო და იერუსალიმის ქრისტიანული საზოგადოებრიობის ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ძველი ნაგებობანი 1010 წელს დაანგრია ეგვიპტის სულთანმა პაქიმმა. 1010-1048 წლებში წარმოებდა ამ კომპლექსის აღდგენა-განახლება, რომელშიც მთელ ქრისტიანულ სამყაროსთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ. ამით მათ გარკვეული უფლებები მოიპოვეს (ტბიშთე გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 0173). 1049 წლიდან აქ უკვე ჩანს ქართველ მოღვაწეთა კრებული, რომლებიც XVI-XVII სს-მდე მოღვაწეობდნენ ამ სავანეებში, თუმცაღა მათი რიცხვი და ხელდრთი წოდა, უფლებამოსილება და მოღვაწეობის მასშტაბი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. XIV საუკუნეში მამადიანების ხელით იწყება „ქრისტეს საფლავის" ტაძრის კლიტე. გიორგი ბრწყინვალის ზეობაში (XIV ს.) ქართველებმა უკან დაიბრუნეს იგი. ცნობებს ამის შესახებ ვხვდებით როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში (მაგ. „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს, რომ გიორგი ბრწყინვალემ შალვა ერისთაველის ძე პაპაჲ „წარგზავნა წინაშე ნისრელისა... ხოლო მან მისცნა კლიტენი იერუსალმისა"... ქრონიკები II, გვ. 8; სამართლის ძეგლები, II, გვ. 107). ქართველებმა რომ მართლაც სულთნისაგან მიიღეს „ქრისტეს საფლავის" ეკლესია, ეს სხვა წყაროებშიცაა დამოწმებული. მაგ., დაახლ.

XIV ს-ით დათარიღებული ხელნაწერის (H 1661, 3r) მინაწერში იკითხება იგივე: რომ ეს ეკლესია სულთნისაგანაა ნაბოძები (ქრონიკები, II, 525). ეს ფაქტი უცხო წყაროებითაც მტკიცდება (იხ. ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 48).

„ქრისტეს საფლავის" ეკლესიას ქართველები ფლობდნენ XIV ს-ის შუა წლებამდე. მომდევნო პერიოდში ქართველებს აქტიური ბრძოლა უხდებოდათ ძველი უფლებების შენარჩუნებისათვის — მათი უფლებამოსილება თანდათან კლებულობდა. სავანეებს და, მათ შორის, ქრისტეს საფლავის ეკლესიასაც ბერძნები დაეპატრონენ, თუმცა მაჰმადიანთა გაელენა მაინც დიდი იყო. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ქართული ელემენტის კიდევ უფრო შემცირებას და მალე ამ სავანეებში მისული მოღვაწენი იქ ქართველებს ეელარ ხვდებოდნენ. ასე მაგ.: ქართველები ეელარ ნახეს იქ ტიმოთე გაბაშვილმა (1758 წ.) და იონა გედევანიშვილმა (1820 წ.). გოლგოთა — ქრისტეს საფლავი — აღდგომის სავანეებში დაცული ქართული სიძველენი ადგილზე შეისწავლა ალ. ცაგარელმა. მოუხედავად იმისა, რომ ქართველთა მოღვაწეობის მასშტაბი ყოველთვის ერთნაირი არ იყო, ისინი მაინც ახერხებდნენ ამ სავანეებში ლიტერატურულ მუშაობას. ამ სავანეებთან არის დაკავშირებული ქართველ მოღვაწეთა სახელები, როგორიცაა: იოანე გოლგოთელი, კვირიკე აღდგომელი, იოანე ეარძიელი, აღდგომის დეკანოზი, იოაკიმე გოლგოთელი, ნისთერიონი და სხვა.

ქრისტეფორე — რამდენიმე ქართველი მღვდელმთავრის სახელი.

1. მანგლისის მთავარეპისკოპოსი; მოხსენიებულია 1620 წლის ისტორიულ საბუთებში (სამართლის ძეგლები, III, 598).

2. XVIII ს-ის წილკნის მიტროპოლიტი, მუხრანბატონი. ქრისტეფორე წილკნელისადმი გაცემულია მეფე ერეკლეს (II) სიგელი „სამწყსოს განახლების შესახებ". მოხსენიებულია აგრეთვე მოწმეთა შორის ელენე მონაზვნის შეწირულების წიგნში, რომელიც გაცემულია 1746 წ. ნიკოლოზ ალავერდელისადმი (სამ. ძეგლი, გვ. 791). მისი ხელრთვა არის 1748 წლის საეკლესიო კრების კანონში (სამართლის ძეგლები, III, გვ. 804).

3. რუისის ეპისკოპოსი, რომელიც 1751 წლიდან დროებით იყო თბილელი მიტროპოლიტი. 1751 წელს თბილელი მიტროპოლიტის, ათანასეს მიერ „სამწყსოს მიბარების წიგნიდან ეგებულობთ, რომ თეიმურაზისაგან რუსეთს ელჩად გაგზავნილი ათანასე მიტროპოლიტის ნაცვლად მის „ნაცად" დროებით დატოვებული იქნა მრეველი ქრისტეფორე.

ქრისტეფორე — რამდენიმე ქართველი საეკლესიო მოღვაწის სახელი:

1. XVII ს. დასაწყისის მთავარდიაკონი. 1610 წ. მას კათოლიკოს ზებედეს მიერ ზუცია მაღალაძისათვის ყმების წყალობის წიგნი ღაუწერია „მონაზონსა მთავარდიაკონსა" ქრისტეფორეს (სამ. ძეგლები, III, გვ. 389).

2. ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვარი 1701 წელს. მის სახელზეა გაცემული 1683 წლის შეწირულების წიგნი, რომლის გამცემნი არიან „გიორგი მეფე დადიან-გურიელი და მისი თანამეუხლენი ქართველი ბატონის ასული თამარ" (დოკუმ. Hd 10274-ბ; იხ. ელ. მეტრეველი, მასალები გვ. 40).

3. გელათის საკათოლიკოსო წმ. გიორგის ეკლესიის XVIII ს. არქიმანდრიტი. მას მოიხსენიებს მაქსიმე კათოლიკოსი თავის „შეუეალობის წიგნში", რომელიც ებოძა 1778 წელს გელათის საკათოლიკოსო წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარს ქრისტეფორე არქიმანდრიტს (სამართლის ძეგლები, III, გვ. 923).

ქრისტეფორე I — აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1616-1624 წწ. მან მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ეკლესიას ახალი მამულები შემატა.

ქრისტეფორე II — (ერისკაცობაში ურდუბეგიძე, ურდუბეგაშვილი) — აღმოს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1633-60 წწ. კათოლიკოსად იგი დასვა როსტომ მეფემ, როდესაც მან ეედეშზე I შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაამატიმრა. ქრისტეფორე II-მ მეფეს ხელახლა დაამტკიცებინა მცხეთის სვეტიცხოველის ძველად კუთვნილი მამულები: გარეჯის უდაბნოები, რამდენიმე სოფელი და თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის საყდარი. აგრეთვე ახალი მამულებიც შემოაწირვინა ეკლესიისათვის. ქრისტეფორე II მწიგნობარი იყო. მას დაურთავს კომენტარები იოანე პეტრიწის „განმარტების" ტექსტისათვის. თაეის დროზე მცხეთის პატრიარქის წყალობის საბუთებს წერდა. მისი ხელრთვა არის 1659 წ. რამდენიმე საბუთზე (სამართლის ძეგლები III, გვ. 489, 504, 505, 513, 514, 526, 527).

ქრისტეფორე III (ერისკაცობაში ქრისტეფორე ციცქიშვილი, 1873-1932) — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1927-1932 წლებში. ქრისტეფორე III-მ 1895 წელს დაამთარა

სასულიერო სემინარია, შემდეგ მღვდლად იყო (1895-1922), თავდაპირველად ამიერკავკასიის ოლქში, მერე კი სხვადასხვა ქართულ სოფელში და თბილისში – კერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ერთხანს იყო იტრიის ორკლასიანი სკოლის გამგე, საღეთო სჯულის მასწავლებელი, გორის მაზრის სამრეველო სკოლების მფიქალური, თბილისის მეხუთე გიმნაზიის ალვთი სჯულის მასწავლებელი, ქართული ენის მასწავლებელი. 1905 წელს იგი თაყმჯდომარეობდა იმ არალეგალურ კრებას, რომელმაც შეადგინა მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. 1921 წელს ქრისტეფორე III იყო ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსი. 1925-27 წლებში იგი აფხაზეთის მიტროპოლიტი. მას ეკუთვნის ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის წერილები. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ქრისტეფორე მოწამე – წმინდა მოწამენი ქრისტეფორე, თეონი და ანტონინი იმპერატორ დიოკლეტიანეს მხედართა იყვნენ, რომელთაც იშკრატორის წინაშე აღიარეს ქრისტიანობა და აიყარეს იარაღი. ისინი მაშინვე საპყრობილეში ჩაყარეს; მეორე დღეს მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და როცა ისინი არ დათანხმდნენ, სამივენი სასტიკად აწამეს – ცოცხლად დაწვეს 303 წელს. მოწამეთა ხსენების დღეა 27 აპრილი და 21 ივნისი.

ქართულად არსებობს „წამების" კომენური რედაქციის ორი უძველესი თარგმანი: პირველი მოღწეულია X ს. და უფრო გვიანდელი ხელნაწერებით (H 535, XI, 145r-161r; Ath. 8, X, 322r-332r; Ath. 28, 1003 წ. 245r-238v; Sin. 62, X ს. 38v-48v და სხვ.); მეორე თარგმანი XI საუკუნის ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (H 341, XI, 356-392).

ქრისტეფორე გურიელი (დაახლ. XVI ს.) – ქართველი მოწამე. მოხსენიება XII-XIII სს. იერუსალიმური ხელნაწერის Jer. 80-ის გვიანდელ მინაწერში: „ამასვე დღეს წამებაჲ წმ. ქრისტეფორესი. ესე იყო ქუეყანით გურით, მოვიდა იერუსალემს და იღუაწა თ (9) წელ იორდანს წმიდათა ორმეცთა მრაულითა მოღუაწებითა, და წარვიდა... ქადაგა ქრისტე და იწამა და თავი წარკეთეს და ცეცხლით დაწუს (ფ. 427).

ქრისტეფორე ფიცამაძღვარი (ზედგინიძე) – ჯვარის მამა, დაახლოებით XV ს. შუა წლების მოღვაწე, იერუსალიმის თეკლას მონასტრის ამშენებელი – ტიმოთე გაბაშვილის ცნობით და აღასა ტიშენდორფისეული ნუსხის მიხედვით. ამ უკანასკნელში მოიხსენება ზედგინიძეთა რამდენიმე ალაპი, დადებული ავთანდილ მამისა, თაყა და ჯანიბეგისათვის. ყველა ეს ალაპი XV ს-ით თარიღდება, უფრო ზუსტად – XV ს. შუა წლებით. ქრისტეფორე ამ დროის მოღვაწე უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ამაგრებს ისიც, რომ წერილობით წყაროებში თეკლას მონასტრის, რომლის ამშენებელიც ქრისტეფორე ზედგინიძეა, დამოწმება XV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. თეკლას მონასტერი მოხსენიებულია Jer. 161 ხელნაწერის მინაწერში, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნისა ჩანს (ელ. მეტრეველი, მასალები გვ. 38-39).

ქრისტიანი – ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი. ქრისტიანობის დაწყების დროს ქრისტიანი გამოსატყვლა ეკლესიის ოფიციალურ მიმდევარს. ტერმინი „ქრისტიანი" წარმართული წარმოშობისაა, ამიტომ ქრისტიანი მწერლები მის ხმარებას არიდებდნენ თავს; მიმართავდნენ მარტო მაშინ, როცა წარმართებთან კონფლიქტის ამბების გადმოცემას იწყებდნენ. ქრისტიანების ახლოგეტები (ტერტულიანე) წინააღმდეგი იყვნენ ამ ტერმინის გამოყენებისა. არასწორი გაგება ამ სიტყვისა და თვით ქრისტიანობის არსისა იყო მიზეზი ტერმინ ქრისტიანის გაგებისა განკიცხვის და დასჯის მნიშვნელობით.

ქრისტიანობა – იესო ქრისტეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბებული სარწმუნოება, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რელიგია. მისი საფუძველია რწმენა სამყაროს შემოქმედისა და განმგებელი ღმერთისა – წმიდა სამებისა: მამისა, ძისა და წმიდისა სულისა. მამისაგან საუკუნეთა უწინარეს შობილი ძე განკაცდა კაცთმოყვარებისათვის და იშვა გამოუთქმელად ქალწული მარიამისაგან კაცთა ნათესავის ცხოვრებისათვის. მაცხოვარმა იესო ქრისტემ, შეამდგომელმა ღმერთსა და კაცთა შორის, ადამიანებს გამოუცხადა საღეთო საიდუმლონი და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა. ენებითა და ჯვარცმით მან გამოისყიდა ადამიანები, გარდამოუქნა სული წმიდა და იხსნა ისინი საუკუნო წარწყმედისა და სიკვდილისაგან.

ქრისტეს მოძღვრება მთელ მსოფლიოს უქადაგეს მისმა მოწაფეებმა – წმიდა მოციქულებმა, რომელთაც დაარსეს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა. იგი, როგორც ქრისტეს საიდუმლო (მისტიკური) სხეული, მოწოდებულია საუსე-

ბას მიუძღვის ქრისტესთან თანაზიარობისაკენ, ცათა სასუფეველის დამკვიდრებისაკენ, რომლის დაგემოვნებაა აღდგომა მკვდართა და საუკუნო ცხოვრება.

ქრისტინა მოწამე – ცხოვრობდა III საუკუნეში; დაიბადა მდიდარ ოჯახში, ტიროსში. იგი იყო ახალი სასპეტს ურბანოსისა და დიდგვაროვანი ქალისა. 14 წლისა იგი გამორჩეულად არაჩვეულებრივი სილამაზით. მამამ მას აუშენა განცალკევებული კოშკი და სურდა, რომ ის ქალური გამხდარიყო. ქრისტინა ბუნის ფიქრობდა ქვეყნის შექმნასა და შემქმნელზე და მივიდა დასკვნამდე, რომ მისი შემქმნელი ერთია – შეუცნობელი ღმერთი. მის გულში ადრე იჩინა თავი ქრისტიანობის სიყვარულმა: უარყო კერპები, დაამსხვრია ზევსის, აპოლონის და აფროდიტას კერპები. მამამ რომ ეს შეიტყო, თავდაპირველად მოუნდომა თავის რჯულზე მოქცევა, მაგრამ მიზანს რომ ვერ მიაღწია, სცემა და საპყრობილეში ჩასვა. შემდეგ ურჩის თავზე დააკრა და ქვემოდან ცეცხლი შეუნთო. ქრისტინა უვნებელი გადარჩა. მაშინ მამამ ქალიშვილს ყელზე ლოდი მაპა და ზღვაში ჩაგდო. ანგელოზმა ამჟერადაც იხსნა იგი და უვნებელი გამოცხადდა მამასთან. მამამ იგი მესამედ ჩაგდო საპყრობილეში და გადაწყვიტა ღილით მისი სიცოცხლით დასჯა, მაგრამ მოულოდნელად ღაძინთ თვითონ გარდაიცვალა. ურბანოსის მოადგილემ იგივე მოიმოქმედა: გვემა ქრისტინა, შემდეგ გახურებულ თონეში ჩაგდო, ქვეწარმავლები მიუსია, ენა ამოგლიჯა და დასასრულ ღახერით განგმირა. ოთხ-ზოსიმეს კალენდარში მისი ხსენება დადებულია 24 იელისს, ხოლო „ადგარში" (A-596) იელისის 20-ია აღნიშნული. ზოსიმეს წყაროს ჩვენებით ქრისტინა აწამეს 300 წელს დიოკლეტიანეს დროს, კიმენური რედაქციის ქართული თარგმანის თანახმად კი ეს მოხდა „ადრიან მეფისა ზე". არსებობს წამების კიმენური რედაქციის ორი ქართული თარგმანი: პირველი – Sin. 6, 981-983 ფფ., 201r-211r; A 382, XV ს., 67r-73v. (დანარჩენი 12 – გეიანდელია). მეორე – ორი ხელნაწერით (A 95, XI ს., 343v-353r H 1370, 1871-1884 ფფ., 208r-216v. თარგმნილია მეტაფრასული თხზულებაც (ქუთ. 3, XVI ს., 655r-677v). გამოსცა კ. კეკელიძემ (ეტიუდები III, გვ. 178-196). ხსენების დღეა 23-24 იელისი.

ქრისტინე (ქეთან-ჯოფილი) – იხსენიება შვილებთან ერთად იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის აღაპებში. ზოსიმე კუმურდოელმა (იხ.) ქართლის მეფის, გიორგი VIII (1446-1466) ასულის, ქეთინ-ქრისტინესა და მისი ახლის, გულქანის შეწირულებით იხსნა გოლგოთა. მან იერუსალიმში „მიიტანა საქონელი მისიცა და პატრონისა მისისაცა ქეთაონყოფილისაჲ ქრისტინესი და გულქანისი", „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაჲ წარგუართუეს და მან დაიქნა. ოთხასი ფლური გამოიღო, დიდი საქმე ჴნა" (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები; ალაპი 18, გვ. 81. 122-123v).

ქრისტოლოგია – მოძღვრება ქრისტეს შესახებ, მისი ღვთაებრობისა და კაცობის შესახებ. საეკლესიო სწავლებით, რომელიც საღთო წერილსა და მოციქულთა ქადაგებას ეფუძნება, ქრისტე – მამა ღმერთის ძეა, განხორციელებული სულწმიდით, და განკაცებული ქალწულ მარიამისაგან. იგი არის სიტყვა ღვთისა (ბერძნ. „ლოგოს") და ძალა მისი.

ქრისტე თავის პირში აერთიანებს ორ ბუნებას – საღმრთო და კაცობრივ ბუნებას. ამიტომაც სახარებაში იგი „ძე ღვთისადაც" მოიხსენიება და „ძე კაცისადაც". ქრისტეს ორბუნებოვნების (დიოფიზიტობის) იდეას ეწინააღმდეგება მონოფიზიტური (ქრისტეში ერთი ბუნების მაღიარებელი) მოძღვრება, რომელიც ეკლესიამ მწვალებლობად (ცრუ მოძღვრებად) შერაცხა.

ქრისტეს პიროვნებისა და ბუნების საკითხს კათოლიკე ეკლესიისაგან განსხვავებულად წყვეტდა არაერთი ღვთისმეტყველი ეკლესიის დაფუძნებიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (ებიონიტები, გნოსტიკოსები, არიოზ ალექსანდრიელი, აპოლინარი ლაოდიკიელი, დიდორე ტარსელი, თეოდორე მოფსუესტელი, პაულე სამოსატელი, ნესტორ კონსტანტინოპოლელი, ეუტიქი კონსტანტინოპოლელი, კვირა ალექსანდრიელი და სხვ.). საეკლესიო ქრისტოლოგიური მოძღვრების ჩამოყალიბება მოხდა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, გამოჩენილ ღვთისმეტყველთა და მსოფლიო მოძღვართა დოგმატურ შრომებზე დაყრდნობით (ათანასე ალექსანდრიელი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, კირილე ალექსანდრიელი, სოფრონ იერუსალიმელი, იოანე დამასკელი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვ.).

ქსენეფონე // ქსენოფონე და ძენი მისნი იოანე და არკადი (V ს.) – კონსტანტინეპოლის წარჩინებული მოქალაქენი. მშობლები ცდილობდნენ შვილებისათვის კარგი განათლება მიეცათ და სასწავლებლად გაგზავნეს ბეირუთში. ხომალდმა კატასტროფა განი-

იცადა, მაგრამ ძმები გადარჩნენ. ორივე გაქრისტიანდა. გაიდა წლები. მშობლები მოსალოცად ჩაეიდნენ იერუსალიმში და იქ შეხვედნენ თავიანთ შვილებს. ისინიც მონაზვნად აღიკეცნენ. არკადი და იოანე განმარტოვდნენ უდაბნოში და სახელი გათქვეს, როგორც სასწაულთმოქმედებმა, ასევე – შვობლებმა ქსენოფონემ და მისმა მეულემ. ხსენების დღე 26 იანვარი.

მათი „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერში A 79, XII-XIII სს., 411r-426r.

ქსენოფორე – წმინდა მოღვაწე, მონაზონი, რომლის კიმენური „ცხოვრება“ ქართულად თარგმნილი ყოფილა ძველადვე. იგი შესულია რამდენიმე ადრინდელ ხელნაწერში (Sin. 52, X ს., 52r-99r; Jer. 140, XIII-XIV სს., 171-185) და რამდენიმე ათეულ გვიანდელ ხელნაწერში. ხსენების დღეა 20 სექტემბერი.

ქსენი (V ს.) – ყოფილი ეპისკოპოსი, ერთადერთი ასული რომის განთქმული სენატორისა. ყმაწვილობიდანვე ღვთისმოსაცი იყო. გაერიდა ქორწინებას და სახლიდან გაიქცა ორი მსახურის თანხლებით. კესარიაში მონასტრის ზედამხედველს სთხოვა თაეშესაფარი, იყიდა მიწა და სტეფანეს სახელზე ააგო ტაძარი. დააარსა დედათა მონასტერი, სადაც დედათ დიაკონი. იყო. გახდა სასწაულთმოქმედი, მისი წმინდა ნაწილების შეხება კურნავდა ხალხს. ხსენების დღეა 24 იანვარი. არსებობს მისი „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი (A 79, XII-XIII სს., 371r-381v; Sin. 191, XIV ს. 186v-195v; Jer. 18, XIII-XIV სს., 235r-245v და სხვ.).

ქსისტოს რომის პაპი, მოწამე – ეწამა ლაერენტისა და იპოლიტესთან ერთად იმპერატორ ვალერიანის (253-259) დროს. წმ. პაპი ქსისტოს (სიკსტი) წარმოშობით ათენიდან იყო; მიიღო საკმაოდ კარგი განათლება. პაპი სტეფანეს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ იყო რომის ეპისკოპოსი. ქსისტოსი შეიპყრეს დიაკონ ლაერენტისთან ერთად და ჩაამწყვდიეს საპყრობილეში, სადაც ის კურნავდა და ნათლავდა პატიმრებს. ამ მოქმედების გაგებისთვის ზედამხედველმა იპოლიტემ ირწმუნა ქრისტე და მოინათლა. სამივე დაასაჯეს და აიძულებდნენ კერპების თაყვანისცემას, მაგრამ ისინი მტკიცედ იდგნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. რის გამოც ისინი სასტიკად აწამეს. ხსენების დღე – 18 აგვისტო. მათი „წამების“ კიმენური რედაქციის ქართული თარგმანი შესულია ადრინდელ ხელნაწერებში (A 95, XI ს. 582r-585v; ბოდლ. 1, XI ს., 359r-363r). არსებობს აგრეთვე ქსისტოს პაპის, ლაერენტისა და იპოლიტეს „წამების“ მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი (ჯუღ. 1, XVI ს., 341v-353r).

ქსნის ოთხთავი – IX-X სს. ქართული ხელნაწერი სახარება, რომელიც 1888 წელს ქსნის ხეობაში (ახალგორის ეკლესიის ნანგრევებში) აღმოაჩინა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ და გადასცა საეკლესიო მუზეუმს. შემდეგ ეს ოთხთავი დაიკარგა და დაკარგულად ითვლებოდა 1907 წლამდე, სანამ მოსე ჯანაშვილმა არ მიაკვლია მას. ხელნაწერი აღმოჩნდა გაძარცული, აკლდა ტექსტის დიდი ნაწილი – 6 რვეული და მახარებელთა სურათები, ხელნაწერი შატბერდში ჩანს გადაწერილი IX-X სს-ში. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში – A 509, ამ ხელნაწერის ფრაგმენტები კი – სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია.

ქსოვრეთი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, ჭივჭავის ხეობაში, თეთრი წყაროს ჩრდილოეთით 4 კმ. დაშორებით. სოფელში არის ძველი ეკლესიის ნანგრევი, ირგვლივ სასაფლაოა. ეკლესიის კედლებში ჩატანებულია რამდენიმე ქვაჯვარის კეარცხლბეკი. ერთი ჯვარი დგას ეკლესიის გალავანში.

ქსოვრისი – სოფელი მცხეთის რაიონში, ქსნის ხეობაში, შუხრანსა და ახალგორს შორის. სოფელში დგას კომპლექსი – ეკლესია რატშენილების ოთხსართულიანი სახლით, ციხე-გალავანი კოშკით. წარწერის თანახმად ეკლესია აგებულია 1712 წელს. მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია დღეს ნახევრად დანგრეულია. აშენებულია რიყის ქვით და აგურით, ყოველგვარი დეკორის გარეშე. ნაგებობა დარბაზული ტიპისაა. აქეს სამი შესასვლელი. ორი კარი ამოქოლილია. სახურავი ორქანობიანია. მოგვიანებით ფასადის ზემო სართულზე ოთხი კოლონისაგან შემდგარი ფანჩატური დაუდგამთ, რომელიც სამრეკლოს დანიშნულებას ასრულებდა (იხ. თელოვანი).

ჟუთაისი – საქართველოს მეორე ქალაქი თავისი სიდიდით და მნიშვნელობით, ამასთანავე იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. წერილობით წყაროებში მოხსენიებულია აპოლონიუს როდოსელთან (ძვ. წ. III საუ.), პროკოპი კესარიელთან (VI ს.) – კუტაიას, კუტაიონის სახელწოდებით. ჟუთაისის მრავალ-

საუკუნეთა ისტორიაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: იგი ძველად კოლხეთის სამეფოს (ლაზიკის) მსხვილი ცენტრი იყო. შემდეგ იგი „აფხაზთა სამეფოს" სატახტო ქალაქს წარმოადგენდა. თითქმის საუკუნახევრის (980-1122 წწ.) განმავლობაში ქუთაისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის ფუნქციებს ასრულებდა. XV საუკუნეში, როდესაც საქართველო დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად, ქალაქი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. იმერეთის მეფემ გიორგი III-მ ჩაატარა დიდი საალმშენებლო მუშაობა: აშენდა „ოქროს ჩარდახი" – სამეფო სასახლის არქიტექტურული კომპლექსი, „მწვანეკვაველას" სარო-საეკლესიო ნაგებობები, კათოლიკური ეკლესია და სხვა. ქუთაისში კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა აღრეც უნდა დაწყებულიყო, ჯერ კიდევ შემთხვევაში ბაგრატ III-ის (975-1014) დროიდან მაინც. ეს ჩანს ბაგრატის მიერ 1007-1014 წლებში შედგენილ „აფხაზთა ისტორიიდან". ბაგრატის ინიციატივით ამგო 1000 წლიდებული ტაძარი; ბაგრატის ინიციატივით და დაკვეთით თარგმნილია ზოგიერთი პაგიოგრაფიულ-ასკეტიკური თხზულება (მაგ. „ცხორება წმიდისა ბაგრატისი, ტაძრომფლისა ქალაქსა მღდელთმოძღვრისაჲ"); მის კარზე მომრავლდნენ მწერლები, მწიგნობრები, რომელთა „ზედა მთავრად" ერთხანს გიორგი მთაწმიდელის ხიძა გიორგი მწერალი იმყოფებოდა. მაგრამ ძირითადად ქუთაისის ინტენსიური აყვავება და იქ კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების აღორძინება მაინც იმერეთის სამეფოს უკავშირდება. ძველი ქართული მწერლობა ქუთაისში ვითარდებოდა მეფე-დიდებულების სასახლეში და ეკლესიებში. იმერეთის სამეფო კარზე დიდ ინტერესს იჩენდნენ კულტურულ-ლიტერატურულ საკითხებისადმი. ასე მაგ.: გიორგი მეორის (1548-1586) დაკვეთით დამზადდა ხელნაწერი (ქუთ. 165), სოლომონ I-ის (1756-1784) დაკვეთით შეიქმო სახარება (Q 901), მისი კუთვნილი „ევეფისტაოსანი" (S 5006) მზეხათუნ ბატონიშვილის კუთვნილი „ევეფისტაოსანი", ამრაკლებდნენ ნუსხებს და სხვ. ქუთაისში მოღვაწეობდნენ თეიმურაზ I, არჩილ II, ნიკოლოზ რუსთველი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ამილახვარი, სოლომონ ლიონიძე და სხვა. 1800 წელს ქალაქში დაარსდა სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა წიგნები: დავითნი (1800 წ.); ჟამნი (1808), კურთხეუანი (1803) და სხვა.

ქალაქის ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი, იხ. უქიმერიონის ციხის ნანგრევები, ეკლესია „მწვანეკვაველა" (1109 წ.). ქუთაისთან 4 კმ-ზე მდებარეობს გეგუთის სასახლის ნანგრევები, ხოლო 10 კმ-ის დაშორებით – გელათის მონასტერი.

ᲫᲣᲠᲐᲨᲘ – სოფელი მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში, მესტიიდან 25 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია. აქ უნდა იყოს გადაწერილი „ქურაშის ოთხთაის" (სახარების) XIII ს. ხელნაწერი, რომელიც ამავე ეკლესიაში ინახება დღესაც.

ᲫᲣᲠᲛᲣᲮᲘ – პერეთის (საქართველოს ისტორიული მხარის) ძნიშვნელოვანი პუნქტი, დაბა კახის (ახლანდელი აზერბაიჯანის კახის რ-ნის ცენტრი) სამხ. აღმ-ით 2 კმ-ზე. ძველად (შუა საუკუნეებში) აქ საეპისკოპოსო კათედრალი იყო, რომელსაც ექვემდებარებოდა პერეთის მთიანეთისა და წაბურის (დაღესტანი) მრევლი. XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა ქურმუხი ჩაბარებია კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს და გადასცა ციხურული ლეკებს. ასე მოწყდა ქურმუხი კახეთის სამეფოს. ქურმუხში შემორჩენილია XIII-XIV სს-ის ეკლესია „ქურმუხის წმინდა გიორგი".

ღ

ᲦᲐᲓᲘᲨᲘ – სოფელი ჭრებალოს რაიონში, მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ჭრებალოდან 3-4 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. ეკლესიას თაღი ძველად ქვითკირისა ჰქონია, რაც ჩანს სამხრ. და ჩრდ. კედლების გადმონეული თაღებიდან; გადახურულია ყავრით. დასავლეთ კარის თავზე დგას ქვა სწორკაზოვანი ჯვრის გამოსახულებით. მის ზევით არის ქვა მაცხოვრის გამოსახულებით და არის კიდევ ორი ქვა გაშლილი ხელის გამოსახულებით.

ᲦᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ – ქ. ემესაში ცხოვრობდნენ წარჩინებული და მდიდარი ცოლ-ქმარი – კლიტოფონი და ლეუკია, რომელთაც დიდხანს არ ჰყოლიათ შვილი. ქრისტიანი „გლახაკის", ონოფრეს რჩევით ცოლ-ქმარმა ქრისტეს გამოსთხოვა შვილი და მათ შეეძინათ ღალაქტიონი. ცოლ-ქმარი მორწმუნე გახდა. 24 წლისა რომ შეიქმნა ვაჟი, მამამ მას საცოლედ გამოურჩია ეპისტიმია. ღალაქტიონი არ გაეკარა მას, რადგან ეპისტიმია წარმართი იყო. მან ქრისტიანობაზე მოაქცია ეპისტიმია და ერთმანეთს სულიერი ერთობა შეჰფიცეს. მთელი ქონება გაუნაწილეს ღატაკებს, თვითონ ერთი მონის თანხლებით წაეიდნენ სინის მთაზე და იქ ალიკვნენ. მთავარ სეკულოსის მიერ დაგზავნილი მტრაელები იმ არემარეში უებებნენ ქრისტიანობის მქადაგებლებს. მათ შეიტყვეს სინის მთაზე მოღვაწე ღალაქტიონის და ეპისტიმიას შესახებ, შეიპყრეს ისინი და მიიგვარეს მთავარს. ურყევი რწმენისათვის ორთავეს თავები მოჰკვეთეს. მონამ ისინი დაამარხა. ხსენების დღეა 5 ნოემბერი. მათი „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის ერთი ქართული თარგმანი შესრულებულია თეოფილეს მიერ – Ath. 37, 1081 წ., Ir-20v. ხოლო მეორე – უცნობი მთარგმნელისაა (S 384, XI-XII სს., 572-582; გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა: „ბიზანტიური რომანი მეექვსე საუკუნისა „ღალაქტიონი და ეპისტიმია" – ენიმკის მოამბე, XIV, გე. 360-374; (იხ. ეპისტიმია).

„ᲦᲐᲛᲘᲗᲛᲐᲜᲘ" – პიმოგრაფიული კანონის V გალობა. იხ. გალობანი.

ᲦᲐᲛᲘᲡᲗᲔᲕᲐ – საღამოს ღვთისმსახურება მართლმადიდებლურ ეკლესიაში, სახელწოდება „ღამისთევა" მოდის ძველი ეკლესიის ჩვეულებიდან – მსახურება წარმოებდა მთელი ღამის განმავლობაში, გათენებამდე. პირველად იხსენიება „საწმ. მოციქულთაში". ღამისთევა განაპირობა ქრისტიანთა დევნამ: ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ ღამის საათები შეეწირათ ღვთისმსახურებისათვის. ღამისთევის მსახურება IX-X სს-ში ის შედგებოდა მწუხრის, ცისკრის და პირველი ჟამისაგან.

ᲦᲐᲠᲗᲐ – სოფელი ახალციხის რაიონში, რომელშიც დგას შუა საუკუნეების ეკლესია.

ᲦᲔᲑᲘ – სოფელი ონის რაიონში, მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ონიდან 35 კმ-ზე. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია („თოვარ"). ეკლესიაში დაცულია ღების და შოდის გაუქმებული ეკლესიებიდან გადმოტანილი ნივთები. ინტერიერი მოხატულია. სოფლის მიდამოებში შემონახულია შუა საუკუნების ეკლესია – კოშკი „დედა ღვთისა", ლობჟანიძეების საცხოვრებელი კოშკი და გვიანი შუა საუკუნეების კოშკი (გაეაშელიშვილების საცხოვრებელი სახლი).

ᲦᲔᲜᲐᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲔᲚᲘ – იხ. გენადი კონსტანტინეპოლელი.

ᲦᲔᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ იხ. თეოლოგია.

ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲝᲑᲐ – მარიამ ღვთისმშობლის შობის ქრისტიანული დღესასწაული 8 (21) სექტემბერს (იხ. მარიამობა).

ᲦᲕᲘᲐᲠᲐ – სოფელი ამბროლაურის რ-ნში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ამბროლაურიდან 7 კმ-ის დაშორებით. სოფლის შემაღლებაზე დგას X საუკუნის II ნახევრის ჯვარცმის დარბაზული ეკლესია, ნაგები სუფთად თლილი შირიმის ქვის სწორი რიგებით. ეკლესია დგას საგანგებოდ დაგებულ ბაქანზე. აქეს ორი შესასვლელი: სამხრეთისა და დასავლეთისა. ფასადი სადა. შემორჩენილია მხოლოდ კედლები, ტრაპეზი მიშენებულია კედელზე, საკურთხეველში არის ორი პატარა თაბჩა. ეკლესიის გასწვრივ ძირს, სერზე დგას ციხის ნანგრევები. სოფელში არის აგრეთვე მეორე ეკლესია XIX საუკუნისა – წმ.

თეკლორესი. ძველად მის ადგილას ყოფილა იმავე წმინდანის საკუთარე.

„ღმრთისმშობლისაჲ“ – ლიტურგიკულ პრაქტიკაში როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ პიმნოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: I. „ღმრთისმშობლისაჲ“ ეწოდება გალობას (ე. ი. სრულ კანონს), რომელიც დაწერილია ღვთისმშობლის სახელზე და სრულდება ღვთისმშობლის დღესასწაულებზე. ასეთი გალობანი დიდი რაოდენობით არის შესული „პარაკლიტონში“ და სხვა ლიტურგიკულ წიგნებში.

2. „ღმრთისმშობლისაჲ“ ეწოდება პიმნოგრაფიული კანონის IX გალობას, რომელიც აგრეთვე ღვთისმშობლის შესხმას წარმოადგენს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ დღესასწაულსა და წმინდანს მიეძღვნება კანონი მთლიანად.

3. „ღმრთისმშობლისაჲ“ ეწოდება პიმნოგრაფიული კანონის ყოველი გალობის, აგრეთვე სტიქარონების უკანასკნელ ტროპარს, რომელიც მიეძღვნება ღვთისმშობელს და დაწერილია იმავე გალობის ან სტიქარონის ძლისპირის რიტმსა და კილოზე. საგალობელთა ქართულ კრებულებში „ღმრთისმშობლისათა“ ტექსტები მეტწილად მხოლოდ დასაწყისებითაა მოცემული. მათი სრული ტექსტები შეტანილია ძლისპირთა ქართულ კრებულებში (იხ. ე. მეტრეველი, ძლისპირნი, თბ., 1971; მისივე: „მეზელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966; გ. კიკაძე, ნეშრებული ძლისპირნი, თბ., 1982).

ღობი – სოფელი ლენტეხის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარცხ. მხარეს, ლენტეხიდან 37 კმ-ზე. სოფელში, წყლის პირას აღმართულია შუა საუკუნეების ქვის პატარა ეკლესია. საკურთხეველი გამოყოფილია ქვის კანკელით. ეკლესიის მოხატულობა გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონის ფრესკებით. საკურთხეველში გამოსახული არიან იოანე ოქროპირი და ბასილი დიდი, ხელში ხუცურით ნაწერი ეტრატებით.

ღობითითი – სოფელი ახპინძის რაიონში, ახპინძიდან რამდენიმე კილომეტრში. სოფელში არის ადრე შუა საუკუნეების სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები.

ღოშაანი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, თელეთ-საყარაულოს ქედის სამხრეთ კალთაზე, თეთრი წყაროდან 29 კმ-ზე. სოფლის მახლობლად (კოკერის ციხის ძირში) დგას XVI საუკუნის აგურით ნაშენი გუმბათიანი ეკლესია „ორმოცნი“ (40 მოწამის ეკლესია). იგი გუმბათოვანი დარბაზის ხუროთმოძღვრულ ტიპს განეკუთვნება. თბილისის „ეკლარის მამა“ ზუსტად იმეორებს ღოშაანის ეკლესიის არქიტექტურულ ფორმებს.

ღრელი – სოფელი ახალციხის რაიონში, ახალციხის ქვაბულში, ახალციხიდან 2 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნების წმ. გიორგის ეკლესია. სოფლიდან 7-8 კმ-ზე არის საფარის სამონასტრო ანსამბლი.

ღრტილა (ღირტილა, ხრტილა, იხტილა) – ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში (ახლანდელ ახალქალაქის რაიონის სოფელ მერენის ერთი უბანი). XI ს-ში ღრტილაში გაიმართა მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რელიგიურ-დოგმატური უთანხმოების გასარკვევად.

ღრტილის კრება – სოფელ ღრტილაში მოწვეული საეკლესიო კრება, რომელიც ტრადიციის თანახმად უკავშირდება ბაგრატ III-ის სახელს. თანამედროვე ლიტერატურა კრებას ბაგრატ IV-ის სახელს უკავშირებს და ათარიღებს 1046 წლით. კრება ძირითადად მიეძღვნა ქართველთა და სომეხთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოგვარების საკითხს. კამათი გაიმართა დოგმატიკის საკითხებზე. სომეხთა მხრიდან კამათის ინიციატორი იყო სოსთენი, მარმაშენის სომხური მონასტრის წინამძღვარი. მან კამათში აკიცხა ქართველ სჯულისმეცნიერი (მელქიძე წურწყაბელს, სანანო ყველელს, გრიგოლ აბუსერისძეს და გაბრიელ უკისძეს). იერუსალიმიდან ახლად დაბრუნებულმა ბერმა ეფთვიმე გრძელმა კი დაამარცხა სოსთენი. კამათი და მსჯელობა წარიმართა უმთავრესად „სამწმინდა“ გალობაში პეტრე მკაწრავალის მიერ ჩამატებული ფორმულის ირგვლივ („როშელიც ჩვენთჳს ჯვარს-ეცეი“). ეს ფორმულა ძველ ქართულ პოლემიკურ მწერლობაში ცნობილია „ხაჩეცარის“ (სომხ. „ჯვარცმული“) სახელწოდებით. ჩვენამდე მოღწეულია გვიანდელი ჩანაწერები ღრტილის კრების პოლემიკის შესახებ. გამოცემულია „საქართველოს სამოთხეში“ მ. საბინინის მიერ 1882 წ.

„ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“ – იხ. ლუარსაბ მეფე.

„ღუთაება“ – VI ს. II ნახ. სამნაკუთანი ბაზილიკა ახმეტიდან 1,5 კმ-ზე. ნაშენებია რიყის ქვითა და შირიმით. შემორჩენილია გალავანი და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები.

„ღუთაების“ საზოგადო სახელით მოიხსენიება

მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე აგებული სხვა მრავალი ეკლესიაც: თელავისა, მარტყოფის მონასტრისა („ღუთაების მონასტერი“, „ღვთაება“) და სხვა.

ღულელები (ყოფილი ატმნისხევი) — სოფელი თიანეთის რ-ნში, მდ. აძების მარჯვენა მხარეს, თიანეთიდან 27 კმ-ის დაშორებით. სოფლის დასაწყისთან დგას რიყის ქვითა და შირიმ-ით ნაგები დარბაზული ტიპის კერიანი ეკლესია. ღულელების სამხრ.-დას-ით შემორჩენილია აგრეთვე დარბაზული ტიპის ღვთისმშობლის ეკლესია, ნაგები რიყის ქვით და დეღახით. ეკლესიის გადახურვა თაღოვანია, შიგნიდან შელესილია კირსხსარით. არის აკლდამები.

ღუნდა — სოფელი ონის რ-ნში, მდ. ჯეჯორის ხეობაში, ონიდან 10 კმ-ის დაშორებით. სოფლიდან 5 კმ-ზე დგას შუა საუკუნეების წმინდა სამების ეკლესია.

ყ

ყაზბეგი (ყოფ. სტეფანწმინდა) — დაბა აღმ. საქართველოში, მდ. თერგის ნაპირებზე, თბილისიდან 157 კმ-ზე. დაბის ძველ უბანში ფეოდალური ხანის ქვის მასიური სახლებია შემონახული; ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმთან დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია (ხელახლა ამოქმედდა 1989 წ.). ყაზბეგს თაეს დაკურებს გერგეტის სამების ეკლესია.

ყაითმაზაშვილი ფილიპე — იხ. ფილიპე ყაითმაზაშვილი.

ყანჩაეთი (ყანჩაეთი) — სოფელი ახალგორის რ-ნში, მდ. ყანჩაურისხევის (ქსნის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, ახალგორიდან 6 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობლად არის კაბენის მონასტერი, რომლის დიდი გუმბათოვანი ტაძარი IX ს-შია აგებული (გადაკეთებულია XIII ს-ში. XVIII ს-ის შუა წლებში ყანჩაეთის ეკლესიას მიაწერეს კაბენის მონასტერი. კაბენის ხელნაწერები გადაიტანეს ყანჩაეთის ეკლესიაში. ჩვენამდე მოღწეულია ყანჩაეთის ეკლესიაში დაცული რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ყანჩაეთის ჟამნ-გულანი (H 1452), რომელიც 1674 წელს დაშშადებია ეფემეზ რატიშვილმა და შესწირა „სახუალეს“; დავითნი (H 1454), კონდაკი და სხვ. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მელქისედეკ ყანჩაელი წინამძღვრის დაკვეთით გადაწერილმა შიოს „ცხოვრებამ“ ცნობილია XII-XIII სს. (A 1453) „ყანჩაეთის სახარება-ოთხთაეი“ (242 ფ.), რომელიც კაბენის მონასტერში უნდა იყოს დაშშადებული.

ყარაკოში — სოფელი წალკის რ-ნში, თრიალეთის ზეგანზე, წალკიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ქართული ეკლესია წმინდა ხარლამპისა, ნაგები თლილი ქვით. მოგეიანების ეკლესია გაანახლეს ახლად ჩამოსახლებულმა ბერძნებმა, მაგრამ კედლები ისევ ძველია შერჩენილი. სამრეკლო ოთხ ბოძზეა აღმართული და ცალკე დგას. ეკლესიის იატაკი ქვისაა.

ყარაჯაანთ საყდარი — მდებარეობს ყვარლის რაიონის სოფ. გაეაზიდან 7 კმ-ის მანძილზე. იქ, სადაც მდ. აეანისხევი ერთვის ალაზანს, დგას ძველთაძველი ეკლესია, რომელსაც ხალხი „ყარაჯაანთ საყდარს“ უწოდებს. იგი მცირე ზომის ეკლესიაა, ნაშენი ქართული კეადრატული ფორმის აგურით. ეკლესიის წინა ნაწილი სამრეკლოს შთაბეჭდილებას ტოვებს. შიგნით შემორჩენილია კედლის მხატვრობის ნაშთები. შესასვლელ კარს ორივე მხარეს დატანებული აქვს სწორკუთხედი ფორმის ქვები. თითოეულ მათგანზე ასომთავრული წარწერაა, რომლის მიხედვით ეკლესია აშენებული უნდა იყოს XII საუკუნეში.

ყაშრმა — სოფელი ნინოწმინდის რაიონში, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირზე, ნინოწმინდიდან 7 კმ-ზე. სოფელში დგას X ს-ის 30-იანი წლების დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები კარგად თლილი ქვის კეადრებით. არის ლაპიდარული წარწერებიც.

ყაუხჩიშვილი სიმონ (1895-1981 წწ.) — ფილოლოგი, ისტორიკოსი და ბიზანტინოლოგი. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის

ისტორიული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა თსუ-ს ბიზანტინოლოგიის კათედრას, თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებას. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია შრომები: „ბროწოგრაფი გიორგი მონაზონისა“ (გამოც. 1920 წ.), იოანე პეტრიწის შრომების 2 ტომი (1937-1940 წწ.), პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ვერსია ქართული თარგმანით (1963 წ.), მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები (1966 წ.), ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული (1946-1963), ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1932 წელს დაარსა სერია „გეორგიკა“ ანუ „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (ტ.1-8, 1934-1970 წწ.), „ლექსიკონი ბიზანტიის ისტორიიდან“ (წ.1, 1948წ.), „ანასეული ქართლის ცხოვრება“, 1942 წ.(მისი რედაქტორობით), „ქართლის ცხოვრება“ (ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით – I, II და IV ტომები 1955-1973 წწ.). სარედაქტორო მისი შრომები იოანე მოსხის „სამოთხის“ („ლიმონარის“) შესახებ; „პალავარიანის“ ქართული და ბერძნული თარგმანების შესახებ, წერილები „არეოპაგიტიკის“ შესახებ და ა. შ.

ᲧᲔᲜᲝᲑᲐ – ბერიკაობა, გაზაფხულის დღეობა, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტის ნაშთი აღმ. საქართველოში. ყენობამ თანდათანობით ჩამოიცილა რელიგიური შინაარსი და მასობრივ სახალხო სანახაობად იქცა, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ბრძოლას ბიზანტიელი კეისრების (VI ს.), არაბების (VII ს.) და, საზოგადოდ, ყველა დამპყრობლის წინააღმდეგ. XIX ს-ის II ნახევრიდან ყენობა იქცა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ სანახაობად. ინსცენირებული იყო ჯარის შემოსევა, სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობის დარბევა, ბატალური ეპიზოდები, დამარცხებული ყენის მღინარეში გადაგდება. ქალაქში ყენობას მართავდა ხელისნობა, სოფლად – გლეხობა. ყენობა XX ს-მდე შემორჩა კახეთში, სვანეთში, მესხეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ᲧᲔᲚᲘᲔᲠᲘ – დიდმარხვის წინა, მოსამზადებელი შეიდეული, რომლის განმავლობაშიც საკლესიო ტიპიკონით დაშვებულია რძის პროდუქტებისა და კვერცხის ჭამა (მას წინ უძღვის ხორციელის ალება). ძველად საქართველოში ყველიერის კვირაში ტარდებოდა სხვადასხვა სანახაობანი: ბერიკაობა, ყენობა, კარნავალი.

ყველაზე სრულყოფილი სახით აღწერაგაზაფხულო დღესასწაულები სვანეთშია შემონახული. აქ მურყვამობა-კვირიაობის სახელით იმართება დღესასწაულის რვამუხლიანი ციკლი. მკვლევართა ვარაუდით, ეს დღესასწაული არქაული (ქრისტიანობამდელი) წარმომავლობისაა.

ᲧᲘᲖᲘᲐ – XV ს-ის ოქრომჭედელი. შესრული ლაბსყალდის (ზემო სვანეთი) მიქელ მთავარანგელოზის ვერცხლით მოჭედილი ხატი, შეწირული დადიან-გურიელის, სვანთა ერისთავთერისთავის, შამანდაულეს მიერ (ე. თაყაიშვილის ცნობით ესაა შამანდაულე I, რომელიც დადიანობდა 1470-1474 წწ.).

ᲧᲘᲖᲘᲚᲫᲘᲚᲘᲡᲐ – სოფელი დმანისის რწყში, ლუკუნის მთის ძირას, დმანისიდან 8 კმ-ზე. სოფელში იდგა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები წითელი ქვით (აქედანაა მისი სახელწოდებაც. ყიზილქილისა თურქულად ნიშნავს წითელ ეკლესიას).

ᲧᲘᲜᲯᲐᲨᲘ // ᲧᲘᲜᲩᲐᲨᲘ – სოფელი ხულოს რ-ნში, მდ. სხალთის ნაპირებზე, ზღვიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემორჩენილია XIII საუკუნის ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეების გალავანი და სხვა ნაგებობები.

ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘ – სოფელი ქარელის რ-ნში, მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ქარელიდან 8 კმ-ის დაშორებით. ტყეში მომაღლო ბორცვზე დგას ორი სამნაოსანტრო ანსამბლი, რომლის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწია XIII ს. დასაწყისის წმ. ნიკოლოზის ჯვარ-გუმბათოვანმა ეკლესიამ. ეკლესია ნაგებია აგურით. საერთო ილრით იგი უახლოვდება ტიმოთესანის. შიდა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავი, რომელთაგან, გარდა დასავ. მკლავისა, ყველა სწორკუთხაა. გუმბათი 12 სარკმლიანია. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი. ამავე პერიოდისად არის მიჩნეული კედლის მხატვრობაც, რომელშიც გამოსახულია მეფეების: გიორგი III-ის, თამარის, გიორგი ლაშას პორტრეტები. აღდგომის კომპოზიციაში ჩართულია განთქმული „ყინწვისის ანგელოზი“. ფრესკული მხატვრული ღირსების თვალსაზრისით მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული. ყინწვისში შემორჩენილია აგრეთვე XIII საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია, ნაგები უხეშად დამუშავებული ქვით. ეკლესიიდან მოღ-

წეულია მხოლოდ ნანგრევები (საკურთხეველი). ამაღე დროისაა მოხატულობაც. მოლწეულია კიდევ მცირე ეკლესია განვითარებული შუა საუკუნებისა და გვიანდელი შუა საუკუნების სხვა ნაგებობების ნაშთები.

ჯორანთა – ნასოფლარი ბოლნისის ჩრდ-ით მდებარე მთის დამრეცზე, მდ. მაშაურის მარცხენა ნაპირზე. ჯორანთა, როგორც საკათოლიკოსო მამული, წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წელს. 1428 წელს იგი მცხეთის ეკლესიას შესწირეს. XVII ს-ში ჯორანთა იქცა ნასოფლარად. მთის წვერზე დგას წმ. გიორგის XIII ს. დასასრულისა და XIV ს. დასაწყისის დარბაზული ეკლესია. სამრეკლოდან ეკლესიას აქეს მინაშენი. ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი ქვით, შიგნიდან შელესილი ყოფილა. კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით. გალავანი სხვადასხვა ზომის 13 ბურჯითაა გამაგრებული.

ჯორჯოლისთავი – სოფელი ხელვაჩაურის რაიონში, მდ. ყორულისწყლის ხეობაში, ხელვაჩაურიდან 20 კმ-ის დაშორებით. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია.

ჯუბანიშვილი სოლომონ (1901-1986 წწ.) – ძველ ქართული მწერლობის მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე. შეადგინა ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის ორი ტომი: პირველში (1947 წ.) შეიტანა სასულიერო მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები, მეორეში (1948 წ.) – საერო მწერლობის ანალოგიური ძეგლები. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები „ჰოქცაჲ ქართლისაჲსთჳს“ დაკავშირებით: „ჟრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება“ (ლიტ. ძიებანი, II, 1945, გვ. 311-324) და მონოგრაფია ამბროსი ნეკრესელის შესახებ (ლიტ. ძიებანი, III, 1947 წ.). მრავალი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნა ძველ საერო ლიტერატურას და XIX ს. ავტორთა შემოქმედებას.

ჯუდრო – სოფელი მარნეულის რ-ნში, ლოქის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. საღაზანისწყლის ზემოთში. სოფლის მახლობლად დგას შუა საუკუნეების ქართული ბუროთმოძღვრების ძეგლები: ნაქალაქარი „ბაშყუდური“ შუა საუკუნეებისა, დარბაზული ეკლესია, ორი ეკლესიის ნანგრევები ამავე პერიოდისა და ციხე „შიშთავა“.

ჯუმი – ძველი ქართული სოფელი საინგილოში, კახის რ-ნში, სოფ. ლექართიდან 8 კმ-ის დაშორებით. სოფელში მდგარა 3 ქართული ეკლესია, რომელთაგან შედარებით უკეთაა დაცული ღვთისმშობლის ე. წ. „ჯუმის ბაზილიკა“, VI-VII სს-ისა („მარიამ დედოფლისა“). ეკლესია დგას სოფლის შუაგულში. „ჯუმის ბაზილიკა“ ბოლნისის და ეზოსუბნის ტაძრებს ენათესავება.

ჯულალისი – სოფელი ნინოწმინდის რაიონში, მდ. მურუსახეთისწყლის ნაპირზე, ნინოწმინდიდან 15 კმ-ის დაშორებით. სოფლის მახლობელ მიდამოებში დგას ეკლესია 1060 წლისა, კედლებზე ლაპიდარული წარწერებით და განვითარებული შუა საუკუნეების ციხე.

ჯუარანი (არაბ. წაკითხვა) – მუსლიმთა „წმინდა წიგნი“, ისეთივე მნიშვნელობისა, როგორიცაა ქრისტიანებისათვის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მუსლიმთა რელიგიური დოგმებისა და წეს-კანონების კრებული, რომელშიც თავმოყრილია ისლამის რელიგიის ფუძემდებლის, მუჰამედის „წინასწარმეტყველური“ ზეშთაგონების დროს მეცნა და მადინაში წარმოთქმული ქადაგებები. ისლამის რელიგიის თანახმად, მაჰმადმა გასაგებ ენაზე აამეტყველა „ალაჰის სიტყვა“. თავდაპირველად მისი მოძღვრება ზეპირად ვრცელდებოდა, ზოგჯერ იწერებოდა კიდეც. ყურანის მცოდნე პირები „ყურანის მატარებლებად“ იწოდებოდნენ. მათ ახსოვდათ მოძღვრის მრავალი გამონათქვამი და ამიტომ არ იყო საჭიროება ჩაწერისა. შემდგომ ასეთი „მატარებლების“ რიცხვი თანდათან შემცირდა. ხალიფა ომარმა გასცა ბრძანება იმ ნაწყვეტების ჩაწერისა, რომლებიც ზეპირად შემორჩა მუსულმანებს. აბუბეკრმა ეს საქმე მიანდო ზეიდს, რომელიც მაჰმადის მდივანი იყო. შედგა კრებული, რომელიც დასაცავად მაჰმადის ქვრივს გადასცეს. ამ კრებულით სარგებლობდნენ ხალიფები, ხოლო დანარჩენები ყურანს კითხულობდნენ საკუთარი ჩანაწერებით; ჩაწერილი ტექსტების სანდოობამ და სწორმა წაკითხვამ დიდი დავა გამოიწვია დიაკრიტიკული ნიშნების უქონლობის გამო. თანდათანობით ეს რედაქციები დაშორდნენ ერთმანეთს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხალიფა ოსმანმა გადაწყვიტა, შემდეგი ყურანის საერთო რედაქცია (ყურეიშიტულ დიალექტზე). მანვე მეორეჯერ გააკეთა ტექსტის რედაქცია, დაყო იგი სურებად (თავებად) და გადაწერა 4 ნუსხა. ერთი ცალი დარჩა მედინაში, დანარჩენი ქუფასა, ბასრასა და დამასკოში გაიგზავნა (650 წელს). ყურანის განსხვავებული ტექსტები მფლობელებს უნდა ჩამორთმეოდათ და დაეწვათ დაეის შეწყვეტის მიზნით.

მაგრამ ამან ვერ უშველა საქმეს, დავა მაინც გრძელდებოდა და რედაქციათა ცირკულირებაც არ შემწყდარა. მას გაუკეთდა დიაკრიტიკული ნიშნები, მაგრამ ტექსტის სანდოობა დღესაც ეჭვს იწვევს სპეციალისტებს შორის. ტექსტის სტრუქტურა, ორთოგრაფია და კითხვის წესი საბოლოოდ დაადგინა 1923 წლის კაიროს გამოცემამ. კანონიკურ ტექსტში შევიდა 114 გამოცხადება-სურა (თავი). ენისა და სტილის ანალიზის საფუძველზე გამოიყო 4 ძირითადი ჯგუფი. ყურანი იყოფა სურებად, ხოლო ისინი ლექსებად, ანუ „აიათებად“ (სასწაული).

შინაარსობრივად ყურანი შეიცავს ლეგენდებს, წყვეტილს (უძველესი ნაწილი), ესქატოლოგიურ სურებს (წინასწარმეტყველებას ქვეყნის აღსასრულის შესახებ), ნასესხობებს ძვ. ებრაისტური და ქრისტიანული გადმოცემებისას, მასალებს არაბული ფოლკლორიდან. ესაა პირველი პროზაული წერილობითი ძეგლი არაბულ ენაზე, თუმცა არაერთგვაროვანი. სურები წარმოდგენილია გარითმული პროზით (საჯი). ადრეული ქადაგებები გამოირჩევა დიდი პოეტური ძალით და ზემოქმედებით. ყურანში ნაკლებად გასაგები, ორაზროვნების შემცველი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრების არსებობამ განაპირობა სათანადო კომენტარების შექმნა. ამ კომენტარებმა სათავე დაუდო შუა საუკუნეების მუსლიმური მეცნიერებისა და მწერლობის დარგების — ღვთისმეტყველების, სამოქალაქო და კანონიკური სამართლის, რიტორიკის, სტილისტიკის, სოციოლოგიის და სხვათა განვითარებას.

ევროპელები ყურანის ტექსტს ჯერ კიდევ XII ს-ში გაეცნენ ლათინური ტექსტების მეშვეობით. ქართული თარგმანი დაფუძნებულია ევროპულ თარგმანებზე, გამოცემულია 1914 წელს.

ყშრეში — სოფელი სვანეთში, რომელშიც დღას დადეშქელიანების გვიანი შუა საუკუნეების მცირე ზომის ეკლესია.

შ

შაბათი — ებრაულად ნიშნავს შესვენებას, რომელიც დადგენილი იყო რელიგიური მიზნით. შაბათის დაცვას, მის შენახვას დიდი ადგილი ეთმობოდა მოსეს კანონში (გამოსლვ. 20,8; 23,12; 34,21). შაბათის უქმედ განწესების მიზეზი მთლიანად ნათელი არაა, საყარაულოდდ, მიეკუთვნება მოსეშდელ ეპოქას. ბიბლიაში ის უკავშირდება შეიდეულის საღვთო რიგს, რომელიც მთავრდება დასვენების დღით, დღესასწაულით და საკულტო თავშეყრით. შაბათის დაწესება, „მეორე სჯულთას“ თანახმად, ემსახურებოდა ერთ მიზანს — მონებს ეძლეოდათ სულისმოთქმის საშუალება (5,12). სამღვდელო კანონმდებლობა კი სულ სხვა აზრს დებს მასში, კერძოდ: ადამიანი თავისი შრომითა და საქმიანობით ბაძავს ღვთის მოღვაწეობას; როგორც მან შეისვენა შესაქმის მე-7 დღეს, ადამიანმაც ასევე უნდა შეისვენოს (გამოსლვ. 31,13. დან. 2.2). ღმერთმა მისცა შაბათი ისრაელს იძის ნიშნად, რომ აკურთხა თავისი ერი (იეზეკ. 20,12). შაბათის დაცვა დაკანონებული იყო და მკაცრად იკრძალებოდა მისი დარღვევა (შეშის შეგროვება, ცეცხლის დანთება, საჭმლის დამზადება და სხვა საშუაოების შაბათ დღეს შესრულება). წინასწარმეტყველთა მოწმობით, შაბათის დაცვა განაპირობებდა ესქატოლოგიური დასჯების განხორციელებას (იერ. 17, 19-27). ესეელთა სექტის წარმომადგენელნი მთელი სიმკაცრით იცავდნენ შაბათს. ქრისტე არ ცელის შაბათის კანონს. იგი ამტკიცებს თავის უფლებას შაბათზე: „უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა“ (მათე 12,8). ეს იყო ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც შემდგომ წაუყენეს მას (იოანე 5,9-10). თაედაპირველად ქრისტეს მოწაფენი იცავდნენ შაბათს (მათე 28,1). ქრისტეს ამაღლების შემდეგაც იყრიდნენ ისინი თავს შაბათს, რათა ემცნოთ იუდეველთათვის კეთილი უწყება (საქმე მოც. 13.14; 16.13 და სხვ.). იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ კვირის პირველ დღედ იქცა იესოს აღდგომის დღე. ამ დღეზე ინაცვლებს ის, რასაც იუდეველები ჩვეულებრივ შაბათს უკავშირებდნენ, მაგ.: ლოცვათა აღსრულება, ღვთის შესმა და სხვა. წინამდელი, იუდაური შაბათი ახალ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ადამიანთა დასვენების დღე

იყო მინიშნება მე-7 დღეს უფლის შესვენებაზე. თაეისი აღდგომით ქრისტემ სასუფეველი განუღო ადამიანებს (ებრ. 4,1-11).

შაშნაბადა – მთა თრიალეთის ქედის სამხ. აღმ.-ის განშტოებაზე, თელეთის ქედზე. შაშნაბადას წვერზე დგას შუა საუკუნეების მონასტერი (იხ. თელეთი).

შავ-ზაძარია (XI ს.) – შავი მთის (სირია) მოღვაწე, კალიგრაფი. გადაწერა ოთხთავის ხელნაწერი A 845 შავი მთის ქართულ კოლონიაში, ნიკოლაოს ხუცესის დედნიდან, რომელიც შესრულებული იყო გიორგი მთაწმიდელის ხელნაწერიდან. ხელნაწერის ანდერძში გვითხულობთ, რომ დაიწერა სახარება „ელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავზაქარიაჲსითა“. გადამწერი აქვე მადლობით იხსენიებს სხვა თანამოღვაწეებს (დანიელს, ნიკოლაოს ხუცესს). შემდეგ ეს სახარება მოხვდა სამცხის ათაბაგთა კარზე, სადაც იგი დაასურათა XV ს. მინიატურისტმა ანანიამ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ოთხთავი ცნობილია „რუისის ოთხთავის“ სახელწოდებით.

შავი გრიგოლი – იხ. გრიგოლ მთაწმიდელი.

შავი იოანე – XI ს-ის ჯვარის მონასტრის ქართველი მოღვაწე, გადამწერი, მონასტრის წინამძღვარ პროხორეს თანამოღვაწე იოანე დვალთან და მიქელ დვალთან ერთად. შავი იოანე 1034-1042 წწ. მუშაობდა „პალესტინის პატერიკის“ კრებულის შედგენაზე, რომელიც ამჟამად ქ. ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბოდლეს ფონდშია დაცული. (Addit №11281). პატერიკი მას დაუმზადებია პროხორეს კურთხეით.

შავი მთა – ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი ანტიოქიის მახლობლად, სირიაში (ამჟამად თურქეთის ფარგლებში). VI ს-ში აქ მოღვაწეობდა სვიმეონ მესვეტე, რომლის სახელი დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ისტორიასთან. ეს ის სვიმეონია, რომლის დროს საქართველოში მოვიდა „ათცამეტ ასურელ მამათა“ ერთი ნაწილი. მასთან ხშირად ჰქონიათ მიმოსვლა ქართველებს, რომელთაგან ბევრი მის მონასტერში რჩებოდა საბერმონაზვნო მოღვაწეობისათვის. XI ს-ში შავ მთაზე განსაკუთრებული ინტენსივობით გაჩაღდა სამონასტრო ცხოვრება. აქ ბევრი მოღვაწე დასახლდა სამხრეთ საქართველოდან (შატბერდიდან, ოშკიდან, ტბეთიდან და ა. შ.). მომდევნო წლებში ქართველები კიდევ უფრო მომრაელდნენ შავი მთის სავანეებში (სვიმეონწმინდაში, როშაწმინდაში, კალიპოსში, კასტანაში და სხვა). გიორგი მთაწმიდელის შავ მთაზე ყოფნის დროს (დაახლ. 1050-60 წწ.) მარტო სვიმეონწმინდის მონასტერში 60-ზე მეტი ქართველი მონაზონი მოღვაწეობდა. ეს მაშინ, როდესაც ქართველებს შავ მთაზე არაერთი საკუთარი მონასტერიც ჰქონდათ. აქ ქართველები აგრძელებდნენ და აკითარებდნენ ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ტრადიციებს. მალე ისინი დაეუკაშირდნენ იმდროინდელი ქართული მწერლობის უმთავრეს კერას – ათონის მონასტერს და მჭიდრო ლიტერატურული კონტაქტი დაამყარეს ათონის მოღვაწეებთან. შავ მთაზე ქართველები ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად დაეწაფნენ სირიულ-არაბულ სამყაროში შექმნილ ზოგადქრისტიანულ მწერლობას; შეუდგნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ებრძოდნენ მოძალებულ ბერძნებს და იცავდნენ თავის საეკლესიო და კულტურულ დამოუკიდებლობას. XI ს-ის შუა წლებისათვის აქ მოღვაწეობდა გიორგი შეფნებული, რომელმაც თავი ისახელა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობით. მან გამოიცადა ლიტერატურულ ხარისხზე გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც მრავალი თხზულება თარგმნა სწორედ შავ მთაზე. აქ მოღვაწეობდა ერთხანს გიორგი მცირეც (ხუცეს-მონაზონი). შემდეგ ორივე ათონზე გადავიდა სამოღვაწეოდ, მაგრამ მათი შემოქმედებითი წვრთობა მაინც შავ მთაზე მოხდა. შავი მთის ლიტერატურული სკოლა გაძლიერდა და გამდიდრდა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ქართველი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის ისტორიაში. მასთან ერთად მოღვაწეობდა სახელოვან ქართველ მწიგნობართა მთელი ჯგუფი (საბა თუხარელი, იოანე ფარნაკელი, ანტონ ტბელი, იოანე მთაუარაისძე, ეფრემ ოშკელი, არსენ იყალთოელი და სხვა). განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ხანებში ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, განვითარდა ქართული ფილოსოფიური აზროვნება, შეიქმნა და ითარგმნა თხზულებები საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა დარგში (ბიბლიოლოგია, პოპილეტიკა და ა.შ.), დამუშავდა ქართველთა შორის ქრისტიანობის გაერცელების პრობლემატიკა, დადასტურდა ქართველთა უფლება ავტოკეფალიაზე. შეშუშავდა მთარგმნელობითი თეორია, დამზადდა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ზოგიერთი ამჟამად

დაცულია თბილისში, ქუთაისში, პეტერბურგში, სინის მთაზე, ათონზე და იერუსალიმში. შავი მთის ქართველებს მჭიდრო ურთიერთკავშირი ჰქონდათ ადგილობრივ ბერძნულ-სირიულ-არაბულ ლიტერატურულ წრეებთან. მაგალითად, ეფრემ მცირეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ცნობილ ნიკონ შავმთელთან, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი „ტაქტიკონი“ და იოანე დამასკელის „ცხოვრების“ არაბული ვერსიის ავტორ მიქაელთან. ქართველების განკარგულებაში იყო თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმეონწმინდაში დაარსებული წიგნსაცავი, რომელშიაც ეფრემის დროს 420 წიგნი ყოფილა. შავი მთის ქართველ მოღვაწეებს ცხოველი კონტაქტები ჰქონდათ პალესტინის და, განსაკუთრებით, ათონის სკოლის ლიტერატურულ სკოლასთან. გიორგი მთაწმიდელს შავი მთიდან წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია კავშირი მასთან. მან თავისი საზღვარგარეთული მოღვაწეობა სწორედ მაე მთაზე დაიწყო. როდესაც ის ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრობიდან გადადგა, ისევ შავ მთა>ე დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა (იმ ხუთი წლის გარდა, რომლიც მან ანგრატ IV-ის მოწვეით საქართველოში გაატარა). შავი მთისა და ათონის მთის ქართველი მოღვაწეები თვალყურს ადევნებდნენ ერთმანეთის ლიტერატურულ-მწიგნობრულ მოღვაწეობას, უგზავნიდნენ ერთმანეთს საკუთარ თხზულებებსა და თარგმანებს. შავ მთაზე შეშუშავდა ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომლის იდეოლოგად ეფრემ მცირე და იოანე ფარნაკელი ითვლებოდნენ. შავი მთის ლიტერატურულმა სკოლამ თვალსაჩინო კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში. XIII საუკუნეში აქ კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია მაჰმადიანურ ქალაქად იქცა, ხოლო ტაძარ-მონასტრები დანგრეული და გაქვანებული იქნა, ქართველები იძულებულნი იყვნენ სამუდამოდ მიეტოვებინათ იქაურობა.

შავი სამღვდელოება – ასე ეწოდება სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელსაც სამოდ ვაწეიდ მონაზვნობის გზა აურჩევია და არ არის ქორწინებაში. სახელწოდება მათი შავი ფერის სამოსელს უნდა უკავშირდებოდეს (იხ. „თეთრი“ სამღვდელოება).

შავსაყდარი – სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში, მდინ. ალგეთის მარცხენა მხარეს, თეთრი წყაროდან 25 კმ-ზე. სოფელში აღმოსაველეთ გორაკზე დგას ძველი, მთლიანად დანგრეული ეკლესია, ნაგები შავი ბაზალტის ლოდებით. ეკლესია დაახლოებით IX-X სს-ისა უნდა იყოს.

შავშვე – სოფელი გორის რ-ნში, ატენის ხეობაში, სოფლების – ზემო ბოშურისა და ქვემო ბოშურის მახლობლად. სოფელში დგას IX-X სს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები თლილი ქვით. ინტერიერში არის მოხატულობა, რომელიც შესრულებულია XII-XIII სს-ში. ხის კანკელი და მასზე გაკეთებული წარწერები XV საუკუნისაა.

შავშეთი – მხარე ისტორიულ სამხ.-დას. საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). სახელწოდება მოდის ამავე სახელწოდების დაბიდან, რომელიც ადრე მისი ცენტრი იყო. სამხრ. საქართველოს სხვა კულტურული კერების მსგავსად, ქართული ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობა აქაც ინტენსიურად მიმდინარეობდა. შავშეთის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და არქიტექტურის შესანიშნავი ქმნილებაა ტბეთის მონასტერი, რომელიც დგას სოფელ ტბეთში. ტაძარი აგებულია X საუკუნის დასაწყისში. ამავე პერიოდში დაარსდა ტბეთის სკრიპტორიუმი. X-XIII საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ იოანე მტბევარი, საბა მტბევარი, დავით ტბელი, ანუსერიძე ტბელი და სხვა.

შალვა – „კალატოზთა ზედა მოამაგე“, კალატოზი, რომელიც ხელმძღვანელობდა რუისის ტაძრის აღდგენას ალექსანდრე I დროს (XV ს. II მეოთხედი). შალვა კალატოზის ხელმძღვანელობით აღადგინეს აღმოსაველეთი და დასაველეთი ფასადები, დასაე. კარიბჭე, შიგნითა სართული (ვ. ბერიძე, „ქართველი ოსტატები“).

შალვა – ოქრომჭედელი, რომელმაც მოჭედა ლარგვისის ღვთისმშობლის გეიანდელი, უთარიღო ხატი.

შალვა ახალციხელი (თორელი) – ქართველი მოწამე, დიდებული, ახალციხის ოლქის მმართველი. თურქეთის სულთნის, ნუ-ქარდინის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის დროს მან დიდი გამარჯვება მოიპოვა მტერზე, რომლის შემდეგ საქართველოში დიდხანს დამყარდა მშვიდობა. რუსუდანის მეფობის დროს († 1237) საქართველოს ჯალალედინის ლაშქარი შემოესია. მის წინააღმდეგ ბრძოლაში შალვა ახალციხელი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა სპარსელებს. ჯალალედინმა მის მიმართ დროებით მოწყალებითი ყურადღება გამოიჩინა, ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც ჭრილობები მოუშუშდა, მას გამაჰმადიანება მოსთხოვა და აღუთქვა

დიდი პატივი და მაღალი თანამდებობა. შალვა ახალციხელმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. განრისხებულმა შაჰმა ბრძანა შალვა ახალციხელი შიშველი ეთრიათ მიწაზე. იგი ცოცხალმკვდარი საპყრობილეში შეაგდეს, სადაც მან 1227 წ. წამებით დალია სული. ქრისტიანულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. მისი მოღვაწეობა აღწერილია მოკლედ „ქართლის ცხოვრებაში“ (I, გვ. 370; II, გვ. 74-192). შალვა ახალციხელის წამებას მიეძღვნა ანტონ I-ის „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შალუა მთაერისა ახალციხელის მანდატურთუხუცესისა“ („მარტირია“, XVI, ძეგლები VI, გვ. 302-318).

შალვა ქსნის ერისთავი – წმინდა მოწამე, 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იგი ბიძინა ჩოლოყაშვილთან და ელიზბარ ერისთავშვილთან ერთად ეახლა სპარსეთის შაჰს, რათა ამით ქვეყნისათვის აეცდინა მტრის ახალი შემოსევა. სამიე გმირი შაჰმა გაწყის ხანს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა კი იმ თურქმანული ტომების მესვეურს, არდალანის სულტანს, რომლებიც ქართველებმა ამოწყვიტეს აჯანყების დროს. ბიძინა, შალვა და ელიზბარი – სამივე არაადამიანურად აწამეს და ნაკუწ-ნაკუწებად აქციეს. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. შალვა ქსნის ერისთავი დაკრძალულია ქსნის ერისთაეთა საგვარეულო სამარხში – იკორთის მონასტერში, ბიძინასთან და ელიზბართან ერთად, რადგან სპარსეთში წამებისა და ნაწილებად დაჭრის შედეგად მათი სხეულის ნაწილების განცალკევება შეუძლებელი იქნა. შალვას, ბიძინას და ელიზბარის წამების XVIII ს-ის I ნახევარში კათოლიკოსმა ბესარიონ ორბელიშვილმა უძღვნა თხზულება „შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალუასი და ელისბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა“ (A 3269; A 170). გამოცემულია: ძეგლები, V, 1989, გვ. 49-63). ბესარიონის თხზულების საფუძველზე ანტონ I კათოლიკოსმა 1768-69 წწ. დაწერა ბიძინა, შალვა და ელისბარის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია და შეიტანა „მარტირიკაში“ (Q 78; S 1272) გამოცემულია: ძეგლები, VI, 1980, გვ. 169-189. (იხ. ბიძინა).

შალოვეთი – სოფელი ასპინძის რ-ნში, სადაც დგას VIII ს-ის ეკლესია მოხატულობის ნაშთებით და ლაპიდარული წარწერით.

შამანიზმი – შამანობა, მსოფლიოს მრავალ ხალხთა ყოფაში გავრცელებული რელიგიის უძველესი ფორმა, განსაკუთრებით ანიმიზმის რწმენის ხალხებში. მორწმუნეების სწამდათ, რომ რელიგიურ ექსტაზში მყოფ შამანს და მის სულში ამ დროს ჩასახლებულ ტოტემის სულს ერთმანეთთან პირდაპირი, უშუალო კავშირი ჰქონდათ.

შანდალი – იხ. სასანთლე.

შანიძე აპაკი (1887-1987წწ.) – ქართველი ენათმეცნიერი და ფილოლოგი. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწავლობდა ქართულ-სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა კათედრაზე. ა. შანიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918წ.). სხვადასხვა დროს იყო თსუ-ს სომხური ენის კათედრის გამგე (1918-1930 წწ.), ქართული ენის კათედრის გამგე (1919-1945 წწ.), ძველი ქართული ენის კათედრის გამგე (1945-1987 წწ.). მისი და მრავალდარგოვანი სამეცნიერო მოღვაწეობიდან ამკვრად გამოვყოფთ მის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ნაშრომებს, მის მიერ გამოცემულ ძველ ქართული მწერლობის სასულიერო ძეგლების მეცნიერულ-ფილოლოგიურ გამოკვლევებს. ე.წ. სანქტ-პეტერბურგის სასულიერო ტექსტების აღმოჩენამ და გამომზეურებამ (ივ. ჯავახიშვილთან ერთად) საფუძველი ჩაუყარა სასულიერო ტექსტების შესწავლას და საერთოდ ჩამოაყალიბა ტექსტოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. მის მიერ გამოცემული ოთხთაეის ტექსტები, მათი რედაქციებად დაყოფა და ბიბლიოლოგიის საკითხების კვლევა მისი სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთი მთავარი სფეროა. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა უძველესი მრავალთაეების ტექსტები – 864 წლის „სინური მრავალთაეი“ (1959 წ.) და IX ს-ის „უდაბნოს მრაეალთაეი“ (ზ. ჭუმბურიძესთან ერთად, 1994წ.). ა. შანიძეს მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ცალკეული საკითხების შესახებ.

შარაშიძე ქრისტინე (1887-1971 წწ.) – ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ფილოლოგი და ისტორიკოსი. ქ. შარაშიძის საქმიანობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ძველ ქართულ ხელნაწერთა არქეოგრაფიული საკითხების დამუშავებასთან. იგი მონაწილეობდა საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდების (H) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) ხელნაწერთა აღწერილობების მრავალტომეულის გამოცემაში. (დაახლ.

15 ტომი). მისი გამოკვლევები ეხება ძველი ქართული მწერლობის, ფილოლოგიისა და წყაროთმცოდნეობის მრავალფეროვან საკითხებს.

ᲨᲐᲢᲑᲔᲠᲓᲘ – სამონასტრო ცენტრი კლარჯეთში, არტანუჯისა და ანჩის ახლოს. მისი ადგილსამყოფელი დადგინა ნ. მარმა. ძველი ავტორები შატბერდს ასე იხსენიებდნენ: „სიქადული ყოველდღე მახლობელთა მონასტერთა“, „დიდებული მონასტერი“ (გიორგი მერჩულე), „დიდი ლავრა“ (გრიგოლ ეაჩეძორელი), „დიდებული ლავრა“ (გიორგი მცირე) და სხვა... შატბერდის შესახებ ძირითად ცნობებს გვაწვდის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გრიგოლი თბზულების სათაურშივე იხსენიება, როგორც ხანცთისა და შატბერდის აღმშენებელი: „მამაჲ და წინამძღუარი და მაშენებელი ხანცთისა და შატბერდისაჲ, ორთა მათ დიდებულთა მონასტერთაჲ“. შატბერდის მონასტრის დაარსება, თბზულების მიხედვით, დაკავშირებულია აშოტ კურაპალატის სახელთან. როდესაც აშოტმა მოისმინა ხანცთის ქება, „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდი ადგილი აგარაკად ხანძთისა“ (აშოტის შემდეგ კურაპალატი გახდა მისი ძე ბაგრატ, რომელსაც ენევა გრიგოლ ხანცთელი და სთხოვა შატბერდის აშენება. ისიც სიხარულით დაეთანხმა და მისცა ყოველივე საკმარი საშენებლად“ (ძეგლები, I, გვ. 272-277). ამრიგად, შატბერდის ტაძრის აშენებას აშოტის მომდევნო ხანაში, 863 წლის ახლოს დაედო საფუძველი, ქტიტორი ბაგრატ პირველია, აშოტის ძე. გრიგოლის მოწაფეებმა შატბერდში დაიწყეს ეკლესიის შენება. ბაგრატმა მრავალი შესაწირავი შესწირა მონასტრის შენებას, ასევე „აზნაურთა და ყოველმან ერმან“. შატბერდი იქცა მძლავრ ლიტერატურულ კერად და მალე კლარჯეთის ლიტერატურულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახდა. გრიგოლის შემდეგ აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მწიგნობრები: სოფრონ შატბერდელი, გაბრიელ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ეაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი და მრავალი სხვა. შატბერდში უნდა იყოს გადაწერილი: ცნობილ თარიღიან ოთხთაეთა შორის უძველესი – აღიშის ოთხთავი (897 წ.), ამჟამად ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; ჯრუჭის სახარება (936 წ.), რომელიც მოუხატავს „კამარათ მწერალს“ თევდორეს (იხ.). ჯრუჭის მონასტრიდან ხელნაწერი 1920 წელს ჩამოიტანა ე. თაყაიშვილმა. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 1660); პარხლის ოთხთავი (973 წ.), იოანე ბერაის გადაწერილი. წინათონური რედაქციის სახარებათა შორის პარხლის ოთხთავი ერიად მნიშვნელოვანია. ჯრუჭის სახარებასთან ერთად ის წარმოადგენს პროტოეულგატას; ცნობილი „შატბერდის კრებული“, იოანე ბერაის მიერ გადაწერილი (S 1141), რომელიც წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს შესწირა მ. ალექსიმესხიშვილმა. შატბერდის კრებული X ს. ხელნაწერია. ეს სახელწოდება მას მისცა ე. თაყაიშვილმა. XI სის შუა წლებში შატბერდი იმდენად დიდებული მონასტერი ყოფილა, რომ საქართველოს მეფეს იქ დაუყენებია საცხოვრებლად სტუმრად ჩამოსული გიორგი მთაწმიდელი. (ლ. მენაბდე, კერები, I, II ნაწ. გვ. 412-423).

ᲨᲔᲚᲝᲕᲐ – გახალხურებული ლოცვითი ტექსტი, რომელსაც წარმოთქვამდნენ მოსალოდნელი აკადმყოფობის, ხიფათის, აჟი თვალისაგან დასაცავად. ქართულ ფოლკლორში გვხვდება ძირითადად სამკურნალო ხასიათის შელოცვები. მათი ტექსტები დაცულია ძველ ქართულ ძეგლებშიც, როგორიცაა „კურთხევანი“, „ცარაბადინი“, „ავგაროზი“ და მისთ.

ᲨᲔᲛᲝᲛᲫᲔᲓᲘ – სოფელი ოზურგეთის რ-ნში, ოზურგეთიდან 7-8 კმ-ის მოშორებით, მდინარე ბეუთის მარცხენა ნაპირზე. გორაკზე აშენებულია საკმაოდ ლამაზი და კოხტა ეკლესია, „დიდშენი გუმბათოვანი, შემკული ყოველითა“ (ვახუშტი). ადრე იგი მონასტრის ეკლესია იყო, შემდეგ გადაკეთდა კათედრალად. „შემოქმედი“ ბაზილიკური ტიპის მაცხოვრის ეკლესიაა, რომლის ფრესკები ძალზე დაზიანებულია. ეკლესია დახლოებით XVIს-ის ძეგლად ითვლება. მხატვრობაში რამდენიმე ფენა განირჩევა და შესაბამისად თარიღდება XVII-XVIII სსით. „შემოქმედის“ საუანე გურიის ეკლესია-მონასტრებში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. სამცხის შეიწროებისა და მისი ეკლესია-მონასტრების დაუძლურების ხანაში „შემოქმედში“ გადმოუტანიათ იქაური სიძველენი (იხ. ზარზმა), ამიტომაა, რომ „შემოქმედი“ ქართულ სიძველეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საცავს წარმოადგენდა. „შემოქმედში“ მოღვაწეობდნენ იაკობ დუმბაძე, გიორგი XI-ისა და იოსებ თბილელის თანამედროვე და დაახლოებული პირი. „შემოქმედში“ საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა უნდა ყოფილიყო. აქაურ ხელნაწერთაგან საყურადღებოა „ფუტკარი“ (A 691), საკმაოდ მოზრდილი გულანი (Q 103), ზატიკი (Q 651), სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (Q 92).

შემოქმედის საეპისკოპოსო – გურიის სამთავროს საეკლესიო ეპარქია, რომელიც XV ს-ის ბოლოს დარსდა. შემოქმედელ ეპისკოპოსს – მღვდელმთავარს მთავარეპისკოპოსის ტიტული ჰქონდა, თანაც მიტროპოლიტად იწოდებოდა. იგი სუფსასა და ჩოლოქს შორის მცხოვრებთა უმაღლეს სასულიერო ხელისუფლად ითვლებოდა. შემოქმედელის რეზიდენცია გურიელთა სამკვიდრო – მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია იყო. შემოქმედის საეპისკოპოსოს დიდძალი მამულები ჰქონდა, რომელსაც მოურავი განაგებდა. 1788 წლიდან შემოქმედში ეპისკოპოსი აღარ მჯდარა, მაგრამ თვით ეპარქია ჯერ კიდევ მოქმედი იყო. იგი გაუქმდა რუსეთთან შეერთების შემდეგ.

შეპიაპის ეკლესია – XI ს-ის II ნახევრის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ამაღე სახელწოდების სოფელში, წალკის რ-ნში. ძეგლი წყლით დაფარა რაიონში წყალსაცავის აშენების დროს. ეკლესიის ტიმპანის ქვები, რომლებზეც ამოკვეთილია თარიღიანი წარწერები, დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში. შეპიაკში მდგარა სამი ეკლესია: ორი დანგრეულა, მესამე – შეპიაკის ეკლესია ერთ-ერთი საუკეთესო ფოფლა რ-ნში. ეკლესია ნაგები იყო სუფთად თლილი მოწითალი ფერის ალაგეთის ქვით. სამხრეთ გვიან მოუშენებიათ, ჩრდილოეთით ეკლესიასთან კარით დაკავშირებული იყო ეგეტერი. სამხრ. შესასვლელი შემკული იყო ლამაზი ჩუქურთმებით. აქეს წარწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენებულია რატი ერისთავი. ეკლესიას სამხ-ის მთელ სიგრძეზე გასდევდა ულამაზესი კარნიზი, შემკული იმეთაი ჩუქურთმებით და წარწერებით. აღმ. სარკმლის თავზე გამოსახულნი იყვნენ ქტიტორები ეკლესიის მოდელით ხელში; მათ ზევით იყო წმინდანების გამოსახულებები. მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩენილი იყო საკურთხეველში (ძვ. კანკელის ნაწილები).

შერისხჳა – სასჯელის ერთ-ერთი ფორმა, სახეობა ძველ საქართველოში. 1263 წ. მცხეთაში მოწვეული IV საყკ. კრების დადგენილების („სამართლის ძეგლები“, III, გგ. 161-164) თანახმად, შერისხვა გულისხმობდა ადამიანის უფლებების აყრას. მას თან ერთვოდა საეკლესიო შეჩვენება და კრულება. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შერისხვა გამოიხატებოდა ხატზე გადაცემით.

შესაძე – ბიბლიური წიგნი სამყაროს შექმნის შესახებ. იხ. დაბადება.

შესწლა – ლიტურგიკული ტერმინი, რომელიც გამოხატავს ღვთისმსახურების დროს სამღვდელოების შესვლას სამეუფო კარში (საეკლესურით, სახარებით, წმ. ძღვნით):

1. კათაკმეველთა ლიტურგიაზე ხდება მღვდელმსახურთა მცირე შესვლა სახარებით.

2. „დიდი შესვლა“ – სიწმინდის გადასვენება სამსხვერპლოდან საკურთხეველზე. ამ დროს სრულდება ქერუბინთა გალობა.

3. შესვლა მწუხრზე სრულდება კვირა დღეებში და საუფლო, ღვთისმშობლის და წმინდანთა დღესასწაულებზე, რომლებიც სრულდება ღამისთევით. მწუხრის შესვლაზე სრულდება „ანთელი მხიარული“.

შესხმა – იხ. ქება.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს ვნებულთათა“ – (ძეგლები, VI, გგ. 247-265) – იხ. ათთა ბევრთა წამება.

„შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა“ (ძეგლები, V, გგ. 49-63; ძეგლები, VI, გგ. 35-66; ძეგლები, IV, გგ. 437-440) – იხ. ბიძინა ჩოლოყაშვილი; შალვა ერისთავი; ელიზბარ ერისთავი.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესჯელთა“ (ძეგლები, VI, გგ. 189-208).

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღდელმოწამისა გრიგორი დიდისა სომეხთა ეპისკოპოსისა და წმიდათა ღირსთა მოწამეთა ძალ. წულთა რიფსიმესი და გაიანესი და სხუათა მათ თანა – (ძეგლები, VI, გგ. 370-418) – იხ. გრიგოლ პართელი; რიფსიმე; გაიანე.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისაკ და იოსებისი, ვნებულთა ძალაძსა შინა თეოდოსი პოლისსა“ (ძეგლები, VI, გგ. 358-370) – იხ. ისაკ და იოსები.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუდ-

ელმოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისთა“ (ძეგლები, VI, გვ. 119-135) _ იხ. ნეოფიტე ურბნელი.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდისა მოწამეთა, რომელნიცა... დაიწუნეს ეკლესიასა შინა მონასტრსა... ქუაბთა კეშს... – (ძეგლები, VI, გვ. 319-340) _ იხ. ქუთათელის მოწამენი.

„შესხმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდისა მოწამისა შალვა მთაპრისა ახალციხელისა მანდატურთუხუცესისა“ (ძეგლები, VI, გვ. 302-318) _ იხ. შალვა ახალციხელი.

„შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ და მის თანა კსენებაჲ მრაჳალთა მამათა ნეტართაჲ“ (ძეგლები, I, გვ. 248-319) _ იხ. გრიგოლ ხანცთელი; გიორგი მერჩულე.

შეტირება // შეტირილი – სინანულის პირველი, უმძიმესი საფეხური. შეტირილის დროს მონანულნი არ შედიოდნენ ეკლესიის შენობაში, იდგნენ წინკარში ან ეზოში და ცრემლით ემუდარებოდნენ ეკლესიაში შემსვლელთ მათთვის ელოცათ („დიდი სჯულისკანონი“, იუ რიდ. ტერმინები, გვ. 596). „ესე არს ოდეს შეცოდებული იგი იდგეს გარეშე კართა ეკლესიისა და შემავალთა ეკლესიად მორწმუნეთა შეუვლებოდეს ლოცად და ევედრებოდეს მისთჳს“ („მცირე სჯულისკანონი“, S 143, 118).

შეუბანი – სოფელი ონის რ-ნში, მდ. რიონის მარჯენა მხარეს, ონიდან 2 კმ-ის დაშორებით. სოფლის განაპირას დგას აღრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესია ე. წ. „თავსა“ („სინაწმიდა“). არსებობს გალმოცემა, რომლის თანახმად ამ ეკლესიაში რელიკვიის სახით ინახებოდა თამარ მეფის თმები.

შეტყუება – პიმნოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავს იამბიკოს ხუთტაეპიანი სტროფის თითოეული სტრიქონის მარცვალთა (12) სახელწოდებას.

შეკანი – ქართველთა საკანე შეკანის მთაზე, რომელიც XI ს-ის შუა წლებში (1061 წლამდე) ტრანსიორდანიაში, არნონის ხეობაში დააარსა გაბრიელ თბილელმა (ტფილელმა). შეკანელებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მოღვაწეებთან. შეკანის სკრიპტორიუმში დამზადდა იოანეს მიერ კოპტური პაპიროსებიდან ძველების თარგმანების კრებული (Jer. 50). ამ ხელნაწერის ანდერძი გვაცნობს გაბრიელ შეკანელის ვინაობას – ის ტფილელი ყოფილა. ცნობა იმის შესახებ, თუ როდის იყო გაბრიელი თბილისის ეპისკოპოსი და როდის გაემგზავრა იერუსალიმში, არ არსებობს. XII ს-ში შეკანი ჯერ კიდევ მოქმედი მონასტერი იყო და აქ მოღუწეობდნენ გაბრიელ შეკანელის შვილიშვილნი – იოსებ და იოანე. ამის შემდეგ შეკანის საუანე შეუწყვეტია არსებობა. შეკანის უდაბნოში გადაწერილი ხელნაწერი Jer. 50 ადრევე იქცა ჯვარის მონასტრის საკუთრებად. შეკანის უდაბნო გაუშენებია გაბრიელ ტფილელს გიორგი-პრომთორეს წინამძღვრობის დროს. XI ს-ის ხელნაწერთა მოსახსენებელში და ანდერძებში გაბრიელი შეკანის უდაბნოს მაშენებლად იწოდება. შეკანის უდაბნოში გაბრიელის მამების დროს მოღუწეობდა იოანე, რომელსაც უკვე კარგა ხნისრს გადაუწერია Jer. 50. ამ ხელნაწერის გადაწერის დროს საუანე იყო „ახალშენი და გლახაკი წიგნითა“. იოანეს მიზანი იყო მონასტრის წიგნებით გამდიდრება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შეკანში იყო ქართული სკრიპტორიუმი. (იხ. ე. მეტრეველი, შეკანის უდაბნო – XI ს. უცნობი ქართ. სკრიპტორიუმი პალესტინაში, „მრავალთავი“, V, 1975, გვ. 22-24).

შეჩვენება – „ესე არს შჯულიერად აღმოფხვრა, გინა წარწყმედა, გინა განძება“ (საბა), სასჯელის ზომაა, უდრის ანათემას (იხ. განკვეთა). შეჩვენება არის ეკლესიიდან სრული ჩამოშორება. ეკლესიის წევრი მძიმე დანაშაულისათვის შეჩვენების შემდეგ მთლიანად კარგავს ერთობას ეკლესიასთან. შეჩვენებული კარგავს უფლებას მორწმუნეებთან ერთად ილოცოს, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ საეკლესიო მსახურებაში და ზიარების საიდუმლოში. მას ერთმება აგრეთვე ქეთილმორწმუნეთა სასაფლაოზე დაკრძალვის უფლება. მორწმუნეებს ასეთ პირთან ურთიერთობა ეკრძალებათ. შეჩვენებით ისჯება ის, ვინც მიიღებს ან მისცემს საეკლესიო შესაწირავს ეპისკოპოსის გარეშე; „უკუეთუ ვინმე უფლისა მიერ მმარხველთაგანი ქალწულებისაჲ ზეაობდეს ქორწინებულთაგანისა ვისმე ზედა“, ვინც შეურაცხყოფს აღასის „მოქმედს“ და არ მიიღებს მიპატიებას ზიზღით ან ქედმაღლობით, მორჩენებით ღვთისმსახურებისათის კერა

დღეს მმარხველი, ქორწინების დამგმობი და სხვ. (იხ. დიდი სჯულისკანონი. ორიდიული ტერმინები, გვ. 604).

შვიდეული – შვიდდღიანი ციკლის, კვირის ძველი ქართული სახელწოდება. ზოგიერთ შემთხვევაში ამავე შინაარსს გამოხატავენ ძველი ქართული ტერმინები: „შაბათი", „ზატიკი". ქართული ქრისტიანული ლიტურგიკულ-პეორტოლოგიური წელიწადის პერიოდებად დაყოფას საფუძვლად შვიდეულები უდევს. უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების მონაცემების საფუძველზე გამოყოფენ შვიდეულებისაგან შედგენილ 9 პერიოდს. მათგან ზოგიერთი შვიდკვირეულ პერიოდებს ქმნის. საეკლესიო წელიწადის შვიდკვირეულ პერიოდებად დაყოფა უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა უნდა იყოს, რომლის კვალი, გარდა ქართულისა, დარჩენილია ნესტორიანთა კალენდარშიც (კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. 1, გვ. 125-132).

შვიდი საიდუმლო – ეკლესიაში დაწესებული შვიდი წეს-განგება, რომელთა ხილული აღსრულების მიღმა იგულისხმება საიდუმლო (ფარული, თვალით უხილავი) გარდამავალა სულიწმიდის მადლისა. აღმოსავლეთის ეკლესიის საიდუმლოთა რიცხვში შედის: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, მღვდლობა, ქორწინება, ზეთისკურთხევა.

შვიდნი ყრმანი ეფესელნი – შვიდი მოწამე ყრმა: მაქსიმილიანე, იამბლიქე, მარტინიანე, იოანე, დიონისე, ექსაკუსტოდიანე (კონსტანტინე) და ანტონინე მოწამენი ცხოვრობდნენ III საუკუნეში, ეფესოში. ისინი იყვნენ წარჩინებულ მოქალაქეთა შვილები. ყრმანი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ და ერთმანეთს მეგობრობდნენ. იმპერატორ დეციოსის ჩამოსვლისას, როდესაც წარმართ ღმერთებს მსხვერპლსა სწირავდნენ, 7 ყრმა არ გამოცხადდა. ისინი დაასმინეს იმპერატორთან, აჰყარეს სამხედრო ხარისხი და გაათავისუფლეს იმ იმედით, რომ მალე გონს მოეგებოდნენ. ყრმანი შეეყარნენ გამოქვაბულს და ლოცვით თაეს იმზადებდნენ მოწამებრივი გმირობისათვის. ყველაზე უმცროსი, იამბლიქე, გლახის ტანსაცმელში გადაცმული, ჰურის საყიდლად დადიოდა ქალაქში. ერთი ასეთი გამოსვლის დროს მან შეიტყო, რომ იმპერატორი ლაშქრობიდან დაბრუნდა, ქალაქში იმყოფება და მათ ეძებენ, რათა გაასამართლონ. წმ. მაქსიმილიანემ სთხოვა მეგობრებს ნებით მისულიყვნენ სამსჯავროზე, მაგრამ იმპერატორმა, რომელმაც შეიტყო მათი ადგილსამყოფელი, ქუჩით ამოქოლა ქვაბის შესასვლელი კარი. ჯარში ზოგიერთი ქრისტიანი იყო და წარწერა დატოვეს ამ ყრმათა სახელების აღნიშვნით. ღმერთმა ყრმანი დააძინა 200 წლით. ამ დროის-ათვის ქრისტიანთა დევნა შეწყდა, მაგრამ თეოდოსი მცირეს დროს (408-450) გამოჩნდნენ ერეტიკოსები, რომელთაც არ სწამდათ მკვდრეთით აღდგომა. გამოქვაბული იყო მთაში, რომელსაც ერქვა ოქლონი. მიწის პატრონმა ამ ადგილას გადაწყვიტა სახლის აშენება და მუშებმა შესასვლელი კარი გაათავისუფლეს. ამ დროისათვის ღმერთმა გააღვიძა ყრმანი; ისინი ასრებდნენ სამსჯავროზე წასვლას, რადგან არ იცოდნენ, რომ ორასი წელი იყო გასული. ჩვეულებისამებრ, იამბლიქე გაგზავნეს პურის საყიდლად. იამბლიქეს იქ ყველაფერი უჩვეულო დახვდა, სხვა ქალაქში ეგონა თავი. პურის გამყიდველს მისცა დეკიოსის დროინდელი მონეტა და ამისათვის იგი ქალაქის თაეთან წაიყვანეს. იქ მან ყველაფერი უამბო, წარწერაც ნახეს და ნათელი გახდა ყველაფერი. დამტკიცდა მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოება. იმპერატორიც კი ეწვია მათ გამოქვაბულში. მაშინ 7 ყრმამ თაეი დახარა მის წინაშე და ახლა უკვე სამუდამოდ დაიძინეს. მათი სხეულები დატოვეს გამოქვაბულში. ხსენების დღეა 4 აგვისტო. ქართულ ენაზე არსებობს მათი „ცხოვრების" მეტაფრ. რედაქციის თარგმანი – ქუთ. I, XVI ს. 289-297.

შილა –მოციქული, ერთ-ერთი 70 მოციქულთაგანი, „რომელმან პავლეს თანა სიტყუასა მას ჰქსაბურა და კორინთს ეპისკოპოს იქმნა". მოხსენიებულია ეპისკოპოს დოროთეოსის „საეკლესიო აღწერილ"-ში, რომელშიც გვაუწყებს მაცხოვრის მოწაფეთა შესახებ, თუ რომელი სად მოღვაწეობდა. დოროთეოსის „აღწერილნი" ერთვის გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ დიდ სინაქსარს. არსებობს იოანე ოქროპირის თხზულება, რომელშიც მოთხრობილია დოროთეოსის ამ შრომის შესახებ. ის შეტანილია კლარჯულ მრავალთავში (A 144, X ს., 173r-175r), გამოც. გვ. 385-387- სრული არაა) და პარხლის მრავალთავში (A 95, XI, 78v-79r), ოღონდ ოქროპირის მოუხსენიებლად. სამიეე თხზულება ერთი წარმომკლებისა ჩანს.

შილა მონაზონი – ჯუარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია შილა შიო-ყოფილი, გოლგოთის ქართული კრებულის წევრი. იგი ყოფილა მღვდელმონაზონი აღდგომელა, რომელსაც აღდგომის ეკლესიაში მოღვაწეობის დროს მრავალი რამ შეუწირავს გოლგოთისათვის

(H 1661, 3v, ემბლემური, მასალები, თბ., 1962, გვ.89). შიო – ყოფილი შილას მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე სინის მთის სულთა მატიანეში (Sin. 77, XIV ს.).

შილდა – სოფელი ყვარლის რაიონში, მდ. ჩელეთის ნაპირზე, ყვარლიდან 20 კმ-ზე. შილდიდან 4 კმ-ზე ტყეში დგას სამონასტრო კომპლექსი – IX ს-ის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები, ხალხში მას „ყოელად წმინდას" უწოდებენ. ტაძარი აგებულია რიყის ქვით. დეტალები შირიმის ქვებისაა, ზოგან აგურიც არის გამოყენებული. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფალ ბოძს და ბეჭის შეერილებს, აბსიდი ნალისებრი ფორმისაა. მის ორივე მხარეს არის უაბსიდო სამკუთხა და სალაკანე. სამხ-ით და დასავ-ით თაღებით მორთული კარიბჭეებია. იქვე წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ეკუთვნის განეთარებულ შუა საუკუნეებს, აგრეთვე X საუკუნის გუმბათიანი ეკლესია „ბორცანა", რომელსაც აქეს გვიანდელი მოხატულობა და XI-XII ს-ისა და XIX საუკუნის წმ. ნინოს ეკლესია, ლაპიდარული წარწერებით.

შინდისი – სოფელი გორის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯენა ნაპირზე, გორიდან 20 კმ-ზე. სოფელში დგას წმ. გიორგის ეკლესია, აშენებული 1751 წ. აქეს ლაპიდარული წარწერა. შემონახულია გვიანდელი შუა საუკუნეების ციხე.

შინდლარი – სოფელი დმანისის რ-ნში, დმანისიდან 6 კმ-ზე. სოფლის მახლობლად, სასაფლაოზე დგას შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ნაგები მუქი ბაზალტით.

შინდობანი – ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით არტანუჯის ერისთავ არტავაზს აუშენებია ციხე არტანუჯისა, შინდობანისა და ალიზისა. „ქართლის ცხოვრების" ჭალაშვილისეულ ნუსხაში კი არის ცნობა, რომ არტავაზს აუშენებია არტანუჯის ციხე, მონასტერი ოპიზისა და სამი ეკლესია: ბაბმერის, შინდობისა და ალიზისა" (იხ. ქართლის ცხოერება, I, 178,4).

შიო – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1435-1438; 1440-1443/47, საეკლესიო კალენდრით 1440-1443). შიოს ხელრთა არის ალექსანდრე მეფის სიგელზე, რომელიც გაცემულია 1440 წ. (Hd 1368); შიოს კათოლიკოსობის დროს, 1442 წ. ალექსანდრე მეფემ განუახლა შეწირულება სეტიცხოველს (სხვა – 1449-1522); დოდორქის წინამძღვრისა და ამ მონასტრის კრებულის თხოვნით შიომ „თოლეჯის ქეყანა" (ე. ი. მიწა) შესწირა დოდორქის მონასტერს (ქრონიკები, II, 255).

შიო გარეჯელი – XVIII ს. ქართველი მოწაფე, მღვდელმონაზონი, გარეჯის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი, გადამწერი. მის მიერაა გადაწერილი ორიგინალური პალეოგრაფიული კრებული A 160, რომელიც მან შეასრულა ონოფრე მაჭუტაძის „ნებითა და ბრძანებით", როგორც ამას თვით შიო გარეჯელი გვაუწყებს. XVIII ს-ის მიწურულში გარეჯის უდაბნოში შეიქმნა შიო გარეჯელის სამალობლებისა და მოკლე ცხოერების შემცველი თხზულება (A 1367). „ცხოერება" სინასქარული ხასიათისაა – იგი წარმოადგენს შიო გარეჯელის დღესასწაულის დღის სრულ განგებას. მისი აეტორია ნიკოლოზ მაღალაშელი. თხზულების შექმნას საფუძველად დაედო XVII ს-ის ბოლოს (1697-1699) ლეკთა მიერ შიოსა და გარეჯის მონასტრის კიდე ხუთი მონაზონის დახოცეის ამბაეი. შიოს „წამების" სინასქარული რედაქცია პირველად გამოსცა მ. სახინინმა, საქართველოს სამოთხე, გვ. 611-615; მეორედ – ე. გაბიძაშეილმა, 1968 წ., ძეგლები, IV, გვ. 440-442.

შიო დეკანოზი – ქვათახევის მონასტრის დეკანოზი, რომელსაც მონასტრის რამდენიმე სახეთო გადაუწერია (კერები, II, გვ.).

შიომღვიმე – მონასტერი მცხეთის რ-ნში, მდინარე მტკერის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან 30 კმ-ის დაშორებით; სხალტბის ქედის ძირში სართულებად განლაგებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქაბულების წინ მდებარეობს დიდებულ ნაგებობათა კომპლექსი. მონასტერი ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერია, რომელიც დაუარსებია შიო მღვიმელს – VI ს-ის მეორე ნახეარის მოღვაწეს, იოანე ზედაზნელის მოწაფეს. ძველი გუმბათიანი იოანე ნათლისმცემელის ეკლესია VI ს. II ნახეარისაა და ქართული გუმბათოანი ხუროთმოძღერების პირველი საეხურის ერთი დამახასიათებელი ნიმუშთაგანია. დასაწყისიდან მას XI საუკუნეში და გვიან, XVIII ს-ში მიაშენეს დიდი ნაწილი. ამაეე პერიოდისაა აგურის სამრეკლოც. ძველმა ეკლესიამ მაინც შემოინახა თავისი თავდაპირეელი სახე. იგი სანახეროდ მიწაშია ჩაფლული, რაც თვით აშენებულის სურეელი იყო. გუმბ ეკლესიას მარტოოა: უბრალო ჯვარი, ერთი აბსიდი (საკურთხეელის) და სამი სწორკუთხა მკლავი. აპრობად. ეკლესია

„თავისუფალ ჯვრის" ტიპის შენობაა, ე. ი. მთელ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ტიპს მიეკუთვნება. შიო მღვიმელის ძველი ეკლესია უბრალო და ასკეტურად მკაცრია. მონასტრის ეზოში აღმოჩნდა აქუმენიული სტილის ზარკუშისებური ბზის ზედა ნაწილი. მის ზუსტ ანალოგს წარმადგენს აზერბაიჯანში სარითეკეს ბორცვზე აღმოჩენილი ასეთივე ფორმის ბზა. ფიქრობენ, რომ სეტი ხისა უნდა ყოფილიყო. ეკლესიის დასავლეთ შხარეს მიბაშენი წარმოადგენს შიოს სასაფლაო-ეკლესიას. მის ქვედა სართულში (დახლოებით 12 მეტრის სიღრმეზე) დასაფლავებულია შიო (მისი ანდერძის თანახმად). ეს მღვიმე შემდეგში უდიდეს სიწმინდედ იქცა აღიარებული და მას თაყვანს სცემდა ხალხი. მონასტრის სახელწოდებაც ამ „მღვიმიდან" მოდინარეობს. მღვიმეში შესასვლელი სატრაპეზოდან არის. მღვიმის თაქზე მოგვიანებით დაუშენებიათ ეკლესია, რომელიც უფრო გვიან შეურთებიათ ოთხ ნათლისმცემლის ეკლესიათვის, როგორც მისი დასავლეთ მკლავის გაგრძელება. ეს უნდა მომხდარიყო დახლოებით XI ს-ში, მონასტრის მაშინდელი წინამძღვრის, მიქაელის დროს. ოთხ ნათლისმცემლის ეკლესიაში შემონახულია იშვიათი ოსტატობით შესრულებული ქვის კანკელი. იგი დამზადებულია XI ს-ში და სტილით უახლოვდება ხოლქის, ატენის, მცხეთის, საფარის და კაცხის კანკელებს; იგი მთლიანი სახითაა მოღწეული; მასზე გამოსახულია სცენები საღვთო წერილიდან: პირველ ფილაზე მოცემულია „აბრაამის სტუმრობა", მეორეზე — ჯვარცმის სცენა ჩვეულებრივი რედაქციით, როგორც შუა საუკუნეების საქართველოსა და ბიზანტიაში იყო გავრცელებული, მესამე ფილაქზე არის სცენები შიოს ცხოვრებიდან, ეკვგრესი და შიოს შეხვედრა. ასეთი ადგილობრივი სიუჟეტების შეტანა კანკელის გაფორმებაში, სპეციალისტების აზრით, წმინდა ქართული შემოქმედების ნიშანში უნდა იყოს. მონასტრის შუა ადგილას აღმართულია ღვთისმშობლის დიდი უგუმბათო ეკლესია; მისი მშენებლობა დაწყებულა დაახ აღმაშენებლის მიერ XI-XII სს. მიჯნაზე (1103-1123). 1123 წელს შირვანზე გალაშქრების წინ დავით დაუწერია ანდერძი, რომლის თანახმად მონასტრისათვის უამრავი ქონება უბოძებია. ამ ანდერძით შეეძ მონასტერს განუსაზღვრა წეს-წყობილება, მის გამგედ დაწესა მწიგნობართუხუცესი, ხოლო სასულიერო და საშინაო საქმეების მართვა მიანდო მთაყარ მეძღვნეს. მონასტერი მძლავრ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა, მაგრამ არასწორი ბუნებრივი პირობების გამო წყლის ნაკლებობას განიცდიდა. თამარის ბრძანებით 1202 წელს მღვიმეში წყალი სოფ. სპალტებიდან მიიყვანეს, რომელიც XVIII ს-მდე მოქმედებდა. მონასტერი 1393 წელს აიკლო თემურ-ლენგმა. XIV ს-ში მონასტერი გიორგი ბრწყინვალემ გადასცა ერთ-ერთ დიდგვაროვან ფეოდალს — ზეედგინიძე-ამილახორს საკუთრებად ერთგულებისა და თაყდადებისათვის. მონასტერი XIX ს-მდე ამილახორთა საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა. ამილახრები მონასტრის თაყდადებულ მაშენებლებად ითვლებოდნენ. XVIII ს-მდე მათ იგი რამდენჯერმე გაანახლეს. შიომღვიმის მონასტერი XIV-XVIII საუკუნეებში რამდენჯერმე დაარბიეს. აოხრდა იგი შაჰ-აბასის მრისხანე შემოსევების დროს. XVII ს-ში გაანაღდა აღდგენითი სამუშაოები. 1678 წელს გიგი ამილახვარმა და მისმა მეულქემ, ვახტანგ VI-ის (1658-1675) ასულმა თამარმა განაახლეს ღვთისმშობლის ტაძარი. ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1722-1735) მონასტერი მთლიანად განადგურდა. 1811 წლისათვის მონასტერი ადმინისტრაციულად შეურთდა ჯვრ ქვათახევის, ხოლო შემდეგ (1887 წ.) თბილისის ფერისცვალების მონასტერს. XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის მონასტერი, როგორც ფეოდალური სენიორია, აღარ არსებობდა. მონასტერი კვლავ ამოქმედდა XX ს-ის მიწურულს.

შიომღვიმის მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. XIX ს-ში აქ მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველ ფილოსოფოსი, მთარგმნელი და მეცნიერი არსენ იყალთოელი. მონასტერში ფართოდ იყო განვრცობილი მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა, ხელნაწერთა გადაწერა-დამზადება. საყოველთაოდ ცნობილია აქაური კალიგრაფების იშვიათი ოსტატობით შესრულებული, მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები. მათ შორის გამოირჩევა 1304 წლის ეტრატის მოხატული სახარება-ოთხთავი (H 1344, 252 ფ.). მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. წიგნების რაოდენობა 10 ურემზე ძლივს ეტეოდა: მათგან უმრავლესობა ეტრატის იყო.

შიო მღვიმელი — ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანი, VI ს-ის სასულიერო მოღვაწე, იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი. ბიოგრაფის ცნობით, იგი იყო „ღმრთის მსახურთა და აზნაურთა შვილი", განათლებული და

ფრიად განსწავლული. მას ადრე აღძრია სურვილი მონაზვნად შედგომისა და განმარტოებით ცხოვრებისა. 20 წლის რომ შეიქნა, იგი დატოვა და მონაზვნად აღიკვეცა. შიო ერთხანს სირიაში მოღვაწეობდა, შემდეგ ქართლში წამოსულა იოანეს და ზედაზენზე ცხოვრობდა მასთან 4 წლის განმავლობაში. 547 წლისათვის შიო მღვიმელი მარტო გაემგზავრა მცხეთისაკენ და მის მახლობლად გამოქვაბულში დადო ბინა: „ხოლო ქუეი ღრმაჲ ფრიად ფიცხელი, უდაბნოჲ და ურწყული და ნაკლულეანი ყოველთა საქართაგან"... აი, ამ ხეში ნახა „მცირე ჭუაბი" და დაჯდა „მას შინა დაყუდებით" და აქ, ამ აუტანელ პირობებში ცხოვრობდა იგი, იგუებდა სხეულს, იკლავდა სურვილებს და დროს ლოცვასა და ედრებაში ატარებდა. შიოს დაემოწაფა „საჩინო მთავარი ციხედიდისაჲ" – ეუგრე. მალე შიომ სახელი გაითქვა, მომრავლდნენ მონაზვნები და საჭირო გახდა ეკლესიის დარსება. დაიწყეს მისი შენება მღვიმის ახლოს და ააგეს ორი ოთახი ნათლისმცემელის სახელზე. მისი აშენების შემდეგ შიომ ეკლესიის დასაელეთით შეარჩია ერთი მღვიმე „ფრიადისა სიღრმისა მქონებელი და ყოველად ბნელი", ჩაიდა შიგ და იქ დაასრულა სიცოცხლე. ის იქცა შემდეგ მის სამეკლესიო. ამ სასაფლაოზე ააგეს ეკლესია, რომელიც მერე შეეურთეს იოანე ნათლისმცემელის ეკლესიას. ეს მღვიმე დიდ სიწმინდედ იქცა და მონასტერსაც ამის გამო დაარქვეს შიომღვიმე (შიოს მღვიმე). თანდათანობით შიომღვიმე დიდ სამონასტრო ცენტრად გადაიქცა. მას „დიდ მღვიმეს", „დიდ ლაერას", ან „დიდ უდაბნოს" უწოდებდნენ. მონასტერს დიდი ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მეფეები (დაეთი, თამარი, გიორგი). სამეფო კარის დახმარებითა და ხელის შეწყობით შიომღვიმის მონასტერი მძლავრ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა. ჩვენამდე მოაღწია არსენ II კათოლიკოსის (X ს.) თხზულებამ „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ეგზარესი" (ძეგლები, I); ასევე არსებობს XII ს. უცნობი მეტაფრასტის მიერ გადამუშავებული რედაქცია შიოს „ცხოვრებისა" („ცხოვრებაჲ და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოჲსნი" ძეგლები, III). პერიფრაზირებული თხრობა რუსულადაც არის გამოქვეყნებული. არსებობს აგრეთვე მეტაფრასული რედაქციიდან გამოკრებილი საკითხავი – სვინაქარული „შიოს ცხოვრება" (A 220, ძეგლები IV). უფრო ძველი და მოკლე სვინაქარული „ცხოვრება" არის XIII ს. ხელნაწერში (H 1349; ძეგლები, IV, გვ. 366-368). შიო მღვიმელის „ცხოვრებისა" და „საკრველებათა" ყველა რედაქციის თხზულება თაემყრილია ილ. აბულაძის წიგნში: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციები, თბილისი, 1955, 69-143; 199-213.

„შობაჲ ღირსისა მამისაჲ" _ ათანასე ალექსანდრელის პომილია – იხ. იოანე ნათლისმცემელი.

„შობაჲ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ" – ანდრია კრიტელის 3 პომილია – იხ. მარიამ ღვთისმშობელი.

შობის საუფლო დღესასწაული – იხ. იესო ქრისტე.

შორეთი (ძვ. შოროთა) – სოფელი ასპინძის რ-ნში, სოფ. ოთის ჩრდილოეთით 5-6 კმ-ზე. სოფელში არის ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი: ეკლესია შუა საუკუნეებისა და სხვა ნაგებობები XV-XVI სს., შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები.

შრომა – სოფელი გურჯაანის რ-ნში (ყოფილი ვანჯახიანი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. გურჯაანიდან 12 კმ-ზე. სოფლის მახლობლად დგას ყოვლადწმინდის სამონასტრო კომპლექსი (იხ. ვანჯახიანი): VI-VII სს. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომლის ნანგრევებიდაც შემორჩენილი, IX ს-ის ღვთისმშობლის ეკლესია მოხატულობა, XVI ს-ისა. სამონასტრო ნაგებობებიდან შემორჩენილია აგრეთვე შუა საუკუნეების სატრაპეზოსა და სხვა შენობათა ნანგრევები.

შუამთის მონასტერი – იხ. ძველი და ახალი შუამთა.

შუამთა (შუახო) – სოფელი ვანის რაიონში, რომელშიც დგას წმ. გიორგის ეკლესია 1615 წლისა. არის მოხატულობა.

შულაველრი – დაბა მარნეულის რ-ნში, მდ. შულაველრის ნაპირებზე, მარნეულიდან 18 კმ-ის დაშორებით. აქ შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსი: შუა საუკუნის წმ. გიორგის ეკლესია და ამასე პერიოდის სამრეკლო, გალავანი და სხვა ნაგებობები. (1932 წლიდან – შაუმიანი, 1991 წლიდან – ისევე შულაველრი).

შუქის ციხე – სოფელი ჩოხატაურის რ-ნში. სოფელში დგას ღვთისმშობლის ეკლესია XVII ს-ისა. არის მოხატულობა და ლაპიდარული წარწერები.

შუშანიკი – ქართული ეკლესიის მოწამე; ვარსქენის – ქართლის პიტიახშის მეუღლე.

ვარდან მამიკონიანის ასული. მისი ნამდვილი სახელია ვარდანდუხტი. იგი ყრმობიდანვე ღვთისმოსაი და მოყვარული იყო. პეროზის მეფობის მერვე წელს ვარსქენი ირანის შაჰის კარზე წაიყვანა და იქ მაზდეანობა მიიღო. ქრისტიანობის უარისმყოფელ ვარსქენს განუდგა შუშანიკი, დატოვა სასახლე და შორიახლოს მცირე სენაკს შეაფარა თავი. დედოფლის სულიერი მოძღვარი იაკობ ხუცესი (შემდგომში მისი ბიოგრაფი) მოგვითხრობს, რომ იგი არ შეეპუა ვარსქენის ძალადობას და მტკიცედ დაუდგა ქრისტეს რჯულის დასაცავად, არ შეუშინდა ვარსქენის მრავალგვარ მუქარას და წამებას. 469 წელს ვარსქენმა იგი სასტიკად სცემა და ბორკილი დაადო, შემდეგ საპყრობილეში ჩააგდო, სადაც მან ექვსნახევარი წელიწადი დაყო. საპყრობილეში მასთან მიდიოდნენ სნეულნი, უშვილონი და საჭყარნი, რომელთაც შუშანიკი კურნავდა ლოცვებითა და თავისი სიწმინდის მეშვეობით. ამასობაში ვარსქენმა თავისი შვილებიც მოაქცია მაზდეანობაზე. მეშვიდე წელს შუშანიკს დაუწყლულდა ნაგვები სხეული. აღსასრულის წინ იგი იხახულა ჯოჯიკმა, ვარსქენის ძმამ, თავისი მეულლით, და პატიება სთხოვა მას. შუშანიკმა მიუტევა მათ ცოდვები. იგი ინახულეს აგრეთვე კათოლიკოსმა სამუელ I-მა (474-502), ეპისკოპოსმა იოანემ და მისმა სულიერმა მოძღვარმა იაკობ ხუცესმა, კარის ეპისკოპოსმა აფოცმა აზიარა იგი. შუშანიკი აღესრულა 17 ოქტომბერს კოზმა და დამიანეს დღესასწაულის დღეს, სწორედ ამ დღეს დაიდო მისი ხსენებაც. წმ. შუშანიკის ნაწილები ჯერ ცურტავის ტაძარში ინახებოდა. როდესაც ტაძარი სომეხი ეპისკოპოსის ხელში გადაეცა, კათოლიკოსმა საბოლ IV-მ (581-591) მისი ნაწილები თბილისში გადმოიტანა; შემდეგ დასვენა (586 წელს) მცხეთის ეკლესიაში, საკურთხეველის მარცხენა მხარეს. შუშანიკის „წამება" დაწერილია 476-483 წწ. შუშანიკის სულიერი მოძღვრის და პიტიახშის სამეფო კარის ხუცესის, იაკობის მიერ. „შუშანიკის წამება" მრავალჯერ არის გამოცემული და მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაც მრავალრიცხოვანია. პირველი გამოცემა შეასრულა მ. საბინინმა — „საქართველოს სამოთხე", პეტერბურლი, 1882წ., გვ. 182-192. სხვა გამოცემებიდან აღსანიშნავია: 1. ს.გორგაძისა, ქუთაისი, 1917. 2. ილ. აბულაძის „მარტყოფის შუშანიკისი" (ქართული და სომხური ტექსტები), ტფილისი, 1938, გვ. 3-47. 3. ძველი ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1963 წ., გვ. 11-29. 4. ც. ქურციკიძისა, თბ., 1979წ. 5. ე. გიუნაშვილისა და ზ. სარჯველაძისა (სასკოლო), თბ., 1986 და 1992 წწ. 6. ე. ჭელიძისა, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, თბილისი, 2005 წ., გვ. 6-308 (თარგმანით თანამედროვე ქართულ ენაზე, კომენტარებით და დამატებებით).

ჩ

ჩაბანო — სოფელი თიანეთის რაიონში, კახეთის ქედის დას. კალთაზე, თიანეთიდან 8 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია „დამასტე-ხატი".

ჩანგლი — XI ს-ის ქართული ეკლესია ვალაშკერტში, სომხეთის ტერიტორიაზე. აქ არსებობდა ქართული საეპისკოპოსო კათედრა. დ. ბაქრაძის აზრით, ვალაშკერტის კათედრა უნდა ყოფილიყო ყაღიზმანის მახლობლად, სოფელ ჩანგლში. სოფელში ყოფილა ეკლესია, რომელსაც 1030 წლის ქართული წარწერა მონასტრად მოიხსენიებს. ქართული წარწერა ჩანგლის ეკლესიისა გადმოიღო ნერსე სარგისიანმა და გამოსცა მ. ბროსემ. ე. თაყაიშვილის აზრით, წარწერა ეკუთვნის 1362 წელს. ეკლესია აგებულია შუა სოფელში, მცირე მაღლობზე. ეკლესიის გეგმა ჯვრის სახეს წარმოადგენს და სამაბსიდიანია; საშხვერპლო და სადიაკვნე დახალია, მიშენებულია საკურთხეველზე, სახუელის ტაძრის მსგავსად, თითოფენიანი სახურავით. აქვს სამი კამარა თითო ფანჯრით. გუმბათის ყელი შედარებით მაღალია. ეკლესიაში ზოგან მოპოვება ჩუქურთმიანი და პლასტიკური შემკობილობა. ჩანგლის ეკლესიის კედლებზე ორი ასომთავრული წარწერაა. გეგმით, სტილით და ზოგიერთი მხატვრული დეტალით ჩანგლის ეკ-

ლესია XI-XIII ს-ის ქართულ ეკლესიებს ჩამოაგავს. გუმბათის შედარებით მაღალი ყელი XIV ს-ის სტილს შეეხატყვისება. ე. თაყაიშვილის აზრით ამასვე ადასტურებს წარწერაც.

ჩაღაში – სოფელი ღენტების რ-ნში, საუშგულოს თემში. სოფელში დგას ორი ეკლესია: მაცხოვრისა – გეიანი შუა საუკუნეების ხანისა კაკლელით და მოხატულობით, საინამძღვრო ჯვრით (იხ. „ძეგლის შეგობარი" 26, 1976 წ.) და X ს-ის წმ. გიორგის ეკლესია „ლაშქედრი". აქვე არის „თამარის ციხე" და განვითარებული შუა საუკუნეების კოშკები.

ჩაისუბანი – სოფელი ბათუმის რ-ნში (ყოფ. ზედა ორთაბათუმი), მდ. ყორთლისწყლის ხეობაში, ხელვაჩაურიდან 17 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია „სამება".

ჩაჩუბეთი – სოფელი კასპის რაიონში, რკონის მიდამოებში. სოფელში დგას XI ს-ის წმ. გიორგის სამნაოსანი ეკლესია მოხატულობის ფრაგმენტებით და ლაპიდარული წარწერებით. გალავანი და სხვა ნაგებობები შუა საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება.

ჩიხარეში – სოფელი სვანეთში, ლაშხეთის თემში. სოფელში დგას ღვთისმშობლის მიძინების ახალი, ქვით ნაგები გუმბათიანი ეკლესია. ეკლესიაში დაცულია ღვთისმშობლის კარედი ხატი და მაცხოვრის ჭედური ხატი.

ჩახერგილი – სოფელი მცხეთის რაიონში, ძეგვის მიდამოებში. სოფელში დგას გეიანი შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერებით.

ჩერმაგი – ქართლის კათოლიკოსი VI ს-ისა (516-523 წწ.): „და მოკუდა თაფეწრაგ და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 206,5; 207,13).

ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებლური ეკლესია – I მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული ჩეხოსლოვაკია უპირატესად კათოლიკური ქვეყანა იყო, მაგრამ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მალევე კათოლიკე სამღვდელოებისა და მორწმუნეების ჯგუფმა მართლმადიდებლობაზე მოქცევა გადაწყვიტა. 1921 წელს ამ მოძრაობის სულიერი ლიდერი მაშა მატეი პაელიკი ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული (გორაზდის სახელით) ბელგრადში მართლმადიდებელი სერბი ეპისკოპოსის მიერ. მალე ჯგუფს დიდი ნაწილი გამოეყო და პროტესტანტული ეკლესია დაარსა. ამ დროისათვის ქვეყანაში 40 000-მდე მართლმადიდებელი ითვლებოდა. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც იმპერკარპატიაში აღმოსავლური წესის კათოლიკეთა ერთი ნაწილი მართლმადიდებლობაზე გადავიდა. შემდგომში მოხდა მართლმადიდებელთა თემის გაყოფა. 1923 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ჩეხოსლოვაკიის ეკლესიას ავტონომია მიანიჭა და ეკლესიის მეთაურად მიტროპოლიტი საბაზე გაგზავნა. 1030 წელს სერბეთის პატრიარქმა თავისი ეპისკოპოსი გაგზავნა იმპერკარპატიაში, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელ მორწმუნეთა უმეტესობა გორაზდის სამწყსოში დარჩა. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა პრაქტიკულად მოსპეს ჩეხოსლოვაკიის ეკლესია. მათ წამებით მოკლეს გორაზდი და მისი უახლოესი თანამშრომლები (1942 წ.). მთელი სამღვდელოება ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვდა. 1931 წლის აღწერით ქვეყანაში 145 000-ზე მეტი მართლმადიდებელი იყო, რომელთა უმეტესობა იმპერკარპატიაში ცხოვრობდა. 1945 წელს საბჭოთა კავშირმა ამ ოლქის ანექსია მოახდინა, რის შედეგადაც ჩეხოსლოვაკიის ფარგლებში დაახლ. 40 000 მართლმადიდებელია დარჩა. 1946 წელს ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი მოსახლეობა მოსკოვის საპატრიარქოს ორარსდიქციაში შევიდა. მათ პატრიარქ ალექსის სთხოვეს ეპისკოპოსის განწესება. ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებლობა გაერთიანდა ერთი საეკლესიო იერარქიის საშუალებით. 1950 წელს სლოვაკი კათოლიკენი, რომელნიც აღმოსაელურ წესს მისდევდნენ, შეუერთდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. ჩამოყალიბდა 4 ეპარქია. 1950 წლის 9 დეკემბერს მოსკოვის საპატრიარქომ ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქო დიდხანს არ სცნობდა ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის ავტოკეფალიას. მხოლოდ 1998 წლის 8 სექტემბერს გამოსცა ტომოსი (სიგელი) ამ ავტოკეფალიის შესახებ. 1987 წელს წმიდათა შორისაც შეირაცხა ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის დამაარსებელი ეპისკოპოსი გორაზდი. კომუნისტური რეჟიმის დამხობისა (1989 წ.) და ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ჩეხეთისა და სლოვაკეთის წარმოქმნის შედეგად (1993 წ. 1 იანვარს) გაჩნდა საჭიროება ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის რეორგანიზაციისა. 1992 წლის ნოემბერში წმინდა სინოდს დაადგინა ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის გაყოფა ორ მიტროპოლიად, თითოეულ მათგანში ორ-ორი ეპარქიით. პრეშოვის მიტროპოლიტი

ნიკოლოზი გახდა მეთაური მართლმადიდებელი ეკლესიისა სლოვაკეთში. გაერთიანებული წმინდა სინოდი კლავ მოქმედებს პრაღის მიტროპოლიტის, ღირსთეს თავმჯდომარეობით.

ჩეაბიანი – სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. მულხრის მარცხ. მხარეს, მესტიიდან 8 კმ-ზე. სოფელში დგას ორი ეკლესია: მაცხოვრისა (IX-X სს-ისა, მოხატული) და მთავარანგელოზისა (X-XI სს-ისა, შემორჩენილია მოხატულობა და კანკელი).

ჩითახევი – სოფელი ბორჯომის რ-ნში, ლიკანის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს, ბორჯომიდან 10 კმ. სოფელში დგას მწვანე მონასტერი (ჩითახევის მონასტერი). ეკლესია ეკუთვნის განვითარებულ შუა საუკუნეებს, სამრეკლო XVI საუკუნისაა.

ჩირაი იოანე – იხ. იოანე ჩირაი.

ჩიღლო – სოფელი ახმეტის რაიონში, სადაც დგას შუა საუკუნების ეკლესია „ლაშარის ჯვარი".

ჩიჩხიტაშრი – დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი მონასტერი. ვახტანგ VI თაიის ერთ-ერთ თხზულებაში (თხზულებათა კრებული, გე. 18). გარეჯის მრავალმთის რამდენიმე მონასტერს ასახელებს, მათ შორისაა ჩიჩხიტური. ვახტანგის მიერ ჩამოთვლილი ყველა მონასტერი მოხსენებულია ვახუშტისთანაც. იგი ასეთ ცნობას გვაწვდის გარეჯის კომპლექსზე: „გარეჯის მთას არს მონასტერი... ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით გარეჯას – არქიმანდრიტი, ბერთუბანს – წინამძღვარი. არამედ ყოველან მონასტერნი მრავალნი– ხოლო აწ არს ხუთი მოწესეთა მყოფი". ტრადიცია გარეჯაში 12 მონასტერს ითვლის. ჰ. იოსელიანი კიდეც ჩამოთვლის ამ მონასტრებს. ნიშანდობლივია, რომ ჩიჩხიტური წარმოდგენილია ყველა სიაში. გარეჯის შესახებ არსებული ყველა დოკუმენტური მასალის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე აკად. გ. ჩუბინაშვილმა გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ 6 მონასტრის გამოვლენა მოახერხა, რომელთა შორის დასახელებულია ჩიჩხიტური.

ჩიხა – სოფელი საჩხერის რაიონში, ჩიხის მთის სამხრეთ კალთაზე, მდ. ფერილის მარჯვ. ნაპირზე, საჩხერიდან 6 კმ-ზე. სოფელში დგას XII საუკუნის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – ფეოდალის ციხე და ეკლესია; სამხრ.-აღმოს. კუთხეში არის მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია.

ჩიხეთის დედათა მონასტერი– მენელსაცხებელ დედათა მონასტერი გურიაში.

ჩოლაში – სოფელი სვანეთში, შულახის თემში. სოფელში დგას წმ. ბარბარეს პატარა ეკლესია.

ჩორჭრო – ამბროლაურის რ-ნის სოფლების დიდი ჩორჭროსა და პატარა ჩორჭროს სახელწოდება, რაიონის ხეობაში, ამბროლაურიდან 9 კმ-ზე. სოფელში დგას „საყორას" წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. გადახურულია ყარით, შიგნით შელესილია კირით.

ჩუბინაშვილი გიორგი (1885-1973 წწ.) – ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი, ქართული კულტურის ძველთა მკვლევარი, ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის დამარსებელი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში მეცნიერულადაა შესწავლილი ქართული მონასტრებისა და ეკლესიების არქიტექტურა, ფერწერა (ფრესკები) და ოქრომჭედლობა. უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: ქართული არქიტექტურის გზები (ნ. სეფეროვან ერთად), ტფ., 1936 წ.; ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936 წ.; Архитектура Кахетии, Тб., 1959; Вопросы истории искусства, т. I-II, 1970-1986; Грузинское чеканное искусство, Тб., 1959; Памятники типа „Джвари", Тб., 1948; Пещерные монастыри Давид-Гареджи Тб., 1948; Разыскания по армянской архитектуре, т. I. Тб., 1967; Цроми, М., 1969.

ჩუბინაშვილი დავით (1814-1891)– ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მან დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემის საქმეში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მის მიერ შედგენილი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის სამტომეული, გამოცემული პეტერბურგში 1846 და 1860 წწ. I ტომში შესულია პროზაული ტექსტები ბიბლიის თარგმანებით დაწყებული, მოწამეთა ცხოვრებით გაგრძელებული და სხვა მრავალი, ძირითადად საერო ლიტერატურიდან.

ჩუბინაშვილი ნიკოლოზი (ნიკო) (1788-1845) – ქართველი ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი. 1845 წელს გაემგზავრა პალესტინაში და ჯვარის ქართული მონასტრის 16 ხელნაწერის მოკლე აღწერილობას მიაკვლია, მათ შორისაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", ერთადერთი ხელნაწერი. მან ჯვარის მონასტრის

ფრესკიდან გადმოღო შოთა რუსთაველის პორტრეტი. მან შეადგინა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანებითურთ“.

ჩუკული – სოფელი ლენტეხის რ-ნში, სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ლენტეხიდან 32 კმ-ზე. სოფელში დგას XI ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია კანკელით და მოხატულობით, ხოლო სოფლიდან მოშორებით, ხრამის პირას ქვით ნაგები IX-X საუ-ის მთაყარანგელოზის ეკლესიაა.

ჩხალთა – სოფელი გულრიფშის რ-ნში, გულრიფშიდან 73 კმ-ზე. სოფელში დგას შუა საუკუნეების ციხე და ეკლესია და ამაქე პერიოდისაცხოვრებელი სახლი.

„ჩჩვილნი, ბეთლემს მოწყუედილნი“ – პერიოდე მეფის მიერ დახოცილი ყრმები, ქალწული მარიამისაგან უფლის შობის შემდეგ. აღმოსავლელმა მოგვებმა ცაზე იხილეს ეარსკვლავი, რომელმაც ამცნო მათ იუდეველთა მეფის დაბადების ამბავი. მოგვნი იერუსალიმში მიეღწნენ, რათა თაყვანი ეცათ მესიისათვის. ისინი აღარ დაბრუნდნენ პეროდესთან მისი ბრძანებისამებრ, რადგან ღმთაებრივი მითითება მიიღეს სხვა გზით წასულიყვნენ უკან. პეროდე მიხვდა, რომ ყრმას ხელში ასე იოლად ვერ ჩაიგდებდა და ბრძანება გასცა, ბეთლეშსა და მის შემოგარენში ყველა ჩვილი ეკი, 2 წლამდე, დაეხოცათ, რათა ამ გზით ჩამოეშორებინა მეტოქე. ესენი იყვნენ პირველი მოწამენი, რომლებიც ეწინ ქრისტესათვის. ხსენების დღე – 29 დეკემბერი.

ქართულად თარგმნილია ბასილი ისაურელის (↑ 458) თხზულება – „შესხმაჲ ჩჩვილთა ბეთლემს მოწყუედილთაჲ“ – ქეთ. 5, XVI ს., 534-538; S 1276 და სხვ.

ჩხარი – სოფელი თერჯოლის რ-ნში. სოფლის მიდამოებში არის ოქონის მაცხოვრის ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეებისა. მოხატულობა ეკუთვნის XVI-XVIIსს. კომპლექსში შედის: შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია, სამრეკლო და გალავანი.

ჩხიკვთა – სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში, ალგეთის ხეობაში. სოფელში დგას რიყის ქვით ნაგები ერთნავიანი ეკლესია XIX ს-ისა, რომელიც საგანაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. სოფლიდან 1 კმ-ის მანძილზე დგას წმ. გიორგის ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესია „ჩხიკვთას სიონი“, აგებული 1769 წ-ის ძველი ეკლესიის ნანგრევებზე. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერა. სოფლის მიდამოებში არის კომპლექსი: გალავანი, ეკლესია „სამება“ (გვიანი შუა საუკუნეებისა) და ბირთვისის ციხე.

ჩხრეჰა – ქეჩა, თხრა, ბუნის მიზნით ძველ ქართულ ხელნაწერებში გვხვდება როგორც დამოუკიდებელი ტერმინი. დაჩხრეკა ნიშნავს აგრეთვე შემოკლებას, გაწყვეტას, განსხვავებული რედაქციის შექმნას. ამგვარ მნიშვნელობას მხარს უჭერს იოანე-ზოსიმეს მიერ შექმნილი კრებული Sin. 34. დასწორებით XII ს-დან შეინიშნება ტენდენცია ტერმინის გატოლებისა „წერა“-სა და „მწერალი“-ს მნიშვნელობასთან.

ც

ცაბარელი ალექსანდრე (1844-1929) – ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი. სწავლობდა პეტერბურგში, გერმანიაში, ავსტრიაში. 1871წ. განაგრძობდა ქართული ენის კათედრას პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1874-75წწ. კითხულობდა ლექციებს საქ. ისტორიაში. 1922 წლიდან თსუ-ს პროფესორია. მან მოიარა საქართველო, პალესტინა, ათონის მთის და სინის მთის მწერლობის კერები. შეკრიბა და გამოაქვეყნა ცნობები ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ: 1. Сведения о памятниках грузинской письменности, кн.1-3,1884-94 гг.; 2.Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае. СПБ, 1888.ა. ცაბარელმა პირველმა აღწერა ცნობილი „სინის 864 წლის მრაცალთაენ“ (Sin. 32-57-33); ივი ნაყოფიერად მუშაობდა თავის ძირითად სამეცნიერო დისციპლინებში – ენათმეცნიერებასა და ფოლკლორში.

ცაბერი – ქალაქი და რაიონული ცენტრი ლეჩხუმში. აქაურ „დიდშენ-გუნბათთან“

ეკლესიას (შუა საუკუნეების ხანისა) დიდი როლი შეუსრულებია სვანეთ-ლეჩხუმის ისტორიაში. ვახუშტის დროს აქ იყოდა ეპისკოპოსი, „მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა“. კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები ცაგერის კათედრალსაც მოეპოვებოდა. ცაგერის კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან არიან გამოსული ისეთი მოღვაწენი, როგორებიცაა: გრიგოლ ცაგერელი (XVIII ს., რომლის დაკვეთით ნიკოლოზ ჩხატარაძემ გადაწერა თვენი (A 1470), ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, იოანე ცაგერელი, ძე კაცია დადიანისა, ნიკოლოზ გაბუნია და სხვა. ცაგერის კათედრალს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია თავის დროზე. აქედან მოღწეულია რამდენიმე ხშირშენელოვანი ხელნაწერი. ცაგერის ეკლესია განახლებულა 1871 წელს; არის მოხატულობა და წარწერები.

ცაიში – სოფელი ზუგდიდის რ-ნში, მდ. ჯუმის ნაპირას, ზუგდიდიდან სენაკისაკენ მიმავალ გზაზე, ზუგდიდიდან 9-10 კმ-ის დაშორებით. ცაიშში დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც XI-XII სს-ში უნდა იყოს აგებული და შემდეგ მრავალგზის გადაკეთებულ-შეკეთებულ-განახლებული. ცაიშის ეკლესიის რამდენიმე საუშენებლო პერიოდი გამოიყოფა. ვახუშტის სიტყვით, ეს იყო „დიდი გუნბათიანი კეთილშენი და შემკული“. გუმბათიანი ტაძარი თლილი ქვებისაგან არის ნაგები, გარედან ჩუქურთმები აქვს კარ-ფანჯარაზე. ეკლესიას არტყია გალავანი, რომელიც ამჟამად დანგრეულია. სამრეკლოს ძირში ეგებერია პატარა საკურთხეველით. ძველი ეკლესიის ნანგრევებზე XIII-XIV ს-ში ააგეს ახალი გუმბათიანი ეკლესია, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე აღადგინეს და გადაკეთეს მიწიდაქრით დაზიანების გამო. შემორჩენილია XVII ს-ის მოხატულობა. ცაიშელი მოღვაწენი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ხელნაწერთა გამრავლების საქმეს (ამ მხრივ ცნობილია მაქსიმე და გრიგოლ ცაიშველების მოღვაწეობა). ცაიშში საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა და მისი ეპისკოპოსები ცაიშელის ტიტულით ხშირად გეხვდებიან წყაროებში.

ცელიბატი – კათოლიკურ სამღვდელოებაში გაერცელებული დაუქორწინებლობის წესი. ამ წესის თანახმად, მღვდლებსა და დიაკვნებს არ ეკრძალებათ ცოლის შერთვა ამ ხარისხის მიღებამდე. მაღალ სასულიერო იერარქიის წარმომადგენელნი უცოლონი უნდა ყოფილიყვნენ. პაპმა გრიგოლ VII-მ (1073-1085), ცელიბატი საეკლესიო კანონად გამოაცხადა, რომელიც პრაქტიკულად XII ს-ის შუა წლებიდან ხორციელდებოდა. ეატრანის II საეკლესიო კრებაზე ცელიბატის საკითხი გადაისინჯა, მაგრამ პაპი პავლე VI წინააღმდეგი იყო მისი გაუქმებისა და დაამტკიცა ცელიბატის ხელშეუხებლობა და მისი სიწმიდე. კათოლიკურ ეკლესიას მაინც მოუხდა კომპრომისზე წასვლა და შემოიღო შუადმე დიაკონთა (იერარქიული ამაღლების პრესპექტივის გარეშე) ინსტიტუცია, რომლის წევრებს ქორწინების უფლება ეძლევათ. პროტესტანტები ცელიბატს არ სცნობენ. მართლმადიდებლობაში იგი საეალდებულოა მხოლოდ მღვდელმთავრებისათვის.

ციმციძე ნაჭარატიოზ - XVI ს-ის ქართველი კალიგრაფი. მის მიერ გადაწერილია საინტერესო მეტაფრასი (ქუთ. 39) მოქცეული მღვდელმთავრის, ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით. ცნობილია აგრეთვე მის მიერ დამზადებული სხვა ხელნაწერებიც (H 1031; ქუთ. 271).

ციხკარა მწერალი – XI ს-ის ქართველი კალიგრაფი, მესხეთში მოღვაწე. გადაწერა იაკობის ჟამისწირვა (A 86), ქართლის კათოლიკოსის, სეიმონის შეკვეთით.

ციხკარი – დილის საეკლესიო ღვთისმსახურება, სრულდება გათენებისას. მისი ძირითადი ნაწილებია: 1. „ექუსფსალმუნი“ („განწესებული ფსალმუნნი“), 12 საციკრო ლოცვა (ხუცესის მიერ წარმოსათქმელი), დიდი კერექსი, „ღმერთი უფალი“, ტროპარი. 2. ფსალმუნის („კანონების) გალობა („კათიზმები“), „ქებანი სახელსა უფლისასა“ და სახარება. 3. კანონი (ცხრა-ოდიანი), 4. „აქებდითი“ (ფსალმუნები, დასდებლებითურთ), „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“, კერექსები და განტეება.

ციხკრის კანონი – „გალობანი“, მისი წარმოშობა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ბიბლიური ოდების დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. თვლიან, რომ VI ს-ში იერუსალიმში, შესაძლოა, თვით საბაწმიდაში, შემუშავდა ცხრა ბიბლიური ოდისაგან შემდგარი კომპოზიცია, რომელიც კანონად იწოდებოდა და ციხკრად სრულდებოდა. ბიბლიური ოდების შემოღების დროთა ვითარებაში თან მოჰყვა მათ გეერდით გალობის ელემენტის განვითარება. პოეტურმა ტროპარებმა, რომლებიც ბიბლიურ ოდებს ერთვოდა, თანდათან განდევნეს ღვთისმსახურებიდან ბიბლიური ტექსტი. ის, რაც ბიბლიური ოდების ამოვარდნის შემდეგ დარჩა, ჰიმნოგრაფიულ კანონად იწოდება.

ციხისჯვარი – სოფელი ბორჯომის

რ-ნში. სოფელში დგას შუა საუკუნეების ციხე და ციხის ეკლესია ამაღე ხანისა.

ციხისჯვრობა – ქრისტიანული სახალხო დღესასწაული, რომელიც აღდგომის სამშაბათს ტარდება მატანში (კახეთი).

ცლუნქაანი – სოფელი წითელწყაროს რ-ნში. სოფელში დგას შუა საუკუნეების ეკლესია „სამება“.

ცოლჭა – განზრახ ჩადენილი ან უნებლიე დანაშაული, რომლითაც ადამიანი უპირისპირდება უფალს (დაბ. 3,3). პირველქმნილი ცოდვა დაკავშირებულია ადამის სახელთან. იგი ადამის დაუმორჩილებლობაში გამოვლინდა (დაბ. 3,5). ადამიანს არ შეეძლო ცოდვის დაძლევა საკუთარი ძალებით, ამიტომაც კაცობრიობას მოევლინა მხსნელი – ქრისტე.

ცქირი დიაკონი – თბილისში აღზრდილი დიაკონი, რომელიც, გიორგი მერჩულის თხრობით, მოციქულად გაუგზავნა სასაკ ირმაილის ძემ კურაპალატს. მოციქულმა შეიტყო ანჩის ეპისკოპოსის გარდაცვალების ამბავი და გადაწყვიტა ეპისკოპოსის ტახტის ხელში ჩაგდება. მალე „უკეთურმა მან ცქირმან“, – მოგვითხრობს მერჩულე, – „მძლავრებით დაიპყრო ანჩი“ – ბევრი სიავე ქნა და შეაიწროვა კლარჯეთის მოსახლეობა. მისი ვერაგობა იქამდე მივიდა, რომ გრიგოლ ხანცთელს მკელელი მიუგზავნა და უდაბნოთა არქიმანდრიტის თაეიდან მოცილება მოიწადინა, მაგრამ ამაოდ. შეძრწუნებულმა საეკლესიო პირებმა განკეეთეს ცქირი და მოიცილეს „ვითარცა დამპალი ასოჲ“. ცქირი დიაკონმა მიმართა ამირას და მისი დახმარებით კვლავ დაიპყრო ანჩის საყდარი. მან ხანცთის დანგრევაც მოისურვა, მაგრამ „სიკედილმა უსწრო“.

ცხადაძე ქეთევანი – ბეეი ქართული მწერლობის მკელევარი. მისი კელევის ძირითადი ობიექტი იყო ორიგინალური პაეოგრაფიული და პიმნოგრაფიული ძეგლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოკელევები წმ. ნინო განმანათლებლის „ცხოვრებათა“ და საგალობელთა კვლევის სფეროში. მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა წმ. ნინოს საგალობლების შესწავლას.

ცხაკაია – სოფელი ახალგორის რაიონში. სოფელში დგას შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია. მასში შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები.

ცხება – მირონის წასმა (იხ. მირონი).

ცხებული – იესო ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტი (ებრაულად – „მაშიახ“).

ცხირეთი – ნასოფლარი კასპის რ-ნში, სოფ. ერთაწმინდის მახლობლად. შემორჩენილია X ს. ციხე და ციხის XI ს. ეკლესია „ჰეტრეს უბანი“, მოხატულობის ფრაგმენტებით.

ცხნარი – სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, რომელიც მდებარეობს ქციის ხრაშში, მდინარის მარცხენა მაღალ ნაპირზე. ფიტარეთიდან 3,5 კმ-ის დაშორებით. სოფლის განაპირას დგას სახუროაჭამიქეცეული ერთნავიანი დარბაზული ეკლესია გვიანი მინაშენით. სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს ვიწრო სამლოცველო. დიდი ბალავარის ქვაზე არის სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის თანახმად, ეკლესია ერთი წლის განმავლობაში უშენებიათ დავით ულუსა და ვახრამ გაგელის დროს, XIII ს-ის შუა წლებში.

„[ცხორებაჲ] მამისა ჩუენისა ანტონი მარტოყოფელისაჲ“ – (სვინაქსარული ძეგლები, IV, გვ. 393-398; 398-399) – იხ. ანტონ მარტომყოფელი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“ – (ძეგლები, II, გვ. 101-207) – იხ. გიორგი მთაწმიდელი.

„ცხორებაჲ მეფეთმეფისა დავითისი“ – (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318-364) – იხ. დავით აღმაშენებელი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ“ – (ძეგლები, I, გვ. 229-240; ძეგლები, III, გვ. 170-207; 291-311) – იხ. დავით გარეჯელი.

„[ცხორებაჲ] მამისა ჩუენისა დოდო გარესჯელისა“ – (სვინაქსარული ძეგლები, IV, გვ. 415-418) – იხ. დოდო გარეჯელი.

„ცხორებაჲ დიდისა მეფეთმეფისა თამარისი“ – (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368-369) – იხ. თამარ მეფე.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“ – (ძეგლები, II, გვ. 9-35; ძეგლები, III, გვ. 208-248; ძეგლები, IV, გვ. 356-358) – იხ. ილარიონ ქართველი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ“ – (ძეგლები, I, გვ. 191-217; ძეგლები,

III, გვ. 83-107) – იხ. იოანე ზედაზნელი.

„ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ (ძეგლები, II, გვ. 38-100; ძეგლები, IV, გვ. 331-340) – იხ. იოანე მთაწმიდელი; ეფთვიმე მთაწმიდელი.

„ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ – ამბაჲ ალავერდელისა“ (სვინაქსარული; ძეგლები, IV, გვ. 403-406) – იხ. იოსებ ალავერდელი.

„ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი“ – (ძეგლები, I, გვ. 81-163 (მოკლეაჲ ქართლისაჲ); ძეგლები, III, გვ. 7-51; 52-83; ძეგლები, IV, გვ. 351-355; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 72-138) – იხ. ნინო განმანათლებელი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სძემოსან ონოფრესი“ – (ძეგლები, V, გვ. 109-125) – იხ. ონოფრე გარეჯელი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ“ – (ძეგლები, II, გვ. 213-263). იხ. პეტრე ქართველი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“ – (ძეგლები, I, გვ. 319-147) – იხ სერაპიონ ზარზმელი.

„ცხორება და მოღუაწეობა მამისა ჩუენისა ქრისტესია მონაზონისა, რომელი შემდგომად ფოლებულ იქმნა ქრისტეშორედ“ – (ძეგლები, V, გვ. 125-136) – იხ. ქრისტეფორე გარეჯელი.

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ეფაგრესი“ – (ძეგლები, I, გვ. 217-229; ძეგლები, III, გვ. 107-170; 268-291) – იხ. შიო მღვიმელი; ეფაგრე ციხედიდელი.

ცხრაკარა – სამონასტრო ანსამბლი ახმეტის რაიონის სოფ. მატანის მიდამოებში. სამონასტრო ანსამბლში შედის V-VI სს-ის იოანე ნათლისმცემელის ბაზილიკური ეკლესია. ეკლესიის საკურთხეველის კონქში გამოსახულია მარიამ ღვთისმშობელი, რომელსაც მარცხნივ იოანე ნათლისმცემელი უდგას. ძეგლი შეკეთებულია ლეონ კახთა მეფის დროს. არის ბერძნული წარწერებიც, რომლებიც შესრულებული უნდა იყოს XVI ს-ში. აქ არის აგრეთვე ეკლესია შუა საუკუნეების დროისა, სამრეკლო და გალავანიც ამავე დროისაა, არის ამ პერიოდის სხვა ნაგებობებიც.

ცხრაფონი – სოფელი ქობულეთის რაიონში, სადაც დგას XV ს-ის ეკლესია.

„ცხრა ჭამისაჲ“ – მეცხრე ჟამის ლოცვა (შეესაბამება თანამდროვე სამ საათს შუადღის შემდეგ, ე. ი. 15 საათს). ამ საათზე განუტევა სული მაცხოვარმა. მეცხრე ჟამის ფსალმუნები, ლოცვები და ტროპარები (ცხრაჟამისაჲ) გამოხატავენ ქრისტეს ხორციელ აღსასრულს (იხ. ჟამნი).

ძ

ძეგვი – სოფელი მცხეთის რ-ნში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, მცხეთიდან 9 კმ-ზე. სოფელში შემონახულია შუა საუკუნეების ერთნაიანი დარბაზული ტიპის ეკლესია. სოფლის მიდამოებში არის რამდენიმე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, მათ შორის X ს-ისა – „ბოძის საყდარი“; განვითარებული შუა საუკუნეების XII-XIII სს-ის ეკლესია მოხატულობით; 1676-1700 წელს აგებული ეკლესია ლაპიდარული წარწერებით; არის აგრეთვე რიყის ქვით ნაშენები რამდენიმე კოშკი.

„ძეგლისწერაჲ“ – აღწერილი სკულისღება ანუ განწესება. „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“ ეწოდება დადგენილებებს, რომლებიც მიიღო 843 წელს კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა კრებამ. ეს კრება მოიწვიეს ბიზანტიის მცირეწლოვანმა კეისარმა მიქაელ III (842-867) და დედამისმა თეოდორამ. კრებამ ანათემა გამოუცხადა ხატთმებრძოლთა და ხატთაყუანისცემის საბოლოო ზეიმი აღნიშნა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძეგლი შეცდომით იწოდებოდა VII მსოფლიო კრების კანონებად.

ეს ძეგლი შეტანილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი კანონიკური კრებულის – „მცირე რჩულისკანონის“ IV, ბოლო ნაწილად სახელწოდებით: „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას, პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა“ (მცირე სჯულისკანონი, გვ. 11). თხზულება მეორედ თარგმნა არსენ იყალთოელმა და შეტანილია შიომღვიმის ტიპიკონში (H 1341). გამოც.: თბ., 2005 წ. „ძეგლისწერის“ ტექსტი ეკლესიაში იკითხებოდა მართლმადიდებლობის კვირას.

„ძეგლისწერაჲ ცხოვრებისა და ღმრთივ შეკრებულისა ქრებისაჲ“ – რუის-ურბნისის 1105 წ. საეკლესიო კრების დადგენილებების სახელწოდება. ეს არის დოკუმენტი, რომელმაც ძირითად კონტურებში ასახა ამ კრების მოწვევის მიზეზები და მიზნები. ავტორი „ძეგლისწერის“ არსენ იყალთოელი უნდა იყოს. ძეგლი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში, რომელთაგან მნიშვნელოვანია: (A 124 (XI ს.), A 76 (XII), H 1670 (XIII-XIV), ქუთ. 25 (XII-XIII), ქუთ. 17 (XIII-XIV). „ძეგლისწერის“ მთავარი წყაროა „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელის მიერვე შესრულებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დიდი სჯულისკანონის“ თარგმნა სწორედ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის თადარიგით იყო გამოწვეული“ (ე. გაბიძაშვილი). „ძეგლისწერის“ შესაბამისად მოცემულია სამყაროს, ადამიანისა და ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. ეს ის ფილოსოფიური, უფლებრივი და ისტორიული საფუძვლებია, რასაც უნდა დამყარებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ყოველგვარი კანონმდებლობა. მასში ასახულია აგრეთვე ქართული ეკლესიის სარწმუნოებრივი შეუბღალაობის იდეა. ბოლო დაფიით „ძეგლისწერა“ შეიცავს 19 კანონს საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა საჭიროებრივი საკითხებზე (დაწერილებით იხ. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1972). „ძეგლისწერის“ კანონებს ბოლოს ერთვის ამ კრების მთავარი ინიციატორის, დაეით აღმაშენებლის „შესხმა“ ანუ ქება. დაეითის ქება იმავე ფუნქციას ასრულებს „ძეგლისწერაში“, რასაც მსოფლიოს კრებათა მიერ ბიზანტიის იმპერატორებისადმი მიწერილი ეპისტოლეები. „ქება დაეითისა“ იმითაა საყურადღებო, რომ პირველად აქ გვხვდება ფაქტი, რომელიც საეკლესიო პირი „შესხმას“ წერს საერო პირზე.

„ძეგლისწერას“ ერთვის სინოდიკონი, რომელიც „ქების“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. სინოდიკონი, ანუ მოსასხენებლები დალაგებულია გარკვეული გეგმით და ორ ნაწილად იყოფა. პირველ ჯგუფში მოთავსებულია საქეო ოჯახის ცოცხალ წევრთა „პრაქსიმონი“ (ეიორგი მეფე, დაეით მეფე და მართა დედოფალი), მეორეში კი – გარდაცვლილ წევრთა საეკუნო მოსახსენებელი (მარიამ დედოფალი). მეორე ნაწილიც ორ ჯგუფადაა დაყოფილი. პირველში კრებზე დამსწრე საეკლესიო იერარქიის წევრები არიან წარმოდგენილნი (იოანე კათოლიკოსი, ევსტრატი მონაზონი, გიორგი მწიგნობართუხუცესი და არსენ კალიპოსელი), ხოლო მეორეში მოთავსებულია ქართული ეკლესიის გამოჩენილ გარდაცვლილ მოღვაწეთა საეკუნო მოსახსენებლები (ეფთვიმე და გიორგი ათონელები, დაეით ტბელი, სტეფანე სანაოსისძე, სახა სულხის ძე, ანტონ ტბელი, ეფრემ მცირე და სხვ.).

ქველი ანაბა – სოფელი სიღნაღის რნში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, დაბა წნორის მახლობლად, წნორიდან 15 კმ-ზე. სოფელში დგას წმ. ელიას ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეებისა.

ქველი გაეაზი – სოფელი ყვარლის რ-ნში, ალაზნის ველის მარცხ. მხარეს, ყვარლიდან 15 კმ-ზე. სოფელში დგას VI ს-ის ძველი გაეაზის მცირე ზომის ღვთისმშობლის ეკლესია. გვიანდელი რესტაურაციის გამო (1850 წ.) ეკლესიამ ჩვენამდე შეცვლილი სახით მოაღწია. მას მოგვიანებით მიაშენეს გარშემოსაველი. ეკლესიაცა და გარშემოსაველიც რიყის ქვითაა ნაგები.

ქველი ტობანიერი – სოფელი ეანის რ-ნში, მდ. ყუშურის ხეობაში, ეანიდან 8 კმ-ზე. ტობანიერის ახლოს არის შუა საუკუნეების ძველი გალავნიანი ეკლესია „სამება“.

ქიმითი – სოფელი ოზურგეთის რ-ნში, მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირზე, ოზურგეთიდან 17 კმ-ზე. სოფელში იდგა შუა ს-ის წმ. კვირაკეს ხის ეკლესია. ამჟამად შემორჩენილია ნანგრევი (ქვის ყორე, რომელიც ეკლესიას ერტყა და კობე).

ქველი შუამთა – სოფელი თელავის რაიონში, თელავიდან 7 კმ-ის დაშორებით. V-VII სს-ის ქართული ბურთომშოდგრული ანსამბლი. აქ არის სამი ეკლესია: I. V საუკუნის

ბაზილიკა, რომელიც წარმოადგენს ადრეული ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს საქართველოში. 2. VII ს. ეკლესია მცხეთის ჯვრის ტიპისა, რომელმაც ჩვენამდე საკმაოდ კარგად მოაღწია. იგი უფრო პატარაა, ვიდრე სხვა ამ ტიპის ეკლესიები. 3. მცირე გუმბათიანი ეკლესია VII ს-ისა; ის წარმოადგენს მინიატურულ ნაგებობას. გეგმა იგივეა, რაც ჯვრის ტიპის ძეგლებისა. სამივე ეკლესია აგებულია რიყის ქვით, შირიმის ფილები გამოყენებულია მხოლოდ კუთხებისათვის.

ძეწარი – იხ. ზეწარი.

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ – ქართული ორიგინალურ „წამებათა“ და „ცხოურებათა“ ყველა რედაქციის (კომპილაციური, მეტაფრასული და სვინაქსარული) თხზულებათა სრული კორპუსი ექვს წიგნად: I წიგნი შეიცავს კომპილაციური (უძველესი) ძეგლების ტექსტებს (გამოც. 1963 წ.); II წიგნიც ანალოგიურია (1968 წ.); III წიგნი – მეტაფრასულ თხზულებებს (1971 წ.); IV წიგნი – სვინაქსარულ (მოკლე) თხზულებებს (1968 წ.); V წიგნი – XVI-XIIს. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს (1989 წ.); VI წიგნი – ანტონ I-ის „მარტირიკას“ (1980წ.).

„ძლევისა გალობაჲ“ – გალობა, რომლითაც, ესაია ხილვის მიხედვით, ანგელოზები ღმერთს უგალობენ (იხ. ეს. 6,3; გამოცხ. 4,7). იერუსალიმში მომავალ იესუ ქრისტეს, ებრაელი ერმები ეგებებიან შეძახილებით: „ოსანა, მაღალთა შინა; კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“. იოანე ღვთისმეტყველმა (გამოცხ. 4,7-8) და ესაია წინასწარმეტყველმა (6,1-2) იხილეს ანგელოზები (სერაფიმები და ქერუბინები), რომლებიც ადიდებენ ღმერთს „ძლევის გალობით“ არწივის, ლომის, კუროს და კაცის სახით.

ძლისპირი – ძველი ქართული საგალობელი ტერმინი, ბერძნული „ირმოსის“ შესატყვისი. ძლისპირი არის გალობანის, ანუ კანონის ყოველი გალობის (ოდის) და სტიქარონის პირველი ტროპარი, რომელიც რიტმულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენს გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპარებისთვის. მაშასადამე, ძლისპირი პირველი ტროპარია იმ სერიიდან, რომელიც ახლავს კანონის ყოველ გალობას. ბერძნები ძლისპირს ზეპირად სწაელობდნენ და მის მიხედვით გალობდნენ ყველა შემდეგ ტროპარს, რომელთაც მარცვალთა ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ. ყოველ გალობას წარწერილი ჰქონდა საერთო ტროპარები ან მთლიანად, ან მხოლოდ დასაწყისი სიტყვები, რითაც მოუთითებდნენ, რომ მათი ნიმუშის მიხედვით უნდა შესრულებულიყო დანარჩენი ტროპარებიც.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ – ასე ეწოდება კრებულს, რომელშიც წარმოდგენილია რიტმულ-მელოდიური საზომები, რომელთა მიხედვით იწერებოდა გალობანი და სტიქარონები. კრებულში თავმოყრილია გალობანის და სტიქარონების ძლისპირები და მათი შესატყვისი ღვთისმშობლის ტროპარები. კრებულის ასეთი კომბინირებული შედგენილობა და თვით სახელწოდება კრებულისა მხოლოდ ქართველისათვის არის დამახასიათებელი, რადგან ბერძნულ კრებულებში, ისევე როგორც სლაეურსა და რუსულში, მხოლოდ ძლისპირებია თავმოყრილი და კრებულიც ამიტომ „ირმოლოგიონის“ სახელწოდებას ატარებს. ირმოლოგიონი საკუთრივ ძლისპირთა კრებულს აღნიშნავს.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ X-XIX სს-ის ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს, ზოგჯერ დამთავრებელი კრებულის სახით, ხან კი როგორც იადგართა და სადღესასწაულოთა ნაწილი. X-XI სს-ის ხელნაწერებში ძლისპირნი, როგორც წესი, შეტანილია იადგარებში. მისი ცალკე კრებულად გავრცელება გვიანდელი მოვლენაა და ამ კრებულის მოცულობის ზრდისა და გამოყენების საზღვრებით არის ნაკარნახევი. ქართულ კრებულში, ისევე როგორც ბერძნულ ირმოლოგიონში, ძლისპირები გაწყობილია ხმებზე და გალობებზე. ხმების აღნიშვნა ბერძნულ და ქართულ ძლისპირთა კრებულებში ერთნაირია, გალობანის, ანუ კანონის გალობათა აღნიშვნა კი – განსხვავებული. გალობების ქართული სახელწოდებისათვის აღებულია იმ ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვები, რომლებიც საფუძვლად დაედო კანონის გალობებს. ქართულმა შემოგვინახა გალობათა უძველესი სახელწოდებები, რომლებიც, როგორც ჩანს დროთა ვითარებაში დაკარგა ბერძნულმა. ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანისა“ და სადღესასწაულოს გვიანდელ ხელნაწერებში ეს სახელწოდებები რაცხვითი აღნიშვნებითაა შეცვლილი.

ძლევენი – უფლისადმი მირთმეული შესაწირაები, უსისხლო მსხვერპლი. ძღვენი შეიძლება იყოს აგრეთვე პირველმოსაული ხილი, პროდუქტები, ზეთი, სანთელი, ეკლესიისათვის საჭირო ჭურჭელი, სხვადასხვა ნივთები, ფულადი სახსრები და ა. შ.

წ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘ – დაბა, რაიონული ცენტრი დას. საქართველოში, მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. წალენჯიხის მახლობლად (2 კმ.) მაღალ ბორცვზე შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსი, რომლის მთავარი ნაგებობაა გუმბათიანი ეკლესია – X-XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. ტაძრის მოხატულობა შესრულებულია XIV ს-ში, ეამეყ დადიანის დაკვეთით, ბიზანტიელი მხატვრის, კირ მანუილ ეუგენიკოსის მიერ. სხვა სამონასტრო ნაგებობანი (სამრეკლო, დადიანის სასახლე, გალავანი) გეიანი შუა საუკუნეებისაა.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ“ – 1. მოწმობა; ასეთია ამ ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა. ვინც ადასტურებს, მოწმეა, ამ შემთხვევაში, ღმერთკაც იესო ქრისტეს ღმერთობას. აღიარებულია, რომ „პირველმოწამე“ ქრისტიანული ეკლესიისა არის დიაკონი სტეფანე (70წ.), მაგრამ არსებობს მხოლოდ ქართულ თარგმანში შემორჩენილი ერთი „საკითხავი“ (კიმენი, II, გვ. 73-78), რომლის ავტორი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პირველმოწამე სტეფანე კი არ არის, არამედ – სვიმონ მიმრქმელი, რომელმაც პირველმა დაამოწმა, დადასტურა, რომ ჩვილი იესო არის ღმერთი. 2. ტანჯვა-წამება, რომელსაც განიცდიდნენ წარმართობის დროინდელი ქრისტიანი მორწმუნენი, რომელთაგანაც მოითხოვდნენ წარმართობაზე დაბრუნებას. ამ მნიშვნელობით „წამებაჲ“ ძირითადად სიკვდილის სინონიმი იყო. ამ შემთხვევაშიც იგულისხმება ამ ტერმინის პირველი მნიშვნელობაც – მოწამეები თავიანთი სისხლის დაღვრით, სიცოცხლის შეწირვის ფასად მოწმობდნენ (ადასტურებდნენ) იესო ქრისტეს ღმერთობას.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲡᲐ ᲯᲐᲒᲝᲡᲘ“ (ძეგლები, I, გვ. 46-81; ძეგლები, VI, გვ. 228-247; ძეგლები, IV, გვ. 376-377) – იხ. აბო თბილელი.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲩᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲤᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲓ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 245-248; ძეგლები, V, გვ. 95-108; ძეგლები, VI, გვ. 67-84). იხ. არჩილ მეფე.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲡᲘ“ (ძეგლები, I, გვ. 172-173-183; ძეგლ., VI, გვ. 282-301) – იხ. გობრონი.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲦᲣᲐᲬᲚᲘ ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲐ ᲓᲐᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡᲘ“ (ძეგლები, III, გვ. 248-243; ძეგლები, VI, გვ. 154-169; ძეგლები, IV, გვ. 359-366) – იხ. დაეთ და კონსტანტინე.

[„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ] ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ ᲧᲠᲛᲐᲗᲐ ᲝᲠᲗᲐ ᲫᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲔᲗᲘᲗᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲘᲤᲐᲜᲘᲡᲘ“ (ძეგლები, I, გვ. 186-191) – იხ. დავით და ტირიფანი.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲔ“ (ძეგლები, I, გვ. 164-172; ძეგლები, VI, გვ. 265-281) – იხ. კონსტანტი კახი.

[„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ] ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲚᲣᲙᲐᲡᲘ“ (სვინაქსარული; ძეგლები, IV, გვ. 346-348) – იხ. ლუკა იერუსალიმელი.

[„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ] ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡᲘ ᲓᲯᲐᲚᲘᲡᲐᲓ“ (ძეგლები, IV, გვ. 348-351) – იხ. ნიკოლოზ დვალი.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲦᲣᲐᲬᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲠᲐᲯᲓᲔᲜᲘᲡᲘ“ (ძეგლები, V, გვ. 64-79; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199) – იხ რაჟდენ პირველმოწამე.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲧᲠᲛᲐᲗᲐ ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐᲓ ᲠᲘᲪᲮᲕᲗ ᲪᲮᲠᲐᲗᲐᲓ“ (ძეგლები, I, გვ. 183-185) – იხ. კოლაელ ყრმათა წამება.

„ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡᲘ“ (ძეგლები, V, გვ. 5-32; ძეგლები,

VI, გვ. 12-35; ძეგლები, IV, გვ. 429-433) – იხ. ქეთევან დედოფალი.

[„ჯამებაჲ] ჯმიდისა ძლდელ-მოწამისა შიოჲსი და მოჯუას-თა მისთა“ (ძეგლები, IV, გვ. 440-443) – იხ. შიო გარეჯელი.

„ჯამებაჲ ჯმიდისა შუშანიკი-სი დედოფლისაჲ“ (ძეგლები, I, გვ. 11-29; ძეგლები, VI, გვ. 85-105) – იხ. შუშანიკ დედოფალი.

ჯამებულთა ეკლესია (დაითგარეჯში) – მდებარობს დაითგარეჯის ლავრისა და უდაბნოს გამყოფ მთაზე. იგი აღდგომის სახელზე ყოფილა აგებული VIII-IX სს-ში. როგორც მოთხრობილია ანტონ პირველის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შესხმა და მოთხრობა ღუწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესკლელთა“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, VI, 1980, 189-208), გარეჯის მონასტრებში შეკრებილ მონაზვნებს ჩვეულება ჰქონიათ, აღდგომის წინა საღამოს შეკრებილიყვნენ აღნიშნულ ტაძარში და იქ შეესრულებინათ საალდგომო ღამისთევა. ერთი ასეთი შეკრების ჟამს გარეჯელ ბერებს მიუხტებიან სპარსელი მეომრები და მუსრი გაუვლეს. მტარვალნი ბერებს მაშინ მიეჭირნენ, როდესაც „იწყეს ლიტანიობად გარემო ეკლესიისა სიმრავლემან წმიდათა მამათამან და კელთა შინა მათთა სანთლები აღნთებულნი“ ეპყრათ, და უმოწყალოდ ამოხოცეს ისინი. ამის შემდეგ სპარსელი მეომრები წავიდნენ დაითგარეჯის სხვა მონასტრების ასაკლებად და მოაოხრეს თორმეტივე მონასტერი.

„ჯამებულნი“ – დაითგარეჯის ერთი თორმეტ მონასტერთაგანი, მდებარეობს სოფ. უდაბნოს მახლობლად, წარმოადგენს გამოქვაბულთა კომპლექსს. ზოგიერთ გამოქვაბულში სამწირველოა მოწყობილი (შუა საუკუნეები). შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

„ჯამებულნი“ – გეიანი შუა საუკუნეების ეკლესია სოფ. მაღრანის მიდამოებში, ტყეში (ახმეტის რაიონი). მოხატულობა XVI საუკუნისაა.

„ჯამებულობაჲ“ – გიორგობის (აპრილის 23) ხალხური სახელწოდება; გავრცელებულია სოფ. კარდენახში (გურჯაანის რაიონი) და დღესასწაულიც იქვე აღინიშნება.

ჯანდილი – კორატი (ბერძ. „კოლეჯა“), „შგბარი ხვარბალი“ (საბა) ე. ი. მოხარშული ხორბალი, თაფლით, ან შაქრით შეზავებული. წანდილი მზადება უპირატესად მცვალებულთა მოხსენების დღეებში. ამიტომ „შსოფლიო შაბათსა“ და დიდი მარხვის II, III და IV შაბათებს ხალხურად „წანდილობის“ დღეებსაც უწოდებენ. წანდილი მომასწავებელია მკვდრეთით აღდგომისა: როგორც ხორბლის მარცვალი უნდა დაითესოს და მიწაში ჩაიმარხოს, რათა ბოლოს ისევ აღმოცენდეს და გამოიღოს ნაყოფი, ასევე ადამიანის სხეულიც უნდა დაიმარხოს და განისვენას მიწაში, რათა შემდეგ აღდგეს მომავალი ცხოვრებისათვის (I კორ. 15, 36-38; იოანე 12,24). თაფლი მოასწავებს მომავალი ცხოვრების სიტკბოებას. მიცვალებულთა მოხსენების გარდა ქრისტიანულ ეკლესიაში წანდილი იკურთხება:

1. საუფლო დღესასწაულთა და წმინდანთა მოხსენების დღეებში.

2. დიდი მარხვის პირველი შვიდეულის პარასკევს, იმის მოსახსენებლად, რომ წმ. თეოდორე ტირონმა (IV ს.) სიზმრით აუწყა ეპისკოპოს ედოქსის იულიანე განდგომილის განზრახვა – კერპთმსახურებით შებილწული სისხლი მოესხათ ანტიოქიის ბაზარში გასაყიდი საძოვარისათვის. წმ. მოწამემ გამოცხადებით ურჩია ეპისკოპოსს, მორწმუნეთათვის წანდილი მიეცა საჭმელად და ამით ისინი ესხნა შებილწებისაგან.

წანდილის მოხარშვისა და კურთხევის ჩვეულება ეკლესიაში უკვე IV ს-დან დამკვიდრდა, ხოლო უფრო ადრე მას იყენებდნენ საჭმელად ღარიბი რომაელები. დღესასწაულებზე და მიცვალებულთა მოხსენებისას წანდილის დამზადება, შესაძლოა, პირველ ქრისტიანთა ჩვეულებიდან მომდინარეობდეს, რომლებიც სიყვარულის ტრაპეზს (აღაპს) მართავდნენ წმინდანთა აღსრულების დღეებში. მიცვალებულთა მოხსენება და ამასთან დაკავშირებით წანდილის დამზადება დიდ მარხვაში ხდება მხოლოდ პარასკევ საღამოს, შაბათს და კვირას. ეს წესი მიღებული იყო ჯერ კიდევ ლაოდიკიის კრებაზე (364 წ.). წანდილის კურთხევის წესი წერია მარხვანში, ხანდახან კურთხევანშიც.

ჯარგზავნა დღესასწაულისა– მრავალდღიანი დღესასწაულის ბოლო, დამამთავრებელი დღე. როგორც ვიცით, მართლმადიდებელ ეკლესიაში ზეიმით აღინიშნება საეკლესიო დღესასწაულები (ათორმეტი საუფლო დღესასწაული, დიდი დღესასწაულები და სხვა) და გამორჩეულ წმინდანთა ხსენებანი. დღესასწაულები უმეტეს შემთხვევაში დადებულია ერთ რომელიმე დღეს, მაგრამ „ათორმეტ საუფლო“ დღესასწაულთაგან თითოეული მათგანი რამდენიმე დღეს გრძელდება; ბოლო დღეს ხდება „დღესას-

წაულის წარგზავნა“. ამ დღეს ღვთისმსახურება სრულდება განსაკუთრებით საზეიმოდ. ხშირ შემთხვევაში იგი თითქმის მთლიანად ემთხვევა დღესასწაულის განგებას. წარგზავნა მთაერდება ლიტურგიის ბოლოს. ამის შემდეგ დღესასწაულის საგალობლები აღარ ითქმის. აქ მოვიყვანთ თითოეული საუფლო „დღესასწაულის წარგზავნის“ დღეებს: დღესასწაულთა დღესასწაული — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა — წარგზავნება აღდგომის დღიდან მეორმოცე დღეს - ამაღლების წინადღით (ოთხშაბათს). ღვთისშობლის შობის (8 სექტ.) წარგზავნა — 12 სექტემბერს. ჯვართამაღლების (14 სექტ.) წარგზავნა — 21 სექტემბერს. ტაძრად მიყვანების (21 ნოემბ.) წარგზავნა — 25 ნოემბერს. ქრისტეს შობის (25 დეკ.) წარგზავნა — 31 დეკემბერს. ღვთისგანცხადების (6 იან.) წარგზავნა — 13 იანვარს. მირქმის (2 თებ.) წარგზავნა — 9 თებერვალს. ხარების (25 მარტი) წარგზავნა — 26 მარტს. ბზობის (აღდგომის წინაკვირას) წარგზავნა იმავე დღეს ხდება, რადგან მეორე დღიდან იწყება ენების შვიდეული. ამაღლების (აღდგომიდან მე-40 დღე, ხუთშაბათი) წარგზავნა — დღესასწაულის მე-9 დღეს, პარასკევს. სულთმოფენობის (აღდგომიდან მეერგასე, ანუ 50-ე) დღის წარგზავნა — დღესასწაულის სწორზე. ფერისცვალების (6 აგვ.) წარგზავნა — 13 აგვისტოს. მიძინების (15 აგვ.) წარგზავნა — 23 აგვისტოს. ტაძრის დღესასწაულების წარგზავნა ხდება მწუხრის ლიტანიაზე.

დიდ დღესასწაულთა მრავალდღიანი ზეიმის ჩვეულება უძველესი ლიტურგიკული პრაქტიკიდან მომდინარეობს. როგორც იერუსალიმური განჩინებიდან და იადგარიდან ჩანს, თითო კვირიანი დღესასწაული (ზატიკი) ქრონიკა მხოლოდ აღდგომას, ღვთისგანცხადებასა და ენკენიას.

„ᲕᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐ“ (ბერძ. „პროკიმენოს“ — „წინამდებარე“) — ფსალმუნიდან ამოღებული მუხლები, სამოციქულოსა და სალმო წერილიდან გამოკრებილ სხვა საკითხათა (საწინასწარმეტყველო, სახარება, სამოციქულო) ჯაკითხვის წინ სათქმელი. ისინი მოასწავებენ წინასწარმეტყველთა ქადაგებას უფლის დიდებით მოსვლისათვის (A 450,430). ეს მუხლები უმეტესწილად გამოხატავენ იმ საკითხვის შინაარსს, რომელსაც წინ უძღვიან. ამიტომ, როცა წარდგომა სამოციქულოს შინაარსს გამოხატავს, ეწოდება „სამოციქულოს წარდგომა“, ხოლო როცა რომელიმე დღის ღვთისმსახურებასთანაა დაკავშირებული, ეწოდება „წარდგომა დღისა“.

მწუხრის ლიტანიაზე ითქმის „წარდგომა დღისა“. შედეგული თითოეულ დღეს აქვს საგანგებო საწუხრო წარდგომა (ისინი შეიძლება ენახოთ კონდაკსა და ჟამში). დიდი მარხვის სადაც დღეებში მწუხრის წარდგომები სრულიად სხვადასხვანაირია და მოცემულია მარხვაში თავ-თავის ადგილას (საწინასწარმეტყველო ორია, ამიტომ ორია წარდგომაც). იქცა მოცემული VI ჟამნის საწინასწარმეტყველოს წინ და შემდგომ სათქმელი წარდგომები. დიდი მარხვის წარდგომები იმ თანმიმდევრობითაა დალაგებული, როგორც ფსალმუნშია. მთელი მარხვის განმავლობაში ასე ნაწილ-ნაწილ ხდება თითქმის მთელი ფსალმუნის გალობა, ასე რომ, წარდგომა ამ შემთხვევაში არაა შინაარსობრივად დაკავშირებული მომდევნო საკითხვასთან. ყველიერის კვირიაკის, ასევე დიდმარხვის I, II, III, IV, V კვირიაკეების მწუხრზე ითქმის „დიდი წარდგომა“ (ასე ეწოდება 4 ან მეტი მუხლისაგან შემდგარ წარდგომას). საგანგებო „დიდი წარდგომები“ ითქმის აღდგომის, თომას კვირიაკის, მეერგასის მწუხრებზე და სხვ.

ციკლარზე წარდგომა ითქმის მხოლოდ ღამისთევის ლიტანიაზე (კვირიაკისა და დიდი დღესასწაულების წინა საღამოს). კვირიაკეებს აქვს 8 ხმათა წარდგომა (წერია პარაკლიტონში), დღესასწაულებს — საგანგებო სადღესასწაულო წარდგომა (წერია სადღესასწაულოში).

იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვებზე ითქმის სამოციქულოს წარდგომა. კვირიაკეებს აქვთ 8 ხმათა წარდგომები, დღესასწაულებს — სადღესასწაულო, წმინდანთა ხსენების დღეებში კი ითქმის საზიარო წარდგომა (ყველა ესენი შეიძლება მოიძებნოს სამოციქულოს სარჩევში).

„ᲕᲐᲠᲔᲛᲐᲠᲗᲔᲜᲘ“ — ფსალმუნური საგალობელი, რომელიც სრულდება გრიგოლ დიალოღონის „პირველშეწირულის ლიტურგიაზე“ (ფს. 140,114). ამ დროს იღება აღსაელის კარი, მღვდელი უკმევს წმ. ტრაპეზს და წარმოთქვამს „წარემართენის“ მუხლებს. თითოეულ მუხლზე გუნდი გალობს: „წარემართენ ლოცვაჲ ჩემი, ვითარცა საკუმეველი, შენ წინაშე. აღპყრობაჲ ქელთა ჩემთაჲ — მსხუერპლ საწუხროჲ. ისმაჲ ჩემი, უფალო“ (ფს. 140,2). „წარემართენის“ დასასრულს მღვდელი წარმოთქვამს ფარულ ასურის ლიტანიას და ასრულებს საძ დიდ მეტანიას.

„ᲕᲐᲠᲗᲕᲐ“ — პიმნოგრაფიული ტერმინი, რომელიც გვხვდება სინურ იადგარში — Sin. 96 (2r-6r, 148v-151r): „გალობანი აღდგომისანი და ღმრთისმშობლისანი წართუით“, „(სხუანი) გა-

ლობანი წმიდის ღმრთისმშობელისანი წარვიდით“. თითოეულ „წართულ“ გალობას მოსდევს სხვა კანონის შესაბამის გალობათა ტექსტი. ამიტომ, როგორც ასკვნიან, „წართულად სახელწოდებულ გალობათაგან ერთი დანაწესებით (ოდნით, გალობა-გალობად) მიერთების მეორეს“ (ლ. კეკრიაშვილი, პიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, 1982 წ.).

„ᲬᲐᲠᲗᲥᲛᲐᲓ“ (გარდამოთქმა) – წაძღერებით კითხვა (ფსალმუნის, სამოციქულოსი).

ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐ ᲨᲔᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲬᲡᲔᲑᲘ – როდესაც წარმართ ადამიანს (მაჰმადიანს, ბუდისტს, ან სხვა წარმართს) სურს ქრისტიანობაზე მოქცევა, მისთვის ნათლობამდე უნდა შესრულდეს სპეციალური საეკლესიო წესი, რომლის დროსაც ახალმოქცეული განაქიქებს თავის ძველ სჯულს და აღიარებს ქრისტიანობას. ეს წესები შეტანილია ეურთხევანში („წესი, თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარება იუდეანთა მართლმადიდებლობითსა სარწმუნოებასა შინა“; „წესი მოქცეასა ზედა სარაკინოსთასა (რომელ არიან მახმედიანნი). „დიდი ეურთხევანი“, ე. ჭელიძის გამოც., თბ., 2005, გვ. 309-312.

ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲘ – „უმჯულოებით მავალი“ (სბა), უსჯული, მცდარი სარწმუნოების მიმდევარი, საზოგადოდ – არაქრისტიანი. ამ სიტყვით მოიხსენიებდა ერთი რომელიმე აღმსარებლობის ადამიანი სხვა აღმსარებლობისას. ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულების მიმდევარი (მართლმადიდებელები, კათოლიკეები, პროტესტანტები, ნესტორიანები და სხვ.) ერთმანეთს უწოდებდნენ მწვალებლებს, ერეტიკოსებს (და არა წარმართებს).

ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐ – ქრისტიანობამდელი პოლითეისტური რელიგიების საერთო სახელწოდება. გულისხმობს ბუნების ძალთა გაღმერთებას, კერპების თაყვანისცემას და სხვ.

ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქართველთა წარმართობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობების მიხედვით არმაზის, ზადენის, გა და გაცის, აინინა, დანინა და ითრუჯანი ქართველი ხალხის ეროვნული კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველნი კი არ არიან, არამედ – შემოტანილი. ივ. ჯავახიშვილისავე დასკვნით, ძველ ქართველში გავრცელებული წმ. გიორგის კულტი (რომელიც შემოქმედი ღმერთისა და ტაროსის განმგებლის – ელიას კულტს აღემატებოდა), არის გადმონაშთი (ქრისტიანული სახეცვლილება) ქართველების მთავარი ღვთაების – მთვარის თაყვანისცემისა.

ფშავ-ხევსურები უზენაეს ღვთაებას „მორიგეს“ უწოდებენ. მის ხელქვეითებად ითელებიან ხმელთმოურავი (კირია), მეკობრეუბისა და მონადირეების ხატი და სხვ.

ქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაღმერთებული ჰყვდათ სხვადასხვა მნათობები (მზე, მთვარე, მარსი, ვენერა, მერკური და სხვა), ანატორი, ოჩოპინტრე, ბორი, ტყაში მაყა, მესეფე, ნადირთა და მონადირეების მფარველი ღვთაებანი, გუდანის ხატი (ლაშქრობისა და ომიანობის ღვთაება), ადგილის დედა, ნერჩი პატენი (ფუძის ანგელოზი), ლამზირი (მიწის სალოცავი, ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაება); კოპალა, ხახარი, პირქუშე (ღეთისშვილები). გაერცელებული იყო აგრეთვე ხეთა შსახურება და მცენარეულობის გაღმერთება: მუხის ანგელოზი, მიზიტხუ (ტყეების ღმერთი), ცხეკიშ ანგელოზ (სვან. ტყის ანგელოზი), მინდორთ ბატონი და სხვ.

„ᲬᲐᲠᲢᲧᲕᲔᲜᲔᲓ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲘᲡᲐᲓ“ – საბაწმინდის ლაურის მოღვაწის, ანტიოქე სტრატიგის (VI-VII სს.) თხზულება, რომელშიც მოთხრობილია იერუსალიმისა და წმ. ადგილების აოხრების ამბავი სპარსთა მიერ 614 წელს, ხოსრო მეფის დროს. ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ომიანობის ისტორიისა. ანტიოქე ყოფილა თანამედროვე ამ ამბისა და ეს ფაქტი ერცლად და სისწორით აქვს აღწერილი. VII ს. პირველ ნახევარში დაწერილი (ბერძნული) დედანი VIII-IX სს. უთარგმნიათ არაბულად სპას ლაურაში, ხოლო არაბულიდან X ს-ში ქართულად გადმოუღიათ. ამ თხზულებას კითხულობდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს 17 მაისს, როდესაც დაბეჭდული ყოფილა ხსენება იერუსალიმის აღებისა სპარსთაგან. სხვა წყაროები (Sin. 64; A 186) ხსენების დღედ ასახელებენ 20 მაისს. ანტიოქე სტრატიგის თხზულების ქართული ვერსია გამოცემულია ნ. მარის მიერ (ТРА-ГФ), IX, 1909.

ᲬᲐᲠᲓᲖᲔᲜᲐ – წყალთ-მოვარდნა (მოგდება). ბიბლიის თანახმად, განრისხებულმა ღმერთმა წარღვნით დასაჯა ცოდვებით დამძიმებული კაცობრიობა (დაბ. 7, 10-8, 19). ადამიანთა ცოდვების პირველი მიზეზი იყო ადამისა და ევას შეცოდება სამოთხეში (დაბ. 3,6), მომდევნო თაობებში კი უფრო გაიზარდა უსჯუ-

ლოება (იქვე, 6,5). ღმერთმა წარღენით დასაკა უკეთურებით აღსილი მოდგმა, მაგრამ არ ინება თავისი ქმნილების სრული მოსპობა და გადასარჩენად გამოარჩია მართალი და წმიდა ადამიანი – ნოე. ღვთის მითითებით ნოემ გააკეთა ხის დიდი კიდობანი და შიგ მოათავსა ყოველი სულდგმული არსების თითო წყვილი. კიდობანში ჩასხდნენ აგრეთვე ნოე და მისი ოჯახის წევრები (იქვე, 6, 13-7, 16). როდესაც ნოე მორწა ამ საქმიანობას, ღვთის ბრძანებით დაიწყო წყალთმოვარდნა – კოკისპირული წვიმა (წარღვნა), რომელმაც 40 დღე-ღამეს გასტანა (იქვე 7,17). მთელი დედამიწა დაიფარა წყლით. როდესაც წვიმა შეწყდა და წყლის დონემ კლება იწყო, ნოემ კიდობნიდან გამოუშვა ჯერ ყორანი, შემდეგ კი – მტრედი, რომელმაც ნისკარტით ზეთისხილის რტო მოიტანა. ეს მოწმობდა, რომ აქა-იქ უკვე გამოჩნდა ხმელეთი (იქვე, 8,11).

ღმერთმა აღუთქვა კაცობრიობას, რომ ამიერიდან აღარასოდეს დასჯიდა წარღვნით და ამ აღთქმის ნიშნად ცაზე ცისარტყელა („მშვილდი") გაიკრა (იქვე 9,13).

ᲕᲐᲨᲚᲘᲨᲘ – სოფელი მარტყოს რაიონში, მდ. წაჩხურის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე, მარტყოფიდან 15 კმ. სოფელში დაცულია XVII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – მთავარანგელოზის ეკლესია.

ᲕᲔᲓᲔᲚᲔᲓᲐ – სოფელი გულრიფშის რაიონში, მდ. კოდლორის მარცხენა ნაპირზე, გულრიფშიდან 25 კმ. აქა ნანგრევები XI ს. ეკლესიისა, რომელიც, ლაპიდარული წარწერის თანახმად, თეოდორე ტირონის სახელზე ყოფილა აგებული. წარწერიანი ქვა ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ᲕᲔᲫᲐ – სოფელი ზესტაფონის რაიონში, მდ. ძირულის ხეობაში, ზესტაფონიდან 16 კმ. სოფელში შემორჩენილია XI ს. წმინდა გიორგის ეკლესია (გადაკეთებულია XIX ს-ში. მოხატულობა XVI-XVII სს. მიეკუთვნება).

ᲥᲔᲚᲗᲐᲛᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ – დროის აღრიცხვის სისტემა. იხმარებოდა უხსოვარი წარსულიდან. უძველესია დროის აღრიცხვა იმპერატორთა მმართველობის მიხედვით. ძველ ეგვიპტეში წლებს ითვლიდნენ ფარაონთა გამეფებიდან. ამ ჩვეულების თანახმად 284 წელს დაიწყო ერა დიოკლეტიანესი. ალექსანდრიული პასქალია დაფუძნებული იყო დიოკლეტიანეს ერაზე, რომელსაც ქრისტიანები მოწამეთა ერას უწოდებდნენ.

წელთაღრიცხვა სამყაროს შექმნიდან სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვანაირია. ებრაელნი სამყაროს შექმნიდან ქრისტეშდე ითვლიდნენ 3761 წელს. ამიტომ ებრაული „დასაბამითგანის" გამოსათვლელად ჩვენს წლებს უნდა დაეუმატოთ 3760 წელი. ქრისტიანულ ერათაგან უმნიშვნელოვანესია ალექსანდრიელ პატრის, პასქალიის მიერ შემოღებული წელთაღრიცხვა (5493-5492 წ. ქრისტეშდე), რომელშიც ზოგიერთი შესწორება შეიტანა მერე ეგვიპტელმა ბერმა – ანიანმა. პასქალიის პირველი წელი სამყაროს შექმნიდან იყო პირველი წელი ნაკიანის შემდეგ, პირველი წელი 28 წლიან მზის ციკლში, პირველი წელი 19-ან მთვარის ციკლში, მაგრამ იყო მეორე – 15-წლიან ინდიქტიონში. ამიტომ ბიზანტიელებმა ალექსანდრიულ „დასაბამითგანს" მოუმატეს 16 წელი (5493 + 16 = 5509). ამრიგად, ბიზანტიური „დასაბამითგანის" გამოსათვლელად საჭირო ქრისტეს შემდგომ წლებს დაუმატოთ 5508 წელი (თუ 5509-ს დაუმატებთ, მაშინ ქრისტეს შობის წელი ორჯერ გვექნებოდა სათვალავში) და მიღებული რიცხვი გაიყოს რიგრიგობით 15, 28, 19 და 4-ზე (ინდიქტიონის, მზის და მთვარის მოქცევების, ნაკიანობის გასაგებად). ამასთან, ბიზანტიელები მხოლოდ ახალ წელსა და ინდიქტიონს იწყებდნენ 1 სექტემბრიდან. მზის მოქცევას ითვლიდნენ 1 ოქტომბრიდან (5509 წ. ქრისტეშდე), მთვარის მოქცევას – 1 იანვრიდან (5508 წ. ქრისტეშდე). ამრიგად, 1 სექტ. და 1 ოქტ. შორის მოქცეული მზის რიცხვი ერთით უნდა შემცირებულიყო. ბიზანტიური წელთწადის მახასიათებელი რიცხვების (მთვარის მოქცევა, მზის მოქცევა, ინდიქტიონი და სხვ.) გამოსათვლელად საჭირო იყო, ქრისტეს შემდგომი წლისათვის დაგვემატებინა 5508 წელი – 1.IX-მდე და 5509 წელი – 1.IX შემდეგ.

წელთაღრიცხვისათვის გამოიყენებდა ოგრეთვე ინდიქტიონი – 15-წლიანი პერიოდი, შუალედური ერთეული წელიწადსა და საუკუნეს შორის. შემოღებული იყო იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ. ინდიქტიონთა თვლა იწყება ქრისტეშდე 3 წლით ადრე, ასე რომ, ინდიქტიონის წლის გამოსათვლელად საჭიროა ქრისტეს შემდგომ წლებს მივუმატოთ 3 და გაყოთ 15-ზე. განაყოფი მოგვცემს ციკლების (ინდიქტიონების) რიცხვს, ნაშთი კი – მიმდინარე ინდიქტიონის წელს. განასხვავებენ ინდიქტიონთა თვლის სამ სისტემას – ბიზანტიურს (იწყებოდა 1 სექტემბრიდან), იმპერატორთა (იწყებოდა 25 სექტემბრიდან) და რომის პაპთა (იწყებოდა 1 იანვრიდან).

პასქალიის (აღდგომისა და მასზე დამოკი-

დებული დღესასწაულების) საანგარიშოდ „დასაბამითგანი" წლები იყოფა დიდ ინდიქტიონად – 532-წლიან პერიოდებად, ყოველი 532 წლის შემდეგ მზის ციკლი (28 წელი) და მთვარის ციკლი (19 წელი) განვლილი პერიოდის შესაბამისად იცლება (28 X 19 = 532); პასექისა და სხვა მოძრაჟი დღეები იმავე რიცხვებში მოხვედება, როგორც 532 წლის წინათ იყო. პასქალიის საანგარიშოდ ადგენდნენ ინდიქტიონის ცხრილს. პირველ სამ სვეტში ათავსებდნენ წლებს: დასაბამითგან, ქრისტეს შემდეგ და მიმდინარე ინდიქტიონისას (15-წლიანი და 532-წლიანი ციკლისას, ცალ-ცალკე). შემდეგ სვეტებში თავსდება მზის მოქცევა, მთვარის მოქცევა, ხელთა, ჴედნადები და წლის სხვა მაჩვენებლები. ამ მაჩვენებელთა მიხედვით მეორე ცხრილში ეპოულობთ იმ თვესა და რიცხვებს, რომლებშიც მოხვდებიან პასექი და სხვა მოძრაჟი დღესასწაულები. პასქალიის საანგარიშო ცხრილები ერთვის სხვადასხვა კრებულებს (თვენი, ჟამნი და სხვ.), რამდენჯერმეა დაბეჭდილი საქართველოს ეკლესიის კალენდარში (1950-1970 წწ.). წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან შემოღებულია დიონისე მცირის მიერ. მან ერთმანეთს გაუთანაბრა დიოკლეტიანეს ერის 248 წელი და ქრისტეს შემდგომ 532 წელი. ოფიციალურ აქტებში ქრისტეს შემდგომი წელთაღრიცხვა გვხვდება 742 წლიდან, რომის პაპის აქტებში – X ს-დან. ეს ერა სამი უარიაციისა იყო: ზოგი გამოსავალ წერტილად იღებდა ქრისტეს დაბადებას, ზოგი – მის „ენებას, ჯუარცმასა და აღდგომას", ზოგი – „ამაღლებას". საქართველოში ეს ერა, აღმოსაელეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ადრე გვხვდება. პირველად ის გამოუყენებია იოანე საბანისძეს (VIII ს. გასულს), რომელმაც აბო ტფილელის მარტვილობის დასათარილებლად მიმართა „წელიწადსა ენებითგან და მკუდრეთით აღდგომით" მცხოვრისა. შემდეგ მას ეხვდავთ ადიშის ოთხთავის დათარიღებაში; ის გადაწერილი ყოფილა „შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსით ჩა წელსა". იოანე ზოსიმე (X ს.) ერთ შემთხვევაში ასახელებს „ჯუარცმას", მეორეჯერ – „ამაღლებას". „ამაღლებასე" იყენებს „მოქცეაჲ ქართლისაჲ" და ნინოს შატბერდულ-ჭელიშური „ცხოვრება". სხვადასხვანაირად განისაზღვრებოდა წლის დასაწყისიც: ა). 1 იანვარი – ესაა ახალი წელი იულიუსის კალენდრის მიხედვით. დს. ეროპაში ეს რიცხვი საბოლოოდ მხოლოდ XVI ს-ში. ბ) გაბატონდა. 1 მარტს ახალი წლის დასწყისად თვლიდნენ ქრისტიანები, რადგან მარტში ხდებოდა გაზაფხულის მთვარის პირველი აღსება. ყველაზე დიდხანს ეს რიცხი ახალი წლის ასათვლელად შენარჩუნებული იქნა ენეციაში (XVI ს. მიწურული). გ). 25 მარტი ან 25 დეკემბერი – უფლის მუცლადღების ან შობის დღე. ამ დღეს ზეიმობდნენ ახალ წელს ინგლისში XVIII ს. შუა ხანებამდე. დ). პასექის დღე – ახალწელის დღედ იყო მიჩნეული საფრანგეთში (XIII ს.), ე). 1 სექტემბერი – ბი-ზანტიის იმპერიაში (შემოღებულია იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ IV ს-ში).

საქართველოში წელთაღრიცხვისათვის გამოიყენებოდა სხვადასხვა „დასაბამითგანი". ეუსეი კესარიელის ერის (სამყაროს შექმნიდან ქრისტემდე – 5198 წ.) კეალს ადასტურებს ზოგიერთი ნუსხა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა (მაგ. A 873), სადაც აღნიშნულია, რომ სამყაროს შექმნიდან ქრისტემდე 5198 წელი უფრო ზუსტი აღრიცხვის შედეგია, ვიდრე ბერძნების 5508 წელი, რადგან ეს უკანასკნელი დამყარებულია აკეცილ სინოპელის მიერ 543 წელს დამახინჯებული ებრაული ბიბლიის ტექსტზე. ანდრონე 5492 და ანიანე 5500-წლიანი ერა გამოიყენებოდა ჩვენში X ს. დამლეგამდე, 5508-წლიანი ბიზანტიური ერის (VII ს.) გამოყენების კეალს ქართულ ძეგლებში XI ს. დამდეგამდე ვერ ეხვდებით. ყველაზე მეტად ცნობილია ჩვენში 5604 წლიანი წელთაღრიცხვა. ერა, რომელიც ქეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ითვლიდა, ქართველებს საკუთარ, ნაციონალურ ერად მიუწერეიათ. ძველად მიჩნეული იყო (ვახუშტი ბაგრატიონიდან მოყოლებული), რომ ეს ერა უკავშირდებოდა „დიდ ქრონიკონს" (780 წელს გასრულდა 12 ციკლი ქრონიკონისა, ე.ი. 532 X 12 = 6384 წ. ამრიგად, ქეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გასულა 6384 – 780 = 5604 წელი), კ. კეკელიძემ კი უჩვენა (ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 325-341), რომ ქართველთა 5604-წლიანი ერა მომდინარეობს ანდრია ბიზანტიელის (IV ს.) პასქალისტურ-ქრონოლოგიური სისტემიდან. 353 წლის მომდევნო წლებში ეს სისტემა სომხეთიდან გადასულა იბერიაში, რომელიც დაახლოებით იმავე წლებში ოფიციალურად გაქრისტიანდა. ანდრიას სისტემა დასაბამიდან ქრისტემდე ითვლიდა 5600 წელს, სომეხთაგან ეკლესიურად ჩამოშორების შემდეგ, გარკვეული მოსაზრებით, ქართველებს ამის ნაცვლად 5604 წელი მიუღიათ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ – მზის გარშემო დედამიწის გარშემოვლის პერიოდი. გრიგორიანული კალენდარი (შემოღებული იყო რომის პაპის, გრიგოლ XIII-ის მიერ 1582 წ.), რომელიც იულიუსის კალენდრის დასაზუსტებლად დადგინდა (იულიუს კეისრის კალენდარი შემოღებული იყო ძვ. წ. 46 წელს ალექსანდრიელი ასტრონომის, სოზიგენის შრომების მიხედვით), წელიწადში ითელის 365 დღეს. ასეთ წელიწადს ეწოდება მარტივი. ყოველი სამი მარტივი წლის შემდეგ არის ერთი ნაკიანი წელიწადი – 366 დღიანი. ყოველი წელიწადი შედგება 12 თვისაგან, რომელთაგან თითოეულში 30 ან 31 დღეა (თებერვლის გარდა, რომელიც მარტივ წელიწადში 28-დღიანია, ნაკიანში – 29 დღიანი). წელიწადის დღეთა რიცხვი ცნობილია ძველთაგანვე. ძველი ეგვიპტელები წელიწადში ითვლიდნენ 365 დღეს (წელიწადში იყო თორმეტი თვე, თითოეული 30-დღიანი. ამას ემატებოდა კიდევ 5 დღე). ინდოეთში წელიწადის ათვლას მუდამ ახალმთვარიდან იწყებდნენ, რაც იწვევდა დამატებით, მეცამეტე თვის წარმოშობას. წელიწადს მეცამეტე თვე ემატებოდა ქალდეურ (ასურულ-ბაბილონურ) კალენდარშიც (ძირითად 12 თვეთაგან თითოეული შეიცავდა 28, 29 ან 30 დღეს). ბიბლიური წელიწადი გამოითვლებოდა მთვარის მოქცევის მიხედვით, რადგან ღმერთმა „შექმნა მთვარე ჟამთათვის“ (ფს. 103,19). ეს გვირვებს მთვარის მოქცევაზე ებრაულ დღესასწაულთა – პასექისა და „კარავთაობის“ – დამოკიდებულებას (გამოსლ. 16,10; ლევიტ. 23, 34-44; გამოსლ. 23,16. მეორე სჯულისა 166, 13-15). ებრაული წელი შედგებოდა 12 თვისაგან: 1. ნისან, 2. ინიარ, 3. სივან, 4. თამუზ, 5. ავ, 6. ელულ, 7. თიშრი, 8. მარხეშვან, 9. ქისლევ, 10. შებეთ, 11. შებათ, 12. ადარ. ნაკიან წელიწადს ემატებოდა კიდევ ერთი თვე. როგორც მარტივი, ისე ნაკიანი წლები, იყო სამი სახისა:

1) საშუალო, როცა თორმეტივე თვე მთრიგებით შეიცავს 30 და 29 დღეს (ასეთ მარტივ წელიწადში იქნებოდა 354 დღე, ნაკიანში – 384 დღე).

2) ნამეტი, როცა ერთ-ერთ 29-დღიან თვეს ემატება ერთი დღე (მარტივი წელიწადი – 355 დღე, ნაკიანი – 385 დღე).

3) ნაკლული, როდესაც ერთ-ერთ 30-დღიან თვეს აკლდებოდა ერთი დღე (მარტივი წელიწადი – 353 დღე, ნაკიანი – 383 დღე).

ებრაული წლის ხანგრძლივობა (საშუალო იქნება, ნამეტი თუ ნაკლული) განისაზღვრებოდა იმ დღით, რომელსაც დაემთხვეოდა ტიშრისა და ნისანის თვის 1 რიცხვი. წლის ხანგრძლივობის ცვალებადობა საჭირო იყო იმისათვის, რათა პასექის დღესასწაული დამთხვეოდა 24 ნისანს. გამოთვლების გასაადვილებლად იხმარებდა 19-წლიანი ციკლი (მზის ციკლი). წლის დასაწყისი არაა ცნობილი. სწავლულთა ნაწილი თვლის, რომ ებრაული წელიწადი იწყებოდა 1 ნისანით, სხვა თვალსაზრისით კი – გაზაფხულის ერთ-ერთი თვით (გამოსლ. 12, ლევიტ. 23,24; რიცხვთა 9,11), რომელიც შეესაბამებოდა ჩვენი მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისს, ან თამუზის თვით (შემოგვრჩა, სექტემბრის მეორე ნახევარი და ოქტომბრის დასაწყისი. იხ. ლევიტ. 25,9; გამოსლ. 23,10).

საკლესიო წელიწადი იწყება 1 სექტემბრიდან. ეს რიცხვი დაადგინა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მაქსენტიზე გამარჯვების აღსანიშნავად.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, საეკლესიო-ეორტოლოგიური წელიწადი X ს-მდე შედგებოდა ცხრა პერიოდისაგან (იხ. „ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი“, ეტიუდები, ტ. I, გვ. 125-132):

1. პირველი პერიოდი იწყებოდა შობის წინა დღესასწაულით, რომელიც 21 დეკემბერს ემთხვეოდა. ეს პერიოდი შეიცავდა შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს და თავდებოდა ნათლისღების მომდევნო რვა დღით, 13 იანვარს (უძველეს ხანაში, შობა და ნათლისღება ჩვენშიც, მსგავსად აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებისა, ერთად – 6 იანვარს სრულდებოდა).

2. ნათლისღების მომდევნო კვირები 14 იანვრიდან მეზუერისა და ფარისეელის კვირამდე. როდესაც აღდგომა 25 აპრილსაა, ეს პერიოდი მაქსიმალურია, შეიცავს 31 დღეს (დამრგვალებით – 5 კვირას. ამიტომაა, რომ „იერუსალიმის განჩინება“ აღნიშნავს 1, 2, 3, 4 და 5 კვირიაკეს განცხადების შემდეგ). როდესაც აღდგომა 22, 23 და 24 მარტსაა, ეს პერიოდი სრულიად იკარგება, რადგანაც ამ შემთხვევაში მეზუერისა და ფარისეელის კვირა მოდის 11, 12 და 13 იანვარს.

3. დიდმარხვის მოსამზადებელი სამი შეიდეული, რომელიც იწყება მეზუერისა და ფარისეელის კვირიდან უძღები შვილის კვირამდე, ხორცისელისა და ყველობის აკრძალვამდე. ის გრძელდება 14 თებერვლიდან 7 მარტამდე (ყველაზე გვიან დაწყების შემთხვევაში), ან 11 იანვრიდან 1 თებერვლამდე.

4. დიდმარხვის პერიოდი შედგება 7 კვირისაგან (49 დღე).

5. პასექის, ანუ ზატიკის პერიოდი, აღდგომიდან მარტვილიამდე (სული წმიდის მოსვლამდე). გრძელდება 7 კვირას (49 დღე). აღდგომის აღსანიშნავად იხმარებოდა მეორე სახელიც – აღსება.

6. მარტვილიდან ათენაგენობამდე („ათენაგობამდე") – 7 კვირა (49 დღე).

7. ათენაგენობიდან „ენკენის თვემდე", 13 სექტემბრამდე. ამ პერიოდის ხანგრძლივობა აღდგომაზეა დამოკიდებული. მაქსიმალურია 77 დღე (11 კვირა), მინიმალური – 42 დღე (6 კვირა). როდესაც ეს პერიოდი 11-კვირიანია, ორ ნაწილად იყოფა: შვიდი კვირის და ოთხი კვირის პერიოდად.

8. 9 ენკენიდან 21 დეკემბრამდე, შეიცავს 14 კვირას. თუ გავითვალისწინებთ გაბატონებულ შეიდკვირიან სისტემას, უძველეს დროში, ალბათ, ეს პერიოდიც ორად იყოფოდა (შვიდ-შვიდი კვირა): 13 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე და 2 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე.

9. შეიდკვირიან პერიოდებად დაყოფა საეკლესიო წელიწადისა უნდა იყოს უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა, რომლის კვალი დარჩენილია სპარსეთის ქრისტიანების (ნესტორიანთა) კალენდარში.

თანამედროვე საეკლესიო წელიწადში შემორჩენილია თითქმის ყველა ზემოაღნიშნული პერიოდი; განსაკუთრებით მყარად – დიდმარხვის, ზატიკის, შობა-ნათლისღებისა და დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდები. (ჯ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიუდები, I, გვ. 125-173).

ᲬᲘᲠᲐᲥᲕᲘ – სოფელი მარნეულის რაიონში, მდ. შულავერის ხეობაში, მარნეულიდან 40 კმ. სოფლის მახლობლად, ძველ ნასოფლართან („ქვემო წირაქთან") კლდევან ფერდობზე დგას სამონასტრო ანსამბლი, რომლის მთავარი ნაგებობაა XIII ს. მნიშვნელოვანი ძველი – ღვთისმშობლის ტაძარი – ორნავიანი ბაზილიკა, ფასადები შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით. სამხრეთ მხარეს მიშენებული აქვს სტოა. ნაგებობა ძირითადად სუბსტრუქციაზე დგას. მთავარი ტაძრის გარდა სამონასტრო კომპლექსს ეკუთვნის დარბაზული ეკლესია (შუა საუკუნეები), სახლე (ნანგრევები) და სხვა ნაგებობანი. გალავანი და მისი მთავარი შესასვლელი (კვადრატული გეგმის მქონე თაღოვანი ნაგებობა) ძლიერ დაზიანებულია. წირაქის მახლობლად მდებარეობს გორულის ნასოფლარი (ღვთისმშობლის ტაძრით და მეორე დარბაზული ტაძრით, ორიენე XVI ს. შუახანები), კვირაცხოველის ეკლესია (გვიანი შუა საუკ.) გორაკზე და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები.

ᲬᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ – სოფელი მცხეთის რაიონში, შუხრანის ველზე, მცხეთიდან 8 კმ. აქ შემორჩენილია XI ს. სამების დარბაზული ეკლესია. შემოსილია თლილი ქვის პერანგით, ფასადები შემკულია ჩუქურთმებითა და ლილეებით. ჩუქურთმიანი კანკელი დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში. წეროვანის მიდამოებში არის IX-X სს. კეხოჯარის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (ნანგრევები).

ᲬᲔᲡᲘ – საეკლესიო წესი, განგება, განწესება, განწინება, აკოლუთია. ასე ეწოდება სხვადასხვა სახის ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული, დაკანონებული რიტუალების, საგალობლებისა და საკითხავების სისტემას. „წესი უწოდიან ჩვეულებასა, განმტკიცებულსა და მდგომარესა" (სულხან-საბა). არსებობს წესები საზოგადო ღვთისმსახურებისა (ლიტურგია, მწუხრი, ცისკარი, ჟამნობა და სხვ.) და კერძო ღვთისმსახურებისა (ესაა მორწმუნეთა შეკეთით შესასრულებელი ღვთისმსახურება: ქრისტიანული ნათლობა, ჯვრისწერა, მიცვალებულის დაკრძალვა და სხვ.). საზოგადო ღვთისმსახურების წესები თავმოყრილია სხვადასხვა სახის განწინებებში, სვინაქსარებსა და ტიპიკონებში, შესაბამისი საგალობლები და საკითხავები კი – მრავალრიცხოვან ლიტურგიკულ კრებულებში (იადგარები, თვენი, საღღესასწაულო, ოქტოიხოსი, მარხვანი, ზატიკი და სხვ.).

კერძო ღვთისმსახურებანი (საეკლესიო წესები) ძირითადად თავმოყრილია სხვადასხვა სახის კურთხევანებში, აგრეთვე სამღვდელმთავრო კონდაკში და კონდაკ-კურთხევანში. სპატრიარქო კურთხევანში მოთავსებულია ის საეკლესიო წესები, რომლებიც მხოლოდ პატრიარქთა მოვალეობაში შედის. ესენია: წესი და კურთხევა წმიდისა მირონისა წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა, წესი მეფედ კურთხევისა, წესი ერისთაფისა და „ცოტაას ერისთაფის" კურთხევისა.

სამღვდელმთავრო კურთხევანში, რომელიც ძირითადად სამღვდელმთავრო კონდაკს ერთვის, მოთავსებულია ის წესები, რომელთა შესრულების უფლება აქვთ მხოლოდ მღვდელმთავრებს. ესენია: ხელდასხმის წესი (დიაკვნის, მღვდლის, იღუმენის, არქიმანდრიტის, დეკანოზის), წესი ეკლესიის კურთხევისა (სატფურებისა), წესი

ეკლესიის საფუძვლის დადებისა („შეწირვა საფუძვლისა, რომელსა უკუე ენების აღშენებაჲ ტაძრისა“), წესი ტრაპეზის საკურთხევის გამოცვლისა, წესი ტრაპეზის გარეცხვისა („სრულდება წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა“) წესი შერჩეულის ტრაპეზისა („წესი, რომელი აღსრულების შეძრვისათჳს წმიდისა ტრაპეზისა“. ესაა ტრაპეზის გამაგრების, ენკენის, განახლების, დამტკიცების წესი. სრულდება წირვის დაწყების წინ, წირვის შემდეგ კი ტარდება ლიტანიობა – საზეიმო გარშემოსვლა ტაძრისა), წესი ჯვრის შექმნისა (იგულისხმება ის ჯვარი, რომელსაც დგამდნენ ახლად ასაშენებელი ტაძრის ტრაპეზთან. მღვდელმთავარი, რომლის სამწყსოშიც უნდა აშენებულიყო ტაძარი, წაიღებდა ჯვარს და კურთხებდა ტაძრის საფუძველს), წესი ფუძთა ბანისა და სხვ.

სამღვდელო კურთხევანში მოცემულია შემდეგი წესები: ნათლისღება, სნეულის ზეთის კურთხევა, მცირე აიაზმის კურთხევა, წესი წინდობისა და გვირგვინობისა (წინდობის დროს ხდება შესაულებელი ქალ-ვაჟის დაწინდვა ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებით, გვირგვინობის დროს კი – ქორწინება), წესი მეორე ქორწინებისა, კურთხევა მცირე სქემისა (ბერად და მონაზნად აღკეცა; ამ წესის შესრულების უფლება ხუცესთაგან აქვთ: მღვდელმონაზვნებს, იღუმენებს და არქიმანდრიტებს, ისიც მღვდელმთავრის საგანგებო კურთხევით), წესი და განგება დიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა (დიდი სქემა გულისხმობს აღკეცას მონაზვნობის მაღალ საფეხურზე. ეს წესი, თავისი ლოცვებითა და საკითხავებით, შედგენილია ბასილი კესარიელის მიერ), წესი და განგება პანაშვიდისა, წესი მიცვალებულისა (დაკრძალვისა) არსებობს რამდენიმე სახისა: I. „წესი ერისკაცსა ზედა მიცვალებულსა„ – სრულდება მიცვალებულ ერისკაცთა სულის საოხად, დაკრძალვის დღეს. ამ წესს ხალხურად ეწოდება „ანდერძი“, „ანდერძის აგება“, „წესის აგება“. თითოეული მიცვალებულისათვის წესის აგება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთხელ. განმეორება ხდება იმ შემთხვევაში, როცა მიცვალებულს ერთი სფლაჲდან მეორეში გადასვენებენ. 2. „წესი მღვდელსა ზედა მიცვალებულსა“; ეს წესი საროოა როგორც საერო, ისე საბერო სამღვდელოებისათვის. იგივე წესი სრულდება მღვდელმთავართა და მამამთავართა დაკრძალვის დროსაც. დიაკვნებისათვის, თუ ისინი ბერად არ არიან აღკეცილი, სრულდება „წესი ერისკაცსა ზედა“, ხოლო თუ ბერად აღკეცილნი არიან – „წესი მონაზონსა ზედა“. 3. „წესი მონაზონსა ზედა“. ესაა ანდერძის წესი მიცვალებულ მონაზონათვის. თუ ბერი მღვდლადაც ეკურთხება, ე.ი. მღვდელმონაზონი, იღუმენი ან არქიმანდრიტი გახდება, მისთვის შესრულდება წესი „მღვდელსა ზედა“. 4. „წესი ჩჩვილსა ზედა აღსრულებულსა“. ეს წესი სრულდება, როცა გარდაიცვლება მონათლული ჩვილი, ყრმა. მოუნათლავსა და განზრახვით თვითმკვლელზე არაიეთარი წესი არ სრულდება. 5. „წესი პასექსა შინა მიცვალებულსა ზედა“. ეს წესი სრულდება აღდგომის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში – ბრწყინვალე შვიდეულში და საერთოა ერისკაცთათვის, მღვდელთათვის, მონაზონთა და ჩვილთათვის, იგი შეიცავს მხოლოდ რამდენიმეს მიცვალებულთა ჩვეულებრივი საგალობლებიდან, დანარჩენი კი საალდგომო, საზეიმო საგალობლებია. ეს დაწესებულია „დიდებისათჳს და პატიჳსა დიდისა დღესასწაულისა აღდგომისა, რამეთუ განცხრომისა და სიხარულისა დღესასწაული არს, და არა მწუხარებისა. ამისათჳს, რომელ, ყოველნი აღდგომითა ქრისტესითა ესასრებთ აღდგომასა და ცხორებასა საუკუნოსა მკვდართასა, და კაცად აღდგომითაე ქრისტესითა ესასრებთ და მოველით მწუხარებისაგან სოფლისა ამის, სიხარულად და შეძად გარდაცვალებასა, ამისთჳს აღდგომისა გალობასა გვამცნებს ეკლესია“ (იხ. კურთხევანი); „წესი, თუ ვითარ ჯერ არს მოხსენება სულისა მიცვალებულისა, წესი, თუ ვითარ ჯერ არს აღწერით შეწევნება წმიდად ღმრთისა ეკლესიად მომაელთა მიერ მანიქეელთა წვალებისაგან; წესი, ვითარ ჯერ-არს შეწყნარება მწუალებელსა მართლმადიდებლობითსა სარწმუნოებასა შინა“. მწუალებლთა ხელახლა მონათლა არ ხდება, თუ ისინი წმ. სამების სახელით არიან ნათელღებულნი, მხოლოდ მირონი ეცხებათ გარკვეული წესით. ამას მოსდევს მღვდელსა და მირონცხებადს შორის კითხვა-მიგება, რომლითაც დამტკიცდება მისი მრწამსი. ბოლოს მოხდება მირონცხება. თუ რომელიმე მწუალებელი ნათელღებულა არა წმ. სამების სახელით, არამედ რაიმე სხვა სახით, ისინი შეიწყნარებიან, როგორც წარმართნი (იუდეანნი, სარაკინონი ანუ მამმადიანნი), ე. ი. თავისი ცრუ სჯულის განქიცხებით და სრული ნათლისღებით. „წესი, თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარება იუდეანთა მართლმადიდებლობითსა სარწმუნოებასა შინა, წესი მოქცევასა ზედა სარაკინოსთასა, რომელ არიან მახმედიანნი“ (რომე-

საც მამადიანს სურს ცრუ სჯულის დატოვება და ქრისტიანობის აღიარება, უნდა იმარხულოს ორ კვირას, ისწავლოს „მამაო ჩვენო“ და მრწამსი“, შეაჩვენოს და უარყოს მამადის სჯული და მოინათლოს, როგორც ყველა ნათელღებდა; „წესი, რომელი აღსრულების ყანასა, ვენახსა და ბოსტანსა ზედა“ (როცა მათ აზიანებენ ფრინველები, პირუტყვნი, ქვეწარმავალნი, მწერები და მღრღნელები); „წესი, უკეთუ არაწმიდა რაიმე შთავარდეს ჭურჭელსა ღვინისა, თაფლისა და ზეთისასა, ანუ სხვასა რასამე შინა“; კურთხევა სხვადასხვა ნივთისა, საზრდელისა (საკვებისა) და ადამიანთა ურთიერთობისა (წესი შვილობილობისა, ურთიერთას დაგებისა ანუ შერიგებისა და ა. შ.). გარდა აღნიშნულისა, ზოგჯერ კურთხევანში შეაქვთ საზოგადო მნიშვნელობის საეკლესიო წესებიც: წესი პანაგიისა (იხ. პანაშია), წესი სულიწმიდის მოსვლისა (შუხლმოდრეკის ლოცვები), წესი ფერხთბანისა (დიდ ხუთშაბათს) და სხვ. (თითოეული წესის ტექსტი იხ. „დიდნი კურთხევანი“, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბილისი, 2002)

„ᲬᲔᲡᲘ, ᲗᲣ ᲕᲘᲗᲐᲠ ᲮᲔᲠ ᲐᲠᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲓ ᲒᲘᲜᲐ ᲛᲐᲠᲢᲝᲓᲛᲧᲝᲤᲘᲡᲐᲓ“ – ასკეტიკური სასიათის თხზულება ეფთვიმე მთაწმიდელისა, რომელიც მას დაუწერია ბერძნულ ენაზე ბერძნი მოწაფისათვის და შემდეგ კი ქართულად უთარგმნიათ. შედგება სამი ნაწილისაგან: ქცევის წესები დაუდებულისა, ლოცვა და საზრდელისათვის. ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერში A 1101 (1047 წ.).

ᲬᲔᲚᲔᲑᲐ (ძვ. „ცანწეალება“ – წვრილ ნაწილებად გაყოფა) – მწვალებლობა, ერესი, სჯულისაგან განდგომა, გამყოფა, განცალკევება, (იხ. მწვალებლობა).

„ᲬᲔᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ“ – ეპიფანე კვიპრელის დოგმატიკური თხზულება, რომელიც საფუძვლად დაედო იოანე დამასკელის წიგნის – „წყარო ცოდნისა“ მეორე ნაწილს – „წვალებათათჳს“. ქართულ ენაზე თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის (XI ს.) მიერ; ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A 205, 287-298; A 64, 91-98.

ᲬᲕᲘᲠᲘ – მონაზონთა და სამღვდელო პირთა გარეგნობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნიშანი. წვერი ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა აღმოსავლეთის ხალხთა (განსაკუთრებით ებრაელთა) შორის. ამიტომ ძველ ალთქმაში წვერის გაპარსვა, ანდა მისი მოუელელობა იყო ნიშანი გლოვისა და დიდი მწუხარებისა (გამოსლ. 15,2; იერემია 41,5; 48,37; I ეზდრა 9,3). მღვდელმსახურთათვის წვერის ტარება აუცილებელ ვალდებულებად არ ყოფილა დაკანონებული. რასკოლნიკებმა კი იგი საყოველთაო ვალდებულებად გამოაცხადეს (როგორც სამღვდელოთათვის, ისე ერისკაცთათვის). წვერის გაპარსვა მათ ღვთის ხატის დაკარგვად მიიჩნიეს. ისინი მართლმადიდებლებს კიცხავდნენ წვერის გაპარსვისათვის. მართლმადიდებლებმა ამ მოსაზრებას დაუპირისპირეს ის, რომ წვერის გაპარსვა კეთილმორწმუნეთა შორის უძველესი დროიდან იყო მიღებული: წვერს იპარსავდნენ მართლმადიდებელი იმპერატორები: მავრიკი (VI ს.), ჰერაკლე (VII ს.), თეოდოსი დიდი (V ს.), უწერწულნი იყვნენ დიდი მოწამენი: გიორგი და დიმიტრი. წვერის გაპარსვა ეკლესიის მიერ კურთხეულიც იყო: IX ს. ბერძნულ კურთხევანებში შეუტანიათ სავანგებო წესი ყმაწვილთა პირველი გაპარსვისა.

„ᲬᲕᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“ – ამ სახელწოდებითაა ცნობილი საქართველოში რამდენიმე ეკლესია: დმანისის რაიონის სოფ. კაკლიანის მიდამოებში (შუა საუკუნეები), თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წვერის მიდამოებში (XIX ს.), ამბროლაურის რაიონის სოფ. ეკლესიის მიდამოებში (შუა საუკუნეები) და სხვა. ისინი, როგორც წესი, აგებულია მაღალი მთების კლდოვან მწვერვალებზე.

„ᲬᲕᲔᲠᲝᲚᲐᲑᲐᲚᲘ“ – განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია ჭერემის ნაქალაქარში (გურჯაანის რაიონი; იხ. ჭერემი).

ᲬᲕᲔᲠᲬᲡᲐᲜᲔᲗᲘ – მაღალი მთა ცხინვალის რაიონის სოფ. ანდრიეთთან, მდინარეების – მეკუდისა და რეხულის (ლეხურის) წყალგამყოფზე. იგი კარგად მოჩანს უკვე სოფ. მეკერისხევიდან. მთის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე შემორჩენილია VIII-IX სს. ეკლესია, ამჟამად ძლიერ დაზიანებული. აქ იმართება ხალხური საეკლესიო ღღესასწაული – უსანთობა (სულიწმიდის მოფენის პირველსა და მეორე ღღეს). ეს ღღესასწაული იმართება სოფ. მეკერისხევშიც.

ᲬᲕᲘᲠᲛᲘ – სოფელი ზემო სვანეთში, მესხიდან 10 კმ. სოფელში შემორჩენილია მცხოვრის ეკლესია. მოხატულია XI ს. დასრულისა და XII ს. დასაწყისის ქართველი მხატვრის – თეოდორე მიერ (იხ. თეოდორე „მეფის მხატვარი“). წეორჩშია აგრეთვე XII-XIII სს. წმ. ბარბარეს ეკლესია და VIII-IX სს. მთავარ-

ანგელოზის ეკლესია, აქვე დაცული მაცხოვრის შესანიშნავი ხატი XIII საუკუნისა (ზომები: 40,5X30,5 სმ.).

„ᲕᲘᲐᲚᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲡᲘ" – მამა აბრაამის კალთა (უბე), ხატოვანი გამოთქმა, რომელიც აღნიშნავდა განსვენებისა და ნეტარების ადგილს მართალთათვის სიკვდილის შემდეგ. ეს გამოთქმა ებრაელთა შორის იყო გავრცელებული მაცხოვრის დროს. მაცხოვარმა ისარგებლა ამ გამოთქმით იგავში მდიდრისა და ლაზარეს შესახებ (ლუკა 16,19-31). ადრექრისტიანულ ხელოვნებაში გახდება რეალისტური გამოსახვა ამ ხატოვანი გამოთქმისა: წმინდანები გამოსახულნი არიან აბრაამის წიაღში.

„ᲕᲘᲒᲜᲝ ᲨᲝᲰᲘᲡᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ" – გენეალოგია იესო ქრისტესი, რომელიც მოცემულია მათეს სახარების დასწყისში (მათე 1, 1-17), გაყოფილია სამ პერიოდად. თითოეული მათგანი წარმოდგენილია დავითის შთამომაელის, ქალწულ მარიამის დამწინდველის - იოსების 14 წინაპრის სახით (შდრ. ლუკა 3, 23-38). „შობის წიგნი" სქემატური ფორმისაა და არ ამოწურავს იესო ქრისტეს წინაპართა ყველა თაობას. მათე მახარებელის მიზანია, აჩვენოს, რომ რჩეული ერის ისტორიას, აბრაამიდან დაწყებულს, მიეყვეართ ქრისტესთან, აღთქმულ მაცხოვართან.

„ᲕᲘᲒᲜᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ" – საღთო წერილში იხმარება საუკუნო ცხოვრების სიმბოლოდ (ფილიპ. 4,3; გამოცხადება 3,5; 13,8; 17,8; 20, 12, 15; 21, 27).

ᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ – დიდი პარასკევის (აღდგომის წინა პარასკევის) ხალხური სახელწოდება. ასეთი სახელი შეერქვა იმიტომ, რომ ამ დღეს მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავისი წმინდა და პატიოსანი სისხლი დაანთხია კაცობრიობის ხსნისა და ცხონებისათვის. მაცხოვრის ვნების შესახებ მოთხრობილია სახარებაში (მათე 27; მარკოზი 15; ლუკა 23; იოანე 18, 28-40; 19).

პარასკევს დილით მღვდელმთავრებმა პურიასტანის მმართველ პონტოელ პილატესთან წარადგინეს იესო ქრისტე. პილატე კარგახანს ცდილობდა ხალხის რისხვა აეცილებინა იესოსათვის, რადგან მასში ვერაფითარ ბრალს ვერ პოულობდა, მაგრამ ბოლოს მღვდელმთავრებმა ხერხი იხმარეს: იესოს დასწამეს – კეისრის მტერია, რადგან ურიათა მეფედ აცხადებს თავის თავს, ამით კი კეისრის ძალაუფლებას შეურაცხყოფსო. მღვდელმთავრებისაგან აღელვებულ ხალხზე ვერც იესოს წამებამ იმოქმედა, ვერც იმან, რომ პილატემ შესთავაზა, თქვენი ღღესასწაულის (პასექის) პატივსაცემად რომელიმე სიკვდილმისჯილს გავანთავისუფლებო. პილატემ ხალხს მისცა არჩევანი, უღანაშაულო იესო გავანთავისუფლო, თუ ავაზაკი ბარაბაო. გონებადაბნელებულმა ხალხმა ერთხმად მოითხოვა ბარაბას განთავისუფლება, იესო კი ჯვარს აცვეს. ასე გასწირეს უგუნურებმა თავისი მხსნელი და მაცხოვარი, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ (იხ. ბზობა, შესვლა იერუსალიმში) ზეიმით შეხვდნენ იერუსალიმში. ჯალათებმა იესოს ეკლის გვირგვინი დაადგეს, ჯვარი აკიდეს, ნაცემ-ნატანჯს გოლგოთაზე ატანინეს და ზედ აცვეს ორ ავაზაკთან ერთად. საღამოჟამს (მე-9 ჟამზე) იესო ქრისტემ სული განუტევა. იმავე საღამოს იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა (ქრისტეს საიდუმლო მოწაფეებმა) ჯოჯოხეთწინდა ღვთისმშობლთან, იოანე ღვთისმეტყველთან და მენელსაცხებელე დედებთან ერთად ჯვრიდან გადმოხსნეს პატოსანი გვამი, შემურეს და დაკრძალეს (იხ. გარდამოხსნა).

ᲕᲘᲗᲔᲚᲡᲝᲤᲔᲚᲘ (ძვ. სახელწოდება – ხატისოფელი) – სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ბოლნისისწყლის მარჯვ. ნაპირზე, რაიონის ცენტრიდან 7 კმ. აქ, სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიის კედელში ჩაშენებული აღმოჩნდა სტელა, რომლის ლაპიდარული წარწერა IX ს-ს მიეკუთვნება. წარწერა იუწყება ჯვრის აღმართვას რომელიღაც მამასახლისის (მონასტრის წინამძღვრის) სულის მოსახსენებლად. წარწერიანი ქვა ამჟამად დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

„ᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲓᲐᲠᲘ" – ასე ეწოდება რამდენიმე ეკლესიას საქართველოში (დმანისის რაიონის სოფ. ფიზილქილისას მდგომებში, დაბა დმანისში, კასპის რაიონის სოფ. იგოეთის განაპირას და სხვ.).

ᲕᲘᲗᲔᲚᲮᲔᲕᲘ – სოფელი ბაღდადის რაიონში, მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაიაკოვსკიდან 3 კმ. სოფლის მიდამოებში (ადგ. ვანგანი) დგას X ს. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი – ამაღლების ეკლესია (შემორჩენილია მოხატულობის კვალი და კანკელი). თვით სოფელში კი – „დევაძეების ეკლესია" (აგებულია X-XI სს., გადაკეთებული და მოხატულია გვიანდელ შუა საუკუნეებში).

„ᲕᲘᲚᲗᲒᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ" – სამკითხაო წიგნი, რომელიც ეკლესიის შსახურთა გარკვეულ წრეში მიღებული ყოფილა. ამ წიგნ-

ის თანახმად, წილის ყრის წესი თითქოს ქრისტეს ამ ქვეყნად ყოფნის დროს, თვით ქრისტეს თანდასწრებით იქნა დანერგილი: თაეისი ენების წინაღელთ ქრისტემ განუცხადა თორმეტ მოწაფეს: ერთი თქვენგანი გამცემს მე. რაკი ქრისტეს გამცემლობა გარდაუვალად უნდა აღსრულებულიყო, ქრისტეს მოწაფეებმა თითქოს წილისყრის საშუალებით გადაწყვიტეს — ვის უნდა რგებოდა საყვარელი მოძღვრის გაცემის შემაძრწუნებელი ხვედრი. ან, ამ წილისყრის შედეგად „აღმოხდა წილი“ იუდა ისკარიოტელისათვის. გამოდის, რომ იუდა ისკარიოტელი იძულებით, წილისყრის შედეგად გამხდარა გამცემი და არა ვერცხლისმოყვარეობისა და ანგარების გამო. თორმეტ მოწაფეთაგან ერთ-ერთის მიერ ქრისტეს გაცემისათვის წილთგდების აქტის შესრულების პრეცენდენტი ეკლესიის ზოგიერთ მოღვაწეს მკითხაობის წესის დაკანონებად აღუქვამს. საკითხავად მოსული პირი უნდა გამოცხადებულიყო ღრმა რწმენით, დაკურებულად, წმინდა გულით და მოკრძალებით. ეკლესიის მსახური „წილთგდებით“ შეხედრილი „უწყების“ ტექსტს წაუკითხავდა და განუმარტავდა. წილთგდების სახარება ქართულ ენაზე შენახულია XIII ს. ერთ ხელნაწერში, რომელიც თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული (S 110). გამოცემულია ქრ. შარაშიძის მიერ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XIII-XV სს. 1982წ.).

ᲕᲘᲚᲘ, ᲕᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ — ღვთის ნების გამოცხადების ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც მორწმუნენი იყენებდნენ საღვთო ისტორიის სხვადასხვა მომენტში. ებრაელთა შორის წილი იყრებოდა ხოლმე უმთავრესი და საკამათო საკითხების გადაწყვეტისას, მაგალითად ისრაელის 12 ტომს შორის აღთქმული მიწის განაწილება ხდებოდა წილისყრით (რიცხვთა 26, 55; 33,54; ისუ ნავეი 13,6, 14 და სხვ.). წილისყრით შეიწირებოდა მსხვერპლი განსაწმედელი „შრგულიად“ დასაწვავი ვაცის სახით (ლევიტ. 16, 8). წილისყრით პოულობდნენ დამნაშავე პირთ (იონ. 1,7). წილისყრით იყო არჩეული ისრაელის პირველი მეფე საული (I მეფ. 10,19). წილისყრა მოხსენებულია ახალ აღთქმაშიც. მაგ.: იუდა ისკარიოტელის ადგილას წილისყრით იყო არჩეული მოციქული მატათა (საქმენი 1, 15-26). მოციქულთა საქადაგებლად წასვლის წინაც, გადმოცემის თანახმად, წილი ჰყარეს, რომელ მოციქულს რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა ქრისტიანობა. ქრისტიანული ეკლესია, მოციქულთა მაგალითით, საგანგებო შემთხვევებში წილისყრას მიმართავდა, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენის ამ ხერხს სიფრთხილით ეკიდებოდნენ. დასავლეთის ეკლესიაში რამდენჯერმე მიღებული იყო წილისყრის აკრძალვის დადგენილება.

ᲕᲘᲚᲙᲐᲜᲘ — სოფელი შიდა ქართლში, მცხეთის რ-ნში, საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისთან, დუშეთიდან 15 კმ. აქ ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი — ძველი საეპისკოპოსო კათედრალია შემონახული. გუმბათიანი ეკლესია პირველად VII ს-შია აგებული, შემდგომ მრავალჯერაა გადაკეთებული. წილკანში ქრისტიანული ეკლესიის აგების ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველსაეე წლებში ჰქონდა ადგილი.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ წოხენში წმ. ნინოს ქალაგებას თაეიდან შედეგი არ მოპყოლია, ამიტომ ერისთაეებმა ძალა იხმარეს და შემუსრეს წარმართული ცრკეები.

ქართული ისტორიოგრაფიით, წილკნის ტაძარი IV საუკუნეში აუგიათ. მალე ის საეპისკოპოსო კათედრალად ქცეულა. 506 წლის დეინის საეკლესიო კრებას სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად წილკნელი ეპისკოპოსიც დასწრებია (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I, გვ. 300).

VI ს. II ნახეეარში წილკნის ეპარქიას განაგებდა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე და თანამოღვაწე ისე. მისი ცხოვრება აღუწერია კათოლიკოს ბესარიონ ორბელიშეილს („დაბრუნებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკანელ ეპისკოპოსისა და საკვირველთმოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარით მოიწინეს“ (იხ. S 300; S 3269; A 170, H 40, H 1672, H 2854. გამოც.: ძეგლები, V, გვ. 79-95). ცნობილია ისე წილკნელის სვინაქსარული საკითხაეიც (H 2077, H 2121; ძეგლები IV, გე. 400-403). აღნიშნულ თხზულებებში აღწერილია ისე წილკნელის თაედადებული სამოსიონერო მოღვაწეობა აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში. ვრცლადაა საუბარი ისე წილკნელის ცხოვრებისა და სასწაულთმოქმედების შესახებ შეოსა და ეეაგრეს „ცხოვრების“ ძეელ (Xს.) რედაქციაშიც (ძეგლები, I, გვ. 221-224).

ისე წილკნელის მიერ განმტკიცებული კათედრალი შემდეგში კიდევ უფრო ძლიერება და ქართლის ეკლესიაში საკმაო ჰატივს იშსურებს. წილკნელი იერარქიულად მე-19 ადგილზე იდგა სხვა მღვდელმთავართა შორის. წილკნის კათედრალს უხვად ასაჩუქრებდნენ შეწირულობებით

ქართველი მეფეები და დიდებულები. XIX ს. დამდეგს წილკნელის სამწყსო კლავე დიდი და ძლიერი იყო, მაგრამ სხვა ქართულ ეპარქიებთან ერთად ისიც მალე (1811 წელს) გაუქმდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით.

წილკანში ლიტერატურული საქმიანობა ადრევე გაჩაღებულა. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მოღვაწე წილკნის ლიტერატურულ-შეგნობრული კერიდან: ეფრემ წილკნელი (XI ს. მოღვაწე) – მოხსენებულია იაკობის ჟამისწერის ცნობილი ხელნაწერის (A 86) მინაწერში. ბასილი წილკნელი (XVI ს.) – გადამწერი. იოსებ სამებელი (იხ. თ. ჟორდანია, „მთაუარესკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII ს“. „ივერია“, 1884, II, გვ. 35, 37). ქრისტეფორე წილკნელი (XVIII ს.) (იხ. H 2135). არსენი წილკნელი (XVIII ს.). ამბროსი წილკნელი, მიქაძე (1777-1778). იოანე ონისიფორეს ძე ქარუმიძე (XVIII-XIX სს მიჯნაზე), წილკნელი ეპისკოპოსი.

წილკნის ტაძარს ჰქონია საყურადღებო წიგნთსაცავი, რომელიც მდიდრდებოდა შეწირულობებით. შემწირველთაგან ცნობილია ამბროსი წილკნელი (მიქაძე), დომენტი კათოლიკოსი, გერვასი მაჭაკარიანი და სხვანი. წილკნიდანაა A 4; A 973; A 1380; A 1553; Q 662; Q 727; Q 808 და სხვ. ხელნაწერები. წილკნიდანაა IX ს. შესანიშნავი ხატი – ღვთისმშობელი ყრმითა და მთაუარანგელოზებით. შესრულებულია ენკაუსტიკის ტექნიკით – ცვილოვანი ტემპერით (გამოსახულებათა სახეები, ხელები, ქრისტეს ფეხები) და ჩვეულებრივი ტემპერით (თმები, ტანსაცმელი, ფონი და წარწერა). ზომები: 60X40 სმ. წილკნის ღვთისმშობელი დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში.

ᲬᲘᲚᲙᲜᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐ – საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ეპარქია. ტერიტორიულად იგი მოიცავდა მთელ არაგვის ხეობას. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ნუსხაში (X ს.) აღნიშნულია, რომ წმ. ნინო „დადგა წობენს და მოუწოდა მთიულთა, ჭართალელთა, და ფხოელთა და წილკანელთა და უკადაგა სარწმუნოება ქრისტესი“. მთიულეთში უქადაგია ისე წილკანელსაც. მეცნიერთა თვალსაზრისით, წილკანი ძველად ხადის ხეობას რქმევია (მდ. ხადა მთიულეთის არაგვის მარცხენა შენაკადია). არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვით სახელწოდება წილკანი „ციკარასაგან“ წარმოიშვა, ციკარას კი ხადის ხეობის სოფელ წკერესთან ათვლიან. მერე თვალსაზრისით, „წილკანი“ არის „წინკარის“ სახეცვლილი ფორმა. დღეისათვის წილკანი ეწოდება მცხეთის რაიონის ერთ სოფელს, რომელიც მდებარეობს მუხრანის ველზე. სოფლის ცენტრში აღმართულია ღვთისმშობლის დიდი გუმბათოვანი საკათედრო ტაძარი, რომელსაც გარს არტყია მაღალი გალავანი.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ – უსისხლო მსხვერპლის შეწირვა.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ – შეწირული უსისხლო მსხვერპლი (პურისა და ღვინის სახით) დადება სამსხვერპლოზე (სამკეთილოზე), მათი მოშადება ევქარისტიისათვის. პროსკომიდის („ქვითის) დროს იკითხება ლოცვა წინადაღებისა: „ღმერთო, ღმერთო ჩვენო“ (იხ. კონდაკი, „წესი სამღვდელოჲსა წირვისა“).

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲪᲕᲔᲗᲐ, ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲗᲔᲛᲔᲢᲔᲑᲐ – ძველი აღთქმის სკულით დაწესებული სალვთო მოქმედება, რომელიც გულისხმობდა მამრობითი სქესის ახალშობილი ყრმისათვის სასქესო ასოს წინა კანის (ჩუჩის) მოკვეთას (შობიდან მერვე დღეს). ამას ძველ სკულში დღევანდელი ნათლობის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დღეს ყრმას არქმევდნენ სახელს. წინადაცვეთის ჩვეულება, ბიბლიური ტრადიციით, მომდინარეობს აბრაამის დროიდან. ახალ აღთქმაში აღწერილია იოანე ნათლისმცემელისა და იესო ქრისტეს წინადაცვეთა (ლუკა 1, 59-80; 2,21). ყოველდღიდან ღვთისმშობელმა თაიის ახალშობილ ყრმაზედაც აღასრულა წინადაცვეთის წესი (მერვე დღეს – 1 იანვარს). ამ დღესვე უწოდეს მას სახელად იესუ (ებრ. მაცხოვარი). ქრისტიანულმა ეკლესიამ უფლის წინადაცვეთის დღე დღესასწაულად გაზეაცხადა (იხ. წინადაცვეთა იესო ქრისტესი), მაგრამ ახალ სკულში სრულიად აკრძალა წინადაცვეთა (I კორ. 7, 18-19; გალ. 5, 1-12; 6, 12-16; რომ. 4, 9-12; კოლ. 3,11; იხ. მეტკეთილება).

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲪᲕᲔᲗᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ – დიდი საეკლესიო დღესასწაული, რომელიც დაწესდა უფლის წინადაცვეთის ღლის აღსანიშნავად. დადგენილი იყო ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან. პირველად იხსენიება IV ს. ძეგლებში. წინადაცვეთის დღესასწაული აღინიშნება ახალ წელს – 1 იანვარს (ქრისტეს შობიდან, 25 დეკემბრიდან მერვე დღე). ამ დღეს წმ. ბასილი დიდის (კესარიელის) ხსენებაცაა და სრულდება ბასილი დიდის წირვა.

„ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲘ“ – ასე ეწოდება საუფლო დღესასწაულების წინა დღეებს,

როდესაც ღვთისმსახურებაზე სრულდება სპეციალური წინასაღღესასწაულო საგალობლები, ამ დღეებში ჩვენ ვემზადებით ღღესასწაულისათვის შესაბამისი ლიტეების და საგალობლების აღელენით — ერთი მხრივ, მეორეს მხრივ კი — წინაღღესასწაულის ღღეები სიმბოლურად გამოხატავენ წინასწარმეტყველთა ეპოქას, როდესაც ამა თუ იმ საღღესასწაულო, საღვთო მოვლენას წინასწარმეტყველებდნენ ღვთივგანბრძნობილი ადამიანები. ყველა საუფლო ღღესასწაულს აქვს თითო ღღიანი „წინაღღესასწაული“, მხოლოდ შობასა და ნათლისღებას აქვს რამდენიმე ღღიანი (შესაბამისად 5 და 4 ღღე). „წინაღღესასწაული“ მომდინარეობს ძველი აღთქმის საეკლესიო პრაქტიკიდან; ასევე იგი ნაკურთხია თვით იესო ქრისტეს მიერ, რომელმაც მოწაფეებს უბრძანა მოემზადებინათ სერი (ეახშამი) ღღესასწაულის წინ (მარკ. 14, 12-15). იხ. თორმეტი საუფლო ღღესასწაული.

ფინამსხღომარე — ერთ-ერთი დაბალი თანამღებობა უძველეს ქრისტიანულ ეკლესიაში. წინამსხღომარეთ ეკისრებოდათ ღედათა დამოძღვრა ეკლესიის გარეთ. მათი მოვალეობა ღედათმსახურის მოვალეობას ეშვაკისებოდა. ლაოდიკიის კრებამ ეს თანამღებობა გაუქმებულად გამოაცხადა.

ფინამძღვარი, იღუმენი — უპირატესი პირი ეკლესიისა, ან მონასტრისა. სულხან-საბას განმარტებით: „წინამძღუარი ეწოდების კრებულის უფროსსა. სამღვდელო მონასტერთა წინამძღუართა განყოფილებანი ესრეთ არიან: ერთსა მონასტერსა კრებულის უფროსსა ეწოდების წინამძღუარი, ხოლო შვიდთა და რვათა მონასტრის წინამძღუართა ზედამდეგსა, რათა იგი განაგებდეს — მამასახლისი, ხოლო მრავალთა მამასახლისთა ზედამდეგსა — მთძღუართმთძღუარი“.

„ფინამძღუარი“ — „თქუმული სარწმუნოებისათჳს, სიტყჳსგებაჲ უთაოთა მიმართ მწჳალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარჰყოფენ“ — შემოკლებული რედაქცია იოანე დამასკელის პოლემიკური ანტიმონოფიზიტური თხზულებისა, შესრულებული ქართულ ენაზე ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ. დაცულია ხელნაწერებში: A 200, 240, A853; Jer. 151, 32-43. ამავე თხზულების სრული თარგმანი ეკუთვნის უფრემ მცირეს („გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“) დაცულია ხელნაწერებში: A 24; S 1358, 8-38). იგი შესავალში აღნიშნავს, რომ „წინამძღუარი“ ამ თხზულების გამოკრებული რედაქციისათვის უწოდებია ეფთჳმე ათონელს, რომელსაც „მაღლით სულისა წმიდისაჲთა ქცეულ წერებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“, ხოლო დღეს ასეთი სახელწოდება არა აქვს, ამიტომ ჩემს სრულ თარგმანს „გარდამოცემა“ ეუწოდე, ბერძნულის მიხედვითო (ეფრემი იქვე შენიშნავს, რომ მისთვის „წინამძღუარის“ სახელწოდებით ცნობილია ანასტასი სინელის თხზულება).

„წინამძღუარი“ შედგება 24 სტატიისაგან (ზოგიერთ ნუსხაში — 25). მთარგმნელს „გარდამოცემის“ გარდა უსარგებლია შემდეგი თხზულებით: „წვალებათათჳს“, „რთულისათჳს ბუნებისა“, „სამწიდაობისა გალობისა და წმიდისა სამებისათჳს“. გამოცემულია: წმ. ეფთჳმე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვაძემ, თბ., 2007.

„ფინამძღუარი“ — ანასტასი სინელის თხზულება, ქართულად თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 64, A 65, A 205; S 1463 და სხვ.

ფინანდალი — სოფელი თელავის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, თელავიდან 7 კმ. სოფლის მიდამოებში (ადგ. საფარისი) შემორჩენილია სამეკლესიანი ბაზილიკა X-XI საუკუნეებისა. იქნება გვიანდელი (VI ს.) სამრეკლო.

ფინარეხი — სოფელი კასპის რაიონში, მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადის) მარჯვ. ნაპირზე), კასპიდან 12 კმ. სოფელში არის XVI ს. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია „სიონი“, აღმოსავლეთ ფასადზე ლაპიდარული წარწერაა. სოფლის მიდამოებში არის ორი მნიშვნელოვანი სამონასტრო ანსამბლი: ქვათახევი (XII ს.) და „მაღალაანთ ეკლესია“ (XII-XIII სს.).

ფინასწარმეტყველება — ღვთის ნების სასწაულებრივი გამოცხადება ღვთიურჩეულ ადამიანთა — წინასწარმეტყველთა მიერ. ძველი აღთქმის წიგნთაგან 16 წიგნი საკუთრად წინასწარმეტყველებას წარმოადგენს. ამათგან ოთხი დიდი წიგნია (ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა, დანიელისა), თორმეტი — მცირე (ბარუქისა, ოსიასი, იოველისა, ამოსისა, აბდიასი, იონასი, მიქეასი, ნაუმისა, ამბაკუმისა, სოფონიასი, ანგეასი, ზაქარიასი, მალაქიასი). ამათ შორის განსაკუთრებით მრავალი წინასწარმეტყველება არის ესაიას წიგნში. ესაია ამბობების წარმართებს, რომლებსაც ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები არ ჰყავდათ. იგი ამტკი-

ცებს, რომ ღმერთმა წინასწარ იცის და ხედავს მორეულ მომავალს და ესაა თვისება მხოლოდ ერთი, ჭეშმარიტი ღმერთისა. ახალ აღთქმაში ჩვენ ვხედებით ასეთსავე შეხედულებას წინასწარმეტყველების შესახებ. თით იესო ქრისტე ხშირად წინასწარმეტყველებს (მათე 24,39; 26, 2,21; მარკოზი 14,30, ლუკა 13,35); მოწაფეთათვის ეს უნდა ყოფილიყო უეჭველი დასტური იესოს ღვთაებობისა, მის სხვა სასწაულებრივ საქმეებთან ერთად. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა გამონათქვამებს მაცხოვრის შესახებ. წინასწარმეტყველება არის ზუსტი ცოდნა და წინასწარ თქმა მომავლის თითქოსდა სრულიად „შემთხვევითი“ მოვლენებისა, რომლებიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო განსაზღვრული აწმყოთი. ეს შესაძლებელი იყო არა რომელიმე შეზღუდული ძალის მჭიდე არსებისათვის, არამედ მხოლოდ ღმერთისათვის. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველებისათვის დამახასიათებელია ბუნდოვანება, რადგან წინასწარმეტყველს ღვთისაგან ეცხადება არა ამომწურავი სურათი მომავლისა, არამედ მისი ცალკეული ნაწილები. წინასწარმეტყველებათა უმეტეს ნაწილს აქვს დაფარული, სიმბოლური და საიდუმლო ხასიათი, რადგან მომავალს წინასწარმეტყველი აღწერს თავის თანამედროვეთათვის იმ სახეებით, რომლებიც მათთვის ცნობილია წარსულიდან და აწმყოდან. ამასთან, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი და მრავალზროვანი უმთავრესში და არსებითში. წინასწარმეტყველების ჭეშმარიტება დგინდება, უმეტესწილად, მისი შესრულების მიხედვით. საღვთო წერილის თანახმად, არაჭეშმარიტად ითვლება ის წინასწარმეტყველება, რომელიც არ შესრულდება.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი ძირითადად ეხება იესო ქრისტეს განკაცებას, ამქვეყნიურ ცხოვრებას, ჯვარცმას, დაფლვას, მკვდრეთით აღდგომასა და ამაღლებას. ეს ითქმის არა მარტო საკუთრივ წინასწარმეტყველთა წიგნებზე, არამედ სხვა ბიბლიურ წიგნებზედაც (ფსალმუნი და სხვ.). ახალი აღთქმის ერთადერთი საწინასწარმეტყველო წიგნი – „გამოცხადება“ იოანე მოციქულისა – თანამედროვეთათვის მისაწვდომი სახით აღწერს მაცხოვრის მეორედ მოსვლას, საშინელ სამსჯავროსა და ქვეყნის დასასრულს.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ (ებრ. „ნავი“ – ღვთის ნება-სურვილის გამომცხადებელი, წინასწარმაუწყებელი“) – ასე ეწოდებოდათ ძველი და ახალი აღთქმის ღვთივგანბრძნობილ ადამიანებს, რომელთაც „ზეგარდამო“ ეძლეოდათ მომავლის წინასწარ ხედვისა და წინასწარ გამოთქმის ნიჭი. წინასწარმეტყველები იყენებ ბიბლიური მამამთავრები: ენოქი, ნოე, აბრაამი, იაკობი, მოსე და სხვა მართალ მამები ძველი აღთქმისა. ღვთის განმაღლობაში წინასწარმეტყველება იქცა საგანგებოდ გამორჩეულ ადამიანთა დასის კუთვნილებად. ასეთ დასი ალორძინდა წინასწარმეტყველისა და მსაჯულის, სამუელის დროიდან. დასში იყო ერთი მოძღვარი, დანარჩენნი მოწაფეებად ითვლებოდნენ. ყველაფერი საერთო ჰქონდათ, ცხორობდნენ უმკაცრესი რელიგიურ-ზნეობრივი დისციპლინით, აწყობდნენ საზეთო პროცესებს, უშიშრად ამხილებდნენ კერპთაყვანისმცემლობას, მტკიცედ იცავდნენ საღვთო სჯულს. სიმართლის პირში თქმისათვის წინასწარმეტყველები მოწამებრივად ასრულებდნენ სიცოცხლეს. სამოველიდან მოყოლებული, ძველი აღთქმის ისტორიის მანძილზე ისრაელს განუწყვეტლივ ჰყავდა დიდი წინასწარმეტყველები. ესენი იყვნენ ძვ. აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა ავტორები (იხ. წინასწარმეტყველება). ოყო ქრისტე წინასწარმეტყველთა წოვნებს განიხილავდა მოსეს ხუთწიგნეულის თანასწორად. „სჯული და წინასწარმეტყველნი“ იქცა ძველი აღთქმის არსის გამომსახველ გამოთქმად. ახალი აღთქმის დაკანონების გამო წინასწარმეტყველთა წოვნებამ დაკარგეს სჯულის თანასწორი მნიშვნელობა. წინასწარმეტყველების ნიჭი ეძლეოდა მრავალ ქრისტიანს (მათე 23, 34, საქმენი 11, 27; 13,1; 15,32; 1 კორ. 12, 28-29; 14, 1-5, 24, 31, 39; ეფეს. 2,20). ახალი აღთქმის 27 წიგნთაგან საწინასწარმეტყველო ხასიათი აქვს მხოლოდ ერთს – იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებას“.

„ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲜᲔᲠᲡᲔ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ, ᲡᲝᲤᲔᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲐᲠᲘᲢᲘᲡᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲔᲘᲜᲓᲘᲕᲘᲣᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡᲐ“ – ანტიმონოფიზიტური სომხური თხზულება, რომელშიც აღწერილია სომეხთა მძიმე ხვედრი, დამოწყებული მათ მიერ არაწერული სარწმუნოებრივი ორიენტაციით. ეს თხზულება პოლემიკური მოსაზრებით ქართულადაც უთარგმნიათ (S 3236).

ᲬᲘᲜᲓᲝᲑᲐ – საკვლესიო წესი, რომელიც წინ უძღვის ქორწინების საიდუმლოს აღსრულებას. ამ წესის ლროს შესაულებელი ქალაქაი სიტყვით ამტკიცებს სურვილს, დაქორწინდეს თავის ამორჩეულთან და ამის დასამტკიცებლად მათ თითზე უკეთებდათ ბეჭედი (წინ-

დი, საწინდარი). წინდობას მოსდევს ქორწინების (გვირგვინობის) წესი. ამ დროს ახალშეულლებულთ თავზე ადგამენ გვირგვინს, ნიშნად ღვთიური კურთხევისა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა ადრეული ქორწინება (ქალისა – 12 წლამდე), მაგრამ დაუშვა დაწინდვის წესი ქორწინებამდე გაცილებით ადრე (ბეგლისწერა, მე-10 კანონი, გვ. 122).

„ᲦᲘᲜᲗᲚᲘᲚᲐ ᲚᲐᲚᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ“ – რომანოზ მიტროპოლიტის (XVIII ს.) თხზულება. შეიცავს სახარება-სამოციქულოდან და დაუთნ-საწინასწარმეტყველოდან ამორჩეულ ადგილებს ამა თუ იმ დღმატიკური და მორალური ხასიათის დებულებათა შესახებ. ავტორის სიტყვით, ეს წიგნი „ტეხილია მეხიანი მათთჳს, რომელთა მტკიცედ არ უპყრიეს სიტყუანი ქრისტესნი და მამათა და მოწამეთანი, არამედ თჳსთა მუცლითა მეზღაპრობენ და გარეშეთ წიგნებთა იმხრწობენ და ეძიებენ და გამოეძიებენ ცუდთა და ამაოთა საჭიბეელთა“. თხზულების ტექსტი დაცულია A 150 ხელნაწერში.

ᲦᲘᲜᲬᲧᲐᲠᲝ – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ალგეთის ხეობაში, თეთრიწყაროდან 15 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ეკლესია „დედაღვთისა“ („მამუკაანთ საყდარი“) – VIII-IX სს.

ᲦᲘᲠᲕᲐ – ჟამისწირვა, ლიტურგია, მსხვერპლის შეწირვა, ღვთისადმი ძღვნის მირთმევა (იხ. ლიტურგია, ჟამისწირვა).

ᲦᲘᲠᲫᲘᲚᲘ – სოფელი ახალგორის რაიონში, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე, ლენინგორიდან 10 კმ. სოფლის განაპირას დგას ადრეული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომელიც გარეგნულად მკაცრ მართკუთხა გეგმასა და ოქანობა სახურავშია მოქცეული, მაგრამ ინტერიერი ორ ნაწილადაა გაყოფილი დარბაზის ცენტრში აღმართული სვეტით და მასზე დაყრდნობილი თაღებით. ინტერიერის აღმოსაველეთის მხარე სფერული კამარით გვირგვინდება, საკურთხეველისეის კი აბსიდია ამოშენებული აღმოსავლეთ კედელთან. საკურთხეველის ორივე მხარეს მცირე ზომის სწორკუთხა სადგომებია. ინტერიერის დასავლეთ ნაწილი ორსართულიანია. თითოეული სართული გადახურულია ცილინდრული კამარებით. ხელოვნებათმცოდნეები წირქოლის ეკლესიას VIII ს. ნაგებობად მიიჩნევენ და აღნიშნავენ მის არქიტექტურულ სიახლოვეს IX ს. არმაზის ეკლესიასთან (ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974 წ. გვ. 118), ეპიგრაფისტთა დასკვნით კი წირქოლის ეკლესია X ს-შია აშენებული. კერძოდ, იგი აუშენებია ლეონ II აფხაზთა მეფეს 957-967 წწ. ამ დასკვნის საფუძველია ლაპიდარული წარწერა, რომელიც ეკლესიის ფასადს ამკობდა. ამჟამად წარწერიანი ქვა დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქვეა დაცული წირქოლიდან წამოღებული რელიეფი, რომელიც გამოსახავს ხელაკრობილ დანიელ წინასწარმეტყველს ლომების ორმოში. მის გვერდით, ორივე მხარეზე, დგას ორი ლომი, რომლებიც დანიელის მკლავებს ეხებიან პირით. მათ თავს ზემოთ თითო მერინავი ჩიტია. ამ კომპოზიციას ერთვის წარწერა: „დანიელი იტყჳს: მიჱსენ მე, უფალო, პირისაგან ლომთაჲსა“. ქვემოთა კომპოზიცია ფრაგმენტულადაა შემონახული. იგი გამოსახავდა ანგელოზს და ლეონ მეფეს (ქტიტორს). იხ. ნ. შომაშველი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსაველთ და სამხრეთ საქართველო V-X სს., თბ., 1980 წ. გვ. 220.

ᲦᲙᲔᲚᲘᲯᲐᲠᲘ (მწკელიკარი) – სოფელი გალის რაიონში. 1962 წ. გათხრების შედეგად აქ გამოვლინდა XI ს. ეკლესიის ნანგრევები. ლაპიდარული წარწერის თანახმად, ეკლესია წმ. გიორგისი ყოფილა. წარწერაში მოხსენებულია ვინმე თარკილი.

ᲦᲐᲔᲠᲐᲗᲐ ᲛᲜᲔᲨᲕᲜᲔᲚᲘ – მისნობის სახეობა. სასტიკად იყო აკრძალული საეკლესიო კანონმდებლობით (დიდი სჯულისკანონი, განწესებანი პაულე მოციქულისა, 8, გვ. 227,30).

ᲦᲐᲙᲔᲠᲘ – სოფელი დუშეთის რაიონში, მდ. ხადის (მთიულეთის არაგვის მარცხენა შენაკადი) ხეობის ზემო წელში, დუშეთიდან 65 კმ. სოფლის მახლობლად, მაღალი კლდოვანი მთის წვერზე აღმართულია ხუროთმოძღვრული კომპლექსი კვირაცხოველის ეკლესიით.

ᲦᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ – გარდაცვალების წლისთავზე მიცვალებულის მოსახსენებელი აღაპის ხალხური სახელწოდება. წლისთავზე, როგორც წესი, სრულდება დიდი პანაშვიდი და ტაბლის კურთხევა.

„ᲦᲛᲘᲓᲐ“ – ამ სიტყვით აღინიშნება ღორსი, განწმენდილი (გამოსლვ. 28,4), კურთხეული, მართალი, ყოვლად სრულქმნილი (ღმერთი), სარწმუნოებრივი კანონებით მცხოვრები, ღვთის მსახური, მართლმორწმუნე, ძლიერი, მტკიცე, რჩეული (ადამიანები), საღვთო მსახურებისათვის განკუთვნილი (ნივთები) და ა. შ. ძველ აღთქმაში „წმიდად“ იწოდებოდნენ იუდეველნი, წარმართთაგან განსხვავებით (2 მაკ. 15,24), ქრისტიანები – იუდეველთა და წარმართთაგან გან-

სხვაებით (ეფეს. 1,1), სულხან-საბას ცნობით: „წმიდა მოასწაევებს: დიდებულ იყავ, ქებულ იყავ და ამაღლებულ იყავ“. წმიდა ითქმის ღმერთზე, ავრეთვე მის სათნო მსახურებზე, რომელნიც თვით ღვთისაგან განწმინდნენ. ზესთა წმიდათა-წმიდა ითქმის წმინდა სამებაზე, ქრისტეს ხორცსა და სისხლზე და მარიამ ღვთისმშობელზე; უფროსად წმიდა — ანგელოზებზე და თავ-მოციქულებზე; წმიდა — ყველა წმინდანზე და კურთხეით განწმენდილებზე (მონაზონებზე, მღვდლებსა და მღვდელმთავრებზე).

„წმიდა ადგილები“ — ასე ეწოდება, უწინარეს ყოვლისა, იესო ქრისტეს შობის, ამქვეყნიური ცხოვრებისა და ენების ადგილებს იერუსალიმში, ნაზარეთში, ბეთლემში და სხვ. მართლმადიდებლური ეკლესია უდიდეს სიწმინდედ თვლის უფლის საფლავს იერუსალიმში და გამოქაბულს ბეთლემში, სადაც იშვა იგი. ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე წმინდა ადგილებს ფლობდნენ აღმოსავლეთის ეკლესიები (საბერძნეთის, სომხეთის, საქართველოს, სირიის იაკობიტური და კოპტური), მაგ.: ქართველ ბერებს ეკუთვნოდათ უფლის საფლაო, ჯვარის მონასტერი (ადგილი, სადაც მოჭრეს ხე უფლის ჯვარისა), გეთსამანია და სხვ. 1187 წ. იერუსალიმი აიღო თურქეთის სულთანმა სალადინმა და XVIII საუკუნემდე წმინდა ადგილები თურქეთის იმპერიის ხელში იყო. ამჟამად უფლის საფლაოს ეკლესია წარმოადგენს ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის კუთვნილებას, ბეთლეემის ეკლესია კი ბერძნებს ეკუთვნის.

წმიდა ადგილები ეწოდება ავრეთვე იმ ადგილებს, სადაც იღვწოდნენ და სასწაულებს ასრულებდნენ ღირსი მამები, სადაც წამებათა აღსრულებდნენ მოწამენი და სადაც წმინდათა ნაწილები განისვენებენ. საქართველოში ბერია წმინდა ადგილი. მრავალთაგან შეიძლება დავასახელოთ: მცხეთის სვეტიცხოველი (საუფლო კართის საკანე, სვეტი ცხოველი) და ჯვარის მონასტერი (წმ. ნინოს მითითებით აღმართული ჯვრის ადგილი), ბოდბის წმ. გიორგის ეკლესია (წმ. ნინოს საკანე), თბილისის სიონი (აქაა დასვენებული წმ. ნინოს ჯვარი ვაზისა) და ანჩისხატი (აქ იყო დასვენებული სასწაულთმოქმედი ანჩის ხატი), წრომი (აქ ეწამა წმ. პირველმოწამე რაჟდენი), კომანა (იოანე ოქროპირის ექსორიობის ადგილი), მოწამეთა (არგვეთის მთავართა — დაჟით და კონსტანტინეს წმ. ნაწილები), გელათი (დაჟით აღმაშენებლის საფლაო), ქვათახევი, „ათაბეგ“ ასურელ მამათა საკანები და სხვ. (იხ. მომლოცველობა).

„წმიდათა დასები“ — წმინდანთა ჯგუფები, რომელთაც მიეკუთნებათ ეკლესიის მიერ კანონიზებული თითოული წმინდანი, თავისი მღვაწეობის სფეროს მიხედვით. წმინდანთა დასებს შორის არსებობს იერარქიული დამოკიდებულება — უფროს-უმცროსობა შეძლეი თანმიმდევრობით: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, წინამორბედი უფლისა (იოანე), მოციქულნი და მოციქულთა სწორნი, წინასწარმეტყველნი, მღვდელმთავარნი, დიდი მოწამენი, მოწამენი, მღვდელმოწამენი, ღირსი-მოწამენი, ქალწულ-მოწამენი, ღირსი მამები, ღირსი დედები, უეცნობლო მკურნალნი, ქრისტესთვის სალოსნი, მართალნი და კეთილმსახურნი. წმინდანთა ჩამოთვლის დროს, როდესაც ვითხოვთ მათ მეოხებას (ჰპირის კურთხევის დროს, ჩამოლოცვისას, საცისკრო სახარების წაკითხვის შემდეგ და სხვ.), საჭიროებულია მათი ჩამოთვლა დასების მიხედვით. მაგ.: მოციქულები და მოციქულთასწორნი არ შეიძლება მოეხსენიოთ მღვდელმთავრებისა და მოწამეების შემდეგ, მოწამეები — ღირსი მამების შემდეგ და სხვ. ამასთან, თითოეული დასის წმინდანები მოიხსენიებიან ერთნაირი ეპითეტებით. მაგ., „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამი“, „პატიოსანი, დიდებული წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცემელი იოანე“, „წმიდანი დიდებულნი და ყოვლადქებული მოციქულნი“ (პეტრე, პაული, ანდრია და სხვ.), „წმიდათა შორის მამანი ჩუენნი“ (მღვდელმთავარნი: ნიკოლოზ მირონლუკიელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, ისე წილკნელი და სხვ.), „წმიდანი დიდებულნი და ღაწვლისმძლენი მოწამენი“ (გიორგი, დემეტრე, თეოდორე, პანტელეიმონი, დავით და კონსტანტინე, ქეთევანი, შუშანიკი და სხვ.), „ღირსნი და ღმერთშემოსილნი მამანი ჩუენნი“ (ანტონი, ჯუთეიმე, მაკარი, საბა, იოანე ზედაზნელი და თორმეტი მოწაფე მისი და სხვ.) და ა.შ. თითოეული დასის წმინდანთათვის არსებობს საზიარო საკითხაები (სახარება, საწოციქულო, საწინასწარმეტყველო), წარგოზები და საგალობლები, „ალილუიას“ მუხლები და „განიცადენი“. ეს საზიარო ლიტურგიკული მასალა შეიძლება ვნახოთ ტრაპეზის სახარებისა და საღეთისმსახურო საწოციქულოს სარჩევში, ავრეთვე საღღესასწაულოში და საგალობელთა სხვა წიგნებში. საკარაუდოა, რომ ძველად ქართულ ენაზე არსებობდა წმინდანთა ყველა

დასისათვის შეწყვეტილი საზიარო აკოლუთიათა კრებული („საზიარო თევნი“). ესა თუ ის აკოლუთია შეიძლებოდა მიგეყვანებინა შესაბამისი დასის ყოველი წმინდანისათვის, სათანადო სახელის ჩასმის შემდეგ (ამის საჭიროება იქნებოდა იმ შემთხვევებში, როცა თევნში ვერ ვნახულობთ ამა თუ იმ წმინდანის განწვალას). საზიარო ღვთისმსახურების მაგალითია საზიარო პარაკლისები, რომლებიც ერთის სამღვდელო ლოცვანს.

„წმიდათა მამათა კვირიაკე“ – ქრისტეს შობის წინა კვირიაკე. ამ დღეს მოიხსენიებიან პატრიარქები, რომელთაგან იშვა ალთქმული მესია – იესო ქრისტე. სწორედ ამიტომ აკითხება ლიტურგიაზე მათეს სახარების დასაწყისი, სადაც ჩამოთვლილი არიან უფლის წინაპრები აბრაამიდან იოსებ დამწინდველამდე; ხოლო სამოციქულოში მოისმენებიან ძველი ალთქმის წმინდანი, მსაზოებელნი მომავალი მესიისა (ებრ. II, 9-10; 17-26; 32-40). „წმიდათა მამათა კვირიაკე“ ხდება 18-24 დეკემბრის ფარგლებში. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში ღვთისმსახურებას აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპიკონი.

„წმიდა ქარი“ – ეწოდება სამეუფო (აღსაელის) კარს, რადგან ამ კარებიდან ხდება წმ. ზიარების (უფლის სისხლი და ხორცი) ერისკაცთა საზიარებლად.

წმინდა ნაწილები – უხრწნელად დარჩენილი სხეული გარდაცვლილი წმინდანისა, რომელსაც ქრისტიანები განსაკუთრებულ პატივს სცემენ და შეწევნას სთხოვენ. ის, როგორც დიდი სიწმინდე, მოლებული იყო პირველ ქრისტიანთა დროიდან. თაყვანისცემა ემყარებოდა იმას, რომ საღეთო წერილის თანახმად, წმინდანთა სხეული არის ტაძარი სულიწმინდისა, და ისევე, როგორც მართალთა სულებს, მათ სხეულებსაც შეუძლიათ გადმოგვცენ მადლი სულიწმინდისა.

წმინდა ნაწილების თაყვანისცემის საფუძველია აგრეთვე სასწაულებრივი განკურნებანი, რომლებიც ხდება მათი საშუალებით. წმ. ნაწილებით ინკურნება ყველა, ვინც კი შეეხება მათ რწმენითა და სასოებით. ეკლესიის სწავლებით, წმინდა ნაწილებს იგივე პატივი უნდა მიეგებოდეს, როგორიც ხატებს. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ღვთისმსახურება სრულდებოდა წმინდანთა საფლავებზე. დასაელეთის ეკლესიაში 269 წ. დადგინდა, რომ წირვა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ წმ. მოწამეთა ნაწილებზე. კართაგენის V საეკლ. კრებამ დაადგინა, რომ არც ერთი ეკლესია არ უნდა აშენდეს მოწამეთა წმ. ნაწილების გარეშე.

ამჟამად თითოეულ მართლმადიდებელურ ეკლესიას აქვს ნაწილი რომელიმე წმინდანისა. ეს წმინდა ნაწილი ჩაკერებულია ოდიკში.

წმიდა ორმოცი – დიდი მარხვის მეორე სახელი. იხ. დიდი მარხვა.

„წმიდაო ღმერთო“ – წმ. სამების საგალობელი, ე. წ. „სამწმიდაო გალობა“. სრულდება ყოველგვარი ღვთისმსახურების დასაწყისში. აგრეთვე ჟამისწირვის ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტში - სამოციქულოსა და სახარების წაკითხვის წინ. სრული ტექსტი ასეთია: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვიწყალენ ჩუენ“ (3-ჯერ).

ჯვრის ამაღლებას და დიდი მარხვის მესამე კვირიაკეს, როდესაც არის დადებული თაყვანისცემა ცხოველმყოფელი ჯვარისა, „წმიდაო ღმერთოს“ ნაცვლად იგალობება: „ჯუარსა შენსა თაყუანის-ვცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“ (3-ჯერ).

ქრისტეს შობას, ღვთის განცხადებას, ლაზარეს შაბათს, ენების შაბათს, აღდგომის დღეს, მთელ ბრწყინვალე შვიდეულში და მეერგასე დღეს „წმიდაო ღმერთოს“ ნაცვლად იგალობება: „ქრისტე შეგეწყნარენ, ალილუია“ (3-ჯერ).

„წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ...“ – ანგელოზთა გალობა საყდარზე მჯდომი უფლისადმი, რომელიც ისაია წინასწარმეტყველის ხილვის თანახმად, დაუდუმებელი ბაგით, შიშითა და ძრწოლით იგალობება მათ მიერ. ეს საგალობელი შეტანილია ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებში (იხ. ანგელოზთა გალობა).

წმინდა კარი – იხ. სეფისკერი.

წმინდა სამშბა – იხ. სამება.

წმინდა სული – სულიწმინდა, წმ. სამების მესამე პირი.

წმინდა წერილი – იხ. საღმრთო წერილი.

წმინდა-წმიდათა – უფლის საკურთხეველი, ასე ეწოდებოდა ძველი სჯულის (მოსეს სჯულის) ტაძრის საკურთხეველს (ნ. ებრ. 9,3).

„წმიდა – წმიდათა“ – მღვდლის ასამაღლებელი იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიის ბოლო ნაწილში, როდესაც იგი აღამაღლებს წმ. ტარიგს. ამ ასამაღლებლით მწირველი გვამცნობს, რომ წმ. ხორცი და სისხლი ქრისტესი შეიძლება მიეცეს მხ-

ოლოდ წმინდა (განწმენდილ) ადამიანებს.

„ᲬᲕᲘᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ“ – ნაკურთხი წყალი, იხ. აიაზმა.

ᲬᲜᲘᲡᲘ – სოფელი მესხეთში, ახალციხის რაიონში, მდ. წნისისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე, ახალციხიდან 15 კმ. სოფელში დგას XIII ს. ეკლესია.

ᲬᲝᲑᲔᲜᲘ – ადგილი არაგვის ხეობაში, ახლანდელი სოფ. ჩრნთის მახლობლად, სადაც „მოქცეული ქართლისაჲ“-ს მიხედვით, წმ. ნინომ მთიულებსა და ფშაველებს უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება (ძეგლები, I, 88; III, 41; 76). ტოპონიმი „წობენი“ დღემდე შემორჩენილია. ასე ეწოდება ხატარა მინდორს, აქვე „წმ. ნინოს კლდე“ (იხ. წილკნის ეპარქია).

ᲬᲝᲮᲘ – სოფელი მარნეულის რაიონში, ლოქის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მარნეულიდან 40 კმ. აქ შემორჩენილია აღრინდელი შუა საუკუნეების სამაყიანი ეკლესიის ნანგრევები.

ᲬᲠᲝᲛᲘ – სოფელი შიდა ქართლში, ხაშურის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ხაშურიდან 20 კმ. აქ მოწამებრივად აღესრულა წმ. პირველმოწამე რაფდენი (V ს.). სოფლის ცენტრში აღმართულია VII ს. პირველ ნახევარში ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II-ის მიერ აგებული დიდი გუმბათოვანი ტაძარი – ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. წრომის ტაძრის უშუალო წინამორბედია მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი. წრომის ხუროთმოძღვრება გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. აქ პირველადაა გამოყენებული სამკუთხა ნიშნები აღმოსავლეთის ფასადზე. ძველად ტაძარში ყოფილა მოხატულობა და მოზაიკა (საკურთხევლის ახსიდში). მოზაიკის ფრაგმენტები ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ღვთისათვის ტაძარი რესტავრირებულია, მაგრამ ჩამონგრეული გუმბათის ნაცვლად ჯერჯერობით ისევ მაღები დგას.

ᲬᲣᲜᲐᲠᲘ – სოფ. ხეთაგუროს ძველი სახელი (ქართლში, მდ. ფრონის ხეობაში). აქ მდებარეობს XIV ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი (იხ. ხეთაგურო).

ᲬᲣᲠᲬᲧᲐᲑᲘ – საეპისკოპოსო კათედრა სამხრეთ საქართველოში (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). წურწყაბელის საწყისს ეკუთვნოდა „ხოცა-ქევი და ხერთვისის ქვეთი“.

ᲬᲣᲚᲣᲮᲐᲕᲔᲜᲘ – XIII ს. ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია ბოლნისის რაიონში, ბოლნისის სიონიდან ორი კილომეტრის დაშორებით, მდ. ფოლადაურის მარჯვენა ნაპირზე, რაიონის ცენტრიდან 10 კმ. აშენებულია 1213-1222 წწ. ტაძარი ალორძინების ხანის არქიტექტურის შესანიშნაი ძეგლია. იგი ტიპობრივად ბეთანიაქეთახეჯ-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ ზომებით უფრო პატარაა. გამოირჩევა გუმბათის ყელის ძლიერ აზიდული პროპორციით და მდიდრული ორნამენტებით, ტაძარს შემოვლებული აქვს გალავანი.

ᲬᲧᲐᲚᲘ – სულხან-საბას განმარტებით – „ერთი ოთხთა კავშირთაგანი, კუთილად დაბადებული ღეთისაგან პირველსა დღესა (დაბადება 1,6). წყალი არს ნივთი ნოტიო, გრილი, მძიმე და ქუე დამჭიდველი და ადვილად დასათბებელი. ქვეყანა უმძიმეს არს წყალთა და პაერი – უსუბუქეს წყალთა და ცეცხლი – უსუბუქეს პაერთა“. დაბადებაში (1,7) წყალი ნასხენება დედამიწის (სამყაროს) მნიშვნელობით, „წყალი ცხოველი“ (იოანე 4, 10-15; 7, 37-39; 19, 34; გამოცხ. 7, 16-17; 21,6; 22,17) არის სხე სიცოცხლისა და ცხოვრებისა, აგრეთვე ღვთის ჭეშმარიტი შეცნობისა და თაყვანისცემისა (იერემია 11,13; 17,13). წყალს მიეწერებოდა მაცოცხლებელი და განმწმენდი ძალა. იოანე ნათლისმცემელი ხალხს ნათლავდა წყლით (მათე 3, 6-11; მარკოზი 1,8; ლუკა 3, 16; 3, 23; იოანე 1,26). ქრისტიანული ნათლისღების დროს ხდება წყლის კურთხევა. ნათლისღების წყალი, რომელიც იკურთხება უფლის ნათლისღების დღეს (დიდი აიაზმა), გამოხატავს უფლის ნათლისღებით ნაკურთხ იორდანის წყალს. წყლის კურთხევა (მცირე აიაზმა) სრულდება სხვადასხვა განგებებო შემთხვევებში. (დიდი და მცირე აიაზმის წესები წერია კურთხევანში). საღვთო ლიტურგიის დროს წყალს ურევენ ღვინოში. ამით მოიხსენებენ უფლის ჭრილობიდან სისხლისა და წყლის გადმოსვლას (იოანე 19,34). საღვთო წერილში აღნერილია წყალზე სიარული უფლისა (მათე 14, 22-23), ღვინის წყლად გადაქცევა (იოანე 2, 1-11; 4, 46) და სხვ. „წყალი ცილობისა“ (ფს. 80,8; 105,32) – ასე მოიხსენიება ადგილი მერიბა, ებრაელთა ერთ-ერთი სადგომი მათი მოგზაურობისას უდაბნოში.

ახალი ტრაპეზის კურთხევის დროს ღვინოსთან ერთად გამოიყენება ვარდის წყალი – ვარდის ფურცლისა სურნელოვანი წყლის ნაზაო, რომელიც სიმბოლო იმ კეთილსურნელი მირონისა, რომელიც ლაზარეს დამ მარიამმა დაასხა ქრისტეს ფეხებზე, და რომლითაც მართალმა იოსებ-

მა და ნიკოდიმოსმა შეშურეს მისი სხეული დაკრძალვისას.

წყალი გედეონისა – მდ. ნილოსის სახელწოდება ძველ ალთქმაში. ასე ეწოდა იმიტომ, რომ ნილოსის დინებას მოაქონდა შაჟი ნატანი, რომელიც ნაყოფიერებას ანიჭებდა ეგვიპტის მიწას.

წყალობა – ღვთის ქველმოქმედება თავისი ქმედებით (ლუკა 1,50; ეფ. 2,4; I პეტრე 1,3, თუდა 1,21). იესო ქრისტეს თქმით, სჯულში მთავარია სამართალი, წყალობა და სარწმუნოება (მათე 23,23). ამიტომ ქრისტიანთა მოვალეობაა წყალობის ქმნა (იაკ. 2,13; ლუკა 10, 25-37). უფლის მადლითა და წყალობით მოიკითხავს პავლე მოციქული თავის მოწაფეებს (I ტიმ. 1, 2; 2 ტიმ. 1, 2, 16, 18).

„წყალობისათჳს ღმრთისა“ – იოანე ოქროპირის ასკეტიკური თხზულება, რომლის ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: Ath. 9 (X ს.); Sin. 36 (X ს.); S 1139 (XI ს.) გამოცემულია ილია აბულაძის მიერ („მამათა სწაელანი“, 1955 წ., გვ. 63-66).

„წყალობა, მშჳდობა შესაფერავი ქებისა“ – სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამენ მგალობელნი ეკლესიის (ძღვნის კურთხევის) დაწყების წინ. ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ შესაწირავი ძღვენი ამავე დროს არის წყალობა ღვთისა – ის, რაც ღვთის მოწყალებით მიიღეთ; ეს ღვთის მოწყალება მიგვაქვს სამსხვერპლოზე. ზიარებისას იგი საღვთო მადლად მოგვეევინება (ებრ. 4,16). ნაყოფი მშვიდობისა, შედეგი ადამიანის შერიგებისა ღმერთთან, მაცხოვრის ვნებითა და სიკვდილით გამოსყიდული, უნდა მივიტანოთ „შესაწირავად ქებისა“.

„წყალობისმოქმედება“ – ქრისტიანული კატეხიზმოს თანახმად, ორგვარია: ხორციელი და სულიერი. ხორციელი წყალობისმოქმედებებია: მშიერთა ჰმეცა, მწყურვალთა სმეცა, შიშველთა შემოსვა, პატიმართა მოკითხვა, ავადმყოფთა მოელა, მწირთა შეფარება (შეწყნარება), მიცვალებულთა დაკრძალვა. სულიერი წყალობისმოქმედებებია: ცოდეოლის მოქცეცა, უმეცრის სწავლება, კეთილი და დროული რჩევის მიცემა მოყვასისადმი, ღრცება ღვთისადმი მოყვასთათვის, ნუგეშისცემა მწუხარისა, ბოროტის მიგება კეთილით, შემცოდეთა პატიება.

წყაროთა მონასტერი – ასე მიუთითებენ პ. პეეტრსი და მ. თარხნიშვილი. სინადვილეში ეს უნდა იყოს „თუალთა მონასტერი“ შაჟ მთაზე (კერები, II, გვ. 152; 365; იხ. ილარიონ თუალელი.

წყაროსთავი – საეპისკოპოსო კათედრა სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ჯაყახეთში (ამჟამად თურქეთის ფარგლებში). აქ დიდი ბაზილიკური ეკლესია ამენდა ჯერ კიდევ VI ს-ში. გრიგოლ ხანთელის დროს აქ დაუარსებიათ მონასტერი მაცხოვრის სახელზე. მონასტრის დამაარსებლად ითვლება დაითი მიძნაძორელის მოწაფე ილარიონი (შემდეგ – კათოლიკოსი). წყაროსთავის მონასტერი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში (იხ. წყაროსთავის ოთხთავი).

წყაროსთავის ოთხთავი – 1) X-XI სს. ხელნაწერი, გადაწერილი გაბრიელის მიერ (A 98). 2. XII ს. ხელნაწერი Q 907. მინაწერების თანახმად, გადაუწერია ორ მწერალს – იოანე ფუკარალისძესა და გიორგი სეთაისძეს 1195 წელს. წიგნის ზომები: 25,1X17,9 სმ. სახარების მოჭედილი ყდა მიეკუთვნება XII ს. ბოლო წლებს. იგი შეუსრულებია სახელგანთქმულ ოქრომჭედაკებელს ბეკა ოპიზარს, ტბეთის ეპისკოპოს „გლახაკის“, იოანე საფარელ-მბრძანებლის დაკვეთით.

წყაროსთავის წმ. გიორგის ეკლესია – იხ. ლალისყური.

„წყარო ცოდნისა“ – იოანე დამასკელის დოგმატიკური თხზულება, რომელსაც ქართულ თარგმანში ეფრემ მცირე უწოდებს „ჟამდამცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. ეფრემის თარგმანი შეიცავს აღნიშნული თხზულების ორ ნაწილს: დიალექტიკას 50 თავად და თვით გარდამოცემას 100 თავად. თხზულების მესამე ნაწილი არის „წვალებათათჳს“. იგი ეფრემს არ გადმოუთარგმნია, რადგან მისმა თანამედროვემ თეოფილე ხუცეს-მონაზონმა მანამდეროვემ თეოფილე ხუცეს-მონაზონმა მანამდე თარგმნა ეპიფანე კვიპრელის „წვალებათა შესახებ“ – წყარო დამასკელის თხზულებისა. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: S 24, S 1468.

„წყარო ცხოვრებისა“ – ასე ეწოდება ღვთისმშობლის ხატს, რომელიც სასწაულებრივად გამოჩნდა კონსტანტინეპოლში და მიუთითა ქალაქის მახლობლად არსებულ მკურნალ წყაროზე. წყაროს თაუზე რამდენიმე ეკლესია იყო აგებული. ღვთისმშობლის ხატს – „წყარო ცხოვრებისა“ – საქართველოშიც სცემდნენ თაყვანს. კერძოდ, ცნობილია ამ ხატის სახელზე აგებული ეკლესია (გეიანი შუა საუკუნეები) გელათის მონასტრის მახლობლად, ხოხასტერთან. ხატის თაყვანისცემის დღეებია 4

აპრილი და ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი.

ᲬᲧᲘᲡᲔ – ციხე-სიმაგრე სამცხეში, ადიგენის რაიონში, სოფ. უდედან 3-4 კმ. აქ VII ს-ში კოსტანტი სტეფანეს ძეს მცხეთის ჯვრის სახელზე ალმართაყს რელიეფური ქის ჯვარი. ჯვრის კვარცხლბეკი „პეტერი“ წარწერით ამჟამად დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

ᲬᲧᲚᲘᲡ ᲐᲚᲘ – ქართლ-კახური წარმართული შეხედულებებით – წყალში მცხოვრები ბოროტი სული. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ ლამაზ ქალად, რომელსაც შშვენიერი გრძელი თმები აქვს და კაცს სილამაზით აცდუნებს.

ᲬᲧᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ – წყალკურთხევა, აიაზმა, საეკლესიო წესი, რომლის დროსაც უხილავად გადმოდის სულიწმინდის მადლი და წყალს ენიჭება მკურნალი და განმწმენდი ძალა. წყალ-კურთხევა ორგვარია: დიდი და მცირე. დიდი წყალკურთხევა (დიდი აიაზმა) სრულდება ღვთის განცხადების (ნათლისღების) დღესასწაულზე და მის წინადღით (მღინარეზე, წყაროზე, წყალსატევში). მცირე წყალკურთხევა (მცირე აიაზმა), რომელიც განსხვავდება დიდისაგან ლიტიებისა და საგალობლების შედგენილობითა და მოცულობით, სრულდება ტაძრის დღესასწაულებზე (ლიტურგიის დაწყებამდე), 1 აგვისტოს (წყაროზე ან წყალსატევში), განზოგების დღეს, აგრეთვე სხვა ნებისმიერ დროს, როგორც ტაძარში, ისე მორწმუნეთა ბინებში, მათი სურვილის მიხედვით. ნაკურთხ წყალს ეწოდება აიაზმა (სიწმინდე). წყლის კურთხევის წესი (ლიტიებისა და საგალობლების მიმდევრობა) წერია კურთხევანში სათაურით: „კურთხევა მცირისა აიაზმისა“ და „წესი დიდისა აიაზმისა დღესა განცხადებისასა“, (იხ. წესი; დიდი აიაზმა; მცირე აიაზმა).

ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲐᲒᲔᲚᲘ – ზოდიაქო, პაული მოციქულის სიმბოლო, „რომელმან მორწყო ქრისტეანა მღინართა სიტყუთა“ (იხ. სძა, „სწავლანი“, სწავლა წმიდათა მოციქულთა დღესასწაულისა). იხ. მერწყული.

„ᲬᲧᲚᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲫᲔᲛᲬᲘᲐᲜᲐᲡᲐ ᲖᲔᲓᲐ“ – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება, ქართულად თარგმნილი ეფთვიმე ათონელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 1, XI, 597-652; A 92, XI, 287-327; S 383, XI; S 1696, XI. იგივე სიტყვა, ეფრემ მცირის თარგმანით, შეტანილია ხელნაწერებში; A 109, XII, 176r-187r; ქუთ. 9, XIII, 217r-233r; სახელწოდებით: „წყლულებისათუს სიტყუისა-მიერისა“.

„ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ – ანტონ I კათოლიკოსის (XVIII ს.) სასისტორიო-საღვთისმეტყველო თხზულება; იგი წარმოადგენს იამბიკური ლექსით დაწერილ პოეტურ ძეგლს, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმეტყველო ტრაქტატები, საგალობლები, ქართველი მეფეებისა და მწერალ-მოღვაწეებისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექსები და სხვა. დაწერილია 1764-68 წწ. თხზულება შედგება შვიდი ნაწილისაგან: 1) ღმრთისმეტყველებისათუს (სამება, ერთარსებობა, განკაცება, ენება, აღდგომა მაცხოვრისა, ექვარისტია, შვიდთა მსოფლიოთა კრებათათუს). 2) „თუს უფროსად წმიდისა ღმრთისმშობელისა“. 3) „თუს ცხოველსმყოფელისა ჯუარისა“. 4) „თუს ყოველთა წმიდათა“. 5) „თუს ქართველთა წმიდათა“ (ჩაშთოველილია ქართველი წმინდანები, მოკლე ცნობათა თანდართვით). 6) „თუს ქართველთა რომელთამე მეფეთა ჩინებულთა“ 7) „თუს ქართველთა სიბრძნისმოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“. პირველი ოთხი ნაწილი დოგმატიკური შინაარსისაა, ბოლო სამი კი – ისტორიულ-აგიოლოგიური. ღვთიდე შეთხრნილია თხზულების 16 ნუსხა (A 334; S 346; H 192; S 1; H 2307; H 225; H 2152; A 638, H 2117; S 121; A 602, H 383; პეტერბურგის E 65 / Q 79; Q 617; S 1464). ბოლო გამოცემა: ი. ლოლაშვილისა (ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980). ადრინდელი გამოცემები ეკუთვნით პლ. იოსელიანსა და რ. ბარამიძეს.

ᲬᲧᲝᲠᲫᲐ – სოფელი ახალციხის რაიონში, მდ. ურაველის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, ახალციხიდან 20 კმ. სოფლის ცენტრში დგას მეტად მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, XIII ს. მიწურულის ქართული არქიტექტურის ძეგლი. მოპირკეთებულია თლილი ქვით და შემკულია ჩუქურთმებით. ამის გარდა სოფლის მიდამოებში კიდევ ორი ეკლესია ყოფილა. ერთი მათგანი კარგადაა შემონახული, მეორე – დანგრეულია.

ჯალა – სოფელი საჩხერის რაიონში, მდ. ყვირილის ზემო ნაწილში, საჩხერიდან 20 კმ. აქ არის XVI ს. ეკლესია აბაშიძეებისა, სოფლის მიდამოებში კი – ეზეევის „დედა ღვთისა" და ღვთისშობლის ეკლესია (ორივე XI ს.). ჭალის ეკლესიები ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლებია. ისინი შემკულია ურიკალური ფრესკებითა და ჩუქურთმებით. სოფ. ჭალიდანაა ხელნაწერთა ინსტიტუტის H 9366 ხელნაწერი – „ჭალის გულანი".

ჯალასთავი – სოფელი თერჯოლის რაიონში, იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, თერჯოლიდან 20 კმ. აქ შემორჩენილია 1876 წ. აგებული ერთნავიანი ეკლესია. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აგებულია ოსმატი ძმების – ბერეკაშვილების მიერ. ტაძრისათვის დამახასიათებელია თლილ ქვის პერანგი, შერილი აბსიდის დეკორატიული თაღედი, ორმაგი ლილვებით გამოყვანილი თაღები შესასვლელებზე. ხის სამშვაოები (კანკელი და სხვ.) შეუსრულებია ოსმატს ექვთიმე ტოფაძეს (სოფ. დაბაძველიდან).

ჯანღრები – სოფელი ქარელის რაიონში, მდ. ხვედურეთის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე, ქარელიდან 15 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

ჯანკიევი ცაცა (1933-1991 წწ.) – ფილოლოგი, პალეოგრაფი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი. მან მონაწილეობა მიიღო ძველი ქართული პაგიოგრაფიული ორიგინალური ძეგლების I ტომის (1963 წ.) გამოსაცემად მომზადებაში. ის თანაავტორია ფუნდამენტური პიმნოგრაფიული ძეგლის - „უძველესი იადგარის" გამოცემისა (სახელმწიფო პრემია, ელ. მეტრეველთან და ლ.ხევსურიანთან ერთად), თბ., 1980, 942 გვ. ც.ჭანკიევმა ქ. ლენინგრადში სალტიკოვ-შედრინის ბიბლიოთეკის საცავებში მიაკვლია ერთ-ერთ უძველეს ოთხთაეს – ქსნის ოთხთაეს – A 509, X ს. – დაკარგულად მიჩნეული ეტრატზე ნაწერი ნაწილი. მეცნიერმა მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა პალეოგრაფიულ საკითხებს, კერძოდ, ძველი ხელნაწერების დაქარაგმების კანონზომიერების შესწავლას, აგრეთვე ხელნაწერთა ფონდების აღწერილობებს.

ჯარები – სოფელი ცხინვალის რაიონში, მდინარეების – პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დას. კალთაზე, ცხინვალიდან 15 კმ. აქ შემორჩენილია დიდი ბაზილიკური ეკლესია – XIII-XIV სს. ქართული არქიტექტურის ძეგლი.

ჯაჭარაძი – სოფელი მესხეთში, ახალციხის რაიონში, მდინარების – მტკვრისა და ურაველის შეერთების ადგილთან, ახალციხიდან 7 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

„ჯვრის მთაწარანგელოზი" – განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია სოფ. ზემო ბარში (ონის რაიონი).

ჯერეში – ძველი საეპისკოპოსო კათედრა კახეთში, მდ. ჭერმისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ამჟამად ადმინისტრაციულად ეკუთვნის გურჯაანის რაიონს. ქ. გურჯაანიდან 20 კმ. არის ჭერემის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც VIII-IX სს. მიჯნაზე აშენდა. ჭერემის ეპარქია ამჟამად გაუქმებულია. უკანასკნელ ხანებამდე დაცარიელებული იყო თვით სოფელი ჭერემიც. ამჟამად სოფელში მოსახლეობა უკან ბრუნდება. ჭერემის მიდამოებში შემორჩენილი ნაქალაქარის ნაგებობათაგან აღსანიშნავია: საეპისკოპოსო ტაძარი – სამკლესიიანი ბაზილიკა X-XI სს. (ინტერიერი მოხატულია), „წერდახალი" და წმ. ბარბალეს (V-VIII სს.) ეკლესიები, VIII-IX სს. სასახლე და სხვა ნაგებობანი.

ჯეშმარიტება – სიმართლე, სინამდვილე; ეპითეტი ღმრთისა (რომ. 3,4; ეფეს. 4,21). ქრისტიანული ღვთისმეტყველების თანახმად, სიცრუის წყარო ღვთის უარყოფა, ჭეშმარიტე-

ბის მიზანი კი არის ღმერთთან შერთება. იესო ქრისტეს სიტყვით, იგი თავად არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება (იოანე 14,6). იგი იმისათვის იშვა და მოევლინა ამ სოფელად, რათა ადამიანები ჭეშმარიტებასთან ეზიარებინა (იოანე 18,37). „მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა“ (იოანე 1,17).

ღმერთთან მისაახლებლად, ჭეშმარიტების შესაცნობად საჭიროა ცოდვებისაგან განწმენდა, სინანული (2 ტიმ. 2,25). ამჟე დროს, ცოდვათა ტყვეობისაგან ადამიანის განთავისუფლება მხოლოდ ღმერთს (ჭეშმარიტებას) ძალუძს (იოანე 8,32). განწმედილ ადამიანებზე გადმდის სულიწმიდა — „სული ჭეშმარიტებისა“ (იოანე 14, 16-17; 15, 26; 16,13).

ჭვინტა – სოფელი მესხეთში, ახალციხის რაიონში, ახალციხის ქვაბულში, რაიონის ცენტრიდან 10 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების ჭვინტის მონასტერი, მონასტრის მთავარ ეკლესიაში „ბოწორისი“ შემორჩენილია მოზაიკულობის ნაშთები.

ჭიკაანი – სოფელი ყვარლის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდ. აკანისწყლის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ყვარლიდან 15 კმ. აქ შემორჩენილია XVI-XVII სს. დიდი გუმბათიანი ეკლესია „ყორაცხველი“.

ჭილ-ეტრატის იადგარი – უძველეს საკლესიო საგალობლთა კრებული, H 2123 ხელნაწერი, რომელიც ასახავს ქრისტიანული ღვთისმსახურების იერუსალიმურ პრაქტიკას. ხელნაწერს მოძღვნარეობს იქიდან, რომ ხელნაწერის ნაწილი ჭილზეა შესრულებული (პარჩუსზე), ნაწილი – ეტრატზე (პერგამენტზე). კრებული წარმოადგენს დღესასწაულთა საგალობლებს (სრულ „განგებებს“), როგორც თვენიას (საღესასწაულოსას), ასევე მოძრავი ციკლის დღესასწაულებისასაც (მარხვან-ზატიკისას). ხელნაწერის გადაწერის თარიღად ა. ცაგარელი მიიჩნევს VII საუკუნეს, კ. კეკელიძე – IX საუკუნეს, ა. შანიძე კი – XI ს-ის დასაწყისს. პირველად გამოცემულია ა. შანიძის რედაქციით (1977 წ.), მეორედ – ელ. მეტრეველის, ლ. ხევსურიანისა და ც. ჭანკიევის მიერ („უძველესი იადგარი“, თბ., 1980 წ.).

ჭინკა – ბორიტი სულების (ეშმაკის მსახურთა) ხალხური სახელწოდება, იგი მამაკაცის სახით ჰკადიათ წარმოდგენილი; დაბალტანიანი, ბანჯგვლიანი. ალ-ქიკების მსგავსად, ცხოვრობენ ტყეებში.

ჭინჭრიანი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, ალგეთის ბეღობში, თეთრიწყაროდან 40 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია XI ს. ეკლესია, ინტერიერი მოხატულია, დაცულია ლამპადარული წარწერები.

ჭიორა – სოფელი ზემო რაჭაში, ონის რაიონში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, ონიდან 20 კმ. აქ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ბაზილიკური ეკლესია.

„ჭირის კანონი“ – ფსალმუნის XVIII კანონის (ფს. 119-133) ხალხური სახელწოდება. კანონმა ასეთი სახელი მიიღო დასაწყისი მუხლისაგან: „ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღაღადყავ და ისმინა ჩემი“ (ფს. 119,1). ჭირის კანონი, დაეთის სხვა კანონთა მსგავსად, გაყოფილია სამ აღსავლად, რომელთა დასასრულს ითქმის „დიდება, აწდა“, ეს აღსავლები იგალობება პირველმეწირულის ლიტურგიის დროს და ეწოდება შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე აღსავალი. ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიაზე აღსავლებად სხვა ფსალმუნები იგალობება.

ჭიქაური – IX-X სს. ქართველი გადამწერი. მას გადაუწერია იერუსალიმური განჩინების ნუსხა, რომელიც სოფ. კალის (ზემო სვანეთი) ეკლესიაშია დაცული (აღწერილია კ. კეკელიძის მიერ წოგნი: "Иерусалимский канонарь").

ჭიჭაურისძე – XIII ს. ქართველი ხუროთმოძღვარი. დემეტრე თავდადებულის ასულის, დედოფალთ-დედოფლის რუსუდანის შეკვეთით 1282-83 წწ. აუგია გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი – არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი (უკანასკნელ ხანებამდე ამ ტაძარს რუსუდან მეფის – თამარის ასულის ზეობის (1222-1245 წწ.) დროინდელად თვლიდნენ.

ჭიჭიფორისძე გამოცდილი ოსტატი ყოფილა. დარბაზული ნაგებობისათვის მას მოხდენილად მოუსადაგებია აღმოსავლეთის ფასადის ნიშებისა და ჩუქურთმათა სისტემა (ღრმინატური ჯვარი, ორი რომბი და სხვ.), რომელიც XI-XII სს. ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიებისთვის (სამთავისი, იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი) იყო დამახასიათებელი, დარბაზული ეკლესიათვის კი – უნიკალური შემთხვევაა. ბრწყინვალედაა შესრულებული კანკელიც, ქვის გამორეკურთმების შესანიშნავი ნიმუში (დაცულია საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

ჭლოუ – სოფელი ონამიჩირის რაიონში, მდ. თოშემის მარცხ. ნაპირზე, ონამიჩირიდან 25 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა

საუკუნების კომპლექსი: ეკლესია და გალავანი.

ჯობარეთი — სოფელი მესხეთში, ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასპინძიდან 5 კმ. სოფლის მიდამოებში არის ადრე შუა საუკუნების სამეკლესიოანი ბაზილიკა.

ჯონა — ძვ. საქართველოში გავრცელებული საწესჩვეულებო სიმღერა, რომელსაც ასრულებდნენ „ალილოს“ მსგავსად. შეიკრიბებოდა მოკალმასეთა ჯგუფი და ამ სიმღერით შემოევლიდა სოფელს აღდგომის წინა საღამოს. ეს იყო დღესასწაულის მილოცვის ერთგვარი ფორმა. მოსახლეობა მომღერლებს აჯილდოებდა ქერცხით, ბამბაზრებით და სხვა საზოგადო. ალილოობაც ამის მსგავსად ტარდებოდა, ოღონდ ქრისტეს შობის წინა საღამოს.

ჯორჯილა — სოფელი საჩხერის რ-ნში, მდ. ყვირილის მარცხ. მხარეს, საჩხერიდან 3 კმ. აქ დაცულია შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმინდა მარინეს ეკლესია შემოზღუდულია გალავნით, იქვეა კოშკი.

ჯოხულდი — სოფელი ზემო სვანეთში, მესტიის რაიონში, ისტორიულ ბეჩოს თემში, მესტიიდან 20 კმ. აქ არის XI ს. მაცხოვრის ეკლესია. დასაელეთ ფასადის ლატიდარულ წარწერაში მოხსენიებული არიან ვინმე კონსტანტი და იოვანე.

„ჯრელი“ — 1. მუსიკალური ფიგურის აღმნიშნელი ძველებური ტერმინი, 2. ისეთ საგალობელ ტექსტზე (ფსალმუნი, ტროპარი და სხვ.) შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ტიპიკონის მიხედვით არაა გამიზნული რაიმე ღვთისმსახურებისათვის (წირვა, მწუხრი, ცისკარი და სხვ.). ასეთი საგალობლები სრულდება წირვის ბოლო ნაწილში, ე. წ. „განიცადეზე“. რუსული ღვთისმსახურების პრაქტიკაში ეწოდება „კონცერტი“. „ჭრელი“ საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული გამხდარა XVIII ს-ში. ამ დროს შექმნილა მთელი სკოლა მგალობლებისა, რომელნიც აერცელებდნენ საეკლესიო გალობას საქართველოს ყველა კუთხეში. განსაკუთრებით ცნობილი არიან: გერასიმე მღვდელმონაზონი (შემდეგ არქიმანდრიტი), რომელსაც 500 „ჭრელი“ სცოდნია და გაუზრდია მთელი რიგი შეგირდებისა: მღვდელმონაზონი ლეონტი სოლოღაშელი, ხუთასამდე „ჭრელის“ მცოდნე; ისააკ ხუცეს-კანდელაკი, რომელმაც იცოდა ათასამდე „ჭრელი“ და მრავალი სხვა.

ჯულე — ნასოფლარი ადიგენის რაიონში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, მდინარის მარცხნივ, კლდეების ძირში, ადიგენიდან 5 კმ. აქ დაცულია XIV ს. ქართული არქიტექტურის ძეგლი — წმ. გიორგის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი. არქიტექტურულად ჭულეს ტაძარი ენათესავება იმავე ეპოქის სამცხის ტაძრებს: საფარასა და, განსაკუთრებით, ზარზმას. ფასადები (სარკმლისა და კარების საპირეები) ჩუქურთმითაა შემკული, თლილი პრანგისათვის დამახასიათებელია ცხოველი კოლორიტი, ინტერიერში შემორჩენილია XIV ს. მოხატულობა. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთის ბოძზე გაკეთებული ფრესკული წარწერის თანახმად, ტაძარი 1381 წ. მოუხატავს მხატვარ არსენს. მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. მანც ხერხდება მისი საერთო სქემის აღდგენა. გუმბათში გამოსახული იყო ამაღლება, გუმბათის ყელზე — წინასწარმეტყველნი, აფრებში — მახარებელნი, საკურთხევლის კედელზე — მოციქულთა ზიარება და მის ქვეშოთ — ეკლესიის მამების გამოსახულებანი. საკუთრივ ნავის კედლებზე სახარების ეპიზოდებისა და წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ფრესკებია. სამხრეთის კედელზე გამოსახულნი არიან სამცხის ათაბაგები: სარგისაბა, ბექა მანდატურთუხუცესი, სარგის II, ყვარყვარე, შალვა.

ჯყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი — საქართველოს ეპარქია-ეპარქიის (ეპარქია უპირველესი) წოდება. ასეთი წოდება პირველად მიიღო გიორგი მონაზონმა (1105-1110 წწ.), იგი დაუთ აღმაშენებლის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე, ხელისუფლებისა და მიმდევარი იყო. გიორგიმდე ჭყონდიდელისა (ჭყონდიდის ეპისკოპოსის) და მწიგნობართუხუცესის თანამდებობები ცალ-ცალკე არსებობდა. თავისი ერთგული მწიგნობართუხუცესისათვის ჭყონდიდელის უწარჩინებულესი კათედრის ჩაბარების მიზანი იყო მეფის მხრივ ეკლესიის მართვა-გამგეობაზე გაკონტროლების დამყარება. თამარ მეფის დროს ამ წოდებას ატარებდა ანტონ გლონთისაეის ძე.

ჯყონდიდი — უძველესი წარმართული სალოცავი სამეგრელოში, როგორც სახელწოდებიდან ჩანს (მეგრ. „დიდი მუხა“), აქაური წარმართობის შინაარსი ხეთა მსახურება იყო. VII ს. I ნახევარში წარმართული სალოცავის ადგილზე ქრისტიანული ეკლესია აშენდა. ამ ადგილს, ტაძრის სახელის მიხედვით, მარტვილი ეწოდა. X ს-ში მარტვილში დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა (იხ. ჭყონდიდის

ეპარქია). (იხ. მარტყოლი).

ჭყონდიდის ეპარქია – ერთ-ერთი უძველესი ეპარქია საქართველოში (X ს-დან). XII ს. დამდეგს ჭყონდიდის მღვდელმთავარმა (ჭყონდიდელმა) შეიგნობართუხუცესის (საქართველოს მეფის ვაზირთა უპირველესის) წოდება მიიღო, რის შემდეგაც დამკვიდრდა ჭყონდიდელ-შეიგნობართუხუცესის ინსტიტუტი. ჭყონდიდის ეპარქია მოქმედია დღემდე და მოიცავს: მარტყოლისა და ახაშენის რაიონებს. ჭყონდიდელი მღვდელმთავრის კათედრა ამჟამად არის ქ. მარტყოფში.

ხ

ხალდი (ხადის) – IV ს. სომეხი ეპისკოპოსი, ნერსე მთავარეპისკოპოსის მოწაფე. როდესაც ნერსე კეისარიად წაიყვანეს დესპანად, მან ხალდი თავის მაადგილედ დატოვა. არშაკ მეფემ, მხილებისათვის ხალდის „განრეცაჲ და ქვათაჲ დაკრებაჲ“ ბრძანა, მაგრამ ეპისკოპოსს რამდენიმე დიდგვაროვანი (მთავარი) გამოესარჩლა და გადაარჩინეს. ნერსე მთავარეპისკოპოსისა და ხალდ ეპისკოპოსის „ცხოვრება“ IX-X სს-ში უთარგმნიათ სომხურიდან ქართულად. ტექსტი დაცულია Ath. 8 ხელნაწერში; გამოცემულია ორჯერ: А. Хаханашвили, Материалы по груз. агиологии“, с. 65-69 და ი. აბულაძის მიერ; ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. წვ. მღვდელმთავართა ხსენების დღე – I ივლისი.

„ხადილიანი“ („ხადილსა ჩემსაჲ“) – ასე ეწოდებოდა მცირე სერობას, რომელიც იწყებოდა ფსალმუნით: „ხადილსა ჩემსა“ (ფს. 4).

ხადისკარის მთავარმოწამე – ხადის ხეობის (მთიულეთში, არაგვის მარცხენა შენაკადი) მთავარი სალოცავი. იგი მდებარეობს სოფლების – ბეგოთკარისა და ბენიანის მახლობლად, ბენიანთ ეკალზე. აქ მდგარა ძველი ეკლესია (გადმოცემით თამარ მეფის აგებული), რომლისგანაც ამჟამად ნანგრევებია დარჩენილი. ძველის სანაცვლოდ 1908 წელს ხადის ხეობის ხალხს აუშენებია ახალი დარბაზული ეკლესია ამ ეკლესიაში იმართებოდა დღესასწაული, რომელსაც ხადიჯერობას უწოდებენ.

ხალარჯობა – ხალხური სახელწოდება სულის შაბათისა (სულიწმიდის მოფენის წინა შაბათი). ამ დღეს ხდება მიცვალებულთა მოხსენება. სულის შაბათს ასე უწოდებენ თუშეთსა და ფშაველში, აგრეთვე დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ქედში. ხალარჯობა აღინიშნება ზემო იმერეთის სოფელ ჭრტყუჩალაშიც (ხარაგაულის რაიონში), მაგრამ სულის შაბათს კი არა, არამედ სულიწმიდის მოფენის მეორე დღეს, ორშაბათს. ნ. ღამბაშიძის გამოკვლევით, ხალარჯობის სახელწოდება მომდინარეობს „ჯარჩისგან“ (წმინდა ფქვილი), რომლისგანაც რიტუალური ფაფა მზადდებოდა.

ხალენი – მღვდელთა და მონაზონთა ზედა შესამოსელი, წამოსასხამი, „უნდო მაზარა ცხოვართ მატყლისა“ (სულხან-საბა). ბიბლიაში მოთხრობილია ელია წინასწარმეტყველის ერთი სასწაული, რომელიც ხალენთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ხალენის დაკრით მდ. იორდანეს განპობა და ელისესთან ერთად მშრალად გადასვლა მეორე ნაპირზე (IV მეფეთა 2,8). ცეცხლოვანი ეტლით ზეცად ამაღლების შემდეგ ელიამ ხალენი ელისეს დაუტოვა. ელისემაც „სცა წყალსა მას მეორედ და განიპო ორად და წიაღძა ელისე კმელსა“ (IV მეფეთა 2,14). „მოქცეულა ქართლისაჲს“ მიხედვით, IV ს-ში გაურცელებული ყოფილა აზრი, რომ ელიას ხალენი დამარხულია მცხეთაში (იხ. ძეგლები, წ. I, გვ. 87).

ხალკუპარატია – ქალაქი ბიზანტიაში, რომელთანაც დაკავშირებულია ქრისტეს სასწაულთმოქმედი ხატის ამბავი. ქართულ ენაზე არსებობს მეტაფრასული თხზულება: „თხრობაჲ სულთა სარგებელი სასწაულისა მისთჳს, რომელი იქმნა ხალკუპარატიას ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათჳს ეწოდა მას თაუსმღე, და თეოდორესთჳს მენაჲსა და აბრაამ პურიისა“, ქართულ ენაზე თარგმნილი უფრო მცირის (XII ს.) მიერ. ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 8, 130-141; A 162, A 276.

ხანმეტი მრავალთავი – ასე ეწოდება S 3902 ხანმეტ ხელნაწერს („ხანმეტი" ეწოდება ისეთ ტექსტს, რომელშიც ზედმეტადაა ნახმარი ასო „ხან"), რომელიც წარმოადგენს VIII ს. პირველი ნახევრის პალიმფსესტს (პალიმფსესტი ეწოდება ისეთ ეტრატს, რომელ ზედაც თავდაპირველად დაწერილი ტექსტი საგანგებოდ გადაუშლიათ და მეორედ გამოუყენებიათ საწერ მასალად). ხელნაწერი სვანური წარმოშობისაა. შინაარსის მიხედვით იგი მრავალთავია. მასში მოთავსებულია ნაწყვეტები შემდეგ თხზულებათაგან: იოანე ოქროპირისა „მიბისათჳს", „ნათლისღებისათჳს", „ბზობისათჳს", „ფარისეველთა შურისათჳს", სხვა სიტყვა დიდი ოთხშაბათისთვისვე, მისივე „საკითხავნი დიდისა ხუთშაბათისანი"; იულიან ეპისკოპოსის „ნათლისღებისათჳს"; ეუსუქი ხუცის „მკცრართა აღდგომისა და საშჳკელისათჳს", და სხვ. ეს თხზულებები იმავე რედაქციით, გეხვდება მერმინდელ ხელნაწერებშიც (უდაბნოს მრავალთავი, პარხლის მრავალთავი და სხვ.), მაგრამ იქ ხანმეტობის ნიშნები უკვე ჩამოშორებულია. ხანმეტი მრავალთავი შეისწავლა და გამოსცა ა. შანიძემ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927 წ. 98-159).

ხანცთა – მონასტერი კლარჯეთში, დაარსებული გრიგოლ ხანცთელის მიერ VIII ს. II ნახევარში. ხანცთასთან იყო დაკავშირებული შატბერდის მონასტერიც, რომელიც აშოტ კურაპალატმა „აგარაკად ხანცთისა განაჩინა", შემდეგ კი მისი ძის, ბაგრატის შემწეობით იქცა მონასტერი ააშენა გრიგოლმა (ღვთისმშობლის სახელზე). თავისი მონასტრისათვის გრიგოლ მიუცია ქტიტორული ტიპიკონი, რომელიც შეუდგენია საბაწმინდის წესის საფუძველზე. ხანცთისა და შატბერდის სავანეში, რომლებიც იყვნენ „შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყვარულსა", გაჩაღდა სამონასტრო და ლიტერატურული ცხოურება, სხვადასხვა ხასიათის საეკლესიო წიგნების თარგმნა და გადაწერა. გრიგოლ ხანცთელის ბიოგრაფის სიტყვით: „აწ არს ხანცთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან". გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, 951 წელს, ხანცთის მონასტრის მოღვაწეს გიორგი მერჩულს, თეოდორეს წინამძღვრობისას, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით, დაუწერია გრიგოლის „ცხოურება", რომელსაც ეწოდება „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ". ხანცთის მოღუაწეთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: საბა იშხნელი, თეოდორე ნეძვის მაშენებელი, ქრისტეფორე – კვირიკეთისა, არსენი (შემდეგ კათოლიკოსი), ეფრემ მაწყვერელი, ზენონი, იოანე მტბევარი, მიქელ პარეხელი, სოფრონ შატბერდელი, გიორგი მაწყვერელი და სხვ.

ხარლამპი († 202 წ.) – წმ. მღვდელმოწამე, ქ. მავნესიის (სპერძნეთის ჩრდ.-აღმ. მხარე) ეპისკოპოსი. როცა წარმართებმა მისი მოღუაწეობის ამბავი შეიტყვეს, იგი უკვე ღრმა მოხუცი იყო – 113 წლისა. ასაკის მიუხედავად იგი სასტიკად აწამეს. რამდენიმე წარმართი მტარვალი ხარლამპის სასწაულების ძალით ქრისტიანად მოექცა, მაგრამ ბოლოს იმპერატორ სეპტიმოს სევერის (193-211) ბრძანებით წმინდა მღვდელმოწამეს თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღე – 11 თებერვალი. მისი „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 188, 223-230; A 313, 1-12; H 341, 124-146; Jer. 20, 298-331; Sin. 87, 111-122).

ხარებისძენი – გაბრიელ, ბაკურდუხტ, მიქაელ, გუარამ, აფრისა, სტეფანე, გიორგი (X ს.), მოხსენებული არიან სოფ. ქვემო ჭარების (ცხინვალის რაიონი, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე) ეკლესიის აბსიდის იატაკში ჩატანებული სტელის წარწერაში.

ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა – ერთი „ათორმეტ" საუფლო დღესასწაულთაგანი, რომელიც დადგენილია მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების მოსახსენებლად. წმინდა მამების გადმოცემით, [illegible] მთავარანგელოზი იმ დროს გამოეცხადა [illegible] მარიამს, როდესაც იგი საფუარო წერილს კითხულობდა. მან, კერძოდ, „მოიკითხა ბიბლიის ის ადგილი, სადაც ნაწინასწარმეტყველები იყო მხსნელის (უფლის ცხებულის – ქრისტეს) ქალწულისაგან დაბადება და ინატრა, ნეტაჲ იმ ნეტარი ქალწულის მსახური ვიქნებოდე, რომლისაგანაც ღვთაებრივი ყრმა უნდა დაიბადოსო.

უფალმა „მოხედა ჰიმდაბლესა ზედა მჳეულისა თჳსისასა" (ლუკა 1,48) და მთავარანგელოზი გაბრიელი სწორედ ამ დროს მიაღინა მასთან სასიხარულო ამბის მაუწყებლად. მთავარანგელოზი გამოეცხადა ქალწულს და ახარა, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე,

მხსნელი სოფლისა. საკურთხეველმა გამოცხადებამ წმ. ქალწული შეაძრწუნა და ჰკითხა, როგორ მოხდებოდა ეს. მთავარანგელოზმა აუხსნა, რომ ყრმა ჩაისახებოდა სულიწმიდის მიერ და ძალი მაღლისა (ღვთისა) დაიფარავდა მას. ამის შემდეგ მიმადლებულმა ქალწულმა თქვა: „აჰა, მხევალი უფლისა, მეყოფ მე სიტყვისაებრ შენისა" (ლუკა 1,38). ხარება აღწერილია ლუკას სახარებაში (1, 26-38). დღესასწაულება 25 მარტს.

ხარების დღესასწაული უმეტესწილად ხვდება დიდ მარხვაში. ასეთ შემთხვევაში მარხვა ხსნილდება თევზით, თუ ხარება ვნების შვიდეულამდე მოხვდა; ვნების შვიდეულის დღეებში დამთხვეული ხარება დიდ პარასკევამდე ახსნილებს მხოლოდ ზეთითა და ღვინით. დიდ პარასკევსა და დიდ შაბათს დამთხვევის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ მშრალი საკვები (უზეთოდ) და ღვინო. არის შემთხვევები, როდესაც ხარება ემთხვევა აღდგომის დღეს, ან ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, ან სამშაბათს. ამ შემთხვევაში ხსნილია ხორცით. ხარების მოძრაობის დღესასწაულის ფარგლებია: ხუთშაბათი დიდმარხვის III შვიდეულისა – ოთხშაბათი ბრწყინვალე შვიდეულისა, სრულდება წირვა იოანე ოქროპირისა. ხარების დღესასწაულს აქვს ორგვარი თაყვანისცემა ღვთისმშობლის მხრივ და ყოველწლიურად სხვადასხვა ტიპიკონით სრულდება, იმისდა მიხედვით, თუ რომელ დღეს დაემთხვევა იგი. ეს თაყვანისცემა წერია სადღესასწაულო წიგნში (იხ. სადღესასწაულო, სადღესასწაულო თვენი, მარკოზის თაყვანი).

ხარება, როგორც ზემოთ ვთქვით, ეკუთვნის „ათორმეტ" დღესასწაულთა რიცხვს, მაგრამ რადგან იგი მარხვის დღეებში ხვდება, აქვს მხოლოდ წინადღესასწაულისა და შემდგომი დღესასწაულის [illegible] დღე (ე. ი. მეორე დღესვე ნარგიზლ[illegible] თუ იგი დაემთხვა ლაზარეს შაბათს, შემდგომი დღესასწაული არ ექნება. თუ დაემთხვა ბზობას, ან ვნებისა და ბრწყინვალე შვიდეულის რომელიმე დღეს – მაშინ არც წინა დღესასწაული ექნება და არც შემდგომი, იდღესასწაულება ერთ დღეს.

ხარების შესახებ ქართულ ხელნაწერებში დაცულია იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელის, სოფრონ იერუსალიმელის, ანდრია კრიტელის და სხვა წმ. მამათა ქადაგება. იოანე ოქროპირის ორი ქადაგება. პირველი მათგანი დაცულია ხელნაწერებში: A 19, 12-20; A 95, 7-20; მეორე – A 272, 253-255; A 176, 73-74; Jer. 675, 151-156; A 613; ქუთ. 2, 317-321; ქუთ. 8, 176-179; Jer. 2, 69-76; Jer. 4, 20-23. „საკითხაჲი ხარებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა" – გრიგოლ ნოსელის თხზულება, Ath. 11, 1-3. „თქუმული ხარებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა" – მელეტი ანტიოქელის თხზულება, A 95, 20-27. „შესხმაჲ ხარებისათჳს ყოელადწმიდისა ღმრთისმშობელისა" – ევსუქი იერუსალიმელის თხზულება, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 5, 245-249; A 272, 258-260; ქუთ. 2, 282-285; ქუთ. 8, 147-149. „სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოელადწმიდისა ღმრთისმშობელისა" – გრიგოლ ნეოკესარიელის თხზულება; შეტანილია ხელნაწერებში: A 162, 159-161; ქუთ. 2; ქუთ. 8, 172-176; Jer. 4, 17-20. ამ თხზულების ძველი რედაქცია დაცული 864 წლის სინურ მრავალთავში Sin. 32, 1-6. იქვე წერია მეორე და მესამე „სიტყვა" ხარებისათვის: გვ. 6-15 და 15-23. „თქუმული ხარებისათჳს" – პროკლე კონსტანტინეპოლელის თხზულება; Ath.12-14; Sin. 32-57-33, 40-45. „სიტყუაჲ ხარებისათჳს" – სოფრონ იერუსალიმელის თხზულება: Jer. 162, 2-4; ქუთ. 2, 288-312; ქუთ. 8, 151-172; 217-238. „ხარებისათჳს ყოელად წმიდისა" – სიტყვა ანდრია იერუსალიმელის, კრიტელი მთავარეპისკოპოსისა: ქუთ. 2, 321-333; ქუთ. 8, 179-189; Jer. 4,30-42.

ხარებითი – X-XI სს. ხუროთმოძღვარი, აშენებული შეშიკის ეკლესიისა (მდებარეობდა წალკის რაიონში, მდ. ყარასუს ნაპირზე, ხრამთან მისი შერთვის ახლოს, 1947 წლიდან წყლითაა დაფარული, მოქცეულია ხრამესის ხელოვნურ საგუბარში). მოხსენებულია სამხრეთ ფასადის კარის ტიმპანის ლაპიდარულ წარწერაში. იქვეა მოხსენებული რატი ერისთავი და მისი ძე ლიპარიტ ერისთავი. წარწერიანი ქვა ინახება საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ხარეჭინს აუშენებია სოფ. დაღეთის (თეთრი წყაროს რაიონი) ეკლესიაც. წარწერიანი ქვა (ფრაგმენტი) 1974 წ. დაღეთიდან ჩამოიტანეს თბილისში (ინახება იქვე მუზეუმში).

ხარისხიდან განკვეთა – სამღვდელო პირთათვის აკრძალვა ყოველგვარი მღვდელმოქმედებისა, როგორც საღვთო საიდუმლოთა და საეკლესიო წესებისა, ისე ქადაგებისა. ესაა მკაცრი სასჯელი იმ სასულიერო პირებისათვის, რომლებიც უხეშად არღვევენ ქრისტიანული და სულიერი ცხოვრების კანონებს, ეწევიან ამა თუ იმ ბილწ საქმიანობასა და შეთვისებული აქვთ სხვადასხვა მანკიერი ჩვეულებანი. ხარისხიდან

განკეეთილ სამღდელო პირებს ეკრძალებათ ყოელგვარი მღდელმოქმედების შესრულება და ითვლებიან როგით ერისკაცებად.

ხარიტინე († 304 წ.) – წმიდა ქალწულმოწამე; ადრე დაობლდა. აღზარდა ერთმა ღვთისმოშიშმა ქრისტიანმა, სახლად კლავდიოსმა. წმინდა ქალწული მოშურნე ქრისტიანი აღიზარდა და ბევრიც მოაქცია ცხოვრების გზაზე. იმპერატორ დიოკლეტიანეს (280-305) დროს იგი სასტიკად აწამეს. ხსენების დღე – 5 ოქტომბერი. ხარიტინას მეტაფრასული „წამების" ქართული თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 389-392; S 384, 309-314.

ხარიტონ ალმსარებელი – პალესტინაში სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი (ილარიონ დიდთან ერთად). ქრისტიანობისთვის ეწამა იკონიაში, იმპერატორების გალერიოსის (305-311), შემდეგ მაქსიმიანეს (305-313) და ლიკინიუსის მიერ (311-324). ალმსარებლობით მოღვაწეობას შთააგონებდა მისი მშობლიური ქალაქის მკეიდრის, წმ. პირველმოწამე თეკლას მაგალითი. ხარიტონი უშიშრად ამხილებდა წარმართთა სარწმუნოებას და ჭეშმარიტ ღმერთად ქრისტეს აღიარებდა. ამისათვის იგი რამდენჯერმე შეიპყრეს და აწამეს, მაგრამ ღვთის განგებით ცოცხალი გადარჩა. როცა შეწყდა ქრისტიანების დევნა, წმ. ხარიტონი საპყრობილედან გამოვიდა და მთელი ცხოვრება სამონასტრო მოღვაწეობას მიუძღვნა.

ერთხელ იერუსალიმს წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი წმინდანი ავაზაკებს ჩაუვარდა ხელში. ავაზაკებმა იგი გამოქვაბულში დაამწყვდიეს და განაგრძეს გამელელ-გამომელელთა ძარცვა. წმ. ხარიტონი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, ეხსნა ამ განსაცდელისაგან. მართლაც, ავაზაკებს არ დასცალდათ ხარიტონის მოკვლა, ისინი იმსჯელარა ღვინომ, რომელშიც შხამიანი გველი ჩავარდნილიყო. წმ. ხარიტონმა ღმერთს მადლი შესწირა, ავაზაკების მიერ დატაცებული ოქრო ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, ავაზაკთა გამოქვაბული კი ეკლესია მოაწყო. ამ ეკლესიასთან მოგვიანებით ხალხმრავალი მონასტერი შეიქმნა – მთელს პალესტინაში ცნობილი თარანის ლავრა (იერუსალიმის მახლობლად). ხარიტონმა თეითონვე შეადგინა ტიპიკონი ამ საკინობისათვის. გადმოცემით, მასვე შეუდგენია ბერად აღკვეცის წესი. ღირსმა ხარიტონმა კიდევ ორი საკნე დააარსა – იერიქონისა და სუქიისა (ეს უკანასკნელი ძველ ლავრადაც, ბერძნულად – პალავრად იწოდებოდა. ამ მონასტერში მოგვიანებით ქართველი ბერებიც მოღვაწეობდნენ) და ღრმა მოხუცი გარდაიცვალა (დაახლ. 350 წ.). ანდერძისამებრ, დაკრძალეს თარანის მონასტერში. ხსენების დღე – 28 სექტემბერი.

ხარიტონ ალმსარებლის „ცხოვრების" ქართული თარგმანი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერში no.11281, 145-162, აგრეთვე Ath. 20-ში (105-113). თარგმანი – თეოფილე ხუცეს-მონაზონისა. იმავე წმინდანს ეხება მეორე, მეტაფრასული თხზულებაც, ჩვენამდე ორი ხელნაწერით მოღწეული: ქუთ. 4, 301-311; Jer. 37, 30-37. (იხ. პალაურა; ხარიტონწმიდა).

ხარიტონი – დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი 1702-18 წწ. მოხსენებულია ისტ. სახუთ. Ad 331-ში (სამ. ძეგლ. III, გვ. 639-640).

ხარიტონწმიდა – ხარიტონის ლავრა; ასე ეწოდებოდა პალაურას, დამაარსებლის – წმიდა ხარიტონ ალმსარებელის პატივსაცემად. (იხ. პალაურა).

ხარტოფილაქსი – საეკლესიო ხარისხი ბიზანტიაში და შუა საუკუნეების აღმოსაელეთის სხვა ეკლესიებში. თავდაპირველად ხარტოფილაქსის მოვალეობას შეადგენდა საეკლესიო წიგნებისა და დოკუმენტების შენახვა, შემდეგში მისი უფლებები გაიზარდა და პატრიარქის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

ხარჭიშო – სოფელი დუშეთის რაიონში, ფშავის არაგვის ხეობაში, დუშეთიდან 60 კმ. სოფელში დაცულია სამონასტრო კომპლექსი. წმ. გიორგის მთავარი ეკლესია XIII საუკუნისაა, კოშკი და სხვა ნაგებობანი – შუა საუკუნეებისა.

ხატელიშვილი – XV-XVI ს-თა მიჯნის კალატოზი, დრბოს (საჩხერის რაიონი, სოფ. ჭალა) ეკლესიის ამშენებელი (1510 წ.), ეკლესია ერთნავიანია, ჩრდილოეთის მხრიდან სრულიად უჩეულო დანამატი აქვს – სწორკუთხა ნაწილი, რომელიც უშუალოდ ერეთის ნავს. შენობა დაქვეითების ხანის ჩეულებრივ ნიშნებს ატარებს, ოსტატობის დონე დაბალია.

ხატი – იესო ქრისტეს, ყოელადწმინდა ღვთისმშობლისა და წმინდანთა გამოსახულება, საუფლო ღღესასწაულების, ძველი და ახალი აღთქმის საღეთო ისტორიათა ამსახველი სურათები. ხატის შესრულების (დახატვის) შემდეგ აუცილებელია მისი კურთხევა („წესი და განგება ხატის კურთხეისა" წერია კურთხევან-

ში), რათა მასზე გადმოეღებს საღეთო მადლი და შემდეგ ეს მადლი გადაეცეს ყველა იმას, ვინც სარწმუნოებითა და სასოებით იღლიცებს მის წინაშე. პატივი ხატისა (კმეა, სანთლის ანთება, ეკდრება, მუხლმოდრეკა) მიღებული იქნება იმ წმინდანთა მიერ, რომელნიც მასზე არიან გამოსახულნი და სარწმუნოებით მეედრებელთ მიანიჭებენ თხოვნათა აღსრულებას.

ხატის პირველი სახეები იყო ქერუბინთა გამოსახულებანი, რომლებიც მოსე წინასწარმეტყველისა და ღვთისმხილველის ბრძანებით იყო გამოსახული აღთქმის კიდობნის ორივე მხარეს. მსგავსი ქერუბინები გამოსახულნა მეფე სოლომონმაც მის მიერ აგებულ ტაძარში. სასწაულებრივი იყო ხელთუქმნელი ხატის წარმოშობა: იესო ქრისტემ სახეზე მიიდო ტილო, რომელზედაც გამოისახა „პირი ღვთისა" და აკგაროზ ედესის მთავარს გაუგზავნა მისი თხოვნის თანახმად (იხ. ხელთუქმნელი ხატი). უძველესი ხატების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე მოციქულ ლუკას მიერ შესრულებული ღვთისმშობლის ხატი „ოდიგიტრია", ლუდიის ხელთუქმნელი ხატი, ვერონიკას ხელთუქმნელი ხატი და სხვ. წესი ხატთა წერისა პირველითგან მოციქულთა და ღმერთშემოსილ მამათა მიერაა განწესებული. ხატებს თაყვანს სცემდნენ ჯერ კიდევ უძველესი ქრისტიანები და ეს ჩვეულება მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიო ეკლესიის პრაქტიკაში. მხოლოდ VIII-IX სს-ში ჰქონდა ადგილი ხატთა თაყვანისცემის საწინააღმდეგო კომპანიას (იხ. ხატთმებრძოლობა), VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ (ნიკეაში, 787 წ.) განამტკიცა ხატთა თაყვანისცემა. ხატთა თაყვანისცემის საბოლოო აღდგენა მოხდა 843 წელს კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე. კრება მოიწვიეს ბიზანტიის მცირეწელოვანმა კეისარმა მიქაელ III-მ (842-867) და დედამისმა თეოდორამ. კრებამ შეიმუშავა „ძველისწერა სარწმუნოებისა" (იხ. „მცირე სჯულის კანონი"), რითაც ანათემა გამოუცხადა ხატმებრძოლთ და ხატთა თაყვანისცემის ზეიმი აღნიშნა. ხატთა თაყვანისცემის წესი მანამდეც იყო გათვალისწინებული მართლმადიდებლური ეკლესიის საკანონმდებლო ძეგლებში. კერძოდ, VI მსოფლიო კრების (ტრულის) კანონებში (692 წ.) ნათქვამია: „რომელი არა თაყვანის-სცემდეს ხატსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ეგეცთარი იგი უფალსა იესუ ქრისტესა არა თაყუანის-სცემს". ბასილი დიდი წერს: „პატივი ხატისაჲ პირმშოჲსა მის სახისა მიმართ მიიწევის. ეგრეთვე შეურაცხებაჲ ხატისაჲ პირმშოჲსა მის სახისა შეურაცხებაჲ არს".

ხატთა თაყვანისცემის შესახებ ქართულ ენაზე მოგვეპოვება იოანე დამასკელის ორი თხზულება, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ: „სიტყუაჲ სიტყუისაგებელი მათი, რომელნი პგმობენ წმიდათა ხატთა" და „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს, თავი მეორე". პირველი მათგანი დაცულია ხელნაწერში: ქუთ. 8, 90-108; მეორე – A 162, 139-142 და ქუთ. 8, 147-156.

ხატები ეკლესიაში განლაგებულია მკაცრი კანონზომიერებით: უმთავრესი ხატები მოთავსებულია კანკელზე. აღსაელის კარის მარჯვენე არის მაცხოვრის, ხოლო მარცხნივ – ღვთისმშობლის ხატი. აღსაელის კარზე გამოსახულია ოთხი მახარებელი (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე), აგრეთვე ხარების სცენა: ყოველდღიურად ღვთისმშობელი და მთავარანგელოზი გაბრიელი. კანკელზე სხეა ხატებთან ერთად (მოციქულები, წინასწარმეტყველნი, მსოფლიო მოძღვარნი; აგრეთვე საუღლო დღესასწაულთა გამოსახულებანი) არის ტაძრის დღესასწაულის ხატი. აღსაელის კარის ზემოთ საიდუმლო სერობას ხატაესებენ იმის ნიშნად, რომ უფალთან ზიარება შეიძლება მხოლოდ მისი ხორცისა და სისხლის მიღებით, რომლებიც მორწმუნეთ აღსაელის კარედიდან მიეცემათ.

ეკლესიის შუაში ანალოგიაზე ასვენია დღის „წმიდის ხატი" (თუ ასეთი არ მოიპოება, ტაძრის „წმიდის ხატს" დაასვენებენ), კეთრობით დასვენებენ აღდგომის ხატს, რადგან ყველ კეთრა დღეს ქრისტეს აღდგომა იდღესასწაულება.

დღესასწაულთა და წმიდა ხატების წერას აქეს საკუთრებით შემუშავებული, საღეთო წერილსა და წმინდანთა ცხოვრებაზე დაყრდნობილი ტრადიციული წესები, რომელსაც სწაელობს იკონოგრაფია.

ხატისიწველი – იხ. წითელსოფელი.

ხატმებრძოლობა – მწვალებლური მოძრაობა, მიმართული ხატთა თაყვანისცემის წინააღმდეგ. წარმოიშვა VIII ს. I ნახევარში და გაგრძელდა IX ს. II ნახევრამდე (დაახლ. 842 წლამდე). ამ მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური იყო აღმოსავლეთ რომის იმპერატორი ლეონ III ისაურიელი (717-741), რომელიც პოლიტიკური მოსაზრებებით ეწრძოდა ხატთა თაყვანისცემას. მას გაუწყრნენ მოშრეებიც, მაგრამ ბერი გამოწონდა ხატთა თაყვანისცემის დამცველიც. ლეონ III-ის მემკვიდრენი ხან მის პოლიტიკას აღენენ, როგორც, მაგალითად, ლეონ სომეხი (813-820), ხანაც ნეიტრალური პოზიცია ეკავათ, ზოგი-

ერთნი კი აღიარებდნენ ხატთმბრძოლობის მცდარ გეზს და აცხადებდნენ ხატთა თაყვანისცემით შეურაცხყოფას ღვთის მეორე მცნებისას: „არა ჰქმნე თაესა შენსა კერპი“ (გამოსლვათა 20,4). წმ. მამათა განმარტებით, ხატთა თაყვანის ცემა არაა კერპთა თაყვანისცემა, რადგან ჩვენ ხატებს ღმერთებად არა ვთვლით, არამედ მათ თაყვანს ვცემთ იმისათვის, რათა მათი საშუალებით უკეთ წარმოვიდგინოთ საღვთო სასწაულები და წმინდანთა ცხოვრება. წმ. ბასილი დიდი ხატებს ადარებს წიგნებს, რომლებშიც სიტყვების ნაცვლად საღვთო წერილის შინაარსი გადმოცემულია სახეებისა და საგნების გამოსახულებით. ხატთა თაყვანისცემის მაგალითი ძველი აღთქმის საღვთო წერილშიც მოიძებნება: იმ დროს, როდესაც წმ. მოსე წინასწარმეტყველმა მიიღო ღვთისაგან ათი მცნება, რომელიც, სხვათა შორის, კერპთაყვანისმცემლობას კრძალავდა, იმავე დროს მან მიიღო ღვთის ბრძანება, რომ აღთქმის კიდობანში აღემართა ოქროს ძვირფასი გამოსახულება ქერუბინებისა, რათა ხალხს თაყვანი ეცა მათთვის. 842 წელს მცირეწლოვანი იმპერატორის, თეოფილეს (მიქაელ III-ის მემკვიდრე) დედამ თეოდორამ საზეიმოდ აღადგინა ხატთა თაყვანისცემა (ეს მოვლენა მოიხსენიება მართლმადიდებლობის კვირიაკეს – დიდი მარხვის პირველ კვირას).

ხატმბრძოლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური ხასიათი აქვს ერთ, ლიტურგიკული მნიშვნელობისა და დანიშნულების ძეგლს, რომელსაც ქართულ თარგმანში ეწოდება „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისა“, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლს შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათუს, რომელ ესე წარიკითხვის სოფაჲწმიდას პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხჳთასა“. შემოკლებით უთარგმნია ბერძნულიდან ეფთიმე მთაწმიდელს X ს. გასულს. თარგმანში დატოვებულია დებულებანი მხოლოდ ხატთმბრძოლობის წინააღმდეგ, სხვა კი გამოტოვებულია (S 143). XII ს-ში ეს ძეგლი ხელმეორედ, სიტყვასიტყვით უთარგმნიათ არსენ იყალთოელს (H 1349; გამოც.: შიომღვიმის ტიპიკონი, თბ., 2005) ქართულად ლიტურგიკულ პრაქტიკაში შენახულა ეფთიმეს რედაქცია. წმინდა პოლემიკურ თხზულებათაგან ამ დარგში ქართულად შემორჩენილა მხოლოდ იოანე დამასკელის ორი შრომა: „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს, თაჳ მეორე“ (A 162, 138-142; ქეთ. 8, 147-156) და „სიტყუაჲ სიტყუსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“ (ქეთ. 8, 156-174). ორიეე თარგმანი გამოსულია პეტრწინის სალიტერატურო სკოლიდან XII საუკუნეში. ხატთა თაყვანისცემის წინააღმდეგნი ახლაც არიან: ბაპტისტები, დუხობორცები, ტოლსტოველები და სხვა სექტანტები.

ხატწერა – იკონოგრაფია, რელიგიური პირებისა და საღვთო წერილის სცენების გამოსახვის ტრადიციულად დადგენილი სისტემა. იგი ემყარება საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემას, აგრეთვე გაბატონებულ საღვთისმეტყველო კონცეფციას (იხ. იკონოგრაფია).

ხაშმი – სოფელი საგარეჯოს რაიონში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასაელეთ მთისწინეთში, თბილისი-საგარეჯოს საავტომობილო გზაზე, საგარეჯოდან 18 კმ. სოფლის მახლობლად მდებარეობს სამონასტრო ანსამბლი „ყაწარეთის სამება“ – დიდი ბაზილიკური ეკლესია, აგებული VI-VII სს-ში. მოგეანებით გადაუკეთებიათ. მხატვრობა XVI საუკუნისაა. იქვეა ეპისკოპოსის სასახლე, სამრეკლო, კოშკი და სხვა ნაგებობანი და IX ს. ეკლესია „ყველაწმინდა“. შემორჩენილია XIV ს. მოხატულობის ნაშთი. სოფლის ცენტრში არის მონასტერი იოანე ნათლისმცემელისა, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ოთხკუთხა და მრგვალი კოშკები და სხვ., აგრეთვე XVIII ს. წმინდა გიორგის ეკლესია.

ხარჭეცარ // ხარჭეცარ (სომხ. „ჯვარს ეცვი“) – ეს სიტყვები ჩაამატეს მონოფიზიტმა სომხებმა „წმიდაო ღმერთოში“ პეტრე მკაწრელის ფორმულის მიხედვით, ამით ენება და ჯვარცმა მიაწერეს წმინდა სამებას. ხარეცარი შემოღებულია V ს. მიწურულში. მოგეიანებით ეს სიტყვა იქცა სომეხთა მწვალებლობის გამოსახატავად. მაგალითად, რუის-ურბნისის საეკლ. კრების ძეგლისწერაში (25-ე კანონი) იგი მოხსენებულია ასე: „წუალებაჲ ხარეცართაჲ“. ამ წუალებისაგან მოქცეულთათვის აღნიშნული კანონი სრულ ნათლისღებას განაწესებს, „ვითარცა წარმართთასა“ („დიდი სჯულისკანონი“, გვ. 553).

ხაჩკოი – სოფელი წალკის რაიონში, არაკევნის მთის ძირას. წალკიდან 37 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია XII-XIII სს. წმ. გიორგის ეკლესია. ფასადებზე ლაპიდარული წარწერებია.

ხახანაშვილი ალექსანდრე (1864-1912) – ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. მის მრავალრიცხოვან შრომათაგან უმნიშვნელოვანესია 1895-1906 წწ. გამოცემული Очерки

по истории груз. словесности, 4 ტომად (მის საფუძველზე ქართულ ენაზე გამოიცა ორი წიგნი). ა. ხახანაშვილმა პირველად გამოსცა შუშანიკის მარტყოფის (Материалы по груз. агиологии, Москва,1910,с.49-51), ბალავარიანი (1902წ.), ბაგრატ ტაყვრმენელის ცხოვრება (Труды по востоковедению Лазаревского Института, Москва,1904. Вып. XIX), ნიკოდიმოსის ათკრიფული სახარება (Древности Восточные, т. Ш, вып. 1, 1904), ეფთვიმე ათონელის „მცირე რჩულის კანონი" (Древности восточные, т. 11, вып. 3,1903), იოანე შმარხველის კანონები (Москва, 1902, ზაოზერსკისთან ერთად) და სხვ.

ხახული – სამონასტრო კომპლექსი თორთუმის ხეობაში, თორთომის წყლის მარცხენა ნაპირზე (ისტორიულ ტაოში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია), ეს იყო ქრისტიანული კულტურის დიდმნიშვნელოვანი ცენტრი. ვახუშტის ცნობით, მონასტერი აშენა მეფე დავით კურაპალატმა (879-881 წწ.). ხახულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სასულიერო მწერლობის ისტორიაში. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მთარგმნელები. ხახულის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილია (იოანე ხახულელი ბაგრატ მესამის დროინდ – X-XI სს.), რომელსაც გადაუწერია კირიღე ალექსანდრიელის მოძღერებანი (Jer. 151) და თებერელის თევნი (Jer. 35)იოანეს მჭევრმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა. ხახულის მწიგნობრული სკოლის მოღვაწეთაგან ცნობილია აგრეთვე დავით თბილელი (XI ს.) და სხვა. ყრმობის ჟამს ხახულში მიიღო სწავლა-განათლება გიორგი მთაწმიდელმა.

ხახულის დიდი გუმბათიანი ეკლესია აშენებულია დავით კურაპალატის მიერ X ს. მეორე ნახევარში. საერთო ხასიათით იგი ენათესავება ოშკს, ხოლო ქვაზე ნაკვეთი მორთულობის სიმდიდრით მიეკუთვნება თავისი დროის საუკეთესო ძეგლთა რიცხვს. ნაგებობა გეგმით წაგრძელებული ჯვრისებურია. გუმბათი აბსიდის კუთხეებსა და ორ თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობა. დასავლეთის მკლავი ბოძების ორი წყვილით სამ სივრცედ ნაკად იყოფა. საკურთხეველის აბსიდის ორივე მხარეს მცირე აბსიდებით დაბოლოებული თითო სათავსია. ტაძარი მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით (გუმბათის ყელი, სარკმელთა სათაურები, სვეტისთავები, რელიეფები). შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტებიც.

ხახულის ღვთისმშობლის ხატი – XII ს. 20-იანი წწ. ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში, კარედი (ტრიპტიქი). თავდაპირველად ინახებოდა საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – ტაოში, ხახულის მონასტერში. XII ს-ში დავით აღმაშენებელმა (1089-1125) და მისმა ძემ დემეტრე I-მა (1125-1154) ეს სასწაულთმოქმედი ხატი გადმოასვენეს გელათის მონასტერში, სადაც იგი ხელახლა მოუჭედავთ. ტრიპტიქის შუა ნაწილი ოქროთაა მოჭედილი, კარები – მოოქრული ვერცხლით. ხახულის ხატი განსაკუთრებით განთქმულია ტიხრული მინანქრებით, როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ხელობის უამრავი ნიმუშით, რომლებიც დამზადებულია საკმაოდ ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონში (VIII-IX სს-დან მოყოლებული XII ს. ჩათვლით). 1952 წლიდან ხახულის ხატი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. ქართული ოქრომჭედლობის შესახებ არსებულ ზოგად გამოკვლევებთან ერთად (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVII სს. ალბომი, თბ., 1957 წ.; Грузинское чеканное искуство, 1959 და სხვ.), სადაც ხახულის ხატს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, გვაქვს საკუთრივ მისი შესწავლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებიც (შ. ამირანაშვილი. ხახულის კარედი, თბ., 1972.; რ. ყენია, ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა, თბ., 1972; ლ. ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი, თბ., 1984).

ხე – სოფელი ზემო სვანეთში, შესტიდან 25 კმ. აქვა შემორჩენილი XI ს. წმ. ბარბარეს ეკლესია, რომელშიც დაცულია მოხატულობა და კანკელი. ხის მიდამოებში არის X-XI სს. ეკლესია „ლაგურკა" – კვირიკე და ივლიტას ხი, XII ს. მოხატულობით და კანკელით. ხის წმ. ბარბარეს ეკლესიაში დაცულია XIII-XIV სს. ხატი – ქრისტე ტახტზე (ზომები: 88x58 სმ.), ხატების გამოსახულებაა აგრეთვე წმ. ბარბარეს ეკლესიის აბსიდში. ხიდანაა წაღებული მთავარანგელოზ მიქაელის ხატი XI-XII საუკუნეებისა (ზომები: 72x47 სმ.; ინახება წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესიაში – „ლაგურკა").

ხევისბერი – კულტის შსახურთა უმაღლესი წოდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშაე-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი). მას, ხალხის რწმენით, თვით ხატი (ღვთაება) ირჩევდა მონმინდართა (ხატის მსახურთა) შორის, ხატის არჩეულს ხევისბერობაზე უარის თქმა

არ შეეძლო, მას ხატი დაამიზეზებდა: ან დააცვალდროებებს, ან გაავადაგებდა და სანამ ის ხელისბერად არ შედგებოდა, არ მორჩებოდა. ამიტომ არჩეული მოწმინდარი იძულებულია ხატის „ბრძანების“ დაემორჩილოს. ხატში ახლად არჩეულ ხელისბერს თავ-ხელისბერი დაამწყალობებს და კურატის სისხლს ჯვარედინად წაუსვამს შუბლზე, გულმკერდსა და ორივე ხელზე. ხელისბერობა ფშაფში მემკვიდრეობითი არ არის, მას ირჩევენ ხატის ნებით და მკითხავის მითითებით. მისი არც გადაყენება შეიძლება, თუ არა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, და ხელისბერი სიკვდილამდე ხელისბერობს. ხელისბერებში პირველია თაუხელისბერი. მაგ.; ფშაფში ერთი თაუხელისბერია, რომელიც ლაშარის ხატს ეშსახურება და მას ფშაელის ყველა ხელისბერი ემორჩილება. თაუხელისბერი წინათ სათემო საბჭოში თავმჯდომარეობდა, მას საგანგებო „საბჭო“ სკამიც ედგა. იგი განსაკუთრებული პატივით და გაკვირვით სარგებლობდა და ლაშარის ხატის „მკადრე“ (წინამძღოლი) იყო. თემი მისი რჩევა-დარიგებით მოქმედებდა. ხელისბერს ებარა ხატის მამული, განძი და დროშა, უფლება ჰქონდა თემის უღირსი წევრი დაერისხა და თემ-ხატისაგან მოეკვეთა. ხელისბერმა ხატობის წინ რამდენიმე კვირა უნდა იწმინდოს (საბერო განმარტოებული ცხოვრება, ღორისა და ქათმის ხორცზე, კვერცხზე და ზოგიერთ სხვა საჭმელზე უარის თქმა და სხვა). ხატის სამსახურსა და სარიტუალო წესების შესრულებას მთლიანად იგი ხელმძღვანელობს. ხატის სამსახურისათვის ხელისბერი ჯამაგირს არ იღებს, მას ეძლევა საკლავის „ნასხეპი“ (ნაწილი).

„ხელთდასხმა“ – თაზე ხელების დაწყობა და სათანადო ლოცვების წარმოთქმით სულიწმიდის მადლის მოწვევა ამა თუ იმ სამღვდელო დასისაგანის (დიაკვნის, მღვდლის, ეპისკოპოსის) კურთხევის დროს; მღვდლის კურთხევა. ხელდასხმის წესი მომდინარეობს საღვთო წერილიდან. ისრაელში მიაჩნდათ, რომ ღვთისგან რჩეულ ადამიანებს ძალა შესწევდათ ხელის დადებით განეკურნათ აკადმყოფი (მათე 9,18; მარკ. 5,23; 6,5; 7,32; 8, 23-25; 16, 18; ლუკა 4,40; 13,13, საქმენი 9, 12-17; 28,8), ხელის დადებით აკურთხა იესო ქრისტემ ყრმები (მარკ. 10,1). მოციქულთა ხელის დადებით სულიწმიდის მადლს იღებდნენ ახლადმონათლულნი (საქმენი, 19,6; 8, 17-19). ხელის დადებით აკეთებდნენ მოციქულნი დიაკვნებს (საქმენი 66), მღვდლებს (4,14; 5, 22; II ტიმ. 1,6); იძლეოდნენ კურთხევას (საქმე 13,3). ასეთი დიდი საიდუმლო ძალის გამო ხელთდასხმით ხდება ყოველგვარ სამღვდელო ხარისხში კურთხევა, აგრეთვე ზოგიერთ სამღვდელო ჯილდოს (წოდების) მინიჭებაც (მაგ., ხელთდასხმა მთავარეპისკოპოსისა, გინდა – მიტროპოლიტისა). ყველანაირი ხელთდასხმა ხდება საღვთო ლიტურგიის დროს. ხელთდასხმას ასრულებს მღვდელმთავარი. მღვდელსა და დიაკონს ამის უფლება არა აქვთ. ხელთდასხმის წესები წერია კურთხევანში და სამღვდელმთავრო კონდაკში მაღალი იერარქიის მღვდელმსახურთათვის ხელთდასხმისათვის არსებობს ბერძნ. ტერმინი ქიროტონია, დაბალი იერარქიისა – ქიროთესია (იხ. ქიროტონია და ქიროთესია).

„ხელთა“ („ქელთაჲ“) – პასქის ღღის გამთოვლის ხერხი ხელის თითების დახმარებით. საკუთრივ ხელთად იწოდებოდნენ „შეიდნი ასონი მაჩვენებელნი შეიდეულის ღღეთანი ათორმეტთა თთვეთა წლისათა“ (ნ. ჩუბინაშვილი). ყოველ წელიწადს კვირიაკის მაჩვენებელი თავისი „ხელთა“ ჰქონდა. ყოველი მომდევნო წლის „ხელთა“ თითო საფეხურით იცვლებოდა მარტივი წელიწადის შემთხვევაში, ორი საფეხურით – ნაკიანი წლის შემთხვევაში; ამიტომ კვირიაკეების შესაბამისი ასოები შვიდი ნაკიანი წელიწადისა და მათ შორის არსებული სამსამი მარტივი წელიწადის გაელის შემდეგ (სულ 28 წელი: 7x4 = 28) იმავე თანმიმდევრობით შეიცვლება. 28 წელს მზის მოქცევა ეწოდება.

„ხელთაბანისაჲ“ (ქელთაბანისაჲ) – საგალობელი, რომელიც ითქმოდა მოციქულთა ლიტურგიების (პეტრეს, მარკოზის, იაკობის) განსაზღვრულ მომენტში – ხელთა ბანის დროს. თითოეულ ღღესასწაულს თავისი „ქელთაბანისაჲ“ ჰქონდა. წირვა-ლოცვის სხვა საგალობლებთან ერთად ისინი მოცემულია უძველეს ჰიმნოგრაფიულ კრებულში – „იადგარი“ (იხ. „უძველესი იადგარი“, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ბესსარიანმა, 1980 წ., თბილისი). კ. კეკელიძის აზრით, „ქელთა-ბანისაჲ“ არის ლოცვა, რომელიც იკითხება მღვდლის მიერ ხელის დაბანის დროს წმ. ძღვნის გადასვენების წინ, როგორც ეს ამჟამად მიღებულია სამღვდელმთავრო წირვაზე.

„ხელთა განაყრობა“ – ხელთა აპყრობა ღვთის მოწოდების ნიშნად, ლოცვის დროს ხელთა აპყრობა; ხდება გარკვეულ მომენტებში. ამის შესახებ არსებობს სპეციალური მითითებები საღვთისმსახურო წიგნებში (ჟამისწირვა და

სხვ.). „ხელთა განპყრობა“ გვხვდება ძველი აღთქმის საღეთო წერილშიც: იქ, კერძოდ, აღწერილია, თუ როგორ იხსნა მოსემ ხელთა აყრობით ისრაელის ერი ამალეკისაგან, უდაბნოში მოგზაურობის დროს (გამოსლ. 17,11-13).

„ხელთბანა“ – სრულდება იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვაზე. მღვდელი შემოსვის შემდეგ, სანამ შეუდგება კეთას, იბანს ხელს და წარმოთქვამს ფსალმუნს: „დაიბანნე უბრალოებით ხელნი ჩემნი“ (25, 612). ხელის დაბანა სიმბოლურად აღნიშნავს განწმენდას ყოველივე სულიერი და ხორციელი ბიწისაგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისათვის. მღვდელმთავარიც კეთის დაწყების წინ იბანს ხელს („რომელნი ქრწუნისას“ გალობისას), ამავე დროს აკურთხებს წყალს და იცხებს თავ-ელ-ბაზე, ყურებზე, ცხვირსა და პირზე, მღვდელმთავარი ხელს იბანს ზიარების შემდეგაც. ხელთბანა, როგორც უძველესი პიმნოგრაფიული ჟანრის საგალობლებიდან ჩანს (იხ. ხელთბანისა), სრულდებოდა მოციქულთა ლიტურგიების (პეტრეს, მარკოზის, იაკობის) დროსაც.

ხელთუქმნელი ხატი – უძველესი ხატი, რომელიც თეით იესო ქრისტემ მოპბძლა მორწმუნეთ. საეკლესიო გადმოცემის თანახმად იგი მაცხოვარმა, ასურეთის ქალაქ ედესის მთავარს – აგბაროზს გაუგზავნა. აგბაროზს მთელ ტანზე კეთრი ჰქონდა მოდებული. ხმა უფლის მიერ მოხდენილი სასწაულების შესახებ გაერცელდა მთელ ასურეთში (მათე 4,24) და მიაღწია აგბაროზამდე. აგბაროზმა მაცხოვრის უნახავადვე ირწმუნა იგი, როგორც ძე ღვთისა და მისწერა წერილი, რომლითაც სთხოვდა მასთან მისელასა და განკურნებას. ეს წერილი აგბაროზმა პალესტინაში გაატანა თავის მხატვარს ანანიას, თანაც დაუპალა მხატვრულ ტილოზე გამოესახა საღეთო მოძღვარი. ანანია წავიდა იერუსალიმში და ნახა უფალი, რომელსაც ირგვლივ უამრავი ხალხი ეხვია, მისი ქადაგებისათვის რომ მიეპყრო ყური. ანანიამ უფალთან მისახლოებაც კი ვერ შეძლო. ამიტომ შედგა დიდ ქვაზე და სცადა შორიდან გამოეხატა იესო ქრისტეს სახე, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდა. ბოლოს თეით მაცხოვარმა დაუძახა და გადასცა მოკლე წერილი აგბაროზისათვის გადასაცემად, წერილში აგბაროზი „ნეტარად“ იყო მოხსენებული თავისი რწმენისა და სასოებისათვის, მაცხოვარი მას პპირდებოდა თავისი ერთ-ერთი მოწაფის გაგზავნას, რომელიც აგბაროზის უკურნებელ სენსაც განკურნავდა და საღეთო სწავლებითაც დამოძღვრავდა. წერილის გადაცემის შემდეგ მაცხოვარმა მოსთხოვა მხატვარს ტილო, რომელზედაც იგი მის დახატვას ცდილობდა. უფალმა დაიბანა პირი და შეიშრალა ამ ტილოთი. ტილოზე საღეთო ძალით გამოისახა უფლის ხატი („პირი ღვთისა“). მაცხოვრის წერილი და ხელთუქმნელი ხატი ანანიამ ედესაში ჩაიტანა. აგბაროზმა მოკრძალებით მიიღო საღეთო სიწმინდე და განიკურნა კეთრისაგან – საშინელი სნეულების მხოლოდ მცირეოდენი კვალიღა დარჩა მის სახეზე, ალთქმული მოწაფის მოსვლამდე. ეს მოწაფე იყო წმ. თადეოზი, სამოციათა მოციქულთაგანი, რომელმაც სახარება უქადაგა და მონათლა აგბაროზი და ედესის ყველა მცხოვრები. აგბაროზმა ხელთუქმნელი ხატი მდიდრულად შეამკო და გაუკეთა წარწერა: „ქრისტე ღმერთო, ყოველთა, რომელთა აქნდეს სასოება შენდა მომართ, არასადა რცხვენენ“. ეს ხატი აგბაროზის ბრძანებით დასვენებული იყო ქალაქ ედესის კარიბჭის თავზე. ქალაქში შემხვედრი-გამსვლელი, დაკანონებული ჩვეულების თანახმად, თაყვანს სცემდა მას. მაგრამ თაყვანისცემის ეს წესი მოსპო აგბაროზის ერთმა შვილიშვილმა, რომელიც აგბაროზიდან კარგახნის შემდეგ ედესის მმართველად დაინიშნა. ახალი მმართველი კერპთაყვანისმცემელი გამოდგა. მან განიზრახა ხელთუქმნელი ხატის ჩამოხსნა ქალაქის კარიბჭიდან. უფალი გამოეცხადა ედესის ეპისკოპოსს და უბრძანა, დაევლა და დაეცა მისი გამოსახულება. ეპისკოპოსი ღამით მივიდა ხატთან, სამღვდელოების თანხლებით, ანთო მის წინ სანთელი, ჩამოაფარა წინ ფიცარი და ამოაშენა აგურებით. გავიდა მრავალი წელი, ქალაქის მცხოვრებთ დაავიწყდათ, რომ მათთან ასეთი სიწმინდე იყო. მაგრამ 545 წელს, როდესაც სპარსეთის მეფემ ხოსრო I-მა ალყაში მოაქცია ედესა და ქალაქის მდგომარეობა უიმედო ჩანდა, ეპისკოპოს ეფრემის გამოცხადა ყოველაღწმინდა ღვთისმშობელი და უბრძანა, ამოქოლილი ნიშიდან ამოესვენებინა ხატი. ეს ხატი იხსნიდა ქალაქს უბედურებისაგან. გამოცხადების მიხედვით, გახსნეს ნიში და ამოასვენეს ხელთუქმნელი ხატი. მის წინ ისევ ენთო კანდელი, მრავალი წლის წინ ანთებული, ხოლო ხატის წინ ჩამოფარებულ დაფაზე მსგავსივე ხატი იყო ალბეჭდილი. ეპისკოპოსმა სამღვდელოების თანხლებით შეასრულა თუ არა ლიტანია ხელთუქმნელი ხატით ქალაქის გარშემო, სპარსეთის მხედრობამ მაშინვე უკან დაიხია. 630 წ. ედესა დაიპყრეს არაბებმა, მაგრამ ისინი არ კრძალა-

ეძნენ ხელთუქმნელი ხატის თაყვანისცემას, რადგან მისი დიდება მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა. 944 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ (912-959) მოისურვა ხელთუქმნელი ხატის გადასვენება მართლმადიდებლობის ცენტრში – კონსტანტინეპოლში და გამოისყიდა ედესის მმართველის – ემირისაგან. დიდი პატივით გადაასვენეს სატახტო ქალაქში ხატი და ავგაროზისადმი უფლის მიერ გაგზავნილი წერილი. 16 აგვისტოს „პირი ღვთისა" დასვენებული იყო თაროსის ღვთისმშობლის ეკლესიაში. ამ ხატის შემდგომი ბედის შესახებ არსებობს რამდენიმე გადმოცემა. ერთ-ერთის თანახმად, იგი მოიტაცეს ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლში მათი ბატონობის დროს (1204-1261), მაგრამ ხომალდი, რომელზედაც ეს უდიდესი სიწმინდე იყო, მარმარილოს ზღვაში ჩაიძირა. მეორე გადმოცემის თანახმად, ხელთუქმნელი ხატი დახლ. 1362 წ. გადასვენეს გენუაში, სადაც ინახება მოციქულ ბართლომეს მონასტერში. ცნობილია, რომ ხელთუქმნელ ხატს არაერთხელ დაუტოვებია ზუსტი ასლები თაის მახლობლად მდებარე საგნებზე. ამით უნდა იყოს გამოწვეული თავდაპირველი ხელთუქმნელი ხატის შესახებ არსებული გადმოცემების სხვადასხვაობა.

ქართული წყაროების თანახმად, ღირსმა მამამ ანტონ მარტყოფელმა (VI ს.) ხელთუქმნელი ხატის ხელთუქმნელი პირი (ასლი) საქართველოში გადმოასვენა. ეს ხატი ერთხანს ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში ყოფილა დასვენებული, რის გამოც ანჩის ხატი ეწოდა.

ხელთუქმნელი ხატის შესახებ ქართულ ენაზე შემონახულია რამდენიმე თხზულება: 1. „თხრობაჲ თითოსახეთა მატიანეთაგან შეკრებილი ავგაროზის მიმართ მივლენილისა ქელთუქმნელისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა სალმრთოისა ხატისათჳს, და თუ ვითარ ედესით მოიცვალა ქალაქთა უბედნიერესისა ამის მიმართ" – კონსტანტინე მეფის (912-959) თხზულება, დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 1, 438-452; Q 762, 18-46). 2. „ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა ქელთუქმნელთა და ქელთუქმნელთათჳს, მწუალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანისცემენ და ხატსა – არა" გერმანე კონსტანტინოპოლელის († 733) სიტყვა. შეტანილია ხელნაწერში: A 162, 124-138.

რომში, ვატიკანში დაცულია მაცხოვრის მეორე ხელთუქმნელი ხატი – „ვერონიკას ხატად" წოდებული. ვერონიკა ყოფილა წმინდა დედა, რომელსაც ტილოთი შეუმშრალებია ეკლის გვირგვინით დაჩხვლეტილი სახე მაცხოვრისა. ამ ტილოსაც სასწაულებრივად დაჰრნეია უფლის გამოსახულება.

არსებობდა ყოველდღიური ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც („ოდიგიტრია"). „ქართლის ცხოვრების" თანახმად, საქართველოში იგი ანდრია პირველწოდებულმა მოიტანა (იხ. პირი ღვთისა, ანჩის ხატი, ოდიგიტრია).

ხელმწიფებანი (კელმწიფებანი) – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი (კოლ. 1,16), დიონისე არეოპაგელის მიხედვით – მეექვსე (სერაბინთა, ქერუბინთა, საყდართა, უფლებათა და ძალთა შემდეგ (იხ. ანგელოზთა დასები).

ხელნაწერთა ინსტიტუტი ქ. კეკელიძის სახელობისა – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ფონდების ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც 1960 წ. ჩამოყალიბდა მისი პირველი დირექტორის, ილია აბულაძის ინიციატივით. ინსტიტუტის საქმიანობა ორი მთავარი მიმართულებით წარმოებს: ფონდებში დაცული 10 000-ზე მეტი ხელნაწერისა, რამდენიმე ათეული ათასი ისტორიული საბუთის, 100 მეტი პირის საარქივო მასალის მოვლა, რესტავრაცია, დაცვა და ქართული და სხვა მრავალენოვანი ტექსტების ტექნოლოგიური შესწავლა, აღწერა და პუბლიკაცია. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მრავალი ასეული უძველესი წერილობითი ძეგლია შესწავლილი და გამოცემული. ხელნაწერთა ინსტიტუტი ნამდვილად წარმოადგენს ქართველოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო ცენტრს და თანამშრომლობს მსოფლიოს ყველა უცხოელ ქართველოლოგთან.

ხერუვიმი (ქერუბინი) – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი (წმ. ანგელოზთა დასები). ქერუბინებს ხატავენ მრავალთვალთან არსება (ფს. 79,I და 98,1).

ხე საუფლო ჯვარისა – გადმოცემით, სამი ხის – საროს (კეპაროსის), ფიჭვისა და ნაძვის შეზრდით წარმოიშვა. ერთ-ერთი ებრაელური კითხვა-მიგების თანახმად, „ოდესიღა დაეთხს კიდობანი სჯულისა მოაქუნდა სახლოსა ამინადაბისთჳს იერუსალემად, სამნი მორჩნი ეპყრეს კელთა; ერთი საროჲსა, ერთი ფიჭუსა და ერთი ნაძისაჲ დაკეცულთა მათთჳს, რომელნი ზრეიდეს კიდობანსა მას. და ვითარცა მოიწია ადგილსა რომელსამე ერთსა, სამნივე ერთობით ადგილსა ზედა სალმრთოჲთა წამისყოფითა ერთად შეერთნეს და აღიზარდნეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ. ოდეს სოლომონისა ტაძარ-

სა აშენებდეს, მაშინ მოკუეთეს ხე იგი ტაძრისათუს, განგებულებით დარჩა ტაძარსა შშ... ნაჲ და რაჟამს მოიწია ენებაჲ ქრისტესი, მაშინ განკუეთეს და მას ზედა ჯუარსა აცუეს უფალი ღმერთი ჩუენი" (კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, გვ. 229).

ხვამლი – მთა ლეჩხუმში (ცაგერის რაიონში). აქაა XII-XIII ს. წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, სადაც იმართება ღღესწაული – ხვამლობა. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ხვამლის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია „სუანთა ერისთავთ-ერისთავი იოანე".

ხვამლობა – გიორგობა-ელიობა, ხალხური საეკლესიო ღღესწაული, იმართება ხვამლის მთაზე (ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში), სულიწმინდის მოფრის წინა ღღეს, შაბათს. ძველად ეს იყო ძალიან პოპულარული ღღესწაული. მას ესწრებოდა მთელი ლეჩხუმი, სვანეთი და სამეგრელო. ღღესაც ხვამლის წმ. გიორგი ლეჩხუმის უმთავრეს სალოცავად ითვლება.

ხიდისთავი – სოფელი ჩოხატაურის რაიონში, მდ. გუბაზოულის (სუფსის მარც. შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, ჩოხატაურიდან 15 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია წმ. ელიასი.

ხიზაბავრა – სოფელი მესხეთში, ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯ. ნაპირზე. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეთა ეკლესია. მეორე ეკლესია არის ხიზაბავრის მიდამოებში, ღართაში.

"ხილვაჲ გრიგორ განმანათლებელისაჲ" – დიოფიზიტური ტენდენციის სომხური თხზულება, რომელიც ამტკიცებდა, რომ სომეხთა განდგომილება შეიქმნა მიზეზი მათზე მოწეენული ყოველგვარი უბედურებისა, როგორც სარწმუნოებრივის, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივის. ამ თხზულებას ფართოდ იყენებდნენ ქართველი პოლემისტები: არსენ საფარელი (იხ. თ. ჟორდანია. ქრონიკები I, გვ. 332), ექვთიმე გრძელი (იხ. „საქართ. სამოთხე", გე. 618) და სხვ. როგორც ასკვნან გრიგოლის „ხილვა", ქართულად თარგმნილი ყოფილა IX-X საუკუნეებში მაინც. პირუანდელი სახით კი ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწეია.

ხიმში – სოფელი ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარჯე. მხარეს, ამბროლაურიდან 5 კმ. აქ შემორჩენილია XI ს. II ნახევრის ეკლესია. ჩრდილოეთის ფასადის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებულნი არიან ეიმე კურაპალატი და თეედორე.

ხიოსის (ქიოსის) ქართული ხელნაწერი – კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში ინახება პეტრწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული რედაქციის პირი (XIII ს.), რომელიც დედნიდანაა გადმოწერილი.

ხირბეთ სიიარ ელ-ღანამი – ადგილი ბეთლემის მახლობლად (ხირ ელ-ყუთის მიდამოებში), უდაბნოში. აქ იტალიელმა არქეოლოგმა ე. კორბომ გათხარა კვადრატული ფორმის ნაგებობა, რომლის ჩრდ. მხარეს გამოჩნდა ეკლესია. მის საშრეთით იყო ეკედერი, რომლის იატაკი ისევე, როგორც მთლიანად ეკლესიისა, მოზაიკით ყოფილა მოჭედილი. ამ ძეგლმა შემოგვინახა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები და რამდენადმე შუქი მოჰფინა პეტრე ქართველის (იბერის) მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს. გათხრების შედეგად მიკვლეული წარწერების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული სავანე აგებული ყოფილა IV ს. ცნობილი მოწამის, თეოდორე ტირონის სახელზე (იხ. ლაზთა მონასტერი).

ხირომანტია (ქირომანტია) – მკითხაობის ერთ-ერთი სახე, ხელისგულის ნიშნების მნიშვნელობათა ამოცნობა ხელოვნება. ხირომანტიული ხასიათის სტატიები გვხვდება ძველ ხელნაწერებში, მაგ., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერში №1.

ხიროტესია – იხ. ქიროტესია.

ხირხა, ხირხის მონასტერი – VI-IX ს. ხუროთმოძღვრული ანსამბლი, მდებარეობს სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანში (გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, სიღნაღიდან 14 კმ.). ისტორიული გადმოცემით, აქ მონასტერი დაუარსებია „ათცამეტ სირიელ" მამათაგანს – სტეფანე ხირხელს (VI ს.). სტეფანე პირველმოწამის სახელზე აგებული დიდი გუმბათიანი ეკლესია მრავალგზისაა გადაკეთებული, გალაქტიონის შიგნით შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობათა ნაშთები (შუა საუკუნეები).

ხირხონისი – სოფელი ზემო რაჭაში, ონის რაიონში, მდ. რიონის ნაპირზე, ონიდან 3 კმ. ამ სოფლიდანაა X ს. ქართული ჭედურობის ნიმუში (ეკრცხლი) – ფირფიტა წმ. მხვდართა გაძოსახულებით (ზომები: 266,7X19,6 სმ.) ჩანს მოჭედრის ცალი. დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში.

ხიხაძირი – სოფელი აჭარაში, ხულოს რაიონში, მდ. სხალთისწყლის ხეობაში. აქ შემორ-

ჩენილია შუა საუკუნეების (XI-XIII) ეკლესიის ნანგრევები. ხიხთას ეკლესიის აგება, გაფართოება და შემკობა ალუწერია აბუსერძე ტბელს თხზულებაში: „სასწაულნი წმიდისა მთაყარშოწაჰისა გიორგისანი“ (A 85, 351-3623; თ. ყორდანია, ქრონიკები II, 112-122). იხ. სხალთა.

ხლისტები – მისტიკური სექტა, ე. წ. „სულიერი ქრისტიანობა“, რომელიც ჩაბოყალიბდა რუსეთში XVII ს-ში, 1645 წ. სტაროობრადცების სექტასთან ერთად. ხლისტების გადმოცემით, მეფე ალექსი მიხეილის ძე და პატრიარქი ნიკონი თითქოსდა მათი მიძღვრები იყვნენ. ხლისტები თაისთავს უწოდებდნენ ღვთის ხალხს, არ სჯამდნენ, ქადაგებდნენ თანასწორობას, ურთიერთდახმარებას; ხლისტების სექტის დამაარსებლად თვლიან კოსტრომელ დანიელ ფილიპოვს, ხლისტების პირველ „ხბათს“.

ხლისტების მოძღვრების საფუძველი იყო 12 „მცნება“, რომელთაგან უმთავრესად თვლიდნენ მეთორმეტეს – „ჰრწმენეს სულისა წმიდისა“. მათი მოძღვრებით, არსებობს ცა და ქვეყანა, სულიერი და ხორციელი სამყარო. ცა – შვიდია, მე-7 ზეცაში იმყოფებიან წმ. სამება, ღვთისმშობელი, მთაყარანგელოზები, ანგელოზები და წმინდანები. ამ ცნებებში ისინი გამოხატავდნენ არა პიროვნებებს, არამედ მხოლოდ ზნეობრივ თვისებებს, ერთი და იგივე ღვთიური არსების სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. ღმერთმა შეიძლება ხორცი შეისხას მრავალჯერ, საჭიროებისა და ხალხის ზნეობრივი ღირსების შესაბამისად. განხორციელებას (ქრისტედ გადაქცევას) ხლისტი აღწევდა ხანგრძლივი მარხვითა, ლოცვითა და კეთილი საქმით (ხლისტური გაგებით). ერთდროულად შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე „ქრისტე“, რომელთა შესახებ იმრთობოდა დაჟა, რომელი მათგანი იყო უფროსი. უფროსად ითვლებოდა ის, რომელიც მეტ მოკრძალებასა და სიმდაბლეს გამოიჩენდა.

ამრიგად, ხლისტების მოსაზრებით, ქრისტე არ იყო ერთადერთი ჰიპოსტასი ძე ღვთისა, შესაბამისად, არც საღვთო წერილის მარადიულ აუტორიტეტს სცნობდნენ. იგი მაშინ იყო გამოსადეგი, როცა იესო ცხოვრობდა, ხოლო ამჟამად ახალი ქრისტეებისა და წინასწარმეტყველთა მოძღვრებაა ყურადსაღებიო.

მართლმადიდებელი ეკლესიის წესებს თვლიდნენ არასრულყოფილ მორწმუნეთა სახელმძღვანელოდ, ხლისტების საბოლოო მიზანი იყო სრული მოკვდინება ხორციელი ვნებებისა და სიწმინდის მიღწევა; ასეთ ადამიანებს კი სიკვდილის შემდეგ ანგელოზად გადაქცევას უქადდნენ.

ხლისტების ორგანიზაციას ეწოდებოდა „ხომალდი“. მას სათაეში ედგა უსაზღვრო ძალაუფლებით აღჭურვილი „მესჯე“, რომელსაც ღმერთსა და ქრისტეს უწოდებდნენ. ყოველ „ხომალდს“ ჰყავდა თაეისი ღვთისმშობელი, მთაყარანგელოზები, მოციქულები და სხვ.

მოუხდავად ასეთი „სულიერობისა“ და „ხორცის მოკვდინებისა“; ხლისტებში გავრცელებული იყო საყოველთაო გარყვნილება.

1733 წ. მოსკოვში პირველად გაასამართლეს ხლისტები, 1752 წელს – მეორედ. XVIII ს. მეორე ნახევარში ხლისტები საგრძნობლად შესუსტდნენ.

„ხმელთ-მოურავი“ – ძველი ქართული წარმართული შეხედულებით, ერთ-ერთი ღვთაება; ფშაე-ხევსურნი „კეირიას“ (ან: „კეირას“) უწოდებდნენ. მის ძალაუფლებას მიეწერებოდა ხმელეთზე მომხდარი ყოველი ამბაეი, შთამომავლობის მიცემა და სხვა.

ხობი – რაიონული ცენტრი დასაელეთ საქართველოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის ნაპირებზე, თბილისი-ხოხუმის სარკინიგზო ხაზზე. დაბის მიდამოებში შემორჩენილია XIII-XIV სს. ეკლესია – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნაეი ქმნილება. აქაა XV ს. დასაწყისის ფრესკები – ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლი. საშრეკლო გეანი შუა საუკუნეებისაა, გადაკეთებულია XIX ს-ში. სასახლე აგებულია XVIII-XIX სს-ში. ხობიდანაა ჭედური ხატი ყოელადწმინდა ღვთისმშობლისა, რომელიც თარიღდება X ს. II ნახევრით (ზომები: 55x43 სმ.) მოჭედილია მოოქრული ვერცხლით. გამოყენებულია ტიხრული მინანქარი, ძვირფასი თვლები. ამჟამინდელი ფერწერა – ღვთისმშობლის პორისახე – გეანდელია. წარწერაში მოხსენებულია ლეონ მეფე (957-967 წწ.) ხატი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ხოელე – სოფელი კასპის რაიონში, მდ. ხეეხმელის (მტკვრის მარჯვ. შენაკადის) მარჯვენა ნაპირზე. კასპიდან 18 კმ. აქ იყო XI ს. წმ. თეოდორეს ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლი. ამჟამად დანგრეულია. მისი კანკელის რელიეფები, რომელიც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, შუა საუკუნეთა ქართული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების რამდენიმე

სხვა ეკლესიის ნანგრევებიც: იის ციხის წმ. გიორგის ეკლესია, ნათლისმცემელის, წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიები, „კვართის" ეკლესია (აქ იმართება ხალხური დღესასწაული „კვართობა") და სხვ.

ხოვლეში დაიბადა ივ. ჯავახიშვილი.

ხომული — სოფელი წყალტუბოს რაიონში, იმერეთის დაბლობზე, მდ. წყალტუბოსწყლის მარცხ. მხარეს, წყალტუბოდან 5 კმ. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

ხონე — ადგილი კოლასენში (ფრიგიაში, მცირე აზიის ნახევარკუნძულზე), სადაც მთავარანგელოზმა მიქაელმა სასწაული მოახდინა (IV ს.), ხსენების დღე — 6 სექტემბერი. აქ იდგა მთავარანგელოზის ტაძარი. იგი აუშენებია ლაოდიკიის ერთ-ერთ მოქალაქეს წმ. მიქაელის პატივსაცემად, რადგან მას სასწაულებრივად განუკურნავს მისი ქალიშვილი. ტაძრის მახლობლად გამოქვაბულ წყარო ყოველგვარ სნეულებას კურნავდა. სასწაულებრივი განკურნების მხილველ წარმართთაგან ბევრი ზურგს აქცევდა კერპებს და ქრისტეს სჯულს იღებდა. ქრისტიანობის მტრებმა გადაწყვიტეს დაენგრიათ მთავარანგელოზის ტაძარი და ტაძრის კეთილმასპინძლური მნათე არქიპოე ნანგრევებში დაემარხათ. ამ მიზნით მათ ორი მღვდარე ერთ კალაპოტში მოაქციეს და წყლის ნაკადი ტაძრისაკენ მიმართეს. განსაცდელის მოახლოება რომ იგრძნო, არქიპო მსურველად შეეცადა მთავარანგელოზ მიქაელს, გადაერჩინა წმინდა ტაძარი და მასში მყოფი ქრისტიანები. ზეციურ მხედრობათა მთავარმაც არ დააყოვნა. იგი მყისვე გაჩნდა ტაძრის გვერდით, თავისი ცერთხის დაკერით მიწაზე დიდი ნაპრალი გაარჩინა და მისკენ მიმართა წყლის ნაკადი. საკვირველი სასწაულის ხილვით შეძრწუნებული წარმართნი გაიქცნენ, ქრისტიანებმა კი მაღლი შესწირეს მთავარანგელოზ მიქაელს.

ხონში მოშხდარი სასწაულის ამბავი ქართულადაც უთარგმნიათ. ტექსტი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერში ქუთ.4, 45-50. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (ეტიუდები, ტ. II, გვ. 237-268).

ხონი — ქალაქი და რაიონული ცენტრი დას. საქართველოში, იმერეთის დაბლობზე. აქ შემორჩენილია XI ს. წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლო (გუთანი შუასაუკუნეები). ლაპიდარულ წარწერებში მოხსენებული არიან მაშენებლები: კალატოზი ივანე, თორღა და ძე მისი), აგრეთვე კვირიკე კრაზანასძე, გიორგი საჯისძე, გიორგი ყია, გიორგი, კოპა, იეანე, სტეფანე, იაკობ, გრიგოლ მოძღვარი და სხვ. შენობა გადაკეთებულია.

ხონთორი — სოფელი ამბროლაურის რაიონში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. შარეულას (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, ამბროლაურიდან 30 კმ. სოფლის მახლობლად არის უდაბნოს მონასტერი, რომლის მთავარი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XVI ს-ში, სხვა სამონასტრო ნაგებობები არ შემორჩენილა.

ხოჭორნი (ხოკორნი) — სოფელი მარნეულის რაიონში, მდ. შულაურის მარჯვ. ნაპირზე, მარნეულიდან 25 კმ. აქ არის ხოჭორნის მონასტერი — გუმბათიანი ეკლესია აგებული ადრინდელ შუა საუკუნეებში, ორი სხვა ეკლესია (ერთ-ერთის „მარმარილოსი" ეწოდება) და სხვა ნაგებობები შუა საუკუნეებისა.

ხორას მონასტერი — დაარსებულია XI ს. I ნახევარში კონსტანტინეპოლში. XI საუკუნის I ნახევრიდანვე აქ ქართველი ბერები გაცხოველებულ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ბასილი. იგი ნაყოფიერი და დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა. მას არაერთი ხელნაწერი დაუწმაღებია „მამადმთავარ ხაქარაა ვალაშკერტელის" დავალებით, სახელდობრ „მცირე სჯულისკანონი" (S 143), „მცირე სვინაქსარი" (A 648), „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება" და გრიგოლისაგე თხზულებანი (A 1). ხაქარია ვალაშკერტელიც (იგივე ხაქარია ბანელი) კონსტანტინეპოლის ქართული კოლონიის საყურადღებო წარმომადგენელია. იგი თურმე მონაწილეობდა იმპერატორ ბასილის (976-1025) და ქართველოს მეფის, გიორგი პირველის (1014-1027) მოლაპარაკებაში 1021-1022 წლებში, შემდეგ ბასილიმ იგი სამუდამოდ დატოვა ბიზანტიის დედაქალაქში. კარგადაა ცნობილი ქართველი მევდელმთავრის თაოსნობით დამზადებული სხვა ხელნაწერებიც (გადაწერი ისაკი, Q 34, A 648 და სხვ.). ხორაშია გადაწერილი „მცირე სჯულის კანონიც" (A 96; 1031 წ.) და სხვ.

ხორბალი — სიმწიფე მკვრივით ადგომისა და საკუნო ცხოვრებისა. ისე, როგორც ხორბალი მიწაში ჩაფლვის შემდეგ ხელახლა აღმოცენდება და ნაყოფს გამოიღებს, ასევე დაეფლა უფალი იესო ქრისტე, აღდგა და იხსნა მრავალნი. ყველა, ვინც თანა-დაფლვის უფალთან ერთად (ე. ი. დაიმარხაეს მის მცნებებს), მასთანვე ერთად აღდგება საუკუნო ცხოვრები-

სათვის (რომ. 6,1-11). ასეთი მნიშვნელობით იხმარება ხორბალი პურის კურთხევის დროს.

ხორენია – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ახალქალაქიდან 10 კმ. სოფლის მიდამოებში – კარნეთში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია ლამპრადრული წარწერით.

„ხორეპისკოპოსთა მიმართ, რაჲთა არა განიჩინებოდინ თუნიერ მისსა მსახურნი სამღდელოთანი გარეშე წამებისა კანონთაჲსა" – ბასილი კესარიელის კანონიკური ეპისტოლე, შეტანილია „დიდ სჯულისკანონში". ქართველ გადაწერთ ეს თავი მოსწონებიათ და ხელნაწერისათვის წაუწერიათ: „წარკიოხულ იქმენინ ესე ეპისტოლე, ფრიად შუენიერ არს" (იხ. „დიდი სჯულისკანონი", გვ. 503-504).

ხორითი – სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ. ყარნების (ჩხერიმელის მარჯვ. შენაკადის) ხეობაში, ორყონკიდიდან 10 კმ. აქა შუა საუკუნეების ორი ეკლესია – „დვთაება" და „მირონწმინდა" (შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები).

ხორთაკრება (ხორცთა აკრება) – იხ. ხორციელის აღება.

ხორციელის აღება – ხორცთაკრება (ხორციელის აკრძალვა), ასე ეწოდება ხორციელის შეიდეულის ბოლო დღეს, კვირას. ამ დღეს „ავლებთ ხორცს", ე. ი. მორწმუნენი უკანასკნელად ჭამენ ხორცს, შემდეგი შეიდეული – ყველიერია, მისი შემდეგი კი – დიდი მარხვის პირველი შეიდეული.

ხორციელის კვირა – ხორციელის აღების დღე.

ხორციელის შაბათი – ხორციელის შეიდეულის შაბათი, ხორციელის კვირის (ხორცთა აკრების) წინა დღე. ამ დღეს ეწოდება მსოფლიო შაბათი, რადგან მოუხსენებენ გარდაცვლილ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს.

ამ დღეს მიცვალებულთა ხსენება დაწესებულია იმიტომაც, რომ დიდი მარხვის განმავლობაში შედარებით იშვიათად ვიხსენებთ მათ, ამ მოხსენებით ერთგვარად ივსება დიდ მარხვაში მოხსენების ნაკლი. იხ. მიცვალებულთა ხსენება.

ხორციელის შვიდეული – ეწოდება ყველიერის წინა შეიდეულს (კვირას). ამ შეიდეულის დღეებს ეწოდება ხორციელის ორშაბათი, ხორციელის სამშაბათი და ა. შ. კვირამდე კვირა „ხორცელის" ბოლო დღეა „აღება", „ხორციელის აღება". ხორციელის შეიდეული ჩვეულებრივია: ოთხშაბათ-პარასკევს მარხვაა, დანარჩენ დღეებში იჭმევა ხორცი. „ხორცეულის" აღების (დამთაურების) შემდეგ კი საეკლესიო ტიპიკონით დიდი მარხვის გახსნილებამდე (აღდგომამდე) ხორცის ჭამა აკრძალულია.

ხორციის გახსნა – ხორცით გახსნილება აღდგომის კვირიაკეს. ამ დღეს იკურთხება ხორციელი საზრდელი.

ხოსპიო – სოფელი ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქის პლატოზე, ვაჩიანის ტბასთან, ახალქალაქ-ყარწახის საავტომობილო გზაზე. აქ დგას თლილი ქვის კეკლერებით ნაშენი X ს. დარბაზული ეკლესია. ამჟამად იგი გადაკეთებულია საცხოვრებელ კოშკად. სოფელ ხოსპიოს მახლობლად მდებარობს კუმურდოს ეკლესია ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი.

ხოსრო II შარვეზი („ძლევამოსილი") – ირანის შაჰი, რომელმაც იერუსალიმი აოხრა 614 წელს და გაიტაცა ძელი-ცხოველი (ჯვარი, რომელ ზედაც გაკრული იყო იესო ქრისტე). ეს ძელი ტყეეობიდან დაიხსნა პეტრაკლ კეისარმა და კვლავ აღმართა იერუსალიმში (იხ., წარტყუენა იერუსალიმისა, ნ. მარის გამოცემა, 1909წ.).

ხოტევი – სოფელი ქვემო რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, ამბროლაურიდან 10 კმ. აქ XVII ს. 70-იან წლებში თავად მერან წულუკიძეს და მის თანამეცხედრეს აუგიათ მაცხოვრის შესანიშნავი ტაძარი. იგი დაუნგრევიათ 1924 წელს ანტირელიგიური კომპანიის დროს. ეკლესია შემკული ყოფილა ფრესკებით, რელიეფებითა და წარწერებით. ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით, წარწერიანი ქვები სკოლის მშენებლობაში გამოუყენებიათ (იხ. „ძეგლის მეგობარი", № 62).

ხოშის მონასტერი – XIII ს. პირველი ნახევრის ქართული არქიტექტურის ძეგლი. მდებარეობს ახალციხის რაიონში, სოფ. მოსაბრუნის მახლობლად, ფარავნისციხიდან 5 კმ. მთავარი ტაძარი წარმოადგენს დიდი ზომის ბაზილიკას ფასადის შემკულია ჩუქურთმებით, შემორჩენილია სატრაპეზო.

ხოშატიანი – სოფელი ლაგოდეხის რაიონში, ალაზნის ველზე, ლაგოდეხიდან 30 კმ. აქ დაცულია შუა საუკუნეების ეკლესია.

ხოხმელი – სოფელი მარნეულის რაიონში, მდ. შულავერის მარცხენა ნაპირზე, მარნეულიდან 30 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ადრე შუა საუკუნების ეკლესიის ნანგრევები. XVIII ს-ში სამლოცველოდ გადაუკეთ-

ბიათ.

ხოჯა – მაქმადიანთა მღვდელი.

ხრისანთე – XVII-XVIII სს. იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც 1720 წელს მინაწერები გაუკეთებია ხილის ქართულ ხელნაწერზე.

ხრისანთო (†283 წ.) – წმ. მოწამე. აწამეს თავის მეუღლე დარიასთან ერთად იმპერატორ ნუმერიანეს (283-284 წწ.) დროს. წარმოშობით მდიდარი წარმართული ოჯახიდან იყო. მიიღო კარგი საერო განათლება. როდესაც საღვთო წერილი ჩაუვარდა ხელში, სულითა და გულით ირწმუნა ქრისტე ღმერთი. წარმართმა მშობლებმა დაჭორწინეს მშვენიერ დარიაზე, რათა ჩამოეშორებინათ სარწმუნოებისაგან (დარია კერპთმსახური იყო), მაგრამ ამაოდ. წმ. ხრისანთომ თავად მოაქცია წარმართი ცოლი ქრისტეს სჯულზე. ცოლ-ქმარი უბიწოდ ცხოვრობდნენ; მათ თავის გარშემო შემოიკრიბეს ახლადმოქცეული ქრისტიანები და ქადაგებით განამტკიცებდნენ მათ სარწმუნოებაში. ქალაქის მცხოვრებლებმა მთავარ კელარინთან იჩივლეს – ხრისანთო და დარია უქორწინებლობას ქადაგებენო. ამის გამო ისინი შეიპყრეს და ტრიბუნ კლავდიუსს მიჰგვარეს. მათი სიმტკიცით შთაგონებულმა კლავდიუსმა ირწმუნა ქრისტე და ცოლ-შვილთან ერთად მოინათლა. ეს ამბავი იმპერატორმა ნუმერიანემ რომ გაიგო, ბრძანა, ხრისანთოსა და დარიასთან ერთად ახლადმოქცეული ქრისტიანებიც სიკვდილით დაესაჯათ. ტრიბუნი კლავდიუსი ზღუაში დაახრჩვეს, ხრისანთო და დარია კი ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ ცოცხლად დაამარხეს. წმ. მოწამეთა ხსენების დღე – 19 მარტი. ხრისანთოსა და დარიას წამება აღწერეს ირინეოს და არქელაოს ზუცესებმა. მათი თხზულების ქართული თარგმანი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერში ქუთ.2, 234-252.

ხრისტოდულე ეპარაელყოფილი – კონსტანტინეპოლის ტრიანდაფილეის მონასტრის მოღვაწე. მას იხსენებს ამავე მონასტრის ქართველი მოღვაწე თეოფილე ხუცესმონაზონი (მთარგმნელი), როგორც მის მიერ თარგმნილი წიგნის (სვიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანების „ცხოვრებანი" Ath. 20) „ყოველი ეტრატის" მომაჯმველს.

ხრისტოდულე საძარელი – ათონის „მღვიძარეთა დაჟდებულთა სავანეში" („კაფსოკალიებში") მოღვაწე ქართველი ბერი. XVII ს. მოხსენებულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში". (გამოცემულია ე. მეტრეველის მიერ, თბილისი, 1956 წ.).

"ხრონოგრაფი" – გიორგი ამარტოლის ისტორიული თხზულება. ბერძნულ ენაზე არსებობს მისი სამი რედაქცია: ვრცელი, მოკლე და საშუალო. ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია არსენ იყალთოელის მიერ (კონსტანტინეპოლში, მანგანის მონასტერში მოღვაწეობისას, XII ს. პირველ ათეულში), მისდევს მოკლე ძირითად რედაქციას, შედგება ცხრა წიგნისაგან და მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან თეოდოსი დიდამდე (379-395 წწ.), გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ („ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა", თბ., 1920 წ.).

ხსართან მღვდელი – VIII ს. საეკლესიერო მოღვაწე. მოხსენებულია იოანე საბანისძის „ცხო ტფილელის მარტყოფლობის" შესაყალში. ქართლის კათოლიკოს საბაელს მისთვის გაუტანებია წერილი იოანესთან, რომელშიც სთხოვდა აღეწერა წამება ცხო ტფილელისა. (ძეგლები, I, 46-47).

„ხსენება" (საეკლესიო ხსენება) – ამათუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება ეკლესიის მიერ დადგენილ „უძრავ" დღეებში, ე. ი. გარკვეულ თვესა და რიცხვში. „უძრაო ხსენებების" გარდა არსებობს „მოძრაო საეკლესიო ხსენებებიც".

ხსნილი – მარხვის გახსნა. მარხვა გულისხმობს ხორციელი საკვების აკრძალვას და სურვილ, საკვების შემცირებას. ხსნილ ეწოდება იმეთ დღეებს, როდესაც დაშვებულია ხორციელი საკვები. ამას ეწოდება „ხსნილი ყოველითა", ე. ი. ყველაფრით ხსნილი (ხილი, ბოსტნეული, თევზი, ყველი, კვერცხი, ხორცი). ამის გარდა არსებობს ნაწილობრივი ხსნილი, მაგალითად, ყველიერი ხსნილია ყველაფრით, ხორცის გარდა, თევზის ხსნილის (ხარება, ბზობა და ზოგიერთი სხვა შემთხვევა) დროს იკრძალება მხოლოდ ხორცი და რძის ნაწარმი (დასაშვებია თევზი, ხიზილალა და სხვა). ხიზილალით ხსნილის დროს (ლაზარეს შაბათს) ამ აკრძალვას ემატება თევზის აკრძალვაც.

ძმიძე მარხვის დროს იკრძალება ღვინისა და ზეთის ხმარებაც (ე. ი. დაშვებულია მხოლოდ პური, ბოსტნეული, ან მისი ნახარში).

ხუარანძე – ეახტანგ გორგასლის და. ჯუანშერის ცნობით, მეფე ეახტანგმა იერუსალიმის წმინდა ადგილები მოილოცა თავის დედასა და დასთან, ხუარანძესთან ერთად.

ხუარაჲ – სპარსელი მოგვი, რომელიც წმ. ნინოს, „ცხოვრების" შატბერდული ვარიან-

ტის თანახმად განკურნა ნინომ.

ხუედიოსი (კუედიოს) — ხანცთას მართოდ მყოფი ბერი, „მართალი და წმიდაჲ“. გრიგოლ ხანცთელის მოსწავლე — VIII ს. I ნახევარში მოღვაწეობდა განდეგილად ხანცთის სანახებში. მას ერთხელ უხილავს ჩვენება, რომ ხანცთაში ვინმე გრიგოლ მღვდელი აშენებდა წმინდა ეკლესიას. როდესაც გრიგოლი პირველად ხანცთას მივიდა და ხუედიოსი ნახა, იგი უკვე მოხუცებული იყო. მათ სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი. შემდეგ ხუედიოსმა უმასპინძლა გრიგოლს და „მოახილეა ყოველი სანახები ხანცთისაჲ“, როდესაც გრიგოლი მონასტრის აშენებას შეუდგა, ხუედიოსი მათთან ახლოს დამკვიდრდა ერთ მცირე გამოქაბულში და მალე გარდაიცვალა. მიცვალების წინ მან დალოცა და აკურთხა ხანცთის მაშენებელნი (ძეგლები, I, 253-257).

ხუედრნი // ხვედრნი — 1. ასე ეწოდებოდა ძველ ლიტურგიკულ ძეგლებში საღვთისმსახურო წიგნს — ტრიოდიონს, რომელიც შეიცავდა მარხვისა და აღდგომის საგალობლებს, ე. ი. იგივე მასალას, რასაც შეიცავს თანამედროვე „მარხვანი“ და „ზატიკი“. ბერძნულის მსგავსად ეს ორი წიგნი გაერთიანებული ყოფილა როგორც XI საუკუნემდე (ათონელ მთაწმინდელთა დრომდე), ისე მის შემდეგაც კარგახანს. ამრიგად, სახელწოდება „ზატიკი“ (სომხ. აღდგომა) არ აღნიშნავდა ტრიოდიონს (მით უმეტეს, რომ ათონის მოღვაწენი დაუფარავად უარყოფდნენ ყოველივე სომხურს). XI ს. I ნახევარში გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა „დიდნი მარხვანი და ზატიკი“. ყველა ქართული რედაქცია მარხვანისა სტუდიელთა რედაქციისაა. ეს ჩანს არა მარტო შინაარსიდან, არამედ ტრიოდიონის წრის კერიაკეთა აღნიშვნებიდან. იერუსალიმური რედაქციის ტრიოდიონები საქართველოს ეკლესიაში ჩნდება XV-XVI სს-ში. XVIII ს-ში იბეჭდება მარხვანები (1734-37 წწ. — ნოვგოროდში, 1741 წ. — მოსკოვში; 1768 წ. — თბილისში) და ზატიკები (1734-37 წწ. ნოვგოროდში, 1768 წ. — მოსკოვში). ნოვგოროდის გამოცემაზე დართული შენიშვნიდან ჩანს, რომ ტრიოდიონი რუსული ნიმუშის მიხედვით სწორდებოდა. 2. კერიაკის საცისკრო საკითხავი. მეორენაირად აქცია „განმანათლებელი“. საკვირაო განმანათლებელი თერთმეტია. ცისკრის ღვთისმსახურებაზე ისინი სრულდებიან მორიგეობით: ერთ კვირას იკითხება პირველი განმანათლებელი, მეორე კვირას — მეორე და ა. შ. მეთერთმეტე კვირის შემდეგ ისევ იწყება პირველი განმანათლებლით. რიცხვით თერთმეტია აგრეთვე საცისკრო სახარება. განმანათლებელი იკითხება ცისკრის სახარების შესახმისად, ამიტომაც ეწოდება მას „ხუედრნი“.

3. ხუედრი ეწოდებოდა სამსაგალობლოსაც (მარხვისა და ერგასის შეიღეულის დღეთა ჰიმნოგრაფიულ კანონში), ალბათ იმიტომ, რომ სამსაგალობლის გალობები მეორეთოდა (იხ. მოსართაკი) სან პირველ, სან მეორე, სან მესამე და ა. შ. გალობებს (დღეების მიხედვით).

ხუნამისი — სოფელი არტანის ჩრდილოეთით, 40 კმ.-ზე (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). აქედან 1899 წ. თბილისში ჩამოიტანეს ქვაჯვარის წარწერიანი კვარცხლბეკი, რომელიც „ლეშრთათ „ქორონკონა რე“ (895წ.), სულა ჯაფარიძის ბრძანებით. წარწერიანი ქვა ამჟამად დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში.

ხუნძახი — ავარეთის (დაღესტანში) ისტორიული ცენტრი, ავარეთის ყოისუს ხეობაში. უკანასკნელ ხანებში არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად აქ გამოვლინდა ქრისტიანული ეკლესიების ნაშთები ქართული წარწერებით, რაც მოწმობს X-XIII სს-ში საქართველო-ხუნძეთის მჭიდრო პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს. კერძოდ, ხუნძახის შორიახლოს, აქაროს ძველად მისასვლელ მთაზე, ზღვის დონიდან 2500 მ. სიმაღლეზე აღმოჩნდა X-XI სს. ტაძრის ნანგრევი. ოდნავ დამუშავებული ქვებითა და შირიმის კეკრებით ნაგები ტაძარი შიგნიდან შელესილი ყოფილა. ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურებულია დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთ კედელში ჩაწერილი ოვალური აბსიდით, რომელიც დარბაზისაგან საფეხურით გამოიყოფოდა. სახურავად მოჭიქული კრამიტი ყოფილა გამოყენებული. ნანგრევებში აღმოჩნდა ნარ-ნაირი ფორმისა და ორნამენტული ქვის დამხვრეული ჯურები, ასომთავრულითა და ნუსხა-ხუცურით ნაწერი მემორიალური ხასიათის წარწერებით, რომელთა ნაწილი პალეოგრაფიულად X-XI სს-ით თარიღდება.

ხუნძახის პლატოზე მიმავალი გზის პირას, სოფელ ამიტლთან, აღმოაჩინეს XI-XII სს-ის ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი. იგი მთის ფერდობზე, სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე აუგიათ ოდნავ დამუშავებული ქვითა და აგურით.

ერთადერთი მიწისზედა ეკლესია ხუნძეთში არის სოფ. დათუნას დარბაზული ეკლესია (იხ.) იგი თავისი არქიტექტურულ-შპატრული გადაწყვეტით ორგანულად უკავშირდება X-XI სს. მიჯნის საქართველოს ქრისტიანულ საკულტო

ხუროთმოძღვრებას. სამხრეთის კარის ტიმპანში აღმოჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. წერილობითი წყაროებისა და აღგილობრივ თქმულებათა მონაცემებით, ქრისტიანული ეკლესიები აეარეთის სხვა მხარეებშიც ყოფილა. ამას ადასტურებს სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი მოჩუქურთმებული ფრაგმენტი და არქიტექტურული დეტალები, სამშენებლო კერამიკის ნარჩენები. აღსანიშნავია ავრეთვე მონუმენტური პლასტიკის ძეგლები – ქვის რელიეფური ფილები, რომლებიც ან ეკლესიათა კანკელებისა უნდა იყოს, ან მათი ექსტერიერების სამკაულისა, ზომითა და ფორმით ნაირგვარი ქვის ჯვრები და სხვ.

1310 წლის მაღალაშენილისეული სახარების მინაწერში (გიორგი ბრწყინვალის დროს) დადასტურებულია დაღესტანში რამდენიმე ეპარქიის არსებობა – ხუნძახის, ანწუხისა და ზახურისა. სინის მთის ერთ-ერთი ქართული მონასტრის XV ს-ის სააღაპე წიგნიდან (Sin. 77) ცნობილია „ხუნძელი კათოლიკოსი ოქროპირი", რომელსაც ქ. კეკელიძე მიტროპოლიტთან აიგივებს და რითაც დაღესტანში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სამიტროპოლიტოს არსებობაა დასაბუთებული.

ხურსი – ერისთაეთ-ერისთაეი. მოხსენებულია ქტიტორად ოთხთა ეკლესიის (სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ კლარჯეთში, მდ. ჭოროხის მარცხ. ნაპირზე, სოფ. დღრთ-ქილისადან 5 კმ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის მდ. ოთხთა ეკლესიისწყლის შესართაეთან) მთავარი ტაძრის სამხრ. კედლის X ს. ლაპიდარულ წარწერაში.

ხუცესთ-უხუცესი – უფროსი მღვდელი, უფროსი ხუცესი.

ხუცესი (ბერძნ. „პრესბუტეროს" – უპირატესი, უხუცესი) – მღვდელი ან მღვდელმონაზონი. უფროსი ხუცესი თეთრი სამღვდელოებიდან იწოდება დეკანოზად (ბერძნ. „პროტოერეუს" – პირველი მღვდელი), პროტოპრესვიტერად (პირველი ხუცესი), საბერო სამღვდელოებაში – იღუმენად (სამონაზვნო ძმობის წინამძღვარი) და არქიმანდრიტად (უდაბნოს, დიდი მონასტრების წინამძღვარი; იხ. პრესვიტერი).

ხუცესი – ასე ეწოდებოდა ტომის ბელადს ისრაელში პატრიარქობის პერიოდში. ხუცესის ხელში თავმოყრილი იყო როგორც რელიგიური, ისე სამოქალაქო ძალაუფლება. ხუცესის გადაწყვეტილება მთელი ხალხის ნებასურვილად ცხადდებოდა. უდაბნოში (მოგზაურობისას) ხუცესთაგან შედგენილ იქნა საბჭო, რომელიც იხილავდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს და გამოაქვნდა დადგენილებანი. მოგვიანებით ისრაელის ყოველ ქალაქში იყო ხუცესი, რომელსაც სამართლებრივი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული. მეფეთა პერიოდში ხუცესთა, როგორც ხალხის წარმომადგენელთა, ინსტიტუტი სამეფო ძალაუფლების მნიშვნელოვან რგოლად ჩამოყალიბდა. ხალხისაგან არჩეულ ხუცესებთან ერთად სამღვდელოების თაეში ხუცესები ჰყავდა (არონის შთამომაეალთაგან).

ხუცეს-მონაზონი – იხ. მღვდელ-მონაზონი.

ხუჯაბი – იხ. პუჯაბი.

ხუცი – მოხსენებულია კაცხის (ჭიათურის რ-ნი) ეკლესიის XI ს. ლაპიდარულ წარწერაში, რომლის თანახმადაც მას მონაწილეობა მიუღია ამ ეკლესიის აშენებაში.

ხცისი – სოფელი ხაშურის რაიონში, მტკერის მარჯვ. ნაპირზე, ხაშურიდან 3 კმ. სოფლის მახლობლად, ერთი კილომეტრის მანძილზე, მთის კალთაზე დგას იოანე ნათლისმცემელის დიდი დარბაზული ეკლესია, აგებული 1002 წელს, არქიეპისკოპოს ანანიას მიერ. ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული არიან ბაგრატ კურაპალატი და გურანდუხტ დედოფალი. ხცისის ეკლესია ერთნავიანი ეკლესიების ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია. შემოსილია თლილი ქვის პერანგით. განსაკუთრებით საინტერესოა ბრწყინვალედ შესრულებული ორნამენტები და ბარელიეფები.

ჯ

ჯადო — მკითხაობა და ჯადოქართაგან დამზადებული რაიმე ნივთი, რომელიც განკუთვნილია გარკვეული მიზნების, უბედურების მოელინებისათვის. ნ. ჩუბინაშვილი ჯადოს „ჯადოქრობასთან“ აიგივებს: „გრძნება, ანუ მეზღაპრული საცრება რამე“ (იხ. ჯადოქრობა, მაგია).

ჯადოქრობა — გრძნეულება, რწმენა და თაყვანისცემა ბოროტი (ეშმაკეული) ძალებისადმი, რომლებიც მათ მსახურებს ანიჭებენ სასწაულთმოქმედ ძალას; ხელოვნება ჯადოების დამზადებისა და მაგიური სასწაულების მოხდენისა. ჯადოქრების („კუდიანების“) გასასამართლებლად დასაველეთის ეკლესიაში არსებობდა სპეციალური საეკლესიო სასამართლო ინკვიზიცია. XIII ს-ში შემოიღეს მსჯავრდებულთა კოცონზე დაწვა (აუტოდაფე). ჯადოქრების გარდა კოცონზე წეავდნენ მწეალებლებს. სასჯელის ასეთი ზომა განსაკუთრებით დაკანონდა XV ს-ში (ესპანეთსა და პორტუგალიაში) და არსებობდა XIX ს-მდე.

ჯაეახი — ხახულის მონასტრის (ისტორიულ ტაოში, თორთუმის წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულის წყლის ხეობაში) ერთერთი კალატოზი. მოხსენებულია მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის X ს. ლაპიდარულ წარწერაში. იქვე მოხსენებული არიან: მიქაელ, გურსი, აედერკ, თუალშაე, მუხწის.

ჯაეახი (1949 წლამდე — მოკა) — სოფელი დმანისის რაიონში, მდ. მაშავერის მარცხენა ნაპირზე, დმანისიდან 15 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკ. წმ. გიორგის ეკლესია.

ჯაეახიშვილი ივანე (1876-1940 წწ.) — ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი. სწავლა დაიწყო თბილისში, ჯერ პროგიმნაზიაში (1885 წ.), შემდეგ გიმნაზიაში (1888-1895 წწ.). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსაელურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. უნივერსიტეტში შესაელისთანავე სათაეში ჩაუდგა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს. 1899 წ. ივ. ჯავახიშვილი აღმოსაელური ენების ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ორი წლის შემდეგ დაიცვა მაგისტრის ხარისხი. უნივერსიტეტში სწაელისას და შემდეგაც ხანგრძლივად იმყოფებოდა გერმანიაში (აქ იგი უმთავრესად ბერლინის უნივერსიტეტში მუშაობდა). 1902 წ. ნ. მართან ერთად იმოგზაურა სინის მთაზე და შეადგინა იქაურ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ.). სინის მთიდან დაბრუნების შემდეგ 1917 წლამდე ივ. ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე პრივატ-დოცენტის თანამდებობა ეკავა. 1917 წელს ჩამოდის თბილისში, სადაც მისი თაოსნობით მალე უნივერსიტეტი დაარსდა (1918 წ. 26 იანეარი). 1919 წ. იგი რექტორად აირჩიეს და ამ პოსტზე იმყოფებოდა 1926 წლამდე. დიდი და მრავალფეროვანია ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შემოქმედება. მას ეკუთვნის საქართველოს ისტორიის მეცნიერულად გამართული კურსი (ქართველი ერის ისტორია, 4 წიგნად). მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ისტორიის დამხმარე დისციპლინების ჩამოყალიბება საქართველოში. უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ქართული სამართლის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, და სხვა. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ძველი ქართული სამწერლობო ძეგლების არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია. მან გამოსცა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, გამოსაცემად მოამზადა გიორგი მთაწმიდელის

თხზულება „ცხორებაჲ იოვანესი და უფთუმესი“ (1946 წ.), აღმოაჩინა და გამოსცა ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება და ბასილი ეზოსმოძღვრის „თამარის ისტორია“, მიაკვლია ძველი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებს – ე. წ. ხანმეტ ტექსტებს („ახლადაღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II) და ა. შ. 1979 წლიდან დაწყო და 1988 წელს დამთავრდა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემა.

ჯანაშვილი მოსე (1876-1934 წწ.) – საქართველოს ისტორიისა და ძე. ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1878 წ.). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში. 1888 წლიდან იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი, 1897-1926 წწ. – მისი გამგე. ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას საქართველოში. ავტორია წიგნებისა: „ქართული მწერლობა“, I, II ტ., თბილისი, 1909 წ. მწერლობა IX-X სს. (სასწაულო წიგნი), История груз. церкви, кн. 1, Тб.,1898. მ. ჯანაშვილმა შეადგინა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (III ტ.). პირველად გამოსცა ძველი ქართული მწერლობის მრავალი საყურადღებო ძეგლი: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი (საეკლ. მუზეუმის გამოცემა №14, თბილისი, 1911 წ.), „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ („ქართული მწერლობა“, II, 1909 წ., გვ. 1-46); ჯოელადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომელი-აკათისტო (К материалам по истории и древностей Грузии и России, Тиф. 1912, с.107-145) და სხვ. მასვე ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი პერიოდულ ორგანოებში.

ჯაშთაბი – გრაგნილი, ქარტია; იხმარებოდა კონდაკის აღსანიშნავად ძე. ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში (იხ. „იერუსალიმური განჩინება“, გვ. 342; იხ. კონდაკი).

ჯალი – IV-V სს. ქართული მწიგნობარი; სომეხ ისტორიკოსთა გადმოცემით, მან ბაკურ მეფის ბრძანებით შეკრიბა ბავშვები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკაზე ლაპარაკობდნენ და ასწავლა მათ საერთო ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყეს. ჯალი ცნობილია აგრეთვე, როგორც მთარგმნელი ბერძნული და სომხური ენებიდან (იხ. მოსე ეპისკოპოსი).

ჯალმიანი – ნასოფლარი დიდუელის პლატოზე, მთიულეთში, სოფ. შარმიანის (დუშეთის რაიონი) მახლობლად. სხვა ნანგრევებთან ერთად შემორჩენილია შუა საუკუნეების „კეცრაცხოველის“ დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. მთის ეკლესიების მსგავსად, აქაც საკურთხეველი სწორკუთხა მოხაზულობისაა. ხოლოდროინდელი ხელოსნური შეკეთების მიუხედავად ტაძარს ძველებური იერი აქვს შენარჩუნებული.

ჯაჭვის მონასტერი – მრავალძალის წმ. გიორგის სახელზე აგებული მონასტერი რაჭაში, ონის რაიონის სოფ. სორში. აქ იმართება ხალხური ღვთისმეტყველი „ბაიბურობა“.

ჯახუნცლარი – სოფელი ლენტეხის რაიონში, სვანეთის ქედის სამხრ. ფერდობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ლენტეხიდან 23 კმ. სოფელში შემორჩენილია X-XI სს. წმ. გიორგის ეკლესია „ჯგრაგ“. ლაპიდარულ წარწერებში მოხსენიებული არიან: გიორგი, ლაღა, კვირიკე და სხვ.

ჯგალი – სოფელი წალენჯიხის რაიონში, ოდიშის ეკაის ჩრდ. ნაწილში, მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია X ს. დარბაზული ეკლესია.

ჯგერდა – სოფელი ოჩამჩირის რაიონში, მდ. თოუმაშის სათაეებთან, ოჩამჩირიდან 24 კმ. სოფლის მიდამოებში ორი ეკლესიაა: ფსკალის მთაზე – VI-VII სს-ისა, ადაგუას მთაზე (ეკლესია „ქიაჩ-აბაა“) – შუა საუკუნეებისა.

ჯგეჟია – მთა ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშის მიდამოებში. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი. წმ. გიორგის ეკლესია 1615 წლისაა აგებული. დაცულია ლაპიდარული წარწერა.

ჯერაკუმია (ბერძნ. „მოხუცთა“) – ასე ეწოდებოდა სპეციალურ ნაგებობას იერუსალიმის საბას ლავრაში, რომელიც მოხუცთა თავშესაფრად იყო განკუთვნილი. ჯერაკუმიაში ბერები არ წყვეტდნენ მოღვაწეობას. მაგალითად, საბაწმიდის ქართველ მღვდელ იოანეს (დიმიტრის თანამოღვაწეობით) ჯერაკუმიაში 1052 წელს გადაუწერია მარხვანი – Sin. 5.

ჯერასიმე (გერასიმე) – V ს. ცნობილი მონაზონი; წარმოშობით ლუკიიდან (მცირე აზიის სამხრეთი ნაწილი) იყო. სიყრმიდანვე იგი თებაიდის უდაბნოში განმარტოვდა, იქიდან სამშობლოში დაბრუნდა, V ს. შუა წლებში კი პალესტინაში გადაიცვა და იორდანეს უდაბნო-

ში დაემკვიდრა. აქ მდ. იორდანეს ნაპირთან 450 წელს დაარსა ლავრა 70 სენაკით. ამაე პერიოდშია დაარსებული კალამონის ლავრაც. ჯერასიმე იორდანეს უდაბნოს გამოჩენილი მოღვაწე გახდა. იგი გამოირჩეოდა სამონაზვნო ცხოვრების სიმკაცრით, რისთვისაც ღვთისაგან დაჯილდოვდა სასწაულთა ხილვისა და ქმნის უნარით. მან იხილა მახლობელი მონასტრის მოღვაწის, ეფთვიმე დიდის ზეცად აღსვლა (მიცვალება). ამ გამოცხადების შესახებ მან მოუთხრო თავის მოწაფეს კვირიაკოზს. მამა ჯერასიმეს ეშორჩილებოდნენ არა მარტო მოწაფენი, არამედ მხეცებიც. კერძოდ, მან ვირის მწყემსად დაადგინა ლომი, რომელსაც თვითონ განუკურნა ჭრილობა. ჯერასიმე 475 წ. გარდაიცვალა. მის მოსახსენებელ დღედ ღირსი მამის „ცხოვრების" ქართულ თარგმანებში (ბრიტანეთის მუზეუმის Addit. 11281 და A 188) 5 მარტია აღნიშნული, ბერძნული წყაროების მიხედვით კი სამი თარიღია მითითებული: 4, 5 და 20 მარტი. „ცხოვრების" აეტორად ქართულ ხელნაწერებში მოიხსენიებულია კირილე ბესანიელი, რომელსაც ზოგი მეცნიერი აიგივებს კირილე სკვითოპოლელთან. პირველი ბერძნული გამოცემის მიხედვით, „ცხოვრების" აეტორია სოფრონ იერუსალიმელი; არსებობს ამაე თხზულების ვრცელი რედაქციაც — კოზმა რიტორისა. ქართულად ჯერასიმეს „ცხოვრება" უთარგმნიათ X საუკუნეში. გამოსცა ე. იმნაიშვილმა („მამათა ცხორებანი", თბ., 1975 წ. 312-316).

ჯერასიმე — XI ს. ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე, „დიად იღუაწა" ამ მონასტრის მეტოქეების — ბოლბონისა და ნისინის დასაცავად, ამისთვის ათონელ ბერებს განუწესებიათ აღპი ჯერასიმეს მოსახსენებლად იენისის 1-ს (ათონის კრებული, 1901 წ.: ე. მეტრეველი, სააღპო წიგნი, გვ.155-156).

ჯვარ-გუმბათოვანი — საქართველოში ფართოდ გავრცელებული საეკლესიო ნაგებობათა ტიპი. იგი ჩაისახა IV-V საუკუნეებში და დღემდე ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ხუროთმოძღვრობაში. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობის კომპოზიციის არსს წარმოადგენს ჯვარისებური გეგმის მქონე ცენტრალური ნაწილი, რომელიც გადახურულია ოთხი ცილინდრული კამარით. მათ გადაკვეთაზე აღმართულია ყელიანი გუმბათი. არსებობს გუმბათოვან ნაგებობათა რამდენიმე ტიპი. ტეტრაკონქი, ტრიკონქი, „თაეისუფალი ჯვარი", „ჩახაზული ჯვარი" და სხვა.

ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრებიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი: მცხეთის ჯვარისა (მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, სამწეარისი, წრომი, ძველი შუამთა, მარტვილი, შიომღვიმის „ნათლისმცემელი" და სხვა), სამთავის-იკორთისა (სამთავისი, იკორთა, მეტეხი, სამთაერო, ერთაწმინდა და სხვა), ბეთანია-ქვათახეეისა (ბეთანია, ქვათახ;ყი, ფიტარეთი, წულერუღაშენი, ახტალა და სხვა).

ჯვარი — „ესე არს ძელი გარდაჭდობილი სასიკეთილოთა კაცთა დასამსჭვალავად, ხოლო აწ ჯვარნი — ქრისტეს ჯვარისა სახედ თაყვანის-საცემელად" (სულხან-საბა). ჯვრის გამოსახეულებას ქრისტიანები თაყვანს სცემენ იმიტომ, რომ ჯვარცმითა და მასზე სიკვდილით მაცხოეარმა ჩვენმა იესო ქრისტემ დათრგუნა სიკვდილი და სამოთხის კარები გაუღო ღვთივ-სათნო ადამიანებს (იხ. ჯვარი ქრისტესი). ჯვრის ფორმა გამოხატულებას პოულობს ქრისტიანულ არქიტექტურაში (იხ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობანი); ჯვარი ამკობს ტაძრების ფასადებსა და ინტერიერს; ჯვარი აგეირგვინებს ეკლესიას, როგორც ძლეეის სიმბოლო; ჯვრით იკურთხება წყალი და სრულდება მრავალი საეკლესიო წესი; ჯვარს ატარებს მეერდზე სამღვდელოება (მცირე ზომის ჯვარს ატარებს ყოველი მორწმუნეც); ლოცვის დროს ჯვარს (პირჯვარს) გამოისახავენ მორწმუნენი საკუთარ სხეულზე და ა. შ. ჯვრის გამოსახულებაზე, ისე, როგორც ხატებზე, ხალეო მაღლი გადმოდის მისი კურთხეეის შემდეგ (ჯვრის კურთხეეის ლოცეა წერია კურთხეეანში).

ჯვრის შესახებ ძეელი ქართული მწერლობის ისტორია იცნობს რამდენიმე თხზულებას: 1. „თქუმული პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათჳს" — ეფრემ ასურის პომილია, დაცულია ხელნაწერში Ath. 11, 239-241, 2. „ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა ხელთქმნულთა და ხელთუქმნელთათჳს, მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანისცემენ და ხატსა — არა" — გერმანე კონსტანტინეპოლელის პოლემიკური თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 162, 124-138; ქუთ. 8, 111-117; 3. ჯუარისათჳს, თქუმული იოანე ოქროპირისა. დაცულია ხელნაწერებში: ქუთ. 4, 188-193; S 1276, 55-63; S 384, 128-132. 4. „გამოჩინებაჲ პატიოსნის ჯუარისაჲ, რომელი ზეცით გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა" — კირილე იერუსალიმელის თხზულება (იხ. ჯვარის

ხილვა ზეცაში კონსტანტინე იმპერატორის მიერ). ჯვრის შესახებ ამავე ავტორს ეკუთვნის სხვა თხზულებებიც: „დასაბამითგან სოფლისაჲთ ჭყმე, (5846 წ.) ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ტლე (336 წ.), თთუესა მაისსა ზ ჯუარის გამოჩინებისათჳს, რომელი იქმნა წმიდასა შინა ქალაქსა იერუსალიმს მეუობასა კოსტაჲსსა, ძისა დიდისა კონსტანტინესსა“ (იხ. ჯვარის გამოცხადება იერუსალიმში), „საკითხავი ჯუარისათჳსეე“ (A 144, 146v-149r), „პოვნაჲ წიდჲათა სამშჯალთაჲ“ (Sin. 83, 172-174; A 95, 399-401; A 144, 145v-146r; A 1109, 35-36), „პოვნაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ“ (A 1109, 31-35). ეს უკანასკნელი თხზულებები ქართულად გადმოთარგმნილია უძველეს დროში, როგორც ფიქრობენ, ასურული ენიდან. ისინი გუხვდებიან ჯერ კიდევ 864 წ. მრავალთავში (Sin. 32-33-57; გამოც. თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991, გვ. 347-352; 352-353; 353-357). იხ. ჯვარცმა.

ჯვარი – დაბა წალენჯიხის რაიონში, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირზე. წალენჯიხიდან 10 კმ. დაბის მიდამოებში (ადგილი ხეში) შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ჯვარის ამაღლება – მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა, ერთი „ათორმეტ“ დღესასწაულთაგანი. ამ დღეს აღინიშნება ქრისტეს ეკლესიაში 326 წ. მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა, როცა 300-წლიანი ძებნის შემდეგ წმ. ელენე დედოფალმა იპოვა ქრისტეს ჭეშმარიტი ჯვარი. დედოფალი გაემგზავრა პალესტინაში, იერუსალიმში. იქ გაიგო, რომ უფლის ჯვარი სადღაც, ვენერას სამსხვერპლოსთან იყო ჩაფლული. გათხრის შემდეგ გამოჩნდა სამი ერთნაირი ჯვარი, რომელთაგან უფლის ჯვრის გამორჩევა შეუძლებელი იქნებოდა, სასწაული რომ არ მომხდარიყო. იმჟამად რომელიღაც მიცვალებულს მისაყენებლად დასამარხავად. სასწაულის მოლოდინით ჯერ ერთი ჯვარი დაადეს მიცვალებულს, შემდეგ – მეორე. არაფითარი ცვლილება არ მომხდარა; ხოლო როცა მესამე ჯვარი დაადეს, მიცვალებული მკვდრეთით აღსდგა. ამ სასწაულის მხილველი ხალხი მიაწყდა უფლის ჯვარს სამთხეველად. იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ იგი მაღლობ ადგილზე აღმართა, რათა ყველას შესძლებოდა მისი დანახვა.

ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა 614 წლამდე იყო იერუსალიმში. ამ წელს სპარსეთის მეფემ ხოსრომ დაიპყრო და გაძარცვა იერუსალიმი, სხვა განძეულობასთან ერთად ალდგომის ტაძრიდან უფლის ჯვარიც წაიღო. 14 წლის განმავლობაში იყო ჯვარი წარმართთა ხელში. 628 წელს ჰერაკლე იმპერატორმა ზავი დადო სპარსეთის მეფესთან. ჯვარი იერუსალიმში დააბრუნეს, იმპერატორმა მოისურვა საკუთარი ხელით აეტანა ჯვარი გოლგოთაზე, მაგრამ რაღაც ძალამ იგი შეაჩერა. პატრიარქმა მიიღო საღვთო გამოცხადება, რომ არ შეიძლებოდა სამეფო შესამოსლით შემოსილ კაცს აეტანა ჯვარი წამების ადგილზე, რადგან მეფური დიდებულება შეუთავსებელი იყო იმ დამცირებასთან, რაც უფალმა განიცადა ამ გზაზე. მეფემ გაიხადა სამეფო შესამოსელი და უბრალო ტანსაცმლით, ფეხშიშველმა მიიტანა ჯვარი აღდგომის ტაძრამდე. ამ დღიდან 14 სექტემბერს განწესდა მსოფლიო დღესასწაული ჯვარის ამაღლებისა.

ჯვარის ამაღლების შესახებ ქართულ ენაზე არსებობს სამი თარგმნილი პომილია: ორი – ანდრია კრიტელისა და ერთი – ბასილი კესარიელისა: „ამაღლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელი ჯუარისა“ – ანდრია კრიტელის პომილია, ქართულ ენაზე თარგმნილი უფთიმე ათონელის მიერ. დაცულია ხელნაწერში: Ath. 20, 184-187 (ამ ხელნაწერით – მიეწერება ბასილი კესარიელს). ქუთ. 4, 177-183. ამავე ავტორისაა მეორე თხზულებაც ჯვარის შესახებ: ქუთ. 4, 183-188; S 1276, 455; S 384, 122-128. „თქუმული პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს“ – ბასილი დიდის თხზულება, შეტანილია მის „ითკა“-ში, თარგმნილია უფთიმე ათონელის მიერ. გუხვდება ხელნაწერებში: A 100; A 181, A 394; S 379; Jer. 14, Ath. 44.

„ჯვარი ვაზისა“ – ქართული საეკლესიო ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში. ამავე სახელწოდებით ჟურნალის გამოცემა განახლდა 1978 წლიდან.

ჯვარის გამოცხადება იერუსალიმში (351 წ.) – პირველი ქრისტიანი კეთილმსახური იმპერატორის – კონსტანტინე დიდის გარდაცვალების შემდეგ საიმპერატორო ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა კონსტანტიმ, რომელიც მიეშურო არიოზის მწვალებლობას და უარყო ჭეშმარიტი სარწმუნოება. მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად უფალმა სასწაული მოახდინა იერუსალიმში. წმინდა მეერგასის (სულიწმინდის მოფენის) დღეებში, 351 წლის 7 მაისს, დილის მესამე საათზე, ზეცაში გამოისახა უფ-

ლის ჯვარი (ტოლმკლაკებიანი), ისეთი გამოუთქმელი ნათლით გაბრწყინებული, რომელიც აღემატებოდა მზის სინათლეს, ამის მოწმე იყო მთელი ხალხი. ჩვენება დაიწყო გოლგოთის ბორცვთან – იქ, სადაც მაცხოვარი ჯვარს ეცვა და მიაღწია ელეონის (ზეთისხილის) მთამდე. ჯვრის გამოსახულება ცისარტყელის გარდამავალი ფერებით ელავდა. ამ სასწაულებრივი გამოჩენების შესახებ იერუსალიმის პატრიარქმა კირილემ (350-387 წწ.) ეპისტოლეები აუწყა იმპერატორ კონსტანტის და მოუწოდა, შეერთებოდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ძველი ეკლესიის ისტორიკოსის, სოზომენის ცნობით, ჯვარის გამოცხადების სასწაულმა ბევრი ებრაელი და ელინი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ხსენება იერუსალიმში საუფლო ჯვრის გამოცხადების სასწაულისა დადებულია 7 მაისს. ამ დღეს აღინიშნება ქართული ხალხური საეკლესიო დღესასწაულები: დიდგორობა, ჯვარპატრონობა და სხვ. ქართულ ენაზე შემორჩენილია დასხლ. VIII-IX სს-ის თარგმანი კირილე იერუსალიმელის ისტორიული მოთხრობისა: „გამოჩინებისათუს ჯუარისა, რომელი იქმნა წიდასა შინა ქალაქსა იერუსალემს მეფობასა კოსტანტინესა, ძისა დიდისა კონსტანტინესსა“ (A 38, 480-482; A 381, 480-482; Sin. 32,57-33, სინური მრავალთავი; Sin. 92. გამოც.: „კლარჯული მრავალთავი“, გვ. 347-353). კ. კეკელიძის დასკვნით, ქართულად თარგმნილი ყოფილა აგრეთვე კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კონსტანტი იმპერატორის მიმართ. ეს თარგმანი ყურყუროვით გამოვლენილი არ არის.

ჯვარის დღესასწაული – უძველესი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც აღდგომის მეორე დღეს (ორშაბათს) აღინიშნებოდა. იოანე ოქროპირის დროს (V ს-ში) ადმოსაელეთის ეკლესიაში იგი ჯერ კიდევ გაერცელებული იყო და მხოლოდ ერეკლე კეისრის დროს შეწყდა. X-XI სს-ში ჯვარის დღესასწაული უკვე სრულიად სახემეცნელი ან პრაქტიკიდან გამოსულიც იყო. საქართველოში კი შემდეგაც დიდხანს განაგრძობდა არსებობას. ამიტომ უფრო გვიანი დროის (XI ს.) მწერლებს, რომელთაც უკვე ნათლად აღარ იცოდნენ ჯვარის დღესასწაულის არსი, ქართულ ეროვნულ დღესასწაულად მოუნათლავთ (იოანე-ზოსიმე და სხვ.). ამის გარდა, უძველეს ლიტურგიკულ ძეგლებში – იერუსალიმურ განძრნებასა და იადგარში ჯვარის სამი დღესასწაულია დადებული: ჯვარის გამოჩენება – 7 მაისსა და 29 იანვარს, ჯვარის აღაჟრობა (ჯვრის ამაღლება) – 14 სექტემბერს.

„ჯვარის მამა“ – გუმბათოვანი ეკლესია თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, აგებულია XVI ს-ში, „ჯვარის მამა“ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარს ნიშნავს. ამ ეკლესიას ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ იგი იერუსალიმის სამპატრიარქოს ეკუთვნოდა და იქაური ქართული მონასტრის მეტოქი (ფილიალი) იყო. თბილისის „ჯვარის მამა“ ჩერებდა შეწირულობებს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სასარგებლოდ (ნ. ბუცხრიკიძე, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მიწის მფლობელობა საქართველოში, თბ. 1999. მისივე, ერუსალიმის ჯვარის მონასტრის მეტოქი ეკლესიები საქართველოში, ხელნაწ. ინსტ. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997, გვ. 111-121). „ჯვარის მამის“ ადგილას ადრეც მდგარა ტაძარი. მისგან ამჟამად შემორჩენილია თლილი ქვის ცოკოლი. ახალი ტაძარი კი მთლიანად აგურითაა ნაშენი. არქიტექტურულად „ჯვარის მამა“ ენათესაება ღუნენის ორმოცი მოწამის ეკლესიას. გეგმა სწორკუთხედს წარმოადგენს. საკურთხეველი ახსიდანია, სადიაკვნე და სამკვეთლო – უაფსიდო. გუმბათი ეყრდნობა ახსიდის კუთხეებსა და გრძივი კედლებიდან პერპენდიკულარულად გამოწვდილ შვერილებს და არა თაღისუფლად მდგომ ბოძებს. ამით ეს გეგმა ე. წ. კუპელალეს ტიპს უახლოვდება.

ჯვარის მონასტერი – „მცხეთის ჯვარი“, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. აგებულია 586/87-604 წლებში მცხეთის მახლობლად, კლდოვან ბორცვზე, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, მტკვრისა და არაგვის შესართავთან. გადმოცემით, აქ წმიდა ნინოს მითითებითა და მირიან მეფის ბრძანებით თავდაპირველად აღუმართათ ხის ჯვარი. ამის შესახებ არსებობს წერილობითი ცნობები ქართული და სომხური მატიანეებისა („მოქცეაჲ ქართლისაჲ“, გრიგოლ დიაკონის „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ და სხვ. VI ს-ის მეორე ნახევარში ამ ჯვრის არსებობას ადასტურებს „ეესტათი მცხეთელის მარტვილობა“). VI ს-ის მეორე ნახევარში ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააშენა ჰატარა დარბაზული ეკლესია („მცირე ჯუარი“, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი), იმავე საუკუნის მიწურულს და VII ს. დასაწყისში გუარამის ძემ, სტეფანოზ ერისთავარმა მცირე ტაძრის გვერ-

დით ააგო დიდი ტაძარი (ამ ტაძრის შუა ნაწილში დღემდეა დარჩენილი თავდაპირველი ხის ჯვრის კვარცხლბეკი). ესაა სუბსტრუქციაზე დაფუძნებული კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი, რომელსაც აგერგვანების რეაშანხაგა ყელზე დამკვრებული გუმბათი. გუმბათქუშა კედლატიდან რეაშანხაგა ყელზე და შემდეგ სიმრგვალეზე გადასელა ხდება ტრომპების საშუალებით. ფასადები შემოსილია ქვიშაქვის დიდი თლილი ლოდებით. საკურთხეველის აბსიდის სამი სარკმელი შეკრულია მათ თავზე გაელებული დეკორატიული რელიეფური სარტყლით, ყოველი სარკმლის თავზე იგი თაღს შემოხაზავს. სარტყლის ზემოთ, სარკმლების პირდაპირ, მოთავსებულია სამი რელიეფი ქტიტორთა გამოსახულებებით. კუთხის ოთახების სარკმლები უფრო მცირეა, თითოეულს თავისი თაღოვანი სათაური აქვს. სამხრეთის ფასადზე, აბსიდსა და კუთხის ოთახებს შორის შეჭრილი ღრმა ნიშებია. სამხრეთის შესასვლელის თავზე, ტიმპანში გამოსახულია ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლება. ეს ცნობილი კომპოზიცია ოსტატურადაა შეხამებული ტიმპანის ნახევარწრიულ მოხაზულობასთან. ტაძარს მეორე კარიც აქვს ჩრდილოეთის მხრიდან. ეს ფასადი სრულიად მოურთველია (რადგან მის წინ მცირე ჯვრის ეკლესია დგას), მაგრამ საერთო დანაწევრება საესებით ემთხვევა სამხრეთისას. დასავლეთის ფასადი, რომელიც ქარაფს გადაყურებს და მხოლოდ შორი მანძილიდან აღიქმება, აგრეთვე სრულიად მოურთველია. ტაძარი შესანიშნავად ეხამება გარემოს, როგორც ფორმებით, ისე მასშტაბით, პროპორციებით და ფერითაც კი. მცხეთის ჯვარის მონასტრის სხვა ნაგებობათაგან გამოირჩევა მცირე ჯვარის ტაძარი (545-586 წწ.) – დარბაზული ნაგებობა, ციხე-გალავნის ნაშთები და სხვ.

ჯვარის მონასტერი იმერეთში – ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი საზეიარგარეული სამონასტრო ცენტრი, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი კერა. დაარსდა XI საუკუნეში. აუშენებია ქართველ მონაზონს პროხორეს (გიორგი-პროხორეს), რომელიც წარმოშობით შავშეთიდან იყო. მონასტრის აშენებაში მას დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა მეფე ბაგრატ IV და, განსაკუთრებით, დედამისი მარიამი (ცნობილია, რომ ამ უკანასკნელმა გიორგი მთაწმიდელის ხელით დიდი შეწირულობა გაუგზავნა ჯვარის მონასტერს). ჯვარის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იდგა, ახლა კი, ქალაქის გაზრდის შედეგად, მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა შუაგულში, ზეთისხილის ბაღნარში. ეს არის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. არსებით იგი მთელი ციხე-ქალაქია, დაცული მაღალი ზღუდით. ზღუდის შიგნით მოთავსებულია ნაგებობათა რთული კომპლექსი სამ და ოთხ სართულად, მრავალრიცხოვანი სათაესებით, რომელთა რაოდენობა დღესაც 270-ს აღწევს. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ თაღებს, რომელიც ბოლოვდება გუმბათით. თავდაპირველად იგი მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკებით. ჯვარის მონასტრის ადგილი დიდ სიწმინდეს წარმოადგენს: ამ ადგილას ამოჭრილი ხისაგან გაუკეთებიათ ჯვარი, რომელზედაც გაკრეს მაცხოვარი. ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტრისათვის ადგილი შეუსყიდია ჯერ კიდევ მირიან მეფეს, საქართველოს განმანათლებელს, და მასვე აუგია თავდაპირველი ტაძარი (IV ს.). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ტაძარი ააგო ვახტანგ გორგასალმა, ან მისი შემწეობით – პეტრე ქართველმა (იბერმა), ხოლო პროხორემ XI საუკუნეში თითქოს მხოლოდ განაახლა. ეს თვალსაზრისი ლღვისთის უარყოფილია. როგორც ამჟამად ფიქრობენ (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის რედ., 1956 წ., ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წ.), ჯვარის მონასტერი XI საუკუნემდე არ არსებულა; იგი პირველად პროხორემ ააგო, უფთვიმე მთაწმიდელის ინიციატივითა და ბაგრატ IV-ის მატერიალური მხარდაჭერით. თავდაპირველად, სანამ მონასტრის შენება დამთავრდებოდა, საჭირო წიგნებს ამ მონასტრის სწრაფადნენ ათონის, კალიპოსის და სხვა მონასტრებთა მოღვაწენი, მერე კი თვით ჯვარის მონასტერში გაჩაღდა ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც უფრო სხვის მიერ დამზადებულ თხზულებათა გადაწერაში გამოისატებოდა, ვიდრე დამოუკიდებელ თხზვაში. ქართული მწერლობა ჯვარის მონასტრისა ხასიათდება და შინაარსითაც გაგრძელებაა ათონისა და საბას ლავრის ლიტერატურისა. XI საუკუნიდან XIX-მდე, როდესაც აქ შეწყდა ქართული ელემენტი და სავანე ბერძენთა ხელში გადავიდა, ჯვარის მონასტერი იყო უმთავრესი ცენტრი ქართული მწერლობისა პალესტინაში.

ტრადიციული გადმოცემით, ჯვარის მონასტერში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები და მოაზროვნეები: ნიკოლოზ

კათოლიკოსი (გულაბერისძე; XII ს.), შოთა რუსთაველი და სხვ. XVII ს-ში მონასტრის ძმათა კრებულს წინამძღვრობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი).

"ჯვარისმტვირთველნი"~ (ჯვარის ორდენი) – ასე ეწოდებოდათ პალესტინაში წარმოშობილი სასულიერო ორდენის – ბეთლემის ორდენის წევრებს ჯვაროსნული ლაშქრობების დროს (XI-XIII სს.). შემდეგ ეს ორდენი ევროპაშიც გავრცელდა.

ჯვარის ტაბლა – საკურთხი საჭმელ-სასმელი ჯვარის დღესასწაულებზე. ქართხევაში არის სპეციალური წესი „ქურთხევა ჯვარის ტაბლისაა" (A 450, 111).

ჯვარის მტვირთველი – ეკლესიის მოსამსახურე, რომელსაც ევალებოდა ჯვარის ტარება საზეიმო პროცესების დროს (მაგ.; მეფის კურთხევაზე, A 450, 250v).

ჯვარი ქრისტესი – ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, ცხოველმყოფელი ძელი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო მაცხოვარი (მათე 27, 27-37); მარკ. 15, 21-26; ლუკა 23, 26-38; იოანე 19, 16-20). არსებობს ალეგორიული თხზულება, რომლის თანახმად ქრისტეს ჯვრის ხე წარმოშობილი იყო სასწაულებრივად: საროს, ფიჭვისა და ნაძვის შეერთების შედეგად (იხ. „რაჲ არს იგი, რომელი იტყჳს: საროსა, ნაძუსა და ფიჭუსა ზედა"). ამ ხის მონაჭერ ადგილას, იერუსალიმის მახლობლად, როგორც ცნობილია, დაარსდა ჯვარის მონასტერი. ქრისტეს ჯვარს საღვთო წერილში აქვს ამსახველები სიმბოლის (ფილ. 2,7-8) ებრ. 12,2), ცხოვრების ძელის (იოანე 3, 14-16; I პეტრე 2,24; ეფეს. 2, 14-16; კოლას. 1,20) მნიშვნელობა. ქრისტე მოუწოდებს მორწმუნეებს – ატარონ თავისი ჯვარი (მათე 10,38; 16,24; ლუკა 9,23). თანაჯვარცმა ქრისტესთან – არის იდეალი ქრისტიანული სათნოებისა (რომ. 6, 2-23; გალ. 5,24; 6,14; 2 კორ. 5, 14-21).

ქრისტეს ჯვარი მაცხოვრის გარდამხსნის შემდეგ კარგახანს (300 წ.) დაფარული იყო მორწმუნეთათვის. მხოლოდ 326 წელს, კონსტანტინე დიდის († 337 წ.) დროს, ელენე დედოფალმა († 327 წ.) სასწაულებრივად იპოვა იგი გოლგოთაზე (იხ. ჯვართამაღლება). გადმოცემის თანახმად, საუღლო ჯვრის (ძელი ცხოველის) ნაწილი (აგრეთვე სამსჭვალი) საქართველოშიც ჩამოუტანიათ. იმ დროისათვის ჯვარი, როგორც წამების იარაღი, საკმაოდ გავრცელებული იყო რომის პროვინციებში. ამასთან, ჯვარს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახე ჰქონდა (სრული ჯვარი, ლათინური T-სებრი და სხვა). ტრადიციით, ქრისტეს ჯვარს † სახე ჰქონდა.

იესო ქრისტეს ჯვარი ქრისტიანობის დასწყისშივე იქცა უდიდეს სარწმუნოებრივ რელიკვიად, ცხონების სიმბოლოდ. ქრისტიანები ჯვარცმულ მაცხოვარს გამოსახავენ პატარა წვერით, გრძელი თმებით, ეკლის გვირგვინით, ენების განცდის გამომეტყველებით. ძველად, ქრისტიანობის პირველ წლებში ქრისტეს გამოსახადენენ მშვიდი გამომეტყველებით, გახელილი თვალებით.

არსებობს ძირითადად სამი სახე ქრისტიანული ჯვრის გამოსახულებისა: ოთხმკლავიანი, ექვსმკლავიანი და რვამკლავიანი. აქ ზემო პატარა ხაზი აღნიშნავს წარწერას: „იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა" (იოანე 19,19). ქვედა დახრილი ხაზი კი სიმბოლოა ორი ავაზაკის ცოდვების შეშუბუქება-დამძიმებისა (ლუკა 23, 39-43).

ჯვარის ხილვა ზეცაში – კონსტანტინე იმპერატორის მიერ (313 წ.), ზეცაში ხილვა სასწაულებრივად გამოცხადებული ჯვარისა, რომელმც გაამხნევა იმპერატორი კონსტანტინე და მისი მხედრობა მაქსენტიოსის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. როგორც ცნობილია, კონსტანტინე დიდი იყო ძე კონსტანციუს ქლორისა († 305-306 წწ.), გალიისა და ბრიტანეთის განმგებელისა. ეს სამფლობელოები დასავლეთ რომის იმპერიის ნაწილი იყო. მაშის გარდაცვალების შემდეგ, 306 წელს კონსტანტინე გალიისა და ბრიტანეთის იმპერატორად გამოაცხადა მხედრობამ. რაკი კონსტანტინე იმპერატორი ხალხის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობდა, მის წინააღმდეგ მტრულად განეწყვნენ როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი რომის იმპერატორები (მაქსენტიოსი და მაქსიმიანე გალერიოსი). კონსტანტინე მაქსენტიოსს შეებრძოლა. სწორედ ამ დროს იხილა მან თავის მხედრობასთან ერთად ჯვრის გამოცხადება ზეცაში. ჯვარზე წარწერა იყო: „ამით სძლევ". მართლაც, კონსტანტინემ დაამარცხა მაქსენტიოსი და დასავლეთ რომის იმპერიის სრულუფლებიანი განმგებელი გახდა. 313 წელსვე მან გამოსცა მილანის ედიქტი (საგანგებო ბრძანებულება სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ), ხოლო 323 წელს მთელ რომის იმპერიაზე გამეფდა.

ზეცაში ჯვრის ხილვის ამბავი აღწერილი აქვს კირილე იერუსალიმელს თხზულებაში: „ცხონებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ, რომელი

ზეცით გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა". ეს თხზულება (VIII-IX სს-მდე ქართულ ენაზედაც უთარგმნიათ: (A 144, 280-288; Ath. 11, 182-186; Sin. 83, 165-172; A 1109, A 19, 487-488; A 95, 391-399) და ეკლესიაში კითხულობდნენ ღვთისმსახურების დროს (7 მაისს და 29 იანვარს).

ჯვაროსნები – ასე ეწოდებოდათ შუა საუკუნეებში ქრისტიან მეომრებს, რომლებიც იბრძოდნენ მაჰმადიანთაგან დაპყრობილი იერუსალიმის გასათავისუფლებლად. XI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მომძლავრდნენ თურქ-სელჩუკები, რომელთაც დაიმორჩილეს მთელი რიგი კულტურული ხალხები შუა აზიიდან ვიდრე პალესტინამდე. მათ ეგვიპტის სახალიფოს წაართვეს სირია-პალესტინა. თურქ-სელჩუკებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მელიქ-შაჰის (1072-1092) დროს. 1071 წელს დაიკავეს იერუსალიმი, 1084 წელს – ანტიოქია, 1087 წელს – ედესა. ქრისტიანთა მდგომარეობა სირია-პალესტინაში გაუარესდა. მაჰმადიანთა მიერ დაწესებულმა სასტიკმა რეჟიმმა აღაშფოთა ქრისტიანული სამყარო. იერუსალიმის ბედმა შეაშფოთა დასავლეთი ევროპა. ეკლესიამ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანთაგან განთავისუფლება ღვთის სასურველ საქმედ გამოაცხადა და დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა (იხ.).

ჯვაროსნული ლაშქრობები – XI ს. შუახანებში მაჰმადიანური სამყაროს სათავეში მოექცნენ თურქ-სელჯუკები, ბიზანტიის იმპერიისა და ქრისტიანული ეკლესიის დაუძინებელი მტრები. მათ ნელ-ნელა დაიპყრეს ბაღდადის სახალიფო და მცირე აზიას დაუმიზნეს. ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ დიოგენმა მათი შეჩერების მიზნით დიდძალი ლაშქარი დაძრა, მაგრამ 1071 წელს შეპყრობილ იქნა. თურქ-სელჯუკებმა არაბებთან ერთად მალე დაიპყრეს თითქმის მთელი მცირე აზია, სირია და აღმოსავლეთის სხვა მიწები. ბიზანტიის საიმპერატორო კარი უძლური აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ. დასავლეთის ქვეყნებში ჩაისახა მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა უფლის საფლავისა და წმიდა მიწის განთავისუფლებას დამპყრობლებისაგან. ეს მოძრაობა ცნობილია ჯვაროსნული ლაშქრობის სახელით. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყო ფრანგმა პეტრემ, ამიენელმა ბერმა, რომელმაც რომის პაპისაგან მიიღო ლოცვა-კურთხევა ჯვაროსნული იდეების პროპაგანდისა. პეტრეს ქადაგებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ჯვაროსანთა რიგებში თაე მოიყარეს გამდიდრების სურვილით აღგზნებულმა მემამულეებმა, დაბჩაჟეებმა, რომელთაც პაპი შეპირდა სასჯელისაგან განთავისუფლებას და სხვ. ჯვაროსანთა ბრბოები მოდიოდნენ ბიზანტიის ცენტრისაკენ და გზადაგზა აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ამიტომაც იყო, რომ მათ ყველგან მტრულად ხვდებოდნენ. იმპერატორმა კონსტანტინეპოლში არ შეუშვა, პირდაპირ მცირე აზიაში გაგზავნა, სადაც ისინი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძულებულნი ბარბაროსული საქციელის გამო, დაიხოცნენ შიმშილითა და მტრის იარაღით. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოლაშქრეებისა და მათთან ერთად პეტრეც, გაიქცნენ საბერძნეთში.

პალესტინის განსათავისუფლებლად პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო 1096 წელს. 1098 წელს მაჰმადიანთაგან განთავისუფლდა ედესა. 1099 წელს ჯვაროსნებმა გააფთრებული ბრძოლებით აიღეს იერუსალიმი. შეიქმნა იერუსალიმის სამეფო (მას ექვემდებარებოდა აგრეთვე ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო და ედესის საგრაფო), რომელსაც სათავეში ჩაუდგა გოტფრიდ ბულონელი. ჯვაროსანთა ბატონობა იერუსალიმში დიდხანს არ გაგრძელებულა. სულთანმა სალადინმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და 1187 წელს აიღო იერუსალიმი (მისი მფლობელობა ვრცელდებოდა ეგვიპტეზე, სირიის ნაწილსა და მესოპოტამიაზე). ქრისტიანობა კლავე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1187 წ. საფრანგეთისა და გერმანიის მეფეებმა წამოიწყეს მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა პალესტინის დასაბრუნებლად რომის ძალაუფლების ქვეშ. რომის პაპი ევგენი III (1145-1153 წწ.) ლაშქრობისათვის აქეზებდა დასავლეთის ქრისტიანებს, იმედოვნებდა რა, რომ ერეტიკოსებს (მართლმადიდებლებს) მოაქცევდა და აღმოსავლეთში რომის საეპისკოპოსოებს დაუარსებდა. შემდეგი, მესამე ლაშქრობა მოეწყო 1189 წ. იერუსალიმის ასაღებად, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არც ამას მოჰყოლია, რადგან მოლაშქრეთა შორის ერთსულოვნება არ იყო. ადგილობრივ ქრისტიანთა მდგომარეობა შემსუბუქების ნაცვლად უფრო დამძიმდა: თურქებისა და არაბების უღელს ჯვაროსანთა უღელიც დაემატა. ჯვაროსნებმა იერუსალიმი ვერ აიღეს, მაგრამ სალადინთან 1192 წლის ზაფხთ ანტიოქიის სამთავრო შეინარჩუნეს.

ჯვაროსნული ლაშქრობის სულისჩამდგმელები რომის პაპები იყვნენ. მათ თავისი კონფესიური ინტერესები ამოძრავებდათ და აღმოსავლეთში

მრაელად გზავნიდნენ მქადაგებლებს. მაგალითად, 1098 წლის ლაშქრობისას, როდესაც აღებული იქნა ანტიოქია, იქ დაადგინეს ლათინთა პატრიარქი და მას დაუმორჩილეს ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია. იგივე მოხდა იერუსალიმშიც (1099 წ.). შემდეგ რიში თავს დაესხა კონსტანტინეპოლს და მალე აიღო იგი (1204 წ.). ბარბაროსულად გაიძარცვა მართლმადიდებელი სამყაროს ცენტრი. ახალ იმპერატორად ფლანდრიის გრაფი ბონიფაციუსი, პატრიარქად – ვენეციელი თომა მაზარინი. პაპმა ინოკენტი III-მ აკურთხა ჯვაროსანთა მოქმედება. ამრიგად, კონსტანტინეპოლის ეკლესია რომის პაპის ხელში გადაეცა, მაგრამ მცირე ხნით.

1228 წელს დაიწყო ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობა. მისი მეთაური – ფრიდრიხ II (1212-1250) დიპლომატიით უფრო იმარჯვებდა, ვიდრე იარაღით. მან კარგად გამოიყენა დამსკოს ეშირა და ეგვიპტის სულთანს შორის არსებული წინააღმდეგობა, სირიისათვის გაჩაღებული ბრძოლა და სულთანს იერუსალიმი დაათმობინა (1229 წ.). იერუსალიმსა და მის მიდამოებში კვლავ ჯვაროსნები გაბატონდნენ, მაგრამ მალე გერმანიაში შექმნილი რთული ვითარების გამო ფრიდრიხმა ახლო აღმოსავლეთი დატოვა და ევროპას მიაშურა. იერუსალიმელ ქრისტიანებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: ეგვიპტის სულთნის მიერ დაქირავებულმა ხვარაზმელებმა აიღეს ქალაქი და მუსრი გაავლეს ქრისტიან მოსახლეობას (1244 წ.). ჯვაროსნებმა სამუდამოდ დაკარგეს იერუსალიმი. ეგვიპტის სულთნებმა ნელ-ნელა ხელთ იგდეს ანტიოქია (1268 წ.), ტრიპოლი (1289 წ.), აკრა (1291 წ.) და სხვა ქალაქები. კონსტანტინეპოლი კი თურქ-სელჯუკებმა დაიპყრეს (1453 წ.).

„ჯვარაპატიოსნობა“ – ხალხური სახელწოდება (გავრცელებულია ქართლსა და კახეთში) იმ დღესასწაულისა, როდესაც აღინიშნება ხსენება პატიოსანი ჯვარის გამოცხადებისა ქ. იერუსალიმში, დღის სამ საათზე, კონსტანტის მეფობის დროს (7 მაისი ძე. სტ., 20 მაისი ახ. სტ.). აღინიშნება გორის რაიონის სოფ. ხიდისთაველში, დაბა ახმეტაში და სხვ.

„ჯვარპატიოსნობას“ აღნიშნავენ აგრეთვე ლომისობის დღესაც (სულიწმინდის მოფენის შემდეგ ოთხშაბათს), ალბათ იმიტომ, რომ ამ დღეს მოხდა, გრიგოლ დიაკონის (VIII ს.) თხზულების თანახმად, აღმართვა მცხეთის ჯვარისა. „ჯვარპატიოსნის“ სახელზე საქართველოში მრაეალი ეკლესიაა აგებული, მაგალითად: მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის მახლობლად (ადგილი თელიანში), კასპის რაიონის სოფ. ქვემო ჭალაში, უკარმაში, ხაღის ხეობაში, დუშეთის რაიონის სოფ. არღუნში და სხვ.

„ჯვარ-ღმრთისმშობლისაჲ“ – ლიტურგიკული ტერმინი, რომლითაც აღინიშნება „ღმრთისმშობლისა“ – ამა თუ იმ დასდებლისა და გალობის (დასდებლები სტიქარონისა, უგალობდითო, აკურთხეველითო, აღიდებდითო და სხვ.) ბოლო ტროპარი ჯვრის თაყვანისცემის დღეებში – ოთხშაბათსა და პარასკევს. გვხვდება პარაკლიტონის (რეა ხმათა წიგნის) შესაბამისი დღეების განგებებში.

ჯვარცმა – მტანჯველი და სამარცხვინო წამება, რომელსაც რომის იმპერიაში მიუსჯიდნენ ხოლმე ყველაზე მძიმე დანაშაულებს. ჯვარცმა მიუსაჯეს მაცხოვარს ფარისეველებმა და მწიგნობრებმა, რომლებიც დაბრმავებული იყვნენ შურითა და ურწმუნოებით. მაცხოვრის ჯვარცმა აღწერილია სახარებაში (მათე 27, 27-37; მარკოზი 15, 22-37; ლუკა 23, 33-46; იოანე 19, 17-37). ჯვარცმა ეწოდება აგრეთვე იესო ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებასაც.

ჯვარცმის შესახებ ქართულ ენაზე არსებობს რამდენიმე პოპილია: 1. „რათა ვიქადოდეთ ჯუარცუმისათჳს ქრისტესისა და სასოდ ჩუენდა გუაჴუნდეს ჯუარი წმიდაჲ მისი და სახიერებისათჳს უფლისა“ – იოანე ოქროპირის თხზულება, ქართულ ენაზე თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. შეტანილია „ასკეტიკონში“ (A 143). 2. „დიდსა პარასკევსა საკითხაჲი განკითხულთათჳს უფლისა ჯუარცუმისა“ – მელეტი ანტიოქელის თხზულება. დაცულია ხელნაწერში: Ath.11, 85-89). 3. „თქუმული ცხოველსმყოფელისა ჯუარცუმისათჳს და დაფლეთის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ – გიორგი ნიკომიდიელის თხზულება; იკითხება დიდ პარასკევს. ქართულად თარგმნილია ეფთჳმე ათონელის მიერ. შეტანილია ხელნაწერებში: A 5; A 70, 348-362; A 71, A 129; A 140; A 186; A 272; ქუთ. 8, 298-310; Ath. 7, 348-364; Jer. 4, 77-90.

ჯვრის თაყვანისცემის კვირა-აკი – დიდი მარხვის შუამე კვირა დღე. ცისკრის ლოცვაზე სრულდება ჯვრის თაყვანისცემის წესი I აგვისტოს მსგავსად (შუა ეკლესიაში გამოსუენდება ჯვარი და მის წინაშე დიდი მეტანიებით იგალობება: „ჯუარსა შენსა თაყუანის-ვსცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვაღიდებთ“). შუა მარხვაში ჯვრის თაყვანისცემა დადებულია იმისათვის, რომ მმარხ-

ელი მორწმუნენი განამტკიცოს სულიერად: მათ განამტკიცებს გახსენება უფლის ნებსითი ენებისა, რომელიც მან თაყვანი იღო კაცთა ცხონებისათვის. როგორც უფალი აღდგა მკვდრეთით და ზეცად ამაღლდა, მორწმუნენიც სასოებენ, რომ თაეიანთი სულიერი ღვაწლისა და ქრისტიანული ჯვრის ტვირთვის სანაცვლოდ უფალი მათაც აღადგენს მკვდრეთით და აღამაღლებს ზეცად.

ჯვრის თაყვანისცემა აღნიშნული კეირიაკის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდება, კერძოდ, თაყვანისცემის წესი სრულდება ორშაბათსა და ოთხშაბათს — I ჟამზე, და პარასკევს — ჟამნობის დასასრულს.

ჯვრისწერა — ქორწინება, ერთ-ერთი შვიდ საღვთო საიდუმლოთაგანი. ოჯახი კანონიერად, სჯულიერად, ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შეუღლებული წყვილი ჯვარდაწერილია. ჯვრისწერა (ქორწინება) არის საეკლესიო წესი, რომლითაც უფალი აკურთხებს ახალ ოჯახს. ამ დროს სრულდება გვირგვინთა კურთხევა, რადგან სიძე და პატარძალი ითელებიან მეფე-დედოფლად. ქორწინების წესს წინ უძღვის წინდობის წესი. ჯვრისწერა (ქორწინება) აკრძალულია მარხვის დღეებში და დიდი საეკლესიო დღესასწაულების წინა ხაღამოს (იხ. ქორწინება; შეიდი საიდუმლო ეკლესიისა; კურთხევა გვირგვინისა; წინდობა).

ჯიბრილი — ხანცთის მონასტრის X ს. მოღვაწე, მონასტრის წინამძღვრის, იოანე ხანცთელის ძმა, მოხსენებულია, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში" (ძეგლები, I, გე. 277).

ჯიგრაშენი — სოფელი ჯაეახეთში, ახალქალაქის პლატოზე, დაბა ბოგდანოვკის მახლობლად (2 კმ.). სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია ლაპიდარული წარწერით.

ჯიმითი — სოფელი გურჯაანის რაიონში, ციე-გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობზე, გურჯაანიდან 13 კმ. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ჯირღული — სოფელი ოზამჩირის რაიონში, მდ. თოუმიშის ნაპირებზე, ოზამჩირიდან 22 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

ჯიღაური — ნასოფლარი თიანეთის რაიონში, ერწოს ქეაბულში, სიონის წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაწილში. მის მიდამოებში, მდ. იერის მარჯვენა მხარეს, სიონში მდებარეობდა VIII-IX სს. ეკლესია (შემორჩენილია მოხატულობის კვალი და კანკელი, ამჟამად სიონის ბაზილიკა გადატანილია საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფით მუზეუმში (ლია ცის ქვეშ). ჯიღაურის მიდამოებში, ჟალეთში არის წმ. გიორგის მონასტერი. მონასტრის მთავარი ნაგებობაა IX-X სს-ის ეკლესია. კოშკი და სხვა ნაგებობანი შუა საუკუნეებისაა (იხ. ჟალეთი).

ჯიხეთის მონასტერი — დედათა მონასტერი სოფ. ჯიხეთში (გურიაში, ლანჩხუთის რაიონში, ლანჩხუთიდან 6 კმ-ზე). შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსში შედის წმ. გიორგის ეკლესია, სამწირველო მარუტაძისა და სამრეკლო. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები და ლაპიდარული წარწერები.

ჯიხუაის ძე (ჯიქუაის ძე) — კაცხის (ჭიათურის რ-ნი) ეკლესიის მოძღვარი, მოხსენებული ყოფილა XI ს. ლაპიდარულ წარწერაში (ფრ. დიუბუას და მ. ბროსეს ცნობით). წარწერიანი ქვა ამჟამად დაკარგულია.

„ჯნაზად და შედგომად, რომელი იქმნების მღდელმოძღურისა მიერ ფმიდასა ღიდსა პარასკევსა" — საეკლესიო წესი, რომელიც გულისხმობს მართლმადიდებლური მრწამსის დაბეჯითებით ალიარებას. შეტანილია კურთხევანში (A 450, 403).

ჯონია — სოფელი ტყიბულის რ-ნში მდ. წყალწითელის (ყვირილისს მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე, სოფელში შემორჩენილია X-XI სს. დარბაზული ეკლესია.

ჯოჯიკეული — XI-XII სს. სინის მთის ქართველი მოღვაწე, იოანე ოქროპირის თხზულებათა კრებულის (Sin. 51) გადამწერი.

ჯოჯოხეთი — ადგილი, რომელიც ყველაფერს ნთქავს და არაფრით აღიესება. ბერძნ. ბნელი ადგილი; ხედა, დანახვა) — ძველი ბერძენი მწერლები ამ სიტყვით აღნიშნავდნენ სულთა სამყაროს (სამეფოს), მკვდართა სამყოფელს, რომელსაც განაგებდა პლუტონი. საღვთო წერილში „ჯოჯოხეთი" იხმარება რამდენიმე მნიშვნელობით: ზოგჯერ გამოხატავენ კუბოს ან საფლავს (მაგ. შექმნათა 42,38; ფსალმ. 66). სხვაგან იგი აღნიშნავს ადგილს საერთოდ ყველა მიცვალებულისათვის — როგორც მართალთა, ისე ცოდვილთათვის (დაბადება 37,35; ფსალმ. 88,49; ესაია 14,15), სადაც ყველა თანასწორია (იობი 3, 13-19; ესაია 14, 9-11). ეს ადგილი, ანუ ქვესკნელი ამ შემთხვევაში გამოხატება ყოვლის შთანმთქმელი გველეშაპის სახით (იგაენი 1,12; ესაია 5,14), ხან ადგილად, რომელიც მდებარეობს მიწის წიაღში და ავსებულია

წყვდიადითა და სიკვდილის აჩრდილით (იობი 10, 21-223; ფსალმ. 48,20; იგავნი 9, 18), ხან ქვესკნელის სამეფოდ, სადაც სიკვდილი მეფობს მკვდრებზე, როგორც ტყვეებზე (2 მეფ. 22,6; ფსალმ. 17,5-6) და მისთ. საღვთო წერილის ზოგიერთ ადგილას ჯოჯოხეთი წარმოდგენილია, თუმცა საერთოა ყველა მიცვალებულისათვის, იგი რამდენამდე მაინც განსხვავდება მართალთა და ცოდვილთათვის. პირველნი აქ განცხრებიან განსვენებით, მოლიან აქედან გამოხსნას და აღწევენ კიდეც (ფსალმ. 15, 9-11; ლუკა 18,7; I პეტრე 3, 18-19 და სხვ.), მეორენი კი საუკუნო სირცხვილსა და უიმედობაში არიან (ეზეკ. 32, 18-32). ხანდახან მხოლოდ უკეთურთა და ცოდვილთა სამყოფად გაიაზრება (სიბრძნე სოლომონისა 3, 18-19; იობი 24,19; ლუკა 16,19).

ახალი აღთქმის წიგნებში „ჯოჯოხეთი" იხმარება მარადული წამების ადგილის მნიშვნელობით, რომლითაც დასისხლიანან ცოდვილნი. ამრიგად, ბიბლიური სწავლებით, ჯოჯოხეთი წარმოადგენს სულთა მდგომარეობას სიკვდილის შემდეგ. ამ მდგომარეობის საიდუმლოებაში ჩაწვდომასა და ჯოჯოხეთზე წარმოდგენის შექმნას ბევრი ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ცდილობდა.

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრებით, ჯოჯოხეთი წარმოადგენს ცოდვილთა სულების სამყოფელს (საჯარობილეს), რომელშიც ისინი იმყოფებიან ეშმაკისა და სხვა ბოროტ სულთა ხელში. აქ ისინი ცოდვებით დაბნელებულნი, ცეცხლ ხდებენ ღვთიურ ნათელსა და ნეტარებას. ჯოჯოხეთი — ესაა მეუფება სიკვდილისა, ცეცხლის გენია. ჯოჯოხეთში ცოდვილნი საუკუნო სატანჯველს ეძლევიან. აქ არის დაუშრეტელი „ცეცხლი გარესკნელისა" (მათე 13,42). სახარებაში თქმულია აგრეთვე ცოდვილებს, რომ იგი თავად გაგზავნის თავის ანგელოზებს და შეკრებს უსჯულოებათა მოქმედთ, რათა ისინი საუკუნო ცეცხლში ჩაყაროს (მათე 13,41). „წადით ჩემგან, წყეულნო" — ეუბნება მათ და დამსახურებული მარადიული სასჯელისაკენ მიუთითებს (მათე 25,41). ცოდვილთაგან განსხვავებით, მართალთათვის ჯოჯოხეთის სატანჯველი არ არსებობს. სიკვდილი მათთვის წარმოადგენს მხოლოდ უდრტვინველ გადასვლას საუკუნო ცხოვრებაში, ქრისტეს სუეტაში (ლუკა 23,43; ფილიპ. 1, 21-23). ქრისტე თავისი ენების დროს ჩავიდა ჯოჯოხეთში, მცირე ხნით განიცადა ყველა მკვდეთისათვის საერთო მდგომარეობა და დაარღვია ჯოჯოხეთის ძველი აღთქმისეული ძალა, რომელიც მეუფებდა მთელ კაცობრიობაზე. სწავლა მაცხოვრის ჩასვლაზე ჯოჯოხეთში და მის „წარმოტყვენაზე" (დატყვევებაზე) წარმოადგენს ქრისტიანული ეკლესიის ერთ მნიშვნელოვან დოგმატს და დაფუძნებულია საღვთო წერილის მოწმობაზე: I პეტრე 3, 18-20; 4,6; ეფეს. 4, 8-10.

ჯრუჭი — ისტორიულად მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ზემო იმერეთში, მდ. ჯრუჭულას ნაპირზე, სოფ. მოხვას მახლობლად (საჩხერის რაიონში). შემორჩენილია გუმბათიანი ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები, გადაკეთებულია XIX ს-ში. არის ლაპიდარული წარწერები). სხვა ნაგებობანი გვიანი შუა საუკუნეებისაა. ჯრუჭის მონასტერი განთქმული იყო ძვირფას ხელნაწერთა კოლექციით, რომლის ნაშთები ამჟამად საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ჯრუჭის კოლექციიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ოთხთავი (იხ.).

ჯრუჭის I ოთხთავი — 936 წ. ხელნაწერი (ხელნ. ინსტ. H 1660), სახარების ერთ-ერთი ძველი რედაქცია, რომელიც საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმიდელისეულ საბოლოო რედაქციას. გადაწერილია შატბერდის მონასტერში, ვინმე გრიგოლ მირდატის ძის შეკვეთით, გაბრიელ მღვდლის მიერ, გაბრიელისა და გიორგის თანა-შეწევნით. ჯრუჭის ოთხთავი ნაწერია ყავისფერ-მოყვითალო მელნით, მრგლოვანით, ორ სვეტად, შეკრულია ძვირფასი მინიატურებითა და კამარებით, რომლებიც შეუსრულებია თევდორე მხატვარს — „კამარათა მწერალს" (940 წ.). თითოეულ სურათს ახლავს განმარტებითი ტექსტიც. თევდორეს მხატვრობა გამოირჩევა ოსტატობითა და არტისტიზმით. სახარების ტექსტი გამოცემულია აკ. შანიძის მიერ („ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით", თბილისი, 1945 წ.).

ჯრუჭის II ოთხთავი — ქართული ხელოვნების XII-XIII სს. შესანიშნავი ძეგლი (ხელნ. ინსტ. H 1667). იგი აღორძინების ხანის საზეიმოდ მორთული ქართული ხელნაწერების რიგს მიეკუთვნება. შემკულია 334 მინიატურით. მინიატურები რამდენიმე ოსტატის ხელითაა შესრულებული, რომელთა შორის ცნობილია მიქაელი. სხვა ოსტატები ჩვენთვის უცნობია. ჯრუჭის II სახარების მინიატურები და საზედაო ასოები მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

ჯუანშერი – XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსი, მან დაწერა V-VII საუკუნეების საქართველოს ისტორია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ეახტანგ გორგასლისა“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, გვ. 139-244).

“ჯუარცმიანი ღმრთისმშობლისაჲ” (ჯუარ-ღმრთისმშობლისა) – ღმრთისმშობლის ისეთი ტროპარი ან მთელი კანონი, რომელშიც ღვთისმშობლის შესხმასთან ერთად მოცემულია ჯვრის თაყვანისცემა; კერძოდ, აღნიშნულ საგალობლებში აღწერილია ღმრთისმშობლის დგომა ჯვარცმის წინაშე და სხვ. ტერმინი დადასტურებულია „იერუსალიმურ განრინებაში“.

ჯუმათი – სოფელი მახარაძის რაიონში, გურიის დაბლობზე, მახარაძიდან 10 კმ. სოფლის მახლობლად, მაღალ მთაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ჯუმათის სამონასტრო კომპლექსი. მთავარანგელოზის მთავარ ეკლესიაში არის XVI-XVIII სს. მოხატულობის ფრაგმენტები.

ჯურღმულები პალესტინაში – საღვთო წერილში მრავალგან გვხვდება „ცხოველი წყლის“ გამომადინებელი ჯურღმულები (ჭები). როგორც ჩანს, მშრალი კლიმატის გამო პალესტინაში ბეერგან იყო საჭიროება ჯურღმულთა ხმარებისა, განსაკუთრებით უდაბნოში მოგზაურთათვის (2 ნეშტთა 26,10). მასში თოკით უშვებდნენ ჭურჭელს და ისე ამოჰქონდათ წყალი (მეორე სჯულისა, 11,10). აბრაამის მიერ მესოპოტამიაში (ქებრონთან) ამოთხრილ ჯურღმულს ეწოდებოდა ჯურღმული ფიცისა (ებრ. ბერსაბია – ჯურღმული შუდისა – ასე ეწოდებოდა იმიტომ, რომ რიცხვ 7-ს ჰქონდა გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა, როცა ებრაელი ფიცს წარმოთქვამდა), ამ ადგილას მოგვიანებით აღმოცენდა ქალაქი ბერსაბია, ოდას ტომის კუთვნილი (ისუ ნავეს 15,28). გადმოცემით, ისააკის მიერ გათხრილ ჯურღმულთან მოხდა ქრისტეს საუბარი სამარიტელთან (იოანე 4, 5, 6, 12).

ჯურღმულები ხშირად ხალხის შეკრების ადგილი იყო. აქ ხშირად იმართებოდა ბჭობა სხვადასხვა საკითხზე (მსაჯ. 5,11). იერუსალიმელთათვის ასეთი ჯურღმული ყოფილა ქალაქის სამხრეთით, იუდასა და ბენიამინის ტომების საზღვარზე არსებული ჭა (ისუ ნავეს 15, 5-7), იგი 20 საუნის სიღრმისა ყოფილა.

ჯურღმული ფიცისა (ბერსაბია) – პალესტინის ერთ-ერთი ადგილი, მოხსენებული ბიბლიაში, მდებარეობდა იუდეის ტომის საზღვარზე, იდუმეის მახლობლად, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ქებრონიდან (სამხრეთით). ბერსაბიასთან არის დაკავშირებული მრავალი მოვლენა აბრაამის ცხოვრებიდან, მაგ.: აბიმელექთან მოლაპარაკება, ისააკის დაბადება და სხვ. (შექმ. 21, 30-33; 22, 1, 19). აქვე ხდებოდა ყველა მნიშვნელოვანი მომენტი ისააკის ცხოვრებაში. აქედან გაემგზავრა იაკობი მესოპოტამიაში (შექმნ. 28,10); აქვე შეჩერდა იგი ეგვიპტეში მიმავალი (შექმნ. 46,1). შემდეგშიც, ბერსაბია, როგორც სასაზღვრო ქალაქი და სამხრეთისაკენ მიმავალ ქარავანთა სადგური, თვალსაჩინო როლს ასრულებდა ებრაელი ხალხის ისტორიაში (იხ. ისუ ნავე 15, 28; 19, 2; I მეფ. 8,2; 2 მეფ. 24,2,7; I ნეშტთა 4,28; 21, 2; 3 მეფ. 19,3; 4 მეფ. 12,1; 2 ნეშტ. 24,1; ამოსი 5,5; 8,14; ნეემია 11,30).

ჳ

ჯაგიოგრაფია (ბერძნ.) – ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგი, ქრისტიან წმინდანთა შესახებ დაწერილი „წამება-ცხოვრებათა“ თხზულებების ერთობლიობა. ჯაგიოგრაფია საეკლესიო მწერლობის უძველესი დარგია (ბიბლიოლოგიის შემდეგ). ჯაგიოგრაფიაში ორი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: „წამებანი“ („მარტვილობანი“) და „ცხორება-მოქალაქობანი“. პირველი წმინდანები ის ქრისტიანი მორწმუნეები იყვნენ, რომლებმაც ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად სისხლი დაღვარეს და სიცოცხლე გაწირეს. მათ შესახებ დაწერილი „წამება-მარტვილობები“ ჯაგიოგრაფიის უძველესი ფენაა. ქრისტიანობის აღიარების შემდეგ ამ წმინდანებს შეუერთდა სასულიერო პირების ის გამორჩეული ნაწილი, რომლის აზრი და ღვაწლი ქრისტიანული ცხოვრების დამკვიდრება და დაცვა იყო. მათ შესახებ დაიწერა „ცხოვრებანი და

მოქალაქობანი". სწორედ ამ თხზულებათა ერთობლიობა შეადგენს ჯაგიოგრაფიის შინაარსს. რა თქმა უნდა, ჯაგიოგრაფიის წარმოშობის ძირითადი თეორიული საფუძველი ახალი აღთქმაშია. მაცხოვრისა და მისი მოწაფეების მოწამებრივმა აღსასრულმა განსაზღვრა მოწამეთა ხსენებისადმი პატივის მიგება და მათი მოწამეობის აღწერილობათა („მარტვილობათა") შექმნა. მეორე მხრივ, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები და მოციქულთა ღვაწლი გახდა „ცხოვრება-მოქალაქობის" ჟანრის აღმოცენების საფუძველიც. ქართულად თარგმნილია რამდენიმე ასეული ჯაგიოგრაფიული ძეგლი (იხ. ე. გამყრელიძე, ქართული ნათარგმნი ჯაგიოგრაფია, თბ., 2004). მრავალი შესანიშნავი ძეგლი შექმნეს ქართველმა ჯაგიოგრაფებმაც. ქართული ორიგინალური ჯაგიოგრაფიის სრული კრებულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები" (I, II, III, IV, V, VI წიგნები; იხ. თხთეული მათგანი).

ჰაერის-მგელი – ემპატი სულხან-საბას განმარტებით, „ღრუბლები, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს ხორცესხმა წვიმათა, დაფიფქება, ღამე კაცთა მრავალსახედ ჩენება, სახლთა და ცხენთა დაუფლება, ქვათა სროლა, ნაკლულის ჭურის აღება და ეგეთითანი, მსოფლიონი ქუხილ და ჭიხჭიხილ სახელ-სდებენ, ხოლო მოსწყდიანნი ჰური, ფერი და ყოლმანად იტყჳან და ანგელოზად ესენი".

ჰაგაბ მოწამე – წარმოშობით ეგვიპტელი. ეწამა იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს სხვა ცხრა მოწამესთან ერთად. იგი სასტიკად გაუმეს, შემდეგ კი ღილეში შეაგდეს და წყურვილითა და შიმშილით ამოხადეს სული. ხსენების დღე – 5 იენისი. „წამებაჲ წმიდათა ათთა მოწამეთა: მარკიანე, ნიკანდრო, აპოლონ, ლეონტიდი, არაზი, გიორგი, ეპიროქე, სელინად, ერინოს და ჰაგაბი" დაცულია ქუთ. 3 (66-67) ხელნაწერში.

ჰარაბა – სოფელ საკანის (საჩხერის რაიონი, ყვირილის ხეობა), X ს. წმ. გიორგის ეკლესიის ხუროთმოძღვარი, მისი სახელი მოხსენებულია დასაკლეთის შესასვლელის წარწერაში. მეორე წარწერაში მოხსენებულია აღგილობრივი ფეოდალი – ერისთავერისთავი გიორგი გულზვიადის ძე. აღნიშნულია ძეგლის აგების ზუსტი თარიღიც – 1046 წ. ჰარაბას მიერ აშენებული ეკლესია ერთნაიანია, დიდი მინაშენით სამხრ. მხრიდან (მორთულობის ხასიათი მოწმობს, რომ ეს მინაშენი სხვა ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული, ალბათ, ცოტა უფრო გვიან). თეით ტაძარი, სიმეირის მიუხედავად, შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია. მორთულობა (ჩუქურთმები, როზეტები, სარკმელთა და შესასვლელთა საპირეები) მდიდარია, ტექნიკური შესრულების მხრივ – ოსტატური, მხატვრული თვალსაზრისით – კარგად მოფიქრებული და შეთანხმებული შენობის მარტივ ხუროთმოძღვრულ ფორმებთან.

ჰარნაკი ადოლფ (1854-1930 წწ.) – გერმანელი თეოლოგი, მრავალი ქრისტიანულ-თეოლოგიურ შრომათა ავტორი. „დოგმების ისტორია" (სამ ტომად, 1885 წ.), „ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია ევსებიოსამდე" – სამ ტომად, (1893-1904 წწ.), „ქრისტიანობის არსი" (1900 წ.), „მონაზონობა, მისი იდეალები და ისტორია" (1903 წ. –VI გამოცემა) და სხვა. 1900-იან წლებში მასთან მიაღლინეს და მუშაობდა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც გერმანულად თარგმნა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და გამოაქვეყნა ა. ჰარნაკის კომენტარებით (1901 წ.), ხოლო 1905 წ. კ. შეცცთან ერთად გამოაქვეყნა „აბო თბილელის მარტვილობის" გერმანული თარგმანი. ა. ჰარნაკი იყო ქართული კულტურისა და ლიტერატურისგამკვლეველი ევროპაში.

ჰარონ მწერალი – ქათახევის მონასტრის მღვდელი, მას გადაუწერია XII ს. პარაკლიტონი A 290.

ჰეროდე – ჰერიასტანის მეფე I ს. პირველ წლებში. მისი მეუობისას იშვა ბეთლემში იესო ქრისტე. როდესაც ახალშობილი ყრმის თაყვანსაცემად მოგვები მოვიდნენ აღმოსავლეთიდან, ჰეროდემ მათგან გაიგო „ჰერიასა მეუფის" (იესო ქრისტეს) დაბადების ამბავი. მას სურდა მისი ადგილსამყოფელიც გაეგო, რათა მოესპო მომავალი მეტოქე. ამიტომ სთხოვა მოგვებს, გამოეკითხათ იმ ყრმის ამბავი და მისთვის ეცნობებინათ. მოგვები, ღვთის ბრძანებით, აღარ დაბრუნდნენ ჰეროდესთან. ამიტომ განრისხებულმა ჰეროდემ ამოწყვიტა ორ წლამდე ყველა ყრმა ბეთლემსა და მის შემოგარენში. ყრმა იესო გადაარჩინეს მართალმა იოსებმა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა, რომლებიც ღვთის ბრძანებით ეგვიპტეში გაქცნენ და იქ დარჩნენ ჰეროდეს სიკვდილამდე (მათე 2, 1-23).

ჰეროდე აგრიპა (I) — გალილეის ტეტრარქი (ბერძნ. „მეოთხედის მთავარი"). ძე არისტობულესი, ჰეროდე დიდის (ანტიპას) შვილიშვილი; მემკვიდრეობით მიიღო ბიძის — ფილიპეს (37 წ.) და ანტიპას (40 წ.) ტეტრარქიები და პურიასტანის მეფედ იყო სამი თუ ოთხი წელი. მას მთელი პალესტინა ემორჩილებოდა. რეზიდენცია ტიბერიადში ჰქონდა, თაბორის მთის მახლობლად. პასექის დღესასწაულზე ჩამოდიოდა იერუსალიმში, სადაც მამამისმა ბრწყინვალე სასახლე დატოვა. ლუკა მახარებლის მიხედვით, პილატემ მასთან გაგზავნა იესო და ამით მათ შორის კეთილგანწყობა დამყარდა (23,7-11). ჰეროდემ მახვილით მოაკლეზინა იაკობ ზებედეში და შემდეგ საპყრობილეში ჩასვა პეტრე მოციქული (საქმენი 12, I-19). ჰეროდეს უეცარი სიკვდილის შემდეგ (საქმენი 12,23) იუდეა ისევ რომის პროვინციად იქცა.

ჰეროდე ანტიპა (I) — პურიასტანის ტეტრარქი („ოთხთა მათ სამთავროთა მთავარი"), ცნობილია იოანე ნათლისმცემელის შეპყრობითა და თავის მოკვეთით. იოანე ამხილებდა ჰეროდეს, რომელმაც ცოლად შეირთო თავისი ძმის, ფილიპეს ყოფილი ცოლი — ჰეროდია. განრისხებულმა ჰეროდიამ საქმე ისე მოაწყო, რომ ჰეროდემ თავი მოკვეთა იოანეს (მათე 14, 1-11).

ჰიმნოგრაფია (ბერძნ.) — ძველი ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგი, სასულიერო პოეზია, ქრისტიანული ღვთისმსახურების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი. მისი ძირითადი შემადგენელია საგალობელი, მისი მრავალფეროვნებით, რაც ფსალმუნთა საგალობლებზეა აღმოცენებული. ჰიმნოგრაფიული კანონის ყველა ოდას ფსალმუნური დასაწყისი აქვს. ქართული ჰიმნოგრაფია VII ს. პალესტინაში უნდა ჩამოყალიბებულიყო. უძველეს ქართულ იადგარებში, თვენებში შესული ზღვა ჰიმნოგრაფიული მასალა ბერძნულიდანაა თარგმნილი. ის საფუძველი გახდა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიისა: (მიქელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, ეზრა, ფილიპე, კურდანაძ და სხვ. მრავალი. თავისი ღრმა კეალი დატოვეს ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ჩვენმა კორიფეებმაც — იოანე პეტრიწმა, არსენ იყალთოელმა, ეფრემ მცირემ (იხ. საგალობელი, გალობანი); კანონი (ჰიმნოგრაფიული).

ჰიპოსტასი (ბერძნ.) — წმინდა სამების პირი. ანტიკურ ხანაში ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. არისტოტელესა და, განსაკუთრებით, ნეოპლატონიკოსებისათვის „ობიექტური რეალობის" გამომხატველი ცნება იყო. ახალ აღთქმაში ჰიპოსტასი აღნიშნავდა „ბაზისს, ფუნდამენტს". იგი ხშირად გამოიყენებოდა „უსიას" მნიშვნელობითაც. ასეთი მნიშვნელობით ჰიპოსტასი იხმარებოდა ტატიანესა და ორიგენეს თხზულებებში. ამის გვერდით მან შეიძინა აგრეთვე „ინდივიდუალური რეალობის" მნიშვნელობა. IV ს. შუა წლებიდან ქრისტოლოგიურ კონტექსტში ჰიპოსტასი აღნიშნავს პირს („პერსონას", „ინდივიდს").

ჰომილეტიკა — საეკლესიო მჭევრმეტყველება, ჰომილიის (ქადაგების) ანუ, ზეპირი სწავლების, წარმოთქმის ხელოვნება. ქადაგებები წარმოითქმოდა მორწმუნეთა დასამოძღვრად, უმეტესად ეკლესიებში, და მას წარმოთქვამდნენ სხვადასხვა ხარისხის სასულიერო პირნი (პატრიარქები, ეპისკოპოსები, მღვდლები, ბერები). გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით მოძღვრება-ქადაგებას, ან თვით ავტორი დაწერდა ხოლმე წინასწარ, ანდა წარმოთქმის დროს ჩაწერდნენ მას მაშინდელი „სტენოგრაფები", როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას, რომელიც, კ. კეკელიძის თქმით, „უსაზღვრო ოკეანეს წარმოადგენს". შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა: 1. საღვთისმეტყველო ქადაგებანი, რომელთაც წარმოთქვამენ საუფლო-საღვთისმშობლო და დიდ წმინდანთა დღესასწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოგმატიკური ხასიათი აქვთ. 2. ჰანეგირიკები ანუ ხოტბა-შესხმანი, ე.წ. ენკომიები — მოწამეთათვის და სხვა წმინდანთათვის, რომელსაც ჰაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ. 3. ეპიტაფიები ანუ სასაფლაოზე და მიცვალებულის ცხედართან წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უჭირავს. 4. საკუთრივ ქადაგება ანუ ჰომილია, რომელშიც განმარტებულია კერა-უქმეებში წასაკითხი ადგილი საღვთო წერილიდან, ანდა ეხება ამა თუ იმ დოგმატიკურ, მისტიკურ ან ზნეობრივ საკითხს.

ჰომილეტიკა ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. X საუკუნემდე თითქმის უკვე დასრულებული იყო მნიშვნელოვან ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა გადმოღება ქართულ ენაზე. ამ დროს ნათარგმნი ქადაგებანი გვხვდება სხვადასხვა კრებულში, რომელთაც სხვადასხვა სახელი აქვთ. ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც ამგვარი კრებულებია ცნობილი, არის მრავალთავი, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ ამ კრებულში მრავალი თავი ან სტატიაა. მეორე

სახელი არის მარგალიტი. ამ კრებულის ბერძნულ წარმომავლობას გვიდასტურებს როგორც მისიე სახელი, ასევე მოწმობა ეფრემ მცირისა, რომელიც ამბობს: „სხუანი წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ-იგი არს მარგალიტი და ყუაელკრებული და სხუანი მსგაესნი მათნი, ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიან“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 218). ამ კრებულში, რომელიც ცნობილია თითქმის ყველა ენაზე, უმეტესწილად ათავსებდნენ იოანე ოქროპირის ქადაგებებს, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვაა. ქართულ ენაზე შენახული რედაქცია შედგება 20 თავისაგან. „მარგალიტის“ ზოგიერთ ნუსხაში გვხვდება გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის და სხვათა ქადაგებები. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაზე თარგმნილია თითქმის ყველა ცნობილი მქადაგებლის სიტყვები (მთლიანად თუ არა, შერჩეით მაინც) და ბევრი ისეთიც, რომლის ავტორი საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ცნობილი არაა და მხოლოდ ქართულ ძეგლებშია აღნიშნული. აქ ჩვენ ჩამოვთვლით იმ ჰომილეტების (ქრონოლოგიურად), რომელთა ნაწარმოებებიც შენახულა ჩვენამდე — ჯერ ისეთებს, რომელნიც ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში ცნობილი არიან, და შემდეგ — უცნობთ (ბიბლიოგრაფია დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 5-114): 1. გრიგოლ საკრებულთმოქმედი, რომლის მოძღვრებანი 864 წლის მრავალთავშია დაცული. 2. ეუსევი ჟამთააღმწერელი, რომლის ერთი მოძღვრების — „ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ“-ს შესახებ ქართულში ნათქამია, რომ ის არის „თქუმული საკლესიოჲსაგან უწყებისა“ (იხ. კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 101-107). 3. ეფრემ ასური, რომლის „თქუმულთა-საკითხავთა“ გრიგოლ ხანცთელი „ზეპირად გოდებით ტირილსა შინა იტყოდა, თჳსით აგარაკით მარტოჲ ხანცთას შთამოვიდოდა რაჲ“ („გრიგოლ ხანცთელის ცხორება“). 4. ათანასე ალექსანდრიელი. 5. ბასილი დიდი, კესარიელი, რომლის თხზულებები გვხვდება სხვადასხვა მრავალთავში. 6. კირილე იერუსალიმელი (A 19; A 95; A 144; AAth. 11). 7. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 8. მელეტი ანტიოქელი (864 წ. სინური მრავალთავი, A 95; A 1147). 9. გრიგოლ ნოსელი. 10. ეპიფანე კვიპრელი. 11. იოანე ოქროპირი (მისი ასზე მეტი ქადაგება-მოძღვრება გვხვდება ძველ მრავალთაველებსა და გვიანდელ კრებულებში, რომელთაც ეწოდება მარგალიტი, ფუტკარი, ოქროჲს წყარო, კლიტე, ასკეტიკონი, „მათესა და იოანეს სახარებათა განმარტებებში“ და სხვ.). 12. სეფერიანე გაბალონელი. 13. ლუკიანე ხუცესი. 14. ევსუქი იერუსალიმელი. 15. კირილე ალექსანდრიელი. 16. ევსები ალექსანდრიელი. 17. პროკლე კონსტანტინოპოლელი. 18. ანტიპატროს ბოსტრელი. 19. იოანე დამასკელი. 20. იაკობ ბატნაელი. ჩამოთვლილთ გარდა, X ს-მდე ჩვენ გვხვდება რამდენიმე მქადაგებლის სახელი, რომლნიც საეკლესიო მწერლობაში ცნობილი არ არიან: 1. ტიმოთე, ხუცესი იერუსალიმისა. 2. პეტრე, მთავარეპისკოპოსი იერუსალიმისა. 3. იულიანე ტაბია ქალაქის (გალატიაში) ეპისკოპოსი. 4. თეოდულა ხუცესი. 5. გრიგოლ ანტიოქელი ხუცესი. 6. ალექსანდროს მონაზონი კეისარელი. 7. ევფსევიე ხუცესი (იხ. თავ-თავის ადგილას).

X ს-მდე ქადაგებათა უმეტესი ნაწილი მოდის საუფლო ღღესასწაულებზე. შობა-ნათლისღების ქადაგებათა სიმრავლე უნდა აიხსნებოდეს დოგმატიკურ-პოლემიკური მოსაზრებით, ქრისტოლოგიური და ეორტალოგიური საკითხების სიმწვაეით. შობის ქადაგება თხუთმეტამდეა, ნათლისღებისა — 14. საუფლო ღღესასწაულების შემდეგ სჭარბობს წმინდანებისადმი მიძღვნილი ქადაგებანი; ალბათ, იმიტომ, რომ განუმტკიცებინათ წმინდანთა კულტი, რომელსაც ხატთმბრძოლობა სასტიკად არყევდა. უკანასკნელი 12 ქადაგება ხოტბა-პანეგირიკს წარმოადგენს. ოცამდეა შემორჩენილი ქადაგებები ზნეობრივ თემებზე, უფრო კი — სინანულის შესახებ. ამრიგად, უკვე X ს-მდე ქართულ ენაზე გვქონდა გარკვეული ჰომილეტიკური ბიბლიოთეკა.

X ს. ნათარგმნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთ ახასიათებთ უბრალო და მარტივი, „ლიტონი“ ენა. XI ს-ის შუა ხანებიდან, თეოფილე ხუცეს-მონაზონის დროიდან, საუკუნეული ეურება მეტაფრასულ ჰომილეტიკას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამ ნაწარმოებთა გალამაზება და გამშვენება ენის მხრივ. ამ პერიოდში არამცთუ გაუგრძელებიათ წინანდელი მუშაობა და ახალ-ახალი ქადაგება-მოძღვრებანი გადმოუღიათ, არამედ ხელმეორედ უთარგმნიათ ბეერი, ძველად გადმოქართულებული ქადაგება. ამ პერიოდში ჰომილეტიკურ დარგში მოღვაწეობდნენ: დაეით ტბელი, ეფთვიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, თეოფილე ხუცესმონაზონი და ეფრემ მცირე. არსებობს ბეერი ისეთი მეტაფრასული ქადაგება-მოძღვრებანიც, რომელთა მთარგმნელებს, ცნობების უქონლობის გამო, პირდაპირ ვერ დავასახელებთ. ყველაზე მეტი ასეთი

ნაწარმოები გვაქვს იმ კრებულში, რომელშიც თავმოყრილია დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდის სამოძღვრო მასალა (ქუთ. 8) – 60-ზე მეტი ქადაგება-მოძღვრება. ამ პერიოდში ნათარგმნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა კრებულმა მიიღო სპეციალური ტექნიკური სახელწოდება „მეტაფრასი“, რადგან მასში მოთავსებულია მეტაფრასული რედაქციის ტექსტები. შემდეგ პერიოდებში ქართულ ჰომილეტიკას თარგმანები აღარ შეემატება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილია მინიატის († 1714 წ.) ორ ნაწარმოებს, რომელიც XVIII ს-ში უთარგმნიათ რუსულიდან A 381, 457-479, A 593, 1-54).

ქართულ ენაზე შემონახულა არა მარტო ნათარგმნი ჰომილეტიკა, არამედ ორიგინალური, მაგრამ ისინი უნდა შექმნილიყო არა უადრეს VIII-IX სს. საფიქრებელია, რომ მანამდე ქართველი მღვდელმოძღვარნი შეგნებულად გაურბოდნენ ასეთ შემოქმედებას და ამჯობინებდნენ ქადაგათ არა თავისი მოსაზრებით, არამედ „ეთარ-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თჳსთა მიერ გარდმოსცეს“. პირველი ორიგინალური მქადაგებელი, რომლის ნაწარმოები ჩვენ დრომდე შემონახულა, არის იოანე ბოლნელი (X-XI სს.). თუმცა იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ (VIII ს.) მეთხე თავი – „ქებაჲ წმიდისა მოწამისა პაბონისი“ ჰომილეტიკური თხზულების შესანიშნავი მაგალითია. ეჭვს გარეშეა, იმ დროისათვის არა ერთი და ორი გამოჩენილი მქადაგებელი გეყოლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნაწარმოებთ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ვიცით მხოლოდ, რომ თამარ მეფის ცხედართან სიტყვები წარმოუთქვამთ იოანე ჭიმჭიმელსა და ვინმე დავითს. ორიგინალური ჰომილეტიკა განსაკუთრებით განვითარებულა XVII-XVIII სს-ში. ამ დროს ჩვენ გვხვდება მთელი რიგი ცნობილ და ნიჭიერ მქადაგებელთა, როგორებიც არიან: ნიკოლოზ რუსთველი, იოთ ფიტარეთელი, გერმანე მონაზონი, ბესარიონ კათოლიკოსი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათოლიკოსი, გაიოზ რექტორი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ცაგარელი-ჭყონდიდელი, ეარლაამ მიტროპოლიტი, იონა ხელაშვილი და სხვანი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია სულხან-საბა ორბელიანის „სწაულანი“ (ყველაზე უკეთესი ნუსხაა A 479. გამოცემულია ივ. ლოლაშვილის მიერ: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, 1963, გვ. 21-223). ამ კრებულში შემონახულია 46 ქადაგება, რომელიც დაწერილი და წარმოთქმულია დაუითგარეკითის უდაბნოში, დაახლ. 1698-1710 წწ. XIX-XX სს. მქადაგებელთა შორის გამოირჩევიან: გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (ქიქოძე), კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე, ავრეთვე სხვა მამამთავარნი და მღვდელმთავარნი.

ჰომილია (ბერძნ.) – ქადაგება, „ზეპირად, პირისპირ თქუმა“ (ეფრემ მცირე), სასულიერო შინაარსის მოძღვრება-ქადაგება ზეპირად წარმოთქმული მორწმუნეთა წინაშე. ეს იყო მორწმუნე მრევლის საღვთისმეტყველო განსაღების საუკეთესო საშუალება. ხშირად ჰომილიები წინასწარ იწერებოდა. კარგი მქადაგებლების ჰომილიები ხელიდან ხელში გადადიოდა და ეკლესიის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა.

ქართულ ენაზე თარგმნილია ბასილი კესარიელის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ანდრია კრიტელის, ათანასე და კირილე ალექსანდრიელების, გრიგოლ ნოსელისა და სხვა დიდ მქადაგებელთა ჰომილიები. ჰომილიების კრებული ხშირად კალენდარული პრინციპით დგებოდა. ასე წარმოიშვა სხვადასხვა მრავალთავი (იხ. მრავალთავი). ჰომილიებს წერდნენ გამოჩენილი ქართველი იერარქები და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ცნობილია იოანე ბოლნელის, ნიკოლოზ რუსთველის, ანტონ კათოლიკოსის, სულხან-საბა ორბელიანის, ამბროსი ნეკრესელის, იონა ხელაშვილისა და სხვათა ჰომილიები. იხ. ჰომილეტიკა.

ჯრომანა – ქართველთა მონასტერი კონსტანტინეპოლში, ააშენა იმპერატორმა ბასილიმ (867-886) 876 წელს იერარიონ ქართველის ნაწილთა დასასვენებლად. მან პატრიკით მიიღო კონსტანტინეპოლში იერარიონის მოწაფეები და შესთავაზა ადგილის ამორჩევა მონასტრის ასაშენებლად და სამოღვაწეოდ. მეფის წარმომადგენელთა თანხლებით ქართველი ბერები „გამოვიდეს პალატით სამეუფოთ და მოვიდეს ადგილსა ტყეანსა და უდაბნოსა და პოვეს ღელესა შინა წყაროები, ადგილი ვაკე და შეუნიერი“. როცა იმპერატორს აუწყეს ადგილის შერჩევა, იგი თავისი მხლებლებითურთ მოადგა იმ ადგილს, თან მოჰქონდათ ქვა. შეიღ თვეში დასრულდა კიდეც მონასტრის მშენებლობა, სატფურება შეასრულა ეგნატი პატრიარქმა (ოქტომბრის 9-ს) და დაასვენა მონასტერში წმ. მოციქულთა ნაწილები, ადრე ამ ადგილებს პრომანა ეწოდებოდა, ამიერიდან კი მეფემ აღსაზრდელად „ქართველთა მონასტერი,, უწოდა. აქ მეფემ მიაბარა თაფისი ძენი, ლეონ და ალექსან-

დრე. მეფის ნებით, მათ ქართული მწიგნობრობა შეისწავლეს. ამ მონასტერში გაჩაღებული იყო ქართველთა დიდი მწიგნობრული მოღვაწეობა. ამას მოწმობს აქ გადაწერილი მრავალი ძეგლი, რომელიც ჩვენამდე შენახულა. ავტორ ხელნაწერთაგან ცნობილია A 134 და A 1335 (ვანის ოთხთავი). პირველი მათგანი დაუწერიათ სვიმონ დვალს 1066 წელს (მაშ გელასის წინამძღვრობის დროს), მეორე — თამარ მეფის მღვდელს, „იოანე ულიარს“ (მოხატულობა ეკუთვნის მიქაელ კორესელს). „ეფთვიმე მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ეფთვიმემ, რომელმაც სამი წელი დაყო ოლიმპზე თავის მამასთან, იოანესთან, ულუმბოსა და სამეფოსა ქალაქსა, პრომანას, რამდენიმე თხზულება თარგმნა.

ჯუგენოტები (ფრანგ.) — სახელწოდება ფრანგი პროტესტანტების — კალვინისტების ანუ რეფორმისტებისა (XVI ს-დან). სახელწოდება წარმოდგება ენენველი რეფორმისტის, პუგოს სახელიდან. პენრიხ II-ის 1555 წ. გამოსცა ედიქტი, რომელიც კრძალავდა კალვინიზმს და მოწინააღმდეგეებს კოცონზე დაწვით ემუქრებოდა. დაშინების მიუხედავად, იმ დროისათვის საფრანგეთში 2000-მდე კალვინისტური ორგანიზაცია მოქმედებდა. კარლ მეცხრემ 1561 წლიდან რამდენადმე შეასუსტა პროტესტანტების დევნა. კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს შორის მტრობის მოსასპობად ეწყობოდა რელიგიური დისპუტები. 1562 წელს გამოიცა ედიქტი, რომელიც თავისუფალი ღვთისმსახურების ნებას რთავდა ჰუგენოტებს. ამან გამოიწვია ხანგრძლივი სამოქალაქო ომი. პროტესტანტობის მოწინააღმდეგენი თავს ესხმოდნენ ჰუგენოტებს ღვთისმსახურების დროს და ერთიანად ჟლეტდნენ. ომში ჩართული იყვნენ სამეფო კარის წარმომადგენლები და თავადაზნაურობის მაღალი ფენები. პროტესტანტობის აკრძალვას ხშირად ცელიდა ზავი და შეწყნარებითი ედიქტები. დეენილი ჰუგენოტები ხან ციხე-სიმაგრეებში იკავებდნენ თავს (ლა-როშელი, ნიმა, მონთობანი), ხანაც ემიგრაციაში მიდიოდნენ. იეზუიტთა ორდენი აქტიურად მოქმედებდა კრეტკოსთა წინააღმდეგ. 1789 წლის რევოლუციამ ჰუგენოტებს დაუბრუნა პოლიტიკური უფლებები. ნაპოლეონმა სპეციალური ედიქტით გამოაცხადა სინდისის თავისუფლება ჰუგენოტებისათვის. რესტავრაციამ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ ჰუგენოტების დევნა შეწყდა (იხ. რელიგიური ომები).

„ჯვრისათა მიმართ სიტყუსგებაჲ“ — ერთ-ერთი პოლემიკური სტატია არსენ იყალთოელის მიერ შედგენილ „დოგმატიკონიდან“. თარგმნილია თეოდორე აბუკურას თხზულებიდან (არსენის მიერ). ტექსტი დაცულია ხელნაწერში: S 1463, 228-241.

ჯვრისახანი — ოუდეა; პალესტინის სამხრეთი ნაწილი; იესო ქრისტეს ქადაგების, სასწაულების, ვნების, ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების ადგილი. იუდეას უკავშირდება საღეთო ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც. იხ. პალესტინა.

ჯუსი იან (იოან. 1369-1415 წწ.) — რელიგიურ-ნაციონალური მოძრაობის ბელადი ჩეხეთში. მიიღო კარგი განათლება, მსახურობდა მქადაგებლად პრაღის ერთ-ერთ სამლოცველოში. მალე მოიპოვა მრევლის სიყვარული და აღიარება. იან ჯუსი თამამად გამოდიოდა კათოლიკე სამღვდელოების მანკიერებათა მამხილებელი სიტყვებით. თავის მრავალრიცხოვან თხზულებებში მან ჩამოაყალიბა თამამი მოსაზრებანი, როგორც რელიგიურ-მისტიკური, ასევე ნაციონალურ-პოლიტიკური. რომის პაპის ბრძანებით 1415 წ. მოწვეულმა კონსტანცის ადგილობრივმა კრებამ ჯუსის მოძღვრება ერესად გამოაცხადა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა.

ჯუსიტები — მიმდევრები და თანამოაზრენი იან ჯუსისა, რომლებიც ქადაგებდნენ ბარძიმით ზიარებას. მათ წმინდანად გამოაცხადეს იან ჯუსი და ძლიერი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური პარტია შეადგინეს, მაგრამ მალევე გაითიშნენ. „მებარძიმეებს“ გამოეყვნენ ე. წ. „თაბორიტები“, რომლებიც უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას, აღსარების საიდუმლოს, ხატთა თაყვანისცემას, მიცვალებულთათვის ლოცვას და სხვ. თაბორიტები, თავის მხრივ, უფრო წვრილ სექტებადაც დაიშალნენ, და თანდათან სულაც დაშრეს პოზიციები. მებარძიმეები კი ისევ შეერწყნენ კათოლიკობას.

ჯუჯაბი (ხუჯაბი) — სამონასტრო კომპლექსი სოფ. ახქერფის (მარნეულის რ-ნი) მიდამოებში, მდ. არხერიფზე (ბოლნისის წყლის შენაკადი) მარნეულიდან 60 კმ. მანძილზე. კომპლექსში შედის გუმბათოვანი ეკლესია XIII საუკუნისა, შუა საუკუნეებისაა სატრაპეზო, გალავანი და სხვა ნაგებობანი.

გამოყენებული წყაროები

აბულაძე ილ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს., თბ., 1944.

აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ავალიშვილი გ., მგზაურობაჲ თბილისიდან იერუსალიმმდე, გამოსცა ელ. მეტრეველმა, 1967.

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გამოსცა მ. ჯანაშვილმა, ტფილისი, 1901 [შემოკლ. „ათონის კრებული"].

ალიბეგაშვილი გ. საყვარელიძე თ., ქართული ხატები, 1980.

ასათიანი ე., ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1996.

ასათიანი ე., ბიზანტიური ცივილიზაცია, თბ., 2006.

ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბ., 1963.

ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყჳაობა, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980.

ბასილი კესარიელის „სცაულათა" ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაც. მომზადა ქ.ქურციკოძემ, თბ.,1983.

ბასილი კესარიელის „სწაულათა" ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ც. ქურციკოძემ, თბ., 1983.

ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004.

ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1955.

ბერიძე ვ., ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., ლეჩხუმი, თბ., 1983.

ბერძნიშვილი მ., მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, I, თბ., 1980, II, 1983.

გაბიძაშვილი ე., ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა, თბ., 1973.

გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია, თბ., 2004.

მისივე, ასკეტიკა და მისტიკა, თბ., 2006.

გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.

გერმანე კონსტანტინეპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა, გამოსცა ე. კოჭლამაზაშვილმა, კრებ.: „საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2004 წლისათვის", გამომცემლობა „ნათლისმცემელი", თბ., 2003, გვ. 111-179.

გეგახლია ჯ., გიორგაძე მ., ხადის ხეობა, თბ., 1983.

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

დიდნი კურთხევანი, გამოსცა ე. ჭელიძემ, 2003 (460 გვ.).

დიდი სვინაქსარი (ხელნაწერი, გამოსაცემად ამზადებს მ. დოლაქიძე).

დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, თბ., 1975.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, II, III, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1940-1953.

ესისტოლეთა წიგნი, გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.

ერცელი ქრისტიანობრივი კატეხიზმო, ტფ., 1865 (თარგმნილი რუსულიდან).

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

თაყაიშვილი ექ., მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმიდის ხელნაწერში, პარიზი, 1938.

თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1939.

თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, თბ., 1907.

თაყაიშვილი ექ., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, პარიზი, 1933.

იმნაიშვილი ივ., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1949.

ინგოროყვა პ., ძველი ქართული წარმართული კალენდარი (საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1929-30; VII, 1931-32).

იოანე ბატონიშვილი, კალმასობა I, II კ. კეკელიძესა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, 1948.

იოანე პეტრიწი, შრომები, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, I, II, თბ., 1937-1940.

იოანე სინელი, სათნოებათა კიბე, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1969.

იოანე-ზოსიმე, კრებაჲ თთუეთა წელიწდისათაჲ (კალენდარი), გამოსცა კ. კეკელიძემ, ეტიუდები... V, თბ., 1957.

ისტორიული საბუთების პირთა საძიებელი [ხელნაწერი, ხელნაწ. ინსტიტუტი]. I,II,III, თბ., 1991-2004 წწ.

კანდელაკი ნ., ქართული მჭედრმეტყველება, თბ., 1958.

კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I-XIV, თბ., 1945-1974 წწ.

კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

კვირიკაშვილი ლ., პიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982.

კიმენი I-II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1918, 1946.

კლარჯული მრავალთავი, გამოსცა თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991.

კოჭლამაზაშვილი ე., ლიტურგიკული ლექსიკონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2004 წლისათვის (თბილისის უნივერსიტეტის დაეით აღმაშენებლის ეკლესიის გამოცემა), გვ.

ლაპიდარული წარწერები, I, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

ლაპიდარული წარწერები, II, გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966.

ლოცვანი და დაუჯდომელი ღმრთისმშობლისაჲ, ახალი შესწორებული გამოცემა ე. ჭელიძისა, თბ., 2006 წ.

მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.

მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I (ორ ნაკეთად), 1962; ტ. II, 1980.

მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

მეტრეველი ელ., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998.

მოამბე [ხელნაწერთა ინსტიტუტისა] (კრებ.), I-V, თბ., 1959-1963.

მრავალთავი [ხელნაწერთა ინსტიტუტისა] (კრებ.), I-XXI, თბ., 1971-2005.

მცირე სჯულისკანონი, გამოსცა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1973.

მცირე ქრონიკები, გამოსცა ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968.

მცხეთური ხელნაწერი (მცხეთური ბიბლია), გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, I-V, თბ., 1981-1986.

პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოსცა ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003.

პეტრე იბერიელი, შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961.

ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896.

საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.

სამოციქულოს განმარტება, გამოსცა ე. კოჭლამაზაშვილმა, ტ. I-III, თბ., 2000-2006.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები [XIII-XIV სს.], გამოსცა ქ. შარაშიძემ, თბ., 1961.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები [XV-XVI სს.], გამოსცა ქ. შარაშიძემ, თბ., 1982.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I-VI, 1970-1979.

საქართველოს კულტურის ძეგლები, თბ., 1959.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V (შიდა ქართლი), თბ., 1990; ტ. II, თბ., 2005.

საქართველოს სიძველენი, I-III, 1899-1910.

სვანეთის წერილობითა ძეგლები I, II. გამოსცა ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986-1988

სილოგავა ვ., შენგელია კ., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2007.

სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წ. აღმოჩენილი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. შეადგინეს:ზ.ალექსიძემ, მ.შანიძემ, ლ.ხევსურიანმა და მ.ქავთარიამ. ათენი,2005 (ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე).

სინის მთის სულთა მატიანე, გამოსცა ივ. ჯაჯანიშვილმა (წიგნში: სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა), თბ., 1947.

სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქტორობით, 1959.

სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თხზულებანი, ტ. IV_1 და IV_2, თბ., 1965-1966.

სულხან-საბა ორბელიანი, სწავლანი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1963.

სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.

ტბეთის სულთა მატიანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლეა, გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, გამოსცეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 2005.

უდაბნოს მრავალთაგი, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქტორობით, თბ., 1994.

უძველესი იადგარი, გამოსცეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980.

უხტანესი, განყოფისათვის ქართველთა სომეხთაგან, თარგმნა და გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.

ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. შანიძემ, თბ., 1960.

ფსალმუნნი, ახალი შესწორებული გამოცემა ე. ჭელიძისა, თბ., 2006.

ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.

ქართლის ცხოვრება, I, II, IV, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955, 1959, 1973 წწ.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გამოსცეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, 1975-1987.

ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ, I-VIII, თბ.,1963-1985.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა:

ა. A ფონდისა (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის): ტ. I (I-IV ნაკვ.), 1975-1985; ტ. II, 1986; ტ. III; ტ. IV, 1954; ტ. V, 1955; იხ. აგრეთვე: Ѳ. Жордания, Описание... I-II, М. Джанашвили, 1901-1903; Описание... III,М.Дханашвили 1905.

ბ. H ფონდისა (ყოფ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია): I-VI, თბ., 1946-1953.

გ. S ფონდისა (ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია): I-VII, თბ., 1960-1973.

დ. Q ფონდისა (ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი კოლექცია): I-II, თბ., 1957-1958.

ე. ქუთაისის საისტორიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია (ყოფ. გელათის მონასტრისა): I-II, 1958-1964 [შემოკლ. ქუთ.].

ვ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია: I-II [შემოკლ. ცენტრ. არქ.], თბილისი, 1949-1950.

ზ. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა [შეადგინეს მ. ქავთარიამ და ც. კახბრიშვილმა, ხელნაწერი].

თ. სინური კოლექცია: I-III, თბ., 1978, 1979, 1986 [სინური კოლექციის სხვა აღწერილობანი იხ. ქვემოთ].

ი. ქართულ ხელნაწერთა ახალი სინური კოლექცია, ათენი, 2005 წ. (ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე).

ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ. 1992.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, II, III, თბ., 1892, 1897, 1967.

ქურციკიძე ც., ბასილი კესარიელის ეფთვიძე ათონისეული თარგმანები. თბ., 1983

ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.

შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები: I. ათაბაგთა ქრონიკის უცნობი ნუსხა 1474-1515. II. გერგეტის სამების „მატიანე, მოსაკუნებელი სულთა“ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954).

შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936.

ჩუბინაშვილი ნ., რუსულ-ქართული ლექსიკონი, I-II, თბ., 1971-1973.

ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

ცისკარიშვილი ე., კავკასიის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

ცხოვრება საქართველოსა [პარიზის ქრონიკა], გამოსცა მ. ალასანიამ, თბ., 1980.

ძეგლის მეგობარი, I-LXXX, თბილისი.

წიგნნი ბუელისა აღთქუმისანი, I-III, თბ., 1985-88.

ძველი საქართველო, I-IV, თბ.,1909-1915.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, I-VI, თბ., 1963-1989.

ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები ახალქართულად თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2005.

წერეთელი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტ. I, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1973.

ჭელიძე ე., „ლოცვათა" ახალი გამოცემის გამო, თბ., 2006.

ჭელიძე ე., „ფსალმუნთა" ახალი გამოცემის გამო, თბ., 2006.

ჭელიძე ე., ძველი ქართული სალითსმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996.

ჭილ-ეტრატის იადგარი, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1977.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I-V, თბ., 1953-1966.

ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, I-II, თბ., 1919, 1928.

ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.

ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, III, ნაკ. I, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებები თორმეტ ტომად, I-VII, თბ., 1979-1986.

ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I-IV, თბ., 2000-2003

ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), საქართველოს საეკლესიო კრებები, I-III თბ., 2003.

Акты собранные Кавказской археологической коммиссиею, т. I, Тб., 1866.

Богословский вестник

Булгаков Н., Настольная книга, Киев, 1913.

Голенищев-Кутузов И. Н., Средневековая латинская литература Италии, М., 1972.

Известия русского археологического института в Константинополе.

Кекелидзе К. С., Иерусалимский канонарь VII в., Тифлис, 1912.

Кекелидзе К. С., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифл., 1908.

Марр Н., Я. Описание грузинских рукописей Синайскаго монастыря, Москва-Лен., 1940.

Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части историчесской провинции Грузии Шида Картли, Тб., 1979.

Настольная книга священнослужителя, I-III, 1977-1979.

Никольский К., Пособие к изучению устава богослужения Православной Церкви, СПб, 1907.

Никольский К., Краткий обзор богослужебных книг, СПб.

Никольский К., Словарь названий молитвословий и песнопений церковных, СПб, 1885.

Орбели Р. Р., Грузинские рукописи Института Востоковедения, Ленинград, 1956.

Палестинский патерик.

Полный православный богословский энциклопедический словарь, СПб, 1

Православный палестинский сборник.

Пространный православный Катехизис, Москва, 1880.

Журнал министерства народного просвещения.

Сергий архиепископ, Полный месяцеслов востока, I-II, 1901.

Симфония на ветхий и новый завет, СПб, 1900.

Словарь библейского богословия, Брюссель, 1974.

Сообщения Православного Палестинского Общества.

Такаишвили Э., Канчаетский Жамн-Гулани и исторические приписки его кинклоса (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. с. 115-137, 1901).

Труды ..... археологического съезда в

Тифлисе в 1881 году, М., 1887.

Труды Киевской Духовной Академии.

Хаханов А., Материалы по грузинской агиологии, 1910.

Христианский Восток.

Христианское чтение.

Христианство (Энциклопедический словарь), т. I, II, III.

Цагарели А. А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, СПб, 1888.

Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности, Вып. 1-2, СПб, 1888-1889.

Церковные ведомости.

Церковный вестник.

Церковная Энциклопедия.

Чтение в обществе любителей духовного просвещения.

Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, Тб.,1959.

Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, Тб.,1959.

Энциклопедический словарь, Изд. Брокгауз Ф. А. и Ефрон И. А. Лейпциг-СПб, 1890-1904.

Acta Sanctorum, t.1-69; 1863-1931.

Analecta Bollandiana, Paris-Bruxelles, 1-104; 1882-1986.

Blake R., Catalogue des manuscrits georgiens de la bibliotheque patriarcale grecque a Jerusalem (Extr. pp. 1-157,Paris, 1924-1926.

Blake R., Catalogue des manuscrits georgiens de la bibliotheque de Laure d'Iviron au Mont Athos (Extr. pp. 1-116), Paris,1932.

Kictionnaire de spiritualite et mystique, t. I-VII, Paris, 1927-1970.

A dictionnary of Symbols by J. E. Cirlot, London, 1970.

Garitte G., Catalogue des manuscrits georgiens litteraires au Mont Sinai, Louvain, 1956.

Grumel V., La chronologie, Paris.

Lexicon fur Theologie und Kirche, I-X, 1957-1967.

Le Muséon, Revue d'etudes orientales, t. 55-101, Louvain, 1942-88.

к riens Christianus, Leipzig, 1-14, 1911-1924; 1-14 (III ser.) 1927-1941; 37-70, 1953-1986.

The кxford dictionnary of Christian Church, ed. by F. Cross, London, 1957.

A Patristic Greek Lexicon, G. Lampe, кxford, 1961.

Patrologia graecae, accur. J. P.Migne, T. 1-161, Paris.

Revue de l'кrient Chretien, t. 1-30; Paris,1896-1946.

შემოკლებათა განმარტება

აბდ. – წინასწარმეტყველება აბდიასი.

ათონის კრებული – ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, გამოსცა მ. ჯანაშვილმა, თბ., 1901.

ამბაკ. – წინასწარმეტყველება ამბაკუმისა.

ამოს. – წინასწარმეტყველება ამოსისა.

ანგ. – წინასწარმეტყველება ანგიასი.

ბარ. – წინასწარმეტყველება ბარუქისა.

ბლეიკი – რ. ბლეიკის ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა [Catalogue de la Bibliotheque de la Laure d'Iviron au Mont Athos].

გალ. – პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ.

გამოსლ. – გამოსლეათა (ძველი აღთქმის წიგნი).

გამოცხ. – გამოცხადება იოანესი.

გერგეკა – გერგეკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I-VIII, 1936-1970.

დან. – დანიელის წინასწარმეტყველება დანიელისა.

ებრ. – პავლეს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ.

ეზეკ. – წინასწარმეტყველება ეზეკიელისა.

ეზრ. (I, II, III) – ეზრას წიგნები.

ეკლ. – ეკლესიასტე (ძველი აღთქმის წიგნი).

ეს. – წინასწარმეტყველება ესაიასი.

ეტიუდები – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I-XIV, თბ., 1954-1974.

ეფეს. – პაულეს ეპისტოლე ეფესელთა მიმართ.

ზაქ. – წინასწარმეტყველება ზაქარიასი.

თესალ. (I, II) – პაულეს ეპისტოლენი თესალონიკელთა მიმართ.

იაკ. – კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა.

იგავ. – იგავნი სოლომონისნი (ძველი ალთქმის წიგნი).

იერ. – წინასწარმეტყველება იერემიასი.

იერუსალიმის განჩინება – Кекелидзе К. С., Иерусалимский канонарь VII в., Тифлис, 1912.

იოან. – სახარება იოანესი.

იოან. (I, II, III) – იოანეს კათოლიკე ეპისტოლენი.

იოვ. – წინასწარმეტყველება იოველისა.

იონ. – წინასწარმეტყველება იონასი.

იუდ. – კათოლიკე ეპისტოლე იუდასი.

ისტ. საბუთები – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984.

კერები – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები I [ორ ნაკეთად]; II, თბ., 1962, 1980 წ.

კიმენი – ქართული [თარგმნილი] აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწ. I და II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1918, 1946 წ.

კოლ. – პაულეს ეპისტოლე კოლასელთა მიმართ.

კორ. (I, II) – პაულეს ეპისტოლენი კორინთელთა მიმართ.

ლაპიდარული წარწერები – ლაპიდარული წარწერები, I, გამოსაცემად მოამზადა ნ. შომახაშვილმა, თბ., 1980; II, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

ლევ. – ლევიტელთა (ძველი აღთქმის წიგნი).

ლუკ. – სახარება ლუკასი.

მათ. – სახარება მათესი.

მაკ. (I, II, III, IV) – მაკაბელთა წიგნები.

მალ. – წინასწარმეტყველება მალაქიასი.

მარკ. – სახარება მარკოზისა.

მასალები, XIX ს. – მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, I, 1980; II, 1989.

მასალები – ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

მეორე სჯ. – მეორე სჯულისა (ძველი აღთქმის წიგნი).

მეფ. (I, II, III, IV) – მეფეთა წიგნები.

მიქ. – წინასწარმეტყველება მიქეასი.

მსაჯ. – მსაჯულთა (ძველი აღთქმის წიგნი).

ნაუმ. – წინასწარმეტყველება ნაუმისა.

ნეემ. – წინასწარმეტყველება ნეემიასი.

ნეშტ. (I, II) – ნეშტთა (ძველი აღთქმის წიგნები).

ოს. – წინასწარმეტყველება ოსიასი.

პეტ. (I, II) – კათოლიკე ეპისტოლენი პეტრესი.

რიცხ. – რიცხვთა (ძველი აღთქმის წიგნი).

რომ. – პაულეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ.

რუთ. – რუთი (ძველი აღთქმის წიგნი).

საალაპე წიგნი – ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998.

სამართლის ძეგლები – ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ, I-VIII, თბ., 1963-1985.

საქმე მოც. – საქმე მოციქულთა.

საქ. საბოთხე – საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაჲ ღირსთა და ნეტართა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული მ. საბინინის მიერ, სანკტ-პეტერბურგი, 1882.

სიბრძ. – სიბრძნე სოლომონისა (ძველი აღთქმის წიგნი).

სინური მრავალთავი – სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.

სოფ. – წინასწარმეტყველება სოფონიასი.

ტიმ. (I, II) – პაულეს ეპისტოლენი ტიმოთეს მიმართ.

ტიტ. – პაულეს ეპისტოლე ტიტეს მიმართ.

ტობ. – ტობი (ძველი აღთქმის წიგნი).

უხტანესი – უხტანესი, ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი და მისი ქართული თარგმანი გამოკვლევითურთ გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.

ფილ. – პაულეს ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ.

ფილიმ. – პაულეს ეპისტოლე ფილიმონის მიმართ.

ფს. – ფსალმუნნი (ძველი აღთქმის წიგნი).

ქართლის ცხოვრება – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-

ნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, II, IV, თბ., 1955-1973.

ქართული ენციკლოპედია – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, თბ., 1975-1987.

ქრესტომათია – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

ქრონიკები – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, II, III, თბ., 1892-1897; 1967.

ცაგარელი – Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности, Вып. 1-2, СПб, 1888-1889.

ძეგლები – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I-VI, თბ., 1963-1989.

Архим. Сергий, Месяцеслов – Полный месяцеслов Востока, изд. архиепископа Сергия.

ЖМНА - Журнал министерства народного просвещения.

ЗВОАО - Записки восточного отделения русского ареодогического обществаю

МАК – Материалы по археологии Кавказа.

ППС – Православный Палестинский Сборник.

ТРА-ГФ – Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

ЧОИДР – Чтения в обществе истории и древностей россиских при Московском университете.

Anal. Boll. – Analecta Bollandiana.

Act. Sanct. – Acta Sanctorum.

kr. Christ. – kriens Christianus.

ხელნაწერთა აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები

A – ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექცია (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია).

H – ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექცია (ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია).

S – ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექცია (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია).

Q – ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი კოლექცია.

ქუთ. – ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია (ყოფილი გელათის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია).

ცენტრ. არქ. – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

პეტერბ. – სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

M, SM, H – სანკტ-პეტერბურგის აღმოსაელეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

Ath. – ათონის მთის ქართველთა მონასტრის (ივირონის) ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

Sin. – სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

Jer. – იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

ბოდლ. – ქ. ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბოდლეს ფონდის ქართული ხელნაწერების კოლექცია.

ისტორიული საბუთების აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები

Ad – ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ისტორიული საბუთების კოლექცია (ამჟამად – ხელნაწერთა ინსტიტუტში(.

Hd – ყოფილი საქართველოს საისტო-

რიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ისტორიული საბუთების კოლექცია (ამჟამად – ხელნაწერთა ინსტიტუტში).

Sd – ყოფილი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ისტორიული საბუთების კოლექცია (ამჟამად – ხელნაწერთა ინსტიტუტში).

Qd – ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთების ახალი ფონდი.

ცსსა – ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ისტორიული საბუთების ფონდი.

ცსსა – ცენტრალური საარქივო სამმართველოს არქივი.